ზაურ თეთრუაშვილი

ილია ჭავჭავაძე: “ჩვენი საქმე საქართველოს ხალხის ცხოვრებაა, მისი გამჯობინება ჩვენი პირველი და უკანასკნელი სურვილია”

წიგნი მეორე

გორი

22.02.12 – 15.10.14

ISBN 978-9941-0-7434-9 (ორივე წიგნის)

ISBN 978-9941-0-7436-3 (მეორე წიგნის)

ზაურ თეთრუაშვილი

ილია ჭავჭავაძე ქართველი ერის გონებრივი განვითარების, ზნეობრივი განწმენდისა და ქონებრივი გაღონიერების შესახებ

(აზრების კრებული)

გორი

22.02.12 – 15.10.14

შინაარსი

ანოტაცია..... 15

შემდგენელისაგან 20

პირველი თავი. ერის გონებრივი ზრდა (გონებრივი თვალსაწიერის გაფართოება)

1.1. განათლება ჩვენში ფეხმძიმედ დადის

- წერა-კითხვა ჩვენში ნაკლებად არის გავრცელებული..... 65
- ჯერ-ხანად უკურნებელი და ძალიან მწვავე ტკივილიც.....66
- წერა-კითხვის საზოგადოებას პირველხანად მაინც კარგა ფული აქვს, მაგრამ დიდი გაფრთხილება უნდა..... 69

1.2. ბავშვის სწავლა (გონების გახსნა და მსჯელობის გაძლიერება) და სკოლა

- სკოლა უსწავლელობის წამალი..... 71
- საერო სკოლა გვჭირდება: იგი სკოლაა ერისა, მოედანია, საცა ერის გონებამ და გრძნობამ ფეხი უნდა აიდგას..... 73
- სწავლა კაი კაცის ხელში სიამოვნებაა ბავშვისათვისვე, ანუ ნუ ჰგონიათ, რომ ოსტატობა ყველა წიგნის მცოდნეს შეუძლიან. ქალი მასწავლებელი..... 79

1.3. ცოდნა, სწავლა-განათლება, პრაქტიკული გამოცდილება ერის სიმდიდრის სათავე

- სწავლა-განათლება სათავეა სიმდიდრისა..... 83
- ცოდნა და გადადებული ქონება განძია, ურომლისოდაც არავითარი წარმოება ფეხს წინ ვერ წასდგამს..... 83
- ცოდნა თავისთავად სიმდიდრეა ერისა, დაუშრეტელი წყაროა როგორც კაცად მყოფობისათვის, ისეც თავის სარჩენად. ქართველო კაცო: ტანთ მოიკელ, ფეხთ მოიკელ, მშიერ-მწყურვალი იარე და ცოდნა, სწავლა-განათლება მიეცი შვილსა..... 86
- საკმარისი არ არის მარტო დიპლომი. საქმე მარტო ცოდნა კი არ არის, გამოცდილებაა..... 89
- უმეცრება ძვალ-რბილში გვაქვს გამჯდარი. მხოლოდ განათლებას, სწავლას, ცოდნას შეუძლიან წამალი დასდოს ჩვენს ცხოვრებას..... 92

მეორე თავი. საზოგადოების (პიროვნების) აღზრდა-წრთვნა და განწმენდა

- ადამიანის პატიოსნება, ღირსება, სინიდისი – მისი ზნეობითი კუთვნილებაა და ჩვენ მჩვრად გაგვიხდია..... 94

- ადამიანის გონების აღმატებულებას მისი ზნე-ხასიათის აღმატებულება უნდა ჰქონდეს შეწონილი..... 97
- ახალგაზრდა ოსტატისა და შეგირდების ამბავი: ზნე-ხასიათის წვრთნის მაგალითი..... 97
- ზნე-ხასიათის წვრთნა: ზრდაა შინაგანის კაცისა და ეს სკოლაში უნდა ხდებოდეს 98
- სკოლაში ყველაფერს ასწავლიან და ივიწყებენ მთავარს – ღონე მისცენ შეგირდის ზნე-ხასიათს..... 99
- კეთილი ზნე-ხასიათის ნიშანი: სათნოება დიდებასთან ერთად უნდა ვიდოდეს..... 101
- არჩევანის დროს აზრთა ჭიდილში ყოველივე ღონისძიება ნამუსისა და პატიოსნების სასწორზედ აწონილ უნდა იყოს 103
- ერის გაუპატიურება, ავად ხსენება დიდად სათაკილო საქციელია. ჭეშმარიტ ღირსებას ყვირილი არ უნდა..... 107
- ჭეშმარიტი ლიბერალობა ტყუილების, ოინბაზობის... ხელის წაფარება არ არის..... 107
- ეხლანდელს ზნეობით დავარდნილს დროში ფეხადგმულია უშვერი, უმსგავსო, სულელობით აღსავსე საქმე..... 111
- ქართველი კაცის საძაგელი სენი – ყიზილბაშობა..... 113
- შენ რომ ცუდკაცობდე, კაიკაცობაზედ სხვას მაინც ნუ გალანძღავ..... 114
- არა თქმულის თქმა - ზნეობრივად გაუმართლებელი თვისებაა..... 116
- ბეზღობა ყველა კაცისათვის შემაზრზენი უზნეო საქციელია და უბედურობაა ერისა..... 117
- ჰოსა და არას ჭიდილია ერთად-ერთი გზა ჭეშმარიტების აღმოჩენისა და პოვნისა..... 120
- ერის ღირსეულ შვილთა ღვაწლის დაფასება ერის მაღალზნეობრიობის ნიშანია და მაგალითია რომ მისი გონების თვალი ახილებულია..... 120
    - ღვაწლის დაფასება: ევროპის მაგალითი..... 121
    - ღვაწლის დაფასება: რუსეთის მაგალითი..... 121
    - ღვაწლის დაფასება: საქართველოს მაგალითი

- აკაკი წერეთელი..... 122
- რაფიელ ერისთავი..... 123
- დავით აღმაშენებელი..... 124
- გაბრიელ ეპისკოპოსი..... 125
- ერეკლე მეფე..... 125
- კანვოელების თხოვნა ილია ჭავჭავაძისადმი..... 126
- სახელგანთქმულნი (ავტორიტეტნი) – მათი თაყვანისცემა არ დაილევა ქვეყნიერებაზედ..... 126

- თანასწორობა და სიყვარული წოდებათა განურჩევლად: ეს სანატრელი და თაყვანის საცემი მცნება დღესაც თეორიად რჩება..... 128
- წოდებათა შორის ჩატეხილი ხიდი: ვაი იმ ქვეყანას, საცა საერთო ძარღვში სისხლი გაშრა..... 130
- ერთობა უნდა გვქონდეს: ნუთუ ყველა საზოგადოებრივ ძალთა ერთ კვალში ჩაყენება სანატრელი არ უნდა იყოს?..... 133
- იმიერ ქართველს ამიერი ქართველი ეუბნება შენ მოსული ხარო..... 135
- მშობლიური ქვეყნის სიყვარული დიდი რამა ყოფილა კაცისათვის..... 136
- ქართველთა გაკენწვლა: არა-სასიამოვნო თვისება დაეკვებათ 137
- ახალი თაობა ახალთა აზრთა წინამძღოლობაში, ახალთა აზრთა მოძღვრებაშია და არა იმაში, რომ მე დღეს დავიწყე წერა და შენ გუშინაო..... 138
- ქველმოქმედება: ზნე-კეთილი ადამიანის თვისებაა. ბატონისა და სამი მოსამსახურის ამბავი..... 139
- სინანული კაი საქმეა, კაი საქონელია თუ ნამუსი და სინდისი თავისის უტყუარის სასწორით დადის, უმადურობა კი ვერც კარგი საქმეა და ვერც კარგი საქონელი..... 142
- ქურდობა და ავაზაკობა ბოროტმოქმედებაა და მთელის საზოგადოების, მთელის ერის ჭირია 143

მესამე თავი (სამ ნაწილად). ქართველი ერის ქონებრივი გაღონიერება

პირველი ნაწილი

3.1. საქართველოს ხალხის ცხოვრების გამჯობინება – პირველი და უკანასკნელი სურვილი

- რაც უნდა ითქვას შიშისაგან თავზარდაცემულ და გონებაგამოცლილ "ცისკარმა" ჩვენი საქმე საქართველოს ხალხის ცხოვრების გამჯობინება – პირველი და უკანასკნელი სურვილია..... 145
- ხალხის ცხოვრების გამჯობინების ქონებრივი მხარე ანუ დღევანდელი საეკონომიო ყოფა-ცხოვრება ომის მოედანია, ბრძოლაა ქონებრივი სიმდიდრის მოპოვებისათვის..... 148

3.1.1. ქონება: ცხოვრების ფარი და ხმალი

- დღევანდელი ფარ-ხმალი ცხოვრებისა ქონებაა..... 149
- ქონების საკუთრებითი ურთიერთობის ორი ფორმა..... 149

3.1.2. რის ნიშანია ერის ქონებრივი სიმდიდრე და სიღარიბე?

- ქონებრივი სიმდიდრე და სიღარიბე ერის წინ წაწევისა, წარმატების, შინ და გარეთ დამოუკიდებლობის ხარისხის ნიშანი..... 151
- სიღარიბე თუმცა არაა ბედნიერება, მაგრამ არც მწიკვლია..... 151
- ქონებრივი სიმდიდრე სახელმწიფოსი შესდგება მომქმედთა და ნამოქმედარის მხმარებელთა სიმდიდრისაგან..... 153

მეორე ნაწილი

3.2. შრომა, გარჯა, მხნეობა, საკუთარი თაოსნობა – თვითმოქმედება – ერის ქონებრივი გაღონიერებისა და მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლების წყარო

3.2.1. ქვეყნის ქონებრივი გაღონიერებისათვის დიდი საქმეა ცხოვრების გზის პოვნა და აჩენა

3.2.1.1. დიდი საქმეა მარტო უტყუარი ნიშანი მოსაქმის დიდბუნებოვნებისა..... 156

3.2.1.2. საზოგადო საქმეს მარტო შრომა უნდა, გარჯა უნდა, გულდადებული ჯაფაცა..... 157

3.2.1.3. ჩვენი ყმაწვილ-კაცობა უნდა მომზადდეს მთელის ევროპის მეცნიერებისა და გამოცდილებით 159

3.2.1.4. ჯერ-ხანად არ ვიცით საზოგადო საქმეს როგორ მივცეთ მხარი, როგორ მოვუაროთ..... 161

3.2.1.5. სწორი გზის პოვნა და მასზედ სვლა ნახევრად გამარჯვებაა, ანუ რა გავაკეთეთ..... 162

3.2.2. შრომა, გარჯა, მხნეობა, საკუთარი თაოსნობა – თვითმოქმედება საფუძვლად უნდა დავუდვათ ერის ქონებრივ გაღონიერებას

- ვფიქრობდი შრომით და ოფლით ვიყიდდი ლუკმა პურსა 163

- ქვეყანაზედ სიამოვნება უშრომოდ არ მოიპოვება. შრომა, როგორც გზა-მიმავალი სანატრელ საგნამდინა, ხალისიანია..... 165
- ეხლა ვაჟკაცობა უნდა შრომისა, ანუ რამ გადაგვარჩინა, რამღა გვაცოცხლა. ჩვენს მშვენიერს ქვეყანას სხვები არ დაეპატრონონ..... 166
- ეს ქვეყანა სახელოსნოა, საცა კაცი უნდა ირჯებოდეს და შრომობდესო..... 168
- ცხოვრების მოედანი მარტო იმისია, ვინც მხნეობს და გამრჯელია. ღმერთი მხოლოდ გამრჯელის მწყალობელია, გაურჯელს წყალი წაიღებს..... 169
- მოძრაობა და მხოლოდ მოძრაობაა ქვეყნის ძალისა და სიცოცხლის მიმცემი..... 170
- საკუთარი თაოსნობა – ის ენერგიაა, საიდანაც უნდა ამოხეთქოს ჩვენთვის ყოველივე საწადელი..... 173
- ყმაწვილ-კაცობის ღვაწლს საკუთარი თაოსნობის ასაღორძინებლად ვერავინ შეეცილება..... 174
- თვითმოქმედება: უმაღლესი წერტილი ადამინის განვითარებისა და წარმატებისა. ხალხი თვითმოქმედებით არის მხოლოდ ძლიერი და ნაყოფიერი სულით და ხორცით..... 176
- თვითმოქმედება ისეთი თვისებაა ადამიანისა, ურომლისოდაც, იგი უფრო მონაა, ვიდრე ბატონი, სათრეველაა და არა თვითმავალი მოზარდისათვის..... 178
- თვითმოქმედება სკოლაც არის ყოველი მოზარდისათვის..... 178
- თვითმოქმედებას სულის, ჭკუისა და გონების გაძლიერებასთან ერთად უნდა მისდევდეს ქონების, ჯიბის გაძლიერებაც..... 180

3.2.3. ქართველი გლეხი კაცი: მშრომელი, ქვეყნის სიმდიდრის შემქმნელი .გვირისტით ნაკერი

- ჩვენ, გლეხებმა, დღედაღამ ოფლი უნდა ვიწუროთ და პური ისე ვჭამოთ..... 182
- ისინი, შექმნილნი, გვირისტით ნაკერნი არიან. მათი სიმღერა ერთი გაბმული კვნესაა, მაგრამ მაინც სიმღერას ეძახიან..... 183
- ვის უნდა ეძახოდნენ “ჩვენიანს”?..... 184
- ჩვენი გლეხის მიდრეკილება მამულის სყიდვისადმი ძლიერი და დაუძინებელია..... 185

- უსაფუძვლო და უმიზეზო გამოკლება ზოგიერთ წოდებისა საზოგადო საქმეებიდამ – საზოგადო ტვირთს უმძიმებს გლეხსა..... 186
- ნუთუ რუსის მუჟიკი ჩვენს გლეხობაზედ მაღლა დგას? ჩვენს გლეხს რატომ ეუბნებიან ცურვა ისწავლე, მაგრამ წყალში-კი ნუ ჩახვალო?..... 187
- სახელმწიფომ ჩვენს გლეხს მიწა წაართვა და სხვა ტომის ხალხს მისცა. ქართველი თავს ვერ დაანებებს თავის ადგილს..... 188
- გლეხებისათვის ცხენების ჩუქებით ცივილიზაცია უნდა შემოეტანათ ჩვენში, მაგრამ..... 189
- არასწორად დანახული ქართველი გლეხის სახე..... 190
- ოთარაანთ ქვრივის ხუთი ქისა – ქართველი გლეხის წინდახედულობისა და ყაირათიანობის ნიშანი..... 191

3.2.4. გუთანი ქვეყნის სიმდიდრის შემქმნელი შრომის საშუალებაა

- გუთანი ქართველებო, გუთანი! და ხმალი იყოს ფარი მისი..... 191

3.2.5. კაცის უქმობა, უღონობა, უშრომლობა, უუნარობა, სხვისი მოიმედება – სხვისით ცხოვრება, საშინელი სენია

- უქმობა: ნუ დაგიკრეფია გულხელი..... 193
- უღონობა: უღონო ხალხი უფრო შებრალების ღირსია, ვიდრე განკიცხვისა..... 195
- უშრომელობა: თუ წუთის სოფელს ერთს ბეწო ხანს თვალი მოუხუჭე, ისე გაგთელავს, როგორც დიდოელი ლეკი ნაბადსა 195
- უუნარობა: აი რა გვიშლის ხელს საზოგადო საქმეში..... 197
- "სოფლის წურბელა": სულით გათავისუფლებული, უფულო გლეხი ხორცით ყმა გახდა..... 197
- მონატრება სოფლისა და სიყვარულით მფეთქავი გული..... 198
- სხვისი მოიმედება: ჯერ სათაკილოა თითონ ადამიანისათვის, და მერე – უღონოა, რომ ადამიანი ოდესმე ფეხზედ დააყენოს, თავისით აცხოვროს. სხვაზე მინდობა ქვიშაზე აშენებული შენობაა..... 199

3.2.6. გულგრილობა: საიდამ დაგვჩემდა ეს საუბედურო სენი..... 201

3.2.7. ლოდინი: დინჯი და უწყინარია ბუნებით, მაგრამ მათხოვარსავით ხელგაწვდილია მუდამ..... 203

მესამე ნაწილი

3.3. ქართველი ერის ქონებრივი გაღონიერების ადამიანური და ბუნებრივი რესურსები

3.3.1. მკლავ-ძარღვად კარგები, ჯან-ღონიანი, მხნე ქართველები და დიდი სიმდიდრის მომტანი მადლიანი ჰავისა და ნოყიერი ნიადაგის პატრონი საქართველო

- უკვდავი არის შვილი მამულისათვის მკვდარი. ჩვენი დიდი ერთიანი მამული გავინამცეცეთ და პატარ-პატარა ხუხულები ავაშენეთ..... 208
- მადლიანი ჰავისა და ნოყიერი ნიადაგის ქართული სოფელი და სოფლის მეურნეობა – ერთად-ერთი სახსარი, ერთადერთი წყარო ცხოვრების გასაძღოლად..... 213
- მიწათმოქმედების ორი საგანი მიწისა და გუთნის შესახებ. წარმატების სამი გზა..... 215

3.3.2. საქართველოს სახალხო მეურნეობის დარგები როგორც ქვეყნის ქონებრივი სიმდიდრე და სიმდიდრის გამრავლების ფაქტორი

3.3.2.1. მევენახეობა და მეღვინეობა

- ჩვენი ხალხი ძველადვე ვენახის კეთებას მისდევს..... 216
- ხვნა-თესვა თუ ვენახობა და ღვინის კეთება: ორი ურთიერთ შეუფერებელი და შეუწყნარებელი მოვლენა 218
- გლეხკაცი უფრთხის და ერიდება ვალის აღებას. რატომ?..... 221
- რას და რატომ გვიწუნებენ ქართველებს: ანუ არც ადგილის შერჩევა გვცოდნია სავენახედ და ვენახის კეთებაც ადამის-უმური გვცოდნია?..... 222
- მეორე ჯურის ოსტატები ჩვენის ღვინის დაყენებას და კეთებასაც აბუჩად იგდებენ..... 224
- ღვინის მკეთებელი: საქმე და მოვალეობა..... 226
- ბუნებური ღვინის ჭეშმარიტი ღირსება..... 228
- სისტემა, რომელსაც სახეში ჰყავს პირდაპირი მომხმარებელი ღვინისა..... 231
- რა აფერხებს ჩვენში ვაზისა და ღვინის კეთების საქმეს: “ნაცარი”, ფილოქსერა, “ხაშმის” ჭია, ტყის სიძვირე, სეტყვა, და სირაჯებისა და წვრილი ჩარჩების ხელში მოქცეული ღვინის ვაჭრობა..... 233
- ღვინის საქმის საეკონომიო ძალის მიზეზნი. ჩვენი და ევროპის ცოდნა-გამოცდილება..... 234
- “შაჰტალიზაციები”, “გალლიზაციები” და სხვა “ციები” - შორს ჩვენგან 236
- ყურძნის დაწურვა..... 237
- ყურძნის წვენის სამწვერად დაყოფა..... 238

- ჭაჭა და კლერტი ჩააყოლონ ტკბილსა თუ არა? 239
- ჩვენის მარნების ფარღალალაობის სიკეთე ისიც არის, რომ მარანი უშიშარია ადამიანისათვის..... 241
- ყურძნის წვენის დუღილი – ახალი ხანა ღვინის კეთებისა..... 241
- ღვინის დაწმენდა..... 246
- ღვინის გადაღება..... 246
- ღვინის შენახვა..... 247
- ქვევრის სიკეთე..... 249
- ყალბი ღვინის კეთება ანუ ბუნებური ღვინის გარდაქმნა..... 252
- არყის ხდა ჭაჭისაგან – ღვინის დაყენების თანმდევი პროცესი..... 254

3.3.2.2. სახალხო მეურნეობის სხვა დარგები

- მარცვლეულის წარმოება, სიმინდი..... 254
- მესაქონლეობა..... 257
- ბამბის საქმე..... 260
- ნავთის საქმე..... 261
- საეკონომიო გზები..... 262
- სალითოგრაფიო ქვა და კირი..... 270

3.3.2.3. ვაჭრობა, როგორც ერის ცხოვრებაში სიმდიდრის გამოფენისა და მორიგების სფერო;

- ვაჭრობის ბუნებაა ნაკლებ იყიდოს და მეტად გაჰყიდოს..... 271
- მოსავალი კარგია, როცა მისი გასყიდვა შესაძლებელია ანუ მხნეობაში სახელგანთქმული ინგლისელის ამბავი..... 272
- ბაზარი გამნაღდებელი ნაშრომისა. ჩარჩების პირის შეკვრა..... 273

- ერთაშორისი აღებ-მიცემობა. სავაჭრო ბალანსი..... 275
- ვაჭრობა მხოლოდ სიმდიდრის მოფენას და მორიგებას შველის. უცხო თესლის ვაჭარი სტუმარია მკვიდრის ერისა..... 276
- ჩარჩი: მისი მიზანი კერძო სარგებელია და არა ხალხის კეთილდღეობა. ვინ დაიხსნის ხალხს ჩარჩებისაგან?..... 276
- ჩვენი სოვდაგრების ნიჭი სახეირო საქმის სიკეთეს ვერ მისწვდენია..... 278
- მწარმოებლისა და მხმარებელის პირდაპირი შეხვედრა ჩარჩის გარეშე..... 279
- რამდენიმე დიდი ვაჭრის შეთანხმება ჭირნახულის გასასყიდველ და სასყიდველ ფასზე..... 280
- ამხანაგობის შექმნა, როგორც მოჭირნახულესა და მხმარებელს შორის პირდაპირი შეხვედრის ღონისძიება..... 283
- იქ საცა თვითეული უღონოა, ღონიერნი არიან ყველაზნი ერთად..... 284
- თავისუფალი ვაჭრობა (ფრიტრედერობა) თუ პროტექციონობა..... 286
- ფრიდრეტერობა: არსი და მოქმედების პრინციპები..... 287
- პროტექციონობა: არსი და მოქმედების პრინციპები..... 288
- თავისუფალი ვაჭრობის შეზღუდვა სატამოჟნოებისა და საბაჟოების გამართვით..... 290
- ჭაჭისაგან არყის ხდა: აქციზის კანონებმა ჭაჭის ხდა ფულიანი კაცის ხელში მოაქცია და გლეხკაცებს ხელიდამ გამოაცალა..... 292
- პირის შეკვრა ჭაჭის ფასზე და გლეხთა გაღარიბება..... 293
- ბაზარი: ფულის შოვნის ერთადერთი წყარო..... 293
- დიდი და ბევრის ადგილას ბაზრის დაჭერის ორი გზა..... 294
- რა მიზეზით არის რომ ჩვენში პურით ვაჭრობა გაძნელებული და გაძვირებულია?..... 294
- ღვინის ბაზარი რომ გაიმართოს ღვინოს საბაზრო საქონლის თვისება უნდა მიეცეს. მოთხოვნა-მიწოდების კანონი და ღვინის ფასი..... 298
- ღვინისათვის საბაზრო საქონლის მისაცემად ელექტრონის გამოყენება..... 300

3.3.2.4. საბანკო-საკრედიტო საქმიანობა და ფინანსური ურთიერთობები

- საადგილ-მამულო ბანკის დაფუძნებამდელი სიძნელეები..... 301

- ნიკო ნიკოლაძე ბანკის შესახებ..... 311
- კეთილი საქმე დავიწუნოთ, რომ ჩვენ მოუმზადებელნი ვართ?..... 311
- ქუთაისის ბანკის საქმე..... 314
- საადგილ-მამულო კრედიტს ჩვენში ბევრი რამ აკლია. ბანკის სულთამდგმელი ბირჟაა 315
- ბანკი სხვადასხვა მწარმოებელს როგორ ახვედრებს ერთიმეორეს და როგორ უწყობს ხელს მათი საქმიანობის გაგრძელებას. თამასუქი..... 317
- ჩვენებური ბანკი მარტო თავად-აზნაურებისა არ არის 319
- ქვეყანაზე ამისთანა ჰუმანიურს, თანასაგრძნობელს დედა აზრზე აგებული ბანკი სხვა არსად გამიგონია 321
- განა ვინც, ან რაც, ფულით გამოხატულ მდგომარეობაშია, იგი ფინანსური დაწესებულებაა? 323
- საგლეხო ბანკი: არსი, ფუნქციებისა და დაფუძნების წესის თავისებურებები 323
- მამულის დაფასების ორი წესი..... 327
- კრედიტის არსი. ეკონომიური ბუნება კრედიტისა 328
- რადგანაც სხვადასხვაგვარია ეკონომიური წარმოება, სხვადასხვაგვარია კრედიტიც 329
- მიწის სამოქმედო კრედიტის სამი უსათუო თვისება..... 330
- ბუნება და დანიშნულება საადგილმამულო კრედიტისა 331
- რას უწუნებენ ჩვენს ბანკებს, ანუ ღვთის წყალობით როტშილდი რომ გვეწვიოს? 332
- კრედიტ-გარეთ მარტო მიწათმოქმედნი არიან დარჩენილნი 333
- კრედიტი ორ-პირი მახვილია, ანუ ვინ როგორ იმსახურებს და ვინ როგორ გამოიყენებს კრედიტს 334
- ფული: აღვირახსნილმა ფარფაშობამ ფულისამ გაჰბაწრა და შესთოკა ადამიანი 337
- ფულის ნატვრა გამორჩომა და მოგებაა 341
- ტყუილი იმედია ფულის მოწყალობას და გულკეთილობას მოელოდეს კაცი..... 342

3.4. ახალი ტექნიკისა და შრომის ორგანიზაციის ახალი ფორმების დანერგვა ერის ქონებრივი გაღონიერების საშუალება

- გონებიდამ გამოგვეპარა, რომ ჩვენც გვიცხოვრია, გვიმოქმედნია, ჩვენშიაც ყოფილა ხელობა და ოსტატობა მიწათმოქმედობისა 343
- კარგი ამბავი უცხო ქვეყნისა, კარგი აზრი ჭკვიანი ხალხისა ამორჩევით გადმოვიტანოთ 345
- მიწათმოქმედების განკარგების გზები..... 346
- წყლის არხების გაყვან-გამოყვანა 349
- მიწის გაღარიბება და მასთან ბრძოლა 351
- მიწათმოქმედების განკარგების მიმართულებით სოფლის მეურნეთა "კავშირის" განზრახულობანი 353
- ჭირნახულის მომყვანთა კავშირი..... 355

მეოთხე თავი (სამ ნაწილად). საზოგადოებრივი ცხოვრება და სახელმწიფოს, როგორც საზოგადოებრივი წარმონაქმნის მართვა-გამგეობა

პირველი ნაწილი

4.1. საზოგადოებრივი ცხოვრება

4.1.1. საზოგადოებრივი ცხოვრება – მდინარება, წინსვლა ყოველისფერისა. ესე მიდის კაცობრიობის ცხოვრება და ამნაირს სხვლას დასასრული არა აქვს

- ხე ცხოვრებისა და ხე ცნობიერებისა ერთს ძირზედ ამოდიან..... 359
- საზოგადო ცხოვრების გარეთ რომ გავმდგარიყავით დიდი გენიოსი უნდოდა..... 362
- ჩვენს ცხოვრებას სხვანაირი ფერი დაედო, მაგრამ მაინც გაჭირვებულ მდგომარეობაში ვართ..... 364
- ყველას თავისი ჟამი და დრო აქვს ცათა ქვეშე..... 365
- სატკივარი არას უზამს კაცს, თუ მიზეზი თავის დროზე გაუგო..... 366
- წუთის-სოფლის სუფრაზე თავისი ჭეშმარიტი ადგილის დაჭერაა ძნელი..... 367
- ჩვენი შიდა ცხოვრების ისტორია ჯერ ფარდააუხდელია და უცნობი..... 371
- ხალხის ჩვეულებანი შესახებ ეკონომიურის და იურიდიულის ცხოვრებისა..... 373
- სახალხო პოეზია უნდა შევისწავლოთ..... 374

4.1.2. "ერის სიბერე" თუ "ინტენსიური ცხოვრება"

- “ერის სიბერე”..... 375
- “ინტენსიური ცხოვრება” 376

მეორე ნაწილი: სახელმწიფოს მართვა-გამგეობა

4.2. სახელმწიფოს, როგორც საზოგადოებრივი წარმონაქმნის მართვა – გამგეობა

4.2.1. სახელმწიფოებრივი მართვის ცენტრალიზაციური სისტემა

- ცენტრალიზაციური სისტემა: არსი..... 378
- სახელმწიფოს სიმტკიცე დამყარებული უნდა იყოს ერთსულოვნებაზე. ეს ჰბადებს მისადმი ხალხის სიყვარულს..... 380
- სახელმწიფო მოხელე და მოხელეობა..... 380
- პოლიცია და სამმართველო ხალხთან ახლოს მყოფი ორი მთავრობითი ორღანოა..... 381
- მოხელეთა ამორჩევაში ენის ცოდნას უპირველესი ადგილი უნდა ეჭიროს. ევროპის მაგალითი..... 383
- სახელმწიფო და ეროვნობა ადვილად მოსათავსებელნი არიან ერთმანეთში..... 383
- ადამიანის უფლებების შესანარჩუნებლად ჩვენმა ლიტერატურამ ვერაფერი სამსახური გაუწია ქვეყანას..... 384
- სახელმწიფო სამსახურში მყოფი მოსამართლე ახლოს უნდა იყოს ხალხთან, უამისოდ ხალხს ზნეობაც შეერყევა და ქონებრივი სიმდიდრეც..... 385
- კაცთა შორის უფლება-მოვალეობის გამიჯვნა. ეს უფრო მეტად აუცილებლად საჭიროა ხალხთა კეთილდღეობისათვის, ვიდრე სხვა რამე ქვეყნიერობაზედ..... 386
- უფლება-მოვალეობის გამიჯვნის ორი გზა ჩვენში..... 387
- პასუხისმგებლობა საზოგადო მოღვაწისა დიდი ჭირიც არის მისთვის და დიდი ლხინიც..... 391

4.2.2. ადგილობრივი თვითმმართველობა – სახელმწიფო მმართველობის მეორე გვარი ფორმა

- მეორე-გვარი მმართველობა: არსი..... 392
- თვითმმართველობის უმთავრესი კუთვნილებანი.....395
- თვითმმართველობის უმთავრესი საფუძვლები..... 396
- ჩვენი სოფლის თვითმმართველობის უვარგისობის მიზეზები..... 396
- ჩვენის ქვეყნისათვის კანონები ჩვენშივე უნდა იწერებოდეს..... 398
- საჭიროა მიწათმოქმედთ იყოლიონ თავისი წარმომადგენელთა კრება..... 399
- არც ერთს მმართველობის ორგანოს უფლება არა აქვს ხელქვეითს უკანონობა ჩაადენინოს..... 401

მესამე ნაწილი.

4.3. მიწათმფლობელობა საქართველოში და ევროპის ქვეყნებში

4.3.1. მიწათმფლობელობა: საზოგადოების განვითარების ეკონომიური ქვაკუთხედი

- ორი ნაწილი მიწებისა..... 403
- ტყით სარგებლობა ჩვენის გლეხკაცობის შესაფერისი უნდა იყოს..... 405
- მიწის გამიჯვნა..... 405
- იჯარა: დახლართული და დახვლანჯილი წესების ტყვე.....406

4.3.2. ხიზნობა – მიწათმფლობელობის ერთგვარი ფორმა

- ხიზნობა: არსი..... 408
- ხიზნობა: რა გვჭირდება..... 409
- ხიზნობა: მოვემზადოთ, ნუ ვიჩქარებთ..... 410
- ხიზნობა: ბუნება..... 410
- ხიზნობა: ისტორია..... 414
- ხიზნობა: დასკვნა..... 423

მეხუთე თავი. საქართველოს ისტორიის საკითხები

- ისტორია – საგანძე, სადაც ერი პოულობს თავისის სულის ღონეს..... 431
- ერი, რომ თავის ისტორიას ივიწყებს, მაშინ იწყება მისი გათახსირება..... 435

- ქართველთა წინაპრების შესახებ..... 435
- ცილობა ხარბი ქვეყნებისა საქართველოსათვის..... 440
- ქართველი ერის იმედი მომავლისა..... 441
- საბუთი გვაქვს ვსთქვათ, რომ თვითოეული ჩვენგანი რუსული ლიტერატურით გაზრდილია..... 442

მეექვსე თავი. პოლიტიკური ეკონომიის გაკვეთილები

- საადგილმამულო კრედიტი: რით გამოიხატება მისი სიძვირე და სიიაფე..... 444
- ფინანსური დაწესებულება და ბანკი: რა აქვთ საერთო..... 449
- ფული: კერძო კაცთა ურთიერთობაში სიმდიდრის საწყაოა..... 451
- მეცნიერება შრომის ნაყოფის რა ნაწილს სდებს საქონლის სახელს. მარტივი გაცვლა-გამოცვლა..... 452
- რთული გაცვლა-გამოცვლა საქონლისა. ფულის მხოლოობითი .მნიშვნელობა..... 453
- "საქონელი – ფული – საქონელი" ფორმულის არსი..... 454
- ბაზარი: საქონლის გაცვლა-გამოცვლის ადგილი..... 454
- საპოლიტიკო ეკონომიის კანონებზე საუბარი ბ-ნ მეისნერის "პროექტის" გამო..... 455
- ღვინოს იყიდის, რომ ისევ ღვინო ჰყიდოს: რას ნიშნავს ეს?..... 459
- ახალის ბაზრის აჩენა როდის არის კარგი..... 462
- სალიანის თევზისა და ხიზილალის ამბავი: ახალი ბაზარი აიჩინა და დღეს მხოლოდ მდიდარი ხმარობს საჭმელად..... 465
- კიდევ რას უქადის ბ-ნ მეისნერის "პროექტი" მშრომელ ადამიანებს?..... 465
- კონკურენცია აღებ-მიცემობაში მართლად საკეთილოა წარმოებისათვის, მაგრამ მაგას საზღვარი აქვს..... 466
- შედარებითი უპირატესობის პრინციპი: ის გარჯა, ის ჰავა და მიწა, რასაც იეფად სასყიდ ჭირნახულს ვახმართ, უფრო ძვირფასს რასმე მოვახმაროთ..... 467
- სავაჭრო ბალანსი..... 469

- სახელმწიფო და საერობო გადასახადი. ბაჟის შემოღებამ გლეხის მდგომარეობა გააუარესა..... 470
- ღალა ანუ მიწის ქირა..... 475

მეშვიდე თავი. ილია ჭავჭავაძის აზრთა საგანძურიდან გამოტანილი კიდევ სხვა სიბრძნეები

ა 479
ბ 491
გ 497
დ 501
ე 507
ვ 522
ზ 526
თ 526
ი 534
კ 547
ლ..... 555
მ 557

ნ
..... 576
ო
..... 577
პ
..... 580
ჟ
..... 586
რ
..... 592
ს
..... 603
ტ
..... 619
უ
..... 620
ფ..... 622
ქ..... 622
ღ..... 624
ყ..... 624
შ..... 626
ჩ..... 628
ც..... 631
ძ..... 635
წ..... 636

ƺ..... 638
ƀ..... 639
ƛ..... 640
ȝ..... 641

ანოტაცია

ჩემი ცხოვრების ბოლო მონაკვეთში, მოკრძალებული სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობის დასრულების შემდეგ, მეორედ მიხდება ილია ჭავჭავაძის შემოქმედებასთან მეტ-ნაკლები მანძილითა და სიღრმე-სიფართოვით მიახლოება. პირველ შემთხვევაში შევეცადე ყურადღება გამემახვილებინა ერთ კონკრეტულ საკითხზე ("ილია ჭავჭავაძე ქართული მიწების უცხოტომელთათვის გადაცემის შესახებ". 2011 წ.), ამჯერად, საკითხების წრე უფრო ფართო და მრავალმხრივია და ეხება საქართველოს, ქართველი ერის გონებრივი ზრდის (გონებრივი თვალსაწიერის გაფართოება), ზნეობრივი განწმენდისა და ქონებრივი გაღონიერების საკითხებს და აზრების კრებულის სახით არის წარმოდგენილი.

კრებული შედგენილია უმთავრესად პავლე ინგოროყვას რედაქციით გამოცემულ ილია ჭავჭავაძის თხზულებათა ათტომეულის საფუძველზე და შედგება შვიდი თავისაგან:

1. ერის გონებრივი ზრდა;
2. საზოგადოების (პიროვნების) ზნეობრივი აღზრდა-წვრთნა და განწმენდა;
3. ერის (ქვეყნის) ქონებრივი გაღონიერება;
4. საზოგადოებრივი ცხოვრება და სახელმწიფოს, როგორც საზოგადოებრივი წარმონაქმნის, მართვა-გამგეობა;
5. საქართველოს ისტორიის საკითხები;
6. პოლიტიკური ეკონომიის გაკვეთილები;
7. ილია ჭავჭავაძის აზრების საგანძედან გამოტანილი კიდევ სხვა სიბრძნეები;

ვგრძნობ, რომ ილია ჭავჭავაძის "აზრების" შემოთავაზებული კრებული სრული არ არის და არც უნაკლოა - ვერ გავკადნიერდები და მას სრულს, ისევე როგორც უნაკლოს, ვერ ვუწოდებ. ილია ჭავჭავაძის აზრები ხომ უკიდეგანო ოკეანეა და მასში შესვლა და უნაკლოდ გამოსვლა რჩეულთა ხვედრია მხოლოდ.

კრებული თუ ვინმეს მაღალ მოთხოვნას ვერ დააკმაყოფილებს თავისი სისრულით, თემატური დალაგებითა და სხვა მიზეზთა გამო, იქნებ გაითვალისწინოს, რომ, ჯერერთი, მისი შედგენით საზოგადოებისათვის არავითარი მატერიალური და მორალური ზიანი არ მიმიყენებია, არავისი ვალი და ვახში არ ამიღია და საზოგადოებას კისერზე არ ადევს გადასახდელად, თუ არ ჩავთვლით ჩემს შრომას, ჩემი ახლობლებისა და მეგობრების უანგარო მაღალკვალიფიციურ კონსულტაციებს, მათ დახმარებასა და გამხნევებას, რაც ძალიან დიდ ენერგიას მმატებდა მუშაობისათვის. მეორე, დიდი კონსტანტინე გამსახურდია ბრძანებდა: როგორც კაცს ვერ გადააჩვევ ლაპარაკს, ისე წერას მიჩვეულ კაცს წერასო.

დიდი მოკრძალებით, საზოგადოების წინაშე ბოდიშის მოხდით, ვთხოვ ყველას, იქნებ ასეთ მდგომარეობაში მყოფ კაცთა რიცხვში მეც მომინახონ პატარა ადგილი.

შემდგენელი: ზაურ თეთრუაშვილი – ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

რედაქტორი: მარინე ბოჭორაძე – ფილოლოგი, სერტიფიცირებული მასწავლებელი;

მონაწილეობდნენ:

ზურაბ თეთრუაშვილი – ეკონომიკის აკადემიური დოქტორი;

მაია თეთრუაშვილი – ეკონომიკის აკადემიური დოქტორი;

ია თეთრუაშვილი – ეკონომიკის აკადემიური დოქტორი;

ლევან ქარდავა – ბაკალავრი;

გვანცა ქარდავა – ბაკალავრი;

ზაურ (ბაჩო) თეთრუაშვილი – ბაკალავრი;

ბექა თეთრუაშვილი – ბაკალავრი;

თეა ფხალაძე – მაგისტრი (კომპიუტერული უზრუნველყოფა);

შალვა მურადაშვილი – ბაკალავრი (კომპიუტერული უზრუნველყოფა);

გულნარა თეთრუაშვილი – ბაკალავრი (კომპიუტერული უზრუნველყოფა);

ვალერი ხათაშვილი – ბაკალავრი (ტექნიკური უზრუნველყოფა);

ელზა ბერუაშვილი – ბაკალავრი (ტექნიკური უზრუნველყოფა);

იზაბელა სახოკია – ბაკალავრი (ტექნიკური უზრუნველყოფა);

კონსულტაციები, მხარდაჭერა, გამხნევება:

ვახტანგ ჭანკოტაძე – ტექნიკის აკადემიური დოქტორი, პოეტი, საქართველოს მწერალთა კავშირის წევრი, გორის საპატიო მოქალაქე

მარინე ბოჭორაძე – ფილოლოგი;

მერაბ (ლერი) პაპუაშვილი – ბაკალავრი, პედაგოგი;

ნუნუ ანთელავა – პედაგოგი;

ანზორ გვაძაბია – მსახიობი, რეჟისორი, იაკობ გოგებაშვილის სახელობის პრემიის ლაურეატი, ღირსების ორდენოსანი, ქ. გორის საპატიო მოქალაქე

ნანა ნინოშვილი – ქართული ენისა და ლიტერატურის სპეციალისტი;

გიორგი გაგლოევი – პედაგოგი, ისტორიის სპეციალისტი;

დალი როსტიაშვილი – პედაგოგი, რუსული ენისა და ლიტერატურის სპეციალისტი;

შედგენილია შიდა ქართლის საერო კოლეჯის ფინანსური უზრუნველყოფით (დამფუძნებლები ზურაბ და მაია თეთრუაშვილები).

P.S. ილია ჭავჭავაძის "აზრები" აქამდე შედგენილი და გამოცემული აქვთ:

1. გ. კანდელაკს – ილია ჭავჭავაძე, ჭკუა ურჩევს, ენა იტყვის, თბ. 1987 წ.
2. გ. კალანდარიშვილს – ილია ჭავჭავაძე "აზრები". თბ. 1988 წ.
3. გ. კალანდარიშვილს – ილია ჭავჭავაძე "აზრები". თბ. 1989 წ.
4. ე. უთურგაშვილს – ილია ჭავჭავაძე "აფორიზმები". თბ. 2004 წ.

ეძღვნება საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ მცხოვრებ დღევანდელი და მომავალი თაობების ქართველებს!

ქართველობავ!

იკითხეთ, სიღრმისეულად შეისწავლეთ ილია ჭავჭავაძის შემოქმედება, მისი საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოღვაწეობა, პირადი ცხოვრება და თქვენი ცხოვრების სამოქმედო პროგრამად გამოიყენეთ. იგი ხომ დაფუძნებულია ქართული, რუსული, ევროპული და სხვა ცივილიზაციების ცოდნასა და გამოცდილებაზე და მოიცავს ახლო და შორეულ პერსპექტივაში ქართველი ერის, გონებრივი ზრდის (გონებრივი თვალსაწიერის გაფართოების), ზნეობრივი აღზრდა-განწმენდის და ქონებრივი გაღონიერების გზებსა და საშუალებებს. დიდი ილიას მიერ შთამომავლობისათვის დატოვებული აზრები საზოგადოებრივი ცხოვრების საძირკველში ჩადებული მაგარი ქვა იქნება და მასზედ დააშენეთ დემოკრატიული, მაღალგანვითარებული საქართველო. ეს განსაკუთრებულად აქტუალურ მნიშვნელობას იძენს ჩვენი ქვეყნის განვითარების თანამედროვე ეტაპზე ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ (27.06.2014). ევროკავშირის ღირსეული წევრი რომ გავხდეთ საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში და ყველა დონეზე მუხლჩაუხრელად უნდა ვიშრომოთ. ამ შრომას კი ილია ჭავჭავაძის შემოქმედების ცოდნა გაგვიადვილებს:

- "სწავლა სიკვდიმდე შენია, მუდამ შენთანა მყოფელი, მას გეცილების ვერავინ, არ არის გასაყოფელი" *(დავით გურამიშვილი)*.
- "ილაპარაკეთ, ბევრი ილაპარაკეთ, ბევრი წერეთ, ბატონებო, ილიაზე, რაც შეიძლება ბევრი" *(ვაჟა-ფშაველა)*;
- "დღეს ჩვენს ხალხს უფრო მეტად ილიას ნაწერები სჭირდება. ეს უფრო მეტს გააკეთებს" *(ნიკო ნიკოლაძე)*;
- "გენიოსების აზრების გაცნობა ბრწყინვალე ვარჯიშია, ის ანაყოფიერებს და აფართოებს გონებას" *(იოჰან გოტფრიდ ფონ ჰერდერი)*;
- "იპოვეთ ისეთი ადამიანები, ვისთანაც საუბარი კარგი წიგნის ტოლფასია და ეძებეთ წიგნები, რომელთა წაკითხვა უტოლდებოდეს ბრძენთან საუბარს" *(პიტერ კლოდ ბუასტი – ფრანგი ლექსიკოგრაფი და ფილოსოფოსი)*;

კარგად შეისწავლეთ, აითვისეთ კაცობრიობის მიერ დაგროვილი ცოდნა და გამოცდილება, მას დაამატეთ თქვენი საკუთარიც და სამშობლოს აღმავალი ხაზით განვითარებისა და მოსახლეობის კეთილდღეობის უზრუნველყოფისათვის გამოიყენეთ. ცოდნაშეიარაღებულნი ყველა თოფშეიარაღებულზე ძლიერი იქნებით, მედგრად აღუდგებით წინ მტერს და იოლად დაამარცხებთ;

ცოდნის შესაძენად ძალიან კარგია კომპიუტერი, ინტერნეტი და ინფორმაციის მიღების სხვა ელექტრონული საშუალებები – ადამიანის გონის სასწაული ნამოქმედარი, საკუთარი ბადის ქვეშ მომქცევი "მსოფლიო ობობა". მაგრამ **წიგნი უმთავრესია, უპირველესია, შეუცვლელია**. "წიგნი იმისთანა რამ არის, რომ თქვენის სოფლის ამბებს

ქალაქში ჩამოიტანს, ქალაქისას – სოფელში წაიღებს, საიდან სად კაცს კაცთან გაალაპარაკებს, იგი იმისთანა მისანია, რომ მთელის ქვეყნის ოსტატობა, ჭკვიან კაცების ნაცადი, ცოდნა, თუ მოინდომებთ, სულ მუდამ ხელთ გექნებათ, რომელ ჭკვიან კაცთანაც გინდათ, შორიდანვე დაგალაპარაკებთ";*

განავითარეთ და განამტკიცეთ დემოკრატია, როგორც ცალკეული ადამიანების, ისე მთელი საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა დონეზე, ყველა სფეროში. ამისაკენ მოგვიწოდებს ილია ჭავჭავაძე. დემოკრატია კაცობრიობის განვითარებისა და მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლების მაგისტრალურ მიმართულებად არის მიჩნეული. დემოკრატია, დემოკრატიული პრინციპებით ცხოვრება ქრისტიანული სარწმუნოების ფესვებიდან მოდის და დღეს ყველაზე მეტად სამყაროს ევროპულ კონტინენტზეა განვითარებული. ამიტომ აუცილებელია მათი დემოკრატიული ფასეულობების შესწავლა და ქვეყნის ინტერესების გათვალისწინებით, თქვენს სამშობლოში გადმოღება, გადმონერგვა და განვითარება, ოღონდ იმ პირობით კი, რომ შენარჩუნებული იქნეს ქართული ეროვნული თვითმყოფადობა;

დასავლური ფასეულობების ათვისება და თქვენს სამშობლოში დანერგვა, ვფიქრობ, უნდა მოხდეს ილია ჭავჭავაძის შემოქმედებიდან "გამოწურული" და ქართული საზოგადოებისათვის პროგრამის სახით დატოვებული მოდელით, რომელიც შეიძლება შემდეგნაირად ჩამოყალიბდეს: საუკუნეების განმავლობაში ქართულ ნიადაგზე აღმოცენებული და განვითარებული, თაობიდან თაობას შეურყვნელად გადაცემული, მოცემული მომენტისათვის ერის ინტერესებზე საუკეთესოდ მორგებული, ზნეობრივად განწმენდილი ცხოვრების წესის, ასევე, საუკუნეების განმავლობაში დასავლეთ ევროპის ქვეყნებში ჩამოყალიბებული და თაობიდან თაობას შეურყვნელად გადაცემული, ზნეობრივად განწმენდილი და ქართველებისათვის სასარგებლო ცხოვრების წესის **სიმბიოზი (თანაერთობა)**.

ნუ შელახავთ სხვა ადამიანის ღირსებას, პატიოსნებას, მის სინდისს – უძვირფასეს კუთვნილებას ადამიანისას. "კაცობრიობის უდიდეს ნაწილს იგი იმდენად დიდ საგნად მიაჩნია, რომ მისთვის სიცოცხლის გაწირვა თითქმის კანონადა აქვს აღიარებული";

ისე აღზარდეთ თქვენი შთამომავლობა, რომ სულსა და გულში ღრმად ჰქონდეთ გამჯდარი "პატივისცემა სხვისა და საკუთარი თავისა, პატივისცემა კანონიერობისა და სიმართლისა ("სიმართლით მოჭრილი ხელი არ ეტკინებათ"), გრძნობა ადამიანის ღირსებისა, მართებულობისა, რიგიანობისა, პატივისცემა სხვის საკუთრებისა, სიყვარული, ხალისი შრომისა, გაფრთხილებისა, ზოგვისა, სიყვარული ოჯახისა, თვისტომისა, ქვეყნისა" გახსოვდეთ "სიცოცხლე თქვენი, არც დედისაა, არც მამისა, ქვეყნისა არის. ჯერ ქვეყანა და მერე დედა და მამა". ფხიზელ დარაჯად დაუდექით მის საზღვრებს. საქართველო თქვენი ერთადერთი სამშობლოა, იგი დიდი რამეა ქართველისათვის. თქვენს წინაპრებს აქ უშრომიათ, უღვაწიათ, უბრძოლიათ, სისხლი დაუღვრიათ, უზრუნიათ, ულოციათ. მათი ძვალშესალაგიც აქ არის – "სამშობლო როგორც უფალი, ერთია ქვეყანაზედა". *(რაფიელ ერისთავი).*

საკუთარ თუ საზოგადო საქმეში იყავით ბეჯითი, გულმოდგინე, ერთგული, რომ თქვენით ღმერთიც მადლობელი იყოს და კაციც, რასაც იკისრებთ, ის უნდა შეასრულოთ

* აქ და ქვემოთ ბრჭყალებში ჩასმული წინადადება, რომელსაც ავტორი არ აქვს მითითებული ილია ჭავჭავაძეს ეკუთვნის.

კიდეც. “ლუკმა მაშინ არის ტკბილი, როცა კაი კაცობით არის ნაშოვნი. – არა კაცი იმოდენა სიკეთეს არ მოგცემთ, რამოდენადაც თქვენის ვალის ასრულება”.

გაუფრთხილდით, სათუთად შეინახეთ თქვენი მშობლიური ენა – იგი ხომ იესო ქრისტეს წინარექართული, ქალდეური ენაა (აკად. პეტრე ქოჩაკიძე-ჭალადიდელი). კაცობრიობის განვითარების კვალობაზე წარმოშობილი მოთხოვნების შესაბამისად განავითარეთ და განავრცეთ მისი გამოყენების არეალი. ენა თავისი უმარტივესი დანიშნულებით, საზოგადოდ, ხომ კაცთა ურთიერთობის საშუალებაა, თქვენთვის კი, ამავე დროს, იგი დედაენაცაა. გიყვარდეთ დედაენა, როგორც საკუთარი დედა. დედის სიყვარული ხომ უზენაესი გრძნობაა კაცთა მოდგმისათვის;

სტუმრად მოსული მასპინძლად არ გაიხადოთ, ისე იცხოვრეთ, რომ ღირსი იყოთ ქართველობისა. რაც დღეს არის, ის არ იკმაროთ ხვალისათვის, რაც დღეს ხართ, იმაზე უკეთესნი იყავით ხვალ. ჩვენს ქვეყანას ბევრად ძლიერნი, ბევრად ნიჭიერნი და განათლებულნი, ბევრად მოქმედნი სჭირდებით. “ღმერთმა ადიდოს, ასახელოს, გაუმარჯოს იმ შვილს, რომელიც მამას დაემჯობინება ქვეყნის სამსახურში და რომელიც ეგრე ეჭირვება ჩვენს მშვენიერს მიწა-წყალსა, ჩვენს ბედ-უკუღმართობით დასუსტებულს საქართველოს – ის ურჩევნია მამულსა, რომ შვილი სჯობდეს მამასა”. “ქვეყნის სამსახური ყველგან მსხვერპლია და არა სეირი”;

თავიდან აიცილეთ მოსალოდნელი საფრთხე – ქართული სოფლის ქართველებისაგან დაცლა, თქვენი მორთულ-მოკაზმული ქვეყნის მიმართ ხარბი ქვეყნების მზერა დღეს გაათკეცებულია;

ნუ გაყიდით ქართულ მიწებს. ის ხომ ყოველი თქვენგანის მასაზრდოებელი დედაა. დედის გაყიდვა კი, აბა, ვის გაუგონია:

“ჩვენ გაგვაჩნია ისეთი ფასეულობა, რომლის გასხვისება არ შეიძლება. ეს არის ქართული მიწა, წყალი, წყაროს წყალი, მდინარე, საბადოები. ჩვენ ვცხოვრობთ ისეთ რთულ დროს, როცა შეიძლება, ეს ფასეულობა მთლიანად დავკარგოთ. დავკარგოთ იმიტომ, რომ სხვებს გააჩნიათ საშუალება, ფული, რათა ეს ყველაფერი იყიდონ. იყიდის უცხო ხალხი, უცხო ქვეყნები და შეიძლება, საქართველო დარჩეს სრულიად ცარიელი”. *(ილია II – სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქი).*

“გეშინოდეთ, ეს წალკოტი, ეს სამოთხე, სხვა არავინ მოვიდეს და დაიკავოს, ვაი თუ ვინმეს მოეწონოს ეს სოფლები, ვაი თუ ვინმე მოვიდეს და დაესახლოს” (*მურმან ლებანიძე*);

“ინაყოფიერეთ, იმრავლეთ და მოეფინეთ ქვეყანას და გამრავლდით ქვეყანაზე” *(“ახალი აღთქმა”, თავი 7, მუხლი 7).*

„აყვავდით, აყვავდით და გამრავლდით, გაამრავლეთ ქართველი ერი, ქართველების ჯიში და ჯილაგი. გყავდეთ უამრავი შვილი, შვილიშვილი, შვილთაშვილი და იმათი შვილები, შვილიშვილები და შვილთაშვილები. ისე გამრავლდით, რომ მთელი სოფელი თქვენ იყოთ, ყველამ ერთად – საქართველოში, ამ ღვთით კურთხეულ, ღმერთის წილხვედრ ქვეყანაში მოიყარეთ თავი, “მერე გამრავლდით უსასრულოდ, რომ მთელი ქვეყანა თქვენი იყოს, თქვენ იყოთ მთელი ქვეყანა და არასდროს აღარ დაილიოთ, არასდროს აღარ გათავდეთ” (*ნოდარ დუმბაძე).*

ყოველთვის ღირსეულად მოიხსენიეთ იმქვეყნად წასული ადამიანები. იმათი წმინდა სულები თქვენ დაგტრიალებენ და ლოცულობენ თქვენი ბედნიერებისათვის და სრულიად საქართველოს გაძლიერებისათვის.

“აირჩიეთ, ქართველებო, აირჩიეთ ქრისტეს გზა – კეთილის გზა, აირჩიეთ ილია-მართლის, მერაბის გზა, რამეთუ ეს გზა განსაწმენდელთან მიგვიყვანს” *(ზვიად გამსახურდია).*

“ღმერთმა კურთხევა დიდ საქმეში წინ წაგიმძღვაროთ” *(“ქართვლის დედა”-დან).*

ზაურ თეთრუაშვილი - ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ტელ: 597733796, 15.10.14

შემდგენელისაგან

მართულებმოშლილი და ღერძგაბრუნდებული საქართველო

უკვე, სულ მალე, მეოთხედი საუკუნე მიილევა, რაც საქართველო იურიდიულად, საერთაშორისოდ აღიარებული ნორმებით დამოუკიდებელ სახელმწიფოდ აგრძელებს არსებობას.

საზოგადოების განვითარების ლოგიკით თუ ვიმსჯელებთ დამოუკიდებელი ქვეყნისათვის, რომელსაც საკმარისი ადამიანური და მატერიალური რესურსები გააჩნია, სწორი საშიანაო და საგარეო პოლიტიკის გატარების პირობებში, ეს დრო სრულიად საკმარისია საზოგადოებრივი ცხოვრების თუნდაც ერთი რომელიმე სფეროს წარმატებული განვითარებისათვის.

პოსტსაბჭოთა ბალტიის ქვეყნებისათვის (ლიტვა, ლატვია, ესტონეთი), მაგალითად, შედარებით უფრო მცირე დრო საკმარისი აღმოჩნდა (დამოუკიდებლობის გზას ისინი საქართველოზე გვიან დაადგნენ) იმისათვის, რომ დემოკრატია, ეკონომიკა, კულტურა, მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა, და სახელმწიფოს ნურმალური არსებობის სხვა მაჩვენებლები ისე განევითარებინათ და ისეთ დონეზე აეყვანათ, რომ დღეს ევროკავშირისა და ჩრდილოატლანტიკური ალიანსის სრულუფლებიანი წევრები გამხდარიყვნენ.

მეორე მსოფლიო ომის შედეგად ყველანაირად განადგურებული, გაპარტახებული, ოთხ ნაწილად დაყოფილი გერმანია, ბალტიისპირა ქვეყნებთან შედარებით, კიდევ უფრო მოკლე დროში (15 წელში) გამთლიანდა, და დღეს თავისი განვითარების დონით მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების გვერდით თავის წონად სიტყვას ამბობს. ახლა ილია ჭავჭავაძის მიერ 1900 წელს გამოთქმული წინასწარმეტყველება: “გერმანელნი ახოვანნი და ძლიერნი არიან სულითა და ხორცით. ამათი მერმისი დიდია და თვალგაუწვდენელი. მე მგონია, რომ კაცობრიობა პირველობას ამათ დაუთმობს ქვეყნიერობაზე თავის დროზე. დიდი ჯანიანი ერია, როგორც ვთქვით, სულითა და ხორცით. დიდი მერმისი მოელით” (“წერილები ნიკო ცხვედაძისადმი”. 14 ივლისი. 1900 წ.).

სამწუხაროდ, ჩვენთან, საქართველოში, საპირისპირო მოვლენები განვითარდა, ვერ ნახავთ საზოგადოებრივი ცხოვრების ვერც ერთ სფეროს, რომ, წინსვლის მაგიერ, უკან-უკან არ ვიყოთ წასული, ილია ჭავჭავაძის სიტყვებით რომ ვთქვათ, დღევანდელ დროს რაღაც ფათერაკი შეემთხვა და ადამიანის ლოღიკამ გზა შეიშალა, თითქო ან მართულები

მოეშალა, ან ღერძი გაუბრუნდდაო: ერთიმეორეს წავეკიდეთ, ძმათამკვლელი ომი გავაჩაღეთ; საყოველთაოდ, დემოკრატიულად არჩეული პრეზიდენტი დემოკრატიის განუვითარებლობის საბაბით სამშობლოდან გავაძევეთ, მერე ისევ უკან ჩამოვიტყუეთ და ტყეში, რომელიღაც სახლში დასასვენებლად თავშეფარებული ავაზაკურად მოვკალით (დემოკრატიის განუვითარებლობაში ბრალდებული ეს ის პრეზიდენტი იყო, რომლის ხელმძღვანელობითაც ქართველმა ხალხმა იმ დროს თითქმის წარმოუდგენელი რამ განახორციელა: საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში ობობასავით გაბმულ კომუნისტებს მრავალპარტიული არჩევნები დაანიშნინა და ამ არჩევნებში სრული გამარჯვება მოიპოვა. ამით საბჭოეთის სხვა რესპუბლიკებს აჩვენა, რომ ერთიანი ძალით, გონიერი წინამძღოლობით კომუნისტების დამარცხება რეალური ყოფილა. სხვათა შორის, მან პრეზიდენტის რანგში მხოლოდ ექვსი თვე იმუშავა); საკუთარი ქვეყნის საკუთარ ხან რომელ ქალაქში შევედით ტანკებით და ხან რომელში. იქ სეპარატისტებთან ბრძოლაში გმირულად დაღუპული ბევრი ქართველი საფლავის გარეშე დავტოვეთ, ხოლო ცოცხლად გადარჩენილები, როგორმე სამშვიდობოს რომ გამოსულიყვნენ, მეორე გოლგოთას (ჭუბერის) მთას შევუყენეთ. სეპარატისტი ყველგან სეპარატისტია და სათანადო დასჯას ექვემდებარება. მაგრამ ნუთუ სხვა გზა ვერ გამოინახა მათ შესაჩერებლად? ისინიც ხომ ჩვენი ქვეყნის მოქალაქეები იყვნენ ან ისინი რატომ ვხოცეთ, ან ქართველები რატომ ვახოცინეთ? ჩვენი ხელსაყრელი გეოპოლიტიკური მდებარეობა (თუმცა ყოველთვის ცილობის ობიექტად დარჩენილი) ვერ გამოვიყენეთ და კატასტროფული შედეგები მივიღეთ: დავივიწყეთ, რომ დედამიწას ოთხი მხარე აქვს და გონიერი კაცი თავისი ქვეყნის ინტერესებისათვის ოთხივე მხარეზე მცხოვრებ ადამიანებთან გონივრულ ურთიერთობას დაამყარებს და არავისთან კონფრონტაციაში არ იქნება.

"აახილე თვალი და გაიხედე ამ ადგილიდან, სადაც შენ დგახარ, ჩრდილოეთისაკენ, სამხრეთისაკენ, აღმოსავლეთისაკენ და დასავლეთისაკენ". *("ახალი აღთქმა". თავი 3, მუხლი 14).*

დავივიწყეთ, რომ ქართველი ერი ისტორიულ ქარტეხილებს მხოლოდ იმიტომ გადაურჩა და დღესაც არსებობს, რომ დროთა შესაფერისი ცოდნა ჰქონდა, დროთა შესაფერისი ხერხი, მხნეობა და გამრჯელობა ჰქონდა; იცოდა მოცემულ დროს რა უნდოდა: ვაჟკაცობა უნდოდა - ვაჟკაცი იყო, ხმალი უნდოდა - ხმლის ჭედვა იცოდა, ომის საქმეთა ცოდნა უნდოდა - ომის საქმენი იცოდა; "იმ დროთა ჩარხზე გაჩარხული იყო, იმ დროთა ქარცეცხლში გამოფოლადებული, იმ დროთა სამჭედლოში ნაჭედი".

ვინ უარყოფს ჩვენი დიდი მეზობლის იმპერიულ ზრახვებს, სხვისი ტერიტორიების მიტაცების მის დაუოკებელ, მგლურ სურვილს, მსოფლიო ქვეყნების მიმართ მის თავხედურ პოლიტიკას, მაგრამ, ისიც უნდა ვაღიაროთ, რომ სხვა მიზეზებთან ერთად, მასთან კონფრონტაციული ურთიერთობის ბრალიც არის ქართველთა ისტორიულ სამოსახლოში ორი არაკანონიერი სახელმწიფო რომ შეგვიქმნეს, ქართველი კაცის ეზო-კარი რომ გაგვიყვეს და მართულხლართებით გადაგვიკეტეს, ქართველი გლეხი ჯონჯოლის მოსაკრეფად რომ წავა ტყეში, ან პირუტყვს რომ გაიყვანს საძოვრად, ცხინვალის ციხეში ათავსებენ ჩვენი სახელმწიფოს საზღვრები რატომ დაარღვიეო!?

მდგომარეობა იქამდე მივიყვანეთ, რომ დემოკრატიზაციის მშენებლობაზე, ევროპული ცხოვრებისაკენ სწრაფვაზე დღე-მუდამ ყალბი ძახილით, თუ რამ ღირებული და ხელშესახები (მატერიალური და სულიერი) გადმოგვყვა კომუნისტური რეჟიმიდან, დამოუკიდებლობის პირველსავე წლებში მოვსპეთ, მოვშალეთ, და გავანადგურეთ

(ფიზიკურად რისი გატანაც შეიძლებოდა უცხოეთში გავიტანეთ და გავყიდეთ. სასწაულები ხდება ჩვენს თავს: მეოთხედი საუკუნეა ქვეყნის სავაჭრო ბრუნვაში ჯართის გატანა პირველობას დღემდე არა სთმობს, გარდა საზოგადოებრივი ცხოვრების მართვის მეთოდებისა (უცნაურია, მაგრამ ფაქტია: ქართველმა გლეხმა საკუთარ ბოსტანზე სამუშაოები რომ ჩაატაროს თბილისიდან ელის რეკომენდაციებს).

ადამიანის ლოგიკის გზის შეშლა (თითქოს მართულები მოეშალა და ღერძი გაუბრუნდდაო), დამოუკიდებლობის განვლილ პერიოდში ჩვენთან იმითაც გამოიხატა, "... რომ სულ ყველაფერი აირივ-დაირივა, ტყუილი და მართალი ვეღარავის გაურჩევია, ქვენა გრძნობანი ზენა-გრძნობათა ადგილას გამეუფდნენ, ცოდვამ მადლის პირბადე ჩამოიფარა, ყალბი ხალასად დადის და ნაძირალა თავანკარად. თითქო ჭკუისა და გულის აღებ-მიცემობაში აღარ იშოვება საწყაო ცოდვისა და მადლისა, ტყუილისა და მართლისა..."

შექმნილია ისეთი სიტუაცია, როდესაც საზოგადოების დიდი ნაწილი - "ჩინიანი" თუ "უჩინო", "პოზიცია" თუ "ოპოზიცია", "უმრავლესობა" თუ "უმცირესობა", გაუგებარი ფინანსური უზრუნველყოფის მქონე უამრავი არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები და სხვანი და სხვანი - პერიოდული პრესითა თუ ელექტრონული მედიით, საკონფერენციო დარბაზებში თუ ქუჩის მიტინგებზე, საპარლამენტო სხდომებზე თუ სხვა დაბალი რანგის შეკრებებზე, საჭიროება მოითხოვს თუ არა, გულზე მჯიღის ბრაგუნით, გაუთავებლად დემოკრატიაზე ლაპარაკობენ, მენტორული ტონით, ნაზი ხმითა და ამოსიებულ-ამოწითლებული თვალებით ლექციას უკითხავენ სხვას. ჯეფერსონიდან* დაწყებული დღემდე თუ ვინმეს რამე უთქვამს დემოკრატიაზე, ციტატების გროვას გადმოგიფენენ. არც იმას დაივიწყებენ, აუდიტორიას შეახსენონ, რომ ილია ჭავჭავაძის გზით მიჰყავთ ქვეყანა და სხვა ხელს ნუ უშლის (თავიანთ სამუშაო კაბინეტებშიც ილია ჭავჭავაძის დიდი და ძვირადღირებული სურათები უკიდიათ. როგორც ჩანს, მხოლოდ იმისათვის, რომ უცხოელი სტუმრის წინ მოიწონონ თავი - დახეთ ერის ღირსეულ შვილებს როგორ პატივსა ვცემთო), დემოკრატიაზე უთავბოლო და უშინაარსო ლაპარაკმა ლამის არის საზოგადოების დანარჩენ ნაწილში თავის ბრწყინვალება დაკარგოს, მიმზიდველობა შეასუსტოს.

ყველაფერი ეს მიმდინარეობს ერთი პირის, ერთი საზოგადოებრივი დაჯგუფების მხრიდან მეორის (და პირიქით) ლანძღვის, შეურაცხყოფის, ღირსებისა და პატიოსნების შელახვის ფონზე;

საქმე იქამდის არის მისული, რომ დემოკრატიისა და ხალხზე ზრუნვის ლოზუნგებით აღჭურვილნი:

- "იპარავენ პატიოსნების სახელითა და არავინ ჰკითხულობს: სად პატიოსნება და სად მპარაობა?

- აბეზღებენ და ცილსა სწამებენ გულმტკივნეულობის სახელითა და არავინ ჰკითხულობს: სად ცილი და ბეზღი და სად გულმტკივნეულობა?

- ჰღალატობენ საქმეს, ჰღალატობენ ერთმანეთს ერთგულების სახელითა და არავინ ჰკითხულობს: სად ღალატი და სად ერთგულება?

---

* **ტომას ჯეფერსონი** –ამერიკის შეერთებული შტატების რიგით მე-3 პრეზიდენტი 1801-1809 წლებში და რიგით მეორე ვიცე-პრეზიდენტი 1797-1801 წლებში.

- სხვის ნაკლს, სხვის უბედურებას თვის ღირსებად, თავის ბედნიერებად, თვის სიხარულად სთვლიან კაცთმოყვარეობის სახელითა და არავინ ჰკითხულობს: სად სხვის ნაკლის და უბედურების გამო სიხარული და ცეკვა და სად კაცთმოყვარეობა?

- სტყუიან, ცრუობენ სიმართლის სახელითა და არავინ ჰკითხულობს: სად ტყუილი და სად სიმართლე?

- კაცს სამარცხვინო ბოძზედ ტყუილუბრალოდ გასაკრავად არა ჰზოგავენ, არ ჰთაკილობენ, და იძახიან-კი ადამიანის ღირსება, ადამიანობა ხელშეუხებელია, სათაყვანებელიაო, და გამკითხავი არავინ არის: სად ტყუილუბრალოდ ადამიანის თავზე ლაფის დასხმა და სად ხელშეუხებლობა ადამიანის ღირსებისა".

ჩართეთ ტელევიზორი, რადიო, შეარჩიეთ ნებისმიერი არხი, ნებისმიერი გადაცემა, გადაშალეთ ნებისმიერი ფერითა და სახელდებით გამოსული, ნებისმიერი სამართლებრივი კუთვნილების ჟურნალი, გაზეთი, ყველა ერთ თარგზეა აწყობილი, ყველა ერთი ჰანგით "ატკბობს" მსმენელს (მნახველს), მკითხველს, ყველა ერთი პათოსით არის აღტყინებული და დარწმუნდებით, რომ ილია ჭავჭავაძის მიერ 1887 წელს ადამიანების ზნეობრივი დაცემის აღწერილი სურათები დღევანდელთან შედარებით ზღვაში წვეთი გამოჩნდება: "თქმა საქმეს არ ებმის და საქმე თქმას არ ემსგავსება, არ ეთანხმება, ფიცი სწამთ და ბოლო კი არავის აკვირვებს; თქმა ერთია და ქმნა სხვა;" ერთი ადამიანის მიერ მეორის შეურაცხყოფა, ღირსებისა და პატიოსნების შელახვა უფრო ბევრად მიაჩნიათ, ვიდრე გლეხის მიერ ნიახურის ბაზარში გამოტანა...

ასეთი ყოფა, ჯერ-ერთი, ნიშანია იმისი, რომ საზოგადოებრივი ცხოვრების ლოგიკა დაკარგულია, ხელიდან წასულია და, მეორე, დიდი ჭირია, რომელიც გაჩენილია კერძო ადამიანისა თუ მთელი საზოგადოების ორგანიზმში და ხრავს მას.

ქართული საზოგადოების აღნიშნული ჭირისაგან განკურნების წამალი (თანაც უებარი) ილია ჭავჭავაძის ლიტერატურულ-მხატვრული, ლიტერატურულ-პუბლიცისტური შემოქმედების, მისი საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოღვაწეობის და პირადი ცხოვრების შესწავლა და პრაქტიკულ საქმიანობაში გამოყენებაა.

რით გაგახაროთ...

არეულია დედამიწა ცა და სამყარო,
არ ვიცი, რა ვთქვა, რა გიამბოთ, რით გაგახაროთ.
ვერ გამიგია, ვინ რას ფიქრობს, ვინ რას ჩალიჩობს,
ვინ რას კადრულობს რომ ცხოვრება გაიხალისოს.
ზოგი ყიდულობს, ზოგი ყიდის, ზოგი იპარავს,
ზოგი მოგროვილ ფულს შიშისგან მიწაში მალავს,
ზოგი საშოვრად უცხოეთში მიედინება,
მოდად აქცია ზოგიერთმა ლანძღვა-გინება.
ქალმა კაცობა მოინდომა, კაცმა ქალობა
და ამის მერე უფლისაგან ვითხოვთ წყალობას,
ვინ დააწესა, ირემი რომ მგელმა შეჭამოს,
ანდა ღატაკი სიკვდილამდის უნდა ეწამოს?
რად გვიხარია, როცა უცხოს ვემსახურებით,
იქნებ იმიტომ, რომ სულს ვღაფავთ უსაქმურობით?
საკუთარ ენას ვამახინჯებთ სხვისი შემყურე,

იქნებ, დრო დადგა გამოაცხოს პური მეპურემ?
იქნებ, დრო დადგა შევაჩეროთ სულით დაცემა,
ერის საკითხი მოაგვარონ ერისკაცებმა?
რა ვქნა, თუ ჩემი ქვეყნის ბედი დღემდის მაწუხებს,
ვერ ვეგუები ვერც შიდა და გარე მარწუხებს.
ვერ ვეგუები, თვალებში რომ ნაცარს მაყრიან,
ქრისტეს გამცემი გვევლინება კეთილ ნათლიად.
ვერ ვეგუები, როცა ვინმე თავზე მადგია
და სამათხოვროდ გადმოგდებულ პურს მამადლიან.
პატარავდება ჩემი ქვეყანა, პატარავდება მიწა ხნიერი –
იქ, სადაც ზამთრის სარჩო მომყავდა,
დღეს სახლს იშენებს გადამთიელი.
ვითვლი და ვითვლი გაყიდულ მიწებს,
ვიცოდე მაინც, რისთვის ყიდიან?!
დღეს ბოლო მერცხლის ბუდე გაყიდეს,
ნეტავი ხვალე რას გაყიდიან?
გაყიდეთ ოქრო, გაყიდეთ ვერცხლი,
გაყიდეთ პური, ქერი და შვრია,
ოღონდაც მამულს ნუ გამიყიდით,
მამულს, რომელსაც სამშობლო ჰქვია!

(გორელი პოეტი ნოდარ მდინარიძე)

საქართველო გენიოსების საბუდარი ქვეყანა

აზიისა და ევროპის კარად წოდებულს, პატარძალსავით მორთულს, უძველესი ისტორიისა და მაღალი კულტურის, გამორჩეული ტრადიციების მქონე ქვეყანას, რომელსაც საქართველოს ეძახიან, მე აღვიქვამ ერთ დიდ საბუდრად, რომლიდანაც უხსოვარი დროიდან "იჩეკებოდნენ", ამ სამყაროს ევლინებოდნენ პატარა ქართველები. ისინი იზრდებოდნენ და შემდგომ მათში, გენეტიკურად კოდირებული ნიჭისა და დაუღალავი შრომის წყალობით, გონებრივად მაღალგანვითარებულნი და ზნეობრივად გაფაქიზებულნი საზოგადოებრივი ცხოვრების ასპარეზზე - ამ უკიდეგანო "იარმუკაზე" - გამოსულნი უერთდებოდნენ მსოფლიოს გენიოს ადამიანთა დიდ კრებულს: პოეტები, მწერლები, მწიგნობარნი, მხატვარნი, მოქანდაკენნი, მომღერალ – მგალობელნი, მოცეკვავენნი, პოლიტიკოსები, კირითხურონნი თუ ადამიანთა საქმიანობის სხვა სფეროს წარმომადგენელნი, რომელნიც ჩვენს, ქართულ ენაზე, წერდნენ, ლაპარაკობდნენ (თუმცა ისეთებიც გვყავდა, რომელნიც სხვა ენაზე, მაგრამ საკუთარი გვარ-სახელის მინიშნების გარეშე წერდნენ), ქართველი კაცის ხასიათის, ქართული ზნე-ჩვეულებების მატარებელნი შემოქმედების ნიმუშებს ქმნიდნენ, მღეროდნენ-გალობდნენ, ცეკვავდნენ, აშენებდნენ, პოლიტიკოსობდნენ და სხვა, მაგრამ ამ ყველაფერში მთელი სულითა და გულით, მთელი სიგრძე-სიგანით, სიღრმე-სიმაღლით ზოგადსაკაცობრიო, ზოგადადამიანურ ხასიათს

აქსოვდნენ და ამ სახით თავიანთი ნამოქმედარი საუნჯედ შეჰქონდათ მსოფლიო ცივილიზაციის საგანძეში.

განა გენიოსი არ იყო ის კაცი, ის ერი, რომელმაც კაცობრიობას პირველად და პირველმა მოუვლინა:

- 400 დასახელების ვაზის ჯიში, ყურძნის წვენიდან მიღებული ღვინის დაყენების უნიკალური მეთოდი, როგორც ილია ჭავჭავაძე გვეუბნება, ყოველ განსხვავებულ ნიადაგზე განსხვავებული თვისების ვაზი იზრდება და შესაბამისად ყურძნის წვენიც განსხვავებულია და ღვინის დაყენებაც განსხვავებულ ტექნოლოგიასა და შრომის ორგანიზაციას საჭიროებს;
- ხორბლის მთავარი ჯიში და მისი 130 სახეობა;
- ფოლადის უმაღლესი ხარისხის დნობა, მადნის (რკინა, ოქრო, ვერცხლი და სხვა) მოპოვებისა და გადამუშავების ტექნიკა, ტექნოლოგია, შრომის თავისებური ორგანიზაცია, როგორც ბოლო წლების არქეოლოგიური კვლევები ადასტურებენ ბოლნისის რაიონში საყდრისის საბადოში ძვ. წ. აღრიცხვის 5004 წელს ოქროს ადნობდნენ, რაც უნიკალური შემთხვევაა მსოფლიოში;
- მეთუნეობის პროდუქციის დამუშავების ოსტატობა, მისი ორიგინალურობა;
- ქართული სიმღერა – გალობის უნიკალურობა. შემთხვევითი როდია, რომ ქართული სიმღერა, საზოგადოდ, და "ჩაკრულო" კერძოდ, მსოფლიოს 19 არამატერიალურ საოცრებათა შორისაა დასახელებული და კოსმოსშია გაშვებული;
- ქართული ცეკვა ნახეთ. იგი თავისი შინაარსითა და შესრულების მანერით უნიკალურია მსოფლიოში და ამიტომაა, რომ ცივილიზებულმა მსოფლიომ ბალეტად აღიარა. მისი უნიკალურობა ისაა, რომ "ქართული ცეკვა", რომელიც მხოლოდ ქალისა და კაცის მონაწილეობით სრულდება, აბსოლუტურად თავისუფალია ვულგარული "ცივილიზაციის" რაიმე ნიშნის გამოვლინებისაგან;
- ქართული ენა და დამწერლობა, რომელიც თავისი ისტორიით უძველეს ენათა შორის სახელდება და დღეს მსოფლიოში ცოცხალ ენათა შორის ერთ-ერთ გამორჩეულ ადგილს იკავებს.
- ქართული ჭიდაობა, რომლის ორიგინალური ილეთებით არის შევსებული მსოფლიოში დღეს გავრცელებული ჭიდაობის მრავალი სახეობა და სხვა.

განმეორებით ვსვამ კითხვას: განა ეს ყველაფერი გენიალური არ არის და მისი შემქმნელი კერძო კაცი თუ ერი – გენიოსი?

ჩამონათვალის გაგრძელება კიდევ შეიძლება, მაგრამ, ვინ დასთვლის ზღვაში ქვიშას და ცაზე ვარსკვლავებს.

აქ რაც ითქვა ხომ ისტორიას აქვს შემონახული, დროთა ქარტეხილებს გადარჩენილი და დღეს ხელშესახებია (მატერიალურია), ან არამატერიალური განძის დანიშნულება აქვს და როცა ნახავ, მოისმენ და აღიქვამ, შეიმეცნებ, შეიგრძნობ, ერთგვარ "მატერიალურ" სახეს იღებს.

რაც შეეხება არამატერიალური ფასეულობების სხვა სახეებს, რომლებითაც ქართველი კაცი (ერი) თავს იწონებდა კაცობრიობის წინაშე, უცხოელმა დამპყრობლებმა გაიტაცეს და საკუთარ ქვეყნებში გაიტანეს. დღეს მათი არც აღრიცხვა და არც შეფასება არავის შეუძლია.

ხომ ცნობილია, რომ შემოსული მტერი ქალაქებსა და სოფლებს წვავდა და ანადგურებდა, ეკლესიებსა და მონასტრებს მიწასთან ასწორებდა და შეურაცხყოფდა, ვაზს ჩეხდა და ყანებს თელავდა, ბავშვებს, ქალებსა და მოხუცებს დაუნდობლად ჟლეტდა, ცოცხლად გადარჩენილები ტყვედ მიჰყავდა. ამ უკეთურობების გარდა, ქართულ კულტურაზე, ქართულ სულიერებაზე, მეცნიერებაზე, ისტორიაზე ნადირობდა და ყველაფერი გაჰქონდა საქართველოდან. "შემდეგ, დროთა ვითარებაში, მიტაცებულსა და მითვისებულს *("დიდის მიძვრომ-მოძვრომით" – ილია ჭავჭავაძე)* იჩემებდა და თავისად აცხადებდა.

პატარა ერის უბედო ბედის გადამკიდე, ვინ იტყვის (ვინ აღიარებს), რომ ის, რითაც ისინი დღეს თავს იწონებენ, ოდესღაც საქართველოდან აქვთ გატანილი. *(მერაბ რატიშვილი).*

უფრო მეტიც, სხვადასხვა ჯურისა და დედამიწის სხვადასხვა კუთხიდან მოსული მტერი (მე მათ ბარბაროსებს ვუწოდებ), მათთვის დამახასიათებელი თვისებებით – უსაშველო ჩამორჩენილობა, უმეცრება, უკიდურესი სისასტიკე, უხეშობა, არაადამიანურობა და სხვა ძალადობრივი ქმედებები – ქართული თვითმყოფადობის წაშლას, ქართული ფასეულობების მოსპობას, ქართული ენის გადაგვარებას იწყებდა, მართლმადიდებლობაზე უარის თქმას მოითხოვდა და ქართველი კაცისათვის მიუღებელი, სრულიად უცნობი და არაცივილიზებული, თვისებების დანერგვას ცდილობდა.

კაცობრიობის ცივილიზაციის საგანძის შევსებაში დიდი წვლილის შემტან ქვეყანას – საქართველოს - სხვადასხვა საუკუნეში, სხვადასხვა ეპოქაში და საკუთარი ტერიტორიის სხვადასხვა ნაწილში, ბუნებრივია, უნდა ეშვა, და შვა კიდეც, გენიოს ადამიანთა მრავალი თაობა. მათი აქ ჩამოთვლა შეუძლებელია, მაგრამ მთავარი ის არის, რომ ისინი ერთობლიობაში შეადგენენ მის უდიდებულესობას - ქართველ ხალხს, "შეუცდომელსა და ყოველთვის მართალს".

საქართველოს ისტორიაში ამ მხრივ ხელხვავიანი აღმოჩნდა მეცხრამეტე საუკუნე.

მეცხრამეტე საუკუნე, საზოგადოდ, კაცობრიობის განვითარებაში უაღრესად მნიშვნელოვანი მონაკვეთი იყო ისტორიისა. რაც ამ საუკუნეში მეცნიერებამ სასწაული მოახდინა, რაც განათლებული ქვეყნების ადამიანებმა სახელი და დიდება მოიპოვეს, მთელ დანარჩენს თვრამეტ საუკუნეს ერთად არ უნახავს.

საქართველოსათვის იგი შემობრუნების, ახალი ცხოვრების დაწყების (60-იანი წლებიდან) ათვლის საუკუნედ იქცა – დაინგრა ძველი, კარჩაკეტილი, ბატონყმურ შრომაზე დამყარებული ფეოდალური წყობა და ქვეყანას შესაძლებლობა მიეცა, გადასულიყო ახალ, კაპიტალისტური წარმოების, წესზე (კაპიტალისტურ წარმოებით ურთიერთობებზე).

ახალი ცხოვრების დაწყებას ესაჭიროებოდა, ჯერერთი, შესაბამისი თეორიული საფუძვლების შექმნა, ახალი იდეოლოგიის დამუშავება და პრაქტიკული რეკომენდაციების დასახვა, მეორე, ახალი ადამიანის - ადამიანი გენიოსის გამოჩენა, რომელიც თავს მოუყრიდა, ერთად შეკრებდა კაცობრიობის მიერ განვლილ პერიოდში დაგროვილ ცოდნასა და გამოცდილებას, საკუთარი ქვეყნის აწმყო ცხოვრების წრეში ჩადგებოდა, მის ვითარებას ცნობაში მოიყვანდა, მისი თავისებურებების გათვალისწინებით ახალი ცხოვრების მოთხოვნებს შეუფარდებდა და ეტყოდა თავის ერს: ახალი ცხოვრების ასაშენებლად ამა და ამ გზით იარეო, ესა და ეს საშუალებები, ხერხები გამოიყენეო. ამასთან დარიგებასაც მისცემდა - ამ გზაზე სიარულის დროს

წინააღმდეგობები ბევრი შეგხვდებათ (ობიექტურიც და სუბიექტურიც), მაგრამ არ შედრკეთ, არ შეგეშინდეთ, არჩეული გზა და საშუალებები ქვეყნის გაღონიერებამდე და მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლებამდე მიგიყვანთო.

საქართველოს ასეთ ადამიანად ამ დროს მოევლინა კახეთის ნოყიერ მიწაზე დაბადებული ილია ჭავჭავაძე, რომელმაც თავს იდო სამშობლოს განკარგების – გონებრივი განვითარების, ზნეობრივი განწმენდის და ქონებრივი გაძლიერების მძიმე ტვირთის ტარება.

დიახ, დედა საქართველოს ერთ-ერთი შვილთაგანი თვალმარგალიტით შემკული და გენიოსი ადამიანების დამბადებელი კახეთია და მკლავ-ძლიერი, ამაყი და თავისუფლების მოყვარე უმცროსი სახლისკაცი ქართველებისა კახელები არიან.

კახეთი - ეს პატარა კუნჭული დედამიწისა და საკმაოდ მოზრდილი მხარე ერთიანი საქართველოსი, თავისი ადამიანების შრომითა და გარჯით, თავისი საუკეთესო ჰავითა და მიწით, რომელიც ბუნებისაგან რგებია, დაუღალავად, განუწყვეტლივ, შეუფერხებლად ამარაგებდა და დღესაც ამარაგებს დედა საქართველოს გამოჩენილი შვილებით.

ხშირად გაიგონებთ ფრთიან გამოთქმას, რომ ქართლი საქართველოს გულიაო. ეს ჭეშმარიტებაა და ამ ჭეშმარიტებას დავამატებ: რაკი ქართლი საქართველოს გულია, კახეთს საქართველოს გულის გული უნდა ვუწოდოთ.

დიახაც, ილია ჭავჭავაძე ალაზნის პირას დაბადებული და გაზრდილი ის ქართველია, რომელმაც საზოგადოებრივი ცხოვრების ასპარეზზე გამოსვლისთანავე თავის მთავარ საქმედ გაიხადა საქრთველოს ხალხის ცხოვრება, მისი გამჯობინება: "ჩვენი საქმე საქართველოს ხალხის ცხოვრებაა; მისი გამჯობინება ჩვენი პირველი და უკანასკნელი სურვილია", - ბრძანა და მთელი თავისი ცხოვრება ამ სურვილის აღსრულებას მიუძღვნა.

ჯერ კიდევ, სრულიად ახალგაზრდა, საქართველოსთან ოთხი წლის განშორების შემდეგ სამშობლოში პეტერბურგიდან მომავალი, ლარსის სტანციაში "გაფიცრულ ტახტზე მამაპაპურად გაშოტილი" ფიქრებში არის გახვეული, ფიქრთა გრეხილი ძილის საშუალებას არ აძლევდა და მთელი სულითა და გულით საკუთარი ხალხის ბედზე ფიქრს მისცემოდა, მისი გულისყური იქითკენ იყო მიმართული, რომ, რაც უცხოეთში ენახა, გამოეცადა, ესწავლა, როგორ მოეხმარა, რა ეთქვა დედასამშობლოსთვის ახალი: "შევძლებ კი, რომ მას ღვიძლი სიტყვა ვუთხრა და ამ სიტყვით გულისტკივილი მოვურჩინო, დავრდომილი აღვადგინო, უნუგეშოს ნუგეში მოვფინო, მტირალს ცრემლი მოვსწმინდო, მუშაკს შრომა გავუადვილო, იმ სიტყვით ვასმინო, რომ არის მრავალი ქვეყნები, ჩვენზედ უფრო უბედურად გაჩენილნი, მაგრამ უფრო ბედნიერად მცხოვრებნი; და ის თითოეული ნაპერწკალი, რომელიც არ შეიძლება რომ ყოველს კაცში არა ჟოლავდეს, ერთ დიდ ცეცხლად შევაგროვო ჩემი ქვეყნის გაციებულის გულის გასათბობლად".

როგორც ვხედავთ, ილია ჭავჭავაძეს ბევრი საფიქრალი და გასაკეთებელი აქვს - საქმე უფრო დიდი და დიდი წინააღმდეგობის მატარებელი. ამის გაკეთებას დრო და პიროვნული შესაძლებლობები გამოაჩენს - "საქმე ხომ ყოველისფრის გამომცდელია".

თავისი ქვეყნის გარეთ სწავლამიღებული, საქართველოს, რუსეთისა და მსოფლიო ცივილიზაციების მიღწევებით შეიარაღებული ილია ჭავჭავაძე მეცხრამეტე საუკუნის

მეორე ნახევრიდან აქტიურად იწყებს ლიტერატურულ და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოღვაწეობას, პრაქტიკულ საქმიანობას.

ქვემოთ მხოლოდ სამ მომენტზე შევჩერდები:

პირველი. ვინაიდან ცხოვრება, დედა ყოველი საქმისა, თვითრჯული – განაპირობებს საქმის სიმკვიდრესა და სიმტკიცეს ("მარტო ის საქმეა მკვიდრი და მტკიცე, რომლის ფესვებიც ცხოვრებაშია გამოყვანილი"), ილია ჭავჭავაძეც თავისი უმთავრესი საქმის, ერთადერთი სურვილის განხორციელებას, უპირველეს ყოვლისა, ცხოვრებიდან იწყებს, ცხოვრების წრეში დგება, ცნობაში მოჰყავს, შეისწავლის "მთელს მისის სრულის წარმოებით, სრულის ვითარებით" და გზას ხსნის რათა მისი მოძრაობა არავინ შეაყენოს, არავინ შეაფერხოს – პირველმა და ერთადერთმა საქართველოს ისტორიაში შექმნა, ჩამოაყალიბა საკუთარი ქვეყნის წინსვლის (განკარგების) მწყობრი, დასაბუთებული სისტემა (პროგრამა), რომლის ამოსავალი დედააზრია: "მოძრაობა და მარტო მოძრაობა არის ქვეყნის ღონისა და სიცოცხლის მიმცემი"; "ჩვენი თავი ჩვენადვე უნდა გვეყუდვნეს".

როდესაც ქვეყნის განვითარების ხელშემშლელ ფაქტორებზე ლაპარაკობს ილია ჭავჭავაძე, კონკრეტულად მიწათმოქმედებაზე ამახვილებს ყურადღებას, მიწათმოქმედებაზე მიჰყავს საუბარი, მაგრამ აქ მთელი ქვეყნის საზოგადოებრივი ცხოვრება უნდა ვიგულისხმოთ (მთელი ქვეყნის საწარმოო ძალები და წარმოებითი ურთიერთობები). იგი წერს: "მიწათმოქმედებას ჩვენში ორი დიდი ღონე აკლია. ერთი ცოდნა და მეორე, სამუშაოდ გადადებული ქონება. ერთიც და მეორეც იგი განძია, ურომლისოდაც არავითარი წარმოება საზოგადოდ და მიწათმოქმედება საკუთრად ფეხსაც წინ ვერ წადგამს. ცოდნა და ქონება ერთად იგი თავნია, იგი ძირის-ფულია ერისა, რომელიც თუ არ მიეშველა მიწას, იგი მიწა, რაც გინდ ნაყოფიერი იყოს, წარმოადგენს ცხრა-კლიტით დაკეტილს სალაროს სიმდიდრისას, უქმად დებულისას და ერისათვის დაკარგულისას."

სწორედ ამ ორი განძის პოვნისათვის მოუხმო ილია ჭავჭავაძემ საკუთარ ერს და საჭირო გზები და საშუალებებიც დაუსახა.

ამასთან, ამ გზებზე სწორი სიარულის საფუძვლად მან მიიჩნია დემოკრატიული ფასეულობების დანერგვა – განვითარება და განმტკიცება, როგორც კერძო კაცის, ისე მთელი საზოგადოების ცნობიერებაში, რაც, უპირველეს ყოვლისა, გულისხმობს ადამიანის (საზოგადოების) ზნეობრივ განწმენდას. შეიძლება დიდი ცოდნით იყო შეიარაღებული, მაღალ დონეზე ფლობდე კაცობრიობის მიერ დაგროვილ ცოდნასა და გამოცდილებას, აუარებელი თავნი გქონდეს, მაგრამ თუ ზნეობრივად სუფთა არა ხარ, შენს საქმიანობას თუ ზნეობრივი სიწმინდე არ უნათებს გზას, ყველაფერი თავის ფასს კარგავს და საზოგადოებისათვის არავითარი სარგებელი არ მოაქვს - საზოგადოება ზურგს შეგაქცევს.

საბოლოო ჯამში, ქართველი ერის ცხოვრების განკარგებისათვის, საწარმოო ძალებისა და წარმოებითი ურთიერთობის აღმავალი ხაზით განვითარებისათვის მთავარ მიმართულებად ილია ჭავჭავაძე მიიჩნევს: ერის გონებრივ ზრდას (გონებრივი თვალსაწიერის გაფართოებას), კერძო კაცის თუ მთელი საზოგადოების ზნეობრივ განწმენდას და ქონებრივ გაღონიერებას. ეს ის სამებაა, რომელზედაც უნდა ილოცოს და რომლისთვისაც უნდა იღვაწოს, იშრომოს ქართველმა ხალხმა მუდამდღე.

მიმაჩნია, რომ ილია ჭავჭავაძის ლიტერატურული საქმიანობაც, მისი საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოღვაწეობაც და პირადი ცხოვრებაც ამ სამი,

ურთიერთშორის ორგანულად დაკავშირებული და დიალექტიკურად ურთიერთგანმაპირობებელი, მიმართულებისათვის მსახურებაა.

მეორე. ილია ჭავჭავაძის შემოქმედებას თუ უფრო ღრმად ჩავუკვირდებით, დავინახავთ, რომ თვითონ იგი ნამდვილი ქართველი მწერალია, ქართული თვისებების მატარებელი – თავის ნაწარმოებში ქართულ სინამდვილეს აღწერს, ქართული საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე, მის ნაკლსა და დადებით მხარეებზე, ქართველი კაცის სიხარულსა და ტკივილზე წერს, მაგრამ, ამავე დროს, ზოგადად, საკაცობრიო პრობლემებს წამოსწევს წინ. იგი ამ შემთხვევაში მხოლოდ ქართველი მწერალი და მოღვაწე აღარ არის – თავისი საკუთარი აზრებით, იდეებით, სურვილებით და მისწრაფებებით საქვეყნო, სამსოფლიო ასპარეზზე გამოდის და იქ მოღვაწე ადამიანთა გვერდში დგება.

ფართო ასპარეზზე გამოსული ილია ჭავჭავაძის შესახებ მსჯელობა რომ გაგვიადვილდეს, მთელი მისი შემოქმედება, საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოღვაწეობა და პირადი ცხოვრების ამსახველი ფაქტები, ქვემოთ, ორ დიდ, ლიტერატურულ-მხატვრულ და ლიტერატურულ-პუბლიცისტურ მიმართულებად დავყოთ.

ლიტერატურულ-მხატვრული მიმართულებით ილია ჭავჭავაძეს თავის ნაწარმოებებში გამოჰყავს ქართველი კაცი, თავისი დადებითი და უარყოფითი თვისებებით, მაგრამ ისინი ზოგადი ადამიანის სახისანი არიან, ზოგადადამიანური ფასეულობების მატარებელნი – ადამიანი ხომ სამყაროს უპირველესი მოდელია, ღმერთისგან შობილი და ღმერთსა და სამყაროს შუა მდგომი შუაკაცია.

მოხევე ლელთ ღუნია, სოფლელი გლეხკაცი გაბრიელი, რაჭველი გლახუკა, პეტრე, პეპია, თამრო, დათიკო, ოთარაანთ ქვრივი, გიორგი, კესო, არჩილი, ლუარსაბ თათქარიძე მისი დარეჯანითა და ლამაზისეულით, ნინო ბაგრატიონი, დიმიტრი თავდადებული, ქართვლის დედა, განდეგილი, ზაქრო, კაკო და სხვანი, ყველა ესენი ხომ სულიერთა მეუფენი, ქმნილებათა გვირგვინნი, ღვთის სახისანნი, ზოგად-კაცნი არიან და არა მარტო ქართველნი. უთარგმნეთ თავიანთ ენაზე ინგლისელს, შოტლანდიელს, გერმანელს, ფრანგს და სხვას ილია ჭავჭავაძის მხატვრული ნაწარმოებები და აუცილებლად ყველა იტყვის, რომ ლელთ ღუნია ინგლისელია, შოტლანდიელია, ფრანგია, გერმანელია და სხვა.

ლუარსაბ თათქარიძე და მისი კნეინა დარეჯანი? ესენი ხომ კაცობრიობის პროგრესის შემაფერხებელი, ბატონყმური ცხოვრებისგან დაღდასმული, ზოგადი ადამიანები არიან, რომლებიც უსაქმობის გამო დღეს აღამებენ და ღამეს ათენებენ მხოლოდ ბუზების თვლასა და ჭამა-სმაზე ფიქრში. ამით ისინი მარტო ქართველები კი არ არიან, არამედ ყველა იმ ქვეყნის შვილები არიან, რომელთაც ბატონყმობის სუსხი იწვნიეს.

“გლახის ნაამბობის” მთხრობელის საქციელი განსაჯეთ და მასშიც ზოგად ადამიანს დაინახავთ: თვითონ ნადირობის ტრფიალია, საკვირველად უყვარს დაბურულს ხმაგაკმენდილ ტყეში ხის ძირას ჯდომა და მილეული გულისცემით ლოდინი ნათვალევი ნადირისა. იცის რომ ნადირობა ცოდვაა, ვინაიდან ყოველი სულიერი ღვთის დანაბადია, ყველას აქვს თანასწორი ნება ცხოვრებისა ამ თვალუწვდენელ ქვეყანაში. მაგრამ, მის გრძნობა-გონებაში არსებული ერთი “მე” ეუბნება: “არ ესროლო, არ მოკლა” ნათვალევი ნადირი – ირემი, მით უმეტეს ისეთი ლამაზი, ისეთი ნაზი და იმ სინაზესთან ერთად, ისეთი მიმზიდველი, ამაყიცა, რომა, გგონია რაც ბუნებისაგან მინიჭებული მადლი აქვსო,

სულ ეხლა შემოიკრიბაო, რომ სიკეთით და თავის სილამაზით შეაბრალოს თავი დამალულს მტერსაო!”

მონადირე – ადამიანში მეორე “მეც” ხომ არის ჩაბუდებული – რა გაეწყობა. ტყუილად კი არ გვარწმუნებს ჩვენი საღმრთო წერილი, რომ პირველი სისხლი უბოროტო ქვეყანაზე კაცმა კაცისა დაანთხიაო. კაცი მოსისხლეა და მონადირეც კაცია კაცთაგანი – ძალზე შეუბრალებელი და დაუნდობელი... “თოფმა იგრიალა და ირემი აქამდინ ცოცხალი, თავისუფალი და ლაღი, გაირთხო იმ ბალახებზედ, რომლის კალთაშიაც პირველად აახილა თვალი, რომ მიესალმოს ქვეყანასა და ბოლოს უკანასკნელად დახუჭოს, რომ სამუდამოდ გამოესალმოს. ისინი იყვნენ ამის აკვნად და ბოლოს საფლავადაც გადაექცნენ”.

ჩვენ, ადამიანები, სულიერთა მეუფენი, ქმნილებათა გვირგვინნი, ღვთის სახისანნი, ჩვენში არსებული მეორე “მე-ს” ძალით ერთმანეთს არ ვუთმობთ, ერთმანეთს თანასწორი ცხოვრების უფლებას ვუსპობთ ამ თვალუწვდენელ ქვეყანაში. ის მეორე “მეა”, რომ გონება-გრძნობას აბნელებს და მომაკვდავი ირემის ცრემლიან თვალებში ამასღა ამოვიკითხავთ: ჩემო მკვლელო! ქვეყანა დიდია და ფართო... რად შეგშურდა, რომ მეც, უბოროტოსა და მშვიდსა, ამ ღვთისმიუწვდომელ ქვეყანაში ერთი მტკაველი ალაგი მეჭირა?

ჩვენ კი, ადამიანებს, ჩვენი მეორე “მე-თი” სხვა რომ აღარაფერი შეგვიძლია, სანუგეშოდ იმასღა ვეუბნებით უბოროტო და მშვიდს ირემს: “ისიც კარგია, ჩემო პირუტყვო, რომ იქა ჰკვდები, სადაც დაიბადე. ჩვენ, კაცები, მაგ ბედნიერებასაც მოკლებულნი ვართ”.

განა ამ მოკლე სურათით, დახატული არ არის ზოგადი ადამიანის შინაგანი ბუნება, მისი მიზნები და მისწრაფებები?

ლიტერატურულ-პუბლიცისტური მიმართულება ილია ჭავჭავაძისა ბუნებრივი გაგრძელებაა პირველისა – ლიტერატურულ მხატვრულისა.

აქაც ილია ჭავჭავაძე ქართველია, ქართული საზოგადოების პრობლემებზე, მათი გადაწყვეტის გზებსა და საშუალებებზე წერს და ეს ყველაფერი აყვანილია საერთო საკაცობრიო დონემდე და სამყაროსა და საზოგადოებაში მიმდინარე ზოგადი, ობიექტური კანონების მოქმედებაზე არის დაფუძნებული: ადამიანის თავისუფლება, თავისუფალ მიწაზე თავისუფალი შრომა, შრომის ახსნა, შრომის სუფევა, თავისუფალი ვაჭრობა და თავისუფალი კონკურენცია, თვითმოქმედება, თვითმმართველობა, ადამიანის უფლებები, ადამიანის არჩევანის თავისუფლება, დედათა საქმე, კერძო საკუთრების ხელშეუხებლობა, ადამიანის ღირსებისა და პატიოსნების დაცვა, ცოდნა, სწავლა-განათლება, მეცნიერება და ხელოვნება, როგორც საზოგადოებრივი პროგრესის საფუძველი, მილიტარიზაციის (თოფშეიარაღების) სოციალურ-ეკონომიკური შედეგები და მისი შემცირების საკაცობრიო მნიშვნელობა, სახელმწიფოებს შორის დავის მშვიდობიანად მორიგება, ადამიანის სიკვდილით დასჯა და სხვა. რომელი ერთი ჩამოვთვალოთ.

წარმოვიდგინოთ, რომ მსოფლიო აზრთა სარბიელზე გასული ილია ჭავჭავაძე თავის ნაწარმოებებში ზოგად ადამიანურ, ზოგად საკაცობრიო პრობლემებს არ ეხებოდეს, ლელთ ღუნიას, გაბროს და სხვა მის თანამოძმეთა ქმედებაში, მათ სახეებში მარტო ერთ, კერძო კაცს – ლელთ ღუნიას, გაბროს და სხვებს – ერთ კონკრეტულ სოციალურ-ეკონომიკურ გარემოში შეყუჟულ ადამიანებს გვიხასიათებდეს და არა ზოგად ადამიანს,

ზოგადი ადამიანის განცდებს, შეხედულებებს, აზრებს, რომელთა ინტერესის სფეროს შეადგენს ადამიანის თავისუფლება, მისი ღირსების დაცვა და სხვა, მაშინ იგი იმდენად იქნებოდა ჩამოქვეითებული, რომ მას აღარ გაუტოლებდნენ დიდ ადამიანებს.

ლელთ ღუნია და სხვანი "კაცად-კაცნი" არიან, ზოგად ადამიანის ბუნების მიხედვით აგებულნი და სულდგმულნი და არსებობენ, ცხოვრობენ ასევე ზოგადი ადამიანური კანონების შეგრძნებით.

არც ერთი მათი ქმედება, არც ერთი ეპიზოდი მათი ცხოვრებისა ძალად და განგებ ჩართული არ არის და ყოველივე წარმომდგარია იმ კაცობრიული ზოგადი ბუნებისგან, რომელიც მარტო თავის საკუთარ კანონებს ექვემდებარება და არა სხვისას.

ილია ჭავჭავაძე თავის უკვდავ ნაწარმოებებში (ლიტერატურულ-მხატვრული და ლიტერატურულ-პუბლიცისტური მიმართულებისა) რომ ქმნის, ძერწავს ქართული ხასიათის მატარებელი პერსონაჟების სახეებს და, ამავე დროს, ამ სახეებში მკაფიოდ ვხედავთ ზოგადსაკაცობრიო თვისებებით შემკული ადამიანების სახეებს, რომელნიც კაცადკაცურნი არიან და მისაღები და საცნაურნი, როგორც ქართველისათვის, ისე ინგლისელისათვის, შოტლანდიელისათვის, გერმანელისათვის, ფრანგისათვის და სხვა. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკურ, კულტურულ-პოლიტიკურ პრობლემებს ბუნებისა და საზოგადოების განვითარების ზოგადი ობიექტური კანონების ფონზე და მათზე დაყრდნობით, რომ განიხილავს, სწორედ ამაშია ილია ჭავჭავაძის გენიალურობა.

ამრიგად, ვფიქრობ, რომ ილია ჭავჭავაძის ლიტერატურულ-მხატვრული თუ ლიტერატურულ-პუბლიცისტური, ან სხვა ჟანრის გამოქვეყნებული (გამოუქვეყნებელი) ნაწარმოებები, სხვადასხვა პირებთან გამართული მიმოწერები, სხვადასხვა თავყრილობებზე წარმოთქმული სიტყვები (მათში მოცემული აზრები) ერთობლიობაში წარმოდგენილი, უდიდესი საუნჯეა კაცობრიობის საგანძურში შეტანილი.

დასანანია, რომ განათლებული სამყარო ყოველივე ამას არ იცნობს (უცხო ენებზე გადათარგმნილი ძალიან მცირე ნაწილის გარდა) და არც არავითარი ნიშანი არ არის, რომ სურდეთ მისი გაცნობა.

ჩვენ ქართველები, ილიას დროინდელი, დღევანდელი და მომავალი თაობები, სამართლიანად ამაყობდნენ, ამაყობენ და იამაყებენ, თავს იწონებდნენ, იწონებენ და მოიწონებენ, იქადნიდნენ, იქადნიან და დაიქადნიან ილია ჭავჭავაძით, მისი შემოქმედებით, მისი ნაღვაწ-ნაამაგარით.

ქართველებისათვის, ილია ჭავჭავაძე ქართველ გენიოს შვილთა შორის ერთ-ერთი ჩაუქრობელი და ცხოვლად მოკაშკაშე ვარსკვლავია, რომელიც საკუთარ ერს ყოველთვის გაუნათებს ცხოვრების გზას.

მოვიყვან ზოგიერთი ქართველის გამონათქვამს, აზრს, ილია ჭავჭავაძის შესახებ:

პავლე ინგოროყვა: "ქართველი ერის უკვდავ მოღვაწეთა შორის ჩვენ გვინათებს შარავანდედით მოსილი სახე ილია ჭავჭავაძისა;

ილია ჭავჭავაძე ცენტრალური ფიგურაა მეცხრამეტე საუკუნის ქართულ მწერლობასა და საზოგადოებრივ ცხოვრებაშ;

ილია ჭავჭავაძე და მისი თანამოღვაწე აკაკი წერეთელი არიან დიდნი ფუძემდებელნი ახალი ქართული მწერლობისა და ახალი ქართული სალიტერატურო ენისა;

ილია ჭავჭავაძის სამწერლო მოღვაწეობა უაღრესად ფართო დიაპაზონისა, შეიძლება ითქვას-უნივერსალური ხასიათისა იყო;

ილია ჭავჭავაძე არის შემოქმედი ბრწყინვალე შედევრებისა მხატვრული მწერლობის დარგში. ილია ამავე დროს არის დიდი პუბლიცისტი, ასევე კრიტიკოსი და ლიტერატურათმცოდნე, ისტორიკოსი, ეკონომისტი, სოციოლოგი, ღრმა მოაზროვნე;

ილია არის ქართველი ხალხის დიდი განმანათლებელი...;

ილია უდიდესი საზოგადო მოღვაწეა მეცხრამეტე საუკუნის საქართველოსი, ქართველი ერის დიდი მოჭირნახულე. ილია არის საქართველოს მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის დიდი ბელადი".

ვაჟა-ფშაველა:

- "ერთად-ერთი ბურჯი ჩვენის ქვეყნისა, ბურჯი ჭკუით, ნიჭით და გამოცდილებით"; ილიასთანა ადამიანებს სიცოცხლეშივე ძეგლებს უდგამენ უცხოეთში";

იაკობ გოგებაშვილი:

- "საუკეთესო, პირველი ადამიანი";
- "... იქნება არც ერთს მსოფლიო გენიოსს არ ჰქონდეს იმოდენა მნიშვნელობა თავისი ერისათვის, რამდენიც აქვს ილია ჭავჭავაძეს საქართველოსთვის";
- "თუ ქართველი მწერალი მგოსანია, საკმარისი არ არის იგი გენიალური პოეტი იყოს, - უკიდურესად საჭიროა, რომ ის გენიალური პოეტი იყოს აგრეთვე გენიალური მოძღვარი, გენიალური პედაგოგი თავისი ერისათვის. სწორედ ასეთია ილია. ყველა მის უკვდავ ქმნილებაში გაისმის მაღალნიჭიერი ქადაგება უმაღლესი ეთიკისა, საქვეყნო ღვაწლისა, თავდადებულობისა, მადლისა, სიყვარულისა და ყველა ეს განხორციელებულია საოცარი სიტყვაკაზმულობით. ილიას ქმნილებანი რომ რუსულად გადაუთარგმნონ ლევ ტოლსტოისა, იგი მას საუკეთესო მსოფლიო გენიოსების რიგში საპატიო ადგილს დაუთმობს... ";

გალაქტიონ ტაბიძე:

- "ცეცხლი – აკაკი, გმირი – ვაჟა, ბრძენი – ილია";

ლეო ქიაჩელი:

- "არ კმარა ითქვას, რომ ილია ჭავჭავაძე დიდი პოეტია, მწერალი და მოაზროვნე. ის ქართველი ხალხის გენიაა";

გურამ ასათიანი:

- "ილია საქართველოს მოევლინა, როგორც პრაქტიკული გენია, როგორც პრაქტიკული განსახიერება ბარათაშვილის რევოლუციური იდეისა"...;

გამოჩენილი ქართველი მოღვაწეების აქ მოყვანილ შეფასებებს ჩემს მოკრძალებულ მოსაზრებასაც დავამატებ და ვიტყვი, რომ:

- ილია ჭავჭავაძეს, მართლმადიდებელ ქრისტიანს, ქრისტიანული სარწმუნოების სულიერ მატარებელს, მის დამცველსა და გამავრცელებელს, ხელი ვერავინ და ვერაფერმა შეუშალა, შეექმნა დიალექტიკური მატერიალიზმის პრინციპებით აღსავსე ლიტერატურული ნაწარმოებები: "საქართველოს მოამბეზედ" (1862 წ.) "მგზავრის წერილები" (1861 წ.) და სხვა: "ცხოვრება რაც გუშინ იყო, ის დღეს აღარ არის... იგი იცვლება, მიდის წინ და მოაქვს განახლება ყოველისფერისა"... "ცხოვრება, როგორც ყოველი მოზარდი იზრდება, ჰყვავის, მოაქვს ნაყოფი და მერე ჭკნება, იმისათვის კი არა, რომ მოკვდეს და საუკუნოდ დაიმარხოს, არამედ იმისათვის, რომ თავისაგან მოყვანილის ნაყოფისავე თესლზედ ამოიყვანოს სხვა ახალი, ნედლი ცხოვრება, რომელიც ისევ ისე უნდა წავიდეს ცხოვრების გზაზედ, როგორც პირველი, თუ უკვდავება უნდა"...

“ცხოვრებასაცა აქვს თავისი შემოდგომა და გაზაფხული, როგორათაც ბუნებასა”... “მყინვარი არ მიყვარს, მით უფრო, რომ მიუკარებლად მაღალია. ქვეყნის ბედნიერების ქვაკუთხედი კი ყოველთვის ძირიდამ დადებულა, ყოველი შენობა ძირიდამ ამაღლებულა, მაღლიდამ კი შენობა არსად არ დაწყებულა... ნეტავი შენ თერგო! იმით ხარ კარგი, რომ მოუსვენარი ხარ. აბა პატარა ხანს დადეგ, თუ მყრალ გუბედ არ გადაიქცე და ეგ შენი საშიშარი ხმაურობა, ბაყაყების ყიყინზედ არ შეგეცვალოს...”, “მოძრაობა და მარტო მოძრაობა არის, ჩემო თერგო, ქვეყნის ღონისა და სიცოცხლის მომცემი”... და სხვა, და სხვა.

აღნიშნულიდან გამომდინარე მიმაჩნია, რომ ილია ჭავჭავაძე თანმიმდევარი მატერიალისტი მწერალია და დიალექტიკური მატერიალიზმის პრინციპებზე აგებს თავის ლიტერატურულ-მხატვრულ და ლიტერატურულ-პუბლიცისტურ ნაწარმოებებს;

- ილია ჭავჭავაძე იყო პიროვნება, რომელიც ძალიან კარგად იცნობდა ეკონომიკური აზრის ისტორიაში უმთავრეს მიმართულებებს (ფიზიოკრატიზმი, მერკანტილიზმი, ინგლისური კლასიკური პოლიტეკონომია, გერმანული ისტორიული სკოლა, მარქსიზმი), იცოდა მათი უარყოფითი და დადებითი მხარეები და ყველაზე სწორად განსაზღვრა, მათგან რომელი უფრო მასალები იქნებოდა ქართული სახელმწიფოს განკარგებისათვის.

ფიზიოკრატები, მაგალითად, სიმდიდრის მთავარ წყაროდ სოფლის მეურნეობაში (მიწათმოქმედებაში) შრომას რომ მიიჩნევდნენ, ილია ჭავჭავაძეც ამ იდეას მისდევს. იგი თავის პუბლიცისტურ წერილებში ყველგან წერს, რომ ჩვენი ქვეყნის განკარგების წყარო სოფელი და სოფლური მეურნეობაა, მაგრამ იქვე მიუთითებს – ეს ჯერ ხანადაო (ესე იგი ჯერ-ჯერობითაო).

ამ ერთი სიტყვით - “ჯერ ხანად” ილია ჭავჭავაძე უკვე გვევლინება კლასიკური პოლიტეკონომიის მამამთავარის, ადამ სმითის თეორიის მიმდევრად, რომლის მიხედვითაც ხალხთა სიმდიდრის წყაროდ გვევლინება შრომა, დასაქმების სფეროს მიუხედავად.

ადამ სმითის თეორიის მიმდევრად გვევლინება ილია ჭავჭავაძე, ასევე, მაშინ, როდესაც აკრიტიკებს მერკანტილისტურ მოძღვრებას, როგორც კაცობრიობის პროგრესის შემაფერხებელ თეორიულ და პრაქტიკულ მიმდინარეობას და ვაჭრობის თავისუფლებასა და თავისუფალ კონკურენციას აცხადებს საზოგადოების წინსვლის ფაქტორად (იხ. მისი პუბლიცისტური წერილების სერია საერთო სათაურით: “სატამოჟნო პოლიტიკა ევროპაში, ფრიტრედერობა და პროტექციონობა” (1887 წ.) და სხვა;

- ილია ჭავჭავაძე არის უდიდესი ფსიქოლოგი მწერალი. აიღეთ მისი ნებისმიერი მხატვრული ნაწარმოები და მისი პერსონაჟების მოქმედება ფსიქოლოგიური თვალსაზრისით განიხილეთ. დაინახავთ, რომ ყოველი მათგანი სულიერი განცდებით არის შეპყრობილი და მკითხველი ამ განცდების მონაწილე და გამზიარებელი ხდება. ისინი ჩვეულებრივი ქართველები არიან, მაგრამ მათი ქმედებები იმდენად არის ფსიქოლოგიურად დატვირთული, რომ ისინი ზოგადკაცობრიულ გრძნობებამდე არიან ამაღლებულნი.

მაგალითად გიორგის მოქმედების ერთი მომენტი გავიხსენოთ “ოთარაანთ ქვრივიდან”:

ჩვეულებრივი ქართველი გლეხის შვილი, ქართულ ოჯახში გაზრდილი გიორგი, ერთხელ მოჰკრავს (ისიც შემთხვევით და შორიდან) თვალს კესოს და სამუდამოდ შეუყვარდება. იმდენად ძლიერია კესოსადმი მისი სიყვარული, რომ დედისერთა შვილი,

დედის სურვილის წინააღმდეგ, კესოს ძმის, არჩილის, სახლში მოჯამაგირედ მიდის მხოლოდ იმისათვის, რომ კესო ხშირად ნახოს, მისი ცქერით დატკბეს. გიორგის ჯამაგირიც კი არ უნდა, რომ არჩილისგან მიიღოს. კესოს დანახვაა მისი ჯამაგირიც და მისი ბედნიერებაც. "გადამკიდებიან, ჯამაგირისა სთქვი რამეო. რა ჯამაგირი მინდა! .. მე ისიც მყოფნის, რომ ყოველ ცის-მარა დღეს მზეს ვუყურებო". სიყვარულის ძალის გამო იყო, რომ დედისგან ისე მიდის თითქოს თოკით ეწევიან.

ვიდრე არჩილის სახლში მივიდოდა, ხშირად გაუტაცია კესოზე ფიქრს და თავის გარშემო სხვა აღარავინ აგონდება, დედა რომ დაელაპარაკება, არც კი ესმის მისი ნათქვამი.

გიორგი ძალზე შრომისმოყვარეა, პატიოსანი და სამართლიანი, თავისი გარეგნობით, ჩაცმა-დახურვით, დიდგვაროვანთაგან ვერ გამოარჩევ და, ამასთან, გონებით სავსე პიროვნებაა. მისი პრაქტიკული რჩევები ვენახის გაშენების საქმეში არჩილისათვის იმდენად რაციონალური, იმდენად გონივრულია, რომ რუსეთიდან ახლად ჩამოსულს, იქ სწავლამიღებულს კესოს წინაშე ალალგულად ათქმევინებს, როცა დაეკითხება, ეგ რა მოგსვლიაო (ვენახის არასწორად ჩაყრაზეა საუბარი):

" - ის, ჩემო კარგო, რაც თავმოწონებულს არცოდნას მოსდის ხოლმე ყოველთვის. ამოვიკითხავთ წიგნებიდამ რაღაცას და გვგონია, - ეს არის ქვეყნის ღერძს ჩვენ ჩავკიდეთ ხელიო. ქვეყანაზედ ბევრი რამ არის უწიგნოდაც ნასწავლი, ამაებსაც ცოდნა უნდა. ჩვენ კი აღარც იქით ვიხედებით, აღარც აქეთ. რაკი წიგნი ხელთ გვიპყრია, თითქო ჭკუა, თუ არ წიგნში, სხვაგან აღარსად იყოს!"

ასეთი კარგი თვისებებით შემკული გიორგი ისე ჰყავს შებოჭილი კესოსადმი სიყვარულს, რომ, როდესაც კესოსთან ახლოს მისვლა და ხელის მოკიდების საშუალება მიეცემა, ჭკუა-გონებას კარგავს, გულისთქმას ვეღარ იმორჩილებს და დადამბლავებულივით იქცევა. კესოს დავალებას ბაღის უკეთ მოწყობის თაობაზე ვეღარ იგებს, ვეღარას ჰხედავს, ვერც ვერა ესმის რა, ვეღარ გაუგია ჯადო ეწევა უკან, თუ ხატი არ უშვებს წინ.

- აბა აქეთ მო, გიორგი. ერთი ეს ნახაზი უნდა გაჩვენო, - უთხრა კესომ გიორგის. კარებში გაშეშებულსავით ატუზულს.

გიორგიმ ფეხი წინ ვერ წასდგა.

- ეს ოხერი, რამ დამიდუნა მუხლებიო, - იფიქრა.
- რას იბუზები ახლად მოყვანილ პატარძალსავით. ფეხი გადმოდგი, ნუ გეშინიან, არ შეგჭამ.

გიორგიმ ორი ბიჯი წინ წასდგა და მაინც შორი-ახლო დაუდგა კესოსაც და ქაღალდსაც.

- ე რა ფანცქალმა ამიტანაო!.. გაიკვირვა გულში.
- რა დაგემართა ადამიანო! აი, აქ მო, ჩემთან ახლო, - უთხრა ეხლა კი ცოტად გაჯავრებულმა კესომ.

"ახლო"!... ზოგჯერ მოკლე სიტყვაც გრძელია.

გიორგიმ ფეხი არ გაანძრია. მარტო კისერი გადაიწვდინა და ისე შორი-ახლოდამ ჩაჰხედა ქაღალდსა, როგორღაც უხერხულად და გვერდელად.

- კაცო არ გეყურება? მე ახლო ვარ და ძლივს ვხედავ და შენ მაიდამ რას დაინახავ. მამლაყინწასავით კისერი წამოგიშვერია. ახლო მოდი-მეთქი!

გიორგი მაინც ადგილიდამ არ დაიძრა.

- ე რა ფრთხოლამ ამიჩემაო! ჯადო მეწევა უკან, თუ ხატი არ მიშვებს წინ? – ჰკითხავდა თავისთავს გაოცებული გიორგი.

კესომ აღარ აცალა, წაავლო ხელი სახელოზედ და გამოსწია. ალბად ფეხი წამოჰკრა რასმე... გიორგი წაბარბაცდა. თითქო მეხმა ახლო გაუარაო.

- რა იყო? – იკითხა კესომ
- არაფერი, ფეხი ფეხს თუ წამოვკარ, - მიუგო გიორგიმ და გულში გაიფიქრა: ფეხის ძარღვები დამიჭრეს, თუ რა მომდის ეს ოხერ-ტიალი!
- აი, უთხრა კესომ, როცა გვერდით დაიყენა გიორგი და ჩაახედა ქაღალდში.
- აი, შუაგულს ხომ ჰხედავ? აქედამ...
- მე ვერასა ვხედავ, ვერა!... შენი ჭირიმე, ეხლა თავი დამანებე, სხვა დროს მიბრძანე, - უთხრა გულამოსკვნილის ხვეწნით გიორგიმ და განზედ გაუდგა კესოს. – რაღაცა ხათაბალა გადამეკიდა, თვალები ამება, რეტი დამესხა. ვერც ვერას ვხედავ, ვერც ვერა მესმის-რა. ეხლა დამითხოვე შენის ღმერთის გულისათვის...”

- ილია ჭავჭავაძე ჭეშმარიტი დემოკრატი, ევროპული განათლების მქონე, მაგრამ სულითა და გულით ქართველად დარჩენილი მოღვაწე, ქართველი საზოგადოების დიდი რეფორმატორი იყო.

“მას სურდა, ქართული ლიტერატურა აღმოსავლეთის გავლენისაგან გაეთავისუფლებინა და გაეევროპელებინა და ამას თვითონაც უწყობდა ხელს. იგი არა მარტო ლიტერატურის, არამედ, საზოგადოდ, ცხოვრების ევროპეიზაციის მომხრეც იყო... თავად კი, მიუხედავად ევროპული განათლებისა, სულითა და გულით მუდამ ქართველად დარჩა” *(არტურ ლაისტი).*

- ილია ჭავჭავაძის პუბლიცისტური შემოქმედების უმნიშვნელოვანესი სფეროა ცალკეულ ქვეყანათა მილიტარიზაცია (თოფშეიარაღება) და მისი სოციალურ-ეკონომიკური შედეგები. მან, ჩემი აზრით, ერთ-ერთმა პირველმა აღწერა ევროპის დიდი და პატარა ქვეყნების მილიტარიზაციის (თეოფშეიარაღების მჭიდრო ორგანული კავშირი მოსახლეობის ცხოვრების სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობასთან და ჩამოაყალიბა ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობის ეკონომიკური კანონი, რომლის არსიც მდგომარეობს იმაში, რომ მოცემული ქვეყნის საიმედო მომავალი, მისი მოსახლეობის ცხოვრების დონისა და ხარისხის ამაღლება პირდაპირ არის დამოკიდებული მილიტარიზაციის (თოფშეიარაღების) შემცირებასთან: “დღეს ევროპის სახელმწიფო თოფ-იარაღში სხედან და მზად არიან ერთმანეთი სისხლის მორევში დაარჩონ. ევროპის ამგვარს ყოფა-მდგომარეობას ერის გაღარიბება, გაღატაკება მოსდევს. ამჟამად ევროპას თექვსმეტ მილიონამდე ჯარისკაცი ჰყავს. ამ მოკლე ხანში ოც მილიონამდე შეისრულებს. ერთის სიტყვით, მთელს ევროპას თოფ-იარაღის ქვეშ ჰყავს ერთი მერვედი მთელის მუშა, მწარმოებლის ხალხისა. ეს ერთი მერვედი წლიდგან წლამდე არაფერს აკეთებს, მხოლოდ სამხედრო ხელობაში ვარჯიშობს და თავის თანამოძმეთა ნაშრომითა და ნაღვაწით იკვებება. საფრანგეთი, რომელსაც ოთხ მილიონამდე ჯარისკაცი ჰყავს, ჯარსა და ფლოტს ანდომებს წელიწადში 900 მილიონ ფრანკზე მეტს. ეს ფული ყველა მკვიდრზე რომ გავანაწილოთ, გამოვა, რომ თითო მკვიდრი ჯარისა და ფლოტის შესანახად იხდის წელიწადში 24 ფრანკსა და ნახევარს. ინგლისის თითო მკვიდრი იხდის წელიწადში 21 ფრანკს, და გერმანიისა კი $12\frac{1}{2}$ –ს.”

“ეხლა ვნახოთ, რამდენი ჯარი ჰყავს ჩრდილო ამერიკის შტატებს და რამდენი ეხარჯება. ამ შტატებს ჰყავს მხოლოდ 27 000 ჯარისკაცი და ამ მცირე ჯარის შესანახად თითო მკვიდრი წელიწადში იხდის $4\frac{1}{2}$ ფრანკს.”

აღნიშნული მონაცემების საფუძველზე ილია ჭავჭავაძის დასკვნა ასეთია.

“როგორც ვხედავთ, ამერიკის მხედრობა ბევრად ჩამორჩენია ევროპისას. სამაგიეროდ ერის სიმდიდრე და კეთილდღეობა ამერიკის შტატებისა იმდენად სჯობნის ევროპისას, რომ ვაჭრობასა და მრეწველობაში შტატები ყოველისფრით წარმატებულნი არიან ევროპაზე და თანდათან იმორჩილებენ ევრვოპას. თუ საქმე ამრიგად წავიდა, იმედია რომ შტატები ეკონომიკურად სულ ერთიანად დაიმორჩილებენ ევროპას. თუ საქმე ამრიგად წავიდა, იმედია რომ შტატები ეკონომიკურად სულ ერთიანად დაიმორჩილებენ ევროპას, რომელიც აუცილებლად გაკოტრდება. მაშინ, როდესაც შტატები თანდათან იხდიან სახელმწიფო ვალებს, ევროპის სახელმწიფონი-კი თანდათან ვალებში სცვივიან... უეჭველია, რომ რაკი ამერიკის სახელმწიფონი ძმურად მორიგდებიან, მხედრობით გატაცებულს ევროპას კიდევ უფრო დასცემს ეკონომიკურად და მსოფლიო მეთაურობასაც დაიმკვიდრებს ამერიკა”.

მესამე. მოღვაწეობის დაწყების დღიდან თავისი მრავალმხრივი ცოდნისა და ბუნებრივი ნიჭის, აგრეთვე, მაღალორგანიზატორული თვისებების წყალობით, ილია ჭავჭავაძე მალე მოექცა ქართული საზოგადოებრივი ცხოვრების სათავეში და თუ ქვეყნისათვის ახალი რამ სასიკეთო საქმე კეთდებოდა, ამ საქმის მოთავე და აქტიური მონაწილე იყო: ჟურნალ-გაზეთების გამოცემა, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება, თეატრი, თავადაზნაურთა საადგილმამულო ბანკი, ქართული უნივერსიტეტი, სკოლები, სპეციალური სასწავლებლები, ბიბლიოთეკა-სამკითხველო, ბაგა-ბაღები და სხვა.

არ არსებობდა რომელიმე საზოგადო თავყრილობა, რომ თავისი მადლიანი სიტყვით არ გამოსულიყო და საკითხის გადაწყვეტაში მის აზრს გადამწყვეტი მნიშვნელობა არა ჰქონოდა.

თბილისის თავადაზნაურთა საადგილმამულო ბანკი ილია ჭავჭავაძის მიერ შედგენილი წესდების მიხედვით მუშაობდა, და მიუხედავად სახელწოდებისა, ფაქტობრივად, სახალხო ბანკი იყო, ყველას შეეძლო მისი წევრი გამხდარიყო და, რაც მთავარია, ბანკის მოგების მთლიანი თანხა საქველმოქმედო საქმეებს ხმარდებოდა. ეს იყო ამ ბანკის მუშაობის პრინციპული განსხვავება იმ დროს რუსეთის იმპერიაში და დასავლეთ ევროპაში მოქმედი საბანკო სისტემისაგან.

ილია ჭავჭავაძის სახელი მალე გასცდა საქართველოსა და რუსეთის იმპერიის საზღვრებს. აქტიური და მეგობრული ურთიერთობა ჩამოუყალიბდა ევროპის სახელგანთქმული უნივერსიტეტების მეცნიერებთან, მწერლებთან, პოეტებთან. ისინი თარგმნიან ილია ჭავჭავაძის ნაწარმოებებს თავიანთ საკუთარ ენაზე, ხოლო თვითონ ილია ჭავჭავაძე ქართულ ენაზე თარგმნის დასავლური კულტურის შედევრებს. (“მეფე ლირი”, უ. შექსპირისა, “რა ტკბილ არს” ვ. სკოტისა, “ცრემლთა შინა ნუგეში” ფ. შილერისა, “სტიროდეთ!” ჯ. ბაირონისა, “როცა შევყურებ” ჰ. ჰეინესი, “ზღვათა მფლობელის” ა. შენიესი, და სხვა).

ილია ჭავჭავაძის მოღვაწეობის ფოკუსშია მოქცეული საზღვარგარეთის ქვეყნების (განსაკუთრებით ევროპული) ხალხთა სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა, ამ

ქვეყნების საგარეო პოლიტიკა და სხვა. ილია ჭავჭავაძის წერილები უცხოეთზე ცალკე ტომადაც კი არის გამოცემული ქართულ ენაზე.

ქართულ სამეცნიერო წრეებში დამკვიდრებულია ჭეშმარიტი აზრი (რასაც მეც ვიზიარებ), რომ ილია ჭავჭავაძის შემოქმედების მთავარი თემაა შრომა, შრომის თავისუფლება, შრომის სუფევა.

აღნიშნულს დავამატებ, რომ ეს საკითხები განხილულია დასავლეთის ცივილიზაციასთან ორგანულ კავშირში. მრავალი მხატვრული თუ პუბლიცისტური ნაწარმოები აქვს შექმნილი ილია ჭავჭავაძეს, რომლებშიც რაღაცა ნაწილით (დოზით) მოცემულია დასავლეთ ევროპის მეცნიერული თეორიები, მოცემულ საკითხზე დასავლეთის ქვეყნებში დაგროვილი ცოდნა და პრაქტიკული გამოცდილება, ამ ცოდნისა და პრაქტიკული გამოცდილების თავისებური შეფასება და სხვა. ამით ილია ჭავჭავაძე საქართველოს პირობებში, ქართულ ნიადაგზე ეძებს და პოულობს კიდეც ამ თეორიების, ამ ცოდნისა და გამოცდილების გადმონერგვის სარგებლიანობას. ამით იგი თავის ქვეყანას იმედს უნერგავს და ეუბნება, რომ დასავლეთის ქვეყნები, ოდესღაც ჩვენზე უბედურად გაჩენილნი, დღეს ბედნიერად ცხოვრობენ.

მეტად მნიშვნელოვნად მიმაჩნია შესაბამისი ცოდნისა და ღონის მქონე რომელიმე ქართველმა იმუშაოს ასეთ თემაზე: "ილია ჭავჭავაძე ევროპისა და ევროპელების შესახებ".

ილია ჭავჭავაძის ავტორიტეტი იმდენად გაიზარდა, რომ ქართველმა თავად-აზნაურობამ 1906 წელს პეტერბურგში მიავლინა რუსეთის თავადაზნაურობის საიმპერიო ყრილობაზე, როგორც დელეგატი – ამომრჩეველი სახელმწიფო საბჭოსი.

ეს მოხდა 1906 წლის მარტში და ერთი თვის შემდეგ, – აპრილში, ილია ჭავჭავაძე, უკვე სახელმწიფო საბჭოს სხდომაზე აირჩიეს საბჭოს წევრად.

მარტშივე უმალ მოექცა ილია ჭავჭავაძე ადგილობრივი ჟურნალ-გაზეთების კორესპონდენტების ყურადღების ცენტრში და მანაც, შესაბამისად, მაშინვე გამოავლინა თავი, როგორც დიდმა პოლიტიკურმა მოღვაწემ და დიდმა ქართველმა დემოკრატმა.

მან კორესპონდენტებს განუცხადა:

"სახელმწიფო საბჭოში მე ამომირჩია თავადაზნაურობამ. ეს იმას არ ნიშნავს, რომ საბჭოში მე მარტო თავადაზნაურთა საჭიროებებზე ვილაპარაკებ. თუ ამას ფიქრობენ ზოგნი ჩემნი ამომრჩეველნი – ეს დიდი შეცდომაა. სახელმწიფო საბჭოში თუ თავადაზნაურთა სახელით შევდივარ, ეს მხოლოდ ფორმალური, იურიდიული მხარეა. არ დავმალავ და ვიტყვი, საბჭოში მთელ საქართველოს და ქართველთა ინტერესების დამცველი ვიქნები. საერთო საკითხებსაც შევწირავ, ჩემს ღონეს. მე დავიცავ ადგილობრივ ინტერესებს" *(მ. ბოლქვაძე).*

საერთო საკითხებისთვის თავისი ღონის შეწირვა ილია ჭავჭავაძემ უკვე სახელმწიფო საბჭოს მეორე სესიაზე, 1907 წ. (20 თებერვალი – 5 ივნისი), გამოავლინა, როგორც სახელმწიფოში სიკვდილით დასჯის მოსპობის ინიციატორმა.

და ეს გახლდათ კიდევ ერთი დასტური იმისი, რომ იგი იყო საერთო-საკაცობრიო პრობლემებზე მოფიქრალი, მოაზროვნე ქართველი კაცი.

ადამიანის სიკვდილით დასჯა ილია ჭავჭავაძისათვის მარტო ერთი კონკრეტული კაცის განწირული ბედი არ არის. ამ მოვლენას იგი მთელი კაცობრიობის პრობლემად განიხილავს და იმ კაცობრიობის ავადმყოფურ მდგომარეობაში ყოფნად აფასებს, რომელიც ჯერ კიდევ ვერ გასცდენია შუასაუკუნეობრივ აზროვნებას.

სამწუხაროა, რომ დღეს, XXI საუკუნეში, ადამიანის სიკვდილით დასჯა კანონმდებლობით ჯერ კიდევ მოქმედებს ბევრ ქვეყანაში, მათ შორის ამერიკის შეერთებული შტატების ზოგიერთ ნაწილში, საუდის არაბეთსა და ჩინეთში.

ძველ საქართველოში სიკვდილით დასჯა გამოიყენებოდა ისეთი დანაშაულებისათვის, როგორიცაა: მეფისა და ქვეყნის ღალატი, მეკობრეობა, მეფის საჯაროდ, პირადი შეურაცხყოფა და რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს - "მრავალჯერადი" ქურდობაც კი (მეფე გიორგი III-ის 1170 წლის სიგელით).

თანამედროვე ქართველები, ქართული სახელმწიფოს კანონმდებლობით, აღარ გამოიყენებენ ადამიანის სიკვდილით დასჯას. ეს არის, ჯერ-ერთი ქართული საზოგადოების მიერ დემოკრატიის მშენებლობის გზაზე გადადგმული მნიშვნელოვანი ნაბიჯი და, მეორე, მისი დიდი წინაპრების, კერძოდ, ილია ჭავჭავაძის სანუკვარი ოცნების აღსრულება, რომლისთვისაც იგი მთელი ცხოვრების მანძილზე იბრძოდა. თუმცა...

ადამიანის სიკვდილით დასჯა, მისი ფორმის მიუხედავად (ჩამორჩობა, მოშთობა, კლდიდან გადმოგდება, ცეცხლზე დაწვა), დასჯილს ხომ აყენებს უდიდეს ფიზიკურ და სულიერ ტკივილს, ართმევს მას ღმერთისაგან ბოძებულ სიცოცხლეს და მთლიანად უსპობს ამქვეყნიური სიკეთეების მიღების შესაძლებლობას (საზოგადოებრივი სიკეთის ქმნა, ოჯახის შექმნა, შვილების ყოლა, შვილიშვილების, შვილთაშვილების მოფერება და სხვა), თვითონ დამსჯელს (კერძო პირი თუ სახელმწიფო) უდიდეს ცოდვაში აგდებს – ართმევს რა დასჯილს ღმერთისაგან ნაბოძებ სიცოცხლეს, ღმერთის წინაშე სჩადის დანაშაულს, ცოდვას და ქრისტიანული მოძღვრების ათი მცნების პრინციპების წინააღმდეგ გამოდის. ამასთან, იგი დიდ ზიანს აყენებს მოცემულ საზოგადოებას, ქვეყანას, მთელ მსოფლიოს შესაძლო წარმატებული განვითარების შანსს უსპობს, კლავს რა საწარმოო ძალის ერთ-ერთ მთავარ ფაქტორს, სამუშაო ძალის სახით.

ილია ჭავჭავაძე, თავისი შინაგანი ბუნებიდან გამომდინარე, მთელი არსით გმობდა სიკვდილით დასჯას და ამით პროტესტს გამოთქვამდა იმჟამინდელი ცარისტული რუსეთის სახელმწიფოს მიმართ. იგი განსაკუთრებით წუხდა იმის გამო, რომ იმპერიალისტური რუსეთის პირობებში ადამიანის სიკვდილით დასჯა ჩვეულებრივ მოვლენად იქცა.

1907 წელს სახელმწიფო საბჭოს მეორე სესიაზე სიკვდილით დასჯის მოსპობის მოთხოვნით გამოსვლამდე, პირველი სხდომის დაწყების წინა დღეებში, სესიაზე წარმოსათქმელი სიტყვის მოკლე კონსპექტს ადგენს და მის პირველ პუნქტად ჩანიშნავს: «Убийство, смертная казнь стали таким общим явлением... подобная события перестали новостью...» *(მომყავს: ილია ჭავჭავაძე. თხზულებანი, პავლე ინგოროყვას შესავალი სიტყვით 1957 წ.).*

იმ პერიოდში ადამიანის სიკვდილით დასჯა, მართლაც, იმდენად ჩვეულებრივ მოვლენად იყო ქცეული რუსეთის იმპერიაში, რომ ადამიანის ჩამორჩობას რომ უყურებდა ხალხი, ერთ წამს კი შეშფოთდებოდა და მერე ისევ ჩვეულებრივად განაგრძობდა ხმაურიან ცხოვრებას. უფრო მეტიც, ისინი მოტყუებას უფრო მეტად თაკილობდნენ, ვიდრე კაცის ნამდვილად ჩამორჩობას.

საზოგადოების ასეთი დამოკიდებულება ადამიანის სიკვდილით დასჯის მიმართ ილია ჭავჭავაძემ 1907 წელზე უფრო ადრე, 1879 წელს, აღწერა მოთხრობაში "სარჩობელაზედ".

იგი აქ აღგვიწერს წიგნის უცოდინარი, მეურმე გლეხი-პეტრეს, ფსიქოლოგიურ განცდებს, როდესაც ის კაცის ჩამორჩობას შემთხვევით შეესწრო და თავისი

უცოდინარობის გამო ვერ გაეგო მართალი იყო თუ ტყუილი. მიუხედავად მისი ეჭვებისა, ის მაინც ალალად გამოხატავს თავის დამოკიდებულებას ამ სამარცხვინო და გულისამრევი მოვლენის მიმართ – ტყუილს უფრო მეტად თაკილობს, ვიდრე სიმართლეს.

ამავე მოთხრობაში ავტორი ნათლად გვიჩვენებს, რამდენად ჩვეულებრივი ამბავია ადამიანის ჩამორჩობა მთლიანად საზოგადოებისათვის – ხალხისათვის:

ილია ჭავჭავაძე აქ მკვეთრად გვიჩვენებს ერთი კერძო კაცის – პეტრეს და, საზოგადოების – ხალხის განსხვავებულ დამოკიდებულებას სიკვდილით დასჯის მიმართ. თუ პეტრეს არ სჯერა და ვერც წარმოუდგენია ადამიანმა ადამიანი როგორ უნდა ჩამოარჩოს, ხალხი, მართალია, უცებ შეშფოთდება მომხდარი ფაქტით, მაგრამ ადამიანის სიკვდილით დასჯა იმდენად ხშირი იყო, რომ ჩვეულებრივ მოვლენად მიიჩნევს და ასევე ჩვეულებრივ, მხიარულ ცხოვრებას განაგრძობს:

“ - დილამდე რომ სულ ეგრე იქნიო ფეხები, მაინც არ დაგიჯერებდი – ამბობდა თავისთავად პეტრე.

- ხალხი კი, წუთის წინად სულგანაბული, ეხლა მხიარულად ჰყაყანებდა და ლაზღანდარობდა კიდეც. დაირღვა ხალხის გროვა, დაიშალა და გაიშალა მინდორზედ, ყველამ თავის სახლისაკენ გასწია სრულიად კმაყოფილმა, რომ ეს სამარცხვინო და გულის ამაზრზენი თამაშა ნახა”.

“პეტრემ მიიხედ-მოიხედა და ნახა, რომ აღარავინ რჩება აქ. ჯარიც წამოვიდა, მარტო ორი ყარაული-ღა დარჩა სარჩობელასთან. წითელპერანგა კაცმაც გადიცვა რაღაც სხვა ტანისამოსი და გამოსწია. სარჩობელაზედ დარჩა უძრავად დაკიდებული ის უბედურის შვილი”.

“პეტრე გაოცდა, თან სარჩობელაზედ დარჩენილ კაცს უყურებს და თან კმაყოფილი სახით დაშლილ ხალხზე ფიქრობს:

“ - ბიჭოს, ეს იყო! – სთქვა თავისთავად – ვერაფერი თამაშა იყო. იქნება თვალთმაქცობა იმაში იყო, რომ შეცვალეს, კაცის მაგიერ ტომარა ჩამოჰკიდეს, ფეხებს რომ იქნევდა? მართულებს ვერ გაუკეთებდნენ თუ!... მართულებით თუნდ ლეკურსაც ათამაშებენ. მაინც ვერაფერი ამბავია, ტყუილად მოვცდი. მე ვთქვათ ჰო, ეს ამოდენა ხალხი რაზედ გაბრიყვდა? ბიჭო და, იქნება მართლა ჩამოარჩეს... ნეტავი მეკითხნა. ეჰ, დამცინებდნენ... ჰა, ვინ იცის? ე ხალხი ასე ქეიფის გუნებაზეა, მიდის და მიყაყანებს მხიარულად! ეს რომ მართლა დარჩობა ყოფილიყო. ქვები ხომ არ არიან, ოჯახდაქცეულები ერთ ცვარ ცრემლს მაინც ჩამოაგდებდნენ. რაც უნდა იყოს ღვთის-კერძო ადამიანია, კატა ხომ არ არი. მაგრამ ე დედაკაცობას რომ სულ ერთიანად თავი აქ მოეყარა!...” “გულში დიდი ეჭვი ჩაუვარდა. ეხლა მარტო იმის დარდი ჰქონდა, შეეტყო – რაში ტყუვდება: იმაში, რომ ეს მართალი თვალთმაქცობაა და ტყუილი. მართლად როგორ უნდა მეჩვენოს ამ დროულ კაცსაო. და მართალი-კი რომ ტყუილი გამომდგარიყო, ეგ არაფერი. მაგას უფრო ადვილად ჰყაბულდებოდა ჩვენი პეტრე. მაინც კი ძალიან უნდოდა შეეტყო მართალი”.

ადამიანის სიკვდილით დასჯა გახშირებულ და ჩვეულებრივ მოვლენად რომ იქცა, ილია ჭავჭავაძე ამის მიზეზს ხედავს ხალხის ზნეობრივ გადაგვარებაში –სამყაროს ყველა თავისი სარკმელით უჭვრეტს და სხვა ადამიანი რომ არსებობს თავისი ინტერესებით, არც არაფრად არ მიაჩნია. ამიტომ ის უპირისპირდება ყველას, დიდსა და პატარას და თუ ვინმე კეთილად მოეკიდება მის პიროვნებას, კეთილ რამეს გაუკეთებს, ეს კეთილი საქმეც

ვერ გაუთბობს გულს და მზადაა ყველას თავისი მიუზღას, ბოროტებას ბოროტებით უპასუხოს.

ესე იგი, გამოდის, რომ ადამიანის სიკვდილით დასჯამ (მისმა "გაშინაურებამ"), არა თუ შეამცირა სიკვდილით დასჯის სტატისტიკა, არა თუ გააკეთილშობილა ადამიანი და საზოგადოებისათვის სასიკეთო საქმეების კეთებისაკენ შემოაბრუნა, პირიქით, დაკარგა თავისი გამაფრთხილებელი ეფექტი და ადამიანის სიკვდილის რაოდენობაც გაიზარდა და ადამიანი უფრო გააბოროტა. საზოგადოების გულგრილობის გამო ის მზად არის ყველას თავისი მიუზღოს, ბოროტებას ბოროტებით, თანაც უკიდურესად სასტიკი ფორმით უპასუხოს.

"ვითმინეთ და ვეღარ ავიტანეთ. დავკარით ფეხი და გამოვიქეცით. შევიარეთ ჩვენს სოფელში, ჩვენის ძველი სახლიდან ბიჭებმა გამოგვყარეს, ერთის ღამის ბინაც არ მოგვცეს. გამოვედით ორნი ობოლნი ამ ტრიალ დედამიწაზე უპატრონოდ, უფულოდ, უბინაოდ, უნუგეშოდ, უთვისტომოდ. ვის შესტკივდებოდა ჩვენთვის გული? ჩვენ ყველასათვის უცხონი ვიყავით, ყველანი ჩვენთვის. გამოვწიეთ ქალაქისაკენ, გაბოროტებულნი, მთელს ქვეყანაზედ გულამღვრეულნი".

"გადავემტერეთ უსამართლო ქვეყანას, გადავემტერეთ ყველას, მამინაცვალს, დედას, ავსა, კარგსა, შენა და სხვასა" - აი, ამ სიტყვებით სწერს ჩამომრჩვალი ადამიანის ძმა პეტრეს.

"პატარები ვიყავით, ყველა ხედავდა – რომ თვალნათლივ გვძარცვავდნენ, არავინ არ გამოგვესარჩლა, არავინ მოგვეშველა, არავინ ხმა არ ამოიღო. ჩვენი ცოდვა ყველამ დაიდო კისრად. მამინაცვალმა კი არა, თქვენ ყველამ გაგვძარცვეთ ჩვენ, თქვენ ყველამ მოგვიღეთ ბოლო".

"მინამ ცოცხალი ვარ, ყველას გადვუხდი და როცა აღარ ვიქნები, იქ ღმერთს გავცეთ ყველამ პასუხი. სულ ყველანი იქ მივალთ და იქ დავუდგებით ერთმანეთს პირისპირ. ვნახოთ, ვინ გამოვა მართალი, ვინ მტყუანი. ღმერთი გულს უფრო სინჯავს, მინამ საქმეს: იქ სამართალი არ გაბრუნდდება".

"ბოლო ხომ იცი: დღეს ჩემის თვალით ვნახე, რომ ჩემი ერთად-ერთი ძმა, ერთად-ერთი კეთილის-მყოფელი კატის კნუტსავით ჩამომირჩეს. თქვენ იდექით და სეირს უყურებდით, მე კი ვუყურებდი და ვიწოდი..."

"არ შეგარჩენთ, არა, ყველამ უნდა მიზღას ჩემი დანაკარგი".

"ძმის სისხლს, მინამ ცოცხალი ვარ, ავიღებ".

"მძულს ქვეყანა და ადამიანი უფრო".

"ჩვენ-შუა საბოლოოდ ჩავტეხე ხიდი: მე ერთი აქეთ პირას დავრჩი, თქვენ მრავალნი იქით. განკითხვის დღემ გამოაჩინოს, საით არიან მართალნი და საით მტყუანნი".

"ღმერთი გულთამხილავია: მინამ საქმეს სასწორზედ დასდებდეს, ჯერ გულში ჩახედავს ადამიანს. მე ჩემი გზა მართალი მგონია. მარალი ვარ თუ მტყუანი, - არ ვიცი. ეს კი ვიცი, რომ ერთი პატარა ძარღვი კიდევ მქონდა გულში და ისიც დღეს სარჩობელაზედ ჩამიწყდა. ამით სამუდამოდ მოვწყდი ქვეყანასა, როგორც წინადვე მოტეხილი ტოტი უკანასკნელ ძაფზე-ღა დაკიდებული".

როგორც ვხედავთ, ჩამომრჩვალის ძმას საზოგადოებაში სამართლის ნახვის იმედი არა აქვს. სამართლიანობის დამდგენად მხოლოდ ღმერთი მიაჩნია მშველელად, ღმერთია გულთამხილავი, ის გამოაჩენს მართალსა და მტყუანს.

არც ილია ჭავჭავაძეს ჰქონდა იმედი, რომ საზოგადოება, სახელმწიფო შეიმეცნებდა მის მოთხოვნას, როდესაც სიკვდილით დასჯის მოსპობის საკითხს აყენებდა სახელმწიფო საბჭოს მეორე სესიაზე პეტერბურგში. იგი თავისი სიტყვის კონსპექტში ასეთ ჩანაწერს აკეთებს: "вопрос об отмене смертной казни, несмотря на все наши старания, не пройдет... группа ставщая этот вопрос, слишком малочисленная, чтобы произвесты какое либо впечатление, какое либо замешательство среди огромного большинства остальных..."

ილია ჭავჭავაძის ეჭვი გამართლდა – სახელმწიფო საბჭომ მის მიერ დაყენებული საკითხი (პროფესორ ტაგანცევთან ერთად) არ მიიღო და სიკვდილით დასჯის მოსპობა საუკუნეზე მეტი ხნით გადაიდო.

პირიქით, ილიას რადიკალურმა პოზიციამ სახელმწიფო საბჭოში გამოიწვია რუსეთის რეაქციული თავადაზნაურული წრეების განსაკუთრებული გულისწყრომა და აღშფოთება.

მას შემდეგაც კი, რაც ილია მოკლეს, ეს მძულვარება მის მიმართ რეაქციული წრეების მხრიდან არ შენელებულა.

მ. ბოლქვაძე თავის მოგონებებში ილია ჭავჭავაძეზე წერს, რომ რუსეთის თავადაზნაურთა უმრავლესობა (მათ შორის სახელმწიფო საბჭოს წევრნი და ამომრჩეველნი), დღესაც დიდი საყვედურით იგონებენ ილიას უკანასკნელ გამოსვლას თავადაზნაურთა არჩევნებზე (1908) სახელმწიფო სათათბიროს "ცნობილმა" წევრებმა კრუპენსკიმ და მარკოვმა ბრძანეს:

"ჩვენ (თავადაზნაურობამ) ავირჩიეთ ილია ჭავჭავაძე. იმან მთელი თავადაზნაურობა შეგვარცხვინა. ჩვენ შევცდით და ვნანობთ" *(მომყავს: ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი პავლე ინგოროყვას შესავალი წერილით. 1957).*

ილია ჭავჭავაძემ თავისი დაუოკებელი სურვილი ადამიანის სიკვდილით დასჯის მოსპობის შესახებ თან წაიყოლა, იმ ქვეყნის საუფლოში.

სამაგიეროდ, მისმა ქვრივმა, ოლღა ჭავჭავაძემ, აუსრულა მას ოცნება, სურვილი: ილია ჭავჭავაძის მკვლელები სიკვდილით არ დაასჯევინა (სიმშვიდე და მოსვენება მის წმინდა სულს. ისიც ერთ-ერთი მოთაყვანე და მოჭირისუფლე იყო თავისი ერისა).

აი, როგორი ზოგადკაცობრიული აზრები ამოქმედებდა ილია ჭავჭავაძეს ქვეყნიერების განკარგებისათვის და როგორ წინააღმდეგობებს ხვდებოდა უსამართლო ქვეყნის უსამართლო წევრებისაგან.

- კიდევ ერთ საკითხს შევეხები, რომლის შინაარსი (აზრი) და დანიშნულება იმის ნიშანია, რომ ილია ჭავჭავაძე ვიწრო ეროვნულ ჩარჩოებში არასოდეს იკეტებოდა და მისი სამოქმედო მოედანი ძალიან ფართო იყო – მსოფლიო ქვეყნების საზრუნავსა და საფიქრალს შეეხებოდა.

ეს საკითხი ეხება კერძო კაცისა და საზოგადოების წინაშე დანაშაულის ჩამდენი კაცის დასჯას.

როგორც დავინახეთ, ილია ჭავჭავაძე, სიკვდილით დასჯის მოსპობის მომხრე და მოთავე იყო, მაგრამ, ამავე დროს, მან ჩამოაყალიბა კონცეფცია, რომლის მიხედვითაც, ასევე, მომხრე და მოთავე გამოდის კერძო კაცისა თუ მთელი საზოგადოების წინაშე დანაშაულის ჩამდენი კაცის აუცილებელი დასჯისა.

ამასთან, ამ კონცეფციას საფუძვლად დაუდო ჰუმანურობის, დემოკრატიულობის პრინციპები:

- ყოველივე დანაშაული კაცისა წინაშე კაცთა და საზოგადოებისა ასე თუ ისე დასჯილ უნდა იქმნას, ესე იგი ყოველივე ბოროტად მოქმედი კაცი უნდა დაყენებულ იქმნას ისე, რომ ვერ შესძლოს ბოროტის ქმნა;
- ყოველივე ბოროტად მომქმედი კაცი მოურჯულებელია თუ მოსარჯულებელი, ისე უნდა გარემოცილ იქმნას, რომ მორჯულდეს, გასწორდეს, გაკეთდეს და ისევ პატიოსან კაცად დაუბრუნდეს საზოგადოებას;
- ყოველივე ბოროტად მომქმედი კაცის მიმართ გამოტანილი სასჯელი ზღვევა არ უნდა იყოს, სამაგიეროს გადახდას არ მოასწავებდეს. ერთიცა და მეორეც აუპატიურებს იმ უწმინდესსა და უმაღლეს დანიშნულებას განკითხვისას, რომელსაც მართლიერება, სამართალი ჰქვიან და ურომლისოდაც კაცთა საზოგადოებას, კაცთა კრებულს ერთს წუთსაც გაძლება არ შეუძლიან;
- მართლიერება, სამართალი, მთელის ერის განწმენდილი სინდისია, მთელის ერის განწმენდილი ნამუსია და ამ საყოველთაო სინდისმა, ამ საყოველთაო ნამუსმა არ უნდა იკადროს ჯიბრში ჩაუდგეს უბედურს შემცოდველსა და "კბილი კბილის წილ და თვალი თვალის წილ მოსთხოვოს";
- საჭიროა შემცოდველის მორჯულება და არა ჯვართაცმა და შანთით გლეჯა ხორცისა, ტანჯვა და წვალება.

შემცოდველი ადამიანის დასჯის დროს "მართლიერებისა" და სიმართლის დასაცავად ილია ჭავჭავაძე, უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს მსაჯულებს და განმარტავს, რომ "მსაჯული ის არჩეული კაცია, რომელსაც აბარია ჩვენი ქონება, ჩვენი ღირსება, ჩვენი სიცოცხლე, ჩვენი სული და ხორცი, ერთი სიტყვით, ჩვენი კაცური კაცობა, ჩვენი ადამიანობა. იგი განხორციელებული ნამუსია და განსახორციელებელი სინდისია მთელი ერისა. ეს მთელი ერის ნამუსი, მთელის ერის სინდისი მაშინ უფრო იტანჯება, მაშინ უფრო იმღვრევა, როცა შემცოდველს უყურებენ, როგორც მსხვერპლს ზღვევისას, სამაგიეროს გადახდისას, ვიდრე მაშინ, როცა ცალკე კაცი რაიმე დანაშაულს, რაიმე ცოდვას ჩაიდენს და ამით, ასე თუ ისე, შეაშფოთებს საზოგადოებას. ეგ სინდისი, ეგ ნამუსი სიყვარულით, გულისტკივილით გამკითხველია ცოდვილისა და არა რისხვითა და წყრომით მქმნეველია გალესილის ხმლისა. იგი სწუხს ცოდვილის დანახვაზე და არა ჰხარობს – კი, რომ აი მომეცა შემთხვევა ბოროტს ბოროტი მივუწყოვო და ცოდვილი წამებას მივცეო. ამით არის ეგ საყოველთაო სინდისი ტკბილი, ამით არის საყვარელი, ამით არის მომხიბვლელი და სატრფიალო" *("სამართალი და ზღვევა". 1889 წ.)*

ილია ჭავჭავაძის თანამედროვეთა შეფასებები, აგრეთვე, მისი შემოქმედების, საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოღვაწეობისა და პირადი ცხოვრების ამსახველი მასალების მეტ-ნაკლებად სიღრმისეულად (შეძლებისამებრ) შესწავლა მაბედვინებს ვთქვა, რომ იგი გენიოსი ქართველი იყო და ყოველთვის დაამშვენებს მსოფლიო გენიოსთა რიგებს.

ჩემი მოკრძალებული აზრი უცნაურ ახირებად რომ არავის მოეჩვენოს, დამატებითი ინფორმაციის სახით ვნახოთ, როგორი თვისებებით ახასიათებენ გენიოსს მსოფლიოს გამოჩენილი ადამიანები, რით განსხვავდებიან ისინი ჩვეულებრივი ადამიანებისაგან, საზოგადოდ, და მერე გავარკვიოთ, კიდევ რა განსხვავებული თვისებებით არის აღჭურვილი ილია ჭავჭავაძე, კერძოდ:

ჯერ ინტერნეტში მოძიებული მასალები დავიმოწმოთ.

- ადამიანები მეტად ლმობიერნი არიან. ისინი მზად არიან ყველა შეიწყნარონ, გარდა გენიისა. (ოსკარ უაილდი)
- აზრის სიღრმე, წარმოსახვის სიძლიერე და სულის აქტიურობა – აი, რა არის გენია. (დენი დიდრო)
- გენია არის მოთმინება შრომის, შეუპოვრობის აპოლოგია. (ჟორჟ ლუი ლეკლერკ ბიუფონი)
- გენია ერთი მიმართულებით კონცენტრირებული აზრის მოთმინება არის. (ისააკ ნიუტონი)
- გენია – ინტენსიური ენერგიაა. (ჯონ ფლეტჩერი)
- გენიალობა და ბოროტება ერთიმეორეს ვერ შეეწყობა. (ვოლფანგ ამადეუს მოცარტი)
- გენიალური ადამიანი არ წარმოადგენს მხოლოდ მორალურ არსებას, როგორიც ჩვეულებრივი ადამიანები არიან, პირიქით, ის წარმოადგენს მრავალი საუკუნისა და მთელი მსოფლიოს ინტელექტის მატარებელ არსებას. ამიტომაც ის უმეტესად სხვებისთვის ცხოვრობს, ვიდრე საკუთარი თავისათვის. (ართურ შოპენჰაუერი)
- გენიას შეუძლია გაიმარჯვოს ყოველგვარ დაბრკოლებაზე, რასაც კი მას მტრული ბედი შეახვედრებს. (ბესარიონ ბელინსკი)
- გენია ყოველთვის ჩანს, რადგან მის წინააღმდეგ ყველა ბრიყვი და უნიჭო ერთიანდება. (ჯონათან სვიფტი)
- გენიოსები ბუნებასავით ჰქმნიან. (ალექსანდრე ლოსევი)
- გენიოსები მეტეორები არიან, რომელთა მოწოდებაა დაიწვან, რათა გაანათონ საუკუნე. (ნაპოლეონ I (ბონაპარტე))
- გენიოსები მუზას, როგორც ციდან ასევე გენიალური წიგნებიდანაც, ღებულობენ. (გიოარსი)
- გენიოსები ნათლად და ზედმიწევნით გრძნობენ მას, რასაც სხვები ბუნდოვნად გრძნობენ. (ერნესტ რენარი)
- გენიოსების უკვდავების გარანტია მარტო მათი გენიოსობა კი არ არის, არამედ ადამიანთა თაობების განუწყვეტელი ერთგულება მათი შემოქმედებისადმი, მაშასადამე, დამფასებელთა გემოვნების სიმტკიცე. (ალექსანდრე კალანდაძე)
- გენიოსები წინ უსწრებენ საუკუნეებს, მაშინ როცა ტალანტები წინ უსწრებენ მხოლოდ წლებს. (ონორე დე ბალზაკი)
- გენიოსთა სიზმრები ჭეშმარიტებაა. დიად ადამიანთა წინასწარმეტყველებანი გასაოცარი და ზედმიწევნითი სიზუსტით მართლდება. უფრო ხშირად ისინი მოულოდნელად და უჩვეულოდ სრულდება ხოლმე, მაგრამ მათ ყოველთვის აზრი წარმოშობს. (ანატოლ ფრანსი)
- გენიოსი გზას ხსნის, ნიჭიერი კი – ამ გზაზე დადის. (მ. ებნერ-ეშენბახი)
- გენიოსობა – ერთი პროცენტი შთაგონებაა და ოთხმოცდაცხრამეტი პროცენტი ოფლი. (თომას ალვა ედისონი)

- გენიოსობა – ესაა ხედვა, რომელიც ჰორიზონტის ყველა პუნქტს ერთი თვალის მოვლებით აღიქვამს. (პოლ ანრი გოლბახი)
- გენიოსს წინასწარ განჭვრეტის ნიჭი აქვს. (ანატოლ ფრანსი)
- გენიოსს წლოვანება არ გააჩნია, ის ყველაფერს გადალახავს, რასაც ჩვეულებრივი ჭკუის შეჩერება შეუძლია. (ფრანსუა დე ლაროშფუკო)
- დამსახურებას ისევე ნიადაგ თან ახლავს სახელი, როგორც ყოველივე სხეულს მისივე ჩრდილი, თუმცა ისევე, როგორც ჩრდილი, ის ხან წინ უძღვის და ხან უკან მისდევს მას. (სენეკა)

ახლა კითხვა დავსვათ: გენიოსი ადამიანისათვის დამახასიათებელი, აქ მოყვანილი (ლმობიერება, აზრის სიღრმე, წარმოსახვის სიძლიერე, სულის აქტიურობა, შრომის და შეუპოვრობის აპოლოგია, ინტენსიური ენერგია, ბოროტებისადმი შეუგუებლობა, მრავალი საუკუნისა და მთელი მსოფლიოს ინტელექტის მატარებელი, სხვებისთვის ცხოვრება, ვიდრე საკუთარი თავისათვის, ყოველგვარ დაბრკოლებებზე გამარჯვება, დაიწვან, რათა გაანათონ საუკუნე, მუზას, როგორც ციდან, ისევე გენიალური წიგნებიდან იღებენ, ნათლად და ზედმიწევნით ხედვა იმისი, რომ სხვები ბუნდოვნად ხედავენ, ადამიანთა თაობების ერთგულება მათი შემოქმედებისადმი, საუკუნეებისადმი წინ გასწრება, გზის გახსნა, წინასწარ განჭვრეტის ნიჭი და სხვა), რომელი თვისების მატარებელი არ არის ილია ჭავჭავაძე? ნუთუ ვინმეს (ჩვენთან თუ საზღვარგარეთ) გონება ისე გადაუბრუნდა, რომ ჭეშმარიტების უარყოფის გზას დაადგება?

როგორც ვნახეთ, გამოჩენილი ადამიანების აზრით, ადამიანი-გენიოსი განსაკუთრებულად გამორჩეული თვისებებით ხასიათდება, ვიდრე სხვა ადამიანი.

მაგრამ, სამწუხაროდ, დღეს გენიოსის არც მეცნიერული და არც იურიდიული განმარტება არ არსებობს, მეცნიერებს ერთიანი აზრი არა აქვთ შემუშავებული.

ქართველი მეცნიერის სოლომონ (ბიჭი) თეზელიშვილის ავტორობით 2007 წელს გამოქვეყნებულ სქელტანიან ნაშრომში "ფსიქოლოგიური ენციკლოპედია" ვკითხულობთ:

"გენიოსისთვის დამახასიათებელ ნიშან-თვისებებში მეცნიერები ყოველთვის ასახელებენ პიროვნების ნიჭს, ცოტაოდენ იღბალს მაინც, ტიტანურ შრომას ამგვარივე ნებისყოფით და სკოლას, ანუ ამინდს ქვეყანაში, თუმცა იქვე ხაზგასმით მიუთითებენ, რომ გადაწყვეტილი სიზუსტეები გენიალურობის შესახებ არ არსებობს-ო".

აღნიშნულ თვისებებს ისინი ამატებენ, ასევე, სიმართლეს. უპირველესად, რაც გენიოსს მოეთხოვება, არის სიმართლე. სიმართლის გარეშე ყოველგვარი დიადი ფანტაზია აზრს კარგავს - და რჩევას იძლევიან: "ერიდეთ ნახევრად სიმართლის თქმას, რადგან ის მუდმივად ინახავს მოჩვენებითი სიმართლის ფერში შეზავებულ შხამიან კვირტებს, რომლებიც ადრე თუ გვიან აღმოცენდება".

ყველა ზემოთ ჩამოთვლილ თვისებას ილია ჭავჭავაძე უხვად ფლობს და, მაშასადამე, იგი მსოფლიოს გენიოს ადამიანთა საუკეთესო წარმომადგენელია, იგი გენიოსია ოფიციალურად მინიჭებული ტიტულის გარეშე, საქართველოს, ქართველი ხალხის ის ნათელი სვეტია, რომელიც, ქართული ცივილიზაციისა და მსოფლიო ცივილიზაციების შესწავლის საფუძველზე, თავისი მოღვაწეობით სათავეში ჩაუდგა დავრდომილ, დათითოკაცებულ სამშობლოს და ყველაფერი გააკეთა მისი გონებრივი განვითარების, ზნეობრივი ამაღლებისა და ქონებრივი გაძლიერების საწყისების შესაქმნელად. მართალია, ქართველი ერის მტრებმა მას არ დააცადეს, ბოლომდე

აღესრულებინა დაწყებული საქმეები, მაგრამ იმდენი იღვაწა და იშრომა, რომ შთამომავლობას დაუტოვა შემდგომი წინსვლის რეალური გზები და საშუალებები.

მისი პიროვნების, როგორც გენიოსის, გამოკვეთილი თვისებებია: შრომისმოყვარეობა, ტიტანური ნებისყოფა, რა თქმა უნდა, იღბალიც და საქართველოში იმ დროს შექმნილი პირობები (სკოლა), რომლებიც ქვეყნის გადარჩენისათვის საჭიროებდა რევოლუციური პროგრესის განხორციელებას საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში, ყველა დონეზე.

ილია ჭავჭავაძე ადამიანი-გენიოსის შესახებ

ვფიქრობ, ზედმეტი სულაც არ იქნება, თუ ხაზგასმით აღვნიშნავ, რომ თვითონ ილია ჭავჭავაძეს აქვს მოცემული მეტად საინტერესო და მეცნიერების მხრიდან ანგარიშგასაწევი მოსაზრებები გენიოსის განსაკუთრებული თვისებების შესახებ.

ჯერ კიდევ 25 წლის ჭაბუკი, პეტერბურგიდან სამშობლოში ახლად დაბრუნებული, წერს წერილს "საქართველოს მოამბეზედ" (1862 წ.), რომელშიც, სხვა მნიშვნელოვან ფილოსოფიურ, პოლიტიკურ, სოციალურ-ეკონომიკურ საკითხებთან ერთად, თვალნათლივ წარმოაჩენს თვისებებს, რომლებითაც გენიოსი ადამიანი გამოირჩევა სხვა ადამიანებისაგან. გენიოსის გამოჩენას იგი უკავშირებს მოცემულ სოციალურ-ეკონომიკურ პირობებს, ქვეყნის, ერის წინაშე ამ მომენტისათვის გადასაჭრელ ამოცანებს - "გამოჩენილ და მის შესაფერ საქმეს".

ამასთან, ისტორიაში ცნობილი შემთხვევების საპირისპიროდ, ილია ჭავჭავაძე გენიოსად მიიჩნევს იმ პიროვნებას კი არა, რომელმაც თავი გამოიჩინა ახალი ტერიტორიების მიტაცება-მიერთებით, ქალაქებისა და სოფლების ხელში ჩაგდებით, მატერიალური დოვლათისა და სოციალური სიკეთის განადგურებით, ადამიანური რესურსების მასობრივი მოსპობითა და ცივილიზაციის შემაფერხებელი სხვა უარყოფითი შედეგების მომტანი ქმედებებით (მაგალითად, ნაპოლეონი, ჰიტლერი), არამედ მხოლოდ იმ პიროვნებას, რომელიც მიმდინარე და შემდგომი ეპოქების შესაფერისი პროგრესული მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად სათავეში ჩაუდგება ქვეყანას, რომელიც შეიმეცნებს ერის წინაშე დასმული საქმის არსს და შეძლებს ახალი ვითარების ახსნას, ერის ცნობაში მოყვანას, მისი ცხოვრების აღმშენებლობას დაიწყებს, "დასძრავს ძველი შენობის ქვას, და გაამაგრებს პირველივე ქვას ახალ საძირკველში. საძირკვლის ამომყვანიც არ დააგვიანებს ხოლმე მოსვლას. მაშინ გამოჩნდება გენიოსი".

ახალი შენობის საძირკველს ამოიყვანს და დაამკვიდრებს თუ არა გენიოსი, მშენებლობას - "საქმეს, თავს მიანებებს სხვათა (უმცროსთა მუშაკთა) შესასრულებლად".

ამით ილია ჭავჭავაძეს იმის თქმა კი არ უნდა, რომ გენიოსი სწორედ იმ წამს იბადება. არა, რა თქმა უნდა.

ამასთან, არც იმას გამორიცხავს, რომ "ის იქნებ აქამდინაც იყო, და უთუოდაც უნდა ყოფილიყო, მოემზადებინა თავის ვითარებისვე აღსახსნელად. თუ აქამდე არ გამოჩნდა იგი, იმიტომ, რომ მისი ძლიერი სულის შესაფერი საქმე არსად იყო; გამოჩნდა თუ არა საქმე, იმანაც გაშალა თავისი ძლიერი ფრთა და როგორც მზე გამობრწყინდა ცხოვრების გასანათებლად. ეს გოლიათი გონიერებისა და თავის ძლიერის მკლავით გადასწვდება მთელს ცხოვრების ნამუშევარსა; შემოაგროვებს ერთად, რაც ცხოვრებას გამოუჩენია;

თავის გამჭრიახ თვალით თავიდამ ბოლომდინ განსჭვრიტავს, გაანათლებს იმ შემოგროვილსა, და ყოველს ცხოვრების კითხვას მისცემს შესაფერს პასუხს, ყოველ ფაქტსა – ჭეშმარიტ მნიშვნელობას, ყოველს მიმართულებას – კუთვნილს გზასა და ღონისძიებასა, - ერთის სიტყვით, ახსნის, ცნობაში მოიყვანს მას, რაც ჩვენს შორისვე იყო და არ გვესმოდა. მაშინ იგი გამოანგრევს ძველის საძირკველსა და, ახალის საძირკველში რაკი ქვას დაამკვიდრებს, მიანებებს საქმეს უმცროსთა მუშაკთა".

როგორც დავინახეთ, ილია ჭავჭავაძე გენიოსის მთავარ სამოქმედო ასპარეზად ცხოვრებას მიიჩნევს. ცხოვრებას, რომელიც, გარედან დაბრკოლებების მიუხედავადაც კი, მუდმივ მოძრაობაშია, მუდმივად განახლებად და აღწარმოებით რეჟიმში მიედინება. ცხოვრების დედააზრად მას მიაჩნია მოძრაობა და მხოლოდ მოძრაობა, რომელიც ქვეყნის ღონისა და სიცოცხლის მიმცემია.

"თუ ცხოვრება ჯანმრთელია, თუ მასში არის უკეთესობის ნდომა და განახლების ცხოველი იმედი, ეგ თვით დავრდომილის აღმადგინებელი იმედი – მისნი ძალნი, მისნი ძარღვნი მარად დაუძინარნი არიან. იგინი დაუღალავად, დაუყოვნებლივ მოქმედობენ, მოძრაობენ, წარმოებენ, როგორც ყოველიფერი, რასაც კი სიცოცხლე აქვს მინიჭებული. თუ გარედამ აბრკოლებენ, უშლიან იმათ მოძრაობას, მაშინ ისინი მაინც კიდევ თავისას არ მოიშლიან, მიწაში დაიფლებიან და იმ მიწის სიბნელეშიაც მოქმედებენ იმ დრომდე, ვიდრე დარი არ დაუდგებათ, რომ გარეთ მზის სინათლეზედ გამოვიდნენ და უფრო ფართოდ გაშალონ ფრთები. ყოველს მათს მოძრაობას, ყოველს მათ მოქმედებას თავისი ნაყოფი ამოაქვს ცხოვრების ხეზედა და ყოველს ამ ნაყოფს აქვს თავისი აზრი და მნიშვნელობა, იმიტომ, რომ იმათი ძირი ცხოვრებაშია გამოკვანძილი, - ცხოვრება კი ძნელად თუ რასმე ჰქმნის უაზროდ."

"დღე-და-დღე ეგ ნაყოფი ემატება, დღე-და დღე სხვა-და-სხვა ყვავილებით იმოსება ხე ცხოვრებისა. ეგ ნაყოფი, ეგ ყვავილები ერთად შეკრებილი შეადგენს ცხოვრების ვითარებასა, მოსავალსა".

გენიოსი ადამიანის თვისებაა საზოგადოებაში მიმდინარე მოვლენებს, შექმნილ გარემოებას, ცხოვრების ცვლილებას "უფრო ადრე მიხვდეს, იგრძნოს, ვიდრე ეს შეუძლია მთლიანად ხალხს, ან მის უმეტეს ნაწილს". "ხალხი, უფრო მეტი მაინც, ვერ გამოიკვლევს მაგ ვითარების აზრსა, მნიშვნელობასა, ხშირად კი ბუნდად მიხვდება, ჰგრძნობს".

ამასთან, ილია ჭავჭავაძე იმ ფაქტსაც არ გამორიცხავს, რომ "ხშირადაც მოხდება ხოლმე, რომ ხალხი რასაცა ჰგრძნობს, იმას ვერა სცნობს და ვერ არჩევს სხვათა შორის გენიოსი".

დღევანდელი გადასახედიდან დარწმუნებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ილია ჭავჭავაძეში ეს მონაცემები, გენეტიკური კოდის სახით, თავიდანვე იყო ჩადებული, მაგრამ მისი, როგორც გენიოსის გამოჩენას, ხელი შეუწყო იმ პერიოდში რუსეთის იმპერიაში შექმნილმა ისტორიულმა სოციალურ-ეკონომიკურმა პირობებმა, რაც უფრო მეტი სიმწვავითა და სიცხადით გამოვლინდა საქართველოში.

ეს პირობები შეიძლება ორ პერიოდად დავყოთ:

პირველი. როგორც ილია ჭავჭავაძე წერს: "ნეტარხსენებული იმპერატორი ალექსანდრე მეორე ავიდა ტახტზედ თუ არა, სულ სხვა, ახალმა სიომ დაუბერა რუსეთს. ამ დრომდე თვალდახუჭულმა და ენადაბმულმა რუსეთმა თვალი აახილა, ენა ამოიდგა, რასაკვირველია ეს უცებ არ მოხდა და არც ერთის, კაცის ნებითა: ეგ მოიტანა ცხოვრებამ, რომელიც თავის-დღეში უქმად არ შეჩერდება ხოლმე, ეგ მოიტანა ცხოვრების

ნამუშევარმა. ახალმა დრომ თუ თავი რითმე იჩინა, ეგ იმით, რომ თავისი-თავი ცოტად თუ ბევრად იცნო და თავის მოთხოვნილებას აჰყვა.

ახლად თვალახილულმა რუსეთმა, რაღა თქმა უნდა, ჯერ თავის-თავზედ დაიხედა, გაიჩხრიკა თავისის ყოფაცხოვრების თირკმელები, შიგნეულობა. ნახა, რომ ზოგიერთი მაცხოვრებელი ძარღვი ჩასწყდომოდა, ჩირქი ჩასდგომია და შეჰგუებია. შეუდგა მიზეზთა გამოძიებას. რამ იმოქმედა ასეო? ნახა, რომ მისის სნეულების სათავე – თითონ ცხოვრების წყობაა და აგებულება, ერთხელ და ერთხელ შემოღებული და გაუახლებლად დამკვიდრებული. უარჰყო იგი წყობა. უარჰყო ყოველივე, რაც კი იმ წყობას შესწევდა და ხელს უმართავდა".

მეორე, ცოტა მოგვიანებით, ასეთმავე ახალმა სიომ დაუბერა საქართველოში, რომელიც მე-18 საუკუნის ბოლო პერიოდიდან მოყოლებული "რუსეთს იყო სათრეველას სახით გამობმული" და ქართველი ერის მაცხოვრებელი ძარღვი უფრო მეტად იყო ჩაწყვეტილი და ჩირქჩამდგარი, მისი ქონებრივი და ზნეობრივი დეგრადაცია სულ უფრო მწვავე და სიღრმისეული ხასიათისა იყო.

ქართველი ხალხი ყოველივე ამას ხედავდა, განიცდიდა, მაგრამ ყველაზე მეტად მას ილია ჭავჭავაძე გრძნობდა და ხედავდა.

რუსეთში 1861 წელს ბატონყმური მეურნეობის გადავარდნამ და ახალ წარმოებით ურთიერთობებზე – კაპიტალიზმზე გადასვლის დაწყებამ ქრთველებს იმედი გაუჩინა, უკეთესი ცხოვრების იმედი ჩაუსახა გულში, რომ, დღეს იქნებოდა თუ ხვალ, ანალოგიური პროცესები საქართველოშიც დაიწყებოდა.

პირველ რიგში, ეს იმედი გაუჩნდათ თერგდალეულებს, რომელთა იდეური ხელმძღვანელი, პირველი მედროშე ილია ჭავჭავაძე იყო.

ახალწარმოების წესზე გადასვლის იმედი - ეს იყო ქართველებისათვის "ახალი საქმე", ახალი იდეა, რომელსაც ესაჭიროებოდა შესაბამისი თეორიულ-პრაქტიკული რეკომენდაციების შემუშავება; "ახალი სახლის" მშენებლობის საძირკველში პირველი მაგარი ქვის ჩადება და გამაგრება.

საქართველოში ყველაზე მეტად ილია ჭავჭავაძე აღმოჩნდა მზად ამ მაგარი ქვის ჩასადებად. ის ხომ მთელი ოთხი წლის განმავლობაში, პეტერბურგში სწავლის დროს (თუ არა, მთელი ყმაწვილობისა და სიჭაბუკის წლებში), ამისათვის ემზადებოდა. სწორედაც რომ, აღნიშნული პერიოდები მზადება იყო, ვინაიდან ამ დროს რუსულით და რუსულის მეშვეობით დაეწაფა ევროპულ და რუსულ ცივილიზაციებს. ქართულ ცივილიზაციაზე დააფუძნა და ამგვარად შეიარაღებულმა სიღრმისეულად შეისწავლა სხვადასხვა კონტინენტის ხალხთა ცხოვრების წესი, იქ მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკური მოვლენები, პოლიტიკური პროცესები. ამ ყველაფერმა კი შესაძლებლობა მისცა, ჩასჭიდებოდა მძიმე ქვას და თავისი ქვეყნის მშენებლობის საძირკველში ჩაედო. პეტერბურგიდან მომავალი, აკი გაიაზრებს კიდეც:

"ოთხი წელიწადი იყო, რაც მე რუსეთში ვიმყოფებოდი და ჩემი ქვეყანა არ მენახა. ოთხი წელიწადი? იცი, მკითხველო, ეს ოთხი წელიწადი რა ოთხი წელიწადია? პირველი, რომ მთელი საუკუნეა მისთვის, ვინც თავის ქვეყანას მოშორებია, მეორე, ოთხი წელიწადი ცხოვრების საძირკველია, ცხოვრების წყაროს სათავეა, ბეწვის ხიდია, სიბნელისა და სინათლის შუა ბედისაგან გადებული, მაგრამ ყველასთვის კი არა, მარტო იმათთვის, ვინც რუსეთში წასულა, რათა ჭკუა ავარჯიშოს, ტვინსა და გულს მოძრაობა მისცეს, - ფეხი აადგმევინოს, ეს ის ოთხი წელიწადია, რომელიც ჭაბუკის ტვინსა და გულში

გამოჰკვანძავს ხოლმე ცხოვრების კვირტსა. ეს კვირტი კიდევ ის კვირტია, რომელიდამაც მშვენიერი და ბრწყინვალე მტევანიც გამოვა და ძაღლყურძენაცა. ოო, ძვირფასო ოთხო წელიწადო! ნეტავი იმას, ვისამც შენგან გადებული ბეწვის ხიდი ფეხთა-ქვეშ არ ჩასწყდომია, ნეტავი იმას, ვინც შენ რიგიანად მოგიხმარა".

ილია ჭავჭავაძე მზად აღმოჩნდა იმისათვის, რომ შეჰყროდა თავის დარღვეულ, დათითოკაცებულ ქვეყანას, მოეყოლებინა მისთვის გულისტკივილი, გლოვის დაფარული მიზეზი, იმედი და უიმედობა.

და იგი მოუსმენს თავის სამშობლოს, როგორც შვილი მშობელს და შეძლებს კიდეც, მას ღვიძლი სიტყვა უთხრას და იმ სიტყვით გულისტკივილი მოურჩინოს, დავრდომილი აღადგინოს, უნუგეშოს ნუგეში მოჰფინოს, მტირალს ცრემლი მოსწმინდოს, მუშაკს შრომა გაუადვილოს, ის სიტყვა ასმინოს: რომ არის მრავალი ქვეყანა, ჩვენზე უფრო უბედურად გაჩენილი, მაგრამ უფრო ბედნიერად მცხოვრები.

უკვე ვთქვი, რომ ახალწარმოების წესზე გადასვლის იმედებმა ქართველ ხალხს ახალი საქმე გაუჩინა, საქმე მეტად რთული, ძნელად შესასრულებელი, მაგრამ აუცილებელი - მთელი ერის გაჭირვებული მდგომარეობიდან გამომყვანი.

ილია ჭავჭავაძე, ლარსის სტანციაში ფიქრს მიცემული, სრულ პასუხს არ იძლევა - სამშობლომ რომ საქმე მოსთხოვოს, რას მოიმოქმედებს? - "საქმე ხომ საქმეშია", "საქმე ყოველისფრის გამომცდელია".

შემდეგ, 1862 წელს, წერილში "საქართველოს მოამბეზედ" იგი უკვე აკონკრეტებს ამ საქმის საგანს და აღნიშნავს, რომ "ჩვენი საქმე საქართველოს ხალხის ცხოვრებაა, მისი გამჯობინება ჩვენი პირველი და უკანასკნელი სურვილია", ხოლო 1881 წლის მაისის "შინაურ მიმოხილვაში" კი, საქართველოს შვილის მთავარ საქმედ მიიჩნევს ქართველი ერის დაცემული ვინაობის აღდგენას, ფეხზე დაყენებასა და დაცვას ყოველი მოსალოდნელი ფათერაკისაგან.

ილია ჭავჭავაძის მთელი შემოქმედება, მისი პირადი და საზოგადოებრივი ცხოვრება იმის დასტურია, რომ სამშობლოს მიერ მოთხოვნილი საქმის, საქართველოს შვილის მთავარი საქმის საქმედ ქცევისათვის ყველაფერი გააკეთა.

XIX საუკუნის მეორე ნახევრის დასაწყისში, კერძოდ, 1864 წლის შემდეგ გაჩენილი ისტორიული შანსი ("ახალი საქმე") სრულად გაიაზრა, სწორად შეაფასა და კაპიტალისტური წარმოების წესის (როგორც თვითონ უწოდებდა: "კაპიტალობრივი წარმოება") ასაშენებლად პირველმა ჩადო და გაამაგრა საძირკველში პირველი ქვა – ზოგადსაკაცობრიო პრინციპებიდან გამომდინარე, საქართველოს პირობებზე მორგებული კაპიტალისტური წარმოების წესის აშენებისა და დამკვიდრების თეორიულ-პრაქტიკული საფუძვლები.

ამ ქვაზე აღმოცენდა შემდგომში, მართალია, წინააღმდეგობებით აღსავსე, ფრთაშეკვეცილიც, მაგრამ მაინც, კარჩაკეტილ ფეოდალურ მეურნეობასთან შედარებით პროგრესული წარმოების წესი.

ილია ჭავჭავაძის მიერ საქართველოს აღმშენებლობის საძირკველში ჩადებული პირველი მაგარი ქვა ის ფუნდამენტია, რომელიც დღესაც უჩვენებს ქართველ ერს ერთიანი, ძლიერი, დემოკრატიული ფასეულობებით დამშვენებული ახალი საქართველოს მშენებლობის გზას. ყველა ქართველის ვალია ამ გზით გონივრული სიარული.

ამპარტავანი, გულზვიადი მსოფლიოს დამოკიდებულება ქართველი გენიოსების მიმართ

ილია ჭავჭავაძის შესახებ აქ თქმულის მიუხედავად, იგი, სხვა თანამემამულე გენიოსებთან ერთად, გენიოსის ოფიციალური ტიტულის არმქონედ არის დარჩენილი.

ქონებრივად მდიდარი და მოსახლეობით მრავალრიცხოვანი დღევანდელი ქვეყნები ისე არიან გაამპარტავნებული, გაზულუქებული, გაგულზვიადებული, რომ, თავიანთი ცხვირის გარდა, სხვას ვერაფერს და ვერავის ხედავენ და თუ ხედავენ - არ აღიარებენ.

როგორც ჩანს, მათ ისე აქვთ ღერძი გატეხილი, ისე აქვთ მოშლილი საზოგადოებრივი ცხოვრების მართულები, რომ მათ თვალში (და გონებაშიც) პატარა ქვეყნები თითქოს არც კი არსებობნენ, თითქოს ისტორია, კულტურა არც არასოდეს ჰქონიათ და არცა აქვთ. ისე არიან გაამპარტავნებული, თითქოს კაცობრიობის ცივილიზაცია მათით იწყებოდეს და სხვა ქვეყნები, განსაკუთრებით კი პატარა ქვეყნები, ცივილიზაციის საწყის პერიოდში ან არ არსებობდნენ, და თუ არსებობდნენ, ეძინათ, არაფერს აკეთებდნენ. მათი აზრით, პატარა ქვეყნებს არასოდეს ჰყოლიათ და არც დღესა ჰყავთ გამოჩენილი შვილები, რომლებიც რაიმე წვლილს შეიტანდნენ მსოფლიო ცივილიზაციაში და რომლებითაც იამაყებდნენ თვითონაც და მსოფლიოც.

მაგრამ? მაგრამ ის არის, რომ ფაქტები, ჯიუტი დამამტკიცებელი ჭეშმარიტებისა, სულ სხვას რომ გვეუბნება, მათი მედიდური, ამპარტავანი შეხედულებების საწინააღმდეგოს ამტკიცებს. უტყუარი მოწმე ისტორიისა – ქვები სხვას რომ ღაღადებენ? - რა ვქნათ, როგორ მოიქცეს ეს პატარა საქართველო? ასეთ შემთხვევაში სიმართლის დასადგენად, მგონია, სხვა საშუალება ჯერ არ არსებობს, ისტორიის გაკვეთილების გარდა, ოღონდ საჭიროა მათი მოსმენა და ობიექტური დასკვნის გამოტანა. ამ დროს ისიც აუცილებელია გაითვალისწინონ, რომ ერის, ქვეყნის სიმაღლე და სიდიადე არა ტერიტორიით, არა მოსახლეობის ჭარბი რაოდენობით, არა სამხედრო სიძლიერითა და სხვა ძალისმიერი ფაქტორების სიუხვით იზომება, არამედ მისი ისტორიული ფესვებით.

რაკი ასეა, მაშინ თქვენ, ბატონებო, ჩვენთან შედარებით ძალიან პატარა და ნორჩი ფესვები აღმოგაჩნდებათ და აღიარეთ.

ამჟამინდელი ამოცანიდან გამომდინარე, თანაც ამ სფეროში საკმაო სიკოჭლის გამო, საქართველოს ისტორიის ექსკურსიამძღოლად ვერავის გამოვადგები და ვერც დაწერილ და საქვეყნოდ აღიარებულ ისტორიულ ტომებს სართულებად ვერ დავალაგებ, მხოლოდ სულ ახლახან, 2011 წელს, მსოფლიოს მასშტაბით გამოქვეყნებული სენსაციური კვლევის თაობაზე ქართველი მეცნიერის კომენტარებს შევთავაზებ ჩვენს ამპარტავნებს: საკითხი ეხება ეგვიპტელი მეცნიერების მიერ ბოლო წლებში ჩატარებული კვლევის შედეგს, რომელმაც სენსაციური გავლენა მოახდინა მსოფლიო მეცნიერებაზე და რომელიც გვიმტკიცებს, თუ რაოდენ ღრმა და ძლიერია ქართველი ერის ისტორიული ფესვები.

ეს შედეგები კონკრეტულად ეხება იმას, რომ ეგვიპტელი მეცნიერების მიერ ტუტანჰამონის (ამონის ცოცხალი ხატება) მუმიის მარცხენა მხრისა და ფეხის ძვლების

ქსოვილებიდან აღებული ნიმუშების ანალიზის საფუძველზე ციურიხის გენიალოგიური კვლევის ცენტრში დადგენილია, რომ ეგვიპტელი მმართველებისა და ევროპელების საერთო წინაპარი, 9500 წლის წინ კავკასიაში ცხოვრობდა. 7000 წლის წინ კი მისი შთამომავლები ევროპაში დასახლდნენ, მათმა ნაწილმა ეგვიპტემდე მიაღწია და მმართველ კასტად ჩამოყალიბდა *(გაზ. "ასავალ-დასავალი", აგვისტო-სექტემბერი, 2011 წ. [1]35).*

ეს განცხადება შვეიცარიელ პროფესორს, რომან შოლცს ეკუთვნის.

აღნიშნულის თაობაზე ქართველმა ჟურნალისტებმა ცნობილი ბასკოლოგის იური ციზარის პირველ ქართველ დიპლომანტს, საქართველოს დამსახურებულ მეცნიერს, პროფესორ კლიმენტი შელიას რომ მიაკითხეს ინტერვიუსთვის, ჯერერთი, ამ განცხადების შინაარსი მას სულაც არ გაჰკვირვებია და, მეორე, უფრო შორსაც წავიდა და ამ მიმართულებით ქართველ მეცნიერთა კვლევის შედეგებსაც შეეხო.

მეცნიერმა განმარტა, რომ "ძველ კოლხებს, ანუ ქართველებს, ეკავათ მცირე აზია, ტერიტორია მეწამული ზღვიდან კასპიის ზღვამდე და ჩრდილოეთ ინდოეთის რეგიონი, კავკასიის ჩათვლით, წინა ბერძნული მოსახლეობაც – პელაზგები და ეტრუსკები - კოლხური წარმომავლობისა იყო. მათ შექმნეს ანტიკური, ბერძნული კულტურის წინაპირობები და კაცობრიობის ცივილიზაციის მესაძირკვლენი გახდნენ" *(იქვე).*

პროფესორ კლიმენტი შელიას ინტერვიუს ეს მონაკვეთი ხომ საინტერესო და ყველასათვის ყურადსაღებია (ეს განსაკუთრებით უნდა გაითვალისწინონ დასავლელმა მედიდურებმა, ამპარტავნებმა), მაგრამ, ჩემი ამოცანიდან გამომდინარე, უფრო მეტად დამაფიქრებელია მისი შემდგომი ნაწილი, რომელშიც იგი გულისტკივილით, ხაზგასმით აღნიშნავს, რომ "ქართველთა ღრმა ისტორიული ფესვების მიუხედავად, დღევანდელ მსოფლიოს ამის არც გაგონება და არც დაჯერება არ უნდა. ჩვენ კი ხმას ვერ ვიღებთ, რადგანაც მსოფლიოში გამეფებული თვალსაზრისის წინააღმდეგ წასვლა ძნელია, შეიძლება, უშედეგოც".

"შვეიცარიელ გენეტიკოსთა აღმოჩენა, - დასძენს შემდეგ პროფესორი - ჩემთვის ნამდვილად არ ყოფილა მოულოდნელი. დიდმა მეცნიერებმა: თამაზ გამყრელიძემ და რისმაგ გორდეზიანმა ყველაზე უკეთ იციან, რომ საქართველო უძველესი და უპირველესი ქვეყანაა. ჩვენ არანაირი აღმოჩენა არ გაგვიკეთებია, მხოლოდ არსებული შევკრიბეთ და გავაანალიზეთ, მაგრამ ხმას ვერ ვიღებდით, რადგანაც მსოფლიოში გამეფებული თვალსაზრისის წინააღმდეგ გამოსვლა ძნელია, შეიძლება უშედეგოც. ვფიქრობ, შვეიცარიელ გენეტიკოსთა აღმოჩენა სამზეოზე გამოიტანს ჩვენს სიმართლეს".

ქართველი ერის ღრმა ისტორიულ ფესვებზე არგუმენტირებული საუბარი არის საშუალო სკოლის უფროსი კლასებისათვის 1948 წელს გამოცემულ ისტორიის პირველ ნაწილში (უძველესი დროიდან XIX საუკუნის დამდეგამდე), რომლის ავტორები არიან ცნობილი ქართველი ისტორიკოსები ივ. ჯავახიშვილი, ნიკო ბერძენიშვილი და სიმონ ჯანაშია (ს. ჯანაშიას რედაქციით) და, რომელიც 1956 წელს კრემლის მიერ იქნა აკრძალული.

აკრძალვის მიზეზებზე საუბრის დროს მეცნიერებათა დოქტორი, ფაზისის აკადემიის აკადემიკოსი პეტრე ქოჩაკიძე-ჭალადიდელი გაზეთ "ასავალ-დასავალის" კორესპონდენტის ("21-27 აპრილი, 2014 წ. [1]16) კითხვებზე კომენტირებისას ასაბუთებს, რომ "იესო ქრისტეს მშობლიური ენა არა არაბული და ებრაული, არამედ წინარე ქართული – ქალდეური ენა იყო... რომ ქალდეური პროტოქართული ენაა, რომელზედაც მაცხოვარმა მამა-ღმერთს მიმართა... მსოფლიოში ცნობილი მეცნიერებისათვის

გარკვეულია, თუ ვინ არიან ქალდეველები... ჰომედოი, ფრიდრიხი, ლევინსონი და ლიმენი, რომლებიც უდიდესი კორიფეები არიან, ზუსტად მიუთითებენ, თუ ვინ არიან ქალდეველები. ამასვე მიუთითებენ ძველი სომხური წყაროებიც, ხოლო ცნობილი მეცნიერი ფრიდრიხ ცემოში პირდაპირ წერს, ღმერთების ენა იბერიულ-ქართულ ენაშია დავანებულიო!"...

განა გამოჩენილ მეცნიერთა (ჩვენების თუ უცხოელების) აქ მოტანილი ფაქტები უდაოდ არ მეტყველებენ ქართველთა გენის შორეულ, ისტორიულ ფესვებზე?

მაგრამ დიდი და მედიდური ქვეყნებისათვის, მათი მეცნიერების უმრავლესობისათვის ჭეშმარიტების აღიარება საკუთარი ისტორიის შებღალვად არის ჯერ კიდევ მიჩნეული.

გავიმეორებ და ვიტყვი, რომ სწორედ მსოფლიოში დღემდე გამეფებული ამ თვალსაზრისის წინააღმდეგ გამოსვლის უშედეგობის ბრალია, რომ დღეს ილია ჭავჭავაძე, ისევე როგორც სხვა ქართველი გენიოსები, გენიოსის ოფიციალური ტიტულის გარეშე არიან დარჩენილნი.

პატარა და ეკონომიკურად სუსტი ქვეყნების ისტორიის, კულტურის მიმართ მსოფლიოს ძლიერი სახელმწიფოების წარმომადგენელთა ქედმაღლური, ამპარტავნული დამოკიდებულების შესახებ მიუთითებს, ასევე, მეორე ქართველი მეცნიერი ს. თეზელიშვილი *("ფსიქოლოგიური ენციკლოპედია". 2007 წ. გვ. 132-137).*

იგი წერს, რომ მსოფლიოში დღემდე არ არის ჩამოყალიბებული გენიოსი პიროვნების არც მეცნიერული და არც იურიდიული განმარტება, თუმცა სავარაუდო ნიშნების ძირითადი შტრიხების შესწავლის მცდელობები კი განხორციელებულია ფსიქოლოგიურ მეცნიერებაში.

ამერიკაში, მაგალითად, - განაგრძობს იგი, - სპეციალური წიგნიც კი არის გამოცემული გენიოსთა შესახებ. მაგრამ ყველაფერი ეს მიახლოებითია და არაზუსტი. მიუხედავად ამ ნაკლისა, მასში საუკუნეების განმავლობაში გენიოსთა ნუსხაში რომელი ქართველია შეტანილი ცნობილი არ არის.

ასევე, რუსეთში ბოლო ათწლეულის განმავლობაში გამოიცა სწავლულთა და ფილოსოფოსთა შესახებ სხვადასხვა სერიები, რომლებშიც შეტანილნი არიან ყველა მხრისა და კონტინენტის საუკეთესო შვილები და მათ შორის არც ერთი ქართველის ხსენება არ არის.

ბოლოს დასახელებული მეცნიერი ასკვნის, რომ "პატარა და პოლიტიკურად და ეკონომიკურად სუსტი ბერკეტების მქონე ქვეყნები ვერასოდეს ვერ ახერხებენ საკუთარ გენიოსთა გამოჭენებას მსოფლიო საზოგადოებაში" (ჩვენი ბედი ყველგან და ყველა სფეროში თან დაგვდევს – ზ.თ.).

ილია ჭავჭავაძეს აქვს დაახლოებით ასეთი გამონათქვამი. "ერთი მაქვს" სჯობია "ათას მქონდასაო". *(ქვათა ღაღადი, 1899 წ.).* ამ თეზისიდან გამომდინარე, დღევანდელი ქართველებისათვის სასურველია ვილაპარაკოთ: "ვართ", ვიდრე "ვიყავით". მაგრამ, როდესაც, მსოფლიოში გაბატონებული თვალსაზრისით, ტერიტორიით პატარა და მოსახლეობით მცირერიცხოვანი ერები, მათი შვილების წვლილი კაცობრიობის ცივილიზაციის ანგარიშში ჩასაგდებნი არ არიან, სწორედაც მაშინ იძენს დიდ მნიშვნელობას "ვიყავით" საუბარი. დიდმა (მოსახლეობის რიცხოვნობით) ერებმა უნდა იცოდნენ, რომ ქართველები ისტორიულ სარბიელზე გუშინ ან გუშინწინ არ გამოჩენილან. მათ წარმომავლობასა და სიდიადეს ძალიან ღრმა ფესვები აქვს, ეს უნდა

გაითვალისწინონ და მედიდურად ნუ იყურებიან. ყველამ საკუთარი ფესვები მოსინჯოს კარგად.

დღეს თუ ჩვენ, ქართველები, თქვენზე დაბალი ეკონომიკური დონით, დაბალი მეცნიერებით, ტექნიკითა და სხვა მაჩვენებლებით გამოვდივართ საერთაშორისო სარბიელზე, ამის მიზეზი უამრავ საგარეო და საშინაო ფაქტორს უკავშირდება, გეოპოლიტიკური მდებარეობიდან დაწყებული.

თქვენგან განსხვავებით, ბატონებო, ჩვენ "ჩვენმა ძველმა ისტორიამ არ მოგვაცალა, რომ ცოდნა-სწავლის გზა გვეკაფნა და ჩვენის სულისა და გულის ძალით მეცნიერების ახო გამოგვეღო უმეცრების ბარდებით და ჯაგით მოსილის არემარეზედ.

ამ მხრით ძალიან ჩამოვრჩით დანარჩენს კაცობრიობას, რომელიც დღე-ყოველ ცოდნისა და სწავლის წარმატებასა და წინსვლაში იყო".

ისიც უნდა გაითვალისწინოთ, რომ საქართველო, ქართველი ხალხი 200 წელზე მეტი ხნის განმავლობაში დიდი იმპერიის დიდ ურემზე სათრეველასავით ვიყავით მიბმული და ურემში შებმული ხარები საითაც გაიწევდნენ, ჩვენც იქით უნდა წავსულიყავით, ისინი რომ "ა"-ს წამოიძახებდნენ, ჩვენც იძულებული ვიყავით "ააა" გვეყვირა.

აი უკვე მეოთხედი საუკუნე იწურება, რაც საერთაშორისო კანონმდებლობით იურიდიულად დამოუკიდებელი ქვეყანა ვართ. მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობის მხარდაჭერით ევროპისაკენ, ევროპული ფასეულობებისაკენ სწრაფვა გამოვაცხადეთ – ილია ჭავჭავაძისა და სხვა ქართველი წინაპრების არჩეული "ევროპეიზაციის" გზას როგორ გადავუხვევდით, ვფიქრობდით: ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნებოდა, ევროპულ დემოკრატიას, თავისუფლებას, ცოდნას, მეცნიერებას, ხელოვნებას, ახალ ტექნიკას, ტექნოლოგიას, შრომისა და წარმოების ორგანიზაციის ახალ ფორმებს, კერძო საკუთრების დაცვის უზენაესობას და სხვ. მათ საუკეთესო და ჩვენთვის მისაღებ მიღწევებს ჩვენსას დავამატებდით და წელში როგორმე გავიმართებოდით; ვფიქრობდით, დასავლეთის მოღვაწენი თანაბარუფლებიანი პარტნიორები გაგვიხდებოდნენ, როგორც სწორი სწორს ისე დაგველაპარაკებოდნენ, მოველოდით მათი მხარდაჭერით კომუნისტური ზეობის დროს შემორჩენილ ტერიტორიებს მაინც არ დავკარგავდით და სხვა სასიკეთო ძვრებს მოვახდენდით.

ადამიანის ფიქრს, მოლოდინს, ოცნებას ხომ საზღვარი არა აქვს. ეს ვიცით და ჩვენ ისევ ველით. მოლოდინსაც თურმე დიდი მოთმინების ძალა ჰქონია (თუმცაღა ადამიანის ორგანიზმში გამჯდარი ავადმყოფური მოვლენაა).

მაგრამ როდემდის?

ქართველთა სამწუხაროდ, თუ ადრინდელზე უარესად არა, დღეს არც უკეთესადა ვართ, ამას ყველა ხედავს, ყველა გრძნობს (თუ არ ჩავთვლით სახელმწიფო მოხელეების დიდ ჯგუფსა და მათ ახლო-მახლო მოფუსფუსე ადამიანებს, რომელთაც სახელმწიფოს დიდ ჯიბეში – ბიუჯეტში აქვთ ჩაყოფილი უწმინდური ხელები) და ჩვენი დასავლელი მეგობრები, პარტნიორები ისევ ძველებურად, ისევ ძველი კალკებით გველაპარაკებიან, "ისევ დაბრიყვებულ, დაბალ ღობედ მივაჩნივართ, ვინც გნებავთ, ან ზედ გვაბოტებს, ან გვლანძღავს და მიწასთან გვასწორებს, თითქოს არც ოდესღაც ვყოფილვართ, არც დღესა ვართ, უსწავლელნი, გაუნათლებელნი, გაღატაკებულნი - აი ჩვენი სულიერი და ხორციელი ავლადიდების სურათი, როგორადაც დღეს გვხედავენ და როგორადაც ადრე იყო".

თუ ადრე კომუნიზმის აშენებით გვკვებავდნენ, დღეს დემოკრატიული სახელმწიფოს აშენებას გვირჩევენ. ოღონდ ამ რჩევის დროს იმას აღარ ცდილობენ, რომ დემოკრატია იმ სახით წარმოგვიჩინონ, იმ სახით დაგვანახვონ, რომლისკენაც ილტვოდნენ და რომელზედაც ოცნებობდნენ ჩვენი წინა თაობები შორეული საუკუნეებიდან მოყოლებული და რომელიც ჩვენთვისაც, დღევანდელი ქართველებისათვის, ისევ ოცნებად რჩება.

დემოკრატიის სახელით, სიტყვა დემოკრატიის უშინაარსოდ, ყოველ დღე და დღეში უთვალავჯერ ხსენებით, ჩვენს საკუთარ "დემოკრატებთან" ხმაშეწყობილად და მათი ხელით, მზამზარეულად მოტანილი ორმაგი სტანდარტებით ისე "გვიბათილებენ მთელს ისტორიას, ჩვენს ისტორიულ მატიანეებს, ისტორიულს ნაშთსა და სახსოვარსა, მთელს ჩვენს სისხლით-მოსილს ღვაწლს ქრისტიანობისათვის შეწირულსა", რომ ჩვენც გაფართოებული თვალებით ერთიმეორეს შევყურებთ და ხმას რომ ვეღარ ვიღებთ, მიმიკითღა ვეკითხებით ერთიმეორეს, ნუთუ მართლა საკუთარი ისტორია არა გვქონია, ნუთუ მართლა არა ვყოფილვართ ამ ქვეყანაზე არასოდეს და არც დღესა ვართ?

ჩვენს გაკვირვებას უფრო მეტად ის ამძაფრებს, რომ გვთავაზობენ (ფაქტობრივადაც უკვე მოქმედებენ) ქართველი კაცის მენტალიტეტის შეცვლას, ახალი ტიპის ქართველის ჩამოყალიბებას, ისტორიულად ქართველების მიერ შესისხლხორცებული და თაობიდან თაობას გადაცემული ცხოვრების წესზე, ერის თვითმყოფადობაზე უარის თქმას, ქრისტიანული სარწმუნოების დათმობას, ერის ღირსეულ შვილთა (მათ შორის პატრიარქის) შეურაცხყოფას და სხვა.

ამ ყველაფერს დემოკრატიის პრინციპების მოთხოვნად ასაღებენ, თუმცა ჩვენ კარგად ვიცით, რომ ეს დემოკრატია არ არის, ვიცით, რომ ეს მხოლოდ სხვისთვის (ჩვენთვის) მოგონილი მრავალი სცენარის ერთ-ერთი სახეობაა, რომლის დანერგვასაც ტერიტორიითა და მოსახლეობით პატარა, ეკონომიკურად სუსტი და სოციალურად ძლიერ გაჭირვებული ხალხებისათვის გამოიყენებენ.

ქართველმა ხალხმა ისიც ძალიან კარგად იცის, რომ ევროპის კონტინენტზე მცხოვრებმა ადამიანებმა საუკუნეების განმავლობაში ჩამოაყალიბეს, განავითარეს, დახვეწეს და შთამომავლობას გადასცეს საზოგადოებრივი ცხოვრების მათთვის დამახაიათებელი ჩვეულებები (ფასეულობები), რამაც საშუალება მისცა მათ საკუთარი ქვეყნების ისტორიულ სარბიელზე წინ გასვლისა.

მათ წინსვლას რომ ხედავდნენ, სხვა ქვეყნების ხალხებიც ამ გზით სიარულს ირჩევდნენ და შესამჩნევ წარმატებასაც აღწევდნენ.

სწორედ რომ დასავლური ფასეულობების დანერგვის სასიკეთო შედეგების მაგალითებს იცნობდნენ და ამიტომ მიისწრაფოდნენ მისკენ ოდითგანვე ჩვენი დიდი მოღვაწეები (პეტრე იბერი, გიორგი მთაწმინდელი, მეფეები დავით აღმაშენებელი, თამარი, გიორგი IV ლაშა, გიორგი ბრწყინვალე, სიმონ მეფე, თეიმურაზი, ვახტანგ VI, ერეკლე II და სხვები).

ეს მისწრაფება, ლტოლვა დასავლური ფასეულობებისაკენ, დღესაც ძალუმად ამოძრავებს ქართველის გულსა და სულს.

ასეთ დროს დასავლეთის ზოგიერთმა მაღალჩინოსანმა და, ასევე, ზოგიერთი პოლიტიკური პარტიის წარმომადგენლებმა, საქართველოს მიმართ ისეთი რიტორიკა მოიმარჯვეს (პრესა, ევროპარლამენის ტრიბუნა), რომელიც სასიკეთო გავლენას ვერ ახდენს ქართული საზოგადოების განწყობაზე დასავლური ფასეულობების მიმართ.

საკვირველია, ჩვენთან სახელმწიფო მოხელეს სახელმწიფო ბიუჯეტიდან მილიონობით დოლარის მოპარვის, ადამიანის (ადამიანების) წამებაში ყველაზე უწყინარი შრომის იარაღის, ცოცხის, გამოყენების, კერძო საკუთრების ხელყოფის უამრავი შემთხვევის (სახელმწიფოს სახელით), ადამიანთა მკვლელობის, მშვიდობიანი დემონსტრაციების დარბევის და სხვა ამგვარი უამრავი არაადამიანური ქმედებების გამო პროკურატურაში რომ იბარებენ არსებულ კითხვებზე პასუხის გასაცემად - ჩვენი დასავლელი პარტნიორები ჩვენთან რატომ აფასებენ პოლიტიკურ ზეწოლად და თავიანთთან სისხლის სამართლის საქმედ? თავიანთი ქვეყნების ლიდერები მუშაობაში მცირედი გადახრების გამო პატიმრებად გამოაცხადეს და ამას კანონის უზენაესობით ხსნიან, ხოლო ჩვენი ქვეყნის ლიდერების პროკურატურაში დაბარებას პოლიტიკურ ზეწოლად აფასებენ. რატომ? ნუთუ კანონის უზენაესობა სხვადასხვა სასწორით უნდა იწონებოდეს?

საკვირველია და ძალიან საეჭვოც უდიდესი სახელმწიფოს – ამერიკის შეერთებული შტატების - ესა თუ ის კონგრესმენი, სენატორი, სხვა მაღალჩინოსანი ასე მყისიერად (თანაც წარბშეკრული მზერით და გარკვეული ბრძანების ფორმით) როგორ რეაგირებენ ჩვენთან უკანონო ქმედებებში შემჩნეულ (ეჭვმიტანილ) პირთა პროკურატურის ორგანოებში დაბარებაზე. თუ ისინი ჩვენი მეგობრები არიან, ნუთუ საქართველოში თითქმის მეოთხედი საუკუნის განმავლობაში სხვა პრობლემა ვერ დაინახეს? ან საკუთარი საქმე აღარაფერი აქვთ? უფრო მეტი. ერთ-ერთი სენატორი პირდაპირ, დაუფარავად გვაფრთხილებს, თქვენ თუ წინა ხელისუფლების წარმომადგენლების მიმართ თანამდებობის გადამეტების გამო პასუხის მოთხოვნას გააგრძელებთ, ამას ჩვენ უკუსვლად შევაფასებთ და ამერიკა თქვენთან ურთიერთობას შეცვლისო (გაიხსენეთ დამოუკიდებელი საქართველოს პირველი პრეზიდენტის საქმიანობა დინების საწინააღმდეგო სვლად როგორ შეაფასეს).

ასეთი მაღალი ჩინის "დემოკრატების" პასუხად მოვიყვან ერთი ცნობილი ქართველი ჟურნალისტის დიტო ჩუბინიძის საგაზეთო სტატიიდან ამონარიდს (გაზ. "ასავალ-დასავალი", 18-24 აგვისტო, 2014 წ.):

"ერთ-ერთმა სკანდინავიელმა საგარეო საქმეთა მინისტრმა უცხოეთში ვიზიტისდროს ვერცხლის დანაჩანგალი შეიძინა, რომლის წარმომავლობაც ეკონომიკურად ვერ დაასაბუთა და კინაღამ დაიჭირეს, - მინისტრმა სულ ბოდიშის მოხდით დატოვა სავარძელი; უოტერგეიტის სკანდალის გამო რიჩარდ ნიქსონი გადადგა, საფრანგეთის გადამრჩენი დე-გოლი ფრანგებმა, ფაქტობრივად, გააძევეს, ხოლო გერმანიის გამაერთიანებელი ჰელმუტ კოლი 150 ათასი მარკის გამო კინაღამ დაიჭირეს, ფრანსუა მიტერანიც ერთ ბინას გადააყოლეს...

აი, ამ ცივილიზაციის შვილები, აი, ამ კოდექსით და ცხოვრების წესით აღზრდილი ევროპელები და ამერიკელი პოლიტიკოსები დღეს საქართველოს ახალ ხელისუფლებას უჩიჩინებენ, რომ ნაძირალა და გარყვნილი..., რომელმაც ქვეყანას სისხლის ცრემლები ადინა და ათას უბედურებას მოაწერა ხელი, თურმე არის პოლიტიკური დევნის მსხვერპლი და თუ ხელისუფლება მის დევნას არ შეწყვეტს, ქვეყანას პრობლემები შეექმნება!"

ჩვენ, გაეროს წევრ ქვეყანას, გაეროს მიერ დამოუკიდებლად (სუვერენულ) აღიარებულ სახელმწიფოს, ნუთუ არ უნდა შეგვეძლოს საკუთარი კანონების საფუძველზე დამოუკიდელი სამართლებრივი პროცედურების ჩატარება სხვა ქვეყების

მოხელეთა ჩარევის გარეშე? ეს ხომ არა ერთი კერძო პირის, არამედ მთელი ქვეყნის, მთელი ერის უფლებების დარღვევაა, მათი სუვერენული უფლების შელახვაა. განა ეს არის თქვენგან ქებული და თქვენს მიერ მთელს მსოფლიოში პროპაგანდირებული დემოკრატია?

რატომ, რის საფუძველზე გვიკრძალავთ, ბატონებო, დამოუკიდებლად მოქმედებას, თანაც დემოკრატიის სახელით. გავიმეორებ, რომ ქართველ ხალხს ისტორიულად ყოველთვის ჰქონდა დასავლეთის ქვეყნებთან მჭიდრო კავშირისაკენ სწრაფვა, მაგრამ ეგ იმას არ ნიშნავს, რომ ვინმემ ვალად ჩაგვითვალოს, ვინმემ დემოკრატიის სამოსელში გახვეული ბრძანებები დაგვიწყოს, თითი გვიქნიოს.

საქართველოს ერთი რიგითი მოქალაქე ჩემს აზრს გამოვხატავ: წაწყმდეს, ჯანდაბაში და ჯოჯოხეთში წავიდეს თქვენ მიერ დეკლარირებული ვითომ დემოკრატია, თუ საქართველოს, მის მოქალაქეებს დამოუკიდებელი გადაწყვეტილების, დამოუკიდებელი არჩევანის უფლებას წაართმევს.

თუ ჩვენთან ვინმეს სამართლებრივ კითხვებს დაუსვამენ, ამის გამო თქვენ რად გვემუქრებით - ისედაც ჩვენთვის დაკეტილი, ევროპის კარს არ გაგიღებთ, ჩვენსა და თქვენს შორის ურთიერთობა ნორმალურად აღარ წარიმართებაო? ერთი ჩვენი პარლამენტარის სიტყვებით რომ ვთქვათ, დემოკრატიის დონით მესამე კლასში მყოფებს პირველ კლასში გადაგიყვანთო?

არა, ბატონებო! ასეთი ცხოვრებით ჩვენ საკმაოდ დიდხანს ვიცხოვრეთ და უკან დაბრუნება აღარ გვინდა.

ან ის რას ნიშნავს, როცა საქართველოში ჩამოსული ძალიან მძლავრი სამხედრო-პოლიტიკური ალიანსის, ძალიან მაღალი თანამდებობის პირი ტრიბუნიდან გვაკრიტიკებს და თითს გვიქნევს, სექსუალური უმცირესობის უფლებებს რატომ არღვევთო. ეს მაშინ ხდება, როდესაც მთელი საქართველო (და არა მარტო საქართველო) უკიდურესად არის აღშფოთებული სასჯელაღსრულების დაწესებულებებში ქართველი მაღალჩინოსნების მიერ ადამიანების მასობრივი წამების (ცოცხებითა და ხელჯოხებით) კადრების ტელევიზიაში ნახვით. ამ ჩვენმა მაღალჩინოსანმა სტუმარმა ეს ფაქტები ისე გაატარა, თითქოს არც მომხდარიყოს და არც გაეგოს, ხმა არ ამოუღია და უმთავრეს პრობლემად სექსუალური უმცირესობების მიერ ქალაქის ცენტრში, სკოლის წინ, ბავშვების დასანახად თავიანთი "შემოქმედების" საჩვენებელი აღლუმის ჩატარება რომ არ მოეწონა ქართველ ხალხს!

ქართველები არ ვმალავთ, ძალიან გვიჭირს და ძალიანაც განვიცდით ქვეყნის მთელი ტერიტორიის 20% ოკუპირებული რომ აქვს ჩვენს ჩრდილოელ მეზობელს. ისიც ძალიან კარგად ვიცით, რომ საქართველოს საკუთარი ძალებით ამ ტერიტორიების განთავისუფლება არ შეუძლია საერთაშორისო ორგანიზაციების, ცივილიზებული სამყაროს დახმარების გარეშე, ამიტომ ჩვენთან სტუმრად ჩამოსული მაღალჩინოსანი სტუმრისაგან მოველით გველაპარაკოს არა სექსუალური უმცირესობების უფლებებზე, არამედ მიტაცებული ტერიტორიების დაბრუნებაზე, ქართველი გლეხის საკუთარ მამულში თავისუფლად გადაადგილების ამკრძალავი მავთულხლართების მოხსნაზე, მამა-პაპის საფლავებთან თავისუფლად მისვლის საშუალებებზე და სხვა ამგვარი პრობლემების გადაწყვეტაზე.

ილია ჭავჭავაძე ქართულ სცენაზე მამაკაცსა და ქალს შორის ერთგვარ თავისუფალ დამოკიდებულებას ვულგარული ცივილიზაციის გამოვლინებად აფასებდა და თან სიამაყით ამბობდა, რომ მაგას ჩვენთან ჯერ ადგილი არა აქვსო.

მისივე შეფასებით, ოჯახს გულ-ღვიძლი რომ გავუსინჯოთ, დავინახავთ, რომ იგი მხოლოდ ქალისა და მამაკაცის ურთიერთობაა და სხვა არაფერი.

გაეროს მეცნიერთა გამოკვლევების მიხედვით, მსოფლიოში ადამიანთა რიცხვი მალე 10,0 მილიარდს გაუტოლდება. იმავე მონაცემებით მათი რაოდენობა დღეს უკვე 7 მილიარდს აჭარბებს. ისინი ხომ ქალისა და მამაკაცის ურთიერთობის შედეგნი არიან. აბა წარმოიდგინეთ, ამდენი რაოდენობა ადამიანებისა ერთად შეიკრიბოს, აღლუმი მოაწყოს, ლოგინში ჩატარებული ქმედებების საჯაროდ გამოფენა დაიწყოს და თუ ვინმეს არ მოეწონება, იყვიროს, ჩვენ ჩვენი უფლებები გვაქვს და დაგვიცავითო.

ადამიანი თავისი თავის უფალია და არავინ უნდა ზღუდავდეს, თუ როგორი ფორმით დაიკმაყოფილებს თავის სექსუალურ მოთხოვნილებას, ესე იგი, არავინ არ უნდა ზღუდავდეს მათ უფლებებს. მაგრამ მათაც უნდა იფიქრონ, რომ სხვასაც აქვს უფლება მოითხოვოს სხვამ ვინმემ არ შეუზღუდოს ეს უფლება (შენი უფლება მაშინ მთავრდება, როცა ჩემი უფლება იწყება). და როდესაც ჩვენი სტუმარი დემოკრატიის სახელით თითს გვიქნევს, სექსუალური უმცირესობების უფლებას ნუ არღვევთო, ისიც იფიქროს, რომ ამით უმრავლესობის უფლებებსაც არღვევს და ამ დარღვევას არაფრად აგდებს.

ჩვენ, ქართველებს, საშინაო და საგარეო ურთიერთობებში უამრავი და ძნელად გადასაჭრელი პრობლემა გვაქვს. თუ ამ პრობლემების მოგვარებაში ვინმე ხელს გამოგვიწვდის, მადლიერები დავრჩებით.

ისევ გაეროს მეცნიერთა პროგნოზს მოვიშველიებ. მათი გაანგარიშებით 2050 წლისათვის საქართველოში ქართველები უმცირესობაში აღმოჩნდებიან.

ბატონებო! ქალის ქალის მიმართ და კაცის კაცის მიმართ ლტოლვას რომ ფართო გზა გავუხსნათ, აღლუმები ჩავატარებინოთ და ბავშვების თვალწინ მათი "შემოქმედების" ნიმუშები ვაჩვენოთ, ქართველები როგორღა გავმრავლდეთ?!

ჩამატება: საოცარია და საკვირველი, 2012 წელს ქართველი ხალხის მიერ არჩეულმა პარლამენტმა ისე ოპერატიულად როგორ იმუშავა, რომ საპარლამენტო მუშაობის პირველსავე კვირაში ქართველებისათვის პრეზერვატივების გამოყენების წესი და რიგი დააკანონა (აღარაფერს ვამბობ ჩოხის ტარების კანონზე და საკუთარი თავებისათვის პრემიების დარიგებაზე). განა აღნიშნული ფაქტი იმას არ მოწმობს, რომ ჩვენს ქვეყანას ღერძი აქვს გატეხილი და მართულები მოშლილი?

ჩვენი ქვეყნის დასავლელი პარტნიორი – მეგობრები - ასე თავგამოდებით რომ უწევენ პროპაგანდას სექსუალური უმცირესობების მიერ თავიანთი ბინძური საცვლების ფრიალს დედაქალაქის ცენტრში (ღიად, ბაშვების თვალწინ), და თუ ვინმეს არ მოეწონება მათი ეს საქციელი, მაშინვე დიდი რიხით გადმოდგებიან მაღალი ტრიბუნიდან და თითს გვიქნევენ, რატომ არ იცავთ მათს უფლებებსო, ძალიან დიდ ეჭვს იწვევს ქართველებში: თანამედროვე ცივილიზებული სამყაროს "ძლიერნი ამა ქვეყნისანი" XVIII საუკუნეში დაბადებული ხალხთა მოსახლეობის კანონის ახალი ძალით ამოქმედებას ხომ არ უწყობენ ხელს, პატარა და სუსტი ქვეყნების (მათ შორის საქართველოს) ხარჯზე, და ამას დემოკრატიის საბურველში ხომ არ ახვევენ?

მკითხველს შევახსენებ, რომ 1798 წელს ინგლისელმა მღვდელმა და ეკონომისტმა თომას რობერტს მალთუსმა (1766-1834 წწ.) გამოაქვეყნა წიგნი "ცდა ხალხთმოსახლეობის

კანონის შესახებ", რომელშიც მოსახლეობის ზრდის ბუნებრივი კანონი დაადგინა. ამ კანონის თანახმად, შეუსაბამობა არსებობს მოსახლეობის ზრდასა, ერთი მხრივ, და საარსებო საშუალებების ზრდას შორის, მეორე მხრივ. პირველი იზრდება გეომეტრიული, ხოლო მეორე – არითმეტიკული პროგრესიით. ამიტომ დედამიწას ემუქრება მოსახლეობის სიჭარბე, რომლის გამოკვებასაც იგი ვერ შესძლებს.

აღნიშნული შეუსაბამობის რეგულირების საფუძვლად თ. მალთუსი არსებობისათვის ბრძოლის პრინციპს მიიჩნევს. მისი აზრით, საზოგადოება ესაა არსებობისათვის ბრძოლა, არსებობის უფლებაზე პოზიციების გარკვევა, სადაც ყოველგვარი კომპრომისის გარეშე ძლიერნი იკავებენ სუსტების ადგილს. მხატვრული ფორმით თუ ვიტყვით, მალთუსის აზრით, საზოგადოება შედგება მონადიმეთა და ნადიმის მომლოდინეთაგან. მონადიმენი ცდილობენ საზოგადოებრივი ცხოვრების სუფრაზე არ მიუშვან ნადიმის მომლოდინენი, რისთვისაც ყველანაირ ზომებს იღებენ და იქამდისაც კი მიდიან, რომ შეამცირონ მათი რაოდენობა – გამოიყენონ მოსახლეობის ზრდის **შემაკავებელი** და **გამანადგურებელი** ფაქტორები. ეს ორივე ფაქტორი უამრავ შემადგენელ ქვეფაქტორს მოიცავს, რომელთაგან უკანასკნელ პერიოდში ფართო პროპაგანდის საგნად იქცა ახალ ადამიანთა დაბადების თავშეკავება, ერთსქესიანთა შორის სქესობრივი მოთხოვნილების დაკმაყოფილების გზით.

საგანგებოდ ისიც უნდა ითქვას, რომ გამრავლებისგან თავშეკავება, რომელიც თ. მალთუსს ადამიანთა თავისუფლების უზრუნველყოფის საშუალებად მიაჩნია, სასურველი არ არის გაბატონებული კლასებისათვის.

გასაგებია, რომ მსოფლიოს მასშტაბით საზოგადოებრივი ცხოვრების სუფრას დღეს მიმსხდარი მონადიმენი არასოდეს მოისურვებენ თავიანთი ადგილი სხვას (მომლოდინეთ) დაუთმონ, ან თუნდაც შევიწროვდნენ სუფრის გარშემო. ისინი მოსახლეობის გამრავლების შეზღუდვას თავიანთი რიგების შეთხელებით (გამრავლების შემცირებით) კი არ მოიაზრებენ, არამედ მომლოდინეთა შემცირებით, რაც სუსტი და პატარა ქვეყნების ხარჯზე ხდება.

თ. მალთუსის თეორია, ერთ დროს დედამიწის 1/6 ნაწილში სამართლიანად იყო აღიარებული, როგორც რეაქციული თეორია, და კაცობრიობის წინსვლის შემაფერხებელ მოძღვრებად მიიჩნეოდა.

აი, ასეთი თეორიის პროპაგანდას, გავრცელებას ცდილობენ დღეს ჩვენს ქვეყანაში დემოკრატიის სახელით ჩვენი დასავლელი პარტნიორები.

ფაქტია, რომ მსოფლიოს "მამები", "ძლიერნი ამა ქვეყნისანი", ვალდებულნი არიან ადამიანების მოთხოვნილებები დააკმაყოფილონ სურსათითა და სხვა საარსებო საშუალებებით, მაგრამ ყველაფერი ეს ბუნებაში შეზღუდულია. ამ მდგომარეობიდან ყველაზე იოლი გზა მოსახლეობის შობადობის შემცირებაა და მათაც "საუკეთესო" ღონისძიება მოიგონეს – სექსუალური ურთიერთობა ქალისა ქალთან, კაცისა კაცთან. მაგრამ ისიც ხომ ფაქტია, რომ მათგან შთამომავლობის გამრავლების გზები ღმერთს ჯერ არ შეუქმნია. აი ამ გზებს გვთავაზობენ ქართველებს და დემოკრატიის დამკვიდრების საფარველში ფუთავენ.

ამ კანონის განხორციელება დიდი ქვეყნებისათვის შეიძლება შეუმჩნეველიც კი იყოს, პატარა ქვეყნებისათვის კი (მათ შორის საქართველოსთვის) უცილობლად დამღუპველია.

ცნობისათვის: 2001 წლის მონაცემებით მოსახლეობის რაოდენობა შეადგენდა (მლნ) ადამიანს:

ავსტრალია – 19,4
ავსტრია – 8,2
აშშ – 278,1
არგენტინა – 37,4
ბელგია – 10,3
ბრაზილია – 174,5
გერმანია – 83,1
დიდი ბრიტანეთი და ჩრდ. ირლანდიის გაერთიანებული სამეფო – 59,6
ესპანეთი – 40,0
თურქეთი – 66,5
ნიდერლანდები – 16,0
პოლონეთი – 38,6
პორტუგალია – 10,1
რუმინეთი – 22,4
რუსეთი – 145,5
საბერძნეთი – 10,6
საფრანგეთი – 59,6
საქართველო–5,0

(იხ. "ეკონომიკის ენციკლოპედიური ლექსიკონი". 2005 წ.)

ფრთხილად, ქართველებო! ნუ აჰყვებით დემოკრატიის, ადამიანის უფლებების სამოსელში გახვეული, ფარულ, კაცობრიობის საწინააღმდეგო თეორიების პროპაგანდას.

თქვენ კი, ჰომოსექსუალებო, ლესბოსელებო, ყველა ქვეყნისა შეერთდით, შეერთდით, შეერთდით. შეიკეტეთ თქვენს ბინებში და საკუთარ საწოლში რამდენსაც მოისურვებთ იმდენი იკოტრიალეთ, ხელს არავინ შეგიშლით, თქვენს უფლებებს არავინ დაგირღვევთ, ოღონდ ქუჩაში ნუ მოგვიწყობთ აღლუმებს.

ხელები შორს ქართველებისაგან!

ქართველი ხალხის ისტორიული არჩევანი მთელი საზოგადოებრივი ცხოვრების ევროპეიზაციაა. მაგრამ ამ არჩევანს თუ ვინმე და რამე შეაფერხებს, ეს მხოლოდ ისევ ჩვენი ზოგიერთი დასავლელი პარტნიორის – პოლიტიკური პარტიების თუ კერძო პირთა (მათ მიერ გაქეზებული და ქებული ქართველი ოქროსთმიანი, შუქურა ბიჭები, "დემოკრატიის დაუღალავი მშენებლების" მონაწილეობით) ორმაგი სტანდარტების გამოყენება, ქედმაღლური, ამპარტავნული დამოკიდებულება იქნება ჩვენს მიმართ.

ჩვენო დასავლელო პარტნიორებო! გთხოვთ კარგად შეგვისწავლოთ, შეისწავლოთ ჩვენი ისტორია და ამ ისტორიის განმავლობაში ჩამოყალიბებული კულტურულ და რელიგიურ ტრადიციებზე დაფუძნებული ცხოვრების წესი, ეროვნული თვითმყოფადობა და გველაპარაკოთ, როგორც სწორი სწორს.

აი ასეთ მდგომარეობაში ვიმყოფებით დღეს ქართველები და ვინ შეგვეკითხება, დიდი ადამიანები ხომ არავინა გყავთ, ვისითაც ამაყობს ერი, თავს იწონებს და ქადულობსო. და თუ გავბედეთ და დავასახელებთ ვინმეს, არ დაგვიჯერებენ, არ ირწმუნებენ. გვეტყვიან, აბა თქვენ, ქართველებს, ვინ უნდა გყავდეთო. დაიჩემებენ, ჩვენა ვართ და ჩვენი ნაბადიო.

საკუთარი ხალხის სიყვარულზე მაღალი ჯილდო
განა სხვა რამ არსებობს კიდევ?

მგონი, ისე კონცენტრირებულად, სიღრმისეულად და მსოფლიო დონეზე გასატანად ვერავინ დაგვიხატავს ილია ჭავჭავაძის, როგორც ადამიანი-გენიოსის როლსა და მნიშვნელობას საქართველოს დღევანდელი და ხვალინდელი დღის მშენებლობის საქმეში, როგორც ამას თვითონ აღწერს წერილში "დავით აღმაშენებელი" (1888), რომელიც დავით აღმაშენებლის მოსახსენიებელი დღის – 26 იანვრისათვის არის დაწერილი.

ოღონდ საჭიროა, რომ მის მიერ ნათქვამ ყოველ სიტყვას გადატანითი მნიშვნელობა მივცეთ და ამ სიტყვების ადრესატად თვითონ ილია ჭავჭავაძე ვიგულისმოთ (მომიტევოს დიდი მეფის - დავით აღმაშენებლის წმინდა სულმა, თუ რაიმე ცოდვას ვამბობ).

"უკეთესნი და უდიდესნი მომქმედნი ერისა ხომ სხვა არა არიან, თუ არ ერის გულისნადების და წყურვილის გამომეტყველნი და გამახორციელებელნი, რომელნიც ამის გამო თითქო შემოქმედობენ, თითქო ჰქმნიან ისტორიასა. ამიტომაც ეს ამისთანა მომქმედნი, ვამბობთ ჩვენ, დაუვიწყარნი უნდა იყვნენ, თუ ერს კიდევ ერობა სურს და დედამიწის ზურგიდამ მტვერსავით ასაგველად არ გადაუდვია თავი. დავიწყება ამათი საკუთარის ვინაობის დავიწყებაა, და თუ კაცს თავისი ვინაობა არ ახსოვს, რიღას მაქნისია? იგი ნადირია, რომელსაც, რაკი დედის ძუძუს მოჰშორდება, აღარ ახსოვს თავის მშობელი და სიცოცხლის მომნიჭებელი. გარდა იმისა, რომ ამ უკეთესთა და უდიდესთა მომქმედდთა მეოხებით და ღვაწლით ვცხოვრობთ დღესა და ვსულდგმულობთ, ამათ სხვა სამსახურიც მიუძღვით ჩვენ წინა. ისინი ცხოველი მაგალითებია მისი, თუ რა სიმაღლემდე შეუძლიან ერს ამა თუ იმ გარემოებაში მიაღწიოს. რამოდენადაც დიდ-ბუნებოვანია ამისთანა მომქმედი, რამოდენადაც ეს დიდ-ბუნებოვნება ხშირია რომლისამე ერის ისტორიაში, იმოდენად უფრო უტყუარი საწყაო გვაქვს ხელთ ერის სიკეთის, ძალ-ღონის და შემძლეობის აწყვისათვის. თუ გუშინ იყვნენ ჩემის სისხლისა და ხორცის დიდებულნი და სახელოვანნი კაცნი, რა მიზეზია, რომ ხვალაც არ გამოჩნდნენ, თუ გარემოების იგივეობას ვიგულისხმებთ გარდა იმისა, რომ ამ უკეთესთა და უდიდესთა მომქმედთა მეოხებით და ღვაწლით ვცხოვრობთ დღესა და ვსულდგმულობთ, ამათ სხვა მნიშვნელობაცა აქვთ ერისათვის. ერი თავის გმირებში ჰპოულობს თავის სულსა და გულსა, თავის მწვრთნელსა, თავის ღონეს და შემძლეობას, თავის ხატსა და მაგალითს. ამიტომაც იგი ზოგს იმათგანს წმინდანების გვირგვინითა ჰმოსავს და ჰლოცულობს, ზოგს დიდ-ბუნებოვნების შარავანდედითა, და თაყვანს სცემს სასოებით და მადლობით, ამიტომაც საჭიროა იმათი ხსოვნა, იმათი დაუვიწყარობა "ჩვენთვის ადამიანებისათვის საჭიროა, - ამბობს ბრძენი სენეკა (*სენეკა – რომაელი ფილოსოფოსი, პოეტი, სახელმწიფო მოღვაწე – ზ.თ.*), იმისთანა კაცი, რომ მის მიხედვით და მაგალითით შევიძლოთ საკუთარის ხასიათის გაწვრთნა და განმტკიცებაო. ოჰ, რა ბედნიერია იგი, ვინც არამც თუ ჩვენთან ყოფნით გვწვრთნის ჩვენ, არამედ მარტო თავისის სახელის ხსენებითაცაო".

აი, რაც შემეძლო მეთქვა ილია ჭავჭავაძეზე, როგორც გენიოს ადამიანზე. მსოფლიოში გენიოსად აღიარებული რომელი გენიოსის ბიოგრაფიას არ დაამშვენებდა

ილია ჭავჭავაძის პიროვნული და სამწერლო-საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოღვაწეობის აზპარეზზე გამოვლენილი თვისებები?

მართალია, ილია ჭავჭავაძეს გენიოსის ოფიციალური ტიტული არა აქვს, მაგრამ უტყუარმა განაჩენმა ერისამ, ეკლესიის ლოცვითა და კურთხევით, ილია ჭავჭავაძე წმინდანის გვირგვინით შეამკო და ილია მართლის სახელი დაუმკვიდრა საუკუნო სახსენებლად. იგი არის თავისი ერის სული და გული, მისი მწვრთნელი, მისი ღონე და შემძლეობა, მისი ხატი, რომელზეც და რომლის მეშვეობითაც ლოცულობს ქართველი ხალხი.

დიახ! ილია ჭავჭავაძე, გენიოსის ოფიციალური სტატუსის (სახელის) არმქონე, შეუერთდა მარადისობას და ამ ქვეყნად დატოვა საუკუნო სიყვარული საკუთარი ერისა და ქვეყნისა; კეთილი საქმე, რომელიც ყველა სახელზე უკეთესი სახელია საუკუნოდ.

გავიმეორებ ალექსანდრე კალანდაძის სიტყვებს, რომლებიც ეხება გენიოსი ადამიანის შეფასებას და რომელიც ზუსტად მიესადაგება ილია ჭავჭავაძის სახელს:

“გენიოსების უკვდავების გარანტია მარტო მათი გენიოსობა კი არ არის, არამედ ადამიანთა თაობების განუწყვეტელი ერთგულება მათი შემოქმედებისადმი, მაშასადამე, დამფასებელთა გემოვნების სიმტკიცე”.

დიახ! საუკუნეები გაივლიან და უკვდავი იქნება ილია ჭავჭავაძის სახელი, მისი მხატვრულ-ლიტერატურული და მხატვრულ-პუბლიცისტური ნაწარმოებები, მისი საზოგადოებრივ-პოლიტიკური და პირადი ცხოვრების მაგალითები. უკვდავი, განუწყვეტელი იქნება ქართველი ერის თაობების სიმტკიცე ილია ჭავჭავაძის შემოქმედებისადმი. ქართველები ილია ჭავჭავაძეზე ილაპარაკებენ, ვიდრე არსებობს მათი მშობლიური ენა.

საქართველო საუკუნეების განმავლობაში ნაოცნებარის განხორციელებას, თავისუფალი, დემოკრატიული საზოგადოების მშენებლობას, თითქმის ერთი საუკუნის დაგვიანებით, დღეს, იწყებს მსოფლიო თანამეგობრობის მხარდაჭერით. იგი ერთი საზოგადოებრივ-ეკონომიკური წყობიდან მეორეზე, სრულიად ახალ წყობაზე გადადის და ახალი საქართველოს შექმნას ცდილობს. ბუნებრივია, ამ გზაზე მის წინაშე უამრავი მრავალფაქტორული საშინაო და საგარეო პრობლემაა აღმართული.

საერთაშორისო თანამეგობრობაში რომ მყარი ადგილი დაიმკვიდროს, უახლოესი პერიოდისათვის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისა და დევნილი მოსახლეობის საკუთარ სახლებში დაბრუნებასთან ერთად, უპირველესად, მან, ჯერ-ერთი, თავიდან უნდა აიცილოს საგარეო საფრთხე და, მეორე, შინაურ ძალთა თანხმობით, მათი შესაძლებლობების ერთ ძალად გაერთიანებით უნდა შეძლოს, სულ მცირე, შემდეგი ამოცანების გადაწყვეტა:

- დემოკრატიული ღირებულებების დამკვიდრება, გაფართოება და გამყარება საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა დონეზე, ყველა სფეროში, მათ შორის, პირველ რიგში, სახელმწიფო ხელისუფლების შტოების (აღმასრულებელი, საკანონმდებლო, სასამართლო) დონეზე, რაც, თავისთავად, გულისხმობს მთელი საზოგადოების, მისი ცალკეული წევრის გონებრივ ზრდას (გონებრივი თვალსაწიერის გაფართოებას), ზნეობრივ ამაღლებას, მისი ზნეობრიობის განწმენდა-განმტკიცებას;
- მოსახლეობის ცხოვრების ქონებრივ გაღონიერება, მისი ხარისხის ამაღლება, განვითარებული ქვეყნების საშუალო დონემდე მაინც;

- საშუალო კლასის (მესამე ფენა), როგორც სტაბილურობისა და დემოკრატიის საყრდენის, ჩამოყალიბება იმ დონით, რომ იგი წარმოადგენდეს მოსახლეობის უმეტეს ნაწილს და იღებდეს საზოგადოებაში შექმნილი მატერიალური დოვლათისა და სოციალური სიკეთის უდიდეს წილს;

- სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ტემპების ყოველწლიური ზრდის ისეთ დონემდე უზრუნველყოფა, რომელიც მიგვაახლოებს განვითარებული ქვეყნების ცხოვრების დონეს;

- სამოქალაქო საზოგადოების სამართლებრივი უფლებებისა და თავისუფლების დაცვა;

- ქვეყნის რეგიონების განვითარებაში მკვეთრი დისპროპორციების აღმოფხვრა, მათი დეპრესიული და ზედეპრესიული მდგომარეობიდან გამოყვანა და სხვა.

ამ ამოცანების წარმატებული გადაჭრა საჭიროებს ერის სულიერ და ფიზიკურ ძალთა მობილიზებას, საზოგადოების ყველა წევრის, ყველა პოლიტიკური და სოციალური ფენის ერთ მუშტად შეკვრას, ერთიანი, ქართული ამოცანების შესრულებისათვის დაუღალავ შრომას.

ამოცანები მეტად მწვავე და ძნელად შესასრულებელია, მაგრამ იოლი იქნება, თუ სამოქმედო იარაღად მოვიშველიებთ და პრაქტიკულად განვახორციელებთ ილია ჭავჭავაძის შემოქმედებას, რომელშიც კონცენტრირებული სახით არის წარმოდგენილი საქართველოს დემოკრატიული გზით სიარულის, მისი გაძლიერების ფორმულა, ფორმულის ამოხსნის გზები და საშუალებები.

საჭიროა ვიკითხოთ, ვისწავლოთ ილია ჭავჭავაძე

ილია ჭავჭავაძის შრომები ყველა ოჯახში უნდა იყოს შეტანილი. საქართველოს წინაშე მდგარ ამოცანათა გადასაჭრელად საჭიროა, რომ აქ მცხოვრებმა ყველა ადამიანმა, მათი ეროვნულობისა და სარწმუნოებრივი აღმსარებლობის მიუხედავად, დიდმა და პატარამ, შევისწავლოთ ილია ჭავჭავაძის შემოქმედება და დემოკრატიული სახელმწიფოს პრაქტიკულ მშენებლობაში გამოვიყენოთ.

ილია ჭავჭავაძის შემოქმედების ყოველმხრივი შესწავლის მიზნით, მისი იდეებისა და პრაქტიკული რეკომენდაციების ფართო მასებში მოფენისათვის (შინ და გარეთ), ჯერ-ერთი, უნდა გამოიცეს და, რაც შეიძლება, ბევრ უცხო ენაზე ითარგმნოს ილია ჭავჭავაძის ყველა ჟანრის, ყველა ნაწარმოების სრული კრებული, რაც კი დაუწერია და უთქვამს სალიტერატურო თუ საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოღვაწეობის ასპარეზზე – ლექსები, პოემები, მოთხრობები, პუბლიცისტური წერილები, ახლობლებთან და უცხო ქვეყნის სხვადასხვა პირებთან მიმოწერები, მათდამი მიმართული მილოცვები, სხვადასხვა საზოგადო თუ კერძო შეხვედრებზე წარმოთქმული სიტყვები, მიმართვები, საარქივო მასალები, რომელთა ნაწილი დამუშავებული და გამოქვეყნებული აქვს პროფესორ ტარიელ სართანიას, და სხვა. მათი რაოდენობა ხომ ძალიან დიდია: “ჩვენს სიძველეთსაცავებს შემოუნახავთ ცენზურის მიერ სხვადასხვა დროს აკრძალული სტატიები, კორესპონდენციები, ფელეტონები, ლექსები და სხვა მასალები, რომლებიც “ივერიაში” დასაბეჭდად იყო აწყობილი და ეხებოდა საქართველოს საზოგადოებრივ-

ეკონომიკური და კულტურული ცხოვრების ყველაზე მტკივნეულ და აქტუალურ საკითხებს” *(აკად. პაატა გუგუშვილი).*

მეორე, სრული კრებულის ბაზაზე უნდა ამოიკრიბოს ილია ჭავჭავაძის აზრები, წინადადებები, რეკომენდაციები, გამონათქვამები, დებულებები, რჩევები და სხვა, დამუშავდეს საგნობრივ-თემატურად, ერთიან სისტემაში მოვიდეს და გამოიცეს (ქართულ და უცხოურ ენებზე) ლექსიკონის სახით.

მას შეიძლება დავარქვათ: “ილია ჭავჭავაძის შემოქმედების დიდი ენციკლოპედიური ლექსიკონი”.

მესამე, უნდა გამოცხადდეს საყოველთაო-სახალხო მოძრაობა დევიზით: “ლიტერატურა, რომელიც უნდა წაიკითხო შენი ცხოვრების 35 წლამდე – “ილია ჭავჭავაძე”.

35 წლამდე ზღვარს იმიტომ ვიღებ, რომ, მეცნიერ-ფსიქოლოგების მტკიცებით (ს. თეზელიშვილი), 36-41 წლები ითვლება ადამიანის ცხოვრების წყალგამყოფად, ამ დროიდან უკვე იწყება ცხოვრებისეული ძალების შესუსტება.

საქმიანობის ამ სამი მიმართულებით გაშლაში, ვფიქრობ, თავისი აქტიური როლი უნდა შეასრულოს მედია სახლმა “პალიტრამ”, რომელიც ბოლო პერიოდში ყველაზე ნაყოფიერადაა ჩართული მედია საქმიანობის ფართო სპექტრში (ინტეგრირებული ნიუსნუმი, ინტერნეტ ტელევიზია, რადიო, ჟურნალ-გაზეთები, თემატურად მრავალფეროვანი წიგნები და სხვა).

აქვე იმასაც ვიტყვი, რომ ძალიან კარგია წიგნების სერია ბავშვებისათვის – დიდი ქართველების ბიოგრაფიები, კარგია მსოფლიოს გამოჩენილ ადამიანთა ცხოვრების ამსახველი სერიები, წიგნები, რომლებიც უნდა წაიკითხო მთელი ცხოვრების მანძილზე. მაგრამ ისიც ხომ ფაქტია, რომ მათ საკუთარი პატრონი და გულშემატკივარი ჰყავთ თავიანთ ქვეყნებში, თანაც ჩვენთან შედარებით გაცილებით მრავალრიცხოვანი.

ამიტომ, მიმაჩნია, რომ არასაკმარისადაა მოფენილი ილია ჭავჭავაძის შემოქმედება საქართველოს მოსახლეობაში.

რაც შეეხება ილია ჭავჭავაძის ნაწარმოებების უცხოურ ენებზე თარგნმნას, უნდა ითქვას, რომ ჩვენ თვითონ, ქართველები, არავითარ ინიციატივას არ ვიჩენთ ამ მიმართულებით.

მოვიყვან ერთ კონკრეტულ მაგალითს:

2014 წელი გამოცხადებულია ღვინის საერთაშორისო წლად. გათვალისწინებულია თბილისში ჩატარდეს ვაზისა და ღვინის ოცდამეცამეტე მსოფლიო კონგრესი, ასევე ვაზისა და ღვინის საერთაშორისო ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის VIII სხდომა.

ღვინის წარმოების რამდენიმე მსხვილ გაერთიანებასა და ტურისტული მომსახურების ორგანიზაციას ბიზნეს-წინადადება შევთავაზე - თარგმნილიყო ილია ჭავჭავაძის პუბლიცისტური ჟანრის ნაწარმოები: “ღვინის ქართულად დაყენება”, რომელიც, ჩემი აზრით, უნიკალურია თავისი შინაარსით, საკითხების მაღალკვალიფიციური გაშუქებითა და ყველასათვის გასაგები თანმიმდევრული თხრობით.

მასში ილია ჭავჭავაძე დაწვრილებით იხილავს ღვინის ქართულად დაყენების სპეციფიკურ ტექნიკურ-ტექნოლოგიურ პროცესებს, ასევე, ღვინის ქართულად დაყენებასთან დაკავშირებულ წარმოებისა და შრომის ორგანიზაციის განსაკუთრებულ ფორმებს.

ბიზნესის მომგებიანობის თვალსაზრისით, განსაკუთრებული მნიშვნელობის მიუხედავად, ზემოთ დასახელებული წარმოებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელებს არავითარი დაინტერესება არ გამოუჩენიათ შეთავაზებული ბიზნეს-წინადადების მიმართ.

აზრის უკვდავებაში არის მთელი იმედი კაცობრიობის უკვდავებისა

”მოდით, შვილნო, აქ მოგროვდით,
გეტყვით გულის გასათბობსა, —
ვინ ვიყავით, რა ვიყავით
ჩვენ ქართველნი წინა დროსა.
იმ დროს, როცა ქართვლის ბედი
ჩვენ ქართველთვე გვეპყრა ხელში,
როცა მამულისშვილობა
სასახელოდ იყო ჩვენში,
შვილნო, თქვენნი წინაპარნი
ეგრე გულქვად როდი იყვნენ...
ძმა ძმასა და მამა შვილსა
მამულს ხოლმე შესწირვიდნენ.
შვილის ყოლა გლეხს თუ თავადს
მარტო მისთვის გვიხაროდა,
რომ მამულსა მეომარი
მით ერთი ემატებოდა.
ტკბილსა ძუძუს დედა შვილსა
იმ იმედით აწოვებდა,
რომ სიცოცხლით ან სიკვდილით
ის მამულს ასახელებდა.
უწინ ქართველს უხაროდა
მამულისთვის მტერთან ომი,
ან მოჰკლავდა, ან თავის-თავს
შეაკლავდა როგორც ლომი.
მამულსთვის ვის ახსოვდა
განსაცდელი განსაცდელში!
ტრფობა გვქონდა გულში აბჯრად
და სატევრად — ხმალი ხელში.
ეგრეთ, შვილნო, აქ სცხოვრებდა
უწინდელი ქართვლის შვილი,
მის მუდამი ნატვრა იყო
ან სახელი, ან სიკვდილი.
მათს მომდევარს ყოველს თქვენგანს
ჰყვანდა დიდი წინაპარი...
რჯულის დაცვა, მიწა-წყლისა
მის მოწამედ თქვენ წინ არი... “

”ეხლა რა ვართ? საწველ ფურად
თავი ჩვენი გადვიქციეთ.
ის სახელი, ის დიდება,
ის ოჯახი დავაქციეთ...
რაც ვყოფილვართ, ის აღარ ვართ,
რაც ვართ, ის ნუღარ ვიქნებით...
ღმერთი გვიხსნის, თუ შვილთ მაინც
გზად და ხიდად გავედებით.
წინა კაცი უკანასი
ხიდიაო, ნათქომია,
დღეის ვაგლახს ამით დასძლევს,
ვინცა ხვალისა მდომია.
ტყუილია სულთქმა, უში,
კაცი უნდა კაცად იყვეს,
სანთელსავით თვით დაიწვას
და სხვას კი გზას უნათვიდეს.
ამით იყო საქართველო
უძლეველი და ძლიერი,
ამით ედგა მტერს გულდაგულ
ეს პატარა ქართვლის ერი.“

(„მეფე დიმიტრი თავდადებული“ 1878 წ.)

“ყველაფრის სიკვდილი შეიძლება, აზრისა კი თავის-დღეში არა; მის აღმოშობის დრო შეიძლება შეაყენონ, მაგრამ სრულიად განადგურება კი ძნელად.” *(“საქართველოს მოამბეზედ”. 1862 წ.)*

“აზრის უკვდავებაში არის მთელი იმედი კაცობრიობის უკვდავებისა, იმიტომ, რომ გრეხილი აზრისა გაუწყვეტელია: ერთს ზედ მოსდევს მეორე, უფრო ახალი, ჯანმრთელი და ღონიერი, _ ამასთანაც დაუქცეველი, მარად მყოფი სალაროცა აქვს _ მეცნიერება და ხელოვნება, სადაც ისინი ინახებიან.” *(“საქართველოს მოამბეზედ”. 1862 წ.)*

“მაგ ცხოველს იმედს, რომელიც განგებას მოუვლენია კაცობრიობისათვის, რომ ზედ დაერთოს ადამიანის გაუთავებელი ნდომა უკეთესობისა _ შედგება ის ძალა, ის იდუმალი ხმა, რომელიც ყოველთვის ეძახის ადამიანს: წინ წადეგ! წინ წადეგი! წინ წადეგ!” *(“საქართველოს მოამბეზედ”. 1862 წ.)*

“ნეტავი იმ ხალხს, რომელსაც არ დაუკარგავს ეგ იმედი განახლებისა და არ გაჰქრობია უკეთესობის ნდომა.” *(“საქართველოს მოამბეზედ”. 1862 წ.)*

“მეტყველების წყარო აზრია და აზრის წყარო გონებითი ცხოვრებაა.” *(“ზოგიერთი რამ”. 1866-1876 წ.)*

“საზოგადო სარბიელი მოედანია საზოგადო ცხოვრებისა, რომელიც ამ შემთხვევაში სხვა არა არის-რა, გარდა აზრთა და საქმეთა ერთმანეთთან ბრძოლისა ცხოვრებისავე ესე თუ ისე მოსაწყობად და მისამართავად; იმიტომ, რომ ყოველი აზრი, ყოველი საქმე, ცხოვრებისათვის ასე თუ ისე შესაწყნარებელი, იმავ არსებობისათვის ბრძოლის კანონს ექვემდებარება, როგორც სხვა ყოველი ამ ქვეყნიერობაზე, და ისე არ იჩენს თავს, რომ ან ყოფილს აზრს, ან საქმეს წინ არ შეეხალოს და ომი არ გადაუხადოს ადგილის დასაჭერად.” *(“წერილები ქართულ ლიტერატურაზე”. 1892 წ.)*

“ყოველს ამისთანა აზრს, თუ საქმეს, სხვა ბევრ ძარღვთან ერთად, ერთი უმთავრესი ძარღვი აქვს, რომელიც, ვითარცა უაღრესი და თვალსაჩინო ნიშანი ცნობისა, ხდება საბუთად სახელწოდებისა. ამ სახელწოდებითვე იწოდება საზოგადო სარბიელზე მომქმედი კაცი იმისდა მიხედვით, თუ რომელის აზრისა, ან საქმის პატრონია და მიმყოლი. მაგალითებრ, როცა იტყვიან: ეს კაცი ნაციონალისტია, კოსმოპოლიტია, ლიბერალია, კონსერვატორია, იდეალისტია, რეალისტია, ფრიტრედერია, პროტექციონისტია, რესპუბლიკელია, მონარქიელია, ამით არამც თუ მარტო მის მიერ დაჩემებულს, შეთვისებულს დამოძღვრებულს საზოგადოებურს აზრს და მიმართულებას გვისახელებენ, არამედ მათდა საპირისპიროსაც.” *(“წერილები ქართულ ლიტერატურაზე”. 1892 წ.)*

“რადგანაც ყოველს საზოგადო აზრს, თუ საქმეს, ამყოლი, მოსარჩლე და მოძღვარი, ბერიცა ჰყავს და ერიც, ჭაბუკიც და მხცოვანიც, ახალიც და ძველიც, გუშინდელი და დღევანდელიც ერთსა და იმავე დროს, ამიტომაც ვერც ერთი და ვერც მეორე, ვერც ძველი და ვერც ახალი, ვერ მიაკარებს რომელსამე აზრს, თუ საქმეს, ცხოვრებაში ასე თუ ისე მოარულს, თავისს სახელსა; პირიქით, თითონ აზრი, ან საქმე, აკისრებს ხოლმე თავისს სახელს თავის ამყოლსა და გამძღოლსა.” *(“წერილები ქართულ ლიტერატურაზე”. 1892 წ.)*

“ჩვენდა სანუგეშოდ, ამისთანა უქმად ყოფნამ, როგორც აზრისამ, ისეც საქმისამ, თავი დიდხანს ვერ შეინახა. ვერც შეინახავდა, იმიტომ რომ, რამოდენადაც ხანი მიდიოდა, იმოდენად ჩვენობა და უცხოობა თუმცა ერთმანეთს იშვნევდნენ, მაგრამ გულში-კი ერთმანეთთან ვერა ჰრიგდებოდნენ.

ამ ამბავს, რა თქმა უნდა, აზრი უნდა დაეძრა ასე თუ ისე სამოქმედოდ, და ის უპასუხოდ დარჩენილი საკითხი: “ვინა ვართ და რანი ვართ” _ ხელახლად უნდა გამოსულიყო მოედანზე.” *(“წერილები ქართულ ლიტერატურაზე”. 1892 წ.)*

“ვისაც რომლისამე ხალხისა და საზოგადოების აღზრდა უნდა, ვისაც ჰსურს საზოგადოებრივის აზრისა და სურვილის მიმართვა, იგი უეჭველად მონახავს იმ

ნიადაგს, სადაც მის სურვილს და ნდომას უფრო ვრცელი და უფრო მტკიცე დაკმაყოფილება მოელის.” *(“ფიქრი და შენიშვნა”. 1878 წ.)*

“აზრი ხომ ყოველთვის ყოფილა, არის და იქნება.” *(“ჩვენი ეხლანდელი სიბრძნე-სიცრუე”. 1896 წ.)*

“ჩვენს ცხოვრებას ამ საუკუნეში რომ გულამდე თვალი გავუბნიოთ, ვნახავთ, რომ იგი წარმოგვიდგენს აზრთა და მიმართულების წინსვლას, წარმატებას, მერე ისე, რომ შემდეგი წინაზე უფრო სრულია, უფრო სავსე, უფრო ვრცელი და უკეთესი. აქ ზრდაა, მატებაა აზრისა, გონების თვალთახედვის გაგანიერება, განდიდება, გაძლიერება, და არა ჭიდილი და ბრძოლა, რომელთა გაბატონება, ბრძანებლობა მოსდევს ერთისა და დაჩაგვრა და ყმობა მეორისა. ამიტომაც ვხედავთ რომ ჩვენს ცხოვრებაში არც ერთს ცალკედ ფეხაუდგმელს აზრს, თუ მიმართულებას, ბუნება ჟამთა სიარულში არ გამოსცვლია, არ დაჰშლია, და ყოველივე იგი, დაწყებიდამ დღევანდლობამდე, თითქმის ერთისა და იმავე ბუნებისაა, ერთისა და იმავე თესლისა, ხოლო განსხვავება იმაშია, რომ როგორც ყოველივე მოზარდი, დღეს ისეთი აღარ არის, როგორიც გუშინ იყო: დღეს უფრო დასრულებულია, უფრო ტანადოვანია, თუ ესე ითქმის, უფრო განწმენდილი და გაფაქიზებული. აიღეთ რომელიც გნებავთ ცალკე აზრისა და მიმართულების მატება და წინსვლა, ყველგან ნახავთ, რომ ერთს მეორესთან მოთავსებით, ერთმანეთის შეწყნარებით უცხოვრია, ხელშეუშლელად, მშვიდობიანად უვლია, და ამ სახით ყველა მოღვაწენი ერთს დიდს უღელში ჰბმულან, და ვისაც სად, და როგორ ეხერხებოდა, ეს უღელი უწევია, იმიტომ რომ აქ ყოველი გზა რომში იყო მისასვლელი.” *(“წერილები ქართულ ლიტერატურაზე”. 1892 წ.)*

“აბა მივიხედ-მოვიხედოთ, _ მართლა ესეა, თუ არა. მეთვრამეტე საუკუნის ვაი-ვაგლახმა და მეცხრამეტის პირველ წლების წეწვა-გლეჯამ ჩვენი ერი მოჰღალა, ქანცი გაუწყვიტა, თავის-თავის იმედი დააკარგვინა. როცა შემთხვევა მიეცა, თავი თითქო მოსვენებას მისცა: გაუყუჩდა, და თითქმის ხმა-ამოუღებლივ დაემორჩილა ახლად მოვლენილს ბედსა და გარემოებას. თუ დააკვირდება კაცი იმ საშინელ გარემოებათა, რომელთაც აბეზარს მოიყვანეს ჩვენი ერი, უიმისოდაც ილაჯგაწყვეტილი შინაურ ამბოხებისაგან ცალკე, და ცალკე გარეულ მტერთა ზედმოსევისა, ხოცვისა და რბევა-აკლებისაგან, ის არა გვგონია, ისე გაკადნიერდეს, რომ ამ წყურვილს დასვენებისას უკიჟინოს. ხანგრძლივ შფოთებს შემდეგ სვენება უპრიანია, როგორც ცალკე კაცისათვის, ისეც მთელი ერისათვის. ამას ბუნება ითხოვს.” *(“წერილები ქართულ ლიტერატურაზე”. 1892 წ.)*

“არაკი, რომელშიაც ცოცხლად, ცხოვლად არის ჩასახული აზრი, იზიდავს ადამიანის გულის-ყურს იმოდენად, რომ თვით არაკის სიცრუეც-კი მართალი გგონია და სულ გავიწყდებათ, რომ ყურს უგდებთ მოგონილ ამბავსა. ამ სასწაულს სჩადის ხელოვნება.” *(“ჩვენი ეხლანდელი სიბრძნე-სიცრუე”. 1896 წ.)*

“როცა მთქმელი ასე იწყებს ზღაპარს: “იყო და არა-კი იყო რაო”, თითქო თავიდამვე ჰსურს გაუწყოთ, რომ არყოფილს, არ-არსებულ ამბავს გეუბნებიო, ხოლო სულს ადევნე გულისყური და არა ხორცსაო, აზრსა და არა ამბავსაო, რადგანაც ამბავი მარტო აზრის გამოსასახავად არის აქ ჩართული და მოგონილიო.” *(“ჩვენი ეხლანდელი სიბრძნე-სიცრუე”. 1896 წ.)*

“თუ ზღაპარს, არაკს, იგავს აზრი არა აქვს, უგემურია, უმარილოა.” *(“ჩვენი ეხლანდელი სიბრძნე-სიცრუე”. 1896 წ.)*

“ზღაპარი, არაკი, იგავი მხოლოდ მაშინ აიყოლიებს ხოლმე გატაცებით ადამიანის გულის-ყურს, როცა გამცნებთ რასმე საჭკუოს და საზნეოს მართალს, რომელიც ისე

შიშველად, ხორცშეუსხმელად, უსახოდ, უსურათოდ, უფერადოდ ყველასათვის ადვილად დასანახი არ არის." *("ჩვენი ეხლანდელი სიბრძნე-სიცრუე". 1896 წ.)*

"ზღაპარი, არაკი, იგავი ერთსა და იმავე დროს სიბრძნეც არის და სიცრუეც, სიბრძნე სულით, სიცრუე ხორცით. აქ სიცრუე ხატებაა, განსახოვნებაა სიბრძნისა. ამიტომაც ესეთი სიცრუე არამც-თუ ცოდვაა, ასე სამართლიანად საზიზღარი კაცთა ურთიერთობაში, არამედ მადლია, რომლითაც ასე გამოჩენილნი არიან ეზოპე, ლაფონტენი, გრიმმები _ ძმანი, ანდერსენი, კრილოვი, საბა ორბელიანი და სხვანი, ამ სახით მქადაგებელნი სიბრძნისა და ჭეშმარიტებისა თითონ საღმრთო წერილის იგავნი ამავე ორკეც თვისებისა და ღირსებისანი არიან." *("ჩვენი ეხლანდელი სიბრძნე-სიცრუე". 1896 წ.)*

"დიახ, ესეთია იგი საიდუმლოება ერთ-გვარის მადლისა, რომელსაც ზეგარდმო-შთაგონება ჰქვიან და რომელიც თვით ცოდვილს სიცრუესაც კი მადლს აქმნევინებს ხოლმე და ყურმოჭრილ მსახურად უხდის სიბრძნესა." *("ჩვენი ეხლანდელი სიბრძნე-სიცრუე". 1896 წ.)*

"სიცრუეს ისე სამართლიანადა აქვს წამხდარი სახელი, ისეთი საზიზღარი რამ არის ადამიანის ყურისათვის, რომ სჯობდა ამისთანა საქმეში სულაც არ ხმარებულიყო. მე დიდის სიხარულით აქ არც-კი ვახსენებდი. ღმერთმა სიცრუეც შეარცხვინოს და მისი მადლიც. ამ საქმის საკადრისი სხვა სიტყვაა საჭირო." *("ჩვენი ეხლანდელი სიბრძნე-სიცრუე". 1896 წ.)*

"იმისთანა ბრძენი და სათნო კაცი, როგორიც საბა ორბელიანია, რაკი სიბრძნესთან სიცრუესაც ახსენებს და თავისს გონების ნაღვაწს სიბრძნე-სიცრუის წიგნს არქმევს, ჩვენ ამისთანა სიტყვისათვის ჭკუა უნდა მოგვენახა." *("ჩვენი ეხლანდელი სიბრძნე-სიცრუე". 1896 წ.)*

"საბა ორბელიანის სიცრუე და ერთობ სიტყვაკაზმულ ლიტერატურისა უცოდველია, უმწიკვლოა, უბოროტოა, უბრყვილოა. იგი ნამუსიანია, არც არავისა ჰმტრობს, არც არავისა ჰგმობს. ამაზე მეტსაც ვიტყვით, იგი მადლიანია იმ მხრით, რომ აზრის ამხსნელია, მაუწყებელია, გაგების გზა და ხიდია, ცოცხალი ხატია, ხელთქმნილი დიდის გრძნეულებით." *("ჩვენი ეხლანდელი სიბრძნე-სიცრუე". 1896 წ.)*

"საბა ორბელიანისებური სიცრუე ნამუსიანია. არც არავისა მტრობს და არც არავის ჰგმობს-მეთქი, არც არავის ჰყიდის და არც არავის ჰყიდულობს. იგი ერთგული მსახურია სიბრძნისა და ამიტომაც მადლიანიც არის." *("ჩვენი ეხლანდელი სიბრძნე-სიცრუე". 1896 წ.)*

"რაც ხალხი უფრო ნაკლებ განათლებულია, მით უფრო ცოტა სიტყვა აქვს თავის ენაშია. ანგლიაში ერთ პასტორს გამოუკვლევია, რომ ანგლიის გლეხი _ თუ ხსოვნამ არ მიღალატა _ თავის გრძნობის, საჭიროების, აზრის გამოსათქმელად მარტო 3000 სიტყვას ხმარობსო. დარწმუნებული ვარ, რომ 3000 აზრის მეტი იმის გონებაში არ არის, იმიტომ რომ ყოველი სიტყვა აზრის წარმომადგენელია." *("ხელოვნება და მეცნიერება". 1862-3 წ.)*

"ყოველი სიტყვა აზრის წარმომადგენელია." *("ხელოვნება და მეცნიერება". 1862-3 წ.)*

"მე დარწმუნებული ვარ, რომ ერთობ ჩვენი ხალხი ანგლიის ხალხზე უფრო ცოტა სიტყვით იოლად მიდის, იმიტომ რომ ისინი ჩვენზედ განათლებულები არიან: მეტი საჭიროება, მეტი გრძნობა, ერთის სიტყვით _ მეტი აზრი აქვსთ და, რასაკვირველია, იმ აზრების გამომთქმელს მეტი სიტყვაც უნდა ჰქონდეს." *("ხელოვნება და მეცნიერება". 1862-3 წ.)*

"თუ ხალხი ცხოვრობს, განვითარებაში არის, ე.ი. აზრიანობა, გამსჯელობა ემატება, სიტყვაც მოემატება, ენაც გაუმდიდრდება. ვინც იძახის, ნუ იხმარებთ ახალს სიტყვებსაო, იმან არ იცის, რას ამბობს. ის ამით ამბობს, რომ აზრს ნუ გვამატებთო, გონების

მხედველობას ნუ უვრცელებთო, წინ ფეხს ნუ გვადგმევინებთო, ერთი სიტყვით _ კაცნი კაცობას ნუ ჩემობთო." *("ხელოვნება და მეცნიერება". 1862-3 წ.)*

"სიტყვა უაზროდ და აზრი უსიტყვოდ ვერ დაიბადებიან." *("სფირიდონის და თადეოზის ბაასი". 1861 წ.)*

"კაცი დაუყოვნებლივ და განუწყვეტლადა სჯის ისრე, როგორც ესმის. ყველა გეტყვის დაუყოვნებლადა თავის აზრსა იმ საგანზე, რომელიც კი გაუგონია." *("სფირიდონის და თადეოზის ბაასი". 1861 წ.)*

"ბევრს აქამდისინაც ვერ გამოუბერტყია გონებიდგან ის აზრი, რომა მაღალი ფრაზითა, მდაბალი ფრაზითა და საშუალო ფრაზით წერასა სრულიად აღარაფერი მნიშვნელობა არა აქვს." *("სფირიდონის და თადეოზის ბაასი". 1861 წ.)*

"თხზულებაში საქმე აზრია, და მაღალს და მდაბალს ფრაზასა არაფერი ღირსება არა აქვს, თუ ბრწყინვალე აზრი არ გამოსჭვივის სტატიაში." *("სფირიდონის და თადეოზის ბაასი". 1861 წ.)*

"იმ ყმაწვილ ქალსა, რომელსაც ფარეზით და წყნარად უნდა ვექცეოდეთ, რომ არაფერი ვაწყენინოთ, მაგრამ საკვირველი ეს არის, რომა თუ პატარაობითვე არ ანიშნე შეცდომა, არ გაუსწორე, ოთხმოცის წლისაც რომ შეიქმნეს, ისევ ის ოთხის წლის ბავში არ იქნება?" *("სფირიდონის და თადეოზის ბაასი". 1861 წ.)*

"მთარგმნელი არის თავისუფალი კაცი სტატიის ამორჩევაში; რომელიც უნდა, რომელიც სტატიაც მოეწონება _ იმას მოჰკიდებს ხელსა და გამოთარგმნის იმისათვის, რომა რაც თითონ წაიკითხა კარგი და მშვენიერი სხვა ენაზედა, სურს რომა თავისს მოყვასსაც შეატყობინოს იმისი აზრი." *("სფირიდონის და თადეოზის ბაასი". 1861 წ.)*

"აზრი და სურვილი ჰშობს საქმესა, რადგანაც აზრი მამაა საქმისა და სურვილი დედა". *("სატექნიკო და სახელოსნი სასწავლებელთა შესახებ". 1889 წ. 25 ნოემბერი)*

"ლონდონის ქალებმა კარგად იციან, რომ ინგლისში ყოველგვარი ცვლილება შეუძლებელია, თუ ამ ცვლილებამ საზოგადოების აზრი არ მიიზიდა და არ დაიყოლია. საზოგადოების აზრის გამოცვლა და დაყოლიება, თუ თქვენც იტყვით მკითხველო, ადვილი საქმე არ არის და ჩქარა არ მოხერხდება. საზოგადოება არამცთუ მარტო იმისთანა მძიმე საქმეში, როგორიც ქალთათვის საპოლიტიკო უფლების მინიჭებაა, არამედ მცირე საქმეშიაც ძნელად ჰსთმობს ჩვეულებრივს, გათელილს გზას და დიდის ჭოჭმანებით გამოდის ახალზედ. ბევრს ტანჯვას და ვაი-ვაგლახს გამოივლის ახალი აზრის მქადაგებელი, ბევრს რისხვას და შეჩვენებას განიცდის, ვიდრე დაიყოლიებს საზოგადოებას და ჩააგონებს თავის საკუთარ რწმენას. ახალის აზრისა და რწმენის მიმდევარს დიდი სიმტკიცე ხასიათისა და დიდი სასოება გამარჯვებისა უნდა ჰქონდეს, რომ გული არ გაუგრილდეს და ხელიდამ არ გაუშვას მის მიერ დაწყებული საქმე. ამგვარი სიმტკიცე და სასოება ინგლისის ქალებმა გამოიჩინეს ამ ათის წლის განმავლობაში. იგინი წერა-ბეჭდვით და ლაპარაკით განუწყვეტლად ქადაგობდნენ და თუმცა პარლამენტი უარს ჰყოფდა მათ თხოვნას, ამ ქადაგებას უნაყოფოდ არ ჩაუვლია. ეხლა მათ თხოვნას, რომელიც ბრაიტის ხელით წარუდგინეს პარლამენტს, 430.000 პირს უწერია ხელი, მაშინ როდესაც ათის წლის წინათ 1.500 კაცს ეწერა ხელი." *("ქალების არჩევნების უფლება და ინგლისის პარლამენტი". 1877 წ.)*

"ადამიანს სიტყვა აზრისათვის არა აქვს მინიჭებული, არამედ იმისათვის, რომ დიდმა სთქვას: "მე შენ გიბრძანებ და ხმა უნდა გაიკმინდო", და პატარამ მიუგოს: "მაქვს პატივი მოგახსენო, რომ ენა მუცელში ჩამივარდა, ბრძანებისამებრ თქვენისა *("შინაურ მიმოხილვის მაგიერი". 1881 წ. იანვარი)*

“მოიგონეთ გრ. ორბელიანის დიდის ყოფით და სასოებით დასაფლავება და ის თანაგრძნობა საზოგადოებისა, რომლითაც განიმსჭვალა იგი, თითქო ერთი კაციაო, - და მერე იკითხეთ, რამ გამოიწვია ის საერთო წუხილი თუ არ მან, რომ იგი იყო თავისის დაჩაგრულის მამულის ძლიერ სიტყვით მოტრფიალე, ეროვნულის იდეის პოეტურად გამომხატველი, “დროთა სიზმრებრ გამქრალთა” - ჭირისუფალი, საქართველოს დიდების კვლავ დაბრუნებისთვის ზეშთაგონებული.

ნუთუ ეს იმას არ ამტკიცებს, რომ საზოგადოება უპირველეს ყოვლისა იდეას სცემდა პატივსა, როცა ისეთის დიდის ყოფით აცილებდა უკანასკნელს სადგურამდე თავის გულის პასუხის ძლიერად გამომხატველს პოეტს, რომ აზრს მამულისშვილობისას ჰრთავდა გვირგვინით, როდესაც ყვავილებში ჩააწვინა ამ აზრის მტვირთველი და მატარებელი კაცი” *(“შინაური მიმოხილვა”. 1883 წ. აგვისტო).*

ქვემოთ წარმოდგენილი იქნება ილია ჭავჭავაძის “აზრები” ქართველი ერის გონებრივი განვითარების შესახებ.

პირველი თავი
ერის გონებრივი ზრდა (გონებრივი თვალსაწიერის გაფართოება)

1.1. განათლება ჩვენში ფეხმძიმედ დადის

- წერა-კითხვა ჩვენში ნაკლებად არის გავრცელებული
- ჯერ-ხანად უკურნებელი და ძალიან მწვავე ტკივილიც
- წერა-კითხვის საზოგადოებას პირველხანად მაინც კარგა ფული აქვს, მაგრამ დიდი გაფრთხილება უნდა

1.2. ბავშვის სწავლა (გონების გახსნა და მსჯელობის გაძლიერება) და სკოლა

- სკოლა უსწავლელობის წამალი
- საერო სკოლა გვჭირდება: იგი სკოლაა ერისა, მოედანია, საცა ერის გონებამ და გრძნობამ ფეხი უნდა აიდგას
- სწავლა კაი კაცის ხელში სიამოვნებაა ბავშვისათვისვე, ანუ ნუ ჰგონიათ, რომ ოსტატობა ყველა წიგნის მცოდნეს შეუძლიან. ქალი მასწავლებელი

1.3. ცოდნა, სწავლა-განათლება, პრაქტიკული გამოცდილება ერის სიმდიდრის სათავე

- სწავლა-განათლება სათავეა სიმდიდრისა
- ცოდნა და გადადებული ქონება განძია, ურომლისოდაც არავითარი წარმოება ფეხს წინ ვერ წასდგამს
- ცოდნა თავისთავად სიმდიდრეა ერისა, დაუშრეტელი წყაროა როგორც კაცად მყოფობისათვის, ისეც თავის სარჩენად. ქართველო კაცო: ტანთ მოიკელ, ფეხთ მოიკელ, მშიერ-მწყურვალი იარე და ცოდნა, სწავლა-განათლება მიეცი შვილსა
- საკმარისი არ არის მარტო დიპლომი. საქმე მარტო ცოდნა კი არ არის, გამოცდილებაა
- უმეცრება ძვალ-რბილში გვაქვს გამჯდარი. მხოლოდ განათლებას, სწავლას, ცოდნას შეუძლიან წამალი დასდოს ჩვენს ცხოვრებას

1.1. განათლება ჩვენში ფეხმძიმედ დადის

- **წერა-კითხვა ჩვენში ნაკლებად არის გავრცელებული**

"ყველამ კარგად იცის, რომ განათლება ფეხმძიმედ დადის, ნამეტნავად ჩვენში ასკინკილობს". *("ვაცია ადამიანი?!" 1858-63 წ.).*

"არა ხალხში, რომელიც კი განათლებულებში ჩაითვლება, წერა-კითხვა ისე ნაკლებად არ არის გავრცელებული, როგორც ჩვენსაში. უწინდელს დროს, როდესაც მამაკაცები სულ ომში ტრიალებდნენ და წიგნის კითხვისათვის არა სცალოდათ, დედაკაცები მაინც არ ანებებდნენ ამ საქმეს თავსა, მიიბარებდნენ შეგირდებს და ამ-რიგად ქართულს მწიგნობრობას ძირიანად ამოვარდნას უშლიდნენ". *("შინაური მიმოხილვა". 1879 წ. აპრილი).*

"ეხლანდელს დროში დედაკაცები ისე-რიგად აღარ ეწყობიან წიგნის კითხვას და მამაკაცებს კი ჯერ გულდადებით არ მოუკიდნიათ ამ საქმისათვის ხელი, მართალია, ჩვენს სოფლებში ათასში ერთგან ამ უკანასკნელს ხანს შკოლები გაიხსნა, მაგრამ ისე კანტი-კუნტად, რომ ერთს შკოლიანს სოფელზედ ასი მეტი უშკოლო მოდის".

"ჩვენ-შუა ხიდია ჩატეხილი: ისინი იქით ნაპირას დაჰრჩნენ, ჩვენ აქეთ. შორიშორსა ვართ და თვალი ერთმანეთისათვის ვეღარ მიგვიწვდენია, თვალი მართალი და უტყუარი. რად უნდა გვიკვირდეს, რომ იმ სიშორეზედ კაცს კაცი მარგილად ჰგონია და ღვთის მსგავსებით შექმნილი სახე ადამიანისა ელანდება როგორც ერთი ტყლაპი რამ. ამ დიდ მანძილზედ განა ცოტა რამ არის, რომ უღონო თვალს თეთრი შავად აჩვენოს? ჩვენ კიდევ ხედვა გაძლიერებული გვაქვს, დურბინდით შეგვიძლიან ყურება და ეგ დურბინდი სწავლაა და ცოდნა, ისინი მაგასაც მოკლებულნი არიან." (*"ოთარაანთ ქვრივი". [1886] – 6 ქრისტეშობისთთვეს 1887 წელსა).*

"განათლება იმაში კი არა მდგომარეობს, რომ მიწასთან გავასწოროთ კაცი, რატომ შენც განათლებული არა ხარო; არამედ, როგორც ძმას, რომელსაც არა ჰქონია ბედი განათლებისა, მოჰკიდო მზრუნველი ხელი და დააყენო ფეხზედ. აი, კაცი განათლებული, მარგებელი ქვეყნისა, აი ამგვარ კაცის წინ მოვიდრეკ თავსა და თაყვანსა ვცემ." ("*ზოგიერთი ხანა მოთხრობისა "მარგალიტი ლექში". 1861-1863 წ.).*

"რომ კაცი კაცად გახდეს, ამის ღონეთ მარტო ცოდნა და განათლებაა. არა ღონე არ ექნება გაუნათლებელს კაცს თავის ჯაჭვის დასამტვრეველად. მე ვფიქრობ, რომ ჩვენში ან სულ არ არიან ამისთანა კაცნი, და თუ არიან, ძალიან ცოტა." ("*იგი წავა და სხვა მოვა ტურფასა საგაღნაროსა". 1861-1863 წ.).*

"_ ეგ ცხადია.

_ უნივერსიტეტში ნამყოფი კი ბევრი ხართ.

_ ეგ რაზედ მიბძანეთ?

_ იმაზედ, რომ თუ ჩვენში მცოდნენი და განათლებულნი ცოტანი არიან ან სულ არ არიან, მაშ უნივერსიტეტში რას აკეთებდით მაგდენი ხალხი?

_ იმას ვაკეთებდით, რომ შინაურობაში წამხდარი გული და ზნეობა ჩვენი ცოტად თუ ბევრად გავისწორეთ, გადავიკეთეთ. ჩვენ ვჯობივართ ჩვენზედ ცუდებს, ეს არის ჩვენი სახელი.

_ შორს არ წასულხართ.

_ ცოტათი მაინც ხომ წავედით წინ, თქვენ კი უკან და უკან მიდიხართ.

_ ვინ ჩვენ?

_ ქალები, ესე იგი მთელი ნახევარი საქართველოსი.

_ უნივერსიტეტი ჩვენთვის დახურულია.

_ გააღეთ კარები და შედით.

_ მოუმზადებელნი?

_ მოემზადენით.

_ რომ არ გვამზადებთ?

_ კიდეც ეგა, რომ თქვენ სულ მზა-მზაობა გინდათ. თქვენ ვერას კარგს ვერა იქთ, თუ ძიძაობის შველაზედ ხელს არ აიღებთ. იბრძოლეთ და წაიღეთ. თორემ დაგიკრეფიათ ხელები და შესცქერით: აცა, კარს გაგვიღებენო და ჩვენც დავინახავთო მზიან ქვეყანასაო." ("*იგი წავა და სხვა მოვა ტურფასა საგაღნაროსა." 1861-1863 წ.).*

- **ჯერ-ხანად უკურნებელი და ძალიან მწვავე ტკივილიც**

"ჩვენი ჯერ-ხანად უკურნებელი ტკივილი და ძალიან მწვავე ტკივილიც ის არის, რომ ჩვენის ქვეყნის სწავლა-განათლების საქმე მეტად ცუდად არის მოწყობილი და პატრონი არ არის, რომ ყურადღება მიაქციონ და რაც შეიძლება შესცვალონ და გაასწორონ. ნაკლულევანება ამ მოწყობილობისა ხშირად და ვრცლად ყოფილა ნაჩვენები აქაურ მწერლობაში, მაგრამ მითამ კედელზედ ცერცვი შეგიყრია, არავის ყურიც არ გაუბერტყნია. ან რად უნდოდათ, რომ ყური გაებერტყნათ? სწავლა-განათლების საქმე განა იმისთანა დიდი რამ არის, რომ ამისათვის თავი გაიცხელონ, ვისიც ჯერ არს. იქნებიან ერთი ათი-თხუთმეტი წელიწადი, მერე იტყვიან: "უკაცრავად, თქვენთან დანაშაული მაქვსო", დაჰკრავენ ფეხსა და წავლენ. ვინ არის პატრონი? ვინ არის გამჩხრეკი? ერთი შიგ ჩახედონ აქაურ პედაგოგებს გულში გამჭრიახის თვალით და ნახონ, რა ღვარძლი აქვთ იმისთანა, რომ ესე ხანგრძლივ და შეუბრალებლად გესლავენ ჩვენს სწავლა-განათლების საქმეს. ერთი იკითხონ, სწავლა-განათლების მეტს სხვას რას ეძებენ და რათ ეძებენ ჩვენებური პედაგოგები? რას იზამ? გამკითხველი ვინ არის? არიან და ფარფაშობენ." *("შინაური მიმოხილვა". 1881 წ. ივლისი).*

"აქაურის სწავლა-განათლების მზრუნველის 1880 წლის ანგარიში რომ გადაათვალიეროთ, ნახავთ, რომ სწავლა-განათლება ჩვენში ტაატით მიდის და გულ-აცრუებით საზოგადოდ და ქართველობისათვის საკუთრივ; ნახავთ, რომ აქ, ჩვენში,, სწავლა-განათლებას ყველანი ნაკლებად ეწაფებიან და ქართველები ხომ ნაკლებ და ნაკლებ." *("შინაური მიმოხილვა". 1881 წ. ივლისი).*

"რას უნდა მივაწეროთ ესრეთი მცირედობა მოსწავლეთა რიცხვისა საზოგადოდ და ქართველებისა საკუთრივ? აქ მიზეზი ორ-გვარია: ერთი საზოგადოა, მეორე საკუთრივ ქართველობას შეეხება. საზოგადო მიზეზს შეადგენს სასწავლებლის პროგრამების უთავ-ბოლობა და უმსგავსობა, იმიტომ რომ ეს პროგრამები არ ეშესაბამება არც პედაგოგიურს მოთხოვნილებას, არც აქაურს ვითარებას და არც ბავშვის ძალ-ღონეზედ არის დაფუძნებული. თვითონ სასწავლებელი ცოტანი არიან, და რაც არიან _ ისიც ერთ ალაგს, ქალაქებში ჯგუფად თავმოყრილნი და არა გაფანტულნი და მორიგებულნი საჭიროებისამებრ სხვადასხვა ადგილას, ასე რომ მწყურვალნი ვერ მისწვდომიან. გარდა

მაგისა, სწავლა-განათლების საქმისათვის მეტად ცოტა ფულია ერთობ დანიშნული." *("შინაური მიმოხილვა". 1881 წ. ივლისი).*

"საკუთრივ ქართველების საქმეს კი სხვა მიზეზიც აბრკოლებს.

პირველი მიზეზი ის არის, რომ ქართველები უფრო სოფლად მცხოვრებნი არიან, სასწავლებლები კი ქალაქებშია, მაშასადამე სასწავლებელზედ ქართველები შორს არიან და მოკლებულნიც ღონისძიებას შვილების განათლებისა. რუსები _ როგორც მოხელეობის მქონენი და სომხები _ როგორც ვაჭრები, სულ სხვა ყოფაში არიან ამ მხრით. ესენი სულ თითქმის ქალაქებში ცხოვრობენ, ესე იგი სასწავლებელზედ ახლო, ამიტომაც ეადვილებათ შვილების აღზრდა და შენახვა. მეორე მიზეზი, რომ სომხების და სხვა რჯულის ხალხნი ქართველებზედ მეტნი სწავლობენ, ის არის, რომ სწავლა-განათლების საქმეს დიდ ხელს უწყობენ სომხისა თუ სხვა რჯულის ხალხის სამღვდელოება." *("შინაური მიმოხილვა". 1881 წ. ივლისი).*

"თვალწინ აფხაზების მაგალითი გვიდგა. იქ იმისთანა მღვდლები თურმე დაუნიშნავთ, რომელთაც პურის დასახელებაც არ იციან თურმე აფხაზურად. აბა, აფხაზები ამათ როგორ უნდა გაენდვნენ, თუ არ "პერევოჩიკის" შემწეობითა? თუ თითონ ერი არ გებრალებათ, ხაზინას მაინც გაუფრთხილდით, თორემ "პერევოჩიკების" დაჭერა მოგინდებათ და, მაშასადამე, ჯამაგირიების ძლევაცა." *("შინაური მიმოხილვა". 1881 წ. ივლისი).*

"თუ გინდათ, რომ ჩვენის ქვეყნის სიმდიდრე ადამიანს ჩაუვარდეს ხელში, ხვეწნას და ღრეჭას თავი დაანებეთ და მეცნიერების ფარ-ხმალით შემოსეთ აქაურობა." *("შინაური მიმოხილვა". 1881 წ. სექტემბერი).*

"საერო განათლების საქმე უნდა გადაისინჯოს და ძირიანად გადაკეთდეს, რომ განათლებამ მართლა ფეხი გაიდგას და მოიკიდოს ჩვენში. ეყო აქაურობას ამოდენა ჭმუჭვნა, აქეთ-იქით ქანება, წაჯექ-უკუჯექობა. დროა განათლების საქმეს მთელის ქვეყნიერებისაგან აღიარებული საფუძველი დაედოს, ერთხელ და ერთხელ თავის საკუთარს გზაზედ დაყენებულ იქმნას, განათლების საქმეში განათლების მეტი არავინ არ შეურიოს და წმინდა რამ არ აამღვრიოს." *("შინაური მიმოხილვა". 1881 წ. დეკემბერი).*

"წელს გამოცხადებული იყო, რომ კლასიკურს გიმნაზიაში ოც-და-ერთმა ყმაწვილმა კაცმა დაასრულა კურსი. ამ ოც-და-ერთში, ჩვენდა სამწუხაროდ, და უკეთ ვსთქვათ, საუბედუროდ, არც ერთი ქართველი არ ურევია. ბევრი რამ არის საოცარი ამ ჩვენს ქვეყანაში, მაგრამ იმაზედ საოცარი, რომ შუაგულს საქართველოში წელიწადები გადის და ერთი ქართველი არ ასრულებს კურსსა, ამაზედ საოცარი-მეთქი არა მგონია სხვა რამ იყოს". *("შინაური მიმოხილვა". 1879 წ. მაისი-ივნისი).*

"რას უნდა მივაწეროთ ამისთანა უნუგეშო ამბავი? ჩვენი კეთილის-მყოფელნი, რასაკვირველია, ადვილად მოგვიგებენ ამის პასუხს და იტყვიან, _ თქვენს უნიჭობას თუ არა, ზარმაცობას ხომ წინ არა უდგა რაო. ეს პასუხი მთქმელისათვის იქნება სანუკვარიც იყოს, მაგრამ მართალია თუ არა, მაგისი კი ნურას უკაცრაოდ. ჩვენა გვგონია, რომ მაგისთანა პასუხი შეუწყნარებელია, თუ კაცი რიგიანად დააკვირდება ჩვენის განათლების საქმის შიგნეულობასა და გარემოებას ჩვენის ყოფისას და მდგომარეობისას. პირველი, რომ ის წრე, რომლისათვისაც მისაწვდომია იმგვარი სასწავლებელი, როგორიც გიმნაზიაა, მეტად შორს არის გიმნაზიაზე, ისე მანძილით არა, როგორც შეუძლებლობითა. შვილის შენახვა ქალაქში ჩვენებურს თავადსა თუ აზნაურს, გლეხს აღარ ვიტყვით, მეტად უძნელდება, მერე ამისთანა სიძვირეში. ბევრს კი არა, ძალიან ცოტასა აქვს იმისთანა შეძლება, რომ შვილი პანსიონში მისცეს, ან ვისმე მიაბაროს. ერთსაც და მეორესაც დიდი ხარჯი მოსდევს და ამ ხარჯს ვერა სწვდება შვილის

განათლების მსურველი დედ-მამა. ამის-გამო თითქმის მთელი თავად-აზნაურობა, რომელიც ქალაქს-გარეთ სოფლად სცხოვრობს, სწავლის სახსაარს მოკლებულია და თუ შეხვდებით ქართველს ყმაწვილს გიმნაზიაში, ან ქალაქში მცხოვრების შვილია, ან არა _ გვარიანად შეძლებულისა. სხვა-კი თითქმის აუარებელი რიცხვი ყმაწვილებისა სწავლის გარეთ რჩება. თუნდ ესეც არ იყოს, ჩვენს ქართველს ყმაწვილს დიდი ხარიხი ხვდება სწავლის მიმდინარეობაში. ჯერ თითონ პროგრამა გიმნაზიისა აიღეთ თავისის ლათინურით და ბერძნული, რომელნიც იმოდენა ხეირს აყრიან ყმაწვილს, როგორც წყლის ნაყვა, ანუ ნაცრის ქექა. თუნდ ამ ორს მძიმე ტვირთს აუვიდეს კიდეც ჩვენი ყმაწვილი, მაინც კიდევ ერთი სხვა მძიმე ტვირთი აწევს კისერზედ. ჩვენი ქართველი ყმაწვილი ორ-გვარს სიძნელეს შეეხლება ხოლმე გიმნაზიაში. ერთი _ საგნის, მეცნიერების სწავლას, რომელიც ერთნაირად მძიმე რამ არის ყველასათვის და აუცილებელიც და მეორე _ იმ უცხო ენის შეთვისებას, რომლის საშუალებითაც საგნებს ასწავლიან. ამაში-კი ტვირთი სწავლისა ერთნაირად მძიმე არ არის რუსისა და ქართველს შორის. რაღა საკვირველი უნდა იყოს ამას იქით, რომ რუსმა უფრო ადვილად გაიაროს სწავლის გზა, ვიდრე ქართველმა! რუსი მარტო საგნებსა სწავლობს და ქართველი-კი საგნებსაც და რუსულ ენასაც, ურომლისოდაც ერთს ბიჯსაც წინ არ წაადგმევინებენ, თუნდა ჰუმბოლტის მეცნიერებით აღსავსე იყოს". *("შინაური მიმოხილვა". 1879 წ. მაისი-ივნისი).*

"მეტყვიან, ეგევე მიზეზი ხომ სომეხსაც უნდა აბრკოლებდესო, მაგრამ იმათში ორი-სამი მაინც ასრულებს ყოველწლივ კურსსაო. მართალია, ორი-სამი ასრულებს, მაგრამ თითონ ეგ ორიოდობა ცხადი საბუთი არ არის იმისი, რომ ამ შემთხვევაში სომეხი და ქართველი ერთს ტაფაში იწვიან". *("შინაური მიმოხილვა". 1879 წ. მაისი-ივნისი).*

"რაც შეძლებული სომხობაა, სულ ქალაქში მცხოვრებელია, მაშასადამე, გიმნაზია კარ-წინა აქვთ. ამასთან შემძლებელნიც არიან, როგორცა ვსთქვით. ამათგანმა რომ ორიოდემ შეასრულოს ხოლმე კურსი წელიწადში, არარაობად უნდა ჩაითვლებოდეს. ათასში და ათი-ათასში ერთი განა მაგალითად მოსატანია ამ შემთხვევაში! მინამ ჩვენი გიმნაზიები შრომას და ჯაფას არ გაუთანასწორებენ ქართველს, სომეხს და რუსს, იმ დრომდე ძნელად საფიქრებელია, რომ ქართველებმა და სომხებმა წააჭარბონ რუსებს გიმნაზიაში". *("შინაური მიმოხილვა". 1879 წ. მაისი-ივნისი).*

"მინამ ის სანატრელი დრო მოვა, არც ჩვენ უნდა ვისხდეთ გულხელ-დაკრეფილნი; კაცი ის არის, ვინც გაჭირვებაში ცდილობს, რომ სიმძიმე გარემოებისა როგორმე შეიმსუბუქოს, ან აქეთ მოუაროს საქმეს, ან იქით და როგორმე უშველოს თავსა. აბა, მაგალითად, ჩვენ როგორ უნდა ვუშველოთ ჩვენს თავს? პირველი, რომ ჩვენი საკუთარი სასწავლებელნი უნდა ვიქონიოთ, მერე იმისთანა სასწავლებელნი, რომ ჩვენს შვილებს ბინაც ჰქონდესთ, საზოგადოებაც და სწავლაც. ყველაზედ უპირველესი წამალი ეს არის და ამაზედ უნდა მიექცეს ყოველივე ჩვენი ყურადღება, მეცადინეობა და გამრჯელობა. სხვის მაყურებელი მოკვდა უზიარებელიო, ნათქვამია. ეს წუთის-სოფელი ისეა მოწყობილი, რომ ყველა თავისთვისა ჰფიქრობს და სხვა, რასაკვირველია, თავისათვის უფრო იფიქრებს. "თავად-აზნაურთა საზოგადოებამ შეუძლებელ მოსწავლეთა შემწეობისათვის" თავისი სკოლა გახსნა ტფილისში, და იქ ოც-და-ათს ყმაწვილს ბინა, საზრდოება და პირველ-დაწყებითი სწავლა ეძლევა; ორმოც-და-ათამდე მოარული შეგირდებიცა ჰყავს. ქუთაისელებიც, ბანკის ფულის შემწეობით, აპირობენ ამ-გვარის სკოლის გახსნას და ჯერ-ხანად რვაასი თუმანი აქვსთ ამ საგანზედ. ტფილისის სკოლას კიდევ აქაურმა ბანკმა შესწირა ათას-ასი თუმანი წელს და ხუთასამდე შარშან. ეს ყველა

კარგია, მაგრამ ყველა ეგ ცოტაა. ეგ სკოლები წყლულს ვერ გაგვიმთელებენ, თუმცა ეგენიც დიდი საქმეა ჩვენთვის. ჩვენ ჩვენი საკუთარი გიმნაზია გვინდა. ჩვენმა ქართველობამ თავისი სრული თანაგრძნობა და გულშემატკივრობა ამაზედ უნდა მიაქციოს, თუ არ სურს, რომ მისი სახელი და კვალი მტვერსავით აიგავოს დედამიწის ზურგიდამ. საცა ცოდნა არ არის, იქ კაცი არ არის, საცა კაცი არ არის, იქ საზოგადოებაც არ არის, და საცა საზოგადოება არ არის, იქ არც ხალხია. ეს უნდა თითზე დავიჭდიოთ, ეს უნდა დღე-და-ღამ გუნებაში ვიქონიოთ, ამას უნდა მივეცნეთ ყველანი ერთად და თვითოეულად ცალკე ყოველის ჩვენის შეძლებითა და ღონითა". *("შინაური მიმოხილვა". 1879 წ. მაისი-ივნისი).*

"ამბობენ, გიმნაზიის შენახვას ორი-ათას-ხუთას თუმნიდამ სამი-ათასამდე მოუნდებაო წელიწადში. ეს იმოდენა ფული არ არის, რომ ჩვენს ბანკს გაუჭირდეს ამისი გამოღება, ზოგი გარეშე შესაწირავი იქნება, ზოგი თითონ გიმნაზიას ექნება შემოსავლად და ამ სახით საქმე საქმეზე ადვილად მოეწყობა. ქართველობავ, დამიჯერე, რომ ჯერხანად ამაზედ უკეთესს საქმეს ვერ მოახმარებ შენს ქონებითს ძალასა. ამისათვის გაისარჯე, თუ გინდა მამა-პაპათა ნათქვამისამებრ შვილი მამასა სჯობდეს და მომავალი _ აწმყოს. დღევანდელის მომდურავებმა ხვალინდელი დღე მაინც კარგი გავითენოთ". *("შინაური მიმოხილვა". 1879 წ. მაისი-ივნისი).*

- **წერა-კითხვის საზოგადოებას პირველ ხანად მაინც კარგა ფული აქვს, მაგრამ დიდი გაფრთხილება უნდა**

"ჩვენი "წერა-კითხვის გამავრცელებელი ქართველთა შორის საზოგადოება" შესდგა და გამგეობაც ამოირჩიეს. ამ სახით პირველ-ხანად ამ საზოგადოებას თუმცა საკმარი არა, მაგრამ მაინც კარგა ფული აქვს. ხოლო ამ ფულს დიდი გაფრთხილება უნდა, თუ საზოგადოების ხანგრძლივად ცხოვრება სასურველია. ჩვენ ამას არ ვიტყოდით, რომ თვალ-წინ არ გვედგას ის აყალმაყალი, რაც წელს თავად-აზნაურობას შეუდგა მის-გამო, რომ ბანკმა ათას-ასი თუმანი შესწირა ამ საზოგადოებას. "რათაო და რისთვისაო" _ ყვიროდნენ წინდაუხედავად ზოგი სხვის წაქეზებით, ზოგი საკუთარის თაოსნობით: _ განა ჩვენ კი შვილები არა გვყავსო, თუ გაზრდა საჭიროა, ჯერ ისინი გავზარდოთო. შინ რომ შვილი გიტიროდესო, გარეთ ტაბლას რა უნდაო" და სხვანი და სხვანი". *("შინაური მიმოხილვა". 1879 წ. მაისი-ივნისი).*

"ჩვენი უბედურება ის ყოფილა, არის და ღმერთმა ნუ ქნას, კიდევ იყოს, რომ ყველა ქართველი, გლეხია თუ თავადი, ძმად და შვილად არ მიგვაჩნია. ზემოხსენებული საზოგადოებას სახეში აქვს მთელი ქართველობა, თავად-აზნაურობა-კი გამოსულა და იძახის, მეო და არა სხვაო. ბატონებო, თუ ყველანი ერთად არ ვიქნებით, თქვენი "მე" თუნდა იყოს და თუნდა არა. თავს მაგისათვის ძალიან არავინ არ შეიტკივებს. თუნდ ეგ არ იყოს, ჩვენმა თავად-აზნაურობამ რატომ არ იცის, რომ თუ მის გარშემო უმეცრების სიბნელე იქნება, როგორც ეხლაა, ვერც თითონ იხეირებს და ვერც სხვას ახეირებენ. თვითოეულს ზურგი მაგარი სხვისით აქვს და უნდა ჰქონდეს კიდეც. ამ კანონზეა აშენებული ყოველი ადამიანებრივი საზოგადოება. თავად-აზნაურთა საზოგადოება გლეხთან ერთად სცხოვრობს; თუ რამ თავადსა და აზნაურს ეკონომიური, ანუ სხვა რაიმე ანგარიში აქვს, გლეხთანა აქვს; თუ რომ რისამე გაკეთება უნდა, გლეხის ხელით აკეთებს, თუ რისამე მოვლა უნდა, გლეხის მეოხებითYუვლის. განა აქედამ ცხადი არ არის, რომ

თითონ თავად-აზნაურობისათვის დიდად სასარგებლოა საქმე იქონიოს მიხვედრილ, ზნეობით და ჭკუით განვითარებულ გლეხთან, ვიდრე უმეცართან, რომელსაც არავითარი სარგებლობა არ ესმის, არც თავისი და არც სხვისი და რომელიც უმეცრებისა გამო თითონაც ტყუვდება და სხვასაც საქმეს უფუჭებს. ეს მუდამი ჩივილი, რომ კაი კაცი ვერ გვიშოვია, რამე დავსაქმოთო, რამე ჩავაბაროთო, _ ან გაგვქურდავსო, ან სხვას გააქურდვინებსო, ან რეგვენობით წაგვიხდენსო, _ რის ბრალია ეს, თუ არ იმისი, რომ უმეცარს კაცს, გლეხია თუ თავადი, სინდისი გაღვიძებული არა აქვს, ზნეობით და გონებით ისე დაცემულია და ბრჯგუ, რომ არ ესმის სიკეთე საზოგადო კავშირისა, არ ესმის, რომ თვითოეულის ინტერესი საყოველთაო ინტერესზეა ზედ-მობმული, არ ესმის, რომ პატიოსნება, კაი-კაცობა უფრო მკვიდრი განძია ადამიანისათვის, ვიდრე დროებითი ხეირი ავკაცობისა, რომელსაც, რაც უნდა სთქვათ, არც დიდი მანძილი აქვს ხოლმე და არც რიგიანი, უშიშარი გამოყენება". *("შინაური მიმოხილვა". 1879 წ. მაისი-ივნისი).*

"განა უმეცრებისაგან არ არის, რომ კაცი კაცს ისე ექცევა, როგორც მტერი მტერსა, თორემ გონება-გახსნილობა რომ მოქმედებდეს ამ შემთხვევაში, ადამიანი მალე მიხვდებოდა, რომ ურთიერთის სიკეთისათვის მოღვაწეობას კაცი უფრო ბევრს გამორჩება, ვიდრე ერთმანეთის მტრობასა". *("შინაური მიმოხილვა". 1879 წ. მაისი-ივნისი).*

"მართალია, დღეს იქნება თუ ხვალე, ჩვენი თავად-აზნაურობა ამ საგანზედ თვალს გაახელს და იგრძნობს აუცილებელ საჭიროებად, რომ რიგიან, მიხვედრილ, სინდის-გაღვიძებულ კაცთან საქმის დაჭერა ბევრად სასარგებლოა, და ხალხის განათლებას, ესე იგი მას, რაც ადამიანს რიგიანობას, მიხვედრილობას, სინდისიანობას უნერგავს, ხელს შეუწყობს ისე, როგორც საკუთარს საქმეს. მაგრამ სიფრთხილეს მაინც თავი არ ასტკივაო, ნათქვამია. მინამ თავად-აზნაურობა მაგ სიკეთემდე აღიმართება, სჯობს საზოგადოებამ ზემოხსენებული შემოწირული ფული დიდის სიფრთხილით და გამოზოგვით მოახმაროს საქმეს; ვამბობთ, დიდის სიფრთხილით-მეთქი, იმიტომ _ რომ საზოგადოებას დიდი, ფართო მოედანი აქვს დანიშნული და თუ მოიწადინებს ყოველი საჭიროება ერთბაშად დააკმაყოფილოს, მაშინ ეგ ფული კი-არა, ასი მაგოდენაც არა კმარა და საშიშია, რომ საზოგადოებას საფანელი დააკლდება და პირველი ფეხის გადადგმაზედვე უილაჯობით შეჩერდება. ამბობენ, თუ საზოგადოება კარგად იმოქმედებსო, ბევრი წყარო გამოუჩნდებაო. მართალია, მაგრამ მაგასაც დრო უნდა და ხანგრძლივი დროცა". *("შინაური მიმოხილვა". 1879 წ. მაისი-ივნისი).*

"ვიდრე ჩვენში ეს უგემური "მეობა" მოტყდება და "ჩვენობა" აყვავდება, ვიდრე შემძლებელი წრე ჩვენის საზოგადოებისა ჩვენის ქვეყნის საქმეს თავის საკუთარ საქმედ იცნობს, იმ დრომდე კიდევ ბევრი წყალი ჩაივლის, იმ დრომდე იმ ახლად-დაარსებულს საზოგადოებას ცხოვრება უნდა და საგზალი. დღეს რომ ამ საზოგადოებამ რაც ფული აქვს სულ შემოიხარჯოს, თუნდ მართლადა სახეიროდაც მოიხმაროს, ხვალ გროშიც აღარ ექნება, რომ თითონ სული მოიბრუნოს, _ და ეს მართლადა გულშესატკივარი საქმე, ეს ყოვლად დიდი საქმე წაწყმდება ისე, როგორც სხვა კაი საქმენი წაწყმედილან ჩვენს უბედურს ქვეყანაში. თუმცა უკანასკნელმა საზოგადო კრებამ საზოგადოების გამგეობას ნება მისცა ხარჯის ფული, რამდენსაც საქმისათვის საჭიროდ დაინახავს, დახარჯოს, მაგრამ გამგეობა ფულს მაინც კიდევ ხელს უჭერს და ჰფიქრობს, რომ უდიდესი ნაწილი ფულისა ხელუხლებელ ძირის-ფულად დაიდოს და მისი სარგებელი და ყოველწლიური შემოსავალი წლის ხარჯად დაინიშნოს. ბევრის მდომი ცოტასაც დაჰკარგავსო, ნათქვამია

და ეს საზოგადოება ჯერ-ხანად ბევრს არას ეჭიდება". *("შინაური მიმოხილვა". 1879 წ. მაისი-ივნისი).*

1.2. ბავშვის სწავლა (გონების გახსნა და მსჯელობის გაძლიერება) და სკოლა

- **სკოლა: უსწავლელობის წამალი**

"საქართველოსა ჰქონდა ერთი დროება, თამარ-დედოფლის დროსა. მხოლოდ იმან გახსნა საბერძნეთის გზა და ამ გზაზე გამოიარეს მშვიდობიანად იმ მსწავლულმა ხალხმა, რომლების სახელებიც ეხლა ჩვენ ვიცით. მათგანი ერთი უპირველესი მანათობელი არის შოთა რუსთაველი. ჩვენა გვაქვს ცოტაოდენი ცნობა ზოგიერთ თხზულებაებიდგანა, რომა იმ თამარ-მეფის საუკუნეში ქართველებს სულაც არა სძინებიათ: ისინი მაშინვე დიდი სიყვარულით შეუდგნენ სწავლასა: და ჩვენ შეგვიძლიან ვიფიქროთ, რომა იმ დროებიდამ აქამომდე რომ არ შეწყვეტილიყო ახალი დაწყობილი სწავლა, ამ ექვს საუკუნეში იქნება საქართველოში ყოფილიყო ისეთი განვრცელებული სწავლა და ხელოვნება, რომა ემჯობინებია იმ ხალხის სწავლისათვის, რომელნიც ეხლა არიან განთქმულნი. მაგრამ თამარ-დედოფლის მიცვალების შემდგომ ლანგ-თემურმა და სხვა მრავალმა მაჰმადიანებმა ააოხრეს საქართველო და ამგვარად გაჰქრა საქართველოს ლიტერატურა თავისსავე დასაწყისში." *("სფირიდონის და თადეოზის ბაასი". 1861 წ.).*

"ვინ არ იცის, რომ თავი და ბოლო ჩვენის უღონობისა, უკან ჩამორჩომისა, ჩვენის უბედურებისა, _ უმეცრება და უსწავლელობაა. ესეც ყველამ იცის, რომ უმეცრების და უსწავლელობის წამალი სხვათა შორის სკოლაა. სხვათა შორის-მეთქი, სხვათა შორის კი არა, ერთი უპირველესი და უმთავრესი ღონისძიება სასწავლებელია." *("შინაური მიმოხილვა". 1881 წ. სექტემბერი).*

"სკოლა იმისთანა რამ არის, რომ თუ ერთგან ფეხი მოიკიდა, არამც თუ რიცხვით იკლებს დროთა მიმავლობაში, არამედ იბღარტებს ხოლმე". *("შინაური მიმოხილვა". 1879 წ. მაისი-ივნისი).*

"სკოლა, სასწავლებელი, ორ-პირი ხმალია. ვნების მოტანაც შეუძლიან და დიდი სიკეთისაც. ეგ იმაზეა დამოკიდებული, თუ როგორ არის მოწყობილი და აგებული პროგრამა სწავლებისა." *("შინაური მიმოხილვა". 1881 წ. სექტემბერი).*

"მეცნიერნი ბრალსა სდებენ ეხლანდელს სკოლას, უკიჟინებენ, რომ თავის დანიშნულებას არ ასრულებსო... სკოლა ერთსა და იმავე დროს უნდა სწურთნიდეს კიდეც ბავშვსა და ასწავლიდეს კიდეც. წურთვნა და სწავლა ხელი ხელს გადაბმული უნდა ვიდოდეს სკოლაში. წურთვნა სხვაა და სწავლა სხვა. ერთს ერთი საგანი აქვს და მეორეს – სხვა. წურთვნა მიმართულია ზნე-ხასიათის ზრდასა და განვითარებაზე და სწავლა-კი გონების გახსნასა და მსჯელობის გაძლიერებაზე." *("პედაგოგის საფუძვლები". 1888 წ.).*

"მეორე სახსარი სწავლა-ცოდნის მოფენისა, რასაკვირველია, ჟურნალ-გაზეთობაა." *("შინაური მიმოხილვა". 1881 წ. სექტემბერი).*

"გუთანს ცოდნაც უნდა, რომ ერთი-ათად იმაზედ მეტი შესძლოს, რის შემძლებელიც აქამომდე იყო. ერთი უმთავრესი სახსარი ცოდნის შეძენისა _ სკოლაა, და იმ ცოდნისა, რომელიც გუთანს, ანუ უკეთ ვსთქვათ, მიწის-მოქმედებას ხელს უწყობს და შეჰფერის, _

სამეურნეო სკოლაა. ამ-გვარის სკოლების გამართვა ჩვენში აუცილებელი საჭიროებაა." *("შინაური მიმოხილვა". 1881 წ. ნოემბერი).*

"უმაღლესს სამეურნეო სასწავლებელში ნამყოფი კაცი გვეუბნება, საჭიროა თუ არა სამეურნეო სკოლა, ჯერ ვერ გამიგიაო. მაშ რაღად მირბოდა სამეურნეო სკოლაში, მერე უმაღლესში, თუ გაგებული არა ჰქონდა სამეურნეო სწავლა-ცოდნის საჭიროება? მაშ როდის-ღა გაიგებს და გამოარკვევს ამ საჭიროებას, ან ვინ-ღა გამოურკვევს, თუ უმაღლესმა სასწავლებელმაც ვერ გააგებინა, ვერ გამოურკვია? შენი მტერის იყოს, რომ რაკი უმაღლესს სამეურნეო სკოლაში ასე მომცდარა და აქამდე ასე დარჩენილა, ეხლა ვეღარა გამოარკვიოს-რა, ვეღარა გაიგოს-რა." *("ჩვენი ეხლანდელი სიბრძნე-სიცრუე". 1896 წ.).*

"კაცს უმაღლესი სასწავლებელი გამოევლოს და იქამდე გულისყურ-დაბნეული იყოს, რომ ვერ გაეგოს სამეურნეო სწავლა-ცოდნა საჭიროა თუ არა იმისთანა ქვეყნისათვის, როგორც საქართველოა, რომლის ავლა-დიდება სოფლის მეურნეობაა." *("ჩვენი ეხლანდელი სიბრძნე-სიცრუე". 1896 წ.).*

"შორს გაიტანა და ძალიანაც შორს ამ მეცნიერებამ, ამ სამეურნეო სწავლა-ცოდნამ თავისი საზღვარი და კაცს რომ უმაღლესს სასწავლებელშიც-კი ეს არ დაენახოს, რას უნდა მიეწეროს, _ გულისყურის დაბნეულობას, გონების დახშულობას, ჭკუის უილაჯობას, თუ თითონ სწავლა-ცოდნის ამაოებას?" *("ჩვენი ეხლანდელი სიბრძნე-სიცრუე". 1896 წ.).*

"კარგის გასაგონებლად კაცი მომზადებული უნდა იყვეს, გონება უნდა ჰქონდეს გახსნილი, განათლებული, თორემა ბნელის გონებით, ბნელაში კაცი რას დაინახავს." *("სფირიდონის და თადეოზის ბაასი". 1861 წ.).*

"მოცალეობა არის მიწა, რომელზედაც ამოვა ხოლმე მეცნიერების, სწავლის, ლიტერატურის ხე და ნაყოფი." *("სფირიდონის და თადეოზის ბაასი". 1861 წ.).*

"ერთი უდიდესი ნაკლულოვანება ის არის, რომ ეხლანდელს სკოლას აზრადა აქვს, რაც შეიძლება ბევრი სწავლა-ცდონა შესძინოს მოსწავლესა და ზნე-ხასიათის წურთვნას-კი თითქმის სრულიად უყურადღებოდ სტოვებს. ამ სწავლა-ცოდნასაც ისეთის დიდის საწყაოთი იძლევა, რომ მოსწავლე ძლივძლიობით ასდის, სულით და ხორცით იქანცება, არაქათი უწყდება და ბოლოს გამრჯელ, მხნე, სულითა და ხორცით ღონიერ ადამიანის მაგიერ უძლური, უღონო და ჯან-გალეული კაცი გამოდის სკოლიდამ. ამ-სახით, ეხლანდელი სკოლა მიმართულია მარტო გონების აღტაცებაზედ და სხვა მხარეს ადამიანის ბუნებისას არამც-თუ ჰშველის, არამედ სჩაგრავს და ჰხუთავს." *("პედაგოგიის საფუძვლები". 1888 წ.).*

"დედა-აზრი ეხლანდელის პედაგოგიის მიმართულებისა იგია, რომ ადამიანი უნდა იწურთვნებოდეს სკოლაში ყოველ მხრით: გონებით, ზნე ხასიათით, სულით და ხორცით და არც ერთი ამათგანი არ უნდა შეეწიროს მეორეს. ეს დედა-აზრი, რომელსაც ეხლანდელნი მეცნიერნი ჰლამობენ დაუდვან სკოლას, ახალი ამბავი არ არის. მაგ დედა-აზრის სათავე ჯერ კიდევ საშუალ-საუკუნოებში მოიპოვება, სახელდობრ, ეგრეთ-წოდებულ "განახლების ეპოქაში", როცა თავი იჩინა ჰუმანობის მოძღვრებამა.

"ახალის საპედაგოგიო სისტემა სკოლის საფუძვლად სდებდა ოთხს დედა-აზრსა: ა) საგანი აღზრდისა ის არის, რომ თავის რიგსა და წესზედ წარმატებულ იქმნას ყოველნი ძალნი და ნიჭნი ადამიანისა, როგორც გონებითნი, ისე ზნეობითნი, როგორც სულიერნი, ისე ხორციელნი. ბ) სწავლებაში უნდა სახეში მიღებულ იქმნას არა მარტო ასაკი და წლოვანება მოწაფისა, არამედ მისნი განსაკუთრებულნი ზნენი და თვისებანი. გ) რადგანაც ბავშის ცოცხალსა, მკვირცხლსა და ადვილად აღმბეჭდავ ბუნებაზედ ცოცხალი მაგალითი უფრო ძლიერ მოქმედობს, ვიდრე მკვდარი წესი და დარიგება, ამიტომაც

ყველაზედ უკეთესი ღონე ის არის, რომ მოწაფეს წინ გადაუშალოს ოსტატმა ცხოვრება დიდ-ბუნებოვანთა კაცთა, რომელნიც ასე ბევრი მოიპოვებიან ძველს დროში. დ) სწავლა-ცოდნა და ერთობ განათლება უნდა დაფუძნებული იყოს თავისუფალთა მეცნიერებათა შესწავლაზედ. ამ მეცნიერებათა სათავეში სდგას ფილოსოფია, რომელიც ადამიანს გონებითად თავისუფალ ჰხდის. მას მოსდევს მეცნიერება მჭევრმეტყველებისა, რომელიც ასწავლის კაცს აზრის ნათლადა და ლამაზად გამოთქმას. მერე მოდის ბუნებისმეტყველება, რომელიც გვაგებინებს ჰარმონიას ყოველ მისას, რაც არსებობს, და ბოლოს ისტორია, რომელიც მოგვითხრობს სვლას და განვითარებას მეცნიერებისას და მრავალს სასარგებლო მაგალითს თვალ-წინ გვიყენებს." *("პედაგოგიის საფუძვლები. 1888 წ.).*

"ერთი დიდი უპირატესობა ეხლანდელის სკოლისა ის არის, რომ იგი მარტო დიდკაცთათვის აღარ არის და საყოველთაოა, როგორც დიდისა, ისე პატარასათვის, როგროც მდიდრისა, ისეც ღარიბისათვის. არც იმასა აქვს ეჭვი, რომ ეხლანდელს სკოლაში თითონ ხერხი სწავლებისა ბევრად უკეთესია უწინდელზედ, მაგრამ ესეც-კი უნდა ითქვას, რომ ეხლანდელი სკოლა ბევრში უკან ჩამორჩომილია უწინდელზედ. დღეს ყოველიფერი შეწირული აქვს მარტო გონების გახსნას და დავიწყებულია, რომ ადამიანს, ჭკვა-გონების გარდა, გულიც აქვს, რომელსაც კაი-კაცობისათვის ისეთივე წურთვნა და გახსნა უნდა, როგორც ცოდნისათვის ჭკვა-გონებასა; დავიწყებულია, რომ კაცს ტანი და აგებულობაცა აქვს, რომელიც წურთვნითა და ვარჯიშობით უნდა გაღონიერდეს, გაჯანიანდეს, გამაგრდეს, რადგანაც ჯანმრთელობა უდიდესი მადლია, რომელსაც-კი ღმერთი მიანიჭებს ხოლმე თვისთა რჩეულთა. ამ მხრით ეხლანდელი სკოლა ბევრში ჩამოუვარდება "განახლების" დროების სკოლებს, რომელთაც საგნადა ჰქონდათ თანასწორი წარმატება ადამიანის სულისა და ხორცისა. ეხლანდელი სკოლა, მართალია, ბევრს ცოდნას აწვდის მოსწავლესა, მაგრამ ცალმხრივ მოქმედობს, ხასიათის წურთვნას თითქმის თავს ანებებს და ტან აგებულებას ადამიანისას არამც-თუ ჰშველის, არამედ ჰღალავს." *("პედაგოგიის საფუძვლები". 1888 წ.).*

- **საერო სკოლა გვჭირდება: იგი სკოლაა ერისა, მოედანია, საცა ერის გონებამ და გრძნობამ ფეხი უნდა აიდგას**

"ოცს საუკუნეზე მეტია, რაც ჩვენი ხალხი ისტორიულს ასპარეზზედ გამოსულა. ამ ხანგრძლივ დროთა მიმავლობაში, ჩვენს ხალხს ერთს ხელში თოფი და ხმალი სჭერია და მეორეში გუთანი და ამ ყოფით და ვაი-ვაგლახით გაუტარებია ეს აუარებელი დრო. თუ შიგა-და-შიგ, ჭრელად, რამდენიმე წელიწადი მოსვენება შეხვედრია, მაშინვე ის მოსვენების დრო შეუწირავს სწავლისა და განათლებისათვის. დავით აღმაშენებლისა და თამარ დედოფლის მეფობა ამ შემთხვევაში მეტად სანუგეშო მაგალითებს წარმოგვიდგენს. საქართველო ახლა ცოტად თუ ბევრად დამშვიდდა, მაგრამ ამ დამშვიდებას არ მოჰყვა ის ნაყოფი სწავლისა და განათლებისა, რომელიც უნდა მოჰყოლოდა." *("საზოგადოება შეუძლებელ მოსწავლეთა შემწეობისათვის". 1877 წ. 10 ნოემბერი).*

"თუ უწინ დღე ჩვენი ღამდებოდა და ღამე თენდებოდა მარტო იმის მეცადინეობაში, რომ მტერი მოგვეგერებინა, თუ უწინ ამის გამო სწავლისათვის მოცდა არა გვქონია, ეხლა ხომ უნდა გვქონოდა. ეხლა ხომ ეს მიზეზი არ გვიშლიდა და რატომ მოხდა, რომ სწავლის და განათლების ნაკლებულობაზედ ასეთი სამართლიანი სამდურავი მიგვიძღვის?" *("საზოგადოება შეუძლებელ მოსწავლეთა შემწეობისათვის". 1877 წ. 10 ნოემბერი)*

“ვინც იცის, რა ძლიერი ფარ-ხმალია ცოდნა და განათლება, რა დიდი ღონეა ერის ბედნიერებისათვის საერთოდ და ცალკე კაცისათვის საკუთრივ ჭკუა-გახსნილი მოქმედება და ცნობიერად ხელის მოკიდება და გაძღოლა საქმისა, საქვეყნო იქნება, თუ საცალკეო, _ ის, რასაკვირველია, არ იკმარებს მაგ დღევანდელს სურვილს: მეტს ინდომებს, მეტს ინატრებს, და აქ გაუმაძღრობა, მეტის ნდომა _ სათაკილო კი არ არის, საქებურია და თავ-მოსაწონებელი. პატარა ბავშვიც კი, რომელსაც თავისის ასაკის შესაფერი ცოდნა აქვს, ძლიერია უცოდინარს გოლიათზედა და უფრო შემძლებელი ამ წუთის-სოფლის მოედანზედ, საცა დღეს იგი იმარჯვებს _ ვინც მცოდინარეა, იგი ჰთამამობს _ ვისაც ხელთ უპყრია ის უძლეველი იარაღი, რომელსაც ცოდნას ეძახიან”. *(“ქართველი სტუდენტობა რუსეთში”. 1886 წ. 4 თებერვალი)*

“მას აქეთ, რაც ქვეყნისათვის ჯვარცმულმა ღმერთმა ბრძანა: “მოდით, მაშვრალნო და ტვირთმძიმენო და განგისვენებთ თქვენ”, _ არა-რას ქვეყნიერობაზედ ისე სამართლიანად არ შეუძლიან თავის დროშაზედ დააწეროს ეს ნუგეშმცემელნი სიტყვანი, თუ არ იმ სალაროს ცოდნისას და სწავლისას, რომელსაც მეცნიერებას ეძახიან და რომელმაც ნადირკაცი ღვთის ხატად და მსგავსებად გარდაქმნა”. *(“ქართველი სტუდენტობა რუსეთში”. 1886 წ. 4 თებერვალი)*

“სწავლა-განათლება საჭიროა ყველასათვის და ამ საჭიროებას თავად-აზნაურობა უფრო უნდა დიდის ტკივილითა ჰგრძნობდეს, ვიდრე სხვა ვინმე, იმიტომ _ რომ ამისი გემო თავად-აზნაურობას ყველაზედ უწინა აქვს გაგებული. რას ვხედავთ აქ? არც ერთი წოდება ჩვენში ისე გულგრილად არ ეკიდება ამ საქმეს, როგორც თავად-აზნაურობა. აქაო და მთავრობას სკოლები და სასწავლებელი აქვსო სხვათა შორის ჩვენთვისაცაო და იმას კი აღარა ჰფიქრობენ, რომ მთავრობა ვერ გასწვდება, ძალიანაც მოწადინებული რომ იყოს. მთელ იმ სიდიდე საჭიროებას, როგორც ქვეყნის სწავლა-განათლებაა. აქ უეჭველად თვითონ ერის, საზოგადოების თაოსნობა და შველაც უნდა. ეს იგრძნო ჩვენში თითქმის ყველა ცალკე წოდებამა. მოქალაქეებმა თავისი სკოლები აიჩინეს, გლეხობამ თავისი, სამღვდელოებამ თავისი და მარტო თავად-აზნაურობა დარჩა წრეს გარეთ და სხვის იმედზედ”. *(“თავად-აზნაურობის გულგრილობა სწავლა-განათლების საქმეში”. 1886 წ. 8 აპრილი)*

“ამბობენ, ღარიბნი ვართო და წელი არ მოგვდევს სწავლა-განათლებისათვის გამოვიღოთ რამეო. ჯერ ამას ვიტყვით, რომ ღარიბნი თუ ვართ, სწავლა-განათლების უქონლობის მიზეზია. სწავლა-განათლება თითონ არის სათავე სიმდიდრისა, მაშასადამე, აქ არაფრის დაზოგვა არ უნდა, რომ ამ სათავიდან სიმდიდრის წყარო მოვადინოთ. მერე ერთი ეს ვიკითხოთ: მართლა ისეთნი ღარიბნი არიან, რომ ამაზედ შესდგეს ჩვენი ლარი და ხაზი? გლეხები კი მდიდრები არიან რომ თავის სკოლებს თავისის საკუთარი ჯიბით უძღვებიან? ვთქვათ, აქაც სიტყვას შემოგვიბრუნებენ და გვეტყვიან: გლეხები ბევრნი არიან, იმათ სკოლებსაც ბევრი ხარჯი არა აქვთ და მსუბუქად უძღვებიანო. ჩვენს სამღვდელოობაზე რაღას იტყვით, რომ მარტო ტფილისის გუბერნიაში შვიდს სასწავლებელს ინახავენ თავისის საკუთარის ხარჯით თავისი საკუთარი შვილებისათვის? ნუთუ ჩვენი თავად-აზნაურობა ჩვენს სამღვდელოებაზედ უფრო ღარიბი და შეუძლებელია? თავის დღეში ამას არ დავიჯერებთ და, მაშასადამე, სიღარიბის ხელზედ დახვევა სხვა არა არის-რა, რომ მიზეზს _ დოს მარილი აკლიაო”. *(“თავად-აზნაურობის გულგრილობა სწავლა-განათლების საქმეში”. 1886 წ. 8 აპრილი)*

“მიზეზი ძლევამოსილებისა იგივ სკოლის მასწავლებელია, იგივ სწავლა და განათლებაა”. *(“სატექნიკო და სახელოსნი სასწავლებელთა შესახებ”. 1889 წ. 25 ნოემბერი)*

“ნურვინ იტყვის, რომ ამა თუ იმ ერსა ვაჭრობისა და მრეწველობის ნიჭი და ბუნება არა აქვსო. ამ ოცისა და ოც-და-ათის წლის წინედ გერმანიის ვაჭრობა და მრეწველობა თითქმის სახსენებელიც არ იყო. გავიდა ეს ხანი და დღეს გერმანიამ, ვხედავთ, მსოფლიო ბაზარში იმოდენა ადგილი დაიჭირა, რომ ინგლისსაც კი საფიქრებლად გაუხადა. ინგლისსაც, რომელსაც მსოფლიო ბაზარი თითქმის მთლად ხელთ ეპყრა უცილობლად. რამ მოახდინა ეს სასწაული? სასპეციალო და სატექნიკო სწავლა-ცოდნის მოფენამ და წარმატებამ. სჩანს, აქ ნიჭი ბევრს არაფერს შუაშია, საქმე სწავლა-ცოდნა ყოფილა. ან ვაჭრობა და მრეწველობა რა იმისთანა საქმეა, რომ განსაკუთრებული ნიჭი რამ უნდოდეს? ყოველ ორთა-შუა კაცს საკმაო ჭკუა და გონება აქვს, რომ ვაჭრობისა და მრეწველობის საქმეს მისწვდეს, თუ, რასაკვირველია, ამაების სწავლა-ცოდნაც ხელთ ექმნება. ხოლო გვეტყვიან: თუ ეგრეა და განსაკუთრებული ნიჭი არ სდომებია, ბევრნი უცოდინარნი და უსწავლელნი წინ რას მიჰყავს ვაჭრობასა და მრეწველობაში, თუ არ ნიჭსა? მართალია, ამის აშკარა მაგალითებს ბევრს ვხედავთ, ნამეტნავად ჩვენს დალოცვილ ქვეყანაში, და ამას არა ერთი და ორი იხვევს ხელზე იმის საბუთად, ვითომც აქ ერთი რაღაც განსაკუთრებული ნიჭიერება მოქმედებდეს იმ მოდგმისა, რომელსაც ჩვენში უფროს-ერთი ვაჭრები ეკუთვნიან. ამ სამოცისა თუ მეტის წლის წინად გერმანიის ებრაელნიც სწორედ ამასვე ამბობდნენ თავიანთ თავზე და აფოლებდნენ გერმანიას. დრომ და ჟამმა დაამტკიცა, რომ ეს ასე არ არის და გერმანელმა ცოტა არ იყოს ფრთა შეაკვეცა ამ ტყუილად გაბერილს თავმოწონებას”. *(“სატექნიკო და სახელოსნი სასწავლებელთა შესახებ”. 1889 წ. 25 ნოემბერი)*

“ამისთანა უნარი, რომლის ღონე მარტო სხვის უღინობაა, დიდი ბურჯი არ არის, რომ ამაზე დაებჯინოს იმედი რომელისამე ერის მერმისისა. ამით დაე თავი მოიწონონ და ქადილით ყური გამოგვიყრუონ იმათ, ვისაც ამისი ხალისი აქვს და ვისაც ამისთანა ფუყი უნარი დიდი განძი ჰგონია. ხოლო ჩვენ კი ჩვენი უღონობა უნდა გავითვალისწინოთ და სახსარს ჩვენის გაღონიერებისას ხელი მოვკიდოთ”.

“საქმე ის არის, ის აზრი გამოინასკვოს ჩვენში, რომ სახელოსნო და სასპეციალო-სატექნიკო სკოლები აუცილებელი საჭიროებაა და ცხოველმყოფელი სახსარია ჩვენის წასული საქმის ხელ-ახლად გამობრუნებისათვის და ჩვენის ღონე-მილეულ ქვეყნის გაღონიერებისათვის”. *(“სატექნიკო და სახელოსნი სასწავლებელთა შესახებ”. 1889 წ. 25 ნოემბერი)*

“ჩვენი სამშობლო ქვეყანა ყველა სხვა ქვეყანაზედ ჩვენთვის უფრო საფიქრებელი და საზრუნველია. აქ არავისის ძრახვას და საყვედურს არ ვერიდები. ჩემი მრწამსი ეს არის. ადამიანი ასეა გაჩენილი: თავისიანს უფრო ჰრჩეობს, ვიდრე სხვას. თქვენ ჩემზედ უკეთ მოგეხსენებათ, _ რა ხართ თქვენ, უმაღლესის სწავლისათვის გადახვეწილნი ქართველნი, ჩვენის შავბედიანის ქვეყნისათვის: მთელი სასოება ჩვენის ქვეყნისა თქვენზეა დამოკიდებული. ჩვენი ხვალე, ჩვენი მერმისი თქვენა ხართ. თქვენ რომ თქვენის პირდაპირი საქმე არ შეგესრულებინოთ და ამის გამო შესაფერისის სწავლა-ცოდნით და განათლებით არ მოუხვიდეთ თქვენს ქვეყანას, ვისისაღა იმედზედ დარჩეს? აშკარაა იგი რაც თქვენს პატიოსანს გულს მოუწადინებია, არ მოეწონება ვისაც ჯერ არს და ვაი თუ გეზიანოთ რამე. თქვენი ზიანი, თქვენი შეფერხება, ჩვენი ქვეყნის ზიანი და შეფერხებაა”. *(“წერილი პეტერბურგის ქართველ სტუდენტებისადმი”. 1897 წ. აპრილი)*

“სასწავლებლად წასულხართ, ისწავლეთ, ცოდნა შეიძინეთ, ჯერ ხანად ნურც იქით გადიხედავთ, ნურც აქეთ, მარტო სწავლა-ცოდნას შეალიეთ თქვენი დღენი და ამ ორის უუძლიერესის ფარ-ხმლითY მოდით და დაეპატრონეთ თქვენდა მოსავს ქვეყანასა,

რომელსაც ჯერ სხვა სავედრებელი თქვენს წინაშე არა აქვს-რა და რომელიც ამ გზით მოელის თქვენგან ხსნასა და ბედნიერებას". *("წერილი პეტერბურგის ქართველ სტუდენტებისადმი". 1897 წ. აპრილი)*

"იქნება დამძრახოთ და მაინც კი ვიტყვი, რომ იქ, საცა ერთი მხრით სამშობლო და მეორე მხრით სხვაა, სხვას მარტო ნამეტანობისაგან უნდა მიეცეს. ნამეტანობაზე, ჩვენდა საუბედუროდ, ჯერ შორსა ვართ, და რაც ჩვენთვის საკმარო არ არის და თვით ჩვენ გვჭირია, იგი მარტო ჩვენს სამშობლოს უნდა გამოვუზოგოთ და შევწიროთ. აქ დიდად მოსარიდებელია მცირეოდენი განსაცდელიც-კი, რაც თქვენს სწავლა-ცოდნის წყურვილს წყაროს დაუშრობს". *("წერილი პეტერბურგის ქართველ სტუდენტებისადმი". 1897 წ. აპრილი)*

"თუ აქ ჩემი წინასწარხედვა განსაცდელისა ცდომაა, ისევ სჯობია კაცი განსაცდელის ხედვაში შესცდეს, ოღონდ მოერიდოს-კი, იმიტომ რომ თვალწინ მიდგა ჩვენი საწყალი ქვეყანა, უკაცურობით ღონემიხდილი და ჯანგამოცლილი". *("წერილი პეტერბურგის ქართველ სტუდენტებისადმი". 1897 წ. აპრილი)*

"განათლება პატიოსანს კაცს "სილბოს აძლევს ნაქსოვისას", როცა სხვას უნდა "გული მისცეს გულისათვის" და საშველად ხელი მიაწოდოს და "სიმტკიცეს ნაჭედისას", როცა თავისს საკუთარს ვინაობას ჰპატრონობს. იქ "სილბო" ღირსებაა, აქ-კი ლაჩრობა, იქ "სიმტკიცე ნაჭედისა" გულქვაობაა, აქ-კი ღირსება". *("ქვათა ღაღადი". 1899 წ.)*

"სწავლა, ცოდნა და მეცნიერება. აი წამწყმედელი ყოველის უთანხმოებისა, დამადგინებელი ყოველის ერთობისა, ამამაღლებელი ადამიანისა! აი ჭირთა ამხდელი სახსარი, კეთილდღეობის მომფენი ღონისძიება". *("შინაური მიმოხილვა". 1879 წ. იანვარი)*

"სწავლა, ცოდნა, მეცნიერება _ ღონეა იმისთანა, რომელსაც დღეს წინ ვეღარაფერი ვერ უდგება: ვერც მუშტი, ვერც ხმალი, ვერც ჯართა სიმრავლე. ცოდნა უძლეველი ფარია არსებობისათვის, ბასრი ხმალი მოგერიებისათვის. თუ მაგაში ფეხი გავიდგით, თუ მაგაში წინ წავდექით, ჩვენი ეხლა დაუძლურებული ღონე ამოხეთქს მაგარ ფესვებს. ტყუილად კი არ ანაცვალეს ცნობადის ხეს თითონ სამოთხეც კი პირველ კაცთა, ადამმა და ევამ. იგი ის ხეა, რომელსაც გამოაქვს მშვენიერი ნაყოფი თვითოეულისათვის ცალკე და ხალხისათვის საერთოდ; ეგ ის ხეა, საიდამაც ეჩოს ტარიც გაითლება და ხერხისაც; ეგ ის ხეა, რომელიც ყველას იწვევს ერთნაირის გულის-ტკივილითა და ეუბნება: "მოდით, მაშვრალნო და ტვირთმძიმენო და მე განგისვენებთ თქვენ"; ეგ ის ხეა, რომელ-ქვეშაც ჩვენ უნდა დავდგათ ოქროს აკვანი ჩვენის ერთობისა". *("შინაური მიმოხილვა". 1879 წ. იანვარი).*

"ხალხის სწავლების და განათლების საქმე ჩვენში ამ უკანასკნელ დრომდე იმაზედ იყო მიმდგარი, რომ მთავრობა მარტო საშუალო სასწავლებელთათვის ზრუნავდა მხოლოდ და მარტო მათს, ასე თუ ისე, გავრცელებას ცდილობდა. საშუალო სასწავლებელნი მარტო შემძლებელთათვის არის მისაღწევი, ესე იგი _ თავად-აზნაურობისათვის და მოქალაქობისათვის. ამის გამო მთავრობის მზრუნველობა განათლების შესახებ დღეს-აქამომდე მარტო წოდებათა განათლების მზრუნველობას მოასწავებდა და სხვას არაფერს. სხვა დანარჩენი, ფრიად დიდძალი ხალხი კი, რომელიც ქვეყნის ჭეშმარიტს ღონეს შეადგენს, ამ მზრუნველობიდამ გამოკლებული იყო. მარტო ამ უკანასკნელ დროს _ ყველამ, თუ არა სცნა, ცნობილი მაინც აღიარა, რომ ესეთი განსაკუთრებული მზრუნველობა მარტო ერთის წოდებისათვის დიდი შეცდომაა წინაშე საერთოდ ხალხის განათლების მოთხოვნილებისა; რომ სწავლა და განათლება უფესვოა იქ, საცა უდიდესი ნაწილი ხალხისა კარდახშულია, მოკლებულია სწავლის სახსარსა.

ამიტომაც, დიდი თუ პატარა, ყველა მოიმართა ამ ბოლო დროს იმაზედ, რომ სახალხო შკოლები დაიმართოს". *("შინაური მიმოხილვა". 1879 წ. იანვარი).*

"ჩვენდა სანუგეშოდ, იმას შევნიშნავთ, რომ სწავლის გავრცელების და სახსრების მოპოვებისათვის თითონ ჩვენმა დაბალმა ხალხმა დიდი თვითმოქმედება გამოიჩინა და არც უმაღლესი საზოგადოება დარჩა უგულმოდგინოდ". *("შინაური მიმოხილვა". 1879 წ. იანვარი).*

"ღმერთმა გვიხსნას ჩვენც და ისინიც იმისთანა შკოლებისაგან, რომელიც განათლებისა და სწავლის მოფენის გარდა, სხვა რასმე დაუნიშნავენ მისაღწევად და ამ აკვანს ადამიანის გონების და ზნეობის აღზრდისას წაბილწვენ სხვადასხვა ბიწიერ მოსაზრებით. შორს ჩვენგან ამისთანა შკოლები! შორს ჩვენგან იმისთანა ტაშკენტელნი, რომელნიც არცხვენენ თავის ხალხს სხვის თვალში, და საცა მოქმედობენ _ მარტო მტერს უჩენენ თავის ქვეყანას და თავის ერს". *("შინაური მიმოხილვა". 1879 წ. იანვარი).*

"საჭიროა სახალხო შკოლების დირექტორებად მოწვეულ იყვნენ უსათუოდ ქართულის ენის მცოდნენი, საჭიროა საყოველთაოდ ჩვენთვის, და ახლად შემოერთებულ საქართველოსათვის ხომ აუცილებელია და აუცილებელი". *("შინაური მიმოხილვა". 1879 წ. იანვარი).*

"არ უნდა დაივიწყონ, რომ პირველდაწყებითს სახალხო შკოლას მარტო ერთი წადილი უნდა ჰქონდეს, მარტო ერთი საგანი: მოზარდს თაობას მიანიჭოს ცოდნა იმ პატარა საწყაოთი, რომლის აუვსებლადაც შემდეგი განათლება და განვითარება შეუძლებელია. აი ამაშია სული და გული პირველდაწყებითის შკოლისა. "ამ გზაზედ მას შეუძლიანო, _ ამბობს ერთი მწერალი, _ ყოველმხრივი განვითარება მისცეს მოზარდსაო, შეუძლიან გაუმაგროს, გაუღონიეროს და გაუხსნას სულიერი და ხორციელი ძალნი მოზარდსაო. თუ ეს ჩემი ნათქვამი მეტად აზვიადებს პირველდაწყებითის შკოლის მნიშვნელობასა და მეტის-მეტად ეჩვენება ვისმეო, მე იმათ აი რასა ვკითხავო: იცით თუ არაო, რა არის ყრმისათვის, რომ რამდენიმე წელიწადი ზნეობით და გონებით განვითარებულ კაცის ხელში იყოს? იცით რა არის, რომ რამდენიმე წელიწადს გაუწყვეტლად ყრმა ემორჩილებოდეს გონიერს დისციპლინას შკოლისას, საცა გონივრულად დადგენილ წესსა და რიგსა წარბშეუხრელად და გულის-ტკივილითაც მუდამ უნდა ამოქმედებდეს შკოლის ოსტატიო? ცხადი არ არის აქედამაო, მით რომ ყრმა შკოლაშია, მით რომ მოზარდი ნერგი მუდამ თვალქვეშა ჰყავს გულშემატკივარს, განვითარებულს, ზნეობიანს ოსტატს და მის წინ როგორც კოკორი იშლება, სულიერად და ხორციელად დღე-და-დღე იმართება, _ ნუთუ ცხადი არ არისო, რომ ამით ყრმას ენერგება გულში პატივისცემა სხვისა და საკუთარის თავისა, პატივისცემა კანონიერობისა და სიმართლისა, გრძნობა ადამიანის ღირსებისა, მართებულობისა, რიგიანობისა, პატივისცემა სხვის საკუთრებისა, სიყვარული, ხალისი შრომისა, გაფრთხილებისა, ზოგვისა, სიყვარული ოჯახისა, თვისტომისა, ქვეყნისა". *("შინაური მიმოხილვა". 1879 წ. იანვარი).*

"პირველდაწყებითს შკოლაშიაც კი შესაძლოა იხეიროს ყოველ იმ მოზარდმა ნერგმა კაცის ბუნებისამ, რომელიც ერთად გამოიტანს ხოლმე ნაყოფს კაიკაცობისას, ადამიანობისას. ამ წრის გარეთ შკოლას საერთოდ და სახალხოს საკუთრივ საქმე არა აქვს, და თუ ვინმე ზახაროვისა და კუვშინსკისთანა შკოლას ზურგზედ სხვას რასმე აჰკიდებს, იმას არა სწამს შკოლის უწმინდაესი მადლი, ის უარ-ჰყოფს მის სანატრელს მნიშვნელობას, ის წმინდა საგანს _ შკოლას _ სახედრადა ხდის და ზედ ჰკიდებს თავის დახშულის გულის ღვარძლსა და ნაგავსა". *("შინაური მიმოხილვა". 1879 წ. იანვარი).*

“მადლობა ღმერთს, ეს შკოლის მნიშვნელობის წაბილწების და წარყვნის შიში ჩვენში ეხლა არამც თუ შეფერხდა, არამედ სანუგეშო იმედად შეიცვალა”. *(“შინაური მიმოხილვა”. 1879 წ. იანვარი).*

“საერო სკოლა, საზოგადოდ, სკოლაა ერისა, ესე იგი იმ უმრავლეობისა, რომელსაც არც დრო აქვს, არც მოცალეობა, არც შეძლება უმაღლესის სწავლის შეძენისათვის. ჩვენდა სამწუხაროდ ამასაც ვიტყვით, რომ არც დიდი საჭიროება მიუძღვის, ჯერ ხანად მაინც, რადგანაც სხვადასხვა ხელმოკლეობის გამო შინიდამ გარეთ ფეხის გამოდგმის ილაჯს მოწყვეტილია.” *(“ბ-ნი იანოვსკის წერილისა გამო”. 1881 წ.).*

“საერო სკოლა ერის შინაური სკოლაა, ის მოედანია, საცა ერის გონებამ და გრძნობამ პირველ ფეხი უნდა აიდგას, ის გამზრდელია ერისა, რომელმაც უნდა აძლიოს ერს საზრდოებელი სულისა და ხორცისა იმ პატარა საწყაოთი, რომელიც ზედ-გამოჭრილია უმეტნაკლოდ ერის მოკლედ შემოხაზულ შინაურს ყოფა-ცხოვრებაზედ, მის სულიერ და ხორციელ მოთხოვნილობაზედ.” *(“ბ-ნი იანოვსკის წერილისა გამო”. 1881 წ.).*

“საერო სკოლის უმთავრესი საგანი და საქმე საზოგადოდ ის არის, რომ ერის მოზარდს თაობას აუხილოს გონების თვალი, გაუჩარხოს გულის-ყური, გაუწურთნოს და კეთილად მოუმართოს გრძნობა, შეაჩვიოს მოზარდის ჭკუა-გონება მართლმსჯელობასა და თვითმსჯელობასა.” *(“ბ-ნი იანოვსკის წერილისა გამო”. 1881 წ.).*

“საერო სკოლამ უნდა მოუმზადოს ერს გონებით და გულით გაღვიძებული კაცი იმოდენად, რომ იგი საკუთარის ჭკუით და გულით გაუჭირვებლივ გაუძღვეს იმ სულიერს და ხორციელს პატარა მოედანს, საცა ერის უმრავლესობა სულს იბრუნებს, სულითა და ხორცით იღწვის და მოქმედებს.” *(“ბ-ნი იანოვსკის წერილისა გამო”. 1881 წ.).*

“მეორე აუცილებელი ღონე და საგანი საერო სკოლისა ადგილობრივი, ერობრივი ელემენტი არის, ესე იგი _ ის ბუნება, ის ერი, ის ყოფა-ცხოვრება, რომელიც გარს არტყვია მოზარდს და რომელთ შორისაც ბავში ტრიალებს და სცხოვრობს სულითა და ხორცითა დაბადების დღიდამვე. მაშასადამე, ყოველ ამის შესწავლა და ცოდნა არის მეორე განსაკუთრებული საგანი საერო სკოლისა. ამას არაფერი არ უნდა დააკლოს საერო სკოლამ და გადამეტება ხომ ძნელია და ძნელი.” *(“ბ-ნი იანოვსკის წერილისა გამო”. 1881 წ.).*

“საერო სკოლა, როგორც პირველ-დაწყებითი სკოლა ერისა, სხვა არა უნდა იყოს-რა, გარდა დედა-ენისა და სამშობლო ქვეყნის მასწავლებელ სკოლისა, იმისდა მიუხედავად _ განგრძობილი იქნება მას შემდეგაც სწავლა, თუ არა. ამ სკოლას თავისი საკუთარი მოედანი აქვს, რომლის თავი და ბოლო იქავე, სკოლაშია. მართალია, პატარა მოედანია, მაგრამ ყოველი ჰხედავს, რა მძიმე და რა ძნელი გასავლელია. ნურავის ნუ ჰგონია, საერო სკოლის საკუთარი ტვირთი ისე მსუბუქი იყოს, რომ განიზრახოს სხვა საპალნეც აჰკიდოს რამე.” *(“ბ-ნი იანოვსკის წერილისა გამო”. 1881 წ.).*

“ჩვენ უარს არა ვყოფთ, რომ საერო სკოლას შეუძლიან მოსამზადებელის კლასის საქმეც გაარიგოს. ჩვენ იმას განმეორებით ვიტყვით, რომ საერო სკოლას საზოგადოდ ის დანიშნულება არა აქვს _ ერის მოზარდი უმაღლესის სასწავლებელისათვის მოამზადოს, იმას თავისის საკუთარი საქმეც მეტად ბევრი და მძიმე აქვს და, თუ მაგ მხრითაც საერო სკოლა შველის სადმე ერსა, _ ეგ მარტო იქ თუ შეიძლება, საცა ერის დედა-ენა და უმაღლესი სასწავლებლისა ერთი და იგივეა და სკოლის კურსიც უფრო ხანგრძლივი. იქ საერო სკოლაში გამოვლილი ბავში მომზადებულია უმაღლესის სასწავლებლის უმცირესის კლასისათვის, რადგანაც კეთილად აგებული საერო სკოლა ისე არ გამოუშვებს ბავშს, რომ არ იყოს გონებითაც საკმაოდ გახსნილი და დედა-ენაშიაც,

რომელიც უმაღლესის სასწავლებლის ენავეა, საკმაოდ გაწურთვნილი და გავარჯიშებული. იქ საერო სკოლას თუ მოაქვს ეგ ნაყოფი, თავის-თავად გამოაქვს მარტო იმის წყალობით, რომ თავიდამ ბოლომდივე, უმცირესს სასწავლებელიდამ უმაღლესამდე, ერთი და იგივე ენა მოქმედებს სწავლებისათვის." *("ბ-ნი იანოვსკის წერილისა გამო". 1881 წ.).*

"აქ, ჩვენში კი საერო სკოლის ენა ერთია და უმაღლესისა სრულებით სხვა. ამიტომაც ჩვენში საკუთარი საერო სკოლა, თუ უნდა რომ მარტო სახელით არ იყოს, თავისდღეში სამის წლის კურსის მოსამზადებელ კლასის საქმეს ვერ იზამს, რადგანაც აქ ამ მოკლე ხანში დედა-ენაც საკმაოდ უნდა შეისწავლოს ბავშმა და უმაღლესის სასწავლებლისაცა, ესე იგი, რუსული ენაც: ერთის სიტყვით, ერთი-ორად საქმე ისე გაიძნელოს, რომ ვერც ერთი ჰქმნას და ვერც მეორე. ნუთუ ეს სასურველია ვისთვისმე?" *("ბ-ნი იანოვსკის წერილისა გამო". 1881 წ.).*

"სამი წლის კურსი საერო სკოლისა საკმაოდ არ მიგვაჩნია ჯერ სკოლის პირდაპირის დანიშნულებისათვისაც და სად შესძლებს იგი მოსამზადებელ კლასობასაც იმისთანა უმაღლესს სასწავლებელისათვის, საცა მარტო რუსული ენა მოქმედებს და დედა-ენა პირ-აკრულია. გერმანია, და ნამეტნავად პრუსია, არის ის ქვეყანა, საცა საერო სკოლის განსაკუთრებული თვისება მისხლობით გამოკვლეული აქვთ გამოჩენილ მეცნიერთა შემწეობით, მისი თავი და ბოლო, სიგრძე და სიგანე დიდის ცოდნით და სიფრთხილით გაზომილი აქვთ; იქ საერო სკოლის განსაკუთრებული საქმე იმოდენად ძნელად და სამძიმოდა აქვსთ აღიარებული და ცნობილი, რომ მისი კურსი ხუთისა და ექვსის, ზოგან რვა წლობითაც არის ხოლმე. თუ იქ, საცა, რაც უნდა ვსთქვათ, ერის გონებრივი და ქონებრივი ყოფა-ცხოვრება გაცილებით ჩვენზედ მეტია და უკეთესი, საცა ერი უფრო მიხვედრილია და გონება-გახსნილი, საცა დახელოვნებული და კარგად მომზადებული ოსტატები მრავალია და, მაშასადამე, საცა, ყოველ ამ მიზეზით, სკოლის საქმე უფრო გაადვილებულია, ხუთს წელიწადზე არა ნაკლებ ახმარებენ საერო სკოლის პირდაპირ დანიშნულებას, _ ნუთუ ჩვენში სამი წელიწადი, ეს მოკლე ხანი, იმისთვისაც საკმაოა, რომ საერო სკოლამ თავისი პირდაპირი დანიშნულებაც აასრულოს და რუსული ენაც იმოდენად აცოდინოს ბავშს, რომ უმაღლეს სასწავლებელში შესვლა შეეძლოს?!." *("ბ-ნი იანოვსკის წერილისა გამო". 1881 წ.).*

"სკოლამ უნდა მოჰფინოს ხალხს განათლება; განათლებამ უნდა განფანტოს მისი გონებითი სიბნელე, განათლებამ უნდა მისცეს მას ძალა ცხოვრებაში საბრძოლველად". *("ჩვენი ხალხი და განათლება". 1886 წ. 2 მაისი).*

"აქედამ აშკარაა, რას უნდა ეტანებოდეს ჩვენი ქართველობა, თუ სურს, რომ ჯანი მიეცეს მის სულსა და ხორცს ცხოვრების მოედანზედ საჭიდაოდ და გასამარჯვებლად. იგი უნდა ეტანებოდეს სკოლებს, სასწავლებლებს, ამ სწავლა-ცოდნის მომფენელთ და მომავლინებელთ. მაგრამ, აბა ერთი უყურეთ, ან ამ მხრივ რა ყოფაში ვართ. აქაც, ჩვენდა საუბედუროთ, სხვებზედ უკანა ვართ დარჩენილნი". *("ისევ განათლების საკითხებზე". 1889 წ. 26 ოქტომბერი).*

"ქართველობა, რაც შესაძლოა, ძლიერ უნდა ეტანებოდეს სკოლებსა და სასწავლებლებს ცოდნისა და სწავლა განათლების კარის გასაღებად". *("ისევ განათლების საკითხებზე". 1889 წ. 27 ოქტომბერი).*

"ჩვენი საზოგადოების უხალისობის დროს, ერთმა კერძო პირმა ხანგრძლივის მეცადინეობის შემდეგ თავის საკუთარის ხარჯით და საფასით ჩასდგა საძირკველი ფრიად სასარგებლო დაწესებულებისა. ჩვენ ვამბობთ ბ. ი. წინამძღვრიშვილზედ და

მისგან დაარსებულს სამეურნეო სკოლაზედ ს. წინამძღვარიანთ-კარში." *("შინაური მიმოხილვა". 1883 წ. აგვისტო).*

- **სწავლა კაი კაცის ხელში სიამოვნებაა ბავშვისათვისვე, ანუ ნუ ჰგონიათ, რომ ოსტატობა ყველა წიგნის მცოდნეს შეუძლიან. ქალი მასწავლებელი**

"მე კანონს ცხოვრებისას სხვას არ ვუწერ. მე ეგ ფილოსოფია ჩემთვისა მაქვს და, ხომ ჰხედავ, არც არავის ვემდური, არც არავის ვემუნათები, არც არავის შევჩივი, ვარ ჩემთვის კმაყოფილი." ("*უცნაური ამბავი". 1893 წ.).*

"_ შენ გაჰბედავ, რომ შემთხვევა მოგეცეს?

_ როგორ გითხრა? გავბედავ კიდეც და ვერც გავბედავ.

_ ეგ რა პასუხია?

_ ის პასუხია, რომ როცა ჩემს თავს ვეკითხები, თითქო იმედი მეძლევა. შევძლებ-მეთქი მაგ საქმეს, და როცა მაგონდება, რა დიდი პასუხსაგებელი საქმეა, _ გინდა დამიჯერე, გინდა არა, _ კანკალი ამიტანს ხოლმე შიშისაგან. სოფლის სკოლაში მიწვევდნენ და ვერ გავბედე." ("*უცნაური ამბავი". 1893 წ.).*

"_ ეგ ადვილი გამოსაცნობია: იქ ბევრნი არიან და მაგას შეუშინდებოდი.

_ მართალი ხარ. მაგას შევუშინდი. თუ წვრთნა გინდა ბავშვისა, იგი შენ უნდა ჩაისო გულში და იმან შენ. ბევრში ეგ, ჩემის ფიქრით, შეუძლებელია, უმაგისოდ კი შესაძლოა _ სწავლა, ცოდნა მისცე და ადამიანობა კი არასდროს. მე კი ასე მგონია, რომ ადამიანობას პირველი ადგილი უნდა დაეთმოს ბავშვის წვრთნა-სწავლებაში. მე თუ გავბედავ, მარტო ერთს ბავშვს მივიბარებ." ("*უცნაური ამბავი". 1893 წ.).*

"იმათა ჰგონიათ _ ოსტატობა ყველა წიგნის მცოდნეს შეუძლიან, და რა აზრისანი არიან ეს ოსტატები, რა გზას და წესს სწავლა-წვრთნისას დაადგებიან, ამისი არამც თუ არ გაეგებათ რა, არც კი იციან, რომ საჭიროა ამისთანა რომ გამოიკითხონ. მე ვუქე შენი თავი იმ მხრით კი არა, რითაც უნდა იქოს ყოველი მასწავლებელი. ჯერ ერთი, ამას ვერ გაიგებდნენ და, მეორე, არც მე ვიცი, ამ მხრით შენ რა ხარ. ჩემთვის საკმაოა, რომ პატიოსანი კაცი ხარ, რასაც ხელს მოჰკიდებ, გულდადებით შეეჭიდები, და იცი თუ არა წესი და რიგი პედაგოგიისა, ესე იგი სწავლა-წვრთნისა, მე ამის გასინჯვაში არ შევდივარ. მე მგონია, ეს ამისთანა უცოდინარი დედ-მამა ერთრიგად კარგიც არის: არ დაგიშლიან მაინც ბავშვი სწურთნო ისე, როგორც შენი პატიოსნება, ნამუსი და ცოდნა გამხელს. თორემ ხომ იცი ჩვენი ახლანდელი ანბანიანი დედ-მამა: აქაო-და ყური რაღაცისათვის ალალბედად მოუკრავთ, თავის უთავბოლო სიბრძნით ყველგან წამოეჩხირებიან, ვითომდა ჩვენც გვესმის ავი და კარგიო, არახუნებენ, რაც ენაზე მოადგებათ, და ჭირვეულობენ, თუ არ გაუგონე. ეს უსიამოვნება მაინც არ გექნება." ("*უცნაური ამბავი". 1893 წ.).*

"ჩვენში მიღებულია, რომ დედ-მამა, თუ იფიქრებს შვილის სწავლას, რვა-ცხრა წლისაზე ადრე არ შეუდგებიან ხოლმე ამისათვის ზრუნვას, და პატიკო კი სულ ხუთის-ექვსისა ყოფილა. უსწავლელები არიანო, და ასე ადრიანად ამაზე ფიქრი უსწავლელობას არ მოასწავებს." ("*უცნაური ამბავი". 1893 წ.).*

"ჰამლეტისა არ იყოს, ბევრი იმისთანა საიდუმლოა ქვეყანაზე, რომელიც ჩვენს ფილოსოფოსებს სიზმრადაც არ მოეჩვენებათ ხოლმე. ბაშვის ბუნება საიდუმლოთა საიდუმლოა. ბავში იგივ ადამიანია და მით უფრო ძნელი საცნობელია, რომ ძნელ

წასაკითხ ქარაგმით დაწერილია, თუ ესე ითქმის, და არა სხვილ და სრულ ასოებით, როგორც დამთავრებული კაცი. არ უნდა გვიკვირდეს, რომ რასაც დიდ მდინარეში ვპოულობთ, იმას მის პატარა სათავეშიაც ვხედავთ. ბაშვი სათავეა, დასაწყისია დიდის ადამიანისა." ("*უცნაური ამბავი". 1893 წ.).*

"სწავლა და წურთვნა ბაშვისა კაი კაცის ხელში წვალება კი არ არის, სიამოვნებაა ბაშვისათვისვე." ("*უცნაური ამბავი." 1893 წ.).*

"გმირობა, რა სახისაც უნდა იყოს, სულის ღონეა და არა ხორცისა, და ამიტომაც გმირის სიყვარული მარტო სულითვე ღონიერს შეუძლიან. აქ ხორციელს თვალს ვერას გააჭრევინებთ, სულიერი თვალი უნდა და ამ სულიერის თვალის ახილება მარტო ცოტად-თუ-ბევრად რიგიანს განათლებას შეუძლიან და სხვას არასფერს. ჯერ ჩვენში მაგისთანანი არ არიან მამაკაცთა შორის, რომელთაც ჭეშმარიტის განათლებისათვის კარი ყველგან ღია აქვთ, და ქალები სად მოიპოვებიან" *("ქართული თეატრი". 1886 წ.).*

"რა არის იგი სწავლა, განათლება, ზნეობა-გაწვრთნილობა, რომ თავისუფლების ჭეშმარიტი მნიშვნელობაც ვერ გამოარკვევინოს ადამიანსა, იმოდენა ღონე არ მისცეს სულისა, რომ ადამიანი მის მაღალ მნიშვნელობას ასწვდეს და ბოროტის ქმნის თავისუფლებას სიკეთის ყრმობა არ არჩევინოს. ამაში კი არც ჩვენი განათლებული ქალები ჩამოუვარდებიან". *("ქართული თეატრი". 1886 წ.).*

"ნუთუ არ ესმით, ან ავიწყდებათ, რომ ყოველი გროში, რომელსაც ის თავის სწავლაზე ხარჯავს, ხალხის ოფლით, წვითა და დაგვით არის შეძენილი, თუნდა მახლობელთა ხელითაც იყოს მიწვდილი. ხალხი თუ იხდის ამ მძიმე ხარჯს, მხოლოდ იმ იმედით, რომ მისი ამაგი მუქთად არ ჩაივლის, რომ მისის ნაღვაწით და შრომით გამოზრდილი მასვე დაუბრუნდება და რაიმე შველას მისცემს თავის ცოდნით. არა გვგონია, რომ ჭეშმარიტად განათლებული კაცი არ ჰგრძნობდეს ამ-გვარ მოვალეობას, არ ჰფიქრობდეს, რომ იგი ზნეობით მოვალეა ხალხს უკანვე დაუბრუნოს სამაგიერო მისი, რაც მისგან მიუღია. ხოლო თუ ხალხს არ უხდიან სამაგიეროს, სხვა მიზეზი უნდა მოქმედობდეს, იქნება ცოტად თუ ბევრად შესაწყნარებელიცა. მაგრამ, ჩვენის ფიქრით-კი, გასამართლებელი არ იქნება." *("ახალი დასის მოლოდინში". 1886 წ.).*

"პატიოსანი და ყოვლად მაღალ-ზნეობიანი ჯაფა და გამრჯელობა ოსტატისა, მასწავლებლისა, გამზრდელისა, ქალია თუ მამაკაცი. იმოდენად პატივდებული არ არის, რამოდენადაც ღირსია. ეგ რომ მარტო ჩვენში იყოს ესე, კიდევ იტყოდნენ, გაუნათლებელი, გონება-გაუხსნელი ქვეყანაა და, რასაკვირველია, აგრე იქნება ჯერ-ხანადაო. საქმე იმაშია, რომ ბევრგან სხვაგანაც ეგრეა, ჩვენდა სამწუხაროდ. სხვა, რაც უნდა მდაბიო სამსახური იყოს ქვეყნისა და საზოგადოების წინაშე, რაც უნდა მცირე თანამდებობა ეჭიროს კაცსა, რაკი თანამდებობაა და სამსახურია, უფრო მომეტებულის პატივისცემით ექცევიან. ამას კიდევ როგორმე გაუძლებდნენ, თუ რომ მასწავლებლის მართლა-და მძიმეს, რთულს და დიდს ჯაფას და მოვალეობას გასამრჯელო მაინც საკმარისი ეძლეოდეს. ეს ნამეტნავად ცხადია მათ შესახებ, ვისაც სასოფლო სკოლის მასწავლებლობა თავის მიდრეკილებისამებრ ამოურჩევია და მისთვის შეუწირავს თავისი უკეთესნი დღენი ცხოვრებისანი. ამათ არც სამსახური სამსახურად ეთვლებათ და არც იმოდენა გასამრჯელო აქვთ, რომ სოფლის მასწავლებლის ჭირნახულობისათვის ცოტად მაინც შეზომილი იყოს. ცოტად თუ ბევრად ნასწავლი, გონება-გახსნილი სოფლის მასწავლებელი არის სადღაც მიყრუებულ ადგილას, ქვეყნის სიამოვნებას მოშორებული, ბევრჯერ მშიერი, ბევრჯერ მწყურვალი, ბევრჯერ სიცივეში, ზოგჯერ რიგიანი სადგურიც

არა აქვს, რომ ავდარს მაინც გადაურჩეს გაულახველად, დილიდამ საღამომდი იბრძვის, იღვწის ბავშვების მომზადებისა და აღზრდისათვის და ყოველ ამისათვის ოცი და ოც-და-ათი თუმანი აქვს წელიწადში საცხოვრებლად. კაცმა რომ სამართლიანად გასინჯოს ეს ყოვლად უნუგეშო გარემოება სოფლის მასწავლებლისა, დააკვირდეს მის დაუღალავს ღვაწლს ყოველის დღისას, არ შეუძლიან იმ აზრზედ არ დადგეს, რომ სოფლის მასწავლებლობა სწორედ თავის გაწირვაა, მსხვერპლია, ადამიანის უმადურობით უფრო გამწარებული, უფრო გამწვავებული." *("ქალი მასწავლებელი". 1886 წ. 7 იანვარი).*

"ამ მხრით უფრო უარესს ყოფაში არიან ქალები მასწავლებელნი, ნამეტნავად თუ ბედს არ ურგუნებია მათთვის სახელმწიფო სასწავლებელში სადმე რაიმე თანამდებობა. ამათი ჯაფა, იმავე თავგანწირულობით და სიმძიმით დატვირთული, უფრო ნაკლებ პატივცემულია, უფრო ნაკლებ დაზღვეულია გასამრჯელოთი და სასყიდლითა. გარდა ამისა, რაც უნდა უკეთ მომზადებული იყოს, რაც უნდა თავ-გამომეტებული თავისის თანამდებობის აღსრულებისათვის, რაკი ქალია, იშვიათად უპირატესობა მიეცემა ხოლმე მამაკაცის წინაშე, როცა ორივენი ერთს დროს წარსდგებიან ადგილის საშოვნელად. ეს გარემოება და ცილება ხშირად კარგად მომზადებულს ქალს ულუკმა-პუროდ სტოვებს და საწყალი ქალი, რომელმაც უკეთესი თვისი დრო მასწავლებლად მომზადებას მოახმარა და შესწირა იმ პატიოსანის ფიქრით, რომ ჩემს დედ-მამას მუქთა-მჭამელად აღარ ვეყოლებიო, მე თვითონ მოვინაგრებ რასმეო, გულდაწყვეტილი ემორჩილება უმართლოებას და გარემოების სისასტიკეს, ზნეობრივად დაჩაგრული და ღონე-მიღებული." *("ქალი მასწავლებელი". 1886 წ. 7 იანვარი).*

"სადიდებელნი და პატივსაცემნი არიან ის მასწავლებელი ქალები, რომ თავისი ცოდნა არა შურთ მოყვასისათვის და რაც იციან, უანგაროდ ასწავლიან." *("სფირიდონის და თადეოზის გაასი". 1861 წ.).*

"საქართველოში საქალებო სკოლამ ქართველს უნდა გაუზარდოს ქართველი ქალი, ქართველს უნდა გაუზარდოს ქართველი დედა, ქართველი დაი, ქართველი დედაკაცი. თუ სკოლა ამას არ იქმს, ის სკოლა წყალსაც წაუღია, ჩვენ ბევრს არას ვინაღვლით." *("შინაური მიმოხილვა". 1881 წ. სექტემბერი).*

"მოგვეცით მართალი სკოლა, ქართველის სულისა და გულის ამამაღლებელი, გონების გამხსნელი! ნუ გარევთ სკოლის უწმინდესს საქმეში სხვა საქმეს, რომელიც სკოლას არ შეეფერება! ნუ გადაუდგებით მტკიცედ დადგენილს კანონებს პედაგოგიისას! მოგვეცით სასწავლებელი ქართველის ქალისა, ქართველის დედისა, ქართველის ოჯახის დედაკაცისა. ყოველივე ამას აცილებული არც თქვენი გამოსაყენია, გვერწმუნეთ, არც ჩვენი." *("შინაური მიმოხილვა". 1881 წ. სექტემბერი).*

"ვისაც გული აცრუებული აქვს თავის ვინაობაზედ, თავისიანობაზედ, ვისაც თავისი უარყვია, გულიდამ ამოუღია, დავიწყებას მიუცია, ის სხვისას ვერ შეითვისებს, ის სხვისას ვერ უერთგულებს. ტყუილი შრომაა, ტყუილი ცდაა. ეგ კიდევ არაფერი, რომ შრომა და ცდა ტყუილია, საქმე იმაშია, რომ მაგ შრომით და მაგ ცდით ერთს აკლებთ და მეორეს არას ჰმატებთ. ტყუილ-უბრალოდ იღუპება მთელი მოზარდი თაობა, იღუპება ქვეყანა, რომლის იმედიც და ნუგეშიც მოზარდი თაობა უნდა იყოს." *("შინაური მიმოხილვა". 1881 წ. სექტემბერი).*

"ძველადაც აგრე იყო: კაცები თოფ-იარაღს მივდევდით ხოლმე და ქალები შინ ისხდნენ, წიგნებსა კითხულობდნენ და სწავლაში იყვნენ." *("სფირიდონის და თადეოზის გაასი". 1861 წ.).*

“სწავლა და ხელოვნება თავისაგან არ მოიგონებენ ახალსა და არ მოიგონებენ დაუარსებელს სინამდვილეს, მაგრამ იმას, რომელიც ყოფილა, არის და იქნება კიდევაცა, გამოართმევენ მზა მასალასა, მზა კავშირთა, ერთი სიტყვით _ მზა საგანსა; მისცემენ მას შესაფერ ნაკვთსა, ყალიბსა, ზომიერის ნაწილებით ისრე, რომ ჩვენ შეგვეძლოს ერთობ თვალის გადავლება ყოველმხრივ.” *(“სფირიდონის და თადეოზის ბაასი”. 1861 წ.).*

“სწავლა, განათლება, მამულისათვის თავგამეტებული სიყვარული თითქმის იქიდამ ეფინებოდა ჩვენს ქვეყანასა ერთს დროს.” *(“ოსმალოს საქართველო”. 1877 წ.).*

“გავა რამდენიმე ხანი და მაცხოვარი სხივი განათლებისა მოჰფენს ნათელს ყოველს კუთხეს ჩვენის ქვეყნისას, რომელიც კი აქამომდე თვალგაუწვდენელ სიბნელეში იმყოფებოდა”. *(“შინაური მიმოხილვა”. 1879 წ. აპრილი).*

“ჩვენო ქართველობავ, შეიყარენით ერთად და ამ სატკივარს ერთი წამალი დასდეთ. უებარი წამალი კიდევ, უწინაც გვითქვამს, საკუთარი ქართული გიმნაზიაა. თუ თქვენის შვილებისათვის მართლა სიკეთე გინდათ, თუ გინდათ _ რომ თქვენმა ქვეყანამ თქვენი სახელი ლოცვით და კურთხევით მოიხსენიოს, ამ აზრის აღსასრულებლად ნურას დაზოგავთ, ნურას დაიშურებთ. ნუ შეუშინდებით იმ ფიქრს, რომ გიმნაზიას დიდი გაძღოლა უნდა, ესე იგი დიდი ფული და ხარჯი. თვითოეულმა რომ ცოტ-ცოტა გამოვიღოთ, ყველასაგან ერთად საკმარისი ფული შედგება: ნათქვამია, ზღვაც წვეთით არის შემდგარიო.” *(“შინაური მიმოხილვა”. 1879 წ. ივლისი-აგვისტო).*

1.3. ცოდნა, სწავლა-განათლება, პრაქტიკული გამოცდილება ერის სიმდიდრის სათავე

- **სწავლა-განათლება სათავეა სიმდიდრისა**

“ხალხის სიღარიბიდამ გამოყვანა და სწავლა და ცოდნა ისე არიან ერთმანეთთან დაკავშირებულნი, რომ იმათ უერთმანეთოდ მნიშვნელობა არა აქვთ რა”. *(“შინაური მიმოხილვა”. 1879 წ. აპრილი)*

“გლეხკაცმა რაც უნდა სიმდიდრე შემოიტანოს, თუ პატარა უკეთესს ცხოვრებას არ შეეჩვია და ქვეყნიერებისა არა გაიგო-რა, ისევ-ისე ბინძურად და უხეიროდ იცხოვრებს, როგორც სიღარიბეში უცხოვრია. ჩვენ გვინახავს ბევრი გლეხკაცი, რომელსაც ათას თუმნამდინ შეძლება აქვს, მაგრამ ისეთს მიწურს სახლშივე დგას, ისევ-ისე გევრდით უბია თავის საქონელი და იმისგან გამოსუნთქულს ჰაერსა სუნთქავს, როგორც ყოვლად უქონელი ღატაკი გლეხი”. *(“შინაური მიმოხილვა”. 1879 წ. აპრილი)*

“თუ ჩვენი ხალხის ბედნიერება გვინდა, უნდა ვეცადოთ, რომ იმისი მდგომარეობა გავაუმჯობესოთ: სწავლაც შევძინოთ და უკეთესის ცხოვრების ღონეც მივსცეთ. ეს ისეთი ნათელი ჭეშმარიტებაა, რომ ვინც ამას უარყოფს, ან სრულებით ბნელში უნდა დადიოდეს, ან სინათლეს თვალებახვეული უცქეროდეს”. *(“შინაური მიმოხილვა”. 1879 წ. აპრილი)*

“იმედია, რომ ჩვენი ხალხის წარმატება და განვითარება ბევრად წინ წაიდგამს ფეხს; გავრცელდება სწავლა-განათლება სამშობლო ენაზედ და მით მიეცემა ჩვენს ქვეყანას ის ყოვლად უსაჭიროესი ნიადაგი, ურომლოდ საგვარტომო და თვითმოქმედი ცხოვრება და წარმატება შეუძლებელია”. *(“შინაური მიმოხილვა”. 1879 წ. აპრილი)*

- **ცოდნა და გადადებული ქონება განძია, ურომლისოდაც არავითარი წარმოება ფეხს წინ ვერ წასდგამს**

"რომ დავაკვირდეთ ჩვენებურ მიწათმოქმედებას, დავინახავთ, რომ ამას ჩვენში ორი დიდი ღონე აკლია: ერთი ცოდნა და მეორე სამუშაოდ გადადებული ქონება. ერთიცა და მეორეც იგი განძია, ურომლისოდაც არავითარი წარმოება საზოგადოდ და მიწათმოქმედება საკუთრად ფეხსაც წინ ვერ წასდგამს". *("ჩვენი სოფლის მეურნეობა და შეკავშირების საჭიროება". 1893 წ. 7 იანვარი).*

"ცოდნა და ქონება ერთად იგი თავნია, იგი ძირის-ფულია ერისა, რომელიც თუ არ მიეშველა მიწას, იგი მიწა, რაც გინდ ნაყოფიერი იყოს, წარმოადგენს ცხრა კლიტით დაკეტილს სალაროს სიმდიდრისას, უქმად დებულისას და ერისათვის დაკარგულისას". *("ჩვენი სოფლის მეურნეობა და შეკავშირების საჭიროება". 1893 წ. 7 იანვარი).*

"მიწა გვაქვს, ხოლო ორივ ხსენებული განძი, ურომლისოდაც მიწა უქმია, უნდა ვიშოვოთ, უნდა მოვიხერხოთ. საცა მთელს ერზეა ლაპარაკი, იქ, რა თქმა უნდა, ცალ-ცალკედ, თვითეულად გარჯა და მეცადინეობა ბევრს არასფერს მოუმატებს იმ განძს, რომელიც ასე საჭიროა ჩვენთვის საერთოდ, საზოგადოდ. განცალკევებულ გარჯას და მხნეობას იქაც-კი, საცა ცოტად თუ ბევრად გახშირებულია, ბევრი არაფერი შეუმატნია ერისათვის საზოგადოდ და ჩვენში ხომ ამისი ჩამიჩუმიც არ ისმის". *("ჩვენი სოფლის მეურნეობა და შეკავშირების საჭიროება". 1893 წ. 7 იანვარი).*

"მაშასადამე, ამ კერძოდ გარჯასა და მხნეობაზედ ჩვენ არავითარი იმედი არ უნდა ვიქონიოთ, თუნდ იმიტომ რომ ამისათვის არც ერთს ჩვენგანს ცალკე ღონე არა აქვს, არც გონებრივი და არც ქონებრივი". *("ჩვენი სოფლის მეურნეობა და შეკავშირების საჭიროება". 1893 წ. 7 იანვარი).*

"აბა მიიხედ-მოიხედეთ, თუ თვითოეული ჩვენგანი მარტო დღიურ ლუკმის საშოვნელად არ აღამებდეს დღეს და სადღა აქვს დრო და მოცალეობა, გონება და ქონება, რომ ერის საერთო განკარგებას და გაძლიერებას მოახმაროს, შესწიროს". *("ჩვენი სოფლის მეურნეობა და შეკავშირების საჭიროება". 1893 წ. 7 იანვარი).*

"ჩვენი ხალხი უმთავრესად მიწის მუშაობას მისდევს. წლითი-წლობით მიწას ჩაჰყურებს, ატრიალებს, ჰხნავს, სთესავს; ვაზს უვლის, ბოსტნეული მოჰყავს; წელებზედ ფეხს იდგამს, თავს მაღლა არ იღებს, ჯაფას არ ერიდება, ძალ-ღონეს არა ჰზოგავს, ოღონდ წლის საზრდო მოიპოვოს. მაგრამ აი წელს სეტყვამ გაანდგურა წლის ნაღვაწი საზრდო, მერმის კალიამ ხელცარიელზეც დასო, მესამე წელს კიდევ სხვა ღვთის რისხვა დაატყდა თავსა. წლის ნაწვავ-ნადაგი ხელიდამ გამოეცალა... რა ქნას? ცოდნა მას არა აქვს, ვერც თავის საკუთარს ძალ-ღონეს დანდობია, ვერც სხვას მინდობია, ვერც ცალკე ღონით გასძღოლია... სად არის განათლებული, მეცნიერებით შეიარაღებული კაცი, რომ მისთვის გული შესტკივოდეს და წარმატების გზა უჩვენოს?" *("ჩვენი ხალხი და განათლება", 1886 წ. 2 მაისი).*

"იმიტომ, რომ არ ვიცით, სად რა სიმდიდრე ძევს, სად რა განძია. არ ვიცით _ საიდამ რა ამოვიღოთ, რა ხერხით და ოსტატობით ამოვიღოთ, რომ ჯაფაც ადვილი იყოს და ნაჯაფევიც ბლომად. აკი ვამბობ, ყველაფერი გვაქვს, მარტო ერთი რამ გვაკლია, სახელდობრ _ ისა, რაც თქვენისავე სიტყვით, თითონ ღონესაცა სჯობია, რაც ძლიერს მკლავს ხერხიანად ამოქმედებს, რაც კაცის თვალს დედამიწის გულში ჩაახედებს, რაც კაცს წინ მიუძღვება ხოლმე და უტყუარად ეუბნება: აი აქ ეს სიმდიდრეა, ღვთისაგან

შენთვის მიბარებულიო, ამას ამ ხერხით, ამ ოსტატობით _ უფრო ადვილად, უფრო ბლომად ამოიღებო.

მაგისთანა ღვთისნიერს წინამძღოლს ცოდნა ჰქვიან. უამისოდ დედამიწა თავის უხვს და უხარებელს გულს არ გადაგვიხსნის, ისე უხვად არ მოგვაბარებს, რამოდენადაც ჩვენთვის მიბარებული აქვს". *("სიტყვა წინამძღვრიანთ-კარის სამეურნეო სკოლის გახსნაზე". 1883 წ.).*

"სხვა ქვეყანაში, საცა ცოდნა აქვს ხალხსა, ოთხის დღის მიწა ისე უჭირველად აცხოვრებს მთელს ოჯახს, როგორც ჩვენში ოცისა და ორმოცის დღის პატრონი ვერა სცხოვრობს. რათა? განა იმითი, რომ ისინი მკლავ-ძარღვით ჩვენა გვჯობიან!? არა, იმათ ცოდნა აქვთ". *("სიტყვა წინამძღვრიანთ-კარის სამეურნეო სკოლის გახსნაზე". 1883 წ.).*

"ხერხი იციან. "ხერხი სჯობია ღონესაო", _ თქვენგანვე თქმულა და მართალიც არის". *("სიტყვა წინამძღვრიანთ-კარის სამეურნეო სკოლის გახსნაზე". 1883 წ.).*

"ცოდნა ხომ ხერხია, მაგრამ თითონ, თავის-თავადაც სიმდიდრე არის, მერე იმისთანა, რომ კაცი საცა წავა, თან მისდევს უხარჯოდ და უბარგოდ, ვერცა ვინ მოჰპარავს, ვერცა ვინ წინ გადუდგება. ეხლანდელ დროში ცოდნა ყველაფერია: ფულზედაც უფრო დიდი ბაზარი აქვს, ხმალზედაც უფრო მეტადა სჭრის და ზარბაზანზედაც უფრო ძლიერია". *("სიტყვა წინამძღვრიანთ-კარის სამეურნეო სკოლის გახსნაზე". 1883 წ.).*

"ღონიერი და ჭირთა-მძლევი ის არის, ვისაც ჭკუა ცოდნით მოურთავს, ცოდნით აუყვავებია, ცოდნის ძუძუთი გაუზრდია". *("სიტყვა წინამძღვრიანთ-კარის სამეურნეო სკოლის გახსნაზე". 1883 წ.).*

"კაცი უნდა ხერხი იყოს, გაჰქონდეს და გამოჰქონდესო", თქვენგანვე მაქვს გაგონილი და დასწავლული. მართალიც არის: კაცი სხვის მარგეც უნდა იყოს და თავისთავისაც. კაცი მარტო მაშინ არის ხერხი, როცა ცოდნა აქვს, როცა ჭკუა ცოდნით გაულესია, ცოდნის ჩარხზე გაუჩარხავს. მაშინ ხერხსავით სხვისთვისაც გააქვს და თავისთვისაც შემოაქვს". *("სიტყვა წინამძღვრიანთ-კარის სამეურნეო სკოლის გახსნაზე". 1883 წ.).*

"ეგ თქვენ თითონაც კარგად იცით. თქვენ თითონ ყოველდღე ჰხედავთ, რომ ეგ ეგრეა. ალოში გუთნის დედას მეტს არგუნებთ ხოლმე, ვიდრე მეხრესა. რათა? იმიტომ რომ გუთნისდედა _ მცოდნეა და მეხრე კი არა. ურმის-მკეთებელი უფრო მეტადა ჰღირს მოჯამაგირედ რომ დგება, ვიდრე უბრალო მუშაკაცი, თუნდაც ერთი-ორად იმაზედ მეტი იყოს მკლავითაც და ჯანითაც. რათა? კიდევ იმიტომ, რომ ურმის ხელოსანი მცოდნე კაცია და უბრალო მუშა კი არა". *("სიტყვა წინამძღვრიანთ-კარის სამეურნეო სკოლის გახსნაზე". 1883 წ.).*

"ცოდნა თითონ, თავის-თავადაც სიმდიდრეა მეთქი, მერე იმისთანა მადლიანი სიმდიდრეა, რომ რაც უნდა ბევრს დაურიგო, ბევრს გაუწილადო, შენ არა დაგაკლდება-რა, თუ არ მოგემატება. ამ შემთხვევაში ცოდნა ანთებულს სანთელსა ჰგავს: ერთს სანთელზედ რომ ათასს სხვა სანთელს მოუკიდო, სანთელს იმით არც ალი დააკლდება, არც სინათლე, არც სიცხოვლე. პირიქით, იმატებს კიდეც, რადგანაც ერთის მაგიერ ათასი სხვა სანთელი იმასთან ერთად დაიწყებს ლაპლაპსა". *("სიტყვა წინამძღვრიანთ-კარის სამეურნეო სკოლის გახსნაზე". 1883 წ.).*

"სანთელს კიდევ იმაში ჰგავს ცოდნა, რომ თუნდაც ცოტად ბჟუტავდეს შორს სადმე ბნელაში, ქურდს, მპარავს, მტერს აფრთხობს, იქ სინათლეა, _ სჩანს ჰღვიძავთო, და დაგვიანებულს მოყვარეს კი ახარებს კიდევ იმით, რომ იქ ღვიძილია, მღვიძარები დამხვდებიანო". *("სიტყვა წინამძღვრიანთ-კარის სამეურნეო სკოლის გახსნაზე". 1883 წ.).*

“სანთელს მარტო იმაში არა ჰგავს, რომ სანთელი, როცა იქნება, ჩაიწვის და გაჰქრება ხოლმე; ერთხელ ანთებული ცოდნა კი თავის-დღეში არა: მამიდამ შვილზედ გადადის, შვილიდამ შვილის-შვილზედ, უფრო გადიდებული, უფრო გაძლიერებული”. *(“სიტყვა წინამძღვრიანთ-კარის სამეურნეო სკოლის გახსნაზე”. 1883 წ.).*

“ცოდნა იმითია კიდევ კარგი, რომ იმან უფროს-უმცროსობა არ იცის. როგორც საყდარი, როგორც ეკლესია, როგორც თითონ ღმერთი, _ ერთნაირად შეივედრებს, ერთნაირად შეიკედლებს, ერთნაირად იშვილებს ხოლმე ძონძებში გახვეულ გლეხსაც და ბუზმანტებით მორთულს თავადსაცა. ყველას ერთნაირად მოუხდება, ყველას ერთნაირად დააშვენებს ხოლმე, ოღონდ კი კაცი გულმონდომილი და მოწადინებული მივიდეს ცოდნის კარამდისა”. *(“სიტყვა წინამძღვრიანთ-კარის სამეურნეო სკოლის გახსნაზე”. 1883 წ.).*

“ცოდნა ბევრნაირია. ხოლო აქედამ ჩვენი შვილები, თქვენი შვილები, გამოიტანენ იმისთანა ცოდნას, რომელიც დედამიწის გულში ჩაგვახედებს, მიგვანიშნებს _ სად რა სიმდიდრე სძევს და რა-რიგის ხერხით, რა-რიგის ოსტატობით შეიძლება იმ სიმდიდრეს ხელი დავაწვდინოთ, ამოვიღოთ და მოვიხმაროთ ქვეყნისა და ჩვენის თავის სადღეგრძელოდ”. *(“სიტყვა წინამძღვრიანთ-კარის სამეურნეო სკოლის გახსნაზე”. 1883 წ.).*

“ქვეყნის წარმატებისათვის მარტო ცარიელი სურვილი უქმი თამასუქია. ამიტომაც ბევრი რამ დაწყებულა ქვეყნის საკეთილოდ, მაგრამ უქმად ჩაუვლია და ქვეყანასაც გული გასტეხია და ნდობა დაჰკარგვია ყოველის ახალის დაწყებულების მიმართ, ხშირად, და ძალიან ხშირადაც, ასეთი ბოლო-გაუტანლებლობა, ასეთი მარცხი საკეთილოდ მოგონილის ღონისძიებისა თვითონ მკვიდრთათვის დაუბრალებიათ, არ ესმით სიკეთეო, ყოველის ახალს ეურჩებიან, ბრიყვი ხალხიაო და სხვა ამისთანა ტყუილი მიზეზები მოჰყავთ და გამგონიც იჯერებს. იმის გამომძიებელი და მთქმელი კი აღარავინ არის, რომ აქ ხალხი არასფერს ბრალშია; რომ მარცხის მიზეზი თვითონ საქმეშია, რომელიც მარტო ცარიელს სურვილზეა აგებული და მოკლებულია საჭირო ცოდნას ადგილის ვითარებისას, ურომლისოდაც კეთილი სურვილიც კი ფეხს და ხელს ისე ვერ გაანძრევს, რომ არ შესცდეს და გზა-კვალი არ აერიოს”. *(“ხილნარობისა და მევენახეობის სასწავლებელთა შესახებ”. 1886 წ. 30 ოქტომბერი).*

“დღეს ჩვენშიაც ბევრი არ არის იმისთანა კაცი, რომ არ იცოდეს _ რა კარგი რამ არის ადამიანისათვის ცოდნა, სწავლა და განათლება. კარგი რამ არის, მაგრამ ჩვენდა სამწუხაროდ, მეტად ფეხმოკლედ გვესმის ეს სიკარგე ცოდნისა და სწავლა-განათლებისა. ჩვენ იგი მოგვწონს, როგორც იმისთანა მორთულობა, იმისთანა სამკაული, ურომლისოდაც ადამიანს შეუძლიან ასე თუ ისე ცხოვრების გზა დაჰლიოს, იოლად გამოვიდეს ხალხსა და ქვეყანაში, ერთის სიტყვით, ურომლისოდაც არცა ჰშივა კაცს და არც სცივა. ამის გამო ცოდნის არ-ქონას ისე ვუყურებთ, როგორც არ-ქონას მორთულობისას, სამკაულისას, სახელდობრ იმ მორთულობისას, იმ სამკაულისას, რომელიც, თუ არის, ხომ რა კარგი, თუ არადა, არა ჰღირს იმისთვის კაცმა თავი შეიწუხოს, თავი იტკინოს”. *(“ისევ განათლების საკითხებზე”. 1889 წ. 26 ოქტომბერი).*

“ცოდნა, სწავლა-განათლება, ასე ახსნილი და გაგებული, სწორედ ცოდნისა და სწავლა-განათლების შეგინებაა, გაუპატიურებაა. ცოდნა, სწავლა-განათლება დღევანდელი კაცისათვის არსებითი პურია. უამათოდ ადამიანი დღეს ყველაფერს მოკლებულია: ადამიანობასაც, სარჩო-საბადებელსაც, ღონესაც და შეძლებასაც. დღეს უცოდნელად, უსწავლელად კაცი ერთს ნაბიჯსაც ვერ გადასდგამს ცხოვრების მოედანზედ უმარცხოდ და უძლეველად. ცხოვრების მოედნიდამ ბურთი დღეს მარტო

მცოდნეს გააქვს, მარტო მცოდნეს აქვს საკმაო და საპატიო კერძი წუთისოფლის სუფრაზედ, და თუ უცოდინარისათვის რჩება რამე, ნარჩენი მარტო მცოდნეს ნასუფრალია, მცოდნე კაცის სუფრის ნაბღერტია". *("ისევ განათლების საკითხებზე". 1889 წ. 26 ოქტომბერი).*

- **ცოდნა თავისთავად სიმდიდრეა ერისა, დაუშრეტელი წყაროა როგორც კაცად მყოფობისათვის, ისეც თავის სარჩენად. ქართველო კაცო: ტანთ მოიკელ, ფეხთ მოიკელ, მშიერ მწყურვალი იარე და ცოდნა, სწავლა-განათლება მიეცი შვილსა**

"დღეს მარტო მცოდნე და ნასწავლია ბატონი, და უსწავლელი, უცოდინარი-კი მისი ყურმოჭრილი ყმაა, რომელიც ძალა-უნებურად იძულებულია იმას დასჯერდეს, რაც მცოდნეს და ნასწავლს მორჩება, რასაც მცოდნე და ნასწავლი ხელს არა ჰკიდებს, როგორც მისთვის უღირსსა და გამოუსადეგს". *("ისევ განათლების საკითხებზე". 1889 წ. 26 ოქტომბერი).*

"ჩვენ გვავიწყდება, რომ ცოდნა, სწავლა-განათლება დაუშრეტელი წყაროა, როგროც კაცად მყოფობისათვის, ისეც თავის სარჩენად, ქონებისა და სარჩოს მოსაპოვებლად. რასაც მცოდნე კაცი ერთს საათში მოიამაგებს, იმას უცოდინარი მოანდომებს ოთხ-ხუთ საათს. შესაძლოა კაცს სიმდიდრე თვალწინ ედოს და ვერა ჰხედავდეს უცოდინარობით და ან ჰხედავდეს და არ იცოდეს, როგორ და რა გზით აიღოს და შინ შეიტანოს, და მცოდნე კაცი-კი ქვასაც წყალს გამოადენს, სიმდიდრის წყაროს იქ ამოახეთქებს, საცა უცოდინარს სიზმარშიაც არ მოეჩვენება". *("ისევ განათლების საკითხებზე". 1889 წ. 26 ოქტომბერი).*

"ესეთი ძლიერება ცოდნისა და სწავლა-განათლებისა ჩვენ საკუთარ თვალ-წინ შესაძლოა კაცმა დაინახოს. რამდენი მაგალითია, რომ უცხო-ქვეყნელი, ვინ იცის საიდამ მოსული და ჩვენში შემოხიზნული, არამც თუ ლუკმა-პურსა ჰშოულობს, მდიდრდება, კეთდება ჩვენს შორის, და ჩვენ-კი, ჩვენს საკუთარ სახლსა და ქვეყანაში, ჩვენს საკუთარ მამა-პაპის ბინაზედ, გვენატრება სარჩო და საგზალი ცხოვრებისა. ჩვენ მუდამ იმასა ვჩივით და ვტირით, რომ ღარიბნი ვართ, ლუკმა-პურის ილაჯს ვერსად გამხდარვართ, და ის-კი აღარ გვახსოვს, ის-კი აღარ გვაგონდება _ სად და რაშია სათავე და მიზეზი ჩვენის სიღარიბისა". *("ისევ განათლების საკითხებზე". 1889 წ. 26 ოქტომბერი).*

"საკვირველია! თუ უცხო-ქვეყნელი მოდის აქ, ამ მისთვის უთვისტომო ქვეყანაში, საცა არც ერთი მტკაველი მიწა აქვს, არც ერთი კაცი ჰყავს ხელშემწყობი და გულშემატკივარი და მარტო თავის თაოსნობაზედ და მხნეობაზედ დანდობილი, ჰშოულობს საქმეს, თავს ირჩენს, მდიდრდება, კეთდება, ჩვენ რაღა დაგვემართა, ჩვენ, რომელთაც მიწაცა გვაქვს, მამულ-დედულიც, ბინაც, მახლობელნი და ნათესაობაც გვყავს და მაინც ვჩივით და ვტირით სიღარიბეს. ჩვენს საკუთარს სუფრაზედ სხვანი სძღებიან, ჩვენის ქვეყნის რძე-ნაღები სხვას მიაქვს და ჩვენ-კი, ცარიელზედ გასულნი, მარტო ვჩივით და ვტირით, გვშიან და გვწყურიანო. ის-კი ვიცით, რომ "ტირილითა და ვიშითა" სოფელი არ აშენდება.

"რათ არის ესე? იმიტომ არის, რომ უცხო-ქვეყნელი იმ განძით, იმ საუნჯით მოდის ჩვენში, რომელსაც ცოდნა ჰქვიან და ურომლისოდაც ეხლანდელ დროში თითონ ფულითაც მდიდარი ღარიბია, რადგანაც უქმია და გამოუსადეგი, და უქმი და გამოუსადეგარი ხომ მარტო ქონების მჭამელია და არა ქონების გამდიდებელი და გამაძლიერებელი, ქონების გამღებია და არა მიმღები. ეხლანდელს დროში ნურვინ

იფიქრებთ, რომ წინ წაუხვიდეთ მცოდნესა და განსწავლულსა და ან არსებობისათვის ჭიდილში საეკონომიო მოედანზედ გამარჯვება თქვენ დაინარჩუნოთ; ნაღებს ქვეყნისას და ცხოვრებისას მცოდნე კაცი ჰხდის და უცოდინარს სასვლეპავად თუ დო დარჩა, ღმერთს მადლობა შესწიროს". *("ისევ განათლების საკითხებზე". 1889 წ. 26 ოქტომბერი).*

"ჩვენი უცოდინარობა, უსწავლელობა ისე გვაბრკოლებს და გვაბორკილებს, რომ ცილობაც ვეღარ გაგვიწევია ახალმოსულთა უცხოელთათვის. ყველგან იგინი გვჯობნიან, ყველგან იგინი წინ გვასწრობენ, გამოსაჩენს საქმეს ხელიდამ გვაცლიან. რას იზამთ? იმათკენ ცოდნაა, განათლებაა, მიხვედრილობა და გაგებულობაა, ჩვენკენ-კი უვიცობა, სიბნელე, მიუხვედრებლობა, გაუგებლობა. ამ სამწუხარო მდგომარეობაში მყოფნი რით უნდა შევეჭიდნეთ, რით უნდა გავუმკლავდეთ სწავლითა და ცოდნით შეთოფ-იარაღებულს, ცოდნითა და სწავლით გაძლიერებულს, გაღონიერებულს და გათამამებულს? რასაკვირველია, იმავ იარაღით, რითაც ისინი იმარჯვებენ ჩვენზედ, ესე იგი, ცოდნითა და სწავლულობითა. სხვა ვერაფერი გვისხნის სიღარიბისაგან, თუ არ ის ხერხი, ის უნარი, ის ძალ-ღონე, რომელსაც მარტო ცოდნა და სწავლა-განათლება იძლევა". *("ისევ განათლების საკითხებზე". 1889 წ. 26 ოქტომბერი).*

"ტყუილი ჩივილია, ტყუილი ტირილია უფულობისა, უქონლობისა. უნდა ვტიროდეთ და ვჩიოდეთ უცოდინრობას, უვიცობას, იმიტომ რომ სათავე და მიზეზთა-მიზეზი ყოველ უბედურობისა ეგ უვიცობა, ეგ ცოდნის უქონლობაა. მაშასადამე, ცოდნა, სწავლა-განათლება, მარტო სამკაული-კი არ არის კაცისა, პირველ წყების საჭიროებაა, როგორც პური, როგორც წყალი, როგორც საჭმელი და სასმელი, ერთის სიტყვით, როგორც ყოველივე ის, ურომლისოდაც კაცს გაძლება და ხეირი ამ ქვეყანაზედ არ შეუძლიან". *("ისევ განათლების საკითხებზე". 1889 წ. 26 ოქტომბერი).*

"კიდეც ეგ არის სავალალო, რომ ჩვენ ჩვენს ქვეყანაში ღარიბნი ვართ და გუშინდელი მოსული გერმანელი-კი იმოდენად მდიდარია, რომ შვილების გაზრდის ხარჯსაც ჰშოულობს და სახლობასაც გაუჭირვებლივ ჰკვებავს. რათა? რათ უნდა იყოს ესე? ჯერ იმიტომ, რომ გერმანელს და სხვას მისებრ მიხვედრილს კაცს ცოდნა და სწავლა-განათლება სამკაულად-კი არა აქვს მიჩნეული, როგორც ბუზმენტი ჩოხისათვის, ან ძეწკვი გულ-მკერდისათვის. იგი ცოდნასა და განათლებას უყურებს, როგორც აუცილებელს საჭიროებას, როგორც არსებითს პურსა, და ამიტომაც, როცა სარჩო-საბადებელისათვის იღწვის, მაშინ წელებზედაც ფეხს იდგამს, რომ შვილის გასაზრდელი ხარჯიც მოიმარაგოს. გერმანელი პურს დაიკლებს, ღვინოს არ დალევს, შიმშილს, წყურვილს არ შეუშინდება და შვილის გასაზრდელად-კი თავის მონაგარს გროშს გადასდებს, შვილის მცოდნე კაცად ქცევისათვის არაფერს დაჰზოგავს და ყველაფერს გაიმეტებს. გერმანელმა იცის, რომ შვილის კაცად გამოსვლა, მაძღრად ყოფნა და უტკივრად რჩენა სწავლა-განათლებაზეა დამოკიდებული, იცის, რომ ცოდნა ვენახზედ უკეთესი ვენახია, ხოდაბუნზედ უკეთესი ხოდაბუნია, უფრო მომცემი, უფრო საიმედო და დაუსეტყვავი. ამ სახით, რაკი გერმანელისათვის ცოდნა, სწავლა-განათლება აუცილებელი საჭიროებაა, მის საეკონომიო ანგარიშში, მის საღვაწოსა და საამაგოში შვილის გასაზრდელად სახარჯოს მოპოვებას თითქმის უპირველესი ადგილი უჭირავს. ჯაფას, გარჯას იორკეცებს და, თუ ამით ვერას გამხდარა, სხვაგან იკლებს და ამ სახარჯოს-კი ჰმატებს". *("ისევ განათლების საკითხებზე". 1889 წ. 27 ოქტომბერი).*

"მეორე მიზეზი იმისი, რომ გერმანელს არ უჭირდება შვილის სკოლაში გამოსაზრდელი ხარჯი, ის არის, რომ გერმანელს ცოტად თუ ბევრად ცოდნა აქვს რისამე:

ან სწავლულია და ამით ჰშოობს ცხოვრების საგზალსა, ან ხელოვანია რაშიმე, ან ხელოსანია. იგი საცა მიდის, ყველგან ჰპოულობს საქმეს, და რაკი ცოდნა აქვს, მრავალკეცად იადვილებს სარჩო-საბადებლის შოვნასა და ჩვენებურ უცოდინარს ხელიდამ აცლის საქმესაც და ლუკმასაც, ძალ-მომრეობით და უნამუსობით კი არა პირისპირ ომით, პირისპირ ბრძოლით, ერთის სიტყვით _ იმ ფაქიზისა და წმინდა იარაღით, რომელსაც ცოდნა ჰქვიან და რომელიც ცხოვრების მოედანზედ ყოველთვის უძლეველია და გამარჯვებული". *("ისევ განათლების საკითხებზე". 1889 წ. 27 ოქტომბერი).*

"ჩვენ ყოველს ამაზედ ძალიან შორს ვართ. ჩვენს საეკონომიო ანგარიშში, ჩვენის ცხოვრების "ჩოტკში" შვილის გასაზრდელს სახარჯოს არავითარი ადგილი არ უჭირავს. განა მითამ სურვილი სკოლაში მიბარებისა არ იყოს ჩვნში გაძლიერებული!.. აბა ჰნახეთ, რამოდენა ქართველობა მიაწყდება ხოლმე სასწავლებლის კარს, როცა მიღების დრო მოდის. ხომ ესეა, და ბოლოს და ბოლოს მარტო იმასა ვხედავთ, რომ ამ მრავალთაგან თითო-ოროლა-ღაა შესული სასწავლებელში და ამ გზით ქართველები ყველგან ცოტანი არიან". *("ისევ განათლების საკითხებზე". 1889 წ. 27 ოქტომბერი).*

"ერთხელ და ერთხელ საჭიროა ყურებიდამ ბამბა გამოვიღოთ. ერთხელ და ერთხელ საჭიროა ვიცოდეთ, რომ შვილის გაზრდა, შვილის კაცად გამოყვანა უწმინდაესი და უდიდესი ვალია მშობლებისა. რასაკვირველია, ამას ხარჯი უნდა, და აი სწორედ ამის სახარჯოსათვის ჩვენ არ ვირჯებით, არა ვმოქმედობთ, არა ვმონაგრობთ, ერთს წვეთს ოფლსაც არ ვიმეტებთ. პური როცა გვაკლია _ ვირჯებით, ტანთ გვაკლია, ფეხთ გვაკლია, იქით ვეცემით, აქეთ ვეცემით, რომ როგორმე ვიშოვოთ, _ და როცა შვილის გასაზრდელი სახარჯო არა გვაქვს, ბუზსაც არ ავიფრენთ, ხელსაც არ გავანძრევთ, თუნდა მთელი დღე იმოდენად მოცლილი ვიყვნეთ, რომ გულდაღმა ვიწვნეთ და ჭერში ბუზებსა ვსთვლიდეთ. გაზრდა შვილისა-კი ისეთი მოვალეობაა, რომ სხვა ყველაფერი ამას უნდა შევწიროთ, ამას უნდა შევალიოთ, სხვაგან და სხვაში უნდა დავიკლოთ და ყოველივე ნაწვავ-ნადაგი, ყოველივე ამაგი და უფროს-ერთი დრო ამას უნდა შევახმაროთ". *("ისევ განათლების საკითხებზე". 1889 წ. 27 ოქტომბერი).*

"ამ წუთისოფელში ბედი იმისია, ვინც ძლიერია, და ძლიერი მარტო მცოდნე კაცია". *("ისევ განათლების საკითხებზე". 1889 წ. 27 ოქტომბერი).*

"ტანთ მოიკელ, ფეხთ მოიკელ, მშიერ-მწყურვალი იარე და ნუ ჩასდგები-კი ჯერ შვილისა და მერე ქვეყნის ცოდვაში, _ აი რა უნდა ეწეროს გულის ფიცარზედ იმ წმინდა საქმეს, რომელსაც მამა-შვილობას ეძახიან". *("ისევ განათლების საკითხებზე". 1889 წ. 27 ოქტომბერი).*

"ცოდნა, ცოდნა ყოველისფერისა, რისაც კი შეიძლება, ცოდნა ვრცელი და საფუძვლიანი, შემკული განუქრობელის სიყვარულით საყოველთაო ბედნიერებისადმი". *("ბესარიონ ლევანის-ძე ღოღობერიძე". 1879 წ.).*

"პროფესორობას მოსდევს სახელი, დიდება, მაღალი ადგილი საზოგადოებაში". *("ბესარიონ ლევანის-ძე ღოღობერიძე". 1879 წ.).*

"ქალს მოსდევს მაღალი დანიშნულება, და ამისდაგვარად ქალს უნდა ეპყრას მაღალი ადგილი საზოგადოებაში; ამ დამსახურებისათვის საჭიროა სწავლა და ცოდნა, ცოდნა ნამდვილი, საფუძვლიანი და არა მარტო გარეგანი ნიშანი ვითომ-ცოდნისა, არა მარტო ზიზილ-პიპილები განათლებისა". *("ბესარიონ ლევანის-ძე ღოღობერიძე". 1879 წ.).*

- **საკმარისი არ არის მარტო დიპლომი. საქმე მარტო ცოდნა კი არ არის, გამოცდილებაა**

"თქმა არ უნდა, რომ უკეთესი არ იქნებოდა-რა რომ ხასიათის გაწვრთნას ცოდნა ჰქონდეს და ცოდნას ხასიათის გაწვრთნა. იდეალი ადამიანის აღზრდისა ამ ორის საუნჯისა ერთად შექსოვაა". *("ნიკო ბაგრატიონი". 1886 წ.).*

"ქვეყანა იმითი კი არ არის უძლური, რომ ღარიბია, არამედ იმითი, რომ მცოდნე, გონება-გახსნილი, გულ-განათლებული კაცები არა ჰყავს. აი თქვენი თავი რად გვიღირს ასე ძვირად, და სიძუნწეში ნურავინ ჩამოგვართმევს, რომ სხვისთვის არც ერთს თქვენგანის თმის ბეწვსაც ვერ ვიმეტებთ: თქვენ თქვენის ქვეყნისათვის ხართ საჭირონი". *("წერილი პეტერბურგის ქართველ სტუდენტებისადმი". 1897 წ. აპრილი).*

"განკარგება და გაძლიერება სწორედ იმ მხარეს უნდა მიექცეს, რომ მიწათმოქმედებას ჩვენში სხვა გზა და მიმართულება აუჩინოს, გაუმრავლგვარონ კულტურა ჰავისა და მიწის შესაფერად, ყოველივე ახლად შემოსაღები საჭირნახულო შეუწონონ საშინაო და საგარეო ბაზრის მოთხოვნილებას და იეფის ფასის ჭირნახულზე ხელი ააღებინონ, ან გაუადვილონ ხარჯი და მუშაობა. რასაკვირველია, ყოველს ამას სურვილისა და წყურვილის გარდა, ცოდნა და მოხერხება უნდა". *("კახეთის სოფლის მეურნეთა კავშირი". 1895 წ. 4 ნოემბერი).*

"ამისათვის საკმარისი არ არის მარტო დიპლომი, რომელიც ყოველთვის არა ჰმოწმობს, რომ მის პატრონს ჯეროვანი ცოდნა აქვს, და თუნდაც ჰმოწმობდეს, საქმე მარტო ცოდნა კი არ არის, გამოცდილებაა. ჩვენ აქ სიტყვას "გამოცდილებას" მთელის თავისის მნიშვნელობით ვხმარობთ. ჯერ ხომ კაცს თავისი ცოდნა უნდა თვითონ საქმეში ეცადნოს და მერე ზედმიწევნით ნახული და ნაცადი ჰქონდეს, რა ბუნებასთან აქვს საქმე და რა ხალხთანა". *("ჩვენი სოფლური მეურნეობის შესაძლებლობანი და ბიუროკრატიზმი". 1887 წ. 16 თებერვალი).*

"ადგილობრივის ბუნებისა და ხალხისა თუ არა იცის რა, იგი ამისთანა საქმეში, როგორც ახალის რისამე გასაჩენად შემოღებაა, ერთს ნაბიჯსაც უმარცხოდ ვერ გადასდგამს. არა ერთი და ორი მაგალითი ყოფილა ჩვენში, რომელსაც თვალად დაუნახვებია ჩვენთვის, რომ უიმისოდ, რაცა ვსთქვით, ხელიდამ არაფერი გამოსვლია კაცს და საქმისათვის ის ვნებაც მიუყენებია, რომ სხვისთვისაც გული აუყრევინებია და აუცრუებია კარგსა და სარფიანს საქმეზედა". *("ჩვენი სოფლური მეურნეობის შესაძლებლობანი და ბიუროკრატიზმი". 1887 წ. 16 თებერვალი).*

"საქმეში არხმარებული ცოდნა უცოდინარობას არ ჰნიშნავს. ვინ არ იცის ჩვენში, რომ გადარჩევა ყურძნისა კარგია, და უფრო უკეთესია მარცვლეულად დარჩევა თუნდ მარკიზ სალუსისამებრ! მერე სარფაა, ხეირია ჩვენში ეგეთი მძიმე და ძვირი ჯაფა და გარჯა, თუ ამ ცოდნის საქმეში გამოყენება ზარალის მეტს არას მისცემს კაცსა, რადგანაც ამ შემთხვევაში ღვინოს სიძვირით არავინ მიეკარება... ჩვენში ვინ ოხერი იქნება თავისი ქონება ზედ გადააყოლოს ღვინის კეთებასა, რომლის საეკონომიო მნიშვნელობა მარტო სარფა და გამორჩომაა და სხვა არა რა". *("ღვინის ქართულად დაყენება". 1887 წ.).*

"ღმერთმა რომ ქვეყანა გააჩინა, დედამიწას გული გადაუხსნა, შიგ აუარებელი, ულეველი სიმდიდრე ჩაუდვა და ადამიანს უანდერძა: იშრომე, გაისარჯეო და ეგ სიმდიდრე დედამიწის გულიდამ ამოიღე და შენს სადღეგრძელოდ მოიხმარეო.

თქვენში და თქვენგან ხშირად გამიგონია, რომ ქრისტე-ღმერთმა თავისი კალთა უხვებისა აქ, ამ ჩვენს პატარა ქვეყანაში დაბღერტაო. მაშ რაღადა ვართ ღარიბნიო? მკითხვათ თქვენ.

იმიტომ, რომ არ ვიცით, სად რა სიმდიდრე ძევს, სად რა განძია. არ ვიცით _ საიდამ რა ამოვიღოთ, რა ხერხით და ოსტატობით ამოვიღოთ, რომ ჯაფაც ადვილი იყოს და ნაჯაფევიც ბლომად. აკი ვამბობ, ყველაფერი გვაქვს, მარტო ერთი რამ გვაკლია, სახელდობრ _ ისა, რაც თქვენისავე სიტყვით, თითონ ღონესაცა სჯობია, რაც ძლიერს მკლავს ხერხიანად ამოქმედებს, რაც კაცის თვალს დედამიწის გულში ჩაახედებს, რაც კაცს წინ მიუძღვება ხოლმე და უტყუარად ეუბნება: აი აქ ეს სიმდიდრეა, ღვთისაგან შენთვის მიბარებულიო, ამას ამ ხერხით, ამ ოსტატობით _ უფრო ადვილად, უფრო ბლომად ამოიღებო.

მაგისთანა ღვთისნიერს წინამძღოლს ცოდნა ჰქვიან. უამისოდ დედამიწა თავის უხვს და უხარებელს გულს არ გადაგვიხსნის, ისე უხვად არ მოგვაბარებს, რამოდენადაც ჩვენთვის მიბარებული აქვს. სხვა ქვეყანაში, საცა ცოდნა აქვს ხალხსა, ოთხის დღის მიწა ისე უჭირველად აცხოვრებს მთელს ოჯახს, როგორც ჩვენში ოცისა და ორმოცის დღის პატრონი ვერა სცხოვრობს. რათა? განა იმითი, რომ ისინი მკლავ-ძარღვით ჩვენა გვჯობიან!? არა, იმათ ცოდნა აქვთ, ხერხი იციან. "ხერხი სჯობია ღონესაო", _ თქვენგანვე თქმულა და მართალიც არის." *("შინაური მიმოხილვა". 1883 წ. აგვისტო).*

"ახლა სად არის ეგ კარი? როგორ შევიძინოთ ის სანატრელი განძი, რომელსაც ცოდნა ჰქვიან და რომელიც ჩვენ და ჩვენს ქვეყანას ეგრე უჭირს? გამოვიდა ჩვენში ერთი გულმტკივნეული კაცი და გვითხრა: გზას მე გაჩვენებთო, თქვენ ოღონდ ხალისი გამოიჩინეთო. ის კაცი მარტო თავისის თაოსნობით, დაუღალავის მცდელობით, თავგამოდებით, მხნეობით შეუდგა ამ ძნელს საქმეს და თავის სასახელოდ და ჩვენდა საბედნიეროდ აქ, ამ სოფელში, აკვანი დადგა ცოდნის გასაზრდელად და ძუძუსათვის ძიძები მოიწვია." *("შინაური მიმოხილვა". 1883 წ. აგვისტო).*

"მთელი ამიერ-კავკასია საერთოდ და ტფილისისა ცალკედ ძველთაგანვე სულდგმულობს მარტო იმ წარმოებითა, რომელიც პირდაპირ დამოკიდებულია მიწასა და მიწათ-მოქმედობაზედ. მხოლოობითი წყარო ეკონომიურის არსებობისა აქაურ მკვიდრთათვის სამეურნეო წარმოებაა. მასზედ არის დამოკიდებული ქვეყნის ღონე, როგორც სახელმწიფო ხარჯის გასაძღოლად, ისეც თავისათვის საცხოვრისად. ამიტომაც ყოველის მხრით ხელის შეწყობა ამ ერთადერთის წარმოებისა განსაკუთრებულ მზრუნველობის საგნად უნდა შეექმნას მთავრობასა. ერთი ძლიერი და გამონაცადი საშუალება ამ შემთხვევაში არის გავრცელება მიწათ-მომქმედთა შორის სამეურნეო ცოდნისა, თუნდაც პრაქტიკულად. უკეთესი გამავრცელებელი კიდევ სამეურნეო სკოლებია სოფლებში." *("შინაური მიმოხილვა". 1883 წ. ოქტომბერი).*

"მართალია, აქაური მკვიდრი სხვებზე უკან ჩამორჩენილია ძალიან, მაგრამ, ბევრი რამ აკლია, ბევრი რამ აქვს სანატრელი თვისის ნაკლის შესავსებად, მაგრამ ბარბაროსობასა და ველურობაზე ძალიან შორს არიან წინ წასულნი. სხვა რომ არა ვთქვათ რა, მარტო ის ამბავი, რომ აქაურმა ერმა პურისა და ქერის ხვნა-თესვის გარდა ვაზის მოვლა მაინც იცის კარგად თუ ავად, იცის ღვინის დაყენება, ჰქმნის ამ ერს სხვასთან შედარებით, თუ სხვა ყოველი გარემოება ერთნაირია, უფრო წინ წასულად გონებითად და აქედამ ზნეობითადაც. ვაზი, ვენახი, ვით ხვნა-თესვაზე უმაღლესი და ურთულესი კულტურა მიწათმოქმედებისა, და ამასთან შეერთებული ღვინის დაყენება, უფრო მეტს

გონების გარჯას და მოხერხების ძალას ჰთხოულობს, ვიდრე ხვნა-თესვა პურისა და ქერისა. აქ გონებას, საზრიანობას, ხერხის უნარსა უფრო მეტი სარბიელი აქვს ვარჯიშობისა და აქედამ გახსნისა და წარმატებისაც". *("საზოგადოებრივი ცხოვრების ნაკლნი და მისი ეკონომიური მიზეზები", 1897 წ.).*

"გარდა ამისა, ვენახი ხომ ერთის დღისა და წლის საქმე არ არის. იგია ნაყოფი დიდის ხნის ჯაფისა და შრომისა, იგია თავნი, ნელ-ნელა მოგროვილი მამა-პაპის ოფლის ღვრითა და თითქმის უტყვი ისტორიაა მთელის ოჯახის ეკონომიურ ყოფა-ცხოვრებისა და ნაშრომ-ნაღვაწისა. აქაური გლეხკაცი შეჰხარის ვენახს ჯერ როგორც თავისთავად ძვირად ღირებულს ქონებას და მერე როგორც მამა-პაპის ნაშრომ ნაღვაწის სახსოვარს და ნაშთსა. ეს ქონებრივი და ზნეობრივი ღირსება ვენახისა, ერთად შეერთებული, უეჭველია კარგად უნდა ზედმოქმედებდეს აქაურ გლეხკაცობის ავკარგიანობაზე, მისის ხორცისა და სულის მოძრაობაზე. ამტომაც გრძნობა საკუთრების დანდობისა და პატივდებისა აქ უფრო მეტს საზრდოებას უნდა ჰპოულობდეს, ვიდრე იქ, საცა უძრავი ქონება მოკლებულია ამ ორნაირ, ადამიანთა მიერ სამართლიანად პატივსაცემს, ღირსებას.

იმ ერს, რომლის შინაური მოწყობილება ამისთანა ვითარებას წარმოადგენს, ვერც შეეწამება ბარბაროსობა და ველურობა იმოდენად მაინც, რომ ამით გამოიხსნას ნასკვი იმისთანა ავზნეობისა, რომელიც კაცს ავაზაკადა ჰქმნის". *("საზოგადოებრივი ცხოვრების ნაკლნი და მისი ეკონომიური მიზეზები". 1897 წ.).*

"ეხლა შენ ერთი ეს მითხარ: რომ არ გცოდნოდა, რომ ცეცხლში რკინა რბილდება, საიდამ გააკეთებდი ბარ-საკვერსა, ცულსა, ეჩოსა, რომლითაც გუთნის ხესა სთლი? რომ არ გცოდნოდა, რომ ეგრე უნდა გამოყვანა გუთანსა, რით მოხნავდი მიწასა? რომ არ გცოდნოდა, რომელ მიწას როგორ უნდა მოხვნა, _ ღრმად ჩაშვება ბარ-საკვეთისა, თუ თხლად, _ რა გეშველებოდა? *(გლახის ნაამბობი. 1859, 1862-1873 წწ.).*

"_ საიდამ იცი ეს ყველაფერი?

_ როგორ თუ სიდამ?.. მამა-პაპით, შენი ჭირიმე! მადლობა ღმერთსა, თვალი მქონია _ მინახავს, ყური მქონია _ მსმენია, გულისყური მქონია _ მივხვედრილვარ, ხსოვნა მქონია _ გონებაში ჩამრჩენია." *("გლახის ნაამბობი". 1859, 1862-1873 წწ.).*

"_ რაც გინახავს, გსმენია, მიხვედრილხარ, გონებაში ჩაგრჩენია, _ ამას სულ ერთიანად რას ეძახი?

პეტრე ჯერ ჩაფიქრდა, თითქო არ იცის რა სთქვასო, მერე კი ისე ჭოჭმანობით წამოიძახა:

_ რა ვიცი, შენი ჭირიმე, რას ვეძახი.

_ მაინც?

_ ჩემ გამოცდილებას, ჭირნახულობას, ჩემ ცოდნასა, შენი ჭირიმე!

_ კუჭს გიძღობს ეგ შენი ცოდნა?

_ მაგას რაღა პასუხი უნდა, შენი კვნესამე? თვითონ შენ კარგად იცი, რომ უმაგისოდ წყალში გადასაგდები ვიქნებოდი." *("გლახის ნაამბობი". 1859, 1862-1873 წწ.).*

- **უმეცრება ძვალ-რბილში გვაქვს გამჯდარი. მხოლოდ განათლებას, სწავლას, ცოდნას შეუძლიან წამალი დასდოს ჩვენს ცხოვრებას**

"უმეცრება _ აი უმთავრესი სენი, რომელიც ჩვენ ძვალ-რბილში გაგვჯდომია, შეუბრალებლად ჰღრღნის სიცოცხლეს... ეს არავისთვის საიდუმლო არ არის: თითონ ცხოვრება ხმა-მაღლივ ღაღადებს. ჩვენს ცხოვრებაში ისე ფეხს ვერ გადასდგამთ, რომ უმეცრების კვალს ზედ არ წააწყდეთ, რომ უმეცრების მწარე ნაყოფმა თავისი გემო არ გაგაგებინოთ". *("ჩვენი ხალხი და განათლება". 1886 წ. 2 მაისი).*

"ხალხს მოსავლიანი წელიწადი დაუდგა. ჯაფამ მუქთად არ ჩაუარა. ხალხს ათას-გვარი ხარჯი და გადასახადი აწევს კისერზე. ამისთვის ფული უნდა. მოსავალია მთელი მისი სიმდიდრე, ერთად-ერთი წყარო. მოსავალია მისი ფული, მოსავლით უნდა გაუძღვეს ყველა ხარჯს და გადასახადს. მოსავალი უნდა ფულად აქციოს. მაგრამ როგორ? აღებ-მიცემობისა არა ესმის რა, ანგარიში კარგად ვერ გაუგია, სად რასა აქვს გასავალი, არ იცის... ესეც ერთი უმეცრების ნაყოფი". *("ჩვენი ხალხი და განათლება". 1886 წ. 2 მაისი).*

"სიღარიბე, რიგიანი სახლების უქონლობა, ცუდი სასმელ-საჭმელი, უსუფთაობა, სიბინძურე და სხვა ამ-გვარი ჯანმრთელობის წინააღმდეგი გარემოება ავრცელებს ხალხში და ხელს უწყობს ათას-გვარ ავადმყოფობას, სნეულებას და ჭირსა... ბევრი მათგანი იხოცება და შველას-კი ვერსაიდამა ჰხედავს. ექიმი არა ჰყავს, წამალი არა აქვს. უილაჯობით ხან შემლოცველთან გარბის, ხან მკითხავთან, ხან ხელთ ეძლევა უმეცარს ექიმობას სოფლისას, შელოცვას, ხატებში სიარულს. სოფლელ დედაკაცების წამლობას, ხშირად უფრო მეტი ვნება მოაქვთ ხალხისთვის, ვიდრე სარგებლობა. განა ხალხს სიცოცხლე მოსძაგებია, განა სიკვდილი იამება? მაშ რატომ მეცნიერებას არ მიჰმართავს, რატომ თავის ერთს უძვირფასეს საუნჯეს _ სიცოცხლეს არ იცავს რიგიანად? აქაც დამნაშავე იგივე უმეცრება, ცრუმორწმუნებაა". *("ჩვენი ხალხი და განათლება". 1886 წ. 2 მაისი).*

"დაუნდობლობა, შური, მტრობა, უსამართლობა, ძარცვა-გლეჯა, ჩხუბი, ცემა-ხოცვა ეკონომიურს განწყობლობის გამო, და სხვა ბევრი ამ-გვარი ნაყოფი უმეცრებისა _ ვრცლად არის მოფენილი ჩვენს ცხოვრებაში. უმეცარ კაცს როგორ შთააგონებ, რომ მისი საკუთარი ინტერესები მოითხოვს, რომ თავის მეზობელთან კარგი განწყობილება ჰქონდეს, რომ მეზობლის უბედურება და შეუძლებლობა მის ბედნიერებას და შეძლებას ვერ შესძენს, რომ მხოლოდ ურთიერთობრივი თანხმობა, შეწევნა ჰბადებს ნამდვილ ბედნიერებას და სიმდიდრეს, როგორც მთელის ხალხისას, ისე კერძო კაცისას". *("ჩვენი ხალხი და განათლება". 1886 წ. 2 მაისი).*

"უმეცრებაა ჩვენის საშიშარი მტერი. უმეცრებასთან ბრძოლა მხოლოდ მეცნიერებას შეუძლიან. განათლება, სწავლა, ცოდნა _ აი ერთად-ერთი საშუალება, რომელსაც შეუძლიან წამალი დასდოს ჩვენს ცხოვრებას, კვალში ჩაუდგეს, ხალხს მხარი მისცეს და შველა აღმოუჩინოს. ვისაც წამალი აქვს, ვისაც მკურნალობა შეუძლიან. მასწავლებელი, ექიმი, ტეხნიკი, მიწის შემუშავების მცოდნე, _ ყველა, ვინც კი მეცნიერებით და ცოდნით შეიარაღებულია, ყველა საჭიროა ეხლა. თუ ნამდვილად გული გვტკივა ხალხისთვის, თავი ვიჩინოთ, რომ სიბნელე უმეცრებისა გავფანტოთ. თუ ხალხის სიყვარულით არიან გამსჭვალულნი, საქმით დაამტკიცონ სიყვარული და მრავალნი გამოიყვანონ უმეცრებიდამ. უნდა ჩვენს კერძო სარგებლობას, კეთილდღეობას ცოტა რამ

ჩამოვათალოთ და საზოგადო სარგებლობას, კეთილდღეობას შევსწიროთ". *("ჩვენი ხალხი და განათლება". 1886 წ. 2 მაისი).*

მეორე თავი
საზოგადოების (პიროვნების) აღზრდა-წრთვნა და განწმენდა

- ადამიანის პატიოსნება, ღირსება, სინიდისი – მისი ზნეობითი კუთვნილებაა და ჩვენ მჩვრად გაგვიხდია
- ადამიანის გონების აღმატებულებას მისი ზნე-ხასიათის აღმატებულება უნდა ჰქონდეს შეწონილი
- ახალგაზრდა ოსტატისა და შეგირდების ამბავი: ზნე-ხასიათის წვრთნის მაგალითი
- ზნე-ხასიათის წვრთნა: ზრდაა შინაგანის კაცისა და ეს სკოლაში უნდა ხდებოდეს
- სკოლაში ყველაფერს ასწავლიან და ივიწყებენ მთავარს – ღონე მისცენ შეგირდის ზნე-ხასიათს
- ზნე-ხასიათის ნიშანი: სათნოება დიდებასთან ერთად უნდა ვიდოდეს
- არჩევანის დროს აზრთა ჭიდილში ყოველივე ღონისძიება ნამუსისა და პატიოსნების სასწორზედ აწონილ უნდა იყოს
- ერის გაუპატიურება, ავად ხსენება დიდად სათაკილო საქციელია. ჭეშმარიტ ღირსებას ყვირილი არ უნდა
- ჭეშმარიტი ლიბერალობა ტყუილების, ოინბაზობის... ხელის წაფარება არა რის
- ეხლანდელს ზნეობით დავარდნილს დროში ფეხადგმულია უშვერი, უმსგავსო, სულელობით აღსავსე საქმე
- ქართველი კაცის საძაგელი სენი – ყიზილბაშობა
- შენ რომ ცუდკაცობდე, კაიკაცობაზედ სხვას მაინც ნუ გალანძღავ
- არა თქმულის თქმა ზნეობრივად გაუმართლებელი თვისებაა
- ბეზღობა ყველა კაცისათვის შემაზრზენი უზნეო ხასიათია და უბედურობაა ერისა
- ჰოსა და არას ჭიდილია ერთად-ერთი გზა ჭეშმარიტების აღმოჩენისა და პოვნისა
- ერის ღირსეულ შვილთა ღვაწლის დაფასება ერის მაღალზნეობრიობის ნიშანია და მაგალითია რომ მისი გონების თვალი ახილებულია.
    - ევროპის მაგალითი
    - რუსეთის მაგალითი
    - საქართველოს მაგალითი
        - აკაკი წერეთელი
        - რაფიელ ერისთავი
        - დავით აღმაშენებელი
        - გაბრიელ ეპისკოპოსი
        - ერეკლე მეფე
        - ილია ჭავჭავაძე თავისთავზე
        - სახელგანთქმულნი (ავტორიტეტნი) – მათი თაყვანისცემა არ დაილევა ქვეყნიერებაზედ

- თანასწორობა და სიყვარული წოდებათა განურჩევლად სანატრელი და თაყვანის საცემი მცნება
- წოდებათა შორის ჩატეხილი ხიდი: ვაი იმ ქვეყანას, საცა საერთო ძარღვში სისხლი გაშრა
- ერთობა უნდა გვქონდეს: ნუთუ ყველა საზოგადოებრივ ძალთა ერთ კვალში ჩაყენება სანატრელი არ უნდა იყოს?
- იმიერ ქართველს ამიერი ქართველი ეუბნება შენ მოსული ხარო
- მშობლიური ქვეყნის სიყვარული დიდი რამა ყოფილა კაცისათვის
- ქართველთა გაკენწვლა: არა-სასიამოვნო თვისება დაეკვებათ – არახალია ძველია
- ახალი თაობა ახალთა აზრთა წინამძღოლობაში, ახალთა აზრთა მოძღვრებაში და არა იმაში, რომ მე დღეს დავიწყე წერა და შენ გუშინაო
- ქველმოქმედება: ზნე კეთილი ადამიანის თვისებაა. ბატონისა და სამი მოსამსახურის ამბავი
- სინანული კაი საქმეა, კაი საქონელია თუ ნამუსი და სინდისი თავისის უტყუარის სასწორით დადის, უმადურობა კი ვერც კარგი საქმეა და ვერც კარგი საქონელი
- ქურდობა და ავაზაკობა ბოროტმოქმედებაა და მთელის საზოგადოების, მთელის ერის ჭირია

- **ადამიანის პატიოსნება, ღირსება, სინიდისი – მისი ზნეობითი კუთვნილებაა და ჩვენ მჩვრად გაგვიხდია**

"დღეს-აქამომდე ადამიანი, გრძნობა ადამიანის ღირსებისა, ადამიანის პატიოსნება, სინდისი და ერთობ ყოველივე _ რაც კი შეადგენს უძვირფასესს ზნეობითს კუთვნილებას ადამიანისას, რაც უკეთეს ნაწილს კაცობრიობისას იმოდენად დიდ საგნად მიაჩნია, რომ მისთვის სიცოცხლის გაწირვა თითქმის კანონად აქვს აღიარებული, ჩვენ სწორედ მჩვრად გაგვიხდია და ისე ვექცევით, როგორც ფეხის მტვერსა. აბა აიღეთ რომელიმე ნაწერი რომელსამე კაცზედ ჩვენში, თუ იმ ნაწერში ყოველივე ეს შეგინებული არ იყოს დაუსჯელად, ყოველივე ღირსება ადამიანისა უარყოფილი არ იყოს. ამ საზიზღარმა ჩვეულებამ ამ უკანასკნელ ათის-თხუთმეტის წლის განმავლობაში მოიკიდა ფეხი ჩვენში და დღეს-აქამომდე განუკითხველად მოქმედობს. მით უფრო სავალალოა ეს, რომ მისნი ამყოლნი დღეს-აქამომდე ქადულობენ, რომ ახალ-თაობის კაცნი ვართო და წმინდას სახელს ახალ-თაობისას და ლიბერალობისას ზედ აფარებენ ამ უკადრის საქციელსა." *("შინაური მიმოხილვა". 1882 წ. ივნისი).*

"როცა კაცზედ ვისმეზედ სჯა და ლაპარაკი მოგვინდება ხოლმე, მოქმედებას კი არ ვუსინჯავთ; არა, ამას თავს ვანებებთ, სინდისში, გულში ვცდილობთ ჩახედვასა და იქაურობას ვუქოთებთ. არ არის არსად ქვეყანა, რომ ამისთანა საქციელს ასეთი სარბიელი ჰქონდეს, როგორიც ჩვენში აქვს, ჩვენდა სამწუხაროდ. უფრო სამწუხარო ის არის, რომ ამ საქციელის მომქმედსა კარი ღია აქვს ჩვენს ჟურნალ-გაზეთობაში და აქაო და კარი ღია არისო, ვისაც რა მოხვდება, აბრახუნებს მოშლილ წისქვილივით." *("შინაური მიმოხილვა". 1882 წ. ივნისი).*

"უსაბუთოდ გამოლაშქრება კაცზედ, მისი გაუპატიურება, მისის ღირსების აქეთ-იქით თრევა, მისის პატიოსნების წაბილწება და თელვა, მისის განზრახვის, სინდისის და

გულისნადების თავისებურად ჩხრეკა და აქოთება _ ისე გვეადვილება არამც თუ შინაურს ლაპარაკში, არამედ საჯაროდ ჟურნალ-გაზეთობაში, რომ თითქო ბაკლა და ისპანახი იყოს. ყოველს ჩვენგანს სხვისი გული, სხვისი სინდისი დაუწერელ ქაღალდად მიაჩნია და რაც ქეიფში მოუვა, ზედ იმასა სწერს." *("შინაური მიმოხილვა". 1882 წ. ივნისი).*

"ადამიანის ღირსება, პატიოსნება, სინიდისი, მისი ზნეობითი და ძვირფასი კუთვნილებაა და ყოველივე ესე სახელმწიფოსაგან, საზოგადოებისაგან და თვითოეულ ადამიანისაგან პატივცემულ უნდა იყოს, სრულიად ხელშეუხებელი, ვიდრე ცხადი, უცილო, უტყუარი საბუთი არ გვექნება ხელში, რომ იგი მაგ კუთვნილებას სხვის სავნებელად ხმარობს. ჭეშმარიტს ლიბერალობას ეს ძვირფასი კუთვნილება ადამიანის პიროვნებისა დიდის ასოებითა აქვს დაწერილი თავის დროშაზედ. მაშასადამე, ჩვენმა ახალმა თაობამ, თუ თავისდა სასახელოდ ჭეშმარიტის ლიბერალობის მიმდევარია, ეგევე უნდა დაიწეროს თავის დროშაზედ და ყოველივე ამის წინააღმდეგ მომქცევი უნდა ზიზღით სდევნოს. გვერწმუნეთ, ამით თითონ ლიტერატურას თავის სიმაღლეზედ დავაყენებთ და ჩვენს მოქმედებას უფრო ადვილად ძლევით შევმოსავთ." *("შინაური მიმოხილვა". 1882 წ. ივნისი).*

"ბევრია ჩვენში ამისთანა უწვრთნელი, რომელსაც ადამიანის წარამარად ხსენება, გაუპატიურება, ადამიანის პიროვნების შეგინება, არამც თუ სამარცხვინოდ მიაჩნია, არამედ სასახელოდაც, რაღაც ვაჟკაცობად და გულადობად ჰგონიათ, რომ მე ესა და ეს კაცი გაზეთში გამოვლანძღეო. ამასთანაც ქადულობენ კიდეც, ჩვენ ახალ-თაობის კაცები ვართო. ბევრი ბალღია ჩვენში, ამ ქადილითა სტყუვდება და ბარაქალას უთვლის ადამიანის ღირსების ფეხქვეშ მთელელსა. ბალღი იმიტომ არის ბალღი, რომ მალე სტყუვდება, და ის ახალ-თაობა კი, რომელზედაც მიქცეულია მთელი ჩვენი სასოება და რომელსაც ეკუთვნის ჩვენი მერმისი, ესე იგი ჩვენი მომავალი, არასოდეს ამით არ უნდა მოსტყუვდეს. მან უნდა ზურგი შეუქციოს ურცხვს მოქადულეს და მისი ქადილი ზიზღით უარჰყოს. თუ უნდა ახალ-თაობას თვით ღირსება დაიცვას, ესე უნდა მოიქცეს." *("შინაური მიმოხილვა". 1882 წ. ივნისი).*

"რა საკადრისია კაცმა კაცს ის უკიჟინოს, რომ შენ იმიტომ მეწინააღმდეგებიო, რომ ესა და ეს საქმე არ გაგირიგეო, და საწინააღმდეგოდ წამოყენებულს საბუთებს კი კვალში არ ჩაუდგეს და თვითოეულად არ განიხილოს. მტრობით მოსდის. კაცს კაცის წინააღმდეგობა, უკმაყოფილობით, თუ სიმართლის სიყვარულით, ეგ მისის სინდისის საქმეა და, მაშასადამე, იმისთანა საგანია, რომელსაც ვერც კაცის თვალი მისწვდება, რომ დაინახოს, ვერც ხელი _ რომ შეეხოს. ამ შემთხვევაში, თუ რამ ითქმის, მარტო ვარაუდობით ითქმის. ყველა გონიერი და პატიოსანი კაცი დამეთანხმება, რომ ვარაუდობით განკითხვა ადამიანის სინდისისა და ჩირქის მოცხობა დიდი უკადრისობაა და, კიდევ ვიტყვით, ადამიანის პიროვნების უფლების სრული უარყოფაა. ეს არ უნდა ეპატივოს არავის, ვინც კი ამაში დამნაშავედ აღმოჩნდება." *("შინაური მიმოხილვა". 1882 წ. ივნისი).*

"ადამიანსა ცალკედ და ერს საერთოდ, რაც უნდა უკან დაწეული იყოს, ვიდრე პირში სული უდგას, ჯიგართან იმისთანა ძაფები აქვს სხვათა შორის, რომელთ ხელის ხლებაც მეტად საფრთხილოა და საშიშარი. შინაურია, თუ გარეული, უნდა ერიდოს მაგ ძაფების წარამარად ხელის ხლებას. ამისთანა რჩევას ამაო დიდგულობა კი არ იძლევა, არამედ ძმური გრძნობა და სიყვარული. ყველამ იქაური ქუდი უნდა დაიხუროს, საცა შეეხიზნება, იქაური ჭირი და ლხინი გაიზიაროს, იქაურებთან ერთად ჩაებას ცხოვრების მძიმე უღელში და საერთო კეთილისათვის იღვაწოს. სხვა გზა, სხვა ფარ-ხმალი ტყუილ-

უბრალო გულის ფხანაა და მცონარე ენის ქავილია. სხვა რაღაცაების მოიმედე _ ტყუილად ატყუებს თავის-თავსაც და სხვასაცა. მის იმედებს დიდი მანძილი არა აქვს და არც თავის-დღეში ექნება." *("შინაური მიმოხილვა". 1882 წ. ივლისი-აგვისტო).*

"რასაკვირველია, ჭორი და ცილი _ ეგ უკადრისი იარაღი სისუსტისა და უკადრისი კაცის _ ჩვენი იარაღი არ იქნება საომარს სარბიელზედ და არც უმართებულოდ ხსენება ჩვენის მოპირდაპირისა. ჩვენს თავს არ ვაკადრებთ, ადამიანის სინდისი _ ეგ უძვირფასესი ზნეობითი განძი ადამიანისა _ საქანელად გავიხადოთ. ადამიანის განზრახვის შესაბღალავად იმისთანა საბუთს არ ვიხმარებთ, რომელშიაც იგულისხმება კარგიც და ავიც ადამიანის სურვილისა, და რომლის მარტო ავ მხარეს ჰკიდებს ხოლმე ხელს უძლურება და სიბრიყვე ადამიანის შესამწიკვლელად, მაშინ როდესაც საბუთში მეორე მხარეც არის, მაშინ როდესაც საბუთიდამ მეორე დასკვნის გამოყვანაც შეიძლება სასარგებლოდ ადამიანის განზრახვისა. ეს პირველი ანბანი ზნეობისა და ადამიანობისა შერყეულია ჩვენში, და ჩვენდა სამწუხაროდ _ შერყეულია ახალ-თაობის სახელითა, ესე იგი იმ თაობის სახელითა, რომელზედაც დამყარებულია ჩვენის ზნეობის ამაღლების იმედი, ჩვენის განკარგების სასოება. ჩვენ კარგად ვიცით, რომ ამ დანაშაულობაში ნამდვილი და ჭეშმარიტი ახალი თაობა არაფერს შუაშია, და მით უფრო ვწუხვართ, რომ მის წმინდა სახელს ასე ამაოდ და მოურიდებლად ამ უკადრის ქცევაში იხსენიებენ. შორს, შორს ახალ-თაობისაგან ის, ვინც ადამიანის პიროვნებას, ადამიანის სინდისს ფეხ-ქვეშ სათელავ მჩვარად ხდის. რა არის მთელი პროგრესი კაცობრიობისა, თუ არა ის, რომ ადამიანის პიროვნება, ადამიანის სინდისი, ყოფა-ცხოვრება, _ უსაბუთოდ, უსაფუძვლოდ არავისაგან ხელშეხებულ არ იყოს, არავისაგან შემწიკვლულ, შეგინებულ და შევიწროებულ." *("შინაური მიმოხილვა". 1883 წ. აპრილი).*

"ყველაფერი საოცარია ამ უცნაურს დროში, თითქო ყოველისფერი აირივ-დაირიაო და ლოღიკა სამარცხვინო დანაშაულობად გადაიქცაო. აქეთ მიიხედავ თუ იქით, შეჰნიშნავთ, რომ ზოგი კაცი კაცსა ჰკიცხავს, ზოგი საზოგადო საქმეს სახელს უტეხავს, სძრახავს, და ყოველივე ეს მარტო ლიტონის სიტყვით, იმისთანა ფრაზებით, რომელთაც განსაკუთრებული, განსაზღვრული აზრი არა აქვს რა. არ ვიცით, ღმერთმან იცის, რას მივაწეროთ ამისთანა სამწუხარო და სავალალო ამბავი? ეს სენი ჰაერში ტრიალებს, თუ ქვეყანამ უკუღმა დაიწყო ტრიალი და ყველაფერი შესცვალა. თუ ჰგონიათ, რომ იგი, რაც არსებობს, უსათუოდ საკიცხავიაო სად წავა? თუ ჰგონიათ კიდევ, რომ იგი, რაც არსებობს, თუ არ გავკიცხეო, ლიბერალად აღარავინ ჩამაგდებსო, სასაცილოა. არც ერთი და არც მეორე იმისთანა სანუკბარნი არ არიან, რომ წაიცდინონ ადამიანის კეთილგონიერება და დამჯდარი ჭკუა. მაშ რათა სჭირს ეს ჭირი დიდსა და პატარას ეხლანდელ დროში? მაშ დიდსა და პატარას რათ დაუხვევია ხელზედ ლიტონი სიტყვა და მარჯვნივ და მარცხნივ თავისუფლად და რაღაც თავმოწონებით ისვრის. ჰკითხავ კაცს: კაცო, ეს რომ არ მოგწონს, ახლა შენი მოწონებული სთქვიო! ის პასუხის მაგიერ ან გეტყვის: მიყურე და მიცანიო, ან არა და, ვიღაც სვიმონაზედ ზღაპარს მოგიყვება. წადი და გამოიცან." *("შინაური მიმოხილვა". 1883 წ. მაისი).*

"დადგა მარხვა სინანულისა, მოვიდა დღე განკითხვისა. იმ განკითხვისა კი არა, რომელსაც საშინელი განკითხვა ჰქვიან და რომელსაც ჯოჯოხეთი და "ღრჭენა კბილთა" მოსდევს. არა, ბატონებო, ეს იმისთანა განკითხვაა, საცა თითონ ბრალეული თავისის-თავის გამკითხველია და მსაჯული. მაშასადამე აქ "კბილთა ღრჭენას" და ჯოჯოხეთს ადგილი არ ექნება. აქ მხოლოდ ის არის საჭირო, რომ კაცმა თავის ცოდვები ჩამოთვალოს

და სთქვას: ვინანიო. რაკი ეგრეა, ყველა კაცი უნდა დაუფიქრდეს თავის წარსულს ცხოვრებას თავისის ცოდვა-მადლის გასარჩევად, თუ სურს ქრისტიანული წესი აღასრულოს და დრო სინანულისა ტყუილ-უბრალოდ არ გააქარწყლოს." *("შინაური მიმოხილვა". 1885 წ. თებერვალი).*

"ვით მამა ზეცისა იყავნ შენც სრული" _ აი თავი და ბოლო ადამიანის ცხოვრებისა. ვის რა მანძილი გაუვლია, ცალკე ადამიანია თუ მთელი ერი, _ ამ სისრულის გზაზე, ვინ რამოდენად წინ წამდგარა, ვის რამოდენად აღფრთოვანებული აქვს სულთა-სწრაფვა ამ გზაზე დაუღალავად სიარულისათვის, _ აი საწყაო, როგორც ცალკე ადამიანის ღირსებისა, ისეც მთელის ერისა. *("შინაური მიმოხილვა 1895 წლისა". 1896 წ. 4 იანვარი).*

- **ადამიანის გონების აღმატებულებას მისი ზნე-ხასიათის აღმატებულება უნდა ჰქონდეს შეწონილი**

"სავსება ერთობ ადამიანისა იმაშია, რომ მისი გონების აღმატებულებას შეწონილ ჰქონდეს აღმატებულება ზნე-ხასიათისაცა. საჭიროა ზნე გაწმენდილი და გაფაზიქებული ჰქონდეს პატიოსნებითა, ნამუსიანობითა, კაცთმოყვარეობითა და სამართლიანობის გრძნობითა. უამისოდ მისი მსჯელობა და ყოფაქცევა ერთმანეთს გადაუდგება, ერთმანეთს არ შეეთანხმება, მისი აზრი სხვა იქნება და ყოფაქცევა სხვა, გონება ერთს ეტყვის და გული სხვას აქმნევინებს. უზნეობა, უხასიათობაც ეს არის და ამ უზნეობითა და უხასიათობით არის ავი ზნეუწრთვნელი სწავლული კაცი." *("პედაგოგიის საფუძვლები". 1888 წ.).*

"ჭეშმარიტი განათლება განვითარებულ გონების და გაწურთვნილის ზნე-ხასიათის ერთმანეთთან შეუღლებაა განუყრელად. თუ კაცს ან ერთი აკლია, ან მეორე, იგი განათლებული არ არის და, ჩვენის ფიქრით, ისევ გონებაგანუვითარებელი და ზნე-ხასიათ გაწურთვნილი კაცი სჯობია, ვიდრე გონებაგანვითარებული და ზნე-ხასიათით გაუწვრთნელი. ხოლო ზნე-ხასიათის წურთვნა დიდად დამოკიდებულია სწავლასა და ცოდნაზედა, და ამიტომაც ჩვენა გვგონია, რომ თუ სკოლას უნდა თავის დანიშნულება შეასრულოს, ეგ სწავლა-ცოდნა ზნე-ხასიათის წურთვნასაც უნდა შეურჩიოს, ესე იგი აიმ თვისების სწავლა-ცონდა უნდა აძლიოს, როცა გონების გახსნილობასაცა ჰშველის და ზნე-ხასიათის წურთვნასა და დამთავრებასაც უხდება და ჰრგებს." *("პედაგოგიის საფუძვლები". 1888 წ.).*

- **ახალგაზრდა ოსტატისა და შეგირდების ამბავი: ზნე-ხასიათის წვრთნის მაგალითი**

"რასაკვირველია, ზნე-ხასიათის წარსამატებლად წურთვნას სკოლაში თავისი საკუთარი გზაცა აქვს, თავისი საკუთარი სახსარიცა. ამ შემთხვევაში დიდად დიდი მნიშვნელობა აქვს მთელს გამგეობას სკოლისას საერთოდ და ოსტატს და მოხელეს ცალკე. ამ შემთხვევაში დიდი რამ არის ოსტატის მოხერხებულობა, ყოფაქცევა, მაგალითი, სიფრთხილე, წინდახედულობა. ერთს მშვენიერს ამბავს გვიამბობს ერთი მწერალი მასზედ თუ, _ წინდახედულად გონიერად მოქცევა ოსტატისა რის შემძლებელია ზნე-ხასიათის წურთვნისათვის. აი ის ამბავი:

“იმის დასამტკიცებლად თუ, _ რა-რიგად ლბილია ბუნება ბავშისა და რა ადვილად შესაძლოა ბავშს შთააგონოს კეთილი, თუ გონება-გახსნილი კაცი ხელსა ჰკიდებს საქმეს და სიყვარულით ეძლევა თავის დანიშნულებას, შემდეგი მომხდარი ამბავია. ამ რამდენსამე წლის წინათ ერთმა ყმაწვილმა კაცმა, გაათავა უნივერსიტეტი თუ არა, ოსტატის თანამდებობა მიიღო ერთ სასწავლებელში. პირველი გასაკვეთი ერგო საშუალო კლასში, საცა უფრო მოზრდილნი შეგირდები არიან, ესე იგი ბავშობიდან ყრმობაში გადამდგარნი. ამ ხანში ყმაწვილები უფრო ცელქები და მოუსვენარნი არიან. დირექტორმა აუწყა ბავშებს ახალი ოსტატის ვინაობა, თითონ ოსტატმაც ორიოდე ტკბილი სიტყვა უთხრა ყმაწვილებს და დაუყოვნებლივ შეუდგა სწავლების საქმეს. გასაკვეთის ახნის დროს დასჭირდა კლასის დაფაზედ წერა. როცა წერა დაიწყო, რა თქმა უნდა, ზურგშექცეული იქნებოდა და შეგირდებს ვერა ჰხედავდა. ამ დროს დაფას მოხვდა და ზედ დააჯდა დაღეჭილი ქაღალდი, რასაკვირველია, ერთ-ერთის შეგირდისაგან ნასროლი. ოსტატმა უკან არც-კი მოიხედა და განაგრძო წერა, მითამ-და საყურადღებო არა მოხდა-რაო. როცა გაათავა წერა, მოუბრუნდა შეგირდებს და უთხრა: “ყმაწვილებო, დღეს ჩემი პირველი გასაკვეთია, პირველი ნაბიჯია ოსტატობის სარბიელზედ. სამართალსა ვთხოვ თქვენს პატიოსნებას, თქვენს სინდისსა. აბა იფიქრეთ, _ მას შემდეგ, რაც უპატიურება მომაყენა ერთმა თქვენგანმა, _ რა გამწარებული გრძნობა უნდა გამყვეს მე თან თქვენის კლასიდამ, საცა ჩემს სიცოცხლეში პირველად დავიწყე სწავლება შეგირდებისა. მე არ მინდა ვიცოდე, მე არ მინდა შევიტყო, ვინ არის დამნაშავე ამ ჩემს გაუპატიურებაში. რა საჭიროა!.. დეე განიკითხოს ის იმასმავე სინდისმა. მე მით უფრო ვერ გამიგია ჩემის გამაუპატიურებელის საქციელი, რომ მან ჯერ არ იცის, როგორი ოსტატი ვარ და როგორი კაცი.

იქნება, თქვენის სიყვარულის ღირსი გამოვდგე. ჯერ გამიცანით, გამომცადეთ და მერე გამიკითხეთ. დიაღ, ბატონებო, სამწუხაროა, რომ ჩემი პირველი გამოსვლა საპედაგოგიო სარბიელზედ ამისთანა ამბით დაიწყო. ხელმეორედ მოგახსენებთ, რომ მე არ მინდა შევიტყო ვინ არის ამ უკადრისის ცელქობის მომქმედი. დამნაშავის სახელი რომ შევიტყო, _ ვინ იცის, მეც კაცი ვარ _ იქნება გულში იმისი ჯავრი ჩავიყოლიო და ჯავრმა ცოტად თუ ბევრად იმაზე გული ამაყრევინოს”.

“როცა ოსტატმა გაათავა ლაპარაკი, შეგირდებში ჩუმი ჩოჩქოლი ატყდა. დაიწყეს აქეთ იქით ჩურჩული, ერთი მეორეს რაღაცას ეუბნებოდა, მეორე მესამეს და ეგრე მთელს კლასს აცნობეს ერთმანეთის გულის-პასუხი. ბოლოს წამოდგა ფეხზედ ერთი მათგანი და უთხრა ოსტატს: “ნება მომეცით მე, მოვითხოვო თქვენთან ბოდიში ყველას მაგიერ: ყველა ჩემი ამხანაგები გთხოვენ გვაპატიოთ ეგ მეტად ცუდი საქციელი ერთის ჩვენგანის”. ოსტატმა სიხარულით მიიღო ბოდიში და გამოუცხადა, რომ სამუდამოდ დავიწყებას მივეცი ეს ამბავი და გულიდამ ამოვიღეო. ამ დღის შემდეგ ამ ახალგაზრდა ოსტატის საქმე ისე კარგად გაიმართა, რომ უკეთესი არ უნდოდა: ძალიან მალე მოიპოვა სიყვარული და პატივისცემა თავის შეგირდებისაგან მთელს ხუთსავე კლასში, რომელშიაც იგი ასწავლიდა”.

ერთი ასეთი ჭკვიანური, გულთბილი საქციელი ოსტატისა უფრო ძლიერ მოქმედობს ბავშის გაადამიანებაზედ, ვიდრე სამისა და ოთხის წლის ზეპირება გრამატიკისა, თუ სხვა რისამე ამისთანისა.” *(“პედაგოგიის საფუძვლები”. 1888 წ.).*

- **ზნე-ხასიათის წრთვნა: ზრდაა შინაგანის კაცისა და ეს სკოლაში უნდა ხდებოდეს**

"რა არის ეს ზნე-ხასიათის წვრთნა, ამის ახსნას დიდი გამოძიება უნდა და ჩვენთვის კი ამ-ჟამად საკმარისი იქნება ვსთქვათ, რომ ზნე-ხასიათის წვრთნა ზრდაა შინაგანის კაცისა, თუ ეგრე ითქმის. რადგანაც შინაგანობა კაცისა მისი სულიერი ვინაობაა, მისი სულიერი ბუნებაა, მაშასადამე, წვრთნა ზნე-ხასიათისა ზრდაა, გარკვევაა მისის სულიერის ვინაობისა, სულიერის ბუნებისა, ანუ, უკეთ ვსთქვათ, მისის კაცობისა, ადამიანობისა. ამიტომაც ზნე-ხასიათის წვრთნა ერთი უდიდესი, უაღრესი საგანია სკოლისა, რადგანაც გაადამიანება კაცისა თავი და ბოლოა ყოველგვარის წვრთნისა, ზრდისა და განათლებისა." *("პედაგოგიის საფუძვლები". 1888 წ.).*

"სხვანი ამაზე უფრო შორს მიდიან და, _ სწორედ მოგახსენოთ, _ არც უსაბუთოდ. ესე სხვანი ამბობენ, რომ ზნე-ხასიათის წვრთნა არამც-თუ უდიდესი, არამედ ერთადერთი საგანია სკოლისა, მისი პირველი და უკანასკნელი დანიშნულებაა. სკოლას ამის მეტი სხვა არავითარი საგანი არ უნდა ჰქონდეს და ყოველი ღონე ამას უნდა მიჰმართოს და მოახმაროსო. კაცს თუ ღონე აქვს გამოირკვიოს პატიოსანი საგანი ცხოვრებისა და, ვითარცა გამორკვეულის საგნის კაცი, ქვეყანაში იყოს ერთი რამ კეთილი თვით თვისით, მისი სულიერი ვინაობა სასურველად დადგენილია და გამართული. აი სწორედ ეს ღონე და ხერხი გამორკვევისა, პატიოსანი წყურვილი და ხერხი ქვეყანაში ერთ რამედ ყოფნისა უნდა კაცს შესძინოს სკოლამ. ამისათვის უნდა იწვრთნებოდეს კაცი სკოლაში. უამისოდ იგი არაფრის მაქნისია, რაც უნდა ბევრი სწავლა და ცოდნა ჰქონდეს, იმიტომ რომ უამისოდ იმისი სწავლა-ცოდნა უქმი საუნჯეა და თითონ კაცი დაკეტილი ზანდუკია უქმად მდებარე საუნჯისა." *("პედაგოგიის საფუძვლები". 1888 წ.).*

"ამიტომაც თითონ სწავლა და ცოდნა, რომელსაც სკოლა იძლევა, ისე უნდა იყოს გაანგარიშებული და შერჩეული, რომ ზნე-ხასიათის წვრთნას, ამ ერთად-ერთს საგანს თვისას, გაუძღვეს და ემსახურებოდეს. სწავლა-ცოდნის ძლევა მარტო იმ აზრით, რომ კაცი სწავლული და მცოდნე იყოსო, ამაო და ბოლო-მოუბმელი წადილია სკოლისა." *("პედაგოგიის საფუძვლები". 1888 წ.).*

"დღეს ყველასაგან ცხადად დანახულია, რომ ვერც ერთი სკოლა, თუნდაც უნივერსიტეტი, იმოდენა სავსებით ცოდნას ვერ იძლევა, რომ კაცი მართლა მეცნიერი და სწავლული იყოს, ამ სწავლა-ცოდნაზე შეყენებული და გაჩერებული. ეს ამბავი მით უფრო საბუთად სახმარია, რომ ეხლანდელი სკოლა, თუნდა უნივერსიტეტი, მარტო სწავლა-ცოდნის შეძენაზეა მიმართული და აგებული და სხვა არაფრისათვის არ აცლის არც მასწავლებელს, არც მოსწავლესა." *("პედაგოგიის საფუძვლები". 1888 წ.).*

"ჩვენ არც ერთი კაცი არ გვახსოვს, რომ უნივერსიტეტიდამ, თუ სხვა სკოლიდამ გამოსვლის უმალ თავი ეჩინოს მეცნიერებასა და სწავლა-ცოდნაში. ვისაც თავი უჩენია, იმას სკოლის, უნივერსიტეტის შემდეგ უშრომია და ეს შრომა იმით ჰქონია გაადვილებული, რომ სკოლას, უნივერსიტეტს, _ ჰქონია ფიქრად თუ არ ჰქონია, _ მაინც ასე თუ ისე უცნობებია, უსწავლებია, სად და როგორ გაიგნოს სწავლა-ცოდნის, მეცნიერების გზა. ამ სახით, თუმცა ეხლანდელს სკოლას განსაკუთრებულ საგნად სწავლა-ცოდნის შეძენა აქვს, მაგრამ ამ საგანს ამაოდ ებღაუჭება და ვერა გზით ვერა სწვდება. ვიმეორებთ, თუ დღეს მეცნიერნი და სწავლულნი არიან, მარტო იმით, რომ

სკოლისა და უნივერსიტეტის შემდეგ თითონ თავით თვისით შეუძენიათ სწავლა და ცოდნა.” *(“პედაგოგიის საფუძვლები”. 1888 წ.).*

- **სკოლაში ყველაფერს ასწავლიან და ივიწყებენ მთავარს – ღონე მისცენ შეგირდის ზნე-ხასიათს**

“ასწავლიან გრამატიკას, არითმეტიკას, გეოგრაფიას, ისტორიას, _ ამბობს სხვა მწერალი: _ და უმთავრესს აზრს, უმთავრესს საგანს სკოლისას კი ივიწყებენ, სახელდობრ, იმას, რომ სკოლამ უნდა უშველოს, ღონე მისცეს შეგირდის ზნე-ხასიათს თავის-თავობა იჩინოს და გაიწურთვნოს წარსამატებლად და განსავითარებლად.” *(“პედაგოგიის საფუძვლები”. 1888 წ.).*

“თუ ამ გზით არა ჰშველის სკოლა შეგირდსაო, _ ამბობს იგივე: _ მაშინ აღარც იდეალია, აღარც ღონეა თავდამჭერი ავში და წამახალისებელი კარგში და საკუთრივ ამაებისაგან კი დაიწვნის ხოლმე უკეთესნი თვისებანი ადამიანის ზნე-ხასიათისანი, სახელდობრ: კაცთმოყვარეობა და სამართლიანობაო.” *(“პედაგოგიის საფუძვლები”. 1888 წ.).*

“მართალიც არის. კაცურის კაცობის თავი-და-თავი ღირსება ეს ორი გრძნობაა: თუ სამართლიანი ხარ და კაცთმოყვარე, მაშინ ყველაფერი ხარ, სავსე კაცი ხარ, იმიტომ რომ იღვაწებ და იმოქმედებ შეძლებისამებრ, რადგანაც უქმად ყოფნის ნებას გრძნობა სამართლიანობისა არ მოგცემს ამ წუთისოფელში, საცა ოფლის წურვით უნდა ჰყიდულობდეს თვითოეული თავის კერძს ცხოვრებისას, და კეთილის-მოქმედიც იქნება, რადგანაც ავკაცობის ნებას არ მოგცემს გრძნობა კაცთმოყვარეობისა. შეძლებისამებრ იღვაწე და იმოქმედე კეთილი, _ სხვას ამის მეტს არასა სთხოვს ქვეყანა თავის შვილსა, და სკოლამ სწორედ ამისთანა შვილი უნდა გაუზარდოს ქვეყანას, ამისათვის გაუხსნას გონება, ამისათვის გაუღოს გული.” *(“პედაგოგიის საფუძვლები”. 1888 წ.).*

“ეს ამისთანა აზრი სკოლის მოვალეობაზედ ახალი ამბავი არ არის. ამის სათავეს საშუალო საუკუნოებში ვპოულობთ და მაშინდელ დიდ ბუნებოვან კაცებს არა-ერთხელ წარმოუთქვამთ, თუ რა ახირებულია კაცობრიობა ყოველ იმაში, რაც ერთხელ დაუჩემებია, ამას გვიმტკიცებს ამ აზრის ისტორია: აბა, ამ ჯერ კიდევ საშუალ-საუკუნოებში გაღვიძებულს აზრს ამ მეცხრამეტე საუკუნეშიაც თავისი კუთვნილი ადგილი ვერ დაუჭერია.” *(“პედაგოგიის საფუძვლები”. 1888 წ.).*

“მოკლედ რომ მოვსჭრათ, ეხლანდელს სკოლაზედ, გამოვა, რომ დღევანდელს სკოლას სახეში აქვს მარტო ჭკვა-გონების წარმატება და გაძლიერება, თუმცა ბევრს შემთხვევაში საქმე ისე მიჰყავს, რომ ვერც ერთსა სწვდება და ვერც მეორეს. ეხლანდელი სწავლა-ცოდნა სკოლისა თუმცა ჰშველის კაცს გონების თვალით დაანახვოს და გონებისავე ყურით გააგებინოს, რაც კაცის გარშემო არსებობს და თავს იჩენს, მაგრამ ადამიანის საქციელზედ-კი თითქმის სრულებით არა ჰმოქმედობს. ამიტომაც დღევანდელს დღეს ადვილად შესაძლოა შეჰხვდეთ, _ კაცი ცოდნით ერთი იყოს, მოქმედებით და ცხოვრებით-კი სრულებით სხვა. ეს იმიტომ არის, რომ დედა-აზრნი, სკოლაში სწავლა-ცოდნით გამორკვეულნი, მარტო ფორმალურად არიან მიღებულნი და არა მათის შინაგანის აზრითა, არა მათის ბუნებურის შინაარსითა.” *(“პედაგოგიის საფუძვლები”. 1888 წ.).*

“სოფლის მასწავლებელთ უფრო ბავშვის ზნეობაზედ უნდა იმოქმედონ, უნდა შეძლებისამებრ გაუღვიძონ გულში ის კაცობრიული გრძნობა, ურომლისოდაც

ცხოვრებაში ადამიანი უფრო მხეცად გამოიყურება, ვიდრე ადამიანად. როგორ მოსთხოვთ თქვენ ამას მასწავლებელს, რომელსაც ვალადა სდებთ სამს წელიწადში ასწავლოს ბავშვებს ქართული წერა-კითხვა, ანგარიში, საღმრთო წერილი, რუსული წერა-კითხვა, ისე რომ წაკითხულის გაგებაც შეეძლოს და ნაამბობის დაწერაც! შვიდისა და რვა წლის ბავშვის გონება მართლა უჯრებიანი ყუთი ხომ არ არის, რომელშიაც ყოველივე ცოდნის უჯრა-უჯრა მოთავსება შეიძლებოდეს". *("შინაური მიმოხილვა". 1881 წ. თებერვალი).*

"არ არის კარგი, როდესაც სკოლის ხელმძღვანელნი მისდევენ სხვა აზრსა და სხვა განზრახულობას და არა იმას, რომ ყმაწვილის გონება გაავითარონ, ზნეობა აუმაღლონ; მაგრამ ის უფრო უარესია, როდესაც ეს "სხვა აზრი და სხვა განზრახულება" ერევა იმისთანა საქმეში, როგორიც არის, მაგ. სახელოსნო, ან სამეურნეო სკოლა. საუბედუროდ, ზოგიერთა მეტიჩარა პუბლიცისტები ამისთანა საქმესაც კი არა სტოვებენ ისე, რომ თავიანთ უწმინდურის ხელით არ გაქექონ იგი და თავიანთი ბალღამი არ გადაასხან". *("შინაური მიმოხილვა". 1881 წ. თებერვალი).*

"ამ-სახით, ჯერ ძველ დროშივე სცოდნიათ, რომ სწავლა-ცოდნა სკოლაში ზნე-ხასიათის საწურთვნელ ღონედ უნდა იხმარებოდეს და არა იქმნას მარტო თავის-თავად სანუგბარი რამ, თავის-თავად სანატრელი. ამ აზრმა ძველის დროისამ უფრო მეტის გარკვევით, უფრო მეტის სიცხადით თავი გამოიჩინა საშუალო საუკუნოებში, საკუთრივ მაშინ, როცა ეგრეთწოდებულს სქოლასტიკას საძირკველი შეერყა და მოძღვრება "ჰუმანობისა" წამოდგა ფეხზედ. ეს ხანა ისტორიისა გამოჩენილია მით, რომ ადამიანის ჭკუა-გონება დიდად გაძლიერდა, მრავალი რამ შეიგნო და ისწავლა ბერძნებისა და რომაელების მწერალთა ნაწერებისაგან და მრავალი რამ აღმოაჩინა. ყველაზედ უდიდესი აღმონაჩენი ამ დროისა, _ მიშლესი არ იყოს, _ ადამიანია, ესე იგი, ამ საუკუნემ ახალის თვალით მიახედა კაცობრიობა ადამიანის ღირსებაზედ და ამის არსებობის საგანზედა." *("პედაგოგიის საფუძვლები". 1888 წ.).*

"ჰუმანობის მოძღვრება იმაში მდგომარეობსო, _ ამბობს ერთი მწერალი: _ რომ ადამიანი შეჰხაროდეს ცხოვრებას, ელინებრ სიხარულის თვალით უყურებდეს; იმაში მდგომარეობს, რომ კაცის ადამიანური ღირსება ღრმად პატივცემულ იყოს და არა-ნაკლებ ღრმადვე ჩანერგული რწმენა გვქონდეს, რომ ყოველი ღონე და ნიჭი ადამიანის ბუნებისა აუცილებლად საჭიროა განვითარებულ და წარმატებულ იქმნას ერთიანად და გამოუკლებლივ." *("პედაგოგიის საფუძვლები". 1888 წ.).*

- **კეთილი ზნე-ხასიათის ნიშანი: სათნოება დიდებასთან ერთად უნდა ვიდოდეს**

"კაი-კაცობას, კეთილ-სინდისიანობას და პატიოსნებას, დიდს თუ პატარა-საქმეში, ჩვენშიაც პატივი და დიდება აქვს და ექნება". *("იასე ანდრონიკაშვილი". 1887 წ. 10 იანვარი).*

"იგი იყო იმისთანა კაცი, რომელსაც, ინდოელებისა არ იყოს, დაბადების დღესვე ბედი ასე აკურთხებს და დალოცავს ხოლმე: "პაწია ყრმავ, ეხლა, როცა პირველად მოსდიხარ ქვეყანაში, შენ სტირი და შენს გარშემო-კი ყველას სიხარულის ღიმილი მოსდის; იყავნ ისე, რომ როცა ქვეყანას ეთხოვებოდე, ყველანი სტიროდნენ და მარტო შენ-კი ღიმილი მოგდიოდეს". *("მიხეილ ყიფიანი". 1891 წ.).*

"სათნოება და დიდება, როცა და-ძმურად ერთად ვლიან, ყველა სხვა და-ძმობაზე უმაღლესნი, უტკბილესნი და უმშვენიერესნი და-ძმანი არიან, და ნეტარ არს იგი, ვისიც

დიდება მხარს უმშვენებს სათნოებას და სათნოება _ დიდებასა". *("ასი წლის თავი ერეკლე მეფის გარდაცვალებიდან". 1898 წ. 12 იანვარი).*

"დღეს ისეთი დღეა, რომ თვითეულს სიტყვას დიდის სიფრთხილით უნდა მოვექცეთ, და ვიდრე სხვისა თქმულს ბეჭდვით საჯაროდ განვიმეორებდეთ, ავწონ-დავწონოთ, რა თქმულა და როგორ თქმულა. დღეს ისეთი დროა, რომ თვითეული ჩვენგანი უნდა განკითხულ იყოს და პასუხის მგებელი ჩვენი ქვეყნის წინაშე თავისის სიტყვისა და საქმისაებრ და არა იმისებრ, რასაც სხვანი ან დაუდევრობით, ან წინდაუხედაობით თავზე მოახვევენ." *("წერილი რედაქციის მიმართ". 1905 წ. 9 მარტი).*

"მისთვის ყველა გზა კარგია, თუკი იმ გზით მიაღწევს ყველაზე ბინძურს, მაგრამ მისთვის საჭირო მიზანს". *("წერილები ილია ჭავჭავაძისა ოლღა თადეოზის ასულ გურამიშვილისადმი". 1863 წ. 24 თებერვალი).*

"გაიხსენე, ჩემო ანგელოზო, რომ გწერდი ჩემს სიღარიბეზე, ჩემს უჩინობაზე და ა.შ., მე არც ისე ღარიბი ვარ, როგორცა გწერდი. მე აღმომაჩნდება ჩვენი ცხოვრებისათვის სახსრები, ვიცხოვრებთ ისე, როგორც მრავალნი ცხოვრობენ; მაგრამ მე ვცდილობდი _ უფრო ღარიბად მეჩვენებინა თავი, ვიდრე ნამდვილად ვარ. იცი, რატომ? იმიტომ რომ, თუ ასეთი უბრალო რამ შეგაშინებდა, შეგეძლო მაშინვე უარი გეთქვა ჩემთვის. მე ასეთი ცოლის ყოლას არ მოვინდომებდი. გარდა ამისა, მინდოდა დავრწმუნებულიყავი, რომ შენ ადამიანს უყურებ არა როგორც ოქროებით გატენილ ზანდუკს ან ჯვრებითა და ვარსკვლავებით მორთულ აბრას, არამედ, როგორც ღვთის მიერ შექმნილს არსებას, რომელშიც უპირველესად ყოვლისა მისი სული უნდა მზიანობდეს. დიახ, ოლიკოჯან, შენ ისე კარგად იყავი, რომ დამარწმუნე კიდეც იმაში, რაშიც აგრე მინდოდა დარწმუნება, ამით ისე მიმჯაჭვე, რომ ვერავითარი ძალა ვეღარ დამაშორებს შენგან, რა თქმა უნდა შენ თვითონვე არ მოისურვე. და თუ მოისურვებ, გულწრფელად მითხარი, ნუ შემიბრალებ. პირველად ამეტყველდა ჩემი გული, მაგრამ დე ეს მისი უკანასკნელი ღაღადისი იყოს. მე იმას დავმარხავ, ჩემო მეგობარო, თუკი ჩემი ოლიკო მას სამარადისო ხსოვნას უსურვებს.

დანარჩენი შენ თვითონვე იცი, ჩემო ანგელოზო! მე მთლიანად ამ წერილში ვარ. გინდა დაიტოვე, რომ შემდეგში მამხილო, თუ კი დაწერილ სიტყვას სიცოცხლეში ერთხელ მაინც ვუღალატებ". *("წერილები ილია ჭავჭავაძისა ოლღა თადეოზის ასულ გურამიშვილისადმი". 1863 წ. 26 თებერვალი).*

"მე მინდა ერთერთი ჩემი მთავარი ნაკლი იცოდე: ჩემი არსება ისეა აგებული, რომ ამ უბრალო, გულზვავობას მოკლებულ მოკდავებში ყოველთვის ნაკლები ჭუჭყი და მეტი საღი აზრი მეგულება, ვიდრე ზოგიერთ ბატონში, რომლის შთამომავლობით კეთილშობილური სისხლი გულზვიადობას შეუდედებია. ამ სიტყვების სიმართლე ფაქტებზეა დაფუძნებული". *("წერილები ილია ჭავჭავაძისა ოლღა თადეოზის ასულ გურამიშვილისადმი". 1863 წ. 20 მარტი).*

"ჩვენ რა გადამხდელები ვართო გაზეთის ვალისაო, რომ უთქვამთ _ ვერაფერი საბუთია. მაშ აღმართის მხვნელმა ძალამ რომ კაცი გასრისოს, შველა არ უნდა? ნუთუ ყოველი მოღვაწე ღვთის ანაბარად უნდა იყოს ჩვენში მიგდებული? ნუთუ არავის ქვეყნისათვის მოღვაწეს იმედი არ უნდა ჰქონდეს, რომ ფეხი წამასხლეტინონ, მოძმენი ხელს მაწვდიან და ფეხზედ დამაყენებენო? თუ ასეა, იყოს ნება მათი, ვინც შველაზედ უარს ამბობენ. ვალი ქართველიშვილმა გადაიხადოსო, _ ნუთუ ზნეობითად ეს სამართლიანი საქმე იქნება? ქართველიშვილი აქ რა შუაშია? თქვენ ხომ ეს ამბავი კარგად მოგეხსენებათ". *("წერილი დავით მესხისადმი". 1885 წ. 9 ოქტომბერი).*

“თქვენც უნდა კარგად იცოდეთ, რომ მე მეტისმეტად ძვირფასად მიმაჩნია ყოველი კაცის ღირსება და პატიოსნება და ნამეტნავად ჩემის კარგის ნაცნობისა. ამიტომაც მე ამაებში ყოველთვის ფრთხილი და მორიდებული ვარ და თავის დღეში არ ვიკადრებ, რომ ადამიანის პატიოსნება ჭორის სათამაშო ბურთად გავხადო”. *(“წერილი სოფრომ მგალობლიშვილისადმი”. 1887 წ. 9 ივლისი).*

“ჩვენ დაურიგებლადაც შესდგომიან საქმეს შავი-ქვის მწარმოებელნი, მაგრამ თავისებურად კი, ე. ი. ჩვენებურად დაუწყიათ საქმე. ყველას მარტო იმის მადა გაჰღვიძებია, სხვას დავაკლო და მარტო ამ გზით მე შევიმატოო, ყველა სცდილობს, რაც შეიძლება დიდი ნაჭერი თითონ მოითალოს, დიდი ლუკმა ხელთ იგდოს და სხვა ცარიელზედ დასვას, გამოსწიროს, გზა დაუხლართოს მეზობელს, არავის მიუდგეს და თავისთვის მარტოდ იმუშაოს. ერთის სიტყვით, შურს, მტრობას, წვრილმანობას, შავი-ქვის საქმე დღეს იქამდე მიუყვანია, რომ ლამის შავმა-ქვამ მართლა “შავი-ქვა და ნაცარ-ცხელი”-ღა მოუტანოს თვით მწარმოებელსაც, მადნის პატრონსაც და მუშასა, ლამის ეს ღვთისაგან მონიჭებული სიმდიდრე და სიკეთე ჭირად და უბედურებად გადაექცეს ჩვენის საკუთარის ავზნეობითა და აგებულობითა. რასაკვირველია, ამას ყველაზედ ვერ ვიტყვით, მაგრამ თითო-ოროლა კაცი მრავალთა შორის ზღვაში დაცემული წვეთია, თუნდ ეგეც არ იყოს, განა თითონ ამ ორიოდე კაცს კი ავზნეობა მრავალთა არ უშხამავს და არ უწამლავს ყოველს-წუთს ცხოვრებისას?! განა ხელს არ უცრის და არ აბრკოლებს?! განა ავზნეობასთან აუცილებელი ბრძოლა არ აკარგვინებს ამ ორიოდე კაცს დროს, რომელიც უამისოდ მთლად მოჰხმარდებოდა თვითონ საქმესა და საქმე ამით მოიგებდა და წარიმატებდა საყოველთაო საკეთილოდ!..” *(“შავი-ქვის მრეწველობის მიმდინარე საქმეებზე”. 1886 წ. 15 ოქტომბერი)*

“უფულობას რომ უჩივიან, განა ფული ამ ავზნეობას არ უფრთხის? ამ ყოვლად სახეირო და სასარგებლო საქმეს ფული განა არ მოედინებოდა, თუ რომ ავზნეობის შიში და რიდი არ ჰქონიყო?.. ფული იმისთანა ბუნებისაა, რომ თვითონ თავისთავად მიიზიდება ხოლმე ამისთანა გამოსაჩენ საქმისაკენ, თუკი დაიმედებული იქნება, რომ პატიოსან კაცის ხელში ჩავარდება, საქმეს მოხმარდება და არა სიხარბეს და ანგარობას ავზნეობისას.” *(“შავი-ქვის მრეწველობის მიმდინარე საქმეებზე”. 1886 წ. 15 ოქტომბერი).*

- **არჩევანის დროს აზრთა ჭიდილში ყოველივე ღონისძიება ნამუსისა და პატიოსნების სასწორზედ აწონილ უნდა იყოს**

“ჭიდილიც არის და ჭიდილიც. ამ ჭიდილში ყოველივე ღონისძიება ნამუსის და პატიოსნების სასწორზედ უნდა აწონილ იყოს, უამისოდ ჭიდილი, _ საზოგადო სარბიელია, თუ საცალკეო, _ რყვნაა და არა წვრთნა ადამიანურ გრძნობისა, ღირსებისა და კაცურ-კაცობისა. ყოველივე მოთავე დასსა, ყოველივე ცალკე წევრი და მომხრე მისი, ყოველივე ეგრეთწოდებული “კენჭოსანი” ამ სასწორით ხელში უნდა შედიოდეს კრებაში და ამ სასწორით მოქმედობდეს, არჩევანია, თუ სხვა საქმე რამ გასარჩევი და გადასაწყვეტი. ვინც ასე არ იქცევა, იგი ჰღალატობს თავის კაცურ-კაცობას, იგი ჰღალატობს კრებას, საზოგადოებას, ქვეყანას, იგი მჩვარია და არა ადამიანი, თავისთავის

პატრონი, თავის საკუთარი ღირსების მქონებელი, მომვლელი და დამცველი." *("ქუთაისის ბანკის საქმე". 1890 წ. 3 აგვისტო).*

"ჩვენ გვემძიმება, მაგრამ არ შეგვიძლიან არა ვსთქვათ, რომ მითქმა-მოთქმა ორსავე მხარეს ერთნაირად აბრალებს უკადრისის ღონისძიების ხმარებას არჩევანის დროს, და თუ განსხვავებაა რაშიმე, მარტო ამ ღონისძიების მეტნაკლებობაშია და არა უკადრისობის მორიდებაში. ეს ამისთანა სათაკილო და სამარცხვინო ამბები სახელს უტეხს მთელს კრებას, მთელს საზოგადოებას, თვითეულს ცალკე წევრს კრებისას, ჩირქს სცხებს ჩვენს ადამიანობას, ჩვენს კაცურ-კაცობას. არამცთუ დაჯერება ამ ამბებისა, გაგონებაც-კი გულს უწყლავს ყოველ კაცს, ვისაც-კი გაუგია, რა არის გრძნობა ადამიანის ღირსებისა, თავის სიმაღლიდამ ძირს დაშვებული, დაცემული." *("ქუთაისის ბანკის საქმე". 1890 წ. 3 აგვისტო).*

"აკი ვსთქვით, თუ ჩვენდა სამწუხაროდ, ასში ერთი მაინც მართალი გამოდგა იქიდამ, რასაც ჭლაპარაკობენ დღეს, უეჭველია დიდს საგონებელს და სანაღვლელს უნდა მივეცნეთ და ხვალინდელ უარესობის შიშმა უნდა შეგვაძრწუნოს." *("ქუთაისის ბანკის საქმე". 1890 წ. 3 აგვისტო).*

"ნაძირალთა გრძნობათა აშლა და ფეხის გადმოდგმა საზოგადო საქმის სარბიელზე პირქვე დასცემს ყველა კეთილსა და თავის ლამითა და შლამით წალეკავს ყოველსფერს, რასაც-კი მიეკარება. თუ სამუდამოდ ჩვენი წახდენა, ჩვენი მიწასთან გასწორება არ გვინდა, ამ მხრით უნდა მოვუაროთ ჩვენს თავს, ამ ნაძირალთა გრძნობას გზა უნდა გადავუღობოთ, ვიდრე დროა, თორემ მერე გვიანღა იქნება: ჩვენი საზოგადოებური ღირსება ამ ნაძირალთა გრძნობის ლექ ქვეშ დაიმარხება და მერე მშვიდობით ჩვენო იმედო, ჩვენო სასოებავ ხვალისავ!" *("ქუთაისის ბანკის საქმე". 1890 წ. 3 აგვისტო).*

"ჩვენ შორს ვართ, რასაკვირველია, იმაზე, რომ ამისთანა სათაკილო და სამარცხვინო საქციელი ან ერთს მხარეს, ან მეორეს თავზე მოვახვიოთ. ჩვენ, როგორც უკვე ვსთქვით, ამისათვის უტყუარი და უეჭველი საბუთი ხელთ არა გვაქვს, ცალიერის სიტყვისა და მითქმა-მოთქმის მეტი, და ცალიერი სიტყვა და მითქმა-მოთქმა ვერაფერი თამასუქია ამისთანა შემთხვევაში. ხოლო ამ მითქმა-მოთქმას ჩვენ ისე ვუყურებთ, როგორც მაგალითს იმისას, თუ რა სიფრთხილით, რა წინდახედულობით, რა სიწმინდით და სიფაქიზით უნდა გამოდიოდეს კაცი საზოგადო საქმეთა სარბიელზე სამოქმედოდ, რომ თვით პირგახეულმა ჭორმა და ნამუსზედ ხელაღებულმა მტრობამ ვერა იპოვნოს-რა ხელის მოსაჭიდებელი. აქ მცირეოდენი ეჭვიც საკმარისია, რომ ჭორმა და მითქმა-მოთქმამ თავისი საზარელი და დაუნდობელი ქსელი გააბას, რაცგინდ კაცი მართალი იყოს, და ამით პირქვე დაამხოს არამცთუ ღირსება ადამიანისა, თვითონ იგი საქმეცა, რომლის სამსახურად კაცი მოედანს გამოსულა. ესეც კია: უცეცხლოდ ბოლი არ ავარდებაო, როგორც რუსები იტყვიან, და _ ვინ იცის _ იქნება არც გაუშლია მითქმა-მოთქმას ფრთა უმიზეზოდ. აი ეს არის სამწუხარო და სავალალო." *("ქუთაისის ბანკის საქმე". 1890 წ. 3 აგვისტო).*

"იმედი გვაქვს, რომ, თუ რამ ამ მითქმა-მოთქმისა გამართლდა, იგინი სამართლიანის რისხვითა და წყრომით მსჯავრს დასდებენ იმას, ვისაც უკადრისობა უკადრნია, სათაკილო არ უთაკილნია და სამარცხვინო არ შერცხვენია. ჩვენა გვჯერა, რომ ქუთაისის ბანკის წევრნი ამ ამღვრეულს საქმეს დასწმენდენ და ქვეყნის წინაშე გამოვლენ იმ საქებურ სახელით, რომელსაც ჰნატრობს ჩვენთვის ყოველი ჩვენი კეთილისმყოფელი, და რომლის მაგალითიც არა ერთხელ უჩვენებიათ ჩვენთვის ჩვენს იმიერ მოძმეებსა, როცა

ქვეყნისათვის ზრუნვას და გულისტკივილს თავისუფლად მისცემიან მათდამი უხვად მინიჭებულ მხურვალეებითა და თავგამოდებითა.” *(“ქუთაისის ბანკის საქმე”. 1890 წ. 3 აგვისტო).*

“აქ მარტო გულახდილობა და პირდაპირი, კუდგამოუბმელი საუბარია საჭირო.” *(“ქუთაისის ბანკის საქმე”. 1890 წ. 3 აგვისტო).*

“ჩვენ გვიკვირს, იმ ათას კაცში, რომელიც ამ წლევანდელ კრებას დაესწრო, ერთი როგორ მაინც არ გამოჩნდა იმისთანა, რომ კრებისათვის თვალი აეხილებინა და ეთქვა: “ამას რას ვჩადით? როგორ ვკადრულობთ, რომ არც-კი გვინდა გავიგოთ, ჩვენთან ერთად ჩვენი მოწილე, ჩვენი მოამაგე, ჩვენი მოძმე მოსულა აქ ჩვენს საერთო საქმეზე ჰოსა და არას სათქმელად, თუ სასაცილოდ ავუგდივართ ვისმე, რაღაც ფარატინა დაუჭერია ხელში და უნდა ჩვენი ღირსება გადათელოს და თავისი საკუთარი ჟინი და თავგასულობა ჩვენდა საერთო სურვილად გადააქციოს.” *(“ქუთაისის ბანკის საქმე”. 1890 წ. 4 აგვისტო).*

“თუნდ ეგეც არ იყოს, თუნდ არავისაც არ ეკადროს ჩვენი მოტყუება, მაინც გაუსინჯველად რწმუნების წერილების მიღება თვითნებობა იქნება და რას იტყვიან ჩვენზე: აი, ერთად-ერთი საზოგადო საქმე აბარიათ, ერთად-ერთი საქმე აუჩენიათ, და აღარც წესს დაგიდევენ, აღარც რიგს, აუღიათ და რაც ჟინსა და ახირებას მოუწადინებია, იმას სჩადიან. არა, ნუ ვიქმთ მაგას, ნუ გავიტეხთ სახელს, ჭორსა და მითქმა-მოთქმას მიზეზს ნუ მივცემთ, რომ თავისი ჭუჭყიანი კბილი ჩაგვკიდოს და შეგვწამოს რამ. ამას ითხოვს ჩვენი საკუთარი ღირსება, მართებულობა, ჩვენი საზოგადოებური პატიოსნება, საზოგადოებური მაღალზნეობა და მოვალეობა.” *(“ქუთაისის ბანკის საქმე”. 1890 წ. 4 აგვისტო).*

“ვსთქვათ, კრებამ მართლა ახირებით ითხოვა, რომ 12-ს საათზედ კი არ დაიწყოს თვისი მოქმედება, როგორც წინა დღეს გამოეცხადებინა თვით თავმჯდომარეს, არამედ თითქმის ერთი საათის წინათ; ვსთქვათ, ერთი კაციც არ გამოჩნდა იმოდენა ხალხში, რომ წარმომადგარიყო, თავის თავის ღირსებაც დაეფარა, კრებისაც და თავმჯდომარისაცა და ეთქვა: ეს რა ამბავია? რა უწესობა და ურიგობაა, რომ 12 საათზედ მოწვეულია საკრებულოს საზოგადოება და 11-ს საათზე-კი თვით კრებასა ვმართავთ.” *(“ქუთაისის ბანკის საქმე”. 1890 წ. 4 აგვისტო).*

“ჩვენ ყოველ ამას არ დავიჯერებდით, თუ ამის საბუთი, დაწერილი და თვით კრების თავმჯდომარისაგან ხელმოწერილი, წინ არ გვედვას, კიდევ ვიტყვით, იმ ათას კაციან კრებულში ერთმა მაინც როგორ არ იგრძნო მთელი უკეთურობა, მთელი წინდაუხედაობა, მთელი უკადრისობა ამისთანა საქციელისა, რომელიც უფრო მუშტის გაძალიანებასა და ძლევამოსილობასა ჰგავს, ვიდრე ჭკვადამჯდარ გონიერების განსჯასა და განკითხვას? როგორ ერთი ვინმე არ აიმღვრა სულით და გულით და სამართლიანის რისხვა-ჭექით არ აუხილა კრებას თვალი ამისთანა საქციელზედ? ჩვენდა სამწუხაროდ, კრების სახელით შემდგარს სიგელში კვალიც არ არის იმისი, რომ ამისთანა ამბავი შეენიშნოს ვისმე და ხმა ამოეღოს. ხუმრობაა, საზოგადო საქმის გადაწყვეტილებაში ოთხას-ხუთასი ხმა ერიოს და არ იცოდნენ კი, ეს ამოდენა ხმა ვისია, საიდამ არის და როგორ არის დაჩემებული.” *(“ქუთაისის ბანკის საქმე”. 1890 წ. 4 აგვისტო).*

“ბრალი ეხლა თანასწორად ყველას ედება და ყველამ უნდა იტვირთოს ის მძიმე პასუხისგება, თუ ვინიცობაა ამისთანა უწესობამ ბანკის საქმე პირქვე დაამხო. ეს პირქვე დამხობა ადვილად მოსალოდნელია, თუ რომ უკეთესმა ნაწილმა ბანკის საზოგადოებისამ მთელი თავისი მხნეობა არ იხმარა, მთელი გულწრფელი და უანგარო სიყვარული საქმისა არ მოიშველია, და ეს უკადრისი, უვარგისი “მეობა” არ განდევნა ბანკის საქმეებისაგან და მარგებელი და პატიოსანი “ჩვენობა”, ეხლა ამ წინდაუხედავ

“მეობისაგან” მიწასთან გასწორებული, ფეხზე არ წამოაყენა მთელის მისის სახელითა და დიდებით. ყველამ უნდა დააჩუმოს თავზე ხელაღებული “მე” საცა სასახელო და სადიდებელი “ჩვენ” უნდა ჰღაღადებდეს. უამისოდ ეს ერთად-ერთი საზოგადო საქმე, რომელიც ქვეყნის სიყვარულმა შეჰქმნა ჩვენში და იმედი გვქონდა, რომ ქვეყნის სიყვარულივე ძუძუს მოაწოვებს და გაზრდისო, ჩვენივე ხელით სამარეს გაითხრის და ჩვენს სახელს შეაზარებს ჩვენთა შვილთა და მომდევართ.” *(“ქუთაისის ბანკის საქმე”. 1890 წ. 4 აგვისტო).*

“ჩვენ გვსურს, რომ ამისთანა უწესობას შემდეგში მაინც ადგილი აღარა ჰქონდეს და მით მოქმედება კრებისა ყოველ ეჭვს გარეშე იყოს. უამისოდ ბანკის საქმეთა სვლა შეუძლებელია.” *(“ქუთაისის ბანკის საქმე”. 1890 წ. 4 აგვისტო).*

“აქ არის იგი ტკივილი, იგი იარა, იგი მუწუკი, რომელიც ზედ ააჩნდა მთელს ტანს ბანკისას და ჰლამის ბანკი თან გადაიტანოს, თუ თავის დროზე სიფრთხილით და გონებადადებით არ გამოირწყო და თუ ბანკის კეთილის მოსურნეთ არ გამოიჩინეს იგი მხნეობა და მედგრობა, რომელიც ერთადერთი სახსარია ამისთანა განსაცდელისაგან მშვიდობით გადარჩენისათვის.” *(“ქუთაისის ბანკის საქმე”. 1890 წ. 4 აგვისტო).*

“შეყრილან საქმეთა გასარჩევად, მართალის გამოსარკვევად და არა-რა წესს და რიგს კი არ დაგიდევენ. არც პატივისცემა თვითონ კრებისა, არც თავმჯდომარისა, არც თვითეულ ცალკე წევრისა, არც კანონისა, არც მართებულობისა და რიგიანობისა, არც თავის-თავისა, ყველაფერი დავიწყებულია, ყველაფერი უარყოფილია და მარტო ჭვარტლმოკიდებული გული თვითნებობისა, ძალმომრეობისა, ჰღაღადებს და ამღვრეულს საქმეს უფრო ამღვრევს, ჰრყვნის და აწბილებს. აუშვია აღვირი პირგახეულობას და არავის ნებას არ აძლევს სთქვას რამე, თვითონ კი ჰყვირის და ჰღრიალებს, “არ გვინდა, არ შეიძლება, ეხლავ კენჭი”, თითქოს საგიჟეთიდამ ეს ეს არის ეხლა გამოვარდნილა მარტო იმისათვის, რომ იყვიროს და იღრიალოს უთავბოლოდ. ვის სასარგებლოდაც ეს თავზე ხელაღებულობა დღეს ქუთაისის ბანკის კრებაში ასე კადნიერად და მოურიდებლად იბრძვის, იმას კარგი წამალი სცოდნია, რომ ზოგიერთთა მჭვარტლიანს გულში ასეთი ცეცხლი აუნთია ყოველ სამარცხვინო გრძნობის ასაფეთქად და არა სამარცხვინო ბოძზე გაკვრაა გამარჯვებულისა.” *(“ქუთაისის ბანკის საქმეთა გამო”. 1890 წ. 1 ნოემბერი).*

“განა მარტო ამ მიზეზის გამოწვევა საკმაო საბუთი არ არის, რომ მისი მომავლინებელი სამარცხვინო ბოძზე გააკრას კაცმა და სამართლიანის გულისწყრომით უთხრას: “შორს ჩვენგან! შენ არა ხარ ხორცი ხორცისა ჩვენისა და ძვალი ძვალისა ჩვენისა. შენ ჰღალატობ საზოგადო საქმეს, შენ ჰგმობ და აუპატიურებ ჩვენს ღირსებას, ჩვენს პატიოსნებას, გვარცხვენ შინაც და გარეთაც და ერთადერთს საზოგადო საქმეს ძირს შინაც და გარეთაც და ერთადერთს საზოგადო საქმეს ძირს უთხრი, პირქვე ამხობ, და ჩვენვე გვწურთნი ცდუნებით და მოტყუებით ჩვენისავე ხელით ყელი გამოვიჭრათ, შორს, შორს ჩვენგან!” *(“ქუთაისის ბანკის საქმეთა გამო”. 1890 წ. 1 ნოემბერი).*

“ნუთუ ეს თავგასულები პირდაპირ არ სჩანან, და თუ სჩანან, როგორ არა ჰხედავენ ამათ ისინი, ვისაც თვალი აქვს ხედვად და ვინც ასე ბრმად მისცემიან იონბაზობას თავგასულობისას, რომელთაც, როგორც ეტყობათ, ყველა სიკეთე საზოგადოებური, ყველა რიგი და წესი კაცად-კაცური, ყველა მართებულობა უსირცხვილოდ გაუწირავთ, რომ ფიცი, თუ აღთქმა არ გაუტეხონ თავის მბრძანებლებს და მით იმათს შეუწყნარებელს სამარცხვინო ჟინს ყურმოჭრილ ყმასავით ემსახურონ. ნუთუ არავის ეთაკილება ეს ასეთი

სათაკილო ყმობა, ასე ხელის-აღება საკუთარის თავის ღირსებაზე, ასე თავის ხელითვე გაქელვა და წაწყმედა თავის კაცურ-კაცობისა!" *("ქუთაისის ბანკის საქმეთა გამო". 1890 წ. 2 ნოემბერი).*

"რანი ვართ? ვის სათამაშოდ და სამასხარაოდ გაგვიხდია თავი? ქვევრები ვართ, რომელთა რასაც ჩასძახებენ, ის უნდა ამოიძახონ, თუ ადამიანები, რომელთათვისაც ღმერთს გონება და ჭკუა მოუცია, რომ ათჯერ ჰზომოს და ერთხელ გამოსჭრას, ნამეტნავად იქ, საცა საზოგადო საქმეა, ყველასათვის ერთნაირად საზრუნავი და გულშესატკივარი." *("ქუთაისის ბანკის საქმეთა გამო". 1890 წ. 2 ნოემბერი).*

"დაუმტკიცეთ სად არის მართალი და მტყუანი, და გვერწმუნეთ მართალი იმოდენა მომხრეებს იშოვის, რომ ბურჯად შეექმნას ყოველ საზოგადო საქმეს. ამისი თავმდებია საზოგადოდ ადამიანის კეთილ-გონიერება, პატიოსნება და გულწრფელი სიყვარული საქმისა, ესე იგი, იგი საზოგადოებური და ადამიანური ღირსება, რომელსაც ყოველს საზოგადოებაში თავისი მომხრე, მიმდევარი და მცველი ჰყავს და ურომლისოდაც წარმოუდგენელია თვით კაცთა საზოგადოებაც." *("ქუთაისის ბანკის შესახებ". 1893 წ. 3 დეკემბერი).*

"რა მიზეზია, რა საბუთია ვიფიქროთ, რომ ამას, ამ ზოგადს ღირსებას მოკლებული იყოს იმერეთის თავად-აზნაურობა? ღმერთმა გვიხსნას ამისთანა ფიქრისაგან. ეს ასე რომ იყოს, მაშინ "ქუთათურის" თქმისამებრ, გულხელი დავიკრიბოთ და წყალში ჩავცვივდეთ, ისა სჯობია.

მადლობა ღმერთს ჯერ ამაზე ძალიან შორს ვართ და დღეს მარტო საჭიროა, ჩვენის ფიქრით, კეთილ-გონიერებას და მართლმსაჯულობას იმერეთის თავად-აზნაურობისას გზა და საშუალება მიეცეს თავის უტყუარის განაჩენის დადგენისა იმის თაობაზე, თუ ვინ არის ყოველ ამ არევ-დარევაში დამნაშავე, გზიდამ ჩამოიცალოს იგი და იმისთანა საზოგადო საქმეს, როგორც ბანკია, აწ სეირის საყურებელ მოედნად გადაქცეულს ეპატრონოს და მოუაროს." *("ქუთაისის ბანკის შესახებ". 1893 წ. 3 დეკემბერი).*

"აქ, ჩვენის ფიქრით, დანაშაული ის გაიძვერაობა, ის ეშმაკური ოსტატობა, ის უკადრისი ღონისძიებაა, რომელსაც არა ჰთაკილობენ ჩვენში ისინი, ვისიც მრწამსი ის არის, რომ თუ მე არ ვიქნები, ქვა ქვაზედ ნუ იქნებაო. ამ გაიძვერაობას, ამ ეშმაკობას უნდა ეწამლოს რამე, უნდა კრიჭა შეეკრას, უნდა კარი ამოეგულოს, რომ კარში ფეხი არ გამოდგას. ამას, ჩვენის ფიქრით, მთელის საზოგადოების თვალი და ხელი უფრო შესძლებს, ვიდრე სხვა რამე." *("ისევ ქუთაისის ბანკის შესახებ". 1894 წ. 16 იანვარი).*

- **ერის გაუპატიურება, ავად ხსენება დიდად სათაკილო საქციელია. ჭეშმარიტ ღირსებას ყვირილი არ უნდა**

"ერი, როგორც კრებული ისტორიით შედუღებულ ერთსულ და ერთ-ხორც მკვიდრთა, ყოველ პატიოსანისა და ჭკუათმყოფელ ადამიანისაგან უნდა პატივცემულ იყოს ყოველ შემთხვევაში, და მისი ასე თუ ისე გაუპატიურება, ავად ხსენება _ დიდად სათაკილო საქციელია. ყოველს ერს თავისი საკუთარი სახე აქვს, თავისი საკუთარი გულთათქმა, თავისი წადილები, თავისი სულთასწრაფვა, თავისი ღირსება.. ამაების შეგინება ერთი იმისთანა სიბრიყვეა, რომელიც გონებაგახსნილს ადამიანს არ ეპატიება, არ შეენდობა". *("ქვათა ღაღადი". 1899 წ.).*

"ერის სახელით ბრძოლას სამართლიანადა აქვს დიდი პატივი და საბუთი". *("ქვათა ღაღადი". 1899 წ.).*

"ჭეშმარიტის ღირსების ქვეყანაში მოსაფენად საჭირო არ არის ბუკი და ნაღარა. კარგად იცის, რომ მატრაკვეცობა მისის ერთგვარ გუნდისა ვერაფერი თამასუქია არც იმისათვის, რომ სხვისა ავად ხსენებით, სხვა ერის ძაგებითYიქ გამოინასკვოს, საცა არ არის. ჭეშმარიტი ღირსება საქმითა თვისითა ჰღაღადებს მხოლოდ და არა ყვირილითა და დაფა-ზურნითა. ჭეშმარიტს ღირსებას ყვირილი არ უნდა. მისი ბუნება და თვისება ის არის, რომ მით უფრო სასახელოა და საგულებელი, რაც უფრო მდუმარეა. ნუ გგონიათ, ამ ბუნებას ღირსებისას კაცმა ჭკუა ვერ მიაწვდინოს, თუ გამეცნიერებული და განათლებული არ არის. ამისათვის საკმაოა საღი ჭკუა და უბრყვილო გული უბრალო გლეხკაცისაც. "კარგი ვარ, ამას ნუ იტყვი, თავს ნუ დაუწყებ ქებასა", ან: "ვაჟკაცი წყნარი სჯობია, ჩალად არა ჰღირს მკვეხარი", _ განა გლეხკაცის ნათქვამი არ არის?" *("ქვათა ღაღადი". 1899 წ.).*

- **ჭეშმარიტი ლიბერალობა ტყუილების, ოინბაზობის... ხელის წაფარება არ არის**

"ლიბერალობა განა მალვაა, ანუ ხელის წაფარება ტყუილებისა, ოინბაზობისა, თაღლითობისა, თვალთმაქცობისა და ყოველგვარ ნამუს-ახდილობისა, და არა მხილება ყოველ ამისი? თუ საძრახავსა არ ამხელ და სამარცხვინო ბოძზე არ გააკრავ, მაშ რის მაქნისიღაა ეგ თქვენი მოწონებული, თქვენი ქადებული დოყლაპია ლიბერალობა". *("ქვათა ღაღადი". 1899 წ.).*

"...ვის მოუვა ფიქრად, რომ ბოროტის მხილებას კრიჭა შეუკრას ვისისამე წყენის შიშითა, თუ არ დოყლაპია ლიბერალსა. საბუთიანს, მართალს მხილებას, თუნდა მთელის ერისას, გონიერი ერი მადლობით ეპყრობა და არა რისხვითა და შფოთითა. ჭეშმარიტი ლიბერალობა ის არის, რომ ჭეშმარიტება არავის წააწყმედინო, არავის გააქელვინო, ბოროტს ბოროტი ამხილო, მსჯავრდაუდებლად არ შეარჩინო და, თუ საიმისოა, ცხვირიდამაც ძმარი ადინო. ბაძით ქვეყანა წახდებაო, ნათქვამია. მსჯავრდაუდებელი ბოროტი _ მაცდურების მახეა და შიგ ადვილად გაიბამს თავს გულლბილი და ხასიათდაუდგრომელი კაცი. "უსირცხვილოს თუ არცხვენ, ბაძით მორცხვიც გაურცხვდება". *("ქვათა ღაღადი". 1899 წ.).*

“პატიოსან კაცთა შორის ნამუსია მოციქულიო, ნათქვამია”. *(“ქვათა ღაღადი”. 1899 წ.)*

“მხილება ავისა და ბოროტისა საფუძვლიანი და საბუთიანი იყოს და არა მოჭორილი, _ და სამდურავისა, ან წყენის, ან შფოთის ატეხის შიშით ნურვინ გაიხეთქს გულს. განა არ ვიცით, მხილება არაფრად ეჭაშნიკება ავის მქნელსა, მაგრამ განა ეს საბუთია თვალი დავიბრმაოთ, ყურებში ბამბა დავიცოთ და ენა მოვიჭრათ, როცა იგი ავი ჩვენ თავში გვცემს, ჩვენს არარაობას ჩვენდა სამარცხვინოდ საქვეყნოდ ჰღაღადებს. რად უნდა გავჩუმდეთ?” *(“ქვათა ღაღადი”. 1899 წ.).*

“ნუ სძღები სხვისა რძითა, ნუ იმოსები სხვისა მატყლითაო”. სხვისა ნურა გინდა-რა, შენი იკმარე, _ ეს არის კაცთა ურთიერთობის ქვაკუთხედი, ეს არის დედაბოძი ზნეობისა”. *(“ქვათა ღაღადი”. 1899 წ.).*

“ღმერთმა იცის, _ კაცურ კაცობისათვის რა უფრო სანატრელია, სხვისი პურის ჭამა, თუ თავისის გაცემა. ვინ იცის: ზნეობა უფრო მაგარი ქვითკირია კაცთა ცხოვრებისათვის, თუ საცა ვისი რამ მოახელო, სჭამე, რაკი გემრიელიაო”. *(“ქვათა ღაღადი”. 1899 წ.).*

“ვისაც დიოგენის ფარანი აქვს, იმას მისი ყავარჯენიც უნდა ჰქონდეს”, ესე იგი, მისი ზნე, გაუწურთვნელი ზნე, ყავარჯენი კი არა, ჭირია”. *(“ქვათა ღაღადი”. 1899 წ.).*

“ტყუილად კი არ ამბობს ბოსსუეტი: “ერიდენით და უფრთხილდით საკუთარს ზნესა. ზნე იმისთანა მტერია, რომელიც, საცა წახვალთ, ყოველგან თან დაგდევთ სიკვდილის კარამდინაო”. *(“ქვათა ღაღადი”. 1899 წ.).*

“ადამიანის უუძვირფასესი საუნჯე მისი ვინაობაა და ნურავის ნუ უკვირს, თუ ამ ვინაობის შემაგინებელს, შემბღალველს ყოველი პატიოსანი კაცი სამართლიანის გულის წყრომით ზედ აეგება”. *(“ქვათა ღაღადი”. 1899 წ.).*

“რაც გინდ იყოს, ... “ივერია” სიფრთხილით და წინდახედულად მოქცეულა ბრმად არ აჰყოლია ვიღაც ორს ასოს ქვეშ მიმალული კორესპონდენტის ფეხის ხმას. იქ, საცა ხელშეხებულია ადამიანის ღირსება, პატიოსნება, ერთის სიტყვით, ყოველივე ის, რაც პატივაუხდელ ადამიანის უძვირფასეს და ხელშეუხებელს კუთვნილებას შეადგენს”. *(“ნუთუ”. 1905 წ.).*

“მცირეოდენ განათლებამოცხებულ კაცს, მცირეოდენ საღის ჭკუის პატრონს კარგად მოეხსენება, რომ ყოველივე თავისისთავის და პრესის პატივისმცემელი რედაქცია და თუნდ ყოველივე ცალკე კაცი ასე უნდა მოიქცეს ყოველს შემთხვევაში და, თუ სულ მთლად ზურგს არ შეაქცევს, ეჭვი მაინც უნდა შეიტანოს იქ, საცა სხვის ადამიანურს ღირსებას, სინდისს, წმიდათა-წმიდას შესაბღალავად და შესაგინებლად იმეტებენ.

ეს ანბანია ზნეობისა, ეს მისი პირველი და უკანასკნელი კანონია, მერე იმისთანა, რომელიც, რა თვალითაც გინდ შეხედოთ, ერთნაირად სავალდებულოა ყველასათვის, რა დასისა და რწმენის კაციც გინდ იყოს”. *(“ნუთუ”. 1905 წ.).*

“ეხლანდელი დრო და მასთან ერთად ყოველივე ცოტად თუ ბევრად გონებაგახსნილი კაცი და ქალი რომ ხმამაღლა ჰღაღადებს ხელშეუხებლობას ადამიანისას, განა მარტო პოლიციის მიერ ხელშეუხებლობა აქვს სახეში, არამედ ყოველგვარი ხელშეუხებლობა და, სხვათა შორის, იგიც, როცა სამარცხვინო და სახელგასატეხ ბრალს რასმე სდებს ერთი მეორეს ტყუილისა და მართლის წინასწარ გამოუძიებლად და აუწონლად”. *(“ნუთუ”. 1905 წ.).*

“ბევრი კაცი, და იქნებ იმისთანა უხეირო რედაქციაც, სადმე იყოს, კაცთა საუბედუროდ, რომელიც ძალზე იჭაჭება და ბუკითა და ნაღარით გაიძახის ამ შეუძლებლობას ადამიანისას, მაგრამ ყოველ წარამარად მოტანტალე კორესპონდენტს

სიხარულით კარს უღებს და ხელს უწყობს გამვლელი და გამომვლელი საერთოდ, და რედაქციის მიერ ნიშანში ამოღებული საკუთრივ, ლაფში ამოსვაროს თავიდამ და ფეხამდე წინასწარ მოუკითხავად, - ვინ მტყუანი და ვინ მართალი."

"ნუთუ ეს ამისთანა საქციელი ხელშეხება არ არის და ყველა ხელშეხებაზე უფრო საზიზღარი, უფრო შემაძრწუნებელი და უფრო საშიში კაცის ერთმანეთობით ადამიანურ ცხოვრებისათვის. ნუთუ ეს არის იგი მადლცხებული თავისუფლება ბეჭდვისა, პრესისა, რომელსაც ასე სამართლიანად შევხარით დღეს დიდი და პატარა და ასე გულმხურვალედ და თავდადებით ვეტანებით".

"ეს ხომ თავისუფლება კი არა, ბოროტად ხმარებაა იმ გაბატონებულ ძალ-ღონისა, იმ ძლევამოსილ შემძლებლობისა, რომელიც პრესას სამართლიანად ხელთუპყრია და რომლის მეოხებით დღეს გვირგვინოსანნიც-კი ქედს იხრიან სასოებით და მოწიწებით".

"ნუთუ ამისთანა შემძლებლობა ბეჭდვის სხივმოსილ თავისუფლებისა, რედაქციამ იმაზე უნდა ჩამოახდინოს, რომ კაცმა კაცი უთავბოლოდ გაჰპენტოს, კაცმა კაცს უთავბოლოდ სახელი შეულახოს ნამუსის ქუდი მოჰხადოს და ლაფში გადაუგდოს. რედაქციის კალამი ნიჩაბი ხომ არ არის, რომ აიღოს და ვინც არ ესიამოვნება, ლაფი და ტალახი შეასხას ან თავისის ან სხვისა ხელით".

"ზოგისათვის ამისთანა საქციელი პრესისა თუ მთლად არ არის შესანდობარი, ცოტად თუ ბევრად შესაწყნარებელია მით, რომ პრესისგან უსამართლოდ და უსაბუთოდ შებღალვილს ღონისძიება აქვს თავი იმართლოს ბეჭდვითვეო, ბევრს ეს პრესის მეტის-მეტის პატივისცემით მოსდის და არა იმისათვის, რომ ამისთანა უკადრისი საქციელი პრესისა არ ეხამუშებოდეს. ეხამუშება, სწყინს კიდეც, მაგრამ არ უნდა რომ იმისთანა მზეს, როგორიც დღეს პრესაა, საქები რამ ჰქონდეს და არ გაუქარწყლოს".

"მეც დიდი პატივისმცემელი ვარ პრესისა..., მაგრამ ამისთანა პატივისმცემელი კი არასდროს არა ვყოფილვარ და არც ვარ, რომ ყოველ წარამარად ბღაჯვნას პრესის წმინდა სახელი ვუწოდო, ან პრესის ყოველი საქციელი ვაქო და ვადიდო ბრმად და განუსჯელად. ბრმად თაყვანისცემა რისიმე და ვისიმე, კერპთმსახურება და ყოველს მონობაზე უარესი და უკადრისი მონობაა".

"კიდევ ვიტყვი, რომ პირველდაწყებითი კანონი და მოძღვრება მთელის განათლებულის თუ გაუნათლებელ კაცობრიობისა ის არის, რომ ჯერ ბრალმდებელს უნდა დაასაბუთებინოთ ბრალდება იმოდენად, რომ დასაჯერი მაინც იყოს, რომ ჯერ ბრალმდებელს უნდა დაასაბუთებინოთ ბრალდება იმოდენად, რომ დასაჯერი მაინც იყოს, და მას მერმეთ, დიახ მხოლოდ და მხოლოდ მას მერმეთ მოეკითხოს ბრალდებულს პასუხი. და უამისოდ ბრალდებულთა სკამზე დასმა ადამიანისა პასუხის საგებლად წაწყმედაა, მიწასთან გასწორებაა, პირქვე დამხობაა იმ საკაცობრიო სამართლისა, მართლმსაჯულებისა, რომელზედაც აშენებულია მთელი ადამიანური ურთიერთობა, მთელი ადამიანური ყოფა-ცხოვრება".

"ეს ყველაზე უწინარეს პრესამ, ვით სალარომ ადამიანის ჭკუა-გონებისამ, უნდა იცოდეს და თვითეულს გაზეთს თუ ჟურნალს თავის დროშაზე დიდი ასოებით წააწეროს".

"აქ აღვირის მიშვება და სადავის მიგდება კარის გაღებაა იმ ერთგვარი უწმინდურობისა, რომელსაც "შანტაჟს" ეძახიან და მაშინ ძაღლიც ვეღარ იცნობს პატრონსა. ერთი-ერთმანეთს შევეჯახებით, ერთი-ერთმანეთს თავს შევახლით, ერთი-

ერთმანეთს დავჭამთ, მაშინ ტყეში მგელთან და აფთართან ცხოვრება უკეთესი და უფრო მოსვენებული იქნება, ვიდრე კაცთა შორის". *("ნუთუ". 1905 წ.).*

"მართალია, გლეხკაცი და ღარიბი უფრო მეტად საზრუნველია, უფრო მეტად გაჭირვებული, ვიდრე თავადი, აზნაური, მღვდელი თუ ვაჭარი, მაგრამ განა აქედან ის გამოდის, რომ ყველა ესენი ადამიანები არ არიან? განა ცოდვაა, რომ ამათთვისაც ვიზრუნოთ და თავი შევიტკიოთ? რაკი ცხოვრებას და ისტორიას გლეხებთან ერთად ეგენიც გაუჩენია სამართლიანად თუ უსამართლოდ, განა შესაძლებელია ერთის კალმის მოსმით, თუნდ იმისთანა ძლიერის, როგორიც დღეს "მოგზაურის" რედაქციას ქვეყნის სასაცილოდ თავისი თავი ჰგონია, განა შესაძლებელია, ვამბობ, ისე ამოდენა ხალხი დედამიწის ზურგიდან წაიშალოს!" *("ნუთუ". 1905 წ.).*

"ნამეტნავად ეხლანდელ დროში, როცა ასე გამწვავებულია საქმე წოდებათა შორის, ყოველივე ამბავი და ნაამბობი ათასჯერ ასაწონია, ათასჯერ გასაზომია და ერთხელ ძლივად დასაჯერებელი. თუ კაცი სინდისსა და ნამუსზე ხელაღებულია და ვისიმე ჯავრის ამოყრა გულს მოსწოლია, ადვილად მოახერხებს ათქმევინოს თავად-აზნაურს, თუ გლეხს, ავზნეობა და ავკაცობა ერთმანეთისა". *("ნუთუ". 1905 წ.).*

"საზოგადოება, რომელსაც ჭკუა და გონება შერჩენია და ცნობიერება გაჰღვიძებია, მარტო იმას კი არ უნდა სჯერდებოდეს, _ აი გლეხობა სხვასთან ერთად ამასაც შემოსწყრა, ამას "ბოიკოტობა" გამოუცხადა, არამედ გულდამშვიდებული გარჩევა უნდა, _ ვინ ვის რას ემართლება, ვინ ვის რას ერჩის, ვინ ვისზე სამართლიანად ხელს იწვდის. განა კაცთა ადამიანური ცხოვრება, ისტორია, პროგრესი და სხვა რაიმე სიკეთე შესაძლებელია, თუ ყოველთ უწინარეს კაცთა ურთიერთობაში ისინი არ მოიკითხა, ამაების პასუხი არ იძია?" *("ნუთუ". 1905 წ.).*

"ლანძღვა-გინებაც ხელშეხებაა ადამიანის ღირსებისა, მაგრამ არა იმ ზომისა, რომ საქმიანმა პრესამ ამის გამო ბუკი და ნაღარა დაჰკრას. ლანძღვა-გინება უმართებულო საქციელია და მარტო მლანძღველის სიბრიყვეს მოასწავებს, ხოლო სიბრიყვე ავზნეობის ნიშანი კი არ არის. გაუზრდელობის, გაუწვრთნელობის საქმეა. იმდენი დღეგრძელობა თქვენა გქონდეთ, რამდენი ქვეყანაზედ ბრიყვი და უზრდელი კაცი იყოს და ამასთან ყოვლად კარგი და პატიოსანი". *("ნუთუ". 1905 წ.).*

"უჭკუო ტყუილს რა მოკლე ფეხები აქვს, აი საბოროტოდ აშლილს საღერღელს, დაჟინებულს და თავდაუჭერელ სურვილს ადამიანთა გაბიაბრუებისას სადამდე შესძლებია თვალის აბმა, ჭკუა-გონების დახშობა!" *("ნუთუ". 1905 წ.).*

"განა შესაძლოა კაცს ღმერთი იქამდე გაუწყრეს, რომ კაცის სიკვდილი ვისმე დააბრალოს მაშინ, როდესაც თვით სიკვდილი არ მომხდარიყოს სრულებით". *("ნუთუ". 1905 წ.).*

"ლანძღვა ის არის, რომ იტყვი და არას დაამტკიცებ: დაუმტკიცებელი და უსაფუძვლო ქებაც კი ლანძღვაზედ საწყენია პატიოსან კაცთათვის." *("პასუხი". 1861 წ. 14 მაისი).*

"ვინც ლაფში თავიდამ ფეხამდე ამოსვრილია, არ შეიძლება ისე შეეხოს სხვას, რომ თავისი ლაფი იმასაც არ მოაცხოს." *("საქართველოს მოამბეზედ". 1862 წ.).*

"ჩვენ ქართველში გვიყვარს მხოლოდ მისი სიკეთე, სიცუდე კი ყველგან საზიზღარია, ქართველი იქნება მისი მექონი, თუ ინგლისელი, სულ ერთია ჩვენთვის, ორივ წყალში გადასაყარნი იქნებიან." *("საქართველოს მოამბეზედ". 1862 წ.).*

“მიირთვიც რომ გითხრა, ამ კარგს დარბაისლურს სიტყვას, თუ მოინდომებ, ცუდად ჩამომართმევ, თუ ნამეტნავად ზოგიერთი კაცის გულის გარყვნილებაში შენც წილი ჩაგიდვია.” *(“ზოგიერთი რამ”. 1866-1876 წ.).*

“განათლებულს, მაღალზნეობის კაცს მართლად შენიშნული წუნი უფრო ნაკლებ ეთაკილება, ვიდრე ტყუილი ქება-დიდება; გაუნათლებელს სულმოკლეობას კი პირიქით სულ სხვა მადა აქვს ამაებისათვის.” *(“ქართული თეატრი”. 1886 წ.).*

“იგი სიცილი მაშხალასა ჰგავს, რომელიც მინამ ანთია, კიდევ ჰო, როცა დაიწვის და ჩაქრება, დამწვარი მჩვარი-ღა დარჩება და ცხვირის მოსარიდებელი ნატისუსალი.” *(“ქართული თეატრი”. 1886 წ.).*

“ადამიანის გრძნობას როგორღაც ეთაკილება, ეზიზღება ხუმრობა და გასართობი სიცილი იქ, საცა ზრზენამ და ზიზღმა თავისი მრისხანე და სამართლიანი განაჩენი უნდა წარმოსთქვას და მახვილმა შეგინებულის ზნეობისამ თავი უნდა იჩინოს.” *(“ქართული თეატრი”. 1886 წ.).*

“ხასიათი და ზნე-ჩვეულება ყველგან არის, მაგრამ ყოველის თესლის ერს თავისი განსხვავებული ხასიათი აქვს და ზნე-ჩვეულება, იმიტომ რომ ხასიათის და ზნე-ჩვეულების ასე თუ ისე აგებაზედ მოქმედებს მთელი კრებული იმ გარემოებათა, რომელთ წრეშიაც სული და ხორცი დიდი ხანია უტრიალებია ერს და დღესაც ატრიალებს.” *(“ქართული თეატრი”. 1886 წ.).*

“პატივისცემა კერძო პირისა და საზოგადოებისა დედა-კანონად უნდა ჰქონდეს ყოველს რიგიანს და მართებულს ჟურნალს თუ გაზეთსა.” *(“ივერიის” წინასიტყვაობა”. (I) 1877 წ. 3 მარტი).*

“პატივისცემა იმაში კი არ უნდა მდგომარეობდეს, რომ ადამიანი ადამიანს პირმოთნეობით ექცეოდეს. ეგ ადამიანის პატივისცემა კი არა, ეგ შერცხვენა იქნება. ცუდია. თავის მეცნიერების შემაგინებელია, ადამიანის მოღალატეა ის ექიმი, რომელიც სნეულს უებარს წამალს არ ასმევს მარტო იმის გამო, რომ მწარეაო.” *(“ივერიის” წინასიტყვაობა”. (I) 1877 წ. 3 მარტი).*

“ჭეშმარიტი პატივისცემა ის არის, რომ პირში, გულახდილად, ადამიანმა ადამიანს მართალი სიტყვა უთხრას. ისე უთხრას, რომ არ შეუგინოს, არ შეურაცხყოს მისი ადამიანობა, მისი კაცობრიული გრძნობა, ღირსება და პატივი, არ დაურღვიოს ის ძვირფასი და უკეთესი ზნეობითი კანონი, რომელიც კაცს კაცად ჰქმნის და რომლის მეოხებითაც იგი თავისთავს კაცად სცნობს და აღიარებს.” *(“ივერიის” წინასიტყვაობა”. (I) 1877 წ. 3 მარტი).*

“სხვა რა უფლებაა ადამიანისა იმაზედ უცილო, იმაზედ სანატრელი, იმაზედ წმინდა და უძვირფასესი, რომ კაცმა კაცისაგან პატივისცემა, ღირსეულად და მართებულად მოქცევა ითხოვოს?” *(“ივერიის” წინასიტყვაობა”. (I) 1877 წ. 3 მარტი).*

“სხვა რის მეოხედ უნდა იყოს მწიგნობრობა საერთოდ, თუ არ ადამიანის უფლების შემნატრედ, მწედ და მოსარჩელედ?” *(“ივერიის” წინასიტყვაობა”. (I) 1877 წ. 3 მარტი).*

“სხვა რით არის ადამიანი სხვა ცხოველზედ წინ წამომდგარი, თუ არ ამ ზნეობითის კანონით, რომ მეც კაცი ვარ, შენც კაცი ხარ, ერთმანეთის პატივისცემა გვმართებსო?” *(“ივერიის” წინასიტყვაობა”. (I) 1877 წ. 3 მარტი).*

“ჭეშმარიტი ლიტერატურა ყოველგან და ყოველს შემთხვევაში მართებულობის, ზრდილობის, ადამიანის ღირსებისა ფარიც არის და ხმალიცა.” *(“ივერიის” წინასიტყვაობა”. (II) 1885 წ. 31 დეკემბერი).*

“უზრდელობა, უმათებულობა, გაუპატიურება ადამიანის, უწვრთნელობის, გონება-გაუხსნელობის და უჯიშობის უტყუარი ნიშანია.” *(“ივერიის” წინასიტყვაობა”. (II) 1885 წ. 31 დეკემბერი).*

- **ეხლანდელს ზნეობით დავარდნილ დროში ფეხადგმულია უშვერი, უმსგავსო, სულელობით აღსავსე საქმე**

“ვგონებ, არა ქვეყანაში არ მოხდეს ის, რაც ასე აშკარად ჩვენში მოხდება ხოლმე. საკვირველია!.. რაც უნდა უშვერი, უმსგავსო, სულელობით აღსავსე საქმე იყოს, ჩვენში ფეხს გაიდგამს ხოლმე, მერე ისე, რომ ყურსაც არავის შეაბღერტინებს. არც მის მომქმედსა აქვს შიში, რომ მოვა დრო და მომკითხავს ვინმეო, არც მის მაყურებელს აქვს სირცხვილი, რომ აგრე პირუტყვულად რაზედ ვექელვინებიო.” *(“ვიცინოთ თუ ვიტიროთ”. 1877 წ.).*

“ლანძღვა-თრევა გოგო-ბიჭების ჩალაურშიაც საზიზღარია და გარეთ, მთელის ერის, მთელის ქვეყნის მოედანზედ _ რაღა თქმა უნდა.” *(“ივერიის” წინასიტყვაობა”. (II) 1885 წ. 31 დეკემბერი).*

“ჩვენ, ქართველებმა, ერთობ უწმაწური ლაპარაკი ვიცით ხოლმე, როცა სალაზღანდაროდ შევიყრებით, მაგრამ საჯაროდ კი გვეთაკილება ხოლმე უმართებულო სიტყვის ხმარება.” *(“შინაური მიმოხილვა”. 1879 წ. აპრილი).*

“თუ უწვრთნელს, უზრდელს, სხვის გამაუპატიურებელს, ჩვენს შინაობაშიაც, სახლობაშიაც, საცა მარტო ერთი-ორი კაცია, ვერ ვიშვნევთ და ვთაკილობთ, თუ მაგაების პატრონს ჩვენს საკუთარს პატარა ოჯახშიაც ფეხს არ შევადგმევინებთ და კარს ამოვუქოლავთ, მაშ როგორ-ღა უნდა შევიშვნიოთ, შევიწყნაროთ იგი იმ დიდს ოჯახში, საცა არამც-თუ მარტო მე და თქვენა ვართ ჩვენის ცოლ-შვილით, არამედ მთელი ერია, მთელი ქვეყანაა, იმიტომ რომ ლიტერატურას მთელს ერთანა აქვს საქმე, მთელს ქვეყანასთან.

ეს რაცა ვსთქვით იმას კი არა ჰნიშნავს, რომ აღმა მხვნელს და დაღმა მფარცხველს საქციელი უსათუოდ მოვუწონოთ, ანუ გავუჩუმდეთ, ავის მომქმედი არ გავამხილოთ, არ გავკიცხოთ. არა. ხოლო გამხელა და გაკიცხვა წუნის დადების საზღვარს არ უნდა გადასცილდეს. წუნის დადება და ლანძღვა-თრევა შორის-შორია, შუა დიდი მანძილი უდევთ. განა ცუდს ცუდი, ავს ავი არ დაერქმის ადამიანის ღირსების შეულახებლად, ადამიანის გაულანძღველად, თავლაფ-დაუსხმელად? ამ შემთხვევაში ავის მომქმედი არ უნდა გააბოროტო ლანძღვითა და თრევით, იმიტომ რომ გაბოროტება, ვით ძლიერი თავდაუჭერელი ვნებათა-ღელვა, გულის-ყურის კარს დაუხშობს, და იმ ზნეობით ძალს, რომელსაც ნამუსს ეძახიან და რომელიც ჭეშმარიტი გამკითხავია და მწურთვნელი კაცისა, ხმას აღარ ამოაღებინებს. ავის საქციელის მდევნელი ზრდილობიანი, მართებული, გონება-გახსნილი პატიოსანი კაცი რისთვის აღიძვრის ხოლმე დევნად? იმისთვის ხომ არა, რომ ზოგიერთებსავით სიხარულით ქუდი ჭერსა ჰკრას, აცა, ჩემს მოძმეს ძლივს ცუდი ვუპოვნეო. არამედ იმისთვის, რომ ან ავის მომქმედს ავი მოაშლევინოს, ან ავზედ სხვას აუხილოს თვალი.” *(“ივერიის” წინასიტყვაობა”. (II) 1885 წ. 31 დეკემბერი).*

“გულდამჯდარად, აუჩქარებლად, მართებულად, გულმტკივნეულად და გულწრფელად ნათქვამი სიტყვა, თუნდაც წუნისა, უფრო მჭრელია, უფრო შემძლებელი,

ვიდრე ნიშნმოგებული, გაწიწმატებული და გაბოროტებული ავყიობითა და წიწლაკიანობითა.

ამისთანა სიტყვას, წუნისა იქნება თუ ქებისა, ვერც ვერავინ ითაკილებს, ვერც ვერავინ იწყენს, იმიტომ რომ რაც გულის-ტკივილით და წრფელობით არის ნათქვამი, ბუნებითად არც სათაკილოა, არც საწყენი." *("ივერიის" წინასიტყვაობა". (II) 1885 წ. 31 დეკემბერი).*

"ის ღვთაებრივი გრძნობა, რომელსაც კაცებურის ღირსების გრძნობას ეძახიან და რომელიც უძვირფასესი და უდიდესი საუნჯეა ადამიანთათვის მომადლებული, უნდა პატივცემულ იყოს ყველგან და ყოველს ადამიანში, გლახაა თუ მდიდარი, ავაზაკია თუ ზნეობა-მაღალი; ასე მოიქცევა იგი, ვისაც თავისის საკუთარის კაცებობის ღირსების გრძნობა მჩვრად არ გადაუქცევია." *("ივერიის" წინასიტყვაობა". (II) 1885 წ. 31 დეკემბერი).*

"კაცობრიობის დიდებულთა ნაღვაწთა თირკმლები რომ გაუსინჯოთ, მთელს კაცობრიობის ახოვანს პროგრესს თავიდამ ბოლომდე გონების ნესტარი გაუტაროთ ნახავთ, რომ ყოველივე ეს მართლა-და დიდებული ნაომარი კაცობრიობის ხელისა, გონებისა და მხნეობისა სხვა არა არის-რა, თუ არ ძლევამოსილი სვლა კაცებურ ღირსებათა, გრძნობის აღსამატებლად მიმართული: რამოდენადაც ეს გრძნობა აღმატებულია, იმოდენად ძლიერია როგორც ცალკე კაცი, ისე მთელი ერიც. ყოველს-გვარს უბედურებას, უძლურებას ადამიანისას სათავედ ამ გრძნობის ძირს დაცემა აქვს. საცა ეს გრძნობა ცოტად თუ ბევრად ფეხადგმულია, იქ კაცი არამც-თუ ვისმე ან რასმე გაექელვინება თითონ, არამედ სხვის გაქელვის დანახვაზედაც მთელის თავის სამართლიანის გულის-წყრომით გამქელველს გულ-დაგულ შეეფეთება, როგორც დამრღვეველის იმ ზნეობითის კანონისას, რომელიც საყოველთავო ღირსების ფარია და, მაშასადამე, მისიცა. როგორც სხივნი მზისაგან, ყველა ნიჭი და მადლი ადამიანისა, სულიერი თუ ხორციელი, ამ გრძნობიდამ წარმომდინარებს და ყოველივე ისევ უკან მიერთმევა, ვით თავის დასაბამს." *("ივერიის" წინასიტყვაობა". (II) 1885 წ. 31 დეკემბერი).*

- **ქართველი კაცის საძაგელი სენი - ყიზილბაშობა**

"პირში ქებას ჭკუადამჯდარი კაცის თვალში დამპალ კიტრის ფასიც არა აქვს, პირში მაქებარს თავისის-თავის პატივმცემელი კაცი აი რას ეტყვის ხოლმე: ეგ ქება შენთვის შეინახე, სხვაგან გამოგადგება. მე-კი, ვაი რა ბალღი გგონივარ, რომ ჰფიქრობ მაამო და მით მომატყუოო." *("ჩვენი ეხლანდელი სიბრძნე-სიცრუე". 1896 წ.).*

"რაც კაცს თითონ არა აქვს, იმისი უხვად გაცემა და არ-დაზოგვა რა ისეთი ვაჟკაცობაა, რა ისეთი სასახელოა, რომ კაცმა კაცი ამისათვის აქოს და ადიდოს?" *("ჩვენი ეხლანდელი სიბრძნე-სიცრუე". 1896 წ.).*

"ჩვენ საწყალ ქართველებს ერთი სხვა სისაძაგლე სენიც გვჭირს _ ყიზილბაშობა. გულის შემაზრზენი, კაცის ღირსების დამმდაბლებელი პირფერობა, ურცხვი ტყუილი ქება, საძაგელი კლაკვნა და პირიდამ თაფლის დენა, რომელსაც ქართველი "ზრდილობას" ეძახის, _ ესენი ერთად შტოები არიან დამპალ ყიზილბაშობისა." *("ცისკარი" 1857 წლიდან 1862 წლამდინა". 1862 წ.).*

"ისე უყვარს ქართველს ეს გამრყვნელი და წამახდენელი სენი, რომ თუ არ აქე, თუ არ მიეფერე, პირიდამ თაფლი თუ არ იდინე, სულ ყველაფერი უზრდელობა და ლანძღვა ჰგონია." *("ცისკარი" 1857 წლიდან 1862 წლამდინა". 1862 წ.).*

“პირფერობა და ურცხვი, უალაგო ქება გლახის და მათხოვარის საქმეა და არა ჭეშმარიტების მსახურისა.” *(“ცისკარი” 1857 წლიდან 1862 წლამდინა”. 1862 წ.).*

“თავდაპირველადვე ქართველი კაცი უბედური ყოფილა, დაჩაგრული, უბედური და ყოველთვის ჩაგრული ყოველთვის ეჭვიანია და უნდო.” *(“ცისკარი” 1857 წლიდან 1862 წლამდინა”. 1862 წ.).*

“ქართველს კაცსაც ისე დაუშინდა გული, სხვისაგან თუ თავის მოძმესაგან, რომ სიკეთე რომ გინდოდეს, აღარ გენდობა, თითქო შიშობსო, რომ ეგ სიკეთე ბოლოს ჩემ დასაღუპავ მახედ არ დამეგოსო.” *(“ცისკარი” 1857 წლიდან 1862 წლამდინა”. 1862 წ.).*

“მრავალმა ბოროტებამ, მრავალმა ღალატმა, გმობამ, მტრობამ და შურმა ქართველი იქამდინ დააშინა, რომ ყოველი კაცი მიიჩნივა გველად, რომელიც ძნელად მოგეკარება და თუ მოგეკარა, ჯერ გულში ჩაგიძვრება, რომ მერე უფრო კარგად დაგშხამოს.” *(“ცისკარი” 1857 წლიდან 1862 წლამდინა”. 1862 წ.).*

“თქვენ არ იცით, რა ძალა აქვს საზოგადო ხმას: როცა ის კაცს აქეზებს, კლდეს გაარღვევინებს, სუსტსა ახოვნებას აძლევს; და როცა ისევ ის ხმა ბოროტობს, თვით ახილესსა ქონდრის-კაცად თუ არა ხდის, დაასუსტებს მაინცა.” *(“ცისკარი” 1857 წლიდან 1862 წლამდინა”. 1862 წ.).*

“ეგ არის კიდეც ძნელი, რომ ყველანი ერთმანეთის შეცდომასა გულგრილად უყურებთ; კიდეც ეგ არის ცუდი, რომა ყურს უკან კი ვლაპარაკობთ ერთი-ერთმანეთის ცუდზედა, და კარგს მოქმედებაზე პირში თქმას კი ვერიდებით.” *(“სფირიდონის და თადეოზის ბაასი”. 1861 წ.).*

“დაურიდებლობა და პირში თქმა ჩვენს საუკუნეში ღირსებაა.” (“*იგი წავა და სხვა მოვა ტურფასა საბაღნაროსა.” 1861-1863 წ.).*

“ცუდი თითონ საზიზღარი არ არის, საზიზღარი არის იმისათვის, ვისაც უთქვენოთაც განწმენდილი აზრი აქვს.” (“*იგი წავა და სხვა მოვა ტურფასა საბაღნაროსა.” 1861-1863 წ.).*

“თქვენ რომ ხედავდეთ რასმე ჩემს ცუდს, შეცდომილს მოქმედებასა, არა გმართებთ, მოვალე არა ბრძანდებით, რომა მე, თქვენ ძმისწულსა, მიჩვენოთ ჩემი შეცდომა, და მითხრათ: ამას შენ ცუდადა სჯი, ამას ცუდად სჩადიხარ, აგრე არ უნდა მოიქცე, თორემ სხვა ბევრს უმეცარსა კეთილი ეგონება ეგ შენი მოქმედება და მოგბაძებს შენა და ამგვარად, შენის მიზეზით, შევა შეცდომაშია და რომელიც კეთილი ჰგონია, უმეცრებითა, ბოროტად დაუბოლოვდება?” *(“სფირიდონის და თადეოზის ბაასი”. 1861 წ.).*

“მოვალეობა გაქვსთ, როგორც ჩემს მოყვასსა, ძმასა და ნათესავსა, რომა როდესაც დაინახოთ ჩემში ბოროტება, უნდა სცდილობდეთ აღმოფხვრათ ჩემში ის ბოროტება, თქვენის კეთილის დარიგებითა, რჩევითა და ტკბილის სიტყვითა, და თუ თქვენ გულრგილად დაუწყებთ ყურებასა ჩემსა შეცდომასა, მე, რადგანაც უმეცარი ვარ, ის თქვენი დაჩუმება თანხმობის ნიშნად მეჩვენება და სწორ გზაზე სიარულის ნაცვლად მე ბრუნდ გზა-წვრილზედ ვადგევარ და, ვინ იცის, ის გზა-წვრილი რა საშინელს ფლატეზე დამაგდებს და ვინ იცის, რამდენი სხვა ჩემისთანა უმეცარი კაცი მამდევს უკანა.” *(“სფირიდონის და თადეოზის ბაასი”. 1861 წ.).*

“შეგშვენისთ თქვენა გაჩუმება მაშინ, როდესაც ცხადად ხედავთ ჩემს შეცდომასა? რატომ არ მამკიდებთ ხელსა და არ მეტყვით: ეგ გზა ცუდს ადგილას გაგიყვანს, ნუ მიხვალ აგრე. აი კაი გზა, რომელზედაც უნდა გაიაროს ყოველმა კეთილ-გონიერმა კაცმა. იქნება მე არც კი დაგიჯერო, მაგრამა, შესაძლო არის, რომა ჩემი მომდევართაგანი ოცში ერთი იყვეს დამჯერო და გულისხმიერი და იმან დაგიჯეროს; მაშინ იმ ერთ კაცის კარგს

გზაზე დაყენებისათვის თქვენ უნდა ხარობდეთ და კმაყოფილი იყვნეთ თქვენი თავისა." *("სფირიდონის და თადეოზის ბაასი". 1861 წ.).*

"ყველანი ვალდებულნი ვართ, მოყვასს ხელი მივაწოდოთ და ჯურღმულიდგან ამოვიყვანოთ." *("სფირიდონის და თადეოზის ბაასი". 1861 წ.).*

"ლანძღვა არ შეშვენის კაცსა არას დროს, არც პირად თქმითა და არც ქაღალდზედ გამოცხადებითა." *("სფირიდონის და თადეოზის ბაასი". 1861 წ.).*

"რა გამოვა იმ ბავშვისაგანა, რომელსაც არა ჰყავს კარგი დამრიგებელი, ან სრულიად არა ჰყავს დამრიგებელი?" *("სფირიდონის და თადეოზის ბაასი". 1861 წ.).*

"განა არ იცი ქართული ანდაზა: "პირში მაქებელი ეშმაკის მოციქულიაო?" *("სფირიდონის და თადეოზის ბაასი". 1861 წ.).*

"განსჯაში და დარიგებაში ლაპარაკის კილოსა დიდი მნიშვნელობა აქვს: შეიძლება კაცმა გითხრას ტკბილი სიტყვა, მაგრამ იმ დროს ისე გაიღიმოს, რომა იმ ღიმილმა ის ტკბილი სიტყვა გაამწაროს; შეიძლება უკმეხი სიტყვა ისეთს კილოზე გითხრას, რომა საწყენად არ მიიღო, მაშასადამე, ლაპარაკში შნო უნდა ჰქონდეს კაცსა." *("სფირიდონის და თადეოზის ბაასი". 1861 წ.).*

"დარიგებაში დაცინებას ხელი არა აქვს. ან რაღა დროს სიცილია მაშინა, როდესაც ყველა საქმის გაკეთებას სცდილობს." *("სფირიდონის და თადეოზის ბაასი". 1861 წ.).*

"სჯობს, რომა თითონ ამხანაგს მისცე დარიგება და მართალს კი სამართალი მისცე." *("სფირიდონის და თადეოზის ბაასი". 1861 წ.).*

- **შენ რომ ცუდკაცობდე, კაიკაცობაზედ სხვას მაინც ნუ გალანძღავ**

"მაგისთანა ნამუსახდილ კაცისაგან ქვეყანაა დაღუპული. კაცს კაცი ვეღარა ჰნდობია. მაგის გამოისობით კარგს მოჯამაგირესაც სახელი აქვს გატეხილი. თვითონ ხომ ეძინა და ეძინა, კამეჩებიც მიეღრძო ურემზედ. იმათ საცოდაობამ დამწვა, რომ სხვა არა იყოს რა." (*"ოთარაანთ ქვრივი". [1886] – 6 ქრისტეშობისთთვეს 1887 წელსა).*

"ვერ გამოეცნოთ გლეხკაცობაში საიდამ და როგორ უნდა დაწნულიყო ამისთანა ზნე, ამისთანა ხასიათი." (*"ოთარაანთ ქვრივი". [1886] – 6 ქრისტეშობისთთვეს 1887 წელსა).*

"ამას იქით ჭკუა იცოდე: შენ რომ ცუდჰკაცობდე, კაიკაცობაზედ სხვას მაინც ნუ გალანძღავ." (*"ოთარაანთ ქვრივი". [1886] – 6 ქრისტეშობისთთვეს 1887 წელსა).*

ეგ ცოტაა. ნამუსი ჰქონია, ნამუსი!.. ის დიდი ნამუსი, რომელიც სხვისასაც ისე "ერჩის, როგორც თავისას." (*"ოთარაანთ ქვრივი". [1886] – 6 ქრისტეშობისთთვეს 1887 წელსა).*

"რაც კარგია, იქ დიდპატარაობა მოსატანი, სახსენებელი არ არის. რაც კარგია _ თავისთავად დიდია. ჰხედავ, უსწავლელი კაცია. მაგისი ნამუსი ჭკუით კი არ არის ახილებული, გულით გამოკვებილია, მარტო გულით. ეს დიდი საქმეა, ჩემის ფიქრით, იმიტომ რომ მაგისთანა ნამუსი მთელის გვამის, მთელის აგებულების წყურვილია, როგორც სითბო სიცივეში, როგორც სიგრილე სიცხე-პაპანაქებაში, როგორც პური შიმშილში. მინამ ჭკუა იტყვის, ჭკუა ურჩევს, გულმა იცის, რა ჰქმნას. ეს დიდი საქმეა-მეთქი, დიდი." (*"ოთარაანთ ქვრივი". [1886] – 6 ქრისტეშობისთთვეს 1887 წელსა).*

"_ რაო? დედის ავად ხსენება იწყინა, სხვა ხომ არაფერია?

_ ეგ ბოლოა. შენ სათავე მოუჩხრიკე ამ საქმესა. გულმა არ მოუსვენა, ცხენი რომ მოუვლელი ჰნახა და მეჯინიბე არხეინად მწოლარე. საქმე და მოსაქმე ერთმანეთს გაჰყროდა და ეს მართალმა გულმა იუცხოვა, არ შეიფერა. ხომ არც ცხენი იყო იმისი, არც

მეჯინიბე იმისაგან დავალებული. რა ეწოდა, რა უნდოდა, ჩვენად რომ ვიკითხოთ? ჩვენი ამება? ჩხუბი რომ არ მოსვლოდათ, ეს ამბავი ჩვენამდე ხომ არც კი მოაწევდა. მეჯინიბის ჯავრი სჭირდა და მიზეზი მოუდო? რა ჯავრი უნდა სჭირებოდა, კაცს პირველადა ჰხედავს. არც ერთი და არც მეორე. საწანახედოდ გამხდარი საქმე ჰნახა, იქავ ხელთუძრავი მოსაქმე და გულმა არ მოუთმინა. რაც გინდა სთქვი და, ეს დიდი ნიშანწყალია კაცობისა... სწორედ დიდი ნიშანწყალია. ეხლა მესმის, რაც იყო, იმ დღეს მეწისქვილემ გვიამბო. აი, ბურკიაშვილის კამეჩი რომ დაეჭირა მინდვრიდამ მომავალს და კახუაშვილისათვის მიეყენებინა კარზედ, შენს ჯეჯილს აფუჭებდაო. მე თუმცა ზოგიერთი ამბები ვიცოდი გიორგისა, მაგრამ, ღმერთო შეგცოდე, აქ კი გავიფიქრე, უთუოდ ბურკიაშვილის ჯავრი სჭირებია-მეთქი გიორგის. ეხლა ვნანობ, რომ ეს გავიფიქრე და ამ ფიქრით შევუგინე ნამუსი მაგ პატიოსანს კაცსა.

_ ბოდიში მოიხადე, _ უთხრა დამ გულითადად და ჭკვადასმით, რაკი ხუმრობა-გაშვებით ჩაუკვირდა თავის ძმის ნათქვამსა.

ბოდიშს იმითი მოვიხდი, რომ მე მაგას შეგირდად მივებარები, დიაღ, შეგირდად. ჩვენ რანი ვართ მაგასთან!.. დეე, გვასწავლოს და გვწურთნოს...” (*“ოთარაანთ ქვრივი”. [1886] – 6 ქრისტეშობისთთვეს 1887 წელსა).*

“მის სახეს არ აგიწერ, მკითხველო, იმისათვის, რომ საცა ლაპარაკია სულის სიღონეზედ და ადამიანობის ზნეობითს ძალაზედა, იქ სახე შენთვის საჭირო არ არის.” (“*იგი წავა და სხვა მოვა ტურფასა საბაღნაროსა.” 1861-1863 წ.).*

“განკიცხვა, ესე იგი გამოფენა ცუდისა, კი არ უნდა, კაცის აზრის განწმენდა უნდა. ესე იგი ყოველი ჩვენგანი იქამდინ უნდა განვითარდეს, რომ მის გონიერებას თავისი საკუთარი საზომი ჰქონდეს. აი მოედანი. იღვაწეთ, გულმტკივნეულნო გამკიცხველნო! *(“იგი წავა და სხვა მოვა ტურფასა საბაღნაროსა”. 1861-1863 წ.).*

“განკიცხვა ერთი იმ ღონისძიებათაგანია, რომლითაც ადამიანს შეუძლიან მაგ განვითარებამდინ მისვლა.” (“*იგი წავა და სხვა მოვა ტურფასა საბაღნაროსა.” 1861-1863 წ.).*

“კაცის გამცარცველს, ანუ კაცის მკვლელს დაუხატეთ მისი ავკაცობის სურათი, განეწმინდება გონება? იმისთანა სურათს ხომ არ დაუხატავთ, რომელსაც იგი თავისთვისა შეჰქმნის ხოლმე და ყოველთვის თვალწინა აქვს. რატომ არ ეზიზღება თავისი ხელობა?

_ იმათთვის განკიცხვას ძალა არა აქვს. ისინი სნეულნი არიან ჩვენ შორის. იმათ წამლობა უნდა.. ხოლო იმათი სიცუდის გამოფენა სხვას შეაყენებს.” (“*იგი წავა და სხვა მოვა ტურფასა საბაღნაროსა”. 1861-1863 წ.).*

“თქვენის აზრით, თქვენი განკიცხვა იმ წრეს ვერ გაასწორებ, როგორც ცუდს კაცს მისი ცუდის საქმის გამოფენა. ახლა ერთი ეს მითხარით, მაშ რიღასთვის ჰკიცხავთ? რომ სხვა შევაყენოო, მეტყვით მე. რაზედ უნდა შეაყენოთ?

_ რომ ის ცუდი არ მიითვისონ, რაც თან სდევს იმ წრესა.” (“*იგი წავა და სხვა მოვა ტურფასა საბაღნაროსა”. 1861-1863 წ.).*

“ქალაქი ჭირივით ეჯავრებოდა და ხშირად იტყოდა: ხომ ჩვენი ქალაქია, მაგრამ იქ გული არ მიდგება, თითქო ჩვენები აბარგებულან და გახიზნულან და სხვები დასახლებულანო. გული გულს აღარ ეკარება და სურვილი სურვილსაო. ლეჩაქი რა არის ლეჩაქიც კი ვეღარსად დაგინახავს, თითქო ნამუსთან ერთად ისიც მოუხდიათ და გადაუგდიათო.” (“*უცნაური ამბავი”. 1893 წ.).*

“ჩვენ ერთმანეთს გულმოდგინედ
ვწეწდით და ვიწეწებოდით.”
“ჩვენც ლამაზად სულყველასა,

თვითო-თვითოდ ვღალატობდით.”

(“რა ვაკეთეთ, რას ვშვრებოდით ანუ საქართველოს ისტორია მეცხრამეტე საუკუნისა”. 1871 წ. 24 აგვისტო).

“აქ არვის _ დიდსა, თუ პატარასა, _
ქვეყნის ტკივილით არ სტკივა გული.”
“მაგრამა ღალვა, შური და მტრობა
იმ ზოგთა შორისც ღრმად ჩანერგულა.”
“ერთმანეთისა მათ სიკეთე ჰშურთ,
თუმც ერთისათვის თითქო იღწვიან.”
“თვით ამხობენ მას, რის აღდგენაც ჰსურთ,
თვით ჰშველიან მას, რასაც ებრძვიან.” *(“აჩრდილი”. 1859 წ.).*

- **არა-თქმულის თქმა – ზნეობრივად გაუმართლებელი თვისებაა**

“აი ეს არა-თქმულის თქმაა იგი არასასიამოვნო თვისება, რომელსაც ჩვენს ქართულ პოლემიკაში, კამათობაში, ჩვენდა სამწუხაროდ, პირველი ადგილი უჭირავს ხოლმე.” *(“ტფილისის ქართული საადგილმამულო ბანკი”. 1886 წ. 24 მაისი).*

“დიაღ, ძმები ვართ ყველანი და ძმათა შორის მწარე მართალი სჯობია ტკბილს ოცნებასა.” *(“ტფილისის ქართული საადგილმამულო ბანკი”. 1886 წ. 24 მაისი).*

“არამცთუ საზოგადოებრივს საქმეში, კერძო კაცის საქმეშიაც შესაწყნარებელი არ არის იმისთანა მითქმა-მოთქმა, რომელსაც მოკლე ფეხები აქვს, რადგანაც შინაგანად ყოველ ღირსებას მოკლებულია.” *(“ტფილისის ქართული საადგილმამულო ბანკი”. 1886 წ. 26 მაისი).*

“თუ ამისთანა მითქმა-მოთქმა ზოგჯერ სჭრის და ფეხს იკიდებს ხოლმე, ეგ მარტო იმიტომ, რომ გულის მოსაგები ფერ-უმარილი უსვია და, თუ კაცი არ ჩაუფიქრდა, ადვილად წაიტყუებს ხოლმე. როცა კაცს ცალკე და საზოგადოებას ერთად რამ უჭირს და ეძიებს სახსარს გაჭირებისაგან თავის ხსნისას, მაშინ ჭეშმარიტმა მოძმემ, მართალმა გულშემატკივარმა, ისეთი რჩევა უნდა მისცეს, რომელიც გარემოებას შეეფერება და რომელიც ასახდენია და აღსასრულებლად შესაძლებელი. თორემ იმას რომ გამოუდგეთ, _ აცა, რაც იამება, ის ვუთხრაო, ეს ძმობა კი არა, _ მტრობა იქმნება და, სწორედ მოგახსენოთ, ადვილი საქმეც არის. ამისთანა შემთხვევაში საქმე ის-კი არ არის _ გაჭირვებულის გული მოიგო ცარიელის სიტყვით, არამედ ის, რომ თუ საშველია რამ, ეშველოს, თუ არა და მოურიდებლად, პირდაპირ, ღობე-ყორეს მოუდებლად, უთხრათ: საშველი არ არის და ტყუილად გაგიზვიადებია სურვილი-თქო.” *(“ტფილისის ქართული საადგილმამულო ბანკი”. 1886 წ. 26 მაისი).*

“იყო, მაგალითებრ, დრო, როცა ბატონ-ყმობის გაუქმების ხმებით შეწუხებულს თავად-აზნაურობას გულსა ჰფხანდნენ იმით, რომ თვითო კომლს კაცზედ სამოც-სამოც თუმანს გამოგიტანთო, ნუ გეშინიათო. რა თქმა უნდა, ამ გულის მოსაგებს აღთქმას ბევრი აჰყვა, მაგრამ ბევრმა კი დიდის ეჭვით გაიქნია თავი და ეს დაუჯერებელი დაპირება ქარს გაატანა. ეს უჯერო ხალხი ამბობდა: “ნუ გჯერათ, ეგ შეუძლებელი არისო. ვინ იტყვის, რომ სამოც-სამოცი თუმანი თითო კომლზედ კაი ლუკმა არ იყო, მაგრამ ვინც კი ამ ლუკმისათვის მაშინ პირი დააღო, ისე პირღია დარჩა დღევანდლამდე.

ამისთანა მითქმა-მოთქმას ჩვენის ბანკების თაობაზედ ხომ ბოლო არა აქვს. ერთხელ და ერთხელ საჭიროა რომ ბოლო მოეღოს. ეს მითქმა-მოთქმა თვითონ ბანკებსაც აბრკოლებს, სახელს და აბრუს უტეხავს, ბანკიდამ ვალის ამღებსაც რაღაც ტყუილ იმედებს აძლევს და უამისოდაც უზრუნველს უფრო უზრუნველადა ჰხდის. ბანკიც წაგებაშია ამ უზრუნველობის გამო და ვალის ამღებიცა. ამ შემთხვევაში ღობე-ყურეს მოდება ღალატია საქმისა. საჭიროა გულახდილად ლაპარაკი, პირდაპირი, პირმოუფერებელი თქმა." *("ტფილისის ქართული საადგილმამულო ბანკი". 1886 წ. 26 მაისი).*

"რამდენსაც ტყეში შორსა და შიგნით შესდიხართ, ამბობს რუსული ანდაზა: იმოდენად უფრო მეტი შეშაა." *("ტფილისის ქართული საადგილმამულო ბანკი". 1886 წ. 28 მაისი).*

- **ბეზღობა ყველა კაცისათვის შემაზრზენი უზნეო საქციელია და უბედურობაა ერისა**

"დრო იყო, რომ მაგ ბეზღობით კაცს სვე გაჰქონდა ცხოვრებისა." *("ამბავი ყბად-ასაღები და წყალ-წასაღები". 1889 წ.).*

"ბეზღობა ძველის-ძველი ხელობაა." *("ამბავი ყბად-ასაღები და წყალ-წასაღები". 1889 წ.).*

"ბეზღობა ყველა პატიოსან კაცისათვის შესაზრზენია, ნამეტნავად მაშინ, როცა ეს საძაგელი ხელობა ლიტერატურაში თავის დუქანს გააღებს ხოლმე და თავის საქონელს ურცხვად გამოჰფენს." *("ამბავი ყბად-ასაღები და წყალ-წასაღები". 1889 წ.).*

"ბეზღობა ბეზღობად ჰრჩება და ყოველი კაცი თავის უდიდეს მოვალეობად უნდა ჰხადიდეს, _ ამ სამარცხვინო და თავლაფიანს ხელობას მისი საკადრისი დაღი დაასვას." *("ამბავი ყბად-ასაღები და წყალ-წასაღები". 1889 წ.).*

"ბეზღობა-კი ყველასათვის მავნებელი ჭირია და საზიზღარი ჭირიცა. ეგ მეტად ავი ჩირქია მეტად ავის მუწუკისა და მაგ მუწუკს ძირიან-ფესვიანად ამოჭრა უნდა და მატლსავით ფეხქვეშ გასრესა." *("ამბავი ყბად-ასაღები და წყალ-წასაღები". 1889 წ.).*

"უბედურობა რომელიმე ერისა, დიდი არის თუ პატარა, სხვათა შორის _ ისიც არის, როცა ერთგვარს ბეზღობას, რომელსაც პოლიტიკურ ბეზღობას ეძახიან, დიდი ავალა მიეცემა, ფართო გზა გაეხსნება და აღებ-მიცემობის საგნად გახდება. როცა ბეზღობა, _ ეგ უწმინდური ძალ-ღონე გაცვეთილის კაცისა, პირახდილი დაიარება, არამცთუ უსირცხვილოდ, თავმოწონებითაც ფარფაშობს და ლუკმაპურს აწვდის მაბეზღარს, _ მაშინ პირდაპირ შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ საზოგადოების წყობას საძირკველი შერყევიაო და აღსასრული მოახლოებიაო". *("კატკოვის პასუხად". 1880 წ. 23 თებერვალი).*

"ბეზღობის ასეთის პატივით ყოფნა საზოგადოებაში უტყუარი ნიშანია თვით საზოგადოების სისუსტისა, დაუძლურებისა და დარღვევისა. მაგ საძაგელს ფარ-ხმალს სულმოკლეობისას და ჯაბანობისას სამჭედურად აქვს ხოლმე ყოვლად გახრწნილი და ამყაყებული გული ჩირქიანის კაცისა, და საბერველად კიდევ "შაბაში" და "ბარაქალა" იმისთანა კაცებისა, ვისაც ბეზღობა და ერთგულება ერთს ფარდაში მოუქცევია და ერთმანეთში განგებ ვერ გაურჩევია". *("კატკოვის პასუხად". 1880 წ. 23 თებერვალი).*

"თვითონ მაგ სამარცხვინო ფარ-ხმალის მჭედელს, ბეზღის მთქმელს, როგორც იქნება, ადამიანი გაუძლებდა, მოიგერიებდა, რომ გამგონი და დამჯერი არა ჰყვანდეს, რომ მაგ საზიზღარის ფარ-ხმალით მორთულს შაბაშის და ბარაქალას ძახილით არ აქეზებდეს იმისთანა წმინდა რამ, როგორიც ლიტერატურაა. როცა ლიტერატურა, _ ეგ

ადამიანის ჭკუისა და ზნეობის საგანძე, _ შეიკედლებს მაგ საძაგლობას, როცა მაბეზღარს თავის კარს გაუღებს ხოლმე, მაშინ თვით საზოგადოების გახრწნილება ცხადია და სულთ-მოძრაობა მისის წყობისა უეჭველია". *("კატკოვის პასუხად". 1880 წ. 23 თებერვალი).*

"ყველაზე საშიშარი და საზიზღარი ბეზღობა ის ბეზღობაა, რომელსაც საგნად მთელი ერი ჰყავს, ნამეტნავად იმისთანა ერი, რომელიც "შემთხვევისა გამო სხვისა და სხვისა" ყოველ ღონეს მოკლებულია, რომ თავი იმართლოს, თავის გულისნადები, სულისწყურვილი საქვეყნოდ გამოჰფინოს. ამისთანა ერის წინაშე ერთი გაცვეთილი მაბეზღარი უფრო შემძლებელია და ღონიერი, ვიდრე მთელი ერი. იმიტომ რომ მაბეზღარს ყოველივე იარაღი ხელში აქვს და დაბეზღებული-კი იარაღაყრილია. დაბეზღებულს აღარა დარჩება-რა ხოლმე იმის მეტი, რომ გულში უნდა ჩაიხვიოს უსამართლოდ გაუპატიურებული, მაგრამ სამართლიანად გაბოროტებული გრძნობა. ეგრეთ ჩახვეული გრძნობა სალესავია იმისი, რის დაჩლუნგებაც სასურველია ხოლმე". *("კატკოვის პასუხად". 1880 წ. 23 თებერვალი).*

"მერე ვისგან არის შემდგარი მაბეზღართა რაზმი? რა ჯურის კაცნი არიან? ეგენი არიან მოხელენი, რომელთაც რუსეთის სიყვარული კი არ ამოქმედებს, არამედ მათი საკუთარი დამშეული კუჭი. ეგ იმისთანა მოხელენი არიან, რომელთაც თავისის ბოროტმოქმედებით იმოდენად შეურცხვენიათ თავიანთი თავი, რომ თვით ყოვლადშემწყნარებელს ამგვარებში მთავრობას ვეღარ შეუწყნარებია იმათი სამსახურში ყოფნა და გამოუყრია. ან კიდევ იმისთანანი, რომელნიც ჯერ კიდევ თავის ადგილას სხედან და საღერღელი-კი აშლიათ მაღლა აცოცვისათვის, ვერასგზით-კი ვერ აცოცვილან. ან კიდევ იმისთანანი, რომელნიც თავის უხეირობით და უნიჭობით ვერას გამხდარან და უნდათ თავი როგორმე გამოიჩინონ, თვალი ჩვენ უფრო გვიჭრისო და შორს ჩვენ უფრო ვხედავთო.

ეს სამივე წყება მაბეზღართა რაზმისა ერთსა და იმავე კურდღელს სდევნიან დასაჭერად. "აი, ქვეყნის ერთგულნი ჩვენა ვართო, ძაღლურის ალღოს აღება ჩვენთვის მოუნიჭებია ღმერთსაო, ჩვენ ყველაფერს ვამხელთ, რასაც სხვანი ხელს აფარებენო და, ჯილდოს მაგიერ, ჩვენვე გვდევნიან, სამსახურიდამ გვყრიანო, სამსახურში წინ არ მივყევართო. აბა, ერთი ხელში ჩაგვიგდონ რაიმე მოხელეობა და მაშინ ჩვენ ვიცით, რას აღმოვაჩენთო და რამდენს დაფარულს გამოვაქვეყნებთო", და სხვა და სხვანი". *("კატკოვის პასუხად". 1880 წ. 23 თებერვალი).*

"რა საკვირველია, რომ მე ჩემი უფრო მიყვარდეს, ჩემსას უფრო შევხაროდე, ჩემი უფრო მიამებოდეს და ჩემსას უფრო ხელს ვუწყობდე". *("კატკოვის პასუხად". 1880 წ. 23 თებერვალი).*

"გული ადამიანისა ფიცარი ხომ არ არის, რომ ერთი წაშალო და მის მაგიერ სხვა რამ დასწერო. გრძნობა თავისიანის სიყვარულისა ისეთივე ძლიერი, ისეთივე მკვიდრია, ისეთივე ბუნებრივია, მაშასადამე ისეთივე სამართლიანი და პატივსაცემი, როგორც სიყვარული მამა-შვილური, დედა-შვილური. ვერა ძალი მაგ სიყვარულს ვერ ამოჰკვეთს ადამიანის გულიდამ! ყოველივე იარაღი მის წინაშე უქმია!" *("კატკოვის პასუხად". 1880 წ. 23 თებერვალი).*

"გაცვეთილის კაცისაგან ყველფერი მოსალოდნელია, მაგრამ ეგრე უკადრისად ხსენება მისი, რასაც ყოველი პატიოსანი კაცი, ყოველი ერი თაყვანსა სცემს, როგორც ემბლემას ერის პატიოსნებისას, ერის ღირსებისას, რომლის შეუმწიკვლელად დაცვისათვის _ არამცთუ ცალკე კაცი, არამედ მთელი ერი ყველგან დედამიწის

ზურგზედ სიცოცხლეს არა ზოგავს და მისთვის სიკვდილი სახელად და დიდებად მიაჩნია, _ იმის ეგრეთ უკადრისად ხსენებას, არ ვიცით, რა სახელი დავარქვათ და მისი ეგრეთ მომხსენებელი რა სულიერებაში შევრიცხოთ". *("კატკოვის პასუხად". 1880 წ. 23 თებერვალი).*

"ეგ დროშა, რომელიც ეგეთის სასოებით და პატივით უტარებია იმოდენა ხანს უწინდელს ქართველს, ეგ დროშა, რომელიც წინ დახვედრია მოზღვავებულს თათრობას და მუსულმანობას და ქრისტეს ჯვარი თამამად წინ წაუმძღვარებია, ძლევამოსილობით ომიდამ გამოუტანია და დაუმკვიდრებია კავკასიაში, ეგ დროშა, რომელსაც აწინდელი ქართველი იმავე ვაჟკაცობით და თავგამომეტებით თან გაჰყოლია და რუსებთან ერთად სისხლი უთხევია მამულისათვის". *("კატკოვის პასუხად". 1880 წ. 23 თებერვალი).*

"აბა რა ეთქმის ამისთანა კაცს, რომელიც მაბეზღარის საქებურს ხელობას შესდგომია და იმოდენა მოხერხებაც კი არა ჰქონია, რომ ესე ადვილად გამოსაჩხრეკ თაღლითობასაც არ მორიდებია, ჟინი ბეზღობისა, შურისგებისა, ჟინი გულღვარძლიანობისა, როგორც ყოველივე სხვა უწმაწური ჟინი, ძნელად თავდასაჭერია, რაკი კაცს შესჩვევია". *("ნუთუ". 1905 წ.).*

"ნუთუ იქნებაღა მთელს ქვეყნიერებაზე სხვა საგანი ბეზღობისა ამაზე უფრო უუსაძაგლესი, ამაზე უფრო შემაზრზენი, ამაზე უფრო გულისასამღვრევი? _ ნუთუ ამისთანა მაბეზღარის ხელშემწყობს გაზეთს, თუ ჟურნალს, პრესა ჰქვიან თვით პრესის სამარცხვინოდ? თუ ასეა, ნუთუ სამართალი არ მიგვიძღვის წყევლა-კრულვით ეს ამისთანა ადამიანის ხელუხლებლობის წამწყმედი და ძირს დამცემი პრესა შევაჩვენოთ! ნუთუ სამართლიანის გულისწყრომით არ უნდა მიღებულ იყოს თვით პრესისგანვე ამისთანა ყოვლად უკადრისი საქციელი?" *("ნუთუ". 1905 წ.).*

"მე ამას მარტო იმისათვის კი არ ვამბობ, რომ ამ შემთხვევაში მე ვარ გაწბილებული, შეგინებული და ასე უწყალოდ ხელშეხებული. ხოლო ეს აქლემი ხვალ თქვენწინაც დაიჩოქებს. ვინ არის თავმდები, რომ ხვალ ამისთანა დღე თქვენც არ მოგაყენოს ერთმა ვინმემ თავზედხელაღებულმა მაჩანჩალამ იმ ერთგვარ გაზეთისამ თუ ჟურნალისამ, რომელსაც წმინდა სახელი და დანიშნულება პრესისა მჩვარად უქცევია, ადამიანობა და ადამიანი ბეზღობის და ცილისწამების საგნად გაუხდია და დიდი მოძღვრება ადამიანის ხელუხლებლობისა მარტო თავის სახეიროდ, თავის საფარველად გარდაუქმნია." *("ნუთუ". 1905 წ.).*

"ბეზღობა, ჯაშუშობა, სამართლიანად ცნობილია ვითა ყოვლად საზიზღარი საქციელი და უტყუარი, უცილობელი მაჩვენებელია მაბეზღარის და ჯაშუშის გულჭუჭყიანობისა, სულმდაბლობისა და ერთობ ზნედაცემულობისა". *("ნუთუ". 1905 წ.).*

"არ ვიცი, _ რომელი ბეზღობა და ჯაშუშობა უფრო საძაგელია: იგი, რომელიც პოლიციის ხელჯოხიანობას გამოიწვევს, თუ იგი, რომელიც ერთს კაცს მეორეს გადაჰკიდებს მტრად, ერთს წოდებას მეორეზე აალურსებს და აასისინებს, ან თუნდ ცალკე კაცს, როგორც ამ შემთხვევაში მე ვარ, მთელს გლეხკაცობას პირში მისცემს, ვითარცა მათ მოძმეთა მყვლეფელს და მათ მოძმეთა მკვლელს, ყოვლად უსაბუთოდ, ყოვლად უმიზეზოდ". *("ნუთუ". 1905 წ.).*

"არის ზოგიერთი იმისთანა ზნეობრივი კანონი, რომელიც კაცთა ერთმანეთობით ცხოვრებას საძირკვლად უდევს და რომელიც ყველასათვის ერთნაირად სავალდებულოა, რა დასისა და რწმენისაც გინდა იყოს, და ერთი ამ კანონთაგანი ის არის, რომ რაც შენ არ გინდა მოგივიდეს, იმას ნურც სხვისთვის მოინდომებო". *("ნუთუ". 1905 წ.).*

- **ჰოსა და არას ჭიდილია ერთად-ერთი გზა ჭეშმარიტების აღმოჩენისა და პოვნისა**

"მთელი ისტორია კაცობრიობისა ყოველ-გვარს სფეროში, საცა-კი ადამიანს წარმატების ძლევამოსილობა მიუძღვის და არ მიუძღვის, სხვა არა არის-რა, გარდა გაუთავებელის ჭიდილისა "ჰოსა და არას" შორის." *("უარმყოფლობა ჩვენში". 1888 წ.).*

"ყოველივე ჭეშმარიტება, ყოველივე საქმე, რაც კაცობრიობას აღმოუჩენია კაცთა ცხოვრების გულის, გონების განსაკარგებლად, გასაძლიერებლად, წარსამატებლად, ჰოსა და არას ჭიდილით მოუპოვებია. ჭეშმარიტების აღმოჩენას, საქმეს ცხოვრების ასე თუ ისე გაწყობისასა და გარიგებისას, სხვა გზა არ აქვს ამ ერთად-ერთის გზის მეტი." *("უარმყოფლობა ჩვენში". 1888 წ.).*

"რა საგანსაც, რა მოვლენასაც-კი, კაცთა ხელიდამ, თუ გონებიდამ გამოსულს, გულში ჩაჰხედავთ, დაინახავთ, რომ ჰო-არაობის ჭიდილისა და ქარცეცხლშია გამოტარებული." *("უარმყოფლობა ჩვენში". 1888 წ.).*

"ჰოსა და არას ჭიდილია ერთად-ერთი გზა ჭეშმარიტების აღმოჩენისა და პოვნისა." *("უარმყოფლობა ჩვენში". 1888 წ.).*

"უარყოფა ცალკე, ჰოსთან არ-დაპირისპირებული, არ შეჭიდებული, ჭეშმარიტებისათვის სვის გატანაში სრულიად უღონოა, როგორც ჰო, ამ შემთხვევაში ცალკედ უღლის მწეველი." *("უარმყოფლობა ჩვენში". 1888 წ.).*

- **ერის ღირსეულ შვილთა ღვაწლის დაფასება ერის მაღალზნეობრიობის ნიშანი და მაგალითია, რომ მისი გონების თვალი ახილებულია**

"როცა ერი ყოველს მოვლინებას და საქმეს მის გარშემო მომხდარს, ყოველს ნახულს, გაგონილს და ყოფილს საზოგადო მნიშვნელობისას _ გონებით დააკვირდება, ღირსსახსოვარს, ავსა და კარგს, _ ხსოვნისათვის ანუსხავს, გულში ჩაირჩენს და სასწორზედ სწონის ფასის დასადებლად, _ მაშინ პირდაპირ და უტყუარად შეიძლება კაცმა სთქვას, რომ იგი ერი გონებითად ჰასაკში შედის, ჭკუა, გული და ცნობიერება დასძვრია მოქმედებისათვის და ფეხი შინიდამ გარეთ გამოუდგამს კაცურის ცხოვრებისათვის. ეს ნიშანი მაშინ უფრო ნამეტნავად უტყუარია, როცა ესეთი ყურადღება ერისა მიიქცევა ხოლმე იმისთანა კაცზედ, ვისაც რაიმე ღვაწლი მიუძღვის ერის წინაშე. ამისთანა კაცის დაფასება და დამსახურებულის პატივისცემა ცხადი მაგალითია, რომ ერის გონების თვალი ახილებულა." *("შინაური მიმოხილვა". 1882 წ. სექტემბერი)*

- **ღვაწლის დაფასება: ევროპის მაგალითი**

"განათლებულმა ევროპამ დიდი ხანია ჩვეულებად მიიღო ამისთანა კაცების მიმართ პატივისცემის და სიყვარულის გამოცხადება საჯაროდ, საქვეყნოდ." *("შინაური მიმოხილვა". 1882 წ. სექტემბერი).*

“ინგლისში ცალკე სასაფლაოა, საცა ვერც სიმდიდრე, ვერც გვარიშვილობა, ვერც დიდკაცობა ადგილს ვერ შოვობს, და საცა მარტო სახელოვანთა ინგლისელთა, გამოჩენილთა _ ლიტერატურაში, მეცნიერებაში, ერის სამსახურში, _ უკანასკნელი სადგური ეძლევათ ხოლმე მადლობელის ერისაგან, საცა დასაფლავება ყოველს ინგლისელს სანატრელად და სასახელოდ მიაჩნია და საცა ყოველი ინგლისელი თაყვანებით თავს იხრის ხოლმე და მუხლს იდრეკს თავისის ერის დიდებულთა წარმომადგენელთა მტვერის წინაშე.” *(“შინაური მიმოხილვა”. 1882 წ. სექტემბერი).*

“ევროპაში, ერისათვის მოღვაწე კაცი არამც თუ მარტო ქვეყნის სახელი და დიდებაა, არამედ თვითოეულის თანამემამულისაცა ცალკედ. იქ თვითოეული მამულის-შვილი ისე უფრთხილდება ერისათვის მოღვაწე კაცის სახელსა, პატიოსნებას, დიდებას, როგორც საკუთარის თავისას. იქ იქნება საკუთარის თავისათვის ისე არ გამოიდოს თავი კაცმა, როგორც მისთვის, ვისაც ერისათვის შრომა გაუწევია, ვინც ქვეყნისათვის, მამულისათვის, შეძლებისამებრ გარჯილა, რომელსამე საქვეყნო სარბიელზედ ფეხი მოუკიდებია და თავისის ნიჭით, ღონით, მეცადინეობით უმსახურნია და რაიმე კვალი დაუმჩნევია. იქ გამოჩენილის კაცის სახელით თვითოეული მისი თანამემამულე თავს იწონებს, თითქო ის სახელი მისი საკუთარი სახელი იყოს; თავის-თავის გაუპატიურებას ირჩევს, დასთმობს, და თავისის ქვეყნის გამოჩენილს კაცისას არა, თავს შეაკლავს მას, ვინც კი გაბედავს და უპატიურად იხსენებს მისის ქვეყნის სახელოვანს კაცს.” *(“შინაური მიმოხილვა”. 1882 წ. სექტემბერი).*

“ვის არ ახსოვს გარიბალდის სადღესასწაულო მსვლელობა იტალიაში, მინამ ცოცხალი იყო; ვის არ ახსოვს საქვეყნო გლოვა იტალიისა, როცა იგი დიდებული გმირი იტალიისა მიიცვალა? ვის არ ახსოვს ვოლტერის სახსოვრად გამართული დღესასწაულობა საფრანგეთში, ვიქტორ ჰიუგოს ოთხმოც-წლოვანობის იუბილე და სხვა ამგვარნი? ვის არ ახსოვს რა დიდებით, თავმოწონებით, საქვეყნოდ აღიარა საფრანგეთმა თავისი გულითადი პატივისცემა, რა მხურვალე გრძნობით გამოაცხადა თავისი გულწრფელი მადლობა ამა თვისთა მოღვაწე კაცთადმი _ მადლიერებით სავსე გულმა საფრანგეთისამ? ვის არ ახსოვს შილლერის დღეობა გერმანიაში? სწორედ დღეობა იყო მთელი გერმანიისა და ამ დღეობით მთელმა გერმანიამ დიდებული პატივისცა თავის დიდებულ პოეტის გვამსა და მტვერსა.” *(“შინაური მიმოხილვა”. 1882 წ. სექტემბერი).*

- **ღვაწლის დაფასება: რუსეთის მაგალითი**

“აი თითონ რუსეთი ავიღოთ მაგალითად. ჯერ, ჩვენს ხსოვნაშივე, თავის გამოჩენილთა კაცთა არავითარს ყურადღებას არ აქცევდა რუსეთი და თუ რამ პატივისცემა ჰქონდათ, ისიც ორიოდ კაცისაგან, რომელთაც ესმოდათ ფასი საქვეყნოდ მოღვაწის კაცისა, და ამისთანა კაცების ჩამოსათვლელად ადამიანისათვის ათი თითი იყო სამყოფი იმ ოთხმოც მილიონს ხალხში.” *(“შინაური მიმოხილვა”. 1882 წ. სექტემბერი).*

“ეხლა-კი თითონ რუსეთმაც თვალი აახილა, იგრძნო თავისი უმადურება თვისთა მოღვაწე კაცთადმი და ჩვეულებად მიიღო ყოველს შემთხვევაში მათდამი პატივისცემის გამოცხადება საქვეყნოდ. ნეკრასოვის, დოსტოევსკის დასაფლავებაზედ მოსკოვმა და პეტერბურგმა დიდი გულის-ტკივილი და მადლობა გამოაცხადეს მათდა ღვაწლისათვის. ეხლაც ცოცხალის ტურგენიევის იუბილე საქვეყნოდ იდღესასწაულეს, მისი ღვაწლი

ლიტერატურაში თავმოწონებით გასთქვეს და ადიდეს. ყოველმა კერძომ რუსეთისამ ამ საერთო მადლობის ხმას ბანი მისცა. პუშკინის სახსოვრად მადლობელმა რუსეთმა ძეგლი ამართა მოსკოვში და ამ ძეგლის ამართვის დღე დიდის ყოფით და დიდის ამბით გადაიხადა. უკეთესნი კაცნი რუსეთისანი ამ დღესასწაულზედ დაესწრნენ და ვისაც როგორ შეეძლო ისეთი პატივი, ქება და დიდება შეასხეს ამ პოეტს, რომელმაც პირველად დაანახვა რუსეთს სიტურფე და სიტკბო რუსულის ლექსისა და სიტყვიერებისა. რუსეთის ლიტერატურამ თავმოწონებით შეიტანა თავის მატიანეში ეს ამბები, სასიქადულოდ მიიღო ამისთანა ყოფა და თითქმის ერთხმად წარმოსთქვა, რომ ჩვენ ამ ამბავში ვხედავთო ნიშანს ჩვენის განვითარებისას, ჩვენის ზნეობის და გონების ამაღლებისას, ჩვენის ცხოვრების აღმატებისაო." *("შინაური მიმოხილვა". 1882 წ. სექტემბერი).*

- **ღვაწლის დაფასება: საქართველოს მაგალითი – აკაკი წერეთელი**

"ჩვენდა სასიხარულოდ, ჩვენშიაც თითქმის ჩვეულებად შემოდის პატივისცემა ერისათვის გარჯილ კაცისა, საჯაროდ მადლობის გადახდა მისი _ ვისაც ერისათვის სამსახური რამ გაუწევია, შრომა დაუდვია, სიტყვით თუ საქმით შესწევნია თავის მამულსა და თანამემამულესა." *("შინაური მიმოხილვა". 1882 წ. სექტემბერი).*

"ამისი მაგალითი ბ-ნ აკაკი წერეთლის მოგზაურობაა ამას წინათ გორში და ამ ბოლო ჟამს კახეთში; ერთგან და მეორეგანაც შესაბამის პატივით დახვედრია ქართველობა თავის პოეტსა და პირუთვნელის სიტყვით გამოუცხადებია თავისი მადლობა და პატივისცემა მისთვის, ვინც ტკბილის და გრძნობიერის სიტყვით ამ ოც-და-ხუთს წელიწადში ატკბობდა ქართვლის ყურს, აფხიზლებდა გონებას და ჰმართავდა ქართველის გულს ქართვლისა და საქართველოს სიყვარულისათვის ამ სიყვარულის აღფრთოვანებაში ბ-ნ აკაკის გამოჩენილი ადგილი უჭირავს ჩვენს ლიტერატურაში." *("შინაური მიმოხილვა". 1882 წ. სექტემბერი).*

"ბედნიერია, ჩვენის ფიქრით, აკაკი, რომ იღვაწა და თავისის ღვაწლის ნაყოფი სიცოცხლითვე თავისის საკუთარი თვალით ინახულა. ვამბობთ, ინახულა, იმიტომ რომ საქართველოს და ქართვლის სიყვარულისაგან არის წარმომდგარი ის პატივისცემა, რა პატივისცემითაც დახვედრიან ჩვენს პოეტს გორსა და თელავში, და ამ სიყვარულის აღორძინებისათვის თითონ აკაკი წერეთელს არა ერთხელ დაუკვნესებია თავისი ტკბილი ქნარი, უმოქმედებია თავისი მიმზიდველი ნიჭიერება, თავისი მარილიანი სიტყვა, თავისი სიტურფით სავსე ქართული." *("შინაური მიმოხილვა". 1882 წ. სექტემბერი).*

"საცა წავიდა ბ-ნი აკაკი, წინ დახვდა მისგან ფრთაასხმული და გაღონიერებული სიყვარული საქართველოსი და ქართვლისა, წინ დახვდა გულწრფელის პატივისცემითა და მადლიერობით აღსავსე გულითა. აგერ თვითონვე იგემა ბ-ნმა აკაკიმ ნაყოფი თავის დანერგულისა და დათესილისა." *("შინაური მიმოხილვა". 1882 წ. სექტემბერი).*

"ჩვენ ესეთი მიღება ბ-ნ აკაკი წერეთლისა აღვნიშნეთ, როგორც სანუგეშო ამბავი, როგორც სასიხარულო მაგალითი და ნიშანი ჩვენის ცხოვრების წარმატებისა. მაგრამ ამ შემთხვევაში ერთი ფრიად შესანიშნავი საგანიც არის. ეგ არის სიტყვა აკაკი წერეთლისა, თქმული თელავში კახელების წინაშე. ამაზედ მშვენიერი სიტყვა ჩვენ არ გვახსოვს ქართულს ენაზედ. კითხულობთ და გიკვირთ, გიკვირთ და კითხულობთ. არ იცით, რა რას დაამჯობინოთ, სიტყვა აზრს, თუ აზრი სიტყვას, _ ისე შეზავებულია, ისე შეხამებულია, ისე შეხორცებულია სიტურფე სიტყვისა აზრის მშვენიერებასთან. ყოველი

წესი ორატორის ხელოვნებისა დაცულია და ხმარებული, რომ სიტყვამ ისე გასჭრას, როგორც მთქმელს განუზრახავს, და აზრმა და გრძნობამ იმ გზით მიაღწიოს დანიშნულ ადგილამდე, როგორც მთქმელს სურვებია." *("შინაური მიმოხილვა". 1882 წ. სექტემბერი).*

"ღმერთმა ჰქნას, შენ და შენისთანები მომავალშიაც ბევრი გვყოლოდესო", _ უთქვამთ ბ-ნ აკაკისათვის. "ღმერთმა ნუ გაამართლოს ეგ თქვენი სიტყვაო, _ უპასუხნია აკაკის: _ რასაც დღესა ვჯერდებით, ის ხვალ საკმაო აღარ არის ხოლმეო." *("შინაური მიმოხილვა". 1882 წ. სექტემბერი).*

"დიაღ, ბატონებო, ხვალე დღევანდელის უნდა სჯობდეს, მერმისი აწინდელს. კანონი განვითარებისა და ბედნიერების იმედისა ამაშია და სხვა არაფერში. ამ იმედით, რომ ხვალე უკეთესი უნდა იქმნას, გულს იმხნევებს ამ დღევანდელის დღის ვაი-ვაგლახით და ნაცარ-ტუტით ტანში მოხრილი ადამიანი. ხვალე არ უნდა ჰგვანდეს დღევანდელს, თუ კაცს პროგრესი, წინსვლა ადამიანისა ფუჭ სიტყვად არ მიაჩნია. რაც არიან აწინდელნი მოღვაწენი ჩვენის ერისა – ღმერთმა ამრავლოთ, დიდი დღე და გამარჯვება მისცეთ, მაგრამ, აკაკისა არ იყოს, ნუ ვიკმარებთ მას, რაც დღეს არის! ჩვენა გვჭირია ამაზედ ბევრად ძლიერნი, ბევრად ნიჭიერნი, ბევრად მომქმედნი. "ის ურჩევნია მამულსა, რომ შვილი სჯობდეს მამასაო" - დაუგვირგვინებია თავისი სიტყვები ბ-ნ აკაკის. ასეც უანდერძიათ ჩვენ მამა-პაპებს, რომელთაც ჩვენთვის თავი დაუდვიათ, რომელთა ძვლებით ჩვენს ქვეყანას ზღუდე შემოვლებია, რომელთა სისხლით ჩვენი ქვეყანა მორწყულა. თუ ის დევ-გმირნი, რომელთ საქმენი სწორედ რომ დაუჯერებელნი არიან ამბობდნენ, რომ ის ურჩევნია მამულსაო, რომ ჩვენი შვილები ჩვენა გვჯობდნენო, ჩვენ რაღა გვეთქმის, ჩვენ, რომელნიც იმათ წინაშე ქონდრის კაცებად თუ ჩავითვლებით!.. *("შინაური მიმოხილვა". 1882 წ. სექტემბერი).*

- **ღვაწლის დაფასება: საქართველოს მაგალითი – რაფიელ ერისთავი**

"წარსულმა წელმა არაფერი სანუგეშო არა მოგვცა-რა არც სადღეისოდ, არც სახვალიოდ. მაგრამ ჩვენ მიერ უმადურობა იქნება, რომ მარტო წყევლით და ქოქვოთ გავისტუმროთ ეს წელიწადი და არავითარი კეთილი მისი მადლობით არ მოვიხსენიოთ. ამ წელიწადმა სხვაფრივ და სხვა ფარგალში ერთი იმისთანა მაგალითი გვაჩვენა, რომლის მსგავსს მისებრ უნუგეშო წინა-წლებში ვერას ვიპოვით...

22 ოქტომბერსა წარსულის წლისა. ამ დღეს ვიდღესასწაულეთ ორმოც-და-ათის წლის მშვიდობიანად მოღვაწეობა თ. რაფიელ ერისთავისა, გატარებული სულ სხვა სარბიელზე, სხვა ასპარეზზე. თ. რაფიელი ჩვენი სასიქადულო პოეტია. პოეტის სიტყვა იგი ხელთუქმნელი საგანძურია, საცა ერი ჰპოებს ხოლმე თვისს უკეთესს ნააზრს და ნაგრძნობს, თვისს თავმოსაწონებელს გულთა-ძვრას, თვისს ჭირსა და ლხინსა, თვისის ენის და მეტყველების სიკეკლუცე-მშვენიერებას და ერთობ თვისს სულიერს საუნჯეს, იმ საუნჯეს, რომლითაც ერი ერობს, ადამიანი ადამიანობს. *("შინაური მიმოხილვა 1895 წლისა". 1896 წ. 4 იანვარი).*

"ამბობენ, თქმა და ქმნა ერთი და იგივე არ არისო. მართალია, სიტყვა სხვაა, საქმე სხვაა, შუა უზის დიდი მზღვარი, მაგრამ თ, რაფიელ ერისთავი ერთი იმისთანა იშვიათ კაცთაგანია, რომლის სიტყვა თავის-თავად საქმეა. ეს დიდი მადლი, რომელსაც ბუნება მიანიჭებს ხოლმე თვისთა რჩეულთა და რომელიც თქმას ქმნადა ჰხდის, თ. რაფიელ ერისთავმა მთლად ამსახურა თავისს საყვარელს მამულსა, თავისს საყვარელს ერსა. იგი

ხელთუქმნელი საგანძური გაუხსნა და შიგ წყობილი მარგალიტი გულში ჩაულაგა, შენი შენვე მიიღეო. ჩვენი სანუგეშო და თავმოსაწონებელი აქ ის არის, რომ თითონ ერმაც იცნო თავისი ერთგული შვილი და საქვეყნოდ დიდის ყოფით და ამბით მადლი გადაუხადა. ეს ცნობა და დაფასება იმისთანა მშვიდობიანის ღვაწლისაა, რომელიც ბუკითა და ნაღარით არა ჰღაღადებს ქვეყნად და ზიზილ-პიპილებით არ იმოსება, იმისი ნიშანია, რომ ერი ცოტად თუ ბევრად გონებაშია ჩავარდნილი და იმ გაგებამდე მიღწეული, რომ ამისთანა სარბიელზე დადებული ღვაწლი უფრო მის-მიერ საგრძნობელია, უფრო პატივსაცემელია, უფრო მადლობის გადასახდელია. ნიშანი ამისთანა აღმატებისა უნუგეშო არ არის.

ამიტომაც არც ამისთანა დღეობა ჩაუვლის ხოლმე ერს უიმისოდ, რომ თავისი თავი კაცურ-კაცად არ იცნოს და ამ ცნობამ ჭკუა და გონება უფრო არ გაარჯევინოს, თვალი ცოტად თუ ბევრად უფრო არ აახილებინოს თავისს თავზე, თავისს გარეშემოზე და გრძნობა საკუთარის ღირსებისა თავისს ფარ-ხმალად არ ახმარებინოს. ამისთანა ამბებმაც იცის ატეხა ათასნაირ ფიქრებისა, ათასნაირ ნატვრისა და სურვილისა და საცა ყოველივე ეს დაძრული და ატეხილია, იქ არის ცხოვრებაცა. *("შინაური მიმოხილვა 1895 წლისა". 1896 წ. 4 იანვარი).*

- **ღვაწლის დაფასება: საქართველოს მაგალითი – დავით აღმაშენებელი**

"ამ მართლა-და დიდებულმა მეფემ ერთად მოუყარა თავი ქართველობას. აოხრებული ქვეყანა ააშენა, მტერი გაუფრთხო და გაუფანტა, და დღეს თუ ჩვენ ჩვენს ბინაზედ ვართ, _ ეს იქნება იმისი ღვაწლი, იმისი სამსახურიც უფრო იყოს. დიდება სახელსა მისსა." *("დავით აღმაშენებელი". 1888 წ.).*

"დავით აღმაშენებელი სადიდებელია ჩვენგან არა მარტო სახელოვან მეფობითა, არამედ თავის დიდბუნებოვან კაცითაც. იგი, თავდადებული მოყვარე თავის ეროვნობისა და მართლმადიდებელის სარწმუნოებისა, დიდი პატივისმცემელი იყო სხვა ეროვნობისაც და სარწმუნოებისა. ამისთანა შემწყნარებელი სხვისა მაშინ, როდესაც იგი ყოვლადშემძლებელ მბრძანებლად შეიქმნა სხვადასხვა თესლის და სხვადასხვა სარწმუნოების ერისა, ამისთანა სხვა ერის ღირსების თაყვანისმცემელი იმ დროში, როცა კაცი კაცს შესაჭმელადაც არა ჰზოგავდა, ამისთანა კაცთმოყვარული პატივისცემა სხვის ეროვნობისა, სხვის სარწმუნოებისა, ნუთუ საკვირველი და საოცარი მაგალითი არ არის მეთორმეტე საუკუნის კაცისაგან." *("დავით აღმაშენებელი". 1888 წ.).*

"მეტი-ღა დიდ-ბუნებოვანობა მოეთხოვება განა მეთორმეტე საუკუნის კაცს მაშინ, როცა დღეს, მეცხრამეტე საუკუნის დასასრულს საკვირველებად მიგვაჩნია გლადსტონი, რომ ირლანდიის ეროვნობას და სარწმუნოებას ესარჩლება იმავე კაცთმოყვარეობით, რა კაცთმოყვარეობითაც დავით აღმაშენებელი სხვა ერს პატივსა-სცემდა! ჩვენს მატიანეებს თავი დავანებოთY და ვიმოწმოთ სხვა ერის მემატიანენი. ისინიც კი აღტაცებით იხსენიებენ დავით აღმაშენებელს, როგორც კაცს, პატივისმცემელს და შემწყნარებელს სხვა ერისას და სხვა რჯულისას." *("დავით აღმაშენებელი". 1888 წ.).*

- **ღვაწლის დაფასება: საქართველოს მაგალითი – გაბრიელ ეპისკოპოსი**

"ამისთანა კაცის არ-ხსოვნა მომაკვდინებელ ცოდვად უნდა ჩაეთვალოს ერსა, რომელმაც იგი ჰშვა და თავის ძუძუთი გამოჰზარდა." *("დავით აღმაშენებელი". 1888 წ.).*

"დიდხანს და დიდხანს იქნებიან საქმენი მისნი ჩვენდა საოხად, სიტყვანი მისნი ჩვენდა ანდერძად და სახელის ხსენება მისი ჩვენდა საწვრთნელად. ყოველივე ეს დიდხანს კიდევ ისაქმებს ჩვენში. დიდხანს და დიდხანს ქართველს საბუთი ექნება სთქვას, რაც მარტო დიდ-ბუნებოვან კაცზეა თქმული: მოკვდა და თვისის ანდერძით აწ ისევ საქმობს მკვდარიო.

მე რომ მისნი მადლით სავსე საქმენი და სიტვანი მაგონდებიან, თვალ-წინ წარმომიდგება ხოლმე შარავანდედით მოსილი ახლად დაბადებული გაბრიელ და მგონია, რომ თავს წამოსდგომია ახლად შობილს ყრმას ფრთებგაშლილი მთავარ-ანგელოზი, სიყვარულით დასცქერის და ლოცვა-კურთხევით ეუბნება ამ ბრძენთაგან თქმულს.

პატარავ, როცა პირველად მოსდიხარ ქვეყანაში, შენ სტირი და შენს გარშემო-კი ყოველს სიხარულის ღიმილი მოსდის; ჰქმენ ისე, რომ როცა ქვეყანას ეთხოვებოდე, ყველანი სტიროდნენ და მარტო შენ-კი ღიმილი მოგდიოდეს"... და აჰა, ჰქმნა ისე, რომ როცა ქვეყანას ეთხოება საუკუნოდ, ყველანი მის გარშემო სტირიან. დიდება სახელსა მისსა! თუ დიდება სანატრელია, აჰა, ისწავლეთ გზანი დიდების შოვნისანი! ამისი მართალი გზა და ცხადი მაგალითი მთელი ცხოვრებაა ამ დიდებულ და მადლიან კაცისა. ტყუილად-კი არ არის ნათქვამი: ვინც კარგად ემსახურება სამშობლო ქვეყანას, იგი უდიდ-გვაროდაც დიდიაო, და აჰა იგი დიდი კაცი, რომელიც ჩვენდა საუბედუროდ, დღეს კუბოშია ჩვენ-წინ მდებარე". *("სიტყვა თქმული გაენათის მონასტერში გაბრიელ ეპისკოპოსის დასაფლავების დღეს". 1896 წ.).*

- **ღვაწლის დაფასება: საქართველოს მაგალითი– ერეკლე მეფე**

"განსვენებული მეფე, რომელიც ნახევარ საუკუნეზე მეტი ხმალამოღებული ჰპატრონობდა და თავგამომეტებით, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, ინახავდა მილეთის და თესლის კაცს, ვინც-კი შემოკედლებულნი იყვნენ მისს საფარველ ქვეშ, რომელმაც ზედ შეაკლა ტფილისს თვისნი შვილნი, თვისნი ქართველნი, რომ ტფილელნი გადაერჩინა ძარცვა-ტაცებისა და ტყვეობისაგან, რომელმაც თუმცა უკანასკნელ დროს ვერ იხსნა ტფილისი წახდენისაგან, მაგრამ თავისი უკეთესი ძალ-ღონე ხომ შეალია, უკეთესი მამულისშვილნი ხომ შეაკლა და მტლად დაუდო. სხვა არა იყოს-რა, ერეკლე ბრწყინვალე მეფე იყო საქართველოსი და ტფილისი მისი სატახტო ქალაქი". *("ასი წლის თავი ერეკლე მეფის გარდაცვალებიდან". 1898 წ. 12 იანვარი).*

"ხსენება ღვაწლით-მოსილ მამულიშვილისა, მეფეა, თუ უბრალო სიკვდილის შვილი, სესხი და ვალია შთამომავლობისა. საფლავი ქვეყნის მოღვაწე ვაჟკაცისა წმინდა სალოცავია მამულისათვის, თუ ერი ერობს და სამარისკენ ფეხი არ გაუშვერია". *("ასი წლის თავი ერეკლე მეფის გარდაცვალებიდან". 1898 წ. 12 იანვარი).*

"თვითოეულის ადამიანის საფლავის ქვეშეო, _ ამბობს გერმანიის სახელგანთქმული პოეტი ჰაინე, _ დამარხულია მთელის ქვეყნიერობის ისტორიაო. თუ ეს ითქმის ყველა ადამიანზე თვითოეულად, მაშ უფრო ბევრ-რიგად მართალია თ. გ. ორბელიანი, რომ მეფე

ერეკლეზე სთქვა: “დიდება საქართველოსი მასთან მარხია სამარესაო”. უფრო ზედმიწევნით დაგვიხატა დიდბუნებოვანობა მეფე ერეკლესი თვით ქართველმა ერმა და ორ სამ სიტყვაში გამონასკვა მთელი ღვაწლ-მოსილობა გვირგვინოსან გმირისა, როცა იგრძნო, რომ მეფე ერეკლე დაჰკარგა და “მამული ვეღარ იხილავს ერეკლეს ხმალსა მღელვარეს”. *(“ასი წლის თავი ერეკლე მეფის გარდაცვალებიდან”. 1898 წ. 12 იანვარი).*

“ხმა ერისა და ხმა ღვთისაო”. *(“ასი წლის თავი ერეკლე მეფის გარდაცვალებიდან”. 1898 წ. 12 იანვარი).*

“ერის მიერ ქება უდიდღვაწლოთ ძნელი საშოვარი განძია, და ბევრი სახელდებული ისტორიაში კაცი ვერ დაიქადებს, რომ იგი სახელი თვით ერისაგან მიჰმადლებოდეს”. *(“ასი წლის თავი ერეკლე მეფის გარდაცვალებიდან”. 1898 წ. 12 იანვარი).*

“ეს თითქმის ექვსი საუკუნეა მას აქეთ, რაც საქართველო დაირღვა, დანაწილდა. ეს ექვსი საუკუნეა მას აქეთ, რაც ჩვენი მამა-პაპანი, ჩვენნი უკეთესნი და უდიდესნი მამულისშვილნი, ჩვენი გენიოსები, ჩვენნი ვაჟკაცნი და მეომარნი, ჩვენნი მსწავლულნი და მეცნიერნი, სისხლის ღვრით იღვწოდნენ, რომ მკვდრეთით აღედგინათ ჟამთა ვითარებისაგან დარღვეული და დამხობილი ძმობა და ერთობა. ამას შესწირეს თავისი სახელოვანი სიცოცხლე, თავისის სისხლით და ღვაწლით შემოსეს და აკურთხეს”. *(“ასი წლის თავი ერეკლე მეფის გარდაცვალებიდან”. 1898 წ. 12 იანვარი).*

- **ღვაწლის დაფასება: საქართველოს მაგალითი - კანვოელების თხოვნა ილია ჭავჭავაძისადმი**

“კანვოელებმა დამპატიჟეს, ქართული სადილი გამიკეთეს, მშვენიერის სიმღერით, თარით და ჭიანურით შემაქციეს, ქებაც შემასხეს, მაგრამ ჩვეულებრივ ეს ქება უფრო მეწყინა, ვიდრე მიამა. მეჯავრება მე მაგისთანაები, მაგრამ რას უზამ ჩვეულებას, რომელიც რჯულთ უმტკიცესიაო”. *(“წერილები ილია ჭავჭავაძისა ოლღა თადეოზის ასულ გურამიშვილისადმი”. 1873 წ. 5 ღვინობისთვე).*

- **სახელგანთქმულნი მეცნიერნი (ავტორიტეტები) – მათი თაყვანისცემა არ დაილევა ქვეყნიერებაზედ**

“ავტორიტეტები, ესე იგი, ყველასაგან ცნობილნი, სახელმოპოებულნი მეცნიერნი ყოველთვის არიან და იქნებიან, და ამათი თაყვანისცემა არ დაილვეა ქვეყნიერებაზედ, ვიდრე ადამიანის ჭეშმარიტს ღვაწლს, ზედმიწევნილ ცოდნას, მეცნიერებას, სიბრძნეს და ამათით მოპოებულს სახელს კაცის თვალში პატივი, ფასი და დიდება ექნება. ხოლო ბრმად დაჯერება ყოველ იმისა, რასაც ავტორიტეტი ამბობს, რის შემოწმებასაც ყურისმგდებელის ჭკუა, გონება მისწვდება და რასაც ეს შემოწმება უარჰყოფს, _ მართლა დიდიხანია უგუნურობად არის მიჩნეული. თვით იკვლიე, თუ შეიძლება და გარემოება შეგწევს, მოსჩხრიკე, შეამოწმე, და თუ ავტორიტეტის აზრი გამართლდა, დაიჯერე მხოლოდ მაშინ, და ამ სახით შენს საკუთარ რწმენად გარდაჰქმენ სხვისაგან აღმოჩენილი და ნაკვალევი. ხოლო საცა გონება და ჭკუა, რომელისამე მიზეზით, ვერ მიგიწვდეს და არჩევანში ხარ, შენს არ-გამორკვეულს აზრს, არ-ცოდნას, სხვისი, სახელგანთქმულის მეცნიერის, გარკვეული აზრი და ცოდნა მოაშველეო, _ აი, ეს არის ეხლანდელი მოძღვრება ავტორიტეტების გამო, და ბრმად დანდობა კი და აყოლა სხვისა იქ, საცა შენი

საკუთარი გონება საბუთიანად სხვარიგად გიჭრის, _ ეგ უწინდებური ცოდვაა, უგუნურობად მიჩნეული და სამართლიანად განდევნილი, უარყოფილი. აქაო და არისტოტელმა სთქვაო, და რაც უნდა აშკარად დასარღვევი საბუთი გქონოდათ, არისტოტელს სიტყვას ვერ შეუბრუნებდით, ცოდვად ჩაგითვლიდნენ, დიდი ხანია, ესე ბრმად აყოლა, ესე დაძაბუნება ჭკუისა და გონებისა, ჩვენდა საბედნიეროდ, ჩაილულის წყალს გაჰყვა.

მაგრამ აქედამ სრულებით ის არ გამოდის, რომ ავტორიტეტობა ეხლა შემუსვრილია და თაყვანისცემა მისი უგუნურობად ცნობილი. აი სწორედ ეგრეთ უმეცრად გაგებულმა გამოლაშქრებამ ავტორიტეტებზედ დოინჯი შემოაყრევინა მტკნარს უვიცობას და აძახებინა: შექსპირი, სპენსერი, ჰეკსლი, ჰეკკელი ვინ გდიაო; ავტორიტეტები რას მიქვიან, და სხვანი და სხვანი. ასეთმა თავგასულობამ უვიცობისამ ბევრს აურია გზა და კვალი, იმიტომ რომ ამისთანად თავგასული კაცი ხომ თითონ არა არის-რა, სხვასაც არავის კაცად არ აგდებს. ნუთუ ეს გონიერებაა და ჰეკსლის და ჰეკკელის დიდ მეცნიერად, დიდ ავტორიტეტად ცნობა და თაყვანისცემა კი უგუნურობაა". *("პოლემიკური წერილები "ცხოვრება და კანონის" გამო". 1887 წ. 3 იანვარი).*

"კაცმა რომ სთქვას, _ ავტორიტეტობა, ავტორიტეტი, დიდი ხანია გადავარდა და თაყვანისცემა ერთისა და მეორისაც უგუნურობა არისო, _ ან რა უნდა ესმოდეს, რას ჰნიშნავს ავტორიტეტობა და ავტორიტეტი, ან ამისი თქმა არ ჰსურვებია. ეს ცხადად გამოჩნდება, თუ ამ სიტყვების ჭეშმარიტს მნიშვნელობას გონების თვალწინ წარმოვიდგენთ.

მართლა-და რა არის ავტორიტეტობა, ავტორიტეტი".

"ავტორიტეტობა იმ გავლენიან სახელოვანებასა ჰქვიან, რომელსაც ადამიანი მოიპოვებს ხოლმე დიდის სიბრძნით, დიდის გამოცდილებით, დიდის მეცნიერობით. ავტორიტეტი მეცნიერებაში იგი კაცია, რომელსაც მის მიერ შეთვისებულს მეცნიერებაში გაუთქვამს სახელი და მოუპოვებია ნდობა იმოდენად შეურყევლად და უცილობელად, რომ ერთიც და მეორეც საკმაო თავმდებია მისი აზრის შეუცდომელობისა. ამისთანა კაცები, კაცთა საბედნიეროდ, ცოტანი არ არიან ქვეყნიერებაზედ". *("პოლემიკური წერილები "ცხოვრება და კანონის" გამო". 1887 წ. 3 იანვარი).*

"არის კიდევ ერთგვარი ავტორიტეტობა, ავტორიტეტობა უფლებისა, რომლის მნიშვნელობა უფლების მნიშვნელობაზეა დამოკიდებული". *("პოლემიკური წერილები "ცხოვრება და კანონის" გამო". 1887 წ. 3 იანვარი).*

"ნეტა რომელი კაცი იტყვის ქვეყანაზედ, რომ ნურას დაუჯერებთო ამ ჭკუით, ცოდნით, სიბრძნით, მეცნიერებით გამოჩენილს და მთელის ქვეყნისაგან ამ სახით ცნობილს კაცებს, და თუ დაუჯერებთ, უგუნურობა იქნებაო. მაშ ყველაფერი დავიჯეროთ ამათიო? _ იკითხავთ თქვენ. დიახ, სწორედ ყველაფერი, ვიდრე წინააღმდეგის უეჭველი საბუთი ხელთ არა გაქვთ". *("პოლემიკური წერილები "ცხოვრება და კანონის" გამო". 1887 წ. 3 იანვარი).*

"ქვეყანაზედ სანდო მეცნიერნი არიან და მერე ღირსნიც თაყვანისცემისა". *("პოლემიკური წერილები "ცხოვრება და კანონის" გამო". 1887 წ. 3 იანვარი).*

"თუმცა ბრმად მინდობა და აყოლა სხვისა ძალიან ცუდია, მაგრამ არც კი ბრმად დაჟინებაა კარგი იმისი, რომ დიდსახელოვანის, სახელგანთქმულის მეცნიერის პატივი და თაყვანისცემა უგუნურობა იყოს. არა, ბატონო, სწორედ ამისთანა კაცს უნდა პატივი და თაყვანისცემა, თუნდა იმით, რომ იმისი სიტყვა, თუნდ შეუმოწმებლადაც კი, სხვისაზე წინ დააყენო, თუ გამტყუნებული არ არის უეჭველის საბუთით". *("პოლემიკური წერილები "ცხოვრება და კანონის" გამო". 1887 წ. 3 იანვარი).*

“დღეს ბალღმაც კი იცის, რომ თქვენი აზრი, დიდის რომელისამე მეცნიერის სიტყვით შემოწმებული, უფრო სანდოა, უფრო დასაჯერი, და ამ მოწმობას ქვეყანაზედ არავინა ჰთაკილობს”. *(“პოლემიკური წერილები “ცხოვრება და კანონის” გამო”. 1887 წ. 3 იანვარი).*

“დიდკაცობა შთამომავლობითი, თუ მეუღლეობითი, შემთხვევის საქმეა. ამაში თითონ ადამიანს არა საკუთარი ღვაწლი არა მიუძღვის-რა, ეგ განგების საქმეა, და ამიტომაც ადამიანს, როგორც კაცს, ეგ საკუთარი ღირსებად არ ჩაეთვლება. დიდი ხანია თქმული, რომ _

“თუ კაცი თვითონ არ ვარგა, / ცუდია გვარიშვილობა”. *(“ნიკო ბაგრატიონი”. 1886 წ.).*

- **თანასწორობა და სიყვარული წოდებათა განურჩევლად: ეს სანატრელი და თაყვანის-საცემი მცნება დღესაც თეორიად რჩება**

“უმთავრესი და, იქნება ერთად-ერთი გარემოება, რომლის წყალობითაც დაიღუპნენ და აღიგვნენ დედამიწის ზურგითგან მრავალნი ძლიერნი და სახელოვანნი ერნი, _ იყო უთანხმოება და განსხვავება წოდებათა შორის”. *(“სოფლის მეურნეობის ქალთა სასწავლებელი წოდებრიობის წინააღმდეგ განათლების საქმეში”. 1893 წ. 31 დეკემბერი).*

“თუმცა დიდი მოძღვარი ინდოელთა _ ბუდდა და შემდეგ მაცხოვარი ჩვენიც ერთსა და იმასვე ასწავლის ქვეყანას _ თანასწორობას და სიყვარულს წოდებათა განურჩევლად, მაგრამ ეს სანატრელი და თაყვანის-საცემი მცნება დღესაც თეორიად რჩება”. *(“სოფლის მეურნეობის ქალთა სასწავლებელი წოდებრიობის წინააღმდეგ განათლების საქმეში”. 1893 წ. 31 დეკემბერი).*

“რაკი ესენი იყო, რაკი უფლება ქვეყნის გამგეობისა მარტო ხელმწიფესა ჰქონდა და არავის სხვას, _ ერთსა რა უნდა შეჰშურებოდა მეორესი, ერთი იმისთანას რას დაეხარბებოდა მეორეს, რომ ამით ერთი წყობა მეორეს განზედ გასდგომოდა და ჩაენერგა ის განთვითეულების, განცალკევების გრძნობა წოდებათა შორის, რომელიც ეხლანდელის ევროპის მწვავს ტკივილს შეადგენს. აქ, რასაკვირველია, ბევრი ჰოც ითქმის და ბევრი არაც, მაგრამ ჩვენ იმაზედა ვართ დამყარებული, რომ წოდებათა შორის უფლების ცილება, ეკონომიურის თუ პოლიტიკურისა, ცილება _ რომელიც უაღრესი მიზეზი იყო დაუძინებელის განხეთქილებისა სხვა ქვეყნებში, ჩვენში არ არსებობდა. ამიტომაც არც ზნეობითი, არც აზრით, არც გრძნობით, არც მიმართულებით და არც ჩვეულებით, ჩვენი თავად-აზნაურობა არ დაჰშორებია გლეხობას, არ შეუკეტნია თავი, თავისი საკუთარი ინტერესები არ შემოუხაზავს ისე, როგორც სხვაგან. ერთის სიტყვით, არ განსაკუთრებულა ერთს წყობად, ერთს დასად. განა ჩვენში თავადი, აზნაური, ისე მიუკარებელია გლეხისათვის, როგორც სხვაგან? ბევრი მაგალითებია გლეხთა და თავადაზნაურთა შორის ნათელ-მირონობისა და დამოყვრებისაცა; ათასი მაგალითია ერთმანეთთან ნადიმობისა, შექცევისა, ლხინისა, ტირილისა და ყოველგვარ ერთობისა; ბევრი მაგალითია, რომ სოფლის მმართველობის წესდების წინათაც და მას მერმეთაც თავადი, აზნაური, სიამოვნებით დაჰმორჩილებოდეს გლეხთა სასოფლო გამგეობას და სოფელს კიდევ თავის ნებით, შინაურულად ჩაებარებინოს სასოფლო საქმეების გამგეობა თავადისათვის, აზნაურისათვის”. *(“ცხოვრება და კანონი”. 1877-1881 წ.).*

“თითონ ამის დამწერი მოწამეა, რომ სოფლის შეყრის დღეს თითონ გლეხთ უთხოვიათ თავად-აზნაურებისათვის, მღვდლებისათვის, თქვენც მონაწილეობა მიიღეთო ჩვენს სასოფლო საქმეებში, თქვენც დაესწარით ჩვენს სოფლობაშიო და კისრად იდეთ, რასაც განვაჩინებთო, და ამაზედ თავად-აზნაურობას უარი არ ეთქვას. თითონ ამის დამწერი მოწამეა იმისიც, რომ ორმა საზოგადოებამ სახელმწიფო გლეხთაგან

მოინდომა აზნაურიშვილი მამასახლისად ამოერჩივა, მაგრამ კანონმა ნება არ მისცა. ბევრი მაგალითია, რომ გლეხნი თავს ანებებენ თავის სასამართლოს და განსამართლებლად ან თავადთან, ან აზნაურთან და ან მღვდელთან გარბიან. ეს მაგალითები გვაუწყებენ, რომ ჩვენში გლეხთა და სხვა წოდებათა შორის კეთილი მიდრეკილება სუფევს; რომ ერთმანეთს არამც თუ ეუცხოებიან, არამედ ერთმანეთისკენ მიიზიდებიან. ერთი სიტყვით, ჩვენს ცხოვრებაში არის იმისთანა ფესვნი, რომელთა ზედაც შეიძლება ამოვიდეს სიკეთე ერთობისა და ყველასათვის სახეიროდ გაიშალოს. ამას უნდა დავტრფოდეთ და შევხაროდეთ და არა ვთაკილობდეთ და ვმტრობდეთ. ამას ხელის შეწყობა ჰმართებს და არა ხელის შემართვა. ამით იმის თქმა კი არ გვინდა, რომ ჩვენში გლეხი, თავადი, აზნაური, თუ მღვდელი ყველგან ეგრე ძმურად სცხოვრობენ. არა, _ ძალიან ბევრგან სუფევს განხეთქილება, ხოლო დიდი შეცდომა იქნება, ამისი მიზეზი თითონ წოდებათა წყობას, მის შინაგანს არსებას, თვისებას, ზნეს და ჩვეულებას და აქედამ წარმომდგარ მიდრეკილებას მივაწეროთ. ამისი მიზეზი იგივეა, რაც თვითოეულ კაცთა შორის: ავი გული, ხარბი თვალი, გრძელი ხელი და ნამუსის ქუდის ახდა". *("ცხოვრება და კანონი". 1877-1881 წ.).*

"სოფელი ერთს წოდებათა გაურჩეველს საზოგადოებას უნდა წარმოადგენდეს; რომ სოფლის მმართველობასა და გამგეობაში წოდებათა გარჩევა არ უნდა იყოს; რომ უფლება და მოვალეობა ერთნაირის თანასწორობით განაწილებულ უნდა იქმნეს სოფლის ყველა მკვიდრზე, იმისდა მიუხედავად, თუ მკვიდრი რომლის წოდებისაა". *("პოლემიკური წერილები "ცხოვრება და კანონის" გამო". 1887 წ. 3 იანვარი).*

"დღეს ბალღმაც კი იცის, რომ უსწორ-მასწორობა, უჯრა-უჯრობა, გუნდ-გუნდობა კაცთა საზოგადოების აგებულებაში, _ პატარაა იგი საზოგადოება თუ დიდი, _ ყველა წარჩინებულ კაცთაგან ცნობილია წარმატების დამაბრკოლებელ მიზეზად". *("პოლემიკური წერილები "ცხოვრება და კანონის" გამო". 1887 წ. 3 იანვარი).*

"მითამ რაო? საზოგადოებამ რაკი პატარა აზნაური ჩიკვაიძე ირჩია და დიდი თავადი დადიანი გადააყენა, განა ამით ისა თქვა, რომ ღირსეული კაცი მარტო აზნაურებ შორის მოიპოვება და სხვაგან არსად არაო. და თუ ესა სთქვა, ნუთუ აქ სასიხარულო და სახარბიელო არის რამე გონებაგახსნილ კაცისათვის? საწვრილფეხო ლიბერალობა თუ მოსტყუვდება ამით, თორემ ეს ამისთანა "მითქვამს და მიყივლიაო" შორს მანძილს ვერ გაირბენს. ან ნეტავი მართალი მაინც იყოს ის, რასაც ამის გამო ბ-ნი ჩიკვაიძე ამბობს თავის "კონფედენციალურ" წერილში. თუ მართლა ქუთაისის საზოგადოება აქამომდე მარტო დიდ გვარეულობის ცუდიმედობას ბანს აძლევდა და ღირსეულს კაცებს არ ეძებდა ყველგან, საცა კი ხელი უწვდიდა, მაშ ბ-ნ დადიანამდე განუწყვეტლივ რად ირჩევდა გამგეობის თავმჯდომარედ აზნაურიშვილებს? განა ბ-ნი ჩიკვაიძე ამისი პირველი მაგალითია და უკანასკნელი? სჩანს ქუთაისის ბანკის საზოგადოება, თავისდა სასახელოდ, უწინაც არ დაგვიდევდა გვარიშვილობის დიდ-პატარაობას, მაღალ-დაბლობას და საცა ეგულებოდა ღირსეული კაცი, იქიდამ ირჩევდა. მაშ რად უნებებია ბ-ნ ჩიკვაიძეს, რომ ამისთანა უხეირო და უკბილო საბუთისათვის ხელი ჩაუვლია და ქვეყანას აუწყებს, რომ ჩემის არჩევანით დემოკრატიამ გაიმარჯვაო! სწორედ მოგახსენოთ, ასლი საომარი მოედანი კია ბანკი არისტოკრატიის და დემოკრატიის ერთმანეთთან დასაჯახებლად, თუ არ დაგიშლიათ!.. აი სწორედ ამისთანა საბუთების წამოყენება, აი ამისთანა სიმების ადგილიდამ დაძვრა ნაძირალათა გრძნობათა აშლას მოასწავებს." *("ქუთაისის ბანკის საქმე". 1890 წ. 9 აგვისტო).*

“ჩვენი გულითადი რწმენა ყოველთვის ისა ყოფილა და არის, რომ ერის წარმატება, ქონებრივი თუ გონებრივი, შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როცა ერი წოდებათა დაუყოფლად, დიდ-პატარაობის განურჩევლად და გამოუკლებლად ერთიანის მეცადინეობითა და გარჯით ჰსცდილობს ცხოვრების გზა გაიკვალოს და ბურთი ბედისა გაიტანოს წუთისოფლის მოედნიდამ ყველამ ერთად საყოველთაოდ”. *(“წოდებათა თანასწორობა”. 1888 წ. 2 ნოემბერი).*

“ცალ-ცალკე წევა ცხოვრების უღელისა, ცალ-ცალკე ხვნა და მკა, ცალ-ცალკე თლა ლხინისა თავისკენ და ჭირისა სხვისაკენ, მარტო თავის-თავის ხსოვნა და სხვისი დავიწყება მომაკვდინებელია კაცთა საურთიერთო ცხოვრებისა და საცა ეგ ურთიერთობა არ არის, იქ არც იგი კრებულია, რომელსაც ერი ჰქვიან”. *(“წოდებათა თანასწორობა”. 1888 წ. 2 ნოემბერი).*

“ტყუილად ჰფიქრობენ, ვითომც კაცთა ურთიერთობაში შესაძლებელი იყოს რომელიმე წოდებამ ცალკე ბინა გაიკეთოს, ცალკე ინტერესები შემოიღობოს, შემოიფარგლოს და ამით რაიმე ხეირი და სიკეთე ჰნახოს საბოლოოდ. ამისთანა წყობა და აგებულობა საზოგადოებისა, თუ ერისა, დიდხანს თავს ვერ დაიჭერს და, ვითარცა ქვიშაზე აგებული სახლი, პირველ ქარის შებერვაზედვე დაიფუშება”. *(“წოდებათა თანასწორობა”. 1888 წ. 2 ნოემბერი).*

“ქვეყანაზედ მარტო იმ ერს გაუძლია, მარტო იმ ერს გამოუტანია თავი ათას გვარ განსაცდელისაგან, მარტო იმ ერს წარუმატნია და გაძლიერებულა, რომელსაც თავის დროზედ შეუტყვია და მიუგნია, რომ ერთის რომელისამე წოდების წინ წაწევა არაფრის მაქნისია, თუ დანარჩენი ერიც წინ არ წაწეულა, პირიქით, ერთის წოდების წინ წაწევას დანარჩენის უკან დაწევა მოჰყოლია”. *(“წოდებათა თანასწორობა”. 1888 წ. 2 ნოემბერი).*

“ვერც ერთი ცალკე წოდება ერისა ვერ დაიქადებს, რომ თუ მე კარგადა ვარ, სხვანიც კარგად იქნებიანო. ეს ტყუილი ქადილი იქნება და ამ ტყუილმა ქადილმა ბევრსაც ჩასცხო კიდეც თავში ყველგან, სადაც ამისთანა თავგასულს ადგილი ჰქონია.” *(“წოდებათა თანასწორობა”. 1888 წ. 2 ნოემბერი).*

“მე და ჩემი მეუღლე მემამულენი ვართ, არც მე და არც ჩემს მეუღლეს არც ერთი ნაყმევი, არც ერთი ხიზანი არა გვყავს, არამცთუ საგურამოს, არამედ მთელს დედამიწის ზურგზე. მართალია, მე საკუთრივ ცოტა თუ ბევრი ყმები მყავდა კახეთში, მაგრამ ყმათა განთავისუფლების პირველ ხანებშივე მთელი მათ მიერ ხმარებული საკომლო, სახლ-კარის მიდამო, მათი ხვედრი ვენახები, უსასყიდლოდ დავუთმე და ხელშეუხებელ საკუთრებად დავუმტკიცე და ამით მოვსპე ყოველივე ბატონ-ყმური ნაშთი ჩემსა და ჩემთა ნაყმევთა შორის.” *(“ნუთუ”. 1905 წ.).*

- **წოდებათა შორის ჩატეხილი ხიდი: ვაი იმ ქვეყანას, საცა საერთო ძარღვში სისხლი გაშრა**

“თუ გნებავთ, ამასაც კი ვიტყვი, რომ ნადირობა ცოდვაა: ყოველი სულიერი ღვთის დანაბდია, ყველას აქვს თანასწორი ნება ამ თვალუწვდომელ ქვეყანაში ცხოვრებისა.” *(“გლახის ნაამბობი”. 1859, 1862-1873 წწ.).*

“კანონის მოთხოვნამ, რომ ადგილის სამმართველოს ხელქვევით უნდა იყვნენ ყველანი, ვინც კი სამმართველოს წრეში სცხოვრობენ, ამით უარ-ჰყო პირადი თანასწორობა კანონის წინაშე”. *(“ცხოვრება და კანონი”. 1877-1881 წ.).*

“თანასწორობა, რომელიც სულია და გული ყოველის წყობისა და ნამეტნავად თვითმმართველობისა. უამისოდ თვითმმართველობა უქმი სიტყვაა, უნაყოფო ხეა; უამისოდ სოფლის სამმართველო თავის-დღეში ვერ მოიპოვებს მცხოვრებთა თვალში იმ პატივს, რომელიც სანატრელია და ურომლისოდაც მისი წარმატება და სიკეთე შეუძლებელია”. *(“ცხოვრება და კანონი”. 1877-1881 წ.).*

“მაშინ რა ვიცოდი სულელმა, რომ უფროს-უმცროსობაში სიყვარული სიზმარია? რა ვიცოდი, რომა ბატონ-ყმობის შუა სიყვარულის ხიდი არ გაიდება? ეგრე ყოფილა ქვეყანაზედა: ცალს თურმე ცალმა უნდა უცალოს!..” *(“გლახის ნაამბობი”. 1859, 1862-1873 წწ.).*

“კარგია, რომ პატარაობითვე ბატონი და ყმა ერთმანეთს შეეჩვივნენ: ყმისათვის ბატონთან შეზრდილობა დიდი ზურგია. ნუ დაუშლი, თუ ღმერთი გრწამს, დაე უყვარდეთ ერთმანეთი.” *(“გლახის ნაამბობი”. 1859, 1862-1873 წწ.).*

“ვინ ბიჭი მეთქი, და ვინ წიგნის კითხვა!.. მე მაშინ, ბრიყვსა, წიგნი მარტო სათავადო ხელობა მეგონა. თურმე, ნუ იტყვით, ჩვენისთანა საწყალ კაცის შეფერებაც სცოდნია.” *(“გლახის ნაამბობი”. 1859, 1862-1873 წწ.).*

“იმათს ჭირსა და ლხინს ცალკე ღობე ავლია, ჩვენსას _ ცალკე. გული გულს ვეღარ მიგვიკარებია, ვეღარ მოგვიხვედრებია, და რად უნდა გვიკვირდეს, რომ ერთმანეთისა აღარა გვესმის-რა. აბა ერთი მითხარ: რა დადის ეხლა ჩვენ შუა? მარტო ერთი პტყელი ენა მწიგნობარისა, _ მე ჩვენისთანა კაცს მწიგნობარს ვეძახი, _ მარტო პტყელი ენა-მეთქი მწიგნობარისა და ხარბი ხელი გაუმაძღარისა. ამისთანა მოციქულები აბა კარგს რას დაგვაყრიდნენ.” (*“ოთარაანთ ქვრივი”. [1886] – 6 ქრისტეშობისთთვეს 1887 წელსა).*

“_ მაშ გული ქვეყანაზედ აღარ არის?.. მოჰკვდა, გამოეცალა ადამიანს...

_ გული... გული, ესე იგი ის მადლი, რაც ენას და ხელს უნდა ასაქმებდეს, მართლა რომ აღარ არის, ან არის და დამუნჯებულია, დაყრუებულია, თითქო იმათაც და ჩვენც მოგვკვდომოდეს, თუ მთლად არა, ერთი ნახევარი მაინც. ამ ცალთვალა და ცალყურა ნახევრით-ღა ვცხოვრობთ და ვკითხულობთ ერთმანეთს. აქ ცდომა უეჭველია, იმიტომ რომ სწორედ ის თვალია დახუჭვილი, ის ყურია დახშული, რომელიც სჭრის სხვის ხედვად, სხვის სმენად. გული რა არის? მარტო ერთადერთი კაცი რომ ყოფილიყო ქვეყანაზედ, გულიც არ იქნებოდა. გული მადლია, და მადლი მარტო ორ შუა ჰსაქმობს. ორნი მაინც უნდა იყვნენ, რომ მადლი მოჰხდეს, იმიტომ, რომ მადლი ერთისაგან გაწირვაა და მეორისაგან შეწირვა ერთსა და იმავე დროს. თუ ან გამწირველი არ არის, ან შემწირველი, მადლიც არ არის, მაშასადამე, გულიცა. თუ ორნი არ არიან, გულმა რისთვის ამოციქულოს ან ენა, ან თვალი, ან ყური. თავის თავთან მოციქული საჭირო არ არის, მოციქული სხვასთან უნდა. უსხვაიოდ ერთის გული მარტო პარკია, სისხლის აღებ-მიმცემი აგებულებისათვის. სად არის ის სხვა? წყალგაღმაა, შორს... შორს... მაშ რაღად გიკვირს, რომ იქიდამ ვეღარა გვხედვენ, ჩვენი აღარა სჯერათ-რა... კეთილიც კი. მაგ ჯერვამ თვალი რას მოაბას, ფეხი სად მოიკიდოს? მკვდარს გულში? შეუძლებელია.” (*“ოთარაანთ ქვრივი”. [1886] – 6 ქრისტეშობისთთვეს 1887 წელსა).*

_ სიყვარული ბძანებით არ მოდის.

_ განა მზე კი უბძანებს ხოლმე ვარდს, გაიშალეო!.. აქ თავისთავად უნდა მოსულიყო, რომ, უკაცრაოდ, ბრმა გული არ დახვედროდა, გვარიშვილობის ცხრა კლიტით დაკეტილი. აბა შენი ტოლი კაცი ყოფილიყო და, ვინ იცის, იქნება ბრძანებასაც გაეჭრა. სიყვარულს ხომ მაინც მიუხვდებოდი და მაინც, სხვა არა იყოს-რა, თუნდ ნაასალი მადლიც გიორგისა არა სცხებოდა. აქ კი გვარიშვილობამ კარი გულისა არ გაუღო. წმინდა

შუქი მშვენიერის სულისა ამაოდ და უქმად-ღა ჯავარსავით ეფინებოდა ცივს კედელს. შენ ვერც კი მიუხვდი, ვერც!.. იმან კი იცოდა და არა სჩიოდა. "არა ვნანობო, არაო!.. მოკვდა და ეს უწყინარი სიტყვები ჩვენ დაგვიგდო ჩვენის თავის გასაკითხად." (*"ოთარაანთ ქვრივი". [1886] – 6 ქრისტეშობისთთვეს 1887 წელსა).*

"_ წმინდაა ეგ ცრემლი და არ მოგწმენდ. თქვენ, ქალები, ამით გვჯობიხართ მამაკაცებს...

_ რომ ცრემლს, გვინდა თუ არა, წყალსავით ვღვრით ხოლმე. კმარა სიცილი!.. დავიტანჯე!..

_ ო, ჩემო კარგო, ზოგჯერ ცრემლი "მდუმარე წვიმისამებრ ნაყოფის გამომცემელია". ცრემლი ყოველთვის არ არის უბრალო წყალი: ცრემლი ზოგჯერ ფარია, და დროზედ ხმარებული ფარი იგივ ხმალიაო, ვიღაცას უთქვამს.

_ მაგით რა გინდა სთქვა?

_ შენი ტირილი მიხარიან... მეც ვიტირებდი, რომ მარტო უკან ვიხედებოდე, როგორც ეხლა შენ. იქ, უკან ბნელა... ღამეა...

_ და ხიდია ჩატეხილი, ხიდი!.. _ წამოიძახა ტკივილით კესომ.

_ ეგ მინდა, რომ ყველამ დავანახოთ, ეგ მინდა, რომ ყველამ ვიცოდეთ. შენ ეხლა ჰხედავ, შენ ეხლა იცი.

_ ვიცი და ვტირი...

_ ამიტომაც მიხარიან შენი ტირილი...

_ არჩილ, წინ რაღაა, წინ? _ შეჰბღავლა უეცრად კესომ და ორისავ ხელის თითები ერთმანეთში ჩაიწნა და ფშვნეტა და მტვრევა დაუწყო.

_ ეგ ცრემლიანი ცოდნა უკანა სწვავს და ჰბუგავს, წინა ჰნამავს და ამწვანებს. ეგ ნამი რომ გაბევრდება, მდინარე წყლად იქცევა და მთელს ტივს მიიტანს, რომ ჩვენს შორის ჩატეხილი ხიდი გაამთელოს და ეგრე ორსავ ნაპირს გააერთებს. ეგ ცრემლიანი ცოდნა, თუ ცოდნიანი ცრემლი უკანისა, _ შუქია წინასი და შუქი ხომ...

_ დასაწყისია განთიადისა, განა, ჩემო კარგო?!

_ სწორედ.

და-ძმანი ერთმანეთს სიხარულით გადაეხვივნენ." (*"ოთარაანთ ქვრივი". [1886] – 6 ქრისტეშობისთთვეს 1887 წელსა).*

"სოფელს დიდი ხანია ეძინა იმ გულიანის ძილითა, რომელიც მართლა სასვენია და არა სანებიერებელი." (*"ოთარაანთ ქვრივი". [1886] – 6 ქრისტეშობისთთვეს 1887 წელსა).*

"ეზოს კარიდამ რომ ავადმყოფმა ფეხი ორღობეში გამოსდგა და დაინახა ახლად მოსული, ფეხუხლებელი თოვლი, სთქვა:

_ ჯერ უწმინდური და მურტალი ფეხი ადამიანისა არ მოჰხვედრია და არ გაუცოდვიანებია ეს უცოდველი თოვლი." (*"ოთარაანთ ქვრივი". [1886] – 6 ქრისტეშობისთთვეს 1887 წელსა).*

"არიან თავადნი, აზნაურნი, მღვდელნი, ვაჭარნი, გლეხნი, ჩინიანი და უჩინონი _ ყველანი არიან, და ქართველი კი არსად არის, თავადს აზნაური სძულს, აზნაურსა _ თავადი, გლეხსა _ ორივე." *("ზოგიერთი რამ". 1866-1876 წ.).*

"თავადის აზრი _ სათავადოა, აზნაურის _ სააზნაურო, გლეხის _ საგლეხო, ვაჭრისა _ სავაჭრო." *("ზოგიერთი რამ". 1866-1876 წ.).*

"თავადის აზრი აზნაურს არ უხდება, აზნაურისა _ თავადსა, ორივესი _ გლეხსა."

"თქვენ მე მიჩვენეთ ის ადგილი, საცა მაგ თვითეულის გზები ერთად იყრება საყოველთაო საქართველოს სიკეთისათვის." *("ზოგიერთი რამ". 1866-1876 წ.).*

“ის საერთო ნიშანი მიჩვენეთ, საითკენაც თვითეულის ჩვენგანის ჭკვა, გონება, ფიქრი, გრძნობა, სურვილი ერთად, ხალისიანად და შეუპოვრად მიიწევდეს საყოველთაო საქართველოს კეთილდღეობისათვის.”

“საერთო ლხინი მიჩვენეთ, საერთო ჭირი მაინცა, მაგრამ სად არის: ჩემი ლხინი შენი ლხინი არ არის, შენი ჭირი ჩემი ჭირი არ არის.”

“აბა დაიძახე: ქართველო-თქო, თუ შავის ზღვიდან მოყოლებული კასპიის ზღვამდე მარტო ღიპ-გადმოგდებულის ქართველის მეტმა (ე.ი. გორის მაზრაში მცხოვრებელმა) შემოგხედოს ვინმემ, და თუ გაჭირდა, იქნება კახელმაც თავისი სხვილი კისერი შენკენ მოიღრიჯოს, სხვანი კი ყურსაც არ გათხოვებენ, თითქო ამათ არ ეძახიო, თითქო ისინი კი ქართველები არ არიანო.”

“ის შემკრებლობითი, დიდებული ერთიანი აზრი, რომელსაც ყოველი ჩვენგანი ქართველობაში უნდა ხედავდეს, ის სახელი, რომელიც ყველას გვერქვა, დაირღვა, ჩვენის გონებიდამ ამოშრა, და ქართველი ეხლა ერთის კუნჭულის მცხოვრებთა საკუთარი კერძოობითი სახელი-ღა გახდა და არა საერთო, საყოველთაო მთელის იმ ხალხისა, რომელიც ერთად ტანჯულა, რომელსაც ქართველთა შესისხლულის ისტორიის მძიმე უღელი ჭირში, თუ ლხინში, ერთად ძმურად უწევნია, რომელსაც ერთისა და იგივე ენით ჭირში უგლოვნია, ლხინში უმხიარულნია, და რომელიც დღესაც ერთისა და იგივე ენით _ თუ არაფერს აკეთებს _ თავის მოძმეს მაინც აბეზღებს ღმერთთანაცა და კაცთანაცა.”

“ვაი იმ ხალს, რომელსაც საერთო ძარღვი გაუწყდა; ვაი იმ ქვეყანას, საცა საერთო ძარღვში სისხლი გაშრა, საცა ყველაში თითო არ არის და თითოში _ ყველა, საცა თვითეული ყველასათვის არ ჰფიქრობს და ყველა თვითეულისათვის, საცა “მე” ხშირია, და “ჩვენ” _ იშვიათი!”

“განვთითეულოდით, ცალ-ცალკე დავიშალენით, ასო-ასოდ დავიჭერით, და მაგ განთვითეულებამ, ცალ-ცალკეობამ ყოველგან და ყოველს-ფერში ის საქმე გვიყო, რაც ეზოპეს ზღაპარში თვითეულს წკეპლას მოუვიდა, ერთად ძნელად გადასამტვრევს. ამის შემდეგ, რასაკვირველია, საერთო სახელი აღარ შეგვრჩებოდა, და აკი აღარ შეგვრჩა.”

“რაკი ის დიდებული ქართველობის აზრი, ის საყოველთაო სახელი გონებიდან გამოგვეცალა, ჩვენი გონება დაიფუყა, სულით და ხორცით დავკუწმაწდით. გონება ჩვენი, როგორც ყოველივე საგანი, რომელიც დაიფუყება, შეგვივიწროვდა, დაგვისუსტდა და, რასაკვირველია, ვეღარაფერს ფართოსა და დიდს აზრს ვეღარ დაიტევდა, და ვერ ზიდავდა... ამ მიზეზით ყოველივე აზრი, ფიქრი, სურვილი, გრძნობა დაგვინამცეცდა, გონებრივად, ზნეობითად დავპატარავდით. მას აქეთ, რასაც კი ხელი მოვკიდეთ, ვეღარ მოვერივენით, რასაც კი გონების თვალით დავაკვირდით, გონებაში ვერ დავიტიეთ; ავიღეთ ყოველი იგი და დავანაკუწეთ, იმოდენა ნამცეცებად ვაქციეთ, რამოდენის ზიდვასაც თვითეულის ჩვენგანის ღონე შესძლებდა, რადგანაც მთელის ზიდვისათვის საერთო მხარი აღარა გვქონდა.”

“განა შენ თითონ არ იცი, რომ ეხლა ეგ დიდებული სიტყვა თვითეულის ჩვენგანის გათავთავებულს უძრავს ქონებასა ნიშნავს და არა მთელის ხალხის სამშობლოს, _ ბინასა, რომელიც ქვისა და კირის მაგიერ ჩვენის მამა-პაპის სისხლითა და ძვლებით დამყარებულია.”

“განვთვითეულდით, და რამოდენადაც თვითეული ჩვენგანი მთელს ქართველობაზედ უძლურია და პატარა, იმოდენად თვითეულის ჩვენგანის აზრი საყოველთაო საგანზედ დაუძლურდა, დაპატარავდა.”

“სადღა არის ეხლა ქართული ენა? ან გვინდაღა ქართული, როცა ჩვენ თითონ ჩვენდა დასაღუპავად ქართველობაზედ ხელი ავიღეთ? გონებით რომ აღარ ვსცხოვრობთ, ქართულს ენას აზრს როგორღა გამოათქმევინებთ? ერთობისათვის რომ აღარა ვართ, ერთნაირს სიტყვის მნიშვნელობას როგორ მოვსთხოვთ ჩვენს ენასა? თუნდ რომ ჩვენს ენას და სიტყვას აზრიც გამოათქმევინოთ, ვის რად გინდათ, ენას აზრს ვინღა სთხოვს? ჩვენ თვითონ დავცალიერდით გუდაფშუტასავით, ცალიერი სიტყვებიღა გვინდა, ცალიერი ხმები, რომ ენამ პირში იშტვინოს და ყურმა ძარღვი იფხანოს. სხვა რისთვის გვინდა ენა? საერთო სახელი ქართველი კერძოობითად გავხადეთ, მამული დანეხვილ ნაფუძვრად გარდავაქციეთ, პატივი _ ნეხვად, თავი _ გოგრად, და ჩვენი უადამიანობა იქამდინ მივიყვანეთ, რომ კაცი კაცს აღარ ნიშნავს, თუ ზედ კაცური არ დავუმატეთ, და მის შემდეგ კიდევ გინდათ, რომ ენა გვქონდეს?”

- **ერთობა უნდა გვქონდეს: ნუთუ ყველა საზოგადოებრივ ძალთა ერთ კვალში ჩაყენება სანატრელი არ უნდა იყოს?**

“ისტორიაო, _ ამბობს ერთი მწერალი, _ ბრძოლაა ბუნებასთან, სიღარიბესთან, გონების სიბნელესთან, ღონემიხდილობასთან, მაშასადამე ყოველგვარ შევიწროებასთან, რომელსაც ადამიანი პირისპირ შეემთხვევა ხოლმე, როცა ისტორიის ასპარეზზედ გამოდისო. ერთს ბიჯსაც წინ ვერ წავდგამთ ამ ბრძოლაში, თუ ყველამ ცალკე გავიწიეთო, ყველამ ცალკე ვიბრძოლეთო”. თუ ესეა, ნუთუ ყველა საზოგადოებრივ ძალთა ერთს კვალში ჩაყენება სანატრელი არ უნდა იყოს ყველასათვის? ნუთუ ყოველი ჩვენგანი არ უნდა ცდილობდეს სრულიად აღმოიფხვრას, ჩვენთა წოდებათა შორის განხეთქილების მიზეზნი, რომ ჩვენი ცხოვრება წარმოადგენდეს ერთის დიდებულს დენას შეერთებულის ძალისას?” *(“ცხოვრება და კანონი”. 1877-1881 წ.).*

“ამიტომაც დიდად სცოდვენ ქვეყანასა და ხალხსაც, ნამეტნავად ჩვენში, _ ისინი, ვისაც გულში ჩაუდვია, გინდა თუ არა, განხეთქილება უნდა იყვესო წოდებათა შორის, რადგანაც ევროპაში ეგ განხეთქილება სუფევსო. განა ევროპა ცოტა დროსა და ღონესა ჰკარგავს, ცოტა სისხლსა ჰღვრის, რომ ეგ განხეთქილება მოსპოს?

მაშ, საცა ეგ არ არის, რად გვინდა რომ იყოს? ეგ იმას ეგვანება, რომ კაცმა ნაგავი შეიტანოს სახლში მარტო იმისათვის, რომ მერე საბუთი ჰქონდეს სთქვას: სახლს დაგვა უნდაო. რად გვინდა ჩვენ აქ ბაძი, ან რა სასარგებლოა? მაგრამ რა? ტვინთხელობა, რომელიც საკუთარ ტვინს მოკლებული, სხვისით სცხოვრობს და მარტო ბაძით სულდგმულობს, ამ შემთხვევაში, წინათვე ვიცით, კედელი იქნება და, რამდენიც გინდათ ცერცვი შეაყარეთ, არ დაიჭერს”. *(“ცხოვრება და კანონი”. 1877-1881 წ.).*

“კაცთა საზოგადოება თავისის სიმკვიდრისა, შეურყევლობისა და არსებობისათვის ყოველ ცალკე ადამიანისაგან ითხოვს იმოდენა სათნოებას, რომ ნაკლები შეუძლებელითღაა კაცთა კრებულად ცხოვრებისათვის. იგი გვეუბნება, თუ ერთმანეთობა გინდა, თუ კრებულად ყოფნა გსურს, ამა-და-ამაზედ ნაკლები სიმართლე არ იქონიო. ამა-და-ამაზედ ნაკლებ გულმოდგინედ და ერთგულად არ მოეკიდო შენს მოვალეობას, ამაზედ ნაკლები თანაგრძნობა, თანაზიარობა ერთმანეთობაში არ დაიზარო, ამა-და-ამაზედ ნაკლები საყოველთაო ტვირთი არა ჰზიდო, და მებრვე სხვა. ამ სახით კაცთა

საზოგადოება, მოქალაქური ურთიერთობა და ყოფა-ცხოვრება ჰკმარობს მარტო minimum-ს სათნოებისას". *("დიმიტრი ყიფიანი". 1887 წ. 30 ოქტომბერი).*

"ამ minimum-ზედ, ამ ხაზზედ დგომა ყველასათვის სავალდებულოა. ხოლო შესაძლოა ადამიანი ამ ხაზს ძირსაც დასცილდეს და ზე ასცილდეს კიდეც. დამცილებელი სცოდავს საზოგადოებას და ისჯება საზოგადოებისაგანვე, რადგანაც ამ შემთხვევაში დაცილება დანაშაულობაა. ამიტომაც არ-დაცილებას ითხოვს კაცისაგან საზოგადოება, ვითარცა მოვალეობას, და ზე-აცილებას კი თვითოეულის ნებაზედ სტოვებს. იმიტომ რომ ყოველს კაცს სრული ნება აქვს, და შეუბღალველი ნებაც, ეს minimum-ი სათნოებისა იქონიოს და არა მეტი. ამ ხაზზედ ზე-აცილება, ესე იგი ამ ნაკლების სათნოების წარმატება, განდიდება, გაძლიერება, მოვალეობა აღარ არის კაცისა: იგი ღვაწლია, გადამეტებული სამსახურია, მსხვერპლია, გმირობაა". *("დიმიტრი ყიფიანი". 1887 წ. 30 ოქტომბერი).*

"იმოდენად უნდა ერთად მოვგროვდეთ ღონით თუ ფულით, რამოდენათაც თვითეული ცალკე საქმე რომელისამე წარმოებისა იკმარებს გასამარჯვებლად". *("ძველი და ახალი ჩვენი ეკონომიური ცხოვრებისა". 1897 წ. 20 დეკემბერი).*

"თუ დღეს ცოტანი ბევრსა გვძლევენ და გვჩაგრავენ, ეგ იმიტომ მოგვდის, რომ ცალ-ცალკე მოგვიხელებენ ხოლმე და ცალკე კაცისათვის ჭიდილი ფულთან, თუნდ ჩარჩული ფულიც იყოს, ძნელია. აბა ჩარჩს ყველგან, საითაც კი ხელს გაიწვდის, წინ კარგად შეკრული ამხანაგობა, ან სხვა რამე კრებული დავახვედროთ, ერთობით გაღონიერებული, და მაშინ იქნება ღმერთმა ჩვენკენაც მოიხედოს". *("ძველი და ახალი ჩვენი ეკონომიური ცხოვრებისა". 1897 წ. 20 დეკემბერი).*

"დიდი ხანია და კარგა დიდი ხანიც მას აქეთ, რაც ჩვენში გაიღვიძა ნაყოფიერმა სურვილმა, რომ ეგ შეერთებული შეძლება და ძალ-ღონე საფუძვლად დაედოს სხვათა შორის ღვინის საქმესაც ჩვენში, კისრად იდვას იგი საზოგადოებამ და საზოგადოებურის ძალით დაადგეს ჯეროვანს ფეხად და გაიმართოს სამოქმედოდ. ამ აზრმა იარა, იარა და დღეს ისე მომწიფდა, რომ ლამის განხორციელებას. მაგრამ როგორ და რა გზით?" *("ჩვენი ღვინოების საბაზროდ ქცევის საკითხი". 1892 წ. 11 ნოემბერი).*

- **იმიერ ქართველს ამიერ ქართველი ეუბნება შენ მოსული ხარო**

"გაზეთებიდან და კრების ოქმიდან შევიტყე, რომ გუშინწინ ჩემი ქება-დიდება მოგისმენიათ ერთის ორატორისაგან. რაც ამ ორატორს უნებებია ჩემი უკადრისად ხსენება, მე იმას ყურადღებას არ ვაქცევ. ხოლო თქმულა ერთი რამ ისეთი, რომელმაც შეაძრწუნა ჩემი მამულიშვილური გრძნობა და ეს არ შემიძლიან აღუნიშნავად დავტოვო. აქ ერთს ორატორს მეორეზედ უთქვამს: ეგ მოსული არისო და ჩვენთან არავითარი კავშირი არა აქვსო. მე არ ვახსენებ, ვის უთქვამს ეს. მე მთქმელთან საქმე არა მაქვს-რა. მე ვებრძვი აზრს და ამ აზრის გამოსარკვევად მარტო საჭიროა ვიცოდეთ ის კი არა, ვინა სთქვა, არამედ ის, ვის უთხრეს. ეს უთხრეს იმიერ ქართველს. როგორ? იმიერი ქართველი აქ, ჩვენს კრებაში, ამ ჩვენს საქართველოში _ მოსულია, უცხოა და არა სახლიკაცი, არა სისხლ-ხორცი იმ დიდი ოჯახისა, რომელსაც საქართველო ჰქვიან! არა, ბატონებო!.. ყოველს ქართველს საქართველოს ნაწილისას, _ გურული იქნება, მეგრელი, იმერელი, კახელი, თუ ქართლელი, _ ჩვენის ერთიანის ოჯახის კარი ღია აქვს, რომ ჩვენს საერთო

ჭირსა და ლხინში ძმური მონაწილეობა მიიღოს. ეს არამცთუ უფლებაა თვითეულის ჩვენგანისა, უუწმინდესი მოვალეობაა. ძმობა და ერთობა ამაშია. ეგ ძმობა და ერთობა არის იგი კლდე, რომელზედაც უნდა აშენდეს დიდი სასახლე ჩვენის ცხოვრებისა". *("სიტყვა ილია ჭავჭავაძისა ტფილისის ქართული საადგილმამულო ბანკის წლიურ კრებაზე 20 მაისს, 1895 წელს").*

"ეს ექვსი საუკუნეა მას აქეთ, რაც ჩვენნი წინაპარნი, ჩვენნი უკეთესნი და უდიდესნი, ჩვენნი მამულიშვილნი, ჩვენი გენიოსები, ჩვენნი ვაჟკაცნი და მეომარნი, ჩვენნი მსწავლულნი და მეცნიერნი, სისხლის ღვრით იღწვოდნენ, რომ მკვდრეთით აღედგინათ ჟამთა ვითარებისაგან დარღვეული და დამხობილი ძმობა და ერთობა. ამას შესწირეს თავისი სახელოვანი სიცოცხლე, თავისის სისხლით და ღვაწლით შემოსეს და აკურთხეს... აწ განსვენებულმა ჩვენმა მწერალმა ვახტანგ ორბელიანმა მთელის თავისის მხურვალე გულის ძგერით აღთქმად დასდვა, ანდერძად დაგვიტოვა, რომ ძმობა და ერთობა კლდეა და ამაზედ ააშენეთ თქვენი ბედნიერებაო, ამაშია ჩვენი სასოება". *("სიტყვა ილია ჭავჭავაძისა ტფილისის ქართული საადგილმამულო ბანკის წლიურ კრებაზე 20 მაისს, 1895 წელს").*

"დღეს სხვას გვეუბნებიან, დღეს უნდათ, ერთმა ნაწილმა საქართველოსამ მეორეს უთხრას: შენ ჩვენ შორის მოსული ხარო! სამართლიანი გულისწყრომა მამულიშვილობისა ამ აზრს ვერ მიიკარებს. მე ამით ვაცხადებ ჩემს მაგიერ და ჩემთა თანამოაზრეთა სახელით, რომ მამულისშვილურ გრძნობის წყევლა-კრულვით ჩვენ ზურგი შეგვიქცევია ამ უკეთურ აზრისათვის. თქვენც მოგიწვევთ, ასე მოიქეცით. დეე, ამ უკეთურმა აზრმა იქვე გაითხაროს თავისი საკადრისი სამარე და დაიმარხოს, სადაც დაიბადა და აკვანი დაიდგა". *("სიტყვა ილია ჭავჭავაძისა ტფილისის ქართული საადგილმამულო ბანკის წლიურ კრებაზე 20 მაისს, 1895 წელს").*

"ამიერი და იმიერი არავის გაუყვია და იქაური ტკივილი ჩვენი ტკივილიც არის, რადგანაც ერთსულნი და ერთხორცნი ვართ ერთმანეთის საბედნიეროდ." *("ქუთაისის ბანკის საქმე". 1890 წ. 11 აგვისტო).*

"დასთა ბრძოლაში სწორე ლარი მარტო ამისთანა კაცებს გააქვთ, როცა ერთად, კრებულად მოქმედობენ და არა დაქსაქსულად ცალ-ცალკე." *("ქუთაისის ბანკის შესახებ". 1893 წ. 3 დეკემბერი).*

"ყოველი გულშემატკივარი კაცი ჩვენის საზოგადო საქმისათვის უუწმინდაეს ვალად უნდა ჰრაცხდეს ამისთანა გულწრფელ და პირუთვნელ მართლის მოყვარე კაცთან შეადგინოს კრებული და მას მოაპოვებინოს ადგილი საზოგადო საქმის სარბიელზე. აქ ძალა, ხერხი და სხვადასხვა ოინები მანძილს ვერ გაივლის. აქ უნდა მტკიცე რწმენა მართლისა მოქმედობდეს, რადგანაც მარტო მართალია შემკვრელი და გამამტკიცებელი ამგვარ კაცთა კრებულისა. ამათ წინ ჩხავანა მომხრე დასისა ვერას იქმს, ფონს ვერ გავა." *("ქუთაისის ბანკის შესახებ". 1893 წ. 3 დეკემბერი).*

"იქ "მე" უღონოა, საცა "ჩვენ" გაცუდებულია, უარყოფილია, გალახულია. ამას ყველა ვგრძნობთ და ვვალალებთ კიდეც." *("შინაური მიმოხილვა". 1879 წ. აპრილი)*

- **მშობლიური ქვეყნის სიყვარული დიდი რამა ყოფილა კაცისათვის**

"საზოგადოება არის რაღაც ცოცხალი და შენაწვრებული, ერთი მრთელი, რომელსაც აქვს დროება თავისი გაზრდისა, დროება კარგად-მყოფობისა და ავად-მყოფობისა,

დროება თვისის ტანჯვისა და მხიარულებისა და აქვს თავისი მიქცევა და მოქცევა ან სასიკვდილოდ, ან სასიცოცხლოდ." *("სფირიდონის და თადეოზის ბაასი". 1861 წ.).*

"ცოცხალ კაცს თავის სულში, თავის გულში და სისხლში აქვს სიცოცხლე საზოგადოებისა: ის ავად გახდება საზოგადოების ავადმყოფობით, იტანჯება იმისი ტანჯვით, ნეტარებს მისი ბედნიერებით, თავისი თავისა და თავის საკუთარ გარემოებას გარეშე მყოფისათვის." *("სფირიდონის და თადეოზის ბაასი". 1861 წ.).*

"სამშობლო ქვეყნის სიყვარული უნდა გამოდიოდეს კაცობრიობის სიყვარულიდგან ისრე, როგორითაც ნაწილი მრთელისაგან." *("სფირიდონის და თადეოზის ბაასი". 1861 წ.).*

"სამშობლო მამულის სიყვარული არის ისა, რომა გულით გინდოდეს ნახო, რაც კაცობრიობას გუნებაში გამოუხატავს _ აღსრულებაში იყოს მოყვანილი, და შენის ძალისა შეძლებისა კვალად შველოდე მის აღსრულებას." *("სფირიდონის და თადეოზის ბაასი". 1861 წ.).*

"თავისი მიწა-წყალი დიდი რამ ყოფილა კაცისათვის. ვინც თავის მიწა-წყალს არ მოჰშორებია, ეგ იმას ვერ უცვნია. ჩემ და ქვეყნის შუა ხომ ეხლა ხიდი ჩატეხილია და, დღესა თუ ხვალე, სულაც გავშორდები, მაგრამ ღვთის მოწყალებად ჩავთვლიდი, რომ მე ჩემის მიწა-წყლის კალთაში სული დამელია. ვაი, სადაური სადა ვკვდები!" *(გლახის ნაამბობი. 1859, 1862-1873 წწ.).*

"ძლიერი ყოფილა უძალოდაც ადამიანის შვილი!.." *("გლახის ნაამბობი". 1859, 1862-1873 წწ.).*

"ადამიანს ხანგრძლივ რომ შეხვდეს ამ წუთის-სოფელში იმისთანა დრო, ეს წუთის-სოფელი სამოთხე იქნებოდა. მაგრამ წუთის-სოფელი იმიტომა ჰრქმევია, რომ ყველაფერი წუთობითა სცოდნია, უბედურობის მეტი. ის-ის იყო, ჩემს ბედს იმის ოდენი სიხარული ვეღარსად დავსტყუე. წავიდა იგიცა, ვითა სიზმარი ღამისა." *(გლახის ნაამბობი. 1859, 1862-1873 წწ.).*

"ჩემისთანა უთვისტომო ადამიანისათვის ქვეყანა ყველგან ერთი უნდა ყოფილიყო, მაგრამ ქართველისათვის საქართველო დიდი რამა ყოფილა. რაც უნდა იყოს, შენი ჭირიმე, ჩვენი აკვანი საქართველოა, ჩვენი მამა-პაპის საფლავი საქართველოა, ჩვენის ენის ქვეყანა ეს არის, ჩვენის სიტყვა-პასუხის გამგონი ეს არის. ჩვენი მზე აქ არის და ჩვენი მთვარე, და თუ გული გაქვს _ გულიც აქ არის, თუ სიყვარული გაქვს _ სიყვარულიც აქ თუ იქნება, თორემ სხვაგან სადა?" *(გლახის ნაამბობი. 1859, 1862-1873 წწ.).*

- **ქართველთა გაკენწვლა: არა-სასიამოვნო თვისება დაეკვებათ**

"ერთი არა-სასიამოვნო თვისება დაეკვება აქაურს სომხის ლიტერატურას და სომხის ლიტერატორებსა, თუ ყველას არა, უფროს-ერთს მაინცა. საცა-კი შემთხვევა ეძლევათ ქართველი ახსენონ, ისე ვერ მოურჩებიან, რომ ქართველი და ქართველობა არ გაჰკენწლონ ცოტად თუ ბევრად. ღვთის წინაშე, უნდა ითქვას, რომ არც ჩვენ, ქართველები, ვაკლებთ რასმე სომხებს და ჩვენც ხელიდამ არ ვუშვებთ შემთხვევას ასე თუ ისე ავად არ ვახსენოთ. ხოლო ჩვენდა გასამართლებლად ესეც უნდა ითქვას, რომ ჩვენ, ქართველები, ავად ვიხსენიებთ ხოლმე მარტო იმ ჯურის სომხებს, რომელნიც წურბელებსავით მოჰკიდებიან აქაურობას, სწოვენ ქვეყანას და რომელთაც ჰკიცხავენ და

ავად იხსენიებენ თითონ გონიერნი და პატიოსანი სომეხნი.” *(“გაბრიელ სუნდუკიანცის “პეპო” და სომხის ლიტერატორები”. 1889 წ.).*

“ვერც ჩვენს ლიტერატურაში, ვერც ჩვენს საზოგადოებაში ერთს მაგალითსაც ვერ გვიჩვენებენ, რომ ქართველი ავად იხსენიებდეს მთელს სომხობასა, მის ინტელიგენციას, რომელზედაც დამყარებული აქვს სომხობას მთელი თავისი სამართლიანი სასოება და რომელიც ხსენებულ ჯურის სომხების წრეს გარეთა ჰდგას თავის სასახელოდ და თავის მოძმეთა ნუგეშად.” *(“გაბრიელ სუნდუკიანცის “პეპო” და სომხის ლიტერატორები”. 1889 წ.).*

“ჩვენში ჩვენგან მთელი სომხობა, როგორც ერი, თავის-დღეში არც გაკითხულა, არც გაკიცხულა და არც ავად ხსენებულა. სულელობაც იქნებოდა ეს ჩვენ მიერ, იმიტომ რომ ქვეყანაზედ არ მოიპოვება იმისთანა ერი, რომ ავთან კარგიც არ იყოს მის შორის. პირიქით, არა ერთ და ორი მაგალითი ყოფილა, რომ ყოველს კარგს სომხისას პატივისცემით დაჰხვედრია ქართველობა და მისი ინტელიგენცია. ამის საბუთს იპოვით როგორც ჩვენს ლიტერატურაში, ისიც ცხოვრებაში.” *(“გაბრიელ სუნდუკიანცის “პეპო” და სომხის ლიტერატორები”. 1889 წ.).*

“ქართველი არ არის დამწყვდეული თავის გვარტომობის ვიწრო წრეში, არამედ სხვა ერის პატივისცემაც იცის და გულგაშლით ეკიდება ყოველს სხვა გვარტომსა. ესეთი თვისება საქებურია და არა საწუნარი.” *(“გაბრიელ სუნდუკიანცის “პეპო” და სომხის ლიტერატორები”. 1889 წ.).*

“ჩვენისთანა დაბრიყვებული, დაბალ ღობედ მიჩნეული ერი, ჩვენისთანა სახელგატეხილი ძნელად თუ სხვა მოიპოვება დედამიწის ზურგზე, ვინც გნებავთ, ან ზედ გვაბოტებს, ან გვქელავს და მიწასთან გვასწორებს. ლამის კავკასიის ქედს აქეთ ჩვენი ხსენება გააჩანაგონ, ქართველების სახელი დედამიწის ზურგიდამ აღგავონ და ჩალასავით ქარს გაატანონ. თითქო არც ოდესღაც ვყოფილვართ, არც დღესა ვართ... სულით დაბალნი, ჭკუაგონებით ჩლუნგნი, ზნეობადაცემულნი, სულელნი, უსწავლელნი, გაუნათლებელნი, გაღატაკებულნი, ფლიდნი, პირისგამტეხნი, მხდალ-ლაჩარნი _ აი ჩვენი სულიერ და ხორციელ ავლა-დიდების სურათი! აი რანი ვყოფილვართ, რანი ვართ დღეს იმათის სიტყვით, ვისაც ასე თავისდა სასარგებლოდ მიუჩნევია ჩვენის სახელის გატეხა, ჩვენი მიწასთან გასწორება. წერით თუ სიტყვით, შინ თუ გარეთ წელებზე ფეხს იდგამენ, რომ ქვეყანა დააჯერონ, ვითომც ჩვენ სწორედ ასეთი უხეირონი და უღირსნი ვყოფილვართ და დღესაც ასეთნივე ვართ, თუ არ უარესენი”. *(“ქვათა ღაღადი”. 1899 წ.).*

“მართალია, ტყუილს მოკლე ფეხები აქვს და სხვისა ღირსების ჩამორთმევით ან დაკლებით მათნი არც მოივლინებიან, არც გადიდდებიან, მაგრამ წადილის დაუჭირავსა ყური აქვს მოუსმენი და ენა გრძელი”. *(“ქვათა ღაღადი”. 1899 წ.).*

- **ახალი თაობა ახალთა აზრთა წინამძღოლობაში, ახალთა აზრთა მოძღვრებაშია და არა იმაში, რომ მე დღეს დავიწყე წერა და შენ გუშინაო**

“რასაკვირველია, იშვიათი არ არის ქვეყნიერობაზე, რომ ცალკე კაცის სახელითაც იწოდებოდეს რომელიმე აზრი, თუ საქმე, მაგალითებრ, დარვინის სამეცნიერო აზრს და მოძღვრებას დღესაც დარვინიზმობით იხსენიებენ, ბაირონის მიმართულებას და აზრთა წყობას _ ბაირონიზმით. ამის მიხედვით იტყვიან ხოლმე, ეს კაცი დარვინისტია, ბაირონისტია და მებრვე სხვა. ამის შემდეგ, რა თქმა უნდა, წინ აგვეტუზება ერთი საკითხი: თუ ცალკე კაცის სახელით საზოგადო სარბიელზე გამოსული კაცი განირჩევა

ერთი მეორისაგან, რატომ მთელი წყობა, მთელი კრებული, რომელსაც ან ერთი ან მეორე თაობა წარმოადგენს, თავის სახელით ვერ აღნიშნავს მის მიერ მოძღვრებულს საზოგადო აზრსა, თუ საქმესა? ჩვენ ამის უარს არ ვამბობთ: ეგეც შესაძლებელია. ხოლო დავაკვირდეთ იმას, რომ ამ შემთხვევაში სახელი ახალის თუ ძველის თაობისა უნდა მიეთვისოს იმ წყობას საზოგადო აზრებისას, მიმართულებისას, თუ საქმისას, რომელთაც აღიარებს, ჰმოძღვრებს და ასულდგმულებს ერთი თაობა, და მეორე ეწინააღმდეგება, ეურჩება და უარობს, ხომ მარტო ამითი უნდა გაირჩეს ერთი თაობა მეორისაგან, და აბა გვიჩვენეთ, ვის რა ამისთანა საზოგადო აზრი, მიმართულება, ან საქმე უწერია თავის დროშაზე? ან ვისი საზოგადო აზრი, მიმართულება, თუ საქმე _ ვისაც ერჩის და ვისაც ებრძვის?" *("წერილები ქართულ ლიტერატურაზე". 1892 წ.).*

"კვლავ ვიმეორებთ: როცა ამისთან საკითხს წავაწყდებით ხოლმე, მხოლოდ მაშინ ვცნობილობთ, რომ ჩვენში ამისთანა სიტყვები, როგორც ძველი და ახალი თაობა, ცარიელი და ფუყე სახელებია და დროა თავის პატრონს ჩაჰბარდნენ და საიდამაც მოსულან, იქ წავიდნენ. ამ სახელების ხმარება ჩვენში სხვა არა არის-რა, ბავშვობის მეტი, იმიტომ რომ მარტო ენა-ამოუდგმელს ბავშს შეჰფერის ხმარება იმისთანა სიტყვებისა, რომელთაც არც საგანი აქვთ, არც საბუთი, არც მიზეზი არსებობისა." *("წერილები ქართულ ლიტერატურაზე". 1892 წ.).*

"როცა საყვედურს აძლევენ ახალს თაობას _ არას აკეთებთო, ჩვენ ვერ გამოგვირკვევია, ვინ უნდა მიიღოს ეს საყვედური თავისს თავზე. თუ ამით ეხლანდელს დროს ემდურიან, ეგ სხვაა. ეხლანდელს დროში, როგორც წინანდელშიაც, ჰმოქმედობენ ახალნიც და ძველნიც და, მაშასადამე, აქ ან ერთი, ან მეორე არაფერს შუაში არიან ცალ-ცალკე, და თუ არიან, ორნივ ერთად არიან დამნაშავენი. თუ რომელიმე წყობა ცალკე გამდგარა და განგებ დაურქმევია თავის-თავისათვის ძველი, ან ახალი თაობა, და ყოველს სხვას, თავთავის წყობის გარეთ მოქცეულს, ან ერთს, ან მეორე სახელს ეძახიან, _ ეგ ხომ საქმის ვითარებისაგან წარმომდგარი არ იქნება, ეგ ხომ ძალად აკვიატებულს სახელს მოასწავებს, თვითნებობით დაჩემებულს! ამისთანა ხალხზე მარტო ეს ითქმის: დეე ბალღებმა თავი შეიქციონ, ოღონდ-კი ნუ იტირებენო." *("წერილები ქართულ ლიტერატურაზე". 1892 წ.).*

"ახალი თაობა ახალთა აზრთა წინამძღოლობაში, ახალთა აზრთა მოძღვრებაშია და არა იმაში, რომ მე დღეს დავიწყე წერა და შენ გუშინაო." *("მითამ და "ახალი რაზმის კაცი" ანუ ორი ფელეტონი". 1883 წ.).*

"არასფერი ქვეყანაზედ არც იმით დაიწუნება, რომ ძველია, არც იმით მოიწონება, რომ ახალია. ამ სადა ჭეშმარიტებას დიდი ლარი და ხაზი არ უნდა, არც მეტის-მეტი გონების გახსნილობა, რომ კაცმა ახალი ტალახი ძველს ვარდს არ ამჯობინოს. მარტო იმის გამო, რომ ტალახი ახალია და ვარდი-კი ძველი." *("ბულვარის აკადემია". 1887 წ.).*

"საქმისა, თუ აზრის ავ-კარგიანობის გარჩევა მარტო ძველ-ახლობითა, ღირსების აწონ-დაწონვა მარტო იმით, რომ ეს გუშინდელია და ეს დღევანდელი, ჭეშმარიტების უარყოფა მარტო იმით, რომ ძველია და ტყუილის ჭეშმარიტებად გაყვანა მარტო იმით, რომ ახალია, რაც გნებავთ ბრძანეთ და, სასაცილოდაც მეტია." *("ბულვარის აკადემია". 1887 წ.).*

"ავ-კარგიანობა ახალშიაც არის და ძველშიაც." *("ბულვარის აკადემია". 1887 წ.).*

"ავ-კარგიანობა ტყუილ-მართლობა არც ახალს ახლობით მიეწებება, არც ძველს ძველობით. ავსაც და კარგსაც, ტყუილსაც და მართალსაც თავისი საკუთარი ბუნება აქვს

და თვითოეული თავისდა ბუნებისამებრ უნდა გაირჩეს და გამოიზომოს და არა სიახლით და სიძველითა." *("ბულვარის აკადემია". 1887 წ.).*

"ყველას, ძველია თუ ახალი, მინამ მსჯავრს დასდებდეთ, კბილი კი არ უნდა უსინჯოთ, ბუნება უნდა გამოუჩხრიკოთ და მარტო მაშინ დაეჭდევა თქვენს მსჯავრს ადამიანის საკადრისი ღირებულება და ფასი." *("ბულვარის აკადემია". 1887 წ.).*

"ძველობით ხსენება სხვისა, ამით კილვა და ძაგება, ძველი იარაღია უღონობისა, გაცვეთილი ფანდია სახსარ-მოკლებულ ფალავნისა." *("ბულვარის აკადემია". 1887 წ.).*

"რაც გინდა სთქვით, როგორც გინდა მიიქეცით, ოღონდ ახალ-თაობის წმინდა სახელს ნუ მოჰფენთ უკადრისს ქცევასა, უკადრისს სიტყვასა, ახალი თაობა სხვა არის, სხვა ნუგეშია, სხვა იმედია. ყველა ჩხავანა ახალ-თაობა არ არის. ახალი თაობა გონიერებაა. ახალი თაობა პატიოსნებაა, ახალი თაობა ცოდნაა, მეცნიერებაა, ახალი თაობა საქმეა და არა ჩხავილი. ვისაც ყოველივე ეს ცოტად თუ ბევრად არა სჭირს, შორს მანძილს ვერ გაირბენს მარტო იმითი, რომ ბალღები ატყუოს, _ ახალი თაობის კაცი ვარო." *("შინაური მიმოხილვა". 1883 წ. აპრილი).*

"ვინც ეგრე გულმოდგინედ ყვირის, ახალი კაცი ვარო, რატომ არა ვკითხულობთ, რით არის ახალი? ნუთუ მარტო იმითი, რომ სხვაზედ გვიან მოვიდა? რატომ არა ვკითხულობთ, რა მოიტანა ახალი? აბა კვალში ჩაუდექით ყოველ მყვირალს, ახალ-თაობის კაცი ვარო, გაუსინჯეთ სიტყვა და მოქმედება, იკითხეთ იმ სიტყვასა და მოქმედებაში ახალი რა არის, და მაშინ ნახავთ, რომ იგი ახალის თაობის ბერეკაა და არა ახალი თაობის კაცი. თვითონაც რომ ჰკითხოთ, აბა, ახალო კაცო, ახალი რა მოიტანეო, დამიჯერეთ, ოფლში გასწურავთ მაგ კითხვით და ძნელ საქმეს დააყენებთ. ახალი კაცი ძლიერია თავისის აზრით, მსჯელობით, ცოდნით. იგი თავმოსაწონებელს სახელს ახალის კაცისას მართლა-და ახალის აზრით, მსჯელობით და ცოდნით დაიმსახურებს და არა ყვირილით და ფიცით, ღმერთმანი, ახალი კაცი ვარო." *("შინაური მიმოხილვა". 1883 წ. აპრილი).*

"ვისაც დაუკარგავს თავისის თავის პატივი და, მაშასადამე, სხვისაც, _ უკადრისობა იმისათვის უცილო იარაღად დაგვითმია. დეე იმან ამ გზაზედ და ამ იარაღით იბრძოლოს. დრო, კეთილ-გონიერება და თითონ ახალი თაობა თავის უტყუარს განაჩენს თავის დროზედ იტყვის." *("შინაური მიმოხილვა". 1883 წ. აპრილი).*

- **ქველმოქმედება: ზნე-კეთილი ადამიანის თვისებაა. ბატონისა და სამი მოსამსახურის ამბავი**

"თუ მეტია შენთვის, იმას მიეცი, ვინც მე და შენზედ უფრო ღარიბია, მაგას უფრო მოგიწონებს ღმერთი. აგერ, ამ თქვენის ქუჩის ბოლოს, ერთი ღარიბი სახლობა არის, პურის შოვნის ილაჯი არა აქვთ, მე და შენ კი ყოველდღე მაძღრები ვართ..." *("გლახის ნაამბობი". 1859, 1862-1873 წწ.).*

"კაცს რაკი ღვთის მადლი ჩაესახება გულში, მდიდარია თუ ღარიბი, მაინც მადლის გზაზედ წავა." *("გლახის ნაამბობი". 1859, 1862-1873 წწ.).*

"ჩვენისთანა კაცის ვალისა ღმერთია მზღველიო." *("გლახის ნაამბობი". 1859, 1862-1873 წწ.).*

"ბევრი სიკეთე უნდა დაეთესოს კაცსა, რომელსაც ეგრე სიყვარულით გარს არტყია ხალხი." *("გლახის ნაამბობი". 1859, 1862-1873 წწ.).*

"აბა, წავიკითხოთ.

მომიჯდა გვერდით, გადამიშალა თითონვე რამდენიმე ფურცელი და მომცა. დავხედე იმ ადგილს, სადაც თითი დამიდო, ეწერა: "ამბავი პირველი როსტევან არაბთა მეფისა". მე ვუთხარი:

_ რატომ თავიდამ არ მაწყობინებ?

_ ნუ აჩქარდები, ყველფერი თავის დროზედ უნდა. თავი უფრო ძნელია, მგონი, შენთვისაც და ჩემთვისაც; თუნდ ეგ არ იყოს, ამბავი აქედამ იწყობა. მერე, როცა მე და შენ კარგად მივხვდებით, მაშინაც მოვესწრობით მაგის გადაკითხვასა." *("გლახის ნაამბობი". 1859, 1862-1873 წწ.).*

"ის დღეები ჩემთვის უღრუბლონი იყვნენ!.. წავიდნენ და არ მობრუნდებიან უკან... რა ვუყოთ? გულს ხომ ისევ ეტყობა იმათი სითბო, ესეც ნუგეშია." *("გლახის ნაამბობი". 1859, 1862-1873 წწ.).*

"იმ ალაგთან რომ მოვედი, საცა სწერია: "რასაცა გასცემ _ შენია, რაც არა _ დაკარგულია", მახსოვს, დიდხანს შემაყენა. ამისთანა სიტყვებზედ უყვარდა იმის შედგომა და ბაასი. მაშინდელი სიტყვები, _ რა მაშინდელი! _ რაც რომ უთქვამს ჩემთვის, დღევანდლამდინ სიზმარივით დამახსოვდა.

_ გესმის ეგა? _ მკითხა, _ სახარებაში ქრისტე-ღმერთი ერთს იგავსა ბძანებს, თუ არ მოგწყინდება, გეტყვი. თურმე ყოფილა ერთი ბატონი. რასაკვირველია, მოსამსახურეებიც ჰყოლია. თითონ სხვაგან დაუპირებია წასვლა, დაუბარებია მოსამსახურეები და ფული დაურიგებია; ერთისათვის ბევრი მიუცია, მეორისა და მესამისათვის ერთიერთმანეთზე ნაკლები და უთქვამს: ასარგებლეთ და როცა მოვალ, სარგებლით დამახვედრებთო. თითონ წასულა. იმ ორ მოსამსახურეს ჭკუა უხმარიათ, ბატონის ბძანება აუსრულებიათ და რაცა ჰქონიათ მიბარებული, ერთი იმოდენა კიდევ მოუგიათ. მესამე კი ერთი უჯიშო რამა ყოფილა, უმადლო, მცონარე; უფიქრია _ მოგებას ვინა ჩივის, ესეც არ დავკარგოვო. აუღია და მიწაში ჩაუფლავს. ბატონი რომ მობრუნდა, მოიწონა ორივე მსახურის მადლიანი საქციელი, მესამეს კი გაუწყრა, წაართო ის ფული და იმათ მისცა, ვისაც მოგებით ეარნათ. მესამე კი ხელცარიელი დარჩა. მიწაში ჩაფლა საწყალმა, არ დამეკარგოსო. მაგრამ ბოლოს მაინც კიდევ დაჰკარგა. რომ გაეცა კი, იმისი იქნებოდა. ბატონი ღმერთია, იმისი მსახურები ჩვენა ვართ. ღმერთმა ყველას გონება და გული, სიკეთის შეძლება დაგვირიგა, ზოგს, მართლა, ცოტა, ზოგს ბევრი, მაგრამ ბევრს ბევრი მოეკითხება, ცოტას _ ცოტა. იმისათვის კი არ დაგვირიგა, რომ იმ ზარმაც მონასავით კიდობანში, ან მიწაში დავმალოთ, _ იმისათვის, რომ ბევრი გაჭირვებულია ქვეყანაზედ, უნდა გავცეთ, რომ მოვიგოთ რამე, თორემ ხელცარიელები დავრჩებით, როცა ღმერთი მოგვკითხავს. ამიტომაც არიან ეგრე გულმართალნი ეს სიტყვები: "რასაცა გასცემ _ შენია, რაც არა _ დაკარგულია". ის ღვთის მადლი, რომელიც ყოველ კაცსა თავდაპირველვე ჩაგვსახებია, ჩვენთვის დაკარგულია, თუ სიკეთე არ მოვაგებინეთ." *("გლახის ნაამბობი". 1859, 1862-1873 წწ.).*

"ნუ სტირი, დედი... სულმოკლეობა ღვთის საწყენია. ღმერთია მოწყალე, იმისი ნუგეში დიდი არის, ღმერთი არის ყველას მფარველი, მოჭირნახულე ადამიანი იმას უყვარს; რაც უნდა მოხდეს, უნუგეშოდ არ გაგიშვებს. ნუ სტირი, ნუ! ღმერთს მიენდე და კაცის სიკეთესა. ნუ სტირი! *(გლახის ნაამბობი. 1859, 1862-1873 წწ.).*

"რა ვქნა, შენი ჭირიმე? ცრემლი, _ წაიქვითინა ბებერმა, _ მწუხარების შვი-ლია... თავისთავად მოდის, როცა გული იწურება." *("გლახის ნაამბობი". 1859, 1862-1873 წწ.).*

"მართალია, დედი, მწუხარების შვილია, მწუხარებას ალბობს, მაგრამ გონების თვალს არ უნდა მოერიოს ცრემლი. საქმის დანახვა სჯობს ცრემლით თვალების აბმასა.

თუნდა ეგ არ იყოს, შენ ქმარს საცრემლო რა სჭირს? დედაჩემის წამალმა ხომ არგო, კიდევ წაიღე, შე დალოცვილო!" *(გლახის ნაამბობი. 1859, 1862-1873 წწ.).*

"წადი, დედი, შენს ქმარს მალე მიეშველე. ნუ იტირებ კი. ცრემლი ისე არ არგებს, როგორც შეაწუხებს. უთხარი შენს ქმარს, მეც დილაზედ ვინახულებ, ღმერთია მოწყალე-თქო, ყველანი მშვიდობით ვიქნებით-თქო." *("გლახის ნაამბობი". 1859, 1862-1873 წწ.).*

"დაილოცა ღვთის სამართალი! მადლიან კაცს თან აადევნებს უბედურსა მხარის მისაცემად." *("გლახის ნაამბობი". 1859, 1862-1873 წწ.).*

"თვლა თუმცა მაგრერიგად არ იცოდა და ხშირად კენჭებს მოიშველიებდა ხოლმე, როცა უამისოდ დათვლა უჭირდებოდა... რაც პირველს ოთხს ქისას გადარჩებოდა, ყევლას მეხუთე ქისაში დაუთვლელად ჩაჰყრიდა... მეხუთე ქისაში ჰქონდა საშინაოდ და ღარიბთა გასაკითხი ფული." (*"ოთარაანთ ქვრივი". [1886] – 6 ქრისტემობისთთვეს 1887 წელსა).*

"ფულისას იწერები. ნეტაი, ჩემო ძმაო, იმოდენა ფული აიღო, რომ შენი შრომის და წიგნის ხარჯი გამოგივიდეს, და სხვაზედ ნურას ნაღვლობ. თუნდ რომ ბევრი ფულიც დაგრჩეს, მაინც მე წინადვე ვარი მიყვია: შენ თითონ მოიხმარე _ ეგ უკეთესი იქნება, ან სხვას მოახმარე, იმისთანას, რომელიც გაჭირვებულია. მანდ ჩემი ამხანაგები ბევრი იმისთანანი არიან, რომელთაც დღიური ლუკმაც უჭირსთ, პირველი ჩვენი შრომის შემოსავალი მათი კუთვნილია, იმათ გადაეცი: ჩვენი ლექსები, დამიჯერე, უკეთესს ვერას იზამენ. არ ვიცი სხვა რას ფიქრობს და ჩემთვის კი ისიც სამყოფია, რომ ჩემმა ლექსმა სხვათა შორის ისიც შეიძლოს, რომ ერთს ჩვენთაგანს უფრო გაჭირვებულს ერთ თვეს მაინც მუცელი გაუძღოს". *("წერილები კირილე ლორთქიფანიძისადმი". 1864 წ. 24 აგვისტო).*

"ქართველობავ, ნუ იქ მაგ სამარცხვინო საქმეს... ხელი გაუწოდე შენს ძმებსა და დებსა, რომელნიც დღემდინ შენთვის დაკარგულნი იყვნენ და რომელნიც დღეს შენთანვე მოვიდნენ! შევეწივნეთ, რითიც შეგვიძლიან, ფულით, საჭმლით, საცმლით, ხორაგით! ამას ითხოვს ყველასაგან საზოგადოდ კაცთმოყვარეობა და ჩვენთვის კი საკუთრად ზნეობითი მოვალეობაც ძმისა ძმის წინაშე. შევეწიოთ და ვაჩვენოთ ქვეყანას, რომ კაცთმოყვარეობა ჩვენი თვისებაც არის, ვაჩვენოთ, რომ ძმათა სიყვარული ჩვენშიაც ისე ყოვლად-შემძლებელია, როგორც სხვაგან, ვაჩვენოთ, რომ ძმობა, ურთიერთობა, ერთმანეთის შველა და გატანა უქმი სიტყვა არ არის ქართველებისათვის!.. აქ უკან დახევა სირცხვილია ყველასათვის და ჩვენთვის ხომ სირცხვილზედ მეტიც... ჩვენ გაჭირვებულების ძმები ვართ, ძმები!.. ეს არასდროს და არას შემთხვევაში არ უნდა დაივიწყოს ქართველობამ... ამ ძმობაში გამოიკვანძა ჩვენი ბედი, ამ ძმობამ ჩვენის ბედნიერების კვირტი უნდა გამოიტანოს". *("შინაური მიმოხილვა". 1879 წ. თებერვალი).*

"ყოველსფერში გულუხვი ქართველი, ქველის საქმეში უფრო გულუხვობას გასწევს და არ დაიზარებს გაჭირვებულ ძმათათვის შესაწირავს." *("შინაური მიმოხილვა". 1879 წ. თებერვალი).*

"შარშან ჩვენს ხალხს ცხენები დაურიგეს საჩუქრად. ჩუქება, რაც უნდა იყოს, ყოველთვის კარგი რამ არის ხოლმე, ნამეტნავად დაჩუქრებულისათვის. ჩვენ ამ მხრით იმ ცხენების ჩუქების თაობაზე არა გვეთქმის რა, თუმცა აშკარაა, რომ ის ცხენები ფულად ექციათ და გუბერნიისათვის ერთი საერთო კასსა გაეჩინათ გაჭირვებულთათვის ხელის გასამართავად, ან სხვა რაიმე საერთო საქმისათვის მოეხმარათ, მაგალითებრ _ სოფლის ბანკებისათვის. სოფლის შკოლებისათვის. თუნდ გზების და ხიდების გასაკეთებლად, ერთი ათასად უკეთესი იქნებოდა." *("შინაური მიმოხილვა". 1879 წ. ივლისი-აგვისტო).*

“ჩვენდა საუბედუროდ, ჩვენი დიდკაცობა შორს მანძილზედ არის დარჩომილი ამ მხრით და ქვეყნისათვის დადებული ღვაწლი არამც თუ ადამიანის ღირსების მხოლოობით საწყაოდ მიაჩნია, არამც თუ ჭეშმარიტის პატივმოყვარეობის საგნად უღიარებია, არამედ მის ცხოვრების დავთარში სახსენებელადაც მოხსენებული არ არის. არ არის ქვეყანაზედ არც ერთი ერი, რომლის შემძლებელი ნაწილიც ასე გულგაცრუებული, ასე გულგრილი იყოს საზოგადო საქმეების შესახებ, როგორც ჩვენები არიან. არ არის ჩვენში არც ერთი საზოგადო საქმე, რომ მასში ჩვენის დიდკაცობის წარმომადგენელი მოქმედებდეს და იღწვოდეს. თეატრია, გაზეთია, თუ ჟურნალი _ უიმათოდ იღვწიან; ღარიბს, ღატაკს თავისი გროშები მოაქვს, რომ როგორმე თეატრი, გაზეთი, ჟურნალი შეინახოს და ერთობ საზოგადო საქმეს ხელი როგორმე შეუწყოს და ერთი დიდკაცთაგანი კი ყურსაც არ იბერტყავს, თითქო ყოველივე ეს მისთვის სათაკილო საქმე იყოს. ან იქნება უმეცრებისა გამო ჰგონიათ, რომ ქართული თეატრი, ქართული ჟურნალი, თუ გაზეთი, და სხვა ამ-გვარი საქმე არაფერს არ მოასწავებენ და წვრილფეხობის ცუღლუტობადა სთვლიან. ერთიც, მეორეც, მესამეც, რაც უნდა უძლურნი იყვნენ დღეს, ჩვენი ვინაობის დამცველნი და შემნახველნი არიან. ვინც ამათ ზურგს შეაქცევს, თავის საკუთარს ვინაობას უარჰყოფს, თავის ადამიანურს სახეს შეურაცხყოფს და არარადა ჰხდის. თუ ადამიანს თავისი ვინაობა არაფრად მიაჩნია, მაშინ იმ ადამიანში ადამიანური რაღაა? დრო გამოიცვლება, დრო მოვა, როცა თავისის ვინაობიდგან გადამდგარი კაცი ყველასგან შერისხული იქნება, როგორც უღირსი, თითონ იმათგანაც კი, ვინც ეხლა სიხარულით ამისთანა კაცს შეიკედლებს ხოლმე და ულოლოებს. დრო მოვა, როცა ყველასათვის ცხადი იქნება, როგორც ორჯერ-ორი, რომ თუ კაცი თავისას გადუდგა, სხვისას ვერ უერთგულებს.” *(“შინაური მიმოხილვა”. 1882 წ. მარტი).*

- **სინანული კაი საქმეა, კაი საქონელია თუ ნამუსი და სინდისი თავისის უტყუარის სასწორით დადის, უმადურობა კი ვერც კარგი საქმეა და ვერც კარგი საქონელი**

“სინანულშიც კაი საქმეა, კაი საქონელია, თუ მართლა საგონებელში რაშიმე ჩაგვაგდო და ნამუსი და სინდისი თავისის უტყუარის სასწორით ხელში კარზე მოგვაყენა ჩვენდა განსაკითხავად.” *(“საახალწლოდ”. 1898 წ. 31 დეკემბერი).*

“აქ მხოლოდ ის არის საჭირო, რომ კაცმა თავის ცოდვები ჩამოთვალოს და სთქვას: ვინანიო. რაკი ეგრეა, ყველა კაცი უნდა დაუფიქრდეს თავის წარსულს ცხოვრებას თავისის ცოდვა-მადლის გასარჩევად, თუ სურს ქრისტიანული წესი აღასრულოს და დრო სინანულისა ტყუილ-უბრალოდ არ გააქარწყლოს.” *(“შინაური მიმოხილვა”. 1885 წ. თებერვალი).*

“საცა წვრილია იქ გაწყდეს. ქართველებთან საქმის დაჭერა ძნელი რამ ყოფილა, მაგრამ კაცთა უმადურობის სიბილწე არა ერთხელ გამომიცდია”. *(“წერილები ილია ჭავჭავაძისა ოლღა თადეოზის ასულ გურამიშვილისადმი”. 1873 წ. 26 სეკტემბერი).*

“აქ უმადურს ქვეყანაში უმადურობა ხშირია. ფუ, ამ ცხოვრებასა”. *(“წერილები ილია ჭავჭავაძისა ოლღა თადეოზის ასულ გურამიშვილისადმი”. 1873 წ. 5 ღვინობისთვე).*

“უმადურობა იქნება და არც სიმართლეს შეადგენს უარყოფა იმ სარგებლობისა, რომელიც მოგვიტანა ჩვენ ბატონ-ყმობის გადავარდნამ, თუმცა ახალის მაგრამ მაინც ფრთა-შეკვეცილის სამართლის წესების შემოღებამ, თვითმმართველობის ნამცეცებმა და სხვა და სხვა. რაც უნდა გულღრძო და ჯუღელი კაცი იყოს, მაინც ვერ იტყვის, რომ ამ

სამოც-ოთხმოცის წლის ცხოვრების შედეგი არ იყოს ქართველთ ერის გაერთიანება, ერთობის გრძნობის გაღვიძება საქართველოს სხვადასხვა პროვინციის მცხოვრებთა შორის.” *(“შინაური მიმოხილვა”. 1883 წ. აგვისტო).*

- **ქურდობა და ავაზაკობა ბოროტმოქმედებაა და მთელის საზოგადოების, მთელის ერის ჭირია**

“მართალია, მოცადი პირუტყვიცა ჰყავს, ცხვარი, ძროხა, მხოლოდ იმოდენა არა, რომ სათქმელი იყოს და დიდს ანგარიშში ჩასაგდები: წველა, საკლავი საოჯახოდ ძლივა ჰყოფნის და გარეთ გასატანად ბევრი არა ჰრჩება-რა აქედამაც; გარდა ამისა, ვინ არ იცის, რომ პირუტყვთ-შენებას დიდი და ფართო საძოვრები უნდა და ეხლა სადღაა იგი გაშლილობა და სიფართოე, რაც წინათ იყო. ეხლა, ხალხის გამრავლების გამო, საცა-კი სახნის-საკვეთი მისწვდება, საძოვრები სახნავადა კეთდება და საბალახოც დღედადღე კლებაშია და პირუტყვთ-შენებაც შეცოტავდა უადგილობისა და სიძვირის გამო. ეხლა გლეხს სამუშაო საქონლის შენახვაც უჭირდება და სანაშენოდ ვიღა რასმეს გაჰბედავს ხელი გასძრას და თავი აიტკივოს.

ყოველ ამას ზედ დაუმატეთ უგზო-უკვლობა, რომლის გამოც გამოტანა რისამე უფრო ძვირად უჯდება, ვოდრე გამოტანილი ჰღირს, და მაშინ სრული სურათი უილაჯობისა თვალწინ წარმოგიდგებათ მთელის თავისის უძლეველის სახითა”. *(“საზოგადოებრივი ცხოვრების ნაკლნი და მისი ეკონომიური მიზეზები”. 1897 წ.).*

“თუ ეკონომიური უღონობაა მიზეზი ქურდობისა და ავაზაკობისა ჩვენში, არიან იმისთანა გარემოებანიც, რომელნიც აქეზებენ და ასაზრდოებენ ამნაირ ავკაცობასა და რომელთა წყალობითაც გაჭირვებული კაცი გაეტაცებინა ხოლმე მაცდურობას _ რაც არ უთესნია, ის მომკოს ერთი არის იმედი _ არავინ გამომეკიდებაო. ქურდს და ავაზაკს ჩვენში შიში არა აქვს, რომ მდევარი, ან მკვლევარი მეყოლებაო, თუ სადმე ქურდობა, ან ავაზაკობა მოხდება ხოლმე, მარტო გაქურდული და ჭირისუფალი შეუდგება თავში ცემას, სხვა არავინ არ იტკივებს თავს, თითქო ამისთანა ბოროტმოქმედება, როგორც ქურდობა და ავაზაკობაა, საკუთარი ჭირი იყოს ცალკე კაცისა და არა მთელის საზოგადოებისა, მთელის ერისა. ადგილის მოხელენი ან იმოდენა საქმეებით არიან დატვირთულნი, რომ ამაებისათვის ვეღარ იცლიან, ან ისე გულგრილნი, რომ ამისთანაებს ყურს არ ათხოვებენ”. *(“საზოგადოებრივი ცხოვრების ნაკლნი და მისი ეკონომიური მიზეზები”. 1897 წ.).*

“გამოუცვალეთ ადამიანს ეს გარემოებანი, რომელიც დღეს ერთსაც და მეორესაც ჰხუთავს, მიეცით და ასწავლეთ ერთსაცა და მეორესაც იმისთანა გასამრჯელო, რომელიც კაცს დღეს ხელს აძლევს სარჩო-საბადებელის საშოვარად, ასწავლეთ და თვალი აუხილეთ ქვეყნიერობაზე ცოტად თუ ბევრად, გაუკეთეთ გზები, ხიდები, ხელი შეუწყეთ ყოველს ახალს ცდასა, ახლის რასმის შემოღებას და მოყვანას, და სხვა ამისთანას, _ და ქურდობა და ავაზაკობა, სულ თუ არ ამოიკვეთება, დიდს კლებაში კი შევა. ხოლო ყოველ ამას დიდი სამზადისი უნდა, დიდი დრო და მოხერხება, დიდი თანდათანობა, რადგანაც აწ არსებულს ვითარებას ყოველივე ეს შიგ გულ-ღვიძლში სწვდება და ძნელია კაცმა ერთის შეტევით და წინდაუხედავად შიგნეული გადმოუბრუნოს უკვე დამყარებულ ცხოვრების ავკარგიანობას. გარდა ამისა, ზოგიერთი ეს ღონისძიება ძალიან გვიან გამოიღებს თავისს ნაყოფს და მარტო შორეული მერმისი ჰნახავს მისს კეთილ შედეგსა. ეს იმას არა ჰნიშნავს, ვითომც ეხლავ არ შეუდგეს კაცი დასაწყისს იმის შიშით, რომ ჩვენ არ

მოგვესწრობაო. გონიერი და წინდახედული დასაწყისი წამლობისა საჭიროა ყოველთვის და ყოველს ჟამს, რაკი სატკივარი შენიშნულია და ცნობილი". *("საზოგადოებრივი ცხოვრების ნაკლნი და მისი ეკონომიური მიზეზები". 1897 წ.).*

„მას ნუღარ ვსტირით, რაც დამარხულა,
რაც უწყალოს დროთ ხელით
დანთქმულა;
მოვიკლათ წარსულ დროებზე დარდი...
ჩვენ უნდა ვსდიოთ ეხლა სხვა
ვარსკვლავს,
ჩვენ უნდა ჩვენი ვშვათ მყოობადი,
ჩვენ უნდა მივსცეთ მომავალი ხალხს...

აქ არის, დედავ, შენი მაღალი
დანიშნულება და საღმრთო ვალი!
აღზარდე შვილი, მიეც ძალა სულს,
საზრდოდ ხმარობდე ქრისტესა მცნებას,
შთააგონებდე კაცთა სიყვარულს,
ძმობას, ერთობას, თავისუფლებას, -

რომ სიკეთისთვის გული უთრთოდეს
და მომავლისთვის ბედთანა ბრძოდეს...
მენდე, მიიღებს ნერგს, შენგან დარგულს,
და მოგვცემს ნაყოფს, ვით კაცი კაცურს.

დედავ! ისმინე ქართვლის ვედრება:
ისე აღზარდე შენ შვილის სული,
რომ წინ გაუძღვეს ჭეშმარიტება,
უკან ჰრჩეს კვალი განათლებული."

(„ქართვლის დედას". 15 დეკემბერი, 1858 წ.)

მესამე თავი (სამ ნაწილად)

ქართველი ერის ქონებრივი გაღონიერება

პირველი ნაწილი

3.1. საქართველოს ხალხის ცხოვრების გამჯობინება – პირველი და უკანასკნელი სურვილი

- რაც უნდა ითქვას შიშისაგან თავზარდაცემულ და გონებაგამოცლილ "ცისკარმა" ჩვენი საქმე საქართველოს ხალხის ცხოვრების გამჯობინება – პირველი და უკანასკნელი სურვილია.
- ხალხის ცხოვრების გამჯობინების ქონებრივი მხარე ანუ დღევანდელი საეკონომიო ყოფა-ცხოვრება ომის მოედანია, ბრძოლაა ქონებრივი სიმდიდრის მოპოვებისათვის.

3.1.1. ქონება: ცხოვრების ფარი და ხმალი

- დღევანდელი ფარ-ხმალი ცხოვრებისა ქონებაა
- ქონების საკუთრებითი ურთიერთობის ორი ფორმა

3.1.2. რის ნიშანია ერის ქონებრივი სიმდიდრე და სიღარიბე?

- ქონებრივი სიმდიდრე და სიღარიბე ერის წინ წაწევის, წარმატების, შინ და გარეთ დამოუკიდებლობის ხარისხის ნიშანი
- სიღარიბე თუმცა არაა ბედნიერება, მაგრამ არც მწიკვლია.
- ქონებრივი სიმდიდრე სახელმწიფოსი შესდგება მომქმედთა და ნამოქმედარის მხმარებელთა სიმდიდრისაგან

პირველი ნაწილი

3.1. საქართველოს ხალხის ცხოვრების გამჯობინება – პირველი და უკანასკნელი სურვილი

- **რაც უნდა ითქვას შიშისაგან თავზარდაცემულ და გონებაგამოცლილ "ცისკარმა" ჩვენი საქმე საქართველოს ხალხის ცხოვრების გამჯობინება – პირველი და უკანასკნელი სურვილია.**

"ყველამ კარგად იცის, რომ მეცნიერება და ხელოვნება, ეგ უდიდესნი სალარონი, სადაც კაცობრიობის გენია აწყობს ხოლმე გონების საუნჯესა – არ არიან ყველასათვის მისაწვდომნი.

მართალია ყოველ განათლებულ ხალხში არის ღონისძიება, საშუალება, რომ მეცნიერების ნაყოფი გადაიტანოს ხალხშია; მართალია არიან სკოლები, სხვა-და-სხვა სასწავლებლები, რომელნიც ავრცელებენ ხალხში, მის გამო ცხოვრებაშიაც, სასარგებლო

და გამოსაყენ სწავლასა და ცოდნასა, და მით შველიან ხალხსა. მაგრამ იმათამდინ ისე ცოტას მიუწვდება ფეხი, რომ დანარჩენ ხალხის რიცხვთან რომ შევადაროთ ის ცოტა – წვეთი იქნება ზღვაში... საჭიროა სკოლების გარდა ისეთი ღონისძიებაც, ისეთი საშუალებაც, რომელმაც იმისთანა თვისება უნდა იქონიოს, რომ ყველგან გასწვდეს, გამოფინოს საქვეყნოდ კაცის ჭკვის ძვირფასნი მარგალიტები საყოველთაო მოსახმარებლად, რომ მრავალთათვის მისაწვდომი გახადოს ის, რაც დასაკუთრებული აქვს ცოტასა. ის საშუალობა, ის ღონისძიება უნდა ცდილობდეს, თუ არ სრულიად ხალხთან, მომეტებულ ნაწილთან მაინც დაიჭიროს საქმე, შეიქმნას შუამავლად მეცნიერებისა ერთის მხრით და ხალხისა და ცხოვრებისა მეორის მხრით. მაგ ძნელ საქმეს ასრულებს ყველგან ლიტერატურა."

"ლიტერატურა თუმცა დღე-და-დღე მდიდრდებბა, ივსება ახალის ნაყოფითა, ახალის იდეაებითა და აზრებითა, მაგრამ ცხოვრებაში ისე ადვილად არ გადადიან იგინი, როგორც საჭიროა. უმთავრესი მიზეზი ის იყო, რომ თვით ლიტერატურის ენა დაუშორდა ხალხის ენასა, ხალხს ისე ადვილად არ შეეძლო გაგება მისი, რასაც კითხულობდა – და ჩვენ ზემოთა ვსთვით, რომ თუ ხალხი ვერ გაიგებს, არც ცხოვრებაში შეიტანს."

"რა წამსაც მიხვდნენ, რომ ლიტერატურა თუმცა უფრო ვრცლად მოქმედობს ბეჭვდის შემწეობითა, მაგრამ მაინც კიდევ ხალხს იმისი გაგება ეძნელებათ, მაშინვე გამოჩნდა საჭიროება იმ-გვარ ლიტერატურისა, რომელიც, როგორც ენით, ისე აზრის გამოთქმით, უფრო ადვილად უნდა ასრულებდეს ზემოთქმულს შუამავლობასა მეცნიერების და ცხოვრების შორის."

"ამ-გვარ ლიტერატურას ჰქვიან: "პოპულარული ლიტერატურა", ხან კიდევ ადვილი ლიტერატურა, იმიტომ რომ იგი დანიშნულია მხოლოდ იმისთვის, რომ უფრო, რამდენადაც შეიძლება, გააადვილოს მეცნიერების და ხელოვნების ნაყოფის მოკრეფა ყველასათვის; მათგან დამუშავებულნი ძნელი მისახვედრი ცნობაები საყოველთაო გასაგებად გაამარტივოს, გააადვილოს და ამით განავრცელოს საჭირო სწავლა და ცნობები ხალხშია."

"ამ-გვარ ლიტერატურას ეკუთვნის ჟურნალიცა, ნამეტნავად ის ჟურნალი, რომელსაც ეძახიან: "საზოგადო ჟურნალი". აი, რა-რიგ სამსახურისათვის ვნიშნავთ ჩვენს "საქართველოს მოამბესაცა".

"რომ ჟურნალი საჭიროა, ამას თქმა აღარ უნდა. ჟურნალი როგორც სხვა, ისე ჩვენიცა. არ არის ერთი კაცის სურვილის ნაყოფი: მოუვიდა სურვილი წერისა და გამოსცა. არა, მაგისთანა ჟურნალი თავს დიდხანს არ დაიჭერს. ჩვენა ვსთქვით, რომ ყოველი საჭიროება ცხოვრებიდგან წარმოდგება. თუ ცხოვრებას არ უნდა, ვერაფერს ვერ მიამყნობთ ისე, რომ იმ ნამყნობმა იხეიროს და ნაყოფი მოიტანოს".

"როცა ცხოვრებას უმოქმედნია და იმ მოქმედებით მოუყვანია როგორიმე მოსავალი, რომლის გაგება და გარჩევა უძნელდება ხალხს და რჩება ის მოსავალი მოუხმარებლად; როცა ხალხში ისმის სურვილი, ძლიერი ნდომა იმ ნაჭირნახულევის გაგებისა, ცნობაში მოყვანისა; როცა ხალხს უნდა და ვერ მისწვდომია მეცნიერების ნაყოფსა, მაშინ ხალხის საშველად სხვათა შორის გამოვა ჟურნალიცა".

"რასაკვირველია, რამდენადაც ცხოვრება ძლიერია და ღონიერი, იმდენად მოსავალი და ნაჭირნახულევი დიდია და უხვი. რამდენადაც მოსავალი მრავალია, ისე რომ ერთი ჟურნალის თვალი ვერ გადასწვდება ერთი ჟურნალის ღონე ვერ შესძლებს იმის ზიდვასა, იმოდენადაც მომეტებული ჟურნალები გამოდიან ხალხში – ეს ჟურნალები

სხვადასხვა მხრით მოექცევიან იმ ცხოვრების მოსავალსა, სხვადასხვა მხრით სინჯავენ, სხვადასხვა მხრით ცნობაში მოჰყავთ, - და ამ სხვადასხვაობითაც ურთიერთშორის განირჩევიან. ამის გამო ჟურნალების სიმრავლე არამც თუ უნდა იყოს საწყენი, არამედ სასიხარულო იმისათვის, ვისაც უანგაროდ უყვარს თავისი ხალხი და იმისი ბედნიერება. ჟურნალების სიმრავლე ცხადად აჩვენებს, რომ ხალხს არ სძინავს, ფიქრობს, სჯის; რომ ხალხში ტრიალებს, მოძრაობს, სხვადასხვანაირი აზრი, რომლის გამომეტყველადაც არიან სხვადასხვა-ნაირი ჟურნალები".

"ჯერ ჩვენი საწყალი "მოამბე" არც კი დაბადებულიყო, რომ ზოგიერთ პირმა მტრობაც შესწამა... "მოამბის" უფროსი ძმა "ცისკარიც", რომელსაც ყველაზედ უფრო უნდა გახარებოდა, რომ მოძმე ებადება, მშველელი უჩნდება, "ცისკარიც" კი წინადვე აშინებდა ჩვენ "მოამბეს", რომ მკითხველებს ვერ იშოვისო. ჩვენ, რასაკვირველია, ამ წინდაუხედავ და უგემურ წინასწარმეტყველობას ყურსაც არ ვათხოვებდით, რომ მხდალ "ცისკარსა" რამდენჯერმე არ გამოეთქვა საქვეყნოდ თავისი დაფარული შიში და სამარცხვინო აზრი."

"დაე რაც უნდა თქვას შიშისაგან ზარდაცემულ და გონებაგამოცლილ "ცისკარმა", ჩვენ კი იმას ვიტყვით, რომ ამ შემთხვევაში იგი ჰყავს იმ ანგარების მოყვარე ძმასა, რომელსაცა ძმის დაბადება იმიტომ სწყინს და გულს უხეთქს, რომ შიშობს "ცისკარი". ჩვენ ფიქრადაც არა გვაქვს არავის საცხოვრებლის შუა გაყოფა და არც არავის მტრობა. ჩვენი საქმე საქართველოს ხალხის ცხოვრებაა; მისი გამჯობინება ჩვენი პირველი და უკანასკნელი სურვილია".

"ღმერთმა გვიხსნას იმ სულელურ თამაშობისაგან, რომელიც ფიქრობს გადაასხვაფეროს ცხოვრება თავისებურად. ჩვენ ისე არ გავბრიყვდებით, რომ ჩვენ საკუთარ წესზედ მოვინდომოთ ცხოვრების გატარება".

"ჩვენი "მოამბის" უმთავრესი საგანი აწინდელი ცხოვრება იქნება თავის სრულის წარმოებითა, სხეულის ვითარებითა. რამოდენად შეიძლებს ჩვენი ჟურნალი ამის აღსრულებას – მაგას დრო და ჩვენი შეძლება გამოაჩენს. საქმეა ყოველისფერის გამომცდელი. ჩვენ წინადვე ვერას ვიტყვით ამის მეტსა, რომ აწინდელის ცხოვრების წრეში ჩადგომა გვინდა, მისგან ყრუდ ჩაძახილის ამოძახნა, მისის ვითარების ცნობაში მოყვანა, მოძრაობისათვის გზის გახსნა. ამით იმის თქმა არ გვინდა, რომ ჟურნალი უნდა იყოს უთუოდ დღევანდელ ცხოვრების წრეში მოჯადოებულსავით გაჩერებული, - არა, ყოველ გონიერ ჟურნალის თვალი ხშირად არის მიმართული მომავლისაკენა. "აწმყო შობილი წარსულისაგან, არის მშობელი მომავალისა", ამბობს ერთი ფილოსოფოსი. აი, აწინდელ ცხოვრებას რა მნიშვნელობა ექნება ჩვენის ჟურნალისათვის. აწინდელი ცხოვრების ვითარება არა მარტო სადღეისო მოსავალია, რომელიც დღესვე უნდა დაიხარჯოს, არამედ მასში მომავლისათვისაც თესლი ურევია, როგორც წარსულში ერივა აწმყოსათვის. თუ ჩვენი ჟურნალი დაჰყურებს დღევანდელ ცხოვრების მოქმედებას, უფრო მაგ თესლისათვის დაჰყურებს, რომ ეგ გამოჰკრიფოს ხვალისათვისა. რაც შორას სცემს ჟურნალის თვალი, მით უფრო კარგია, ჩვენის ფიქრით, ჟურნალი და დღეგრძელი".

"ამ სახით, თუ ჟურნალს უნდა კეთილ-სინდისიანად აღასრულოს თავისი ძნელი საქმე, უნდა თვალგაფაციცებით თან აჰყვეს აწინდელ ცხოვრებასა, რათა ყოველ აღმოშობილ ფაქტსა თვალი და გონება ადევნოს; ყოველ აზრის საკეთილო მოძრაობას გზა მისცეს, ყოველიფერი შენიშნოს და ყოველიფერს პასუხი გასცეს, ერთი სიტყვით, უშველოს ცხოვრების წინ ფეხის გადადგმისა გასამჯობინებლად, გასაკეთებლად. ამ ძნელ საქმეში ჟურნალმა უნდა წაიმძღვაროს წინ მეცნიერების სინათლე და ხელოვნების

კალამი. ამ ორ ძლიერ მომქმედთა ღონისძიებათა მოჰყავთ ყოველიფერი ცნობაში და რაც ცნობაშია მოყვანილი, მხოლოდ ისა სცვლის ცხოვრებასა და აკეთებს".

"მეცნიერებას და ხელოვნებას ჩვენ ვუყურებთ, როგორც ცხოვრების გასამჯობინებელ ღონისძიებათა. დაე ზოგიერთმა მწიგნობარმა მეცნიერების სახელითა გაიწყალოს თვალი და გონება იმის გამოძიებაში, რომ ამა და ამ ეგვიპტის პირამიდაზედ ეს იეროგლიფი ისე არ უნდა იყოსო, ან წარტოლვილ ჭეშმარიტების ძებნაში ავარჯიშოს თავისი გონიერება; ან ზოგიერთმა უნაყოფო პოეტმა ხელოვნების სახელითა უკუარიდოს პირი თავის ხალხის ცხოვრებასა, მეშვიდე ცას შეაჩეროს გაბეცებული თვალები და ბულბულსავით უაზრო შტვენა დაიწყოს და აღარ გაათავოს. ჩვენ იმათთან საერთო გზა არა გვაქვს. ისინი მარცხნივ მიდიან გატკეპნილ გზაზედ და ჩვენ კი მარჯვნივ გავწევთ".

"რამოდენადაც ცნობიერად და ვრცლად მოეკიდება "მოამბე" თავის ძნელ საქმეს, რამოდენადაც მიაგნობს და შეიტყობს ცხოვრების მაჯის ცემასა და შენიშნავს იმ მაჯის მცირედსა ცვლილებასა, რამოდენადაც ნათლად განარჩევს ცხოვრებისაგან მოგუბებულ მასალასა და თითეულ მის შემადგენელს ნივთსა საყოველთაოდ განაბრწყინებს მეცნიერების შუქით და ხელოვნების წარმოდგენითა, იმოდენად პატივცემული იქნება საზოგადოებაში და ნაყოფიერი ცხოვრებისათვის. გზა დანიშნული და არჩეული აქვს ჩვენს "მოამბესა" *("საქართველოს მოამბეზედ". 1862 წ.)*

"ჩვენშიაც ყმაწვილ-კაცობა ორ ბანაკად გაიყო... მეორეები დააკვირდნენ ჩვენის ქვეყნის ვითარებასა და ნახეს, რომ ჩვენ ქვეყანას სულ სხვა ტკივილი აქვს, სულ სხვა ფათერაკი სდევს. სცნეს, რომ ჩვენებური დღე სულ სხვასა თხოულობს, სულ სხვასა ჰღაღადებს და, მაშასადამე, ჩვენებური ლიბერალობა სულ სხვა რასმეზედ უნდა მიიქცეს მთელის თავისის ძალ-ღონითა. და თუ აქაც ბედისწერას ისე არ გადავურჩებოდით, რომ "მამა-შვილობა" არ გამართულიყო, მძღოლის საგნად ის "სხვა რამე" უნდა ყოფილიყო და "მამებსა და შვილებს" შუა მიჯნად დადებულიყო. ის სხვა რამე იყო – ჩვენის დაცემულის ვინაობის აღდგენა, ფეხზედ დაყენება და დაცვა ყოველის მოსალოდნელის ფათერაკისაგან". *("შინაური მიმოხილვა". 1881 წ. მაისი).*

- **ხალხის ცხოვრების გამჯობინების ქონებრივი მხარე, ანუ დღევანდელი საეკონომიო ყოფა-ცხოვრება ომის მოედანია, ბრძოლაა ქონებრივი სიმდიდრის მოპოვებისათვის**

"ჩვენს დროში ქვეყნის საქმეებმა ისეთი ძირი გაიკეთა, ისეთი მიმართულება და ხასიათი დაიჭირა, რომ დღეს ყოველს ცალკე სახელმწიფოს შეუძლიან თავისი მოპირისპირე, სამტროდ მოცილე სახელმწიფო უომრად ომზედ არა ნაკლებ დააზიანოს. თუ გნებავთ, ეს ახალი სამტრო სახსარი იგივ ომია და ზოგჯერ ომზედაც უარესი, მაგრამ სისხლდაუღვრელი ომი კია, იმისთანა ომი, საცა არც ზარბაზნის გრიალია, არც ხმალის ტრიალი." *("სატამოჟნო პოლიტიკა ევროპაში, ფრიტრედერობა და პროტექციონობა". 1887 წ. 5 ივნისი).*

"ამისთანა ომის მოედნად საეკონომიო ყოფა-ცხოვრებაა, ესე იგი იმისთანა განსხვავებული ვითარება და გარემოებანი, რომელთა საერთო კრებული ჰქმნის მეტნაკლებობას სიმდიდრისას ერისას და ქვეყნისას." *("სატამოჟნო პოლიტიკა ევროპაში, ფრიტრედერობა და პროტექციონობა". 1887 წ. 5 ივნისი).*

"დღეს ძლიერი სახელმწიფო იგია, ვინც მდიდარია და ვისაც, მაშასადამე, მეტი შეძლება აქვს ბევრი გასწიროს და მაინც სახსარი შერჩეს ცხოვრებისა. დღეს ცარიელი მკლავი იმოდენად ვეღარა სჭრის, რაც სავსე ჯიბე; დღეს იგია უძლეველი, ვინც უფრო

დიდ ხანს და ხანგრძლივ გაუძლებს საომარს ხარჯსა, ომის შემმუსვრელს ჭირსა და ვაგლახსა. დღეს ინგლისი რომ გულზვიადად არის, რომ გაბედულად და კადნიერად ეტანება ყოველს საქმეს ევროპის საერთო პოლიტიკისას და საითაც გაიწევს, თითქმის იქით გააქვს სვე დღევანდელის სამკალისა, ამის მიზეზი ჯართა სიმრავლე კი არ არის, არამედ გატენილი ჯიბეა." *("სატამოჟნო პოლიტიკა ევროპაში, ფრიტრედერობა და პროტექციონობა". 1887 წ. 5 ივნისი).*

"არც ერთი დიდი სახელმწიფო არ არის ევროპაში, რომ ჯარი ინგლისზედ ერთი-ორად და ერთი-სამად მეტი არა ჰყვანდეს და ერთი-ორად, ერთი-სამად უკეთესად მოწყობილი, მაგრამ-კი ინგლისს ქვეყნის საქმეთა დალაგებასა და განკითხვაში სხვაზედ თუ არ მეტი, ნაკლები ხმა არა აქვს მარტო იმით, რომ ძლიერია ჯიბითა." *("სატამოჟნო პოლიტიკა ევროპაში, ფრიტრედერობა და პროტექციონობა". 1887 წ. 5 ივნისი).*

"დღევანდელი ტოკვა თვითეულის სახელმწიფოსი, შიგნეული რომ კარგად გავუსინჯოთ, სხვა არა არის რა, თუ არ ის, რომ საპოლიტიკო ეკონომიის ბრძოლის მოედანზედ რაც შეიძლება მომეტებული ადგილი დაიჭიროს, ფართო გზა გაიკაფოს, დიდი არხები გასჭრას სიმდიდრის მოსადინებლად, სხვისი იეფად და ცოტა იყიდოს და თავისი ძვირად და ბლომად გაასაღოს." *("სატამოჟნო პოლიტიკა ევროპაში, ფრიტრედერობა და პროტექციონობა". 1887 წ. 5 ივნისი).*

"ვერავინ ვერ იტყვის, რომ ვაჭრობა, როგორც ერთი ძლიერი ღონე ერის ეკონომიურად წარმატებისა, ღირსი არ იყოს შემწეობისა და შველისა. ხოლო არ შეიძლება სახეში არ იქონიოს სახელმწიფომ, თუ საზოგადოებამ, რომ მარტო ვაჭრობა, რაც გინდ ბევრი ფული მიადინოთ, უღონოა სასურველ ზომამდე გაძლიერდეს. თუ მასთან ერთად არ აღორძინდება და წარიმატებს სხვა მრეწველობაცა, რომელიც ჰქმნის სიმდიდრეს ერისას და თვით ვაჭრობასაც ჰკვებავს და ასაზრდოებს." *("თბილისის საურთიერთო სამეურნეო კრედიტის საზოგადოება". 1893 წ. 4 ნოემბერი).*

3.1.1. ქონება: ცხოვრების ფარი და ხმალი

- **დღევანდელი ფარ-ხმალი ცხოვრებისა ქონებაა**

"დღევანდელი ფარ-ხმალი ცხოვრებისა ქონებაა. კარგია თუ ცუდი ეს ასეთი ყოფა, ჩვენ ამაზედ თვალი უნდა ავახილოთ, ამაზედ ვიფიქროთ". *("კახეთის სოფლის მეურნეთა კავშირი". 1895 წ. 4 ნოემბერი).*

"საქმე ის არის, რომ დღევანდელმა დღემ კაცობრიობა იქამდე მიიყვანა, რომ თუ ერს ქონება შეძენილი არა აქვს და მის გაძლიერების გზაზე არა სდგას, იგი ღონემიხდილი ლომია, უხორთუმო სპილოა იმ მწვავს და დაუნდობელ ომში, რომელსაც არსებობისათვის ბრძოლას ეძახიან". *("კახეთის სოფლის მეურნეთა კავშირი". 1895 წ. 4 ნოემბერი).*

"ამ ბრძოლაში "ყურთმაჯთ ბრიალი, ხმალთა ტრიალი, ცხენიდამ ხტომა და კვლავ შეხტომა" ვერაფერი თამასუქია გამარჯვებისა, ვერაფერი ღონეა". *("კახეთის სოფლის მეურნეთა კავშირი". 1895 წ. 4 ნოემბერი).*

"ეკონომიური ბუნება ქონებისა ის არის, _ უძრავი ქონებაა თუ მოძრავი, _ რომ უხერხო და უმცდელო კაცისაგან ხერხიან და მცდელ კაცის ხელში გადადის. ამ კანონს ეკონომიურ ბუნებისას წინ ვერავინ დაუდგება, როგორც საერთო ბუნებურ კანონსა". *("კახეთის სოფლის მეურნეთა კავშირი". 1895 წ. 4 ნოემბერი).*

- **ქონების საკუთრებითი ურთიერთობის ორი ფორმა**

"საკუთრებას ორი ნაწილი შეადგენს: ერთი _ პირადი, მეორე _ ზოგადი. რადგანაც იგი არსებობს არა მარტო ცალკე კაცის სარგებლობისათვის, რომ ნაამაგარი მისის შრომისა მასვე მოახმაროს, არამედ საზოგადოების სარგებლობისათვისაც, რომ შესაძლოდ და დღეგრძელად ჰქმნას არსებობა თვით საზოგადოებისა. ერთიცა და მეორე ნაწილიც ცოტად თუ ბევრად თვის საბუთსა ჰპოულობს იმაში, რომ თვით ადამიანიც ბუნებითად ორს მხარეს წარმოადგენს. ერთის მხრით იგი ცალკე სულიერია, რომელსაც თვისი პირადი, საკუთარი საგანი აქვს ცხოვრებისა და სხვაზედ დამოუკიდებლად მიეზიდება ამ საგნისაკენ, და მეორეს მხრით ზოგადი სულიერია, რომელიც მრავალგვარად გადაბმულია, დამოკიდებულია სხვა თვის მსგავს სულიერებზედ იმ აუცილებელ საჭიროების გამო, რომ მარტოდ ცხოვრება ბუნებითად არ უწერია და უნდა უსათუოდ სცხოვრობდეს თვისთა მსგავსთა შორის". *("ხიზნების საქმე". 1886 წ.).*

"რომელი ერიც გინდა აიღეთ მთელს ქვეყნიერობაზედ, ჰნახავთ, რომ ყველა ერის ეკონომიური ცხოვრება იმის ბრძოლაში დალეულა და ილევა დღესაც, რომ ან ერთი ნაწილი საკუთრებისა აუფლოს ქვეყანაზედ, და ან მეორე. მთელი არსება მიწათმფლობელობის საქმისა, რომელიც შეადგენს დღევანდელს ტკივილს ყველა ერისას და ყველა სახელმწიფოებისას, იმაში მდგომარეობს თუ, _ რომელი ნაწილი საკუთრებისა გაძლიერდეს და გაუფლდეს კაცთა ეკონომიურს ცხოვრებაში: პირადი თუ ზოგადი. ეს ორი ელემენტი იბრძვის დღეს ქვეყნიერობაზედ და ეგრეთწოდებული საადგილმამულო, სამიწაწყლო საქმე (аграрный вопрос) მარტო ეგ ორთა-შუა ბრძოლაა და სხვა არა-რა". *("ხიზნების საქმე". 1886 წ.).*

"კერძო საკუთრება ჯერ კიდევ ქვაკუთხედად უდევს არამცთუ მთელს სახელმწიფურს და საზოგადოებურ წყობას რუსეთისას, არამედ მთელს ცხოვრებას დაწინაურებულ ქვეყნებისას მთელ დედამიწის ზურგზე". *("ნუთუ". 1905 წ.).*

"აბა უკიდურეს სიღატაკიდან უდიდეს სიმდიდრემდე რამდენი საფეხურია, რამდენი კიბეა, რამდენი ერთმანეთზე მეტია, და მოდით და გაარჩიეთ, რომელმა რომელი უნდა სწეწოს და ჰგლიჯოს მთელ ამ დიდს მანძილზე". *("ნუთუ". 1905 წ.).*

"კერძო საკუთრება, სამართლიანად თუ უსამართლოდ, ჩვენდა საბედნიეროდ თუ საუბედუროდ, ჯერ კიდევ დიდ ხანს იქნება დიდს პატივში და მის სარბიელზე ძალმომრეობა, ერთმანეთზე მისევა, ვინც გინდ იყოს, იაფად არ დაუჯდება". *("ნუთუ". 1905 წ.).*

"პირველყოფილ დროს, როცა თავდაპირველ დაეწყვნენ კაცთა საზოგადოებანი, ზოგადს ელემენტს საკუთრებისას, თუ არ განსაკუთრებით, გადაჭარბებით მაინც, მეტი და უპირატესი ადგილი ეჭირა კაცთა ცხოვრებაში სხვადასხვა საეკონომიო და საპოლიტიკო თვისების მიზეზთა გამო, მაგ ზოგადმა ელემენტმა საკუთრებისამ თანდათან გზა დაუთმო პირადსა, და პირადის ელემენტის გამარჯვება მთლად და უნაკლოდ გამოისახა მთელის თავისის სასტიკობითა ფეოდალობაში, რომელმაც შემოიტანა ბატონ-ყმობა, ესე იგი იმისთანა წყობა, რომელიც მარტო უფლებაა უმოვალეობო, უსაზღვრო, პირობადაუდებელი, და რომელსაც სხვა საგანი არა ჰქონდა-რა, გარდა ცალკე კაცის პირადის კეთილდღეობისა". *("ხიზნების საქმე". 1886 წ.).*

“საზღვარდაუდებელმა უფლებამ საკუთრების პირადის ელემენტისამ მოუყარა თავი მამულებს კერძო კაცთა ხელში ცალ-ცალკე, განაშორა მუშახელი სამოქმედო საგანს _ მიწასა, განაცალკევა მუშა და სამუშაო საგანი. მაგ განშორებამ და განცალკევებამ დიდად შეარყია და შეშალა ბუნებრივი მდინარეობა ეკონომიურის ცხოვრებისა, იმიტომ რომ, ერთ მხრივ დარჩა მუშახელი უმიწოდ და მეორე მხრივ _ მიწა უმუშახელოდ”. *(“ხიზნების საქმე”. 1886 წ.).*

“სწორედ ამაში აქვს დასაწყისი ყოველგვარს სახეს სხვისა მიწის ხმარებისას მთელს ქვეყნიერობაზედ. ამაშივეა სათავეც და დასაწყისი ხიზნობისა ჩვენში”. *(“ხიზნების საქმე”. 1886 წ.).*

3.1.2. რის ნიშანია ერის ქონებრივი სიმდიდრე და სიღარიბე?

- **ქონებრივი სიმდიდრე და სიღარიბე ერის წინ წაწევისა, წარმატების, შინ და გარეთ დამოუკიდებლობის ხარისხის ნიშანი**

“ჩვენი ეკონომიური ყოფა-ცხოვრება ყველაზედ ნაკლებ ხელხლებულია ჩვენს მიერ. ყველაზედ მეტად ყურადღების და ზრუნვის გარეთ დარჩენილია, თითქო სხვა ყოველთა საჭიროებათა შორის ამ ეკონომიურ ყოფა-ცხოვრებას დღეს უპირველესი ადგილი არ ეჭიროს ყველგან და ჩვენში რაღა თქმა უნდა”.

“დღეს ყველამ იცის, რომ თავი და ბოლო წინ წაწევისა, წარმატებისა, გაძლიერებისა, შინა და გარეთ დამოუკიდებლობისა, მაძღრობაა, სიმდიდრეა, ეკონომიური ძალ-ღონიერებაა ერისა. აქ ხელცარიელად დარჩენილი, როგორც ჩვენა ვართ, დღეს ერთს ბიჯსაც წინ ვერ გადასდგამს, რაც გინდ სავსე ჰქონდეს გული დიდებულ აზრთა და გრძნობათათვის”. *(“კახეთის სოფლის მეურნეთა კავშირი”. 1895 წ. 4 ნოემბერი).*

“ან თვით დიდებულნი აზრნი და გრძნობანი მოივლინებიან-კი იქ, საცა ადამიანი მშიერ-მწყურვალი, შიშველ-ტიტველი, მგელსავით პირღია დაიარება და ერთი წუთი ვერ გადაურჩენია, რომ ჭამა-სმის გარეითად სხვა რაზედმე იფიქროს, სხვა უმაღლესს საგანს ადამიანის წყურვილისას თავი და გული მოანდომოს? ეს თუ შეუძლებელი არ არის, დიდად საეჭვოა მაინც იქ, საცა ერი ღატაკია, უძლური და მარტო დღიურ ლუკმის საშოვნელად გაწირული”. *(“კახეთის სოფლის მეურნეთა კავშირი”. 1895 წ. 4 ნოემბერი).*

“რა საძრახისია სიღარიბე, თუმცა-კი არც ბედნიერებაა? რუსები იტყვიან: бедность не порок. განა კაცს კაცად ჰხდის მარტო სიმდიდრე და სხვა არაფერი? იესო ქრისტე ღარიბი იყო, თავშიშველი და ფეხშიშველი დადიოდა, ღმერთად-კი იწამა მთელმა განათლებულმა კაცობრიობამ.” *(“ქვათა ღაღადი”. 1899 წ.).*

“ღვთის მადლით, ჩვენ ჯერ ამ განწირულებამდე არ მივსულვართ, მაგრამ ჩვენდა სამწუხაროდ უნდა ვთქვათ, რომ დღესა თუ ხვალე ამ დღეში ჩავცვივით, თუ მინამ დროა თავს არ ვუშველეთ”. *(“კახეთის სოფლის მეურნეთა კავშირი”. 1895 წ.).*

- **სიღარიბე თუმცა არაა ბედნიერება, მაგრამ არც მწიკვლია**

"ღირსება და სახელოვანება მარტო სიმდიდრე არა ყოფილა. სხვაც რამ სდომებია კაცის თავმოწონებას, სახელოვანებას, სახელდობრ ის, რაც, კაცთა საუბედუროდ, ბევრს თავმოწონებულს მდიდარს აკლია". *("ქვათა ღაღადი". 1899 წ.).*

"სიღარიბე მწიკვლი არ არის, ცოდვა არ არის. მწიკვლი და ცოდვა სხვისაგან გამომცხვარის პურის ჭამაა, სხვისა ოფლის სმაა, და ვისაც ეს ანდერძად და მცნებად გულში ჩაუწერია, იმან შეინანოს ეს ცოდვა, იმან ჩამოირეცხოს ეს მწიკვლი. ხმელის პურის ჭამა სჯობია სხვისის ოფლით დამბალსა და დასველებულს." *("ქვათა ღაღადი". 1899 წ.).*

"ჩვენ ამითი იმის თქმა კი არ გვინდა, რომ რაკი მთავრობა ამისთანებში მოვალეა და ყოვლადშემძლებელი, ჩვენ გულ-ხელი დავიკრიბოთ და გულგრილად ვუყურეთ ჩვენი ძმების უბედურებას, გულგრილად და თუნდ ცარიელის გულის-ტკივილითაც შევყურებდეთ, როგორ თრთის და იკრუნჩხება შიშველი ბავშვი სიცივისაგან, როგორ უკვდება კალთაში შიმშილისაგან ძუძუგამშრალს დედას, როგორ ტყის ნადირივით დაძრწის ღონემიხდილი, დამშეული მამა, იმედ-დანთქმული, რომ რითამე მიეშველოს შიმშილისაგან სულთმობრძავს ოჯახსა. გარბის ამ ოჯახიდამ შორს, რომ თავისის თვალით არ დაინახოს გულსაკლავი სურათი კარზედ მოდგომილის სულთამხუთავისა, არ დაინახოს თავისის ცოლის, თავისის შვილის, თავისის ძმის, დის, თვისისა და ტომის სასოწარკვეთილი ყოფა, არ გაიგონოს თავისის ყურით ამაო ძახილი ცოლისა: "კაცო, გვიშველე, ვიხოცებით", საცოდავი კნავილი ბავშვისა "მამავ, პური, მამავ, პური"... გარბის თითონაც დამწვარი და დადაგული შიმშილისაგან, გარბის შორს, შორს... გარბის და ჰგრძნობს, რომ სამუდამოდ ეცლება ხელიდამ ყოველივე ის, რისთვისაც სცხოვრობდა, რისთვისაც სულდგულომდა, რისთვისაც იღვწოდა.. ყოველივე ის, რაც მისთვის ყველაზე უძვირფასესია... ჰგრძნობს და გულს უბზარავს მწვავე ტკივილი სასოწარკვეთილებისა, უიმედობისა და უღონობისა. ან არა და დგას ამ საშინელის სურათის წინ _ უღონო, უილაჯო, თვალებ-ჩაცვივნული, ნაწლებ-ამომწვარი შიმშილისაგან, დგას და უყურებს, რომ თვალ-წინ უკვდება ცოლი, უკვდება შვილი, უყურებს და იწვის, იდაგვის, რომ არსაიდამ ხსნა არ არის, არსაიდამ შველა, და თუ რამ ნუგეში აქვს, ის ნუგეშია, რომ მეც შიმშილი დღესა თუ ხვალე ამომხდის დაუძლურებულს სულსო და ჩემს ცოლ-შვილს საიქიოს შევეყრებიო". *("შინაური მიმოხილვა". 1879 წ. თებერვალი).*

"ღარიბნი ვართო, ვიძახით, მაგრამ ქვეყანაზედ მარტო ღარიბმა იცის _ რა არის შველა, რა არის ძმობა გაჭირვებაში". *("შინაური მიმოხილვა". 1879 წ. თებერვალი).*

"ღმერთო! ღარიბი კაცის გაჩენაში [არ] რეულა შენი მოწყალება! დაგვბადე და გვიბრძანე: ოფლითა თქვენითა მოიპოვეთ პური თქვენი! მინამ შემეძლო, შემომიჩივლია განა შენთვის, მაღალო ღმერთო, ჩემი სიღარიბე? დავბერდ, თვალთ დამაკლდა და ხელი მიკანკალებს, ჯანში ღონე არ შემრჩა. მინამ შემეძლო და ჩემი პატარა კატო იყო ინსტიტუტში, პურის ცხობით ვინახამდი ჩემს თავსა. ეხლა აღარა შემიძლიან-რა, ეხლა ჩემი საწყალი კატო დღე და ღამეს ასწორებს ჩემის შენახვისთვის, მე კი, როგორც ბატონი, ხელგაუნძრევლად, ჩემის ქალის თითების ნაშოვარს და მონაგარს ვჭამ და ვსვამ. ტყუილია, რომ შვილმა ხელზედ ერბოკვერცხი მაიწვასო და ისე გამოზარდოს მშობელი დედაო, მაინც იმის ამაგს ვერ გადიხდისო, ეგ ბედნიერმა უნდა თქვას, რომელმაც არ

იცის, რა არის შრომა, რომელსაც არ გამოუცდია დღე შრომითა და ღამე იმ ფიქრითა, რომ ხვალეც ეს დღე დღე იქნება, ღამეც _ იგივე ღამე." ("*კატო". 1861-1863 წ.).*

"სხვა ქვეყანაში სიღარიბე ძნელი ასატანია და ცარიელი დავბრუნდი უკან. თუ რამ ორიოდ გროშსა ვშოობდი, ამ წიგნებს ძლივს გავაწვდინე." ("*უცნაური ამბავი". 1893 წ.).*

"სავსე თარო წიგნებითა და ცარიელი მუცელი _ არა მგონია, ბევრს რასმე შველოდნენ ერთმანეთსა." ("*უცნაური ამბავი". 1893 წ.).*

"რა არის სიღარიბე და სიმდიდრე? ვხედავ, ერთს ბევრი აქვს, მეორეს ცოტა, მაგრამ, ჩემის ფიქრით, ამითი არ უნდა ირჩეოდეს ღარიბი მდიდრისაგან. საქმე ის არის, სურვილი ქონებას არ გადაამეტო. მე მგონია, _ ღარიბი არ არის, ვინც ნდომობს იმას, რაც ეშოვება და არა მეტსა. მეტის მდომი მდიდარიც ღარიბია." (*უცნაური ამბავი. 1893 წ.).*

"მაგ ფილოსოფიას, ჩემო სოლომონ, დღეს გასავალი არა აქვს, ბევრს მუშტარს ვერ უშოვი." (*უცნაური ამბავი. 1893 წ.).*

"ნუ დაგვავიწყდება, რომ მოსწავლენი მეტი ნაწილი ღარიბნი არიან. თქმა არ უნდა, რომ სიღარიბე უფრო იღვწის ამ შემთხვევაში, ვიდრე სიმდიდრე. სიმდიდრეს რა უჭირს? ცა ყოველთვის ქუდადა აქვს, დედამიწა ქალამნადა. მას ჯერ არ აეშლება საღერღელი სწავლისა და ცოდნისა, და თუ აეშალა, ვარდით დაფენილ გზაზედ მიდის. სიღარიბეს წინ ეკლიანი გზა უდევს, იგი მიდის და ეკალი ჰშაშრავს მის შიშველს ფეხსა და ტანსა. აქ სვლა მსხვერპლია, თავის გაწირვაა, თავის გამომეტებაა. რამდენს დაულევია უდღეოდ სიცოცხლე, მშობელთა და მახლობელთაგან დაუტირებელს, მარტო იმის გამო, რომ შიმშილით დაუძლურებულს ხორცს ვეღარ უტარებია ღონიერი სული ჭაბუკისა სწავლის ეკლიან გზაზედ? რამდენს დედას გამოსცლია ამ გზით ხელიდამ შვილი, რამდენს დას _ ძმა, რამდენს მეგობარს _ მეგობარი და რამდენი საიმედო შვილი დაჰკარგვია ქვეყანას". *("ქართველი სტუდენტობა რუსეთში", 1886 წ. 4 თებერვალი).*

"სიღარიბე, რომელიც ჩვენ მოგველის, ისე საშიში არ არის, როგორც ჩვენა და ათას სხვათ ჰგონიათ. სიღარიბე ბრძოლაა, სიმდიდრე განცხრომაა, _ და განცხრომა, ჩემის მოხევისა არ იყოს, საფლავშიაც გვეყოფა. მინამა ვართ, კაცად და ცოცხლად ვიყვნეთ, და როცა არ ვიქნებით, მაშინ განვისვენოთ შეურყეველის მშვიდობიანობითა". *("წერილები ილია ჭავჭავაძისა ოლღა თადეოზის ასულ გურამიშვილისადმი", 1873 წ. 23 ოკტომბერი).*

"ბევრმა მაგალითებმა წინადაც და ნამეტნავად ამ უკანასკნელ ხანების ღირსსახსოვარმა ამბებმა თვალნათლივ დაგვანახა, რომ ცხოვრების მოედანზე ძლიერი ისა ყოფილა, ვინც მდიდარია, და მდიდარიც იგია, ვისაც ბევრი ფული ჰქონია." *("ჩვენი ქვეყნის ეკონომიური ცხოვრების საზრუნავი". 1893 წ. 17 ივლისი).*

- **ქონებრივი სიმდიდრე სახელმწიფოსი შესდგება მომქმედთა და ნამოქმედარის მხმარებელთა სიმდიდრისაგან**

"სიმდიდრე სახელმწიფოსი შესდგება ვაჭრების სიმდიდრისაგან კი არა, არამედ მომქმედთა და ნამოქმედარის მხმარებელთა სიმდიდრისაგან. ინგლისი იმითი კი არ არის მდიდარი, რომ მდიდარი სოვდაგრები ჰყავს, არამედ იმითი, რომ მდიდარი წარმოება აქვს და კარგად გაწყობილი სოფლის-მეურნეობა." *("შინაური მიმოხილვა". 1882 წ. ნოემბერი).*

"საფაბრიკო და საქარხნო წარმოების მოედანი, თუმცა დღეს ჩვენში საგრძნობელად ხელთ არავის ჩაუგდია, მაგრამ ამაებისათვის ჩვენ არამც თუ ქონება არა გვაქვს, არამც თუ საჭირო ცოდნა და გამოცდილება, _ აზრადაც არავის მოსვლია ამაებისაკენ მიიხედოს და

ეს დღეს მოცლილი და სხვისაგან დაუჭერელი ადგილი მაინც დაიჭიროს". *("კახეთის სოფლის მეურნეთა კავშირი". 1895 წ. 4 ნოემბერი).*

"ამ გარემოების ძალმომრეობით ჩვენი მართლა და მდიდრად შემკული ქვეყანა იძულებული იყო, რაც საცხოვრებლად ადამიანისათვის საჭიროა, შინ თვითონვე ეკეთებინა და მიწისაგან ამოეღო, თუ არა და, მშიერი და შიშველი დარჩებოდა. მაშინ არამცთუ საჭირო იყო ჩვენი საკუთარი პური გვქონოდა და სხვა საჭირო მარცვლეულობა, არამედ სამოსელიც-კი. გავიხსენოთ მარტო ის ამბავი, რომ ამ ოც თუ ოცდაათ წლის წინათ ერთს სოფელს ისე არ გაივლიდით, რომ ქსელი და მაქო ფეიქრისა არ დაგენახოთ, მატყლის საჩეჩელი საშალე ძაფისათვის არა ყოფილიყო გამართული თითქმის თვითეულის მცხოვრების დერეფანში, ხშირად არ შეგხვედროდათ სამღებროები ნაქსოვის, თუ ნაკეთების საღებავად, და სხვა ამისთანა წვრილმანი საოჯახო, საშინაო მრეწველობა იმაზე მიქცეული, რომ ქვეყანამ შინ იქონიოს ყველაფერი". *("ჩვენი სარჩიელი სოფლის მეურნეობის ძვირფას დარგებზე". 1894 წ. 18 სექტემბერი).*

"აღებ-მიცემობის მოწყალებით ეს წვრილმანი საოჯახო და საშინაო მრეწველობანი გაუქმდა, რადგანაც დამშვიდებამ ჩვენის ქვეყნისამ, კარგმა გზებმა სამეზობლოდ მისვლა-მოსვლისამ, აღებ-მიცემობის სახსარი მისცა უფრო იეფის, უფრო კარგი საქონლის მოტანისა, და შინაურმა წვრილმანმა მრეწველობამ მოტანილს საქონელს ვერც ფასში და ვერც სიკეთეში ცილობა ვერ გაუწია. დაანება ჩვენმა ქვეყანამ ამ წვრილმანს მრეწველობას თავი და ირჩია ნაწარმოებთა ყიდვა სხვისაგან, იმიტომ, რომ საეკონომიო სფეროში წინამძღვრობს მარტო სიიეფე და სიკეთე სასყიდელ საქონლისა და სხვა არა-რა". *("ჩვენი სარჩიელი სოფლის მეურნეობის ძვირფას დარგებზე". 1894 წ. 18 სექტემბერი).*

მეორე ნაწილი

3.2. შრომა, გარჯა, მხნეობა, საკუთარი თაოსნობა – თვითმოქმედება – ერის ქონებრივი გაღონიერებისა და მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლების წყარო

3.2.1. ქვეყნის ქონებრივი გაღონიერებისათვის დიდი საქმეა ცხოვრების გზის პოვნა და აჩენა

3.2.1.1. დიდი საქმეა მარტო უტყუარი ნიშანი მოსაქმის დიდბუნებოვნებისა

3.2.1.2. საზოგადო საქმეს მარტო შრომა უნდა, გარჯა უნდა, გულდადებული ჯაფაცა

3.2.1.3. ჩვენი ყმაწვილ-კაცობა უნდა მომზადდეს მთელის ევროპის მეცნიერებისა და გამოცდილებით

3.2.1.4. ჯერ-ხანად არ ვიცით საზოგადო საქმეს როგორ მივცეთ მხარი, როგორ მოვუაროთ

3.2.1.5. სწორი გზის პოვნა და მასზედ სვლა ნახევრად გამარჯვებაა, ანუ რა გავაკეთეთ

3.2.2. შრომა, გარჯა, მხნეობა, საკუთარი თაოსნობა – თვითმოქმედება საფუძვლად უნდა დავუდვათ ერის ქონებრივ გაღონიერებას

- ვფიქრობდი შრომით და ოფლით ვიყიდდი ლუკმა პურსა
- ქვეყანაზედ სიამოვნება უშრომოდ არ მოიპოვება, შრომა, როგორც გზა-მიმავალი სანატრელ საგნამდინა, ხალისიანია
- ეს ქვეყანა სახელოსნოა, საცა კაცი უნდა ირჯებოდეს და შრომობდესო

- ეხლა ვაჟკაცობა უნდა შრომისა, ანუ რამ გადაგვარჩინა, რამღა გვაცოცხლა. ჩვენს მშვენიერს ქვეყანას სხვები არ დაეპატრონონ
- ცხოვრების მოედანი მარტო იმისია, ვინც მხნეობს და გამრჯელია. ღმერთი მხოლოდ გამრჯელის მწყალობელია, გაურჯელს წყალი წაიღებს
- მოძრაობა და მხოლოდ მოძრაობაა ქვეყნის ძალისა და სიცოცხლის მიმცემი
- საკუთარი თაოსნობა – ის ენერგიაა, საიდანაც უნდა ამოხეთქოს ჩვენთვის ყოველივე სასურველი;
- ყმაწვილ-კაცობის ღვაწლს საკუთარი თაოსნობის ასაღორძინებლად ვერავინ შეეცილება
- თვითმოქმედება: უმაღლესი წერტილი ადამინის განვითარებისა და წარმატებისა. ხალხი თვითმოქმედებით არის მხოლოდ ძლიერი და ნაყოფიერი სულით და ხორცით
- თვითმოქმედება ისეთი თვისებაა ადამიანისა, ურომლისოდაც, იგი უფრო მონაა, ვიდრე ბატონი, სათრეველაა და არა თვითმავალი მოზარდისათვის
- თვითმოქმედება სკოლაც არის ყოველი მოზარდისათვის
- თვითმოქმედებას სულის, ჭკუისა და გონების გაძლიერებასთან ერთად უნდა მისდევდეს ქონების, ჯიბის გაძლიერებაც

3.2.3. ქართველი გლეხი კაცი: მშრომელი, ქვეყნის სიმდიდრის შემქმნელი გვირისტით ნაკერი

- ჩვენ, გლეხებმა, დღედაღამ ოფლი უნდა ვიწუროთ და პური ისე ვჭამოთ
- ისინი, შექმნილნი, გვირისტით ნაკერნი არიან. მათი სიმღერა ერთი გაბმული კვნესაა, მაგრამ მაინც სიმღერას ეძახიან
- ვის უნდა ეძახდნენ "ჩვენიანს".
- ჩვენი გლეხის მიდრეკილება მამულის სყიდვისადმი ძლიერი და დაუძინებელია
- უსაფუძვლო და უმიზეზო გამოკლება ზოგიერთ წოდებისა საზოგადო საქმეებიდამ – საზოგადო ტვირთს უმძიმებს გლეხსა
- ნუთუ რუსის მუჟიკი ჩვენს გლეხობაზედ მაღლა სდგას? ჩვენს გლეხს რატომ ეუბნებიან ცურვა ისწავლე, მაგრამ წყალში-კი ნუ ჩახვალო?
- სახელმწიფომ ჩვენს გლეხს მიწა წაართვა და სხვა ტომის ხალხს მისცა. ქართველი თავს ვერ დაანებებს თავის ადგილს
- გლეხებისათვის ცხენების ჩუქებით ცივილიზაცია უნდა შემოეტანათ ჩვენში, მაგრამ...
- არასწორად დანახული ქართველი გლეხის სახე
- ოთარაანთ ქვრივის ხუთი ქისა – ქართველი გლეხის წინდახედულობისა და ყაირათიანობის ნიშანი

3.2.4. გუთანი ქვეყნის სიმდიდრის შემქმნელი შრომის საშუალებაა

- გუთანი ქართველებო, გუთანი! და ხმალი იყოს ფარი მისი

3.2.5. კაცის უქმობა, უღონობა, უშრომლობა, უუნარობა, სხვისი მოიმედება – სხვისით ცხოვრება, საშინელი სენია

- უქმობა: ნუ დაგიკრეფია გულხელი
- უღონობა: უღონო ხალხი უფრო შებრალების ღირსია, ვიდრე განკიცხვისა;

- უშრომელობა: თუ წუთის სოფელს ერთს ბეწოხანს თვალი მოუხუჭე, ისე გაგთელავს, როგორც დიდოელი ლეკი ნაბადსა
- უუნარობა: აი რა გვიშლის ხელს საზოგადო საქმეში
- "სოფლის წურბელა": სულით გათავისუფლებული, უფულო გლეხი ხორცით ყმა გაიხადა
- მონატრება სოფლისა და სიყვარულით მფეთქავი გული
- სხვისი მოიმედება: ჯერ სათაკილოა თითონ ადამიანისათვის, და მერე – უღონოა, რომ ადამიანი ოდესმე ფეხზედ დააყენოს, თავისით აცხოვროს. სხვაზე მინდობა ქვიშაზე აშენებული შენობაა

3.2.6. გულგრილობა: საიდამ დაგვჩემდა ეს საუბედურო სენი

3.2.7. ლოდინი: დინჯი და უწყინარია ბუნებით, მაგრამ მათხოვარსავით ხელგაწვდილია მუდამ

3.2. შრომა, გარჯა, მხნეობა, საკუთარი თაოსნობა – თვითმოქმედება – ერის ქონებრივი გაღონიერებისა და მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლების წყარო

3.2.1. ქვეყნის ქონებრივი გაღონიერებისათვის დიდი საქმეა ცხოვრების გზის პოვნა და აჩენა

3.2.1.1. დიდი საქმეა მარტო უტყუარი ნიშანი მოსაქმის დიდბუნებოვნებისა

"გადავწყვიტე, რომ ჩემი ქვეყანა მიმიღებს და მიმითვისებს კიდეც, იმიტომ, რომ იმისი სისხლი და ხორცი ვარ; იმის სიტყვასაც და ენასაც გავიგებ, იმიტომ, რომ მამულს შვილი ყურს უგდებს განა მარტო ყურითა, გულითაცა, რომლისთვისაც დუმილიც გასაგონია; ჩემს სიტყვასაც გავაგებინებ, იმიტომ, რომ შვილის სიტყვა მშობელს ყოველთვის ესმის. მაგრამ ამას სულ სიტყვაზედ ვლაპარაკობ, საქმე კი საქმეშია." (*"მგ ზავრის წერილები". 1861 წ.).*

"შენმა ქვეყანამ საქმე რომ მოგთხოვოს, მაშინ რასა იქმ? _ ვკითხე მე ჩემს თავს და გავჩერდი კიდეც. ვიგრძენ, რომ ამ კითხვამ შესწყვიტა ის ზემოხსენებული ჩემი ფიქრების ფერადი გრეხილი." (*"მგ ზავრის წერილები". 1861 წ.).*

"ბაასი ჭკვის საზდოა." (*"მგ ზავრის წერილები". 1861 წ.).*

"ჩვენ უნდა ვსდიოთ ეხლა სხვა ვარსკვლავს,
ჩვენ უნდა ჩვენი ვშვათ მყოობადი,
ჩვენ უნდა მივსცეთ მომავალი ხალხს." *("ქართვლის დედას". 1858 წ. 15 დეკემბერი).*

"ჩუმი, მშვიდობიანი, დინჯი, არა-მყვირალა და ჩხავანა მოღვაწეობა, _ საცა უნდა იყოს, _ თუ გულმხურვალობით არის გამთბარი, გულმოდგინეობით წარმართული, ერთგულობით ძირმაგარი და პატიოსნებით ნათელცხებული, _ უტყუარი ნიშანია თითონ მოღვაწის დიდ-ბუნებოვანობისა. იქნება ზოგიერთებს ეხამუშოს, ზოგიერთს ეუცხოვოს ეს ჩვენი აზრი, და სიტყვა შემოგვიბრუნოს: "დიდი საქმეა მარტო უტყუარი ნიშანი თითონ მოსაქმის დიდბუნებოვანობისაო". ეს მართალია, თუ საქმე ქმნილია. თუ

არ არის ქმნილი და მარტო ამაო თავმოწონებით და ცუდ-მედიდობით ხელწატანებულია, მაშინ საქმე დიდი თუ პატარა, სულ ერთია: იგი ხელის წამტანებელის ქარაფშუტობას უფრო გვისაბუთებს და გვიმტკიცებს, ვიდრე დიდბუნებოვანობასა. მაშასადამე, ამ შემთხვევაში ძალა ქმნასა ჰქონია და არა მარტო ხელის წატანებასა და ფოტინსა. არა-ქმნა ყოველ დიდს საქმეს ამცირებს და ქმნა-კი პატარასაც დიდად ჰხდის. ესეც მართალია, რომ ქვეყანაზედ ბევრი იმისთანა დიდი საქმეა, რომელიც თავისთავად ჰხმაურობს, ქარბუქს აყენებს და ყველას თვალ-წინ უდგა მთელის თავის სიდიდითა. ხოლო იმისთანა საქმენიც არიან, რომელთაც ჟღარუნები არა აქვთ და არა ხმაურობენ, მაგრამ მით არა ნაკლები მნიშვნელობა აქვთ წუთი-სოფლის სიმწარის დასატკბობელად და სიმწვავის გასანელებლად. ამისთანა საქმეა, მაგალითად მართლმსაჯულება. იგი არ დაიარება ქვეყანაზედ ბუკითა და ნაღარითა. მისთა მსახურთა მზად-მზარეული გვირგვინი შარავანდედისა არ ადგიათ თავზედ, რომ დიადობის ქარი ჰქონდეს კაცთა თვალთათვის. როგორც თითონ მართლმსაჯულება, ისეც მისნი მსახურნი, მშვიდობიანად, უბუკნაღაროდ საქმობენ თავის საქმეს და მშვიდობას ქვეყნისას, სიკეთეს ოჯახისას, ნამუსს და პატიოსნებას ადამიანისას ჰპატრონობენ და ესარჩლებიან. თუ ესე არ არის, ასე მაინც უნდა იყოს და ჩვენ მასზედ-კი არა ვლაპარაკობთ, რაც არის, არამედ მასზედ, რაც უნდა იყოს". *("ასე ანდრონიკაშვილი". 1887 წ. 10 იანვარი).*

"ნუთუ ამ არა-მყვირალა საქმეში კაცი ჩაბმული და პატიოსნად მოღვაწე არ შეიძლება დიდ-ბუნებოვანი იყოს, მარტო იმიტომ, რომ თითონ საქმე მყვირალა არ არის, ჩუმია და ხმაამოუღებელი? ნუთუ თითონ საქმე, ურომლისოდაც მთელი ქვეყნიერობა ერთს არეულს და ერთმანეთის მჭამელს მხეცთა გროვას წარმოადგენდა, ნუთუ, _ ვამბობთ, _ თითონ ეგ საქმე დიდი არ არის მარტო იმიტომ, რომ ბუკითა და ნაღარით არ იჩენს თავსა!.. საქმე დიდია და დიდი არის იგიც, ვინც გულთბილად, კაცთმოყვარეობით, პატიოსნად და სწორის სისწორით ხელში ემსახურა და ჰმსახურობს". *("ასე ანდრონიკაშვილი". 1887 წ. 10 იანვარი).*

"ყოველს ადგილას, ყოველს საქმეში _ რაც უნდა ჩუმი იყოს, რაც უნდა მცირე _ ადამიანს შეუძლიან აღმოაჩინოს სიდიადე ღვაწლისა. ტყუილად კი არ არის ნათქვამი ერთის მეცნიერისაგან: "ვინც ორი მარცვალი მოიყვანა იქ, საცა მანამდე მარტო ერთი მარცვალი მოდიოდა, იგი ერთს უდიდეს სამსახურს უწევს კაცობრიობასაო". *("ასე ანდრონიკაშვილი". 1887 წ. 25 თებერვალი).*

"ამ წუთის-სოფელში ადამიანს ბევრი და მრავალ-სახის საქმე აქვს საკეთებელი, როგორც კერძოდ თავის-თავისათვის, ისეც ზოგადად ყველასათვის. სათითაოდ ყველას ერთნაირი დანიშნულება არა აქვს, სათითაოდ ყველას რაიმე დანიშნულება კი უსათუოდ აქვს. მაღალ ზნეობის თვალის წინაშე სიდიდე ადამიანისა დანიშნულების სიდიდეზედ არ არის დამოკიდებული. მრავალ-გვარია ნიჭიერება, ღონე და მიდრეკილება ადამიანისა. სიდიდე და ღირსება ის არის, ვინ როგორ უძღვება. თითონ საქმის მეტ-ნაკლებობა აქ არაფერს შუაშია, დიდი და პატარა სულ ერთია, ოღონდ კაცმა იმას მიჰმართოს, იმას ჩაჰჭიდოს ხელი, რაზედაც გული მიუწევს და ნიჭი და უნარი მიუწვდება. უამისოდ ყოველი დიდი საქმე მცირეა და ამისით კი ყოველი პატარაც დიდია". *("ასე ანდრონიკაშვილი". 1887 წ. 25 თებერვალი).*

"ზოგი იმისთანა კაცია, რომ, რაც გინდ ბევრი ისურვოთ, ვერას იტყვით, რადგანაც არა აქვს-რა ღირსი თქმისა, და ზოგი იმისთანა, რომ სათქმელი ზღვაა და ან უღონოდ გრძნობ თავსა _ მისს თვალგაუწვდენელს კიდეებს ერთბაშად თვალი გადავაწვდინოთ მთლად და უკლებლივ, ან არ ვიცით, რომელ მხრიდამ დავუწყოთ ყურება, რადგანაც

ყოველმხრიდამ დიდებული სანახავია". *("სიტყვა თქმული გაენათის მონასტერში გაბრიელ ეპისკოპოსის დასაფლავების დღეს". 1896 წ.).*

3.2.1.2. საზოგადო საქმეს მარტო შრომა უნდა, გარჯა უნდა, გულდადებული ჯაფაცა

"ქართველობამ ამ ბოლოს ხანებში დააჯერა გული, რომ ამ ყოფით დგომა ცხოვრების მოედანზე შეუძლებელია, რადგანაც მოასწავებს დედამიწის ზურგიდამ აგვას, თუ წამალი რამ არ დაიდვა და თუ ისე არ მოაწყო საქმე, რომ ამ გაჭირვებიდამ თავი დაიხსნას." *("ჩვენი ქვეყნის ეკონომიური ცხოვრების საზრუნავი". 1893 წ. 17 ივლისი).*

"ამის აღსასრულებლად "კავშირს" დაუდგენია იქონიოს საწყობები იარაღისა, თესლეულობისა და სხვა ყოველისა, რაც კი საჭიროა სოფლის მეურნისათვის, აგრეთვე ყოველ იმისა, რაც ადგილის მკვიდრთათვის საშინაოდ სასყიდელია". *("კახეთის სოფლის მეურნეთა კავშირი". 1895 წ. 17 ნოემბერი).*

"ვერაფერი სანუგეშო ამბავია, როცა კაცი საზოგადო საქმის მოედანზედ გამოდის მარტო იმისათვის, რომ სიტყვა და აზრი წინ გავიგდო და ვითამაშოო. ყოველი თამაში შექცევაა და საზოგადო საქმეს უპატიუროდ ხდის. საზოგადო საქმეს მარტო შრომა უნდა, ჯაფა უნდა, ბეჯითი და გულდადებითი ჯაფაცა. უამისოდ საზოგადო საქმე, რაც უნდა კარგი იყოს თვალად, შიგნით ფუღურუა, დღემოკლეა, სუსტია. წარამარად ბარბაცი საზოგადო საქმეში იქნება უსაქმო კაცისთვის სასაცილოც იყოს, მაგრამ საქმიანისათვის საწყენოა. ამაზედ უფრო სავაგლახოა, როცა საზოგადო საქმეში "მე ესე მიჯობს" აღვირაშვებული დაიარება და ის კი, "რაც საქმეს უჯობს", თავჩაღუნული დადის, თითქო დედინაცვალის ხელში ჩავარდნილი ობოლიაო, ჩაგრული და ხმაამოუღებელიო. ბოლოს ცხვირში ამოგვკრავს, რომ ესე წინდაუხედავად შევსვამთ ხოლმე საზოგადო მძიმე საქმეს ერთმანეთის მტრობისა და შურის საქანელაზედ და ისე უკადრისად წინდაუკან ვაქანებთ. ბოლოს ცხვირში ამოვიკრავთ-მეთქი, მაგრამ ვაი თუ გვიანღა იყოს." *("შინაური მიმოხილვა". 1879 წ. აპრილი).*

"ერთის სიტყვით, ჩვენი შინაურისაქმეები ჯერ გაუკეთებელი ხორბალია ხოლმე, უნდა ჩვენ თვითონ გავანიავოთ, გავცხრილოთ, დავფქვათ, მოვზილოთ და საკუთარის ჭკუის თონეში ჩვენის ხელით გამოვაცხოთ." *("შინაური მიმოხილვა". 1879 წ. ივლისი-აგვისტო).*

"ჰოი, ყოვლად მხსნელო კომისიავ, რა კარგი რამა ხარ! რამდენს მოუყუდებია შენზედ თავისი ჯოხი, რომ სხვა ღონე არ ჰქონია. რამდენს "გაუპრადალავებია" _ გლეხის არ იყოს _ შენის უწყინარი სახელით კეთილი საქმე! " *("შინაური მიმოხილვა". 1879 წ. ივლისი-აგვისტო).*

"მამების და შვილების" ბრძოლამ რუსეთში ბრმად აიყოლია ჩვენებური ყმაწვილ-კაცობა და იმ ბრმად აყოლილებმა ეგ ბრძოლა ჩვენშიაც გადმოიტანეს, მაგრამ ჩვენის ყმაწვილ-კაცობის სასახელოდ ესეც უნდა ვსთქვათ, რომ მათგანმა თითო-ოროლამ გამოინაპირა და თავისი შეცდომა მალე იცნო, გამოვიდა და ცალკე გუნდად დადგა ცხოვრების მოედანზედ. მას აქეთ ჩვენშიაც ყმაწვილ-კაცობა ორ ბანაკად გაიყო: ერთში მოექცნენ ისინი, ვისაც რუსეთის უარმყოფელის მიმართულებიდამ ოთხ ზემოხსენებულ ფრაზებს გარდა არა რა გამოეტანათ რა, მეორეში _ ახალის გუნდის მომხრენი. პირველებმა დაიხვიეს ხელზედ რუსეთის "მამა-შვილობა", ენაზედ დაიკერეს ზემოთ მოყვანილი ოთხი ფრაზა და დღეს-აქამომდე აწიოწოს იძახიან და იოლად მიდიან. მეორეები კი დააკვირდნენ ჩვენის ქვეყნის ვითარებას და ნახეს, რომ ჩვენ ქვეყანას სულ სხვა ტკივილი აქვს, სულ სხვა ფათერაკი სდევს. სცნეს, რომ ჩვენებური დღევანდელი

დღე სულ სხვასა თხოულობს, სულ სხვასა ჰღაღადებს და, მაშასადამე, ჩვენებური ლიბერალობა სულ სხვა რასმეზედ უნდა მიიქცეს მთელის თავისი ძალ-ღონითა. ის "სხვა რამე" იყო _ ჩვენის დაცემულის ვინაობის აღდგენა, ფეხზედ დაყენება." *("შინაური მიმოხილვა". 1881 წ. მაისი).*

"იმ ახალმა გუნდმა მთელი თავისი ღონე მაგ საგანს მიჰმართა. მაგ ახალმა მიმართულებამ დაიპყრა მთელი ჩვენი ღარიბი ლიტერატურა. "საქართველოს მოამბე", "მნათობი", „დროება" და ბოლოს "ივერია" სულ მაგ მიმართულების ბუკსა და ნაღარასა სცემდნენ. საუკეთესო წარმომადგენელნი ჩვენის პოეზიისა სულ მაგას გვამხელდნენ, მაგას გვიგალობდნენ დღესაქამომდე. მართალია, ჩვენის "ვინაობის" აღსადგენად მაგ ახალს გუნდს ბევრი არ უქმნია რა, რადგანაც იმისათვის საჭირო მეცნიერებაში და ცოდნაში კარგა ქვეითობდნენ, მაგრამ ისიც დიდი საქმეა, რომ მაგ მიმართულებას მიაგნეს და ჩვენს ცხოვრებაში ცოტად თუ ბევრად ფეხი მოაკიდებინეს. ისიც დიდი ამბავი იქნება, თუ ამ გუნდმა ამ საგანზედ მოახედა ჩვენი ალმაცერად მაყურებელი თვალი და რაც ძალ-ღონეა, სულ მაგ საქმეს ზედ მოახვია და შესჭიდა. რაც ვერ ჰქმნეს ამათ, იქმონენ სხვანი, ოღონდ ამ მიმართულებამ თავი დაიჭიროს ჩვენს ცხოვრებაში. ღრმად გაიკეთოს ძირი და იმოქმედოს, ვიდრე საჭიროება მოითხოვს." *("შინაური მიმოხილვა". 1881 წ. მაისი).*

3.2.1.3. ჩვენი ყმაწვილ-კაცობა უნდა მომზადდეს მთელის ევროპის მეცნიერებისა და გამოცდილებით

"ყოველი ჭეშმარიტი ლიბერალი, ჩვენი კაცი, დღესაც მარტო მაგ მიმართულების მიმდევარი უნდა იყოს ჩვენში. ნურავის ნუ ჰგონია, რომ ეგ მიმართულება, რადგანაც დიდი ხნისაა, იმიტომ ძველია, და რადგანაც ძველია, იმიტომ უკადრისია და სათაკილო ლიბერალებისათვის. დეე ოთხფრაზიანმა ლიბერალებმა ეგრე იფიქრონ, ჩვენ კი ამას ვიტყვით, რომ ეგ მიმართულება იქნება ახალი იმ დრომდე, მინამ ჩვენი ვინაობა თავის შესაფერს და კუთვნილს ადგილს არ დაიჭერს ჩვენს ცხოვრებაში და საზოგადო საქმეთა სათავეში არ მოექცევა. სხვა საგანი ამაზედ უმძიმესი, ამაზედ უსაჭიროესი არა აქვს ეხლანდელს საქართველოს შვილს. ყველამ, ვისაც რამ შეუძლიან, ამ მიმართულების ქვეშ უნდა მოიყაროს თავი და ერთად ძმურად იმოქმედოს. ყოველივე საქმე, ყოველივე საგანი, რაც ჩვენის ცხოვრების მიმავლობაში თავისით თუ სხვისით აღმოჩნდება, სულ ყოველისფერი ჩვენს ვინაობის საქმეს უნდა შევურჩიოთ, ქვეშ დავუყენოთ. სკოლაა, ბანკია თუ თეატრი, ყველაფერს სულ მაგისკენ უნდა მივუბრუნოთ თავი. ვაყენებთ სადმე კაცს მარშლად, თუ ბანკის გამგებლად, თუ მასწავლებლად, თუ რადმე სხვად, _ მაგ მიმართულების სისწორეზედ უნდა ავწონოთ. აი ჭეშმარიტის ლიბერალის საქმე რა არის ჩვენში." *("შინაური მიმოხილვა". 1881 წ. მაისი).*

"ჩვენებური რეტროგრადი ის უნდა იყოს, ვინც ამ ჩვენის დღევანდელის დღის მღაღადებელს ხმას არ გაუგონებს, ყურს მოუყრუებს და არ აჰყვება. გინდ "მამა" დაარქვით ამისთანა კაცს, გინდათ "შვილი", აქ სახელწოდება არაფერს შუაშია, ოღონდ ეს კი ვიცოდეთ, რომ მაგისთანა კაცი ჩვენი კაცი არ არის." *("შინაური მიმოხილვა". 1881 წ. მაისი).*

“სლავიანებმა, რომელთა ვინაობასაც სხვადასხვა მტერი მიუჩინა ისტორიამ, სულ ამ საქმეს მოახმარეს თავისი დრო და მეცადინეობა. ამისათვის თავგანწირულ კაცებს დღესაც წმინდანებსავით ლოცულობენ და თაყვანსა-სცემენ. მით უკეთესი წარმომადგენელნი იმით ქადულობენ, იმით ლიბერალობენ, რომ მაგ საქმეს მისდგომიან და მარტო მაგით სულდგმულობენ. დღესაც მაგ საქმეს ზედ აკვდებიან და, რასაკვირველია, არც მოეშვებიან, ვიდრე თავისას არ გაიტანენ. თავის ვინაობის აღსადგენად და ქვეყნის დასანახავად _ თავისი წარსული ხელახლად ააყენეს საფლავიდან, გამოსჩხრიკეს, მისხლობით ასწონეს, გოჯი გაზომეს ყოველისფერი, რაც ძველად ჰქონდათ, რაც მათს ეროვნებას, მათს ვინაობას, ნაციონალობას შეადგენდა და სარჩულად ედვა. გაუცოცხლეს თავიანთ ერს პოეზიის შემწეობით დიდებულნი სახენი ძველის გმირებისა, ქვეყნისათვის თავდადებულებისა, ძველის ქველობისა, ძველის კაცურკაცობისა. მოაგონეს, ისტორიის შემწეობით, დავიწყებული სახელოვანნი დღენი წარსულისა, აღადგინეს, გასწმინდეს, გააძლიერეს დედა-ენა, ჟამთა ვითარებისაგან გარყვნილი და შელახული. ამ გზით გამოაბრუნეს, გამოაცოცხლეს თითქმის სასიკვდილოდ გადადებული ერი. ერმა თავისი ვინაობა გაიგო, შეიტყო რა ყოფილა, რა არის და რის იმედი უნდა ჰქონდეს, შეიტყო და ფეხზე დადგა, ფრთა შეისხა. ამისი მაგალითი, სხვათა შორის, ჩეხელები არიან. აი საგანი და აი გზაც მისდა მისაღწევად. აი რისთვის უნდა მომზადდეს ჩვენი ყმაწვილ-კაცობა, მთელის ევროპის მეცნიერებით და გამოცდილების ფარ-ხმლით აღჭურვილი, აი რა მოედანი უნდა შემოიხაზოს თავისის მოქმედებისათვის და რა გზა უნდა ამოირჩიოს. ამისთვის სამყოფი არ არის კაცმა დაისწავლოს პარიზის ყავახანაში მოარული ფრაზები და იმით თავი მოიტანოს. ყმაწვილ-კაცობა უნდა მომზადდეს ბეჯითის და ზედმიწევნილ ცოდნითა, უნდა, რამდენადაც შესაძლოა, ძირეულად შეისწავლოს ევროპიული მეცნიერება, წინ გაიმძღვაროს ევროპის გამოცდილება, და ამ თოფ-იარაღით შეუდგეს ჩვენის ქვეყნის საქმეს. უამისოდ, იმ მოედანზედ, რომელიც ჩვენ ზემოთ ვიგულისხმეთ, კაცი ერთ ბიჯსაც რიგიანად და სამკვიდროდ ვერ წარსდგამს, და იმ საგანს და გზას, რომელიც ჩვენ აღვნიშნეთ, ვერაფერს საბოლოოდ ვერ დააჩნევს. ჩვენის მხრით, ამაზედ უკეთესს საგანს, ამაზედ უკეთეს გზას, უკვე სხვაგან გამოცდილს და გამოყენებულს, სხვას ვერას ვუჩვენებთ ჩვენს საიმედო ყმაწვილ-კაცობას. ეს საგანი და ეს გზა სახეში უნდა გვქონდეს სულ მუდამ, ვიდრე ესეთნი დრონი მეფობენ. “ჯერ მაცოცხლეო, მერე მაფიქრებინე, როგორ გავმდიდრდეო”, _ ამბობს ერთი სლავიანი პატრიოტი. ნამდვილად გულშემატკივარმა საქართველოს შვილმა ეს სიტყვები უნდა დაიწეროს გულის-ფიცარზედ და სხვაზედ არაფერზედ არ წაიტყეოს ჭკუა და ხელი.” *(“შინაური მიმოხილვა”. 1881 წ. მაისი).*

“ყოველის ჩვენგანის მოქმედების საწყაო, საზოგადო საქმეებში, თუ ლიტერატურაში, მარტო ის უნდა იყოს, თუ ვინ რამდენად ასრულებს და მისდევს ამ ჩვენთვის მოუცილებელს საგანსა და გზას. სხვა საწყაო ტყუილია და ამაო: სხვის ბაძი იქნება და არა ჩვენის თავის საჭიროებაზედ გამოჭრილი.” *(“შინაური მიმოხილვა”. 1881 წ. მაისი).*

“არ-გაკეთება საქმისა მაშინ არის, როცა საქმე უქმობისა გამო ბრკოლდება და ჩერდება.” *(“შინაური მიმოხილვა”. 1882 წ. აპრილი-მაისი).*

“წარამარად მოტიტინე უპატიურად ექცევა თავის-თავსაც და თითონ კრებასაც, რომლის ყურადღებასაც თავის-დღეში არ უნდა მიიქცეს იმისთანა უღირს საგანზედ, რომელსაც ეგრე ხარბად ხელზე დაიხვევს ხოლმე ჭირი და ცილისწამება. საზოგადო საქმე მეტად ძვირად უღირს ქვეყანას და მასში თუ არ საბუთს, სხვას არასფერს ხელი არ უნდა

ჰქონდეს. რომელსაც ეს აზრი რჯულად არა აქვს მიღებული, ისა სჯობია შინ იჯდეს და საზოგადო საქმეს დაეთხოვოს." *("შინაური მიმოხილვა". 1882 წ. აპრილი-მაისი).*

"აბა ამ-გვარს დროს სად და ვის მოჰკითხავდი აზრსა, გონებას, თავგანწირულებას ერისათვის საქვეყნო საქმისათვის. აკი არც არაფერი შეინიშნებოდა ამ-გვარი. ქვეყანა მხოლოდ ლუარსაბ თათქარიძეებით აივსო, რუსეთუმეებმა დაამშვენეს ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრება და საზოგადოებრივი სამსახურის ასპარეზი." *("შინაური მიმოხილვა". 1883 წ. აგვისტო).*

"აღარავის ახსოვდა მაშინ, რომ ამ ქვეყანას ჰყოლია ხალხისთვის და მამულისთვის მხნე მუშაკნი, მხნე მამულისთვის მხნე მუშაკნი, მხნე მებრძოლნი, ნიჭით და ქველობით სავსენი. აღარავის ახსოვდა მაშინ, რომ ეგ საზოგადოებრივი ასპარეზი იყო დიდ სამსხვერპლოდ გადაქცეული და ამ სამსხვერპლოზედ იკვლოდნენ და იწირვოდნენ ძენი მამულისანი, რომ ეს უკანასკნელნი მათსავით ძვირად არ აფასებდნენ თავინთ თავს, თითონ ხორცსა და ამ ხორცის მხოლოდ ხორციელს არსებობას, უსულოდ, უგულოდ, ქვეყნისათვის თავგამოუდებლად, მისთვის თავშეუწუხებლად." *("შინაური მიმოხილვა". 1883 წ. აგვისტო).*

"დიახ, ორმოციანი და ორმოც-და-ათიანი წლების წინაპარნი საქმის ხალხი იყო, სამუშაო ბევრი ჰქონდათ, ბოზბაშისათვის და ჩიხირთმისთვის აგრე-რიგად არ ზრუნავდნენ: არც დრო ჰქონდათ, არც შეჩვეულნი იყვნენ ამგვარებზე ზრუნვას. მტერი მუდამ კარზე, მმართველობა, წესისა და წყობილების დაცვა, უშიშროების დამყარება, ქვეყნის წინ-გაძღოლა, მტერსა და მოყვარესთან პირნათლად გამოსვლა და გაძღოლა, _ ყოველივე ეს თვითოეულად და საზოგადოდ შეადგენდა მაშინდელის ქართველის საზრუნავს საგანს, მისის გონების და აზრის სავარჯიშოს." *("შინაური მიმოხილვა". 1883 წ. აგვისტო).*

"ყოველივე ეს აღიხოცა, ყოველივე ესე გაჰქრა და ქართველი ორმოციანისა და ორმოც-და-ათიანის წლებისა დარჩა უსაგნოდ, ვარჯიშობას მოკლებულნი, მარტო, სულით ობოლი, სასოებამიხდილი. ამათ დროს, ამ გმირების დროს, _

"...სადღა იყო ყაბახი?

სად იყო საჯირითო, სავარჯიშო ცხენისა..."

მათთვის ყოველივე ეს დრონი შეიქმნენ სიზმრად, ყოველივე ესე _

"...დრონი, ვაი რა დრონი, ნაქებნი მტკბარად,

წარივლტნენ, განჰქრნენ სიზმარებ ჩქარად".

ვაი რომ მათ ვეღარ სთქვეს თავის-თავზე ის, რაც პოეტმა სთქვა:

"...არ ვსდევ ჟამთა ცვლას,

მე იგივე ვარ მარად და მარად"." *("შინაური მიმოხილვა". 1883 წ. აგვისტო).*

3.2.1.4. ჯერ-ხანად არ ვიცით საზოგადო საქმეს როგორ მივცეთ მხარი, როგორ მოვუაროთ

"ბევრი რამ გვაკლია ჩვენ, ქართველებს, მაგრამ ყველაზე დიდი ნაკლი ის არის, რომ ჯერ-ხანად არ ვიცით საზოგადო საქმეს როგორ მივცეთ მხარი, როგორ მოვუაროთ, როგორ ვუპატრონოთ." *("შინაური მიმოხილვა". 1883 წ. ნოემბერი).*

"თუ შენობა ქვიშაზეა აგებული, ვერა დიდი ოსტატი, ვერა დიდი არქიტექტორი ვერას უშველის. მაგისთანა შენობას თვით თავის აგებულებაშივე აქვს მიზეზი სისუსტისა

და თუ დაიქცა, სასაცილო იქნება ბრალი შენობის ყარაულს, მეთვალყურეს დაჰბრალდეს." *("შინაური მიმოხილვა". 1883 წ. ნოემბერი).*

"ჩვენ, ქართველებს, ერთი საკვირველი ხასიათი გვჭირს. რაც უნდა მძიმე და რთული საგანი იყოს, რაკი კბილზედ მოვიგდეთ, რაკი დრომ, თუ სურვილმა, ხელი ჩაგვაკიდებინა, ვალად იმას კი არა ვრაცხთ, _ საქმეს თირკმელები მოვუჩხრიკოთ, შიგნეულობა გამოვუწლათ, ცუდისა და კარგის მიზეზი ზედმიწევნით შევუტყოთ და შესაფერი წამალი მოვუნახოთ, არამედ იმასა ვცდილობთ, რომ საქმეს ზედაპირზედ ავუცურდეთ, ავუსხლტეთ, და იმისთანა წამალზედ მივუშვიროთ ხელი, რომელიც ყველას ყოველთვის თვალ-წინა აქვს, ფეხ-ქვეშ უგორავს და რომელსაც თუ არა ხმარობენ, მარტო იმ მიზეზით, რომ ის წამალი წამლად გამოსადეგი არ არის, და მაჩვენებნელს კი ჰგონია _ გამოცანა მარტო მე მერგებაო. უყურებთ და გიკვირთ ამისთანა მოქმედება, თითქო ეს ამოდენა კორიანტელი მარტო იმისათვის აუყენებიათო, რომ ქვეყანას დაანახვონ: აი, საქმე რა ადვილი მოსავლელია და მის გამგებელთ იმოდენა ჭკუა და მოხერხება არა აქვთ, რომ მოუარონო. არ ვიცით, ამით საქმეს შველიან რასმე, თუ არა. ეს კი ვიცით, რომ მაყურებელნი, თუ მსმენელნი, _ სტყუვდებიან და არც შეიძლება არ მოსტყუვდნენ. მართლადაც, არ-მცოდნეს რომ მძიმე საქმე გაუმჩატო, მჩატე ეგონება. აშკარაა, იფიქრებს, რომ ვისაც ის საქმე ზურგთა ჰკიდია, ტყუილად წელში იხრება, ტყვიის მაგიერ ბუმბული წამოუკიდნია და ხვნეშის კიო." *("შინაური მიმოხილვა". 1883 წ. ნოემბერი).*

"მძიმე და რთული საქმე იმიტომ არის მძიმე და რთული, ვერც ავის წამალი აქვს ადვილად საპოვნელი და ვერც კარგისა. პირიქით რომ იყოს, ქვეყანაზედ ხომ არც მძიმე საქმე იქნებოდა, არც რთული. მაგრამ რაკი მცოდნე კაცის სახეს მიიღებ, ბრძნულად შეიკრავ წარბებს და ფიცით გაიჭაჭები, რომ ავკარგიანობის მიზეზი თვალ-წინ არის წამოჩხირულიო, წამალიც ცხვირ-წინ არისო, მარტო დაწვდომა და მიწოდებაღა უნდაო, მაშინ ამისი მთქმელი გულდაჯერებული უნდა იყოს, რომ იგინი, ვის ხელთაც არის საწამლებელი საქმე, ან ბრმანი არიან, რადგანაც ცხვირ-წინ ვერა ჰხედავენ, ანუ ყოვლად სულელნი, რადგანაც ვერა სცნობენო, ანუ კიდევ თითონ საქმის მტრები არიანო, რადგანაც ჰხედავენ კიდეც, სცნობენ კიდეც და წამლად არა ხმარობენო." *("შინაური მიმოხილვა". 1883 წ. ნოემბერი).*

3.2.1.5. სწორი გზის პოვნა და მასზედ სვლა ნახევრად გამარჯვებაა, ანუ რა გავაკეთეთ

"ეს კახეთის რკინიგზა, ეს ღვინის საქმე კახელებისა, ეს ხშირი ლაპარაკი ჩვენში, რომ კახელების ღვინის საქმის მაგვარ უნდა მოეწყოს ქართლის პურის საქმეცა და იმერეთის სიმინდისაო, ეს არა ნაკლებ ხშირი მითქმა-მოთქმა, რომ საადგილმამულო კრედიტის გარდა, სხვა მოკლევადიანის კრედიტის დაარსებაც საჭიროა ჩვენთვისაო, ეს სოფლის მეურნეობის წარმატებისათვის საერთო ფულის შედგენა გლეხობისაგან, და ფიქრი და ლაპარაკი თავად-აზნაურობაში, რომ ამისთანა რამ ამათაც შეადგინონ, _ ყოველივე ეს ერთად და თვითვეულად ცალკე დღეს ყოველს, თუნდ ცოტაოდნად მიხვედრილს და გაგებულს ქართველს, ენაზე აკერია, ყველგან ამაებზე ჰლაპარაკობენ და ჰბჭობენ და ზოგნი კიდეც შესდგომიან სიტყვა საქმედ აქციონ. ყოველივე ეს იმის მომასწავებელია, რომ ქართველობა ახალ და სწორ გზაზე გამოდის სამოქმედოდ, და იმედია, რომ იგი ბოლოს გაატანს, რადგანაც, სწორე გზის პოვნა და მასზე სვლა ნახევრად გამარჯვებაა." *("ჩვენი ქვეყნის ეკონომიური ცხოვრების საზრუნავი". 1893 წ. 17 ივლისი).*

“ამ მაგალითებთაგანს ორიოდეს დავასახელებთ, რადგანაც ჩვენთვის ამ-ჟამად საჭიროა ის კი არა, რა გაკეთდა, არამედ ის არის საჭირო, გაკეთებული რამან შეჰქმნა, რამ გააკეთა და საიდამ წარმოსდგა.” *(“ვისს ნათესსა ვმკით?”. 1879 წ. 31 დეკემბერი).*

“შესდგა ჯერ თავად-აზნაურთა საზოგადოება ღარიბ მოსწავლეთა შემწეობისათვის, ამ საზოგადოებამ 1879 წ. გამართა ტფილისში ქართული შკოლა, სადაც სწავლა დედაენის შემწეობით არის მომართული და სადაც ოთხმოცამდე ყმაწვილნი სწავლობენ და ამათში ოც-და-თორმეტს, თუ ცოტა მეტ-ნაკლებს ბინაცა აქვთ აჩენილი. შესდგა საზოგადოება წერა-კითხვის გამავრცელებელი ქართველთა შორის, რომელსაც მინიჭებული აქვს უფლება, რომ სასოფლო და პირველდაწყებითს შკოლებში სწავლა დედა-ენის შემწეობით აწარმოოს. თუმცა ამ საზოგადოებას ჯერ თავი არაფრით გამოუჩენია, მაგრამ ტვირთი მისი მეტად მძიმეა და საგანი მეტად რთული და ამის გამო აქ “სიწყნარე გმობილი სჯობს სიჩქარესა ქებულსა”. ამ საზოგადოების რთულისა და მძიმე საქმის ჯეროვანს კვალში ჩაყენება ეგრე ადვილი არ არის, რომ სამს-ოთხს თვეში თავი გამოეჩინა. ამ საზოგადოებას წინ დიდი მანძილი აქვს გასავლელი. დიდს მანძილს კაცი ჭენებით ვერ გაივლის. დიდს მანძილს ზომიერი და მტკიცე ნაბიჯი უნდა. ამით ჩვენ იმის თქმა კი არ გვინდა, რომ ფეხის აჩქარება ამ საზოგადოებისათვის მავნებელი იყოს ყოველ შემთხვევაში. თუმცა არ არის სასურველი ეს საზოგადოება ისე აუჩქარდეს თავის საქმეს, რომ ზედ წააკლას არსებითი საგანი, მაგრამ არც ის არის სანატრელი, რომ მეტისმეტმა სიწყნარემ ობი მოჰკიდოს იმ დედააზრს, რომლითაც იგი საზოგადოება უნდა სულდგმულობდეს. _ ამავე 1879 წ. შესდგა ქართულის თეატრის დასი, მერე იმისთანა, რომ უკეთესი ნატვრა _ ჯერ-ხანად მაინც _ მეტის-მეტი ხარბობა იქნება ჩვენის მხრით.” *(“ვისს ნათესსა ვმკით?”. 1879 წ. 31 დეკემბერი).*

3.2.2. შრომა, გარჯა, მხნეობა, საკუთარი თაოსნობა - თვითმოქმედება საფუძვლად უნდა დავუდვათ ერის ქონებრივ გაღონიერებას

- **ვფიქრობდი შრომით და გარჯით ვიყიდდი ლუკმა პურსა**

“მე როდესაც ვფიქრობდი ჩემის ვინაობის დამალვასა, როცა სიცოცხლე ტკბილი იყო ჩემთვისაც, როცა იმედი მქონდა, რომ ქვეყანაზედ მეც, როგორც იქნებოდა, შრომით თუ ოფლით ვიყიდდი ლუკმა პურსა და ისე დავლევდი წუთის-სოფლის დღესა.” *(“გლახის ნაამბობი”. 1859, 1862-1873 წწ.).*

“ხომ მოგეხსენებათ: გლეხკაცისათვის თოთხმეტი წლის ბიჭი ოჯახობაში განძი არის. თუ ბიჭი პატარა მადლიანია, ამ ხანში კარგად შეიძლებს გლეხკაცის ჭირის და ლხინის განახევრებასა.” *(“გლახის ნაამბობი”. 1859, 1862-1873 წწ.).*

“მართალია, გამოწურულ ოფლში ამოვლებულ ლუკმასა სჭამდა, მაგრამ კაიკაცობაც მაგაშია: მაგით რჩებოდა ის და არჩენდა თავის ცოლსა. ეხლა რა ეშველება? დაილოცა, ღმერთო, შენი სამართალი!..” *(“გლახის ნაამბობი”. 1859, 1862-1873 წწ.).*

“არც სხვისას შეირჩენს, არც თავისას შეარჩენს სხვასა. ახლა შინა ჰნახე, რა ამბავი აქვს: მთელი დღე ციბრუტივით ჰტრიალებს ოჯახში. იმისი ხელი და ფეხი დილიდამ საღამომდე არ დადგებაო.” (*“ოთარაანთ ქვრივი”. [1886] – 6 ქრისტეშობისთთვეს 1887 წელსა).*

“ამ სახლს მარჯვნივ წალმით დახურული მარანი ედგა, ოთხკუთხივ ღია და ფარღალალა. სახლის უკან კალო-საბძელია და საბძელქვეშ გომური. სახლის მარცხნივ პატარა ადგილია შემოღობილი და შიგ ბოსტანია.

აქ მოჰყავს ხოლმე ოთარაანთ ქვრივს ყოველივე ბოსტნეულობა, რაც კი დასჭირდება საზაფხულოდ თუ საზამთროდ. თავისის ხელით ჰბარავს, სთოხნის, ჰმარგლის, სთესს და ჰკრეფს ხოლმე. თუმცა სოფლელნი ბევრს იძახდნენ: ვის გაუგონია დედაკაცის ბარი და თოხიო, მაგრამ ოთარაანთ ქვრივი არას დაგიდევდათ.

თუ არ გაუგონიათ, ეხლა გაიგონონო, _ ამბობდა ხოლმე. _ მითამ მე რითა ვარ ნაკლები აიმ დამპალ გოგიაზედ! თუ იმასა ჰშვენის ბარი და თოხი, მე რაღა ღვთისაგან შერისხული ვარ. რა ვუყოთ, რომ ის მამაკაცია და მე დედაკაცი. მითამ ჩემზედ წინ რით არის? იმასაც ორი ხელი და ფეხი აქვს და მეცაო. თუ ის ხელ-ფეხს ასაქმებს, მე რაღა დარდუბალა გადამკიდებია!.. რა საპყარი და დავარდნილი მე მნახესო!..” (*“ოთარაანთ ქვრივი”. [1886] – 6 ქრისტეშობისთთვეს 1887 წელსა).*

“ბოსტანში მუშაობა ისე უყვარდა, რომ სხვის ხელს არ მიაკარებდა. ბოსტანში პატარა რუი იყო გაჭრილი და მუდმივ და გაუწყვეტლად წყალი ჩამოჩუხჩუხებდა, დიდის სოფლის რუდამ წამოყვანილი. იმ სოფელში წყალი ბევრი იყო, სოფელს ზედ შუაზედ სამის წისქვილის წყალი ჩამოუდიოდა. როცა ძალიან გოლვა იყო, მაშინ კი წყალს სოფლელნი ერთმანეთსა ჰპარავდნენ, სტაცებდნენ ბოსტნებისა და ნამეტნავად ვენახების სარწყავად. ოთარაანთ ქვრივს კი ვერ უბედავდნენ წყლის მოკლებასა. თუ ვინმე გაჰბედავდა, ვაი იმას!.. ოთარაანთ ქვრივი მეწისქვილესავით გაიდებდა ხოლმე მხარზედ თოხსა და აჰყვებოდა რუს თავამდინა. გლეხები რომ ამ ყოფით დაინახავდნენ ოთარაანთ ქვრივსა, იტყოდნენ:

_ წამოვიდა მეხი, და ვაი იმას, ვისაც დაეცემაო.” (*“ოთარაანთ ქვრივი”. [1886] – 6 ქრისტეშობისთთვეს 1887 წელსა).*

“გლეხკაცობის კვალობაზედ ოთარაანთ ქვრივს ბევრი შეჰნატროდა. ამას ქმრისაგან დარჩა ნახევარგუთნეული საქონელი, ორი ფურკამეჩი, სამი ძროხა, ამას გარდა ორის დღის კარგად გაკეთებული და გავსებული ვენახი და ოციოდ დღის სახნავ-სათესი მიწა.” (*“ოთარაანთ ქვრივი”. [1886] – 6 ქრისტეშობისთთვეს 1887 წელსა).*

“ვენახს ქვრივი ძალიან კარგად უვლიდა, ძალიან აპატიებდა და ვენახიც კარგს მოსავალს იძლევოდა. ამბობენ, რომ ოთარაანთ ქვრივი, რაც უნდა მდარე მოსავალი ყოფილიყო, სამს საპალნე ღვინოს მაინც გაჰყიდდაო ყოველწლივ. მისი ღვინო საპალნე შვიდ-რვა და ათ თუმნადაც ბევრჯერ გაყიდულა თურმე. შინაც სახარჯოდ ღვინოს სამყოფზედ მეტს ინახავდა. ათის დღის მიწას ყოველწლივ ხნავდა. სყიდვით იქნებოდა, ალოთი, თუ თავისის გუთნით, ათის დღისას უსათუოდ მოჰხნავდა და მოსთესავდა.” (*“ოთარაანთ ქვრივი”. [1886] – 6 ქრისტეშობისთთვეს 1887 წელსა).*

“რა გატირებს, ადამიანო! განა შენ კი შეჰრჩები ამ წუთისოფელსაო. ყველას ბოლო ეს არის, ტირილით ნაშობი სიცილით უნდა კვდებოდესო. სააქაოს სტუმარი ვიყავ და ეხლა შინ მივდივარო. რა გატირებსო.

_ რა ვქნა მე უპატრონომა? _ შევჩივლე მე.

_ როგორ თუ რა ჰქნა!.. გაისარჯე, ირჩინე თავიო. მე კი თითებშუა ზეთი და ერბო მწვეთდა თუ! ვირჯებოდი და უტკივარს ლუკმას ვჭამდიო. ქვეყანა ღონიერია, ნუ გეშინისო. ოღონდ ჯავრს ნუ გაელახვინებიო.” (*“ოთარაანთ ქვრივი”. [1886] – 6 ქრისტეშობისთთვეს 1887 წელსა).*

“შენი ფიქრი სადა ჰქროდა, რომ ვერც კი გამიგე, როგორ მოგივედი, ისე სმენადახშული და გონებაგაქცეული იდექი. განა ერთხელ და ორჯელ მინახვიხარ: ჰმუშაობ, ჰმუშაობ და უცებ გაირინდები ხოლმე. განა ერთხელ და ორჯელ მინახვიხარ: სადილ-ვახშამზე ლუკმა პირში ჩაგიდვია, ყბაც არ მოგიქნევია, განაბულხარ, თითქო სადილიდამ წაგიღო რამემ, კლდის პირას დაგაყენა და ხელის კვრას გიპირობსო.” (*“ოთარაანთ ქვრივი”. [1886] – 6 ქრისტეშობისთთვეს 1887 წელსა).*

“მარტო რად დავრჩები? ზოგი ჩემს გულშიაც ჩაიხედე, რამდენი ბღარტები მიზის. ჭირადაც მეყოფიან და ლხინადაც.” (*“ოთარაანთ ქვრივი”. [1886] – 6 ქრისტეშობისთთვეს 1887 წელსა).*

“ადამიანი მინამ ხელ-ფეხი ერჩის, მარტო არ იქნება, საქმეა ტოლ-ამხანაგი მარტოხელისა. წუთისოფელი ვის აცლის მარტოობისათვის? მარტო თქვენისთანას... მარტონი თქვენა ხართ.” (*“ოთარაანთ ქვრივი”. [1886] – 6 ქრისტეშობისთთვეს 1887 წელსა).*

“ღონიერი ბუნება და ადამიანის გამრჯელი ხელი თითქო ერთმანეთს შესჯიბრებოდნენ, _ აცა ვინ ვის აჯობებს ამ ბაღის გალამაზებასა და შემკობაშიო. ერთსაც და მეორესაც თითქო თავი არ დაეზოგათ, და რაც მადლი ჰქონოდათ, სულ აქ დაეპნიათ, სულ აქ დაებერტყნათ.” (*“ოთარაანთ ქვრივი”. [1886] – 6 ქრისტეშობისთთვეს 1887 წელსა).*

“მინამ მთის იქიდამ მზე ამოალაპლაპებდა თავის სხივსა და თეთრს თოვლიან მთის წვერს ოქროს წყალს, ოქროს ჯავარს გადაასხამდა, კესო ჩაცმულ-დახურული ბაღში იყო ხოლმე ყოველ დღე და თითქმის საღამომდე, დაბინდებამდე არ აგონდებოდა, რომ სახლშიაც შესვლა საჭიროა. მთელი დღე დაჰგოგავდა ფერად ყვავილებს და მწვანე მდელოებს შორის და ყოველს ყვავილს, ყოველს ახლად ამოხეთქილს ნერგს, ყოველს ახლად გამოკვანძილს კოკორს შეჰხაროდა, როგორც საყვარელი საყვარელსა. თუ არავინ იყო, “ნამეტნავობისაგან გულისა” დაუწყებდა ხოლმე გასაშლელად გაღიმებულს ყვავილს ალერსიანს საუბარსა, თითქოს მერცხალი თავის ბღარტებს ეჭიკჭიკებაო.” (*“ოთარაანთ ქვრივი”. [1886] – 6 ქრისტეშობისთთვეს 1887 წელსა).*

“არაერთხელ უთქვამთ ერთმანეთისათვის, რომ ორი-სამის კაცის ოდენას აკეთებს ეგ ერთი კაციო.” (*“ოთარაანთ ქვრივი”. [1886] – 6 ქრისტეშობისთთვეს 1887 წელსა).*

“რა ჯამაგირი მინდა! მე ისიც მყოფნის, რომ ყოველ ცისამარა დღეს მზეს ვუყურებო.” (*“ოთარაანთ ქვრივი”. [1886] – 6 ქრისტეშობისთთვეს 1887 წელსა).*

“გავიდნენ კიდევ დღენი და თვენი. დადგა მაძღარი შემოდგომა. სოფელში გაიმართა ქვევრების რეცხვა, საწნახელების ხიზვა და წმენდა. ქარვასავით ჩაფერიანებული მსუქანი მტევნები თეთრის ყურძნისა, მაყვალსავით შავად შეკუნწლული საფერავის ვაზები იწვევდნენ პატრონებს დასაკრეფად, _ მალეო, თორემ ვდუღვართ და გადმოვდუღვართო. დაიკრიფა ვენახებიც, დაიწურა ყურძენი, დაჰდუღდა მაჭრები. მისწყდა სოფელში ხმამაღალი სიმღერა საწნახელში ჩამდგარ და ხელიხელგადაბმულ მუშებისა. მხიარულმა მაჭრობამ თავისი დრო მოიჭამა და მიჩუმდა, თითქო მოიღალა და მოიქანცაო.” (*“ოთარაანთ ქვრივი”. [1886] – 6 ქრისტეშობისთთვეს 1887 წელსა).*

“მოვიდა შუაგული შემოდგომისა. სოფლის ორღობეებში დაიწყეს ჭრიჭინი მძიმედ დადებულ თივის ურმებმა. სოფელი ეშურებოდა ვენახებიდამ შინ თივის ზიდვას საქონლის გამოსაკვებავად ზამთარში: ეშინოდათ თოვლს არ მოესწრო.” (*“ოთარაანთ ქვრივი”. [1886] – 6 ქრისტეშობისთთვეს 1887 წელსა).*

“მე მკლავებიდან მოვწყდი, შენ შესვენებული ხარ, მალე გაასწორებ. აბა თუ ბიჭი ხარ, მადლს იზამ და მარილს მოაყრი.” (*“ოთარაანთ ქვრივი”. [1886] – 6 ქრისტეშობისთთვეს 1887 წელსა).*

“თუნდ გლეხი არ იყოთ, მაინც იცოდეთ, რომ თქვენის შთამომავლობის და გვაროვნობის ხე ჰყვავის არა მსუქან სამკვიდროზედ, არამედ მიწაზედ, რომელიც მორწყულია ჯაფის ოფლითა.” (“*ცხოვრების გამონაცადი და გამონაფიქრი”. 1857-58 წ.).*

- **ქვეყანაზედ სიამოვნება უშრომოდ არ მოიპოვება. შრომა, როგორც გზა-მიმავალი სანატრელ საგნამდინა, ხალისიანია**

“რაც შეეხება უქმობას და სხვისით ცხოვრებას, ამაზედ აი რას გეტყვით. უქმნი თავიდამ ბოლომდინ ყველანი ვართ. სხვისით ცხოვრება ყველას გვიყვარს. არც ერთზედ და არც მეორეზედ მგონი თქვენც უარი არა თქვათ. ჩემის ფიქრით, შრომა კაცის ბუნებას ეჯავრება და სიამოვნებას, სიტკბოებას კი კაცის ბუნება ეტანება. მთელი კაცობრიობის ცხოვრება ამ ორთა გრძნობათა ბრძოლაა, ერთ მხრივ იბრძვის შრომის სიძულვილი, მეორე მხრივ სიამოვნების სურვილი.

_ არა, შრომა _ ცხოვრებაა, ცხოვრება _ სიამოვნებაა.

_ ეგ მარტო ლამაზი ფრაზაა, ჩემის ფიქრით. მე კიდევ ჩემს აზრს მივუბრუნდები, რომელიც არ გამათავებინეთ. უნდა ამაზედ დამეთანხმოთ, რომ შრომა კაცის ბუნებასა ჰსძულს. ეს სიძულვილი ასეთი ძლიერია, რომ, მე მგონია, კაცი იმოდენა შრომასაც არ იკისრებდა, რომ პური ეღეჭნა, თუ რამ სხვა ღონისძიება ჰქონოდა იმავე საჭიროების შესამსებლად. მაგრამ აი საქმე რაში მდგომარეობს. სიამოვნება, რომლისთვისაც კაცი იბრძვის, რომლისთვისაც თვისთა შეძულებულს შრომას კისრულობს, ის სიამოვნება _ უნდა კაცობრიული იყოს, აზრით და ზნეობით სავსე. მართალია, ის წრე, რომლის განკიცხვაც თქვენ ჩვეულებათ გამხდარა, ის სიამოვნებით კმაყოფილია, რაც მას გარს ახვევია. დანაშაულობა იმათი მხოლოდ იმაშია, რომ კაცობრიულს, ესე იგი უმაღლეს სიამოვნებას, როგორც ზრუნვას მოყვასისათვის, მოქმედებას სხვის კეთილდღეობისათვის, შველას ქვეყნიერობის ფეხის წინ წადგმაში, არა ჰსცნობენ. არა ჰსცნობენ იმიტომ, რომ მეცნიერების სინათლე არ მოხვედრია მათ და თავისი სიამოვნება _ ჭამა-სმასა, ტანსაცმელსა და მეჯლიშობას იქით ვეღარ გადაუცილებიათ. განგვანათლეთ, აღგვამაღლეთ, განგვწმინდეთ და ჩაგვისახეთ დიდნი სიამოვნებანი და მაშინ დამერწმუნეთ, გულხელდაკრეფით არვინ გაიფუჭებს ცხოვრებასა”.

“რამოდენაც კაცში დიდია სიამოვნების სურვილი, იმოდენად მასში ძლიერია ბეჯითობა შრომაში, რადგან ქვეყანაზედ სიამოვნება უშრომოდ არ მოიპოვება. შრომა კაცსა სძულს, მაგრამ აუცილებელია. რამდენადაც სიამოვნება მაღალია და შესაფერია ღვთისკერძ კაცისა, იმოდენად შრომა, როგორც გზა _ მიმავალი სანატრელ საგნამდინა, ხალისიანია. მხოლოდ მაშინ კაცი შეიყვარებს ხოლმე შრომას და ბუნებით სიძულვილს მოჰსპობს, როცა იგი მიახწევინებს ხოლმე დიდ საგნამდინა. საქმე საგანია, რომლის მიღწევაც ადამიანისათვის არის უმაღლესი სიამოვნება. ხალხს მიეცით სურვილი დიდის კაცობრივის საგნის მოპოვებისა, და შრომას იგი სურვილი არამც თუ წაართმევს ყოველს მას, რაც კაცს შრომაში ჰსძულს, არამედ თვით შრომას, თავისთავად საძულველსა, დიდი საგანი სიამოვნებადა ხდის. მარტო ამით აიხსნება ის საკვირველნი ღვაწლნი და შრომაში და ჯაფაში ჯანის დალევა, რომელნიც უკეთეს კაცთა ცხოვრებაში წაგვიკითხავს. წინ გამოხატული საგანი სცვლის სიამოვნებად შრომასა, თავისთავად უსიამოვნოსა. ეს არის ჩემი აზრი. ამას მერმეთ მგონი უბრალოდღა მკითხავთ, რატომ ჩემი წრის ხალხი არა

შრომობსო. იმიტომ არა შრომობს, რომ საგანი არა აქვს. იმ მცირედს საგანს, რომლითაც იგინი იოლად მიდიან, მცირედის შრომითაც ადვილად პოულობენ. რიღასთვის იშრომონ? შრომა ღონისძიებაა მისაღწევად რისამე. ეგრე რომ არ იყოს, ნაცარქექიობაც შრომა იქნება, და, თქვენის აზრით, იგივე ნაცარქექიობა, ვითარცა შრომა, ცხოვრება იქნება და ის ცხოვრება _ სიამოვნება." ("*იგი წავა და სხვა მოვა ტურფასა საგაღნაროსა". 1861-1863 წ.).*

"მაშ რამ გაასულელა ეს კაცობრიობა და რაზედ იმტვრევს თავსა და პირს, რომ ცხოვრება დაიტკბილოს, ყველა მაძღარი იყოს, თუკი დაჰკარგავს ნიჭს სისტემატიურის და მედგარის შრომისას _ მაგ ძლიერს ღონეს ადამიანის ცხოვრების ყოველ-გვარად წარმატებისას." *("მითამ და "ახალი რაზმის კაცი" ანუ ორი ფელეტონი". 1883 წ.).*

"ადამიანი რისთვის იბრძვის ქვეყანაზედ ბედნიერებისათვის, მაძღრობისათვის, რისთვისა ღვრის ამოდენა ოფლსა და სისხლს, თუ სისტემატიური და მედგარი შრომა აღარ შეეძლება, რაკი უბედურებიდამ ბედნიერებაში ჩავარდება." *("მითამ და "ახალი რაზმის კაცი" ანუ ორი ფელეტონი". 1883 წ.).*

"მეგონა, რომ ერთად-ერთი ნამუსიანი სახსარი ცხოვრებისა გარჯაა და მუშაობა. მეგონა, რომ კაცი სულ იმის ფიქრსა და ცდაში უნდა იყოს, _ პატიოსანის შრომით ლუკმა-პური სჭამოს, და თურმე ნუ იტყვი, ყველაფერი ეს ტყუილი ყოფილა, ეს სულ ძველების ფლასტი-ფლუსტია, ძველების ლათაიებია თურმე." *("გომართელის ფილოსოფია და არჩილ ჯორჯაძის ფსიხოლოგია". 1902 წ.).*

"ბედს თითონ კაცი ჰქმნის და არა ბედი კაცსა. ჩვენი თავის მტრები ჩვენ თითონვე ვართ, ამის ღვიარება ჩვენ გულს გვიძმარებს და ამიტომაც ყველაფერს ბედს ვაბრალებთ. რა მიზეზია, რომ ჩვენ თავს ჩვენვე ვმტრობთ. ათასია, ჩვენ საუბედუროდ, მაგრამ... ეს ხომ ვიცით, რომ მამა-პაპით ეგ თავის მტრობა კაცს არ დაჰყვება ხოლმე, მაშასადამე, ჩვენის ბუნების თვისებაში არა ყოფილა. ესეც გვეყოფა სათქმელად, რომ მიზეზს მივაგნოთ." *("ცისკარი" 1857 წლიდან 1862 წლამდინა". 1862 წ.).*

- **ეხლა ვაჟკაცობა უნდა შრომისა, ანუ რამ გადაგვარჩინა, რამღა გვაცოცხლა. ჩვენს მშვენიერს ქვეყანას სხვანი არ დაეპატრონონ**

"ტყე-მინდორი, მთა-ბარი, მიწა-წყალი, ჰავა-ჰაერი იმისთანა გვაქვს, რომ რა გინდა სულო და გულო, არ მოიხვეჭო, არ იშოვო, არ გამოიყენო. აქ, ჩიტის რძეს რომ იტყვიან, ისიც იშოვება, ოღონდ ხელი გასძარ, გაისარჯე, იმხნევე, მუცელსა და გულთა-თქმას ბატონად ნუ გაიხდი. იცოდე, დღეს მძლეთა მძლეა გარჯა, შრომა და ნაშრომის გაფრთხილება, შენახვა, პატრონობა, გამოზოგვა საჭიროებისამებრ და არა გაუმაძღარ სურვილებისამებრ." *("რა გითხრათ? რით გაგახაროთ?". 1897 წ. 31 დეკემბერი).*

"ყველა ეს შევძელით და საკითხავად საჭიროა, _ რამ შეგვაძლებინა? რამ გვიხსნა? ჯვარცმულნი ქრისტესთვის როგორ გადავრჩით? წამებულნი და სისხლ-მთხეველნი მამულისათვის რამღა გვაცოცხლა, რამ გვასულიერა? მან, რომ ვიცოდით _ იმ დროს რა უნდოდა, რა იყო მისი ციხე-სიმაგრე, მისი ფარ-ხმალი. ვაჟკაცობა უნდოდა, ვაჟკაცნი ვიყავით. ხმალი უნდოდა, ხმლის ჭედვა ვიცოდით. ომის საქმეთა ცოდნა უნდოდა, ომის საქმენი ვიცოდით. აი, რამ შეგვაძლებინა, რამ გვიხსნა, რამ შეგვინახა!.. იმ დროთა ჩარხზე გაჩარხსულნი ვიყავით, იმ დროთა ქარ-ცეცხლში გამოფოლადებულნი, იმ დროთა სამჭედურში ნაჭედნი. "სილბო გვქონდა ნაქსოვისა" _ ვით ქრისტიანებს "და სიმტკიცე

ნაჭედისა" _ ვით მეომრებსა და მამულიშვილებს. ამით გავიტანეთ თავი, დროთა შესაფერი ღონე ვიცოდით, დროთა შესაფერი ხერხი, დროთა შესაფერი ცოდნა გვქონდა, დროთა შესაფერი მხნეობა და გამრჯელობა." *("რა გითხრათ? რით გაგახაროთ?". 1897 წ. 31 დეკემბერი).*

"ეხლა ან ადლი უნდა გვეჭიროს ხელში, ან გუთანი, ან ჩარხი ქარხანისა, ან მართულები მანქანისა. ეხლა ვაჟკაცობა ომისა კი არ უნდა, რომ სისხლსა ჰღვრიდეს, ვაჟკაცობა უნდა შრომისა, რომ ოფლი ჰღვაროს. კიდევ ვიტყვით, ქვეყანა ეხლა იმისია, ვინც ირჯება და ვინც იცის წესი და ხერხი გარჯისა, ვინც უფრო უფრთხილდება ნაშრომს, ვინც იზოგავს ნაღვაწს. დღეს მძლეთა-მძლეა მარტო ის, ვინც მცდელია და ბეჯითი სულითა და ხორცითა, ცოდნითა და მარჯვენითა." *("რა გითხრათ? რით გაგახაროთ?". 1897 წ. 31 დეკემბერი).*

"ხმლიანმა მტერმა ვერ დაგვათმობინა, ვერ წაგვართვა ჩვენი მიწა-წყალი, ჩვენი ქვეყანა. ხმლიანს მტერს გავუძელით, გადავრჩით. ქვეყანა და სახელი შევინახეთ, სახსენებელი არ ამოვიკვეთეთ, შევირჩინეთ, საქოლავი არავის ავაგებინეთ. ხმლით მოსეულმა ვერა დაგვაკლო-რა _ შრომით და გარჯით, ცოდნით და ხერხით მოსეული-კი თან გაგვიტანს, ფეხ-ქვეშიდამ მიწას გამოგვაცლის, სახელს გაგვიქრობს, გაგვწყვეტს, სახსენებელი ქართველებისა ამოიკვეთება, და ჩვენს მშვენიერს ქვეყანას, როგორც უპატრონო საყდარს, სხვანი დაეპატრონებიან. შრომასა და გარჯას, ცოდნასა და ხერხს ვეღარავინ-ღა გაუძლებს, თუ შრომა და გარჯა, ცოდნა და ხერხი წინ არ მივაგებეთ, წინ არ დავახვედრეთ, წინ არ დავუყენეთ." *("რა გითხრათ? რით გაგახაროთ?". 1897 წ. 31 დეკემბერი).*

"ეხლაც ომია, ხოლო სისხლის ღვრისა-კი არა, ოფლის ღვრისა, ომი უსისხლო, მშვიდობიანი, წყნარი. ამ ომმა არც ბუკი იცის, არც ნაღარა. უბუკ-ნაღაროდ სთესავს, უბუკ-ნაღაროდ მკის. კოკისებურ, შხაპუნა ნიაღვარს-კი არა ჰგავს, რომ მთა და ბარი თან წაიღოს, მოარღვიოს, მოღაროს და მოგრაგნოს, "მდუმარე წვიმისამებრ ნაყოფის გამომცემელია". არც რბევა იცის, არც ძარცვა. ეს მის ბუნებაში არ სწერია, თუ თითონ ადამიანმა გესლი ულმობლის სიხარბისა შიგ არ ჩააწვეთა, ბუნება არ მოუწამლა, არ მოუშხამა. ეს ომი შრომისაა, და ვითარცა შრომა _ პატიოსანია, ნამუსიანი, და ისეთივე თავმოსაწონებელი, თავ-გამოსაჩენი, როგორც უწინ თოფისა და ხმლის ომი იყო. ვაჟკაცობა ამისთანა ომში ბევრით წინ არის სისხლის ომის ვაჟკაცობაზე. ვაჟკაც გულადზე მშრომელი სამის გაფრენით მეტიაო, _ იტყოდა გლეხკაცი თავისებურად ზედგამოჭრით, თუ მართალს ათქმევინებთ." *("რა გითხრათ? რით გაგახაროთ?". 1897 წ. 31 დეკემბერი).*

"ღმერთმა რომ ქვეყანა გააჩინა, დედამიწას გული გადაუხსნა, შიგ აუარებელი, ულეველი სიმდიდრე ჩაუდვა და ადამიანს უანდერძა: იშრომე, გაისარჯეო და ეგ სიმდიდრე დედამიწის გულიდამ ამოიღე და შენს სადღეგრძელოდ მოიხმარეო". *("სიტყვა წინამძღვრიანთ-კარის სამეურნეო სკოლის გახსნაზე". 1883 წ.).*

- **ეს ქვეყანა სახელოსნოა, საცა კაცი უნდა ირჯებოდეს და შრომობდესო**

"ამ ბურჟუაზიამ კიდევ ისე წარმართა საზოგადო და სახელმწიფო საქმე, რომ ეჩოსავით სულ თავისკენ მოითალა და ის კი, რამაც საკუთრივ შეჰქმნა იგი მოძრავი სიმდიდრე, წრეს გარეთ დარჩა. ის წრეს გარეთ დარჩომილი _ შრომა არის და მისი წარმომადგენელი კიდევ მუშაკაცია. დღეს ეს მუშაკი იბრძვის ევროპაში, რომ უპირატესობა სახელმწიფო და საზოგადოებრივს წყობაში არავის არა ჰქონდეს განსაკუთრებული და ამისათვის ყოველგვარის წყობის ქვაკუთხედად სდებს შრომასა,

რომელიც ბუნებითად ყველას განმათანასწორებელია, რადგან ყველა უნდა მშრომელი იყოს. ამ სახით, დღეს ევროპაში წარმომდგარია მეოთხე წოდებაცა, სახელდობრ მუშაკთა, რომელიც სიმრავლით ყოველს წოდებაზედ უდიდესია. დღეს ეგ წოდება იბრძვის, იბრძვის სასტიკად და მედგრად თავისის დედააზრისათვის და იმედიცა აქვს გამარჯვებისა. ჩვენ ეს მცირედი შენიშვნა იმის საჩვენებლად მოვიყვანეთ, რომ ევროპაში მიზეზია _ და დიდ საბუთიანიც, _ წოდებათა შორის დაჯახებისა, ერთმანეთთან შეხეთქებისა, ერთმანეთის ცილობისა". *("ცხოვრება და კანონი". 1877-1881 წ.).*

"ტყუილად-კი არა სთქვა ტურგენიევმა, რომ ეს ქვეყანა ტაძარი-კი არ არის, საცა კაცი უნდა ჰლოცულობდეს, არამედ სახელოსნოა, საცა უნდა ირჯებოდეს და ჰმუშაობდესო." *("აზია წინათ და ეხლა". 1889 წ. 16 დეკემბერი).*

"ისტორია და წარმატება _ მარჯვესი, გამრჯესი, მხნესი და მერმისისათვის მებრძოლის კუთვნილია." *("აზია წინათ და ეხლა". 1889 წ. 16 დეკემბერი).*

"ამისთანად აღმოჩნდა ევროპიელი, და ბურთი და მოედანიც იმას დარჩა. იგია დღეს გამგებელი ქვეყნიერობისა, იგია დღეს ქვეყნის უღლის მწეველი და იგივეა ქვეყნის სიკეთის მკრეფავი და პატრონიცა. ამა ქვეყნის მადლის თაფლსა მარტო ევროპიელიღა იღებს ქვეყნის სკისაგან, რომელსაც ხან იქით უბრუნებს პირს, ხან აქეთ, იმისდა მიხედვით, როგორც და საითაც უჯობს, რადგანაც ამისათვის ბარიც ხელში აქვს და ნიჩაბიც, ესე იგი, მეცნიერება და მხნეობა, ჭკუა და ხელი." *("აზია წინათ და ეხლა". 1889 წ. 16 დეკემბერი).*

"ამ მეცნიერებასა და მხნეობას, ამ ჭკუასა და ხელს ამოქმედებს დაუღალავი წყურვილი ხვალის უკეთესობისა და მწვავი უკმარობა დღევანდელობისა. ამ ორ გრძნობათაგან წარმოსდგება ის ძლევამოსილი წინმსვლელობა, ის დიადი წარმატება, რომელიც ყარამანსავით ყაფის მთას მხრებზედ დაიყენებს, რომ ქვეშ ჯარმა მშვიდობით და უწყინრად გაიაროს." *("აზია წინათ და ეხლა". 1889 წ. 16 დეკემბერი).*

"თუ ეხლავ არ ვუშველეთ თავს, ჩვენი საქმე წასულია. ამიტომაც, ყოველსავე ეკონომიურ სარბიელზე საშრომს, საღვაწს, საწარმოებელს, _ ვაჭრობა და აღებ-მიცემობა, კეთება და მოყვანა რისამე, თუ სხვა ამგვარი მექმეობა, _ ამხანაგური კრებული უნდა ავუჩინოთ, რაკი ცალ-ცალკე ამისათვის უღონონი ვართ". *("ძველი და ახალი ჩვენი ეკონომიური ცხოვრებისა". 1897 წ. 20 დეკემბერი).*

"თქვენმა მზემ, ეგ ეგრეთ-წოდებული "კომისიები" სწორედ ხსნა არის ყოველგვარის მცონარობისა. ვისაც ეგენი მოუგონია, დიდი შორსმხედველობა ჰქონია და კაცის ბუნების თვისება ზედმიწევნით სცოდნია." *("შინაური მიმოხილვა". 1879 წ. ივლისი-აგვისტო).*

"ჟინს კიდევ ჟინი იმიტომა ჰქვიან, რომ დაჟინებით იცის კაცის შეწუხება და მინამ ასე თუ ისე არ მოიკლავ, არ მოგასვენებს." *("შინაური მიმოხილვა". 1879 წ. ივლისი-აგვისტო).*

- **ცხოვრების მოედანი მარტო იმისია, ვინც მხნეობს და გამრჯელია. ღმერთი მხოლოდ გამრჯელის მწყალობელია, გაურჯელს წყალი წაიღებს**

"ღმერთი მარტო გამრჯელის მწყალობელია და უხეიროს, უქმეს, უსაქმურს პირს არიდებს." *("საახალწლოდ". 1898 წ. 31 დეკემბერი).*

"გაურჯელს კაცს წყალი წაიღებს, მაშ რა მოუვა. ამას დიდი ლარი და ხაზი არ უნდა." *("საახალწლოდ". 1898 წ. 31 დეკემბერი).*

“ვინც მხნეა, ის ძლიერია.” *(“საახალწლოდ”. 1898 წ. 31 დეკემბერი).*

“ვინ არ იცის, რომ, თუ სადმე უქმობაა მარჯვენისა და მხნეობა-მოკლებულობა, უფრო მდიდართა შორის არის”. *(“თავად-აზნაურობის გულგრილობა სწავლა-განათლების საქმეში”. 1886 წ. 8 აპრილი).*

“მარტო ღარიბია იძულებული მარჯვენაც ამოქმედოს და დიდი მხნეობაც გამოიჩინოს ამ ცხოვრების ჭიდილისათვის. ამის გამო ღარიბთა შორის უფრო ხშირია მხნე კაცი, ვიდრე მდიდრებ შორის”. *(“თავად-აზნაურობის გულგრილობა სწავლა-განათლების საქმეში”. 1886 წ. 8 აპრილი).*

“ეხლანდელი დრო ისეთია, რომ თუ კაცი თვითონ არ არის, თვითონ არა ჰშველის თავის თავს, თითონ არ ირჯება თავის სიკეთისა და ბედნიერებისათვის და თავის საკუთარ მხნეობის გარეთ ეძიებს სახსარს ცხოვრების ავ-კარგიანობის გასაძღოლად, _ ამისთანა კაცი გადადებულია უფრო სასიკვდილოდ, ვიდრე სასიცოცხლოდ”. *(“თავად-აზნაურობის გულგრილობა სწავლა-განათლების საქმეში”. 1886 წ. 8 აპრილი).*

“კაცმა დღეს რომ საქმე გაისწოროს, ხვალ ისევ იმავ დღეში ჩავარდება, რა დღეშიაც სამადლოდ გამოხსნამდე იყო, იმიტომ რომ თვითონ უქმია და მოედანი ცხოვრებისა-კი იმისია, ვინც თითონ მხნეობს და ირჯება თავის-თავის საშველად”. *(“ქალთა სასწავლებელი”. 1889 წ. 6 მარტი).*

“ამას ვინ სჩივის? ის ერთადერთი მოქმედებაც, რომელიც დღეს ჩვენ ასე თუ ისე პურს გვაჭმევს, ისეთს მდგომარეობაშია, რომ, თუ გზა და საფუძველი არ გამოეცვალა, ისიც ხელიდამ წაგვივა და ჩაუვარდება სხვას, ჩვენზე უფრო მხნეს, ჩვენზე უფრო მცდელს, მცოდნეს და გამჭრიახ კაცს”. *(“კახეთის სოფლის მეურნეთა კავშირი”. 1895 წ. 4 ნოემბერი).*

“იმის მიხედვით, რომ რკინისგზა გაჰყავთ არა ორისა და სამის წლისათვის, არამედ სამუდამოდ, ანუ ვიდრე კაცობრიობა უკეთეს გზას გამოიგონებს, კაცმა სახეში უნდა იქონიოს კახეთის დღევანდელი ყოფა კი არა, არამედ ისე ბუნებური თვისება ჰავისა და დედამიწისა, რომლის შეერთებულის ძალით წარმოსდგება სიმდიდრე, თუ კაცი გულხელდაკრეფილი არ იჯდება.” *(“კახეთის რკინისგზა”. 1886 წ. 6 მარტი).*

“ყველასაგან ცნობილია, რომ საცა სარფაა, იქ მხნეობაც და მეცადინეობაც არის; იქ სარფა თითონ ამუშავებს, ამოქმედებს და აქეზებს კაცსა. ამას დიდი ლარი და ხაზი არ უნდა გამოსაცნობლად.” *(“კახეთის რკინისგზა”. 1886 წ. 6 მარტი).*

“შემოვდგი ფეხი, გწყალობდეს ღმერთიო, იძახის დღეს დაბადებული ახალი წელიწადი, გწყალობდეს ღმერთი, ვიძახით ჩვენც და ზედ ვუმატებთ, ღვთის წყალობასთან ერთად წყალობა მოიღოს ჩვენზე ჩვენმა მხნეობამაც, ჩვენმა გამრჯელობამაც და ფრთა-ასხმულმა სიყვარულმა ქვეყნისამ, დღესაქამომდე უქმი ქართველი საქმიან კაცად გარდაქმნას მისი ქვეყნის სასიხარულოდ და სასიქადულოდ.” *(“შინაური მიმოხილვა 1892 წლისა”. 1893 წ. 1 იანვარი).*

“დიდს იმედებს დიდი მხნეობაც უნდა, დიდი ჭკუისა და გულის დადება, დიდი წინდახედული გარჯა და საქმიანობა.” *(“შინაური მიმოხილვა 1892 წლისა”. 1893 წ. 1 იანვარი).*

- **მოძრაობა და მხოლოდ მოძრაობაა ქვეყნის ძალისა და სიცოცხლის მიმცემი**

“ჩემო თერგო! შენ, ჩემო ძმობილო, ზოგიერთ კაცსავით, საცა მოსულხარ, იქაური ქუდიც დაგიხურავს. ცოდვა არ არის, შენი ჭექა-ქუხილი, შენი ზარიანი ხმაურობა, შენი შფოთვა და ფოთვა, შენი გაუთავებელი ბრძოლა ქვა-კლდე-ღრესთან, თითქო შენი განიერი წადილი შენს ვიწრო საწოლში ვერ მოთავსებულაო. ბევრი რამ საგულისყუროა

შენში, ჩვენო დაუმონავო თერგო, შენს ძლევამოსილს და შეუპოვარს დენაშია. აქ კი მიმრჩვალხარ დამარცხებულ და ნათრევ ლომსავითა. ცოდვა ხარ და ცოდვას შვრები!..” *(“მგზავრის წერილები”. 1861 წ.).*

“რამოდენადაც ჩემს სამშობლოს ქვეყანას ვუახლოვდებოდი, იმდენად გარემო ბუნებას ჩემის ქვეყნის ფერი ემატებოდა და თერგს შფოთვა და ღელვა.” *(“მგზავრის წერილები”. 1861 წ.).*

“ნეტავ შენ, თერგო! იმითი ხარ კარგი, რომ მოუსვენარი ხარ. აბა პატარა ხანს დადეგ, თუ მყრალ გუბედ არ გარდაიქცე და ეგ შენი საშიშარი ხმაურობა ბაყაყების ყიყინზედ არ შეგეცვალოს. მოძრაობა და მარტო მოძრაობა არის, ჩემო თერგო, ქვეყნის ღონისა და სიცოცხლის მიმცემი...” *(“მგზავრის წერილები”. 1861 წ.).*

“_ ეხლა რომ მშვიდობიანობა არის?

_ რაის ვაქნევ ცარიალ მშვიდაბას ცარიალ სტვამაქით. რაი არნ მშვიდაბა? უხმარ სატევარს ჟანგი დაედვის, უსრბოლო წყალჩი ბაყაყნი, ჭია-ჭუა, ქვემძრომი გამრავლდის. უდეგარ, უსვენარ თერგჩი კი კალმახი იცის! რაი არნ მშვიდაბა ცოცხვალ კაცთათვის? რაი არნ მტერობა, თუ ერი ერობს? ცარიალ მშვიდაბა მიწაჩიც გვეყოფის.

_ მტერი რომ დაგეცემოდათ, აგიკლებდათ და ცოლ-შვილს გიწიოკებდათ ხოლმე?

_ აწინა მავალე სვამახი უფროს გვაწიოკებს, უფროს სახლს გვიკლებს. ადრიდა მტერს მაინც ფარ-ხრმალით შევეთამაშით, ვიგერიებდით, სვამახს რაი ეყვის, ვერ მოსაგერიებელ, ვერ შესათამაშებელ? ადრიდა მტერთან ბრძოლაჩი, სწორების ჯობინობაჩი, სახელ ვშაობდით, სვამეხთან ვაჟაი რაი სახელ ჩამორჩების? ადრიდა, მართალ ხარნ, მტერ იყვის, ერთგულთა ვაჟათა ჩუქებაც დიდ იყვის; ადგილ-მამულ ებოძვის, თარხნობაი მიეწყვებოდის. აგერნა თერგკიდურზედ ხელთუქმნი ციხეი ჩნდების. იგ ციხეი არშისა ციხედა ცნობილ არნ.

_ როგორ ხელთუქმნი?

_ ხთით არნ ციხედა, არ შეუვალ, არ შეულეწ.

_ მერე რა უნდა გეთქვა?

_ იქაიდ ადრიდა კახთ ლაშქარ მისევოდის. ელაშქრათ, იგ ციხე ხელთ ეპყროთ. ხევსა შეძრწუნებულს ბატონთან შველაი ეზრახნა. მან შველა ვერ მასცის. შაწუხდის უშველი ერი. კახთა ვაჟანი ხევისანი მრავალნი მოხოცნეს, მავიდნენ ციხეჩი, ალამნი დასცის. ერთი ყაფილა პეიტარბერ-კაცი, მახევე. ქალაი ჰყოლია უთხოვარ, მზედუნახველ. მან, მახევემ გაისაურნა კახთ ლაშქრის დათრობად. მაზიდნა ღვინოი, შაგზავნა ციხეჩი. თვისა ქალსა მზედუნახველს მაღვინობა შეუთქვნა, უანდერძნა. კახთა, ღვინოის მწყურვალთა, ლამაზი ქალაის მზირალთა, თავი იღორნეს, სრულ ითვრნენ ღვინოით. ქალაიმ განახვნის ციხის კარნი, მახევეთ ამცნის მოღორნა კახთ ლაშქრის. მოვეს მოხევენი, შავეს უგებრად ციხეჩი. დასცის კიჟინა, კახნი სრულ მთვრალნი მახოცნის. ხელთ იგდის მახევეთ კვლავადა ციხე. არაგვთ ერისთავს იგ ამცნეს, მან მიჰსცა წყალობა იმ ქალაის მამას იგ ციხე, გუჯარიც მიჰსცა...

_ ეგ რა ვაჟკაცობა ყოფილა?

_ რაიდ არა? ჭკუიანი ვაჟკაცობაი ეგე არნ: სად ღონეი ვერ ჰღონობს, იქაიდ ხერხს ემუდვნის.” *(“მგზავრის წერილები”. 1861 წ.).*

“ბავშვი რომ გარბის, განა იმიტომ, რომ ბინამდე მისვლა ეჩქარება. ბავშვს რა საქმე ესწრაფება!.. ბავშვს თვით სირბილი მოსწონს, იმიტომ რომ მოძრაობაა უდიდესი სიამოვნება ახლად ფეხადგმულის სიცოცხლისა. როგორც სიცოცხლეს ხორცისას ეს

მოსდევს, ისეც სიცოცხლეს სულისას, როცა სულს დრო მოუვა ფეხის-ადგმისა, ნამეტნავად პირველ ხანში. "გაჰკვეთე ქარი, გააპე წყალი, გარდაიარე კლდენი და ღრენი!" იძახის სული, რომელსაც სიცოცხლის მომ-ნიჭებელმა სხივმა დაჰკრა და ამოაყვავა. აი ეს ქარის გაჰკვეთა გაპობა წყლისა, გარდავლა კლდეთა და ღრეთა თავისთავად მომხიბლავია, თავისთავად გამტაცე-ბელია სულღონიერ ჭაბუკისა, ქალი იქნება თუ კაცი." *("ქართული თეატრი". 1886 წ.).*

"საცა მოძრაობაა, იქ სიცოცხლეც არის." *("ახალი დასის მოლოდინში". 1886 წ.).*

"დგომა _ ცდომაა." *("ახალი დასის მოლოდინში". 1886 წ.).*

"ნუთუ ისევ ძველებურადვე თავი უნდა დაგიკრათ და მოგახსენოთ: "შემოვდგი ფეხი, გწყალობდეთ ღმერთი..." სულ წყალობა ღვთისა და წყალობა ღვთისა, ერთხელ ჩვენ თითონაც თითი გავძრათ, ერთხელ ჩვენ თითონაც მივდგეთ-მოვდგეთ. წყალობა ღვთისა კარგია, მაგრამ რა ქმნას მარტო წყალობამ, თუ ღვთის მიერ ნაწყალობებს თითონ ადამიანი არა ჰრწყავს, არა სხლავს, არა ჰფურჩქნის, არ უვლის, არ ჰპატრონობს. ღმერთმა, რაც წყალობა იყო, უკვე მოიღო ჩვენზე, დანარჩენი თქვენ იცით და თქვენმა კაცობამაო." *("რა გითხრათ? რით გაგახაროთ?". 1897 წ. 31 დეკემბერი).*

"ერთის მხრივ ესეა, მეორეს მხრით... ზოგიერთის გრძნობა გარეშე მეთვალყურესათვის წარმოადგენს პაწია მღვრიე და ხავსით მოსილს ტბას, რომლის ადიდება და აგორვება ისე შეუძლებელია, როგორც უბრალო თვალთაგან უხილავის კბილის ჭიის ვეშაპად გარდაქმნა. რაც გინდა მრისხანე ცხოვრების გრიგალი დაჰქროდეს ამ ტბას, მისი ტალღები მაინც მყუდროდ განისვენებენ თავის ბინაზედ და არ ექვემდებარებიან მოძრაობის ქარ-ტეხილსა... ამ შემთხვევაში ზოგიერთი ჩვენგანი _ მცხედარს ჰგავს, სულგანაბულად მდებარეს, რომელსაც თითქო არც კი ეხება ის, რაც ხდება საერთო ცხოვრების არემარეზე". *("თავად-აზნაურობის გულგრილობა სწავლა-განათლების საქმეში". 1886 წ. 8 აპრილი).*

"ამ-გვარი სამარეებური უგრძნობლობა, _ თავს იჩენს ხოლმე ჩვენში ყოველთვის, როცა საქმე შეეხება არა უთავბოლო ფულის ფლანგვას, სმას და ქეიფს, არამედ "იმ-თავმომაბეზრებელს" საგანს, რომელსაც საზოგადო საქმეს ეძახიან...

ეს ყოველისფერი, რაცა ვსთქვით ზემოთ, თვალ-წინ წარმოგვიდგა უნებლიეთ, რაკი წავიკითხეთ დღევანდელი კორესპონდენცია გურჯაანიდამ. ამ წერილის ავტორი სამართლიანი გულის წყრომით გვაუწყებს იმ დამდოვრებულს გულგრილობას, რომელიც გამოიჩინა თურმე კომისიამ, სიღნაღის მაზრის თავად-აზნაურობის მიერ ამორჩეულმა, სასკოლო ფულის გასაწერად ერთმანეთ შორის". *("თავად-აზნაურობის გულგრილობა სწავლა-განათლების საქმეში". 1886 წ. 8 აპრილი).*

"სნეულების სათავე _ თითონ ცხოვრების წყობაა და აგებულება, ერთხელ და ერთხელ შემოღებული და გაუახლებლად დამკვიდრებული." *("შინაური მიმოხილვა". 1881 წ. მაისი).*

"აზრთა მოძრაობაში, როგორც ყველაფერში ქვეყანაზედ, ერთის მეორეს ადგილს არ უთმობს უომრად, უბრძოლველად." *("შინაური მიმოხილვა". 1881 წ. მაისი).*

"თითონ ახალიც, რომელიც ძველის ადგილას უნდა ჩამოსდგეს, დაბადებისავე უმალ ისე არ მომწიფდება, რომ პირში ჩადების და დაღეჭის მეტი სხვა აღარა უნდოდეს-რა." *("შინაური მიმოხილვა". 1881 წ. მაისი).*

"ცვლილების სურვილს რომ ეს კაცობრივი აზრი ააყოლონ, მაშინ ცვლილება სულ სხვა ნაყოფს გამოიღებს და ჩვენი ქვეყანა წელში გაიმართება, ფეხს გაიმაგრებს და ფეხ-გამაგრებული თავისთვისაც გამოსადეგი იქნება და სხვისთვისაცა. სხვა გზა და სხვა აზრი

ტყუილია, და ყოველივე ცვლილება, რომელსაც სარჩულად ეს აზრი არ დაედება, წყლის ნაყვა იქნება, როგორც აქამდის იყო." *("შინაური მიმოხილვა". 1881 წ. დეკემბერი).*

"ესეც წინათვე ცნობილი უნდა იქმნას, _ თუ ვის ეჭირვება ცვლილება, რა მიზეზი აიძულებს ცვლილების მოხდენას. ამაების მიხედვით უნდა დაინიშნოს, _ ცვლილებას წინ რა საგანი დაედვას მისაღწევად." *("შინაური მიმოხილვა". 1881 წ. დეკემბერი).*

"მეორე მხარე გაზაფხულის მარტო ჩვენშია გამოჩენილი და იმაში მდგომარეობს, რომ თითონ მეტყველი ბუნებაც, ესე იგი ადამიანი, ჩვენში მოძრაობაში მოდის. სხვაგან გაზაფხული ქეიფისა და ლხინის დროა. გაზაფხულს ეს სიკეთე არც ჩვენში აკლია, მაგრამ ამასთანავე ჩვენში გაზაფხული განკითხვის დროც არის. ყოველი მოქმედი პირი საზოგადო სარბიელზედ, თუ საზოგადო დაწესებულება ჩვენში, _ გაზაფხულზედ განიკითხება ხოლმე საქვეყნოდ. ეს ჩვენებურს, ქართულს გაზაფხულს როგორღაც დაეკვება. არ არის ჩვენში არც ერთი საზოგადო საქმისათვის შემდგარი წესდება, რომ ვალად არა სდებდეს მომქმედ პირთა, წარდგნენ მთელის თავისი ცოდვითა და მადლითა გამკითხველთა კრების წინაშე სწორედ იმ დროს, როცა ან გაზაფხული იწყება, ან თავდება." *("შინაური მიმოხილვა". 1882 წ. აპრილი-მაისი).*

"გამოჩნდა, რომ აზრიანი ლაპარაკი ჩვენც შეგვძლებია, გამოჩნდა, რომ ლაპარაკის საგანიცა გვქონია, გამოჩნდა, რომ ტკივილები ჩვენთვისაც საგრძნობელი ყოფილა და ნიჭსა ტკივილების გრძნობისას ჩვენშიაც გამოუღვიძნია. ეს კიდევ დიდი არაფერი იქნებოდა, რომ ყოველს მას ერთი რამ მეტად სანუგეშო ზედ არ მოჰყოლოდა. ის ერთი რამ _ ის საზოგადო მნიშვნელობის ძარღვია, რომელმაც ამ ბოლოს ხანებში მეტად ძლიერად ცემა დაიწყო ჩვენში. ჩვენდა სანუგეშოდ, დღეს აშკარადა სჩანს, რომ ბევრს ჩვენგანს გული გახსნია საქვეყნოდ, ბევრს ჩვენგანს უგრძვნია და უცვნია ის ტკივილები ქვეყნის ტკივილებად, და თუ იღვწის ეხლა მათ გამო, პირადი ანგარიში და გამორჩომა უკან დაუყენებია და მარტო საზოგადოს, საქვეყნოს სიკეთეს ეტანება მთელის თავისის შეძლებითა და ღონითა." *("შინაური მიმოხილვა". 1882 წ. აპრილი-მაისი).*

"როცა საზოგადო მნიშვნელობის აზრი ამოქმედებს სიტყვას, მაშინ თითონ თქმა ქმნად გადაიქცევა ხოლმე. ამ გზით სულჩადგმული ცხოვრება მოედანზედ გამოდის და შემოქმედობითი ძალი ცხოვრებისა აღარ უქმობს, არამედ იღვიძებს და ფრთას ისხამს. ის შემოქმედობითი ძალი ცხოვრებისა სათავეა ყოველის წარმატებისა და მაგ ძალის ძლიერებაზედ დამოკიდებულია ყოველი იმედი ცხოვრების წინ-წადგომისა და განკარგებისა. საცა ეგ ძალი აღძრული არ არის, იქ ცხოვრება დგას ვითარცა გუბე და გუბესავით შხამავს და სწამლავს გარეშემო ჰაერსა. ადამიანიც, იმ ჰაერში სულის მბრუნავი, ცოცხალ-მკვდარსავით ზლაზვნით და ხანხალით დატანტალებს უგულოდ და უსულოდ ცხოვრების მოედანზედ, როგორც სასაფლაოზედ, თითქოს მარტო იმისათვისაო, რომ ერთი პატარა ადგილი იშოვოს, საფლავი გაითხაროს და შიგ ჩაწვეს. საკვირველიც არ არის, იქ მაცხოვარი სიო განახლებისა არ დაჰბერს ცხოვრებასა და ამის გამო დღევანდელი დღე მკვდარია ხვალისათვის, როგორც გუშინდელი დღევანდელისათვის იყო. ამიტომაც ადამიანს აღარც გუშინდელი ახსოვს, აღარც დღევანდელი სწამს და აღარც ხვალინდელს ეტანება. ყოველსფერზედ გულაყრილია და ცხოვრობს მარტო იმისათვის, რომ მოკვდეს, როგორც მეტხორცი რამ. როგორც შემთხვევით მოსული და შემთხვევითვე წასასვლელი. ერთის სიტყვით, ადამიანი გამოფუყებულია, გამოცარიელებული, და ამიტომაც თითონ მისი ცხოვრებაც სიკვდილია და არა სიცოცხლე." *("შინაური მიმოხილვა". 1882 წ. აპრილი-მაისი).*

“გარნა იქ კი, საცა ეგ მადლიანი ძალა შემოქმედობისა აღძრულია, ადამიანი გრძნობს, რომ იგი შვილია გუშინდელისა, მოჭირნახულეა დღევანდელისა და დამბადებელია ხვალისა. წარსული, აწმყო და მომავალი _ ერთ რთულ, დაურღვეველ ჯაჭვად მიაჩნია და იმ ჯაჭვში თავისი-თავი რგოლად, წინასა და უკანაზედ მტკიცედ გადაბმულად. მაშინ ადამიანი თავისთავს მართლა-და ადამიანადა სცნობს, ეგ ცნობა საკუთარის თავისა ღირსებას უღვიძებს, საკუთარის თავის ღირსება ჩაგრულ ყოფას ვერ ათმენინებს და დამკლავებული გამოჰყავს ცხოვრების მოედანზედ საომრად და საბრძოლველად. გმირებს, სახელოვან კაცებს, დიდებულ მოღვაწეებს ქვეყნისას _ ეგ შემოქმედობითი ძალი ცხოვრებისა ჰბადავს.” *(“შინაური მიმოხილვა”. 1882 წ. აპრილი-მაისი).*

“რაკი ადამიანის ცხოვრებაში ერთხელ დაიძრა შემოქმედობითი ძალი, ერთს ნამოქმედს სხვა სამოქმედო საგანი ზედ მოჰყვება, ერთი მეორეს ჰშობს, მეორე მესამეს და ეგრე გაებმის ხოლმე ის ფერადი გრეხილი ცხოვრების მოძრაობისა, რომელსაც ისტორიას ეძახიან. ეგ შემოქმედობითი ძალი ცხოვრებისა შექმნის ისტორიას; უმაგისოდ ნურა ერი ნუ დაიქადებს, ისტორიის ღირსი ერი ვარო. უწინ, როცა ჩვენში ეგ შემოქმედობითი ძალი ცხოვრების ფეხადგმული იყო, აკი ისტორიაცა გვქონდა, აკი გმირებიცა გვყვანდა, აკი დიდი მწერლებიც და პოეტებიც აღმოგვიჩნდებოდნენ, აკი იმ აღმატებულ ყოფა-ცხოვრებამდინაც მივაღწიეთ, რომლის დიდებულებამაც თამარ მეფე საუკუნოდ სახსოვარი გახადა ჩვენთვის.” *(“შინაური მიმოხილვა”. 1882 წ. აპრილი-მაისი).*

“ამ ბოლო ხანებმა და ნამეტნავად წლევანდელმა წელმა სულ სხვა სანუგეშო ნიშნები წამოგვიყენა თვალ-წინ. აშკარად დაგვანახა, რომ სულგანაბულს და ხმაგაკმენდილს ჩვენს ცხოვრებას უჩუმრად როგორღაც უმოქმედნია და ის მიმკვდარი, დიდი ხნის დავიწყებული ძალი შემოქმედობისა, თუ სრულიად ფეხზედ არ წამოუყენებია, ადგილიდამ დაუძრავს მაინცა. აშკარად დაგვანახა, რომ ქართველობას თავის ყოფა-ცხოვრებაზედ თვალი აუხილებია და იქ თვითოეული ჩვენგანი ცალკე კი არ დაუნახავს, არამედ ყველანი ერთად, საზოგადოდ. ჩვენ ამას დიდ მნიშვნელობას ვაძლევთ, იმიტომ _ რომ მარტო საერთოდ, საზოგადოდ დანახული ჭირი თუ ლხინი მოასწავებს შემოქმედობითის ძალის დაბადებას და მოვლინებას. მაგის გარეთ მაგ ძალს არც მიზეზი აქვს თავის გამოჩენისა და არც საზრდო რჩენისათვის.” *(“შინაური მიმოხილვა”. 1882 წ. აპრილი-მაისი).*

- **საკუთარი თაოსნობა – ის ენერგიაა, რომლისგანაც უნდა ამოხეთქოს ჩვენთვის ყოველივე საწადელი**

“ჩვენ მარტო სამი მაგალითი ჩამოგითვალეთ არა იმისათვის, რომ მაგის მეტი სანუგეშო არა მომხდარიყოს რა ჩვენს შორის ამ უკანასკნელ დროს. მაგრამ ეს სამი მაგალითიც საკმაოა მისთვის, რის თქმაც გვინდა. ყოველივე ეს, რაც ზემოთ გაკვრით მოვიხსენიეთ, მით არის შესანიშნავი და ძვირფასი ჩვენთვის, რომ ქართველობის საკუთარის თაოსნობით, ღვაწლით, შეწირულობით და ხელით აშენდა და დამკვიდრდა. განა ბევრს წელიწადებს ჩამოგითვლით ამ უკანასკნელს ოთხმოცის წლის განმავლობაში, რომ რომელიმე მათგანი ამ მხრით თავმოწონებით გვერდთ დაუდგეს წარსულს წელსა? არა მგონია.” *(“ვისს ნათესსა ვმკით?”. 1879 წ. 31 დეკემბერი).*

“ეს წელიწადი შესანიშნავია, როგორც დრო, როცა ჩვენმა საკუთარმა თაოსნობამ თითქმის პირველი ფეხი აიდგა; როცა ჩვენმა ქართველობამ პირველ ხმამაღლა სთქვა: კმარა, დროა ჩემს თავს მევე მოვუაროო.” *(“ვისს ნათესსა ვმკით?”. 1879 წ. 31 დეკემბერი).*

“რამ გამოაფხიზლა ქართველობა? რამ აუღორძინა თვითმოქმედებითი ძალი? ამის აღსახსნელად პატარა შორიდამ დავიწყებთ ლაპარაკსა, უფრო იმისათვისა, რომ თუ თვალით არა, სუნით მაინც ავიღოთ, რომელი ცხოვრების ძარღვი გვაქვს ჩაწყვეტილი დროთა ბრუნვისაგან.” *(“ვისს ნათესსა ვმკით?”. 1879 წ. 31 დეკემბერი).*

“ჩვენი უბედურება მაშინ დაიწყო, როცა ჩვენი ქვეყანა დაირღვა და განაწილდა სამ სამეფოდ და ხუთს სამთავროდ. ამ დარღვევამ არამც თუ მარტო ერთობის კავშირი გასწყვიტა ჩვენის სამეფოისა, არამედ საზოგადოებრივიცა. თვითოეული ჩვენგანი ერთმანეთს დაგვაშორა, ერთმანეთს გულის-ტკივილისათვის გული აგვიცრუა, მოგვიკლა. მას დღეს აქეთ გაითხარა ჩვენის ბედნიერების სამარე, მას დღეს აქეთ თვითოეული დღე თითქოს რასმე სიკეთეს ხელიდამ გვაცლიდა. ეს საზარო უბედურება, რომელიც თანდათან უფრო და უფრო გვიჯდებოდა სულსა და ხორცში და გვხრწნიდა თავიდამ ფეხამდე. იგრძნეს მაშინვე ჩვენმა მამა-პაპებმა და მათგან უკეთესებმა ზედ შეაკლეს თავი ჩვენს ქვეყანასა, რომ ერთობა ხელ-ახლად ჩამოეგდოთ. ბევრმა სახელოვანმა მეფემ დალია ამაზედ თავისი სიცოცხლე, ბევრმა თავგამოდებულმა მამულის-შვილმა დაანთხია ამისთვის სისხლი, მაგრამ გარედამ მტერმა და შიგნით უკეთურთა ბზარვამ და ლალვამ იმოდენა ჯაფა, სისხლის ღვრა, თავგაწირვა, _ ამაოდ ჩაუტარეს დარღვეულობით დაუძლურებულ ქვეყანასა და ერთხელ ზურგშემოქცეულს ბედს პირი ჩვენკენ ვეღარ აქნევინეს. ეგ შეერთების ყოვლად-მხსნელი სურვილი თუმცა ვეღარ განახორციელეს, მაგრამ ანდერძად კი მაინც შერჩათ გულში ზოგიერთს ძველთაგან შთომილსა. ხოლო ჩვენი უბედურება ის იყო, რომ მაგ ძველთაგან ცოტანიღა შეგვრჩნენ. დროთა ბრუნვამ, სხვა ნიავქარის ქროლამ, სუსტებს გული შეუცვალა და ჩვენს დროსათვის დარჩა იმ ძველთაგან ძალიან მცირე გუნდი, რომელთაც გული კიდევ უცემდათ ქვეყნისათვის. დრომ ისე იმძლავრა იმათზედაც, რომ ჩუმად, ხმაამოუღებლივ უნდა მიმჯდარიყვნენ თავის უსიხარულო ჭერ-ქვეშ და იქ ეგლოვნათ, იქ ეტირნათ თავისის ქვეყნის პირქვე დამხობა, მერე ისე, რომ ცრემლი თვალზედ არავის შეემჩნია. გულში ჰქონდათ-მეთქი ის მაცხოვარი წყურვილი შეერთებისა, მაგრამ დრომ ისეთი თავზარი დასცა, რომ შიშობდნენ არამც თუ ემოქმედნათ, რამე, არამედ ერთმანეთის ნახვასაც კი ერიდებოდნენ. ეგრე ეგ უკეთესნიც დაჰშორდნენ ერთმანეთსა და დღე-და-დღე კლებაში შედიოდნენ. კლებულობდნენ იმიტომ, რომ ის ყოვლად-მხსნელი სურვილი მარტო იმათ გულში ტრიალებდა და შიშით თავი გარეთ ვერ გამოეყო, რომ გავრცელებულიყო მათ მიმდევართა შორის და მემკვიდრეობით გადასულიყო მომავალთა გულში. ამ სახით, ის სურვილი ცოტად-ღა ბჟუტავდა ზოგიერთა გაცალკევებულს გულში, როცა მოედანზედ გამოვიდა სხვა ახალი მზარდი თაობა. ახალი თაობა მოესწრო და ის თითქმის განელებული, მილეული სურვილი ერთობისა და საზოგადოებრივის კავშირისა კვლავ გაფუვდა, აღორძინდა ჩვენ დაფუყებულს გულში და აჰა ლამის ნაყოფიც გამოიღოს.” *(“ვისს ნათესსა ვმკით?”. 1879 წ. 31 დეკემბერი).*

- **ყმაწვილ-კაცობის ღვაწლს საკუთარი თაოსნობის ასაღორძინებლად ვერავინ შეეცილება**

“ამ ღვაწლს ვერავინ შეეცილება ყმაწვილკაცობასა, რომელმაც, რაც კი შეეძლო, თავი არ დაზოგა და პირქვე დასამხობად მიწურვილი სურვილი კვლავ ფეხზედ წამოაყენა. ბევრს რასმე ემდურებიან ყმაწვილკაცობას, ზოგს სამართლიანად, ზოგს უსამართლოდ, მაგრამ აქ მოხსენებულს სამსახურს კი ჩვენის ქვეყნის წინაშე ვერავინ ჩამოართმევს. ყმაწვილ-კაცობამ ხელი წაავლო პირველ ხანშივე მას, რაზედაც შესწყდა ჩვენი ცხოვრება, მან დააყენა ჩვენში ფეხზედ ქვეყნის სიყვარულიც, მამულის-შვილობაც. ერთსაც და მეორესაც, რაც შეეძლო, გზა გაუკაფა, ფეხი აადგმევინა, ერთიერთმანეთისაკენ მიგვახედა. დიახ, ყმაწვილკაცობის მადლობელნი უნდა ვიყვნეთ, რომ ჩვენ საერთო, საყოველთაო სურვილი გაგვიახლა, საერთო გულის-ტკივილი ჩაგვისახა, ჩვენის თავის იმედი მოგვცა და ერთობ გამოგვაღვიძა, გამოგვაფხიზლა. ერთობის მღაღადებელთა არ გაუცუდდათ ღაღადება და აი დღეს იმასა ვმკით, რაც ყმაწვილკაცობის უანგარო ღვაწლით წინა წლებში დათესილი იყო.” *(“ვისს ნათესსა ვმკით?”. 1879 წ. 31 დეკემბერი).*

“გვეტყვით, სამკალი ჯერ მაგოდენა არა არის რაო, რომ ეგრე თავმოწონებით გამოდიხართ და აზვიადებთო. მართალია, ქართული თეატრი, ქართული შკოლა, წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება და სხვა ამ-გვარი ისეთი დიდი რამ არ არის, რომ ჩვენი ფარ-ხმალი ძირს დავსდოთ, მარტო მაგათ შევაჩერდეთ და მაგაზედ მეტი არა ვინდომოთ-რა. სურვილი ჩვენი ზღვაა და მაგ-გვარის კოვზით ეგ ზღვა არ დაილევა.” *(“ვისს ნათესსა ვმკით?”. 1879 წ. 31 დეკემბერი).*

“მაგრამ ყოველს ამაში ჩვენთვის ძვირფასი ის არის, რომ ერთიც, მეორეც, მესამეც ჩვენი საკუთარის თაოსნობით და ღვაწლით არის მოყვანილი და ერთმანეთისათვის საერთო გულისტკივილით შემზადებული.” *(“ვისს ნათესსა ვმკით?”. 1879 წ. 31 დეკემბერი).*

“ეს ფრთაშესხმული საკუთარი თაოსნობა, ეს ერთმანეთისათვის გულის-ტკივილი, ეს ფეხადგმული თვითმოქმედებითი ძალი, _ ის ნერგია, რომელმაც უნდა ამოხეთქოს ყოველივე, რაც ჩვენთვის სანატრელია. ეს ნერგი დარგულია ჩვენში ჩვენის ყმაწვილ-კაცობის ხელით _ წარსულში, და მომავლის დროების მოღვაწეთა იგი უნდა ჰრწყან თავის მხურვალე ოფლითა. წარსულმა ეს უანდერძა მომავალსა, ეს ლარი გაუბა გზის საჩვენებლად.” *(“ვისს ნათესსა ვმკით?”. 1879 წ. 31 დეკემბერი).*

“ღმერთმა ადამიანი რომ გააჩინა, უბძანა: წადი, შენს თავს შენვე მოუარეო; შენ იცი და შენმა წუთისოფელმაო; რაც წაგეკიდოს, შენი ბრალი იქნება, მე ნურას დამაბრალებო; მე ხელი დამიბანიაო; აქ ჩემთან რომ ამოხვალ, მაშინ სხვა არისო. ადუღებულ კუპრის ზღვაზედ ბეწვის ხიდს გაგიდებ, თუ კარგი ხარ _ გაივლიო; მადლი მხრებში შეგიჯდება და გაგატარებსო; კაი კაცს არ ჩაუწყდებაო.” (*“ოთარაანთ ქვრივი”. [1886] – 6 ქრისტეშობისთთვეს 1887 წელსა).*

“მადლი სუმბუქია და ცოდო მძიმე.” (*“ოთარაანთ ქვრივი”. [1886] – 6 ქრისტეშობისთთვეს 1887 წელსა).*

“ეს წუთისოფელი ცოდო და მადლის ჭიდილია, სხვა არაფერი. ზოგი ცოდოს იკიდებს ზურგზედ და ტყვიასავით მძიმეა, ზოგი მადლს და ბუმბულსავით სუმბუქია.” (*“ოთარაანთ ქვრივი”. [1886] – 6 ქრისტეშობისთთვეს 1887 წელსა).*

“დედაშვილური სიყვარული მძლეთამძლეა.” (*“ოთარაანთ ქვრივი”. [1886] – 6 ქრისტეშობისთთვეს 1887 წელსა).*

“რკინის გადნობას ხელში ჭერისაგან დაიჯერებდა და დედის თვალში კი ცრემლს არა, სხვას რომ ეთქვა.” (*“ოთარაანთ ქვრივი”. [1886] – 6 ქრისტეშობისთთვეს 1887 წელსა).*

“მამისშენის შვილი და ბოგანა-მოჯამაგირეობა? საიდამ სადაო? ხომ საფლავში გადატრიალდა მამაშენი სირცხვილისაგან...” (*“ოთარაანთ ქვრივი”. [1886] – 6 ქრისტეშობისთთვეს 1887 წელსა).*

“დაუდევნელები ვართ ქართველები და კიდევ ეგ მოგვიღებს ბოლოს, თუ ჩვენ საუბედუროდ არ გამოვსწორდებით როდისმე.” *(“ორიოდე სიტყვა თავად რევაზ შალვას ძის ერისთავის კაზლოვის მიერ “შეშლილი”-ს თარგმანზედა”. 1860 წ. 5 ნოემბერი).*

“თუ ხელის-მომწერი არ ეყოლება ჟურნალსა, როგორ იცოცხლებს იგი?” *(“ორიოდე სიტყვა თავად რევაზ შალვას ძის ერისთავის კაზლოვის მიერ “შეშლილი”-ს თარგმანზედა”. 1860 წ. 5 ნოემბერი).*

“სულ მაგ ტკბილმა მამა-პაპურმა ძილმა დაგვღუპა ჩვენ.” *(“ორიოდე სიტყვა თავად რევაზ შალვას ძის ერისთავის კაზლოვის მიერ “შეშლილი”-ს თარგმანზედა”. 1860 წ. 5 ნოემბერი).*

- **თვითმოქმედება: უმაღლესი წერტილი ადამიანის განვითარებისა და წარმატებისა. ხალხი თვითმოქმედებით არის მხოლოდ ძლიერი და ნაყოფიერი სულით და ხორცით**

“თვითმსაჯულება, თვითმხედველობა გონებრივი უმაღლესი წერტილია ადამი-ანის განვითარებისა და წარმატებისა.” *(“რა მიზეზია, რომ კრიტიკა არა გვაქვს”. 1887 წ.).*

“შესაძლოა კაცს მრავალი ცოდნა ჰქონდეს, და ის უნარი-კი, რომელიც თავისით ჭრასა და კერვას მოასწავებს გონების საქმეში, არ გახსნოდეს, არ გაშლოდეს სამოქმედოდ.” *(“რა მიზეზია, რომ კრიტიკა არა გვაქვს”. 1887 წ.).*

“მშრალის და უქმის გონების კაცი სახელოვანმა გეტემ დაგვიხატა თავის ფაუსტში. ფაუსტში რომ გამოყვანილია ვაგნერი, სწორედ ზედგამოჭრილი სახეა იმ-გვარის კაცებისა, რომელთაც ცოდნა აქვთ და საკუთარის ჭკუით ტარების უნარი-კი ღმერთს, თუ ბედს იმათთვის არ მიუმადლებია.” *(“რა მიზეზია, რომ კრიტიკა არა გვაქვს”. 1887 წ.).*

“ჩვენს ინტელიგენციას სწორედ ეგ უნარი თვითმსჯელობისა, თვითმხედველობისა არა აქვს გახსნილი და გადაშლილი. ეგ ნაკლია მიზეზი, რომ ჩვენს საკუთარს საქმეში, ჩვენს საკუთარს ავ-კარგიანობაში ვერაფერი გაგვიგნია, თავი და ბოლო ერთმანეთზედ ვერ გადაგვიბამს. ეგ არის მიზეზი, რომ ჩვენ ჩვენი კრიტიკა არა გვაქვს არა-რომელისამე საგნისა საზოგადოდ, და ლიტერატურისა საკუთრად.” *(“რა მიზეზია, რომ კრიტიკა არა გვაქვს”. 1887 წ.).*

“ხალხი თვითმოქმედებით არის მხოლოდ ძლიერი და ნაყოფიერი სულით, თუ ხორცით, რაც მალე დავიჯერებთ ამ ჭეშმარიტებას, რაც მალე შევითვისებთ, მით მალე გამოვიხსნით თავს იმ გაჭირვებიდამ, რომელშიაც ასე სასოწარკვეთილებით დღეს ვიმყოფებით.” *(“საზოგადოება შეუძლებელ მოსწავლეთა შემწეობისათვის”. 1877 წ. 10 ნოემბერი).*

“გვეყო, რაც ჩვენმა წარსულმა ჩვენ მაგალითები გვიჩვენა. ნუთუ აქამომდე გული ვერ დავაჯერეთ, რომ ჩვენს გარე ჩვენი ხსნა სიზმარია! მაშ თუ ასეა, სწავლისა და განათლების სახსარის ნაკლებულობას ჩვენის ცრემლით, ვახით და ვიშით ვერ შევავსებთ. სულ ტყუილია! როგორც თვითოეული კაცი, ისე საზოგადოება, ისე ხალხი მარტო თავისით არის თავისით უნდა იყოს კიდეც. ძალაც ამისთანა ხალხშია და ბედიცა.” *(“საზოგადოება შეუძლებელ მოსწავლეთა შემწეობისათვის”. 1877 წ. 10 ნოემბერი).*

“ჩვენ ამის მიზეზს იმაში კი არა ვხედავთ, რომ ვითომც სწავლის სურვული არა გვქონდეს, როგორც ზოგიერთნი ჩვენნი კეთილის-მყოფელნი ამტკიცებენ. არა, _ სურვილი დიდია. არც იმაში ვხედავთ, რომ სწავლის მიღების ნიჭი არა გვქონდეს, თუმცა

ამასაც ჩვენი კეთილის-მყოფელნი ჰყვირიან. არც იმაში ვხედავთ, რომ ვითომ ნივთიერს ღონისძიებას მოკლებულნი ვართ. ესეც ტყუილია, ჩვენის ფიქრით. მართლა-და, არც ისე ლუკმა-გაწყვეტილები ვართ, რომ, თუ არ თვითოეულმან ცალკე, ერთად მაინც საზოგადოებრივად ღონისძიება არ მოვიკრიფოთ ჩვენის აუცილებელის საჭიროების შესავსებლად. მიზეზი ის არის, რომ დროთა ბრუნვამ სხვის მაყურებლად გაგვხადა, სხვაზედ იმედს შეგვაჩვივა და ამაებმა სრულიად წარწყმიდეს ჩვენში ის თვითმოქმედების ძალ-ღონე, რომელიც უწინ იყო და რომელიც, თუკი სადმე არის, ყოველგან ხალხის ბედნიერების სათაურია და საფუძველიც. ხსნა ჩვენი თვითმოქმედებაში და ერთობაშია. საცა კაცი თითონ არ არის, სხვისით არა გაკეთებულა რა; საცა ერთი ვერას იქმს, იქ ოცსა და ორმოცს ერთად შეუძლიან ჰქმნას." *("საზოგადოება შეუძლებელ მოსწავლეთა შემწეობისათვის". 1877 წ. 10 ნოემბერი).*

"რასაც თვითონ არ ვიმოქმედებთო, სხვისაგან ბევრ ნურას ველოდებითო; რასაც თვითოეული ცალკე ვერ შევსძლებთო, ამას საზოგადოებრივად, ერთად ადვილად შევიძლებთო." *("საზოგადოება შეუძლებელ მოსწავლეთა შემწეობისათვის". 1877 წ. 10 ნოემბერი).*

"თვითმოქმედებაშია მთელი სიმძიმე ამ თავმოსაწონის და პატიოსანის საქმისა. ამასთანავე მთელი სახელოვანებაც, და ამაზედვეა დამყარებული იმედი გამარჯვებისა. თვითმოქმედება ყოვლად მხსნელი და ძლევამოსილი ძალია ყოველსფერში და ნამეტნავად მაშინ, როცა კაცს, Yთუ საზოგადოებას თავის-თავის შველა უნდა." *("ქალი მასწავლებელი". 1886 წ. 7 იანვარი).*

"თუ თავი ჩვენი ჩვენ გვახლავს, ღარიბად არ ვიხსენებითო." *("ქართველი სტუდენტობა რუსეთში". 1886 წ. 4 თებერვალი).*

"რაც გინდა დიდ გაჭირვებაში ჩავარდეს კაცი, ერთად-ერთი გზა ხსნისა კაცის საკუთარი მხნეობა და გამრჯელობაა. მართალია, შესაძლოა სხვა გარემოებამაც ხელი შეუწყოს კაცს გაჭირვებისაგან დახსნისათვის, მაგრამ თავი-და-თავი მომქმედი ძალი მთა-კლდის გასარღვევად მაინც კაცის საკუთარი მხნეობაა, საკუთარი თვითმოქმედებაა. უამისოდ სხვისით საქმის წარმართვა, სხვისით ხსნა, სხვისაგან მოლოდინი შველისა და ხსნისა უფრო მიძინებაა მხნეობისა, თვითმოქმედებისა და თავისთავის შველისა, ვიდრე საქმის გაჩარხვა, კეთება და წარმატება". *("ქალთა სასწავლებელი". 1889 წ. 6 მარტი).*

"საზოგადოებას აიღებთ, თუ ცალკე კაცს, ყველგან ერთსა და იმავე უცვალებელს ბედისწერასა ჰხედავთ, რომ მარტო საკუთარს თვითმოქმედებას, მხნეობას, გამრჯელობას წარუმართნია საქმე როგორც საზოგადოების, ისე ცალკე კაცისა. რომელი საზოგადოებაც, თუ ცალკე კაცი, სხვაზე დანდობილა და თითონ გულ-ხელი დაუკრებია, იმას ამ ქვეყანაში პური არსობისა ვერ გამოუცხვია და საცა ეგ პური არ არის, იქ არც სიცოცხლეა _ იქ მკვდარი მკვდარზეა აკიდებული, საფლავამდე წასაღებად". *("ქალთა სასწავლებელი". 1889 წ. 6 მარტი).*

"მეორე მხარე არანაკლებ სანუგეშო და სასიამოვნო ის არის, რომ "კავშირს" დაუნახავს ის ჩვენ მიერ დიდი ხნის დავიწყებული და ჩვენგან დატოვებული ადგილი, საცა დღევანდელის დღის ვითარებისაგან ასე ცხარე ბრძოლაა არსებობისათვის და საცა ჩვენ ძლეულნი ვართ და სხვანი გამარჯვებულნი. სარბიელი ამისი დღევანდელი ეკონომიური ავკარგიანობაა და აი რა სარბიელზე საჭიდაოდ იწვევს "კავშირი" თვითმოქმედების ძალ-ღონეს საზოგადოებისას. აღმოშობა, ფეხზე წამოყენება, თუნდ მარტო დასახელებაც იმისი, რომ თვითმოქმედებაა ჩვენი მხსნელი ჭირბოროტისაგან როგორც შემდეგში, ისე დღევანდელ დღეს, სასიხარულო ნიშანია ჩვენის მოქმედებისა, მით უფრო, რომ ეს თვითმოქმედების წყურვილი ხსენებულ სარბიელზე თვით

საზოგადოებას გასჩენია და არა ორიოდე მწიგნობარისა, რომელთა ხმა ხშირად უდაბნოში მღაღადებელ ხმადა ჰრჩება ხოლმე, რაც გინდ მართალი და სახიერო იყოს". *("კახეთის სოფლის მეურნეთა კავშირი". 1895 წ. 3 დეკემბერი).*

- **თვითმოქმედება ისეთი თვისებაა ადამიანისათვის, ურომლისოდაც იგი უფრო მონაა, ვიდრე ბატონი, სათრეველაა და არა თვითმავალი მოზარდისათვის**

"თვითმოქმედება, თვით თვისის საქმის აჩენა, გაძღოლა და გატანა, ისეთი თვისებაა ადამიანისათვის, ურომლისოდაც იგი უფრო მონაა, ვიდრე ბატონი. არც ცალკე კაცს, არც საზოგადოებას ერთად, უამთვისებოდ არ ძალუძს სთქვას, მე ვარ და ვცხოვრობო. უამთვისებოდ ერთიც და მეორეც სათრეველაა და არა თვითონ მავალი. კაცი, თუ საზოგადოება, რომელიც თვით არ მოქმედებს, თვით საკუთარის თაოსნობით ჭირს არ ებრძვის, მეტ-ნაკლებობისაგან დახსნას თვით არ ეტანება, თავის სვე-ბედსა თვითონ არ იურვებს, _ იგი ტვირთია, იგი მეტი ბარგია ამ ქვეყნიერობაზედ. კაცს თუ საზოგადოებას არა ეძლევა-რა ამ წუთისოფელში უშრომელად, გაურჯელად." *("ტფილისის ქართული საადგილმამულო ბანკის მორიგი კრების გამო". 1886 წ. 12 მაისი).*

"მარტო იგი შრომაა, იგი გარჯაა ნაყოფიერი, რომლის საძირკველიც ანუ სათავე საკუთარი თაოსნობაა, და ძალ-ღონე კიდევ საკუთარი მარჯვენა." *("ტფილისის ქართული საადგილმამულო ბანკის მორიგი კრების გამო". 1886 წ. 12 მაისი).*

"არამცთუ საზოგადო საქმეში, კერძო კაცის ცალკე ცხოვრებასაც რომ დავაკვირდეთ, ვნახავთ რომ არსებობისათვის ბრძოლასა და ჭიდილში მარტო იგია გამარჯვებული, ვინც თვით არის საქმის თაოსანი, საქმის ამჩენი და საქმის მომქმედიცა, ვინც თავისთავზეა მარტო დანდობილი და თავის საკუთარ მხნეობას და გარჯას ჰსახავს წყაროდ თავისის ცხოვრების განკარგებისა და წინ წაწევისად." *("ტფილისის ქართული საადგილმამულო ბანკის მორიგი კრების გამო". 1886 წ. 12 მაისი).*

"ეს თვითმოქმედება, ეს თვით თვისით საქმის აჩენა, გაძღოლა და გატანა, რაკი ერთხელ აღფრთოვანდება და დაიძვრის, რაკი ერთხელ შაებმის ხოლმე ცხოვრების უღელში, მისი გამარჯვება, ძლევამოსილობით სვლა უეჭველია." *("ტფილისის ქართული საადგილმამულო ბანკის მორიგი კრების გამო". 1886 წ. 12 მაისი).*

"მართალია, ეს თვითმოქმედება ხანდისხან ათასნაირ მოსალოდნელ და მოულოდნელ მიზეზთაგან შეფერხდება ხოლმე, მაგრამ ბოლოს-კი მაინც თავისას გაიტანს და ამაშია მისი სიკეთე და ღირსებაცა." *("ტფილისის ქართული საადგილმამულო ბანკის მორიგი კრების გამო". 1886 წ. 12 მაისი).*

"საითაც უნდა მიიხედოთ, რომელი ქვეყანაც გინდათ გასინჯოთ, ყველგან ერთს უცილობელს ჭეშმარიტებას დაინახავთ: იგი ქვეყანაა უფრო ბედნიერი, უფრო ღონიერი სულითა და ხორცით, რომელსაც თვითმოქმედება გაძლიერებული აქვს და ყოველის მოძრაობის სათავედ შეჰქმნია." *("ტფილისის ქართული საადგილმამულო ბანკის მორიგი კრების გამო". 1886 წ. 12 მაისი).*

"პირიქით, საცა ეგ თვითმოქმედება გაღვიძებული არ არის, იქ კერძო კაციც ცალკე და საზოგადოებაც საერთოდ ფერმკრთალია, უღონო და ცოცხალ-მკვდარი." *("ტფილისის ქართული საადგილმამულო ბანკის მორიგი კრების გამო". 1886 წ. 12 მაისი).*

- **თვითმოქმედება სკოლაც არის ყოველი მოზარდისათვის**

"თვითმოქმედებას არამცთუ მარტო პირდაპირი სარგებლობა მოაქვს ხორცისათვის, ამასთან იგი იმისთანა სკოლაც არის, საცა იწურთნება ყოველი მოზარდი, იზრდება ახალი თაობა, საცა მოზარდისა, ახალის თაობის ძალ-ღონეს ნაჭედის სიმტკიცე და სიმაგრე ეძლევა, როგორც რკინას სამჭედურში. ამ მხრით თვითმოქმედება ცალკე კაცისა, თუ საზოგადოებისა, უებრო რამ არის და ვერაფერი ვერ აღემატება, მაგიერობას ვერაფერი ვერ გაუწევს კაცს არსად და არასდროს." *("ტფილისის ქართული საადგილმამულო ბანკის მორიგი კრების გამო". 1886 წ. 12 მაისი).*

"ერთი ამისთანა ნაყოფი თვითმოქმედებისა ტფილისის და ქუთაისის ბანკებია და მათის შემწეობით დაარსებული სათავად-აზნაურო სკოლები. იგი ჩვენის საკუთარის თაოსნობით არიან დაარსებულნი და ჩვენის საკუთარის ძალ-ღონით წარმართულნი." *("ტფილისის ქართული საადგილმამულო ბანკის მორიგი კრების გამო". 1886 წ. 12 მაისი).*

"იქნება ბევრმა ნამეტანობა და გადამეტება შეგვწამოს, მაგრამ ჩვენ-კი მაინც ამას ვიტყვით, რომ ბანკებსაც და მათის მეოხებით არსებულ სკოლებსა დიდი სასიკეთო მნიშვნელობა აქვს ჩვენთვის იმ მხრით, რომ იგინი ჩვენის თვითმოქმედების შვილნი არიან, ჩვენის თვითმოქმედების ძუძუთი იზრდებიან და იკვებებიან." *("ტფილისის ქართული საადგილმამულო ბანკის მორიგი კრების გამო". 1886 წ. 12 მაისი).*

"თაოსნობა სწავლის გავრცელებისათვის ხალხში თითონ ხალხმა იტვირთა. ამაში ჩვენ ვხედავთ მომავლისათვის ბევრს სანუგეშოს. *("შინაური მიმოხილვა". 1879 წ. იანვარი).*

"დიდი საქმეა, როცა თითონ ხალხი ცდილობს თავისი-თავი გაიტანოს. დღე-და-დღე გვესმის, რომ ჩვენი ხალხი, ნამეტნავად ტფილისის გუბერნიაში, იღვწის შკოლების დამართვისათვის, ყოველ-დღე ისმის, რომ აქ და აქ გამართეს შკოლაო; დღე-და-დღე ეგ თვითმოქმედება მატულობს და იმატებს კიდეც, თუ ხელს არ შეუშლიან". *("შინაური მიმოხილვა". 1879 წ. იანვარი).*

"ჩვენმა საზოგადოებამ, სწორე მოგახსენოთ, ვერაფერი სახელი დაიმკვიდრა შესახებ თაოსნობისა, გამჭრიახობისა, თვითმოქმედობისა და სხვა." *("შინაური მიმოხილვა". 1879 წ. აპრილი).*

"ჩვენს ვინაობას ჩვენს ცხოვრებაში უსათუოდ გზა უნდა მიეცეს და ამაზედ თავად-აზნაურთა კრებამ თავისი ხმა უნდა ამოიღოს, ხმა კანონიერი, დინჯი, დარბაისლური და მშვიდობიანი. უამისოდ წარმატების გზა შეღობილია. ესეთი ყოფა წარმატების გზისა ერთნაირად საგრძნობელია ყველასათვის. ამ ერთს ტაფაში თავადიც იწვის, აზნაურიც, მღვდელიც და ერიც. თუ განზრახულმა ცვლილებამ ჩვენს ვინაობას არ მოხედა, თუ გვერდზედ აუარა, ამისი ბრალი ჩვენ დაგვედება, და მაშინ ნურც მთავრობას დავემდურებით და ნურც ბედსა." *("შინაური მიმოხილვა". 1882 წ. მარტი).*

"აგენტების დანიშვნას და ყოველს სხვა მოქმედებას წერა-კითხვის საზოგადოებისას წინ უნდა უძღოდეს ზრუნვა და ცდა მასზედ, რომ თვითმოქმედებამ ერისამ ყოველს კუთხეში ფეხი აიდგას განათლების გავრცელებისათვის, და ეგ თვითმოქმედება იქმნას იმ ხნულად, საიდამაც უნდა აღმოცენდეს სწავლა-განათლება და სადაც ძირი უნდა გაიკეთოს ყოველმა საზოგადოებამ საერთოდ და წერა-კითხვისამ კიდევ სახელდობრ." *("შინაური მიმოხილვა". 1883 წ. ნოემბერი).*

“წარსულმა წელმა ბევრი რამ უანდერძა ამ ახალს წელიწადს. ეგ წარსული წელი კარგა მსხმოიარე წელიწადი იყო ჩვენი ჭკუა-გონების და გულის სამოქმედოდ დაძვრისათვის და თუმცა თითონ ვერა მოიმკო-რა, მაგრამ იმითაც სადიდებელია, რომ მოსავალი მოთესა, მოიყვანა და ახალ წელიწადს დაულოცა: აი მოვხან-მოვთესე, შენ მომკე და შეირგეო, ეხლა შენ იცი და შენმა გამრჯელობამაო, მე-კი გეთხოვები სამუდამოდ და დასასრულ გეუბნები: რაც შევიძელ, იგი ვქმენო!”

“მართალიც არის: რაც შეძლო, იგი ჰქმნა, და ამასაც ვიტყვით, _ ამისთანა საქმიანი წელიწადი ბევრი არ ჩამოითვლება ამ ოთხმოც-და-ათის წლის მანძილზე. რა ჰქმნა ასეთი ამ განვლილმა წელიწადმაო, იკითხავს მკითხველი. ისა ჰქმნა, რომ ორი დიდი ძალა წამოაყენა ფეხზე ჩვენში, იმისთანა ძალა, ურომლისოდაც წარმატება ერისა, მისი წინსვლა, მისი ბედნიერება, ჯანმრთელობა, დღეგრძელობა, ღონიერობა _ შეუძლებელია და წარმოუდგენელი. ერთს ეძახიან ძალას თვითმოქმედებისას და მეორეს _ თავის-თავის იმედისას.” *(“შინაური მიმოხილვა 1892 წლისა”. 1893 წ. 1 იანვარი).*

“დიაღ, ჩვენი ქვეყანა, ჩვენი ერი მიხვდა, რომ ღვთის მიმართ ხელთ-აპყრობა, ლოცვა და ვედრება კარგია, მაგრამ თითონ ღმერთს მარტო თვითგამრჯელი, თვითმომქმედი, ხელგამომავალი კაცი უყვარს და ამისთანა კაცსა ჰშველის, ამისთანა კაცსა სწყალობს. მიხვდა, რომ ამა ქვეყნის სუფრაზე ადგილი აქვს მარტო იმას, ვინც დამყარებულია თავის საკუთარ მხნეობაზედ, თავის საკუთარ მარჯვენაზედ და ვინც თავის-თავის იმედით ჰგულოვნობს, ვინც თავის-თავის იმედით ომობს და იბრძვის ამ წუთისოფელში _ არსებობისა და საპატიო ადგილის დაჭერისათვის. მე თუ თითონ არა ვარ ჩემის ქვეყნისათვის, ჩემის თავისათვისაო, სხვა უფრო არ იქნებაო, _ ამ აზრმა თავი იჩინა საყოველთაო დასანახავად უფრო წარსულ წელს, ვიდრე სხვა დროს როდისმე.” *(“შინაური მიმოხილვა 1892 წლისა”. 1893 წ. 1 იანვარი).*

“ამ თვითმოქმედებით და თავის-თავის იმედით დაწყებულ საქმეთა ზოგიერთი მაგალითები წინა-წლების მეოხებითაც თვალ-წინა გვაქვს. ჩვენი ბანკები, ჩვენი საზოგადოებანი _ წერა-კითხვის გამავრცელებელი, დრამატიული, ღარიბთა მოსწავლეთა შემწეობისათვის, ჩვენი სკოლები, ქართველთა წიგნთა გამომცემელი ამხანაგობა, _ ყოველივე ესენი ერთად და თვითოეულად ცალკე ჩვენის თვითმოქმედების, თავის-თავის იმედის შვილები არიან და, როგორც ვხედავთ, თუმცა ტაატით, მაგრამ მაინც ძლიერდებიან და მატებით წინ მიდიან დღითი-დღე ჩვენდა სასიხარულოდ და სანუგეშოდ. ყოველივე ეს მომხდარია ამ ოცს წელიწადში თითოობით, ხანდაზმობით, დროგამოშვებით, კანტი-კუნტად, ხოლო წარსულმა წელიწადმა ერთბაშად მოგვიხნა და მოგვითესა უშველებელი ნაყოფიერი და ნოყიერი დიდი მინდორი საეკონომიო მოქმედებისა, აქამდე უქმად დებული, დაუძრავი და ჩვენ მიერ თითქმის ხელუხლებელი.” *(“შინაური მიმოხილვა 1892 წლისა”. 1893 წ. 1 იანვარი).*

- **თვითმოქმედებას სულის, ჭკუისა და გონების გაძლიერებასთან ერთად უნდა მოსდევდეს ქონების, ჯიბის გაძლიერებაც**

“მომწიფდა ჩვენში ის აზრი, რომ სულიერ ღონესთან ერთად უნდა ვლიდეს ღონე ხორციელიც, რომ სულის, ჭკუისა და გონების გაძლიერებას მხარ-და მხარ უნდა მოსდევდეს ქონებისა, ჯიბის გაძლიერებაცა, რომ ერი და ქვეყანა, რომელთაც ან ერთი აკლია, ან მეორე, ცალფეხა კაცსა ჰგავს, და როგორც ცალ-ფეხა კაცი შორს მანძილს საჭირო

სიმალით ვერ გაივლის, ისეც ერი, ქვეყანა, ვერას გახდება, თუ თავის წარმატების საყევარში ეს ორი უღლადი, ყოვლთ-შემძლებელი ძალ-ღონე არ ეყოლება შებმული ერთად და განუყრელად." *("შინაური მიმოხილვა 1892 წლისა". 1893 წ. 1 იანვარი).*

"ეს ვიგრძენით, ეს ვიცანით. ამას მივხვდით ჩვენ, და წარსულმა წელიწადმა დაგვიმტკიცა, რომ ჩვენ ამასთან გამჭრელი თვალიცა გვქონია საქმის დასანახავად, გონებაც _ გამოსარჩევად, ხელიც _ მისაწვდენად და მარჯვენაც _ საკეთებლად. დავიწყოთ იქიდამ, რომ ამ გრძნობით, ცნობით და მიხვედრით ფრთა-ასხმულებმა შარშან შეადგინეს ერთი პატარა, ჯერ-ხანად ჩუმი, ხმაამოუღებელი, მშვიდობიანი "სახლების ამშენებელი ამხანაგობა", რომელსაც საგნად დაუდვია ერთი-ერთმანეთის მიშველებით, ერთი-ერთმანეთის შემწეობით თავის წევრთ სახლები უშენოს ქალაქში. ეს ამხანაგობა არ შობილა ბუკითა და ნაღარითა, არა ჰყვირის ჩხავანა კატასავითა _ ქვეყნის მხსნელი მე ვარო, მაგრამ ჰსაქმობს კი ჩუმად, დაუღალავად, და თავდებობაც მისის გაძლიერებისა, განდიდებისა, ამ თითქმის კდემით-მოსილს მოქმედებაშია. ვიმედოვნებთ, რომ იგი, ეხლა თვალად პატარა, თავის დროზე დიდ საქმედ გადიქცევა და ჯეროვანს ყურადღებას დაიმსახურებს ჩვენში." *("შინაური მიმოხილვა 1892 წლისა". 1893 წ. 1 იანვარი).*

"შარშანვე დაიძრა მედგრად და ჰლამის განხორციელებას ღვინის საქმე ჩვენში. ვენახების პატრონებმა კახეთში დაინახეს, რომ ჩვენებურ ღვინოს ღირსეული მერმისი მოელის; რომ თუ თვითონვე არ მოჰკიდებენ ამ დიდს საქმეს ხელს, ეს ძვირფასი სავაჭრო საქონელი ჯერ ჰფოლდება ღირსებით და აბრუ უტყდება, რადგანაც ვაჭარნი აფუჭებენ, და მერე აკლდება ფასი, რადგანაც, რადგან ბაზარი არა აქვს, და საცა აქვს _ იქაც გამორჩომა ვაჭარსა რჩება და არა ვენახის პატრონს, რომელსაც დიდის ლუკმისაგან არგუნებენ ხოლმე ნასუფრალს ვაჭრობისას, ძლივ-ძლივ საკმარის ვენახისავე სახარჯოდ. დაინახეს, რომ ამ გზით თვისის ოფლის ნაამაგარით სხვას ამდიდრებენ და თითონ-კი ჰღარიბდებიან, დაიძრა აზრი ამ უნუგეშო ყოფისაგან გამოსახსნელად. ჰფიქრობენ, მოქმედობენ, ირჯებიან, რომ ამ სატკივარს ჯეროვანი წამალი მოუპოვონ და იმედია, რომ მეცადინეობა ამ შემთხვევაში უქმად არ ჩაუვლით." *("შინაური მიმოხილვა 1892 წლისა". 1893 წ. 1 იანვარი).*

"საქმე ის არის, რომ გაჭირვება ნაგრძნობია საერთოდ და საყოველთაოდ, და ქართველს ოღონდ გაჭირვება უჩვენე და გაქცევას თითონ მოახერხებს, ღვთისა და ქვეყნის წყალობითა." *("შინაური მიმოხილვა 1892 წლისა". 1893 წ. 1 იანვარი).*

"წარსულ წელსვე უნდა მადლობა ვუთხრათ, რომ ჩვენი თავად-აზნაურობა სხვა მხრითაც გამოაფხიზლა და მიახვედრა იმ აზრს, რომ ჩემს ქვეყანაში ყოველივე საქმე უფრო უპრიანია ჩემ ხელთ იყოს, ვიდრე სხვის ხელშიო; თუ რამ გაკეთდეს, ჩემის ხელით გაკეთდესო, და თუ გამორჩომაა რამე, მე გამოვრჩე, სხვის გამორჩომასაო. აქამომდე ამ-გვარ საქმეებისათვის ჩვენ მიძინებულნი ვიყავით, ჩვენის ქვეყნის სიკეთით სხვანი ხეირობდნენ, ჩვენის ქვეყნის საქმეებისაგან სხვანი მდიდრდებოდნენ და, თუ ლუკმა გავარდეს, ისევ ჯამში ჩავარდეს, ის არა სჯობიაო? კახეთის რკინის-გზა ერთი ამისთანა ლუკმაა. თავად-აზნაურობა ამით გაიჩენს ერთს მდიდარს წყაროს, ერთს უეჭველს ღონეს გამოკეთებისას, მოჯობინებისას თავის-თავისა და ქვეყნის წარმატების გზაზე. ეს ისეთი საქმეა, რომ ამის ხელიდამ გაშვება ერთი შეუნდობარი ცოდვა და დანაშაულობა იქნება წინაშე ქვეყნისა საერთოდ და თვითოეულისა ცალკე. თავად-აზნაურობამ თავის სასახელოდ სწორედ ამ თვალით შეხედა ამ საქმეს და საგანგებო კრებამ საგუბერნიო

თავად-აზნაურობისამ ეს საქმე თვის საკუთარ საქმედ იცნო და დაადგინა, მაგ საქმეში ჩვენ უნდა ჩავებნეთ და არავინ სხვაო." *("შინაური მიმოხილვა 1892 წლისა". 1893 წ. 1 იანვარი).*

"არც გლეხობა დარჩა შარშან უიმისოდ, რომ არ დაძრულიყო თავის სახსნელად და წარსამატებლად. იგიც დაადგა ამ ყოვლად-მხსნელს და ყოვლად-შემძლებელს თვითმოქმედების გზას და ძირს დადებულს შვილდს თავისთავის იმედისას დასწვდა თავის ძლიერის ხელით ასაღებად. გლეხკაცობამაც იგრძნო, რომ სხვის ხელში ყურება არაფერი თამასუქია; რომ თვის სატკივარს თითონვე უნდა უწამლოს, თავის-თავს თითონვე უნდა უშველოს. ამისათვის გაიწერა თავის ნებაყოფლობით პური, რომელიც ფულად უნდა იქცეს ფული მოხმარდეს მიწათმოქმედების განკარგებას, გაძლიერებას, იმ გზით, რა გზითაც თითონ დაინახავს საჭიროდ. დღეს-აქამომდე ტფილისის გუბერნიის გლეხკაცობას ნახევარ მილიონზე მეტი აქვს პური თუ ფული ამ საქმისათვის მოგროვებული." *("შინაური მიმოხილვა 1892 წლისა". 1893 წ. 1 იანვარი).*

"აი, სხვათა შორის, რა საქმეები დასთესა წარსულმა წელიწადმა ჩვენში და რა საქმეები უანდერძა ახალსა. ღმერთმა ჰქმნას, რომ ეს ახალი წელიწადი კვლავ ისე პირნათლად გამოგვეთხოვოს, როგორც პირნათლად წარსული გამოგვემშვიდობა, და ყოველს ამისთანა საქმეს იმისთანა კაცები შეახვედროს, რომ ჩვენ, იმ კაცების ღვაწლის მნახველთა, თავი მოვიწონოთ ქვეყნის წინაშე და ვსთქვათ თამამად: ჩვენც კაცნი ვართ და არა-რა კაცებური არ გვეუცხოების." *("შინაური მიმოხილვა 1892 წლისა". 1893 წ. 1 იანვარი).*

"ღმერთმა ჰქმნას, რომ ეს ასე მოხდეს, და მოხდება კიდეც, თუ არ დავივიწყებთ, რომ თვითოეული ჩვენგანი, _ გლეხია, თავადი, აზნაური, ქალია თუ კაცი, _ სულ ყველანი ერთად ქართველები ვართ, ჭირსა და ლხინში განუყრელნი და განუყოფელნი. ამიტომაც სიკეთისათვის ბრძოლაში თვითოეულს ჩვენგანს ყველანი ერთნაირად უნდა ახსოვდეს, რათა გარჯით და ბრძოლით მოპოებულ სიკეთისაგან ყველას თავისი წილი ერგოს უნაკლულოდ. მარტო ამ საერთო სიყვარულით გამსჭვალული კაცია უძლეველი და გამარჯვებული. ღმერთიც ამისთანა კაცსა სწყალობს და ქვეყანაც ამისთანა კაცის სახელს ჰლოცულობს, რადგან საქვეყნო საქმე მარტო ამისთანა კაცებისაგან ჰრიგდება და კეთდება." *("შინაური მიმოხილვა 1892 წლისა". 1893 წ. 1 იანვარი).*

3.2.3. ქართველი გლეხი კაცი: მშრომელი, ქვეყნის სიმდიდრის შემქმნელი, გვირისტით ნაკერი

- **ჩვენ, გლეხებმა, დღედაღამ ოფლი უნდა ვიწუროთ და პური ისე ვჭამოთ**

"ჩვენ გლეხკაცებს გვეძახიან, დღედაღამ ოფლი უნდა ვიწუროთ და პური ისე ვჭამოთ. ღმერთს ეგრე უბრძანებია: "ოფლითა თქვენითა მოიპოვეთ პური თქვენიო". ეს ღვთის ბრძანება მარტო ჩვენ დაგვაწვა კისერზედ და ვეწევით კიდეც. წიგნი რა ჩვენი საქმეა? ის ჩვენ დამშეულ კუჭს ვერ გაგვიძღობს. ჩვენი წიგნი დედამიწაა, ვენაცვალე იმის მადლს! როცა დედამიწას მწვანე ხავერდისავით ჯეჯილის ყდა გადაეკვრება, მაშინ იმაზედა ვკითხულობთ ჩვენს ბედსაცა. ჩვენი კალამი დაუღალავი გუთანია, მელანი კიდევ გულ-ღვიძლიდამ გამოწურული ჩვენი ოფლია. ამოვაწებთ ოფლში გუთანსა, გადვუხსნით ხოლმე დედამიწას მადლიან გულსა, ჩავაყრით შიგ თესლსა, როცა დრო მოვა, მივალთ და ისე დალოცვილი მიწა თავის დღეში არ დაიღლება, ისე არ გაძუნწდება,

რომ მიბარებულები ერთიორად მაინც არ დაგვიბრუნოს. ტყუილად კი არ ეძახიან მიწას "დედაო", ის გვაწოვებს ჩვენ ძუძუსა, იმას დავხარით დღედაღამ, ჩვენი ჭირიც და ლხინიც ის არის." *("გლახის ნაამბობი". 1859, 1862-1873 წწ.).*

"გლეხკაცი ღარიბობით არ დაიწუნება. ქვეყანა ღონიერია, მარტო ერთი მკლავის გაქნევა უნდა, თავს ყველა დაირჩენს." *("გლახის ნაამბობი". 1859, 1862-1873 წწ.).*

"კოხტად და ფაქიზად ჩაცმა-დახურვა უყვარდა. იმისი ყაითნებით მორთული საცვეთები, ჭრელი წინდები და ლამაზად გაწყობილი ფეხზედ ქალამანი რომ გენახათ, მაშინ დაიჯერებდით, რომ ჩვენებურ გლეხის ფეხსაცმელსაც თავისი სიტურფე და სილამაზე აქვს." (*"ოთარაანთ ქვრივი". [1886] – 6 ქრისტეშობისთთვეს 1887 წელსა).*

"მუშაობაში ხომ მთელს სოფელში ამას სწორი არა ჰყვანდა თითქმის.

_ ერთი გიორგის ხელეური მთელ ძნად შეიკვრისო, _ ამბობდნენ გლეხკაცები: _ ბარს დაჰკრავს, ბარს, ასე გგონია დედამიწა უნდა შუაგულამდე ჩაანგრიოსო. მარტოხელი ძნის ურემს დაუდებს და შინ მოიტანსო. რაკი საქმეს დაადგება, ზედ შეელევა, მინამ თვითონ საქმეს არ შეჰლევსო. საქმის გულით ამყოლია და ბოლომდე გამტანიო." (*"ოთარაანთ ქვრივი". [1886] – 6 ქრისტეშობისთთვეს 1887 წელსა).*

"არამია შენთვის ჯამაგირი. ვთქვათ, პატრონს ატყუებ და ატყუებ, ე პირუტყვი მაინც არ გენანება, ქრისტიანი არა ხარ, მაგათი ცოდო მაინც არა გწვავს!.." (*"ოთარაანთ ქვრივი". [1886] – 6 ქრისტეშობისთთვეს 1887 წელსა).*

"მე გლეხკაცს გუშინდელ ბალღსავით კი არ შევხარი ანგელოზია-მეთქი, მე ვსინჯავ, მე ვჩხრეკავ და, როგორც ჭკვადამჯდარი მგლოვიარე, დავტირი ჩემს დაკარგულს ნახევარსა. ის ჩემგან მოკვეთილი ნახევარია. მე _ იმისგან. მე დაკარგული მენანება, მებრალება და არ მემართლება კი. გლეხი უწმინდურია თავისი ტყაპუჭით კი არა, ზოგჯერ თავის გულითაც. ჩვენ კი უკეთესნი ვართ? ამ წმინდა და უმტვერო თოვლსავით სპეტაკ პერანგქვეშ განა ჩვენ იმაზედ მეტნი ვართ? ისინი მენანებიან, მებრალებიან-მეთქი, მე კი ჩემი თავი მძაგს და მეზიზღება. არა, ნახევარ კაცად, ნახევარ გულით ცხოვრება სიკვდილია, კდომაა..." (*"ოთარაანთ ქვრივი". [1886] – 6 ქრისტეშობისთთვეს 1887 წელსა).*

- **ისინი, შექმნილნი, გვირისტით ნაკერნი არიან. მათი სიმღერა ერთი გაბმული კვნესაა, მაგრამ მაინც სიმღერას ეძახიან**

"შენ ის ცოცხალი ნახევარი გავიწყდება, რომელიც შერჩენილი გვაქვს. განსხვავება აქ არის. ჩვენ რაცა ვართ, გაკეთებულნი ვართ, ისინი კი _ შექმნილნი. ჩვენ დაბლანდულნი ვართ, ისინი კი გვირისტით შეკერილნი, იმ გვირისტით, რომელიც მარტო ბუნებამ იცის და ბუნება, ხომ იცი, რა ოსტატია. ისინი ჩაკირულნი არიან, ჩვენ _ დონდლონი, დუნენი. აბა იმათს სიმღერას უყურე: ერთი გძელი კვნესაა და მაინც სიმღერას ეძახიან. ჩვენი სიმღერა კვნესა არ არის და მაინც ლხენა ვერ დაგვირქმევია. გახსოვს, რა გვითხრა პაატამ, როცა ჩვენთან ქალაქში ჩამოვიდა იმ საშინელს თოვლჭყაპში სამის მანეთის სათხოვნელად და მე გავეხუმრე:

_ ბიჭო, სამის მანეთისათვის ამ სიშორედ როგორ წამოხვედი-მეთქი ამ ვაი-ვაგლახში! _ "ი, ბატონო, თქვენ რა იცით, ხურმა რა ხილიაო, _ მითხრა უზრდელობით და არა წყენისათვის: _ აქედამ რომ მივალ, ნაჯაფევი, გზისაგან გალახული, თოვლჭყაპისაგან გაწუწულ-გალაფული და ჩემს დამონძებულ საბანში ცახცახით გავეხვევი და მივეგდები,

რა ტკბილად დამეძინებაო, თქვენ ისე თავის დღეში ვერ დაიძინებთო". იმათთვის ძილი მართალი მოსვენებაა, მართალი აღდგენაა დახარჯულის ღონისა, ჩვენთვის კი ნებივრობაა, ღონის გასიებაა, დამძიმებაა, წყალმანკია, იმიტომ რომ ჩვენი ღვიძილიც ძილია. იმათი ცოცხალი ნახევარი, ავად თუ კარგად, მაინც ჰსაქმობს, და ჩვენი კი უქმია. საქმეა სიცოცხლე... ეს არის იმათი კარგი და ამითი გვჯობნიან..." (*"ოთარაანთ ქვრივი". [1886] – 6 ქრისტეშობისთთვეს 1887 წელსა).*

"ადამიანს ადამიანობა უნდა ემჩნეოდეს. აქ არის თავი და ბოლო ქება-დიდებისა.

_ მაგით რა უნდა სთქვა?

_ ის, რომ ადამიანობით ისინი ჩვენზედ უარესნი არიან. გლეხკაცისთანა ხარბს, გლეხკაცისთანა გაუტანელს, გლეხკაცისთანა შეუბრალებელს და უმადურს ძნელად თუ ჰნახავ სადმე, მაშინაც კი, როცა თავის მომმე გლეხს ვიწროში მოატანს: დაარჩობს, მიწასთან გაასწორებს. სხვას ვიღა ჩივის...

_ მჯერა, თითო-ოროლა ეგეები მეც ჩემის თვალით მინახავს, ჩემის ყურით გამიგონია. მაგრამ ცხოვრება მაინც იმათშია: იქა ჰდუღს ძარღვებში მოარული სისხლი, იქა სცემს თვითონ სიცოცხლის ძარღვიცა. რაც სთქვი, ეგ ჭუჭყია, ქაფია მდუღარე ცხოვრებისა, თავზედ მოგდებული, ძირში კი წმინდაა. მაშ რა სწნავს იმისთანა კაცურ კაცს, როგორიც გიორგი იყო, ან იმისთანა დედაკაცს, როგორიც ოთარაანთ ქვრივია? მაგისთანა პური მარტო იმათს თონეში-ღა ჰცხვება, ჩვენი თორნე კი მარტო ჩვენისთანა კუტ პურს აცხობს. დღესაც ვერ გამომირკვევია, რა მოგვეჩვენა გიორგის სახით?.. ჩვენ ხედვად და სმენადაც უღონონი ვართ და იქ კი... იქ კი რამოდენა ღონე ყოფილა შექმნისა." (*"ოთარაანთ ქვრივი". [1886] – 6 ქრისტეშობისთთვეს 1887 წელსა).*

"ერთი ამათგანი იყო კარგა ხნიერი, დარბაისელი გლეხკაცი, რომელიც პირველ დანახვაშივე მიგიზიდამთ, გაგიკადნიერდებათ, მაგრამ არც ერთის უზრდელ სიტყვით თუ ქცევით არ გადავა ზრდილობის წრესა. ამისთანა გლეხკაცნი მრავალნი არიან ჩვენ დაბალ ხალხში." ("*კოლა". 1858 წ.).*

"მართლა, რომ ეს წუთისოფელი სიზმარი ყოფილა. თითქო გუშინ გხედამდი შენცა და ბატონსაცა უწვერულვაშოდ, დღეს კი... რვა წელიწადი!.. რვა ბელტს ვერ გადმოაბრუნებს კაი გუთნისდედა ისე ჩქარა, როგორც ჩქარა ეს დრო გაგვეპარა ხელიდამ. სიზმარია, მა რა არის წუთისოფელი." ("*კოლა." 1858 წ.).*

"თავადისშვილი სადაც უნდა იყოს, ყველგან შეეჩვევა და ყველას შეიჩვევს, ჩვენ გლეხკაცები კი უცხოობაში ვერ გავძლებთ. აი ეხლა მე ქალაქში რო ჩავალ ხოლმე _ ხომ ჩვენი ქვეყანაა და ჩვენი ხალხი _ მაგრამ მაინც გული ვერ მიძლევს, სულ შინისაკენ მიმიწევს." ("*კოლა". 1858 წ.).*

"ხომ გაგიგონია, ძალა აღმართსა ხნამსო." ("*კოლა". 1858 წ.).*

"კაი ბატონის ხელში სიკვდილი გვირჩევნია ავის ხელში სიცოცხლესა." ("*კოლა". 1858 წ.).*

- **ვის უნდა ეძახოდნენ "ჩვენიანს"?**

"ერი, თუ საზოგადოება, მარტო იმას უნდა ეძახოდეს "ჩვენგანს", ვისაც რაიმე ღვაწლი მიუძღვის სიტყვით, თუ საქმით და თუ ეს ღვაწლი გაბრწყინვალებულია, შუქ-შესხმულია მადლითა. აქ სულ ერთია, თქმაა ეს ღვაწლი, თუ ქმნაა, იმიტომ, რომ ზოგჯერ

თქმა ქმნა არის. დიახ, მქმნელია იგი მთქმელიცა, რომელსაც განწმენდილნი აქვს "თვალნი ზე ზეცისა და ქვე ქვეყნისა საიდუმლოთა მხედველად, ყურნი _ ზესკნელისა და ქვესკნელისა უცნაურთა ხმათა მსმენელად, ხელნი _ ცისა და ქვეყნის მაჯისცემის შემტყობად და ენა _ ყოველ ამის აღმომთქმელად და მთარგმნელად." *("იოსებ დავითაშვილის გარდაცვალების გამო". 1887 წ.).*

"გლეხი-კაცი, იგი მდაბიო _ და მით უფრო მაღალი, რომ მდაბიოა." *("იოსებ დავითაშვილის გარდაცვალების გამო". 1887 წ.).*

"ნუ გეგონოთ, რომ მას ჰშურდეს ვისი რამე, ვისი რასმე სიხარბით შეჰნატროდეს, ვისი რამე უნდოდეს, სხვისაზე რაზედმე ხელი ეტანებოდეს, გული უთქმიდეს. არა; ყოველს ამაზედ იგი მაღლა სდგას, ამაში სჭღერს დიდი სიმი ეროვნებისა და აქა სცემს უბოროტო ძარღვი ჩვენის ერის უბოროტო გულისა." *("იოსებ დავითაშვილის გარდაცვალების გამო". 1887 წ.).*

"ჩვენ მხოლოდ გვებრალებიან, რომ მთელი არსება მოშხამული აქვთ შურის და მტრობის შხამითა. ჩვენ იმითი უფრო გვებრალებიან ეს წამხდარი ხალხი, რომ ბევრი მათგანი ხარისხით, თუ მგდომარეობით, წინწასულები არიან; ჩვენ ურჩევთ იმათ მედიდურებას და გლახა-ამპარტავნობას, რომ თუ თითონ არ ესმით ეს, პატარა დაიხარონ თავიანთი მოუდრეკელი თავი და უბრალო გლეხ-კაცს მაინც დაუგდონ ყური და მისგან ისწავლონ და აიხილონ დაბრმავებული თვალები. "შვილი მტრულად გაზარდეო, რომ მოყვრულად გამოგადგესო", ნათქვამია გლეხთაგან. როგორც მტერშია დაუნდობელად შენიშნავ ნაკლულოვანებასა და მკაცრადა სდევ, ისე შვილშიაც უნდაო, რომ მოყვრულად გამოგვადგესო, ამბობს ხოლმე ჩვენი გლეხკაცის გაუნათლებელი ჭკვა, რომელიც უკეთესია ბევრ ცრუ სხივით განათლებულ და ეპოლეტებიან ჭკვაზედა. სჩანს, რომ შეიძლება კაცს უყვარდეს კაცი და მტერსავით კი მოეკიდოს, როცა მასში სიცუდეს შენიშნავს." *(""ცისკარი" 1857 წლიდან 1862 წლამდინა". 1862 წ.).*

- **ჩვენი გლეხის მიდრეკილება მამულის სყიდვისადმი ძლიერი და დაუძინებელია**

"რომ ჩვენი გლეხის მიდრეკილება მამულის სყიდვასადმი ძლიერი და დაუძინებელია, _ ამის დასამტკიცებლად მოვიყვანთ სამს თვალსაჩინოს, უცილოს მაგალითსა:

1. ჩვენებური გლეხი, რაკი მამულის სასყიდლად გაიწევს, მას არა ფასი არ აშინებს, უკან არ დაახევინებს. და მის გამო, რასაც გლხი იმეტებს მამულის სასყიდელად, იმოდენას თავის-დღეში სხვა კაცი ვერ გაიმეტებს. ფასის აღმატებაში გლეხს სხვა კაცი წინ ვერ წაუვა და ვერ შეეცილება. ეს ყველასაგან ცნობილია. ჩვენ იმისთანა მაგალითიც ვიცით, რომ ასს საჟენს სოფლის ცარიელს მიწაში გლეხს ოცი თუმანი მიეცეს. ვსთქვათ, რომ ეს მხოლოობითი შემთხვევაა, მაგრამ მაინც ყველამ იცის, რომ ჩვენებური გლეხი, რაკი ღონისძიებას ხელთ იგდებს, გიჟურის ფასის მძლეველია. ცხადია, რომ ესე გულუხვად ფასის გამომეტება განსაკუთრებით გლეხის მიდრეკილებისაგან არის წარმომდგარი, და აქ სხვა რაიმე ეკონომიური მოსაზრება და ანგარიში არ მოქმედობს.

2. აუარებელი ნასყიდობის ქაღალდები წარმოადგინა ჩვენმა ნაყმევ გლეხობამა საგლეხო სასამართლოში დასამტკიცებლად იმ მამულების თაობაზედ, რომელნიც ჯერ კიდევ ბატონ-ყმობის გადავარდნის უწინ ეყიდნათ; ესე იგი მაშინ, როცა გლეხების საკუთარი და ამგვარად შეძენილი მამულიც ბატონის ნებაზედ იყო მინებებული და

ბატონის საკუთრებად ითვლებოდა, ჩვეულებით თუ არა, კანონით მაინცა, და როცა კანონი გლეხს საკუთრების სიმტკიცისათვის მფარველობას არც ჰპირდებოდა და არც უწევდა. რა ძლიერი მიდრეკილება უნდა ჰქონოდა, რომ ამგვარის წყობილების წინაშე გლეხი მამულის სყიდვაში მაინც უკან არ იხევდა და მაინც მამულს ყიდულობდა.

3. მარტო ქუთაისის გუბერნიაში, საცა გლეხობა ყველას უფრო ღარიბად მიგვაჩნია, ბატონ-ყმობის გადავარდნის შემდეგ რვა ათას სამოცდათხუთმეტმა (8.075) ნაყმევთა კომლმა შეისყიდა თავისი ნაჭერი ადგილ-მამულები ნაბატონართაგან და ერთი მილიონი ას ოთხი ათას რვაას სამოცდაათი (1.104.870) მანეთი თავისი საკუთარის ჯიბიდამ მისცა. ასე რომ მთავრობის შემწეობაც არ ითხოვა. გერმანიაში ოცდაშვიდს წელიწადში ნაყმევთაგან მარტო მეოთხედმა ნაწილმა ძლივს დაიხსნა თავისი ადგილ-მამულები, ისიც მთავრობის შეწევნითა, და იმერეთში კი (გარდა სამეგრელოსი) ერთმა მესამედმა 10 წელიწადში გამოიხსნა თავისი მამულები, ისიც მთავრობის დაუხმარებლად. ნუთუ ეს მაგალითები არ ამტკიცებენ მას, რომ ჩვენებურს გლეხში დიდი მიდრეკილებაა მამულის შეძენისადმი". *("ცხოვრება და კანონი". 1877-1881 წ.).*

"ჩვენში თავად-აზნაურობას დღევენდლამდე თითქმის მარტო ის უპირატესობა ჰქონდა, რომ მოკითხვის წიგნში ბრწყინვალებად იხსენიებოდა და გლეხი კი არა. "მამულიშვილს _ ამბობს ერთი მწერალი, _ საქმე არა აქვს მასთან, რომ თავად აზნაურობა ჰზის თავის ოთახში და შეჰხარის თავის მამა-პაპებს და თავის მამულ-დედულსაო, ხოლო როცა თავადი ან აზნაური მოიწადინებსო, რომ ჩემს მამულ-დედულს და ჩემს მამა-პაპას უპირატესი, განსაკუთრებითი მნიშვნელობა მოეციო საზოგადოებაში, მაშინ მამულისშვილი უნდა გულზედ მოვიდეს და უთხრას იმ თავად-აზნაურსა: შენ ფეოდალი ხარო". *("ცხოვრება და კანონი". 1877-1881 წ.).*

"ეკონომიური ძალი კი, რომელიც დღეს ჩვენში მარტო მიწისმფლობელობიდან წარმოდგება, და ყოველივე, რაც ამ ძალის შედეგი ოდესმე იქნება, ჩვენში ვერც ერთმა წოდებამ, ღვთის მადლით, ვერ გაისაკუთრა და დღეს ჩვენში გლეხიც იმისთანა მფლობელია მიწისა, როგორც თავადი, აზნაური, ეკლესია; დღეს ჩვენში გლეხი მემკვიდრეობით ბინადარია იმ მამულზედ, რომელიც ყოველს გლეხს მამა-პაპით დაჩემებული აქვს. თითონ ბატონ-ყმობის უფლებაც კი არ ყოფილა ჩვენში კუთვნილებად ერთისა და იმავე წოდებისა: გლეხთაც, როგორც თავად-აზნაურთა და ეკლესიას, შეეძლოთ ყმების ყოლა. ამის მაგალითი ხშირია იმერეთში". *("ცხოვრება და კანონი". 1877-1881 წ.).*

- **უსაფუძვლო და უმიზეზო გამოკლება ზოგიერთ წოდებისა საზოგადო საქმეებიდამ – საზოგადო ტვირთს უმძიმებს გლეხსა**

"ეგრეთი ყოველ მხრით უსაფუძვლო და უმიზეზო გამოკლება ზოგიერთ წოდებისა საზოგადო საქმეებიდამ _ საზოგადო ტვირთს უმძიმებს გლეხსა მით, რომ მარტო გლეხიღა იხდის საზოგადოების სამსახურს, ეწევა ბეგარას, აკეთებს გზებს, ჰყარაულობს, იცავს საზოგადო მშვიდობიანობას, იცავს ყველას საკუთრებას მტაცებლობისა თუ წანახედისაგან და ამ სიკეთეში ძალაუნრებურად წილხდომილნი არიან ყველანი, ვინც კი სოფლის წრეში სცხოვრობს, ხოლო ხარჯში, უღლის წევაში კი _ არა. ამის გამო გლეხი უყურებს თვის მმართველობას ისე კი არა, როგორც უფლებას, არამედ როგორც ტვირთს, გადასახადს რასმეს, და ყოვლის ღონისძიებითა ცდილობს, შორს იყოს

სოფლელობაზედაც და მმართველობაზედაც, რომელიც სიკეთეს ყველას უნაწილებს და ტვირთს-კი ერთსა ჰკიდებს ზურგზედ". *("ცხოვრება და კანონი". 1877-1881 წ.).*

"დანაშაულობა განა გლეხკაცის აუცილებელი თვისებაა? სხვა, არა-გლეხი, სოფლის წრეში მცხოვრები, არ არის მითამ საშიშარი წესისა და რიგისათვის, ადამიანის მშვიდობიანობისათვის, მის ქონების ხელუხლებლობისათვის?!" *("ცხოვრება და კანონი". 1877-1881 წ.).*

"სოფლის სასამართლოც ამ დღეშია. მას, წესდების ძალით, ხელი მიუწვდება მარტო გლეხკაცზედ. თუ გლეხკაცმა დააშავა რამე, წაუხდინა რამ ვისმე, ან პირობა არ აუსრულა, ყველას, სოფელში მცხოვრებს: თავადს, აზნაურს, მღვდელს, დიაკვანს, მედუქნეს, ნება აქვთ იქავ თვალწინ, უხარჯოდ, მოუცდენლად, სოფლის სასამართლოს შემწეობით, გადაახდევინოს გლეხს სასჯელი, თუ საზღაური; და თუ არა-გლეხმა გლეხს დაუშავა რამე, წაუხდინა, პირობა არ აუსრულა, საწყალი გლეხი იძულებულია ათს, ოცს, ოცდაათს ვერსტზედ გაიქცეს, მომრიგებელ მოსამართლეს მიჰმართოს, რამდენიმე დღე წასვლა-მოსვლაში დაჰკარგოს, მერე რამდენიმე თვე საქმის გარჩევას ელოდოს, მერე კიდევ დაიბარონ, კიდევ მოსცდეს რამდენიმე დღე წასვლა-მოსვლაში, ჭამა-სმაში ტყუილუბრალო ხარჯი გასწიოს. ეს ყველა იმისთანა მძიმე რამ არის გლეხისათვის, რომ მის გამო გლეხი უფრო ხშირად იძულებულია თავისი დაჩაგვრა არა-გლეხისაგან გულში გაბოროტებით ჩაიმარხოს, ხელი აიღოს საჩივარზედ, გული აიყაროს კანონზედაც, რომელიც მისთვის ისე მიუწვდომელია _ როცა დიდი სჩაგრავს, გული აიყაროს თავის სამმართველოზედაც, რომელიც უღონოა დიდის წინაშე". *("ცხოვრება და კანონი". 1877-1881 წ.).*

"რა წარმომადგენელია უფლებისა იგი წყობა, რომელსაც ხელი მიუძღვის მარტო გლეხკაცზედ, ამ დაბალ ღობეზედ, და არა-გლეხის წინაშე კი გულზედ ხელს იკრეფს?! რა წარმომადგენელია უფლებისა იგი წყობა, რომელიც დიდის წინ ნაცრად იქცევა ხოლმე და დაბლის წინ _ ცეცხლად?! რა პატივით უნდა უყურებდეს გლეხი იმ მმართველობას, რომელიც დიდისაგან გაჭირვებულს არ ესარჩლება, არას შველის, და რომელიც დიდისათვის კი თავს გამოიდებს ხოლმე, როცა პატარისაგან გაუჭირდება რამ! რა პატივით უნდა უყურებდეს გლეხი იმ მმართველობას, რომელიც ხმას არ იღებს უღონობით, როცა გლეხს უპატიურად ხდის არა-გლეხი, და როცა კი არა-გლეხს უპატიურება მიადგება გლეხისაგან _ მაშინ კი ძალასა და ღონეს იჩენს?" *("ცხოვრება და კანონი". 1877-1881 წ.).*

"მთავრობითი მხარე თვითმმართველობისა იმით არის ძვირფასი საზოგადოდ ყველასათვის და გლეხისთვის საკუთრივ, რომ ამ მხრით სოფლის თვითმმართველობა მახლობელი მფარველია მისი, მისი ადამიანობისა, მისი ღირსებისა, მისი პატივისა და ქონებისა". *("ცხოვრება და კანონი". 1877-1881 წ.).*

"თვითმმართველობა შეიქმნა მხოლოდ ორღანოდ, რომელმაც ასრულებაში უნდა მოიყვანოს ყოველი ბრძანება უმაღლესის მთავრობისა, აბეგროს ხალხი, ხარჯი ახდევინოს და სხვა ამგვარი, ესე იგი, რაც გლეხკაცს სამძიმოდ მიაჩნია, იმაში ძალა უნდა დაატანოს. და მართლაც ამის მეტს არც არას აკეთებს სოფლის სამმართველო, და არც არავინ ნაღვლობს, რომ მეტი რამ გააკეთებინონ. ამის გამო, ამ მხრით სოფლის სამმართველო გლეხკაცს მარტო მაზრის უფროსის ჯოხად მიაჩნია, რომელიც დღე მუდამ მის სახლის დირეზედ მიყუდებულია, და არა მთავრობითის ძალის წარმომადგენელად, რომელმაც მთავრობის ნებაც უნდა აასრულოს და ჩაგრულთაც მფარველობა გაუწიოს ყველგან და ყოველის წინაშე". *("ცხოვრება და კანონი". 1877-1881 წ.).*

- **ნუთუ რუსის მუჟიკი ჩვენს გლეხობაზედ მაღლა დგას? ჩვენს გლეხს რატომ ეუბნებიან ცურვა ისწავლე, მაგრამ წყალში კი ნუ ჩახვალო?**

"ნუთუ რუსეთის ხალხის უმრავლესობა _ მუჟიკობა, ჩვენის ხალხის უმრავლესობაზედ _ გლეხობაზედ მაღლა დგას მიხვედრილობით, გონების თვალით, გონების ყურით, რომ იქ მუჟიკობა მომზადებულად სცნეს და მიანიჭეს სხვებთან ერთად უფლება მოსამართლის არჩევანისა, და აქ კი გლეხობა მოუმზადებლად, და ამიტომაც ეგ უფლება ჩამოართვეს? თუ ამ შემთხვევაში განსხვავება რამ არის ამ ორთა ხალხთა უმრავლესობათა შორის, ის განსხვავებაა, რომ სასწორი სიკეთისა ჩვენის ხალხისაკენ უფრო დაიწევს, ჩვენი გლეხი გაცილებით წინ არის რუსის მუჟიკზედა ზნეობითაც, გონების თვალითაც და მიხვედრილობითაც.

"ქმნა მართლისა სამართლისა ხესა ხმელსა შეიქმს ნედლადაო"; "სამართლით მოჭრილი ხელი არ მეტკინებაო", _ ამბობს ხოლმე ჩვენი ხალხი. ნუთუ ის ხალხი, რომელიც სამართალს ამისთანა სასწაულთ-მოქმედების ძალას აძლევს, რომ ხმელს ხესაც გაანედლებსო, ხელს მოსჭრის და არ ატკენსო, _ ნუთუ ხალხი, რომელსაც ამისთანა ძალა სამართლისა სწამს, რჯულად აქვს მიღებული და ეგრე ცხადად აღიარებული, _ ნუთუ ის ხალხი-მეთქი მოუმზადებელი უნდა იყოს წესიერად აგებულის სამართლის კეთილად წარმართებისათვის, და ის ხალხი კი _ რომელიც იმით ნუგეშობს, რომ სილა სოლომუ ლომიტ, _ მომზადებულია!" *("ცხოვრება და კანონი". 1877-1881 წ.).*

"ხალხს რა ამზადებს? სწავლა, ვარჯიშობა, გამოცდილება, იმ საქმეში ჩაყენება, რისთვისაც მომზადება საჭიროა. კაცს ხელ-ფეხს უკრავთ, და ვეუბნებით-კი, ჭიდილი ისწავლეო; ხალხს მოსამართლის ამორჩევის ნებას არ ვაძლევთ და ვეუბნებით-კი, ისწავლე კაი მოსამართლეების ამორჩევაო. ეს იმასა ჰგავს: ცურვა ისწავლე და წყალში-კი ნუ შეხვალო; გზა გაიარეო და შინიდამ ფეხს-კი ნუ გასდგამო. ამ სასწაულმოქმედებას ხალხი ვერ იზამს, თუნდაც იმისთანა კეტითა სცემოთ თავში, რომელსაც, ჩვენდა საუბედუროდ, "ადგილობრივს ვითარებას" ეგრე წინდაუხედავად ეძახიან". *("ცხოვრება და კანონი". 1877-1881 წ.).*

"ხალხისათვის მიუცილებლად საჭიროა, რომ მის საყოველდღეო წვრილმან საქმეებისათვის მომრიგებელი მოსამართლე რაც შეიძლება მახლობლად ჰყვანდესო". *("ცხოვრება და კანონი". 1877-1881 წ.).*

- **სახელმწიფომ ჩვენს გლეხს მიწა წაართვა და სხვა ტომის ხალხს მისცა. ქართველი თავს ვერ დაანებებს თავის ადგილს**

"სახელმწიფოს ბევრი ადგილ-მამული აქვს, რომელიც მთავრობამ ჩვენს ქართველ გლეხს წაართვა, სხვა ტომის ხალხს მისცა და ზედ დაასახლა. ქართველ გლეხისათვის მიწა არ არის, ხოლო ნემეცისთვის, ფრანგისთვის, რუსისთვის და სომხისთვის ბევრია. ბარიათინსკის დროს ჩვენ გვითხრეს, გლეხები გაანთავისუფლეთ, ადგილ-მამული მიეცით და ჩვენ ორი მილიონი დესეტინა გვაქვს და იმას მოგცემთო. ჩვენ მაშინ ჭკუა არა გვქონდა და ამაზედ არ დავთანხმდით. ეს იყო ჩვენი დიდი შეცდომა და ეხლა უნდა

გავასწოროთ. ჩვენ უნდა მოვითხოვოთ მთავრობისაგან ეს ადგილები." *("ილია ჭავჭავაძის სიტყვის მოკლე ჩანაწერი თავად-აზნაურობის კერძო თათბირზე". 1905 წ. 6 მარტი).*

"ჩვენ ვიცით, რომ გლეხკაცი ვერსად ვერ წავა, როგორც რუსი და სხვა ტომის ხალხი სჩადის. ის მიჯაჭულია იმ მიწაზე, რომელიც მისის სისხლით არის მორწყული და ეს სისხლით მორწყული ადგილები ქართველ გლეხს უნდა მიეცეს და არა გადმოსახლებულებსაო. ჩვენს გლეხს ადგილი არა აქვს, რომ თონე ჩააგდოს, იმის გვერდით კი გაშენდა გოლიცინი, სვეჩინი, ვარანცოვი და სხვა მრავალი სოფელი. სახელმწიფოს აქვს დიდი ადგილები შავი ზღვის ნაპირებზე, სადაც სხვა ტომის ხალხს ასახლებენ." *("ილია ჭავჭავაძის სიტყვის მოკლე ჩანაწერი თავად-აზნაურობის კერძო თათბირზე". 1905 წ. 6 მარტი).*

"ბატონებო, ნუთუ ჩვენ არ შეგვიძლიან თამამად მოვითხოვოთ უბრალო, ბუნებრივი რამე, რომ ქართველის მიწა ქართველისთვის იყოს." *("ილია ჭავჭავაძის სიტყვის მოკლე ჩანაწერი თავად-აზნაურობის კერძო თათბირზე". 1905 წ. 6 მარტი).*

"მოგვცენ ქართველებს ჩვენგან წართმეული ჩვენი მიწა-წყალი, რომელიც ეხლა ხაზინასა აქვს დაჩემებული და რომელსაც ყველას ურიგებს, ქართველს გარდა, და მაშინ იქნება ზოგმა ჩვენგანმა დაუთმოს გლეხკაცს თავისი ადგილებიდამ ზოგი რამ იმ პირობით, რომ სამაგიერო მიიღო ხაზინის მამულებში; ისიც შესაძლოა, _ იმისთანა გლეხკაცნიც გამოჩნდნენ, რომ თვით მოინდომონ ჩვენის ქვეყნის სახაზინო მამულებში გადასახლება და დაბინავება, ოღონდ-კი საკმაო მიწა-წყალი აუჩინონ და ის მზრუნველობა გაუწიონ, რასაც უცხოელებს უწევენ, როცა ქართველის სისხლით მორწყულ მიწებს ურიგებენ." *("წერილი რედაქციის მიმართ". 1905 წ. 9 მარტი).*

"გლეხებს ძალიან ნუ აუხირდები, ნურაფერს ნუ გააფუჭებინებ-კი და უბრალოზე კი ნუ გამოეკიდები. დრო მოვა და ყველაფერი დაწყნარდება და ყველაფერი გასწორდება". *("წერილები მოსე მემარნიშვილისადმი". 1906 წ. 28 აპრილი).*

"ვის არ მოეხსენება, რომ როგორც თავად-აზნაურობაში, ისეც გლეხკაცობაში ყველა ანგელოზი არ არის, ჩვენდა სამწუხაროდ: ტყუილი და ერთმანეთის ბეზღობა არ დაეფიცება თითო-ოროლა უნამუსო კაცს, თავადი იქნება, აზნაური თუ გლეხი". *("ნუთუ". 1905 წ.).*

"ნაყმევი _ ნამსახური კაცია, ახლად მართლადაც სამარცხვინო უღლიდამ გამოშვებული. ამიტომაც უფრო გულშესატკივარია, უფრო შესაბრალისი, როცა თავის ნაბატონარისაგან იჩაგრება, და თვით ნაბატონარიც უფრო უღმრთო და უადამიანო გამოდის თავის ნაყმევის წინაშე, ვიდრე წინაშე სხვა გარეშე კაცისა". *("ნუთუ". 1905 წ.).*

"კიდევ ვიტყვი, რომ როგორც მოურავი, ისეც გლეხკაცი ყველა უმანკო მტრედი არ არის". *("ნუთუ". 1905 წ.).*

"ჩემს ხანგრძლივ სიცოცხლეში, ამიერ-იმერეთის ქართველთ გარდა, ბევრ სხვადასხვა მილეთის ხალხთან მქონია საქმე, ბევრი სომეხი, რუსი, თათარი მებაღეებად, მწყემსებად, მოსამსახურეებად მყოლია. ზოგი ამათგან ათი-ოცი წელიწადია რაც ჩემთან არის და აბა ერთი ვინმე წამომიყენეთ, რომ ჩემის პირისაგან ამოსული ლანძღვა-გინება ოდესმე გაეგონოთ და ისიც უშვერის სიტყვით, თუმცა იქნება ბევრჯელ გავჯავრებივარ და დამიტუქსავს კიდეც". *("ნუთუ". 1905 წ.).*

"გლეხკაცნი ისე არ გასულელდებიან, რომ კაცს დაუშავონ რა, ავკაცობა რამ შეამთხვიონ". *("ნუთუ". 1905 წ.).*

“თუ მარტო კაცთმოყვარეობა და სულგრძელობა არა, პირდაპირი ანგარიში თხოულობს, რომ კაცმა ჯარი არ მიიწვიოს აწ გულზემოსულ გლეხკაცობის დასაწყნარებლად, რადგან ხვალე, ასე იქნება თუ ისე, ამ გლეხობასთან მოგვიხდება სულიერი და ხორციელი ცხოვრება”. *(“ნუთუ”. 1905 წ.).*

- **გლეხებისათვის ცხენების ჩუქებით ცივილიზაცია უნდა შემოეტანათ ჩვენში, მაგრამ...**

“ცხენების ფულად ქცევა უარჰყვეს და ისევ ცხენების ცხენებად დარიგება ირჩიეს. იცით _ რა საბუთიანი მიზეზი ჰქონდათ, რომ ასე ჰქნეს, და იქიდამ, საიდამაც კი ზომიერი სარგებლობა შესაძლო იყო, არა გამოვიდა რა? მიზეზი ის იყო, რომ მაგ ცხენებს ერთი მძიმე ტვირთი ზურგთ აჰკიდეს. ცხენებით უნდა ჩვენში ცივილიზაცია ფეხზედ წარმომდგარიყო; ყველას იმედი ჰქონდა, რომ თუ გლეხკაცობა იმ ცხენების მიზეზით ეკიპაჟებს არ გაიმართავდა, ფურგონებს, პოვოზკებს და სხვა ამისთანა ცივილიზაციისაგან მოგონილს სატარებელთ წინ რაღა დაუდგებაო. დიახ, დიდი იმედი ჰქონდათ, რომ ცხენების მეოხებით ის ტლანქი, ბრიყვული, ჩვენებური ჭრიჭინა ურემი უკან დადგება და გზას დაუთმობს ფურგონს და პოვოზკასა. თქმა არ უნდა, რომ ბევრგან იმ ცხენებმა _ კარგია, პირუტყვები არიან, თორემ შენი მტერი _ გლეხამდი არ მიაღწიეს და არც ფურგუნები და პოვოზკები დაიმართა. ამ-გვარად, ამ ოთხ-ფეხმა ცივილიზაციის მოწინავე ჯარმა ჩვენში ვერ გასჭრა და ცხენმაც, ადამიანზედ უფრო მხნემ, უფრო ღონიერმა ცხენმაც კი ვერა გააწყო რა ჩვენში. თუნდ ეგეც არ იყოს, თუ ოთხი ორზედ უმჯობესია _ რასაკვირველია როზგისა და სხვა ამ-გვარის გარდა _ მაშ ცხენები ადამიანზედ ამით მაინც წინ არიან. ერთის სიტყვით, ამისთანა ძლიერმა ცხოველმაც, როგორც ცხენია, ცივილიზაციას ჩვენში ფეხი ვერ აადგმევინა. ეს, რასაკვირველია, ჩვენი ხალხის მეტად ტანში გამჯდარს სიბრიყვეს უნდა მიაწეროს კაცმა და სხვა არაფერს და, მგონი, ცხენების დამრიგებლებმა სწორედ ამ უჯიათს სიბრიყვეს დააბრალეს ყოველიფერი და არა იმას, რომ ცხენები ვერაფერი პიონერები არიან ცივილიზაციისა.” *(“შინაური მიმოხილვა”. 1879 წ. ივლისი-აგვისტო).*

“უბრალო გლეხობა, _ ეს უმრავლესობა ქართველობისა, ეს სული და გული ჩვენის ეროვნული იმედებისა.” *(“შინაური მიმოხილვა”. 1883 წ. აგვისტო).*

“ჩვენში რომ გლეხკაცმა თავი დაანებოს თავის ადგილს, უნდა ჯერ გულიდამ ამოიღოს თავისი თემი, თავისის ოჯახის წარსული, თავისი მამა-პაპა, რომელთა ნაშთი, ძეგლი თვითოეული ვაზია, თვითოეული ხეა, მამა-პაპის ხელით დარგული და ოფლით მორწყული, და რომელსაც იგი სამკვიდროს ეძახის. ყოველ ამის გულიდამ ამოღება ძნელია”. *(“კერძო და სათემო მიწათმფლობელობა”. 1886 წ.).*

“იმისთანა ქვეყანაში, როგორიც ჩვენია, საცა მკვიდრია, ერთხელ ერთ ადგილას დაბინავებული კაცი ძნელად გამოიმეტებს ხოლმე თავის მამა-პაპის ბინას და მიწა-წყალსა, დიდის სიმძიმით და გულისტკივილით ჰშორდება იმ ადგილს, საცა დაბადებულა, საცა უმოქმედია, ოფლი და სისხლი უღვრია მამა-პაპასა, საცა ულოცნიათ, უჭირნახულიათ, ულხენიათ და დასასრულ საცა დამარხულან; საცა ყოველივე ეს იმისთანა ზნეობრივს კუთვნილებას შეადგენს ადამიანისას, რომლის დაკარგვა, რომელზედაც ხელის აღება ჩვენის გლეხკაცისა თუ კეთილშობილისათვის ხორციელ

სიკვდილზედ ნაკლები აღარ არის, იქ მამა-პაპისაგან დაშენებულის, დადებულის ბინის აშლა, აგვა, გათახსირება, და სხვაგან ძებნა ბედისა, - იქ აყრა და სხვაგან გადასვლა იმისთანა მიზეზს უნდა მიეწეროს, რომელსაც ხალხის თვალში აღარა მოევლება-რა აღარა ეშველება-რა".

"ჩვენებური მკვიდრი ყოველგვარ უბედურებას აიტანს მარტო იმ ყოვლად შემძლებელის გრძნობის ძალითა, რომელსაც სამშობლოს ადგილის და ბინის სიყვარულს ეძახიან, იმიტომ, რომ სხვა ყოველს უბედურებას სული ებრძვის." *("იმიგრაცია საქართველოდან". 1886 წ.)*

"სოფელი ჩვენებურ გლეხკაცისათვის დიდი ავტორიტეტია; ტყუილად კი არ ამბობს ხოლმე გლეხკაცი: ორმა კაცმა რომ გითხრას ბრმა ხარო, უნდა დასჯერდეო. რაც უნდა ცუდად გადუწყვიტოს საქმე სოფელმა, ჩვენებური გლეხკაცი სოფლის ცუდ გადაწყვეტილებას უფრო შეიწყნარებს, ვიდრე გარეშე კაცის ცუდს განაჩენსა". *("ვერძო და სათემო მიწათმფლობელობა". 1886 წ.).*

- **არასწორად დანახული ქართველი გლეხის სახე**

"აქაო-და გლეხკაცს გლეხკაცურად აცვია, თავადს _ თავადურად, მედუქნეს _ მედუქნურად, _ კასტიური წყობილებაა კახეთშიო, მერე როგორ? "ამისი მსგავსი არსად, არავითარ კულტურულ ქვეყანაში არ არისო!" აი ამასა ჰქვიან თურმე ცხოვრების ფურცლებზე წაკითხვა მისი, "რაც დაწერილა და ან იწერება!" აი ამასა ჰქვიან, რომ ბ-ნი ჟორდანია, ვითარცა ახალი მოღვაწე "სცნობს ცხოვრების მსვლელობას ისე, როგორიც არის!" ამასა ჰქვიან, _ გამორკვევა და ახსნა ცხოვრების მოვლენათა!

სიტყვა "კასტა", "კასტიური" გაუგია-კი სადღაც და რა წითელი კოჭია, ამაზე-კი ნურას უკაცრავად, არა სცოდნია, არც რამ შეუტყვია. "ამისი მსგავსი არსად არისო", გვეფიცება ჩვენი ახალი მოღვაწე, არსად არისო, რომ გლეხს გლეხურად ეცვას, თავადს თავადურად და სხვანი და სხვანი. მაშ ინგლისის ლორდი და პროლეტარი, მუშაკაცი, ერთნაირად იცვამს. მაშ რა არის მუშის ჭუჭყიანი ბლუზა და ლორდის ფრაკი, ეს ერთი და იგივეა! გერმანიის ფეოდალი და გლეხკაცი არ განირჩევა ტანისამოსით ერთი-მეორისაგან! განა საფრანგეთში პარიზელი და სოფლელი გლეხი ერთნაირად იცმენ-იხურვენ! პირველი შეხედვითვე განა ერთმანეთისაგან არ განირჩევიან! განა ჩვენს ტფილისში კურტიზიანი ვაჭარი, მაძღარი ბურჟუა და კურტანიანი რაჭველი ერთნაირად ჩაცმულ-დახურულნი არიან! თითონ ბ-ნი ჟორდანია პიჯაკშია და შლიაპაში გამოჭიმული და გურული გლეხიც განა პიჯაკსა და შლიაპას ატარებს! მაშ ყოველგან ინგლისს, საფრანგეთს, გერმანიას, ტფილისს და გურია-რაჭაშიც კასტიური წყობილება ყოფილა. ამისი მსგავსი არსად არ უნახავს ბ-ნ ჟორდანიას, თუმცა ევროპა და საქართველო მოუვლია". *("ისევ და ისევ ბ-ნ ჟორდანიას უმეცრობანი _ და მისი წაჯეგ-უკუჯეგობანი". 1900 წ.).*

"განა ინგლისის ლორდი, ინგლისის გლეხი, ან პროლეტარი, ან თუ გინდ წვრილი ფერმერი ერთისა და იმავე სიტყვა-პასუხის კაცნი არიან. განა ლორდისა და ან სხვა მაღალი წოდების კაცის ქცევა, მიხვრა-მოხვრა, ხასიათი, ზრდილობა იგივეა, რაც გლეხისა, პროლეტარისა, თუნდ ფერმერისა! განა პარიზელის ლაპარაკი, ქცევა, მიმოხვრა, ზრდილობა არაფრით განირჩევა საფრანგეთის გლეხისა და ერთობ მუშა-

პროლეტარისაგან! თუნდ გერმანელი ფეოდალი აიღეთ და სოფლელი გლეხი! განა ყოველგან, საითაც-კი მიიხედავთ, ინტელიგენციის სიტყვა-პასუხი, ქცევა, ზრდილობა და გონებაუხსნელის გლეხკაცისა ერთი და იგივეა! მაშ ყველგან კასტიური წყობილება ყოფილა, თუ თქვენს ზღაპრებს დავუჯერებთ.

გესმით, ბატონებო, რა ახალი ამერიკა აღმოუჩენია ბ-ნს ჟორდანიას! ღმერთმა მშვიდობაში მოახმაროს, მე-კი ამას ვიტყვი, რომ არა მგონია ქვეყანაზე, ბ-ნ ჟორდანიას გარდა, სხვა კაცი ჰჭაჭანებდეს ისეთი, რომ ასე უთავბოლოდ, ასე წარამარად, ასე გაუგებრად, ასე უცოდინარად სიტყვა კასტა, კასტიური ესმოდეს და ამ ნიშნებით ასურათებდეს. აი ესეც თქვენი ახალი მოღვაწე". *("ისევ და ისევ ბ-ნ ჟორდანიას უმეცრობანი _ და მისი წაჯეგ-უკუჯეგობანი". 1900 წ.).*

- **ოთარაანთ ქვრივის ხუთი ქისა: ქართველი გლეხის წინდახედულობისა და ყაირათიანობის ნიშანი**

"გაჰყიდდა ღვინოსა და მომეტებულს პურს თუ არა, ფულს ხუთს ნაწილად ჰყოფდა და ხუთრიგად ინახავდა. ამისთვის ნაჭრებისაგან ჭრელი ქისები ჰქონდა, ჩანთასავით შეკერილები. ერთს ამისთანა ქისას "საჭირნახულოს" ეძახდა და შინ ინახავდა სახარჯოს პურისა და ქერების სამკალად, მოსაზიდად და სალეწად. მეორე ქისას "ბარაქალა ქისას" ეძახდა. ამაში ინახავდა სახარჯოს ვენახის სამუშაოსათვის. მესამე ქისას "საჯანაბო" ერქვა. ამაში ინახავდა ფოსტის ფულსა და საბეგროსას, თუ ვინიცობაა სოფელი ოდესმე შეაწერდა. მეოთხე ქისაში ინახავდა მოჯამაგირის საჯამაგირო ფულსა. ამ ქისას ეძახდა: "მიეცი და მოგეცესო". მეხუთე ქისაში ჰქონდა საშინაოდ სახარჯო და ღარიბთა გასაკითხი ფული. ამ მეხუთე ქისას ოთარაანთ ქვრივი ხან "ფარსიღას ქარვასლას" ეძახდა, ხან "შიოს მარანსა"." (*"ოთარაანთ ქვრივი". [1886] – 6 ქრისტეშობისთთვეს 1887 წელსა).*

3.2.4. გუთანი, ქვეყნის სიმდიდრის შემქმნელი შრომის საშუალებაა

- **გუთანი, ქართველებო, გუთანი! და ხმალი იყოს ფარი მისი**

"შენ გუთანი გირჩევნია წიგნსა, იმიტომ რომ შენ გუთანი დღეს პურს გაჭმევს." *("გლახის ნაამბობი". 1859, 1862-1873 წწ.).*

"ქვეყანა ვისია? ყოველივე ჩემიაო, _ ამბობს ოქრო. ყოველივე ჩემიაო, _ იძახის ხმალი. ყოველსფერს ვიყიდიო, _ მოჰკვეხს ოქრო. ყოველსფერს ხელში ვიგდებო, _ იქადის ხმალი. მითამ ეგრეა? არა გვგონია. ჩვენის ფიქრით, თავმოწონებულს ოქროს და გაზვიადებულს ხმალს, ამ ორს პატიოსანს მეტოქეს, დაჰვიწყებიათ, რომ ქვეყანაზედ მაგათ გარდა არის ერთი კიდევ რაღაცა, რომელსაც, თუ არ პირველი, უკანასკნელი ადგილი არ უჭირავს ქვეყნის განაწილებაში. მართალია, ის ერთი რაღაცა ქედმოხრილია, ჩუმი, წყნარი, უწყინარი, ტანად მრუდე, მაგრამ გულით მართალი და პირად ბრწყინვალეა. იგი ხმაამოუღებლივ, ხმაგაკმენდილი, ფეხმძიმედ დაიარება ქვეყანაზედ: არცა ჰკვეხს, არც ბაქიაობს, არც არავის ერჩის, არც არავის ეცილება და საქმობს თავის-თავად დინჯად, აუშფოთებლად, სულ მუდამ და დაუძინებლივ. იმას რომ ერთს ბეწო

ხანს ჩასთვლიმოს, არც ოქროსღა ექმნება რამე სასყიდავი და არც ხმალს მოსატაცებელი. იმას რომ ერთს ბეწო ხანს ჩასთვლიმოს-მეთქი, არ ვიცი ქვეყანას რა დაემართებოდა, თუნდა ოქროს მთები იდგეს და ხმლების ტყეები. უიმისოდ ოქროს ქვეყანაზედ მოედანი არა აქვს და არც თითონ ძალოვანს ხმალს დიდი და ხანგრძლივი მანძილი. ის ერთი რაღაცა _ გუთანია." *("შინაური მიმოხილვა". 1881 წ. ნოემბერი).*

"ტეტია გუთანს შეუძლიან ოქროსა და ხმლის შუა ჩადგეს და თავისებურად დინჯად და მშვიდობიანად უთხრას: "შენ, ოქროვ, უჩემოდ უქმი ხარ, არაფერში გამოსაყენებელი: უჩემოდ გაბათილებული ვექსილი ხარ, ანუ, უკეთ ვსთქვათ, გაკოტრებული კაცის თამასუქი: ექნება რამე, _ მიიღებ, არა და პირში ჩალა გამოივლე და თუნდა თავი წყალს მიეცი. შენ შენით რა ხარ? სახედარი და სხვა არაფერი. თუ მე აგკიდე რამე, ხომ რა კარგი, თუ არა და ზედაც რომ არავინ შემოგხედოს, ბევრს არას დაჰკარგავს. ხმალო, შენ-კი... იქნება უჩემოდ შესძლო რამე, მაგრამ ისე კი, როგორც ნიაღვარი: მოვარდები, წარღვნი, წალეკავ, მილეწ-მოლეწავ, ბოლოს კი, როცა იქნება, ჩაივლი და ჩაშრები, და თუ მე მიმიმხრობ _ მაშინ კი ქვეყანა ჩვენია." *("შინაური მიმოხილვა". 1881 წ. ნოემბერი).*

"ჩვენის გულითადის ფიქრით, ქვეყანა იმისია, ვისაც ერთს ხელში ხმალი უჭირეავს და მეორეში გუთანი. მარტო ხმალი, მართალია, თავისითაც ძლიერია, მაგრამ ვერსად ხანგრძლივ ფეხს ვერ მოიკიდებს, თუ ამხანაგად გუთანი არ იყოლია. ამისი მაგალითი, სხვათა შორის, მონგოლები არიან. ამათ მარტო ხმალს დაუჯერეს, ისინი მარტო ხმალს მიენდვნენ: მიესივნენ ქვეყანას, დაიპყრეს ქვეყნები, დასწვეს, შეჰმუსრეს, მიანგრ-მოანგრიეს და ბოლოს ხომ თითონაც მტვრად აღგვილ იქმნენ." *("შინაური მიმოხილვა". 1881 წ. ნოემბერი).*

"წარჩინებულნი ერნი ევროპისანი თითქმის სულ ხმლით მისეულნი ერნი არიან. მაგრამ საცა-კი მივიდნენ, ყველგან გუთანი მიიმხრეს, და აჰა, დღესა ვხედავთ, რომ ყოვლად მტკიცები და მკვიდრნი არიან თავის ადგილებში. იმათი ადგილიდამ დაძვრა ვეღარაფერმა ვერ შესძლო. არიან და იქნებიან უკუნისამდე. შორს წასვლა საჭირო არ არის. მაგალითი თვალ-წინ გვიდგას. მაგალითები ჩვენ თვითონ ქართველები ვართ." *("შინაური მიმოხილვა". 1881 წ. ნოემბერი).*

"ეს ერთი მუჭა ხალხი რამ შეგვინახა? ხმალმა და გუთანმა. ჩვენ რომ დღეს ბინა გვაქვს, ადგილზედ რომ ფეხ-მოკიდებულები ვართ, სხვებსავით არ დავიქსაქსენით, არ გადავცვივდით აქეთ-იქით, ჩვენ რომ ამდენს დაუძინებელს მტერს გავუძელით, გავუძელით და გადავრჩით, ჩვენი ერი რომ დედამიწას შერჩა და დედამიწა ერსა, _ ეგ იმიტომ, რომ ერთს ხელში ხმალი გვეჭირა და მეორეში გუთანი დასაბამიდგანვე დღემდე. ესეც ვიქნებით შემდეგშიაც, თუ ეგ ორი უძლეველი ძალღონე ერის სიმკვიდრისა ხელთ გვექნება." *("შინაური მიმოხილვა". 1881 წ. ნოემბერი).*

"რასაკვირველია, ხმალი მაშინ უფრო კარგია, როცა იგი ფარია და არა სატევარი. მაგრამ რასა იქ? ეს უბედური ქვეყანა ისე დაეწყო, რომ ხმალი უფრო სატევრობს, ვიდრე ფარობს. ადამიანის გაუძღომელმა წადილმა ეს უკეთესი მხარე ხმლისა დააჩლუნგა და უარესი გალესა. მინამ ქვეყანა ასეა და ძალა აღმართსა ხნავს, ხმალმა ორ-გვარი სამსახური უნდა გაუწიოს თავის პატრონს, იმის მიხედვით, თუ შემთხვევა და ფათერაკი რა დროს რას მოითხოვს." *("შინაური მიმოხილვა". 1881 წ. ნოემბერი).*

"გუთანს ერთი განსაკუთრებული მშვიდობიანი დანიშნულება აქვს: დედამიწის უხვი გული გადაგვიშალოს და იქიდამ საზრდოება გვაწვდიოს. გუთანი, ქართველებო, გუთანი! და ხმალი იყოს ფარი მისი. თავი და ბოლო აქ არის, დამიჯერეთ. წყალნი წავლენ

და წამოვლენ, ქვიშანი დარჩებიანო, ნათქვამია. მყობადი იმისია, ვინც მიწაზედ ფეხგადგმულია და მიწას ამოქმედებს ხმლის მფარველობის ქვეშ. თითონ დიდი რომი, თითქმის მთელის ქვეყნის მპყრობელი, დაეცა, იმიტომ _ რომ მარტო ხმალი ეჭირა ხელში და გუთანი კი არა." *("შინაური მიმოხილვა". 1881 წ. ნოემბერი).*

"კიდევ ვიტყვით, რომ ჩვენი ძალ-ღონე, ჩვენის ცხოვრების და ვინაობის ბურჯი, ჩვენი მკვიდრი და უტყუარი შემნახველი, ჩვენი სიკეთე და სიმდიდრე, _ მიწა და გუთანია. რომელს ერსაც ეს ორი საგანი ხელთ შერჩენია, იმას თავი იმოდენად კიდევ შემოუნახავს, რომ შეუძლიან თავმოწონებით სთქვას: მე ერი ვარ და მკვიდრი ბინა მაქვს სადღეისოდაც და სამერმისოდაც. სხვა ყოველივე ფუჭია და წარმავალი, ვერც ერის ვინაობას დაედება საძირკვლად, და ვერც ჯიშის, ერთის სისხლისა და ხორცის ადამიანთ თავს ერთად მოუყრის და ვერც ერად შეჰქმნის. საქმე მიწაა და გუთანი. აბა მიიხედ-მოიხედეთ და ნახავთ, რომ მთელი განათლებული ევროპა, მთელნი დიდებულნი მესვეურნი კაცობრიობის წარმატებისა _ იღვწიან, სისხლსა ღვრიან, რომ მიწა, ეგ მუქთი, ბუნებისაგან მონიჭებული კუთვნილება ყოველის ადამიანისა, შეძლებისამებრ _ თანასწორად მორგებული ჰქონდეს ყოველს მკვიდრს მცხოვრებსა. რომელმა ერმაც ეს ვერ მოახერხა, ამ ყუაზედ გასულს ტკივილს ყოველის საზოგადოებისას წამალი ვერ დასდვა, _ მიწასთან გასწორდა, გაქარწყლდა და მტვრად აიგავა. დიდს ისრაილს, დიდს საბერძნეთს, დიდს რომს ამითი მოეღო ბოლო." *("შინაური მიმოხილვა". 1882 წ. ივლისი-აგვისტო).*

"ისტორია მარტო იმ ერს ეკითხება, რომელსაც მიწაზედ ფეხი უდგას და ხელს გუთანს უვლის. თავდაპირველი შემომქმედი ეროვნობისა და ერის სიმდიდრისა მარტო გუთანი და მიწა ყოფილა და იქნება კიდეც. რადგან ისტორიას და ჩვენთა მამა-პაპათა მხნეობას და თავგანწირვას ეს ორი ძვირფასი განძი ჩვენთვის შემოურჩენია, რადგანაც საპოლიტიკო და საეკონომიო ყოფა-ცხოვრება ამ ორის საგნით სულდგმულობს, ამიტომაც ყოველი წარმატება, ყოველი წინ წადგმული ბიჯი ამ ორ საგნის მიმართ, ჩვენთვის დიდის ყურადღების ღირსი უნდა იყოს." *("შინაური მიმოხილვა". 1882 წ. ივლისი-აგვისტო).*

3.2.5. კაცის უქმობა, უღონობა, უშრომელობა, უუნარობა, სხვისი მოიმედება - სხვისით ცხოვრებაა, საშინელი სენია

- **უქმობა: ნუ დაგვიკრეფია გულხელი**

"დაგვიჟინია, რომ ჩვენს აზრს თანამოზიარე, თანამგრძნობელი არა ჰყავსო, და ამისა გამო დაგვიკრეფია გულხელი და არაფერში ვერევით. ერთი ჰკითხე იმ საზოგადოობის გულცივობაზედ განათლებულს მოჩივარს, თავის სიცოცხლეში უთქომ რამე იმისთანა და იმ რიგად, რომ გაგება შეიძლებოდეს? *("ზოგიერთი ხანა მოთხრობისა "მარგალიტი ლექში"". 1861-1863 წ.).*

"არ შეიძლება დამისახელოთ ის ცუდი?

_ უქმობა, ფართიფურთობა, ქარაფშუტობა და ყველაზედ მავნებელი _ სხვისით ცხოვრება." ("*იგი წავა და სხვა მოვა ტურფასა საბაღნაროსა". 1861-1863 წ.).*

"_ ქარაფშუტობა და ფართიფურთობა ყველა კაცის ჭირია საერთოდ და განსაკუთრებით თქვენისთანა კაცებისაც, უკაცრავოდ კი არ ვიყო.

_ ნურას უკაცრავოდ. თქვენის ლაპარაკის ჰანგს მე ყური შევაჩვიე, თუმცა ყურსა სჭრის, მაგრამ გონებას აღვიძებს.” (“*იგი წავა და სხვა მოვა ტურფასა საბაღნაროსა”. 1861-1863 წ.).*

“ჯერ, როგორც მოგეხსენებათ, / მრავალჯერ დავამთქნარევით.” / “შენი მტერი!... პირღიადა /

დავრჩით და ცას შევყურებდით.”

“როცა დიდი და პატარა / გაღარიბდა, გაღატაკდა.” *(“რა ვაკეთეთ, რას ვშვრებოდით ანუ საქართველოს ისტორია მეცხრამეტე საუკუნისა”. 1871 წ. 24 აგვისტო).*

“ეს საშინელი სენი უქმობისა, თავის-თავის არ-პატრონობისა, თავის-თავის არ-შველისა ისე არსად არ არის ხელ-აღებით მოკიდებული, როგროც ჩვენს თავად-აზნაურობაში”. *(“თავად-აზნაურობის გულგრილობა სწავლა-განათლების საქმეში”. 1886 წ. 8 აპრილი).*

“საძაგელს გუნებაზედ ვარ. ხომ იცი, უქმეები რა რიგად მეჯავრება და ეხლა უფრო გულს მიმღვრევს, რომ შენ ჩემთან არა ხარ”. *(“წერილები ილია ჭავჭავაძისა ოლღა თადეოზის ასულ გურამიშვილისადმი”. 1874 წ. იანვარი).*

“ოცდაათ წელზე მეტია, რაც ჩვენს ვენახებს ნაცარი ეწვია. საცა-კი ეს ჭირი მოედებოდა ვაზს, ყველგან თითქმის კაცს ხელს აღებინებდა მოსავალზედ.”

“ისე გამოდის, ცხვოვრების სახსარსა და ღონეს გვაცლის და ამ ოცდაათ წელიწადის შემდეგ ამ სენის ვითარება იმოდენადვე ვიცით, თითქმის, რაც ოცდაათის წლის წინათ ვიცოდით. გამოდის, რომ ამდენმა ხანმა, რომლის განმავლობაში უთვალავი სიმდიდრე და ღონე წაგვერთვა, სულ უქმად და ამაოდ ჩაიარა ჩვენთვის ისე, რომ ერთის იოტის ოდენა ჭკუაც არ გვასწავლა, როგორ მოვუაროთ ჩვენს თავსა და რა წამალი დავსდვათ. საკვირველია ამოდენა ხალხში ერთი იმისთანა კაცი არ გამოგვიჩნდა, რომ თავისთავად დაჰკვირვებოდა ამ საგანსა და აქაურ ბუნების მიხედვით მისი ვითარება თვითონაც ცოტად თუ ბევრად გაეგოს და სხვებისათვისაც გაეგებინებინა.”

“ჩვენში არამც თუ გამოჩნდა ვინმე თავისთავად გამომძიებელი, იმისთანაც თითქმის არავინ გამოჩნდა თითო ოროლას გარდა, რომ სხვისი დანახული, ამ შემთხვევაში სხვისი ნაცადი და ნაჭირნახულევი ეცნო, შეეთვისებინა და ცნობილი და შეთვისებული გამოეყენა თავის სასარგებლოდ და სხვების სამაგალითოდ.” *(“ვაზის სნეულებანი”. 1889 წ. 28 დეკემბერი).*

“თავისით თვალის ადევნება, თავისით გამოძიება, ან სხვისი გამონაძიების შეთვისება, ცოტად თუ ბევრად გამჭრიახობას ჰთხოულობს, ცოტად თუ ბევრად რთულს გარჯასა და შრომას, და ამიტომაც ამ შემთხვევაში სხვისათვის მიუტევებელ უქმად-ყოფნა ჩვენს მიძინებულს გონებას და დამბლადაცემულს ხალისს ასე თუ ისე შეეწირება, თუმცა ცოდვის დავთარში-კი მაინც ცოდვად დაეწერება სხვილის ასოებით.” *(“ვაზის სნეულებანი”. 1889 წ. 28 დეკემბერი).*

“ვაი ის არის, რომ რთულ და ადვილად მოსავლელ საქმეშიაც იგივ უღონობა, უთაურობა, უქმად ყოფნა გამოვიჩინეთ. იფიქრეთ: აბა კალია რა არის, იმასაც კი ჭიდილი ვერ შევუბედეთ. ჩვენ ვამბობთ ვენახების კალიის გამო. ამ ოცდათის წლის განმავლობაში ეს ბატონი კალია არა ერთხელ სწვევია ჩვენს ვენახებსა და გადუკორტნია ვაზის კვირტი. კახეთმა კარგად იცის, ეს პატარა სულიერი რამოდენა წანახდენს, რამოდენა ზარალს იძლევა. ერთმა კაცმაც ხელი არ გაანძრია, თითი არ შეატოკა, რომ ეს პატარა მწერი თავიდამ მოიშოროს. ამაზე ადვილი რა არის? თვალი ადევნე სადა სდებს კვერცხს, ამოიღე და დასწვი. ამით თუ სულ არ გაიჟლიტა, ბევრისბევრად გაწყდება მაინც. რასაკვირველია, ამას ერთისა და ორის კაცის ღონე არ გასწვდება, ამას ერთიანი გარჯა

უნდა, მთელის სოფლობის ღონე და ჯაფა. საყოველთაო ჭირია და საყოველთაო ჰთხოულობს გამკლავებასა და შეჭიდებას. თქვენგან არ გვიკვირს: სად ქართველი კაცი და სად ერთიანი გარჯა! სად ქართველი კაცი და სად საყოველთაო საქმისათვის ერთად, კრებულად თავის მოყრა და ერთად უღლის წევა! კალიამაც-კი გვაჯობა, კალიამაც! ასე იცის ჩვეულმა დაქსაქსულობამ, ასე იცის ერთმანეთის მიუკარებლობამ და გაუტანლობამ, ასე იცის ამ საყოველთაო გრძნობის არ ქონვამ, რომელიც საკრებულო არსებას უნდა ჰქონდეს აზარმაცსავით, რომ ამ წუთისოფლის საპალნე ადვილად ასწიოს და ჰზიდოს." *("ვაზის სნეულებანი". 1889 წ. 28 დეკემბერი).*

"ყოველ ჭირს, რომელიც თითონ თითქმის ხელში გვეძლევა, _ აჰა, მიცანით, გაისარჯენით და თავიდამ მომიშორეთო, რომ ვერა გავუგეთ-რა და ამიტომაც ვერა დავაკელით რა, ბევრს სხვა ახლად აჩენილს უარესს ჭირს ვაზისას რაღას დავაკლებთ." *("ვაზის სნეულებანი". 1889 წ. 28 დეკემბერი).*

- **უღონობა: უღონო ხალხი უფრო შებრალების ღირსია, ვიდრე განკიცხვისა**

"იმისთანა ხალხი, რომლის გამოხატულობაც ჟამთა ვითარებით უმაღლესს საგნებიდამ მარტო ჭამა-სმაზედ დამდგარა, ანუ რომელსაც მცირე საგნებიდამ გონება მაღლა ვეღარ აუცილებია, ის ხალხი უფრო შებრალების ღირსია, ვიდრე განკიცხვისა. ან რად გინდათ, რომ მაგ წვრილმანის საგანთა მისახწევად იშრომონ, ეგ ნაცარქექიობა იქნება. სხვისით ცხოვრებენო, მართალია. ეგ არის ცხადი საბუთი იმათის უღონობისა, შეუძლებლობისა. ჩემი კანონია: უღონო შეიბრალე და ნუ განკიცხავ." ("*იგი წავა და სხვა მოვა ტურფასა საგაღნაროსა". 1861-1863 წ.).*

"ჩვენში მეტად გაძლიერდა ის აზრი, რომ ცალკე მეცადინეობით, თვითოეულად, ცალკე უღლის წევით კაცი ვერაფერს გახდება. საქმე თავს ვერ მოდის და დაწყებისავე უმალ უღონობა მარტოობისა, ცალკე გამრჯელობისა, პირველ შემთხვევაშივე აუწყებს ხოლმე საქმის დამწყებსა, რომ მის განზრახულს საგანს დიდი მანძილი ცხოვრებისა არა აქვს." *("ჩვენი ღვინოების საგაზროდ ქცევის საკითხი". 1892 წ. 11 ნოემბერი).*

"დიდი საქმეა, რომ ამ მართალმა აზრმა ფეხი აიდგა ჩვენში, და თუმცა ჯერ-აქამომდე ამ ფეხად ადგომილს აზრს ბევრი არ უმოქმედნია, მაგრამ საცა-კი საქმეს ბურჯად მისცემია, საფუძვლად დასდებია, ყველგან გამარჯვებულა და იმედი გაუმართლებია. აიღეთ, მაგალითად, თუნდა ჩვენი ბანკები, საცა მარტო შეერთებულმა ღონემ გაატანინა ქართველობას მოედნიდამ მძიმე ბურთი საქმისა და დღეს უფულო ქართველობა ამოქმედებს ჩვენში მათის მეოხებით ცამეტს-თოთხმეტს მილიონს ფულსა." *("ჩვენი ღვინოების საგაზროდ ქცევის საკითხი". 1892 წ. 11 ნოემბერი).*

"მეორე მაგალითია ჩვენი "ქართველთა წიგნების გამომცემი ამხანაგობა". აქ გროშობით დაწყებულმა საქმემ იმდენი ღონე გამოიჩინა, იმდენი ბარაქიანი მალიათი, რომ დღეს ათას თუმნობით ატრიალებს ფულს თავის საქმეში. ამასთანავე ბედნიერი დღე მოელის "ამხანაგობას სახლების აშენებისას". არ გავა ორი-სამი წელიწადი, რომ ამ ამხანაგობის მართლა-და ყველასათვის საყვარელი და სასარგებლო აზრი განხორციელდება და მისნი წევრნი საკუთარის თვალით დაინახავენ _ რის შემძლებელია ძალ-ღონე ერთობისა." *("ჩვენი ღვინოების საგაზროდ ქცევის საკითხი". 1892 წ. 11 ნოემბერი).*

- **უშრომელობა: თუ წუთის სოფელს ერთს ბეწო ხანს თვალი მიუხუჭე, ისე გაგთელავს, როგორც დიდოელი ლეკი ნაბადსა.**

“სოფლის დედაკაცობას ხომ უფრო ეშინოდა ოთარაანთ ქვრივისა. ვაი იმას, ვისაც უსაქმოდ მოასწრობდა ხოლმე: ძირიანად ამოიღებდა, ძირიანად მოსთხრიდა.”

“რაო, მუქთამჭამელოო? _ ეტყოდა ხოლმე, _ შენს ქმარს თავისთავის გამოკვება კი ეადვილება, რომ შენც მუქთად გკვებოსო. რას დაგიკრებია გულზედ ეგ დასამიწი ხელები, _ აი, მოგიკვდეს ეგ უგულო გული! მამაშენსა აქვს ცხონება, შენც თუ ხელი გასძარი, შენს ქმარს მეტი ლუკმა გულზე დაადგება, აი!.. მეტი მოუვა განა!.. აი დამიწდი, დამიწდი, კარგი რამ შენა ხარ!..” (*“ოთარაანთ ქვრივი”. [1886] – 6 ქრისტეშობისთთვეს 1887 წელსა).*

“გული ადგილიდამ უნდა მისძრას-მოსძრას კაცმა, თუ კაცს კაცის სიკეთე უნდა. ფხანა გულისა რის მაქნისია! უქმის კაცის საქმეა. თავადიშვილები ფეხის გულზე ხელს ასმევინებენ, რომ ძილი მოიგვარონ. გულის ფხანაც ის არის: ძილს მოჰგვრის. ის კი არ იციან, რომ თუ წუთისოფელს ერთს ბეწო ხანს თვალი მოუხუჭე, ისე გაგთელავს, როგორც დიდოელი ლეკი ნაბადსა.” (*“ოთარაანთ ქვრივი”. [1886] – 6 ქრისტეშობისთთვეს 1887 წელსა).*

“ეს დედაკაცი ცოტა უხეირო, უნდილი რამ იყო: გარჯა ეზარებოდა და წვრილშვილი ნახევარზედ მშიერ-მწყურვალი ჰყვანდა. “ოთარაანთ ქვრივი ყოველ კვირა დღეს ერთი ათიოდ შოთს და ერთ ბადია კორკოტს თავის ფეხით გადაუტანდა ხოლმე.

_ აჰა, ხეთქეო, _ ეტყოდა ხოლმე დედაკაცსა, _ დაგიღია ეგ შავის მიწით ამოსავსები პირი, შე პირშავო, შენა, და შენი დღენი ძაღლსავით სხვას შეჰყურებ, აეგე გამოხრულს ძვალს გადმომიგდებენო. შე არდასაცალებელო, რისთვის მოუცია ღმერთს ეგ ბარძაყის ოდენა მკლავები!.. დახე, დახე, ამ წუწკსა, წუწკის შვილსა, სამგლე გოჭსავით გათხვირულა, ლუკმაპურის შოვნის უნარი კი არა აქვს. რა კარგი დაეყრებათ ამ შენს ცოდვის შვილებსა! შენი მაყურებლები შენგან აბა რა კარგს ისწავლიან! ესენი მაინც არ გეცოდება, შე უბედურის დღისავ!.”

“მადლობა!.. შენთვის მაგრად შეინახე, ძონძებში გამოიკარ, არ დაგეკარგოს... დიდი განძია ეგ შენი მჭლე მადლობა ოთარაანთ ქვრივისათვის, ო, შენმა მზემ! ეგრე ხელგაშლით რად იხარჯები. აი, მეხი კი დაგაყარე! მადლობა!.. კარგია _ მუქთაა, თორემ მაგასაც ხომ ვერ იშოვიდი, რომ გარჯით საშოვარი იყოს. მადლობა!.. ეგ შენი მადლობა გინდა გახიე, გინდა გაფხრიწე...”

“ი... ი... ი... შენ კი მოგიკვდა ეგ უხეირო თავი, _ მიაყოლებდა ხოლმე, როცა გასაკითხს აწვდიდა. _ დაგიბრიყვებია ჩემისთანა სულელი დედაკაცები და ლუკმაპურს პირიდამ აცლი. აი, მეხი კი დაგაყარე მაგ ქეციან თავზედ. შე ოხერო, რომ აგიღია თავი და დაეხეტები სათხოვრად, ნამუსი აღარა გაქვს? ამ წუთისოფელში ვისა აქვს მეტი ლუკმა, რომ შენ გაძლიოს. ვერა ჰხედავ, შე გულმკვდარო, რომ ვინც კია, წელებზედ ფეხს იდგამს და დღის სარჩოს ძლივსა ჰშოულობს და შენ როგორღა გარჩინოს! ქვეყნისა არა გრცხვენიან? არა, შე ოყრაყო, ოთარაანთ ქვრივი დედაა შენი, მამაა, თუ შენი მოვალეა, რომ შეგინახოს! აი გაგიხმეს ეგ ხელ-ფეხი! რისთვის გასხია ეგენი მაგ მუტრუკს ტანზედ, თუ ვერ მოგიხმარებია? ქვეყანას თავისი თავი კი შეუნახავს, რომ ეგ შენი ბრიყვი თავიც ინახოს? ფუ შენ ნამუსსა! *(“ოთარაანთ ქვრივი”. [1886] – 6 ქრისტეშობისთთვეს 1887 წელსა).*

“წამოეთრიე ერთი მარანში, ღვინოს ჩაგაცცეცხლებ. ნუ გეგონოს კი, რომ მადლს გიშვრებოდე რასმე. აი, გაქრეს, ოთარაანთ ქვრივმა შენთვის არა გამოიმეტოს-რა. აი, ქვევრში რაღაც წუმპე ნაძირალა დამრჩა, მაინც გადასაღვრელია და ბარემ შენ ჩასცეცხლო.” (*“ოთარაანთ ქვრივი”. [1886] – 6 ქრისტეშობისთთვეს 1887 წელსა).*

“აი, შე უნამუსო! აქაო-და არავინა მხედავსო, ნამუსის ქუდი აგიხდია და ლაფში გადაგიგდია. შენს ღმერთს რაღას ეუბნები! აქაო-და კამეჩი პირუტყვია, შებრალება არ უნდა, თუნდაც სხვის ამანათი, სხვის მონაბარი არ იყოს?! *(“ოთარაანთ ქვრივი”. [1886] – 6 ქრისტეშობისთთვეს 1887 წელსა).*

“მერე შენ რა? ვისი ტიკი-ტომარა ხარ. შენი მოჯამაგირე ხომ არა ვარ? ჩემი რომ იყო, ცარიელ პურის ჭამის ფასადაც არ შეგინახავდი.” (*“ოთარაანთ ქვრივი”. [1886] – 6 ქრისტეშობისთთვეს 1887 წელსა).*

“თორემ... მე ვიცი, ყურებზედ ხახვი არ დამაჭრა. ადე-მეთქი, ამ პირუტყვების ცოდვაში ნუ სდგები, თორემ ამ ჭიგოს ხომ ჰხედავ? *(“ოთარაანთ ქვრივი”. [1886] – 6 ქრისტეშობისთთვეს 1887 წელსა).*

“თუ ეს მართლა ვაჟკაცია, საქმეს არ უღალატებდა, პირუტყვს შეიბრალებდა, და თუ ვაჟკაცი არ არის, რატომ ესე გაბედულად მომიშვირა გულ-მკერდი და თავმოწონებით ალვის ხესავით წინ გამემართაო.” (*“ოთარაანთ ქვრივი”. [1886] – 6 ქრისტეშობისთთვეს 1887 წელსა).*

- **უუნარობა: აი რა გვიშლის ხელს საზოგადო საქმეებში**

“შავი-ქვის წარმოების საქმეს იგივე ემართება, რაც ყველა ჩვენს საზოგადო საქმეს. ჩვენი უმთავრესი უბედურება საზოგადოდ ის არის, რომ ნამდვილის საქმიანობის უნარი არა გვაქვს. ვერც ერთს საქმეს ბოლოს ვერ გავატანთ ხოლმე. ჩვენ მხოლოდ ლაპარაკი გვიყვარს, სიტყვით ოქროს კოშკებს დავსდგამთ, მთებს შევსძრავთ, და თუკი საქმე საქმეზე მიდგა, მაშინვე ყველა უკან ვსდგებით, ცალკ-ცალკე ვიფანტებით, შორიდამ გულგრილად ვუცქერით საქმესა და თან კიდეც ვკვირობთ, რატომ ჩვენში არაფერი საქმე არა ხერხდებაო. ვიმეორებთ, ყვირილით კი ბევრს ვყვირით და ძალიან ხმამაღლაცა, ყველას ვარწმუნებთ, რომ გულწრფელად გვსურს რაიმე საქმის გაკეთება და საქმით კი ხელსაც არა ვძრავთ. პირველ დაწყებაში ბევრი ჰაი-ჰუი ვიცით, ვცხარობთ, ვყვირით, ვჩხუბობთ, და მინამდე საქმემდის მივალთ, ჩალასავით აპილპილებული ჩალასავით ჩავქრებით ხოლმე.” *(“შავი-ქვის მრეწველობის მიმდინარე საქმეებზე”. 1886 წ. 15 ოქტომბერი).*

“რა არის ამის მიზეზი? შური, მტრობა, ცრუ თავმოყვარეობა, წვრილმანობა, _ აი რა არის ამის უმთავრესი მიზეზი, აი რა მიუძღვის წინ ყოველ ჩვენს საზოგადო საქმეს, აი რა გვიშლის ხელს ყველგან და ყოველისფრის საქმეში. ყველგან, საზოგადო საქმეში თუ ცხოვრებაში.” *(“შავი-ქვის მრეწველობის მიმდინარე საქმეებზე”. 1886 წ. 15 ოქტომბერი).*

- **“სოფლის წურბელა”: სულით გათავისუფლებული უფულო გლეხი, ხორცით ყმა გახდა**

“ბატონ-ყმობა გაუქმდა რუსეთში თუ არა, ყმურს მოწყობილობას სოფლისას და მიწათმოქმედებისას ბოლო მოეღო, დიდს გაჭირებაში ჩაცვივდნენ როგორც

მიწათმფლობელი თავად-აზნაურობა, ისეც მიწათმომქმედი გლეხობა." *("საგლეხო გამსესხებელ-შემნახველი საზოგადოებანი და მოკლევადიანი კრედიტის საკითხი გლეხკაცობისათვის". 1890 წ. 23 იანვარი).*

"განთავისუფლებული გლეხობა ერთს ჭირს გადაურჩა და მეორეს შეეყარა, თუ არ იმისთანავე შეუბრალებელს, არც ბევრად ნაკლებს. გლეხკაცობას ზედ მუწუკად დააჯდა ეგრეთწოდებული "სოფლის წურბელა", რომელიც ჩაიგდებდა თუ არა გაჭირებულს გლეხს, სწოვდა იმის ნაამაგევსა და ნაჭირნახულევსა ასე, რომ ზოგჯერ ცარიელზედაც დასვამდა ხოლმე." *("საგლეხო გამსესხებელ-შემნახველი საზოგადოებანი და მოკლევადიანი კრედიტის საკითხი გლეხკაცობისათვის". 1890 წ. 23 იანვარი).*

"ეს წურბელა თანდათან ჰმატულობდა და დღესაც კლებაში არ არის. სიხარბემ ამ სოფლის წურბელებისამ იქამდე მიაღწია, რომ სულით განთავისუფლებული უფულო გლეხი, ხორცით ამ წურბელების ყმად გახდა და რასაც თავის ოფლითა და ამაგით ჰშოულობდა, სულ ამ სვავის გასაძღომად ხელიდამ ეცლებოდა. საცა ეს იყო, ხომ ეს გარემოება ასწორებდა გლეხს მიწასთან, და საცა ეს არ იყო, იქ გაჭირება გლეხკაცისა აიძულებდა გლეხს, რომ თავისი ნაამაგევი და ნაჭირნახულევი ჩალის ფასად გადაეყარა, ოღონდ-კი ეშოვნა საკმაო ფული სახელმწიფო და საზოგადოებურ გადასახადის მოსაშორებლად, ან თავის შინაობაში ნაკლებობის შესავსებლად." *("საგლეხო გამსესხებელ-შემნახველი საზოგადოებანი და მოკლევადიანი კრედიტის საკითხი გლეხკაცობისათვის". 1890 წ. 23 იანვარი).*

"ამ ორ გზით იღუპებოდა გლეხკაცობა და არსად იყო წამალი ხსნისა. განათლებულმა ნაწილმა რუსეთისამ მიაქცია ყურადღება ამ ამბავს და ბევრი საუბარი გაიმართა, ბევრი აზრი წარმოითქვა, ბევრი სხვადასხვა პროექტი დაიწერა მასზედ, თუ ამ სატკივარს რა წამალი დაედოს." *("საგლეხო გამსესხებელ-შემნახველი საზოგადოებანი და მოკლევადიანი კრედიტის საკითხი გლეხკაცობისათვის". 1890 წ. 23 იანვარი).*

"სხვათა შორის გაძლიერდა ის აზრი, რომ გლეხკაცობას შინვე უნდა გავუმართოთ კრედიტი, ადვილად მისაწვდენი და შეღავათიანი. შორს სიარული აღარ მოუნდათ, აიღეს და გერმანიიდამ გადმოიღეს ერთნაირი საკრედიტო დაწესებულება, რომელსაც დაერქვა "გამსესხებელ-შემნახველი ამხანაგობა". ამ საკრედიტო ამხანაგობას პირველ რიგში ასეთი სახელი ჰქონდა, ასე იმედოვნებდნენ, _ თუ გვიშველის, ეს გვიშველისო, _ რომ 1878 წლამდე ერთი ერთმანეთზე არსდებოდა ეს ამხანაგობა." *("საგლეხო გამსესხებელ-შემნახველი საზოგადოებანი და მოკლევადიანი კრედიტის საკითხი გლეხკაცობისათვის". 1890 წ. 23 იანვარი).*

- **მონატრება სოფლისა და სიყვარულით მფეთქავი გული**

"ქალაქი იქნება დედა იყოს, სოფლებიც იქნება მისი შვილები იყვნენ, მაგრამ საქმე იმაშია, რომ დედის ძუძუ გაშრა და დედის ძუძუს შვილი აღარა სწოვს." *("ზოგიერთი რამ". 1866-1876 წ.).*

"ხომ იცი, რომ ჩემი ნატვრა ის არის, რომ სოფლად ვიცხოვრო და ხილად ქალაქში ჩავდიოდეთ". *("წერილები ილია ჭავჭავაძისა ოლღა თადეოზის ასულ გურამიშვილისადმი". 1873 წ. 15 დეკემბერი).*

"იქნება აქედამ რომ მოვალ, ამა ქვეყნის დავიდარაბას თავი დავანებო და ჩვენს ყვარელში ჩავიკეტოთ თავი მე და შენ, თუ არ სამუდამოდ არა, იმ დრომდე მაინც, რომ პატარა მოსვენებით დავსტკბეთ ერთად ცხოვრებითა ქვეყნის ყაყანს მოშორებულნი.

დავიღალე და ვგრძნობ, რომ თანდათან ვბერდები, ღონე და გულის სიმხურვალე თანდათან უკან მიდის. მაგრამ არ ვშიშობ". *("წერილები ილია ჭავჭავაძისა ოლღა თადეოზის ასულ გურამიშვილისადმი". 1874 წ. იანვარი).*

"შინაური, ესე იგი ყვარელის ამბები ვერაფერი სანუგეშონი არიან, მაგრამ რა გაეწყობა ჩვენს ბედსა მაყივნებელსა. ვითმინოთ, ვიდრე მოთმინების წყარო დაგვიშრება, და მერე რაც მოსახდენია, მოხდეს. ჩემმა სასიქადულო მოურავმა და გიორგიმა ვერაფერი კაცობა გამოგვიჩინეს, ერთმა თვითონ გაგვქურდა და მეორემ ჩვენი თავი სხვას გააქურდვინა. ესეც ჩვენს ბედს ზედ ზედ კისერზედ დავაჭდიოთ და მოთმინებითა მოვიპოვოთ, სული კი არა, დაკარგული. რაც მოხდა, მოხდა, ყველაფერს დავივიწყებ, როცა ღმერთი მაღირსებს ჩემს ოლიკოს ნახვასა. ქვეყანა ამითი კარგია, რომ ჭინჭარიც მოჰყავს და ვარდიცა, ესე იგი, შეწუხებაც იცის და ამასთანავე სიამოვნების დაპირებაცა. მე იმითი ვსულდგმულობ, რომ დღესა თუ ხვალე ჩემს საყვარელ ქვეყანაში ჩემს საყვარელ კუკლუშკას გულში ჩავეკვრი, სხვა ყველაფერი შენი ჭირის სანაცვლო იყოს". *("წერილები ილია ჭავჭავაძისა ოლღა თადეოზის ასულ გურამიშვილისადმი". 1874 წ. 18 თებერვალი).*

"...ვაპირობ წასვლას რუსეთში, მარამ, შენმა გარდამ, ისე მეძნელება დატევემა ამ ჩვენი ყვარლისა, ნამეტნავათ ამ ჩვენ სახლისა, სადაც ყოველი ნაწილი ალაგისა მომაგონებს ხოლმე ჩემს დაუდევნელ ყმაწვილობის დროს, სადაცა ყოველი ხე არის ძვირფასი ჩემთვის სასიამოვნო მოგონებები(თა). ერთის სიტყვით, ვესალმები ყოველს ფერს, რაიც არის ჩემი გულიდამ დაუვიწყარი, და მივდივარ ერთს უცხო ქვეყანას, სადაც ერთი ტკბილი ნათესავური სიტყვა, სავსე სიყვარულითა, ეღირება ჩემთვის ნეტარებათ, სადაც უბედურობაში არავინ მეყოლება ნუგეშმცემელი და სიამოვნებაში ჩემთან მოხარული. მარამ ყოველი ჩემებრი, რომელსაც მომავალ დროის შავ ღრუბელში აღუპრწყინდება ბედნიერების ვარსკვლავი და რომელსაც სურს შეეყაროს იმ ბედის ვარსკვლავს, ყოველთვის ტკბილს მდგომარეობას დაუტევებს და სიმწარით განვლის გზას მისთვის, რომ უფრო უტკბილესად შეხვდეს თავის ბედნიერებას. შენ თვითონ იცი, ვარდსა წინ მოუძღვის ეკალი, ვისაც სურს ვარდის მოწყვეტა, არ უნდა შიშობდეს ეკლისაგან". *("წერილები ნინო ჭავჭავაძე-აფხაზისადმი". 1857 წ.).*

"სამშობლო მთებო! თქვენი შვილი განებებთ თავსა,
მაგრამ თქვენ ხსოვნას ვერ მივცემ მე დავიწყებასა;
თქვენ ჩემთან ივლით განუყრელად, ვით ჩემი გული,
თქვენთან, ჰე, მთებო, ბუნებითა შედუღებული!
. . . . . .
რარიგ მიყვარდით, მეგობარნო ჩემ ყმაწვილ ყრმობის,
და აწ მაშორებს თქვენთან ვალი ამ წუთის-სოფლის
მომავლის ბედი გაყრას ითხოვს ჩემგან მსხვერპლადა,
და რას მომთხოვდა უარესსა დასასჯელადა?!
. . . . . .
მშვიდობით ჩემნო, თვალში ცრემლით განებებთ თავსა...
უცხოეთიდან კვლავ მოგაწვდენთ ჩემს გულს და თვალსა!
კვლავ გაგიღიმებთ შორ ქვეყნიდამ თქვენ ჩემი სული,
და დამიწყებსცა სიყვარულით ფეთქვასა გული.

("ყვარლის მთებს". 1857-სა წელსა, 15-სა აპრილსა).

- **სხვისი მოიმედება: ჯერ სათაკილოა თითონ ადამიანისათვის, და მერე - უღონოა, რომ ადამიანი ოდესმე ფეხზედ დააყენოს, თავისით აცხოვროს. სხვაზე მინდობა ქვიშაზე აშენებული შენობაა**

"სხვაზედ მინდობა _ ქვიშაზედ აშენებული შენობა ყოფილა და იქნება კიდეც ამ ქვეყნიერობაში წამოუვლის ნიაღვარი "შემთხვევისა" და იმ იმედს, იმ მინდობას აღგვის ხოლმე დედამიწის ზურგიდამ და იმედევნეულს, სხვაზედ დანდობილს, ერთს უდაბურს ტინზედ გარიყავს, შენს თავს შენვე მოუარეო. ეს კანონი _ ისტორიული კანონია. იქნება ზოგიერთისათვის ფრიად არ-მოსაწონი, მაგრამ აუცილებელი კი. ბევრიც რომ ვივაგლახოთ, ბევრიც რომ ვიტიროთ უბეში სხვაზედ დამყარებული იმედი, მაინც ბოლოს "ჟამთა სვლა" ამ კანონზედ დაგვაყენებს და დრო წარსული ჩვენთვის სამუდამოდ დაკარგული დრო იქნება." *("საზოგადოება შეუძლებელ მოსწავლეთა შემწეობისათვის". 1877 წ. 10 ნოემბერი).*

"გვეყო, ბატონებო, ჩვენის აწმყოსი და მომავლის ბედის სხვაზედ მიგდება. ჩვენის გაჭირვებისა, გულისტკივილის და წადილის პატრონნი ჩვენვე უნდა ვიყვნეთ. მძიმეა ეს უღელი, მაგრამ მით უფრო სახელოვანია მისი ერთგულად გამწევი. მძიმეა, მაგრამ უმაგისოდ ვერ შოებულა ამ ქვეყნიერობაზედ სიკეთე და ძალ-ღონე ხალხისა. სხვა გზა არ არის, ჩვენის ცხოვრების შარა-გზა ჩვენვე უნდა გავიკაფოთ, ბედი და უბედობა ხელთ უნდა ვიგდოთ." *("საზოგადოება შეუძლებელ მოსწავლეთა შემწეობისათვის". 1877 წ. 10 ნოემბერი).*

"გვეყო, ბატონებო, სხვაზედ დანდობა, სხვის მაყურებლობა. ჩვენ თითონ მივეშველოთ ჩვენს თავს: რაც ერთისათვის შეუძლებელია, ის ყველასათვის ადვილია; მივცეთ ურთიერთს მხარი და ზურგი და ეს ჩვენის შვილების საკეთილო საქმე გავაწყოთ და რიგიანად წარვმართოთ." *("საზოგადოება შეუძლებელ მოსწავლეთა შემწეობისათვის". 1877 წ. 10 ნოემბერი).*

"სხვის იმედის მქონებელი გლახაა, მათხოვარაა, და გლახა-მათხოვარაობით ცხოვრება პირველი რომ სათაკილოა, თითონ ადამიანის ღონის მომშლელი და დამდუნებელია, და მეორე _ არც შემძლებელია, რომ ადამიანი მართლა ფეხზედ დააყენოს, გამოაბრუნოს და ოდესმე თავისით აცხოვროს, თავისით გამოაკეთოს". *("თავად-აზნაურობის გულგრილობა სწავლა-განათლების საქმეში". 1886 წ. 8 აპრილი).*

"გლახა, მათხოვარა, რამოდენადაც წაქეზებულია სხვის გულ-შემატკივრობისაგან, იმოდენად თანდათან უკან მიდის, იმოდენად სული და გული უღონდება, უკვდება და ბოლოს ისე გამოდის, რომ მთლად გადაეჩვევა თავის-თავის პატრონობას და მოვლას. ამ გადაჩვევას ხომ უღონო, დაუძლურება სულისა და ხორცისა მოსდევს, და ეს უღონობა, დაუძლურება _ კდომაა, ხრწნაა, აგებულების დაშლა და დარღვევაა". *("თავად-აზნაურობის გულგრილობა სწავლა-განათლების საქმეში". 1886 წ. 8 აპრილი).*

"თუ ეს ითქმის ცალკე კაცზედ, თუ ეს საფიქრებელია და მართალია ცალკე კაცისათვის, უფრო საფიქრელია და მართალი მაშინ, როდესაც რომელიმე წოდება, ან მთელი საზოგადოება ამისთანა სენით არის დასნეულებული. ამაზედ უარესი სენი ჩვენ არ ვიცით. რომელს წოდებასაც, თუ საზოგადოებას ეს სენი ჩასჯდომია გვამსა და აგებულებაში, ფუტურო ხესავით დღე და დღე იფხვნება და პირქვე დასამხობლად გამზადებულია და გადადებული: თავოსნობას მუხლი ეჭრება, თვითმოქმედებას, გამრჯელობას და მხნეობას _ ამ დედაბოძებს წარმატებისას _ ძირი ულპებათ და აქ დარღვევისა და წაქცევის მეტს რას უნდა მოელოდეს ადამიანი?. *("თავად-აზნაურობის გულგრილობა სწავლა-განათლების საქმეში". 1886 წ. 8 აპრილი).*

“არ არის არც ერთი იმისთანა გაჭირება, რომელსაც ცხოვრება კარზედ მოგვაყენებს ხოლმე, რომ ჩვენმა თავად-აზნაურობამ მაშინვე თვალი არ გაახილოს, იმისათვის კი არა, რომ თვითონ თავის თაოსნობასა და მხნეობაში მოიპოვოს ღონე ხსნისა, არამედ იმისათვის, რომ თავის გარეთ, ხელ-ფეხ-გაუნძრევლად, გაურჯელად _ სამადლოდ ხელი ვისმე გამოაწვდევინოს საშველად. თუ ეს სამადლოდ გამოწვდილი ხელი იპოვა, ხომ რა კარგი, თუ არა-და, დაიკრებს ხოლმე გულზედ ხელებს და წუწუნებს, ვაი რა მეშველებაო, არავინ არა მშველისო”. *(“თავად-აზნაურობის გულგრილობა სწავლა-განათლების საქმეში”. 1886 წ. 8 აპრილი).*

“ამისთანა საკუთარი სულმოკლეობა, მარტო სხვის სულგრძელობაზედ დამყარებული, კარგს არას მოასწავებს. პირიქით, რამოდენადაც დიდს ხანს გასტანს და დიდს მანძილს გაივლის, იმოდენად გაათახსირებს, მოადუნებს, მოაკვდენს თვითარსებობის ძალ-ღონესა. წუთი-სოფლის სუფრა ჩვეულების სუფრა არ არის: ამ სუფრაზედ ყველამ თავის საკუთარი კერძი თვითონ უნდა მოიტანოს და დაიდგას, თვითონ უნდა მოჭთესოს, მოჭხნას, მოიმკოს, მოზილოს და გამოაცხოს თავისი არსებითი პური. ამაების იქით ხსნა არ არის და ტყუილად ჰფიქრობენ, ვითომც ეხლანდელ დროში სხვისით რჩენა შეიძლებოდეს. წავიდა ის დრო სამუდამოდ და დღეს ვინც თვითონ არის გამრჯელი და მხნე, ბურთი და მოედანი ცხოვრებისა, კეთილისა და ბედნიერებისა იმისია და მარტო იმისი”. *(“თავად-აზნაურობის გულგრილობა სწავლა-განათლების საქმეში”. 1886 წ. 8 აპრილი).*

“კაცი როცა მარტო სხვის ხელს შეჰყურებს, _ აცა როდის რას მომაწვდისო, როცა მარტო სხვის გულს შეჰკნავის, ღვთის გულისათვის მიშველე რამეო, იგი მათხოვარაა უქმი და არა მომქმედი და გამრჯელი”. *(“ქალთა სასწავლებელი”. 1889 წ. 6 მარტი).*

“აქ ნაგრძნობია და ჰო-უარაოდ აღიარებული, რომ სხვის ხელში ყურება, სხვისგან მანანას ლოდინი, სხვისი ხვეწნა და მუდარება, სხვაზე ჩივილი _ გვჭამს და გვყვლეფავსო, არიქა გვიშველეთ ვიღუპებითო, _ ვერაფერი ხიდია ჭირიდამ გამოსვლისათვის, ნამეტნავად მაშინ, როცა ჩვენ თვითონ ხელი გულს დაგვიკრებია, არას ვნაღვლობთ, არას ვდარდობთ და მარტო ჩივილ-ყვირილის მეტს არას ვაკეთებთ”. *(“კახეთის სოფლის მეურნეთა კავშირი”. 1895 წ. 3 დეკემბერი).*

“ფილოქსერა, ეს ყველა ჭირზედ უდიდესი ჭირი ვაზისა, ჭლამის მოედოს ჩვენს ქვეყანას. იმერეთში 16 სოფელში შორაპანისა და ქუთაისის მაზრისაში ფილოქსერა უკვე აღმოჩენილია, და ეს უფრო მით არის სამწუხარო, რომ ეს ორი მაზრა ბევრვენახებიანი მაზრებია.” *(“ფილოქსერა”. 1889 წ. 19 ოქტომბერი).*

“ჩვენი განუყრელი უბედურება ის არის, რომ სულ სხვის იმედითა ვცხოვრობთ, სულ სხვისგან მოველით შველას და ჩვენ თითონ-კი ხელს არა ვძრავთ, რომ თავს ვუშველოთ.” *(“ფილოქსერა”. 1889 წ. 19 ოქტომბერი).*

“ეს ფილოქსერა სახუმარი საქმე არ არის და არც ხანდასაყოვნებელია. ვენახის პატრონებმაც ხელი უნდა გამოიღონ ამ საქმისათვის, და რაც შეიძლება მალე, თორემ მერე გვიანღა იქნება, მერე ვეღარას ვუშველით, და ის საქმე დაგვემართება, რაც საფრანგეთს მოუვიდა, საცა ასი-ათას დღიურობით მოუხდათ ვენახების გადაკაფვა და ვაზების ძირიანად ამოთხრა და დაწვა. თუ მდაბიო ხალხი ვერ მიმხვდარა, _ რა უბედურება უდგა კარწინ ფილოქსერის სახით, ჩვენი თავად-აზნაურობა მაინც რატომ თავს არ იჩენს, რატომ არ მოქმედობს? განა მეტი იქნება, რომ ჩვენმა მარშლებმა ამისათვის თავი გამოიდონ, შეჰყარონ თავ-თავისი თავად-აზნაურობა, მოიწვიონ მცოდნე კაცები და რაიმე წამალი

დასდოს ამ ჭირსა, რომელიც გვიქადის ვენახებისაგან ხელცარიელი დაგვსვას?" *("ფილოქსერა". 1889 წ. 19 ოქტომბერი).*

"თუ ადგილის კაცნი ამ გზით მხარდამხარ არ მიჰყვებიან მთავრობას, მარტო მთავრობა აქ ბევრს ვერაფერს გახდება და, ვინ იცის, იქნება მისმა ჯაფამ და ხარჯმაც უბრალოდ ჩაიაროს და ჩვენც ბევრი არა გვეშველოს-რა." *("ფილოქსერა". 1889 წ. 19 ოქტომბერი).*

"დროა გონზედ მოვიდეთ და დაუვიწყარად გვახსოვდეს, რომ რასაც კაცი თავის თავს თავის მხნეობით უშველის, იმას სხვა ვერ უშველის." *("ფილოქსერა". 1889 წ. 19 ოქტომბერი).*

"სხვა გზა ის არის, რომ ერთმანეთს ერთმანეთით გული გავუგულადოთ და ამისათვის ღონე ღონეს გადავაბათ, მხარი მხარს მივცეთ, ერთმანეთის სიყვარული ვამოციქულოთ და ამ წინდებულს ახალს წელიწადს იმას ვაქმნევინებთ, რაც ჩვენ გვინდა, და არა იმას, რაც მასა ჰსურს. ვიმხნეოთ ერთად-ერთის გულით, ერთის სულით, ერთმანეთის ნდობით." *("საახალწლოდ", 1898 წ. 31 დეკემბერი).*

"ამ წლიწადმა ცხადის მაგალითებით დაგვიმტკიცა, რომ ქართველობამ, აქამდის ერთმანეთზედ დაშორებულმა, აქამდის ცალ-ცალკედ მოარულმა, იგრძნო, რომ ეგრეთს ყოფნა მწვადსაც სწვავს და შამფურსაცა, თვითოეულს კაცსაც ავნებს და მთელს საზოგადოებასაც; იგრძნო ეს ტკივილი და მალამოც უპოვა. იგრძნო, რომ ღონე ერთობაშია, ერთად თავ-მოყრაში, ერთად საერთო უღელის წევაში, ერთმანეთის მხარის მიცემაში. იგრძნო და გაშალა ხელი კიდეც, რომ დაქსაქსული, გაფანტული, ცალ-ცალკედ მოარული ღონე _ ქონებითი და გონებითი _ ერთს კვალში ჩაეყენებინა საერთო და საყოველთაო მოქმედებისათვის." *("ვისს ნათესსა ვმკით?". 1879 წ. 31 დეკემბერი).*

3.2.6. გულგრილობა: საიდამ დაგვჩემდა ეს საუბედურო თვისება

"შორიდამ რომ შემოგვხედოს უცხო კაცმა და შენიშნოს, რომ ჩვენ თავად-აზნაურთა საზოგადოებაცა გვყავს ღარიბთა მოსწავლეთა შემწეობისათვის, წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებაც, ქართული დრამატიული საზოგადოებაც, საკუთარი საადგილ-მამულო ბანკებიც, გაზეთებიც და ჟურნალებიც, მწერალნიცა და მკითხველებიცა, _ ყოველივე ეს რომ შენიშნოს, იფიქრებს, ამ საქართველოს ერს არა უჭირსრაო, ცნობიერს ცხოვრებაში წილი ჩაუდვია, სიკეთის და განვითარების გზაზედ ფეხი მკვიდრად მოუკიდებიაო. რასაკვირველია, ცოდვა იქნება ვსთქვათ, რომ ყოველივე ესე მცირეოდენად მაინც სანუგეშოდ არ მიაჩნდეს მას, ვისაც ჩვენის ერისა და ქვეყნისათვის გული შესტკივა. მაგრამ, ჩვენდა სამწუხაროდ, ყოველს ამას საძირკველი და ნიადაგი რომ შინაურულად გავუსინჯოთ, დავრწმუნდებით, რომ რაღაც აკლიათ, არიან და აღარც არიან." *("შინაური მიმოხილვა". 1883 წ. თებერვალი).*

"ერთი უდიდესი ნაკლი იმისთანა თვისებისაა, რომ სხვაზედ არის დამოკიდებული და არა ჩვენზედ. ბევრიც რომ თავი კედელს ვახალოთ, ამას ჩვენგან საშველი არა აქვს რა, თუ საერთოდ ყველას არ ეშველება. მეორე უდიდესი ნაკლი კი ჩვენ ხელთ არის, ჩვენის მიზეზით არის, თუმცა იდუმალი კავშირი კი აქვს პირველ დიდ ნაკლთან. ეგ მეორე ნაკლი ჩვენი გულგრილობაა ყოველს მასზედ, რაც პირდაპირ ჩვენ არ შეგვეხება, რასაც კი საერთო, საყოველთაო ფერი ადევს.

საიდამ დაგვჩემდა ეს საუბედურო თვისება _ გულგრილობა? რამ გადააჩვია ჩვენი ჭკუა, გონება, გული, საყოველთაო საქმეს? რამ დაგვიბა თვალი და ყური მარტო მასზედ, რასაც "ჩემობის" ფერი ადევს და არა "ჩვენობისა"? ჩვენს ისტორიას რომ შევხედოთ, მაგის მიზეზს ვერ ვიპოვნით. ერთს წუთს რომ ჩვენი თვალი და ყური მარტო "ჩემობაზედ" გაჩერებულიყო და "ჩვენობა" დავიწყებას მისცემოდა, მაშინვე სულს გავაფრთხობდით და ჩვენი ერი მტვერსავით აიგვებოდა დედამიწის ზურგიდამ. ჩვენი ძალ-ღონე, ჩვენი ეროვნული სიმტკიცე და დაურღვევლობა მარტო იმაში იყო, რომ ყოველს ჩვენგანს ჯერ "ჩვენ" ჰქონდა სახეში და მერე "მე". უამისოდ, აკი ვამბობთ, ჩვენი ცხოვრება ერთს წუთსავე მოისპობოდა. ეს კარგად იცოდნენ ჩვენთა წინაპართა და ამიტომაც საცა და როცა მძლავრი "ჩვენ" წარმოდგებოდა ხოლმე, მაშინ ყოველი კაცი თავის საკუთარს "მეს" უკან დააყენებდა.

ამით უფროა საკვირველი, საიდამ შემოგვეპარა, საიდამ შემოგვეჩვია და როგორ დაიჭირა დღეს უგემურმა "მე"-მ იმის ადგილი, საცა ამოდენა ხანს მბრძანებლობდა მარტო "ჩვენ" ჩვენდა სადღეგრძელოდ, ჩვენდა საბედნიეროდ? რამ წაგვახდინა ესე? ეგ სენი ახალი სენია და საიდამ არის მოსული, ვისი დანერგილია _ ეგ ადვილი მისახვდომია: იმისგან, ვისაც უძლური "მე" უფრო უხდება, ვიდრე ძლიერი და ძალგულოვანი "ჩვენ"." *("შინაური მიმოხილვა". 1883 წ. თებერვალი).*

"ასეა თუ არა, ჩვენ კი, როგორც მემატიანე ჩვენის შინაურის ცხოვრებისა, შევნიშნავთ, რომ დღეს ყოველს ჩვენს საზოგადო საქმეს ხელს უცრის, სწყლავს, ათახსირებს, გზა-კვალს ურევს და სულს ართმევს ჩვენი გულგრილობა, ჩვენი მომაკვდინებელი მოძღვრება თვითოეულისა ცალკედ: თუ მე არ ვიქნები, ქვა ქვაზედაც ნუ იქნებაო.

თუ ზემოხსენებულნი საზოგადოებანი იმით სანუგეშონი არიან, რომ მაგალითს წარმოგვიდგენენ, რომელშიაც ცხოვლად ჩანს ჩვენის ერის სურვილი ხელახლად "ჩვენობას" ფეხი აადგმევინოს და კუთვნილი ადგილი მოუპოვოს ჩვენს ცხოვრებაში, იმის ნიმუშიც არიან, თუ რამოდენად ძლიერია დღეს ჩვენში თვითეულობა, განცალკევება, განზედ დგომა და საკუთარი "მე"." *("შინაური მიმოხილვა". 1883 წ. თებერვალი).*

"თვითოეული ის საზოგადოება, თუ გაზეთი, თუ ჟურნალი, ორიოდე კაცის მხნეობით, ხარჯით, ოფლით და ღვაწლით თუ სულდგმულობენ, თორემ სხვა შემწე და მშველელი არსაიდამ ჰყავთ. ყველა სხვა გულაყრილია, თითქო ამ ერისა, ამ ქვეყნისა არ იყოს. ეს ამბავი იმოდენად უღონოდა ხდის ყოველს ჩვენს საზოგადო დაწყობილებას, რომ დიდი და პატარა ჩვენს საზოგადო საქმეს ჰქელავს დაუსჯელად, და იმიტომა ჰქელავს, _ რომ ქომაგად და მოსარჩლედ მარტო ორიოდე კაცია და არა მთელი ერი, მთელი საზოგადოება ერთად. ხმის ამომღები არავინ არის." *("შინაური მიმოხილვა". 1883 წ. თებერვალი).*

3.2.7. ლოდინი: დინჯი და წყნარია ბუნებით, მაგრამ მათხოვარსავით ხელგაწვდილია მუდამ

"ვიცით ყველამ, რომ გუშინდელი ყველას მოსწყინდა, დღევანდელი ყველას შესძაგდა, და თუ დაგვრჩა რამე ნიშნად სიცოცხლისა, სულდგმულობისა, _ ეგ ხვალინდელის ლოდინია. გული ნდომით დამძიმებულია და სული მაგ ლოდინითა." *("შინაური მიმოხილვა". 1881 წ. სექტემბერი).*

"სულ ველით, რაღაცას ველით გამსუნაგებით, მაგრამ ლოდინი ლოდინად გვრჩება. ეგ ლოდინია საყოველთაო სატკივარი დღევანდელის დღისა, ეგ ლოდინია ის ახალი სენი,

რომელიც დიდსა თუ პატარას დღეს აგებულებაში ჩასდგომია და რომელიც ყოველს საქმეში, ყოველ შემთხვევაში გვათქმევინებს ხოლმე: ვინ იცის, ხვალ რა იქნებაო." *("შინაური მიმოხილვა". 1881 წ. სექტემბერი).*

"ამაო ლოდინმა სული და გული დაუმშია ადამიანს, ხელფეხი დაუბაწრა, გაუცვითა ნიჭი ნატვრისა, გაუქსუა სურვილი, მოშალა ტანში და ერთობ მოუდუნა მთელი აგებულება, უამისოდაც მოდუნებული." *("შინაური მიმოხილვა". 1881 წ. დეკემბერი).*

"ქვეყნის ჭირი ჩვენი ჭირიც არის. ჩვენც ქვეყანაში ვურევივართ და ქვეყანასთან ერთად ბევრი რამ საზიარო გვაქვს." *("შინაური მიმოხილვა". 1881 წ. დეკემბერი).*

"ლოდინით მომართული ადამიანი ბაგში დამწყვდეულ პირუტყვსავით ნებიერადა წევს და იცოხნება ნელ-ნელად, ტკბილად. ამ-გვარის ყოფისათვის მარტო კბილია საჭირო და მაგარი კუჭი. ღვთის მადლით, არც ერთი დაუზოგავს ბუნებას ადამიანისათვის და არც მეორე: კბილიც უჭრის საცოხნელად და კუჭიც მოსანელებლად. ოღონდ-კი საცოხნელი ჰქონდეს და სხვა არა უშავ-რა. საცოხნელი კიდევ თითონ ლოდინია. ვერც კბილს გასცვეთს და ვერც კუჭს მოშლის, და მშიერს, როგორც იქნება, გამოჰკვებავს." *("შინაური მიმოხილვა". 1881 წ. დეკემბერი).*

"ლოდინი ბუნებითაც დინჯი რამ არის. მშვიდობიანი, წყნარი და მთხოვარსავით მუდამ ხელგაწვდილი: მიაწვდი რასმე _ მადლობელია და არ მიაწვდი _ მაინც მადლობელია. ხელგაწვდით და ღრეჭით თუმცა ჰგავს მათხოვარსა, მაგრამ უმადურობით კი არა. მთხოვარს რომ არა მიაწოდო-რა, გულში მაინც წყევლა-კრულვას შემოგითვლის, ლოდინი კი თავის-დღეში მაგას არ იკადრებს, ყოველთვის მადლიერია და კმაყოფილი. არც ერთ შემთხვევაში არც ფერს იცვლის, არც ზნესა. გარდა მაგისა, ლოდინი იმისთანა სახედარია, რომ არც სადავე უნდა, არც ჯილავის დაჭერა. ოღონდ კი თითით, ან თვალით ანიშნეთ, და საითაც გნებავთ _ თავს იქით იქს შესაფერის ღიმითა და მთქნარებითა. ამიტომაც უაღვიროდ სიარულის ნება მარტო ლოდინსა აქვს ამ შემობაწრულ სარბიელზედ, რომელსაც ადამიანის ცხოვრებას ეძახიან." *("შინაური მიმოხილვა". 1881 წ. დეკემბერი).*

"ლოდინში ერთი კიდევ კარგი ის არის, რომ მუქთია. რამდენიც გნებავთ ხარჯეთ, გროში არ გაგივათ. მეორე კიდევ ის არის, რომ თუ მოინდომეთ, დაუსრულებელი იქნება, ბოლო აღარ მოეღება. ამ მხრით ლოდინი მეტად კარგი ხერხია და ოსტატის კაცისთვის დიდად გამოსაყენი. შეიძლება ერთს რისამე ლოდინს რომ ბოლო მოეღოს, მაშინვე მეორე საგანი აუჩინო და ამას მიუსიო ადამიანის მუდამ დამშეული გული. ამ გზით შეგიძლიანთ ადამიანის გულს არ მოაშოროთ ლოდინი არას-დროს." *("შინაური მიმოხილვა". 1881 წ. დეკემბერი).*

"ლოდინი თოკია. თუ ოსტატმა კარგად ხერხიანად გამოიყენა, მაშინ ახსნილიც დაებმის და დაბმული ხომ დაბმულია და დაბმული." *("შინაური მიმოხილვა". 1881 წ. დეკემბერი).*

"ნუთუ მართლა _ რაც მღვრიე წყლისათვის შაბია, ის მღვრიე გულისათვის ლოდინია?" *("შინაური მიმოხილვა". 1881 წ. დეკემბერი).*

"იცით "სულელი" საიდამ გამოდის? ლოდინიდამ. იცით "სულელის" ძირი რა არის? ლოდინი. აბა "ლოდინი" და "სულელი" _ საიდამ სადაო, იკითხავთ. არც ისე შორს არიან ერთმანეთზედ ეს სიტყვები, როგორც თქვენა გგონიათ. იმ კაცს რას ეტყვით, რომელიც "სულ ელის და სულ ელის?" "სულ ელიო". მორჩა და გათავდა. გამოცანა ჩვენ გვერგება." *("შინაური მიმოხილვა". 1881 წ. დეკემბერი).*

“აქაურ მოხელეებში ერთიც არ გვეგულება იმისთანა, რომელსაც არამც თუ შეესწავლოს ჩვენი ქვეყანა, არამედ ამისი სურვილი ჰქონდეს და ამისი საჭიროება ეგრძნოს.” *(“შინაური მიმოხილვა”. 1881 წ. დეკემბერი).*

“ვიდრე წესების ცვლილებას შეუდგებიან ჩვენში, ჯერ ყველაზედ უწინარეს გამოცნობილ და აღიარებულ უნდა იქმნას ის, თუ რა თვალით და რა გულით უნდა გვიყურონ ჩვენ. უნდა გამოცნობილ იქმნას, კარგად განსაზღვრულ და ბეჯითად განმარტებულ, _ თუ ვინა ვართ ჩვენ და რანი ვართ. რომ არავინ დაგვწამოს მიდგომით ლაპარაკი.” *(“შინაური მიმოხილვა”. 1881 წ. დეკემბერი).*

მესამე ნაწილი

3.3. ქართველი ერის ქონებრივი გაღონიერების ადამიანური და ბუნებრივი რესურსები

3.3.1. მკლავ-ძარღვად კარგები, ჯან-ღონიანი, მხნე ქართველები და დიდი სიმდიდრის მომტანი მადლიანი ჰავისა და ნოყიერი ნიადაგის პატრონი საქართველო

- უკვდავი არის შვილი მამულისათვის მკვდარი. ჩვენი დიდი ერთიანი მამული გავინამცეცეთ და პატარ-პატარა ხუხულები ავაშენეთ
- მადლიანი ჰავისა და ნოყიერი ნიადაგის ქართული სოფელი და სოფლის მეურნეობა – ერთად-ერთი სახსარი, ერთადერთი წყარო ცხოვრების გასაძღოლად
- მიწათმოქმედების ორი საგანი მიწისა და გუთნის შესახებ. წარმატების სამი გზა

3.3.2. საქართველოს სახალხო მეურნეობის დარგები როგორც ქვეყნის ქონებრივი სიმდიდრე და სიმდიდრის გამრავლების ფაქტორი

3.3.2.1. მევენახეობა და მეღვინეობა

- ჩვენი ხალხი ძველადვე ვენახის კეთებას მისდევს
- ხვნა-თესვა თუ ვენახობა და ღვინის კეთება: ორი ურთიერთ შეუფერებელი და შეუწყნარებელი მოვლენა
- გლეხკაცი უფრთხის და ერიდება ვალის აღებას. რატომ?
- რას და რატომ გვიწუნებენ ქართველებს: ანუ არც ადგილის შერჩევა გვცოდნია სავენახედ და ვენახის კეთებაც ადამის-უმური გვცოდნია?
- მეორე ჯურის ოსტატები ჩვენის ღვინის დაყენებას და კეთებასაც აბუჩად იგდებენ
- ღვინის მკეთებელი: საქმე და მოვალეობა
- ბუნებური ღვინის ჭეშმარიტი ღირსება
- სისტემა, რომელსაც სახეში ჰყავს პირდაპირი მომხმარებელი ღვინისა
- რა აფერხებს ჩვენში ვაზისა და ღვინის კეთების საქმეს: "ნაცარი", ფილოქსერა, "ხაშმის" ჭია, ტყის სიძვირე, სეტყვა, და სირაჯებისა და წვრილი ჩარჩების ხელში ჩავარდნილი ღვინის ვაჭრობა
- ღვინის საქმის საეკონომიო ძალის მიზეზნი. ჩვენი და ევროპის ცოდნა-გამოცდილება
- "შაჰტალიზაციები", "გალლიზაციები" და სხვა "ციები" - შორს ჩვენგან
- ყურძნის დაწურვა
- ყურძნის წვენის სამწვერად დაყოფა
- ჭაჭა და კლერტი ჩააყოლონ ტკბილსა თუ არა?
- ჩვენის მარნების ფარღალალაობის სიკეთე ისიც არის, რომ მარანი უშიშარია ადამიანისათვის
- ყურძნის წვენის დუღილი – ახალი ხანა ღვინის კეთებისა
- ღვინის დაწმენდა
- ღვინის გადაღება
- ღვინის შენახვა
- ქვევრის სიკეთე
- ყალბი ღვინის კეთება ანუ ბუნებური ღვინის გარდაქმნა
- არყის ხდა ჭაჭისაგან – ღვინის წარმოების თანმდევი პროცესი

3.3.2.2. სახალხო მეურნეობის სხვა დარგები

- მარცვლეულის წარმოება, სიმინდი;
- მესაქონლეობა;
- ბამბის საქმე;
- ნავთის საქმე;
- საეკონომიო გზები;
- სალითოგრაფიო ქვა და კირი;

3.3.2.3. ვაჭრობა, როგორც ერის ცხოვრებაში სიმდიდრის გამოფენისა და მორიგების სფერო;

- ვაჭრობის ბუნებაა ნაკლებ იყიდოს და მეტად გაჰყიდოს
- მოსავალი კარგია, როცა მისი გასყიდვა შესაძლებელია ანუ მხნეობაში სახელგანთქმული ინგლისელის ამბავი
- ბაზარი გამნაღდებელი ნაშრომისა. ჩარჩების პირის შეკვრა
- ერთაშორისი აღებ-მიცემობა. სავაჭრო ბალანსი
- ვაჭრობა მხოლოდ სიმდიდრის მოფენას და მორიგებას შველის. უცხო თესლის ვაჭარი სტუმარია მკვიდრის ერისა
- ჩარჩი: მისი მიზანი კერძო სარგებელია და არა ხალხის კეთილდღეობა. ვინ დაიხსნის ხალხს ჩარჩებისაგან?
- ჩვენი სოვდაგრების ნიჭი სახეირო საქმის სიკეთეს ვერ მისწვდენია
- მწარმოებლისა და მხმარებელის პირდაპირი შეხვედრა ჩარჩის გარეშე
- რამდენიმე დიდი ვაჭრის შეთანხმება ჭირნახულის გასასყიდველ და სასყიდველ ფასზე
- ამხანაგობის შექმნა, როგორც მოჭირნახულესა და მხმარებელს შორის პირდაპირი შეხვედრის ღონისძიება
- იქ საცა თვითეული უღონოა, ღონიერნი არიან ყოველნი ერთად
- თავისუფალი ვაჭრობა (ფრიტრედერობა) თუ პროტექციონობა
- ფრიდრეტერობა: არსი და მოქმედების პრინციპები
- პროტექციონობა: არსი და მოქმედების პრინციპები
- თავისუფალი ვაჭრობის შეზღუდვა სატამოჟნოებისა და საბაჟოების გამართვით
- ჭაჭისაგან არყის ხდა: აქციზის კანონებმა ჭაჭის ხდა ფულიანი კაცის ხელში მოაქცია და გლეხკაცებს ხელიდამ გამოაცალა
- პირის შეკვრა ჭაჭის ფასზე და გლეხთა გაღარიბება
- ბაზარი: ერთადერთი წყარო ფულის შოვნისა
- დიდი და ბევრის ადგილის ბაზრის დაჭერის ორი გზა
- რა მიზეზით არის რომ ჩვენში პურით ვაჭრობა გაძნელებული და გაძვირებულია?
- ღვინის ბაზარი რომ გაიმართოს ღვინოს საბაზრო საქონლის თვისება უნდა მიეცეს. მოთხოვნა-მიწოდების კანონი და ღვინის ფასი
- ღვინისათვის საბაზრო საქონლის მისაცემად ელექტრონის გამოყენება

3.3.2.4. საბანკო-საკრედიტო საქმიანობა და ფინანსური ურთიერთობები;

- საადგილ-მამულო ბანკის დაფუძნებამდელი სიძნელეები
- ნიკო ნიკოლაძე ბანკის შესახებ
- კეთილი საქმე დავიწუნოთ, რომ ჩვენ მოუმზადებელნი ვართ?

- ქუთაისის ბანკის საქმე
- საადგილ-მამულო კრედიტს ჩვენში ბევრი რამ აკლია. ბანკის სულთამდგმელი ბირჟაა
- ბანკი სხვადასხვა მწარმოებელს როგორ ახვედრებს ერთიმეორეს და როგორ უწყობს ხელს მათი საქმიანობის გაგრძელებას. თამასუქი
- ჩვენებური ბანკი მარტო თავად-აზნაურებისა არ არის
- ქვეყანაზე ამისთანა ჰუმანიურს, თანასაგრძნობელს დედა აზრზე აგებული ბანკი სხვა არსად გამიგონია
- განა ვინც, ან რაც, ფულით გამოხატულ მდგომარეობაშია, იგი ფინანსური დაწესებულებაა?
- საგლეხო ბანკი: არსი, ფუნქციებისა და დაფუძნების წესის თავისებურებები
- მამულის დაფასების ორი წესი
- კრედიტის არსი. ეკონომიური საგანი კრედიტისა
- რადგანაც სხვადასხვაგვარია ეკონომიური წარმოება, სხვადასხვაგვარია კრედიტიც
- მიწის სამოქმედო კრედიტის სამი უსათუო თვისება
- ბუნება და დანიშნულება საადგილმამულო კრედიტისა
- რას უწუნებენ ჩვენს ბანკებს, ანუ ღვთის წყალობით როტშილდი რომ გვეწვიოს?
- კრედიტ-გარეთ მარტო მიწათმოქმედნი არიან დარჩენილნი
- კრედიტი ორ-პირი მახვილია, ანუ ვინ როგორ იმსახურებს და ვინ როგორ გამოიყენებს კრედიტს
- ფული: აღვირახსნილმა ფარფაშობამ ფულისამ გაჰბაწრა და შესთოკა ადამიანი
- ფულის ნატვრა გამორჩომა და მოგებაა
- ტყუილი იმედია ფულის მოწყალობას და გულკეთილობას მოელოდეს კაცი

3.4. ახალი ტექნიკისა და შრომის ორგანიზაციის ახალი ფორმების დანერგვა ერის ქონებრივი გაღონიერების საშუალება

- გონებიდამ გამოგვეპარა, რომ ჩვენც გვიცხოვრია, გვიმოქმედნია, ჩვენშიაც ყოფილა ხელობა და ოსტატობა მიწათმოქმედობისა
- კარგი ამბავი უცხო ქვეყნისა, კარგი აზრი ჭკვიანი ხალხისა ამორჩევით გადმოვიტანოთ
- მიწათმოქმედების განკარგების გზები
- წყლის არხების გაყვან-გამოყვანა
- მიწის გაღარიბება და მასთან ბრძოლა
- მიწათმოქმედების განკარგების მიმართულებით სოფლის მეურნეთა “კავშირის” განზრახულობანი
- ჭირნახულის მომყვანთა კავშირი

3.3. ქართველი ერის ქონებრივი გაღონიერების ადამიანური და ბუნებრივი რესურსები

3.3.1. მკლავ-ძარღვად კარგები, ჯან-ღონიანი, მხნე ქართველები და დიდი სიმდიდრის მომტანი მადლიანი ჰავისა და ნოყიერი ნიადაგის პატრონი საქართველო

- **უკვდავი არის შვილი მამულისათვის მკვდარი. ჩვენი დიდი ერთიანი მამული გავინამცეცეთ და პატარ-პატარა ხუხულები ავაშენეთ**

"კვამლი ფრიად სასიამოვნოა, _ პირველი იმისათვის, რომ კვამლი თვალს ეფარება და მართლჭვრეტას უშლის, მეორე იმისათვის, რომ კვამლი ხშირად თვალიდამ ცრემლს გვაყრევინებს ხოლმე. ოჰ, მამულის კვამლო, მართლა-და ტკბილი და სასიამოვნო ხარ: ხანდისხან ისე აგვიბამ თვალებს ხოლმე, რომ ჩვენ ჩვენს საკუთარ უბედურებასაც ვერა ვხედავთ." *("მგზავრის წერილები". 1861 წ.).*

"უკვდავი არის შვილი,

მამულისთვის მომკვდარი." *("ნანა". 1859 წ.).*

"მამული!.. ამ სიტყვის ყოვლად-მპყრობელი მნიშვნელობა ვრცელია და ფართო. იქ, საცა ხალხობა დარღვეული არ არის და განთვითეულება _ ეგ ჭირთაჭირი არა მეფობს, იქ მაგ-სიტყვის აზრი ცხოვრების მომნიჭებელი სულია, მთელის ხალხის ერთიანი მაჯის ერთიანი ძარღვია. იქ მაგ სიტყვის ხსენებაზედ თვითეულსა _ მთელის ხალხისა და მთელს ხალხს _ თვითეულისა ჭირი და ლხინი წარმოუდგება ხოლმე. იქ მაგ სიტყვის ხსენებაზედ დიდი და პატარა, ქალი და კაცი თავის ქვეყნის ნაღვლითა ნაღვლობს, ლხენითა ლხინობს, დღეობითა და დიდებითა _ დღესასწაულობს. იქ მაგ სიტყვაში ყოველი და ყოველში ყველა არის." *("ზოგიერთი რამ". 1866-1876 წ.).*

"მამულის ხსენებაზედ ეხლანდელს ქონდრის-კაცს თავისი ნეხვდაყრილი სახნავი მიწა წარმოუდგება ხოლმე; მამულისათვის ბრძოლა ეხლა სასამართლოში შეტანილი ღერბიან ქაღალდზედ სადავო საჩივარია; მამულისათვის ძლევამოსილობა _ მოგებულის საქმის განაჩენის პირია, ჯეროვნად შემოწმებული; მამულის სიმაგრე ტყრუშული ღობეა, ვენახ გარეშემო შემორტყმული; მამულის პატივი _ ნეხვია, სახნავ მიწაზედ სასუქად დაყრილი; მამულის-შვილობა _ მხვნელისა და მთესველის სახელიღაა." *("ზოგიერთი რამ". 1866-1876 წ.).*

"განვთვითეულდით, და თვითეულის ზურგმა ვეღარ ზიდა ის დიდი აზრი მამულისა, რომელიც ყველასათვის ადვილად საზიდია. თვითეულობით ტვინი ამოშრა, შევიწროვდა და მაგ სიტყვის დიდი მნიშვნელობა ვეღარ იტვირთა. რაღა უნდა გვექნა ამის შემდეგ? ავიღეთ და მთელი მამული, ერთიანი ბინა დავყავით, გავინამცეცეთ თვითეულის ღონის კვალობაზედ ასე, რომ ზიდვაც შესაძლო ყოფილიყო ჩვენის ქონდრის-კაცობისათვის და დაპატარავებულს ტვინშიაც მოთავსებულიყო. დავაქციეთ ჩვენი დიდი ერთიანი სამშობლოს ოჯახი, რომლის ბოძად იყო ერთიანი მხარი მთელის ქართველობისა, და მის ნაშთს ნამტვრევებისაგან პატარ-პატარა ხუხულები ავაშენეთ, რომელსაც საზოგადო სახელი "მამული" დავარქვით და რომელშიაც ჩვენც დავეტივენით, და ჩვენი ამომშრალის ტვინის და გონების აზრიც დავტივეთ." *("ზოგიერთი რამ". 1866-1876 წ.).*

“დავაქციეთ მამათა ჩვენთა სამარე, შვილთა ჩვენთა აკვანი; დიდი “მამული” დავშალეთ, პატარები გავიკეთეთ, და აქაც გავამართლეთ ჩვენის რუსთაველის სიტყვა: ყოველი მსგავსი მსგავსსა შობსო.” *(“ზოგიერთი რამ”. 1866-1876 წ.).*

“თვითეულმან ჩვენგანმან თავისი ხვედრი, დიდის “მამულის” ნაშთი, თავთავად შემოიღობა; იმ შემოღობილში თვითეულმან ჩვენგანმან თავისი საკუთარი ქვეყანა აიშენა და საზოგადო სახელი “მამული” თავის კერძო მამულს დაარქვა და თქვა: თუ მე არ ვიქნებიო, ქვა-ქვაზედაც ნუ იქნებაო. ამ სახით თვითეული ჩვენგანი თავის შემოღობილში შეიკეტა, თავისი საკუთარი ჭირი და ლხინი აიჩინა; და რომ თვითეულმან ჩვენგანმან საერთო საქმეს თვალი მოაშორა და გონება თავისი საერთო საგანზედ აღარ ავარჯიშა, ის გონებაც ისე დაუბრმავდა, რომ იგი თავის ქონების ღობის იქით ვეღარ გადაუცილებია, რომ თავის მოძმეს გაეხმაუროს მაინცა.” *(“ზოგიერთი რამ”. 1866-1876 წ.).*

“შეიძლება გძულდეს ღვიძლი ძმა, თუ ცუდი კაცია, მაგრამ არ შეიძლება არ გიყვარდეს სამშობლო ქვეყანა, როგორიც უნდა იყვეს.” *(“სფირიდონის და თადეოზის ბაასი”. 1861 წ.).*

“ერთი სიტყვით _ სამშობლო ქვეყნის სიყვარული უნდა გამომდინარეობდეს კაცობრიობის სიყვარულიდგან.” *(“სფირიდონის და თადეოზის ბაასი”. 1861 წ.).*

“აგვიყოლია სიყრმიდანვე ჩვენ ქართვლის ბედმა

და დაე გვძრახონ _ ჩვენ მის ძებნით დავლიოთ დღენი”. *(“წერილები ილია ჭავჭავაძისა ოლოა თადეოზის ასულ გურამიშვილისადმი”. 1873 წ. 28 ივლისი).*

“ბერლინის ხელშეკრულებამ ჩვენ ერთი დიდი სიკეთე შეგვძინა და ამ მხრით შარშანდელი წელიწადი ჩვენთვის ფრიად ღირს-სახსოვარია: ჩვენი ძმები, ჩვენი სისხლხორცი, ჩვენთან ერთად “მებრძოლი შავის ბედისა”, ჩვენი გმირების ბუდე, ჩვენი უწინდელის განათლების და სწავლის აკვანი, ჩვენი ძველი საქართველო, _ დღეს ჩვენ შემოგვიერთდა, და თუ კარგად მოექცევიან _ ვის ხელთაც აწ იმათი ბედია, ჩვენთან იქნება კიდეც სამუდამოდ”. *(“შინაური მიმოხილვა”. 1879 წ. იანვარი).*

“ამისი დედ-მამანი კარგ დედულ-მამულიანნი იყვნენ, უბრალო, მარტივნი ქართველნი, იმისთანა ქართველნი, რომელთაც ჩვენ ვეძახით, არ ვიცით კი რის გამო, ძველ ქართველებს. მთელმა ცხოვრებამ მათმა გაიარა მშვიდად და გაუგებრად ამ სოფელში. არაფერი დიდი მწუხარება მათ არ ენახათ და იმიტომაც ვერ გამოჰსცადეს დიდი სიხარულიცა.” (“*კოლა”. 1858 წ.).*

“ჩვენი, ქართველების, ხასიათი მართლა რომ ახირებული და მიუწვდომელი რამ არის. კარგი, მეტად ნიჭიერი, მეტად შორს გამჭვრეტი და გამოცდილებით სახელგანთქმული კალამია საჭირო, რომ გამიკვლიოს გზა ამ ხასიათის საცნობად და გამოსახატავად და ერთი რამ დასკვნა გამოიყვანოს იმ ერთი მეორის საწინააღმდეგო თვისებათაგან, რომელთაგანაც შემდგარია ეს ხასიათი, თითქო ათას-ფეროვანი ჩუქურთმა არისო. ერთის მხრით ჩვენ მართლა, ხელგაშლილი, გულახდილი, გულწრფელი და სულმაღალი რაინდები ვართ. თუკი რაიმე გრძნობამ გვძლია და გაგვიტაცა, ჩვენ თავმოტაცებულ ცხენსავით შეჩერება არ ვიცით; რაც უნდა საშინელი ბოლო მოსდევდეს ჩვენს გატაცებას და რაც უნდა ცხადად და უტყუარად ვხედავდეთ ამ შედეგს ჩვენის გატაცებისას, ჩვენ მაინც რაღაც გამოუცნობი მორჩილებით ვნებდებით მისს მომხიბლავ ძალას... ამ შემთხვევაში ჩვენი გული სწორედ რომ შინაური ზღვაა, რომელიც ვნებათ-ღელვისა გამო ხშირად სუნთქავს... და, თუმცა ზოგჯერ კიდეც სცდილობს მოიპოვოს როგორმე სანატრელი მყუდროება, მაგრამ მაინც ძალა-უნებურად

ნებდება დაუცხრომელ ტალღათა სრბოლას". *("თავად-აზნაურობის გულგრილობა სწავლა-განათლების საქმეში". 1886 წ. 8 აპრილი).*

"ღმერთმა რომ ქვეყანა გააჩინა, დედა-მიწას გული გადაეხსნა, შიგ აუარებელი, უძლეველი სიმდიდრე ჩაუდვა და ადამიანს უანდერძა: იშრომე გაისარჯეო და ეგ სიმდიდრე დედამიწის გულიდამ ამოიღე და შენს სადღეგრძელოდ მოიხმარეო".

"თქვენში და თქვენგან ხშირად გამიგონია, რომ ქრისტე-ღმერთმა თავისი კალთა უხვებისა აქ, ამ ჩვენს პატარა ქვეყანაში დაბღერტაო. ამას ამოტომ ამბობენ, რომ ჩვენი ქვეყანა ბევრს სხვა ქვეყანაზედ უფრო მდიდარია, უფრო სავსეა. არც ჩვენ თვითონა ვართ უხეირონი, ღმერთი-რჯული. მკლავ-ძარღვად კარგები ვართ, ჯან-ღონეც მოგვდევს, არც ხალისი გვაკლია. ეს ყველაფერი გვაქვს. ეს მდიდარი, პატარძალსავით მორთული ქვეყანა, ეს ჯანიანი, მკლავ-ძლიერი ხალხი, გამრჯელი და ოფლის-მღვრელი, _ მაშ რაღადა ვართ ღარიბნიო? მკითხვათ თქვენ". *("სიტყვა წინამძღვრიანთ-კარის სამეურნეო სკოლის გახსნაზე". 1883 წ.).*

"... მაშ ვინღა დაგვრჩა? ის ვინც საქართველოს პირველი ქვაკუთხედი იყო, ვინც ისტორიულ ქარტეხილს, წვა-დაგვას გაუძლო და ქვეყანა გააშენა. ეს არის ჩვენი გლეხობა, ეს არის ჩვენი მუშა-ხალხი... ესენი არიან ჩვენი მუხის – საქართველოს ფესვები, ესენი ამზადებენ იმ საკვებავ წვენს, რომლითაც საზრდო და ღონე ეძლევა მუხის მთელ ტანს. ამათი მეოხებით იმოსება ხე ფოთლებით, ყვავილებით, და მოაქვს ნაყოფი. დეე კენწეროები გაუხმეს ხეს, ფოთლები შემოსცვდეს, ყვავილები, ყვავილები შემოაჭკნეს, - არა უშავს რა, ოღონდ ძალა და ღონე არ გამოელიოს ფესვებს, - ხელახლა შეიმოსება ფოთლით და ყვავილით და უხვად გამოიღებს ნაყოფს. ხე არ კვდება, თუ ფესვები მაგარი, ღონიერი აქვს" (*"ილია მანსვეტაშვილის მოგონებებიდან"*).

"რაჭა უფრო მთიანია, ვიდრე ვაკიანი. მაგრამ ძნელად საფიქრებელია, ამოდენა ტყეები იმისთანა ადგილებზედაც არ იყოს, რომ შესაძლო იყოს გაიკაფოს, ახოები გამოიღოს და ნაკლებულობა სახნავ-სათიბისა ამით შეივსოს. შრომისმოყვარეს და დაუზარებელს რაჭველს რომ ამისი ნება დაუთმოს სახელმწიფო ქონებათა გამგეობამ, დღეს ვერაფერში გამოსარჩენს ტყის ადგილს ხუთ-ექვს წელიწადში რაჭველი წალკოტად გადააქცევს; თვითონაც იხეირებს და სხვასაც ახეირებს. ამ გზით რაჭველი იძულებული აღარ იქნება თავისი მკვიდრი ბინა მოშალოს, მაცდურს იმედს ხვალისას მიეცეს და შინვე მოტრიალდება. ეს მით უფრო სასურველია, რომ რაჭველი თავშენახული, შრომისმოყვარე, ფრთხილი, დამზოგველი, გონიერად ხელმოჭერილი და ხელღონიერი კაცია და ამ თვისებით ბევრს ჩვენში აღემატება" *("იმიგრაცია საქართველოდან". 1876 წ).*

"ინგლისმა მეტად ცოტა რამ იცის ჩვენის უბედურის ქვეყნისა და დაობლებულის ერისა, რომელსაც ერთს დროს თავისი სახელოვანი წარსული ჰქონია, თავისი გმირნი, მეცნიერნი, მწერალნი და პოეტები ჰყოლია და მათის მეოხებით გულდაგულ დახვედრია განათლების მტრებს _ ბარბაროზებს". *("წერილი მარჯორი უორდროპისადმი". 1894 წ. 8/20 სეკტემბერი).*

"ყოველს ქართველს თავ-მოსაწონებლად ექმნება, რომ თქვენ და თქვენს პატივცემულ ძმას ჩვენი ყველასგან დავიწყებული ქვეყანა შეგყვარებიათ და მოგინებებიათ თქვენს ერს მისი ავი და კარგი აუწყოთ იმ სიყვარულით, რომელიც ასე ამშვენებს ადამიანს, და გულის ტკივილით, რომელიც დაუფასებელი ნუგეშია ბედისაგან დაჩაგრულთათვის". *("წერილი მარჯორი უორდროპისადმი". 1894 წ. 8/20 სეკტემბერი).*

“სასურველია ერმა ინგლისისამ იცოდეს, რომ ამ ჩვენ პატარა ქვეყანაშიაც საქმობს გონება და იძვრის გული; რომ აქაც აქვთ თავისი ნატვრა და თავისი იმედი; რომ აქაც არის თავისი წამება და წვალება უკეთესს დღეთათვის და არა რას კაცობრიულს არ ეუცხოებიან”. *(“წერილი მარჯორი უორდროპისადმი”. 1894 წ. 8/20 სეკტემბერი).*

“იმედი გვაქვს, რომ ჩვენი უბედური, მაგრამ მშვენიერი ქვეყანა თავს მოგაწონებთ და დაგანახვებთ, რომ იგი ღირსია თქვენის ყურადღებისა და სიყვარულისა”. *(“წერილი მარჯორი უორდროპისადმი”. 1894 წ. 8/20 სეკტემბერი).*

“იმედია, რომ ამ სიყვარულით ჩაგონებული პიროვნული სიტყვა ბ-ნის ლაისტისა, მოჰფენს განათლებულს ქვეყანას იმ ამბავს, რომ შორს სადმე არის ერთი პატარა სამოთხე, რომელსაც საქართველო ჰქვიან და იმ პატარა სამოთხეში ჰცხოვრობს ერთი პატარა ერი, რომელსაც უდევს დიდი გული კაცობრიობის წარმატებისა, სიკეთისა და ბედნიერებისათვის” (*გაზეთი “ივერია”*).

“როცა ამბობენ, ესა და ეს ქვეყანა მდიდარი არისო, ამით იმისი თქმა არ უნდათ, რომ ვითომ ამ ქვეყნის ერია მდიდარი, იმიტომ, რომ შესაძლოა ერი მდიდარი იყოს და ამ სიმდიდრეში თვითონ ქვეყანას, როგორც მომცემს ადგილს, არავითარი მონაწილეობა არა ჰქონდეს სიმწირის გამო”. *(“მევენახე გლეხთა მდგომარეობა”. 1887 წ. 23 ივნისი).*

“სიმდიდრეს ქვეყნისას შეადგენს ის ძალ-ღონე ჰავისა და მიწისა, რომელიც შესაძლოდა ჰხდის მოცემის მრავალგვარიანობას, და რამოდენადაც ეს მრავალგვარიანობა დიდია, იმდენად მდიდარია ქვეყანა. ამ საბუთით ამბობენ, რომ ჩვენი ქვეყანა მდიდარია, რადგან ჰავა და მიწა ბევრგვარს საგანს სიმდიდრეს იძლევა, თუ კაცი ცნობიერად ხელს მოჰკიდებს და ცოდნით და ხერხიანად გაირჯება”. *(“მევენახე გლეხთა მდგომარეობა”. 1887 წ. 23 ივნისი).*

“ჩვენი ქვეყანა, მაგალითებრ, ღვინოს და კარგის თვისების ღვინოსაც იძლევა სხვათა შორის. ამ მხრით იგი მდიდარია იმ ქვეყნებზედ, საცა ვაზი ჰავისა გამო ვერა ჰხეირობს”. *(“მევენახე გლეხთა მდგომარეობა”. 1887 წ. 23 ივნისი).*

“_ კაი ადგილია ეს თქვენი ადგილი.

_ არაა გონჯაი: ჩვენს ბეჩაობას შეჰფერობს.

_ ამისთანა წყალი, ამისთანა ჰაერი სწორედ ბედნიერებაა.

_ აქ ძალიან მოსავალი უნდა იცოდეს?!

_ რაიდ არ ეცოდინების? ადგილ არაა გონჯაი, პატარა გვაქვნ: თვითვაულს კაცს ორ-ორი შაბადის ყანა არ ექმნების. ვიწროდ ვარნ.” *(“მგზავრის წერილები”. 1861 წ.).*

“ჩვენ სოფელს ქვემოდამ ერთი თხუთმეტიოდე ვერსტი რომ გაგევლოთ, კაი სანადირო ადგილები იყო. რა იქ!.. ყველგან, ჩვენს დალოცვილ ქვეყანაში, სადაც, გლეხისა არ იყოს, “ქრისტე-ღმერთს თავისი უხვი კალთა დაუბღერტყია”, ყველგან კაი ადგილებია. რაც გინდა არისL დაიწყეთ მოხდენილ ირმიდამ და გაათავეთ დარბაისელ გარეულ ღორითა, ან გულისხმიერ დათვითა. ფრინველს ხომ თვლა არ უნდა.” *(“გლახის ნაამბობი”. 1859, 1862-1873 წწ.).*

“მზე ჯერ მთას არ გადასცილებოდა ჩასასვლელად, იქ მთის წვერზედ შემდგარიყო, თითქოს ჰნანობს, რას ვეშურები და ამ ლამაზ ქვეყანას ეგრე მალე რად ვეთხოვებიო. მშვიდობიანი, გრილ-სითბოიანი, მშრალი, უნესტო, უღრუბლო საღამო შემოდგომისა კუტსაც კი ფეხს აადგმევინებდა და გარედ გამოახედებდა.” (*“ოთარაანთ ქვრივი”. [1886] – 6 ქრისტეშობისთთვეს 1887 წელსა).*

“მუაჯარიდამ იყო საუცხოვო გადასახედ-გადმოსახედი. ერთ მხრივ ტრიალი მინდვრები, ზოგან აჯეჯილებულნი, ზოგან ტყით მუქად ამწვანებულნი, ჰსცემდნენ

ერთნაირად და თანასწორად მაჯამომატებულ ცხოვრების ძარღვსა. მდელოები შეჰღიმოდნენ და შეჰხაროდნენ მზის სხივებსა, როგორც ახალგაღვიძებული ბავშვი თავის დამბადებელ დედასა. მოძრავნი ჩრდილნი, სუბუქ ღრუბლებისაგან მოდგმულნი, წყლის ჭავლსავით მიცურავდნენ გაწოწილ, აბიბინებულ მინდორზედა. დიდრონნი, თავმამწონე მთები, ზოგან თოვლისაგან გაჭაღარავებულნი მოხუცისავით, გულის სიგრილით გადმოჰყურებდნენ თავის მიუწვდომელ სიმაღლიდამ გაზაფხულისაგან გახალისებულთ, მწვანით მოსილთა მთათა. ის თოვლიანი მთები იყვნენ სიბერესავით გრილნი და დაფიქრებულნი, მაშინ როდესაც მათ ქვემოდამ ზოგან ტყიანი, ზოგან ტიტველა მთები მწვანით მოსილნი ჰფეთქდნენ მთელის სიჭაბუკის და განახლების სიცხოველითა. მთაში ყოველიფერი იყო ჭაბუკობასავით ისე მაოცნებელი და მოუსვენარი, როგორც იმ თოვლიან მთებში სიბერესავით დამჯდარი და დამშვიდებული. მუაჯარის გვერდით დიდი ბაღი, უპატრონობისაგან თავმინებებული, ათასფერად იყო აჭრელებული. ხეხილთა ყვავილნი სხვადასხვანაირნი აფერადებდნენ საუცხოოდ ერთნაირსა ციაგსა და გრილ ჰაერსა, რომელშიაც უხვად იყო გაფანტული ყვავილთაგან აღმოსუნთქული სურნელება. ძლიერი იყო სიცოცხლე იმ დილისა. ყოველი ძარღვი ბუნებისა სრულის თავის სიცოცხლით ჰფეთქდა დაუჩუმრად; სადღესასწაულო, გაურჩეველი გალობა დედამიწისა მიდიოდა მადლით სავსე განცვიფრებულ ცისაკენა. ცაც ისე დაჟინებით მდუმარე იყო, თითქო ქვეყანას ყურს უგდებსო. ახალგაღვიძებული, ნამით პირდაბანილი ბუნება მთელის მხიარულობით იყო გაღიმებული.” (“*კოლა”. 1858 წ.).*

“ეს მიწური, სადაც ჩვენა ვცხოვრობდით, სადაც მე დავიბადე, გავიზარდე, სადაც ჩემი პატარაობა გავატარე, სადაც თვითვეული მტკაველი ან დედას მაგონებს, ან მამას, _ ეხლა მამაჩემიც არის, დედაჩემიც, ჩემი ძმაც და ჩემი დაც.” (“*უცნაური ამბავი”. 1893 წ.).*

“მე მარტოს ამ მიწურში თავი ისე მგონია, ვითომც ყველანი ესენი გარს მახვევიან-მეთქი.” (“*უცნაური ამბავი”. 1893 წ.).*

“ვიშ, ეს ქვეყანა, ხმელეთის თვალი,

დიდის სამოთხის კუთხე პატარა.” *(“აჩრდილი”. 1859 წ.).*

“ჩვენთვის ღმერთს არა დაუშავებია რა, არა დაუზოგვია რა, არა დაუკლია რა: თუ ქვეყანაზე ერთი-ორი კუთხეა იმისთანა, რომ კაცს ეთქმოდეს _ ქრისტე-ღმერთმა თავისი კალთა უხვებისა აქ დაიბღერტაო, იმათში უკანასკნელი საქართველო არ არის. რაც ღვთის შემძლებელობით არის და არა კაცისათი, ის ყველაფერი უკვე მოგვმადლა ღმერთმა. ხელთ გვიჭირავს ეს მშვენიერი ქვეყანა, რომლის მნახავთ შეუძლიანთ სამართლიანად სთქვან: “სხვა საქართველო სად არის, რომელი კუთხე ქვეყნისა”.” *(“რა გითხრათ? რით გაგახაროთ?”. 1897 წ. 31 დეკემბერი).*

“ამ გზაზედ დამდგარმა კაცმა, რომ თვალი დააკვირვოს ჩვენს სოფელს, დაინახავს, რომ ეკონომიურად გაძლიერებისათვის ჩვენს სოფელს ბუნებისაგან თითქმის არა აკლია-რა. ზომიერი ნელ-თბილი ჰავა, ნაყოფიერი და თითქმის ყველაფრის უხვად მომცემი მიწა, მომასწავებელნი არიან იმოდენა სიმდიდრისა, რამოდენადაც საჭიროა, რომ ერმა უტკივნელად თავი ირჩინოს და ყოველს სფეროში ღონივრად გაიწივ გამოიწიოს წარმატებისა და კეთილ მდგომარეობისათვის”. *(“ჩვენი სოფლის მეურნეობა და შეკავშირების საჭიროება”. 1893 წ. 7 იანვარი).*

“ეს ჩივილი და ტირილი მით უფრო საოცარია, რომ ჩვენი ქვეყანა ჰავით, მდებიარობით, მიწით მდიდარია და შემძლებელია გაგვამდიდროს, ქონებით გაგვაძლიეროს, გაგვაღონიეროს”. *(“კახეთის სოფლის მეურნეთა კავშირი”. 1895 წ. 4 ნოემბერი).*

“ერთს გაზეთში დაბეჭდილი იყო, რომ თრიმლს დიდი მუშტარი ჰყავს რუსეთშიო და კაი ფასადაც გავაო. აბა ჯერ თრიმლი რა არის, ჩვენებური ტყეები სავსეა მაგითი, და გამოდის, რომ მაგასაც-კი შესძლებია ქონების ღონე მოგვცეს, თუ ხელს მოვკიდებთ. სხვას ნუღარ ვიტყვით, რის მოცემაც შეუძლიან ჩვენს მდიდარს ქვეყანას, საცა ჰავა და მიწა ასე ხელს უმართავს კაცს, რომ რაც სულსა და გულს უნდა, კაცმა გაიჩინოს, გამოიღოს ბაზარში გასატანად”. *(“კახეთის სოფლის მეურნეთა კავშირი”. 1895 წ. 4 ნოემბერი).*

“ამ ბოლო ხანებში ჩვენმა ქვეყანამ და უფრო მისმა ბუნებურმა სიმდიდრემ მოიზიდა ყურადღება, როგორც თვითონ რუსეთისა, ისეც სამზღვარგარეთისა. საითაც კი მიიხედავთ, ყოვლის მხრიდამ მარტო ის ისმის, რომ აი ეს და ეს ფულიანი ან კაცი ან საზოგადოება მოდის და ამა და ამ საქმეს ჰკიდებს ხელსაო. ან აქამდე რატომ არ იყო ეს ამბავი, გვიკვირს”. *(“ჩვენი სოფლური მეურნეობის შესაძლებლობანი და ბიუროკრატიზმი”. 1887 წ. 16 თებერვალი).*

“რაკი ვლადიკავკასიდამ გამოვედი და ჩემის ქვეყნის სიომ დამკრა, გულმა სულ სხვა-გვარად დამიწყო ფეთქვა. პოვოსკაში ქვებზედ ხათქა-ხუთქი უკეთესთა ფიქრთა დამიბნევდა ხოლმე. ეხლა კი, როცა სტანციის ოთახის ტახტზედ მამა-პაპურად გავიშოტე, ღვთის წყალობა შენა გქონდეს, რომ მე ფიქრს მივეცი სრული გულ-ყური და ყურადღება ჯგუფად მომიგროვდა ყოველიფერი, რაც კი დამტოვა ჩემს მშვენიერს პატარძალსავით მორთულს ქვეყანაში, რაც კი მენახა, მეცოდნა და მეცნო უცხოეთში”. (*“მგზავრის წერილები”. 1861 წ.*).

“დაღამდა, მაგრამ არ ვიცი, რას ვიქმოდი, რომ იმედი არა მქონდეს კვლავ გათენებისა. სიცოცხლე სიცოცხლედ-ღა ეღირებოდა?.. მიყვარს, ბუნებავ, შენი დაწყობილობა, რომლის მეოხებითაც ყოველი ღამე თენდება ხოლმე.” *(“მგზავრის წერილები”. 1861 წ.).*

“მერწმუნეთ, მე მესმის ამ ხმაგაკმენდილს ქვეყანაში თერგის დაუჩუმარი ჩივილი. არის ადამიანის ცხოვრებაში იმისთანა წუთი მარტოობისა, როცა ბუნებას შენ თითქო შენსას აგებინებ და იგი თავისას შენ გაგებინებს. ამიტომაც შეგიძლიან სთქვა, რომ მარტოობაშიც არსად მარტო არა ხარ.” *(“მგზავრის წერილები”. 1861 წ.).*

“აზია საეთოდ და ჩვენ თითონ საკუთრივ ვართ საჭირონი არამც თუ ჩვენის თავისათვის მხოლოდ, არამედ სხვისათვისაც, თუმცა ბევრი რამ შეიცვალა ქვეყნიერობაზედ ამ ხუთას-ექვსას წელიწადში, მაგრამ ეს მიწის-ყელი, რომელსაც კავკასიას ეძახიან, რომელიც აზიისა და ევროპის კარად ყოფილა უწინ და რომლის დაპყრობისათვის ბევრი სხვადასხვა ხალხის სისხლი დაღვრილა, მაინც ისევ კარგად დარჩა და ხალხთა შორის შუღლისა და ცილების მიზეზად იქნება კიდეც” (*“შინაური მიმოხილვა”. 1879, იანვარი*).

- **მადლიანი ჰავისა და ნოყიერი ნიადაგის ქართული სოფელი და სოფლის მეურნეობა – ერთადერთი სახსარი, ერთადერთი წყარო ცხოვრების გასაძღოლად**

“სოფლის მეურნეობას, ადგილ-მამულის პატრონობის წარმოებას, დიდი მნიშვნელობა აქვს ხალხის სიმდიდრისათვის ყველგან და ჩვენში უფრო განსაკუთრებით. იმიტომ რომ ჩვენში სხვა თვალსაჩინო ეკონომიური წარმოება არა არის რა, თვინიერ სოფლის მეურნეობის წარმოებისა. თავი და ბოლო ხალხის ცხოვრებისა, საზრდოებისა,

სიმდიდრისა, მაგაზედ არის დამყარებული. ჩვენ ვიმეორებთ, რომ ეს ყველგან ესეა და ნამეტნავად ჩვენში მეთქი. ხალხის სიმდიდრეზედ კიდევ დაფუძნებულია ყოველის მთავრობის სულიერი და ხორციელი კეთილდღეობა. აქედამ ადვილად მისახდომია, რომ მთელს ევროპაში ყოველის ხალხის მთავრობას დიდი ყურადღება, დიდი ზრუნვა აქვს მიქცეული თვისის ხალხის სოფლის მეურნეობაზედ და დიდს ფულსაც ხარჯავენ, რომ მაგ უმთავრესს წყაროს ხალხის სიმდიდრისას ფართო, რიგიანი და შეუფრხებელი დენა ჰქონდეს." *("ისევ კახეთის რკინისგზის საკითხზე". 1893 წ. 13 თებერვალი).*

"ჩვენ მოკლედ მოვიხსენიებთ, რა წყობილება აქვთ მიღებული ევროპაში ზოგიერთს სახელმწიფოს სასოფლო-სამეურნეო წარმატებისათვის." *("ისევ კახეთის რკინისგზის საკითხზე". 1893 წ. 13 თებერვალი).*

"რომ მართლა მთავრობის ყურადღება და ზრუნვა ფუჭს გულისტკივილად არ იქცეს, მთავრობას იმისთანა წყობილება უნდა ჰქონდეს, რომ ერთის გზით თავის ხალხის მეურნეობის ნამდვილს, უტყუარს და აუცილებელს საჭიროებას დღემუდამ ჰსცნობდეს, და მეორეს გზით _ მზად იყოს ფულით, ცოდნით, რჩევით დაუყოვნებლივ შემწეობა მიაშველოს იქ მაინც, საცა კერძო პირთა შეძლება ვერ გასწვდება." *("ისევ კახეთის რკინისგზის საკითხზე". 1893 წ. 13 თებერვალი).*

"ზოგიერთს სახელმწიფოში ესე იყო, რომ ორივე ეგ გზა მთავრობას განსაკუთრებით ხელთ ეჭირა და სასოფლო მეურნეობის საქმეთა მარტო თვით განაგებდა, თვით თვისის მოთანამდე პირთაგან სცნობდა საჭიროებას ხალხისას და თვით მოთანამდე პირთაგან მოპოებულს წამალს ადებდა. თითქმის ესე იყო საფრანგეთში, საცა სასოფლო-სამეურნეო საქმეთა განაგებდა ცალკე "სამინისტრო მიწათმოქმედებისა, ვაჭრობისა და საყოველთაო სამუშაოსი". ამ წყობილებას ემდუროდნენ ფრანციელნი. ამბობდნენ, ეგ სამინისტრო მარტო მიწერ-მოწერაში ვარჯიშობსო და დროსა ჰკარგავსო, საქმე კი იმოდენად არა კეთდება, რამოდენადაც სასურველიაო. ამას გარდა მთავრობის მოთანამდე პირიო, რაც უნდა გულშემატკივარი იყოსო, ნამდვილს ადგილობრივ საჭიროებას ვერ შეიტყობსო, ჯეროვანად ვერ ასწონსო და დააფასებსო." *("ისევ კახეთის რკინისგზის საკითხზე". 1893 წ. 13 თებერვალი).*

"ბუნებას სიმდიდრე მოუცია, _ რაღა გინდათ? აიღეთ და ისარგებლეთ, მოიხმარეთ ღვთისაგან მოცემული სიკეთე! ჯერ საქმე ისე მოაწყეთ, რომ ეს წყარო სიმდიდრისა, რაც შეიძლება მეტს ხალხს გასწვდეს, მეტს ხალხს მიედინოს. არ იცით, საქმეს როგორ მოუაროთ? ცოდნა არა გაქვთ? მოიწვიეთ საქმის მცოდნე კაცები, ისინი გიჩვენებენ გზას. არ გაქვთ ფული? ოღონდ საქმეს გულით და გულდადებით მოეკიდენით, აჩვენეთ ქვეყანას, რომ საქმის ერთგულება შეგიძლიანთ და ფულს არავინ დაგიჭერთ."

"მრეწველობა და აღებ-მიცემობა ჯერჯერობით ძლივს ისახება, ასე რომ სათქმელი არც კია. ამიტომ თითქმის მთელი ჩვენი ქვეყანა და უფრო მეტად მივარდნილი, მიყრუებული ალაგები, მოშორებულნი დიდ ქალაქებზე, მოკლებულნი უგზოობის გამო ბაზრებს, ეკონომიურად იმ მდგომარეობაში არიან, რომელიც საპოლიტიკო ეკონომიაში "ბუნებითს მეურნეობად" არის ცნობილი." *("პურეულის ყიდვა სამხედრო უწყების მიერ". 1887 წ. 16 მაისი).*

"ამგვარ ეკონომიურს წესწყობილების უმთავრესი ხასიათი იმაში იხატება, რომ მწარმოებელს, მიწის მუშას, ნაწარმოები თუნდა მომეტებულიც ჰქონდეს, მაინც ფული ყოველთვის უჭირს. ამგვარს მწარმოებელს ფულის შოვნა უძნელდება, რადგან, ბაზრის

უქონლობის გამო, თავის ნაწარმოებისათვის კარგი გასავალი ვერ უშოვნია, მიწის მოსავალი ფულად ვერ უქცევია.”

“ამიტომაც ცდილობს, ცხოვრების მოთხოვნილებას, საჭიროებას თავის ნაწარმოებითვე გაუძღვეს; ყოველ წვრილმან შინაურ გარდასახადში, იჯარაში, საცა-კი შეიძლება, ფულის მაგიერ, თავის ნაწარმოებს აძლევს; ასე უსწორდება, მაგალითად, ჩვენი გლეხი მღვდელს, დალაქს, მეველეს, გზირს და სხვებსა.” *(“პურეულის ყიდვა სამხედრო უწყების მიერ”. 1887 წ. 16 მაისი).*

“უწინ, ამ საუკუნის დასაწყისამდე, თვით სახელმწიფო ხარჯსაც-კი პურითა და ღვინით იხდიდა. მხოლოდ ამ საუკუნეში, როდესაც ჩვენი ეროვნული ცხოვრება ძირეულად შეიცვალა, შემოღებული იქმნა ფულით გარდახდა ხარჯისა. ცხოვრებამ-კი ასეთი მიმდინარეობა მიიღო, რომ ჩვენს ხალხს, მეტადრე მოხარჯეს, რაც უნდა ექმნა, და ფული კი უნდა ეშოვნა და ყოველი ხარჯი ასე გაესტუმრებინა.” *(“პურეულის ყიდვა სამხედრო უწყების მიერ”. 1887 წ. 16 მაისი).*

“ჩვენი ეკონომიური ძალ-ღონე ჯერ კიდევ სოფელია და სოფლური მეურნეობა. ჩვენებური ქალაქები ამ მხრით არავითარს შემწეობას არ აძლევენ ჩვენს ქვეყანასა, რადგანაც იგინი უფრო მჭამელნი არიან, ვიდრე მომცემნი რისამე”. *(“ჩვენი სოფლის მეურნეობა და შეკავშირების საჭიროება”. 1893 წ. 7 იანვარი).*

“ჩვენს საქართველოში არც ერთი იმისთანა ქალაქი არ გვეგულება, რომ თითონ აკეთებდეს რასმე და ამდიდრებდეს ქვეყანას ან ფაბრიკის, ან ქარხანის რისამე ნაწარმოებითა. დიდი ქალაქები, როგორიც, მაგალითებრ, ტფილისია და ქუთაისი, წარმოადგენს მარტო ბაზარს, საცა სოფლის ნაჭირნახულევი და ნაწარმოები საღდება, ისიც დიდის ვაი-ვაგლახითა და გაჭირებით”. *(“ჩვენი სოფლის მეურნეობა და შეკავშირების საჭიროება”. 1893 წ. 7 იანვარი).*

“საიდამაც შორიდამ, სხვა ქვეყნიდამ მოტანილი საქონელი, გადის ვაჭრობის შემწეობით სოფლად”. *(“ჩვენი სოფლის მეურნეობა და შეკავშირების საჭიროება”. 1893 წ. 7 იანვარი).*

“პატარა ქალაქები ხომ მარტო ბუდეებად გადაქცეულნი არიან, სადაც თავი მოუყრია ათას წურბელას ვით ქვემოძრომსა, საცა ბევრნაირი ჭია-ღუა ჰფუსფუსებს, რომ გამოსწოვონ და გამოღრღნან სოფელი. სხვა არა ემუნათება-რა სოფელს ჩვენებურ ქალაქებისაგან”. *(“ჩვენი სოფლის მეურნეობა და შეკავშირების საჭიროება”. 1893 წ. 7 იანვარი).*

“რადგანაც დღეს გამრჯელი, მწარმოებელი და მომცემი ჩვენში მარტო სოფელია და მისი საეკონომიო მოქმედებაა ერთადერთი სახსარი ჩვენის ცხოვრებისა, თავის რჩენისა და გამოკვებისა, ამიტომაც ჩვენი სრული ყურადღება მარტო სოფელს უნდა თავს დასტრიალებდეს, მარტო სოფელს უნდა ეკუთვნოდეს, თუ სამუდამოდ არა, ჯერხანად მაინცა”. *(“ჩვენი სოფლის მეურნეობა და შეკავშირების საჭიროება”. 1893 წ. 7 იანვარი).*

“თუ ეს წინათ თქმული მართალია, და ამ მართალს მივიღებთ სახეში, მაშინ ცხადად დანახული იქნება ის გზაც, რომელსაც ჩვენ უნდა დავადგეთ ჩვენის განკარგებისათვის და ეკონომიურ შემძლეობის გაძლიერებისათვის”. *(“ჩვენი სოფლის მეურნეობა და შეკავშირების საჭიროება”. 1893 წ. 7 იანვარი).*

“რასაკვირველია, იმისათვის, რომ მადლიანმა ჰავამ და ნოყიერმა მიწამ თავისი ჰქმნას, თავისი სიკეთე საკმაო სავსებით მოგვიტანოს, მარტო ერთი სახსარია: ეგ გაძლიერება იმ წარმოებისა, რომელსაც მიწათმოქმედება ჰქვიან, ანუ ერთიანი სახელი “სოფლური მეურნეობა”. *(“ჩვენი სოფლის მეურნეობა და შეკავშირების საჭიროება”. 1893 წ. 7 იანვარი).*

“ხოლო ჭირი ეს არის, რომ ეგ სოფლური მეურნეობა საზოგადოდ და მიწათმოქმედება საკუთრად, ჩვენში ჯეროვანს სიმაღლეზე არა სდგას. ამას ბევრი მიზეზი აბრკოლებს, ზოგი სოციალური, ზოგი იურიდიული, ზოგი წმინდა ეკონომიური. *(“ჩვენი სოფლის მეურნეობა და შეკავშირების საჭიროება”. 1893 წ. 7 იანვარი).*

“მთელი ამიერკავკასია ძველადგანვე სცხოვრობს და თავს იკავებს მარტო იმ მრეწველობითა, რომელიც დამოკიდებულია მიწასა და მიწათმოქმედებაზედ. ერთად-ერთი წყარო აქაურის ერის ეკონომიურის არსებობისა _ საადგილ-მამულო მრეწველობაა და ამაზეა მთლად აგებული სრული ძალღონე გამოკვებისა, სახელმწიფო ხარჯისა და ბეგარის გაძღოლისა გაუჭირებლად უნაკლულოდ”. *(“სამეურნეო დაბალი სკოლების შესახებ”. 1886 წ. 28 თებერვალი).*

- **მიწათმოქმედების ორი საგანი. მიწისა და გუთნის შესახებ. წარმატების სამი გზა**

“ერთადერთი ღონე ჩვენის ქვეყნის გაძლიერებისა ჯერ ხანად მარტო მიწათმოქმედებაა ჩვენში”. *(“კახეთის სოფლის მეურნეთა კავშირი”. 1895 წ. 4 ნოემბერი).*

“ფულის საჭიროებას, რასაკვირველია, სულ სხვა გზა უნდა მიეცა ჩვენებურ მიწათმოქმედებისათვის, რომელიც დღეს ერთადერთი სახსარია, ერთადერთი წყაროა, ერთადერთი საეკონომიო მოქმედებაა ცხოვრების გასაძღოლად ჩვენში”. *(“ჩვენი სარჩიელი სოფლის მეურნეობის ძვირფას დარგებზე”. 1894 წ. 18 სექტემბერი).*

“რადგანაც ჩვენის შეძლების და ეკონომიურ ღონისძიების ერთადერთი სახსარი მიწათმოქმედებაა, ამიტომაც იგი უნდა მიქცეულიყო იმისთანა საგნებზე, რომელთაც აღებმიცემობის ბაზარში, შინა თუ გარეთ, კარგი გასავალი ჰქონებოდა. ეს მით უფრო შესაძლებელი და მოსახერხებელი იყო ჩვენის ქვეყნისათვის, რომ აქაური მადლიანი ჰავა და ნოყიერი მიწა ბევრ იმისთანა ჭირნახულს ხელს უწყობს, რომელსაც დღევანდელ ბაზარში დიდი მუშტარი ჰყავს და დიდი ფასი აქვს და რომელიც ამ ორის გარემოების შემწეობით უფრო მეტად ახეირებს მოჭირნახულეს, ვიდრე იგი ჭირნახული, რომელიც დღეს მოგვყავს და გაგვაქვს ბაზარში”. *(“ჩვენი სარჩიელი სოფლის მეურნეობის ძვირფას დარგებზე”. 1894 წ. 21 სექტემბერი).*

“ჩვენს ეკონომიურს ყოფა-ცხოვრებას რომ კაცი რიგიანად და გონიერად დააკვირდეს, ბევრს საგულისხმოს იპოვის. ერთი უდიდესი და უპირველესი სახსარი ჩვენის ეკონომიურისEცხოვრებისა მიწათ-მოქმედობაა და სხვაგვარი სახსარი ჯერ ჩვენში თითქმის არც კი დაძრულა, ხელნახლებიც არ არის, მერმისს ელის”. *(“ღვინის ქართულად დაყენება”. 1887 წ.).*

“მიწათმოქმედებას ორი საგანი მოაქვს ჩვენის ქვეყნის გასაძღოლად, ღვინო და ყოველგვარი ეგრედწოდებული საპურე მარცვალი”. *(“ღვინის ქართულად დაყენება”. 1887 წ.).*

“ერთი ამისთანა მრეწველობა არის მიწათმოქმედება, სასოფლო მრეწველობა, რომელზედაც დამყარებულია თითქმის მთელი მეურნეობა და ავლადიდება ერისა რუსეთში საერთოდ და ჩვენში საკუთრივ. აი სწორედ ესგვარი მრეწველობაა დატოვებული ამჟამად უკრედიტოდ. სწორედ სოფლის მეურნეობას არსადა აქვს გზა ფულით ხელი გაიმართოს მოკლე ვადით, რომ მით გაიძლიეროს, მოიმატოს ღონე, წლიდამ წლამდე აწარმოოს საქმე გაუჭირებლივ და საკმაო სიდიდითა.” *(“თბილისის საურთიერთო სამეურნეო კრედიტის საზოგადოება”. 1893 წ. 4 ნოემბერი).*

“მიწისა და გუთნის შესახები წარმატება სამის სხვადასხვა გზით შესაძლებელია. ერთი იმ გზით, როცა მეცადინეობა მიქცეულია მასზედ, რომ მიწა იმოდენად შეკეთდეს, რომ რაც შეიძლება დიდი გამოსავალი მისცეს მშრომელსა. მეორე იმ გზით, რომ თუმცა მიწის გამოსავალი იმავე ზომით იყოს, მხოლოდ მისის შემუშავების ხარჯი _ რაც შეიძლება _ შემოკლდეს. მესამე იმ გზით, რომ ეს ორივე ღონე ერთად მიქცეული იყოს მიწის სამოქმედოდ. ყველაზედ სრული მიწათ-მოქმედება ამ უკანასკნელ გზაზედ დგას. ამისი მაგალითი ბელგიაა, ინგლისი და ამერიკის ჩრდილოეთის შტატები. ჩვენში პირველის გზით ჯერ არავინ დაიარება, მხოლოდ მეორე გზაზედ კი ზოგიერთი მემამულე ამ მოკლე ხანში დადგა, და მესამე გზისა-კი ჯერ სრულებით ვიწრო ბილიკიც არ არის გატარებული.” *(“შინაური მიმოხილვა”. 1882 წ. ივლისი-აგვისტო).*

3.3.2. საქართველოს სახალხო მეურნეობის დარგები, როგორც ქვეყნის ქონებრივი სიმდიდრე და სიმდიდრის გამრავლების ფაქტორი

3.3.2.1. მევენახეობა და მეღვინეობა

- **ჩვენი ხალხი ძველადვე ვენახის კეთებას მისდევს**

“ქინაქინის ხე და ჩაის ბუჩქი ხვალინდელი ქათამია, და ის დღევანდელი კვერცხი კი, რომელიც ხელთ გვიპყრია, დაუდევრობით ლამის გაგვილაყდეს. სამერმისო მერმისს მივანდოთ და სადღეისოდ კი უკეთესი და უფრო ჭკუას ახლო იქნებოდა გვეფიქრა მასზედ, რაც დღეს ხელთა გვაქვს და რაც ჭლამის სიმდიდრის კარგა მოზრდილ წყაროდ გადაექცეს ჩვენს ქვეყანასა, თუ კი ხელშემწყობი ეყოლება”. “ეგ წყარო ღვინოა”. *(“ჩვენი მევენახეობა და მეღვინეობის საჭიროებანი”. 1886 წ. 17 თებერვალი).*

“ჩვენი ხალხი ძველის დროიდანვე ვენახის კეთებას მისდევს. ჩვენის ქვეყნის ბუნება და ნიადაგი სრულიად ხელს უწყობს ვაზის გაშენებას. დიდი სიმდიდრე თუ არ მოაქვს ღვინის მოსავალს ჩვენი ხალხისთვის, ცოტა შველას მაინც აძლევს, შრომა და ჯაფა მუქთად არ მისდით. შინ სახმარებლად თავისი საკუთარი ღვინო აქვს, ჭირში და ლხინში ღვინის ყიდვა არ უნდება და მეტ ხარჯში არ შედის. მარტო ესეც საკმაოა, რომ ჩვენი ხალხი გულმოდგინედ მიჰყოლოდა ღვინის წარმოებას და თავი არ დაენებებინა ამ ფრიად სასარგებლო საქმისათვის”. *(“ჩვენი მევენახეობა და მეღვინეობის საჭიროებანი”. 1886 წ. 26 აპრილი).*

“ჩვენდა სამწუხაროდ, ცნობანი ღვინის რაოდენიბისა მარტო ერთის წლისა გვაქვს, სახელდობრ, 1870-ისა. ერთის წლის ცნობებზედ ძლიერ ძნელია რაიმე დასკვნის გამოყვანა მით უფრო, რომ არც კი ვიცით, სანდონი არიან ის ცნობები თუ არა, რადგანაც იმ წიგნში (Историко-Статистический обзор промышленности Россий, Т. Л.), საიდამაც ჩვენ ამის ქვემოთ ამოვკრებთ ამ ცნობებს არ არის ნაჩვენები, რაზედ არის დაფუძნებული. რადგანაც ჯერ ხელთ უკეთესი სხვა არა გვაქვს-რა, მეტი რა გზაა, იგი წიგნი უნდა გავიმძღვაროთ წინ და მას დავეფუძნოთ”. *(“ჩვენი მევენახეობა და მეღვინეობის საჭიროებანი”. 1886 წ. 17 თებერვალი).*

“ამიერკავკასია ღვინის მოსავლის კვალობაზე ხუთ ნაწილად არის გაყოფილი და თითო ნაწილის მოსავალი ცალკეა მოხსენებული.”

“გამოდის, რომ ნახევარზედ მეტი ღვინო შინ ისმევა და მარტო ნახევარზედ ცოტა ნაკლები გადის ბაზარში გასაყიდად”.

“მაშასადამე, ამიერკავკასიას თითქმის $4\frac{1}{4}$ მილიონი ვედრა ღვინო აქვს ბაზარში გასატანი და გასასყიდი. ვედრა რომ ერთმანეთზედ მანეთ-ნახევრად ვიანგარიშოთ, გამოვა, რომ ღვინისაგან ამიერკავკასიას უნდა შემოუვიდეს ექვსი მილიონი და 375000 მანეთი; აქედამ იმერეთს თითქმის მილიონ ნახევარი, კახეთს სამი მილიონი და თითქმის 279000 მანეთი ქართლსა და სომხეთს თითქმის 855000 მანეთი და სხვანი”.

“ამ სახით გამოდის, რომ ამიერ და იმიერკავკასიაში და დანარჩენს ადგილებში რუსეთს სულ 15 მილიონამდე ვედრა ღვინო მისდის წელიწადში; აქედამ 5 580 001 შინ სასმელად ჰრჩება ღვინის პატრონებს და დანარჩენი 9 316 296 გადის გასასყიდად. ეხლა იკითხავს მკითხველი, რა ბაზარი უნდა გაუძღვეს ამოდენა ღვინოსაო? მით უფრო ჭკუაში მოსასვლელი საკითხავია ეს, რომ საზღვარგარეთ სულ 0,02% ღვინო არ გააქვთ რუსეთის საზღვრებიდამ და თითონ რუსეთის ხალხიც ყურძნის წვენის ღვინოს შეჩვეულნი არ არიან და არა ჰხმარობენ. ხომ ასეა, მაგრამ ორი და სამი მაგოდენა ღვინოც რომ იყოს, მარტო რუსეთის ბაზარს ვერ აუვა, თუ კი ჩვენი ღვინოები გზას გაიხსნიან და რუსეთს მოაწონებენ თავსა”.

ამის დასამტკიცებლად მოვიტანთ ციფრებს რუსეთიდამ საზღვარგარეთ გატანილის ღვინისას და არყისას და იქიდამ შემოტანილისას ფულად:

“1880 წელს რუსეთში შემოუტანიათ ღვინო თითქმის 18$_{1/2}$ მილიონ მანათისა. აქედამ გამოდის, რომ რუსეთი შიგნითვე ასაღებს არამც თუ იმ 10 მილიონს ვედრას, რომელიც რუსეთს თვითონ აქვს ყოველწლივ გასაყიდად, არამედ თვრამეტ მილიონ მანეთისას კიდევ სხვაგან ყიდულობს და შემოაქვს. მაშასადამე, ამიერკავკასიის ხუთი მილიონი ვედრა ღვინო ერთი-ოთხად და ხუთადაც რომ იქცეს, მაშინაც ძლივს გაუძღვება მარტო რუსეთის ბაზარსა. აქ მარტო გზების გახსნა უნდა და ბაზრის დაჭერა ღვინის სიკეთითა და იეფობითა”. *(“ჩვენი მევენახეობა და მეღვინეობის საჭიროებანი”. 1886 წ. 17 თებერვალი).*

“ჩვენს ღვინოს ძლიერი მეტოქე და მოცილე ჰყავს რუსეთის ბაზარში: ეგ მეტოქე ევროპაა, რომლის ღვინოსაც რუსეთი დიდი ხანია სვამს და დიდი ხანია შეჩვეულია. ამ მეტოქის განდევნა რუსეთის ბაზრიდამ და მისის ადგილის დაჭერა მეტად რთული და ძნელი საქმეა”. *(“ჩვენი მევენახეობა და მეღვინეობის საჭიროებანი”. 1886 წ. 17 თებერვალი).*

“მინამ ქინაქინის ხეს და ჩაის ბუჩქსა ჩვენში ვახეირებდეთ, რომ ამას, რაც დღეს ხელში გვაქვს, ხელი შეუწყონ და გზა მისცენ, არ იქმნება ურიგო”. *(“ჩვენი მევენახეობა და მეღვინეობის საჭიროებანი”. 1886 წ. 17 თებერვალი).*

“ჩვენს სახელმწიფოში იმისთანა ქვეყნებია, რომელთაც ჰავა და მიწა ნებას აძლევს მევენახეობისას და ღვინის კეთებისა და დაყენებისას”. *(“ჩვენი მევენახეობა და მეღვინეობის საჭიროებანი”. 1886 წ. 5 მაისი).*

“ვინაიდან რუსეთს უცხო ქვეყნებიდამ დიდძალი ღვინო შემოაქვს, მაშასადამე დიდძალი ფულიც, ვითარცა ღვინის სასყიდელი, რუსეთიდამ გარეთ გადის. ამ ამბავმა მოახედა მთავრობა იმაზედ თუ, _ განა არ შეიძლება რუსეთმა თავისი საკუთარი ღვინო იქონიოს, და თუ ღვინისაგან გამორჩომაა რამე, ის არა სჯობია, ისევ რუსეთის ხალხი გამორჩეს, ვიდრე უცხო ხალხიო”. *(“ჩვენი მევენახეობა და მეღვინეობის საჭიროებანი”. 1886 წ. 5 მაისი).*

“ვიდრე ეს უტყუარი და საბუთიანი აზრი განსახორციელებლად გზას გაიხსნიდა, სახელმწიფო ქონებათა სამინისტროში ცალკე კომისია შესდგა. კომისიას დაავალეს

აღმოაჩინოს იმისთანა ღონისძიებანი, რომ ღვინის საქმე რუსეთში განკარგდეს, გაძლიერდეს და წარმატებას მიეცეს". *("ჩვენი მევენახეობა და მეღვინეობის საჭიროებანი". 1886 წ. 5 მაისი).*

"ამ ცნობათაგან აღმოჩენილია, რომ რაც რუსეთის ბაზარში ღვინოები ჰსაღდება, რაც ღვინო მიდის და მოდის ამ ბაზარში, _ სულ ყალბი ღვინოებია, როგორც შინვე რუსეთში ნაკეთები, ისეც საზღვარგარეთიდამ შემოტანილი: ამ ყალბს ღვინოსა ჰსვამს რუსეთი და ამის მიუხედავად ფასი კი მეტისმეტად ძვირია, მაშინ, როდესაც თვითონ ღვინის ადგილს მართალი ღვინო მეტისმეტად იეფ ფასად ძლივს იყიდება, და ამ სახით ხშირად ნაწარმოების შემოსავალი თავისსავე ხარჯს არა ჰფარავს". *("ჩვენი მევენახეობა და მეღვინეობის საჭიროებანი". 1886 წ. 5 მაისი).*

"საჭიროა ხელი მოემართოთ ცალკე ვენახების პატრონებს, ღვინის კეთების სკოლები და შესაფერი მარნები დაჰმართონ თავ-თავიანთ მამულებში იქ, საცა ღვინოებს აყენებენ და ღვინოს ინახავენ; გაიმართოს ცალკე სახელმწიფო მარანი, ანუ სარდაფი, ღვინის დასაყენებელი და შესანახავი ყველასათვის სამაგალითოდ, რომ ვისაც ჰსურს, ისწავლოს, როგორც უნდა დაყენება ღვინისა და როგორი მოვლაა და პატრონობა საჭირო". *("ჩვენი მევენახეობა და მეღვინეობის საჭიროებანი". 1886 წ. 5 მაისი).*

"გარდა ამისა, კომისიას ყურადღება მიუქცევია იმისათვისაც, რომ ყალბის ღვინის კეთებას და ბაზარში გამოტანას ყოველივე გზა შეეკრას". *("ჩვენი მევენახეობა და მეღვინეობის საჭიროებანი". 1886 წ. 5 მაისი).*

- **ხვნა-თესვა თუ ვენახობა და ღვინის კეთება: ორი ერთმანეთის შეუფერებელი და შეუწყნარებელი მოვლენა**

"ჩვენ არა ერთხელ გაგვიგონია ჩვენის ყურით გულისხმიერ შინაურ კაცთაგან, რომ გლეხობა იქ არის ჩვენში ღარიბი და ყელთამდე ვალში ჩაცვივნული, საცა ვენახობა და, მაშასადამე, ღვინის კეთება გახშირებულია და საცა გლეხკაცობა ამ ვენახობაზედ არის უფრო მეტად თავდადებულიო. პირიქით, საცა გლეხობა მარტო ხვნა-თესვას მისდევს, იქ კი გლეხნი უფრო შემძლებელნი და უვალონი არიანო. ხშირად ამის დასამტკიცებლად თვითონ სოფლებიც დაუსახელებიათ და ამ სოფლების მცოდნე კაცებს უთქვამთ, რომ ამ დასახელებულ სოფლებში მართლა ეგრეა გლეხთა მდგომარეობაო. ჩვენც თვითონ გამოგვიძიებია ეს საოცარი ამბავი ჩვენს ახლომახლო თითო-ოროლა სოფელში და, ჩვენდა სამწუხაროდ, გამოძიებას არც ერთგან არ გაუმტყუნია ზემოხსენებული ნათვალევი შინაურ კაცებისა: ყველგან, საცა კი თვალი მიგვიწვდენია, გამოსულა, რომ გლეხობა იქ უფრო შეძლებულია და უვალო, საცა ვენახები ან სულ არა აქვთ, ან ძალიან ცოტად, და საცა უფრო ხვნა-თესვაა, ვიდრე სხვა რა მიწათმოქმედება". *("მევენახე გლეხთა მდგომარეობა". 1887 წ. 23 ივნისი).*

"ეს ისეთი დაუჯერებელი ამბავია პირველი შეხედვით, რომ ჩვენს თვალსაც არ ვუჯერებდით და გულში ვამბობდით, თითო-ოროლა სოფლის მაგალითი ჯერ კიდევ საბუთი არ არის, სიღარიბის მიზეზად ვიცნათ საგანი სიმდიდრისა, რომელსაც ღვინო წარმოადგენს. მართალიც არის: როგორ დავიჯეროთ, რომ ღვინომ, ესე იგი, ამ შემთხვევაში მომეტებულმა წყარომ სიმდიდრისა, ერი გააღარიბოს. ეს მადლის ცოდვად გადაქცევა, ეს ლხინის ჭირად გარდაქმნა ჭკუაში როგორღაც არ მოდის, ლოღიკა

როგორღაც ვერ ითვისებს, ვერ იწყნარებს: აქ უნდა სხვა რამ მიზეზი იყოს და ამ მიზეზის გამორკვევა მეტად საინტერესო გახდა ჩვენთვისა". *("მევენახე გლეხთა მდგომარეობა". 1887 წ. 23 ივნისი).*

"დრო გადიოდა და ჩვენ შევიტყეთ, რომ ერთი დიდი მემამულე, რომელსაც ორასის დღის ვენახი აქვს გადაჭიმული ერთს ადგილას, ნებას არ აძლევს გლეხობას მის მამულში ვენახი აიშენოს სწორედ იმ მიზეზით, რომ ჩემი გლეხობაო, რომელიც ეხლა მარტო ხვნა-თესვას მისდევს და ცოტად თუ ბევრად წელმაგარია, გაღარიბდება, რაკი ვენახის დავიდარაბას აიკვიატებსო". *("მევენახე გლეხთა მდგომარეობა". 1887 წ. 23 ივნისი).*

"როგორ გადაექცევა ჩვენს გლეხობას ერთი კაი მოზრდილი წყარო სიმდიდრისა სიღარიბის სათავედ, _ ამის გამოძიება და გამორკვევა მეტისმეტად საინტერესოა და ჩვენ ამ საგანს ჩვენის შეძლებისამებრ გამოვიკვლევთ". *("მევენახე გლეხთა მდგომარეობა". 1887 წ. 23 ივნისი).*

"ცალკე ის მოწმობანი, რომ ყველგან, საცა გლეხკაცობა მისდევს ვენახის კეთებასა, გლეხნი სიღარიბეში არიან და ვალებით დამძიმებულნი, რომ ვენახები თანდათან ჰმატულობენ და მრავლდებიან ქართლ-კახეთში და ამ უკანასკნელ დროს უფრო ქართლში, _ ორს ერთმანეთის შეუფერებელს და შეუწყნარებელს მოვლენას წარმოგვიდგენენ. თუ ვენახებითა ჰღარიბდებიან გლეხნი, რაღად მრავლდება ვენახები, და თუ ვენახები მრავლდება, რაღას ჰნიშნავს ხსენებული მოწმობანი." *("მევენახე გლეხთა მდგომარეობა". 1887 წ. 24 ივნისი).*

"ვენახების გამრავლება ხომ ანგარიშზეა დამოკიდებული, და თუ ვენახები ანგარიშში არ მოდის, თავს ტყუილად ვინ გაიცივებდა იმის გასამრავლებლად, რაც ხეირის მაგიერ მარტო ზიანისა და ზარალის მომტანია." *("მევენახე გლეხთა მდგომარეობა". 1887 წ. 24 ივნისი).*

"ჩვენა გვგონია, რომ ამ ერთმანეთის დამლევს და შემმუსვრელს ამბავის მიზეზს მივუხვდებით, თუ თვალწინ წამოვიყენებთ იმ ეკონომიურს ძალ-ღონეს, რომელიც გლეხკაცობას ვენახის გასაშენებლად აიძულებს." *("მევენახე გლეხთა მდგომარეობა". 1887 წ. 24 ივნისი).*

"ვენახი, თუ ამინდი ხელს უწყობს და წელიწადი კარგი შეხვდა, დიდძალს მოგებას იძლევა. მაგალითებრ, ბ-ნ არღუთინსკის გამოძიებით გამოდის, რომ თელავის მაზრაში დღიურს ვენახზე იხარჯება წელიწადში 34 მანეთი და შემოსავალი კი ორთა-შუა მოსავლისა იძლევა 110 მანეთსა ასე, რომ დღიურზედ წმინდა მოგება რჩება 76 მანეთი. ხვნა-თესვა კი იმავ მხარეს იძლევა წმინდა შემოსავალს დღიურზედ 10 მანეთსა და ორს აბაზსა, რადგანაც ბ-ნ არღუთინსკის გამოყვანილი აქვს ხვნა-თესვის ხარჯი დღიურზედ 14 მანეთი და ორი შაური და შემოსავალი 24 მანეთი და ათი შაური, ისიც მაშინ, თუ პურია დათესილი. სხვა მარცვლეულობა კი, მაგალითებრ, ქერი, სულ ოთხს მანეთს და ექვს შაურს წმინდა მოგებას იძლევა და სიმინდი მარტო სამს მანეთსა და ათ შაურს." *("მევენახე გლეხთა მდგომარეობა". 1887 წ. 24 ივნისი).*

"რაკი ხალხის გამრავლება ცოტად თუ ბევრად ყოველწლივ წინ მიდის და ამის გამო სახნავ-სათესი მიწები აღარა ჰყოფნის ხალხსა, რა თქმა უნდა, სახნავ-სათესი მიწა იმისთანა სამუშავოდ უნდა აქციოს, რომელიც ხვნა-თესვაზედ უფრო დიდს შემოსავალს იძლევა. რადგანაც ბარად ჩვენის ქვეყნის მომეტებულ ნაწილში ყურძენი ჰხეირობს და ვენახობა შესაძლებელია, და რადგანაც ვენახი თითქმის ერთი-შვიდად მეტს იძლევა ვიდრე სახნავ-სათესი, აშკარაა, ვენახად ქცეული სახნავ-სათესი ერთი შვიდად მეტს სარჩოს მოიტანს; ამ სახით, ანგარიში თვალნათლივ აჩვენებს გლეხკაცსა, რომ იგი ტანი

მიწა, რომელიც ხვნა-თესვით საკმაო სარჩოს არ იძლეოდა. ვენახობით კი გაუძღვება მისის რჩენის საჭიროებასა." *("მევენახე გლეხთა მდგომარეობა". 1887 წ. 24 ივნისი).*

"ამაში უნდა მოიპოვებოდეს მიზეზი ვენახების გამრავლებისა ჩვენში. ამაშივე უნდა მოიჩხრიკებოდეს მიზეზი გლეხის გაღარიბებისა და ვალში ჩავარდნისა, თუ ერთიც და მეორეც მართალია და არ მოჩვენებული ღრმად ჩაუხედავობისაგან." *("მევენახე გლეხთა მდგომარეობა". 1887 წ. 24 ივნისი).*

"ხვნა-თესვა იმისთანა რამ არის, რომ თუმცა ცოტას იძლევა, მაგრამ რასაც იძლევა, უფრო საიმედოა და მშრომელს უფრო ნაკლებ გაუმტყუნდება ხოლმე. ხვნა-თესვას მოსავლის იმდენი განსაცდელი, ფათერაკი არა სდევს, რამდენიც ვენახისას. გარდა ამისა, რომ სულაც მოუცდეს გლეხკაცსა, უფრო ადვილად ასატანია, ვიდრე ვენახის მოსავლის მოცდენა, იმიტომ რომ პირველ შემთხვევაში 14 მანეთი ეკარგება და მეორეში კი 34 მანეთი (თუ ბ-ნ არღუთინსკის ციფრები სარწმუნონი არიან და საკმაოდ ახლო არიან მართალ ციფრებზედ). იმას აღარ ვიტყვით, რომ ხვნა-თესვის მოსავლის ხელაღებით მოცდენა ძნელი და იშვიათი შემთხვევაა, ვენახის კი უფრო ადვილია და ხშირი, ჯერ მარტო იმ მიზეზით, რომ ხვნა-თესვის მოსავალზედ კარგა გვიან მოდის მოსავალი ვენახისა და, მაშასადამე, ამინდის ცვლილებისა თუ სხვა განსაცდელის ქვეშე უფრო დიდხანს იმყოფება. სხვა რომ არა იყოს რა, მარტო სეტყვა ავიღოთ, ხვნა-თესვის მოსავალი მარტო მკათათვის დამლევამდეა სეტყვის შიშქვეშ და ვენახისა კი თითქმის ღვინობისთვემდე, და ამ ხნის მანძილზედ ვინ იცის რა არ დაემართოს ვენახსა, კაცზედ დამოუკიდებელ მიზეზის გამო." *("მევენახე გლეხთა მდგომარეობა". 1887 წ. 24 ივნისი).*

"ერთის მხრით დიდი შემოსავლის იმედი, რომელსაც ვენახი იძლევა და რომელიც ცოტად თუ ბევრად საბუთიანია და დიდს ხარჯს აწევინებს, და მეორეს მხრით ის მრავალგვარი განსაცდელი, რომელიც თან სდევს ვენახის მოსავალსა და ხშირად ვენახის პატრონს ყველაფერზედ ხელს აბანინებს, უნდა ცნობილ იქმნას იმის მიზეზად, რომ ვენახის მიმდევარი გლეხი შეძლებით უფრო უღონოა, ვიდრე ხვნა-თესვის ამყოლი. ვენახს იმოდენა ხარჯი და მოვლა უნდა, რომ ერთი წელიწადი მოუცდეს გლეხსა, გლეხი უეჭველად ვალში უნდა ჩაიფლას, და ვალიც იმისთანა მძიმე პირობისაა, რომ ერთხელ ჩაფლული ძნელად თუღა იხსნის ვალისაგან თავსა." *("მევენახე გლეხთა მდგომარეობა". 1887 წ. 24 ივნისი).*

გამოკვლევიდან მიღებული დასკვნა "ბ-ნ არღუთინსკის მიერ გამოძიებული რაოდენობა ხარჯისა ერთის დღიურის ვენახის საკეთებლად, მართალზე ძალიან ახლოა. ამ ციფრისაგან სჩანს, რომ ერთის დღიურის ვენახის პატრონს ვენახზედ ეხარჯება 34 მანეთი. ვენახი რომ მოუცდეს და 34 მანეთი ვალად დაედვას ერთის დღიურის ვენახის პატრონს გლეხსა, როგორღა დააღწევს ამ ვალისაგან თავსა." *("მევენახე გლეხთა მდგომარეობა". 1887 წ. 24 ივნისი).*

"რადგანაც ვენახი დიდის შემოსავლის იმედს იძლევა, და რადგანაც წინდაუხედაობა, რომელიც ჩვენს ზნეს შეადგენს, მარტო კარგს გვაფიქრებინებს ხოლმე და ათასნაირს განსაცდელს გვავიწყებინებს, ამიტომაც გლეხს გული უფრო ხალვათი აქვს ვალის აღებისათვის: ერთი მოსავალი მომივა და ვალსაც ერთბაშად გავუძღვები და ვახშსაცაო. იგი მართალია ამ ერთის კარგის მოსავლის მოლოდინითა, მაგრამ ხშირად ლოდინი ლოდინად ჰრჩება და გულხალვათად აღებული ვალი თავის ზედნადებით ზედ ეკეცება, და რამოდენადაც იმედგამტყუნებული მოსავალი ვენახისა აკლდება, იმოდენად, თუ არ

მეტად, ჰმატულობს ერთხელ აღებული ვალიცა." *("მევენახე გლეხთა მდგომარეობა". 1887 წ. 24 ივნისი).*

"გარდა ამისა, თვითონ იგი სოფლის წურბელაც, რომელიც მარტო ფულის ბღარტობითა ჰცხოვრობს და ქვეყანას იმის მეტი მისგან არა ემუნათება რა, იგიც ვენახის იმედით უფრო იძლევა ფულს ვალადა. იგი ფულის სასესხებლად მოსულს კაცს ყველაზედ უწინარეს ჰკითხავს ხოლმე: ვენახი გაქვსო, და თუ აქვს, ამისთანისათვის ფულს სასესხებლად უფრო ადვილად იმეტებს. რადგანაც ფულის პატრონი ყოველთვის წინდახედული და ანგარიშიანი კაცია, იმან კარგად იცის, ვენახი რა განსაცდელიანი ქონებაა; კარგად იცის, რომ თუ წელიწადი ემარჯვა, დიდს ღონეს აძლევს გლეხკაცსა, და თუ არა, ფული შესაძლოა დიდ ხანს დაეგანდოს და გაებას. ცალკე ამ იმედიანის სიხარბით, ცალკე ფულის დიდ ხანს დაბანდების შიშით, იმოდენა სარგებელს დაუდებს ხოლმე პირობად, რომ კაცი ჰკვირობს, საღის ჭკუის პატრონი ამ სარგებელს როგორა ჰკისრულობსო." *("მევენახე გლეხთა მდგომარეობა". 1887 წ. 24 ივნისი).*

"ხოლო გაჭირებულს გლეხკაცს სარგებლის სიდიდეს და სიმძიმეს უმსუბუქებს და საადვილოდ უხდის ისევ ის იმედი ვენახის მოსავლისა. ეხლა-კი სული მოვიბრუნოო, ხელი მოვინაცვლოო, ამბობს გულში, და ღმერთი მოწყალეა, სამერმისოდ ვენახი იმოდენას მომცემს, რომ ამასაც წარბშეუხრელად გავწვდეო." *("მევენახე გლეხთა მდგომარეობა". 1887 წ. 24 ივნისი).*

"აკი ვსთქვით, გლეხკაცს ვენახის იმედით გული ხალვათი აქვს, და ეს იმედი მით უფრო ადვილად ჭკუაში მოსასვლელია, რომ ვენახი ბუნებითად დიდის მოსავლის შემძლებელია, დიდის მოგების მომცემია, თუკი ამინდი დაუდგა და განსაცდელს გადაურჩა." *("მევენახე გლეხთა მდგომარეობა". 1887 წ. 24 ივნისი).*

"ეს იმედი, უანგარიშოდ გაძლიერებული, წაიცდენს ხოლმე გლეხკაცობას, ცალკე ვალის აღების გზას უხსნის და ცალკე ვალის შიშს უკლავს, მაშინ როდესაც უამისოდ გლეხკაცი ერთობ მეტად უფრთხის და ერიდება ვალის აღებასა." *("მევენახე გლეხთა მდგომარეობა". 1887 წ. 24 ივნისი).*

- **გლეხკაცი უფრთხის და ერიდება ვალის აღებას: რატომ?**

"ამ სახით, <u>სამი მიზეზი</u> ერთად მოქმედობს, ჩვენის ფიქრით, თუ მართლა ვენახის მიმდევარი გლეხკაცი უფრო ვალში ჩაფლულია, უფრო შეუძლებელია, ვიდრე ხვნა-მთესველი, რომელიც უფრო ცოტაზედ, მაგრამ უფრო ნაკლებ განსაცდელიანს და უფრო დიდად საიმედო მოსავალზედ დამყარებულია." *("მევენახე გლეხთა მდგომარეობა". 1887 წ. 24 ივნისი).*

"<u>ერთი მიზეზი</u> ის უნდა იყოს, რომ ვენახის კეთების ხარჯი იმოდენაა, რომ თუ ვინიცობაა მოსავალი მოსცდა, გლეხი უვალოდ ამ ხარჯს ვერ გადურჩება; მეორე ისა, რომ დიდი მოგება ვენახისა ვალის შიშს უფრთხობს გლეხსა და ძნელად საკისრებელს ადვილად კისრად აღებინებს; მესამე ისა, რომ იგივ დიდი მოგება ვენახისა ფულის პატრონს უფრო ადვილად ამეტებინებს სასესხებლად ფულსა ვენახის პატრონისათვის. ხოლო ყოველსავე ამ მიზეზს და ვენახის პატრონების ღარიბად ყოფნას მაშინა აქვს ადგილი, როცა დამტკიცებული იქნება, რომ რიგიანი მოსავალი ვენახისა ძალიან იშვიათია ჩვენში და ნაკლები ხშირი." *("მევენახე გლეხთა მდგომარეობა". 1887 წ. 24 ივნისი).*

“გლეხის ჩაფვლა ვალში და ვეღარ ამოსვლა ადვილად წარმოსადგენია მარტო ამ შემთხვევაში. ნუთუ ჩვენში უმოსავლობა ვენახისა სჭარბობს მოსავლიანობას?” *(“მევენახე გლეხთა მდგომარეობა”. 1887 წ. 24 ივნისი).*

“თუ მართლა დასაჯერია ის ამბავი, რომ გლეხკაცობა, ვენახების მიმდევარი, უფრო ღარიბია ხვნა-თესვის მიმდევარზედ, უეჭველად ესეც უნდა დავიჯეროთ. ჩვენ მაინც კიდევ საეჭვოდ მიგვაჩნია ეს შინაურ მოსაქმე კაცთაგან შენიშნული და მთავრობის მოხელეს მიერ შემოწმებული ამბავი.” *(“მევენახე გლეხთა მდგომარეობა”. 1887 წ. 24 ივნისი).*

“კარგი იქნებოდა, რომ სოფლად მცხოვრებმა მიხვედრილმა კაცმა თვალი დააკვირვოს ამ საოცარ ამბავს და თვისი აზრი ამ საგნის შესახებ გაგვიზიაროს. ეს მეტისმეტად საინტერესო საქმე იმად ჰღირს, რომ კაცმა ჯაფა გასწიოს და ზედმიწევნით გამოიძიოს. მართლა და, როგორ არ უნდა ეოცოს კაცსა, რომ ადამიანს მეტი სახსარი ჰქონდეს თავის რჩენისა და ის მეტი ჭირად გადაჰქცეოდეს, ანუ უკეთ ვსთქვათ, სიმდიდრე სიღარიბის მიზეზად გახდომოდეს.” *(“მევენახე გლეხთა მდგომარეობა”. 1887 წ. 24 ივნისი).*

- **რას და რატომ გვიწუნებენ ქართველებს: ანუ არც ადგილის შერჩევა გვცოდნია სავენახედ და ვენახის კეთებაც ადამის-უმური გვცოდნია?**

“საჭიროა ავღნუსხოთ, _ რა წუნსა სდებენ ჩვენს ღვინოს და რა წამალს გვირჩევენ; მაშინ დავინახავთ, სადამდე მიდის მართალი და ტყუილი. საზოგადოდ უნდა ვსთქვათ, რომ ჩვენ ყველაფერში ჩამორჩენილი ვართ სხვებზედ, და რაკი ყველაფერში უკანა ვართ, ღვინის საქმეშიაც უკან უნდა ვიყვნეთ, მაშასადამე, ჩვენი, რაც კია, არ უნდა ვარგოდეს. ამ საბუთით შეიარაღებულნი საკმარისად ჰხედვენ მარტო ზოგადის ფრაზებით წუნის დადებას და ამით იოლად წასვლასა”. *(“ღვინის ქართულად დაყენება”. 1887 წ.).*

“ერთს ამისთანა მაგალითს წარმოგვიდგენს ერთი პატარა წიგნაკი, რომელიც შარშან დაიბეჭდა მოსკოვში რუსულად ამ სახელით: О главнейших нуждах и потребностях Кахетии. პატივცემულს ავტორს, რაკი ჩვენზედ ჰლაპარაკობს, ჰგონებია, რომ რაც კი უნდა სთქვას ჩვენებურის ღვინისა და ვენახების კეთების თაობაზედ, სულ მართალი იქნება, ოღონდ ქება და მოწონება რისამე არ იყოს და ამიტომაც ბრძანებს:

“Кахетинские виноградники мало доходны, что главным образом обусловливается неудачным выбором места для виноградников и патриархалъным способом обработки виноградной почвы”. *(“ღვინის ქართულად დაყენება”. 1887 წ.).*

“გამოდის, რომ ბ-ნ ავტორის აზრით, ჩვენ არც ადგილის შერჩევა გვცოდნია სავენახედ და ვენახის კეთებაც ადამის-ჟმური გვქონია. აქ არც ერთის დასამკიცებელი საბუთი არ არის მოყვანილი. ან რა საჭირო იყო! განა საკმარისი არ არის, რომ ქართველებმა არ იციან რა და, მაშასადამე, არც ეს ეცოდინებათ. ერთი ეს ფიქრად მაინც როგორ არ მოუვიდა ბ-ნს ავტორს, რომ რამდენიმე საუკუნეა, რაც საქართველოში ვენახობას მისდევენ, და რა ღმერთი გაგვიწყრებოდა, ადგილის ამორჩევაც ვერ გვესწავლა. ჩვენ კი გვგონია, რომ ადგილის ამორჩევაზედ ჩვენ აბუჩად ვერავინ ვერ აგვიგდებს. ჩვენს ვენახებს უკეთესი ადგილები უჭირავთ. ამას ამტკიცებს ის გარემოება, რომ საცა დღეს ვენახებია, იმ ადგილებიდამ კარგი ღვინო გამოდის და ვენახების დიდი ხნის წარსულიც გვემოწმება ამას. თუნდ ეგეც არ იყოს, ბ-ნმა ავტორმა აიღოს რომელიმე

სოფელი და მიგვითითოს იმისთანა ადგილზედ, რომელიც იმ ადგილებზედ უკეთესია, საცა დღეს ვენახებია. მაგას ვერ იზამს, ათასში ერთსაც ვერ გვაჩვენებს. ეს მაგალითი ნუთუ იმის მომასწავებელი არ არის, რომ ადგილის ამორჩევა ვენახებისათვის ვიცით და არც შესაძლოა არ გვცოდნოდა, იმიტომ, რომ ვენახის კეთება ჩვენში გუშინდელი საქმე არ არის და კარგის არჩევანისათვის რამდენისამე საუკუნის გამოცდილება ხელთა გვაქვს". *("ღვინის ქართულად დაყენება". 1887 წ.).*

"ვინც ცოტაოდნად მცოდნეა ჩვენის ვენახის პატრონებისა, ის გვიმოწმებს, რომ თითქმის არც ერთი ვენახის პატრონი გლეხი არ არის ჩვენში, რომ ამ საგანზედ ჭკვად მისაღები დარიგება და რჩევა არ მოგცეთ. ამ მხრით ჩვენებური გლეხი ევროპიელ მეცნიერსაც კი აჯობებს, იმიტომ რომ მიწათ-მოქმედობაში საერთოდ და ვენახობის საქმეში ცალკე გამოცდილება დიდიEრამ არის, და ჩვენებური გლეხი ევროპიელს მეცნიერზედ გამოცდილებით მეტისმეტად წინ იქნება იმიტომ, რომ ადგილის კაცია. ტყუილად კი არ არის ნათქვამი, ადგილის კურდღელს ადგილის მწევარი დაიჭერსო. შეცდომა მოსვლია პატივცემულს ავტორს, ამ გზით არ გამოუძიებია საქმე და მარტო იმას დასჯერებია, რომ აბა ამათ საიდამ რა ეცო-დინებათ, ყველაფერში ჩამორჩენილნი არიან და ამაშიც ჩამორჩენილნი იქნებიანო". *("ღვინის ქართულად დაყენება". 1887 წ.).*

"ამ სახითვე მოჰქცევია ბ-ნი ავტორი ვენახების ჩვენებურად კეთების საქმესა. რას გვიწუნებს ბ-ნი ავტორი? გარკვევით და ჩამოთვლით არას გვეუბნება. მარტო ამას ამბობს, რომ ვენახის მიწას ადამის-ჟმურ წესით აკეთებენო. თვითონ ვაზის მოვლის წესს კი სრულებითაც არ იხსენიებს. ჩვენც ამ ვაზის მოვლის საქმეს თავი დავანებოთ და მიწის კეთების საქმეს შევუდგეთ.

რაში მდგომარეობს ეს ადამის-ჟმური წესი, არც ამას გვეუბნება, უსათუოდ იმავ მოსაზრების ძალით, რომ ძველი ხალხია, უკან ჩამორჩომილი, და რა დიდი ლარი და ხაზიღა უნდა, რომ ადამის-ჟმური წესი ექმნებათო. მიწის კეთება ვენახისათვის _ ბარვა და თოხვნაა და ამაზედ დამოკიდებული გაწმენდა ვენახისა, დაწვენა და დამუხლვა ვაზისა; სხვა რა არის, გვიბძანონ. ავტორი რომ ვენახის მიწის კეთებას გვიწუნებს, ნუთუ ამით იმისი თქმა უნდა, რომ ბარვა და თოხვნა და მათზე დამოკიდებული მუშაობა ვენახის მიწისა ჩვენში ჯერ საჭიროდ ცნობილი არ არის? ან თუ ცნობილია, ნუთუ ჰგონებია, ბარვა და თოხვნა არ ვიცით, როგორც რიგია? ყველაფერში შეუძლიან მჩვარში გაგვახვიოს კაცმა, მაგრამ სთქვას კი, რომ ქართველმა კაცმა ბარვა, თოხვნა, გაწმენდა ვენახისა, ვაზის დამუხლვა და დაწვენა არ იცოდეს, _ ეს მთქმელის მტკნარი უმეცრობა იქმნება და არა ჩვენის ხალხისა. მართალია, ჩვენში ეგრედწოდებულ "პლან-ტაჟით" მომზადება მიწისა ვენახისათვის არ არის ჯერ შემოღებული, და თუ არის, კანტიკუნტად, და არც ლარზედ ჩაყრა ვაზისაა ჩვენში გახშირებული, მაგრამ სხვაფრივ ვენახის მიწის კეთება და მოვლა, რომელიც არსებითს საჭიროებას შეადგენს ვენახის კარგად კეთებისას, ჩვენში საკმაოდ კარგად იციან, იმოდენად კარგად, რომ რომელს ევროპიელსაც ეს ჩვენებური ცოდნა წინ არ წაუმძღვარებია და თავის ჭკუით უკეთებია ჩვენში ვენახი, გაშენებულიც კი ამოვარდნია. ამისი მაგალითი დღესაც თვალწინ გვიდგა ზოგს ალაგას და მხოლოდ დასახელება არა გვსურს". *("ღვინის ქართულად დაყენება". 1887 წ.).*

"ჩვენ ამითი იმის თქმა არ გვინდა, რომ ვითომც ჩვენებურად ვენახისათვის მიწის კეთებას სანატრელი აღარა ჰქონდეს-რა. ეგ ტყუილი ბაქიაობა იქნება. ჩვენ მარტო ის გვინდოდა გვეთქვა, რომ ჩვენებურს კეთებას მიწისას ვენახებისათვის ბევრი თავისი საკუთარი მიზეზი საბუთი აქვს, გამოცდილებით შემოწმებული და მეცნიერთაგანაც

ჭკვად მისაღები. ეგ წესი მიწის კეთებისა ჩვენშიაც იგივეა, რაც სხვაგან, და ზოგჯერ სხვაგან ის არ არის, რაც ჩვენშია. მაგალითებრ, ვაზის გადაწვენასა და ჩამუხლვაში ჩვენ ბევრი არავინა გვჯობია და ბევრს შეუძლიან ჩვენგან ისწავლოს რამეც. ამის გამო გადაჭარბებული თავმოწონება არ იქნება ვსთქვათ, რომ თუ ზოგი რამ აკლია ჩვენს ხალხს ვენახისათვის მიწის კეთების საქმეში, ზოგიც იმისთანა რამ იცის, რომ სხვასაც ასწავლის. ურიგო არ იქნება მსურველმა ისწავლოს ეგ ზოგი რამ და ტყუილის აბრუთი გაზვიადებული არ იძახოდეს: ადამის-ჟმური წესიაო. არა, ბატონებო, თავიდათავი ტკივილი ჩვენის ღვინის საქმისა იქ არ არის, საცა ესე ადვილად ჰპოულობენ ჩვენი სხვისით მოლაპარაკე მეცნიერნი". *("ღვინის ქართულად დაყენება". 1887 წ.).*

- **მეორე ჯურის ოსტატები ჩვენის ღვინის დაყენებას და კეთებასაც აბუჩად იგდებენ**

"ერთი ჯურის ოსტატები ხომ ვენახის მიწის კეთებას გვიწუნებენ, ჩვენს ცოდნას და გამოცდილებას ამის შესახებ ჩალადაც არ აგდებენ, მეორე ჯურისანი თვითონ ღვინის დაყენებას და კეთებას ჩვენსას აბუჩად იგდებენ. არც ამ ჯურის კაცსა აქვს ზედმიწევნით გამოკვლეული, რისთვის რას ამბობს! ყოველის კეთების ავკარგიანობა ნაკეთარმა უნდა გამოაჩინოს. რამო-დენადაც ნაკეთარია კარგი ან ცუდი, იმდონად კეთებაც კარგი, ან ცუდი იყოს. ეს აშკარაა ერთმა რომ კარგი ურემი გააკეთოს, მეორე ვერ ეტყვის, გამკეთებელს ურმის კეთება არა სცოდნიაო. ჩვენის ღვინის ოსტატობის დამწუნებელს რომ ჩვენი ღვინო ესინჯა და მის ავკარგიანობისაგან გამოეყვანა წუნი, მაშინ, რა თქმა უნდა, სიტყვას ვერ შევუბრუნებდით, მაგრამ ესე არ იქცევა. მას უნახავს, ან გაუგონია, რომ ევროპაში სხვადასხვა ოსტატობაა ღვინის კეთებისა და დაყენებისა, და რადგანაც მაგავე ოსტატობას აქ ვერა ჰხედავენ, მარტო ამით სწუნობენ ჩვენებურს ღვინის კეთებას. მაგალითებრ, საფრანგეთის მინისტრმა ქიმიკოსმა შაპტალმა აღმოაჩინა, რომ შესაძლოა მჟავე ღვინოს სიმჟავე დაუკარგოს კაცმა თუ ფხვნილი მარმარილო ჩააყარა, სიმჟავეს მარმარილო შეისვამს და მერე ძირს დაილექებაო. მერე მარმარილოს მაგიერად ამისათვისვე თაბაშირს (Гипс.) დაუწყეს ხმარება და ამ თაბაშირით ნაკეთობას საფრანგეთში Platrage-ს ეძახიან და თვითონ სისტემას კი "შაპტალიზაციას". *("ღვინის ქართულად დაყენება". 1887 წ.).*

"დოქტორმა ლუდვიგ გალმა თავის მხრით, სხვა რამ მოიგონა. ამისის აზრით, ღვინის სიკეთე იმაზეა დამოკიდებული, თუ რამოდენა სიტკბო აქვს ყურძნის წვენსა, ესე იგი, რამოდენა შაქარი, და თუ ყურძნის წვენს ეს აკლია, უნდა განგებ ჩაემატოსო. ამას "გალლიზაციას" ეძახიან. გარდა ამისა ღვინოს ფერის მისაცემად სანდალს უშვრებიან, ჭიაფერსა, ლილა, ალუბლის წვენს, ანწლს და სხვა ათასგვარ წამალსა, მაგალითებრ, შაბსა, რკინის არჯასპსა, სპირტსა და ერთგვარს შენარევს ტყვიისას, რომელსაც პროტოქსიდს (Cerbonate) ტყვიისას ეძახიან. ერთგვარს ნივთიერებასაც ხმარობენ ღვინის საფერავად და ამ ნივთიერებას ფუქსინი ჰქვიან და ზოგჯერ ზედ დარიშხანასაც უმატებენ, ამას "ფუქსინიზაციას" ეძახიან". *("ღვინის ქართულად დაყენება". 1887 წ.)*

"მართალი კი უნდა სთქვას კაცმა, რომ ყოველს ამას ევროპაში დიდის მეცნიერობით, ოსტატობით და ხერხით ახერხებენ, მაგრამ განა კარგია ყოველივე ეს? ნუთუ ეს საკითხავი და გამოსაძიებელი არ არის!

რაკი ყოველივე ეს ევროპაშია და რაკი ამისთანა აბრუიანი სახელებიცა აქვს, როგოც "შაპტალიზაცია", "გალლიზაცია", "ფუქსინიზაცია", ჩვენს ოსტატებს ღვინისას თავბრუ უნდა დასხმოდათ. აბა ჩვენმა კაცმა როგორღა შეჰბედოს გამოძიება, სიტყვის შებრუნება, მერე ვისა? ევროპას და ევროპის მეცნიერებას! სჩანს ყოველივე ეს კარგია, რადგანაც ევროპაშია მიღებული, და რადგანაც ჩვენში, _ ჯერ ღვთის მადლით, _ შემოღებულ არ არის, არც ღვინის კეთება გვცოდნია და არც რიგიანი ღვინო გვქონია. აი, რაზეა აშენებული აზრი ჩვენის მწვრთნელისა შინაურისა თუ გარეულისა. რატომ აღარ იკითხავენ, რომ ამ ოსტატობით და მეცნიერებით კეთება ღვინისა ღვინის სუნსღა არჩენს ყურძნის წვენსა? რატომ არ იკითხვენ, ეგრედ ნაკეთები ღვინო ღვინოდ ჩაითვლებაღა, ესე იგი იმ მარგებელ სასმელად, რომლისვთვისაც ბუნებური, მართალი ღვინოა დანიშნული?" *("ღვინის ქართულად დაყენება". 1887 წ.).*

"ყოველს სასმელს, თუ საჭმელს, ყოველთ უწინარესს ის უპირველესი ღირსება უნდა ჰქონდეს, რომ აგებულებისათვის მარგებელი იყოს და მაინცდამაინც მაწყინარი არა. ყურძნის წვენის სხვადასხვა ოსტატობით მეცნიერთაგან აღმოჩენილ წამლებით გადასხვავება ნუთუ ისე ბრმად მოსაწონია, რომ იმის მიხედვით დაიწუნოს კაცმა ჩვენებური ღვინის კეთება, რომელიც მარტო იმაზეა მიქცეული, რომ ყურძნის წვენს არა რა შეერიოს და ღვინოს თავისი ბუნებური, შეურეველი თვისება ჰქონდეს! ეგ რაღაც "Platrage"-ია და "ფუქსინიზაცია", ძალიან გავრცელებულია თურმე სამხრეთ საფრანგეთსა, ისპანიასა და იტალიაში. ნუთუ ეს საკმაოა, რომ ჩვენც იმათ ავყვეთ და მარგებელი სასმელი მაწყინარად და ადამიანის მოსაწამლავად გადავაქციოთ". *("ღვინის ქართულად დაყენება". 1887 წ.).*

"აი, ამ ფუქსინით შეზავებულ ღვინოზედ რას ამბობს ერთი მეცნიერი ჰუსსონი: "ერთი ჭიქა დავლიე თუ არა, მაშინვე ყელი გამიშრა და შემეკუმშა, ტუჩებზედ და ტუჩის კუთხეებში რაღაც უგემურობა ვიგრძენი ასე, რომ იძულებულ გავხდი ენით მესველებინა წამდაუწუმ. გემო შაბით ნაკეთებს ღვინოს უგვანდა. ენა და ტუჩები ცოტაოდნად შემეღება, გულის ზიდილი ვიგრძენ უფრო იმისაგან, რომ მაგისთანა ღვინო უნდა დამელია".

ეს ფუქსინით ნაკეთები ღვინო ისეთი მაწყინარია, რომ, _ უკაცრაოდ არ ვიყოთ _ შარდსა წითლადა ჰღებავს და ადამიანს ტანში ჰხსნის; მოდით და ამას იქით გვითხარით, რატომ ფუქსინით ღვინოს არ აკეთებთ!.. რატომ "ფუქსინიზაცია" _ ეს მაღალხმოვანი სისტემა, მიღებული არა გაქვთ-თქო!.." *("ღვინის ქართულად დაყენება". 1887 წ.).*

"იქნება ბევრში ცუდად ვექცეოდეთ ღვინოსა ჩვენში, მაგრამ ამას კი ვიტყვით, რომ ცუდად ნაკეთები ღვინო მარგებელი და უმჯობესია, ვიდრე კარგად ნაკეთები და მაწყინარი". *("ღვინის ქართულად დაყენება". 1887 წ.).*

"ჩვენი დრტვინვა და ჩივილი მარტო ის არის, რომ მიზეზთა და საბუთთა გაჩხრეკასა და გამორკვევაზედ არ არის დამყარებული ჩვენთა წუნმდებელთა წუნი. ეს მეტისმეტი კადნიერებაა მთელის ერის წინაშე, ნამეტნავად, როცა ერისაგან შეთვისებულს და წარმოებულს საქმეს მთელის ათასის წლის ისტორია აქვს და, მაშასადამე, მთელის საუკუნოების გამოცდილება წინ უდევს. ჩვენ არ ვიტყვით, რომ ამისთანა შემთხვევაში ხანგრძლიობა ყოველთვის სიმართლეს მოასწავებდეს, მაგრამ იმოდენად პატივსადები კია ცნობიერის კაცისაგან, რომ განურჩევლად, გამოუძიებლად უარყოფას იუცხოვებს და უკადრისობად ჩასთვლის". *("ღვინის ქართულად დაყენება". 1887 წ.).*

- **ღვინის მკეთებელი: საქმე და მოვალეობა**

"ყურძნის დაკრეფის დღიდგან თავდება მოვალეობა ვენახის მკეთებელისა და იწყება საქმე და მოვალეობა ღვინის მკეთებელისა". *("ღვინის ქართულად დაყენება". 1887 წ.).*

"ჩვენ ვენახის კეთებაზედ ბევრი არა ვსთქვით რა. იმიტომ, რომ აქ ჩვენ ბევრს ვერავინ რას დაგვიწუნებს, ვისაც კი ცოდნით და წინადაუღებელის აზრით ეს საქმე ჩვენში უსწავლია. კიდევაც გავკადნიერდებით და ვიტყვით, რომ ვენახის და ნამეტნავად ვაზის მოვლაში ჩვენებური კაცი სხვას არამც თუ ჩამოუვარდება, ზოგში სხვას ასწავლის კიდეც". *("ღვინის ქართულად დაყენება". 1887 წ.).*

"შევუდგებით რა ღვინის კეთების საქმის აღწერასა, საჭიროდა ვრაცხთ გავიხსენოთ, რომ მეცნიერებამ თუმცა ბევრი ღონისძიება აღმოუჩინა კაცს ყალბის ღვინის კეთებისათვის, მაგრამ იმავ მეცნიერებამ ბევრი სხვა ღონეც მისცა ადამიანს, რომ ბუნებური ღვინო ჯეროვანად კეთდებოდეს". *("ღვინის ქართულად დაყენება". 1887 წ.).*

"ჩვენ მარტო ჯერ ამ უკანასკნელ ღონეთა ჩამოთვლით და მასთან ერთად ვეცდებით დავანახოთ მკითხველს, რამოდენად ახლოა თუ შორსაა ჩვენებური ღვინის მკეთებელი იმაზედ, რასაც ამ მხრით მეცნიერება გვირჩევს". *("ღვინის ქართულად დაყენება". 1887 წ.).*

"რაკი ყურძენი დაიკრიფა იმ დარისა და დროის შერჩევითა, კაცი უნდა ეცადოს, შეძლებისამებრ, მარცვალი ყურძნისა მოაშოროს კლერტსა და გადაარჩიოს". *("ღვინის ქართულად დაყენება". 1887 წ.).*

"კლერტს რომ ჩვენში არ აცლიან ყურძენსა, ამაზედ იმას ამბობენ, რომ კლერტით მარცვალი უფრო კარგად და ჩქარაც ისრისება ფეხქვეშ და წურვას ამ გზით ჰშველის და უხდებაო. გარდა ამისა კლერტის შერჩენა იმისათვისაც საჭიროაო, რომ დაწმინდავების დროს, როცა ღვინოს ქუდს გაუტეხენ და დაურევენ, კლერტი ძირს ჩადის და ლექი ღვინისაც ძირს ჩააქვსო, ამის გამო ღვინო მალე დაწმინდდავდება ხოლმეო. ეს არ ვიცით, რამოდენად მართალია და ამას მარტო გამოძიება გამოაჩენს. ხოლო ეს კი ცნობილია მეცნიერთაგან, რომ კლერტზედ დადუღებული ღვინო პირსა ჰბლანდავს, თუმცა ესეც კი მართალია, რომ კლერტზედ დადუღებული ღვინო, ესე იგი ჩვენებური ღვინო, უფრო ადრე და მალე დაწმინდდავდება ხოლმე, ვიდრე უკლერტო". *("ღვინის ქართულად დაყენება". 1887 წ.).*

"ღვინის საბაზრო საგნად გახდომისათვის ერთი უპირველესი საჭიროება მისი დაწმენდილობაა". *("ღვინის ქართულად დაყენება". 1887 წ.).*

"რომ ჩვენებური კაცი ჰზრუნავდეს, ღვინო მალე აქციოს საბაზრო, სავაჭრო საგნად, ეგ ადვილად მისახვედრია და შესაწყნარებელიცა". *("ღვინის ქართულად დაყენება". 1887 წ.).*

"ჩვენს ფულით ხელმოკლე კაცს მალე უნდა ნაკეთარის ფულად ქცევა, რომ შემდეგის სამუშავოსათვის და ცხოვრებისათვის სახსარი და ღონე იქონიოს. იმას თანხა არა აქვს, რომ ხელი მოინაცვლოს. თუმცა ესე ხელდახელ შემზადებული ღვინო დიდხანს არა სძლებს, მაგრამ ჩვენებური ბაზარი ამას არ უფრთხის, რადგანაც იქ, საცა ღვინო იშვიათი სანუგბარი არ არის და ღვინის სმა თითქმის საჭიროებად არის გადაქცეული, როგორც

ჩვენში, ღვინო მალე საღდება და დიდხანს შესანახად აღარ უხდება საქმე სირაჯსა". *("ღვინის ქართულად დაყენება". 1887 წ.).*

"სულ სხვაა ევროპასა და რუსეთში. ერთგან და მეორეთგანაც ღვინოს მარტო მდიდარი ხალხი სვამს და მდიდარი ხალხი ყველგან ცოტაა. საამათოდ გამძლე ღვინოები უნდა, რომ გზა აიტანოს და მუშტარს ელოდოს და უცადოს. ხოლო იქ, საცა, მაგალითებრ საფრანგეთში, ღვინოს უფრო ბევრი შინაური მსმელი ჰყავს, მაშასადამე, მუშტრად თვითონ თავისივე ხალხი ეგულება, როგორც ჩვენში, იქაც ჰცდილობენ ახალი ღვინო მალე მომზადდეს და გამძლეობისას ამისთანა ღვინოებისათვის ბევრს არაფერს დაგიდევენ. იქ ამისათვის ბევრს გვარს ოსტატობას ჰხმარობენ და ამის გამო, მაგალითებრ პარიჟში, საყოველდღეო ხალხისათვის სასმელ ღვინოში იმოდენა მართალი ყურძნის წვენია ხოლმე, რამო-დენადაც წამლებით შეკეთებულ კვრინჩხის წვენში. ეს ოსტატობა იქ ძალიან კარგად იციან და, ჩვენდა საბედნიეროდ, ჯერ ჩვენ არ ვიცით". *("ღვინის ქართულად დაყენება". 1887 წ.).*

"მაინცდამაინც, ჩვენის ფიქრით, გემოსათვის უკლერტოდ ღვინის დაყენება სჯობია". *("ღვინის ქართულად დაყენება". 1887 წ.).*

"თუმცა ჩვენებურს ხალხს ძალიან უყვარს ის პირის ბლანდველი თვისება ჩვენებურის ღვინისა და უმაგისოდ ღვინოს განგებ ნაკეთებს ეძახის. კაცია და გუნებაო, ნათქვამია, და ჩვენებურს კაცს რომ თავისი საკუთარი გუნება ჰქონდეს ამ შემთხვევაში, ვინ რად უნდა სძრახოს. თუ დასძრახავს, იგი დაარღვევს იმ ევროპიულს ანდაზას, რომელიც გვიქადაგებს: De gustibus non est disputandum, ესე იგი, გემოს თაობაზედ კაცს სიტყვა არ შეებრუნებაო". *("ღვინის ქართულად დაყენება". 1887 წ.).*

"ყოველ ამით იმისი თქმა არ გვინდა, ვითომც ჩვენში კლერტის გამოცლა არ იცოდნენ. იციან, მაგრამ საკვირველი ის არის, რომ მარტო იმ ადგილებში იციან, საცა ღვინო მაჭრობაშივე იყიდება თითქმის დაუწმენდავი, მაგალითებრ, კახეთის სოფლებში _ შაქრიანსა, ფაშაანსსა, ტურისციხესა და ზეგაანში, საცა ღვინო მაჭრობაშივე იყიდება. რა წამსაც დასწურავენ ხოლმე, მაშინვე ჭაჭიდამ გადაარჩევენ კლერტსა და უკლერტო ჭაჭაზედ დაადუღებენ ღვინოსა". *("ღვინის ქართულად დაყენება". 1887 წ.).*

"ამ ადგილების მაჭარი გათქმულია და ვაჭარიც დაწურვისვე უმალ ეტანება. განსხვავება აქ მარტო ის არის, რომ კლერტს ჩვენში დაწურვის შემდეგ აცლიან და სადუ-ღარად ან სულ არ აძლევენ, ან ძალიან ცოტას. რა თქმა უნდა, რომ ამას სჩადის მარტო შეძლებული კაცი, იმიტომ რომ კლერტის გადარჩევას დრო დ ხარჯი უნდა. ურიგო არ იქნება, ჩვენმა მეცნიერებმა თავის ტყუილს აბრუს ცოტა ხანს თავი დაანებონ და გამოიძიონ: ჩვენებური ხალხი, როცა ყურძნის წვენი საღ-ვინედ უნდა, რატომ არ აცლის კლერტსა და როცა კი სამაჭრედ _ მაშინ კი რად აცლის? ეს მით უფრო საგულიხმოა, რომ ჩვენებურმა კაცმა კლერტის გაცლა ზოგ შემთხვევაში იცის და ზოგში არა და; რაკი ესეა, უმიზეზო არ იქნება, საღვინე წვენს ყურძნისას კლერტზედ ადუღებენ ჩვენში ყველგან გამოუკებლივ, როცა კი მართლად ჩვენებურად აყენებენ ღვინოსა. ვინ იცის, იქნებ კლერტზედ ნადუღარი ღვინო უფრო გამძლეც იყოს. ამას გვანიშნებს ის ამბავი, რომ საღვინე წვენს ყურძნისას უკლერტოდ არ ადუღებენ და სამაჭრეს კი ადუღებენ; სჩანს აქ საქმე ღვინის გამძლეობაზეა მიმდგარი და იქნება კლერტი ამ გამძლეობას რასმე ჰშველოდეს. რა თქმა უნდა, ამისი გადაჭრით თქმა გამოუძიებლივ ძნელია და მეტი არ იქნება, რომ გამოძიებულ იქნას კლერტის თვისება ამ მხრით". *("ღვინის ქართულად დაყენება". 1887 წ.).*

“ევროპაში არამცთუ ყურადღებას აქცევენ, რომ ყურძნის მარცვალს კლერტი მოაშორონ და ისე სწურონ და დაადუღონ ღვინო, არამედ ზოგიერთს სახელოვანს ვენახში დაკრეფის დროს ზედ მტევანზედვე მაკრატლით ამოსჭრიან ხოლმე გაფუჭებულს და დაგოლვილს ყურძნის მარცვლებსა წინადვე, მინამ დაჭკრეფენ დასაწურავად”. *(“ღვინის ქართულად დაყენება”. 1887 წ.).*

“ჩვენში ბალღიც არ მოიპოვება ისეთი, რომ არ იცოდეს, რა კარგია ღვინისათვის გადარჩევა ყურძნისა. და თუ ყურძნის გადურჩევლობას ვინმე ცოდვად გვითვლის, ეს ჩვენს უვიცობას, არცოდნას არ უნდა მიეწეროს. აქ სხვა მიზეზია და დიდად პატივსადებიცა”. *(“ღვინის ქართულად დაყენება”. 1887 წ.).*

“ეგრედ გადარჩევა კარგა დროს, ჯაფასა და ხარჯსა ჰთხოულობს და ჩვენის ღვინის ფასი კი დღევანდელს ბაზარში ისეთი დაბალია, რომ უამისოდაც ძლივს აყენებს საზოგადო ხარჯსა, რაც მაგის გარდა ღვინის კეთებას უნდა. რასაკვირველია, მაგისთანა ჯაფას და ხარჯსა არ მოერიდება, მაგალითებრ, შატოდიკების პატრონი მარკიზი ლურ სალუსი, რომელსაც ბოთლი ღვინო თითქმის ოთხ-ხუთ მანათად უსაღდება. ამისთანა ფასი რას არ შეაძლებინებს კაცსა! აკი ესეც არის. ამ მარკიზის ვენახში უფრო შორსაც მიდიან, მაგალითებრ თვითვეულ მტევნისაგან მარტო დამწიფებულ და კარგად შემოსულს მარცვლებს ჩამოაცლიან ხოლმე და შემოუსვლელს ზედ ვაზზედვე დანარჩენის მტევნით სტოვებენ დასამწიფებლად. მოდით და ამის მნახველმა უსაყვედურეთ ჩვენებურს ღვინის მკეთებელს, რატომ შენც ასე არ იქცევი-თქო”. *(“ღვინის ქართულად დაყენება”. 1887 წ.).*

“აბა ოთხისა და ხუთის მანათის მაგიერ ბოთლში ერთი მანათი მაინც აღუთქვით ჩვენებურს მკეთებელს ღვინისას, თუ ამანაც თავისი ცოდნა ყურძნის გადარჩევის თაობაზედ საჭიროდ არ დაინახოს და საქმეში არ გამოიყენოს”. *(“ღვინის ქართულად დაყენება”. 1887 წ.).*

- **ბუნებური ღვინის ჭეშმარიტი ღირსება**

“საჭიროა ვიცოდეთ, რაშია ჭეშმარიტი ღირსება ღვინისა. რა თქმა უნდა, ღვინო, როგორც სასმელი, რომელსაც მარტო ადამიანი ჰხმარობს, უნდა გაისინჯოს იმისდა მიხედვით თუ, _ რაგვარ უხდება, რაგვარს შემწეობას უწევს ადამიანის აგებულებას, ანუ, უკედ ვსთქვათ, რა უნდა მოეთხოვებოდეს ღვინოსა”. *(“ღვინის ქართულად დაყენება”. 1887 წ.).*

“ამ საგანზედ აი რა აზრია გამოთქმული მეცნიერთაგან. ღვინო საკვებავი არ არის ადამიანის აგებულებისათვის; იგი აგებულებას საზრდოს არ აძლევსო; იგი მარტო სანელებელია და ყველაზედ უკეთესი სანელებელიც, რომელიც ძალიან კარგად მოქმედებს ადამიანის ძარღვებსა, გუნებასა და გონებაზედა”. *(“ღვინის ქართულად დაყენება”. 1887 წ.).*

“ამისთანა თვისებამ ღვინისამ ისეთს აღტაცებაში მოიყვანა ძველს დროში ასკლეპიადი, ჰიპოკრატის (სახელოვანი მკურნალი ძველის საბერძნეთისა, სცხოვრობდა ქრისტეს წინათ მეხუთე საუკუნეში და მკურნალთა მამამთავრად დღესაც ცნობილია) მიმდევარი, რომ მან თავის თხზულებაში სთქვა: “ღმერთთა ძლიერებამა არა მგონია იმოდენა ჰქმნას, რაც ღვინის სიკეთემ და სარგებლობამაო”. ეს ასკლეპიადი პირველი იყო, რომ სხვადასხვაგვარს სნეულებას უფრო ღვინით სწამლობდა. მის მაგალითს აჰყვნენ

ბოლოს მკურნალნი სიდენჰამი, სვიტენი, ჰუფელანდი, გრანტი, ჰუქსამი და დასასრულ, ბროუნიცა, რომელმაც მთელი სკოლა მკურნალობისა შეადგინა ინგლისში და მისი ღვინით წამლობა დღესაც ცნობილია მისისავე სახელით "ბროუნიზმი". მკურნალი სტოკესი დუბლინში სახადს და საოფლეს ღვინით არჩენს, ფოდერე წითელას მარტო ღვინითა სწამლობს, ლებენსტეინ-ლებელი თითქმის ყველა სენსა მარტო ღვინითა ჰკურნავს". *("ღვინის ქართულად დაყენება". 1887 წ.).*

"ეს ღვინის მარგებლობა დამტკიცებულია მეცნიერთა გამოცდილებითა. მაგალითებრ, ზღვაში ღელვის დროს ორი გემი მომწყდეული ყოფილა, ერთი ინგლისელებისა და მეორე ფრანგებისა, ორსავე გემში გაჩენილიყო ერთგვარი ავადმყოფობა, რომელსაც ჩვენში პირის ტკივილს, და უფრო გაძლიერებულს, ვგონებთ, ელქანს ეძახიან, და მკურნალობაში "სკორბუტი" ჰქვიან. ფრანგის მეხომალდეთა, რომელთაც ღვინოს ასმევდნენ თურმე, ამ საშინელმა სნეულებამ არა დააკლო რა, ინგლისელები კი არაყს ასმევდნენ და კინაღამ არ გაწყდნენ. როდესაც პარიჟს გარს ერტყა გერმანიის ჯარი და გასვლა-გამოსვლა აღარავის შეეძლო, ზემოხსენებული სენი საშინელის სიმძლავრით გაჩნდა. მაშინ მკურნალმა ბრუადელმა ღვინო იხმარა წამლად და ამით არჩინა სნეულნი". *("ღვინის ქართულად დაყენება". 1887 წ.).*

"ამასაც ამბობენ, ვითომც ციებ-ცხელებაში ცხროებას ანელებს ღვინო და საზოგადოდ აგრილებს ადამიანის აგებულებასა". *("ღვინის ქართულად დაყენება". 1887 წ.).*

"ერთი საფრანგეთის მწერალი თურმე ამტკიცებს, რომ იმ ქვეყნის ერი, საცა ღვინო მოდის, უფრო გონებით სწრაფია, მოსწრებულია, მახვილგონიერია, ვიდრე იმ ქვეყნისა, საცა სასმელად ლუდსა (პივას) ჰხმარობენო". *("ღვინის ქართულად დაყენება". 1887 წ.).*

"ეს იქნება გერმანელთა მტრობით მოსდის ფრანგსა, იქნება ყოველს ამაში ცოტად თუ ბევრად გადაჭარბებაც იყოს, მაგრამ ის კი უეჭველია, რომ ზომიერად მიღებული ღვინო ძალიანა ჰრგებს ადამიანსა; ამღერებს და აღონიერებს ძარღვებს მოქმედებისათვის, ადამიანის აგებულებას, კუჭსა ჰშველის კარგად მოხარშვას და მონელებას საჭმლისას და ყოველ ამით აძლიერებს ძალსა საცხოვრისას. ამ სახით, _ ამბობს ერთი მწერალი, _ ღვინო მარგებელი სანელებელია, ყველა სანელებლებზედ გაცილებით უმჯობესი და უპატიოსნესი, იმიტომ რომ ყველაზედ უკეთ აღამაღლებს ხოლმე ადამიანის ჭკუასა და გულსა". *("ღვინის ქართულად დაყენება". 1887 წ.).*

"ერთი ყლაპი კარგის ღვინისა გამოახალასებს მოხუცსა და გამოაცოცხლებს სნეულსა, იგი ღონეს მოუკრებს ხოლმე დაუძლურებულს და დასუსტებულსა". *("ღვინის ქართულად დაყენება". 1887 წ.).*

"რა ჰხდის ღვინოს ესოდენ მარგებელად, ესოდენ სასარგებლოდ! მარტო ერთი ყოვლადშემძლებელი, შეუცდომელი, გაბრძნობილი ოსტატი, რომელსაც ბუნება ჰქვიან. მარტო ბუნებურს ღვინოსა სჭირს ესოდენი სიკეთე, ესოდენი მადლი". *("ღვინის ქართულად დაყენება". 1887 წ.).*

"ღვინოს მარგებელ და სასარგებლო სასმელადა ჰხდის მარტო ერთი ბუნება და ვერავინ ვერ გვეტყვის, რომ აქ, ღვინის კეთებაში ბუნებას კაცმა აჯობოს". *("ღვინის ქართულად დაყენება". 1887 წ.).*

"ბუსსენგო, რომლის ღვინის ანალიზები უკანასკნელი სიტყვაა მეცნიერებისა და რომელიც ამ საქმეში ავტორიტეტად ითვლება, თავის მოხსენებაში ამბობს, რომ თუმცა მეცნიერებამ ამ უკანასკნელს დროში ბევრი რამ ახალი აღმოაჩინა, მაგრამ ძნელად ითქმის, რომ შესაძლოა იყოს ბუნებურ ღვინის მსგავსი რამ განგებ გააკეთოს ადამიანის

ოსტატობამ და ხელმაო. ეგ იმიტომაო, რომ ბუნებურის ღვინის გემო, სუნი (ბუკეტი) და ჯანის შესახები კეთილ-მოქ-მედება, დამოკიდებულია იმისთანა ნივთიერებაზედ, რომელიც ჯერ ჩვენგან გამოცნობილი და მიგნებული არ არისო". *("ღვინის ქართულად დაყენება". 1887 წ.).*

"გერმანიის რჯულდება პირდაპირ და ცხადად ამბობს, რომ ღვინო მარტო იმასა ჰქვიან, რაც მარტო ყურძნის წვენისაგან კეთდება და სხვა არა რა განგებ ჩარეული და ჩამატებული არა აქვს-რაო. მართალია, სხვადასხვაგვარი ოსტატობა ღვინის კეთებისა, მაგალითებრ, შაპტალიზაცია, გალლიზაცია, პეტიონიზაცია და სხვა აკრძალული არ არის, მაგრამ ამ ოსტატობით ნაკეთები სასმელი არ შეიძლება კაცმა ჰყიდოს, თუ ჭურჭელზედ ზედ წარწერილი არ იქნება, რა გზით არის ნაკეთებიო. საფრანგეთის კანონები წყალის ჩამატებასაც კი ღვინოში ფალსიფიკაციას ეძახიან, ესე იგი ყალბი ღვინის კეთებასა ("Journal des Debats" 10 თებერვალს 1884 წელსა ამბობს, _ რომ არა კანონი არ უშლის კაცს ღვინოში რამდენიც უნდა წყალი ჩაურიოს, ოღონდ-კი, თუ ჰყიდის ამისთანა ღვინოს, მუშტარი არ მოუტყუოს და ღვინის მაგიერ წყალ-ღვინო არ მიაჩეჩოსო. ერთის სიტყვით, გამსყიდველმა უნდა გამოაცხადოს ხოლმე, ღვინოში ამდენი წყალია განგებ დასხმული და ამდენი ღვინოო) ". *("ღვინის ქართულად დაყენება". 1887 წ.).*

"ჩვენში ამ საგანზედ თავის დღეში არავითარი რჯულდება არა ყოფილა, და თუ ყოფილა, ჩვენ არსად შეგვხვედრია". *("ღვინის ქართულად დაყენება". 1887 წ.).*

"მაგრამ ეს კი ვიცით, რომ ჩვენებური ხალხი ძალიან ჰთაკილობს ღვინოში ყურძნის წვენის მეტი სხვა რაიმე ჩაურიოს, და ვისაც ეგ კანტიკუნტად სადმე გაუბედნია, ყოველივე ღონისძიება უხმარია, არავინ შემიტყოსო, ესოდენ სირცხვილად და ცოდვად მიაჩნდა ჩვენში ყველას წმინდა წვენი ბუნებისაგან მოცემულის ყურძნისა წაეწყმიდა და შეებღალა რითიმე თავისგნით ჩამატებულით და ჩარევითა. ამ სიფრთხილეს ზნეობითის თვისებისას, სხვა სიფრთხილე და შიშიც მოსდევდა, იმიტომ რომ არც ერთი ვაჭარი, არც ერთი სირაჯი იმისთანა კაცის მარანს არც კი მიეკარებოდა, ახლოც არ გაუვლიდა, და როცა ამქრობას თავისი ძალა ჰქონდა, შეჰკრავდა კიდეც მარანს, რომ არავის გაეჭაჭანა. ესეთი პატივი ჰქონდა ჩვენში ბუნებურს ღვინოს, და თუმცა ესეთი პატივი არა აქვს დღეს ევროპაში, მაგრამ იქაც კი მაინც ძნელად მოიპოვება კაცი, რომ წმინდა შეურეველ, ხელთუქმნელს ღვინოს ყოველთვის წინ არ აყენებდეს ხელთქმნილზედ". *("ღვინის ქართულად დაყენება". 1887 წ.).*

"მაშასადამე, ჭეშმარიტი საგანი ღვინის კეთებისა, ამისი თავი და ბოლო, ბუნებურის ღვინის შექმნაა, ესე იგი ყურძნის წვენის დაღვინებაა იმ გზით, რა გზითაც თვითონ ბუნება ყურძნის წვენს საღვინოედ ამოქმედებს". *("ღვინის ქართულად დაყენება". 1887 წ.).*

"ბუსსენგო ამბობს, რომ არავითარი ადამიანის მიერ მოგონილი ღონე ამას ვერ შესძლებსო, თუმცა მეცნიერებამ ბევრი ახალი იარაღიც მისცა ხელშიო. მეცნიერებამ ბევრი რამ აღმოაჩინა ქვეყანაზედ: მაგალითებრ, ღვინის დაფერვა თუ გინდა, რკინის შაბიამანი ჩაურიე ღვინოშიო; ან როცა ღვინოში წყალს ასხამ, რომ ეს არ შეემჩნიოს, გოგირდის მჟავე (серная кислота) ჩაასხიო; და განა იგივე მეცნიერება არ იძახის, ერთიც, მეორეც და მესამეც მაწყინარიაო! კაცს წყალის გასაღება უნდა ღვინის სახელითა და სიყალბეს გოგირდის მჟავით ჰმალავს, კაცს წამლებით შეუღებავს ღვინო და ამით მუშტარის მოტყუება ჰსურს, _ ეს ღვინის კეთებაა?!" *("ღვინის ქართულად დაყენება". 1887 წ.).*

“არა, შორს ჩვენგან ამისთანა ღვინის კეთება! ყოველს იმას, რასაც კაცი თავისგნით ყურძნის წვენში უმატებს, წყალია, შაქარია, თუ გადაწმენდილი არაყი და ან სხვა რამ, ჩვენ ღვინის წახდენად ჩავთვლით”. *(“ღვინის ქართულად დაყენება”. 1887 წ.).*

“რას ითხოვს ბუნება, რომ ბუნებური ღვინო შეიქმნას, და რას მოასწავებენ ის სისტემები ღვინის კეთებისა, რომელნიც ჩამატებასა და შერევნაზედ არიან დაფუძნებულნი და შეელიზაციად, შაპტალიზაციად, გალლიზაციად და პეტიონიზაციად სახელგანთქმულნი”. *(“ღვინის ქართულად დაყენება”. 1887 წ.).*

“ორი ჯურია ღვინის მუშტრისა და თვითეული მათგანი ღვინისაგან იმასა ჰთხოულობს, რაც საკუთრად მისთვის სარფაა და სახეირო. ამ სხვადასხვაობას მუშტრისას დიდი მნიშვნელობა აქვს, იმიტომ რომ ამ სხვადასხვაობის მიხედვით სისტემაც ღვინის კეთებისა ორნაირია”. *(“ღვინის ქართულად დაყენება”. 1887 წ.).*

“ერთგვარი მუშტარი ღვინისა ღვინის პირდაპირი მხმარებელია, ესე იგი კაცი, რომელიც ჰყიდულობს ღვინოს იმისათვის, რომ თვითონ სვას, თვითონ გამოიყენოს და მოიხმაროს”. *(“ღვინის ქართულად დაყენება”. 1887 წ.).*

“მეორე ღვინის ვაჭარია, ესე იგი კაცი, რომელიც ჰყიდულობს ღვინოს მარტო იმისათვის, რომ ჰყიდოს”. *(“ღვინის ქართულად დაყენება”. 1887 წ.).*

“პირველს ღვინის სახელით იმისთანა სასმელი უნდა, რომ არამც და არამც მაწყინარი არ იყოს, და ამისთანა სასმელი მარტო ბუნებური, შეურევნელი, წმინდა ყურძნის წვენის ღვინოა”. *(“ღვინის ქართულად დაყენება”. 1887 წ.).*

“მეორე კი, ესე იგი ღვინის ვაჭარი, მარტო იმას დაეძებს, რომ სასმელი ერთნაირის ფერისა, ერთნაირის გემოსი, ერთნაირად გამძლე იყოს ყოველს შემთხვევაში და იმოდენად ჰგვანდეს ღვინოსა, რომ პირდაპირს მხმარებელზედ გაასაღოს ხოლმე ღვინის სახელითა. ყოველივე ეს შეუძლებელია ბუნებურ ღვინისათვის, თუ წამლებით შეკეთებული და შერევნილი არ არის”. *(“ღვინის ქართულად დაყენება”. 1887 წ.).*

“ამ უკანასკნელ შემთხვევაში სასმელის უწყინარობა უკან არის დაყენებული, როგორც იმისთანა ბარგი, ურომლისოდაც შეიძლება იოლად წასვლა, მაშინ როდესაც პირველს შემთხვევაში ამ უწყინარობას პირველი და უკანასკნელი ადგილი უჭირავს”. *(“ღვინის ქართულად დაყენება”. 1887 წ.).*

“ჩვენებურად ღვინის კეთებას ღვინის პირდაპირი მხმარებელი ჰყავს სახეში და ევროპიულად კეთებას _ უფრო ღვინის ვაჭარი. ამ ორში რომელი კეთებაა ღვინისა უფრო მართალი, უფრო კარგი, უფრო სამჯობინარი და მოსაწყენი თავისის აზრითა და განზრახვითა _ ეგ ადვილად გამოსაცნობია”. *(“ღვინის ქართულად დაყენება”. 1887 წ.).*

- **სისტემა, რომელსაც სახეში ჰყავს პირდაპირი მომხმარებელი ღვინისა**

“ჩვენ ჯერ შევუდგებით იმის აღწერას თუ იგი სისტემა, რომელსაც სახეში ჰყავს პირდაპირი მხმარებელი ღვინისა, რაში მდგომარეობს და როგორ უძღვება თავის დანიშნულებას”. *(“ღვინის ქართულად დაყენება”. 1887 წ.).*

“ეგ სისტემა იმაში მდგომარეობს, რომ კაცმა მოაშოროს ყოველივე ის, რაც თვითონ ბუნებას უშლის ყურძნის წვენის ბუნებურ ღვინოდ სრულად და სავსებით შექმნასა და იმ ყურძნის წვენშივე არსებულთა და მოქმედთა ძალთა ბუნებისასა ხელი შეუწყოს, ხელი მოუმართოს”. *(“ღვინის ქართულად დაყენება”. 1887 წ.).*

“მაგრამ მინამ საქმე ამაზედ მიდგება, ღვინის დამყენებელმა უნდა იცოდეს, რა ადგილმა რაგვარი ღვინო იცის, და რაგვარი ღვინოც ჰსურს, იმგვარს შეურჩიოს სავენახე ადგილიცა (აქ ამაზედ იმიტომ ვლაპარაკობთ, რომ ჯერ ჩვენში _ ღვთის მადლით _ ღვინის მკეთებელი და ვენახისა ერთი და იგივე მომქმედია, ამიტომაც რაც ვენახის პატრონის ავკარგიანობას უჭირს, ის ღვინის მკეთებელსაც, და რაც ღვინის მკეთებელს, ის ვენახის პატრონსაც) ბუნებური ღვინო სხვადასხვა არის და ეგ სხვადასხვაობა დამოკიდებულია მიწის სხვადა-სხვაობაზედ”. *(“ღვინის ქართულად დაყენება”. 1887 წ.).*

“მძიმე, ესე იგი ღრმად სახნავს თიხიანს მიწას მოჰყავს ღვინო მოჭირებულის ფერისა, ძლიერის სუნითა, გემრიელი და გამძლე”. *(“ღვინის ქართულად დაყენება”. 1887 წ.).*

“ქვიშიანს ადგილზედ ღვინო ისე მაგარი არ არის, სუნიც ნაკლები აქვს და უფრო ნაკლებად გამძლეა”. *(“ღვინის ქართულად დაყენება”. 1887 წ.).*

“კირრეულ მიწაში ღვინო უფრო ტკბილია და სუნით არ არის ძალიან გამოჩინებული”. *(“ღვინის ქართულად დაყენება”. 1887 წ.).*

“მშრალის ქვიანის ადგილის ღვინო ტკბილია, მაგარი, დიდ ხანს გამძლე და ძლიერი სუნი კი არა აქვს”. *(“ღვინის ქართულად დაყენება”. 1887 წ.).*

“ჰავასაც, რასაკვირველია, დიდი მნიშვნელობა აქვს ღვინის სიკეთისათვის. ჰუმბოლტის სიტყვით, ორთა-შუა ტემპერატურა უნდა იყოს 9,5^0 რეომურისა. ამასთან ზამთრის ორთა-შუა ტემპერატურა არ უნდა იყოს 0,5^0-ზე უფრო ცივი და ზაფხულისა _ 18^0-ზე არა ნაკლები თბილი”. *(“ღვინის ქართულად დაყენება”. 1887 წ.).*

“ყურძნის წვენის სიტკბოზედ დიდი კეთილმოქმედება აქვს მზიანსა და თბილს დარსა ღვინობისთთვეში. ”. *(“ღვინის ქართულად დაყენება”. 1887 წ.).*

“რა თქმა უნდა, რაც ჰავას, დარს, სიცხე-სიცივეს წლისას შეეხება, აქ ადამიანი ყოვლად უღონოა შველა რამ გაუწიოს ბუნებასა, მინამ ყურძენი დაუკრეფავია, მაგრამ მიწის ამორჩევა და განოყიერება-გაღონიერება კი მის ხელთ არის”. *(“ღვინის ქართულად დაყენება”. 1887 წ.).*

“ღვინის ავკარგიანობაზედ ზედმოქმედება აქვს თვითონ სასუქსაც”. *(“ღვინის ქართულად დაყენება”. 1887 წ.).*

“ძროხის პატივი ვენახის სასუქად ყველაზედ უკეთესად ცნობილია. ძალიან კარგად მოქმედებს ძვლების ფხვნილიცა, მჟავე ფოსფორი, მჟავე კირიცა (Суперфосфат), რომელსაც ძვლებისაგანვე აკეთებენ და ფოსფორ-მჟავე აქვს”. *(“ღვინის ქართულად დაყენება”. 1887 წ.).*

“ჩვენში სასუქს იშვიათად სადმე ჰხმარობენ. კახეთში თითქმის სულ არ იციან, ზოგან-კი, მაგალითებრ, ქართლში და სომხითში არ ერიდებიან. ”. *(“ღვინის ქართულად დაყენება”. 1887 წ.).*

“ჩვენში ამ საგანზედ ერთობ ის აზრი აქვთ, რომ სასუქი ღვინოს გემოს აძლევს და ახდენსო. მართალიც არის: ზოგიერთი სასუქი, რაშიაც ერთნაირი ნივთიერება “ამმონიაკი” მეტისმეტად ჭარბად ურევია, ან სხვა რამ ძლიერად საგრძნობელი ყნოსისათვის, ჰვნებს ღვინოსა”. *(“ღვინის ქართულად დაყენება”. 1887 წ.).*

“რაკი ესეა, ჩვენებური კაცი, კარგის ღვინის დამყენებელი, ერიდება სასუქის შეტანას საერთოდ, რა გვარის სასუქიც უნდა იყოს. აქაც, თუ გნებავთ, იგივ თანასაგრძნობელი აზრი მოქმედობს, რომ კაცმა თავისით არა გაურიოს რა, არა ჩაუმატოს რა ღვინოსა და ეს უვიცობად არავინ არ უნდა ჩამოართვას, იმიტომ რომ თუ ჩვენებურმა კაცმა სუპერფოსფატების გაკეთება არ იცის, ძროხის პატივით გაპატივება ხომ იცის საყანეებისა,

და რა დაუშლიდა ამავე ღონის ხმარებას ვენახების გაპატივებისათვისაც, თუ არ ის აზრი, რომ ეგ ღვინოს ავნებსო". *("ღვინის ქართულად დაყენება". 1887 წ.).*

"რასაკვირველია, ადამიანის ხელითვე არის, თვითონვე ყურძნის დაკრეფასაც დრო შეურჩიოს, და ამასაც ღვინის სიკეთისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს". *("ღვინის ქართულად დაყენება". 1887 წ.).*

"ჩვენში და ყველგან სხვაგანაც ღვინობისთვის ნახევრამდე დაიწყობა ხოლმე ყურძნის კრეფა, ზოგჯერ ცოტა გვიანაც, რადგანაც, თუ კაი დარია, ყურძენი უფრო კეთდება, და ამას ევროპაში ცნობულობენ სხვადასხა იარაღითა და ღონისძიებითა, და ჩვენში კი გაჭყლეტენ მარცვალს თითებშუა, და თუ თითები წვენის გამო ერთმანეთს ეწებება და ეს დაწებება დღედადღე უფრო მატულობს, ამბობენ, ყურძენს ჯერ კიდევ "წებო" ემატებაო და დაცლა, დახანება უნდაო იმიტომ, რომ ამ წებოს მეტნაკლებობაზედ დამოკიდებულია ღვინის სიკეთე". *("ღვინის ქართულად დაყენება". 1887 წ.).*

"ამ ორ ღონისძიებათა გამო მარტო ის ითქმის, რომ ევროპიული უფრო ხერხიანია და მეორე უფრო სადა და უბრალო, ყურძნის კარგად დამწიფების და შემოსვლის საცოდნელად კი ორივე გამოსადეგია". *("ღვინის ქართულად დაყენება". 1887 წ.).*

"რა თქმა უნდა, რომ ჩვენებურმა კაცმა ის ევროპიული იარაღი შემოიღოს, უკეთესი იქნება. ხოლო ეგ იმას არა ჰნიშნავს, რომ ჩვენებურად ღვინის კეთებაში დავიწყებული იყოს, ან არ ვიცოდეთ იგი წესი, იგი მოთხოვნილება, რომელიც გვეუბნება, რომ ყურძნის დაკრეფას დრო უნდა შეერჩიოსო". *("ღვინის ქართულად დაყენება". 1887 წ.).*

- **რა აფერხებს ჩვენში ვაზისა და ღვინის კეთების საქმეს: "ნაცარი", ფილოქსერა, "ხაშმის" ჭია, ტყის სიძვირე, სეტყვა, სირაჯებისა და წვრილი ჩარჩების ხელში მოქცეული ღვინის ვაჭრობა**

"ავიღოთ ჯერ თუ გინდ "ნაცარი", ეს უცნაური ვაზის სნეულება, რომელიც აქამდე ჩვენს ვენახებს არა ჰშორდება და ზიანს აძლევს. ოცდახუთმეტ წელიწადზე მეტი იქნება, რაც ეს სენი ეწვია ჩვენს ვაზსა და ღვინის მოსავალი ძლიერ შეამცირა". *("ჩვენი მევენახეობა და მეღვინეობის საჭიროებანი". 1886 წ. 26 აპრილი).*

"ამას გარდა ფილოქსერა, ეს ვაზის მმუსვრელი მტერი, თითქმის კარს მოგვდგომია, შავი ზღვის პირებზე უკვე თავი იჩინა, და ისეთ უბედურებას უქადის ჩვენს ქვეყანას, რომ თუ დროზე არ ვიზრუნეთ და ამ ზედმოსეულს მტერს შესაფერად არ დავხვდით, შეიძლება ამ უბედურობამ ჩვენი ხალხი იქამდის მიიყვანოს, რომ ვენახებზე სრულიად ხელცარიელი დასოს". *("ჩვენი მევენახეობა და მეღვინეობის საჭიროებანი". 1886 წ. 26 აპრილი).*

"ამას ზედ დაემატა კიდევ ერთი ვაზის მტერი, რაღაც "ხაშმის" ჭია, ბოგანა ჭია და ვენახის კალია, რომელმაც ამ რამოდენიმე წლის წინათ კახეთში ვენახები სულ მოჭამა, _ ხომ ცოტად თუ ბევრად მუდმივ არის ჩვენში". *("ჩვენი მევენახეობა და მეღვინეობის საჭიროებანი". 1886 წ. 26 აპრილი).*

"მეორე გარემოება, რომელიც ღვინის წარმოების საქმეს ძალიან აფერხებს და ხელს უშლის ჩვენში, ტყის სიძვირეა. ახალი წესები ტყის ხმარებისათვის ძალიან აწუხებს ჩვენს ხალხს". *("ჩვენი მევენახეობა და მეღვინეობის საჭიროებანი". 1886 წ. 26 აპრილი).*

"ტყე ჩვენში უწინ თითქმის უბაჟო იყო და ყველა შეღავათით სარგებლობდა. ჩვენს ქვეყანაში ცხოვრება ისეა მოწყობილი, რომ შევიწროება ამ მხრივ სრულიად შეუძლებელი

იყო, უტყეოდ ჩვენი ხალხი თავის საქმეს რიგიანად ვერ წაიყვანდა". *("ჩვენი მევენახეობა და მეღვინეობის საჭიროებანი". 1886 წ. 26 აპრილი).*

"ტყიდამ მას შეშისა და ფიჩხის გარდა, ჭიგო გამოჰქონდა ვენახებისათვის. ეხლა კი იმოდენა ბაჟი დაედო ტყესა, რომ ხალხი ხარჯს ვერ ასვლია და ერთხმივ უჩივის ამ შევიწროებას". *("ჩვენი მევენახეობა და მეღვინეობის საჭიროებანი". 1886 წ. 26 აპრილი).*

"კარგად გაშენებულს ვენახს დღიურზე სამი ათას ვაზზე ნაკლები არ ექნება; და აბა ასს ჭიგოზე რომ სამი აბაზი იხადოს, ერთს დღიურის ვენახის პატრონი როგორ გაუძღვეს ამ ხარჯს". *("ჩვენი მევენახეობა და მეღვინეობის საჭიროებანი". 1886 წ. 26 აპრილი).*

"მერე კიდევ კარგი, თუ მოსავალი მოვიდა, თუ არა, ხომ პატრონი ხარჯს ვერც კი აუვა. და თუ უმოსავლობა რამდენჯერმე ერთიერთმანეთს მოჰყვა, მაშინ ხომ კაცმა ხელიც უნდა აიღოს, ან ისეთ ვალში ჩავარდეს, რომ ვეღარ ამოვიდეს". *("ჩვენი მევენახეობა და მეღვინეობის საჭიროებანი". 1886 წ. 26 აპრილი).*

"თუ მთავრობამ ყური არ ათხოვა, წესები არ შესცვალა და ტყე სავენახედ მაინც არ გააიაფა, ამას უთუოდ უნდა მოველოდეთ. ხალხი ჭიგოს ფასს ვერ აუვა და უჭიგოოდ კი ვენახის კეთება შეუძლებელია". *("ჩვენი მევენახეობა და მეღვინეობის საჭიროებანი". 1886 წ. 26 აპრილი).*

"არის კიდევ მესამე გარემოება, რომელიც არა ნაკლებ პირველი ორისა ხელს უშლის ღვინის წარმოებას. ეს გარემოება სრულის ყურადღების ღირსია. საქმე ის არის, რომ ღვინოს რიგიანი გასავალი არა აქვს". *("ჩვენი მევენახეობა და მეღვინეობის საჭიროებანი". 1886 წ. 26 აპრილი).*

"ღვინის ვაჭრობა სირაჯების და წვრილმან ჩარჩების ხელშია. ხალხი ამაზე მეტს მუშტარს ვერ შოულობს და ესენიც, როგორც უნდათ, ისეთ ფასს ადებენ. მეტადრე თუ ღვინის პატრონი ღარიბი კაცია და თან გაჭირვება დაადგა რამე, მაშინ ხომ ღვინო სულ მუქთად რჩებათ ხოლმე". *("ჩვენი მევენახეობა და მეღვინეობის საჭიროებანი". 1886 წ. 26 აპრილი).*

"თვითონ ღვინის მწარმოებელთ ეს ძალიან კარგად ესმით, მაგრამ რა ქმნან, რით უშველონ, სხვა გზა არ იციან, რომ ღვინო გაასაღონ". *("ჩვენი მევენახეობა და მეღვინეობის საჭიროებანი". 1886 წ. 26 აპრილი).*

"შეძლებული ღვინის მწარმოებელნი, თავად-აზნაურნი, როგორც არის, ამ ბოლოს დროს ცოტად თუ ბევრად ჰშველიან თავიანთ საქმეს, უწინდებურად თავიანთ სარჩოს სხვას ხელში აღარ უგდებენ. ეხლა თვითონ დამართეს სარდაფები და თავიანთ ღვინოს თვითონვე ჰყიდიან. ძალიან კარგი, რომ ამათ ყოველნაირი შეძლება და საშუალება აქვთ თავიანთ-თავს თითონვე მოუარონ, მაგრამ რა ქნან წვრილმანმა ღვინის მწარმოებლებმა, გლეხკაცობამ. როგორ მოახერხონ საქმე ისე, რომ თავისი სარჩო, თავისი ნაღვაწი სხვას არ აძლიონ თითქმის მუქთადა". *("ჩვენი მევენახეობა და მეღვინეობის საჭიროებანი". 1886 წ. 26 აპრილი).*

"ამ სახით ვენახებისა და თვით პატრონების საქმე დიდ განსაცდელშია. დღედადღე, როგორცა ვსთქვით, ვენახებს მტერი ემატება. გარდა ამისა, ხომ წელიწადი ისე არ გავა, რომ რომელიმე მხარე ჩვენის ქვეყნისა არ დასეტყვოს და ვენახის პატრონი ცარიელზე არ დასოს, რომ ბოგანა ჭიამ და კალიამ ზოგიერთგან კვირტობაშივე არ მოსჭამოს ვენახი. ყოველივე ეს მოსავლის იმედს უკარგავს ვენახების პატრონს". *("ჩვენი მევენახეობა და მეღვინეობის საჭიროებანი". 1886 წ. 26 აპრილი).*

"თუ ყოველს ამას გადარჩება ვენახი და კაი მოსავალი მოვა, ღვინოს გასავალი არ აქვს, ან ჩალის ფასად გახდება ხოლმე ჩვენის ეკონომიური მოუწყობლობის გამო". *("ჩვენი მევენახეობა და მეღვინეობის საჭიროებანი". 1886 წ. 26 აპრილი).*

- **ღვინის საქმის საეკონომიო ძალის მიზეზნი. ჩვენი და ევროპის ცოდნა-გამოცდილება**

"რაც ბუნებურ ღვინისათვის საჭიროა, ჩვენც იმოდენად ვიცით, რამოდენაც ევროპიელთა. განსხვავება თუ რამეშია, მარტო იმაშია, რომ იქნება ისინი უფრო სასწრაფოს და ხერხიანს ღონესა ჰხმარობენ, და ჩვენ უფრო გვიანსა და უხერხულს ერთსა და იმავე საჭიროებისათვის, ხოლო ორსავე ღონეს ერთსა და იმავე საგნამდე მიჰყავს". *("ღვინის ქართულად დაყენება". 1887 წ.).*

"რკინის გზით მომავალი ქალაქს და ურმით, ორნივ ქალაქში ჩამოვლენ. ერთი მალე და გაუჭირვებლად, მეორე გვიან და გაჭირვებით, მაგრამ პირველი ამის გამო ვერ უკიჟინებს, შენ არ იცი სად მოხვიდოდიო. ესეც არ უნდა დავივიწყოთ, რომ რკინის გზა ხომ კაი გზაა, მაგრამ ტფილისიდამ, ვსთქვათ, ლილომდე არავინ გაიყვანს, იმიტომ რომ ხარჯი მეტი იქნება მოგებაზედ და არავინ დაგვძრახავს: "დახე, რა უცოდინარნი არიან! მაშინ, როდესაც ევროპაში რკინის გზები იციან, აქ კი ამისი გაგებაც არა აქვთ, აუღიათ და ტფილისიდამ ლილომდე ურმით დადიანო". *("ღვინის ქართულად დაყენება". 1887 წ.).*

"ყველას თავისი მიზეზი აქვს, ღვინის კეთების საქმეს თავისი, და დიდად პატივსადებიცა, იმიტომ, რომ ღვინის საქმის მიზეზნი საეკონომიო მიზეზნი არიან და, მაშასადამე, ისეთნივე გარდუვალნი, როგორც თვითონ ბუნების მოთხოვნილებანი". *("ღვინის ქართულად დაყენება". 1887 წ.).*

"ჩვენ იქნება ბევრს რაშიმე ვცდებოდეთ, რადგანაც ჩვენი ცოდნა ჩვენებურად ღვინის კეთებისა ძალიან ფეხმოკლეა იმ ცოდნასთან, რაც თვითონ ჩვენმა ხალხმა იცის. ამაში ჩვენ არავის ავუხირდებით. ხოლო მთელი ეს ჩვენი გძელი საუბარი მარტო იმაზეა მიქცეული, რომ ზოგიერთს უმთავრესს მოქმედებას ჩვენში ღვინის კეთებისას, ჩვენის შეძლებისამებრ, მიზეზი ავუხსენით და საბუთი ვუპოვეთ და ვეცადენით დაგვემტკიცებინა, რომ არც ერთი და არც მეორე უვიცობისაგან არ არის წარმომდგარი. პირიქით, რაც საჭიროა ბუნებურის ღვინისათვის, ჩვენ იგი ყოველი გვცოდნია, რადგანაც ჩვენებურს თვითვეულს მოქმედებას იქ მივყევართ, საცა მიდიან ევროპიელნი, როცა ბუნებურის ღვინის დაყენება ჰსურთ. და თუ ამ სვლაში რაიმე მეტნაკლებობაა ჩვენსა და მათ შორის, ეგ იმ რთულ გარემოებათა ბრალია, რომელთა კრებულიც ხშირად ცოდნას უკან აყენებს და გამორჩომისათვის ათმობინებს ადგილსა. ესეთი ძალა აქვს საეკონომიო ძალასა". *("ღვინის ქართულად დაყენება". 1887 წ.).*

"მართალის ღვინის კეთებისათვის ჩვენშიაც იგივე ცოდნაა, რაც ევროპაში, და თუ ამაში ცოტა რამ მეტნაკლებობაა, იმოდენად ღირსშესანიშნავი არა არის რა, რომ კაცმა მისდა მიხედვით ან ერთი აქოს, ან მეორე დაიწუნოს. თქმა არ უნდა, რომ დიდი ბაზარი ევროპისა, საცა მართალს ევროპულს ღვინოებს დიდი ფასი აქვთ, _ დიდს ღონეს და შეძლებას აძლევს იქაურს მკეთებელს მართალის ღვინისას უფრო მომეტებული შრომა და ხარჯი გასწიოს, ღვინის კეთებას უფრო მეტი ფული მოახმაროს, უფრო უკეთესი იარაღი და ჭურჭელი ახმაროს, გარემოება უფრო სახერხული მოუწყოს, რომ მართალს ღვინოს მთელი თავისი ბუნებური თვისება და ღირსება შეარჩინოს როგორც სიკეთისა, ისეც გამძლეობისათვის". *("ღვინის ქართულად დაყენება". 1887 წ.).*

"თუ ამ მხრით ევროპიელნი ჩვენზედ წინ არიან, ესე იგი, თუ ამ მხრით ევროპიელნი ჩვენზედ უკეთეს ღონესა, ხერხსა და იარაღსა ჰხმარობენ _ ეგ მარტო საეკონომიო

მიზეზით აიხსნება: იქ დიდს ხარჯს კეთებისას დიდი ფასი ჰფარავს და მოგებასაც აძლევს; ჩვენში კი ჩვენებური ღვინო, მარტო ჩვენს შინაურს ვიწროდ შემოფარგლულს ბაზარში მომწყვდეული, დიდს ხარჯს კეთებისას ვერ აიტანს და ზარალის მეტი არა გამოვა რა. ამას უნდა მიეწეროს ზოგიერთი ჩვენი უხერხულობა ღვინის კეთებაში და არა იმას, ვითომ არ ვიცოდეთ, რა გზით შესაძლოა ღვინის კარგად დაყენება და კეთება. ეს ერთი". *("ღვინის ქართულად დაყენება". 1887 წ.).*

"მეორე მიზეზი, ისევ საეკონომიო თვისებისა ის არის, რომ ჩვენში ღვინო საყოველთავო სახმარი სასმელია: დიდი და პატარა, ღარიბი და მდიდარი, ჩვეულია ღვინის სმასა. ამის გამო აქ, ჩვენში ღვინის კეთების საეკონომიო ანგარიში უფრო მრავალთათვის უნდა იყოს დაჭერილი, ვიდრე ევროპაში, საცა ღვინოს, ნამეტნავად მართალს, მარტო მდიდარი კაცი თუ სვამს და ეღირსება. რაკი მუშტარი ღვინისა ერის სიმრავლეა, მაშასადამე არა მდიდარი ხალხი, _ ღვინო, თუ იეფი არ არის, უნდა ჰშიშობდეს, რომ გაუსყიდველი დარჩება. რაც უნდა დიდი ვაჭარი იყოს ღვინისა, ძნელად იქმნება, რომ ათს ურემს იეფის ფასის ღვინოსთან ერთი ურემი ძვირფასი თავი ღვინო გაასაღოს. ჩვენს ბაზარში ძვირფას თავს ღვინოს მდიდარი კაციც ძლივა ჰყავს მუშტრადა და ამისთანა მდიდარი ბევრი არ არის, და ისიც, რაც არის, ძვირფას ღვინოს იშვიათად თუ ჰხმარობს იშვიათს შემთხვევაში, როცა დიდი და გამოსაჩენი წვეულება აქვს. ამის გამო ჩვენებურმა ღვინის კეთებამ მარტო იმისთანა ღონეს ჩაჰკიდა ხელი მართალის ღვინის შექმნისათვის, რომელიც თუმცა ხანდისხან უხერხულია, მაგრამ იეფია და ძვირად არ უჯდება ღვინის მკეთებელსა". *("ღვინის ქართულად დაყენება". 1887 წ.).*

"ეგ იეფობა ხარჯისა ნებას აძლევს ღვინის მკეთებელს იეფად ჰყიდოს ღვინო იმიტომ, რომ ამ შემთხვევაში მარტო მუშტრის სიმრავლეა თავდები, რომ ღვინო გაუსყიდველი არ დარჩება". *("ღვინის ქართულად დაყენება". 1887 წ.).*

"მთელს ევროპაში ვერც ერთს ადგილს ვერ გვიჩვენებთ, რომ წმინდა ყურძნის წვენის ღვინო, შეურევნელი და სხვადასხვა წამლებით არ შედგენილი, ისე იეფი იყოს, როგორც ჩვენში". *("ღვინის ქართულად დაყენება". 1887 წ.).*

"ჩვენი გულითადი რწმენა ეს არის, რომ ჩვენი ღვინოები ამ დიდს ბაზარში ფეხს მოიკიდებენ თუ ჩვენი ძველებური პატიოსანი საგანი ღვინის კეთებისა არ შევცვალეთ. ამ ბაზარმა გული უნდა დააჯეროს, რომ ჩვენებური ღვინო მართალი ღვინოა; რომ ჩვენს ღვინოში არა არის-რა, გარდა ყურძნის წვენისა. ჩვენებურს ღვინის კეთებას დღევანდლამდე ამის მეტი სხვა საგანი არა ჰქონია. თუ ჰსურთ, რომ რუსეთის ბაზარში ჩვენმა ღვინომ ადგილი დაიჭიროს და ევროპულს ყალბს ღვინოებს აჯობოს და გზა დააცლევინოს". *("ღვინის ქართულად დაყენება". 1887 წ.).*

"ეს მარტო იმით შესაძლოა მოხდეს, რომ გასამკლავებლად ევროპულს ყალბს ღვინოს ჩვენი მართალი ღვინო პირში წავუყენოთ. აქ ჩვენი გამარჯვება უეჭ-ველია იმიტომ, რომ არ არი ქვეყანაზედ კაცი, რომელმაც მართალი ყალბს არ ამჯობინოს, რაც უნდა ეს ყალბი სამაცდურო იყოს. ჩვენს ღვინოებს სხვა იმედი არ უნდა ჰქონდეს გაუძლოს ევროპულ ღვინოების ცილობასა: ყალბის ღვინის კეთებაში ჩვენ ევროპას ვერ დავეწევით, გასწრობას ვიღა იტყვის. მაშასადამე, ერთიღა დაგვრჩენია: მართლის ღვინის კეთებას ნუ ვუღალატებთ". *("ღვინის ქართულად დაყენება". 1887 წ.).*

- **“შაჰტალიზაციები”, “გალლიზაციები” და სხვა “ციები” - შორს ჩვენგან**

“ეს რაღაც შაჰტალიზაციები, გალლიზაციები და სხვა “ციები” შორს ჩვენგან და ჩვენის ქვეყნის გარედ, როგორც შიგნითაც, მარტო მართალი ღვინოები გავიტანოთ ბაზარში”. *(“ღვინის ქართულად დაყენება”. 1887 წ.).*

“ევროპამ რომ ღვინის კეთებაში სიყალბე აღარ იხმაროს და მარტო მართალი ღვინო აკეთოს, ეს მისი მართალი ღვინო მეათე ნაწილსაც ვერ გასწვდება, მაშასადამე, ჩვენს მართალს ღვინოებს მაზანდა დიდი ექმნება და მოცილეც მეტად უღონო ეყოლება მართალის ღვინის უქონლობის გამო”. *(“ღვინის ქართულად დაყენება”. 1887 წ.).*

“რადგანაც დღეს სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს ფიქრადა აქვს, ჩვენებურის ღვინის კეთებას უკეთესი და უფრო სახეირო გზა მისცეს და წარმატებაში შეიყვანოს, _ ამას შორს წასვლა არ უნდა. ამისათვის, ჩვენის ფიქრით, მარტო ორი რამ არის საჭირო: 1) აზრი და საგანი ჩვენებურის ღვინის კეთებისა არასგზით არ შეიცვალოს, ესე იგი ბუნებურის ღვინის კეთებას არავითარი სიყალბე არ შეეპაროს, და რადგანაც ამ აზრისა და საგნის განსახორციელებლად ბევრი კარგი სხვადასხვა ღონე და სახსარია ჩვენში თუ გარედ, ამ ღონისა და სახსრის ცოდნისა და დახმარებისათვის სამი სკოლა მაინც გაიმართოს: ერთი კახეთში, მეორე ქართლში და მესამე იმერეთში; 2) კანონად დაიდვას, რომ თუ ღვინოში გარდა ყურძნის წვენისა რაიმეა გარეული, ან გასაბევრებლად, ან დასაწმენდად, ან გასამაგრებლად, ან საფერავად, ან გასამძლეოდ, ღვინის გამსყიდავი მედუქნე მოვალე იყოს ღვინის ჭურჭელზედ, _ ბოთლი იქნება, თუ ბოჭკა, _ დააწეროს, რომ ეს ღვინო ამა და ამ ნაწევარით შეზავებულიაო”. *(“ღვინის ქართულად დაყენება”. 1887 წ.).*

“ეს კანონი გერმანიაში მოქმედობს და რუსეთშიაც მიღებული რომ იყოს, დიდს შემწეობას მისცემს ჩვენებურ ღვინოსა”. *(“ღვინის ქართულად დაყენება”. 1887 წ.).*

“მაგრამ ვინ არ იცის, რომ ჩვენს ქვეყანაში ბევრი იმისთანა ბედნიერი კუთხეა, სადაც ღვინო ისე უხვად მოდის, რომ ხალხს არამცთუ შინ სახმარებლად ჰყოფნის, არამედ გასასყიდადაც ბევრი ჰრჩება”. *(“ჩვენი მევენახეობა და მეღვინეობის საჭიროებანი”. 1886 წ. 26 აპრილი).*

“ღვინო აქ დიდს შველას აძლევს ხალხსა, ათასგვარ გაჭირვებაში უმართავს ხელსა, ბევრს ხარჯსა და გადასახადს აშორებს თავიდამ”. *(“ჩვენი მევენახეობა და მეღვინეობის საჭიროებანი”. 1886 წ. 26 აპრილი).*

“სამწუხაროდ, ამ უკანასკნელ დროს ღვინის წარმოებას ბევრი ისეთი უბედურება დაატყდა თავს, რომ საქმე სულ უკუღმა დატრიალდა. ღვინის მწარმოებელს ათასგვარი გარემოება უშლის ხელსა და ლამის ეს ერთი უმთავრესი ცხოვრების სახსარი სრულიად ხელიდამ გამოეცალოს”. *(“ჩვენი მევენახეობა და მეღვინეობის საჭიროებანი”. 1886 წ. 26 აპრილი).*

“ამდენს ვენახის პატრონის გულისგამტეხელს და ხელშემშლელს გარემოებასთან ჭიგოს გაძვირება უნდა მეტად უმძიმდეს ვენახის მკეთებელს”. *(“ჩვენი მევენახეობა და მეღვინეობის საჭიროებანი”. 1886 წ. 26 აპრილი).*

“სასურველია, რომ მთავრობა მოეშველოს ამ გაჭირვებულ ყოფას ვენახის პატრონობისას და ჭიგოს შოვნაში მაინც ჯეროვანი შეღავათი მისცეს”. *(“ჩვენი მევენახეობა და მეღვინეობის საჭიროებანი”. 1886 წ. 26 აპრილი).*

“ამიერკავკასიაში ვენახებიც ბევრია, ღვინოც ბევრი და კარგიც მოდის”. *(“ჩვენი მევენახეობა და მეღვინეობის საჭიროებანი”. 1887 წ. 6 თებერვალი).*

“ნუთუ ამიერკავკასია, რომელიც ყოველისფერით დედაა ღვინისა, დავიწყებული, გამოკლებული და სახსენებელი არ უნდა იყოს? ყურს ესმის და გონებას არა სჯერა ეს საარაკო ამბავი”. *(“ჩვენი მევენახეობა და მეღვინეობის საჭიროებანი”. 1887 წ. 6 თებერვალი).*

- **ყურძნის დაწურვა**

“ყურძენი რაკი მოიკრიფა და გადირჩა, შეძლებისამებრ, დასაწურავად მიდის. ამისათვის ჩვენში ან ხის ნავია, ან ქვიტკირის საწნახელებია, კარგად გალესილი. ევროპაში სხვაგვარი საწნახელებია. იქ ფიცრისაგან შეკრულია ერთი უშველებელი ოთხკუთხიანი უჯრა, რომელსაც ოთხკუთხივ გვერდები ამაღლებული აქვს. როგორც ჩვენში, ისე ევროპაში ამგვარ საწნახელებში ფეხითა სწურავენ (მოიწვევენ ხოლმე მემუსიკეთა, რომელნიც საცეკვავს უკვრენ, და მუშები საწნახელში, შიშველა ფეხით ჩამდგარნი, ჭცეკვაობენ და ამ სახით შეექცევიან კიდეც და საქმეც კეთდება) ”. *(“ღვინის ქართულად დაყენება”. 1887 წ.).*

“იქნება ფეხით წურვა, რომელიც ჩვენში ყველგან ხმარებულია, სასაცილოდ აიგდონ! მართალია, ევროპაში ყურძნის დასაწურავად ეხლა საქაჯავსაც (Пресс) ჰხმარობენ, მაგრამ ეს კიდევ საბუთს არ აძლევს ჩვენებურს მეცნიერს, ცხვირი ზევით აიწიოს. ჯერ ხომ თვითონ ევროპიელნიც ბევრგან ფეხითა სწურავენ და მაშასადამე, იქაც ისე ყოფილა. ამას ჩვენი მეცნიერები ევროპიელებს ვერ გაუბედავენ, მეტად თვალსაჩინო ტყუილი იქნება. მეორე ისა, რომ თვითონ მართლად მეცნიერნი ევროპიელნი ამტკიცებენ, _ ფეხით წურვა ყურძნისა ბევრით სჯობნის საქაჯავით წურვასაო. იმათის სიტყვით, ფეხით წურვისაგან უფრო თანაბარად ისრისება ყურძნის მარცვალი და წიპწა მარცვლისა, ესე იგი კურკა ყურძნისა, არ იჭყლიტებაო. საქაჯვს უამისოდ ვერას გზით ვერ გადაურჩება წიპწაო და გაჭყლეტილი წიპწა-კი ღვინოს წკლარტავსო და ამწარებსო”. *(“ღვინის ქართულად დაყენება”. 1887 წ.).*

“ეს ფეხით წურვა ზოგიერთს ღვინით გამოჩენილს ადგილებში ისე პატივცემულია ევროპიელთაგან, რომ პირველ მტევნებს ვენახის პატრონს _ ქალს მიართმევენ ხოლმე და იგი მოურიდებლად ხალხის წინაშე გაიხდის ფეხსაცმელსა და საკუთარის ფეხით სწურავს მორთმეულს ყურძენსა”. *(“ღვინის ქართულად დაყენება”. 1887 წ.).*

“თუმცა ესეა, მაგრამ ამ უკანასკნელ დროში ყველა შემძლებელი კაცი ჰყიდულობს საქაჯავსა მარტო იმის გამო, რომ საქაჯავით უფრო მალე, უფრო უხარჯოდ იწურვება ყურძენი”. *(“ღვინის ქართულად დაყენება”. 1887 წ.).*

“საქაჯავები ჩვენში დიდი ხანია შემოღებულია, მაგრამ ხალხი არა ჰხმარობს პირველ გადაწურვისათვის; მხოლოდ ფეხით ნაწურ ჭაჭას გაატარებს ხოლმე საქაჯავში დანარჩენის წვენის გამოსაწურავად”. *(“ღვინის ქართულად დაყენება”. 1887 წ.).*

“მართალია, ჩვენებური საქაჯავი ისეთი ოსტატური არ არის, როგორც ევროპიული, მაგრამ არც ისე ძვირია, როგორც იქაური. აშკარაა, ჩვენშიაც სცოდნიათ, რომ შეიძლება წურვა საქაჯავითაც, და ერთი ვიკითხოთ, რატომ საქაჯავით წურვა არ დაუწყვიათ?! ვსთქვათ ევროპიულს საქაჯავს იმიტომ არა ჰხმარობენ ჩვენში, რომ ძვირია, ან მოხმარება არ იცის ჩვენებურმა კაცმა, რატომ შინაური საქაჯავი მაინც არ უხმარიათ, _ ეს ხომ არც ძვირია და არც ძნელი მოსახმარებელი?” *(“ღვინის ქართულად დაყენება”. 1887 წ.).*

“სჩანს ამას სხვა მიზეზი აქვს და იმ მიზეზთა შორის უკანასკნელი ადგილი არ უჭირავს მას, რაც ფეხით წურვის სიკეთეზედ ჩვენ ზევით მოვიხსენიეთ. აქ ხარჯი, სისწრაფე მუშაობისა კიდევ იმისათვის შეუწირავს ჩვენებურს კაცსა, რომ ღვინოში წიპწის იოტიც არ გაერიოს, ესე იგი სხვა გარეშე რამ. ამას ძალიან ერიდება ჩვენებური ღვინის კეთება, როგორც წინადაც ვსთქვით, და ეს შიში და სიფრხთილე თანასაგრძნობელია”. *(“ღვინის ქართულად დაყენება”. 1887 წ.).*

- **ყურძნის წვენის სამწვერად დაყოფა**

“რაკი ყურძენი დაიწურება ხოლმე ასე თუ ისე, ტკბილს მიუშვებენ ხოლმე ბოჭკაში. თითქმის ყველა ევროპიელნი ღვინის ჭურჭლად ამ შემთხვევაში და საზოგადოდაც, ბოჭკასა ჰხმარობენ. რასაკვირველია, შესანახავად სხვა სახის ბოჭკაა და სადუღარად სხვა სახის, და ამ უკანასკნელთ რუსულად ჰქვიან “ჩანი”. ჩვენში კი უფრო ბევრგან პირდაპირ საწნახელისა თუ ნავის მილიდან ქვევრში მიუშვებენ ხოლმე. ხოლო ამ ბოლოს ხანებში ზოგან “ჩანებსაცა” ჰხმარობენ და შიგ “ჩანებშიცა” სწურავენ კიდეც, განსაკუთვრებით წითელს ღვინოსა. არსად არ შეგვხვედრია ამოგვეკითხა, რომ ევროპაში ტკბილი რამდენსამე წვერად გაჰყონ და ისე ცალ-ცალკე ჭურჭელში ადუღონ. ჩვენში კი იციან: ვისაც დიდი მოსავალი მოსდის, საწნახელიდამვე გამოსულს ტკბილს სამ წვერად დაჰყობს და ცალკე-ცალკე ქვევრში მიუშვებს. ერთი წვერო იგია, რაც მუშების პირველ გავლაზე წვენი წამოვა საწნახელიდამ. ამას ცალკე მიუშვებენ და ამბობენ, ამისი დაბალი ღვინო დადგებაო, რადგანაც რაც ჭუჭყი, მტვერი ჩაჰყოლია ყურძენს და რაც მეტი წყალი აქვს, ამ პირველ ნაწურ წვენს გაჰყვებაო. ამ წვენის ფერი თითქმის მღვრიე წყლის ფერია. წვენი ამის შემდეგ მალე იცვლის ხოლმე ფერსა, ასე რომ კაცი თვალით ადვილად შეამჩნევს. რაკი ეს მოხდება, ახლა წვენს სხვა ქვევრში მიუშვებენ; ნაბოლოვარად წვენი ერთხელ კიდევ იცვლის ფერსა, უფრო მოჭირებულის ფერისა შეიქმნება, უფრო სქელი და წებოიანი, და მაშინ მესამე ქვევრში მიუშვებენ. რა თქმა უნდა, ამას მარტო დიდის მოსავლის პატრონი იქმს”. *(“ღვინის ქართულად დაყენება”. 1887 წ.).*

“საქმე ის არის, რომ ამ სამ წვერად დაყოფას ტკბილისას თვისი ცხადი აზრი და საბუთი აქვს. ამგვარად განცალკევებას სხვადასხვა სიწმინდისა, ფერისა და სისქის ტკბილისას, ცოტა თუ ბევრი ზედმოქმედება უნდა ჰქონდეს ღვინის სიკეთეზედაც”. *(“ღვინის ქართულად დაყენება”. 1887 წ.).*

“ამას მარტო ერთი ნაკლი აქვს, თუმცა ადვილად მოსაშორებელი, მაგრამ საკმაოდ ყურს არ ათხოვებენ ჩვენში. ამ შემთხვევაში თვითვეულ წვერ ტკბილი-სათვის ქვევრი იმოდენა უნდა იყოს, რომ ერთს დღის ნაწურმა ტკბილმა სადუღარად მოჰყაროს ქვევრი. თუ ქვევრი იმოდენად დიდია, რომ რამდენისამე დღის საწური სადუღარად ძლივს მოჰყრის, მაშინ ტკბილის მეორე და მესამე დღეს ჩამატება დუღილს ახანებს, აგვიანებს: დუღილის მალე გათავებისათვის საჭიროა ერთისა და იმავე დროის ნაწურით ერთსა და იმავე დღეს ქვევრი, თუ რამ სხვა ჭურჭელი, იმოდენად აივსოს, რამოდენადაც ქვევრს თუ ჭურჭელს დუღილისათვის ავსებენ ხოლმე”. *(“ღვინის ქართულად დაყენება”. 1887 წ.).*

“რაკი ტკბილს, ესე იგი წვენს ყურძნისას, ქვევრში თუ რაიმე სხვა ჭურჭელში ჩააყენებენ, მას მერმედ დაიწყება ის ბუნებური მოქმედება, რომელსაც ჩვენში დუღილს ეძახიან. ყველაზედ მეტად, თუ არ მთლად, ამ ბუნებურ მოქმედებაზეა დამოკიდებული

ღვინის სიავ-კარგე, იმიტომ რომ ყოველისფრით ერთისა და იმავე ყურძნის წვენისაგან შესაძლოა სხვადასხვა ღვინოც დადგეს, თუ დუღილი სხვადასხვა გარემოებაში მოსვლია, სხვადასხვა გვარისა და ხარისხისა ჰქონია". *("ღვინის ქართულად დაყენება". 1887 წ.).*

- **ჭაჭა და კლერტი ჩააყოლონ ტკბილსა თუ არა?**

"საჭიროა ჭაჭა და კლერტი ჩააყოლონ ტკბილსა, თუ არა? ჩვენ დუღილს ბუნებური მოქმედება ვუწოდეთ, იმიტომ რომ დუღილი აქ კაცის ხელით მიცემულის წამლით, თუ ნივთიერებით არ აღიძვრის ხოლმე; ნივთიერებას თუ წამალს თვითონ ბუნება აძლევს ყურძენსა". *("ღვინის ქართულად დაყენება". 1887 წ.).*

"გამოჩენილმა პასტერმა დაამტკიცა, რომ იგი ნაწევრი, რომლის გამოც ტკბილი ადუღდება ხოლმე, ზედ ყურძნის მარცვლის კანზედვე არის მტვერსავით, ანუ უკეთ ვსთქვათ, ჰაოსავით. პასტერმა განგებ საცდელად დიდი სიფრთხილით წვენი ისე გამოწურა ყურძნის მარცვალსა, რომ ჰაო არ ჩააყოლა; ნაწური მინის ჭურჭელში ჩაასხა და ჰაერი არ მიაკარა, იმიტომ რომ ჰაერშიაც ყოველთვის არის ის სამიკროსკოპო სხეული, რომელსაც ამადუღებელი თვისება აქვს. ყურძნის წვენი მინაში არ ადუღდა და როცა ის მტვერი, თუ ჰაო, ყურძნის მარცვლის კანისა ჩაუშვა, მარტო მას შემდეგ დაიწყო წვენმა დუღილი". *("ღვინის ქართულად დაყენება". 1887 წ.).*

"ვინც ჭაჭას არ ჩააყოლებს ტკბილს, იგი იმას აკლებს, რაც დუღილსა ჰშველის და ხელს უმართავს, იმიტომ რომ, თუმცა ნაწურს ტკბილს ნამეტნავად ფეხით ნაწურს, იგი ამადუღებელი ჰაო გაჰყვება, მაგრამ უფრო მეტი კი ზედ ჭაჭას შერჩება და ამიტომაც უჭაჭობა უნდა აუძლურებდეს დუღილს და მით აგვიანებდეს და ახანებდეს. იქნება კიდეც ეს იყოს მიზეზი იმ ყველასაგან ცნობილ ამბავისა, რომ უჭაჭოდ ნადუღი ტკბილი გვიან დაწმინდდავდება, გვიან დაღვინოვდება ხოლმე, რადგანაც ადრე დაწმინდავება ღვინისა ადრე დადუღებაზეა დამოკიდებული. რა თქმა უნდა, რომ ჭაჭის მიცემა ტკბილის კარგად და მალე ადუღებისა და დადუღებისათვის ეგრე მეცნიერულად არ არის მიგნებული ჩვენში, როგორც პასტერს მიუგნია, მაგრამ გამოცდილებით კი უცვნია ჩვენებურს კაცს, რომ ღვინის კარგად ადუღებისათვის ჭაჭა საჭიროა". *("ღვინის ქართულად დაყენება". 1887 წ.).*

"გარდა ამისა ჭაჭა თეთრი ყურძნისა, თუ შავისა, _ სხვა სამსახურსაც უწევს ღვინოსა: იგი ფერს აძლევს, ჰღებავს ღვინოს. თვითონ ევროპიელნი წითელის ღვინის დასაყენებლად შავის ყურძნის ჭაჭას აძლევენ დუღილის დროს, ისე როგორც ჩვენში ვიცით, იმიტომ რომ საფერავი თუ საღებავი ყურძნის მარცვლის კანშია (იქნება ჩვენში არ იცოდეს ზოგმა, რომ შავის ყურძნის წვენი, ისე ფრთხილად გამოწურული, რომ ტყავი მარცვლისა არ გაისრისოს, თეთრია, ანუ, უკეთ ვსთქვათ, წყლის ფერია). ეს საფერავი, როგორც შავს ყურძენსა აქვს, ისეც თეთრსა თავთავისდაგვარად. ამ საფერავებით თეთრით თეთრს და შავით შავს ღვინოსა ვფერავთ ხოლმე, როცა ჭაჭაზედ ვადუღებთ ტკბილსა, იმიტომ რომ დუღილის დროს მარცვლის კანსა ტკბილი გამოსწოვს ხოლმე საფერავსა და იღებება, თუ ნამეტნავად კანი კარგად გასრესილია. ეს ვიცით და ჭაჭას სხვათა შორის ამისთვისაც ჩავაყოლებთ ხოლმე ტკბილსა. ხოლო ეს კი ზოგჯერ გვავიწყდება, რომ რაკი ღვინოს დავურევთ და ჭაჭა ძირს წავა და დაილექება, მას შემდეგ

ჭაჭა აღარც შემდეგის ჩუმის დუღილისათვის არის საჭირო, აღარც საფერავად, და თუ არ ახდენს, აღარა ჰშველის". *("ღვინის ქართულად დაყენება". 1887 წ.).*

"ახლა გვეტყვიან: რად გინდათ რომ თეთრს ღვინოსაც ჰღებავთო? ჩვენ კიდევ ამას ვეტყვით: კაცია და გუნება. თუ ჭაჭის გამო წითელი ღვინო არა ჰხდება, რადგანაც თვითონ ევროპიელნი წითელის ღვინისათვის ტკბილს უსათუოდ ჭაჭაზედ ადუღებენ, თეთრის ღვინის ჭაჭაზედ დაყენება რად უნდა გვეყვედრებოდეს და არცოდნაში გვეთვლებოდეს! თეთრი მოჭირებული ფერი ღვინისა მოსწონს ჩვენს ხალხსა და დღევანდელს ბაზარს, ისე როგორც შავი მოჭირებული ფერი წითელის ღვინისა. ესეთი მოწონება იქამდე გაძლიერებულია ჩვენში, ამ ბოლოს ხანებში სირაჯები სიყალბესაც კი აღარ ერიდებიან და სხვადასხვაგვარ წამლებით თეთრს, მაგრამ მცქრალ ღვინოს, განგებ მოჭირებულ ფერს აძლევენ". *("ღვინის ქართულად დაყენება". 1887 წ.).*

"კლერტს რომ არ აცლიან და ტკბილს თან ჩააყოლებენ ჩვენში, ამასაც თავისი საბუთი ჰქონია და აქვს იმის გარდა, რაც წინად ვსთქვით. კლერტი ღვინოს კეთილ სუნნოვანობას ჰმატებს და გამძლეობის ღონეს აძლევს თურმე". *("ღვინის ქართულად დაყენება". 1887 წ.).*

"კლერტში ერთგვარი ნაწევარია (Дубилъное вещесто), რომელიც ამ სამსახურს უწევს ღვინოსა. უამისოდ კეთილსუნნოვანება და გამძლეობა იმოდენად არ გამოჰყვება თურმე ღვინოს. ამას თვითონ მეცნიერი ღვინისმკეთებელი ტარდანი ამტკიცებს და თუ ამას დავუჯერებთ, ღვინის გემოსაც კი უფრო სასიამოვნოდა ჰხდის ის სიმჟავე, რომელიც ენასა ჰკბენს და კლრტისაგან წარმოსდგებაო". *("ღვინის ქართულად დაყენება". 1887 წ.).*

"გამოდის, რომ იმ სიკეთის გარდა, რაც კლერტზედ წინათა ვსთქვით, _ ეს სიკეთენიც კლერტის წყალობით ჰქონია ღვინოსა. არ ვიცით, ეს რამდენად მართალია და თუ მართალია, მართალნი ყოფილან ჩვენებური ღვინის დამყე-ნებელნიცა, რომელნიც უკლერტოდ ღვინოს არ ადუღებენ". *("ღვინის ქართულად დაყენება". 1887 წ.).*

"თქმა არ უნდა, რომ ყველგან საჭიროა ზომიერება. ზომას გადამეტებული პურის ჭამაც კი მაწყინარია. ჩვენში კარგმა ღვინის მკეთებელმა და დამყენებელმა კარგად იცის, რამდენი ჭაჭა და კლერტი მისცეს და ზომას თავის დღეში არ გადააცილებს. ჩვენში კარგად იციან, რომ გადაჭარბებული ჭაჭა და კლერტი ღვინოს ავნებს. ამაზედ იტყვიან ხოლმე, "დასწვავსო" ღვინოს. მაშასადამე, თუ ესეა, რომ კლერტი ღვინის გემოს არამცთუ აფუჭებს, აკეთებს კიდეც, და ამას გარდა სხვა სიკეთეც მოაქვს _ რაღა საბუთი აქვთ წუნი დასდონ ჩვენს ღვინის კეთებას ამ მხრითა". *("ღვინის ქართულად დაყენება". 1887 წ.).*

"თუ ეს კლერტის ჩაყოლება შეცდომაა და თუ ამისთანებში იმისთანა მეცნიერი ჰცდება, როგორც ტარდანი, ჩვენ ეს შეცდომა რად უნდა გვეკიჟინოს აბრუგაზვიადებულ გაბედვით და კადნიერებითა". *("ღვინის ქართულად დაყენება". 1887 წ.).*

- **ჩვენის მარნების ფარღალალლაობის სიკეთე ისიც არის, რომ მარანი უშიშარია ადამიანისათვის**

"ჩვენის მარნების ფარღალალობას ერთი სხვა სიკეთე სჭირს: ამისთანა მარანი უშიშია ადამიანისათვის და ამას არ შეიძლება ყურადღება არ მიექცეს. დახურულს, ყოველის მხრით შეკრულს მარანს, თუ სარდაფს, დუღილის დროს სიფრთხილე უნდა, თორემ შეიძლება კაციც შეიწიროს. როცა ტკბილი დიდს დუღილშია და ბუყბუყებს, მაშინ ზემოთ ბურცებს ანუ ქაფს მოიგდებს. აქედამ ერთნაირი ბუღი გამოდის, რომელსაც ნახშირმჟავეს ეძახიან მეცნიერნი. ეს ბუღი რომ ჩაისუნთქოს კაცმა ძალიან ადვილად დაირჩობა. რომ დახურულს და შეკრულს მარანში, თუ სარდაფში, კაცს ეს არ დაემართოს დუღილის დროს, ხშირად უნდა ამისთანა სარდაფსა, თუ მარანში წმინდა ჰაერი ამუშავოს და ატრიალოს, რომ ის ბუღი გავიდეს და წმინდა ჰაერი შევიდეს. ევროპაში ამის ასაცდენელად კარგად დამწვარს კირსაც ჰხმარობენ: სარდაფსა თუ მარანში, მოჰფენენ ხოლმე კირსა, და რადგანაც ნახშირმჟავეს ძალიან იზიდავს კირი, ამიტომაც, რამოდენადაც ამოდის დუღილის გამო, იმოდენად კირი სჭამს, თუ ესე ითქმის". *("ღვინის ქართულად დაყენება". 1887 წ.).*

"ჩვენებურს კაცს გამოცდილებით უცვნია ეს ვითარება დუღილისა და რომ მეტი ჯაფა და სიფრთხილე არ აეკვიატებინა, სამჯობინარად დაუნახავს ღია მარანი, საცა ყოველთვის ნახშირმჟავესაც გამოსავალი აქვს და წმინდა ჰაერსაც შესავალი; ასადუღებლად საჭირო სითბო-სიგრილის თანაბარობისათვის ქვევრი ცოტად თუ ბევრად ღრმად ჩაუსვამს მიწაში და ამასთანავე აუცილებელი საჭიროება ღვინის კეთებისა თავის ჯიბის მეტნაკლებობისათვის შეუფერებია. აქ, როგორც ვნახეთ, მაგრერიგად არც მწვადი იწვის და არც შამფური". *("ღვინის ქართულად დაყენება". 1887 წ.).*

- **ყურძნის წვენის დუღილი – ახალი ხანა ღვინის კეთებისა**

"საწნახელიდამ ყურძნის წვენის გამოშვების შემდეგ იწყება სხვა ახალი ხანა ღვინის კეთებისა და ამ ხანას ყველაზედ მეტი მნიშვნელობა აქვს ღვინის სიკეთისათვის. ეგ ხანა იგი დროა, როდესაც ტკბილი დუღილში შედის. ევროპაში დუღილისათვის ქვის ჭურჭელიც არის და ხისაც, როგორც მაგალითებრ, "ჩანი" და "ბოჭკა", და ყველა ის ჭურჭელი ჰაერზედ დგას სარდაფში, ან მარანში. ჩვენში თითქმის ყველგან ქვევრი იციან, მიწაში ცოტად თუ ბევრად ღრმად ჩაფლული". *("ღვინის ქართულად დაყენება". 1887 წ.).*

"ამ ქვევრსაც გვიწუნებენ. შემდეგ ნახავთ, ზოგიერთ მცირეოდენ უხერხობასთან, რამდენი სახერხო და სამჯობინარი სიკეთე სჭირს ჩვენებურს ქვევრსა და რამოდენად ეგგვარი ჭურჭელი შეფერებულია მასთან, რასაც დუღილი ითხოვს და შენახვა". *("ღვინის ქართულად დაყენება". 1887 წ.)*

"კარგის დუღილისათვის, გარდა იმისა, რომ კარგად დამწიფებულის ყურძნის წვენი უნდა იყოს, საჭიროა სითბო არა ნაკლებ 10^0-ისა და არა უმეტეს 15^0-ისა რეომურის ტერმომეტრით. ევროპაში, მარანში, ანუ სარდაფში, საცა ტკბილი ჰდუღს, თუ 10^0-ზედ ნაკლები სითბოა, ან "ჩანს" ნამჯას შემოახვევენ გარშემო, ან ცეცხლს აანთებენ განგებ ამისათვის გაკეთებულ ბუხარში და ოთახსავით ათბობენ რამდენიც საჭიროა, _ და თუ

15^0-ზედ მეტია, განგებ აგრილებენ. მაშასადამე, სარდაფი ან მარანი განგებ ამ ორ შემთხვევისათვის აშენებული უნდა იყოს. ასეთი მარანი, თუ სარდაფი, ძვირად დაუჯდება კაცს; ამაზედ რომ კაცი ზედ გადაეგოს ჩვენში ხეირია და გამორჩომის იმედიც იმოდენა უნდა ჰქონდეს, რომ ღვინომ, თავის საკუთარის ხარჯის გარდა, სარდაფზედ, ან მარანზედ დახარჯულის ფულის თავნი და სარგებელი თავის დროზედ ცოტცოტაობით დაუბრუნოს პატრონსა". *("ღვინის ქართულად დაყენება". 1887 წ.).*

"ზოგან არის კიდეც ჩვენში ამისთანა ძვირფასი მარნები, მაგრამ უფრო სახელისათვის, ვიდრე სახრავისათვის და გამორჩომისათვის; წინადაცა ვსთქვით, _ ღვინო ჩვენში ჯერ ძლივს ააყენებს ხოლმე თავის ხარჯის ფასსა და იმ მცირეოდენს გამორჩომას, რასაც ყოველი კაცი ყოველის მრეწველობისაგან სამართლიანად მოელის. მაინცდამაინც ამისთანა მარანს მარტო შეძლებული კაცი თუ შეწვდება და ამისთანა კაცები ჩვენში მარტო ორიოდეა, უმრავლესობა კი უღონოა ამისათვის". *("ღვინის ქართულად დაყენება". 1887 წ.).*

"ამიტომაც ჩვენში უფრო ბევრგან ფარღალალა მარნებია, ხშირად მარტო წალმით დახურული, ბევრგან უკედლებოცა. მაშასადამე, პირველ შეხედვით კაცი იფიქრებს, რომ ჩვენში არა სცოდნიათ ჰაერის სითბო-სიგრილის მნიშვნელობა დუღილისათვის. აბა ფარღალალა მარანში, რა თქმა უნდა, თავისუფლად იმუშავებს ცივი თუ თბილი ჰაერი და ამიტომ არც მეტს სითბოს ეშველება და არც მეტს სიგრილესა. შესცდებიან, ვინც ასე იფიქრებს: დააკვირდით, ჭურჭელი, რაშიაც ჩვენში ტკბილს ადუღებენ, რა ადგილას არის. იგი ღრმად ჩასმულია და გარედ ჰაერზედ არა სდგას. რატომ? სხვათა შორის იმიტომ, რომ ვერც გარეთი სიცხე ჩაატანს მიწას ისე მალე და ხელაღებით, ვერც სიცივე. მიწა ინახავს ქვევრს ერთსა და იმავე სითბო-სიგრილეში და გარეთი ჰაერის ცვლილება მაგოდენად არა სწვდება ქვევრსა და აქედამ ტკბილსა, რომელიცა ქვევრში ჰდუღს. იტყვიან, რომ რადგანაც ქვევრი აწოწვილია, ესე იგი, მაღალი, ამის გამო სხვადასხვა წელს ტკბილისას სხვადასხვა სითბო-სიგრილე ექმნებაო: თავში, მიწის ზედაპირზე ახლოს ტკბილი ერთს სითბო-სიგრილეში მოჰყვება, ქვედა პირში სხვაშიო. ეს ცოტად თუ ბევრად მართალია, მაგრამ ეგ იმოდენა თაბაუთს არა იქმს, რომ ხელჩასაკიდებელ მიზეზად გახდეს ქვევრის დაწუნებისათვის. გადა-მეტებულ სიცხეს ძნელად თუ შეხვდება კაცი, რადგანაც კაი ვენახის პატრონს მოუხდება ღვინის დადუღება ან ენკენისთთვის ბოლოს ან ღვინობისთთვის დასაწყისს, როცა მაგრერიგად არა ცხელა და ჩვენში ამ ხანებში იშვიათია ისეთი სიცივეც, რომ მიწა 10^0-ზედ ნაკლებ სითბოზედ ჩამოახდინოს". *("ღვინის ქართულად დაყენება". 1887 წ.).*

"საქმე ის არის, რომ ამ 10^0 და 15^0-ს შუათანაბარი სითბო-სიგრილე ჰქონდეს ჭურჭელს გარშემო, _ და ქვევრს, მიწაში ჩვენებურად ჩაფლულს, უსათუოდ ეს თანაბარობა ექმნება, რადგანაც, აკი ვამბობთ, ცვლილება გარეთის ჰაერისა მიწას მაგრერიგად ვერ ჩაატანს ხოლმე და მის სითბო-სიგრილეს ეგრე ადვილად ვერ შესცვლის". *("ღვინის ქართულად დაყენება". 1887 წ.).*

"თუ კაცმა თერმომეტრით ასინჯა მიწის სითბო-სიგრილე ქვევრის მიწის თავიდამ ბოლომდე სხვადასხვა სიღრმეზედ, არა გვგონია რომ ენკენისთთვის დასასრულს და ღვინობისთთვის დასაწყისს თერმომეტრმა 11^0-12^0-ზედ ნაკლები აჩვენოს და 15^0-ზედ მეტი, თუ ძალიან იშვიათს წელიწადს არ შევხვდებით". *("ღვინის ქართულად დაყენება". 1887 წ.).*

"ჩვენში გადამეტებულის სითბოსი უფრო ჰშინებიათ, როგორც ეტყობა, იმიტომ რომ კარგი დამყენებელი ღვინისა თრთვილს ელის და მერე ჰკრეფავს ვენახსა. თრთვილი

დასაწყისია სიცივისა, აქედამ სჩანს გადამეტებულის სიცხის შიში უფრო ჰქონიათ. მართალია, ეს იმითაც აიხსნება, რომ თრთვილი ყურძნის მარცვალს ჰკუმშავს, ცოტად აჭკნობს და, ამბობენ, მეტს წყალს აცლისო, მაგრამ ამ პატარა სიკეთეს არ ანაცვლებდნენ იმ დიდს სიკეთესა, რაც ღვინოსათვის დუღილია, თუ თან იმისი იმედი არა ჰქონოდათ, რომ ენკენისთვის ბოლოს და ღვინობისთთვის დასაწყისს დუღილისათვის მეტი სიცხე უფრო საფიქრებელია, ვიდრე მეტი სიცივე. ხშირად ასეც არის, ნამეტნავად კახეთში". *("ღვინის ქართულად დაყენება". 1887 წ.).*

"გარდა ამისა, ერთს რასმეს კიდევ ვიტყვით. ვინ არ იცის ენკენისთთვის დამლევს და ღვინობისთთვის დასაწყისს დღის სითბო-სიგრილე რამოდენად იცვლება ღამღამობით ჩვენში. ეს ცვლილება ომდენად დიდია, რომ ყველა ჭურჭელს შეატანს, ჰაერზედ მდგომარეს, ასე რომ ჭურჭელს დღისით რომ 12^0-ს სითბოს სცემდეს, ღამღამობით 9^0 _ და 10^0 _ სითბო დაჰკრავს, თუ არ კიდევ ნაკლები. ესოდენი ცვლილება განა არ იმოქმედებს ამგვარს ჭურჭელში ღვინის დუღილზედ? მერე შეკრულს სარდაფსა და მარანში ხომ წმინდა ჰაერისათვის სამუშავოდ სადმე ან ფანჯარა, ან კარი ღია ჰქონდეს, რომ ნახშირჟანგის ბუღმა კაცი არ დაარჩოს. აშკარაა, ამ მეტნაკლებობას სითბო-სიგრილისას ამ შემთხვევაში ძნელად რამ ეშველება და ჭურჭელი, რაშიაცა ჰდუღს ტკბილი, დღისით მომეტებულ სითბოში იქნება და ღამით ნაკლებში. ქვევრს კი ამით ან სულ არა დაუშავდება რა, ან ძალიან ცოტა რამ, იმიტომ რომ მიწაშია, და გარეთის ჰაერის ცვლილება ისე ადვილად ვერ ჩაატანს და, მაშასადამე, ვერ შესცვლის მიწის სითბო-სიგრილესა". *("ღვინის ქართულად დაყენება". 1887 წ.).*

"რა ყურძენიც გინდათ აიღოთ, მისი წვენი, მეცნიერთა გამოკვლევით, ერთისა და იმავე ნაწევრებისაგან არის შემდგარი, განსხვავება მარტო ნაწევრების მეტნაკლებობაშია. ეს ნაწევრები არიან 1) შაქარი, რომელსაც ზოგჯერ ასში ოცდაათი წილი უჭირავს, ესე იგი, 30% და 14%-ზე ნაკლები კი არ ვარგა რომ იყოს; 2) აზოტი, რომელიც დუღილს ჰშველის, 0,2% _ 0,8%; 3) პექტინი და სხვა წებოს მომცემი ნაწევრები; 4) სხვა ნაწევარები, რომელნიც ჯერ გამოცნობილნი არ არიან და რომელნიც ღვინოს გემოსა და სუნს აძლევენ; 5) ორგანიული სიმჟავენი და მარილები _ ტარტარისა და 6) უორგანიული: ფოსფორის სიმჟავე, ხლორი კალციით, პატასი, მაგნეზია რკინითა და შავი ქვითა". *("ღვინის ქართულად დაყენება". 1887 წ.).*

"წვენი ყურძნისა, თბილ დღეში დაკრეფილისა, დაწურვილისა, თითქმის მაშინვე მოჰყვება დუღილსა და ერთის დღისა თუ დღენახევრის განმავლობაში ჰმატულობს იმისდაგვარად, რამოდენა სითბოა მარანში. თვითონ დუღილი ათბობს წვენს ზოგჯერ რეუმურის თერმომეტრის 28^0-დან, მაგრამ დუღილმა რომ თავის რიგზედ იმუშავოს, საჭიროა წვენის სითბო 22^0 _ 23^0-მდე მაინც ავიდეს. თუ 29^0-ს გადასცილდა სითბო, მაშინ შაქრის ალკოჰოლად გადაქცევას ხელი ეშლება და თვით ალკოჰოლიც ცხარე დუღილში ნახშირმჟავეს გასდევს. შაქრის ალკოჰოლად გადაქცევაშია უმთავრესი და უპირველესი მნიშვნელობა დუღილისა". *("ღვინის ქართულად დაყენება". 1887 წ.).*

"დუღილის ხანგრძლიობა იმაზეა დამოკიდებული, თუ რაოდენი შაქარი აქვს წვენს და რამოდენად თბილა, ამის გამო ზოგან დიდხანს ჰდუღს ღვინოები. ზოგან არა, ასე რომ სულ ნაკლები ოთხი დღეა, და მეტი ორ კვირას ძნელად გადასცილდება. ხანი დუღილისა ორთა შუად მიღებულია რვა დღიდგან ხუთმეტ დღემდე". *("ღვინის ქართულად დაყენება". 1887 წ.).*

“კაცი ადვილად შეატყობს, როცა დუღილი გათავდება ხოლმე. დუღილის გათავების თავის დროზედ შეტყობას თავის მნიშვნელობა აქვს და ეს მნიშვნელობა ჩვენებურმა კაცმაც იცის, ისე როგორც ევროპიელმა. ჯერ თვალითაც შეეტყობა დუღილის გათავება. რაკი ბუყბუყი აღარ ისმის და ბურცს, რომელშიაც ნახშირმჟავეა, აღარ იკეთებს წვენი, დიდი დუღილი გათავებულია. ყური კი რომ დაადოთ ქვევრის პირს, ანუ “ჩანს”, რომელშიაც ევროპიელები ტკბილს ადუღებენ, შიგნიდამ მაინც შიშინი მოგესმის. ეს პატარა დუღილია. თანდათან ეს შიშინიც უფრო ნაკლებ და ნაკლებ ისმის და ბოლოს სრულად მისწყდება. ამის შემდეგ, ჭაჭა ზევით წამოვა და თავზედ ისე მაგრად შეიკვრის, რომ კეტით გასარღვევი გახდება ხოლმე. ამას როგორც ჩვენში, ისეც საფრანგეთში, ქუდს ეძახიან. როგორც ჩვენში, ისეც საფრანგეთში ამ ქუდსა სტეხენ და დაურევენ. დუღილი ხელახლად თავს იჩენს. ამ დუღილში ზემოდ მოქცეული ჭაჭა და თხლე თანდათან ძირს ჩადის და ღვინო იწმინდება. ამასობაში ღვინოს სითბო თანდათან აკლდება ასე, რომ შიგ ღვინოში ოთხი-ხუთი გრადუსი სითბოღაა მეტი გარეთის ჰაერის სითბოზე. ყველაზედ უტყუარი მაჩვენებელი მისი, რომ დუღილი გათავდა ერთი ნიშანია: რამდენადაც შაქარი ალკოგოლად იქცევა, იმდენად სისქე (плотность) ღვინისა ჰკლებულობს და თხელდება. ეს კლება სისქისა დუღილის კლების მაჩვენებელია; ამისათვის ერთნაირი იარაღი აქვთ ევროპიელებს, რომელსაც “არეომეტრს” ეძახიან, _ ამას ჩაუშვებენ ღვინოში და თუ 12-ის საათის განმავლობაში ცვლილება არა აჩვენა რა, უტყუარი საბუთია დუღილის გათავებისა. მართალია, ჩვენ ამ იარაღს არა ვხმარობთ და სასურველია, რომ ხმარებაში შემოვიდეს, _ მაგდონადაც ძვირი არ არის და ადვილი მოსახმარებელია, _ ხოლო აქედამ ის არ გამოდის, რომ რაკი მაგას არა ვხმარობთ, არც ის ვიცით, რომ დუღილის გათავებას თავის დროზედ შეტყობა უნდა და შეტყობისათვის ცოტად თუ ბევრად გზაც არ ვიცოდეთ”. *(“ღვინის ქართულად დაყენება”. 1887 წ.).*

“ჩვენ ის დაგვავიწყდა გვეთქვა, რომ ჩვენში, როგორც ევროპაშიაც, ორნაირი დუღილი იციან ღვინისა, და რადგანაც ეს თავის ადგილას არ მოვიხსენიეთ, ბოდიშს ვიხდით, რომ ხელახლად ამ საგანზედ ჩამოვაგდებთ საუბარსა”. *(“ღვინის ქართულად დაყენება”. 1887 წ.).*

“ერთნაირი დუღილი დახურულია და მეორე – ახდილი. ჩვენში დახურულს დუღილს მისდევენ უფრო ალაზნის მარჯვენა მხარეს, ნამეტნავად სიღნაღის მაზრის სოფლებში, და ახდილს კი – უფრო გაღმა მხარეში, ალაზნის მარცხენა მხარის ადგილებში. საცა დახურული დუღილია, იქ რაკი თავის ზომის ჭაჭას მისცემენ “ტკბილსა”, ქვევრის ყელში ჯვარედინად ჯოხებს გასჭედენ საკმაოდ ხშირად, რომ, თუ ვინიცობაა ჭაჭამ დუღილის გამო ქუდის გასაკეთებლად ძალიან ამოიწიოს, ქვევრს სარქველი არ ახადოს და არ ამოვიდეს. აგრე გაწყობილს ქვევრს დახურვენ სარქველს და მიწას მიაყრიან. დუღილისაგან ამომხდარს ბუღსა, მაგალითებრ ნახშირმჟავისას, ამ გზით გამოსავალი აქვს იმოდენად საკმაო, რომ შიგ არ ჰგუბდება და გარეთის ჰაერის მიკარებას კი ამ გზით ცოტა არ იყოს დაბრკოლება ეძლევა, რადგანაც დახურულის დუღილის ერთი მიზეზი ეს არის, სხვათა შორის. ახდილის დუღილისათვის კი სარქველს ხშირად არა ჰხურავენ, და თუ ჰხურავენ, მიწას აღარ აყრიან, ასე რომ ტკბილი ზეზე ჰდუღს და ზოგჯერ მდუღარი ტკბილი ქვევრის ნაპირებზედაც გადმოვა ხოლმე. როცა ტკბილი დიდის დუღილის შემდეგ უკან ჩაიწევს, ჯოხებს ქვევრის ყელში მაშინ უკეთებენ, მას შემდეგ დაჰხურვენ და მიწას მიაყრიან. რვა-ცხრა დღის შემდეგ ჭაჭა ზევით ამოვა, მიებჯინება ჯოხებს და ქუდს იკეთებს. ამ ქუდს, მინამ გასტეხენ და დაურევენ, ჯერ ზემო

პირს მოსწმენდენ დიდის გულმოდგინებით იქამდე, ვიდრე მშრალს ჭაჭას მთლად არ ამოიღებენ და სველზედ არ დავლენ, და ამის შემდეგ დაურევენ. ამას ამიტომ შვრებიან, რომ სიმშრალისაგან დამჟავებული და ძმარშეპარული ჭაჭა, ჭაჭისა და ღვინის ჭუჭყი არ ჩააყოლონ. ღვინო, რასაკვირველია, დარევის შემდეგ კიდევ ცოტა წამოჰდუღდება, ჭაჭა თანდათან ძირს წავა და თხლესთან ერთად დაიძირება. ამას ხანი უნდა და ამ ხანის გავლის შემდეგ კი ახდიან ქვევრსა, და თუ ქვევრს წიპწა რამ, ანუ პრკე, ანუ რაიმე ქაფი ზედ მოუგდია, ამას ყოველს ბეჯითად ამოსწმენდენ, და თუ აბურცული ყურძნის მარცვლის კანია, ამას კი ხელახლად დასრესენ ხელით და ტკბილს მისცემენ. მერე გადავსების თავდარიგს შეუდგებიან, გადავსებაში დიდს სიფრთხილეს ჰხმარობენ, რომ ერთიერთმანეთის ფერის, სიმაგრის და გემოს ღვინო მიუყენონ. ხშირად სრულად გავსებას ქვევრისას დრომდე აქაც ერიდებიან, რადგანაც იციან, რომ ღვინო ჩუმს დუღილს დიდხანს არ მოიშლის და ეშინიათ ან ღვინომ არ ამოიწიოს და არ გადმოვიდეს ქვევრიდამა, ან ქვევრი არ გახეთქოს დაუტევრობისაგან, თუ სხვა გზა არა აქვს". *("ღვინის ქართულად დაყენება". 1887 წ.).*

"ევროპაში დახურულს დუღილს, _ მხოლოდ იმოდენად კი დახუ-რულს, რომ დუღილის ბუღს გამოსავალი ჰქონდეს, _ ამჯობინებენ. თუ ჩვენში ზოგან ახდილი დუღილია, ეს უვიცობას არ უნდა მიაწერონ, რადგანაც ჩვენც ვიცით დახურული დუღილი, და თუ ზოგან არ მივსდევთ ამნაირს დუღილსა და ზოგან მივდევთ, რაიმე პატივსადები მიზეზი უნდა იყოს, ან ადგილზედ, ან ჰავაზედ, ან სხვა რაზედმე დამოკიდებული". *("ღვინის ქართულად დაყენება". 1887 წ.).*

"ჩვენებურნი მეცნიერნი, იმის მაგიერ, რომ ხელაღებით მჩვარში გვხვევენ, ისა ჯობია ამ მიზეზის გამოძიებას შესდგომოდნენ. იქნება ამით საცოდნელი ღირსი რამ ამოეჩინად და იმათთვისაც კარგი იქნებოდა და ჩვენთვისაც". *("ღვინის ქართულად დაყენება". 1887 წ.).*

"წინადაც ვსთქვით, _ ჩვენშიაც, როგორც სხვაგან, ყველამ კარგად იცის, რომ გამძლეობის უნარი, თუ თვითონ ღვინოს არა აქვს ბუნებისაგან თანდაყოლილი, უწამლოდ ამისი აჩენა შეუძლებელია. ესეცა ვსთქვით, რომ არის ჩვენში იმისთანა ჯური ყურძნისა და იმისთანა ადგილის ღვინო, რომელსაც ეს უნარი ბუნებითად თანდაყოლილი აქვს. რომელიც ღვინის მოწამვლას ერიდება და მარტო ბუნებურ ღვინოზეა მიქცეული, როგორც ჩვენში, იმან ძალიან კარგად იცის რომელი ყურძნის წვენი გამძლე ღვინოს იძლევა და რომელი ადგილი, და რაგვარად კაცმა ხელი უნდა შეუწყოს, რომ ეს გამძლეობის უნარი ღვინისა არ დაიხშოს". *("ღვინის ქართულად დაყენება". 1887 წ.).*

"ჩვენებურმა კაცმა ძალიან კარგად იცის, რომ ამისათვის მარტო ერთადერთი ღონეა _ იმდენჯერ წმინდად გადაღება ღვინისა, ვიდრე ღვინო ლექის კეთებას არ მოიშლის. ამის შესატყობრად აი რა არის საჭირო: როცა ქვევრში, თუ ბოჭკაში, თხლე-ჭაჭიდამ გადაიღებენ დაწმენდილს ღვინოს, მაშინ ერთი ბოთლი ღვინო უნდა ამოიღოს კაცმა, კარგად დაუცვას და ამავ ქვევრის თუ ბოჭკის ადგილას დასდგას. დროგამოშვებით ინახულოს ეს ბოთლი, და როცა ჰნახავს, რომ ღვინოს ლექი გაუკეთებია ბოთლში, უსათუოდ ქვევრსა და ბოჭკაშიაც ლექს გაიკეთებდა. ქვევრისათვის ეს ისეთი ზედმიწევნილი ნიშანი არ არის, როგორც ბოჭკისათვის, იმიტომ რომ ქვევრი, რადგანაც მიწაშია, და ბოთლი ზეზე ჰაერზედ, გარემოება ერთისა და მეორისა სხვადასხვა არის სითბო-სიცივის და სინათლის სხვადასხვაობის გამო. ამიტომაც შესაძლოა, რომ ქვევრმა უფრო გვიან გაიკეთოს ლექი, ვიდრე ბოთლმა. აქ მარტო დროს მეტნაკლებობა ითამაშებს და ამას გამოცდილება აუცილებლად დაასწავლის კაცს, რომელი იკეთებს ადრე თუ გვიან

ლექსა. ამ სახით, რაკი ბოთლში ღვინომ ლექი გაიკეთა, მაშინვე უნდა გადაიღონ, და ესე მოიქცნენ, ვიდრე უკანასკნელად გადაღებული ღვინო ბოთლში ლექს აღარ გაიკეთებს. ლექი აღარ ექმნებაო რომ ვსთქვით, ეგ მეტისმეტი მოგვივიდა, იმიტომ რომ, ამ გზით ძალიან კარგად გამოყენებული ღვინოც კი, თუ ძალიან დიდხანს შეინახა ბოთლში, მაინც ლექს გაიკეთებს თავის დროზედ, მაგრამ კარგად გამოყენებულის ღვინის ლექი ერთს ლარზედ ანუ ხაზზედ კეთდება და გარშემო კედლებს ბოთლისას არ გაეკვრის ხოლმე, როგორც ეს გამოყენებულმა ღვინომ იცის. ღვინოს ზემოხსენებულის გზით გამოყენებას ხუთი და ექვსი წელიწადი უნდება, და ამ ხანში ლექის გაკეთების უმალვე გადაღება და გადაწმენდა უსათუოდ საჭიროა, თუ გსურთ, რომ ღვინო გამძლე იყოს". *("ღვინის ქართულად დაყენება". 1887 წ.).*

"რაკი ესე მოუარეთ ხუთისა თუ ექვსის წლის განმავლობაში ღვინოსა, მერე კი ბოჭკებიდამ თუ ქვევრებიდამ ღვინო ბოთლებში უნდა ჩაისხას და განგებ არჩეულის პრობკით დაიცვას მაგრად. ბოთლების დაწვენით შენახვას უფრო ჰრჩეობენ ევროპიელნი, რადგანაც ამ გზით პრობკა ყოველთვის სველია, და თუ გაშრა კი, როგორც აყენებულს ბოთლს მოსდის, ღვინის სუნი ადვილად გზას იპოვის გამოსასვლელად. თუ ამრიგად დაწვენილმა ბოთლმა გარშემო კედლებ-ზედაც ლექი მოიკიდა, ეს იმისი ნიშანია, რომ აჩქარებულან და კარგად გამოყენებული ღვინო არ ჩაუსხამთ". *("ღვინის ქართულად დაყენება". 1887 წ.).*

"უცოდინარნი კი სწორედ ამ კედლებზედ გაკრულ ლექით სტყუვდებიან და უვიცობის გამო იძახიან:Lაბა, კარგად გამომდგარი ღვინო ეს არისო. სულ სხვაა თუ ბოთლმა ლექი გაიკეთა მარტო იმ მხრივ, რომელზედაც დაწვენილია და მარტო ამ მხრის ერთის ხაზის გაყოლებაზე; მაშინ ითქმის, რომ ღვინო კარგად გამოყენებული ჩაუსხამთ ბოთლში. მართალია, ამ გზით ღვინოს გამძლეობა ეძლევა და რაც ხანი გადის, უფრო და უფრო კეთდება, ხოლო ხანს ღვინისას, მის გამძლეობას, თავისი საზღვარი აქვს, და თუ ღვინო ამ საზღვარს გადასცილდა, ეკარგება თავისი გემო, ღირსება და ფასი". *("ღვინის ქართულად დაყენება". 1887 წ.).*

"ჩვენ ჩვენს მეცადინეობას ბოთლებში გადაღებამდე არა ვჭიმავთ, იმიტომ რომ სახეში არა გვყავს, ვისთვის და რისთვის ავიკვიატოთ ამოდენა დავიდარაბა და ვაი-ვაგლახი. ჩვენ ღვინის ქვევრში შენახვის იქით აღარ მივდივართ, რადგანაც ჩვენის ეხლანდელის ბაზრის მიხედვით _ ეგ მეტი ციებ-ცხელებაა. აბა უტკივარს თავს განგებ ვინ აიტკიებს მარტო ცარიელ სახელისათვის, ნამეტნავად იმისთანა საქმეში, საცა სახელთან ერთად გამორჩომის იმედიც ამოქმედებს კაცსა, როგორც მაგალითებრ ყოველს საეკონომიო მოღვაწეობაში საერთოდ და ღვინისაში საკუთრივ". *("ღვინის ქართულად დაყენება". 1887 წ.).*

- **ღვინის დაწმენდა**

"ამ ქუდის გატეხის და დარევის შემდეგ ღვინო დასაწმენდად მიიქცევა ხოლმე. ჩვენებური კაცი თვითონ ღვინის ბუნებას მიენდობა ხოლმე ამ შემთხვევაშიაც და დაწმენდისათვის არაფერს წამალს არა ჰხმარობს. რაკი ჭაჭა-თხლე ძირს წავა და თან ჩაიტანს ღვინოში გაუხსნელ ნაწევარებსაც, შემდეგ ამისა ღვინოს სიმჟავე აკლდება, ეძლევა სუნი, და მაშინ იტყვიან, ღვინო დადგა, მაჭარი დაღვინოვდაო. რაკი ღვინო ამ

დონემდე მივიდა მაშინვე უნდა გადაიღონ, ნამეტნავად თუ ჭაჭა და კლერტი მიცემული აქვს, იმიტომ რომ ჭაჭა და კლერტი ამის შემდეგ სწყენს ღვინოსა და აღარაფერსა ჰშველის". *("ღვინის ქართულად დაყენება". 1887 წ.).*

"აქ ერთი წიგნი ვიყიდე o vinodelii. ის რო წავიკითხე, ელდა მეცა. იქა ჰსწერია, რომ ავდარში დაკრეფილი ყურძენიო და ავდარშივე დაწურული ძალიან ცუდ ღვინოს დააყენებსო, ასეო რომ ღვინო არ დაწმდებაო და ეყროლებაო. ნუთუ მართლა ჩვენს ღვინოებს ეგ სიკეთე დაემართება? შენი მტერი!.. ღმერთმა გვიხსნას მაგისთანა ფათერაკებისაგან". *("წერილები ილია ჭავჭავაძისა ოლღა თადეოზის ასულ გურამიშვილისადმი", 1873 წ. 19 ნოემბერი).*

- **ღვინის გადაღება**

"ჩვენში ამას ყურს არ ათხოვებენ ხოლმე, იმიტომ კი არა, ვითომც არ იცოდნენ, რომ ჭაჭა და თხლე დაწმენდის მერმედ სწყინს ღვინოსა, თუ ხანი დას-ცალდა, არამედ იმიტომ, რომ ჩვენში ახლად დაწმენდილს ღვინოს მუშტარი უჩნდება თითქმის მაშინვე და ამის ლოდინში ჩვენებური გაჭირვებული კაცი არა ჰჩქარობს ღვინის გადაღებას, მით უფრო, რომ ჭაჭა-თხლეზედ ღვინო უფრო გემოიანი, სუნნელოვანი და წმინდაა ხოლმე და მუშტარს ადვილად მოაწონებს თავსა. ამიტომაც იმის მაგიერ, რომ გიორგობისთთვეში გადაიღოს ღვინო და ხელახლად უცადოს იმის დაწმენდას მუშტრისათვის, იგი დიდხანს თხლე-ჭაჭაზედ ინახავს ღვინოს, და თუ მოუცდა ლოდინი, მაინც თებერვალს და მარტს აღარ გადააცილებს და გადაიღებს ხოლმე. მეტს ძნელად თუ ვინმე აყოვნებს, იმიტომ რომ, თუ გადაღებაში სითბომ მოასწრო, შესაძლოა ღვინომ ხელახლად დუღილი დაიწყოს და ამ გვიანს დუღილს ღვინის წახდენა მოსდევს. ეს ჩვენშიაც ისე კარგად იციან, როგორც ევროპაში, და ამიტომაც, მინამ სიცივეები გავა, ღვინოს უსათუოდ გადაიღებენ ხოლმე". *("ღვინის ქართულად დაყენება". 1887 წ.).*

"რაკი ღვინო გადაღებისათვის მზად შეიქმნება, ამ დღიდამ ღვინის დაყენება თავდება და იწყება თადარიგი ღვინის შენახვისა". *("ღვინის ქართულად დაყენება". 1887 წ.).*

- **ღვინის შენახვა**

"ღვინის შენახვისათვის ყველაზედ უწინარეს საჭიროა, რომ თვითონ ყურძნის წვენსა ჰქონდეს უნარი გამძლეობისა ბუნებით დაყოლილი. ჩვენშიაც და ევროპაშიაც ეს ძალიან კარგად იციან. აქაც და იქაც ისიც ძალიან კარგად იციან, რომ გამძლეობა ბუნებურის ღვინისა სხვასხვა წამლებზედ კი არ არის დამოკიდებული, არამედ იმაზედ, თუ რა ჯურის ყურძენის წვენია ღვინოდ გარდაქმნილი და რა მიწაზეა გაჩენილი თვითონ ყურძენი. ჩვენში, მაგალითებრ, მიღებულია, რომ რქაწითელი, მწვანე, რომელთაც ხშირად ფერისათვის მცვივანას ურევენ, ან მცვივანის ყურძნის ჭაჭაზედ ადუღებენ, თეთრს გამძლე ღვინოს იძლევა, აგრედვე წითელს გამძლე ღვინოს – წმინდა, შეურეველი საფერავი. ეს კიდევ საკმაო არ არის, რომ ღვინის გამძლეობის იმედი იქონიოს კაცმა. დიდი საქმეა ისიც, თუ რომელს და რა თვისების მიწაზეა მოყვანილი ყურძენი. თუ რქაწითელი, მწვანე ან საფერავი მძიმე, ღრმად მოსახნავ თიხიან მიწაზეა, _ ამათი წვენი უფრო გამძლე ღვინოს იძლევა, ვიდრე იგივე ყურძენი ქვიშიანს მიწაზედ მოსული, ეს

ჩვენშიაც ისე კარგად იციან, როგორც ევროპაში. ამიტომაც ტყუილი ცდაა, _ ყოველ ჯურის და მიწის ყურძნის ღვინოს გამძლეობა მიანიჭონ, თუ არ სხვადასხვა წამლებით, და მა-შინ ბუნებურ ღვინოზედ ხომ ხელი უნდა აიღონ". *("ღვინის ქართულად დაყენება". 1887 წ.).*

"ჩვენ ღვინოებს სწამობენ, რომ გამძლეობა არა აქვსო, მალე ჰფუჭდებაო. ეს ბევრში მართალია, მაგრამ ეს უცოდინარობის ბრალი კი არ არის, არამედ იმისი, რომ უფრო ბევრი ღვინო ჩვენში იმ მიწის ვენახებისაა და იმ ჯურის ყურძნისა, რომელნიც ბუნებითად გამძლე ღვინოს არ იძლევიან, თუ რაიმე წამლებით არ შეაზავე და ამ გზით ადრე და მალე არ გააფუჭე, ესე იგი, ბუნებური ღვინო წამლებით ნაკეთებ ღვინოდ არ გარდაჰქმენ. ჩვენ რომ ვსთქვით, გაუძლეობა ჩვენის ღვინისა ბევრში მართალიაო, იმიტომა ვსთქვით, რომ ზოგში მართალი არ არის. ჩვენშიაც არის გამძლე თვისების ღვინო, საცა ჯურა ყურძნისა და თვისება მიწისა ამას ხელს უმართავს და შესწევს. არა ერთი და ორი ვენახის პატრონია ჩვენში, რომელსაც უცდია, რვა, ათი და მეტი წელიწადიც შეუნახავს ღვინო, და უნახავს, რომ მის ღვინოს გაუძლია დიდხანს და ამ გაძლებაში უფრო გაკეთებულა ყველაფრით. ამისი მაგალითი არა ერთი და ორი ყოფილა და არის ჩვენში დღესაც. რატომ ყველა ღვინო არ არის ამისთანაო, _ ამის თქმა, და იმისი, რატომ ყველა კაცი ბისმარკი არ არისო _ ერთი და იგივეა. უფრო ჭკუას ახლოა კაცმა ეს იკითხოს: თუ ეგრეა, რატომ დიდი ხნით შესანახავად ღვინოს სულაც არ აყენებენო საბაზროდ? იმიტომ რომ სარფა არ არის, რადგანაც, რაც დღეისამდე ბაზარია ჩვენში, სიძვირეს ამგვარის ღვინისას ვერ აიტანს და არც მუშტარი ჰყავს.

აბა აიღეთ, მაგალითად, შემდეგი ანგარიში. შევინახე და გამოვაყენე, ვსთქვათ, ათის წლის ღვინო რიცხვით ოთხასი თუნგი, ესე იგი ერთი კახური ურემი; იმისთანა ღვინო, რომელიც შესანახავად გამოდგება, ცოტად თუ ბევრად კარგი თავი ღვინო უნდა იყოს; ამისთანა ღვინოს, სულ ცოტა რომ ვსთქვათ, ორმოც თუმნად გაჰყიდით ადგილობრივ, ახლობაშივე, ესე იგი, ბოთლს ერთს აბაზად. ვინახე ეს ღვინო ათი წელიწადი, ჯერ მარტივი სარგებელი, თუნდ ექვსი რომ ვიანგარიშოთ, ათს წელიწადში ორმოც თუმანზედ ოცდაოთხს თუმანს შეადგენს; აღარას ვიტყვით რთულს სარგებელზედ, რომელიც თავნს თითქმის უსწორდება რვა წელიწადში, ესე იგი ათს წელიწადზედ ადრე". *("ღვინის ქართულად დაყენება". 1887 წ.).*

"ჯერ ამ გზით ათს წელიწადს უკან იგი ერთი ურემი ღვინო სამოცდაოთხ თუმნად უნდა დამიჯდეს. ახლა ამისი მოვლა ამ ათს წელიწადში, ღვინის დაკლება გადაწმენდ-გადმოწმენდაში, ხარჯი, ჭურჭელის დახაფრება, ჭურჭელის რეცხვა და სხვა ამისთანა, ერთს ამოდენას თუ არ მეტს ესეც შეადგენს და ამ სახით ათს წელიწადს შემდეგ ჩემი ორმოცთუმნიანი ღვინო ასს თუმნად მიზის და თუ ბოთლი ადგილობრივვე ათს შაურად მაინც არ გავყიდე, მე ვერც ჩემს გასამჯელოსღა ავიღებ, რომელსაც ამ შემთხვევაში მთელს ათს წელიწადში სულ თორმეტ თუმანს ვანგარიშობ, ვერც სარგებელს და თავნზედაც ძლივძლივობით გამოვალ. აბა ერთი იკითხეთ: რომელი სულელი იქნება, დღევანდელი ორმოცთუმნიანი ღვინო ათი წელიწადი ინახოს, რომ ასს თუმნად დაუჯდეს და, მაშასადამე ასს თუმნადაც რომ გაჰყიდოს, თითქმის არა მოიგოს რა". *("ღვინის ქართულად დაყენება". 1887 წ.).*

"თუნდ ამისთანა სულელი იყოს ვინმე, ახლა ამას აღარ იკითხავთ: სად არის ამისთანა ღვინის მსყიდველი? მაშინ, როდესაც ჩვენებური ბაზარი ამავ ღვინოს ახლობაშივე ბოთლს ერთ აბაზად ჰყიდულობს ალაგობრივ და თუ თვითონ ათს

შაურზედ ნაკლებ გაჰყიდა, ჰზარალობს კიდეც, _ იმედია განა თვითონ ეს ბაზარი ათს შაურად ბოთლს იყიდდა ალაგობრივ? ათ შაურად ალაგობრივ ნაყიდი ბოთლი ხომ მანათნახევრად უნდა გაჰყიდოს, ან სულ ცოტა _ მანათად მაინც, რომ გამორჩომა ჰნახოს რამე. ვინ არის ჩვენში ამ ძვირის ღვინის მსმელი? ერთი ორიოდე კაცი, ისიც საგანგებოდ და არა საყოველდღეოდ. სულელობა და უგუნურობაა ორიოდე კაცზედ გაანგარიშებული, დაიმედებული, საერო მრეწველობა რამე, მაგალითებრ ამისთანა, როგორც ჩვენში ღვინის მრეწველობა არის. ან რა ჭკუაა, _ კაცმა ათის წლის ღვინო სვას მამასისხლად სასყიდი და ახლობაშივე სასიამოვნო და გაცილებით იეფს ღვინოს კი თავი დაანებოს! ეს უეჭველი შორმხედველობა აქვს ჩვენებურს ღვინის მკეთებელსა, მარტო ჩვენებურს ბაზარზედ დღევანდლამდე დამოკიდებულს და ღვინოს ისე აკეთებს, რომ მალე იყოს სასიამოვნოდ სასმელი, რადგანაც აქ ჩვენში ღვინოს თითქმის მთელი ერი სვამს და ამის გამო დიდ ხანს დგომას არ ჰსაჭიროებს, მალე, თითქმის მეორე მოსავლამდევე ჰსაღდება". *("ღვინის ქართულად დაყენება". 1887 წ.).*

"მთელი ჩვენი ღვინის ვაჭრობა ამ წინად დანახულს აზრზეა აგებული და ამიტომაც არც ერთს სირაჯს, არც ერთს ვაჭარს ღვინისას იმისი სამზადისი არა აქვს, რომ ღვინო მის სარდაფში ორი, სამი და ოთხი წელიწადი ინახებოდეს. რაკი ამდენს ხანს ღვინო გაუსყიდავი არ დაურჩება _ რა ხელსაყრელია ამისთანა სამზადისი?" *("ღვინის ქართულად დაყენება". 1887 წ.).*

"ამ ბოლოს ხანებში ჩვენებურმა ღვინომ ფეხი შედგა რუსეთის ბაზარში. ეს გარემოება, რასაკვირველია, ღვინის გამძლეობის თავდარიგს გააძლიერებს ჩვენში, რადგანაც იმ სიშორეზედ გადატანას ღვინისას ეხლანდელზედ მომეტებული გამძლეობა უნდა ჰქონდეს და ვაჭრობა ღვინისაც იქ, საცა, როგორც რუსეთში, ღვინოს მარტო შეძლებული კაცი სვამს, უნდა იმედოვნებდეს, რომ დახანებული ღვინო იმის სარდაფში არ გაფუჭდება გაუძლეობის გამო". *("ღვინის ქართულად დაყენება". 1887 წ.).*

"ნურვინ იფიქრებს, რომ ამ თავდარიგს ვერ შეუდგება ჩვენებური კაცი უვიცობის, უცოდინარობის გამო. ღვინის ხელი ამ შემთხვევისათვისაც ძალიან კარგად იცის ჩვენებურმა კაცმა და თუ ჩამოუვარდება ევროპიელს რაშიმე, მარტო იმაში, რომ მარგებელის ღვინის წამლობით საწამლავად გარდაქმნა გამძლეობისათვის არ იცის და მადლი ღმერთსაც, რომ ეგრეა". *("ღვინის ქართულად დაყენება". 1887 წ.).*

"ამ სახით გაბედვით დავარწმუნებთ ყველას, რომ თუ ჩვენებურს კაცს ბუნებურის ღვინის შენახვა ჰსურს დიდ ხანს, ძალიან კარგად იცის, რომ ჯერ თვითონ ღვინო უნდა აირჩიოს შესაფერის ჯურის ყურძნისა და იმ ვენახისა, რომლის მიწა ამ უნარს აძლევს ყურძნის წვენს ბუნებითად. ამას გარდა ისიც იცის, ამ შემთხვევაში რა გზით არის საჭირო ხელის შეწყობა, და ისიც იცის, ბუნებურ ძალთა ღვინისას რა გაუბრუნდებს ხოლმე გზასა და რა უშლის მათს თავისუფალ მოქმედებასა ღვინის გასამძლეოდ, ამ ცოდნას გამოიყენებს კიდეც, თუ დაინახავს სარფას, _ ამ ერთადერთს საეკონომიო სანატრელს ყოველის მრეწველობისას". *("ღვინის ქართულად დაყენება". 1887 წ.).*

- **ქვევრის სიკეთე**

"ჯერ ყველაზედ უწინარეს ქვევრის სიკეთისათვის საჭიროა კარგი თიხისა იყოს და კარგად გამომწვარი". *("ღვინის ქართულად დაყენება". 1887 წ.).*

“ამიტომაც ჩვენებური კაცი ვიდრე ქვევრს იყიდდეს, ჯერ გამოიკითხავს, რა ადგილის თიხისაა და სად არის გამომწვარი. ყველამ იცის, სად და რა ადგილის ქვევრია კარგი. ამას დიდის გულმოდგინებით ეძიებენ და ამისათვის ფასსაც კი არა ჰზოგავენ. ქვევრს თუ არ ჩაჰკირვენ, ისე არ ჩასდგმენ მიწაში, ვისაც კი წელი მისდევს. ეხლა კი ზოგან შეუძლებლობის გამო ამ ხარჯს აღარ ეწევიან და ეს შეუძლებელნიც სურვილს იმოდენად არ სჭიმვენ, რომ ღვინის სიკეთით თავი ვიჩინოთო”. *(“ღვინის ქართულად დაყენება”. 1887 წ.).*

“კარგს ქვევრს, კარგად ჩაკირულს და მიწაში ჩადგმულს, რაც უნდა კარგი იყოს, ერთი დიდი წუნი მაინც აქვს და აქვს”. *(“ღვინის ქართულად დაყენება”. 1887 წ.).*

“ეს დიდი წუნი ჩვენის ქვევრისა ის არის, რომ არც გამოსაშვები მილი მოუხერხდება, არც ისეა მიწაში ჩადგმული, რომ სიფონით ღვინის გადაღება შეიძლებოდეს ერთი ქვევრიდამ მეორეში, რადგანაც სიფონით გადაღებისას ერთი ქვევრი მაღლა უნდა იდგეს და მეორე დაბლა. სადამდინაც დაბლა მდგომი მაღლა მდგომსა სწვდება, სწორედ იმ ხაზამდე გადმოვა სიფონით ღვინო მაღალიდამ დაბლა და მეტი ერთი ცვარიც არ გადმოჰყვება. ამიტომაც საჭიროა, რომ ერთის ქვევრის ძირი მეორე ქვევრის პირთან ერთს ლარზედ მოვიდეს, რომ სიფონით შესაძლო იყოს მთლად გადაღება ღვინისა ქვევრიდამ ქვევრში”. *(“ღვინის ქართულად დაყენება”. 1887 წ.).*

“რადგანაც ჩვენი ქვევრები ერთს მწკრივზეა ხოლმე ჩასმული მიწაში, და რადგანაც მიწაშია, ვერც მოსაშვები მილი გაუკეთდება, _ და ამავე დროს ჯერ სხვა ღვინის ამოსაღები მანქანა შემოღებულ არ არის (ეხლა ამისთანა მანქანა არის თურმე მოგონილი. ჩვენ არ გვინახავს, და ამბობენ-კი, ძალიან კარგი არისო, თხლემდე ისე ამოაქვს ღვინო, რომ სრულებით არ ამღვრევსო. ერთს დაუბარებია ეს მანქანა ევროპიდამ და ოცდათოთხმეტი თუმანი დასჯდომია), _ ამიტომ ჩვენებური კაცი იძულებულია ხელით და ჩაფით გადიღოს ღვინო. ერთიც და მეორეც მალე ამღვრევს ღვინოსა, დიდ ხანსაც უნდება კაცი. გარდა ამისა, რომ ამნაირს გადაღებას უფრო მეტი ხარჯი და დრო უნდა, ამნაირი გადაღება ძალიანა ჰლახავს ღვინოს, ის ეფირები და ნაწევარები, რომელიც სასიამოვნო და ღირებულს სუნს აძლევს, ეცლება და ეკარგება, ნამეტნავად თუ ჩაფით ამოღებულს ღვინოს ღარებში ასხმენ და ისე მიუშვებენ ქვევრში. ჰაერიდამაც ღვინო მავნებელს ნაწევარებს და მტვერს ჩაიყოლებს ხოლმე: ღვინო მეტად აზიზი რამ არის და ყოველ ამას მის სიკეთეზედ მოქმედება აქვს”. *(“ღვინის ქართულად დაყენება”. 1887 წ.).*

“იქნება ბევრმა არ იცოდეს და ჩვენში ქვევრის ამ ნაკლზედ არა ერთი და ორი დაფიქრებულა: ცდაც კი იყო ამ ნაკლის მოსაშორებლად. ჩვენში იყო ერთი თ. გურგენიძე, რომელიც ჰცდილობდა ეს ნაკლი ქვევრისა როგორმე აეცილებინა, და ამას აქ იმიტომ ვიხსენიებთ, რომ მის აზრს ამ საგანზედ თავისი საბუთი აქვს და ადვილადაც შესასრულებელია. განსვენებული თ. გურგენიძე იმ აზრს დაადგა, რომ ჩვენებური მარანი სხვარიგად უნდა აიგოს. იგი ამბობდა, მარანი სამ კიბედ მაინც უნდა ჩაითხაროსო, ანუ უკედ ვსთქვათ, მარანს სამი დიდი ბაქანი (ტერასსა) უნდა გაუკეთდესო იმოდენად ერთიმეორეზედ მაღალი, რამოდენიც ქვევრს სიმაღლე აქვს, ასე რომ შუა ბაქანის ქვევრის პირი ზემო ბაქანის ქვევრის ძირთან მოდიოდეს და ქვემო ბაქანისა შუა ბაქანის ქვევრის ძირთან. ორთა შუა სიმაღლე ქვევრისა რომ ვიქონიოთ სახეში, მკლავმაღლა გაჭიმულად აწვდილ კაცის სიმაღლეზედ მეტი არ გამოვა, ანუ, უკედ ვსთქვათ, ორი გაზანდრის ადლი. მაშასადამე, თვითო ბაქნის სიმაღლეს მოუნდება ორი ადლი და სამს ექვსი ადლი. თვითეულს ბაქანს, რასაკვირველია, იმოდენა დიდი მოედანი უნდა ჰქონდეს, რომ ქვევრი

თავისუფლად ჩაიდგას და ჩათხრილ გვერდიდამ იმოდენა სიგანის მიწა შეჰრჩეს, რამოდენადაც ცვლილებას გარეთის ჰაერისას გაუძლებს და არ შეიყოლიებს. ეს ჩათხრილი გვერდია მარტო აქ საშიში, ვაი თუ ამან ვერ გაუძლოს გარეთის ჰაერის ცვლილებას, შესაფერი ურჩობა ვერ გაუწიოს, ცვლილება ჰაერისა ქვევრსაც მისწვდეს და ერთის გვერდიდამ ქვევრს ერთის ზომის სითბო-სიცივემ შეატანოს და სხვა გვერდებიდამ სხვა ზომისამ. მაშინ ქვევრს თავისი უმთავრესი მნიშვნელობა დაეკარგება, სახელდობრ, ისა, რომ ისე პირდაპირ მიწაში ჩადგმულს თანაბარი სითბო-სიცივე არტყია გარსა, _ ზაფხულში ღვინისათვის საკმაოდ გრილი, ზამთარში საკმაოდ თბილი, გარეთს ჰაერს თუ შეადარებთ, _ და ეს ღვინის გამძლეობისათვის დიდი რამ არის. ამ მხრით, გვგონია, მოევლებოდეს რამ თ. გურგენიძის აზრსა, და თუ მოევლება, თ. გურგენიძის აზრი მეტისმეტად საყურადღებოა და მჩვარში გასახვევი არ არის. ამნაირად აგებულს მარანში სიფონი ძალიან კარგად იმუშავებს ღვინის გადასა-ღებად და დიდს შეღავათს და ხეირსაც აჩვენებს ამისთანა მარნის პატრონს. მით უფრო, რომ სიფონი მეტისმეტად იეფია და ადვილად სახმარი". *("ღვინის ქართულად დაყენება". 1887 წ.).*

"ჩვენებურს ქვევრს ერთს სხვა წუნსაც სდებენ ჩვენი მეცნიერნი: მიწიდამ წყალსა და ნესტს სწოვსო და ღვინოში შეაქვსო. ეს მართალია, თუ ქვევრი კარგად ჩაკირული არ არის და ამასთან კარგის თიხისა და კარგად გამომწვარი. ეს არის მიზეზი, რომ როცა ზოგიერთს ქვევრს ცოტად მოაკლებ, ისევ რამდენისამე ხნის შემდეგ აივსება ხოლმე, თუ ნამეტნავად მარანსა ჰრწყვენ. ეს მატება ზოგს ქვევრის სიკეთედ მიაჩნია, მადლიანი, დალოცვილი ქვევრია და თვითონ ჰმატულობსო, და იმას კი არა ჰფიქრობენ, რომ ეს უტყუარი ნიშანია ქვევრის უვარგისობისა: ან ცუდის თიხისაა, ან ცუდად გამომწვარია, ან ცუდად ჩაკირული". *("ღვინის ქართულად დაყენება". 1887 წ.).*

"გარდა იმისა, რაც წინა წერილში მოვიხსენიეთ, სხვა რა წუნი აქვს ჩვენებურს ქვევრსა? არაფერი, თუ კარგად არჩეულია, კარგად მოვლილი და ნაპატრონები. ჯერ ერთი ისა, რომ თითქმის ქვად ქცეულია და ბოჭკასავით ღვინოს იმ ერთგვარს ნაწევარს არა ჰმატებს, რაც მუხის ფიცარსა აქვს და ღვინოს ზოგჯერ მეტად მწკლარტს გემოს აძლევს. ეს კიდევ არაფერი, რადგანაც ხშირად არ მოხდება ხოლმე, ნამეტნავად თუ ღვინო ძალიან დიდხანს არა ჰრჩება ბოჭკაში და თავის დროზეა გადაღებული ბოთლებში; თუ არა და ბოჭკაში ძალიან დიდხანს ნადგომს ღვინოს რაღაც კუპრის მსგავსი გემო ეძლევა". *("ღვინის ქართულად დაყენება". 1887 წ.).*

"ღვინო რომ კარგად შეინახებოდეს ჭურჭელში, მინამ ბოთლში გადასაღები გახდება ამისათვის საჭიროა არც მეტისმეტს ნესტიანს ადგილას იდგეს, არც მეტისმეტს მშრალს ადგილას. ბოჭკა რადგანაც ზეზეა, ვერც ნესტისაგან შეინახავს თავს, ვერც სიმშრალისაგან, როცა ან სველობაა, ან გოლვა. ნესტისაგან ბოჭკას ობი ეკიდება, წელსარტყმელი წნელი ულპება, ჰწყდება და ხშირად ისე მოულოდნელადაც და ანაზდეულად, რომ ღვინოს დაღვრისაგან ვერც კი გადაარჩენენ ხოლმე. ეს ხშირად მოხდება ხოლმე გაზაფხულსა და შემოდგომაზე, როცა დღე და ღამე ერთმანეთს უსწორდება. როცა გოლვაა და მშრალობა, მაშინ ბოჭკა ძალიან იშრობს ღვინოსა, ასე, რომ ასორმოცდაათს თუნგზედ შვიდ-რვა ბოთლს იკლებს თვეში, მაშინ როდესაც ზომიერად ნესტიანობაში კი მარტო ორსა, და თუ გასჭირდა სამს ბოთლსა. ამის გამო, თუ მშრალობაა, ბოჭკას თვეში ოთხჯერ და ხუთჯერაც გადავსება უნდა, და თუ ზომიერი ნესტიანობაა _ ორჯელ მაინცდამაინც". *("ღვინის ქართულად დაყენება". 1887 წ.).*

“ღვინო ითხოვს, რომ მისი ჭურჭელი, რაშიაც სდგას, დიდს სიცხესაც მოცილებული იყოს და დიდს სიცივესაც, და მაინცდამაინც ისეთს გარემოებაში იყოს, სწრაფად ცვლა გარეთის ჰაერის სითბო-სიცივისა ვერ მისწვდეს.

მზის სხივის სინათლე არ უნდა სწვდებოდეს ჭურჭელსა, იმიტომ რომ მზის სხივი ათბობს და ღვინოს აფუჭებს. ყოველს ამას ისეთი ჭურჭელი, რომელიც ბოჭკასავით ზეზე უნდა იდგეს, ვერასგზით ვერ აიცილებს”. *(“ღვინის ქართულად დაყენება”. 1887 წ.).*

“ღვინომ რომ თავი დაიჭიროს, საჭიროა 10^0-ზედ ნაკლები და 12^0-ზედ მეტი სითბო არ ერჩოდეს. ზეზე მდგომელს ჭურჭელს, რომელსაც ჰაერი ახვევია ყოველის მხრით, აუცილებლად ხან მეტი სითბო ექნება და ხან ნაკლები იმისდა მიხედვით, რა სითბო-სიცივეა გარეთს ჰაერში. მაინცდამაინც თანაბრეობა, სითბო-სიცივის ზომის იგივეობა აუცილებელს საჭიროებას შეადგენს ღვინის კარგად შენახვისათვის”. *(“ღვინის ქართულად დაყენება”. 1887 წ.).*

“რასაკვირველია, თუმცა ბოჭკას ამოდენა განსაცდელი სდევს, მაგრამ წამალიცა აქვს. რადგანაც ბოჭკა იმისთანა ჭურჭელია, რომ არც ერთს ზემოხსენებულს განსაცდელს თვითონ ვერ უძლებს და ევროპაში ესგვარი ჭურჭელი თითქმის ყველგან ხმარებულია, ამიტომაც იქ, რაც ჭურჭელს აკლია, იმას თვითონ მარანს, ანუ სარდაფს მოსთხოვენ ხოლმე”. *(“ღვინის ქართულად დაყენება”. 1887 წ.).*

“სარდაფს, ანუ მარანს, იმ წინდახედულობით აკეთებენ, რომ საჭირო სითბო-სიცივის ზომაც, სინათლისა, თუ ნესტ-მშრალობისა, _ როცა უნდათ, _ იმ დონეზედ დააყენონ ხოლმე, რა დონესაც დრო და ჰაერის ცვლილება მოითხოვს. ამ სახით იქ მარანს, ანუ სარდაფს, აკეთებენ იმ წინდახედულობით, რომ ღვინის ჭურჭელი ხსენებულს განსაცდელებს მოაშორონ, და ჩვენ კი თვითონ ჭურ-ჭელს ღვინისას ვაყენებთ იმ მდგომარეობაში, რომელზედაც იმ განსაცდელებს ხელი არ მიუწვდებათ”. *(“ღვინის ქართულად დაყენება”. 1887 წ.).*

“ჩვენი კარგი ქვევრი, იმით, რომ თითქმის ქვადქცეულ თიხისაა და მიწაში ჰზის სწორედ, _ იმ სამსახურს გვიწევს, რასაც კარგი სარდაფი, ანუ მარანი ევროპიელს. აბა ყოველი ზემოხსენებული განსაცდელი ჩამოსთვალეთ და ჩვენებურ ქვევრით შენახვას ღვინისას ზედ მიაყენეთ, თუ ყოველს ამაში ჩვენმა ქვევრმა თავი არ დაიჭიროს, არ იმართლოს და ბოჭკაზედ მეტი სიკეთეც სართად არ დაამატოს, ჯერ იმით, რომ ქვევრით გაწყობილი მარანი გაცილებით იეფია, ვიდრე ევროპიული მარანი, რომელიც იმდენად უფრო ძვირია, რამოდენადაც ბევრი განსაცდელია წინ დასანახავი ბოჭკის გამო”. *(“ღვინის ქართულად დაყენება”. 1887 წ.).*

“მეორე ისა, რომ ჩვენი ქვევრი არ იშრობს ღვინოსა და ბოჭკა კი, რაც უნდა კარგად გაკეთებული და ძვირფასი მარანი იყოს, უსათუოდ შეიშრობს და თვეში უკანასკნელად ორჯელ მაინც გადავსებას ჰსაჭიროებს. მესამე ისა, რომ ქვევრი მთელს საუკუნოებსა სძლებს და ბოჭკა კი არა. ესეც დიდი ანგარიშია საეკონომიო საქმეში. ერთი ეს არის, რომ ქვევრიდამ ღვინის ამოღება უფრო ხარჯიანია, უფრო ცოტად თუ ბევრად საზარალოა, როგორც ზემოთ ვსთქვით, ხოლო იგივე ქვევრი, როგორც ღვინის სადუღარი და შესანახი ჭურჭელი, ჩვენის ფიქრით, თუ არა სჯობია ბოჭკას, არაფერში არა ჩამოუვარდება”. *(“ღვინის ქართულად დაყენება”. 1887 წ.).*

“ამ სახით ერთი და იგივე საჭიროება ღვინის შენახვისათვის ჩვენგანაც იმოდენად ცნობილია, რამოდენადაც ევროპაში, და იმოდენადვე დაკმაყოფი-ლებულია, ხოლო სხვადასხვა გზით კი. იქ მარანს აკეთებენ იმისთანას, რომ ღვინის ჭურჭელი განსაცდელს

მოარიდონ, ჩვენ კი თვითონ ჭურჭელს იმისთანას ვაკეთებთ და ისე ვინახავთ, რომ უმარნოდაც არა განსაცდელი არ ერჩოდეს". *("ღვინის ქართულად დაყენება". 1887 წ.).*

- **ყალბი ღვინის კეთება ანუ ბუნებური ღვინის გარდაქმნა**

"რაც შეეხება ადამიანის ოსტატობითა და ხელით ბუნებურ ღვინის გარდაქმნასა, ანუ ყალბის ღვინის შექმნას, რომელსა ჩვენი მეცნიერნი მაინც კეთებას ეძახიან, ამაში კი, უნდა გამოვსტყდეთ, ევროპიელნი უანგარიშო მანძილზედ ჩვენზედ წინ არიან. რაც დღევანდლამდე მეცნიერებას ამ საგნის გამო აღმოუჩენია, სულ ყოველი ხელთა აქვთ ევროპიელთ ოსტატებსა. თუმცა ამ თითქმის ყოვლად შემძლებელმა მეცნიერებამ დიდი ძალ-ღონე მიჰმადლა ყალბის ღვინის ოსტატებს, მაგრამ ამავ პირუთვნელმა მეცნიერებამ გამოაქვეყნა საყოველთავოდ ყოველივე ეშმაკობა, რაც კი ბუნებურს ღვინოს, _ ამ მარგებელს და სასიამოვნოს სასმელს ადამიანისას, _ ჰრყვნის, აფუჭებს და ხშირად სნეულების მიზეზად და ზოგჯერ საწამლავადაცა ჰხდის". *("ღვინის ქართულად დაყენება". 1887 წ.).*

"ღვინოში არის ერთნაირი ნაწევარი, რომელსაც გლიცერინი ჰქვიან. ეს გლიცერინი ისე ცოტაა ღვინოში, რომ ერთს ბოთლზე ერთი მისხალი ძლივს მოდის ხოლმე. რადგანაც ამ გლიცერინს, სხვათაშორის, ის თვისებაცა აქვს, რომ ღვინოს გამძლეობას აძლევს, ამიტომაც ხშირად უმატებენ ხოლმე. გლიცერინი იმ ზომით, რა ზომითაც ბუნებურს ღვინოშია, სრულებით მაწყინარი არ არის, მაგრამ ბოთლს ღვინოში რომ ერთის მისხალის მაგიერ ხუთი იყოს, მაშინ ადამიანს სწყინს და შარდს აკლებს, და თუ ათსა და თერთმეტს მისხალს გადასცილდა, მაშინ იქამდე ვნებს ადამიანს, რომ სისხლის შარდზედაც გაიყვანს. მაგრამ რადგანაც გლიცერინი თურმე გამძლეობას ჰმატებს ღვინოსა, ამიტომაც ერთმა კაცთმოყვარე მეაფთექემ, შეამჩნია რა ეს თვისება გლიცერინისა, დაიწყო გლიცერინით ღვინის შეზავება და კეთება. ამ ვაჟბატონს შეელი ერქვა და ამიტომაც მის სისტემას შეელიზაცია დაერქვა, რათა კაცობრიობას არ დავიწყებოდა ძვირფასი სახელი მისი, ვინც ღვინის გამძლეობის სიყვარულითა ადამიანის მოწამლვასაც არ მოერიდა. ამბობენ, თუ გლიცერინთან ერთად ალკოჰოლიც ჩამატებულია, მაშინ გლიცერინი ისე არა სწყენსო და ამიტომაც მარტო გლიცერინის მიცემა ღვინოში სასტიკად ასაკრძალველიაო". *("ღვინის ქართულად დაყენება". 1887 წ.).*

"გარდა ამისა, არის კიდევ ერთგვარი მჟავე, რომელსაც სალიცინის მჟავეს ეძახიან. ამ მჟავეს ხმარობენ ღვინის გამოსაკეთებლად და გასამძლეოდ. ყოფილმა მინისტრმა საფრანგეთისამ ტირარდმა აკრძალა ამისი ხმარება, რადგანაც მეტად მაწყინარად იცნა ადამიანის აგებულებისათვის, და ეს ბრძანება გამოვიდა თუ არა ბორდოში, იმოდენა ღვინო აღმოჩნდა სალიცილის მჟავით ნაკეთები, რომ მინისტრი იძულებული გახდა პაემანი დაედვა იმ ღვინოების გასასაღებლად, თუმცა მაწყინარად ცნობილნი იყვნენ. ასეთი ძლიერი იყო დრტვინვა და ღაღადი ღვინის ვაჭრებისა, რომ მათმა ჯიბის ინტერესმა სძლია დანარჩენის ერის ჯანმრთელობის ინტერესსა. ამ შეუნდობელმა სისუსტემ მინისტრისამ ღონე მოაკლო მისვე კანონს და სალიცილის მჟავით ღვინის მკეთებელს სასტიკად დევნა ვეღარ დაუწყეს. ზოგიერთი სასამართლოები ამართლებდნენ კიდეც ამაში დამნაშავესა. ხოლო საჰიგიენო კომიტეტმა საფრანგეთში სცნა სალიცილის მჟავის ხმარება უებარ საწამლავად ადამიანის აგებულებისათვის და

პარიჟის პრეფექტმა 23 თებერვალს 1881 წ. გამოსცა მთელის პარიჟისათვის სავალდებულო ბძანება, რომ სალიცილის მჟავე არ იქმნას ხმარებული არც სასმელში რაშიმე, არც ხორაგეულობაში". *("ღვინის ქართულად დაყენება". 1887 წ.).*

"რაკი ალკოგოლის ჩამატებით ღვინოს სიმაგრეს ჰმატებენ და ამ სიმაგრეს ჰმატებენ იმისათვის, რომ ღვინომ წყალის დასხმა აიტანოს, და ამ გზით ერთი ორად იქცეს, თქმა არ უნდა, რომ ღვინო ფერს დაჰკარგავს. ამ ბოროტებას და სიყალბეს ზედ მოსდევს სხვა სიყალბე და ბოროტება, რომელიც იმაზეა მიქცეული, რომ დაკარგული ფერი დაუბრუნონ ღვინოსა და სიყალბე თვალად შესამჩნევი არ იყოს. ამის გამო ღვინოს განგებ ფერავენ. ღვინის დასაფერავად ბევრგვარი წამლებია ევროპაში ცნობილი. ყველაზედ გავრცელებული ეგრეთ წოდებული ფუქსინიაა". *("ღვინის ქართულად დაყენება". 1887 წ.).*

"თითქმის უთვალავია სხვადასხვა ხერხი, სხვადასხვა წამალი, რომლის წყალობითაც ევროპაში ღვინოებს სწამლავენ მუშტარის მოსატყუებლად და მოსაწამლავად და გამორჩომას ანაცვალებენ ერის ჯანმრთელობას". *("ღვინის ქართულად დაყენება". 1887 წ.).*

"აბა რა ქმნას მუშტარმა, როცა ასს სხვადასხვა ღვინოში მარტო ათი ურევია მართალი ღვინო? ზოგი იქნება ისეც მოკვდეს, რომ თავის სიცოცხლეში ამ ათს შემთხვევაში ერთი შემთხვევაც არ ერგოს მართალის ღვინის სყიდვისა და იძულებულია ძალაუნებურად სვას ყალბი და მაწყინარი ღვინო და იწამლოს ნელ-ნელა თავი". *("ღვინის ქართულად დაყენება". 1887 წ.).*

"წყალსა და შაქარს ჰხმარობენ ევროპაში სხვარიგადაც ღვინის გაბევრებისათვის. ეს რიგი გაბევრებისა მოიგონა ლუდვიგ გალლმა და ამიტომაც ამ რიგს, ანუ სისტემას ეძახიან გალლიზაციას. პეტიოს სისტემა მარტო იმაზეა მიქცეული, რომ ერთისა და იმავე ზომის ყურძნისაგან რაც შეიძლება ბლომად წვენი გამოხადოს ღვინის მსგავს სასმელის დასაყენებლად და ამისათვის შაქრის წყალს ჭაჭაზედ ასხამს. გალლის სისტემას კი სხვა საგანიცა აქვს სახეში: ამით გაბევრებასთან თვითონ ღვინის განკარგებაცა ჰსურს და იმავ წამალსა ჰხმარობს. ხოლო განსხვავება ეს არის, რომ გალლი შაქარწყალს უშვრება თვითონ ყურძნის წვენსა და არა ჭაჭასა. იგი არაფრად აგდებს არც სუნს ღვინისას, არც სხვას მის თვისებასა, და მარტო იმაზედა ჰდგას, რომ ყურძნის წვენს მარტო ერთი რამ უნდა მოეთხოვებოდესო, ესე იგი ის, რომ ბევრი სიმჟავე არა ჰქონდეს და საკმაო შაქარი კი უსათუოდაო. როცა ან ერთი მეტია, ან მეორე ნაკლები, მაშინ ცუდი ღვინო დადგებაო და ამიტომაც საჭიროა შაქარწყალი ჩაემატოს ყურძნის წვენსა; ამ გზით ღვინო ბევრდება კიდეცა და უკეთესიც დგებაო". *("ღვინის ქართულად დაყენება". 1887 წ.).*

"თუ სწორედ გვკითხავთ კი, ჩვენებური შამანიც და პეტიოს "პიკეტიც" ორივ ღმერთმა შეინახოს, ორივე ყალბობად მიგვაჩნია თუმცა ჩვენ ის სიმართლე მიგვიძღვის, რომ შამანი ღვინის სახელით გარედ არ გამოგვაქვს გასასყიდად და არავის ვატყუებთ". *("ღვინის ქართულად დაყენება". 1887 წ.).*

- **არყის ხდა ჭაჭისაგან – ღვინის დაყენების თანმდევი პროცესი**

"არყის ხდა ტფილისის გუბერნიაში და ყველგანაც ამიერკავკასიაში ზედ მისდევს ღვინის წარმოებას, რადგანაც აქ არაყსა ხდიან განსაკუთრებით ჭაჭისაგან. ჭაჭისაგან ხდა

არაყისა მით უფრო პატივსადებია და საყურადღებო, რომ ჭაჭა სხვაფრივ არასფერში გამოსადეგი არ არის. ჭაჭიდამ არაყისა თუ სპირტის კეთება ხალხის პირიდამ არ აცლის იმისთანა საზრდოს, როგორც პურია და სხვა ხორბლეული; ამ გზით არყის წარმოებას ბაზრიდამ არ გამოაქვს და არაყად არ აქცევს მას, რაც ხალხისა და ქვეყნისათვის საჭმელად აუცილებლად საჭიროა. მარტო ამ გარემოებას უნდა მიემართა აქაური კანონმდებლობა ბაჟისა, გადასახადის და წესების შედგენის დროს, რომ არყის ხდას ჭაჭისაგან დიდი შეღავათი მისცემოდა, დიდი ფართო გზა, და გაძლიერებულიყო, რადგანაც ჭაჭა, როგორცა ვსთქვით, ხალხისათვის სხვაფრივ გამოუსადეგია და პურისაგან ხდა კი შეევიწროებინა და სრულიადაც დაებრკოლებინა." *("შინაური მიმოხილვა". 1883 წ. ოქტომბერი).*

3.3.2.2. სახალხო მეურნეობის სხვა დარგები

- **მარცვლეულის წარმოება: სიმინდი**

"ჩვენი ხალხი უმთავრეს ნაწილად მეურნეობას მისდევს. მეურნეობა შეადგენს ჩვენის ქვეყნის სიმდიდრეს, ეს არის ჯერ ერთადერთი წყარო შემოსავლისა და ამ შემოსავლით უნდა გაუძღვეს ჩვენი ხალხი ყოველგვარ საქვეყნო და შინაურ ხარჯსა." *("პურეულის ყიდვა სამხედრო უწყების მიერ". 1887 წ. 16 მაისი).*

"სიმინდი ჩვენს ქვეყანაში საერთოდ და იმერეთში საკუთრივ ერთი იმისთანა სარჩოა, რომელსაც, გარდა იმისა, რომ ერთი თავის საკვებად ჰხმარობს, ჰყიდის კიდეც და ამით თავის ყოველდღიურ საჭიროებას უძღვება." *("სიმინდის საქმე იმერეთში". 1891 წ. 9 ნოემბერი).*

"მოუსავლობამ ევროპაში და ნამეტნავად სიმშილმა რუსეთში საკმაოდ ასწია ფასები სიმინდისა და აგვისტოს და სექტემბრის თვეში. ამ თვეებში ფუთი სიმინდი იყიდებოდა სამ აბაზად, სამ აბაზ-უზალთუნად და ზოგან ოთხი აბაზამდენაც ავიდა, ნამეტნავად ჩვენის რკინისგზების ახლომახლო ადგილებში." *("სიმინდის საქმე იმერეთში". 1891 წ. 9 ნოემბერი).*

"გატყვრა უეცრად განკარგულება, რომლის ძალითაც აკრძალულ იქმნა, პურის ხორბლის გარდა, ყოველ სხვაგვარ ხორბლეულობის საზღვარგარეთ გატანა." *("სიმინდის საქმე იმერეთში". 1891 წ. 9 ნოემბერი).*

"რა თქმა უნდა, ამგვარი განკარგულება გამოიწვია შიდა-რუსეთის გუბერნიების სიმშილმა და ამ მხრივ ხსენებულს განკარგულებას საკმაოდ პატივსადები მიზეზი აღმოუჩნდა. ხოლო ჩვენებური მიწისმომქმედი ამ განკარგულებამ დიდს განწირულობაში ჩააგდო. სიმინდის ფასი ამ განკარგულების უმალვე დაეცა და ეხლა ამბობენ იმერეთში ექვსს და ხუთ შაურად ძლივსა ჰშოულობს მუშტარსაო." *("სიმინდის საქმე იმერეთში". 1891 წ. 9 ნოემბერი).*

"თუ სახეში მივიღებთ, რომ წელს მოსავალი სიმინდისა არ იყო ურიგო, რომ ძირს დაწეულ ფასადაც ბაზარს ვეღარ ჰშოობს ჩვენებური სიმინდი, ადვილად წარმოვიდგენთ, რამოდენს ზარალში არიან ჩაცვივნულნი აქაური სიმინდის პატრონები. საოცარი ეს არის: რუსეთში სიმშილია, ხალხი საჭმელად თითქმის ბალახსა ჰხმარობს, აიკრძალა გარეთ გატანა საიმინდისა მარტო იმ მიზეზით, რომ შინაც საჭიროა, და აქ ამოდენა სიმინდი

თითქმის ჩალის ფასადაც არავის მიაქვს, მიაწოდონ დამშეულს ხალხსა." *("სიმინდის საქმე იმერეთში". 1891 წ. 9 ნოემბერი).*

"რით უნდა აიხსნას ამისთანა საოცარი ამბავი? ვის უნდა დაჰბრალდეს ესეთი ყოფა საქმისა, რომ ერთს ადგილას სიმშილი მუსრს ავლებდეს ხალხს და იქავ, თითქმის გვერდით, თითქმის მეზობლად, სარჩო იმოდენა იყოს, რომ არ იციან სად და როგორ გაასაღონ?" *("სიმინდის საქმე იმერეთში". 1891 წ. 9 ნოემბერი).*

"ჩვენში მოსავალი პურისაც კარგი იყო, კარგა ბლომად პური ჰდევს ჩვენში უქმად, ეძებენ მუშტარს და ვერა ჰშოულობენ, და აქავ გვერდით-კი, ვიმეორებთ, თვალთუწვდენს მანძილზე სიმშილია!.. ესეთი საოცარი ვითარება საქმისა დაუჯერებელია, თუმცა მართალზე მართალია." *("სიმინდის საქმე იმერეთში". 1891 წ. 9 ნოემბერი).*

"სად არის მიზეზი ამისთანა უთაურობისა, ამისთანა უთავბოლობისა? სანატრელია დაუკვირდეს ვინმე ამ საკითხს და ჭეშმარიტი პასუხი მისცეს. ვის მოუვა ფიქრად წარმოიდგინოს, რომ ერთგან სარჩო იყოს და მუშტარს ვერა ჰშოობდნენ და იქავ გვერდით სიმშილი იყოს და სარჩოს ვერა ჰპოულობდნენ. გამოდის, რომ სიმინდის გარეთ გატანის აკრძალვამ ვერც დამშეულთ მიაწოდა სარჩო და სარჩოს პატრონებიც თითქმის ცარიელზედ დასხა." *("სიმინდის საქმე იმერეთში". 1891 წ. 9 ნოემბერი).*

"ესე არ იქცევიან სხვაგან. მაგალითებრ, გერმანიამ თითქმის არც-კი იცის, რა არის სიმინდი, მაგრამ წლევანდელმა გაჭირებულმა წელიწადმა იძულებულ ჰყო ამ სახის სარჩოსათვის ყურადღება მიექცია." *("სიმინდის საქმე იმერეთში". 1891 წ. 9 ნოემბერი).*

"საქმე იმაშია, რომ რაკი რუსეთმა აკრძალა ჭვავის პურის გატანა საზღვარგარეთ, გერმანია, რომელიც თითქმის ამ სახის პურით იკვებება და რომელსაც წელს მოსავალმა ხელი არ მისცა, დიდს გაჭირებაში ჩავარდა. რომ როგორმე გამოიხსნას თავი ამ გაჭირებიდან და ხალხს სახსარი მისცეს თავი გამოიკვებოს, შეუდგა იმის ცდას, რომ ხალხი როგორმე სიმინდს შეაჩვიოს." *("სიმინდის საქმე იმერეთში". 1891 წ. 9 ნოემბერი).*

"მით უფრო საიმედო იყო ამ გზაზე დადგომა, რომ ჩრდილო-ამერიკაში, საცა სიმინდი ყოველთვის მოჰყავთ, წელს საკმაო მოსავალი იყო სიმინდისა და იქიდამ ზიდვა სიმინდისა ჭვავზე და სხვა ხორბალზე იეფად ჯდება. არც თვითონ ამერიკელებმა მოუყრუეს ყური ამისთანა ამბავსა. ან როგორ მოუყრუებდნენ, რომ ყოველს წელიწადს რამდენიმე ასი მილიონი ფუთი სიმინდი მოჰყავთ და გასაღება ამოდენა სარჩოსი ხუმრობა ინტერესს არ შეადგენს ჩრდილო-ამერიკისათვის." *("სიმინდის საქმე იმერეთში". 1891 წ. 9 ნოემბერი).*

"მაშინვე აფრინეს აქედამ გერმანიაში კაცი და დაავალეს, ხალხში სახელი გაუთქვას სიმინდს იმ აზრით, რომ ჭვავის პურის მაგიერ ხალხმა საჭმელად სიმინდი იხმაროს და ამ სახით ამერიკის დიდძალს სიმინდს ბაზარი გაუხსნას." *("სიმინდის საქმე იმერეთში". 1891 წ. 9 ნოემბერი).*

"გაიმართა სიმინდის საჭმელად ვარგისობის თაობაზედ დიდი ლაპარაკი და ჰო-არაობა გერმანიის ჟურნალ-გაზეთობაში. მთავრობამაც მიიღო მონაწილეობა საქმის ვითარების გამოსარკვევად. სამიწათმომქმედო სამინისტრომ მიანდო ერთ თავის წევრს, გამოჩენილს პროფესორს ტილლს, გამოძიება ამ საქმისა. ამ მოკლე ხანში პროფესორმა ტილლმა ბერლინის სახელოსნო საზოგადოებაში თავისი ნაკვლევი წარადგინა ამ საგანზედ. პატივცემულმა პროფესორმა ჯერ ის აღნიშნა, რომ დღესაც სიმინდი მეტად გახშირებული პურის მაგიერი საჭმელია ბევრგანაო. ჩრდილო და სამხრეთი ამერიკა,

ვენგრია, რუმინია, იტალია, და ჩვენ დავუმატებთ საქართველოსაც, სიმინდის პურს ჩვეულს არიან." *("სიმინდის საქმე იმერეთში". 1891 წ. 9 ნოემბერი).*

"ქიმიურად გამოძიებამ დაუმტკიცა პროფესორსა, რომ ამ სიმინდში ასში ოთხმოცდათერთმეტი ნაწილი (91%) ადვილად მოსანელებელია და თითქმის იმოდენადვე ნოყიერია, რამოდენად ჭვავი და პური, მაშინ, როდესაც ერთი-ორად ამაებზე იეფიაო. კარტოფილს-კი რომ შევადაროთ, სიმინდი ერთი-ოთხად უფრო ნოყიერიაო. ერთმა შეჰნიშნა, რომ სიმინდმა ერთნაირი სნეულება იცისო, რომელსაც იტალიაში "პელაგრას" ეძახიან, და ამაზე პროფესორმა უპასუხა, რომ თუ უწმინდურად და დაუდევნელად მზადდება სიმინდი, მაშინ ეგ სენი მოსდევსო, მაგრამ თუ კარგად დაფქვილია და კარგად გამომცხვარი, არავითარი წყენა არ იცისო. თუ რამ აბრკოლებს სიმინდის საჭმელად ხმარებას ჩვენშიო, _ სთქვა ბოლოს პროფესორმა, _ ეგ ისა, რომ ჩვენ ჩვეულნი არა ვართ და როგორც ახალი საჭმელი გვეხამუშებაო." *("სიმინდის საქმე იმერეთში". 1891 წ. 9 ნოემბერი).*

"გერმანიისათვის, რასაკვირველია, მეტად სასარგებლოა, თუ მოახერხა როგორმე ხალხი შეაჩვიოს სიმინდსა. მაშინ იგი ასე დამოკიდებული არ იქმნება რუსეთზე პურისა და სხვა ხორბლეულობის გამო, როგორც დღეს არის ეს დამოკიდებულობა გერმანიას ძვირად უღირს და ამიტომ ეჭვი არ არის, მთავრობა გერმანიისა ყოველს ღონისძიებას იხმარს, რომ სიმინდმა ჭვავისა და სხვა პურის მაგივრობა გაუწიოს." *("სიმინდის საქმე იმერეთში". 1891 წ. 9 ნოემბერი).*

"პირველი და უმთავრესი ამაში ის არის, რომ სიმინდი ერთი-ორად იეფად დაუჯდება და მეორე ისა, რომ ამერიკიდამ დაიწყებს ზიდვას და რუსეთის პურის შემაცქირალი აღარ იქნება." *("სიმინდის საქმე იმერეთში". 1891 წ. 9 ნოემბერი).*

"ეს პოლიტიკური და ეკონომიური მნიშვნელობა სიმინდისა გერმანიისა და ამერიკისათვის ჩვენთვის არაფერი ხელმოსაჭიდებელია. ჩვენ ეს ამბავი იმიტომ მოვიყვანეთ აქ, რომ აღგვენიშნა, რამოდენად შეუძლიან სიმინდს პურის მაგიერობა გაუწიოს ადამიანს. ხსენებულ პროფესორის გამოკვლევა ამტკიცებს, რომ სიმინდი, თუ კარგად მომზადებულია, ჭვავსა და სხვა პურზე ნაკლებ ნოყიერი არ არის. მაშასადამე, უფრო საკვირველი უნდა იყოს ის ამბავი, რომ აქაურს სიმინდს მუშტარი არ უჩნდება რუსეთში, საცა სიმშილმა იქამდე მიიყვანა საქმე, რომ ზოგიერთი რუსეთის გაზეთები სწუხან, ჩვენს ტყეებში დიდი ძალი კრკო იღუპება უქმადაო, მაშინ, როდესაც შესაძლოა ხალხს საჭმელად გამოადგესო. ტყეში კრკოს ძებნას, აქავ რომ სიმინდი მზად არის, ამას რა სჯობია." *("სიმინდის საქმე იმერეთში". 1891 წ. 9 ნოემბერი).*

"არ ზიდვა რუსეთში ჩვენის სიმინდისა, თუ პურისა, სხვა არაფრით აიხსნება, რომ საზიდავი ღონე არ არის: რკინისგზები და გემები საერთოდ, და ჩვენში საკუთრივ, ისე ვერ არის განკარგული, რომ ზიდვა ახერხოს საკმაო სავსებით." *("სიმინდის საქმე იმერეთში". 1891 წ. 9 ნოემბერი).*

"რა თქმა უნდა, რაც ხანი გაივლის, სიმშილი რუსეთში ახალ მოსავლამდე გაძლიერდება და მაშინ, გინდათ თუ არა, მოიხედვენ ჩვენსკენაც და, ვისიც ჯერ არს, იმის ყურადღებას მიიქცევს ამ უგზო-უკვლობის წამალის დასადებად." *("სიმინდის საქმე იმერეთში". 1891 წ. 9 ნოემბერი).*

"დღეს ზამთარი კარზე მომდგარია და ამისთანა დროს ერთობ რუსეთის რკინის და ზღვის გზები უიმისოდაც ბევრგან შეიკვრის და ბრკოლდება ხოლმე, და მაშასადამე, ისეც უღონონი აქამდის, ეხლა უფრო უღონონი არიან. გაზაფხულმა რომ სხვა არა მოიტანოს-

რა, იმას მაინც იზამს, რომ რუსეთში ზღვის და წყლის გზები გაიხსნება და რკინისგზებსაც დაბრკოლება არ ექმნება თოვლისაგან. გარდა ამისა, თვით პურის უქონლობა რუსეთში უფრო გაძლიერდება, რადგანაც ჯერ კიდევ ხალხს ცოტაოდნად შერჩენილი აქვს წლევანდელი მოსავლის პური და რამდენი ხანიც გავა, იმოდენად დაელევა. ეს გარემოება უსათუოდ იძულებულ ჰყოფს რუსეთის მუშტარს აქ ჩვენში სიმინდი და პური იყიდოს. ამიტომ იმედია, რომ გაზაფხულზე სიმინდი და პური საკმაოდ აიწევს ფასში. ჩვენ ვურჩევთ, ვისაც შეუძლიან, ნუ ჰყიდის ჯერ ჭირნახულსა, იმიტომ რომ ამით დამშეულებს ვერ უშველიან, რადგანაც ეხლა მარტო წურბელა-ვაჭრები ჰყიდულობენ, რომ იეფად ნაყიდი, მერე მამასისხლად მიჰყიდონ გაჭირვებულებს. აქ ერთი-ორად ზარალია: ჰზარალობს ჭირნახულის პატრონი, რადგანაც ეხლა იეფად იძულებულია ჰყიდოს, ჰზარალობს გაჭირებულიც, რომელიც შემდეგში იძულებულ იქნება უფრო მამასისხლად იყიდოს პური ვაჭართაგან, ვიდრე პირდაპირ ჭირნახულის პატრონთაგან. ისევ ის სჯობია, ლუკმა გავარდეს და ჯამში ჩავარდეს, ვიდრე სიხარბით პირდაღებულ ვაჭარს პირი გაუვსოს." *("სიმინდის საქმე იმერეთში". 1891 წ. 9 ნოემბერი).*

- **მესაქონლეობა**

"საძოვრების საქმის დაულაგებლობა, მოუწყობლობა, ერთი უდიდესი ნაკლია ჩვენის საეკონომიო ყოფა-ცხოვრებისა. ამისთანა ადგილას, როგორიც ჩვენი ქვეყანაა, საცა ჰავა, ამინდი, ნებას აძლევს კაცს საქონელი გამოჰკვებოს თითქმის მთელს ზამთარ-ზაფხულს გარეთ მინდორში, ეს ნაკლი ძლიერ უნდა უშლიდეს მიწათმომქმედსა და დიდს ზიანს აძლევდეს. ეს ნაკლი ისე საგრძნობელი არ არის მუშა-საქონლის გამოკვებისათვის, თუმცა აქაც-კი მიზეზად ედება მრავალს დავიდარაბას, ჩხუბსა და ვაი-ვაგლახსა. მუშა-საქონელი, რომელიც ყოველდღე ხელში უჭირს მიწათმომქმედსა, შინვე სოფელში ისე თუ ასე იკვებება. ამისათვის ზამთარ-ზაფხულს სოფლის თავისუფალი მიწებია და ამ მიწებზედ საქონელი იოლად მიდის." *("ჩვენი მესაქონლეობის საჭიროებანი". 1887 წ. 27 მაისი).*

"გაჭირების დროს საქონლის პატრონები ტყესაც არა ჰზოგავენ ხოლმე და თუ ზამთარი მეტად გაუძნელდათ და საჭმელზედაც ნაკლებ არიან, ნეკერს უკაფავენ და ისე გამოჰყავთ პირუტყვი. ეს მეტისმეტად მავნებელი ჩვეულება ტყეს ძალიან აზარალებს და ამიტომაც ამ ბოლო ხანებში ნეკერს აღარავინ აჭრევინებს ტყეში. ამ მხრივ, როგორც სახელმწიფო ტყეები, ისეც საბატონონი, შეკრულია, ნამეტნავად იმ ადგილებში, საცა მებატონე დღევანდელს კვერცხს ხვალინჯდელ ქათამს არ ამჯობინებს და იმ განძს, რომელსაც ტყე წარმოადგენს, ხველინდელ დღისათვის ინახავს და უფრთხილდება." *("ჩვენი მესაქონლეობის საჭიროებანი". 1887 წ. 27 მაისი).*

"მაშასადამე, აქ კაცმა სხვა წყაროს უნდა მიჰმართოს ცხოვრების მოსაპოებლად. ასეთს წყაროს თვით იქაური ბუნება უჩვენებს." *("ჩვენი მესაქონლეობის საჭიროებანი". 1887 წ. 15 ივნისი).*

"მთებში მშვენიერი საძოვრები, იალაღებია, რომელიც ხელს უწყობს საქონლის მოშენებასა, ამიტომ ამ ადგილებში ხალხი საქონლის მოშენებას, მეტადრე ცხვრისას მისდევს და ეს შეადგენს ერთს უმთავრესს წყაროს იქაურ გლეხის კეთილდღეობისას." *("ჩვენი მესაქონლეობის საჭიროებანი". 1887 წ. 15 ივნისი).*

"ასეა თუ ისე, მუშა-საქონელი და ორიოდე მოცადი ზამთარ-ზაფხულს შინვე გამოდის მით უფრო, რომ საზამთროდ პატრონი, ცოტაა თუ ბევრი, საჭმელს

ზაფხულშივე უგროვებს და საზამთროდ უნახავს.” *(“ჩვენი მესაქონლეობის საჭიროებანი”. 1887 წ. 27 მაისი).*

“საძოვრების მოუწყობლობა სრულად ხელს უშლის დიდის საქონლის პატრონებს, ვისაც ცხვარი, ძროხა, ცხენის ჯოგი ჰყავს და ვინც, ერთის სიტყვით, საქონლის მოშენებას და გამრავლებას მისდევს. ამისთანანი ჩვენში ბევრნი არიან და ზოგიერთგან იმისთანა გლეხობაა, რომ მარტო საქონლის მოშენებაღა აქვთ ცხოვრების წყაროდ.” *(“ჩვენი მესაქონლეობის საჭიროებანი”. 1897 წ. 27 მაისი).*

“ამ დიდძალ საქონლის მოსატრიალებლად ჩვენებურს სოფელს საკმაო ადგილი არა აქვს არც შინ, არც გარეთ, არც ზამთრობით, არც ზაფხულობით. რადგანაც ამისთანა საქონელს დიდძალი საჭმელი უნდება გამოსაკვებავად და სათიბის უქონლობის გამო ამ საჭმლის წინასწარ მოგროვება შეუძლებელია, და რადგანაც ჩვენის ქვეყნის სხვადასხვა ადგილების ჰავა და ამინდი ნებას აძლევს კაცს მთელი ზამთარ-ზაფხული გარეთ ჰკვებოს საქონელი, _ ამიტომაც ჩვენებური მოსაშენ საქონლის პატრონები ზამთრობით ყიშლაღებზედ გარეკენ ხოლმე საქონელსა საძოვრად და ზაფხულობით იალაღებზედ.” *(“ჩვენი მესაქონლეობის საჭიროებანი”. 1887 წ. 27 მაისი).*

“ამ იძულებულ წასვლა-მოსვლაში დიდძალი ხარჯი უნდებათ. ხარჯს კიდევ როგორმე გაუძლებდნენ, რომ ამ ხარჯის გაღებაში რაიმე წესი და რიგი იყოს. ჭირი ის არის, რომ საქონლის პატრონმა არ იცის, სად რა ხარჯი მოელის, ვის როგორ უნდა გაუძღვეს.” *(“ჩვენი მესაქონლეობის საჭიროებანი”. 1887 წ. 27 მაისი).*

“დაიძვრის თუ არა, მაგალითად, ქიზიყიდამ საქონელი და წამოვა თრიალეთისაკენ, ჯერ რამდენი ცალკე მეპატრონეთა მამულები უნდა გადმოლახონ. ყველა თავისას ითხოვს და ყველას თვითოეულად გაძღოლა უნდა გზადაგზა სხვადასხვა ზომით და სხვადასხვანაირად. ვინც იცის, რამდენ ნაჭრად დაყოფილია ხოლმე ერთ პატარა მანძილზედ მამულები მონაწილეთა შორის, ის ადვილად მიხვდება, რა წეწვა-გლეჯაში უნდა იყვნენ საქონლის პატრონები, როცა ან გაზაფხულზე იალაღზედ მიდიან, ან შემოდგომაზედ _ ზამთრის საძოვრებზედ.” *(“ჩვენი მესაქონლეობის საჭიროებანი”. 1887 წ. 27 მაისი).*

“ეხლა ამას ზედ დაართეთ ხიდებზედ გასატარებელი ბაჟი, გზატკეცილისათვის დაწესებული გადასახადი, საძოვრის სახდელი ფული, რომელიც ყოველს წელს ჰმატულობს, და მაშინ წარმოიდგინეთ, რომ ჩვენში მოსაშენ საქონლის ყოლა და შენახვა უფრო სახელისათვის არის, ვიდრე სახრავისათვის.” *(“ჩვენი მესაქონლეობის საჭიროებანი”. 1887 წ. 27 მაისი).*

“დიდად საჭიროა, რომ კანონმდებლობამ ამ უნუგეშო ყოფას საქონლის პატრონებისას ყურადღება მიაქციოს, წესი და რიგი რამ ჩამოაგდოს, თორემ ეს კარგა მოზრდილი წყარო ჩვენის ერის ცხოვრებისა თანდათან უკან დაიწევს და გაშრობამდე მივა.” *(“ჩვენი მესაქონლეობის საჭიროებანი”. 1887 წ. 27 მაისი).*

“თქმა არ უნდა, რომ დიდად ძნელი რამ არის ერთს განსაზღვრულს წესს დაუქვემდებაროს აქ კაცმა საქმე, მაგრამ რაც შესაძლოა, ის კი უსათუოდ უნდა მოხდეს და დადგინებულ იქმნას.” *(“ჩვენი მესაქონლეობის საჭიროებანი”. 1887 წ. 27 მაისი).*

“ჩვენის ფიქრით, დიდი შეღავათი იქნება საქონლის პატრონებისათვის, რომ საქონლის სასიარულო გზები აიხსნას ყოველის გადასახადისა და ბაჟისაგან, და თუ აქ შეუძლებელია რაიმე წესი და რიგი დაიდვას კერძოდ სამფლობელო მამულების შესახებ, ხაზინამ მაინც დაუთმოს რამ იმოდენა მაინცა, რომ შესაძლოდ იქმნას საქონლის ყოლა და შენახვა.” *(“ჩვენი მესაქონლეობის საჭიროებანი”. 1887 წ. 27 მაისი).*

“მაინცდამაინც ამ საქმეს ყურადღებით დაკვირვება უნდა, და საიდამაც მოევლება, უნდა მოევლოს.” *(“ჩვენი მესაქონლეობის საჭიროებანი”. 1887 წ. 27 მაისი).*

“უამისოდ გაჭირდა საქონლის ყოლა და ეს საკმაოდ დიდი სახსარი ცხოვრებისა ჭლამის გაქარწყლდეს.” *(“ჩვენი მესაქონლეობის საჭიროებანი”. 1887 წ. 27 მაისი).*

“აღმოსავლეთ საქართველოში ბევრია იმისთანა ადგილები, სადაც სახნავ-სათესი მიწები ისე ნაკლებად არის, რომ კაცი მიწის მუშაობით საცხოვრებელს ვერ იშოვნის. ამისთანა ადგილებია, მაგალითად, ჩვენს მთებში, თუშეთ-ფშავ-ხევსურეთში, სადაც უშველებელ კლდე-ღრეებში აქა-იქ თუ შეჰხვდებით თითო ბოხჩა ადგილებს, სახნავ-სათესად გამოსადეგს და გამოსარჩომსა. ბ-ნი მ. მაჩაბელი თავის გამოკვლევაში _ Vfnthbfks lkz bpextybz ərjy. ,snf ujcelfhcndtyys[rhtcnmzy> n. 5 cnh. 256 _ ამბობს, რომ თიანეთის მაზრაში ისეთი ადგილებია, სადაც ოთხმოციოდე დესეტინა სახნავი მიწა გაფანტულია რამდენისამე ათის ვერსტის მანძილზე, მთებსა და კლდე-ღრეებს შორისო. ასე გაფანტული სახნავ-სათესი მიწა, რასაკვირველია, არაფერი განძია, პურს ვერ აჭმევს, ვერ გამოჰკვებს მთელს მაზრას. ხვნა-თესვით აქ კაცი ვერას გახდება, მისი ნაწარმოები ცხოვრების საზრდოს ვერ მისცემს.” *(“ჩვენი მესაქონლეობის საჭიროებანი”. 1887 წ. 15 ივნისი).*

“მაგრამ საქონლის მოშენება ადვილი საქმე არ არის, საქონელს მუდამ უკან დევნა და ერთის ადგილიდამ მეორეში გადაყვან-გადმოყვანა უნდა. მთებში ზამთარი ადრე იწყება, 6-7 თვის განმავლობაში თოვლი სძევს, _ საქონლის შენახვა აქ აღარ შეიძლება და პატრონმა ბარში უნდა ჩამოიყვანოს. და აი საქონლის პატრონს მთელს ზამთარს შირაქის მინდვრებში, ივრის ხეობაზე და სხვა ადგილებში გამოჰყავს საქონელი. დადგება ზაფხული, სიცხეებში საქონელი ბევრს ვეღარ აიტანს და პატრონმა ხელახლად ისევ უნდა მთაში გარეკოს საქონელი.” *(“ჩვენი მესაქონლეობის საჭიროებანი”. 1887 წ. 15 ივნისი).*

“თუშ-ფშავ-ხევსურები თავიანთ მთაშიაც ცოტაოდნად იოლად მიდიოდნენ, მაგრამ ამ ბოლოს დროს აქაც საძოვარი ადგილები ძლიერ შეცოტავდა, და ამიტომ ყარსის, დაღესტანის მთებისკენ, თრიალეთსა და, უკანასკნელ ხანებში, ვლადიკავკასისკენაც დაიწყეს საქონლის გარეკვა საზაფხულოდ.” *(“ჩვენი მესაქონლეობის საჭიროებანი”. 1887 წ. 15 ივნისი).*

“ამ სახით, საქონლის პატრონი წელიწადში ორჯერ მთებითგან ბარში უნდა გაემგზავროს და ბარიდამ მთებში. და რადგან ჩვენში ხეირიანი გზები არსად არის, და თუ არის, ხეირიან რიგსა და წესს ძნელად შეჰხვდებით ამ გზებზე, ამიტომ ძლიერ დიდს შეწუხებას ვლის გადასვლა-გადმოსვლაში როგორც საქონლის პატრონი, ისე თვით საქონელიც.” *(“ჩვენი მესაქონლეობის საჭიროებანი”. 1887 წ. 15 ივნისი).*

“დღეს ნებას არავინ მისცემს, რომ მის მამულში საქონელი შეჰრეკო და უფულოდ აძოვო. უწინდელი შარაგზები ბევრს ადგილას გზატკეცილებად გადაკეთდა, სადაც საბაჟოებია დაწესებული და უბაჟოდ არავის ატარებენ. სადაც ჯერ გზატკეცილები არ არის, სოფლებს და კერძო მემამულეთ დაუჩემებიათ გზები და გზად მიმავალს საქონელს უმახტოდ არ აძოვებინებენ.” *(“ჩვენი მესაქონლეობის საჭიროებანი”. 1887 წ. 15 ივნისი).*

“ამ უკანასკნელს წლებში დიდძალი საქონელი და მეტადრე ცხვარი მიუდით ყარსისკენ თუშ-ფშავ-ხევსურეთ-კახეთიდგან ყოველს ზაფხულსა. რასაკვირველია, კარგი იქნებოდა, რომ ეს საქონელი გზატკეცილებზე გაეტარებინათ, მაგრამ ამ გზაზე იმოდენა ბაჟია დაწესებული, რომ ცხვრის პატრონი ვერ აუვა ამ გადასახადსა. მაგალითად, კახეთიდამ მომავალ ცხვარზე, პატრონმა, მანგლისის გზატკეცილზე, 60 ვერსტის მანძილისა, უნდა გადაიხადოს ას ცხვარში 3 მანეთი; კახეთის სახელმწიფო გზაზე ამაზე

უფრო მეტი გადასახადი ერთმევათ. გარდა ამისა, მახტა დეწესებულია ივრის, მტკვრის, ქალაქში, და ალგეთის ხიდზე, ასე რომ მარტო კახეთიდამ მანგლისამდე ასის ცხვრის გადალალვა ბარიდამ მთაში 10-12 მანეთამდე უჯდება, ანუ თითო შუათანა ცხვრის-ფარის პატრონს მარტო გზა უჯდება ოც თუმნამდე. ვინც-კი იცის, რა შემოსავალი მოაქვს ცხვარსა, ის ადვილად მიჰხვდება, რომ ამოდენა ხარჯს ვერ აუვა საქონლის პატრონი. სწორედ ამ მიზეზის გამოც საქონლის პატრონი ერიდება დიდს გზებსა, და უგზო-უკვლოდ, ტყე-ღრეებზე, კერძო მემამულეების მიწა-წყალზე, მიუდის საქონელი." *("ჩვენი მესაქონლეობის საჭიროებანი". 1887 წ. 15 ივნისი).*

"წინათ საქონლის პატრონს ხმას არავინა სცემდა, მაგრამ დღეს, როცა მამულის პატრონებმაც ანგარიში ისწავლეს, საქონლის პატრონებს ხელი მოუჭირეს და უსასყიდლოდ თავიანთ მიწა-წყალზე აღარავის ატარებენ. თითქმის ყველას, ვის მამულზედაც საქონელმა უნდა გაიაროს, მეველეები უჭირავთ და საქონელს გზას უკრავენ, ან, თუ გზას მისცემენ, გადასახადს ართმევენ. თუმცა არიან ისეთი მამულის პატრონები, რომელნიც უწესოებას სჩადიან და უსამართლოდ ექცევიან საქონლის პატრონს, მაგრამ, რასაკვირველია, ბევრნი ისეთიც არიან, რომ საქონელს გზას არ აძლევენ თავიანთ მიწა-წყალზე, რადგანაც საქონელი ხშირად ნათესებში გადადის და მოსავალს ახდენს. ამ შემთხვევაში, საქონლის პატრონს უფრო მეტს გადასახადს ართმევენ. ასეთ გადასახადის გამორთმევა-კი უჩხუბოდ და უდავიდარაბოდ არ ჩაივლის ხოლმე. ამიტომ ზაფხულში, დაიძვრება თუ არა საქონელი ბარიდამ მთებში წასასვლელად, წამდაუწუმ გვესმის, ამა და ამ ადგილას ჩხუბი, თავ-პირის მტვრევა და ხშირად კაცისკვლაც მოხდაო." *("ჩვენი მესაქონლეობის საჭიროებანი". 1887 წ. 15 ივნისი).*

"კერძო მემამულეების გარდა საქონლის პატრონებს ჩხუბს უმართავენ სოფლელებიც, რომელთ მამულებზე საქონელი გაივლის ხოლმე. მეტადრე დიდს შეწუხებას ვლიან საქონლის პატრონები მანგლისის ახლომახლო სოფლებისაგან, რომელნიც გზებს ჩემულობენ და საქონლის პატრონებისაგან გადასახადს თხოულობენ." *("ჩვენი მესაქონლეობის საჭიროებანი". 1887 წ. 15 ივნისი).*

"ასეთი უწესობა დიდს შეწუხებას აყენებს და ზარალსაც ბევრს აძლევს საქონლის პატრონს. ამიტომ ურიგო არ იქნებოდა, ყურადღება მიექციათ ამ საქმისთვის და გზატკეცილებზე დაწესებული ბაჟი გზად მიმავალ საქონელზე სრულიად გადაეგდოთ; ან თუ ეს არ შეიძლება, ცოტად მაინც შეემსუბუქებინათ ეს გადასახადი და ამით შეღავათი მიეცათ საქონლის პატრონებისთვის." *("ჩვენი მესაქონლეობის საჭიროებანი". 1887 წ. 15 ივნისი).*

"ძალიან კარგი იქნებოდა, რომ ერთხელვე გადაწყვეტილიყო და ყველას სცოდნოდა, _ აქვთ ნება სოფლებს დაიჩემონ ის გზები, რომელიც იმათ ახლო მიდის, და მახტა აიღონ გზად მიმავალ საქონელზე, თუ არა. ამით საქონლის პატრონსაც შეღავათი მიეცემა, რომ თავის საქმე უკეთესად წაიყვანოს, და ბევრს უწესობას, კაცისკვლასაც, ბოლო მოეღება." *("ჩვენი მესაქონლეობის საჭიროებანი". 1887 წ. 15 ივნისი).*

- **ბამბის საქმე**

"რუსეთში დიდძალი ფაბრიკები და ქარხანებია ბამბეულობის საქონლის საფეიქროსი. თანხა, რომელსაც ამ საქმეში რუსეთი ყოველწლივ ატრიალებს, რამდენსამე ასს მილიონს მანეთს იჭერს. ამ ბამბეულობის საქონლის საფეიქრო ფაბრიკებსა და

ქარხანებსა რამდენიმე ასი ათასი მუშაკაცი უნდება. მაშასადამე, ესგვარი საფაბრიკო მრეწველობა ინახავს და ჰკვებავს რამდენსამე ასი ათას მუშაკაცს თავის სახლეულობითა და ცოლ-შვილითა. აქედამა სჩანს, რა დიდი მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს საერო ეკონომიისათვის და სახელმწიფო ინტერესისათვის ამგვარს მრეწველობასა." *("ბამბის მოყვანის საქმე და ბაზრის საკითხი". 1887 წ. 8 იანვარი).*

"ხოლო სხვა მხრითაც მეტად საზრუნველია და საფიქრებელი ეგ მრეწველობა რუსეთისათვის. საქმე ის არის, რომ თვითონ მასალა ამ ფაბრიკებისათვის, ე.ი. ბამბა, რუსეთს სამზღვარგარეთიდამ შემოაქვს და ამის გამო ეს უშველებელი მრეწველობა რუსეთისა სხვა ქვეყნებზეა დამოკიდებული. რუსეთი ბამბას სამ-ზღვარგარედ ჰყიდულობს და ამ გზით სამზღვარგარეთს ყოველწლივ თითქმის 75 მილლიონი მანეთი ოქროს ფული გააქვს რუსეთიდამ." *("ბამბის მოყვანის საქმე და ბაზრის საკითხი". 1887 წ. 8 იანვარი).*

"ეს გარემოება არამც თუ ავნებს ეგრედ წოდებულს "სავაჭრო ბალანსს" (სავაჭრო ბალანსი იმას ჰქვიან, როცა შეწონილია შემოტანილის და გატანილის საქონლის ფასი, და თუ შემოტანილისა აღემატება გატანილისას, მაშინ ამბობენ, ბალანსი საზარალოაო) რუსეთისას, არამედ თვით ვექსილის კურსსაც აფოლებს და ამ მხრით ვნება მოაქვს სახელმწიფო ინტერესებისათვისაც." *("ბამბის მოყვანის საქმე და ბაზრის საკითხი". 1887 წ. 8 იანვარი).*

"დღეს ამ ბამბის თაობაზე ლაპარაკია ატეხილი იმ აზრით, რომ რუსეთმა როგორმე თავისი საკუთარი ბამბა გაიჩინოს და იქონიოს. საქართველო საკუთრივ, ამიერკავკასია საერთოდ, და შიდა აზია, საცა ეხლა რუსეთს უზარმაზარი ადგილები უპყრია, ასეთი ქვეყნები არიან, რომელთაც ჰავა, ადგილმდებარეობა და თვითონ ადგილი ხელს უწყობს ბამბის მოყვანისათვის." *("ბამბის მოყვანის საქმე და ბაზრის საკითხი". 1887 წ. 8 იანვარი).*

"ბამბა ძალიან კარგად მოდის ამიერკავკასიაში. ქართლ-კახეთი და ერთობ იმერეთი ამისათვის ძალიან კარგი ადგილებია და ამ მხარეში რომ მთავრობამ თავისი შემწეობა მოაშველოს მიწისმოქმედთა და პირველ ხანებში მაინც ყოველისფერში ხელი გაუმართოს, ყოველგვარი შეღავათი მისცეს, დიდძალს ბამბას რუსეთი ჯერ ამ ამიერკავკასიაში იშოვის." *("ბამბის მოყვანის საქმე და ბაზრის საკითხი". 1887 წ. 9 იანვარი).*

- **ნავთის საქმე**

"რა ქმნას კარგმა მონარდემა, დროზედ შაში თუ არ მოვა", _ სწორედ ჩვენს ამიერკავკასიაზედ ითქმის. აქეთ-იქით იყურები, სინჯავ და ჰხედავ, რომ მთელი ეს მშვენიერი კუნჭული დედამიწისა, შავისა და თეთრის (კასპიის) ზღვის შუა მდებარე, თითქო საბუდარია, რომელშიაც უანგარო და გულუხვი ბუნება, როგორც კრუხი, ჩამჯდარა, და დაუღალავად, განუწყვეტლივ, შეუფერხებლად სჩეკს ყოველსგვარს სიმდიდრესა. აქ მცხოვრები კაცი კი მაინც ღარიბია და ღარიბი. ეგ კიდევ ცოტა ვსთქვით: ზოგჯერ თვით ეგ სიმდიდრე თავისის აუარებლობით ადამიანის დამამხობელ მიზეზადაც გვიხდება და ამ გზით საბედნიეროდ მიცე-მული სიმდიდრე ბუნებისა ჭირად გადაგვექცევა ხოლმე." *("ნავთის საქმე კავკასიაში". 1887 წ. 17 იანვარი).*

"აი თუნდ მაგალითად ავიღოთ ნავთი. იმოდენა ნავთი, რაც დღეს ბაქოში ამოდის და ღვთის წყალობით კიდევაც ამოვა, თითქმის ზღვას შეჰქმნის, მაგრამ რა გამოვიდა? დაატყო რამ ამ სიმდიდრემ აქაურობას? პირიქით, რამოდენა ქონება ჩანთქა ამ

სიმდიდრის ვეშაპმა და რამოდენა კაცი შეძლებული და ქონებიანი თან ჩაიტანა და მიწასთან გაასწორა." *("ნავთის საქმე კავკასიაში". 1887 წ. 17 იანვარი).*

"მთელს ქვეყანაზე ყველაზედ გამოჩენილი ადგილები ნავთისა სულ ორია: ერთი ამერიკა და მეორე ჩვენი კავკასია. კავკასიაში ბევრს ადგილას ამოდის ნავთი, მაგრამ იმოდენა კი, რაც ბაქოში, არსად არ არის. ნავთი ამოდის ამიერკავკასიაში შემახიისა და ტფილისის ახლო, კახეთში მთელი ტბებია ზოგან, მაგალითებრ, ზემო ხოდაშენში ბ-ნ საგინოვების მამულში, თუქურმიშაში და ბევრგან სხვაგან." *("ნავთის საქმე კავკასიაში". 1887 წ. 17 იანვარი).*

"მართალია, რომ ჩვენში ნავთი ბევრგან არის, მაგრამ ნავთის მრეწველობამ ფეხი მოიკიდა მარტო ბაქოში. ამის მიზეზი ის არის, რომ იქ ნავთი აუარებელია, დიდი თხრა და ვაი-ვაგლახი არ უნდა იმის ამოღებას, ასე რომ შავის ნავთის ამოღება ფუთი 1 1/2 _ 3 კაპიკამდე უჯდება ამომღებსა. სხვა ადგილებში კი ბევრს ეცადნენ, მაგრამ ფუთის ნავთის ამოღება ორ და სამ შაურ ნაკლებ ვერ დაისვეს." *("ნავთის საქმე კავკასიაში". 1887 წ. 17 იანვარი).*

"რა თქმა უნდა, რომ ეს ამისთანა გარემოება არაფერს ხეირს არ მოასწავებდა მშრომელისათვის და ამიტომაც შემახიაში, ტფილისის გარეშემოში, კახეთში და სხვა ამისთანა ადგილებში ნავთის საქმემ თავი ვერ დაიჭირა, ან როგორ დაიჭერდა, როცა ბაქოს ნავთი გაწმენდილი და გადახალისებული, ტფილისსა და შემახიაში მარტო ორიოდე შაურით მეტად ჰღირს, ვიდრე ადგილობრივი გაუწმენდელი და პირდაპირ ამოღებული ნავთი." *("ნავთის საქმე კავკასიაში". 1887 წ. 17 იანვარი).*

"ბაქოს ნავთის წყარონი ისე მდიდარნი არიან, რომ მართლა გასაოცარი და იშვიათი ამბავია. მთელს დედამიწის ზურგზედ თავის დღეში არა ყოფილა ასეთი ულეველი და მეტისმეტად მდიდარი აუზი ნავთისა. საკვირველი ის არის, რომ ზღვა ნავთი ამოდის ყოველ ცისამარა დღეს და ნავთი არამცთუ კლებულობს, დღითიდღე მატულობს კიდეც." *("ნავთის საქმე კავკასიაში". 1887 წ. 17 იანვარი).*

- **საეკონომიო გზები**

"თუმცა მარტო ამბავად გავრცელებულია ტფილისში, რომ როკის ხეობაზედ რკინის გზას გამოატარებენ კავკავიდამო, მაგრამ დარწმუნებით კი ლაპარაკობენ... მამისონის უღელტეხილზედ კი გზატკეცილი გადავაო. ეს უკანასკნელი ამბავი მით უფროა შესანიშნავი, რომ მამისონის უღელტეხილი წინაღუდგა როკის ხეობას და საკმაოდ მოსარჩელეობა მოიპოვა აქაურთა მოხელეთა შორის. ბოლოს კი, როგორც ვხედავთ, ბურთი და მოედანი როკის ხეობას დაჰრჩენია".

"ამ სახით ქართლს, მაგ ერთგულს და ჭირნახულს დედას ჩვენი ქვეყნისას, ერთი სახსარი კეთილდღეობისა და აღყვავებისა კიდევ მოჰმატებია." *("კახეთის რკინისგზა". 1886 წ. 5 მარტი).*

"დედა-ქართლის შვილთაგან ერთი პატარა, ლამაზი და მდიდარი ქვეყანაღაა ჩვენში ამ მხრით უნუგეშოდ დარჩომილი დღეს. ეგ ქვეყანა კახეთია, ყოვლისფრით შემკული და უხვად მომადლებული. უწინამც გვითქვამს და ეხლაც ვიტყვით, რომ არა გვგონია ბუნებით, ჰავით და გარემოცულობით ამისთანა შემკული სხვა რომელიმე ქვეყანა იყოს, არამცთუ ამიერ და იმიერ კავკასიაში, არამედ მთელს რუსეთის იმპერიაში. აქაურის ჰაერის და მიწის თვისება ისეთია, რომ ყოველისფერის მოყვანა შესაძლოა, რაც-კი

ადამიანის სულსა და გულს მოესურვება. თუმცა ეს ნაწილი ჩვენის ქვეყნისა ეხლა ცნობილია მარტო ღვინითა, მაგრამ ძველად თითქმის ბოღაზი ყოფილა, თუ არ მთელის საქართველოსი, მის უდიდესის ბაზრის ტფილისისა მაინცა. ამ ორმოცის, თუ ორმოცდაათის წლის წინათ ქიზიყის პურს ეჭირა მთელი ბაზარი ტფილისისა. ამას გარდა აქედამ მოდიოდა არაყი, სიმინდი, ფეტვი, ბრინჯი, ბამბა (ეხლა არის მთელი ადგილები, რომელსაც ბრინჯიანი, ბამბიანი და სხვა ამგვარი სახელები შერჩენიათ), მშვენიერი სახელგანთქმული კახური აბრეშუმი, მშვენიერი სურნელოვანი თამბაქო, სამღებრო და სამკურნალო (სააფთიაქო) ყვავილი და ბალახი, აუარებელი ხილი, აუარებელი მატყლი, საკლავი საქონელი და მებრვე სხვანი." *("კახეთის რკინისგზა". 1886 წ. 5 მარტი).*

"ხოლო ყოველ ამა მადლით აღსავსე ქვეყანა, ეს თვალმარგალიტი საქართველოსი, დღეს იმ განწირულობამდია მისული, რომ ყოველისფერისათვის თავი დაუნებებია და მარტო ღვინოსღა შესჩერებია. ამისი პირდაპირი მიზეზი გზების უქონლობაა. შიგ კახეთში იქაურთა მკვიდრთა ღვაწლით ალაზნის ორსავე პირას ასეთი გზატკეცილებია, რომ ბევრს სხვა ქვეყანას შეჰშურდება, მაგრამ ჭირი ეს არის, კახეთი თავის უკეთესს ბაზარზედ, ტფილისზედ მოწყვეტილია და ამის გამო სხვა ქვეყნებზედაც." *("კახეთის რკინისგზა". 1886 წ. 5 მარტი).*

"ბათუმ-ბაქოს გზამ მთელი იმიერი და ამიერი საქართველო შეაერთა შავის ზღვიდამ კასპის ზღვამდე და ამ რკინისგზამ იმერეთის, განჯის და ბაქოს გუბერნიები ასეთს ძლიერ მოცილედ აუჩინა გზასგარეთ დარჩენილს კახეთსა, რომ ბაზარი ამ გუბერნიებისათვის უნდა ძალაუნებურად დაეთმო. დიდი რამ არის სწრაფი და იაფი გზა." *("კახეთის რკინისგზა". 1886 წ. 5 მარტი).*

"სისწრაფეს და სიიეფეს გზისას საქონლის გასასაღებლად ვერაფერი ვერ უპირდაპირებს." *("კახეთის რკინისგზა". 1886 წ. 5 მარტი).*

"თვით სიკეთე და მაღალი ხარისხოვნება საქონლისა უღონოა ამ პირდაპირობის წინაშე. კახური ღვინის სიკეთე შეუბღალველია ხომ ჯერ კიდევ, ღვინის სიკეთით ხომ კახეთს ვერც ერთი მხარე ჩვენის ქვეყნისა ვერ დაჰკრამს და წინ ვერ წაუვა, მაგრამ ღვინოშიაც-კი, ანუ, უკეთ ვსთქვათ, ღვინის გასაღებაშიაც-კი სხვა მხარეებმა აჯობეს, რადგანაც სწრაფი და იეფი გზა აქვთ და კახეთი-კი ამ მხრით დაჩაგრულია და ილაჯგაწყვეტილი. ბევრს კახურს ღვინის პატრონებს ხშირად ქვევრში ჰრჩებათ ღვინო უმუშტრობისა გამო და არ იციან რა უყონ." *("კახეთის რკინისგზა". 1886 წ. 5 მარტი).*

"საზოგადოდ, დიდი შეცდომაა იმისთანა ქვეყანაზედ, როგორიც კახეთია, რომელსაც ბუნებური სიკეთე ჰავისა და დედამიწისა ასე უხვად ჰრგებია, კაცმა სთქვას, რომ საქონელი არ ექნება ბაზარში გამოსატანიო. თუნდაც დღეს კახეთი სწორედ ამ უნუგეშო ყოფაში იყოს, მაინც სახვალიოდ ეგ არ ითქმის. რაც მოჰყავს დღეს კახეთს თავისთვის შინ სახმარად მოჰყავს. ამას ერთი ბეწვიც მეტიც რომ გადაამატოს, გადააჭარბოს, უქმად გადასაყრელად უნდა შინვე დარჩეს გზის უქონლობისა გამო." *("კახეთის რკინისგზა". 1886 წ. 6 მარტი).*

"ერთი ღვინოღა იყო კარგი სააღებ-მიცემო საქონელი და იმანაც გზის უქონლობისა გამო ლამის დაიწიოს და იკლოს: ქართლმა, იმერეთმა და განჯამ გზის სისწრაფისა და იეფობის გამო ღვინის ბაზრიდამ ლამის გამოსწიროს, გამოდენოს კახეთი მაშინ, როდესაც კახეთს ღონე აქვს მთელი რუსეთი გააძღოს ღვინითა, ადვილი სწრაფი და იეფი გასატანი გზა რომ ჰქონდეს." *("კახეთის რკინისგზა". 1886 წ. 6 მარტი).*

“კახეთი და ერთობ ალაზნის ველი მთელს თავის სიგრძესა და განზიდულობაზედ ერთი იმისთანა მხარეა, რომლის ბუნებითს სიმდიდრეს არ შეედრება არამც თუ რომელიმე მხარე ამიერ და იმიერ-კავკასიისა, არამედ მთელის იმპერიისაცა. ჰავა და მიწა ასეთია ამ მხარეში, რომ ყოველისფერი მოვა, რაც კი შეადგენს საგანს პირველ საჭიროებისას და სიმდიდრისას. თუმცა იგი მხარე ეხლა ცნობილია მარტო ღვინითა, მაგრამ ძველ დროს იგი ყოფილა ბოღაზი თითქმის მთელის საქართველოსი. საქართველოს ბაზართათვის მას უზიდნია ღვინის გარდა არაყი, ყოველგვარი ხორბალი, სიმინდი, ფეტვი, ბრინჯი, დიდის ღირსების აბრეშუმი, თამბაქო, სამღებრო და სააფთექო ნივთი, საკლავი საქონელი, მატყლი, ხილი და სხვანი და სხვანი.” *(“შინაური მიმოხილვა”. 1883 წ. ოქტომბერი).*

“თავდაპირველ საგნად უნდა წარუდგეს ბ-ნ მინისტრს ერთი ყველასაგან ადვილად დასანახი გარემოება და ყველასაგანვე თითქო დავიწყებული. ჩვენ ვამბობთ დავიწყებული იმიტომ, რომ როცა ლაპარაკია ჩვენში აქაურ მიწათმოქმედების ავკარგიანობაზე და უნუგეშობაზე, იგი გარემოება, რომელიც, ჩვენის ფიქრით, თავი და თავი მიზეზია ჩვენის მიწათმოქმედების უნუგეშობისა და უკან დარჩენისა, არავისაგან არ არის ხოლმე სახეში მიღებული და ამიტომაც გაჭირვების და სატკივარის წამალს იქ ვადებთ, საცა სატკივარის ბოლოა და არა სათავე, საცა შედეგია და არა მიზეზი. ეს იმასა ჰგავს, რომ კაცმა მღვრიედ მდინარე ნაკადული წყალისა ბოლოდამ ეცადოს დასწმინდოს ხოლმე და არა სათავიდამვე, თუ მაინცდამაინც დაწმენდა უნდა”. *(“ჩვენი სარჩიელი სოფლის მეურნეობის ძვირფას დარგებზე”. 1894 წ. 18 სექტემბერი).*

“ხსენებული გარემოება იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენის მიწათმოქმედების გარს ყველაფერი გამოიცვალა და ამ ცვლილებას თავისდაგვარად უნდა შეეცვალა თვითონ მიწათმოქმედების გზა და მიმართულება ჩვენში. ეს არ მოხდა. მიწათმოქმედების სვლა ჩვენში ისევ ძველს საჭიროებას და მოთხოვნილებასა აქვს შეწონილი და შეფერებული და თუ ამას უწინ პატივსადები საბუთი ჰქონდა, ეხლა ცარიელის ზარალის მეტი არა მოაქვს რა და მიწათმოქმედება, მამულის ასე თუ ისე კეთება, ხელს არ აძლევს მოჭირნახულეს იმოდენად, რამოდენადაც საჭიროა დღეს და შესაძლებელი ჩვენი ქვეყნის ჰავისა და მიწის მიხედვით”. *(“ჩვენი სარჩიელი სოფლის მეურნეობის ძვირფას დარგებზე”. 1894 წ. 18 სექტემბერი).*

“მაშინ, როცა საქართველოს და ერთობ ამიერკავკასიას გარს მტრები ეხვია, როცა სამეზობლოდ მდგომარე ხალხი სამტროდ იყო დამოკიდებული, როცა საქართველო მტერთაგან შინ ჩაკეტილი იყო, გასვლა-გამოსვლის გზები ან სრულიად შეკრული ჰქონდა, ან იმისთანა, რომ დიდის გაჭირვებით, ხარჯით და დროს დაკარგვით, საქართველო, არამც თუ სხვა ქვეყნებს, თავისს საკუთარ ნაწილებსაც-კი თვალს და ხმას ძლივ მიაწვდიდა ხოლმე. _ მაშინ, რასაკვირველია, ჩვენი მიწათმოქმედება უნდა ძალაუნებურად მიქცეულ ყოფილიყო მასზე, რომ ყველაფერი თავისი საკუთარი ჰქონიყო. მაშინ ჩვენი ქვეყანა სააღებმიცემოდ ჭირნახულის გაჩენას ფიქრადაც ვერ გაიტარებდა, რადგანაც აღებ-მიცემობა თხოულობს მშვიდობიანს, იეფს და მსწრაფლ გზასა საქონლის გადასატან-გადმოსატანად”. *(“ჩვენი სარჩიელი სოფლის მეურნეობის ძვირფას დარგებზე”. 1894 წ. 18 სექტემბერი).*

“კარგის გზების უქონლობა შესამჩნევი ნაკლულევანებაა ხალხის ცხოვრებაში, გზების უქონლობა ხელს უშლის ხალხის ეკონომიურ კეთილდღეობას, უკან აყენებს, აფერხებს მის ცხოვრების წინ მსვლელობას. გზები უადვილებს ხალხს ერთი-ერთმანეთში

მისვლა-მოსვლას, აღებ-მიცემას, ნაწარმოების გასაღებას." *("ჩვენი ეკონომიური საჭიროებანი და გზების საკითხი". 1886 წ. 20 მაისი).*

"ეს მარტივი და ყველასათვის ცხადი ჭეშმარიტებაა... ეს ჭეშმარიტება აღიარებულია; დიდი ხანია ყველგან შეიგნეს, თუ რა სამსახურს უწევს ხალხს, რა აუცილებელ საჭიროებას შეადგენს ცხოვრების განკარგებისათვის კარგად შეკეთებული გზები, და ამიტომ დიდს ყურადღებასაც აქცევენ ამ საჭიროებას." *("ჩვენი ეკონომიური საჭიროებანი და გზების საკითხი". 1886 წ. 20 მაისი).*

"სხვა მიზეზთა შორის, რომელნიც ხელს უწყობენ ხალხის კეთილდღეობას, არა-ნაკლები ადგილი უჭირავს ამ უკანასკნელ გარემოებასაც, ე.ი. რიგიანად მოწყობილ და მისვლა-მოსვლის გასაადვილებელ გზების სიმრავლეს. ამ გზების სიმრავლეს უნდა მიეწეროს ის გარემოებაც, რომ ეკონომიური ცხოვრება ასე წინ არის წასული ზემოთნათქვამ ქვეყნებში." *("ჩვენი ეკონომიური საჭიროებანი და გზების საკითხი". 1886 წ. 20 მაისი).*

"მგონი არც ერთ ქვეყანას ისე არ ეჭირვება კარგი გზები, როგორც საქართველოს. ჩვენი ქვეყანა თითონ ბუნებითვე მთიანი ადგილია, გაზაფხულობით მთებიდან მოვარდნილი ნიაღვრები სრულიად აფუჭებს, ჰხრამავს იმ საცოდავობის გზებსაც კი, რომელიც გვაბადია. ადგილის უსწორ-მასწორობა, აღმართ-დაღმართი, ოღროჩოღროები, ჩახრამული ადგილები დიდს დაბრკოლებას წარმოადგენენ და უძნელებენ ხალხს ურთიერთ შორის მისვლა-მოსვლასა." *("ჩვენი ეკონომიური საჭიროებანი და გზების საკითხი". 1886 წ. 20 მაისი).*

"სხვა ჩვენ მიყრუებულ მთებში გადავარდნილ ადგილებზე რომ არა ვსთქვათ-რა, ავიღოთ მაგალითად თუ გინდ კახეთი. ეს მშვენიერი, ყოვლის სიმდიდრით ბუნებისაგან უხვად შემკული მხარე ჩვენის ქვეყნისა, რიგიან გზატკეცილსაც კი მოკლებულია, რკინისგზაზე ხომ ვინღა რას ამბობს. ესრეთწოდებული კახეთის გზა ისეთ გახრიოკებულ, უადგილო ადგილას არის გაყვანილი, ისეა მოშორებული სოფლებზე, _ გულითადაც რომ ჰსურდეთ, სოფლელები ამ გზაზე ვერ წამოვლენ და ისევ ძალაუნებურად თავიანთი ძველებური უსწორ-მასწორო გზები უნდა ირჩიონ. აი რამდენი ხანია დაწყებულია მეორე კახეთის გზა გომბორზე და აქამდინ სისრულეში ვერ არის მოყვანილი. ამ უგზოობის გამო კახელებს უძნელდებათ ხეირიან ფასად გაასაღონ თავიანთ ნაშრომ-ნაღვაწი; ბევრი სოფლის ნაწარმოები ხომ სრულიად უბრალოდ იღუპება და ლპება მხოლოდ იმის გამო, რომ უგზოობის მიზეზით შორს წაღება ყოვლად შეუძლებელია და ახლომახლო კი ფასი არა აქვს. მაგალითად, რამდენ ხილეულობას, ბოსტნეულობას და სხვა ამგვარ წვრილმან ნაწარმოებს, რომელიც ასე უხვად მოდის კახეთში გასავალი ექნებოდა ქალაქში, რომ კარგი გზები იყოს და ჩამოტანადა ღირდეს. ეხლა კი ტყუილუბრალოდა რჩება, ვერც პატრონი სარგებლობს და ვერც სხვა." *("ჩვენი ეკონომიური საჭიროებანი და გზების საკითხი". 1886 წ. 20 მაისი).*

"თითონ ჩვენი ხალხი კარგადა ჰგრძნობს დიდს გაჭირვებას გზების უქონლობის გამო, სწუხს და სურვილს აცხადებს, რომ ამ გაჭირვებას რაითმე უშველოს, ამას ცხადად გვიმტკიცებს შავი-ქვის მრეწველობის მაგალითი. აი მრეწველებს რა უთქვამთ მის ბრწყინვალებისათვის, კავკასიის მთავარმმართებელ დონდუკოვ-კორსაკოვისთვის, როცა მას ყვირილაზე ჩამოუვლია: "წინათაც გთხოვეთ და ეხლაცა გთხოვთ, თქვენო ბრწყინვალებავ, აღმოგვიჩინოთ შემწეობა მადნებიდამ შავი ქვის გადაზიდვაში; გზები ძალიან წამხდარია და ამისათვის ქვის გადმოზიდვის ქირამ ძალიან აიწია; გთხოვთ

იშუამდგომლოთ სადაც საჭიროა, რკინისგზა გაიყვანონ ს. ჭიათურამდის." *("ჩვენი ეკონომიური საჭიროებანი და გზების საკითხი". 1886 წ. 20 მაისი).*

"ჩვენ ხალხს კარგად ესმის გზების სარგებლობა, წინათაც უკისრნია გზების გაკეთება და ის ყოველთვის მზად არის, ოღონდ საქმის რიგიანი მაჩვენებელი და წარმართველი ჰყვანდეს." *("ჩვენი ეკონომიური საჭიროებანი და გზების საკითხი". 1886 წ. 20 მაისი).*

"დიდი საქმეა გზების კეთებაცა. დღეს-აქამომდე, საცა კი გზის გამართვაზე სიტყვა ჩამოვარდებოდა, მთავრობას სახეში ჰქონდა მარტო მხედრობისათვის საჭირო გზები. ეხლა ჩვენს ქვეყანაში, ღვთის მადლით, სამხედრო არა არის-რა. ქვეყანა დამშვიდებულა. ეხლა ჩვენი ქვეყანა სხვა-გვარ გზებსა საჭიროებს, იმისთანა გზებსა, რომელიც გამსყიდავს და მსყიდავს მალე, უწყინრად და იაფად შეახვედრებს. ამისთანა გზებს საეკონომიო გზებს ეძახიან. ამათი დანიშნულება ის არის, რომ მწარმოებელს ბაზარი დაუახლოვოს, ბაზარში მისვლა-მოსვლა არ გაუჭიროს და საზიდავმა გადაზიდვაში მეტი ხარჯი არ გადაიყოლოს. გზამ რომ ეს დანიშნულება შეასრულოს, "ჩინოვნიკმა" კი არ უნდა გააბას ლარი გზისა, როგორც აქამომდე იყო, არამედ ადგილის კაცებს უნდა ეკითხოს, სად რა გზა უნდა. მაშინ გზა იქით არ მიიბრუნებს თავს, საცა მსხვილი კაცია, არამედ იქით, საცა მსხვილი საქმე და მსხვილი საჭიროებაა. გზები ისე საჭირონი არიან, რომ პირველ დღიდანვე ამას მიჰყონ ხელი, _ მეტი არ იქნება. ოღონდ ერთი რამე კი არ უნდა დავივიწყოთ. გაწყალდა ერი გზის ბეგარის უწესობითა. გზის კეთება მეტად მძიმე ბეგარაა თავისთავადაც და ეს უწესობა ხომ ერთი-ორად ამძიმებს. ჩვენ იმას კი არ ვამბობთ, რომ წესია და არ ასრულებენ. არა, თითონ წესი არ არის დადგენილი არავითარი. ვისაც ქეიფად რა მოუვა, იმ წესებზედ დაიარება. ამ მხრით მთელი ჩვენი გლეხკაცობა "ჩინოვნიკების" ნებაზედ არის მიგდებული. ვინ იტყვის, რომ "ჩინოვნიკი" უსამართლობას რასმე ჩაიდენს, მაგრამ მაინც ის რომ პატარა შორს იყოს, ისა სჯობია. ამდენი ვაი-ვაგლახი, ცემა-ტყეპა, ხარჯი, დანაკლისი, რაც გზის ბეგარას მოსდევს გლეხკაცისათვის, იმიტომ არის, რომ არავინ იცის, _ ვის რა მოვალეობა აქვს და ვის რა უფლება. ერთის სიტყვით, წესი და კანონი არ არის ამ საგანზედ დადგენილი და უსათუოდ კი უნდა იყოს, თორემ უწესობამ ლამის ერი მოიდნოს." *("შინაური მიმოხილვა". 1881 წ. დეკემბერი).*

"ეს მხარე, ყოველის სიკეთით დაჯილდოებული ბუნებისაგან, ეხლა იქამდინ დაეცა, რომ მხოლოობითს წყაროს მისთა მკვიდრთა არსებობისას შეადგენს მარტო ღვინო, რომელიც აგრეთვე თანდათან ფოლდება. ამის მიზეზი უმთავრესად ის არის, რომ ამ მშვენიერს და მდიდარს კუთხეს ქვეყნისას არა აქვს უჭირველი გზა, ესე იგი სწრაფად სასიარულო და იეფი. ამის გამო კახეთი საქართველოს ბაზრებს გამოაკლდა, დაშორდა და თვით რუსეთისაგან განზედ მოჭრით დარჩა." *("შინაური მიმოხილვა". 1883 წ. ოქტომბერი).*

"ეხლანდელი გზები კახეთისა ბევრად უკეთესნი არიან უწინდელზედა. მხოლოდ ეს გზები უმთავრეს ბაზრებთან არ აერთებს კახეთსა და თუნდაც აერთებდეს, ხელს არ აძლევს იქაურ მკვიდრთა თავისი საქონელი ზიდონ, რადგანაც გზები საურმენი არიან და ამისათვის დიდს დროს ითხოვენ და დიდს ხარჯსა საქონლის ზიდვისათვის. ფოთი-ბაქოს რკინის-გზამ შეაერთა ორი ზღვა, შავი და კასპიისა, დიდი ბაზარი გაუხსნა სხვა ნაწილებს ამიერ-კავკასიისას, ალაზნის ველი კი დიდს მანძილზედ დასტოვა და ამით დააშორა იგი არამც თუ რუსეთს, რომლისთვისაც კახეთს შეეძლო მიეწვდინა ყოველივე ნაწარმოები, რაც კი მოჰყავს მადლიანს სამხრეთსა, არამედ ტფილისსაცა, საცა სხვა ნაწილთ ამიერ-კავკასიისათა უფრო მალე და უფრო იეფად მოაქვთ თავისი რკინის-

გზითა. თვითონ ღვინოც კი იმ ადგილებისა, რომელთზედაც გადის რკინის-გზა, უფრო ადვილად და უკეთესად საღდება, უფრო მალე პოულობს მუშტარსა, ვიდრე კახური ღვინო, რომელიც ღირსებით უფრო აღემატება, და რომელიც უგზოობით მარნებშივე რჩება და ხშირად მუშტრის ლოდინში ფუჭდება და გადასაღვრელი ხდება. ეს ამბავი მით უფრო სამწუხაროა, რომ კახეთს შეუძლიან გაუძღვეს ღვინით თითქმის მთელს რუსეთსა, რომელიც მილიონებსა ხარჯავს საზღვარ-გარეთის ღვინოების სასყიდლად და ამ სახით მილიონები შინიდამ გარეთ გადის." *("შინაური მიმოხილვა". 1883 წ. ოქტომბერი).*

"ეხლანდელი მდგომარეობა სასოფლო მეურნეობისა კახეთში მეტად დაცემულია. დიდი შეცდომა იქნება კაცისაგან, რომ ამ მდგომარეობის მიხედვით შეადგინოს თავისი აზრი იმ წარმოების ძალ-ღონეზედ, რომელიც კახეთს ბუნებითად მინიჭებული აქვს. იგივ დიდი შეცდომა იქნება, რომ კაცი ამ აზრს დაემყაროს და აქედამ გამოიყვანოს ის, თუ _ რამდენი გამოსაზიდავი საბაზრო საქონელი ექნება კახეთს, რომ რკინის-გზის ხარჯი დაჰფაროს და სარგებელიც მოიტანოს რკინის-გზის მფლობელთათვის. კახეთს ეხლა ის მოჰყავს _ რაც მისთვის აუცილებელია, და იმოდენად მოჰყავს _ რამოდენადაც საჭირო. იმიტომ რომ ყოველი ნამეტანი ერთს შემთხვევაშიც და მეორეშიც უგზოობით და, მაშასადამე, უბაზრობით გადასაყრელი ხდება. თუ რაიმე ეხლა მოჰყავს ნამეტანობით, ეგ მარტო ღვინოა, რომელიც თავისის სიკეთისა და ღირსების წყალობით ზოგჯერ უძლებს საურმე გზით ზიდვას, იმის ჭირსა და ხარჯსა, თუმცა კი დიდის გაჭირვებით და ვაი-ვაგლახითა ამას ვამბობთ ჩვენ მარტო იმისთანა ღვინოზედ, რომელიც თავი-და-თავი და ძვირფასი ღვინოა, თორემ დაბალი და იეფი ფასის ღვინო ამასაც მოკლებულია. შინა რჩება და ტყუილ უბრალოდ ფუჭდება. ამ გარემოებამ აიძულა იქაურნი მკვიდრნი შეამცირონ ვენახების სივრცე, ღვინო ნაკლებად მოიყვანონ. ამით აიხსნება ის უეჭველი გარემოება, რომ კახეთში ეხლა ღვინის წარმოებამ იკლო, ღვინო ეხლა ნაკლებად მოდის, და თუ ამას არა ეშველა რა, ეგ სასარგებლო წარმოება ძალიან დაეცემა კახეთში, მაშინ როდესაც ყოველის მხრით მას ძალ-ღონე აქვს ბუნებითად, რომ თითქმის მთელს რუსეთს მიაწვდინოს ჯანმრთელი, შეურეველი და შეუკეთებელი ღვინო." *("შინაური მიმოხილვა". 1883 წ. ოქტომბერი).*

"რადგანაც რკინის-გზები გაჰყავთ ერთისა და ორის წლისათვის კი არა, არამედ სამუდამოდ, ამიტომაც მის შესატყობლად, თუ _ რა გამორჩომა ექნება კახეთის რკინის-გზას, დროებითს ვითარებას კი არ უნდა შეაჩერდეს კაცი, არამედ მას, რაც სამუდამოდ ძალ-ღონეს წარმოებისას შეადგენს. ამისათვის საფუძვლად მიღებულ უნდა იყვნენ იგი თვისებანი ჰავისა და მიწისა, რომელთა ერთად კრება ამცნევს კაცს, ქვეყანას რა წარმოება შეუძლიან და რა არა." *("შინაური მიმოხილვა". 1883 წ. ოქტომბერი).*

"ამ ჰავისა და მიწის ბუნების თვისებასთან ერთად იმედი ნაწარმოების ადვილად გასაღებისა თითქმის ერთად-ერთი მიზეზია, ერთად-ერთი სათავეა ეკონომიურ ცხოვრების განვითარების, ყოველგვარ საწარმოებელის აღორძინებისა და გაძლიერებისა." *("შინაური მიმოხილვა". 1883 წ. ოქტომბერი).*

"გაუხსენით კარგი, სასწრაფო და იეფი გზა ბაზრისა და მაშინ ქვეყანა რის შემძლებელიც არის, უეჭველად ყოველსფერს შეჰქმნის ადრე თუ გვიან. ვისაც თუნდა თვალ-და-თვალ გადაუხედავს კახეთისათვის, იგი, რასაკვირველია, ვერ იტყვის, რომ საწარმოებელი ძალ-ღონე მისის ჰავისა და მიწისა თავისის სიკეთით და უხვობით ყოვლად საიმედო არ იყოს." *("შინაური მიმოხილვა". 1883 წ. ოქტომბერი).*

“პირდაპირი ხეირი რკინისგზისა საზოგადოდ იმაშია, რომ მისის მეოხებით იეფფასიანმა, მაგრამ ბუნებითად დიდ საპალნიანმა საქონელმა აღებ-მიცემობისამ, როგორც, მაგალითებრ, პურია, სიმძიმე გზის ხარჯისა გადატან-გადმოტანაში უნდა ადვილად აიტანოს და ბევრად მისაჩნევი არ უნდა იყოს, იმიტომ რომ თვით გადატანა, როგორც საქმე, მეტად გაადვილებულია რკინისგზით და ფასიც გადატანისა, როგორც ხარჯი გზისა, მეტად სუბუქია.” *(“პურეულით ვაჭრობის საქმე ჩვენში”. 1886 წ. 9 დეკემბერი).*

“მაგრამ ჩვენში ეს ესე არ არის. საზოგადოდ რუსეთში რკინისგზებზედ საქონლის გადატან-გადმოტანის წესები მეტად ხელს უშლის გადამტანელს და მერე თითონ ფასიც გადატანისა ძვირია. ჩვენში ხომ წესებიც უარესია და ფასიც მეტი. ფასს კიდევ როგორმე აუვიდოდა კაცი, რომ წესები არა ჰხუთავდნენ და საქონლის მოძრაობას არ აბრკოლებდნენ. მოიტან რომელსამე რკინისგზის სადგურზედ სოფლიდამ პურსა, თუ ამის მსგავს რასმე, და არ იცი, ერთი დღე მოგიგვიანდება, ერთი კვირა, თუ ერთი თვე საქონლის დადებამდე და გასტუმრებამდე. მინამ მოტანილს საქონელს სადგურიდამ დასძრავ და გაისტუმრებ, შენ შენი გემართება. კიდევ კარგი იქნებოდა, რომ საქონლისათვის წვიმისა და მზისაგან შესაფერი ალაჩუხი მაინც რომ იყოს, რომ ლოდინში არ დაგილპეს და არ წაგიხდეს. ჩვენდა სამწუხაროდ, არც ის არის. აბა როგორ იხეიროს ამგვარ ყოფაში ვაჭრობამ? აბა რა ანგარიში იქონიოს მსყიდველმა თუ გამსყიდველმა ან ფულისა და ხარჯისა, ან დროსი და პაემანისა, რომელიც ასე საჭიროა ჭეშმარიტის აღებ-მიცემობისათვის და მარჯვედ ვაჭრობის წარმართვისათვის?” *(“პურეულით ვაჭრობის საქმე ჩვენში”. 1886 წ. 9 დეკემბერი).*

“ამასაც თუნდა თავი დავანებოთ. რკინისგზის სადგურამდე პურს მოტანა არ უნდა?” *(“პურეულით ვაჭრობის საქმე ჩვენში”. 1886 წ. 9 დეკემბერი).*

“არის კი გზები ამისათვის სოფლიდამ? არის, როგორ არა, მაგრამ ვაი ამ გზებზედ მატარებელთ და საქონლის მზიდავთა. ჯერ როცა მშრალობაა, ჩვენი ძველებური ფეხმძიმე ურემი კიდევ ვაი და ვაგლახით, როგორც არის, ახერხებს საპალნეების ზიდვასა, მაგრამ ვაი მაშინ, როცა ატალახდება ხოლმე, მაშინ ხომ ძაღლიც არ გაიგდება ჩვენებურს გზებზედ.” *(“პურეულით ვაჭრობის საქმე ჩვენში”. 1886 წ. 10 დეკემბერი).*

“ეს გზების უხეირობა ისე ამძიმებს უამისოდაც მძიმე საპალნეს, იმოდენად აცდენს თავის საქმიდან კაცსა, ხარსა, კამეჩსა, იმდენს დროს აკარგვინებს, რომ არ შეიძლება ყოველ ამან თავისი საფასური ზედ არ შეაკეცოს გადასატან საქონელსა.” *(“პურეულით ვაჭრობის საქმე ჩვენში”. 1886 წ. 10 დეკემბერი).*

“თუ სადმე გზატკეცილებია დამართული და ამით გაადვილებულია საპალნის ზიდვა, იქაც მაინც ზიდვის გაიეფებას ბევრად არა ჰშველის-რა. გზის ბაჟი, რომელსაც იხდიან გზატკეცილზედ მოარულნი, ეგეც საგრძნობელი ხარჯია და თვით გადასატანს საქონელს ზედ ეკეცება, და რადგანაც გზატკეცილამდე მაინც გამოტანა უნდა საქონელს იმავე სავაივაგლახო გზებითა, ამიტომ გზატკეცილები მაგდენს არაფერს შეღავათს იძლევა საპალნის ზიდვის ხარჯში.” *(“პურეულით ვაჭრობის საქმე ჩვენში”. 1886 წ. 10 დეკემბერი).*

“შეუძლებელია, რომ ყოველ ამან საგრძნობელად არ დააძვიროს გადატანილი საქონელი საზოგადოდ და პური საკუთრივ. მერე რა გამოდის ამ დაძვირებიდამ? ემატება რამ თითონ მწარმოებელს და მიწისმომქმედსა? სრულებითაც არაფერი და საგულვებელი კია, რომ დააკლდეს კიდეც.” *(“პურეულით ვაჭრობის საქმე ჩვენში”. 1886 წ. 10 დეკემბერი).*

“კახეთზე რომ არ გაიყვანეს რკინისგზა და უდაბურს ადგილებზედ გაატარეს, ამ შეცდომის გასამართლებლად ერთი საბუთი მოჰყვანდათ. თუ შეცდომის

გასამართლებლად საერთოდ, და ამ შეცდომისა ცალკე, რაიმე საბუთი მოიპოვება, კიდევ იგი, რაზედაც ჩვენ დღეს დავიწყეთ ჩვენი მეთაური წერილი." *("კახეთის რკინისგზა". 1886 წ. 6 მარტი).*

"მოგეხსენებათ, წინა მხარს და უკანა მხარს კახეთს ორ არა თანასწორ ნაწილად ჰყოფს თითქმის თავიდამ ბოლომდე ზურგი ცივის მთისა. ეს მთა ყოფილა უმთავრესი მიზეზი, რომ კახეთისათვის ბაქოს გზა აუცდენიათ. რაკი ეს მთა არისო ორი წყობა მოძრაობისა. უნდა ვიქონიოთო, ერთი, რომელიც წინა მხარს დაუწყებს სამსახურსა, მეორე უკანა მხარსაო. ეს იმოდენად ძვირი დაუჯდება რკინისგზასაო, რომ ზარალის აცდენისათვის იძულებულ იქნება _ როგორც მგზავრსა, ისეც საქონელზედ მეტი ფული იღოსო. უსამართლობა იქნებაო, ამბობდნენ ამ საბუთის მომხმარენი, უკუნითი უკუნისამდე მეტი გზის ფული, მაშასადამე მეტი გადასახადი ახდევინონ კახეთის გულისათვის მთელს ქვეყანას შავის ზღვიდამ მოკიდებული კასპის ზღვამდეო." *("კახეთის რკინისგზა". 1886 წ. 6 მარტი).*

"ამ საბუთს არც მაშინ ჰქონდა ძლიერის საბუთის ღირსება და ეხლა უფრო არა აქვს, რადგანაც დღევანდელი დღე კახეთის რკინიზგსის საქმისა სულ სხვა ვითარებას წარმოადგენს." *("კახეთის რკინისგზა". 1886 წ. 6 მარტი).*

"დღეს კახეთი საკუთარს გზას ითხოვს, მაშასადამე ძვირად დაჯდება თუ იეფად, ორივეს თითონ იკისრებს და თითონ გაუძღვება. საქმე იმაშია, რომ დღევანდელი მოწინააღმდეგენი კახეთის გზისანი ამტკიცებენ, რომ კახეთი ვერ გაუძღვება რკინისგზის ხარჯსაო და მაშასადამე რკინისგზა თავის ხარჯსაც ვერ ააყენებს და ზარალში იქნებაო. ამას იმითი ამტკიცებენ დღესაც, რითაც ბაქოს რკინისგზის გაყვანამდე ამტკიცებდნენ, სახელდობრ მით, რომ კახეთს იმოდენა გარეთ გასატანი საქონელი არა აქვსო, რომ მისთვის ღირდეს რკინისგზის გაყვანაო.

იქაურთა მკვიდრთა არც იმოდენა მისვლა-მოსვლა ექნებათ, რომ ამან დაჰფაროს ზარალიო." *("კახეთის რკინისგზა". 1886 წ. 6 მარტი).*

"ამ უკანასკნელზედ არას ვიტყვით, რადგანაც ცნობილია, რომ არც ერთი გზა რკინისა თავის ანგარიშს არ ამყარებს პასაჟირთაგან შემოსავალზედ, ნამეტნავად რუსეთში. ხოლო რაც შეეხება საქონლის ვითომდა სიცოტავეს, ეს კი, ჩვენის ფიქრით, შეცდომად უნდა ჩაითვალოს." *("კახეთის რკინისგზა". 1886 წ. 6 მარტი).*

"მიეცით ამნაირს ქვეყანას იეფი და სწრაფი გზა საქონლის გასატანად, გასასაღებლად, და მაშინ ჰნახავთ, დღეს უნუგეშოდ ყოფილი მხარე ხვალ რამ-სიგანედ გადიშლის ფრთებს და რა მრავალფერს საქონელს გამოიტანს საქვეყნო ბაზარში." *("კახეთის რკინისგზა". 1886 წ. 6 მარტი).*

"ვისაც გაკვრით მაინც მოუხვედრებია თვალი კახეთისათვის, იგიც-კი უარს ვერა ჰყოფს, რომ ამ მართლა და ბუნებითად ბედნიერს უმცროს სახლისკაცს ქართლისას ბუნებური ძალი და ღონე არ შესწევდეს ქადილისა, ოღონდ გზა მომეცითო და მე გიჩვენებთ _ რა ვარ დღეს, რა ვიქნები ხვალა და რა მრავალფერის სიმდიდრით გამოვალ მოდანზედაო." *("კახეთის რკინისგზა". 1886 წ. 6 მარტი).*

"ამ უკანასკნელ ხანებში დიდი ლაპარაკია ჩვენ ქართველთა შორის კახეთის რკინისგზის გამო. ამბობენ, არიან იმისთანანიცა, რომელნიც ყოველ ღონისძიებას ჰხმარობენ, რომ ამ საქმეზე თავად-აზნაურობას გული ააყრევინონ და ხელი ააღებინონ. ამისათვის, ვინ იცის, ხან რა საფრთხუნალს იგონებენ თურმე, ხან რას, _ აი დაიღუპებით,

აი მამულები დაგეყიდებათ, აი ეს მოგივათ, ის მოგივათ, თუ ამ საქმეს თქვენ მოჰკიდეთ ხელიო." *("ისევ კახეთის რკინისგზის საკითხზე". 1893 წ. 13 თებერვალი).*

"ამ ენით მითქმა-მოთქმას ზედ დაერთო კალმით მითქმა-მოთქმა. არც აქაურმა რუსულმა გაზეთებმა ყური მოუყრუეს ამ საქმეს და ხშირი საუბარი გამართეს. ზოგი უწონებს თავად-აზნაურობას, რომ ძლივს თვალი გამოახილე და შენის ქვეყნისათვის საჭირო საქმეში თაოსნობა გამოიჩინე და გსურს შენი ქვეყნის საქმე შენვე ჩაიგდო ხელშიო. ზოგი-კი სასაცილოდ იგდებს თავად-აზნაურობას, არა, ვინ შენ და ვინ ამისთანა საქმეო; შენ ამისთვის არც ჭკუა გაქვს, არც ცოდნა, არც ფული და რას ეჩრები არამკითხე მიამბესავითაო." *("ისევ კახეთის რკინისგზის საკითხზე". 1893 წ. 13 თებერვალი).*

"ჩვენ ამისთანა მითქმა-მოთქმას არ უნდა ავყვეთ, ჯერ იმიტომ _ რომ უნდა ვიგულისხმოთ, რათა ყოველივე ის, მოწონებაა თუ ძაგება, ჭეშმარიტის გულისტკივილისაგან მოსდით მომწონთაც და თავად აზნაურთა სასაცილოდ ამგდებთაც; მერმე იმიტომ, რომ ბევრწილად შესანდობარია გულუბრყვილო არ ცოდნა საქმისა და ჟინი ტყუილ-უბრალო ლაპარაკისა, თუ წერისა." *("ისევ კახეთის რკინისგზის საკითხზე". 1893 წ. 13 თებერვალი).*

"ჩვენი დღევანდელი სურვილი მარტო ის არის, რომ, ჩვენის შეძლებისამებრ მკითხველს გავაგებინოთ, რა საგანი ექნება განსახილველად ეხლანდელ საგანგებო კრებას ბანკისას, გუბერნიის თავად-აზნაურთა კრებისაგან გამოწვეული."

"მეორე, ეგევე გამოძიება საბუთს მოგვცემს იმისას თუ, რამოდენად გამოსაჩენი იქნება თავად-აზნაურობისათვის, რომ ეგ რკინისგზა გააკეთოს და ამოქმედოს თავისთვინ იცის? იქნება ეგ გზა ერთ იმისთანა ულეველ წყაროდ ქონებისად შეექმნას თავად-აზნაურობას, რომ მით თავის საკუთარს და ქვეყნის საზოგადო საჭიროებას ცოტად თუ ბევრად გაუძღვეს და ნუთუ საშვილიშვილოდ სანანური არ გაუხდება, რომ ამისთანა საქმისაგან ხელცარიელი დარჩეს? განა ქალაქელები ეხლა თავში არ იცემენ, ეს კონკა ხელიდამ როგორ გაუშვით და სხვას მიეცით საჭმელადაო. ტფილისელებს რომ ჭკუა ეხმარათ და ამ კონკის საქმის გამოსაძიებლად წინათვე დაეხარჯათ რამე, დღეს თავში საცემად საქმე არ გაუხდებოდათ. რად უნდა მოვეკიდნეთ კახეთის რკინისგზის საქმეს ეგრე ბავშვურად, ეგრე უთავბოლოდ, რომ გამოუძიებლად ავიღოთ, გულზე ხელები დავიკრიფოთ და ვიძახოთ, რა ჩვენი საქმეაო. რაკი თითონ საქმემ ჩვენკენ მოახედა, რაკი შესაძლოა ეგ საქმე ჩვენ ხელთ ვიგდოთ, ნუთუ სასახელო იქნება ათას ხუთას თუმნის გულისათვის კარზე მომდგარი ბედი უკან გავაბრუნოთ და საშვილიშვილოდ საწყევარად გავიხადოთ თავი? აკი მოგახსენებთ, ეგ იმისთანა საქმეა, რომ შესაძლოა მაგ საქმიდამ ჩვენს სიღარიბეს წამალი რამ დაედოს, და ნუთუ ეს შესაძლოობა გამოუძიებლად, უსაბუთოდ, უნდა უარ-ვყოთ?" *("ისევ კახეთის რკინისგზის საკითხზე". 1893 წ. 13 თებერვალი).*

"რკინისგზამ შუა გასჭრა ქართლი, ესე იგი გორის მაზრა და ზღვიდამ ზღვამდე გაუადვილა სიარული, ნაშრომ-ნაღვაწის ზიდვა-გადატანა, საქართველოს სამხედრო გზამ დუშეთის მაზრას თავიდამ ბოლომდე გაუარა, გზატკეცილმა ბორჯომიდან აბასთუმნამდე ახალქალაქის და ახალციხის მაზრა მოუახლოვა ბაზარს; სხვა აქეთ-იქითი გზები-კი ასეთი არის, რომ მათზე სიარული ერთი ჭირი და ბოროტია, ნამეტნავად გასასყიდად დანიშნულის საზიდავად და გადასატან-გადმოსატანად. რკინისგზებისა და გზატკეცილებზედ ახლომახლო მცხოვრებელთ, რა თქმა უნდა, ბედი გაეხსნათ: კარგი გზა ბაზარს თითქმის ხელში აძლევს. ამ გარემოებამ იმოდენად გაუადვილა ჭირნახულის

გატანა ბაზარში, იმოდენად გაუიეფა ჭირნახულის საზიდი ხარჯი, იმოდენად შეუმოკლა დრო და გარჯა მისვლა-მოსვლისათვის და გადატან-გადმოტანისათვის, რომ ამ კაი გზებზე მოშორებით მცხოვრებელმა ვეღარ გაუწია ცილობა და ძალაუნებურად პირში ჩალაგამოვლებული დარჩა და ბაზარს და ბაზრობას გამოეთხოვა; როცა გზების უვარგისობა საყოველთაო იყო, ერთსა და იმავე ტაფაში იწვოდნენ ყველანი, ნაშრომ-ნაღვაწის გასასყიდად გატანაში თითქმის ერთსა და იმავე გარემოებაში იყვნენ და მარტო მანძილი და სიგრძე გზისა თაბაუთსა ჰშვრებოდა ისეთის მეტნაკლებობით, რომ ცილობა ფასის აწევ-დაწევაში მაინც კიდევ შესაძლებელი იყო და გაყიდვა ბაზარში მიტანილისა ცოტად თუ ბევრად სახეირო". *("საზოგადოებრივი ცხოვრების ნაკლნი და მისი ეკონომიური მიზეზები". 1897 წ.).*

"ეხლა სულ სხვაა. კაი გზებზე მახლობელთ მეტისმეტად გაუადვილდათ და გაუიეფდათ ბაზარში მიტანა საქონლისა, და დაშორებულებს-კი, უგზო-უკვლობისა გამო, მეტისმეტად დაუმძიმდათ და გაუძვირდათ. უგზო-უკვალოდ დაშთენილთაგან და კაი გზებზე დაშორებულთაგან ბაზარში გატანა საქონლისა ასეთს ხარჯსა ჰთხოულობს, ასეთს დროსა და ტანჯვა-წვალებასა, რომ ფასი გაყიდულისა ძლივს აყენებს ხოლმე მარტო ამაების ხარჯსა. პური, ქერი, სიმინდი და სხვა ამისთანა, რომელიც საზიდადაც დიდია, როგორც საპალნე, და მძიმეც, ვეღარ იტანს გზის და საზიდავის ხარჯსა და ამიტომაც ამაებისაგან ფულის გამორჩენა კარგს გზებზე დაშორებულ მკვიდრთათვის უზარალოდ შეუძლებელია". *("საზოგადოებრივი ცხოვრების ნაკლნი და მისი ეკონომიური მიზეზები". 1897 წ.).*

- **სალითოგრაფიო ქვა და კირი**

"აი ეხლაც აღმოჩენილია ჩვენს ქვეყანაში წყარო სიმდიდრისა აღბულალში თავად დ.ზ. ბარათაშვილის მამულში. ალგეთზედ აღმოჩენილა მშვენიერი ქვა სალითოგრაფიო და საკირე ქვა ისეთის მაღალის ღირსებისა თურმე, რომ უკეთესი აღარ უნდა. უნდა მოგახსენოთ, რომ ლითოგრაფიულ ქვას დიდი გასავალი და დიდი ფასი აქვს ევროპასა და რუსეთში. კაცი, რომ ამ ქვის მოჭრას, კეთებას და გასყიდვას შეუდგეს, მოგება და დიდი მოგებაც უეჭველია, იმიტომ რომ დიდი ფასი და ბაზარი აქვს; ფასი და ბაზარი დიდი აქვს იმიტომ, რომ – მთელს ევროპაში ამ ქვის მადანი, - თუ არა ვცდებით – მარტო ბავარიაშია ზოლენჰოფენში და მთელი ევროპა მარტო ამ ქვას მარტო აქედამ ეზიდებოდა. ამდენი გაუზიდნიათ დღეს-აქამომდე, რომ დედამიწის ზედაპირზედ სულ მოულევიათ და ეხლა თურმე ღრმად თხრა სჭირია, ღრმად მიწაში ჩასვლა, რომ ქვა იქა სჭრან და ამოიღონ.

მინამ ქვა მიწის მაღლა ყოფილა და ან ღრმად თხრა არ სდომებია, ქვა, რასაკვირველია, შედარებით იეფი იქნებოდა. ეხლა, რაკი თხრა არის საჭირო და მიწაში ღრმად ჩასვლაც, უეჭველია ქვის ფასიც აიწევდა და აიწია კიდეც. ჩვენში აღმოჩენილი ლითოგრაფიული ქვა კი ალგეთის ნაპირებზედ ერთს უშველებელს, ტიტველა კლდეს წარმოადგენს თურმე. აქ მოხრა და გათლა ქვისა მეტად ადვილია ამის გამო და მაშასადამე იეფიცა. ამას ისიც დაუმატეთ, რომ ალგეთის წყალი და თითქმის ხელუხლებელი ტყეც ზედვე აქვს. ეს წყალი და ტყე დიდად ხელს შეუწყობს ქარხანას ქვის საჭრელ თუ სათლელ მაშინების სამოქმედოდ. ამისთანა კარგის და ხელშემწყობ

გარემოებით მოცულს მადანს სალითოგრაფიული ქვისაც კაცი ნატვრითაც ვერ ინატრებს".

"ჰნახავთ თუ ეს მზამზარეული აუარებელი სიმდიდრეც პირიდამა არ გამოეცალოთ, ჩვენს ფულიანს კაცებსა! საქმე ახალია, საჭიროა სხვისი თვალი და სხვისი ჭკუა, და მაშინ კი გვიანღა იქნება. მადნის პატრონს თ. ბარათაშვილს, ჩვენის ფიქრით, ძალიან კარგი უქნია, რომ დრო არ დაუკარგავს.

თ. ბარათაშვილს გამოჰლაპარაკებიან კიდეც გონებაფხიზელნი და გამჭრიახნი ევროპიელნი. ნიმუშად გაგზავნილ სალითოგრაფიო ქვებს აღტაცებაში მოუყვანია მცოდნე კაცნი. ეხლა მიწერ-მოწერა აქვთ ზოგიერთ ევროპიელ ფირმებს თ. ბარათაშვილთან და მორიგებაზედ აქვთ ჩამოგდებული სიტყვა. ერთი ნიმუში პარიზშიაც გაუგზავნია, რადგანაც იქაურს ვაჭრებს და სოვდაგრებს, რომელთათვისაც საინტერესოა ეს საქმე, მოუთხოვნიათ იგი ნიმუში.

ამ სახით ეს წყაროც აუარებელის სიმდიდრისა ჩაუვარდებათ ხელში ევროპიელთა... *("ჩარჩული კაპიტალი და ჩვენი მრეწველობა. ლითოგრაფიული ქვის აღმოჩენის გამო". 1886 წ. 30 ივლისი).*

3.3.2.3. ვაჭრობა, როგორც ერის ცხოვრებაში სიმდიდრის მოფენისა და მორიგების სფერო

- **ვაჭრობის ბუნებაა ნაკლებ იყიდოს და მეტად გაჰყიდოს**

"კარგია, თუ ეს გასამრჯელო, ეს ფეხის ქირა, სინდისიანია. ხოლო, რადგანაც ბუნება ვაჭრობისა, აღებ-მიცემობისა იმაშია, რომ რაც შეიძლება ნაკლებ იყიდოს და მეტად გაჰყიდოს, ამიტომაც ბოლოს და ბოლოს ისე გამოდის ხოლმე, რომ გამრჯელს შრომის ფასი ძლივ ეძლევა და პურის მსურველს ნამეტანობით ერთმევა, და ამ სახით დიდი ლუკმა სხვის ნაშრომ-ნაამაგარისა ჰრჩება იმას, ვისაც ხელიც არ გაუნძრევია საშრომ-საამაგოდ და მარტო შუამავლობა გაუწევია. ეს ლუკმა იმოდენად მეტია ხოლმე, რამოდენადაც გაჭირვებულია ფულისათვის ერთის მხრით გამრჯელი და, პურისათვის მეორეს მხრით პირდაპირი მხარჯველი." *("ჩვენი ქვეყნის ეკონომიური ცხოვრების საზრუნავი". 1893 წ. 17 ივლისი).*

"ჩვენ, ქართველები, პურისა და ღვინის პატრონები ვართ, ესე იგი, პურისა და ღვინის გამსყიდველნი ერთის მხრით, და მეორეს მხრით მსყიდველნი ყოველ იმისა, რაც ერთობ საჭიროა საყოველდღეო ცხოვრებისათვის. როგორც გამსყიდველნიც ვზარალობთ, რომ უფულობა გვაიძულებს იაფად გავყიდოთ და როგორც მსყიდველნიც, იმიტომ რომ სასყიდს ძვირად ვყიდულობთ, და იმოდენად ძვირად, რამოდენადაც სასყიდი საყოველდღეო ცხოვრებისათვის საჭიროა." *("ჩვენი ქვეყნის ეკონომიური ცხოვრების საზრუნავი". 1893 წ. 17 ივლისი).*

"ამ სახით ვაჭრების ხელში იმ ყოფითა ვართ, რომ ერთს ტყავს ორგზით გვაძრობენ. ესეთი ყოფა ჩვენ ორგზით გვაკლებს და ჩვენს ვაჭრებს ორგზით ჰმატებს." *("ჩვენი ქვეყნის ეკონომიური ცხოვრების საზრუნავი". 1893 წ. 17 ივლისი).*

"ტფილისის ბაზარში ხალხი, თავის-თავის მკვებავი სოფლის ჭირნახულითა, ბევრს შეღავათს ვერა ჰგრძნობდა, რადგანაც ფასებმა მისთვის იმოდენად ვერ დაიწიეს, რამოდენადაც ეგ იყო დაწეული მიწათმომქმედთათვის. ეს სამწუხარო გარემოება გამოიყენეს მარტო ჩარჩებმა და ვაჭრებმა, რომელნიც ფასდაცემულ ჭირნახულს

ჰყიდულობდნენ და თითქმის ფასდაუცემლად ასაღებდნენ მხმარებელზედ." *("ჭირნახულის მომყვანთა გაერთიანებულ ამხანაგობათა შესახებ". 1886 წ. 6 ნოემბერი).*

"ვაჭარი შუაკაცია ჭირნახულის მომქმედთა და ჭირნახულის მომხმარებელთა შორის; რაც მეტი აქვს ჭირნახულის მომქმედს, იმას ართმევს აღებ-მიცემობით და აწვდის მხმარებელს, რომელსაც ჭირნახული უჭირს საკვებავად და სახმარად. ამ შუაკაცობაში ვაჭარი იღებს, თავის ხარჯს გარეთად, თავის გასამრჯელოს, თავის სადალალოს; ეს სადალალო იმოდენად ბევრია, რამოდენადაც ჭირნახული ნაკლებ ნაყიდია და მეტად გაყიდული." *("ჭირნახულის მომყვანთა გაერთიანებულ ამხანაგობათა შესახებ". 1886 წ. 6 ნოემბერი).*

"ადამიანი საზოგადოდ და ვაჭარი განსაკუთრებით ხარბია და ამიტომაც ვაჭარი სულ იმის ცდაშია, რაც შეიძლება ნაკლებ იყიდოს და რაც შეიძლება მეტად გაჰყიდოს. ეს ცდა მოჭირნახულესაც ხელში ლუკმას უტეხს და მხმარებელსაც. ორივე ესენი ჰზარალობენ, და ამათს ზარალზე შენდება მოგება სინდისზედ ხელაღებულ ვაჭრისა." *("ჭირნახულის მომყვანთა გაერთიანებულ ამხანაგობათა შესახებ". 1886 წ. 6 ნოემბერი).*

"რადგანაც ცხოვრება ადამიანისა გაჭირდა, შოვნა ლუკმაპურისა დამძიმდა და გაძვირდა, ვაჭრობის უსინდისობამაც იმატა და ეხლა ვაჭარი უფრო ბევრს ითვლის თავისკენ, ვიდრე ოდესმე." *("ჭირნახულის მომყვანთა გაერთიანებულ ამხანაგობათა შესახებ". 1886 წ. 6 ნოემბერი).*

- **მოსავალი კარგია, როცა მისი გასყიდვა შესაძლებელია, ანუ მხნეობაში სახელგანთქმული ინგლისელის ამბავი**

"დიდი ხანია სჩივიან ჩვენი მემამულენი და მიწათმომქმედნი, რომ მოგივა მოსავალი ვაია, და არ მოგივა ვაგლახიო. არმოსულის ვაგლახობა ადვილად გასაგებია: არ მოგივა და თითქმის ცარიელზედ უნდა იჯდე მთელი წელიწადი და მეორე წლისათვისაც იმოდენად ვეღარ გაშალო ხელი, რამოდენადაც გული გერჯით, რადგანაც უმოსავლობა ამისათვის უღონოდა გხდით, ხოლო მოსულის ვაება კი, სწორედ მოგახსენოთ, რაღაც უცნაური რამ არის, პირველ შეხედვით მაინცა". *("ხილის და ბოსტნეულის გამსაღებელი საზოგადოება". 1889 წ. 6 თებერვალი).*

"მართლადა, მოსავლის მოსვლა რად უნდა იყოს სავაებო მემამულესათვის?" *("ხილის და ბოსტნეულის გამსაღებელი საზოგადოება". 1889 წ. 6 თებერვალი).*

"კაი მოსავალი კარგია, როცა მისი გასყიდვა შესაძლებელია თავის დროზედ და უზარალოდ. თუ ეს არ არის, მოსავალი თუნდა გქონიათ, თუნდა არა. რომ არა გქონდეთ, კიდევ ესა სჯობია, ვიდრე გქონდეთ და თქვენის თვალითვე ჰხედავდეთ, რომ თქვენი ნაშრომ-ნაჯაფევი, თქვენი ამაგი, ან თქვენს თვალთა წინაშევე ჰფუჭდება, ან ჩალის ფასად უნდა გადაჰყაროთ, რადგანაც ყოველი სხვა გზა დახშულია. ამ უკანასკნელს შემთხვევაში სიმწარე თქვენის ყოფა-ცხოვრებისა გაორკეცებულია ჯერ იმითი, რომ ამისთანა ქონება არ-ქონებაზედ უფრო საგრძნობელია, რადგანაც ზარალი გაფუჭებულისა ან ჩალის ფასად გადაყრილისა უნდა შეავსოთ სხვა გზით რითიმე, და მერე მით, რომ გული გიკვდებათ, ზნეობრივად იჩაგრებით და მხნეობა გარჯისა გელახებათ, რაკი ჰხედავთ, რომ მხნედ გარჯას ზარალის მეტი არა მოაქვს-რა". *("ხილის და ბოსტნეულის გამსაღებელი საზოგადოება". 1889 წ. 6 თებერვალი).*

“ამ სახით სულითა და ხორცით მოუძლურებულს გული გიტყდებათ გარჯისა და შრომისათვის და ეს გულის გატეხა იქამდე მიდის, რომ ზოგჯერ კაცს ხელსაც აღებინებს მამულის კეთებაზედ, რადგანაც ზარალის მეტი არა მოაქვს-რა. ამაში, რასაკვირველია, ბრალი არც მამულს ედება, არც გამრჯელობას კაცისას, არამედ იმ გარემოებას, რომ განაღდება, ანუ, უკეთ ვსთქვათ, ფულად ქცევა მოსავლისა ბევრნაირის მიზეზით დაბრკოლებულია და ხშირად შეუძლებელიც”. *(“ხილის და ბოსტნეულის გამსაღებელი საზოგადოება”. 1889 წ. 6 თებერვალი).*

“ყოველის ეკონომიურს მოქმედებას კერძო კაცისას-კი მარტო საგნად ეგ განაღდება აქვს ნაჭირნახულევისა და ნაშრომისა”. *(“ხილის და ბოსტნეულის გამსაღებელი საზოგადოება”. 1889 წ. 6 თებერვალი).*

“შეუკარით კაცს გზა მის ნაშრომ-ნაღვაწევის განაღდებისა და იგი თუ ხელს გასძრავს, მარტო მისთვის, რომ თავისი საკმარისი მოიყვანოს, თავისი შინ სამყოფი. ამაზედ მოჭარბებულისათვის-კი იგი ყოვლად უქმი იქმნება, იმიტომ რომ ანგარიში არ არის მოიყვანოს ის, რასაც ვერას გამორჩება, რასაც ვერ გაანაღდებს, რომ განაღდებულით სხვა საჭიროებას რასმე გაუძღვეს. საცა ამისთანა ყოფაა, იქ ეკონომიური წარმატება, ქვეყნის გამდიდრება, ყინულზე დაწერილი თამასუქია და ცალკე კაცსაც სიღარიბისაგან თავი ვერ დაუღწევია”. *(“ხილის და ბოსტნეულის გამსაღებელი საზოგადოება”. 1889 წ. 6 თებერვალი).*

“სწორედ ამისთანა მდგომარეობაში ვართ დღეს ჩვენ. თუ რასმე მოვიყვანთ, ვეღარ გავყიდით; თუ გავყიდით, ჩალის ფასად უნდა გადავყაროთ. ან თუ არა, ტყუილუბრალოდ შინ წაგვიხდეს, გაგვიფუჭდეს. ამ მხრით ჩვენის ქვეყნის უკან ჩამორჩენა, ჩვენთა მკვიდრთა სიღარიბე ტყუილად ბრალად ედება იმას, ვითომც ჩვენებური ხალხი არ იყოს მხნე, გამრჯელი, შრომა და ჯაფა ეზარებოდეს. ეს ტყუილია. ყოველ ეკონომიურ მოქმედების თავი და ბოლო გამორჩენაა. თუ ეს გამორჩენა ან არ არის, ან გაძნელებულია, იქ თუნდა მხნეობაში სახელგანთქმული ინგლისელი მოიყვანეთ, ისიც გულზედ ხელებს დაიკრებს და ხელს არ გაანძრევს, _ რისთვის? რაო ჩემოო?” *(“ხილის და ბოსტნეულის გამსაღებელი საზოგადოება”. 1889 წ. 6 თებერვალი).*

- **ბაზარი გამნაღდებელი ნაშრომისა. ჩარჩების პირის შეკვრა**

“გამნაღდებელი ნაშრომისა ბაზარია და იგი ეკონომიური მოქმედება აღებ-მიცემობისა, რომელსაც ვაჭრობა ჰქვიან”. *(“ხილის და ბოსტნეულის გამსაღებელი საზოგადოება”. 1889 წ. 6 თებერვალი).*

“ვერ ვიტყვით, რომ ჩვენში ბაზარი და ვაჭრობა არ იყოს, მაგრამ ერთიცა და მეორეც ისე მოწყობილია, რომ უფრო გლეჯა-მტაცებლობასა ჰგავს, ვიდრე აღებ-მიცემობას, ნამეტნავად სოფლის ნაშრომის საქონლისათვის”. *(“ხილის და ბოსტნეულის გამსაღებელი საზოგადოება”. 1889 წ. 6 თებერვალი).*

“ამ ბაზარში ძალიან გაძნელებულია, რომ საქონლის მომქმედმა პირდაპირ ინახულოს იგი მუშტარი, რომელიც ჰყიდულობს არა იმისთვის, რომ ხელახლად გაჰყიდოს, არამედ იმისთვის, რომ თითონ პირდაპირ მოიხმაროს. ამათ შუა ჩასდგებიან ხოლმე მრავალგვარნი ჩარჩები და სულ იმის ცდაში არიან, რომ საქონლის პატრონი მუშტარს არ შეახვედრონ. რადგანაც ამ ჩარჩებმა პირობის შეკვრა იციან და პირობაზე მტკიცედ დგომა, ამიტომაც ადვილად აისრულებენ ხოლმე ამ წადილსა. უმუშტარო

პატრონი საქონლისა რჩება ჩარჩების ანაბარად და რა თქმა უნდა, ესენი ისე გაუხდიან საქმეს, რომ აბაზიანს გროშობით გაუნაღდებენ და მერე მუშტარზედ გროშობით ნასყიდს აბაზიანობაზედ გაასაღებენ. ამ გზით რასაც ჰკარგავს საქონლის პატრონი და რასაც მეტს აძლევს მუშტარი, სულ ჩარჩების ჯიბეში ჩადის და საქონლის პატრონიც ჰზარალობს და მუშტარიცა ერთსა და იმავე დროს. ამ სახით ორნივ ერთს ტაფაში იწვიან". *("ხილის და ბოსტნეულის გამსაღებელი საზოგადოება". 1889 წ. 6 თებერვალი).*

"სოფლის საქონლის მომტანი აუცილებლად ამ ყოფაში ჩავარდება ხოლმე, და ან ისე უნდა გაჰყიდოს მოტანილი, როგორს ფასსაც ჩარჩები დასდებენ, ან უკანვე უნდა წაიღოს მოტანილი, წაიღოს და როდემდის ინახოს? წასვლა-მოსვლის და მოცდენის ხარჯი ვიღას მოსთხოვოს?" *("ხილის და ბოსტნეულის გამსაღებელი საზოგადოება". 1889 წ. 6 თებერვალი).*

"ღვთის მადლით, ჩვენ ჯერ ამ განწირულებამდე არ მივსულვართ, მაგრამ ჩვენდა სამწუხაროდ უნდა ვთქვათ, რომ დღესა თუ ხვალე ამ დღეში ჩავცვივით, თუ მინამ დროა თავს არ ვუშველეთ, ჩვენ მოედანი ჩვენის ეკონომიურის ცხოვრებისა სხვას დავუთმეთ. ამას მრავალი მიზეზი ჰქონდა და ამ მიზეზთა შორის უმთავრესი ის არის, რომ ჩვენ საშუალ-საუკუნეთა რაინდობის ანდერძებით გულს ვიფხანდით, თავს ვიწონებდით: ხმალი, თოფი, ცხენი, რახტი, ლამაზი ქულაჯა და სხვა ამგვარი შეადგენდა საგანს ჩვენის ნატვრისას და წყურვილისას; და როცა ჩვენ გატაცებულნი ვიყავით ამ ნატვრითა და წყურვილით, ჩრჩილი შემოგვეპარა, ჩვენის ერის ნაშრომ-ნაღვაწი ჩვენგან დაწუნებულ ვაჭრობით ხელთ იგდო, ამ გზით საქმით გაგვიბატონდა, ყმად დაგვიჭირა და სიტყვით-კი თავს გვიქონავდა და გვეძახდა, _ ბარაქალაო, კაცებიც თქვენა ხართ და ქუდიც თქვენა გხურავთო. ჩვენც ეს ბარაქალა დავიჯერეთ, ამით მოვტყუვდით და ჩვენი ნაშრომ-ნაღვაწი კერძი ცხოვრებისა დღეს იმათ წინ უდიათ, და ჩვენ-კი შორიდამ ვუყურებთ და ცალიერს თითს ვილოკავთ. დღეს ბარაქალა და მართალი ბარაქალა ჩვენგან იმათ ეკუთვნის, იმიტომ რომ ისინი მიუხვდნენ ახალთა ქართა ბერვას, დროის ძარღვს, აწინდელს აუცილებელს ღაღადს და მოთხოვნილებას, თავის ძალ-ღონე ჭკუისა, თუ ხელისა ამ ღაღადს, ამ მოთხოვნილებას შეუფარეს, შეუყენეს, გაღონიერდნენ ჯიბით, გაღონიერდნენ ყველაფრით, ხელთ იგდეს ამ საუკუნის ძლიერი ღონე _ ფული და, მაშასადამე, ხელთ იგდეს დიდი სახსარი ყოველგვარის წარმატებისა. როცა ჩვენ ვისხედით და შუბლზე ქუდშეკეცილები და მხრებზედ ყურთმაჯგადაყრილები "მრავალჟამიერს" ვიძახდით, ისინი თავმოკატუნებულნი იდგნენ ჩვენ წინაშე და სიცილად არა გვყოფნიდნენ და, ვინ იცის, იქნება გულშიც ამბობდნენ: ის იცინის კარგად, ვინც ბოლოს გაიცინებსო". *("კახეთის სოფლის მეურნეთა კავშირი". 1895 წ. 4 ნოემბერი).*

"თუ რომელიმე საგანი ვაჭრობისა ნამეტანი არ არის და თვითონ საგნის მწარმოებელს არ ეჭარბება, მისი საბაზროდ გამოტანა ბევრს არას ჰნიშნავს და ამ სახით გამართული ვაჭრობა ვერც კეთილს მოასწავებს და ვერც ვაჭრობის მკვიდრ საფუძველზედ აგებასა." *("პურეულით ვაჭრობის საქმე ჩვენში". 1886 წ. 9 დეკემბერი).*

"ამისთანა ვაჭრობა მარტო შემთხვევითია და დიდ ხანს თავს ვერ დაიჭერს. ამიტომაც ჩვენ ყველაზედე უწინარეს ჩვენს ახლად დაწყებულს ვაჭრობას პურისას ამ მხრით შევეხენით და დავინახეთ, რომ არავითარი სასტატისტიკო ცნობა არა გვაქვს შევიტყოთ, ეს ვაჭრობა პურის ნამეტანობამ გამოიწვია, თუ გაჭირების უღონობამ." *("პურეულით ვაჭრობის საქმე ჩვენში". 1886 წ. 9 დეკემბერი).*

"ეხლა წარმოვიდგინოთ, მითომც შემდეგ რიგიანად გამოკვლევისა დავრწმუნდით, რომ პური გვეჭარბება, ამიტომ ვყიდით და გაგვაქვს საქვეყნო ბაზარში. მაინც დაიჭერს

თუ არა თავსა ეს ახლად დაწყებული ვაჭრობა?" *("პურეულით ვაჭრობის საქმე ჩვენში". 1886 წ. 9 დეკემბერი).*

"ეს საკითხავი მაინც საკითხავად ჰრჩება იმ შემთხვევაშიაც, როცა ვიგულისხმებთ, რომ პური ჩვენში ნამეტანია და მოჭარბებული." *("პურეულით ვაჭრობის საქმე ჩვენში". 1886 წ. 9 დეკემბერი).*

- **ერთაშორისი აღებ-მიცემობა. სავაჭრო ბალანსი**

"ქვეყანა ისეა განგებული და განწყობილი, რომ რაც ერთს ბევრი აქვს, ის მეორეს ნაკლები და ეს მეტნაკლებობა იძულებულ ჰყოფს ყოველს ცალკე სახელმწიფოს თავისი მეტი გაიტანოს სხვაგან გასასყიდად და რაც აკლია შემოიტანოს სხვისაგან სყიდვითვე. ამ მეტნაკლებობის გამო თვითეული სახელმწიფო სხვისი მუშტარიც არის და თავის საქონლის გამსყიდველიცა, ესე იგი ამღებიც არის და გამცემიცა. აქედამ არის წარმომდგარი ერთაშორისი აღებ-მიცემობა, ვაჭრობა." *("სატამოჟნო პოლიტიკა ევროპაში, ფრიტრედერობა და პროტექციონობა". 1887 წ. 6 ივნისი).*

"რა თქმა უნდა, რომ იგი სახემწიფო არის მოგებაში ხოლმე, რომელიც თავის მეტსა ბლომად ასაღებს და სხვისას ნაკლებ ჰსაჭიროებს, რომელიც თავის მეტს ბლომად ჰყიდის და სხვისას-კი ცოტას ჰყიდულობს. ამ ბევრის გაყიდულისაგან ცოტას ნასყიდის ფასი რომ გამოითვალოს, დანარჩენი იმ ნატამალს შეადგენს, რომელიც წმინდა მოგებაა სახელმწიფოსი." *("სატამოჟნო პოლიტიკა ევროპაში, ფრიტრედერობა და პროტექციონობა". 1887 წ. 6 ივნისი).*

"ეგრეთწოდებული სავაჭრო ბალანსი იგი სასწორია, რომელიც ამ ნატამალის მეტნაკლებობას აჩვენებს და როცა ამ სასწორზედ გაყიდულის ფასი მეტია ნასყიდისაზედ, მაშინ იტყვიან ხოლმე: სავაჭრო ბალანსი ჩვენი სასარგებლოა, და როცა არა, საზიანოაო." *("სატამოჟნო პოლიტიკა ევროპაში, ფრიტრედერობა და პროტექციონობა". 1887 წ. 6 ივნისი).*

"აქედამ აშკარადა სჩანს, რაზედ უნდა მიქცეული იყოს მეცადინეობა ყოველის სახელმწიფოსი საერთაშორისო აღებ-მიცემობის საქმეში: უნდა ყოველი ღონე იღონოს, რომ თვითონ რაც შეიძლება ნაკლებ გაუწიოს მუშტრობა სხვის საქონელსა და სხვა-კი თავის საქონლისათვის დიდ მუშტრად აიჩინოს. აი სწორედ აქა და აქედამ ჰმტრობენ ხოლმე ერთმანეთს სახელმწიფოები, როცა ერთმანეთს აეშლებიან. აი, მაგალითად, თუნდ ინგლისი ავიღოთ." *("სატამოჟნო პოლიტიკა ევროპაში, ფრიტრედერობა და პროტექციონობა". 1887 წ. 6 ივნისი).*

"ეკონომიური ძალ-ღონე საკუთრივ ინგლისისა საფაბრიკო და საქარხნო საქონელია. ამგვარი საქონელი ისე ბლომად აქვს, რომ ძლივძლივობით ასაღებს ამ მთელს ქვეყნიერობაზედ. ვსთქვათ ამისთანა დიდმა სახელმწიფომ, როგორც რუსეთია, რომელსაც ასი მილიონი მკვიდრი ჰყავს, არ შემოუშვა ინგლისის საქონელი თავის ქვეყანაში და კარები გამოუგულა. აშკარაა, ასის მილიონის მუშტრის მოკლება დიდად საგრძნობელია და საზიანო უნდა იყოს თუნდ იმისთანა სახელმწიფოსათვის, რომელსაც სხვა ბაზრებიც აქვს თავისის გონიერებით წინადვე დაჭერილი. რამოდენადაც ეს ასი მილიონი მუშტარი სიმდიდრეს შესძენდა ინგლისს, როცა მის საქონელს იყიდდა, სწორედ იმოდენად გააღარიბებს, როცა აღარ იყიდის, და გაღარიბება ხომ უღონობაა.

უღონობა მტრისა, თუმცა ღონეს არა ჰმატებს მოპირდაპირესა, მაგრამ ძლევის იმედს კი უძლიერებს და მტერს გზიდამ აცლის." *("სატამოჟნო პოლიტიკა ევროპაში, ფრიტრედერობა და პროტექციონობა". 1887 წ. 6 ივნისი).*

"ვაჭრობა, აღებ-მიცემობა ბუნებითად იმის თანა რამ არის მუშტრისათვის, თუ თვითონ ვაჭრისათვის, რომ მარტო რგებას და გამორჩომას დაგიდევს და სხვა არაფერსა. ხოლო საქმე ის არის, რომ ხშირად ამ სისტემას სხვა განზრახვითაც სჭიდებენ ხელსა და თავს-კი იმ საბუთებით ჰმართლულობენ, რაც ზევით მოვიხსენიეთ." *("სატამოჟნო პოლიტიკა ევროპაში, ფრიტრედერობა და პროტექციონობა". 1887 წ. 10 ივნისი).*

- **ვაჭრობა მხოლოდ სიმდიდრის მოფენას და მორიგებას შველის. უცხო თესლის ვაჭარი სტუმარია მკვიდრის ერისა**

"ვაჭრობაც, რასაკვირველია, საჭიროა ერის ცხოვრებისათვის, იმოდენად, რამოდენადაც იგი ეზიდება საქონელს იქიდამ, საცა მეტია, იქ _ საცა უჭირთ და ამ გზით შველის სიმდიდრის მოფენას და მორიგებას ყოველგან. ხოლო ვაჭრობა, წესიერედაც გაწყობილი, ამის მეტს სამსახურს ვერ გაუწევს ადამიანსა, და ბუნებითად იმისთანა რამ არის, რომ ერთს ბინაზედ არ აყენებს კაცს; საცა გამორჩომაა და ხეირი, იქ არის იმისი მამული, იმისი მიწა-წყალი. ამიტომაც ერი, მარტო ვაჭრობაზედ მიქცეული, დარღვეულია, გაქსუებული, გაფანტული. ამისთანანი არიან ებრაელნი და სხვანი, მარტო ვაჭრობაზედ დანდობილნი და მიჩემებულნი. ამისთანა ერს აუცილებელ ბედად ის უწერია, რომ სხვის კედლად უნდა იყოს, სხვა ერს შეეხიზნოს, სხვისით იცხოვროს. ამიტომ საპოლიტიკო მოქმედებისათვის იგი ღონე-მოკლებულია, ერად ყოფნობისათვის ნიადაგი არა აქვს და ხელცარიელია, თუნდაც ჯიბეები ოქროებით ჰქონდეს გატენილი. ამისთანა ერის ეკონომიური ყოფა-ცხოვრებაც იმ ერზედ არის დამოკიდებული, რომელსაც შეჰკედლებია და რომელსაც ხელთ უპყრია მიწა და გუთანი, იმიტომ _ რომ ვაჭრობა არა ჰქმნის სიმდიდრესა; მას მარტო ერთის ადგილიდამ მოჭარბებული სიმდიდრე გადააქვს მეორე ადგილას, საცა ნაკლებია, და ამ გადატან-გადმოტანაში თავის გასამრჯელოდ დოიაქს იღებს იქიდამაც _ საიდამაც გადააქვს და იქიდამაც _ საცა მიაქვს. ამ სახით, ვაჭრობა არც ერის სიმდიდრის გაძლიერებაში არის თვითმოქმედი მონაწილე, მაშასადამე, იგი, როგორც საპოლიტიკო, ისეც საეკონომიო საქმეებში, მუდამ სხვის მაყურებელია, სხვის პირში მაცქერალი, და ნამდვილ განათლებულ ვაჭარს ყოველთვის წინ გამოსახული ისა აქვს, რომ მისი კეთილდღეობა იმ ერის ბედნიერებასთან არის შეხორცებული, რომელსაც შეჰხიზნებია. ამიტომაც იგი არ ერიდება და თავისად მიაჩნია იმ ერის ჭირიცა და ლხინიცა. საცა ამ დონეზედ ვაჭარი არ დამდგარა, საცა გულში ჩაუდვია მარტო თავისი გამდიდრება იმ გზით, რომ ერი გააღარიბოს, იქ ვაჭარი თვალში ეკლად უჩანთ. უცხო თესლის ვაჭარი სტუმარია მკვიდრის ერისა. სტუმარმა მასპინძელს არასოდეს არ უნდა გაუბედოს, აქაურობის პატრონობა მინდაო. შეიძლება სტუმარი ძმად მიითვისოს კაცმა, მაგრამ მის ბატონად გახდომას-კი მოკვდება და არ იკადრებს." *("შინაური მიმოხილვა". 1882 წ. ივლისი-აგვისტო).*

- **ჩარჩი: მისი მიზანი კერძო სარგებელია და არა ხალხის კეთილდღეობა. ვინ დაიხსნის ხალხს ჩარჩებისაგან?**

"მაგრამ როგორ ეშოვა ფული, როგორ ექცია თავის ნაწარმოები ფულადა? ქალაქს წაეღო? ვინ იცის, ესეც სათუოა: ხან ფასი ნაკლები არის, ხან სრულიად ბაზარი არა აქვს რომელსამე ნაწარმოებსა. ხშირად რამდენსამე დღეს უნდა მოსცდეს და ნახევარ ფასადაც ვერ გაჰყიდოს თავის ნაშრომ-ნადაგი. კიდევ კარგი, ვისაც ქალაქი ახლო აქვს და იქ წაღება შეუძლიან თავის ნაწარმოებისა, ვინც შორს არის? ის, მეტი ღონე არ არის, იძულებულია ფულიან კაცს მიჰმართოს და თუნდ ჩალის ფასად მიჰყიდოს თავისი ნაწარმოები, ოღონდ გაჭირებაში ხელი გაიმართოს. აი აქ იჩენენ ხოლმე თავსა ყოველგვარი ჩარჩები. ამათ, რასაკვირველია, თავიანთი კერძო სარგებლობა, თავიანთი ინტერესები აქვთ სახეში და არა ხალხის კეთილდღეობა. ამიტომ დიდს სიკეთეს შესძენს, დიდს ღვაწლს გაუწევს ჩვენს ქვეყანას, ვინც ჩვენ ხალხს ამ ჩარჩების ხელითგან დაიხსნის. ვისაც-კი გული შესტკივა ქვეყნისათვის და ჰსურს ხალხის კეთილდღეობა, წარმატება, უნდა ეცადოს, რა გზითაც-კი შეიძლება, შემწეობა მისცეს, ხელი მოუმართოს მწარმოებელსა, რომ მის ნაწარმოებს გასავალი ჰქონდეს; უნდა უჩვენოს გზა მეტადრე იმას, ვინც არც კი იცის, რას სადა აქვს გასავალი, რომელ ნაწარმოებს სად აქვს კარგი ბაზარი." *("პურეულის ყიდვა სამხედრო უწყების მიერ". 1887 წ. 16 მაისი).*

"დღეს თვით მთავრობა უჩვენებს ერთს წყაროს, რომელიც ღონისძიებას მისცემს მწარმოებელს თავის ნაწარმოები პირდაპირ მომხმარებელს მიჰყიდოს რიგიან ფასად და ჩარჩებს აღარ ჩაუგდოს ხელში. მხოლოდ აუცილებლად საჭიროა გზის მაჩვენებელი." *("პურეულის ყიდვა სამხედრო უწყების მიერ". 1887 წ. 16 მაისი).*

"უმთავრესი გაჭირვება ჩვენი მეურნეობისა იმაში მდგომარეობს, რომ მიწისმწარმოებელს თავის ნაწარმოებისთვის კარგი ბაზარი ვერ უშოვნია და ამიტომ იძულებულია ჩარჩებს მიჰმართოს და თითქმის ნახევარ ფასად მიჰყიდოს თავის ნაშრომ-ნადაგი." *("პურეულის ყიდვა სამხედრო უწყების მიერ". 1887 წ. 18 მაისი).*

"ამბობენ, ჩვენი ვაჭრები და სოვდაგრები ფულიანი ხალხიაო. იქნება ეგრეც იყოს, ხოლო არა გვგონია სადმე იყოს ისეთი გამოუსადეგი და გაუბედავი ვაჭარი, აღებ-მიცემობის კაცი, ერთის სიტყვით, ფულით მომქმედი ადამიანი, როგორც ჩვენს ქვეყანაში არის ზოგადად და ტფილისში საკუთრივ." *("ჩარჩული კაპიტალი და ჩვენი მრეწველობა". 1886 წ. 30 ივლისი).*

"მთელს მოქმედებას ფულიან კაცებისას ჩვენში რომ თვალი დააკვირვოთ. ჰნახავთ, რომ იგინი მარტო ერთის ჯიბიდამ მეორეში ფულის გადატანისათვის იღწვიან და მათგან სხვა არაფერი გამორჩენა არ იცის ქვეყანამ." *("ჩარჩული კაპიტალი და ჩვენი მრეწველობა". 1886 წ. 30 ივლისი).*

"აბა ერთი მიიხედ-მოიხედეთ ჩვენს გარშემო და გვიჩვენეთ, რომ ერთს ვისმეს მათგანს თითი გაენძრიოს ქვეყნის სიმდიდრის წასამატებლად ამ ყოვლად და მრავალგვარად მდიდარს ქვეყანაში, საცა ათას გვარი ფაბრიკა, ქარხანა და ერთობ ამის მაგვარი მრეწველობა დიდ ხელს მისცემს მრეწველსაც და ქვეყანასაც გაამდიდრებს, არც ერთს ფულიან კაცს გუნებაშიაც არ გაუტარებია, აზრადაც არ მოსვლია, რომ შეიძლება

კაცმა თვითონაც იხეიროს და ქვეყანასაც არგოს რამე." *("ჩარჩული კაპიტალი და ჩვენი მრეწველობა". 1886 წ. 30 ივლისი).*

"აქაური ფულით მომქმედნი კაცნი მარტო ორს მამა-პაპათაგან ნაანდერძევს საქმეს მისდევენ და ამას გარეითად სხვა არა იციან რა და არც სურვილი აქვთ იცოდნენ. ერთი საქმე ფულის სესხად გაცემაა, ისიც მამასისხლად და იმოდენა მძიმე პირობით, რომ სესხის ამღებს ილაჯი უნდა გაუწყდეს ცხოვრებისა, თვითონ გასაწყლდეს, გაღარიბდეს, მიწასთან გასწორდეს, და ფულიან კაცს ერთი-ორად ფული მოაგებინოს, რომ მერე იგი ფულიანი, უფრო გაძლიერებული ერის პირქვე დამხობითა, მეორეს მიესიოს და მეორე ჩაითრიოს, მერე სხვა და მერე სხვა. რა თქმა უნდა, ამისთანა საქციელისათვის დიდი შრომა და გარჯა საჭირო არ არის: იჯექ შენთვის გულხელდაკრეფილი შინ და ფული კი თავისთავად იბარტყეს, აქ მარტო მიცემა უნდა ფულისა და მერე მიღება თავისის ნაბარტყითა. მეორე საქმე დუქანში დილიდამ საღამომდე თვლემაა. ჰზის დუქნის პატრონი დაზგის წინ და მუშტარის ლოდინში ან ჭერში ბუზებსა სთვლის ძილისაგან დასიებული, ან ძილისაგანვე გასიებულს თავს აკანტურებს თვლემითა. თუ რამ ზრუნვა და ფიქრი აქვს, ყოველივე მიქცეულია მარტო იმაზედ, ვინ როგორ მოატყუოს, როგორ გაასაღოს კარგი საქონლის ფასად იეფად ნაყიდი დამპალი საქონელი, და თუ მის ბედობაზედ მუშტარი ვინმე უცაბედად შემოეხეტიალა, რაც შეიძლება ბევრი გამოჰგლიჯოს, ან წონასა და ზომაში მოტყუებით გამორჩეს რასმე. სცხოვრობს იგი ამ ხელობითა დღითი-დღე, სრულიად დარწმუნებული, რომ ეს ამისთანა ხელობა შრომაა და ჯაფა, არც იმას ჰფიქრობს, რომ მუშტარი შეიჩვიოს პატიოსნებითა, კარგი საქონლის ვაჭრობითა, არც ის ესმის, რომ ერთხელ მისგან მოტყუებული მუშტარი მისთვის სამუდამოდ დაკარგულია, არც იმის გაგება აქვს, თუ მცოდინარის და ჭკუაფხიზელის პატიოსანის ვაჭრის უტყუარი და სამართლიანი მოგება რაში მდგომარეობს. რაკი ერთხელ და ერთხელ გადუწყვეტია, რომ მანეთს ხუთი ან ექვსი შაური უნდა ამოაღებინოს, იგი მაგ მანეთს თუნდა მთელი წელიწადი უქმად ამყოფებს თავის დუქანში იმის ლოდინში, რომ ერთხანად აჰგლიჯოს ვისმე ერთხელ განზრახული ხუთი თუ ექვსი შაური. მისი ვაჭრობის უნიჭობა დღეს-აქამომდე ვერ მიმხვდარა, რომ შესაძლოა იგივე ხუთი და ექვსი შაური მოაგებინოს მანეთს, თუ რომ თითო გადატრიალებაზედ თითო შაურის მოგებას დასჯერდება და ეცდება, რომ წელიწადში მანეთი ხუთჯერ და ექვსჯერ გადაატრიალოს. რა თქმა უნდა, ამისათვის საჭიროა მოძრაობა, ჯაფა, გარჯა და ყოველს ამაზედ იგი ზარმაცია, ყოველივე ეს ეზარება, თუმცა კი ყოველ შემთხვევაში ჰქადულობს და მოჰკვეხს, რომ მშრომელი, გამრჯელი და მუყაითი საქმისა მთელს კავკასიაში მე ვარო, სხვანი სულ ზარმაცნი არიანო და ხელიდამ არა გამოუვათ-რაო." *("ჩარჩული კაპიტალი და ჩვენი მრეწველობა". 1886 წ. 30 ივლისი).*

- **ჩვენი სოვდაგრების ნიჭი სახეირო საქმის სიკეთეს ვერ მისწვდენია**

"ამ ტყუილ ბაქიებს, რომელნიც მარტო იმაზედ არიან მოცლილნი, რომ როგორც ვსთქვით, ფული სხვისის ჯიბიდამ თავის ჯიბეში გადააქვთ და ქვეყნისათვის ერთის იოტის ოდენაც არა შეუმატნიათ რა, უცხო ქვეყნელთა მრავალ გზით პირიდამ ლუკმა გამოაცალეს. უკეთესნი ვაჭარნი დღეს ჩვენში უცხო ქვეყნელები არიან. ეს კიდევ არაფერი; რაც ჩვენის ცხოვრების განკარგებასთან ერთად ცალკე კაცისათვის გამოსარჩენია და

სახეირო, ყოველივე ის ცხვირწინ გაეპარათ ჩვენებურს სოვდაგრებს, რადგან მათი ქებული ვაჭრობის ნიჭი საქმის სიკეთეს ვერ მისწვდა." *("ჩარჩული კაპიტალი და ჩვენი მრეწველობა". 1886 წ. 30 ივლისი).*

"როცა ქალაქში ცხენის-რკინისგზის გამართვასა ჰფიქრობდნენ, ჩვენებურმა სოვდაგრებმა ვერ შეჰბედეს ამ საქმეს. ვერ შებედვა კიდევ არაფერია, საქმე ის არის, რომ მაგ გზის საქმე სიცილადაც არ ეყოთ, ასე შორსმჭვრეტელნიც არიან. "რასაც მოიგებენ, ჩვენ წილს ნუ დაგვიდებენო", იძახოდნენ უმეცრების კმაყოფილებით და დაცინვით ჩვენი ფულიანი კაცები. როცა ცხენის-რკინისგზა სხვა ქვეყნიდამ მოსულმა გაჰმართა და ნახეს, რომ ამ საქმეს კაი მოგება აქვს, მხოლოდ მაშინღა წამოაჭყიტეს თვალები და წუწუნებდნენ: "ვა, ეს საქმე ხელიდამ როგორ გავუშვითო." *("ჩარჩული კაპიტალი და ჩვენი მრეწველობა". 1886 წ. 30 ივლისი).*

"ესეთივე საქმე მოუვიდათ შავის-ქვის გამო: უცხო ქვეყნელებმა ეს აუარებელი სიმდიდრე ხელიდამ გამოსტაცეს. ესეთივე საქმე დაემართათ შაქრის ქარხანის გამო, რომელსაც ეხლა სხვიდან მოსულები ჰმართავენ სკრაში, თ. კ. შალიკოვის მამულში, და ჩვენი სოვდაგრები კი დუქანში თვლემას ვერ მოჰშორებიან, ტაბიკონი არ უწერთ. სწორედ ეს ამბავი დაატყდებათ თავზედ ღვინის ვაჭრობის გამოცა. დღეს ჩვენებურს ღვინოს დიდი ფართო გზა ეხსნება. მეტისმეტად გადაჭარბებული იმედი არ იქნება ვსთქვათ, რომ ჩვენებურს ღვინის საქმეს ამ ათიოდ წელიწადში დიდი ბაზარი ექნება მთელს რუსეთში. აბა თუ ერთს ჩვენებურს ფულიანს კაცს ამ საქმის ალღო მაინც აეღო. თქვენც არ მომიკვდეთ; ჯერ სხვამ გაჰკაფოს გზა და მერე იქნება გაჰბედონ აქაურებმა გატკეპნილ გზაზედ ფეხის გადგმა. ნავთის საქმეს კი ის დღე არ დაუდგა ჩვენის სოვდაგრების უთაურობით? საითაც გინდათ მიიხედეთ და ყველგან ჰნახავთ, რომ ჩვენებურს ფულიანებს არც გონება უჭრით, არც თვალი, რომ სანახავი დაინახონ და ნამდვილს წყაროს სიმდიდრისას ხელი ჩაავლონ თავის სახეიროდ ცალკე და ქვეყნის საკეთილოდ ერთობ." *("ჩარჩული კაპიტალი და ჩვენი მრეწველობა". 1886 წ. 30 ივლისი).*

"აი ეხლაც აღმოჩენილა ჩვენს ქვეყანაში წყარო სიმდიდრისა აღბულაღში თავად დ. ზ. ბარათაშვილის მამულში. ალგეთზედ გამოჩენილა მშვენიერი ქვა სალითოგრაფიო და საკირე ქვა ისეთის მაღალის ღირსებისა თურმე, რომ უკეთესი აღარ უნდა. მოგეხსენებათ, რომ სალითოგრაფიო ქვას დიდი გასავალი და დიდი ფასი აქვს ევროპასა და რუსეთში. კაცი რომ ამ ქვის მოჭრას, კეთებას და გასყიდვას შეუდგეს, მოგება და დიდი მოგებაც უეჭველია, იმიტომ რომ დიდი ფასი და ბაზარი აქვს; ფასი და ბაზარი დიდი აქვს იმიტომ _ რომ მთელს ევროპაში ამ ქვის მადანი, _ თუ არ ვცდებით, _ მარტო ბავარიაშია ზოლენჰოფენში და მთელი ევროპა ამ ქვას მარტო აქედამ ეზიდებოდა. ამდენი გაუზიდნიათ დღეს-აქამომდე, რომ დედამიწის ზედაპირზედ სულ მოულევიათ და ეხლა თურმე ღრმად თხრა სჭირია, ღრმად მიწაში ჩასვლა, რომ ქვა იქა სჭრან და ამოიღონ." *("ჩარჩული კაპიტალი და ჩვენი მრეწველობა". 1886 წ. 30 ივლისი).*

"მინამ ქვა მიწის მაღლა ყოფილა და ან ღრმად თხრა არ სდომებია, ქვა, რასაკვირველია, შედარებით იეფი იქნებოდა. ეხლა, რაკი თხრა არის საჭირო და მიწაში ღრმად ჩასვლაც, უეჭველია ქვის ფასიც აიწევდა და აიწია კიდეც." *("ჩარჩული კაპიტალი და ჩვენი მრეწველობა". 1886 წ. 30 ივლისი).*

"ჩვენში აღმოჩენილი სალითოგრაფიო ქვა კი ალგეთის ნაპირზედ ერთს უშველებელს, ტიტველა კლდეს წარმოადგენს თურმე. აქ მოჭრა და გათლა ქვისა მეტად

ადვილია ამის გამო და მაშასადამე იეფიცა." *("ჩარჩული კაპიტალი და ჩვენი მრეწველობა". 1886 წ. 30 ივლისი).*

"ამას ისიც დაუმატეთ, რომ ალგეთის წყალი და თითქმის ხელუხლებელი ტყეც ზედვე აქვს. ეს წყალი და ტყე დიდად ხელს შეუწყობს ქარხანას ქვის საჭრელ თუ სათლელ მაშინების სამოქმედოდ. ამისთანა კარგის და ხელშემწყობ გარემოებით მოცულს მადანს სალითოგრაფიო ქვისას კაცი ნატვრითაც ვერ ინატრებს." *("ჩარჩული კაპიტალი და ჩვენი მრეწველობა". 1886 წ. 30 ივლისი).*

- **მწარმოებლისა და მხმარებელის პირდაპირი შეხვედრა ჩარჩის გარეშე**

"პირველი არის შემდეგი: სოფლის მეურნეობის ჭირნახულს მოუპოვონ იმისთანა მუშტარი, რომელიც ჭირნახულს ჰსაჭიროებს თავისთვის შინ სახმარად და არა გასაყიდად, და ამ გზით მწარმოებელი მხმარებელს შეახვედროს პირდაპირ უშუაკაცოდ, სახელდობრ, ისე რომ ჩარჩსა და ვაჭარს მოესპოს გზა სყიდვისა და გასყიდვისა, გამსყიდველად იყოს თვით მოჭირნახულე და მყიდველად მხმარებელი და ამათ შუა ჩარჩი და ვაჭარი არ ჩასდგეს". *("კახეთის სოფლის მეურნეთა კავშირი". 1895 წ. 16 ნოემბერი).*

"ეხლანდელი მდგომარეობა ჩვენი ისეთია, რომ ჩარჩი ან ვაჭარი იძულებულ-ჰყოფს მოჭირნახულეს იეფად ჰყიდოს, რაც შეიძლება, თავისი ნაჭირნახულევი და მხმარებელმა, რაც შეიძლება ძვირად იყიდოს. ერთიც ჰკარგავს, რომ იეფად ჰყიდის და მეორეც, რომ იეფად ნაყიდს ძვირად ჰყიდულობს, ორივენი ზარალში არიან და მოგებაშია მარტო ჩარჩი ანუ ვაჭარი. ჩარჩი და ვაჭარი რომ აღებ-მიცემობას თავიდამ მოაშორონ, მოჭირნახულე და მხმარებელი პირდაპირ შეახვედრონ ერთმანეთს და ამ გზით იგი დიდი ლუკმა მოგებისა, რომელიც ჩარჩსა და ვაჭარს ჰრჩება, მოჭირნახულემ და მხმარებელმა შუა გაიყონ, სხვა რომ არა ვთქვათ-რა, ესეც კი საკმარისია, რომ პირველს მეტი ერგოს თავის ნაჭირნახულევისაგან და მეორეს ნაკლებ დაუჯდეს სახმარად საჭირო საგანი. ვთქვათ, როცა პურს ათ შაურად ფუთსა ჰყიდულობენ მოჭირნახულესაგან, ხუთმეტ შაურად ჰყიდიან მხმარებელზედ, თაბაუთი აქ ხუთი შაურია. ეს ხუთი შაური რომ შუაზე გაიყონ მოჭირნახულემ და მხმარებელმა, მოჭირნახულეს ფუთზე ერგება ათ შაურის მაგიერ სამი აბაზი და ხუთი გროში და მხმარებელსაც ფუთი დაუჯდება ხუთმეტ შაურის მაგიერ იგივ სამი აბაზი და ხუთი გროში. ამ სახით, ამათ შუა რომ ჩარჩი ან ვაჭარი არ ჭაჭანებდეს, ორნივენი მოგებაში იქნებიან". *("კახეთის სოფლის მეურნეთა კავშირი". 1895 წ. 16 ნოემბერი).*

"რასაკვირველია, ამისათვის აუცილებლად საჭიროა, რომ მოჭირნახულემ პირდაპირ მიაწვდინოს თავისი ნაჭირნახულევი მხმარებელსა და მხმარებელი პირდაპირ შეხვდეს მოჭირნახულესა". *("კახეთის სოფლის მეურნეთა კავშირი". 1895 წ. 16 ნოემბერი).*

"რა თქმა უნდა, თვითვეული ცალკე მოჭირნახულე და თვითეული ცალკე მხმარებელი ვერ დაიწყებენ ერთმანეთის ძებნას. ამისათვის არც ღონისძიება აქვს, არც მოცალეობა. აქ უნდა იმისთანა ადგილები აჩნდეს, საცა მოჭირნახულე თავის ჭირნახულს დააწყობს გასაყიდად და საცა თვითვეული მხმარებელი იპოვნის სასყიდად თავის საჭიროსა". *("კახეთის სოფლის მეურნეთა კავშირი". 1895 წ. 16 ნოემბერი).*

"მეორე საგანი "კახეთის მეურნეთა კავშირისა" იგია, რომ რაც სოფლის კაცისათვის საშინაოდ სახმარია და სასყიდელი, ყოველივე იგი, შეძლებისამებრ, პირდაპირ

მწარმოებელთაგან იყიდონ, რადგანაც იეფად დაუჯდებათ, და ამის გამო იეფადაც შეეძლებათ გაჰყიდონ და სოფლის კაცს მიაწოდონ". *("კახეთის სოფლის მეურნეთა კავშირი". 1895 წ. 17 ნოემბერი).*

"სოფლის კაცს თუ ხელს შეუწყობენ ღირებულ ფასად გაასაღოს თავისი ნაჭირნახულევი და ამით დიდ სამსახურს გაუწევენ, არა ნაკლები სამსახურია, რომ რაც შეიძლება იეფად მიაწოდონ ის, რაც მას სახმარად სჭირია და არა აქვს. აქაც საფუძვლად დადებულია ის აზრი, რომ მხმარებელი მოჭირნახულეს პირდაპირ შეახვედრონ და ჩარჩი და ვაჭარი დაითხოვონ შუამავლობისაგან. მხოლოდ განსხვავება ის არის, რომ ამ შემთხვევაში მოჭირნახულე სოფლის კაცი მხმარებელად არის დასახული და მისის ჭირნახულის მხმარებელი მოჭირნახულედ იმისა, რაც არა აქვს სოფლის კაცს და რაც მისთვის სასყიდელია". *("კახეთის სოფლის მეურნეთა კავშირი". 1895 წ. 17 ნოემბერი).*

- **რამდენიმე დიდი ვაჭრის შეთანხმება ჭირნახულის გასასყიდველ და სასყიდველ ფასზე**

"საკვირველი ეს არის, რომ ეს ამბავი, ესე იგი ფასების ძირს დაწევა, სწორედ მაშინ მოხდა, როცა ჩვენს ჭირნახულს დიდი ბაზარი და გასავალი გაეხსნა. როცა, მაგალითებრ, პურს, ქერს, სიმინდს დიდძალი მუშტარი მოაწყდა საზღვარგარეთიდამ და როცა ჩვენებურმა ღვინომ ფეხი გაიდგა და მოიკიდა რუსეთში. რადგანაც ხორბლეულობას, ევროპის ნავთსადგურებიდამ წაღებულს, ბაჟი დაედო ევროპაში ზოგიერთ სახელმწიფოთაგან და ბაჟისაგან ახსნილი იყო იგი ხორბლეულობა, რომელიც აზიის ქვეყნებიდამ მიდის. ამიტომაც ჩვენებურს პურსა, ქერსა, სიმინდსა, ევროპის ვაჭრები უბაჟოდ ეზიდებოდნენ და დღესაც ეზიდებიან თავიანთ ქვეყანაში და ამ გარემოებამ მოიწვია ჩვენს ქვეყანაში დიდძალი მუშტარი. ამ მიზეზს უნდა დავაბრალოთ ის აშკარა ამბავი, რომ ამ ბოლო დროს ხორბლეულობის ფასმა იმატა, მაგრამ მაინც იქამდე ვერ მივიდა, რომ მიწათმომქმედს ხარჯი, გარჯა გაუსწოროს და ცოტა რამეც მოაგებინოს. ჩვენებურს ღვინოს კი, რომელმაც, როგორცა ვსთქვით, რუსეთში კაი ფართო გზა გაიხსნა, და რომელსაც ამ მიზეზით ფასი უნდა მოჰმატებოდა, ვერაფერი დახლი მოაქვს დღესაც მიწათმომქმედისათვის." *("ჭირნახულის მომყვანთა გაერთიანებულ ამხანაგობათა შესახებ". 1886 წ. 6 ნოემბერი).*

"იქ, სადაც რომელიმე სავაჭრო, სააღებმიცემო საქონელი დიდს, ფართო ბაზარს ჰშოულობს გასასაღებლად და ამავე დროს ფასსა კლებულობს, იქ ეს დაუჯერებელი ამბავი მეტისმეტად საოცარია. საოცარია იმიტომ, რომ აქ ზოგადი კანონი საპოლიტიკო ეკონომიისა, რომელიც აგებულია ამღებთა და მიმცემთა რაოდენობაზედ, გაუქმებულად უნდა აღიარებულ იყოს, და ამის მაგიერ სხვა განგებ მოგონილი გარემოება უნდა მოქმედებდეს, იმ უსათუო პირობით კი, რომ ეს გარემოება გამოსარჩომი იყოს, ხელს უწყობდეს მომგონელთა. თუ ამას დავადგებით და სახეში ვიქონიებთ, რომ ამ გარემოების გამო, ვინც ირჯება და ჭირნახული მოჰყავს, იგი ჰზარალობს აღებ-მიცემობაში, აშკარა იქნება, გამორჩომა ვის უნდა ჰრჩებოდეს. იგი ჰრჩება ჩარჩებსა და ვაჭრებსა, რომელნიც შუა უდგანან ერთის მხრით მომქმედსა, რომელსაც ფასს აკლებენ, მეორეს მხრით მხმარებელს-მსყიდველსა, რომელსაც თითქმის ფასდაუკლებლად აწვდიან იეფად ნაყიდს ჭირნახულსა." *("ჭირნახულის მომყვანთა გაერთიანებულ ამხანაგობათა შესახებ". 1886 წ. 6 ნოემბერი).*

“რა გზით უნდა ახერხებდნენ ამასა, რა ხერხი უნდა მოეგონათ, რომ ეს ასე მოახდინონ? ჩვენის ფიქრით, ხერხად მიღებული უნდა ჰქონდეთ ერთს პირზე დგომა.” *(“ჭირნახულის მომყვანთა გაერთიანებულ ამხანაგობათა შესახებ”. 1886 წ. 6 ნოემბერი).*

“ადვილად მოსაფიქრებელია და მოსახერხებელი, რამდენმამე დიდმა ვაჭარმა ერთმანეთში პირი შეჰკრან, ჭირნახულის ფასი, სასყიდი და გასაყიდი როგორც უნდათ ისე გადასჭრან და ერთმანეთს პირობა დაუდვან, რომ ამ გადაჭრილს ფასებს არასგზით არ გადუდგნენ. გამორჩომა, მოგება, რომელიც ამ შემთხვევაში თვითეულს პირობის დამდებს თვალწინ ცხადად და ნათლად უდგა, თავმდებია მისი, რომ არც ერთი მათგანი შეკრულს პირს არ გასტეხს. ამაზეა, ამ აშკარა გამორჩომაზე, დაფუძნებული გამარჯვება მათის ხერხისა, სიმაგრე პირშეკრულობისა.” *(“ჭირნახულის მომყვანთა გაერთიანებულ ამხანაგობათა შესახებ”. 1886 წ. 6 ნოემბერი).*

“ამისთანა ადვილად შესაძლებელს ხერხზედ აგებული აღებ-მიცემობა, რასაკვირველია, იმ ნაყოფს მოიტანს, რასაც დღეს ჩვენში ვხედავთ, და ჩვენში დღეს იმასა ვხედავთ, რომ ერთის მხრით იწვის სოფლის მოჭირნახულე, რომელსაც ჭირნახულის ფასი აკლდება, მაორეს მხრით ჭირნახულის მხმარებელი-მუშტარი, რომელიც მაინც ძვირად ჰყიდულობს, და ამ წვა-დაგვაში ხელს ითბობს მარტო ვაჭარი და მისი ყურმოჭრილი ყმა ჩარჩი.” *(“ჭირნახულის მომყვანთა გაერთიანებულ ამხანაგობათა შესახებ”. 1886 წ. 6 ნოემბერი).*

“რა უშველის იმ გაჭირვებულს, განგებ წამხდარს საქმეს? იგივე ხერხი, რასაც ვაჭრები ჰხმარობენ მოჭირნახულეთა და მხმარებელთა წინააღმდეგ. ევროპასა და თვით რუსეთშიაც ეს ხერხი ცნობილია და განხორციელებულიც.” *(“ჭირნახულის მომყვანთა გაერთიანებულ ამხანაგობათა შესახებ”. 1886 წ. 6 ნოემბერი).*

“ევროპაშიაც დიდი ხანია შეჰნიშნეს, რომ ვაჭრების ერთს პირზედ დგომამ გაათახსირა, დაიმონავა პირდაპირი მომქმედი რაიმე ჭირნახულისა, და ცალკე კაცის მომჭირნეობამ, მხნეობამ და ჭიდილმა ვერ დაიხსნა გამრჯელი და მომქმედი მათის ხელიდამ და ძალმომრეობიდამ.” *(“ჭირნახულის მომყვანთა გაერთიანებულ ამხანაგობათა შესახებ”. 1886 წ. 6 ნოემბერი).*

“რა თქმა უნდა, რომ პირველს საფუძველზედ აშენებული ამხანაგობა უფრო სამართლიანი იყო, მაგრამ სიხარბეს ზოგჯერ თავი ვერ შეემაგრა და ზოგიერთი ამხანაგობა თავისაკენ თლას უფრო ჰრჩეობდა.” *(“ჭირნახულის მომყვანთა გაერთიანებულ ამხანაგობათა შესახებ”. 1886 წ. 6 ნოემბერი).*

“მაინცდამაინც ამხანაგობას, როგორც კრებულს, ისე ცალკე კაცის სიხარბე არ ექნებოდა, რომ განწირულობამდე მოჭირნახულე მიეყვანა, როგორც ცალკე ვაჭარს მიჰყავს და მოჭირნახულე ამაში ცოტასა თუ ბევრს შეღავათსა ჰპოულობდა.” *(“ჭირნახულის მომყვანთა გაერთიანებულ ამხანაგობათა შესახებ”. 1886 წ. 6 ნოემბერი).*

“დიდ სამსახურს გაუწევს ჩვენს ქვეყანას ყველა, კერძო კაცი იქნება თუ საზოგადოება, ვინც იკისრებს და მოახერხებს, რომ მწარმოებელმა პირდაპირ ჩარჩების უშუამავლოდ, გარდასცეს თავის ნაწარმოები მომხმარებელს. ასეთი დახმარება თავის მოვალეობად უნდა ჩასთვალოს, ჩვენის აზრით, სამეურნეო საზოგადოებამ და თუ ახალის წყაროს გამოძებნას ვერ იკისრებს, იმდენი თაოსნობა მაინც გასწიოს, რომ ხელი შეუწყოს იმას, რასაც თვით მთავრობა უჩვენებს.” *(“ჰურეულის ყიდვა სამხედრო უწყების მიერ”. 1887 წ. 18 მაისი).*

“ამას წინათ კავკასიის სამეურნეო საზოგადოებას შემდეგი მოწერილობა მოსვლია სამეურნეო მრეწველობის დეპარტამენტისაგან.

“მინსკის სამეურნეო საზოგადოებამ, _ მოხსენებულია მოწერილობაში, _ სთხოვა უმთავრესს საინტენდანტო გამგეობასა, რომ ხსენებულმა გამგეობამ სამხედრო მაღაზიებისათვის პური პირდაპირ მწარმოებლისაგან იყიდოს და არა იჯარადრებისა და ჩარჩებისაგანაო. მინსკის საზოგადოება ამასთანვე ჰპირდება გამგეობას, რომ ჩვენის მხრივ ყოველგვარ შემწეობას გაგიწევთო”.

ამას აუწყებს დეპარტამენტი კავკასიის სამეურნეო საზოგადოებასა და თანა სთხოვს: ყურადღება მიაქციეთ ამ წინადადებასა და გამოიყენეთ საქმეში სოფლის მწარმოებლების სასარგებლოდ, ესე იგი ეცადეთ, რომ მწარმოებელმა თავის ნაწარმოები პირდაპირ, უშუამავლოდ, სამხედრო უწყებას მიჰყიდოსო.” *(“პურეულის ყიდვა სამხედრო უწყების მიერ”. 1887 წ. 18 მაისი).*

“სრულის ყურადღების და თანაგრძნობის ღირსია ეს წინადადება. თუ დეპარტამენტის აზრი სისრულეში იქმნა მოყვანილი, ორივე მხარე დიდ სარგებლობასა ჰნახავს: მწარმოებელი კარგ ფასად გაჰყიდის თავის ნაშრომსა და სამხედრო უწყებასაც უფრო იეფად დაუჯდება, ვიდრე აქამდე უჯდებოდა. აქამდინ მთელი მოგება იჯარადრებისა და ჩარჩების ჯიბეში ჰრჩებოდა და ამასთანავე მოიჯარადრეები მწარმოებელსაც სცარცვავდნენ და სამხედრო უწყებასაც ატყუებდნენ; ხეირს არც ერთს აძლევდნენ, არც მეორესა.” *(“პურეულის ყიდვა სამხედრო უწყების მიერ”. 1887 წ. 18 მაისი).*

“რასაკვირველია, ძრიელ სასურველი და სასიამოვნო იქნებოდა, რომ მწარმოებელისა და სამხედრო უწყების შორის ისეთი შუამავალი ყოფილიყო, როგორც მაგალითად, სამეურნეო საზოგადოება, რომელიც ორსავე მხარეს ინტერესებს მტკიცედ დაიცავდა და ერთსაც სარგებლობას მოუტანდა, მეორესაც. ამ საქმეს დახანება აღარ უნდოდა და საზოგადოებას, რაც შეიძლება, მალე უნდა განეხილა დეპარტამენტის წინადადება და ასე თუ ისე გარდაეწყვიტნა.” *(“პურეულის ყიდვა სამხედრო უწყების მიერ”. 1887 წ. 18 მაისი).*

- **ამხანაგობის შექმნა როგორც მოჭირნახულესა და მხმარებელს შორის პირდაპირი შეხვედრის ღონისძიება**

“რა გზით ახერხებს ამას ვაჭრობა, ჩვენ წინა წერილში მოვიხსენიეთ. ამ გარემოებამ მეტად ჩააფიქრა მოჭირნახულენი და მხმარებელნიცა. იგრძნეს, რომ ერთიც და მეორეც იწველებიან ვაჭართაგან. შეუტყეს მანქანებაც, რომ აქ ერთ პირზედ დგომა აძლევს ვაჭრობას ძალ-ღონეს წველისას და ამიტომაც ამ ერთს პირზე დგომასვე წაავლეს ხელი, როგორც სახსარს თავისი ხსნისას. იფიქრეს, რატომ ჩვენ კი არ შეგვიძლიან ერთს პირზედ დგომა, რატომ ჩვენ კი არ შეგვიძლიან ჩვენი საქმე ისე მოვაწყოთ, რომ მხმარებელნი და მოჭირნახულე ერთმანეთს შევყაროთ უშუაკაცოდაო და თუ შუაკაცობა მაინცდამაინც საჭიროა, ჩვენ თვითონ კისრად ვიდოთ ეს შუაკაცობაო.” *(“ჭირნახულის მომყვანთა გაერთიანებულ ამხანაგობათა შესახებ”. 1886 წ. 6 ნოემბერი)*

“ამ აზრებმა ევროპაში ფესვი გაიდგეს, მოედანი დაიჭირეს და ნაყოფიც მოიტანეს. შესდგა ეგრეთწოდებული “ამხანაგობა მხმარებელთა” მრავალგვარი.”

“ამ ამხანაგობის აზრი ის იყო, რომ პირდაპირ მოჭირნახულესთან ჰქონოდა საქმე, მისგან პირდაპირ ეყიდნა ჭირნახული და თავის წევრთათვის მიეყიდნა, და ამ სახით ის სადალალო, რომელიც ვაჭარს მოგებად დაჰრჩებოდა, ან მოჭირნახულეს და მხმარებელს შორის გაეზიარებინა, ან მარტო მხმარებელთათვის დაეკუთვნა.” *(“ჭირნახულის მომყვანთა გაერთიანებულ ამხანაგობათა შესახებ”. 1886 წ. 6 ნოემბერი).*

“ჩვენს ქვეყანას, რომელსაც მოჰყავს კარგა ბლომად პური, ქერი, სიმინდი, ღვინო, და რომელიც, მაშასადამე, ამათ რიგიანად გასაღებაში უნდა ეძებდეს სათავეს თავის კეთილდღეობისას, უფრო მოჭირნახულეთა ამხანაგობა ეჭირება.” *(“ჭირნახულის მომყვანთა გაერთიანებულ ამხანაგობათა შესახებ”. 1886 წ. 6 ნოემბერი).*

“ღვინის დამყენებელი ამხანაგობა” დღეს გერმანიაში გამართულია ბადენსა, ვიტენბერგში და რეინზედა.” *(“ჭირნახულის მომყვანთა გაერთიანებულ ამხანაგობათა შესახებ”. 1886 წ. 6 ნოემბერი).*

“ეს ამხანაგობა იმ აზრზე არის აგებული, რომ ღვინის მუშტარს-მხმარებელს პირდაპირ თვითონ უშუაკაცოდ მიაწვდინოს ღვინო, და რაც მოგებაა, ღვინის პატრონს ხელში დაუნარჩუნოს. ყველა ვენახის პატრონი ერთისა და იმავე სოფლის საზოგადოებისა ამხანაგად შესულია, დიდთა მემამულეთა გარდა, რადგანაც ამ უკანასკნელთ თავისი საკუთარი ღონე აქვთ ღვინოც კარგად დააყენონ და კაი ფასადაც გაასაღონ.” *(“ჭირნახულის მომყვანთა გაერთიანებულ ამხანაგობათა შესახებ”. 1886 წ. 6 ნოემბერი).*

“ჯერ ვიდრე ამხანაგობა ფულის ღონისძიებას მოიპოვებდა, თვითეულს ამხანაგს თავისი კერძი ფული უნდა შეეტანა თვედათვე და ამით მიეცა ღონისძიება ამხანაგობისათვის გაემართა ყველაფერი, რაც საჭიროა საერთო მარნისა და ჭურჭლისათვის.” *(“ჭირნახულის მომყვანთა გაერთიანებულ ამხანაგობათა შესახებ”. 1886 წ. 6 ნოემბერი).*

“მთავრობამაც, რაკი შეჰნიშნა, რომ საქმე რიგიანად დაეწყო, მიაშველა სესხით ფული, და დღეს იმ დონეზე დამდგარა ამხანაგობა, რომ მთავრობისგანაც ნასესხი ფულიც გადაუხდია და ამხანაგთაგან კერძო ფულის შემოტანაც მოუსპია, და პირიქით, დიდ მოგებასაც იძლევა.” *(“ჭირნახულის მომყვანთა გაერთიანებულ ამხანაგობათა შესახებ”. 1886 წ. 6 ნოემბერი).*

“ყოველი ამხანაგი მოვალეა თავისი ყურძენი მიიტანოს საამხანაგო მარანში დასაწურავად და ღვინის დასაყენებლად. სამის ხარისხის ყურძენია თურმე მხოლოდ მისაღები საერთო მარანში. ხარისხი ყურძნისა მისის წვენის სიტკბოზე არის დამოკიდებული. რაკი ყურძენს მიიტანენ, მაშინვე ცოტა წვენს გამოსწურავენ, შაქრის საზომით შეიტყობენ, რაოდენი სიტკბო აქვს, ამ რაოდენობაზე აღნიშნავენ ხარისხს, და მომტანს აძლევენ ბარათს ამდენი და ამდენი ფუთი ყურძენი ამა და ამ ხარისხისა მოუტანიაო.” *(“ჭირნახულის მომყვანთა გაერთიანებულ ამხანაგობათა შესახებ”. 1886 წ. 6 ნოემბერი).*

“წინათვე დანიშნულია თურმე, რის ნაკლებ არ უნდა ჰქონდეს ყურძენს სიტკბო, და თუ დანიშნულზე ნაკლები აქვს, არ მიიღებენ. როცა ამგვარად მოგროვდება ყურძენი, მაშინ ყოველ ხარისხს ყურძნისას ცალკე სწურავენ, ცალკე ადუღებენ და ცალკე აყენებენ. როცა ღვინო საკმაოდ მზად არის გასასყიდად, ჰყიდიან წვრილ-წვრილადაც და ნარდადაც, მოთხოვნილებისამებრ.” *(“ჭირნახულის მომყვანთა გაერთიანებულ ამხანაგობათა შესახებ”. 1886 წ. 6 ნოემბერი).*

“ხარჯგარეით დახლს მერე უყოფენ ამხანაგთა, მათგან მოტანილ ყურძნის რაოდენობის კვალობაზე, და დახლიდანვე იღებენ ნაწილს საამხანაგოდ ძირის-ფულის შესადგენად.” *(“ჭირნახულის მომყვანთა გაერთიანებულ ამხანაგობათა შესახებ”. 1886 წ. 6 ნოემბერი).*

“ისე კარგად მიდის თურმე ამხანაგობის საქმე, რომ დღეს-აქამომდე მომდურავი არავინ არა ჰყავს; პირიქით, ბევრგან მოჰკიდეს ხელი ამგვარ ამხანაგობასა და დიდს სარგებლობასაც ჰხედავენ.” *(“ჭირნახულის მომყვანთა გაერთიანებულ ამხანაგობათა შესახებ”. 1886 წ. 6 ნოემბერი).*

“ამ ამხანაგობათა წყალობით ღვინის მსმელნი კარგ ღვინოსაც ჰშოულობდნენ სასმელად და რაც შეიძლება იეფადაც და ეს იეფობა არც მოჭირნახულეს აკლებს ფასსა, რადგანაც იგი იეფობა მოჭირნახულის ფასის დაკლებისაგან კი არ არის წარმომდგარი, არამედ ჯერ იქიდამ, რომ შუაკაცობისათვის სადალალოს არავინ ჰღებულობს, და მეორე იქიდამ, რომ წურვა, ღვინის დაყენება, მოვლა-პატრონობა, ღვინის შესანახი ჭურჭელი, თვითეულს ამხანაგს ცალკე ნაკლებ უჯდება, რადგანაც ყოველივე ეს საერთოდ კეთდება. ერთს მარანში, და ეს საერთო ხარჯი თვითეულისათვის ბევრით ნაკლებია იმაზედ, რაც თვითეულს ცალკე დაეხარჯებოდა. რაკი მოჭირნახულეს ნაკლებ უჯდება ღვინო, ამოდენადვე ნაკლებ ფასად გაყიდვასაც მისთვის არაფერი ზარალი არ მოაქვს.” *(“ჭირნახულის მომყვანთა გაერთიანებულ ამხანაგობათა შესახებ”. 1886 წ. 6 ნოემბერი).*

- **იქ, საცა თვითეული უღონოა, ღონიერნი არიან ყველანი ერთად**

“დიდი ხანია ეს უნუგეშო მდგომარეობა მიწათმომქმედის ცნობილია ყველასაგან, დიდი ხანია ამისთანა ყოფას უჩივიან ჩვენი მემამულენი, და დიდი ხანია ჩვენს საზოგადოებაში ჰტრიალებს აზრი იმაზედ მიმართული, რომ ამ სატკივარს წამალი რამ დაედოს. დიდი ხანია ისიც გამორკვეულია, რომ აქ ცალკე კაცის ძალ-ღონით შეუძლებელია ეშველოს რამ საქმეს. აქ თუ უშველის რასმე, მარტო შეერთებული ღონე ამ მდგომარეობისაგან დაჩაგრულებისა. ესე იგი, ერთის მხრით მიწისმომქმედთა და მეორეს მხრით მუშტრებისა”. *(“ხილის და ბოსტნეულის გამსაღებელი საზოგადოება”. 1889 წ. 6 თებერვალი).*

“დროა, რაც ცალკე მეცადინეობით ვერ შევძელით, იმას შეერთებულის ღონით შევეჭიდნეთ”. *(“ხილის და ბოსტნეულის გამსაღებელი საზოგადოება”. 1889 წ. 6 თებერვალი).*

“ეს შეერთებული ღონეა ერთადერთი სახსარი, რომელიც ჩვენ ჯერ ამისთანაებში არ გვიცდია და რომელსაც ყველგან გაუმარჯვნია, საცა-კი უცდიათ”. *(“ხილის და ბოსტნეულის გამსაღებელი საზოგადოება”. 1889 წ. 6 თებერვალი).*

“იქ, საცა თვითეული უღონოა, ღონიერნი არიან ყველანი ერთად. ერთიანი ხელის გამოღება, ერთიანი გარჯა, მხნეობა, თვითეულისაგან ერთად მოგროვილი ქონება, თუნდ ცოტ-ცოტაობით, იმოდენა წყაროს შეჰქმნის შეძლებისას, რომ ჩვენ არც ცოდნის მოპოვებაღა გაგვიჭირდება, არც იმგვარ სამოქმედო ქონებისა, რომელიც ცხრა-კლიტურ კარს მიწის სიმდიდრისას გაგვიღებს ჩვენდა წარსამატებლად და საკეთილდღეოდ”. *(“ჩვენი სოფლის მეურნეობა და შეკავშირების საჭიროება”. 1893 წ. 7 იანვარი).*

“პურის ერთმანერთში გაწერით საზოგადო ქონება გაიჩინონ და ეს ქონება თავის დროზედ მოახმარონ მიწების შესყიდვას, ადგილ-მამულების შეძენას, მიწათმოქმედების განკარგებას, სარწყავ წყლების გამოყვანას, სკოლების დაარსებას, კაი ჯიშის საქონლის მოშენებას და გამრავლებას, სამეურნეო მანქანების შეძენას და სხვა ყოველგვარ

ღონისძიებას, რომელიც შორიდამ თუ ახლოდამ ხელს უწყობს სოფლური მეურნეობის წარმატებას". *("ჩვენი სოფლის მეურნეობა და შეკავშირების საჭიროება". 1893 წ. 7 იანვარი).*

"რაც ცალკე კაცისათვის დიდია და მძიმე, ის ადვილი საზიდია ბევრისათვის". *("კახეთის სოფლის მეურნეთა კავშირი". 1895 წ. 4 ნოემბერი).*

"ეხლანდელს დროში კრებული ძალა სასწაულთმოქმედობს". *("კახეთის სოფლის მეურნეთა კავშირი". 1895 წ. 4 ნოემბერი).*

"ჩვენშიაც ფეხი აიდგა ამ ამხანაგობის დაარსების სურვილმა და პირველ ხანებში ხშირად გვესმოდა, აი აქ შესდგა ამხანაგობა, აი იქაო. თუ საზოგადოება არა, ჩვენი ინტელიგენცია ხომ სიხარულით ფეხზედ არ იდგა, როცა ხმა გავარდებოდა, რომ აი ამა და ამ სოფელმა ამხანაგობა შეადგინაო. ამაზედ ბევრსა ჭლაპარაკობდნენ, ბევრსა სწერდნენ, გაზეთებში ხშირად იბეჭდებოდა დაარსებულ ამხანაგობათა წლის ანგარიშები და ასე თუ ისე ეს ამხანაგობანი თავისთავზე ხმას გვაღებინებდა და გვასაუბრებდა." *("საგლეხო გამსესხებელ-შემნახველი საზოგადოებანი და მოკლევადიანი კრედიტის საკითხი გლეხკაცობისათვის". 1890 წ. 23 იანვარი).*

"ეხლა მისწყდა ყოველივე ხმა, ეს მაშინდელი სასიხარულო ამბავი დღეს არც-კი ვისმე ახსოვს, არავის აინუნშიაც არ მოსდის, აღარავინ ჰკითხულობს, _ როგორ მიდის იმათი საქმე, რა წამალი დასდეს სოფლის სატკივარს, ჰგრძნობდნენ გლეხნი რასმე სიკეთეს ამ ამხანაგობათაგან, თუ არა. ცამეტ-თოთხმეტი წელიწადია მას აქეთ, რაც ჩვენში ეს ამხანაგობანი შემოღებულ იქმნენ და ეს ხანი საკმაო მაგალითებს მოგვცემდა, გვეცნო ყოველივე ავი და კარგი, თუკი ვინმე თვალყურს ადევნებდა ამ საქმეს და მის ვითარებას საყოველთაო საცნობლად გახდიდა. სხვას ვინა სჩივის, თითონ ამხანაგობანი ჩაჩუმებულნი არიან, ხმას არ იღებენ და, რომ არ ვიცოდეთ იმათი არსებობა, ვიტყოდით, აღარ არსებობენო. წლის ანგარიშებიც-კი აღარ იბეჭდება არსად. სულ მისწყდა იმათი ხმა და გაჰქრა იმათი ამბავი." *("საგლეხო გამსესხებელ-შემნახველი საზოგადოებანი და მოკლევადიანი კრედიტის საკითხი გლეხკაცობისათვის". 1890 წ. 23 იანვარი).*

"რას უნდა მივაწეროთ ეს სამწუხარო დუმილი იმ საქმის თაობაზედ, რომელიც, რაც უნდა იყოს, თავის დროზედ ასე საიმედო და სასიხარულო იყო ყველასათვის, ვისაც ჩვენის სოფლისა და გლეხკაცობისათვის გული შესტკიოდა. ნუთუ იმას, რომ ჩვენ ყველაფერზედ მალე აპრიალება ვიცით ცეცხლმოკიდებულ ჩალასავით და ისევ მალე ჩაქრობა ჩალასავითვე! ან იქნება იმას, რომ გლეხკაცობამ, რაკი დაინახა, რომ ამ ამხანაგობისაგან ბევრი არა გამოდნა-რა, გული აიყარა და იმასთან ერთად გული ავიყარეთ ჩვენც?." *("საგლეხო გამსესხებელ-შემნახველი საზოგადოებანი და მოკლევადიანი კრედიტის საკითხი გლეხკაცობისათვის". 1890 წ. 23 იანვარი).*

"ამ საქმის კარგად მსვლელობას გზა შეუკრა იმ გარემოებამ, რომ გლეხკაცობაში არ აღმოჩნდნენ იმისთანანი, რომ საქმე გაეგოთ და ცოდნით გასძღოლოდნენო." *("საგლეხო გამსესხებელ-შემნახველი საზოგადოებანი და მოკლევადიანი კრედიტის საკითხი გლეხკაცობისათვის". 1890 წ. 23 იანვარი).*

"ეს ცამეტ-თოთხმეტი წელიწადია, რაც ჩვენში გაიმართა ეს ამხანაგობანი. ვიმეორებთ, ეს საკმაოდ გრძელი ხანია, რომ კაცმა ამ გრძელ ხანში ნახული, გამონაცადი, დღეს ჭკუად მოიხმაროს და გაარკვიოს, რა ჭია ჩაუჯდა გულში პირველ ხანშივე ამხანაგობას, რა სოლი აკლდა, ან რა გაუტყდა იმ თვალს, რომელიც ატრიალებს ამგვარ ამხანაგობათა საქმეს? რაშია მისი შეუფერებლობა, რატომ ასეთი ბოლო მოჰყვა მაშინ, როდესაც ასეთის იმედებით და ქადილით გვესტუმრა პირველ ხანებში? სასურველია და

ფრიად სასარგებლოც იქნება ვიცოდეთ, რა მიზეზი იყო, რომ ამგვარმა ამხანაგობამ ჩვენში ვერც ფეხი მოიკიდა რიგიანად და ვერც თავი შეიმაგრა." *("საგლეხო გამსესხებელ-შემნახველი საზოგადოებანი და მოკლევადიანი კრედიტის საკითხი გლეხკაცობისათვის". 1890 წ. 23 იანვარი).*

"მართალია, თავდაპირველ მიზეზად იმას ჰხადიან, რომ ვითომც გლეხკაცობას მომზადებული კაცები არა ჰყვანდა, რომ ეს საქმე გაეგოთ და მის ბუნებურ ვითარების გამო წარემართნათ. უეჭველია, ამ მიზეზს უსათუოდ ცოტად თუ ბევრად ადგილი აქვს აქ, მაგრამ აქ რომ მარტო უკაცობას დავაბრალოთ მომხდარი ამბავი, ჩვენის ფიქრით, უსაბუთო იქნება და თუ არა უსაბუთო, წინასწარი მაინც." *("საგლეხო გამსესხებელ-შემნახველი საზოგადოებანი და მოკლევადიანი კრედიტის საკითხი გლეხკაცობისათვის". 1890 წ. 23 იანვარი).*

"ბევრი საქმეა იმისთანა, რომ თვითონ თავის გულშივე ატარებს იმ სენს, რომელიც თავის დროზე ბოლოს მოუღებს ხოლმე. ამისთანა საქმე, რაც უნდა კარგი მცოდნე და ხერხიანი კაცებიც შეხვდეს, თავს არ დაიჭერს და დღეს იქნება თუ ხვალე თავის აგებულებაში ჩამდგარს ჭირს უნდა თან გადაჰყვეს. აი ამ მხრით ეს ამხანაგობანი გამოძიებულნი არ არიან. ძნელია კაცმა გამოიძიოს იგინი მარტო იმ წესდების ავკარგიანობის მიხედვით, რომელიც სახელმძღვანელოდ აქვთ დადებული ამგვარ საკრედიტო დაწესებულებათ. ესგვარი გამოძიება უფრო თეორიული იქნება მაშინ, როდესაც ჩვენს ამხანაგობათ მთელის ცამეტ-თოთხმეტის წლის ისტორია აქვთ: მთელის ცამეტ-თოთხმეტის წლის განმავლობაში ბევრი რამ გამოუვლიათ, ბევრი რამ გადაჰხედიათ, მერე არა ერთის რომელსამე ადგილას, არამედ ჩვენის ქვეყნის თითქმის ყოველს კუთხეში, ქართლსა, კახეთსა და იმერეთში. მაგალითები ამ ამხანაგობათა ავკარგიანობისა ამ გრძელ ხანში ყველგან ბევრი მოგროვდებოდა და ეს მაგალითები რომ ხელთა ჰქონდეს კაცს, შესაძლო იქმნებოდა ცოტად თუ ბევრად უტყუარი აზრი გამოერკვია მასზედ თუ, _ რა იყო ჩვენი სოფლისა და გლეხკაცობისათვის სარგო და ხელმოსაჭიდებელი ამ ამხანაგობაში და რა არა. აქედამ კაცს შეეძლო გამოეცნა რაგვარი საკრედიტო დაწესებულება უფრო ხელშემწყობი იქნებოდა, უფრო სახეირო და სასურველი ჩვენებურ სოფლისათვის." *("საგლეხო გამსესხებელ-შემნახველი საზოგადოებანი და მოკლევადიანი კრედიტის საკითხი გლეხკაცობისათვის". 1890 წ. 23 იანვარი).*

- **თავისუფალი ვაჭრობა (ფრიდრეტერობა) თუ პროტექციონობა**

"მეცნიერებამ დიდი ხანია ყურადღება მიაქცია ამ საკითხავს და ბევრი ჰო და არა ითქვა ამის გამო. დღეს ამ საგანზედ გადაწყვეტილი პასუხი არ არის მოცემული მეცნიერებისაგან";

"ამ საგანზედ ორგვარი წყობაა აზრისა, ერთმანეთის მოპირისპირე: ერთს ფრიტრედერობას ეძახიან, და მეორეს პროტექციონობას";

"არ იქნება ჩვენ მიერ მეტი გამოვირკვიოთ, რა იგულისხმება ან ერთს სახელწოდებაში, ან მეორეში. ეს გამორკვევა მით უფრო საჭიროა, რომ ზოგიერთმა სახელმწიფომ ამ ბოლოს დროს ერთხელ ქებულს ფრიტრედერობას თითქო ზურგი შეუქცია და ერთხელვე გმობილს პროტექციონობას მოჰკიდა ხელი, იმოდენად თავისად გამოსარჩომად არა, რამოდენადაც სხვის სამტროდ და საზიანოდ";

"ფრიტრედერობასა და პროტექციონობაზე, რომელნიც ორს სხვადასხვა ნაირს სისტემას შეადგენს შინაგანთა საქმეთა წყობისა და მსვლელობისათვის... დღეს არც ერთი

პუბლიცისტი არ არის, რომ ან ერთს, ან მეორეს სისტემას არ ურჩევდეს თავის მთავრობასა";

"ამ ორსავე სისტემას ცალ-ცალკე დიდი ლიტერატურა მიუძღვის წინა; ბევრი რამ არის ერთსა და მეორეზედაც თქმული, მაგრამ ჩვენ ყოველს ამას ვერ გამოვუდგებით. ჩვენ მარტო მოკლედ ახსნას და განსაზღვრას მოვუნდებით თვითეულის სისტემისას." *("სატამოჟნო პოლიტიკა ევროპაში, ფრიტრედერობა და პროტექციონობა". 1887 წ. 9 ივნისი)*

- **ფრიდრეტერობა: არსი და მოქმედების პრინციპები**

"ფრიტრედერობა წარმომდგარია ინგლისურის სიტყვისაგან free trade და სიტყვა-სიტყვით რომ ითარგმნოს, ჰნიშნავს: აღებ-მიცემობის თავისუფლებას";

"მოძღვრება მეცნიერობისა, რომელიც ჰქადაგებს აღებ-მიცემობის თავისუფლებასა, იმაში მდგომარეობს, რომ საალებ-მისაცემო საქონელი, შინაური თუ გარედამ შემოსული, ყოველის ბაჟისა და გადასახადისაგან დახსნილი იყოს და არა რომელისამე კანონმდებლობისაგან შეხუთული არ უნდა იქმნას";

"ეს მოძღვრება იმაზეა დაფუძნებული, რომ თავისუფლად მოარული საქონელი, არ-შეხუთული არც ბაჟისა და არც რაიმე ფორმალობისაგან, ყველასათვის ადვილად მოსაპოვებელია, და მერე იეფია, რადგანაც ბაჟისა და ან რაიმე შევიწროებისაგან განგებ ფასაწეული არ არის";

"მართალიც არის. ბაჟი, დიდია თუ მცირე, განგებ ზედშეკეცილი გადასახადია, და რამოდენადაც იგი დიდია, იმოდენად განგებ აძვირებს საქონელსა და ამ გზით საქონლის ფასი, რომელიც თავის საკუთარის არსების კანონებისაგან განისაზღვრება და დაიდგინება ხოლმე, ბაჟისა და სხვა რაიმე შევიწროების მეტნაკლებობასაც უნდა ექვემდებარებოდეს და ეკითხებოდეს";

"სახელმწიფო, რომლის მიზეზი და საბუთი არსებობისა სხვა არა არის რა, თუ არ მკვიდრთა კეთილდღეობისათვის მზრუნველობა, უნდა იმასა ჰცდილობდესო, ამბობენ ფრიტრედერობის მომხრენი, რომ ცხოვრებისათვის საჭირო საქონელი ადვილად და იეფად მოსაპოებელი იყოს ყოველის მკვიდრისათვისო, რადგანაც მკვიდრი კაცი მით უფრო ეკონომიურად ბედნიერია, რამოდენადაც უფრო სავსედ, უფრო მთლად ჰშოულობს სარჩო-საბადებელსა და რამოდენადაც უფრო ბევრს საჭიროებას ცხოვრებისას იკმაყოფილებს ადვილად და გაუჭირებლადო";

"ამ მოძღვრებამ ფეხი აიდგა ევროპაში ადამ სმიტის (ადამ სმიტი, სახელოვანი ინგლისელი პოლიტიკო-ეკონომი, გარდაიცვალა 1790 წ.) მეცადინეობითა. ეგ ადამ სმიტი მამამთავრად ითვლება საპოლიტიკო ეკონომიის მეცნიერებისა. რა თქმა უნდა, პირველ ხანებში ეს მოძღვრება თმას ყალხზედ აუყენებდა კაცობრიობას და კაცობრიობის სვე-ბედის გამგებელთა, რომელთაც ხშირად შეჩვეული ჭირი ურჩევნიათ შეუჩვევარს ლხინსა. მით ამ ადამ სმიტის მოძღვრებას ბევრი არა დააკლდა-რა და თანდათან უფრო ძლიერ ფეხს იკიდებდა. ამ მეცხრამეტე საუკუნის პირველ ხანებში ინგლისში შესდგა კიდეც ცალკე დასი თავისუფალის აღებ-მიცემობის მომხრეებისა. სახელოვანებმა ინგლისელებმა კობდენმა, ბრაიტმა და სხვებმა შეადგინეს 1831 წელსა საზოგადოება, რომელსაც ეწოდებოდა ანტიკორნლაუ ლიგა და რომელნიც თავისუფალ აღებ-მიცემობის

მოძღვრების ძალით ჰთხოულობდნენ საზღვარგარეთიდამ შემომავალს პურს ყოფილი ნაჟი სრულებით აეხსნასო. ეს პირველი იერიში იყო პროტექციონობაზედ მიტანილი";

"ამ თავისუფალ აღებ-მიცემობის მოძღვრებამ იმოდენად იმუშავა და იმოდენა თანაგრძნობა მოიპოვა, რომ როცა ინგლისში მთავარმინისტრად გახდა სერ რობერტ პილი 1841 წელსა, და მასთან ერთად მინისტრებად იყვნენ ველინგტონი და აბერდინი, მაშინ მაგ სამეცნიერო თეორიამ თვითონ ცხოვრებაშიც გზა გაიკაფა. ერთი უდიდესი სამსახური, რომელიც რობერტ პილმა გაუწია თავის ქვეყანასა, ის იყო, რომ 1846 წელს გააუქმა პურზედ დადებული ბაჟი, პური სულ მთლად გაანთავისუფლა ბაჟისაგან ღარიბთა მცხოვრებთა საოხად და საკეთილდღეოდ. მისსავე მეცადინეობით გაუქმდა ეგრეთ წოდებული "ზღვათმსვლელობის კანონმდებლობა კრომველისა", რომელიც ასე თუ ისე ჰხუთავდა აღებ-მიცემობის თავისუფალს მიდენ-მოდენასა";

"მაშინ ამ ამბავს მიეგება მთელი ევროპა როგორც ძლევამოსილობას, გამარჯვებას ლიბერალობისას და მთელი ქვეყანა აქებ-ადიდებდა ძლევამოსილობის და გამარჯვების ჩამდენს სერ რობერტ პილსა, რომელმაც თვითონ ინგლისში ამით ისეთი სახელი მოიპოვა, რომ თაყვანსაცემელი გახდა უმრავლესობისაგან";

"ამ მოძღვრებას მოსარჩლენი გამოუჩნდენ არა მარტო ინგლისში, საფრანგეთშიაც, ბევრად ცოტად თუ ბევრად სახელგანთქმულნი მეცნიერნი მიემხრნენ ამ მოძღვრებასა, მაგალითებრ, ბასტია, შევალიე, გარნიე პაჟეს და სხვანი";

"დროთა მიმავლობაში ამ მოძღვრებამ ისეთი სახელი გაითქვა, რომ ერთაშორისმა კანონმდებლობამაც კი შეიწყნარა და სათავედ დაუდვა ყოველს თვისმოქმედებასა. ამ მოძღვრების საფუძველზე შესდგა 1861 წ. აღებ-მიცემობის კონვენცია (ხელშეკრულება) ინგლისსა და საფრანგეთს შორის და 1865 წ. გერმანიასა და საფრანგეთს შორის";

"ევროპაში არსებობდა და მოქმედებდა უფრო თავისუფალი აღებ-მიცემობის სისტემა იმ დრომდე, ვიდრე გერმანია და საფრანგეთი ერთმანეთს გადაეკიდებოდნენ. თ. ბისმარკი, რომელიც მანამდე ფრიტრედერობის მომხრე იყო, ამ სისტემას გადაუდგა საფრანგეთის გამოჯავრებით, და ერთს დროს გერმანიის კანონმდებლობა საბაჟო საქმეში პროტექციონობაზე მიიმართა და საფრანგეთის საქონელს ბაჟით მიდენ-მოდენის გზა შეუკრა გერმანიაში. რა თქმა უნდა, ერთის ქცევა მეორესაც ამასვე აქნევინებდა და ამ გზით დღესა ვხედავთ, რომ თითქმის თ. ბისმარკის წყალობით ევროპამ დაივიწყა სიკეთე ფრიტრედერობისა." *("სატამოჟნო პოლიტიკა ევროპაში, ფრიტრედერობა და პროტექციონობა". 1887 წ. 10 ივნისი).*

- **პროტექციონობა: არსი და მოქმედების პრინციპები**

"დღეს ხელახლად თავი წამოჰყო და ფეხზედ წამოდგა წინათ უარყოფილი სისტემა პროტექციონობისა, ესე იგი სისტემა, რომლის დაძლევაც დიდის სიხარულით მიღებული იყო ამ ორმოცის წლის წინათ და მასზედ გამარჯვებული ფრიტრედერობა-კი _ პატივცემული, როგორც სისტემა ლიბერალობის მოძღვრებისა";

"პროტექციონობა იქიდამ არის წარმომდინარი, რომ შინაურს მრეწველობას მოპირისპირე მოაცალოს შინაურს ბაზარში და მით თვით ამ სხვის ცილობისაგან განთავისუფლებულს მრეწველობას ფეხი აადგმევინოს და თავის ერს ერთი წყარო სარჩო-საბადებლის შოვნისა მოუმატოს. პროტექციონობა მოსარჩლეობაა, რადგანაც

შინაურს მრეწველობას სარჩლს უწევს და ხელს უწყობს არსებობისა და გაძლიერებისათვის";

"ყოველს ქვეყანას ან იმისთანა საქონელი შეაქვს და გამოაქვს სხვისაგან, რომელიც გადაკეთებულია საფაბრიკო და საქარხნო მრეწველობით სახმარ ნივთად, ან იმისთანა, რომელიც უნდა გადაკეთდეს ფაბრიკებითა და ქარხნებითა. მაგალითებრ, მატყლი მაუდის გასაკეთებლად, ან კიდევ პირდაპირ სახმარი, მაგალითებრ, პური. როცა თავისუფლად მიდენ-მოდენაა საქონლისა, მაშინ რომელისამე სახელმწიფოს შინაურს ბაზარში დიდი ცილობაა, და ბურთი და მოედანი ბაზრისა იმ სახელმწიფოსა ჰრჩება, რომლის საქონელიც უფრო უკეთესია და უფრო იეფი. ერს ამისაგან სიკეთისა და რგების მეტი არა მოსდის რა, იმიტომ რომ კარგს საქონელს იეფად ჰყიდულობს და მაშასადამე თავს ადვილად ირჩენს და იკვებავს";

"პროტექციონელნი იძახიან, _ ეგ ყველაფერი მართალია, მაგრამ ამ სხვის საქონელს ვსთქვათ, კარგსა და იეფსა, რომ ჩვენი ერი სხვისაგან ჰყიდულობს, ხომ საფასურად აძლევს რასმეო; რაკი აძლევს, სჩანს ჩვენის ერის სიმდიდრე გარეთ გადის, სხვას გააქვს და ის არ სჯობია, ლუკმა გავარდეს და ჯამშივე ჩავარდესო, სხვის საქონლის სასყიდლად გაღებული ქონება ისევ ჩვენს ერს შინ დარჩეს და თვითონ მოიხმაროსო; თუ ჩვენს ბაზარს სხვებისათვის როგორმე დავკეტავთ, ჩვენი ქონება ვაჭრობის გამო გარეთ აღარ გაიზიდება და ჩვენშივე დატრიალდებაო. გარდა ამისა, იგი საქონელი, რომელიც სხვისაგან შემოგვაქვს და მის სამაგიეროდ ჩვენი სიმდიდრე გარეთ გაგვაქვს, განა ჩვენში კი არ გაკეთდება, ჩვენში-კი არ შეიქმნებაო. რომ ჰკითხოთ: თუ ეგრეა, რატომ ეხლა-კი არ კეთდებაო?" *("სატამოჟნო პოლიტიკა ევროპაში, ფრიტრედერობა და პროტექციონობა". 1887 წ. 10 ივნისი)*

"ამაზედ აი რა პასუხს იძლევიან: არა კეთდება იმიტომ, რომ სხვანი გვეცილებიან, სხვებს უფრო კარგი საქონელი მოაქვთ და უფრო იეფად ჰყიდიან, და რაკი ესეა, ცილობას ვერ გავუწევთო, რადგანაც კაცი იმას ეტანება, ვისაც კარგი და იეფი საქონელი აქვსო; ოღონდ საქონელი კარგი და იეფი იყოს და ვაჭრობაში იმას არ დაგიდევენ, ჩვენი კაცი ჰყიდის, თუ სხვა კაციო. თუ ამისთანა მოცილეს თავიდამ მოვიშორებთ, მაშინ კი საქმე სულ სხვა იქნება; თვითონ ჩვენი ერი, კარგად იქნება თუ ავად, ხელს მოჰკიდებს საცილობელის საქონლის კეთებასა და ამ გზით თვითონ შინ გაგვემართება იგი მრეწველობა, რომლის უქონლობის გამო დღეს სხვანი ისე გვწოვენო. რა ვუყოთ, რომ პირველ ხანებში ჩვენი ახლად ფეხადგმული მრეწველობა იმისთანა კარგს და იეფს საქონელს ვერ მოგვაწვდის, როგორსაც ეხლა სხვა ქვეყანა გვაწვდისო. თავი შევიმაგროთ, მოვითმინოთ; ამ პირველ ხანების უკეთურებას და სიძვირეს და ჩვენისავე სიკეთისათვის როგორმე გავუძლოთ და დრო მოვა და შინაური ცილობა საქონელსაც გაგვიკარგებს და იეფობასაც ჩამოგვიგდებსო. განკარგებულის და გაძლიერებულის მრეწველობისაგან ჩვენი ერი სიმდიდრის წყაროს გაიჩენს, და თვითონ ქონება ჩვენი, რომელიც ეხლა სხვის საქონლის სყიდვისა გამო გარეთ გადის და სხვას მიაქვს, ჩვენვე და ჩვენშივე დაგვრჩებაო";

"რა გზით ნდომულობენ ამ ბედნიერების ჩამოგდებას პროტექციონელნი? ამისათვის ერთადერთი ღონეა "ტამოჟნა", ესე იგი, საბაჟო, რომელი სახელმწიფოც ამ პროტექციონობას მისდევს, იგი იმოდენა ბაჟს ადებს შემოსატან თუ გასატან საქონელს და იმისთანა წესებით ჰხლართავს საქონლის გატან-გამოტანის საქმეს და ამაებით იმოდენად ზრდის საქონლის ფასსა, რადგანაც ბაჟი ზედ ეკეცება, რომ ბაზარი ვეღარ იფერებს, თუ

ძალიან არ უჭირს საქონელი. ამ გზით საქონლის მიდენ-მოდენას წინ ისეთი უშველებელი ზღუდე აემართება ხოლმე, რომ ვერას გზით ვერ გაირღვევა";

"ამისთანაა ბუნება პროტექციონობისა სათავიდამვე დაწყობილი ბოლომდე. ეს ხომ ასეა, და იქნება ამ მხრით ამ სისტემას ცოტა რამ საბუთი ჰქონდეს, თუმცა-კი ქვეყნისათვის, ყველასათვის, ერთნაირად ღია ბაზარი უმჯობესია, იმიტომ რომ ყოველის კაცისათვის ისა სჯობია, საშუალება ჰქონდეს, საჭირო საქონელი იქ და იმისგან იყიდოს, საცა და ვისაც უფრო კარგი საქონელი აქვს და უფრო იეფი ჩემ-შენიაობის გაურჩევლად";

"დღეს თუ ამ სისტემის მომხრეობას გზა გაეხსნა ევროპაში, სხვა განზრახვის ბრალი უფროა, ჩვენის ფიქრით, ვიდრე, იმ საბუთებისა, რომელი ძალითაც პროტექციონობა ცოტად თუ ბევრად სახეში მისაღებია. დღეს ერთიმეორეს ამ გზით უთხრიან ორმოსა";

"დღეს გერმანია რომ ბისმარკის ძალდატანებით რაც ძალი და ღონე აქვს პურზედ ბაჟს უმატებს და უმატებს, ვითომ რა აზრი და განზრახვა უნდა მოჩხრიკოს ამ დაუდგრომელს მატებასა. გერმანიას, რომელიც პურის მოსავლის მიხედვით მდიდარ ქვეყნებში არ ჩაითვლება და რომელსაც, მაშასადამე, სხვის პური უჭირს, ამ ბაჟის მომატებით პური ხომ უნდა გაუძვირდეს";

"გაძვირება ხომ ღარიბის კაცის სულის შეხუთვას მოასწავებს";

"ნუთუ მართლა იგი გერმანია თავის ერს და ქვეყანას იმისთვინა სწირავს, რომ პურის მოსავალი შინ გაიძლიეროს! პური ხომ შამპანური ღვინო არ არის, რომ უმისობა გერმანიის ერმა ითმინოს იმ დრომდე, ვიდრე თვით ბევრს მოიყვანდეს, პური იმისთანა საჭიროებაა, რომ უიმისობა და შიმშილით სიკვდილი ერთია და მინამ პავლე მოვა, პეტრეს ხომ ტყავი გასძვრა";

"თუმცა ეს ასრეა, მაგრამ თ. ბისმარკი შარშანდელს აქეთ სულ იმასა ჰსცდილობს, პურს იმოდენა ბაჟი დაადოს, რომ გერმანიის ბაზარში სხვის პურმა აღარ გაიჭაჭანოს. ცხადია, ნიშანში რა აქვს ამოღებული თ. ბისმარკსა: იგი სახელმწიფო, რომელიც დღეს-აქამომდე დიდძალს პურს ასაღებდა გერმანიაში, დღეს გერმანიის ბაზრისაგან გამოკლებული უნდა იყოს და ამით ცოტად თუ ბევრად დაზიანდეს, ესე იგი ჯიბე შეუსუსტდეს. ამ სახით თ. ბისმარკი ისარს ისვრის და შვილდს კი ჰმალავს, პროტექციონობის კალთაში გამოხვეულს";

"ამისთანა გარემოებას არ შეიძლება სხვანიც არ გადაეხარა პროტექციონობის მხარისაკენ და აი დღეს თითქმის ყველგან პროტექციონობის გაძლიერებას ვხედავთ, თუმცა მეცნიერებისაგან-კი ანდერძაგებულია და დაწუნებული." *("სატამოჟნო პოლიტიკა ევროპაში, ფრიტრედერობა და პროტექციონობა". 1887 წ. 10 ივნისი).*

- **თავისუფალი ვაჭრობის შეზღუდვა სატამოჟნოებისა და საბაჟოების გამართვით**

"ამის გამო, თუ სხვა მიზეზით, ამ მიმართულებისაგან მოიცალა სახელმწიფო პოლიტიკამ და ცოტად თუ ბევრად სხვა პოლიტიკისათვის ადგილი დაათმობინა. დიპლომატიამ იგრძნო, რომ დაზიანება სხვა სახელმწიფოსი მარტო იმით არ მოხერხდება, რომ სხვაგან ბევრს ადგილას ბინა და ფეხი მოიკიდოს სააღებ-მიცემოდ; შესაძლოა მოცილე და სამტროდ თავგამოდებული სახელმწიფო სხვა გზითაც შეჰხუთოს. ეს გზა ის არის, რომ მისი საქონელი თავის საზღვრებში არ შემოუშვას, არ გააჭაჭანოს, ამისათვის ტამოჟნები და საბაჟოები დაჰმართონ და ამით ბაზარი აღებ-მიცემობისა

ცოტად თუ ბევრად მოაკლონ და დაუკეტონ." *("სატამოჟნო პოლიტიკა ევროპაში, ფრიტრედერობა და პროტექციონობა". 1887 წ. 5 ივნისი).*

"ძალმომრეობა ტამოჟნებისა და საბაჟოებისა დიდია ქვეყნის საეკონომიო ცხოვრებისათვის. საბაჟო გადასახადის მეტ-ნაკლებობაზედ ბევრი რამ არის დამოკიდებული როგორც სხვა სახელმწიფოებისათვის, ისეც თვით ბაჟის დამდებისათვისაც. ამ ბაჟს შინაც და გარეთაც ბევრი წყენა შეუძლიან, თუ კაცი გაუფრთხილებლად და წინდაუხედავად მოიქცა. რადგანაც ესეა, დღეს თვითეული მოცილე სახელმწიფო ჰცდილობს თავის მოპირისპირეს ამ მხრით ავნოს რამე და საქონელს, რომლის სიმრავლითაც მოპირისპირე სახელმწიფო ცხოვრობს და იკვებება, იმოდენა ბაჟი დასდოს, რომ სახსარი და ილაჯი არა ჰქონდეს გაიჭაჭანოს ბაჟის დამდებს სახელმწიფოს ბაზარში." *("სატამოჟნო პოლიტიკა ევროპაში, ფრიტრედერობა და პროტექციონობა". 1887 წ. 5 ივნისი).*

"უცხო ქვეყნების საქონლის შემოტანაზედ დადება ბაჟისა, ანუ, უკეთ ვსთქვათ, გადასახადისა, ახალი ამბავი არ არის კაცობრიობისათვის. ეგ ბაჟი, ანუ გადასახადი, არამცთუ გარედამ შემოსატან საქონელზედ იყო უწინ, არამედ შინაურს საქონელზედაც. ამიტომაც შინაც ზოგიერთგვარ საქონლისათვის ჰქონდათ ხოლმე გამართული საბაჟოები და ზოგიერთი საქონელი ერთსა და იმავე სახელმწიფოში ერთის ადგილიდამ მეორეში ვერ გადავიდოდა უბაჟოდ. ამ უკანასკნელმა წყობილებამ თავისი დრო მოიჭამა და დღეს პირველსაჭიროდ სახმარი საქონელი ყველგან ამ ბაჟისაგან დახსნილია. თუ არის კვლავ რაზედმე, მარტო იმისთანაზედ, ურომლისოდაც კაცს გაუჭირებლად ცხოვრება შეუძლიან და რომელიც უფრო განსაცხრომია და საქეიფო, ვიდრე საჭირო, მაგალითებრ, არაყი, თამბაქო და სხვა მისებრი." *("სატამოჟნო პოლიტიკა ევროპაში, ფრიტრედერობა და პროტექციონობა". 1887 წ. 6 ივნისი).*

"ჩვენ ამ შინაურს ბაჟზედ დღეს სიტყვის ჩამოგდება არ გვინდა. ჩვენი სურვილია ვაუწყოთ ჩვენს მკითხველს ზოგიერთი რამ იმგვარს ბაჟზედ, რომელიც უცხოთა ქვეყნების საქონელზეა მიმართული. ამგვარი ბაჟი განსაკუთრდა მეჩვიდმეტე საუკუნეში და სულ ცალკე, საკუთრად მისი შესაფერი წყობილება მიიღო. ამ ბაჟს ეხლა "სატამოჟნო" ბაჟს ეძახიან და თუ საქონელმა რომელისამე ქვეყანაში შემოსვლის უმალვე ეს ბაჟი არ გადიხადა, ბაზარში ვერ გაიჭაჭანებს." *("სატამოჟნო პოლიტიკა ევროპაში, ფრიტრედერობა და პროტექციონობა". 1887 წ. 6 ივნისი).*

"თავდაპირველად ამგვარის ბაჟის დადგენას და შემოღებას მარტო საფინანსო მიზეზი და საბუთი ჰქონდა, როგორც სხვა ყოველგვარს ბაჟსა. სახელმწიფო ჰფიქრობდა ამით ერთი მეტი წყარო ჰქონიყო შემოსავლისა და დღეს ეს არა-პირდაპირი გადასახადი კარგა დიდს ლუკმას იძლევა სახელმწიფო ხაზინისათვის, თუ კი სახელმწიფოს ეს საქმე კარგად მოწყობილი აქვს. ხოლო თვით საქმის მსვლელობამ დროთა განმავლობაში აჩვენა სახელმწიფოს მმართველთა, რომ ეს სატამოჟნო ბაჟი არამც თუ საფინანსო, არამედ საპოლიტიკო და საეკონომიო აზრითაც შეიძლება სახელმწიფომ გამოიყენოს. მიაგნო, რომ შესაძლოა ამით უმტრონ კიდევ სხვა სახელმწიფოსა, რომელსაც საქონელი შემოაქვს, და შემწეობაც აღმოუჩინონ შინაურს მრეწველობასა გაძლიერებისათვის." *("სატამოჟნო პოლიტიკა ევროპაში, ფრიტრედერობა და პროტექციონობა". 1887 წ. 6 ივნისი).*

"რასაკვირველია, სახელმწიფონი, რომელნიც საომრად გადაკიდებულნი არ არიან, ვერ გაუბედვენ თავისის ქვეყნის კარები გულახდილად და პირდაპირ ჩაუკეტონ ერთმანეთსა, რაც უნდა სამტროდ გული უცემდეთ. ესეთი ქცევა შესაძლოა ომის

მიზეზადაც შეიქმნეს და ჩვეულებად მიღებული არ არის ევროპის პოლიტიკაში. რომ ეს ასე არ მოუხდეთ, სხვა გზით მოუვლიან ხოლმე საქმეს, როცა ერთსა ჰსურს მეორეს ავნოს და ზიანი მიაყენოს. ღონედ რასაკვირველია, ისევ იმ "სატამოჟნო ბაჟსა" ჰხმარობენ. სხვის საქონლის დენას გზა რომ გადუღობონ, აიღებენ ხოლმე, ამ ბაჟს იმოდენად გაადიდებენ, და მით საქონლის ფასს იმოდენად ასწევენ, რომ კაცი დღის სავალზედაც ვერ მიეკარება." *("სატამოჟნო პოლიტიკა ევროპაში, ფრიტრედერობა და პროტექციონობა". 1887 წ. 6 ივნისი).*

"იტყვიან, ეგ ხომ ისევ ის კარის დაკეტა გამოვიდაო. მართალია, მაგრამ აქ ერთი იმისთანა პატივსადემი მიზეზი მოჰყავთ ხოლმე, რომ გულნატკენ სახელმწიფოს ხმაც ვერ ამოეღება, თუმცა გულში კი ჰგრძნობს, რომ მოპირისპირე ერთსა ჰკაკანებს და კვერცხს-კი სხვასა სდებს. მიზეზად იმას ამბობენ, რომ ამ საქონლის შექმნა, რაც სხვიდამ შემოგვაქვს ჩვენც შეგვიძლიანო; ამ შეძლებას აბრკოლებს ის გარემოება, რომ სხვისი საქონელი ჩვენს შინაურს ბაზარში სჩაგრავს და გზას არ აძლევს ჩვენს საქონელსა; როცა სხვის საქონელს ჩვენის ბაზრიდამ დავითხოვთ, მაშინ ბურთი და მოედანი ჩვენს ერსავე დარჩება, და რადგანაც საქონელი ერისათვის საჭიროა და რადგანაც როგორც გიჭირს, ისე გიღირს, ამიტომაც ჩვენი ერი მოჰკიდებს ხელს მაგ საქონლის მრეწველობასა, მრეწველობა გაძლიერდება, ერი გამდიდრდება და თავისას თვითონვე გაჰყიდის და იყიდისო. ამ სახის ერის პირიდამ გავარდნილი ლუკმა მის ჯამშივე ჩავარდებაო." *("სატამოჟნო პოლიტიკა ევროპაში, ფრიტრედერობა და პროტექციონობა". 1887 წ. 6 ივნისი).*

"რა თქმა უნდა, რომ როცა სახლში შიმშილით ბალღები გიტირიან, მაშინ ტაბლის გარეთ გატანა სულელობაა; როცა კაცს თვითონვე შეუძლიან თავის საქმეს გამორჩეს რასმე, მაშინ უჭკუობა იქნება, თვითონ გულხელი დაიკრიფოს და გამოსარჩომი სხვა დაანებოს. მაგრამ საკითხავი ეს არის, მართლა ეგრე-კი მოხდება ხოლმე, როცა სხვის საქონელს ბაჟის შემოწმებით გზას არ აძლევენ?" *("სატამოჟნო პოლიტიკა ევროპაში, ფრიტრედერობა და პროტექციონობა". 1887 წ. 6 ივნისი).*

- **ჭაჭისაგან არყის ხდა: აქციზის კანონებმა ჭაჭის ხდა ფულიანი კაცის ხელში მოაქცია და გლეხკაცებს ხელიდამ გამოაცალა**

"ეხლანდელი კანონები აქციზისა ისეთები არიან, რომ ჭაჭისაგან არაყის ხდას არამც თუ უპირატესობა მიეცა, არამც თუ გზა გაეხსნა, არამედ დაუვარდა, დაუმარცხდა პურისაგან ხდასა. და თუ კიდევ ცოტად თუ ბევრად ჭაჭისაგან ხდა ვაინაჩრობით წარმოებს და უძლებს ეხლანდელის აქციზის სიმძიმეს _ ისიც მაშინ, თუ ჭაჭის არაყის მხდელი ძვირად ღირებულს ქარხანას გაიმართავს, ესე იგი იმისთანა ქარხანას, რომელიც ისე უნდა იყოს მომართული, რომ ცოტა ხანში რაც შეიძლება ბევრი გამოხადოს. ამ გარემოებამ ისე დასცა ძირს ჭაჭის არაყის ხდა, ისე დააფოლა, რომ ჭაჭა, რომელსაც აქამომდე გლეხკაცობა არყის სახდელად ხმარობდა, რომელიც კაი ფასადაც გადიოდა და ვენახების პატრონებს _ ერთს მესამე შემოსავალს ჰმატებდა, ზოგიერთს ალაგას გადასაყრელი გახდა, როგორც, მაგალითებრ, დუშეთის და ტფილისის მაზრაში, და სხვა მაზრებში კი _ წვრილთა მწარმოებელთ, ესე იგი გლეხკაცობას, ხელიდამ გამოეცალა, ფულის პატრონებს ჩაუვარდათ ხელში, და ამ გზით ყველა წვრილთა მწარმოებელთა საწარმოებელი _ ქარხნის წარმოებად გარდაიქცა, როგორც, მაგალითებრ, თელავისა და სიღნაღის მაზრაში. იმ დრომდე, ვიდრე აქციზის უწინდელი წესდებულება ხელს უწყობდა ჭაჭის არაყის ხდასა და შესაძლოდა ჰქმნიდა ჭაჭიდამ არაყი ეხადნათ იეფი ფასის ქვაბებში და არა ძვირფას ქარხნებში, ხალხს ამ წარმოების წყალობით იმოდენი

გამორჩომა ჰქონდა, რომ თითქმის ამის გამონარჩომით უძღვებოდა სახელმწიფო ხარჯსა. ეხლა კი ეგ წყარო, რომელიც ხალხს უძლიერებდა ღონეს ხარჯის გადახდისას მოსწყდა, იმიტომ რომ ეხლანდელის აქციზის სიმძიმეს ვერ უძლებს არამც თუ იეფის ფასის ქვაბი, რომელიც ასე თუ ისე ადვილად მოსაპოვებელია გლეხკაცის მიერ, არამედ ძლივს იტანს თითონ ძვირფასი ქარხანაცა, რომელსაც გლეხკაცი ხელსაც ვერ მიაწვდენს და რომელიც მარტო ფულიანის კაცისათვის არის შესაძლებელი. ამის გამო იქაც, საცა ჭაჭა ჯერ კიდევ გადასაყრელად არ გამხდარა, გლეხკაცობა იძულებულ შეიქნა მოესპო ქვაბით ხდა და ეს წარმოება დაეთმო იმ პირთათვის, ვისაც ჯიბე ღონეს აძლევდა დაედგა ძვირად ღირებული ქარხანა. ამ სახით, ხალხი, რომელსაც ჩამოერთო ყოველივე ღონისძიება ჭაჭის არაყის ხდისა და რომელსაც ვეღარ ძალუძს თითონ ხადოს ჭაჭის არაყი, იძულებულ შეიქნა თითონ ჭაჭაც ჩალის ფასად ჰყიდოს". *("შინაური მიმოხილვა". 1883 წ. ოქტომბერი).*

- **პირის შეკვრა ჭაჭის ფასზე და გლეხთა გაღარიბება**

"ქარხნების პატრონები იმოდენად ცოტანი არიან რიცხვით, რომ ყოველთვის ახერხებენ პირის შეკვრას ჭაჭის ფასის დასაწევად, რადგანაც მუშტარი მათ მეტი სხვა აღარავინ არის. ეს ახალი წესი აქციზისა, რომელმაც დააკლო თითქმის ერთი მესამედი შემოსავალი იმ ადგილებს, საცა ხალხი ვენახობას მისდევს, შეუძლებელია ხალხის გაღარიბების მიზეზად არ შექმნილიყო. ეგ აშკარად დაეტყო ხალხის ეკონომიურს ყოფა-ცხოვრებასა." *("შინაური მიმოხილვა". 1883 წ. ოქტომბერი).*

"ამიტომ საჭიროა ხელახლად გადაისინჯოს აქციზის წესები და ახალი კანონები მიიმართოს იმაზედ, რომ ჭაჭის არაყის ხდას ფართო, დაუბრკოლებელი გზა გაეხსნას, უპირატესობა და ყოველივე შემწეობა მიეცეს." *("შინაური მიმოხილვა". 1883 წ. ოქტომბერი).*

- **ბაზარი: ფულის შოვნის ერთადერთი წყარო**

"მინამ ფულის საჭიროება ჩვენში გაძლიერებული არ იყო, ვიდრე სახელმწიფოს და სხვა ამისთანა ხარჯს აქაური მკვიდრი მიწის მოსავლით უძღვებოდა, ქერით, პურით იხდიდა, მთიელი ოსები, როგორც იყო, სულს იბრუნებდნენ. ეხლა ყველაფერი ეს ფულსა თხოულობს. გადასახადმა და ერთობ გასავალმა სახე იცვალა, ფულად იქცა, და შემოსავალი, მოსავალი-კი არამცთუ უცვლელი დარჩა, უფრო უარეს დღეში ჩავარდა, ბაზრობა რომ გავუსინჯოთ. ბაზრობას ვამბობთ, იმიტომ რომ ერთადერთი წყარო ფულის შოვნისა ბაზარია". *("საზოგადოებრივი ცხოვრების ნაკლნი და მისი ეკონომიური მიზეზები". 1897 წ.).*

"ჩვენში მხვნელ-მთესველს არც შინა აქვს ბაზარი, არც გარეთ, არც გზა აქვს და არც კვალი, რომ ნაამაგევმა გზის ხარჯს გაუძლოს. ჩვენში დღეს მარტო ხვნა-თესვა კაცს ვერ აცხოვრებს გაუჭირვებლად. ხვნა-თესვის ნაამაგევს ფასი არა აქვს იმოდენა, რომ შრომის ხარჯი ამოაღებინოთ, და თუნდა ჰქონდეს, უგზო-უკვლობით ბაზარში ვერ გაიტანთ უიმისოდ, რომ ზედ თავისი არ წააგლისოთ. ცხოვრება-კი ჰთხოულობს ფულსა სახარჯოდ წუთის-სოფლის ჭირბოროტის გასაძღოლად. შორს რომ არ წავიდეთ, საკმაოა თვალწინ ის დავიყენოთ, რომ დღეს რუსეთი პურს თითქმის უფრო იეფად იძლევა ჩვენში, ვიდრე ჩვენ შინ გვიჯდება, თითონ გზაც უფრო უკეთესი და იეფი აქვს შორიდამ მოტანისათვის, ვიდრე ჩვენ ახლოდამ ბაზარში გასატანად, და საიდამ სად მისწვდება

ჩვენებური მხვნელ-მთესველი, რომ ფასების მეტნაკლებობაში ცილობა რამ გაუწიოს. ჩვენში ხვნა თესვის მოსავალს საოჯახო მნიშვნელობა თუ შერჩება, თორემ სააღებმიცემო საგნად ძნელადღა გახდება, იმოდენად მაინც, რომ ჩიტი ბდღვნად ღირდეს და დევნა მეტი არ იყოს". *("საზოგადოებრივი ცხოვრების ნაკლნი და მისი ეკონომიური მიზეზები". 1897 წ.).*

"არ ვიცით, იქნება ხვნა-თესვის მნიშვნელობას ჩვენში მეტს ბრალსა ვდებდეთ, როცა ქურდობისა და ავაზაკობის მიზეზებზედ ვლაპარაკობთ, მაგრამ საკვირველი ერთი ეს უეჭველი ამბავია: რატომ ამ არემარედამ არ გამოდის ასე ხშირად ქურდი და ავაზაკი, საცა მკვიდრი, ხვნა-თესვის გარდა, სხვა მიწის მოქმედებასაც ეტანებიან, მაგალითებრ მევენახეობას, მებაღეობას, აბრეშუმის მოყვანა იციან და სხვა ამისთანა. იქნება აქ სხვა რამ მიზეზიც იყოს, მაგრამ თვალში საცემად დღეს მარტო ის გარემოებაა, რომ სარჩო-საბადებელის საშოვარი ერთგან მარტო ხვნა-თესვაა, რომელიც გამრჯელს ხელს არ აძლევს, და მეორეთგან _ ხვნა-თესვასთან ერთად სხვაგვარი მიწისმოქმედებაც, რომლის ნაამაგევს ბაზარიცა აქვს, ფასიცა და რომელიც პურზედ და სხვა ამისთანაზე უფრო სუბუქი და ადვილი საზიდია, ან ბაზარში ფასი იმოდენა აქვს, რომ ჩვენებურ გზების ვაი-ვაგლახის ხარჯს და წვალებას იტანს". *("საზოგადოებრივი ცხოვრების ნაკლნი და მისი ეკონომიური მიზეზები". 1897 წ.).*

- **დიდი და ბევრის ადგილას ბაზრის დაჭერის ორი გზა**

"დიპლომატიამ დიდი ხანია მიაგნო ამ საეკონომიო გარემოებათა ძალმომრეობას, დიდი ხანია იცნა მისი ძალ-ღონე სახელმწიფოს ძლიერების მეტნაკლებობისათვის. ამიტომაც საშინაო და საგარეო პოლიტიკამ თვითეულის ცოტად თუ ბევრად შემძლებელის სახელმწიფოებისამ თავისი ზომა მიიღო, რომ სახელმწიფომ, რაც შესაძლოა, დიდი და ბევრს ადგილას ბაზარი იქონიოს თავის საქონლის გასასაღებლად ქვეყნის მოედანზე და სხვისას კი კარი შიგნიდამ ურდულით მაგრა გამოუკეტოს." *("სატამოჟნო პოლიტიკა ევროპაში, ფრიტრედერობა და პროტექციონობა". 1887 წ. 5 ივნისი).*

"პირველის აზრის მისაღწევად ის ღონე იხმარეს, რომ საგარეო პოლიტიკა სახელმწიფოსი კოლონიების და სხვა ქვეყნების დაპყრობაზედ მიჰმართეს, სახელდობრ იმისთანა ადგილისაზედ, საცა და საიდამაც საქონლის მიტანა და მიწვდენა თავისუფლად შეიძლებოდა აღებ-მიცემობის გასამართავად, _ და მეორის მისაღწევად ისა, რომ თავ-თავის სახელმწიფოებს საბაჟო ზღუდეები შემოავლეს. პირველ ხანებში პირველს მიმართულებას უფრო უპირატესი და უაღრესი ადგილი ეჭირა ევროპის პოლიტიკაში და ყოველი სახელმწიფო, რომელსაც კი (როგორც, მაგალითებრ, ისპანიას, საფრანგეთს, ინგლისს, იტალიას) გზა თავისუფალი ჰქონდა ზღვებზედ სავლელად, მიესია სხვა შორეულს ქვეყნებს დასაპყრობად, და ვისაც ზღვის გზა არა ჰქონდა, როგორც, მაგალითებრ, რუსეთს, მან ზღვებისაკენ გაიწია, რომ კარი გაიღოს შინიდამ გარეთ გასასვლელად." *("სატამოჟნო პოლიტიკა ევროპაში, ფრიტრედერობა და პროტექციონობა". 1887 წ. 5 ივნისი).*

"ეს მიმართულება ერთს დროს ისე გაძლიერებული იყო, რომ თვითეული დიდი სახელმწიფო თითქმის მარტო ამისათვის იყო მოცლილი და თითქმის მარტო ამას ალევდა თავის ძალ-ღონესა. მაშინ, ვინც რა მოასწრო და შეირჩინა, დღეს თვითეულს ხელთ უპყრია და მაგრად ეჭიდება. მას აქეთ ეს მიმართულება ცოტად თუ ბევრად

განელდა, დაწყნარდა, ჯერ იმიტომ _ რომ თითქმის რაც სახარბიელო ადგილები იყო, უკვე დაჭერილია, და მერე იმიტომ _ რომ თვითონ კვლავ დასაჭერი ქვეყნები თავგამოდებით ეურჩებიან უცხოთა ზედმისევასა და ისე ადვილად აღარ უვარდებიან სხვას ხელში, როგორც უწინ. ამას გარდა, თვით სახელმწიფოთა შორის ცილობა და შური ყველგანს მოსარჩლეს უჩენს დასაჭერად ნიშანში ამოღებულს ქვეყანასა, თუ ერთი მათგანი სხვის და დაუკითხავად წაეტანა. დასაჭერი ქვეყნები ამ სარჩლში, შურისა და ცილობისაგან გამოწვეულში, თავის დასახსნელს ღონესა ჰპოობენ, როცა გაუჭირდებათ ხოლმე." *("სატამოყნო პოლიტიკა ევროპაში, ფრიტრედერობა და პროტექციონობა". 1887 წ. 5 ივნისი).*

- **რა მიზეზით არის, რომ ჩვენში პურით ვაჭრობა გაძნელებული და გაძვირებულია?**

"აი რა მიზეზით. ამ შემთხვევაში პური მარტო ვაჭრობისათვის ძვირდება და აღებ-მიცემობას სამძიმოდ უხდება; ცილობას ვეღარ იტანს და საქვეყნო ბაზარში უქმად ჰრჩება. ბაზარში რომ გასავალი არა აქვს, მწარმოებელი იძულებულია შინ მოელოდინოს მუშტარსა, და წახდენის შიშმა და გაჭირვების სიმწვავემ ჩალის ფასად გააღებინოს დიდის ოფლით მონაგარი ჭირნახული." *("პურეულით ვაჭრობის საქმე ჩვენში". 1886 წ. 10 დეკემბერი).*

"რომ უგზო-უკვლობას ამისთანა შედეგი მოსდევს პურის ვაჭრობაში, ამისი ცხადი მაგალითი თვალწინა გვაქვს და დღეს ჩვენის თვალითა ვხედავთ. სოფლად ეხლა პური ძლივ-ძლიობით იყიდება ფუთი სამ აბაზად, ცამეტ შაურად. იგივე პური ბათუმში გადის დღეს მანეთად და სამ შაურად, მანეთად და ერთ აბაზად, მაშასადამე ერთი ორად. ნუ გეგონოთ, რომ პურის ბათუმში წამღებს იქ დიდი მოგება ჰრჩებოდეს. ფუთზედ რომ ბევრი-ბევრი ორი შაური მოიგონ, ღმერთს ორისავე ხელით მადლობას შესწირვენ. დანარჩენი ფუთზედ ათი შაურის განაღდება სადღა მიდის? გზა, და გზის უვარგისობა სჭამს. მერე რამდენსა სჭამს? თითქმის იმოდენასვე, რაც თითონ პური ჰღირს. განა ამ ყოფაში ვაჭრობას თავის დაჭერა შეუძლიან! აბა ჩვენებურმა პურმა ცილობა როგორ უნდა გასწიოს საქვეყნო ბაზრის მოედანზედ, როცა ამერიკიდამ, ამ პურის უზარმაზარ ბოღაზიდამ, უფრო ადვილია, უფრო მოსახერხებელია, უფრო იეფია პურის გადმოტანა ევროპაში, ვიდრე ერევნიდამ, გუმბრიდამ, კახეთიდამ და თითონ ქართლიდამაც ბათუმამდე. თუ ეს დაუჯერებელი ჰგონია ვისმე და მეტისმეტად თქმული, მარტო ეს იკითხოს: ესე რომ არ იყოს, სამ აბაზად დღეს ქართლში ღირებული პური ბათუმში ერთი-ორად რად უნდა ჰჯდებოდეს? არა გვგონია ამერიკიდამ მარსელში მოტანილმა პურმა ფუთზედ ათი შაური ანუ ამაზედ ცოტად მეტნაკლები იმატოს მარტო გადმოტანისათვის. დღეს მარსელში და სხვა ადგილებში, რომელიც ხმელთაშუა ზღვის ნაპირებზეა, ამერიკის პური იმავე ფასად ისყიდება, როგორც ჩვენებური, _ ეს მაშინ, როცა ჩვენებურს მწარმოებელს ფუთზედ სამ აბაზზედ, თუ ცამეტ შაურზედ მეტი არ მოსდის. განა ეს სახარბიელო აღებ-მიცემობაა? განა სამი აბაზი და ცამეტი შაური ფუთზედ კაი ფასია? განა ეს იმისთანა ფასია, რომ მწარმოებელს ხალისი მოუმატოს პურის წარმოების გაძლიერებისათვის და ბლომად მოყვანისათვის? არა გვგონია." *("პურეულით ვაჭრობის საქმე ჩვენში". 1886 წ. 10 დეკემბერი).*

"და თუ ამერიკელთათვის სამჯობინარია პურის ფასი ევროპაში იმოდენად დასწიოს, რომ გასვლა-გამოსვლის შემდეგ ჩვენს მწარმოებელს ფუთზედ მარტო სამი აბაზი, თუ

ცამეტი შაური უნაღდდებოდეს, მაშინ აშკარაა, ჩვენს ვაჭრობას პურისას არავითარი ღონე არ ექნება საქვეყნო ბაზარში სული იბრუნოს და დიდხანს იდგომილოს." *("პურეულით ვაჭრობის საქმე ჩვენში". 1886 წ. 10 დეკემბერი).*

"ჩვენებური პური ცილობას ვერ გაუწევს ამერიკის პურს, როცა ბაზრის ფასისაგან პურის პატრონს ფუთზედ მარტო სამი აბაზი ან ცოტა ამაზედ მეტნაკლები ფულიღა ენაღდება." *("პურეულით ვაჭრობის საქმე ჩვენში". 1886 წ. 10 დეკემბერი).*

"თქმა არ უნდა, რომ თუ მოსავალი მოზღვავდა, ეს ჩვენი აზრი თავს არ დაიჭერს: რაკი პური თავსაყრელად გატყვრება, მაშინ, რასაკვირველია, ეგ ფასიც სამყოფია. მაგრამ დიდი შეცდომა იქნება ჩვენი სჯა ამ საგანზედ მაგ მეტად იშვიათს შემთხვევაზედ დავაფუძნოთ და არა ორთაშუა მოსავალი ვიქონიოთ სახეში." *("პურეულით ვაჭრობის საქმე ჩვენში". 1886 წ. 10 დეკემბერი).*

"რაკი ამას ვიქონიებთ სახეში და იმასაც არ დავივიწყებთ თუ, _ რამოდენად აძვირებს საქვეყნო ბაზრისათვის ჩვენებურს პურს უგზოობა და გადატანის ხარჯი, მაშინ აწ დაწყებული პურის ვაჭრობა ბევრს საიმედოს და სახარბიელოს არას წარმოგვიდგენს და დიდ ხანს ვერც თავს დაიჭერს." *("პურეულით ვაჭრობის საქმე ჩვენში". 1886 წ. 10 დეკემბერი).*

"რადგანაც პურის მოსავლისა ჩვენში სასტატისტიკო ცნობანი არა გვაქვს, ჩვენ მოკლებულნი ვართ საბუთს ჯეროვანი და უტყუარი სიტყვა წარმოვსთქვათ მასზედ თუ, გვაქვს ჩვენ გასასყიდი პური, თუ არა. თუნდაც გვქონდეს, პურის გატანა საქვეყნო ბაზრამდე ძალიან ძვირად გვიჯდება და ერთი-ორად ჰხდის პურის ფასსა. გზა და გადატანა ამ შემთხვევაში თავისას არ იშლის და მაშასადამე იმისათვის, რომ ჩვენმა პურმა სხვის პურს იეფობაში ცილობა გაუწიოს, ფასი თვით პურისმომქმედმა უნდა დაიკლოს. ჩვენის ფიქრით, ის ამბავი, რომ ამ უკანასკნელ ხანებში ჩვენი პური საზღვარგარეთ გადის, ჩვენს ეკონომიურად გაღონიერრებას კი არ უნდა მიეწეროს, არამედ რაიმე უეცარს შემთხვევას, რომელიც შესაძლოა ხვალ არ იყოს და რომელზედაც, მაშასადამე, არარაიმე დასკვნა არ აიგება ჯერ-ხანად მაინც." *("პურეულით ვაჭრობის საქმე ჩვენში". 1886 წ. 19 დეკემბერი).*

"ამის შემდეგ ადვილად გასაგებია, რომ რუსეთში უმოსავლობას რა დიდი ზედმოქმედება უნდა ჰქონდეს პურის ვაჭრობაზედ საქვეყნო ბაზარში." *("პურეულით ვაჭრობის საქმე ჩვენში". 1886 წ. 19 დეკემბერი).*

"რუსეთი ამ 1886 წელს პურზედ ნაკლებად იყო. ამ გარემოებას, უეჭველია, უნდა აღეძრა პურის ვაჭრობა იმ ადგილებშიაც, სადაც თავის-დღეში არა ყოფილა. აი გამოცანა იმისი, რომ 1886 წელს ამიერკავკასიიდამ 4,000,000 ფუთი პური გაიტანეს აევროპაში. ეს მაშ რა არის, თუ არა შემთხვევა!.. როგორც ერთის მერცხლის ჭიკჭიკი გაზაფხულს ვერ მოიყვანს, ისეც ერთი ეს მაგალითი საკმაო არ არის, ჩვენდა სამწუხაროდ, გული დავაჯეროთ, რომ პურის ვაჭრობამ ჩვენში სამუდამო დვრიტა დაიდო. ღმერთმა ჰქმნას, რომ ჩვენს დაუჯერებლობას სამერმისოდ საბუთი არა ჰქონდეს და პურის ვაჭრობა გაძლიერდეს ჩვენში, მაგრამ ტყუილი სიხარულიც უქმი თამასუქია და გვეშინიან ბოლოს მარტო ეს გაუქმებული სიხარული არ დაგვრჩეს ხელში და არა ვსთქვათ:

ესღა დაგვრჩა სანაცვლოდ

მის იმედისა დიდისა." *("პურეულით ვაჭრობის საქმე ჩვენში". 1886 წ. 19 დეკემბერი).*

"რომ 1886 წელს გაძლიერდა ჩვენში პურის ვაჭრობა და ჩვენის ქვეყნიდამ საქვეყნო ბაზარში 4.000.000 ფუთი პური გავიდა, _ ეს ამბავი უნდა მიეწეროს სხვა მიზეზსაც" *("პურეულით ვაჭრობის საქმე ჩვენში". 1886 წ. 20 დეკემბერი).*

“ეს სხვა მიზეზიც იმისთანავე შემთხვევითნი, არიან, როგორც წინანდელნი, მხოლოდ სხვა მხრით-კი. წინანდელი მიზეზი იმაში მდგომარეობდა, რომ იმ ქვეყნებმა, რომელთაც დიდძალი პური გამოაქვთ საქვეყნო ბაზარში გასასყიდად, უმოსავლობის თუ სხვა მიზეზის გამო პური ამ 1886 წელს ნაკლებად გამოიტანეს და ბაზარს პური უჭირდა. ბაზარს პურის შოვნა გაუჭირდა და დიდი დანაკლისი იგრძნო მარტო იმით კი არა, რომ საკმაო პური არ მიიტანეს, პურის ნაკლებობა ბაზარში იმით უფრო გაძლიერდა, რომ იმ ქვეყნებმაც, რომელნიც პურის უქონლობის გამო, პურსა ჰყიდულობენ, ამ 1886 წელს უფრო ბევრი პური მოითხოვეს, იმიტომ რომ ამ წელს მოუსავლობამ საკუთარი პურისამ პურის საჭიროება გაუძლიერა.” *(“პურეულით ვაჭრობის საქმე ჩვენში”. 1886 წ. 20 დეკემბერი).*

“ამ სახით, პური ნაკლებად ჰქონიათ იმათ, ვინცა ჰყიდულობენ ერთის მხრით და მეორეს მხრით იმათაც, ვინცა ჰყიდიან.” *(“პურეულით ვაჭრობის საქმე ჩვენში”. 1886 წ. 20 დეკემბერი).*

“ცხადია, რომ ამ 1886 წელს დასავლეთი ევროპა იძულებული იქნებოდა ნება-უნებლიეთ აქეთ-იქით მიმდგარიყო, რომ საკმაო პური ეშოვნა, და აი რა მიზეზით მოაწყდა ამისთანა უგზო-უკვლო ქვეყანას, როგორიც ჩვენი მხარეა, რომელსაც პურის მიტანა საქვეყნო ბაზარში თითონ პურის ღირებულებაზედ მეტი უჯდება. ნუთუ ესეც შემთხვევა არ არის და იგი მკვიდრი ნიადაგია პურის ვაჭრობისა.” *(“პურეულით ვაჭრობის საქმე ჩვენში”. 1886 წ. 20 დეკემბერი).*

“ამ სახით საქვეყნო ბაზრისათვის თოთხმეტი მილიონი ჩეტვერტი პური მეტი ყოფილა იმაზედ, რაც საჭირო იყო.” *(“პურეულით ვაჭრობის საქმე ჩვენში”. 1887 წ. 5 იანვარი).*

“აშკარაა, პურის ფასი უნდა დაცემულიყო საქვეყნო ბაზარში; აშკარაა, რაკი ჩვენს სამზღვარგარეედ ამოდენად მეტი პური იყო, რომ იქაც მუშტარი ვერ ეშოვნა, ჩვენში იქიდამ პურის სასყიდლად არავინ მოვიდოდა 1884 წელს. ამან ძალიან დასწია პურის ფასი ყველგან და ნამეტნავად ჩვენში.” *(“პურეულით ვაჭრობის საქმე ჩვენში”. 1887 წ. 5 იანვარი).*

“რაკი საქვეყნო ბაზარს პური შემოაკლდა იმ ადგილებიდან, საიდამაც აქამდე მოსდიოდა პური, რა თქმა უნდა, მუშტარი ყველგან დაიწყებდა ძებნას პურისას. ამის გამო პურის მუშტარი სამზღვარ-გარეთიდამ ჩვენშიაც მოვიდა და მას აქეთია პურის ფასი ჰმატულობს.” *(“პურეულით ვაჭრობის საქმე ჩვენში”. 1887 წ. 5 იანვარი).*

“აშკარაა, ეს მაგალითი და იშვიათი შემთხვევა ჭკვას ასწავლის ინგლისსაც და იმისთანა პურის ბოღაზებსაც, როგორნიც არიან ამერიკა, ინდოეთი და ავსტრალია. არასგზით მოსალოდნელი არ არის რომ 1885 და 1886 წლებით განსწავლული ინგლისი, ამერიკა, ინდოეთი და ავსტრალია, ჩვენ თავის მუშტარს პურისას დაგვითმობს. პირიქით, ყოველს ღონეს იხმარებენ, რომ ჩვენი საკუთარი მუშტარიც წაგვართვან. ეს უსაბუთო შიში არ არის და ძალიან ჭკუაზედ ახლოა, თუ კაცი კარგად დააკვირდება მიწათმოქმედებისათვის ავკარ-გიანობას ჩვენის ქვეყნის გარედ.” *(“პურეულით ვაჭრობის საქმე ჩვენში”. 1887 წ. 5 იანვარი).*

“საკვირველი გახშირება სამიწათმომქმედო მაშინებისა ამერიკაში ხარჯს პურის მოყვანისას მეტის-მეტად აცოტავებს. თითქმის არ არის იმისთანა სამუშაო მიწისა, რომ მაშინით არა კეთდებოდეს. გარდა ამისა, რომ ხარჯი იქ ამ გზით შემოკლებულია, თვითონ მოსავალიც პურისა დიდია, იმიტომ რომ ცოდნით ეკიდებიან საქმეს და ყოველს სახსარს და ღონეს მეცნიერებისას ჰხმარობენ მოსავლის განდიდების და გაძლიერებისათვის. რა თქმა უნდა, ესე ყოველი იმო-დენად გააიაფებს პურსა, რომ ჩვენ ამაში ცილობის გაწევა არ შეგვიძლიან. თუნდ ესეც არ იყოს, მარტო ის გარემოება, რომ

ყოველი კუნჭული ამერიკისა რკი-ნის გზით არის შეერთებული ნავსადგურებთან და რკინის გზებით პურის გადატანა დაუყოვნებელია, სწრაფია და იაფი, _ მარტო ეს გარემოება საკმაოა დააფოლოს ჩვენი პური საქვეყნო ბაზარში და იქიდამ, როგორც მეტიჩარა, გამოდევნოს. ამასთან ისიც დაუმატეთ, რომ ამერიკის მიწათმომქმედს დაუჯერებლად იაფი კრედიტი აქვს სახელმწიფოსაგან, ასე რომ გაჭირვების დროს მიწათმომქმედი სუბუქად და ადვილად ხელს ინაცვლებს. ამას ისიც ზედ დაურთეთ, რომ დიდს აღებ-მიცემობაში საზოგადოდ და პურისაში საკუთრივ პატიოსნება და ნამუსიც დიდს საქონლად მიაჩნიათ ამერიკაში." *("პურეულით ვაჭრობის საქმე ჩვენში". 1887 წ. 7 იანვარი).*

"ჩვენებური ვაჭარი ისე თითქმის არას გაჰყიდის, რომ მუშტარი არ მოატყუოს და ამით ეხტიბარი არ გაიფუჭოს სამერმისოდ. აქ ჩვენში ვაჭრობა მოტყუებაზედ უფროა დამყარებული, ვიდრე იმის ცდაზედ, რომ საქონლის სიკეთით და იეფობით მუდამი მუშტარი აიჩინოს კაცმა და თავნის ხშირად და ბევრჯელ გადატრიალებით იმდენი მოიგოს, რამოდენისაც ერთხანად ვაჭარს სიხარბე აქვს." *("პურეულით ვაჭრობის საქმე ჩვენში". 1887 წ. 7 იანვარი).*

"ამერიკელი ვაჭარი ცოტა სარგებელსაც სჯერდება, რადგანაც იქ თავნი იეფია და ამასთან ისეთი ეხტიბარი და ნდობა აქვს ევროპიის ვაჭრებთანა, რომ უნახავადაც მარტო ერთის დეპეშით მილიონების პურსა ჰყიდის და ჰყიდულობს და დარწმუნებულია, რომ არც მეორეში არც თვითონ მოსტყუვდება და არც სხვას მოატყუებს." *("პურეულით ვაჭრობის საქმე ჩვენში". 1887 წ. 7 იანვარი).*

"ყოველივე ეს იმისთანა გარემოებაა, რომ ამერიკის პურის ვაჭრობა ჩვენს ვაჭრობას პურისას არ ახეირებს საქვეყნო ბაზარში, თუ ერთი უბედური წელიწადი არ შეხვდა ამერიკასა." *("პურეულით ვაჭრობის საქმე ჩვენში". 1887 წ. 7 იანვარი).*

"ინდოეთში მუშა ძლიერ იეფია, და თუმცა დიდი სასიხარულო აქ არა არის რა, მაგრამ ამ იეფობის გამო პურის მოყვანაც იეფად უჯდებათ. თვითონ მიწები ძლიერ ნაყოფიერია და ცდა ინგლისელებისა, რომ პურის ვაჭრობაში ინდოეთმა თუ არ აჯობოს ამერიკას, ბევრით აღარას ჩამორჩეს რა, ამაო ცდა არ არის. ჯერ ეს წარმოიდგინეთ, რომ იქ ათას ხუთასი მილლიონი დესეტინა მშვენიერი მიწა ჯერ თავისუფალია, უქმად არის და ელის კაცის მარჯვენა ხელს, რომ სულ საყანედ გადაიქცეს. გარდა ამისა, ინდოეთი ევროპიის ბაზარზედ უფრო ახლოა, ვიდრე ამერიკა. ეს გარემოება პურის გადატანის ფასს ჰცვლის ინდოეთის სასარგებლოდ და ამერიკის საწინააღმდეგოდ. გარდა ამისა, ინგლისელები ჰცდილობენ ინდოეთის შიდა გზები იმოდენად კარგი იქონიონ, რომ პურის გამოტანა შიგნიდამ ნავსადგურებამდე ბევრი არა ჰჯდებოდეს." *("პურეულით ვაჭრობის საქმე ჩვენში". 1887 წ. 7 იანვარი).*

"ესე სწრაფად კეთება რკინის გზებისა ამ სიდიდე მანძილზედ იმ ქვეყანაში, საცა იმოდენა სიმრავლეა მკვიდრთა და იმოდენა ბუნებური სიმდიდრეა, აშკარად გვაჩვენებს იმას, თუ რა ბედი მოელის ინდოეთს საქვეყნო ბაზარში საზოგადოდ და პურის ვაჭრობაში საკუთრივ." *("პურეულით ვაჭრობის საქმე ჩვენში". 1887 წ. 7 იანვარი).*

"თითქმის ამისთანა სახეირო გზაზედვე სდგას ავსტრალიაცა, ეს მეოთხე ბოღაზი პურისა, და მოდით და თქვენ იქონიეთ იმედი, რომ, თუ არ უეცარი და იშვიათი რამ უბედურება ჩამოთვლილ ქვეყნებისა, სხვა რაიმე აიძულებს საქვეყნო ბაზრის მუშტარს ამ ბოღაზებს პურისას თავი დაანებოს და ჩვენში მოვიდეს სავაჭროდ!.." *("პურეულით ვაჭრობის საქმე ჩვენში". 1887 წ. 7 იანვარი).*

“ამ იშვიათის უბედურობის იმედით ნურავინ ნუ მოსტყუვდება და ხვნის და თესვის რაოდენობა მარტო შინაურს ბაზარზედ გაიანგარიშოს.” *(“პურეულით ვაჭრობის საქმე ჩვენში”. 1887 წ. 7 იანვარი).*

“თორემ თუ წასცდა და ამ 1885 და 1886 წლების იშვიათს მაგალითებს მიჰყვა, პური ამბრებში დაულპება და ზარალის მეტს არას ჰნახავს. იმას აღარ ვიტყვით, რომ არც ამ წლების ფასებმა პურისამ იმოდენად აიწია, რომ დიდად სახარბიელო ყოფილიყო მიწათმომქმედისათვის. თუ ეს ასეა დღეს, როცა ასეთი იშვიათი და ჩვენთვის სახეირო წელიწადები შეგვესწრო, რა უნდა ვიგულისხმოთ მაშინ, როცა რუსეთს, ამერიკას, ინდოეთს, ავსტრალიას და სხვა ქვეყნებს თავისი ორთა შუა მოსავალი მოუვათ!..” *(“პურეულით ვაჭრობის საქმე ჩვენში”. 1887 წ. 7 იანვარი).*

“მაშინ ის იქნება, რაც 1884 წ. მოგვივიდა: შინ სახმარზედ ნამეტანი პური ფუთი შვიდ შაურად, ორ აბაზად და ცხრა შაურად ძნელად იყიდებოდა და ეს თითქმის მარტო მომკისა, კალოზედ მიტანის და გალეწვის ფასსაც არ ააყენებს; ხვნა-ფარცხვა, თესლი, ღალა კი ტყუილუბრალოდ იკარგება სამუდამოდ. აშკარაა, ჩვენი ქვეყანა ამ მხრით წელს ვერ გაიმაგრებს. ჩვენ მარტო იმას უნდა ვეცადოთ, _ პური იმოდენად მოვიყვანოთ, რომ სასყიდელი არ გაგვიხდეს ჩვენ და ჩვენს შინაურს ეყოს.” *(“პურეულით ვაჭრობის საქმე ჩვენში”. 1887 წ. 7 იანვარი).*

- **ღვინის ბაზარი რომ გაიმართოს, ღვინოს საბაზრო საქონლის თვისება უნდა მიეცეს. მოთხოვნა-მიწოდების კანონი და ღვინის ფასი**

“ღვინის საქმეს ჩვენში ერთი დიდი საჭიროება აქვს, სახელდობრ ისა, რომ საბაზრო საქონლის თვისება მიეცეს, რომ საქართველოს გარეთაც მუშტარი აიჩინოს, ბაზარი გაიმართოს. ვიდრე ამ საჭიროებას არ მოევლება, კეთილი სურვილი ღვინის საქმის მეთაურებისა და მოხმარებისა ერთ ბიჯსაც წინ ვერ წასდგამს.” *(“ჩვენი ღვინოების საბაზროდ ქცევის საკითხი”. 1892 წ. 11 ნოემბერი).*

“მაშასადამე ჯერ ყოველთ უწინარეს უნდა ვიღონოთ, როგორ და რა გზით მოვაწყოთ, რომ ღვინოს თვისება მივცეთ საბაზრო საქონლისა. სხვა ყოველი, ჩვენის ფიქრით, ადვილია, ოღონდ ამ მხრით შესაძლებელი გახდეს საქმის მოწყობა.” *(“ჩვენი ღვინოების საბაზროდ ქცევის საკითხი”. 1892 წ. 11 ნოემბერი).*

“ყველამ უნდა ვიცოდეთ, რომ დღეს ჩვენებური ღვინო საბაზრო საქონელი არ არის. ის საბაზრო საქონელი არ არის, რომლისაც არ ვიცით, ბაზრამდე, მუშტრამდე იმ სახითვე მივა, რა სახითაც პატრონს გაუსტუმრებია ბინიდამ, თუ არა.” *(“ჩვენი ღვინოების საბაზროდ ქცევის საკითხი”. 1892 წ. 11 ნოემბერი).*

“ჩვენს ღვინოზედ სწორედ ამისთანა არვიცობა ითქმის. მინამ დარწმუნებული არ ვიქნებით, რომ ჩვენი ღვინო ჩვენის მარნიდამ ბაზრამდე თავის გემოთი, ფერით და სუნით მივა და თავს დაიჭერს, იმ დრომდე ნურავის ჰგონია, რომ ღვინის აღებ-მიცემობამ ჩვენში ჩვენი სასურველი გზა გაიკაფოს.” *(“ჩვენი ღვინოების საბაზროდ ქცევის საკითხი”. 1892 წ. 11 ნოემბერი).*

“დღეს-აქამომდე ჩვენებური ღვინო ასე თუ ისე შინვე საღდებოდა, აქავ ჩვენში ჰშოულობდა მუშტარსა და მსმელსა, და რაც მოდიოდა ერთს წელიწადს, აქავ ისმოდა ერთისავე წელის განმავლობაში. ამ მოკლე ხანში ჩვენებური ღვინო თავს იჭერდა, თუმცა

ესეც ვაითა და ვაგლახითა. ამიტომაც ჩვენში არავინა ჰფიქრობდა ღვინისათვის გამძლეობა მიეცა, რომ შორი გზა და ხანგრძლივობა აეტანა." *("ჩვენი ღვინოების საბაზროდ ქცევის საკითხი". 1892 წ. 11 ნოემბერი).*

"ეხლა ჩვენებური შინაური ბაზარი ვეღარ იტევს მთელს ჩვენის ქვეყნის ღვინის მოსავალს, და ეს ორის მიზეზის გამო მოხდა. ერთი მიზეზი ის არის, რომ მსმელი მოაკლდა, მეორე ისა, რომ ვენახების მოედანი გადიდდა და მოსავალმაც ამ ორ-სამ წელიწადში იმატა. მუშტარის დაკლება გამოიწვია იმან, რომ ამ ხუთმეტს-ოც წელიწადში, მოუსავლობის გამო, ღვინო ჩვენს უმთავრესს ბაზარში, ესე იგი ტფილისში, გაძვირდა იმოდენად, რომ დაბალი ხალხი, რომელსაც ღვინის სმა პირველ საჭიროებად მიაჩნდა და რომელიც შეძლებისაგვარად ჰხარჯავდა, გაუფრთხა ღვინოს და მიეტანა უფრო იეფს პივას და იმას შეეჩვია. უნდა ესეც ვიქონიოთ სახეში, რომ ორთა-შუა დაბალი ღვინოები თითქმის სულ ამ ჯურა ხალხში საღდებოდა სირაჯებისაგან. იმას აღარ ვამბობთ, რომ ღვინის სიძვირემ ყველგან შეამოკლა ღვინის ხარჯვა და სმა." *("ჩვენი ღვინოების საბაზროდ ქცევის საკითხი". 1892 წ. 11 ნოემბერი).*

"ამ სახით, ერთის მხრით მუშტრის დაკლებამ და მაორეს მხრით ვენახების გამრავლებამ და ამ ორს-სამ წელიწადში მოსავლის მატებამ, ისა ჰქმნა, რომ დღეს ღვინო ბევრია და მყიდველი-კი ცოტა." *("ჩვენი ღვინოების საბაზროდ ქცევის საკითხი". 1892 წ. 11 ნოემბერი).*

"აქედამ ცხადია საჭიროება იმის, რომ ჩვენმა ღვინომ ბაზარი იშოვოს რუსეთში და სხვა ქვეყნებში. ხოლო თუ ჩვენ ღვინოს გამძლეობა გემოსი, ფერისა და სუნისა არ მიეცა, თუ რაც სიკეთე ბუნებრივი აქვს, ის არ მიჰყვა ბაზრამდე, მსმელამდე, მხარჯავამდე, ბაზარი რუსეთისა და სხვა ქვეყნებისა ჩვენთვის უქმი ნატვრა იქმნება, რადგანაც უამისოდ ღვინის აღებ-მიცემობის წარმართვა იმოდენად, რომ ღვინის თავდაპირველმა პატრონმა რაიმე ხეირი ჰნახოს, შეუძლებელია." *("ჩვენი ღვინოების საბაზროდ ქცევის საკითხი". 1892 წ. 11 ნოემბერი).*

"აკი ვამბობთ, ჯერ მთელი ჩვენი ზრუნვა, ჩვენი მეცადინეობა იმას უნდა მიემართოს, რომ ეს გამძლეობა მიეცეს ჩვენს ღვინოსა, და სხვა ყოველი ადვილია." *("ჩვენი ღვინოების საბაზროდ ქცევის საკითხი". 1892 წ. 11 ნოემბერი).*

"დღეს აქამომდე სულ ამას ჩივიან, რომ კახურს და ერთობ ჩვენებურს ღვინოს გასავალი არა აქვს. ეს იმას ნიშნავს, რომ არა აქვს საიმისოდ დიდი ბაზარი და ამიტომ ღვინო ფასად ვერ გადის, და ჰზარალობს ამის გამო ვენახის პატრონი და ღვინის დამყენებელი. ეს ჩივილი მართალია. შინაური ბაზარი იმოდენა არ არის, რომ დაიტიოს იმოდენა ღვინო, რამოდენაც ჩვენში მოდის. ვენახებმა და ღვინის დაყენებამ ძლიერ იმატა ამ ოცს-ოცდაათს წელიწადში და ბაზარი კი თითქმის იგივეა, რაც იყო. ამ გარემოებამ გამოიწვია ის ამბავი, რომ გასაყიდი ღვინო ბევრია და მუშტარი-კი ცოტა. ამ მიზეზით ეკონომიური კანონი აღებისა და მიცემისა, რომელიც ფასსა საქონლისას ასწევს და დასწევს ხოლმე, თუ სხვა ყოველივე გარემოება ერთნაირია, იმ დონეზე დადგა, რომ მიცემა მეტია აღებაზე. ამას უეჭველად ფასის ძირს დაწევა მოსდევს. აი სად არის უმთავრესი მიზეზი, რომ ჩვენში ღვინოს ისეთი ფასი არ აქვს, როგორიც უნდა ჰქონდეს და როგორიც ხელსაყრელი უნდა იყოს ამ სახის მრეწველობისათვის." *("ელექტრონის გამოყენება მეღვინეობაში". 1900 წ. 3 აპრილი).*

"აშკარაა, ჩვენებურმა ღვინომ მუშტარი უნდა იმატოს, ბაზარი გაიდიდოს და მარტო შინაურს ბაზარს არ დასჯერდეს." *("ელექტრონის გამოყენება მეღვინეობაში". 1900 წ. 3 აპრილი).*

- **ღვინისათვის საბაზრო საქონლის სახის მისაცემად ელექტრონის გამოყენება**

"გარეთი ბაზარი შორი ბაზარია. იქ რომ ღვინო გავიდეს და ფეხი მოიკიდოს, საჭიროა ჩვენებურს ღვინოს გამძლეობა ჰქონდეს, საჭიროა ღვინომ სასმელად თავი დაიჭიროს და არ წახდეს. ჩვენებურს ღვინოს სწორედ ეს თვისება აკლია, გამძლეობა არა აქვს. ეს იმიტომ კი არა, რომ ბუნებითად ჩვენი ღვინო ერთობ გამძლე არ იყოს. ჩვენებურ ღვინოსაც აქვს თვისება გამძლეობისა, ხოლო ბუნებასაც ხელის შეწყობა უნდა, რომ თავისი გაიტანოს." *("ელექტრონის გამოყენება მეღვინეობაში". 1900 წ. 3 აპრილი).*

"აი სწორედ ჩვენ ეს ხელი გვაკლია და ამიტომაც არც ერთი ღვინის დამყენებელი ჩვენში დარწმუნებული არ არის, რომ მისი ღვინო იმავე ღირსებით მიაღწევს ბაზრამდე, რა ღირსებითაც მარნიდამ ისტუმრებს, დიდხანს გაძლებას ღვინისას ნუღარ იტყვით." *("ელექტრონის გამოყენება მეღვინეობაში". 1900 წ. 3 აპრილი).*

"ერთის სიტყვით, ჩვენებური ხელშეუწყობელი ღვინო სავაჭრო საქონელი არ არის, ნამეტნავად დიდ გარეთა ბაზრისათვის: იგი ფუჭდება და ამიტომ მუშტარი უფრთხის." *("ელექტრონის გამოყენება მეღვინეობაში". 1900 წ. 3 აპრილი).*

"რა არის იმისი მიზეზი, რომ ჩვენებური ღვინო თავს არ იჭერს და ფუჭდება?" *("ელექტრონის გამოყენება მეღვინეობაში". 1900 წ. 3 აპრილი).*

"ყველამ იცის, რომ ღვინოც, თუ ხელს არ შეუწყობთ, სნეულდება, ავადმყოფობს, და გარდა იმისა, რომ სხვა, არა-ჩვეულებრივი რაღაც გემო ემატება, მალე მჟავდება, იმღვრევა, თავისს პირვანდელ ფერსა და გემოს ჰკარგავს." *("ელექტრონის გამოყენება მეღვინეობაში". 1900 წ. 3 აპრილი).*

"მეცნიერებამ გამოარკვია, რომ ამ სნეულების მიზეზი სხვადასხვა მიკრობებია, რომელნიც ღვინოს ეწვევიან ხოლმე აქეთ-იქიდამ და ღვინოში ჰპოულობენ თავისს ხელშემწყობს საზრდოს სიცოცხლისა და გამრავლებისათვის, და თვით ღვინოს კი ახდენენ და პირვანდელ ფერსა და გემოს უფუჭებენ." *("ელექტრონის გამოყენება მეღვინეობაში". 1900 წ. 3 აპრილი).*

"მაშასადამე, თუ გვინდა, რომ ღვინოს ეს უბედურება არ დაემართოს, პირველ ყოვლისა საჭიროა იმისთანა ხელის შეწყობა, რომ ეს მიკრობები გაწყდნენ და ამოიხოცნენ." *("ელექტრონის გამოყენება მეღვინეობაში". 1900 წ. 3 აპრილი).*

"დაუძინებელმა ბეჯითობამ მეცნიერებისამ გვიპოვა, ღვთის მადლით, ამისი წამალიც." *("ელექტრონის გამოყენება მეღვინეობაში". 1900 წ. 3 აპრილი).*

"ყველამ იცის, რომ წყალიც მიკრობების ბუდედ შეიქმნება ხოლმე, წყალიც ფუჭდება და სასმელად არამცთუ არ ვარგულობს, არამედ მავნებელიც არის, როცა ეს ჭირი გაუჩნდება." *("ელექტრონის გამოყენება მეღვინეობაში". 1900 წ. 3 აპრილი).*

"განწმენდა და მიკრობებისაგან დახსნა სასმელის წყლისა შესაძლებელი და ადვილი საქმეა ელექტრონის შემწეობით." *("ელექტრონის გამოყენება მეღვინეობაში". 1900 წ. 3 აპრილი).*

"ეს უცდიათ საფრანგეთში, სახელდობრ ქალაქს ლილში და დაუნახავთ, რომ უკეთესი წამალი მიკრობების გამწყვეტი და სასმელის წყლის გამოსაკეთებელი ელექტრონია: სრულად თურმე სწმენდს წყალს ასე, რომ მიკრობების ნატალამსაც არ აჩენს." *("ელექტრონის გამოყენება მეღვინეობაში". 1900 წ. 3 აპრილი).*

"ასევე ღონე უხმარიათ ღვინის გასაწმენდადაც მიკრობებისაგან." *("ელექტრონის გამოყენება მეღვინეობაში". 1900 წ. 3 აპრილი).*

“ჟ. რიხტერს ამ ბოლოს ხაებში უცდია აქაც ელექტრონი და გასაშტერებლად გამოჰყენებია. ჯერ ყოვლის უწინარეს უნდა თურმე პასტერის მეთოდით მოექცნენ ღვინოს, ადუღებულს 56-64 რეომიურის თერმომეტრის გრადუსამდე, და მერე მიუშვან ელექტრონი.” *(“ელექტრონის გამოყენება მეღვინეობაში”. 1900 წ. 3 აპრილი).*

“საქმე ის არის, რომ პასტერის მეთოდით ღვინოს სუნი, ბუკეტი ეკარგება, და ელექტრონი ამ დაკარგულს სუნს ისევე აღუდგენს თურმე ღვინოსა. გარდა ამისა, ღვინოს ეძლევა ყოველივე სიკეთე ძველის ღვინისა და დიდი გამძლეობა.” *(“ელექტრონის გამოყენება მეღვინეობაში”. 1900 წ. 3 აპრილი).*

“სუსტი ღვინოც, რომელიც სასიამოვნო სასმელია, რადგანაც ცხარე არ არის, და რომელიც ძალიან მალე ფუჭდება, იგიც-კი ელექტრონის შემდეგ გასაძლისად კეთდება და დიდ ხანს იჭერს თავს. ამასთან ღვინო ისეთია თურმე, როგორც ანკარა წყარო.” *(“ელექტრონის გამოყენება მეღვინეობაში”. 1900 წ. 3 აპრილი).*

“სასურველია, რომ ჩვენებურებმა ამ საგანს ყურადღება მიაქციონ და შეეცადონ ამ გზით ჩვენებურს ღვინოს ის ადგილი დააჭერინონ საქვეყნო ბაზარში, რის ღირსიც არის თვისის ბუნებურ სიკეთითა და მით მუშტარი მოიმატონ.” *(“ელექტრონის გამოყენება მეღვინეობაში”. 1900 წ. 3 აპრილი).*

“კიდევ ვიტყვით: ეხლანდელი ჩვენებური ღვინო საბაზრო საქონელი არ არის, რადგანაც ხელშეუწყობლობის გამო თავს არ იჭერს, და მისი ფერის და გემოს ადვილად ცვლა და ადვილად გაფუჭება, წახდენა, მუშტარს აფრთხობს.” *(“ელექტრონის გამოყენება მეღვინეობაში”. 1900 წ. 3 აპრილი).*

3.3..2.4. საბანკო-საკრედიტო საქმიანობა და ფინანსური ურთიერთობები

- **საადგილ-მამულო ბანკის დაფუძნებამდელი სიძნელეები**

“ყოველი ცისმარე დღე ჩვენს ბანკის საქმეზედ დავრბივარ და ვერა გავხდით რა. არც ერთს ბანკში არ გვიშვებენ, რომ შევისწავლოთ რამე. მე ამისთანა გულშეუტკივარი ხალხი არ მინახავს, ამის გამო ბევრი დრო გვეკარგება და იქნება დიდი ხნით დავბრკოლდე აქა. თუ არ შევისწავლეთ რა და ისე ხელცარიელები მოვედით ქალაქს, ხომ იცი რამდენს ცილს დაგვწამებენ. აი, ბატონოო, იტყვიან, ჩაჯიბეს ოთხმოცი თუმანი, გაისეირნესო, და ხელცარიელები მოვიდნენო. მე არ მინდა, რომ ჩემზედ ესენი ჰსთქვან: რაც უნდა მოხდეს, თუნდა ერთი წელიწადი დარჩომა მომინდეს, დავრჩები აქა, რომ შევისწავლო რამე და როგორმე ბანკების კარი გავიღო”. *(“წერილები ილია ჭავჭავაძისა ოლდა თადეოზის ასულ გურამიშვილისადმი”. 1873 წ. 3 აგვისტო).*

“ჩვენი უსტავის დამტკიცების ეხლა დიდი იმედია, უსათუოდ დაამტკიცებენ, ხოლო ცუდი ეს არის, რომ არა ბანკში არ გვიშვებენ, რომ იქაური წესი და რიგი შევისწავლოთ. ამის გამო დაბრკოლებული ვარ, ვცდილობ, რომ როგორმე ფეხი შევდგა რომელიმე ბანკში და ჯერხანობით ამ ცდაში ვარ. შენ კარგად იცი, რომ თუ არ შევისწავლე წესი და რიგი, ჩემი ახალი თანამდებობის ასრულება მეტად ძნელი იქნება და მგონი შეუძლებელიცა. იმას აღარ ვამბობ, რომ ჩვენი მტრები ბობოლები ყელს გამოგვაჭრევინებენ, აი აკი ვიცოდითო, იტყვიან: ჩაჯიბეს ოთხმოცი თუმანი, გაისეირნესო და ხელცარიელები მოვიდნენო. ერთი სიტყვით, მე გადავწყვიტე, რომ მანამ

არ შევისწავლი, არ წამოვიდე შინ. ბანკებში შესვლის ნება რომ მოეცათ, აქამდინ ჩემი საქმე ასრულებული მექნებოდა, არ მამცეს და უნდა როგორმე მოვახერხო. ამიტომაც არ ვიცი, როდის მომიხდება შინ დაბრუნება". *("წერილები ილია ჭავჭავაძისა ოლღა თადეოზის ასულ გურამიშვილისადმი". 1873 წ. 15 აგვისტო).*

"ძლივს გავარიგე ბანკში შესვლა. ორშაბათიდამ დავიწყებ ბანკში სიარულსა. იქით კვირას მოგწერ, რამდენი ხანი მომინდება ბანკში წესის შესწავლისათვის. რაკი შევისწავლი, მე აქ საქმე აღარა მექნება რა და წამოვალ, თუ ქალაქიდამ "ნაბლიუდატელნი კომიტეტი" მომწერს, რომ მანდ ნუღარ დარჩებიო; და თუ მომწერს დარჩიო, მინამ უსტავი დამტკიცდებაო, მაშინ დავრჩები და უნდა კიდეც დავრჩე". *("წერილები ილია ჭავჭავაძისა ოლღა თადეოზის ასულ გურამიშვილისადმი". 1873 წ. 25 აგვისტო).*

"მე ეხლა ძლივს შევდგი ფეხი ბანკში და რაც საჭიროა ვსწავლობ. დილიდამ ათ საათიდამ ოთხ საათამდე ბანკში ვარ ხოლმე. ორი ნაწილის საქმის დაწყობა შევისწავლე, ორი კიდევ დამრჩა. იმ კვირას სულ ღვთით გავათავებ". *("წერილები ილია ჭავჭავაძისა ოლღა თადეოზის ასულ გურამიშვილისადმი". 1873 წ. 31 აგვისტო).*

"ჩვენი ბანკის საქმე გვიანდება, ტყუილ-უბრალოდ მაწვალებენ და დროს მაკარგვინებენ, მაგრამ ძალა აღმართსა ხნავსო". *("წერილები ილია ჭავჭავაძისა ოლღა თადეოზის ასულ გურამიშვილისადმი". 1873 წ. 26 სეკტემბერი).*

"ამ ბანკის საქმეს ყველაფერი შევწირე: შენი მშვიდობა, ჩემი მშვიდობა, ჩვენი უზრუნველი ცხოვრება, ჩემი სახელი, ჩემი კარიერა. ვისაც თვალი აქვს, დაინახოს, ვისაც გული აქვს, იგრძნოს, ვისაც ჭკვა აქვს, აწონოს, და ვისაც არა აქვს რა, იმან პატარა გოშიასავით უკანიდამ ყეფა დამიწყოს". *("წერილები ილია ჭავჭავაძისა ოლღა თადეოზის ასულ გურამიშვილისადმი". 1873 წ. 26 სეკტემბერი).*

"ჩვენი უსტავის საქმე ჯერ კარგად მიდის. ვინც უფრო გვიშლიდა, ის მოგვირბილდა ეხლა და არ ვიცი კი რა მიზეზითა. ოც ამ ღვინობისთვეს ჩვენი უსტავი გაიგზავნება "გოსუდარსტვენნი სოვეტში": დიდს იმედს გვაძლევენ და მართლადაც იმედია, რომ "გოსუდარსტვენნი სოვეტი" ნოემბერში გადასწყვეტს ჩვენის უსტავის საქმეს. ამასთანაც იმედია, რომ უარს არ გვეტყვის და უსტავს დაამტკიცებს". *("წერილები ილია ჭავჭავაძისა ოლღა თადეოზის ასულ გურამიშვილისადმი". 1873 წ. 10 ოკტომბერი).*

"შური და მტრობაც გამოჩნდა "ნაბლიუდატელნი კომიტეტში" ჩემს წინააღმდეგ. ეს ყველაფერი იქ შევიტყვე, მაგრამ არავისი არ მეშინიან. ერთი, შენის დღეგრძელობით, უსტავი დავამტკიცებინო და მაშინ ნახავ "ნაბლუდიუდატელნი კომიტეტს" რა რიგად დავგვი ცოცხითა. მაშინ მთელი თავად-აზნაურობა ჩემკენ იქნება და ცუდათ მოუგრეხ კისერს ყოველს იმას, ვინც ამ საქმეში უსინდისოდ იქცევა. თუ არ დაამტკიცეს კი, ცუდათ მომწყდება მეც წელი და უღონო ვიქნები". *("წერილები ილია ჭავჭავაძისა ოლღა თადეოზის ასულ გურამიშვილისადმი". 1873 წ. 10 ოკტომბერი).*

"ჩვენი ბანკის საქმე ხათაბალა გახდა. ის უფალი, რომლის ხელშიაც არის ეგ საქმე, საძაგელი, უგულო და უადამიანო კაცია. თუმცა არ შეუძლიან იმდენი, რომ საქმე საბოლოოდ გააფუჭოს, მაგრამ აგვიანებს კი და პირდაპირ ყველაფრით გვაჩვენებს, რომ მაგისთანა საქმეო უქრთამოდ ვერ გარიგდებაო. აბა ქრთამის მიცემა როგორ შეუძლიან ჩვენს კუტრს ბანკსა! ორშაბათს ვაპირობ იმასთან წასვლას და ჩხუბსა. აქამდის ვეფერებოდი, ვეხვეწებოდი, ხელში ვუკვდებოდი. მეგონა, რომ ამით იქნება დავიყოლიო მეთქი. მაგრამ ამან ყოველმა ვერ გასჭრა. ეხლა ვაპირობ ჩხუბსა და დიდს ჩხუბსაცა.

ვნახოთ, რა გამოვა". *("წერილები ილია ჭავჭავაძისა ოლღა თადეოზის ასულ გურამიშვილისადმი". 1873 წ. 23 ოკტომბერი).*

"ამას წინათ ვიფიქრე, მოდი წავიდე შინ მეთქი, რისთვის ვიტანჯები და ვსწვალობ მეთქი? მაგრამ შენმა წიგნებმა კიდევ გული მომცეს და ვჰსთქვი: ეს ხომ ჩემგან სილაჩრე იქნება, რომ გაუთავებლად საქმე დამრჩეს; ეგ ბრძოლის ველიდამ გაქცევა იქნება და სირცხვილი მეთქი. ვინ რას მეტყვის? ხომ მიწასთან გამასწორებენ მეთქი. მერე ჩემი ოლიკოც ესე ყოჩაღად არის და რაზედ უნდა დავფთხე და საქმეს გავექცე მოღალატესავით. ეგრე, ჩემო კარგო, დავიტრიალე შერყეული გული და კვლავ გავიმაგრე". *("წერილები ილია ჭავჭავაძისა ოლღა თადეოზის ასულ გურამიშვილისადმი". 1873 წ. 23 ოკტომბერი).*

"ვერ წარმოიდგენ, რა რიგად მომწყინდა გარედ ყოფნა და მარტოობა, სულით და ხორცით ქანცგაწყვეტილი ვარ უალაგო ალაგას გდებით. როდის მოეღება ბოლო აქ ჩემს ყოფნას, არ ვიცი, ჩვენი უსტავის საქმე, პეტერბურღის მზესავით, ხან იმედით გაბრწყინდება და ხან ღრუბელში ეხვევა. რომელის ხელშიაც ჩვენი უსტავია, ის საძაგელი კაცი გამოდის, ხან ერთს ამბობს და ხან მეორესა, და მეც ხან წავხალისდები, ხან ფრთებს დავუშვებ ხოლმე. მაინც იმედს არა ვკარგავ, რომ საქმეს კეთილი ბოლო მოეღება და მე გამარჯვებული მიუვალ ჩემს ოლიკოსა". *("წერილები ილია ჭავჭავაძისა ოლღა თადეოზის ასულ გურამიშვილისადმი". 1873 წ. ნოემბერი).*

"ერთი მითხარ, რაზედ გავიჭირე საქმე? ეჰ, რაც მოხდა, მოხდა! სულელობა იყო ჩემგან, თუ ჭკვიანობა, ეს რაც ჩემს თავს დავმართავ, ის ღმერთმა იცოდეს. ჩვენ ეხლა უნდა ჩვენს ბედს დავჯერდეთ და რაც ვიკისრეთ, ის შევასრულოთ. სხვა გზა კაცურის კაცობისა არ არის. იმედი, იმედი და კვლავ იმედი!.. ნავთ-საყუდარი ჩვენი ეხლა მარტო იმედია კეთილის საქმის შესრულებისა და სხვა არარა. ეგრემც იყოს ამიერიდგან უკუნისამდე". *("წერილები ილია ჭავჭავაძისა ოლღა თადეოზის ასულ გურამიშვილისადმი". 1873 წ. 12 ნოემბერი).*

"ჩვენი უსტავის საქმე ესეა: იქით კვირას ხელმწიფისაგან ნების დართვა მოუვიდა ფინანსის მინისტრს, რომ ჩვენი უსტავი "გოსუდარსტვენნი სოვეტში" გადავიდეს გასასინჯავად. ეხლა "პრედსტავლენიეს" ჰსწერენ და მპირდებიან, რომ მალე წარვადგენთო. ერთი ამ ფინანსის მინისტრის ხელიდამ კი გამოვიდეს ჩვენი უსტავი და მერე კიდევ რაც იქნება, ის იყოს. ეს მამაძაღლები აბრკოლებენ საქმეს სხვადასხვა გარეშე მიზეზთა გამო. თვითონ მინისტრი უარზედ არ არის, იმისი დირეკტორია, რაც არის, ისა აბრკოლებს ჩვენს საქმესა. ქრთამი უნდა, მაგრამ ვინ რას მიჰსცემს, ისეც კუტრები ვართ. ესეა ჩვენი საქმე, ყოველდღე თითქმის დავდივარ სამინისტროში და არ ვასვენებ. ახლაც იქ მივდივარ, იქნება ამ დღეებში თვითონ მინისტრის ნახვაც მომიხდეს. ზოგი მირჩევს _ ნახეო და უთხარიო, რომ დირეკტორი საქმეს აგვიანებსო, ზოგი არ მირჩევს, მეუბნებიან, დირექტორი უფრო საქმეს წაახდენსო. არ ვიცი რომელს დაუჯერო. ორივე თითქმის ერთნაირად მართალნი არიან. მაინც და მაინც დღეს საქმეს და მის მდგომარეობას შევიტყობ, ავწონ და დავწონ და მერე ისე მოვიქცევი". *("წერილები ილია ჭავჭავაძისა ოლღა თადეოზის ასულ გურამიშვილისადმი". 1873 წ. 12 ნოემბერი).*

"დილიდამ საღამომდე ცოფიან ძაღლსავით დავრბივარ და ჯერ კი არავითარი საქმე არ გამირიგებია". *("წერილები ილია ჭავჭავაძისა ოლღა თადეოზის ასულ გურამიშვილისადმი". 1873 წ. 19 ნოემბერი).*

“ბევრი ბანკირები მელაპარაკებიან ჩვენის ბანკის ზაკლადნოი ლისტებზედ, მაგრამ ჯერ ყურს ვუყრუებ იქნება მეტი ფასით ავაღებინო და მეტად გავყიდო მეთქი. ჯერ იმისთანა სანუგეშო არ არის და ვნახოთ ბოლოს რა იქმნება”. *(“წერილები ილია ჭავჭავაძისა ოლღა თადეოზის ასულ გურამიშვილისადმი”. 1873 წ. 19 ნოემბერი).*

“გუშინწინ სამინისტრომ მაცნობა, რომ ჩვენი უსტავი პირველ იანვრამდინ უსათუოდ წარსდგება “გოსუდარსვენნი სოვეტში”. თუმცა ამ ამბავმა ძალიან შემაწუხა, მაგრამ კიდევ კარგია, რომ გადაწყვეტილი მაინც შევიტყე. ჩემი აქ დარჩენა იმ დრომდე აუცილებელია და ძალიან საჭირო. ჯერ ვიფიქრე, წამოვიდე მეთქი, მაგრამ მენანება ამოდენა შრომის უქმად დარჩენა. მერე ჩვენს მოკეთეებს როგორღა გადვურჩებოდი. ისევ ის ვირჩიე, რომ რაკი ამაზედ თავი დავსდე, ბოლომდინაც გავიყვანო, თორემ სირცხვილს ვერ აუვალთ. თუ “გოსუდარსტვენნი სოვეტში” მითხრეს, რომ საქმე დაგვიანდებაო, მაშინ მე იანვარშივე წამოვალ”. *(“წერილები ილია ჭავჭავაძისა ოლღა თადეოზის ასულ გურამიშვილისადმი”. 1873 წ. 20 ნოემბერი).*

“თუ ამასთან უსტავიც დამტკიცდება, ჩემს ბედს ძაღლიც არ დაჰყეფს. დიდს იმედს კი იძლევიან და არ ვიცი ჩვენი ბედი როგორ გაჰსჭრის. მე იმისათვის კი არა ვარ ესე მოწადინებული, რომ ჯამაგირი მექნება მეთქი, _ არა, მე სხვა ათასი ფიქრი და წადილი მაქვს. მე თვითონ იქნება მაგ ბანკის საქმეს სულაც თავი დავანებო, უმადურებთან საქმის დაჭერა ძნელი ყოფილა”. *(“წერილები ილია ჭავჭავაძისა ოლღა თადეოზის ასულ გურამიშვილისადმი”. 1873 წ. 20 ნოემბერი).*

“ჩვენი საქმე ძლიერ ტაატით მიდის. ჩვენი უსტავი არ იქნა ვერ დავძარ სამინისტროდამ. ამას წინად ქაღალდით მითხრეს, რომ პირველ იანვრამდინ შევასრულებთო და გაცნობებთო. რა გულის კანკალით და თრთოლით ველი იმ პირველს იანვარს და ვნახოთ რას იტყვიან. იქნება ახალმა წელიწადმა ხელახლად ბედი ჩვენკენ მოატრიალოს და სიხარულით და გამარჯვებით გამომაფრინოს”. *(“წერილები ილია ჭავჭავაძისა ოლღა თადეოზის ასულ გურამიშვილისადმი”. 1873 წ. 26 დეკემბერი).*

“ჩვენი უსტავი ჯერ კიდევ სამინისტროში გდია, არ იქნა, მე ჩემი ვქმენ, იმან თავისი, და იქიდამ ფეხი ვერ მოვაცვლევინე. ხშირად მომდის ფიქრი, დავანებო თავი ყველაფერს და წამოვიდე. მეორეს გზით კი მრცხვენიან, რა პირით მოვიდე, როგორღა გამოვიჩინო თავი, ვის დავენახო. ამ ორ ცეცხლ შუა ვარ და ვიტანჯები”. *(“წერილები ილია ჭავჭავაძისა ოლღა თადეოზის ასულ გურამიშვილისადმი”. 1874 წ. იანვარი).*

“მანდ შენთვის უხარებიათ უსტავის დამტკიცება. მეც ძალიან მეამებოდა, რომ ეგ მართალი იყოს. ჯერ უსტავის დამტკიცებისა არა ვიცი რა და არც დამტკიცებულა. ფინანსის სამინისტრო ქაღალდით დამპირდა, რომ პირველ იანვრამდე უსათუოდ წარვადგენთო დასამტკიცებლად, მაგრამ პირველი იანვარი მოვიდა კიდეც, გავიდა კიდეც და უსტავი იქავე უგდიათ. გამტანჯეს ამდენის მოტყუებით და დღეხვალიობით. ვერ წარმოიდგენ, რა ხალხია. ესენი მე მატყუებენ და მე ამათის სიტყვით სხვებს ვატყუებ და ვარ ამის გამო მეტად შეწუხებული და გულნატკენი, გუშინას წინ ვიყავი სამინისტროში და მითხრეს, ამ დღეებში წარვადგენთო. თავი დავუკარ და წამოვედი. ეს კი ვუთხარი, რომ ბოლო ექნება როდისმე ამდენს დაპირებას და მოტყუებას მეთქი, თუ არა. ეხლა არ ვიცი, კიდევ მომატყუებენ თუ არა. ეს კია საიმედო, რომ ველიკი კნიაზისათვის მინისტრს მიუწერია აქედამ, რომ მალე იქნება უსტავის საქმე შესრულებულიო. მაგრამ ჯერ რუსული ხვალე რა არის, რომ მალე რა იყოს. ესეა, ჩემო კარგო, ჩემი გულმოსაწყლავი ამბავი. საქმე რაკი აქამდინ და ესრე წავიდა, რაც უნდა დაგვემართოს ბოლომდინ უნდა

მივიყვანო. ამის გამო ჩემი მანდ წამოსვლა საქმის გათავებამდე თავ-ლაფდასხმა იქმნება; თავლაფდასხმას არც შენ ინდომებ და არც მე. მეტი სხვა გზა არ არის, უნდა ვითმინოთ და ვითმინოთ უერთმანეთობა. ოღონდ შენ ნუ იწუხებ და მეც არ შევწუხდები. ღმერთია მოწყალე, კიდევ შევხვდებით ერთმანეთს და თავის დღეში, ფიცი მივე, აღარ მოვშორდებით ურთიერთს". *("წერილები ილია ჭავჭავაძისა ოლღა თადეოზის ასულ გურამიშვილისადმი". 1874 წ. 8 იანვარი).*

"ბანკის საქმე ჯერ კიდევ ისევ ისეა, როგორც აქამომდე იყო. დღე არ გავა რომ არ დამპირდნენ, აი დღეს, აი ხვალეო, მაგრამ ამდენი დღეს და ხვალე გავიდა, რომ თვლა აღარა აქვს. არ ვიცი, ღმერთმან იცის, რა ვქნა! ეს ძაღლუმადურად უშენოდ გდებაც მომწყინდა და ხელცარიელი წამოსვლაც ვერ გამიბედნია. ყოველი ჩემი ფიქრი, განზრახვა, საგანი, მომავალში გამიუქმდება, წამიხდება, გაიღობება, თუ ამ ბანკის საქმეს კეთილი ბოლო არ მივუღე. ცუდად და მოუფიქრებლად გავები ამ ვაივაგლახში, მაგრამ რას იზამ. რაც მოხდა, ეხლა მხოლოდ იმის ცდა გვინდა, რომ პატიოსანის სახელით მაინც დავრჩეთ და პატიოსნურად შევასრულოთ ჩვენი მოვალეობა. მაინც და მაინც ვეცდები, ვცდილობდი, რომ რაც შეიძლებოდეს მალე გავათავო აქ ყველაფერი და ჩქარა წამოვიდე". *("წერილები ილია ჭავჭავაძისა ოლღა თადეოზის ასულ გურამიშვილისადმი". 1874 წ. 23 იანვარი).*

"ჩვენი ბანკის საქმე გაჩაღდა და გაჩარხდა. ეხლა დიდი იმედი მომეცა, რომ უსათუოდ დაამტკიცებენ. თვითონ მინისტრი ვნახე და დალაგებით ველაპარაკე. ძალიან კარგად მიმიღო და დიდის ნუგეშით და იმედით გამომისტუმრა. ამ კვირია უსათუოდ გადავა ჩვენი უსტავი "გოსუდარსტვენნი სოვეტში" მინისტრის თხოვნით, რომ დაამტკიცონ. გადასვლის შემდეგ ერთი კვირა კიდევ მომიხდება აქ დარჩომა და მერე კი შენი უმორჩილესი მონა უმორჩილესად თავს დაგიკრავს შენ, მის ხელმწიფესა. სააღდგომოთ მაინც იმედი მაქვს, რომ გნახო". *("წერილები ილია ჭავჭავაძისა ოლღა თადეოზის ასულ გურამიშვილისადმი". 1874 წ. 18 თებერვალი).*

"ჩვენი უსტავის საქმე ეხლა სწორედ რკინის გზით დადის, ძალიან აჩქარდა. წარსულს ოთხშაბათს "დოკლადი" იყო მინისტრთან. მინისტრმა კარგი აზრი დასდვა, ხოლო ზოგიერთი სტატიები შეჰსცვალა, მაგრამ ერთის ცვლილების მეტი სხვა ცვლილებანი მაგდონი არაფერია. ვენახების თაობაზედ დიდი ბაასი გვქონდა სამინისტროში. მეც დაბარებული ვიყავ, ბევრი ვიყაყანეთ, ბოლოს ქაღალდიც მივეცი. არ უნდოდათ, რომ ვენახები დიდის ხნით გირაოდ მიეღოთ, რადგანაცაო ვენახი შეიძლება მალე წახდესო, ამით ფასი მოაკლდებაო და ბანკი დიდს ზარალში შევაო, და უნდოდათ სამის წლის ვადა დაენიშნათ ვენახებისთვის. მე ვცდილობდი, რომ თვრამეტი წელიწადი და შვიდი თვე დაედვათ ვენახების დასაგირავებლად. ბოლოს იქამდინ მივედით, რომ რვა წელიწადი მიიღო მინისტრმა, და ამასთან გამომიცხადეს, რომ თუ ეს ვადა ცოტა იქნებაო, მერეც შეგიძლიანთო ითხოვოთო ვადის გაგრძელებაო და ჩვენ ამის ნებას მოგცემთო. მეტი გზა არ იყო და მეც თანახმა გავხდი, უფრო იმიტომ, რომ სამინისტროს დირექტორმა ჩუმად მირჩია, დაჰყაბულდიო, დეე ჯერ უსტავი, როგორც იყოს, დამტკიცდესო და მერე რა ცვლილებასაც ითხოვთო, სამინისტრო უარს არ გეტყვითო. ეს ვენახების საქმემ ცოტათი შემაწუხა, თორემ სხვაფრივ ჩენი უსტავის გარემოება ძალიან კარგად არის. არა უშავს რა, შემდეგში ესეც გასწორდება.

ხვალ დილაზედ უსტავი სახელმწიფო რჩევაში გადავა, არავითარი მიზეზი არ არის ეხლა დაუმტკიცებლობისა; დიდი იმედია, რომ დაამტკიცებენ, ამიტომ, რომ თვით მინისტრი ამას ითხოვს. ამას წინედ კი სამინისტროს არ უნდოდა, რომ ჩვენი უსტავი

დამტკიცებულიყო. ეხლა კი სამინისტრომ ჩვენდა საკეთილოდ აზრი შეჰსცვალა". *("წერილები ილია ჭავჭავაძისა ოლღა თადეოზის ასულ გურამიშვილისადმი". 1874 წ. 26 თებერვალი).*

"ათი თვე დავრჩი რუსეთში? ნუთუ გგონიათ, რომ ქეიფისათვის დავრჩი!.. ეგ იყო, რომ მწერდი, არ დაანებო თავიო მაგ ბანკის საქმესო, ეგ იყო რომ გულს მიმაგრებდი და მახალისებდი! მახლას!.. მოთმინებითა ჩემითა უნდა მოვიპოვო სული ჩემი, იგი სული, რომელსაც მაგისთანა ჩრდილი მიაყენეს ჩემთა უკეთესთა მეგობართა და მახლობელთა". *("წერილები ილია ჭავჭავაძისა ოლღა თადეოზის ასულ გურამიშვილისადმი". 1874 წ. 19 მარტი).*

"კენჭის ყრა იყო, მე ამომირჩიეს "პრედსედატელად", სანდრო ერისთავი და სანდრო ჩოლოყაშვილი დირეკტორებად". *("წერილები ილია ჭავჭავაძისა ოლღა თადეოზის ასულ გურამიშვილისადმი". 1874 წ. 6 სექტემბერი).*

"იმედი მაქვს, ჩვენი ბანკის საქმე კარგად დავაწყო აქ. ეხლა ჩემი აქ ყოფნის მიზეზი მარტო ეს არის. ერთი კაცი, რომელიც ამ საქმისათვის საჭიროა, აქ არ არის. დაიბარეს და ამ დღეებში მოელიან. მოვა თუ არა, ვიმედოვნებ ჩვენი საქმე გათავდება და მეც იმავ დღეს წამოვალ". *("წერილები ილია ჭავჭავაძისა ოლღა თადეოზის ასულ გურამიშვილისადმი". 1884 წ. 8 თებერვალი).*

"ჩემი საქმეები თითქმის სულ შევასრულე და მგონია ძალიან კარგადაც. დღეს რომ კვირაა, ერთი უკანასკნელი ქაღალდიღაა ხელის მოსაწერი და ძალიან საჭირო ქაღალდიც. დღეს უნდა ხელი მოვაწეროთ თორმეტ საათზედ და სამშაბათს სრულიად შესრულებული იქნება ჩემდამი მონდობილობა. ასეთი ქაღალდია, ასეთი სასარგებლო ჩვენის ბანკისათვის, რომ ვშიშობ არ გამიმტყუნდნენ მეთქი, თუმცა კი პატიოსანი სიტყვა აქვთ მოცემული და დღეს საუზმეზედ ჩემთან უნდა შეიყარნენ და ხელი მოაწერონ. თუ ეს ქაღალდი დღეს შეგვისრულეს, მე პირველ მარტს უსათუოდ გამოვალ პეტერბურგიდან, მოსკოვში ორი დღე დავრჩები, სერებრიაკოვთან საქმე მაქვს, და წამოვალ კიდეც". *("წერილები ილია ჭავჭავაძისა ოლღა თადეოზის ასულ გურამიშვილისადმი". 1884 წ. 19 თებერვალი).*

"სწორედ გითხრა, ჯავრით აღარა ვარ. ბანკის საქმე, რომელიც პირველ ხანებში კარგათ მიდიოდა, რაღაცამ შეგვიშალა და ეხლა, ჩემდა სამწუხაროდ, არ ვიცი როდის მომიხდება ამ ქვეყნიდამ წამოსვლა.

დღე და ღამ გული სულ მაინდკენ მოიწევს და ვნატრულობ იმ დღეს, რომ მაინდ წამოვიდე". *("წერილები ილია ჭავჭავაძისა ოლღა თადეოზის ასულ გურამიშვილისადმი". 1884 წ. 29 თებერვალი).*

"მე გაჯავრებული ვარ იმაზედ, რომ ჩვენი ბანკის საქმეები ესე გამიჯანჯალდა და იმედიც არ არის ეხლა, რომ კარგად გათავდეს. აქამდის კიდევ იმედი მქონდა და ეხლა ეგეც დამეკარგა. ღმერთმა დასწყევლოს აქაურობა. მომწყინდა აქ ყოფნა, მინდა საშინლად მაინთ წამოსვლა აბა როგორ წამოვიდე საქმის გაურიგებლად. არ ვიცი, ღმერთმან იცის, რა ვქნა? მანდაც მალე ბანკის კრება მოხდება, ჩემი მანდ ყოფნა საჭიროა. მე კი აქა ვგდივარ უიმედოდ და ჯავრით ყელთ მობჯენილი". *("წერილები ილია ჭავჭავაძისა ოლღა თადეოზის ასულ გურამიშვილისადმი". 1884 წ. 10 მარტი).*

"მე ამ ერთს კვირას კიდევ მოვიცდი. თუ გარიგდა რამე ხომ კარგი, თუ არა და წამოვალ, თუმცა კი ძალიან შესაწუხარი იქნება, რომ მოვედი აქ და ვერა გავარიგე რა. ბანკშიაც ვერა მოვწერე რა, რადგანაც დღესაქამომდე არაფერი რიგიანი და ცნობის ღირსი არა მომხდარა რა. დავეთრევი აქეთ-იქით და ვერა გავხდი რა. ზოგიერთი იმედები მაინც კიდევ არის, მაგრამ ვინ იცის. აქაურებისა არა გაიგება რა. დაგპირდებიან, საქმეს

ბოლომდინ მიიყვანენ, მერე უეცრად ხელიდამ გაგიძვრებიან და ჩაიშლება ხოლმე საქმე. ეს ვერ გამიგია, რა გვიშლის და ვინ გვირევს საქმეს. ჯერ კარგად რად იწყობა საქმე და მერე ცუდად და ფუჭად რად თავდება. აშკარაა რაღაცა, ან ვიღაცა გვიფუჭებს საქმესა.

მაინცა და მაინც დიდხანს აღარ მოვუცდი. ყველა საშუალებას და ღონისძიებას ვიხმარებ, და ბოლოს თუ არა გაეწყო რა, გულდაწყვეტილი წამოვალ. რაც იქნება, იყოს, რა ვუყოთ? მე ჩემი ვისაქმე რაც შემეძლო და შუბლით კედლის გარღვევა კი ვერ შევიძელ". *("წერილები ილია ჭავჭავაძისა ოლღა თადეოზის ასულ გურამიშვილისადმი". 1884 წ. 10 მარტი).*

"ყველაფერი შენებურად დალაგებით და დაწვრილებით მომწერე. მე ეს თვენახევარია, რაც მოსკოვში ვარ და ის საქმე, რაზედაც მე აქ წამოვეთრივე, როგორღაც ხელთ არ მოდის, თუმცა ჩვენი ბანკი მტკიცდება. შენ იცი, რომ მე, სხვათა შორის, იმისთვინა ვარ აქ გამოგზავნილი, რომ ბანკის საქმე აქაურს ბანკებში დაწვრილებით შევისწავლო. მაგრამ ჭირი ეს არის, რომ ჩვენ არც ერთ ბანკში არ შეგვიშვეს და გზას არ გვაძლევენ, თუმცა კი ჯერ სრული იმედი არ დამკარგვია. ამასა ვწუხვარ, რომ დრო მიდის, ფულის აფალი მისუსტდება და ჯერ იმედი ცხოვლად არსაიდამ მოდის. მაინც მე ჩემსას ვცდილობ, ვნახოთ რა გამოვა". *("წერილები ნინო ჭავჭავაძე-აფხაზისადმი". 1873 წ.).*

"ჩემი საქმე მეტად ცუდად მიდის: ნიკო ჭავჭავაძემ ბანკის თაობისა გამო მიმტრო. მაგას გაუძლებ, ცუდ-კაცობა იმას შერჩება და მე ისევ ის ვიქნები, რაც ვარ. ვაი რა დუდგულის თოფებს ისვრიან ისინი, ვინც მე ბანკის თაობაზე გადავიმტერე! შურის-ძიებაზედ მე შორსა ვარ, მე მარტო მეცინება იმათ უილაჯობის საქციელზედ". *("წერილები კირილე ლორთქიფანიძისადმი". 1873 წ. 29 იანვარი).*

"ბანკის მომხრეთა სწამდათ, რომ ბანკი დღესა თუ ხვალ მოიპოვებს ყურადღებას და გულისტკივილს საზოგადოების მხრით: სწამდათ, რომ ბანკს, გარდა საკრედიტო მნიშვნელობისა, ბევრი სხვა იმისთანა მნიშვნელობაც აქვს ჩვენთვის, რომელსაც არ შეიძლება არ ჩაუფიქრდეს ჩვენი საზოგადოება თავის დროზედ, და რაკი ჩაუფიქრდება, ხელსაც ჩასჭიდებს მომეტებულის თანაგრძნობით და გულისტკივილითა. სწორედ ასეც მოხდა და ასეც ახდა ჩვენდა საკეთილდღეოდ და ჩვენდა იმედად." *("ტფილისის ქართული საადგილმამულო ბანკის მორიგი კრების გამო". 1886 წ. 10 მაისი).*

"დღეს ბანკზედ, ავად თუ კარგად, ყველგან ლაპარაკობენ, მის სვე-ბედზედ სჯა და ბაასი აქვს, მის განკარგებისა და საკეთილო და საიმედო გზაზედ დაყენების გამო ჰფიქრობენ, ნაკლს და ღირსებას უჩხრეკენ, უსინჯავენ, და ჩვენდა საბედნიეროდ ესეც უნდა დავუმატოთ, რომ თანდათან უფრო ცნობიერად, უფრო მომეტებულის ცოდნით, უფრო დიდის გულწრფელობით, საქმისადმი უფრო მეტის სიყვარულით ეკიდებიან ბანკის ავკარგიანობის ყოფასა და სვლასა. ეს სანუგეშო ამბავი, ჯერ თვით ბანკისათვის და მერე თვით საზოგადოებისთვისაც, ფრიად საყურადღებოა და ხელზედ დასახვევი მათ წინააღმდეგ, ვისაც გული გატეხილი ჰქონდა სასოწარკვეთილებისაგან, რომ ჩვენში არა გაკეთდება-რა, რადგანაც გულგრილნი, მცონარენი და დაუდევარნი ვართო." *("ტფილისის ქართული საადგილმამულო ბანკის მორიგი კრების გამო". 1886 წ. 10 მაისი).*

"ეს თერთმეტი წელიწადია თითქმის, რაც ბანკი არსებობს. რაც ამ ხანს კრება მომხდარა, კაცი რომ დააკვირდეს, ნახავს, რომ თვითეული შემდეგი კრება წინანდელს ბევრით და გაცილებით სჯობნებია არამცთუ მარტო წევრთა რიცხვით, არამედ შინაგანის ღირსებითაც. ყოველი შემდეგი კრება წინანდელზედ უფრო ცნობიერი, უფრო მცოდნე, უფრო ფრთხილი, უფრო გულახდილი და გულწრფელი მოსიყვარულე ყოფილა საქმისა." *("ტფილისის ქართული საადგილმამულო ბანკის მორიგი კრების გამო". 1886 წ. 10 მაისი).*

“ჩვენდა სამწუხაროდ, ეს მნიშვნელობა მათი ბევრს ჩვენგანს გულსა და გონებაში ვერ მოუთავსებია, ვერ მოუნელებია, და ამიტომაც არა ერთხელ რისხვითა და წყრომით გამოლაშქრებულან ბანკებსა და მათს მნიშვნელობაზედ. არამცთუ ჩვენი დაბალის ღობის პუბლიცისტები, არამედ მოლექსენიც კი, და მათ შორის სახელგანთქმულნიც, არ ერიდებიან ბანკების ავად ხსენებას და სახელის გატეხასა. რისთვის და რადა?” *(“ტფილისის ქართული საადგილმამულო ბანკის მორიგი კრების გამო”. 1886 წ. 12 მაისი).*

“სწორედ მოგახსენოთ, ბევრჯერ დავკვირვებივართ ამისთანა ამბავსა და წყრომისა და რისხვის მიზეზი ვერ გვიპოვია, იმისთანა მიზეზი, რომელიც დამჯდარს და ნაფიქრს მსჯელობას შეესაბამება.” *(“ტფილისის ქართული საადგილმამულო ბანკის მორიგი კრების გამო”. 1886 წ. 12 მაისი).*

“თითქმის არც ერთს წუნისმდებელს მწერალსა და მოლექსესა არ გამოუთქვამს, რა მიზეზითა სწუნობს ჩვენს ბანკებსა. მარტო ეს კი ვიცით: ყველანი იძახიან, ბანკები ჩვენა გვღუპავსო და ამ კილოზედ ათასნაირად ჰგალობენ პროზითა და ლექსითა. რა საგანი უნდა აძლევდეს ამის მთქმელს საბუთსა?” *(“ტფილისის ქართული საადგილმამულო ბანკის მორიგი კრების გამო”. 1886 წ. 13 მაისი).*

“საზოგადოებაში ბევრი მითქმა-მოთქმაა ბანკის შესახებ უჯერო და შეუწყნარებელი და ამ მითქმა-მოთქმაში უნდა ვეძიოთ იგი საგანი.” *(“ტფილისის ქართული საადგილმამულო ბანკის მორიგი კრების გამო”. 1886 წ. 13 მაისი).*

“ამ შემთხვევაში ჩვენნი მწერალნი და მოლექსენი ამ მითქმა-მოთქმის ხმას აჰყვნენ უსათუოდ, თორემ თავისას გამოაცხადებდნენ რასმე. საზოგადოებაში ზოგი იძახის, რომ ბანკებმა ფულის სესხად შოვნის სახსარი გაგვიადვილაო და ამით მაცდურების კარი გაგვიღოო. ბანკები რომ არ ყოფილიყვნენ, ჩვენ ვალებს არ ავიღებდითო და მაშასადამე ჩვენი მამულები ყოველის განსაცდელისაგან თავდახსნილი იქნებაო და ჩვენც უვალონიო. თუ ამისი მთქმელნი მართალის გულითა სდებენ ამით წუნს ჩვენს ბანკებს, ამისი წამალი ადვილია: ბანკის კრებამ დაადგინოს, რომ თავად-აზნაურსა და ერთობ ქართველსა, რომელსაც ადვილად საშოვარი სესხი ასე აცდუნებს, აეკრძალოს ბანკიდამ ფულის სესხად მიცემა, თუნდა რომ ძალანაც უჭირდეს. ამითი იგი სამაცდურო კარი, რომლის მიზეზითაც ბანკებს წუნსა სდებენ, სამუდამოდ დახშულ იქნება და თავად აზნაურობას ცალკე და ქართველობას საერთო ნება ექნება მაშინ სთქვას, რომ დახსნილ ვარ ბოროტისა და მაცდურობისაგანაო.” *(“ტფილისის ქართული საადგილმამულო ბანკის მორიგი კრების გამო”. 1886 წ. 13 მაისი).*

“არა გვგონია ბანკის კრებათა კეთილგონიერებამ ამ სასაცილომდე მიაღწიოს და გაუფრთხილებელი, გაუსინჯავი, და წინდაუხედავი კაცი ბორძიკს და წაქცევას იმით გადაარჩინოს, რომ მის გამო ნება არ მისცეს არავის სიარულისა.” *(“ტფილისის ქართული საადგილმამულო ბანკის მორიგი კრების გამო”. 1886 წ. 13 მაისი).*

“ზოგი კიდევ იმიტომ ჰრისხავს ბანკებს, რომ მართალია ფული გვიჭირს სასესხებლად, ბანკის ვალს ვიღებთ, მამულებს ვუგირავებთ, და როცა პირობას ვალისას და სესხისას ჩვენის დაუდევნელობით ვერ ვუსრულებთ ბანკსა, ბანკი მამულებს გვიყიდის და ცარიელზედ გვსვამსო.” *(“ტფილისის ქართული საადგილმამულო ბანკის მორიგი კრების გამო”. 1886 წ. 13 მაისი).*

“მაშ რა უნდა ჰქმნას ბანკმა? ნუ გაგვიყიდის მამულებსაო, თვითონ ჩაიბაროს ჩვენი მამულიო, უპატრონოსო, რაც შემოვა, იმითი ვალი იშოროსო და როცა მოიშორებს, მამული ჩვენვე დაგვიბრუნოსო. ამ უთავბოლო, მაგრამ სანატრელს აზრს ბევრი მომხრე

ჰყავს ჩვენს საზოგადოებაში და ამ მომხრეებზედ სხვა არა გვეთქმის რა გარდა იმისა, რომ "ნეტარ არიან მორწმუნენი." *("ტფილისის ქართული საადგილმამულო ბანკის მორიგი კრების გამო". 1886 წ. 13 მაისი).*

"ზემოხსენებულ აზრის პატრონებს ან სულ არ ესმით, რა არის ნდობა, "კრედიტი", და რით გამოიწვევა იგი ნდობა, ან განგებ თვალდახუჭულნი არიან." *("ტფილისის ქართული საადგილმამულო ბანკის მორიგი კრების გამო". 1886 წ. 13 მაისი).*

"ბანკი ჯერ გაჭირვებულს კაცის მოციქულია ფულის პატრონის წინაშე და მერმე მისი თავმდებიცა. მისი კლიენტი ერთის მხრით სესხის ამღებია, რომელიც ფულიანს კაცს ეძებს, რომ ფული ისესხოს, მეორეს მხრით ფულის პატრონი, რომელიც სანდო კაცს და სანდო პირობას ეძებს, რომ ფული ასესხოს. ამათ შუა მოქმედობს ბანკი, ვითარცა მოციქული და თავდები." *("ტფილისის ქართული საადგილმამულო ბანკის მორიგი კრების გამო". 1886 წ. 13 მაისი).*

"ამ მოქმედებისათვის ბანკის აგებულებაში იმისთანა რამ უნდა იყოს საძირკვლად დადებული, რომ ფულის პატრონი მიენდოს და ბანკის შემწეობით და თავდებობით ფული სესხის ამღებს გადასცეს. მოკლევადიან ბანკებს ამისათვის სხვა საძირკველი აქვთ, საადგილმამულო ბანკსა სხვა. ერთი ქვაკუთხედი საადგილმამულო საძირკვლისა იგია, რომ სესხის ამღები ვალის მოსაშორებლად ვადაზე შემოიტანს ბანკში რაც შემოსატანია, და ბანკი გადასცემს ფულის პატრონსა, და მეორე იგია, რომ ფულის პატრონი დარწმუნებულია წინათვე, თუ ვადაზე სესხის ამღებმა არ შემოიტანა, დაწინდული, დაგირავებული მამული გაიყიდება და გასყიდულის ფასით აუდგება ნასესხები. თუ ამითაც ვერ გაისწორა ანგარიში, იმედი აქვს, რომ მთელი ქონება ბანკისა, როგორც თავმდებისა, მისი პასუხის მგებელია. ამ სამს უსათუო პირობაში ერთი რომელიმე რომ გააუქმოთ, ვერც ბანკი და ვერც თვითონ თქვენ გროშსაც ვერ იშოვით სასესხებლად." *("ტფილისის ქართული საადგილმამულო ბანკის მორიგი კრების გამო". 1886 წ. 13 მაისი).*

"ტფილისისა და ქუთაისის ბანკებმა ათს მილიონზედ მეტი ფული იშოვეს გასასესხებლად ამ სამის უსათუო პირობითა. ეს სამი აუცილებელი პირობა ამ ბანკებისაგან კი არ არის მოგონილი, არამედ იგი პირობანი წარმომდგარნი არიან თვით კრედიტის ბუნებისაგან, რომელიც უიმათოდ ყურსაც არ შეიბერტყს ხოლმე და ადგილიდამ არ იძვრის." *("ტფილისის ქართული საადგილმამულო ბანკის მორიგი კრების გამო". 1886 წ. 13 მაისი).*

"თუნდ ეგეც არ იყოს, ერთი ვიკითხოთ: რა მნიშვნელობა აქვს მამულების დაგირავებას, თუ პირობის გატეხას არ უნდა მოსდევდეს თვითონ მამულის გაყიდვა? მაშინ გირავნობა რა შუაშია და რა თამასუქია? აბა ერთი მიდით გარეშე კაცთან და უბრძანეთ: ფული მასესხე, მამულს დაგიგირავებ, იმ პირობით-კი, რომ თუ ნასესხები არ დაგიბრუნე, მამული არ გამიყიდოო. ხომ სასაცილოდ არ ეყოფით ფულის პატრონსა!.. ეს უნდა ახსოვდეს იმათ, ვისაც გულწრფელადა სწამთ, რომ მამულების გაუსყიდველობა შესაძლებელია, როცა კაცი მამულის თავდებობით იღებს ვალსა. გაგონილა განა: მამულზედ მანდევი ფულიო და მამულს კი ნუ აზღვევინებო, თუ მე გაგიმტყუნდი და პირობა ვერ აგისრულეო. აქ, სწორედ მოგახსენოთ, არავითარი ლოღიკა არ არის. იქნება გვითხრან, რომ რაკი ბანკი ჩაიბარებს მამულს, თვითონ მამული თავისის შემოსავლით გადიხდის ვალსაო. ამასაც მეტად მოკლე ფეხები აქვს. თუ თვითონ პატრონმა ბანკიდამ ფული აიღო მამულზედ და მამულს ისე ვერ მოუარა, რომ ვალს გასძღოლოდა, ბანკმა საიდამ და როგორ უნდა მოუაროს. შორს რად მივდივართ, _ თვითონ სახელმწიფო,

რომელსაც თავისი საკუთარი შეუწყვეტელი წყარო აქვს სიმდიდრისა, სცდილობდა ამ ბოლოს ხანებში ამ მხრით როგორმე მიჰშველებოდა რუსეთის თავად-აზნაურობას და ვერას გზით ვერა გახდა-რა, არ შესაძლებელად იცნო, _ ჩვენი ტფილისის და ქუთაისის ბანკები, რომელნიც კრედიტით მოწვეულის სხვისის ფულით მოქმედობენ, როგორ შეიძლებენ, და შეუძლებელს შესაძლებელად როგორ გარდაჰქმნიან." *("ტფილისის ქართული საადგილმამულო ბანკის მორიგი კრების გამო". 1886 წ. 13 მაისი).*

"აკი ვამბობთ, ეს მამულების გაუსყიდველობა ბანკის საქმეში სიზმარია და ეგ სიზმარი, მართალია, სანატრელი და სასურველია, მაგრამ მაინც სიზმარია და ოცნება." *("ტფილისის ქართული საადგილმამულო ბანკის მორიგი კრების გამო". 1886 წ. 13 მაისი).*

"ჩვენა ვსთქვით, რომ ბანკების წუნისმდებელს მწერალსა და მოლექსესა ჯერ არ გამოუთქვამს, რა მიზეზითა სწუნობს ჩვენს ბანკებს, თუმცა კი იძახიან, ბანკები ჩვენა გვღუპავსო და ამ კილოზედ ათასნაირად ჰგალობენ პროზითა და ლექსითაო." *("ტფილისის ქართული საადგილმამულო ბანკი". 1886 წ. 24 მაისი).*

"ჩვენის შეძლებისამებრ, პასუხი მივაგეთ. ჩვენა ვსთქვით, რომ ჩვენს საზოგადოებაში ბევრი მითქმა-მოთქმაა ბანკის შესახებ, უჯერო და შეუწყნარებელი, და ამ მითქმა-მოთქმაში უნდა ვეძიოთ იგი საგანი." *("ტფილისის ქართული საადგილმამულო ბანკი". 1886 წ. 24 მაისი).*

"მითქმა-მოთქმათა შორის ჩვენი ყურადღება მივაქციეთ ორს იმისთანას, რომელთაც უფრო გატაცება შეუძლიანთ კაცისა. ერთი იგი, რომ ბანკები არ ყოფილიყვნენ, ვალსაც არ ავიღებდითო და მაშასადამე მამულების დაკარგვის განსაცდელში არ ჩავცვივდებოდითო, და მეორე იგი, რომ ბანკებმა დაუგირავებელი მამულები არ უნდა ჰყიდოსო, ისე ამოქმედოს საადგილმამულო კრედიტიო." *("ტფილისის ქართული საადგილმამულო ბანკი". 1886 წ. 24 მაისი).*

"რომ მართლა ერთის აზრის მდინარეობაც ყოფილა ჩვენს საზოგადოებაში და მეორისაც, ამას ცხადად გვიმტკიცებს ორი წერილი, დაბეჭდილი უკვე "ივერიაში", ერთი ბ-ნ დიმიტრი ყიფიანისა და მეორე ბ-ნ აკაკი წერეთლისა." *("ტფილისის ქართული საადგილმამულო ბანკი". 1886 წ. 24 მაისი).*

"აკაკი წერეთელს აუღია და თავის მფარველობის ქვეშ დაუყენებია ზემოხსენებულთაგან პირველი აზრი და ბ-ნ დიმიტრი ყიფიანს _ მეორე." *("ტფილისის ქართული საადგილმამულო ბანკი". 1886 წ. 24 მაისი).*

"საადგილმამულო ბანკის სიკეთე სხვაგან ბევრგან უცდიათ. საცა პირველ გაჩნდა მაგისთანა ბანკი, იქ მაშინ მიწათმფლობელთა საქმე ჩვენზე ბევრად უარესს დღეში იყო და მით იგი არავის დაუწუნია. აი რას ამბობს ერთი მეცნიერი:

შვიდწლიანი ომი რომ გათავდა, მამულ-დედულის საქმე პრუსიის მემამულეთა სულ პირქვე დამხობილი იყო, პროვინციები, საცა კი ჯარი იდგა, სულ აოხრდა და გავერანდა. მარტო ერთი ქონებაღა შერჩათ ცარიელი მიწა. სახლები და საოჯახო შენობანი გადიწვნენ და დაიქცნენ, პირუტყვ-საქონელი ან სულ არსად იყო, და საცა იყო, სულ გაწყდა შიმშილისა და უჭმელობისაგან, სახნავი მიწები რამდენსამე წელს უქმად იყვნენ დარჩენილნი. მამულების ფასმა ორ მესამედს და ნახევარზედ ძირს დაიწია. ეს გარემოებანი ომის დროს არ იჩენდნენ თავს, და რაკი 1763 წელს შერიგება ჩამოვარდა, მაშინ წარუდგნენ ყველას თვალწინ. თუმცა საზარელი ომები იყო, მაგრამ მებატონენი ამ ომებს ბევრს გამორჩნენ; დიდი ფული დაუტრიალდათ ხელში. ამ გამორჩომამ წაიტყუა

ისინი და ფლანგვას და ტყუილ-უბრალო ხარჯს ბოლო აღარა ჰქონდა. ბოლოს რომ თავისი შემოაკლდათ, ვალების აღებას მიჰყვეს ხელი და დიდძალი ვალი დაატყდათ.

სწორედ ამ დროს, ამისთანა უნუგეშოდ ყოფილს მიწათმფლობელობას მიაშველა პრუსიის მთავრობამ საადგილმამულო კრედიტი, რადგანაც უკეთესი სახსარი სხვა ვერა იპოვა-რა. 1779 წელს სილეზიაში გაიმართა პირველი საადგილმამულო ბანკი, მერე 1777 წ. გაიმართა ბანკი ბრანდენბურგს, პომერანიაში 1780 წ., დასავლეთს პრუსიაში 1878 წ., აღმოსავლეთს პრუსიაში 1788 წ. და 1821 წ. პოზნანში.

რომ ამ ქვეყნებს დიდი შეღავათი მისცა საადგილმამულო კრედიტმა და თითქმის ფეხზედ წამოაყენა, ეს ამბავი დღეს ეჭვგარეთ არის. მაშასადამე, საადგილმამულო ბანკს თვის არსებასა და ბუნებაში არავითარი საწამლავი არა აქვს მემამულეთა დასაღუპავად. ჩვენის მოუმზადებლობის ნშნად და საბუთად ბ-ნ აკაკის მოჰყავს, რომ:

"ჩვენმა ხალხმა, ქართველმა, დღესაც არ იცის, თუ როგორ უნდა მოხმარება ფულსაო; ან უნდა შესჭამოს და ან კიდობანში ჩადვას უმოძრაოდაო".

იქნება ეგრეც იყოს, ხოლო ზემომოყვანილ მეცნიერის სიტყვებიდამ სჩანს, რომ ამ ასის წლის წინათ არც პრუსიის თავად-აზნაურობას სცოდნია ფულის მოხმარება, მაგრამ ამას არ დაუშლია საადგილმამულო ბანკების გამართვა. პირიქით ზედიზედ გაუმართავთ კიდეც და იმით საშველი და სახსარი უპოვიათ, როგორც დღესა სჩანს." *("ტფილისის ქართული საადგილმამულო ბანკი". 1886 წ. 6 ივნისი).*

- **ნიკო ნიკოლაძე ბანკის შესახებ**

"უფ. ნიკოლაძე ამბობს, რომ თუმც კარგი იქნებოდა, რომ საქმე ეგრე მოწყობილიყო, მაგრამ ამასთანავე ატანს, თუ ეგ შეუძლებელია, ისე მაინც უნდა მოხერხებულიყოო საქმე, რომ გარემთიელებს არ შეესყიდათ ჩვენი მამულებიო. ამისათვის ერთს სასაცილო ღონისძიებას გვირჩევს, იმისთანა ღონისძიებას, რომ ადამიანის ეკონომიურსა და პირად თავისუფლებას არღვევს და ვაჭრობის თავისუფალ კონკურენციასა სპობს." *("ნ. ნიკოლაძე და მისი შეხედულება ბანკზე". 1876 წ.).*

"აი ის ღონის-ძიება: "ვსთქვათ, ამბობს ნიკოლაძე, რომ მე მყავს ოციოდე მეზობელი (ვისაც არ ჰყავს?), რომელთაც ეწყინებათ, რომ შემდეგში ჩემი მამული ვისმეს გარეშე პირს ვაჭრობით დარჩეს (რომ არ ეწყინოს?); ვსთქვათ კიდევ, რომ ჩემი მამული მოსწონს და სახეიროდ მიაჩნია ჩემი სოფლის გლეხკაცობას და სხვა (რომ არ მიაჩნდეთ?); განა შეუძლებელიაო, ამბობს შემდეგ უფ. ნიკოლაძე, ამგვარს სახლისკაცებთან, მეზობლებთან და გლეხებთან ბანკი თავდაპირველადვე მორიგებაში შევიდეს დაფასების დროს და მტკიცე პირობა ჩამოართვას, რომ ვინიცობაა ჩემი მამული ბანკის ვალში გაიყიდოს, იმ ჩემმა მეზობელმა, სახლისკაცებმა და გლეხებმა ამა და ამ ფასად ის მამული აიღონ. რომ იმ თქვენმა მეზობლებმა სახლისკაცებმა, ანუ გლეხკაცებმა ეგ არ ინდომონ და გვითხრან, ჩვენც არ ვიცით, ჩვენს მამულს როგორ ვეპატრონოთ, თქვენი რაღად გვინდაო, _ რას იტყოდით მაშინ? რა გიშველიდათ? ვსთქვათ რომ მოეცათ მაგისთანა პირობაცა და ბანკი გაბრიყვებულიყო და მიეღო ეგ პირობა, _ როცა მამულის გასყიდვის დრო მოვიდოდა და ისინი ყიდვას არ მოინდომებდნენ, რა კანონით დაატანდით ძალას, გინდათ, თუ არა, იყიდეო. რა ღონე ექნებოდა იმათს ადრინდელ პირობასა." *("ნ. ნიკოლაძე და მისი შეხედულება ბანკზე". 1876 წ.).*

“თუნდ ეგეც არ იყოს, თვითონ მამულის პატრონი რომ მოსულიყო და ეთქვა, აი ეს ერთი ურიაარ, ის ერთი-ორად მეტს იძლევაო, მე არა ვარ თანახმაო, რომ მაგაზედ ნაკლებ ჩემმა მეზობელმა ჩემი მამული იყიდოსო, _ რა ძალით, რა სამართლით, რა კანონით ხელ-ფეხს შევუკრავდით მამულის პატრონსა? ან მამულის პატრონი რომ მოსულიყო და ეთქვა: ჩემი მამული ვაჭრობაში ჩააგდეთ, მეტად და დიდ ფასად გაიყიდებაო, _ რა გზით შეუკრავდით მას ხელ-ფეხსა და ამაზე უარს ეტყოდით? რა სამართლით წაართმევდით მას მის ქონების უფლებასა? მერე აღებ-მიცემობისა და ვაჭრობის თავისუფლების პრინციპს რა პასუხს ეტყოდით, სხვები იყიდიან ჩვენს მამულსაო. განა რითიმე შეიძლება წინათვე შეუშალოთ გზა ამ სამწუხარო მოვლენასა? თუ კაი ფასს მოგცემენ და ამას სახეიროდ დაინახავთ, რა დააბრკოლებს მამულის თქვენის ხელიდამ სხვის ხელში გადასვლასა.” *(“ნ. ნიკოლაძე და მისი შეხედულება ბანკზე”. 1876 წ.).*

- **კეთილი საქმე დავიწუნოთ, რომ ჩვენ მოუმზადებელნი ვართ?**

“მეტისმეტი სიფრთხილეა კაცმა კეთილი იმითი დაიწუნოს, რომ ჩვენ მისდა მისაღებად მომზადებულნი არა ვართო, ჩვენთვის ახალი ხილიაო.” *(“ტფილისის ქართული საადგილმამულო ბანკი”. 1886 წ. 7 ივნისი).*

“ბატონ-ყმობის გაუქმების საქმე იქიდამ წარმოსდგა, რომ კაცმა კაცი კაცად იცნო და ამ კეთილის ცნობისათვის იქნება ბევრი მომზადებული არ იყო, იქნება იმათ, ვისაც ეს შეეხებოდა, არ იცოდნენ, როგორ უნდა მოეხმარათ თავისუფალი, არა-ბატონყმური შრომა, იქნება იმათ, ვინც ყმობიდამ გამოდიოდნენ, არ იცოდნენ, როგორ უნდა შეეშვნიათ მონიჭებული თავისუფლება, იქნება არც იმათ, ვისაც ჩამოერთვათ ბატონობა, არ იცოდნენ, როგორ განწყობილიყვნენ და მოთავსებულიყვნენ უყმოდ, მაგრამ სიკეთის და სიმართლის ძლევამოსილებამ ამაებს ყური არ ათხოვა და თავისუფალი, არა-ბატონყმური შრომა დაიდვა საფუძვლად ეკონომიურ ცხოვრებისად.” *(“ტფილისის ქართული საადგილმამულო ბანკი”. 1886 წ. 7 ივნისი).*

“ვერავინ იტყვის უარს, რომ ბატონ-ყმობის გაუქმებამ პირველ ხანებში მრავალი ოჯახი უკან არ დასწია, მრავალიც სულ პირქვე არ დაამხო და გაანადგურა, მაგრამ ამით სახელოვანი საქმე ბატონ-ყმობის გაუქმებისა არავის დაუწუნებია, არავის იმისთანას, ვისაც სიკეთე ამ საქმისა ბინდბუნდად მაინც ჰქონია წარმოდგენილი. განა ბატონ-ყმობის გაუქმების წინააღმდეგ ცოტას იძახოდნენ, რომ ეგ ჩვენთვის ადრეაო, ჯერ მაგისათვის მომზადებულნი არა ვართო, ცოდნა მამულის კეთებისა ჩვენში არ არის და თავისუფალ შრომისა და გარჯისათვის ჯერ არც ღონე გვაქვსო და არც გამოცდილებაო. ყოველივე ეს ზოგან მართალიც იყო, მაგრამ ამან არ შეაფერხა საქმე. ამასვე იძახოდნენ წინააღმდეგ ახალის სამართლის შემოღებისა, ერობის დაარსებისა და თითქმის რკინისგზების გამართვის წინააღმდეგაც. მაგრამ ყოველივე ეს, კაცთა სასახელოდ, დაიმართნენ და დღეს მოქმედებაში არიან.” *(“ტფილისის ქართული საადგილმამულო ბანკი”. 1886 წ. 7 ივნისი).*

“ცხადი იყოო, _ ბრძანებს ბ-ნი აკაკი, _ რომ ისინი (ესე იგი, ქართველები) ბანკიდან ადვილად გამოტანილ ფულს იმავე დღეს დააყენებდნენ, რაც ყმაში აღებულს; მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ამ მეორე შემთხვევაში ფული ვალად აწვებოდათო... ფული ადვილად გამოჰქონდათ და სარგებლის შეტანის დროს ხელცარიელები რჩებოდნენ; რასაკვირველია, რომ მამა-პაპეულის დაკარგვა ენანებოდათ და თავს აღარ იზოგავდნენ,

ოღონდ-კი ამ შემთხვევას გადარჩენოდნენ, მამასისხლად იღებდნენ განზედ სადმე სესხს და მით უფრო უარესს საფრთხეში ვარდებოდნენ"... და სხვანი." *("ტფილისის ქართული საადგილმამულო ბანკი". 1886 წ. 7 ივნისი).*

"კაცმა რკინისგზის ათვალწუნება რომ მოინდომოს, ამ სიტყვებს იქაც საბუთად გამოიყენებს, თუ ცოტაოდენად რკინისგზის შესაფერისად შესცვლის მაგალითებსა. მაგალითებრ:

ცხადი იყო, რომ ქართველები, რაკი ამისთანა ადვილად სასიარულო სახსარს ჰნახავდნენ და ასე იეფსაც, შინ ოჯახის მოსავლელად აღარ დადგებოდნენ და უიმისოდაც ოჯახზედ ხელაღებულნი, მისვლა-მოსვლაში გაატარებდნენ თავის ცხოვრებას. ჯერ როცა ეგ რკინისგზა არ იყო, მაშინ არა დგებოდნენ სახლში და ეხლა რაღა დააყენებდათ. გარდა ამისა, ჯერ როცა რკინისგზა არ იყო, თავისის საკუთარის ცხენით იოლად მიდიოდნენ წასვლა-მოსვლაში და ფულად ხარჯი არ მოსდიოდათ. რკინისგზისათვის კი ნაღდი ფულია საჭირო, და რადგანაც ეს სანუკბარი ხშირად მწყრალად არის ქართველებთან, ამისათვის ქართველები იძულებულ იყვნენ ხელი აეღოთ ხოლმე და ამ სახით ჰკარგავდნენ დროს დროდ და განზედ ნასესხი ფულიც ვალად აწვებოდათ. ადვილად სიარულისათვის აღებულს ვალს მოშორება უნდოდა, მოვალენი აწუხებდნენ, ემუქრებოდნენ, მამა-პაპეულს გაგიყიდითო და, რასაკვირველია, მამა-პაპეულის დაკარგვა ენანებოდათ და თავს აღარ იზოგავდნენ, ოღონდ-კი ამ შემთხვევას გადარჩენოდნენ, მამასისხლად ხელახლად იღებდნენ განზედ სადმე სესხს ვალის მოსაშორებლად და მით უფრო უარესს საფრთხეში ვარდებოდნენ..." და სხვანი და სხვანი." *("ტფილისის ქართული საადგილმამულო ბანკი". 1886 წ. 7 ივნისი).*

"ნუთუ აქედამ ის გამოდის, რომ რკინისგზა ჩვენთვის მავნებელია? არა გვგონია, როგორც რკინისგზა არ არის მავნებელი იმით, რომ ადვილად სასიარულო სახსარი მოგვეცა, ისეც ბანკი, რომ ძნელად საშოვარი ფული ადვილად საშოვარი გაგვიხადა. ბანკი არაფერს შუაშია, თუ ვინმე ფულს გაიტანს იმისათვის, რომ წყალში გადაჰყაროს, ან ტყუილუბრალოდ, უხეიროდ გაჰფლანგოს. განა უბანკოდ დიდ-დიდი მამულები კი არ გაუფლანგავთ!.. გამოდის, რომ მამულები არა ჰქონოდათ, არც გაჰფლანგავდნენ. მაშ მამულის ქონვაც მავნებელი ყოფილა. ესე რომ ვიაროთ, შორს წავალთ, იქამდე მივალთ, რომ ფულიც მავნებელი იქნება, იმიტომ რომ ბევრი ფულს დაჰხარბდება ხოლმე და მამულებსა ჰყიდის; აღებ-მიცემობაც ერთობ მავნებელი იქნება, ამიტომ რომ აღებ-მიცემობა არ იყოს, არც ყიდვა-გაყიდვა მამულებისა იქნება და მამულები პატრონებს ხელუხლებლად შეჰრჩებათ." *("ტფილისის ქართული საადგილმამულო ბანკი". 1886 წ. 7 ივნისი).*

"თუნდ ეგეც არ იყოს, სად იყო ჩვენი ბანკები, რომ მთელი ტფილისი გაიყიდა და დღეს ერთი მტკაველიც არ არის თითქმის, რომ თავის თავდაპირველს პატრონს ეჭიროს. საიდაბათიდამ მოყოლებული ვერამდე და მთაწმინდიდამ მახათამდე მთელი ტფილისი სუმბათიანთი, მუხრანიანთი, ციციანთი, ამილახვრიანთი, ორბელიანთი, გაბაანთი და სხვებისა იყო და ეხლა კი რას ვხედავთ? ჩვენა გვგონია, რომ მაშინ ფული ასე ადვილად საშოვარი ყოფილიყო, როგორც დღეს ბანკების მეოხებით არის, თუ სულ არა, კარგა მოზრდილი ნაწილი მაინც შერჩებოდათ თავიან თავდაპირველ პატრონებსა." *("ტფილისის ქართული საადგილმამულო ბანკი". 1886 წ. 7 ივნისი).*

"ვერაფერი თოკები ვერ გაუძლებს ერთს რკინის კანონს საპოლიტიკო-ეკონომისას: მამული და ერთობ ყოველი ქონება უხეირო ხელს ეცლება და მიიზიდება ხეირიან ხელისაკენ; მცონარეს ეთხოვება და გამრჯელისაკენ, მშრომელისაკენ იწევს და

მიეზიდება დაუყოვნებლივ და გაბეჯითებით. ამას არაფერი ღობე წინ ვერ აღუდგება და ვერ დაიჭერს. ამის წინააღმდეგ ყოველივე მეცადინეობა უქმია და ამაო. გაისარჯეთ და ეს აღარ იქნება." *("ტფილისის ქართული საადგილმამულო ბანკი". 1886 წ. 7 ივნისი).*

"ბ-ნის კაკის სიტყვებიდამ მარტო ერთის დასკვნა შესაძლოა კაცმა გამოიყვანოს, მარტო ერთი დარიგება: ნუ აიღებთ ბანკის ვალს, ვისაც სურვილი, ღონე და გარჯა არა აქვს აღებულის სესხით მამულის მოქმედება განაძლიეროს, უფრო გაანაყოფიეროს, უკეთესს დონეზედ დააყენოს და ამით ვალსაც გაუძღვეს და პატრონსაც არგოს. თუ მამულის განკარგებისათვის პატრონს საკუთარი სახსარი არა აქვს, იმ სახსარს საადგილმამულო კრედიტი აძლევს, ესე იგი კრედიტი, რომელიც შეფერებული და შეწონილია მიწისა და მიწათმოქმედების თვისებასთან. თორემ ბანკმა ვნება მოგვიტანა იმითიო, რომ ადვილად ნასესხი ფული გაუფრთხილებელს კაცს ჰღუპავსო, და ამიტომაც ბანკი უარსაყოფელიაო, ამისი თქმა შორს წაგვიყვანს." *("ტფილისის ქართული საადგილმამულო ბანკი". 1886 წ. 7 ივნისი).*

"ვის დაუშრია წყალი იმიტომ, რომ ზოგიერთს გაუფრთხილებელ კაცს არჩობს!... აქედამ მარტო ერთი გონიერი დარიგება გამოდის: წინ დაუხედავად, გაუფრთხილებლად, წყალში ნუ შესტოპავს. ამის მაგიერ რომ ეს უთხრან გაუფრთხილებელთ, მოჰყოლიან და ეუბნებიან, წყალი დააშრეთო." *("ტფილისის ქართული საადგილმამულო ბანკი". 1886 წ. 7 ივნისი).*

"ამას ვიტყვით, რომ ბანკი დიდი საქმეა ჩვენის ქვეყნისათვის და ამ დიდის საქმის დამწყები, მეთაური და შესაძლოდ მქმნელი ბ-ნი დიმიტრი ყიფიანია. სახელი და დიდება ბანკის დაარსებისა განუშორებელ იქმნება მის სახელთან." *("ტფილისის ქართული საადგილმამულო ბანკი". 1886 წ. 16 ივლისი).*

- **ქუთაისის ბანკის საქმე**

"ქუთაისის ბანკის წლევანდელ კრების გამო მითქმა-მოთქმა დღედადღე ჰმატულობს და ძლიერდება." *("ქუთაისის ბანკის საქმე". 1890 წ. 3 აგვისტო).*

"ამ მითქმა-მოთქმისაგან სჩანს, რომ წლევანდელი კრება იმ ჭკვადამჯდარ და გულწრფელ კაცთა კრებული-კი არა ყოფილა, რომელნიც შეყრილან საზოგადეო საქმის კეთილად მოსაწყობად და გასამართავად, არამედ მოედნად გამხდარა, საცა ორი კაცი ერთმანეთს შესჭიდებია გამგეობაში თავმჯდომარეობისათვის და თვითვეულს თავისი მომხრენი მოურეკნია, რომ ვნახოთ ბურთს მოედნიდამ მე გავიტან, თუ შენაო.

მართლა, რომ ამ მითქმა-მოთქმის განსაკუთრებული საგანი გამგეობის თავმჯდომარის ამორჩევაა, თითქო წლევანდელს კრებას საკუთრივ და ბანკის კრებას საზოგადოდ სხვა სანაღვლელი და საფიქრებელი არც ჰქონებია და არცა აქვს. ყველა საგანი დავიწყებულია და ასენოვანი მითქმა-მოთქმა მარტო ამ არჩევანზეა შეჩერებული და ამაზე ჰლესავს თავის ბასრს კბილსა. რა არის მართალი ამ მითქმა-მოთქმაში და რა არის ტყუილი, ამას კაცი ძნელად გამოარკვევს, რადგანაც უეჭველი და უტყუარი საბუთი ამისთანა შემთხვევაში ძნელია კაცმა ხელთ იგდოს, მხოლოდ ეს კი უნდა ვსთქვათ, რომ თუ ათასში ერთი მაინც გამართლდა ის ხმები, რაც ისმის შესახებ იმისა თუ, _ რა გზით, რა ღონისძიებით, რა უკადრისი საქციელით მორეკილ იყვნენ "კენჭოსნები" ერთისაც,

მეორის მხრითაც, მარტო ისღა უნდა კვნესით ვიძახოთ: ვაი რა დროს შევესწარით და რა საზოგადოებაში ვცხოვრობთ!" *("ქუთაისის ბანკის საქმე". 1890 წ. 3 აგვისტო).*

"თუ, ჩვენდა საუბედუროდ, ეს აღვირაშვებული უკადრისობა თანდათან უფრო მეტად თავს გავიდა, თუ ნაძირალთა გრძნობათა შემწეობით, ქადებით, ფულით, სხვადასხვა დაპირებით, მოტყუებით, ზუთხებით და სადილ-ვახშმებით სვის გატანა მოვინდომეთ საზოგადო საქმეთა სარბიელზე, თუ ამისთანა ავზნეობას შევეჩვივენით და ჩვენში ფეხი მოვაკიდებინეთ, რიღას იმედით მოვილოდინოთ ხვალე? რა ნუგეშითღა გავუსწოროთ თვალი ჩვენს მერმისსა? რა პირითღა დავენახოთ ქვეყანას? რა სახელიღა გადავცეთ ჩვენთა მემკვიდრეთა თუ, ჩვენდა სამარცხვინოდ, ასე ვიარეთ, სად მივალთ და რა კლდე-ღრეში გადავიჩეხებით?" *("ქუთაისის ბანკის საქმე". 1890 წ. 3 აგვისტო).*

"ამას უნდა ჩაუფიქრდნენ ყოველნი, ვინც საზოგადო მოღვაწის სახელსა ნდომობს და საზოგადო საქმეთა სარბიელზე გამოდის საჭიდაოდ. რა თქმა უნდა, ამ სარბიელზე ჭიდილი ბუნებური მოვლენაა კაცთა საქმეთა მსვლელობაში და არვის არ ეკიჟინება." *("ქუთაისის ბანკის საქმე". 1890 წ. 3 აგვისტო).*

"ჩვენი სურვილი მარტო ეს არის, რომ ახალმა წესმა მეტად არ შეჰხუთოს სისრულე საერთო გუბერნიის წარმომადგენლობისა ბანკის საქმეში და ამ გზით ცოტაოდენად მაინც შეურჩინოს ბანკის კრებას ის ზოგადი მნიშვნელობა საერთო კრებულისა, რომელიც დღეს-აქამომდე ჰქონდა და რომელიც სასურველია კვლავაცა ჰქონდეს." *("ისევ ქუთაისის ბანკის შესახებ". 1894 წ. 16 იანვარი).*

"დღეს "შემთხვევისა გამო სხვისა და სხვისა" ჩვენთვის მარტო ბანკია მხოლოობითი მოედანი, რომელზედაც უნდა აღიზარდოს, ფეხი აიდგას, გაიწურთნოს, გაინავარდოს ჩვენმა თვითმოქმედებამ, ჩვენმა ზნეობითმა ძალ-ღონემ." *("შინაური მიმოხილვა". 1879 წ. აპრილი).*

"ვისაც ჩვენი ქვეყანა გულწრფელად უყვარს და ჩვენთვის კეთილი არა შურს, ის დიდის სიფრთხილით, დიდის მოსაზრებით უნდა ეკიდებოდეს ყოველს საგანს, ყოველს აზრს ბანკის შესახებ." *("შინაური მიმოხილვა". 1879 წ. აპრილი).*

- **საადგილ-მამულო კრედიტს ჩვენში ბევრი რამ აკლია. ბანკის სულთამდგმელი ბირჟაა**

"ბევრი ემდურება იმ ბანკებს, დიდი იმედი გვქონდაო და არაფერი გამოდისო, მაგრამ მარტო უმეცრება იტყვის ამასა და არა დამჯდარი ჭკუა. სულ შვიდი თუ რვა წელიწადი არ არის, რაც ჩვენში ბანკები მოქმედობენ და ნუთუ შვიდი წელიწადი სამყოფია, რომ ქვეყანამ ფერი იცვალოს ბანკებისა, თუ სხვა რამის შემწეობით. ამ საქმეში გუშინდელს და დღევანდელს კი არ უნდა მივაჩერდეთ, იმიტომ _ რომ ეგ გუშინი და დღევანდელი მეტად მოკლე ხანია ქვეყნის წარმატებისათვის და საყოველთაოდ კვალის დაჩნევისათვის. ორი ათასი წელიწადია, რაც ჩვენი ქვეყანა ისტორიის სარბიელზეა გამოსული, დღევანდელი ჩვენი ყოფა ორი ათასის წლის ცხოვრების შედეგია და ნუთუ გგონიათ, რომ ამ შედეგს შვიდს წელიწადზედ ან ბანკი, ან სხვა რამ ფერს აცვლევინებს! თუნდ ეგ არ იყოს, სხვა იმედი უნდა მოეცა ბანკს, თუ არ ის, რომ საადგილ-მამულო კრედიტი, რამოდენადაც შეიძლება იაფი, აწარმოვოს ჩვენს ქვეყანაში და მოგებულის ფულით საზოგადო გაჭირვებაში რაიმე შეღავათი მოგვცეს. როდის უმტყუვნა ან ერთს იმედს, ან მეორეს ჩვენმა ბანკებმა? მართალია, საადგილ-მამულო კრედიტს ჩვენში ბევრი რამ აკლია, მართალია _ ჩვენი ბანკები ჯერ იმოდენა მოგებას არ იძლევიან, რომ ყოველს გაჭირვებას

მივეშველოთ. ერთისათვის საჭიროა საყოველთაოდ კრედიტის სისტემის შეცვლა, რომელიც ბანკების ხელთ არ არის, და მეორისათვის _ ხანგრძლივი მოქმედება, რომელსაც მოთმინება უნდა." *("შინაური მიმოხილვა". 1882 წ. აპრილი-მაისი).*

"ყოველივე საზოგადო საქმე იმოდენად თანა-საგრძნობია და საქებური, რამოდენადაც თითონ მის საკუთარს ბუნებას მინიჭებული აქვს ღონე თავით თვისით განვითარებისა, გაძლიერებისა, როცა სხვა არა უშლის-რა. ბანკი, თუ რამ სხვა საზოგადო დაწყობილობა, სწორედ ამ მხრით უნდა გაისინჯოს და ამ სასწორზედ აიწონოს. აბა ჩვენი ბანკები ამ თვალით გასინჯეთ და ნახავთ, რომ იგინი წარმოადგენენ ერთს საუკეთესოს და საიმედოს მხარეს ჩვენის ცხოვრებისას. ამიტომაც ყოველი ერთგული ჩვენის ქვეყნისა სიხარულით კი არ უნდა მიესიოს ხოლმე ყოველს შეცდომას, წინდაუხედავობას, თუ სხვა რამ ნაკლებულობას ბანკისას, რომელნიც ყოველს ახალს საქმეში აუცილებელნი არიან, არამედ გულმტკივნეულობითვე ეცადოს ნაკლი მოსპოს, შეცდომა გაასწოროს." *("შინაური მიმოხილვა". 1882 წ. აპრილი-მაისი).*

"ბანკის სულთამდგმელი ბირჟაა, ბირჟა კიდევ მეტად ყურმახვილია და მგრძნობიერი, ამიტომაც უსაბუთოდ აპილპილება ბანკის მოქმედების თაობაზედ, უსაბუთოდ გაკენწვლა, წინდაუხედავად ლაპარაკი, თუ არ გვავნებს, არას გვარგებს, და იქნება ყოველ ამან, თუ არ დავიშალეთ, ეს ერთად-ერთი საქმე, საცა ჩვენვე ვართ ჩვენივე პატრონები, ხელიდამ გამოგვაცალოს." *("შინაური მიმოხილვა". 1883 წ. აპრილი).*

"ჩვენდა საუბედუროდ, ამ კრებაში ერთმა დიდად დასაღონებელმა თვისებამ უადგილო თავმოწონებისამ, მეტიჩარობისამ და თავმოყვარეობისამ გამოიჩინა თავი. ყოველი, ვისაც კი ენის ძვრა შეუძლიან, ვალად ჰხადოდა თავის-თავს ეთქვა რამე ბანკის თაობაზედ. ის კი არ იცოდნენ, რომ ვისაც ბანკის საქმე არ ესმის, ის თუ არ წაახდენს საქმეს, სხვას არას გააკეთებს. აკი ვამბობთ, ერთი ალალ-ბედად წამოსროლილი სიტყვა უმეცრებისა, თუნდაც კარგის განზრახვითაც წარმომდინარი, ასეთს ხიფათს მოახვევს თავზედ ბანკსა, რომ მერე ძნელადღა ეშველოს. ბანკი, ნამეტნავად იმ საფუძველზედ ამოყვანილი, როგორც ჩვენი საადგილ-მამულო ბანკებია, მარტო ჩვენზედ კი არ არის დამოკიდებული. ათასი სხვადასხვა დამოკიდებულება აქვს იმისთანა გარემოებასთან და ხალხთან, რომელნიც არც ჩვენ ხელთ არიან, არც ჩვენ გვექვემდებარებიან. ის გარემოებანი და ის ხალხი, მაგალითებრ _ მსყიდველნი ჩვენის გირავნობის ფურცლებისა, მეტად მალე დაიტყობენ ხოლმე ყოველგვარს წინდაუხედავს სიტყვას და მოქმედებას ბანკის შესახებ. თუ ბანკი ამათს პატივს და ნდობას დაჰკარგავს, ფეხსაც ვეღარ გასძრავს, _ ისე შეიკვრის და შედგება. ეს პატივი და ნდობა, სხვათა შორის, მთელს გამგეობაზედ არის დამყარებული. თუ უმთავრესმა ორღანომ ამ გამგეობისამ, როგორც, მაგალითებრ _ საზოგადო კრებაა ბანკისა, ქვეყანას თავი უცოდინარად აჩვენა, თუ წარამარა ლაპარაკით სახელი გაითქვა, თუ შენიშვნა რომელსამე თავის ქვემდებარე ორღანოს ბანკის გამგეობისას საფუძვლიანი და საბუთიანი არ მისცა, თუ საგანს საბაასოს და საბჭოს ცნობიერად არ მოეკიდა, მაშინ ქვეყანამ, რომელზედაც დამოკიდებულია ბედი და უბედობა ბანკისა, რა უნდა თქვას? მარტო იმას იტყვის, რომ "მე ამისთანა წარამარად ჩხავანა საზოგადოებას ფულს ვერ ვანდობ". გირავნობის ფურცელი რა არის? სხვა არაფერი, გარდა იმისა, რომ თამასუქია ბანკისა, ქვეყანაში გასული, ნაღდი ფულის საშოვრად. აბა ჩვენ თითონ ვიფიქროთ: რა ფასი უნდა ჰქონდეს თამასუქს იმისთანა კაცისას, თუ საზოგადოებისას, რომელსაც თავ-ბედისა არა გაეგება-რა." *("შინაური მიმოხილვა". 1883 წ. აპრილი).*

“ეს კარგად უნდა ახსოვდეთ მათ, ვისაც ენა წინ უსწრობს ცოდნასა. ჩვენ ამით იმისი თქმა კი არ გვინდა, ვითომც ბანკის საქმე ისეთი დიდი და მძიმე რამ იყოს, რომ მარტო “რჩეულთა ამა ქვეყნისათა” შეეძლოთ მისი შესწავლა და სხვას არავის. მაგ საქმეს ყველა ადვილად შეისწავლის, თუ მოინდომებს. ჩვენ მარტო ამის თქმა გვინდა, რომ ვისაც საქმეზედ ლაპარაკი სწყურს, ჯერ თითონ საქმე უნდა შეისწავლოს. აქ ცარიელი მჭევრმეტყველობა, თუნდა საქმის სიყვარულითაც ფრთაასხმული, არაფერში გამოსადეგია. მაგისთანა მჭევრმეტყველობა მარტო ყეფა იქნება და არა საბუთიანი სიტყვა, საქმის წამმართებელი და გამასწორებელი. ყეფა _ როგორც მოგეხსენებათ _ ვერაფერი მომწვევია და მომზიდველი კრედიტისა. ეგ კრედიტს ისე გააფრთხობს, როგორც მართალი ყეფა ფრთხილს და ყურდაცქვეტილს ნადირსა.” *(“შინაური მიმოხილვა”. 1883 წ. აპრილი).*

“ორში ერთი: ან ჩვენი ბანკები მავნებელნი არიან ჩვენთვის, ან მარგებელნი. თუ პირველია _ უნდა გავაუქმოთ, და თუ მეორე _ ყოველივე ჩვენი ძალ-ღონე უნდა ვიხმაროთ მის წარსამატებლად და წარსამართებლად. ჩვენის ფიქრით, ჩვენი ბანკები, რა მხრითაც უნდა გასინჯოთ, გამოსადეგნი არიან ჩვენის ქვეყნისათვის.” *(“შინაური მიმოხილვა”. 1883 წ. აპრილი).*

“თუ კოჭლობენ რაშიმე, ეგ თითონ ბანკების ბრალი არ არის ისე, როგორც წინდაუხედაობას და განუსჯელობას ჰგონია. უმთავრესი და არსებითი ნაკლულოვანება ბანკისა საზოგადოდ იმ საზოგადო სისტემის ბრალია, რომელიც აღიარებულია და რომელს გარეითაც არსებობა ბანკისა აკრძალულია.” *(“შინაური მიმოხილვა”. 1883 წ. აპრილი).*

“ჩვენი გულითადი რწმენა ის არის, რომ ჩვენი ბანკები დიდად გამოსადეგნი არიან ჩვენის ქვეყნისათვის. ამისათვის არა ღონეს არ დავზოგავთ, რომ მათი კეთილდღეობა დავიცვათ და ყოველსავე იერიშს წინდაუხედაობისას, განუსჯელობისას წინ ფარ-ხმლით დავხვდეთ.” *(“შინაური მიმოხილვა”. 1883 წ. აპრილი).*

“ბანკის საყოველთაო მნიშვნელობა ის კი არ არის, რომ ვისაც ფულს ასესხებს, უკანვე გაედევნოს, აპეკუნად გაუხდეს და ტყეილ-უბრალოდ ფული არ დაახარჯვინოს, და თუ ვალის ამღებმა სესხი არ მოიშორა _ ბანკმა არა დააკლოს რა. ბანკს ამისთანა საქმეს ან ბავშვები მოსთხოვენ, ან იმისთანანი, რომელნიც საზოგადოების გაბრიყვებას კადრულობენ, როგორც გონება-გაუხსნელის ბავშვისას.” *(“შინაური მიმოხილვა”. 1883 წ. იანვარი).*

- **ბანკი სხვადასხვა მწარმოებელს როგორ ახვედრებს ერთი-მეორეს და როგორ უწყობს ხელს მათი საქმიანობის გაგრძელებას. თამასუქი.**

“რომ შევუდგეთ რომელიმე საზოგადოების, თუ ერის ეკონომიურს ყოფა-ცხოვრებას და დავაკვირდეთ იმის ვითარებას, შევნიშნავთ აი რას: ერთს ადგილას თქვენ დაინახავთ, მაგალითებრ, მჭედელსა, რომელსაც თავის საკუთარს სამჭედლოში უწყვია მზად გაკეთებული ბარი, თოხი, ნაჯახი, ცული, სახნის-საკვეთი და ელის მსყიდველსა, რომელიც არსაითა სჩანს. იქავ გვერდით უდგას მიწის-მომქმედი, რომელსაც უჭირს ყოველივე ეგ სამამულო იარაღი, მაგრამ ღონისძიება არა აქვს შეიძინოს უფულობით, თუმცა ბეღელი სავსე აქავს ყოველგვარის მიწის ნაწარმოებითა, რომელიც ბევრს სხვას ეჭირვება. მესამე ადგილას ხედავთ აგურის მკეთებელსა, რომელსაც უჭირს მიწის-მომქმედის ნაწარმოები და არა აქვს ღონისძიება შეიძინოს, თუმცა მრავალი აგური უწყვია ქარხანაში და მუშტარს ელოდება. მეოთხე ადგილას ხედავთ ღვინის მომყვანსა,

რომელსაც უნდა ერთი კაი მარანი დადგას და აგური არა აქვს, თუმცა ღვინის სავსე ქვევრები უდგას და სხვანი და სხვანი." *("შინაური მიმოხილვა". 1883 წ. იანვარი).*

"ამ სახით ვხედავთ, რომ ერთის მხრით საჭიროებაა, მეორეს მხრით საჭიროების დასაკმაყოფილებლად საგნებია, მაგრამ ცალ-ცალკედ კი.

ამ განცალკევებისა და იმ მიზეზის გამო, რომ ხელად იმისთანა სასყიდელი ღონე არ არის, რომელსაც შეუძლიან საკმაყოფილო საგნები საჭიროებას მიუზიდოს, მჭედელი, მიწისმომქმედი, ღვინის მომყვანი და მეაგურე იძულებულ არიან უქმად იყვნენ, იმიტომ რომ თვითოეულს მათგანს რაც თანხა ჰქონია, თავის ნაწარმოებში გაუბამს და სხვა აღარა აქვს განაგრძოს თავისი წარმოება.

ამ სახით, ვიმეორებთ, თქვენა ხედავთ, რომ შრომა თვითოეულის მათგანისა შეყენებულია და თანხაც, რომელსაც ეხლა წარმოადგენს მათი ნაწარმოები, უქმად დარჩომილია, იმიტომ რომ ნაწარმოები, ვსთქვათ, მჭედლისა, მისის ხელობისათვის გამოუსადეგია და ის წარმოება-კი რომლისთვისაც მისგან მომზადებული იარაღი გამოსადეგია, იმისი საქმე არ არის. ამ ადვილად შესაძლებელ ყოფაში წარმოებას ხელ-ფეხი შეკრული აქვს, საზოგადოება ეკონომიურის მხრით ძლივ-ძლივ სულს იბრუნებს, თუნდაც ელემენტები წარმოებისა და კეთილდღეობისა უხვად იყოს." *("შინაური მიმოხილვა". 1883 წ. იანვარი).*

"როგორ უნდა ეშველოს? იტყვიან, იმ დალოცვილებმა აიღონ თავიანთი ნაწარმოები და ერთმანეთს გაუცვალონო. მაგრამ აგეთი პირდაპირ გაცვლა-გამოცვლა შეუძლებელია იმიტომ, რომ რაც მე მიჭირს, ის იმისთანა კაცსა აქვს, რომელსაც ჩემი ნაწარმოები არ უჭირს. ამის გამო, რომ ეგ გაცვლა-გამოცვლა, ანუ უკეთ ვსთქვათ, ეგ აღებ-მიცემობა მოხდეს, ყოველმა მწარმოებელმა თავისი ნაწარმოები იმისთანა საფასურად უნდა აქციოს, რომელსაც საყოველთაო და უცილობელი ძალა აქვს აღებ-მიცემობის მოსახდენად. ესე იგი, უნდა აქციოს ფულად. კარგი, მაგრამ რომ ფულიც არ იყოს?

ფულის გარდა არის სხვა ღონისძიება, რომელსაც ძალუძს ერთის კაპიტალი შეახვედროს მეორის შრომას და ამით ბოლო მოუღოს მიზეზს წარმოების უქმად ყოფნისა, ხელ-ახლად სული ჩაუდგას მოქმედებას მჭედლისას, მიწათ-მოქმედისას და სხვათა. ეგ ღონისძიება ერთგვარი მორიგებაა, რომლის ძალითაც მჭედელი ენდობა-რა მიწათ-მომქმედს, მიწის-მომქმედი მეაგურეს, მეაგურე ღვინის მომყვანს, ერთმანეთს ხელს უმარათავენ თავიანთის ნაწარმოებითა, ანუ უკეთ ვსთქვათ კაპიტალებითა, _ იმ პირობით, რომ დაუბრუნოს ეს კაპიტალი ვადაზედ თავის სარგებლით დაცალებისათვის.

ხოლო მჭედელმა, თუ სხვამ, თუმცა გაასაღა ამ სახით თავისი საქონელი და ხელი გაუმართა მიწათ-მომქმედსა, მაგრამ მაონც ხომ უკაპიტალოდ რჩება ვადამდე და, მაშასადამე, მისი წარმოება ვადის მოსვლამდე ისევ-ისე უქმად უნდა იყოს. რომ ეს ასე არ მოუხდეს, მჭედელმა საბუთი რამ უნდა იქონიოს, ანუ თამასუქი, როგორც ჩვენ ვიტყვით ხოლმე, უნდა ჩამოართოს მიწათ-მომქმედსა, მერე ასეთი, რომელსაც იმისთანავე ძალა ჰქონდეს სყიდვისა, როგორც ფულის ნიშანსა აქვს. რომ თამასუქს ესეთი ძალა მიენიჭოს, თამასუქთან ერთად უცილო რწმუნებაც უნდა იყოს მასზედ, რომ თამასუქი გავა, თუ ყველგან არა, იმ აღებ-მიცემობის მოედანზედ მაინც, საცა მოქმედობენ და საქმობენ ეგრე მორიგებული პირნი. რაღა თქმა უნდა, რომ იმ თამასუქს ეგ სარწმუნო ღირსება არ ექნება.

აი სწორედ ამ გაჭირვების დროს მოდის ბანკი, და ეუბნება: "შენ, მჭედელო, მიეცი შენი ნაწარმოები მიწის-მომქმედსა, შენ, მიწის-მომქმედო, _ მეაგურეს და შენ, მეაგურევ _ ღვინის მომყვანსა, და მიცემის ნიშნად ჩამოართვით თამასუქები, თუ ერთმანეთს

ენდობით და ერთმანეთის რწმუნება გაქვთ. ყველა მაგ თამასუქებს მე ჩემს თავზედ მივიღებ ვადამდე და თქვენ მის სამაგიეროდ ან ნაღდს ფულს გიშოვით, ან მოგცემთ ჩემს ბილეთებს, ჩემგან ხელმოწერილებს, რომელთაც, თუ ყველგან არა, იმ აღებ-მიცემობის მოედანზედ მაინც მიიღებენ, საცა თითონ მე ვმოქმედობ და ვსაქმობ. ეგ იმედი ბანკის ბილეთების მიღებისა უცილოა, იმიტომ რომ ნდობა ბანკისადმი ბანკის ცარიელ სიტყვაზედ კი არ არის დამყარებული, არამედ იმისთანა საფუძველზედ, რომელიც სათავეა და ძირი საყოველთაო ნდობისა და საყოველთაო რწმუნებისათვის, ყველასაგან ერთნაირად ცნობილია და ერთნაირად მიღებული. ბანკს რომ ერთი რამ ამ საფუძველთაგანი დააკლოთ, ამ საქმეს ვეღარ გაუძღვება." *("შინაური მიმოხილვა". 1883 წ. იანვარი).*

"ამ-გვარის ხელის გამართვით ბანკისაგან, ნაწარმოები ხელიდამ ხელში გადავა, გაძლიერდება საქონლის მიქცევ-მოქცევა მწარმოებელთა შორის. არც ნივთი რამ, არც იარაღი, არც ერთი ნაამაგევი კაცისა აღარ დარჩება უქმად და მოუხმარებლად." *("შინაური მიმოხილვა". 1883 წ. იანვარი).*

"დაუჟინიათ, ბანკებია მიზეზი, რომ ჩვენი მამულები ისყიდებაო და ერთი ყოფა და ამბავი გააქვთ, _ გამოცანა ჩვენ გვერგებაო. ერთი გკითხავთ: სად იყო ბანკები, რომ მთელი ტფილისი ამ საუკუნის დასაწყისში სულ ქართველობას ეკუთვნოდა. ოც-და-ათმა წელიწადმაც არ გაიარა და მთელი ქალაქი სხვის ხელში გადავიდა! იცით ვისი იყო სეიდაბათიდამ დაწყებული ვერამდის მთელი ქალაქი 1805 წ-მდე? სუმბათაანთი, მელიქიანთი, მუხრანიანთი, ციციანთი, ამილახვრიანთი, ორბელიანთი; და იცით ვისი შეიქმნა 1840-მდე, სულ 35 წელიწადში? სად იყო მაშინ ბანკები! მაგაების მყვირალთ ის საქმე დაემართათ, რაც გასამართლების წესდების მოწინააღმდეგებს მოუვიდათ რუსეთში. ახალი წესდების შემოღებისვე უმალ დაიყვირეს: აკი ვამბობდითო, ავკაცობა გამრავლდაო ახალის წესდებისაგან! გამრავლდა კი არა, რაც ავკაცობა იყო უწინ, კანცელარიებში იმალებოდა და ეხლა კი საქვეყნოდა ცხადდება. იმიტომ ცოტაც ბევრი ეჩვენებოდათ, რადგან დღე-ყოველ გაზეთებში კითხულობდნენ. სწორედ ესე მოსდით ბანკების თაობაზედ მყვირალთაც. მინამ ბანკები არ იყვნენ, ვინ იცოდა სად რა მამულებსა ჰყიდდენ, ეხლა კი, რადგანაც ეგ კანტი-კუნტად გაყიდვა საქვეყნოდა ხდება, სათვალავში უფრო კარგად მოდის და ვისაც ხალისი აქვს ყვირილისა, ყვირის, ეს ასეაო." *("შინაური მიმოხილვა". 1883 წ. იანვარი)*

"ამას ყველაფერს თავი დავანებოთ და უმორჩილესად ვთხოვთ "შრომის" ჯვარცმულს მშრომლებსა, ერთი გვითხრან და გვასწავლონ: რა წესი უნდა შევიტანოთ წესდებაში, რომ ყველა მსესხებელმა ფული მამულს მოახმაროს და რა კანონი დავდვათ, რომ საადგილ-მამულო კრედიტიც გვქონდეს და მამულებიც არავის გაეყიდოს, ან თუ გაეყიდოს, გარეშე კაცთა ხელში არ გადავიდეს. თუ ვინმე ამისთანა სასწაულს მოგვიხდენს, ჩვენ დიდის სიამოვნებით თავს მძიმედ დავუკრავთ.

პირველი _ კრედიტს იმოდენად მოეთხოვება, რამოდენადაც, როგორც ზემოთა ვსთქვით, მუხას ვაშლი, და მეორე-კი _ თითონ კრედიტს ძირს მოუთხრის და იმ ექიმს ეგვანება, რომელმაც ცოცხალს კაცს თავი მოსჭრა, თავი აღარ ეტკინებაო." *("შინაური მიმოხილვა". 1883 წ. იანვარი).*

- **ჩვენებური ბანკი მხოლოდ თავად-აზნაურებისა არ არის**

"ბანკის დაწესებულებას-კი შეადგენს და განაგებს თავად-აზნაურობასთან ერთად სხვა ყოველის წოდების კაციც განურჩევლად, თუ ბანკისაგან ვალი აუღია და ამით მისი წევრი გამხდარა. თუ არა გჯერათ ჩაიხედეთ ბანკის წესდების მე-81 და 82 და მათს შემდეგს მუხლებში და დაინახავთ იმავ თქვენს მტკნარს უვიცობას, უმეცრობას და საქმეში შიგ-ჩაუხედლობას. იქ დაინახავთ, რომ ბანკის წევრად ითვლებიან ერთის მხრით თავად-აზნაურობა და მეორეს მხრით ვალის ამღებნი, _ გლეხი იქნება, ვაჭარი, თავადი, აზნაური, თუ მღვდელი. აბა ერთი მიჩვენეთ, _ სად არის თუნდ ერთი მაგალითი, რომ "თავადაზნაურულ წოდებრივი დაწესებულება" ასე წოდებათა განურჩევლად ერთმანეთში არეული იყოს". *("უმეცრობის ფართი-ფურთი". 1900 წ.).*

"შეუწყნარებელია მწერლისათვის, რომ რაკი არ დაუშლია და საგანზედ ჭლაპარაკობს, იმ საგნის ავლა-დიდება, ვითარება მოიკითხოს, გაიგოს და ისე დაიწყოს ლაპარაკი". *("უმეცრობის ფართი-ფურთი". 1900 წ.).*

"არა შეჯდა მწყერი ხესა, არა იყო გვარი მისიო. სურვილიც კაცს თუ ბუნებით არ გამოჰყოლია, ან სწავლა-განათლებით არ ჩანერგვია, სხვა ვერაფრით გაუჩნდება ადამიანს". *("უმეცრობის ფართი-ფურთი". 1900 წ.).*

"ჩვენებური ბანკი "თავადაზნაურულ-წოდებრივი" რომ არ არის, იმაში მდგომარეობს, რომ ბანკის გამგეობის და ზედამხედველ კომიტეტის წევრად ყოფნა ყველა წოდების კაცს შეუძლიან, ოღონდ-კი ამორჩეული იქმნას. ესეც ხომ პირდაპირი და თვალად დასანახი ნიშანია, რომ ჩვენებური ბანკი "თავადაზნაურულ-წოდებრივი" არ არის, იმიტომ რომ არც ერთი "თავადაზნაურულ-წოდებრივი" დაწესებულება არ არის ქვეყანაზე, რომ იწყნარებდეს თავად-აზნაურულ დაწესებაში სხვა წოდების კაცი იყოს ამორჩეული, თუ არ თავადი, ან აზნაური". *("უმეცრობის ფართი-ფურთი". 1900 წ.).*

"ჯერ ერთი ესა, რომ, როგორც წინათ ვთქვით, ბანკის საქმეების საბჭოდ იკრიბება თავად-აზნაურობასთან ერთად იგინიც, ვინც თავად-აზნაურნი არ არიან და სხვადასხვა წოდებას ეკუთვნიან. მეორე ისა, რომ თავად-აზნაურთა კრება, როგორც წოდებრივი დაწესებულება, ყოველ წელიწადს არ იკრიბება, არამედ სამს წელიწადში ერთხელ. თუ ამაზედ ადრე მოინდომებენ კრებას, იგი საგანგებო კრება იქნება და ამისათვის ცალკე ნებართვა უნდა აიღონ მთავრობისაგან და ამისთანა კრებაზე არას შემთხვევაში ვერავის ვერ ამოირჩევენ. ბანკის კრება-კი სავალდებულოა ყოველწლივ, სხვის ნებადაურთველად მოხდება ხოლმე და თავისს მოხელეებს ირჩევს მორიგად ყოველწლივ. მესამე ისა, რომ თავად-აზნაურთა კრება, ვითარცა "თავადაზნაურულ-წოდებრივი" დაწესებულება, შესდგება მარტო იმისთანა თავად-აზნაურთაგან, რომელთაც კანონში ჩამოთვლილი ცენზი აქვთ, სახელდობრ, ჩინი ან ნასწავლობის დიპლომი და განსაზღვრულის სივრცის მამული. თავად-აზნაურთა კრებას, ვითარცა თავად-აზნაურულ დაწესებულებას, თავმჯდომარედ ჰყავს თავად-აზნაურთა მარშალი. ჩვენის ბანკის კრებაში-კი არავითარი ცენზია დადებული, ბანკის კრებაში, როგორც წოდებრივში, თავმჯდომარედ იგია, ვისაც თითონ კრება ამოირჩევს, წოდების მიუხედავად, და მარტო ერთის კრებისათვის და არა სამის წყალობითა, როგორც თავად-აზნაურთა წოდებრივ კრებაშია". *("უმეცრობის ფართი-ფურთი". 1900 წ.).*

“თავად-აზნაურთა კრებას, როგორც წოდებრივს, უფლება არა აქვს თავისი განაჩენი აღსასრულებლად მიაქციოს, ვიდრე იგი მთავრობის წინაშე წარდგენილი არ იქნება და მთავრობის მიერ დამტკიცებული. ბანკის კრების განაჩენი-კი, რაკი დადგინებულ იქმნა, მათივე დამტკიცებულია და აღსასრულებლად მიექცევა ხოლმე, ასე რომ ამაში არავის სხვის ნებართვას არ ჰსაჭიროებს”. *(“უმეცრობის ფართი-ფურთი”. 1900 წ.).*

“ეხლა სხვა მხრივ შევხედოთ, ჩვენებურს ბანკს მოქმედება გავუსინჯოთ. იქნება იგი მარტო თავად-აზნაურთათვის ჰმუშაობს, მარტო იმათის ხელის გასამართავად არის. იქნება საგნადა აქვს მთელი თავისი მოგება მარტო ამ წოდებას ჩაუყაროს ჯიბეში”. *(“უმეცრობის ფართი-ფურთი”. 1900 წ.).*

“რომ ჩვენი ბანკი ყველას ერთნაირად კრედიტით ხელს უმართავს ეს ხომ ეჭვგარეთ არის. გლეხია, თავადია, აზნაურია, თუ სხვა ვინმე, ყველას, წოდების და ხარისხის მიუხედავად, ნება აქვს ჩვენს ბანკს ფული ესესხოს, ოღონდ დასაგირავებლად უძრავი ქონება ჰქონდეს. ამ მხრით ჩვენებური ბანკი, როგორც ცხადად ჰხედავთ, წოდებრივს ნიშანწყალზე შორს არის. არა ნაკლებ შორს არის მოგების განაწილების თვალითაც. მე101 მუხლი წესდებისა ცხადად ამტკიცებს, რომ მოგება თავად-აზნაურთა ჯიბეში არ მიდის. ყველაზე უდიდესი ერთიანი წილი, ესე იგი 45% მოგებისა, წესდების ძალით, უნდა მოჰხმარდეს ტფილისის გუბერნიის მიწისმფლობელთა და მიწისმომქმედთა საზოგადო საჭიროების გაძღოლას. სასოფლო კრედტის, სამეურნეო სკოლების სოფლებში მოფენას, სამეურნეო მანქანების და იარაღისათვის საწყობების და სახელოსნოების დამართვას და სხვანი. დანარჩენი, თვითოეულად ბევრით ამაზე ნაკლები წილი, სხვადასხვა თავნის სამატად და ბანკის მოხელეთა გასამრჯელოდ არის დადებული”. *(“უმეცრობის ფართი-ფურთი”. 1900 წ.).*

“მიწათმფლობელი” და “მიწათმომქმედი”. პირველ სიტყვის ქვეშ იგულისხმება თავად-აზნაურობა და მეორის ქვეშ გლეხ-კაცობა. ასეა ყოველგან მიღებული”. *(“უმეცრობის ფართი-ფურთი”. 1900 წ.).*

“ჩვენს ბანკს თავად-აზნაურთა ბანკი ჰქვიან. ქუთაისის საადგილ-მამულო ბანკს, სხვათა შორის, “მიხაილოვის” სახელიცა ჰქვიან, დიდის მთავრის მიხეილის პატივსაცემლად, და განა იგი ბანკი დიდის მთავრისაა? აქაურ კომერციის ბანკს ტფილისის საკომერციო ბანკი ჰქვიან და განა აქედამ ის გამოდის, რომ იგი ბანკი ტფილისისაა და ტფილისის ქალაქის გამგებლობაშია? ამისთანა შემთხვევაში სახელი ყოველთვის თვით საგანს არა ჰნიშნავს და არც საგნის ვითარებას. აქ სახელის გარდა საჭიროა კაცმა თვით არსებითი საგანი დაწესებულებისა იცოდინოს და მარტო ტიტულს არ დასჯერდეს”. *(“უმეცრობის ფართი-ფურთი”. 1900 წ.).*

““დამფუძნებელი” ბანკისა ამ მხრით ყოვლად ხელშეუხებელია და მამულის გაყიდვის თუ არ-გაყიდვის გამო ბანკს საქმე აქვს მარტო იმასთან, ვისაც ბანკში მამული გირაოდ შეუტანია და ვალად ფული გაუტანია. ამისთანა კაცს ვალის ამღები ჰქვიან და არა “დამფუძნებელი”.

“დამფუძნებელი”-კი მარტო ფულის ჩამომსვლელია და საქმის დამაარსებელი. ჩვენის ბანკის დამფუძნებელმა იმისთანა სიკეთეც გამოიჩინა, თავისდა სასახელოდ, რომ მისის ფულით და მისის ღვაწლით დაარსებულ საქმის გასაძღოლად და წარსამართავად ყოველ წოდების კაცს კარი გაუღო, ყოველის წოდების კაცი მიიწვია, იძმო, მოდით, ერთად ვიშრომოთო, წოდების და ხარისხების მიუხედავადო, თუკი ჩვენის ბანკიდამ სესხით ხელის გამართვას მოიწადინებთო. ამ სახით, “დამფუძნებელი” მარტო ბანკის

დამაარსებელია და ფულის ჩამომსვლელი და სხვა არავითარი ცალკე ქონებრივი დამოკიდებულება არა აქვს ბანკთან, და ვისი რა პასუხისმგებელია, ვისი რა მზღვეველია თავისის მამულითა?" *("უმეცრობის ფართი-ფურთი". 1900 წ.).*

"ბანკი დამფუძნებელს, როგორცა ვთქვით, ახლოც ვერ მიეკარება მამულის თაობაზე. იგი მამულს უყიდის მარტო ვალის გამტანს, ისიც მხოლოდ მაშინ, თუ ვალის დაბრუნების პირობა თავისს დროზე არ შეუსრულა". *("უმეცრობის ფართი-ფურთი". 1900 წ.).*

"მართალია, შესაძლოა დამფუძნებელი ვალის ამღებიც იყოს, ხოლო ამ შემთხვევაში იგი პასუხისმგებელია, ვითარცა ვალის ამღები და არა "დამფუძნებელი". *("უმეცრობის ფართი-ფურთი". 1900 წ.).*

"გავუსწოროთ უმეცარს უმეცრობის ცოდვა და ჩავაგონოთ, რომ თუ ბანკი მამულს უყიდის ვისმე, სხვას არავის, თუ არ ვალის ამღებსა, ისიც მარტო იმ შემთხვევაში, როცა ვალის ამღები ვალის დაბრუნების პირობას არ ასრულებს". *("უმეცრობის ფართი-ფურთი". 1900 წ.).*

"მაშ რა ჰქმნას ბანკმა, რომ მის მიერ ნასესხი ფული ძალით არ დაიბრუნოს, თუ სესხის ამღები ნებით არ უბრუნებს ნასესხსა? ნუთუ მარქსი ოდესმე დამდურებია ბანკს, რომ მის-მიერ გასესხებულს ფულს ძალით იბრუნებს, თუ ნებით არ უბრუნებენ. რომელი ბანკია ქვეყანაზე, რომ ბარაქალა ან მადლობა უთხრას სესხის ამღებს, როცა ნასესხს არ უბრუნებს პირობისამებრ?" *("უმეცრობის ფართი-ფურთი". 1900 წ.).*

"ან ერთობ შესაძლოა განა ქვეყანაზე კრედიტის არსებობა, რა სახის კრედიტიც გინდ იყოს, თუ თავდებული არ იქნება, რომ თუ ნასესხს ნებით არ დაუბრუნებენ, ძალით გაინაღდებს და დაიბრუნებს. ამ შემთხვევაში საადგილმამულო კრედიტის მწარმოებელი ბანკი, როგორც ჩვენებური ბანკია, მით უფრო ხელშემწყობია სესხის ამღებისათვის. რომ მარტო დაგირავებული მამული უნდა იკმაროს, თუ გაყიდვაზე მისდგა საქმე, და სხვა ყოველი ქონება ვალის ამღებისა თავისუფალია, თუნდ დაგირავებულმა მამულმა ნახევარი ვალიც ვერ ააყენოს და ვალის ამღებს თუნდ მილიონები სხვა ეწყოს. სხვაგვარ კრედიტის მწარმოებელ ბანკებს ნება აქვთ, თუ ერთი რომელიმე ქონება ვალის ამღებისა ვალს ვერ გაუწვდა, ყოველს სხვას მის ქონებას აზღვევინონ ნაშთი ვალისა, და თუნდ ცარიელ პერანგის ანაბარას დასვან ვალების ამღები, წარბსაც ვერავინ შეუხრის". *("უმეცრობის ფართი-ფურთი". 1900 წ.).*

- **ქვეყანაზე ამისთანა ჰუმანიურს, თანასაგრძნობელს დედააზრზე აგებული ბანკი სხვა არსად გამიგონია**

"ჩვენი ბანკი, ვითარცა საადგილმამულო კრედიტის დაწესებულება, სხვა ბანკებზე უფრო ხელგაუშლელად, შეღავათიანად ჰხმარობს იმ უფლებას, ურომლისოდაც ვერაგვარი კრედიტი ერთს დღესაც ვერ გასძლებს, ერთს დღესაც ვერ იცოცხლებს". *("უმეცრობის ფართი-ფურთი". 1900 წ.).*

"თუ ქონების გაყიდვის შიში, თუ ძალით გამორთმევის ფიქრი და დარდი არ ექნება ვალის ამღებსა, ვიღა აიტკივებდა თავს ვალის მოსაშორებლად. ეს ერთის მხრით, და მეორეს მხრით ვინ ოხერი იქნებოდა ფული ანდოს ვისმე სესხად და ნება არა ჰქონდეს ძალით აზღვევინოს, თუ ნებით არ დაუბრუნეს? ამიტომაც ქონების გაყიდვა კრედიტის

არსებობისათვის ისეთივე აუცილებელი ძირეული კუთვნილებაა, როგორც ადამიანისათვის სული და ხორცი". *("უმეცრობის ფართი-ფურთი". 1900 წ.).*

"სულ სხვაა, როცა სჯიჯგნიან იმისთანა საქმეს, რომელიც ჭირადაც გვყოფნის და ლხინადაც, რომლის დიდის ღვაწლით და შესაწირავით აგვიჩენია, გაგვიმართავს და ეს ოცდაექვსი წელია ვმოქმედებთ. სულ სხვაა, როცა ამისთანა თვალწინ დაყენებულ საკუთარ საქმეზე განგებ თუ უნებლიეთ თვალებს გვიბმენ, გონებას გვიხშობენ, გულს გვიტეხენ. რაც გინდ დამწამონ, რაც გინდ გუნდრუკის კმევა მიკიჟინონ, მე ამაებს არ შევუშინდები და იმ უეჭველს მართალს გულის სიწმინდით ვიტყვი, რომ ჩვენებური ბანკი, რომელიც წელიწადში ოცი ათას თუმანზე მეტს მოგებას იძლევა და ამ ოცი ათას თუმნიდამ თითქმის ათი ათასს თუმანს საზოგადო, საქვეყნო ჭირსა და ვარამს ანდომებს, იმისთანა დაწესებულებაა, რომ ყველა რიგიანს და ჭეშმარიტ ქართველს უნდა სასიქადულოდ და თავმოსაწონებლად მიაჩნდეს, რომ შევძელით, ამისთანა რამ შევქმენით, ჩვენის საკუთარის ღონით და შეძლებისამებრ ვპატრონობთ და ვუძღვებით". *("უმეცრობის ფართი-ფურთი". 1900 წ.).*

"ვინ რას იტყვის, რომ, თუ ნაკლულოვანობა აქვს ჩვენებურს ბანკს, ამხილოს ვინმემ და გულისტკივილით თავიდამ მოაცილოს. მადლობის მეტი რა ეთქმის ამისთანა კაცს". *("უმეცრობის ფართი-ფურთი". 1900 წ.).*

"რა ჰქვიან ამისთანა საქციელს მე არ ვიცი, და რიგიანი კაცი-კი ამას ინატრებდა, რომ დედამიწა გაირღვეს და თან ჩაიტანოს, ვიდრე თავისის ქვეყნის ერთადერთს საკუთარს საქმეს, საკუთარის თაოსნობით წარმოებულს და მომქმედს, ასეთი დღე დააყენოს. იმისი მაინც როგორ არა სცხვენიათ, რომ ჩვენებურს ბანკს არავითარი წოდებრივი საგანი არა აქვს, არავითარი კერძო ინტერესი. აბა ერთი სხვა ბანკი გვიჩვენეთ იმისთანა, რომ მისი მოგება არავისს ცალკე ჯიბეში არ მიდიოდეს და მარტო საზოგადო საქვეყნო საჭიროებას ჰხმარდებოდეს. აბა ერთი იმისთანა ბანკი მიჩვენეთ, რომ ფულს მე ჩამოვსულიყავ და მოგება-კი საზოგადო საჭიროებისათვის შემეწიროს. ქვეყანაზე ამისთანა ჰუმანიურს, თანასაგრძნობელს დედააზრზე აგებული ბანკი სხვა არსად გამიგონია და ხელი არ უნდა გაუხმეს იმ ბოროტს, ვინც ამისთანა საქმეს ჰლამობს ცილისწამებით, ტყუილებით ციხე-სიმაგრე შეუნგრიოს, სახელი გაუტეხოს. მაშ რაღაა იგი თქვენი თავში ცემა და ყვირილი, რომ ყველა ცალკე ადამიანი საზოგადოებისათვის უნდა იღვწოდეს, საზოგადო გამოკეთებას და გამდიდრებას უნდა ემსახურებოდეს და არა მარტო თავის თავსაო. მაშ ის თავში ცემაც და ყვირილიც ტყუილი ფართი-ფურთი ყოფილა! თავად-აზნაურობამ დააარსა ჩვენი ბანკი, მის მოგებაში, თავისდა სასახელოდ, თითონ საკუთრად წილი არ ჩაიდო, იგი საზოგადო საჭიროებას შესწირა და თქვენ-კი გამოსულხათ და ეუბნებით: ეგ რა ჰქენით, თქვენი საფლავი თქვენის ხელითვე რათ გაითხარეთო. კაცობაა ასეთი საქციელი? ეს არის თქვენი ახალი მოძღვრება! ეს ხომ პირდაპირ იმასა ჰნიშნავს, რომ კაცი საზოგადო საქმიდამ გინდათ კერძო ინტერესზე ჩამოახდინოთ, საზოგადო საჭიროებისათვის ფეხადგმული კაცი მის საკუთარ კერძო ინტერესზე მიახედოთ და, რომ უფრო ადვილად მისწვდეთ თქვენს საწადელს, შიშით გულს უხეთქავთ, იღუპებიო, რომ სხვას საშველად ხელს უწვდიო და თქვენსას ყველას უწილადებთ წოდებისა და ხარისხის განურჩევლადო! ამისი თქმა გინდათ განა! მაშ ამაში სხვა რა აზრია, როცა ამბობთ, მერე ტყუილადაც, რომ ბანკი, რომელსაც საგნად აქვს თავისის მოგებით საზოგადო საჭიროებას გაუძღვეს, შენ გასუსტებს და გარღვევსო, მამულებს გიყიდის და გაღატაკებსო. ეს ყოველივე ხომ ცოცხალი ტყუილია და რად გინებებიათ ასეთი ტყუილი

მუქარა და შიში? ძლივძლივობით ჩვენში საზოგადო საქმის სურვილმა ფეხი აიდგა, საზოგადო საჭიროებისათვის ფულის გადადებამ და გამოღებამ ძლივძლივობით ერთი საზოგადო საქმე შექმნა საზოგადო სამსახურისათვის, კერძო ინტერესები არ იკადრა, არ გააჭაჭანა და ამაზე ადამიანს აფრთხობთ და გულს უტეხთ. ეს არის თქვენი სიმბოლო სარწმუნოებისა, ეს არის თქვენი ახალი აღთქმა! ეგ ხომ ათადამ-ბაბადამვე ვიცოდით, რომ თუ მე არ ვიქნები, ქვა ქვაზედაც ნუ იქნებაო. ეს ხომ საზოგადო ინტერესებიდან კერძო ინტერესებზე ჩამოხდომაა! ეს ხომ უკან გაბრუნებაა წინ მიმავალ კაცისა! ეს ხომ უკან დახევაა!" *("უმეცრობის ფართი-ფურთი". 1900 წ.).*

- **განა ვინც, ან რაც, ფულით გამოხატულ მდგომარეობაშია, იგი ფინანსური დაწესებულებაა?**

"განა ვინც ან რაც ფულით გამოხატულ ნივთიერ მდგომარეობაშია, იგი "ფინანსიური" დაწესებულებაა? განა ნივთიერი მდგომარეობა, თუნდაც ფულით გამოხატული, რომელისამე დაწყობილობისა და თითონ დაწყობილობა თავით თვისით ერთი და იგივეა, ერთსა და იმავე საგანსა ნიშნავს? განა ფულადი გამოხატული ნივთიერი მდგომარეობა თუნდ ბ-ნ ჟორდანიასი და თითონ ბ-ნი ჟორდანია ერთი და იგივეა? ამ ლექსიკონურს ფართო მნიშვნელობას "ფინანსებისას" რომ ავყვეთ, გამოვა, რომ სამიკიტნოც "ფინანსიური დაწესებუ-ლებაა", რადგან არ არის ქვეყანაზე იმისთანა სამიკიტნო, რაც გინდა უხეირო იყოს, რომ ფულად გამოსახატავი, ან გამოხატული ნივთიერი მდგომარეობა, ასეთი თუ ისეთი, არა ჰქონდეს. "კვალსაც", რა თქმა უნდა, ფულად გამოსახატავი, ან გამოხატული რაიმე მდგომარეობა აქვს უსათუოდ და აქედამ განა ის გამოდის, რომ "კვალი" ფინანსიური დაწესებულებაა?" *("ახალი უმეცრობანი ბ-ნ ნოე ჟორდანიასი". 1900 წ.).*

"ჩვენებური ბანკები დაფუძნებულია თავად-აზნაურთაგან და განსაკუთრებულ საგნადა აქვს ბანკის მოგებიდამ გაუძღვეს საზოგადო ჭირსა და ვარამს, ყოველივე ინდივიდუალური შეხედულება ბანკიდამ გამოდევნილია. თითონ დამფუძნებელთ არავითარი წილი საკუთრად თავიანთ სასარგებლოდ არ ჩაუდვიათ ბანკის მოგებაში, ყოველი კერძო გამორჩენა, კერძო სარგებლობა უარუყვიათ და გაუბათილებიათ თავისდა სასახელოდ და თითო გროშები ერთმანეთს მიუწებებიათ და შეუწირავთ საზოგადო საჭიროებისათვის". *("ქარაფშუტობა, ორთავიანობა და ორპირობა უმეცარისა". 1900 წ.).*

"ჩვენებური ბანკი კანონით ვალდებულია თვისი მოგება სულ მთლად, გარდა იმისა, რაც სხვადასხვა კაპიტალებს უნდა მიეწილადოს, საზოგადო საჭიროებას მოახმაროს, და საკრედიტო ბანკი-კი მისს საკუთარ ნებაზეა დაშთენილი, ასე რომ, უნდა _ სამადლო საქმესა იქმს, არ უნდა _ არა იქმს. განა ეს სულ ერთი და იგივეა? განა ამათ შორის დიდი ზღვარი არ არის? ვალდებულობა და ნებაზე მიგდება საქმისა ერთი და იგივეა?" *("ქარაფშუტობა, ორთავიანობა და ორპირობა უმეცარისა". 1900 წ.).*

- **საგლეხო ბანკი: არსი, ფუნქციებისა და დაფუძნების წესის თავისებურებები**

"საგლეხო ბანკის განსაკუთრებული და ერთადერთი აზრი ის არის, რომ გლეხკაცობას, რა უწყებისაც გინდ იყოს, გაუადვილოს მამულების სყიდვით შეძენა, როცა მამულის პატრონს გასყიდვა უნდა და გლეხკაცობას სყიდვა. მთელი მოქმედება ამ ბანკისა იმაზეა მიქცეული, რომ გლეხკაცობას სესხად აძლიოს ფული მამულის სასყიდლად და ამნაირად ნასყიდი მამული გირაოდ იქონიოს ნასესხის გადახდამდე." *("საგლეხო ბანკის საკითხისათვის". 1889 წ. 9 იანვარი).*

"მამულის სასყიდლად ფული მიეცემათ სესხად ცალკე გლეხსაც, ამხანაგობასაც (ხოლო როცა ამ ამხანაგობაში სამზედ ნაკლები კაცი არ იქნება), ცალკე სოფელსა სოფლეულად, მთელს სასოფლო საზოგადოებას, თუნდა საზოგადოებაში რამდენიმე ცალკე სოფელი იყოს, ანუ რომელისამე დიდის სოფლის ერთს ნაწილსაცა, და რამდენსამე სასოფლო საზოგადოებასაც ერთად, როცა მამულს საერთოდ ჰყიდულობენ." *("საგლეხო ბანკის საკითხისათვის". 1889 წ. 9 იანვარი).*

"ამ სახით ცალკე გლეხი იქნება, თუ რამდენიმე გაამხანაგდებიან, ცალკე სოფელი, დიდი სოფლის რომელიმე ნაწილი, მთელი საზოგადოება, თუ რამდენიმე საზოგადოება ერთად, საგლეხო ბანკი ყველას მიაწვდის სესხსა მამულის სასყიდლად." *("საგლეხო ბანკის საკითხისათვის". 1889 წ. 9 იანვარი).*

"როცა მამულსა ჰყიდულობს მთელი სასოფლო საზოგადოება, მაშინ ბანკში შეტანილ თხოვნასთან ერთად უნდა წარდგენილ იქმნას კანონიერი განაჩენი სოფლის საზოგადოებისა. ეს განაჩენი შედგენილი უნდა იქმნას იმ გლეხთაგან, რომელთაც ხმა აქვთ სოფლის ყრილობაში და რომელთა რიცხვი არა ნაკლებ ორის მესამედისა უნდა იყოს. ეს განაჩენი შემოწმებულ უნდა იქმნას სათემო მართველობისაგან. როცა მამულს ჰყიდულობენ რამდენისამე სოფლის საზოგადოებანი ერთად, ამასთანავე განაჩენები უნდა წარუდგინონ ბანკსა და შიგ ჩაურთან, რომ ერთმანეთის თავდებობას ჰკისრულობენ ნასესხის ვადაზედ სახდელად. ამასთანავე თავდებობით ხელწერილი უნდა წარუდგინონ ბანკსა მაშინაც, როცა რამდენიმე გლეხი საამხანაგოდ ჰყიდულობს მამულსა." *("საგლეხო ბანკის საკითხისათვის". 1889 წ. 9 იანვარი).*

"საგლეხკაცო ბანკის წესდებაში განსაზღვრულია, რა რაოდენობის სესხის აღება შეუძლიან გლეხკაცობას. ეგ იმაზეა დამოკიდებული, მამულს საერთო სახმარად ჰყიდულობენ, თუ ცალკ-ცალკე სახმარებლად. პირველ შემთხვევაში _ თითო მამაკაცთა სულზე შეიძლება მიეცეთ თორმეტ თუმან ნახევარი, და მეორე შემთხვევაში თითო კომლზედ ორმოცდაათი თუმანი. თუ განსაკუთრებული პატივსადები რამ საბუთი იქნება, შესაძლოა ზემოხსენებულზედ მეტიც მიეცეთ, ხოლო ამისათვის განსაკუთრებული შუამდგომლობაც უნდა და ყოველივე ამისთანა წარმატებაზედ უსათუოდ ფინანსთა მინისტრისაგან ნებართვა უნდა აიღოს ბანკმა. ამ პატივსადებ საბუთთა შორის დასახელებულია, მაგალითებრ, იგი, როცა სასყიდელი მამული სარწყავი სათიბია, ან საბოსტნეა, ან საკანაფე, და სხვა ამგვარი." *("საგლეხო ბანკის საკითხისათვის". 1889 წ. 9 იანვარი).*

"როცა ამისთანა მამულია სასყიდელი, მაშინ განსაკუთრებული დაფასება უნდა მოხდეს მამულისა, და რამოდენადაც დაფასდება, დაფასების მანეთზედ მიეცემა არა

უმეტეს ხუთმეტი შაურისა. სხვა ყოველ შემთხვევაში-კი წინათვეა დანიშნული, რა ადგილას, რა მხარეში, რამდენი უნდა მიეცეს დესეტინაში." *("საგლეხო ბანკის საკითხისათვის". 1889 წ. 9 იანვარი).*

"გლეხკაცობა, რომელიც ისურვებს ბანკს მიჰმართოს ფულის სასესხებლად მამულის სყიდვისათვის, თვითონ უნდა მოურიგდეს მამულის პატრონს. მორიგების პირობა უნდა ხელმოწერილი იქმნას ორისავე მხრისაგან და შემოწმებული ან ნოტარიუსისა, ან მომრიგებელ მოსამართლისა და ან სათემო მართველობისაგან. ამ პირობაში ზედმიწევნით აღრიცხული უნდა იყოს: რამდენი სული გლეხი ჰყიდულობს მამულს, რამდენს დესეტინას, და თითო დესეტინას რა ფასად. თუ ვინიცობაა, ბანკიდამ გამოსატანი ფული ვერ ასწვდება მორიგებულს ფასს, მაშინ ხსენებულს პირობაში ნაჩვენები უნდა იყოს დასამატებელი ფული როგორ და რა გზით უნდა გადაუხადოს მამულის პატრონს მსყიდველმა." *("საგლეხო ბანკის საკითხისათვის". 1889 წ. 9 იანვარი).*

"თუ ვინიცობაა ბანკიდამ გამოსატანი ფული აუდგა მორიგებულს ფასსა და მსყიდველმა არაფერი არ უნდა დააყაროს, მაშინ საქმე მალე თავდება, ფული ეძლევა გამსყიდველს და ნასყიდობის წერილი მსყიდველსა, რასაკვირველია, მას შემდეგ, როცა ეგ წერილი კანონიერად დამტკიცებული იქნება უფროს ნოტარიუსისაგან; მაშინ-კი, როცა მორიგებულ ფასს ბანკიდამ გამოსატანი ფული ვერ აუდგება, მსყიდველმა უნდა წარუდგინოს ბანკს ან დასამატებელი ფული, ან ხელწერილი გამსყიდველისა, რომ ფულს აცლის ვადითა. თუ მამულის მსყიდველმა სამის თვის განმავლობაში მას იქით, რაც სესხის გატანა დაუნიშნეს, ან დასამატი ფული, ან ხსენებული ხელწერილი მამულის პატრონისა არ წარუდგინა ბანკს, ბანკი საქმეს აბათილებს." *("საგლეხო ბანკის საკითხისათვის". 1889 წ. 9 იანვარი).*

"ბანკისაგან ნასესხებ ფულზედ გლეხკაცი იხდის წელიწადში ყოველს ასს მანეთს ნასესხზედ რვა მანეთს და ათს შაურს თავნსა და სარგებელში, თუ ოცდაოთხის წლით და ნახევრით აღებულია სესხი, და თუ ოცდათოთხმეტის წლით და ნახევრით _ მაშინ შვიდ მანეთსა და ათს შაურს." *("საგლეხო ბანკის საკითხისათვის". 1889 წ. 9 იანვარი).*

"ყველაზედ უწინარეს საცნობელი ის არის, რომ საგლეხკაცო ბანკი, როგორც ყოველივე სხვა ბანკი, ჰყიდის გირაოდ მიღებულს გლეხკაცთაგან ნასყიდს მამულს, თუ ვინიცობაა გლეხკაცმა ბანკში შესატანი ფული თავის ვადაზედ არ შეიტანა ნასესხის მოსაშორებლად. ეს ყოველ საადგილმამულო ბანკისათვის აუცილებელი და თავი და თავი საჭიროებაა. უამისოდ საადგილმამულო ბანკს ერთი დღეც გაძლება არ შეუძლიან." *("საგლეხო ბანკის საკითხისათვის". 1889 წ. 10 იანვარი).*

"რომ ეს არასასიამოვნო საჭიროება მართლა აუცილებელია, ამას ამტკიცებს თვით ეს საგლეხკაცო ბანკი, რომელსაც კაცი ვერ შესწამებს, რომ გულითა და სულით არ უნდოდეს ამ შავისა და უბედურის დღისაგან დაიხსნას მსესხებელი. მაგრამ რას იზამთ, რომ ამას ვერ იშვნევს ბუნება საადგილმამულო კრედიტისა და თვით ყოვლადშემძლებელი სახელმწიფო, რომელიც დღეს საგლეხკაცო ბანკს ბოძად უდგა, უღონოა წესად დაიდვას გაუსყიდველობა დაგირავებულ მამულისა, თუ მსესხებელი დანიშნულ ვადაზედ არ გაუსწორდა ბანკსა." *("საგლეხო ბანკის საკითხისათვის". 1889 წ. 10 იანვარი).*

"ამ მხრით გლეხკაცობას ვერაფერს შეღავათს მისცემდა საგლეხკაცო ბანკი. ამას იმიტომ ვამბობთ, რომ არავინ იფიქროს, რაკი ბანკმა მაყიდვინა მამული, თითონვე როგორღა გამიყიდისო. გაგიყიდით, თუ ბანკს მის პირობას არ შეუსრულებთ." *("საგლეხო ბანკის საკითხისათვის". 1889 წ. 10 იანვარი).*

“ხოლო ზოგიერთს შეღავათს-კი იძლევა ბანკი და ყველაზედ წინ შეღავათად ჩასათვლელია ის, რომ ბანკი ვადაზედ შესატან ფულს ყოველს ექვსს თვეზედ წინ კი არა სთხოვს, გლეხკაცობას, როგორც სხვა ბანკები, არამედ სესხის დღიდგან ექვსის თვის შემდეგ.” *(“საგლეხო ბანკის საკითხისათვის”. 1889 წ. 10 იანვარი).*

“ეს საკმაოდ საგრძნობელი შეღავათია, იმიტომ რომ გლეხკაცს, რომელიც მამულსა ჰყიდულობს ბანკისაგან ნასესხის ფულით, ისე ებღერტება ჯიბე, რომ ყოველი გროში მისთვის სანატრელია, და სად შეუძლიან იმავე დროს ნასესხის ფულის სარგებელი ექვსი თვისა წინათვე გაიღოს. ექვსი თვის შემდეგ-კი სულ სხვაა, საკმაო დრო აქვს ან ნასყიდს მამულს გამორჩეს რამ, ან თავის მარჯვენასა, გროში გროშს შეაკეცოს და შესატანი გადაიხადოს.” *(“საგლეხო ბანკის საკითხისათვის”. 1889 წ. 10 იანვარი).*

“მართალია, თუ ვადაზედ გლეხკაცმა ბანკში შესატანი ფული არ შეიტანა, და ნება აქვს მამულის გასყიდვის დღემდე შეიტანოს, მამული გასყიდვისაგან დაიხსნას, მაგრამ ვადის გადაცილების დღიდამ ფულის შეტანის დღემდე თვეში ერთი გროში (1/2 კაპეიკი) ჯარიმა უნდა გადაიხადოს ყოველს არ შეტანილს მანეთზედ. ეს ჯარიმა ეპატიება, თუ ჯეროვანი მოწმობა მთავრობის მოხელეობისა მიიტანა ბანკში მასზედ, რომ შესატანი ფული დააგვიანა რაიმე უბედურების გამო, სახელდობრ, ან დაეწვა რამ, ან წყალმა ავნო, ან სეტყვამ, ან საქონლის ჭირმა, ან კალიამ წაუხდინა ნათესი, ან სულ მოუცდა მოსავალი, ან უეცრად მოკვდა, ან ქვეშაგებად ჩავარდა ოჯახის გამძღოლი კაცი და სხვა ამისთანა.” *(“საგლეხო ბანკის საკითხისათვის”. 1889 წ. 10 იანვარი).*

“ამავე მიზეზთა გამო შესაძლოა გლეხკაცს ადროვონ თვით ვადაზედ შესატანი ფულიცა, ხოლო იმ პირობით კი, რომ ნარჩენი შეტანილ იქმნას ორის წლის განმავლობაში, ასე რომ ყოველ ექვსის თვის შესატანს ნარჩენის მეოთხედი ზედ შეეკეცოს ხოლმე. თუ ორი წელიწადი ზედაზედ შეემთხვა გლეხკაცს ხსენებული უბედურება რამ, მაშინ შესაძლოა ედროვოს გლეხს იმ ხანის შესატანი ფული სამის წლით, იმ პირობით, რომ ერთი მეექვსედი ნარჩენისა ზედ შეეკეცოხ ხოლმე ყოველ ექვსის თვის შესატანს და ნარჩენის მანეთზედ თვეში ერთი გროში (1/2 კაპ.) სარგებელი იხადოს.” *(“საგლეხო ბანკის საკითხისათვის”. 1889 წ. 10 იანვარი).*

“გლეხკაცს, რომელსაც ეყიდება მამული ფულის არ-შეტანის გამო, ერთი შეღავათიც ეძლევა მამულის გამოსახსნელად გასყიდვისაგან. ამისთანა გლეხკაცმა უნდა წარუდგინოს საბუთი ბანკსა, რომ ნარჩენს ფულს მოიშორებს ან მით, რომ იჯარით გასცა მამული, ან მით, რომ ნაწილს მამულისას ჰყიდის, ან სასოფლოდ ახვნევინებს მამულს, ან სხვა რაიმე გზით, რომელსაც ბანკი საბუთად შეიწყნარებს.” *(“საგლეხო ბანკის საკითხისათვის”. 1889 წ. 10 იანვარი).*

“გარდა ამ შეღავათებისა, გლეხკაცობას ისიც მინიჭებული აქვს ბანკისაგან, რომ არავითარს ხარჯს არა სწევს სახელმწიფო არც სესხის აღებაში, არც მამულის სყიდვაში, ყოველივე ქაღალდი მამულის სყიდვის თაობაზედ თავისუფალია ყოველ გადასახადისაგან, არც ღერბის ფული, არც დასამტკიცებელი, არც სამწერლო მასალები არ ერთმევა გლეხკაცს ამ შემთხვევაში.” *(“საგლეხო ბანკის საკითხისათვის”. 1889 წ. 10 იანვარი).*

“ხოლო ნასყიდობის წერილზედ დანიშნულია ოთხი აბაზი თაბახზედ, თუ ფასი ნასყიდისა ხუთს თუმანზე მეტია, და თუ ნაკლები _ სამი შაური თაბახზედ.” *(“საგლეხო ბანკის საკითხისათვის”. 1889 წ. 10 იანვარი).*

“ჩვენ არ ვიცით, რამდენად შეიცვლება ეს წესდება ჩვენის ქვეყნის მიხედვითა. ეს-კი აშკარაა, რომ ეგ წესდება, შეუცვლელად ჩვენში გადმოტანილი, არ შეფარდებული, არ

შეწონილი ჩვენის ქვეყნის ვითარებასთან, იმ სიკეთეს ვერ მოიტანს, რის შემძლებელიც არის. და იმოდენად ფეხს ვერ გაიდგამს, რამოდენადაც სასურველია ჩვენებურ გლეხკაცობისათვის." *("საგლეხო ბანკის საკითხისათვის". 1889 წ. 10 იანვარი).*

"ერთი დიდი საგრძნობელი წუნი საგლეხკაცო ბანკისა ის არის, რომ გლეხკაცისაგან სესხის აღება ამ ბანკიდამ მეტად გაჭიანურებულია. ამას თითონ რუსეთშიაც უჩივიან. ჯერ მინამ გლეხი ბანკის კარამდე მივა, თავისი დაემართება: მეტად ბევრი მიწერ-მოწერაა, მეტად ბევრს ქაღალდებს ჰთხოულობს ბანკი გლეხკაცისაგან, მერე იმისთანა ქაღალდებსა და განაჩენებს, ურომელთოდაც ძალიან ადვილად შესაძლოა სესხის აღების საქმეს თავი და ბოლო მოებას." *("საგლეხო ბანკის საკითხისათვის". 1889 წ. 10 იანვარი).*

"ამისთანა და სხვაც მისებრი ფორმალობა ტყუილუბრალოდ აჯანჯლებს საქმეს, მეტს ხარჯსა, დროსა და აქეთ-იქით სიარულს ითხოვს, და ყოველ ამით უძნელებს გლეხკაცს ბანკის კარამდე მისვლას." *("საგლეხო ბანკის საკითხისათვის". 1889 წ. 10 იანვარი).*

"გლეხკაცი ისე არაფერს უფრთხის, როგორც სამწერლოებში გაბმას, ქაღალდების წერას და ამისათვის ტანტალსა. სასურველია, რომ ჩვენში საგლეხკაცო ბანკის წესები ამ მხრით გადაისინჯოს და რაც მეტი ფორმალობაა, შეძლებისამებრ გამოკლებულ იქმნას. ამ ფორმალობის განმარტივება, ისე-კი, რომ საქმეს არა ეზიანოს-რა, პირველი საჭიროებაა საგლეხკაცო ბანკისათვის, თუ უნდა პირველ ხანშივე გლეხკაცობის გული მოიგოს. უამისოდ გლეხკაცობა შორს გაუდგება ბანკსა და ძნელად მიეკარება, ნამეტნავად ჩვენში, საცა გლეხკაცი ძალიან ჰშიშობს იმისთანა საქმეში გაებას, რომელსაც ბევრი მიწერ-მოწერა და უკან დევნა მოსდევს." *("საგლეხო ბანკის საკითხისათვის". 1889 წ. 10 იანვარი).*

"ეს ადვილად მისახვედრიც არის: გლეხკაცი საქმის კაცია, დრო და მოცდენა ძვირად უღირს. იმას აღარ ვიტყვით, რომ ქაღალდების წერასა და საქმის უკან დევნას თავისი აუცილებელი ხარჯი აქვს." *("საგლეხო ბანკის საკითხისათვის". 1889 წ. 10 იანვარი).*

"საადგილმამულო ბანკს საზოგადოდ ერთი ძირითადი საგანი აქვს, რომლის მოწყობასა და ვითარებაზედ დამყარებულია ჯერ თვით ბანკის სიმაგრე და სიმტკიცე და მერე მსესხებელის ინტერესი. ეგ საგანი გირაოდ მისაღებ მამულის დაფასებაა." *("საგლეხო ბანკის საკითხისათვის". 1889 წ. 10 იანვარი).*

- **მამულის დაფასების ორი წესი**

"დაფასება ორგვარია: ერთი ნორმალური და მეორე სპეციალური. ნორმალური იმაში მდგომარეობს, რომ ბანკს წინათვე დანიშნული აქვს, რა ფასად უნდა მიიღოს დესეტინა ამა და ამ ადგილას. ავიღოთ, მაგალითად, ქართლი: თუ ქართლი მამულის ღირებულების კვალობაზედ ცოტად თუ ბევრად ერთნაირობას წარმოადგენს, ბანკი წინათვე ჰნიშნავს, რომ ქართლში დესეტინას ამა და ამ ფასადა სთვლის. ეს ფასი ნორმად არის დადებული. რაკი სესხის მსურველი წარუდგენს ბანკს საბუთებს იმისას, თუ ქართლში ამდენი და ამდენი სახმარი და გამოსაყენი დესეტინა მაქვსო, ბანკი აღარც მამულის გასინჯვას შეუდგება, აღარც იმის ავკარგიანობის აწონ-დაწონვას, აიღებს და წინათვე დანიშნულ ფასის კვალობაზედ გაიანგარიშებს სესხს და მისცემს. ამას ესეც უნდა დავუმატოთ, რომ ნორმალური ფასი მამულისა ყოველთვის ნამდვილზედ ნაკლებია და საგრძნობლადაც ნაკლები, ასე, რომ ორთა-შუა რიცხვით მაღალ-დაბალი მამული და დესეტინა, ვსთქვათ,

ორ თუმნად ჰფასობს, ნორმალური ფასი ამაზე ქვევითადაც ჩამოდის და თითქმის დაბალის მამულის ფასს არ აღემატება." *("საგლეხო ბანკის საკითხისათვის". 1889 წ. 10 იანვარი)*

"თქმა არ უნდა, რომ ეს ასეც უნდა იყოს. რაკი მამულს უნახავად და გაუსინჯავად გირაოდ იღებს ბანკი, უსათუოდ იმ ფასად უნდა იანგარიშოს, რა ფასადაც იმ ადგილებში უკანასკნელი დაბალი მამული გადის, ესე იგი, იმ ფასად, რომ დაიძახო ვყიდიო, მსყიდველი მაშინვე იპოვო. მსყიდველის პოვნა უეჭველია მხოლოდ მაშინ, როცა მამული ძალიან იეფია. უამისოდ მამულის უნახავად ფასის დადებაში შეცდომა აუცდენელია და შეცდომას ზიანი მოსდევს ბანკისათვის. ამიტომაც ნორმალური ფასი მამულისა შეადგენს უმცირესს ფასს მამულის ღირებულობისას, ანუ, როგორც იტყვიან ხოლმე, მინიმუმია მამულის ღირებულობისა." *("საგლეხო ბანკის საკითხისათვის". 1889 წ. 10 იანვარი)*

"სპეციალური დაფასება-კი სულ სხვა არის. ამას აზრადა აქვს გამოარკვიოს ნამდვილი ფასი მამულისა და რაც შეიძლება ახლო მიუვიდეს მის ჭეშმარიტს ღირებულებას. ამ აზრის შესრულება შეუძლებელია, თუ განგებ ამისათვის დანიშნულმა კაცმა, თუ კომისიამ, თითონ მამული არ ინახულა, დაწვრილებით არ გასინჯა, მისი ავკარგიანობა არ გამოიკვლია, შემოსავალ-გასავალი არ აღრიცხა და ყოველ ამით არ გამოარკვია ფასი." *("საგლეხო ბანკის საკითხისათვის". 1889 წ. 10 იანვარი)*

"ჩვენში-კი სულ სხვაა. აქ მთა-ბარიანი ადგილმდებარეობა ჩვენის ქვეყნისა სრულიად სცვლის ამ გარემოებასა და ერთისა და იმავე სოფლის წრეშიაც-კი შეუძლებლად ჰხდის ერთისა და იმავე ფასის დადგენასა. ამიტომაც ჩვენში საგლეხკაცო ბანკი ვერ მოახერხებს ნორმალურს დაფასებას და უნდა მარტო სპეციალურის დაფასებით იხელმძღვანელოს, ესე იგი, ყოველი ცალკე მამული ცალკე მოსჩხრიკოს, გასინჯოს და ფასი ისე დასდოს. ამ მხრითაც საგლეხკაცო ბანკი ჩვენში ჰსაჭიროებს ჩვენის ქვეყნის შესაფერი წესები შემოიღოს." *("საგლეხო ბანკის საკითხისათვის". 1889 წ. 10 იანვარი)*

"თუ გლეხკაცს ბანკი შემწეობას არ მისცემს ვენახი იყიდოს, ეს ძალიან შეუშლის ხელსა და გლეხკაცს უკან დააყენებს. ჩვენ ვშიშობთ, რომ ამ მხრით გლეხკაცი უნუგეშოდ დარჩება, რადგანაც ამისი მაგალითი უკვე გვაქვს. ნაყმევებს ნება აქვთ საკომლო შეისყიდონ ნაბატონართაგან ხაზინის შემწეობით, ხოლო ვენახების შესასყიდლად-კი ხაზინა არაფერს შემწეობას არ აძლევს. ეს კარგა დიდი დანაკლისია ნაყმევებისათვის, და თუ ამის მიხედვით საგლეხკაცო ბანკმაც გამორიცხა ვენახები ბანკის შემწეობით სასყიდელ მამულთაგან, ძლიერ დააკლდება გლეხსა." *("საგლეხო ბანკის საკითხისათვის". 1889 წ. 10 იანვარი)*

"ჩვენში ზოგი იმისთანა მხარეა, საცა ხვნა-თესვას იმდენად არ მისდევენ, რამოდენადაც ვენახისა და ხილის ბაღსა. რა ჰქმნას ამ ადგილების გლეხმა, თუ საგლეხკაცო ბანკი არ მიეშველა ვენახებისა და ხილის ბაღების სყიდვაშიაც. სასურველია, რომ ეს ნაკლებულობა რუსეთის საგლეხკაცო ბანკისა, რუსეთში არაფრად შესამჩნევი, ჩვენში აუცილებელ იქმნას." *("საგლეხო ბანკის საკითხისათვის". 1889 წ. 10 იანვარი)*

- **კრედიტის არსი. ეკონომიური ბუნება კრედიტისა**

"საცა კრედიტი ფრთას არა ჰშლის, იქ ფული არ შეადგენს თანხას, მომქმედს და მწარმოებელს, იქ ფული სიმდიდრეს არა ჰქმნის, იქ ფული უქმიაო. ამიტომაც, თუ მართლა ხაზინა ფულის ნაკლებობას ჰგრძნობს, განკარგება განსამართლების

წყობილებისა _ არამც თუ სასარგებლოა, აუცილებელი საჭიროებაა". *("ცხოვრება და კანონი". 1877-1881 წ.).*

"წინადელი კრედიტი სახელმწიფო ბანკისა მეტად უბარაქოა, რაკი მარტო ვაჭრობის საქმეს ჰშველის და არა მიწათმოქმედების წარმოებასაც, ესე იგი იმ წარმოებასა, რომლის წარმატებაზედაც დამოკიდებულია მთელი კეთილდღეობა რუსეთისა, როგორც იმისთანა სახელმწიფოსი, რომელსაც თავდაპირველი ძალ-ღონე ეკონომიური მიწათმოქმედებისაგან ეძლევა". *("ჩვენი მევენახეობა და მეღვინეობის საჭიროებანი". 1886 წ. 5 მაისი).*

"ჩვენის ფიქრით, ყველაზე უდიდესი და მართლად ზედმიწევნილი წამალი ღვინის საქმის განსაკარგებლად და წარსამატებლად იგია, რომ კომისიას დაუნახავს აუცილებელ საჭიროებად ღვინის მწარმოებელთ იეფი სახელმწიფო კრედიტი მიაშველოს. ამისათვის გადაუწყვეტიათ, რომ ღვინისმწარმოებელს გზა გაეხსნას _ სახელმწიფო ბანკიდამ და მის ცალკე განყოფილებათაგან ფული ისესხოს ხოლმე, რაც შეიძლება იეფად, ვიდრე უკვე დაყენებულს ღვინოებს გაჰყიდიან და გაასაღებენ, და გასყიდვამდე ღვინოები ბანკს გირაოდ ექმნება". *("ჩვენი მევენახეობა და მეღვინეობის საჭიროებანი". 1886 წ. 5 მაისი).*

"ძალიან კარგად იციან, რომ ღვინის წარმოებისათვის ამიერკავკასია წარმოადგენს ყველაზედ უკეთეს ნაწილსა მთელს რუსეთში". *("ჩვენი მევენახეობა და მეღვინეობის საჭიროებანი". 1886 წ. 5 მაისი).*

- **რადგანაც სხვადასხვაგვარია ეკონომიური წარმოება, სხვადასხვაგვარია კრედიტიც**

"რადგანაც ეკონომიური წარმოება და მასთან შეკავშირებული ქონება სხვადასხვაგვარია, ამის გამო სხვადასხვაგვარი კრედიტიც არის." *("ნ. ნიკოლაძე და მისი შეხედულება ბანკზე". 1876 წ.).*

"კრედიტი, რომელიც მიწისმოქმედებისათვის არის საჭირო და მასზედ უნდა იყოს მიქცეული, არის ის კრედიტი, რომელსაც მეცნიერებაში ეძახიან მიწის-სამოქმედო კრედიტსა (Ptvtkmysq)." *("ნ. ნიკოლაძე და მისი შეხედულება ბანკზე". 1876 წ.).*

"მიწისსამოქმედო კრედიტი, რომელსაც უნდა ჰქონდეს საგნად გაძლიერება მიწისმოქმედებისა, ესე იგი იმ წარმოებისა, რომელიც მიწასა და მიწის შემუშავებაზედ არის დამოკიდებული, განირჩევა სხვაგვარის კრედიტისაგან იმნაირის თვისებითა, რომელიც წარმოსდგება მიწისა და მიწის შემუშავების ეკონომიურის ბუნებიდამ." *("ნ. ნიკოლაძე და მისი შეხედულება ბანკზე". 1876 წ.).*

"მიწისმოქმედებაზედ შეიძლება მიქცეული იქმნას შემწეობა კრედიტისა ორნაირის აზრით: ანუ იმისათვის, რომ კაცმა მალე და ერთბაშად მოიგოს რამე, ანუ იმისათვის, რომ თანდათან, გაუწყვეტლივ, ზედმიყოლებით და მკვიდრად ისე გააძლიეროს, წარმართოს, გააუმჯობესოს მიწისმოქმედება, რომ ხანგრძლივად, გაუწყვეტლად და თანდათან მოგება მატულობდეს და არ დაშრეს." *("ნ. ნიკოლაძე და მისი შეხედულება ბანკზე". 1876 წ.).*

"ცხადია, რომ პირველ შემთხვევაში მიწისმოქმედება ქვეყანას არ ააყვავებს, იმიტომ რომ იქ ყოველივე დროებითია, სათუო და სავინიცოა. მეორე შემთხვევაში კი ქვეყნის წარმატება უეჭველია და მტკიცე." *("ნ. ნიკოლაძე და მისი შეხედულება ბანკზე". 1876 წ.).*

"მიწისმოქმედება იმისთანა ეკონომიური წარმოებაა, რომლისაც მკვიდრი და სამუდამო გაუმჯობესება ხანგრძლივს დროს ითხოვს. ამგვარის წარმოების მსვლელობა თავიდამ შესრულებამდე დიდის დროის განმავლობაში მოხდება. არა კაცის ღონეს და მოხერხებას არ შეუძლიან ამ წარმოებას ფეხი აუჩქაროს, იმიტომ რომ აქ ყოველივე

დამოკიდებულია იმ ნივთთა ბუნებაზედ, რომელნიც მიწისმოქმედების ქვემდებარე თანამავალნი არიან და რომელთ თვისების შეცვლა კაცთაგან შეუძლებელია. მაგალითებრ, ხეს ვერ გაზრდი იმ დროზედ ადრე, რაც ბუნებას დაუნიშნავს." *("ნ. ნიკოლაძე და მისი შეხედულება ბანკზე". 1876 წ.).*

"ფული, ჩაყრილი მიწისმოქმედების გასაძლიერებლად, ისე შეუხორცდება ხოლმე მიწასა, რომ მისი იქიდამ ერთბაშად ამოღება შეუძლებელია. ამის გამო მიწისმოქმედება სამკვიდროდ ნაქმნარს ხარჯს ერთადერთს დროს კი არ გვიბრუნებს ხოლმე, არამედ ცოტ-ცოტაობით და თანდათან გვაწვდის, იმ დროის განმავლობაში, რაც მისი მსვლელობისათვის საჭიროა. ეგ მსვლელობა 30, 40, 50 წელს მოითხოვს ხოლმე (ვისაც ვრცლად უნდა ეს საგანი იცნას, როიეს თხზულება წაიკითხოს)." *("ნ. ნიკოლაძე და მისი შეხედულება ბანკზე". 1876 წ.).*

"მიწისმოქმედება იმისთანა თვისების ეკონომიური წარმოებაა, რომ ჯერ თავისის გაუმჯობესებისათვის დიდსა და ხანგრძლივს დროსა თხოულობს და მერე თავნსა, რომელსაც მასზედ ვხარჯავთ, გვიბრუნებს ჩვენ თანდათან და ცოტ-ცოტად და არა ერთბაშად." *("ნ. ნიკოლაძე და მისი შეხედულება ბანკზე". 1876 წ.).*

"კრედიტიც, რომელიც ამ თვისების წარმოებაზედ უნდა იყოს მიქცეული, პირველი ხანგრძლივი უნდა იყოს, მეორე _ ისეთი, რომ ცოტ-ცოტაობით და თანდათან გადიხდებოდეს." *("ნ. ნიკოლაძე და მისი შეხედულება ბანკზე". 1876 წ.).*

"რაკი მიწისსამოქმედო კრედიტი უსათუოდ ხანგრძლივი უნდა იყოს, მაშ ეგ კრედიტი კაცის პირადს ღირსებაზედ არ შეიძლება დამყარდეს, იმიტომ რომ კაცი დღეს არის და ხვალ არ იქნება, არც იმისთანა ნივთზედ, რომელსაც ხანგრძლივად გაძლება არ შეუძლიან უიმისოდ, რომ არ წახდეს და ფასი არ იკლოს." *("ნ. ნიკოლაძე და მისი შეხედულება ბანკზე". 1876 წ.).*

"მაშ მიწისმომქმედს რით შეუძლიან მოიპოვოს ნდობა, ურომლისოდაც კრედიტი შეუძლებელია? მარტო მიწით, რომელსაც იმისთანა თვისება აქვს, რომ რამდენადაც დიდხანსა ძევს, იმოდენად ფასს მატულობს ხალხის გამრავლებისა და საერთო ეკონომიურის წარმატებისა გამო." *("ნ. ნიკოლაძე და მისი შეხედულება ბანკზე". 1876 წ.).*

- **მიწის სამოქმედო კრედიტის სამი უსათუო თვისება**

"მიწისსამოქმედო კრედიტს სამი უსათუო თვისება უნდა ჰქონდეს: 1) ხანგრძლივი იყოს, 2) ცოტ-ცოტაობით და თანდათან გადასახადი და 3) მიწით დაიმედებული." *("ნ. ნიკოლაძე და მისი შეხედულება ბანკზე". 1876 წ.).*

"განა მარტო აქციონერულის ბანკის თვისება არის, რომ დასაგირავებელის მამულისათვის მტკიცე საბუთია საჭირო? ეგ თვითონ მიწათმოქმედების კრედიტის არსებითი სულია. ყოველს მიწისმომქმედის კრედიტის ბანკს, აქციონერული იქნება, თუ ერთმანეთის თავდებობითი, მაგ საგანზედ ერთნაირი წესი აქვს დადგინებული შეუცვლელად და მტკიცედ. უმაგისობა შეუძლებელია და უმაგისოდ ქვეყანაზედ არც ერთი მიწისმოქმედების კრედიტის ბანკი არ ყოფილა, არც არის და არც იქნება." *("ნ. ნიკოლაძე და მისი შეხედულება ბანკზე". 1876 წ.).*

"ეს მაგალითი ისე არ უხდება იმ საგანს, რისთვისაც არის მოყვანილი, როგორც კამეჩს რახტი." *("ნ. ნიკოლაძე და მისი შეხედულება ბანკზე". 1876 წ.).*

“მაშ დერციკს თქვენთვის შეკერილი სერთუკი დაუწუნეთ მარტო იმით, რომ მაუდი ერთისაგან უყიდნია, სარჩული მეორისაგან, ძაფი მესამისაგან და სხვანი, და უთხარით: რადგანაც სხვადასხვა კაცის ნაკვეთიდამ ერთი ცხოველი სურათი ვერ შესდგება, ამიტომაც სხვადასხვა ადგილას ნაყიდი თუ ნაშოვნი მაუდი, სარჩული და ძაფი, ერთს რიგიანს სერთუკს ვერ შეადგენდა-თქო.” *(“ნ. ნიკოლაძე და მისი შეხედულება ბანკზე”. 1876 წ.).*

“მიწისსამოქმედო კრედიტსა სხვა დედაბოძი არა აქვს, თუ არა უძრავი ქონება, რომელზედაც უსათუოდ მტკიცე და კანონიერი საბუთი უნდა ჰქონდეს პატრონსა. გამოაცალეთ ეგ ერთადერთი დედაბოძი და ნახავთ, რა მშვიდობიანად მოუღებთ ბოლოს თვით ბანკსა.” *(“ნ. ნიკოლაძე და მისი შეხედულება ბანკზე”. 1876 წ.).*

“ნუთუ არ გაუგია, რომ მოწმეები და მეზობლები თავისის ეზოს მიწას ჩაიყრიდნენ წაღებში და საცა უნდა წაგეყვანათ, ჰფიცავდნენ, რომ ჩემს მიწაზე ვდგევარო. მეზობლებმა რომ ბანკი მოატყუონ, ვინ იქნება პატრონი? ერთი ეს მითხარით: მემამულის მოდავე და ხელისშემშლელი ვინ არის სხვა ჩვენში, თუ არა მეზობელივე, და სად თქმულა, რომ მოდავემ თავისი მოკამათეს და მექიშპეს მისცეს მოწმობა, რომ ჩვენ შორის სადაო მამული შენია და არა ჩემიო.” *(“ნ. ნიკოლაძე და მისი შეხედულება ბანკზე”. 1876 წ.).*

- **ბუნება და დანიშნულება საადგილმამულო კრედიტისა**

“საადგილმამულო კრედიტის ავკარგიანობის დაფასება და აწონვა ვისაც უნდა, იმან ყველაზედ უწინარეს ბუნება უნდა გაუსინჯოს თვითონ კრედიტსა იმ მხრით: უხდება თუ არა იმ საქმეს, რისთვისაც მოწვეულია. ამის გარეთ ყოველი სჯა და ლაპარაკი უქმია და უთავბოლო.” *(“ტფილისის ქართული საადგილმამულო ბანკი”. 1886 წ. 9 ივნისი).*

“რაკი ასე არევ-დარევით ვლაპარაკობთ ხოლმე საადგილმამულო კრედიტზედ, რაკი მისი ბუნება და დანიშნულება ცხადად არ არის ჩვენში წარმოდგენილი და ცნობილი ბევრისაგან, და ამის გამო სჯასა და კამათობაში აზრთა არეულობა ჰსუფევს, საჭიროა ერთხელ და ერთხელ ვრცლად განმარტება საადგილმამულო კრედიტისა ყოველმხრივ.” *(“ტფილისის ქართული საადგილმამულო ბანკი”. 1886 წ. 9 ივნისი).*

“ეხლა კი მოკლედ ვიტყვით, რომ ბუნება საადგილმამულო კრედიტისა სწორედ ზედგამოჭრილია ადგილ-მამულის საჭიროებაზედ და ამის გამო იმნაირად შეფერებულია მიწასთან და მიწათმოქმედებასთან, რომ ვისაც კი ჰსურს იგი გამოიყვანოს, უსათუოდ ხელს მისცემს და ახეირებს.” *(“ტფილისის ქართული საადგილმამულო ბანკი”. 1886 წ. 9 ივნისი).*

“დანიშნულება საადგილმამულო კრედიტისა განკარგებაა მამულ-დედულისა, გაძლიერება მიწათმოქმედობის ღონისა და მომცემლობისა.” *(“ტფილისის ქართული საადგილმამულო ბანკი”. 1886 წ. 9 ივნისი).*

“მიწათმოქმედობა და ერთობ ყოველივე მრეწველობა, რომელიც დამოკიდებულია მიწისა და მის ბუნებაზედ, იმისთანა რამ არის, რომ ხარჯს განკარგებისას და მომცემლობის გაძლიერებისას მალე და ერთბამად არ უბრუნებს პატრონსა.” *(“ტფილისის ქართული საადგილმამულო ბანკი”. 1886 წ. 9 ივნისი).*

“თავნი ფული, ჩაყრილი მიწაში განსაკარგებლად და მომცემლობის გასაძლიერებლად, დიდ ხანსა რჩება მოუბრუნებლად და ერთბამადაც უკუ არა ჰბრუნდება. მარტო კარგა ხნის განმავლობაში მიწა იხდის, ანუ უკეთ ვსთქვათ, უბრუნებს

პატრონს თავნს ფულს და მის სარგებელს ცოტცოტაობით და თანდათანობით გაძლიერებულ მომცემლობის ნამეტანობისაგან." *("ტფილისის ქართული საადგილმამულო ბანკი". 1886 წ. 9 ივნისი).*

"მეცნიერთაგან გამოკვლეულია, რომ მიწაზედ დამოკიდებული მრეწველობა, ყველაზედ უმაღლესად დამბრუნებელი თავნისა თავისის სარგებლით, პირუტყვთ-მოშენებაა, და ამასაც კი უნდება თვრამეტი წელიწადი და არა ნაკლებ. სხვა ყოველი მრეწველობა, მიწაზედ დამოკიდებული, თხოულობს თითქმის ოცდაათს, ორმოცს და ორმოცდაათს წელიწადსა, რომ ამ ხნის განმავლობაში განკარგულებისათვის დახარჯული თავნი ფული და სარგებელი მისი თანდათანობით ააყენოს და დაუბრუნოს დამხარჯველსა. ესეთია ბუნება მიწისა და მიწათმოქმედობისა." *("ტფილისის ქართული საადგილმამულო ბანკი". 1886 წ. 9 ივნისი).*

"იგი ღონე, რომელიც მიწისა და მიწათმოქმედობის განკარგებისა და გაძლიერებისათვის მოიწვევს ხოლმე საჭირო ფულს, საადგილმამულო კრედიტია. მაშასადამე, ბუნება ამგვარის კრედიტის შეთანასწორებული უნდა იყოს მიწისა და მიწათმოქმედობის ბუნებასთან, სახელდობრ: კრედიტი უნდა იყოს ხანგრძლივი და ამასთანაც ისეთი, რომ მისგან მოტანილი და ნასესხები თავნი თავისის სარგებლით ერთბამად არ მოითხოვოს და სჯერდებოდეს თანდათანობით, ცოტცოტაობით ნასესხების დაბრუნებას. სწორედ ამისთანაა საადგილმამულო კრედიტი: ხანგრძლივია, მაგალითებრ, ტფილისის ბანკში 43½ წელიწადზედ ნაკლები არ არის, და ამასთან თანდათანობით დამჯერი თავნის და სარგებლის დაბრუნებისა." *("ტფილისის ქართული საადგილმამულო ბანკი". 1886 წ. 9 ივნისი).*

"ერთადერთი წყარო, რომელიც ბანკიდამ ვალის ამღებს სახსარს აძლევს ვალის გადახდისას, მიწაა და მიწათმოქმედება, აღებულის ვალის თავნით განკარგებული და გაძლიერებული. რა პირობითაც თვითონ წყაროა ვალის მხდელი, თუ იმ პირობითვე არ არის აღებული ვალი, მხოლოდ მაშინ არის კრედიტი, ვალის მძლეველი, დასაწუნარი და უარსაყოფელი." *("ტფილისის ქართული საადგილმამულო ბანკი". 1886 წ. 9 ივნისი).*

"საადგილმამულო კრედიტის პირობანი-კი სწორედ ამისთანანი არიან, რა პირობითაც თვითონ წყაროა მისი გამძღოლი: ხანგრძლივი და არა ერთბამად დამბრუნებელი ნასესხებისა, არამედ ცოტცოტაობით და თანდათანობით." *("ტფილისის ქართული საადგილმამულო ბანკი". 1886 წ. 9 ივნისი).*

- **რას უწუნებენ ჩვენს ბანკებს, ანუ ღვთის წყალობით როტშილდი რომ გვეწვიოს?**

"მაშ რას უწუნებენ ჩვენს ბანკებს? განა ჩვენის ბანკების კრედიტი ამისთანა არ არის, ესე არ არის მოწყობილი? ამისთანა და ესეა მოწყობილი, ხოლო ამბობენ, რომ ჩვენ მაგაებისათვის მომზადებულნი არა ვართ და ვერ მოვახერხებთო; ჩვენ რაკი ფულს ავიღებთ ვალადაო, მაშინვე ვჭამთო და ვალი ვალად გვაწვებაო. აქ ბანკი რა შუაშია? იმ შუაშიაო, გვიბრძანებს ბ-ნი აკაკი, რომ ადვილად გვაძლევს სესხად ფულსაო და წაგვაცდენს ხოლმეო. რომ ადვილად არ იძლეოდნენ, ნუთუ მაშინ ჩვენი ბანკები უფრო გულშესატკივარნი, უფრო თანაგრძნობის ღირსნი, უფრო უკეთესნი იქნებოდნენ? ნუთუ მაშინ წუნი აღარ დაედებოდათ? ადვილად შოვნა ფულისა, არა გვგონია, ქვეყნის დამღუპავი იყოს სადმე, და თუ ჩვენს ქვეყანას ეგ დაჰღუპავს, პირველი მაგალითი იქნება

მთელს ქვეყნიერობაზედ. ესე რომ ვიაროთ, იქამდის მივალთ, რომ საადგილმამულო კრედიტის გაიეფებაც უფრო ბოლოს მოგვიღებს, რადგანაც იეფს კრედიტს უფრო ბევრი მუშტარი ეყოლება, უფრო ბევრი წაეტანება, იეფი კრედიტი უფრო ბევრს წააცდენს, ვალს ააღებინებს იმათაც-კი, ვინც სიძვირის გამო ეხლა ახლოსაც არ ეკარებიან. მაშინ ხომ სულ დავიღუპებით და დავიღუპებით!.. ეხლა რომ ჩვენ ერთი ღვთის წყალობა გვეწიოს, გამოჩნდეს როტშილდი და გვითხრას: აბა ვისაც გიჭირთ, ფულს გასესხებთ, სარგებელი არ მინდა, ოღონდ თავნი დამიბრუნეთო, და თუ არ დამიბრუნებთ, თქვენს ქონებას ვაზღვევინებო, _ ნუთუ ეს სანატრელი კაცი ქვეყნის დამღუპველად ჩაითვლებოდა მარტო იმით, რომ გაგვიადვილა ფულის შოვნა, ჯერ მით რომ ფულს სესხად გვაძლევს, და მეორე მით, რომ სარგებლს არა ჰთხოულობს! განა ამისთანა ვალის ამღებზედ კი არ ითქმოდა იგი, რასაც ბ-ნი აკაკი წერეთელი ამბობს ჩვენის ბანკებიდამ ვალის ამღებზედ, რომ რაკი თავნის დაბრუნების ვადა მოუვიდოდათ და ცარიელის თავნის გადასახდელადაც არაქათი არ ექნებოდათ _

"მამა-პაპეულის დაკარგვა ენანებოდათ და თავს აღარ იზოგავდნენ, ოღონდ კი იმ შემთხვევას გადარჩენოდნენ; მამასისხლად იღებდნენ განზედ სადმე სესხს და მით კიდევ უარესს საფრთხეში ვარდებოდნენ: ერთხელაც იყო ის მამულები ეკარგებოდათ, და განზედაც კიდევ "როტშილდის" წყალობით აღებული ვალი საშვილიშვილოდ ჰღუპავდა..." და სხვანი." *("ტფილისის ქართული საადგილმამულო ბანკი". 1886 წ. 9 ივნისი).*

"არა, ბატონებო! თუ ვალის ამღებმა ვალი იმიტომ აიღო, რომ ფული შეჭამოს, იმას არა უშველის-რა, იმას არა იხსნის-რა მიწასთან გასწორებისაგან." *("ტფილისის ქართული საადგილმამულო ბანკი". 1886 წ. 9 ივნისი).*

"ყოველი წესი, რიგი, დაწყობილობა, სიკეთე, მარტო წინდახედულის, ფრთხილის, გონიერის კაცისათვის არის ქვეყნიერობაზედ და არა გიჟისა და დამთხვეულისათვის. გიჟი, დამთხვეული, დღეს იქნება თუ ხვალე, კლდეზედ უნდა გადავარდეს, ამ ბედს იგი არსად არ წაუვა. აქაო და ქვეყანაზედ გიჟები არიანო, ჭკუიანებისათვისაც ხელმოსაცვლელს და ხელთშესაწყობსაც ნურას იზამთო, _ ეგ მეტისმეტი თავდაუჭერელი, შეუწყნარებელი და საუბედურო სურვილია." *("ტფილისის ქართული საადგილმამულო ბანკი". 1886 წ. 9 ივნისი).*

- **კრედიტ-გარეთ მარტო მიწათმოქმედნი არიან დარჩენილნი**

"სოფლის ნაწარმოების ფასის ნაკლებობას მიზეზადა აქვს უქონლობა გლეხკაცთათვის შესაფერ კრედიტისა." *("საგლეხო გამსესხებელ-შემნახველი საზოგადოებანი და მოკლევადიანი კრედიტის საკითხი გლეხკაცობისათვის". 1890 წ. 23 იანვარი).*

"აწ არსებულნი საკრედიტო დაწესებულებანი _ სახელმწიფო, თუ საზოგადოებისანი, _ რომელთაც კი საგნადა აქვთ მოკლევადიან სესხით ხელი გაუმართონ ფულისთვის გაჭირებულთ და ამისათვის ვექსილის ჩამორთმევა, ანუ საქონლის გირაოდ მიღება იკმარონ, თითქმის მარტო იმათ უღებენ კარს კრედიტისას, ვინც ვაჭარია და ვინც სავაჭრო საქმეს და საქარხნო, თუ საფაბრიკო მრეწველობას მისდევს. ამ სახით ვაჭრობას დიდი და ფართო გზა აქვს მიცემული საჭირო ფული იშოვნოს თავის საქმეში სამოქმედოდ და სატრიალებლად." *("თბილისის საურთიერთო სამეურნეო კრედიტის საზოგადოება". 1893 წ. 4 ნოემბერი).*

“სოფლის მეურნეობა ერთი იმისთანა საქმეა, რომელსაც ორი დიდი გაჭირება აქვს თავის გაძლიერებისათვის. ერთია სამუდამოდ განკარგება მამულისა, რომელიც დიდხანს დაბანდებას ფულისას ჰთხოულობს და ამასთან დაბანდებულს ფულს წვრილწვრილად და თანდათანობით აბრუნებს უკან და არა ერთხანად და მთლად. ამ საჭიროებას იმისთანა კრედიტი უნდა, რომელიც ხანგრძლივია და წვრილწვრილად გადასახდელი. აი სწორედ ამისთანა კრედიტს იძლევა საადგილმამულო ბანკი.” *(“თბილისის საურთიერთო სამეურნეო კრედიტის საზოგადოება”. 1893 წ. 4 ნოემბერი).*

“ხოლო სოფლის მეურნეობას, მიწათმოქმედებას სხვა მოკლე ვადის საჭიროებაცა აქვს. მაგ., საჭიროების მანძილია მოკლე ხანა მოსავლიდამ მოსავლამდე. ამ მოკლე ხანში მეურნეობას ხშირად უჭირს ხოლმე ხარჯის გასაძღოლად ფული. ხან იმიტომ, რომ წინა წლის მოსავალი თავის დროზე და თავის ფასად ვერ გაუყიდნია, ხან იმიტომ, რომ წინა წლის მოსავალი ნაკლებია და არა სწვდება ხარჯსა. რა ჰქმნას ამ სოფლის მეურნემ? უნდა სადმე იშოვოს ფული ახალ მოსავლამდე. რადგანაც ამ მოსავლიდამ მოსავლამდე ხარჯს ახალი მოსავალი მთლად და ერთხანად უბრუნებს ხოლმე, ამიტომაც მეურნისათვის საშიშარი არ არის სესხის ვადად ახალი მოსავალი დაიდოს და პირობად ერთხანად და მთლად დაბრუნება ნასესხისა. ამ გაჭირებას უნდა სწორედ იმისთანა კრედიტი, რომელიც მოკლევადიანია და ერთხანად მოსაშორებელი.” *(“თბილისის საურთიერთო სამეურნეო კრედიტის საზოგადოება”. 1893 წ. 4 ნოემბერი).*

“საადგილმამულო კრედიტი ბუნებითად ხანგრძლივია, რთული, მრავალის აუცილებელ ფორმალობით დატვირთული, და კაცი, მინამ მის მოთხოვნილებას აასრულებს, მოსავლიდამ მოსავლამდე გაჭირებას ვერას უშველის.” *(“თბილისის საურთიერთო სამეურნეო კრედიტის საზოგადოება”. 1893 წ. 4 ნოემბერი).*

“მოკლევადიანი და ერთხანად მოსაშორებელი კრედიტი-კი სწრაფია დაუყოვნებელი. მოსავლიდამ მოსავლამდეც ხომ იმისთანა ხანაა, რომ სწრაფს და დაუყოვნებელ მიშველებას თხოულობს. ამგვარი კრედიტი ემყარება მხოლოდ მსესხებელის ან კეთილსინდისიანობას და შეძლებას, ან მის წარდგენილს მოძრავს გირაოს.” *(“თბილისის საურთიერთო სამეურნეო კრედიტის საზოგადოება”. 1893 წ. 4 ნოემბერი).*

“აწ მომქმედნი ტფილისში საკრედიტონი, სახელდობრ “ტფილისის საზოგადოება საურთიერთო კრედიტისა”, “ტფილისის საკომერციო ბანკი” და აგრეთვე “განყოფილება სახელმწიფო ბანკისა”, რომელნიც ამგვარ მოკლევადიან კრედიტს აწარმოებენ ჩვენში, _ მარტო სავაჭრო მრეწველობას ხელს უმართავენ და თითქმის მარტო იმათ ჰშველიან, ვინც ვაჭრობაშია.” *(“თბილისის საურთიერთო სამეურნეო კრედიტის საზოგადოება”. 1893 წ. 4 ნოემბერი).*

“ამ სახით კრედიტ-გარეთ დარჩენილ არიან მარტო ერთნი მიწათმომქმედნი. მარტო ესენი არიან მოკლებულნი იმ კეთილმომქმედ შემწეობას აწვდინოს გაჭირვებულს შეღავათიანი სესხი მოკლე ხნით, ერთის მოსავლიდამ მეორემდე.” *(“თბილისის საურთიერთო სამეურნეო კრედიტის საზოგადოება”. 1893 წ. 4 ნოემბერი).*

“დღევანდელი მოკლევადიან კრედიტის წესი სხვაფრივადაც სჩაგრავენ მიწათმომქმედსა. თვითონ სოფლის მეურნეობის ნაამაგევი ჭირნახული, რაც გინდ ბევრი ჰქონდეს მიწათმომქმედს, მის ხელში უქმი განძია, ვიდრე გაჰყიდის და ფულად აქცევს. არც ერთი ზემოხსენებული საკრედიტო არ დაიგირავებს ხოლმე იმ ჭირნახულს და ამ გზითაც სესხით ხელს არ უმართავს მის პატრონს. ამის გამო იგი სიმდიდრე, რომელსაც ჭირნახული წარმოადგენს, უქმადა ჰდევს როგორც პატრონისათვის, ისეც თვით წარმოებისათვისაც მთელ დროს, მოსავლის დღიდამ გასყიდვამდე. ეს არამც თუ

ზარალია ცალკე კაცისათვის, არამედ ქვეყნისათვისაც. ეს ამბავი მით უფრო შეუწყნარებელია, რომ იგი ჭირნახული, რაკი მომქმედისაგან ვაჭრის ხელში გადავა, შესაძლოა გირაოდ მიღებულ იქმნას სესხის სათავდებოდ." *("თბილისის საერთიერთო სამეურნეო კრედიტის საზოგადოება". 1893 წ. 4 ნოემბერი).*

"სხვათა შორის გამოთქმული იყო, რომ ამ-გვარის კრედიტის სიძვირეს ვერ აიტანს გლეხის მეურნეობა და თუ ღონისძიება არ მოინახა გაიაფებისა, გლეხის შემეწობა უქმი სურვილი იქნება." *("შინაური მიმოხილვა". 1882 წ. აპრილი-მაისი).*

"რაში იყო ბუნება მორიგებისა, რომელიც ჩვენ ზემოთ ვახსენეთ, სახელდობრ _ რაში გამოიჩინა თავი? იმაში, რომ გადიტანა კაპიტალი ერთიდამ მეორესთან და ფულის მაგიერობა გასწია. ეს კარგად დავიხსომოთ.

მაგრამ ხსენებულს მორიგებაში უსათუოდ ნდობა უნდა იყოს მორიგებულთა შორის. აი სწორედ ეგ ნდობა, რომლის ძალითაც კაპიტალი გადადის ერთის ხელიდამ მეორეში, რომელიც განხორციელდება ხოლმე ხსენებულ მორიგებაში და რომელიც ფულის მაგიერობას გაგვიწევს ხოლმე, არის ის, რასაც კრედიტს ეძახიან." *("შინაური მიმოხილვა". 1883 წ. იანვარი).*

- **კრედიტი ორ-პირი მახვილია, ანუ ვინ როგორ იმსახურებს და ვინ როგორ გამოიყენებს კრედიტს**

"კრედიტი ორ-პირი მახვილია. ეგ იმაზედ არის დამოკიდებული, კრედიტს ვინ როგორ იმსახურებს, ვინ როგორ გამოიყენებს. თუ კაცი კრედიტს წარმოების გასაძლიერებლად არ მოიხმარებს, იგი კაცის დამღუპველია. ის კრედიტი კი, რომელიც იხმარება წარმოების გასაძლიერებლად, ერთი იმისთანა ეკონომიურ ძალთაგანია, ერთი იმისთანა წყაროა საზოგადო სიმდიდრისა, ურომლისოდაც კეთილდღეობა საზოგადოებისა ძნელად იგულისხმება, იმიტომ რომ კრედიტს გადააქვს რა კაპიტალი ფულად თუ წარმოების მასალად, იარაღად თუ სხვაგვარ სახმარ ნივთად, გადააქვს იქიდამ, საცა ყოველივე ეგ უქმად აწყვია, იქ _ საცა საჭიროა წარმოების გასაძლიერებლად, და ამ სახით მოარიგებს ხოლმე კაპიტალს ყოველგან და ყოველგანვე იმ სარგებლობას მოატანინებს, რისთვისაც კაპიტალი დანიშნულია." *("შინაური მიმოხილვა". 1883 წ. იანვარი).*

"მაშასადამე, კრედიტი, ეკონომიურის თვალით გასინჯული, ერთი იმისთანა გამოსადეგი ღონეთაგანია, რომლის შემწეობითაც გროვდება გაფანტული და უქმი კაპიტალი საზოგადოებისა და ერთის ხელიდამ მეორეში გადადის წარმოების გასაძლიერებლად. ეგ გაძლიერება წარმოებისა ერთად-ერთი, მხოლოობითი საგანია და მიზანი კრედიტისა. ამიტომ იგივე გაძლიერება წარმოებისა მხოლოობითი ღონისძიება-ღა არის კრედიტის პასუხის გასაცემად." *("შინაური მიმოხილვა". 1883 წ. იანვარი).*

"რადგანაც წარმოება და მასთან შეერთებული ქონება სხვადასხვა-გვარია, თითონ კრედიტიც სხვადასხვა-გვარია იმისდა მიხედვით, თუ რა წარმოებაზედ და რა ქონებაზედ არის მიქცეული. მაშასადამე, რომ თვალი ავიხილოთ მასზედ, თუ რაგვარი კრედიტი უჭირდა ჩვენს ქვეყანასა და რა-გვარი კრედიტი გახდა საფუძვლად ჩვენის ბანკების წესდებისა, საჭიროა შევიტყოთ, რა-გვარი წარმოება თხოულობდა ჩვენში კრედიტის შემწეობას და რა-გვარი ქონებაა იმ წარმოებასთან შეერთებული." *("შინაური მიმოხილვა". 1883 წ. იანვარი).*

“ამას ეჭვი არ უნდა, რომ ჩვენი ქვეყანა მიწათ-მომქმედი ქვეყანაა და ერთად-ერთი წარმოება, რომელსაც იგი ამოქმედებს, სასოფლო მეურნეობაა, ესე იგი _ იმისთანა წარმოება, რომელსაც პირდაპირ მიწასთან აქვს საქმე და მიწის-მოქმედებასთანა. ეს არის ერთად-ერთი წარმოება, რომლის გაძლიერებისათვის გვინდა შემწეობა კრედიტისა და რომელიც თითქმის ერთად-ერთი წყაროა ჩვენის სიმდიდრისა.

კრედიტი, რომელიც ამ წარმოებას ეხმარება, არის ეგრეთ-წოდებული სასოფლო მეურნეობის კრედიტი, ანუ საადგილ-მამულო. მაშასადამე, საადგილ-მამულო კრედიტს, როგორც კრედიტს, საგნად მარტო ის უნდა ჰქონდეს, რომ გააძლიეროს სოფლის მეურნეობის წარმოება. და რადგან ეს წარმოება განუყოფელად შეერთებულია მიწასთან და მიწათ-მოქმედებასთან, ამიტომაც საადგილ-მამულო კრედიტი ირჩევა ყოველ სხვა-გვარ კრედიტთაგან იმ განსაკუთრებულ თვისებებით, რომელნიც წარმოსდგებიან თითონ მიწათ-მოქმედების და მიწის ეკონომიურ ბუნებისაგან.” *(“შინაური მიმოხილვა”. 1883 წ. იანვარი).*

“გავსინჯოთ ეკონომიური ბუნება ერთისაც და მეორისაც. მიწათ-მოქმედებაზედ მიქცეული, კრედიტის შემწეობით, კაპიტალი ორ-გვარად შეიძლება მოიხმაროს კაცმა: ერთი იმისათვის _ რომ დროებითი და შემთხვევითი გამორჩომა ნახოს, მეორე იმისათვის _ რომ სამუდამოდ მკვიდრად განაკარგოს მეურნეობა. ცხადია, რომ პირველ შემთხვევაში მიწათ-მოქმედება ვერ მისცემს მტკიცეს და კეთილსაიმედო ღონეს კრედიტის პასუხის გასაცემად და ამით კრედიტის განვითარებისათვის ხელმოკლეა, იმიტომ რომ ამ შემთხვევაში ყველაფერი დროებითია და შემთხვევაზეა დამოკიდებული. მეორე შემთხვევაში-კი, ესე იგი მაშინ, როცა კაპიტალი მიქცეული მიწათ-მოქმედებაზედ მარტო იმ განზრახვით, რომ მკვიდრად და სამუდამოდ გააძლიეროს წარმოება მიწათ-მოქმედებისა, მიწათ მოქმედების შემოსავალი თანდათან მატულობს, ძლიერდება, და ეგ მატება და გაძლიერება უფრო მტკიცე, უფრო მუდმივი ღონისძიებაა კრედიტის პასუხის-საგებლად.

ხოლო მიწათ-მოქმედება იმ-გვარი წარმოებაა, რომლის სამუდამოდ და მკვიდრად განკარგებისათვის საჭიროა დიდი ხანი. ამ წარმოების აჩქარება ვერა მანქანებას კაცისას არ შეუძლიან, იმიტომ რომ აქ ყველაფერი დამოკიდებულია თითონ იმ ნივთთა ბუნებაზედ, რომელნიც მაგ წარმოებას ემსახურებიან და რომელთ ბუნების შეცვლაც კაცთა ხელთ არ არის. მაგალითებრ, ვაზს, რომელსაც დღესა ვრგავთ, ვერ ვეტყვით, ექვს თვეზედ ყურძენი გამოისხიო. ამისთანაც, მიწათ-მოქმედებაზედ მიქცეული კაპიტალი შეეხორცება ხოლმე მიწასა, ისე რომ ერთბაშად უკანვე ამოღება ყოვლად შეუძლებელია. შეიძლება ამოღება მხოლოდ თანდათან ნამეტანისაგან შემოსავლისა, ისიც იმ დროთა განმავლობაში, რომელიც უსათუოდ შეზომილი უნდა იყოს თითონ წარმოების ქცევის დროსთან. მიწათ-მოქმედების წარმოებაში ეგ ქცევა მეტად ხანგრძლივ დროს ითხოვს, 30-ს, 40-ს, 50-ს წელს, და ამაზედ მეტსაც.

აი ამ სახით, მიწათ-მოქმედება იმისთანა წარმოებაა, განსხვავებული ყოველ სხვა-გვარ წარმოებისაგან, რომელიც შესაძლოა მტკიცედ და მკვიდრად განკარგებულ და გაძლიერებულ იქმნას მხოლოდ ხანგრძლივ დროთა განმავლობაში და რომელიც ერთხანად და ერთბაშად არ უბრუნებს დახარჯულს კაპიტალსა, არამედ თანდათან და ფეხმძიმედ ზრდის შემოსავალს და იქიდამ იშორებს იმავე თანდათანობით, იმავე ფეხმძიმობით. აი, ორი განსაკუთრებული თვისება მიწათ-მოქმედებისა. აი, სახელდობრ, ამ ორის მიწათ-მოქმედების განსაკუთრებულის თვისებისაგან წარმოსდგება ორი არსებითი და აუცილებელი თვისება საადგილ-მამულო კრედიტისაცა: ერთი თვისება ის

არის, რომ კრედიტი ხანგრძლივი იყოს, და მეორე ისა, რომ კრედიტს პასუხი გაეცეს ერთხანად და ერთბაშად კი არა, არამედ თანდათანობით, ყოველ-წლიურის შემოსატანით ნამეტანისაგან შემოსავლისა." *("შინაური მიმოხილვა". 1883 წ. იანვარი).*

"აშკარაა, რაკი საადგილ-მამულო კრედიტი უსათუოდ ხანგრძლივი უნდა იყოს, მისდა საიმედოდ იმისთანა ქონება უნდა იქმნას, რომელიც ხანგრძლივობას აიტანს, რომელიც დროთა განმავლობაში არა ფუჭდება, ფასს არ იკლებს. ამისთანა ქონება მარტო მიწაა და ეგ მიწაა ერთად-ერთი ქონება მიწათ-მოქმედებისა, რომლითაც იგი მოიპოვებს ხოლმე კრედიტსა, ნდობას, იმიტომ რომ თითონ მომქმედს, როგორს სიკვდილის შვილს, პირადად ხანგრძლივ 40 და 50 წელიწადს ვერავინ ენდობა, არც მის წარმოებას, რომელიც ერთბაშად არ უბრუნებს დახარჯულს კაპიტალსა. ეხლა ვნახოთ, ეკონომიური ბუნება მიწისა რამოდენად ხდის შესაძლოდ საადგილ-მამულო კრედიტის ხანგრძლივობასა." *("შინაური მიმოხილვა". 1883 წ. იანვარი)*

"მიწა ჩვენშიაც, როგორც ყოველგან სხვაგან, უფრო მკვიდრი და მტკიცე თამასუქია, ვიდრე სხვა-გვარი ქონება, იმიტომ რომ საზოგადო წარმოების გამო მრავლდება ერი; ერის გამრავლებით მიწას მუშტარი ემატება, მაშინ როდესაც თითონ მიწა კი არც მატულობს, არც იზრდება, რაც ბუნებას გაუჩენია _ მასზედ მეტი ვერ გახდება. მუშტარის მომატებას ამ შემთხვევაში მიწის ფასის აწევა მოსდევს და ამ სახით მიწა, დღეს გირაოდ მიღებული, შესაძლოა ათს და ოცს წელიწადს ერთი-ორად მეტის ფასისა გახდეს. ამაზედ თითონ ჩვენშიაც დარწმუნდებიან, ვისაც ახსოვს, რა ღირდა უწინ მიწა ჩვენში და რა ღირს დღეს. გარდა ამისა, რა არის ქვეყნიერობაზედ სხვა-გვარი ქონება, რომ ორმოც და ორმოც-და-ათს წელიწადს გასძლოს მთლად, უვნებლად, დაუკლებლად, როგორც მიწა სძლებს. ამიტომაც მარტო ეგ-გვარი ქონება ხდის შესაძლოდ საადგილ-მამულო კრედიტის ხანგრძლივობას.

ამ სახით, საადგილ-მამულო კრედიტი არის იმისთანა კრედიტი, რომელიც 1) ხანგრძლივია, 2) ერთბაშად არა თხოულობს კაპიტალის დაბრუნებას, არამედ აცლის, რომ კაცმა იმ წარმოების მიხედვით, რაზედაც მიქცეულია კრედიტი, თანდათან და ნელ-ნელად გადაიხადოს ყოველწლივ სამსახური კრედიტისა გაძლიერებულის შემოსავლისაგან და 3) რომელიც თუ არ მიწის იმედით, სხვა არაფრით არ მოიპოვება და არაფერს ვერ მიენდობა." *("შინაური მიმოხილვა". 1883 წ. იანვარი).*

"ამ სამს პირობას გარეთ არ არის და ვერც იქნება საადგილ-მამულო კრედიტი, ამის მოცემის მეტი არა შეუძლიან რა. ამაზედ მეტს ვინცა სთხოვს საადგილ-მამულო კრედიტს, იმას კრედიტის სუნიც არ მისდენია, და თუ მაინც თავისი დაუჭინია, თავის-თავსვე დააბრალოს, რომ ჯვართუცვია თავი და ტყუილად და უბრალოდ.

თუ ეს არსებითნი პირობანი საადგილ-მამულო კრედიტისა არ არის შეტანილი ჩვენის ბანკების წესდებაში, მაშინ რომ იმისათვის ჯვარცმულ ყოფილიყო ვინმე, მშვენიერს გვირგვინს წამებისას ჩვენს ქებითა და დიდებით დავადგამდით, თუ არა და მუხას მისდგომიან, ვაშლი რატომ არ გასხიაო. იმიტომ, ბატონებო, რომ ყველას თავისი ბუნება აქვს და თავის ბუნების მიხედვითYმოქმედობს." *("შინაური მიმოხილვა". 1883 წ. იანვარი).*

"მართალია, კრედიტი ორპირი მახვილია. ვინც კრედიტით მოპოებულ ფულს საქმეს მოახმარებს და მით საქმეს შემოსავლისათვის გაიძლიერებს, მისთვის კრედიტი მისწრაფევაა, და ვინც გაჰფლანგავს და ჭერში ქუდის სროლით ლხინს მოანდომებს, მისთვის ყელის გამოსაჭრელია და საფლავის მთხრელი. აქ თითონ კრედიტი რა შუაშია,

როცა კაცი თავისის-თავის მტერია? დანისა რა ბრალია, როცა კაცი მით ყელს იჭრის მაშინ, როდესაც იგი გამოჩენილია, რომ კაცს ყელები-კი არ სჭრას, არამედ საქმე უკეთოს. რკინისგზა რა შუაშია, თუ კაცი განგებ, ან გაუფრთხილებლობით ქვეშ მოჰყვება და გაიჭყლიტება? განა ამ შემთხვევაში საბუთი აქვს ჭკუათმყოფელს კაცს სთქვას, რომ ბუნება და დანიშნულება რკინისგზის ის არის, რომ კაცები ჟლიტოსო? არა აქვს საბუთი". *("უმეცრობის ფართი-ფურთი". 1900 წ.).*

- **ფული: აღვირახსნილმა ფარფაშობამ ფულისამ გაჰბაწრა და შესთოკა ადამიანი**

"ფული რა არის?! ხელის ჭუჭყია... ერთი თუმანი რა სათქმელია!.. ჯავრი რომ არ შევარჩინე, ეს რადა ჰღირს! ტყუილ-უბრალოდ რომ არ დავეჩაგვრინე, ცოტაა?! *("ოთარაანთ ქვრივი". [1886] – 6 ქრისტეშობისთთვეს 1887 წელსა).*

"ფულის ნაკლებობა ხაზინაში წარმოსდგება ეკონომიურ ვითარებისაგან საზოგადოდ და, გარდა ამისა, საკუთრივ იმისაგანაცო, როცა არსებითნი ორღანონი მართლმსაჯულებისა რიგიანად აგებულნი და მომართულნი არ არიანო. ეგ ურიგობა ამხობს კრედიტსაც და სულსა ჰხუთავს ყოველს ხელთმოქმედებას და წარმოებასაო". *("ცხოვრება და კანონი". 1877-1881 წ.).*

"სამართალი და განათლების საქმე ასეთი უაღრესნი და არსებითნი საჭიროებანი არიან სახელმწიფო კეთილდღეობისათვის, რომ აქ ფულის გაფრთხილება, ფულის დაზოგვა, ხარჯის შიში, მეტად მავნებელი რამ არის, როგორც საზოგადოებისათვის, ისე სახელმწიფოსათვის. სამართლის ურიგოდ მოწყობილება სვავია _ რომელიც სნთქავს ხალხის სიმდიდრესა, მახვილია _ რომელიც ჰკვეთს ფრთებსა ხალხის ხელთმოქმედებას და ეკონომიურს წარმოებას. ფული ორმოში იმალება იქ, საცა იმედი გაწყვეტილია, რომ ჩემი ნაწარმოები ჩემი იქნება; თუ ვინმემ გაბედა და შემეცილებაო. და თუ ფული არ მუშაობს, თუ ხალხში თანხა უშიშრად არა ტრიალებს, თუ ხალხში მკვიდრი იმედი არ არის დამყარებული, რომ ყოველს ცილებას ადვილად გადამარჩენს სამართალიო. ყოველს დანაკარგს ადვილად და სწრაფად დამიბრუნებსო, _ მაშინ სიმდიდრე ხალხისა, და აქედამ სიმდიდრეც სახელმწიფოსი, ამაო ნატვრაა. მაშინ ურთიერთშორისი ყისტი, ეხტიბარი (კრედიტი), ნდობა გატეხილია და, საცა ეს არ არის ფრთაგაშლილი და ფეხადგმული, იქ ნიშადურიც რომ ამოსცხოთ ხალხის სიმდიდრეს და ხაზინისას, რომლის მხოლოობითი წყარო ხალხის სიმდიდრეა, _ ერთს ნაბიჯსაც წინ ვერ წაადგმევინებთ. კანონის სიმტკიცე, სიმკვიდრე, მიუდგომლობა, დადგრომილობა, არამც თუ დიდი რამ არის, _ ჩვენის ფიქრით, მიუცილებელია საზოგადოების, თუ სახელმწიფო სიმდიდრისათვის, და ეგე ყოველიფერი მაშინ არის, როცა სამართალი რიგიანად არის აგებული და რიგიანად წარმართებული. ყველამ უნდა იცოდეს მეთქი გულდადებით, რომ მე ჩემი მალე დამიბრუნდება, მე ჩემი არ დამეკარგება, ერთის სიტყვით _ სამართალი და კანონი ისეთია, რომ მისი არც კარგი სჯერათ და არც ავი, მაშინ, ვიმეორებთ, ყოველიფერი ამაოა, მაშასადამე, ამისთანა საქმეში, როგორც სამართლის აღგება და დაყენებაა, ფულის დაზოგვა, ხარჯის შიში _ დიდი შეცდომა და შეუვსებელი ნაკლია". *("ცხოვრება და კანონი". 1877-1881 წ.).*

"ჯერ კიდევ პუშკინმა სთქვა, რომ ქვეყანაზე გაბატონებას, ქვეყნის დაჩემებას მარტო ოქრო და ხმალი ეცილებიან ერთმანეთსაო (Всё моё, сказало злато, всё мое, сказал булат.

Всё куплю сказало злато, всё возьму, сказал булат).” *(“ძველი და ახალი ჩვენი ეკონომიური ცხოვრებისა”. 1897 წ. 20 დეკემბერი).*

“პუშკინმა ეს ამ სამოცი წლის წინათ სთქვა, თუ უფრო ადრეც და მას აქეთ ბევრმა წყალმა ჩაიარა და ბევრიგად იცვალა ცხოვრება ადამიანისა. მაშინ იქნება ხმლის ქადილს ღონეც შესწევდა და ფულს უშიშრად პირში ედგა).” *(“ძველი და ახალი ჩვენი ეკონომიური ცხოვრებისა”. 1897 წ. 20 დეკემბერი).*

“ეხლა კი ხმალს მუცელში ენა ჩაუვარდა: ხმალმაც, როგორც ყოველმავე სხვამ, თოკი ყელზე შეიბა და ფულს დაუკრა თავი, ვითარცა უძლეველს ბატონს ყურმოჭრილმა ძლეულმა ყმამ. ქადილი ოქრო-ვერცხლისა, რომ ყველაფერი ჩემიაო, ყველაფერს ვიყიდიო, გამართლდა”. *(“ძველი და ახალი ჩვენი ეკონომიური ცხოვრებისა”. 1897 წ. 20 დეკემბერი).*

“ეხლა რაც არის _ ფულია და სხვა არაფერი. უფულო ერი ერთა შორის და უფულო კაცი ცალკე ადამიანთა შორის ყმაა ფულიანისა”. *(“ძველი და ახალი ჩვენი ეკონომიური ცხოვრებისა”. 1897 წ. 20 დეკემბერი).*

“ბევრიც რომ თავი მოვიწონოთ და ყელი მოვიღეროთ, აქაო-და მე ბრწყინვალე თავადი ვარ, კეთილშობილი აზნაური, მიწისმფლობელი, თუ მიწისმომქმედი, ტყუილი და სასაცილო დოინჯის შემოყრა იქნება. ყოველმა ამისთანამ ეხლანდელ დროში თავისი მშვილდი ძირს უნდა დასდოს გაბატონებული ფულის წინაშე”. *(“ძველი და ახალი ჩვენი ეკონომიური ცხოვრებისა”. 1897 წ. 20 დეკემბერი).*

“რაც გინდა ქუდი კახურად ჩავიკეცოთ, ყურთმაჯები ვაჟკაცურად მხრებზე გადავიყაროთ და, ისპანიის გაკოტრებულ კუდა-აზნაურივით, ულვაშები გავიწყკიპოთ, ჟანგმოკიდებული ხმალი ჩამოვიკანკუროთ და დოინჯის შემოყრით ვიძახოთ: ჰოი ხმალი პაპაჩემისაო, ფულის ბრძანებას და ბატონობას მაინც ვერსად გავექცევით, ვერსად ვერ დავემალებით: საცა იქნება და როცა იქნება, მოგვისწრობს და ქეჩოში წაგვავლებს ხელს, ან მეყმე და ან შიმშილით სული ამოირთვიო, გვეტყვის”. *(“ძველი და ახალი ჩვენი ეკონომიური ცხოვრებისა”. 1897 წ. 20 დეკემბერი).*

“მართალია, აქ ფული მეტისმეტად სულგრძელად გვექცევა, რადგან ორში ერთის არჩევანს ჩვენს ნებაყოფლობაზე აგდებს. მაგრამ ბევრი სახარბიელო არც ყმობაა და არც სულის ამორთმევა, თორემ ფული არც ისე გაბედოვლათდებოდა, ერთიცა და მეორეც ჩვენს ნებაზე მოეგდო. წყეულ იყოს ამისთანა სულგრძელობა და ამისთანა გარემოება, რომელიც ან ყმობას გვიქადის, ან სულის ამორთმევას და, ამ ორს საარჩევანოს გარდა, სხვა გზას არ აძლევს ადამიანსა”. *(“ძველი და ახალი ჩვენი ეკონომიური ცხოვრებისა”. 1897 წ. 20 დეკემბერი).*

“ნუ გეგონებათ, ვითომც ეს სულთა და ხორცთამხუთავი ძალ-ღონე ფულს დაწერილ კანონისაგან ჰქონდეს მინიჭებული. ესეთი კანონი არა რჯულში არა სწერია, არა კანონმდებელს თავის-დღეში ფიქრადაც არ მოსვლია. ესეთი ძალ-ღონე ფულისა იმ უწერულმა კანონმა შეჰქმნა, რომელსაც ცხოვრებას ეძახიან და რომლის ძალმომრეობა თვით დაწერილ კანონზე უძლიერესია და თავში გამწევი მიუდრეკელად” *(“ძველი და ახალი ჩვენი ეკონომიური ცხოვრებისა”. 1897 წ. 20 დეკემბერი).*

“ჟამთა ცვლამ და ეკონომიურ შინაგან და გარეგან ვითარების წინსვლამ ისტორიაში ისე მოუმართა ფულს ხელი, რომ ყველგან და ყოველმხრივ ცხენის ძუის ბადე გააბა: გაინძრევით თუ არა, ამ ბადეში გაიხლართებით, როგორც ბუზი აბლაბუდაში” *(“ძველი და ახალი ჩვენი ეკონომიური ცხოვრებისა”. 1897 წ. 20 დეკემბერი).*

“თუ კანონს აქ დანაშაული რამ მიუძღვის, მარტო ის დანაშაული, რომ ამისთანა ძალმომრეობას ფულისას იწყნარებს და მჭამელისა და ჭამულის შუა არ ჩასდგება ხოლმე,

რომ ერთი მეორეს არ აჩაგვრინოს, ერთი მეორეს არ ათელვინოს". *("ძველი და ახალი ჩვენი ეკონომიური ცხოვრებისა". 1897 წ. 20 დეკემბერი).*

"თუ კანონი ბატონისა და ყმის შუა ჩაერია და ერთის ძალმომრეობა და მეორის ყმობა დასთრგუნა და გააქარწყლა და მით ქვეყნის მადლობა სამართლიანად მოიხვეჭა, რატომ აღარ უნდა ამოიღოს თავისი ძლევამოსილი ხმა იქ, საცა ბატონის ფულია და სხვა ყოველი მისი ყურმოჭრილი ყმა". *("ძველი და ახალი ჩვენი ეკონომიური ცხოვრებისა". 1897 წ. 20 დეკემბერი).*

"ან მეყმე და ან შიმშილით სული ამოირთვიო, ეს ისეთი შეუწყნარებელი მდგომარეობაა, რომ ამასთან აწ საუკუნოდ განსვენებული ბატონ-ყმობაც-კი მადლად ჩასათვლელია". *("ძველი და ახალი ჩვენი ეკონომიური ცხოვრებისა". 1897 წ. 20 დეკემბერი).*

"რა თქმა უნდა, ამ კანონისაკენ მიმართულს ღაღადებას ჩაგრულისას, ქურდბაცაცა ბურჟუაზია ჩვენ დიდ ცოდვად ჩაგვითვლის ბუკითა და ნაღარითა: პოლიციის მოწვევა რეტროგრადების საქმეაო. აქაურ ბურჟუაზიის სუსტ-ლიბერალური ავანჩავანი "Новое обозрение" მოგვდგება და წრიპინს დაიწყებს: დახეთ, დახეთ, შემუსრეს დედააზრი ლიბერალობისა, პოლიციას იწვევენო. ჩვენ აქ ასეთი წრიპინ-წივილი არ გვიკვირს: რაკი კუდზე ფეხს დაადგამთ, დაიწივლებს, მა რა ეშმაკია. ჩვენთვის საოცარი მარტო ის წინდაუხედავი კადნიერება და გაბედულებაა, რომელიც კაცს ნებას აძლევს ამისთანა ფეხმოკლე თვალთმაქცობა გაასაღოს, გაანაღდოს ლიბერალობის სახელითა. განა საკვირველია, რომ ამისთანა სუტ-ლიბერალობა ჩვენებურ წვრილფეხობაში მუშტარს პოულობდეს და ჰპოულობს კიდეც?" *("ძველი და ახალი ჩვენი ეკონომიური ცხოვრებისა". 1897 წ. 20 დეკემბერი).*

"აღვირაშვებულმა ფარფაშობამ ფულისამ ისე გაჰბაწრა და შესთოკა ადამიანი ეხლანდელ დროში, რომ ვისაც უფულობაში მოასწრო, იმის გაფულიანება თითქმის შეუძლებელიღაა პატიოსან შრომითა და გარჯითა, თუ ერთი უცნაური ბედი რამ არ მოევლინა, მაგალითებრ, შადრევანი ნავთისა, ან ყალბი ფული მართალ ფულად არ გაასაღა, ან შამპანურით სავსე ბოთლი ცარიელ ბოთლად არ შემოეპარა საბაჟოს, ან ერთზე ორი სარგებელი არ აიღო გასესხებულ ფულში და სხვა ამისთანა ჟამთა საფერ საქმეში კოჭი ალჩუდ არ დაუჯდა და სინდისმა არ دააბრკოლა". *("ძველი და ახალი ჩვენი ეკონომიური ცხოვრებისა". 1897 წ. 20 დეკემბერი).*

"თუ არ ამ გზებით, დღეს კაცმა, მარტო და უფულომ, გაფულიანებაზე იმედი უნდა გადიწყვიტოს, რადგანაც მეტ ფულიანი ნაკლებ ფულიანს ყველგან სულსა ჰხდის, საცა კი მოასწრობს". *("ძველი და ახალი ჩვენი ეკონომიური ცხოვრებისა". 1897 წ. 20 დეკემბერი).*

"ტყუილად კი არ არის ნათქვამი: ფული ფულთან მიდისო. ჩვენ, ქართველები, უფულონი ვართ და თუ აგრეა, რამღა უნდა გვიშველოს? სადღაა და რაშიღაა ხსნა? ჩვენი დღევანდელი თავში საცემი საკითხი სწორედ ეს არის და სხვა არა-რა. ამას უნდა შევალიოთ ყოველი ჩვენი სულიერი და ხორციელი ღონე და გზა ხსნისა როგორმე გავიგნოთ, გავითვალისწინოთ". *("ძველი და ახალი ჩვენი ეკონომიური ცხოვრებისა". 1897 წ. 20 დეკემბერი).*

"ერთგვარნი სახსარნი იმისთანანი არიან, რომ ჩვენს საკუთარს თაოსნობასა, მხნეობასა და საქმის გაბედულად შეჭიდებაზედ არიან დმაოკიდებულნი. უნდა ვეცადოთ, რომ რაც თვითეულ ცალკე კაცისთვის მიუწვდომელია, ის ერთიანის შეკრულ-შებოჭვილ ღონით ვიმოქმედოთ: თვითეულის ცალკე გროში ერთად შევაგროვოთ, ღონე ღონეს შევაკეცოთ, შრომა შრომას მივუყენოთ და ამგზით ბევრნი ერთად შევებნეთ უღელში ცხოვრების ავკარგიანობის საწევლად, რომ ჩვენი ნაოფლი, ჩვენი ნაღვაწი ჩვენვე

გვრჩებოდეს, ჩვენვე გვრგებოდეს". *("ძველი და ახალი ჩვენი ეკონომიური ცხოვრებისა". 1897 წ. 20 დეკემბერი).*

"ნუ დაივიწყებთ, რომ ჩვენ საქმე გვაქვს ჩარჩულ ფულთან, რომელიც ყოველ სხვა ფულზე უფრო უღონოა. ჩარჩული ფული ბუნებითად მხდალია, იმიტომ რომ ქურდბაცაცაა, იქა მკის, საცა არ უთესნია. იგი ქვეყანას ქონს აცლის და სამაგიეროდ არას აძლევს, იგი გასამრჯელოს იქ იღებს, საცა არ ირჯება, იგი ჰსუქდება მით, რომ სხვას ამჭლევებს, აჭლექებს, იგი თვითონ ივსება და სხვას აცარიელებს. უფულო კაცი და უფულო ერი მისი საძოვარია, მისი საცხოვრებელია, მაშასადამე, ჩვენი უღონობით არის იგი ძლიერი". *("ძველი და ახალი ჩვენი ეკონომიური ცხოვრებისა". 1897 წ. 20 დეკემბერი).*

"ოღონდ ერთობით, ამხანაგობით ჩვენ ღონე მოვიცეთ და ჩარჩული ფული თავისს საკუთარს ბედისწერას გადაჰყვება, თითონ შესჭამს თავისს თავსა, საკუთარს გესლით მოიწამლება, როგორც ქვემძრომი მორიელი". *("ძველი და ახალი ჩვენი ეკონომიური ცხოვრებისა". 1897 წ. 20 დეკემბერი).*

"თუ ჩარჩული ფული (და სხვა ფულს-კი ჩვენში არა ვხედავთ), დღეს ჩვენში ცალკე კაცს თავში სცემს, ბევრს ერთად თავმოყრილს და მაგრად შეკრულს ძნელათ თუ გაუძალიანდება, ძნელად თუ გაუსწორებს ომს, რომელს ეკონომიურს სარბიელზედაც გინდა შეხვდეს, იმიტომ რომ ჩარჩული ფული არა ჰქმნის სარჩო-საბადებელს და მარტო სთვლის თამასუქებს და სად ვის რა ასცინცლა. იგი ეკონომიური წარმოებისათვის მკვდარია და, მაშასადამე, მკვდარია იმისთანა მოქმედებისათვის, რომელიც ერთადერთი სამართლიანი და მოუწყვეტელი წყაროა გაღონიერებისა, გამდიდრებისა და თუნდ გაფულიანებისაცა, რაკი დღეს ფულია სიმდიდრედ აღიარებული". *("ძველი და ახალი ჩვენი ეკონომიური ცხოვრებისა". 1897 წ. 20 დეკემბერი).*

"მინამ ჩარჩულს, ქურდბაცაცა ფულს გული თავისით ხისა აქვს და აბჯარი კი, ჟამთა ვითარების წყალობით, რკინისა, მასთან ომი კიდევ შესაძლებელია და საიმედო, იმიტომ რომ ომში გამძლეა მარტო გული რკინისა, თუნდა აბჯარი ხისაც იყოს, და არა პირიქით. მინამ საქმე ასეა, მოცდა და დაგვიანება მომაკვდინებელი ცოდვა იქნება ჩვენის მხრით". *("ძველი და ახალი ჩვენი ეკონომიური ცხოვრებისა". 1897 წ. 20 დეკემბერი).*

"ამბობენ, ყველაზედ უწინარეს ფული არის საჭიროო საქმის დაწყებისათვის. ჩვენ ეს აზრი შეცდომად მიგვაჩნია. ფული, როგორც ყოველივე ეკონომიური ძალ-ღონე, ისეთი თვისებისაა, რომ თითონ ეძებს საქმეს, თითონ მიეზიდება საქმისაკენ, რადგან უქმად დება ეწინააღმდეგება ეკონომიურს ბუნებას ყოველი ეკონომიურის საგნისას და მაშასადამე ფულისაც." *("ჩვენი ღვინოების საბაზროდ ქცევის საკითხი". 1892 წ. 11 ნოემბერი).*

"ოღონდ ეს არის, რომ ფული ფრთხილია, წინდახედული და მარტო კარგად და საიმედოდ აგებულს საქმეს ენდობა." *("ჩვენი ღვინოების საბაზროდ ქცევის საკითხი". 1892 წ. 11 ნოემბერი).*

"კარგად და საიმედოდ ააგეთ ეს საქმე ღვინის გამძლეობისა, საბუთი მიეცით ქვეყანას, რომ თუ ფული გექნებათ, ღვინოს საბაზრო საქონლად გაჰხდით, რომ ყველასაგან ცნობილი სიკეთე აქაურის ღვინისა ღვინოს ხანგრძლივად რჩება, შორს გზას აიტანს, და მაშინ ფული თითონ დაგიწყებთ ძებნას, თითონ შემოგეხვეწებათ, საქმეში წილი დამიდეთო. იმიტომ რომ მაშინ ბაზარიც დიდი ექნება ღვინოს და მოგებასაც აღებ-მიცემობისას წინ ბევრი არა დაუდგება-რა. საცა მოგებაა, ფული დაკეტილ ზანდუკიდამაც თავისთავად ამოძვრება და თქვენ დაგიწყებთ ხვეწნას. ესეთია ბუნება ფულისა, როგორც

ყოველ საეკონომიო ნივთისა, _ იქით მიიზიდება, საცა გამორჩენა და ხეირია." *("ჩვენი ღვინოების საბაზროდ ქცევის საკითხი". 1892 წ. 11 ნოემბერი).*

"ამის მაგალითიც იგივე ბანკეგია. ბანკების გამართვის დროსაც იძახოდნენ, მაგ ორიოდე გროშით, რაცა გაქვთ, ვის რას გაუძღვებითო, სულ ორის სამის დღის საგზალითო, და მერე ხომ გულ-ხელი უნდა დაიკრიბოთო, ვინ მოგცემთ საჭირო ფულსაო. ოღონდ საქმე კარგად აეგოსო, ამბობდნენ მეორენი, ოღონდ საიმედოდ დაეწყოს, და ფული თითონ მოგნახავსო, და აი დღეს, ოცდაოთხი ათასის თუმნით დაწყებულმა საქმემ ცამეტი, თოთხმეტი მილიონი ფული მოიპოვა სამოქმედოდ." *("ჩვენი ღვინოების საბაზროდ ქცევის საკითხი". 1892 წ. 11 ნოემბერი).*

"კიდევ ვიტყვით: ფულზედ ნუ ჰფიქრობთ, ოღონდ თითონ საქმეს საიმედო საფუძველი დაუდეთ და ფული თითონ მოგნახავთ." *("ჩვენი ღვინოების საბაზროდ ქცევის საკითხი". 1892 წ. 11 ნოემბერი).*

- **ფულის ნატვრა გამორჩომა და მოგებაა**

"ყველამ იცის, რომ ფული რამოდენადაც ბევრია, იმოდენად ხარბია და გაუმაძღარი და ამიტომაც პირველ შეხედვით კაცს უკვირს, ამ დიდ ფულებიანს საიდან აღძვრიათ გულისტკივილი სხვის გამდიდრებისათვის." *("ადგილობრივ შავ ნავთზე და უცხოეთიდან შემოტანილ ნავთზე ბაჟის დადების საკითხის გამო". 1887 წ. 12 თებერვალი).*

"ყველა ბრალი შეიძლება კაცმა ფულებიანს შესწამოს და ამისთანა ცილი-კი, რომ სხვის გამდიდრებისათვის გულმტკივნეულობდეს, მეტისმეტი უსამართლობა იქნება." *("ადგილობრივ შავ ნავთზე და უცხოეთიდან შემოტანილ ნავთზე ბაჟის დადების საკითხის გამო". 1887 წ. 12 თებერვალი).*

"დიდი ყმაწვილობა იქნება ჩვენგან ვიფიქროთ, რომ ფული თავის-თავს სადმე დაივიწყებს და მოგებას არ აჰყვება. ფულის ნატვრა გამორჩომა და მოგებაა, უამისოდ ფული ადგილიდამაც არ დაიძვრის. რაკი ფული ფეხს აიდგამს რომელიმე ნაწარმოების განკარგებისათვის არ უნდა დაივიწყოს კაცმა, რომ ფული აქედამ გამორჩომას მოელოდინება. სხვა ვაჭრები დააფრთხოს, ახალი მუშტარი და ბაზარი მოიპოვოს, დიდი მოგება დაინარჩუნოს ნაწარმოების განკარგებისათვის, არ უნდა დაივიწყოს კაცმა, რომ ფული პატრონისა და მისის წარმოებისა. რომ ეს ასე მოახდინოს ფულმა, ყველაზედ უწინარეს ის არის საჭირო, რომ მოცლილი ხელი მოიპოვოს სამუშაოდ, ესე იგი იმისთანა მუშა-ხალხი, რომელსაც თავისი არა აქვს-რა და ცხოვრობს მარტო თავის ცარიელის მარჯვენითა და რომელიც ამის გამო იძულებულია თავისი შრომა ჰყიდოს ხოლმე. თუ ამისთანა ხალხს არ იშოვის ფული და ყურმოჭრილ ყმად არ გაიხდის, არც ეგრეთ-წოდებული წარმოება კაპიტალისა თავს ვერ დაიჭერს. ამიერ-კავკასიაში ჯერ არ არის ამისთანა უბინაო მუშა-ხალხი, მაშასადამე, წარმოებამ კაპიტალისამ თითონ უნდა შეჰქმნას მაგისთანანი." ნუთუ სასარგებლო იქნება ეს ქვეყნისათვის? რომ ღვინო რიგიანად კეთდებოდეს, ანუ ღვინის აღებ მიცემობა რიგიანს გზაზედ დადგეს თავნის მეოხებითა, ამისათვის მარტო ფული კი არა, ბოგანო, უბინაო კაციც არის საჭირო და ვენახების ქონვაცა. უამისოდ შეუძლებელია კონკურენცია. გარდა ამისა, საჭირონი არიან ღვინის საქმის ზედმიწევნით მცოდნენიცა. ამ სახით, მაგ კამპანიას უნდა დაეთმოს ვენახები, მუშა ხალხი და ღვინის მცოდნენიცა, რომ საიმედო კონკურენცია გაუმართოს

უცხო ქვეყნების ღვინოებსა. კარგი იქნება ეს მკვიდრთა მცხოვრებთათვის თუ არა, აი საგანი, რომელსაც ღირს კაცი ღრმად დაუკვირდეს. ყოველთვის განვითარების საფუძვლად, სათავედ ყოველის რიგიანის წარმატებისა, _ უნდა აღარებულ იქმნას წვრილ მემამულეების გათახსირება კი არა, ბოგანო მუშის გამრავლება კი არა, არამედ ისა, რომ სოფლის მცხოვრებთა მიწა და მიწათ-მოქმედება მტკიცედ ხელთ ეპყრას." *("შინაური მიმოხილვა". 1882 წ. ნოემბერი).*

- **ტყუილი იმედია ფულის მოწყალებას და გულკეთილობას მოელოდეს კაცი**

"მომეტებულმა ნაწილმა _ მებატონეა, თუ გლეხი _ არ იცის, რის პატრონია; სოფელი გაღარიბდა, მემამულეებს 27 წლით აღებული ვალის გადახდაც გაუჭირდათ, გლეხობას თავი ვერ დაუხსნია წურბელა მედუქნეების ვალისა და ვახშისაგან. ამ ყოფაში დიდი თავნი აქციონერების კამპანიის ხელში სიკეთეს არ მოასწავებს. ჯერ ეხლაც ფული აქაურ ვაჭრების ხელში გვმუსრავს და გვჩაგრავს, ჯერ ეხლაცა სჩანს შემმუსვრელი ძლიერება ფულისა ჩვენზედ. ჯერ ეხლაც ერი იმ ყოფაშია, რომ ვერცა ჰბედავს, ვერც მოუხერხებია და ვერც ღონე რამ მოუგონია წინააღუდგეს თავის მწოვნელს მედუქნესა. ჯერ ეხლაცა ვხედავთ, რომ მეტი ნაწილი სოფლის მამულებისა მედუქნეების ხელში გადადის, ან როგორც ნასყიდობა, ან როგორც გირავნობა სარგებელში. მამულებს თითონ მედუქნეები არ ამოქმედებენ, არ აკეთებენ, რადგანაც ამისათვის მოცლა არა აქვთ. იმ მამულებში მუშად ან უწინდელი პატრონივე ჰყავთ, ან იმავე გზით მისი გაღატაკებული, გაძარცული მეზობელი. ეხლა რომ ესეა, რა იქნება მაშინ, როცა ასი და ათასი თუმანი კი არა, მილიონები ფრთას გაშლიან? იგივე, რაც ეხლაა. ხოლო განსხვავება იმაში იქნება, რომ ბრიყვ და გაუთლელ მედუქნის მაგიერ, ჩვენ მოგვესევიან განათლებულნი, ესე იგი, აღჭურვილნი ცოდნითა და ხერხითა, და თავის დახელოვნებულ მოქმედებით აჩქარებულის ნაბიჯით მიგვიყვანენ იქამდის, სადამდინაც ეხლა ტაატით მივყევართ. განსხვავება ის იქნება, რომ ბოლო უფრო ჩქარა მოგვეღება და უფრო მარჯვე მეტოქენი გვეყოლება. შესაძლოა, ჩვენი წინანდლური ღვინო დაგვალევინონ a la Raphail, ანუ a la რომელიმე ბორდოს chauteau, შესაძლოა _ ჩვენი საკუთარი შამპანსკი გვასვან, საკუთარი კონიაკი ჩაიში გვახმარონ, მაგრამ მთელი დასი მწარმოებელთა კი გაღატაკებული იქნება. მაშინ ვეღარც მთავრობა გვიშველის... და თითონ საზოგადოებაც უღონო იქნება გემკლავოს ერთხელ მკვიდრად ფეხმოკიდებულს წესსა. ტყუილი იმედია, ფულის მოწყალებას და გულკეთილობას მოელოდეს კაცი. ფული, თავნი მამულს ხელში დაიჭრს, მამულის პატრონს ცარიელზედ დასვამს, და რომ მშიერი არ მოკვდეს _ ისევ ფულთან უნდა მივიდეს დღიურ მუშად. თუ ესე ყოველივე მართალია, აქციონერების კამპანიას ბევრი სხვა სიკეთეც რო სჭირდეს, ამ უბედურებასთან ის სიკეთე არარა იქნება. ამბობენ, რომ ამ კამპანიის გამო სახელმწიფო ფინანსები მოიგებენო. ტყუილია. ჯერ სახელმწიფოს დააკლდება ის მილიონები, რომელსაც ეხლა ბაჟის მსგავსად ახდევინებს უცხო ქვეყნებიდამ ღვინის შემომტანსა. მერმე იმით იქნება სახელმწიფო ზარალში, რომ მწარმოებელ მიწათ-მომქმედთა მაგიერ, რომელნიც ბევრად თუ ცოტად უფრო რიგიანად იხდიან სახელმწიფო ხარჯს, წარმოსდგებიან ღატაკნი, აქეთ-იქით წანწალს დაიწყებენ და ძლივ-ძლივ იშოვიან ლუკმა-პურს თვისის უბინაო თავის სარჩენადა. მეორე _ ამას ამბობენ, რომ ვენახიანობა განვითარდებაო, ღვ ინის კეთებე უკეთესი იქნებაო და აღებ-

მიცემობა გაძლიერდებაო. მითამ? არა გვგონია. ნუ დაივიწყებთ, _ ეგ კამპანია აქ შემოდის და მოაქვს ფული, რომ რაც შეიძლება ბევრჯელ გადაატრიალოს თავნი და მით ბევრი მოიგოს. განა მოიცლის-ღა იმისთანა საქმისათვის, რომელიც ღვინის კეთებაა და რომელიც ითხოვს ხანგრძლივად ფულის დაბანდვასა და დებასა უძრავად? მე-4 მუხლი წესდებისა ანიშნებს, რასაც უნდა მოჰკიდონ ხელი: "ღვინისა და არყის სახელმწიფო ფოდრიადები აიღონ." *("შინაური მიმოხილვა". 1882 წ. ნოემბერი).*

"როგორ? ფული და წოდება ერთმანეთთან ვერა თავსდება, როგორც ცეცხლი და წყალი, თუ ერთი რამ ხათაბალა ასტეხია ფულსაცა და წოდებასაც. ფული ხომ წოდების ჯიბეშიაც მშვიდობიანად ჩადის, ბინას იკეთებს და მშვიდობიანად სძლებს, როგორც ცალკე კაცისაშიც, და ორსავ შემთხვევაში ერთსა და იმავე უნარს იჩენს, ორსავ შემთხვევაში არც ზნეს იცვლის, არც ფერსა და სულ ერთსა და იმავე მხიარულ გუნებაზეა, ვის ხელთაც გინდ იყოს". *("უმეცრობის ფართი-ფურთი". 1900 წ.).*

3.4. ახალი ტექნიკისა და შრომის ორგანიზაციის ახალი ფორმების დანერგვა ერის ქონებრივი გაღონიერების საშუალება

- **გონებიდამ გამოგვეპარა, რომ ჩვენც გვიცხოვრია, გვიმოქმედნია, ჩვენშიაც ყოფილა ხელობა და ოსტატობა მიწათმოქმედობისა**

"მიწათმოქმედებას ორი საგანი მოაქვს ჩვენის ქვეყნის გასაძღოლად, ღვინო და ყოველგვარი ეგრეთ წოდებული საპურე მარცვალი".

"ამ ორგვარს წარმოებას დიდი ხანია ვადგივართ და დიდი ხანია მის გზაზედ ვშრომობთ და თავს ავად თუ კარგად ვიკვებავთ. ჩვენ ამას არაფრად ვაგდებთ, თითქო ამ ხანგრძლივს წარმოებას ჩვენთვის არა უსწავლებია რა, არავითარი გამოცდილება არ მოუცია, თითქოს ყოველს მას, რასაც დღეს წარმოებაში ვხედავთ, არავითარი საბუთი და მიზეზი არა ჰქონია, თითქო ყოველივე ალალბედობით, უცაბედობით მოგვსვლია". აი ეს, ჩვენი ფიქრით, რით აიხსნება:

"ჩვენმა ძველმა ისტორიამ არ მოგვაცალა, რომ ცოდნა-სწავლის გზა გვეკაფნა და ჩვენის სულისა და გულის ძალით მეცნიერების ახო გამოგვეღო უმეცრების ბარდებით და ჯაგით მოცულს არემარეზედ. ამ მხრით ძალიან ჩამოვრჩით დანარჩენს კაცობრიობას, რომელიც დღეყოველ ცოდნისა და სწავლის წარმატებასა და წინ სვლაში იყო. სახელოვანმა და საოცარმა ნამოქმედარმა კაცობრიობის ცოდნისამ და სწავლისამ ისე მოგვასწრო ჩვენ, როგორც სიბნელემ უეცრად მზეზედ გამოსულსა მეტის სინათლისა და შუქისგან თვალთ დაგვიბნელდა. ძალოვანმა მეცნიერებამ, რომლის ნაღვაწი ჩვენს უვიცობას ხშირად სასწაულად მიაჩნდა და მიაჩნია, ისე დაგვიბრიყვა ჩვენი ჭკუა და გონება, ისე თავბრუ დაასხა, რომ ერთიცა და მეორეც ყურმოჭრილ მონად გაიხადა და როგორც ტყვე გაჰბაწრა. აბა საცა უცხენოდ და უკამბეჩოდ უზარმაზარის სახლების ტარება მოიგონეს, საცა ტელეგრაფმა და ტელეფონმა სივრცე გააბათილა და ელექტრონმა ლამის ძველებურს თილისმობას გადააჭარბოს, იქ ჩვენი ბეჩავი უმეცრება და უვიცობა ხმას როგორღა ამოიღებდა. როგორ არ უნდა გვეგრძნო ჩვენი არარაობა? როგორ არ უნდა გვეთქვა: ჩვენ რანი ვართ? რაც ყოფილან ისინი ყოფილანო! რაკი კაცობრიობის ცოდნა სწავლის საოცარმა ძლევამოსილობამ ასე აშკარად დაგვანახვა სხვა ქვეყნების

უპირატესობა და წარჩინებულობა, ჩვენ ერთიც და მეორეც კისრად უნდა გვედო და დავდუმებულიყავით, როგორც ძლიერის წინაშე უძლური, მეცნიერების წინაშე უმეცარი. სწორედ ეგრეც დაგვემართა: ჩვენც დავდუმდით და იმოდენად დავდუმდით, რომ რაკი კაცი უცხო ქვეყნიდამ მოვიდოდა ჩვენში, სწავლულია თუ უსწავლელი, ჭკვიანი თუ სულელი, - ამას აღარ დავდევდით და პირღია შევყურებდით, ჭკუის მასწავლებელი აბა ეს არისო. გარდა ამისა, საკმაო იყო კაცს ეთქვა, საზღვარგარეთ ესე არისო, რომ ჩვენც მიგვეღო განუსჯელად, აუწონლად, დაუფიქრებლად. იქაურმა ხალხმა ეს ჩვენი პირღიაობის ამბავი კარგად იცოდა და ამიტომაც ყველა ისინი, ვისაც თავის ქვეყანაში ვერა გააკეთებინა-რა, ჩვენკენ გამორბოდა, თან ორიოდე მზად გაკეთებული და მოგონებული რეცეპტიც მოჰქონდა და მტვერს აგვიყენებდა ხოლმე ჩვენ თვალწინ ჩვენ უმეცრებს და უცოდინრებს ცოდნისა და მეცნიერების სახელითა, საზღვარგარეთ ესეაო, თვენც ესე უნდა მოიქცეთო და ჩვენც, სხვა გზა არა გვქონდა, უნდა დაგვეჯერებინა და ვიჯერებდით კიდეც. ამას კიდევ არ გვაკმარებდნენ ხოლმე: რაც კი რამ ჩვენს სამშობლოში იყო, ყველას გვიქოლავდნენ, თქვენ რა იცით, ბრიყვები ხართო, აბა კარგი რა გექნებათო. ჩვენც ვიძახდით: მართალი ბრძანებაო"

"რაკი სხვაგან ჩვენზედ გაცილებით დიდი ოსტატობა გამოიჩინა ბევრმა მათმა, ჩვენც დავიჯერეთ, რომ ბევრი ბევრში კი არა, ყველანი ყველაფერში ჩვენზედ უკეთესნი ოსტატები არიან. დავიჯერეთ და მერე როგორ? ჩვენი აღარაფერი ვიწამეთ, აღარაფერი ვიგულვეთ". (*"ღვინის ქართულად დაყენება". 1887 წ.*).

"ის კი გონებიდამ გამოგვეპარა, რომ ჩვენც გვიცხოვრია, გვიმოქმედნია თავის საკვებად, ჩვენშიაც ყოფილა ხელობა და ოსტატობა მიწათმოქმედობისა, და თუ ჩვენი ნაცხოვარი, ნაკეთარი და ნამოქმედარი მეცნიერებამდე არ აგვიყვანია, ანგარიშში ჩასაგდები გამოსაძიებელი და გამოსაკვლევი ხომ არის, როგორც ნაცადი დიდი ხნისა, როგორც მრავალის წლის მოღვაწეობით შემოწმებული საქმე და საქმიანობა. ეს ჩვენი ნაცადი, ეს ჩვენი გამოცდილება გაგვიბათილა, გაგვიქარწყლა სახელმა და აბრუმ უცხო ქვეყნისამ, რომელმაც ყველაფერში ბრმად ჩაგვითრია, რადგანაც ბევრში სამართალი და საბუთი მიუძღვოდათ, როგორც გაცილებით ჩვენზედ წინ მავალთა და წარმატებულთა. ამ გარემოებას ერთი არავინ ჩაუფიქრდა და არა სთქვა: კაცო, იქნება ჩვენშიაც იყოს ერთი რამ კარგი, სხვისის სიტყვით ყველაფერს რატომ ესე ხელაღებით ვიწუნებთ"... *("ღვინის ქართულად დაყენება". 1887 წ.).*

"ეგ ჩვენის უმეცრების, უცოდინარობის ბრალია. თვითმსჯელობა შეგვიშინა უცხო ქვეყნების აბრემა, გამბედაობა გამოაცალა. ამის გამო ჩვენი ვეღარა ვიკვლიეთ-რა, ვეღარა გამოვიძიეთ-რა. ან რაღას ვიკვლევდით, რომ ჩვენი აღარა გვჯერა რა, ყოველს მხარეს ჩვენის ცხოვრებისას ამ გაუბედაობამ გონებისამ თავისი დამღა დაასვა და დღეს ჩვენში უცხო ქვეყნელიც სულელიც ჭკვიან კაცად გადის და იქაური ტყუილი მართლადა, მერე როგორი ტყუილი? იქავ ტყუილად ცნობილი და აღიარებული. ამ ტყუილმა ისე არსად არ იჩინა თავი, როგორც ჩვენებური ღვინის კეთების საქმეში. აქ არამც თუ უცხო ქვეყნელები გზა-კვალს გვირევენ, თითონ ჩვენებიც კი, მათის სახელით და სიტყვით ბრმად გატაცებულნი და ფეხის ხმის ამყოლნი. იმათზე უარესად გვხვევენ მჩვარში. ჩვენნი შინაურნი ოსტატები ბრძანებენ რომ ჩვენებური ღვინის კეთება გროშად არა ჰღირსო: ჩვენ არ ვიცით ვერც ერთნაირის და გამძლე ღვინის კეთება, ვერც შამპანურისა და ვერც კონიაკისა და სხვა ამგვარ დიდფასიან სასმელებისაო. საზღვარგარეთ კი, მეცნიერების შემწეობით, ერთნაირს გამძლეს ღვინოს აკეთებენ, შამპანურს კონიაკს და სხვა ამისთანა

სასმელებს ხომ რაღა თქმა უნდაო. აქედამ ამ აზრებიდამ წამოსულნი ჩვენი შინაური ოსტატები ჰცდილობენ როგორმე მოგვარჯულონ, ღვინის კეთება შეგვაცვლევინონ ევროპიელთა მიხედვით და ამ ცდას მორჯულებისას დიდ სამსახურად გვითვლიან. რა თქმა უნდა ეს ჩვენი თავისიანები თავისით არ-რას ამბობენ. ესენი შეგირდები არიან უცხო ქვეყნელ ოსტატებისა, და რაც მათგან გაუგიათ, განუსჯელად გაუზეპირებიათ, და ფიქრადაც არ მოსვლიათ, რომ მათი ოსტატები შესაძლოა სტყუოდნენ, შესაძლოა მათმა ოსტატებმა ბევრი არა იცოდნენ რა". *("ღვინის ქართულად დაყენება". 1887 წ.).*

"ეს კი გონების თვალისაგან მოჰსხლეტიათ, რომ ღვინის კეთებას ჩვენში მთელი ათასის წლების ისტორია აქვს და, მაშასადამე, არის რამ მიზეზი, რომლის ძალითაც ჩვენი ერი თავისებურ ღვინის კეთებას ჰრჩეობს და ევროპიულს უფრთხის და ერიდება დღესაც. ვინ იცის, იქნება ეს მიზეზი პატივსადებია, ჭკვად მისაღებია? ამას გამოძიება, გამოკვლევა უნდა და უამისოდ ჩვენებურ ღვინოზედ წუნის დადება, ღვინის ჩვენებურად კეთების აბუჩად აგდება, მოშლილის წისქვილის რახუნია და ტყუილის ოსტატობის თავგაზვიადებული სიბრიყვე და კადნიერებაა. ნურავინ ნუ იფიქრებს, ვითომც ჩვენ ამით იმის თქმა გვინდა, რომ ჩვენს კეთებას და დაყენებას ღვინისას არა აკლია რა. ჩვენ ამას ვერ ვიტყვით. ბევრი რამ აკლია, ამას თქმა არ უნდა. მხოლოდ იგი ნაკლი ჩვენის ღვინისა, რომელსაც ჩვენებურს ღვინოს წუნად უთვლიან ჩვენში შინაურნი თუ გარეულნი ოსტატები, სწორედ იგი ნაკლი ღირსებაა ჩვენის ღვინისა, და თუ ჩვენი ღვინო ოდესმე გზას გაიხსნის საქვეყნო ბაზრისას, სწორედ ამ ღირსების წყალობით გაიხსნის, თუ ძალადმაცხოვნე შინაურ ოსტატების ზედმოსევას და ქადაგებას ღვთისა და თქვენის წყალობით გადვურჩით. ". *("ღვინის ქართულად დაყენება". 1887 წ.).*

"ჩვენ აქ ყველაფერი ვერ ჩამოვთვალეთ, რაც ჩვენში ბუნებურ ღვინის კეთების რთულს საქმეს შეადგენს. ამ რთულის საქმის ყოველის ცოდნა თვითონ ხალხში უნდა მოიძებნოს, და დავარწმუნებთ, რომ ჩვენში ბევრს იმისთანა კაცს იპოვიან, რომელნიც ამის შესახებ ბევრს რასმე ასწავლიან ჩვენს მეცნიერებს, ბევრს იმისთანას, რაც გაგონებითაც არ გაუგონიათ და ფრიად გამოსაყენი კი არის". *("ღვინის ქართულად დაყენება". 1887 წ.).*

"გზის დანახვა მაშინ, როცა ურემი გადაბრუნდება, თუმცა ცოტა გვიანი საქმეა, მაგრამ ამასაც მნიშვნელობა აქვს, თუ ერთხელ ნახულს კაცი ასე თუ ისე გამოიყენებს შემდეგისათვის, ანუ, უკეთ ვსთქვათ, თუ ნაცადს ისე მოვექცევით, როგორც ჭკუის მასწავლებელს მაგალითს. თუ არა და, დროც ტყუილად დაკარგულია და ამაგიც." *("საგლეხო გამსესხებელ-შემნახველი საზოგადოებანი და მოკლევადიანი კრედიტის საკითხი გლეხკაცობისათვის". 1890 წ. 23 იანვარი).*

"ვინ არ იცის, რომ ტფილისში პურის მცხობი ბევრია. სხვა რამა სთქვით, თორემ პურისმცხობლების ნაკლებობაზედ ტფილისი ვერ იჩივლებს." *("შინაური მიმოხილვა". 1879 წ. ივლისი-აგვისტო).*

"ვაი ჩვენი ბრალი! პურის ცხობის უცოდინარობაც კი შეგვწამეს და ხაბაზიც ამას იქით მოსკოვიდან უნდა დავიბაროთ ხოლმე. ქვეყნის გაბიაბრუება და დაბრიყვება იქნება და ასეთი!.. მოდი და ამისთანა ხალხს დაუჯერე, რომ ვაჭრობაში ან სხვა რამეში გამოცდილნი არიან. ცხრა წელიწადი საზოგადოება მოქმედობდეს ტფილისში და არ იცოდეს, რომ აქ პურის-მცხობელები არიან, და ხშირად ძალიან კარგნიცა, ამაზედ სასაცილო ამბავი სხვა რამ გინდათ კიდევ. მოდი და ამისთანა ქვეყნის ზედმიწევნით მცოდნეთაგან _ თუ არ დაგიშლიათ _ სიკეთე და სარგებლობა მოითხოვეთ. მოდი და ამათ ეშხზედ ელაპარაკეთ! მოსკოვიდან ხაბაზები დავიბაროთო? ჭკუას როცა

ურიგებდნენ, ნეტა ამათ სად მოგვიანებიათ, რომ ვერ მოუსწვრიათ." *("შინაური მიმოხილვა". 1879 წ. ივლისი-აგვისტო).*

- **კარგი ამბავი უცხო ქვეყნისა, კარგი აზრი ჭკვიანი ხალხისა ამორჩევით გადმოვიტანოთ**

"ყოველის სიმართლითა სჯობს, რაც ჩვენთვის მიუცილებლად საჭირო არის, უნდა ვიხმაროთ, კარგი ამბავი უცხო ქვეყნისა, კარგი აზრი ჭკვიანი ხალხის ნათქვამი, ყოველისფერი ამორჩევით გადმოვიტანოთ ჩვენს ენაზედა, დავაკვირდეთ, გავშინჯოთ, შევუფარდოთ ჩვენს ამბავსა და ჩვენს აზრსა და ამ შეფარდებით გავიგოთ, რა არის ჩვენში კარგი და რა არის ცუდი." *("სფირიდონის და თადეოზის ბაასი". 1861 წ.).*

"სასაცილო ხალხნი ვართ, ჩვენი არა მოგვწონს-რა, არც სიმღერა, არც ჩაცმა, არც დახურვა, არც დარბაისლობა, არც ენა, სულ სხვებისას ვეტანებით და ჩვენი სწავლა და თვისება დამპალ-გნოლოი გამოდის და, რადგანაც ბუნების მონიჭებულ თვისებას ვერ ვიცვლით, ამისათვის ვერც აქეთა ვართ, ვერც იქით." *("წერილი მეგობართან". 1890 წ.).*

- **მიწათმოქმედების განკარგების გზები**

"ისტორია მარტო იმ ერს ეკითხება, რომელსაც მიწაზედ ფეხით უდგას და ხელი გუთანს უვლია... მიწისა და გუთანის შესახები წარმატება სამის სხვადასხვა გზით შესაძლებელია. ერთი იმ გზით, როცა მეცადინეობა მიქცეულია მასზედ, რომ მიწა იმოდენად შეკეთდეს, რომ რაც შეიძლება დიდი გამოსავალი მისცეს, მშრომელსა, მეორე იმ გზით, რომ თუმცა მიწის გამოსავალი იმავე ზომით იყოს, მხოლოდ მისის შემუშავების ხარჯი – რაც შეიძლება შემოკლდეს, მესამე გზათ, რომ ეს ორივე ღონე ერთად მიქცეული იყოს მიწის სამოქმედოთ. ყველაზე სრული მიწათ-მოქმედება ამ უკანასკნელს გზაზედ დგას. ამისი მაგალითი ბელგიაა, ინგლისი და ამერიკის ჩრდილოეთის შტატები. ჩვენში პირველის გზით არავინ დაიარება, მხოლოდ მეორე გზაზედ კი ზოგიერთი მემამულე ამ მოკლე ხანში დადგა. მესამე გზისა – ჯერ სრულებით ვიწრო ბილიკიც არ არის გატარებული". (*"შინაური მიმოხილვა". 1887 წელი, ივლის-აგვისტო*).

"ჩვენ დღეს გვინდა ამ მეორე გზაზედ დამდგარს მიწათმოქმედებას თვალი ავადევნოთ და ამისათვის სახეში გვაქვს იმისთანა მაგალითები, რომელნიც ჩვენის საკუთარის თვალით ნახულია ერთს მამულში ქალაქის ახლო. დიდი ხარჯი საკუთრივ მიწათ-მოქმედებისა სამ-გვარია: ერთი ხვნისა, მეორე მკისა და მესამე ლეწვისა. ჯერ ვიანგარიშოთ, ყოველივე ეს რა უჯდება მიწის-მომქმედს. თუ მამა-პაპურ წესზედ წავიდა საქმე, იმ მამულში, საცა ჩვენ ამ საგნისათვის თვალი გვიდევნებია, ერთს დღიურს მიწის მოხვნას, ესე იგი 1200 ოთხ-კუთხე საჟენს, უნდება არა ნაკლებ რვა უღელი ხარ-კამბეჩი. ესეც მაშინ, როცა ხარ-კამბეჩი კარგს ჯანზეა, თუ არა და ათი უღელი უნდა. ამას სჭირდება ერთი გუთნის-დედა და ოთხიდამ ხუთ კაცამდე მეხრე.

ახლა იფიქრეთ, რამოდენა ხარჯის შემოკლება იქნება, რომ ერთი დღიური მიწა მოიხნას ორისა და სამის უღლით, რომელსაც ბევრი-ბევრი ერთი გუთნის-დედა მოუნდეს და ერთი თუ ორი მეხრე. ერთი ხუთად ხარჯი შემოკლებული იქნება საქონელზედ და

ერთი სამად მაინც კაცზედ.რომ ეს ასე მოხდეს, რასაკვირველია, სხვა-გვარი გუთანი უნდა შემოღებულ იქმნას, იმისთანა გუთანი, რომელმაც ჩვენის მიწის შესაფერი სამსახური გაგვიწიოს, არც ძალიან ძვირი იყოს და არც ისეთი რთული, რომ გატეხის და მოშლის შემდეგ ძნელად გაკეთდეს და გაიმართოს. იმისთანა გუთანი ანგლო-ბოლგარული გუთანია, გოვარდისა, [1]3, ღირს ქალაქში 52 მანეთად და იყიდება არწრუნის ქარვასლაში. ეს გუთანი ვნახეთ ზემოხსენებულ მამულში მუშაობის დროს. გუთნის-დედა ქართველი უბრალო გლეხიკაცი იყო. ამან, რა წამსაც დახედა გუთანს, მაშინვე მიხვდა რა ნაჭერი გუთნისა რას მოასწავებდა. აი ეს, ბატონო, დასაველებელი უნდა იყოსო, აი ეს უსათუოდ ღრმად დასაშვები იქნებაო, აი ეს ბელტის კარგად გადმობრუნებისათვისო და სხვა ამგვარი. სწორედ ისეც გამოდგა. შეაბეს ჯერ ორი უღელი კამბეჩი და მოუკიდეს გუთანი ძალიან დაგოლვილს მიწას, ქვითკირსავით მაგარს, მაგრამ არა ქვიანს და უძეძვჯაგოს. ორმა უღელმა ადვილად დასძრა მოკიდებული გუთანი. მაგრამ თითონ გუთანი როგორღაც აქეთ-იქით აწყდებოდა და ღრმად არ მოეკიდა. გუთნის-დედამ იმედი არ დაჰკარგა და სთქვა: ამასაც წამალი ექნებაო. შეაყენა გუთანი, ბარი ძირს დაუშვა, საკვეთი შესაფერად მოუწყო და თავში ერთის მხრიდამ სოლი მისცა საკვეთს. გუთანი ღრმად მოეკიდა, სწორედ დადგა, აღარ მიაწყდა აქეთ-იქით, მაგრამ ორ უღელს კამბეჩს დაუმძიმდა გუთნის ტარება. ერთი უღელი ხარი კიდევ ჩაუბეს, გუთანი დიდის შეღავათით წავიდა, საქონელი სულ მსუბუქად ეწეოდა. მაგრამ გუთნის-დედამ შენიშნა, რომ ვიწრო ბელტს სჭრის და კარგად ვერ აბრუნებს. პირველისათვის წინიდამ დაუველა და მეორისათვის უკან, საცა ხელის მოსაჭიდი სახელურები აქვს, იქ გაყრილ რკინას მოუშვა. სახელურები ერთმანეთზედ განზედ დადგნენ, ფრთა უფრო ხერხიანად გაიმართა და გუთანმა ისე მშვენივრად ხვნა დაიწყო, რომ უკეთესი ძნელად თუ იქნება. ერთის სიტყვით, გუთანი გამოდგა. მემამულემ ღმერს მადლობა შესწირა, რომ რვა და ათ უღლიანს გუთანს გადაურჩა. ორიოდე უცხო გლეხიც იყო გასასინჯავად და იმათაც ძალიან მოიწონეს გუთანი. მხოლოდ სთქვეს, ჩვენებურად ღრმად ვერა ხნავსო. ჩვენის ფიქრით, ეგ გუთანი ჩვენში ყველგან გამოდგება; არ ვიცით, ქვიანში რასა იქს, თორემ წმინდა მიწაში კი ძალიან კარგი ყოფილა, რაც უნდა ყამირი მიწა იყოს. სიღრმით ჩვენებურ გუთანზედ იქნება ცოტა ნაკლებ ხნავდეს. გამარჯვებით გახარებულმა მებატონემ განიზრახა ორის კიდევ ამისთანა გუთნის სყიდვა." *("შინაური მიმოხილვა". 1882 წ. ივლისი-აგვისტო).*

"ამავე მემამულეს მოეტანინებია სამკალი მაშინა ოც-დათხუთმეტ თუმნად. მაშინა ბუკეის სისტემისაა. წელს იმითი დამკო ყანები და სხვასაც უმკო. ჯერ გლეხებმა შორს დაიჭირეს მაშინით მკა, ეგ ყანას როგორ მომკისო. მერე, როცა მემამულემ თავის ყანებს მკა დაუწყო, მთელი სოფელი, კაცი თუ ქალი, ზედ დაედო საყურებლად. ჩვენის თვალით ვნახეთ ეს სამკალი მაშინა მუშაობაში. მკის მშვენივრად, დაბლა თუ მაღლა ოთხ ვერშოკამდე, როგორც გნებავთ; ერთს თავთავს არ გაუშვებს მოუმკალს, ისე ჰპარსავს, როგორც სამართებელი. მაშინას ატარებს ორი უღელი ხარი და ორი უღელიც მარქაფათა ჰყვანდა მემამულეს საცვლელად." *("შინაური მიმოხილვა". 1882 წ. ივლისი-აგვისტო).*

"მაშინამ, როგორც მოგახსენეთ, მშვენივრად მომკო კაი მოზრდილი ხოდაბუნი ოც-და-ერთის დღისა და ნახევრისა ორ-დღე-ნახევარში. მკის გარდა, ხელეურებს, თუ მთელს ძნას, როგორც გნებავთ, მაშინა ისე ფრთხილად და კარგად აწყობს, რომ კაცი ხელით ვერ დააწყობს. ერთის სიტყვით, სამკალად უკეთესი არა უნდა-რა, რაც ის მაშინა არის. იმისი წუნი ის არის, რომ პირველი _ მძიმეა, მეორე _ გამოვლაში ხელეურებს, თუ აკრეფილი არ

არის, მაშინის თვალი და საქონლის ფეხი ხვდება. ეს ასე არ იქნებოდა, თუ რომ ხარის მაგიერად ცხენები ბმულიყო. იმიტომ რომ ცხენი ვიწროდ იბმის, ვიდრე ხარი და, მაშასადამე, ფეხს ვერ მოახვედრებს მომკილს ხელეურსა. გარდა ამისა, ცხენი ხარზედ უფრო ადვილი მოსახმარებელია და ამის გამო სამკალს მთელს სვეს გაატანინებს კაცი და მაშინ მაშინისათვის იმოდენა გზა დარჩებოდა, რომ მაშინის თვალი არ მიეკარებოდა ხელეურს. ათი-თორმეტი ძალიან მარჯვე ბიჭი უნდა, რომ ამ მაშინას ძნა შეუკრას, ისიც თუ ულო წინათვე მომზადებული აქვს. ხარით დღეში მკის შვიდ დღიურიდამ რვა დღიურამდე. ცხენით, რასაკვირველია, მეტს მომკის." *("შინაური მიმოხილვა". 1882 წ. ივლისი-აგვისტო).*

"რაკი გლეხებმა ნახეს მაშინა, მოაწყდნენ მემამულეს ხვეწნით, არა მე მომიმკე, არამეო. დღიურზედ მუშები ხუთს და ათს შაურიდამ ექვს მანეთამდე იღებდნენ მომკაში იმ არემარეში. მემამულემ სამსა და ათს შაურზედ დაუწყო მაშინით მკა და გლეხებს ძალიან გაუხარდათ. პირველი _ რომ ორ მანეთად ნაკლებ უმკიდა, მეორე _ რომ მუშის ჭამა-სმა თითქმის ერთისამად ნაკლებ უჯდებოდათ, იმიტომ რომ თერთმეტის, თუ თორმეტის კაცით ერთს დღეს უმკიდა შვიდს დღიურს, მაშინ როდესაც მაგოდენა ყანას ოც-და-რვა კაციდამ ოც-და-ხუთმეტ კაცამდე ხელით მომკალი მოუნდებოდა. თუ გლეხები იმდურებოდნენ რასმე, მარტო იმაზედ, რომ მეძნეურები კარგად ვერა ჰკვრენ ძნასაო, ცუდ-უბრალოდ ჰფანტავენო, სამერმისოდ მემამულის რჩევით, პირობა დასდეს, რომ ოღონდ მაშინით გვიმკეთო და ძნის შესაკვრელად ნაცვალ-გარდობას გავაჩენთ ერთმანეთშიაო. მემამულის ანგარიშით, მაშინ დღიური შეიძლება მანეთ-ნახევრად, ანუ სულ ბევრი-ბევრი ორ მანეთად მოიმკოსო, ყანის პატრონს კი დღიურზედ ერთი კაცი და ერთის კაცის ხარჯი შეხვდება ნაცვალ-გარდობაშიო." *("შინაური მიმოხილვა". 1882 წ. ივლისი-აგვისტო).*

"მაშინ რაც თითონ მომკო იმ არემარეში და ახლო-მახლო სოფლებში, ხომ მომკო, და რაც არა, _ კრო მუშას, იმ სოფლებში მოდებულს და მამა-სისხლად სამკალად ყანების ამღებს, ისე გაუხადა საქმე, რომ ხუთ და ექვს მანეთამდე ასული დღიურის მომკა სამს მანეთად ჩამოახტუნა. ბევრი წყევლა და ქოლვა შემოუთვალეს იმ წურბელა კროებმა მაშინის მომგონსა." *("შინაური მიმოხილვა". 1882 წ. ივლისი-აგვისტო).*

"რასაკვირველია, სამკალი მაშინა სწორე მიწის ყანას კარგად მკის, მაგრამ არც გვერდაზედ მკის ნაკლებ, ოღონდ ლოდი ქვა არ იყოს და ჯაგი. ამ უკანასკნელს შემთხვევაში სამკალი მაშინა უქმია. არა გვგონია, რომ წაქცეული ყანაც მომკოს." *("შინაური მიმოხილვა". 1882 წ. ივლისი-აგვისტო).*

"მაინც-და-მაინც ღირს, რომ კაცმა ეს მაშინა იქონიოს. უსათუოდ ერთი-სამად იაფად დაისვამს მკასა, გარდა ამისა ჩქარა მომკავს კაცი და მუშის უშოვარობაზე აღარ დაღონდება და შეწუხდება. ამბობენ: ვსთქვათ, ვიქონიოთ მაგისთანა მაშინაო, რომ გატყდეს და მოიშალოს, რა ვუყოთო. მოშლით არა უშავს-რა, იმიტომ რომ მაშინას პატარა გულის-ყური რომ აადევნოს კაცმა, მალე მიხვდება, სად რის ხელის შეწყობა უნდა და მალე გამართავს." *("შინაური მიმოხილვა". 1882 წ. ივლისი-აგვისტო).*

"საქმე გატეხაა. ამ ბუკეის სისტემის მაშინაზედ უნდა ვსთქვათ, რომ მეტად მკვიდრია, ნამეტნავად ის ნაჭრები მაშინისა, რომელნიც ძვირია და ძნელად საკეთები. თუ უფუჭდება რამე მაშინას, წვრილმანი რამ უფუჭდება, და ეგ წვრილმანი რომ კაცმა წინდაწინვე ოდესიდამ დაიბაროს და მზადა ჰქონდეს გატეხილის და წამხდარის გამოსაცვლელად, ადვილი საქმეც არის და არც ბევრი რამ დაჯდება. ყოველს ნაჭერს თავისი ნომერი აქვს. ვისგანაც მაშინას იყიდით, იმას მისწეროთ ამა და ამ ნომრის

ნაჭრები გამომიგზავნეო, შვიდ-რვა დღეზედ მოგივათ. რასაკვირველია, ეს თადარიგი წინათვე უნდა დაიჭიროს მემამულემ, მინამ მკა და მუშაობა დაიწყება, თორემ მერე გვიანღა იქნება. გარდა ამისა, ეხლა ქალაქში ყველაფერს აკეთებენ, თუმცა კი ასე ძვირად, რომ ისევ ადგილიდამ დაბარება სჯობია." *("შინაური მიმოხილვა". 1882 წ. ივლისი-აგვისტო).*

"ერთის სიტყვით, სამკალი მაშინაც გამოდგა. თუმცა ზემოხსენებულ მემამულეს გამოუცდელობით საქმე ისე ვერ მოეწყო, როგორც რიგია, და თუმცა მაშინას მაშინისტიც ააყოლა, _ მემამულე ეხლა გულდაჯერებულია, რომ სამერმისოდ გამოუცდელობას ადგილი აღარ ექნება და სამკალი მაშინა თავის დანიშნულებას უნაკლულოდ აასრულებს. ეს იმედი ამ მაშინის წყალობით ისე ძლიერად ჩაესახა გულში, რომ საკულავოდ აპირობს ორისა თუ სამის მაშინის დაბარებას სხვადასხვა სისტემისას. მეც ჩემს ხარჯს გამოვალო, ამბობს, და ხალხსაც, რამდენადაც შესაძლო იქნება, გავუიაფებო მკასა, ამ ცხარე და გასაჭირს მუშაობას, რომელსაც მიწათ-მომქმედის ჯიბიდამ კაი მოზრდილი და საგრძნობელი ლუკმა მიაქვსო და რომელსაც ზოგჯერ მუშასაც ვერ უშოვის ხოლმე თავის დროზედ." *("შინაური მიმოხილვა". 1882 წ. ივლისი-აგვისტო).*

"ერთი უდიდესი ხარჯი, ძლიერი ჯაფა საქონელისა და კაცისათვის ჩვენში, ლეწვაა. ზემოხსენებულმა მებატონემ გვითხრა, ყველაფერი ვიანგარიშეო დაწვრილებით ევროპიულადაო და გამოდისო, რომ მებატონეს თითო კოდის გალეწვა უჯდება ერთი მანეთი და ოცდა-რვა კაპეიკი; გლეხსა _ ოთხ აბაზ-უზალთუნი და რვა კაპეიკიო; დროს დაკარგვას, საქონლისა და კაცის დაუძლურებას კი აღარ ვანგარიშობო. გლეხს იმიტომ უჯდება მებატონეზედ იეფადაო, რომ თავის საქმეს თითონ დასტრიალებს ფეხმოუცვლელადაო და მებატონე კი მოჯამაგირის ანაბრად არისო უფრო ხშირად. ეხლა იმ ზემოხსენებულს მემამულეს დაუბარებია სალეწი მაშინა, ას-ორმოცდა-ათ თუმნამდე უჯდება. ამასთანავე, ადგილიდამ მემაშინეც მოუწვევია და დღე-დღეზედ მოელის ერთსაც და მეორესაც. მაშინა ლეწს თურმე ათის საათის განამვლობაში 450 ათეულს, ანიავებს პურს, აცხავებს, არკვევს. ტომრებში აწყობს და ტომრები კიდევ თითონვე გადააქვს ახლო მიტანილს ურემზედ. უნდება თურმე რვა ცხენი და თექვსმეტი მარჯვე მუშა. მაშინა ისეა თურმე მოწყობილი, რომ საცა გნებავთ იქ წაიღებთ ხარებით და ცხენებით და ალეწვინებთ. ერთი დიდი წუნი მაშინისა ის არის, რომ ბზეს არ აკეთებს." *("შინაური მიმოხილვა". 1882 წ. ივლისი-აგვისტო).*

"მთელს იმ არემარეს, საცა ის მემამულეა, ოთხ-ხუთ თვეზედ გაულეწს მოსავალსა, იმიტომ _ რომ მაშინა ზამთარ-ზაფხულს თურმე დაუყოვნებლივ მუშაობს. სოფლები გარშემო ახლოს აქვს, მაშინის გადატან-გადმოტანაში ბევრი დრო არ მოუნდება. წელს კი რაღა იქნებაო, ამბობს მემამულე, და სამერმისოდ მაშინას ერთს შუაგულს ადგილას დავდგამო, რომ ვისაც უნდა, როგორც წისქვილში საფქვავი, ისე ძნა მოიტანოსო, იქავ გავულეწ და ჩავაბარებო." *("შინაური მიმოხილვა". 1882 წ. ივლისი-აგვისტო).*

"თუ მართლა ათის საათის განმავლობაში ოთხას-ორმოც-და-ათს ათეულს ლეწავსო, ამბობს მემამულე, მაშინ იმედი მაქვს, უფრო იეფად დავუწყო ლეწვაო." *("შინაური მიმოხილვა". 1882 წ. ივლისი-აგვისტო).*

"ღმერთმა ქნას, ეს გზა მიწათ-მოქმედობის წარმატებისა კარგად გაიჭრას და კარგად გაიკვალოს. გლეხები ამბობენ, რომ მკა და ლეწვა რომ ეგრე გაადვილდეს, დიდძალი ხალხი ხელს მოჰკიდებს ხვნასაო, და ვინც აქამომდე ერთს დღიურს ხნავდაო, ის ერთი-ორად, ერთი-სამად მოხნავსო, რადგანაც ამ წყეულ კალოს და მკასა იმოდენა ხარჯსა და დროს აღარ მოანდომებსო. მართალია, მიწები დაძვირდებაო, მაგრამ ეგეთი

გაადვილებული მკა და ლეწვა მიწის სიძვირეს ადვილად აგვატანინებსო. ერთი-ორად რომ მეტი მიწა შემუშავდეს მაინც ჩვენს ქვეყანაში პურისა და სხვა ამ-გვარის მოსაყვანად, მაშინ ჩვენი ქვეყანა არამც თუ პურს და ქერს სხვიდამ მოიტანს, არამედ თითონ უწილადებს სხვასაცა." *("შინაური მიმოხილვა". 1882 წ. ივლისი-აგვისტო).*

- **წყლის არხების გაყვან-გამოყვანა**

"ამიერკავკასია ჰავისა და მიწის სიკეთითა შემძლებელია თითქმის ყოველისფერისა, რაც კი რამ იზრდება, მოდის და ხეირობს დედამიწის ზურგზედ. ქინაქინის ხე და ჩაის ბუჩქიც კი გამოზარდა ჩვენმა ქვეყანამ იმოდენად კარგად, რომ ეხლა თვითონ მთავრობაც კი ჰცდილობს მეურნეობა ერთისა და მეორისაც ააყვავოს აქ და გაავრცელოს". *("ჩვენი სოფლური მეურნეობის შესაძლებლობანი და ბიუროკრატიზმი". 1887 წ. 16 თებერვალი).*

"ამიერკავკასია მიწის პოხიერებით და ჰავითა ერთი იმისთანა ქვეყანაა, რომელსაც შეუძლიან დიდძალი სიმდიდრე იქონიოს (*მორწყვის საქმე წინათ და ეხლა". 1889 წ. 20 მარტი*).

ერთი დიდი ნაკლი ამისი მარტო ის არის, რომ ურწყულია და მშრალი. ესევე ითქმის საქართველოზედაც, ნამეტნავად სურამს აქეთ. ჩვენთა მამა-პაპათა ძალიან კარგად იცოდნენ ყადრი წყლის მეურნეობის გაძლიერებისათვის და ამიტომაც, როგორც კანონმდებლობა ჩვენი, ისეც ზნე-ჩვეულება, წყლის არხებით გაყვან-გამოყვანისათვის დიდს უფლებას აძლევდა კაცსა". *("მორწყვის საქმე წინათ და ეხლა". 1889 წ. 20 მარტი).*

"წყლის გაყვანას ვერავითარი მიზეზი ვერ დააბრკოლებდა, ოღონდ-კი თვით ბუნებას ხელი შეეწყო. ეკლესიაც რომ დახვედროდა წინ არხსა, კანონი ნებას იძლეოდა თვით ეკლესია გაეჭრათ და წყალი გაეყვანათ". *("მორწყვის საქმე წინათ და ეხლა". 1889 წ. 20 მარტი).*

"თვითონ ჩვენმა ენამაც-კი შეირჩინა იმისი კვალი, თუ რა ძვირფასად მიაჩნდათ ჩვენებს უწინ წყალი. "წყალობა, შემიწყალე, მიწყალობე, მიწყალე" _ ყველა ამ სიტყვებს დასაბამი აქა აქვს. ყველა ამ სიტყვებში მარტო ის ისმის, რომ წყალი მომეც, წყალი მომმადლეო. წყლის შევედრება, წყალის მომადლება, ჩვენს ქართველს კაცს უპირველეს სავედრებლად და სახვეწარად ჰქონია გამხდარი". *("მორწყვის საქმე წინათ და ეხლა". 1889 წ. 20 მარტი).*

"ამიტომაც, საითაც კი მიიხედავთ ჩვენში, ყველგან ნახავთ ნაშთს ზოგან უზარმაზარის არხისასაც. შორს რომ არ წავიდეთ, საკმაოა ვანიშნოთ უშველებელი არხი ფშავის არაგვიდამ წამოღებული, რომლის კვალი დღესაც ატყვია თბილისიდამ დაწყებული თითქმის ფშავის არაგვის დიდ არაგვთან შესართავამდე, და მეორე არხი კიდევ ალაზნის მარჯვენა მხარეზედ. ეტყობა ჩენს მამა-პაპას არაფერი არ დაუზოგავთ, რომ არ შეჰშინებიან და ამოდენა არხების გაჭრისათვის თავი დაუდვიათ". *("მორწყვის საქმე წინათ და ეხლა". 1889 წ. 20 მარტი).*

"რამოდენა ჯაფა, ხარჯი და ხალხი დასჭირებია, იქიდამა სჩანს, რაც ხალხის ხსოვნაში დღესაც დარჩენილია. მივიღებთ რა სახეში, რომ ყოველს დიდს საქმეს ჩვენში თამარ მეფეს ვაწერთ, ხალხი ალაზნისა და არაგვის პირისანი დღესაც ამბობენ, რომ როცა თამარ მეფემ გაიყვანა ეს არხები და ბოლოში წისქვილი დააბრუნა, წისქვილის ქვებიდამ სისხლი გადმოსკდაო. ეს ამბავი გვაუწყებს, _ რამოდენად ძვირი დასჯდომია ხალხს ეს

დიდებული საქმე, რომ მის წარმოდგენით მის მიერ დაღვრილი ოფლი სისხლად გადმომსკდარა წისქვილის ქვებიდამ". *("მორწყვის საქმე წინათ და ეხლა". 1889 წ. 20 მარტი).*

"გაუქმდა ეს არხები და მრავალი სხვა. ის დღეა და ეს და გულამომწვარს დედამიწას მოაკლდა ცხოველმყოფელი ცვარი წყლისა, კაცის მხნეობით მოდენილი. გავერანდა მდიდარი მამულები, აოხრდა, და იქ, საცა ქვეყანა წალკოტსავით ჰყვავოდა, დღეს მჭლე ძეძვი ძლივსღა მოდის. ამაოდ ჩაიარა ამოდენა შრომამ, ამოდენა ჯაფამ, და დღეს ეს დიდი ნაამაგევი ჩვენთა მამა-პაპათა, მიწით ამოვსილი და ამომშრალი, გულსაკლავად გვანიშნებს _ რანი ვყოფილვართ უწინ და რანი ვართ დღეს". *("მორწყვის საქმე წინათ და ეხლა". 1889 წ. 20 მარტი).*

"მთავარმართებელმა თ. ბარიატინსკიმ შენიშნა, რა დიდი საქმეა ამიერკავფკასიისათვის საერთოდ და საქართველოსათვის ცალკე სარწყავი წყალი. დაიმორჩილა შამილი თუ არა, მაშინვე შეუდგა ამის საქმეს და მიანდო ინგლისის ინჟინერებს ბელის და გამბას გამოეძიათ მთელი ის ადგილები, რომელნიც მტკვრის აყოლ-დაყოლებაზე მდებარეობენ. ბელი მალე დაეთხოვა ამ საქმეს და წავიდა. გამბა კი დარჩა, კარგად გამოიკვლია მტკვრის პირების არემარე და შეადგინა უშველებელი პროექტი იმაზედ თუ, _ როგორ და რა გზით უნდა მოირწყას აღმოსავლეთი ამიერკავკასიისა. ეს საქმე მას აქეთ ხელუხლებელი დარჩა, ჩვენდა სამწუხაროდ". *("მორწყვის საქმე წინათ და ეხლა". 1889 წ. 20 მარტი).*

"დღეს რუსეთის მწერლობამ მიაქცია ყურადღება ამ ფრიად საჭირო საქმეს. ერთს რუსულ ჟურნალში ჩვენ შევხვდით ამ საგანზედ წერილს ბ-ნ ვოიეკოვისას. იგი ამბობს:

დროა, დიდი ხანია დროა, ხელი მოვკიდოთ ამიერკავკასიაში რწყვის საქმეს. საჭირო არ არის ჩვენთვის ინდოეთის დაპყრობა, _ ჩვენ ჩვენი ინდოეთი გვაქვს ამიერკავკასიის ვაკეებზედ, თუკი მოვიწადინებთ. მტკვარი და არაქსი ერთ მილიონ დესიტინაზედ მეტს ადგილს მორწყავს მერე დიდ ნაყოფიერს ადგილსა. სარწყავი მიწები ძვირფასს მცენარეს გაზრდიან, რწყვა გააღონიერებს მიწებს და გაუძლიერებს მომცემლობას იმოდენად, რომ ორი, ზოგჯერ სამი მოსავალიც მოგვივაო. ყოველ ამის გამო სარწყავი დესეტინა ფასს მოიმატებს და ას თუმანზე ნაკლებ არ ეღირებაო (წინათ ჰყავს ავტორს მოყვანილი, რომ ბევრგან დღესაც სარწყავი დესიტინა 800 მან. ღირსო, მაშინ როდესაც იქავ ურწყავი 10 მანეთად ძლივ იყიდებაო. საფრანგეთში 3000 მანეთად გადის სარწყავი დესეტინა და იქავ ურწყავი 50 მან.). მაშასადამე, რომ ამიერკავკასიაში რწყვის საქმე მოეწყოს, ჩვენ შევიძენთ მილიარდ მანეთზედ მეტს ქონებას და მაინც არა ნაკლებ იმისა, რაც გერმანიამ დავლა წაართვა საფრანგეთს 1871 წელსაო". *("მორწყვის საქმე წინათ და ეხლა". 1889 წ. 20 მარტი).*

"თქმა არ უნდა, რომ მართლა დროა ამ ჩვენდა სამწუხაროდ, დაძინებულმა საქმემ ჩვენდა სასიხარულოდ გაიღვიძოს. არხების გაჭრა აქ დიდი საქმეა, სხვა არაფერი მიზეზი არ არის, რომ ამ საქმეს ბოლო არ მოედგას". *("მორწყვის საქმე წინათ და ეხლა". 1889 წ. 20 მარტი).*

"მაგალითებრ, სამხრეთ რუსეთში, საცა მდინარეებს საწყლე დაბლები აქვთ, ძნელია წყლების ამოყვანა მაღლა და იქიდამ მიშვება. ამისათვის იქ ცალკე მოწყობა უნდა, ცალკე მანქანები წყლის მაღლა ამოსაყვანად და მერე არხში ჩასაშვებად. ჩვენში ეს არ დასჭირდებათ, რადგანაც თითქმის ყველა ჩვენებურს წყალს სათავე მაღალი აქვს და კარგი ავალა. ამიტომაც ჩვენში ოღონდ არხი იყოს, წყალი ადვილად და გაუჭირებლად მიეგდება და წავა". *("მორწყვის საქმე წინათ და ეხლა". 1889 წ. 20 მარტი).*

- **მიწის გაღარიბება და მასთან ბრძოლა**

"დედააზრი ბ-ნ ვეზიროვისა იგია, რომ მიწა, რომელზედაც გაშენებულია ჩვენში ვაზი, მოიღალაო. ამოდენა ხანია ვაზი სწოვს ერთსა და იმავე მიწასა და რა საკვირველია, მიწა იმოდენად გაღარიბდეს, რომ ვაზის საზრდოდ და სახეიროდ ბევრი აღარა შერჩენოდესო. ეს აზრი იმ უტყუარს საბუთზე აქვს დამყარებული, რომ სხვა ყოველს მცენარეს სწორედ ესევე შედეგი მოსდევს, თუ ზედიზედ მოჰყავთ ერთსა და იმავე მიწაზედა." *("მცენარეთა შენაცვლების საკითხი მევენახეობაში". 1889 წ. 9 თებერვალი).*

"ეს კანონი მიწისმოქმედებისა ყველამ კარგად იცის, დიდმა თუ პატარამ, გლეხმა თუ თავადმა. ჩვენში ყველამ კარგად იცის, რომ ერთსა და იმავე მიწაზედ ზედიზედ არ უნდა დაითესოს ერთი და იგივე მცენარე. ნაქერალში ქერს არავინ დასთესს, ნაპურალში პურს, თუ მცენარე არ უცვალა." *("მცენარეთა შენაცვლების საკითხი მევენახეობაში". 1889 წ. 9 თებერვალი).*

"თუ ყოველი სხვა მცენარე ისე სწოვს მიწასა, რომ მეორე წელს იგივე მიწა იმ მცენარისათვის აღარ ვარგა, რატომ ვაზის გამოც ეს არ უნდა ვიფიქროთ, მით უფრო, რომ ვაზი არამც თუ ერთსა და ორს წელიწადს, არამედ ოცსა და ოცდაათს წელიწადს ერთსა და იმავე მიწაზედ ჰდგას და ერთსა და იმავე მიწიდამ გამოაქვს თავისი საზრდო და სასმელ-საჭმელი." *("მცენარეთა შენაცვლების საკითხი მევენახეობაში". 1889 წ. 9 თებერვალი).*

"ყოველი ორგანებული არსება, მცენარეა თუ ცხოველი, დიდად დამოკიდებულია საჭმლის ავკარგიანობაზე და მეტ-ნაკლებობაზე. თუ საჭმელი არ უვარგა, ან ნაკლები აქვს, თითონ არსებაც მჭლეა, უღონო, უძლური. მჭლე, უღონო და უძლური არსება წინათვე განმზადებულია სენისთვის, ადვილად შეიყრის ყოველგვარს სენსა, ადვილად დაეჩაგვრინება, ადვილად დაიძლევა, რადგანაც, როგორც მთელი აგებულება, ისეც ყოველივე ცალკე ასო იმოდენად დაუძლურებული აქვს, რომ სენთან ბრძოლისათვის სენის მოსარევად არაქათი არა აქვს. თუნდ რომ სენიც არ იყოს, უღონო მცენარე დიდსა და ბევრს ნაყოფს ვერ გამოიღებს, გამოსავალი არა აქვს. ჩვენს ვენახებს, სხვათა შორის, უმოსავლობასაც უჩივიან. საცა უწინ დღიურს მიწას ხუთას-ექვსასი თუნგი მაინც უნდა გამოსვლოდა, დღეს ასს-ორასს თუნგს ძლივსღა სწურავენ ვენახის პატრონები." *("მცენარეთა შენაცვლების საკითხი მევენახეობაში". 1889 წ. 9 თებერვალი).*

"ყოველს ამას ბ-ნ ვეზიროვი აბრალებს მიწის მოღალვას. მიწა გაცვდა და ვაზი ეხლა ვეღარ ჰშოობს იმოდენის სიუხვითა და სიკარგით თავის საზრდოს მოღალულს მიწაშიო. ეს მიზეზი, ჩვენის ფიქრით, ძალიან ჭკუაზედ ახლოა, ნამეტნავად იმ მაგალითებსა და საბუთებს შემდეგ, რომელიც ბ-ნ ვეზიროვს მოჰყავს." *("მცენარეთა შენაცვლების საკითხი მევენახეობაში". 1889 წ. 9 თებერვალი).*

"რა არის ამისი წამალი? რამ უნდა უშველოს ამ გაჭირებულ საქმეს? რითა და რა გზით უნდა მიენიჭოს ვაზისაგან გამოწოვილსა და მოღალულს მიწას წინანდელი ნოყიერება, რომ ვაზმა უწინდებულად იხეიროს და თავი იკვებოს?" *("მცენარეთა შენაცვლების საკითხი მევენახეობაში". 1889 წ. 9 თებერვალი).*

"ბ-ნმა ვეზიროვმა ამის საპასუხოდ მიჰმართა თითონ ბუნებას და მიწათმოქმედების მეცნიერებას." *("მცენარეთა შენაცვლების საკითხი მევენახეობაში". 1889 წ. 9 თებერვალი).*

"აქედამ გამოირკვა, რომ ნაყოფთა-ცვლა თითქმის ერთადერთი სახსარია ხელახლად გაღონიერდეს მიწა რომელისამე მცენარისათვის, რომელსაც მიწა მოუღლია. ამისათვის მეტად საყურადღებო საბუთები მოჰყავს როგორც თავის საკუთარის გამოცდილებით

გამოძიებული, ისეც სხვისაგან შემცნეული და დანახული. შორს რომ არ წავიდეთ, თითონ ჩვენშიაც ცნობილია ღირსება ნაყოფთ-ცვლისა, ჩვენმა მხვნელ-მთესველმა კაცმა ძალიან კარგად იცის, რომ მიწას უნდა შეუცვალოს ხოლმე მცენარე. ქერს, პურს, სიმინდს იგი მუდამ უცვლის ხოლმე, თუ ერთსა და იმავე მიწაზედ უნდა ერთ-ერთის მოყვანა." *("მცენარეთა შენაცვლების საკითხი მევენახეობაში". 1889 წ. 9 თებერვალი).*

"საკითხავი ეს არის: როგორ მოუხერხდეს ნაყოფთ-ცვლა ვენახსა?" *("მცენარეთა შენაცვლების საკითხი მევენახეობაში". 1889 წ. 9 თებერვალი).*

"ამაზედ ბ-ნი ვეზიროვი, როგორც ფრთხილი მაძიებელი საქმისა, არაფერს გვეუბნება. "აი საგანიო, _ ამბობს იგი, _ რომელიც ღირსია მცოდნეთა მევენახეთა დაკვირვებისა და გამოკვლევისაო. ვინც ამ საგანზე სწორე პასუხს მოგვიგებს, იგი გვასწავლის მევენახეთა ბედნიერების საიდუმლო კარის გაღებასაო." *("მცენარეთა შენაცვლების საკითხი მევენახეობაში". 1889 წ. 9 თებერვალი).*

"მართლა, რომ დიდად და დიდად ღირსია კაცმა ამ საგანს გაუშტეროს ცოდნისა და გამოცდილების თვალი. ნაყოფთა-ცვლა იმ ადგილას, საცა ვაზია დარგული, შეუძლებელია, თუ ვაზი არ გადიკაფა და იმის სანაცვლოდ სხვა რამ არ დაითესა. ამ გარემოებამ დააბრკოლა უსათუოდ პატივცემული ავტორი, რომ წესი ნაყოფთ-ცვლისა ბოლომდინ არ მიიყვანა ვაზის შესახებ." *("მცენარეთა შენაცვლების საკითხი მევენახეობაში". 1889 წ. 9 თებერვალი).*

"მართლადაც ძნელი გასაბედია ამისი თქმა, ამდენის ვაივაგლახით აშენებული და გამართული ვენახი როგორ გამოიმეტოს კაცმა! მეორეს მხრით ესეც ანგარიშში მისაღებია: თუ ვენახი თავის ხარჯს ვეღარ ააყენებს, თუ საკმაო მოსავალს აღარ მოგვცემს, თუ გაგვაღარიბებს, რისღა მაქნისია? ამ ორ წყალს შუა დგომა ჩვენთა მევენახეთათვის მეტად მძიმე და ძნელი საქმეა. რა თქმა უნდა, ვენახების გადაკაფვას ამ შემთხვევაში ვერავინ ვერ ურჩევს ვენახის პატრონსა, ხოლო იმ ნაყოფთა-ცვლის საჭიროებას-კი ჭკუადასმით ჩაფიქრება უნდა იმ მხრით, რომ როგორმე ეშველოს ვაზისაგან მოღლილ მიწას, თავისი ძალ-ღონე დაუბრუნდეს იმ გზით, რომ მცენარეც შეეცვალოს და არც ვაზი გადაიკაფოს." *("მცენარეთა შენაცვლების საკითხი მევენახეობაში". 1889 წ. 9 თებერვალი).*

"ამ საგანზედ ერთი აზრი მოგვივიდა ჩვენ და იქნება შესაწყნარებელი გამოდგეს, ამიტომაც საჭიროდ ვხედავთ აქ წარმოვსთქვათ. იქნებ შესაძლო იყოს, იმისთანა მცენარე რომ მოინახებოდეს, რომ ვაზებს შუა მოვიყვანოთ და მოღალულს მიწას ის სამსახური გაუწიოს, რაც საჭიროა ვაზის სახეიროდ და იმის საზრდოს მოჭარბებისათვის. მინამ ამ სარჩიელს მივიღებდეთ, ჯერ, რასაკვირველია, საჭიროა გამოვარკვიოთ: ნაყოფთ-ცვლაში რა მოქმედობს მიწის გაღონიერებაზედ წინანდელ მცენარისათვის? ანუ, უკეთ ვსთქვათ, ბუნება ამზადებს მიწას წინანდელ მცენარისათვის მით, რომ მიწა იმ მცენარისათვის ისვენებს, თუ თითონ შეცვლილი მცენარე ამზადებს მით, რასაც იგი სტოვებს მიწაში? თუ ეს უკანასკნელია, მაშინ ჩვენი სარჩიელი თავის საბუთს ჰპოულობს და, მაშასადამე, შესაძლოა, გამოგვადგეს კიდეც. არ იქნება მეტი, რომ ამ მხრითაც ჩაუკვირდეს კაცი დღევანდელს გაჭირებას ვენახებისას, რაკი გულს დავაჯერებთ, რომ მიზეზი გაჭირებისა მიწის მოღალვაა და სახსარი ხსნისა ნაყოფთცვლა." *("მცენარეთა შენაცვლების საკითხი მევენახეობაში". 1889 წ. 9 თებერვალი).*

- **მიწათმოქმედების განკარგების მიმართულებით სოფლის მეურნეთა "კავშირის" განზრახულებანი**

"ეკონომიკური ყოფა-ცხოვრების მოედანი ჩვენში, ჩვენ მიწის მწარმოებელთ, ხელიდამ გამოგვეცალა და სხვამ დაისაკუთრა და დაინარჩუნა... ჩრჩილი შემოგვეპარა, ჩვენის ერის ნაშრომ-ნაღვაწი ჩვენგან დაწუნებულ ვაჭრობით ხელთ იგდო... საქმით გაგვიბატონდა, ყმად დაგვიჭირა... ჩვენი ნაშრომ-ნაღვაწი კერძო ცხოვრებისა დღეს წინ იმათ უდგათ, და ჩვენ კი შორიდამ ვუყურებთ და ცარიელს თითს ვილოკავთ... ჩვენის ნაამაგარისაგან გამორჩენა და მოგება სხვასა ჰრჩება და ჩვენ ჩვენს სახლში, ჩვენს მიწა-წყალზედ, მარტო დღიური მუშები ვართ სხვისა... დღეს ბარაქალაა და მართალი ბარაქალა ჩვენგან იმათ ეკუთვნის, იმიტომ რომ ისინი მიუხვდნენ ახალთა ქართა ბერვას, დროთა ძარღვს, აწინდელს აუცილებელს ღაღადს და მოთხოვნილებას, შეუფერეს, შეუყენეს, გაღონიერდნენ ჯიბით, გაღონიერდნენ ყველაფრით, ხელთ იგდეს ამ საუკუნის ძლიერი ღონე-ფული, და მაშასადამე ხელთ იგდეს დიდი სახსარი ყოველგვარი წარმატებისა... ჩვენ კი, ვისის ქონებით, ვისის ნაჯაფევით, ვისის ნაღვაწით სხვანი კეთდებოდნენ, გავირიყენით, ცარიელზედ დავრჩით, და დღეს შორს არა ვართ, იქამდე, რომ ჩვენ ჩვენს სახლში სტუმრებად შევიქენით და სხვანი გაგვიმასპინძლდნენ..." (*"კახეთის სოფლის მეურნეთა კავშირი". 1895 წ.*).

"თელავის თავად-აზნაურობა, მისდა სასახელოდ მიმხვდარა ამ გაჭირვებას და შესდგომია საშველის ძებნას... საგნად შემდგარ ამხანაგობისა დაუდვია განკარგება და გაძლიერება მიწათმოქმედებისა".

"განკარგება და გაძლიერება მიწათმოქმედებისა სწორედ იმ მხარეს უნდა მიექცეს, რომ მიწათმოქმედებას ჩვენში სხვა გზა და მიმართულება აუჩინონ, გაუმრავალგვარონ კულტურა ჰავისა და მიწის შესაფერად, ყოველივე ახლად შემოსაღები საჭირნახულო შეუწონონ საშიანო და საგარეო ბაზრის მოთხოვნილებას, ძვირფასი რამ ჭირნახული დაუდვან საგნად მიწის მოქმედს და იეფის ფასის ჭირნახულზე ხელი ააღებინონ, ან გაუადვილონ ხარჯი და მუშაობა".

"რასაკვირველია, ყოველს ამას სურვილისა და წყურვილის გარდა, ცოდნა და მოხერხება უნდა".

"როგორც ეტყობა არც ეს აუცილებელი მხარე საქმისა დაუგდია უყურადღებოდ თელავის თავად-აზნაურობას. სხვათა მისაღწევ საგანთა შორის ცოდნისა და ხერხის გავრცელებაც დაუვალებია გაზრახულის ამხანაგობისათვის".

"მართალია დიდი მოედანი დაუნიშნავს თელავის თავად-აზნაურობას მის მიერ განზრახულ ამხანაგობის მოქმედებისათვის, მაგრამ აქ სიდიდეს კაცი არ უნდა შეუშინდეს. რაც ცალკე კაცისათვის დიდია და მძიმე, ის ადვილი საზიდია ბევრისთვის" (*"კახეთის სოფლის მეურნეთა კავშირი". 1895 წ.*)

"რადგან მარტო წიგნი ვერ გაუწევს საკმაო სამსახურს დიდს საქმეს ცოდნის გავრცელებისას, "კავშირს" განუზრახავს საქმე ისე მოაწყოს, რომ მსურველმა თავისის საკუთარის თვალით დაინახოს, რა უფრო სასარგებლოა კაცმა გამოაღებინოს მიწას, რაა სასურველი მოსაყვანად, რარიგად უნდა აკეთოს, რარიგად მოუაროს, რაგვარად უნდა შეუწყოს ხელი და იწარმოოს".

"რომ ყოველივე ეს აჩვენოს მსურველს და დააჯეროს, რომ ამა თუ იმ ჭირნახულისაგან უფრო დიდი გამორჩენა ექმნება, "კავშირი" კახეთში იქონიებს მიწებს,

საცა ყოველ ამის მაგალითს და საბუთს თვალით დაანახვებს. რომ სხვა გზითაც შემწეობა აღმოუჩინოს სოფლად მომქმედს მოჭირნახულეს, "კავშირი" გაიჩენს ხალხში გასავრცელებლად რაც საუკეთესო ხილია, ან საბოსტნე რამ, ან მცენარე, და იყოლიებს საუკეთესო ჯიშის პირუტყვსა, რომ ამით პირუტყვთშენება განკარგდეს ჩვენში და კაი ჯიშის პირუტყვი გამრავლდეს". *("კახეთის სოფლის მეურნეთა კავშირი". 1895 წ. 17 ნოემბერი).*

"... ღონისძიებას "კავშირისას" შეადგენს საქმეში სატრიალებელი ფული და ზარალის მზღვეველი თანხა..." *("კახეთის სოფლის მეურნეთა კავშირი". 1895 წ.).*

"ჩვენ წინადაც ვსთქვით, რომ მხნე და გამრჯელი კაცი არ უნდა შეუშინდეს სიდიდეს საქმისას და, მაშასადამე, გაძღოლასაც. განზრახული "კავშირისაგან" საქმე იმდენად მრავალშტოიანია, რომ შესაძლოა პირველ ხანებში მარტო ერთს რომელსამე შტოს შეუწონოს "კავშირმა" თავისი შემლება, იგი აამოქმედოს, და მერე შემლების გაძლიერების მიხედვით, თანდათან და თვითო-თვითოდ სხვა შტოებსაც მოჰკიდოს ხელი".

"საფიქრებელი ეს არის, რომ ამისთანა საქმეში თანდათანობასაც თავისი საზღვარი აქვს. ეს საზღვარი დამოკიდებულია იმ საგანზე, რომელიც პირველ ხანშივე საჭიროა ამოქმედდეს, რომ "კავშირმა" პირველშივე თავი იჩინოს თავისის აგებულებათა, გამჭრიახობათა და სიმარჯვითა და ამით ნდობა მოიპოვოს. თუ ამისთანა საქმეს ნდობა არ დაედვა ქვაკუთხედ, ყოველივე მეცადინეობა უქმია და გზაგაუტანელი. თუ ამ თვალით ამოირჩევა პირველ ხანის სამოქმედო საგანი, მაშინ თვით სენის სიგრძე-სიგანე გვანიშნებს, - რაოდენი ღონეა საფიქრებელი, რაოდენი შემლება უნდა მზად იყოს, რომ არჩეულს საგანს გასწვდეს უკლებლივ. ეს ერთი მხარეა საქმისა, რომელიც სახარჯავს თხოულობს, და აქ იქნება მეტ-ნაკლებლობას საჭირო ფულისას და შემლებისას როგორმე მოევლებოდეს. ეს თვით "კავშირის" მოთავეთათვის მიგვინდია (*"კახეთის სოფლის მეურნეთა კავშირი". 1895 წ.*).

"ამ საქმეს აქვს მეორე მხარეცა, რომელსაც არა გზით არ ეღალატება და რომელიც პირველ ხანშივე მთელს თავისს საზღვრებში სავსებით უნდა დატეულ იქმნას და, მაშასადამე, უკლებლივ და სავსებით სახარჯოც უნდა საგულვებელ იყოს. ეს ხარჯი ჯამაგირებია და გასამრჯელო იმ კაცთათვის, რომელნიც მოწვეულ უნდა იქმნან პირველშივე საქმის ფეხთაადგმისათვის, საქმის დაწყება-აგებისათვის. ცოტა იქნება პირველში სამუშაო, თუ ბევრი, ამაზე-კი არ უნდა იყოს დამოკიდებული რიცხვი საჭირო კაცთა, არამედ იმაზე, რომ საქმე სამერმისოდაც პირველშივე მკვიდრად დალაგდეს, ძირი მაგრად გაუკეთდეს, სათავე განზრახულს ბოლოს პირველშივე შეუფერონ, დღევანდელი დღე, დღევანდელი საგანი, ხვალის მშობლად გაჰხადონ და საქმე თანდათან მატებაში შეიყვანონ და მატების გზაზე დააყენონ". *("კახეთის სოფლის მეურნეთა კავშირი". 1895 წ. 29 ნოემბერი)*

"აქ ყოველივე ხელნაკლებობა ხარჯისა მომაკვდინებელი შეცდომაა. საჭირო კაცთა სავსებით მოწვევისათვის "კავშირმა" არ უნდა დაზოგოს-რა პირველშივე, თუნდაც ხელთათვის საქმე არა იყოს-რა ჯერ, იმიტომ რომ თავიდათავი საჭიროება საქმის აგება და მისი დალაგება სამოქმედოდ, რადგანაც მარტო ეს აგება და დალაგება გამოიწვევს იმ ნდობას, ურომლისოდაც "კავშირი" და სხვა ყოველი ამისთანა ერთს ბიჯსაც წინ ვერ წასდგამს, ერთს წუთსაც ვერ იხეირებს. ამ კაცთა მოწვევას და საქმეში ჩაბმას კარგა ბლომად ხარჯი მოუნდება".

"ბევრს ვერ იპოვით ჩვენში იმისთანა ბიჯს, იმისთანა დაწყობილებას, იმისთანა სამოქმედოს რასმე, რომ ისე უკლებლივ, ისე ნიშნობლივ, ისე უკან დაუხევლად და

პირდაპირ გატარებული იყოს წყურვილი თვითმოქმედებისა, როგორც "კავშირის" წესდებაშია". *("კახეთის სოფლის მეურნეთა კავშირი". 1895 წ. 3 დეკემბერი).*

- **ჭირნახულის მომყვანთა კავშირი**

"ვაჭარი ხარბია და სულ იმის ცდაშია, რაც შეიძლება ნაკლებ იყიდოს და რაც შეიძლება მეტად გაჰყიდოს. ეს ცდა მოჭირნახულესაც ხელში ლუკმას უტეხს და მხმარებელსაც. ორივე ესენი ჰზარალობენ და ამათს ზარალზედ შენდება მოგება სინდისზედ ხელაღებულ ვაჭრისა".

ამ გარემოებამ მეტად ჩააფიქრა მოჭირნახულენი და მხმარებელნიც. იგრძნეს, რომ ერთიც და მეორეც იწველებიან ვაჭართაგან. შეუტყეს მანქანებიც, რომ აქ ერთ პირზედ დგომა აძლევს ვაჭრობას ძალ-ღონეს წველისას და ამიტომაც ამ ერთს პირზედ დგომასვე წაავლეს ხელი როგორც სახსარს თავისი ხსნისას. იფიქრეს, რატომ ჩვენ კი არ შეგვიძლიან ჩვენი საქმე ისე მოვაწყოთ, რომ მხმარებელნი და მოჭირნახულენი ერთმანეთს შევყაროთ უშუაკაცოდაო... ამ პირებმა ევროპაში ფესვი გაიდგეს, მოედანი დაიჭირეს და ნაყოფიც მოიტანეს. შესდგა ზედიზედ ეგრეთწოდებული "ამხანაგობა მხმარებელთა".

ჩვენ ეს "მხმარებელთა საზოგადოება დღეს ისე არ გვიზიდავს, როგორც "მოჭირნახულეთა ამხანაგობა" ("*ჭირნახულის მომყვანთა გაერთიანებულ ამხანაგობათა შესახებ". 1886* წ.).

"ამჟამად ჩვენის მკითხველების ყურადღებას მივაქცევთ "ღვინის დამყენებელთა ამხანაგობაზე", რომელიც დღეს გერმანიაში მოქმედებს დიდის სახელით და გამარჯვებით. ეს ერთი მაგალითი საკმაო იქნება, რომ კაცმა იმის მიხედვით მოიაზროს, როგორ უნდა შედგეს ამხანაგობანიც, ვსთქვათ თუნდაც ხორბლეულის თაობაზედაც".

"რეინის ამხანაგობა საკუთარის თვალით უნახავს ერთს ჩვენს ქართველს, რომელიც ამ ზაფხულს წავიდა საზღვარგარეთ და რომელსაც, სხვათა შორის, ჰქონდა აზრად ამისთანა ამხანაგობის ვითარება შეეტყო. მას გაუსინჯავს ყოველივე დაწყობილობა ამ ამხანაგობისა, ყოველისფერი გამოუკითხავს, გაუგია და ისე მოსწონებია, რომ სანატრელად გახდომია ჩვენის ქვეყნისათვის" *("ჭირნახულის მომყვანთა გაერთიანებულ ამხანაგობათა შესახებ". 1886 წ.*).

ეს აზრი, ჩვენდა სასიამოვნოდ, მომწიფდა და დღეს ჰლამის განხორციელებას. გუშინ 2 თებერვალს, ამ საქმის მეთაურებმა შეჰყარეს სამეურნეო საზოგადოების დარბაზში ოცდათხუთმეტ კაცზედ მეტი მოსასმენად ამ საგნის შესახებ შედგენილი პროექტისა. პროექტის დედააზრი იგია, რომ ტფილისში ვაჭრობა ხილისა და ბოსტნეულობისა რიგიანსა და სწორ გზაზედ დააყენონ იმ განსაკუთრებულ აზრით, რომ როგორც მოწარმენი ხილისა და ბოსტნეულობისა, ისეც ამაების მუშტრები, ჩარჩების ხელისაგან დაიხსნან და სყიდვა-გაყიდვაში არცერთი აზარალონ და არც მეორე. ამისათვის, პროექტის აზრით, უნდა შესდგეს საზოგადოება მწარმოებელთა და მუშტართაგან და ამ საზოგადოებამ უნდა ხელთ იგდოს ვაჭრობა ხილისა და ბოსტნეულობისა".

"კრებულმა, შემდეგ ხანგრძლივი ბაასისა, საჭიროდ დაინახა საზოგადოების მოქმედება მარტო ხილისა და ბოსტნეულობის ვაჭრობაზედ არ შეაყენონ და ხორბლეულობის ვაჭრობასაც ხელი მოჰკიდონ, თუ ვინიცობაა საქმის წარმატება ამის ღონეს მისცემს საზოგადოებას". *("ხილის და ბოსტნეულის გამსაღებელი საზოგადოება". 1889 წ.*).

“ღმერთმა ჰქმნას, რომ ეს საზოგადოება შესდგეს. არ არის მიზეზი, რომ კაცმა იმედი არ იქონიოს ამისთანა საზოგადოებაზედ, თუ ჩვენი საკუთარი თვითმოქმედება და თანაგრძნობა მხარს მისცემს. საქმე ის არის, რომ ჩვენმა მემამულეებმა პირველშივე გული არ გაიტეხონ და პირველშივე სულითა და გულით მიეგებნენ ამ დაწყობილებას. ყველგან ამ გზით ჰშველებიათ, ამ გზით დაუხსნიათ თავი იმ გაჭირვებულ მდგომარეობისაგან, როგორშიაც დღეს ჩვენა ვართ ჩაცვივნულნი. აქ მარტო საკუთარი სურვილია საჭირო, რომ ჩვენს თავს ჩვენვე ვუშველოთ. ამ წყურვილის გაღვიძებაზეა დამოკიდებული მთელი სიმარჯვე საქმისაცა”.

“მოვიწვევთ ჩვენს მემამულეებს, რომ რაც შეიძლება ბევრმა მიიღოს მონაწილეობა ამ საქმეში, რადგანაც დიდად საიმედო და სასარგებლო საქმეა”. (*“ხილისა და ბოსტნეულის გამსაღებელი საზოგადოება”. 1889 წ.*).

მეოთხე თავი (სამ ნაწილად).
საზოგადოებრივი ცხოვრება და სახელმწიფოს, როგორც საზოგადოებრივი წარმონაქმნის მართვა-გამგეობა

პირველი ნაწილი

4.1. საზოგადოებრივი ცხოვრება

4.1.1. საზოგადოებრივი ცხოვრება – მდინარება, წინსვლა ყოველისფერისა. ესე მიდის კაცობრიობის ცხოვრება და ამნაირს სხვლას დასასრული არა აქვს

- ხე ცხოვრებისა და ხე ცნობიერებისა ერთს ძირზედ ამოდიან
- საზოგადოებრივი ცხოვრების გარეთ რომ გავმდგარიყავით დიდი გენიოსი უნდოდა
- ჩვენს ცხოვრებას სხვანაირი ფერი დაედო, მაგრამ მაინც გაჭირვებულ მდგომარეობაში ვართ
- ყველას თავისი ჟამი და დრო აქვს ცათა ქვეშე
- სატკივარი არას უზამს კაცს, თუ მიზეზი თავის დროზე გაუგო
- წუთის-სოფლის სუფრაზე თავისი ადგილის დაჭერაა ძნელი
- ჩვენი შიდა ცხოვრების ისტორია ჯერ ფარდაუხდელია და უცნობი
- ხალხის ჩვეულებანი შესახებ ეკონომიურის და იურიდიულის ცხოვრებისა
- სახალხო პოეზია უნდა შევისწავლოთ

4.1.2. “ერის სიბერე” თუ “ინტენსიური ცხოვრება”

- “ერის სიბერე”
- “ინტენსიური ცხოვრება”

მეორე ნაწილი: სახელმწიფოს მართვა-გამგეობა

4.2. სახელმწიფოს, როგორც საზოგადოებრივი წარმონაქმნის მართვა – გამგეობა

4.2.1. სახელმწიფოებრივი მართვის ცენტრალიზაციური სისტემა

- ცენტრალიზაციური სისტემა: არსი
- სახელმწიფოს სიმტკიცე დამყარებული უნდა იყოს ერთსულოვნებაზე. ეს ჰბადებს მისადმი ხალხის სიყვარულს
- სახელმწიფო მოხელე და მოხელეობა
- პოლიცია და სამმართველო ხალხთან ახლოს მყოფი ორი მთავრობითი ორღანოა

- მოხელეთა ამორჩევაში ენის ცოდნას უპირველესი ადგილი უნდა ეჭიროს. ევროპის მაგალითი
- სახელმწიფო და ეროვნობა ადვილად მოსათავსებელნი არიან ერთმანეთში
- ადამიანის უფლებების შესანარჩუნებლად ჩვენმა ლიტერატურამ ვერაფერი სამსახური გაუწია ქვეყანას
- სახელმწიფო სამსახურში მყოფი მოსამართლე ახლოს უნდა იყოს ხალხთან, უამისოდ ხალხს ზნეობაც შეერყევა და ქონებრივი სიმდიდრეც
- კაცთა შორის უფლება-მოვალეობის გამიჯვნა. ეს უფრო მეტად აუცილებლად საჭიროა ხალხთა კეთილდღეობისათვის, ვიდრე სხვა რამე ქვეყნიერობაზედ
- უფლება-მოვალეობის გამიჯვნის ორი გზა ჩვენში
- პასუხისმგებლობა საზოგადო მოღვაწისა დიდი ჭირიც არის მისთვის და დიდი ლხინიც

4.2.2. ადგილობრივი თვითმმართველობა – სახელმწიფო მმართველობის მეორე გვარი ფორმა

- მეორე გვარი მმართველობა: არსი
- თვითმმართველობის უმთავრესი კუთვნილებანი
- თვითმმართველობის უმთავრესი საფუძვლები
- ჩვენი სოფლის თვითმმართველობის უვარგისობის მიზეზები
- ჩვენის ქვეყნისათვის კანონები ჩვენშივე უნდა იწერებოდეს
- საჭიროა მიწათმოქმედთ იყოლიონ თავისი წარმომადგენელთა კრება
- არც ერთს მმართველობის ორგანოს უფლება არა აქვს თავის ხელქვეითს უკანონობა ჩაადენინოს

მესამე ნაწილი.

4.3. მიწათმფლობელობა საქართველოში და ევროპის ქვეყნებში

4.3.1. მიწათმფლობელობა: საზოგადოების განვითარების ეკონომიური ქვაკუთხედი

- ორი ნაწილი მიწებისა
- ტყითსარგებლობა ჩვენის გლეხკაცობის შესაფერისი უნდა იყოს
- მიწის გამიჯვნა
- იჯარა: დახლართული და დახვლანჯული წესების ტყვე

4.3.2. ხიზნობა – მიწათმფლობელობის ერთგვარი ფორმა

- ხიზნობა: არსი
- ხიზნობა: რა გვჭირდება
- ხიზნობა: მოვემზადოთ, ნუ ვიჩქარებთ
- ხიზნობა: ბუნება
- ხიზნობა: ისტორია
- ხიზნობა: დასკვნა

პირველი ნაწილი
4.1. საზოგადოებრივი ცხოვრება

4.1.1. საზოგადოებრივი ცხოვრება – მდინარება, წინსვლა ყოველისფერისა. ესე მიდის კაცობრიობის ცხოვრება და ამნაირს სხვლას დასასრული არა აქვს

- ხე ცხოვრებისა და ხე ცნობიერებისა ერთს ძირზედ ამოდიან

"ცხოვრება რაც გუშინ იყო, ის დღეს აღარ არის, რომ იგი იცვლება, მიდის წინ და მოაქვს განახლება ყოველისფერისა. წესი, ჩვეულება, აზრი, გრძნობა, ენა, რომელიც მაგათ გამომეტყველია, ყოველიფერი იცვლება მის ძლიერ გავლენისაგან. რაც გუშინ კაცს ჰგონებია დაურღვეველ ჭეშმარიტებად, რისთვისაც უცია პატივი, როგორც მიუცილებელ საჭიროებისათვის, ხშირად მოხდება ხოლმე, რომ ის დღეს გაუთლელ შეცდომად მიგვაჩნია, ასე რომ კიდეც გვიკვირს, ადრინდელს კაცს როგორა სწამდა ამისთანა ცხადი სისულელე დაურღვეველ ჭეშმარიტებად, როგორ არა ჰქონია იმოდენა გონიერება და მხედველობა, რომ გაერჩია თეთრი და შავი, შავისათვის შავი დაერქმია, თეთრისათვის _ თეთრი." *("საქართველოს მოამბეზედ". 1862 წ.).*

"ცხოვრება, როგორც ყოველი მოზარდი, იზრდება, ჰყვავის, მოაქვს ნაყოფი და მერე ჭკნება _ იმისათვის კი არა, რომ მოკვდეს და საუკუნოდ დაიმარხოს, არამედ იმისათვის, რომ თავისაგან მოყვანილის ნაყოფისავე თესლზედ ამოიყვანოს სხვა ახალი, ნედლი ცხოვრება, რომელიც ისევ-ისე უნდა წავიდეს ცხოვრების გზაზედ, როგორც პირველი, თუ უკვდავება უნდა." *("საქართველოს მოამბეზედ". 1862 წ.).*

"ცხოვრებასაცა აქვს თავისი შემოდგომა და გაზაფხული, როგორათაც ბუნებასა. მაცხოვნებელია პირველი ქროლა გაზაფხულის პირველი დილისა, მაშინ ცა და ქვეყანა ერთი-ერთმანეთს შეჰხარიან; უფრო მაცხოვნებელია პირველი ქროლა ახალის ცხოვრებისა _ ეგ ახლად დაბადებულის ყრმისა, რომელსაც ძველი ცხოვრება ისე უნდა შეჰხაროდეს, როგორც ძუძუმძლეველი დედა შეჰხარის ახალგაღვიძებულს ბავშსა." *("საქართველოს მოამბეზედ". 1862 წ.).*

"გული სხვა-რიგად სცემს, როცა დედამიწაზედ ზამთრის შემდეგ მზე ამოხეთქავს მწვანე ბალახსა და უფრო სხვა-რიგადა სცემს მაშინ, როცა ცხოვრებაზედ ამოვა, თავს ამოჰყოფს ბრწყინვალე ყვავილი ახალის აზრისა... მით უფრო მშვენიერია ეგ ყვავილი, რომ ჭკნება, თუ ცხოვრობს, მაინც ისე არ გაძუნწდება, რომ სხვა არ აღმოშობოს, ამ სხვამ კიდევ სხვა და ეგრეთ არ შეადგინოს ისტორიული ყვავილთა გრეხილი, რომელშიაც მომდევარი წინამსვლელზედ ყოველთვის უფრო სრულია, უკეთესი და მშვენიერი, თუ რომ ცხოვრების ვითარების და გარემოების გავლენა ადრე და მალე არ დაუხლართავს გზასა და ზრდას არ დაუშლის. მაგრამ ესეც კია სანუგეშო, რომ როგორი დარიც უნდა დაუდგეს მაგ ყვავილსა, თუკი ძირი ღონიერი აქვს, რაც უნდა ფეხი დააჭირო და სრესო, მაინც გაარღვევს დღესა თუ ხვალ დედამიწასა, ამოხეთქავს და გამოვა სინათლეზედ უფრო დაშვენებული და ძლიერი." *("საქართველოს მოამბეზედ". 1862 წ.).*

"ის ხალხი, ის ცხოვრება, რომელიც არ იზრდება, რომელსაც არა აქვს თავისი გაზაფხული და ნაყოფიერი შემოდგომა; რომელიცა ბერდება კი, მაგრამ იმ სიბერის

ნაყოფზედ ისევ არ ამოვა განახლებული, განათლებული, სიახლის მშვენიერ გვირგვინითა _ ის ხალხი, ის ცხოვრება მიჩანჩალებს სამარისაკენ, ბოლოს მივა და აღიგვება, როგორც მტვერი დედამიწის ზურგიდამ." *("საქართველოს მოამბეზედ". 1862 წ.).*

"ხე ცხოვრებისა და ხე ცნობადისა ერთს ძირზედ ამოდიან; მხოლოდ იმათი აღყვავება სხვადა-სხვა დროს მოდის. როცა ცხოვრების ხეზედ ყვავილი ჭკნება, მაშინ ცნობადის ხეზედ მწიფდება ნაყოფი, და ამ ნაყოფის თესლი აღმოშობავს ხოლმე ცხოვრების ხეზედ ახალ ყვავილებსა." *("საქართველოს მოამბეზედ". 1862 წ.).*

"თუ ცხოვრება ჯანმრთელია, თუ მასში არის უკეთესობის ნდომა და განახლების ცხოველი იმედი, ეგ თვით დავრდომილის აღმადგინებელი იმედი _ მისნი ძალანი, მისნი ძარღვნი მარად დაუძინარნი არიან. იგინი დაუღალავად, დაუყოვნებლივ მოქმედობენ, მოძრაობენ, წარმოებენ, როგორც ყოველიფერი, რასაც კი სიცოცხლე აქვს მინიჭებული. თუ გარედამ აბრკოლებენ, უშლიან იმათ მოძრაობასა, მაშინ ისინი მაინც კიდევ თავისას არ მოიშლიან, მიწაში დაიფლებიან და იმ მიწის სიბნელეშიაც მოქმედებენ იმ დრომდე, ვიდრე დარი არ დაუდგებათ, რომ გარეთ მზის სინათლეზედ გამოვიდნენ და უფრო ფართოდ გაშალონ ფრთები. ყოველს მათს მოძრაობას, ყოველს მათ მოქმედებას თავისი ნაყოფი ამოჰყავს ცხოვრების ხეზედა და ყოველს ამ ნაყოფს აქვს თავისი აზრი და მნიშვნელობა, იმიტომ, რომ იმათი ძირი ცხოვრებაშია გამოკვანძილი, _ ცხოვრება კი ძნელად თუ რასმეს ჰქმნის უაზროდ. დღე-და-დღე ეგ ნაყოფი ემატება, დღე-და-დღე სხვადასხვა ყვავილებით იმოსება ხე ცხოვრებისა. ეგ ნაყოფი, ეგ ყვავილები ერთად შეკრეფილი შეადგენს ცხოვრების ვითარებასა, მოსავალსა." *("საქართველოს მოამბეზედ". 1862 წ.).*

"რაც ცნობაში მოყვანილი, რაც დამტკიცებულია, მხოლოდ ის გადადის ხალხში, მხოლოდ ის მიიღება ხალხისაგან. და რაც მიიღება, მხოლოდ იგი სცვლის ხალხის მდგომარეობასა, ცხოვრებასა." *("საქართველოს მოამბეზედ". 1862 წ.).*

"თუ ცხოვრებას არ უნდა, ვერაფერს ვერ მიამყნობთ ისე, რომ იმ ნამყნობმა იხეიროს და ნაყოფი მოიტანოს." *("საქართველოს მოამბეზედ". 1862 წ.).*

"მარტო ის საქმეა მკვიდრი და მტკიცე, რომლის ფესვიც შიგ ცხოვრებაშია გამოკვანძილი; უიმისოდ ვერა საქმე ვერ გასძლებს, ვერ მოიტანს ნაყოფსა, როგორც თესლი უდედამიწოდ." *("საქართველოს მოამბეზედ". 1862 წ.).*

"რამოდენადაც ცხოვრება _ ეგ დედა ყოველ საქმისა _ ძლიერია და ღონიერი, იმოდენად მოსავალი და ნაჭირნახულევი დიდია და უხვი." *("საქართველოს მოამბეზედ". 1862 წ.).*

"თითონ ცხოვრება აღმოშობავს ხოლმე თავისათვის წესსა, განსაზღვრავს ხოლმე თავის რჯულსა და კანონსა, _ მხოლოდ ამ კანონსა გაგება უნდა, გამოფენა საქვეყნოდ და შეძლებისამებრ გზის გახსნა, რომ მისი წარმოება არაფერმა არ შეაყენოს." *("საქართველოს მოამბეზედ". 1862 წ.).*

"რაც უფრო მკაფიოდ და დაუნდობლად არის გამოთქმული ბოროტება და ნაკლულოვანება ცხოვრებისა, ზოგჯერ მით უფრო სჩანს გამომთქმელის გულის სიმხურვალე, მოუთმენელი, ცხარი წადილი გასწორებისა." *("საქართველოს მოამბეზედ". 1862 წ.).*

"ლაფი ჩამოვირეცხოთ, ჭუჭყი მოვიშოროთ, რომ მხოლოდ მარგალიტები დაგვრჩეს ჩვენის ცხოვრების სასახელოდ." *("საქართველოს მოამბეზედ". 1862 წ.).*

"ცხოვრება ყოველთვის ორ დიდ ტოტზედ დადის. ერთი ტოტი მოაზრე ცხოვრებაა, მეორე _ მოსაქმე, რომელნიც ისე არიან ერთმანეთზე დამოკიდებულნი, რომ ხან ერთია

მეორისაგან წარმოდგენილი, ხან მეორე პირველისაგან. თვით აზრიც სხვა არა არის რა გარდა იმისა, რომ საქმეა ჯერ განუხორციელებელი, და საქმეც _ აზრია, უკვე განხორციელებული." *("წერილები ქართულ ლიტერატურაზე". 1892 წ.).*

"მოსწყდა ორკეცი დენა ცხოვრებისა და დაცარიელდა საზოგადო მომქმედთა სარბიელიცა. რაკი წარსულისა და მაშინდელ აწმყოს შუა დედამიწა გაირღვა, წარსულ ანდერძებთან ერთად ყველაფერი დავკარგეთ. ისიც-კი დავივიწყეთ, _ ვინა ვართ და რანი ვართ. ამ გარემოებამ ხომ სრულიად გაგვიუქმა ჭკუა-გონება, ამოგვიშრო ტვინი, იმიტომ რომ საგანი ცხოვრებისა დავკარგეთ ამაების დავიწყების გამო, და ჭკუა-გონებას, სულს და გულსა აღარა ჰქონდა მიზეზი ფრთა გაეშალა, და რა თქმა უნდა მოაზრე ცხოვრება ვეღარ დაიძროდა ადგილიდამ და შედგა, თითქო ერთს ადგილს შეიკრა და გაიყინაო." *("წერილები ქართულ ლიტერატურაზე". 1892 წ.).*

"არც მოსაქმე ცხოვრებაში შეეძლო თავი ეჩინა საზოგადო მოღვაწესა. ეს მხარეც ცხოვრებისა, თავის საწყლეში მომწყვდეული, შეჰგუბდა და გაჩერდა შეგუბებული, თითქო ახალ გარემოებათაგან გზადაკარგული ელისო, აცა საით გამიხსნიან ნაპირს, რომ იქიდამ დავიძრა და მივედინოო. გახსნა ნაპირისა თვით ცხოვრების შვილთა ხელში აღარ იყო და რა საკვირველია, რომ აღარც საგანი, აღარც საქმე იყო მოსაქმე ცხოვრებისათვის. უსაქმობამ და უსაგნობამ ცხვრებისაგან გახიზნა მაშინდელი კაცები და შეუხიზნა ახალ ვითარებას. ვისაც რაიმე ნიშან-წყალი ადამიანობისა ჰქონდა, ყველანი ერთობ გაიწივნენ სამსახურისაკენ და მის ფარგალში შეიმწყვდიეს თავი. დანარჩენნი კი შინ, თავის ოჯახებში შეიკეტნენ, ვნახოთ ხვალე რას მოგვიტანსო. პირველნი იმისათვის, რომ ახალ ვითარებას კალთას ქვეშ თავი როგორმე გაიტანონ, და მეორენი იმისათვის, რომ თავის პატარა ოჯახების პატარა სანათურიდამ თვალი ადევნონ, _ აცა ციდამ ვაშლი როდის ჩამოვარდება, რომ პირველი მე მივვარდე და მოვკმიჩოო. საზოგადო ცხოვრება-კი უკაცურად დარჩა, არც ერთთა და არც მეორეთა იგი აინუნში აღარ მოსდიოდათ, თითქო რაკი იგი, როგორც მეტი ბარგი, მოიხსნეს, მოხარულნი არიან, რომ მისთვის ზრუნვა, ურვა და გარჯა თავიდამ მოჰშორდათ და სხვამ იდვა კისრადაო.

აი, ჩვენის ფიქრით, ნიშანდობლივი ძარღვი იმ ხანასი, რომელმაც მეცხრამეტე საუკუნის ოცდაათიან წლების თითქმის მეორე ნახევრამდე თავი იჩინა ჩვენში." *("წერილები ქართულ ლიტერატურაზე". 1892 წ.).*

"ცხოვრება, როგორც ყოველი მოზარდი არსება, იზრდება, ჰყვავის, მოაქვს ნაყოფი და მერე ჭკნება; მის ნაყოფის თესლზედ ამოდის სხვა, ახალი ცხოვრება, რომელიც ისევ ისე მიდის თავის განვითარების გზაზედ, როგორც პირველი." *("ცისკარი" 1857 წლიდან 1862 წლამდინა". 1862 წ.).*

"ცხოვრების ძალანი დაუღალავად და დაუყოვნებლად მოქმედობენ, მოძრაობენ და ჰბადავენ მრავალ ფაქტებს, მრავალ ახალ საჭიროებას, მოაგუბებენ მრავალ ნაყოფსა _ რომელთაც შეგროვება უნდა, მოაჯგუფებენ მრავალ კითხვაებს _ რომელთაც პირდაპირი პასუხი და გადაწყვეტა უნდათ." *("ცისკარი" 1857 წლიდან 1862 წლამდინა". 1862 წ.).*

"ცხოვრება მაშინ ნიშნავს სითბოსა და სინათლეს, როცა მასში გონების გარდა გრძნობაც ამეტყველდება". *("წერილები ილია ჭავჭავაძისა ოლღა თადეოზის ასულ გურამიშვილისადმი". 1863 წ. 15 მარტი).*

"ერთი ფიქრი მაწუხებს, ვაი თუ ამ ვაინაჩრობის ცხოვრებიდან სიღარიბეში ჩავცვივდით, და შენ, ანუ მე, ეგ ვერ ავიტანოთ. ეს ფიქრი რომ არ მწყლამდეს, დღესვე ამ ოხერს სამსახურს თავს დავანებებდი. აი რა არის კაცის უხეირობა და ის აღზრდა, რომელიც ჩვენ მიგვიღია: თვით თვისით ცხოვრება გვაშინებს და გვაბთხობს. ცუდათა

ვართ გაზრდილნი და გაგეშილნი. ნაცარქექიობით პურის შოვნას კაცის ხასიათი უმცირებია და უდუნებია. აბა ეხლა მე და შენ ანგლიური გაზრდილობა გვქონოდა, რარიგ უშიშრად დავიწყობდით ბრძოლას ბედთანა და რა ძლევამოსილობით ბოლოს გავატანდით!.. და რადგანაც მე და შენ ანგლიელები არა ვართ და ვეკუთვნით უხეირო ხალხს, რომელსაც ქართველობას ეძახიან, ამისათვის ხვალინდელის დღისა შიშიცა გვაქვს და ფიქრიცა და არც ჩვენს თავზედა გვაქვს დანდობა და იმედი. კაცი, რომელიც თავის-თავს არ ენდობა და თავის-თავის იმედი არა აქვს, ის კაცი კაცი აღარ არის. ნუთუ მე და შენ მართლა ამისთანანი ვართ? ღმერთმა ნუ ქნას". *("წერილები ილია ჭავჭავაძისა ოლღა თადეოზის ასულ გურამიშვილისადმი". 1873 წ. 16 მარტი).*

"ჩვენი ცხოვრება ზურგ-გაღლეტილ და დავარდნილ სახედარსავით გდია უძრავად, სადღაც კუთხეში და სიცოცხლეს მარტო იმით იჩენს, რომ იცოხნება, როგორც პირუტყვი. თუ დროთა ბრუნვა წიხლს დააზელს ხოლმე, მაშინ მოძრაობასაც იჩენს, მაგრამ მხოლოდ მით, რომ ერთი ყრუდ დაიბღავლებს, ერთის გვერდიდამ მეორეზედ ფხანვით გადაბრუნდება და ისევ უწინდებულად თვლემით და არხეინად ცოხნას მოჰყვება, მითამ-და არაფერი არც ეტკინაო, არც ეზიანაო." *("შინაური მიმოხილვა". 1879 წ. ივლისი-აგვისტო).*

"ამისთანა ქვეყანაში, საცა ცხოვრება ხავს-მოკიდებულს გუბესა ჰგავს, ესე იგი ჭია-ჭუების და ქვემძრომების საბუდარს, იქ მწერალმა რა უნდა ქმნას? ჭია-ჭუევს რომ ყურში ხელი წაავლოს და აწივლოს, _ ეგ ერთხელ, ორჯერ კიდევ შესაწყნარებელია, მაგრამ მუდამ კი ღმერთმა შეინახოს, მოსაბეზრებელია, მოსაწყენია, _ კაცს ყოველს სურვილს კითხვისას მოუკლავს." *("შინაური მიმოხილვა". 1879 წ. ივლისი-აგვისტო).*

"სულ სხვა, ახალმა სიომ დაუბერა რუსეთს. იმ დრომდე თვალდახუჭვილმა და ენადაბმულმა რუსეთმა თვალი აახილა, ენა ამოიდგა. რასაკვირველია, ეს უცებ არ მოხდა და არც ერთის კაცის ნებითა: ეგ მოიტანა ცხოვრებამ, რომელიც თავის-დღეში უქმად არ შეჩერდება ხოლმე, ეგ მოიტანა ცხოვრების ნამუშევარმა. ახალმა დრომ თუ თავი რითმე იჩინა, ეგ იმით, რომ თავისი-თავი ცოტად თუ ბევრად იცნო და თავის მოთხოვნილებას აჰყვა." *("შინაური მიმოხილვა". 1881 წ. მაისი).*

"ყოველგან, საცა კი ისტორიის ღირსი ერი თავისითა სცხოვრობს, ორნაირი წყობაა აზრისა და ეგ ორნაირი წყობა აზრისა შეადგენს ცხოვრების მდინარეობასა. ერთი ის წყობაა, რომელიც ცხოვრებას უკვე აღმოუჩენია, დაუდგენია და დღეს მოქმედებს, მეორე ის _ რასაც დღევანდელი დღე თხოულობს და საჭიროებს. ამ ორთა წყობათა მოქმედება დაუძინარია და მუდამი. როცა ის, რასაც დღევანდელი დღე თხოულობს, ყველას თუ არა _ ბევრს მაინც ძვალსა და რბილში დაუვლის, შესმენილი და გაგებული ექნება, _ მაშინ ეგ მეორე წყობა იმარჯვებს და ყოველ საქმეთა სათავეში მოექცევა ხოლმე. ეხლა ეგ წყობა დაიჭერს პირველს ადგილს ცხოვრებაში. რასაკვირველია, მინამ ეს ასე მოხდება, ცხოვრება მაინც მოქმედებს და ახალს საჭიროებას აჩენს. ამიტომაც ახლად გამარჯვებულს წყობასაც სხვა, ახალი წყობა გამოუჩნდება ხოლმე მოპირდაპირედ. ესე მიდის კაცობრიობის ცხოვრება და ამნაირ სვლას დასასრული არ აქვს. თითონ კაცობრიობის ისტორიაც სხვა არ არის-რა, გარდა ამნაირად ფეხის გადანაცვლებისა." *("შინაური მიმოხილვა". 1881 წ. მაისი).*

- **საზოგადო ცხოვრების გარეთ რომ გავმდგარიყავით დიდი გენიოსი უნდოდა**

"დიდი გენიოსი უნდოდა და იმისი მახვილის ჭკუის თამამი გამჭვრეტელობა, რომ მსჯელობით დროებაზედ მაღლა ავმართულიყავით, საზოგადო ცხოვრების წრის გარეთ გავმდგარიყავით და გარემოების თვალთ-დამაბნელებელ ხაოსშია შეუმცდარად, წმინდა აზრით დაგვენახა საგანი ისე, როგორც არის და უნდა იყოს. რუსთაველმა ძალიან ადრე სთქვა, რომ მარტო ბრძენი საწუთროს ეურჩებაო, სხვანი კი იმის მონები არიან. იმ მდროების გარემოების მოწყობილობა, აზრი, გამსჯელობა, - ერთობ ცხოვრების მდინარეობა ჩვენისთანა ჩვეულებრივ კაცსა ჩააყენებდა საზოგადო რუსხმულში და წაიღებდა თან, რაც უნდა ძლიერ ცდილიყო თავის შემაგრებასა. ცხოვრების ტალღა მეტად ძლიერია და ჩვეულებრივი კაცი მეტად სუსტი, რომ თან არ წაიყოლიოს იმ ტალღამ!"

მარტო გენიოსის მკერდი თუ გააპობს და შემუსრავს მას, თორემ სხვისთვის ძნელია. შორსმხედველობა, დროებაზედ უფლობა მარტო გენიოსის საქმეა. ის თავის თამამს სვლაში შემოიბღერტავს ხოლმე დროების მტვერსა, რომელიც ჩვენისთანა კაცსა უფარავს საგნის მნიშვნელობასა, გულ-უშიშრად მიდის წინ, როგორც ბელადი წინ მიუძღვის ხალხსა და უნათებს თავის ჭკუის სხივებით გზასა."

"ნურავინ ნუ იფიქრებს, რომ ჩვენ ამითი ვამბობდეთ ვითომ გენიოსი ციდამ იყოს ჩამოსული. ისიც ისეთივე ნაყოფია თავის დროებისა, როგორც სხვანი, მხოლოდ ეგ ნაყოფი სრულია, დამწიფებულია. ის თავის ძლიერ მხრებით ამოიტანს, ამოზიდავს ხოლმე მას, რაც თითონ ცხოვრებაშია, ე.ი. ცხოვრების შიგ-მდებარეობასა; მასში არის მთელი აწმყო, თავის დროებისა და თესლიც მომავლისა."

"არც ერთი გენიოსი ჩვენ ახალს არას გვეტყვის, ის მხოლოდ გვიხსნის მას, რაც თითონ ცხოვრებას ამოურიყავს თავის მდინარეობაში, რაც თავის დაუდგრომელ დუღილშია ზედაპირზედა, - ამიტომაც ხანდახან ამას უფრო იქნება დაეტყოს თავისი დროების ნიშანი ყველაფრისა: ცუდისა, თუ კარგისა, ვიდრე მას ვინც დაიბადება ხოლმე მარტო იმისათვის, რომ უხეიროდ მოკვდეს". *("საქართველოს მოამბეზედ". 1862 წ.).*

"მართალია, ეს დაწინაურებული თავობა ხშირად თავ-გადადებით ცდილობს აღასრულოს დროების მოთხოვნილება, შეაგროვოს მოსავალი, მეცნიერების და ხელოვნების შემწეობით მოიყვანოს ცნობაში თვითეული მარცვალი, ყოველს მათგანს დაუნიშნოს შესაფერი ადგილი, რათა თავის დროზედ, შვილებისათვის მაინც ყოველმა მარცვალმა მოიტანოს ნაყოფი და ამ ნაყოფმა ახალი თესლი ახალის ცხოვრებისათვის, - მართალია, ხშირად თავგანწირულად ჯაფასა სწევენ, ებრძვიან ძველსა ახალი სიყვარულისაგან და შეჰხარიან ფაქტსა, რომელსაც აზრი უნდა გამოატანინონ, მაგრამ უფრო ხშირად მოხდება ხოლმე, რომ ვერ სძლევენ მოსავლის სიმრავლესა; ხშირად თვით მეცნიერებაც და ხელოვნებაც უღონონი არიან ერთობ ცხოვრების მოსავლის ცნობაში მოყვანისათვის. თუმცა ზოგიერთს ახსნიან, ზოგიერთს გაგვაგებინებენ, მაგრამ უფრო ბევრს ვერ დასდებენ ღირებულს ფასსა, ვერ დაუნიშნავენ შეხვედრას და შესაფერს ადგილსა, მაშინ ეგ თავგამოდებულნი მოჭირნახულენი რჩებიან, როგორც მუშაკნი, რომელთაც ზოგიერთი მასალა მოუმზადებიათ ახალის შენობისათვის, მაგრამ გამგებელი არა ჰყავთ. არ არის ძლიერი ხელი, რომ დასძრას პირველი ქვა ძველის შენობისა, და

გაამაგროს პირველივე ქვა ახალის საძირკველშია, საძირკვლის ამოყვანაა ძნელი, თორემ სხვას ისინიც გააკეთებენ. საძირკველის ამომყვანელიც არ დაიგვიანებს ხოლმე მოსვლას, მაშინ გამოჩნდება გენიოსი.”

“ჩვენ არ გვინდა ამითი ვსთქვათ, ვითომც სწორედ იმ წამს იბადებოდეს გენიოსი. ის იქნება აქამდინაც იყო, და უსათუოდაც უნდა ყოფილიყო, რომ ცხოვრებას თავისი ძუძუთი გამოეზარდა, თავისთან გამოუზარდა, თავისთან გამოეცადა, მოემზადებინა თავის ვითარებისვე აღსახსნელად. თუ აქამდე არ გამოჩნდა იგი, იმიტომ, რომ იმისი ძლიერი სულის შესაფერი საქმე არსად იყო; გამოჩნდა თუ არა საქმე, მანაც გაშალა თავისი ძლიერი ფრთა და როგორც მზე გამობრწყინდა ცხოვრების გასანათებლად. ეს გოლიათი გონიერებისა თავის ძლიერის მკლავით გადასწვდება მთელს ცხოვრების ნამუშევარსა; შეაგროვებს ერთად, რაც ცხოვრებას გამოუჩენია; თავის გამჭრიახ თვალით თავიდამ ბოლომდინ განსჭვრიტავს, გაანათლებს იმ შემოგროვილსა და ყოველს ცხოვრების კითხვას მისცემს შესაფერის პასუხს, ყოველს ფაქტს – ჭეშმარიტ მნიშვნელობას, ყოველს მიმართულებას – კუთვნილს გზასა და ღონისძიებას – ერთის სიტყვით, ახსნის, ცნობაში მოიყვანს მას, რაც ჩვენს შორისვე იყო და არ გვესმოდა, მაშინ იგი გამოანგრევს ძველის საძირკველსა და, ახალის საძირკველში რაკი ქვას დაამკვიდრებს, მიანებებს საქმეს უმცროსთა მუშაკთა”.

“მეცნიერება და ხელოვნება – ეგ საკვირველნი სალარონი კაცის გონიერებისა – არიან კანონიერნი მომკვიდრენი გენიოსისა. იგინი თავის უკეთეს წარმომადგენლების ხელით გენიოსისაგან ნაჩვენებ საძირკველზედ განაგრძელებენ ხოლმე მუშაობასა გენიოსის ახალს აზრზედა, ახსნაზედა დაამყარებენ ხოლმე შემდგომსა გამოკვლევასა და ცნობიერების წინ წაწევასა. მაგ წარმომადგენელთაგან ცხოვრებისაგან მიღებული, როგორც კანონნი და ხელთმძღვანებელი მომავლისათვის, გადადიან დანარჩენ ხალხშიაცა. რამდენადაც ეგ ახალი ცნობაები, აზრები ადვილად გასაგებნი არიან ხალხისათვის, იმოდენად ადვილად განსდევნიან უწინდელებსა, რომ ცხოვრებაში იმათი ადგილი თითონ დაიჭირონ და იწარმოვონ შემდგომში. ეგრევე, ცხოვრებისავე მიღებულსა, ცხოვრებავე მიიღებს ხოლმე; ეგრე, ცხოვრებისაგან აღმოსულნი, მეცნიერების სიცხოვლით ნაყოფად მოწეულნი, ისევ ცხოვრებასვე დაუბრუნდება ხოლმე წარმატებისათვის. რასაკვირველია, მინამ ეს ასე მოხდება და ხალხი, თუ არ სრულიად, უფრო მომეტებული მაინც მიიღებს განახლებასა, დიდი დრო გადის, ცხოვრება ამ ახალ აზრებათ განახლებული, ისევ იზრდება, ჰყვავის, მოამწიფებს სხვა ახალ სათესლე ნაყოფსა და მერე ისევ ჭკნება... ის არ მოუცდის ხოლმე ხალხსა - “აცა ჯერ რაც მოგამზადეო ამას წინად და რაც მეცნიერებამ და ხელოვნებამ გენიოსის შემწეობით ცნობაში მოიყვანა და კანონად დასვა, ჯერ ისინი ხალხმა მიიღოსო და დაისაკუთროსო”. არა, ცხოვრება ამას არ მოუცდის ხოლმე, ეგ დაუყოვნებლივ გასწევს თავის წარმატების და განვითარების გზაზედ, ასე რომ მინამ ხალხი მიიღებს დიდიდამ პატარამდე მის უწინდელ ჭირნახულსა, იგი ხელ-ახლად მოასწრობს ხოლმე ახალ მოსავლის მოყვანასა, სხვა ახალ ფაქტების და საჭიროების შემუშავებას. კიდევ მოვა დრო განახლებისა, კიდევ ამ-რიგად მეცნიერება და ხელოვნება ახსნის ცხოვრების მოთხოვნილებასა, ცნობაში მოიყვანს “ახალსა” და იმათ შემწეობით გადადის ეს “ახალი” ისევ ცხოვრებაში და სცვლის ცხოვრებასა” *(“საქართველოს მოამბეზედ”. 1862 წ.).*

- **ჩვენს ცხოვრებას სხვანაირი ფერი დაედო, მაგრამ მაინც გაჭირვებულ მდგომარეობაში ვართ**

"ვერაფერი ხელობაა ჩვენში ხელობა შინაურის მიმომხილველისა. თვალები ცქერით უნდა გაიწყალოს კაცმა, რომ ყოველ თვე-და-თვე საგანი რამ იპოვოს საზოგადო მნიშვნელობისა და, მაშასადამე, ლიტერატურის ღირსიცა. ცხოვრება ჩვენი მეტად შინ-შეკეტილია, მეტად მიმალულია თვალთაგან, საერთოდ უჩუმრად მოძრავია, მეტად მდოვრად მიდის, დღე დღესა ჰგავს ჩვენში, თვე თვესა და წელიწადი წელიწადსა." *("შინაური მიმოხილვა". 1882 წ. ივლისი-აგვისტო).*

"მართლა, ამ სამოც-ოთხმოც წელს ისე არ გაუვლია, რომ ჩვენ ცხოვრებას ცოტათი მაინც სხვა ფერი არ დასდებოდეს. მაგრამ მაინც ჩვენი მდგომარეობა გაჭირვებულ მდგომარეობად უნდა ჩაითვალოს. რამდენსაც უფრო მეტად ვგრძნობთ უკეთესად ცხოვრების მოწყობის სურვილს და ხელმოკლეობას ამ სურვილის განხორციელებისათვის, იმდენად უფრო მეტად ვიტანჯებით, მეტად გაჭირვებულად გვეჩვენება ჩვენი არსებობა." *("შინაური მიმოხილვა". 1883 წ. აგვისტო).*

"ერთხელ და უკანასკნელ საცოდნელად საჭიროა, რომ ჩვენი ქვეყანა ყოველის მხრით და ყოვლისფერით სულ სხვაა. იმის ცხოვრებას, მოქალაქურს, თუ ეკონომიურს, თავისი საკუთარი დვრიტა აქვს, თავისი საკუთარი დედა, რომელსაც შეუდედებია მისი აწმყო, რომელმაც აწ უნდა შეუდედოს მისი მომავალი." *("შინაური მიმოხილვა". 1883 წ. ოქტომბერი).*

"ჩვენს ქვეყანას თავისი გრძელი ისტორია აქვს. ამ ისტორიამ შეჰქმნა ჩვენის ქვეყნის საკუთარნი წესნი კაცთა ერთმანეთში მოთავსებისათვის მოქალაქურად თუ ეკონომიურად. ეს წესნი ისე გამჯდარა ჩვენის ქვეყნის ძვალსა და რბილში, რომ ჩვენის ქვეყნისავე სიტყვით, რჯულთ უმტკიცესნი არიან. ამა განსაკუთრებულთა რჯულთა ზედმოქმედება ისეთი ძლიერია ერის ცხოვრებაში, რომ უყურადღებოდ დაგდება მათი მაშინ, როცა ჰფიქრობ ქვეყნის წარმატებას და განკარგებას, შეცდომაზედ მეტია. მაშინ ფიქრიც და თვითმოქმედებაც უქმია, რადგანაც უნიადაგოა და ფეხ მოუკიდებელი; მაშინ ყოველი ჯაფა და გარჯა ტყუილად დაკარგული, ტყუილად გაფანტული ღონეა. როგორც ჰაერში დაკიდებული ხე არ იხეირებს, ისე არ იხეირებს არარა ფიქრი, არარა მეცადინეობა, არარა ცვლილება, თუ ფესვის მოსაკიდებლად იგი დვრიტა, იგი დედა არა აქვს." *("შინაური მიმოხილვა". 1883 წ. ოქტომბერი).*

"აშკარაა, რკინის-გზით გარბენ-გამორბენა თავიდამ ბოლომდე და ბოლოდამ თავამდე ვერაფერი მასწავლებელია ამ შემთხვეავში, საგანი იმოდენა სიგრძე-სიგანისაა, იმოდენად რთულია და, ზოგიერთა მიზეზთა გამო, იმოდენად შეკუმშულია და შინ-შეკეტილი, რომ მის გამოსაკვლევად ხანგრძლივი დაკვირვება უნდა; უნდა ბეჯითი, მცოდნე და თავიდან ფეხებამდე მართალ-გამჭვრეტავი თვალი." *("შინაური მიმოხილვა". 1883 წ. ოქტომბერი).*

"ადამიანის ცხოვრება საზოგადოდ და ჩვენი საკუთრივ რომ რიგიანად აგებული იყოს და თავისად მიმავალი, ძველს უნდა რაიმე სიკეთე დაეთესა, რომ ახალს ეხეირებინა, რადგანაც წესიერად მოწყობილ ცხოვრებაში დღევანდელი დღე შვილია გუშინდელისა და დედაა ხვალისა. მაშინ, რასაკვირველია, ძველს მადლობით გავისტუმრებდით და ახალს იმედით და ნატვრით მივეგებებოდით. მაგრამ კაცი ბჭობს და ღმერთი კი იცინისო, ნათქვამია." *("ვისს ნათესსა ვმკით?". 1879 წ. 31 დეკემბერი).*

- **ყველას თავისი ჟამი და დრო აქვს ცათა ქვეშე**

"ჩემგან ნაჩვენებს ბარდებში ბილიკი თქვენ თითონ გაიგნეთ." *("შინაური მიმოხილვა". 1885 წ. თებერვალი).*

"სოლომონ ბრძენი ამბობს, რომ ყველას თავისი დრო და ჟამი აქვს ცათა ქვეშეო და ასე განაგრძობს:

"ჟამი შობისად და ჟამი სიკვდილისად, ჟამი დანერგვად და ჟამი აღმოფხვრად დანერგულისა, ჟამი წყლულებად და ჟამი კურნებად, ჟამი დარღვევად და ჟამი შენებად, ჟამი ტირილად და ჟამი სიცილად, ჟამი გოდებად და ჟამი განცხრომად, ჟამი განყრად ქვათა და ჟამი შეკრებად ქვათა, ჟამი გარდახვევად და ჟამი განშორებად გარდახვეულისაგან, ჟამი ძიებისად და ჟამი წაწყმედისად, ჟამი დამარხვისად და ჟამი აღმოთხრისად, ჟამი განხევისად და ჟამი შეკერვისად, ჟამი დუმილისად და ჟამი მეტყველებისად, ჟამი სიყვარულისად და ჟამი სიძულვილისად, ჟამი ბრძოლისად და ჟამი მშვიდობისად." *("შინაური მიმოხილვა". 1885 წ. თებერვალი).*

"აზრი ცხოვრებისა იმაშია, რომ შეიტყო, შეიმცნო: ჟამი რას ითხოვს: ტირილსა თუ სიცილსა, განყრას თუ შეკრებას, დუმილსა თუ მეტყველებას, სიყვარულსა თუ სიძულვილს, ბრძოლას თუ მშვიდობას და სხვათა და სხვათა ამისთანათა." *("შინაური მიმოხილვა". 1885 წ. თებერვალი).*

"დროს ჰჭვრიტე, ჟამთა რა მოაქვს?

რას ისხამს, რა მოისთვლების." *("შინაური მიმოხილვა". 1885 წ. თებერვალი).*

"თუ ჟამს ხელთ აქვს ისარიო,

შენცა ხელთ ჰქონდეს ფარიო." *("შინაური მიმოხილვა". 1885 წ. თებერვალი).*

"ცხოვრება ცალკე ადამიანისა, თუ მთელი ერისა, უფრო წეწვა-გლეჯის ბაზარია. დღეს ესეა მოწყობილი და რას იზამ? *("შინაური მიმოხილვა 1895 წლისა". 1896 წ. 4 იანვარი).*

"ცხოვრება მარტო აღებ-მიცემობაა ერთმანეთის ჭკუისა, თუ ხელის ნაწვავ-ნადაგისა, ნაამაგარ-ნაშრომისა, ნაომარ-ნარბევისა. იგი ის მოედანია, საცა ჭიანჭველასავით ირევა დიდი და პატარა, საცა მაძღარი მშიერს წვრილად უფხვნის, გამარჯვებული დამარცხებულს ფეხ-ქვეშა სთელავს, ძლიერი უძლურს ეტანება შესაჭმელად, უძლური ძლიერს გაურბის და ორნივ-კი _ დამწევიც და გამქცევიც _ ერთსა და იმავე დროს ერთსა და იმავე ღმერთს ეხვეწებიან _ ხელი მომიმართეო. *("შინაური მიმოხილვა 1895 წლისა". 1896 წ. 4 იანვარი).*

"ადამიანი, თუ მთელი ერი, იმისათვის კი არ არის გაჩენილი, რომ პური სჭამოს, არამედ პურსა სჭამს იმიტომ, რომ კაცურ-კაცად იცხოვროს და აცხოვროს თავის შთამომავალი. *("შინაური მიმოხილვა 1895 წლისა". 1896 წ. 4 იანვარი).*

"ამ თვალით რომ მოვჩხრიკოთ წარსული წელიწადი, ბევრს ვერაფერს სანუგეშოს დავინახავთ. ეს ახალი ამბავი არ არის. ამ მხრით შარშანდელი წელიწადი ბევრს წინათ წარსულ წელიწადებსა ჰგავს და ვერაფერს დაგვამუნათებს. პირიქით, კარგად რომ მოვუჩხრიკოთ ავლა-დიდება, ავი და კარგი, იქნება შარშანდელი წელიწადი სხვა წლების წინაშე უფრო პირშავადაც გამოვიდეს. არც საკვირველია, წყარო ცხოვრებისა თავისად და თავისგნით არა სჩქეფს, არა ერთი და ორი ნახირი დღემუდამ შიგ ფეხს იბანს და რათ უნდა გვიკვირდეს, რომ იგი წყარო მღვრიეა. მბაძს მბაძი არ დაელევაო, ნათქვამია, და ჩვენც თითონაც ჩვენს საკუთარს ჭუჭყიან სარეცხს შიგ ვალბობთ დიდის გულმოდგინებით და, მოდით, წყაროს მოჰკითხეთ, რატომ წმინდა არა ხარ-თქო. *("შინაური მიმოხილვა 1895 წლისა". 1896 წ. 4 იანვარი).*

“ამიტომაც შარშანაც, როგორც წინა-წლებშიაც, იგივ შური და მტრობა იყო გააფთრებული. ძმა ძმას ვეღარა ჰნდობია, მამა შვილსა, შვილი მამას, მეზობელი მეზობელს, მახლობელი მახლობელს, მეგობარი მეგობარს _ განა ეს ცხოვრებაა და არა ჯოჯოხეთი!.. ჩვენ ეხლა ისე გაგვიხდა საქმე, რომ იმას კი აღარა ვჩივით _ რაც გვაკლია, ის შევიძინოთ, არამედ იმას, რომ რა ნაგავმა და მტვერმაც აღგვავსო, ის გავგავოთ და შემოვიბერტყოთ. კიდევ ერთის ფეხის წინ წადგმა იქნებოდა, კიდევ ღვთის წყალობა იქნებოდა, რომ ამის დარდსა და ზრუნვას შევდგომოდით, ცოცხი აგვეღო ხელში ამ ვაი-ვაგლახის გასაგველად. ჩვენდა საუბედუროდ, ვერც ეს შევიძელით. მაშ რით უნდა ვინუგეშოთ დღეს, ან სახვალიოდ რა იმედი წავიმძღვაროთ ხალისის მოგვრისათვის? თვითოეული ჩვენგანი ჰკვნესის ზნე-დაცემულობისაგან, ჩვენის ზნეობითად წაწყმედისაგან და იმედ-გადაწყვეტილი, სასოება-დაკარგული, ვაებით ვიძახით: ღმერთო, სად მივდივართ და რა ბოლო მოგველისო. *(“შინაური მიმოხილვა 1895 წლისა”. 1896 წ. 4 იანვარი).*

- **სატკივარი არას უზამს კაცს, თუ მიზეზი თავის დროზე გაუგო**

“ქართველს კაცს, ჩვენდა საუბედუროდ, საქმე ისე გაუხდა, რომ “კარგი სჭირდეს, უნდა უკვირდეს, ავი-კი რა საკვირველია”. ამ ყოფაში ჩავარდნილი ერი, თუ მთელი ძალღონე არ მოიკრიბა და ამ საფლობიდამ არ ამოვიდა, ფონს ვეღარ გავა დღეს. ჩვენს დღევანდელს ჭირს ფესვი აქა აქვს გამდგარი, შიში მერმისისა აქედამ მოჰქრის. მოდით და პირში წყალი ჩაიყენეთ და ნურას იტყვით, აქაო და ახალი წლიწადიაო! სატკივარი არას უზამს კაცს, თუ მიზეზი თავისს დროზე გაუგო. თვალებზე ხელის მიფარებას თავის-დღეში არავისთვის ხეირი არ მოუტანია. ჭირი დანახული სჯობს დაფარულსა, თუმცა ორივ ჭირია და არც ერთი არ არის სანატრელი. *(“შინაური მიმოხილვა 1895 წლისა”. 1896 წ. 4 იანვარი).*

“გვეტყვიან ზოგიერთნი, სამართლიანად მეტის მდომნი: ეჰ, ყველა ეს წამი იყო და წავიდაო. იქნება, ჩვენდა სამწუხაროდ, ეს მართალიც იყოს და ერთს წამს ძირიდამ თხემამდე კაცურად დაძრული ცხოვრება ისევ თავისს ადრინდელს უქმსა და უფერულს კვალში ჩადგა, მაგრამ ამ ცხოვრებით თუნდ წუთიც გვეცხოვრა, ეგეც ჩვენთვის დიდი ღვთის წყალობაა. ჩვენს მდგომარეობაში კაცურად ცხოვრების წუთსაც-კი თავისი მადლი და ფასი აქვს. მარტო შეიძლება ამ შემთხვევაში გულის ტკივილით ითქვას: “ჰე, წამო სიხარულისავ, ესე სწრაფად რათ წარხვედი”, და თუ დანანებას ამისთანა შემთხვევაში ადგილი აქვს, ის უნდა გვენანებოდეს, რომ ყოველივე ეს წამი იყო და წავიდა. *(“შინაური მიმოხილვა 1895 წლისა”. 1896 წ. 4 იანვარი).*

“ესეა თუ ისე, მადლობით მოვიხსენიოთ აწ განსვენებული წელიწადი და ლოცვა-კურთხევით ცხონება ვუთხრათ მით უფრო, რომ ამის თქმას ბაჟი არ ადევს. სხვას ნუღარას მოვკითხავთ, თორემ დანარჩენში ეს წელიწადიც ისეთი პირშავი გამოვა, როგორც ბევრი სხვა წელიწადი ყოფილა და მით ახალწლის ტკბილ გოზინაყში ნუ გავურევთ სიმწარეს ბალღამისას. ეს ბალღამი უამისოდაც არ დაჰმალავს თავის თავსა და თავის გამოსაჩენად მუშა-დღეებიც ეყოფა: უქმესა და დღესასწაულს მაინც ნუ გაგვიმწარებს. *(“შინაური მიმოხილვა 1895 წლისა”. 1896 წ. 4 იანვარი).*

- **წუთის-სოფლის სუფრაზე თავისი ჭეშმარიტი ადგილის დაჭერაა ძნელი**

"ძველნი ფილოსოფოსნი ამტკიცებდნენ და ახალნიც ემოწმებიან, რომ ყველაზე ძნელი ადამიანისათვის თავისის-თავის ცნობა, თავისის-თავის ცოდნა არის, ესე იგი, იცოდეს რის ძალ-ღონის პატრონია და იმის კვალობაზედ ამ წუთის-სოფლის სუფრაზედ თავისი შეჭმარიტი ადგილი დაიჭიროს და ცხოვრებას ადამიანისას აქედამ მისცეს თავისი შემძლებელი მხარი. ჩვენ ამაზედ შორსაც წავალთ და ვიტყვით, რომ ყველაზედ ძნელი ადამიანისათვის თავისის ცხოვრების საგნის პოვნა და აჩენაა. მაღალის ზნეობის თვალთა წინაშე აქ საწყაოდ კაცურის-კაცობის იმოდენად თითონ საგნის სიღრმე და სიდიდე არ არის, რამოდენადაც საგნის სიცხადე და გამორკვეულობა. მარტო გონება-მაღალს კაცს აქვს წყურვილი ცხოვრების საგნის აჩენისა და მარტო გონება-მაღალს კაცს შეუძლიან აღნიშნოს იგი საგანი მთელის თავის სიგრძე სიგანით ისე, რომ ყოველს ჟამს წარმოდგენილი ჰქონდეს, როგორც ხელისგული, არც გადაჭარბებით, არც დაკლებულად. აქ სიდიდე თითონ საგნისა არაფერს შუაშია. ქრისტე-ღმერთმა გროში ღარიბის დედაკაცისა სხვაზე მეტად შეიწირა, იმიტომ რომ დედაკაცმა გაიწირა ყოველი, რაცა ჰქონდა. საქმე მაღალ ზნეობისა იმაშია, რომ ადამიანმა ის მოიტანოს წუთის-სოფლის სუფრაზედ, რაცა აქვს. ვინც მართლად აღნიშნავს თავისს მოსატანს და უკლებლად მოიტანს, მასზედ ითქმის, რომ იპოვა საგანი ცხოვრებისა და განახორციელა კიდეც". *("ნინო ბაგრატიონი". 1886 წ.).*

"იგი საქმე, იგი საგანი, რომელსაც დიდის გამარჯვებით და მხნეობით მოახმარა მან მთელი თავისი დაუღალავი სიცოცხლე, შრომაა. გრაფი ტოლსტოი, რომლის ფილოსოფიამაც დღეს ააყაყანა მთელი რუსეთი, თითქმის ამავე შრომაში ჰპოულობს საგანს ცხოვრებისას. მაგრამ კნეინა ნინოსა და ტოლსტოის შორის დიდი განსხვავებაა. პირველი მართლა გამრჯელი, საქმიანი, მუშა დედაკაცია, შეხორცთვისებული აქვს იგი საგანი ცხოვრებისა ასე, რომ მეორე ბუნებადა აქვს შექმნილი. მეორე-კი ეკეკლუცება მხოლოდ ამ საგანს ცხოვრებისას, იწებებს გარედამ და არ შეიხორცთვისებს. ტოლსტოისათვის ეგ საგანი ცხოვრებისა გაუმაძღარის, გულასუყებულის კაცის უხიაკობა, დაჟინება და ნებივრობაა, კნეინა ნინოსთვის-კი _ მის ბუნების წყურვილი, ბუნების მოთხოვნილება იყო. ტოლსტოის რომ იგი მის-მიერ ახლად ნაპოვნი საგანი ჩამოაცალოთ, არა დააკლდება რა, ისევ ის იქნება, რაც არის; კნეინა ნინოსათვის-კი რომ ჩამოგეცალათ, ჩამოაცლიდით თითონ სიცოცხლესაც, იმიტომ რომ სიცოცხლე და საგანი სიცოცხლისა ერთი განუყოფელი არსი იყო ერთისა და იმავე გვამისა, როგორც სული და ხორცი. ამისი მოწამე იგია, რომ კნეინა ნინომ, რომელსაც დაბადებითვე ბედმა მიანიჭა დიდი გვარიშვილობა, დიდ ოჯახის მეუღლეობა, შემლება, დიდკაცობა, და რომელსაც ამის-გამო ყველაფერი ჰქონდა, რომ უქმს განცხრომაში გაეტარებინა თვისი სიცოცხლე, ყოველივე კეთილი ამა ქვეყნისა ეგემნა და დამტკბარიყო, როგორც ათასნი სტკბებიან, კნეინა ნინომ, _ ვამბობთ ჩვენ, _ დასთმო ყოველივე ეს და იმ "მოვალეობას, ღირსებას და მნიშვნელობას" ჭეშმარიტის დედაკაცობისას შესწირა, შეალია თავისი სიცოცხლე, რომელსაც იხსენიებს თავის ქადაგებაში გაბრიელ ეპისკოპოსი. დასთმო ყიოველივე ესე, წავიდა სოფელში და დღე და ღამე ათენა, გაასწორა შრომითა და მხნეობითა. რამდენი ერიდება სოფელს, უფრო ხელმოკლე შემლებითა, უფრო ღარიბი, და თავის გასამართლებლად ის მოჰყავს, რომ სოფელი უფერულია, კაცი ვერ გასძლებს, გასართობი არა არის რაო. მან-კი, თითქმის ყოვლისფერის მქონემ, რომ ქალაქის სიამოვნება

ყოველივე ხელთ ეგდო, არ იკადრა, იუცხოვა უქმად ყოფნა, წავიდა სოფლად და შრომასა, მხნეობასა და გარჯაში იპოვა საგანი ცხოვრებისა და ამ საგანში ადამიანის საკადრისი ჭეშმარიტი სიტკბოება და ადამიანის ასამაღლებელი გართობაცა. ამისთანა დედაკაცს მოწყენისათვის მოცლა არა აქვს, იგი ყოველთვის გართულია და გართულია ისე, როგორც ჰშვენის ღვთის მსგავსებით და სახით დაბადებულს ადამიანსა". *("ნინო ბაგრატიონი". 1886 წ.).*

"დასასრულ, ჩვენ ვიტყვით, რაცა სთქვა სოლომონ ბრძენმა თავის დედაზედ, მისის მხნეობით გაკვირვებულმა:

"იგი აღსდგის ღამითგან და მისცის საზრდელი სახლეულთა და საქმე მხევალთა;

"მან მოირტყა ძლიერებით წელი თავის და დაამტკიცნა მკლავნი თვისნი საქმესა ზედა;

"იხილა გემო, რამეთუ კეთილ არს საქმედ და არა დაშრტეს სანთელი მისი ღამე ყოველ;

"წყრთა თვისი განმარტა სასარგებლოსა ზედა, ხოლო ნებსა თვისსა განამტკიცებს ტარსა ზედა სთვად;

"ხელნი თვისნი განუხვნა გლეხკაცს, ხოლო ნაყოფნი მიუპყრნა დავრდომილსა". *("ნინო ბაგრატიონი". 1886 წ.).*

"ამისთანა დედაკაცზე სთქვა ბოლოს სოლომონ ბრძენმა, რომ "დედაკაცი მხნე ვინ ჰპოვოს, უძვირეს არს ქვისა მრავალ სასყიდლისა" ნეტა იმ ქვეყანას, რომელსაც ჰყავს მხნე დადაკაცნი". *("ნინო ბაგრატიონი". 1886 წ.).*

"ამ სასოწარკვეთილების მიზეზად ის გახდომია, რომ ვერ მიუგნია: ცხოვრებას რა აზრი და საგანი აქვს, ანუ, უკეთ ვსთქვათ, რაშია აზრი და საგანი ცხოვრებისაო. თითონ თქვენც იტყვით, რომ ეს ამოცანა შეჩვენებული ამოცანაა. რაკი ეს ამისთანა ამოცანა შეუჩნდება ადამიანს, მე არა მგონია, სხვა უარესმა ჯოჯოხეთმა-ღა ბუდე გაიკეთოს ადამიანის გულში. საცოდავია კაცი, დევნული ამ ამოცანისაგან, მაგრამ დიდებულიც კია. ღონე სულისა მეტად განდიდებული უნდა ჰქონდეს კაცს, რომ ამ ამოცანას შეეჭიდოს და გაემკლავოს. ეგ შეჭიდება და გამკლავება კიდევ არაფერი. საქმე იმაშია, რომ კაცმა თავისის სიცოცხლის ძაფი მაგ ამოცანას ჩააბას, ან გავხსნა მისი კვანძიო, ან არა და, თვით სიცოცხლის ძაფი ჩემის ზედ შევაწყვიტოო." *("შინაური მიმოხილვა". 1885 წ. თებერვალი).*

"ეხლახან ერთის დიდად გამოჩენილის მწერალის ნაწერი წავიკითხე. საკვირველი ჯოჯოხეთი გამოუვლია თავის ხანგრძლივ ცხოვრებაში, თუმცა მისთვის ბედს ყოველისფერი უხვად მიუნიჭებია. რა გინდა, სულო, გულო, რომ მას არა ჰქონია: დიდი ნიჭი მწერლობისა, დიდი სახელი, დიდკაცობა, დიდი ოჯახი, დიდი სიმდიდრე, ძალიან კარგი ცოლ-შვილი, ჯანი, სიმრთელე, ერთის სიტყვით, ყოველისფრით და მრავალკეცად ბედნიერი ყოფილა გარედამ, თუ ეგრე ითქმის. ხოლო შიგნით კი, გულში ერთი ჭია ასჩენია, რომელსაც უღრღნია მისი სულიერი არსება და იმისთანა სასოწარკვეთილებამდე მიუყვანია, რომ გადაუწყვეტია, _ ყველაფერი ფუჭიაო, სიცოცხლე სიცოცხლედ არ ჰღირსო და ჰლამობდა თურმე თავის-თავის მოკვლას. დღე-ყოველი მისი ერთი დაუძინებელი ბრძოლა და ჭიდილი ყოფილა, გამწვავებული ბრძოლა და ჭიდილი სულიერი, რომელიც უფრო მწვავია, ვიდრე გაზით ხორცის გლეჯა, ვიდრე ხორცის წვა გახურებულის შანთითა." *("შინაური მიმოხილვა". 1885 წ. თებერვალი).*

"სწორედ ეგრე გადაუბამს თავისის სიცოცხლის ძაფი ამ ამოცანაზედ ხხსენებულს მწერალსა. ყოველივე მეცნიერება ფსკერამდე გონების თვალით მოუჩხრეკია, გამოუძიებია, არ დარჩენია არც ერთი ფილოსოფოსი, ძველი თუ ახალი, რომ

ზედმიწევნით არ შეესწავლოს, ყოველივე ჭკუისა და ხელის ნამოქმედარი ადამიანისა აუწონ-დაუწონია, ყოველივე ხორციელი სიკეთე ამა სუთისოფლისა ხელთა ჰქონია და გამოუკვლევია, ყველგან და ყველასათვის ერთი და იგივე უკითხავს და იმ წყეულის ამოცანის ნამდვილი და გულ-დასაჯერებელი პასუხი ვერ მოუპოვნია ვერსად, ვერაფერში და ვერავისგან." *("შინაური მიმოხილვა". 1885 წ. თებერვალი).*

"რაკი ეგრეაო და სიცოცხლის აზრი ვერ მოიპოვებაო, მაშ სიცოცხლე სიცოცხლედ არა ჰღირსო და ყოფნას არყოფნა სჯობიაო. გადუწყვეტია და თავის-თავის მოკვლაზედ მიმდგარა. ამ ამოცანას რომ ნამდვილი, უცილობელი, გულდასაჯერებელი პასუხი მოენახებოდეს, მაშინ ჩვენს "რატომსაც" წამალი დაედებოდა და შავი _ შავი იქნებოდა და თეთრი _ თეთრი ყველასათვის, ყველგან და ყოველს შემთხვევაში." *("შინაური მიმოხილვა". 1885 წ. თებერვალი).*

"იმ წყეულის ამოცანის ჭიას დიდი ხანია კაცის გულში ბუდე გაუკეთებია. ჯერ კიდევ სოლომონ ბრძენს, რომელს იგი გამოჩენილი მწერალიც ამის გამო იხსენიებს თავის ნაწერში, მაგ ამოცანამ დაუწყლულა გული და ეს უნუგეში, გულსაკლავი სიტყვები ამოაკვნესა: "ამაო ამაოებათა და ყოველივე ამაო". აი, რა-გვარმა მსჯელობამ მიიყვანა სოლომონ ბრძენი ამის თქმამდე:

"რა უმეტესობა არს კაცისა ყოველსავე შინა შრომასა მისსაო? ნათესავი წავალს და ნათესავი მოვალს და ქვეყანა ჰგიებს უკუნისამდე, აღმოხდების მზე და დახდების მზე და თავის ადგილადვე მიიზიდებაო; გარემოს გარემოვლით დადის სული და სიმგრგვლესა თვისსა ისევ მოიქცევისო; ყოველნი ღვარნი შესდიან ზღვასა და ზღვა მაინც არ ივსებაო; ყოველთა სიტყვათა შრომისათა მამაკაცი ვერ შემძლებელ არს თქმად და არა აივსება თვალი ხედვითა და არცა ყური სმენითა; რაც ყოფილა, იგივ იქნება, რაც საქმნელია, იგივე ქმნულა და არა-რა არს მზესა ქვეშე ისეთი, რომ შეიძლებოდეს ითქვასო: აჰა, ეს ახალიაო. რაც აწ იქმნა, საუკუნეთა შინა ქმნულნი არიან წინასწარ ჩვენსაო. მე მეფე ვიყავიო ისრაელთა ზედა და მივეცი გული ჩემი გამოძიებად და განხილვად სიბრძნისა ყოველთათვის ყოფილთა ცათა ქვეშე, ვნახე ყოველნი ქმნილნი და ნაქმარნი მზესა ქვეშე და აჰა, ყოველი ამაოება და აღრჩევა სულისაო! აჰა, განვდიდდიო და შევიძინე სიბრძნე უფროს ყოველთა, რომელნიც იყვნენ უწინარეს ჩემსა, გული ჩემი მივეც ხედვად სიბრძნისა და მეცნიერებისა და გულმან ჩემმან ნახა მრავალი სიბრძნე და მეცნიერება, იგავნი და ხელოვნებანი და ვცან, რომ ესეცა ამაოებაა და აღრჩევა სულისაო. განვადიდე ქმნულნი ჩემნი, ავიშენე სახლები, დავნერგე ვენახები, გავიკეთე მტილნი და სამოთხენი, დავნერგე მათ შინა ხენი ყოვლისა ნაყოფისა, გამოვიყვანე ჩემდა საბანებლად და იმ ნორჩოვანთა ხეთა სარწყავად წყალნი, მოვიგე მონანი, მხევალნი, მყვანდნენ სახლის-წულნი, შევიძინე მრავალი სამრონლესი და სამწყსოსი, შევიკრიბე ვერცხლი და ოქრო და სიმდიდრე მეფეთა ქვეყანისა, შევკრიბე მემღერნი მამანი და დედანი ჩემთა ყურთა დასატკბობად, შევიძინე სიბრძნე უფროს ყოველთა ჩემზედ უწინარეს მყოფთა და სიბრძნე ჩემი დავადგინე ჩემდა, ყოველი, რაც ჩემმა გულმა და თვალმა ითხოვა, არა-რა დავიკელიო. ხოლო რა მოვიხილე მე ყოველთა ჩემთა ნაქმართა, რომელიც ჰქმნეს ჩემთა ხელთა, ვსთქვიო: "აჰა ესეცა ამაო და აღრჩევაო სულისა! მოვიხილე მე ხილვად სიბრძნისა და უგუნურებისა და ვნახეო, სიბრძნე სჯობს უგუნურებასა, როგორც ნათელი ბნელსა, ბრძენი სინათლეში დადის და უგუნური ბნელაშიაო. მაგრამ რა გამოვიდაო? ერთი და იგივე შემთხვევა ორივეს ერთნაირად წაგვახდენსო, უგუნურის შემთხვევა მეც შემემთხვევისო და რაღა უმეტესობაა სიბრძნეშიო? ბრძენსაც ისე დაივიწყებენ, როგორც

უგუნურსა, სიკვდილი ორივეს თანასწორად ჰხოცსო, ყოველნი მიწისაგან შექმნილნი არიან და მიწადვე მიიქცევიანო. და მოვიძულე ცხოვრება და ყოველნი ჩემნი ქმნულნი, მოვიძულე მე ყოველი სოფელი და შრომა ჩემი, რადგანაც იგი უნდა დარჩეს "კაცსა ყოფადსა შედგომად ჩემსა" და ვინ იცის, ბრძენი იქნება თუ უგუნური იგი, რომელიც დაეპატრონება "ყოველთა შრომათა ჩემთა, რომელსა დავშვერ და რომელსა ვბრძნობდი მზესა ქვეშეო და აჰა ესეცა ამაოებააო." *("შინაური მიმოხილვა". 1885 წ. თებერვალი).*

"მაძღარი მშიერს წვრილად უფხვნიდაო, რომ იტყვიან, სწორედ ეს არის. ამ დალოცვილს ყველაფერი, რაც კაცის სანატრელია და დამატკბობელი, ხელთა ჰქონია, ასე რომ ქვეყანაზედ სხვა აღარა დარჩენია-რა სასურველი. ამ ყველაფრობას, მისდამი ისე უხვად ბედისაგან მინიჭებულს, გული აუსუყებია და, რა საკვირველია, _ რომ გულასუყებულმა ყველა, რამაც გული აუსუყა, ამაოებად ჩასთვალოს, ნამეტნავად მაშინ, როცა თვალ-წინ წარმოუდგება, მიწა ვარ და მიწადვე მივიქცევიო." *("შინაური მიმოხილვა". 1885 წ. თებერვალი).*

"აბა, პატარა დაიქვეითონ და ზოგი ჩვენა გვკითხონ, ჩვენ, მდაბიოთა, სიკვდილის შვილთა, რომელთაც ყველაფერი გვენატრება, რომელნიც ყველაფერს სისხლით, ოფლით, წვით და დაგვით ვშოულობთ, და წილად გვხდომია იმავე წვითა და დაგვით ნაშოვნ-ნაამაგევი დავიცვათ და შევირჩინოთ. ჩვენა გვკითხონ და ჩვენ ვეტყვით: რაშიაც არის აზრი, საგანი ცხოვრებისა. მაშინ გამოჩნდება, _ რა არის ცოდვა, რა არის მადლი, მაშინ ერთნაირად გაისაზღვრება ერთიც და მეორეც ყველგან, ყველასათვის და ყოველ შემთხვევაში. ჩვენ ამას არავინა გვკითხავს და თუნდაც იკითხოს ვინმე, "ვერ შემძლებელ არს მამაკაცი თქმად ამისად", სოლომონ ბრძენისა არ იყოს. შენც სუ! და მეც სუ!.." *("შინაური მიმოხილვა". 1885 წ. თებერვალი).*

"ჩვენ ჯერ ბევრი კიბეები გვაქვს ასავლელი და ჯერ არც ერთს საფეხურზედ ფეხიც არ მოგვიკიდებია. უბედურს კაცს ქვა აღმართში მიეწევაო. ჩვენ თუმცა ძალიან ბედნიერნი ვართ, მაგრამ ყველაფერი ფათერაკის საქმეა: შეიძლება ქვა აღმართზედ ბედნიერსაც მიეწიოს და ამას წინასწარვე გაფრთხილება ჰმართებს." *("შინაური მიმოხილვა". 1885 წ. თებერვალი).*

"მართლა-და, საშინელებაა, როცა შენს ნაწვავ-ნადაგსა, შენს ნაჯაფავსა, შენს ნაბრძნობსა უგუნური დაეპატრონება. გინდა თუ არა, სოლომონ ბრძენსავით ამოიკვნესებ და იტყვი: თუ ეგრეა (და რომ ეგრეა, აშკარად ვხედავთ) რისთვის დავშვერ და რისთვის ვბრძნობდი მზესა ქვეშეო?" *("შინაური მიმოხილვა". 1885 წ. თებერვალი).*

"ვისაც ჭკუასთან რაიმე საქმე აქვს, იმათაც ეს ემართებათ, რაც მე. დავფიქრდები რაზედმე თუ არა, ან ჩავუკვირდები რასმე და ტვინის ძაფები მოძრაობაში შევლენ, ერთი რაღაც სულთამხუთავსავით ამეტუზება თვალ-წინ და არა მშორდება. ეხლაც ამ ყოფაში ვარ, თუმცა თქვენცა ხედავთ, რომ ჭკუასა და ამ ნაჯღაბნს ერთმანეთში არაფერი კავშირი აქვთ. ეხლაც თვალწინ მიდგა და საშინელს ჯადოს მიკეთებს. მე ერთის თქმა მინდა _ ის სულ სხვას მალაპარაკებს, ენა ჩემი იძვრის _ სიტყვა იმისია, კალამი ჩემი სწერს _ აზრი იმისი გამოდის. რა მემართება, არც მე ვიცი. ქვეყანა ჩემ თვალ-წინ როგორღაც უხეიროდ, წაღმა-უკუღმა ტრიალებს, თითქო ღერძი გაუტყდა და საცა არის ტალახის გუნდასავით დაეცემა და დაიმსხვრევაო. მე ვშიშობ და ვკანკალებ, მართლა ესე არ მოხდეს-მეთქი, ის ჩემი სულთამხუთავი-კი თავს მადგია და იღრიჯება, იცინის. რას იღრიჯები, შე უგვარო, უმსგავსო-მეთქი, ვეუბნები. იმან პასუხად ღორის ეშვებსავით თავისი სიბერისაგან ფამფალა ღოჯები წამომიყარა და ამოჭვარტლულ ბუხარსავით შავი პირი უფრო დიდად დააღო. ფუ, ეშმაკო-მეთქი, დავიყვირე, მაგრამ ვერც ამან გასჭრა. პირჯვარი დავიწერე,

შენც არ მომიკვდე, არც ამან მოაცვლევინა ფეხი. რა ყოფილა, თქვენი ჭირიმეთ! ესე ამ ყოფაში ვარ ხოლმე, მინამ მამალი იყივლებს, რაკი ის დალოცვილი წამოიყივლებს ხოლმე, სულთამხუთავიც უცბად თვალწინ გამიფრთხება, გაქრება, როგორც ქარისაგან ბოლი." *("შინაური მიმოხილვა". 1885 წ. თებერვალი).*

"ეხლა კი საათი ქვეყნისა მოშლილია და არ ვიცი ამჟამად მამლის ყივილამდე ბევრი დრო დარჩა კიდევ თუ არა. ვზივარ და შევყურებ სულთამხუთავს, ვზივარ ლოდინით დაღალული და ვნატრობ მამლის ყივილსა. როდემდის უნდა ვილოდინო, როდემდის! შე დალოცვილო მამალო, რაღას უყურებ და არ დაიყივლებ." *("შინაური მიმოხილვა". 1885 წ. თებერვალი).*

"ბერძნებსა და რომაელებს ფილოსოფოსი ასწავლიდა, _ ასე რომ ვსთქვათ _ ქუჩაში, _ აღნიშნავს მეცნიერი ვესსიო, _ ყველგან ეჩვენებოდა მთელის თავის შეგირდების კრებულითა, ცხოვრებას ცხოვრებაშივე აკვირდებოდა, უხსნიდა და განუმარტავდა მისთა მოვლენათა, ესაუბრებოდა და ეკამათებოდა ხალხსა, ერთის სიტყვით, საზოგადო, საყოველთაო მოღვაწე იყო. ეხლა ფილოსოფოსი განსაკუთრებულად მწიგნობარი კაცია, უფრო ხშირად მეთეორიეა. ჩვენ იშვიათად შეგვხვდება ხოლმე მოსმენა მისის ცოცხალის სიტყვისა, უფრო იშვიათი შემთხვევაა მისი საუბარი ჩვენთან. უფროს-ერთი მარტო იმათს თხზულებას ჰკითხულობს, ისიც მაშინ, თუ ფილოსოფოსმა გვაღირსა და საქვეყნოდ გამოამჟღავნა თავისი სისტემა. ძველთა ფილოსოფოსთა მიმდევარი შესაძლო იყო გეცნათ მისის ცხოვრებისაგან, იმიტომ რომ სტოიკად, თუ სოფისტად ყოფნა ჰნიშნავდა, რომ ცხოვრებითაც სტოიკია, ანუ სოფისტი. ეხლანდელს დროში-კი არამც-თუ მე, ან თქვენ გამოვიც-ნობთ, რომ ჩვენი ნაცნობი პოზიტივისტია, არამედ შესაძლოა თითონ ორმა პოზიტი-ვისტმა, რაც უნდა ხშირად ინახულონ ერთმანეთი, ერთმანეთსვე ვერ გაუგონ, რომ ერთისა და იმავე ფილოსოფიურ სისტემის მიმდევარნი არიან. ეხლანდელს ფილოსო-ფიას აქვს საქმე მარტო ჭკვა-გონებასთან და ცხოვრების მოვლენათა გაგებასთან ადამიანის მიერ, არც ადამიანის საქციელზედ-ღა მოქმედობს, არც არკვევს და წინ უძღვის ადამიანის თვითმოღვაწეობას." *("პედაგოგიის საფუძვლები". 1888 წ.).*

- **ჩვენი შიდა ცხოვრების ისტორია ჯერ ფარდაუხდელია და უცნობი**

"ჩვენის ხალხისა და ქვეყნის ისტორია მეტად ბნელია და შეუმუშავებელი. ჩვენს ისტორიაში ან სულ არ არის ფაქტები ჩვენის ხალხის ცხოვრების შესახებ და, თუ არის კანტი-კუნტად სადმე, ისიც მეტად საეჭვოა. ჩვენ ვამბობთ, მარტო იმისთანა ფაქტების თაობაზედ, რომელშიაც ერთობ ხალხი იჩენს თავის-თავსა, თავის თვისებასა, თავის მონაწილეობასა ისტორიაში." *("ძველი საქართველოს ეკონომიკური წყობის შესახებ". 1889 წ.).*

"ჩვენი შიდა-ცხოვრების ისტორია ჯერ ფარდა-აუხდელია და უცნობი ჩვენგან. ჩვენი "ქართლის ცხოვრება" ხალხის ისტორია კი არ არის, მეფეთა ისტორიაა, და ხალხი კი, როგორც მოქმედი პირი ისტორიისა, ჩრდილშია მიყენებული. თითქო ხალხის ისტორიის შესამეცნებლად საკმაოა კაცმა იცოდეს მარტო მეფეთა ისტორია. თითონ მეფეთა მოქმედებაც ნაჩვენებია საგარეო საქმეთა შესახებ და არა შესახებ შიდა-საქმეთა." *("ძველი საქართველოს ეკონომიკური წყობის შესახებ". 1889 წ.).*

"არც ერთი უეჭველი საბუთი არ უდევს სარჩულად არც ერთს ისტორიულს ფაქტს ჩვენი ხალხის ცხოვრებისას." *("ძველი საქართველოს ეკონომიკური წყობის შესახებ". 1889 წ.).*

“არის ერთი იმისთანა ისტორიული მოვლენა, რომელსაც ვერავინ უარს ვერა ჰყოფს და რომელიც დღესაც უკვირს ყველას, ვისაც კი ამ მოვლენისათვის თვალი დაუკვირვებია.”

“ჩვენს ხალხს ორი ათასი წელიწადი უცხოვრია თავისის ცხოვრებითა და თვითმოქმედებითა. უეჭველია, რომ ამ ორი ათას წელს იმისთანა ხანა ისტორიისა არ დასდგომია, რომ მტრისაგან მოსვენებული ყოფილიყოს ზედმიყოლებით და განუწყვეტლივ ასი წელიწადი მაინც ერთად.” *(“ძველი საქართველოს ეკონომიკური წყობის შესახებ”. 1889 წ.).*

“საქართველო დღე-და-ღამ იარაღით ხელში იდგა, მტერი ყოველი მხრიდამ მოწოლილი იყო. ჩვენი ხალხი თითქმის ორი ათასი წელიწადი იბრძოდა, ომობდა, სისხლსა ღვრიდა, და ბოლოს მეთვრამეტე საუკუნის დასასრულს თვითმყოფადობითი სული ისე დალია, რომ ჩვენს ქვეყანას არავისი ვალი და ვახში არ დასდებია.” *(“ძველი საქართველოს ეკონომიკური წყობის შესახებ”. 1889 წ.).*

“ვსთქვათ, მკლავმა და გულმა შესძლო ეს გოლიათობა, საკვირველი ეს არის _ რა ქონებამ გაუძლო ამისთანა ყოფასა? რა ჰკვებავდა ხალხსა, რა ქონებით უძღვებოდა ამოდენა ომებსა და სისხლის ღვრასა? ეს ერთი მუჭა ხალხი თითქმის ქუდზე კაცად უნდა მდგარიყო იარაღით ხელში, რომ მტრისაგან მტვრად არ აღგვილიყო _ და საზრდოებას ვინ აძლევდა და რა აძლევდა?” *(“ძველი საქართველოს ეკონომიკური წყობის შესახებ”. 1889 წ.).*

“ყოველს ამ საგანზე უეჭველი და გულდადებითი პასუხი მეტად ძნელია. ამ შემთხვევაში ჩვენი “ქართლის ცხოვრება” ხელს ვერაფრით შეგვიწყობს. ერთს იმისთანას არას გვანიშნევს, რომ საბუთად ვიხმაროთ უეჭველის დასკვნისათვის. მხოლოდ უნდა ვიგულისხმოთ, რომ ამისი პასუხი ჩვენს ეკონომიურს აგებულებასა და წყობაში უნდა მოინახებოდეს. უეჭველია, ჩვენი უწინდელი ეკონოიური წყობა ისეთი ყოფილა, რომ ხალხს იქიდამ ჰქონია ის ქონებითი ძალ-ღონე, რომლითაც იგი გასძღოლია ამოდენა ვაი-ვაგლახსა და ომებსა ამოდენა ხნის განმავლობაში.” *(“ძველი საქართველოს ეკონომიკური წყობის შესახებ”. 1889 წ.).*

“აი, საგანი ღირს შესანიშნავი და მეტად საინტერესო გამოსაკვლევად. ეს საგანი რომ თვალ-წინ ჰქონდეს ჩვენს ეხლანდელს მეისტორიეს, ამ საგანზედ რომ უეჭველი პასუხი მოგვცეს ვინმე, ბევრს ნათელს მოჰფენდა აწმყოსა და მომავალსაც გზას გაუნათებდა.” *(“ძველი საქართველოს ეკონომიკური წყობის შესახებ”. 1889 წ.).*

“სიკეთე ჩვენის ეკონომიურის აგებულებისა და წყობისა იმაში ყოფილა, რომ მიწა, ესე იგი მამულ-დედული, ცოტად თუ ბევრად უფრო სამართლიანად მორიგებული ყოფილა ჩვენს ხალხში, ვიდრე სადმე სხვაგან.” *(“ძველი საქართველოს ეკონომიკური წყობის შესახებ”. 1889 წ.).*

“საკვირველია, რომ დღეს-აქამომდე უმამულო, უბინაო კაცი ჩვენში თითქმის არსად მოიძევება. ამისთანა წყობამ მიჰმართა უსათუოდ ჩვენი ხალხი მიწათმოქმედებას, რომელიც უფრო დაუშრომელი და მკვიდრი წყაროა ხალხისა და ქვეყნის საზრდოებისათვის, ვიდრე სხვა რამ. ხსნა ჩვენის ქვეყნისა ამ წყობაში უნდა ყოფილიყო, და ვიდრე ამ წყობას უფრთხილდებოდნენ ჩვენი მეფეები, იმ დრომდე ქვეყანა ჩვენი ღონიერი ყოფილა და გასძღოლია მტერს ასე თუ ისე.” *(“ძველი საქართველოს ეკონომიკური წყობის შესახებ”. 1889 წ.).*

“ჩვენს ეკონომიურს წყობაში ორ-გვარი მდინარეობა იყო, როგორც ყველგან სხვაგან: ერთი სასოფლო და მეორე საკომლო. პირველი მიიზიდებოდა ისე, რომ სოფლის წრეში ყოფილი მამულები, მიწა, მინდორი, ტყე _ საზოგადო, სამსოფლო ხმარებაში ყოფილიყო:

მეორე ისე, რომ ყოველივე ეგენი განსაკუთრებულიყო. თუ საკომლო ფეხს გაიდგამდა და გავრცელდებოდა, მაშინ განსაკუთრებას მიწისას და, მაშასადამე, უსწორ-მასწორობას მიწის-მფლობელობაში ფართო გზა გაეხსნებოდა, და თუ სამსოფლო გაძლიერდებოდა _ მაშინ იმ უსწორ-მასწორობას გზა შეეკვროდა." *("ძველი საქართველოს ეკონომიკური წყობის შესახებ". 1889 წ.).*

"ცხადია ჩვენი მეფეები რას უნდა გაფრთხილებოდნენ. როგორც ეტყობა, უფრთხილდებოდნენ კიდეც, თუ არ მეფენი, თითონ ხალხი მაინცა. ეს იქიდამა სჩანს, რომ ჩვეულებამ ფრთა შეაკვეცა საკომლო განვითარებას, რადგანაც ყველგან საკომლო განსაზღვრული იყო ზოგან ოცის დღიურითა, ზოგან ორმოცის დღიურითა, მამულების ნოყიერებისა გვარად. ასე რომ ერთს კომლს სოფელში ჩვეულებით დადგენილზედ მეტი არ შეეძლო მამულები დაეჭირა." *("ძველი საქართველოს ეკონომიკური წყობის შესახებ". 1889 წ.).*

"ტყისა და მინდვრის განსაკუთრება ხომ ყოვლად შეუძლებელი იყო და დღესაც აქამომდე ჩვენის ხალხის გონებაში ვერა თავსდება ის აზრი, რომ ტყე და მინდორი საკუთრება იყოს ვისიმე და არა სამსოფლო." *("ძველი საქართველოს ეკონომიკური წყობის შესახებ". 1889 წ.).*

"ბოლოს-და-ბოლოს ამ უკეთეს მხარეს ჩვენის ეკონომიური წყობისასა ყური აღარ ათხოვეს: გაიდგა ფეხი განსაკუთრებამ და კომლეულობამ, ჩამოვარდა უსწორ-მასწორობა მიწის მფლობელობაში, არამც თუ კომლთა შორისაც, არამედ სოფელთა შორისაც. არიან ეხლა იმისთანა კომლეულნი გლეხთა შორის, რომელთაც დაუპყრიათ სოფლის მამულები ასის, ორასის დღისა, და რომელთაც თავისი ხიზნები ჰყავთ, ყმებზედ უარესად შეწუხებულნი. არიან იმისთანა სოფლებიცა, ოთხი-ხუთი კომლია, და ხუთას-ექვსას დღის სამსოფლო მამულები აქვთ, მაშინ როდესაც მათ გვერდით სხვა სოფელია, საცა მიწა ენატრებათ და არ იციან, რა ქნან და საით წავიდნენ." *("ძველი საქართველოს ეკონომიკური წყობის შესახებ". 1889 წ.).*

- **ხალხის ჩვეულებანი შესახებ ეკონომიურის და იურიდიულის ცხოვრებისა**

"მდაბიო ხალხის გონებითი თუ სხვაგვარი საუნჯე მარტო იმის ლექსებში ანუ პოეზიაში როდი გამოიხატება, არა, ეს საუნჯე უხვად დათესილი და დარჩენილია ისეთს ნაწარმოებებში, რომელნიც სრულებით არ ეკუთვნიან პოეზიის სფერას. ამ გვარია, მაგალითებრ, ხალხის ჩვეულებანი, რომელნიც შეეხებიან ეკონომიურს და იურიდიულ ცხოვრებას." *("ხალხის ჩვეულებათა შესწავლის შესახებ". 1887 წ.).*

"ყველას, ვისაც კი უცხოვრია მდაბიო ხალხში, ეცოდინება, რომ ხალხს თავისი საკუთარი ეკონომიური წესწყობილება და იურიდიული ჩვეულებანი აქვს, რომლითაც ხელმძღვანელობს, როცა საჭიროება ამას მოითხოვს." *("ხალხის ჩვეულებათა შესწავლის შესახებ". 1887 წ.).*

"მამულის გაყიდვა და დაგირავება, საქონლის გაბარება მოსაშენებლად, ურთიერთ შორის აღებ-მიცემობა, სხვადასხვა მცირე დანაშაულობის გასამართლება და ათასი ამგვარი მოვლენა _ სულ ხალხის ჩვეულების ძალით სწარმოებს, ხალხის ადათზეა დაფუძნებული და ამ ადათს ემორჩილება. ჯერ ეხლაც, ხალხმა დაწერილის კანონისა არა იცის-რა და სასოფლო სასამართლოში რომ მიხვიდეთ, შეიტყობთ, რომ სოფლის მსაჯულები ადათითა და ჩვეულებით ხელმძღვანელობენ საქმის გადაწყვეტის დროს. მართალიც არის, მდაბიო ხალხის ეკონომიური და იურიდიული ცხოვრება ჯერ-

ჯერობით ისე ვიწროთ და მკვიდრად შემოფარგლილი წრეა, რომელსაც მაგრე მალე და ადვილად დაწერილი კანონი ვერ დაარღვევს და ვერ შეუვა." *("ხალხის ჩვეულებათა შესწავლის შესახებ". 1887 წ.).*

"ფრიად სასარგებლო უნდა იყოს ყველა შეგნებული ქართველისათვის იცოდეს _ რაგვარ და რომელ ჩვეულებებს მისდევს მდაბიო ხალხი თავის ეკონომიურ და იურიდიულ ურთიერთობის შესახებ. ეს სფერა ცხოვრებისა მთელს სურათს გადაუშლის ჩვენს მოწინავე საზოგადოებას და ცხოვრების სურათი კიდევ დაგვანახებს ხალხის ავსა და კარგს, იმის შეხედულობას სამართალზედ, ერთურთს დამოკიდებულებაზედ და სხვა." *("ხალხის ჩვეულებათა შესწავლის შესახებ". 1887 წ.).*

"სადაც მდაბიო ხალხის ცხოვრების შესწავლა ნამდვილ გზაზედ არის დაყენებული, სადაც შეგნებული აქვთ, თუ რა საუნჯეა ყოველგვარ ჩვეულებას, ცხოვრების ყოველგვარ საგანს ჯეროვანს ყურადღებას აქცევენ და გამოუკვლეველად არაფერსა სტოვებენ." *("ხალხის ჩვეულებათა შესწავლის შესახებ". 1887 წ.).*

"სწორედ ამგვარ შესწავლას და გამოკვლევას მოაქვს სასარგებლო და კეთილი ნაყოფი, მხოლოდ ამნაირის შესწავლით და გამოკვლევით შეიძლება ყოველმხრივ შევიგნოთ ხალხის წარსული და აწმყო, იმის ავი და კარგი, იმისი წადილი, საჭიროება: სადაც ასე არ არის, იქ ყოველთვის შესაძლოა შევცდეთ და ვერ შევიტყოთ _ რა სურს ხალხს და რას აქცევს იგი ზურგს." *("ხალხის ჩვეულებათა შესწავლის შესახებ". 1887 წ.).*

- **სახალხო პოეზია უნდა შევისწავლოთ**

"პოეზია, და მეტადრე სახალხო პოეზია, თქვენც მოგეხსენებათ, უფრო ფანტაზიის ნაყოფია და ფანტაზია კიდევ მაგრე-რიგად არ ეწყობა და არ ემორჩილება ზნეობით კანონის მოთხოვნილებას. ხშირად მდაბიო ხალხი, გატაცებული ფანტაზიის აღმაფრენით, დამღერის და დაჰხარის ისეთს საგანს და მოვლენას რომელიც ძირეულად ეწინააღმდეგება ცხოვრების სიკეთესა და ცრუმორწმუნეობაზედ არის აშენებული. რასაკვირველია, მარტო პოეზიის მიხედვით დასკვნა და მსჯელობა ხალხის ცხოვრების საჭიროებაზედ და მის მოთხოვნილებაზედ შეცდომა იქნება და ამ შეცდომას საზარალო შედეგი უნდა მოჰყვეს. თუ ამ შემთხვევაში შეცდომის თავიდამ აცილება გვსურს, პოეტურ შეხედულობის გარდა ხალხის სხვა შეხედულობას და მსჯელობასაც ყური უნდა ვათხოვოთ, და ეს შეიძლება მხოლოდ მაშინ, როცა ხალხის ყველა-გვარი ნაწარმოები შესწავლილი გვექნება." *("ხალხის ჩვეულებათა შესწავლის შესახებ". 1887 წ.).*

"ჩვენი დედააზრი ეს არის: ხალხის ცხოვრება ყოველმხრივ და ჰარმონიულად უნდა შევისწავლოთ; იმის ყოველგვარი გონებითი ნაწარმოები უნდა შევკრიბოთ." *("ხალხის ჩვეულებათა შესწავლის შესახებ". 1887 წ.).*

"ერთის რომელისამე საგნის ამოჩემება, იმისი "მოდად" დაწესება და სხვა საგნების დავიწყება _ კარგი არადროს არ ყოფილა და არც ჩვენთვის იქნება." *("ხალხის ჩვეულებათა შესწავლის შესახებ". 1887 წ.).*

"სახალხო პოეზია კარგია, მაგრამ როცა მარტო იმის შეკრება იზიდავს მთელის ინტელიგენციის ყურადღებას, როცა ეს შეკრება "მოდად" ხდება, მაშინ საჭიროა, რომ სხვა საგნებისაკენაც მიიხედოს განათლებულმა საზოგადოებამ." *("ხალხის ჩვეულებათა შესწავლის შესახებ". 1887 წ.).*

“საჭიროა, რომ ჩვენმა ნასწავლმა საზოგადოებამ ერთად თავი მოიყაროს, მოილაპარაკოს, ასწონ-დასწონოს ყოველიფერი ამ საგნის შესახებ და პროგრამა შეადგინოს ხალხის ზნე-ჩვეულებათა შეკრებისა და შესწავლისათვის. თუ ყველგან ამას მისდევენ, განა ჩვენთვის კი დრო არ არის?” *(“ხალხის ჩვეულებათა შესწავლის შესახებ”. 1887 წ.).*

4.1.2. “ერის სიბერე” თუ “ინტენსიური ცხოვრება”

- **“ერის სიბერე”**

“წლევანდელ თებერვლისა და მარტის ნომრებში რუსულმა ჟურნალმა “Северный Вестник”-მა დაჰბეჭდა წერილი “Писма о Грузии”. ავტორი თავის განზრახულს საგანს ამგვარად გვიხსნის: მე მინდოდა მეცნობებინაო, - საქართველოს ერი მართლა დაბერდა, დაიცალა თავის ღონისაგან, თუ ჯერაც დღეს-აქამომდე არ დაუწყვია ინტენსიური ცხოვრება და შეუნახავს თავისი ძალ-ღონე მერმისისათვისაო”. *(“აი ისტორია”. 1889 წ.).*

“ავტორი ათავებს-რა თავისებურ გამოკვლევას საქართველოს ძველ ცხოვრებისას, ამბობს: “без всякого знакомства с этими доисторическими условиями, читател не мог бы верно судить ни о его (грузинского народа) литературе, ни о бытавых явлениях его современной жизни и для него не был бы решен самый главный вопрос действительно ли грузинский народ стар и износил собой силы, или же он до сих пор не начинал ещё жить полною интенсивною жизнью и сберег свой силы для будущего”.

“თუ ამას დავუჯერებთ, ისიც უნდა დავიჯეროთ, რომ ყველაზედ ძირეული და თავი-და-თავი საგანი რომელისამე ერის ისტორიის მკვლევარისა ისა ყოფილა, რომ გამოარკვიოს, - დაბერდა იგი ერი და ლოდინისაგან დაიცალა, თუ ჯერ არ დაუწყია სრული ინტენსიური ცხოვრება და შეუნახავს თავისი ღონე მერმისისათვის”.

“აშკარაა, ავტორს, ცოტად თუ ბევრად, უწამებია უკვე დაძველებული და ბევრთაგან გამტყუნებული აზრი დრეპერისა იმის თაობაზედ, რომ ერსაც, როგორც თვითეულს ცალკე ადამიანს, თავისი ასაკები აქვს: ბავშვობა, ყრმობა, ჭაბუკობა, ვაჟკაცობა და ბოლოს სიბერე, რომელსაც სიკვდილი მოსდევს აუცილებლად. დრეპერის აზრით ეს ყველა ერისათვის გარდაუვალი კანონია, როგორც ცალკე ადამიანისათვის: ამას ვერც ერთი ერი ვერ გასცდებაო”.

“ჩვენს ავტორსაც ეს აზრი უნდა ჰქონდეს, როცა თავისთავს ჰკითხავს, - დაბერდა საქართველოს ერი, თუ არაო. უამისოდ მისი საკითხი მომცდარი კაცის ჩხირკედელობა იქნება, ცუდ-უბრალოდ მოცდენა მთქმელისაცა და მსმენელისაც” *(“აი ისტორია”. 1889წ.).*

“ან რა აზრი აქვს ერის სიბერეს? რას გვიქვიან ერის სიბერე? აიღეთ ეხლანდელი ერნი ინგლისისა, საფრანგეთისა, გერმანიისა, ამერიკელ-ინდოელისა, ეფრიკის ზანგისა, ეთიოპელისა და გვითხარით, ამაში რომელი ვიგულისხმოთ ბებრად და რომელი ახალგაზრდად? მართალია ამათში არიან ძველნი და ახალნი, და ეს სულაც იმ სიბერეს და სიყმაწვილეს არა ჰნიშნავს, რომ ერთს სიკვდილის მეტი არა დარჩენოდეს რა, როგორც ცალკე კაცს, სიბერეში ჩავარდნილს, და მეორე-კი ზრდაში იყოს, მინამ დაბერდებოდეს და სიბერეს თან გადაჰყვებოდეს. ეგ ძველ-ახლობა მარტო იმას მოასწავებს, რომ ერთი ერი ადრე გამოულა საისტორიო სარბიელზედ და მეორე გვიან”.

“თუ ბევრი მაგალითია ისტორიაში, რომ ერი სრულიად აღგვილია დედამიწის ზურგიდამ, სიბერეს კი არ აბრალებენ ეხლანდელნი მეცნიერნი, არამედ შინაურ საქმეთა მოუწყობლობას, ურიგობას და გარეშე მიზეზებს, მაგალითებრ მტერთაგან ძლევასა აკლებასა და აოხრებას. დაბერება ერისა რომ მართალი იყოს, მაშ თავის დროზედ ინგლისის, საფრანგეთის და გერმანიის ერნიც სიბერეს გადაჰყვებიან, დაიხოცებიან, ამოსწყდებიან. ეს შესაძლოა მოხდეს, თუმცა ძნელად წარმოსადგენი-კია. მაგრამ, თუ მოხდა, ეს სიბერე არაფერს შუაში იქნება, იმიტომ უფრო, რომ სიბერე ერისა არამც თუ ბუნებური მოვლენაა, არამც თუ არსებობს, წარმოდგენითაც კი ყოვლად შეუძლებელია” *(“აი ისტორია”. 1889 წ.).*

“სიბერე ერისა”, ჩვენის ფიქრით, უქმი სიტყვაა, მისი საგანი არ არსებობს და წარმოუდგენელიც არის.” *(“აი ისტორია”. 1889 წ.).*

“თუ ესეა, რის მაქნისია კაცმა ეგ უქმათ არაფრის მომასწავებელი, სრულებითაც არ-არსებული საგანი იძიოს, ან მსოფლიო ისტორიაში საზოგადოდ, ან საქართველოში ცალკე. რაც არ არის და არც ოდესმე იქნება, იმისი ძებნა ტყუილი მოცდენაა, წყლის ნაყვაა და, რასაკვირველია, ყველას ნება აქვს, როგორც სურს, ისე შეიქციოს თავი”.

- **“ინტენსიური ცხოვრება”**

“ეს კიდევ არაფერი, რაც უნდა იყოს, აქ დრეპერს მაინც იმოწმებს ავტორი თავის გასამართლებლად და ჩვენდა გასამტყუნებლად, თუმცა ვიმეორებთ მანამ ამას დაგვმართებდეს, ავტორმა ჯერ უნდა იკისროს, რომ მის მიერ ქებულ დიდებული родники общечеловеческой мысли-ის поток света и знания მისთვის ცარიელი ფრაზაა, მისთვის არ არსებობს. აკი ვამბობთ, ამ ერის სიბერის გამო ავტორს კიდევ ხელმოსაჭიდებელი ხავსი აქვს თავის გადასარჩენად;

საქმე მეორე წინადადებაა:

“დაიცალა ქართველი ერი ღონისაგან, თუ ჯერ კიდევ დღეს აქამომდე არ დაუწყია მთელი ინტენსიური ცხოვრება და შეუნახავს თავისი ძალ-ღონე მერმისისათვისაო” - износил собой силы, или же он до сих пор не начинал ещё жить полною интенсивною жизнью и сберег свой силы для будущего”.

“აბა ერთი გვითხარით, “сберег свой силы для будущего” რა ჭკუაში მოსასვლელი საკითხია? ყველა-ყველა და ამისთანა საკითხს – კი არ მოველოდით არავისაგან. ვინც ამისთანა საკითხს იძლევა და ამ-რიგად, იმას ორი რამ უნდა რწმენად მიღებული ჰქონდეს ერთი მეორეზედ უფრო საოცარი, უფრო საკვირველი, რომ სხვა არა ვსთქვათ რა, ერთი ისა, რომ “სრული ინტენსიური ცხოვრება” ღონისაგან ცლის ერსა, ესე იგი ასუსტებს, აუძლურებს, და მეორე – არაინტენსიური ცხოვრება კი – ანახვინებს ღონეს მერმისისათვის. “გაგონილა ეს სადმე, ან ვისგანმე? მაშ რაღაზედ იხოცავენ თავს ევროპიელნი, “სრულის ინტენსიურის ცხოვრებისათვის”, თუ იგი ღონეს არა ჰმატებს და ღონისაგან ჰცლის! სულელები”. მოსულიყვნენ და ჩვენგან ჭკუა ესწავლათ”... ის არა სჯობია – ჩვენ, ქართველებს მოგვბაძონ, ინტენსიურ ცხოვრებას ჩვენსავით თავი აარიდონ და ამით ღონე შეინახონ მერმისისათვის”.

“დღეს-აქამომდე გვეგონა, რომ ხსნა ერისა, სწორედ მაგ ინტენსიურ ცხოვრებაშია და, თურმე ნუ იტყვით, დასარჩობი ფონი-კი, სწორედ ეგ ინტენსიური ცხოვრება ყოფილა.”

“ღონისაგან არ-დაცლა, ღონის შერჩენა ხომ ბედნიერებაა და, მაშასადამე, ბედნიერი ერი ისა ყოფილა, ვინც ამ ინტენსიურ ცხოვრების მაცდურებას არ აჰყოლია, მისგან არ გაბრიყვებულა და ღონე შეუნახავს მერმისისათვის. ამაზე ბედნიერი უფრო დათვები და მგლები უნდა იყვნენ, რადგანაც ამათ გუშინდელი დღეც არ ახსოვთ და, მაშასადამე, ადამიანზედ უფრო მეტი ღონე შეუნახავთ მერმისისათვის. გაგონილა ასეთი სასაცილობა! გაგონილა ასეთი მოთხრა და გაბიაბრუება ისტორიისა? ჰოი, поток-ო света и знания, ჰოი, родник-ო общечеловеческой мысли! “რაზედ გაუცდნენ ძალნი თქვენნი მომაჯადოებელნი?”

“ინტენსიური ცხოვრება” ერთსა და იმავე დროს სათავეც არის და შედეგიც კულტურისა, რომელიც ათასის წლობით შენებულა, აგებულა, მართალია კაცობრიობის დაუღალავ და დაუძინებელ ჯაფით, გარჯითა და მხნეობით, მაგრამ იმისთვის კი არა, რომ ღონისაგან დაიცალოს, არამედ იმისთვის, რომ უფრო გაღონიერდეს, გაძლიერდეს, გამოფოლადდეს, გამოჯიქდეს არსებობისათვის საჭიდაოდ.” *(“აი ისტორია”. 1889 წ.).*

“ამიტომაც კულტურა და მასთან განუყოფელი ინტენსიური ცხოვრება კაცობრიობის ღონისა და სიმკვიდრის დედაბოძია, ქვაკუთხედია. იგია თითონ დაუშრობელი სათავე ღონისა, იგი ღონის-ღონეა ერისა, თუ ასე ითქმის, _ იგი ფარია და ხმალი არსებობისათვის ჭიდილში.” *(“აი ისტორია”. 1889 წ.).*

“თუ კულტურა, ინტენსიური ცხოვრება ერს არ აღონიერებს, არ აძლიერებს და, პირიქით, ღონისაგან სცლის, ვიღა ოხერი იქნება ინატროს და თავი გამოიდოს კულტურულ, ინტენსიურ ცხოვრებისათვის.” *(“აი ისტორია”. 1889 წ.).*

“ღონე შეინახებაო მერმისისათვის, გვანუგეშებს ავტორი,. კაი ნუგეშია, კაცმა პური აღარა სჭამოს, რომ კბილები არ გაგიცვდეს და მერმისისათვის შეინახოს. რა ოხრობისათვის-ღაა საჭირო, რის მაქნისია ის შენახული ღონე, თუ არ იმავ ინტენსიურ ცხოვრებისათვის. თუ ესეა, ან თითონ ინტენსიური ცხოვრება რის მაქნისია, თუ ღონისაგან სცლის ერსა, ასუსტებს, აუძლურებს! ეს რა ბაბილონის გოდოლია, არ გვესმის...”

“ზემოთ მოყვანილ რუსული ციტატები, აშკარად გვეუბნება, რა განძის პატრონი ყოფილა ჩვენი ავტორი. სწამებია ჯერ ისა, რომ ერის ცხოვრებაში სიბერეს თავისი ადგილი აქვს. მეორე ისა, რომ “ინტენსიური ცხოვრება” ერისა ღონის გამომცლელია და მაშასადამე, დამაუძლურებელი, მესამე ისა, რომ რომელს ერსაც ინტენსიური ცხოვრება არა ჰქონია, ჭკუა უხმარია და ღონე შემოუნახავს მერმისისათვის და, მაშასადამე წინ უნდა იყოს იმ ერზედ, რომელიც მისცემია ინტენსიურ ცხოვრებას და ამაობაში ღონისაგან იცლება. ესეც გამოვიდა სლავიანელების მოძღვრება, მერე მარტო იგი ნაწილი მოძღვრებისა, რომელიც დიდისა და პატარისაგან სასაცილოდ აგდებულია”.

“ამას გვეუბნება კაცი, რომელიც ჰკითხავს ჩვენებურ ინტელიგენციას, თავი შეგიკეტნიათ და არ ეწაფებით კაცობრიობის აზრთა ყოვლად-შემძლებელ წყაროსაო! უმეცრებას ის კაცი უკიჟინებს სხვას, რომელსაც “სრული ინტენსიური ცხოვრება” ერის ღონისაგან დაცლა ჰგონია და არა ინტენსიური ცხოვრება კი – ღონის შემნახველი” *(“აი ისტორია”. 1889 წ.).*

მეორე ნაწილი: სახელმწიფოს მართვა-გამგეობა
4.2. სახელმწიფოს როგორც საზოგადოებრივი წარმონაქმნის მართვა-გამგეობა

4.2.1. სახელმწიფოს მართვის ცენტრალიზაციური სისტემა

- **ცენტრალიზაციური სისტემა: არსი**

"ყოველი სახელმწიფო, რიგიანს წესედ ცოტად თუ ბევრად დამდგარი, ნაწილ-ნაწილ არის დაყოფილი, რომ მოვლა და პატრონობა ადვილი იყოს. მაგალითებრ; რუსის იმპერია დაყოფილია გუბერნიებად, გუბერნიები მაზრებად, მაზრები სოფლის საზოგადოებად". *("ცხოვრება და კანონი". 1877-1881 წ.).*

"ყოველს სახელმწიფოში ორი დიდი მდინარეებაა: ერთი მთელის სახელმწიფოის საჭიროებისა და მეორე _ საზოგადოებისა. ეს ორივე-გვარი საჭიროება ყოველს ნაწილში მიმდინარეობს იმდენად მეტ-ნაკლებად, რამდენადაც თვით ნაწილი მეტ-ნაკლებია; განსხვავება თითქმის ამ მეტ-ნაკლებობაშია და სხვა არაფერში. ამიტომაც მთელს სახელმწიფოში, თუ თვითოეულს მის ნაწილში, ამ ორგვარის საჭიროების მზრუნველობა და გამგეობა საჭირო არის. ეგ მზრუნვლობა და გამგეობა არის აუცილებელი და უსათუო საგანი ყოვლის მმართველობისა". *("ცხოვრება და კანონი". 1877-1881 წ.).*

"ქვეყნიერობაზე მმართველობას ორგვარი წყობა და აგებულება ჰქონია და აქვს. თუ სადმე რაიმე ცვლილება არის, მაინც არ შეიძლება, რომ მმართველობა ან ერთისაკენ არ იყოს მიდრეკილი, ან მეორისაკენ. ერთგვარი მმართველობა იგია, საცა სახელმწიფო საჭიროების საქმესაც თვით მთავრობა განაგებს და საზოგადოებისასაც, ყველგან და ყოველს ნაწილში. ამ შემთხვევაში მთავრობა ყოველგვარის საქმის დამწყები და მოთავეა, ყოველგვარის საქმის მწარმოებელია, _ ყოველის მზრუნვლი და გამგეა, ასე რომ ყოველივე მისგან წარმოსდგება და ყოვლივე მასვე ერთვის. ამგვარად გამგეობისათვის მას თავისი საკუთარნი მოხელე-კაცნი ჰყვანან, რომელთაც თვით ირჩევს, თვით ნიშნავს, თვით გადააყენებს და რომელნიც მხოლოდ მის წინაშე არის პასუხისმგებელნი. ამგვარს მმართველობას ცენტრალიზაციას ეძახიან". *("ცხოვრება და კანონი". 1877-1881 წ.).*

"ცენტრალიზაციური სისტემა იმ-გვარს მოწყობილობას ნიშნავს, როცა უფლება და გამგეობა საზოგადოებრივი, ანუ სახელმწიფოებრივი, ერთის კაცის ხელშია, ანუ ბევრთა ხელში _ მაგრამ ერთს ადგილას კი. მაგალითებრ, სპარსეთში უფლება და გამგეობა ერთის კაცის ხელშია, სახელდობრ _ შაჰის ხელში. იქ ითქმის, რომ ცენტრალიზაციური სისტემაა. საფრანგეთში ეგ უფლება და გამგეობა თუმცა ბევრის ხელშია, მაგალითებრ _ პარლამენტის ხელში, მაგრამ ერთს ადგილას კი, სახელდობრ, პარიზში. იქაც ითქმის, რომ ცენტრალიზაციური სისტემაა. ამ ორივეს, თვალად სხვადასხვა-ნაირს მაგალითს, საზოგადო ისა აქვს, რომ ყოველისფერი ერთის წერტილიდამ (ცენტრიდამ) გამოდის და ერთსავე წერტილს (ცენტრს) მიერთმევა. ასე რომ, ყოველს კუნჭულს, ყოველს კუთხეს რომელსამე ერთიანის სახელმწიფოსას _ ერთის წერტილიდამ ეძლევა ყოველივე წესი და რიგი ცხოვრებისა, ერთმანეთში მოთავსებისა და ერთმანეთში განწყობისა.

ადგილობრივის ტკივილის წამლისათვისაც კი იმ ერთს წერტილს უნდა მიჰმართოს ხოლმე კაცმა და იქიდამ მოელოდეს შველასა." *("შინაური მიმოხილვა". 1883 წ. ნოემბერი).*

"ახლა იკითხეთ: ნაპოლეონი III, ეს ცენტრალიზაციის სისტემის ღმერთი, სხვას რას ავალებდა თავის აგენტებს, თუ არ ამისთანაებსა? წადით, ყოველს კუნჭულში მოეფინენითო, პროპაგანდით, ჩაგონებით და ჩიჩინით აღძარით ჩემდამი თანაგრძნობა, ბლომად მიშოვნეთ მომხრეები, თავის დროზედ ჰკრიფეთ ფულები და მე მიგზავნეთო, მარჯვე დროს გამოართმევდეთ, რაც გამოსართმევია, ერთად თავს მოუყრიდეთ და მე გამომიგზავნიდეთო; სპექტაკლები, სალიტერატურო საღამოები ჩემს სასარგებლოდ გამართეთო და სხვანი და სხვანი. ესეც კი გახსოვდეთო, რომ პარიზში მყოფი ჩემი გამგეობა უნდა იქმნას თითქმის მხოლოდ რეგულიატორი, წესის და რიგის მიმცემი ჩემის პროვინციალურის განყოფილებისა, აგენტურებისაო." *("შინაური მიმოხილვა". 1883 წ. ნოემბერი).*

"რა გამოდის ყოველ ამიდამ? ისა, რომ "ტფილისში მყოფი გამგეობა უნდა იქმნას თითქმის მხოლოდ რეგულიატორი, წესის და რიგის მიმცემი თავის პროვინციალურის განყოფილებისა, აგენტურებისა"; ადგილობრივი აგენტები, თუ აგენტურა, უნდა ამორჩეულ იქმნან ვისგან? ტფილისში მყოფ გამგეობისაგან; ამათ უნდა "მიენიჭოთ ჯეროვანი სანკცია" ვისგან? ტფილისში მყოფ საზოგადოებისაგან; ვალად უნდა დაედოთ ამ აგენტებს, თუ აგენტურებს, თანაგრძნობა აღძრან, ვისდამი? ისევ ტფილისში მყოფ საზოგადოებისადმი, წევრები გაუმრავლონ, ვისა? ტფილისში მყოფ საზოგადოებას; ფული უნდა მოუკრიფონ, ვისა? ისევ ტფილისში მცხოვრებ საზოგადოებასა; სპექტაკლები და სალიტერატურო საღამოები გამართონ, ვის სასარგებლოდ? ისევ ტფილისში მყოფ საზოგადოებისათვის. თითონ პროვინციებს? პროვინციებს ის, რასაც უწყალობებს იგივ ტფილისში მყოფი საზოგადოება. "არც ერთს ადგილს, ტფილისის გარეშე გამგეობას არა ჰყავს პირნი, რომელნიც მას უწევდნენ იმისთანავე სამსახურს, როგორც მამასახლისები და სოფლის მოსამართლეები უწევენ მართებულობასა". მაშასადამე, უნდა ამისთანა პირნი ჰყვანდნენ ვის? ტფილისში მყოფ გამგეობას. ეს არის საქართველოს კუთხეებისაგან "მონაწილეობის მიღება" თავის საკუთარს საქმეში? ამაზედ უარესი ცენტრალიზაციური სისტემა არა მგონია თვითონ სპარსეთში იყო. აბა თუ ერთგან ნახსენები იყოს იმისთანა რამ, რომ ამ პროვინციების, საქართველოს კუთხეების თვითმოქმედების, თვითგამგეობის, თვითმმართველობის მცირედი რამ ნიშან-წყალი ეცხოს, ტფილისში მყოფ გამგეობის, ანუ საზოგადოების ხელიდამ დახსნის სახსარს მოასწავებდეს. მარტო ის სიტყვებია, რომელიც ჩვენ ზემოთა ვსთარგმნეთ, და ის სიტყვებიც, როგორც ვხედავთ, იმ აზრით მოუყვანია, რომ თქვენ, აგენტებო, ხვეჭეთ და ტფილისში მყოფ გამგეობას უგზავნეთო, გაისარჯენით რაც შეგეძლოთო მისდა სასარგებლოდო და იგი "ტფილისშივე მყოფი გამგეობა რეგულიატორი, წესის და რიგის მიმცემი" იქნებაო თქვენიცა და თქვენის შემწეობით პროვინციებისაცაო, თვით სანკციასაც თქვენის არსებობისას ტფილისში მყოფ გამგეობისაგან მოელოდეთო. თქვენ იმისთანა სამსახური უნდა გაუწიოთ, როგორც მამასახლისები და სოფლის მოსამართლეები უწევენ მართებლობასაო." *("შინაური მიმოხილვა". 1883 წ. ნოემბერი).*

"არა, ბატონებო, თუ ჩვენის საზოგადოების სენი ცენტრალიზაციური სისტემაა, ამ სენს არას-გზით და არას მხრით წამლად ვერ დაედება რჩევა, პირიქით, ის ტვირთი, რომელიც ავტორს აუკიდნია აგენტურებისათვის, უფრო გააძლიერებს იმ სისტემას, რასაც ეგრე ძალიან უფრთხის თითონ ავტორი. ყოველივე ნარჩევი _ ცენტრალიზაციის მკვიდრად ფეხის მოკიდებას, მკვიდრად ფესვების გადგმას მოასწავებს. ესე ყოველი იმის

წამალი კი არ არის, რომ "ყოველმა კუთხემ საქართველოსამ თითონ, თავის საკუთარის ძალით და მხნეობით მიიღოს მონაწოლეობა თავისავე განათლების საქმეთა წარმოებასა და გამგეობაში", არამედ თითონ მიუყრუვდეს ამ საქმეს, ფურსავით მოიწველოს და წველა ტფილისში მყოფ გამგეობას უგზავნოს და იმავე ტფილისში მყოფს გამგეობას შეაჩეროს გული და თვალი, აცა, რას მიწყალობებენ იქიდამაო." *("შინაური მიმოხილვა". 1883 წ. ნოემბერი).*

"აბა ყოველს ამას მიზეზთ-მიზეზი მოუნახეთ და დაინახავთ, რომ ყოველი ჩვენი ეგრეთ-წოდებული "საზოგადოება" მარტო ყავარია, რომელსაც ბოძები თითონ ერში არა აქვს, ხეა, რომელსაც ფესვი თითონ ერში არ გაუმაგრებია, და თუ ფეხზედ დგას, იმიტომ კი არა, რომ ძირი ღრმად აქვს წასული, არამედ იმიტომ _ რომ გარედამ აქეთ-იქით ბოძები აქვს მიცემული. აი, ნამდვილი მიზეზი სისუსტისა საერთოდ და წერა-კითხვის საზოგადოებისა საკუთრივ." *("შინაური მიმოხილვა". 1883 წ. ნოემბერი).*

- **სახელმწიფოს სიმტკიცე დამყარებული უნდა იყოს ერთსულოვნებაზე. ეს ჰბადებს მისადმი ხალხის სიყვარულს**

"სიმტკიცე სახელმწიფოსი, რაც გინდ დიდი და ძლიერი იყოს, უნდა ემყარებოდეს ერთსულოვნებაზე და არა ერთსახობაზე, ერთფერობაზე. ამიტომაც მარტო სიყვარული და ტკბილად მოქცევაა იგი ქვითკირი, იგი დუღაბი, რომლითაც ჰშენდება და მყარდება ციხე-სიმაგრე ერთობისა სახელმწიფოში". *("ქვათა ღაღადი". 1899 წ.).*

"ზოგვა და ძუნწობა საბოლოოდ საქმის წახდენაა და ღალატი სახელმწიფო საქმისა". *("შინაური მიმოხილვა". 1879 წ. თებერვალი).*

"შველა და ხელუხვობა სახელმწიფოსი მით უფრო არის სასარგებლო, რომ თითონ სახელმწიფო არასფერს დაჰკარგავსL ხალხი, ფეხზედ წარმომდგარი, უფრო უკეთესი ღონეა სახელმწიფოსათვის, ვიდრე დავრდომილი და სულით და ხორცით გათახსირებული; მარტო გულმოგებული და ფესგამაგრებული ხალხია უშრეტი წყარო სახელმწიფოს სიმდიდრისა და ძალისა. აქ ყოველივე შესაწირავი, ყოველივე სანთელსაკმეველი გზას იპოვის, გლეხის არ იყოს, და სახელმწიფოს გარდამეტებით დაუბრუნდება". *("შინაური მიმოხილვა". 1879 წ. თებერვალი).*

"ღირსება და სიკეთე რომელიმე მთავრობისა, ხალხისაგან ცნობილი და აღიარებული, სთესავს ხალხში იმ სიყვარულის თესლს, რომელიც მეტად სანატრელი უნდა იყოს ცნობიერად მომართულ და მიმართულ სახელმწიფოსათვის; და მარტო ეს სიყვარულია სათავედ ყოველი იმისა, რაც კი შეადგენს სახელმწიფოს ძალასა და ღონეს, იმიტომ რომ მარტო სიყვარულით აღფრთოვანებული ხალხია საიმედო ყოველს განსაცდელში, რაც-კი სახელმწიფოს ისტორიის გზაზედ შეემთხვევა ხოლმე, მარტო სიყვარულით გულგამთბარს ხალხს შეუძლიან სიცოცხლისა და ქონების გაწირვა სახელმწიფოს კეთილდღეობისათვის, მარტო სიყვარულით გაძლიერებულის ხალხით შეიძლება იმისთანა სასწაულები მოახდინოს სახელმწიფომ, რომლის მაგალითები ბევრია ისტორიაში და რომელიც დღეს გვიკვირს და გვაოცებს. საცა ეს სიყვარული არ არის, ის სახელმწიფო ფუღუროა, ფუყეა, ერთი ლაზათიანის ქარის შემობერვა და იმისი გადამსხვრევა ერთია". *("შინაური მიმოხილვა". 1879 წ. თებერვალი).*

- **სახელმწიფო მოხელე და მოხელეობა**

"უმაღლესი სფერო მთავრობისა საზოგადოდ ..... მეტად მიუწვდომელია ხალხის თვალისათვის. ისე შორსა სდგას იგი ხალხზედ, ისე იშვიათად დაენახვება ხოლმე ხალხის თვალს, რომ ძნელად თუ ხალხი მას პირისპირ გაიცნობს, და თუნდ ძალიან კარგიც იყოს, მისი სიკარგე, მინამ ხალხამდე ჩავა, მრავალ ხელში გაივლის ხოლმე და ამის გამო ვინ იცის რა სახით ეჩვენება. თითონ ხალხიც საზოგადოდ, და დაბალი საკუთრივ, ისე მომწყვდეულია თავის ვიწრო ავკარგიანობაში, მისი ყოველდღიური საჭიროება ზედ-გამობმულია ისეთს წვრილმანს საგანზედ, რომ ძნელად თუ მიეცემა მიზეზი პირისპირ შეხვდეს მთავრობას და მით იხელთოს შემთხვევა მისი ავ-კარგიანობა აწყოს." *("შინაური მიმოხილვა". 1879 წ. თებერვალი).*

"ყველგან უმაღლეს მთავრობის და ხალხის შორის სდგას ხოლმე მთელი რაზმი მოხელეებისა, რომელნიც მახლობელნი გამომთქმელნი არიან უმაღლესის მთავრობის წადილისა, მიმართულებისა და ავ-კარგიანობისა, ხალხი თუ იცნობს მთავრობას, ამ მოხელეებით იცნობს, რადგანაც იგინი არიან მისდა მახლობლად, მათ უდგათ მის ცხოვრების დირეზედ ფეხი, იგინი განაგებენ ყოველ-დღეს მის ავსა და კარგსა და ყოველ-დღე თვალ-წინ ტრიალებენ. უმაღლესი მთავრობა თუნდ კარგიც იყოს, შესაძლოა მოხელეების წყალობით ხალხმა აითვალწუნოს იგი უმაღლესი მთავრობა და იმდენად დაფრთხეს, რომ მამა-პაპეული ბინაც მოიშალოს და ცხრა მთას იქით გადავარდეს, ოღონდ თავი ცოცხალი დააღწიოს". *("შინაური მიმოხილვა". 1879 წ. თებერვალი).*

"კეთილად, გონიერად და ცნობიერად აგება ხალხის მახლობელ მმართველობისა, კაი კაცების შერჩევა, _ შეადგენს ერთს იმისთანა უპირველეს და აუცილებელს საჭიროებას, ურომლისოდაც მთავრობა მთავრობა კი არ არის, წეწვა-გლეჯაა, ზედმისევაა, თავზარია ხალხისათვის." *("შინაური მიმოხილვა". 1879 წ. თებერვალი).*

"ხალხის მახლობელნი მოხელენი პირველსახენი არიან უმაღლესის მთავრობისა, იგინი არიან მაგ მთავრობის წადილისა და მიმართულების გამომთქმელნი. აქედამ ცხადია, რამოდენად გულით და ჭკუით განვითარებულნი უნდა იყვნენ ის მოხელენი, რომ მათაც, _ როგორც ერთგვარ ძალთა სახელმწიფო წყობასათა, _ გააგებინონ ხალხს გზა საზოგადო ცხოვრებისა, თვალი აუხილონ იმ საგანზედ, რომელიც ყოველს წყობას ადამიანისას მისაღწევად დანიშნული უნდა ჰქონდეს საყოველთაო საკეთილოდ; მათ უნდა ამცნონ ის საყოველთაო საკეთილო საგანი, რომლისკენაც უნდა მიიზიდებოდეს ყოველის ძალითა და ღონით ყოველივე სახელმწიფო თუ მართლა სახელმწიფოა საქმით და არა მარტო სახელითა." *("შინაური მიმოხილვა". 1879 წ. თებერვალი).*

"მოხელეობა მმართველობისა მარტო მშვიდობიანობის მცველი კი არ არის, მარტო დარაჯი კი არ არის, არამედ მწვრთნელიც უნდა იყოს ხალხისა, მასთან ერთად ჩაბმული და ერთად მოღვაწე". *("შინაური მიმოხილვა". 1879 წ. თებერვალი).*

- **პოლიცია და სამმართველო ხალხთან ახლოს მყოფი ორი მთავრობითი ორღანოა**

"ხალხის მახლობლად მყოფი მთავრობითი ორღანო ორგვარია: პოლიცია და სამმართველო. ამათ უჭირავთ უპირატესი ადგილი ჩვენს ცხოვრებაში და ამაზეა

დამოკიდებული ჩვენში ხალხის გულის მოგებაც, ხალხის გულის აყრაც". *("შინაური მიმოხილვა". 1879 წ. თებერვალი).*

"აშკარაა, რა არის საჭირო აქაურ მოხელეებისათვის გარდა საზოგადო თვისებისა, სახელდობრ, ჭკუისა და ზნეობის სიმაღლისა. საჭიროა მოხელემ კარგად იცოდეს აქაურის ხალხის ვითარება, ჩვეულება, ტკივილი და სიხარული და ღონე ჰქონდეს ხალხს უშუამავლოდ ელაპარაკოს". *("შინაური მიმოხილვა". 1879 წ. თებერვალი).*

"ხალხის სამართლის გამძღოლს, ხალხის სამართლის აღმადგენელს და დამდგენელს რომ კაცმა ენა მოსჭრას და ყური დაუხშოს, _ რაღას უნდა გამოელოდეთ მისგან კარგს და კეთილს, თუნდა სხვაში ყველაფერში ციდამ ჩამოსულიც იყოს." *("შინაური მიმოხილვა". 1879 წ. თებერვალი).*

"მოსამართლეს რომ თავის ყურით არ ესმოდეს მოჩივარის საჩივარი და გულისტკივილი, რა მოსამართლეა? მოსამართლემ რომ თავის ყურით არ მოისმინოს მოწმის ჩვენება, საცა ხშირად ერთი სიტყვა, ასე თუ ისე გამოთქმული, უფრო დიდის და ცხოველის ნათლით მოჰფენს ყოველს საქმის გარემოებას, ვიდრე მთელი ლაქლაქი უვიცისა და ბრიყვს მთარგმნელისა, _ ის რა მოსამართლეა?" *("შინაური მიმოხილვა". 1879 წ. თებერვალი).*

"მოხელე, რომელსაც მე ჩემსას ვერ გავაგებინებ და ის თავისას, _ ის რა ჩემი მომვლელია? აქ მარტო სახეა და არა სული და ხორცი". *("შინაური მიმოხილვა". 1879 წ. თებერვალი).*

"ხშირად სრულიად უცხო კაცია მოსამართლედ თუ მოხელედ, სრულიად უცნობი ჩვენი ჩვეულებისა, ჩვენის მიდრეკილებისა, ზნეობისა, ჭირისა თუ ლხინისა, და მაშინ ცხადი იქნება, რათ მიაჩნია ხალხს ჭირად, როცა საქმე ან სამოხელოდ, ან სასამართლოდ გაუხდება ხოლმე. მაშინ ცხადი იქნება, რათ იმდურება ხალხი და რათ არის კანონზედაც და მმართველობაზედაც გულდაწყვეტილი და გულაყრილი". *("შინაური მიმოხილვა". 1879 წ. თებერვალი).*

"ცხენების ჩუქება ავიღოთ თუნდა მაგალითად. ჩუქება ხომ კეთილი საქმეა, მაგრამ აქაც ხალხი დაფრთხა, ნამეტნავად, საცა მაზრის უფროსად უენო კაცი დაჯდა, დაფრთხა, არ მიეკარა ცხენებს, რადგანაც ეს მთავრობის წყალობა სულ სხვაფრად დაანახვეს ხალხსა, _ კაცი არ იყო, კაცი, რომ ხალხისათვის წყალობა წყალობად გამოესახა და პირდაპირ აეხსნა მთავრობის განზრახვა". *("შინაური მიმოხილვა". 1879 წ. თებერვალი).*

"როცა მოხელეები იმ ჯურიდამ ამორჩეულნი არიან, რომელიც სრულიად უცნობია ხალხისა, მისის ცხოვრებისა, სრულიად უცოდინარი ენისა, _ ამას აუცილებლად ის მოსდევს, რომ მათ ხალხისა არა გაეგებათ რა და ხალხს კიდევ მათი. არიან ესე, ხშირად ერთი აღმა მიდის და მეორე წაღმა, უყურებენ ერთმანეთს და ჰკვირობენ, ან მე რად უნდივარ ამასაო, ან მე იგი რად მინდაო, ის ჩემთვის მუნჯი და ყრუიაო, მე _ იმისათვისაო". *("შინაური მიმოხილვა". 1879 წ. თებერვალი).*

"თუ მოხელე კაი კაცია, მარტო იმას ფიქრობს, რომ არა ვავნო ხალხსაო, და ხალხი კიდევ იმოდენად არის ხოლმე მადლობელი მოხელისა, რამოდენადაც იგი უფრო ნაკლებ მავნებელია. ამისთანა ყოფაში სხვა საწყაოთი მიდგომა შეუძლებელია: მმართველობას სიკეთის უპირატესი ღონე ჩამორთმეული აქვს, სახელდობრ ენა და ყური". *("შინაური მიმოხილვა". 1879 წ. თებერვალი).*

"ამ ყრუ-მუნჯობას ერთი დიდი ვნებაც სხვა დაჰყვება ხოლმე: ხალხის ცხოვრებას არც პატივი ქვს და არც ზედ-მოქმედება არასფერზედ. მრავალ-სახისა და მრავალ-გვარი

საჭიროება ხალხისა, რაც მის ყოველდღიურ ცხოვრების დენაში აღმოჩნდება ხოლმე, და აქედამ წარმომდგარი ვითარება, რომელიც ზოგჯერ კანონმდებლობის ღვაწლსა თხოულობს და რომელიც ყოველთვის საჭიროებს ყურადღებით გასინჯვას და გულმტკივნეულს შეწყნარებას, _ რჩებიან არამც თუ უყურადღებოდ, არამედ იქავე სულსა ლევენ, საცა იბადებიან, რადგანაც მთავრობასაც ხელიდამ აცლიან იმ ძვირფასს მასალას, რომელზედაც დამყარებული უნდა იყოს ყოველივე მისი განკარგულება და კანონმდებლობა". *("შინაური მიმოხილვა". 1879 წ. თებერვალი).*

"ჩვენში კანონი თუ იბადება, ოთხ კედელ შუა იბადება და ზოგჯერ ისე მოუხდება ხოლმე ჩვენს ცხოვრებას, როგორც კაცს სხვის ტანზედ შეკერილი ტანისამოსი. ეს არის, ჩვენის ფიქრით, იმ ყოფის მიზეზი, რომ ჩვენი ცხოვრება ძირს მიდის თავისთვის, ზემოდამ დაჰფარფარებს აჭრელებული ქაღალდი, საცა სუფევს კანონი, და შუაში კი ცარიელია. ამ ცარიელში დახტიან, ცხოვრების ზემოთ და კანონქვეშ, ჩვენი მოხელეები. ხალხი მათ ერიდება და ხალხს ისინი ერიდებიან". *("შინაური მიმოხილვა". 1879 წ. თებერვალი).*

- **მოხელეთა ამორჩევაში ენის ცოდნას უპირველესი ადგილი უნდა ეჭიროს - ევროპის მაგალითი**

"მოხელეთა ამორჩევაში, განათლებისა და ზნეობით აღმატებულობის გარდა, ენის ცოდნას უპირველესი ადგილი უნდა ეჭიროს. უამისოდ ამაოა მთავრობის ცდა ხალხის გულის მოსაგებად; ეს არის უპირველესი ღონე მოხელისა, რომ მართალი და ჭეშმარიტი სამსახური გაუწიოს სახელმწიფოსაც და საზოგადოებასაც. ეს კარგად იციან ევროპიელებმა, რომელთაც კანონად მიღებული აქვთ, რომ თუ ენა არ იცის, კაცს ფეხსაც არ შეადგმევინებენ იმ ხალხში, საცა მოხელეობას ჰნდომობს. ასე მოქმედობს, მაგალითებრ, ინგლისი _ შესახებ ინდოეთისა. ჩვენში კი სულ სხვასა ვხედავთ. აქ არამც თუ მოხელისაგან თხოულობენ, რომ აქაური ენები იცოდნენ, არამედ თითონ აქაურებისათვისაც კი ამოაკვეთინეს ფეხი აქაურს ენებს აქაურის სასწავლებლიდამ". *("შინაური მიმოხილვა". 1879 წ. თებერვალი).*

"ჩვენი ეგრეთ-წოდებული მაღალი საზოგადოება, ნამეტნავად ქალაქში, თავის სამარცხვინოდ თაკილობს თავის დედა-ენით ლაპარაკსა". *("შინაური მიმოხილვა". 1879 წ. თებერვალი).*

"ნუთუ მთავრობის უუწმინდესს მოვალეობას არ უნდა შეადგენდეს მზრუნველობა, რომ ერს იმისთანა მოძღვრები მოუმზადოს, რომელთაც ღონისძიება ჰქონდეთ სამწყსოს გააგებინონ რამე და თითონაც სამწყსოსი გაიგონ. მოძღვარის ფარ-ხმალი ენაა. თუ ენა არ ეცოდინება, უქმია მისი თანამდებობა. ენა ერისა იმოდენად საჭიროა ერის მოძღვრისათვის, რომ სამღვდელოებამ თითონაც არ ინდომოს, მთავრობამ ძალად უნდა მოანდომებინოს, და თუ მაგისათვის საჭიროა ხარჯი, თითონ მთავრობამ უნდა იკისროს." *("შინაური მიმოხილვა". 1881 წ. ივლისი).*

- **სახელმწიფო და ეროვნობა ადვილად მოსათავსებელნი არიან ერთმანეთში**

“წუნი ძველის წესებისა რაში უფრო მდგომარეობდა. ჩვენის ფიქრით, ერთი არსებითი და უდიდესი ნაკლულევანება ძველის წესებისა ის იყო, რომ ეროვნობის საჭიროებანი და სახელმწიფოსი ერთმანეთში გარჩეული არ იყო. ყოველისფერი სახელმწიფოს ანაცვალეს და ეროვნობას გზა შეუკრეს, თუმცა სახელმწიფოს ჭეშმარიტი ვითარება, კარგად გასინჯული გზა და საჭიროება, ამისთანა მსხვერპლს თავისდღეში არ ითხოვს, რადგანაც ეროვნობა და სახელმწიფო ადვილად მოსათავსებელნი არიან ერთმანეთში და საცილობელი, ერთმანეთის დამაბრკოლებელი არა აქვთ-რა. ამას მარტო ღრმად დაკვირვება უნდა, ხალასი გული და მიუდგომელი ჭკუა.” *(“შინაური მიმოხილვა”. 1882 წ. მარტი).*

“ვიდრე წესების ცვლილებას შეუდგებიან ჩვენში, ჯერ ყველაზე უწინარეს გამოცნობილ და აღიარებულ უნდა იქმნას ის, თუ რა თვალით და რა გულით უნდა გვიყურონ ჩვენ; უნდა გამოცნობილ იქმნას, კარგად განსაზღვრულ და ბეჯითად განმარტებულ თუ, _ ვინა ვართ ჩვენ და რანი ვართ.” *(“შინაური მიმოხილვა”. 1882 წ. მარტი).*

“ჩვენი წმინდა მოვალეობა დღეს ის არის, რომ მთავრობამ ჩვენგანა სცნოს ჩვენი გულის-ტკივილი და ჩვენი ნატვრის საგანი. ახლის მთავარმართებლის გულმტკივნეული სიტყვები ჩვენის ქვეყნის შესახებ, მისი მტკიცედ გამოთქმული აღთქმა, რომ, რაც შესაძლოა, არავითარს ღონისძიებას არ დაიშურებს ჩვენის ქვეყნის აღმატებისათვის, მისი მტკიცედვე გამოთქმული სურვილი, რომ თითონ საზოგადოებაც მოეშველოს ქვეყნის განწყობის საქმეში, იმედს გვაძლევს, რომ აქაური უმაღლესი მთავრობა სიამოვნებით მიიღებს ყოველსავე რიგიანად გამოკვლეულს, დამჯდარის ჭკუით შემუშავებულს აზრს მასზედ.” *(“შინაური მიმოხილვა”. 1882 წ. მარტი).*

“როცა ჩვენი შვილები _ ჩვენ, მამებს, განგვიკითხავენ, პირველად ამას გვეტყვიან: ეს ამისთანა შემთხვევა გქონდათ და რა ჰქენით ქვეყნისათვისა და თქვენის შვილებისათვისაო. რომ პირნათლად დავხვდეთ ამ განკითხვის დღეს, რომ სირცხვილით პირზედ ხელი არ ავიფაროთ ჩვენთა მომდევართა წინაშე, რომ ჩვენი ხსენება საწყევრად არ გავიხადოთ, მაგ მძიმე ტვირთს უნდა ყოველის ჩვენის სულიერის და ხორციელის ძალით ცნობიერად და წინდახედვით გავუძღვეთ.” *(“შინაური მიმოხილვა”. 1882 წ. მარტი).*

“ჩვენი დიდკაცობა, რომელიც წარჩინებულობით, ხარისხით, ყოფა-ცხოვრებით და შეძლებით ყველაზედ მახლობლად არის უმაღლეს მთავრობასთან და, მაშასადამე, უმაღლეს მთავრობამდე ხმის მიწვდენის ღონე ხელთა აქვს, ამ საქმისათვის მოუმზადებელია. თუნდაც ჭკუით და გონებით მომზადებული იყოს, გულიც იმოდენად გაღვიძებული უნდა ჰქონდეს, რომ საქვეყნო საქმისთვის უცემდეს და მოსვენებას არ აძლევდეს, იმოდენად აღმატებული უნდა იყოს ზნეობით, რომ თავის პატივმოყვარეობას, სახელსა, დიდებას _ მარტო ქვეყნისათვის დადებულ ღვაწლში ხედავდეს და მარტო მაგ ღვაწლის სიდიდით ზომავდეს კაცის ადამიანურს ღირსებასა საზოგადოდ და თავის დიდკაცობისას ცალკედ. კმაყოფილება ჭეშმარიტის პატივმოყვარეობისა მარტო ამისთანა ღვაწლში მოიპოვება და სხვა არაფერში.” *(“შინაური მიმოხილვა”. 1882 წ. მარტი).*

- **ადამიანის უფლებების შესანარჩუნებლად ჩვენმა ლიტერატურამ ვერაფერი სამსახური გაუწია ქვეყანას**

“ადამიანი ცალკედ ერთი სუსტი და უღონო დანაბადია; მისი სულიერი და ხორციელი ბუნება ისეა აგებული, რომ ცალკე ყოფნით, მარტო ყოფნით, ვერას-გზით ვერ მიაღწევს ბედნიერებასა. ამიტომაც იძულებულ იქმნა თავის მსგავს დანაბადთან ერთად ემოქმედნა. ამ მიზეზებმა იმოქმედა, რომ ბოლოს ადამიანთაგან შესდგა საზოგადოება და საზოგადოებისაგან _ სახელმწიფო.” *(“შინაური მიმოხილვა”. 1882 წ. ივნისი).*

“დროთა განმავლობაში ზოგან საქმე ისე წარემართა, რომ სახელმწიფომ იმძლავრა და სრულიად დაიმორჩილა საზოგადოება საერთოდ და ადამიანი ცალკედ, ყველაფერი თითონ მოითალა და საზოგადოება და ადამიანი ცარიელზედ დასვა. ზოგან საზოგადოებამ თავისი კუთვნილი უფლება შეირჩინა და დაუთმო სახელმწიფოს, და ადამიანი კი ცალკედ თვის ყურმოჭრილ ყმად გაიხადა. ზოგან კიდევ, როგორც სახელმწიფოში საზოგადოებას, ისე საზოგადოებაში ცალკე ადამიანს, ანუ უკეთ ვსთქვათ _ ადამიანის პიროვნებას, თავისი საკუთარი უფლება შერჩა.” *(“შინაური მიმოხილვა”. 1882 წ. ივნისი).*

“უკეთესი განწყობილება ის არის, როცა თვითეულს ამათგანს თავისი კუთვნილი ადგილი უჭირავს, საცა თვითეული მათგანი ისეა მოთავსებული, რომ თავის სრული უფლება მიწყული აქვს. ერთი უწმინდესი და უდიდესი მოვალეობა და საგანი ყოველ საზოგადოდ მომქმედ ძალისა საერთოდ და ლიტერატურისა ცალკედ – ის არის, რომ ამ ყოფამდე მიაღწევინოს სახელმწიფოს, საზოგადოებას და ადამიანს, და ერთმანეთში თვითეული მათგანი სრულის კუთვნილის ადგილით და მოვალეობით მოათავსოს. ამისათვის იღწვის და იბრძვის ყველგან უკეთესი წარმომადგენელი ადამიანისა. იქ, ამისთანა სახელმწიფოში, გარდა სახელმწიფოსი – თითონ საზოგადოებაც თვის მფარველობის ქვეშ აყენებს ადამიანის პიროვნების უფლებასა და ყოველს შემთხვევაში ესარჩლება და ექომაგება . თუ იგი ვისგანმე უსაბუთოდ გაუპატიურებულია და ხელშეუხებელი” *(“შინაური მიმოხილვა”. 1882 წ. ივნისი).*

“ჩვენდა სამწუხაროდ, უნდა ვაღიაროთ, რომ ამ საგანზედ ჩვენში დალაგებულად ცნობილი არა არის-რა და ჩვენს ლიტერატურასაც ის უნდა ვუსაყვედუროთ, რომ ამ მხრით ვერაფერი სამსახური გაუწია ჩვენს ქვეყანასა. რასაც კი წასწვდა ჩვენი ლიტერატურა, ყოველსფერს საზოგადოების უფლების მიხედვით მიაყენა შუქი და ადამიანის პიროვნების უფლების სარჩლად არამც თუ ხელი გასძრა, არამედ მის შესახებ ერთი უმსგავსო და მეტად ცუდი ჩვეულება დაიჩემა.” *(“შინაური მიმოხილვა”. 1882 წ. ივნისი).*

- **სახელმწიფო სამსახურში მყოფი მოსამართლე ძალიან ახლოს უნდა იყოს ხალხთან, უამისოდ ხალხს ზნეობაც შეერყევა და ქონებრივი სიმდიდრეც**

“არა გვგონია, ჩვენს კანონმდებლებს არ სცოდნოდათ, რომ იმისთანა სამართალი, როგორიც მომრიგებელ მოსამართლეს მიენდობა, ძალიან მახლობლად უნდა იყოს ხალხზედ. უმაგისოდ მომრიგებელს მოსამართლობას უკეთესი ღონისძიება ერთმევა, რომ გაჭირვებულს თავის დროზე მიეშველოს, ვნებულს თავის დროზე მიხედოს, დარღვეული უფლება სწრაფად აღადგინოს და ნამდვილი სიმართლე აღმოაჩინოს. სხვა დანიშნულება არა აქვს მომრიგებელ მოსამართლეს, როგორც ადგილობრივს მოხელეს და სამართლის ადგილობრივს წინამძღვარს. ხალხთა უმრავლესობა ყოველ ცისმარა დღეს იმდენს წვრილმანს, უფასურს საქმეს აღმოაჩენს ხოლმე თავის ყოფა-ცხოვრებაში, რომ თუ

ამ საქმეებისათვის მახლობელი გამრჩევი არა ჰყავს, მითამ მოსამართლე სულაც არა ჰყოლია. შეუძლებელია, ამ წვრილმანს, თითქმის უფასურს საქმეებს ყური არ ათხოვოს კაცმა, იმიტომ რომ ცხოვრებაში უფრო ამისთანა საქმეებია, რომელნიც შეადგენენ საკუთრივ ხალხის ზნეობითსა და ქონებითს სიმდიდრეს. ერთსაც და მეორესაც, როგორც არსებითსა კუთვნილებას და საჭიროებას ხალხისას, მუდამა, მახლობელი მფარველი უნდა ჰყვანდეს. უამისოდ ხალხს ზნეობაც შეერყევა ხოლმე და ქონებითი სიმდიდრეც დღემუდამ განსაცდელშია. სიიეფე სამართლისა განა მარტო იმისაგან წარმოსდგება, რომ სამართალი განთავისუფლებულ იყოს ყოველ სახელმწიფო ბაჟისა და ხარჯისაგან, არამედ იმისაგანაც, რომ გაჭირვებულს შორი სატარებელი არა ჰქონდეს თავის გულის დარდის ასაყრელად, თავის ზიანის შესავსებლად, თავისის და თავის ოჯახის პატივისა, ადამიანობის დასაცველად. შორი სატარებელი ბევრს ხარჯს, ბევრს დროს ითხოვს ხალხისაგან, ხალხს ეს ძალიან ძვირად უჯდება, ისე რომ ხშირად იძულებულია ხოლმე თავი დაანებოს საჩივარს, ოღონდ კი არ მოსცდეს თავის შინაურს საქმესა და ხარჯი არ გასწიოს წასვლა-მოსვლაში.”

“საცა მთავრობა რომელისამე მიზეზით ამ ყოფაში ჩააგდებს ხოლმე ხალხს, იქ ხალხის თვალში _ სამართალიც, რომელსაც სიშორით ვერ მიჰკარებია, მოსამართლე _ რომელსაც შორიდამ ვერ მისწვდენია, ის არის სწორედ, რაც მაღლა დაკიდებული ძეხვი კატისთვის. მეტი რა გზა აქვს, რომ კატასავით არა სთქვას: დღეს არ მეჭმევა, პარასკევიაო. ამ ყოფაში ხალხს სამართალი თვის მფარველად აღარ მიაჩნია და ამის გამო ამბობს გულში: რაც ჩემთვის არ არის, თუნდა იყოს, თუნდა არაო. ყველამ ვიცით, რომ ჩვენში ჯერ პირველად თითო მომრიგებელი მოსამართლე დანიშნეს თითო მაზრაში. წარმოიდგინეთ იმისთანა მაზრა, როგორც თელავია, რომელიც იწყება თითქმის ანანურიდამ _ ლაგოდეხამდე, ცოტა რომ ვსთქვათ _ ას ორმოცდაათი ვერსტი, თუ არ მეტი, მაინც იქნება სიგრძით; ანუ დუშეთის მაზრა მცხეთიდამ ლარსამდე, ანუ გორისა _ მცხეთიდამ ბეჟანთ-უბნამდე, ანუ ტფილისის თვალგაუწვდენელი მაზრა და სხვანი. მერე სცნეს, რომ შეუძლებელია ამოდენა ფარგლით მოზომვა სასამართლო ნაწილისა და ეხლა თითო მაზრაში ორ-ორი სამოსამართლო ნაწილია. ჩვენ ვამბობთ, რომ მაინც იმოდენა დიდი ნაწილებია, რომ ხალხისათვის სამართალი მეტად შორს არის; ხალხს უჭირდება სამართალთან მისვლა”. *(“ცხოვრება და კანონი”. 1877-1881 წ.).*

“მოსამართლეობა, მსაჯულობა, ჩუმია, წყნარი, უხმაურო, უბუკ-ნაღარო. ღვაწლი მოსამართლისა, მსაჯულისა, ისეთი ერთიანი არ არის, როგორც, მაგალითებრ, ციხის აღება, ქვეყნის დაპყრობა, ომის მოგება და სხვა რამ ამ-გვარი დიდი, თვალსაჩინო და ერთბაშად დასანახავი საქმე, რომელიც ერთბაშადვე აცვიფრებს ადამიანს. იგი განუწყვეტელი ძეწკვია ყოველდღიურის ღვაწლისა; იგი ერთი-ერთმანედზედ ზედასხმული მარცვლებია ადამიანის საყოველდღეო მოქმედებისა. რამოდენა სინათლე და სიკეთე უნდა ჩააყოლოს კაცმა ამ უჩინარს მარცვლებს თავის განუწყვეტელის მოღვაწეობისას, რომ მათი კრებული იმად გამოჩნდეს, რასაც მოქალაქეობრივს ქველობას ეძახიან და რაც სამართლიანად გამოიწვევს ხოლმე ქებას, დიდებას, პატივისცემას და მადლობის გადახდასა”. *(“იასე ანდრონიკაშვილი”. 1887 წ. 25 თებერვალი).*

“ერთის დიდის საქმით ამის დამსახურება იმოდენად ძნელი არ არის, ჩვენის ფიქრით, რაც ამ ხანგრძლივის დაუღალავის ღვაწლით, დღე-მუდამ ერთი-ერთმანეთზედ ზედ-მიყოლილს სიკეთით მოპოვებული. იმიტომ რომ დიდი საქმე ზოგჯერ ბედისაგან წილად ხდომილია და ადამიანი მარტო ფარ-ხმალია, ბედისაგან არჩეულია. აქ კი

გამუდმებული თავდადება უნდა, დიდი გულმოდგინება, დიდი ღონე ზნეობისა, დაუცხრომელი სიყვარული, დაუღალავი ბეჯითობა და გაუტეხლობა გულპატიოსანის მუშაკისა და გამრჯელისა. ყოველივე ეს უნდა, რომ მარცვლეულობით ნაღვაწი ბოლოს იმოდენა ხვავად აქციოს კაცმა საზოგადოების თვალში, რომ საჯაროდ პატივისცემა და მადლობა გამოიწვიოს. აქ ადამიანი თაოსნობს, ირჯება და არა ბედი". *("იასე ანდრონიკაშვილი". 1887 წ. 25 თებერვალი).*

"აი, რას ვხედავთ და რას ვპოულობთ ჩვენ თ. ანდრონიკაშვილის დღეობაში მისდა ჭეშმარიტ სასიქადულოდ და სასახელოდ. თვით იგი საზოგადოებაშიც კი პატივით და სახელით მოსახსენებელია, რომელსაც თვალი უჭრის ამ-გვარის ღვაწლის დასანახავად. ეს უტყუარი ნიშანია მის გონების აღმატებისა, იმიტომ რომ უბუკ-ნაღაროს საქმეს, ჩუმსა და უჩინარს სასარგებლო ღვაწლს ხორცის თვალი ძნელად მისწვდება. აქ გონების მჭრელი თვალი უნდა, რომ თვალად მცირენი, მაგრამ კეთილნი საქმენი, რომელნიც გამუდმებულ შრომით ერთმანეთზედ განუწყვეტლად აკინძულია, ზედ-ნაკეცია, იცნას დიდის ზნეობის საქმედ და პატივისცემის ღირსად გაჰხადოს. დიდის-დანახვა ადვილია, საქმე ის არის, იმა ჩუმთა მუშაკთა უჩინარი ღვაწლი დაინახოს კაცმა, რომელთა ნაღვაწიც აცხოვრებს ქვეყანასა და დედა-ბოძად უდგა თვით საზოგადოებას". *("იასე ანდრონიკაშვილი". 1887 წ. 25 თებერვალი).*

- **კაცთა შორის უფლება-მოვალეობის გამიჯვნა. ეს უფრო მეტად აუცილებლად საჭიროა ხალხთა კეთილდღეობისათვის, ვიდრე სხვა რამე ქვეყნიერობაზედ**

"ბუნებამ, რაც უნდა სიმდიდრით მორთოს რომელიმე მხარე, ანუ ქვეყანა, რაც უნდა მრთელი ჰავა მისცეს ადამიანს საცხოვრებლად და ნაყოფიერი მიწა საზრდოებისათვის, მაინც-დამაინც ხალხთა კეთილდღეობას სხვა მხრითაც ხელის შეწყობა სდომებია. კაცს მაგოდენად ვერა შველის თურმე ვერც სიკეთე ჰაერისა, ვერც სიმსუქნე მიწისა, ვერც შეძლება ყოველგვარის წარმოებისა, თუკი კაცთა შორის კეთილად დადგენილი და ცხადად განსაზღვრული არ არის ურთიერთშორისი უფლება და მოვალეობა. კაცთა კმაყოფილებისათვის, ხალხთა კეთილდღეობისათვის, ეს უკანასკნელი უფრო აუცილებლად საჭიროა, ვიდრე სხვა რამე ქვეყნიერობაზედ". *("ცხოვრება და კანონი". 1877-1881 წ.).*

"მთიულსა შოტლანდიისას გარს ახვევია გულდახურული, ღარიბი ბუნება. იგი დიდის შრომითა და ღვაწლით ართმევს ბუნებას იმ თითო ლუკმა პურს, რომელსაც აწვდის თვის ჯალაბს საზრდოებისათვის. იგი თავდადებით, თავგამომეტებით დღედაღამ ებრძვის ბუნებას და ყოველი ესრეთ მოპოვებული ლუკმაპური ძლევამოსილებაა მისის მხნეობისა, შრომისმოყვარეობისა. თუმცა ესრეთ აღამებს იგი დღეს და ათენებს ღამეს, მაგრამ იგი უფრო ბედნიერია და კმაყოფილი, ვიდრე სპარსელი, რომლისათვისაც ბედს შემოუფარგლავს უკეთესი ქვეყანა კაცთა საცხოვრებლად და საზრდოებისათვის. ერთი არის თავმომწონე, გამბედავი, თავისუფალი, მედგარი და გულდაგული კაცი, მეორე არის გულჩათუთქვილი, ილაჯგაწყვეტილი, ფრთხალი და გათელილი. ერთი _ იმედით აღსავსე სულ წინ იყურება და ყოველი მისი ფეხის წინ წადგმა ძლევამოსილობაა ხვალისათვის, მეორე _ სასოწარკვეთილია, შიშით სულ უკან იყურება და გუშინდელს, მშვიდობით გატარებულს დღეს ნატრულობს და არა სწამს ხვალე. ერთი _ სულით და ხორცით ყოველივე წარმატებაშია, თუმცა ღარიბი ბუნება

ახვევია, მეორე _ სულითაც და ხორცითაც დალევაშია, თუმცა მის გარე ბუნება უხვია და მდიდარი. რა არის ამისი მიზეზი? ის არის, რომ ბედნიერმა შოტლანდიელმა იცის "ჩემი აქ თავდებაო და სხვისა აქ იწყებაო", უბედურს სპარსელს კი არც თავისი გაეგება და არც სხვისი.

რაც სხვისაა, _ ჩემი მოვალეობაა, რაც ჩემია, _ ეგ ჩემი უფლებაა". *("ცხოვრება და კანონი". 1877-1881 წ.).*

"უფლება და მოვალეობა, რომელნიც არიან პირველნი და უკანასკნელნი საგანნი ურთიერთშორის განწყობილებისა, დაიდგინება და განისაზღვრება მხოლოდ ხალხის კანონთმდებლობის ძალითა და ნიჭითა. ამ მხრით, რასაკვირველია, საბუთი აქვსთ მათ, ვინც ამბობენ, რომ მომქმედთა კანონთა უვარგისობა, თუ სიკეთე, თითონ ხალხის ბრალიაო, იმიტომ რომ თავი და ბოლო კანონებისა თვით ხალხიაო. რამოდენად მისაღებია ეს საბუთი, ჩვენ მაგის გამოძიებას არ შევუდგებით; ჩვენ მარტო ის გვინდა გვეთქვა, რომ რაც უნდა მდიდარი ქვეყანა იყოს ბუნებით, თუ იქ ჩემი და შენი, ესე იგი კაცთა უფლება და მოვალეობა, ძნელად გასარჩევია და არის საყოველთაოდ განსაზღვრული ცხადად და უცილოდ, იქ ხალხის წარმატება და კეთილდღეობა, თუ ყოველდღე უკან არ იწევს, შეფერხებული ხომ არის და არის." *("ცხოვრება და კანონი". 1877-1881 წ.).*

- **უფლება-მოვალეობის გამიჯვნის ორი გზა ჩვენში**

"ამისი მაგალითი თვით ჩვენი ქვეყანაა. ერთი მითხარით, რა არ მოუცია ღმერთს ჩვენის ბედნიერებისათვის? ყოველისფერი უხვად გვაქვს, მხოლოდ არა გვაქვს ურთიერთშორისი განწყობილება. მაგრამ ამ უკანასკნელს ათს წელიწადში, სახელდობრ 1864 წლიდამ, ჩვენში ბევრგვარი ცვლილება მოხდა, რომელთ აზრად ჰქონდათ და აქვთ საზოგადო ურთიერთშორისი წყობილება უკეთესს და უფრო უმართლესს ნიადაგზედ დაედგინა. ამ ცვლილებას ჩვენში ყოველი გონიერი და მიხვედრილი კაცი დიდი სიხარულით და თითქმის აღტაცებით მიეგება, ხოლო გამართლდა ჩვენი სიხარული და აღტაცება თუ არა?" *("ცხოვრება და კანონი". 1877-1881 წ.).*

"1864 წ. მოხდა ჩვენში ყმების განთავისუფლება. მოისპო ჩვენში ერთისაგან მეორის ადამიანობის გაქელვის მიზეზი, კაცი კაცად აღიარეს. ეს ერთი დიდი და უკეთესი მხარეა ამ სახელოვანის ცვლილებისა. აქ ყოველივე დამოკიდებულების კავშირი სამუდამოდ გაწყდა; ერთს ჩამოაცალეს ის, რაც სიმართლის შეურაცხყოფა იყო, მეორეს დაუბრუნეს ის, რაც უმართლოდ წართმეულ ჰქონდა. ამ მხრით ორთა-შუა ხელის მოსაკიდებელი და სადავიდარაბო არა დარჩენილა რა, ჩემსას და შენსას ამ მხრით მათ შორის ადგილი აღარა ჰქონდა. მაშასადამე, აქ საჭირო არ იყო განსაზღვრა უფლებისა და მოვალეობისა. ხოლო ბატონ-ყმობის საქმეში არის მეორე მხარეც, რომელსაც ქვეყნის კეთილდღეობისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს. განთავისუფლებულ გლეხს დაბინავება უნდოდა. უამისოდ გლეხის განთავისუფლება იმას ეგვანებოდა, რომ კაცისთვის გეთქვათ: წადი, ეხლა თავისუფალი ხარ, რომ შიმშილით მოკვდეო. ჩვენდა საკეთილოდ, ეს ასე არ მოხდა. გლეხს ბინა მიეცა, მიწა მიეცა. რადგანაც გლეხის ადრინდელი ბინა და მიწა საბატონოდ აღიარეს და გლეხს სახმარისად დაუტევეს, მაშასადამე, აუცილებელი საჭიროება მოითხოვდა განესაზღვრათ უფლება და მოვალეობა გლეხისა და ნაბატონარს შორის. აი,

ჩვენის ფიქრით, ამ განსაზღვრაში მოხდა ის, რამაც ჩვენი თავდაპირველი სიხარული არ გაამართლა იმოდენად, რამოდენადაც იმედი გვქონდა. რასაკვირველია, ვიდრე ეგ საქმე გადაწყდებოდა, დიდი ლაპარაკი და ყაყანი იყო მასზედ, თუ როგორ უნდა გააშველონ ბატონი ყმასა, ყმა ბატონსა. მცირემ, მაგრამ უკეთესმა, ნაწილმა ჩვენის საზოგადოებისამ მაშინვე აღიარა, რომ თუ საქმე იმაზე მიდგაო, რომ უსათუოდ უნდა გავშველდეთო, ის სჯობიაო, ეხლავე ისე გავშველდეთო, რომ ურთიერთშორის სამდურავისა და დავიდარაბის მიზეზი ჩვენში აღარა დარჩეს რაო. რაკი გლეხი მისის ნაჭერის მიწების მეპატრონედ არ იცნეს, რასაკვირველია, ეს აზრი ფრიად მოსაწონი და სამჯობინარი იყო ყველასათვისა. ამგვარად გაშველებისათვის ორი გზა იყო: ერთი ის, რომ მებატონეს მაშინვე მიეყიდნა გლეხისათვის მამული და მთავრობას გლეხისათვის ამაში ხელი გაემართა, ან არა და გადასახადი მოჭრით განესაზღვრათ, გადაეკვეთათ. რასაკვირველია, პირველი გზა უმჯობესი იყო, თუ არჩევანზედ მივარდნილიყო საქმე. მაგრამ არამც თუ არც ერთი ეს გზა არ მიიღო ჩვენმა საზოგადოებამ, არამედ მაგ გზების დედააზრიც სრულიად უარჰყო". *("ცხოვრება და კანონი". 1877-1881 წ.).*

"ჩვენის საზოგადოების მეორე ნაწილმა, უფრო უმრავლესმა, განდევნა სრულიად პირველთა დედააზრი და ირჩივა საქმის გათავება ისე, რომ გლეხსა და ნაბატონარს შორის ცოტა კლანჭგამოსადები რამ დარჩენილიყო. ჩამოვარდა მეოთხედობა _ ეს განუსაზღვრელი მიზეზიანი მოვალეობა ერთისა და მეორისაც. მოჰყვა ამას ვითარცა აუცილებელი შედეგი, სხვადასხვა კანონები სადავიდარაბო და ორივე მხარისათვის თავში საცემი. რომ მებატონესთან გლეხი პირნათლად გამოსულიყო, რასაკვირველია, მებატონის კაცი უნდა დასწრებოდა ნამუშევარის შინ შემოტანის დროს, რომ მეოთხედი მიეთვალა, თუ აეწყო. დაიდვა ეს კანონიცა. ყველამ იცის, რომ ნამუშევარი თითქმის ერთსა და იმავე დროს შემოდის. მთელ საქართველოში თუ არა, ერთი და იმავე სოფელში მაინც. აბა, ეხლა იფიქრეთ, რა უნდა ექმნა ამ შემთხვევაში იმ მებატონეს, რომელსაც ათი და ოცი კომლი ნაყმევი ეყოლებოდა? როგორ უნდა გასწვდენოდა ათსა და ოცს კომლსა? სადა ჰყვანდა ათი და ოცი კაცი მაგ მეოთხედების უკან სადევნებელად ერთ და იმავე დროს? არ გაგზავნიდა _ ეჭვში უნდა ჩავარდნილიყო, გლეხი მომპარავსო, და გაგზავნიდა კიდეც _ იმ მეოთხედიდამ კაცების დაჭერის ხარჯს კაი წილი მიჰქონდა. იყო ორ ჭირს შუა. ამ შემთხვევაში ან გლეხის კეთილსინდისიანობას უნდა დამყარებოდა, ან არა და ერთი თუ ორი კაცი უნდა ეტარებინა მეოთხედების ასაკრეფადა, რადგანაც მეტს მძიმე ხარჯი მოსდევდა. გლეხი უფრო ცუდს დღეში იყო. თუ მოუცდიდა ნაბატონარის კაცს, ვინ იცის, როდის მოვიდოდა, და ბატონის კაცის ლოდინში შიშით სული ელეოდა, ავდარმა ნამუშევარი არ წამიხდინოსო; არ მოუცდიდა კიდევ _ შიში ჰკლავდა, მეტს წამომედავებიანო". *("ცხოვრება და კანონი". 1877-1881 წ.).*

"კეთილსინდისიანობა გაჭიმული თოკია, რომელსაც დიდნი ზედ გადააბოტებენ და ისე გადადიან, პატარები კი ქვეშ გაუძვრებიან ხოლმე. რადგან ამგვარს ვარჯიშობას არც დიდნი თაკილობენ და არც პატარები, ამიტომაც ატყდა ბატონსა და გლეხს შორის აუარებელი საჩივარი და დავიდარაბა. პირველ ხანებში ამ საჩივრებს ვერ ასდიოდნენ მოსამართლენი". *("ცხოვრება და კანონი". 1877-1881 წ.).*

"ეს უფლება თავის გადარჩენისა ბუნებამ ყოველ თვითოეულ ცალკე ჭია-ღუასაც-კი მიანიჭა". *("ნუთუ". 1905 წ.).*

"ლიტერატორები საზოგადოდ უნდა ჰპატრონობდნენ იმ უფლებას, რომელსაც საზოგადოებრივი უფლება ჰქვიან. ეს არის ერთი უმთავრესი მოვალეობა მწერლობისა და

მწერლებისა, ნამეტნავად იქ, საცა საზოგადოებრივი უფლება ვრცლად არ არის აღიარებული და მიჩნეული და საცა ყოველივე ბიჯი ამ უფლებისა დაუყოვნებელის და დაუძინარის მხნეობით ჯერ კიდევ მოსაპოვებელია." *("შინაური მიმოხილვა". 1882 წ. აპრილი-მაისი).*

"რა თქმა უნდა, რომ ამგვარებისათვის მეცადინეობა და ხარჯი უქმად არ ჩაივლის და დიდს სარფას მისცემს როგორც ჩვენს ქვეყანას, ისეც მთელს სახელმწიფოს, თუ ქინაქინის ხე და ჩაის ბუჩქი მარტო თეთრს ქაღალდზედ არ დაირგა და შავის მელნით არ მოირწყა. ამისთანა საქმეში არმცოდნე კაცი, თუნდა გულმოდგინეცა, ვერაფერს გააწყობს მიწერ-მოწერის მეტს და ამ მიწერ-მოწერაში ისე აურევ-დაურევს დავთრებს, რომ ქინაქინის ხე და ჩაის ბუჩქი ყველას დაავიწყდებათ და დარჩება სახსოვრად მარტო უშველებელი ზვინი ქაღალდებისა, რომელიც მარტო იმას გვიმოწმებს თუ, რა გზით ვინ გაუხმო ძირი ქინაქინის ხეს და ჩაის ბუჩქსაც". *("ჩვენი სოფლური მეურნეობის შესაძლებლობანი და ბიუროკრატიზმი". 1887 წ. 16 თებერვალი).*

"ასე მოუვიდა აბრეშუმის საქმეს ნუხში, ასე მოუვიდა ვენახისა და ღვინის საქმეს კახეთში. ნუხშიაც და კახეთშიაც მთავრობამ არაფერი დაჰზოგა, რომ აბრეშუმის საქმე და ღვინისაც კარგად მოემართა და ფეხზედ დაეყენებინა, მაგრამ მოხელეობამ, რომელსაც ჩააბარეს ეს საქმენი, ვერც ერთგან ვერ გაამართლა იმედი მთავრობისა. ამისთანა საქმეს, როგორც ახალი სიმდიდრის გზის გახსნაა, საქმიანი, მოხერხებული, გამრჯელი, საქმეში დაოსტატებული კაცი უნდა". *("ჩვენი სოფლური მეურნეობის შესაძლებლობანი და ბიუროკრატიზმი". 1887 წ. 16 თებერვალი).*

"მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენი სამეურნეო საზოგადოება როგორღაც აგვიანებს თურმე ამ საქმესა. საზოგადოებას დეპარტამენტის მოწერილობა გადაუცია ერთის თავის წევრისათვის, რომლისათვისაც დაუვალებია, გასინჯოს ეს წინადადება და საზოგადო კრებას წარმოუდგინოს თავის მოსაზრებანი ამ საგნის შესახებ. მაგრამ, როგორც ისმის, საზოგადო კრება შემოდგომამდე აღარ იქნებაო და ასეთი საჭირო და საჩქარო საქმე კი მანამდისინ ძრიელ დაიგვიანებს." *("პურეულის ყიდვა სამხედრო უწყების მიერ". 1887 წ. 18 მაისი).*

"საჩქაროო, ვამბობთ იმიტომ, რომ შემოდგომისთვის მწარმოებელს, მიწის მუშას, მოხარჯე ხალხს, ხარჯის დრო მოადგება და ამ ხარჯს ისევ თავის ნაწარმოებით უნდა გაუძღვეს. ეს ნაწარმოები უნდა ფულად აქციოს და მაშასადამე ისევ ფულიან კაცებს, ჩარჩებს უნდა მიჰმართოს. ეს რომ არ მოხდეს, კარგს იზამდა სამეურნეო საზოგადოება, რომ ეხლავ გაემართა საგანგებო კრება განსაკუთრებით ამ საქმის განსახილველად და საჩქაროდ გარდასაწყვეტად." *("პურეულის ყიდვა სამხედრო უწყების მიერ". 1887 წ. 18 მაისი).*

"ამითი საზოგადოება თავის სასახელოდაც დიდს საქმეს ჩაიდენდა და ჩვენის ქვეყნის მეურნეობასაც დიდს სამსახურს გაუწევდა." *("პურეულის ყიდვა სამხედრო უწყების მიერ". 1887 წ. 18 მაისი).*

"ჩვენში, საცა თვითმოქმედება ხალხის გაღვიძებულია განათლების გავრცელებისათვის, მთავრობამ, როგორც განათლების ხელმძღვანელმა, ხელი უნდა შეუწყოს ამ თვითმოქმედებას, წაახალისოს თაოსნობა ხალხისა, ფულით თუ სხვა რაიმე საჭირო ღონისძიებით დაუღალავად და ხანდაუზმელად მიეშველოს, და ამასთან უფრო ფართო და ადვილი გზა მისცეს ხალხის ხალისს და თვითმოქმედებას შკოლების დაარსებისათვის, ესე იგი ტყუილ-უბრალო მიწერ-მოწერით არ დააგვიანოს ხოლმე ნების-რთვა. სადაც ეგ თვითმოქმედება არ არის ჯერ გაღვიძებული, იქ კი ყოველი ღონისძიება უნდა იხმაროს მთავრობამ თავისის ხარჯით, თავისის თაოსნობით უნდა

დამართოს შკოლები, და მერე იმისთანა სიფრთხილით, იმისთანა თვალ-გაფაციცებით, იმისთანა წინმხედველობით, რომ არა მიზეზი არ მისცეს კაცს აფიქრებინოს, რომ განათლების და სწავლის მეტი აქ შკოლას სხვა რამე წადილიცა აქვს". *("შინაური მიმოხილვა". 1879 წ. იანვარი).*

"აი, თუნდა ავიღოთ მაგალითად "წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება". დამტკიცებული წესდება აქვს, მთავრობისაგან მონიჭებული აქვს ზოგიერთი უფლება, მაგალითებრ _ იქონიოს თავისი სკოლები, იმ სკოლებში მთელი სწავლება მოაწყოს დედა-ენის შემწეობით, მინიჭებული აქვს უფლება მიიღოს თავის განკარგულების ქვეშ სოფლის სკოლები, რომელსაც თითონ სოფლის საზოგადოება თავისის ყრილობის განაჩენით მას მიანდობს. ყოველივე ეს უფლება მინიჭებული აქვს უმაღლესის მთავრობისაგან და, წარმოიდგინეთ, ერთი სკოლა კანონის ნებადართვით დღეისამდე არსად არ გაუმართავს, ბათომის გარდა. ეს სამწუხარო ამბავი განა იმ მიზეზით არის, რომ თითონ წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება ზარმაცობდეს, არამედ იმ მიზეზით, რომ მთელის ორის და სამის წლობით დადის სკოლის გახსნის თაობაზედ წარდგენილი ქაღალდი ერთის სამწერლოდამ მეორეში და ამ სიარულს ბოლო არა აქვს." *("შინაური მიმოხილვა". 1883 წ. თებერვალი).*

"ჯერ აქამომდე ბ-ნი გუბერნატორი საზოგადოებისაგან წარდგენილს სოფლის განაჩენს სკოლის გამართვის თაობაზედ ამტკიცებდა. ორი ამისთანა განაჩენი უკვე დამტკიცდა. მაგრამ რა? ახლა სხვა მხრივ გამოუჩნდა საზოგადოებას დაბრკოლება და არც ერთი სკოლა, იმ განაჩენებში მოხსენებული, დღესაც კანონიერად ნებადართული არ არის, თუმცა ერთი მათგანი კი არსებობს. ამაზედ გამართულს მიწერ-მოწერას ბოლო არ მოეღო და არ მოეღება შემდეგშიაც თუ არა, ეგეც არ ვიცით. ამ დაგვიანებას კიდევ, როგორც იქნება, გავუძლებდით, იმიტომ, პირველი, რომ ჩვეულნი ვართ და მეორე იმიტომ _ რომ ვიცით, ჯერ სამწერლოებში რკინის გზები არ არის დამართული ფეხაჩქარებით სიარულისათვის. ჭირი ეს არის, რომ ბ-ნ გუბერნატორი უწინდელებ აღარ ამტკიცებს სოფლის ყრილობის განაჩენებს, ვიდრე წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება სხვა გზით ნებართვას არ აიღებსო სკოლის გამართვის თაობაზედაო. მაგრამ ამ გზის გავლა საზოგადოებას გაუძნელდა და დღეს ჩვენის წერა-კითხვის საზოგადოების საქმე ამ სანატრელს და ბედნიერს ყოფაშია სკოლების გამართვის შესახებ. ვინ არის პატრონი? ვინ არის ხმის ამომღები?

ამბობენ, თ. დონდუკოვს ელიანო, რომ ეს ამბავი დაწვრილებით აცნობონო, და იმედს ნუ დავკარგავთ, რომ მაშინ მაინც იქნება ეშველოს ჩვენის საზოგადოების საქმეს.

ყოველი ეს დიაღ საგულისხმოა და თუმცა სატკენია, მაგრამ საწყენი კი არ არის. რა ვუყოთ? ჩვენმა ბედმა ეგრე გასჭრა. ამ შემთხვევაში ერთი ზღაპარი მოგვაგონდა დედინაცვალზედ. მაგრამ მეტად გრძელია და იმის ამბავი შორს წავა." *("შინაური მიმოხილვა". 1883 წ. თებერვალი).*

- **პასუხისმგებლობა საზოგადო მოღვაწისა დიდი ჭირიც არის მისთვის და დიდი ლხინიც**

"ზაქარიავ! არა გრცხვენიან, კაცო, რომ ძმასთან ვერ მოთავსებულხარ, ძმასთან!.. ვინც შეიტყობს, რას იტყვის? სირცხვილია, სირცხვილი! თავზედ ერთი ბეწვიც აღარა გაქვს შავი და მაგისთანა საქმეებს კი სჩადი." *("გლახის ნაამბობი". 1859, 1862-1873 წწ.).*

"ნუ ჰცრუობ მაგდროული კაცი, ცოდვაა!.." *("გლახის ნაამბობი". 1859, 1862-1873 წწ.).*

"შენს საქმეზედ იყავ ბეჯითი, გულმოდგინე, ერთგული, რომ ღმერთიც მადლობელი იყოს და კაციც: რასაც ვიკისრებთ, ის უნდა ავასრულოთ კიდეც. ლუკმა მაშინ არის ტკბილი, როცა კაიკაცობით არის ნაშოვნი. ჩემი ნახვა, ძმავ, ისე საჭირო არ არის: არა კაცი იმოდენა სიკეთეს არ მოგცემს, რამოდენადაც შენის ვალის ასრულება." *("გლახის ნაამბობი". 1859, 1862-1873 წწ.).*

"ნაღველს ცოტაოდენად ხელი გაეკრა, როგორც ემჩნევა ხოლმე მუდამ ზრუნვის ნაჩვევსა და სხვის გულის შემატკივარსა." *("გლახის ნაამბობი". 1859, 1862-1873 წწ.).*

"პრეზიდენტი საფრანგეთის რესპუბლიკისა კაზიმირ პერიე სამსახურიდამ გადადგა. ამ მოულოდნელმა ამბავმა ელვასავით მოირბინა მთელი ქვეყანა და ბევრგან ჩააფიქრა სხვადასხვა სახელმწიფოების ბედის გამგებელნი და, რა თქმა უნდა, ყველგან ჰკითხულობენ, რამ აიძულა ეს თავი საფრანგეთის ერისა, რომ ასე მოიქცაო. მიზეზი გადადგომისა თითონ კაზიმირ პერიემ ახსნა. პრეზიდენტის სახელს საკმაო პატივისცემით არ ექცევიანო, უპატიურად ეკიდებიან ჟურნალ-გაზეთები და ცალკე პირნიო. მე რადაგანაც საფრანგეთის ერის თავი ვარ, ეს უდიდესი ადგილი და თანამდებობა ნებას არ მაძლევს ჩემი ღირსება მევე დავიცვაო და ისინი-კი, ვინც მე პრეზიდენტად, ჩემდა უნებურად, ამირჩიეს, არავითარს სარჩელს არ მიწევენო." *("პრეზიდენტისა და მთავრობის შეცვლა საფრანგეთში და მისი საზოგადოებრივი მიზეზები". 1895 წ. 13 იანვარი).*

"მრავალკეცი და რთული პასუხისგება საზოგადო მოღვაწისა, დიდი ჭირიც არის მისთვის და დიდი ლხინიცა. ხოლო ვიდრე პასუხისგება ლხინად გადაექცევა, ჯერ ათასს უსიამოვნობას, ათასს ვაი-ვაგლახს, ათასს კიცხვას და კილვას გამოივლის ხოლმე. იგი ამ მხრით მეიდანზედ გამოკიდებული ნიშანია და, საჭიროება ითხოვს თუ არ ითხოვს, ყველა უმიზნებს და ესვრის თავის ისარს, ზოგჯერ ტყუილუბრალო კიცხვაში ამოვლებულს და მტრობის გულქვაობაზე პირგალესილსა. ესეთი ყოფა აუცილებელია საზოგადო მოღვაწისათვის, და სწორედ აუტანელი იქნებოდა, რომ ბოლოსდაბოლოს სამართლიანის განკითხვის იმედი არ ასულდგმარებდეს და მაგ განკითხვაში არა ჰპოულობდეს ჯილდოს გამოვლილს მწუხარების სამაგიეროდ." *("ტფილისის ქართული საადგილმამულო ბანკის მორიგი კრების გამო". 1886 წ. 10 მაისი).*

"იგი სამართლიანი განკითხვაა მისი ფარი, როცა ზედ მოესევიან, და მისი ხმალი, როცა თვით მიესევა." *("ტფილისის ქართული საადგილმამულო ბანკის მორიგი კრების გამო". 1886 წ. 10 მაისი).*

"საზოგადო მოღვაწის ბურჯი თვითონ საზოგადოებაა და საზოგადოების გაუბრუდებელი სამართლიანობა. ამაშია იგი წყარო ღონისა, მხნეობისა და გულმოდგინეობისა, იგი წყარო, რომელსაცა სვამს საზოგადო მოღვაწე, როცა კიცხვა და კილვა, ათასნაირი მწუხარება და უსიამოვნება გულს უშრობს ხოლმე რთულისა და მძიმე მოვალეობის ასრულების გზაზედ. ამით იგრილებს იგი დამწვარს გულს და იფონებს

კიცხვა-კილვისაგან შეხუთულს სულსა, და ერთი წუთი ამისთანა მოფონებისა მთელის წლების მწუხარებას გადააჭარბებს ხოლმე თვისის ღირსებითა და სიკეთითა." *("ტფილისის ქართული საადგილმამულო ბანკის მორიგი კრების გამო". 1886 წ. 10 მაისი).*

4.2.2. ადგილობრივი მმართველობა – სახელმწიფო მმართველობის მეორე-გვარი ფორმა

- **მეორე-გვარი მმართველობა: არსი**

"მეორე-გვარი მმართველობა იგია, საცა მთავრობას ხელთ უპყრია მარტო მთელის სახელმწიფოს საჭიროების საქმენი და ყოველივე სხვა კი საზოგადოებას გაუსაკუთრებია, მერე ისე, რომ ყოველს ნაწილს თვისნი ადგილობრივნი საქმენი აქვს ხელშეუვალად მინდობილნი. ეს საზოგადოების საჭიროების საქმენი, ადგილობივად განაწილებულნი, განიგებიან უსათუოდ ადგილობრივთა მოხელეთა შემწეობით, რომელთაც ირჩევს თვით ადგილობრივთა მცხოვრებთა საზოგადება და რომელნიც ამავე საზოგადოების წინაშე პასუხისმგებელნი არიან. ამგვარს გამგეობას თვითმმართველობას უწოდებან, რადგანაც ამ შემთხვევაში თვითოეული ნაწილი ერთისა და იგივე სახელმწიფოისა თვით საკუთარს საქმეს თვით ჰპატრონობს, თვით უვლის და თვით ჰმართავს, ერთი სიტყვით, ამგვარის მმართველობის დედა-აზრი იგია, რომ ადგილობრივნი საქმენი თვით ადგილობრივთა მცხოვრებთაგან განიგებოდეს". *("ცხოვრება და კანონი". 1877-1881 წ.).*

"ამგვარი მმართველობა მეტად ხელს უმართავს ქვეყნის კეთილდღეობასა: ხალხს აფხიზლებს, ხალხს ჭკუასა და გონებას უხსნის, რადგანაც საზოგადო მზრუნველობისათვის ხალისს უღვიძებს და საზოგადო საქმისათვის სწურთნის და ავარჯიშებს. ამგვარი მმართველობა ისეთის თვისებისაა, რომ საცა კი სურს ადამიანს, ყველგან და ყოველს ხალხში იხეირებს და ჩვეულებრივს ნაყოფს მოიტანს. იქ, საცა მაგას გზა და ადგილი ჰქონია, ყველგან ცხოვრება ადამიანისა აუყვავებია და მთავრობისათვისაც მძიმე ტვირთი ქვეყნის გამგეობისა შეუმსუბუქებია, აუხსნია". *("ცხოვრება და კანონი". 1877-1881 წ.).*

"ერთი მწერალი ამბობს: "ისტორია ამტკიცებს, რომ თვითმმართველობა უკეთესი წამალია ხალხის ყოველგვარის საჭიროებისა. საცა უნდა დარგათ, იგი ყველგან ხეირობს: ინგლისშიაც. საცა დიდკაცობაა ყოველის წყობის საფუძველი, ამერიკაშიაც, საცა განუსაზღვრელი თანასწორობაა მიღებული სახელწიფოს ქვაკუთხედადა. ერთნაირის სიკეთით და მადლით მოქმედებს და თავსდება იქაც, საცა იმისთანა პატარა ქვეყანაა, როგორიც შვეიცარია (739 ოთხკუთხი მილია) და იქაცა, საცა იმისთანა უზარმაზარი უდაბნო მინდვებია, როგორც ჩრდილო-ამერიკაში. იქაც კეთილგანწყობილი და შეთვისებულია, საცა იმისთანა სახელოვანი განათლებაა, როგორც ლონდონში და იქაცა, საცა იმისთანა გაუნათლებელი ხალხია, როგორც კანადაში, ავსტრალიაში და სხვა ინგლისის კოლონიებში". *("ცხოვრება და კანონი". 1877-1881 წ.).*

"თუმცა ესეა, მაგრამ მაგ თვითმმართველობას ქვეყანაზედ ბევრი მტერი ჰყავს; ბევრს უფრთხობს ტყუილუბრალოდ ძილსა და მოსვენებასა. ამბობენ, რომ საშიშარიაო _ საზოგადოებას ეგ უფლება: აურზაურს მოჰყვება, თავს გაიზვიადებს და მორჩილებიდამ გამოვაო". *("ცხოვრება და კანონი". 1877-1881 წ.).*

“როცა პრუსიამ წაართვა საფრანგეთს ელზასი და ლოტარინგია და პარლამენტში ჩამოვარდა საუბარი მასზედ, თუ რაგვარი მმართველობა მივცეთო ამ ახლად დაჭერილს ქვეყანას, ბისმარკმა აი რა სთქვა: “ჩვენი საქმე ელზასსა და ლოტარინგიაში თვითმმართველობის განძლიერება უნდა იყოსო. ადგილობრივნი საზოგადოების კრებანი უნდა დავაწყოთო ადგილობრივის მმართველობისათვისაო. ამ კრებათაგან უფრო უკეთ გვეცოდინება იმ ქვეყნების საჭიროება, ვიდრე პრუსიის მოხელეთაგანა. ადგილობრივთა მცხოვრებთაგან ამორჩეულნი და დაყენებულნი მოხელენი ჩვენთვის არავითარს შიშს არ მოასწავებენ. ჩვენგან დანიშნული მოხელე კი მათთვის უცხო კაცი იქნება და ერთი ურიგო რამ ქცევა უცხო კაცისა უკმაყოფილებას ჩამოაგდებს და ეგ მთავრობის განზრახვასა და სურვილს არ ეთანხმება. მე უფრო ისა მგონია, რომ მათგან ამორჩეულნი მოხელენი უფრო ცოტას გვავნებენ, ვიდრე ჩვენივე პრუსიის მოხელენი”.

აი იმისთანა კაცი, როგორც ბისმარკი, რომელიც თავისუფლების დიდი მომხრე მაინცდამაინც არ არის, ისე იღვწოდა თვითმმართველობისათვის, მერე იმ ქვეყნების შესახებ, რომელთაც გერმანიის მორჩილება არამც თუ უნდოდათ, არამედ ეთაკილებოდათ, თუ ამისთანა რკინის გულისა და მარჯვენის კაცი, როგორც ბისმარკი, სხვა გზით ვერ ახერხებდა ურჩის ხალხის გულის მოგებას, თუ არ თვით-მმართველობის მინიჭებითა, სხვას რაღა ეთქმის”. *(“ცხოვრება და კანონი”. 1877-1881 წ.).*

“ამ თვითმმართველობის დადგენისათვის ყველაზე ძნელი იმ ზომის პოვნაა, რომლითაც საერთო სახელმწიფო საჭიროების საქმენი მიეზომება ხოლმე სახელმწიფოს მთავრობისა, და საზოგადოებრივი კი _ ადგილობრივ საზოგადოებასა. ამ ორთა შუა ნამდვილის საზღვრის პოვნაც ძნელია, იმიტომ _ რომ თვით ბუნებითად ამ ორივე საჭიროების ძაფები ერთი-ერთმანეთში ჩართულ და გადაბმულ არიან, თუ ყოველისფერში არა, ბევრში მაინცა. მაგრამ თვითმმართველობის საქებრად ეს კი უნდა ვსთქვათ, რომ აქ გადამეტებულსა, თუ არა სარგებლობა, ისეთი ვნება მაინც არ მოსდევს, როგროც მას, როცა სახელმწიფოს მთავრობას გადამეტებულის ზომით დაუჭერია ცხოვრებაში ადგილი”. *(“ცხოვრება და კანონი”. 1877-1881 წ.).*

“ღირსება და სიკეთე შინაგანის მმართველობისა ჯერ იმაზედ არის დამოკიდებული, რომ განაწილებულია თუ არა სახელმწიფოსა და საზოგადოებას შორის მათდამი კუთვნილთა საქმეთა გამგეობა, და თუ განაწილებულია _ როგორ და რამოდენის სიმართლით არის ეგ მომხდარი. ყოველივე შინაგანის მმართველობის ღირსება და სიკეთე ამ სასწორით უნდა აწონილ იქმნას”. *(“ცხოვრება და კანონი”. 1877-1881 წ.).*

“ადგილობრივი თვითმმართველობა და უმაღლესი მთავრობა არც ერთი და იგივეა, არც ურთიერთის მოკამათე და მოცილენი არიან. ერთსა და იმავე ქვეყანაში, ერთსა და იმავე სახელმწიფოში, ორნივ მშვიდობიანად თავსდებიან და ურთიერთის სახეიროდ მოქმედობენ”. *(“ცხოვრება და კანონი”. 1877-1881 წ.).*

“ზემოთ მოვიხსენეთ, რომ ძნელია ამათ შუა ნამდვილის საზღვრის დადება, თუ ყველაფერში არა, ზოგიერთში მაინც, თუმცა ეს ასეა, მაგრამ საზოგადოდ ერთსაც და მეორესაც ისეთი თვალსაჩინო თვისების კუთვნილება აქვს, რომ მის მეოხებით კაცს შეუძლიან, თითქმის ყოველს შემთხვევაში, გაარჩიოს, ან ერთი რის მოღვაწე და პატრონი უნდა იყოს, ან მეორე. ჩვენ თვისება თვითოეულისა ზემოთ გაკვრით მოვიხსენიეთ. მაგრამ ვხედავთ, რომ იგი ჩვენის უმთავრესის საგნის უკეთ ცნობისათვისა ცოტაა, ამისათვის გვსურს ამჟამად ეგ თვისება ცოტაოდენად დაწვრილებით აღვნიშნოთ”. *(“ცხოვრება და კანონი”. 1877-1881 წ.).*

“უმაღლესის მთავრობის პირდაპირი დანიშნულება იგია, რომ ყოველს ქვეშევრდომს მისი სატკივარი გაუგოს, მისი წამალი დასდოს, ყოველს სიკეთისა და კეთილდღეობის გზა გაუხსნას. ამისათვის საჭიროა უმაღლესმა მთავრობამ უტყუარად, პირუთვნელად, ზედმიწევნით იცოდეს ყოველის კუთხის ნამდვილი ვითარება, მისი ავკარგიანობა, რომ საცა შესაძლოა შველა, უშველოს, შემწეობა მიაწვდინოს”. *(“ცხოვრება და კანონი”. 1877-1881 წ.).*

“ცხადია, რომ უმაღლესს მთავრობას თითონ, სხვის დაუხმარებლად, ვერ შეუძლიან ვერც თვალი მიაწვდინოს დასანახავად ყველგან, ვერც ყური სასმენელად და ვერც ხელი საშველადა. ცხადია, რომ მან უნდა იყოლიოს ამისათვის ანუ საკუთარი მოხელენი, ყოველგან მოფანტულნი და მორიგებულნი, ანუ ეგ მოხელეობა თვით ადგილობრივ მცხოვრებთა უნდა ჩააბაროს, მიანდოს. პირველმა საშუალებამ თავი ვერსად ვერ გაიმართლა”. *(“ცხოვრება და კანონი”. 1877-1881 წ.).*

“სხვის ხელით საქმის გაკეთება არსად და არასფერში არც თავს მოსულა და არც მოვა”. *(“ცხოვრება და კანონი”. 1877-1881 წ.).*

“სხვას, ტყუილია, ჩვენთვის ისე გული არ შესტკივა, როგორც მე თვითონ; სხვა ჩემს ავკარგიანობას ჩემსავით ვერ შეიტყობს, ჩემს ტკივილს ჩემსავით ვერ მოუვლის, ჩემს ჩივილს ჩემსავით ვერ იტყვის; რაც მე ვიცი ჩემი, სხვას თავის-დღეში არ ეცოდინება. ეს ყველგან ესე სცნეს და ამიტომაც ეგ საშუალება თითქმის ყველგან დაწუნებულ იქმნა და უარყოფილი”. *(“ცხოვრება და კანონი”. 1877-1881 წ.).*

“სულ სხვა არის, როცა უმაღლეს მთავრობას თვის მეთვალყურედ, მოხელედ და ადგილობრივთა საქმეთა გამგედ თვით ადგილობრივი მცხოვრებნი ჰყვანან. მათ უკეთ იციან თვისის თავის მოვლა, თვისთა საქმეთა პატრონობა. ამ შემთხვევაში, ერთის მხრით, ყოველის კუთხის ჭეშმარიტი საჭიროება, უტყუარი ტკივილი, გულწრფელი და მართალი წადილი მთავრობამდე მიღწეულია. მეორეს მხრით _ უმაღლესის მთავრობის საერთო მზრუნველობა ერთნაირის გულისტკივილით, ერთნაირის მადლით ყოველს კუთხემდე მიწვდენილია, მორიგებული და მოფენილი”. *(“ცხოვრება და კანონი”. 1877-1881 წ.).*

“აქედამ ცხადია, სად უნდა დაიდვას საზღვარი უმაღლესის მთავრობასა და თვითმმართველობის შუა. უმაღლესი მთავრობა, რა სახისაც უნდა იყოს, საყოველთაო საქმეთა მზრუნველი და მოღვაწეა, ესე იგი იმა საქმეთა, რომელნიც არამც თუ ყოველს ნაწილს, არამედ ყოველს ქვეშევრდომს ერთნაირად და ერთგვარად შეეხება და რომელნიც საერთო, საყოველთაო კეთილდღეობისათვის ცნობილია. მაგგვარნი საქმენი ეკუთვნიან საყოველთაო კანონმდებლობის წარმოებასა, საყოველთაო ფინანსთა (შემოსავალ-გასავალის) მოძრაობასა და საყოველთაო მხედრობის განწყობილებასა. ესე ყოველი ხელშეუვალი კუთვნილებაა უმაღლესის მთავრობისა, და თვითმმართველობას, როგორც კერძო სამმართველოს, ამ საქმეებში ხმა არა აქვს: იგი ემორჩილება ყოველს მას, რაც უმაღლესის მთავრობისაგან განგებულია, დაწყობილი და განწესებული. თვითმმართველობა ხელქვეითია ამ შემთხვევაში უმაღლესის მთავრობისა და საერთო კანონის ადგილობრივი მცველია და აღმასრულებელი”. *(“ცხოვრება და კანონი”. 1877-1881 წ.).*

“რაც სახელმწიფოს საერთოს ვითარებას არ შეადგენს, იგი თვითმმართველობის უცილო კუთვნილებაა. თვითმმართველობა თავის ადგილას ყოველის შინაურის საქმის გამგებელია და მეოხე; ყოველივე საერთო სახელმწიფო ხარჯის და სამსახურის ადგილობრივთა მცხოვრებთა შორის განმაწილებელია, ადგილობრივი საზოგადოების რიგისა და წესის დამწყობია, მისის ზნეობის, პატივის, ქონების, განათლების და ერთობ კეთილდღეობის მზრუნველია. ყოველივე ამის მომქმედია იმოდენად, რამოდენადაც

ყოველივე ეს მის სამმართველოს წრეში მცხოვრებთა განკერძოებით შეეხება და არ ეწინააღმდეგება საერთო სახელმწიფო კანონსა და განკარგულებასა. აქედამ სჩანს, რომ თვითმმართველობა ერთის მხრით ადგილობრივ საქმეთა დამწყობია და გამრიგებელი, მეორეს მხრით უმაღლესის მთავრობის ხელისუფალი ორღანოა". *("ცხოვრება და კანონი". 1877-1881 წ.).*

"ამ სახით, იგი ერთსა და იმავე დროს ადგილობრივის საზოგადოების ორღანოც არის უმაღლესის მთავრობის წინაშე, და უმაღლესის მთავრობის ორღანოცა წინაშე ადგილობრივის საზოგადოებისა". *("ცხოვრება და კანონი". 1877-1881 წ.).*

"ცხადია, რომ როგორიც უნდა იყოს უმაღლესი მთავრობა _ თვითმპყრობელობითი, მონარქიული წარმომადგენლობითი, თუ რესპუბლიკის სახისა, _ ერთშიაც, მეორეშიაც და მესამეშიაც თვითმმართველობა მშვიდობიანად მოეწყობა, საზოგადო წყობილებას არამც თუ ხელს შეუშლის, არამედ ხელს მოუმართავს, რადგანაც თვით ადგილობრივის საზოგადოების მოჭირნახულეა და ამასთანავე უმაღლესის მთავრობის უკეთესი თვალი და ხელია, ყოველ კუთხემდე მიწვდენილი". *("ცხოვრება და კანონი". 1877-1881 წ.).*

"რუსეთშია მაგ თვითმმართველობას დიდი ფართო გზა გაეხსნა უმაღლესის მთავრობისაგან და თითქმის მთელი რუსეთი ამას სიხარულით მიეგება. იქ ჯერ სოფლის, გლეხთა საზოგადოებას მიენიჭა თვითმმართველობის უფლება, მერე მაზრასა და გუბერნიასა ერთად და ამ სახით ყოველს განყოფილებაში დაიდგინა თვითმმართველობითი გამგეობა ადგილობრივ საქმეთა. იგი დიდი ხანია მოქმედებს ინგლისშიაც, საცა მონარქიული წარმომადგენლობითის სახის მთავრობაა, და ჩრდილო-ამერიკაშიაც, საცა რესპუბლიკაა. ეს მაგალითები ცხადად გვიჩვენებს ჩვენ, რომ თვითმმართველობა უმაღლესის მთავრობის სხვადასხვაობაზედ არ არის დამოკიდებული, რომ იგი ყოველგვარს უმაღლეს მთავრობას უხდება". *("ცხოვრება და კანონი". 1877-1881 წ.).*

"თვითმმართველობამ რომ თავისი ჩვეულებრივი ნაყოფი მოიტანოს და თავის თავს არ უმტყუნოს, მისდა შესაფერად უნდა იყოს მოწყობილი და დარგული. ამ მოწყობაში არც ერთი მისი არსებითი კუთვნილება დავიწყებული არ უნდა იქმნას, არც ერთი ძირეული აზრი არ უნდა დაირღვეს. თუ ეს სიფრთხილე არ იხმარა ადამიანმა, თვითმმართველობა უფრო უქმი სიტყვა იქნება, უფრო სახელი იქნება, ვიდრე სახრავი". *("ცხოვრება და კანონი". 1877-1881 წ.).*

- **თვითმმართველობის უმთავრესი კუთვნილებანი**

"უმთავრესი კუთვნილებანი თვითმმართველობისანი არიან:

1. ადგილობრივთა საქმეთა ადგილობრივის განსამართლების უფლება. ამაზედ არის დამყარებული მცხოვრებთა პატივის, ღირსების და ქონების ნამდვილი მფარველობა და ხელშეუხებლობა;

2. უმაღლესის მთავრობისაგან განწესებულის ხარჯისა, ბეგარისა და სამსახურისა ადგილობრივთა მცხოვრებთა შორის განაწილება. ეს უკეთესი ღონისძიებაა, რომ ყოველმა სამართლიანად და უმეტ-ნაკლოდ გადუხადოს სახელმწიფოს თვისი შესახვედრი მოვალეობა;

3. ადგილობრივის საჭიროებისათვის გარდასახადის დადგენა, გაწერა და აქედამ შემოსულის ფულის თავისუფლად გამგეობა;

4. სხვადასხვა წესისა და რიგის დადგენის უფლება ადგილობრივის საზოგადოების კანონად, მაგრამ ისე კი, რომ იგი წესი და რიგი საყოველთაო კანონს არ ეწინააღმდეგებოდეს;

5. ადგილობრივის საზოგადოების პირველდაწყებითის სწავლის მოწყობა და თავისუფალი გამგეობა;

6. ადგილობრივის საზოგადოებისათვის მზრუნველობა და ღონისძიების მოხმარება;

7. ადგილობრივის საზოგადოების საზრდოებისათვის თავდარიგის დაჭერა და ღონისძიების მოპოება;

8. ადგილობრივის გზებისა, ხიდებისა კეთება, მოვლა და თავისუფალი გამგეობა;

9. უმაღლესის მთავრობის წინაშე შუამდგომლობა ყოველს მასზედ. რაც ადგილობრივის საზოგადოების საჭიროებას და მოთხოვნილებას შეადგენს". *("ცხოვრება და კანონი". 1877-1881 წ.).*

- **თვითმმართველობის უმთავრესი საფუძვლები**

"უმთავრესნი საფუძველნი თვითმმართველობისანი არიან:

1. ხმა და არჩევის უფლება მინიჭებული უნდა ჰქონდეს ყოველს ადგილობრივს მცხოვრებსა, რაკი სრულ-წლოვანია; მაშასადამე, ყოველს მოვალეობაშიაც ყოველს მცხოვრებს წილი უნდა ედვას;

2. ადგილობრივის სამმართველოს ხელქვევით უნდა იყვნენ ყოველნი, ვინც კი სამმართველოს წრეში სცხოვრობს; აქ, როგორც პირველს შემთხვევაში, წოდებათა შორის განყოფილება და ხარიხების გადება მავნებელია და თვითმმართველობის ბუნების წინააღმდეგია;

3. ადგილობრივი მოსამართლენი, აგრეთვე მოხელენიცა, უნდა ამოირჩიონ ადგილობრივთა მცხოვრებთა;

4. ყოველივე ადგილობრივის თანამდებობის მექონი კაცი პასუხისმგებელი უნდა იყოს წინაშე საზოგადო სამართლისა და სამსჯავროსა და არა თვისთა უფროსთა წინაშე." *("ცხოვრება და კანონი". 1877-1881 წ.).*

- **ჩვენი სოფლის თვითმმართველობის უვარგისობის მიზეზები**

ჩვენის სასოფლო მმართველობის წესდებულებას ვინც თვალს გადაავლებს, დაინახავს, რომ იგი, ცოტად თუ ბევრად, თვითმმართველობის საფუძველზედ არის ამოყვანილი". *("ცხოვრება და კანონი". 1877-1881 წ.).*

"ძნელია ნაღველის უნაღველოდ თქმა, მაგრამ ზოგან ცარიელი, უფერული თქმაც ნეტარებაა". *("ცხოვრება და კანონი". 1877-1881 წ.).*

"ჩამოაცალეთ სოფლის მმართველობას თვითმმართველობის სიკეთენი, ზედ დაუმატეთ, რომ ის მმართველობა სულ სხვა ნიადაგიდამ არის ამოღებული და გადმორგული, მაშინ ცხადად დაინახავთ, რატომ ჩვენს სოფელს არ მოუხდა ეგრეთწოდებული თვითმმართველობა". *("ცხოვრება და კანონი". 1877-1881 წ.).*

"უდიდესი მიზეზი ჩვენებურის მმართველობის უვარგისობისა ის გახლავთ, რომ იგი არ არის აღმოცენილი და დამყარებული ჩვენის სოფლის შინაურს მოწყობილობაზედ, მის ეკონომიურს, ოჯახობრივს და საზოგადოებრივს ვითარებაზედ". *("ცხოვრება და კანონი". 1877-1881 წ.).*

“ერთი იმათგანი ის არის, რომ ხმა და არჩევანის უფლება მინიჭებული უნდა ჰქონდეს ყოველს ადგილობრივს მცხოვრებსა, რაკი სრულწლოვანია. მაშასადამე, ყოველს მცხოვრებს ყოველს მოვალეობაშიაც ხვედრი წილი უნდა ჰქონდეს”. *(“ცხოვრება და კანონი”. 1877-1881 წ.).*

“თვითმმართველობა ერთი იმ ძალთაგანია, რომელიც აბია წარმატების უღელში და ეწევა სხვებთან ერთად. მაშასადამე, გამოკლება ვისიმე თვითმმართველობიდამ _ დაუძლურებაა ღონისა, წარმატებისათვის მიმართულისა”. *(“ცხოვრება და კანონი”. 1877-1881 წ.).*

“წარმატებისათვის, კეთილდღეობისათვის საჭიროა, რომ ყოველნი ძალნი ერობისანი ერთად, ერთგვარად იყვნენ მიდრეკილნი და მიწვეულნი. თვით წარმატებაც, განვითარებაც მაშინ არის ჭეშმარიტი და ნაყოფიერი, როცა ყველანი ერთგვარად და ერთ სახით სწვდებიან საერთო სიკეთეს, ერთგვარად და ერთ სახით გაჭირვების უღელს ეწევიან და თანასწორად ინაწილებენ უფლებას და მოვალეობას”. *(“ცხოვრება და კანონი”. 1877-1881 წ.).*

“საცა ეს არ არის, მაშინ ერთის ამაღლება, ერთის კეთილდღეობა, _ მეორის დამდაბლებაზედ, მეორის გაღარიბებაზედ არის ხოლმე ხშირად დამოკიდებული. უსწორმასწორობა ერთმანეთ-შორის, სხვათა შორის, უჯრა-უჯრად დაყოფის შედეგია; ვისაც კეთილი უნდა, ამ უჯრებს კი არ უნდა წაუმატოს; რაც არის, ისი-ნიც უნდა დაშალოს, დაარღვიოს და ქარს მისცეს”. *(“ცხოვრება და კანონი”. 1877-1881 წ.).*

“სოფელი, მის ბინადართა კვალობაზედ, ერთი დაურღვეველი აგებულებაა, ნამეტნავად ჩვენში. როგორც გაუქმება ერთის რომელისამე ასოსი ადამიანის აგებულებაში ადამიანს აუძლურებს, ასუსტებს, ისეც სოფელს ასუსტებს და უღონოდ ქმნის, როცა მის კეთილდღეობის მზრუნველობაში ერთნი არიან და მეორენი არა. მაშასადამე, თვითმმართველობა სოფლისა, როგორც ჭეშმარიტი ორღანო სოფლის გამგეობისა და მზრუნველობისა, ღონემოკლებული უნდა იყოს, საცა სოფლის ერთობაზედ არ არის დამყარებული”. *(“ცხოვრება და კანონი”. 1877-1881 წ.).*

“ეს დარღვევა სოფლისა, სოფლის ერთობისა, რუსეთში მიბაძვის ბრალიც იყო. თვალწინ ჰყვანდათ სამაგალითოდ ინგლისი კი არა, რომელიც პირველსახეა თვითმმართველობისა და რომელსაც უარყოფილი აქვს სოფლის მცხოვრებთა შორის განთვითეულოება, როგორც მომაკვდინებელი სენი თვითმმართველობისა, არამედ ერთი სხვა სახელმწიფო, რომელიც ამგვარებში ყველა სხვა სახელმწიფოებს უკან ჩამორჩა და რომელიც ამგვარებში დღესაც იმ აზრებით სულდგმულობს და მოქმედობს, როგორც ნეტარხსენებულ ბატონ-ყმობის დროს.

ეს სახელმწიფო გახლავთ გერმანია და უფრო განათლებული პრუსია. იქ საზოგადოებრივის წყობის პირველ წერტილიდამვე მცხოვრებნი სამს უჯრად დაყოფილნი არიან: Gutsherren _ მიწათმფლობელნი, Burgern _ მოქალაქენი, Bauern _ გლეხნი, და ეს განთვითეულება პრუსიის მონარქიას ფეხიდამ თავამდე მთელს აგებულებაში გატარებული აქვსო, ამბობს ერთი მწერალი. უკანასკნელი საპროვინციალო წესდება პრუსიისა, მის გამო გაცხარებული ბაასი პარლამენტში, ცხადად ამტკიცებს, _ იქაური “გუტსველტმარკ”-ობა, ესე იგი მიწათმფლობელი თავად-აზნაურობა, სადა სცემდა: ყველა ტვირთი გლეხსაო, ყველა შვება ჩვენაო. დაწინაურებული თაობა-კი ეუბნებოდა, შვებაც მიიღე გლეხთან ერთადო და ტვირთიცაო”. *(“ცხოვრება და კანონი”. 1877-1881 წ.).*

“ჩვენში გლეხთა მიერ მიწისმფლობელობას ისეთივე კერძოობითის საკუთრების მნიშვნელობა აქვს, როგორც თავად-აზნაურისას, მღვდლისას, თუ სხვისას. ჩვენში

მფლობელობა კომლეულია, მემკვიდრეობითი და სამუდამო ყველა წოდებათა შორის. მაშასადამე, ამ მხრით განაწილება სოფლად მცხოვრებთა და დარღვევა სოფლის ერთობისა, უსაბუთოა, უმიზეზოა. განსხვავება არის მამულის მეტნაკლებობაში, როგორც თითონ თავად-აზნაურთა შორის, ისეც გლეხთა შორის". *("ცხოვრება და კანონი". 1877-1881 წ.).*

"მამულის მეტნაკლებობა საკუთრივ და ქონების მეტნაკლებობა საერთოდ სოფლის მმართველობის საგანს არ შეადგენს და არც მისგან წარიმართება. ამიტომაც ეგ მეტნაკლებობა სოფლის მმართველობის მსვლელობაში შუღლის მიზეზად ვერ შეიქმნება". *("ცხოვრება და კანონი". 1877-1881 წ.).*

"სოფლის მშვიდობიანი და წესიერი ცხოვრება, სარჩოსაბადებლის, ქონების, საკუთრების საერთოდ გაფრთხილება მტაცებლობისა, ქურდობისა და ავაზაკობისაგან, მინდვრების, ვენახების რიგიანი დაცვა წანახედისაგან, კარგის გზების, ხიდების, რუების ქონვა და გამგეობა, კარგი რიგიანი და იაფი სამართალი იქავ თვალწინ მრავალგვარ წვრილმან საქმეებისათვის, საერთო მზრუნველობა სკოლისათვის, საპყართა და უძლურთა პატრონობისათვის, საერთო შველა და ხელის გამართვა შიმშილობის დროს და სხვა უბედურობის დღეს, თანასწორი განაწილება სახელმწიფო სამსახურისა, ხარჯისა, ბეგარისა, საერთო საჭიროებისათვის შუამდგომელობა უმაღლეს მთავრობასთან, ერთის სიტყვით _ ყოველ შინაურ სოფლის საქმისა კეთილად დაწყობა და სამართლის გამგეობა, _ ეს იმისთანა საგნები არიან თვითმმართველობისა, რომელნიც ერთნაირად შეეხებიან სოფელში მცხოვრებთ თავად-აზნაურთა და გლეხთა, ერთნაირად სანატრელია და საზრუნველი ყველასათვის, ვინც-კი სოფლის საზოგადოებაში სცხოვრობს". *("ცხოვრება და კანონი". 1877-1881 წ.).*

"არც ჩვენის სოფლის ეკონომიურს მდგომარეობაში და არც თვითმმართველობის საგანთა შორის არ არის მიზეზი კაცმა იფიქროს, რომ თავად-აზნაურობა და გლეხობა ერთმანეთში ვერ მოთავსდებიან განუყოფელად". *("ცხოვრება და კანონი". 1877-1881 წ.).*

"ჩვენ ამით იმის თქმა-კი არ გვინდა, რომ ჩვენ ცხოვრებაში სრულიად არ ყოფილა ელემენტები, რომელთ მოძრაობა და განვითარება საქმეს ბრძოლამდე და შეხეთქებამდე მიიყვანდა, თუ დასცალდებოდა. ჩვენ იმას ვამბობთ, რომ რაკი ბრძოლა არ იყო, ბანაკებად დაყოფაც ერისა არ იქნებოდა, არ იყო წყობ-წყობად განცალკევების მიზეზიც ჩვენს ერობაში, რომელიც, თუ თვის ცხოვრებაში უნუგეშობას რასმეს ჰგრძნობდა, საერთოდ ჰგრძნობდა, რადგანაც ყველანი, როგორც ზემოთა ვსთქვი, ერთნაირად იყვნენ უფლებას მოკლებულნი, ერთნაირად უხმონი და უტყვნი ქვეყნის საქმეთა გამგეობაში. თუ ევროპას მივხედავთ, იქ სულ სხვა ამბავი იყო". *("ცხოვრება და კანონი". 1877-1881 წ.).*

"შეუშლელს თვითმმართველობას საზოგადოდ და სოფლისას კერძოდ ორი მხარე აქვს: ერთი _ მთავრობითი, მეორე საზოგადოებითი. პირველით სოფლის თვითმმართველობა მთავრობას პირველ-წყობის ორღანოა, მეორით _ საზოგადოებისა, სოფლისა; პირველით ემსახურება სახელმწიფოს, მეორით _ საზოგადოებას; პირველით წარმომადგენელია სოფელში მთავრობისა, მეორით _ მთავრობაში სოფლისა". *("ცხოვრება და კანონი". 1877-1881 წ.).*

"ჩვენის სოფლის თვითმმართველობა ასე უნაყოფოა, ასე უმოქმედოა იმ სიკეთისათვის, რომელსაც ყოველი კაცი სამართლიანად გამოელოდა თვითმმართველობისაგან". *("ცხოვრება და კანონი". 1877-1881 წ.).*

“ერთის სიტყვით, სოფლის მმართველნი, სოფლის ამორჩეულნი კაცნი, სოფლის წარმომადგენელნი, _ დღეს მაზრის უფროსის და პრისტავების ბიჭებად არიან და არა მოხელედ”. *(“ცხოვრება და კანონი”. 1877-1881 წ.).*

“ესეც კია წვრილ სოფლებისათვის გასაჭირი, რომ ძალიანაც უნდოდეთ ცალკე ყოფნა, ვერ შეეძლებათ, რადგან წესდება ვალად სდებს იყოლიონ მოხელენი არა ნაკლებ ოთხის კაცისა. ამოდენა მოხელეებს სად გაუძღვება პატარა სოფელი?” *(“ცხოვრება და კანონი”. 1877-1881 წ.).*

“გლეხთა გაყრაში არც მწვადი ეწვის და არც შამფური”. *(“ცხოვრება და კანონი”. 1877-1881 წ.).*

- **ჩვენის ქვეყნისათვის კანონები ჩვენშივე უნდა იწერებოდეს**

“სასურველია, რასაკვირველია, რომ ჩვენის ქვეყნისათვის კანონები აქვე, ჩვენში, იწერებოდეს, მაგრამ მარტო ამით არა გვეშველება-რა.” *(“წერილი რედაქციის მიმართ”. 1905 წ. 9 მარტი).*

“მე ვთქვი და კიდევ ყველგან ვიტყვი: “ჩვენის ქვეყნისათვის კანონები აქვე უნდა იწერებოდეს ჩვენის ქვეყნის მიერ არჩეულ წარმომადგენელთა კრებულისაგან.” *(“წერილი რედაქციის მიმართ”. 1905 წ. 9 მარტი).*

- **საჭიროა მიწათმოქმედთ იყოლიონ თავისი წარმომადგენელთა კრება**

“ხალხს რაც უჭირს, თვითონ ხალხმა უკეთ იცისო, ამიტომაც მთავრობა უნდა ცდილობდეს, რომ თვით მიწათმომქმედთა იყოლიონ თვისის საჭიროების წარმომადგენელი კრებაო. უტყუარს, ნამდვილს და აუცილებელს საჭიროებას მარტო ეგ ადგილობრივნი წარმომადგენელნი იტყვიანო. ერთი მწერალი ლავერნი ამბობს, რომ სამინისტრომ მოსპო და გააუქმა საფრანგეთში ადგილობრივი სოფლის მეურნეობის საბჭონი, რომელნიც ბევრად თუ ნაკლებ ატყობინებდნენ მთავრობასა ნამდვილს საჭიროებას საფრანგეთის სხვადასხვა მაზრიდამ, _ და ამ სახით თვითონ ხალხს შეუვიწროვა თვითმოქმედობის ასპარეზი და ყველაფერი თვითონ სამინისტრომ ხელთ იგდოო.” *(“ისევ კახეთის რკინისგზის საკითხზე”. 1893 წ. 13 თებერვალი).*

“ამგვარივე წყობილება არის ბელგიაში. მაგრამ რადგანაც ბელგია პატარა ქვეყანაა (სულ 536 ოთხკუთხი მილია), კარგი გზები აქვს, სწრაფი და დაუყოვნებელი ფოშტა, და თვით მოთანამდე პირთა ჩვეულებად არა აქვთ ტყუილუბრალო მიწერ მოწერა, ყოველს თხოვნაზედ მალე იციან პასუხის მიგება, _ ამიტომაც ფრანციელთა სამდურავის მსგავს რასმეს აქ, ბელგიაში, ადგილი არა აქვს. თუნდ ეგეც არ იყოს, ბელგიაში მთავრობამ ადგილობრივთ მიწათმომქმედთა საზოგადოებას მიანდო სოფლის მეურნეობის საქმეთა მართვა და გამგეობა, ასე რომ ადგილობრივის საჭიროების გამომთქმელ ორგანოდ თვით ადგილობრივი საზოგადოება გახდა. თვითონ მთავრობამ დაიშთინა მხოლოდ უმაღლესი ზედამხედველობა. ეგ ზედამხედველობა იმაში მდგომარეობს, რომ მთავრობა

დროგამოშვებით შეჰყრის ერთად სოფლის მეურნეობის წარმომადგენელთა პირთა, რომელთაც მეურნენი ირჩევენ, შეადგენს ამათგან საბჭოს, რომელსაც მოჰსთხოვს ხოლმე ანგარიშს მასზედ, თუ სად და როგორ მიდის სოფლის მეურნეობის საქმე, გამოჰკითხავს ადგილობრივთა მიწათმომქმედთა საჭიროებას და მათის რჩევით და თვის შეძლებისა კვალად ნიშნავს კარგა ფულს სოფლის მეურნეობის წარმატებისათვის. ამბობენ, განსაკუთრებით ეს არის მიზეზიო, რომ ბელგიის სოფლის მეურნეობა ბევრად მაღლა დგას საფრანგეთის მეურნეობაზედა." *("ისევ კახეთის რკინისგზის საკითხზე". 1893 წ. 13 თებერვალი).*

"პრუსია უფრო წინ წავიდა ზოგიერთის უფლების დათმობის გზაზედ. აქ მთავრობა მარტო იმის ცდაშია, რომ სოფლის მეურნეობის წარმატებას ყოველივე დაბრკოლება მოაცალოს და საცა საჭიროება მოითხოვს ფულით, ცოდნით, რჩევით, და, ხშირად მაგალითითაც, შეეწიოს მიწათმოქმედთა. სხვა ყოველისფერი თვითონ ხალხზედ არის მიჩემებული; მთავრობა მხოლოდ იქა შველის ხალხსა, საცა კერძო პირთა უღონობა ვერ მიჰსწვდება. ამის გამო გერმანიაში ჯერ კიდევ 1837 წლიდან ჩვეულებად არის, რომ მიწათმომქმედნი, დიდი თუ პატარა, ყოველწლივ ხან აქ, ხან იქ მოიყრის ხოლმე თავსა ურთიერთის საჭიროების საცნობელად და გამოსათქმელად. ამას გარდა გერმანიაში მიწათმომქმედთა საჭიროების გამომთქმელად და წარმომადგენელად 1541 სასოფლო მეურნეობის საზოგადოებაა, რომელთაც 120.000 წევრნი ჰყვანან. სასოფლო მეურნეობის საქმეს პრუსიაში განაგებს ცალკე სამინისტრო, რომელიც იმითია შესანიშნავი, რომ ძალიან ცოტა მოთანამდე პირი ჰყავს, ტყუილუბრალო მიწერ-მოწერა არ იციან და თვით საქმის წარმოების წესი ისე მარტივია, რომ ყოველივე საქმე ადვილად და ხან დაუყოვნებლივ კეთდება. ამგვარის მოწყობილობისა გამო გერმანიის სასოფლო მეურნეობა დღედადღე ყვავის და წარმატებაშია." *("ისევ კახეთის რკინისგზის საკითხზე". 1893 წ. 13 თებერვალი).*

"სოფლის მეურნეობის მოწარმოეთა ამაზედ უფრო ბევრი უფლება აქვსთ ჰოლანდიაში და ნამეტნავად ინგლისში თვისის საჭიროების ვრცლად გამოთქმისათვის და მთავრობის წინაშე შუამდგომლობისათვის. ამ ქვეყნებში მთავრობა მარტო იმის ცდაშია, რომ საცა სოფლის მეურნეობას უჭირს, იქ მიეშველოს დაუყოვნებლივ: ამაში არასფერს არა ზოგავს და არა ხარჯს არ ერიდება. რობერტ პილის წარდგენითა 1846 წელსა ინგლისის მთავრობამ გადაჰსდვა სოფლის მეურნეობის მოწარმოეთა ხელის გასამართავად 18.750.000 მანეთი. 1846 წლიდამ 1850 წლამდე ინგლისის მთავრობამ სოფლის მეურნეობის მოწარმოეთ ორმოცდათოთხმეტ მილიონზედ მეტი მანეთი მიაშველა სესხობით. ჰოლანდიაში, თუმცა პატარა ქვეყანაა, მაგრამ აქაც მთავრობა მილიონებით შველის სოფლის მეურნეობასა. მაგალითად ჰერლემის ტბის დასაშრობლად 4.200.000 მანეთი მთავრობამ დახარჯა და ეხლა ეგ ტბის ალაგი მთელის ჰოლანდიის ბოღაზია. ზუიდერზის ტბის დაშრობისათვის 30 მილიონია გამოყვანილი. საცა სოფლის მეურნეობას თვისის საჭიროების გამოსათქმელად თვისი საკუთარი საზოგადოება ჰყავს, საცა ამ საზოგადოებას დაუბრკოლებელი შუამდგომლობა აქვს მთავრობის წინაშე და საცა მთავრობა მარტო იმის ცდაშია, რომ ყველგან საზოგადოების ჩვენებით და დანიშვნით თავისი შემწეობის ხელი მიაწვდინოს, ერთის სიტყვით _ საცა მთავრობას სოფლის მეურნეობის საჭიროების გამომთქმელ ორგანოდ თვით საზოგადოება ჰყავს და ამ საჭიროების პასუხის-საგებად და დასაკმაყოფილებლად მარტივი მთავრობითი

წყობილება, იქ სოფლის მეურნეობა დღედადღე წინ მიდის ხალხისა და მთავრობის საკეთილდღეოდ." *("ისევ კახეთის რკინისგზის საკითხზე". 1893 წ. 13 თებერვალი).*

"აქედამ სჩანს, რა ნერგზედაც შეუძლიან აყვავება ჩვენს კავკასიის სასოფლო მეურნეობის საზოგადოებას. იგი უნდა იყოს ჭეშმარიტი წარმომადგენელი ადგილობრივთა მიწათმომქმედთა და სასოფლო მეურნეობის მოწარმოეთა, რომ ამ გზით მთავრობას საშუალება ჰქონდეს სცნოს ნამდვილი, უტყუარი და აუცილებელი საჭიროება ჩვენის მეურნეობისა. მეორის მხრით _ იგი უნდა იყოს შუამდგომელი მთავრობის წინაშე, რომ, საცა საჭიროა, მთავრობის მუდამი მზრუნველობა და შემწეობა იქით მიჰმართოს. მხოლოდ მაშინ ეს საზოგადოება გაუწევს ჯეროვანს სამსახურს თვით მთავრობასა და, მთავრობის შემწეობით, ქვეყანასაცა. თუ ეს ასე არ იქმნა, ეს "საზოგადოება" ისევ ისე მკვდარი იქნება, როგორც აქამომდე იყო." *("ისევ კახეთის რკინისგზის საკითხზე". 1893 წ. 13 თებერვალი).*

"ტყუილი გამართლებაა, რომ ჩვენებური სასოფლო მეურნეობის მოწარმოენი მონაწილეობას არ იღებენ "საზოგადოებაშიო" და ამიტომ "საზოგადოებას" ის ვერ შეუძლიან ჰქ,მას, რის ვალდებულიც არისო." *("ისევ კახეთის რკინისგზის საკითხზე". 1893 წ. 13 თებერვალი).*

"რაც უნდა გაუნათლებელი ხალხი იყოს, ოღონდ აჩვენეთ რომ იმის სატკივარს საიდამ ეშველება, და გვერწმუნეთ, რომ დიდი და პატარა კარზედ მოგაწყდებათ." *("ისევ კახეთის რკინისგზის საკითხზე". 1893 წ. 13 თებერვალი).*

"კრება, მართალია, უმაღლესი ორგანოა ბანკის თვითმართველობისა, მაგრამ ნურავის ნუ ჰგონია, რომ იგი ყოვლადშემძლებელი იყოს და რაც ინებოს, იგი ჰქმნას. აქ ყოველს ნაწილს თვითმმართველობისას კანონისაგან შემოფარგლული აქვს, რა უფლების პატრონიც არის, და მარტო ამ ფარგალს შიგნით იგი ხელშეუხებელი მბრძანებელია და გამგებელი." *("ქუთაისის ბანკის საქმე". 1890 წ. 4 აგვისტო).*

"ნუ დავივიწყებთ, რომ კრება უმაღლესი ორგანოა ბანკის თვითმმართველობისა და მით უფრო საფრთხე და საშიშია მისი თვითნებობა და უსამართლოდ ქცევა, იმიტომ რომ, თუ უმაღლესი ორგანო ბანკისა შესაძლებელ ჰხდის ძალმომხრეობით საქმის ასე თუ ისე ბრუნვას, თუ იგი არაფრად ჰხადის კანონს, რომელიც შექმნილია მარტო იმისათვის, რომ ქვეყნის წინაშე უთავდებოს წესიერება და რიგიანობა ბანკის საქმეთა სვლასა, მაშინ ვიღას უნდა მიენდოს ადამიანი?" *("ქუთაისის ბანკის საქმე". 1890 წ. 4 აგვისტო).*

"რასაკვირველია, ეხლანდელს საფრანგეთს ამისთანა ყოფა არ მიეწერება, რადგანაც კარგა ძალი უფლება და გამგეობის ნება ცენტრმა დაუთმო თვითოეულს ადგილობრივს ნაწილს საფრანგეთისას და, თუ საფრანგეთს ეხლა ამისთანა რასმეს სწამობენ, მიზეზი ის არის, რომ ადგილობრივს ნაწილებს სრულიად არ დაუთმო ის უფლება და გამგეობის თავისუფლება, რაც საჭიროა ადგილობრივის ინტერესების მთლად მოსავლელად და საპატრონებლად, ესე იგი _ სამართლიანი საზღვარი არ დაუდო მას, რაც ერთის მხრით ზოგადს, სახელმწიფო ინტერესს შეადგენს და მეორეს მხრით ადგილობრივსა, და ამ-გვარად არ განაწილდა უფლება და გამგეობა. ინგლისი და ამერიკა ბევრით წინ არიან ამაში საფრანგეთზედ." *("შინაური მიმოხილვა". 1883 წ. ნოემბერი).*

"ახლა ვიკითხოთ: ჩვენი "წერა-კითხვის საზოგადოების" სისტემა რაში ჰგავს ცენტრალიზაციურს? მარტო იმაში, რომ იგი მომწყვდეულია ერთს ადგილას, ესე იგი, _ ტფილისში და აქედამ განაგებს თავის საქმეებს და ავტორის სიტყვით: "არც ერთი კუთხე საქართველოსი თითონ, თავის საკუთარის ძალით და მხნეობით, არ იღებს

მონაწილეობას თავისავე განათლების საქმეში". ეს მართალია. მაშასადამე, ყოველი კუთხე საქართველოსი თითონ, თავის საკუთარის ძალით და მხნეობით უნდა იღებდეს მონაწილეობას თავისავე განათლების საქმეში. ამას ჩვენცა ვნატრულობთ." *("შინაური მიმოხილვა". 1883 წ. ნოემბერი).*

"განათლების საქმე ისეთი საქმეა, რომ ადგილობრივს ინტერესს შეადგენს. მაშასადამე, ყოველმა კუთხემ საქართველოსამ ეს საკუთარი ინტერესი თითონ თავის საკუთარი ძალით და მხნეობით უნდა განაგოს, ესე იგი _ სრული უფლება და გამგეობის ნება უნდა ჰქონდეს, რომ როგორც უჯობდეს, ისე მოუაროს, უპატრონოს." *("შინაური მიმოხილვა". 1883 წ. ნოემბერი).*

"აგენტების მორიგება კი არ არის ცენტრალიზაციის მოსასპობელი წამალი, არამედ ადგილის მცხოვრებთა და მკვიდრთა თვითმოქმედების ძალის აღდგენა, მათთაგან მათივე საკუთარი საქმეების დაწყობა და გამგეობაა." *("შინაური მიმოხილვა". 1883 წ. ნოემბერი).*

"აქ მაგისთანა სამსახური კი არ უნდა "კუთხეებს", არამედ უნდა იმოდენა თვითმოქმედების ძალი აღუძრან, რომ თითონვე გაუძღვენ და თვითონვე ემსახურონ თავის განათლებას, საქმე თავის ხელით დააწყონ და თავის თვალი ადევნონ. ვისაც ცენტრალიზაცია არ მოსწონს, ის იმას კი არ უნდა ნატრობდეს, რომ ყოველს კუნჭულში ტფილისში მყოფ წერა-კითხვის საზოგადოების აგენტი იჯდეს ფულების მოსაკრეფად, წევრების მოსაპოვებლად, წიგნების გასასაღებლად, არამედ ისა, რომ ეგ აგენტები საჭირონი არ იყვნენ, თითონ მკვიდრნი ცალ-ცალკე კუთხისანი იმოდენად მოიწიფნენ, იმოდენად მოჯობინდნენ სულითა და ხორცითა, რომ თითონ, თავისის საკუთარის ძალ-ღონითა განაგებდნენ თავიანთ საქმეს განათლებისას, თუ განათლების საქმე საზოგადოდ მართლა-და თვითოეულ კუთხისათვის ცალკე განსაგებელი საგანია." *("შინაური მიმოხილვა". 1883 წ. ნოემბერი).*

- **არც ერთს მმართველობის ორგანოს უფლება არა აქვს ხელქვეითს უკანონობა ჩაადენინოს**

"საყოველთაო კანონია, რომ არც ერთს უფროსს, მმართველობის ორგანოს, თუ ცალკე პირს, ნება არა აქვს უკანონობა ჩაადენინოს თავის ხელქვეითს უმცროსსა და არც ერთი უმცროსი მოვალე არ არის უკანონობა უფროსისა აღსრულებაში მოიყვანოს." *("მითამ და "ახალი რაზმის კაცი" ანუ ორი ფელეტონი". 1883 წ.).*

"ჩვენ ვიცით, რომ რაც კი რამ არის დაარსებული ქვეყანაზედ _ ყოველისფერს აქვს თავისი კანონი და მიზეზი; უკანონოდ და უმიზეზოდ არაფერი არც გაჩენილა და არც გაჩნდება." *("სფირიდონის და თადეოზის ბაასი". 1861 წ.).*

"თუ კანონი ჭეშმარიტს და სწორეს აზრზეა დამყარებული და ნამდვილის მიზეზისაგან წარმომდგარი, იმას დროს და ადგილის შერჩევა არ უნდაო, იგი ყოველთვის და ყველგან საკეთილოა და გამოსადეგიო. ძნელი საფიქრებელია, რომ სადმე ან როდისმე ადამიანი ცუდისათვის მომზადებული იყოს და კარგისათვის კი, მოუმზადებელიო. გონიერი კანონი თავის-დღეში ცუდს არ მოახდენს". *("ცხოვრება და კანონი". 1877-1881 წ.).*

"იქნება, რომელისამე მიზეზით, ან იმით, რომ კანონი ახალია, კანონმა რამდენსამე ხანს ღირსებისამებრ არ იმოქმედოს, მაგრამ უფრო ადვილად დასაჯერია, რომ იგი დაუყოვნებლივ ღრმად გაიდგამს ფესვებს და შეიქმნება ქვეყნის მშვიდობიანობის და კეთილდღეობის დედაბოძადო". *("ცხოვრება და კანონი". 1877-1881 წ.).*

“რაც უნდა მარტივი წესი იყოს განსამართლებისა, კანონმდებელთა აზრით, თუ თითონ სასამართლო შორს არის მოდავეზედ, ან იმ ადგილზედ, საცა მფლობელობა დარღვეულ იქმნა, ანუ ზიანი და წანახედი მოხდა და სხვა ამგვარი, მაშინ წესი თვის საგანს ვერ მისწვდება, რადგანაც მოდავისათვის არც ანგარიშია, და ხშირად არც ღონისძიებაა, შორს წავიდეს მცირე საფასური საქმისათვის. სამართალი თვის მნიშვნელობას აუქმებს, როცა სამისა თუ ათის მანეთის მაძიებელი იძულებულია ასს ვერსტზედ წავიდეს, ანუ როცა საქმე იმისთანაა, რომ დაუყოვნებლივ მოხელვა უნდოდეს, და მინამ მაძიებელი შეატყობინებდეს სამართალს და მინამ სამართალი ადგილობრივ გამოძიებისათვის მოვიდოდეს, ყოველივე კვალი საქმისა წაშლილი იყოს. საბუთები მფლობელობის დარღვევისა, ანუ უძრავის ქონების წანახედისა, მარტო ადგილობრივ შეიკრიბება და მხოლოდ მაშინ, როცა სიმართლის დარღვევის უმალვე, დაუყოვნებლივ შეუდგებიან საქმეს; უამისოდ სამართლიანი გადაწყვეტა საცილობელის საქმისა ძნელდება ხოლმე და ხშირად შეუძლებელიც ხდება”. *(“ცხოვრება და კანონი”. 1877-1881 წ.).*

“ამიტომაც საჭიროა, საზოგადო სასამართლოების გარდა, ცალკე ადგილობრივი სასამართლოც დაწესდესო, იმისთანა სასამართლო, რომელიც მოდავისათვის მახლობლად იყოსო და ისეთი მარტივი საქმის საწარმოო წესები ჰქონდესო, რომ შეეფერებოდეს უმრავლესის ხალხის საჭიროებასაო”. *(“ცხოვრება და კანონი”. 1877-1881 წ.).*

“საჭიროება და მიუცილებლობა ამისთანა მარტივის და ადგილობრივის სასამართლოსი აღიარებულია ყოველს კეთილად განწყობილს სახელმწიფოშიო. მორიგება მოდავეთა და მორიგებით საქმის გათავება უპირატესი დანიშნულებაა ამისთანა სასამართლოსიო; ამიტომაც მას ჰქვიან მომრიგებელი სამართალიო”. *(“ცხოვრება და კანონი”. 1877-1881 წ.).*

“პირველდაწყებითი კანონი და მოძღვრება მთელის განათლებულის თუ გაუნათლებელ კაცობრიობისა ის არის, რომ ჯერ ბრალმდებელს უნდა დაასაბუთებინოთ ბრალდება იმოდენად, რომ დასაჯერი მაინც იყოს, და მას მერმეთ, დიაღ, მხოლოდ და მხოლოდ მას მერმეთ მოეკითხოს ბრალდებულს პასუხი. უამისოდ ბრალდებულთა სკამზე დასმა ადამიანისა პასუხის საგებლად წაწყმედაა, მიწასთან გასწორებაა, პირქვე დამხობაა იმ საკაცობრიო სამართლისა, მართლმსაჯულებისა, რომელზედაც აშენებულია მთელი ადამიანური ურთიერთობა, მთელი ადამიანური ყოფა-ცხოვრება”. *(“ნუთუ”. 1905 წ.).*

“ხალხთა ცხოვრებაში არის ბევრი ზოგადი კანონები, რომელნიც ყველგან ერთნაირად მოქმედობენ. ეს რომ არ იყოს, თვითონ მეცნიერებაც, რომელიც სხვა არა არის რა, გარდა იმისი, რომ კრებაა ზოგადის კანონებისა, ფუჭი სიტყვა იქნებოდა. მაგრამ, მინამ ჩვენს საკუთარ ჭირს სხვისაგან ნაცადს წამალს შევურჩევდეთ, ჯერ თითონ ჩვენ უნდა ვიცოდეთ _ რა თვისების ჭირია, მისი სიგრძე-სიგანე გაზომილი უნდა გვქონდეს, მისი სიმძიმე აწონილი, ერთის სიტყვით ის ჭირი თავიდან ფეხებამდე ჩვენ მიერ ცნობილი და გაგებული უნდა იყოს, თორემ ქარისაგან შეშინებულსავით დოს დავუწყებთ ბერვასა. მე რომ გულის ფრიალი მქონდეს და შენ კი მეუბნებოდე მწყურვალის წამალი წყალიაო, რასაკვირველია, მართალი იქნები, მაგრამ სულელობაში კი ჩამოგართმევ.” *(“შინაური მიმოხილვა”. 1879 წ. ივლისი-აგვისტო).*

მესამე ნაწილი

4.3. მიწათმფლობელობა საქართველოში და ევროპის ქვეყნებში

4.3.1. მიწათმფლობელობა: საზოგადოების განვითარების ეკონომიური ქვაკუთხედი

- **ორი ნაწილი მიწებისა**

"ჩვენს ხალხს ორი ათასი წელიწადი უცხოვრია თავისის ცხოვრებითა და თვითმოქმედებითა. უეჭველია, რომ ამ ორი ათას წელს იმისთანა ხანა ისტორიისა არ დასდგომია, რომ მტრისაგან მოსვენებული ყოფილიყოს ზედმიყოლებით და გაუწყვეტლივ ასი წელიწადი მაინც ერთად. დღე-და-ღამ იარაღით ხელში იდგა... საკვირველი ეს არის – რა ქონებამ გაუძლო ამისთანა ყოფასა? რა ჰკვებავდა ხალხსა, რა ქონებით უძღვებოდა ამოდენა ომებსა და სისხლის ღვრასა?"

"ჩვენ გვგონია, სიკეთე ჩვენის ეკონომიურის აგებულებისა და წყობა იმაში ყოფილა, რომ მიწა, ესე იგი, მამულ-დედული, ცოტად თუ ბევრად სამართლიანად მორიგებული ყოფილა ჩვენს ხალხში, ვიდრე სადმე სხვაგან. საკვირველია, რომ დღეს აქამომდე უმამულო, უბინაო კაცი ჩვენში თითქმის არსად არ მოიძევება. ამისთანა წყობამ მიჰმართა უსათუოდ ჩვენი ხალხი მიწათმოქმედებას, რომელიც უფრო დაუშრომელი და მკვიდრი წყაროა ხალხისა და ქვეყნის საზრდოობისათვის, ვიდრე სხვა რამ. ხსნა ჩვენის ქვეყნისა ამ წყობაში უნდა ყოფილიყო, და ვიდრე ამ წყობას უფრთხილდებოდნენ ჩვენი მეფეები, იმ დრომდე ქვეყანა ჩვენი ღონიერი ყოფილა".

"სიფრთხილე რაში უნდა აღმოჩენილიყო?

ჩვენს ეკონომიკურს წყობაში ორი მდინარება იყო, როგორც ყველგან სხვაგან: ერთი სამსოფლო და მეორე საკომლო. პირველი მოიზიდებოდა ისე, რომ სოფლის წრეში ყოფილი მამულები, მიწა, ტყე, მამულები – საზოგადო, სამსოფლო ხმარებაში ყოფილიყო, მეორე ისე, რომ ყოველივე ეგენი განსაკუთრებულიყო. თუ საკომლო ფეხს გაიდგამდა და გავრცელდებოდა, მაშინ განსაკუთრებას მიწისას და, მაშასადამე, უსწორ-მასწორობას მიწის-მფლობელობაში ფართო გზა გაეხსნებოდა, და თუ სამსოფლო გაძლიერდებოდა – მაშინ იმ უსწორ-მასწორობას გზა შეეკვროდა". *("ძველი საქართველოს ეკონომიური წყობის შესახებ". 1880 წ.).*

"ეხლანდელი სოფელი რომ გაშინჯოთ მიწათმფლობელობის თვალით, ჰნახავთ, რომ თითქმის ყოველი სახასო სოფელი მიწათმფლობელობის კვალობაზედ ორს დიდ ნაწილს წარმოადგენს. ერთი ნაწილი მიწებისა, უფრო უკეთესნი, უფრო შემუშავეულნი და უფრო მომცემნი, მკვიდრთა გლეხთაგან სათვითოოდ დაჩემებულნი არიან, კერძოდ განსაკუთრებულნი და საშვილიშვილოდ დაჭერილნი. ამგვარს მიწებს ზოგან ნაფუძრებს ეძახიან და უფრო ხშირად კი საბლის მამულებს. ამგვარი მიწები ჩვენთა გლეხკაცთა თვალში არაფრით და არა-ნიშნებით არ განირჩევიან კერძო საკუთრებისაგან, თუმცა კი, გლეხს რომ ჰკითხოთ, იგი მიწები სახასონი და სახელმწიფონი არიან. ამისთანა მიწები მემკვიდრეობით გადადის ერთიდამ მეორეზედ, გლეხი, პატრონი მიწებისა, აგირავებს, ჰყიდის ერთმანეთში თავისუფლად და დაუბრკოლებრივ. ჩვენს გლეხკაცობას არამცთუ არ მოუთავსებია გულში, არამედ ფიქრადაც თავის-დღეში არ მოსდის, რომ ამგვარ მიწის აღებ-მიცემობაში, გადასვლა-გადმოსვლაში ვინმე წინ დაუდგება და ხელს შეუშლის. ასე მტკიცედა აქვს გულს და გონებაში გამჯდარი ამა მიწების საშვილიშვილო კუთვნილება,

რომ ვერასგზით წინააღმდეგს ვერ დააჯერებთ. საიდამ წარმოსდგა სასოფლო მამულებში ეს ამგვარი მიწათმფლობელობა სრულის კერძო საკუთრების ნიშნებითა, როგორ გამოცალკევდა იმ საერთო მფლობელობიდამ, რომელიც უეჭველად ცნობილია მეცნიერებისაგან როგორც პირველყოფილი კაცთა საზოგადოების ეკონომიური ქვაკუთხედი, _ ესე ყოველი შორი და რთული ამბავია და ამჟამად ამას ჩვენ ვერ გამოვუდგებით.

ხოლო ამას კი გულდაჯერებით ვიტყვით, რომ ეს საერთო მფლობელობა ჩვენთვისაც უცხო არა ყოფილა, როგორც არ ყოფილა უცხო მთელს ქვეყნის კაცობრიობისათვის. ამისი ნიშნები დღესაც თვალსაჩინოდ შერჩენია ჩვენს სოფელს, და მეორეგვარი სოფლის მიწებისა აშკარად გვეუბნებიან. ეს მეორეგვარი მიწები, ზოგან "სასოფლოდ" წოდებულნი, ზოგან "საზოგადოდ", ზოგან "სათემოდ" და ზოგან "სახასოდაც", იმისთანა მიწებია, რომელიც ნაყოფიერებით პირველებზედ ნაკლებია, სოფელს მოშორებული და არავისაგან არ-დაჩემებული. აქ ვინც პირველად და ყველაზედ უწინ გუთანს მოჰკიდებს და მოხნავს, მოხნული მიწა იმ წელიწადს იმისია, მეორე წელიწადს სხვა ჰხნავს და ჰხმარობს. ყოველს მკვიდრს სოფლისას ნება აქვს, საცა კი სხვას დაასწრობს, იქ მოხნას და რამდენიც უნდა, იმოდენა მოხნას. ხშირად, როცა ამგვარი სათემო მიწები მოუხნავად ჰრჩება და წელიწადი ხელს აძლევს, ამ მიწებს სასოფლოდ დააყორუღებენ ხოლმე სათიბად, მთელი სოფელი ინახავს ყორუღს, და როცა სათიბად მოესწრობა, მაშინ ან სასოფლოდ სთიბვენ და მერე თივას იყოფენ, ან, მინამ გასათიბია, გასათიბს ადგილს წილ-წილად დაიყოფენ ერთმანეთში. თუ მიწები სათიბად არ ვარგანან, ზამთრის საძოვრად სასოფლოდ გასცემენ, ბევრჯერ უცხო კაცზედაც, და აღებულს საბალახეს ან სასოფლო საჭიროებას ახმარებენ, ან იყოფენ ერთმანეთში.

რაკი ამ სათემო მიწებში ყველა მკვიდრს სოფლისას ნება აქვს, საცა უნდა და რამდენიც უნდა ჰხნას, რა თქმა უნდა _ მდიდარი და შემძლებელი გლეხი შეუძლებელსა სჩაგრავს, იმიტომ რომ შეძლებული ყოველთვის შეუძლებელსა დაასწრობს ხოლმე გუთანსაც და ფარცხსაც. გარდა ამისა, ვიწროობამ აიძულა ბევრი მკვიდრი, რომ მამული სხვებსავით გაისაკუთროს, დაიჩემოს, აქაც, რასაკვირველია, ყოველი გარემოება შეძლებულ გლეხს აძლევს უპირატესობას შეუძლებელის წინაშე. იშვიათი ამბავი არ არის, რომ შეძლებულს გლეხს სათემო მამულში უკეთესი და კარგა ბლომა ადგილები დაეჭიროს და დაეჩემოს საშვილიშვილოდ. ამ სახით, სხვანი ხელცარიელნი დარჩენილან და იმა შეძლებულისაგან თავისავე სათემო მამულს ღალით იღებენ, რომ როგორმე თავი ირჩინონ". *("კერძო და სათემო მიწათმფლობელობა". 1886 წ.).*

- **ტყით სარგებლობა ჩვენის გლეხკაცობის შესაფერისი უნდა იყოს**

"ეხლანდელი წესი სახელმწიფო ტყიდამ სარგებლობისა სრულებით უნდა გაუქმდეს და სხვა ახალი წესი დაედგინოს, ჩვენის გლეხკაცობის ცხოვრების შესაფერისი." *("შინაური მიმოხილვა". 1881 წ. დეკემბერი).*

"აქამომდე რუსეთის საზოგადო კანონები მოქმედებენ ჩვენშიაც და იფიქრეთ, საიდამ სადაო. სხვას ნურას იტყვით, ჯერ მარტო ერთი ეს იქონიეთ სახეში, რომ ჩვენი გლეხკაცი კერასა ხმარობს და რუსისა-კი "ფეჩსა", რომ რუსი ოთახს ათბობს და ისე თბება, ჩვენი კაცი-კი ცეცხლა-პირას. ჩვენებურ გლეხს ვენახი აქვს და სარი თუ ჭიგვა უნდა, და რუსისას არა. ეს თვალად ესეთი მცირე გარემოება, არსებითად იმოდენად პატივსადები

და მიუცილებელი მიზეზია, რომ არ შეიძლება კაცმა ყურადღება არ მიაქციოს და მის მიხედვით ტყის ხმარების საქმე სულ სხვა საფუძველზედ ააგოს." *("შინაური მიმოხილვა". 1881 წ. დეკემბერი).*

"უტყეობა მეტად მძიმე ტკივილია ჩვენის ერისათვის და თუ უნდათ, რომ ერმა მართლა სიკეთე რამ იგრძნოს ცვლილებისა, ამაში გულმტკივნეული და უხვად შველა უნდა. ადვილი საშველიც არის, თუ სურვილი იქნება." *("შინაური მიმოხილვა". 1881 წ. დეკემბერი).*

"მთავრობა არამც თუ დაჰკარგავს რასმე, რომ ტყეების საქმე რიგიანად მომართოს, არამედ მოიგებს კიდეც, იმიტომ _ რომ შესაძლოა ტყის პატრონობის ხარჯი ძალიან შეიმოკლოს და შემოსავალს კი თითქმის არა მოაკლდეს-რა. ერს ხომ შეღავათი მიეცემა და მიეცემა." *("შინაური მიმოხილვა". 1881 წ. დეკემბერი).*

- **მიწის გამიჯვნა**

"ერთი უდიდესი ბოროტება, რომელიც ძირს უთხრის ტფილისის გუბერნიის და საერთოდ ამიერ-კავკასიის ეკონომიურს კეთილდღეობას, რომელიც ხალხს ფეხსა და ხელს უბრკოლებს წარმატების გზაზედ და ყოველს ღონეს უქმად ალევინებს დაუსრულებელ დავიდარაბაში, _ ეგ განუსაზღვრელობაა მამულების კუთვნილებისა." *("შინაური მიმოხილვა". 1883 წ. ოქტომბერი).*

"გამოჩნდება თუ არა სადმე მიწის-მზომავი, უმალ ათასი დავიდარაბა ატყდება ხოლმე იქ, სადაც ათადამ-ბაბადამ მშვიდობიანი და უცილობელი მფლობელობა იყო მიწისა, იქ, საცა მანამდე კაცის ცხოვრება მიდიოდა უჩხუბრად და მშვიდობიანად, გაჩნდება ხოლმე ჩხუბი, მტრობა, ზოგჯერ თოფ-იარაღის ტრიალი და კაცის კვლაცა." *("შინაური მიმოხილვა". 1883 წ. ოქტომბერი).*

"ვიდრე ამისთანა მტრობა ცალკე კაცთა ერთმანეთში მოსდით, ისე საშიში არ არის, როგორც მაშინ, როცა სოფელი სოფელს დაეჯახება, ერთი წოდება მეორესა. ეგ იქ მოხდება ხოლმე, საცა ხაზინა თავის აგენტების პირით თავის დავას გამოაცხადებს ხოლმე გასამიჯნავ მიწებზედა." *("შინაური მიმოხილვა". 1883 წ. ოქტომბერი).*

"აქაურს სახელმწიფო ქონებათა გამგეობას თითქოს ჩვეულებად და წესად მიუღია, საცა უნდა და არ უნდა, უსათუოდ დავა გამოაცხადოს, იქაც კი, საცა უცილო, ცხადი და შეურყეველი საბუთია სხვის კუთვნილებისა და მფლობელობისა. მაგალითებრ, არა ერთხელ მომხდარა, რომ ხაზინის აგენტს გამოუცხადებია დავა არმც თუ ტყესა და მინდორზედ, რომელთაც ძნელად დააჩნდება ხოლმე ნიშნები მფლობელობისა და ხმარებისა, არამედ სახლ-კარსა და ვენახებზედაც, საცა ასწლოვანი შენობანი და დიდიხნის დანარგულევი _ უტყუვრად, თვალ-და-თვალ მოწმობენ, რომ ეკუთვნიან მას, ვინც შიგ არის და ჰფლობს." *("შინაური მიმოხილვა". 1883 წ. ოქტომბერი).*

"ამისთანა დავა სახელმწიფოს მხრით, დავა, რომელსაც, ცხადია, სასარგებლო ბოლო არ ექნება ხაზინისათვის, ტყუილ-უბრალოდ გაუბამს ხოლმე მემამულეთ საქმეს, დაუსრულებელს სამართალში გააბამს და თითონ სასამართლოსაც აუარებელ საქმეებს მოახვევს ხოლმე კისერზედ. ამის გამო თითონ გამიჯვნა ქვეყნისა ბრკოლდება, მემამულეები შეუმუშავებლად რჩება დავის გათავების ლოდინში და მემამულენიც პროცესებზედ იხარჯებიან ტყუილ-უბრალოდ და ამით თითქმის იძარცვებიან. ამისთანა უხეიროდ და ამაოდ დაკარგვა დროსი, შეძლებისა, ჯაფისა, რომელიც უნდება

ხანგრძლივს პროცესებს, ისე ღრმად და მტკივნეულად აჩნდება მიწათმფლობელთა და მიწათ-მოქმედთა ეკონომიურს ყოფას, ცხოვრებას, რომ არ შეიძლება ამ გარემოებამ არ მიიზიდოს ყურადღება მთავრობისა." *("შინაური მიმოხილვა". 1883 წ. ოქტომბერი).*

- **იჯარა: დახლართული და დახვლანჯილი წესების ტყვე**

"ის წესები, რომელსაც ჩვენებური სახელმწიფო ქონებათა გამგეობა ხმარობს სახელმწიფო მამულების იჯარით გასაცემად, _ ისე დახლართულია და დახვლანჭილი, ისე გაბმული და გამობმული და ისე შეუფერებელი, რომ კარს უხშობს ცხვირ-წინვე იმ ნაწილს ერისას, რომელიც პირდაპირ მწარმოებელია და მიწის-მომქმედი; ეგ წესები თითქო იმისათვის არიან დადგენილნი, რომ ამ ნაწილმა ერისამ თავ-ბედისა ვერა გაიგოს-რა და მითი ისარგებლონ მარტო იმათ, ვინც თითონ არ ამოქმედებს მიწას, და თუ იჯარით იღებს სახელმწიფო მამულებს _ მარტო იმისათვის, რომ მიწის პირდაპირ მოქმედს მოგებითა და გადამეტებულ ფასად გადასცეს. ჩვენებური გლეხკაცობა, რომელიც სუნით ეძებს მამულებს და რომელსაც სახელმწიფო მამულების იჯარით აღება ცხონებასავით ენატრება, ვერას-გზით ვერ აისრულებს მაგ ნატვრას, ვიდრე მაგისთანა წესები დარჩება და საწყალი მიწის-მომქმედის ხარბის მოიჯარადრის ხელში იქნება." *("შინაური მიმოხილვა". 1881 წ. ივლისი).*

"მაგ წესების უმთავრესი ნაკლულევანება ის არის, რომ როცა იჯარით გაცემის ვაჭრობაა ხოლმე დანიშნული, გლეხკაცობა ვერ იტყობს. თუმცა რუსულ გაზეთებში გამოაცხადებენ ხოლმე, მაგრამ სად გლეხკაცი და სად გაზეთი, მერე ჩვენებური გლეხკაცი და რუსული გაზეთი. ამის გამო, მაგ ვაჭრობაზედ ქალაქელების მეტი არავინ ესწრობა. ამით ორნაირი ვნება გამოდის. ერთი ის, რომ მამულები ჩალის ფასად რჩებათ ქალაქელებს, რადგანაც გლეხკაცობა, ესე იგი ისინი, ვინც მამულის ფასი კარგად იცის, ვინც პირდაპირ მომქმედია და ვინც ამის გამო მძლავრ მოცილედ წინ დაუდგება ქალაქელებს, ვაჭრობაში არ შემოდის და ქალაქელებს მამულები უცილებლად რჩებათ. ამით შემოსავალი აკლდება სახელმწიფოს. მეორე ისა, რომ გლეხკაცი ტყუილ-უბრალოდ შუაში იჭყლიტება, რადგანაც ქალაქელი იღებს მამულს იჯარით მარტო იმის იმედით, რომ გლეხკაცსავე გადასცეს და ერთი-ორად, ერთი-სამად და ზოგჯერ ერთი-ათადაც მეტი გამოჰგლიჯოს. ერთის მხრით სახელმწიფო ჰკარგავს, მეორეს მხრით გლეხი, და ამის დაკარგვა ისევ სახელმწიფოს დაკარგვაა, რადგანაც სახელმწიფოს, ჯერ-ხანობით მაინც, გლეხი აცხოვრებს." *("შინაური მიმოხილვა". 1881 წ. ივლისი).*

"გარდა ამისა, თვით ვაჭრობის წესები მეტად რთულია, გადაბმულ-გადმობმული. მათს შესრულებას ბევრი დრო, მოცალეობა და ხარჯი უნდა, ასე რომ გლეხკაცი თავ-ბედს იწყევლის, ვიდრე საქმეს საქმეზედ მოიყვანს. ამ მხრითაც მაგ წესებს შეცვლა უნდა და განმარტივება, რომ გლეხკაცს სახელმწიფო ქონებათა გამგეობასთან ადვილად საქმის დაჭერა მოუხერხდეს." *("შინაური მიმოხილვა". 1881 წ. ივლისი).*

"თუ სახელმწიფო ქონებათა გამგეობა საქმეს საქმის თვალით უყურებს, სანატრელი უნდა იყოს, რომ იჯარით გაცემა მამულებისა ადვილად შესასრულებელ წესებით მოეწყოს, და მერე _ რომ უფრო ბევრი მოვაჭრე დაესწროს ვაჭრობაზედ და მერე იმისთანა მოვაჭრე, რომელიც პირდაპირი მუშაა მიწისა. მაშინ მამულის იჯარის ფასიც აიწევს და გლეხკაცს კი მაინც უფრო იაფად დაუჯდება, ვიდრე მაშინ, როცა ხარბის მოიჯარადრისაგან აიღებს მამულს." *("შინაური მიმოხილვა". 1881 წ. ივლისი).*

“აქაურმა მთავრობამაც მიაქციოს ამ საგანს თავისი ყურადღება და აქაურობის საჭიროების მიხედვით შესცვალოს უხეირო და დახლართული წესები სახელმწიფო მამულების იჯარით აღებისა პირდაპირ სახელმწიფო ქონების გამგეობისაგან.” *(“შინაური მიმოხილვა”. 1881 წ. ივლისი).*

“სახელმწიფო მამულების იჯარით გაცემის საქმეც სულ სხვაფრივ უნდა მოიწყოს. ამ ცვლილების საგნად ის უნდა იყოს, რომ გლეხკაცობას გაუადვილდეს სახელმწიფო მამულების იჯარით აღება და არა ფრთხოდეს სახელმწიფოსთან საქმის დაჭერისაგან ისე, როგორც დღეს-აქამომდე ფრთხის და ერიდება. ამისათვის საჭიროა, რომ ამ საქმეს ჩამოაცილონ ათასნაირი სამწერლოები, მოხელეები, ტყუილ-უბრალო მიწერ-მოწერა და ბღაჯვნა ქაღალდისა მოიშალოს, და იჯარის გამცემი კაცი, თუ სამმართველო, გლეხკაცზედ ახლოს იყოს. თითონ მთავრობაც ირგებს, იმიტომ რომ გლეხკაცი, ვითარცა პირდაპირი მომქმედი მიწისა, უფრო მეტ ფასს მისცემს _ ვიდრე მონარდე, რომელიც იმ იმედით იღებს მამულს, რომ სხვაზედ გასცეს მოგებითა, _ და გლეხსაც მაინც-და-მაინც ნაკლებ დაუჯდება, ვიდრე მონარდესაგან აღებული.” *(“შინაური მიმოხილვა”. 1881 წ. დეკემბერი).*

“ეხლანდელის წესების წყალობით, სახელმწიფო მამულები საჯაროდ გადადის იმისთანა კაცების ხელში, რომელნიც მიწათ-მომქმედთ არ ეკუთვნოდა, და იმის ცდაში არიან, რომ თითონ მამულს კი არ გამორჩნენ რასმე, არამედ თითონ მიწათ-მომქმედს ხალხს, რომელსაც საიჯარო მამული უჭირს. იჯარადარი გადასცემს ხოლმე იჯარით აღებულს მამულს თითონ ხალხს, რაც შეიძლება დიდის სარფით და დიდის მოგებითა. ამ სახით იჯარადარი მხოლოდ შუამავლობს სახელმწიფოსა და მიწათ-მომქმედ ხალხს შორის და ისიც უღონო ხალხს ამ შუამავლობისათვის დიდს ფეხის ქირას ახდევინებს. ხალხი ამის გამო მეტსა სცდილობს, იჯარადარი ოფლმოუწურავად მდიდრდება და ხაზინაც ზარალობს, იმიტომ რომ სხვა წესი რომ იყოს, ის ნამეტანი, ის სართი, რასაც ეხლა ხალხი ტყუილ-უბრალოდ ხდილობს იჯარადრის ასაშენებლად, ზოგი ხაზინას შეემატებოდა და ზოგი თითონ ხალხს შერჩებოდა.” *(“შინაური მიმოხილვა”. 1883 წ. ოქტომბერი).*

“ვინ არ იცის, რომ პირდაპირი მუშა მიწისა, პირდაპირი მკეთებელი მამულისა, რაც უნდა ღარიბი იყოს, უფრო მეტს იჯარას გაიმეტებს, ვიდრე იგი, ვინც მამულს მარტო იმისათვის იღებს იჯარით, რომ სხვას გარდასცეს მოგებითა. ამ შემთხვევაში თითონ ხალხი მოგებაშია, რადგანაც ის ნაწილი სართისა, რომელსაც მოიჯარადრე ახდევინებს თავის შუამავლობისათვის თითონ ხალხსვე დარჩება ჯიბეში.” *(“შინაური მიმოხილვა”. 1883 წ. ოქტომბერი).*

“საჭიროა სოფლის ხალხს გაეხსნას ფართო, დაუბრკოლებელი გზა სახელმწიფო მამულების იჯარით აღებისათვის. ამისათვის აუცილებელია თითონ საქმის წარმოება იჯარით გაცემის შესახებ გამარტივდეს, შესაძლოდ შეექმნას სოფლის ხალხს უშუაკაცოდ, უვექილოდ: მეტისმეტი მიწერ-მოწერა მოისპოს; რაც შეიძლება შორს მანძილზედ მოიფინოს ხმა, რა მამულია საიჯაროდ გასაცემი და სად არის, რა დღეა დანიშნული სავაჭროდ და რა ადგილას; განსაკუთრებული უწყება ყოველს ამაზედ უნდა გაიგზავნოს იმ სოფლებში, რომელთზედაც უფრო ახლოა თითონ საიჯარო მამული; დრო და ადგილი სავაჭროდ ისე შერჩეული უნდა იყოს, რომ მსურველთ გაჭირვებულ მუშაობის დროს მოცდენა და შორს სიარული ვაჭრობაზედ დასასწრებლად არ მოუხდეთ. გარდა ამისა, ზოგიერთ მამულებზედ იჯარის ვადა უნდა მეტი იყოს, ვიდრე ეხლა. მაგალითებრ, ზამთრის საძოვრები გაიცემა ხოლმე მარტო სამის წლით. რადგანაც ზამთრის საძოვრებს გომები, ფარეხები და ბინები უნდათ და ამათს აშენებას დიდი ხარჯი მოსდევს, ამის გამო

ეგ საძოვრები ღირებულ ფასად არ გადის და ხალხს კი მაინც-და მაინც ძვირად უჯდება. მოიჯარადრე, რომელიც ამისთანა მამულს იღებს, იძულებულია გომით, ფარეხით და ბინებით მოაწყოს ზამთრის საძოვარი. ამაზედ დიდი ხარჯი მოსდის და იძულებულ ხდება ეს ხარჯი თავისის სარგებლით სამს წელიწადში დაიბრუნოს. ვის გადაახდევინოს ეს ხარჯი, თუ არა ხალხს, რომელსაც ზამთრის საძოვარი უჭირს. ამ სახით ხალხს ბევრი ერთმევა და ამით ხაზინას არა ემატება რა, თუ არ აკლდება. აკლდება იმიტომ, რომ მოიჯარადრე, რომელსაც გამორჩომისათვის მარტო სამი წელიწადი უდევს წინ და იმოდენა ხარჯი საძოვრის მოწყობისათვის, ვერ შეჰბედავს დიდის იჯარის შეძლევას." *("შინაური მიმოხილვა". 1883 წ. ოქტომბერი).*

"სხვაფრივ რომ მოეწყოს სახელმწიფო მამულების იჯარით გაცემის საქმე, კანონები და წესნი რომ ხელს უწყობდნენ სოფლის ხალხს სახელმწიფო მამულები უშუაკაცოდ ხელში ჩაიგდონ, ხაზინაც მოგებაში იქნება და ხალხიცა." *("შინაური მიმოხილვა". 1883 წ. ოქტომბერი).*

4.3.2. ხიზნობა – მიწათმფლობელობის ერთგვარი ფორმა

- **ხიზნობა: არსი**

"ხიზნობაც ერთგვარი მფლობელობაა მიწისა, რომელსაც მოსდევს დამოკიდებულობა თავისუფალის გლეხისა მიწის მეპატრონესთან". *("ხიზნების საქმე საიდამ უნდა დაწყებულიყო". 1880 წ. 17 მარტი).*

"რასაკვირველია, ქვეყნის სიკეთისათვის საჭიროა, რომ ეგ დამოკიდებულება შეეფერებოდეს ეხლანდელს მოთხოვნილებას და მაინცდამაინც განსაზღვრული იყოს და კანონის მფარველობის ქვეშ დამდგარი". *("ხიზნების საქმე საიდამ უნდა დაწყებულიყო". 1880 წ. 17 მარტი).*

"აქამდინ არ იციან თურმე, რა არის ხიზნობა, რა საკანონო და საეკონომიო თვისება აქვს". *("ხიზნების საქმე საიდამ უნდა დაწყებულიყო". 1880 წ. 17 მარტი).*

"რაკი, სამწუხაროდ ჩვენდა, მიწა და ხელი განცალკევებულია, და რაკი ესეც ვიცით, რომ ამასთან ერთად მუდამ იქნება მიწის ამღები მუშა და მიწის გამცემი პატრონი, ჩვენ იმას ვამბობთ, რომ იმისთანა წესი ჩამოვარდეს მუშისა და მიწის პატრონის შუა, რომელიც ამ მიწისა და ხელის განცალკევების ბოროტს უფრო ნაკლებ აგრძნობინებდეს. ჩვენის ფიქრით, ამისთანა წესი ხიზნების წესია. ერთს ადგილას ჩვენ ამიტომა ვსთქვით, რომ კაცობრიობამ ამაზედ უკეთესი წესი ვერ მოიგონა, როცა მიწისა და ხელის განცალკევებამ საქმე გაამწვავა და ტკივილი თვისი კანონს წინ დაუყენა მოსარჩენად". *("ᲐᲐᲙᲐᲕᲙᲐᲖᲘ"-ს წერილების გამო". 1886 წ. 23 მაისი).*

"ახლა ვიკითხოთ, რა არის ბეკლემრეხტი, რომელსაც ჩვენ დავარქვით დამთავრებული სახე ხიზნობისა?

იგივეა მფლობელობა სხვისა მიწისა იმ პირობით, რომ მფლობელმა მიწის პატრონს აძლიოს ყოველწლიური ღალა, ანუ იჯარა, რომლის მომატებაც მიწის პატრონს არ შეუძლიან. ეგ მფლობელობა გადადის ერთიდამ მეორეზედ მემკვიდრეობით. ამისთანა მფლობელობის პატრონს, ბეკლემ-მეიერს, შეუძლიან თავისი მფლობელობა გადასცეს ვისმე ანდერძითა, თუნდ გაჰყიდოს, გააქირავოს, დააგირავოს კიდეც მიწის პატრობის დაუკითხავად. ერთი ეს კია, რომ როცა მაგგვარი მფლობელობა ან მემკვიდრეობით, ან

გასყიდვით ერთიდამ მეორეზე გადადის, მიწის პატრონს უნდა მიეცეს მთელის ერთისა თუ ორის წლის ღალა, იჯარა. შენობანი, რაც კია სახიზნო მამულში, სულ ხიზნისა, ანუ, როგორც იქ ეძახიან, ბეკლემ-მეირისა არის; თუ რაიმე მიზეზით ხიზნობა მისი მოისპო და გაუქმდა, მიწის პატრონმა უნდა იმ შენობის ფასი მისცეს". *("ხიზნების საქმე". 1886 წ.).*

"რუსეთის ჩინში, გერმანიის ერბრახტი, ინგლისის ოლსტერის ჩვეულება, პორტუგალიის აფორამენტო და ყველა ამგვარნი მფლობელობანი სხვისა მიწისა, ერთს ნერგზედ ამოსულნი და ერთისა და იმავე ბუნებისანი არიან. განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ ზოგი პირველყოფილ სახეს ამგვარ მფლობელობისას შორს არ წასვლია, ზოგი მიდის, ჯერ კიდევ იხსნება და იშლება, როგორც კვირტიდამ ყვავილი, ზოგი სრულიად გადიხსნა და გადიშალა კიდეც. ამ სახით, ზოგი დასაწყისზეა ახლო, ზოგი მიახლოვებულია სრულს სახესა". *("ხიზნების საქმე". 1886 წ.).*

"რაცა ვსთქვით იტალიასა, საფრანგეთსა და ჰოლანდიაზედ, იქიდამ, გვგონია, საკმაოდ ცხადად სჩანს დასაწყისი, შუატანი და დამთავრებული სახე იმგვარ მიწათმფლობელობისა, რომელსაც ჩვენში ხიზნობას ვეძახით. ეს სამი ჰასაკი _ თუ ესე ითქმის _ ამგვარ მიწათმფლობელობისა საკმაოა, ჩვენის ფიქრით, რომ უტყუარად შევატყოთ, რის მომასწავებელია ეგგვარი მფლობელობა მიწისა, რა გზას ადგია, საით მიეზიდება, რარიგად იყრის ტანსა და რარიგად აიყარა ტანი, როცა დამთავრებულად წარმოგვიდგა ჰოლანდიაში ბეკლემრეხტის სახითა. ეხლა ადვილად შეგვიძლიან მოვუჩხრიკოთ ბუნება, მივუხვდეთ მიმართულებას მისის მსვლელობისას და წინ გამოვისახოთ მისი სრული სახე". *("ხიზნების საქმე". 1886 წ.).*

"სჩანს, რომ იმგვარი მფლობელობა და ხმარება მიწისა, რომელსაც ჩვენში ხიზნობა ჰქვიან, წარმოსდგა ერთის მხრით იქიდამ, რომ მიწას ხელი არა ჰყვანდა საკეთებლად, და მეორეს მხრით _ ხელს მიწა არა ჰქონდა. მაშასადამე, ყოველთ უწინარეს, ხიზნობა იმისთანა აგებულებაა, რომელმაც შეაზავა და ერთად შეჰყარა მიწა და ხელი, დროთა ვითარებისა გამო განცალკევებული და ერთმანეთს მოშორებული. რა გზით მოხდა ეს? თქმა არ უნდა, რომ კეთილნებობის მორიგებითა, რომელიც ორისავე მხარესათვის უსათუოდ სახეირო უნდა ყოფილიყო. იმიტომ, რომ ერთის მხრით მემამულეს თავისუფალ კაცთან ჰხონდა საქმე, და თავისუფალს კაცს ძალად ვერ მოათრევდა და ვერ დაასახლებდა მამულზედ; მეორეს მხრით, თავისუფალს კაცს _ ხელშეუხებელ საკუთრებასთან, რომელსაც ძალად ვერ შეუვარდებოდა და ვერ დაიჭერდა. ამ გარემოებაში, უეჭველია, ერთი მეორესაკენ მიიზიდებოდა უსათუოდ ეკონომიურის ანგარიშითა: სახეიროა _ გაძლევ მამულს, სახეიროა _ ვიღებ მამულსა. ამის გარეთ მორიგება შეუძლებელია ამისთანა შემთხვევაში". *("ხიზნების საქმე". 1886 წ.).*

- **ხიზნობა: რა გვჭირდება**

"ან კიდევ, ნუთუ საჭირო არ არის, მინამ საქმეს წინდაუხედავად ხელს მოვკიდებდეთ, შეგვეტყო _ რამდენი ხიზანია, რამდენი მებატონეა ხიზნისა, ორთა-შუა რიცხვით რამდენი მიწა უჭერია თითო მოსახლე ხიზანსა, სად რა გარდასახადს იხდის ხიზანი, სად რამოდენა მიწაა სამყოფი, რომ ერთმა მეკომურმა თავის სახლობით თავი ირჩინოს, და სხვა ამგვარი". *("ხიზნების საქმე საიდამ უნდა დაწყებულიყო". 1880 წ. 17 მარტი).*

“შორს რომ არ წავიდეთ, ჯერ მარტო იმას მივხედოთ, რა დიდი მნიშვნელობა აქვს ამ საქმეში ხიზანის რიცხვის მეტნაკლებობას. ამ მეტნაკლებობაზედ არის დამოკიდებული, _ რა თვალით უნდა უყუროს კანონმდებელმა ხიზნების საქმეს: საზოგადო, საქვეყნო საჭიროების თვალით, თუ კერძო პირთა საჭიროებისა. პირველ შემთხვევაში, თუნდ რომ მსხვერპლი იყოს საჭირო, არა უშავს რა. მსხვერპლი, ქვეყნის სახელით მოთხოვნილი, შესაწყნარებელია და სამართლიანი. მეორე შემთხვევაში-კი ყოველივე მსხვერპლი უმართლოა და შეუწყნარებელი”. *(“ხიზნების საქმე საიდამ უნდა დაწყებულიყო”. 1880 წ. 17 მარტი).*

“თუ ხიზნები აქა-იქ კანტი-კუნტად არიან, მაშინ სულ სხვა ფიქრი უნდა, სულ სხვა ღონე და სხვა გზა საქმის მსვლელობისათვის. და თუ ხიზნები იმოდენი არიან, რომ ერთს კარგა მოზრდილს წყობას შეადგენენ, მაშინ მათი საქმე საზოგადო, საქვეყნო საქმეა და მარტო საქვეყნო ინტერესის მიხედვით უნდა გადასწყდეს. და თუ აქ აუცილებლად საჭირო იქნება, რომ უმცირესმა უმრავლესს დაუთმოს რამ, მაშინ მაგ დათმობას რჯულიერი და ღირსეული საბუთი ექნება”. *(“ხიზნების საქმე საიდამ უნდა დაწყებულიყო”. 1880 წ. 17 მარტი).*

- **ხიზნობა: მოვემზადოთ, ნუ ვიჩქარებთ**

“ყოველ უამათოდ, რაც ზევით მოვიხსენიეთ, ხიზანის საქმეს შეუძლებელია ჯეროვანი გზა შეურჩიონ, რიგიანი წამალი დასდონ, და თუ მაინცდამაინც მოუმზადებლად ხელი ჩაჰკიდეს ამ არა-სახუმარს საქმეს, იქნება იმისთანა ამბავიც მოხდეს, რომ შეღავათის ნაცვლად, ხიზანს უფრო გავუჭირვოთ ისეც გაჭირვებული ცხოვრება. სჯობს ცოტა გვიან იყოს და კარგად, ვიდრე ჩქარა და ცუდად. ზოგჯერ სიწყნარე გმობილი სჯობს სიჩქარესა ქებულსაო”. *(“ხიზნების საქმე საიდამ უნდა დაწყებულიყო”. 1880 წ. 17 მარტი).*

“ყოველი ცვლილება, საზოგადოებრივი თუ ეკონომიური, მაშინ არის მარგებელი და მკვიდრი, როცა ცვლილების საგანი ყოველმხრივ გასინჯულია და შუქმოფენილი. ამისთვის, რასაკვირველია, ყველაზედ უწინარეს კაცმა გონება უნდა მიაქციოს ადგილობრივს ვითარებას, რადგანაც ყოველს საგანს ამ შემთხვევაში თავის ადგილზევე აქვს თავისი სათავე, თავისი ძირი და თავისი გზა მსვლელობისა და განვითარებისა. მაგრამ ძალიან შესცდება ის, ვინც მარტო ამას დასჯერდება და მარტო აქედამ გამოიყვანს თავის დასკვნას”. *(“ხიზნების საქმის თაობაზედ”. 1880 წ.).*

- **ხიზნობა: ბუნება**

“ხიზნობის საქმე მძიმე საქმეა თავისის მნიშვნელობით და მწვავია თავისის ინტერესით, იმიტომ რომ ასე თუ ისე იგი შეეხება იმ ნაწილებს რჯულიერებისას, რომელთაგანაც შემდგარია რჯულიერება საკუთრებისა. ამიტომაც საჭიროა, ჯერ განსაზღვრულ და დადგენილ იქმნან იგი სახელმძღვანელო დედააზრნი, რომელთაც უნდა უსათუოდ ექვემდებარებოდეს თვით განაჩენი ხიზნობის საქმისა, მერე წინათ-დანახული იყოს ყველა მრავალგვარი წვლილიცა, რომელიც აუცილებლად თან სდევს

ამისთანა რთულს საქმეს. უამისოდ, აზრების ერთმანეთში არევ-დარევა, მოუთავსებლობა, დაწეწვა და უთანხმოება აუცილებელია". *("ხიზნების საქმე". 1886 წ.).*

"ხიზნობა ერთგვარი სახეა სხვისა მიწის ხმარებისა, გაძლიერება საკუთრების ზოგადის ელემენტისა მეტად ცხადად და თვალსაჩინოდ გამოითქვა. ამ სახით, თუ გადამეტებული გაუფლება საკუთრების პირადის ელემენტისა გამოისახა ბატონ-ყმობაში, ზოგადმა ელემენტმა თვისი ადგილი და ბინა მოიპოვა ხიზნობაში". *("ხიზნების საქმე". 1886 წ.).*

"ეს ასეთი მფლობელობა სხვისა მიწისა, ჩვეულების წყალობით დადგენილი, ჩვეულების საფარველ-ქვეშ გაზრდილი და შენახული, ამ ბოლოს ხანებში ძლივ-ძლივს შეიწყნარა კანონმა და დღეს რჯულად არის დადებული ჰოლანდიაში". *("ხიზნების საქმე". 1886 წ.).*

"რომ იძახიან, ჭირმა და შიმშილმა ჩამოაგდო საქართველოში ხიზნობაო, ეგ მტკნარი ტყუილია. გარდა ისტორიულ მოწმობისა, რომელიც ჩვენ წინათ მოვიხხსენიეთ, ერთი თვალსაჩინო და უცილობელი საბუთიც სხვა გვაქვს ჩვენის აზრის დასამტკიცებლად. მთავრობისაგან ჩვენში შეკრებულ ცნობებიდამ სჩანს, რომ დღეს ჩვენში ხიზნად ითვლება სულ 6153 კომლი; ამათ შორის ირიცხება 1468 კომლი იმისთანა ხიზანი, რომელიც 1861 წლიდამ არის დღევანდელ ადგილას ხიზნად დაბინავებული. სად იყო 1861 წლიდამ დღევანდლამდე ან ჭირი, ან შიმშილი? თუ არ იყო, მაშ რამ გააჩინა 1468 კომლი ხიზანი, ესე იგი, თითქმის მთელი მეოთხედი რიცხვი მთელის ხიზნობისა? აშკარაა, ჭირი და შიმშილი კი არ არის ხიზნობის სათავე, არამედ ის მუდმივი მიზეზია, რომელიც ჩვენ მოვიყვანეთ. ამის გარეთ ხიზნობის გაჩენას სხვა მიზეზი არ მოეპოვება, იმიტომ რომ არა აქვს.

ამ სახით, იმგვარი მფლობელობა მიწისა, რომელსაც ჩვენ ხიზნობას ვეძახით, არის უხელო მიწის და უმიწო ხელის ერთმანეთთან მორიგება კეთილნებური, ეკონომიურს ანგარიშზედ აშენებული.

ეს ერთი მხარე ხიზნობის ბუნების". *("ხიზნების საქმე". 1886 წ.).*

"აშკარაა, რომ ეს მორიგება მარტო ერთის პირობით იქნებოდა სახარბიელო და ამიტომაც შესაძლებელი: მამულის პატრონი უნდა გამოლოდნებოდა, რომ ერთხელ გადაწყვეტილს და მორიგებულს სამსახურს, თუ ღალას, ხელის პატრონი არ დამაკლებსო, და ხელის პატრონი _ ერთხელ მორიგებულს სამსახურს და ღალას მემამულე არ მომიმატებსო. უამისოდ არც მამულის პატრონი გაიმეტებდა მამულს, რომ მასზედ ხელის პატრონი დაბინავებულიყო, დაშენებულიყო და ამ სახით მკვიდრად ჩაედგა ფეხი მამულში, არც ხელის პატრონი გამოიმეტებდა თავსა, რომ ხარჯი გაეწია, ბინა დაედვა სხვის მამულში და ამ გზით ასე თუ ისე დაბმულიყო. ამასთან მიწის გაცემა, თუ აღება, ვადადაუდებელი უნდა ყოფილიყო, რადგან უამისოდ ვერც მამულის პატრონი იქნებოდა დაიმედებული, რომ მუდამი შემოსავალი ექნება, და თავდაპირველი წყურვილი-კი ამაშია უხელო მემამულისა, და ვერც ხელის პატრონი _ რომ სამუდამო ბინა მექნებაო, რადგანაც ბინას სხვის მამულში იკიდებდა. აქედამ ცხადია, საითკენ არის მიდრეკილი ხიზნობა, რა გზაზედ სდგას და საით მიიზიდება თვისის ბუნებისამებრ. ამ სახით, ხიზნობის მიმართილება იმაში გამოითქვა, რომ ღალა და სამსახური უცვალებელი იყოს, ერთს ჭდეზედ იდგეს და თვით აღებ-მიცემა მიწისა ვადადაუდებელი იქმნას.

ეს მეორე მხარე ხიზნობის ბუნების". *("ხიზნების საქმე". 1886 წ.).*

“ღალისა (ღალას” ჩვენს წერილებში იმ აზრით ვხმარობთ, როგორც “რენტა”) და სამსახურის უცვალებლობა მიწისმფლობელობაში შეხუთვაა და შეზღუდვა პირადის ხელშეუხებლის საკუთრებისა და, ცოტად თუ ბევრად, ფეხის წინ წადგმაა, გაძლიერებაა საკუთრების ზოგადის ელემენტისა. ამიტომაც ვსთქვით წინათ, რომ ზოგადმა ელემენტმა საკუთრებისამ ბინა დაიდვა იმგვარ მიწათმფლობელობაში, რომელსაც ჩვენში ხიზნობა ჰქვიან, და ამგვარ მფლობელობას მიწისას შეეკედლა, რადგანაც პოლიტიკური წყობილება ყოველის ერისა უწინ, ნამეტნავად საშუალო საუკუნოებში, საფრანგეთის დიდ რევოლუციამდე და თითქმის 1848 წლამდეცა, _ რჯულმდებელობაში მონაწილეობას და ხმას მარტო მამულის პატრონებს აძლევდა. ამიტომაც _ რაღა თქმა უნდა _ მამულის პატრონებისათვის პირადად სახეირო არ იყო რჯულითა და კანონით ხელი მოეწყო ამისთანა გაძლიერებას საკუთრების ზოგადის ელემენტისას. აი მიზეზი, რის გამოც არც ერთს რჯულდებულებაში _ რომელი ერი და ქვეყანაც უნდა აიღოთ _ ვერ იპოვნით კანონს, რომ ეს ღალისა და სამსახურის უცვალებლობა და ერთობ ხიზნობა თავის მფარველობის ქვეშ მიეღოს და რჯულად დაედვას. პირიქით, საცა შემთხვევა მიზეზს აძლევდა, რჯული, კანონი სდევნიდა ხსენებულს მიწათმფლობელობას და ყოველთვის სამართლის სასწორს პირადის საკუთრებისაკენ დაჰხრიდა ხოლმე. ამგვარი მფლობელობა კი, ცხოვრების ვითარებისა და საჭიროების გამო, მაინც არსებობდა და ეს არსებობს დღესაც. მერე რამოდენა ხანია, რაც არსებობს? დასაწყისი მისი, როგორც წინათაცა ვსთქვით, მეცნიერთა აღმოაჩინეს თითქმის ისტორიის საშუალო ხანის პირველ საუკუნოებში. ასეთი ხანგრძლივობა არსებობისა ცხადად გვიმტკიცებს, რომ რჯულსა და კანონს გარეთ დაშთენილს მფლობელობას სხვის მიწისას რაზედმე უნდა ჰქონოდა ფეხი გამაგრებული. რასმე უნდა შეენახა, ეპატრონა, რაიმე უნდა ფარად შეჰქმნოდა. ეს “რაიმე” ჩვეულებაა, რომელიც ჩვენს საქართველოს ერსა რჯულთ უმტკიცესად მიაჩნია სამართლიანად”. *(“ხიზნების საქმე”. 1886 წ.).*

“აი მესამე მხარე ხიზნობისა; იგი მფარველობდა თავდაპირველს მორიგებას ხელისას და მიწისას,როგორც ჩვენში, ისეც ყველგან სხვაგან; იგი იყო ის დაუწერელი სიგელი, რომლის ძალითაც ერთი მეორეს პირობას უსრულებდა. ამის გამო იგივეა ნიშანი, რომლის მიხედვითაც უნდა განირჩეოდეს ხიზნობა ყოველ სხვაგვარ მიწისმფლობელობისაგან. საცა სხვისა მიწის ხანგრძლივი ხმარება ჩვეულებაზედ არ არის დამყარებული, და სხვა რაზედმეა, მაგალითებრ ქაღალდზედ დაწერილს ხელშეკრულობაზედ, იქ ხიზნობა არ არის.

ჩვეულება ერისათვის იგივ რჯულია, იგივ კანონია, მხოლოდ დაუწერელი კი. ჩვეულებას იგი უპირატესობა აქვს დაწერილს კანონის წინაშე, რომ ყოველთვის ცხოვრების ჭეშმარიტის საჭიროების დანაბადია და ყოველთვის უტყუარი წამალიც არის ამ საჭიროებისა, თუ ყოველს დროს არა, პირველ ხანებში მაინცა. ეს ხომ ასეა, მაგრამ ერთი არსებითი ღირსება დაწერილის კანონისა კი აკლია. დაწერილი კანონი, მარტო იმით, რომ დაწერილია, მინამ არის _ ისეა, რომ არას მიიწებებს, არას აიკრავს ზედ, რასაც აჩენს და ჰბადავს ხოლმე ხშირად ხარბი ინტერესი წუთისა. ჩვეულება ამისაგან თავისუფალი არ არის; კანონი კი თავისუფალია. აი დიდი ღირსება კანონისა, რომელიც ჩვეულებას აკლია.

აი ამ უპირატესობამ ჩვეულებისამა, ერთის მხრით, და იმ ნაკლმა, რომ მას დაწერილის კანონის ღირსება არა აქვს, მეორეს მხრით, და მესამეს მხრით იმ გარემოებამ, რომ ზოგადი ცხოვრება წარემატა, დამოკიდებულება ერთმანეთზედ უფრო მრავალგვარი

და რთული შეიქმნა, უფრო ერთი-ერთმანეთს გადაებ-გადმოება და დაიხლართა, _ ყოველ ამანა ამ ბოლოს ხანებში იძულებულ ჰქმნა ზოგიერთი სახელმწიფო ევროპისა, სახე დაწერილის კანონისა მიეცა იმ ჩვეულებისათვის, რომელიც ხსენებულს მიწათმფლობელობას შეეხებოდა. ეს იძულება და მიმართულება რჯულმდებლობისა, რომ ჩვეულება დაწერილ კანონად იკურთხოს, გამოითქვა მით, რომ ჰოლანდიაში რჯულად დაიდვა ბეკლემრეხტი, პორტუგალიაში აფორამენტო, ინგლისში ოლსტერის ჩვეულება, რომელიც, თითქმის მთლად ჩვენებური ხიზნობის ავკარგიანობით, სახელოვანმა გლადსტონმა სარჩელად დადვა ეგრეთწოდებულს ირლანდიის საადგილმამული ბილს 1872 წელსა. რუსეთში კი მთავრობამ "ჩინში" უარ-ჰყო.

თუმცა სხვა ქვეყნებმა ესევე არა ჰქმნეს ჯერ, მაგრამ ცხოვრების მოთხოვნილება და მოძრაობა, ამ მხრივ მიდრეკილი და მიმართული, ყველგან თავს იჩენს. ამიტომაც დღეს ეგ მოთხოვნილება და მოძრაობაა საგანი სახელმწიფო მმართველობის მზრუნველობისა ყველგან საზოგადოდ და ჩვენში განსაკუთრებით. განსაკუთრებით ჩვენშიო, ვამბობთ იმიტომ, რომ აქ, გარდა საზოგადო მოძრაობისა, საკუთარნი კერძო მიზეზნიც არიან, მით არა ნაკლებ მწვავნი, და ეს მიზეზნი უფრო მეტად სასურველადა ჰხდიან დაუწერელის კანონის დაწერილ კანონად გარდაქმნასა ჩვენში". *("ხიზნების საქმე". 1886 წ.).*

"ხიზნობის ბუნებას შინაგანი აზრი რომ გავუსინჯოთ, მის აღსახსნელად რომ მოვიშველიოY მოწმად მაგგვარივე მოვლენანი, რომელთაც სხვა ქვეყნებში ვპოულობთ საოცარის მსგავსებითა, და თვალწინ წარმოვიდგინოთ იგი ნიშნები ამგვარის მიწათმფლობელობისა, რომელნიც ჯერ კიდევ ჩვენს ერს ახსოვს და, მაშასადამე, შესაძლოა კაცმა გამოიძიოს დღესაც, _ მაშინ ერთს განსაკუთრებულს მხარეს კიდევ შევნიშნავთ.

ხიზნობაში სამი ფრიად საყურადღებო და საგულისხმო საგანია. ერთის მხრით იგი შეეხება კაცს, რომელიც ეძიებს საქმე აუჩინოს თავის უმამულო ხელს სხვის მიწაზედ. იგი კაცი ამასთანავე თავისუფალია, ესე იგი იმისთანაა, რომელიც ყველაზედ უწინარეს იმას ეცდებოდა, რომ ფეხებში ბორკილი არ შეიყაროს, თავისდა უნებურად არ დაებას სხვის მამულზედ სამუდამოდ და შეირჩინოს დამოუკიდებელი ნება თავისუფლად გადასვლის-გადმოსვლისა. მეორეს მხრით ხიზნობა შეეხება პირადს ინტერესს მამულის პატრონისას. ეგ ინტერესი იმაში მდგომარეობს, რომ მამულის პატრონს ნება ჰქონდეს ყოველს ჟამს თვისი მამული ისე მოიხმაროს, როგორადაც ჰსურს. მესამეს მხრით ხიზნობა შეეხება იმისთანა განსაკუთრებულს და განსხვავებულს მრეწველობას, რომელიც, რაკი საქმე აქვს მიწასა და მიწათმოქმედებასთან, ითხოვს თვის წარმატებისათვის ხანგრძლივს შეუწყვეტელს მუშაობას, გარჯას, ხარჯსა და მეცადინეობას.

ეს სამი, თითქმის ერთმანეთის მიუდგომელი საგანი, ერთმანეთის მოპირდაპირენი და წინააღმდეგნი, ხიზნობამ ერთმანეთთან მოათავსა და მოარიგა. უმამულო ხელს შეარჩინა ნება თავისუფლად გადასვლის გადმოსვლისა, მამულის პატრონს შეარჩინა ნება თავისის მამულის მოხმარებისა თავის სურვილისამებრ, და განსაკუთრებულს თვისებას მიწათმოქმედების მრეწველობისასაცა გზა და სავალი მისცა. რით? მით, რომ ხანგრძლივობა ხელისა და მამულის ერთმანეთთან შეყრისა და მოთავსებისა ააგო მარტო ეკონომიურს ანგარიშზედ, რომელიც დამოკიდებულია იმაზედ თუ, რამოდენა ხეირია ხელისათვის სხვის მამულის ხმარება, ერთის მხრით, და რამოდენა ხეირია მამულის პატრონისათვის სხვისის ხელის მოქმედება. მეორეს მხრით, რომ ეს ხანგრძლივობა არ მოიკვეთოს, არ გაწყდეს სხვადასხვა არა-საეკონომიო მიზეზთა გამო, ხიზნობამ შეარჩინა

ხიზანს ნება მამულის თავდანებებისა მარტო იმ მძიმე პირობითა, რომ მამულის პატრონს სამაგიერო სასყიდელი უზღოს, და მამულის პატრონს კიდევ შეარჩინა ნება მამულიდამ ხიზნის აყრისა იმ არა-ნაკლებ მძიმე პირობითა, რომ სასყიდველივე უზღოს ასაყრელს ხიზანსა". *("ხიზნების საქმე". 1886 წ.).*

"აი მეოთხე განსაკუთრებული მხარე ხიზნობისა, რომელსაც გამოუკლებლად ვპოულობთ ყველგან, საცა კი ესგვარი მიწათმფლობელობა არის. ამ შემთხვევაში თუ რამ განსხვავება და ცვლილებაა, ეგ განსხვავება და ცვლილება შეეხება მხოლოდ სახესა და რაოდენობას საზღაურისას. ზოგან ორის წლის ღალა და სამსახურია ერთად შეკეცილი საზღაურად მამულის პატრონის სასარგებლოდ, და სასარგებლო ხიზნისა _ სრული ფასი შენობისა და იმ ნაკეთობისა, რომელიც ხიზანს მამულში მოუხდენია. ჩვენში კი ხიზანს, თუ ვინიცობაა თავის ნებით აიყრებოდა, უნდა მიეცა მამულის პატრონისათვის ნახევარი მოძრავის ქონებისა, რაიც ხიზანს მამულში შეეძინა, და თუ მამულის პატრონი თავისის ნებით აჰყრიდა, უნდა ეზღო სრული ფასი შენობისა და დანერგულისა. სახელდობრ ვენახისა, თუ ხილის ბაღისა. სხვა ნაკეთობა-კი ანგარიშში არ ჩავარდებოდა ხოლმე". *("ხიზნების საქმე". 1886 წ.).*

- **ხიზნობა: ისტორია**

"ჩვენ არ გვესმის, საიდამ რას უნდა გახდნენ, ფეხი რაზედ უნდა მოიკიდონ, ვისაც ამ საქმეში ერთის ბიჯის მაინც წინ გადადგმა უნდა. ხიზნობა, როგორც ერთგვარი მფლობელობა მიწისა, დღევანდელი საქმე არ არის. ამას თავისი ისტორია აქვს, თავისი წარსული დრო, რომლის განმავლობაში უსაქმია, უმოქმედნია მთელის ერის ეკონომიურს ყოფა-ცხოვრებას, ავკარგიანობას, სამართლიანობას, ჩვეულებას და ეგრეთწოდებულს ჩვეულების რჯულსა. ყოველს ამას ერთად უწარმოვნია დიდის ხნის მიმავლობაში და ერის გონებაში გამოუკვანძავს მრთელი აზრი იმ ეკონომიურის წყობისა, რომელსაც დღეს ჩვენ ხიზნობას ვეძახით და რომელსაც სარჩულად იგი აზრი უდევს". *("ხიზნების საქმე საიდამ უნდა დაწყებულიყო". 1880 წ. 17 მარტი).*

"ნუთუ საქმის გადასაწყვეტად მაგ აზრის ცნობაში მოყვანა საჭირო არ არის! უმაგისოდ, ჩვენის ფიქრით, ყოველივე ბიჯი ბრმა კაცის ფეხების ფაცურს ეგვანება". *("ხიზნების საქმე საიდამ უნდა დაწყებულიყო". 1880 წ. 17 მარტი).*

"ბევრი, ძალიან ბევრიც, იმისთანა ნაშთია საზოგადოებრივის თუ ეკონომიურის წყობისა, რომელიც თუმცა არსებობს, მაგრამ მსვლელობის კვალი კი წაშლილი აქვს ჟამთა მდინარეობისაგან და ამის გამო მისი ვერც თავი გაიგება, ვერც ბოლო, თუ მარტო ადგილობრივს ვითარებას შეაჩერდა კაცი. ამ შემთხვევაში აუცილებლად საჭიროა იგივე საგანი გამოიძიოს სხვა ქვეყნებშიაც, სხვა ქვეყნების ისტორიაც მოიშველიოს. იტყვიან, სხვა ქვეყნები რაში გამოგვადგებიან, ჩვენ სხვანი ვართ, ისინი სხვანიო. იტყვიან, მაგრამ მთქმელნი ამაში ძალიან შესცდებიან". *("ხიზნების საქმის თაობაზედ". 1880 წ.).*

"რაც უნდა ერთმანეთზედ დაშორებული ქვეყნები აიღოთ და სულ სხვადასხვა თვისებისანი, _ ამბობს გამოჩენილი მეცნიერი ემილ დე-ლაველე: _ ნახავთ, რომ ეკონომიური მსვლელობა და განვითარება ყველგან ერთგვარი და ერთნაირი ყოფილაო". ამასვე ემოწმება საფრანგეთის მეცნიერი ტოკვილი. ფილოლოგიამ და მითოლოგიამ ამ

ბოლოს დროს ბევრი საკვირველი ჭეშმარიტება აღმოაჩინა მით, რომ სხვადასხვა ხალხთა ისტორიები შეადარა და ამ შედარებით გამოიკვლია ბევრი საგანი, რომელთაც ჟამთა სიბნელეში არც თავი უჩანდათ, არც ბოლო. ინგლისის გამოჩენილი მეცნიერი ჰენრი მენი ამბობს, რომ მაგავე მეთოდით მივმართოთ მართლიერების (право) ახსნასაო, სულ ახალს ნათელს მოვფენდით პირველ-ჟამურ ბიჯს ცივილიზაციის მსვლელობისასო. მაშინ ცხადად აღმოჩნდებოდა, რომ კანონები დადგენილ არიან ქვეყნიერობაზედ იმიტომ კი არა, რომ ესე ნებავდა ადამიანსა, არამედ იმიტომ, რომ მაგას ითხოვდა ეკონომიური საჭიროება ერთის მხრით და მეორეს მხრით სიმართლე, წარმომდგარი ზნეობითის და სარწმუნოების გრძნობათაგანაო. ეგ საჭიროება, ეგ გრძნობა და იდეები ყველგან ერთგვარნი და მსგავსნი იყვნენ, ერთგვარად მოქმედებდნენ კაცთა განვითარებაზედ და ერთგვარი წყობილებაც შემოიტანეს ყველგანაცაო. ხოლო განსხვავება იმაში იყო, რომ ზოგი ხალხი სწრაფად ვიდოდა განვითარების გზაზედ, ზოგი მძიმე ნაბიჯითა; ზოგნი დაწინაურდნენ, ზოგნი უკან ჩამორჩნენო.

თუ ესეა, მაშ უეჭველია, რომ თუ რომელსამე წყობას ერთს ადგილს ჟამთა ვითარების გამო კვალი წაჰშლია, შეიძლება იგი კვალი აღვადგინოთ საკმაო სისრულით სხვის ისტორიის შედარებით და შესწავლითა. თუ შევძელით, სწორედ ამ გზით ვაპირებთ ახსნას იმ წყობისას, რომელსაც ჩვენში ხიზნობას ეძახიან და რომელიც ერთგვარი მიწისმფლობელობაა და სხვა არა-რა". *("ხიზნების საქმის თაობაზედ". 1880 წ.).*

"მეცნიერთა გამოკვლევით, საკუთრებას ორი ელემენტი აქვს: ერთი საზოგადოებრივი, ანუ თემობრივი, და მეორე კერძოობრივი (ემანუელ ფინტე და ისპანიელი მეცნიერი ფრანჩესკო დეკარდანასი) ყველგან პირველ-ჟამურ თემთა შორის _ აზიაში, აფრიკაში, თუ ევროპაში _ თემობრივს თვისებას საკუთრებისას სჭერია უპირველესი ადგილი. ინდოელებს, სლავიანებს, გერმანელებს, _ მიწა სათემო საკუთრებად ჰქონიათ ისე, როგორც დღეს რუსეთშია და იავას კუნძელზედა. თვითოეულს თემის კაცის სახლობას წილადხდომილი მიწა სჭერია დროებით. დროგამოშვებით, ეგრე გაწილადებულს მიწებს ისევ თემი დაიბრუნებდა ხოლმე და ხელახლად დაუყოფდა წილისყრით თემის კაცებს, თომ თვითოეულს ავი და კარგი თავის რიგზედ შეხვედროდა. თანასწორობა მიწის მფლობელობაში ამ სახით დამკვიდრებული იყო, მეტნაკლებობის ჩამოვარდნას გზა შეღობილი ჰქონდა; მიწის მშრომელი და მიწისმფლობელი ერთი და იგივე კაცი იყო. უმამულობა ამგვარს წყობაში, რასაკვირველია, შეუძლებელი იქნებოდა.

დროთა მიმავლობაში ეს წყობა შეიცვალა და კერძოობრივმა საკუთრებამ ძირი გაიკეთა. ამის მიზეზი უფრო ბევრგან უცხო ხალხთა შემოსევა იყო. შემოსეულები ჩამოართმევდნენ ხოლმე მკვიდრებს მიწებსა და ერთმანეთში დაჩემებით მოირიგებდნენ. ამ უკანასკნელის მიზეზით აღორძინდა კერძოობრივი საკუთრება ინგლისში, საფრანგეთში, იტალიის ნახევარკუნძულზე და ინდოეთში. აქ უსწორობა, მეტ-ნაკლებობა და არისტოკრატია დაპყრობის მიზეზით გაჩნდა. იქ, სადაც-კი მაგ მიზეზს არ უმოქმედნია, კერძოობრივი საკუთრების საბაბად შეიქმნა შრომა. მაგალითებრ, ვინც ახოს გამოიღებდა სათემო მამულში, შეეძლო დაეჩემა ახოდ გამოღებული მიწა კარგა ხნობით. მაგ კარგა-ხნობამ თანდათან იქამდინ იარა, რომ ახო რჩებოდა კაცს, მინამ ცოცხალი იყო და ბოლოს საშვილიშვილოდაც გახდა. ვინც ცარიელს უხმარს მიწას სათემოში, ანუ ტყეს, შემოღობდა შესამუშავებლად, იმას საშვილიშვილოდ შეეძლო დაეჭირა შემოღობილი. ამგვარი მიწები თემის ხელქვევითობიდამ გამოდიოდა, ასე რომ თემს მათზედ

აღარაფერი უფლება არა ჰქონდა. თვით სათემო გარდასახადისაგანაც თავისუფალი იყო". *("ხიზნების საქმის თაობაზედ". 1880 წ.).*

"ეს მიწები სათემო მიწებიდამ გამორჩეული იყო, ცალკე მიეზომებოდა ხოლმე საბლით (დღესაც ჩვენში გლეხისაგან დაჩემებულს და განსაკუთრებულს მამულს "საბლის მამულს" ეძახიან, გასარჩევად სათემო მამულებისაგან. საბლის მამულს ჩვენში სწორედ იმისთანავე სათავე უნდა ჰქონდეს, როგორც ზემოთ მოვიხსენიეთ. გერმანიაში და ნამეტნავად დანიაში ეგ საბლით მიზომვა დაჩემებულის მამულების ჩვეულებად იყო) და ცალკე დაიმიჯნებოდა.

რა თქმა უნდა რომ, რაკი კერძოობრივმა საკუთრებამ სათემოში ცოტად მაინც ფეხი მოიკიდა, ფეხსაც განზედ გასდგამდა. ამ სახით, უფრო შემძლებელი და ღონიერი უფრო ბევრ მიწებს ჩაიგდებდა ხელში. ეგრეც მოხდა. ჯერ თითონ ტაციტის დროს გერმანიაში ზოგს სხვაზედ ბევრად მომეტებული მიწები სჭერიათ თემშივე. ამ სახით ჩამოვარდა კერძოობრივი საკუთრება იქ, სადაც უცხო ხალხთაგან დაპყრობა არ მოხდენილა, მაგალითებრ, გერმანიაში. ამ სახითვე ეპარება სათემო მიწებს იავას კუნძულზედ კერძოობრივი საკუთრება დღესაც.

ეგრეთ აღვირმიშვებულმა კერძოობრივმა საკუთრებამ დასძლია თემობრივი და ბოლოს იქამდინ მიიყვანა, რომ თემი, რომელსაც წევრთა რიცხვი ემატებოდა და მიწები-კი ხელიდამ ეცლებოდა, ვეღარ უძღვებოდა გამრავლებულთ თემის კაცებს და უმამულოდ დარჩენილს კაცს თემის გარეთ უნდა მოენახა სახსარი თავის რჩენისა და გამოკვებისა. თითონ მიწის პატრონებიც, რომელთა ხელში დიდძალი მამულები მოგროვდა, იძულებულ იყვნენ მოეწვიათ მამულის მკეთებელი მუშა, და რომ სამერმისოდაც ჰყოლოდათ, უნდა მამულზედ დაეყენებინათ და ისე მოეხერხებინათ, რომ სამუდამოდაც დაებათ. ერთის მხრით უმამულობა მიწისმომქმედისა და მეორის მხრით უხელობა მიწის მეპატრონეებისა იყო დასაბამი თითონ ბატონ-ყმობისა და იმგვარ მიწისმფლობელობის, რომელსაც ფერმერობას, ხიზნობას და სხვა ამგვარს მიწის ქირით დაჭერას ეძახიან. ამ შემთხვევაში სხვადასხვა ქვეყნებში საოცარი ერთგვარობა და მსგავსება არის". *("ხიზნების საქმის თაობაზედ". 1880 წ.).*

"ჩვენ გვინდოდა ჩვენის შეძლებისამებრ, გვეჩვენებინა, რომ მიწათმფლობელობის განვითარებას ყველგან ერთი და იგივე სათავე ჰქონდა და ერთი და იგივე მომდინარეობა. პირველ-ჟამური მფლობელობა, ანუ ხმარება მამულებისა, _ სათემო მფლობელობა და ხმარება იყო. ამისი ცხადი საბუთები და ნიშნები დღესაც მრავალია ყველგან და ნამეტნავად ჩვენში. ამისი აშკარა მაგალითი ტყისა და საძოვრების სათემოდ ხმარებაა, რომელსაც ჩვენს თვალწინ, ჩვენდა სამწუხაროდ, დღეს სულთებრძვის რუსთა კანონების ზედმოქმედების გამო, და რომლის რწმენაც ჩვენის ხალხის გონებიდამ დღევანდლამდე ვერ გამოდევნა თითქმის ოთხმოცის წლის მოქმედებამ მაგ კანონებისამ. თითქმის ყოველს სოფელში დღესაც ჰნახავთ ერთს წყობას მიწებისას, რომელსაც სათემო მიწებს ეძახიან და სათემოს ხმარებაშია. ჩვენ რომ ამის დამტკიცებას შევუდგეთ უფრო ვრცლად, შორს მოგვივა საქმე და დავშორდებით იმ საგანს, რომელიც აგვიღია გამოსაძიებლად". *("ხიზნების საქმის თაობაზედ". 1880 წ.).*

"რაკი კერძო საკუთრება შეეპარა სათემო მფლობელობას, მას მერმეთ დაპყრობამ, ძლიერთა ძალმომრეობამ, ტაციობამ, სათემო მფლობელობას ბოლო მოუღო, სული ამოხადა და ძლიერთა გაიჩინეს სათემოში საკუთრება კერძოობითი. ეს კერძოდ დაჩემება მამულებისა დროთა მიმავლობაში თანდათან ძლიერდებოდა და ამ გაძლიერებამ

იქამდინ მიიყვანა საქმე, რომ ერს ყველგან ერთი და იგივე დღე დააყენა: უმრავლესს ჩამოართვა თითქმის მიწები და უმცირესს დაულოცა. იმის დასანახავად, თუ სადამდი მიაღწია კერძო საკუთრების გაძლიერებამ, სამყოფია მოვიყვანოთ მაგალითად ოთხი უმთავრესი სახელმწიფო ევროპისა. მით უფრო, რომ ეგ ოთხი სახელმწიფოა მესვეური კაცობრიობის ცივილიზაციისა.

საფრანგეთში დიდ რევოლუციამდე _ ერთი-მეხუთედი მთელი სამეურნეო მიწებისა დაიჩემა ხაზინამ, ერთი-მეხუთედი ეკლესიამ, ერთი-მეხუთედი დიდკაცობამ, დანარჩენი ორი მეხუთედი შუა-წოდების (ბურჟუაზიის) და გლეხობის წილად დარჩა. რევოლუციამ შესცვალა ეს რაოდენობა წილებისა, მაგრამ ამ შეცვლაში მარტო ბურჟუაზიამ მოიგო, გლეხობა კი, მეცნიერის ლეონს-ლავერნეს სიტყვით, ერთის მეხუთედიდამ მეექვსედზედ და მეშვიდეზედ ჩამოხტა. 1815 წელს, ესე იგი თითქმის პირველვე ხანებში დიდი რევოლუციის შემდეგ, დიდმამულიანები იყვნენ სულ 21.456 სახლობა, და ეჭირათ ყველას ერთად 19.000.000 ჰექტარი (ჰექტარი ჩვენებურს ორს დღიურზედ ცოტა ნაკლებია) მიწა. თვითოეულს სახლობაზედ ორთა-შუა ანგარიშით მოსდიოდათ 880 ჰექტარი. შუათანა მემამულენი იყვნენ 168.043 სახლობა და ეჭირათ 10.500.000 ჰექტარი. თვითოეულს მოსდიოდათ 62 ჰექტარი, და წვრილნი მემამულენი 3.583.901 და ეჭირათ 15.250.000 ჰექტარი. ამათ შორის ერთს მილიონზედ მეტი იმისთანანი ყოფილან, რომელთაც თითო სახლობაზედ დღიურზედ ნაკლები მიწა მოსდიოდათ, და 851.230 იმისთანა, რომელთაც სამ-სამი დღიური მიწა ძლივ მოსდიოდათ. აქ ისე გამოდის, რომ თითქმის ორ მილიონს სახლობას ორი მილიონი ჰექტარი სჭერიათ მაშინ, როდესაც 21.456 სახლობას ცხრამეტი მილიონი. ბოლოს, თუმცა მიწათმფლობელთა რიცხვმა იმატა, მაგრამ სივრცით-კი თვითოეულის მფლობელობამ თითქმის იმოდენადვე იკლო". *("ხიზნების საქმის თაობაზედ". 1880 წ.).*

"პრუსიაში, 2.141.364 მიწათმფლობელთა შორის 18.320 სახლობა იმისთანანი არიან, რომელთაც დაუჩემებიათ 41.117.312 მორგენი (მორგენი დილაა ნემეცურად. როგორც ჩვენში, რაც ერთს დღეს მოიხვნის, ერთს დღიურს ეძახიან, ისე ნემეცებიც ერთის დილის ნახნავს მორგენს ეძახიან და უდრის ჩვენს ნახევარს დღიურს, რადგანაც დილის ხვნა შუადღემდი იგულისხმება. ჩვენს მთიულებში, ნახევარს დღიურს ერთს საშაბათოს ეძახიან, რადგანაც შაბათობით მარტო შუადღემდინ ჰხვნენ, დანარჩენი დრო-კი კვირაძალია) მიწა; 15.079 იმისთანანი, რომელთაც უჭერიათ 6.048.228 მორგენი; 391.561 იმისთანანი, რომელთაც აქვთ 35.918.047 მორგენი; 617.420 იმისთანანი, რომელთაც აქვთ 8.428.751 მორგენი და 1.099.333 სახლობას-კი სულ უჭირავს 2.227.812 მორგენი. აქ ასე გამოდის, რომ 18.320 სახლობას თითქმის ერთი ოცად მეტი მამულები უჭირავთ, ვიდრე ერთს მილიონზედ მეტს სახლობასა". *("ხიზნების საქმის თაობაზედ". 1880 წ.).*

"ინგლისში მთელის ინგლისის სამეურნეო მიწები დაჩემებული აქვთ სულ 30.7000 სახლობასა, დანარჩენი სოფლის ხალხი-კი სულ უმამულოა თითქმის". *("ხიზნების საქმის თაობაზედ". 1880 წ.).*

"ამ სახით, თუ ცოტა მეტნაკლებობით, ყველგან დიდკაცობამ ღონითა და მძლავრობით დაიჩემა მიწები და უღონო გლეხნი ცარიელზედ გაიყვანა. ცნობილია, რომ ერთს კომლს კაცს სულ ცოტა-ცოტა ათი დღის მიწა მაინც უნდა ჰქონდეს, რომ თავის მამულის ანაბარას დარჩეს და თავი ირჩინოს ცოლ-შვილითა. ეს რომ სახეში ვიქონიოთ და ზემოთქმული სქემა მიწების მორიგებისა, აშკარად დავინახავთ, _ რა დიდძალი მიწათმომქმედი კაცი იძულებული იქნებოდა თავის მამულს გარეთ ეძია სახსარი

ცხოვრებისა და რა დიდძალი მუშტარი ეყოლებოდა მიწის მეპატრონესა. მუშტრის სიმრავლეს ყველგან ერთი და იგივე შედეგი მოსდევს: შოვნის პირობას ამძიმებს და თითონ საშოვარსაც ფასს უმატებს. ესეც მოუხდა უმამულოდ დარჩენილს გლეხობასა, და ვინ იცის სიძვირე და სიმძიმე მამულის შოვნისა სადამდე მიაღწევდა, თუ რომ ამ უნუგეშობას არ დაჰყოლოდა ერთი ნუგეში, რომლის მეოხებითაც სიმძიმე მამულის შოვნისა ცოტად თუ ბევრად შეუმსუბუქდათ. ეგ ნუგეში იმაში მდგომარეობდა, რომ თითონ მამულის პატრონებს, რომელთ ხელშიაც მოგროვდა დიდძალი უკანონო მამულები, უჭირდათ გლეხის თავი, ჯერ როგორც მუშაკაცისა და მერმე როგორც მამულით საზღვრების დამცველისა". *("ხიზნების საქმის თაობაზედ". 1880 წ.).*

"წინათაც ვსთქვით და ეხლაც ვიმეორებთ, რომ ერთის მხრით ამ გაჭირვებამ მამულის მეპატრონეებისამ და მეორეს მხრით გლეხის უმამულობამ, _ მემამულე გლეხთან მიიყვანა და გლეხი მემამულესთან. მოსარიგებლად მარტო ერთგვარი პირობა შესაძლო იყო ამ მდგომარეობაში: მიწის პატრონი უთმობდა გლეხს მიწის გამოსავალს და გლეხი ამაგისას. ამ სახით ჩამოვარდა ერთ-გვარი ხმარება მიწისა, რომელსაც მიწის ქირავნობას ეძახიან. ამ გარემოების გამო, ქირით ჭერამ მამულე-ბისამ ფეხი აიდგა და დღესაც მომდინარეობს". *("ხიზნების საქმის თაობაზედ". 1880 წ.).*

"რადგანაც დიდ რევოლუციამ საფრანგეთში, და ზოგიერთგან დღესაც, მთელი გამგეობა და კანონმდებლობა თითქმის მემამულეთა ხელში იყო, და რადგანაც კანონის ჩარევა მიწისმფლობელობის საქმეში არ იყო სახეირო მემამულეთათვის, ამიტომაც კანონს ხელი არ ჩააკიდებინეს მიწათმფლობელობის საქმეში და ყველგან აღიარეს ის მოძღვრება, რომლის წყალობითაც ყოველივე საკუთრება მიწისა უწილობელი და ხელშეუხებელია, ესე იგი, ვერაფერი და ვერაგვარი საზოგადო გაჭირვება ხელს ვერ გაიწვდენს კერძო საკუთრებაზეო. ამ სახით, უძრავს ქონებას ჩამოართვეს ის ელემენტი, რომლითაც იგი, ფიხტეს სიტყვით, კერძო კუთვნილებასთან ერთად საზოგადო კუთვნილებასაც შეადგენს. კანონმა რომ ზურგი შეაქცია მიწათმფლობელობის საქმეს, წარმოსდგა ერთი იმისთანა მეოხი, რომელიც ზოგჯერ რჯულთ უმტკიცესიც არის, ნამეტნავად მიწის ხმარების საქმეში. ეგ მეოხი _ ჩვეულებაა. მაგან მიიღო თავის მფარველობის ქვეშ კანონისაგან თავმინებებული საქმე და დროთა მიმავლობაში დაადგინა კიდეც წესი მიწათ-ქირავნობისა". *("ხიზნების საქმის თაობაზედ". 1880 წ.).*

"მიწათ-ქირავნობის მსვლელობაში ორი განსაკუთრებული მიმართულება აღმოჩნდა: ერთმა თავი იჩინა იმაში, რომ მამულის ქირა, ანუ ღალა, დროთა მიხედვით იცვლებოდეს და თითონ მამულის ჭერაც წინათვე განსაზღვრულ ვადით იყოს; მეორემ იმაში, რომ ერთხელ დადგენილი ღალა უცვალებელი იყოს და თითონ მამულის ჭერასაც ვადა არ ჰქონდეს წინათვე დანიშნული. პირველი მიმართულება სავსედ გამოისახა ეგრეთწოდებულ ფერმერობაში, და მეორე მასში, რასაც მეცნიერნი ეძახიან მემკვიდრეობითს ქირავნობას და რასაც ჩვენში, ჩვენის ფიქრით, ხიზნობა ჰქვიან. ეს ორი სრული სახეა მიწათ-ქირავნობისა ქვეყანაზედ, და თუმცა ამ ორ სახეს შუა არის იმისთანა ქირავნობა, რომელშიაც ვერ ჰპოვებთ სრულს ნიშნებს ვერც ერთისას, ვერც მეორისას, მაგრამ არსებითის თვისებით-კი უსათუოდ ან ერთს ეკუთვნის, ან მეორეს". *("ხიზნების საქმის თაობაზედ". 1880 წ.).*

"პირველს მიმართულებაში გამარჯვებულია ის ელემენტი საკუთრებისა, რომლითაც იგი მარტო კერძო კუთვნებად ცნობილია, მეორეში-კი ფეხადგმულია ის ელემენტი, რომლითაც საკუთრება საზოგადო გაჭირვებას ემსახურება. პირველის დროშა

ხელთ უპყრიათ მემამულეთა, მეორისა მიწათმომქმედსა მუშაკაცსა. პირვე-ლის ფარ-ხმალი კანონია, მეორისა _ ჩვეულება". *("ხიზნების საქმის თაობაზედ". 1880 წ.).*

"ხნით, პირველი სახელი მიწის-ქირავნობისა მოსავლის წილზედ ჭერა იყო და მოკლეს ვადით. ეგრეც უნდა ყოფილიყო, რადგანაც სათემო მფლობელობის შერყევის პირველ ხანებში _ გლეხობას, ანუ უკეთ ვთქვათ მიწათმოქმედებსა, ჯერ ბინა სათემოში მოშლილი არ ექნებოდა და, მაშასადამე, თუ გაიწევდა სხვის მამულისაკენ, მარტო იმისათვის, რომ მამული ეხმარა მოკლეს ვადით, და არა იმისათვის, რომ მამულში ბინაც მოეკიდნა. ეგ წილზედ-ჭერა მამულებისა და მოკლეს ვადით _ უძველეს დროებშივეა შემოღებული, ყველგან ყოფილა და დღესაც არი ძველთაგანვე დარჩენილი. ევროპაში ეგ შემოვიდა რომაელთაგან. ჯერ კიდევ კატონი და პლინი იხსენიებენ მაგგვარს მიწის ჭერას. რომაელთაგან დამკვიდრდა იტალიაში და აქედამ გადვიდა სხვა ქვეყნებშიაც. აქ, იტალიაში, მიწებს აძლევდნენ მოსავლის წილზედ ჯერ თითო წლობით. ერთს წელიწადს მეორეც ზედ მოჰყვა, მეორეს _ მესამე იმავე პირობითა, და ბოლოს ეს განახლება ვადისა ერთისა და იმავე პირობით ისე გახშირდა და შეეთვისა ხალხს, რომ ჩვეულებრივ საქმედ შეიქმნა. ამით წახალისებულნი გლეხნი და დაიმედებულნი, ბინასაც იკეთებდნენ ნაქირავებ მამულშია და მოიკიდეს კიდეც. გამრავლებული სახლობა გლეხისა, რასაკვირველია, ამას ხელს უწყობდა. მეტი კაცი გლეხის სახლობიდამ იძულებული იყო მოჰკიდებოდა ბინას სხვის მამულში, რადგანაც პირვანდელი საკომლო სამყოფი იქნებოდა ყველასათვის". *("ხიზნების საქმის თაობაზედ". 1880 წ.).*

"ეს ერთისავე და იმავე პირობის შეუშლელად განმეორება წლიდამ წლობით დიდი ხნის განმავლობაში ხალხის სულსა და ხორცში ფეხს იკიდებდა და ბოლოს იქამდინ მივიდა, რომ მართლა ჩვეულებად შეიქმნა და ერთხელ დაჭერილი მიწა საშვილიშვილოდ გადადიოდა მეკომურის მემკვიდრეებზედ ერთისა და იმავე ღალითა. ამას იტალიაში livello-ს ეძახიან და ლომბარდიასა და ტოსკანიაში ამგვარი მიწათმფლობელობა მეტად გახშირებულია. თუმცა გლეხსაც ნება აქვს, როცა უნდა აიყაროს და მემამულესაც _ როცა უნდა აჰყაროს, მაგრამ ჩვეულებამ ისეთის სიმტკიცით მიიღო თავის მფარველობის ქვეშ ეს წესი მიწათმფლობელობისა, რომ ვერც გლეხი ჰბედავს უმიზეზოდ აყრასა _ შიშით, რომ სახელი წამიხდება და სხვა აღარავინ მიმიღებსო, და ვერ მემამულე _ იმის შიშით, რომ აღარავინ მომეკარებაო და მიწას ვეღარას გამოვრჩებიო. თუ ან გლეხმა არ შეასრულა რიგიანად თავისი მოვალეობა და მით აიძულა მემამულე აჰყაროს, ან მემამულემ ღალა მოუმატა და მით იძულებულ ჰყო გლეხი აიყაროს, მთელი ხალხი, დიდი თუ პატარა, ქვეყნის სამარცხვინოდ გახდის გლეხსაცა და მემამულესაცა. ასე ძლიერად მოქმედობს აქ ჩვეულება. თუმცა ამგვარი წესი მიწათმფლობელობისა იტალიის კანონებში გარკვევით არ არის აღიარებული და მარტო ჩვეულების ფარქვეშა სდგას, მაგრამ მაინც მკვიდრად სუფევს, და ამის მიზეზს ჯერ იმაში ხედვენ, რომ იტალიის მემამულენი თითონ არ მოქმედობენ თავიანთ მამულებში და მუშაობას არ ეწყობიან, და მერმე იმაში, რომ ღალა დიდია: ზოგან ორი-მესამედი მოსავლის, ზოგან ნახევარი და ზოგან მესამედი". *("ხიზნების საქმის თაობაზედ". 1880 წ.).*

"საფრანგეთში, საცა გლეხობა უმამულობით ისე შევიწროვებული არ არის, როგორც სხვაგან, საცა სოფლის გლეხობას უფროს-ერთგან თავის საკუთარს მამულში აქვს ბინა, რასაკვირველია, არავითარი მიზეზი არ იქნებოდა, რომ გლეხი სამუდამოდ მოსჭიდებოდა მამულის ქირავნობასა და არც მამულის პატრონი ინდომებდა უვადოდ დაეფარა თავისი მამული სხვის ხელში, რადგანაც საფრანგეთში უფროს-ერთგან

მემამულენი თითონ ტრიალებენ თავის მამულში და მიწებს თითონ ამოქმედებენ. ამის გამო აქ მემკვიდრეობითმა ქირავნობა ფეხი ისე ვერ გაიდგა, როგროც იტალიაში და უფროს-ერთგან გაჩერდა მარტო ვადით მამულის გაცემაზედ თითო წლობით და სამ-სამ წლობითა. მაგრამ მაინც კიდევ მემკვიდრეობითი ქირავნობა მამულებისა, როგორც იტალიური livello, ბრეტანში, ელზასში (ბრეტანში ამგვარს მფლობელობას ეძახიან quevause, ზოგან _ domaine canjeable, ელზასში _ erbracht), საზოგადო ჩვეულებად არის მიღებული, იმ პირობით-კი, რომ მემამულეს სრული ნება აქვს აჰყაროს მამულის მოქირავნე, როცა-კი სურს, მხოლოდ უნდა უზღოს დანაკლისი გარეშე კაცთა გადაწყვეტილებისამებრ". *("ხიზნების საქმის თაობაზედ". 1880 წ.).*

"პრუსიასა, საქსონიასა და ჰესენში ამგვარი მემკვიდრეობითი ქირავნობა ძალიან გახშირებულია. აქაც ამგვარს მფლობელობას erbracht-ს ეძახიან, როგორც ელზასში.პორტუგალიაშიც ხშირია ამგვარი მიწათ-ქირავნობა და ჰქვიან aforamento. აქ მიწებს უვადოდ აქირავებენ, იმ პირობით კი, რომ ერთხელ დადგენილი ღალა, რომელსაც ვერც მემამულე მოუმატებს და ვერც მოქირავნე დაუკლებს, უდავიდარაბოდა ეძლეოდეს მამულის პატრონსა. აქ aforamento განუყოფელია, ესე იგი, მემკვიდრეთა შორის ვერ გაინაწილება, და თუ aforamento-ს მჭრელი ამოწყდება, მამული მხოლოდ მაშინ უბრუნდება პატრონსა". *("ხიზნების საქმის თაობაზედ". 1880 წ.).*

"სრულსა და სავსე სახეს მემკვიდრეობითის ქირავნობისას წარმოადგენს ჰოლანდიის პროვინცია გრენინგენი, საცა მაგგვარს მფლობელობას Beklem-regt-ს ეძახიან, Beklem-regt-ი იმგვარი მემკვიდრეობითი მფლობელობაა მიწისა, საცა ყოველწლივ მოქირავნემ უნდა იხადის ერთხელ ჩვეულებით დადგენილი ღალა, რომელსაც ვერასდროს ვერ შესცვლის მემამულე". *("ხიზნების საქმის თაობაზედ". 1880 წ.).*

"Beklem-regt-ის მფლობელსა, ანუ უკეთ ვსთქვათ, ამგვარს მიწის მოქირავნესა არამცთუ მემკვიდრეობით უჭირავს მამული, არამედ ნება აქვს მემამულის დაუკითხავად ვისაც უნდა უანდერძოს, მიჰყიდოს, მიაქირავოს, დაუგირაოს, იმ პირობით-კი, რომ თუ Beklem-regt-ს გადასცემს ან გაყიდვით, ან მემკვიდრეობით, ყოველს ამისთანა შემთხვევაში მემამულეს ერთისა თუ ორის წლის ღალის ფასი უნდა მიეცეს გარდა ყოველწლიურის ღალისა. ყოველივე შენობა და ნაკეთობა ამგვარს მამულში მოქირავნეს საკუთრებად არის აღიარებული და თუ რომელიმე მიზეზით Beklem-regt-ობა შესწყდა, მაშინ მემამულემ შენობისა და ნაკეთობის ფასი უნდა მოქირავნეს უზღოს". *("ხიზნების საქმის თაობაზედ". 1880 წ.).*

"აქ მოყვანილ მაგალითებიდამა სჩანს, რომ ყველგან მიწისმფლობელობა მიიზიდება, თუმც-კი ფეხმძიმედ, იქით, რომ მაგ მფლობელობას მუშაკაცის ხელში მუდმივობა დაუმკვიდროს ერთისა და იმავე უცვალებელის ღალითა; ყველგან ისე მიიმართება, რომ მიწის საკუთრებაში ფეხი მაგრად მოაჭიდინოს საზოგადო ინტერესების შესაფერს ელემენტსა". *("ხიზნების საქმის თაობაზედ". 1880 წ.).*

"მეცნიერთა აზრით, მემკვიდრეობითი ქირავნობა მიწისა შუა საუკუნოების დასაწყისში ჩამოვარდა და პირველად მონასტრებმა შემოიღეს თავის მამულებში. დიდძალი მამულები, რომლებიც მონასტრების ხელში მოგროვდა, უქმად დარჩებოდა, რომ უმამულო კაცი არ მოეწვიათ მამულების საკეთებლად. მოწვეულებისათვის ბინაც უნდა მოეკიდებინათ მამულში, რომ მიწების კეთება და მამულებიდამ გამორჩომა სადღე-ხვალიო საქმედ არ შექმნილიყო და სამუდამოდ ყოფილიყო. ამიტომაც მონასტრებს გადმოსახლებულებისათვის ცოტა თუ ბევრი შეღავათი უნდა მიეცათ და მით

გადმოებირებინათ ხალხი. ეგ შეღავათი მარტო მხოლოდ ორის საგნის შესახებ თუ იქნებოდა: ღალისა და მამულის ჭერის ვადისა. მიწათმომქმედს ხელს არ მისცემდა ბინა მოეკიდნა სხვის მამულში, თუ დაიმედებული არ იქნებოდა, რომ დიდხანს იქნებოდა მამულში და ერთხელ მორიგებული ღალა აღარ იმატებდა. პირველ ხანებში ვადა მამულის ჭერისა ათ წლამდე ადიოდა. ამის შემდეგ მონასტრებს ნება ჰქონდათ დაეთხოვნათ მოქირავნე მამულიდამ, მაგრამ რაკი შენობისა და ნაკეთობის ფასი უნდა გადაეხადნათ მოქირავნის სასარგებლოდ, ამიტომაც მაგ უფლებას ფრთა მოკვეცილი ჰქონდა. მონასტრების მიხედვით სხვა დიდმამულიანებმაც ნახეს ხეირი მაგგვარად მამულის გაქირავებაში და შემოიღეს მემკვიდრეობითი ქირავნობა, რომლის მაგალითები ზევით მოვიყვანეთ და რომელიც ზოგან ჯერ შემთავრებული არ არის, და ზოგან-კი, როგორც პორტუგალიასა და ჰოლანდიაში, სრული სახე აქვს". *("ხიზნების საქმის თაობაზედ". 1880 წ.).*

"ინგლისი ერთი იმისთანა ქვეყანა არის, საცა მეორე გვარმა მიწის მფლობელობისამ, სახელდობრ ფერმერობამ, თავი იჩინა სრულის თავის თვისებითა და თითქმის უნაკლულოდ. მაგრამ აქაც მემკვიდრეობითი ქირავნობა მიწისა თითქმის დღეს, ჩვენ თვალწინ, იდგამს ფეხსა. ამიტომაც კვალში რომ ჩაუდგეს კაცი მიწათმფლობელობის მსვლელობას ინგლისში, მეტად საინტერესო იქნება". *("ხიზნების საქმის თაობაზედ". 1880 წ.).*

"ხიზნობის დასაწყისი და სათავე ეს არის და არა რაღაც ჭირი და შიმშილი, როგორც ზოგიერთს ჰგონია, ამას გვემოწმება ისტორია მთელის კაცობრიობისა. ესე ყოფილა ყველგან და ესე იყო ჩვენშიაც. ამას იმიტომ ვამბობთ, რომ იგი ერთგვარი წესი სხვისა მიწის ხმარებისა, რომელსაც ჩვენ ხიზნობას ვეძახით, მარტო ჩვენში არ არის: იგი ყველგან არის, ყველგან დღესაც არსებობს, განსხვავება მხოლოდ სახელებშია და ზოგიერთ წვრილმანებში; ხოლო ბუნება და არსება კი ყველგან ერთი და იგივეა". *("ხიზნების საქმე". 1886 წ.).*

"ჩვენში ხშირად იციან, რომ როცა ჩვენის ცხოვრების რომელსამე ვითარებას სხვისის ისტორიით ვხსნით, არა ჰხედვენ იმისთანა მოვლენას, რომელსაც საერთო კაცობრიობის თვისება და ხასიათი აქვს და თავის გასამართლებლად იძახიან ხოლმე, ან ჩვენს ცხოვრებას, ან ჩვენს ისტორიას საერთო რა აქვს დანარჩენ ქვეყნიერობის ცხოვრებასა და ისტორიასთან, რომ ამა და ამ ვითარებასა ჰქონდესო. რომ ასე უმართლოდ და სუბუქად არ მოიწიონ ზემოთქმულის აზრების დასარღვევად, ჩვენ მოვიყვანთ მოწმად ლაველეს, ამისთანებში მთელს ევროპაში განთქმულს მეცნიერს, რომელიც იმის საბუთად, რომ მიწის-მფლობელობის საქმე ყველგან ერთნაირად წამართულია, ამბობს:

"ჩვენ ხშირად გაუკვირვებივართ ერთს ამბავს. რომელიმე ჩვეულებანი, რომელიმე წესნი, მუდამ წარმოდგენილნი გვქონდა ვითომც ერთის რომელისამე ერის კუთვნილებანი არიან, მაშინ როდესაც იგივე ჩვეულებანი, იგივე წესნი ჰქონიათ ბევრს სხვა ერსაცა, და ეკუთვნიან იმ ჩვეულებათა რიცხვს, რომელნიც ყოველს ადგილას ყოფილან და რომელთ ზედმოქმედების ქვეშაც მთელს კაცობრიობას გამოუვლია თავისის წარმატების და ცივილიზაციის მძიმე გზა". *("ხიზნების საქმე". 1886 წ.).*

"პირველხარისხოვანი მეცნიერი ევროპისა ჰენრიხ მენი, გვირჩევს რა, რჯულიერების სათავის ასახსნელად ვიხმაროთ მეთოდი შედარებითის ისტორიულის გამოკვლევისა, ამბობს:

"მაშინ ცხადი იქნებოდა, რომ რჯული, კანონი, ადამიანის თვითნებობისაგან კი არ არის წარმომდგარი, არამედ რომელთამე ეკონომიურ მოთხოვნილებათაგან ერთის

მხრით, და მეორე მხრით იმ სიმართლის მცნებისაგან, რომელიც წარმომდინარეობს ზნეობრივისა და რელიგიურის გრძნობისაგან. ეგ მოთხოვნილებანი, ეგ იდეები, ეგ გრძნობანი _ ყველგან ერთი და იგივენი იყვნენ და ერთნაირად მოქმედობდნენ ყველა საზოგადოებაზდ მის განვითარების რომელსამე ხანაში. ხოლო არ არის ყველა ერი მდიდარი ერთისა და იმავე ბიჯით განვითარების გზაზედ". *("ხიზნების საქმე". 1886 წ.).*

"ამ სახით, არავინ არ უნდა გაიკვირვოს, რომ ერთი და იგივე წესი მიწათმფლობელობისა, თუ ხმარებისა, მოიპოვებოდეს ერთმანეთზედ ძლიერ დაშორებულ ქვეყნებშია ერთისა და იმავე სახით, ერთისა და იმავე ბუნებითა. რომ ჩვენი ხიზნობაც არ არის იმისთანა განსაკუთრებული მოვლენა, რომელიც მარტო საქართველოს ერს ეკუთვნის და სხვაგან არ მოიძევება, მტკიცდება იმითი, რომ იგი ყველგან არის, თუმცა სხვადასხვა სახელითა, მაგრამ ბუნებითად, არსებითად კი ისეთის მსგავსებითა, რომ კაცს აკვირვებს. იგი გვარი სხვისა მიწის ხმარებისა, რომელსაც ჩვენს ხიზნობას ვეძახით, არის გერმანიაში და ჰქვიან ერბრახტი. ჰოლლანდიაში ჰქვიან ბეკლემრეხტი, საფრანგეთში სხვადასხვა ადგილას სხვადასხვა სახელი ჰქვიან, მაგალითებრ, ბრეტანში _ ქვევეს, სხვაგან _ დომენ კონჟეაბლ. იტალიაში _ ლიველლო, პორტუგალიაში _ აფრომენტო, ინგლისში _ ოლსტერის ჩვეულება, რუსეთში _ ჩინში". *("ხიზნების საქმე". 1886 წ.).*

"სრული, დამთავრებული სახე ხიზნობისა პორტუგალიის აფრომენტოა და უფრო ჰოლლანდიის ბეკლემრეხტი. სხვები კი, და მათ შორის ჩვენებური ხიზნობაც, იმავ მიზეზით წარმომდგარი, იმავ ბუნებით აგებული, იმავ გზაზედ მიმ დინარი, ერთმანეთში იმით სხვადასხვაობენ, რომ თავის განვითარების გზაზედ ზოგს ნელის ბიჯით უვლია და ბოლომდე ჯერ ვერ მიუღწევია, ზოგი თითქო შუა გზაზედ შემდგარა, ზოგს სხვადასხვა ისტორიული გარემოება გადაჰღობებია. ერთის სიტყვით ამ სხვადასხვასახელებიან ხიზნობათა შორის იგივე განსხვავებაა, რაც მოზარდსა და დავაჟკაცებულ ადამიანთა შორის: მოზარდი აგებულებით, ტანით, ხელით, ფეხით იგივე ადამიანია, ხოლო განსხვავება იმაშია, რომ ერთი დამთავრებულია და სრული. მეორე ჯერ კიდევ გაზრდის გზაზეა. სწორედ ამ გაზრდის გზაზე მოასწრო დღევანდელმა დღემ ჩვენ ხიზნობასა, თუ ჰოლანდიის ბეკლემრეხტთან შევადარებთ. მერე ვნახავთ, ეს გზა საით არის მიმართული". *("ხიზნების საქმე". 1886 წ.).*

"მეცნიერთაგან გამოძიებულია, რა ხნიდამ ჩამოვარდა იგი წესი სხვისა მიწის ხმარებისა, რომელსაც სხვადასხვა ადგილებში სხვადასხვა სახელი ჰქვიან და ჩვენში-კი _ ხიზნობა. დასაბამი საშუალ-საუკუნოებია, როცა მონასტრებმა და სხვილმა მებატონეებმა დიდძალი მიწა-წყალი ასე თუ ისე ხელში მოიგდეს. რადგანაც მაშინ მიწას დიდი ფასი არა ჰქონდა, ბერები ადვილად უთმობდნენ მონასტრის მიწებს მიწათმომქმედებსა სახმარად, აძლევდნენ დასაბინავებელს ადგილს, სახნავ-სათესს, ტყეს და საძოვარს იმ პირობით-კი, რომ მონასტრებისათვის მორიგებული სამსახური გაეწიათ და ღალა ეძლიათ. ამნაირად მონასტრებს ყოველწლივ ცოტა თუ ბევრი შემოსავალი ჰქონდათ იმ მიწა-წყლისაგან, რომელნიც უამისოდ არას იძლეოდნენ და, უხელოდ დარჩენილნი, მუქთად ეყარნენ. სხვილთა მემამულეთაც ამავე სახით დაასახლეს თავისი უკაცო მამულები და მონასტრის პირობანივე დაუდვეს მიწათმომქმედთა. "სჩანსო, _ ამბობს ერთი მეცნიერი (იხილე წიგნი: "პირველყოფილი საკუთრება", გვერდი 247), _ რომ ამ შემთხვევაში მამულის პატრონებმა შეირჩინეს ნება ადგილიდამ დათხოვნისა, მიწა-წყლის ჩამორთმევისა ათს წელიწადში ერთხელ. გარნა ამ ნებას ვერ ამოქმედებდნენო, რადგანაც ჯერ შენობის ფასი

უნდა ეზღოთ დათხოვნილისათვის, და მერე ძნელი საშოვარი იყო სხვა კაცი, რომ მიწები აეღო სახმარადაო". *("ხიზნების საქმე". 1886 წ.).*

"ამ სახით, ესე გაცემა მიწებისა ჩვეულებად გადიქცა და მონასტრები და სხვილი მემამულენი ამ ჩვეულების ძალით რჩებოდნენ რასმე თავის უქმად და უკაცოდ დარჩენილს მამულებსა. რადგანაც მამულის ამღები კაცი ძნელად საშოვარი იყო და მემამულისათვის არ იყო სახეირო უქმად გდება მიწებისა, თქმა არ უნდა, ეს გარემოება ცილობას შეჰქმნიდა. ცილობა რაში უნდა გამოთქმულიყო? იმაში, რომ ერთს მეორეზედ უფრო მეტი შეღავათი უნდა მიეცა მიწათმომქმედისათვის, უკეთესი პირობა აღეთქვა, რომ მიწათმომქმედნი თავისაკენ მოეზიდნა. ამის გამო ვხედავთ, რომ სხვისა მიწის ხმარება, ჯერ დროებითად დადგენილი, თანდათან უფრო გახანიერდა და XVI საუკუნის არეულ-დარეულს დროს სამკვიდროდ და საშვილიშვილოდ გადიქცა. ამ გზაზედ ერთხელ შემდგარმა იარა, იარა ჩვეულების საფარველქვეშ, შეღავათი და უფრო და უფრო მიწათმომქმედისათვის სახეირო პირობანი უმატა, და ბოლოს ხომ თავისი სრული, დამთავრებული სახე მიიღო და ჰოლანდიის ბეკლემრეხტად გადიქცა. აი დასაწყისი და ბოლო ხიზნობისა". *("ხიზნების საქმე". 1886 წ.).*

"იტალიაში, როშერის სიტყვით, ხიზნობის მსგავსის წესით ხმარება, ანუ მფლობელობა სხვის მიწისა, რომის რჯულიერებიდამ გადმოვიდა. გაცემა მამულებისა ამ სახით იხსენება სიგელებში VI საუკუნედამ დაწყებული XIII საუკუნემდე. მიწები, რომელნიც ჯერ გაუტეხელნი და უქმად იყვნენ უკაცობით და უხელობით, პატრონებს მეტი სხვა რა გზა ჰქონდათ, არ გაეცათ, რომ რაიმე გამორჩომა ჰქონოდათ. რადგანაც თითონ მამულებს ვერ აუვიდოდნენ და კაციც ძნელი საშვარი იყო. რა თქმა უნდა, მიწის ამღებისათვის კაი პირობა უნდა დაედვათ, რომ მოებირათ და თითონაც მამულიდამ შემოსავალი შემოსვლოდათ. აქედამ წარმომდგარი წესი მიწის გამცემისათვისაც და ამღებისათვისაც სასარგებლო იყოო, ამბობს როშერი, და ამიტომაც საკვირველი არ არისო, რომ საშუალ-საუკუნოებში სხვილი მემამულეები, რომელთაც არც ფული ჰქონდა მამულის საკეთებლად და კაციც ძნელად ეშოვებოდათ, ამ გზით შეუდგნენ მამულის გამოყენებას, რომ რაიმე ხეირი ენახათ. იტალიაში თავდაპირველადმვე მიწის გაცემა და აღება წილზედ იყო. და გარდა ამისა, ზოგიერთი სხვა სამსახურიც ედვა ამ ჩვეულების ძალით სხვისა მიწისმფლობელსა. რადგანაც მამულიდამ აყრას ერთხელ დასახლებულის ხიზნისას ძნელად ჰბედავდნენ შიშით, რომ წავა და სხვას ვეღარ ვიშოვიო. და რაც შემოდიოდა, იმასაც დავკარგავო. ამიტომაც ამგვარი აღებ-მიცემა მიწისა უფრო-და-უფრო გახანიერდა და ვადადაუდებელ მიწისმფლობელობად გადაიქცა და ერთხელ გარიგებული ღალა და სამსახური ერთს ჭდეზედ დადგა. ეს პირობანი მამიდამ შვილზედ უცვლელად და ხელუხლებლად გადადიოდა, ასე რომ მამულის პატრონს ნება არა ჰქონდა შეეცვალა რამ, რადგანაც ჩვეულებად გარდაქმნილი წესი ჩვეულებამვე მიიღო თავის მფარველობის ქვეშ და გულმოდგინებით ჰპატრონობდა.

ამ სახით, იტალიაში ეს წესი, რომელიც ვიმეორებთ _ მარტო ჩვეულების ძალით არსებობდა, ყველგან იყო გავრცელებული საშუალო საუკუნოებში. ეხლა კი მარტო პიემონტსა, ტოსკანასა და ლომბარდიაშიღა არის და სხვაგან კი თანდათან ისპობა. ჯერ კიდევ 1861 წელს იტალიაში, საცა 1.264.753 გლეხი-მესაკუთრე ითვლებოდა, გლეხი-ხიზანი თითქმის მაგოდენივე იყო, სახელდობრ, 1.248.286. ხსენებული წესი ეხლა თანდათან ისპობა იტალიაში, იმიტომ კი არა, რომ ბუნებითად გამოუსადეგარი და უგვანი რამ წესი იყო, არამედ იმიტომ, რომ იტალიაში, როგორც ბევრგან სხვაგან,

რჯულმა, კანონმა მხარი არ მისცა, მფარველობა არ გაუწია წესსა, რომელიც თვით ცხოვრებამ გააჩინა, ჩვეულებად აქცია და ჩვეულებამ გაავრცელა და პატრონობა გაუწია წამდენიმე საუკუნე იმ წყლულის ცოტად თუ ბევრად გასამრთელებლად, რაიც მიწისა და ხელის განცალკევებამ დიდ მუწუკად აუჩინა კაცთა საზოგადოებრივს ტანსა. არ მისცა მხარი და მფარველობა არ გაუწია ჯერ იმიტომ, რომ რჯულსა, კანონს, პირად საკუთრების ხელშეუხებლობაზედ აგებულს, როგორღაც თვალში არ მოსდის და ეხამუშება ვადადაუდებელი ხმარება სხვის მიწისა, ერთისა და იმავე ღალითა; და მეორე იმიტომ, რომ ხელშეუხებლობა პირადის საკუთრებისა _ მართლა, თუ ტყუილად _ მერმისის ქვაკუთხედად აღიარებულია, და ყოველს, რაც ჰზღუდავს და ჰხუთავს ამ ხელშეუხებლობას, რჯული ძნელად იშვნევს, ძნელად იწყნარებს. ამიტომაც ვსთქვით ჩვენ წინა წერილში, რომ თუ რამ ცუდია დღევანდელ საადგილმამულო მფლობელობის აგებულებაში, ეგ ცუდი სათავეშივე უნდა მოიჩხრიკოს.

ამგვარი წესი ჩრდილო იტალიიდამ საფრანგეთშიაც გადავიდა. აქაც, იტალიისამებრ, მიწის აღებ მიცემა წილზედ არის და არა მახტაზედ. ეგ წილი ზოგან ნახევარია, ზოგან მესამედი და ზოგან სხვა. ზოგან ჭერა მიწისა ვადით არის, უფრო ხშირად სამის წლითა, ზოგან კი საშვილიშვილოდ არის, და ამას გარდა ზედვე აღებულს მამულზედ დასახლებულნი არიან, სახელდობრ, ბრეტანში, საცა ამგვარ მფლობელობას მიწისას ქვევესს ეძახიან და ზოგან _ დომენ კონჟეაბლს. ეს ქვევესი, თუ დომენ კონჟეაბლი, იმაში მდგომარეობს, რომ მიწის მხმარებელს ბინა აქვს გაკეთებული შიგ აღებულ მამულში, მამულის პატრონს ღალასა და ხარჯს აძლევს და ესე დგას და ხმარობს სხვის მამულს ვადადაუდებლად, მხოლოდ მემამულეს ნება აქვს, როცა უნდა, მამულიდამ აჰყაროს, იმ პირობით კი, რომ საზღაური გადაუხადოს ხიზანს, თუ რამ საკუთარი შენობა აქვს, ან რაიმე განკარგება მოუხდენია, და გადუხადოს იმ ზომით, რასაც მედიატორები იტყვიან. ესეთი ჩვეულებაა ბრეტანში და განსაკუთრებით მიღებულია შემდეგს თემებში: როგანსა, ლეონსა, კორნუაილსა, ბრუერეკსა და ტრეგიეში”. *(“ხიზნების საქმე”. 1886 წ.).*

- **ხიზნობა: დასკვნა**

“ამ სახით ხიზნობა არის:

1. ერთგვარი სახე სხვისა მიწის ხმარებისა თავისუფალ კაცისაგან;

2. დაფუძნებული და დამყარებული ჩვეულებაზედ;

3. იმ ბუნებისა და მიმართულებისა, რომ ღალა და სამსახური უცვალებელ იყოს და ამასთანავე თითონ ხმარება მიწისა უსათუოდ ვადადაუდებელი;

4. ხანგრძლივობა ვადისა დამყარებული უნდა იყოს ეკონომიურს ანგარიშზედ და არა რჯულიერების (Право) მუდმივობაზედ.

და 5. მფარველი იმათის ზნეობრივობისა და ქონებრივის ინტერესებისა, რომელნიც ხიზნობით ერთმანეთზედ დამოკიდებულნი არიან და რომელთაც თვითნებობა შეზღუდულია საზღაურითა, თუ ვინიცობაა ერთი მეორის დაუკითხავად და უნებურად მოშლის ხიზნობასა. ხოლო უკანასკნელი მისაღწევი საგანი და მიდრეკილება ხიზნობისა იგია, რომ შეიძინოს სიკეთე, ღირსება და უპირატესობა დაწერილის კანონისა.

აი, ჩვენის ფიქრით, ხიზნობის არსება, რომელიც წარმოგვიდგინა ისტორიულმა მსვლელობამ მის დედააზრისამ, მიზეზმა მისის მოვლენისამ, ბუნებამ მის ეკონომიურ

ხელშეკრულობისამ, ზნეობრივმა და ქონებრივმა ინტერესმა ამ ხელშეკრულობით ერთმანეთთან დამოკიდებულთა, და ბოლონდელმა მისმა მისაღწევმა საგანმა, რომლისაკენაც იგი დღეს მიიზიდება". *("ხიზნების საქმე". 1886 წ.).*

"ჩვენ, ჩვენის შეძლებისამებრ, გამოვიძიეთ მიზეზი, ბუნება და მიმართულება ხიზნობისა და აღვნიშნეთ იგი საგანიც, რომლისაკენაც ხიზნობა დღეს მიიზიდება თვისის ბუნების ძალდატანებითა. ჩვენა ვნახეთ, რომ ესგვარი მფლობელობა მიწისა შეჰქმნა თითონ ერის ცხოვრებამ, თითონ ერმა გამოჰხარშა თვისის ცხოვრების მდუღარებაში და წამლად დაიდვა იმ ტკივილის მოსარჩენად, რაიც სამწუხარო მოვლენამ მიწისა და ხელის განცალკევებისამ აუტეხა დროთა მიმავლობაში. სულიერმა ძალ-ღონემ ერისამ მთელი საუკუნოები იმოქმედა ამაზედ, მთელი საუკუნოები მოახმარა ამას, ტანი ააყრევინა და გამოიყვანა კუთვნილს გზაზედ შემდეგის წარმატებისათვის. და ეხლა, როცა ეს ხიზნობის საქმე წინ მოგვდგომია ასე თუ ისე გადასაწყვეტად, ნუთუ მართალნი ვიქნებით _ ზურგი შევუქციოთ ერის სურვილს, ესე ცხადად და აშკარად ხიზნობაში გამოთქმულს? ნუთუ არ შევცდებით _ უარვყოთ ეს ერის ცხოვრების ნადუღარი წესი და მის შინაგანს მოთხოვნილებას არ ავყვეთ და მხარი არ მივცეთ?" *("ხიზნების საქმე". 1886 წ.).*

"იქნება სიტყვა შემოგვიბრუნონ და გვითხრან: რა ვუყოთ, რომ თვით ერისაგან არის შექმნილი მაგგვარი წესიო? განა ცოტაა იმისთანა წესი, რომ ერს შეექმნას, და ან ბუნებითად სულ არ ვარგოდეს, ან დრო მოეჭამოს და კარგი ავად გადაჰქცეოდეს თითონ ერსვე? რასაკვირველია, ყოველივე ეს შესაძლოა და არა ერთი და ორი მაგალითია მაგ აზრის საბუთად. ხოლო ეგ აზრი მოსატანი არ არის ხიზნობის საქმეში. ამგვარის წესის ავკარგიანობა რაში უნდა გამოთქმულიყო?

ჯერ ზნეობრივს სფერაში, იმიტომ რომ ხიზნობაში ერთის მხრით უმამულო კაცია და მაორეს მხრით უხელო, ერთმანეთზედ დამოკიდებულნი. ამის გამო, ყველაზედ უწინ კაცს ეს საკითხავი მოადგება ებაზედ: ხომ არა ჰხუთავს ერთი მეორეს პირადად? ჩვენა ვნახეთ, რომ ხიზნობა უსათუოდ ნებაყოფლობაზედ არის აშენებული და ეს ნებაყოფლობა ბოლომდის ზედ შერჩენია, რადგანაც ერთსაც და მეორესაც ნება აქვთ ერთმანეთს განშორდნენ, რა დროსაც-კი მოისურვებენ თვითოეულად ცალკე. საცა ჩაბმაც და ამოშვებაც თითონ ადამიანის ნებაზეა მივარდნილი სხვის დაუკითხავად, იქ შეხუთვას ადამიანის პირადის უფლებისას ადგილი არა აქვს. იქ ან ორნივ თავისუფალნი არიან, ან ორნივ მორჩილნი ერთისა და იმავე ხელშეკრულობისა. ამ სახით, თითონ ხიზნობის ბუნებაში ადამიანის პირადობის შემხუთავი არ არის რა. პირიქით, ხიზნობა ყოველგვარს შეხუთვას ეურჩება და დიდის გულმოდგინებით ჰპატრონობს ადამიანის პირადს უფლებასა. და თუ _ როგორც ჩვენ ვითხოვთ _ კანონი ჩაერევა და ადამიანის სიხარბეს ჭდეს დაუდებს, მაშინ ხომ ყოველივე ნიშანწყალი სხვა ყოველგვარის შეხუთვისაც კი სრულებით გაჰქრება". *("ხიზნების საქმე". 1886 წ.).*

"ახლა ვნახოთ, _ ხომ არ აშავებს რასმე ხიზნობა ეკონომიურს სფერაში, ამიტომ რომ იგი მიმართულია ერთსგვარს მრეწველობაზედ, რომელსაც მიწათმომქმედი მრეწველობა ჰქვიან? ამ საკითხის შესახებ ჩვენ გვინდა ვიმოწმოთ სხვადასხვა მეცნიერნი, რომელთაც ხიზნობის მაგვარი მფლობელობა მიწისა ამ მხრით გამოუძიებიათ". *("ხიზნების საქმე". 1886 წ.).*

"ამ საგანზედ ბევრს გამოჩენილს მეცნიერს წარმოუთქვამს თავისი აზრი და იმათ შორის იმისთანა განთქმულნი მეცნიერნიც არიან, როგორც ემილ დე-ლაველე, ჯონ სტუარტ მილლი, სისმონდი, იპოლიტ პასსი და სხვანი, რომელნიც ცნობილნი არიან

ვითარცა ზედმიწევნით მცოდნენი ამგვარის საქმეებისა. ამას გარდა, ეს მეცნიერნი ისეთის ღირსებისანიც არიან, რომ მათთვის თავის-დღეში არავის არ შეუწამებია _ ან სიტყვა, ან აზრი გულდადებულ რწმენით არ წარმოეთქვათ. ამათი აზრი მით უფრო საყურადღებოა, რომ ხილულს საბუთზეა დამყარებული. იტალიის ლიველლო, რომელსაც სტუარტ მილლი "მონახევრობას" ეძახის, რადგან აქ უფრო ბევრგან ხიზნები ნახევარს მოსავალს ღალად აძლევენ მამულის პატრონებს, _ პორტუგალიის აფორმენტო, ჰოლანდიის ბეკლემრეხტი, _ ყოველივე ეს ჩვენებურს ხიზნობის მაგვარი მფლობელობა მიწისა ადგილობრივვე განხილულია და გაჩხრეკილი მეცნიერთაგან, და ამის გამო მათი აზრი თვალით ნახულს საბუთიდამ არის წარმომდგარი.

ჩვენ, მინამ ამ მოწმობის ჩამოთვლას შევუდგებით, არ უნდა დავივიწყოთ ორი თვისება, რომელზედაც აგებულია ეკონომიური ბუნება ხიზნობისა, ერთი ისა, რომ ხიზნობა მიმართულია, რათა ხმარება სხვისა მიწისა საშვილიშვილოდ იყოს, და მეორე _ ღალა, თუ გადასახადი, უცვალებელად და წაუმატებელად დარჩეს, ახლა ვნახოთ, ეს ორი თვისება ხიზნობისა როგორ მოქმედობს საეკონომიო სფერაში.

ჯონ სტუარტ მილლს, მოჰყავს ორი ცნობანი შესახებ იტალიის გლეხებისა, რომელთაც ლიველლოს წესით უჭირავთ სხვისი მამულები სანახევროდ, ამბობს:

"ვიდრე მონახევრე თავის განსაზღვრულს გადასახადს იხდის, იგი, თუ კანონის ძალით არა, ჩვეულების ძალით მაინც ჰრჩება მამულში როგორც საშვილიშვილოდ მხმარებელი თავის მიწისა. ამის გამო გულით დაბმულია იმ ადგილზე, უყვარს იგი ადგილი და ეგ პირადი სიყვარული მიწისა თითქმის იმოდენადვე ძლიერ აქვს მონახევრეს, რამოდენადაც მოსაკუთრეს".

ამის შემდეგ, მოჰყავს რა მაგალითები იმისა თუ, რა კარგადა აქვთ ნამუშევარი და ნაკეთები ლიველლოს წესით აღებული მიწები და თითონაც გლეხნი რა კარგს ყოფა-ცხოვრებაში არიან, სტუარტ მილლი განაგრძობს, რომ სოფლის მეურნეობის ასეთი კარგი მდგომარეობა იტალიაში, საცა ლიველლოა, _ გვაჩვენებს, სადამდე შეუძლიან მიაღწიოს საშვილიშვილოდ ხმარებამ მიწისამ და წვრილმა მეურნეობამ მაშინაც-კი, როცა სანახევროდ არის მიწა აღებული, ესე იგი როცა ესეთი მძიმე და ხელთ არმიმცემი ღალაა".

რა იქნებოდა მაშინაო, ამბობს მერე სტიუარტ მილლი, რომ მიწათმომქმედს ეგრევე საშვილიშვილოდ ეჭიროს მიწა და აძლევდეს ფულად გადაწყვეტილს ღალას, უცვალებელს ან ცვალებადს ისე-კი, რომ მთელი გამორჩომა წარმატებულის შრომის განუყოფელად რჩებოდეს მოღალესაო. მილლი აქ ეთანხმება ადამ სმიტს იმაში, რომ წილზედ-ჭერა მამულისა ერთობ ხელს უშლის მიწის მხმარებელსა. იმიტომ რომ წილი მატულობს შრომისა და ხარჯის მატულობისა-დაგვარად. რადგანაც შრომა და ხარჯი ამ შემთხვევაში მიწათ მხმარებელისაა და არა მიწათ პატრონისა, და წარმატებულის შრომისა და ხარჯის ნაყოფი კი მიწის პატრონთან გასაყოფია, აშკარაა, მიწის პატრონს წილი გაეზრდება, გაუდიდდება უხარჯოდ და გაურჯელად. ეს შრომისა და ხარჯის ხალისს უფუჭებს მიწის მხმარებელსა და ამით განკარგება მამულისა ბრკოლდება. აი ამაზედ ამბობს მილლი, რომ ღალა თუნდა ცვალებადიც იყოსო, ოღონდ ისე კი, რომ რასაც მიწისმომქმედი თავისის გულმოდგინეობით, შრომით და ხარჯით მოსავალს მოიმატებს, ის წარმატებული ნაწილი მოსავლისა მთლად და განუყოფელად მასვე ჰრჩებოდესო". *("ხიზნების საქმე". 1886 წ.).*

"სისმონდი, რომელზედაც სტიუარტ მილლი სწერს, რომ ზედმიწევნით იცისო ხიზნების მაგვარად მიწისმხმარებელთა ყოფა-ცხოვრება იტალიაში და დიდად სანდო და

სარწმუნო კაციაო, ვრცლად მოგვითხრობს, რა კარგს ყოფა-ცხოვრებაში და კარგს მდგომარეობაში არიან ისინი, ვინც სტიუარტ მილლი "მონახევრეებს" ეძახის იტალიაში და რა კარგად აქვთ შემუშავებული და ნაკეთები მიწები. მოჰყავს რა მოწმობა სისმონდისა ამ საგანზედ და მის მიერ დაწვრილებითი აღწერა იტალიის ხიზნების სარჩო-საბადებელისა, შეძლებულობისა და კმაყოფილებისა, სტუარტ მილლი იკითხება: "განა ეს სიღარიბეა, განა რაშიმე ჰგავს ეს სიღარიბესა!"

სისმონდის მოწმობიდამა სჩანსო, განაგრძობს მერე სტუარტ მილლი, რომ ტოსკანის ხიზნები-მონახევრები შეძლებულნი არიან არა-ნაკლებ ფულიან ფერმერებზე, თუნდ რა ქვეყნის ფერმერებიც გინდა იგულისხმოთო; უფრო დიდ ყოფა ცხოვრებიანნი არიანო, უფრო გაცილებით მეტი სარჩო-საბადებელი აქვთო, ვიდრე სხვა რომელისამე ქვეყნის მუშებსა, გარდა მერიკის შეერთებულის შტატებისასა და ახალის კოლონიებისასაო.

ბევრი ციტატები მოჰყავს სტუარტ მილლს სისმონდის თხზულებიდამ და სხვათა შორის ეს ადგილიცა:

"ხიზანი-მონახევრე ბინამოკიდებულია და დგას თავის ადგილზედ, როგორც საშვილიშვილო მიწაზედ, მეტისმეტად უყვარს იგი მიწა, დაუცხრომელად მუშაობს, რომ იგი კარგად გააკეთოს, გაანაყოფიეროს, რადგანაც გამოელოდება, რომ ეს მიწა მერმეც იმისია, იმის შვილისა და შვილიშვილზედ გადავა გამოსარჩომად. _ მართლადაც, თითქმის ყველა ამისთანა გლეხნი მამა-პაპით დგანან თავ-თავის მიწაზედ, იციან ყოველივე ავი და კარგი თვითოეულ ტანისა მიწისა იმ ზედმიწევნითა, რომელზედაც მიჰმართავს ხოლმე ადამიანს მარტო ერთი გრძნობა საკუთრებისა".

მერლინი ამბობს ხიზნობის მაგვარ მიწის ხმარების თაობაზედ:

"ესეთი ხმარება მიწისა უფრო სახეიროა მიწათმომქმედისათვის, ვიდრე გრძელვადიანი და ხანგრძლივი იჯარა, იმიტომ რომ პირველ შემთხვევაში წარმატება ნაკეთობისა არ იკარგება, როგორც მეორეში".

ამგვარ მიწათ ხმარებაზედვე იპოლიტ პასსი ამბობს:

"ყველაზედ მეტად ხელშემწყობი მეურნეობის გასაძლიერებლად იმისთანა ქირავნობაა მიწისა, საცა მთლად განსაზღვრული მოვალეობა და დამოკიდებულება მუდამ ახალისებს მიწათმომქმედსა _ არასფერი არა ჰზოგოს მიწის განაყოფიერებისათვის, როგორც სადღეისოდ, ისეც სამერმისოდ".

"ბეკლემ-რეხტიო (ესე იგი, ჩვენებური ხიზნობის მაგვარი ხმარება მიწისა) სრულად ეთანხმება და ეშასაბამება ამ პროგრამასაო", _ ამბობს ამ პასის სიტყვების გამო ემილ დე-ლაველე". *("ხიზნების საქმე". 1886 წ.).*

"პორტუგალიის ეკონომისტი ვალენსიო ლესლანდესი ამბობს:

"ჩვენებური აფორამენტო საოცრადა ჰგავს ბეკლემ-რეხტსა გრენინგენისასა. ეს საშვილიშვილო იჯარაა, რომლის ძალითაც უფლება მიწის ხმარებისა ვადადაუდებლად არის მინიჭებული, იმ პირობით-კი, რომ მიწის პატრონს ყოველწლივ ეძლიოს კუთვნილი ღალა, რომელიც ერთხელ და ერთხელ განსაზღვრულია და რომელსაც თავის-დღეში ვერ მოუმატებს მიწის პატრონი. ხალხს უწინ და ეხლაც-კი განსაკუთრებით მოსწონს ამგვარი ხმარება მიწისა. როგორც მიწის მხმარებელნი, ისეც მიწის პატრონები ერთნაირად აფასებენ დიდთა სიკეთეთა ამგვარის მიწისმფლობელობისას. ეს სიკეთენი თვალად სჩანან უფრო მინიოს პროვინციაში, რომელიც ასე გათქმულია თავისის მიწათმოქმედებითა, გლეხთა კეთილდღეობითა და მშვენივრად ნაკეთებ მამულებითა. იქ ყველა მიწები აფორამენტოს წესით არიან გაცემულნი და აღებულნი და სწორედ ამ-გვარს

წესს აწერენ მთელს კეთილდღეობას ამ პროვინციისას... საუბედუროდ, დღევანდელმა კანონმდებლობამ, საფრანგეთის იდეებით გატაცებულმა, ომი გამოუცხადა ამ მშვენიერს წესს მიწათხმარებისას იმ აზრით, რომ ეგრეთწოდებული "განთავისუფლება მიწებისა" მოახდინოს. ესე იგი აღადგინოს ხელშეუხებელი საკუთრება და ერთი ზოგადი სახე მისცეს მიწის იჯარით აღებასა. ეს შეცდომაა. ყოველივე წესი მიწის ხმარებისა კარგია, თუკი თავდებია მისი, რომ ხმარება მიწისა მის ხელთ იქნება, ვინც მიწას ამოქმედებს".

ფორსტერი, მოგვითხრობს რა ეკონომიურს კეთილდთეობას მინიოს პროვინციისას, საცა, როგორც ზემომოყვანილ სიტყვებიდამ სჩანს, ხიზნობის მაგვარი მიწის ხმარებაა, ამბობს: "მინიოს სამართლიანად ეძახიან, რომ პორტუგალიის წალკოტიაო".

ჩვენ მოვიყვანეთ მოწმობა იმისთანა მეცნიერთა, რომელნიც ჩვენდა საყურადღებო საგანს, ესე იგი ხიზნობის მაგვარ ხმარებას მიწისას შეეხნენ ისე, როგორც იტყვიან _ გზად, იმიტომ, რომ თხზულებანი, საიდამაც ყოველივე ზემოთმოყვანილი ციტატები ამოვწერეთ, საკუთრად ამგვარს მიწათმფლობელობისათვის არ არიან დაწერილნი და ამის გამო ეგ-გვარი მიწათმფლობელობა იმა თხზულებათა წვლილს შეადგენს და არა მთავარს საგანს, თუმცა ამით მათს აზრს არც ძალა და არც მნიშვნელობა არ ეკარგება.

ჩვენ დაგვრჩა ერთი იმისთანა მეცნიერი, რომელსაც საგნად თვისის თხზულებისა აუღია თითქმის განსაკუთრებით ხიზნობის მაგვარი მიწათმფლობელობა და რომელიც ამ საგანზედ უფრო ვრცლად ლაპარაკობს, ვიდრე სხვანი. ეს მეცნიერი ემილ დე-ლაველეა, სახელგანთქმული და მთელს ევროპის მიერ მოწონებული, როგორც მიწათმფლობელობის და მიწათ საკუთრების უკეთესი გამომძიებელი". *("ხიზნების საქმე". 1886 წ.).*

"ემილ დე-ლაველე, თავის გამოჩენილის თხზულების ერთს კარს ("პირველყოფილი საკუთრება", კარი XVII, "მემკვიდრეობითი ჭერა მიწისა"), რომელსაც სათაურადა აქვს "მემკვიდრეობითი ჭერა მიწისა", ასე იწყებს:

"არის ერთგვარი ძველი სახე საკუთრებისა, რომლის გამოკვლევასა და გამოძიებასა არ უნდა მოერიდნენ კანონმდებელნი და ეკონომისტები, იმიტომ რომ მაგგვარს სახეს საკუთრებისას შეუძლიან შეიტანოს ელემენტი მორიგებისა იმ ბრძოლაში, რომელიც ყველგან გამართულია იმის შუა, ვინც აკეთებს მიწას და ფასსა სდებს. და იმისა _ ვინც ღალას აძლევს. ეგ სახე მემკვიდრეობითი ჭერაა მიწისა, რომელსაც ჰოლანდიაში ბეკლემ-რეხტი ჰქვიან. იტალიაში ლიველლო, პორტუგალიაში აფორამენტო", და ჩვენში კიდევ ხიზნობა _ დავუმატებთ ჩვენ". *("ხიზნების საქმე". 1886 წ.).*

"ემილ დე-ლაველე ჯერ გვამცნობს, რა ბუნებისა არის თვითოეულის სახელის მიწათმფლობელობა და გვეუბნება, რომ ყოველი იგი მფლობელობა მიწისა ერთის და იმავე ძირისანი არიან და ერთისა და იმავე მიდრეკილებისა და თვისებისანი. შემდეგ ამისა თვითოეულს მათგანზე ასე ლაპარაკობს:

"აფორამენტო ცოტად თუ ბევრად გავრცელებულია მთელს პორტუგალიაში"... "ხოლო ტაგოს მდინარის ჩრდილოეთ _ უფრო ხშირია მაგგვარი წესი მიწათმფლობელობისა და ამ წესს აწერენ იმ წარჩინებულს კულტურას და მიწათმომქმედთა კმაყოფილებას, რომლითაც გათქმულია მინიოს პროვინცია"... "საშვილიშვილოდ (მემკვიდრეობით) ჭერა მიწისა ბეკლემ-რეხტის და აფორამენტოს წესით მართლა რომ სახეიროა და ხელმოსაცემი. ამისი დასამტკიცებელი საბუთი ის მთლად განსაკუთრებული კეთილდღეობაა, რომელიც ამ რიგს მიწათმფლობელობას

მიუნიჭებია ორის სულ სხვადასხვა პროვინციისათვის: მინიოსათვის პორტუგალიაში და გრენინგენისათვის ნიდერლანდში". *("ხიზნების საქმე". 1886 წ.).*

"გერმანიის გამოჩენილი ეკონომისტი როშერი უფრო შორს მიდის და ამტკიცებს, რომ ღალით თუ იჯარით მიწისმჭერელი უფრო დიდს ხარჯს გასწევს მიწის გასაკეთებლად, ვიდრე მოსაკუთრეო, იმიტომ რომ მოსაკუთრეს მიწის სყიდვაში უნდება დიდძალი ფულიო, მაშინ როდესაც მოღალეს, თუ იჯარადრს, შეუძლიან მარტო მიწის განკარგებას მოახმაროს, რაც რამა აქვსო. თუმცა ბევრით მართალს არა ჰგავსო ეს აზრი როშერისა, ამბობს ემილ დე-ლაველე, მაგრამ მაინცდამაინც ბეკლემ-რეხტი მაგ ნაკლს მოშორებულიაო და ამ სახით:

"ბეკლემ-რეხტს აქვს ის სიკეთე იჯარით მიწის ჭერისა, რაზედაც როშერი ლაპარაკობს, და ამასთანავე ის სრული იმედიც სამერმისოდ, საშვილიშვილოდ მიწის ჭერისა, რომელსაც იძლევა მარტო საკუთრება... ამის გამო შესაძლოა დარწმუნებით ვსთქვათ, რომ ბეკლემ-რეხტი საკუთრებაზედ უფრო მეტად ხელს უწყობს კარგს კულტურას მიწისას, რადგანაც აქ მიწა სასყიდელი არ არის და სასყიდელი ღონე შესაძლოა მიწის განკარგებას მოხმარდეს, და რადგანაც იგი, ამას გარდა, ახალისებს მას, ვინც მიწას ამოქმედებს _ ერთი-ორად იმხნევოს, რომ რაც შესაძლოა მეტი მოსავალი მოიყვანოს".

ემილ დე-ლაველე, თავის თხზულებაში, რომელსაც ჰქვიან "მიწათმფლობელობის წესნი ირლანდიაში", პირდაპირ ირწმუნება, რომ საცა-კი ჩვენებურის ხიზნობის მაგვარი მფლობელობა არის თურმე, ყველგან მიწის მუშაკი, მიწისმომქმედი წარმატების უკეთესს ხარისხზედ სდგასო". *("ხიზნების საქმე". 1886 წ.).*

"ერთობ ულსტერშიო, _ ამბობს ამის საბუთად ლაველე: _ საცა ფერმერი ჰპოულობს საკმაო გარანტიას მიწის ხმარების უფლებისათვის, მიწა კარგად არის შემუშავებული და ნაკეთები. კორკის საგრაფოში, ბანდონის მდინარის პირას დაფენილია მშვენიერი ვაკე. საგანგებო სახლები ფერმერებისა მოსჩანან კარგად ნაკეთებ მინდვრებ შორის. საქონელი მშვენივრად ნაპატივებია. თითონ მიწის მჭერელნი რიგიანად არიან ჩაცმულნი და ეტყობათ კმაყოფილება".

რა არის ამის მიზეზი? ის არისო, გვარწმუნებს ლაველე, რომ ეს მამული ეკუთვნის ჰერცოგს დევონშირსა, რომელსაც ულსტერის ჩვეულების წესით გაცემული აქვს მიწებიო. ამავე მიზეზის გამო, ამისთანავე მდგომარეობაში არიან თურმე ლორდ დერბისა, პორტსმუტის და ლანდსდაუნის მამულებიცა. ამ მამულების გვერდით სხვა მამულებიც არის, მაგრამ ასეთს აოხრებულს და ვერანა ადგილებს წარმოადგენენ თურმე, ხალხი ისეთს სიღარიბეშია, რომ კაცს აკვირვებს და აოცებს. ეს იმისაგან არისო, ამბობს ლაველე, რომ ამ მამულების პატრონები უთაურნი არიან, მეტად ხარბნიო.

"საცა კმაყოფილებას და შეძლებულობას ჰხედავთო, ეთქვა იქაურს მხლებელს ოკანერ მორისისათვის: იქ ულსტერის ჩვეულებით უჭირავთ მიწებიო, და საცა სიღატაკეა და სიღარიბე, იქ მაგის ნებას არ იძლევა მამულის პატრონიო".

ყველგან, საცა კი მაგ წესით არის სახმარად აღებული მიწები, ყველგან ამ სიკეთეს ვხედავთო, _ ამბობს თავისით ლაველე.

"ეს შენიშნულია არამცთუ მარტო ულსტერში, საცა შესაძლოა კაცმა ეს სიკეთე სხვა მიზეზსაც მიაწეროს, არამედ სხვა პროვინციებშიაცო. მეტად სარწმუნო მაგალითს წარმოგვიდგენს ლორდ პორტსმუტის მამულიო, საცა ულსტერის ჩვეულება შეიტანა მამულის პატრონმა და ამას კარგი შედეგიც მოჰყვა. ასე რომ ეხლანდელი ლორდი,

რომელიც სამაგალითო მემამულედ ითვლება, არამცთუ ეურჩა ამ ჩვეულებას, არამედ ხელიც შეუწყო. ბოლოს და ბოლოს მიწაც ძალიან გაკეთდა, მოღალენიც კმაყოფილნი არიან და შემოსავალიც ერთი-ორად მოემატა მიწის პატრონსა. ძნელია კაცმა წუნი დასდოს წესს, რომელიც ყველასათვის ესე სახეიროა".

ესეთი წესი მეტად ჰშველის მიწათმოქმედების განკარგებასაო, ამბობს შემდეგ ლაველე, იმიტომ რომ მოღალესათვის საიმედოდ ჰხდის მიწის ხმარებასაო, რადგანაც იგი დათხოვნილ ვერ იქნება მიწიდამ უიმისოდ, რომ მიწის პატრონმა არა უზღოს რაო". *("ხიზნების საქმე". 1886 წ.).*

"ამით ვათავებთ მეცნიერთა მოწმობას შესახებ იმისა თუ, _ ეკონომიურს სფერაში რის მომასწავებელია იგი წესი მიწათმფლობელობისა, რომელსაც ჩვენში ხიზნობას ვეძახით". *("ხიზნების საქმე". 1886 წ.).*

"ჩვენ ვსთქვით, რომ ზოგადმა ელემენტმა საკუთრებისამ თავი ხიზნობაში შეაფარაო. ჩვენ ამაში ვხედავთ ხიზნობის საზოგადოებურს მნიშვნელობას. მიდრეკილება ხიზნობისა, რომ ხმარება მიწისა საშვილიშვილო იყოს, და ღალა თუ გადასახადი ერთსა და იმავე ჭდეზედ იდგეს უცვალებელად _ ეს ისეთი იერიშია საკუთრების პირადს და კერძო ელემენტზედ მიტანილი, ეს ისეთი ნაღმია, რომ საკუთრების ხელშეუხებლობის მოძღვრებას ძირეულად არყევს, მთელს რჯულიერებას საკუთრებისას ფერს უცვლის და ზოგადს ელემენტს მისას გზას უხსნის სამერმისოდ ცხოვრებაში ადგილის დასაჭერად". *("ხიზნების საქმე". 1886 წ.).*

"კანონმდებლობანი, საკუთრების ხელშეუხებლობის მოძღვრებაზედ აგებულნი, დღეს-აქამომდე მარტო ერთგვარს შეზღუდვას პირადის საკუთრებისას იცნობენ. ამ შეზღუდვას უწოდებენ "ექსპროპრიაციას", რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ კერძო მოსაკუთრეს სახელმწიფო საჭიროებისათვის ძალაუნებურად ჩამოერთმევა ხოლმე მიწა და მის სამაგიეროდ სასყიდელი ეძლევა. ამ სახით, კერძო საკუთრება თვის ხელუხლებლობას სთმობს ზოგად საჭიროებისათვის, ანუ, უკეთ ვსთქვათ, ზოგადს ელემენტს საკუთრებისას თვის ზღუდეს არღვევინებს.

თუმცა მიწის პატრონს ამ შემთხვევაში სასყიდელი ეძლევა, მაგრამ მაინც ეს ამბავი კერძო უფლების ზღუდეთა ცოტაოდენ შერღვევად უნდა ჩაითვალოს, რადგანაც აქ საკუთრების დათმობა იძულებულია, ძალაუნებური და არა ნებაყოფლობითი მოსაკუთრის მხრით. იმისთანა მიწის ხმარებას, რომელსაც ჩვენში ხიზნობას ეძახიან, ამას გარდა სხვა ახალი გვარი შეზღუდვაც შეაქვს პირადის საკუთრების მოძღვრებაში და ეს შეზღუდვა მით უფრო ძირეული და ძლიერია, რომ უსასყიდლოა: იხუთება პირადი ელემენტი საკუთრებისა სასარგებლოდ ზოგადის ელემენტისა და შეხუთვის საზღაურად არა-რა სასყიდელი არ ეძლევა. მამულის პატრონი ხიზნობის წესით ნებამოკლებულია: 1. აჰყაროს ხიზანი უიმისოდ, რომ არ უზღოს ყველაფერი, რასაც ხიზანი მის მამულში სტოვებს და 2. მოუმატოს ღალა-გადასახადი. ამ სახით, მამულის პატრონი ღონემიხდილია მოიხმაროს თვისი საკუთრება თვისის სურვილისამებრ, და ეს რა არის თუ არ შერღვევა იმ მაგარის კედელისა, რომელსაც პირადს საკუთრებას ეძახიან!..

როცა 1872 წელს გლადსტონმა თავისი სახელოვანი ბილლი გაიყვანა პარლამენტში და მით ჩვენებურ ხიზნობის მაგვარს "ულსტერის ჩვეულებას" კანონის მფარველობა მიანიჭა, ანუ, უკეთ ვსთქვათ, იგი ჩვეულება კანონად გადააქცია, ემილ დე-ლაველემ ამაზედ აი რა სთქვა:

“მე არ ვიცი არც ერთი მაგალითი ისტორიაში, რომ სადმე ერი ესე შორს წასულიყო თვისთა დედააზრთა წინააღმდეგ საშველად უბედურის და ღონემიწურულ მკვიდრთა. არც ერთს კანონმდებლობას ეხლანდელ ევროპისას არ დაუდგენია, არ შეუწყნარებია კანონად წესი, ესოდენ მრავალმნიშვნელობიანი თავის შედეგითა... არსად და არასდროს არ მიუნიჭებიათ ამისთანა საგანგებო უფლება და ხეირი სოფლის მცხოვრებთათვის”...

რამოდენადაც საქმეთა ვითარებამ ხელი შეგვიწყო, იმოდენად აღვნიშნეთ ჩვენ საზოგადოებრივი მნიშვნელობა ხიზნობისა. ვინც ჩვენ ნათქვამს უფრო მეტს ყურს ათხოვებს, ვიდრე ისე გაკვრით წაკითხულს, თქმულს საგნის შესაფერად ასწონს და არა-თქმულს თითონ იგულისხმებს, იმან, არა გვგონია, ჩვენთან ერთად არ აღიაროს იგი დიდი საზოგადოებრივი მნიშვნელობა ხიზნობისა, რომელიც მის ბუნებაში ჩასახა თითონ ერმა და რომელსაც დღეს-აქამომდე ჰზრდიდა.

ვინც ამ მნიშვნელობას ხიზნობისას თვალნათლად წარმოიდგენს, იმისათვის მეტად გაადვილებული იქნება პასუხისგება ამ საკითხავზედ: დასარჩენია ხიზნობა, თუ ამოსაკვეთი”. *(“ხიზნების საქმე”. 1886 წ.).*

“მეცნიერნი, რომელნიც ხიზნობის მაგვარს მფლობელობას მიწისას ამ მხრით, თუ სხვა მხრით, დაჰკვირვებიან, ყველანი გვირჩევენ მის დარჩენასა სამერმისოდაც. ჯონ სტუარტ მილლი ამბობს, რომ ეგგვარი მიწათმფლობელობა “არც იმისთანა არისო, ჩვენ რომ ვისურვოთ იგი შევიტანოთ იქ, საცა თავისთავად არ არის გაჩენილი საზოგადოებრივ გარემოთა გამო, ხოლო არც-კი იმისთანაა, რომ მისი ამოკვეთა ვისურვოთ, იმისდა მიუხედავად, თუ საქმეში თავი როგორ იჩინა.

ამის შემდეგ მილლი ამბობს, რომ არ შეიძლება ამ შემთხვევაში არ დავუჯეროთ იმისთანა ზედმიწევნით მცოდნე ავტორიტეტს, როგორც სისმონდიაო, და თუ მართალია იგი კეთილდღეობა, რომელიც სისმონდის სიტყვით, ამგვარს მიწათმფლობელობას მოუფენია ტოსკანაში, მაშინ სანანური უნდა იყოს ამოკვეთა ამისთანა წესისა, რომელიც იქაურს ხალხს ისე კარგად ამყოფებს, როგორც არსად ევროპაშიო.

ემილ დე-ლაველე მოგვითხრობს რა ამბავს ხიზნობის მაგვარ წესისას, რომელსაც იტალიაში ლიველლოს ეძახიან, ამბობს:

“იმის მაგიერ, რომ ამისთანა წესს ამოკვეთას უქადიან, უფრო კარგი იქნებოდა, რომ იგი დაარჩინონ და საყოველთაოდ გაავრცელონ, ოღონდ ფორმა საჭიროებას შეუწონონ და განაკარგონ (ბროშიურა: “მიწათმფლობელობის წესი ბელგიასა და ჰოლანდიაში”). იქ, სადაც ამგვარი ხმარება მიწისა დამკვიდრდა თავისთავად და ხალხს დაუმტკიცდა, როგორც ჩრდილო პორტუგალიასა და გრენინგენში, საქმე გვიჩვენებს, რომ მიწათმოქმედის კეთილდღეობასაც ჰშველებია და მიწათმოქმედების წარმატებასაცა”.

გლადსტონი, ჯონ გრეი, ტორალდ როჯერსი და სხვანი მეცნიერნი და სახელმწიფო კაცნი ცოტაოდენის სხვადასხვაობით მასვე ამბობენ ხიზნობის მაგვარის მფლობელობის შესახებ და არამცთუ ჰფიქრობენ ამის ამოკვეთას იქ, საცა არის, არამედ იქაც კი ჰრჩეობენ შეიტანონ, საცა არ არის”. *(“ხიზნების საქმე”. 1886 წ.).*

მეხუთე თავი.

საქართველოს ისტორიის საკითხები

- ისტორია – საგანძე, სადაც ერი პოულობს თავისის სულის ღონეს
- ერი, რომ თავის ისტორიას ივიწყებს, მაშინ იწყება მისი გათახსირება
- ქართველთა წინაპრების შესახებ
- ცილობა ხარბი ქვეყნებისა საქართველოსათვის
- ქართველი ერის იმედი მომავლისა
- საბუთი გვაქვს ვსთქვათ, რომ თვითოეული ჩვენგანი რუსული ლიტერატურით გაზრდილა

- **ისტორია – საგანძე, სადაც ერი პოულობს თავისის სულის ღონეს**

ღვთისთვის თვით ჯვარცმულო და წამებულო,
ეკლიანს გზაზედ შენებრ სხვასა რომელს უვლია?
სხვა რომელია, რომ ათას წელთ ბრძოლა მედგარი
გამოევლოს და სრულიად მტვრად არ აღგვილიყოს?
შენ ხარ, მარტო შენ!.. "ქართვლის სამკვიდროვ,
ქვეყნის თვალად დაბადებულო,
რამდენს ვაებას შენსა თავზედ გარდაუვლია!
ჯვარცმულის მაგალითი სხვა არსად არი,
რომ სხვა ქვეყანას, სხვასა ერსა ეგ შესძლებიყოს.
შენთა შვილთ გული შენთა მკვდართა შეაკლეს ზედა,
ორი ათასის წლის ბრძოლაში მათ სისხლი ჰღვარეს,

მაგრამ ამაყი თვისი თავი ქვეყანაზედა
არავის წინა სამუდამოდ არ მოაცალა, -
მამულისა და რჯულისათვის იგი იბრძოდა,
ორივ დაიცვა, მაგრამ ყველა მათ ანაცვალა"

("აჩრდილი". 6 იანვარი, 1859 წ. ბოლო რედაქცია 1872 წ.).

"ყოველი ერი თავისის ისტორიით სულდგმულობს. იგია საგანძე, საცა ერი პოულობს თავისის სულის ღონეს, თავისის სულის ბგერას, თვის ზნეობითს და გონებითს აღმატებულებას, თვის ვინაობას, თვის თვისებას. ჩვენის ფიქრით, არც ერთობა ენისა, არც ერთობა სარწმუნოებისა და გვარტომობისა ისე არ შეამსჭვალებს ხოლმე ადამიანს ერთმანეთთან, როგორც ერთობა ისტორიისა. ერი, ერთის ღვაწლის დამდები, ერთს ისტორიულ უღელში ბმული, ერთად მებრძოლი, ერთსა და იმავე ჭირსა და ლხინში გამოტარებული _ ერთსულობით, ერთგულობით, ძლიერია. თუნდ დროთა ბრუნვას ერი განეყოს, დაერღვიოს, _ მაგრამ მაინც რღვეულთა შორის იდუმალი შემსჭვალება, იდუმალი მიმზიდველობა იმოდენად სუფევს, რომ საყოფია ხოლმე ერთი რაიმე შემთხვევა, რათა იფეთქოს, იჭექოს დაძინებულმა ისტორიამ და ერთსულოვნებამ, ერთგულობამ თავისი ძლიერი ფრთა გაშალოს. ამ დღეში ვართ დღეს ჩვენა და ოსმალეთის საქართველო." *("ოსმალოს საქართველო". 1877 წ.).*

"ოსმალოს საქართველოსას დიდი პატივსაცემი და სახელოვანი ღვაწლი მიუძღვის ჩვენის ერის ისტორიაში, დიდი შრომა გაუწევია, დიდი მსხვერპლი მოუტანია, მრავალი სისხლი დაუნთხევია ჩვენთან ერთად საქართველოს ერის თვით-არსებობისათვის. გარდა იმისა, რომ ჩვენ ვართ ერთის სისხლისა და ხორცისანი, ერთისა და იმავე ენით მოლაპარაკენი, ერთი ისტორიაცა გვქონია. ოდეს ბიზანტია, სპარსეთი და ოსმალო ამ ჩვენს მშვენიერს ქვეყანას ეტანებოდნენ და ურთიერთს ეცილებოდნენ, მაშინ ის საქართველოს ნაწილი, რომელიც დღეს ოსმალოს ხელშია, მედგრად იბძოდა ჩვენის სარწმუნოების, განათლების, ერთ-მთავრობის დადგინებისათვის და მათდა და ჩვენთა სასახელოდ ძლევითაც მოსილ იქმნა." *("ოსმალოს საქართველო". 1877 წ.).*

"საკვირველს მედიდურს სანახაობას წარმოადგენს იგი საქართველოს ისტორიაში, როდესაც საქართველო დაყოფილ იყო წვრილ სამთავროებად და ერთი ნაწილი სპარსეთის გავლენის ქვეშ იმყოფებოდა, მეორე ჯერ ბიზანტიისა და მერმე ოსმალოს ზემოქმედების ქვეშ, ზემო-ქართლი, რომელსაც ეხლა ოსმალოს საქართველოს ვუწოდებთ, ხან ერთს ნაწილს მიემხრობოდა, ხან მეორეს, და თვისის მომხრეობით განაძლიერებდა ქართველებს თვით-არსებობის დასაცველად. მაშინ თითქმის მარტო მას ეჭირა თავისუფალი დროშა ქართველთა ერთობისა." *("ოსმალოს საქართველო". 1877 წ.).*

"მეექვსე საუკუნის დასასრულს კლარჯეთის და ჯავახეთის მთავარი გურამ კურაპალატი, ბაგრატიონის გვარის კაცი, ბიზანტიის შემწეობით შეიქმნა მეფედ ქართლ-კახეთისაცა და ამგვარად დიდი ნაწილი საქართველოსი შეერთდა საქართველოსვე ეხლანდელის ოსმალოს საქართველოს შემწეობითა." *("ოსმალოს საქართველო". 1877 წ.).*

"თუმცა ამის შემდეგ ისევ დაირღვა საქართველო ნაწილებად, მაგრამ არტანუჯის ბაგრატიონთა გვარი გაძლიერდა და ამას მოჰყვა მთელის საქართ-ველოსათვის ნაყოფიერი და საკეთილო შედეგი." *("ოსმალოს საქართველო". 1877 წ.).*

“უწარჩინებულესნი მამანი, საღმრთო-საერო თხზულებათა მწერალნი ჩვენი, ეხლანდელის ოსმალოს საქართველოს შვილნი და მცხოვრებნი იყვნენ.” *(“ოსმალოს საქართველო”. 1877 წ.).*

“ჩვენი სასიქადულო “ვეფხის-ტყაოსნის” მთქმელი შოთა რუსთაველი იმ მხარის კაცი იყო. რუსთავის დაბა, რომელსაც თავის სამშობლოდ იხსენიებს რუსთაველი, სამცხე-საათაბაგოშია.” *(“ოსმალოს საქართველო”. 1877 წ.).*

“ჩვენი ყოფილი ცხოვრება იქ აღყვავაბულა, ჩვენს სიცოცხლეს იქ უჩქეფნია, ჩვენის სულის ძლიერებას იქ აღუმართავს თავისი სახელგანთქმული დროშა, თითქმის იგია ჩვენის სულის აღმატებულების აკვანი და იგივეა სამარეც ჩვენი ყოფილის ადამიანობისა.” *(“ოსმალოს საქართველო”. 1877 წ.).*

“ბაგრატიონთა გვარის კაცი მეფე ბაგრატ III გაძლიერდა იმოდენად, რომ 1014 წ. შეაერთა სრულიად საქართველო და ჩვენი ქვეყანა შეიქმნა ძლიერ და სახელოვან.” *(“ოსმალოს საქართველო”. 1877 წ.).*

“ეხლანდელმა ოსმალოს საქართველომ იმ შეერთებისათვის დიდი ღვაწლი დასდო ჩვენს ქვეყანასა, დიდი სისხლი დაანთხია, დიდი ქველობა გასწია.” *(“ოსმალოს საქართველო”. 1877 წ.).*

“თამარ მეფის შემდეგ, ე. ი. მას ჟამს, როდესაც ქვეყნის ერთობა დაირღვა, ეხლანდელს ოსმალოს საქართველოში მფლობელობდა სამცხის ათაბაგი, რომელიც ახალციხეში მკვიდრობდა და იგი ადგილი წოდებული იყო სამცხე-საათაბაგოდ.” *(“ოსმალოს საქართველო”. 1877 წ.).*

“ეგრეთ, _ მძლავრობამ, მუხთლობამ, ღალატმა, შავით მოსილმა საქართველოს ბედმა განგვაშორა ჩვენ ძმები _ ერთად სისხლის მღვრელნი, ერთად ღვაწლის დამდებნი, ერთად ტანჯულნი და ერთად მოლხინენი.” *(“ოსმალოს საქართველო”. 1877 წ.).*

“დიდმა ღვაწლმა ბაგრატ მესამისამ, დავით აღმაშენებლისამ, თამარ დედოფლისამ, უქმად ჩაუარა ამოდენად ტანჯულს, ბედისაგან დევნულს, ერთობისათვის და ქრისტიანობისათვის სისხლ-დანთხეულსა საქართველოსა.” *(“ოსმალოს საქართველო”. 1877 წ.).*

“თუ ამისათვის საჭიროა, რომ სიხარულის ცრემლის უწინარეს ჯერ ჩვენი სისხლი დაიღვაროს, ნუთუ ქართველი უკუ-დრკება და თავს არ შესწირავს მას, რისთვისაც ორი ათასი წელიწადი თავი უწირავთ ჩვენთა დიდებულთა მამა-პაპათა.” *(“ოსმალოს საქართველო”, 1877 წ.)*

“არის იმისთანა სფერა საცოდნელისა, თუ საცნაურისა, სადაც მჭრელი და გამომძიებელი გონება ადამიანისა თავგამოდებული იბრძვის _ შეიტყოს სასურველი, გაიგოს, აიხსნას უტყუარად და შეუცდომლად, მაგრამ ამისათვის ვერავითარს გარეგანს საბუთს ვერ ჰპოულობს დასაბჯენად და ფეხის მოსაკიდებლად. ამისთანა სფერა საცოდნელისა, თუ საცნაურისა, ყველა მეცნიერებაში არის და, სხვათა შორის, ისტორიაშიაც.” *(“აი ისტორია”. 1889 წ.).*

“ისტორიაში ეგ სფერა პირველყოფილი, პირველდაწყებითი მდგომარეობაა თვითოეულის ერისა და აქედამ მთელის კაცობრიობისაც.” *(“აი ისტორია”. 1889 წ.).*

“ეს მდგომარეობა იმ ხანას ეკუთვნის, რომელსაც ისტორიის წინადყოფილს დროს ეძახიან, ესე იგი იმ დროს, რომლის ხსოვნა არა აქვს ისტორიასა და მოუსვენარი, ცოდნის ხარბი გონება ადამიანისა კი სცდილობს, რაც ისტორიას არ დაუხსომებია, იგი თითონ გვიამბოს, გვაცოდინოს. საიდამ და როგორაო? _ იკითხავენ. მართლა-და საიდამ და როგორ, მაშინ როდესაც არავითარი პირდაპირი მთხრობელი, არავითარი წერილობითი მოწმობა არ არსებობს?” *(“აი ისტორია”. 1889 წ.).*

“თუ ისტორიის წინად-ყოფილ დროს ავიღებთ, ცხრა კლიტით დაკეტილი სალაროა და გასაღები ზღვაშია გადაგდებული. ადამიანის გონებამ მაინც იპოვა ეს გასაღები და ამ სალაროს კარი გაგვიღო ცოტად თუ ბევრად.” *(“აი ისტორია”. 1889 წ.).*

“ეს გასაღები ზოგი იგი ამბებია, რაც ადამიანს დაუხსომებია ზღაპრულად. ეს ზღაპარ-ნარევნი ამბები, თქმულებანი, რა თქმა უ8ნდა მოწმად და საბუთად მოსატანნი არ არიან რომელისამე ყოფილის საქმისა. ამ მხრით იგინი ძალიან ცოტად დასაჯერნი და სანდონი არიან, მაგრამ ხშირად ამისთანა ამბებში ვპოულობთ ბევრს მართალს აღწერას ზნე-ჩვეულებებისას. სასაფლაონი და სამარხი ნაშთნი აკლდამებისა და კუბოებში ძველის-ძველის დროებისანი _ ესენიც მეც-ნიერებამ გამოიყენა იმ ცხრა კლიტით დაკეტილის გასაღებად.” *(“აი ისტორია”. 1889 წ.).*

“თითონ ენა ადამიანისა, მისი სიტყვიერება, მთელი ხელთუქმნელი ისტორიაა ერისა ცალკე და კაცობრიობისა საზოგადოდ. ეთნოლოგიური აღწერა კაცთა ნათესავისა, ყოველის ცალკე თესლისა მთელს დედამიწის ზურგზედ, ბევრს რასმე მოგვითხრობს მასზედ, თუ ვინ და რა საიდამ წამოსულა, როგორ უვლია და სადამდე მისულა.” *(“აი ისტორია”. 1889 წ.).*

“რამოდენადაც ზედმიწევნით გამოვიკვლევთ ენას, მითოლოგიას, ზნე-ჩვეულებას, სარწმუნოებას, არქეოლოგიურსა და ეთნოლოგიურს ნაშთსა და კვალსა, იმოდენად ძლიერ ვრწმუნდებით, რომ აზრი დღევანდელის ველურის კაცისა იმ მდგომარეობაშია, როგორც პირველდაწყებითი სადედე შემდეგისა. ამავე დროს დავინახავთ, რომ განათლებულის კაცის ჭკუას დღესაც საკმაოდ აჩნევია კვალი, ნიშანი იმ წინანდელის მდგომარეობისა, რომლის მიხედვით ველური კაცი წარმოადგენს სულ უმცირესს და განათლებული კაცი _ სულ უდიდესს პროგრესსა (ტეილორი).” *(“აი ისტორია”. 1889 წ.).*

“ისტორია სხვა რაა, თუ არ გამორკვევა, თუ არ ახსნა აწმყოსი წარსულისაგან.” *(“აი ისტორია”. 1889 წ.).*

“მას აქეთ, რაც ლურსმულმა წერილებმა თავისი გული გადაუშალა მეცნიერებას წასაკითხად, რაულინსონის, ტალბოტის, ჰინსკის და ოპერტის წყალობითა, მას აქეთ, _ რაც ლენორმანმა და ამ ბოლო ხანებში, _ სულ ოთხი-ხუთი წელიწადიც არ არის, _ სეისმა ვანთან ნაპოვნი ლურსმული წერილები გამოარკვიეს, ეჭვი აღარავისა აქვს, რომ ქართველთა უძველესი დედა-ბინა, სხვათა შორის, არმენიაც ყოფილა, ესე იგი ვანის ტბისა და არარატის მიდამო ადგილები არზრუმითურთ. ლენორმანმა (წერილი ლერონმანისა, არმენოლოგ დელორიესთან მიწერილი 25 მაისს 1871 წელს. ამ წერილის თარგმანი მზადდება და “ივერიაში” იქნება დაბეჭდილი თავის დროზედ) და მის შემდეგ ინგლისელმა სეისმა საქვეყნოდ დაამტკიცეს, რომ ეგრეთ-წოდებული ძველად “არმენია” გეოგრაფიული სახელია და არა ეთნოგრაფიული. მათის სიტყვით, აქა მდგარან სხვადასხვა სახელწოდების თემნი ქართველის თესლისანი, რომელთაც შორის ყველაზე უდიდესი და უძლიერესი ყოფილა ერთი თემი, სახელად “ნაირი”. ლენორმანის გამოძიებით სომხები, ანუ, უკეთ ვსთქვათ, ჰაოსიანნი, _ ფრიგიელთა ნათესაობისა არიან, კიროსის დროს მოსწყტვეტიან ფრიგიას, გადმოსულან “არმენიაში” და ადგილის სახელი თავიანთ სახელად გაუხდიათ. ამაში ლენორმანს ჰმოწმობს თვით ისტორიის მამამთავარი ჰეროდოტე.” *(“აი ისტორია”. 1889 წ.).*

“ამ მეცნიერთა წყალობით დღეს ჩვენ ღონისძიება გვაქვს ჩამოვთვალოთ სახელები ქართველთა თესლის თემთა ადგილებისა არმენიაში; მაგალითებრ _ “ნაირი”, მხარე _ რომელიც იყო ტიგროსისა და ევფრატის სათავესთან; “მანნა” _ ვანის ტბასთან;

“მუსასირი” _ ამ ტბის ჩრდილოეთ; “მილიდი”, “მილდისი” (არზრუმი) და ბოლოს “ურარტი”, ანუ “არარტი” მტკვრისა და არეზის შუა.” *(“აი ისტორია”. 1889 წ.).*

“ყველაზედ ძველი ლურსმული ნაწერი, რომელიც ჩვენ გვიხსენიებს, ეკუთვნის ასურელთა მეფეს თუგლათ-პალასარსა, მეთორმეტე საუკუნეში მცხოვრებელს. მას მერმედ ჩვენ გვიხსენიებს მეცხრე საუკუნეში ასურელთა მეფევე ასურ-ნაზირ-აბალი და აქედამ ჩვენი ხსენება არ შეწყვეტილა ასურ-ბან-აბალამდე, რომელიც ცხოვრობდა 668-625 წ. ქრისტეს შობამდე, და ამის შემდეგ ხომ მიდ-სპარსნი, ესე იგი ირანი გამოდის და ირანს კი ხომ ენაზედ აკერია ჩვენი ხსენება, როგორც თითონ ავტორიც ამბობს. ამ მეთორმეტე საუკუნიდამ დაწყებული მეშვიდე საუკუნემდე, სახელდობრ, 625 წლამდე, “არმენია” ასურეთის საომარი მოედანი ყოფილა. ამ დროთა მანძილზედ ასურთა მეფენი თითქმის განუწყვეტლივ გვიხსენიებენ, ასე რომ, ლურსმული ნაწერნი ღონისძიებას გვაძლევენ თვით ჩვენთა თემთა მთავრების სახელებიც ჩამოვთვალოთ. მაგალითებრ, მერვე საუკუნეში თუგლათ-პალასარი II თავის ლურსმულის ნაწერში იხსენიებს თუბალტა მეფეს “უასამს”-ს, ურარტის მეფეს “ურსა”-ს და მის ძმას “არგისტი”-ს, ზიქართისას _ “მიტატი”-ს, მანისას _ “ირანსუ”-ს, ირანსუს შვილს “აზო”-ს, “ულსუნ”-ს, მის ბიძაშვილს; მილდისისას _ “ბაღდატი”-ს და ბოლოს ხანებში ასრუ-ბან-აბალის დროს (668-625 წ.) იხსენიებს ურარტისავე მეფეს “სადგურ”-ს. ამას გარდა, თითონ ლენორმანსაც მოჰყავს იმავ ლურსმულ ნაწერებიდან სხვა მეფეების სახელებიცა, რომელთ შორის დასახსომები არიან “არმ, ანუ არან და აზო”. დასახსომები არიან იმიტომ, რომ ჩვენს ახლად ნაპოვნ ქართულ მატიანესაც მეცხრე საუკუნისას დაჰხსომებია ეს სახელები და თუმცა ქრონოლოგია მატიანესი ამ შემთხვევაში არ ეთანხმება ლურსმულ ნაწერისას, მაგრამ თვით მაგ სახელების შერჩენაცა და დახსომებაც ჩვენის მატიანესაგან უმნიშვნელო არ არის.” *(“აი ისტორია”. 1889 წ.).*

“ყველა დროს თავისი ტკივილი აქვს და გაგება ამ ტკივილისა ხვედრია მარტო ჩინებულ კაცებისა, და ჭეშმარიტი მეისტორიე, ვითარცა გამკითხველი, ჯერ იმ დროების ქერქში უნდა ჩაჯდეს დ

ა მერე განიკითხოს თვით დროების შვილნიცა. ესე რომ არ იყოს, კაცი ვერც საბუთს უპოვნის, ვერც აზრს, თუნდ მთელს ჯვაროსნობის ომებს, რომელსაც მთელმა ევროპამ კინაღამ თავი არ შეაკლა.” *(“აი ისტორია”. 1889 წ.).*

- **ერი რომ თავის ისტორიას ივიწყებს, მაშინ იწყება მისი გათახსირება**

“ერის დაცემა და გათახსირება მაშინ იწყება, როცა ერი, თავის საუბედუროდ, თავის ისტორიას ივიწყებს. როგორც კაცად არ იხსენება ის მაწანწალა ბოგანა, ვისაც აღარ ახსოვს _ ვინ არის, საიდამ მოდის და სად მიდის, ისეც ერად სახსენებელი არ არის იგი, რომელსაც ღმერთი გასწყრომია და თავისი ისტორია არ ახსოვს.” *(“დავით აღმაშენებელი”. 1888 წ.).*

“რა არის ისტორია? იგია მთხრობელი მისი თუ, _ რანი ვიყავით, რანი ვართ და რად შესაძლოა ვიყვენეთ კვლავადაც. ისტორია თავის გულის-ფიცარზედ იჭდევს მარტო სულისა და გულის მოძრაობას ერისას და ამ დაჭდევითა, როგორც სარკე, გვიჩვენებს იმ ღონეს და საგზალს, რომელიც მომადლებული აქვს ამა თუ იმ ერსა დღეგრძელობისათვის და გაძლიერებისათვის.” *(“დავით აღმაშენებელი”. 1888 წ.).*

- **ქართველთა წინაპრების შესახებ**

“ერი, როგორც კრებული ისტორიით შედუღებულ ერთ-სულ და ერთ-ხორც მკვიდრთა, ყოველ პატიოსანისა და ჭკუათამყოფელ ადამიანისაგან უნდა პატივცემული იყოს ყოველ შემთხვევაში... ყოველ ერს თავისი საკუთარი სახე აქვს, თავისი საკუთარი გულთათქმა, თავისი წადილები, თავისი სულთასწრაფვა, თავისი ღირსება” *(“ქვათა ღაღადი”. 1899 წ.).*

“ურარტელნი ქართველთა წინაპარნი ყოფილან, ქართველთა სისხლ-ხორციელი ყოფილან”.

“სტრაბონი ჯერ კიდევ პირველი საუკუნის დასაწყისში აღყვავებულს გვიხატავს საქართველოს, რომელმაც გასაოცარის ხელოვნების ეკლესიებით და მონასტრებით მოჰფინა ძველის-ძველთაგანვე თავისი მხარე, რომელმაც გაავსო როგორც საქართველო, აგრეთვე საბერძნეთი და პალესტინა ქართულის სამკაულებით და მანუსკრიპტებით”. *(“ქვათა ღაღადი”. 1899 წ.).*

“სახელდებულნი სწავლულნი ცხადად და გარკვევით ამბობენ, რომ ქართულნი ისტორიულნი მოთხრობანი ღირსშესანიშნავნი წყარონი არიან არა მარტო კავკასიისა, არამედ აზიის ისტორიისათვისაო. ამასთან დებუა დეი მონპერე იხსენიებს ქართველებს ვითარცა ძველისძველ ერს, რომელიც უხსოვარ დროითაგანვე ამიერკავკასიის დარაჯად სდგომია და ყველა სხვა ცნობილთა ერთა თანა ურთიერთობა ჰქონიაო”.

“ისტორიულ ჭეშმარიტებად ცნობილია, რომ ეგვიპტელთა “მუბენი”, დაბადების “მოსაოხნი” ანუ “მოსსნი” ეხლანდელი “მესხნი”, ჰეროდოტის “ტომარენნი”, სტრაბონის “ტობენნი” და “კოლხნი” შეადგენდნენ ქართველ ნათესაობის ერსა. რადგანაც ისიც ცნობილია, რომ ძველისძველად ამ ქართველ ნათესაობას სჭერია მთელი სივრცე და მთელი აღმოსავლეთი მხარე ამ ზღვისა, აგრეთვე იგი ადგილები, რომელნიც მტკვარსა და არაქსს შუა მდებარეობენ”.

“თუ ურარტელების სიკეთე გამოჰყოლია ვისმე მოდგმით და თუ მაგ სიკეთით შესაძლოა ვინმემ თავი მოიწონოს, ესე ყოველი ქართველობის კუთვნილებაა”.

“მთიანი ქვეყანა, რომელსაც ლურსმული წარწერანი ურარტად ასახელებენ, ჯერ კიდევ 721 წელს ქრისტეს წინათ სამკვიდრო იყო ქართველებისა და თვით ურარტელნი ქართველის ნათესაობის ერი იყო”.

“მთიანი ქვეყანა (ურარტუ), საიდამაც გამოდიან ტიგრი და ევფრატი, ჯერ კიდევ ასურელთა მეფის სარგონის დროს (721 წ.) დასახლებული იყო ერთის მოდგმის ერითა, ... და ეკუთვნის ნათესაობით ქართველებსა”.

“კაბადოკიაში ოდესღაც მართლა ქართველები მკვიდრებულან და ეს ქვეყანა ჰკუთვნებიათ, ამას იგი გარემოებაც ამტკიცებს, რომ დღესაც იმ ადგილებს, მდინარეებს, საცა კაბადოკია იყო, ქართული სახელები შერჩენიათ” *(“ქვათა ღაღადი”. 1899 წ.).*

“ხეტებისა” და ქართველების ნათესაობას, ერთთესლობას ამტკიცებს მასპეროტი, რომელიც ამბობს, რომ ხეტტელნი ნათესავები იყვნენ ტაბალებისა, მუშკებისა, რომელნიც თუშალებად, მოსხებად ცნობილნი არიან და თუშალნი და მოსხნი (მესხნი) ხომ ქართველის მოდგმის ხალხებად მიჩნეულია მეცნიერთაგან”. *(“ქვათა ღაღადი”. 1899 წ.).*

“კაბადოკიაში ქართველნი ყოფილან მკვიდრმოსახლენი, წმინდა მამანი – იოანე ზედაზნელი და მისნი თორმეტი მოწაფენი, რომელნიც მოვიდნენ საქართველოში ქრისტიანობის დანერგვისა და განმტკიცებისათვის, კაბადოკიელი ქართველები იყვნენ” *(“ქვათა ღაღადი”. 1899 წ.).*

“წმინდა გიორგის ნათესავი იყო მოციქულთ-სწორი წმინდა ნინო, აგრეთვე კაბადოკიელი, მაშასადამე მცოდნე ქართულის ენისა”.

“ამისთანა დიდად შესანიშნავს, ლამის ჩვენს ნათესავს ერზე, როგორც ხეტტელნი ყოფილან, არა თქმულა-რა ჩვენს ლიტერატურაში ჯერ აქამომდე”.

“ხეტტელნი, ანუ როგორც ზოგნი ეძახიან გიტნი, დიდი ღვაწლმოსილი ერი ყოფილა, დიდის კულტურის მქონე და რიცხვმრავალნი”.

“ინგლისის მეცნიერი რ. ანდერსონი ამბობს, რომ ევროპის ცივილიზაციის სათავე ხეტტების, იგივე გიტტების ცივილიზაციაა, და ევროპა მადლობელი უნდა იყოს ხეტტებისა, რადგანაც დასაბამი საბერძნეთის კულტურისა ხეტტელებისაგან არის მიღებულიო” *(“ქვათა ღაღადი”. 1899 წ.).*

“ერის გული ზღვაზე უფრო ღრმაა და დიდი საქმეა, ვისაც ღონე შესწევნია და თავის საკუთარი გული და თვალი იქამდინ ჩაუწვდენია.” *(“იოსებ დავითაშვილის გარდაცვალების გამო”. 1887 წ.).*

“გული ერისა იგივ ზესკნელი და ქვესკნელია და ამიტომაც თვალისა, ყურის და ხელის იქამდინ მიწვდენა, _ ხვედრია მარტო რჩეულის კაცისა და ერთი ამათგანი იყო იგივ, ვინც დღეს დავკარგეთ. კურთხეულ იყოს სახსენებელი მისი! კურთხეულ იყავ შენ, ვინც:

დაზგაზედ რანდით ჰლამობდი

მრუდე ხის გასწორებასა.” *(“იოსებ დავითაშვილის გარდაცვალების გამო”. 1887 წ.).*

“უკეთესნი და უდიდესნი შემოქმედნი ერისა ხომ სხვა არა არიან-რა, თუ არ ერის გულის-ნადების და წყურვილის გამომეტყველნი და გამახორციელებელნი, რომელნიც ამის გამო თითქო შემოქმედობენ, თითქო ჰქმნიან ისტორიასა.” *(“დავით აღმაშენებელი”. 1888 წ.).*

“ამიტომაც, ეს ამისთანა მოქმედნი, დაუვიწყარნი უნდა იყვნენ, თუ ერს კიდევ ერობა ჰსურს და დედამიწის ზურგიდამ მტვერსავით ასაგველად არ გადაუდვია თავი. დავიწყება ამათი _ საკუთარი ვინაობის დავიწყებაა, და თუ კაცს თავისი ვინაობა არ ახსოვს, რიღას მაქნისია? იგი ნადირია, რომელსაც, რაკი დედის ძუძუს მოჰშორდება, აღარ ახსოვს თავისი მშობელი და სიცოცხლის მომნიჭებელი.” *(“დავით აღმაშენებელი”. 1888 წ.).*

“გარდა იმისა, რომ ამ უკეთესთა და უდიდესთა მოქმედთა მეოხებით და ღვაწლით ვცხოვრობთ დღესა და ვსულდგმულობთ, ამათ სხვა სამსახურიც მიუძღვით ჩვენ-წინა. ისინი ცხოველი მაგალითებია მისი, თუ რა სიმაღლემდე შეუძლიან ერს ამა თუ იმ გარემოებაში მიაღწიოს. რამოდენადაც დიდ-ბუნებოვანია ამისთანა მომქმედი, რამოდენადაც ეს დიდ-ბუნებოვანობა ხშირია რომლისამე ერის ისტორიაში, იმოდენად უფრო უტყუარი საწყაო გვაქვს ხელთ ერის სიკეთის, ძალ-ღონის და შემძლებლობის აწყვისათვის.” *(“დავით აღმაშენებელი”. 1888 წ.).*

“ერი თავის გმირებში ჰპოულობს თავის სულსა და გულსა, თავის მწვრთნელსა, თავის ღონეს და შემძლებლობას, თავის ხატსა და მაგალითს. ამიტომაც იგი ზოგს იმათგანს წმინდანების გვირგვინითა ჰმოსავს და ჰლოცულობს, ზოგს დიდ

ბუნებოვანობის შარავანდედითა, და თაყვანსა სცემს სასოებით და მადლობითა, ამიტომაც საჭიროა იმათი ხსოვნა, იმათი დაუვიწყარობა." *("დავით აღმაშენებელი". 1888 წ.).*

"ჩვენთვის, ადამიანებისათვის, საჭიროაო, _ ამბობს ბრძენი სენეკა, _ იმისთანა კაცი, რომ მის მიხედვით და მაგალითით შევიძლოთ საკუთარი ხასიათის გაწვრთნა და გამტკიცებაო. ოჰ, რა ბედნიერია იგი, ვინც არამც თუ ჩვენთან ყოფნით გვწვრთნის ჩვენ, არამედ მარტო თავისის სახელის ხსენებითაცაო".

ამისთანა ბედნიერი დავით აღმაშენებელია საქართველოს ერისთვის." *("დავით აღმაშენებელი". 1888 წ.).*

"ჩვენი ისტორია, ჯერ კრიტიკის ცეცხლში არ-გატარებული და არ-გადახალისებული, ბევრს საბუთს და მოწმობას მოიპოვებდა, მრავლის ბნელის ადგილების შუქმოსაფენად, რომ ცნობილი და გამოქვეყნებული იყოს ყოველი იგი ნაშთი ჩვენის განვლილი ცხოვრებისა, რომელიც დღეს კიდევ ზედ აჩნევია ჩვენთა მამა-პაპათა ხელთნაქმართა და ჭკუით ნამოქმედართა. ეხლა ყოველივე ეს თვალთაგან მიფარებულია და დამარხულია მონასტერთა და ეკლესიების კედელთა შორის და ანუ მონასტრისა და ეკლესიების სალაროში." *("საქართველოს ძველი ისტორიისა და მწერლობის განძი". 1886 წ.).*

"ერის პირქვე დამხობა, გათახსირება, გაწყალება იქიდამ დაიწყება, როცა იგი თავისს ისტორიას ივიწყებს, როცა მას ხსოვნა ეკარგება თავისის წარსულისა, თავისის ყოფილის ცხოვრებისა, დავიწყება ისტორიისა, თავისის წარსულისა და ყოფილის ცხოვრების აღმოფხვრა ხსოვნისაგან _ მომასწავებელია ერის სულით და ხორცით მოშლისა, დარღვევისა და მთლად წაწყმედისაცა." *("ერი და ისტორია". 1888 წ.).*

"წარსული _ მკვიდრი საძირკველია აწმყოსი, როგორც აწმყო _ მომავლისა. ეს სამი სხვადასხვა ხანა, სხვადასხვა ჟამი ერის ცხოვრებისა ისეა ერთმანეთზედ გადაბმული, რომ ერთი უმეოროდ წარმოუდგენელი, გაუგებარი და გამოუცნობია. ამიტომაც არის ნათქვამი ერთის ბრძნისაგან, რომ აწმყო, შობილი წარსულისაგან, არის მშობელი მერმისისაო. ეს სამთა ჟამთა ერთმანეთზედ დამოკიდებულება კანონია ისეთივე შეურყეველი და გარდაუვალი, როგორც ყოველივე ბუნებური კანონი." *("ერი და ისტორია". 1888 წ.).*

"ბევრს ერს ქვეყანაზედ სულაც არა ჰქონია წარსული, სულაც არა ჰქონია ისტორია, ესე იგი იმისთანა ცნობიერი ცხოვრება, რომელიც გამოსახავს ხოლმე სულიერს და ხორციელს ვინაობას ერთიანის კრებულისას, მის მიზიდულებას, მის აზრს და საგანს არსებობისას, მის წმინდათა-წმიდას, და რომელიცა მკის თავის დროებისათვის და ამასთანავე სთესს მერმისისათვის. ამისთანა ხალხნი დღესაც ბევრნი არიან ქვეყანაზედ. ამისთანა ხალხი უბინაო კაცსა ჰგავს, რომელმაც არ იცის _ ვინ არის, რისთვის არის, საიდამ მოდის და სად მიდის. ამიტომაც ესეთი ხალხი ბევრით არ გამოირჩევა პირუტყვთაგან და იქნება ბევრში უკანაც ჩამორჩება. ულმობელი კანონი ისტორიისა ამისთანა ხალხს ვერ დაინდობს ეხლანდელს დროში, და სხვა უფრო ძლიერის ისტორიის მქონე ერი დაეძგერება თუ არა, თანაც გაიტანს და შეიწირავს ხოლმე ამისთანა ხალხსა." *("ერი და ისტორია". 1888 წ.).*

"თუ ესეთი არა, ბევრი მეტი აღარ არის იგი ერი, რომელსაც ისტორია ჰქონია და იგი ისტორია დაუვიწყნია; აღარც ამისთანა ერსა აქვს მკვიდრად მოკიდებული ფეხი არსებობისათვის საჭიდაოდ, იმიტომ რომ, რა იყო _ ის დავიწყებული აქვს და, მაშასადამე, რა არის _ არც იცის რა გაიმაგროს, რისთვის გაიწიროს თავი, რას გამოესარჩლოს და რას არა. ფეხ-ქვეშიდამ გამოცლილი აქვს ის მაგარი მიწა, იგი ტანი თავის ვინაობისა, რომელსაც ისტორია შეადუღებს ხოლმე მამა-პაპათა ნაღვაწ-

ნამოქმედარისაგან საშვილიშვილოდ ფეხმოსაკიდებლად და მოსამაგრებლად. იგი დიდება, იგი სახელი, რომელსაც ამისთან ერი ჩაინარჩუნებს ხოლმე წარსულისაგან თავის გულში, თავის სამღერალსა და საგალობელში, ზღაპრებსა და მოთხრობებში ჩარჩენილნი სახსოვარნი, ისტორიის დავიწყების გამო, მართალს აღარა ჰგვანან და უაზრო და უსაგნო ზღაპრადღა გარდაიქცევიან, როგორც მთქმელის, აგრეთვე გამგონის თვალშიაც. ამის გამო ამ სახსოვრებში ის ცეცხლმოსაკიდებელი ძალ-ღონე აღარ არის, რომელიც კაცს ააფეთქებს ხოლმე მოქმედებისა და გარჯისათვის, და რაკი ეს არ არის, ყოველი ეს განძი და საუნჯეც-კი, წარსულისაგან გადმოლოცვილი, ამაო და ფუჭია ერის გამხნევებისათვის, ერის დღეგრძელობისათვის." *("ერი და ისტორია". 1888 წ.).*

"შვილმა უნდა იცოდეს, სად და რაზედ გაჩერდა მამა, რომ იქიდამ დაიწყოს ცხოვრების უღელის წევა. შვილს უნდა გამორკვეული ჰქონდეს, რაში იყო მართალი და კარგი მისი მამა, რაში იყო შემცდარი, რა ავი მიიჩნია კეთილად, და რა კეთილი _ ავად, რა უმართავდა ხელს, რა აბრკოლებდა, რისთვის ირჯებოდა და მხნეობდა, და რისთვის და რაში უქმობდა. უამისოდ თვითონ შვილი, რაც გინდა მხნე და გამრჯელი იყოს, უხორთუმო სპილოს ეგვანება, დავით გურამიშვილისა არ იყოს, და ამ წუთისოფელში ვერას გახდება." *("ერი და ისტორია". 1888 წ.).*

"ჩვენ ერს ორი ათასი წელიწადი უცხოვრია ისტორიულის ცხოვრებით. ბევრი მაგარი და ბევრიც უვარგისი ქვა ჩაუდგია იმ საძირკველში, რომელზედაც დღეს ჩვენი აწმყოა დამყარებული მერმისის ამოსაგებად, რომ მართლა ესეა, ამის საბუთი თვალწინ გვაქვს. რა შეგვინახავდა ამ ერთ მუჭა ხალხს ამ ორიათას წელიწადს ამოდენა დაუძინებელ მტრებს შორის, რათ და როგორ შეგვარჩენდა ხარბობა უცხო თემთა ამ მშვენივრად შემკულს წალკოტსა, რომელსაც საქართველოს ეძახიან, თუ ჩვენს წარსულს ჩვენის ცხოვრების საძირკველში მაგარი ქვა არ ჩაედგა. ეს ერთის მხრით, მეორეს მხრით _ რა ჩამოგვარჩენდა ასე უწყალოდ სხვა ქვეყნებსა ან განათლებასა, ან გამდიდრებაში, თუ ამისთანა ქვეყნის პატრონთა ცხოვრების საძირკველში მაგარ ქვასთან ერთად უვარგისი და ფხვნილი ქვაც არ ჩაეყოლებინა ჩვენს ისტორიას." *("ერი და ისტორია". 1888 წ.).*

"რომელია სიმაგრე ჩვენის ცხოვრებისა და რომელი სიფუყე და სისუსტე, ამას ხსნის და გვითარგმნის ხოლმე მარტო ისტორია, და თუ იგი დავივიწყეთ, მაშ დაგვიწყნია ჩვენის ცხოვრების სათავეც, ჩვენის ცხოვრების ფესვი, ჩვენის ცხოვრების საძირკველი, და თუ ასეა _ რაღაზედ უნდა დავამყაროთ ჩვენი აწმყო, ჩვენი მერმისი? არ არის არც ერთი მხარე ჩვენის ცხოვრებისა, როგორც სხვისაც, რომ რაიმე წარსულის ნაშთი ზედ არ შეგვრჩენოდეს, ხოლო ამ ნაშთისა დღე ჩვენ აღარა გაგვეგება რა, ვიმეორებთ, იმიტომ, რომ დავიწყებული გვაქვს მისი ამხსნელი და გამმარტებელი ისტორია. ამიტომაც ჩვენ ბევრში უთავბოლობა გვეტყობა, არაფერი საქმე არ გვიხერხდება, აქეთ და იქით ვასკდებით თავს-ბრუ-დახვეულ კაცივით და ვერა გამოგვიტანია რა. ეს უქმად წარმავალი გარჯა ჩვენი, უქმად წარხდომილი მხნეობა და ცდა, ქანცს უწყვეტავს გამრჯელს და მის მაყურებელს ერს ხომ გული უტყდება, თავის-თავზე სასოება და იმედი ეკარგება, და აქედამ განა დიდი მანძილიღაა სრულიად განადგურებამდე." *("ერი და ისტორია". 1888 წ.).*

"ისტორია იგი დიდებული ტაძარია, საცა უწირავს ერთიან სულსა ერისას და საცა აღუმართავს ერს თავის დიდებული და დიდ-ბუნებოვან კაცთა უწმინდესნი ხატნი და ზედ წარუწერია დიდთა საქმეთა მოთხრობა, ვითა საშვილიშვილო ანდერძი. ერი, რომელსაც ახსოვს ეგ თავისის ერთიანის სულის წირვა, ეგ თავის დიდ-ბუნებოვანნი კაცნი და დიდთა საქმეთა ამბავი, კეთდება, მხნევდება, ჰგულოვანდება და

თავმოწონებულია ყველგან, ჭირია თუ ლხინი. ამ ღირსებათა პატრონი ერი არ დაუვარდება, არ დაუძაბუნდება არავითარს ზედმოსეულს უბედურებასა და განსაცდელსა. იგი გულგაუტეხელად იბრძვის, იღწვის, გამხნევებული თავის მამა-პაპის მაგალითითა და ანდერძითა, და მარტო გულგაუტეხელი მებრძოლი დაინარჩუნებს ხოლმე ბურთსა და მოედანს ამ წუთისოფელში." *("ერი და ისტორია". 1888 წ.).*

"დიდ-ბუნებოვან კაცთა და სახელოვან გმირთა მაგალითებით ისტორია სწურთნის ერსა, ზრდის, და დიდებულნი საქმენი კიდევ გულს უკეთებენ მოქმედებისათვის, აქეზებენ, ამხნევებენ, თუ ნამეტნავად ის მაგალითები ერის საკუთარის ისტორიისანი არიან. ერი თავის გმირების ცხოვრებითა და მაგალითებით უნდა ჰსულდგმულობდეს, თუ მართლა ერობა ჰსურს და ეგრეც არის, საცა ერი ერობს. აბა შეხედეთ სხვა ქვეყნებს, ერთი იმისთანა სახელოვანი კაცი არა ჰყოლიათ, რომ მის სახსოვრად ძეგლი არა ჰქონდეთ აღმართული. რისთვის? სულ იმისთვის, რომ დიდმა და პატარამ დაიხსომოს თავისი სახელოვანი კაცი, სულ მუდამ თვალ-წინ იყოლიოს და მის მიბაძვას ეცადოს." *("ერი და ისტორია". 1888 წ.).*

"მრავალგვარი მნიშვნელობა ისტორიისა ერის გამოცოცხლებისათვის კარგად იცოდნენ თავის ერის გულშემატკივართა სხვა ქვეყნებში. იგი სახელოვანნი მამულისშვილნი, ყველაზედ უწინარეს, ერის გამოკეთებისათვის დავიწყებული ისტორიის აღდგენას შეეცადნენ. გამოღვიძებამ ერისამ უგემურის ძილისაგან ყველგან აქედამ დაიწყო თავისი დასაწყისი, და ამ-გზით გამოფხიზლებულ ერს კეთილდღეობასა და ხელახლად აღორძინებას დღეს ბევრგან ჩვენი თვალით ვხედავთ.

ჩვენ გვწამს ესეთი სასწაულთმოქმედება ისტორიისა." *("ერი და ისტორია". 1888 წ.).*

"კიდევ ვიტყვით, აღდგენა ისტორიისა _ ერის გამოცოცხლებაა, გამომხნევებაა, აწმყოს გაგება და წარმართვაა, მერმისის გამორკვევაა სიბნელისაგან." *("ერი და ისტორია". 1888 წ.).*

"რა არ გადაგვხედია თავს, რა მტრები არ მოგვსევიან, რა ვაი-ვაგლახი, რა სისხლის ღვრა, რა ღრჭენა კბილთა არ გამოგვივლია, რა წისქვილის ქვა არ დატრიალებულა ჩვენს თავზედ და ყველას გავუძელით, ყველას გავუმაგრდით, შევინახეთ ჩვენი თავი, შევირჩინეთ ჩვენი ქვეყანა, ჩვენი მიწა-წყალი. ლანგ-თემურებმა ჩვენს საკუთარს სისხლში გვაბანეს და მაინც დავრჩით და გამოვცოცხლდით. შაჰ-აბაზებმა ჩვენი კბილით გვაგლეჯინეს ჩვენი წვრილ-შვილნი და მაინც გამოვბრუნდით, მოვსულიერდით. აღა-მაჰმად-ხანებმა პირქვე დაგვამხეს, ქვაზედ არ დაგვაყენეს, მოგვსრნეს, მოგვჟლიტეს და მაინც ფეხზედ წამოვდეგით, მოვშენდით, წელში გავსწორდით. გავუძელით საბერძნეთს, რომსა, მონღოლებს, არაბებს, ოსმალ-თურქებს, სპარსელებს, რჯულიანს და ურჯულოს და დროშა ქართველობისა, შუბის წვერით, ისრით და ტყვიით დაფლეთილი, ჩვენს სისხლში ამოვლებული, ხელში შევირჩინეთ, არავის წავაღებინეთ, არავის დავანებეთ, არავის შევაგინებინეთ. ცოდვა არ არის, ეს დროშა ეხლა ჩრჩილმა შესჭამოს, თაგვმა დაგვიჭრას." *("რა გითხრათ? რით გაგახაროთ?" 1897 წ. 31 დეკემბერი).*

- **ცილობა ხარბი ქვეყნებისა საქართველოსათვის**

"როგორც სპარსეთმა, ისეც ოსმალეთმა კარგად იცოდა, რა დიდი საქმეა საქართველოს ხელში ჩაგდება მისთვის, ვინც დაასწრებს. ვინც საქართველოში ფეხს მოიმაგრებდა, იგი დიდს ზედმოქმედებას იქონიებდა მთელს დასავლეთს და მცირე

აზიაში და სვე-ბედი აზიის შესახებ პოლიტიკისა ხელთ ჩაუვარდებოდა სხვათა შესახუთავად." *("ასის წლის წინათ". 1899 წ.).*

"არც სპარსეთს უნდოდა, რომ საქართველოს დაჭერით ვინმე სხვა სახელმწიფო ახლო მოსვლოდა, არც ოსმალეთს, რადგან საქართველო ამ ორსავ სახელმწიფოს საზღვრად და გზად ედვა. თუმცა რუსეთისაგან შიშს ეს ორივ სახელმწიფო ერთად უნდა ემოქმედებინა, მაგრამ ასე არ მოუხდათ. სპარსეთს უნდოდა მარტოს სჭეროდა საქართველო, ჯერ ვითარცა კარი რუსეთიდამ აზიაში შემოსევისათვის დასაკეტი და მერმე ვითარცა გზა ოსმალეთის შესალახველი. ამასვე ჰლამობდა ოსმალეთი და სპარსეთს არ ანებებდა საქართველოს დაჭერას, თვით სწყუროდა ეს კარი და გზა თითონ ჰქონებიყო და სპარსეთისათვის მუქარად ხელთა სჭეროდა. აზიაში ეს ორი სახელმწიფო ერთმანეთს ეცილებოდა პირველობასა და ბატონობას და ამიტომ ერთმანეთზე ალურსებული იყვნენ და ერთმანეთს შორს უდგნენ." *("ასის წლის წინათ". 1899 წ.).*

"ორ-მხრივული მტრობა საქართველოსათვის ახალი ამბავი არ იყო. თუმცა დიდი ხანია ცალკე სპარსეთი, ცალკე ოსმალეთი ამ აზრით ეტანებოდნენ ჩვენს ქვეყანასა, მაგრამ საქართველო, ასე თუ ისე, როგორც იყო, იგერიებდა ერთსაც და მეორესაც და არც ერთს არ ჰნებდებოდა." *("ასის წლის წინათ". 1899 წ.).*

"წინათ ბევრჯერ ააოხრეს საქართველო, ბევრჯერ მიანგრ-მოანგრიეს, ჩამოათალეს სანაპირო ქვეყნები, ხოლო გული კი ვერ შეუნგრიეს. საქართველო იბრძოდა, ჯვარს ეცმოდა და გულს კი არ იტეხდა. ამ ტანჯვა-წამებით მოაწია ამ პატარა ქვეყანამ, ამ ერთმა მუჭა ერმა მეთვრამეტე საუკუნის დასასრულამდე. შეირჩინა რჯული, ენა, თავისი ეროვნული ვინაობა და თავისი ქვეყანა. როცა გაძლიერებულმა რუსეთმა ფეხი მიაბჯინა ჩრდილო-კავკასიის მთებს და წამებულმა საქართველომ რუსეთისაკენ მიიხედა და გული მიიბრუნა, მაშინ უფრო გაუმძვინვარდნენ მტრები და ნამეტნავად სპარსეთი. აღა-მაჰმად-ხანის მოსევა და თავდასხმა 1795 წელს _ რუსეთთან საუბრის გამართვამ გამოიწვია და ოსმალოც ამ მიზეზმავე თავს წამოგვაყენა, და ერთიც და მეორეც, თუმცა ცალ-ცალკე-კი, უფრო მეტის მძვინვარებით მოგვისია." *("ასის წლის წინათ". 1899 წ.).*

"გულკეთილი, მაგრამ სუსტი მეფე გიორგი როგორ გაუძლებდა ამისთანა გარემოებას და როგორ გაუძღვებოდა გაჭირვებულს სამეფოს, რომელიც აღა-მაჰმად-ხანის აოხრებისაგან ჯერ კიდევ არ გამობრუნებულიყო, არ გამორკვეულიყო და წყლული არ გამრთელებოდა. ამას დაურთეთ ის ამბავიც, რომ ლეკნიც-კი გაუთამამდნენ უღონოდ-ქმნილს მეფეს და, ახალციხის ფაშას წაქეზებით, ხან აქ იკლებდნენ ქვეყანას, ხან იქ. გარდა ამისა, შინ, მეფის სახლობაშიაც, ყველაფერი აწეწილი და აშლილი იყო. ცალკე ქვრივი დედოფალი დარეჯანი, ცალკე ძმები აეშალნენ, ყველანი თავის-თავისაკენ იწევდნენ და მეფეს ეურჩებოდნენ. სამეფო სვე-ბედი ხელში სათამაშოდ გაიხადეს და საწყალ მეფე გიორგის რა უნდა ექმნა ასეთს მდგომარეობაში: გარეთ მტრისათვის გაეცა პასუხი, თუ შინ გასძღოლოდა შუღლსა და ცილებას დედინაცვლისას და ძმებისას, ყოველ ამას შავი ჭირიც დაერთო და მთელი ქვეყანა შეაძრწუნა და სასოწარკვეთილებას მისცა. თვითოეული ზემოხსენებული უბედურება ცალკე საკმაო იყო, რომ მეფე და სამეფო განწირულებაში ჩავარდნილიყო და სულ ერთად ხომ ზედმოსეული _ ერთ დიდ უძლეველ უბედურებად შეიქმნა." *("ასის წლის წინათ". 1899 წ.).*

"ჩვენი ქვეყანა სათრეველაა ერთს დიდს ურემზედ გამობმული. საითაც გაიწევს ურემი, იქით მიდის სათრეველაც." *("ფიქრი და შენიშვნა". 1878 წ.).*

- **ქართველი ერის იმედი მომავლისა**

"სხვა გზა არ იყო, მეფე გიორგის ან ოსმალეთთან უნდა დაეჭირა საქმე, ან სპარსეთთან და ან რუსეთთან, რომ როგორმე გადაერჩინა საქართველო ამოდენ ერთად ზედმოსეულ უბედურებისაგან. ამ საქმეს აჩქარება უნდოდა. ღვთის-მოსავმა და ღვთის-მოყვარე მეფე გიორგიმ, რა თქმა უნდა, ერთმორწმუნე რუსეთი ირჩია. ამას ეუბნებოდა წინაპართა ანდერძიცა, რადგანაც, მისდა მეფობის წინათაც, ჯერ კიდევ 1576 წლითგან, საქართველოს მეფენი ბევრჯერ გამოჰლაპარაკებიან რუსეთს და მისგან ხელშეწყობას და ხელის გამართვას მოჰლოდებიან, ქრისტეს ჯვარისათვის ჯვარცმულ ერის მეფემ ქრისტეს ჯვარისვე მოსავი ერი მოიწვია საშველად და მფარველად." *("ასის წლის წინათ". 1899 წ.).*

"ესე შემოვიდა რუსის ჯარი ტფილისში. ამ დიდის ყოფით და ამბით დახვდა რუსეთის ჯარს მეფე და ერი. სასოწარკვეთილმა მეფემ და ერმა ძლივს ნუგეშითა და იმედით გაიცოცხლა გული. მეფის კარიდამ დაწყებული უკანასკნელ ქოხამდე სიხარულმა გაშალა თავისი სანატრელი ფრთა, სიხარულმა ხსნისამ და ნუგეშისამ. დიდი ხანია საქართველოს ამისთანა ბრწყინვალე დღე არ ენახა. ყველას, დიდიდამ პატარამდე, ქალით კაცამდე, გული აევსო იმ სანატრელ იმედითა, რომ რუსის მხედრობის დაბინავება საქართველოში საქართველოს მოუვლენს იმ მშვიდობიანობას, იმ მოსვენებას, იმ პატრონობასა და მფარველობას, იმ ბედნიერადა და უტკივრად შინაურ ცხოვრებას, რომელთათვისაც ამდენს საუკუნეების განმავლობაში ასე თავგამეტებით, ასე თავდადებით იბრძოდა საქართველოს შვილი და თავისის სისხლით ჰრწყავდა ყოველს კუთხეს თავისის ქვეყნისას." *("ასის წლის წინათ". 1899 წ.).*

"ამ ღირსსახსოვარ დღიდამ საქართველომ მშვიდობიანობა მოიპოვა. შიში მტრისა ერთმორწმუნე ერის მფარველობამ გაუფანტა. დამშვიდდა დიდი ხნის დაუმშვიდებელი, დაღალული ქვეყანა, დაწყნარდა აკლებისა და აოხრებისაგან, დასცხრა ომისა და ბრძოლისაგან. დადუმდა ჟღერა ხმლისა და მახვილისა, მტრისა ხელით მოღერებულისა ჩვენზე და ჩვენს ცოლ-შვილებზე, გაჰქრა ცეცხლი, რომელიც სწვავდა და ჰბუგავდა ჩვენს მამა-პაპათა ბინას, ჩვენს საცხოვრებელს, გათავდა რბევა და აკლება, მიეცვა წარსულს და მარტო საშინელ და შემაძრწუნებელ სახსოვრად-ღა დაგვრჩა. დაუდგა ახალი ხანა, ხანა მოსვენებულის, უშიშარის ცხოვრებისა, სისხლდანთხეულ და ქრისტეს ჯვრისათვის ჯვარცმულ საქართველოს, რომელიც ღმერთმა სააქაო სამოთხედ გაუჩინა ადამიანს და კინაღამ ერთ დიდ სასაფლაოდ არ გადაექცა მისს თავდადებულ შვილებს, რომელნიც უმწედ, უნუგეშ, ყველასაგან შორს, მარტოდ-მარტო იხოცებოდნენ ქრისტეს სარწმუნოების სადიდებლად და თავისის ვინაობის გადასარჩენად. დაიდვა საზღვარი მშვიდობის-მყოფელ ცხოვრებისა. ის დღეა და ეს დღე, ვერავინ გადმოლახა იგი საზღვარი ცეცხლითა და მახვილით ხელში და 26 ნოემბერს 1799 წელს, კვლავ სასოება-გაღვიძებული მეფე და ერი, გულწრფელად მიენდო თავისს მომავალსა, დიდის რუ-სეთის მფარველობის იმედითა ნუგეშით ფრთაშესხმული." *("ასის წლის წინათ". 1899 წ.).*

- **საბუთი გვაქვს ვსთქვათ, რომ თვითეული ჩვენგანი რუსული ლიტერატურით გაზრდილია**

"თუ საჭიროა ჩვენთვის რუსეთის ცხოვრების გაცნობა, საჭიროა იმავე საბუთით იმ ლიტერატურის გაცნობაც, რომელიც დასტრიალებს მას და სულს უდგამს." *("ფიქრი და შენიშვნა". 1878 წ.).*

"რუსულ ლიტერატურაში მოიპოვება ზოგჯერ ბევრი იმისთანა რამ, რომელიც ერთგვარად შესანიშნავია რა ენაზედაც და რა საზოგადოებაშიაც უნდა გადატანილი იქმნას. ამაზედ ლაპარაკი საჭირო არ არის. მისი მნიშვნელობა ცხადია, როგორადაც ცხადია ახალის ცოდნისა და აზრის შეთვისების საჭიროება, ვისიც და სადაურიც უნდა იყოს იგი აზრი." *("ფიქრი და შენიშვნა". 1878 წ.).*

"თქმა არ უნდა, რომ რუსულმა ლიტერატურამ დიდი ხელმძღვანელობა გაგვიწია წარმატების გზაზედ და დიდი ზემოქმედება იქონია ყოველს მასზედ, რაც ჩვენს სულიერს ძალღონეს შეადგენს და ჩვენს გონებას, ჩვენს აზრს, ჩვენს გრძნობასა და ერთობ ჩვენს მიმართულებას ზედ დააჩნია მან თავისი ავ-კარგიანობა. არ არის დღეს ჩვენში არც ერთი მოღვაწე და მომქემდი კაცი მწერლობაში, თუ საზოგადო საქმეთა სარბიელზედ, რომ თავისუფალი იყოს ხსენებული ლიტერატურის ზედგავლენისაგან. საკვირველიც არ არის: რუსულმა სკოლამ _ მეცნიერებამ გაგვიღო კარი განათლებისა და რუსულმავე ლიტერატურამ მოაწოდა საზრდო ჩვენს გონებასა და გამოჰკვება ჩვენი აზრი მოძრაობის გზაზედ. თვითოეული ჩვენგანი, გინდა თუ არა, უნდა დასწაფებოდა ამ ორს წყაროს თავის სულიერ წყურვილის მოსაკლავად. სხვა გზა არ იყო, ამიტომაც საბუთი გვაქს ვსთქვათ, რომ თვითოეული ჩვენგანი რუსული ლიტერატურით გაზრდილა, თვითოეულს ჩვენგანს მის გამონარკვევზედ აუგია თავისი რწმენა. თავის მოძღვრება და თავისი საგანი ცხოვრებისა საზოგადო საქმისათვის ამ გამონარკვევის მიხედვით გამოურჩევია". *("დედათა საქმის გამო". 1889 წ. 15 მარტი).*

"რასაკვირველია, ამ ზედმოქმედებამ რუსული ლიტერატურისამ მარტო იმას შესძინა სიკეთე, რომელმაც ყოველი გამონარკვევი ლიტერატურისა თავის საკუთარ კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა, ბრმად არ იწამა, ბრმად არ მიიჩემა და ამრიგად არ დაიხვია ხელზედ ცხოვრებაში იოლად წასვლისათვის". *("დედათა საქმის გამო". 1889 წ. 15 მარტი).*

"ჩვენდა საბედნიეროდ, ვიტყვით, რომ ზოგნი ჩვენში, რუსული ლიტერატურის მეოხებით გაზრდილნი და გაწურთვნილნი, ასე ბრმად ტყვეთ არ მისცემიან ამ ლიტერატურის აუცილებელს ზედმოქმედებას. ამათ ჯერ გამოუძიებიათ მისი გამონარკვევნი და მერე ისე ან შეუთვისებიათ, ან უარუყვიათ. ჩვენდა სანუგეშოდ, მარტო ამას არ დასჯერებიან. იმავ კრიტიკით და გამოძიებით მხარდამხარ ასდევნებიან ამ ლიტერატურის წინსვლასა, წარმატებას და არ გაჩერებულან მის რომელსამე ხანაზედ".

"ლიტერატურა, რომელსაც მადლი ცხოველმყოფილებისა სძრავს და ამოქმედებს, ერთი გაუწყვეტელი გრეხილია აზრთა ზედმიყოლებით განვითარებისა და წარმატებისა. ამისთანაა რუსული ლიტერატურაცა" *("დედათა საქმის გამო". 1889 წ.).*

"ოთხი წელიწადი იყო, რაც მე რუსეთში ვიმყოფებოდი და ჩემი ქვეყანა არ მენახა. ოთხი წელიწადი!... იცი მკითხველო, ეს ოთხი წელიწადი რა ოთხი წელიწადია! პირველი, რომ მთელი საუკუნეა მისთვის, ვინც თავის ქვეყანას მოშორებია, მეორე, ეგ ოთხი წელიწადი ცხოვრების საძირკველია, ცხოვრების წყაროს სათავეა, ბეწვის ხიდია, სიბნელისა და სინათლის შუა ბედისაგან გადებული. მაგრამ ყველასათვის კი არა, მარტო

იმათთვის, ვინც რუსეთში წასულა, რათა ჭკუა ავარჯიშოს, ტვინსა და გულს მოძრაობა მისცეს, - ფეხი აადგმევინოს. ეს ის ოთხი წელიწადია, რომელიც ჭაბუკის ტვინსა და გულში გამოჭკვანძავს ხოლმე ცხოვრების კვირტსა. ეს კვირტი კიდევ ის კვირტია, რომლიდამაც მშვენიერი და ბრწყინვალე მტევანიც გამოვა და ძაღლყურძენაცა-ო, ძვირფასო ოთხო წელიწადო! ნეტავი იმას, ვისაც შენგან გადებული ბეწვის ხიდი ფეხთა ქვეშ არ ჩასწყდომია, ნეტავი იმას, ვინც შენ რიგიანად მოგიხმარა" *("მგზავრის წერილები". 1861 წ.).*

"ჩვენ მოვიყვანთ აქ ერთი რუსი მწერლის ნათქვამს (русская речь. ნოემბერი):

"ჩვენ რუსებმაო, ამბობს იგი – არ უნდა დავივიწყოთ, თავის-დღეში, რომ საქართველო ხმლით არ დაგვიჭერია, რომ ჩვენ იმათი თანასწორი ვართ და არა მძლავრი ბატონები. ჩვენ არ უნდა დავივიწყოთ, რომ ქართველნი შემოვიდნენ ჩვენს ოჯახში მისთვის, რომ ქართველადვე დარჩნენ და უცხო სარწმუნოებამ, ჩვეულებამ არ შთანთქას. ამიტომაც ყოველსავე ქართულს, ყოველსავე ქართველთაგან ისტორიით მოპოვებულს, ყოველსავე სალოცავს ერისას და წმინდანად აღიარებულს, ყოველსავე თვისებას მათსა იმოდენად პატივი უნდა ვცეთ, იმოდენად მხარი მივცეთ და ხელი შევუწყოთ, რამოდენადაც ჩვენს საკუთარს რუსულს. კავშირი ძმათა შორის იმაში მდგომარეობს, რომ ერთიმეორეს ძმურად შეეწეოდეს, ერთიმეორეს შეემსჭვალოს, და არა იმაში, რომ ერთის ადამიანობა მეორეს მტლად დაედოს, ერთმა მეორე ჩაჰყლაპოს, ყოველივე სახე ერისა, ყოველივე ეროვნება ერთნაირად ბუნებრივია, ერთნაირად კანონიერი, აგრეთვე ყოველივე ჩვეულება და თვისება" *("შინაური მიმოხილვა". 1881 წ., დეკემბერი).*

"საზოგადოდ, - მაბობს ეს მწერალი – ინკორპორაცია ქვეყნისა, რომელსაც ჰქონია თავის ისტორიული ეროვნობა, ყოველთვის დიდს სიძნელეს წარმოადგენს და ხშირად უფრო მეტი ვნება აქვს, ვიდრე სარგებლობა" *("შინაური მიმოხილვა". 1883 წ., აგვისტო).*

"ისტორიულ ერთა მოსპობა შეუძლებელია. დიდი უბედურობისა და დამცირების შემდეგაც კი, ისინი კვლავ აღდგებიან ხოლმე და გულში ღრმად იმარხავენ შეურიგებელს სიმძლავრეს დამჩაგვრელთა და დამპყრობთა მიმართ" *("შინაური მიმოხილვა". 1883 წ. აგვისტო).*

"... ვაპირობ წასვლას რუსეთში, მაგრამ, შენმა გარდამ, ისე მეძნელება დატოვება ამ ჩვენ ყვარლისა ნამეტნავათ, ამ ჩვენ სახლისა, სადაც ყოველი ნაწილი ალაგისა მომაგონებს ხოლმე ჩემს დაუდევნელ ყმაწვილობის დროს, სადაცა ყოველი ხე არის ძვირფასი ჩემთვის სასიამოვნო მოგონები[თა]. ერთის სიტყვით, ვესალმები ყოველს ფერს, რაიც არის ჩემის გულიდამ დაუვიწყარი, და მივდივარ ერთს უცხო ქვეყანას, სადაც ერთი ტკბილი ნათესავური სიტყვა, სავსე სიყვარულითა, ეღირება ჩემთვის ნეტარებათ. სადაც უბედურობაში არავინ მეყჰოლება ნუგეშმცემელი და სიამოვნებაში ჩემთან მოხარული. მაგრამ ყოველი ჩემებრი, რომელსაც მომავალ დროის შავ ღრუბელში აღებრწყინდება ბედნიერების ვარსკვლავი და რომელსაც სურს შეეყაროს იმ ბედის ვარსკვლავს, ყოველთვის ტკბილს მდგომარეობას დაუტევებს და სიმწარით განვლის გზას მისთვის, რომ უფრო უტკბილესად შეხვდეს თავის ბედნიერებას. შენ თითონ იცი, ვარდსა წინ მოუძღვის ეკალი, ვისაც სურს მოწყვეტა. არ უნდა შიშობდეს ეკლისგან..." *(წერილები ნინო ჭავჭავაძე-აფხაზისადმი". 1857 წ. ყვარელი).*

მეექვსე თავი
პოლიტიკური ეკონომიის გაკვეთილები

- საადგილმამულო კრედიტი: რით გამოიხატება მისი სიძვირე და სიიაფე
- ფინანსური დაწესებულება და ბანკი: რა აქვთ საერთო
- ფული: კერძო კაცთა ურთიერთობაში სიმდიდრის საწყაოა
- მეცნიერება შრომის ნაყოფის რა ნაწილს სდებს საქონლის სახელს. მარტივი გაცვლა-გამოცვლა
- რთული გაცვლა-გამოცვლა საქონლისა. ფულის მხოლოობითი მნიშვნელობა
- "საქონელი – ფული – საქონელი" ფორმულის არსი
- ბაზარი: საქონლის გაცვლა-გამოცვლის ადგილი
- საპოლიტიკო ეკონომიის კანონებზე საუბარი ბ-ნ მეისნერის "პროექტის" გამო;
- ღვინოს იყიდის, რომ ისევ ღვინო ჰყიდოს: რას ნიშნავს ეს?
- ახალის ბაზრის აჩენა როდის არის კარგი
- სალიანის თევზისა და ხიზილალის ამბავი: ახალი ბაზარი აიჩინა და დღეს მხოლოდ მდიდარი ხმარობს საჭმელად
- კიდევ რას უქადის ბ-ნ მეისნერის "პროექტი" მშრომელ ადამიანებს?
- კონკურენცია აღებ-მიცემობაში მართლად საკეთილოა წარმოებისათვის, მაგრამ მაგას საზღვარი აქვს
- შედარებითი უპირატესობის პრინციპი: ის გარჯა, რასაც იეფად სასყიდ ჭირნახულს ვახმართ, უფრო ძვირფასს რასმე მოვახმაროთ
- სავაჭრო ბალანსი
- სახელმწიფო და საერობო გადასახადი. ბაჟის შემოღებამ გლეხის მდგომარეობა გააუარესა
- ღალა ანუ მიწის ქირა

- **საადგილმამულო კრედიტი: რით გამოიხატება მისი სიძვირე და სიიაფე**

"ჩვენ ხშირად ვხედავთ, რომ ფულიანი და უფულო ერთმანეთში გარიგდებიან. ასე რომ ერთიმეორეს ფულს (თავნი) ასესხებს. მაგგვარი გარიგება მოხდება, მაშინ როცა გამრიგებელთ შორის ნდობაა. მაგ ნდობას, რომლის მეოხებითაც ფული ერთის ხელიდამ მეორეში სესხად გადააქვს და რომელსაც გარიგება და პირობა ზედ დაჰყვება ხოლმე, ჰქვიან კრედიტი".

"ეკონომიკური საგანი კრედიტისა განსაკუთრებით ის არის, რომ იგი უსათუოდ უნდა მოიხმაროს კაცმა ეკონომიკურის წარმოების წარმატებისათვის. კრედიტი მხოლოდ

ამით შეიქმნება ერთ იმ ეკონომიკურ ღონედ, რომლის მეოხებითაც ქვეყნის ნივთიერი კეთილდღეობა და სიმდიდრე მატულობს. მაშასადამე, კრედიტი, წმინდა ეკონომიკური თვისების, იმისთანა რამ არის, რომლის ძალითაც ფული ერთის ხელიდამ მეორეში გადადის მარტო იმ აზრით, რომ ეკონომიური წარმოება განაძლიეროს. ეგ წარმოების გაძლიერება ერთის მხრით ეკონომიური მიზანია კრედიტისა, და მეორეს მხრით მხოლობითი ეკონომიური სახსარიც არის კრედიტით ნაშოვნი სესხის გადახდისა".

"რადგანაც ეკონომიური წარმოება და მასთან შეკავშირებული ქონება სხვადასხვაგვარია, ამის გამო სხვადასხვაგვარი კრედიტიც არის. კრედიტი, რომელიც მიწისმოქმედებისათვის არის საჭირო და მასზედ უნდა იყოს მიქცეული, არის ის კრედიტი, რომელსაც მეცნიერებაში ეძახიან მიწისსამოქმედო კრედიტსა".

"მიწის სამოქმედო კრედიტი, რომელსაც უნდა ჰქონდეს საგნად გაძლიერება მიწისმოქმედებისა, ესე იგი იმ წარმოებისა, რომელიც მიწასა და მიწის შემუშავებაზედ არის დამოკიდებული, განირჩევა სხვაგვარის კრედიტისაგან იმნაირის თვისებითა, რომელიც წარმოსდგება მიწისა და მიწის შემუშავების ეკონომიურის ბუნებიდამ".

მიწისმოქმედება იმისთანა თვისების ეკონომიკური წარმოებაა, რომ ჯერ თავისის გაუმჯობესებისათვის დიდსა და ხანგრძლივს დროსა თხოულობს და მეორე თავნსა, რომელსაც მასზედ ვხარჯავთ, გვიბრუნებს ჩვენ თანდათან და ცოტ-ცოტად და არა ერთბაშად. მაშასადამე, კრედიტიც, რომელიც ამ თვისების წარმოებაზედ უნდა იყოს მიქცეული, პირველი ხანგრძლივი უნდა იყოს, მეორე – ისეთი, რომ ცოტ-ცოტაობით და თანდათანობით გადიხდებოდეს". *(ნ. ნიკოლაძე და მისი შეხედულება ბანკზე". 1876 წ.).*

"თქვენ უნდა გეფიქრათ, ჩვენს მინისტრებსაო, - ბრძანებს ბატონი დიმიტრი ყიფიანი – რომ ათისა თუ თორმეტი ასისათვის, ესე იგი, 10-12%-ის გადახდა სასოფლო მამულისაგან ყოვლად შეუძლებელი არისო. დავუკვირდით ამ სიტყვებს და, სწორედ მოგახსენოთ, ვერ გავიგეთ, ამით რის თქმა ჰსურვებია ბ-ნ დიმიტრი ყიფიანს? ასის თავად რა მიუღია ამ შემთხვევაში: ნასესხები ფული, მაგალითებრ, ას მანეთზედ ათი თუ თორმეტი სარგებელი თუ მამულის ღირებულება?".

"რომ ახსნა მართლა საჭიროა, ბ-ნი ყიფიანის ზემოხსენებული სიტყვებიდან სჩანს. თუ ნასესხები ფული იგულისხმება ასის თავად, მაშინ სხვა პასუხი აქვს და თუ ასის თავად მიღებულია თვითონ მამულის ღირებულება – მაშინ სხვა. ამას კი ვიტყვით, რომ საქმის ზედმიწევნით მცოდნე კაცს ესეთი ორაზროვანი თქმა არ მოუვიდოდა.

იქნება ბ-ნს ყიფიანს იმისი თქმა უნდოდა, რასაც თვითონ სიტყვები ამბობენ, და სიტყვები კი იმას ამბობენ, რომ თუ 10-12%-ის ხდა სოფლის მამულს არ შეუძლიანო – მაშ დავადგეთ ამ სიტყვებს და 10-12%-ს ხდა სოფლის მამულის ღირებულების კვალობაზედ გამოვიძიოთ და აქაც დავინახავთ, რომ საქმის ზედმიწევნით მცოდნე კაცი ასე არ შესცდებოდა ანგარიშში, როგორც ბ-ნი ყიფიანი შემცდარა".

"ჩვენის წესდების ძალით, თუ სოფლის მამულს ერთი მანეთი აქვს წმინდა შემოსავალი წელიწადში, იგი უნდა დაფასდეს 16 მანეთად (კაპეიკებს აღარ ვანგარიშობ). აქედან რვა მანეთი უნდა მიეცეს სოფლის მამულის დამგირავებელს. ჩვენის წესდების ძალისამებრვე ასზედ რვას იხდის სოფლის მამულის დამგირავებელი თავნსა და სარგებელსა. ამის კვალობაზედ სოფლის მამულს ბანკის ვალის გადასახადი ჰხვდება, ზემომოყვანილი მაგალითი რომ ავიღოთ, 64 კაპეიკი თავნსა და სარგებელში წელიწადში. მაშასადამე 16 მანეთის ღირებულების სოფლის მამული ჰხდილობს წელიწადში 4%-სა. ეხლა ვიკითხოთ: საიდამ გამოუყვანია ბ-ნ ყიფიანს ამ სიდიდე სარგებელი?".

“თუ ბატონმა ყიფიანმა იგულისხმა გირავნობის სარგებლის კურსი და იმის კვალობაზედ იანგარიშა, რომ სოფლის მამული იხდის 10 თუ 12%-ს, აქაც ანგარიში არევია... იმიტომ, რომ თუ ერთხელ ასის თავად მამულის ღირებულებაა აღებული სარგებლის საანგარიშოდ, გირავნობის ფურცლის ღირებულებას არავითარი ადგილი არა აქვს, და ვინც ხან ერთს ჩააყენებს მეორის ადგილას და ხან მეორეს, იმას საქმის არევა სდომებია და არა ახსნა. არგვგონია, ამას დამტკიცება სჭირდებოდეს, და თუ საჭიროა, მოგვკითხონ და დავამტკიცებთ”.

“თუ ბ-ნს ყიფიანს ზემოხსენებული სიტყვებით უნდოდა ეთქვა, რომ ბანკიდამ ფულის ამღებს ფული 10 თუ 12%-ად უჯდება და ეგ სამძიმოა, - ეს სულ სხვა საგანია, მაგას სულ სხვა პასუხი უნდა. ამ შემთხვევაში გირავნობის ფურცლების კურსსა დიდი და მხოლობითი მნიშვნელობა აქვს სარგებლის სიმძიმის გამოსარკვევად. თუ ასეა, ბ-ნმა ყიფიანმა თავის ზემოხსენებულ ნათქვამში უნდა შესცვალოს სიტყვები: “სასოფლო მამულისაგან ყოვლად შეუძლებელი არის”, როგორც სიტყვები, რომელნიც საქმის მცოდნე კაცისაგან აქ მოსატანი არ იყო, იმიტომ, რომ საადგილმამულო კრედიტის ვალს იხდის არა სასოფლო მამული, როგორც ბ-ნ ყიფიანს ჰგონია. ამ ორ სიტყვათა შუა დიდი განსვავებაა და ნურავინ დაგვწამებს, რომ ამ შემთხვევაში ვითომც ტყუილუბრალოდ გამოვეკიდენით სიტყვებსა. ხოლო ვინც სიტყვას საგნის შეუსაბამებლად ჰხმარობს, მას არც თვითონ საგანი აქვს ნათლად წარმოდგენილი. ჩვენ ამისი თქმა გვინდა”. *(“ტფილისის საადგილმამულო ბანკი”. 27 მაისი, 1886 წ.).*

“ასეა თუ ისე, უკეთუ ბ-ნი ყიფიანი ზემოხსენებულ სიტყვებს შესცვლის, მერე გვიბრძანოს, როგორ და რა ანგარიშით გამოჰყავს გირავნობის ფურცლის კურსის მიხედულობით 10 და 12 %? ეგ იმისთვის არის საჭირო, რომ სახსარი გვქონდეს ანგარიშს კვალში ჩავუდგეთ, და ან სხვისი ჩვენ დავიჯეროთ, ან სხვას ჩვენ დავაჯეროთ. უამისოდ ყოველივე გამოძიება ბნელში ხელების ფათურს ეგვანება.”

“თქვენ საქმეს ასე გვიხსნითო, - ბრძანებს ბატონი ყიფიანი, - რომ ფულს რომ გაძლევთ, სხვებისაგან ვსესხულობთ, იმას გაძლევთო. ვინ რას გასესხებდათ, დახათრიჯამებულნი რომ არ ყოფილიყვნენ, რომ თავის ფულის სარგებლობა ამათ არ დააკლდებათო; არ დააკლდებათ ჯერ ამით, რომ ჩვენი ბანკი სესხზედ კი არა, ნაღდს ფულზედ არის აშენებულიო! და სხვანი რომ კაცი დააკვირდეს მთელს სტრიქონებს, პირველ სიტყვიდამ პირველ წერტილ მძიმებზე ჰკვირობს, რად გარჯილა ამისი მთქმელი, რომ ეს უთქვამსო! რა სიტყვის შემობრუნებაა ეს? ჩვენც ვიცით – არავინ გვასესხებდა ფულს, თუ დახათრიჯამებულნი არ იყვნენ, რომ თავის ფულის სარგებლობა მათ არ დააკლდებათ. ამისი უარი განა ვინა სთქვა? მაგრამ ამას თავი დავანებოთ, საქმე პირველ წერტილ მძიმეს ქვემო სტრიქონებშია:

“არ დააკლდებათ იმიტომ, რომ ჩვენი ბანკი სესხზედ კი არა, ნაღდ ფულზე არის აშენებულიო”.

თუ ამით ჩვენ გვირღვევს ბ-ნი ყიფიანი სიტყვას, ბანკის ნაღდ ფულზედ რა შუაშია? თვითონვე ბრძAნებს, რომ “თქვენ გვიხსნითო, რომ ფულს რომ გაძლევთ სხვებისაგან ვსესხულობთო”, თუ რამე ეთქმოდა ჩვენზედ ბ-ნს ყიფიანს, ამაზედ უნდა ეთქვა და არა იმაზედ, რომ “ბანკი სესხზედ კი არა, ნაღდ ფულზე არის აშენებულიო”! ნუთუ ბ-ნს ყიფიანს ყური არ უთხოვებია, რომ ბანკის საფუძველი ერთია და მისი ოპერაცია მეორე! ნუთუ არა სცოდნია დღეს-აქამომდე, რომ ჩვენი ორივე ბანკი, ვსთქვათ, ნაღდ ფულზე აშენებული, სესხს რომ იძლევინება თვითონაც სხვისაგან სესხულობს? მაშ რა არის, რომ

ორსავე ჩვენს ბანკს ძლივს მოუგროვებია ნაღდი ძირის ფული 800000 მანეთი და ათის მილიონის ოპერაცია კი აქვს დღესაც? გასაოცარია ეს ამისთანა ლაპარაკი. გაოცებას კიდევ გავუძლებთ, რომ ფრიად სამწუხარო არ იყოს იმისთანა მითქმა-მოთქმა საზოგადო საქმის გამო, საცა არც ბოლო ებმის თავსა და არც თავი ბოლოსა. ჩვენ ვეუბნებით, ჩვენი ბანკები სხვისაგან სესხულობენ ფულს და იმას აძლევენ თავის მხრით სესხადაო და ისინი კი გვეუბნებიან: არაო, ჩვენო სესხზედ კი არა, ნაღდ ფულზეა აშენებულიო. ერთი მეორის რა პასუხია? *("ტფილისის საადგილმამულო ბანკი". 22 მაისი. 1886 წ.).*

"რამდენსაც ტყეში შორსა და შიგნით შესდიხართ, ამბობს რუსული ანდაზა: იმოდენად უფრო მეტი შეშაო. სწორედ ასე მოგვდის ჩვენც ბ-ნ დიმიტრი ყიფიანის წერილის გამო: რამდენსაც მეტს ვუკვირდებით მის ნათქვამს, მით უფრო მეტს ბარდებსა ვპოულობთ".

"ჩვენ რომ ჩვენს სესხში 10 და 12%-ს გვახდევინებთ, - ეუბნება ჩვენს ბანკებს ბ-ნი ყიფიანი, - ისინი კი (ესე იგი, ისინი, ვისგანაც ბანკები სესხულობენ) 6% გვჯერდებიანო... და სხვანი..."

აი რა ვერ გაუგია ბ-ნ დიმიტრი ყიფიანს: სიძვირე და სიიეფე კრედიტისა საზოგადოდ ორის საგნის რაოდენობით გამოიხატება. ამ ორს საგანში ერთი ცვალებადია და მეორე უცვალებელი. თავნსა რომ A დავარქვათ, სარგებელს B და სიძვირეს კრედიტისას X, ჩვენი აზრი ამ ფორმულით

$$\text{გამოითქმის: } \frac{B \times 100}{A} = X$$

ყველამ ვიცით, რომ სესხი, ესე იგი კრედიტი ხან იეფია, ხან ძვირი. მაშასადამე ჩვენს ფორმულაში X მუდამ ცვალებადია. რომ ეს უეჭველი ცვალებადობა X-ისა გამოიხატოს, ამისათვის საჭიროა A და B-ს შორის, ესე იგი თავნსა და სარგებელს შორის ერთ-ერთი იცვლებოდეს და მეორე უცვალებელი იყოს. მოკლევადიანი კრედიტი, როგორიც არის, მაგალითებრ, საკომერციო ბანკის კრედიტი, ამ ორს საგანში თავნსა უცვალებლად ჰხდის, და მაშასადამე კრედიტის სიძვირის გამოსახატავად მეორე საგანს, ესე იგი, სარგებელს უნდა სცვლიდეს. ესეც არის: საკომერციო ბანკი თავნს ყოველთვის ასს-ასზედ ანგარიშობს და სარგებელს კი სცვლის, ხან შვიდია, ხან რვა, ხან ცხრა და მეტიც.

საადგილმამულო კრედიტში კი სარგებელი, რაც არის, უცვალებელია, მაგალითებრ ტფილისის ბანკისა სულ მუდამ 6%-ია. მაშასადამე, ამ შემთხვევაში სიძვირე კრედიტისა რომ გამოიხატოს, თავნმა უნდა ხან აიწიოს, ხან დაიწიოს. ესეც არის: ჩვენს გირავნობის ფურცელს ასზედ ექვსი სარგებელი აქვს. როცა ფული ძვირია, ამ ასზედ ექვსს არა ჰკმარობს ფულის მსესხებელი, და რადგანაც სარგებელი გირავნობის ფურცლისა უცვლელია, თავნსა სცვლის იმის კვალობაზედ რამოდენის სარგებლის აღებაც უნდა, ხან ათს თუმნიან ფურცელში რვა თუმანს იძლევა, ხან ცხრას, ხან მეტს, ხან ნაკლებს. როცა ათის თუმნის გაცემა, მაგალითებრ, შვიდ და ათ შაურად უნდა, მაშინ ათ თუმნიან გირავნობის ფურცელში რვა თუმანს აძლევს, იმიტომ რომ, ჩვენის ფორმულისამებრ (6X100):80=7$_{1/2}$. როცა ფულის მსესხებელი სჯერდება მარტო 6%, მაშინ ათს თუმნიან გირავნობის ფურცელში ათ თუმანს ნაღდს ფულს იძლევა.

ამ სახით, საკომერცვიო ბანკი ბაზარში გადის და იძახის, ათის თუმნის ნაღდის სესხება მინდა, რა სარგებელს დამჯერდებითო. ამის პასუხად ფულის ბაზარი ეუბნება ხან 7%, ხან 8%, ხან მეტს, ხან ნაკლებს. საადგილმამულო ბანკი კი გადის და იძახის: ექვს

ნაღდს მანეთს გპირდებით სარგებელსა და რამოდენა თავნს მამცემთო. პასუხად ბაზარი ეუბნება ხან 80 მანეთს, ხან 85, ხან 90, ხან მეტს, ხან ნაკლებს და ეს პასუხი ბანკის გირავნობის ფურცლების ფასით გამოითქმის ხოლმე. მაშასადამე, კაცმა რომ სთქვას, ისინი, ვისგანაც ბანკები ფულებს სესხულობენ, 6% გვჯერდებიანო, ისიც უსათუოდ უნდა სთქვას, რომ ჩვენის ბანკების ათ თუმნიანი გირავნობის ფურცელი ათს თუმან ნაღდ ფულად გადის." *("ტფილისის ქართული საადგილმამულო ბანკი". 1886 წ. 28 მაისი).*

"რა გზით შესაძლოა გაიეფება საადგილმამულო კრედიტისა, სახელდობრ რა ნაწილია ბანკის წლიური გადასახდელისა იმასთან, რომელსაც მართლა გაიეფება შეუძლიან, და რომელიც ბატონ დიმიტრი ყიფიანს, არ ვიცით რა მიზეზით, თვალიდამ მიჰფარებია".

"ბანკის წლიური გადასახდელი სამის ნაწილისაგან შესდგება: სარგებელი სამატი, სარგებელი თავნისმხდელი და სარგებელი ბანკის სხვადასხვა აუცილებელ ხარჯისა და სათადარიგო თავნის შედგენისათვის. აქ თავნისმხდელი სარგებელი არაფერს შუაშია, იმიტომ რომ იგი დამოკიდებულია ვადაზედ და სამატის სარგებლის რაოდენობაზედ. მაშასადამე ამ სამს ნაწილში თითქო ორი გვრჩება სამოქმედოდ კრედიტის გაკეთებისათვის: ერთი სარგებელი სამატი და მეორე სარგებელი ბანკისა.

თუ ფულის ბაზარი და ნდობა სესხის ამღების მიმართ ერთი და იგივეა, სამატის სარგებლის ექვსიდამ ხუთზედ ჩამოხდენას გირავნობის ფურცლის სარგებლის ექვსიდამ ხუთზედ ჩამოხდომა მოსდევს. და ეს გარემოება არამცთუ აიეფებს კრედიტსა, არამედ უფრო აძვირებს.

მაშასადამე, დარჩა მარტო მესამე ნაწილი, სახელდობრ სარგებელი ბანკის სხვადასხვა ხარჯისა და სათადარიგო თავნის შედგენისათვის. ეს სარგებელი ტფილისის ბანკს – წელიწადში 1/2 % აქვს ყოველს ასს გასესხებულს გირავნობის ფურცლის მანეთზედ. ამ 1/2 % აწევ-დაწევას, როგორც კერძო და საკუთარს სარგებელს ბანკისას, არავითარი პირდაპირი ზედმოქმედება არა აქვს ფულის ბაზარზედ და მაშასადამე არც გირავნობის ფურცლის კურსზე და მაგის დაკლებას მარტო ბანკის წმინდა მოგებაზედ აქვს ბანკის ყოვლად ძლიერი მოქმედება, იმიტომ რომ სხვას ორს ნაწილს წლიურის გადასახდელისას, სარგებელს სამატსა და სარგებელს თავნისმხდელსა, ბანკი ვალის ამღებს ართმევს და ფულის ბაზარს აძლევს მთლად და უნაკლოდ ასე, რომ ბანკის სახეიროდ და ხარჯისა და ზარალის გასაძღოლად მხოლოდ ის ზემოხსენებული 1/2 -ღა ჰრჩება ბანკსა. ამიტომაც ეგ 1/2 მთლად ბანკის ხელთ არის, წესდების ძალით ბანკს წარმატება კი არ შეუძლიან და დაკლება კი დიახაც.

ვინც ცნობიერად და ცოდნით მოეკიდება ბანკის საქმეს და ისე მოისურვებს საადგილმამულო კრედიტის გაიეფებას, იმას სხვა გზა არა აქვს, თუ არ ეს 1/2 %, ამას უნდა ჩაავლოს კაცმახელი, და თუ რამ ეშველება გაიეფებას, ამ მხრით უნდა ეშველოს, სხვა ყოველი უქმი ნატვრაა და უქმად ჩაივლის კიდეც. თუ ერთობ თვით ფულის ბაზარმა არ გააიეფა საზოგადო კრედიტი. ფულის ბაზარი კი ამ შემთხაში საერთო ეკონომიკურის მდინარეობის კანონებს ექვემდებარება და ამ კანონებზედ კერძო ბანკს ხელი არ მიუწვდება არას გზით, მარტო თავისის ნებით სარგებელს ვერც დასწევს და ვერც ასწევს".

"რამდენად შეიძლება ამ 1/2 % დაწევა, რომ იმ დაწეულის კვალობაზედ საადგილმამულო კრედიტი გაიეფდეს? რომ ამ საკითხავს ცნობიერად და საქმის ცოდნით გავუძღვეთ, საჭიროა დაწვრილებით ვიცოდეთ, რა დანიშნულება აქვს ბანკის საქმეთა მიმდინარეობაში მაგ 1/2 %-სა. იგი ა) უნდა გაუძღვეს ბანკის მართვისა და გამგეობის

ყოველწლიურს ხარჯსა, რომელიც, მაგალითებრ, ტფილისის ბანკისათვის დანიშნულია 35000 მანეთამდე წელიწადში; ბ) იგი უნდა იყოს უმთავრესი წყარო ბანკის წმინდა მოგებისა, ურომლისოდაც ბანკი თავის დანიშნულებას ვერ მისწვდება და გ) მან უნდა დაჰფაროს ყოველივე ზარალი, რომელიც მოსალოდნელია და ხშირად აუცილებელიც ყოველ საქმეში საზოგადოდ და ბანკისაში საკუთრივ რომ მივიღოთ მხედველობაში ყოველივე ეს საჭიროება ერთად და იგი ჯამში, რომელიც დღეს, მაგალითებრ ტფილისის ბანკსა აქვს გაცემული, ესე იგი, 5 159 779 მანეთი გამოვა, რომ იმ 1/2 % შეიძლება დავაკლოთ ბევრი-ბევრი 1/2 %, ისიც შიშითა და კრძალვითა."¼

"სახელმწიფო ბანკი, ახლად დაარსებული თავადაზნაურთა შესაწევნელად 1,5%-ის მაგიერ სჯერდება მარტო 1/4 % -სა. ამ გარემოებამ არავინ არ უნდა წაიტყუოს. პირველი, რომ სახელმწიფოს აუარებელი შეძლება აქვს დღესვე თუნდ თავისის ხაზინიდამ ჰხარჯოს ფული, რაც საჭიროა ბანკის მართვისა და გამგეობის ხარჯად. მეორე – რომ არავითარი საჭიროება არ აიძულებს ზარალისათვის სათადარიგო თავნი იქონიოს, რადგანაც ზარალის საზღვევად თავმდებია მთელი ქონება სახელმწიფოსი, და მესამე, სახელმწიფო ბანკის სამოქმედო რაიონი მთელი რუსეთის იმპერიაა და მაშასადამე უეჭველია – დღეს არა ხვალე – სახელმწიფო ბანკის სესხად გაცემული ფული 500-600 მილიონი და მეტიც იქნება, და ამოდენა გაცემულობიდამ რომ 1/4 აიღოს წლიური შემოსავალი 1 250 000 მანეთს შეადგენს. ვგონებ საკმაოა ეგ ფული მარტო ბანკის მართვისა და გამგეობის ხარჯის პირის მოსაწმენდად. აქ სახელმწიფო ბანკი მოსატანი არ არის და არც მაგალითია კერძო ბანკისათვის". *("ტფილისის ქართული საადგილმამულო ბანკი". 31 მაისი, 1886 წ.).*

- **ფინანსური დაწესებულება და ბანკი: რა აქვთ საერთო**

"ფინანსიური დაწესებულება" იგია, რომელიც განაგებს "ფინანსებს", ესე იგი სახელმწიფოს შემოსავალ-გასავლის საქმეებს". *("უმეცრობის ფართი-ფურთი". 1900 წ.).*

"რა აქვს საერთო სათავადაზნაურო ბანკს "ფინანსიურ დაწესებულებასთან"? სრულიად არაფერი. ბანკი საკრედიტო დაწესებულებაა და "ფინანსიური დაწესებულებასთან" ისეთივე მსგავსება აქვს, როგორც ზღვასა და ხმელეთს, წყალსა და ცეცხლსა". *("უმეცრობის ფართი-ფურთი". 1900 წ.).*

"აქაო და ჩვენებურს ბანკს "ფინანსები" აქვს, ანუ, როგორც ლექსიკონი ამბობს, ფულად გამოხატული ნივთიერი მდგომარეობა, და ნუთუ ამით ჰხდით მას "ფინანსიურ" დაწესებულებად?" *("ახალი უმეცრობანი ბ-ნ ნოე ჟორდანიასი". 1900 წ.).*

"ლექსიკონი ეუბნება, _ "ფინანსები" ქონებრივი მდგომარეობაა რომელისამე დაწყობილობისა, ფულად გამოხატულიო. იგი სხვას არასფერს ეუბნება ჩვენს მეცნიერს, არ ეუბნება, რომ დაწყობილობა, რომელსაც "ფინანსები" აქვს, ესე იგი ფულად გამოხატული ქონებრივი მდგომარეობა, "ფინანსიური დაწესებულებაა". ამ სულელობას ვერც ეტყოდა. მაშ საიდამ გამოუყავს ამ ჩვენს ახლად მოვლენილს ბრძენს, რომ ჩვენებური ბანკი ფინანსიური დაწესებულებაა, როცა მოწმად მოჰყავს ლექსიკონი? იქიდამ, რომ "მდგომარეობა" და მდგომარეობაში მყოფი ერთმანეთისაგან ვერ გაურჩევია. მდგომარეობა და მდგომარეობაში მყოფი ორი სრულიად სხვადასხვა სამცნეა, ერთმანეთზე შორი-შორი, ამიტომაც ფულად გამოხატული მდგომარეობა არაფერს

შუაშია მდგომარეობაში მყოფის სახელწოდების გამონასკვისათვის". *("ახალი უმეცრობანი ბ-ნ ნოე ჟორდანიასი". 1900 წ.).*

"ლექსიკონი ვულგარულს, თუ უკაცრაოდ არ ვიქნებით, ქუჩურს მნიშვნელობასაც სიტყვისას ანგარიშს უწევს, მოვალეა ამ მხრითაც სიტყვა ახსნას, და განა ეს საბუთია, რომ კაცმა გააუქმოს, დაივიწყოს მეცნიერული, განსაკუთრებითი მნიშვნელობა სიტყვისა იქ, საცა სიტყვა მარტო ამ მნიშვნელობით საგულისხმოა? მაგალითებრ, სიტყვა "კაპიტალი" საყოველდღეო, საყველპურო საუბარში ხშირად იხმარება ვითარცა ფულადი ქონება ადამიანისა და განა მეცნიერული მნიშვნელობა ამ სიტყვის ეს არის? განა იგი "კაპიტალი", რომლის ახსნასაც სახელოვანმა მარქსმა სამი ტომი თხზულება მოანდომა, და საყველპუროდ ხსენებული "კაპიტალი" ერთი და იგივეა? (აი, თუ არ დაგიშლიათ, რას ნიშნავს სიტყვა "კაპიტალი" მეცნიერულად: "კაპიტალი მდგომარეობს წარმოებაში და წარმოება კაპიტალში და აი ამიტომაც დღევანდელი წარმოება კაპიტალისტური წარმოებაა და ზედნაშენი წყობილება კაპიტალისტური წყობილებაა").

არ არის ქვეყნიერობაზედ არც ერთი ლექსიკონი, რომ ეს საყველპურო მნიშვნელობა "კაპიტალისა" არ აენიშნოს და მასთან ერთად მეცნიერულიცა, რაოდენადაც-კი ლექსიკონისათვის მოსახერხებელია და მოსათავსებელი". *("ახალი უმეცრობანი ბ-ნ ნოე ჟორდანიასი". 1900 წ.).*

"აკი ლექსიკონიც, რომელიც თავისს მოწმად მოჰყავს იუწყება, რომ სიტყვა "ფინანსები" "განსაკუთრებით სახელმწიფოს და სხვა მმართველობათა შესავალ-გასავალს ნიშნავსო". *("ახალი უმეცრობანი ბ-ნ ნოე ჟორდანიასი". 1900 წ.).*

"სულელობაა კაცმა ბანკს "ფინანსიური დაწესებულება" უწოდოს მარტო იმის გამო, რომ ბანკს თავისი "ფინანსები" აქვს, ესე იგი ფულად გამოხატული ქონება". *("ახალი უმეცრობანი ბ-ნ ნოე ჟორდანიასი". 1900 წ.).*

"ახლა ვნახოთ განსაკუთრებითი მნიშვნელობა "ფინანსებისა". "ფინანსები" განსაკუთრებით ნიშნავს სახელმწიფოს და სხვა მართველობათა შესავალ-გასავალსაო, ამბობს თქვენი ლექსიკონი. ჩვენებურ ბანკსა სახელმწიფოს ან სხვა მართველობათა შესავალ-გასავალთან საერთო რა აქვთ? ჩვენებური ბანკი და იგი დაწესებულება, რომელიც განაგებს სახელმწიფო შესავალ-გასავალს, ისე შორს არიან ერთმანეთზე, როგორც უმეცარი ჟორდანია და მეცნიერი მარქსი. განა აშკარად ცხადი არ არის, რომ იქ, სადაც "ფინანსიურ" დაწესებულებაზე ლაპარაკობენ, მეცნიერული, ანუ განსაკუთრებითი მნიშვნელობა უნდა იგულსხმებოდეს უეჭველად. თუ ესეა, და ვინ იტყვის, რომ ასე არ არისო, კაცს ხომ დიდი ლარი და ხაზი არ მოუნდება გამოიცნოს, რომ ბ-ნი ნოე ჟორდანია ხელახლად იძლევა საბუთს ვიგულვოთ იგი, ვითარცა მცურავი უმეცრების ტბაში უმეცრებით გაბერილ ნავ-ტიკითა". *("ახალი უმეცრობანი ბ-ნ ნოე ჟორდანიასი". 1900 წ.).*

"აშკარაა, რომ არის ერთგვარი მეცნიერება, რომლის საგანი განსაკუთრებით ფინანსებია და რომელსაც ჰქვიან საფინანსო მეცნიერება". *("ახალი უმეცრობანი ბ-ნ ნოე ჟორდანიასი". 1900 წ.).*

"არის ერთი თხზულება, რომლის განსაკუთრებითი საგანი ფინანსებია და ფინანსიური დაწესებულებანი". *("ახალი უმეცრობანი ბ-ნ ნოე ჟორდანიასი". 1900 წ.).*

"ჰეიდელბერგის უნივერსიტეტის პროფესორს კ. გ. რაუს დაწერილი აქვს წიგნი, რომელსაც ჰქვიან "ძირითადნი დასაბამნი საფინანსო მეცნიერებისა" და რომლის გამო ამბობენ, რომ ეს ერთადერთი თხზულებაა მთელ ევროპის ლიტერატურაში, საცა

სავსებით და სრულად გამორკვეულია ეს საგანი მთელის თავისი ნაწილებითაო". *("ახალი უმეცრობანი ბ-ნ ნოე ჟორდანიასი". 1900 წ.).*

"აი იგი რაუ რას ამბობს: არის განსაკუთრებული შრო მთავრობის მოქმედებისა, რომელსაც საგნადა აქვს მოხვეჭოს, უპატრონოს და შესაფერად მოიხმაროს სახელმწიფო საჭიროებისათვის ნივთიერი ღირებულებანი, იქონიოს საკუთარი მეურნეობა (хозайство), ანუ მზრუნველობა სახელმწიფო შესავალ-გასავლისა. ეს მზრუნველობა მთავრობისა სახელმწიფო საჭიროების გასაძღოლად შეადგენს საგანს ფინანსებისას და ფინანსიურს მართველობისას. მეორე ადგილას, როცა რაუ ჰხსნის ამ სიტყვის მნიშვნელობას ისტორიულად, ამბობს, ფრანგული სიტყვა les finances ჯერ ძველადვე ნიშნავდა მთელს ქონებას სახელმწიფოსას და სახელმწიფოს მეურნეობის (хозайство) მდგომარეობასაო. ფრანგულის ენის ზედგავლენამ სრულად განდევნა გერმანული ცუდი მნიშვნელობა ამ სიტყვისაო.

ყველგან, საცა-კი რაუ ჰხმარობს ამ სიტყვას, იმ მნიშვნელობით ჰხმარობს, რომ ფინანსების საგანი სახელმწიფო შესავალ-გასავალიაო და ფინანსიურ დაწესებულებად ჰხადის მარტო გამგებლობას ფინანსებისას მთავრობის მიერ. არც ერთგან რაუ საკრედიტო დაწესებულებას არამცთუ ფინანსიურ დაწესებულებად არა სთვლის, არამედ ხსენებითაც არ იხსენიებს. საკრედიტო დაწესებულება რომ ფინანსიური დაწესებულება იყოს, ნუთუ რაუ ამას გაუჩუმდებოდა და ისე, გაკვრით მაინც, არ მოიხსენებდა?" *("ახალი უმეცრობანი ბ-ნ ნოე ჟორდანიასი". 1900 წ.).*

- **ფული: კერძო კაცთა ურთიერთობაში სიმდიდრის საწყაოა**

"რა თქმა უნდა, მეცნიერებისაგან გამორკვეული სიმდიდრე სულ სხვა არის, მაგრამ კერძო კაცთა ურთიერთობაში სიმდიდრის საწყაოდ მარტო ფულია და სხვა არა რა. დღეს ვეღარავინ იტყვის, რომ ამ კაცს ბევრი პური და ბევრი ღვინო აქვს და მდიდარიაო, და თუ იტყვის, ეს პური და ღვინო გულში უსათუოდ ფულად განაღდებული აქვს, ფულზე აქვს გათვლილი." *("ჩვენი ქვეყნის ეკონომიური ცხოვრების საზრუნავი". 1893 წ. 17 ივლისი).*

"ხოლო გულში განაღდებული, გულში ფულად ქცეული ჯერ კიდევ შორს არის მართალ განაღდებაზე, მართალ ფულად ქცევაზე." *("ჩვენი ქვეყნის ეკონომიური ცხოვრების საზრუნავი". 1893 წ. 17 ივლისი).*

"სამწუხარო ის არის, რომ პურიდამ და ღვინიდამ ფულამდე დიდი და გასაჭირი მანძილია იმისათვის, ვისის ოფლითა და გარჯითაა მოპოებული იგი პური, იგი ღვინო. იგი ფულის პატრონიც, რომელსაც პური უჭირს საჭმელად და არა გასაყიდად, ამავე დიდს მანძილზეა შორს პურის პატრონზე."

"ეს გარემოება, ეს ერთმანეთზე დაშორება ცალკე პურის პატრონისა, რომელსაც ფული უჭირს, და ცალკე ფულის პატრონისა, რომელსაც პური უჭირს, მიზეზია იმისი, რომ შუაკაცი სჩნდება და იგი ერთისგან პურს ჰყიდულობს, რომ მეორეს მიჰყიდოს. ამ ყიდვა-გაყიდვაში იგი ერთსაც ახდევინებს გასამრჯელოს და მეორესაც." *("ჩვენი ქვეყნის ეკონომიური ცხოვრების საზრუნავი". 1893 წ. 17 ივლისი).*

"ჩვენდა სასიამოვნოდ უნდა აღვნიშნოთ, რომ ამისთანა გაჭირვებამ თვალი აუხილა ქართველობას თავის ყოფა-ცხოვრებაში ჩახედვისათვის. დღეს თვითვეული ჩვენგანი ჰგრძნობს, რომ აქამომდე მივიწყებულს ეკონომიურს მხარეს ჩვენის ცხოვრებისას პირველი ადგილი უნდა დაეთმოს. სხვა საზრუნავთა შორის; რომ ეკონომიური

ცხოვრების მოედანზე უნდა ვეძიოთ ღონე ჩვენი გაძლიერებისა, ტანში გამართვისა და აქ უნდა გავისარჯნეთ და ვიამაგოთ.” *(“ჩვენი ქვეყნის ეკონომიური ცხოვრების საზრუნავი”. 1893 წ. 17 ივლისი).*

“ჩვენი ეგრეთწოდებული ეკონომიური ყოფა-ცხოვრება ერთი იმისთანა საგანია ჩვენში, რომელიც ყველაზედ ნაკლებ ხელხლებულია ჩვენ მიერ, ყველაზედ მეტად ყურადღების და ზრუნვის გარეშე დარჩენილია, თითქო სხვა ყოველთა საჭიროებათა შორის ამ ეკონომიურ ყოფა-ცხოვრებას დღეს უპირველესი ადგილი არ ეჭიროს ყველგან, და ჩვენში ხომ რაღა თქმა უნდა”. *(“კახეთის სოფლის მეურნეთა კავშირი”. 1895 წ. 4 ნოემბერი).*

“აი ბოლო სიცილსაც შევესწარით: ბურთი და მოედანი ეკონომიურ ცხოვრებისა გამოგვეცალა ხელიდამ და დაინარჩუნა იმან, ვინც უფრო მალე მიუხვდა დროთა ბრუნვას, დროთა ჭირბოროტს, ვინც დროთა ძარღვს მარჯვედ მიაგნო და დროთა ღაღადს შეალია ძალ-ღონე არსებობისათვის ბრძოლითა”. *(“კახეთის სოფლის მეურნეთა კავშირი”. 1895 წ. 4 ნოემბერი).*

“ჩვენ-კი, ვისის ქონებით, ვისის ნაჯაფევით, ვისის ნაღვაწით სხვანი კეთდებოდნენ, გავირიყენით, ცარიელზედ დავრჩით და დღეს შორს არა ვართ იქამდე, რომ ჩვენ ჩვენს სახლში სტუმრებად შევიქმნეთ და სხვანი გაგვიმასპინძლდნენ, თუ თავს არ ვუშველეთ-რა, ვიდრე კიდევ შესაძლოა ბედს თავი ჩვენსკენ მოვუღრიჯოთ”. *(“კახეთის სოფლის მეურნეთა კავშირი”. 1895 წ. 4 ნოემბერი).*

“საცა მიზეზი ჭირისა ზედმიწევნილად მიგნებულია, იქ მკურნალობა ერთი-ორად გაადვილებულია”. *(“კახეთის სოფლის მეურნეთა კავშირი”. 1895 წ. 4 ნოემბერი).*

“ამ რამდენისამე დღის წინათ ის აზრი აღვნიშნეთ, რომ ეკონომიური მოედანი ჩვენში ჩვენ, მიწისმშრომელთ. ხელიდამ გამოგვეცალა და სხვამ დაისაკუთრა და დაინარჩუნა”.

“ეს იქნება გადაჭარბებული აზრი იყოს, მაგრამ, თუ სახეში მივიღებთ იმას, რომ ჩვენის ნაამაგარისაგან გამორჩენა და მოგება სხვასა ჰრჩება და ჩვენ ჩვენს სახლში, ჩვენს მიწა-წყალზე, მარტო დღიური მუშები ვართ სხვისა, მაშინ ჩვენ მიერ გამოთქმულს აზრს თავისი ადგილი აქვს და საბუთი”. *(“კახეთის სოფლის მეურნეთა კავშირი”. 1895 წ. 4 ნოემბერი).*

“ვიმეორებთ: გარეშემო ყველაფერი შეგვეცვალა, ამ ცვლილებამ მრავალგვარი ახალი საჭიროება აგვიჩინა, ცხოვრება გაგვიძვირდა, გაგვიძნელდა, ვეღარ ავდივართ აუცილებელს ჭირბოროტს დღისას. ამ უნუგეშო მდგომარეობის სისწვრივ ვხედავთ, რომ მტერი აღარ გვაცდენს მუშაობისაგან, მშვიდობიანობა ჩამოვარდა, სახლობას აღარავინ გვიწიოკებს, ნაშრომ-ნაღვაწს არავინ გვიოხრებს. რკინისგზებისა და ზღვაზე სიარულის წყალობით ჩვენს ნაამაგარს კარი ფართოდ გაეღო, ცოტად თუ ბევრად ბაზარი გაუდიდდა, მუშტარი მოემატა, აღარა ვართ გარშემო მტრებისაგან და უგზოობისაგან იძულებულნი შინ კარჩაკეტილები ვისხდეთ, ჩვენი ვერა მივაწოდოთ რა სხვას, ან სხვისა არა მოვიწოდოთ-რა. სულ ყოველს ამასა ვხედავთ და მაინცა ვჩივით და ვტირით ჩვენს სიღარიბეს, ჩვენს უილაჯობას”. *(“კახეთის სოფლის მეურნეთა კავშირი”. 1895 წ. 4 ნოემბერი).*

- **მეცნიერება შრომის ნაყოფის რა ნაწილს სდებს საქონლის სახელს. მარტივი გაცვლა-გამოცვლა**

“ყოველი კაცი, ეკონომიურის თვალით რომ გავშინჯოთ, ამღებია და გამცემი საქონლისა. მეცნიერება საქონლის სახელს იმისთანა ნაწილს შრომის ნაყოფისას სდებს,

რომელიც ნამეტურია, ანუ მოჭარბებულია მასზედ, რაც პირდაპირ სახმარად პატრონისათვის საჭიროა. მაგალითებრ, თუ ჩემს პირდაპირ სახმარად თორმეტი კოდი პურია საჭირო და თუ მე ხუთმეტი მაქვს, მარტო სამს ნამეტურს კოდს საქონელი ჰქვიან. ამისდა მიხედვით რომ გადმოვთარგმნოთ ზემოთ-მოყვანილი წინადადება, გამოვა, რომ ურთიერთობითი ეკონომიური დამოკიდებულება კაცთა შორის წარმოსდგება მაშინ, როცა კაცთა მოჭარბებული აქვთ ნაყოფი თავიანთის შრომისა და აკლიათ მოჭარბებული ნაყოფი სხვის შრომისა. როცა ესენი ერთმანეთს შეხვდებიან, ყოველი მათგანი ერთი-მეორის წინაშე ამღებიც არის და გამცემიც ერთის და იმავე დროს, რადგანაც ერთი იღებს მას _ რასაც მეორე გასცემს, და გასცემს მას _ რასაც მეორე იღებს. მაგალითებრ, მე ღვინო მაქვს მეტი და მაკლია პური, თქვენ პური გაქვთ მეტი და გაკლიათ ღვინო. შევხვდით ერთმანეთს სააღებ-მიცემოდ. რა ვარ მე თქვენს წინაშე და რა ხართ თქვენ ჩემს წინაშე? მე ვარ თქვენს წინაშე გამცემი ღვინისა და იმავე დროს ამღები პურისა, თქვენ ხართ ჩემს წინაშე გამცემი პურისა და იმავე დროს ამღები ღვინისა, ესე, რომ ერთმანეთის წინაშე ორნივ ერთ და იმავე დროს ამღებნიცა ვართ და გამცემნიცა. ამ სახით, ყოველი კაცი, ეკონომიურის თვალით, ერთსა და იმავე დროს ამღებიც არის და გამცემიც, როცა სხვა კაცს შეხვდება საეკონომიო მოედანზედ. ეს არის ერთად-ერთი მხოლოობითი ეკონომიური დამოკიდებულება კაცთა შორის და კაცობრიობამ ჯერ ამის გარდა სხვა ეკონომიური დამოკიდებულება არ იცის.

ეს მოქმედება, ანუ უკეთ ვსთქვათ, საქმიანობა, რომელიც შეახვედრებს ხოლმე ერთმანეთს საქონლის პატრონებს, _ მარტივი გაცვლა-გამოცვლაა საქონლისა საქონელზედ. ამ მოქმედებას ჩვენს ენაზედ, ჩვენის ფიქრით, ზედ-გამოჭრილი სახელი ჰქვიან: აღებ-მიცემობა. აქ პირდაპირ საქონელი საქონელზედ იცვლება, პირდაპირ, ურარაოდ ხელიდამ ხელში გადადის". *("შინაური მიმოხილვა". 1882 წ. დეკემბერი).*

- **რთული გაცვლა-გამოცვლა საქონლისა. ფულის მხოლოობითი მნიშვნელობა**

"მარტივი სახე აღებ-მიცემობისა ყოველთვის არ არის სახერხო ადამიანისათვის. ზოგჯერ დიდს ხანს და დიდს ჯაფას თხოულობს, რომ მოხერხდეს, ნამეტნავად მაშინ, როცა ეკონომიური და საზოგადოებრივი ცხოვრება უფრო რთულად მოეწყობა ხოლმე პროგრესის ზედმოქმედების გამო. აქ საჭიროა ორი პირობა. ერთი _ რომ ჩემი საქონელი სხვას უჭირდეს და მეორე _ რომ სწორედ იმ სხვის საქონელი მე მიჭირდეს. აღება და მიცემა ერთს დასახელებულ საქონელზეა მიქცეული, რომელიც თავისის თვისებით და სახით წინათვე განსაზღვრულია. როცა მე პური მიჭირს და ღვინო მეტი მაქვს, აქ მარტო პური გაიცვლება ღვინოზედ და ღვინო პურზედ და სხვა არარაზედ. აქ სააღებ-მისაცემო საქონელი წინათვე დასახელებულია და უსათუოდ ერთისა და მეორის მხრისათვისაც იმ სახელის, თვისების და სახის საქონელი უნდა იყოს და არა სხვა, თორემ აღებ-მიცემობა არ მოხდება." *("შინაური მიმოხილვა". 1882 წ. დეკემბერი).*

"ეს მიზეზი, რომელიც, მაგალითებრ, ღვინის გამცემს და პურის ამღებს აიძულებს უსათუოდ ისეთი კაცი იპოვნოს, რომელიც პურის გამცემია და ღვინის ამღები, ძალიან აძნელებს საქმეს, აგვიანებს და აფერხებს საქონლის ხალხში მორიგებას, მიმოსვლას, ხელიდამ ხელში გადასვლას." *("შინაური მიმოხილვა". 1882 წ. დეკემბერი).*

“ესეთი აღებ-მიცემობა, ესეთი პირდაპირი ცვლა ერთის საქონლისა მეორეზედ, ეს უხერხო, დამაგვიანებელი მოქმედება თავისის საქონლის გაცემისა და სხვის აღებისა, იმ დრომდე სუფევდა ქვეყნიერობაზედ, ვიდრე კაცობრიობამ არ მოიგონა ერთი განსაკუთრებითი საშუალება. ეს საშუალება იმისთანა რამ არის, რომ ოღონდ ჩემის საქონლის ამღები კი ვიპოვო და იმას აღარ ვზრუნავ, ექნება თუ არა ის საქონელი, რომელიც სახელდობრ მე მიჭირს პირდაპირ მოსახმარად. რაკი ამისთანა საშუალება იპოვეს, მას შემდეგ აღებ-მიცემობის მოსახდენად საჭიროა მხოლოდ ორში ერთი იმ პირობათაგანი, რომელნიც მარტივს აღებ-მიცემობაში ორნი ერთად და ერთ დროს საჭირონი იყვნენ, იმიტომ რომ ამ საშუალების შემწეობით აღება ჩემთვის საჭირო საქონლისა მაშინაც შემიძლიან, როცა ჩემის საქონლის გაცემა სხვისთვის ერთსა და იმავე დროს და პირდაპირ საჭირო არ არის. აგრეთვე გაცემაც ჩემის საქონლისა მაშინაც შემიძლიან, როცა აღება სხვის საქონლისა არ არის ჩემთვის საჭირო იმავე დროს და პირდაპირვე. მაგალითებრ, რაკი ის საშუალება ხელთ არის, მაშინ, როცა აღება მინდა, ვსთქვათ, პურისა ჩემდა სახმარად, მარტო იმას ვეძებ, ვინც პურის გამცემია, და როცა, ვსთქვათ, ღვინის გაცემა მინდა, მაშინ იმას ვეძებ, ვინც ღვინის ამღებია მხოლოდ; მარტივ აღებ-მიცემობაში-კი პურის გამცემს უსათუოდ ჩემის ღვინის საჭიროებაც უნდა ჰქონდეს და მე, ღვინის გამცემს, პურისაც ერთსა და იმავე დროს.” *(“შინაური მიმოხილვა”. 1882 წ. დეკემბერი).*

“აშკარაა, ამისთანა საშუალების შემწეობით აღებ-მიცემობა გაადვილებული იქნება, საქონელი უფრო სწრაფად გადავ-გადმოვა, საქონლის მიმოსვლა ფეხს აიჩქარებს.”

“იმ საშუალებას, რომელიც ამისთანა აღებ-მიცემობას შესაძლოდა ხდის, უსათუოდ ორი თვისება უნდა სჭირდეს: პირველი, _ საქონლის ღირებულების ცხადი გამომხატველი იყოს და მით შესაძლო ჰყოს შეტოლება ერთის საქონლის ღირებულებისა მეორე საქონლის ღირებულებასთან; იმიტომ, რომ აღებ-მიცემობაში უსათუოდ სხვადასხვა სახის თვითების და თვისების საქონელი იგულისხმება, და რადგანაც აღებ-მიცემობა შესაძლოა მხოლოდ მაშინ, როცა სწორი სწორედ აიღება და მიიცემა, და რადგანაც სხვადასხვა-გვარ საქონელთა შორის სისწორე მარტო ღირებულების რაოდენობაზეა დამოკიდებული, მაშასადამე, შეტოლება ამ გზით საქონლისა საქონელთან უსათუოდ საჭიროა აღებ-მიცემობისათვის. მეორე, _ ძალი ჰქონდეს ერთ-ერთის საქონლის აღებისა კი არა, არამედ ყოველის გვარის საქონლისა, ერთის სიტყვით, ის ძალი ჰქონდეს, რომელსაც მეცნიერებაში ეძახიან საყოველთაო ძალს სყიდვისას (всеобщая покупательная сила).

მაგისთანა საშუალება _ ფულია.” *(“შინაური მიმოხილვა”. 1882 წ. დეკემბერი).*

“აი, ეს არის პირდაპირი და არსებითი დანიშნულება ფულისა. ამას გარეითად არც მოედანი აქვს მოქმედებისა და არც ფასი. არც იჭმევა, არც ისმევა, არც იცმევა, თავისთავად არასფერში სახმარისი არ არის. მაშასადამე, ფული _ საყოველთაო ეკონომიაში ყოვლად უვარგისი საგანია ყოველისფერში, გარდა იმისა, რომ საშუალებაა აღებ-მიცემობისა, რომლის შემწეობითაც დრო და ჯაფა უფრო ნაკლებ უნდა აღებ-მიცემობის საქმეს.” *(“შინაური მიმოხილვა”. 1882 წ. დეკემბერი).*

- **“საქონელი = ფული = საქონელი” ფორმულის არსი**

“ჩვენ ვიცით ეხლა, რომ აღებ-მიცემობის სახე ორგვარია. ერთი მარტივი, როცა ერთი სახის საქონელი სხვა სახის საქონელზედ იცვლება პირდაპირ და უშუამავლოდ და მეორე რთული, როცა სააღებ-მისაცემო საქონელთ შორის სხვა საგანი, ესე იგი, ფული მოქმედობს. პირველის სახე ასეა: საქონელი=საქონელი; და მეორისა: საქონელი=ფული=საქონელი. მაგალითებრ, ვსთქვათ, რომ ორი თუნგი ღვინო ერთ კოდს პურზედ იცვლება მარტივ აღებ-მიცემობაში. ეს ამ სახით გამოითქმის:

ორი თუნგი ღვინო=ერთი კოდი პური.

ვსთქვათ, ორი თუნგი ღვინო ორი მანეთია. რაკი ორი თუნგი ღვინო ორი მანეთია, მაშასადამე, ერთი კოდი პური, რომელიც ორ თუნგზედ იცვლება, ორი მანეთი უნდა იყოს. ეს ამბავი რთულს აღებ-მიცემობაში ამ სახით გამოითქმის:

ორი თუნგი ღვინო=2 მანეთი ფული=ერთი კოდი პური.

პირველში ღვინოს გავცემ, რომ პირდაპირ პური ავიღო, მეორეში კი ღვინოს გავცემ, რომ ფული ავიღო და ფულს ისევ გავცემ, რომ პური ავიღო. ეს უკანასკნელი მოქმედება გასყიდვაა სყიდვისათვის. ჩვენ ვხედავთ, რომ ერთისა და მეორის ბოლოც ერთი და იგივეა, ღვინისა პურზედ და პურისა ღვინოზედ, ესე იგი, საქონლისა საქონელზედ ცვლა და სხვა არა-რა.” *(“შინაური მიმოხილვა”. 1882 წ. დეკემბერი).*

- **ბაზარი. საქონლის გაცვლა-გამოცვლის ადგილი**

“როცა აღებ-მიცემობა ერთისა თუ მეორის სახით უტყუარად მოქმედობს, ამღებიც და გამცემიც ერთნაირად მოგებაში არიან. აღებ-მიცემობაში ამღებიც და გამცემიც გასცემენ ხოლმე მარტო იმას, რაც თვითოეულისათვის ნამეტურია, მაშასადამე უსარგებლოა და უსაჭირო; მის სამაგიეროდ იღებენ მას, რაც თვითოეულის მათგანისათვის საჭიროა და, მაშასადამე, სასარგებლო. ცხადია, რომ ადამიანისათვის უსარგებლოს გაცემა და მის სამაგიეროდ სასარგებლოს შეძენა, _ სასარგებლო, ანუ უკეთ ვსთქვათ, მოგება უნდა იყოს.” *(“შინაური მიმოხილვა”. 1882 წ. დეკემბერი).*

“ამ სახით, ფული ეკონომიებრივ იმისთანა საგანია, რომლის საშუალებითაც უფრო ადვილად და ხერხიანად საქონელი საქონელზედ იცვლება, რომლის შემწეობითაც საქონლის პატრონები ერთმანეთში სააღებ-მისაცემოდ მოქმედობენ, ესე იგი, ეკონომიებრივად ერთმანეთში მიიქცევ-მოიქცევიან. საცა მაგგვარი მიქცევ-მოქცევაა საქონლის პატრონთა შორის, იმ ადგილს ბაზარი (рынок) ჰქვიან და მთელი ჯამი აღებ-მიცემობისა, მთელი რიცხვი მაგ-გვარის მიქცევ-მოქცევისა საქონლის პატრონთა ერთმანეთში _ შეადგენს მას, რასაც მეცნიერება უწოდებს ქცევას საქონლისას (обмен товаров).” *(“შინაური მიმოხილვა”. 1882 წ. დეკემბერი).*

- **საპოლიტიკო ეკონომიის კანონებზე საუბარი ბ-ნ მეისნერის “პროექტის” გამო**

“ეს გრძელი სიტყვა ფულის საზოგადო მნიშვნელობაზედ იმიტომ გავაბით, რომ ჩვენის მსჯელობისათვის ფეხმოკიდებული საგანი აგვეჩინა. ეს ერთი. მეორე იმისათვის, რომ რაკი ეგ მნიშვნელობა გვეცოდინება, უფრო ადვილად მივხვდებით შემდეგს

კანონებს საპოლიტიკო ეკონომიისას, რომელთ გამოკვლევასაც ჩვენ ვერ შევუდგებით და რომელთ მოწვევა აუცილებლად საჭირო იქნება ჩვენის მსჯელობისათვის." *("შინაური მიმოხილვა". 1882 წ. დეკემბერი).*

"ჩვენი საზოგადოება ამ ბოლოს დროს მეტად შეაფუცხუნა ერთმა ამბავმა, რომელიც დღეს ყველას სიტყვის მასალად გაუხდია და საცა კი მიხვალთ, ყველგან მაგ ამბავზედ არის ერთი გაცხარებული ლაპარაკი და ბაასი; ზოგი ჰოს იძახის, ზოგი არას, ერთნაირის სიცხარითა და რიხითა. ესეთი გაცხარება, ესეთი აპილპილება ცხადი ნიშანია, რომ თითონ ეს ამბავი მეტად გულს მოხვედრია ჩვენს საზოგადოებას და მისი საგანი მეტად ძლიერ შეჰხებია ჩვენს არსებითს ყოფა-ცხოვრებასა."

"ეს ამბავი გახლავთ ბ-ნ მეისნერის ორი პროექტი, რომელიც წარუდგენია მთავარმმართებელთან და მთავარმართებელს კიდევ გარდაუცია აქაურ სამეურნეო საზოგადოებისთვის გასაშინჯავად იმ მხრით, თუ, _ სასარგებლოა ამიერ-კავკასიისათვის წინადადება ბ-ნ მეისნერისა, თუ არა. ბ-ნს მეისნერს მოუწადინებია დააარსოს ჩვენი ორი საზოგადოება: ერთი ამიერ-კავკასიის ღვინის კეთებისა, ღვინის ვაჭრობისა და არყის ხდისა, და მეორე _ ბეღეულობისა და ბოსტნეულობის კეთებისა. ორივე საზოგადოების საფუძვლად დაუდვია აქციონერობა. ბ-ნს მეისნერს შეუდგენია ამ საფუძველზედ ორი წესდება და თანაც დაურთავს წერილები, რომლითაც იგი ცდილობს ერთის მხრით დააჯეროს აქციონერები, რომ დიდი მოგება გექნებათო, და მეორეს მხრით _ ვენახებისა და ბაღების თუ ბოსტნების პატრონები, რომ თქვენს საქონელს დიდი ფასი, ფართო ბაზარი გაეხსნებაო და კაი ვაჭარი ეყოლებაო." *("შინაური მიმოხილვა". 1882 წ. ნოემბერი).*

"ეს ორივე პროექტი, თავისის წერილებით, გადაეცა აქაურს სამეურნეო საზოგადოებას იმ აზრით, რომ ამ საზოგადოებამ, როგორც ამ საქმეების მეცნიერმა თვალყურის მადევნებელმა ამიერ-კავკასიაში, სთქვას: მოუხდება ამიერ-კავკასიას ეს პროექტები, თუ არა. დიდი მნიშვნელობა ამ საქმისა ჩვენთვის, _ ვალად გვდებს წარმოვუდგინოთ ჩვენს მკითხველებს ამ საქმის ვითარება იმ სივრცით და დაწვრილებით, რომ მკითხველს ცხადად გამოხატული ჰქონდეს არსება და ღირსება იმ აზრებისა, რომლებიც წინ წაიმძღვარა აქაურმა სამეურნეო საზოგადოებამ თავისის აზრის დასასკვნელად. საზოგადოებამ საჭიროდ დაინახა ამოირჩიოს ცალკე კომისია და იმას მიანდოს ვრცლად გასინჯვა ამ ორის პროექტისა, რადგანაც ერთიცა და მეორეც ქვეყნისათვის მეტად მძიმე საგანს შეეხებაო". *("შინაური მიმოხილვა". 1882 წ. ნოემბერი).*

"კომისიას დაუდგენია: ავი და კარგი პროექტში მოხსენებულ აქციონერების საზოგადოებისა, რომელსაც ორმილიონ-ნახევარი თავნი ექნება, _ განსაზღვროს ეხლანდელის ღვინის კეთებისა და ღვინის ვაჭრობის შესახებ ამიერ-კავკასიაში." *("შინაური მიმოხილვა". 1882 წ. ნოემბერი).*

ბ-ნ ალ. ჩოლოყაშვილს ამ საგანზე უთქვამს: "თუმცა აქაური მრავალ-გვარი ყურძენი ძლიერ კარგი არის, მაგრამ ღვინის კეთება და ნამეტნავად შენახვა, უცოდინარობით და უფულობით, არ ვიცითო; ამ მიზეზით ჩვენი ღვინოები დიდ-ხანს ვერ ინახებაო და ეს გვაიძულებსო ჩვენცა _ ვინც ღვინოს ვაყენებთ, და ღვინის ვაჭარსაც ღვინის მალე გასაღებასაო. გლეხკაცობაო, თავიდამ-ფეხებამდე გაბლანდული ვალებში, ყურს არ უგდებს ღვინის სიკეთესაო, ცდილობს ბევრი მოიყვანოსო, ვაჭარი კი მარტო იმას ყიდულობსო, რაც კარგია და დიდხანს შეინახებაო. ამ ყოფაში ორ-მილიონ-ნახევარი ფული რომ მოაშველონ ჩვენს ქვეყანას, მერე იეფი ფულიო, და ამასთანაც ღვინის კეთების მცოდნენიცაო, ძალიან მოუხდება ღვინის მომყვანსა და თითონ ღვინის სიკეთეც ისე

აიწევსო, რომ დიდის ქალაქების ბაზარში გასავალი ექნებაო." *("შინაური მიმოხილვა". 1882 წ. ნოემბერი).*

თ.რ.დ. ერისთავს უპასუხნია: "ვაი თუ ამ აქციონერების საზოგადოებამ ეს წვრილი ვაჭრები ღვინისა შემოგვიფრთხოსო და მარტომ დაინარჩუნოს ბურთი და მოედანიო. მაშინ ჩვენ, ღვინის პატრონები, ხომ იმ საზოგადოების ნებაზედ დავრჩებით, რასაც შემოგვაძლევს ღვინოში _ იმას უნდა დავჯერდეთო. ეს შიში რომ არ იყოს, მაგ საზოგადოების დაარსებაზედ ჩვენში არა გვეთქმის რაო. თუ ეს შიში არ გაგვიმართლდება და ჩვენში სხვა მაგისთანა საზოგადოებანიც დაარსდებიან, უეჭველია სასარგებლო იქნებაო ჯერ იმით, რომ ფული შემოვაო, მერე იმითი, რომ ცოდნა მოგვემატება და ამით ვენახებიც გამრავლდება და ვენახისა და ღვინის კეთებაც გაძლიერდებაო." *("შინაური მიმოხილვა". 1882 წ. ნოემბერი).*

თ.ზ.ალ. ჯორჯაძეს უთქვამს: "რომელიმე წარმოების აღყვავებისათვის საჭიროა, რომ ნაწარმოებს ბაზარი ჰქონდეს, მუშტარი ჰყვანდეს, ესე იგი საჭიროა ნაწარმოების ვაჭრობა იყოს გამართულიო. ღვინის წარმოებასაც ღვინის ვაჭრობა უნდაო. სიმდიდრე ქვეყნისა _ ის ნაწილი წარმოებისა კი არ არის, რასაც თითონ სჭამსო, არამედ ის ნამეტურია წარმოებისა, რომელიც გააქვს გასაყიდადაო. ამიტომაც ჩვენი ღვინის მომყვანნი გაღატაკებულნი არიან, თუმცა თვალად კი მდიდარის წარმოების პატრონები არიანო. რომელიმე საქონლის აღებ-მიცემობისათვის ყველაზედ უწინარეს ის არის საჭირო, რომ ერთ და იმავე ფასად ერთისავე და იმავე ღირსების საქონელი ვიყიდოო. როგორც ევროპაში, ისე ჩვენშიაც, საცა კი ვენახებია, სხვადასხვა-გვარი ღვინო დგებაო. თუმცა ეგ ღვინოები ბაზარში გადის აქაურ ვაჭრების შემწეობითა, მაგრამ იმ სახით და ღირსებით გადის, როგორათაც თითონ იმ ადგილას იყო, საიდამაც წამოღებულიაო. ამის გამო ღვინის მსმელი იძულებულია დღეს ერთის ადგილის ანუ სოფლის ღვინო იყიდოსო, ხვალ მეორისაო, და ამ სახით ყოველ-დღე სხვადასხვა ღვინო სვასო ერთ და იმავე ფასადაო. ეს გარემოება არღვევს ერთს უმთავრეს საფუძველს ვაჭრობისასა, სახელდობრ, ერთგვაროვნებას საქონელისას ხელს უცრისო. მაშასადამე, ჩვენს ქვეყენაში ღვინის აღებ-მიცემობა არ არსებობსო, ამიტომაც ამ წარმოების აღყვავებაზედაც ლაპარაკი ტყუილი ნატვრა იქნებაო. თუ რაც ღვინო მოდის ჩვენში, სულ ჩვენშივე ისმისო, ეგ იმიტომ კი არა, რომ ღვინის აღებ-მიცემობა გაძლიერებულია, როგორც ზოგიერთნი ფიქრობენ, არამედ იმიტომ, რომ ჩვენში აღებ-მიცემობა არ არის და ამ მიზეზით იმოდენა ღვინო მოგვყავს, რამდენიც მარტო ჩვენთვის არის საკმარისი და იმ ხელმოკლე ბაზრისათვის, როგორიც ჩვენი ტფილისიაო. ყველასათვის ცხადია, რომ ღვინის აღებ-მიცემობის შექმნისათვის საჭიროა სხვადასხვა-გვარის ღვინის მოგროვება ერთს ადგილს, რომ ერთი-ერთმანეთში გადარევით თითო-გვარი ღვინო გაკეთდეს და ამ სახით ბაზარში მუდამ ერთ-გვარი საქონელი გამოდიოდეს. ცხადია, რომ ღვინის მომყვანისათვის ეს საქმე შეუძლებელია, _ ეს ღვინის ვაჭრის საქმეა. უფრო ცხადი ის არის, რომ ამ საქმეს მეტად დიდი თანხა უნდა. მართლადაც, საფრანგეთმა, რომელიც ამ მხრივ ისე მდიდარია, რომ თავისის ღვინის ვაჭრობით მთელის ქვეყნის ბაზარი ხელთ იგდო, ღვინის კეთება და აღებ-მიცემობა შეაჯგუფა იმისთანა ადგილებში, როგორც სეტტი, ბორდო, მარსელი და სხვანი, საცა ორ-მილიონ-ნახევრისა კი არა, ათასისა და ასის მილიონების ღვინო უწყვიათ სარდაფებში და ჭურჭელში, რომელნიც თავისდა-რიგად მილიონებად ღირან. ეხლა ვკითხავ მათ, ვინც ამბობს, რომ დიდის თანხის შემოტანა მონოპოლიას შეჰქმნისო ჩვენში და წვრილს წარმოებას გააუქმებსო: რას ჰკარგვენ მწარმოებელნი საფრანგეთისანი იმ მიზეზით, რომ

ღვინის აღებ-მიცემობა შეჯგუფდა მარტო მარსელსა, ბორდოში და სხვა ადგილებში? განა საფრანგეთი ეგრე გააძლიერებდა ღვინის წარმოებას, რომ ეგ ადგილები არ ყოფილიყო და იმოდენა თავნი (კაპიტალი) არა ჰქონოდა? განა შეიძლება ოდესმე გაძლიერდეს ჩვენში ეგ წარმოება და ჩვენი ქვეყანა გამდიდრდეს, თუ თავნი (კაპიტალი) არ ექნება?" *("შინაური მიმოხილვა". 1882 წ. ნოემბერი).*

"დიდის ფულის დატრიალება ჩვენში, უთქვამს შემდეგ ბ-ნ ზ. ჯორჯაძეს, იმითაც იქნება სასარგებლო, რომ დიდი ფული ვერასა იქს, თუ ღვინის კეთების საქმე რიგიანს გზაზედ არ დააყენაო. რაკი ღვინის კეთების საქმე რიგიანს გზაზედ დადგება, ამისი შედეგი ის იქნებაო, რომ აღმოიფხვრება ცრურწმენა ჩვენშიო, ვითომც ჩვენი ღვინოები დიდხანს ვერა სძლებენო. ბოლოს ბ-ნ ჯორჯაძეს დაუსკვნია: განკარგება ღვინის კეთების საქმისა და გავრცელება ჩვენის ღვინის აღებ-მიცემობისა შეუძლიან მარტო ცოდნას და თავნსაო (კაპიტალი) და ამიტომაც დაფუძნება ჩვენში აქციონერების საზოგადოებისა, რომელსაც დიდი ფული ექნება, მეტად სასარგებლოდ უნდა იყოს აღიარებული ჩვენის ქვეყნისათვისაო." *("შინაური მიმოხილვა". 1882 წ. ნოემბერი).*

ბ.ნ. გამბაროვის აზრით, "ჩვენს აღებ-მიცემობას ღვინისას ამ ბოლოს ხანებში ფეხი წინ წაუდგამს. რამდენიმე ფირმა დაარსდა, რომელსაც ღვინის აღებ-მიცემობა წესიერს საფუძველზედ დაუყენებიაო. მართალიაო, მაგ ფირმებს, შეუძლებლობის გამო, ჯერ დიდი აღებ-მიცემობა ვერ მოუხერხებიათო, მაგრამ უცბად მოვლენილი ზორბა ფირმა აქციონერების საზოგადოებისა ორ-მილიონ-ნახევრით ეხლანდელ ფირმებს ჩაშლისო, რადგანაც კონკურენციას, ესე იგი, ცილებას, ადგილი აღარ ექნებაო. ამ სახით, ეგ ზორბა ფირმა აქციონერების საზოგადოებისა გზას გადუღობავს ჩვენს ახლად ფეხ-ადგმულს ღვინის აღებ-მიცემობასაო და მის ბუნებრივს და თანდათანად ზრდას შეაყენებსო. ამ მხრით, აქციონერების საზოგადოება იმ-სიდიდე ფულით რაოდენსამე ვნებას მოგვიტანსო. რომ ეს ასე არ მოხდესო, მე მგონია, კარგი იქნება, მაგ საზოგადოებამ თავისი საქმე დაიწყოს ნაკლებ ფულითაო." *("შინაური მიმოხილვა". 1882 წ. ნოემბერი).*

ბ.ნ.მონასტირცეკს უთქვამს: "დაარსება მაგისთანა აქციონერების საზოგადოებისა სრულებითაც საშიში არ არის ღვინის წარმოებისათვის ამიერ-კავკასიაში, პირიქით, ძალიან სასარგებლოა ჯერ იმითი, რომ ორ-მილიონ-ნახევარ ფულს მოგვიტანს და ფული ძალიან გვიჭირს, მერმე იმით, რომ იმისთანა რთულ და აზიზს საქმეში, როგორიც ღვინის კეთების საქმეა, გაავრცელებს ცოდნასა და სწავლასაო. აქაურს ვაჭრებს ღვინისას ფიქრი ნურასი აქვსო, აქციონერების საზოგადოება იმოდენა ბაზარს შეჰქმნისო, რომ საქმე ყველასათვის საკმაო იქნებაო." *("შინაური მიმოხილვა". 1882 წ. ნოემბერი).*

"ეხლა მივხედოთ ბ-ნ მეისნერის პროექტსა და ვიკითხოთ: ის ორ-მილიონ-ნახევარი ფული რომ მოაქვს, რასა გვპირდება? რა გზას და მოედანს უნიშნავს მაგ ფულს?"

"ამის პასუხად გვეუბნება ბ-ნი მეისნერი, _ ვიყიდი ღვინოს, რომ ისევ გავყიდოო, ესე იგი, ღვინის ვაჭრობას გავმართავო; მეორე, _ თქვენს ღვინოს სხვას ახალს ბაზარს გავუჩენო, ესე იგი, თქვენს ღვინოს თქვენის ქვეყნიდამ სხვაგან გავიტანო; და მესამე, _ ღვინის კეთების საქმეს შევუდგებიო. გავსინჯოთ ეს თვითოეული დაპირება ცალკე." *("შინაური მიმოხილვა". 1882 წ. დეკემბერი).*

"მაშასადამე, თუ ორ-მილიონ-ნახევარი ბ-ნ მეისნერის ამხანაგობისა მარტო იმისთვის ეხარბებათ მის მექომაგეთა, რომ ჩვენში ფული გამრავლდებაო, ცხადია, ამით ჩვენ არა მოგვემატება-რა, თუ საქონელთა რიცხვი ჩვენში იგივე იქნება, რაც არის. დაკლებით კი დაგვაკლდება, რადგანაც ღვინოს გაიტანს, რომელიც ჩვენთვის თითქმის

პურისაებრ დიდ საჭიროებას შეადგენს. ღვინის გატანით ეგ ჩვეული საჭიროება ისეთის სავსებით აღარ დაკმაყოფილდება, როგორც დღეს. კმაყოფილების დაკლება ცხადი გაღარიბებაა.” *(“შინაური მიმოხილვა”. 1882 წ. დეკემბერი).*

“ამ სახით, ბ-ნ მეისნერის ამხანაგობა 34%-ს ჩვენის ქვეყნის კისრიდამ ამოიღებს, თუ რუსეთისიდამ, ორ გზითვე ჩვენ დავრჩებით პირში ჩალა გამოვლებული. პირველ შემთხვევაში ჩვენიდამ ფულს გაზიდავს და მეორე შემთხვევაში ღვინოს. პირველ შემთხვევაში ფულით გავღარიბდებით, მეორეში ღვინითა. რაკი ფულის მეტ-ნაკლებობაზედ ამყარებენ ქვეყნის კეთილდღეობას ბ-ნ მეისნერის მექომაგენი, მაშინ ცხადია, რომ ორგანვე დანაკლისი ჩვენი იქნება და გამორჩომა სხვისი.” *(“შინაური მიმოხილვა”. 1882 წ. დეკემბერი).*

“გვეტყვიან: ტყუილი შიშია, ვითომ ღვინით ამ შემთხვევაში გავღარიბდებითო. ამის საბუთად ბ-ნ მეისნერის ქომაგთა ის მოჰყავთ, რომ რაკი ჩვენი ღვინო ბ-ნ მეისნერის წყალობით ბევრი გასაღდებაო ფულზედ, მაშინ თითონ ღვინოსაც ბევრს მოვიყვანთო. თუ ეხლა ჩვენს ქვეყანას 30 მილიონი თუნგი მოსდის, მაშინ იმოდენად მეტს მოვიყვანთო, რამოდენადაც გასაღების იმედი გვექნებაო. ნუ დავივიწყებთ, რომ ბ-ნ მეისნერის განზრახულს ვაჭრობაში საქონელი საქონელზედ კი არ იცვლება ფულის შემწეობით, არამედ საქონელი ფულზედ. აი ამ საგანზედ რას ამბობს ერთი დიდად გამოჩენილი მეცნიერი: “რომელიმე ქვეყნის მთელი გამრჯელობა, მთელი მეცადინეობა, მთელი ქონება მიიქცევა ხოლმე რომელიმე წარმოების გასაძლიერებლად იმ იმედის გამო კი არა, რომ ბევრს ფარატინა ქაღალდს მივიღებო, არამედ იმ იმედის გამო, რომ თავის ნაწარმოების საშუალებით მიიღებს ბევრს სხვადასხვა სარჩო საქონელს საზოგადოდ. სიმრავლე ფარატინა ქაღალდისა თუ ვისმე სიმდიდრე ჰგონია, რატომ იმას კი არა ხედავენ, რომ მთელის იმ სიმრავლით ვერა საგანს ვერ ყიდულობენ იმაზედ მეტს, რამოდენასაც წინად ყიდულობდნენ.” *(“შინაური მიმოხილვა”. 1882 წ. დეკემბერი).*

“მაშასადამე, ბ-ნი მეისნერის დაპირება, რომ ღვინოს თქვენგან ვიყიდი, რომ ისევ გავყიდოო, ესე იგი _ ამ სახის ღვინის ვაჭრობას გავმართაო, _ არას-გზით და არას-მხრით ჩვენდა სახეიროდ არ უნდა იყოს ცნობილი. საზოგადოდ, ვაჭრობა იმ მხრით კი არ არის სახეირო ქვეყნისათვის, რომ ქვეყნის მეტი სარჩო გაიტანოს, არამედ იმ მხრით, რომ იმ მეტის სარჩოთი ის აშოვინოს, რაც აკლია ქვეყანას დანარჩენ სარჩოდ.” *(“შინაური მიმოხილვა”. 1882 წ. დეკემბერი).*

“მეორე პირობა ბ-ნ მეისნერისა, რომელიც დიდ ბედნიერებად მიაჩნიათ მის მექომაგედ, ის არის, რომ თქვენს ღვინოს სხვა ახალს ბაზარს გავუჩენო. აბა ეს არის ის კაი ფონი, რომელიც ერთს ადგილას აღრჩობს.” *(“შინაური მიმოხილვა”. 1882 წ. დეკემბერი).*

- **ღვინოს იყიდის, რომ ისევ ღვინო ჰყიდოს: რას ნიშნავს ეს?**

“ღვინოს იყიდის, რომ ისევ გაჰყიდოს. რას ნიშნავს ეს? აქ ფული რა მოქმედებაშია? აი რა მოქმედებაშია: აქ ფული თითონ ხდება აღებ-მიცემობის საგნად და ღვინოს ამის საშუალებადა ხდის, აქ ფული გადის ფულისვე შემოსატანად ღვინის შემწეობით, ესე იგი, ფული ფულზედ იცვლება. აქ აღებ-მიცემობა არ არის, იმიტომ _ რომ აღებ-მიცემობაში გასაცვლელად იგულისხმება ერთ-გვარი და ერთ-სახე საგანი კი არა, როგორც აქ ფული ფულზედ, არამედ სხვადასხვა-გვარი, სხვადასხვა-სახე საგანი, მარტო ღირებულების

რაოდენობით შეტოლებული, მაგალითებრ, ორი ჩაფი ღვინო და ერთი კოდი პური. მაშ რა არის, თუ არ აღებ-მიცემობა? ვაჭრობაა, რომელიც ბუნებითად ერთ-გვარი სახეა ფულის გასესხებისა, იმიტომ რომ ფულით ფულის შოვნა სესხებაა. ამ შემთხვევაში, როგორც სესხებაში, ფული ისე არ გაიცემა, რომ სარგებლით უკუვ არ მოიქცეს, მაშასადამე, აქ ფული გადის, რომ მეტი ფული შემოვიდეს. ბ-ნ მეისნერის პროექტი გვპირდება, რომ ყოველი მანეთი ღვინის სყიდვით _ მანეთსა ექვს შაურს და ოთხ კაპეიკს შემოუტანს აქციონერებსაო. აი, მაშასადამე, როგორი სახე ექნება ბ-ნ მეისნერის ამხანაგობის მოქმედებისა: ფული=ღვინო=ფული+34%. აქ ფული ეძლევა ღვინის მკეთებელს იმისათვის, რომ ღვინის მსმელის კისრიდამ ამოიღოს იგივე ფული+34%. ამ სახით აქ ღვინო თითქო ვექსილია ღვინის მსმელისაგან ჩამორთმეული სასარგებლოდ ფულის პატრონისა. აქ ფული საშუალება აღარ არის აღებ-მიცემობისა, თავის ეკონომიურს მნიშვნელობას ჰკარგავს, აქ თითონ ფული აღებ-მიცემობის საგნადა ხდება." *("შინაური მიმოხილვა". 1882 წ. დეკემბერი).*

"საზოგადო კანონია, რომ რამოდენადაც საგანი რამე ბევრია, იმოდენად მისი ფასი ძირს დადის, და რამოდენადაც ცოტაა _ მისი ფასი მატულობს, თუ სხვა გარემოებანი ერთობ ერთსა და იმავე წერტილზედ არიან. ფულიც ამ ყოფაშია და ამ კანონს ექვემდებარება, განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ ფულის ფასის აწევ-დაწევა საკუთრივ საქონლის ფასის აწევ-დაწევაა. მაშასადამე, როცა ჩვენში ზემონაჩვენებ გზით ფული დაცოტავდება, ესე იგი გაძვირდება, საქონლის ფასი დაეცემა საერთოდ და ღვინისაც ცალკე. ეს კიდევ არაფერია, როგორც ბოლოს ვნახავთ." *("შინაური მიმოხილვა". 1882 წ. დეკემბერი).*

"ჩვენ უკვე ვიცით, რომ ერთად-ერთი საგანი, თავი და ბოლო ეკონომიურ მიქცევ-მოქცევისა კაცთა შორის ის არის, რომ მოჭარბებული ნაყოფი ჩემის ნაწარმოებისა გავცე და იმითი შევიძინო ის ნაწარმოები სხვისა, რაც მე პირდაპირ სახმარად მაკლია. ყოველი საქონელი, რავდენს ხელშიაც გადავ-გადმოვიდეს, მაინც ბოლოს იქ მივა, ვისაც პირდაპირ სახმარად ეჭირვება. დანიშნულება საქონლისა და საქონლის ქცევისა მარტო ეს არის და სხვა არარა, მაშასადამე, საქონელთა შუა ფული იტრიალებს, თუ არ იტრიალებს, მაინც ერთის ნამეტური მეორეს ხელში გადავა და თვითოეული მათგანი ამით შეივსებს მას, რაც აკლია პირდაპირ სახმარად. ვსთქვათ, მე ღვინო მეტი მაქვს და პური არა და გავდივარ ბაზარში, რომ ღვინო გავცე და პური ვიშოვნო. ვსთქვათ, რომ ორი თუნგი ღვინო უდრის ღირებულობით ერთს კოდს პურს, და მაშინ თუ ეს ღირებულება არ შეიშლება, ორის თუნგის ღვინის ფასი ერთი აბაზი იქნება, თუ ათასი თუმანი, ხომ ერთის კოდის პურის ფასიც იგივე ერთი აბაზი თუ ათასი თუმანი უნდა იყოს. მაშასადამე, როცა საქონელთა შორის ღირებულება იგივეა, მაშინ ფული მათ შუა ბევრი იშუამავლებს, თუ ცოტა, სულ ერთია." *("შინაური მიმოხილვა". 1882 წ. დეკემბერი).*

"აქედამ გამოდის ის კანონი მეცნიერებისა, რომ როცა ღირებულების რაოდენობა საქონელთა შორის უცვლელია და ფასის რაოდენობა კი ხან მატულობს, ხან კლებულობს, _ ამით არც არავინ აგებს, არც არავინ იგებს. ამას ცხადად დავინახავთ შემდეგს სასწორზედ: ორი თუნგი ღვინო=X ფული=ერთი კოდი პური. აქ მაგ X-ის მაგიერ გინდა ასი დასვით, გინდა ათასი, ღვინოსა და პურის შუა სასწორი არ მოიშლება." *("შინაური მიმოხილვა". 1882 წ. დეკემბერი).*

"სულ სხვა იქნება, რასაკვიველია, თუ რომ ფულის მოვლენამ შეშალა ღირებულება საქონელთა შორის, მაგალითებრ, ვსთქვათ, მარტო ღვინის ფასი ასწია და პურისა კი ისევ ის დაარჩუნა. ჩვენ ვამბობთ, რომ ფულს, როგორც საშუალებას აღებ-მიცემობისას, ამის

მოხდენა არ შეუძლიან. შორს რომ არ გავაბათ ლაპარაკი, საკმაოა ვსთქვათ, რომ თუ რომელსამე ქვეყანაში სიმრავლე და საჭიროება ღვინისა და პურისა ერთსა და იმავე დონეზედ დგას, ესე იგი უცვლელია, და თუ ამასთან ორის თუნგის ღვინის მოსავალი ერთს შუათანა მუშის ღონესა და დროს ინდომებს და ამოდენსავე ღონესა და დროს ერთის კოდის პურის მოყვანა, მაშინ მათის ღირებულების შეშლა არაფერს არ ძალუძს; ასწევთ, თუ დასწევთ ერთს, აიწევა და დაიწევა მეორეც, ერთისა და იმავე ზომით." *("შინაური მიმოხილვა". 1882 წ. დეკემბერი).*

"ეგევე მოხდება, რომ ფულმა ამ შემთხვევაში ერთი-ორად იკლოს. მაშინ ფასები ერთი-ორად დაეცემა და მწარმოებელნი რამოდენასაც წააგებენ გასასყიდში, იმოდენას მოიგებენ სასყიდში. არც ერთს შემთხვევაში სასწორი გაცემისა და აღებისა არ შეიშლება." *("შინაური მიმოხილვა". 1882 წ. დეკემბერი).*

"რომ მარტო ფულის გამრავლება არაფერია, როცა საქონელი არა მრავლდება, ამისი ცხადი მაგალითი ის ოთხი მილიონი ფულია, რომელიც ტფილისისა და ქუთაისის გუბერნიამ მიიღო ყმების განთავისუფლების გამო, მერე ისე მიიღო, რომ მის სამაგიეროდ ჩვენის ქვეყნიდამ არა გასულა-რა. რა დააჩნივა ჩვენს ქვეყანას ამოდენმა ფულმა? მაგოდენად ფულის გამრავლებამ, განა გაგვამდიდრა? თუ მაგ მუქთა ფულმა არა ჰქმნა-რა, მაშ რაღას უნდა მოველოდეთ იმ ფულისაგან, რომელიც მუქთად კი არ გვეძლევა, არამედ იმისთვის მოდის, რომ თითონ აქ დარჩეს და ჩვენი სიმდიდრე _ ღვინო გაიტანოს?" *("შინაური მიმოხილვა". 1882 წ. დეკემბერი).*

"ვსთქვათ, გავბრიყვდეთ კიდეც და ფარატინა ქაღალდის შეძენისათვის გავაძლიეროთ ღვინის წარმოება. როგორ უნდა მოხდეს ეს გაძლიერება? ისეო, ამბობენ ბ-ნ მეისნერის ქომაგნი, _ რომ ჩვენი ქვეყანა სივრცეს ვენახებისას გაუმატებსო. მაშასადამე, ღვინის წარმოებას შრომა უნდა დაემატოს და შრომასთან მიწაც. საიდამ? ერთისა და იმავე ჯამიდამ, _ საიდამაც ეგ შრომა და ეგ მიწა დღეს განწილულია და მორიგებული სხვადასხვა-გვარ წარმოების შორის, რომელთ საერთო მოქმედებით ჩვენს ქვეყანას თავისი სარჩო მოჰყავს. მაშასადამე, შრომა და მიწა სხვა წარმოებას უნდა დააკლდეს, რომ ღვინის წარმოებას დაემატოს. აქ სხვა წარმოება უნდა შემცირდეს, რომ ღვინისა გადიდდეს." *("შინაური მიმოხილვა". 1882 წ. დეკემბერი).*

"აშკარაა, თუ ვითარება ეკონომიური ასე დარჩება, არავითარი მიზეზი არ იქნება, რომ ღვინის მწარმოებელთა 400 თუნგზედ მეტი ღვინო მოიყვანონ, ან პურისამ _ 200 კოდზე მეტი." *("შინაური მიმოხილვა". 1882 წ. დეკემბერი).*

"ისიც აშკარაა, რომ თუ მაგალითად აღებულნი გარემოებანი შეუცვლელად დარჩებიან, მაინც მარტო ორასი თუნგი ღვინო გაიცემა ასს კოდს პურზედ და ასი კოდი პური 200 თუნგს ღვინოზედ, და აქ თუ აღებ-მიცემობის შუამავლად ფული საჭიროა, იმოდენად საჭიროა, რამოდენადაც აღებ-მიცემობა პურისა ღვინოზედ და ღვინისა პურზედ დაიტევს. ამიტომაც ამბობს ერთი გამოჩენილი მეცნიერი, რომ "ფასი იმ საქონელთა, რასაც რომელსამე ქვეყანაში ყოველ-წლივ ჰყიდიან და ყიდულობენ, ის ჯამია ფულისა, რაც საჭიროა საქონლის ქცევისა და მორიგებისათვის პირდაპირ მხმარებელთა შორის, და მაგაზედ მეტს ფულსა ის ქვეყანა საქმეს ვეღარ აუჩენსო და ვეღარაში გამოიყენებსო." *("შინაური მიმოხილვა". 1882 წ. დეკემბერი).*

"მაშასადამე, თუ ჩვენის ქვეყნის ეკონომიური გარემოებანი ისევ ისე დარჩებიან, როგორც დღეს არიან, ორ-მილიონ-ნახევრის ფულის გარევა, ისიც ქაღალდის ფულისა, არაფერში გამოსაყენი არ იქნება, და რაც არაფერში გამოსაყენია _ ის არ აიძულებს არავის

საზოგადოდ და ჩვენს ქვეყანას საკუთრივ მეტი ღვინო მოიყვანოს." *("შინაური მიმოხილვა". 1882 წ. დეკემბერი).*

"მაგრამ ვსთქვათ, ბ-ნ მეისნერის მექომაგეთაებრ, რომ ფარატინა ქაღალდმა წაგვიტყუა, და აქაო-და ბევრი ფარატინა ქაღალდი დატრიალდება ხელში, ავიღეთ და ღვინის გამრავლებას შევუდგეთ მაშინ, როდესაც ყოველივე სხვა გარემოება წინანდელის მაგალითისა დარჩა უცვლელად. ცხადია, რომ ღვინო გავამრავლოთ, პურს უნდა მოვაკლოთ მწარმოებელნი და მიწა. ვსთქვათ, ოთხასის თუნგის მაგიერ ექვსასი თუნგი ღვინო მოვიწადინეთ; თუ ხუთს დღიურს და ათს მწარმოებელს ოთხასი მოიყვანდა, ესე იგი ხუთს მწარმოებელს და ორდღიურ-ნახევარ მიწას ორასი, მაშასადამე, პურს უნდა მოვაკლოთ ხუთი მწარმოებელი და ორ-დღიურ-ნახევარი მიწა და ღვინის წარმოებას დავუმატოთ (ეს მაგალითი თავის ძალას არ დაჰკარგავს, თუნდ ვიგულისხმოთ, რომ იმის გარდა, რაც ღვინოსა და პურის წარმოებას მიწა უჭირავს, კიდევ არის სხვა მიწები, რომელნიც უქმად არიან, _ თუკი მწარმოებელთ ქონება და კაცი რიცხვით იგივე იქნება). მართალია, ამით ექვსასი თუნგი ღვინო გვექნება, მაგრამ ამ-რიგად განახევრებული წარმოება პურისა ორას კოდიდამ ასს კოდზედ ჩამოხტება. აქედამ 50 კოდი თითონ პურის მწარმოებელთ მოუნდებათ სარჩოდ და 50 კოდი პურიღა იქნება ღვინოზედ გასაცვლელად, მაშინ როდესაც ამას გარდა კიდევ ასი კოდია საჭირო ყველასათვის სარჩოდ და 200 თუნგი ღვინო კი მეტია. ვსთქვათ, მარტო ეს 200 თუნგი ღვინო, რომელიც ჩვენთვის მეტია, გაიტანა ბ-ნმა მეისნერმა და მის სამაგიეროდ ფარატინა ქაღალდი მოგვცა. ნუთუ ეს ფარატინა ქაღალდი პურის დანაკლისს არ გვაგრძნობინებს? ნუთუ პურის მაგივრობას გვიზამს? ნუთუ ამით ჩვენში პური არ დაძვირდება? პური თუკი ერთი-ორად ნაკლები იქნება და საჭიროება იგივე, მისი ფასი, სულ ცოტა რომ ვსთქვათ, ერთი-ორად მაინც აიწევს, და თუ მისი ფასი ფარატინა ქაღალდია, ერთიორად ამ ფარატინას მოითხოვს; რაკი პური ასე დაძვირდება, ამ წარმოებისაგან წასული მწარმოებელი და მიწა ისევ პურს უკანვე დაუბრუნდა იმავე ფარატინების გამორჩომის იმედითა, რამაც წინა მაგალითში ღვინის თაობაზედ წაიტყუა ერთიცა და მეორეც. თუ ფარატინა ქაღალდმა ერთს შემთხვევაში წაგვიტყუა და ღვინის წარმოება გაგვაძლიერებინა პურის დაკლებით, რატომ იგივე ფარატინა არ წაგვიტყუებს მეორე შემთხვევაში და პურის წარმოებას არ გაგვაძლიერებინებს ღვინის წარმოების დაკლებითა? მიზეზი ერთია, შედეგიც ერთი უნდა იყოს. ეს ერთხელ აღძრული ტოკვა სასწორის უღლისა ღვინისა და პურის წარმოების შუა იქამდინ იქნება, ვიდრე ღვინო თავის დონემდე არ დავა და პური თავის დონემდე არ ავა და ამ-რიგად უღელი სასწორისა წინანდელ ლარზედ არ დადგება." *("შინაური მიმოხილვა". 1882 წ. დეკემბერი).*

"მაგრამ გვეტყვიან, რომ ეს ასე არ მოხდებაო, რადგანაც პურის წარმოებაზედ შეგვიძლიან სრულებითაც ხელი ავიღოთო და პური რუსეთიდამ ვზიდოთ იმ ფულის შემწეობით, რასაც ჩვენგან გატანილს ღვინოში ბ-ნი მეისნერი მოგვცემსო. შესაძლოა, მაგრამ ის შემოსული ბ-ნ მეისნერისაგან ფული ამ გზით ხომ ჩვენის ქვეყნიდამ ისევ მთლად გაიზიდება, და იქნება მოჭარბებითაც, რადგანაც პური უფრო აუცილებელი და დიდი საჭიროებაა ჩვენთვის, ვიდრე ღვინო რუსეთისათვის. მაშინ ბ-ნ მეისნერის მექომაგეთ ხომ ამითაც გამოეცლებათ ხელიდამ საბუთი, რომ იმედოვნებენ, მისგან შემოტანილი ფული ჩვენშივე დარჩებაო, მაშასადამე, ფული გაგვიმრავლდება და გავბედნიერდებითო. ეს კიდევ არაფერია. საქმე იმაშია, ჩვენ ამით რა მოგვემატება? არაფერი. ჩვენიდამ ღვინო იმდენი გავა, რაც მეტია და სწორედ იმოდენადაც მეტი იქნება,

რაც დანაკლისის პურის მოსაპოვებლად საჭიროა. სასწორი ჩვენის სარჩო-ქონებისა და საქონლისა არ შეიცვლება და ისევ ამ სახისა იქნება: ქონება=400 თუნგი ღვინო+200 კოდი პური, საქონელი=200 თუნგი ღვინო+100 კოდი პური, _ რაც უნდა ბევრმა ფულმა იტრიალოს ამათ სააღებ-მიცემოდ. .” *(“შინაური მიმოხილვა”. 1882 წ. დეკემბერი).*

“ზარალი კი ის იქნება, რომ პური უწინ ახლო საშოვარი იყო და ეხლა შორს საძებნელი გახდება, და როცა ის შორი ბაზარი რომელისამე გარემოებით ჩვენთვის დაიკეტება, მშივრები ამოვწყდებით. ეხლა ერთი ვიკითხოთ: თუ არა მოგვემატება რა, უტკივარი თავი რათ ავიტკივოთ.” *(“შინაური მიმოხილვა”. 1882 წ. დეკემბერი).*

“ვაჭრობის სარგებლობა, _ ამბობს ზემოთვე ხსენებული მეცნიერი, _ იმაში კი არ მდგომარეობს, რომ გაჰყიდოს საქონელი, როგორც აქამომდე ეგონათ (მოძღვრება, რომელიც მერკანტილ-სისტემად ცნობილია მეცნიერებაში, ამას ჰგადაგებდა, და ეხლა ეგ მოძღვრება უარყოფილია), არამედ იმაში, რომ გასაყიდი საქონელი საშუალებად ხდება სასყიდის საქონლის შესაძენადაო.” *(“შინაური მიმოხილვა”. 1882 წ. დეკემბერი).*

- **ახალის ბაზრის აჩენა როდის არის კარგი**

“სხვა ახალის ბაზრის აჩენა მაშინ არის კარგი, როცა უკვე აჩენილი, ესე იგი დღევანდელი ბაზარი, არ იტევს საქონელსა, მაშინ ქვეყანა ან ახალს ბაზარს ეძებს საქონლისათვის, ან, თუ ვერ იშოვა, თვითონ წარმოებას შეაცოტავებს, თუ სხვა გარემოებანი უცვლელნი არიან.” *(“შინაური მიმოხილვა”. 1882 წ. დეკემბერი).*

“ეხლა ერთი ვიკითხოთ: ნუთუ მართლა იმოდენა ღვინო მოდის ჩვენს ქვეყანაში, რომ ჩვენში ვეღარა საღდება. ამაზედ ჰოს ვერავინ გვეტყვის, თუ ალალ-ბედად თქმა არ იკადრა, და თუ იკადრა, ამასაც იტყვის, რომ ათში ერთი ჩაფი იყიდება ჩვენშიო და დანარჩენი ცხრა ჩაფი გაუსყიდავი რჩებაო.” *(“შინაური მიმოხილვა”. 1882 წ. დეკემბერი).*

“მართალია, ჩვენში ხშირად ისმის ჩივილი, ღვინო არ გვეყიდებაო, მაგრამ მაგასვე პურის პატრონიც იძახის პურის შესახებ, მატყლისა მატყლის შესახებ, შეშისა შეშის შესახებ და სხვა ამ-გვარი. ნუთუ აქედამ ის დასკვნა უნდა გამოიყვანოს კაცმა, რომ ყოველივე ამ ნაწარმოებით ჩვენი ბაზარი იმოდენად სავსეა, რომ ყოველს ამას აღარ იტევს, ყოველივე ეს ვერა საღდება უმუშტრობის გამო. თუ ეს საჩივარი გამსყიდველთა მართალია, აბა ეხლა ყური დაუგდეთ, რა საჩივარი ისმის იმავე დროს და იმავე ბაზარში მყიდველთაგან: ღვინო ძვირია, პური ძვირია, საკლავი ძვირია, ლამის გავტყავდეთო. ეს ჩივილი რომ ვთარგმნოთ, იმასა ნიშნავს, რომ ჩვენი ბაზარი ყოველ ამით არამც თუ სავსეა, ნაკლულადაც არის, თუ ნაკლულად არ იყოს, იეფობა იქნებოდა. ეს ორი საჩივარი რომ ერთმანეთს პირში წავუყენოთ, გამოვა, რომ ერთსა და იმავე ბაზარში ერთობ საქონელი ბევრიც არის და ცოტაც ერთსა და იმავე დროს.” *(“შინაური მიმოხილვა”. 1882 წ. დეკემბერი).*

“მაშასადამე, მართალი ორში რომელი ერთია? ცხადია, არც ერთი. მართალი სწორედ იმათ შუაა და ვერც ერთს კი ხელი ვერ ჩაუვლია. საქმე იმაშია, _ ვერც საქონლის გამსყიდავი, როგორც კერძო პირი, ვერც მსყიდავი, ვერა სცნობს ეკონომიურ ვითარებას რომელიმე დროისას და ამიტომ ჰგონია ერთსაც და მეორესაც, რომ სასწორს საქონლის ღირებულებისას თავიანთ სურვილისამებრ თუნდა ასწევენ, თუნდა დასწევენ მარტო თავის სასარგებლოდ. როცა ღვინის პატრონი ჩივის, ღვინო არ მეყიდებაო, ეგ ჩივილი ასე

უნდა ითარგმნოს, რომ იმ ფასად არ ეყიდება, რამოდენიც გულში ჩაუდვია, და როცა იმავე დროს ღვინის მსმელი, ესე იგი მუშტარი, ჩივის, ღვინო ძვირიაო, ეს იმას ნიშნავს, რომ იმ ფასად ვერ უყიდნია, რაც ემეტება. ეს ჩვეულებრივი მითქმა-მოთქმაა აღებ-მიცემობისა." *("შინაური მიმოხილვა". 1882 წ. დეკემბერი).*

"ბაზარი კი, როგორც საერთო, საყოველთაო სასწორი საქონლის ღირებულებისა, თითოეულის სურვილს კი არ ემორჩილება, არამედ საზოგადო ეკონომიურს ვითარებას, რომელიც საქონლის ფასს ხან ასწევს ხოლმე, ხან დასწევს საერთო წარმოების მთელს სივრცეზედ. ტყუილია, თუ ეკონომიური ვითარება საზოგადოდ ისეთია, რომ ორ თუნგ ღვინოზედ მარტო ერთი კოდი პური იშოვება, რაც უნდა მაღლა ასწიოთ თქვენის ღვინის ფასი, მაინც იმოდენას მოგცემენ, რამოდენადაც ერთი კოდი პური იყიდება იმავე დროს და იმავე ბაზარში." *("შინაური მიმოხილვა". 1882 წ. დეკემბერი).*

"თუ არა და, ღვინოა, თუ პური, შინ დაგრჩებათ თქვენისავე ახირებით და არა იმიტომ, რომ მსყიდველი არ არის. აბა ღვინის გამსყიდველმა პატრონმა ამ საზოგადო ეკონომიურს ვითარებას შეუტოლოს ღირებულება თავის საქონლისა, თუ ჩვენმა ბაზარმა ყოველივე ეს არ მოიზიდოს და არ დაიტოვოს. ეგევე ითქმის საზოგადოდ სხვა საქონელზედაც, როდესაც იმავე დროს და იმავე ბაზარში საქონლის პირდაპირი მომხმარებელი ჩივის, საქონელი გაძვირდაო." *("შინაური მიმოხილვა". 1882 წ. დეკემბერი).*

"მაშ რა საბუთი გვაქვს, რომ ვამბობთ, ჩვენი ღვინო ჭარბია ჩვენის ბაზრისათვისაო? მაშ რას გვიხარიან ახალის ბაზრის აჩენა? ღვინო დიდ ფასად გავაო, ამბობენ ბ-ნ მეისნერის მექომაგენი, ესე იგი, აქაც კიდევ ბევრის ფულის ჩვენში შემოსვლას ხარბობენ. ჩვენც ავყვეთ, არა უშავს-რა, თუმცა უკვე ვიცით, რომ ფულის სიმრავლე, უკეთუ რიცხვი ერთობ საქონლისა ჩვენს ქვეყანაში იგივეა, არაფერს შეგვმატებს." *("შინაური მიმოხილვა". 1882 წ. დეკემბერი).*

"ჩვენ ამაზედ ვუპასუხებთ, რომ ბ-ნ მეისნერის ამხანაგობა დიდ ფასად ვერ იყიდის ჩვენს ღვინოებს. ჩაიხედეთ ბ-ნ მეისნერის ნუსხაში, რომელიც მის პროექტზედ დართულია და ნახავთ, რომ იმ ახალის აზრის იმედით, იგი თავს კახურს ღვინოში თექვსმეტ ბოთლში (ერთს ვედროში) სამს მანეთს გვპირდება, ესე იგი ბოთლში 18¾ კაპ. და დაბალ ღვინოში 7½ კაპ., თუნგში 37½ კაპ. (ვედროში _ ექვს აბაზს). აბა, თავ ღვინოში, ისიც კახურში, და თუნდ დაბალ ღვინოებში _ რომ ეგ ფასები დაიდვას, დიდი ფასია? თუ იმაზედ ნაკლები, რაც დღეს ჩვენშია, მაშინ როდესაც, ზოგიერთის სიტყვით, ვითომ ჩვენში ღვინო 9/10 გადასაღვრელიაო! აბა თუ კაცია ვინმე და თავი ღვინო კახეთში მაგ ფასად იყიდოს დღეს. ეგევე ითქმის დაბალ ღვინოების შესახებაც. ჯერ ჭყაპურტა ღვინოები ქალაქის ახლო სოფლების თუნგი იყიდება დღეს 50, 60, 85 და 90 კაპ. და ბ-ნ მეისნერის ამხანაგობა კი 40 კაპ. გვპირდება თუნგში. ჯერ აქედამა სჩანს, რა განზრახვა და რა სურვილი მიუძღვება წინ ბ-ნ მეისნერის ამხანაგობას." *("შინაური მიმოხილვა". 1882 წ. დეკემბერი).*

"ჩვენ დავამტკიცებთ, რომ ეგ ამხანაგობა ბოლოს მაგასაც არ შემოგვაძლევს, უფრო ძირს დასცემს ჩვენის ღვინოების ფასსა.

ფული რაკი თავის პირდაპირ დანიშნულებას გადასცდება ხოლმე, რაკი გასყიდვას სყიდვისათვის არ მოახდენს, არამედ სყიდვას გასყიდვისათვის, როგორც ბ-ნმა იოსელიანმა სამართლიანადა სთქვა, მაშინ ფული საქონლის სააღებ-მისაცემო საშუალებად კი არ ხდება, არამედ სააღებ-მისაცემო საგნად საქონლის საშუალებითა. ამ ყოფაში ფულს ქვეყნის გამდიდრება კი არ მოსდევს, არამედ იმისი, ვის ჯიბიდამაც

ამოდის, რათა იმავე ჯიბეშივე უკანვე ჩავიდეს. უბარტყებლად ჯიბიდამ ფულის ამოსვლა და ჩასვლა ტყუილი ნაცარქექიობა იქნებოდა. ამიტომაც, ფული ამ შემთხვევაში მარტო იმის სიხარბეშია, რომ რაც შეიძლება დიდის მოგებით დაუბრუნდეს იმავე ჯიბეს, საიდამაც ამოვიდა. მაგ სიხარბეს საზღვარი არა აქვს, მაგ გზაზედ დამდგარი ფული ისეთი კრუხია, რომ რავდენი კვერცხიც გინდათ შეუწყოთ, იმდენს ბარტყს ეცდება გამოუჩეკოს თავის პატრონს." *("შინაური მიმოხილვა". 1882 წ. დეკემბერი).*

"ბ-ნ მეისნერის ამხანაგობას რომ ნუსხა გავუსინჯოთ, ვნახავთ, რომ განზრახვადა აქვს გაიტანოს ჩვენიდამ 6120 ურემი რვინო: აქედამ 4320 ურემი ღვინო ბოთლი უნდა გაჰყიდოს და 1800 ურემი თავი ღვინო ბოთლი 70 კაპეიკად. მოსაგებად დანიშნული აქვს მანეთზე 34 კაპეიკი. ახლა იფიქრეთ, ბ-ნ მეისნერის ამხანაგობამ რომ ამოდენა ღვინო გაზიდოს ჩვენის ქვეყნიდამ, მაგრამ იაფად ჰყიდოს რუსეთში და მაინც მაგდენი წმინდა მოგება დარჩეს, რა უნდა იქონიოს გულში? ის უნდა ედვას გულში, რომ რაც შეიძლება ჩვენში ღვინოები იაფად იყიდოს, რაც შეიძლება ფასი ღვინისა ძირს დასწიოს, თორემ შეუძლებელია მაგ ფასად ჩვენი ღვინო რუსეთში ჰყიდოს და ამით არამც თუ მოიგოს რამე, არამედ დიდი ზარალი არა ნახოს. სამ აბაზ უზალთუნად თავს ღვინოს დღეს ჩვენშიაც ვერ იყიდით, 31¼ კაპეიკად იმის მომდევარს ვაი-ლაჩრობით ძლივს იშოვით ჩვენში დღესაც, და ბ-ნ მეისნერის ამხანაგობამ ან ერთისა და ან მეორის ჯურის ღვინო როგორ უნდა ჰყიდოს რუსეთში მაგ ფასად? აშკარაა, ან იქ უნდა მოუმატოს ფასი, ან აქავ ჩალის ფასად ჩაიგდოს ხელში. ამ ორში იმ გზას უფრო დაადგება, რომელიც უფრო ადვილია, უფრო ჭკუაზედ ახლოა და ჭკუაში დასჯდომია." *("შინაური მიმოხილვა". 1882 წ. დეკემბერი).*

"რუსეთში რომ ჩვენი ღვინოები დანიშნულ ფასებზედ უფრო ძვირად გაჰყიდოს, ხელს არ მისცემს ამხანაგობას. იმიტომ _ ერთობ ძვირის საქონლის მუშტარი მარტო მდიდარი კაცია და მდიდარი ცოტაა ყველგან, და რაც არის, ისიც ჭირვეულია, ქეიფის კაცია, თავის ნებისა არის. გარდა ამისა, მდიდარი კაცი რუსეთისა მიჩვეულია სხვა ღვინოებს ევროპისას და ბ-ნ მეისნერის ამხანაგობა, რაც უნდა ეცადოს, ამ მუშტარს ვერ ჩამოაცლის საფრანგეთის ღვინოებს და ჩვენს ღვინოებისაკენ ვერ გადმოიბირებს, ამისათვის, რომ მდიდარის კაცისათვის ღვინო არამც თუ მარტო საჭირო და სასიამოვნო სასმელია, არამედ თავმოსაწონებელი, და სახელგანთქმულიც უნდა იყოს. აკი ვამბობთ, რაც უნდა ეცადოს ბ-ნ მეისნერის ამხანაგობა, საფრანგეთის ღვინოებს ვერ გაუტეხს სახელს და ჩვენსას ვერ მოანიჭებს რუსეთის მდიდარის კაცის თვალში. მაშასადამე, ერთი ღონე-ღა დარჩება ამხანაგობას, რუსეთის შუათანა წრის ხალხი აიჩინოს მუშტრად. ამისათვის ჩვენი ღვინო, რაც შეიძლება, იქ იეფად უნდა ჰყიდოს, რომ იეფობით ღვინის უჩვევი ხალხი შეაჩვიოს ღვინოსა. უამისოდ იმ 6120 ურემის გასაღება რუსეთში სანატრელი სიზმარი იქნება." *("შინაური მიმოხილვა". 1882 წ. დეკემბერი).*

"რაკი ძვირად გასყიდვა ჩვენის ღვინისა რუსეთში მუშტარს ვერ იშოვის, ამიტომაც ბ-ნ მეისნერის ამხანაგობა იმის მეცადინეობაში იქნება, რომ აქ ჩვენშივე სყიდვის დროს ღვინო იეფად ჩაიგდოს. ამას ძალიან ადვილად მოახერხებს. რაკი ამხანაგობა, ვითარცა ერთი კაცი, იმოქმედებს იმ დიდძალ ფულითა, რომელიც მას ხელთ ექნება, პირველ წელიწადსვე შეუძლიან სულ შემოიფრთხოს ყველა ღვინის ვაჭარი, რაც კი ეხლა ჩვენში არის. ვინც საქმით იცის ჩვენის ღვინის საქმე არა გაგონითა, ის დაგვერწმუნება, რომ ორი ათასი თუმანია საჭირო, რომ რაც უკეთესი მარნებია კახეთში, სულ ხელში დაიჭიროს. ამას გარდა, შესაძლოა ოცი, ორმოცი ურემი ღვინო თუნდ ას-ას თუმნად დავიკვეთო

კახეთში, ამით ფასები დროებით ავწიო, წვრილი ვაჭრები შემოვიფრთხო, და რაკი ბურთი და მოედანი მე დამრჩება და სხვა მოცილე არ მეყოლება, დანარჩენი ორასი და სამასი ურემი წყლის ფასად ჩავიგდო და რასაც ოცს ურემში წავაგებ ფასების აწევითა, ის ერთი-ორად დავიბრუნო ორასისა და სამასის ურმის ფასების დაწევაში. ვინ იტყვის, რომ ამხანაგობა, რომელსაც განუზრახავს მანეთზედ 34 კაპეიკის მოგება, ამას არ იქმს? აი ამიტომ შორმხედველნი მოწინააღმდეგენი ბ-ნ მეისნერის პროექტისა ამბობდნენ, რომ მონოპოლიობა ჩამოვარდებაო." *("შინაური მიმოხილვა". 1882 წ. დეკემბერი).*

"თუნდ ეგეც არ იყოს და დავუჯეროთ ბ-ნ მეისნერის მოქომაგეთა, რომ ღვინოების ფასი აიწევა, რაკი რუსეთი ჩვენის ღვინის ბაზრად შეიქმნებაო; თუ მართლა ეგრე იქნება, დიდძალი ღვინო ჩვენის ქვეყნისა სულ რუსეთისაკენ გაეზიდება. დიდძალი ღვინო გავა, მაშასადამე, ღვინო ჩვენში დაძვირდება ასე, რომ ამოდენა ხალხი, ღვინის სმას ჩვეული, ღვინოს თვალით ვეღარ ნახავს, ჯერ იმის გამო _ რომ ცოტა იქნება, მეორე იმის გამო _ რომ შეძლება არ ექნება დიდ ფასს შესწვდეს. მაშასადამე, ეს შინაური ჩვენი ბაზარი ალაგდება, მერე მკვიდრი ბაზარი, რადგანაც დღეს-აქამომდე ისეთი მუშტარი ჰყავს, რომელიც ღვინოში ჩვეულს და მეტად საჭირო სასმელს ხედავს, და მის სამაგიეროდ გაიხსნება ისეთი ბაზარი, საცა მაგ ჩვეულებამ და საჭიროებამ უნდა ახლად ფეხი მოიკიდოს. ცხვირ-წინ ბაზარს ვიუქმებთ, რომ ცხრა მთას იქით ახალი ავიჩინოთ. ჩვენდა სამწუხაროდ რომ ეს მოხდეს, აქ ცხვირწინ ბაზარი დავკეტოთYდა რუსეთში ავიჩინოთ, მერე ვინ დაგვიდგება თავდებად, რომ ამხანაგობა არ გვეტყვის, გინდათ ამ ფასად მომყიდეთ თქვენი ღვინო, თუ არა თქვენ თითონ წაიღეთ რუსეთშიო: რუსეთში ჩვენ ჩვენს ღვინოს ვერ წავიღებთ. შინ გასავალი იმოდენა აღარ იქნება და ჩვენ ან უნდა ბ-ნ მეისნერის ამხანაგობას დავემორჩილოთ, ან ვენახები გადავკაფოთ." *("შინაური მიმოხილვა". 1882 წ. დეკემბერი).*

- **სალიანის თევზისა და ხიზილალას ამბავი: ახალი ბაზარი აიჩინა და დღეს მხოლოდ მდიდარი ხმარობს საჭმელად**

"ყოველს ამას თავი დავანებოთ და მარტო ის წარმოვიდგინოთ, რა ქმნა იმ გარემოებამ, რომ თევზმა და ხიზილალამ სალიანისამ ახალი ბაზარი აიჩინა რუსეთში და ამ საქონლის ვაჭრობამ იქით გაიწია? ისა ქმნა, რომ ეგ საყოველდღეო საჭმელი ჩვენის ხალხისა საერთოდ, დღეს მარტო მდიდრის სანუკვარიღა შეიქმნა, თევზსა და ხიზილალას ეხლა მარტო მდიდარი თუ ხმარობს საჭმელად, თორემ სხვას სიზმრადაც აღარ ეზმანება. ვინ გაკეთდა ამით? სალიანის მოიჯარადრები, და ხალხი კი, ჩვენი ქვეყანა, გაღარიბდა იმოდენად, რამოდენადაც თევზი და ხიზილალა დააკლდა. იმოდენად გავღარიბდებით ჩვენც, რამოდენადაც ჩვენ ჩვენი ჩვეული სასმელი მოგვაკლდება. ეს უეჭველია." *("შინაური მიმოხილვა". 1882 წ. დეკემბერი).*

- **კიდევ რას უქადის ბ-ნ მეისნერის "პროექტი" მშრომელ ადამიანებს?**

"დაგვრჩა ახლა მესამე დაპირება ბ-ნ მეისნერის პროექტისა, სახელდობრ ისა, რომ ღვინოს მე გავაკეთებ, თქვენ ოღონდ ვენახები აკეთეთ და ბევრი ყურძენი მოიყვანეთო. ეს

რომ მდაბიურად ვთარგმნოთ, ეს არის: "დღეს თქვენ ვენახების მკეთებელიცა ხართო და ღვინისაცაო. რაკი ორივე წარმოება ხელთ გიჭირავთ, სჩანს ერთიდამაც რასმე ხეირს ხედავთ და მეორიდამაცაო. მოდით, ერთი წარმოება მაგ ორისაგან მე დამითმეთო, ისეთი, რომელიც უფრო ფაქიზია და სამუშაოდ უფრო ადვილი, ესე იგი, ღვინის კეთებაო". მერე ჩვენ რას გვაძლევთ მის სამაგიეროს, სახელდობრ _ იმის ნაცვლად, რომ ღვინის კეთება ვენახის კეთებასთან ერთად ჩვენ ხეირს გვაძლევდა, ვკითხვათ ჩვენ? არაფერსაო. თქვენი ხეირი ეს იქნებაო, რომ უფრო უკეთესი ღვინო იქნება თქვენი ღვინოო, იმასაც თქვენ კი არ დაგალევინებთ, რუსეთში გავიტანო და ამ გზით სახელი თქვენი იქნებაო და სახრავი კი ჩემიო. თქვენ მარტო ვენახების კეთებაც გეყოფათო." *("შინაური მიმოხილვა". 1882 წ. დეკემბერი).*

"აი ყოველთვის ამისთანა შედეგი აქვს, როცა ეგრეთ-წოდებული კაპიტალობრივი წარმოება თავს ამოჰყოფს ხოლმე ქვეყანაში და ფეხს მოიკიდებს. აი სწორედ ამის გამო ამბობს ერთი გამოჩენილი მეცნიერი, რომ "კაპიტალობრივი წარმოება იმისთანა მოქმედებაა, რომელიც მწარმოებელს ხელში არ შეარჩენს წარმოების საშუალებასაო და ცდილობსო მარტო მისის მარჯვენის ანაბარას დააგდოს და სხვა ყოველისფერი ჩამოართვასო." *("შინაური მიმოხილვა". 1882 წ. დეკემბერი).*

"ჩვენ ძალიან გრძლად მოგვივიდა ეს ლაპარაკი და ამიტომაც ამ საგანზედ, რომელიც ადვილად მისახვედრია თავისთავადაც, დიდხანს ვერ შევდგებით. მხოლოდ ვიტტვით, რომ ბ-ნ ელიოზოვისა და იოსელიანის შიშს, რომ ამხანაგობა მიწასაც ხელიდამ გამოგვაცლისო, საყურადღებო და ძნელად დასარღვევი საბუთი აქვს. აი ამ საგანზედ რა სთქვა 1845 წ. პარლამენტში ეხლანდელმა პირველმა მინისტრმა ინგლისისამ გლადსტონმა, რომელსაც, როგორც ფინანსისტს, თითქმის ცალი არა ჰყავს მთელს ქვეყნიერებაზედ: "ერთი ყველაზედ სამწუხარო ამბავი ჩვენის ქვეყნის (ესე იგი ინგლისის) ყოფა-ცხოვრებისა იმაში მდგომარეობს, რომ რამოდენადაც ძლიერ ბევრდება უმაღლეს წოდებათა ხელში სიმდიდრე და იზრდება ჩვენს ქვეყანაში კაპიტალი, იმოდენად ცხოვრების სახსარი აკლდება ხალხს, იმოდენად ნაკლებულობა და სიღატაკე მატულობს მუშა-ხალხს შორისო." *("შინაური მიმოხილვა". 1882 წ. დეკემბერი).*

"იმოდენა ფულით სიმდიდრე არსად არ არის, როგორც ინგლისში და მის მხარ-და-მხარ ისეთი სიღატაკეა უმრავლესობისა, რომ ამბადაც ძნელი დასაჯერია." *("შინაური მიმოხილვა". 1882 წ. დეკემბერი).*

"პრუსიამ ხუთი ათასი მილიონი ბაჟაღლო ოქრო წაართვა საფრანგეთს და ამ უზარმაზარმა ფულმა კი არ გაამდიდრა პრუსია, არამედ ისე გაუხადა საქმე იქაურთა მკვიდრთა, რომ მაგ ფულის შემოსვლისვე უმალ ხალხის გახიზვნამ პრუსიიდამ იმატა, რადგანაც არაქათი ცხოვრებისა აღარ იყო." *("შინაური მიმოხილვა". 1882 წ. დეკემბერი).*

"რა მხრითაც უნდა მივუდგეთ ბ-ნ მეისნერის პროექტს, რომელი აღთქმა და დაპირება არ გავსინჯოთ, ვნახავთ, რომ მასში ჩვენი სახეირო არა არის-რა და სავნებელი კია. ასე იცნო კავკასიის სამეურნეო საზოგადოებამ ბოლოს და უარჰყო იგი პროექტი." *("შინაური მიმოხილვა". 1882 წ. დეკემბერი).*

- **კონკურენცია აღებ-მიცემობაში მართლად საკეთილოა წარმოებისათვის, მაგრამ მაგას საზღვარი აქვს**

“საქვეყნო ბაზარში დიდი ცილობაა, რომელსაც მეცნიერნი “კონკურენციას” ეძახიან.” *(“პურეულით ვაჭრობის საქმე ჩვენში”. 1886 წ. 9 დეკემბერი).*

“რომ ამ ცილობაში ჩვენმა პურმა თავი გაიტანოს და საქვეყნო ბაზრის მოედანზედ თავისი შესაფერი ადგილი დაიჭიროს, ორი აუცილებელი სიკეთე უნდა სჭირდეს: ერთი რომ თვისებით და ღირსებით სხვაზედ კარგი იყოს და მეორე სხვაზედ იეფი, თვისებისა და ღირსების კვალობაზედ.” *(“პურეულით ვაჭრობის საქმე ჩვენში”. 1886 წ. 9 დეკემბერი).*

“რაც შეეხება თვისებას და ღირსებას ამიერკავკასიის პურისას, ამ მხრით ჩვენებური პური ბევრს სხვას არ ჩამოუვარდება, და თუ დღეს მაინცდამაინც ამ მხრით აკლია რამ, საქმე ადვილად გასასწორებელია, რადგანაც ჩვენებური მიწა და ჰაერი ყოველს განკარგებას სასოფლო წარმოებისას ხელს უწყობს და ყოველისგვარს პურს მოიყვანს ჩვენში მაღალის ხარისხიდამ დაწყებულს დაბალ ხარისხის პურამდე. ეს დღესაც არის ჩვენში და კეთილად განწყობილი ვაჭრობა უფრო გააძლიერებს შემდეგისათვის.” *(“პურეულით ვაჭრობის საქმე ჩვენში”. 1886 წ. 9 დეკემბერი).*

“მაშასადამე, დაგვირჩა გამოსაკვლევად: იეფობით შეუძლიან ჩვენებურს პურს შეეჭიდოს სხვა ქვეყნის პურს საქვეყნო ბაზარში, თუ არა?” *(“პურეულით ვაჭრობის საქმე ჩვენში”. 1886 წ. 9 დეკემბერი).*

“პურის, როგორც სააღებ-მიცემო საგნის, ერთი უდიდესი ნაკლულევანება ის არის, რომ დიდი საპალნე ცოტა ფულს აყენებს: თითონ მძიმეა, ბევრს ადგილს იჭერს გადატანაში და ფასი კი ცოტა აქვს, ასე რომ ხშირად გადატანა პურის ფასადვე ჰჯდება.” *(“პურეულით ვაჭრობის საქმე ჩვენში”. 1886 წ. 9 დეკემბერი).*

“რა თქმა უნდა, რომ ამ შემთხვევაში მისავალ-მოსავალ გზების ავკარგიანობას დიდი და უპირველესი მნიშვნელობა აქვს. აბა ამ მხრით გავსინჯოთ ჩვენი ქვეყანა და ვნახოთ, გზების სიკეთე რამოდენად გვშველის პურის გაიეფებაში.” *(“პურეულით ვაჭრობის საქმე ჩვენში”. 1886 წ. 9 დეკემბერი).*

“შავი ზღვიდამ, როგორც ერთადერთი დიდი ძარღვი, მიდის რკინისგზა კასპიის ზღვამდე და ჰყოფს მთელს ამიერკავკასიას ორ დიდ, მაგრამ არა თანასწორ ნაწილად. პირველ შეხედვით, კაცსა ჰგონია, რომ ამიერკავკასიას ვაჭრობისათვის ორი ზღვისაკენ კარი ღია აქვს. ცოტად თუ ბევრად ეს, რასაკვირველია, მართალია, მაგრამ იმოდენად კი არა, რომ ამ რკინისგზის შემწეობითYპურის ვაჭრობამ დიდი ფრთა გამოიბას.” *(“პურეულით ვაჭრობის საქმე ჩვენში”. 1886 წ. 9 დეკემბერი).*

“მიწათმოქმედება და საზოგადოდ სოფლის მეურნეობა ჩვენი სხვა იმისთანა საგანზედ უნდა მიიქცეს, რომლის გამოც ჩვენთან ცილობის გაწევა საქვეყნო ვაჭრობაში ძნელია. ადგილი და ჰავა ამის ნებას გვაძლევს. სხვა რომ არა ვსთქვათ რა, აი თუნდ ავიღოთ მაგალითად ღვინო. ამაში ჩვენი ბევრნი მოცილენი ვერ ამოგვიჩნდებიან და თუ ამოგვიჩნდებიან, აქაურის ღვინის სიკეთე ღონეს გვაძლევს ბრძოლისათვის და იმედს გამარჯვებისას.” *(“პურეულით ვაჭრობის საქმე ჩვენში”. 1887 წ. 7 იანვარი).*

“კონკურენცია აღებ-მიცემობაში მართლადა საკეთილოა წარმოებისათვის, მაგრამ მაგას საზღვარი აქვს. საზღვარი კიდევ ის არის, რომ ერთის მხრით სიკეთე ნაწარმოებისა სისრულემდე უნდა იყოს მიყვანილი და ფასი კიდევ რაც შეიძლება დაბლა დაწეულ იქმნას. რაკი კონკურენცია მანდამდე მივა, მაშინ ამის წინააღმდეგ მოქმედობს ხოლმე. დაუბოლოვებული განკარგება წარმოებისა და დაუბოლოვებულივე ფასების ძირ-დაწევა ყოვლად შეუძლებელია და კონკურენცია კი ცდილობს ეგ არ საქმნელი ჰქმნას. ამიტომაც

მოტყუება, ყალბობა, შერევა-არევა ნაწარმოებში მოსდევს ხოლმე კონკურენციას." *("შინაური მიმოხილვა". 1882 წ. ნოემბერი).*

"კანონი დიდის თავნისა ის არის, რომ პატარა თავნი აღარ გააწაწანოს, შეჰმუსროს ისე, რომ ბაზარში ცილობა, კონკურენცია უარაქათობით ვეღარ გაუწიოს." *("შინაური მიმოხილვა". 1882 წ. ნოემბერი).*

- **შედარებითი უპირატესობის პრინციპი: ის გარჯა, ის ჰავა და მიწა, რასაც იეფად სასყიდ ჭირნახულს ვახმართ, უფრო ძვირფასს რასმე მოვახმაროთ**

"მესამე საგანი "მეურნეთა კავშირისა" არის განკარგება და წარმატება სოფლის მეურნეობისა კახეთში. რა თქმა უნდა, რომ ამ მხრით არამც თუ კახეთი, მთელი საქართველო უკან ჩამორჩენილია იმოდენად, რომ ლამის მიწაზე ხელი ავიღოთ, რადგანაც იგი ჭირნახული, რომელსაც დღეს შევჩერებივართ და მოგვყავს და რომელზედაც ამოდენა შრომა და ხარჯი მიგვდის, მეტად გაიეფდა და თითქმის ზარალის მეტს არას იძლევა. ამ გაიეფებას იმისთანა მიზეზი აქვს, რომელსაც არამც თუ ბოლო ოდესმე მოეღება, არამედ დღედადღე გაძლიერდება და გადიდდება. დღეს პურზე, ქერზე და სხვა ამისთანა მარცვლეულობაზე შელეული ამაგი და ხარჯი მიწათმოქმედს ხელს არ მისცემს, რადგანაც იშვიათს შემთხვევათა გარე, ეგ მარცვლეულობა, სხვიდამ მოტანილი, უფრო იეფად უჯდება აქაურს მხმარებელსა, ვიდრე ჩვენი ჩვენ გვიჯდება, და ამის გამო ჩვენ იძულებულნი ვართ, ან ზარალით ვყიდოთ ჩვენი ნაამაგარი, ან ორმოებში დავალპოთ". *("კახეთის სოფლის მეურნეთა კავშირი". 1895 წ. 17 ნოემბერი).*

"რუსეთის პური ბევრად იეფია, ვიდრე ჩვენი, ჩვენის შრომისა და ხარჯის კვალობაზე, და აქ ცილობა სწორედ წყლის ნაყვა იქნება, ვიდრე ან არ ვისწავლით ერთისა და იმავე შრომით და ხარჯით ახლანდელზე ბევრად მეტი გამოვაღებინოთ მიწას, ან არ ვისწავლით სხვა უფრო ძვირფასი რამ მოსავალი მოვაღებინოთ იმისთანა, რომლის შეძლებასაც უხვად გვაძლევს აქაური ჰავა და მიწა, და რომელსაც ყოველთვის მუშტარი ჰყავს რუსეთში და საზღვარგარეთაც". *("კახეთის სოფლის მეურნეთა კავშირი". 1895 წ. 17 ნოემბერი).*

"კიდევ ვიტყვით: იმას, რასაც რუსეთი სხვა თბილ ქვეყნებიდამ ეზიდება და რასაც ზედ ალევს არა ერთსა და ორს მილიონს მანეთსა, ის ყოველისფერი თუ არა, ბევრი მაინც ჩვენში ადვილად მოვა, ოღონდ ამისი ხელი ვიცოდეთ, ამისი ცოდნა გვქონდეს". *("კახეთის სოფლის მეურნეთა კავშირი". 1895 წ. 17 ნოემბერი).*

"სადაც ჩაი, სორგო, ალისარჩული, აბრეშუმი მოდის, საცა ბამბა ხეირობს, საცა ყოველგვარი ხეხილია შესაძლებელი, საცა ყურძენი მოდის, ღვინო დგება, საცა შესაძლოა გაჩენა თითქმის ყოველგვარ საზეთე, სამღებრო და სააფთიაქო მცენარეებისა, იქ მიწისა და ხილის მოცდენა იმისთანა ფასმოკლე ჭირნახულისათვის, როგორიც, მაგალითებრ, პურია, ჩვენის ფიქრით, დიდი შეცდომაა". *("ჩვენი სარჩიელი სოფლის მეურნეობის ძვირფას დარგებზე". 1894 წ. 21 სექტემბერი).*

"პურს თუ უწინ როცა კარჩაკეტილები ვიყავით, თავისი საბუთი ჰქონდა, ეხლა მისი მოყვანა ჩვენთვის არავითარი ანგარიშია".

"დღეს, როცა საქვეყნოდ კარი გაგვეღო, როცა ამისთანა სწრაფი გზებია, როგორც რკინისგზა და ზღვისა, როცა შესაძლოა თითქმის ორის კვირის განმავლობაში თუნდა ამერიკიდამ მოვიტანოთ ჩვენი სამყოფი პური, _ რუსეთს აღარ ვიტყვით, _ უფრო იეფად

და უფრო კარგიც, ნუთუ სახეიროა ჩვენი მარჯვენა, მშვენიერი ჰავა და მიწა პურზე მოვაცდინოთ, მაშინ როდესაც ჩვენის ქვეყნის ბუნება ნებას გვაძლევს უფრო ძვირფასი ჭირნახული მოვიყვანოთ იმავე შრომით, გარჯით, იმავე ჰავითა და მიწით". *("ჩვენი სარჩიელი სოფლის მეურნეობის ძვირფას დარგებზე". 1894 წ. 21 სექტემბერი).*

"ჩვენ რომ ამ გზას დავდგომოდით, ან დღეის-იქით დავადგეთ, ჩვენ საქვეყნო თუ სამეზობლო ბაზარში ჩვენს ძვირფასს ჭირნახულს გავიტანდით და იქიდამ იმ საჭირო ჭირნახულს შემოვიტანდით, რომელიც ამ გზით უფრო იეფად დაგვიჯდებოდა, ვიდრე ეხლა გვიჯდება, როცა ჩვენვე მოგვყავს შინ". *("ჩვენი სარჩიელი სოფლის მეურნეობის ძვირფას დარგებზე". 1894 წ. 21 სექტემბერი).*

"მაგალითებრ, წელს ოდესაში პური ფუთი თითქმის 26 კაპეიკად იყიდებოდა, ნუთუ ოდესიდამ პურის მოტანა ამ ფასად უფრო სახეირო არ იქნებოდა ჩვენის ქვეყნისათვის, რომელსაც, თუ რიგიანად ვიანგარიშებთ, შინაური პური ერთი-ორად ამაზე მეტი უჯდება, რაც გინდ ნაკლები ვიანგარიშოთ: თუმცა იშვიათი ამბავია ჩვენში, რომ ჩვენი შინაური პური ფუთი სამ-ოთხ აბაზზე ნაკლები იყოს, მაგრამ მაინც მოჭირნახულეს ბევრს არას აძლევს გამოსარჩენსა და ამ გზით მის ჯიბეს ბევრი არა ემატება-რა". *("ჩვენი სარჩიელი სოფლის მეურნეობის ძვირფას დარგებზე". 1894 წ. 21 სექტემბერი).*

"სულ სხვა იქნებოდა, რომ ჩვენ რუსეთში შეგვეტანა იგი ჭირნახული, რომელიც რუსეთის ჰავასა და მიწის მიზეზით, იქ არ მოდის და სხვა ქვეყნებიდან შემოაქვთ, და რუსეთიდამ პური გვეზიდნა; ამ შემთხვევაში გამორჩენა დიდი იქნებოდა: ჯერ ერთი ისა, რომ ჩვენი სასყიდელი უფრო იეფად დაგვიჯდებოდა და მერე ჩვენი გასასყიდი უფრო მეტს ხეირს მოგვცემდა, უფრო მეტს ამოიღებდა. ანუ, უკეთ ვსთქვათ, ის გარჯა, ის ჰავა და მიწა, რასაც ეხლა იეფად სასყიდ ჭირნახულს ვახმარებთ, რომ უფრო ძვირფასს რასმე მოვახმაროთ, ორგზით მოგებაში ვიქნებით". *("ჩვენი სარჩიელი სოფლის მეურნეობის ძვირფას დარგებზე". 1894 წ. 21 სექტემბერი).*

"ამ ეკონომიურ გზაზე ჩვენი საქართველო რომ დადგეს, ჩვენმა მიწათმოქმედებამ რომ ეს ახალი გზა და მიმართულება ირჩიოს, რუსეთისათვის ის ამზადოს, რაც რუსეთს არა აქვს, და იქიდამ ის ჰზიდოს, რაც რუსეთს ვერც-კი გაუსაღებია, _ სახელმწიფო ინტერესის თვალითაც-კი მეტად სახეიროა თვით რუსეთისათვისაც, რომელიც თავისს ნამეტანის პურისათვის ბევრგან სხვაგან ეძებს ბაზარსა მაშინ როდესაც ერთი ამისთანა ბაზარი, სხვათა შორის, საქართველოც შეიქმნება, და თვით საქართველოც მატებაში შევა, რადგანაც ამ გზით აქაურ მკვიდრთა ქონება გაუძლიერდება". *("ჩვენი სარჩიელი სოფლის მეურნეობის ძვირფას დარგებზე". 1894 წ. 21 სექტემბერი).*

"ვიდრე მთავრობა საქართველოს და ერთობ ამიერკავკასიას არ შეხედავს იმ თვალით, რომ აქ მიწათმოქმედებას სხვა გზა და მიმართულება უნდა მიეცეს მისი ჰავისა და მიწის შესაფერი, ვიდრე თავისს მეცადინეობას იმაზე არ მიაქცევს, რომ ახალი საჭირნახულო საგანი გაუჩინოს აქაურ მიწათმოქმედებას, იმ დრომდე ყველაფერი ფეხზე დადებული მალამო იქნება, მაშინ როდესაც სატკივარი თავზეა". *("ჩვენი სარჩიელი სოფლის მეურნეობის ძვირფას დარგებზე". 1894 წ. 21 სექტემბერი).*

"აქაური სამეურნეო საზოგადოება, როგორცა სჩანს მის განაჩენიდამ, ჩვენდა სასიამოვნოდ, ამ საშველის სარჩელზე დამდგარა. სჩანს ამ პატივცემულს საზოგადოებასაც იგი საჭიროება დაუნახავს, რაც ჩვენ აქ მოკლედ მოვიხსენიეთ". *("ჩვენი სარჩიელი სოფლის მეურნეობის ძვირფას დარგებზე". 1894 წ. 21 სექტემბერი).*

- **სავაჭრო ბალანსი**

"ბამბა რუსეთს საზღვარგარეთიდამ შემოაქვს და ამის გამო ეს უშველებელი მრეწველობა რუსეთისა სხვა ქვეყნებზეა დამოკიდებული, რუსეთი ბამბას საზღვარგარეთ ჰყიდულობს და ამ გზით საზღვარგარეთს ყოველწლივ თითქმის 75 მილიონი მანეთი ოქროს ფული გააქვს რუსეთიდამ.

ეს გარემოება არამც თუ ჰვნებს ეგრეთ წოდებულს სავაჭრო ბალანსს რუსეთისას, არამედ თვით ვექსილის კურსსაც აფოლებს და ამ მხრივ ვნება მოაქვს სახელმწიფო ინტერესებისათვისაც".

"სავაჭრო ბალანსი იმას ჰქვიან, როცა შეწონილია შემოტანილის და გატანილის საქონლის ფასი, და თუ შემოტანილისა აღემატება გატანილისას, მაშინ ამბობენ, ბალანსი საზარალოაო" *("ბამბის მოყვანის საქმე და ბაზრის საკითხი". 1887 წ.).*

"თუ რუსეთს ჰსურს თავისი საკუთარი ბამბა იქონიოს და ამ მხრით სხვა ქვეყანაზედ არ იყოს დამოკიდებული, ბამბის მოყვანას ძAლიან ხელი უნდა შეუწყოს ყველგან, საცა-კი ჰავა და ადგილი შესაფერია ამ მცენარისა. შიდა აზიის გარდა, ბამბა ძალიან კარგად მოდის ამიერკავკასიაში. ამ მხარეში მთავრობამ რომ თავისი შემწეობა მოაშველოს მიწისმომქმედთა და პირველ ხანებში მაინც ყოველისფერში ხელი გაუმართოს, ყოველგვარი შეღავათი მისცეს, დიდძალს ბამბას ჯერ ამ ამიერკავკასიაში იშოვის".

"სწორედ ესე მოიქცნენ ინგლისელები. როცა ჩრდილო ამერიკის შტატებს შორის ომი ასტყდა და ბამბის კრიზისმა თავი იჩინა, ინგლისელებმა არავითარი ღონე, არავითარი ხარჯი, არავითარი შემწეობა არ დაჰზოგეს, რომ სადმე თავის სახელმწიფოს სამზღვრებში ააღორძინონ და ფეხზედ დააყენონ. ინდოეთსა და ეგვიპტეშიაც კი, რომელიც ინგლისელებს არც კი ეკუთვნით, დიდძალი მეცადინეობა იხმარეს, დიდძალი ფული დაატრიალეს ამის გულისათვის." *("ბამბის მოყვანის საქმე და ბაზრის საკითხი". 1887 წ. 9 იანვარი).*

"გარდა ამისა, თვით ინგლისის ფულის პატრონთაც, როგორც კერძო კაცთა, დიდძალი ფული მიაშველეს ბრაზილიას და ხვნა-თესვა ბამბისა დიდად გააძლიერეს იქაც კი. ამ მთავრობისა და კერძო კაცთა ცდამ და ხარჯმა ამაოდ არ ჩაუარათ ინგლისელებსა." *("ბამბის მოყვანის საქმე და ბაზრის საკითხი". 1887 წ. 9 იანვარი).*

"საქმე ის არის, _ ხალხმა გული დააჯეროს, რომ ბამბის მოყვანა სარფაა, თორემ მოიყვანოს და იმ ფასად ჰყიდოს, რომ ხარჯი ძლივს ააყენოს, _ ამას ვერა მიწათმომქმედი ვერ გაუძლებს." *("ბამბის მოყვანის საქმე და ბაზრის საკითხი". 1887 წ. 9 იანვარი).*

"ეს გარემოება სულს ამოართმევს ხელახლად დაწყობილს საქმესა და ხალხი, რასაკვირველია, მოერიდება, რაც უნდა კარგი თესლი ბამბისა ურიგონ და რაც უნდა ბევრი უქადაგონ მსწავლულმა და მცოდნე კაცებმა."

"რომ ეს ასე არ მოხდეს, საჭიროა ხალხი დარწმუნებული იყოს, რომ 1) მისი ბამბა რუსეთის ბაზარში გავა და 2) ფასი გამოსარჩომი ექმნება. საცა საქონელს ბაზარი არა აქვს და ამასთანაც გამორჩომა რამ, იქ ყოველივე ცდა ამაოა." *("ბამბის მოყვანის საქმე და ბაზრის საკითხი". 1887 წ. 9 იანვარი).*

"ჩვენი ეკონომიური უბედურება ის არის აქაც, რაც პურის ვაჭრობაში: გადატანის ხარჯი მეტად ძვირად უჯდება მწარმოებელს და ესა გვხუთავს ჩვენ ყოველისფერში. ჯერ რომ რკინის გზა მეტად დიდ ფულს იღებს საქონლის წაღებ-წამოღებისათვის, მერე

თვითონ რკინის გზამდინაც მიტანა ჭირია უგზოუკვლოობის გამო. აი, ამ მხრით მოშველება უნდა, ვისაც ჰსურს ბამბის მოყვანის საქმეს ფეხი აადგმევინოს ჩვენში. გამოცნობილია და გამოან-გარიშებული, რომ თუ ბამბის მიტანა მოსკოვში მანათზედ და მანათს უზალთუნზედ მეტი დაჯდა, ჩვენს ბამბას გასავალი არ ექმნება, ან თუ ექმნება, ბამბის პატრონი ზარალის მეტს ვერასა ჰნახავს." *("ბამბის მოყვანის საქმე და ბაზრის საკითხი". 1887 წ. 9 იანვარი).*

- **სახელმწიფო და საერობო გადასახადი. ბაჟის შემოღებამ გლეხის მდგომარეობა გააუარესა**

"სახელმწიფო გადასახადი ადგილ-მამულისა ეს ის გადასახადია, რომელიც ყოველს წელიწადს უნდა იხადონ მამულის პატრონებმა და სამუდამოდ მფლობელებმა სახელმწიფოს სასარგებლოდ იმ მამულების კვალობაზე, რაც ხელთ უჭირავთ და სახმარისია." *("საადგილმამულო გადასახადების საქმე". 1900 წ. 8 მარტი).*

"არის მეორეგვარიც ადგილ-მამულის გადასახადი, რომელსაც საერობო ჰქვიან. სახელმწიფო გადასახადი შეადგენს ხაზინის კუთვნილებას საერთო სახელმწიფო ხარჯების გასამღოლად, საერობო გადასახადი-კი იკრიბება საერობო საჭიროებისათვის სახარჯოდ." *("საადგილმამულო გადასახადების საქმე". 1900 წ. 8 მარტი).*

"ერთიც და მეორეც გადასახადი საყოველთაოა ყველა წოდებისათვის გამოუკლებლად, რაკი მამულის პატრონი და მფლობელია: გლეხი, თავადი, აზნაური, მღვდელი, ერი, _ ყველა ვალდებულია იხადოს ეს ორგვარი გადასახადი, და ამით არის შესანიშნავი და სამართლიანი, რომ ტვირთს ხარჯის-ხდისას და გამღოლისას შეტოლებით ყველას კისრად სდებს და ერთს წოდებას არა ჰხდის მეორე წოდების შესანახად და ბარგად." *("საადგილმამულო გადასახადების საქმე". 1900 წ. 8 მარტი).*

"გარდა ამისა, ეს ორგვარი გადასახადი მით უფრო შესაფერი და სამართლიანია, რომ მდიდარს მდიდრულად ართმევს გადასახადს, და ღარიბს ღარიბულად, რადგანაც საადგილმამულო გადასახადს, როგორც ყოველს სხვას, მოსავალზე გაანგარიშებულს, საფუძვლად დადებული აქვს მარტო შემოსავალი ქონებისა თუ მამულისა და სხვა არაფერი." *("საადგილმამულო გადასახადების საქმე". 1900 წ. 8 მარტი).*

"საერობო გადასახადი ადგილ-მამულისა ჩვენს თავადაზნაურთათვის ახალი ამბავი არ არის. იგი იხდის ამ გადასახადს 1887 წლიდამ. ხოლო სახელმწიფო გადასახადი იქნება მათთვის ახალი. გლეხნი-კი ორსავ გვარს გადასახადს დღესაქამომდე კომლეულობაზე იხდიან. ეხლა ამათთვისაც ორივე გადასახადი მამულის კვალობაზე იქნება დადებული და, ჩვენის ფიქრით, ამ გზით გლეხს ეხლა მაინც ცოტა თუ ბევრი შეღავათი მიეცემა, რადგანაც გვგონია, რომ კომლეულობითი გადასახადი დღეს მეტი მოსდის, ვიდრე ადგილ-მამულის გადასახადი მოუვა. გვგონია, რომ ორთა-შიად გლეხს იმდენი მამული არ უჭირავს, რომ ადგილ-მამულის გადასახადი დღევანდელ კომლეულობითს გადასახადზე ნაკლები არ შეხვდეს, რაკი გადასახადი მამულზე გავა.

იქნება ამაში ვცდებოდეთ, და ჩვენ არავის არ ავუხირდებით, თუ ამაზე სიტყვას ვინმე შემოგვიბრუნებს. ჩვენი დღევანდელი საგანი ის კი არ არის თუ ვისთვის იქნება სამჯობინარი ეს გადასახადი და ვისთვის არა; ჩვენ დღევანდელი წერილის საგნად აგვიღია მარტო ის, რომ გამოვარკვიოთ, საადგილმამულო გადასახადი რა ბუნებისაა და

რაზე უნდა იქმნას აგებული, რომ თავისი დანიშნულება, საფუძვლიანობა და სამართლიანობა არ დაეკარგოს.

საადგილმამულო გადასახადი იმავე არსებისაა, რაც სხვა ყოველი გადასახადი, რომელსაც ერთობ ეძახიან გადასახადს შემოსავლისას და რომელიც პირდაპირთა გადასახადთა შორის უფრო სამართლიანია და უფრო სასურველად ცნობილი მეცნიერებისაგან. კომლზე გადასახადი, როგორადაც დღევანდლამდე ჩვენშია, ანუ ქუდზე-კაცად, როგორადაც აქამდე იყო რუსეთში, მეტნაკლებობას ქონებისას არ დაგიდევდათ, იმიტომ რომ ხარჯის მხდელი იყო კომლი, ანუ ქუდზე-კაცი, იმისდა მიუხედავად, რა ქონებისაა ან ერთი, ან მეორე. ამ უკანასკნელ შემთხვევაში ხარჯის ფული ერთნაირად გაიწერებოდა ხოლმე ან კომლეულად ან ქუდზე-კაცად და მერე თვით ხარჯის მხდელებზე იყო მინდობილი გაწერილი ფული გაინაწილონ ერთმანეთში, როგორც უნდათ, და ამ განაწილებაში ღარიბი უფრო იჩაგრებოდა, ვიდრე მდიდარი. ეხლა კი განზრახულია ეს პირდაპირი ხარჯი ახდევინონ მარტო ქონების კვალობაზე. თვით სახელწოდება საადგილმამულო გადასახადისა გვაჩვენებს, რომ აქ ქონებად იგულისხმება ადგილ-მამული და არა სხვა რაიმე მოძრავი კუთვნილება და მარტო ამით განირჩევა სხვა იმგვარ პირდაპირ გადასახადისაგან, რომელსაც ჩვენ ერთობ გადასახადი შემოსავლისა ვუწოდეთ ზემოთ.

რადგანაც საადგილმამულო გადასახადი ერთი დარგია ერთობ შემოსავლის გადასახადისა და განირჩევა სხვისაგან მარტო მით, რომ აქ გადასახადს საქმე მარტო ადგილ-მამულთანა აქვს და არავითარ სხვა ქონებასთან.

"ძირეული საგანი საადგილმამულო გადასახადის სისტემისა, მისი ქვაკუთხედი, უნდა იყოს მხოლოდ წმინდა შემოსავალი ადგილ-მამულისა. სახელმწიფომაც და ერობამაც აქედამ უნდა ართვან მამულის პატრონს და მფლობელს თავიანთი ნაწილი და მამულის პატრონსაც ამაში უნდა ჰქონდეს ღონე ხარჯის ხდისა და გაძღოლისა." *("საადგილმამულო გადასახადების საქმე". 1900 წ. 8 მარტი).*

"მაშასადამე, საადგილმამულო გადასახადის პირველ და უკანასკნელ ხარისხის საგანი წმინდა შემოსავლის აღნუსხვა და გამორკვევაა. უამისოდ იგი ერთ ბიჯსაც ვერ წარსდგამს თავისის დანიშნულების განსახორციელებლად." *("საადგილმამულო გადასახადების საქმე". 1900 წ. 8 მარტი).*

"რასაკვირველია, შესაძლოა აიღოს კაცმა და სთქვას: აი დღიურზედ ამდენი იხადეო, მაგრამ თქმა და ქმნა ერთი და იგივე არ არის, მართალია, მრთმეველს ყოველთვის ის სურვილი ამოქმედებს, რომ მეტი ართოს, მაგრამ არც მძლეველი უნდა იყოს ამ შემთხვევაში დავიწყებული, რადგანაც ამასაც ის სურვილი აქვს, რომ რაც შეიძლება ნაკლები აძლიოს.

რადგანაც ბუნება საქმისა ერთს იქითა სძლევს და მეორეს აქეთ, ერთადერთი ღონე მორიგებისა და ერთმანეთში განწყობისა ამ შემთხვევაში ის არის, რომ ორივენი იმაზე შესდგნენ, რაც შესაძლებელია ერთისაც და მეორისათვისაც. ამ შესაძლებელს მარტო ნამდვილად გამორკვეული და გამოძიებული წმინდა შემოსავალი ადგილ-მამულისა გვაჩვენებს მხოლოდ. იმიტომ რომ წმინდა შემოსავალი ერთის მხრით თუ წყაროა იმ ნაწილისა, რომელიც გადასახადად გამოსართმევია, იმავე დროს ძალ-ღონეა ხარჯის მხდელისა, რომლითაც იგი გაუჭირვებლივ უნდა უძღვებოდეს გადასახადს. ეს ორი თვისება საადგილმამულო გადასახადისა ერთმანეთთან განუყოფელად შეთვისებულია. ერთს ვერ განაშორებთ მეორისაგან ისე, რომ მთელი აგებულება და შენობა საადგილ-

მამულო გადასახადის სისტემისა არ დაიფუშოს და წყალს წასაღებად არ მიეცეს. ამასთან ისიც სათქმელია, რომ სისტემა საადგილმამულო გადასახადისა, როგორც ყოველისავე სხვისა, ნაკლებად გაწერას-კი აიტანს და გადაჭარბებით-კი ვერა. ამიტომაც წმინდა შემოსავალს ადგილ-მამულისას წინდახედული და გონივრული საფინანსო სისტემა დიდის სიფრთხილით, დიდის გამოძიებით და შიგ-ჩახედვით იკვლევს და თუ გაჭირდა და საქმის ვითარების გამო ნამდვილი ვერ გამოარკვია ზედმიწევნით, უფრო ადვილად ჰრჩეობს ნაკლებ შემოსავალზე დასდგეს, ვიდრე საეჭვოდ განდიდებულზე.

რადგანაც ნაკლებ შემოსავალზე დამყარება ამ შემთხვევაში მოასწავებს დაკლებას სახელმწიფო თუ საერობო შემოსავლისას, გვეტყვიან, რომელი ფინანსთა სამინისტრო გასწევს ამისთანა უანგარიშობასაო? ჩვენ ვუპასუხებთ: ყოველი იგი სამინისტრო, რომელსაც იმოდენა გონება აქვს იცოდეს, რომ სახელმწიფოს თუ ერობის გამდიდრება არ შეიძლება აშენდეს ხარჯის მხდელთა გაღარიბებასა და გათახსირებაზე. ეს იმას ეგვანება, რომ კაცმა კვერცხის გამოღების სიხარბით ქათამი დაჰკლას. *("საადგილმამულო გადასახადის საქმე". 1900 წლის 8 მარტი).*

"პირველი საფუძველი, რომელზედაც უნდა აშენდეს მთელი სისტემა ამ გადასახადისა, წმინდა შემოსავალია ადგილ-მამულისა. რა თქმა უნდა, ძალიან კარგი იქნება, რომ წმინდა შემოსავალი იმ შემთხვევაში თვითეულ ცალკე კუთვნილებისა ცალკე იყოს გამორკვეული და ანუსხული. მაშინ გაწერა გადასახადისა უფრო შეუცდომელი და უმეტნაკლებო იქნებოდა თვითეულ ცალკე ხარჯის მხდელისათვის. ხოლო ეს მეტად ძნელია და თითქმის შეუძლებელიც ნამეტნავად ჩვენში, საცა თვით რაოდენობა კუთვნილებისაც-კი ცხადად არ არის გამოანგარიშებული და ბევრმა არც-კი იცის, რამდენი მამული აქვს.

თუ ეს ასე ძნელია და თითქმის შეუძლებელიც, მაშინ როგორ და რა გზით უნდა გამოირკვეს, - სად რა წმინდა შემოსავალია, რომ ამაზე დაფუძნდეს საადგილმამულო გადასახადის შესაფერი მეტნაკლებობა?" *("საადგილმამულო გადასახადის საქმე". 1900 წლის 8 მარტი).*

"საადგილმამულო გადასახადის გაწერისათვის ყველგან საკმაოდ მიღებულია იცოდნენ, მარტო ორთა-შუა რიცხვი წმინდა შემოსავლისა, რომელისამე ადგილისა, მაზრა იქნება, გუბერნია, თუ სხვა რამ სივრცე ამისათვის აღებული. რაც უფრო დიდი სივრცეა ამ შემთხვევისათვის აღებული, მით უფრო, რასაკვირველია, ორთა-შუა წმინდა შემოსავალი ძნელი გამოსაყვანია შეუცდომელად და ზედმიწევნით, იმიტომ რომ დიდს სივრცეზე დიდი სხვადასხვაობაა მიწის ნაყოფიერებისა, ჰავისა და სხვა იმისი, რაც შემოსავლის მეტნაკლებობაზედ მოქმედებს, და ეს სხვადასხვაობა ჩვენში უფრო მეტია, ვიდრე სხვაგან სადმე. ამისთანა შემთხვევაში მართალს შორს არ ჩამორჩნენ და რაც შეიძლება ახლო მიუვიდნენ, ორთა-შუა წმინდა შემოსავლის გამოსაანგარიშებლად და გამოსარკვევად მარტო ორთა-შუა სახის (ტიპის) მამული უნდა აღმოაჩინონ და ამისათვის ორი გზაა: ერთი იმ შემთხვევისათვის, თუ ვინიცობაა, დანიშნული სივრცე, მაზრა იქნება, გუბერნია ან სხვა რამ რაიონი, - მიწის ნაყოფიერებით, ჰავით და სხვა გარემოებით, მაგალითებრ, მაზრის გზებით და სხვა ამისთანაებით იმოდენად ერთნაირია, რომ შიგა და შიგ სხვადასხვაობა არ მოქმედებს შემოსავლის მეტნაკლებობაზე. ამისთანა შემთხვევაში აღმოჩენა ორთა-შუა სახის მამულისა და მისის შემოსავლის ზედმიწევნით აღნუსხვა ძნელი არ არის. ამ გზით აღმოჩენილ ორთა-შუა ხის მამულის შემოსავალს გამოარკვევენ ხოლმე და ესე გამონარკვევი დაიდება ხოლმე მთელის დანიშნულ

რაიონისათვის იმ ორთა-შუა წმინდა შემოსავლად, საიდამაც საადგილმამულო გადასახადმა თავისი წილი უნდა აიღოს და ხარჯის მხდელმაც თავისი ღონე ხდისა მოიპოვოს.

ხოლო იმ შემთხვევისათვის, თუ ვინიცობაა, დანიშნული რაიონი იმოდენა სხვადასხვაობას წარმოადგენს, რომ ერთი რომელიმე მამული ცალკე ვერ გვანიშნებს, ვერ გამოხატავს ორთა-შუა სახეს მთელის დანიშნულ სივრცისას, მაშინ საჭიროა მთელი სივრცე დაიყოს იმდენ დარგად, რამდენიც სხვადასხვაობის მიხედვით ორთა-შუა სახე მამულებისა გამოკვლევით აღმოჩნდება. ამ უკანასკნელ შემთხვევაში საკმაოა სამი დარგი ორთა-შუა სახის მამულებისა გამორკვეულ იქნას მცირე შემოსავლიანისა, შუათანისა და დიდ შემოსავლიანისა. არც ერთი იშვიათი რამ გარემოება მეტ დარგებად დაყოფას არ მოინდომებს. თვითეულის დარგის შემოსავალი ცალკე გამოირკვევა ხოლმე და ამ სამის დარგის შემოსავლიდამ ერთი ორთა-შუა წმინდა შემოსავალი გამოიყვანება და ეს ორთა-შუა წმინდა შემოსავალი დაიდება ხოლმე საფუძვლად საადგილმამულო გადასახადისა". *("საადგილმამულო გადასახადის საქმე". 1900 წლის 8 მარტი).*

"არ უნდა დავივიწყოთ, რომ ორსავ შემთხვევაში ანგარიშში ჩასაგდებია მხოლოდ ორთა-შუა სახის ადგილ-მამული და ყოველი იგი, რომელიც განსაკუთრებით მდიდარია შემოსავლით და განსაკუთრებით კარგს და ხელშესაწყობს გარემოებაშია, ანგარიშში მიღებული არასოდეს არ უნდა იქმნას ორთა-შუა წმინდა შემოსავლის დადგენაში, თუმცა საადგილმამულო გადასახადი კი თავისის დიდ შემოსავლის კვალობაზე უნდა იხადოს"

ეხლა-კი უნდა ვთქვათ, რომ რა გზობითაც უნდა იყოს გამორკვეული ორთა-შუა წმინდა შემოსავალი, სახელმწიფო და ერობა ამ შემოსავლიდამ თავისს წილსა აღნიშნავს ხოლმე ასის თავობით, ესე იგი, პროცენტით. ვთქვათ, გამოირკვა, რომ დღიურზე ორთა-შუა შემოსავალი ერთი მანეთია, ვთქვათ, რომ ასის თავი საადგილმამულო გადასახადისა ორია, მაშინ შემოსავლიდამ ორი კაპეიკი ერგება საადგილმამულო გადასახადს. რადგანაც შემოსავალი გამორკვეულია დღიურზე, მაშასადამე, ხარჯის მხდელს გადასახადი დღიურზედ ორი კაპეიკი მოუვა. ამ სახით გადასახადი, გამორკვეული ორთაშუა წმინდა შემოსავლისაგან, მერე დღიურობაზე გადადის და დღიურობით გაიწერება ხოლმე. ჩვენში საანგარიშოდ მიღებულია დესეტინა და, მაშასადამე, რაც აქ დღიურობით არის ნათქვამი, იგი დესეტინობით საგულისხმებელია, მხოლოდ ერთი-ორად-კი, რადგანაც ორი დღიური ერთის დესეტინის ტოლია" *("საადგილმამულო გადასახადის საქმე". 1900 წლის 8 მარტი).*

"აღვნიშნეთ, რომ საჭიროა გამოირკვეს ორთა-შუა სახის მამულის ორთა-შუა შემოსავალი დღიურზე. რა თქმა უნდა, ეს ორთა-შუა შემოსავალი ვენახისა სხვაა, სახნავისა, ტყისა, საძოვრისა სხვა. ამიტომაც საადგილმამულო გადასახადის სიმართლით გაწერისათვის უფრო სასურველია, რომ ამ თვითეულ ცალკე დარგის მამულისათვის ცალკე იყოს ორთა-შუა წმინდა შემოსავალი გამოყვანილი და თვითეულის კვალობაზე ცალკე დანიშნული იყოს იგი წილი ორთა-შუა წმინდა სემოსავლისა, რომელიც საადგილმამულო გადასახადმა უნდა ირგუნოს თვითეულ ცალკე დარგის მამულის დღიურისაგან. ესე იგი, ვენახის დღიურზე, სახნავისა, ტყისა და საძოვრისაზე ცალკე. მაშინ ვისაც რამდენი დღიური აღმოუჩნდება თვითეულ დარგის მამულისა, იმის კვალობაზე გამოერთმევა საადგილმამულო გადასახადი იმ დარგის მამულის ორთა-შუა წმინდა შემოსავლიდან, დღიურობაზე გამორკვეულიდამ.

ეჭვი არ არის, რომ ეგრეთი განთვითეულება ორთა შუა წმინდა შემოსავლისა და აქედამ ეგრე დარგ-დარგად გაწერილი საადგილმამულო გადასახადისა, უფრო შეუცდომელი, უფრო ზედმიწევნილი და მართალი იქნება, ვიდრე მაშინ, თუ ამ სხვადასხვა დარგის მამულის შემოსავალს ერთმანეთში აურევენ და აქედამ ერთს ორთა-შუა წმინდა შემოსავალს დაადგენენ. ამ უკანასკნელს შემთხვევაში დიდ მეტნაკლებობის გაწერა აუცილებელია და ასეთი დიდი მეტნაკლებობა მართლობა იქნება, მით უფრო არა სასურველი, რომ ამ გზით მცირე შემოსავლიანი მამულის პატრონი დაიჩაგრება და დიდ შემოსავლიანი კი იშეღავათებს.

უამისოდაც ორთა შუა წმინდა შემოსავალი, რაც გინდ ზედმიწევნით გამორკვეული იყოს, მაინც მცირე შემოსავალიან მამულისათვის მეტი იქნება და დიდ შემოსავლიანისათვის ნაკლები. ეს ყველასათვის ცხადია და ამიტომაც საადგილმამულო გადასახადის სისტემის დადგენის დროს უნდა მორიგებულ იყვნენ, რომ მამულების დარგ-დარგ დაუყოფლობით უფრო არ გაძნელდეს სამართლიანი და შეტოლებული გაწერა გადასახადისა, ხოლო დარგ-დარგ დაუყოფლობით სამართლიანი და შეტოლებული გაწერა რომ გაძნელდება – ეს აშკარაა.”

გვეტყვიან, თუნდ დარგ-დარგად იყოს გამორკვეული ორთა-შუა წმინდა შემოსავალი, მაინც ხომ ორთა-შუა შემოსავალთან ექმნება საქმე საადგილმამულო გადასახადის სისტემას და აქაც ხომ ორთა-შუობის თვისება ის არის, რომ ყოველთვის უმცირესსზე მეტია და უდიდესზე ნაკლები. მაშასადამე, სამართლიანი და შეტოლებული გაწერა გადასახადისა აქაც იმავ ჭირშია, რაც პირველ შემთხვევაში. მართალია, მაგრამ აქ ეს აუცილებელი ჭირი ადვილად ხელში დასაჭერია და, მაშასადამე, ადვილად ასაცილებელიც.

ვთქვათ, გამოირკვა, რომ მთელ ამიერკავკასიაში ორთა-შუა სახის მამული დღიურზე იძლევა ორთა-შუა წმინდა შემოსავალს: ვენახი 10 მანეთს, სახნავი ორ მანეთს, ტყე და საძოვარი თითო მანეთს. ვთქვათ საადგილმამულო გადასახადი ორია შემოსავლის ასის თავზე. მაშინ გადასახადი დღიურ ვენახზე მოვა ერთი აბაზი, სახნავზე ოთხი კაპეიკი, ტყესა და საძოვარზე ორ-ორი კაპეიკი. ვთქვათ, ვენახები 10000 დღიურია, სახნავები სამი მილიონი დღიური, ტყე და საძოვარი ოთხი მილიონი. ამის კვალობაზე ამიერკავკასიის საადგილმამულო გადასახადი სულ ერთად შეადგენს 210 000 მანეთი ხუთს გუბერნიაზე უნდა გაიწეროს. როგორ? განა პირდაპირ ხუთად უნდა გაიყოს ეს 210 000 მანეთი? არა, პირდაპირ ხუთად რომ გაიყოს, მაშინ ცოდვაა იგი გუბერნია, რომლის ორთა-შუა შემოსავალი დღიურზე ნაკლებია და იგი გუბერნია, საცა ეგ შემოსავალი მეტია, იშეღავათებს. ამ უსამართლობას ყოველთვის ერიდება წინდახედული საფინანსო სისტემა და თავისს დღეში არ შეიწყნარებს, თუ უნდა, რომ ერთობ საადგილმამულო გადასახადს თავისი გზა და სამართალი არ დაუკარგოს.” *(“საადგილმამულო გადასახადის საქმე”. 1900 წ. 15 მარტი).*

“საცა ვენახები ხშირია (და სად არ არის ჩვენში?), იქ გლეხკაცობა მარტო არყის შემოსავლით ისტუმრებდა თითქმის მთელს სახელმწიფო და სასოფლო ხარჯსა. დღეს კი ამას მოკლებულია ეხლანდელის ბაჟის წყალობითა. ეხლა არყის ხდა მარტო მდიდარისათვისღაა შესაძლებელი, ესე იგი იმისათვის, ვინც ორასს, სამასს თუმანს გამოიმეტებს და იმისთანა ქარხანას გამართავს, რომ ცოტა ხანში ბევრი გამოხადოს. ამ სახით, ისეც უღონო გლეხკაცი მტლად დაუდეს მდიდარსა და ფულიანსა. დიდი შეღავათი კი იყო გლეხისათვის, როცა მისთვისაც შესაძლებელი იყო თავისის უბრალო

ქვაბით არყის ხდა. ზამთრის თვეებში, როცა გარეთ მუშაობა არ შეიძლებოდა, თავის-თავს მაინც-და-მაინც გამორჩებოდა რასმე და უქმად დღეს არ დააღამებდა. მიუჯდებოდა ქვაბს და ხდიდა არაყს. ეხლა ეს უფრო უსასყიდლოდ და ურგებად ეკარგება. იმას კი ნუღარ ვიტყვით, რომ თითონ ჭაჭასა და თხლეს ფასი დააკლდა და ზოგან გადასაყრელად-ღა გახდა. მაგალითებრ, მთელი დუშეთის მაზრა, წინა-მხარი კახეთისა და, მგონია, ქართლიც, ჭაჭასა და თხლეს სხვა რაშიმე თუ იყენებენ, თორემ არაყს კი არა ხდის. რაც ეს ბაჟი შემოვიდა, გაქრა ამ ადგილებში ჭაჭისა და თხლის ვაჭარი." *("შინაური მიმოხილვა". 1881 წ. დეკემბერი).*

- **ღალა ანუ მიწის ქირა**

"ღალა არის ის სასყიდელი, ანუ, უკეთ ვსთქვათ, ის მიწის ქირა, რომელსაც მიწის მომქმედი იხდის მიწისპატრონის სასარგებლოდ. ყოველს გვარს ეკონომიურს მოღვაწეობაში ცილებას ცოტათ თუ ბევრად ზედმოქმედება აქვს სასყიდლისა, ანუ ფასის აწევ-დაწევაზედ. მაგრამ არის მეორე ძალაც, რომლის მეოხებითაც ფასი, თუ სასყიდელი, განისაზღვრება ხოლმე. მაგისთანა ძალა ჩვეულებაა. ღალის ზომიერებაზედ და რაოდენობაზედ ამ უკანასკნელს ძალას უფრო დიდი ზედმოქმედება აქვს, ვიდრე ცილებასა. აქ ჩვეულება სწორედ რჯულთ უმტკიცესია". *("ცხოვრება და კანონი". 1877-1881 წ.).*

"ქვეყნიერობაზედ ორგვარი ღალა ყოფილა და არის ჩვეულებაზედ დამყარებული. ერთი _ ის სასყიდელი (სულადით, თუ ფულადით), რომლის რაოდენობაც და ზომაც წინათვე განსაზღვრული და ცნობილია, მაგალითებრ: დღიურზედ კოდი დღიურზედ მანეთი, ანუ მეტ-ნაკლები; მეორე _ ის სასყიდელი (უსათუოდ კი სულადით და არა ფულით), რომლის რაოდენობასაც ნამუშევრის წილი შეადგენს და რომლის ზომაც წინათვე არ არის ცნობილი, მაგალითებრ _ მეექვსედი, მეხუთედი, მეოთხედი და სანახევრო. იმგვარს ადგილ-მამულის ჭერას, რომლის გამოც მამულის პატრონი მიწისმომქმედს წილში უდგას, ევროპაში, თუ რუსეთში "მონახევრეობას" ეძახიან, ჩვენში კი "წილზედ-ჭერას" იტყვიან. სიტყვა მონახევრეობა" ევროპაში წარმოსდგა იქიდან, რომ უფრო ბევრგან პატრონის წილი _ ღალა ნამუშევრის ნახევარი იყო. ეხლა კი ეგ სახელი საზოგადოდ "წილზედ-ჭერა ჰქვიან, ნახევარი იქნება, მესამედი თუ მეოთხედი _ სულ ერთია. რადგანაც ჩვენი სიტყვა "წილზედ-ჭერა" უფრო მართლად გამოთქმულია, ამისათვის ჩვენ ყველგან, საცა ამ საგანზედ საუბარი ჩამოგვივარდება, ამ სიტყვას ვიხმარებთ". *("ცხოვრება და კანონი". 1877-1881 წ.).*

"წილზედ ჭერა ადგილ-მამულისა დიდის ხნის ამბავია, დიდი ხანია შეთვისებულია ჩვეულებისაგან და მისგანვე ყოველის მხრით განვითარბეული. ინდოეთის ძველს კანონებში მოხსენებულია მეექვსედი და მეოთხედი ნამუშევრისა მიწის ღალად. ევროპაში "წილზედ-ჭერა" რომაელთაგან არის შემოღებული და მათგან მომდინარეობს. ჯერ კიდევ კატონი და პლინი იხსენიებდნენ გლეხობას, რომელთაც ადგილ-მამულები წილზედ სჭირებიათ. ევროპის ეხლანდელმა ხალხებმა ეგ ჩვეულება რომაელთაგან მიიღეს XIII საუკუნეს. ვენეციაში წილზედ-მჭერელნი ადგილ-მამულისა აძლევდნენ პატრონს მესამედს, მეოთხედს ნამუშევრისას, და ნამჯას კი სრულიად. რომის კამპანიაში დღესაც მეხუთედია, ტოსკანაში _ ნახევარი, ლუკში _ ორი მესამედია. ერთობ იტალიაში დღესაც წილზედ-ჭერა ადგილ-მამულისა ძალიან გახშირებულია. 1861 წელსა იტალიაში წილზედ-მჭერელნი 1.284.286 კაცი ყოფილა". *("ცხოვრება და კანონი". 1877-1881 წ.).*

“ადგილ-მამულის მაგგვარი ჭერა იტალიაში სამუდამოა. თუმცა ზოგან თითო წლობით შეიკვრიან ხოლმე მიწის პატრონი და მიწისმომქედი ხელწერილითა, მაგრამ ეგ ხელწერილი ყოველწლივ ახლდება მარტო ჩვეულების თვითრჯულობისა და სიმტკიცისა გამო. ჩვეულებას ამ შემთხვევაში ისეთი ძალა აქვს იტალიელთა შორის, რომ ვერც მიწის პატრონი ჰბედავს მის ღალატსა, ვერც მიწისმომქმედი. ერთხელ დადგინებული ნამუშევრის წილი არც იკლებს, არც მატულობს. აქ, იტალიაში, ამ ჩვეულების მფარველობითა მიწის-მომქმედი წილზედ-აღებულს მამულზედ დგას, მასზედ აქვს ბინა მოკიდებული. ვიდრე მამულის პატრონს თავისას აძლევს, იმას ადგილ-მამულიდამ ვერ დაითხოვს მიწის პატრონი, ბინას ვერ მოუშლია, მას ადგილ-მამული საშვილიშვილოდ უჭირავს. ეს უფლება გლეხისა კანონზედ კი არ არის დაფუძნებული, დამყარებულია მხოლოდ ჩვეულებაზედა. გარდა ამისა, იმავე ჩვეულების ძალით, მიწის პატრონი მოვალეა მიწისმომქმედს წარმოების ხარჯში მიუდგეს. ზოგან საწარმოებელს თანხას მამულის პატრონი სრულიად თითონ აძლევს მიწისმომქმედს, ზოგან ნახევარს აძლევს, ზოგან აძლევს მარტო საქონელს და იარაღს, ზოგან _ თესლსა და სხვა ამგვარსა. ერთმა რომ სადმე რამე ცვლილების შემოღება გაბედოს, მთელი ქვეყანა, დიდი და პატარა, ყაყანს და ალიაქოთს შეიქმს თურმე. საფრანგეთშიაც ასეა. აქაც ძალიან გახშირებულია “წილზედ-ჭერა” ადგილ-მამულებისა. 1859 წ. 1.356.909 წილზედ-მჭერელი მამულისა ყოფილა. საფრანგეთში განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ საფრანგეთში მოკლე ხნობით იღებენ წილზედ ადგილ-მამულებსა. ხშირად ვადა სამ წელიწადზედ მეტი არ არის”. *(“ცხოვრება და კანონი”. 1877-1881 წ.).*

“ჩვენშიაც, როგორც სხვაგან, ორგვარი ღალა იყო. წილზედ-ჭერა ჩვენში თუმცა ყოფილა და არის კიდეც, მაგრამ ძალიან იშვიათად მოხდება, რომ მაგგვარად სახნავი მიწა გაიცეს ან აიღებოდეს ერთს წელიწადზედ მეტი ხნით. ეგ ჩვეულებაში არცა ყოფილა და არც დღეს არის. ამიტომაც თითქმის ვერსად ნახავთ, რომ წილზედ არებულს ადგილ-მამულზედ ჩვენებურს გლეხს ბინა მოეკიდებინოს, ჩვენებური გლეხი დასახლებულიყოს. ეს ერთი შესანიშნავი მხარეა, რომლითაც ჩვენი ჩვეულება იტალიის ჩვეულებას არა ჰგავს. სხვაფრივ კი ეგ ჩვეულება ბევრით ემსგავსება, უსათუოდ იმ პირობით, რომ მამულის პატრონს მიწის წარმოების ხარჯში ცოტა თუ ბევრი მონაწილეობაც უნდა მიეღო. თუ მეტს წილს ჩაიდებდა მამულის პატრონი, მეტი მონაწილეობაც უნდა მიეღო ხარჯში; თუ მამულის პატრონის წილად ნახევარი იყო ნამუშევრისა, მაშინ თესლი სრულიად მამულის პატრონისა უნდა ყოფილიყო, ხშირად მკის ხარჯიცა, ნამუშევრის ზიდვა და ლეწვა კი თავ-თავისი. წილზედ ჭერაში ჩვენს ჩვეულებას ამაზედ წინ ფეხი არ წაუდგამს, მაგრამ მაინცდამაინც წილზედ-ჭერა საზგადოდ ხშირი არ იყო და დღესაც არ არის. ხშირად, და ძალიან ხშირადაც, ჩვენში გადაკვეთილი ღალა წარმოებდა, დღიურზედ ერთი კოდი; ამაზედ მეტი იშვიათად თუ სადმე მოიძევებოდა. ჩვეულების ძალმომრეობა ასეთი მტკიცე და ძლიერი იყო ამ შემთხვევაში, რომ არა რაიმე სხვა ეკონომიურმა ძალამ ამ ღალის აწევ-დაწევაზედ ვერ იმოქმედა. თვით ყოვლადშემძლე ბატონ-ყმობამ მაგ ღალის ზომას ვერა გადაამეტა რა, და ერთხელ გადაკვეთილი ღალა ნამუშევრის წილზედ ვერ შესცვალა, პირიქით, ჩვენ იმისთანა მაგალითებიც ვიცით, რომ ახალ შემოღებული მეოთხედობა მაგ ჩვეულების ძალმა დაიმორჩილა და ისევ დღიურზედ ერთს კოდად შესცვალა”. *(“ცხოვრება და კანონი”. 1877-1881 წ.).*

“ერთის სიტყვით, ჩვენში წილზედ-ჭერას ხალხი და ხალხის ჩვეულება ეურჩებოდა, და, თუ სადმე სუფევდა, იმ აუცილებელის ნიშნით სუფევდა, რომ გლეხი, თუ წილზედ

მამულს აიღებდა, არამც თუ სამუდამოდ მასზედ ბინას მოიკიდებდა, არამედ ხანგრძლივობასაც ერიდებოდა და, ამის გარდა, რამოდენ წილშიაც მამულის პატრონი ჩაუდგებოდა, იმოდენად მეტ ნაკლები მონაწილეობა უნდა მიეღო ხარჯშიაცა. აქედამა სჩანს, რომ იმისთანა სამუდამოდ წილზედ-ჭერა, რომელიც ამჟამად განხორციელებულია მეოთხედობაში, ჩვენის ცხოვრების ნერგზედ არ არის აღმოცენებული, რადგანაც, ჩვენის ჩვეულების წინააღმდეგ, მეოთხედობა წილია და არა გადაკვეთილი ღალა, და მერე იმისთანა წილია, რომლის მოპოებაშიაც ხარჯი სრულიად ერთის მხრისაა და არა ორივე მონაწილის მაინც". *("ცხოვრება და კანონი". 1877-1881 წ.).*

"ხოლო ეს კი უნდა აღვიაროთ, რომ საიდამაც უნდა იყოს ეგ მეოთხებოდა წარმომომდგარი, მაინცდამაინც იგი ცხოვრების წინ წადგომაა, ნამეტნავად მაშინ, როცა ბატონ-ყმობას წარმოვიდგენთ, რაც უნდა იყოს, გლეხი სხვის ნების ანაბარად არ არის დარჩომილი. მძიმეა თუ სუმბუქია ეგ მეოთხედობა, გლეხმა იცის, რომ მას ბინას ვერავინ შეუშლის, და რაც მეოთხედს გადაურჩება, ის უცილოდ და ხელშეუხებლად მისია. მაგრამ, ეკონომიურის მხრით, წილზედ-ჭერას საერთოდ და მეოთხედობას საკუთრივ _ მაინცდამაინც მავნებელი შედეგი მოსდევს. რადგანაც აქ ნაშრომის ნაყოფში, ცოტად თუ ბევრად, სხვასაც წილი უდევს. გლეხს არ ექნება ისეთი ხალისი, ისეთი თავგამომეტებითი მხნეობა შრომისათვის, როგორც იმას, რომელიც თავის საკუთრებაზედ მუშაობს, მაშასადამე, შრომა გლეხისა იმოდენად ნაყოფიერი არ უნდა იყოს, რამოდენადაც ეგ შესაძლოა. ეს ერთი. მეორე, _ მიწის განოყიერებისათვის, მიწის გაკეთებისათვის, გლეხი ხარჯს ვერ გაიმეტებს, იმიტომ რომ ამ ხარჯში მოწილე არ უდგება და წილი კი სრულად მიაქვს. ადამ სმიტი ამბობს: "მხვნელ-მთესველს (რომელსაც წილზედ უჭირავს მიწა) არავითარი სარფა არა აქვს, მამულის კარგა შემუშავებისათვის ხარჯი რამ გასწიოს, იმიტომ რომ მიწის პატრონი იმ დანახარჯის მოგებაში წილს იდებსო და ხარჯში კი არაო. მეათედი წილი ხომ ცოტაა, მაგრამ ყველასაგან მიღებულია, რომ ეგეც ამ მხრით სოფლის მეურნეობის წარმატებას დიდად აბრკოლებსო". რომ ეს მართალია, აი ამის დასამტკიცებლად რა მაგალითებია შენიშნული. არტურ იუნგი მოგვითხრობს: "საცა კი წილზედ-ჭერა არის, შეიძლება კაცმა გულდაჯერებით სთქვასო, რომ იქ მცხოვრებნი უხეირონი და საცოდავად ილაჯგაწყვეტილები არიანო. საცა, მილანის მაზრაში, უხეირო, ღარიბი, მოურწყავი მიწა შემხვედრიაო, ყველგან ისე გამოსულა რომ მიწები წილზედ უჭირავთო". მაკ-კულოხი ამბობს: "წილზედ-ჭერა ყველა წარმატების დამაბრკოლებელიაო, ასე რომ წილზედ-ჭერამ ყველგან მხვნელ-მთესველნი უკიდურესს სიღარიბეში ჩააგდოო". ჯონ სტუარტ მილლი ამბობს, რომ თუმცა წილად-ჭერას ბევრი მაქებარიცა ჰყავსო, მაგრამ ეს წესი არც ერთის მხრით ისეთი სახარბიელო არ არის, რომ საცა მას ფესვი არა აქვს, იქ ხელახლად შეიტანონო. ამის სიტყვით, გადაკვეთილს ღალას კი ის სიკეთე მაინც მოსდევს, რომ, ბევრია თუ ცოტაა, გლეხს ხელს არ უშლის მამულის გაკეთებისათვის ხარჯი გასწიოს, უფრო მედგრად იმუშაოს, უფრო დიდი მხნეობა და მეცადინეობა იხმაროს, იმიტომ რომ ამ შემთხვევაში მომატებულის ხარჯისა და შრომის მონაგები სრულიად მისია. აქ ღალას მიწის ქირის მნიშვნელობა აქვს მხოლოდ და არა შრომის ნაყოფის გაწილადებისა. აქ შრომა, ცოტად თუ ბევრად, თავისუფალია, და რამოდენადაც თავისუფალია, იმოდენად ყოვლად-შემძლებელიც არის". *("ცხოვრება და კანონი". 1877-1881 წ.).*

"ჩვენ წინა წერილებით ვცდილობდით დაგვემტკიცებინა, რომ წილზედ-ჭერა მამულისა: 1. მიზეზიანი და სადავიდარაბო უფლება-მოვალეობაა ორთა წოდებათა

შორის; 2. ჩვენის ხალხის ჩვეულებაზედ არ არის აღმოცენილი, იმ სახით მაინც, რა სახითაც იგი გლეხთა განთავისუფლების დებულებამ ჩვენში შემოიტანა; 3. ეკონომიურის მხრით, თუმცა ყმობაზედ ბევრად უკეთესია, მაგრამ მაინც მავნებელია; 4. მიწის-ჭერაში ჩვეულება ყველა სხვა ძალაზედ მრკიცეა, თვითრჯულია, და 5. ამის გამო პირველი და უპირატესი ყურადღება მიქცეულ უნდა იქმნას ჩვეულებაზედ, როცა მიწის-ჭერის შესახებ რაიმე ცვლილება საჭიროდ დანახულია". *("ცხოვრება და კანონი". 1877-1881 წ.).*

მეშვიდე თავი

ილია ჭავჭავაძის აზრთა საგანძურიდან გამოტანილი

კიდევ სხვა სიბრძნეები

ა

ადამიანი: - "ადამიანს მინამ ხელ-ფეხი ერჩის, მარტო არ იქნება, საქმეა ტოლ-ამხანაგი მარტოხელისა. წუთის-სოფელი ვის აცლის მარტოობისათვის?" *("გლახის ნაამბობი". 1859წ. (1862-1873წ.)).*

- "ადამიანის შვილი ერთის მხრით უფალია, მეორეს მხრით მოვალე. უფალია თავის საკუთარს საქმეში, თავის ცალკე ინტერესების მოედანზედ. აქ იმას თავისი განცალკევებული საკუთარი "შინა" აქვს. ეგ საკუთარი "შინა" მისი ხელშეუხებელი კუთვნილებაა და ამიტომაც კერა ადამიანისა, პატივცემულია ყველასაგან, ვისაც არ დაუკარგავს გრძნობა ადამიანის ღირსებისა, ვისაც კაცი კაცად სწამს. ამ ცალკე ინტერესების მოედანზედ მბრძანებლობს ადამიანის მძლავრი "მე", რომელსაც, ვიდრე თავის ქერქშია, საზოგადოებრივი "ჩვენ" არამცთუ ერჩის, არამედ თითონ მუშაკად უდგა, რომ დაუსჯელად არავინ ხელიც არ შეახოს. ამ "ჩვენს" ბევრი უღვაწნია ქვეყანაზედ და დღესაც მთავრობის სახით იღწვის, რომ ადამიანის "მეს" თავისი კუთვნილი ადგილი უჭირველად დააჭერინოს და მშვიდობიანად ამყოფოს... აბა ერთი ინგლისში ეგ ეგრეთ წოდებული კერა ადამიანისა შეჰლახეთ, თუ რამ მთელი საზოგადოება არ გამოესარჩლოს, როგორ თუ გაჰბედეთ ფეხი შესდგით იმ წმინდა ტაძარში, რომელსაც ადამიანი თავის კერას ეძახის და მშვიდობიანობა აუმღრიეთო. სახელოვანი Hubeas Corpus ინგლისისა სხვა რა არის, თუ არ საფარველი იმ მართლა-და ძვირფასის ადგილისა, რომელსაც ადამიანის საკუთარი შინა, საკუთარი კერა ჰქვიან და სადაც მისი "მე" მფლობელობს სხვის უვნებლად.

- ეგრე ეპყრობიან განვითარებული ქვეყნები საკუთარს "შინას" ადამიანისას. ეგრე ეპყრობა მაგას განვითარებული, ზრდილი, მართებული და პატიოსანი ლიტერატურა – ეგ ყოვლადძლიერი ფარ-ხმალი, ეგ უანგარო მოსარჩლე და მფარველი ადამიანის ღირსებისა, უფლებისა და მოვალეობისა.

- რაც უნდა დიდი დანაშაული იყოს, არ შეიძლება ცოტად თუ ბევრად დამნაშავეს არ ეპატიოს, თუ რამ საკუთარის კერის მფარველობის გამოა გამხდარი. ადამიანის სინიდისს ცალკე და საზოგადოებისას საერთოდ ესე წმინდა საგნად მიჩნეული აქვთ ეს ადამიანის საკუთარი კერა, არამცთუ განათლებულ სახელმწიფოებში, არამედ ყველგან საცა-კი ადამიანია.

- მეორეს მხრით, ადამიანი იმისთანა თვისებით არის ქვეყანაზედ გაჩენილი, რომ ყველაფერში განცალკევებული ვერ მოიხდენს, თვისთა მსგავსთა გარე ცხოვრებას ვერ შეიძლებს ვერასგზით და ვერას მანქანებით. რაკი ეგრეა, მრავალგვარი დამოკიდებულება ერთმანეთზედ აუცილებელია ადამიანისათვის, უმაგისოდ ადამიანთა ერთმანეთში მოთავსება შეუძლებელია და წარმოუდგენელი. აი ამ დამოკიდებულების გამო, ყოველს ადამიანს თავის საკუთარის "შინას" გარდა, სხვაგვარი "შინაც" აქვს, საცა იგი ერთი მრავალთაგანია და საცა ამის გამო მისი "მე"

მოვალეა და “ჩვენ” მბრძანებელი. ეგ “ჩვენ” თითონ საზოგადოებაა, ანუ მთავრობა, ესე იგი – იმისთანა წყობაა, რომელიც მარტო იმისათვის არის, რომ თვითეულის ადამიანის ფარიც იყოს და ხმალიც საჭიროებისამებრ. ღრმად რომ ჩავუკვირდეთ თითონ საზოგადოების არსებობის საგანსა და მიზეზს, დავინახავთ, რომ იგი სხვა არა არის-რა გარდა იმისა, რომ ადამიანის “მე” თავის ჯეროვანს ადგილას დასვას ისე, რომ მის ცალკე ბედნიერებას, ცალკე კეთილდღეობას, სიკეთეს არა აბრკოლებდეს-რა, მის სულსა და გულსა ფრთის გაშლას არა უშლიდეს-რა, თუ რომ სხვის ბედნიერებას არას ერჩის და არას უშავებს. მთელი პროგრესი კაცობრიობისა ამაზეა მიმართული, მთელს მოღვაწეობას კაცობრიობისას საგნად მარტო ესა აქვს და სხვა არა-რა. რომელი მოძღვრებაც გინდათ გასინჯეთ, ეხლანდელი თუ უწინდელი, ყველას სახეში ისა აქვს, რომ თვითეულის ადამიანის “მეს” უჭირველი ბინა დაუდოს ამ ქვეყნიერობაზედ და შეძლებისამებრ ჯეროვნად და უმეტ-ნაკლებოდ ბედნიერ-ჰყოს” *(“შინაურ საქმეთა” გამო”. 21 იანვარი, 1886 წ.);*

- “ადამიანი, ბუნება, ცა, ქვეყანა – ერთი დიდებული წიგნია უცნაურს ენაზედ დაწერილი. მეცნიერება ამას სთარგმნის უხატებო, უსურათო სიტყვითა. პოეზია კი ხატებითა და სურათითა. მეცნიერების ნათარგმნი ჯერ უნდა, რაც შეიძლება ბლომად, მოგროვდეს გულის საგანძურში, რომ მერე პოეტის მხატვრობითმა სიტყვამ აღბეჭდოს, სული ჩაუდგას, ხორცით შემოსოს ადამიანის გასატაცებლად, აღსაფრთხოვნებლად და გასაოცებლად”. *(“პოეზიის ახალგაზრდა მოყვარულთ”. 1886 წ.).*

- “ბუნება ადამიანისა _ ქართველია თუ გერმანიელი _ ავ-კარგიანობით არის სავსე და ქვეყანაზე არ არის იმისთანა ერი, რომ მიწყული ჰქონდეს ან მარტო კარგი, ან მარტო ავი. ავი და კარგი ყველგან არის და, ვისაც ეს ავიწყდება, ის დიდ მანძილს ვერ გაირბენს მწერლობაში, თუნდ ეგრეც არ იყოს, თითონ ცალკე, თვითეულ ადამიანის ბუნების ავ-კარგიანობაშია იგი მოძრაობა სულისა და გულისა.” *(“ახალი დრამების გამო”. 1890 წ.).*

- “ჩვენ კარგნი ვართ, ისინი-კი მხეცები და აფთრები არიანო. ეს გრძნობის ჭეშმარიტს გზაზე დაყენება-კი არ არის, გრძნობის წაწყმედაა, გაყალბებაა, დაბრმავებაა, ეგ ცეცხლია, ჩალაში გაჩენილი, რომელიც აპრიალების უმალვე ჩაქრება და ხელში მარტო ფერფლი გვრჩება და ჰაერში _ ნატისუსალი. ყალბად და, მაშასადამე, უქმად აპრიალებულ გრძნობაზე უსაძაგლესი არა არის-რა ქვეყანაზე და მით უფრო მოსარიდებელია, რომ წამტყუნებელია, მაცდურია ყო-ველ გაუწურთნავ და გონება-გაუხსნელ კაცისათვის.” *(“ახალი დრამების გამო”. 1890 წ.).*

- “ეს ამისთანა აღტაცება ისე ჰგავს ჭეშმარიტს აღტაცებას, როგორც მართალი სიცილი იმ სიცილს, რომელსაც კაცი კაცს ღიტინით განგებ მოჰგვრის ხოლმე მაშინაც, როცა კაცს სულაც არ ეცინება, როცა სასაცილო არა არის-რა. ესეთი ფესვგაუდგმელი, გულთ-ჩაურჩენელი, ესეთი ტყუილი აღტაცება გროშადაც არა ღირს და უფრო მავნებელია, ვიდრე მარგებელი. თუმცა წამცდენია-კი იმისათვის, ვისაც არ ეთაკილება გრძნობის აღფრთოვანება-კი არ არის, რომ ადამიანი თავის ადგილიდამ მისძრა-მოსძრას სამოქმედოდ, აქეთ-იქით მიახედოს ფხიზელის თვალით, გული ჭეშმარიტის ცრემლით აუტიროს, ან ყოველთ-მომქმედის სიხარულით, სიყვარულით გაუძლიეროს, გაუღონიეროს. აქ მარტო უქმი აპრიალებაა ყალბის გრძნობისა, უღონო, უთავბოლო და ხანმოკლე. აქ ახოვანი ძახილი-კი არ არის სულთა ბრძვისა, გულის

ჭიდილისა, არამედ წრიპინია, წუწუნია ცუდ-უბრალო მტირალასი.” *(“ახალი დრამების გამო”. 1890 წ.).*

- “გაწირვა მაშინ არის დიდსულოვნობის საქმე, როცა გამწირველი თითონ დიდს რასმე ჰკარგავს ამით, როცა ვხედავთ, რომ ამ გაწირვამ გულში ერთი უმთავრესი ძარღვი ჩასწყვიტა გამწირველსა, ერთი დიდი რამ დააკლო, ძნელად გასაწირი, ძნელად გასამეტებელი, ძნელად დასათმობი ადამიანისაგან.” *(“ახალი დრამების გამო”. 1890 წ.).*

- “ადამიანის ბუნებას აქვს თვისება, რომ უყვარდეს ყოველიფერი მისი მახლობელი, მისი სისხლით და ხორცით ნათესავი.” *(“სფირიდონის და თადეოზის ბაასი”. 1861 წ.).*

- “გთხოვთ, ეს ერთი დაიმახსოვრეთ: არავის არ უთხრათ არაფერი, არავის ენდოთ, ადამიანნი ყოველთვის ბოროტნი არიან, ძნელად თუ ვინმემ დაფაროს საიდუმლო”. *(“წერილები ილია ჭავჭავაძისა ოლღა თადეოზის ასულ გურამიშვილისადმი”. 1863 წ. 18 იანვარი).*

- “კარგია გაღვიძებული ადამიანი!.. მაგრამ უფრო უკეთესია ადამიანი, რომელსაც ძილშიაც არა სძინავს, ქვეყნის უბედურებით გულაღტკინებულსა.” *(“მგზავრის წერილები ”. 1861 წ.).*

- “ბოლოს გამოჩნდა, რომ იგი თვალყურმადევარიც ყოფილა იმ პატარა ქვეყნისა, რომელიც მის გარშემო ბედს შემოეხაზა და რომელიც იმის უფერულის ცხოვრების მისაქცევ-მოსაქცევრად დაენიშნა.” *(“მგზავრის წერილები”. 1861 წ.).*

- “ადამიანს ვარამი და ჭირი ალაპარაკებს. ქვეყანაზედ რომ ჭირი არ იყოს, ადამიანი ენასაც არ ამოიდგამდა: მეტი ბარგია. ლხინს რა ლაპარაკი უნდა? ძაღლს რომ უხარიან, კუდის ქნევითაც იტყვის ხოლმე.” (*“ოთარაანთ ქვრივი”. [1886] – 6 ქრისტეშობისთთვეს 1887 წელსა).*

- “ადამიანი სიკვდილის შვილია”. *(“დიმიტრი ყიფიანი”. 1887 წ. 30 ოქტომბერი).*

- “ადამიანის გონება თავის კოჭაკებს მოსწყდა და თავდაყირა დაეკიდა.” *(“ქუთაისის ბანკის საქმე”. 1890 წ. 7 აგვისტო).*

- “უფროს-ერთი ადამიანი ისე გაივლის ხოლმე თავის ცხოვრების გზასა, ისე დაჰლევს ხოლმე თავის სიცოცხლეს, რომ ერთხელაც არ ჩაახედებს თავის თვალს გულში იმის გამოსარკვევად, თუ რისთვის ვიყავ, რისთვის ვარ და რა გამიკეთებიაო. ესე მიდის ილევა ცხოვრება ათასისა და ათიათასისა. მარტო ათასში ერთი თუ იქნება იმისთანა, რომ ამ ხვედრს არ ექვემდებარებოდეს და თავის-თავი განსაკითხველად თავისთავისავე წინაშე დაეყენებინოს, ანუ, როგორც რუსთაველი იტყოდა, გაეთავისწინებინოს”. *(“დიმიტრი ყიფიანი”. 1887 წ. 7 ნოემბერი).*

- “უფრო-ერთი კაცი დღე-ყოველ იბრძვის და გართულია ამ წუთისოფლის ავ-კარგიანობითა. ზოგს ბედი ისე უმძიმს, რომ ამ ბრძოლას და გართვას არა ჰყოფნის მისნი დღენი, მისნი საათნი, მისნი წუთნი: ყველა ესენი შეწირული აქვს მთლად და გადაურჩენელად იმ მცირეზე-მცირე სიამოვნებისათვის, რომელსაც ადამიანი ძლივ-ძლივ გამოჰგლეჯს ხოლმე ამ ძვირს წუთისოფელსა და ურომლისობა ადამიანის არსებობას შეუძლებლადა ჰხდის. ამ წრეში მოტრიალეს კაცს მოცალეობა არა აქვს თავის-თავს ჩაუბრუნოს თვალი განსაკითავად, და დღიურ ლუკმისათვის გარჯილსა და მაშვრალსა ბრძოლის მოედნიდამ თვალის მოშორება ერთს წამსაც, დღიურის ლუკმის პირიდამ გამოცლას მოასწავებს და ძნელია სხვა რიღასათვისმე მოიცალოს”. *(“დიმიტრი ყიფიანი”. 1887 წ. 7 ნოემბერი).*

- “ზოგნი, თუნდაც მოცლილი იყოს და არც იცოდეს სად მიაფშვტინოს თავისი დრო და ხანი, საჭიროდ არა ჰხედავს ათასში ერთხელ მაინც თავის-თავს ანგარიში

ჩამოართვას, თავის-თავს მოჰკითხოს თავისივე ადამიანური ვინაობა, ადამიანური ავკარგიანობა". *("დიმიტრი ყიფიანი". 1887 წ. 7 ნოემბერი).*

- "მართალია, დიდად წარმატებული გონება და გული უნდა ჰქონდეს, რომ კაცი შემძლებელი იყოს თავისი თავი გაითავისწინოს და თავის-თავს მსაჯულად გაუხდეს პირუთვნელად, იმიტომ რომ იგი ერთსა და იმავე დროს მსაჯულიც უნდა იყოს, მოსარჩლეც, ბრალმდებელიც და ბრალდებულიცა. მაგრამ აქ ამ წარმატებულობაზედ არ არის ლაპარაკი: ჩვენ ვამბობთ იმ საჭიროების არ-მქონებლობაზედ, რომელსაც ყოველი კაცი უნდა შეჰყვანდეს ამ საიდუმლო და გათვალისწინებულს სამსჯავროში განსაკითხველად, და რომლის უქონლობა ვერც ცალკე კაცს წასწევს წინ წარმატების გზაზედ, ვერც საზოგადოებას, ვითარცა ცალკე კაცთა კრებულისა". *("დიმიტრი ყიფიანი". 1887 წ. 7 ნოემბერი).*

- "რასაკვირველია, ამ საჭიროების აჩენასაც თავისი შესაფერი, თავისი შესაწონი ღონე უნდა სულისა. ვისაც ეს ღონე არა აქვს, ის, ჩვენის ფიქრით, მჩვარია და არა კაცი. ხოლო თვითოეულ ცალკე კაცთა შესანდობრად ესეც უნდა ითქვას, რომ აქ, ამ უღონობაში თითონ საზოგადოება ბევრშია დამნაშავე. ზოგიერთის კაცთა კრებულის ყოფა-ცხოვრება ისე ბედნიერებად მოეწყობა ხოლმე, რომ თითქოს ყოველ კაცს, ღონიერს თუ უღონოსა, ძალას ატანს მოჰკითხოს თავის-თავს _ რისთვის იყო, ან რისთვის არის? უამისოდ ამისთანა საზოგადოებაში კაცი ვერ გაიჭაჭანებს, ვერ ისადგურებს, გზას ვერ გაიკაფავს, ვერ იხეირებს, ერთის სიტყვით თავს ვერ გამოიჩენს. აქ ცალკე კაცის ღონის ნაცვლად ბრძანებლობით შემოქმედობს თითონ იგი ზნე საზოგადოებისა, რომელიც სხვა არა არის-რა, გარდა შეერთებულის ღონისა, და ამიტომაც ამ ზნეს ვერავინ უმტყუნებს, თუ კაცური კაცობა ჰსურს". *("დიმიტრი ყიფიანი". 1887 წ. 7 ნოემბერი).*

- "ეს ესეც უნდა იყოს, იმიტომ რომ ყოველი კაცი ყოველდღე გამკითხველის თანამდებობაშია. დაუკვირდით ყოველის ცალკე კაცის ყოველდღიურს ცხოვრებას და, რა ხარისხზედაც გინდა იდგეს, ჰნახავთ, რომ ამ ცხოვრების დახლართულ ბადეში ბედი ყოველს ცის-ამარა დღეს ერთმანეთს გვახვედრებს და თვითოეული ჩვენგანი სხვის გამკითხველია, და, მაშასადამე, თითონაც სხვისაგან არის განსაკითხველი. დააკვირდით თვითოეულს, თუნდა ყოვლად უმნიშვნელო ბიჯს თქვენის ცხოვრებისას, თუნდა, მაგალითებრ იმას, რომ მოსამსახურეს უბრძანეთ წაღები გამიწმინდეო, და უსათუოდ დაგვეთანხმებით, რომ არ ყოფილა შემთხვევა, საცა არ გამკითხველობდით. მართალია, ამ წაღების გაწმენდის მაგალითში პირდაპირ თვალში არ გეცემათ თქვენი გამკითხველობა, მაგრამ იგი გამკითხველობა აქაც არის, მხოლოდ თქვენგან დავიწყებულია, თქვენგან შეუმცნეველია. აქ მთელი წინათყოფილი მოქმედება გამკითხველისა სწარმოებს და ამას არ იმცნევთ, რადგანაც ხშირი შემთხვევაა ათასჯერ წინათვე გამკითხველი და, მაშასადამე, ზნედ მიღებული. ვიდრე ბიჭს თქვენის წაღების გაწმენდას დაავალებდით, განა უკვე განკითხული არ არის: რათ ავალებთ? თქვენის წაღების გაწმენდაში რა მოვალეა? შეუწონეთ მისი ღონე ნაბრძანებ საქმესა და სხვა ამისთანა? ეს ბრძანება ზნედა გვაქვს ქცეული, და რა გზით შევიძინეთ, იგი აღარ გვახსოვს, თუ განგებ გონება არ მივახედეთ, არ დავაკვირვეთ". *("დიმიტრი ყიფიანი". 1887 წ. 7 ნოემბერი).*

- "რაკი ადამიანს არ შეუძლიან კაცთა კრებულის გარეთ იცხოვროს ცალკედ და მიუკარებლად, რაკი ერთმანეთობა ბედისწერასავით თვითეულს ჩვენგანს _ გვინდა თუ არა _ სხვის გამკითხველად ჰხდის და უამისოდ კაცი კაცს ვერ შეხვდება, ვერ

შეეყრება, ვერ გაეყრება, აქედამ ცხადია _ რა დიდძალი მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს გრძნობას განკითხვისას კაცთა საზოგადოების არსებობისათვის. ხოლო ისიც ცხადია, რომ ვერ-გამკითხველი თავის თავისა სხვის განკითხვასაც ვერ შეძლებს; და სწორედ აქ არის სათავეც ყოველის უბედურობისა. იმიტომ რომ მაშინ მართალი აღარ ჰტრიალებს საზოგადოებაში და ყოველივე უბედურობა ხომ უმართლობისაგან არის წარმომადგარი". *("დიმიტრი ყიფიანი". 1887 წ. 7 ნოემბერი).*

- "არა გვგონია ქვეყნიერებაზედ იმისთანა საზოგადოება იყოს სადმე, რომ თითო-ოროლაჯერ მაინც ამისათვის არ გამოაფხიზლოს კაცი, ისეთი რამ არ მოუვლინოს, რომ კაცს თვალები ძალა-უნებურად გულში ჩაუბრუნოს თავის-თავის განსაკითხავად". *("დიმიტრი ყიფიანი". 1887 წ. 7 ნოემბერი).*
- "რაც გინდა პატარა იყოს სამშობლო ქვეყანა, _ ამბობს ერთი ჭკვიანი კაცი, _ პატიოსანს გულში დიდი ადგილი უჭირავსო". *("მიხეილ ყიფიანი". 1891 წ.).*
- "ვისაც იგი მადლი ღვთისა არა აქვს, რომ სხვის სიხარულით გაიხაროს, სხვის სიხარულს ვერც შეამცნევს, ვერც აღიბეჭდავს. ნუ გგონიათ, რომ იგი წმინდა მადლის სხვის სიხარულით გახარებისა და, მაშასადამე, სხვის მწუხარებით მწუხარებისაც, ცოტა რომ იყოს. იგია პირველი ნიშანი დიდბუნებოვანობისა, დიდკაცობისა და მარტო რჩეულთა ამა ქვეყნისათა მაგ მადლს ღმერთი კურთხევით უწყალობებს ხოლმე". *("მიხეილ ყიფიანი". 1891 წ.).*

"**ადგილის** საქმეს ადგილის კაცი უნდა და არა უცხო და ხამიო". *("ცხოვრება და კანონი". 1877-1881 წ.).*

"**ადრევაც** გვითქვამს, რომ ეხლანდელს დროს რაღაც ხიფათი შეემთხვა და ადამიანის ლოღიკამ გზა შეიშალა, თითქო ან მართულები მოეშალა, ან ღერძი გაუბრუნდდაო. სულ ყველაფერი აირივ-დაირივა, ტყუილი და მართალი ვეღარავის გაურჩევია, ქვენა-გრძნობანი ზენა-გრძნობათა ადგილას გამეუფდნენ, ცოდვამ მადლის პირბადე ჩამოიფარა, ყალბი ხალასად გადის და ნაძირალა — თავანკარად." *("უარმყოფელობა ჩვენში". 1888 წ.).*

"**ადრიდა** სამსახურს თავ-ვიდევდით, საჩუქარიც, ბოძებაც დიდ-იყვნის; სახელით, ვაჟკაცობით სარჩო-საბადებელთ მაშოვერ ვიყვენით, კაცი უბრალოდ არ წარხდის" *("მგზავრის წერილები". 1861 წ.).*

"**ადრიდა** ავად თუ კარგად ჩვენ ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნეს, მით იყვის უკედ. ადრიდა ერი ერობდის, გული გულობდის, ვაჟაი ვაჟაბდის, ქალაი ქალაბდის. ადრიდა?! ერთურთს დავეყუდნით, ერთურთს ვიხვეწებდნით. ადრიდა?! ქვრივ-ობოლთ ვიფარევდით, შინ მიწრიელს, გარედ მავნეს დავულაგმნდით, ხთისა და ბატონის იასაულს მის ყუდროს არ მივკერძდით, ერთურთს ლაღ მტერთან ჩავეფარვიდნით, დაცემულ ვიურვებდნით, ატდომილს ვიხოიშნიდნით და ესრედ იყვის ბრალება კაცისა, ერთურთობა." *("მგზავრის წერილები". 1861 წ.).*

"**ავი** ძაღლი არც თითონა სჭამს, არც სხვას აჭმევსო." *("გლახის ნაამბობი". 1859, 1862-1873 წწ.).*

"**ავკაცობაში** ნუ ჩამომართმევ: უცბად გამწარებული გული დაუნდობარია." *("გლახის ნაამბობი". 1859, 1862-1873 წწ.).*

"**ავ-კაცობა** ავ-კაცს შერჩეს". *("წერილები ილია ჭავჭავაძისა ოლღა თადეოზის ასულ გურამიშვილისადმი". 1873 წ. 26 სექტემბერი).*

აზია: - "აზია, რომელიც ერთს დროს მამამთავარი იყო ცივილიზაციისა, და რომელსაც დღეს ევროპის მეცნიერნი ცივილიზაციის აკვანად ჰხადიან, დიდი ხანია ჩრდილშია მიმდგარი, და ეხლა თუ ვინმე ახსენებს, _ ან იმისთვის, რომ როგორ და რა გზით

გამოვწოვო მისი ხელუხლები სიმდიდრეო, ან იმისთვის, რომ ხელთ იგდოს მისი რომელიმე მხარე და ყურმოჭრილ ყმად იყმოს იმ მხარის მემკვიდრენი, ისევ _ რასაკვირველია _ გამოსაწოვებლად და მოსაწველად." *("აზია წინათ და ეხლა". 1889 წ. 16 დეკემბერი).*

- "მეცნიერებით, ხელოვნებით, ხელოსნობით შეჭურვილმა და ძლევამოსილმა ევროპამ პირში ჩალა გამოავლო ამ მოხუცს ქვეყანას, რომელიც ერთ დროს მთელის ქვეყნის ბედის წარმატებას სათავეში ედგა, და ეხლა იმ ქვეყნის შვილობა, სად პირველი ფეხი აიდგა ცივილიზაციამ და საიდამაც მისი შუქი მთელს ცისქვეშეთს პირველ მოეფინა, სამარცხვინოდ მიაჩნიათ უფრო, ვიდრე სასახელოდ. ეხლა აზიელობა უფრო საბიაბრუო სახელია, ვიდრე თავმოსაწონებელი." *("აზია წინათ და ეხლა". 1889 წ. 16 დეკემბერი).*

- "რამ დაჰმართა ეს ამბავი აზიას? რამ დაუხუთა მუხლი მსვლელობისა და ერთს დროს წინმავალი ქვეყანა, ეხლა ასე უკან რამ დააყენა? იმან თუ _ რომ თავისი საკუთარი ძარღვები დააწყდა, თავისი საკუთარი საგზალი წინმსვლელობისათვის შემოაკლდა, თუ სხვა რამ მიზეზმა მოსჭრა სულიერი და ხორციელი მუხლი." *("აზია წინათ და ეხლა". 1889 წ. 16 დეკემბერი).*

- "ეს-კი აშკარაა, რომ მისი წარმატება შესდგა, შეჩერდა, და აზია დღევანდელს დღეს ანგარიშში მოსატანი არ არის, როცა ქვეყნის წინმსვლელობაზე ლაპარაკობთ." *("აზია წინათ და ეხლა". 1889 წ. 16 დეკემბერი).*

- "ამასთან აზიის უბედურება ის იყო, რომ ეს შედგომა, შეჩერება, თითქო ვერ იგრძნო, ვერ იცნო, _ პირიქით, რაცა ჰქონდა, სასულიერო თუ სახორციელო, იმას დასჯერდა და თავმოწონებული შეჰხაროდა, თითქო იმაზე უკეთესი სხვა აღარა ეგულება-რაო ქვეყნიერობაზედ. ამით კმაყოფილმა თავი ცალკე შეიკეტა და გარედამ აღარ მიიკარა არც ამაყვავებელი შუქი მზისა, არც გამაცოცხლებელი სიო. ამ ყოფაში ჩავარდა ჩინეთი, მისი მიმყოლი იაპონია, რომელთაც არავინ აღარ მიიკარეს და ამისათვის მაგარი ზღუდე შემოავლეს თავის არემარეს. თითქმის ამ ტყუილს თავმოწონებასა და კმაყოფილებას მიეცა სპარსეთიცა, საცა სასულიერო წოდებამ მოსლემინებისამ შეჰკრა და შეჰბოჭა გონება და გული მთელის ერისა და თვალები აუბა იმდენად, რომ თავისზედ უკეთესს სხვას არავის ჰხადიდა." *("აზია წინათ და ეხლა". 1889 წ. 16 დეკემბერი).*

- "დღეს, ესე ნებიერად და ტყუილ თავმოწონებით ყოფნა შეირყა თითქმის მთელს აზიაში. აზიამ თვალდათვალ დაინახა უპირატესობა ევროპისა, იგრძნო, რომ ევროპა გაცილებით წინ წასულია, უფრო მდიდარია, უფრო ბედნიერია, უფრო ბევრის სიკეთისა და მადლის მპყრობელია, უფრო ძალოვანი და ღონიერია, და აქამომდე დაკეტილი კარი თავისის ქვეყნებისა ცოტად თუ ბევრად გაუღო ევროპას, რომ იქაურმა მზემ თავისი შუქი ცოტად თუ ბევრად აქაც მოაწვდინოს. ასე იქცევა დღეს ჩინეთიცა, იგი ჩინეთი, რომელიც ყველა სხვა ქვეყნებზე უფრო ძლიერ ეურჩებოდა ევროპიდამ შუქის შემოსევას და მოფენას და სადაც დღეს ეს ახალი მიმართულება შიშითა და კრძალვით ფეხს იკიდებს ცოტ-ცოტად და ფრთხილად, რადგანაც იქაური ერის უფროს-ერთობა მაინც ურჩობს და ჰთაკილობს სხვისაგან ჭკუის სწავლებას, სხვის ცივილიზაციას, სხვის ავკარგიანობას." *("აზია წინათ და ეხლა". 1889 წ. 16 დეკემბერი).*

- “იაპონია ამ მხრით უფრო გაბედულად ირჯება. მისი ახალი ხელმწიფე დიდი მომხრეა ევროპის განათლებისა და ჰლამის დაუცხრომელად _ ყოველისფერი, ნამეტნავად მმართველობა და გამგებლობა ქვეყნისა, ევროპის წესსა და რიგს შეფაროს.” *(“აზია წინათ და ეხლა”. 1889 წ. 16 დეკემბერი).*

- “დღეს იაპონიას ბევრი ევროპიულად განათლებული, ევროპაშივე სწავლამიღებული ახალგაზრდობა ჰყავს. შინაც დიდად მოცადინენი არიან სწავლისა და განათლებისათვის. მწერლობა ცოტად თუ ბევრად, ფრთაასხმულია და გავრცელებული, და ვინ იცის, _ იქნება იაპონიამ პირველი მესვეურობა გაუწიოს აზიას ევროპის ცივილიზაციის ზედმოქმედების ქვეშ წარსამატებლად და განთიადმა განათლებისამ თავისი სხივოსანი შუქი პირველ იქიდამ მოჰფინოს მთელს აზიასაცა.” *(“აზია წინათ და ეხლა”. 1889 წ. 16 დეკემბერი).*

- “ამბობენ, იაპონელი ამისათვის არც ნიჭს არის მოკლებული და არც უნარსაო.” *(“აზია წინათ და ეხლა”. 1889 წ. 16 დეკემბერი).*

- “არც სპარსეთი დარჩა უიმისოდ, რომ ევროპის ცივილიზაციისთვის კარი არ გეღო. ეხლანდელს შაჰის მეფობის დროს ბევრს ძველს ჩვეულებას, რომელიც სულსა და ხორცს სპარსეთისას ასე თუ ისე ჰხუთავდა, კბილი მოეჭრა. შაჰმა, რომელმაც რამდენჯერმე მოიარა ევროპა, ბევრს რასმეზე აახილა თვალი და დაინახა თავის ქვეყანაში ბევრი უმსგავსობა და შეუფერებლობა. იგი სცდილობს ბევრი რამ ძველი განსდევნოს, ბევრი რამ ახალი შემოიღოს. ამისათვის იგი თურმე არც იმის წინაშე უკუდგებაო, რომ თავისი ნება-უფლება შეიხუთოს, თუ ამას მოითხოვს ქვეყნის სიკეთე და ბედნიერება.” *(“აზია წინათ და ეხლა”. 1889 წ. 16 დეკემბერი).*

- “სპარსეთსაო, _ ამბობს ერთი კორესპონდენტი რუსეთის გაზეთისა, _ ჩვენში ისე უყურებენ, ვითომც იმოდენად უღონო და უძლური იყოს, რომ საკმაოა კაცმა-კი მოინდომოს და 24 საათში მიწასთან გაასწორებსო. ჩვენა გვგონიაო, რომ სპარსეთი ყოვლის უარის უთქმელად ჩვენს ნებაზედ ივლის, თუ რომ ზოგიერთი ბოროტი მანქანები და ინგლისის ფულები იქ ჩვენ ხელს არ გვიშლიდეს და საქმეს არ გვიფუჭებდესო.” *(“დღევანდელი სპარსეთი”. 1889 წ. 9 დეკემბერი).*

- “კორესპონდენტის აზრით, ყოველივე ეს შეცდომაა ჩვენის მხრითაო. იმიტომ რომ სპარსეთიც, სხვათაებრ, დღეს იღვიძებს და სცდილობს თავის-თავი იმდენად გამოაკეთოს, რომ საკუთარს ფეხზედ დაჰდგეს და საკუთარის ავკარგიანობით გაძლიერდესო.” *(“დღევანდელი სპარსეთი”. 1889 წ. 9 დეკემბერი).*

- “კორესპონდენტისავე სიტყვით, დღევანდელი სპარსეთი ის სპარსეთი არ არის, რაც აქამომდე იყო. დღეს სპარსეთში იქაური სასულიერო წოდება, რომელიც აქამომდე მარტო გუნდრუკს უკმევდა ყველაფერს სპარსულს და უკადრისად იხსენიებდა სხვას ყოველს, რაც სპარსული არ იყო, ცოტად თითონაც გამოფხიზლდა და დაინახა, რომ თუმცა ევროპა ურჯულო ქვეყანაა, მაგრამ იქ ბევრი იმისთანა წესი და რიგია, რომელსაც კაცმა ცხვირის მაღლა აწევით გვერდს არ უნდა გაუაროს, პირიქით, უნდა დინჯის თვალით დაუკვირდეს და აწონ-დაწონვით მოსჩხრიკოს, _ რა არის იქიდამ კარგი მისაღები და შემოსატანი და რა არის უარსაყოფელი და განსადევნი.” *(“დღევანდელი სპარსეთი”. 1889 წ. 9 დეკემბერი).*

- “ეს, რასაკვირველია, თითო-ოროლა კაცს სასულიერო წოდებისას მიეწერება და არა ბევრს მათგანს, მაგრამ ამ თითო-ოროლას არსებობა სპარსეთში “დროთა ნიშნად”

უნდა ჩაითვალოს, რადგანაც იარა სპარსეთის ამ სასულიერო წოდების გაუტეხლობა და კერპობა იყო დღეს-აქამომდე." *("დღევანდელი სპარსეთი". 1889 წ. 9 დეკემბერი).*

- "ამ წოდებას იქამდე შეეხუთნა იქაურობა, იქამდე გაებაწრა, რომ თვითონ შაჰიც, რომელიც ჩვენ ყოვლადშემძლებელი გვგონია სპარსეთში, ეკრძალებოდა, უფრთხოდა თურმე ამ სასულიერო წოდებას ასე, რომ მინამ გაჰბედავდა რასმე, ჯერ ამ წოდებისათვის უნდა ანგარიში გაეწია, და მისი ნებართვა თუ არა, მისი უარი მაინც არა ჰქონოდა." *("დღევანდელი სპარსეთი". 1889 წ. 9 დეკემბერი).*

- "ეხლა, რაკი თითონ ამ წოდებაში უგრძვნიათ, რომ უწინდელი ყოფა სპარსეთისა თავს არ დაიჭერსო, აშკარაა კედელი გაუტეხელობისა და კერპობისა უკვე გარღვეულა და ახალის შემოსევისათვის გზა ცოტად თუ ბევრად გახსნილა სპარსეთში." *("დღევანდელი სპარსეთი". 1889 წ. 9 დეკემბერი).*

- "კორესპონდენტი ამბობს, რომ სპარსელებ შორის ეხლა ბევრს იმისთანას ჰნახავთ, რომელნიც ყოფილან ევროპაში არამცთუ მარტო სავაჭროდ და საქონლის მოსატანად, არამედ გასანათლებლად და სასწავლებლადაო. ბევრია თურმე იმისთანა ახალგაზრდა კაცი, რომ ევროპაში მაღალ სასწავლებელში სადმე ესწავლოს, სწავლა შეესრულებინოს, და დღეს სპარსეთში ჰმოქმედებდეს მის გამოსაღვიძებლად და გამოსაკეთებლად. ამათი მამულიშვილობა, ამათი სიყვარული თავისის ქვეყნისა უფრო წინდახედულია, უფრო ცნობიერებით და გაგებით მოსილია, ვიდრე ძველის აღთქმის კაცებისაო. ესენი აღარ იქადიან, რომ სპარსეთი მარგალიტია სავსებისა და სისრულისა; ტყუილად თავს არ იწონებენ, რომ ამათზე უკეთესი, ბედნიერი და შემძლებელი ერი და ქვეყანა სხვა არსად იყოს დედამიწის ზურგზედა, პირიქით, ბევრს ნაკლს ჰხედვენ და ქვეყნის სიყვარულით აღფრთოვანებულნი იძახიან: თანდათან და ნელ-ნელა სპარსეთი დაეწევა ევროპას, როგორც რუსეთი დაეწიაო." *("დღევანდელი სპარსეთი". 1889 წ. 9 დეკემბერი).*

- "ზოგნი, თავის ქვეყნისავე სიყვარულით გაფიცხებულნი, იქამდინაც-კი მიდიან, რომ ამტკიცებენ, დაგვაცალეთ ერთი, ზოგიერთი ხარიხები, რომელიც სვლას გვიშლიან და გვაბრკოლებენ, თავიდამ მოვიშოროთ, და მაშინ ჰნახავთო, რომ სპარსეთიც საპატიო ადგილს დაიჭერს სხვა განათლებულთა ერთა შორისო." *("დღევანდელი სპარსეთი". 1889 წ. 9 დეკემბერი).*

- "დღეს საზღვარგარეთ იბეჭდება თურმე ბროშიურები სპარსულად და ამ ბროშიურებში სულ იმას ჰქადაგებენ თუ, _ როგორ და რა გზით უნდა გამოკეთდეს დღევანდელი უკმარი ყოფა-ცხოვრება სპარსეთისა. ზოგი ამბობს, რომ საერო სწავლა-განათლება უნდა გაძლიერდესო, ზოგი იძახის _ კანონებს გადასინჯვა უნდა, ამ სფეროში საჭიროა შესაფერი რეფორმებიო, და ზოგი სცდილობს სახსარი რამ იპოვოს სამშობლო ქვეყნის მრეწველობის გასაძლიერებლად და ეკონომიურ შეძლების ასაყვავებლად. სიტვით, საქმით, თუ წერით, ევროპაში განათლებულნი ყმაწვილნი კაცნი სპარსეთისანი იღწვიან შინა და გარეთ, რომ გამოაფხიზლონ აწ მთვლემარე სამშობლო ქვეყანა და ფეხზედ წამოაყენონ საკეთილდღეო მოქმედებისათვის. ამათმა ღვაწლმა ამაოდ არ ჩაიარა, როგორც გვარწმუნებს ხსენებული კორესპონდენტი." *("დღევანდელი სპარსეთი". 1889 წ. 9 დეკემბერი).*

- "საზოგადოებაში ფეხი შესდგა ამათმა მოძღვრებამ და იმდენად იმოქმედა, რომ ძველის წესის გაუტეხელნი და შეუპოვარნი კაცნიც-კი ცოტად თუ ბევრად მოარჯულა და მოინადირაო. ამაების ზედმოქმედების გამო, თითონ სახელმწიფო

საქმეთა ძველნი კაცნი, კერპად ურჩნი და მოძულენი ყოველ იმისა, რაც სპარსული არ არის, დღეს თავის შვილებს ფრანგულს მაინც ასწავლიანო, რომ ამ ენის ცოდნით განათლებულებთან მარაქაში გაერიონო." *("დღევანდელი სპარსეთი". 1889 წ. 9 დეკემბერი).*

- "კორესპონდენტს თეირანში ერთი მოლა უნახავს, რომელიც შიშისა და კრძალვისაგან მალულად სწავლობს თურმე ერთის ევროპიელისაგან ფრანგულს ენას, და ერთმა ფრანგმა მასწავლებელმა დამარწმუნაო, რომ ამ ჟამად ფრანგულს ვასწავლი პატარა ქალს ერთის დიდის კაცისას, რომელსაც დიდის ხარისხის ადგილი უჭირავს სახელმწიფოშიო." *("დღევანდელი სპარსეთი". 1889 წ. 9 დეკემბერი).*

- "არამცთუ შინაგანად კეთდება თურმე სპარსეთის ყოფა-ცხოვრება, გარეგანს ცხოვრებასაც დაეტყო, _ ამბობს კორესპონდენტი, _ ახალის მოძრაობის ელფერიო. წინათ ძალიან სასტიკად სდევნიდნენ ერთის ჩვეულების დარღვევას, რომელიც იმაში მდგომარეობდა, რომ თუ ქუჩაში ვისმე შაჰის ცოლები შეხვდებოდა, მაშინვე უნდა გაქცეულიყო და ან სახლსა, ან სხვის ეზოში, ან ქუჩის ყურეში სადმე უნდა მიმალულიყო, რომ არამც და არამც თვალი არ მიეკარებინა. ეხლა ეს ჩვეულება გაუქმესო." *("დღევანდელი სპარსეთი". 1889 წ. 9 დეკემბერი)*

- "შაჰის ცოლები ეხლა თავისუფლად სეირნობენ ეტლებით ქალაქში, და თუმცა ისევ ჩადრებსა ჰხმარობენო, მაგრამ აღარც ის კრძალვაა, აღარც ის შიში, რომლის გამოც ყოველი მათი შემხვედრი უნდა გაქცეულიყო და სადმე მიმალულიყო. ეხლა შაჰი რომ ევროპიდამ დაბრუნდა და ამისათვის დიდის ყოფითა და ამბით მისაგებებელი პროცესია გაჰმართეს, სხვებთა შორის პროცესიაში შაჰის ცოლებიც იყვნენო." *("დღევანდელი სპარსეთი". 1889 წ. 9 დეკემბერი).*

- "ყოველს ამას ისიც დაურთევით, რომ თითონ ეხლანდელი ხელმწიფე სპარსეთისა მომხრეა ცოტად თუ ბევრად ამ ახალის მოძრაობისა და იქნება თვით ამ მოძრაობის მიზეზიც თითონ იგივე იყოს, და მაშინ ცხადად დასაჯერია, რომ სპარსეთი თავის ახალი ბედის განთიადის ხანაშია." *("დღევანდელი სპარსეთი". 1889 წ. 9 დეკემბერი).*

- "რაც შეეხება სპარსეთის ეკონომიურს ვითარებას, ამ მხრით იგი ვერ იტყვის ჯერ, რომ ჩემით ვმოქმედობ და ჩემით გზა გამაქვსო." *("დღევანდელი სპარსეთი". 1889 წ. 9 დეკემბერი).*

- "უწესოება, თვითნებობა მოხელეობისა, დაუდგრომელობა კანონებისა, ძლიერის წინ უენობა და უსარჩლობა უღონოსი, რა თქმა უნდა ძლიერ აბრკოლებს ამ მხრით წარმატებას." *("დღევანდელი სპარსეთი". 1889 წ. 9 დეკემბერი).*

- "კორესპონდენტი ამბობს, რომ რაკი იქაურნი მკვიდრნი დარწმუნებულნი არ არიან, რომ ჩემი ქონება ჩემია და არა ჩემზე ძლიერისა და გავლენიანისაო, შიშით არამცთუ ამოქმედებენ ამ ქონებას, ჰმალვენ კიდეც და არ აჩენენო. მე ერთი მდიდარი სოვდაგარი ვიციო, ამბობს კორესპონდენტი, რომელსაც დიდი შეძლება აქვს, მაგრამ დამალული აქვსო და თითონაც თითქმის ძონძებით დაიარება, რომ არა შემამჩნიონ-რა და არ წამართონო. ამ ყოფაში ძნელია, ძნელი-კი არა, შეუძლებელია რაიმე ეკონომიური წარმატება." *("დღევანდელი სპარსეთი". 1889 წ. 9 დეკემბერი).*

"**აზრი** და სურვილი ჰშობს საქმესა, რადგანაც აზრი მამაა საქმისა და სურვილი დედა" *("სატეხნიკო და სახელოსნო სასწავლებელთა შესახებ". 1889 წ.).*

"**ათი-ათასჯერ** არაფერი მაინც არაფერია." *("ორიოდე სიტყვა თავად რევაზ შალვას ძის ერისთავის კაზლოვის მიერ "შეშლილი"-ს თარგმანზედა". 1860 წ. 5 ნოემბერი).*

“**აი** გლადსტონმა რა სთქვა ერთხელ პარლამენტში მამულების იჯარით გაცემის თაობაზედ: “არა ქვეყანაში, რომელიც კი ჯანმრთელია და წესიერი საზოგადოებრივი წყობა აქვს, შესაძლო არ არის განუსაზღვრელი თავისუფლება მიეცეთ კერძო პირთა, რა პირობითაც უნდათ ერთმანეთს იმ პირობით შეეკვრნენო. ინგლისის კანონებში ბევრი მაგალითია, რომ კერძო ხელშეკრულობათა გამო სახელმწიფო ჩარეულიყოს საქმეშიო. გლადსტონს ამითი იმის თქმა უნდოდა, რომ ადგილ-მამული იჯარით გასაცემად უნდა ემორჩილებოდეს რაიმე კანონსაო და არ უნდა იყვესო ან ერთის მძლავრობაზედ, ან მეორის უილაჯობაზედ დამოკიდებულიო.” *(“ირლანდია და ინგლისი”. 1886 წ.).*

“**აი**, ეს ბურთი და ეს მოედანი, ვცადოთ: ცდა ბედის მონახევრეაო.” *(“გლახის ნაამბობი”. 1859, 1862-1873 წწ.).*

“**ალიას** დარდი ფლავიაო” *(“ქვათა ღაღადი”. 1899 წ.).*

“**ამ** ჩემ მოპირდაპირე რიცხვით ჯობნა სურვებიათ, და არა თავის სტატიების ღირსებითა; იმ ზღაპრისა არ იყოს: “ასმა კაცმა ვერ შეჭამაო, ერთი კაცის ლუკმა იყოო” *(“პასუხი”. 1861 წ.).*

“**ამ** მდიდარს და მომცემს ქვეყანაში რადა ვართ ღარიბნი და ღატაკნი? მადა, რომ ჯერ მაინც კიდევ ვტრიალებთ იმ აზრთა წრეში, იმ სურვილთა და წყურვილთა მზიან-ჩრდილში, რომელიც იყო გამოსადეგი ამ მეცხრამეტე საუკუნის წინათ”. *(“კახეთის სოფლის მეურნეთა კავშირი”. 1895 წ. 4 ნოემბერი).*

“**ამ** ბედნიერსა და ცუღლუტობით სავსეს ქვეყანაში ცრემლი და სიცილი და-ძმანი არიან”. *(“წერილები ილია ჭავჭავაძისა ოლღა თადეოზის ასულ გურამიშვილისადმი”. 1873 წ. 5 იანვარი).*

“**ამ** ბოლო დროს ისე დატრიალდა ჩემი ბედი, რომ მწუხარება მწუხარებაზედ მატყდება თავზედ და ლამის მე ჩემი დამემართოს”. *(“წერილები ილია ჭავჭავაძისა ოლღა თადეოზის ასულ გურამიშვილისადმი”. 1887 წ.).*

“**ამ** გამწარებულს წუთისოფელში ტკბილი სხვა რა არის, რომ სიტყვა იყოს. რას მიქვიან ტკბილი სიტყვა! თვალთმაქცობა, სხვა არაფერი. ტკბილი სიტყვა ნუგეშია, კაცს გულს მოჰფხანს. გულის ფხანა რაღა დარდუბალაა! ფხანა ქეცმა იცის. ნუ გაიქეციანებ გულს და ფხანაც საჭირო არ იქნება. სიტყვა საშურველი ხომ არ არის, მოსაკიდებელი ჩანგალია, რომ გული ან აქეთ მისწიოს, ან იქით, თორემ ობი მოეკიდება, როგორც კიდობანში დავიწყებულს პურს. გული ადგილიდამ უნდა მისძრას-მოსძრას კაცმა, თუ კაცს კაცის სიკეთე უნდა. ფხანა გულისა რის მაქნისია! უქმის კაცის საქმეა.” *(“ოთარაანთ ქვრივი”. 1886-1887 წ.).*

“**ამა** სოფლისა ცხოვრება / შენ ყოფით არ იპოვება, / ვინც ძმობით არა ყოფილან, / მათ მოხვედრიათ მონება” *(“ზემი თარიარაღი”. 1858 წ.).*

“**ამას** იქით ჭკუა იცოდე: შენ რომ ცუდკაცობდე, კაი-კაცობაზედ სხვას მაინც ნუ გალანძღავ.” *(“ოთარაანთ ქვრივი”. 1887 წ.).*

“**ამასაც** მოგახსენებთ, რომ უკადრისი სიტყვები ქვეყანაზედ არ არიან, მხოლოდ აზრი იქმნება უკადრისად გამოთქმული სიტყვებთაგან. უარგისი სიტყვაც არ არის ქვეყანაზედ. თუ ხალხი ხმარობს, მაშასადამე ვარგისიანია.” *(“პასუხი”. 1861 წ.).*

“**ამბავი**, ხაბარი... რისთვის გარჯილხარ? *(“ოთარაანთ ქვრივი”. [1886] – 6 ქრისტეშობისთთვეს 1887 წელსა).*

“**ამისი** ვარსკვლავი მარტო ამოსულიყო სადღაც და როდესღაც და ეხლა მარტოვე ჩადიოდა დინჯად და მშვიდობიანად, ტკბილად და უწყინარად.” *(“ოთარაანთ ქვრივი”. 1887 წ.).*

“**ამოვიდა** ალიონიც. ღამემ დღეს კარი დაურაკუნა.” (*“ოთარაანთ ქვრივი”. [1886] – 6 ქრისტეშობისთთვეს 1887 წელსა).*

ანდრე შენიე: “გადაშალეთ კაზლოვის გაბერილი წიგნი და ყურადღებით განიხილეთ ლექსები ანდრე შენიესი, ფრანციის პოეტისა; ძლივსღა იცნობთ კაზლოვის ლექსებში იმ შენიეს, რომელმაც წარსულ საუკუნეში თითქმის პირველად დაანახვა ფრანციას, და მის გამო ევროპიასაც, ჭეშმარიტი, ნამდვილი პლასტიკა საბერძნეთის მშვენიერებისა, და ამით, თუ არ დასცა ზარი, შეარყია მაინც თვის საფუძველში ცრუკლასიკური მიმართულება ფრანციის ლიტერატურისა. კაზლოვის თარგმანში ისე ცხადად არ ისმის ის ნაზი და წრფელი სიტკბოება მშვენიერებისა, ის უმანკო, უცოდვილო და ნამდვილი ბგერა გულისა, ის ქროლა პოეზიისა, რომლითაც ანდრე შენიე ჯადოსავით მოჰხიბლავს ხოლმე კაცსა. მაგრამ ანდრე შენიეს ლექსები კაზლოვის თარგმანში ისე ბევრნი არ არიან და არც ისე უფერულნი, როგორც სახელოვანი მიცკევიჩის „ყირიმის სონეტები“. *(“ორიოდე სიტყვა თავად რევაზ შალვას ძის ერისთავის კაზლოვის მიერ “შეშლილი”-ს თარგმანზედა”. 1860 წ.).*

“**არ** არის მკვდარი, ვინც მოჰკვდეს / და ხალხს შესწიროს დღენია / მკვდრად იგი თქმულა, ვისაც აქ / სახელი არ დარჩენია” *(“მეფე დიმიტრი თავდადებული”. 1860/1877-1878).*

“**არ** გათეთრდება ყორანი, რაც გინდა ჰხეხო ქვიშითა”. *(“ქვათა ღაღადი”. 1899 წ.).*

“**არ** არის მკვდარი, ვინც მოკვდეს / და ხალხს შესწიროს დღენია, / მკვდრად იგი თქმულა, ვისაც აქ / სახელი არ დარჩენია”. *(“მეფე დიმიტრი თავდადებული”. 1878 წ.).*

“**არ-ცოდნა** არ-ცოდვაა.” *(“აი ისტორია”. 1889 წ.).*

“**არა** გვგონია, რომ ჭეშმარიტად განათლებული კაცი არ ჰგრძნობდეს ამ-გვარ მოვალეობას, არ ჰფიქრობდეს, რომ იგი ზნეობით მოვალეა ხალხს უკანვე დაუბრუნოს სამაგიერო მისი, რაც მისგან მიუღია.” *(“ახალი დასის მოლოდინში”. 1886 წ.).*

“**არა** და, რომ არ იქნება: მთა და ბარი ვის გაუსწორებია?” *(“კაცია ადამიანი?!” 1858-63 წ.).*

“**არა** შეჯდა მწყერი ხესა, არა იყო გვარი მისი.” *(“გლახის ნაამბობი”. 1859, 1862-1873 წწ.).*

“**არა** გული გითქმიდეს... მისთვის, რაიცა იყოს მოყვასისა შენისაო”. *(“ქვათა ღაღადი”. 1899 წ.).*

“**არა**-მწევარმა რომ კურდღელი დაიბრუნოსო, დაჭერად ჩაეთვლებაო.” *(“შინაური მიმოხილვა”. 1879 წ. აპრილი).*

“**არა**, შვილო. როგორც მამა-პაპას უცხოვრია, ისე უნდა ჩვენც ვიცხოვროთ.” (“*კაკო”. 1859 წ.).*

“**არავინ** არის ქვეყანაზე იმისთანა, რომ რაიმე კეთილი, სახელმწიფოსათვის გამოსაყენი ნიჭი და უნარი არა სჭირდესო, ოღონდ ნუ შეჰხუთავთ, გზა მიეცით ყველას თავი იჩინოს თავისებურად, თავისის ღირსებისა და სიკეთისამებრ”. *(“ქვათა ღაღადი”. 1899 წ.).*

“**არამკითხე** მიამბეო, მიტყიპე და მიაგდეო.” (*“ოთარაანთ ქვრივი”. [1886] – 6 ქრისტეშობისთთვეს 1887 წელსა).*

“**არამცთუ** უსაბუთო ძაგება, უსაბუთო ქებაც კი საწყენია მართებულის კაცისათვის და ვურჩევთ ქართულს ლიტერატურას თავის-დღეში არც ერთი და არც მეორე არ შეიწყნაროს, რაც უნდა ბრტყელი სახელი კრიტიკისა, თუ რეცენზიისა, დაარქვან უსაბუთო ქცევასა. კიდევ ამგვარი “აღმოსავლეთის ეტიკეტი” სჯობია იმ უწესო და უკადრისს ეტიკეტს, რომლის კანონებითაც კაცს თუ არ თავის-თავი, სხვა ადამიანად არ მიაჩნია” *(“დასავლეთის ეტიკეტი”. 1886 წ.).*

“**არახუნებს**, რაც ენაზე მოადგება და მამალსავით ჯერ თვალებს ჰხუჭავს და მერე ჰყივის, თითქო ენა ადამიანს მარტო იმიტომა აქვს, რომ მოშლილი წისქვილსავით ჰფქვას და ჰროშავს”. *(“უმეცრობის ფართი-ფურთი”. 1900 წ.).*

“**არიან** ბევრნი დიდ-ხარისხოვანნიცა, მეცნიერნიცა, მოღვაწენიცა, მწერალნიცა, და არ არიან მხოლოდ ხასიათის კაცნი, კაცნი გულთა-სრულნი”. *(“დიმიტრი ყიფიანი”. 1887 წ. 30 ოქტომბერი).*

“**არის** იმისთანა შემთხვევა ხოლმე კაცთა ცხოვრებაში, რომ თვით არ-ჩარევა საქმეში თავის-თავად დიდი დანაშაულია” *(“საგაზეთო შენიშვნები”. 1892 წ.).*

„**არის** მრავალი ქვეყნები, ჩვენზედ უფრო უბედურად გაჩენილნი, მაგრამ უფრო ბედნიერად მცხოვრებნი.” *(“მგზავრის წერილები”. 1861 წ.).*

არტურ ლაისტის საპატივცემულოდ “ივერიაში” გამართულ შეხვედრაზე (1884 წ. 1 ივლისი) წარმოთქმული სიტყვიდან: “იმედია, რომ ამ სიყვარულით ჩაგონებული პიროვნული სიტყვა, ბ-ნი ლაისტისა მოჰფენს განათლებულს ქვეყანას იმ ამბავს, რომ შორს სადმე არის ერთი პატარა სამოთხე, რომელსაც საქართველო ჰქვიან და იმ პატარა სამოთხეში ცხოვრობს ერთი პატარა ერი, რომელსაც უდევს დიდი გული კაცობრიობის წარმატებისა, სიკეთისა და ბედნიერებისათვის” *(გ. შარაძე. ილია ჭავჭავაძე, წიგნი I. 1987 წ.).*

“**არჩევნებს** სხვა მნიშვნელობა არა აქვს-რა, თუ არ ამომრჩევლის სურვილის გამოთქმისა” *(“საგაზეთო შენიშვნები”. 30 იანვარი, 1891 წ.).*

“**არც** იმისთანა ნატვრა უნდა, რაც უიმისოდაც არ აგვცდება, და არც იმისთან, რასაც თითონ ბუნება უარყოფს და არ გვითმობს.” *(“ღმერთმა ნუ დაგაბეროთ”. 1888 წ. 31 დეკემბერი).*

“**არც** შამფური დაიწვის და არც მწვადი.” *(“შინაური მიმოხილვა”. 1883 წ. ნოემბერი).*

“**არც** ერთს თავად-აზნაურობას საბოლოვოდ თავი არ დაუჭერია არსად, საცა-კი ცალკე ყოფნასა და ცალკე ბედნიერებას გაჰყოლია. ყველამ ერთად და თვითეულმა ცალკე უნდა იცოდნენ, რომ იგი განუყოფელი ნაწილია მთელის ერისა და ამიტომაც თავის კეთილდღეობას უნდა ეძებდეს მარტო მთელის ერის კეთილდღეობაში და არა ცალკე. გონიერმა კაცმა, რა წოდებისაც გინდ იყოს, ეს არ უნდა დაივიწყოს, თუ უნდა თავის სიკეთე მკვიდრს საფუძველზედ “დაამყაროს” *(“წოდებათა თანასწორობა”. 1888 წ.).*

“**არც** ერთხელ არ ახსოვს გიორგის, რომ დედას უმიზეზოდ, ტყუილუბრალოდ დაეტუქსოს. რაკი ჩაუფიქრდებოდა ტუქსვას, მაშინვე გულს დააჯერებდა, რომ დედა მართალია. მართალს შეჩვეულს თვითონაც მართალი უყვარდა. ღალატი და არმობა ისე გააწიწმატებდა ხოლმე, რომ თუ საჭირო იყო, ხელსაც გამოიღებდა, ჩხუბს ასტეხდა, თავს გამოიდებდა”. *(“ოთარაანთ ქვრივი”. 1886-1887 წ.).*

“**ასე** ჩემო მანასეო, ხან ისე და ხან ასეო” *(“ავლაბრელების საქმე”. 1887 წ.).*

“**ასე**, ჩემო მანასეო; ხან ისე და ხან ასეო.” *(“შინაური მიმოხილვა”. 1883 წ. მაისი).*

“**ასეთი** ვარ, რომ დანა მკრა, სისხლი არ გამამივა”. *(“წერილები ილია ჭავჭავაძისა ოლღა თადეოზის ასულ გურამიშვილისადმი”. 1873 წ. 8 თებერვალი).*

“**აქ** როგორღაც თავი ბოლოს არ ებმის” *(“ინგლის-ირლანდიის ურთიერთობის გარეშემო”. 1886-1889 წ.).*

“**აქ** ყოველნი ესენი ჭადრაკის კაცებსა ჰგვანან, რომელთაც საკუთარი ჟინი კი არ ამოქმედებს, არამედ ძლიერი ხელი ცხოვრებისა, ანუ უკეთ ვსთქვათ, ბუნებითი ძალი ცხოვრების თვითმცველობისა.” *(“ბალკანეთის საქმეები”. 1886 წ. 17 მარტი).*

“**აქ** როგორღაც თავი ბოლოს არ ებმის.” *(“ინგლის-ირლანდიის ურთიერთობათა გამო”. 1886-1889 წ.).*

„**აქამდე** მუშაობით წელს ვიწყვეტავდით, დღესა და ღამეს ვასწორებდი, მეგონა, რომ ერთად-ერთი ნამუსიანი სახსარი ცხოვრებისა გარჯაა და მუშაობა, მეგონა, რომ კაცი სულ იმის ფიქრსა და ცდაში უნდა იყოს, — პატიოსანის შრომით ლუკმა-პური სჭამოს, და თურმე ნუ იტყვი, ყველაფერი ეს ტყუილი ყოფილა, ეს სულ ძველების

ფლასტი-ფლუსტია, ძველების ლათაიებია თურმე. საქმე-კი იმაშია, რომ ვინც თავისას არა სჯერდება, ვისაც თავისი საკმარისი არა აქვს, ის სხვას შეჰყურებს თურმე, ის თურმე სულ იმის ფიქრსა და ცდაშია, რომ „სხვისით“ შეივსოს თავისი დანაკლისი. აი თურმე ახალი ფსიხოლოგია ადამიანისა რას ჰღაღადებს!.. ეს მე რომ მეთქვა, არ დამიჯერებდი. ამას არჩილ ჯორჯაძე ამბობს, ის არჩილ ჯორჯაძე, რომელიც თავისს ქადილისამებრ ადამიანის გულში კარგად ჩახედულია.” *(“გომართელის ფილოსოფია და არჩილ ჯორჯაძის ფსიხოლოგია”. 1902 წ.).*

“**აღარც** აცია, აღარც აცხელა.” (*“ოთარაანთ ქვრივი”. [1886] – 6 ქრისტეშობისთთვეს 1887 წელსა).*

“**აჩქარებული** კაცი ჰყოფილხარ, თოფის წამალსავით ჰფეთქავ. განა მე არ ვიცი, შე კაი კაცო, რომ მე და შენისთანა კაცს საოსტატო ფული არ ექნება?” *(გლახის ნაამბობი. 1859, 1862-1873 წწ.).*

“**აწინა** ერობა დაიშალის, მეძავ-მრუშობაი ჩამოვარდნის, ხარბობაი, ანგარი გვერივნის, ერთსულობაი დავარდნის, მტრობა-ბძარვაი გახშირდნის. აწინა ქვრივ-ობოლ ვინ განიკითხის, ატდომილ გააცინის, დაცემულ ვინ აღადგინის? აწინა არა არნ კაცნი და თუ არნ _ პირად და გულად ჯუღარ არნ. ერი დავარდნილ, გალახულ არნ. ვრდომილ-კრთომილ. წარხდა ქართველთა სახელი, ქართველთა წესთ-წყობაი. ადრიდა ჩვენობა იყვის. წარხდა, მოისრნა ქვეყანაი, რაია აწინა ჩვენი დარჩენა? ჭამად-სმად სასყიდვალ, ტყეი სასყიდვალ, გზაი სასყიდვალ, ლოცვა-კურთხევაი სასყიდვალ, სამართალ სასყიდვალ, რაიდ დარჩების ბეჩავი მახევე?..” *(“მგ ზავრის წერილები”. 1861 წ.).*

“**აწინა** ყაველნი ქართველნ ძმანები ვარნ. არ მტრობით ვისაუბრე კახთათვის. იგ უნდა შემესმინა, რომ ადრიდა სამსახურს თავვიდევდით, საჩუქარიც, ბოძებაც დიდ იყვის; სახელით, ვაჟკაცობით სარჩო-საბადებელთ მაშოვერ ვიყვენით, კაცი უბრალად არ წარხდის. აწინა ტყუობით, მეძავ-მრუშობით, ფიცთა გატეხვით, ერთურთ ღალატით სარჩო-საბადებელ საშოვერ გაგვიხდნის.” *(“მგ ზავრის წერილები ”. 1861 წ.).*

“**აწინა**?.. ერობა სადა არნ? რუსობაჩი ვარნ. აწინა ყველაი გაცუდდის, ყველაი გაუქმდის. სამების ძირჩი სოფელ გერგეთ არნ. იქაველ კაცთ მეფეთა შეუთქვეს სახტრის დარაჯობაი. მის სამაგიერ მეფეთა თარხნობა მიანიჭის სრულ სოფელს, გუჯარიც მიჰსცის საშვილიშვილოდ. ყვაველ ღამ აწინაც გერგეთიდ სამ-სამ კაც დარაჯად იგზავნების. გერგეთელნ აწინაც სახტრის დარაჯობას თავ-დებულობენ, მაგრამ რუსობაჩი თარხნობა გაუცუდდის, მეფეთ გუჯარს რუსობამ ყური არ ათხოვის. გერგეთი აწინა სხვავითა ბეგრობს. გაუქმდის ადრინდალ დაწყობაი, ხთის მათხოვნილ მადლითი ბჭობაიც სამებაჩი გადავარდის.” *(“მგ ზავრის წერილები”. 1861 წ.).*

“**ახალი** ცოცხია და კარგად ჰგვისო! ... დაძველდები და შენც მოატან ქვიშასაო.” *(“ოთარაანთ ქვრივი”. 1887 წ.).*

“**ახალის** კვირტი _ ძნელი დასანახავია. ამისათვის მეტად საღი, გამჭრე თვალი უნდა გონებისა.” *(“შინაური მიმოხილვა”. 1881 წ. მაისი).*

“**ახალო** წელიწადო, თუ რამ შეგიძლიან, თვალი აგვიხილე, ყურებიდამ ბამბა გამოგვაცალე, ფუტკრისაგან გვასწავლე დროთა შესაფერი სამამაცონი ზნენია.” *(“რა გითხრათ? რით გაგახაროთ?”. 1897 წ. 31 დეკემბერი).*

“**ახალს** წელიწადს მივეგებნეთ იმ ტკბილის იმედით, რომ თვალს აახელენ და საკუთარის მხნეობით თავისს თავის მორჩენას მოიწადინებენ და შეუდგებიან”. *(“თვითმოქმედებისათვის”. 1887 წ.).*

“**ახალსა** ნამუდრაგალსა ბერის სჯობია ჩანჩალიო.” (*“ოთარაანთ ქვრივი”. [1886] – 6 ქრისტეშობისთთვეს 1887 წელსა).*

ბ

“**ბაასი** ჭკუის საზრდოა”. *(“მგზავრის წერილები”. 1861 წ.).*

ბაირონი: - “ბაირონი უთარგმნია კაზლოვს, ნაწყვეტ-ნაწყვეტად და ერთი მთელი პოემაც ამისი, წოდებული “Абидойская невестка”, მაგრამ სად არის კაზლოვის თარგმანში ის მეხი სიტყვა, ის საკვირველი ძლიერი სული ბაირონის გენიისა!”

- “ბაირონმა ბევრი ტალანტები გაიტაცა: არა პოეტს თითქმის არ დაუბადნია მბაძვნი იმოდენა, რამოდენადაც დაჰბადა ბაირონმა ევროპაში და ნამეტნავად რუსეთში. თუმცა კი სატანის სხოლის თავადად უხმობდნენ თანამედროვენი ბაირონსა. რასაკვირველია, მისი მბაძავნი – ზოგნი სულ უნიჭონი იყვნენ, ზოგნი კი კარგა დიდ ტალანტისანი, რომელთანაც კაზლოვი ბუზად გამოჩნდება. თითონ პუშკინიც მთელ თავის გენიით ვერ გადაურჩა ემაგ ჭირსა; მთელი ერთი პერიოდი პუშკინის წერისა, “კავკასიის ტყვეობიდგან” დაწყებული “ევგენი ონეგინამდინ”, და თვით “ევგენი ონეგინიც”, თითქმის იყო ბაირონის გავლენის ქვეშა. ლერმონტოვიც ჰბაძავდა ბაირონსა, მთელ მის პოეზიას ეტყობა როგორც ზემოხსენებულს პერიოდს პუშკინისას, ბეჭედი მომხიბლავ ბაირონის გენიისა, თუმცა კი ლერმონტოვი, როგორც მბაძავი ბაირონისა, მაღლა დგას, თვით პუშკინზედაც. აი ეს უპირატესნი ვარსკვლავები რუსის ლიტერატურისა და, ამათ გარდა რამდენი სხვა პაწაწკინტელა პოეტები იყვნენ ბაირონის გავლენის ქვეშა!...”

- “ეს საზოგადო ჭირი იმ დროებისა ჩვენ კაზლოვსაც შეეყარა. მართლა და კაზლოვი არასდროს არა ყოფილა თავისუფალი მწერალი, ის არამც თუ იყო მარტო ბაირონის გავლენის ქვეშა, არამედ ბრმადა ჰბაძავდა. ასე რომ თავის საკუთარს ლექსებში ბაირონის თითქმის სიტყვებს და სურათებსა ჰხმარობდა. გაშინჯეთ, მაგალითად, მეცხრე გვერდი კაზლოვის “Чернец”-ისა, ჩაიკითხეთ ცამეტი სტრიქონი და შეადარეთ ბაირონის “მანფრედის სიტყვებთანა, როცა იგი ელაპარაკება წყლის ფეისა. როგორც “Чернец”, ისე “Наталия Долгорукая” -ეს ორივე პოემა კაზლოვისა – ბაირონის გავლენისანი არიან; ამ პოემებზედ ეტყობა, რომ კაზლოვი ცდილა ბაირონის გმირებისავით რაღაცის გამოხატვასა, მაგრამ სად შეეძლო კაზლოვის პაწაწინა ნიჭსა შთაებერნა კაზლოვის გმირებისათვის ის მორჭმული, მოუდრეკელი სული ბაირონის ხასიათებისა! განა მარტო სიბნელე მოთხრობისა, მწუხარება, წყევლა და ოი! უი! ოხ! უხ!” და ამაზედ უფრო უძლიერესნი შორისდებულნი შეჰქმნიან ბაირონსა?”

- “ბაირონის გმირები კაზლოვის ბერისავით არ კნავიან და ჩივიან, რათა ცოტა სიამოვნებით წასაკითხავნი და გრძნობით გამთბარნი. აი ის ლექსები, რომელნიც ჩვენ საუკეთესოდ მიგვაჩნია: “Вечерный звон”, რომელიც ერთ დროს პატივში იყო, ასე რომ ყოველი რუსის ცოტაოდენ განათლებულს სახლში მღეროდნენ ხოლმე, “На погребление англииского генерала Сира Джона Мура”, ესეც თავისი არ არის, ნათარგმნია; მაგრამ კარგი თარგმანიც სასარგებლოა; “Роман Дездемоны”

შექსპირიდან თარგმნილია. ამათ გარდა იქნება ორი თუ სამი ლექსი კიდევ გაჩვენოთ მთელი კაზლოვის თხზულებაში სასიამოვნონი, თორემ დანარჩენ ლექსებში, სუყველგან თითქმის დაძაბული, ე.ი. ძალად მოყვანილი გრძნობაა. ძალად მოყვანილი ცრემლი სასაცილოა, საზიზღარი და არა სამწუხარო დასანახავად".

- "კაზლოვი იყო კარამზინის სხოლის მწერალი. არამც თუ მარტო თავის ლექსებს კაზლოვმა შეჰყარა ჭირი იმ წირპლიან სხოლისა, არამედ სხვადასხვა პოეტებსაც, რომელთაცა სთარგმნიდა და რომელთაცა სული არ სცვიოდათ ძალად გაჭიმულ პაწაწინა გრძნობის უმარილო ცრემლით კარამზინსავით და მის მიმყოლი კაზლოვისავით". *("ორიოდე სიტყვა თავად რევაზ შალვას ძის ერისთავის კაზლოვის მიერ "შეშლილი"-ს თარგმანზედა". 1860 წ.).*

- "ერთგან კიდევ ბძანებს ჩვენი მწერალი ქალი, რომ „ჭავჭავაძეს ძალიან საკვირველად მიაჩნია, რომ არა გვყვანან შექსპირისავით, ბაირონსავით და სხვათა ევროპიის გამოჩენილ პოეტთა მზგავსნი". სულაც არა, თქვენმა მზემა! ეგ იმას უნდა მიაჩნდეს, ვინც ანბანის თეორეტიკის სწავლას ხელოვნების სწავლას ეძახის. ჩვენ ძალიან კარგად გვესმის დამოკიდებულება ხელოვნებისა, პოეზიისა ხალხთა ცხოვრებაზედ; ეგეც კარგად ვიცით, რომ მაგისთანა ობოლ მარგალიტებს ძალიან იშვიათად მოჰყრის ხოლმე მდინარე ცხოვრებისა. პოეტსა ხალხი დაჰბადავს და ხალხის ცხოვრება ძუძუს აწოვებს; ამ საფუძველით ამბობენ, პოეზია ხალხის ცხოვრების გამომთქმელიაო. ჯერ უნდა ხალხმა დაიმუშაოს თავისი სულიერი ბუნება, შეანძრიოს თავის უკვდავების ძარღვი, მოამზადოს მასალა თავის ცხოვრებითა და მერე თავისთავად, უთქვენ-ბძანებლოთ ძლიერი სული გენიისა ძლიერად გამოჰსცემს პასუხს ხალხის განვითარებასა. თუნდა რომ იყვნენ ეხლა ჩვენში ბაირონის თანასწორნი ნიჭნი, ეს ნიჭნი ბაირონის ოდენას თავის დღეში ვერ იქმოდნენ; ის ნიჭნი საზდოს ვერ იპოვიან ჩვენს ცხოვრებაში; დევს დევის ძუძუ გამოზდის და, თუ ჩვეულებრივ ადამიანის ძუძუთი გაიზარდა, ის დევი აღარ იქმნება, თუმცა კი არც ჩვეულებრივ ადამიანს ეგვანება. დიდს გენიას დიდი საზდოც უნდა მისცეს ჩვენმა ცხოვრებამა; იმ დრომდინ, დროთა ბრუნვის ძალითა, ჩვენ უნდა დავსჯერდეთ მას, რაც ეხლანდელ ჩვენ ცხოვრების კითხვაზედ აძლევენ პასუხს ნიჭიერნი ჩვენი მწერლები. ბაირონამდინ და შექსპირამდინ მე და თქვენ ბევრჯელ დავიქანცებით რითმების ბეჭვაში და მარხვების ტრაკტაციების ბღაჯნაში, მაგრამ მაინც კი ერთს ბეწვს სარგებლობას არ მივსცემთ მაგითი ჩვენს ლიტერატურას." *("პასუხი". 1861 წ.).*

"**ბალღამში** ამოვლებულს ჭეშმარიტებასაც ვაჟკაცური მოსმენა უნდა." *("ზოგიერთი რამ", 1866-1876 წ.).*

"**ბალღო**, რადა სტირიო? გამიდის და ვტირიო." *("ქვათა ღაღადი". 1899 წ.).*

"**ბატონის** კაცის შვილი მამისა კი არ არის, ბატონისაა." *("გლახის ნაამბობი". 1859, 1862-1873 წწ.).*

"**ბაქიობა**, კვეხნა, თავისის-თავის ქება და განდიდება უტყუარი ნიშანია იმისი, რომ ზემო სართულში ყველაფერი თავისს ადგილას არ არის დალაგებული. თავისის-თავის მაქებარი შორს მანძილს ვერ გაივლის, მალე ჩააკეცინებენ მუხლსა, როცა დაუფიქრდებიან და შეატყობენ, რომ შიგ არა ყრია-რა". *("უმეცრობის ფართი-ფურთი". 1900 წ.).*

"**ბედი** მომეცი და სანეხვეზედ გადამაგდეო!" *("კაცია ადამიანი?!" 1858-63 წ.).*

ბედნიერება: - "ისიც კარგია, ჩემო პირუტყვო, რომ იქა ჰკვდები, სადაც დაიბადე. ჩვენ, კაცები, ხანდისხან მაგ ბედნიერებასაც მოკლებულნი ვართ." *("გლახის ნაამბობი". 1859, 1862-1873 წწ.).*

- "ყოველი კაცი თავისდაგვარად ეტრფის სიცოცხლესა, თავისდაგვარად ბედნიერია. ისინიც ამ სახით ბედნიერნი იყვნენ, რადგანაც კმაყოფილნი იყვნენ თავის ცხოვრებისა და თვით ბედნიერებაც რა არის, თუ არა ხანგრძელი გრძნობა დაკმაყოფილებულ გულისა." ("*კოლა". 1858 წ.).*

- "მართალია, დღეს ადამიანი ერთობ, ღარიბია თუ მდიდარი, _ უფრო უკეთ არის მოწყობილი, უფრო მეტად მოსახერხებელია მისთვის წასვლა-წამოსვლა, ქვეყნიერობასთან გამოხმაურება, ქვეყნიერობასთან ურთიერთობის გაწევა; დღეს ადამიანი უფრო უკეთ იცვამს, იხურავს, უკეთ სჭამს და სვამს, მაგრამ ბედნიერება კი შორს არის. დღეს ღარიბსა და მდიდარს შორის, ძლიერსა და უძლურს შორის უფრო დიდი ზღვარი არის, ვიდრე ოდესმე ყოფილა, და აქ არის იგი სიმწვავე იმ ტკივილისა, რომლის მორჩენაც მეცხრამეტე საუკუნემ უანდერძა აწ მომავალს საუკუნეს." *("მეცხრამეტე საუკუნე". 1899 წ.).*

- "მეცნიერება, ადამიანის გონების წინსვლა, ზნეობის აღმატება, _ ჯერ ბევრს სხვას კიდევ ძლევამოსილობით მოიქმედებს." *("მეცხრამეტე საუკუნე". 1899 წ.).*

- "დიდ-ბუნებოვანობა კაცისა იმოდენად მაღალ-ხარისხოვანია რამოდენადაც "არ-ცოდვის" საზღვარი უკან შორს დაუგდია და "მადლის" საზღვარს მიახლოებია. ამ-გზით წაჭარბებული მანძილი ერთად-ერთი საზომია დიდბუნებოვანის კაცისა, ესე იგი იმისთანა კაცისა, რომელსაც ყველა, დიდი და პატარა, თავისიანად ჰხადის, თავისიანსავით შეჰხარის, თავისიანსავით ჰგლოვობს". *("დიმიტრი ყიფიანი", 1887 წ. 30 ოქტომბერი).*

- "რომ მე მართლა-და ჭეშმარიტად ბედნიერი ვიყო, საჭიროა ყველა სხვა სულიერნიც ბედნიერნი იყვნენო", _ ამბობს ერთი მეცნიერი. მადლის მოედანი და სარბიელი ეს არის. ყოველი კაცი ბედნიერებისათვის იღწვის, მაგრამ ყოველს კაცს მიჩნეული არა აქვს თავის საკუთარ ბედნიერებად სხვისი ბედნიერება, ანუ, უკეთ ვსთქვათ, თავისი საკუთარი ბედნიერება სხვის ბედნიერებასთან განუყოფელად ყოველს კაცს ვერ გაუერთებია". *("დიმიტრი ყიფიანი". 1887 წ. 30 ოქტომბერი).*

- "ამ გაერთიანებისათვის დიდის ხიდის გადებაა საჭირო და ამას დიდი ღონე უნდა სულისა, დიდი შეძლება გულისა, და ყველა კაცს არ მოეკითხება. ვისაც-კი ეგ ღონე და შეძლება აქვს, იგი მით ნაწილია ყველასი, _ ჩემიც, თქვენიც და სხვისაც, იმიტომ რომ, იგი ჩემს, თქვენს და სხვის ბედნიერებაში ეძებს მხოლოდ და ჰპოულობს თავის საკუთარ ბედნიერებას და, მაშასადამე, იმისი ბედნიერება თუ უბედურობა _ ჩემი, თქვენი და სხვისი ბედნიერება და უბედურობა უნდა იყოს.

- ეს ისეთი ძნელი გასადები ხიდია, ეს ისეთი მძიმე და ეკლიანი გზაა, რომ თვითოეული ბიჯი ღვაწლია და მსხვერპლი, და რადგანაც ღვაწლია, რადგანაც მსხვერპლია, ამიტომაც მადლია, და რადგანაც მადლია, ამიტომაც გულთა მიმზიდველია, გამმსჭვალავია გაოცებამდე, გაკვირვებამდე. ამისთანა კაცი მზესა ჰგავს, რომელსაც ბრმაც-კი ჰგრძნობს, თუმცა არა ჰხედავს.

- როცა ამისთანა კაცი სამუდამოდ მიდის, თითქო ჩემი და თქვენი წილად-ხდომილი სინათლე მზისა თან მიაქვსო, თითქო თვითეული ჩვენგანი გრძნობს, რომ თან ჩემი, თქვენი ნაწილი, ჩემი, თქვენი ბედნიერება წაიღო, თითქო ვგრძნობთ, რომ

ამისთანა კაცთან ერთად ჩვენს საკუთარს ბედნიერებასაც ვკარგავთ, და ამის შემდეგ რაღა საკვირველია, რომ მივტირით ამ დაკარგულს ბედნიერებასა". *("დიმიტრი ყიფიანი". 1887 წ. 30 ოქტომბერი).*

- "მთელმა თაობამ მეცხრამეტე საუკუნისამ ამას შეალია თავისი პატიოსანი ძალ-ღონე, თავისი სისხლი და ხორცი, თავისი ნიჭი საქმისა და მეტყველებისა. აწ განსვენებულმა ჩვენმა მწერალმა ვახტანგ ორბელიანმა მთელის თავისის მხურვალე გულისძგერით აღთქმად დასდვა, ანდერძად დაგვიტოვა, რომ ძმობა და ერთობა კლდეა და ამაზედ ააშენეთ თქვენი ბედნიერებაო, ამაშია ჩვენი იმედი, ჩვენი სასოება". *("ასი წლის თავი ერეკლე მეფის გარდაცვალებიდან". 1898 წ. 12 იანვარი).*

- "იცოდეთ მომავალში სიყვარულისა და ერთგულების მეტს ვერაფერს შემოგთავაზებთ. მართალია, ადამიანები ამ ორი რამითაც არიან ბედნიერნი, მეცა მჯერა, რომ შესაძლებელია ასეთი ბედნიერება, მაგრამ, მითხარით, თქვენ თუ გჯერათ ასევე?" *("წერილები ილია ჭავჭავაძისა ოლღა თადეოზის ასულ გურამიშვილისადმი". 1863 წ. 26 იანვარი).*

- "რა არის სიმდიდრე? სიმდიდრე კარგი რამეა, ჩემო კარგო, მე მის საწინააღმდეგოდ რა მეთქმის, მაგრამ ის მაინც არ არის საჭირო პირობა ბედნიერებისა: უიმისოდ ბედნიერება კარგადა გრძნობს თავს და იგრძნობს კიდეც, თუკი ჩვენ ვიქნებით ისეთი ადამიანები, რომლებიც უპირველესად თავიანთი ზნეობრივი მხარის დაკმაყოფილებას ესწრაფვიან. _ თუ ასე არ არის, უმჯობესია ახლავე დავშორდეთ, რომ შემდეგ ერთმანეთს არასოდეს აღარ შევხვდეთ". *("წერილები ილია ჭავჭავაძისა ოლღა თადეოზის ასულ გურამიშვილისადმი". 1863 წ. 26 თებერვალი).*

- "ადამიანები ხომ კმაყოფილებაში ხედავენ ბედნიერებას". *("წერილები ილია ჭავჭავაძისა ოლღა თადეოზის ასულ გურამიშვილისადმი". 1863 წ. 22 მარტი).*

- "ბედნიერება, იცი, როდის არის ძვირფასი? როცა მას ბრძოლით ჰპოვებ, ტანჯვით იყიდი, როგორც პოეტები ამბობენ ხოლმე. გამარჯვება წინააღმდეგობის გარეშე გამარჯვება არ არისო, ასე ამბობენ მხედართმთავრები. ჩვენც ხომ გვიხდება პატარ-პატარა წინააღმდეგობების დაძლევა, დავძლიოთ კიდევ, ჩემო მეგობარო! ღმერთმა იმიტომ მოგვცა გრძნობები, რომ იმით ჩვენი სიცოცხლე გავითბოთ, რომ მისთვის ვიბრძოლოთ და გავიმარჯვოთ. ეს ბრძოლა, როგორც უნდა დასრულდეს, მაინც ადამიანისათვის ღირსების მიმნიჭებელია და თვით დამარცხების დროსაც სასახელოა". *("წერილები ილია ჭავჭავაძისა ოლღა თადეოზის ასულ გურამიშვილისადმი". 1863 წ. 22 მარტი).*

- "ნეტავი ამ მარტში მაინც მოვიგოთ ოცი ათასი თუმანი, რომ ყველანი დავბედნიერდეთ. მაშინვე ამერიკაში წავალთ მე და შენ და ვნახავთ ქვეყნის სიკეთესა იქ მაინც". *("წერილები ილია ჭავჭავაძისა ოლღა თადეოზის ასულ გურამიშვილისადმი". 1873 წ. 1 თებერვალი).*

- "საკვირველი რამ არის ადამიანი, რა ცოტა ჰსდომებია კაცს, რომ სრულიად ბედნიერად იცნოს თავისთავი". *("წერილები ილია ჭავჭავაძისა ოლღა თადეოზის ასულ გურამიშვილისადმი". 1873 წ. 11 მაისი).*

- "ამ დღეებში "ვიიგრიშების" ლატარია იქნება. წარმოიდგინე ერთი ბილეთი ვიყიდე და დიდი იმედი მაქვს თუ ოცი ათასი არა, შვიდი ათასი თუმანი მაინც მოვიგო. მაშინ ჩემს საყვარელ კუკლუშკას მივწერ, რომ პეტერბურგისაკენ გამოფრინდეს. ნეტავი, შენის სიცოცხლით, მოვიგო. მაშინ უყურე ჩვენი ყოფა! საუკუნოდ ბედნიერნი ვიქნებით მით, რომ მრავალი კეთილი საქმის შესრულება

შეგვეძლება. ღმერთი მართლა რომ გულთამხილავი და ყოვლად შემძლები იყოს, სწორედ მე უნდა მომაგებინოს ოცი ათასი თუმანი. რამდენს კეთილს დავსთესდით!.. მაგრამ... ეჰ, რაც იქნება იყოს. ნატვრა ხშირი _ გულის და ქეიფის დასუსტებას მოასწავებს. ნატვრითაც ბევრი გვინატრია და არა გამოსულა რა. რო გამოვიდეს? შენ მაშინ რას იტყვი". *("წერილები ილია ჭავჭავაძისა ოლღა თადეოზის ასულ გურამიშვილისადმი". 1873 წ. 19 დეკემბერი).*

- "ჩვენ არ გვესმის ის მარტივი ჭეშმარიტება, რომ ჩვენი საკუთარი კეთილდღეობა ჩვენის მეზობლის კეთლდღეობაზეა დამყარებული; რომ მეზობლის უბედურებაზე ჩვენი ბედნიერება ვერ დაფუძნდება, ვერ აშენდება. დიდი ხანია დავიწყებული და განკიცხულია ის მოძღვრება, რომელიც საქვეყნოდ გაიძახოდა: "Homo homini lupus", კაცი კაცისათვის მგელიაო... ამ მოძღვრებამ საზოგადოებას სიკეთე და ბედნიერება ვერ შესძინა. დღეს, პირიქით, სულ სხვა ქვაკუთხედს უდებენ ადამიანის ცხოვრების აგებულებას: ხელი მიეც შენს მეზობელს, შეერთდით, ერთად იმუშავეთ, თუ გინდათ ქვეყანაში რიგიანად იცხოვროთო." *("შავი-ქვის მრეწველობის მიმდინარე საქმეებზე". 1886 წ. 15 ოქტომბერი).*

- "ეხლა ცალკე კაცია, თუ ცალკე წოდება, მარტო ამას უნდა იძახდეს და მარტო ამისათვის უნდა ერჯოდეს გული, რომ თუ სხვანი კარგად არიან, მეც კარგად ვიქნებიო. ვინც დღეს ამას ივიწყებს, ის ივიწყებს საკუთარ თავსა, საკუთარს ბედნიერებას სულიერსა და ხორციელს." *("წოდებათა თანასწორობა". 1888 წ. 2 ნოემბერი).*

- "ჩვენდა სამწუხაროდ, ჩვენი თავად-აზნაურობა ჯერ ამ მოძღვრებას ვერ მისწვდომია და, როგორც ერთი ცალკე წოდება ჩვენის ერისა, ხშირად ცალკე იწევს და ცალკე ითლის. ჩვენ-კი ვიტყვით, რომ მისი დღეგრძელობა, კეთილდღეობა, ბედნიერება, სახელი და დიდება სწორედ და მთლად იმაშია, რომ ეს მოძღვრება გულში ჩაიჭდიოს და ერთს წუთსაც გონებიდამ არ მოიშოროს, რომ თუ სხვანი კარგად იქნებიან, მარტო მაშინ იგიც კარგად იქნება. ჭეშმარიტსა და საბოლოო წარმატების სათავე აქა აქვს და თუ ჩვენი თავად-აზნაურობა ყოველს თავის მეცადინეობას და მოქმედებას ამ მოძღვრებას შეუფერებს და ქვეშ დაუყენებს, სასახელო მიზეზს თავის არსებობისასაც აქ იპოვის. ეხლანდელს დროში მხოლობითი გზა წარმატებისა თავად-აზნაურობისათვის ის არის, რომ ყველას ერთად, გამოურჩევლად, გამოუკლებლივ, მოზიარე ექმნას ჭირსა და ლხინში და თავისი ქონებრივი და გონებრივი ღონე არ შეალიოს ამაო ცდას, რომ ცალკე ვიყო და ცალკე ვბედნიერობდეო". *("წოდებათა თანასწორობა". 1888 წ. 2 ნოემბერი).*

- "ეს ცალკე ყოფნა და ცალკე ბედნიერება შეუძლებელია და ამიტომაც ამაოა ამისათვის ცდაცა. არც ერთს თავად-აზნაურობას საბოლოვოდ თავი არ დაუჭერია არსად, საცა-კი ამ ცალკე ყოფნასა და ცალკე ბედნიერებას გაჰყოლია". *("წოდებათა თანასწორობა". 1888 წ. 2 ნოემბერი).*

- "ყველამ ერთად და თვითეულმა ცალკე უნდა იცოდნენ, რომ იგი განუყოფელი ნაწილია მთელის ერისა და ამიტომაც თავის კეთილდღეობას უნდა ეძებდეს მარტო მთელის ერის კეთილდღეობაში და არა ცალკე. არა გონიერმა კაცმა, რა წოდებისაც გინდ იყოს, ეს არ უნდა დაივიწყოს, თუ უნდა თავისი სიკეთე მკვიდრს საფუძველზე დაამყაროს". *("წოდებათა თანასწორობა". 1888 წ. 2 ნოემბერი).*

- "ყოველივე წყობილება, რომლის ძალითაც მოქმედობს მთელი კაცობრიობა, იმიტომ არის შემოღებული, რომ ადამიანი, რამოდენადაც შესაძლოა, ბედნიერი იყოს." *("შინაური მიმოხილვა". 1882 წ. ივნისი).*

- "ღმერთო, გვისმინე ეს ვედრება, ეს ნატვრა, მოგვეც ძალ-ღონე საქმის ქმნისა, და ჩვენი მარჯვენა, ჩვენი ჭკუა და გონება, ჩვენი გული მოგვახმარებინე ჩვენის ქვეყნის გასაღონიერებლად, გასაძლიერებლად. ღმერთო, მოუმართე ხელი ყოველ იმას, ვინც თავის საკუთარ ბედნიერებად ჰხადის მთელის ქართველობის ბედნიერებას და ამ პატიოსან ხადილით განდიდებული და გაძლიერებული გამოვა სამოქმედო მოედანზე და თავგანწირულობით მხნედ მებრძოლი საქმის ბურთს გაიტანს მოედნიდამა ასე თუ ისე, და ნავალი გზა, მისგან თელილი, ბრწყინვალე კვალს დასტოვებს შემდეგთა სამაგალითოდ და მადლობით მოსახსენებლად." *("შინაური მიმოხილვა 1892 წლისა". 1893 წ. 1 იანვარი).*

"**ბევრი** გველი მინახავს, ჯერ გულში ჩასძვრენოდეს და მერე კი დაეშხამოს." *("გლახის ნაამბობი". 1859, 1862-1873 წწ.).*

"**ბევრის** მდომელსა ცოტაც დაეკარგებაო." *("შინაური მიმოხილვა". 1879 წ. ივლისი-აგვისტო).*

"**ბევრს** ჩვენისთანა უსაქმურებს, ყველაფერზედ გულაცრუებულებს და ყველაფერზედ გულგრილებს, რა საქმეები უნდა მოეკითხოს? მთელს აგებულებას თითქო სიდამბლე დამართნიაო, ვართ და ვსჭამთ მხოლოდ, ესეც იმ დრომდე, ვიდრე საცოხნელი არ გამოგველევა ხელიდამ არ გამოგვეცლება ჩვენის უთაურობით. თუ ოდესმე ან გული შეგვივარდება რაზედმე, ან ხელს გავანძრევთ როგორმე, ეგეც მარტო იმისათვის მოხდება ხოლმე, რომ ჩვენს მოძმეს გზა გადავუღობოთ, ორმო გავუთხაროთ და კლდეზედ გადავჩეხოთ სადმე. შური, ერთმანეთის მტრობა, გაუტანლობა, ბეზღობა, ენამიტანიობა, ერთმანეთის ლანძღვა და თრევა, ადამიანის ღირსების უარყოფა, - ამისთანა თვისების პატრონებს რა საქმეები უნდა მოეკითხოს? რა საქმეები უნდა გამოუვიდეს ხელიდამ? ცხოვრება, რომელსაც ამისთანა ჭირი ჰრღნის, ამისთანა ჭია შესჯდომია და ძირს უთხრის, რის მომავლინებელი უნდა იყოს, თუ არ იმისა, რომლის არამცთუ დანახვა, წარმოდგენაც კი საზიზღარია და შესაჩვენებელი" *("შინაურ საქმეთა" გამო. 1886 წ.).*

"**ბერი** კაცი ვარ, ნუ მომკლავ, ყველა დაგიწყებს გმობასა, სადაც კი შემოგეყრები, გეტყვი შვილსა და ძმობასა." ("*კოლა". 1858 წ.).*

"**ბიწს** ურცხვობისას საზღვარი არა აქვს. რაკი ერთხელ კაცმა ურცხვობისათვის პირი გაიხია, იმას აღარა დააყენებს-რა, თუნდა ათასი ალაყი გაუკეთო და ათასი ნალი გამოაბა. ნუ გგონიათ – კი, რომ ურცხვობა უღონო იყოს. არა იგი ძლიერია მარტო იმით, რომ ურცხვობაა, და რაკი ურცხვობაა, იმის ხელთ ბარაქიანი ტყუილიც არის, ზორბა უნამუსობაც, სამარცხვინო სულელობაც, საზიზღარი ცილისწამებაც, ერთის სიტყვით – ყოველივე თავს-ლაფგადასხმული უწმინდურობა ადამიანისა" *("ისევ გაზეთ "კავკაზის" გამოლაშქრების გამო". 1888 წ.).*

"**ბოდიში** ძნელად თუ მოარჩენს მოგრეხილს კისერსა და არც მოტეხილ ფეხისათვის არის უებარი წამალი"." (*"კაცია ადამიანი?!" 1858-63 წ.).*

"**ბოროტების** აღვიარება ნახევარი გასწორებაა." *("ორიოდე სიტყვა თავად რევაზ შალვას ძის ერისთავის კაზლოვის მიერ "შეშლილი"-ს თარგმანზედა". 1860 წ. 5 ნოემბერი).*

"**ბრალიანი** კაცი ყველაფერს აიტანს, რაც უნდა სატანჯველი იყოს. ვაი იმას, ვინც უბრალოა!.. მაშინ... უჰ, მაშინ... ღმერთმა დაიფაროს ყოველი ქრისტიანი და ყველა

ადამიანის შვილი... როგორც ცოფიანი ძაღლი, თავს შეიჭამს უბრალოდ სატანჯველს მიცემული კაცი. ვისაც არ გამოუცდია ეს დღე, იმან არ იცის, რა მწვავეა. ღმერთმა ნურვის გამოაცდევინოს." *("გლახის ნაამბობი". 1859, 1862-1873 წწ.).*

"**ბრძანე**: შენი ხმალი და ჩემი კისერი." (*"ოთარაანთ ქვრივი". [1886] – 6 ქრისტეშობისთთვეს 1887 წელსა).*

"**ბუისგან** ნუ გამოელი ბოლო-კარკაზის ბუდესა". *("ქვათა ღაღადი". 1899 წ.).*

"**ბუნებასა** და თითოეულ კაცს გარდა, არის კიდევ საზოგადოება და კაცობრიობა." *("სფირიდონის და თადეოზის ბაასი". 1861 წ.).*

"**ბუნებაში** ღმერთს არ შეუქმნია მაღალი და მდაბალი საგანი ყოველი მაღალია თვის კვალობაზე და ერთნაირად მოგვითხრობს იმ დიდ სულზედ, რომელიც აცხოვრებს მთელს ქვეყანასა". *("სარდიონ მესხიევის კრიტიკის გამო". 1861 წ.).*

გ

"**გაბრიელი** მართალია ღარიბი ბიჭია, მაგრამ გლეხკაცი ღარიბობით არ დაიწვნება. ქვეყანა ღონიერია, მარტო ერთი მკლავის გაქნევა უნდა, თავს ყველა დაირჩენს". *("გლახის ნაამბობი". 1859/1862 – 1873 წ.).*

"**გაგონილს** თვალით ნახული სჯობია. დეე რაც ყურით გაუგონიათ, თვალითაც ნახონ." *("ოთარაანთ ქვრივი". 1887 წ.).*

"**გადავიხედე** ღობის იქით, - ჩემი თამრო მისჯდომოდა გეჯას და ბაღჩის წყლის პირას სარეცხსა ჰრეცხავდა. ვაი, რა ლამაზი იყო იმ მშვენიერს დილას ის ლამაზი ქალი! არ ვიცი, დილა იმას ამშვენებდა თუ, ის დილასა" *("გლახის ნაამბობი". 1859/1862 – 1873 წ.).*

"**გავიქცევი** _ ქარიანი მქვიან და დავდგები _ ლაჯიანიო. მოდი და ენდე ამ წუთისოფელსა." *("შინაური მიმოხილვა". 1881 წ. მარტი).*

„**გათენდა** და გაიხმაურა ქვეყანამ ადამიანის ხმითა. დღემ დაიწყო თავისი დაუდეგარი ფაციფუცი. კარგია გაღვიძებული ადამიანი!.. მაგრამ უფრო უკეთესია ადამიანი, რომელსაც ძილშიაც არა სძინავს, ქვეყნის უბედურებით გულაღტყინებულსა." *("მგზავრის წერილები". 1861 წ.).*

"**განა** აქვს კი ცრემლი ცეცხლმოკიდებულ გულსა?! *("ოთარაანთ ქვრივი". [1886] – 6 ქრისტეშობისთთვეს 1887 წელსა).*

"**განა** არ შეიძლება თქმაშიაც ოსტატობა იყოს? განა არ შეიძლება ფიცი იყოს და ბოლო-კი გვაკვირვებდეს? ძაღლსა სცემდენ და რძალს ასმენდენ." "Письма о Грузии"-ს ავტორი გადაჰკიდებია რუსთაველს, ჰლამის ვირზედ პირუკუღმა შესოს და კუდი ხელში დააჭერინოს. *("Новое обозрение"-ს წერილის გამო". 1889 წ.).*

"**განა** ცოტა მაგალითებია მსოფლიო ისტორიაში, რომ "ხელი-ხელ საგოგმანებლად" გაეხადნოთ უშვერი და ულაზათო რამ? *("Новое обозрение"-ს წერილის გამო". 1889 წ.).*

"**განა** საკადრისია სალიტერატურო ორგანოსათვის ბულვარის სულელობა აიღოს და თავზე მოახვიოს მთელს ინტელიგენციას, მთელს ქართველთა საზოგადოებას და ამისათვის სამარცხვინო ბოძზე გააკრას ერთიცა და მეორეც. *("Новое обозрение"-ს წერილის გამო". 1889 წ.).*

"**განა** არ იკითხავენ: თუ აქ ცეცხლი არ არის წაკიდებული, ეს ბოლი საიდამ გაჩნდაო". *("წერილი სოფრომ მგალობლიშვილისადმი". 1887 წ. 9 ივლისი).*

“**განა** ცოტა ბრძენია ქვეყანაზე, რომელსაც ჰგონია, რომ თავია ქუდისათვის გაჩენილი და არა ქუდი თავისათვის?” *(“ძველი და ახალი ჩვენი ეკონომიური ცხოვრებისა”. 1897 წ. 20 დეკემბერი).*

“**განა** არ იცით, რომ თუ სადმე სანთელ-საკმეველია, თავისს გზას არ დაჰკარგავს, ბევრიც რომ შორიდან უბეროთ!” *(“ქვათა ღაღადი”. 1899 წ.).*

“**განა** ახალი ამბავია, რომ ყოველი მსგავსი მსგავსსა ჰშობს.” *(“შინაური მიმოხილვა”. 1883 წ. ნოემბერი).*

“**განა** თითონ ქრისტე-ღმერთსა / გადარჩენა არ ძალ ედვა, / არ ინება და ქვეყნისთვის / ღმერთი იყო და ჯვარს ეცვა”. *(“მეფე დიმიტრი თავდადებული”. 1878 წ.).*

“**განა** ადამიანთა საზოგადოების კრებულისათვის ამისთანა ყოფა-ცხოვრება, ამისთანა ურთიერთობა (უკანონოდ შობილთა შვილის დედ-მამის მიმართ წყრომით და განკითხვით ყურება) შესაწყნარებელია და საკადრისი? ცოდვა დედ-მამისა ამ შემთხვევაში მოსაწონებელი რასაკვირველია არ არის, ცოდვას ცოდვის სახელი უნდა ერქვას, მაგრამ მადლია ადამიანი ადამიანს ოდეს ისე მოექცეს, რომ უბედურება დაუნელოს, სიმწარე დაუტკბოს, უნუგეშოს ნუგეში მიაწოდოს და მაინცდამაინც ცოდვილი იქამდე არ მიიყვანოს, რომ იძულებული ჰქმნას ან თავი მოიკლას, ან თვისი ნაშობი წყალს მისცეს. ადამიანურმა გულმტკივნეულობამ. რომ ერთი ამისთანა ცოდვილიც შეიწყნაროს და ბოროტს გადაარჩინოს, ისიც დიდი მადლი იქნება. მადლია მამისთვის, მადლია დედისთვის, მადლია სრულად უცოდველი ბავშვისათვის, რომელსაც ხშირად შობის უმალვე სიკვდილი, ან ქუჩაში გადაგდება მოელის, მარტო იმისთვის, რომ დედ-მამანი შესცდნენ, უკანონოდ ჰშობეს და ჩვენს სირცხვილს შეუშინდნენ.

- თუნდ ესეც არ იყოს, აბა იფიქრეთ: რა ტანჯვა-წამებაში უნდა იყვნენ, რა ცეცხლში უნდა იწვოდნენ ან დედა, ან მამა, თუ ადამიანობა არ დახშვიათ, როცა სირცხვილისა და შერცხვენის შიშის გამო ან თავისს თავს იმეტებენ სასიკვდილოდ, ან თავისს სისხლ-ხორცს შვილსა მაშინ, როდესაც ბუნება ეუბნება: აი შვილი და გაიხარეთო. სასჯელი განა ერთი ათასად არ აღემატება ცოდვას!... განა სამართალია, ადამიანმა ადამიანი იმ გახურებულ თონეში ჩააყენოს! განა ცოტა მაგალითია, რომ ეს ასე მომხდარა! სისხლის სამართლის მატიანე სავსეა ამისთანა მაგალითებით და რამდენს სხვას კიდევ ამისთანა ამბავს ჩაუვლია ისე, რომ სამართლის კარამდე არც-კი მიუღწევია.

- ესეთი კაცთაშორისი უსამართლო, უმადლო და ულმობელი ურთიერთობა, რასაკვირველია, ოდესმე თავის დროსა და ჟამს მოიჭამს და მარტო ისტორიაშიღა თუ დარჩება კაცობრიობის არა-სასახელო სახსოვრად, ვითარცა საწყაო ჩვენის ეხლანდელის გულის სიკეთისა და საზომი ჩვენის ჭკუა-გონების თვალთა მოკლედ ხედვისა” *(“უკანონოდ-შობილთა უფლება”. 1898 წ.).*

“**განათლებულს**, მაღალზნეობის კაცს მართლად შენიშნული წუნი უფრო ნაკლებ ეთაკილება, ვიდრე ტყუილი ქება-დიდება; გაუნათლებელს სულმოკლეობას კი პირიქით, სულ სხვა მადა აქვს ამაყობისათვის” *(“ქართული თეატრი”. 1886 წ.).*

განათლება: - “რაც ხალხი უფრო ნაკლებ განათლებულია, მით უფრო ცოტა სიტყვა აქვს თავის ენაშია. ანგლიაში ერთ პასტორს გამოუკვლევია, რომ ანგლიის გლეხი – თუ ხსოვნამ არ მიღალატა – თავის გრძნობის, საჭიროების, აზრის გამოსათქმელად მარტო 3.000 სიტყვას ხმარობსო. დარწმუნებული ვარ, რომ 3.000 აზრის მეტი იმის

გონებაში არ არის, იმიტომ რომ ყოველი სიტყვა აზრის წარმომადგენელია; თუ მეტია – მეტი აზრიც ექნებოდა. ფილოსოფოსი ხმარობსო 10.000 სიტყვას; ჰსჩანს, რაც აზრი მეტია, სიტყვაც მეტია. შექსპირი კიო, – ამბობს იგივე, – შექსპირი, რომლის მსგავსი მწერალი ჯერ არ ყოფილა, ხმარობდაო 15.000 სიტყვასა. რაც ერთზედ ითქმის, ის მთელ ხალხეზდ ითქმის. მე დარწმუნებული ვარ, რომ ერთობ ჩვენი ხალხი ანგლიის ხალხზე უფრო ცოტა სიტყვით იოლად მიდის, იმიტომ რომ ისინი ჩვენზედ განათლებულები არიან: მეტი საჭიროება, მეტი გრძნობა, ერთის სიტყვით – მეტი აზრი აქვსთ და, რასაკვირველია, იმ აზრების გამომთქმელს მეტი სიტყვაც უნდა ჰქონდეს. თუ ხალხი ცხოვრობს, განვითარებაში არის, ე. ი. აზრიანობა, გამსჯელობა ემატება, სიტყვაც მოემატება, ენაც გაუმდიდრდება. ვინც იძახის, ნუ იხმარებთ ახალს სიტყვებსაო, იმან არ იცის, რას ამბობს. ის ამით ამბობს, რომ აზრს ნუ გვმატებთო, გონებას მხედველობას ნუ უვრცელებთო, წინ ფეხს ნუ გვადგმევინებთო, ერთი სიტყვით – კაცნი კაცობას ნუ ჩემობთო." *("ხელოვნება და მეცნიერება". 1862-3 წ.).*

"**გარედამ** მტერს უყენებს თვალსა და შიგნიდამ მოყვარესა" *("მილიტარობა ევროპაში" 1839 წ. 16 იანვარი).*

"**გაუყრელს** ვერავინ ვერ გაჰყრის." (*"გლეხთა განთავისუფლების პირველდროების სცენები". 1865 წ.).*

"**გაცოცხლა** ღმერთმა, თქმაც იცი და კეთებაც." (*"ოთარაანთ ქვრივი". [1886] – 6 ქრისტეშობისთთვეს 1887 წელსა).*

"**გაჭირვება** რას მიქვიან! სურვილია, იღბალია... ჯერ დაუდუღარი მაჭარია და ბუყბუყებს. დაუდუღარს მაჭარს სარქველი არ დაეხურება, ჭურჭელს გაჰხეთქს. დეე, თავის ნებაზედ იყოს. მე არ ვუშლი, რაკი თვითონ არ იშლის." (*"ოთარაანთ ქვრივი". [1886] – 6 ქრისტეშობისთთვეს 1887 წელსა).*

"**გაჭირვება** მიჩვენე, მე გაქცევას გიჩვენებო." *("აი ისტორია". 1889 წ.).*

"**გაჰტყდა** ეს რკინის დედაკაციცაო, _ ამბობდნენ ზოგიერთნი, _ ეს ფესვმაგარი ხეც წამოიქცაო." (*"ოთარაანთ ქვრივი". [1886] – 6 ქრისტეშობისთთვეს 1887 წელსა).*

გენიოსი: - "დიდს გენიას დიდი საზრდოც უნდა მისცეს ჩვენმა ცხოვრებამა." *("პასუხი". 1861 წ. 14 მაისი).*

- "ცხოვრების ტალღა მეტად ძლიერია და ჩვეულებრივი კაცი მეტად სუსტი, რომ თან არ წაიყოლიოს იმ ტალღამ. მარტო გენიოსის მკერდი თუ გააპობს და შემუსრავს მას, თორემ სხვისთვის ძნელია. შორმხედველობა, დროებაზედ უფლობა მარტო გენიოსის საქმეა. ის თავის თამამს სვლაში შემოიბღერტავს ხოლმე დროების მტვერსა, რომელიც ჩვენისთანა კაცსა უფარავს საგნის მნიშვნელობასა, გულ-უშიშრად მიდის წინ, როგორც ბელადი წინ მიუძღვის ხალხსა და უნათებს თავის ჭკუის სხივებით გზასა." *("საქართველოს მოამბეზედ". 1862 წ.).*

- "ნურავინ ნუ იფიქრებს, რომ ჩვენ ამითი ვამბობდეთ, ვითომც გენიოსი ციდამ იყოს ჩამოსული. ისიც ისეთივე ნაყოფია თავის დროებისა, როგორც სხვანი, მხოლოდ ეგ ნაყოფი სრულია, დამწიფებულია. ის თავის ძლიერ მხრებით ამოიტანს, ამოზიდავს ხოლმე მას, რაც თითონ ცხოვრებაშია, ე.ი. ცხოვრების შიგ-მდებარებასა; მასში არის მთელი აწმყო თავის დროებისა და თესლიც მომავალისა." *("საქართველოს მოამბეზედ". 1862 წ.).*

- "არც ერთი გენიოსი ჩვენ ახალს არას გვეტყვის, ის მხოლოდ გვიხსნის მას, რაც თითონ ცხოვრებას ამოურიყავს თავის მდინარეობაში, რაც თავის დაუდგრომელ დუღილში ამოუგდია ზედაპირზედა, _ ამიტომაც ხანდისხან ამას უფრო იქნება დაეტყოს თავისი დროების ნიშანი ყველაფრისა: ცუდისა, თუ კარგისა, ვიდრე მას,

ვინც დაიბადება ხოლმე მარტო იმისათვის, რომ უხეიროდ მოკვდეს." *("საქართველოს მოამბეზედ". 1862 წ.).*

- "საძირკველის ამოყვანაა ძნელი, თორემ სხვას ისინიც გააკეთებენ. საძირკველის ამომყვანელიც არ დაიგვიანებს ხოლმე მოსვლას. მაშინ გამოჩნდება გენიოსი." *("საქართველოს მოამბეზედ". 1862 წ.).*

- "ჩვენ არ გვინდა ამითი ვსთქვათ, ვითომც სწორედ იმ წამს იბადებოდეს გენიოსი. ის იქნება იქამდინაც იყო, და უთუოდაც უნდა ყოფილიყო, რომ ცხოვრებას თავისი ძუძუთი გამოეზარდა, თავისთან გამოეცადა, მოემზადებინა თავის ვითარებისვე აღსახსნელად. თუ აქამდინ არ გამოჩნდა იგი, იმიტომ, რომ იმისი ძლიერი სულის შესაფერი საქმე არსად იყო; გამოჩნდა თუ არა საქმე, იმანაც გაშალა თავისი ძლიერი ფრთა და როგორც მზე გამობრწყინდა ცხოვრების გასანათებლად. ეს გოლიათი გონიერებისა და თავის ძლიერის მკლავით გადასწვდება მთელს ცხოვრების ნამუშავარსა; შემოაგროვებს ერთად, რაც ცხოვრებას გამოუჩენია; თავის გამჭრიახ თვალით თავიდამ ბოლომდინ განსჭვრიტავს, გაანათლებს იმ შემოგროვილსა, და ყოველს ცხოვრების კითხვას მისცემს შესაფერს პასუხს, ყოველს ფაქტსა _ ჭეშმარიტ მნიშვნელობას, ყოველს მიმართულებას _ კუთვნილს გზასა და ღონისძიებასა, _ ერთის სიტყვით, ახსნის, ცნობაში მოიყვანს მას, რაც ჩვენს შორისვე იყო და არ გვესმოდა. მაშინ იგი გამოანგრევს ძველის საძირკველსა და, ახალის საძირკველში რაკი ქვას დაამკვიდრებს, მიანებებს საქმეს უმცროსთა მუშაკთა." *("საქართველოს მოამბეზედ". 1862 წ.).*

"**გვჯერა**, მაგრამ ისიც გვჯერა, რომ ყურება კი სცოდნია და დანახვა-კი არა. მას რომ თვალი არ უჭრიდეს, ჩვენი რა ბრალია". *("ისევ და ისევ ბ-ნ ჟორდანიას უმეცრობანი _ და მისი წაჯეგ-უკუჯეგობანი". 1900 წ.).*

"**გიყვარდეთ** თქვენი ქვეყანა და ამ სიყვარულს ანაცვალეთ ყველაფერი". *("წერილი პეტერბურგის ქართველ სტუდენტებისადმი". 1897 წ. აპრილი).*

"**გლეხკაცი** და ღარიბი უფრო მეტად საზრუნველია, უფრო მეტად გაჭირვებული, ვიდრე თავადი, აზნაური, მღვდელი თუ ვაჭარი, მაგრამ განა აქედან ის გამოდის, რომ ყველა ესენი ადამიანები არ არიან? განა ცოდვაა, რომ ამათთვისაც ვიზრუნოთ და თავი შევიტკიო? *("წუთუ". 1905).*

"**გლეხური** სიმღერაა, მაგრამ კარგია. კიდევ დალოცა ღმერთმა გლეხნი: კაცური-კაცობა თუ არის სადმე, კიდევ იმათშია". *("წერილები ილია ჭავჭავაძისა ოლდა თადეოზის ასულ გურამიშვილისადმი". 1873 წ. 5 ღვინობისთვე).*

"**გოგრა** ვერ გახდება შირაზის შუშა, რაც გინდ მაღლა თაროზე დასდო" და დიპლომი მეცნიერებისა შუბლზე მიაკრა". *("ქვათა ღაღადი". 1899 წ.).*

"**გონების** ნაწარმოები იმისთანა მადლიანი რამ არის, რომ მთელის კაცობრიობის კუთვნილებას შეადგენს და აქ გვარტომობის ჩაჩხირება ჭკუის უღონობას მოასწავებს და სხვას არარას." *("გაბრიელ სუნდუკიანცის „ჰეპო" და სომხის ლიტერატორები". 1889 წ.).*

"**გონიაობა**, თუ სადავე მივუშვით, უფრო შორსაც წავა ხოლმე". *("პოლემიკური წერილები "ცხოვრება და კანონის" გამო". 1887 წ. 3 იანვარი).*

"**გონიერსა** მწვრთნელი უყვარს, უგუნურსა გულსა ჰგმირავდესო." *("გლახის ნაამბობი". 1859, 1862-1873 წწ.).*

"**გული** მორბილებული მქონდა პატარაობითვე, მე ყმაწვილობითვე სხვა მზემ დამკრა და სხვა რიგად გამითბო გული, მაგრამ ჟამმა მიმუხთლა და კაცმა არ მაპატივა". *("გლახის ნაამბობი". 1859 წ. (1862-1873 წ.)).*

“**გული** არ ჰგულობს და ტყუილად ღობე-ყორეს ვედებით. საქმე ის არის, რომ თავად-აზნაურობა აქაც, როგორც ბევრში სხვაშიაც, დაჩვეულია სხვისით თავის საქმის გასწორებას და გაძღოლას. სულ მთავრობას შესცქერის – მუქთად გაგვიზარდოს შვილებიო ” *(“თვითმოქმედება”. 1887 წ.).*

“**გული** ერისა იგივ ზესკნელი და ქვესკნელია და ამიტომაც თვალისა, ყურისა და ხელის იქამდინ მიწვდენა, - ხვედრია მარტო რჩეულის კაცისა”. *(“იოსებ დავითაშვილის გარდაცვალების გამო”. 1887 წ.).*

“**გული**, გონება და კუჭი ერთმანეთზედ ჰკიდიან, ნამეტნავად ეხლანდელ დროში”. *(“ჩვენი ეხლანდელი სიბრძნე-სიცრუე”. 1896 წ.).*

“**გული** კრულია კაცისა, ხარბი და გაუძღომელი”. *(“ქვათა ღაღადი”. 1899 წ.).*

“**გული** დიდი მაქვს ძმათა საშველად, ჩემი იარაღი, ჩემი თოფი და ზარბაზანი ჩემი სიმართლეა, სიმართლე ერთის სისხლხორცობისა, ერთსარწმუნოებისა სიმართლე ჩაგრულთა და წვალებულთა ძმათათვის გულმტკივნელობასა და თავდადებისაო.” *(“კრიტის ახალი აშლილობა და ოსმალეთის საკითხი”. 1897 წ. 10 თებერვალი).*

“**გულის** სილბო სიტურფეა, / თუ კაცია სხვაფრივ ლომი. / მართალს ვაჟკაცს ის ამშვენებს, / როცა გულითაც ლბილია / რკინის კაცის თვალში ცრემლი / დიდსულოვნობის შვილია”. *(“მეფე დიმიტრი თავდადებული”. 1860/1877-1878).*

“**გულის** მაგიერ ქვა უდევსო.” (*“ოთარაანთ ქვრივი”. [1886] – 6 ქრისტეშობისთთვეს 1887 წელსა)*

“**გულის** ჭიდილი მოუვიდა, თუ რა ამბავია! *(“ოთარაანთ ქვრივი”. [1886] – 6 ქრისტეშობისთთვეს 1887 წელსა).*

“**გულში** რომ ჩაიხედოთ, ბევრს იმისთანას ჰნახავთ, რომ მოყვარეს თვალი უდგება” *(“მილიტარობა ევროპაში”. 1889 წ. 16 იანვარი).*

“**გულში** რომ ჩაიხედოთ, ბევრს იმისთანას ნახავთ, რომ მოყვარეს თვალი უდგება.” *(“მილიტარობა ევროპაში”. 1889 წ. 16 იანვარი).*

დ

“**დაგწყევლოს** ღმერთმა! აქებ კაცს თუ აძაგებ, ყველგან ეკლებს ხმარობ. ეგ შენს სიბორეტეს ამტიცებს.” (“ *ზოგიერთი ხანა მოთხრობისა “მარგალიტი ლექში””. 1861-1863 წ.).*

“**დადგა** მაძღარი შემოდგომა. სოფელში გაიმართა ქვევრების რეცხვა, საწნახლების წმენდა. ქარვასავით ჩაფერიანებული მსუქანი მტევნები თეთრის ყურძნისა, მაყვალსავით შავად შეკუნწლული საფერავის ვაზები იწვევდნენ პატრონებს დასაკრეფად, - მალეო, თორემ ვდუღვართ და გადმოვდუღვართო. დაიკრიფა ვენახებიც. დაიწურა ყურძენი, დაჰდუღდა მაჭრები. მისწყდა სოფელში ხმამაღალი სიმღერა საწნახელში ჩამდგარ და ხელი-ხელ გადაბმულ მუშებისა. მხიარულმა მაჭრობამ თავისი დრო მოიჭამა და მიჩუმდა, თითქო მოიღალა და მოიქანცაო. მოვიდა შუაგული შემოდგომისა. სოფლის ორღობეებში დაიწყეს ჭრიჭინი მძიმედ დადებულ თივის ურმებმა. სოფელი ეშურებოდა ვენახებიდამ შინ თივის ზიდვას საქონლის გამოსაკვებად ზამთარში. ეშინოდათ თოვლს არ მოესწრო” *(“ოთარაანთ ქვრივი”. 1887 წ.).*

“**დადუმდა**, შესდგა ყველა და მარტო დედაშვილობის საცოდავობა-ღა თავის დიდებულის ზარით ჰღაღადებდა უთქმელად, უტყვად, ხმაამოუღებლად. ამას

მარტო თვალი გულისა-ღა ჰხედავდა და ყური გულისა-ღა თუ ისმენდა! ხორციელი სმენა, ხორციელი ხედვა ამისათვის უღონოა". *("ოთარაანთ ქვრივი". 1886-1887 წ.).*

"**დავეხსნათ** ჩინის ძებნასა, /ემაგ ფუჭსა დიდებასა! ვემსხვერპლოთ ქრისტისა მცნებას, / ვაშოროთ ქართვლი მონებას, / ქართვლის უბრალო მადლობა / გვერჩივნოს ყოველ დიდებას!" *("ჩემი თარ-იარალი". 1858 წ.).*

"**დათვი** ხეზედ როგორ გავა, იავნანინაო"." (*"კაცია ადამიანი?!" 1858-63 წ.).*

"**დაილოცა** ღვთის სამართალი! მადლიან კაცს თან აადევნებს უბედურსა მხარის მისაცემად" *("გლახის ნაამბობი. 1859/1862 – 1873 წ.).*

"**დაილოცა** ისევ შემოდგომის მადლიანობა!.. ვისაც კი მადლი ჰქონია და სიკეთე, უმუშავნია, დაუთესნია, სულ ყველაფერი მაშინ მომწიფდება და მოიკრიფება! სახლი, კარი ღვთის წყალობით აივსება ხოლმე... ქორწილებიც კი მაშინ იციან. ყველა მაშინ დაბინავდება, მიმინოც კი, მიმინოც!.. კაი დრო არის! პური, ღვინო, ლხინი, ყველაფერია ბლომად. ყველა, დიდი თუ პატარა, მაძღარია მაშინ და მხიარული!.. კაი დრო არის!.. ორი-სამი თვეც, _ და გაზაფხულიც ზედ მოებმის ხოლმე, ის ლამაზი, მხიარული, თბილი გაზაფხული!... ღმერთო! მოსავალი მოდის და გულმართლად მოამკევინე ყოველ მუშაკსა!.." *("გლახის ნაამბობი". 1859, 1862-1873 წწ.).*

"**დამალული** ჭირი ძნელია. პირდაპირ მოსულს კიდევ როგორც იქნება შეეჭიდება კაცი." (*"ოთარაანთ ქვრივი". [1886] – 6 ქრისტეშობისთთვეს 1887 წელსა).*

"**დამუნათებული**, წაყვედრებული კეთილი, ჩვენის ფიქრით, ბოროტზე უარესია და უმძიმესი ასატანად." *("ახალი დრამების გამო". 1890 წ.).*

"**დაჩვევა** არის ყველაფერი. ჩვეულება რჯულთ უმტკიცესაო, იტყვიან ხოლმე ჩვენები." *("წერილი მეგობართან". 1890 წ.).*

"**დახე**, ძაღლი პატრონს არ მოჰშორებია! _ წამოიძახა ამხანაგმა. _ დალოცვილი პირუტყვია. ბარაქალა, ძაღლო, ბარაქალა!.. მემცხვარემ და ნამეტნავად თუშმა იცის ყადრი ამ ერთგულის და მართლა საქებარის ოთხფეხისა." (*"ოთარაანთ ქვრივი". [1886] – 6 ქრისტეშობისთთვეს 1887 წელსა).*

"**დედა** ჰნახე, მამა ჰნახე, შვილი ისე გამოჰნახეო." (*"ოთარაანთ ქვრივი". [1886] – 6 ქრისტეშობისთთვეს 1887 წელსა).*

დედათა საქმე: - "დედათა საქმე, რომელიც ჩვენში მონათლულია ქალების საქმედ, დღითიდღე წინ მიდის განათლებულს ქვეყნებში, დღითიდღე მომხრეებსა ჰპოულობს, ძლიერდება და კუთვნილს ადგილს იჭერს ადამიანის ცხოვრებაში." *("დედათა საქმე". 1888 წ. 12 დეკემბერი).*

- "დედათა სქესმა კაცობრიობის უკეთესთა წარმომადგენელთა თაოსნობით, ღვაწლით და გარჯით უკვე დაიმტკიცა უფლება უმაღლესის სწავლისა და განათლების მიღებისა და ეხლა მარტო ბრმანი და თვალახვეულნიღა ეურჩებიან ამ უფლებას. დედათა სქესმა დაიპყრა ამასთანავე ზოგიერთს სფერაში უფლება სახელმწიფო, თუ საზოგადო სამსახურისა და თუმცა აქ ბევრი რამ კიდევ დარჩენია დასაპყრობად, მაგრამ ეს პირველდაწყებითი ბიჯიც უმნიშვნელო არ არის შემდეგისათვის."

- "იგი უსამართლობა, რომელიც დღეს აქამომდე დედათა სქესს, ამ ნახევარს მთელის კაცობრიობისას, საძიძაოდამ და სამზარეულოდამ გარეთ არ უშვებდა და ამათ გარე არავითარს საქმეში მონაწილედ არა ხდიდა, ასე რომ ლუკმაპურის საშოვარის გზასაც არ აძლევდა, დიდხანს ვეღარ გაუძლებს ერთხელ ფეხადგმულ მოძრაობას."

- “რომ უფრო დიდი ავალა მისცენ ამ მოძრაობას და დედათა სქესს მისი სამართლიანი ადგილი მიეზომოს კაცთა ცხოვრებაში, დედათა საქმე ამ ბოლოს ხანებში იმაზედ მიიმართა, რომ ქვეყნის საქმეთა გამგეობაში და კანონმდებლობაში ხმა მიანიჭოს დედათაცა, როგორც მამაკაცთა აქვსთ მინიჭებული.”

- “ამ მხრით ამერიკამ ჯერ-ხანად ყველა ქვეყნებს წინ გაუსწრო და იქ დღეს არამცთუ ვისმე ეხამუშება, რომ მოხელეთა და ქვეყნის საქმეთა გამგებელთა საარჩევნოდ მამაკაცებთან ერთად დედათაც კენჭი იქონიონ, არამედ თითონ დედანიც-კი რომ ამორჩეულ იქმნან თუნდ რესპუბლიკის პრეზიდენტადაც, არავინ გაიკვირებს და იოცებს.”

- “შორს არ არის ის დრო, როცა დედათა საქმე თავისას გაიტანს და ეს მთელი ნახევარი სქესი კაცობრიობისა მოწვეულ იქნება წუთისოფლის სუფრაზედ თავისის კუთვნილის ადგილის დასაჭერად. რაკი დედანი კანონმდებლობაში ხმას მოიპოვებენ მისთა მომხრე კაცთა წარმომადგენლობით და ქვეყნის საქმისა გამგებლობის ამორჩევაშიაც მონაწილენი იქნებიან, ამ გზით დიდს ზედმოქმედებას იქონიებენ თვით კანონებზედ, რომელნიც დღესა სჩაგვრენ და ჰხუთვენ დედათა სამართლიანს უფლებას.”

- “რაც ათის წლის განმავლობაში თქმულა ქალების უფლების წინააღმდეგ, ყველა ის განიმეორეს ეხლაც. ხელმეორედ დაიწყეს ლაპარაკი, რომ ქალებს რომ არჩევანის უფლება მივცეთო _ ოჯახობა დაირღვევაო, ქალებს სინაზე დაეკარგებათო, კაცებისაგან რაინდულს პატივისცემას დაჰკარგავენო, საზოგადოებრივი ზნეობა დაეცემაო და სხვა. ეს რაინდული პატივისცემა, ერთის დეპუტატის სიტყვით, იმაში მდგომარეობს, რომ კაცები უკეთესს ადგილს ქალებს უთმობენ ყველგან, საცა კი ერთმანეთს შეხვდებიანო, დღესასწაული იქნება, თუ დიდი რამ თამაშაო. ეს პატივისცემა უპირატესობაა ქალებისათვის და თუ ამ უპირატესობის დაკარგვა არა ჰსურთო, არჩევანის უფლებისაგან ხელი უნდა აიღონო.” *(“ქალების არჩევნების უფლება და ინგლისის პარლამენტი”. 1877 წ.).*

დედა-კაცი: - “ვაი რა დრო მოვიდა, რომ კაცობით ხსენება დედათა სათაკილოდ გაგვიხდა.” *(“პატარა საუბარი”. 1898 წ.).*

- “ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს თუნდა ხვადიაო, უთქვამს რუსთაველს. ლომი ლომია, ერთია, _ ძუ იყოს, თუნდა ხვადიაო, ამბობს დღესაც გლეხკაცი.” *(“პატარა საუბარი”. 1898 წ.).*

- “ქართველი დედასაც კაცად ჰხადის და ამიტომ “დედა-კაცს” ეძახის, როგორც მამას _ “მამა-კაცს”. განსხვავება მარტო იმაშია, რომ თქვენ ერთის სქესისანი ხართ და ჩვენ მეორისანი, თქვენ დედობითა ხართ კაცნი და ჩვენ მამობით. არსება-კი ერთია, ორნივ კაცნი ვართ, ორნივ ღვთის სახისა და მსგავსებისანი. ასე შეუნახავს დიდი ღირსება დედისა ჩვენს ენას.” *(“პატარა საუბარი”. 1898 წ.).*

- “არა გვგონია, რომელსამე სხვა ენაში დედაცა და მამაც ერთნაირად კაცად წოდებული იყოს.” *(“პატარა საუბარი”. 1898 წ.).*

- “ქართველებისათვის “დედა” მარტო მშობელი არ არის. ქართველი ღვიძლს ენასაც “დედა-ენას” ეძახის, უფროსს ქალაქს _ “დედა-ქალაქს”, მკვიდრს და დიდ ბოძს სახლისას _ “დედა-ბოძს”, უდიდესსა და უმაგრესს ბურჯს _ “დედა-ბურჯს”, სამთავრო აზრს _ “დედა-აზრს”, გუთნის გამგებელ მამაკაცსაც-კი _ “გუთნის-დედას”. რამოდენად განდიდებულია მნიშვნელობა დედისა, რამოდენად

გამრავალგვარებული, გაპატიოსნებული, გაძლიერებული, გაღონიერებული და თავმოსაწონებელი!.. სიდიდე, სიმაგრე და სიმკვიდრეც-კი აღნიშნულია დედობით!.. ამაზე მეტი პატივი რაღა უნდა მოუტანოს სახელმა." *("პატარა საუბარი". 1898 წ.).*

- "დედაკაცის" "ქალამდე" ჩამოსვლა და "მამაკაცის" "ვაჟამდე" _ ცხენოსნის დაქვეითებაა, დიდისა პატარად გარდაქმნაა, გარდაცვლაა აზრისა და სამცნების ჩამოდნობაა, დაფუყვაა." *("პატარა საუბარი". 1898 წ.).*

- "სად ქალობა და სად დედაკაცობა!.. ქალი შესანახია და არა შემნახველი, იგი ბარგია და არა ჭირნახული, იგი პეპელაა და არა ფუტკარი. ქალისათვის ეს წუთისოფელი სასეირნო წალკოტია, დედაკაცისათვის _ სახლია პატიოსანი შრომისა, მინდორია სახნავ-სათესი, ყანაა სამკალი, ძნაა სალეწი, სარბიელია საომარ ჭკუითა და მარჯვენითა. ქალი უფარ-ხმალო დედაკაცია. დედაკაცი ფარ-ხმლიანი ქალია და სად მოვლენ ერთმანეთთან." *("პატარა საუბარი". 1898 წ.).*

- "დედაკაცს ქვეყანაზედ მარტო სამი "უწმინდაესი, უსამღვთოესი დანიშნულება" აქვსო: დედობა, ცოლობა და დობა, თითქო ყველაზე უწინარეს იგი იმავე ადამიანად არის გაჩენილი, როგორც მამაკაცი და, მაშასადამე, მინამ დედობას, ცოლობას, დობას იკისრებდეს, ყველაზედ უწინარეს იგივე ადამიანობა არ მოეთხოვებოდეს, როგორც მამაკაცს". *("ქალთა სასწავლებელი". 1889 წ. 6 მარტი).*

- "დედობა, ცოლობა და დობა დიდი საქმე არ არის. ეს ზოგადი ბუნების საქმეა, ზოგადი გარემოებისა. საქმე კაი დედაკაცობაა, კაი ადამიანობაა, ანუ, უკეთ ვსთქვათ, კაი კაცობაა და მერე დედობა, მამობა, ქმრობა, ცოლობა და სხვა. კაცს დედობის, ქმრობის და სხვა ამისთანის გარდა კიდევ სხვა ბევრი მოვალეობა აწევს საზოგადოებისა და ქვეყნის წინაშე და ყველაზედ უწინარეს ამ მოვალეობას უნდა გაუძღვეს, მამაკაცია, თუ დედაკაცი. ამას მარტო კაი-კაცობა შესძლებს. ვინც კაცად არ ვარგა, ის არც მამად ივარგებს, არც დედად და არც სხვად რადმე, იმიტომ რომ მამობა და დედობა ადამიანური, მარტო შვილების გამრავლება და ძუძუს წოება არ არის". *("ქალთა სასწავლებელი". 1889 წ. 6 მარტი).*

- "დედაც კაცია, ადამიანი და მარტო კაცისა და ადამიანის სახელით დედათა უფლების საქმე უნდა ჰღაღადებდეს და თხოულობდეს თავის წარმართვასა". *("დედათა და ქალთა განათლება". 1889 წ. 15 მარტი).*

- "ამ ფართო გზაზედ ჰდგას ეს საქმე ევროპაში დღეს და გვგონია ვერაფერს სამსახურს უწევენ ქალებს ისინი, ვინც ამ საქმეს მოკლე ფარგალით უზომავენ ადგილს და დედაკაცი ადამიანობიდამ ჩამოჰყავთ, რომ მარტო დედობისა, ცოლობისა და დობის უღელი გააწევინონ, ესე იგი ბევრისაგან ცოტა უწყალბონ". *("დედათა და ქალთა განათლება". 1889 წ. 15 მარტი).*

- "სასაცილოა ის სურვილი, რომ მამაკაცი ვამზადოთ მარტო საკარგ-ქმროდ და საკარგ-მამოდ. განა ამავე აზრით არ უნდა მივმართოთ ქალების სწავლა-განათლების საქმე? განა ქალიც არ უნდა გამოვზარდოთ იმის შესაფერისად, რასაც სიტყვა ადამიანი ჰნიშნავს მამაკაცის შესახებ? განა საჭირო არ არის ყოველი ჩვენი მეცადინეობა მივაქციოთ იმაზედ, რომ ქალს გონება გავუხსნათ ჭეშმარიტის აზრებისათვის, აღუფრთოვანოთ გულის-ტკივილი კაცობრიულის და მოქალაქეობრივის ინტერესებისათვის, გავაგებინოთ იგი ვალი, იგი თანამდებობა, რომელიც ამ ინტერესებს თან მოსდევს? ესეთის აზრებით, რწმენით და თვალთა-მხედველობით დედაკაცი გაუთანასწორდება მამაკაცსა და მისებრივ ადვილად გაიგებს, ადვილად მიხვდება მოვალეობას კაი ცოლობისას, კაი დედობისას, და უკვე

განათლებული ჭკუითა და გულით ადვილად შეიძენს იმ განსაკუთრებულს ცოდნასაც, რომელიც ოჯახში ასე თუ ისე მისთვის საჭირო იქნება". *("დედათა და ქალთა განათლება". 1889 წ. 15 მარტი).*

- "ჩვენმა სასიქადულო მღვდელ-მთავარმა გაბრიელ ეპისკოპოსმა ერთხელ ერთს თავის სახელოვან ქადაგებაში ბრძანა:

- "მე თვითონ არ მინახავს, ხოლო გამიგონია სარწმუნოთა კაცთაგან, რომელ ერთს ძველს ეკლესიასა შინა კედელზედ არის დახატული ყოვლად-წმიდა ღვთისმშობელი და მის წინ სძევს მატყლი, ხელში უჭირავს ტარი და ჰქსოვს მატყლსა. ნეტამც ჩემის თვალით მენახა ეს ხატი! მაშინ მე გავიცნობდი მეორესა კერძოისა საღმრთოისა მისი ხასიათისასა და უდიდესსა პატივსა და კრძალვასა მისდამი იგრძნობდა გული ჩემი! რა კარგი იქნებოდა, რომ ყოველსა ქალსა მარადის ჰქონდეს წინაშე თვალთა ისრეთი ხატი ყოვლად-წმიდისა, რომ ერთკერძო მისსა იდგეს და შესცქეროდეს მას სიყვარულის ღიმილითა ღვთაებრივი მისი ყრმა, ხოლო თვით მას ხელში ეპყრას მატყლი და ტარი და სახესა ზედა მისსა ღვთაებრივსა კარგითა ხელოვნებითა იყოს გამოყვანილი ის ღვთაებრივი სიწმინდე, სიმშვიდე და სიყვარული, თვალთა შინა მისთა ბრწყინვიდეს ის უფსკრული გონიერებისა და კრძალულებისა, რომელნი წარიტაცებენ კაცის გულსა. ესრეთი ხატი იქნებოდა ჭეშმარიტი დროშა, ანუ სიმბოლო, ესე იგი ნიშანი ყოველის ქალის მოვალეობისა, ღირსებისა და მნიშვნელობისა". *("ნინო ბაგრატიონი". 1886 წ.).*

- "რა კარგი იქნებოდაო, _ ბრძანებს ყოვლად-სამღვდელო, _ რომ ყოველსა ქალსა მარადის ჰქონდეს წინაშე თვალთა ისრეთი ხატი ყოვლად-წმიდისაო", _ ესე იგი იმისთანა ხატი, რომელიც ერთის მხრით წარმოადგენდეს დედას მოსიყვარულეს და მეორეს მხრით _ დედაკაცს მშრომელსა და მხნესა". *("ნიკო ბაგრატიონი". 1886 წ.).*

- "დავით გურამიშვილის დიდაქტიური პოეზია პირს არ შეირცხვენს თუნდ ლუკრეციის, ვირგილის და ჰორაციოს დიდაქტიურ პოეზიას დაუყენეთ პირის-პირ, და რომლის სარწმუნოებრივი ღაღადება დავით წინასწარმატყველის ფსალმუნების სიმაღლემდეა ასული." *("რა მიზეზია, რომ კრიტიკა არა გვაქვს". 1887 წ.).*

"**დედაშვილობაში** შენჩემობა რად არის? _ ჰკითხა ოთარაანთ ქვრივმა თავისთავსა. _ დედაშვილობაში ორი თვალი რად უნდა იყოს? ნეტა დედას სხვასავით მაინც ორი თვალი არა ჰქონოდა..... თუ აქვს, რად უჭრის ერთი თავისად, მეორე შვილისად? გული რად იხედება გარედ ორის თვალითა, რად? რატომ ერთი თვალი არ ებრმავის, როცა მეორე იყურება?.. ვინ ვისთვისაო, _ რა საკითხავია დედაშვილობაში?.. ვაი რომ საკითხავი ყოფილა! ამისი ჭიდილია თურმე დედაშვილობაცა!..

- არა, შვილო!.. შენ გაიხარე, შენ!.. მე კი... მე კი... მე ჩემისად მაყურებელს თვალს დავიბრმავებ და შენისად მაყურებლით-ღა ვივლი და ვიცოცხლებ..." (*"ოთარაანთ ქვრივი". [1886] – 6 ქრისტეშობისთთვეს 1887 წელსა).*

"**დედის** გული ზღვა არის სიყვარულისა. რომ უთხრა, შვილი რომ უკვდებოდეს, ორის დღის სიცოცხლე კიდევ მიემატება შენს შვილსაო, ოღონდ სული საუკუნო ჯოჯოხეთს მიეციო. დედა მაგას იქმს; შვილმა კი დედისათვის რომ ეგა ქმნას, დედა იწყენს." *("გლახის ნაამბობი". 1859, 1862-1873 წწ.).*

"**დედისერთა** შვილის დაკარგვა ძნელია, მერე რა შვილისა! _ იძახოდნენ დედაკაცები, _ აკი ეს გაუტეხელი დედაკაციც გასტეხა და გაანადგურაო." (*"ოთარაანთ ქვრივი". [1886] – 6 ქრისტეშობისთთვეს 1887 წელსა).*

“**დედობა**, ცოლობა, დობა დიდი საქმე არ არის. ეს ზოგი ბუნების საქმეა, ზოგი გარემოებისა, საქმე კაი დედაკაცობაა, კაი ადამიანობაა, ანუ უკეთ ვსთქვათ, კაი კაცობაა და მერე დედობა, მამობა, ქმრობა, ცოლობა და სხვა. კაცს დედობის, ქმრობის და სხვა ამისთანის გარდა კიდევ სხვა ბევრი მოვალეობა აწევს საზოგადოებისა და ქვეყნის წინაშე და ყველაზედ უწინარეს ამ მოვალეობას უნდა გაუძღვეს, მამაკაცია თუ დედაკაცი. ამას მარტო კაი-კაცობა შესძლებს” *(“დედათა საქმის გამო”. 1889 წ.).*

“**დეე** იცოდნენ, რომ ოჯახის შვილი ხარ და არა ეული ვინმე, ბოგანა. დეე იცოდნენ, რომ ოჯახიდამ გასდიხარ და არა უოჯახობიდამ.” (*“ოთარაანთ ქვრივი”. [1886] – 6 ქრისტეშობისთთვეს 1887 წელსა).*

“**დეე** ბალღებმა იცელქონ, თავი შეიქციონ, ოღონდ-კი ნუ იტირებენ”. *(“უმეცრობის ფართი-ფურთი”. 1900 წ.).*

“**დევს** დევის ძუძუ გამოზრდის და, თუ ჩვეულებრივ ადამიანის ძუძუთი გაიზარდა, ის დევი აღარ იქნება, თუმცა კი არც ჩვეულებრივ ადამიანს ეგვანება.” *(“პასუხი”. 1861 წ. 14 მაისი).*

დეპუტატი: – “სამწუხარო და გასაცხარებელი უფრო ის არის, რომ ჩვენს საზოგადოებას ან არა სცოდნია _ რა არის “დეპუტატი”, ან არა სცოდნია _ როგორ “ვირჩევთ” ჩვენ დეპუტატებს.

- დეპუტატი არის საზოგადოებისაგან ამორჩეული პირი, რომელმაც საზოგადო საქმეებში თავის ამომრჩეველთ მაგიერ უნდა მონაწილეობა მიიღოს, და თუ რომელსამე მაღალ პირთან გაგზავნიან, საზოგადოების სურვილი და მოთხოვნილება გამოაცხადოს.” *(“შინაური მიმოხილვა”. 1881 წ. მაისი).*

- “ევროპაში თვითმფლობელობა, თვითმმართველობა და სხვადასხვა თვით-უფლებები შემოიღეს, ჩვენ რაღა ეგრე უკან ჩამოვრჩით, რომ ერთის სიტყვის და ერთის დაწესებულების შემოღება ვერ შევიძლოთ. შემოვიღეთ თვით-ამორჩევა, და ჩვენმა თვით-ამორჩეულმა დეპუტატებმა თუმცა ბევრი საყვედური მიიღეს, მაგრამ სრულიად უმიზეზოდ.” *(“შინაური მიმოხილვა”. 1881 წ. მაისი).*

- “კვლავ თუ გვინდა, რომ ჩვენებმაც ჩვენთვის იზრუნონ, თვით-ამორჩევას თავი დავანებოთ და საზოგადოებრივ ამოვირჩიოთ, ჩვენი სურვილი გამოვუცხადოთ და ისე გავგზავნოთ, სადაც გასაგზავნია; თორემ არ ვიცით, ვინ წავიდა, სად წავიდა, რისთვის წავიდა, და ვიძახით კი _ რატომ ესა და ეს არ ითხოვესო, ერთმანეთს ვეღრიჭებით, ვიცინით, _ დახე, დახე ჩვენმა დეპუტატებმა რა სახელი გაითქვეს, როგორ მალე უშოვნეს კონვოელებს ვენზელებიო.” *(“შინაური მიმოხილვა”. 1881 წ. მაისი).*

- “ყველგან და ყოველთვის, საცა-კი კრებაა ხოლმე დანიშნული, აუცილებელ წესად მიღებულია, რომ კრებისაგან გასარჩევი საგნები წინათ დანიშნული და გამოცხადებული უნდა იყოს, ნამეტნავად მაშინ, როცა კრება ამორჩეულ პირთაგან უნდა შესდგეს. ეგ წესი იმიტომ არის, რომ ამომრჩევლებმა საქმის სიდიდეს და სიმძიმეს შეურჩიონ შესაფერი კაცები და თკითონ წევრთაც დრო და ღონისძიება ჰქონდეთ ყოველ-მხრივ მოიფიქრონ და მოისაზრონ კრებისათვის დანიშნული საგნები.” *(“შინაური მიმოხილვა”. 1881 წ. ივლისი).*

“**დიაღ**, მხოლოდ მშვიდობიანობის დროს შეიძლება მწერლობაცა.” *(“სფირიდონის და თადეოზის ბაასი”. 1861 წ.).*

“**დიდი** საუნჯეა ადამიანთა ცხოვრებაში სინდისი და ნამუსი.” *(““თერგ-დალეულნი” და ახალი თაობა”. 1888 წ.).*

“**დიდი** სიბრძნეა კაცისა ცნობა თავისის-თავისა.” *(“ამბავი ყბად-ასაღები და წყალ-წასაღები”. 1889 წ.).*

“**დიდმა** კაცმა რომ ნეკიც გაღირსოთ, მთელის ხელის მოცემად უნდა მიიღოთ. დიდი კაცის ნეკის შეხებაც დიდი მოწყალებაა”. *(“ახალი უმეცრობანი ბ-ნ ნოე ჟორდანიასი”. 1900 წ.).*

“**დრამატურგი** ისტორიკოსი ხომ არ არის, რომ ისტორია გვასწავლოს, ისტორიული ქრონიკა გვიწეროს. დეე, თუნდ ამბავი, არაკი დრამისა თავის საკუთარის ფანტაზიით შეჰქმნას, ხოლო, თუ სურს ისტორიული ღირსება მიანიჭოს თავის დრამას, უსათუოდ მოვალეა სული და გული ეპოქისა იმ ამბავში ჩანასკვოს, ჩაჰსახოს და დრამის სვლაში გადაგვიხსნას, გადაგვიშალოს საგრძნობელად და დასანახავად. ამისთანა დრამის დამწერს წინ უნდა უძღოდეს დიდი ცოდნა ისტორიისა, დიდი გონება-გახსნილობა, დიდი განათლება, ღვთივ-მიმადლებულ ნიჭის გარდა და, ჩვენის ფიქრით, ამაოდ ირჯებიან ისინი, ვინც ამისთანა დრამის დაწერას მოუმზადებლად და, მაშასადამე, კადნიერად ეტანებიან.” *(“ახალი დრამების გამო”. 1890 წ.).*

“**დრო** მხოლოდ იგი ქვევრია, რომელიც მარტო იმას ამოიძახებს ხოლმე, რასაც თითონ კაცი ჩასძახებს.” *(“საახალწლოდ”. 1898 წ. 31 დეკემბერი).*

“**დრო** მოვა და გატკბილდების. ხილად სჭამენ პანტის ჩირსა”, ამბობენ ქართველები.” *(“ჩვენი ეხლანდელი სიბრძნე-სიცრუე”. 1896 წ.).*

“**დრო** მოვა და ყოველივე ეს მზეზე გამოიფინება და განკითხვის დღისა წინაშე გამოსჭიმავს”. *(“უმეცრობის ფართი-ფურთი”. 1900 წ.).*

“**დროთა** ბრუნვამ სხვის მაყურებლად გაგვხადა, სხვაზედ იმედს, შეგვაჩვივა და ამაებმა სრულიად წარწყმიდეს ჩვენში ის თვითმოქმედების ძალ-ღონე, რომელიც უწინ იყო და რომელიც, თუკი სადმე არის, ყველგან ხალხის ბედნიერების სათაურია და საფუძველიც”. *(“საზოგადოება შეუძლებელ მოსწავლეთა შემწეობისათვის”. 1877 წ.).*

“**დღეს** ის დღეა, რომ “ერთი მაქვს სჯობს ათას მქონდას”. *(“ქვათა ღაღადი”. 1899 წ.).*

“**დღესაც** ვიძახით თავმოწონებით: “სხვა საქართველო სად არის, რომელი კუთხე ქვეყნისა? ერი პურადი, გულადი, იგივ მხნე იგივ მღერალიო”. მართალია, ბევრი არ არის სხვაგან ჩვენის ქვეყნისთანა ქვეყანა. ისიც მართალია, პურადობა და გულადობა ფრიად მოსაწონი და ტკბილად მისაჩნევი ღირსებაა ადამიანისა. მაგრამ ჭირი ის არის, რომ დღევანდელი უკუღმართი დღე მაგაებს აღარა ჰკმარობს, მაგაებიდამ ბევრს ვერას გამორჩება”. *(“კახეთის სოფლის მეურნეთა კავშირი”. 1895 წ. 4 ნოემბერი).*

ე

“**ე** რა ფრთხოლამ ამიჩემაო! ჯადო მეწევა უკან, თუ ხატი არ მიშვებს წინ? (*“ოთარაანთ ქვრივი”. [1886] – 6 ქრისტეშობისთთვეს 1887 წელსა).*

“**ეგ** სწორეთ იმასა ჰგავს: „ამირან გულში მღეროდაო, ყმებო, ბანი მითხარითო!“ *(“პასუხი”. 1861 წ.).*

“**ეგ** სწორედ იმას ჰგავს, რაც კრილოვის ზღაპარშია: კაცს წვრილი კოღოები კი დაენახა და მათ შორის მყოფს სპილოზედ კი სთქვა: თვალი ვერ მოვკარიო”. *(“ხილნარობისა და მევენახეობის სასწავლებელთა შესახებ”. 1886 წ. 30 ოქტომბერი).*

“**ეგ** ცრემლიანი ცოდნა უკანა სწვავს და ჰბუგავს, წინა ჰნამავს და ამწვანებს. ეგ ნამი რომ გაბევრდება, მდინარე წყლად იქცევა და მთელს ტივს მიიტანს, რომ ჩვენ შორის

ჩატეხილი ხიდი გაამრთელოს და ეგრე ორსავ ნაპირს გააერთებს. ეგ ცრემლიანი ცოდნა, თუ ცოდნიანი ცრემლი უკანისა, — შუქია წინასი და შუქი ხომ…— დასაწყისია განთიადისა?!" *("ოთარაანთ ქვრივი". 1887 წ.).*

"**ეგების** დავიცადო და გული ერთი ქართული ზღაპრით დავიმშვიდო: იქნებ იცოდე, _ კატა რომ ძეხვს ვერ შესწვდა, გულამოსკვნით წაიბუტბუტა: დღეს პარასკევიაო. ჩემთვისაც, ჩემო ოლიკო, პარასკევია, მგონი, კაი ნუგეშია". *("წერილები ილია ჭავჭავაძისა ოლოა თადეოზის ასულ გურამიშვილისადმი". 1863 წ. 23 თებერვალი).*

"**ეგრეთ** ეგოისტია და თავმოყვარეა კაცი: ყველაფერი უნდა თავის დონეზედ მოიყვანოს, თავის ნებას დაუმონავოს, და ბუნებაც იმისთანა ლბილია, რომ კაცის გული, რასაც უნდა, იმას გამოსახავს მასზედა." ("*კოლა". 1858 წ.).*

ევროპა: - "ევროპის პოლიტიკაში ყოველივე გამორჩენასა და ანგარიშს ექვემდებარება. გრძნობა სამართლიანობისა, რასაკვირველია, ამ შემთხვევაში კრიტელთა მხარეზედ არის და ამ მომხრეობას თხოულობს თვით ჭეშმარიტი და განწმენდილი ზნეობაც, მაგრამ რას იზამთ, როცა ევროპის პოლიტიკაში არც სამართლიანობას, არც ზნეობას კუთვნილი ადგილი არ უჭირავს და ყოველივე გამორჩენასა და ანგარიშს ექვემდებარება." *("აშლილობა კრიტის კუნძულზე". 1889 წ. 1 ნოემბერი).*

- "არ არის დღეს ევროპაში არც ერთი დიდი სახელმწიფო, რომ თავმოწონებით არ იძახოდეს თავისის დიპლომატების პირითა, ევროპის სახელმწიფოთა შორის სრული თანხმობა არისო; თვითოეული დიდი სახელმწიფო იმ აზრზე სდგასო, რომ ურთიერთის თანხმობით და ყველამ ერთად იმოქმედოს ოსმალეთის შესახებო. ამას ჰფიცულობენ ყველანი, მაგრამ ფიცი გვწამს და ბოლო გვაკვირვებს. თუ ეგრეა, მაშ საქმე რაღაზეა? რაღად იჟლიტება ამოდენა ქრისტიანე სული და არა-ქრისტიანე? რაღას ელიან? საქმე დღედადღე მწვავდება, სისხლის ღვრა ძლიერდება, არეულობა ჰმატულობს, აღრევა და ერთმანეთზე წევა ამოღებულის ხმლით, დღეს თუ ერთმანეთის დამოუკიდებლად, დაქსაქსულად, ცალ-ცალკე მოქმედობს, _ ხვალ, ხვალ-ზევით მოსალოდნელია ერთს უშველებელ, გაერთებულ ცეცხლად გადაიქცეს და მოეკიდოს მთელს ოსმალეთსა, და მაშინ ხომ ძაღლი პატრონს ვეღარ იცნობს. სად არის ეგ თანხმობა ევროპისა? სად არის ის კაცთმოყვარეობა, რომელზედაც ასე უყვართ ხოლმე დაბჯინება პოლიტიკოსებს და დიპლომატებს და რომელიც მართლა რომ დედაბოძია იმისთანა ჩაგრულ ერისათვის, როგორიც საწყალი სომხები არიან დღეს ოსმალეთში? ნუთუ ერთი ერი _ სომხები მეორეს _ ოსმალოს უნდა მიეცეს შესაჭმელად, აქაო-და თქვენ ცოტანი ხართ და ჩვენ ბევრნიო, და განათლებული ევროპა-კი უყურებდეს ამ უსამართლობას და იმით იწონებდეს თავს, რომ ჩვენ ყოჩაღად ვართ, ერთს პირზე ვდგევართ, საერთოდ და განუყოფელად გვსურს ვიმოქმედოთო. თქმა და ქმნა ერთი და იგივე არ არის, შუა დიდი მანძილია." *("ოსმალეთის არეულობა და ევროპა". 1895 წ. 19 ნოემბერი).*

- "რაც აქამომდე ვნახე, ისიც საკმაოა, რომ ქართველმა კაცმა თავისი თავი ღვთისაგან დაწყევლილად ჩასთვალოს. სად ესენი და სად ჩვენი უბედური ერი.

- გერმანელნი ახოვანნი და ძლიერნი არიან სულითა და ხორცით. ამათი მერმისი დიდია და თვალგადაუწვდენელი. მე მგონია, რომ კაცობრიობა პირველობას ამათ დაუთმობს ქვეყნიერობაზედ თავისს დროზე. დიდი ჯანიანი ერია, როგორც ვთქვი, სულითა და ხორცით. დიდი მერმისი მოელით". *("წერილები ნიკო ცხვედაძისადმი". 1900 წ. 14 ივლისი).*

- "მე ეხლა ევროპიელი ვარ და ამისთანა ქართველობა შენი ვერაფრად მეჭაშნიკება. ერთი გაახარე დათიკო სარაჯოვი, რომ მე ასე მალე გავევროპიელდი და ამას იქით თავისი ევროპიელობით აბეზარს ვეღარ მომიყვანს და ნიშნს ვერ მომიგებს". *("წერილები ნიკო ცხვედაძისადმი". 1900 წ. 14 ივლისი).*

- "დავით გურამიშვილი, რომელმაც სცადა თითქმის პირველად, ზოგიერთგან რასაკვირველია, ევროპეიზმის შემოტანა ქართულ ლექსის გამოთქმაში; ალექსანდრე ჭავჭავაძე, რომელიც უფრო ხშირად ცდილობდა მაგ ევროპეიზმის განვრცელებასა, მაგრამ მაგასაც აქვს ფიგურული ლექსი; გრ. ორბელიანი, გამგრძელებელი ევროპეიზმისა; ნ. ბარათაშვილი, ბრწყინვალე წარმომადგენელი ევროპეიზმისა; ეხლანდელი მწერლები, რომელნიც ბაძავენ მაგ ევროპიულ გამოთქმასა, მაგრამ თავისი აზრების მიმართულებით, იდეებით, ძველებსა ჰგვანან." *("ცისკარი" 1857 წლიდან 1862 წლამდინა". 1862 წ.).*

- "ისტორია და წარმატება – მარჯვესი, გამრჯესი, მხნესი და მერმისისათვის მებრძოლის კუთვნილია. ამისთანად აღმოჩნდა ევროპიელი, და ბურთი და მოედანიც იმას დარჩა. იგია დღეს გამგებელი ქვეყნიერობისა, იგია დღეს ქვეყნის უღლის მწეველი და იგივეა ქვეყნის სიკეთის მკრეფავი და პატრონიცა. ამა ქვეყნის მადლის თაფლსა მარტო ევროპიელიღა იღებს ქვეყნის სკისაგან, რომელსაც ხან იქით უბრუნებს პირს, ხან აქეთ, იმისდა მიხედვით, როგორც და საითაც უჯობს, რადგანაც ამისათვის ბარიც ხელში აქვს და ნიჩაბიც. ესე იგი, მეცნიერება და მხნეობა, ჭკუა და ხელი. ამ მეცნიერებას და მხნეობას, ამ ჭკუასა და ხელს ამოქმედებს დაუღალავი წყურვილი ხვალის უკეთესობისა და მწვავე უკმარობა დღევანდელობისა. ამ ორ გრძნობათაგან წარმოსდგება ის ძლევამოსილი წინმსვლელობა, ის დიადი წარმატება, რომელიც ყარამანსავით ყაფის მთას მხრებზედ დაიყენებს რომ ქვეშ ჯარმა მშვიდობით და უწყინარად გაიაროს".

- "მეცნიერობით, ხელოვნებით, ხელოსნობით შეჭურვილმა და ძლევამოსილმა ევროპამ პირში ჩალა გამოავლო ამ მოხუცს ქვეყანას (აზიას), რომელიც ერთს დროს მთელის ქვეყნის ბედის წარმატებას სათავეში ედგა" *("აზია წინათ და ეხლა". 1889 წ.).*

ევროპა - სახელმწიფო სოციალიზმი: - "ამ სახით, აშკარაა, ბისმარკს რატომ ვერ შეუწყნარებია მოძღვრება ამ მეოთხის წოდებისა და ან უარ ვერ უყვია. ერთის მხრით შეძლებაა და ფული, მეორეს მხრით მარჯვენა და ჯანი. ორგანვე ძალაა და წყლული ორგნითვე სტკივა. თუმცა ბისმარკს გული პირველთათვის უფრო უცემს, მაგრამ მეორისაც კი ეფიქრება. იფიქრა, იფიქრა და სთქვა: ეს ორი ძლიერი ნაწილი ერთმანეთს ასე ფიცხად დასჯახებია, _ მოდი, პირველებსაც ჩამოვჭრი ცოტაოდენად ფრთებსა და მეორეებსაც ხელში ჩავიგდებ და ჩავითრევო. იფიქრა და მოიგონა ეგრეთწოდებული "სახელმწიფო სოციალიზმი". ამით ორ კურდღელისა კი არა, სამისა ერთად დაჭერა მოიწადინა. ჯერ ერთი, რომ "ბურჟუაზიას", მეტად გაძლიერებულს და თითქმის სახელმწიფოს მფლობელს, მართლა-და შეკრეჭა უნდა, თორემ მეტად თამამობს და საჭიროა დიდი სახსარი ძლიერებისა პატარად შეაკვეცოს; მეორე მხრით, მუშათა გულს მოიგებს, რაკი სახელმწიფო ჩაიგდებს ხელში გამორჩომის წყაროს და მაშასადამე თითონ სახელმწიფო აუჩენს მუშებს საქმესა; და მესამეს მხრით _ რაც გამორჩომა იქნება, სახელმწიფოს ერგება." *("ევროპა 1886 წელს". 1886 წ.).*

- "რა თქმა უნდა, ეს "სახელმწიფო სოციალიზმი" მარტო დიდს და ზორბა საქმეებს მოჰმართა. ჯერ დაიწყო იქიდამ, რომ რკინისგზები რად უნდა იყოსო კერძო კაცთა ხელში; მიჰყო ხელი რკინისგზების გამოხსნას კერძო კაცთაგან სახელმწიფოდ; თამბაქოს კეთების, მზადების და აღებ-მიცემობის საქმე სახელმწიფოსათვის უფრო უპრიანიაო, ვიდრე კერძო კაცთათვის და შემოიღო თამბაქოს მონოპოლია, და დღეს ხომ არაყის მონოპოლიაც შემოაქვს სახელმწიფოს სასარგებლოდ; სახელმწიფომ თვით უნდა ჰხადოს, გადაწმინდოს და ჰყიდოს არაყი. ცხადია, რომ ყოველს ამას გაძღოლა უნდა, ცხადია რომ ყოველს ამას აუარებელი ხელი, ესე იგი მუშა მოუნდება, და აი სად არის ის ფონი, რომელიც ახრჩობს. რაკი მუშები ლუკმაპურის საშოვნად სახელმწიფოს მაყურებელნი იქნებიან, რაკი სახელმწიფო იქნება მათთვის საქმის ამჩენელი, საქმის პატრონი და ამ გზით სარჩო-საბადებლის მომწვდელი, მაშინ მუშები, ამრიგად სახელმწიფოსაგან დავალებულნი, ძალაუნებურად სახელმწიფოს დაემორჩილებიან, მოემხრობიან, და ამ გზით სოციალობას რაზმი თუ სრულად არ დაეშლება, შეუთხელდება მაინც. გარდა ამისა, აგრე ყურდაჭერილნი მუშები ყოველთვის საფრთხალად ეყოლება სახელმწიფოს, თუ ვინიცობაა, ოდესმე რომელიმე წოდებამ ერისამ კადნიერის ხმით გალობა დაიწყო." *("ევროპა 1886 წელს". 1886 წ.).*

- "ყოვლად უშიშარმა ბისმარკმა, იმ პოლიტიკის ძალით, რომ ყველაფერი სახელმწიფოსაგან უნდა წარმომდინარებდესო და ყველაფერი მასვე უნდა მიერთმეოდეს და შეეწირებოდესო, ერთი საოცარი ამბავი მოახდინა ამ ბოლოს დროს. ეს ამბავი პოლიაკთა განდევნაა პრუსიის საზღვრებიდამ; 100 მილიონი ფული გამოითხოვა, რომ არამცთუ დროებით მოსულნი პოლიაკები განდევნოს, არამედ პრუსიისავე ქვეშევრდომნი და მკვიდრნი მოსახლენი პოზნანისა აჰყაროს, მათგან მამულები ძალაუნებურად შეისყიდოს და ნემენცებს დაურიგოს. ამბობენ, ამ ყოვლად საოცარს საქციელს სარჩულად უდევს საგარეო პოლიტიკა, რომლის ქსელიც ინგლისის ყოფილმა მინისტრმა სალუსბერმა გააბაო." *("ევროპა 1886 წელს". 1886 წ.).*

ევროპა - ბურჟუაზია: - "ამაებს რომ დაუფიქრდება კაცი, ტანში ჟრუანტელი უვლის... სათავე ყოველ იმისი, რაც დღეს ადამიანს აფრთხობს და შიშის ზარს სცემს, ჩვენის ფიქრით, ამისთანა ყოფაში უნდა მოიჩხრიკოს, ამ ყოფაშია ყოველისფრის დასაბამი. ბევრი რამ, რასაკვირველია, ახლო და თვალად ადვილად დასანახავ მიზეზებს ჰბრალდება ხოლმე, მაგრამ მიზეზთა-მიზეზი კი სულ ეს შეუსაბამო ყოფაა, ამისთანა ყოფის მათრახის წვერია, რომელიც ასე შორსა ჰსცემს და ასე შორსა ჰსწვდება." *("ევროპა 1886 წელს". 1886 წ.).*

- "ეს მესამე წოდებად ცნობილი ნაწილი ერისა (ეგრეთწოდებული "ბურჟუათა" წყობა), რომელიც დღეს განაგებს თითქმის ყველგან შინაურ, თუ საგარეო საქმეებს სახელმწიფოებისას, მოძრავის თავნისა და შეძლების პატრონების ნაწილია." *("ევროპა 1886 წელს". 1886 წ.).*

- "საცა კი მიიხედავთ, ყველგან ეგენი არიან: ქვეყნის გამგებლობას იკითხავთ _ ეგენი არიან, კანონმდებლობას, მრეწველობას, ვაჭრობას, _ სულ ყველგან ეგენი არიან ობსავით მოკიდებულნი, და რაც საიდან გამორჩომაა _ არავითარს შემთხვევას არ ჰკარგავენ, რომ არ გამორჩნენ. რასაკვირველია, ამ შემთხვევაში ბევრნი გულნაკლულად რჩებიან. აი ეს გულნაკლულნი, რომელსაც მეოთხე წოდებას

ეძახიან, მუშა ხალხია, რიცხვითYმრავალი, და იგი შეადგენს დღეს სოციალობის რაზმსა და დღევანდელს სატკივარს გერმანიისას." *("ევროპა 1886 წელს". 1886 წ.).*

- "შუა საუკუნეებში ერთი განსაკუთრებითი ხელთმოქმედება იყო ევროპაში. ის ხელთმოქმედება მიწის შემუშავება იყო და მის გამო მიწა შეიქმნა ცილების საგნად, რადგანაც იგი იყო პირველი და მხოლოობითი წყარო ქონებისა. ამიტომაც იქ ერობის ორი უპირველესი წოდება _ თავად-აზნაურობა და სამღვდელოება _ იმის ბრძოლაში დასრულდა, რომ მიწა მარტოდ ხელში ჩაეგდო და, როცა ჩაიგდო, საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი უფლებაც განმარტოებით დაიპყრა. პირველი გამოისახა ფეოდალობაში და მეორე მასში, რომ მარტო მიწათმფლობელობა შეიქმნა წარმომადგენლად სახელმწიფო საქმეთა გამგეობასა და წარმართვაში. მერე, როცა ერი წარმატებაში შევიდა, როცა ვაჭრობა გახშირდა, გახშირდა საფაბრიკო და საქარხნო ხელთმოქმედება, მაშინ ქონებითმა ძალამ სხვა სახე მიიღო. მაშინ მოძრავმა ქონებამ ფესვი გაიდგა და უპირატესი ადგილი დაიჭირა ერის ცხოვრებაში. მაშინ მოძრავთა სიმდიდრის პატრონნი შეეცილნენ საზოგადოებრივს და სახელმწიფოებრივს უფლებას მიწისმფლობელთა თავად-აზნაურობას და სამღვდელოებას. ეს შეცილება გათავდა საფრანგეთის დიდი რევოლუციით. ამ რევოლუციამ წამოაყენა მესამე წოდება "ბურჟუაზია", რომელმაც მიწათმფლობელობას ჩამოაცალა უპირატესობა სახელმწიფო წყობაში და მის მაგიერად დაადგინა მფლობელობა მოძრავის ქონებისა". *("ცხოვრება და კანონი". 1877-1881 წ.).*

- "დღეს თითქმის ყველას ენაზე აკერია და ეს სიტყვა გახლავთ "ბურჟუა", "ბურჟუაზია" და აქედამ წარმომდგარი "ბურჟუაზიული"". *("ქარაფშუტობა, ორთავიანობა და ორპირობა უმეცარისა". 1900 წ.).*

ენა: - "ჩვენს ეგრეთ-წოდებულ მაღალ საზოგადოებას თუ დავაკვირდებით, ცოცხალი ლაპარაკი, ის დარბაისლური ქართული საუბარი, ის საამური ქართულის სიტყვის მიხვრა-მოხვრა, ის სიმდიდრე ქართულის სიტყვიერებისა აღარ ისმის, აღარ არის". *("შინაური მიმოხილვა". 1879 წ. თებერვალი).*

- "გადაგვავიწყდა ყოველივე, რაც ენის შვენებას შეადგენს, რადგანაც ჩვენი აზრი ჩვენის ენით აღარ მოძრაობს, ჩვენი გული ჩვენის ენით აღარ თბება". *("შინაური მიმოხილვა". 1879 წ. თებერვალი)* .

- "არსებითი ნიშანი ეროვნობისა, მისი გული და სული _ ენაა." *("შინაური მიმოხილვა". 1881 წ. მარტი).*

- "ჩვენდა სამწუხაროდ, დღეს ჩვენის მიმოხილვის დასაწყისში ისეთი აზრები უნდა წარმოვსთქვათ, რომელნიც სხვა ქვეყნებში დაურღვეველ ჭეშმარიტებად გადაქცეულან და ვინც-კი მათ განიმეორებს, იქნება სასაცილოდაც აიგდონ და ამერიკის მეორედ მპოვნელი დაუძახონ.

- ჩვენ უნდა წარმოვსთქვათ, რომ ბავშვმა თავდაპირველად თავის დედა-ენაზე უნდა გაიხსნას გონება და უცხო ენის სწავლას მხოლოდ მაშინ მიჰყოს ხელი, როცა თავის დედა-ენაზედ საკმაოდ გაწვრთნილი იქნება. თუ გვინდა საკმაოდ ისწავლოს ბავშვმა უცხო ენა, დროც საკმარისი უნდა ჰქონდეს, თორემ ორსა და სამს წელიწადში არამც თუ ვერ შეითვისებს უცხო ენას, თავბედი ისე აერევა, რომ იმასაც-კი დაივიწყებს, რისაც გაგება თავის დედა-ენის შემწეობით მოასწრო". *("შინაური მიმოხილვა". 1881 წ. თებერვალი).*

- "ჩვენი ხალხი თუ რუსულის სწავლებასა თხოულობს სადმე, იმიტომა თხოულობს, რომ ჩვენში ეხლა მხოლოდ რუსულს ენასა ხმარობენ ყოველ-გვარს დაწესებულებაში და ადგილის ენები-კი, მაგალითად ქართული ენა, ყველგან გამოდევნილია... ქართულის მცოდნე მოსამართლესთანაც კი აკრძალულია ქართულად ლაპარაკი". *("შინაური მიმოხილვა". 1881 წ. თებერვალი).*

- "უცხო ენის სწავლება საჭიროა, მაგრამ სხვა მხრივ უნდა იყოს დაწყებული. იმის მაგიერად, რომ მილიონს ხალხს, რომელსაც უფრო ნაკლებ მოცალება აქვს და ნაკლები დრო, ასწავლოთ უცხო ენა, ასწავლეთ იმ ხუთასს ან ათასს მოხელეს, რომელთაც ვალად უნდა ედოთ, რომ ხალხს ემსახურონ. საქმის რიგიანად წაყვანა თავიდამ უნდა და არა ბოლოდამ". *("შინაური მიმოხილვა". 1881 წ. თებერვალი).*

- "ცხადია, რომ სამეურნეო სკოლას მხოლოდ მაშინ ექნება ვრცელი მნიშვნელობა, თუ მასში გაწვრთნილი მოწაფეები სხვადასხვა სოფელში იცხოვრებენ და თავიანთ მოძმეებს აჩვენებენ მამულის მოვლის უკეთესს მაგალითს. იმედია, არავინ ცუდს განზრახვას არ დაგვწამებს, თუ ვიტყვით, სამეურნეო სკოლაში რუსეთის გეოგრაფიისა და რუსეთის ისტორიის ცალკე სწავლება ვერაფერს სარგებლობას ვერ მოიტანს". *("შინაური მიმოხილვა". 1881 წ. თებერვალი).*

- "კაცის ენა კერძო პირსავით იზრდება და ვითარდება; ამ ზრდაში იცვლება, როგორც ჩვენ კაცნი ზრდაში ვიცვლებით ხოლმე; ხშირად იქნება, რომ კანონები, ერთს დროს საჭირონი, სხვა დროს უვარგისნი არიან ხოლმე; იმიტომაც ახალი ენა ძველს ენას არა ჰგავს, როგორც ახალი კაცი არა ჰგავს ძველ კაცსა." *("პასუხი". 1861 წ. 14 მაისი).*

- "მაგრამ რას არ უზამს მკათათვის მზის შუქი ძალით მოყვანილს წყალსა? ეს არის გასაოცარი, რომა ვიდრე ადამიანი კალამს აიღებს ხელში, ლაპარაკობს რიგიანად, სიტყვა-სიტყვაზედ მოჰყავს, თავის აზრს შეგატყობინებს ძლიერ კარგად, არც წაიბორძიკებს ლაპარაკში, არც თავს შეგაწყენს ბევრი ვითარცაებითა და უკვეებითა ისე, რომა ზოგიერთის ლაპარაკი, გაუწყვეტელი და კილოიანი, გიამება. და ისევ ის ადამიანი, როცა კი კალამს ხელს მოჰკიდებს, სულ დაეკარგება კილოცა, ენაც მაშინ დაებმის, გონებაც სხვანაირად მოჰყვება ფიქრსა და წამოისვრის ისეთს სიტყვებსა, რომელთაცა სამარადისო, შინაურულ ლაპარაკში ყურს ვერ მოჰკრავ, ან არა და მოჰყვება ისეთ მაღალ ფარდებზე ლაპარაკსა, რომა, ერთი სიტყვით, კაცს ვეღარ იცნობ, რომელიცა ორის ან სამის საათის წინათ გელაპარაკებოდა ისე საამურად. არ ვიცი რისთვის, რის მიზეზით სცდილობს ისეთი სიტყვითა სთქვას თავისი აზრი, რომა ყველას არ ესმოდეს: ან უნდა გააკვირვოს წამკითხველი თავისი ცოდნითა და ამისათვის წერაში მალ-მალე დაფიქრდება, მალ-მალე ჩაჰხედავს ლექსიკონში, ან ძველ წიგნებში, ერთი სიტყვით, სადაც ეგულება და იქიდგან ამორჩეული სიტყვებითა ნათელს აზრს დააბნელებს, გაამქისებს და გააუგემურებს, რა არის ამის მიზეზი? მე ვგონებ, ამის მიზეზი ის იყო, რომა ან ავტორსა სურს თავისი თავი დიდად მცოდნედ უჩვენოს წამკითხველებსა, ან არა და სრულიად ვერ მოუხერხებია სამარადისო სალაპარაკო ქართული ენა საქმეში გამოიყენოს, და ჰბაძავს ჩვენ წინაპართა წერაში, და ვეღარც იმათა სწვდება და ვერც ახლანდელს მიმხვდარა და ამისათვის ქაღალდზე გამოყვანილი აზრი არის ცუდად წყობილი. ყოველისფერი თავის ადგილას არის კარგი: საღმრთო წერილში არ გაუკვირდება კაცსა, რომ შეხვდეს სიტყვები: "მიაქცია", "მოაქცია", "ვითარცა", "უკვე" და სხვანი.

თითქო რაღაცა გეუბნება, რომა იქა თითქო ისე უნდა იყვეს უთუოდ დაწერილი, როგორც არის; მეტადრე იმისათვის, რომა ყური გვაქვს შეჩვეული. თუ გინდ რომ მოვინდომოთ იმ ენაზედ წერა, ვეღარ მოვახერხებთ ამ დროში, და დავრჩებით ორთა შუა. ყოველთვის უფრო სასიამოვნოა წასაკითხავად თხზულება, დაწერილი საყოველდღეო, შინაურულს ენაზედა, იმ ენაზედ, რომელითაც ლაპარაკობს ქართველი კაცი თავის სახლში, თავის ცოლ-შვილში, ტოლ-თანა და ამხანაგთანა *("ფრიდონისა და თადეოზის ბაასი". 1861 წ).*

- "არსებითი ზმნის დაკლებაზედ კი ნურასა ბძანებთ, ეგ გადაწყვეტილად არ შეიძლება ჩვენს ენაში. თუნდ თეორეტიკასა ჰკითხეთ. იქ აზრი არამც თუ ცხადია, სადაც ზმნა აკლია, იქ თვით აზრიც არ არის, იმიტომ რომ სხვათა სიტყვის ნაწილებშორის მარტო ზმნა არის აზრის გამომეტყველი. სადაც ზმნა არ არი, იქ ხომ წინადადებაც არ არი, მაშასადამე, არც აზრია, რადგანაც წინადადება გამოთქმაა აზრისა. რუსული ენა არსებით ზმნაზედ სულ სხვა კანონებსა სდებს. ეგ ჩვენი საქმე არ არი." *(პასუხი. 1861 წ.).*

- "ორგინალი, სენტიმენტალური და სხვანი მაგგვარი სიტყვები, ხმარებული ჩემს აპრილის სტატიაში, თქვენ უცხო სიტყვებად მიგიღიათ. ეგ, მართალია, ქართული სიტყვები არ არი, მთელი კაცობრივობა კი ხმარობს. ყოველ ხალხსა, ცოტაოდენ განვითარებულს და ფეხშედგმულს ევროპიის განათლებაში, შემოუტანია და მიუღია ეგ სიტყვები, როგორც თავის ღვიძლი ენის ლექსნი; მაშასადამე, არც ჩვენთვის არის დასაძრახისი, რომ ჩვენც ვიხმაროთ. ... თუნდ რომ მე არ ვიხამრო ეგ სიტყვები, მაინც კიდევ უთუოდ შემოგვეპარებიან, როგორც შემოგვეპარნენ: პოემა, პოეზია, ფილოსოფია, კრიტიკა, სტატია, ლოღიკა და სხვანი მრავალნი. ეგ არა ხალხს არ დაეძრახება, ის ჰსცრუობს, რომელიცა ძრახავს მაგგვარ სიტყვების შემოტანას ენაში." *("პასუხი". 1861 წ.).*

- „ჩვენი ენა არა ენას არ დაუვარდება ქვეყანაზედ. ნიჭიერი მწერალიც იმისთვის არის სასარგებლო ენისათვის, რომ თავის თხზულებაში ენის სიმდიდრე გამოაჩინოს ხოლმე. ეს ძვირფასი თვისება ჩვენის ენისა როგორ უნდა დაიძრახოს წინდაუხედავად თეორეტიკის ზღაპრებით! როგორ უნდა დაუკარგოთ ეგ უკეთესი თვისება ჩვენს ენასა! ცოდვაა, სასიკვდინო ცოდვაა მაგგვარი წინდაუხედავი მასხარაობა ლიტერატურაში ენაზედა და ენის უკეთეს თვისებაზედ!"

- "ხალხია ენის კანონის დამდები და არა ანბანთ თეორეტიკა". *("პასუხი". 1861 წ.).*

- "განა არ შეიძლება ენის გამოუცვლელად ქართულად, ჩვენებურად ვსწეროთ კიდეცა და ვისწავლოთ კიდეცა? თუ დააკვირდებით, სიტყვები ამდენი არის, რომა ამიერ უკუნისამდე გეყოფათ. მაშ რას აკეთებდნენ ჩვენი წინაპარნი, თუ სიტყვებსაც ვერ მოიგონებდნენ? აი, ჩუბინოვის ლექსიკონი იხმარე, იქიდგან ამოირჩიეთ სიტყვები და ყოველისფერი ხერხიანად მოვა, თუ არა და მოდი გამაფრანცუზე ეხლა. რაღა დროს ჩემი გაფრანცუზებაა?" *("სფირიდონისა და თადეოზის ბაასი". 1863 წ.).*

- "ენა, როგორც გასაღები დაკეტილისა, ყველაზედ უფრო შემძლებელია და უველაზედ სანდო მოწამეა ცივილიზაციის ისტორიისათვის, რადგანაც უფროს-ერთს შემთხვევაში ერთობა ენისა მოასწავებს ერთობას კულტურისას. მაგალითებრ, გამოცნობილია, რომ რამდენადაც ბევრია საერთო სახელები ენაში და ახლოა ერთმანეთზედ მათი მნიშვნელობა, იმოდენად შესაძლოა გამოვარკვიოთ ცოდნა ეპოქისა (ჯონ-სტუართ მილლი) ." *("აი ისტორია". 1889 წ.).*

- “ენის მკვლევარი მეცნიერება _ ფილოლოგიაა და ამიტომაც მართალს ამბობენ, რომ ფილოლოგია და ისტორია მხარ-და-მხარ დადიან, ერთმანეთს ჰშველიან, რადგანაც ცხოვრება ერისა გადაშლილია, გამომზევებულია მის ენაში, რომელიც უტყუარი სარკეა ყოველის მისის თავგადასავალისა და ყოფაცხოვრების ცვალებადობისაო (ეიჰგოფი) .” *(“აი ისტორია”. 1889 წ.).*

- “თუ ენის წარმატებას რაიმე დამოკიდებულება აქვს ანბანის მეტ ნაკლებობაზედ, _ რა თქმა უნდა _ სავსეობა და სისრულე ანბანისა უეჭველი ნიშანი უნდა იყოს ენის წარმატებისა და განვითარებისა.” *(“აი ისტორია”. 1889 წ.).*

- “ყველა ენას თავისი საკუთარი ანბანი იმიტომა აქვს, რომ თავისი სიტყვები წერით გამოათქმევინოს ასოებს. ვინ არ იცის, რომ ანბანი საზოგადოდ მარტო იმ ხმების კრებულია, რომელთაც ენა საჭიროებს თავის სიტყვების გამოსათქმელად და რომელნიც აღინიშნებიან, გამოიხატებიან ასოებით. ანბანი წარმომადგენელია მარტო იმ ხმებისა, რომელნიც ენაში არსებობენ. ანბანის ავკარგიანობა იმაზეა დამოკიდებული, თუ რამოდენის სავსეობითა და სისრულით ჰშველის ენას _ მისი სიტყვები განგებ შემოღებულ ნიშნებით, ესე იგი ასოებით, გამოსთქვას წერითა.” *(“აი ისტორია”. 1889 წ.).*

- “უსლარს, რასაკვირველია, ჩვენს ავტორზედ უკეთ სცოდნია ეს ერთად-ერთი ღირსება ანბანისა და ამიტომაც, რაკი ჩაჰკვირვებია ჩვენს ანბანს, დაუნახავს, რომ არ არის არც ერთი იმისთანა ასო, რომ რა ხმის ნიშანიც არის, ის არ გამოითქმებოდეს; არ არის ქართულში არც ერთი იმისთანა სიტყვა, რომ ზედმიწევნით, უმეტ-ნაკლეობით გამოსათქმელად შესაფერი ასო არა ჰქონდესო. ამიტომაც მართლწერა ქართულისა ისე გაადვილებულია, ისე გამარტივებული, რომ სხვა ეგეთი ანბან-სრული ენა ქვეყანაზედ არ მეგულებაო. სავსეობა და სისრულე ანბანისაც ამაშია და სხვა არარაში. სხვა რაღა უნდა მოეთხოვებოდეს ენას, ანუ ენის პატრონს ერს, როცა თავის სიტყვების დასაწერად თავის ანბანსა ჰქმნის?” *(“აი ისტორია”. 1889 წ.).*

- “არაო, _ გვეუბნება ჩვენი ავგუნებიანი ავტორი, _ რატომ “რთული ხმოვანი” ასოები არა გაქვთო. გაგონილა! თუ ენას არ ესაჭიროება, რად უნდა ტყუილ-უბრალოდ ის რაღაც “რთული ხმოვანებია”! სხვა ენის სიტყვების დასაწერად და გამოსათქმელად თუ? თუ ესეა, ეს რა თავში საცემია. ქართულ ენაში იმდენი და ისეთი ხმოვანი ასოები აქვს ანბანში, რამდენიც და როგორიც საჭიროა მისთვის.” *(“აი ისტორია”. 1889 წ.).*

- “ინგლისური ანბანი დღესაც სხვა ანბანზედ უფრო ნაკლულია, უფრო უკან ჩამორჩომილი. ინგლისელნი ერთსა სწერენ და სულ სხვას ამოიკითხავენ ხოლმე. იქ სიტყვა წერით ერთია, წაკითხვით სხვა და ხშირად ისეც არის, რომ სამი სხვადასხვანაირად დაწერილი და სხვადასხვა მნიშვნელობის სიტყვა ერთნაირად გამოითქმის, ასე რომ მნიშვნელობას მაშინ გაიგებთ, როცა დაწერილსა ჰნახავთ. მაგალითებრ, write=წერა, right-უფლება (pravo), rite=წესი (obr\d). ამ სამსავე სიტყვას ერთნაირად ჰკითხულობენ ინგლისელნი და გამოითქმის როგორც “რაიტ”, სხვადასხვა-ნაირად კი იწერება და სხვადასხვა მნიშვნელობისაა. ტეილორი ამ ამბავს დიდ ნაკლად უთვლის ინგლისურს ანბანს, მაგრამ განა ამითი ითქმის, რომ ინგლისური ენა განუვითარებელია?” *(“აი ისტორია”. 1889 წ.).*

- “ყველასაგან ცნობილია, რომ ბევრი ათი-ათასი წელიწადი გავიდა, ვიდრე ადამიანი ენას შეჰქმნიდა სამეტყვოდ. ეს შემოქმედებითი ძალი მეტყველებისა უფრო

ნაკლებად სწარმოებს მას შემდეგ, რაკი ისტორიულ ხანამდე მიაღწია ადამიანმა. ტეილორი ამბობს, რომ ამას შემდეგ ამ ძალმა ახალი თითქმის აღარა შესძინა-რა ენასაო. ამისი მიზეზი ის არისო, რომ ადამიანის საჭიროებას ჰყოფნიდა იგი სიტყვები, რაც მამა-პაპათაგან ესწავლათო, და, თუ ახალი აზრი რამ გამოეხატებოდა გონებაში, ისევ ძველს სიტყვებს გადააკეთებდა ხოლმე ასე თუ ისე ამ ახალის გამოსამეტყველადაო. თუ ეს იყო მაშინ, როცა ენა ნაკლებ მდიდარი იყო სიტყვებით, უფრო ასე უნდა იყოს ეხლა, როცა უკვე ამ მხრით გამდიდრებულია." *("აი ისტორია". 1889 წ.).*

- "ვგონებთ, თვალსაჩინოდ და სწრაფად უნდა იცვლებოდეს მარტო ჯერ არ-დადუღებული, არ-დასრულებული, არ-დამთავრებული ენა, როგორც ყველაფერი, რაც-კი ორგანებურ ზრდას ექვემდებარება. ბავში უფრო სწრაფად იცვლება, ვიდრე დავაჟკაცებული ადამიანი, ხოლო იგი ენები, რომელთაც უკვე მიუღწევიათ იქამდე, რომ თავისი ლიტერატურა აქვთ, თავისი მწიგნობრობა, უფრო ძლიერ უნდა ეურჩებოდნენ ცვლილებას, ესე იგი ახლის რისამე შემოსევას, რადგანაც ლიტერატურა, მწიგნობრობა, ანუ, როგორც ტეილორი ამბობს, სკოლის მასწავლებელი და სტამბა ძლიერ ინახავენ სიტყვებს და ერთხელ და ერთხელ დადგენილ ფორმებს. ველურთა ენა უფრო უღონო უნდა იყოს ამ შემთხვევაში. იგი უფრო ადვილად მოძრავია, რადგანაც ყოველ ცალკე თაობის ხელთ არის. მას მარტო საყოველდღეო ლაპარაკი ინახავს და მარტო იგი შერჩება ხოლმე, რაც განუწყვეტლივ ხმარებაშია." *("აი ისტორია". 1889 წ.).*

- "ამისთანა ყოფაში ენა მარტო ყურის ანაბარად არის დაგდებული. ხან ვერც მთქმელი იტყვის სიტყვას რიგიანად, ხან ვერც მსმენელი დაიხსომებს გაგონილს უცვლელად და ამიტომაც სიტყვა გადაიცვლება ხოლმე ზოგჯერ იმდენადაც, რომ ვერც კი აღადგენს კაცი მის პირველყოფილ სახეს. ეს მიზეზია, რომ მდაბიო ხალხი, ესე იგი უწიგნო, რომელიც სიტყვებს მარტო ყურით ჰტყობულობს და ყურით იხსომებს, ხშირად გადასცვლის ხოლმე სიტყვას და აფუჭებს. მაგალითებრ: Kvartira=xvatera=fatera, svoboda=slaboda, jiznm=jistm, ბედნიერი=ბედრიანი, მეფე=ნეფე, ნიშანი=ლიშანი და სხვანი." *("აი ისტორია". 1889 წ.).*

- "მინამ ლიტერატურა, მწიგნობრობა, გაძლიერებული და მოფენილი არ არის, ენის ცვლილებას კიდევ გზა აქვს, დიდი თუ პატარა, მერე-კი მუხლი თანდათან ეხუთება და სვლა უმძიმდება, და ამიტომაც ადვილად დასაჯერებელია, რომ უკანასკნელ შემთხვევაში ერთხელ დადგენილი სიტყვები და ფორმები უფრო გამძლეობენ, უფრო უცვლელობას ექვემდებარებიან, ვიდრე ცვლილებას." *("აი ისტორია". 1889 წ.).*

- "ჩვენს ენას ბევრი ისეთი განსაკუთრებული თვისება აქვს, რომელსაც ბევრი სხვა, უფრო წარმატებულად მიჩნეული ენები შეჰნატრობენ. _ ამას ეჭვი არ უნდა." *("აი ისტორია". 1889 წ.).*

- "ჩვენი ენა, მართალია, წარუმატებელია, ჩვენის ფიქრით, და განუვითარებელი, ხოლო იმ მხრით კი, რომ ჯერ მომზადებული არ არის დღევანდელს აზრს კაცობრიობისას საზოგადოდ და თუნდ ჩვენებურ ინტელიგენციისაც აღებ-მიცემობა გაუწიოს გაუჭირებლად და საკმაო განცხადებით. დღეს ჩვენი ენა იმ ხანაშია, რომ ამ მხრით შეიძინოს რამ და წარიმატოს. ამისათვის ქართულს ენას მასალა საკმაო აქვს და მხოლოდ სიმარჯვე და მოხერხება-ღაა საჭირო, რომ ეს თავისი დიდი ნაკლი შეივსოს." *("აი ისტორია". 1889 წ.)*

- “სამი ღვთაებრივი საუნჯე დაგვრჩა მამა-პაპათაგან: მამული, ენა, სარწმუნოება. თუ ამათაც არ უპატრონეთ, რა კაცები ვიქნებით, რა პასუხს გავსცემთ შთამომავლობას?” *(“ორიოდე სიტყვა თავად რევაზ შალვას ძის ერისთავის კაზლოვის მიერ “შეშლილი”-ს თარგმანზედა”. 1860 წ. 5 ნოემბერი).*

- “ენა საღვთო რამ არის, საზოგადო საკუთრებაა, მაგას კაცი ცოდვილის ხელით არ უნდა შეეხოს.” *(“ორიოდე სიტყვა თავად რევაზ შალვას ძის ერისთავის კაზლოვის მიერ “შეშლილი”-ს თარგმანზედა”. 1860 წ. 5 ნოემბერი).*

- “ვინც წინდაუხედავად ბღაჯნის, აღარა ბღაჯნოს; რადგანაც იგინი თავის ბღაჯნითა ამდაბლებენ ჩვენს ენას.” *(“პასუხი”. 1861 წ. 14 მაისი).*

- “ჩვენი ენა არა ენას არ დაუვარდება ქვეყანაზედ.” *(“პასუხი”. 1861 წ. 14 მაისი).*

- “ხალხია ენის კანონის დამდები და არა ანბანთ თეორეტიკა.” *(“პასუხი”. 1861 წ. 14 მაისი).*

- “ენა, ჩვეულება, წესიერება, ისტორია, ყველა ეს შეადგენს იმ განსაკუთრებულს ნიადაგს, რომლის მიუხედველად შეუძლებელია ხალხის ცხოვრებაზედ ზედმოქმედება, მისი წარმატება და მისის კეთილ-მდგომარეობისათვის სარგოიანი მოღვაწეობა.” *(“ფიქრი და შენიშვნა”. 1878 წ.).*

- “ჩვენი აზრი ის არის, რომ ყოველს სწავლასა და ცოდნას საძირკვლად საკუთარის მწერლობისა და ვითარების ცოდნა უნდა დაედოს... ახლად ფეხადგმულმა საზოგადოებამ საკუთარი ვითარება უნდა შეისწავლოს... მაგალითად, თუ დიდმა და პატარამ ქართული ენა საკმარისად არ ვიცით, ცხადია, რომ ამ ენის შესწავლა ჩვენთვის აუცილებელი და უმთავრესი საგანია; თუ ეს ენა კარგად შევითვისეთ, მაშინ აშკარაა, უცხო ენასაც და მწერლობასაც უკეთ შევისწავლით.” *(“თერგ-დალეულნი” და ახალი თაობა”. 1888 წ.).*

- “ენა ხომ ერთობ იმისთანა რამ არის, რომ მარტო იმას ამოიძახებს ხოლმე, რასაც კაცი ჩასძახებს.” *(“პატარა საუბარი”. 1898 წ.).*

- “ყოველთვის უფრო სასიამოვნოა წასაკითხავად თხზულება, დაწერილი საყოველდღეო, შინაურულს ენაზედა, იმ ენაზედ, რომელითაც ლაპარაკობს ქართველი კაცი თავის სახლში, თავის ცოლ-შვილში, ტოლ-თანა და ამხანაგთანა.” *(“სფირიდონის და თადეოზის ბაასი”. 1861 წ.).*

- “ყოველი მთარგმნელი უნდა იმასა სცდილობდეს, რომა გადმოიღოს სხვისი აზრი ქართულ ენაზე ისე, რომა ნამდვილსა და თარგმანის აზრს შორის არა იყოს რა იოტის ოდენი განსხვავება.” *(“სფირიდონის და თადეოზის ბაასი”. 1861 წ.).*

- “სადაც ქართველი კაცი, ქართულად მოლაპარაკე, თითონა სწერს თავის თვალით ნახულს საგანზედა, და სურს გააგებინოს თავისი აზრი მკითხველსა, იმას არას დროს არ ეპატიება, რომა იმის დაწერილი სტატია თავით ბოლომდისინ ჰგვანდეს გადმოთარგმნილსა, და არ იყოს დაწერილი იმ ენაზე, რომელზედაც ლაპარაკობს შინა, გარეთა და საზოგადოებაში.” *(“სფირიდონის და თადეოზის ბაასი”. 1861 წ.).*

- “ჩვენ რომ ეგრე დაჟინებით და უკან-დაუხევლად ვთხოულობთ დედა-ენისათვის სრულს და დაუბრკოლებელს გზას სასწავლებელში, _ ეგ, მარტო დედა-ენის სიყვარულით არ მოგვდის. ვთხოულობთ და ვნატრულობთ იმიტომაც, რომ უდედა-ენოდ გონების გახსნა ბავშვისა შეუძლებელია. მაშინ სკოლა გონების გახსნის სახსარი-კი არ არის, გონების დაჩაგვრისაა, გონების დახშვისაა, დათრგუნვისაა,

გათახსირებისაა, _ და განა ეს სასურველია ვისთვისმე?” *(“ბ-ნი იანოვსკის წერილისა გამო”. 1881 წ.).*

- “დედა-ენა ცნობილია არამც თუ უკეთეს და აუცილებელ სახსრად, რომ სკოლამ თავისი დანიშნულება აასრულოს, არამედ უპირველეს საგნადაც, რომელიც ბავშმა უნდა შეისწავლოს და იცოდეს. მაშასადამე, სკოლამ საზოგადოდ და საერომ საკუთრივ ეგ სამსახური უნდა გაუწიკოს ერსა.” *(“ბ-ნი იანოვსკის წერილისა გამო”. 1881 წ.).*

- “შუაგულს ქართლში მთავრობამ სემინარია გახსნა, მერე იმისათვის, რომ ქართულის სოფლის ბავშებისათვის ოსტატები გამოსწურთნოს და მაინც კიდევ ქართულს არ ასწავლიან. ვიცინოთ ამაზედ, თუ ვიტიროთ? .” *(“ვიცინოთ თუ ვიტიროთ”. 1877 წ.).*

- “ენის მრავალსიტყვაობა ერის მრავალაზროვობას მოასწავებს, და როცა ისტორია ორს ენას ერთმანეთს მოახვედრებს, უფრო სუსტი და უძლური ენა ზედ-იჩნევს გავლენას უფრო წინწასულ და უფრო კულტუროვან ენისას”. *(“ქვათა ღაღადი”. 1899 წ.).*

- “ჩვენმა ქართულმა ენამ, აქამომდე შკოლებიდან გამოდევნილმა, ისევ ფეხი შესდგა ჩვენს შკოლებში”. *(“შინაური მიმოხილვა”. 1879 წ. იანვარი).*

- “ქართული ენა უნდა დაიდვას ქვაკუთხედად ჩვენი განათლებისა”. *(“შინაური მიმოხილვა”. 1879 წ. იანვარი).*

- “სჩანს, ენის გამოკვლევა რა დიდი ღონეა ადამიანის გონებისათვის და ფილოლოგია, როგორც ენის მკვლევარი მეცნიერება, რა სამსახურს უწევს ისტორიასა მის წინადროთა აღსადგენად და საცნობელად. ეს ღონე გამოიჩინა ფილოლოგიამ უფრო მაშინ, როცა ადამიანის გონებამ მიაგნო ერთსგვარს გზას კვლევისას, რომელსაც “შედარებითი მეთოდი” _ ჰქვიან. ამ მეთოდმა, სიფრთხილითა და ცოდნით ხმარებულმა, ისეთი უტყუარობა, ისეთი ზედმიწევნილობა აღმოიჩინა, ისეთი სახელი დაიგდო, რომ არ არის მეცნიერება, რომელიც, საცა საჭიროა, ამ მეთოდს არა ხმარობდეს. ამ მეთოდით ბევრს წყვდიადსა და ბნელს ნათელი მოეფინა, ბევრი დაფარული გამომზევდა. ამიტომაც ამბობს ერთი მეცნიერი (ედუარდ ფრიმანი, ინგლისელი, კემბრიჯის უნივერსიტეტის პროფესორი), რომ “შედარებითი მეთოდი ერთი უდიდესი ძლევამოსილობაა გონებისა ჩვენის საუკუნისაო”. მისის სიტყვით, ამ მეთოდმა იმისთანა გზა გაგვიჭრა, რომლის შემწეობითაც დღეს შესაძლოა მთლად და უეჭვოთ დავრწმუნდეთ იქ, საცა უწინ მარტო ამოცანებით და ეჭვით ლაპარაკი იყო. ამ მეთოდმა მოგვცაო, ამბობს იგი, ღონე და სახასრი შინაგანის საბუთებით დავამტკიცოთ უფრო ცხადად და უტყუარად ის, რასაც გარეგანი საბუთები არა აქვსო.

- პირველი, რომელმაც ეს მეთოდი იშვილა, ფრიმანის სიტყვით, არის ფილოლოგია, და მას აქეთ ფილოლოგია, ანუ უკეთ ვსთქვათ _ შედარებითი ფილოლოგია, ისეთს მაგარს საფუძველს დაებჯინა, რომ ვერა ძალი ვეღარ შეარყევსო. თუმცა იმ ხანაში, რომელსაც შედარებითმა ფილოლოგიამ თავისი ნესტარი გაუბნია, არავითარი წერილობითი მოწმობა არ დარჩენილა, არავითარი პირდაპირი გეში, მაგრამ, ამბობს იგივე ფრიმანი, საბუთები შედარებითს ფილოლოგიისა უფრო საიმედონი არიან, ვიდრე ბევრი რამ იგი, რასაც იძლევა წერილობითი ნაშთი ისტორიისაო. ამ გზით ჩვენ იმისთანა ამბებს ვცნობულობთო, რომელთ შესახებ შეუძლებელია გარეგანი საბუთი, მაგრამ შინაგანი საბუთი-კი, რაკი ერთხელ

ნაპოვნია და დადგენილი, შეურყეველია და ყოველს ეჭვს უკარგავს ადამიანსაო.” *(“აი ისტორია”. 1889 წ.).*

- “თითონ სიტყვა “შედარება”, ცოტად თუ ბევრად გვამცნევს _ რა უნდა ვიგულისხმოთ, როცა ვამბობთ “შედარებითი მეთოდი”. შედარება იმ მოქმედებას გონებისას ჰქვიან, როცა ორს ან რამდენსამე საგანს ერთმანეთს წაუყენებს, დაუპირისპირებს, რომ აღმოჩნდეს, რაში აქვთ მსგავსება, ერთნაირობა, და რაში სხვაობა და სხვანაირობა. შედარების საგნად შესაძლოა რამდენიმე სხვადასხვანაირი შემთხვევაც იყოს ერთისა და იმავე მოვლენისა, ხოლო იმისთანა შემთხვევანი-კი, რომელშიაც გამოსაძიებელი მოვლენა თავს იჩენს ასე თუ ისე.” *(“აი ისტორია”. 1889 წ.).*

- “სწორედ რომ ვთქვათ, სიტყვა “შედარება” სრულიად არ უხდება, სრულიად არც შეეფერება იმ-გვარს კვლევას საგნისას, რომელსაც ამ სიტყვით ჰხატავს მეცნიერება ყველა ენებში. ეს-გვარი კვლევა _ შედარება კი არ არის, სწორედ ის არის, რომ კაცი კვალში ჩაუდგეს რომელსამე საგანს, ან მოვლენას, რომ ან სათავიდამ ბოლომდე ჩაჰყვეს, თუ სათავე ვიცით და ბოლო არა, და ან ბოლოდამ სათავემდე აჰყვეს, თუ ბოლო ვიცით და სათავე არა, და ამისათვის კიბედ გაიხადოს ყოველივე შემთხვევა, ყოველივე დრო, ყოველივე ადგილი, სადაც კი ან საგანს, ან მოვლენას თავი გამოუჩენია. ვსთქვათ, შეგვხვდა ქართული ბავშვური სიტყვა “აჩუა”. საიდამ არის ეს სიტყვა, რის მომასწავებელია და ნიშნავს იმას თუ არა _ რასაც ბავშვი ამ სიტყვით ასახელებს? ჩვენს ენაში ამ სიტყვის ასახსნელს ვერაფერს ვიპოვნით. თუ კვალში ჩავუდგებით და სხვა ენებს ამ განზრახვით მოვჩხრეკთ, დავინახავთ, რომ სანსკრიტულად (ძველის-ძველი ენაა) acva, ზენდურად (ძველის-ძველი სპარსული) aspa, ლათინურად eguus, ირლანდიულად ech, ლიტოვურად aszwa _ ცხენსა (შრადერი) ნიშნავს და ყველგან ისმის ცხადად და ნათლად ჩვენებური “აჩუა”. ცხადი არ არის ეხლა, რის ნაშთია და საიდამ წარმომავალი ეს სიტყვა “აჩუა”, რომელსაც დღეს ჩვენში მარტო ბავში ჰხმარობს, ან ბავშვისათვის ვხმარობთ ცხენის მაგიერ?

- რა თქმა უნდა, ეს ამბავი, ასე ცალკედ, ასე ობლად და მარტოდ აღებული იმოდენად არა არის რა, რომ კაცმა მისდა მიხედვით რაიმე გადაწყვეტილი აზრი შეადგინოს ან ერთი შთამომავლობასა და ნათესაობაზე, ან რაიმე მახლობელობაზე. ხოლო ყოველივე ამისთანა ამბავი, ცალკე თუ სხვებთან ერთად, ისტორიის მკვლევარისათვის ანგარიშგასაწევია იმოდენად, რამოდენადაც იგი ანიშნებს ზედგავლენას. დამოკიდებულებას ერთმანეთზე სხვადასხვა ერებისას, რომელნიც, რაკი ამისთანა საბუთია, უეჭველია, ერთმანეთს ოდესღაც შეჰხვედრიან ისტორიის გზაზედა ისე თუ ასე. ფრიმანი უფრო დიდს ავალას აძლევს ამისთანა ამბავსა, თუმცა ზოგიერთნი ამაში უცილობელად ბევრს არას უთმობენ ამ მეცნიერს.

- ფრიმანს მოჰყავს, მაგალითად, სიტყვა mill, molare, რუსული vjkjnm, და ამბობს, რომ ერთგვარ ენების ჯგუფში ყველგან ეს თავდაპირველი ძირი სიტყვისა ისმის, ზოგან უცვლელად და ზოგან ცვლილებით, იმ მოქმედების აღსანიშნავად, რომელსაც “ფქვა” ჰქვიანო. აქედამ წარმომდგარა თვით წისქვილის სახელიცაო ამ სხვადასხვა, ერთმანეთზედ იმოდენად დაშორებულ ენებში, რომ ერთის მიერ მეორისაგან შემოღება რისამე საზოგადოდ და სიტყვისა ცალკედ ყოვლად შეუძლებელია ისტორიულის საბუთით კაცმა წარმოიდგინოსო. ნუთუ ეს ამბავი შემთხვევას უნდა მიეწეროს და არა იმას, რომ ეს სხვადასხვა ენები ოდესღაც ერთი და იგივე ენა ყოფილაო. შეიძლება რომელმამე ცალკე ერმა თავისგნით მოიგონოს ხელობა ფქვისა,

მაგრამ რომ ამ მოქმედებას ერთი და იგივე სახელი დაარქვას ერთმანეთზედ დამოუკიდებლად _ ეს კი ყოვლად შეუძლებელიაო. თუ ესეა, როცა სახეში გვაქვს მარტო ერთი ცალკე სიტვა, რაღა ითქმის მაშინ, როცა ამისთანა მსგავსებით სხვა ბევრი სიტყვაც აღმოჩნდება სხვადასხვა, ერთმანეთზედ დაშორებულ ენებშიო. როცა ამისთანა საბუთები წინ გვედება, შეუძლებელია კაცმა ის დასკვნა არ გამოიყვანოს, რომ ყველა ამ-გვარად შედარებული ენები ოდესღაც ერთი და იგივე ყოფილა და ერნი, რომელნიც ამ ენებს ლაპარაკობენ, ერთისა და იმავე შთამომავლობისაა, ხოლო განაწილებულან და გაყრილან მას შემდეგ, როცა უკვე ერთობაში მიუღწევიათ ამ ცივილიზაციის ხარისხამდე, რომ წისქვილის ხმარება სცოდნიათო, _ ამბობს ბოლოს ფრიმანი. აი, როგორ ჰშველის შედარებითი ფილოლოგია ისტორიას.

- მაგალითად, ავიღოთ ჩვენი ჩვეულება, რომელიც გვიშლის, რომ მონაკვეთი ფჩხილი, ან თმა არ გადავაგდოთ ცუდ-უბრალოდ, და გვავალებს _ უსათუოდ ცეცხლში დავსწვათ, ან მიწაში ჩავფლათ. სად არის ამისი მიზეზი, სათავე? რის მომასწავებელია ეს ჩვეულება? აშკარაა, აქ რაღაც მიზეზს დაუდგენია ეს ჩვეულება, და რა მიზეზს _ ეს-კი აღარ დაგვხსომებია. რომ მოვჩხრიკოთ, ყოველს დროს, ყოველს ადგილას, ყოველს შემთხვევაში, საცა-კი დედამიწის ზურგზედ ამ ჩვეულებას თავი უჩენია, ვნახავთ, რომ ეგ ჩვეულება ერთნაირ რწმენისაგან არის წარმომდგარი. უწინ სჯერებიათ, რომ ადამიანის კუთვნილს რასმე, საცმელს, სამოსელს, ნაკვეთს ფჩხილს, თმას და სხვა ამისთანას, განუწყვეტელი კავშირი და დამოკიდებულება აქვს პატრონთან მაშინაც, როცა პატრონი ერთგან არის და მისი კუთვნილი მეორეგან, თუნდა ძალიან შორსაც. ამის საბუთს დღესაც ვხედავთ, როცა ჩვენებურს მკითხავებს აკითხვინებენ ხოლმე, ან ბედს შეაკვრევინებენ და გაახსნევინებენ მარტო იმით, რომ ხელსახოცზედ აკითხვინებენ, ან ხელსახოცს შეალოცვინებენ იმ კაცისას, რომელიც მკითხავზე შორს არის. ამ რწმენის პირდაპირი შედეგი ის არის, რომ რასაც ადამიანის კუთვნილს შეამთხვევთ, ის პატრონსაც შეემთხვევა. რადგანაც ესეა, შესაძლოა პატრონის მონაკვეთისას, მონარჩენისას, კუთვნილისას _ ჯადო რამ გაუკეთონ, ბედი შეუკრან და ბოროტი შეამთხვიონ. ამის შიშით ყველა თავისას უფრთხილდება, რომ უალაგო ალაგას არა დარჩეს-რა, თორემ მავნე სული, მტერი ვინმე იპოვნის, მოაჯადოვებს და აქედამ ჯადო პატრონს ეწვევა.

- ყველგან, საცა კი ეს ჩვეულება ითვალთვალება, მაგალითებრ _ ავსტრალიის, პოლინეზიის, გვინეის ხალხებში, _ ნახავთ, რომ შიშითა თრთიან დღესაც, ჩვენს კუთვნილს რასმე ჯადო არ გაუკეთონ და იქიდან ჩვენ არ გადმოგვედოსო. რა თქმა უნდა, რომ თუ ეს შიში ასე მოქმედებს მაშინ, როცა ლაპარაკი იმისთანა კუთვნილებაზეა, რომელიც ადამიანის ნაწილს არ შეადგენს, მაგალითებრ _ ცხვირსახოცი და სხვა ამისთანა, მაშინ რაღა უნდა ითქვას, როცა კუთვნილი მონაკვეთი ნაწილია ადამიანისა, როგორც ფჩხილი და თმა. ძველის-ძველს სპარსებს მთელი წესი და რიგი აქვნდათ დანიშნული მონაკვეთი ფჩხილისა და თმის მიწაში დასამარხად, რომ მავნე სულებმა არა შეამთხვიონ რა მათ გამო პატრონსა. შორს რათ წავიდეთ, დღესაც ევროპაში ერიდებიან ფჩხილისა და თმის გადაყრას ამავე შიშით. გერმანიის გლეხი დღესაც თურმე ყმაწვილის დაბადების დღიდამ ნათლობამდე სახლიდამ არაფერს გააცემინებს, რომ გაცემულს არავინ შეულოცოს და იმის გამო ბავშვს ბედი არ შეეკრას (ზანგების მოგვებმაც ასე იციან: როცა ავადმყოფს არ

შეუძლიან მათთან მისვლა, მაშინ იმის ტანისამოსსა, თუ სხვას რასმე ამის მსგავსად შეულოცვენ ხოლმე).

- ეს მაგალითი, სულ სხვა სფერის მოვლენიდგან ამოღებული, რა თქმა უნდა, შედარებულ ერთა ნათესაობის და ერთობის მომასწავებელი არ არის. იგი მარტო იმას გვაუწყებს, რომ ადამიანის გონებას ყველგან ერთისა და იმავე გზით უვლია თავის წარმატების გზაზედ, ერთნაირს შიშსა და საფრთხეს ერთნაირი წამალი მოჰყოლია და ერთნაირ მიზეზს ერთნაირად გადაუხრია, ერთნაირად გაუტაცნია გონება. გარდა ამისა, ეს მაგალითი შუქსა ფჰენს იმ წყვდიადსა, რომელიც დღეს გარს ახვევია ჩვენგან მოყვანილს ჩვეულებას, გვშველის აღვადგინოთ ის, ეხლა დავიწყებული, აზრი ჩვეულებისა, რომელიც ოდესღაც ასულდგმარებდა თვითონ ჩვეულებას. ამ გზით იგი ხელს უწყობს გაგებას და ახსნას ეხლანდელისას, რომელიც თუმცა შერჩენია ცხოვრებას, მაგრამ არც თავი უჩანს, არც ბოლო და სასაცილოდ-ღა ასაგდები გაგვხდომია, მაშინ როდესაც ერთს დროს თავისი შესაწყნარებელი მიზეზი ჰქონია და, მაშასადამე, საპატიო ყოფილა." *("აი ისტორია". 1889 წ.).*

- "ენამ გულისა უნდა სთქვას, ფერ-უმარილი რა საჭიროა." (*"ოთარაანთ ქვრივი". [1886] – 6 ქრისტეშობისთთვეს 1887 წელსა).*

"**ენამან** თქვენმან გამხილათ თქვენ და ვისაც ყურნი აქვთ სმენად, ისმინონ." *("ქუთაისის ბანკის საქმეთა გამო". 1890 წ. 2 ნოემბერი).*

"**ენას** ბწკალი არ მოედება." *("აი ისტორია". 1889 წ.).*

"**ერთადერთი** სიტყვაც არ მახსოვს მისი იმისთანა, რომ ცოცხალი სიტყვა იყოს, გულსა და გონებას გასაღვიძებლად მოხვედროდეს". *("უმეცრობის ფართი-ფურთი". 1900 წ.).*

"**ერთაშორისი** დაუნდობლობა, ომი და სისხლის ღვრა კაცობრიობის ბედნიერების და კეთილდღეობის სულის შემხუთავი და დამღუპველია" *("ევროპის მილიტარობა და ამერიკის მერმისი". 1889 წ. 25 თებერვალი).*

"**ერთი** მაქვს სჯობს ათასს მქონდას"." (*"კაცია ადამიანი?!" 1858-63 წ.).*

"**ერთი** დანაშაულობისათვის სამჯერ გადახდევინება _ რჯულის წინააღმდეგია". *("წერილები ილია ჭავჭავაძისა ოლდა თადეოზის ასულ გურამიშვილისადმი". 1873 წ. 4 მაისი).*

"**ერთი** დღე არავის შერჩენიაო." *("ევროპა 1886 წელს").*

"**ერთი** და იმავე სახელმწიფოში შესაძლოა სხვადასხვა გვარტომობა მოთავსდეს ასე, რომ არც გვარტომობამ შეჰხუთოს სახელმწიფო ინტერესები და არც სახელმწიფომ _ ინტერესები გვარტომობისა." *("ირლანდია და ინგლისი. 1886 წ.).*

"**ერთი** ქუდი დასდეთ და სამართალი ისე ჰქენით". *("უმეცრობის ფართი-ფურთი". 1900 წ.).*

"**ერთი** ალილო მღვდელსაც შესცდებაო." *("კაცია ადამიანი?!" 1858-63 წ.).*

"**ერთი** კაცი ვიყავ, წავიდოდი და მტვერი მტვერად ვიქცეოდი. ქარი დამქროლავდა და იმ მტვერსაც აჰგვიდა დედამიწის ზურგიდამა." ("*გლახის ნაამბობი*". *1859, 1862-1873 წწ.).*

"**ერთი** ალილო მღვდელსაც წასცდებაო, ნათქვამია". *("ორიოდე სიტყვა თავად რევაზ შალვას ძის ერისთავის კაზლოვის მიერ "შეშლილი"-ს თარგმანზედა". 1860 წ.).*

"**ერთის** მერცხლის ჭიკჭიკი გაზაფხულს არ მოიყვანს". *("შინაური მიმოხილვა". 1879 წ. თებერვალი).*

"**ერთის** ნაპერწკალითა მთელი ბულული გადაიწვის ხოლმე." *("სფირიდონის და თადეოზის ბაასი". 1861 წ.).*

"**ერისათვის** თავდადება / მეფისათვის სახელია" *("მეფე დიმიტრი თავდადებული". 1878 წ.).*

ერობა: – "ერობაც მეტად დიდი რამ არის. იგია უტყუარი ორღანო ქვეყნის საჭიროების გამოთქმისათვის, ერის არჩევანით, იგია ერის წარმომადგენელი კრება. ყოველივე,

ვინც-კი უკეთესი მოჭირნახულეა ერისა, იქა მოქმედობს და იღწვის. ერობას ფეხი თვით ერის დირეზედ უდგას, ერის ცხოვრებაში ტრიალებს და ერის ცხოვრებით სულდგმულობს. ამიტომაც იგი ზედმიწევნით მცოდნეა, რა სტკივა ერსა და რა წამალი დაედება." *("შინაური მიმოხილვა". 1881 წ. დეკემბერი).*

- "თუ ერობის საქმე ისეა მოწყობილი, რომ იგი მართლა ერობდეს, უკეთესის ნატვრა, ჯერ ამ ხანად მაინც, მეტისმეტის წადილი იქნება." *("შინაური მიმოხილვა". 1881 წ. დეკემბერი).*

- "რა თქმა უნდა, კანონზედ ბევრი რამ არის დამოკიდებული. თუნდ თვითონ არჩევანის საქმე ავიღოთ. ვსთქვათ, კანონად დაიდოს, რომ თუ არ ჩინოვანი, ამორჩეულ არ უნდა იქმნას, ანუ თუ არ ჩინოვანს, ანუ მდიდარს, არჩევანის ხმა არ უნდა ჰქონდესო, _ მაშინ ერობა ცალიერი, ფუყი და ფუჭი სახელი იქნება. ჩინოვანი და მდიდარი _ ერი არ არის. ერი წრის გარეთ დარჩება. თუ, მაგალითებრ, კანონად დაიდვა, რაც მიამება _ მარტო ისა სთქვიო, და რა წამალიც მე ვინდომო _ ის წამალი იხმარეო, მაშინ ერობა ტვირთია და არა შვება და შეღავათი. მაშინ ერობა ერს კისერზედ დააწვება მთელის თავისის სიმძიმითა, ხარჯებითა, გადასახადებითა და მუხუდოს ოდენა სიკეთესაც კი არ მოუტანს." *("შინაური მიმოხილვა". 1881 წ. დეკემბერი).*

- "ერობა ორკეცი რამ არის: ერთით მოვალეობაა და მეორით უფლება, ერთით _ ტვირთია, რადგანაც ხარჯი, გადასახადი მოსდევს, მეორით _ ღონეა სიკეთისა, რადგანაც ერი თითონ ჰპატრონობს თავის-თავს და ხარჯსაც და გადასახადსაც თავის-თავს ახმარებს საჭიროებისამებრ." *("შინაური მიმოხილვა". 1881 წ. დეკემბერი).*

- "ერობა იმისთანა რამ არის, ან სულ მთლად უნდა იყოს, ან სულ არა." *("შინაური მიმოხილვა". 1881 წ. დეკემბერი).*

"**ეს** წუთისოფელი ცოდო და მადლის ჭიდილია, სხვა არაფერი. ზოგი ცოდოს იკიდებს ზურგზედ და ტყვიასავით მძიმეა, ზოგი მადლს და ბუმბულსავით სუბუქია" *("ოთარაანთ ქვრივი". 1887 წ.).*

"**ეს** სოფელი მიტომ მინდა, შენ გიყურო ჩემო მზეო." (*"ოთარაანთ ქვრივი". [1886] – 6 ქრისტეშობისთთვეს 1887 წელსა).*

"**ეს** ბურთი და ეს მოედანი." (*"ოთარაანთ ქვრივი". [1886] – 6 ქრისტეშობისთთვეს 1887 წელსა).*

"**ეს** ბატონი ჭკვაზედ უკაცრავად ბრძანდებაო." ("*კაკო". 1859 წ.).*

"**ეს** დალოცვილი ღმერთი, ერთს ამოდენა სწავლას და ჭკვას მისცემს, რომ ძლივს დაუძრავს, მეორეს კი ხელცარიელს დააგდებს" *("კაკო". 1859 წ.).*

"**ეს** დაუძინებელი სიხარბე და მსუნაგობა იმისთანა ძალმომრევი თვისებისა და ბუნებისა არის, რომ რაკი აღვირი დაბღუჯა და გაიწია, არ მოერიდება, რომ გუშინდელი მტერი დღეს კაცმა მოყვრად გაიხადოს და გუშინდელი მოყვარე მტრად." *("ახლო აღმოსავლეთი და ინგლისის დღევანდელი პოლიტიკა". 1895 წ. 14 ნოემბერი).*

"**ეს** კარგად იცოდნენ, რომ ჩვენ პირთან საქმე არა გვაქვს, ჩვენ საზოგადო საქმეზედ ვწერთ" *("კაცია – ადამიანი?! 1858-1863 წ.).*

"**ეს** ადამიანები, რომელთაც მე და თქვენ ვეკუთვნით, რად იჭირებენ საქმეს, რომ სხვადასხვა მოგონილის სულელურის წესით, რომელსაც ზრდილობას ეძახიან, ერთი-ერთმანეთს თავისუფლებას ართმევენ." (*იგი წავა და სხვა მოვა ტურფასა საბაღნაროსა. 1861-1863 წ.).*

"**ეს** არევ-დარევა აზრებისა, ეს გაურჩევლობა ტყუილისა და მართლისა, ბოროტისა და კეთილისა, არსად სხვაგან ისეთის თავმოწონებით არ გათამამებულა, არ გაკადნიერებულა, როგორც ჩვენში." *("უარმყოფლობა ჩვენში". 1888 წ.).*

“**ესეც** კი უნდა ითქვას სხვათა შორის, რომ მართლმსაჯულობას გახურებულის რკინის თვისება აქვს. იგი სწვავს, როცა სუსტს მხარეს შეეხება ხოლმე და მაგ თვისებას ვერავინ ვერ ჩამოართმევს მართლმსაჯულობასა ზრდილობის სახელითა. ყველას ემწვავება ხოლმე, როცა ვარაყით მოოქროვილს კაკალს დაჰხარის, შიგ კაი გული დევსო, და თქვენ-კი გატეხთ და შიგ გულის მაგიერ ჭიის საბუდარს დაანახვებთ.” *(“ტფილისის ქართული საადგილმამულო ბანკი”. 1886 წ. 25 ივნისი).*

“**ერთსახობა**, ერთ-ნაირობა ადამიანის თვალს ხალისს უფუჭებს ცქერისას, დაკვირვებისას და ზედამხედველობისას. რა ქნას ამ ყოფაში და ამისთანა ქვეყანაში მოარულმა შინაურმა მიმომხილველმა? ამ არარაობის გუნდი კისრად იღოს და დადუმდეს, თუ მაინც-და-მაინც ამისთანა საქმეზედ მიაქციოს მკითხველის თვალი, რომელიც, თუ ბევრით არა, ცოტათი მაინც ღირსია ყურადღებისა? ჩვენ ამ-ჟამად უკანასკნელი ვირჩიეთ და თუ ჩვენი არჩეული არავის მოეწონოს, ნუ გვიკიჟინებს.” *(“შინაური მიმოხილვა”. 1882 წ. ივლისი-აგვისტო).*

ერი: - “ერს რომ გზა შეუკრან წარმატებისა, _ რაც გინდ პატარა ერი იყოს _ არავისთვის არც მოსაწონია, არც გამოსაყენებელი. არ არის ქვეყანაზე იმისთანა ერი, რომელიც, თუ ცოტაოდენად მაინც გონებად მოსულია, ცოტაოდენი ისტორია ჰქონია და კულტურაში ცოტაოდენად ფეხი მოუკიდებია, რითიმე გამოსადეგი არ იყოს სახელმწიფოში, რაც გინდა დიდი სახელმწიფო იყოს და მორჭმული თვისის სულიერ და ხორციელ ძალ-ღონითა”. *(“ქვათა ღაღადი”. 1899 წ.).*

“**ეხლა** რომ კაცმა სწეროს განათლების გარდა ნიჭიც უნდა ჰქონდეს. ცოდნა და განათლება ისე აუცილებელი არ არის, როგორც ნიჭია საჭირო და აუცილებელი. ამის დასამტკიცებლად შორს არ გავგზავნი მკითხველს. აი, რუსეთში, გაუნათლებელ და უცოდინარმა კალცოვმა თავის ნიჭით ასეთი სახელი დაიგდო, რომ როგორც სახალხო პოეტი, კალცოვი პუშკინზედაც მაღლა დასვეს რუსებმა” *(“პასუხი”. 1861 წ.).*

„**ეხლა** რომ კაცმა ჰსწეროს, ცოდნის და განათლების გარდა, ნიჭიც უნდა ჰქონდეს. ცოდნა და განათლება ისე აუცილებელი და საჭირონი არ არიან პოეტისათვის, როგორც ნიჭია საჭირო და აუცილებელი. ამის დასამტკიცებლად შორს არ გავგზავნი მკითხველს. აი, რუსეთში, გაუნათლებელ და უცოდინარმა კალცოვმა თავის ნიჭით ასეთი სახელი დაიგდო, რომ, როგორც სახალხო პოეტი, კალცოვი პუშკინზედაც მაღლა დასვეს რუსებმა”. *(“პასუხი”. 1861 წ.).*

“**ეხლა** ჩვენ ბევრი ფიქრი გვაწუხებს, მრავალი სხვადასხვა საჭიროება გვაქვს.” *(“სფირიდონის და თადეოზის ბაასი”. 1861 წ.).*

“**ეხლანდელს** დროს რაღაც ხიფათი შეემთხვა და ადამიანის ლოღიკამ გზა შეიშალა, თითქო ან მართულები მოიშალა, ან ღერძი გაუბრუნდდაო. სულ ყველაფერი აირივ-დაირივა, ტყუილი და მართალი ვეღარავის გაურჩევია, ქვენა-გრძნობანი ზენა-გრძნობათა ადგილას გამეუფდნენ, ცოდვამ მადლის პირბადე ჩამოიფარა, ყალბი ხალასად გადის და ნაძირალა თავანკარად. თითქო ჭკუისა და გულის აღებ-მიცემობაში აღარ იშოვება საწყაო ცოდვისა და მადლისა, ტყუილისა და მართლისა.

- ყველანი ვხედავთ ამას, ყველას თვალ-წინ ათასი ამისი მაგალითი გვიდგა და ყველანი ვიშვნევთ და ვიწყნარებთ ამისთანა ყოფას, თითქო ამითი არავითარი რიგი ურთიერთობისა არ ირღვეოდეს, თითქო ამ არევ-დარევაში, ამ გაურჩევლობაში ვპოულობდეთ მაგარ ტინს, რომელზედაც უნდა აშენდეს ჩვენის ბედნიერების ციხე-სიმაგრე, თითქო კეთილს, მართალს, მადლს უღონობა შეაჩნდათ, და ამის გამო

ბოროტს, ტყუილს და ცოდვას-ღა მივენდენით სრულის იმედით, რომ იგი ჰქმნან კაცის ბედნიერებისათვის, რაც კეთილმა, მადლმა და მართალმა ვერ შესძლეს." *("უარმყოფლობა ჩვენში". 1888 წ.)*[1].

"**ეხლანდელს** დროში მხოლობითი გზა წარმატებისა თავად-აზნაურობისათვის ის არის, რომ ყველამ ერთად, გამოურჩევლად, გამოუკლებლად, მოზიარე ექმნას ჭირსა და ლხინში და თავისი ქონებრივი და გონებრივი ღონე არ შეალიოს. ამაო ცდას, რომ ცალკე ვიყოთ, ცალკე ვბედნიერობდეო. ეს ცალკე ყოფნა და ცალკე ბედნიერება შეუძლებელია და ამიტომაც ამაოა ამისათვის ცდაცა. *("წოდებათა თანასწორობა". 1888 წ.).*

"**ეჰ**, რაც არის არის! ვითმინოთ, ვიდრე მოითმინება, ვიდრე ძალა და ღონე კაცად-კაცობისა კიდევ გვერჩის". *("წერილები ილია ჭავჭავაძისა ოლდა თადეოზის ასულ გურამიშვილისადმი". 1873 წ. 23 ოკტომბერი).*

"**ეჰ**, რაც არის, არის – ეშმაკის კერძად არ გამხადო, მკვდარს დამიურვე, მიპატრონეო" *("გლახის ნაამბობი". 1859/1862 – 1873 წ.).*

"**ეჰა**, მამულო! შენის ტრფობის ძალსა ღვთიურსა / რა დაუდგება? კლდის სიმაგრეს აძლევ უძლურსა... / ოდეს შენდამი სიყვარული დაიძვრის გულში, / დედაც კი შვლის სიყვარულს ჰკლავს შენს სიყვარულში; / რა სხივოსანი შენი შუქი აღმობრწყინდება / კაცისა გულში, ყველა გრძნობა მასშია ჰქრება, / ვითა მზის შუქში უმცირესი მნათობი ცისა, / ვითა ზღვაშია დაცული წვეთი წვიმისა" *("ქართვლის დედა". 1860 წ. ბოლო რედაქცია, 1871 წ.).*

3

„**ვაი** იმ ხალხს, რომელმაც არ იცის, რისთვის ცხოვრობს, რომელიც ხავსს იკიდებს ერთს დამპალს გუბეში და არ იცის, რომ გუბეს გარედ მინდვრებია ამწვანებული და ჰაერი ცხოვრების მიმნიჭებელი; უფრო ვაი იმ საზოგადოებას, რომელმაც არამც თუ

[1] ჩამატება: „რით გაგახაროთ...." / „არეულია დედამიწა ცა და სამყარო, / არ ვიცი, რა ვთქვა, რა გიამბოთ, რით გაგახაროთ. / ვერ გამიგია, ვინ რას ფიქრობს, ვინ რას ჩალიჩობს, / ვინ რას კადრულობს, რომ ცხოვრება გაიხალისოს. / ზოგი ყიდულობს, ზოგი ყიდის, ზოგი იპარავს, / ზოგი საშოვრად უცხოეთში მიედინება, / მოდად აქცია ზოგიერთმა ლანძღვა-გინება. / ქალმა კაცობა მოინდომა, კაცმა ქალობა / და ამის მერე უფლისაგან ვითხოვთ წყალობას, / ვინ დააწესა, ირემი რომ მგელმა შეჭამოს, / ანდა ღატაკი სიკვდილამდის უნდა ეწამოს? / რად გვიხარია, როცა უცხოს ვემსახურებით, / იქნებ იმიტომ, რომ სულს ვღაფავთ უსაქმურობით? / საკუთარ ენას ვამახინჯებთ სხვისი შემყურე, / იქნებ, დრო დადგა გამოაცხოს პური მეპურემ? / იქნებ დრო დადგა შევაჩეროთ სულით დაცემა, / ერის საკითხი მოაგვარონ ერისკაცებმა? / რა ვქნა, თუ ჩემი ქვეყნის ბედი დღემდის მაწუხებს, / ვერ ვეგუები ვერც შიდა და გარე მარწუხებს. / ვერ ვეგუები, თვალებში რომ ნაცარს მაყრიან, / ქრისტეს გამცემი გვევლინება კეთილ-ნათლიად. / ვერ ვეგუები, როცა ვინმე თავზე მადგია
და სამათხოვროდ გადმოგდებულ პურს მამადლიან. / პატარავდება ჩემი ქვეყანა, პატარავდება მიწა ხნიერი - / იქ, სადაც ზამთრის სარჩო მომყავდა, / დღეს სახლს იშენებს გადამთიელი. / ვითვლი და ვითვლი გაყიდულ მიწებს, / ვიცოდე მაინც, რისთვის ყიდიან?! / დღეს ბოლო მერცხლის ბუდე გაყიდეს, / ნეტავი ხვალე რას გაყიდიან? / გაყიდეთ ოქრო, გაყიდეთ ვერცხლი, / გაყიდეთ პური, ქერი და შვრია, / ოღონდაც მამულს ნუ გამიყიდით, / მამულს, რომელსაც სამშობლო ჰქვია! (გორელი პოეტი ნოდარ მდინარიძე)

ეს, ისიც არ იცის, რომ უნდა ცხოვრობდეს უთუოდ რისთვისამე!“ *(“ცისკარი” 1857 წლიდან – 1862 წლამდინა”. 1862 წ.).*

“**ვაი**, რა ცარიელია ეს სავსე ქვეყანა უადამიანოდ!.. არა, წარიღეთ ეს ბნელი და მშვიდობიანი ღამე თავის ძალითა და სიზმრებითა და მომეცით მე ნათელი და მოუსვენარი დღე თავის ტანჯვითა, წვალებითა, ბრძოლითა და ვაი-ვაგლახითა! ჰოი, ბნელო ღამევ, მეჯავრები შენ მე! შენ რომ არ დაარსებულიყავ ქვეყნისათვისა, მე მგონია, რომ ნახევარი უბედურებაც ადამიანისა ქვეყანაზედ არ იქნებოდა. შენთა მოვლენათა დასცეს პირველად თავზარი ადამიანის გონებასა და დააფთხეს იგი. მას აქეთ შეშინებულსა გზა თვისი ვერ უპოვნია, _ და აჰა, იბრძვის ადამიანი და დღევანდლამდე ათასში ერთსა თავისი ერთხელ დამფრთხალი გონება ფრთხოლას ვერ გადაუჩვევია. აი მიზეზი ქვეყნის უბედურობისა. ჰოი, ბნელო ღამევ! მეჯავრები შენ მე. შენი კალთის ქვეშა, ვინ იცის, რამდენი გაბოროტებული მტერი ადამიანისა ეხლა თავს იმალავს? ვინ იცის, ამ ბნელ ფარდის ქვეშ, რომელიც ეხლა ჩემს თვალს ჩამოაფარე, რამდენი მჭედელი და მტარვალი ქვეყნისა სჭედავს ბორკილთა ადამიანის ბედის შესაჭედად? შენ ხარ ხელის შემწყობი იმ ხელობისა, რომელსაც თვალთმაქცობას ეძახიან და რომელიც ადამიანის დამფრთხალ გონებასა უბედურობას ბედნიერებად აჩვენებს ხოლმე; შენ ხარ ჟამი და დრო კუდიანების სერობისა, საცა ისმის სადღეგრძელო სიბნელისა. ჰოი, ბოროტო, წარვედ ჩემგან, დღეო ნათელო, მოვედ შენ!..” *(“მგზავრის წერილები”. 1861 წ.).*

“**ვაი**, რა კარგია ხოლმე ხანდისხან ეს უხეირო წუთის-სოფელი! ავკარგიანი ყოფილა, შენი ჭირიმე, ეს ქვეყანაცა.” *(“გლახის ნაამბობი”. 1859, 1862-1873 წწ.).*

“**ვაჟი**-კაცის წესი არის – / კაცს შეჰრჩება ძმასავითა” *(“მეფე დიმიტრი თავდადებული”. 1878 წ.).*

“**ვერც** ერთი ცალკე წოდება ერისა ვერ დაიქადნებს, რომ თუ მე კარგადა ვარ, სხვებიც კარგად იქნებიანო. Eეს ტყუილი ქადილი იქნება და ამ ტყუილმა ბევრსაც ჩასცხო კიდეც თავში ყველგან, საცა ამისთანა თავგასულს ადგილი ჰქონია. თუ უწინ ამისთანა ტყუილს ქადილის, ჩვენში თუ სხვაგან, გასავალი ჰქონდა ცოტა თუ ბევრი, ეხლა ამას მაზანდა ძალიან წამხდარი აქვს და სიცილის მეტს კაცს არას მოჰგვრის. ეხლა სხვა დროა და ამ სხვა დრომ სხვა მოძღვრებაც მოიტანა, მოძღვრება მართალი და ჭეშმარიტი. ეხლა ცალკე კაცია, თუ ცალკე წოდება, მარტო ამას უნდა იძახდეს, და მარტო ამისათვის უნდა ერჯოდეს გული, რომ თუ სხვანი კარგად არიან, მეც კარგად ვიქნებიო. ვინც დღეს ამას ივიწყებს, ის ივიწყებს საკუთარს თავსა, საკუთარს ბედნიერებას სულიერსა და ხორციელს”.

ვეფხის-ტყაოსანი: - “ტარიელი, ნესტან-დარეჯანი, ავთანდილ, ფრიდონ, თინათინ არც თავისს-დღეში ყოფილან და არც არიან, არც ოდესმე უცხოვრიათ და არც ეხლა სცხოვრობენ, მაგრამ აბა ჰნახეთ ჩვენი საკვირველი რუსთაველი როგორ სასწაულთ-მოქმედობს ადამიანზე, როცა იმათს ცხოვრებას გვიამბობს, მათის ცხოვრების მაჯისცემას გვატყობინებს!.. შოთამ მის მიერ მოგონილ ამბავს ისეთი სული ჩაატანა, რომ ამ ჭეშმარიტ სულისაგან თვით არაჭეშმარიტი ამბავი მართალი გვგონია. აი ეს საოცარი გარდაქმნა, ანუ უკეთ ვთქვათ, ქმნა არ-ყოფი-ლისა ყოფილად, მარტო შემოქმედს შეუძლიან და ამიტომაც ამ ღვთიურს ძალ-ღონეს ქმნისას შემოქმედობას ეძახიან.” *(“ჩვენი ეხლანდელი სიბრძნე-სიცრუე”. 1896 წ).*

“**ვერ-გამკითხველი** თავის თავისა სხვის განკითხვასაც ვერ შეძლებს”. *(“დიმიტრი ყიფიანი”, 1887 წ. 7 ნოემბერი).*

“**ვენახები** კაი მოზრდილ ლუკმას ქონებისას წარმოადგენს ჩვენში.” *(“კრედიტი საქართველოს მევენახეთათვის”. 1894 წ. 15 დეკემბერი).*

“**ვზივარ** და შევჭვრეტ ჩემ წინ სანთელსა, / რომელიც წეღან უხვად ნათელსა / ჩემს ოთახს ჰფენდა და აშუქებდა / და თვალ-წინ ბნელსა განმინათლებდა; / აწ გაწურულა გასაქრობლადა, / შანდლისა თავზე ძლივ-ძლივღა ბჟუტავს, / ხან ჩაქრება და ხან მნათობლადა / კვლავ შანდლიდამა წამოიხედავს. / ებრძვის სიკვდილსა ჩემი სანთელი, / მაგრამ მას, წყეულს, რა დაამარცხებს? / ლაჟვარდად ქმნილი სუსტი ნათელი / შანდლის ჯურღმულში თავსა ანარცხებს. / აგერ ოთახსაც ჩრდილმან გადაჰკრა, კედლებზე ძლივს სცემს ბნელადა შუქი, აგერ სანთელიც შანდალში ჩაქრა... / რა დამრჩა მისგან? – მწვარი პატრუქი. / ეგრეთაც კაცო ძლიერი ჰქრება, / რა ეწვევა მას სიკვდილი – მტერი; / მშვენიერ არსის მაგიერ გვრჩება / ერთი მუჭა-ღა გამხმარი მტკვარი. *(“სანთელი”. 1857 წ. პეტერბურგი).*

“**ვინ** იცის? ღვთის განგებას ვინ მიხვდება?” *(“გლახის ნაამბობი”. 1859/1862 – 1873 წ.).*

“**ვინც** სხვის ბეზღობით არ იცნობს ქართულს ლიტერატურას და თავისით დაჰკვირვებია, ის არამც თუ ერთმანეთის ქებას და დიდებას დააბრალებდა ქართულს ლიტერატურას, პირიქით, გადაჭარბებულს ერთმანეთის კილვასა და კიცხვასა, ჩვენდა სამწუხაროდ. ჩვენში წუნი უფრო ხშირია, ვიდრე ქება და დიდება ერთმანეთისა. არც ერთს ქართველს მწერალს, დღეს ცოცხალს, ვერ გვიჩვენებთ, რომ თავისი სახელი მოეპოვებინოს სხვისის ქებითა და დიდებითა. ყოველი ჩვენი მწერალი, თუ რამ სახელი მოუპოვებია, თავისის ნიჭის მადლობელია და არა ლიტერატურულ რეკლამებისა. ჩვენს სიცოცხლეში მარტო ერთი შემთხვევა მახსოვს, რომ ორს მწერალს საჯაროდ ერთმანეთი კეთილის სიტყვით ეხსენებინოს და გვგონია, ამ შემთხვევაშიაც ვერავინ აკადროს ან ერთს, ან მეორეს უსაბუთობა, პირმოთნეობა და ყიზილბაშობა შესწამოს” *(“დასავლეთის ეტიკეტი”. 1886 წ.).*

“**ვინ** მოსთვლის ყოველს იმ სიკეთეს, რომელიც მეცხრამეტე საუკუნემ შესძინა კაცობრიობას. ერთი დიდი და სახელოვანი საქმე მეცხრამეტე საუკუნისა, სხვათა შორის, ის არის, რომ მაგარს საფუძველზე დააყენა და ფრთა გააშლევინა იმ კაცთმოყვრულს მოძღვრებას, რომ ყოველი ადამიანი, რა წოდებათა კიბის საფეხურზედაც გინდ იდგეს, მაინც ადამიანია, და ვითარცა ადამიანი _ ყველასთან თანასწორი, თანასწორად შესაწყნარებელი და გულ-შესატკივარი. მართალია, ამ მოძღვრების დასაბამი დიდის ხნისაგან მოდის, მაგრამ ამ საუკუნემ ეს მოძღვრება განადიდა, გაამლიერა, გააფართოვა და, დაუდვა რა მეცნიერული საბუთი, ღარიბთა და უძლურთა სამწეო მოძღვრებად გარდააქცია. ამ მეცხრამეტე საუკუნემ სოციალურის წყობილების იდელად გამოსახა “გაუქმება ქონებისა და შემოსავლის მეტ-ნაკლებად განაწილებისა ადამიანთა შორის, გაუქმება ყოველის კლასობრივის ბატონობისა და, შეძლებისამებრ, ყოველის კლასობრივის სხვადასხვაობისა, ფეხზე წამოყენება და ხელშეწყობა გამრჯელ და მშრომელ კლასებისა წარსამატებლად” ამ გზაზე წინა საუკუნეებს ერთად იმოდენი არა უქმნიათ-რა, რაც ამ ერთმა მეცხრამეტე საუკუნემ ჰქმნა თვისდა პატივის მოსახსენებლად.” *(“მეცხრამეტე საუკუნე”. 1899 წ.).*

“**ვინც** უნდა იყოს, გლეხი, თავადი, ერი თუ ბერი ისტორია ყველას ღვაწლია, საერთოდ მთელის ერის ნამოქმედარია, და იგი მამა-პაპაა, რომელსაც თავისი სახელი აქვს ისტორიაში განუყოფლად, იმიტომ რომ საისტორიო კაცი ხორცია ხორცისაგან მთელის ერისა და ძვალი ძვალისაგან. ამიტომაც ისტორიაში მოქმედ მამა-პაპის ავად

ხსენებაც არის და ამას გლეხი, ვით შვილი ერთისა და იმავე ქვეყნისა, ერთისა და იმავე ერისა, თავის დღეში არ იკადრებს" *("სანდალას წიგნისა გამო". 1888 წ.).*

"**ვისა** აქვს იგი ადამიანის ღირსებისათვის უკადრისი მართლა-და უფლება, იგი ყოვლად შეუწყნარებელი და ადამიანობის შემაგინებელი ბატონობა, რომ კაცი პასუხს საგებლად მოედანზე გამოსჭიმოს, ვიდრე ბრალმდებს თავისი არ დაუსაბუთებია იმოდენად მაინც, რომ პირველ შეხედვით საბუთი-საბუთს ჰგვანდეს და არა ტყუილების გუდას". *("ნუთუ?" 1905წ.).*

"**ვინც** ლაფში თავიდამ ფეხამდე ამოსვრილია, არ შეიძლება ისე შეეხოს სხვას, რომ თავისი ლაფი იმასაც არ მოაცხოს" *("საქართველოს მოამბეზედ". 1862 წ.).*

"**ვისაც** არ ესმის, რა არის ლიტერატურა ან ლიტერატორობა, იმას არ უნდა ესმოდეს, ლიტერატორს რა შვენის და რა არა შვენის. მე და თქვენ აქ ხმა არა გვაქვს. ჩვენი მწერალი ქალი ბძანებს, ვითომც მე ვანბობდე, რომ ეგენი ქართულს ახდენენ. ტყუილია თუ? სადაც აზრი არ არი, იქ ენა, რაც უნდა კარგი იყოს, სულ უქმია; მერე მე არსად არ გამიგია, რომ უაზრო ენა იყოს სადმე, აზრი და მხოლოდ ერთი აზრი აძლევს ენას ენის მნიშვნელობას, – ყველანი, ვისაც რამ ესმის, ამას ამბობენ, და თქვენი ანბანთ თეორეტიკისა კი არ ვიცი, რას იტყვის. უთუოთ წინააღმდეგს ამბობს, რომ თქვენი ლექსები სწორეთ მის გაკვალებულ გზაზედ მიდიან. უნიჭო, და ამასთან უცოდინარი მწერალი არა მარტო ენას ახდენს, ამასთან გონებას, გემოვნებას, გულს და სულს მკითხველისას. ამას ჩვენ მწერალ ქალს არ მივაწერთ, რადგანაც მაგათ არც წახდენა შეუძლიანთ რისამე და არც გაკეთება."

"ეგენი ბძანებენ, რომ ბუნებას მოუციაო ხმა სიტყვის გამოსახატავად; ხმა მხეცისათვისაც მიუცია ბუნებას, მაგრამ არა მხეცი არა მგონია ლაპარაკობდეს, თუმცა ბევრი მაგალითები ზოოლოგიაში გვიმტკიცებენ, რომ, კაცის გარდა, სხვა ცხოველნიც ამცნებენ ურთიერთს თავის სურვილს, განზრახვას, ერთის სიტყვით, აზრსა; მაგრამ ესეც ყველამ კარგად ვიცით, რომ ისინი ამცნებენ აზრსა ურთიერთს არა სიტყვის საშვალობით; მაშასადამე, ბუნებას, ხმის გარდა, სხვა ნიჭიც მოუცია კაცისათვის; ეს ნიჭი არის ნიჭი სიტყვიერებისა. მაგ ნიჭს შეუდგენია ენაცა, სიტყვაცა და მხოლოდ სიტყვას შეუდგენია ხმოვანიც და უხმო ასოცა".

"აბა, ერთი მიბძანეთ, რომელ ბუნების კუნჭულში ჰსცხოვრობს ასო: ა, ბ, გ, დ, ე, ვ? ეგენი მხოლოდ სიტყვებში ჰსცხოვრობენ, სიტყვის მიხედვით არიან შემდგარნი და მხოლოდ სიტყვის ძალით არსებობენ ქვეყანაში. სიტყვა რომ არ იყოს ქვეყანაზედ, არც ასოები იქნებოდნენ. ძალიან ვწუხვარ, რომ ჩვენ მწერალ ქალს შინიდგან კარში ფეხი არ გამოუდგამს და, ანბანთ თეორეტიკის გარდა, არა უკითხავს რა, თორემ გაიგებდა, რომ მაგას ამბობენ უკეთესი ფილოლოღები. ჩვენი მწერალი ქალი მოჰყოლია და, დამტკიცების მაგივრათ, ზღაპრებს გვიბრძანებს თეორეტიკის სახელითა". *("პასუხი". 1861 წ.).*

- "ვეფხის-ტყაოსანი", _ ეს უძირო მორევი, ზღვა აზრისა და გრძნობისა." *("რა მიზეზია, რომ კრიტიკა არა გვაქვს". 1887 წ.).*

"**ვითომ** მეც ნახირ-ნახირო." *("ჩვენი ეხლანდელი სიბრძნე-სიცრუე". 1896 წ.).*

"**ვერაფერი** მშვიდობიანობაა, თუკი კაცი იძულებულია ხელი ხმალზე ევლოს დღემუდამ და ისე ჰპატრონობდეს თავის თავსა".

"**ვინც** მოჰკვდა, თავსა მოუკვდაო, იტყვიან ხოლმე გლეხები. განა მართალი არ არის! *("ოთარაანთ ქვრივი". [1886] – 6 ქრისტეშობისთთვეს 1887 წელსა).*

“**ვინც** სიძულვილი არ იცის, მას სიყვარულიც არ ეცოდინება.” (“*ზოგიერთი ხანა მოთხრობისა “მარგალიტი ლექში”.” 1861-1863 წ.).*

“**ვინც** თითონ მოიპოვებს სახელს, იგი ბევრით წინ არის იმაზე, ვისაც სახელი მამა-პაპათაგან რჩენია და რგებია. ამიტომაც არის თქმული, რომ უფრო სასახელოა კაცმა თავისი გვარიშვილობა ასახელოს, ვიდრე _ სახელოვანის გვარიშვილობით თავს იწონებდესო”. *(“ალექსანდრე როინაშვილი”. 1898 წ.).*

“**ვისაც** გქონან ყურნი სმენად, ისმინეთ”. *(“ასი წლის თავი ერეკლე მეფის გარდაცვალებიდან”. 1898 წ. 12 იანვარი).*

“**ვისაც** ძალიან სძულს ბოროტება, მას ძალიან ეყვარება კეთილი _ ეგ აშკარაა.” *(“საქართველოს მოამბეზედ”. 1862 წ.).*

“**ვინ** ვისა სდევნის, ვინ ვისა ჰკლავს და იკლებს, ვინ სტყუის და ვინ მართალია იქ, სადაც ერთის მხრით ძალია და მეორეს მხრით უღონობა, _ ეს ყველამ აშკარად იცის, ამას ყველა აშკარად ჰხედავს.” *(“ოსმალეთის სომეხთა განწირვა”. 1895 წ. 19 ნოემბერი).*

“**ვინ** ამაგობს ქვეყანაზედ ნაამაგების გადასაყრელად?” *(“კახეთის რკინისგზა”. 1886 წ. 6 მარტი).*

“**ვისაც** ყურნი ესხნენ სმენად, ისმინონ!” *(“ქვათა ღაღადი”. 1899 წ.).*

“**ვითმინე**, ვითმინე და ბოლოს აივსო ფიალა მოთმინებისა”. *(“უმეცრობის ფართი-ფურთი”. 1900 წ.).*

“**ვისაც** უნდა, რომ ღმერთი ასახელოს და ადიდოს, _ სთქვა პატარა ხანს უკან მღვდელმა თავისთავად, _ იმან ორი სახელი უნდა იქონიოს: ერთი აქ დასარჩენი, მეორე თან წასაყოლი.” *(“გლახის ნაამბობი”. 1859, 1862-1873 წწ.).*

“**ვინა** შრომობდა და ვინა ჰმღება, / ღმერთო, სად არის აქ სამართალი?!” *(“აჩრდილი”. 1759 წ. ბოლო რედაქცია, 1872 წ.).*

“**ვინც** კაი საქმესა ჰშვრება, სახელისთვის ჰშვრება? არა, სახელი თავისთავად მოდის ხოლმე და კეთილ საქმეს ზედ გამოებმება. მართალია არიან იმისთანა კაცები, რომელნიც სიკეთეს იქმოდნენ მარტო იმისთვის, რომ სახელი დაგვრჩებაო. მაშინ ისინი იმ კაი საქმეს სახელზედ ჰყიდიან. ეს ცუდია, მაგრამ მე და შენ რა დავა გვაქვს? დაე, თუნდ გაჰყიდონ, ოღონდ ნივთი კარგი რამ იყოს, დაე, საქმე საქებურ იყოს, - და გულის-წადილის გაჩხრეკა ღვთის ნებაზედ მივაგდოთ. აი, ეხლა, ვინც თავდაპირველად გუთანი მოიგონა, ვინ იცის, სხვისთვის ისე არა ჰფიქრობდა, როგორც თავისთვისა, ისე სიკეთისათვის არა, როგორც სახელისთვის, ჩვენ რა? ღმერთმა ცხოვრება მისცეს იმას, რომ იქნება თითონ მშიერი მოკვდა და ამოდენა მილეთის მცხოვრებლებს კი გაუწყვეტარი ლუკმის სახსარი მისცა. იმისი სახელი გაქრა ქვეყანაზედ, საქმე-კი, რომელიც ყველა სახელზედ უკეთესი სახელია, დარჩა საუკუნოდ. საქმედ – რომელიც მარტოკა დასძლევს მთელ ქვეყნიერების ცოდვებსა! ხომ ეხლა არავინა ჰკითხულობს: - რა წადილი ჰქონდა, როცა საწყალი თვალსა და გონებას იწყალებდა ამ სახელოვანის საქმისათვის. ის წავიდა თავის მარგის თუ ცუდის გულის-წადილითა და იმის გულის-წადილის ნაჭირნახულევი კი ხელთ დაგვრჩა...” *(“გლახის ნაამბობი”. 1859/1862 – 1873 წ.).*

“**ვსთქვათ** ცოტაოდენი კაცის ბუნების სისუსტეზედ: რასაკვირველია, რომ ზოგი ვისაც ძალა და ღონე აქვს, გაიქცევა ხოლმე მოედნიდამ და იმალება ხალხში; ზოგი-კი, ვისაც არც ღონე აქვს და გამოვა და შეუპოვრად დადგება შუა მოედანზედ. რით არის ამისთანა წინააღმდეგობა კაცის ბუნებაში? ამას ყოველი გონიერი კაცი მიხვდება, თუ გონება დააკვირვა მაგ ორგვარ ქცევასა. სულელის უბედურება ის კი არ არის, რომ სულელია, ის არის, რომ თავისთავს ვერ იცნობს და თავისი თავი დიდი რამა ჰგონია.

მე ადამიანის წვრილმანობით თუ გავამართლებ ამ სიტყვებს: “მე ქვეყნიერების არა მესმის რაო, ცოდნის გლახა ვარო, მისწავლია ორიოდე სიტყვები, რომელნიც ხან საჭმელად მგონია, ხან სასმელადო, მაგრამ მაინც-კი გამოვდივარ მოედანზეო, რათა კენჭებით მაინც დავანგრიოო”. ჭიდილისა, რომ იქნება იქაც-კი იმ კაცს, რომელიც ეგრე გულწრფელობით აღიარებს: არაფერი შემიძლიანო, მოედანს ჩამოაცლიან”. *(“პასუხი”. 1861 წ.).*

“**ვსტირ** და გირჩევ ღვთის სახელით / ხორცი დასთმო სულისათვის, / უკვდავება არ დაჰკარგო / წუთის-სოფლის გულისათვის!”. *(“მეფე დიმიტრი თავდადებული”. 1878 წ.).*

ზ

“**ზნე-მაღალ** კაცისათვის ნამუსი უფრო დიდი საქონელია, ვიდრე ჭკუა, და ამისთანა კაცი სულელის სახელს უფრო ირჩევს, ვიდრე უნამუსოსას, მაგრამ, დალოცვილო, თუ არ გესმის რასა სწერ, რათა სწერ? თუ გული ერთს გეუბნება და ხელი სხვასა ჰჯღაბნის, ჭკუა სადღა ჯანდაბაშია, რომ ამისთანა ურჩს ხელს არ მოსჭრის და ცეცხლში არ ჩააგდებს.” *(“ამბავი ყბად-ასაღები და წყალ-წასაღები”. 1889 წ.).*

“**ზოგჯერ** თქმა სჯობს არა-თქმასა, ზოგჯერ თქმითაც დაშავდების” *(“გლეხთა განთავისუფლების პირველი დღეების სცენები”. 1865 წ.).*

“**ზოგჯერ** მოკლე სიტყვაც გრძელია.” *(“ოთარაანთ ქვრივი”. 1887 წ.).*

“**ზოგი** ჭირი მარგებელიაო” *(“ევროპა 1886 წელს”).*

“**ზოგჯერ** ძილიც ძილი არ არის...” (*“ოთარაანთ ქვრივი”. [1886] – 6 ქრისტეშობისთთვეს 1887 წელსა).*

“**ზოგან** თქმაც კარგია.” (*“ოთარაანთ ქვრივი”. [1886] – 6 ქრისტეშობისთთვეს 1887 წელსა).*

“**ზღაპარი**, არაკი, იგავი სიბრძნეც არის და სიცრუეც. სიცრუე თითონ ამბავია, სიბრძნე _ შიგ ჩასახული აზრია ერთიც, მეორეც და მესამეც ხელოვნური ხორცთსხმაა საჭკუო, საზნეო სწავლა-შთაგონებისა, განსახოვნებაა აზრისა, ისეთი განსახოვნება, რომელიც მარტო შემოქმედებითის ნიჭის საიდუმლოებას შეადგენს.” *(“ჩვენი ეხლანდელი სიბრძნე-სიცრუე”. 1896 წ.).*

თ

“**თავი** და თავი მიზეზი იმ უჭველ ამბისა, რომ მიწათმოქმედება ჩვენში მატებას და გაძლიერებას მოკლებულია; რომ დღეს არ იძლევა იგი იმოდენას, რომ არამც თუ სახვალიოდ რაიმე გადავინარჩუნოთ, სადღეისოდაც არა გვყოფნის; რომ ჩვენს საკუთარ მიწაზედ ჩვენის უმხნეობით და დაუდევრობით სხვის დღიურ მუშად გავიხადეთ თავი, და ვინ არ იცის, რომ დღიურ მუშის კერძი მსოფლიო სუფრაზედ იმოდენია, რომ მხოლოდ საკმარისია კაცს შიმშილით სული არ ამოხდეს, _ ყოველ ამისი თავი და თავი მიზეზი იგია, რომ დღეს ჩვენებურს მიწათმოქმედებას იგივე საგანი აქვს, იმავე საქმეს ეტანება და ზედ ალევს თავისს ძალასა და ღონეს, რაც მეჩვიდმეტე და მეთვრამეტე საუკუნეში და კიდევ წინათაც უნდა გასძღოლოდა ასე თუ ისე მაშინდელთა მკვიდრთა საჭიროებას, და ამ სახით, მაშინ, როცა ჩვენს გარეშემო ყველაფერი შეიცვალა, ჩვენი ერთადერთი ეკონომიური სახსარი არც ზნეს იცვლის, არც ფერსა”. *(“კახეთის სოფლის მეურნეთა კავშირი”. 1895 წ. 4 ნოემბერი).*

“**თავისუფლებავ**, შენ ხარ კაცთა ნავსაყუდარი, / შენ ხარ ჩაგრულის, წვალებულის წმინდა საფარი, / შენ ხარ მშვიდობა და სიმართლე ამა ქვეყნისა, / შენ ხარ აღმზრდელი ღვთაებამდე კაცთ ბუნებისა. / მტარვალთა თქმითა ოდითვე ხარ შენ აკრძალული, ხე ცნობადისა ედემს რგული, შენი ხე იყო. / მაგრამ სამოთხეც, ყოველისფრით აღსავსე სრული / პირველ კაცთათვის უშენოდა არარა იყო. / რა განიცადეს იმათ შენთა მადლთა უხვება, / მსწრაფლ აღგიარეს, ჰოი, ღმერთოვ, თაყვანებითა. / მსწრაფლ მოგიპოვეს ფასად მისცეს თვის უკვდავება / და სამოთხეც სთმეს სრულის მისის ნეტარებითა. / ეგრედ ნაშოვნი რად წაგვერთვი მოსავთა შენთა? / რაღად ჰღვრის დღესაც შენთვის სისხლსა ადამიანი? / რად შეიღებე კაცის სისხლით საშიშრად ჩვენდა, და რისთვის დახვალ ამა ქვეყნად პირსისხლიანი? / თვით ხარ მშვიდობა, უხვად მადლთა ქვეყნად მომფენი, / მაგრამ სისხლით კი იკვლევს გზასა მძებნელი შენი! / რად არ შენდება უსისხლოდა მისი ტაძარი / მისი, რომელიც თვით მშვიდობის ღვთაება არი? *(“ქართვლის დედა”. 1860 – 1871 წ.).*

“**თავ-საცილს** კაცი არ მოუკლავს. კაცი რომ სულელების კბილთა ღრეჭას აჰყვეს, სად წავა?” *(“ოთარაანთ ქვრივი”. 1887 წ.).*

“**თავისის-თავის** ქება დამპალ კიტრადაც არა ჰღირს.” *(“ჩვენი ეხლანდელი სიბრძნე-სიცრუე”. 1896 წ.).*

“**თავზე** ბუზსაც არ ისვამს და დიდის ბუკით და ნაღარით იქადის: რაცა ვარ, მე ვარო”. *(“უმეცრობის ფართი-ფურთი”. 1900 წ.).*

“**თავისუფლებავ**, შენ ხარ კაცთა ნავთსაყუდარი / შენ ხარ ჩაგრულის, წვალებულის წმინდა საფარი, / შენ ხარ მშვიდობა და სიმართლე ამა ქვეყნისა / შენ ხარ აღმზრდელი ღვთაებამდე კაცთბუნებისა” *(“ქართვლის დედა”. 1860 წ. ბოლო რედაქცია 1871 წ.).*

“**თავისუფლების** შოვნაი / სჯობს საშოვნელსა ყოველსა” *(“ქართვლის დედა”. 1860 წ., ბოლო რედაქცია 1871 წ.).*

“**თაკილი** უკან უნდა დასდგეს იქ, საცა ბიწისაგან აშფოთებული, გამწვავებული გრძნობა ადამიანობისა ჰღაღადებს და კაცს ვალად სდებს ბიწს ბიწის კარამდე სდიოს.” *(“ამბავი ყბად-ასაღები და წყალ-წასაღები”. 1889 წ.).*

“**თამროს** ხსენებაზედ დალია იმ ალალმა ადამიანმა თავისი ალალი სიცოცხლე. ბოლონდელი ამოკვნესა იმისი მაინც თამროს სახელი იყო და მაგ ამოკვნესას ამოაყოლა საწყალმა თავისი ტანჯული, ნაქენჯნი, მაგრამ მართალი სული და ისე გაშორდა ამ გულშემატკივარს, ცოდვით სავსესა წუთის-სოფელსა” *(“გლახის ნაამბობი”. 1859/1862 – 1873 წ.).*

თეატრი: - “ნიჭი და დახელოვნება განუყრელი და-ძმანი არიან და აუცილებელი საჭიროებაც არის კარგის არტისტისათვის.” *(“ქართული თეატრი”. 1886 წ.).*

- “ნიჭი არ-დახელოვნებული, არაგაწურთვნილი, ხელოვნება ნიჭით შუქ-არშესხმული და არ გაბრწყინვალებული, გვერდჩამოთლილი სიკეთეა არტისტისა, ცალკერძია, და ერთის მქონებელი კაცი უმეოროდ ნახევარ-არტისტია.” *(“ქართული თეატრი”. 1886 წ.).*

- “ნიჭი ხელოვნებას ეკითხება თავის საზღვარს და ხელოვნება ნიჭსა სთხოვს სითბოს და ბრწყინვალებასა. ერთი მეორესა ჰშველის იმოდენად, რამოდენადაც საჭიროა. არც ერთი ნამეტნობს და კლებულობს და არც მეორე, ორივე ერთმანეთს

ემორჩილებიან ერთისა და იმავე ზემოქმედების მოსახდენად.” *(“ქართული თეატრი”. 1886 წ.).*

- “ეგრეთწოდებული “მიმიკა” სახსარია მხოლოდ სიტყვით გამოთქმულის აზრის შესავსებელი, ანუ ცალკე აზრის მოძრაობით გამოხატვისა, იმისთანა აზრისა, რომლის გამოთქმაც “მიმიკით” უფრო მკაფიო და მჭრელია, ვიდრე სიტყვითა. თუ “მიმიკა” ან სიტყვიერის აზრის სამატად არ არის ხმარებული, ან ცალკესი და თვით-მყოფის აზრის გამოსახატავად, იგი მაყურებელთათვის მეტი ბარგია და ადამიანს ეხამუშება, სიამოვნებას უფრთხობს, უკარგავს.”

- “უადგილო ადგილას ხელებისა და თითების მოძრაობა არტისტისა, მაყურებლის თვალს უნებლიედ უქმად და ტყუილუბრალოდ აიყოლიებს ხოლმე, და ხომ ყველამ იცის, ბუნებითად ასეა, რომ საცა თვალია, ყურიც, თუ არ სრულად, ნახევარზედ მეტად მაინც არ არის. ამ გზით მაყურებლის ყურადღება ორად იბნევა, იფანტება და ერთიანი, მთელი ზედ-მოქმედება აღარა აქვს თამაშობას მაყურებელზედ.” *(“ქართული თეატრი”. 1886 წ.).*

- “სიბრალული, გულშემატკივრობა, მეტად პატიოსანი გრძნობაა და არა არტისტს არ მიეტევება, თუ შემთხვევა აძლევს და ამ მშვენიერ გრძნობამდე არ აღზიდავს დღიურ ბოროტით მოქანცულს მაყურებელსა.” *(“ქართული თეატრი”. 1886 წ.).*

- “ვერაფერი ხელობაა თეატრის რეცენზენტობა. ბევრი ავი და კარგია ეგრეთწოდებულ სასცენო ხელოვნების მიმავლობაში და პატიოსნება და სინდისი ავალებს რეცენზენტსა ერთიც შეჰნიშნოს და მაორეცა გულწრფელად, მიუდგომელად და დაუმალავად. სხვაგვარს რეცენზენტს საქმე ერთ კაცთანა აქვს და ამიტომაც ადვილია გაუთამამდეს იმის წყრომასაც, თუ სიმართლე აიძულებს დაუწუნოს რამ, და გაუძლოს იმის ყბად-აღებასაც, თუ წყრომამ მძულვარებამდე მიაღწია და აღვირი წამოჰყარა ენამჭევრობას, შურისძიებით გააფთრებელსა.” *(“ქართული თეატრი”. 1886 წ.).*

- “მეცნიერებას ხელოვნებისას, რომელსაც ესტეტიკას ეძახიან, შენიშნული აქვს ზოგიერთი ზოგადი თვისებანი ხელოვნებისა, რომელნიც ყოველს გრძნობაგახსნილს კაცს უნდა უსათუოდ სწყინდეს და უუგემურებდეს გუნებასა. ამ სახით წუნი ყველასათვის წუნი უნდა იყოს და მოსაწონი _ მოსაწონი. აი, როცა რეცენზენტი თავის წუნსა სდებს რომელსამე ნამოქმედარს ხელოვნებისას, მისი სიტყვა და წუნისდება ამ მხრით უნდა აიწონ-დაიწონოს სიმართლის სასწორზედა.” *(“ქართული თეატრი”. 1886 წ.).*

- “გრძელის სიტყვისა და ფრაზის სათქმელად საჭიროა კაცმა სული, ესე იგი ჰაერი იმოდენად ჩაიბრუნოს, იმოდენად ჩაიგუბოს, რომ მთელს ფრაზას გასწვდეს და ეყოს გამოსათქმელად. უამისოდ, გინდათ თუ არ გინდათ, ხმა უალაგო ალაგას გაწყდება და ფრაზა წახდება.” *(“ქართული თეატრი”. 1886 წ.).*

- “ცუდი ჩვეულებაა სხაპასხუპით ლაპარაკი თუ არტისტს დასჩემდა. მართალია, ზოგან აჩქარება გრძნობისა ლაპარაკის აჩქარებასა ჰთხოულობს, მაგრამ აქ გადაჭარბება არ ვარგა და სიტყვა უსათუოდ უნდა ისმოდეს თვითეულად და გარკვევით. ამ ნაკლს ვერა თამაშობა ვერ შეავსებს.” *(“ქართული თეატრი”. 1886 წ.).*

- “ერთობ დრამის შექმნა დიდად ძნელი რამ არის, იმიტომ რომ დრამა სულისა და გულის ცხოვრებაა, სულისა და გულის დიდს ძვრაზეა ასაგებელი და ასაშენებელი. მეტის-მეტი მჭრელი, მეტის-მეტი მხილავი ნიჭი უნდა, მეტის-მეტი ნათელი გონება, რომ კაცი მისწვდეს, შუქი რომ მოჰფინოს იმ საოცარს, იმ უცნაურს საიდუმლოებას,

რომელსაც ადამიანის სულისა და გულის ძვრა ჰქვიან, და რომელიც იმოდენად უფრო ახლო მიუვალთ. ამიტომაც დრამის შექმნა ყველა სხვაგვარ პოეტურ თხზულებაზე გაცილებით ძნელია და ყველა მწერალი _ თუნდ ნიჭიერიც _ ვერა ჰბედავს ხელი შეჰმართოს." *("ახალი დრამების გამო". 1890 წ.).*

- "ავიწყდებათ, რომ გარეგანი სახე დრამისა ვერასოდეს ვერ დაჰფარავს შინაგანის ცარიელობას, ფუქსავატობას, არარაობას. აკი ვამბობთ, დრამა უსათუოდ სულისა და გულის უდიდეს ძვრაზე უნდა იყოს აგებული და აშენებული, და ეს უდიდესი ძვრა სულისა და გულისა ერთადერთი საგანია დრამისა, ერთად-ერთი ბუნებაა მისი. ამით იცნობება იგი დრამად. სხვა საწყაო არა აქვს და არც სხვა მიზეზი არსებობისა." *("ახალი დრამების გამო". 1890 წ.).*

- "ჭეშმარიტი, მართალი გრძნობა _ ყბედი როდია, პირიქით, იმოდენად თავდაჭერილია, იმოდენად სიტყვა-ძვირია, რამოდენადაც უფრო ძლიერია და _ თუ გნებავთ _ ამ სიტყვა-ძვირობაშია იმისი მიმზიდველი ღირსებაცა, მისი გული-საწვდენი ზედმოქმედებაცა მაყურებელზე." *("ახალი დრამების გამო". 1890 წ.).*

- "სათეატრო ხალხს მარტო "მუმლი მუხასა" ვერ დააკმაყოფილებს, იმისთვის უთუოდ საჭიროა ახალი რაიმე კარგი სიმღერაც. რაც ძალზე გადათხლეშილს ქორწილში სიმღერა მოეწონება, იმავე ადამიანს თეატრში უფრო სხვანაირი ყურის დასაამებელი ხმა უნდა." *("წერილი მეგობართან". 1890 წ.).*

- "ღვინისა, გარყვნილობისა და ქაღალდის სათამაშო ფულს ყოველთვის ვშოულობთ, და ადამიანურის შექცევისათვის-კი არა მოგვეძევება-რა." *("წერილი მეგობართან". 1890 წ.).*

- "თეატრის საქმეს კითხულობდი. ავად შენი მტერი იყოს, ავად ეგ საქმეა. ხომ იცი, თეატრი რა დიდი რამ არის ჩვენისთანა დაცემული ხალხისათვის, მაგის მეტი ნაციონალობის ნიშანწყალი ჯერჯერობით ჩვენ არა გვაქვს რა. ეგ ერთი ადგილია, საცა ჩვენი ენა საჯაროდ ისმის და საჯაროდ მოქმედებს. ესეც საკმაოა, რომ კაცმა თავი გამოიდოს, თორემ თეატრს ხომ სხვაც ბევრი სიკეთე მოსდევს. შენ იცი, ძმაო თუ შენს უხვს და მოწყალე ხელს გამოუწვდი ამ სულმილეულს საქმეს, რომელსაც უილაჯობის სულთამხუთავი თავს ადგას და დღესა თუ ხვალ სულს ამოართმევს". *("წერილები ილია ოქრომჭედლიშვილისადმი". 1881 წ. 7 ნოემბერი).*

- "დიდი რამ არის სცენა საზოგადოდ და ნამეტნავად ჩვენთვის, თუ იგი ეხლანდელ გულგარყვნილობის მოედნად არ გავხადეთ და რაღაც სალახანური "მშვენიერი ელენები" არ ვავარჯიშეთ". *("შინაური მიმოხილვა". 1879 წ. თებერვალი).*

- "დიდი რამ არის-მეთქი სცენა: ძლივს ერთი საჯარო ადგილი მაინც გვექნება, საცა ჩვენის ენით ვილხენთ, ჩვენის ენით ვინაღვლებთ, ჩვენის ენის მოწყალებით გავიტარებთ თვალ-წინ ჩვენს ცხოვრებასა მთელის მისის ჭკუისა და გულის მონაგარითა". *("შინაური მიმოხილვა". 1879 წ. თებერვალი).*

- "სცენა იგივე შკოლაა, რომელიც ცხოველის სურათებით ელაპარაკება კაცის გულსა და ჭკუასა, იგი ამ თავის თვისებით კაცის გუნებაზედ უფრო მედგრად მოქმედობს, ვიდრე სხვა რამე. ამ მხრით არის იგი სანატრელი, ამ მხრით არის იგი კაცის გრძნობისა და ჭკუის გამაფაქიზებელი, გამწმენდელი". *("შინაური მიმოხილვა". 1879 წ. თებერვალი).*

- “სცენა ხალხის მწვრთნელი, ხალხის გამზრდელი უნდა იყოს, და ამასთანაც იმისთანა შემაქცევარიც არის, რომ უკეთეს მხარეს ადამიანისას ფეხს ადგმევინებს, ფრთას აშლევინებს”. *(“შინაური მიმოხილვა”. 1879 წ. თებერვალი).*

- “უკეთესი შესაქცევარი, უკეთესი დროს-გასართობი, სულისა და გულის ამაღელვებელი, სხვა ისეთი არა ვიცით რა, სცენის მეტი”. *(“შინაური მიმოხილვა”. 1879 წ. თებერვალი).*

- “თუ ეს ძვირფასი თვისება, როგორც ხალხის წვრთნა და ზრდა, სცენას ჩამოაცილეთ, იგი მიკიტანხანად გადაიქცევა და მაშინ სჯობს წაწყმდეს, ვიდრე სუფევდეს”. *(“შინაური მიმოხილვა”. 1879 წ. თებერვალი).*

- “ჩვენ ჩვენს სცენას ორ ღვაწლსა ვსთხოვთ. პირველი _ რომ მართლა განმწმენდელი იყოს ჩვენის ცხოვრებისა, ჩევნის ჭკუისა და გულის განმანათლებელი და მწვრთნელი, და მეორე _ იგი უნდა იქმნას იმ ადგილად, სადაც ჩვენი ენა ფეხზედ უნდა წამოდგეს მთელის თავის შვენებითა და სიმდიდრითა”. *(“შინაური მიმოხილვა”. 1879 წ. თებერვალი).*

- “საჭიროა ჩვენში სცენას იმისთანა გონებაგახსნილი ზედამხედველობა ჰქონდეს ვისგანმე, რომ ამ ორს სანატრელს საქმეს სცენა არ გადუდგეს და არ გახდეს “მშვენიერის ელენების” სამარცხვინო სასალახნო ასპარეზად”. *(“შინაური მიმოხილვა”. 1879 წ. თებერვალი).*

- “თეატრმა ხანგრძლივის მოქმედებით უნდა შეიჩვიოს ხალხი, აუცილებელ საჭიროებად უნდა შეექმნეს ხალხს თეატრში დროის გატარება და გართობა. ამისათვის საჭიროა ჯერ ერთი ისა, რომ თეატრი მართლა თეატრი იყოს, ესე იგი _ კერძო პირთა მასხარად ასაგდები კი არა, არამედ საზოგადო ჭირისა და ლხინის თვალწინ წამომაყენებელი. ამისათვის საჭიროა რიგიანი რეპერტუარი. რიგიანს რეპერტუარს ბრძანებით ვერავინ ვერ შეჰქმნის. ეგ დროისა და გონების გახსნის საქმეა. აქაც ჯერ მოცდა გვმართებს, ჩვენდა სამწუხაროდ.” *(“შინაური მიმოხილვა”. 1881 წ. ნოემბერი).*

- “თეატრს არსად არც დაბალი ხალხი ინახავს, არც მაღალის წრისა. პირველს ამისათვის მოცლა არა აქვს და მეორეს უამისოდაც ბევრი გასართობელი აქვს. თეატრს ყველგან ინახავს კუჭ-მაძღარი მოქალაქეობა, რომელიც ჩვენში არამც თუ კუჭ-მაძღარია, არამედ ფეხაუდგმელიცა.” *(“შინაური მიმოხილვა”. 1881 წ. ნოემბერი).*

- “ყოვლის ღონისძიებით ერიდენით კერძო პირთა მასხარად აგდებას სცენაზედ. ეგ თეატრის უკადრისი ქცევაა და შეუნდობელი ცოდვა.” *(“შინაური მიმოხილვა”. 1881 წ. ნოემბერი).*

- “როგორც იყოს, უნდა თეატრი მაინც-და-მაინც შევირჩინოთ, მაინც-და-მაინც ვიმოქმედოთ. რითა და როგორ? შეწირულობითა. ვისაც რამდენი შეგვიძლიან _ უნდა შევწიროთ და გარდა ამისა ვეცადნეთ _ რომ სხვამაც შესწიროს. ამით იქნება იმოდენა მაინც მოგროვდეს, რომ თეატრმა თავი ირჩინოს. არ იქნება ცუდი, რომ ქართულმა დრამატულმა საზოგადოებამ ეს შუამდგომლობა საზოგადოების წინაშე იკისროს.” *(“შინაური მიმოხილვა”. 1881 წ. ნოემბერი).*

- “ჩვენი თეატრი, რაც უნდა იყოს, ჩვენის ეროვნობის საჯარო ნიშანია. ეს ყველა ქართველს უნდა ახსოვდეს, თუ თავის ქვეყნის ბედზედ გულ-აცრუებული და გულ-აყრილი არ არის.” *(“შინაური მიმოხილვა”. 1881 წ. ნოემბერი).*

- "მართლაც-და ქართული თეატრის საქმე ისეთი საქმეა, რომ თუ კარგად ვერ წავიდა და ბოლო მოეღო, საზოგადოების წინ მძიმე პასუხის-გებაში ჩავარდება იგი, ვისაც-კი ამ საქმის წაყვანა ჰქონდა მინდობილი და ამ მონდობილობის შესრულება არ მოინდომა. ჩვენში თეატრს შეიძლება დიდი ზნეობის ამამაღლებელი მნიშვნელობა ჰქონდეს, თუ წარმოსადგენად დანიშნული პიესები რიგიანი იქნებიან". *("შინაური მიმოხილვა". 1881 წ. თებერვალი).*

- "გაბედვით ვიტყვით, ჩვენში დიდებისათვის ისეთივე მნიშვნელობა აქვს ქართულ თეატრს, როგორც პატარებისთვის სკოლას". *("შინაური მიმოხილვა". 1881 წ. თებერვალი).*

თერგი: - "თერგის ხიდი ისე გამოვიარე, რომ, არამცთუ წყალი დამელოს, თვალიც არ ამიხილებია. მეშინოდა, თერგდალეულობა არ დამწამონ-მეთქი. თერგდალეულები ჩვენს ქართველ კაცს როგორცღაც არ ეჭაშნიკება და არ მოსწონს. ამაზედ ფრიად საფუძვლიანი საბუთი აქვთ: პირველი, იმიტომ არ მოსწონთ, რომ თერგდალეულები მართლა-და თერგდალეულები არიან, მეორე იმიტომ... იმიტომ, რომ მეორედაც თერგდალეულები არიან, მესამე იმიტომ... იმიტომ... იმიტომ, რომ მესამედაც თერგდალეულები არიან. მოდი და ამისთანა ჭკვიანური საბუთი სხვა საბუთით დაურღვიე ჩვენს დარღვეულს ქართველობას."

- "ეგ დასაღუპავი თერგი! რა ორპირი ყოფილა! დახე, როგორ მიმკვდარა. რაკი ზურგი ჩვენსკენ უქნია და პირი რუსეთისაკენ, რაკი გაუმინდვრებია და გაუვაკნია, როგორღაც ის დევგმირული ხმა ჩასწყვეტია. ჩვენი დამთხვეული თერგი ვლადიკავკასთან ის თერგი აღარ არის ...

მაგრამ მაინც და მაინც ვაი შენ, ჩემო თერგო! შენ, ჩემო ძმობილო, ზოგიერთ კაცსავით, საცა მისულხარ, იქაური ქუდიც დაგიხურავს. ცოდვა არ არის, შენი ჭექა-ქუხილი, შენი ზარიანი ხმაურობა, შენი შფოთვა და ფოთვა, შენი გაუთავებელი ბრძოლა ქვე-კლდე-ღრესთან, თითქო შენი განიერი წადილი შენს ვიწრო საწოლში ვერ მოთავსებულაო. ბევრი რამ საგულისყუროა შენში, ჩემო დაუმონავო თერგო, შენს ძლევამოსილს და შეუპოვარს დენაშია. აქ კი მიმრჩვალხარ დამარცხებულ და ნათრევ ლომსავითა. ცოდვა ხარ და ცოდვას შვრები!.." *("მგზავრის წერილები". 1861 წ.).*

- „ნეტავი შენ, თერგო! იმითი ხარ კარგი, რომ მოუსვენარი ხარ. აბა პატარა ხანს დადეგ, თუ მყრალ გუბედ არ გადაიქცე და ეგ შენი საშიშარი ხმაურობა ბაყაყების ყიყინზედ არ შეგეცვალოს. მოძრაობა და მარტო მოძრაობა არის, ჩემო თერგო, ქვეყნის ღონისა და სიცოცხლის მიმცემი..." *("მგზავრის წერილები". 1861 წ.).*

"**თვალებში** ნაცარს გვაყრიან, ლამის დაგვაბრმავონ, გამოგვიჭედეს ყურები ტყუილ მეცნიერობით და სიბრძნით". *("უმეცრობის ფართი-ფურთი". 1900 წ.).*

"**თვით** მადლს ტრფობისას რომ მოესურვს / ხორცსხმულად ვლენა ოდესმე ქვეყნად, / უკეთესს სახეს ვერ ინატრებდა / თავის სიცოცხლის გამომსახველად. / მაშინაც ვინ სთქვას, - ვინ ვის აშვენებს / მადლი ამ სახეს "თუ სახე მადლსა!... / თვით შური, მტრობა ვერ უპოვიდა / ქალს მშვენიერსა ვერაფერს ნაკლსა. / მის თვალთა ელვით, ღაწვთა შუქფენით, / გულ-მკერდის რხევით ვინ არ ათრთოლდეს!... / დახე მის ტუჩთა!... თითქო თვით ტრფობას / თვის ნაზი კოცნა ზედ დარჩენოდეს. / ვის არ მიიმხრობს, მოინადირებს / ყოვლად ძლიერი მშვენიერება! / თქმულა – მხეციც კი გააფრთებული / მის წინ დატკბება და დაწყნარდება" *("განდეგილი". 1883 წ.).*

“**თვითონ** ეზო ისე უწმინდური იყო, როგორც ძველი ჩინოვნიკის გული. დიდი საქმე იყო, პატრონამდინ ისე მიგეღწიათ, რომ ან არ გასვრილიყავით, ან კიდევ ერთი ამბორების სურნელება თან არ აგეყოლიათ” *(“კაცია – ადამიანი?! 1858-1863 წ.).*

“**თითონ** რომ არ ვარგიხარ, შენი ფეხები ვისთვის რის მაქნისია”. *(“ოთარაანთ ქვრივი”. 1886-1887 წ.).*

“**თითონ** რომ სიკეთეს გადაჩვეულია, სხვისაგანაც სიკეთე აღარა სჯერა; აღარა სჯერა, რომ იმ დედამიწაზედ საცა თითონა სცხოვრობს და ათასი კიდევ სხვა მის მსგავსი, აღარა სჯერა – რომ იმ დედამიწაზედ კაცი არის, რომელსაც სიკეთე სიკეთისათვის უყვარს, რომელსაც იმოდენა სულის ძალაცა აქვს, რომ თუ გაჭირდა სიკეთისათვის თავსაც დასდებს.” *(ცისკარი” 1857 წლიდან – 1862 წლამდინა”. 1862 წ.).*

“**თოკიდამ** გამოშვებული კაცი ხომ ცუდია და ცუდი, მაგრამ თუ ქართველმა თოკიდამ დაისხლიტა თავი, იმაზედ უარესი არა მილეთის კაცი არ იქნება.” (“*დიამბეგობა”. 1858 წლამდე).*

“**თუ** გაზეთი ჩვენ ჩვენს თავზედ ცოტათი მაინც არ მოგვახედებს, ჩვენს ცხოვრებას კვალში არ ჩაუდგება, ჩვენის ცხოვრებისაგან ამორიყულს თუ მოტივტივებულს მოვლენას მთელს სიგრძე-სიგანეზედ არ აგვაწონინებს, ბრმას თვალს არ აუხელს იმ მოვლენაზედ და თვალხილულს მხარს არ მისცემს, იგი გაზეთი უფერულია და უგემური. გარდა ყოველ ამისა, “შინაური საქმე იმისთანა საგანია გაზეთისათვის, როგორც სარკე ადამიანის სახისათვის. ჩვენის ფიქრით, არც ერთი ნაწილი გაზეთისა ისე ნათლად და ცხოვლად არ დააჩნევს ხოლმე გაზეთის სულსა და გულსა, გაზეთის გულითადს რწმენას, ფერსა, მიმართულებას, როგორც ის ნაწილი, რომელსაც წილად ხდომილი აქვს “შინაურ საქმეთა” გამოძიება და გამოკვლევა. ამ გამოძიებაზედ ხელის აღება, თავზედ ხელის აღებაა გაზეთის მხრით. მართალია და ჭეშმარტი: ჩვენთვისაც სწორედ ეგრე უსწავლებიათ, ეგრე ჩაუგონებიათ” *(“შინაურ საქმეთა გამო”. 1886 წ.).*

“**თუ** გული ჰგულობს, ქადა ორივ ხელით იჭმევა”. *(“თვითმოქმედებისათვის”. 1887 წ.).*

“**თუ** რომ სასწავლებელში გაზდილიყავით, მაინც კიდევ პოეტი ვერ შეიქმნებოდით. გეტე ანბობს: „მხოლოდ ბუნება ჰქმნის პოეტსაო“. *(“პასუხი”. 1861 წ.).*

“**თუ** არ მოცლილი კაცი, რომელი ადამიანი დაიწყობს გამარგლვას იმ კვლებისას, რომლიდგანაც არაფერს არ ელის იმავ ბალახის აღმოსვლის მეტს; იმ კაცს ზღაპრებში ნაცარქექიას ეძახიან და მე როგორღაც არ მამწონს ეგ სახელი.” *(“პასუხი”. 1861 წ.).*

“**თუ** გაგონდები, კარგია, თუ არა-და, მაინც ღმერთმა გილხინოს, თუ შვილის მერმედ კიდევ რამ სალხენი დაგრჩენია ამ წუთისსოფელში.” *(“ოთარაანთ ქვრივი”. 1887 წ.).*

“**თუ** ოდესმე თვალი აგიხილებია და შენს გარშემო რაც გინახავს, იმაზედ გონება გივარჯიშებია, ნახავდი, რომ ხშირად ერთი და იგივე საგანი ზოგს აცინებს, ზოგს ატირებს.” *(“კაცია ადამიანი?!” 1858-63 წ.).*

“**თუ** სათავე მღვრივეა, ბოლოში ამაო იქნება წმინდა წყლის ძებნა.” *(“ორიოდე სიტყვა თავად რევაზ შალვას ძის ერისთავის კაზლოვის მიერ “შეშლილი”-ს თარგმანზედა”. 1860 წ. 5 ნოემბერი).*

“**თუ** ლაპარაკი გავაბი, ცხრა უღელი ხარიც ვეღარ დამაყენებს, თუნდა ენაზე წისქვილის ქვაც დამკიდოთ.” *(“ჩვენი ეხლანდელი სიბრძნე-სიცრუე”. 1896 წ.).*

“**თუ** საგანი არ არის, არც სიტყვა იქნება იმის გამოსახატავად; თუ აღმოჩნდა საგანი _ საჭირო არის სიტყვაცა, რომლის შემწეობითაც ის უნდა გამოითქვას.” *(“სფირიდონის და თადეოზის ბაასი”. 1861 წ.).*

“**თუ** მე არა, ნურც შენაო.” *(“ახლო და შორი აღმოსავლეთის პოლიტიკის საკითხები”. 1898 წ. 31 იანვარი).*

“**თუ** კანონი, ბენტამისა არ იყოს მართლა გაჭიმული თოკია, რომელიც დიდი ზედ გადაახტება ხოლმე და პატარა ქვეშ გაუძვრება”. *(“საზოგადოებრივი ცხოვრების ნაკლნი და მისი ეკონომიური მიზეზები”. 1897 წ.).*

“**თუ** ქადილი არ აგისრულოთ, თქვენი ხმალი და ჩემი კისერი”. *(“ახალი უმეცრობანი ბ-ნ ნოე ჟორდანიასი”. 1900 წ.).*

“**თუ** წუთისოფელს ერთს ბეწო ხანს თვალი მოუხუჭე, ისე გაგთელავს, როგორც დიდოელი ლეკი ნაბადსა”. *(“ოთარაანთ ქვრივი”. 1886-1887 წ.).*

“**თუნდ** ესეც არ იყოს, ან ლექსიკონი რა ისეთი დასაბეჯითებელი წყაროა სიტყვის მეცნიერულ აღსახსნელად”. *(“ახალი უმეცრობანი ბ-ნ ნოე ჟორდანიასი”. 1900 წ.).*

“**თურმე** დიდებას მადლისას / კაცი მსწრაფლ დაუმონია / ვით დიდს ბოროტს, ისეც დიდ მადლს / თავისი ზარი ჰქონია*”. (“მეფე დიმიტრი თავდადებული”. 1860/1877-1878).*

“**თქმა** და ქმნა ერთი და იგივე არ არის შუა დიდი მანძილია” *(“ოსმალეთის არეულობა და ევროპა”. 1815 წ. 19 ნოემბერი).*

“**თქმა** და ქმნა ერთი და იგივე არ არის.” *(“საადგილმამულო გადასახადების საქმე”. 1900 წ. 8 მარტი).*

“**თქმა** ყველაფრისა შეიძლება, მაგრამ საქმე იმაშია, თქმულში ლოღიკაც იყოს.” *(“შინაური მიმოხილვა”. 1881 წ. მარტი).*

“**თქმა** უნდა და ილაჯი აღარა აქვს... დაიკვნესა დედამ. – ამის თქმაზედ ორი სხვილი ცრემლი ჩამოუგორდა თვალთაგან და გაფითრებულ ლოყებზედ ნავალი დააჩნია, თითქო მდუღარე ტყვია იყო და საცა გაიარა, ამოსწვაო. სახე კი... არ უტიროდა, არა!..

გაკერპებულმა დედამ სახეს არ ამოაბეჭვდინა მწვავი ტკივილი გულისა. ძალისძალადვე შეუპოვრად შეკრულს სახეს ერთი ძარღვიც ვერ შეუშალა. იმედგადაწყვეტილობის სუსხმა ისე გაჰყინა ეს დამდნარი დედაკაცი...

შვილო, დედისერთავ, მამის ობოლო! ერთი ხმა გამე, ერთი კიდევ მომხედე!.. – შეჰკვნესა დედამ და ტუჩებთან მიუტანა პატარა თასით ღვინო.

გიორგიმ ორიოდ წვეთი ჩაჰყლაპა და თითქო მოსულიერდა, თვალი ხელახლად აახილა, წყნარად მიატარ-მოატარა და უეცრად გაუშტერდა.

დედამ შვილის თვალის სისწვრივად გაჰხედა და დაინახა მტირალი კესო.

- დედი! ჰხედავ.. ამ... ანგელოზს!... ძლივძლივობით გამოსთქვა გიორგიმ, ისევ კესოზედ თვალგაჩერებულმა.
- ვხედავ, შვილო!...
- ეგ იყო ჩემი ბედისწერა... არა ვნანობ, არა! – კვლავ მიუბრუნდა გიორგი გაწყვეტილს სიტყვას.

არავინ არ გაჰბედა ამისთანა ზარიანს დროს ხმა ამოეღო, ყველა სმენად გადაიქცა.

- აი, ნეტავი ერთი შენს კალთას მაინც მამთხვევინა და ისე მომკლა!... ინატრა გიორგიმ და იმისმა თვალმა, კესოზედ მიქცეულმა, უფრო სთქვა ხვეწნა და ვედრება, ვიდრე ენამ და ხმამ.

კესო ტირილით მივარდა და თვალცრემლიანმა შუბლზედ აკოცა გიორგის... თავი რომ აიღო, ცრემლი მოსწყდა და მომაკვდავს გულზედ დაეცა. ამ პატარა უეცარმა ცრემლმა ერთხანად შესძრა გიორგი და შეაჟრჟოლა. ეს ცრემლი თითქო უკვდავების წყაროდ ეპკურა, იამა, გაუხარდა მოსულიერდა, თითქო მიმავალი სიცოცხლე უკანვე დაუბრუნდაო.

ამისთანა დროს, სიხარული, ბედნიერება იგივ სიცოცხლეა, მხოლოდ ხანმოკლე და შეურჩენელი.

- ჰხედავ, დედი!... ცოცხალი მაგის ღიმს ვერ ვეღირსე, ვკვდები და მაგისი ცრემლი ზედ დამდის. ესეც მეყოფა თან წასატან ლხენად..., არა ვნანობ, არა!... მივდივარ და თან მიმაქვს ამისი ცრემლით განელებული სიხარული. იქ ვახეირებ, იქ... ნუ იწუხებ, დედი!... შენგან გამიგონია, რასაც არა ეშველება-რა, კაცი არ უნდა აეთრევინოსო!... არჩილ, ნუ მიწყენ, ნუ!... ნურც შენ, ნურც შენ!... განა არ ვიცოდი, - მე ვინ და შენ ვინ!... სად მოგწვდებოდი ცაში ვარსკვლავს... გული გწვდებოდა, გული, ხელი კი ვეღარ... ხატსავით გლოცულობდი, მზესავით დამნათოდი... არც კი იცოდი, ვის ათბობ, ვის ალხენ, ვის აცოცხლებ!... მინამ ცოცხალი ვიყავ, ვერ გაგიტყდი, მრცხვენოდა... მერიდებოდა... მეშინოდა... ვკვდები და გეუბნები... მკვდარს რაღა მოეკითხება? მკვდარი ყველა თანაბარია!...

თავი უღონოდ მოსწყდა ბალიშზედ. თვალი ისევ მიელულა, სულმა ბრძოლა დაუწყო.

- გათავდა!... დაიკივლა დედამ ზედ გადაეშვა მკვდარს შვილსა. პირქვე დაემხო შვილის გულზედ. აღარც ხმა, აღარც კრინტი!... კაცს ეგონებოდა, დედამ შვილის გულზედ სული დალიაო.

კესო მოვიდა და ჰლამობდა აყენებას. ოთარაანთ ქვრივმა მაშინ-ღა მოსცა ხმა.

- თქვენი ჭირიმე, მარტო მამყოფეთ ჩემ მკვდარ შვილთან. მე არა მიშავს-რა. იმისთანა ვარსკვლავზედა ვარ გაჩენილი... მე ბედშავი!... ვაი, რომ არა მიშავს-რა!...

  დაცარიელდა ოთახი.

ეხლა კი წაიშინა თავში ხელი ოთარაანთ ქვრივმა, რაკი მარტო იგულა თავი.

- ჩემი გიორგი აღარ არის, არა!.. ჰღმუოდა ხმადაბლა დედა, - მე დავრჩი, მე, და გიორგი კი აღარ არის!... შვილო, წამიხვალ და აღარ მომიხვალ!... შვილო, შენი დასამარხი ვიყავ და მე გმარხავ შენა, მე!... შენი დასატირებელი ვიყავ და მე დაგტირი!... ამ ხელებმა გაგზარდა და ამ ხელებმავე უნდა მიწა მოგაყაროს!? მაგ ხელებს უნდა დაეკრიბნა გულზედ ხელი და ეხლა მე უნდა დაგიკრიფო, მე!... ვაი დედას, ამის დამსწრეს!...

პირქვე დაეცა ხელახლად შვილის გაცივებულს გულს და ტირილი კი არა, მარტო ქვითქვითი გოდება-ღა ისმოდა". *("ოთარაანთ ქვრივი". 1886-1887 წ.).*

"**თქმულა**: გმირის კაცისათვის / თქმა და ქმნაო ერთი არი". *("მეფე დიმიტრი თავდადებული". 1860/1877-1878).*

"**თქმულა**: ქვასაცა მაგარსა / გასტეხს ტყვიის რბილი გრდემლი". *("მეფე დიმიტრი თავდადებული". 1860/1877-1878).*

ი

"**იგი** სახელმწიფო, რომელიც თავის ქერქშია და აქეთ-იქით არ იწევს თავისის საზღვრების განზედ გადგმისათვის, მაინც შედარებით ბედნიერად ჰცხოვრობს" *("ევროპა 1886 წელს).*

“**იგი** ისე არ წაადგება სახტომს, რომ ჯერ ათასჯერ არ გადაზომოს და სახტომი თავის ღონეს არ შეუწონოს” (“ახლო აღმოსავლეთი და ინგლისის დღევანდელი პოლიტიკა” *(1895 წ. 14 ნოემბერი).*

“**იგი** გრძნობაა მართალი, რომელიც კატასავით დღე მუდამ არა სჩხავის და მზეთუნახავად დაბინავებულია გულში”. *(“წერილები ილია ჭავჭავაძისა ოლღა თადეოზის ასულ გურამიშვილისადმი”. 1887 წ.).*

“**ილია** ძლიერ გატაცებული იყო პოეზიითა და ლიტერატურით და ხარბად ეტანებოდა ევროპის საუკეთესო მწერლების თხზულებებს, მათში გენიალობის, პოეტობისა და ჭეშმარიტად მოაზროვნის გამომხატველად გოეთე მიაჩნდა, რომელსაც ზოგიერთი მხრით ბაირონსაც კი ამჯობინებდა.

- თქვენი ოლიმპიელი! ოჰ, რამდენი აზრთა და გრძნობათა ბრძოლა ჩანს მასში, ხშირად უთქვამს ილიას გოეთეს შესახებ.

- დიახ, გოეთე ოლიმპიელია, მაგრამ მიკვირს, რომ თქვენ – ქართველი, იმას შილერზე უფრო მაღლა აყენებთ! – ვუთხარი ერთხელ ილიას.

- განა ვერ ატყობ, რომ ჩემს აზრებში ბევრი რამ ინდოევროპულიაო – მითხრა მან და ხანგრძლივი საუბარი დაიწყო აღმოსავლეთზე;

- აღმოსავლეთს არ შესწევს იმგვარი ფილოსოფოსობა, როგორც ეს ევროპელს ესმის, ადამიანის ცხოვრებასა და საგნებზე ცივი, ფხიზელი მსჯელობა გრძნობათა დაუხმარებლად, მგონია შეუძლებელია აღმოსავლეთში.

ამ საუბრის შემდეგ მცირე ხანი გავიდა და თბილისში გერმანულად ნათარგმნი ფირდიუსის “შაჰნამე” წავიკითხე. წაკითხულის ძლიერი შთაბეჭდილებით შეპყრობილმა ილიას ვუთხარი: ამ პოემაში ბევრი ისეთი ადგილია, რომელიც თავისი ტრაგიზმით შექსპირს მოგვაგონებს-მეთქი.

- არა მგონია, მას შეეძლოს შექსპირის ტრაგიზმის სიმაღლის მიწვდომა, - მომიგო ილიამ.

ამაში ნაწილობრივ სიმართლეც იყო, თუმცა ფირდიუსის ღირსება სწორედ ტრაგიკულ ძალაშია, მაგრამ იგი ეპიკური პოეტი იყო და არა დრამატურგი.

საზოგადოდ ილიას სპარსული პოეზია არ მოსწონდა, ამბობდა, მრავალ საუკუნეთა განმავლობაში ამან ცუდი გავლენა მოახდინა ქართულ მწერლობაზე, რაღაცნაირი ქალური გულჩვილობა და აზრთა გარყვნილობა შემოიტანაო.

ამიტომ ილიას არ უნდოდა, რომ ქართველი მწერლები სპარსულ მწერლობას დაწაფებოდნენ. პირიქით, მას სურდა ქართული ლიტერატურა აღმოსავლეთის ლიტერატურისგან გაენთავისუფლებინა და გაევროპელებინა. ამას თვითონაც უწყობდა ხელს. იგი არა მარტო ლიტერატურის, არამედ საზოგადოდ, ცხოვრების ევროპეიზაციის მომხრეც იყო... თავად კი, მიუხედავად ევროპული განათლებისა, სულით და გულით მუდამ ქართველად დარჩა”. *(არტურ ლაისტი. წიგნიდან: “ილიას სამრეკლო”. 1987 წ.).*

“**იმ** დღეს, როცა გიორგიმ დააპირა არჩილიანთას წასვლა მოჯამაგირედ დასადგომად, ისეთი მხიარული სახე ჰქონდა, რომ ოთარაანთ ქვრივმა სიამოვნებითა სთქვა:

— ძლივს შუბლგახსნილი არა ვნახე!

სიამოვნებით კი სთქვა?..

ამაზედ ჰოც ითქმის და არაცა. ეს რაღაც „მზიან-ჩრდილიანი“ სიამოვნება იყო. მზიანი იმიტომ — რომ უხაროდა შვილის სიხარული, ჩრდილიანი იმიტომ — რომ

ეწუხებოდა დედური წუხილი, სტკიოდა დედური გული, — რად უხარიან ჩემგან წასვლა და სხვასთან ყოფნაო!.. მზე და ჩრდილი, ნათელი და ბნელი, ტკივილი და ამება ერთმანეთში გაება და ჩაეწნა." *("ოთარაანთ ქვრივი". 1887 წ.).*

"**იმ** დღის ნალაპარაკევმა ათასნაირს ფიქრის მორევში ატრიალა ნაფოტსავით იმისი ჭკუა და გონება." (*"ოთარაანთ ქვრივი". [1886] – 6 ქრისტეშობისთვეს 1887 წელსა).*

„... **იმან** თავისის სიტყვით თავისს გულისტკივილს მიმახვედრა.

მიგიხვდი, ჩემო მოხევევ, რა ნესტრითა ხარ ნაჩხვლეტი. „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნესო" - სთქვი შენ და მე გავიგონე. მაგრამ გავიგონე თუ არა, რაღაც უეცარმა ტკივილმა ტვინიდან გულამდე ჩამირბინა, იქ, გულში გაითხარა სამარე და დაიმარხა. როდემდის დამრჩეს ეგ ტკივილი გულში, როდემდის? ოხ, როდემდის, როდემდის?.. ჩემო საყვარელო მიწა-წყალო, მომეც ამისი პასუხი!.. *("მგზავრის წერილები". 1861 წ.).*

"**იმისი** ნათქვამი თითქო ერთს ყურში შეუშვა და მეორიდამ გაუშვა." *("ტფილისის და ქუთაისის ქართული საადგილმამულო ბანკების შეერთების საკითხებზე". 1888 წ. 22 ივნისი).*

"**იმით** მართლება თავისა, რომ ჩემი მოვალეობა არ იყო საქმეში ჩავრეულიყავიო, გამტყუნებაზე უარესია. ვინ არ არის მოვალე, რომ ხალხის განსაცდელში ჩასავარდნელი რამ კეთდებოდეს, საქვეყნოდ გამოფენილი, - და არ იხმაროს ყოველივე ღონისძიება ეს განსაცდელიანი საქმე არ შეაყენოს, ან განსაცდელი გარეთ დააყენებინოს. განა აქ რომელიმე მუხლი კანონთა-კრებულისა არის საჭირო? რომელი კანონია ქვეყნიერობაზე იმისთანა, რომ მის ნებადაურთველად ასი და ორასი კაცი ვერ გადავარჩინო სიკვდილისაგან? რომელი კანონია ისეთი, რომ ვისმე შეჰრისხოს, რად შეჰკარ და გააუქმე იმისთანა ხიდი, რომელიც ჩატყდება და ას და ორას კაცს თან ჩაიტანს დასაღუპავად? *("საგაზეთო შენიშვნები". 16 იანვარი, 1892 წ.).*

ინგლისი და ირლანდია - მიწათმფლობელობა: - "თუ პირველი იერიში არა, საკმაოდ თვალსაჩინო მაინც, მიიტანა მიწათმფლობელობაზედ თითონ ინგლისის მთავრობამ XV და XVI საუკუნეში. ჰენრიხ XII და VIII-ემ აუკრძალეს ლორდებს იმისთანა ფერმების მოშლა და გაუქმება, რომელთაც ან არა ნაკლებ 20 აკრისა მიწა ეჭირათ, ან 30 მარკას იჯარას იძლეოდა. შემდეგ დადგინებულ იქმნა წესი, რომ 30-50 აკრიან ფერმაში არამც და არამც არავითარი შენობა არ მოიშალოს და დროზედ შეკეთებულ იქმნას. ესე ყოველი იმისდა საშველად მიახდინეს, რომ ლორდებმა არ გააუქმონ ფერმები, ესე იგი საიჯარო და საღალო ადგილები საძოვრებად არ გადააქციონ, და ამ გზით მიწათმომქმედს სახსარი მიეცეს იჯარით და ღალით მაინც მიწა დაიჭიროს. ხოლო ეს კეთილი განზრახვა იმით დაბოლოვდა, რომ წვრილი საღალე მამულები სულ გაუქმდა და მარტო მოდიდო ფერმერებიღა დარჩა და ამის გამო წვრილნი მიწათმომქმედნი ცის ანაბარად დარჩნენ; და ეს მით უფრო შესამჩნევი იყო, რომ ამისთანა წვრილნი მიწათმომქმედნი უმრავლესობას შეადგენდნენ." *("ირლანდია და ინგლისი". 1886 წ.).*

- "ჰენრიხ XIII-ის შემდეგ ცალკე კომისია დააფუძნა ინგლისის მთავრობამ, რომელსაც განსაკუთრებულ საგნად დაუდო წინააღუდგეს ლორდთა მიზიდულობას, რომ გარემო მიწები შემოიგდონ ვითომდა მამულების გამიჯვნისა და შემოფარგვლის სახითა. კომისიამ ყოველი ბოროტი და ზიანი ამ მიმზიდველობისა აღნუსხა, ასწერა და ურჩია მთავრობას _ ფერმის მიწის რაოდენობა ერთხელ და ერთხელ დაიდვას კანონით და მით გლეხობას გზა მიეცეს იჯარით

მაინც აიღოს ხოლმე მამულის საკეთებლად და თავის-თავის სარჩენად, ამაზედ შეტანილი კანონპროექტი პარლამენტმა უარ-ჰყო. საკვირველიც არ არის. მაშინ პარლამენტში ბურთი და მოედანი ეჭირათ მიწათმფლობელთა და მათგან ეკონომიურად დამონავებულთა ფერმერთა. 1549 წელს იფეთქა გლეხობის აღრეულობამ, მაგრამ ამაოდ და უქმად ჩაიარა. ამ დამარცხების შემდეგ ხელახლად ფეხზედ დადგა ძლევამოსილი მოძღვრება ლორდთა მიწათმფლობელობისა. იქამდე მიაღწია ამ ლორდთა გაძლიერებამ, რომ ლორდი ჩარლს გრეი, რომელიც მინისტრად გახდა 1806 წელს და რომელმაც 1807 წელს შეიტანა პარლამენტში კანონპროექტი, რომ კათოლიკენი და პროტესტანტები გათანასწორებულ იქმნენ და უკანასკნელთ არავითარი უპირატესობა არა ჰქონდეთ პირველთა წინაშე, _ იძულებულ ჰყვეს სამინისტროდამ გადამდგარიყო. ლორდებმა იცოდნენ, სადა სცემდა ეს კანონპროექტი, თუ ირლანდიას მიიღებდნენ მხედველობაში. მერე სერ რობერტ პილმა, როცა მთავარმინისტრად გახდა 1841 წელს, ისეთი შესანიშნავი ეკონომიური ცვლილება მოახდინა, რომელმაც დედააზრი საკუთრების ხელშეუხებლობისა ზოგადის სახით შეარყია და ამით ტორიები შეაფუცხუნა. ერთხელ აღძრული აზრი არ შეფერხდა და საზოგადოებაში გზას იხსნიდა თანდათან. ამ მხრით 1839 წელს ეკონომისტებმა კონნერმა, ბომონტმა და სხვებმა ამ აზრს ღონე და ძალა მისცეს. ვიგების წინამძღომელი ლორდ ჯონ როსელი 1847 წ. ჰქადაგებდა, რომ სათემო მამულები სყიდვით გამოვიხსნათ ლორდების ხელიდამაო და ღარიბს მიწათმომქმედებს დავურიგოთო.” *(“ირლანდია და ინგლისი”. 1886 წ.).*

- “ყველაზედ დიდი ხელისხლება მიწათმფლობელობის დედააზრისა 1848 წელს მოხდა. ეს ის კანონი იყო, რომლის ძალითაც ირლანდიაში სამაიორატო მამულებს ყადაღა ახსნეს გაუსყიდველობისა და ნება მიეცათ სამაიორატო მამულები ეყიდნათ მსურველთა.” *(“ირლანდია და ინგლისი”. 1886 წ.).*

- “რა ღვთის წყალობა იყო ეს კანონი ირლანდიისათვის, ამას შემდეგიდამ ცხადად დავინახავთ. 1849-1857 წლამდე 511.898.900 ფრანკის მამულები იყიდა ირლანდიაში 7.849 კაცმა. აქედამ 7.180 კაცი ირლანდიელი ყოფილა, 309 ინგლისელი და შოტლანდიელი. ჩვენი საუკუნის მეორე ნახევარში საქვეყნოდ გამოჩენილმა ეკონომისტმა ჯონ სტუარტ მილლმა და რადიკალების წინამძღოლმა ბრაიტმა მიწათმფლობელობის საქმე წამოაყენეს ინგლისში. ჯონ სტუარტ მილლი, საცა კი შემთხვევა ჰქონდა, ჰქადაგებდა, რომ გამიჯვნისა, ანუ მამულების განწმენდის ბილლი, რომელმაც ესეთი ძლიერი იარაღი მისცა ლორდებს, რომ მამულები ხელთ ეგდოთ, უნდა გაუქმდესო, სათემო მამულები დაურიგდეს უმამულოებსაო და ყველა ფერმერს ხაზინამ ფული უნდა ასესხოსო მამულების გამოსასყიდავადაო. შორსმხედველი მილლი აფრთხილებდა თავის ქვეყანას, ეხლავ უწამლეთ რამე ამ საქმესაო, თორემ გაჭირებული ყოფა მიწათმფლობელობისა დღესა თუ ხვალ თავისას მოითხოვსო და ძირეულ ცვლილებას მოახდენსო. ჯო ბრაიტი, გამოჩენილი ორატორი ინგლისისა, დიდი სახელგანთქმული სახელმწიფო კაცი და თავი რადიკალებისა, არა ერთხელ ამბობდა, რომ ირლანდიას მარტო იმით ეშველებაო, თუ უმამულოდ დარჩენილს ხალხს სასახლეებს, საკომლო მამულებს, ცოტაოდენს მაინც ვუყიდითო. 1866 წელს აგვისტოს 24-სა სიტყვა წარმოსთქვა და სამართლიანის გულისწყრომით ავად იხსენიებდა, რომ ინგლისში ნახევარი ქვეყანა 150 ლორდს უჭირავსო და შოტლანდიაში 10 თუ 12-საო. ლორდმა არგაილმა სტატისტიკის

კომიტეტში ამავე საგანზედ საყურადღებო სიტყვა წარმოსთქვა." *("ირლანდია და ინგლისი". 1886 წ.).*

- "ჯონ სტუარტს მოჰყვნენ სახელოვანი მეცნიერნი _ თორტონი, ბაქსტერი, ფოუსეტი, ბეესლი და სხვანი, რომელთაც ერთხელ აღძრულს აზრს უფრო მეტი შუქი მიაყენეს და ინგლისის მთავრობისა და ერის გულში მიწათმფლობელობის შესახებ სულ სხვა ფიქრი ჩასახეს. ჟურნალ-გაზეთობამაც დიდი ღვაწლი დასდო ამ აზრის გაძლიერების საქმეს, თუმცა ზოგი წინააღმდეგობასაც კი უწევდნენ, როგორც, მაგალითებრ, The Ekonomist-ი და სხვა ტორიების მორჩილნი გაზეთები." *("ირლანდია და ინგლისი". 1886 წ.).*

- "მომხრეთა გაზეთებ შორის გამოჩენილნი არიან Saturdey Review და Daili News-ი. რამოდენად გაძლიერდა ახალი მოძღვრება მიწათმფლობელობის შესახებ ინგლისში, ამისი ცხადი მაგალითი მიტინგია, 29 ნოემბერს 1869 წელს მომხდარი დონდელწში. აქაც თამამად გაჰკიცხეს წინანდელი აზრი მიწათმფლობელობისა: "ჯერ ფენიებს ყველას გამოურიცხველად ეპატიოსო, მერე მუშათა ბილლი მოგვეცითო და ბოლოს ვილაპარაკებთ ფერმერობის ბილლზედაცაო; ას-ასობით ხან აქეთ, ხაინ იქით დაეხეტებიან უილაჯობით მუშებიო, _ მოგვეცით თვითოს თვითო სასახლე, თვითო აკრი მიწა და მაშინ ფერმერობაზედ ვილაპარაკოთო", _ სთქვეს ხსენებულს მიტინგზედ სხვათა შორის." *("ირლანდია და ინგლისი". 1886 წ.).*

- "ამ სახით ახალი აზრი მომწიფდა ინგლისში _ მწერალთა, მეცნიერთა და ორატორთა წყალობითა ასე, რომ გლადსტონმა, რომელიც 1870 წელსაც მთავარმინისტრად იყო, ამ წლის თებერვლის 15-სა, როცა ირლანდიის საადგილ-მამულო ბილლი შეიტანა პარლამენტში, სხვათა შორის სთქვა: "მე ერთი იმისთანა მაგალითი არც შემხვედრია და არც მახსოვსო, რომ ამდენს ჯენტელმენს თავისი დრო, თავისი აზრი, თავისი ცოდნა და გამოცდილება შეეწიროსო, როგორც ირლანდიის ყოფისა და მდგომარეობის გამოკვლევას შესწირესო." *("ირლანდია და ინგლისი". 1886 წ.).*

- "ესე დაძრული ჰქონდა საძირკველი წინანდელს მეტად მაგარს ქვეკუთხედს ინგლისის მიწათმფლობელობისას, როცა დიდმა გლადსტონმა, 1870 წელს, თავისი სახელოვანი ბილლი ირლანდიის მიწათმფლობელობის შესახები შეიტანა პარლამეტში, პარლამენტს მიაღებინა და მით ჯერ ლაგამი ამოსდო თვითნებობას ლორდებისას, რომ თავის ნებაზედ აჰყრიდნენ მიწათმომქმედებს და მამულიდამ გაისტუმრებდნენ, და მერმე ძირი გამოუთხარა წინანდელ დედააზრსა, თუმცა ფრთხილად-კი და ცოტა-არა გაუბედავობით, მაგრამ მაინც საგრძნობელად." *("ირლანდია და ინგლისი". 1886 წ.).*

- "სახელოვანი კანონი გლადსტონისა, რომელიც მან გაიყვანა 1872 წელსა, რომელსაც Irish land-bill-ს ეძახიან და რომელზედაც ჩვენ შევაყენეთ ჩვენი მოთხრობა, თუმცა დიდს არაფერს წარმოადგენს, მაგრამ, ინგლისის დუღაბით გაქვითკირებულის მიწათმფლობელობის აგებულება რომ ვნახეთ, ეს კანონი თამამი იერიშია ახლისა, ძველს წყობაზედ მიტანილი. მით უფრო შესანიშნავია იგი კანონი, რომ მისი მეოხებით ცვლილება აზრისა მიწათმფლობელობის შესახებ თეორებრივი კი აღარ არის დღეს ინგლისში, არამედ თქმული ქმნულად არის გადაქცეული და საქმით არის განხორციელებული." *("ირლანდია და ინგლისი". 1886 წ.).*

- "ეგ კანონი წარმომდგარია ერთის სახის ჩვეულებისაგან, რომელმაც ფეხი მოიკიდა ერთს პატარა პროვინციაში _ ოლსტერში _ ჯერ კიდევ იაკობ I-ის დროს, და ამიტომ ეძახიან ოლსტერის ჩვეულებას... ამ ჩვეულების ძალით ფერმერი მივიდოდა, იჭერდა მამულის პატრონის ნებადართვით მიწას, ბინას იკეთებდა, სიტყვიერად ურიგდებოდა ფასს იჯარისას და არავითარს ხელშეკრულობას ერთმანეთს არ აძლევდნენ. ერთსაც ნება ჰქონდა _ როცა სურდა აყრილიყო, მეორესაც _ როცა უნდოდა აეყარნა და დაეთხოვნა. ხოლო ორსავე შემთხვევაში ფერმერს ეძლეოდა იმისი ფასი, რაც გაეკეთებინა და ჩაეყარა მამულში. ამ ფასსა ფერმერი იღებდა არა მამულის პატრონისაგან, არამედ იმ კაცისაგან, ვინც მის სანაცვლოდ მის დანაჭერს მამულში შემოდიოდა დასაბინავებლად. ეს ჩვეულება შეწყნარებული იყო თვით ერის მიერ და გაკანონებული კი არ ყოფილა." *("ირლანდია და ინგლისი". 1886 წ.).*

ინგლის-ირლანდია - პოლიტიკური უფლებები ირლანდიისა: - "ირლანდიისათვის ცალკე პარლამენტის მიმნიჭებელ პროექტში გლადსტონმა ერთი იმისთანა მუხლი შეიტანა, რომელიც არ შეესაბამებოდა ლიბერალების დედააზრსა და მოძღვრებას და რომელიც, პირველ შეხედვით, აკვირვებს კაცსა. გასაკვირველი ეგ მუხლი მით უფრო არის, რომ იგი შეიტანა პროექტში იმისთანა წმინდა სისხლის ლიბერალმა, როგორიც გლადსტონია. ეს ამბავი მეტად აოცებდა ყველას და ვერავის ვერ აეხსნა." *("ინგლის-ირლანდიის ურთიერთობის გარშემო". 1886 წ. 16 მაისი).*

- "იგი მუხლი იმაში მდგომარეობს, რომ ირლანდიელთ ეძლევა საკუთარი ცალკე პარლამენტი დუბლინში და საერთო ინგლისის პარლამენტიდამ კი დათხოვნილი უნდა იყვნენ. ამ სახით, ირლანდიას თავის საკუთართა საქმეთა წარმოებაში სრული უფლება და ნება მიენიჭებათ და საერთო საიმპერიო საქმეების წარმართვაში კი ხმის ნება არ ექნებათ." *("ინგლის-ირლანდიის ურთიერთობის გარშემო". 1886 წ. 16 მაისი).*

- "აქ როგორღაც თავი ბოლოს არ ებმის. საერთო საიმპერიო ხარჯის გაწერაში, სამხედრო საქმის მოწყობილობაში, საკოლონიო პოლიტიკაში და სხვა ამისთანა საყოველთაო საქმეში ირლანდია მოვალე იქნება დაემორჩილოს საერთო ინგლისის პარლამენტსა, საცა არც ერთი წარმომადგენელი და მოსარჩლე არ ეყოლება. იმისთანა ქვეყანაში, როგორიც ინგლისია, საცა არავითარი მოვალეობა, მკვიდრთათვის დადგენილი, მკვიდრთა დაუკითხავად შესაძლებელი არ არის, ეს საერთო პარლამენტიდამ გამოკლება ირლანდიელთა _ ჭეშმარიტის ლიბერალობის წინააღმდეგია. გამოჩენილი რადიკალი ჩემბერლენი სწორედ ამ მუხლის გამო გადუდგა გლადსტონსა და სწორედ ამ მხრით იწუნებდა მის დიდებულს პროექტსა." *("ინგლის-ირლანდიის ურთიერთობის გარშემო". 1886 წ. 16 მაისი).*

- "ყურადღების ღირსია აიხსნას, _ რა მიზეზით და რა საბუთით თითქო უარ-ჰყო ამ შემთხვევაში ჭეშმარიტი დედააზრი ჭეშმარიტის ლიბერალობისა იმისთანა უანგარო და ლიბერალობისათვის თავდადებულმა კაცმა, როგორიც გლადსტონია." *("ინგლის-ირლანდიის ურთიერთობის გარშემო". 1886 წ. 16 მაისი).*

- "თითონ გლადსტონიც ბოლოს დროს დაჰყვა ჩემბერლენის აზრსა და გამოაცხადა, რომ ირლანდიელებს შეიძლება მიენიჭოს უფლება იყოლიონ საერთო საიმპერიო პარლამენტში თავისი წარმომადგენელნი, მხოლოდ იმ შემთხვევაში კი, როცა პარლამენტში გასარჩევი საქმე ირლანდიასაც შეეხებაო. ჩემბერლენი მაინც აღარ მიემხრო გლადსტონს. საკვირველი ეს არის, რომ გამოჩენილი რადიკალი ჩემბერლენი დღეს გლადსტონს გადუდგა და ცალკე დასის მოთავედ კი არ შეიქმნა,

არამედ მიუდგა ზომიერს ლიბერალს გარტინგტონს და ზომიერს კონსერვატორს სალუსბერის. ეს ცეცხლისა და წყლის ერთად შეყრა ყველას უკვირს და ჰფიქრობენ, რომ ჩემბერლენის, გარტინგტონის და სალუსბერის ერთმანეთთან მოთავსება ცხადი ნიშანია მისი, რომ დღეს ინგლისში გლადსტონს ებრძვიან დედააზრთა სახელით კი არა, არამედ პატივმოყვარეობა და ანგარიში კერძო პირთა." *("ინგლის-ირლანდიის ურთიერთობის გარშემო". 1886 წ. 16 მაისი).*

- "გლადსტონი დარჩება მინისტრად, თუ არ დარჩება, მისი სახელი იმოდენის დიდებით შეიმოსება, რომ კაცობრიობას ყოველთვის თავმოსაწონებლად ეხსომება." *("ინგლის-ირლანდიის ურთიერთობის გარშემო". 1886 წ. 16 მაისი).*

- "გლადსტონის პროექტი ირლანდიის პარლამენტის გამო თანდათან მომხრეებსა ჰპოულობს, რაც დრო გადის უფრო თანდათან ეჩვევა ინგლისის ერი მის დედააზრსა, და ის შიში, რომელიც პირველხანებში გამოიწვია ამ პროექტრმა, თანდათან ნელდება და ჰქრება. დღეს თითქმის იმედიცა აქვთ, რომ პარლამენტი მიიღებს მაგ პროექტსაო, და თუ ეს გამართლდა, 1886 წელი იქნება მოწამედ ერთის უდიდესის აზრის ძლევამოსილობისა ქვეყნიერობაზედ." *("ინგლის-ირლანდიის ურთიერთობის გარშემო". 1886 წ. 19 მაისი).*

- "საქმე იმაშია, რომ ორმა ურთიერთის წინააღმდეგმა აზრმა ამ პროექტზედ უნდა გადატეხოს თავისი ხმალი და ამ გადატეხას თავისი ძალ-ღონე მთლად უნდა შეალიოს. ამ ორმა აზრმა თითქმის ორად გაჰყო მთელი ინგლისი; ერთი ნაწილი ერთსა ჰქადაგობს და ერთის სახელით იბრძვის და მეორე _ მეორის სახელითა. ერთი მხარე იძახის, სამართალია ძალაო და მეორე _ ძალაა სამართალიო. ასე დაყენებული საქმე მარტო ინგლისს კი არ შეეხება, არამედ მთელს ქვეყნიერობასა, მთელს კაცობრიობას, რომლის სვე-ბედი თითქმის იმაზეა დამოკიდებული თუ, _ ამ ორში რომელი აზრი გაიმარჯვებს და რომელი დაედება საფუძვლად კაცთა ცხოვრებასა და კაცთა ერთმანეთში მოთავსებასა." *("ინგლის-ირლანდიის ურთიერთობის გარშემო". 1886 წ. 19 მაისი).*

- "გლადსტონის პროექტი წარმომდინარეობს იმ დედააზრიდამ, რომ სამართალია ძალა, რომ ყველაფერში, ყველგან კაცმა წინ სამართალი უნდა გაიმძღვაროს და ყოველს თვის მოქმედებას, ერთმანეთში განწყობას და მოთავსებას სამართალი უნდა სათავედა ჰქონდესო. ღობე, მარტო იმ მიზეზით, რომ დაბალია, არას დროს არ უნდა გადალახულ იქმნასო, ყველასა აქვს ღვთის ნიჭი არსებობისა და ამ ნიჭისაგან არავინ არ უნდა იყოსო გამოკლებული მარტო იმ მიზეზით, რომ მე ღონიერი ვარ და ის კი უძლურიო. აქ შუამავალი, მოციქული, მარტო სიმართლე და სამართალი უნდა იყოს და არა რა სხვა რამე." *("ინგლის-ირლანდიის ურთიერთობის გარშემო". 1886 წ. 19 მაისი).*

- "გლადსტონის წინააღმდეგი დასი, რომელსაც წინ უძღვის სალუსბერი, იმ მოძღვრებაზეა დამყარებული, რომ საცა ძალაა, იქ სამართალს ხმა და ხელი არა აქვსო. რადგანაც ირლანდია ჩვენ იარად აგვჩენიაო, მის მოსარჩენად თავს რაზედ ვიტკიებთო? ავიღოთ და როგორც ხორცმეტი ამოვჭრათ და გადავაგდოთო. ხომ ინგლისს ერთ ლუკმადაც არ ეყოფაო!.. თუ ამ სიტყვებით არა, ამ აზრით მაინც მოქმედობს კონსერვატორების მოთავე სალუსბერი. მან პირდაპირ გამოაცხადა ერთს კრებაზედ, რომ მარტო ძალადობა და მუშტია ამ საქმიდან ჩვენი მხსნელიო და, თუ გაჭირდა, ავიღოთ და მთელი ირლანდია თავისის ქვეყნიდამ ავყაროთ და კანადაში

გადავასახლოთო. ამისთანა ბარბაროსულმა სიტყვამ ვერაფერი სამსახური გაუწია ამის მთქმელსა ასე, რომ ამის გამო ათვალწუნებულმა და ძრახვით განკითხულმა სალუსბერიმ იგრძნო სიბოროტე თავისავე სიტყვისა და იძულებულ შეიქმნა გამოეცხადებინა გაზეთებში, რომ ეგ არ მითქვამსო." *("ინგლის-ირლანდიის ურთიერთობის გარშემო". 1886 წ. 19 მაისი).*

- "მეორე თანამოზიარე სალუსბერისა და მასთან მინისტრად ნამყოფი ჩერჩილი პირდაპირ და მოურიდებლად გაიძახის, რომ ინგლისის ერმა უომრად არ უნდა შეიწყნაროს გლადსტონის პროექტი, თუ ვინიცობაა პარლამენტმა იგი მიიღო და დაამტკიცაო. გამოდის, რომ ჩერჩილი ძმათა შორის სისხლის ღვრასაც არ ერიდება, ოღონდ-კი გლადსტონის სამართლიანს და კაცთმოყვარულს დედააზრს გამარჯვება არ დარჩესო." *("ინგლის-ირლანდიის ურთიერთობის გარშემო". 1886 წ. 19 მაისი).*

- "ესეა თუ ისე, დღევანდელს გამწვავებულს ბრძოლას ინგლისში საქვეყნო მნიშვნელობა აქვს. ამიტომ ამ ბრძოლის შედეგს დიდის მოუთმენლობით და ნატვრით მოელის ყოველი კაცი. რა თქმა უნდა, ყოველის გონიერის კაცის გული გლადსტონისაკენ უფრო მიიზიდება და სულით და გულით ნატრულობს მის გამარჯვებასა." *("ინგლის-ირლანდიის ურთიერთობის გარშემო". 1886 წ. 19 მაისი).*

- "საკვირველიც არ არის: გლადსტონი იძახის, რომ სამართალმა და კაცთმოყვარეობამ უნდა განაგოს ქვეყნიერობაო და მისნი წინააღმდეგნი კი ჰყვირიან: მუშტი უნდა იყოს ქვეყნის გამგებელიო. ერთი ნუგეშის-მცემელია და მეორე კეტისა. ამ ორში ერთის ამორჩევას დიდი ლარი და ხაზი არ უნდა." *("ინგლის-ირლანდიის ურთიერთობის გარშემო". 1886 წ. 19 მაისი).*

- "ყოფნა, თუ არ ყოფნა"-ო, წარმოთქვა ერთხელ შექსპირის ჰამლეტმა, როცა საქმის ვითარებაში ორში ერთი დაუყენეს ამოსარჩევად. გავა დღეს გლადსტონის პროექტი ირლანდიის შესახებ, თუ არ გავაო? _ ამბობს ეხლა მთელის ქვეყნიერობის განათლებული ნაწილი, რაკი იგი პროექტი წარუდგა ინგლისის ერს განსაკითხავად. დღეს ინგლისი წარმოადგენს დიდებულ სახეს ერისას, რომელსაც თვალწინ უდევს ერთი დიდი საქმე გადასაწყვეტად. ეგ იმისთანა საქმეა, რომლის სამართლიანად და მართლმსჯელობით გადაწყვეტა ამ სახელოვანს მეცხრამატე საუკუნეს ერთს უკეთესს სხივს შარავანდედისას კიდევ მოუმატებს უტყუარის ისტორიის წინაშე და მის გვირგვინს სახელოვანებისას ერთს უკეთესს ალმასს კიდევ შესძენს მერმისში თავმოსაწონებლად." *("ინგლის-ირლანდიის ურთიერთობის გარშემო". 1886 წ. 19 მაისი).*

- "უეჭველია, თითონ დედააზრი გლადსტონის წინადადებისა, დღეს იქნება თუ ხვალე, უსათუოდ გაიმარჯვებს, იმიტომ რომ სათავედ, როგორც ბევრჯერ გვითქვამს, სიმართლე და კაცთმოყვარეობა აქვს. ამ ორ ქვაკუთხედს ადამიანის მშვიდობიანობისას და ბედნიერებისას ვერაფერი ვერ დასძლევს, ვერაფერი ვერ გადაეღობება, და ადრე თუ გვიან თავის გზას იპოვის და თავის ადგილს დაიჭერს კაცობრიობის ცხოვრებაში კაცთა საბედნიეროდ." *("ინგლის-ირლანდიის ურთიერთობის გარშემო". 1886 წ. 19 მაისი).*

- "დღეს მთელის განათლებულის ქვეყნიერობის თვალი ინგლისის ერზეა მიქცეული მარტო იმისათვის, რომ შეიტყონ, ინგლისის ერი იმოდენად ღონიერია თუ არა, რომ ეს მძიმე ცხოვრების საქვაკუთხედო საგანი დღესვე ასწიოს, მიიტანოს და თავის ცხოვრებას დაუდოს საფუძვლად." *("ინგლის-ირლანდიის ურთიერთობის გარშემო". 1886 წ. 19 მაისი).*

- "ინგლისის უდიდებულესს მამულიშვილს გლადსტონს სწამს, რომ მერმისი მისკენ იქნება, ხოლო თავისის საყვარელის ერის სასახელოდ სწყურიან, რომ ეგ მომხრეობა დღესვე აღიაროს ინგლისის ერმა და მით დაუმტკიცოს ქვეყანას, რომ იგი დღესაც ღირსია დიდებულის ერის სახელწოდებისა." *("ინგლის-ირლანდიის ურთიერთობის გარშემო". 1886 წ. 19 მაისი).*

- "წყურვილი პატიოსანია, მაღალბუნებიანი და კეთილშობილური. სამოცდათექვსმეტის წლის მოხუცი თვით იწვის და იდაგვის მტერთა მოკიდებულ ცეცხლისაგან, ოღონდ კი თავის ერს დიდების სახელი მოუპოვოს ქვეყნის წინაშე. მსხვერპლი მის მიერ დიდია, ამ ხნოვანობაში მაინც, მაგრამ დიდია თვით საქმეც, რომელსაც საწირავად და მტლად დაუდვა ამ სახელოვანმა მოხუცმა თავისი საკუთარი მშვიდობიანობა, დაივიწყა საკუთარი თავი და სასროლელ ნიშად დაუსვა ათასნაირ ნაძირალს მეტოქობასა, რომელსაც ცილისწამება ისრად დაუჭერია ხელში და თავგასულობა _ მშვილდადა." *("ინგლის-ირლანდიის ურთიერთობის გარშემო". 1886 წ. 19 მაისი).*

- "საბუთი მიუძღოდა გლადსტონს ეთქვა ის, რაც მან წარმოსთქვა ლეიჩესტერში, როცა ათი ათასი კაცი მიეგება დიდი ზარითა და ზეიმითა ამ დიდებულს კაცს რკინისგზის სადგურზედ. "მეო, _ სთქვა გლადსტონმა, _ ორი რამ უნდა შევნიშნო: ერთის ის, რომ ორმოცდათოთხმეტი წელიწადია რაც საზოგადო სარბიელზე ვმოქმედობო და თავის-დღეში ესეთი ძლიერი მოძრაობა და საქმიანობა ერისა არ მინახავსო, როგორსაც დღესა ვხედავო, და მეორე ის, რომ თვალი მთელის ქვეყნიერობისა თავის-დღეში ესეთის ძლიერის ყურადღებით არ მოქცეულა ჩვენზედა, როგორც დღესაო." *("ინგლის-ირლანდიის ურთიერთობის გარშემო". 1886 წ. 19 მაისი).*

- "არამცთუ მარტო ბრიტანიის ერი, არამედ მთელის განათლებულის ქვეყნიერობის ერნიც ცხოველის ინტერესით შემოგვცქერიან ჩვენ და ჩვენს დღევანდელს საქმესაო. თუ დღეს ჩვენი ერი ირლანდიის სასარგებლოდ იტყვის თავის სიტყვას, და იმედიცა მაქვს _ რომ იტყვის, მაშინ თვით მთელი ქვეყანა მოილხენს და გაიხარებსო." *("ინგლის-ირლანდიის ურთიერთობის გარშემო". 1886 წ. 19 მაისი).*

- "უკანასკნელთა დღეთა თვისთა დიდის შარავანდედითა ჰმოსავს. ღმერთმა დიდხანს აცოცხლოს, მაგრამ ყველა სიკვდილის შვილია და დღეს გაიმარჯვებს თუ დამარცხდება გლადსტონი, მაინც დიდებით ჩავა საფლავში, და მადლიერს შთამომავლობას, რომელიც მისგან დათესილს მოიმკის თავის დროზედ, მაინც უტყუარი საბუთი ექნება სთქვას:

დღენი ამისნი ემსგავსნენ / ჩასვენებულსა ბრწყინვით მზეს, / მის შუქი თუმცა გვინათებს, / მაგრამ ვეღარ ვსჭვრეტთ მის სახეს!" *("ინგლის-ირლანდიის ურთიერთობის გარშემო". 1886 წ. 19 მაისი).*

ინგლის-ირლანდია - ეკონომიკური მდგომარეობა: - "რაკი ირლანდიაში სამი მეოთხედი მთელის ადგილმამულისა 5.400 კაცმა დაიჭირა, რასაკვირველია დანარჩენნი უმამულოდ უნდა დარჩენილიყვნენ. რადგანაც მამულების ჭერა და გაცემა მარტო მემამულეთა ნებაზედღა იყო მიჩემებული და უმამულოდ დარჩენილს ხალხს ჭამა-სმა უნდოდა, _ სხვა გზა არ იყო, უნდა ლორდის ხელში ჩავარდნილიყო და მისგან აეღო მიწა. ლორდებმა მალე შეამჩნიეს, რომ რაც უფრო წვრილ-წვრილ ნაჭერად ურიგდებოდათ მიწა ღალით, თუ იჯარით, მით უფრო მეტს იძლეოდნენ მიწას-გამოკლებულნი გლეხნი. ამ სიხარბემ ლორდებს ისე დაანამცეცებინა მიწები და

იმოდენა მეღალენი აჩნდნენ ამის გამო, რომ თვითონ ლორდი ღალის აკრეფას ვეღარ ასდიოდა. ამ გარემოებამ აიძულა ლორდები ერთი კაცი ვინმე აეჩინათ ისეთი, რომ ლორდისათვის ერთიანი ღალა ეძლია და თვითონ ეკრიფა ღალა წვრილთა მემამულეთაგან. ამისთანა კაცს იურიდიული სახელი დაერქვა: ირლანდიაში midleman _ შუაკაცი და ინგლისში tacksman _ ამკრეფი კაცი. ამ შუაკაცებმა, რასაკვირველია, რომ მეტს გამორჩნენ ლორდის მამულს, უფრო დააკუწმაწეს მიწები და ისე აძლიეს გაჭირვებულ გლეხს." *("ირლანდია და ინგლისი". 1886 წ.).*

- "გარდა მაგისა, ირლანდიაში ერთი საოცარი ამბავი მოხდა, იმისთანა ამბავი, რომ მთელნი მეცნიერნი გააბრუა. 1766 წელს ირლანდიაში სულ 1.871.725 სული იყო მცხოვრები, 1801 წელს 5.216.331 სულად გარდიქცა ხალხის გამრავლების გამო. ამ წლიდამ სულ მატება დაიწყო, ასე რომ 1841 წელს 8.175.124 სული გახდა. 74 წლის განმავლობაში ირლანდიის ხალხმა 4½ ჯერ იმატა და ერთს კვადრატულს ანუ ჩორსო მილზედ 1.200 კაცის მაგიერ 5.200 კაცი გამოჩნდა.

ამ საოცარმა და გარდამეტებულმა გამრავლებამ გაამრავლა, რასაკვირველია, მიწის საღალე მთხოვნელიცა და მიწის ფასი ისე ასწია ირლანდიაში, რომ ორ დღიურში ოც თუმნამდე ღალას აძლევდნენ წელიწადში. ვინ გაუძლებდა ამისთანა ფასებს, ნამეტნავად ირლანდიაში, საცა ვენახები არ არის და ძვირფასი რამ ნამუშევარი არ მოდის თითქმის, გარდა კარტოფილისა, რომელიც მართლა დიდს მოსავალს იძლევა იქ, რადგანაც ჰავა და მიწა შესწევს. ამ გარემოებამ მეტად დიდი უბედურება მიაყენა ირლანდიის ხალხს. ინგლისსა და შოტლანდიაში რომ უმამულოდ დარჩა გლეხობა, იქ ისეთი საზიანო არ იყო, როგორც აქ, ირლანდიაში, იმიტომ რომ ინგლისი და შოტლანდია გაჩაღებული იყო ფაბრიკებითა, ქარხნებითა და იმისთანა მრეწველობითა, რომელსაც პირდაპირი დამოკიდებულება არა ჰქონდა მიწასა და მიწათმოქმედებასთან. ამის გამო იქ უმამულო ხალხი კიდევ იოლად მიდიოდა, რადგანაც ფაბრიკები, ქარხნები და ქალაქების საქმენი სამუშაოს აძლევდნენ და მოჭარბებული, მიწასგამოკლებული ხალხი სულ ქალაქსა, ფაბრიკებსა და ქარხნებს შეეკედლა. ირლანდიაში, მისდა საუბედუროდ, უმამულოდ დარჩენილს ხალხს ეს სახსარიც არა ჰქონდა, რადგანაც ერთადერთი წყარო ცხოვრებისა მიწათმოქმედება იყო და ფაბრიკები, ქარხნები და სხვა ამგვარი მრეწველობა არ არსებობდა." *("ირლანდია და ინგლისი". 1886 წ.).*

- "მაშინ, როდესაც ხალხის გამრავლების გამო მიწის ღალამ აიწია, მუშის ფასმა იმავე მიზეზით საშინლად დაიწია. საცა მუშა ბევრია და საქმე ცოტა, ყველგან ესეა. მართალია, 15 მილიონი აკრი მიწა, რომელიც 5.400 კაცს დასაკუთრებული ჰქონდა ირლანდიაში, დიდძალს მუშას გაუჩენდა საქმეს, მაგრამ არ გაუჩინა კი. აი რა მიზეზით, იმისთანა ქვეყანაში, როგორიც ირლანდიაა, პირუტყვთ-მოშენება უფრო სახეიროა, ვიდრე ხვნა-თესვა. ამიტომაც 15 მილიონ აკრიდამ ლორდებმა 11½ მილიონ აკრზე მეტი საძოვრად და საბალახედ აქციეს, და დასტოვეს საკარტოფილედ მხოლოდ მილიონ-ნახევარი და საპურედ 2 მილიონზედ ცოტა მეტი. გამოდის, რომ მარტო სამს მილიონზედ ცოტა მეტი მიწაღა იყო დარჩენილი სამუშაოდ, ესე იგი სულზედ მარტო ერთი მესამედი დღიურისა, ანუ 400 ჩორსო საჟენი. ამ-სახით, კაცის საცხოვრებლად დააგდეს 3 მილიონი აკრი და პირუტყვთათვის თითქმის 12 მილიონი.

ამ ყოფამ საშინელს სიღატაკეში ჩააგდო ირლანდიის მკვიდრი ერი. მუშის ფასი ჩამოვარდა რიცხვით 40-30 სანტიმზედ და ეს ფასები, ორთა შუა რიცხვით, იყო დიდ შიმშილობამდე, ესე იგი 1847 წლამდე. ჩვენის საუკუნის პირველ ნახევარში, როცა ვერცხლის ფასი დაეცა, მუშის ერთის კვირის ფასი ჰტოკავდა 3 და 6-ს ფრანკს შუა. იქამდე მიაღწია სიღარიბემ, რომ ზოგიერთ ქალაქში ას მცხოვრებში ორმოცდაათზედ მეტი გლახა იყო, სამადლოდ შესანახავი. დონეგალის საგრაფოში იმისთანა ადგილები იყო, საცა ოთხი ათასს კაცზედ ორი დოშაკი მოდიოდა, და რვა ლეიბი ჩალისა, თუ ნამჯისა; ბევრს ადგილას ზღვის პირებზედ წყლის ბალახსა ხმარობდნენ საჭმელად ისე იკვებებოდნენ. 1740 და 1741 წელს შიმშილისაგან მარტო სამხრეთ და დასავლეთ ირლანდიაში 400 000 სული მომკვდარა; შიმშილითვე მერეც თითქმის ათში ერთი კაცი კვდებოდა თურმე." *("ირლანდია და ინგლისი". 1886 წ.).*

- "ამისთანა ყოფაში, რა თქმა უნდა, ირლანდიის ხალხი ვერ გაამრავალგვარებდა თავის საჭმელსა. იგი იკვებებოდა განსაკუთრებით კარტოფილითა, სხვა საზრდოება არა ჰქონდა. ეს კარტოფილი ცნობილ იქმნა ირლანდიაში მე-XVI საუკუნის ბოლოს, ანუ მე-XVII საუკუნის დასაწყისს და შევიდა ხმარებაში. ირლანდიის ჰავამ და მიწამ ძალიან მოიხდინა და იქ დიდი მოსავალი იცის. "რაკი იქაური მიწათმომქმედი, _ ამბობს ერთი მეცნიერი, _ შეიტანდა სახლში უხვად მოსულს კარტოფილსა, თავისთავს ბედნიერად ჰსახავდა და ხვალისა ფიქრი აღარ ჰქონდაო". ამ გარემოებისა გამო, კარტოფილის თესვა და მოყვანა შეიქმნა ერთადერთ წყაროდ ხალხის ცხოვრებისად. ამავე მიზეზით იგივე კარტოფილი შეიქმნა სათავედ იმ საშინელის უბედურებისა, რომელიც ირლანდიას ეწვია 1847 წელს და რომელმაც ისეთი თავზარი დასცა, რომ დღესაც ირლანდია ჰკვნესის, ვაებს და ვაგლახებს იმ თავზარისაგან." *("ირლანდია და ინგლისი". 1886 წ.).*

- "1847 წელს ირლანდიაში გაჩნდა კარტოფილის სნეულება და ამ ერთადერთმა საკვებავმა და სარჩომ ირლანდიის მიწათმომქმედისამ ისე იკლო, რომ მთელი ირლანდია გაათახსირა. ამ წლის უბედურებას ხალხმა უწოდა "დიდი შიმშილი" და წელიწადს _ "შავი წელიწადი". სამი წელი ზედაზედ საშინელი მოუსავლობა იყო. 1847 წლიდამ 1861 წლამდე ვეღარ მობრუნდა მოსავალი კარტოფილისა და ირლანდია პირქვე დაამხო. ამ ხანებში მრავალი ხალხი შიმშილით გაწყდა, მარტო 1847 წ. ნახევარი მილიონი სული შიმშილით მოკვდა, 20-ს წელიწადში ერთ მილიონზედ მეტი; სამი მილიონი სული უილაჯო, ულუკმა-პურო გლახად ჩაირიცხა და სამადლო შესანახავად გახდა; ბევრი საგრაფოები და ნამეტნავად დასავლოეთი ირლანდია სულ დაცარიელდა, გაოხრებულ, გავერანებულს ქვეყანასღა წარმოადგენდა; ხალხი, რაც შიმშილით სიკვდილს გადარჩა, უმადურს სამშობლოს გამოეთხოვა და სხვა ქვეყნებში გაიხიზნა. ჯერ 1841 წელს ინგლისში გახიზნული იყო ირლანდიიდამ 292.935 სული, შოტლანდიაში 126.321, და 1871 წელს კი აღმოჩნდა ინგლისში გახიზნული 566.540 კაცი და შოტლანდიაში 207.770. მრავალი ირლანდიელი გადავიდა ამერიკაში; 1851-1861 წლებში ამერიკაში გადავიდა 2.376.157 კაცი, ასე რომ დღეს ამერიკაში ორ მილიონზედ მეტი ირლანდიელია, რომელთაც ამერიკის ქვეშევრდომობა მინიჭებული აქვთ, და კოლონისტებად დასახლებული ხომ იმდენია, რომ ეხლა იმოდენა ირლანდიელი თვით ირლანდიაშიც აღარ არის. მთავრობა ინგლისისა ამ გახიზვნას ხელს უწყობდა და უხაროდა, რომ ამოდენა მშიერ-მწყურვალს, უბინაო, უმამულო ხალხს თავიდამ იცლიდა, და ამერიკასაც

თავის მხრივ არა ნაკლებ უხაროდა, რომ აუარებელ ტიტველა მინდვრებს პატრონს და მკეთებელს აუჩენდა." *("ირლანდია და ინგლისი". 1886 წ.).*

- "გახიზნულმა ირლანდიელმა ცხადად დაუმტკიცა ქვეყანას, რომ თავისის უბედურების მიზეზი თვითონ ერის ბუნება და თვისება კი არ არის, როგორც ამტკიცებენ დღესაც ზოგიერთი მომხრენი მემამულეებისა, არამედ იგი არისტოკრატიული წესი მიწათმფლობელობისა, რომელიც ინგლისმა შეიტანა ირლანდიაში და რომელმაც გლეხობას ხელიდამ გამოაცალა მამული და ცარიელზედ დასვა. ირლანდიაში იმისთანა თვისების ხალხიაო, ამბობდნენ და ამბობენ დღესაც ბევრნი, რომ არასგზით მათი ბედი არ გასწორდებაო; ირლანდიელები ლოთები არიანო, მცონარენი, წინდაუხედავნი, მფლანგავნი, ბედოვლათები, უმეცარნიო. იქნება ესეც იყოს, მაგრამ ამას კი ივიწყებენ, რომ ბუდე ამისთანა თვისებისა სიღარიბეა და სიღარიბე, მიწათმომქმედის ერის უმამულობაა. ესე რომ არ იყოს, ვერასგზით ვერ აიხსნებოდა შემდეგი მაგალითები.

17 წლის განმავლობაში ამერიკაში გადასახლებულთ ირლანდიელთ თავის ნათესავებს, ირლანდიაში დარჩენილებს, მოაშველეს სამას ოცდახუთი მილიონი ფრანკი. ორ წელიწადში _ 1852-1854 წ. _ ას თოთხმეტი მილიონი გამოუგზავნეს. თუ ირლანდიელი მართლა ხასიათდაცემულია, ავის თვისების კაცია, ლოთი, მცონარე, უმეცარი გაუფრთხილებელი ბედოვლათია, საიდამ შეაგროვა ამოდენა სიმდიდრე ამერიკაში, რომ არამცთუ თვითონ გამოიკვება და ირჩინა თავი, არამედ ამოდენა უშველებელი ფული თავის გაჭირვებულ მოძმეთ მოაშველა შორიდამ, მერე ვინა? გახიზნულმა კაცმა, თავის ბინიდამ, სამშობლოდამ აყრილმა და უცხო ქვეყანაში ახლად დაშენებულმა. ეს მაგალითები უტყუარი საბუთია მისი, თუ რა ძალი ჰქონებია ხალხს, ოდეს მამული ხელთ უპყრია, და რა უღონო, უძლური, მშიერ-მწყურვალი ყოფილა, როცა ეს სიკეთე ხელიდამ გამოსცლია." *("ირლანდია და ინგლისი". 1886 წ.).*

- "შიმშილით სიკვდილმა, გახიზნვნამ, დიდძალი ულუკმაპურო, უბინაო ხალხი მოაკლო ორლანდიას, და ამით იმ საშინელს ვაებას, რომელიც 1847 წლის შიმშილობას მოჰყვა და თითქმის 1861 წლამდე მეუფებდა, სიმწვავე ცოტაოდენად დაუნელა. მაგრამ ირლანდიის წყლული სრულებითაც არ გამართლებულა, მხოლოდ დროებითად შეღავათი მიეცა ამ უბედურს ქვეყანასა. ირლანდიის ერს მაინცდამაინც არ დაავიწყდა თავისი სატკივარი და მიზეზი ამ სატკივარისა." *("ირლანდია და ინგლისი". 1886 წ.).*

- "იგი არა ერთხელ აფეთქებულა, რომ როგორმე თავი დაეხსნა ამ სატკივარისაგან და მიზეზი მისი მოესპო. ძველისძველსა დროსას არას ვიტყვით, საკმაოა გავიხსენოთ 1760 წელი, როცა ეგრეთ-წოდებულმა "უატბოებმა" საშინელი ხოცვა და ჟლეტა ასტეხეს მემამულეებისა. 1791 წელს საფრანგეთის რევოლუციის დროს შეადგინეს ეგრეთწოდებული "კავშირი შეერთებულთა ირლანდიელთა", რომელიც იბრძოდა ირლანდიისათვის და რომელმაც მოითხოვა ინგლისისაგან გათანასწორება კათოლიკეებისა და პროტესტანტებისა. ინგლისელებმა ჯერ ზოგიერთი რამ დაუთმეს და მერე-კი ისევ ძალმომრეობით სასტიკი ზომები იხმარეს ირლანდიის წინააღმდეგ. ილაჯგაწყვეტილმა, აბეზარმოსულმა ირლანდიამ თვისთა წყლულთა სამკურნალოდ მიჰმართა საფრანგეთსა, რათა თავი დავიხსნაო. საფრანგეთმა, მაშინ თითქმის ინგლისზედ მტრად გადაკიდებულმა, 25.000 კაცი

მოაშველა ჯარად ირლანდიას 1796 წელს, მაგრამ აქედამაც არა გამოვიდა რა. 1798 წელს ხელახლად შეითქვა ირლანდია, მაგრამ შვების სანაცვლოდ უფრო უარესი დღე დააყენა გამარჯვებულმა ინგლისმა და ორ წელიწადს შემდეგ ყოველივე უფლება შინაურის კანონმდებლობისა და მმართველობისა ჩამოაცალა და შეიერთა სრულებით." *("ირლანდია და ინგლისი". 1886 წ.).*

- "ქვეყნიერობაზედ ბევრი არ არის სხვა იმისთანა ქვეყანა, რომ ხელშეუხებლობა მიწათსაკუთრებისა ისე ძლიერ და ბეჯითად დაცული იყოს, როგორც ინგლისში. ვილჰელმ დამპყრობელის დროს თესლი ამ ხელშეუხებლობისა დაითესა ინგლისში და თანდათან გაძლიერდა, გაივსო და ბოლოს მიწათმფლობელობას შეურყეველ საძირკვლად დაედო. ეს მოძღვრება, რომელმაც ასე ხელი შეუწყო ადგილ-მამულების მცირეოდენის კაცის ხელში მოგროვებას, მთელს ეკონომიურს აგებულობას ინგლისისა ძვალსა და რბილში გაუჯდა და სიმართლედ აღიარებული იყო." *("ირლანდია და ინგლისი". 1886 წ.).*

- "ამან იმოდენად დაიმორჩილა ზნეობა ადამიანისა, იმოდენად შეჰხუთა აზრი, რომ მის უმართლოებაზედ დიდ ხანს ეჭვიც არ შესვლიათ არამცთუ თვითონ ინგლისის მთავრობას და კანონმდებლობას, არამედ იმათაც-კი, ვინც ამ მოძღვრებამ გაათახსირა და ცარიელზედ ულუკმაპუროდ დასვა. ესეთი ძლიერი შემხუთველი ძალი ჰქონდა ქვაკუთხედსა ლორდთა მიწათმფლობელობის საძირკვლისას. მით უფრო საყურადღებოა შემდეგი ისტორია მიწათმფლობელობის მოძღვრებისა ინგლისში, რომ ამისთანა ქვეყანაშიაც კი ვერ გაუძლო ამ მოძღვრებამ დროთა მოთხოვნილების ზედმოსევასა და ძირი შეერყა." *("ირლანდია და ინგლისი". 1886 წ.).*

"**ინგლისში** ერთ პასტორს გამოუკვლევია, რომ ანგლიის გლეხი ... თავის გრძნობის, საჭიროების, აზრის გამოსათქმელად მარტო 3000 სიტყვას ხმარობსო... ფილოსოფოსი ხმარობსო 10000 სიტყვას... შექსპირი კიო ... შექსპირი, რომლის მსგავსი მწერალი ჯერ არ ყოფილა, ხმარობდაო 15 000 სიტყვასა". *("ხელოვნება და მეცნიერება". 1862-3 წ.).*

"**ინგლისს** თავისს სვე-ბედის თავში იმისთანა კაცები ჰყოლია და დღესაც ჰყავს, რომ ისინი ისე ადვილად არ შესცდებიან, რომ ჩვენისთანა კაცებმა შეცდომა გაუსწორონ. ინგლისმა კარგად იცის, რას მოქმედობს და რას ეტანება. იგი ისე არ წაადგება სახტომს, რომ ჯერ ათასჯერ არ გადაზომოს და სახტომი თავისს ღონეს არ შეუწონოს." *("ახლო აღმოსავლეთი და ინგლისის დღევანდელი პოლიტიკა". 1895 წ. 14 ნოემბერი).*

"**ის** სულელი ქალი სცენაზედ იტანჯება მისთვის, რომ მისი სულელი მამა ნებას არ აძლევს, რომ თავის საყვარელ კაცთან შეერთდეს, რადგანაც ქალის არჩეული კაცი დიდი ჩინების და შეძლების პატრონი არ არის. მე ვიცი, რომ ტეატრში ორი კაციც არ იპოვება, რომ მამა არ გაამართლონ. საკვირველი კია. თვითონ გონების დაუკითხავად დაიხატავენ ხოლმე კაცის ღირსების სახეს და ვინც იმ დახატულობით აღტაცებაში არ მოდის, არ მოსწონთ, რად იკლავს ის სულელი ქალი თავს, წავიდეს და თვითონ დაიწეროს ჯვარი. მაგრამ სულელს ეშინიან, გარყვნილობაა მამის უნებურად გათხოვებაო, _ ეს არის რიგიანის ზრდილობის დასკვნა. კაცის ბედნიერება ისეთი ძვირფასია, რომ მაგისთანა წვრილმანის წესიერებით არ უნდა შებრკოლდეს. მაგრამ ნახეთ, რა გავლენა აქვს დამდგარს და ცხოვრებაში მიღებულს სულელობას. მე დარწმუნებული ვარ, რომ ბოლოს ის ქალი იმას შეირთავს, ვისაც მამა ურჩევს და, თუ ავტორი უხეირო მწერალია, ამ მამის ქცევას ქებას შეასხამს." ("*იგი წავა და სხვა მოვა ტურფასა საბაღნაროსა." 1861-1863 წ.).*

“**ის** ვერ მოუფიქრებია, რომ, რაც უნდა შვიდი თვეს შემდეგ დაიწეროს, ის შვიდ თვეს წინათ ვერ დაიბეჭდება, როგორც შვიდ თვეს შემდეგ დასაბადებელი შვიდ თვეს წინათ არ ინათლება. ოხ, მარტივო კაცის სიმარტივევ! ოხ, მარტივო მახვილგონიერებავ! ეგ ამგვარ კრიტიკოსებს დაანებეთ, ეგ იმათი საქმეა; „წყალწაღებული ხავსს ეჭიდებოდაო“, ნათქვამია; დაე, მოეჭიდოს, მე და თქვენ კარგად ვიცით, რომ ხავსი ვერას უშველის, მაინც წყალი წაიღებს.” *(“პასუხი”. 1861 წ.)*

“**ის** კი სჯობს, რომ არც მწვადი დასწო და არც შამფური; ერთი საქმე გააკეთო და მეორე კი გააფუჭო, ეგ ცუდია.” *(“გლახის ნაამბობი”. 1859, 1862-1873 წწ.).*

“**ის** იმ ადამიანთაგანი იყო, რომელიც, რო მხეცად გადაიქცეს, _ კაცს არა დააკლდება რა, და მხეციდამ ისევ კაცად შეიცვალოს, _ არც თვით მხეცებს დააკლდებათ რამე; იმის ყოფნას, როგორც იმის უყოფნობას, არავინ არ შენიშნავდა.” (“*კაკო”. 1859 წ.).*

“**ის** ურჩევნია მამულსაო, რომ შვილი სჯობდეს მამასაო”. *(“სიტყვა წინამძღვრიანთ-კარის სამეურნეო სკოლის გახსნაზე”. 1883 წ.).*

“**ის** თავდაპირველადვე ერთი ამაყი, თვითრჯული ბავშვი იყო, რასაც იტყოდა, მოკვდებოდა და თავის ქეიფზედ კი გაივლიდა.” *(“გლახის ნაამბობი”. 1859, 1862-1873 წწ.).*

“**ის** ობოლი მარგალიტი გოგო იყო, რომ თვალი ზედ დაგრჩებოდა: თეთრ-წითური, შავ-თვალწარბა, ტანწვრილი და მაღალი, ბევრი თავადის-შვილის ქალი ინატრებდა იმის ჯეირანივით მოღერებულ ყელსა, იმის გიშრის თვალსა, იმის გიშრის თმასა, ლერწამს ტანსა!... *(“გლახის ნაამბობი”. 1859/1862 – 1873 წ.).*

“**ის** დალოცვილი მღვდელი ხშირად მარიგებდა ხოლმე, რომ მტერსაც პატივება უნდაო. მეც ვამბობ, მაგრამ მაგას მარტო ენა ამბობს და გულში კი სხვა ბალღამი ტრიალებს. ღმერთო შეგცოდე, მაგრამ შენგან გაჩენილს ადამიანსა მარტო შენი სახე თუ მისცემია, თორემ გული კი არა. სულ ტყუილია! მაინც ადამიანს მტერი არ შეჰყვარებია...” *(“გლახის ნაამბობი”. 1859/1862 – 1873 წ.).*

“**ის** იყო ჩემი პირველი ავკაცობა, მაგრამ ეგეც ვინ იცის? იყო თუ არა ავკაცობა? “მდიდარს ართმევ, ღარიბს აძლევ, ღმერთი როდი წაგახდენსო”, - იტყვის ხოლმე ჩვენი ხალხი” *(“გლახის ნაამბობი”. 1859/1862 – 1873 წ.).*

“**ისა** სჯობია, გვიან იყოს და კარგი, ვიდრე მალე და ვინ იცის როგორი”. *(“წერილები ილია ჭავჭავაძისა ოლღა თადეოზის ასულ გურამიშვილისადმი”. 1873 წ. 31 აგვისტო).*

“**ისარი** და პირით სიტყვა, რა გასტყორცნო, არ მობრუნდეს”. *(“ქვათა ღაღადი”. 1899 წ.).*

“**ისტორია** იმითია დიდი, რომ გვაჩვენებს ჩვენ წინაპართა ცთომილებას, მასთანვე გვასწავლის ჭკვასა, როგორ უნდა მოვიქცეთ. წინა-კაცსა უკან მიმდევარი იმისთვის უყურებს, რომ, ვინიცობაა, წინამ ფეხი წამოჰკრას და ყირაზე გადაიაროს, უკანამ ნახოს და იმ გზას შორს მოუაროს.” *(“ორიოდე სიტყვა თავად რევაზ შალვას ძის ერისთავის კაზლოვის მიერ “შეშლილი”-ს თარგმანზედა”. 1860 წ. 5 ნოემბერი).*

“**ისტორიაში** არც ერთი მაგალითი არ არის, რომ ახალი მიმართულება პირველ ხანშივე ადვილად იკაფავდეს გზას. მარტო “რჩეული ამა ქვეყნისანი”, მარტო ცით ერთგვარ მადლცხებულნი მიუხვდებიან ხოლმე ახალ მიმართულებას, _ რის მომასწავებელია და რაშია გამოსადეგი ამ არსებობისათვის ბრძოლაში.” *(“ჩვენი ეხლანდელი სიბრძნე-სიცრუე”. 1896 წ.).*

“**ისტორია** და წარმატება იმისი-კი არ არის, ვინც მარტო თავის-თავის ავკარგიანობას შეჰხარის, ვინც მარტო დღევანდელობას _ ავია თუ კარგი _ ჰკმარობს, ვითარცა ხელშეუვალს რასმე ანდერძს მამა-პაპეულს, არამედ იმისია, ვინც მას არა ჰკმარობს _ რაც დღეს არის, და ვისაც დღევანდელობა მარტო ხიდად მიუჩნევია ხვალისათვის

და არა ბინად, საცა კაცმა თავი უნდა შეიკეტოს, როგორც სამუდამო სადგურში, სამუდამოდ გულზე ხელ-დასაკრებად და მოსასვენებლად." *("აზია წინათ და ეხლა". 1889 წ. 16 დეკემბერი).*

"**იქ**, სადაც საზოგადოებას არავითარი კანონიერი ორღანო არა აქვს თავისი საჭიროების გამოსათქმელად, არავითარი კანონიერი ღონე თავის-თავის გამოსარჩლებისა, იქ მაგისთანა დაწესებულება, როგორიც მარშლობაა, დიდი საქმეა. მართალია, იგი წარმომადგენელია მარტო ერთის წოდებისა და არა მთელის გუბერნიის მცხოვრებლებისა, მაგრამ ურარაობას ცალ-უღელი ხარი სჯობიაო, ნათქვამია. კარგის მარშლის შუამდგომლობით და შემწეობით თავად-აზნაურობას ნება აქვს თვით ხელმწიფემდის მიაწვდინოს თავის ხმა და თავისი თხოვნა. ნუთუ ამ ურარაობაში ეს უფლება, ეს ნება არაფერში გამოსაყენია? ნუთუ ცოტა რამ არის, რომ ჩვენის კაცის პირით შეგვიძლიან წარმოვსთქვათ თვით უუმაღლეს მთავრობის წინაშე ჩვენი მწუხარება და გულის-ტკივილი? ცოტა ტკივილებია ჩვენში, რომ აქამომდე ხმა ვერ ამოგვიღია მარტო იმიტომ, რომ მარშლები არ ვარგებულან? რომ ვარგებულიყვნენ, ხომ ასე დაბალღობედ მაინც არ გავიხდიდით თავსა, რომ დიდი და პატარა ზედ გვახტებიან. თუ ვერას გავხდებოდით, ხმაამოუღებლივ მაინც არ ჩავკიდებდით თავს და დიდსა და პატარას არ გავექელვინებოდით. ჯერ მარტო ის იგულისხმეთ, რომ მარშალი, კანონის აზრითვე, შუამდგომელია მთავრობისა და საზოგადოების შორის. მთავრობამ მაგის შემწეობით უნდა სცნას საზოგადოების საჭიროება და გულის-ტკივილი და საზოგადოებამ კიდევ _ მთავრობის განზრახვა და განკარგულება." *("შინაური მიმოხილვა". 1882 წ. ივნისი).*

"**იქნება**... ჩააფიქროს ქალაქის მკვიდრი იმაზე, თუ რა სიფრთხილით, რა წინდახედვით, რა შიშით და კრძალვით უნდა აირჩიონ ხოლმე ქალაქის თვითმმართველობის კაცები. ეს ერთი მაგალითი საკმარისია იმის საცოდნელად, - თუ რა დიდი საქმე აბარიათ იმათ, ვისაც ჩვენი კრება ჰგზავნის ხმოსნად საბჭოში, ან წევრად ქალაქის გამგეობაში. ნათლისღების უბედურება პირდაპირ გვეუბნება, რომ ჩვენი სიცოცხლეც-კი იმათ ხელშია, სხვა რომ არა ვსთქვათ-რა. იმათ ხელშია იმიტომ, რომ შესაძლო იყო სიკვდილისაგანაც დახსნა აწ დახოცილებისა და არ იქნენ დახსნილი, რადგანაც ის, რაც გულსა და სულში უნდა ეწეროს ადამიანს, იმას ჩვენი გამგეობა კანონების წიგნში ეძებს" *("საგაზეთო შენიშვნები". 16 იანვარი, 1892 წ.).*

"**იქნება** იგი პიესა საფრანგეთის ზნესა და ყოფა-ცხოვრებას უხდებოდეს და ჩვენთვის კი, სწორედ მოგახსენოთ, შემაზრზენია. ჩვენ ჯერ საბულვარო ცივილიზაციისაგან იმოდენად ხელუხლებელნი ვართ – ვიტყვით, ჩვენდა სასახელოდ, - რომ გარყვნილება და ნამუსახდილობა ჯერ კიდევ საზიზღარია ჩვენთვის და არა გასართობი და სახუმარო" *("ქართული თეატრი". 1886 წ.).*

"**იძინე**, ჩემო ანგელოზო, ძილი სიჯანსაღეა". *("წერილები ილია ჭავჭავაძისა ოლღა თადეოზის ასულ გურამიშვილისადმი". 1863 წ. 7 თებერვალი).*

კ

"**კაი** კაცი იყო მაგის ქმარი. მართალია გამოწურულ ოფლში ამოვლებულ ლუკმასა სჭამდა, მაგრამ კაიკაცობაც მაგაშია" *("გლახის ნაამბობი". 1859/1862 – 1873 წ.).*

"**კაი** თესლი ქვიანს ადგილას არ დაეცემა." ("*დიამბეგობა". 1858 წლამდე).*

“**კაი** კაცი ყოველთვის კარგი იქნება.” (*“გლეხთა განთავისუფლების პირველდროების სცენები”. 1865 წ.).*

“**კანონი** დიდისა და პატარისათვის ერთი უნდა იყოს.” (*“გლეხთა განთავისუფლების პირველდროების სცენები”. 1865 წ.).*

“**კარგი** რამ მჭირდეს, გიკვირდეს, ავი რა საკვირველიაო.” *(“შინაური მიმოხილვა”. 1883 წ. აგვისტო).*

“**კარგი** არ გვაბადიანო და ავს არ გვაკადრიანო.” *(“წერილი მეგობართან”. 1890 წ.).*

“**კარგმა** მეგობრობამ კიდევ ის იცის, რომ რაც მოხდება, ურთიერთს პირში უნდა უთხრან და მოურიდებლად; დაფარული მეგობრობაში არა უნდა იყოს რა”. *(“წერილები ილია ჭავჭავაძისა ოლღა თადეოზის ასულ გურამიშვილისადმი”. 1874 წ. 11 მარტი).*

“**კაცი** რომ დაჰბერდება, შვილდი უნდა ძირს დასდოს.

ბერიკაცს თვალიც ატყუებს და ხელიც ჰღალატობს, ის ქარი აღარ აქვს, რაც ახალგაზრდას.” (*“ოთარაანთ ქვრივი”. [1886] – 6 ქრისტეშობისთვეს 1887 წელსა).*

“**კაცია** და გუნება”. *(“პოლემიკური წერილები “ცხოვრება და კანონის” გამო”. 1887 წ. 3 იანვარი).*

“**კაცთათვის** მსახურება მსახურებაა ღვთისაო”. *(“სიტყვა თქმული გაენათის მონასტერში გაბრიელ ეპისკოპოსის დასაფლავების დღეს”. 1896 წ.).*

“**კაცთა** საუბედუროდ, დღევანდელი დღე მუშტისაა, ძალა ჰხნავს აღმართსა. მით უფრო საქებ-სადიდებელია უღონო ჩაგრულთა მოქმედება. მე არ ვეჭვობ, რომ მოვა დრო, და თავისუფლება და სამართალი, რომლის სახელით დღეს ბერძენი გამოდის, დაემჯობინება მთელ სპა-ლაშქარსა, წინაშე მათთა ხმას გაიკმენდს თოფი და ზარბაზანი. აქ არის ყოვლად-მხსნელი ღონე და სასოება ადამიანისა და ამის მაგალითს დღეს თვალწინ გვიყენებს ერთი მუჭა ერი საბერძნეთისა.” *(“წერილი პეტერბურგის ქართველ სტუდენტებისადმი”. 1897 წ. აპრილი).*

“**კაცმა** უნდა ან თვალით იხილოს, ან გამოსცადოს ტანჯვა მრავალთა, რომ სრულის სიძულვილით შეიძულოს ის, რაც იმ ტანჯვის მიზეზია.” (“*იგი წავა და სხვა მოვა ტურფასა საბაღნაროსა”. 1861-1863 წ.).*

“**კაცმა** რომ კაცს უთხრას, შენ საქმე არ იციო, არა მგონია ეს უზრდელობაში ჩამოართვას ვინმემ.” *(“ტფილისის ქართული საადგილმამულო ბანკი”. 1886 წ. 25 ივნისი).*

“**კაცმა** რომ მოინდომოს, კლდეს გაარღვევსო, ხომ გაგიგონია?

_ კლდის გამრღვევ კაცს სხვა ფერიც აძევს, შენი ჭირიმე!

_ იმ ფერისა იქნება შენც გაცხია: ყველას ღვთის სული გვიდგა, ჩემო ძმაო! *(გლახის ნაამბობი. 1859, 1862-1873 წწ.).*

კაცობრიობის პროგრესი: - “ბეკონმა, ინგლისელმა ფილოსოფოსმა, სთქვა, რომ პროგრესი კაცობრიობისა სხვა არა არის-რა გარდა იმისა, რომ დღიდამ დღემდე განზე გადგმულ იქნას საზღვარი შეუძლებელისაო. ამ თვალით რომ შეხედოს კაცმა ამ მეცხრამეტე საუკუნის ღვაწლს, მართლა რომ საკვირველებაა. რაც შეუძლებლად მიაჩნდათ ჩვენთა მამა-პაპათა _ დღეს შესაძლებელი გახდა მეცხრამეტე საუკუნის წყალობითა. მანძილი, რომელიც დღეს-აქამომდე იყო სხვადასხვა ქვეყნებ-შორის, რკინისგზებმა, ტელეგრაფებმა და ტელეფონებმა თითქმის მოსპეს. დოსტაქრობამა და მკურნალობამ იქამდე მიაღწია, რომ ცოცხალ ადამიანის აგებულებაში თითქმის გამოუცნობი და დაუნახავი, გაუსწორებელი, შეუკეთებელი აღარა არის-რა. დღეს ცოცხალ ადამიანის შიგნეულობას ისე ჰხედავენ, ისე ითვალისწინებენ, თითქო გარეთ გამოტანილი საგანიაო. ბევრს ჭირს, რომელიც დღეს-აქამომდე მუსრს ავლებდა ქვეყნიერობას, წამალი უპოვეს, და ლამის ის სიცოცხლის ელექსირიც-კი იპოვონ, რომელსაც ასე

გულმოდგინებით ეძიებდა და ეძიებს ყოვლად-მძლევი გონება ადამიანისა. მეცნიერება უკვე წააწყდა სახსარს მოხუცებულობისაგან განახლებისათვის და, ვინ იცის, იქნება მალეც მოვესწრათ, რომ ამ გზაზედაც მეცნიერებამ თავისი სასწაულთმოქმედება გამოიჩინოს. ადამიანი გამოკეთდა აზრით, ფიქრით, ქონებით, გონებით და ზნეობით. სიმდიდრემ გონებითმა, ზნეობითმა და ქონებითმა იმ სიმაღლემდე მიაღწია, რომ სიზმრადაც არა ზმანებიათ წინანდელ საუკუნეებს. ერთობ კაცობრიობის სიკეთემ აიწია, წეწვა-გლეჯამ, ერთმანეთზე მისევამ, ერთა ერთმანეთზე მტრულად მისვლამ _ პირში ლაგამი ამოიდო საზოგადო მსჯავრის შიშითა. ეხლანდელმა ომმა ინგლისისამ და ტრანსვაალისამ, სხვას აღარ ვიტყვით, ცხადი მაგალითი გვიჩვენა, რომ კაცობრიობა ჰთაკილობს უძლურზე ზედმისევას, თავდასხმას, და ამისთანა უსამართლო მოქმედებას თავისს სამართლიანს მსჯავრსა სდებს წყრომისას და რისხვისას." *("მეცხრამეტე საუკუნე". 1899 წ.).*

- "ერთის სიტყვით, რასაც კი თქვენდა გარშემო თვალს და ყურს მოჰკრავთ, ყველგან წარმატება და წინსვლაა. მართალია, შექსპირისა არ იყოს, ქვეყნიერობაში კიდევ ბევრი რამ არის, რომელიც სიზმრადაც არ მოზმანებიათ ეხლანდელ მეცნიერთ, მაგრამ რაც დღემდე იქმნა, ისიც დიდი ძლევამოსილობაა ადამიანის მჭრელის გონებისა, და აქ ღვაწლდადებული იგი საუკუნეა, რომელმაც გუშინ გზა დაულოცა ახალს საუკუნეს, ეხლა შენ იცი და შენმა ძალღონემაო." *("მეცხრამეტე საუკუნე". 1899 წ.).*

- "ბ-ნ აკაკის იმის თქმა უნდა, რომ ბანკი ჩვენთვის ადრეული ხილიაო, ამისათვის არც ჩვენ ვიყავით მომზადებულნი და არც ჩვენის ცხოვრების ნიადაგიო. ეს იყო მიზეზიო, რომ მე თავდაპირველადვე ბანკის დაარსებას უარვყოფდი და ვეწინააღმდეგებოდიო.

- ამ თეორიას რომ ავყვეთ, ყოველივე წარმატება ცალკე კაცისა, თუ ერთობ საზოგადოებისა და ერისა, შეუძლებელი უნდა იყოს. ცივილიზაცია, განათლება, წინსვლა უქმი სიტყვებიღა იქნება. ქვეყანა იმითი მიდის წინ, რომ ეგ აგრე არ არის." *("ტფილისის ქართული საადგილმამულო ბანკი". 1886 წ. 6 ივნისი).*

- "ყოველივე დიდი საქმე კაცობრიობისა, ყოველივე ახლად შემოღებულნი, ახლად აღმოჩენილნი სიკეთენი, რა თქმა უნდა, მომზადებულ ნიადაგზედ იბადებიან და ჩნდებიან, ხოლო რაკი ერთხელ გაჩნდნენ ერთს რომელსამე ნიადაგზედ, სხვა ნიადაგზედაც სახეირონი არიან, სხვა ნიადაგზეც არ ეუცხოებიან. საქმე მხოლოდ იმაშია, რომ არსება, ბუნება ახლად შემოსაღებისას, რომელიც თუნდ სხვა ნიადაგზედ იყოს ნაცადი და აღმოცენილი, თავისთავად სარგო და ხეირიანი იყოს. როგორც ცალკე ადამიანი, ისე მთელი საზოგადოება სწრაფად გაივლის ხოლმე იმ სივრცეს ცხოვრების და მეცნიერების გზისას, რომელიც უკვე გამოუვლია სხვა საზოგადოებასა და სხვა ერსა, თუნდ რომ უკანასკნელთ ამ სვლაში მოენდომებინოს მთელი საუკუნოებიცა." *("ტფილისის ქართული საადგილმამულო ბანკი". 1886 წ. 6 ივნისი).*

- "თან დაყოლილი თვისებაა ადამიანის ჭკუისა, რომ ათასის წლის ნაღვაწსა, ნაცადსა და ნამოქმედარსა სწრაფად შეითვისებს და შეიხორცებს ხოლმე. ყოველივე მადლი და კეთილი ცივილიზაციისა, რომელსაც იქნება მთელი საუკუნოები მოსდომებია აღმოსაჩენად და ცხოვრებაში დასამკვიდრებლად, ამ ადამიანის ჭკუის თვისების წყალობით მოჰფენია მთელს ქვეყნიერობასა. თუ ეს არ იყოს, ან ცალკე კაცი

როგორ უნდა მომზადდეს უკეთესისათვის, ან საზოგადოება." *("ტფილისის ქართული საადგილმამულო ბანკი". 1886 წ. 6 ივნისი).*

- "მაშ სხვის ნაკვალევს, სხვის ნაცადს, სხვის ნამოქმედარს არავითარი ღირსება არ უნდა ჰქონდეს ჩვენში? მაშ ჩვენ ჩვენ გალავნებში უნდა ვიყვნეთ შეკეტილნი, როგორც ჩინელნი არიან, და ველოდეთ, აცა, როცა მოვემზადებით, მაშინ მოვიწვიოთ კეთილიცაო?" *("ტფილისის ქართული საადგილმამულო ბანკი". 1886 წ. 6 ივნისი).*

- "ხვალე დღევანდელს უნდა სჯობდეს, მერმისი აწინდელს. კანონი განვითარებისა და ბედნიერების იმედისა ამაშია და სხვა არაფერში. ამ იმედით, რომ ხვალე უკეთესი უნდა იქმნას, გულს იმხნევებს ამ დღევანდელის დღის ვაი-ვაგლახით და ნაცარ-ტუტით ტანში მოხრილი ადამიანი. ხვალე არ უნდა ჰგვანდეს დღევანდელს, თუ კაცს პროგრესი, წინსვლა ადამიანისა ფუჭ სიტყვად არ მიაჩნია. რაც არიან აწინდელი მოღვაწენი ჩვენის ერისა _ ღმერთმა ამრავლოთ, დიდი დღე და გამარჯვება მისცეთ, მაგრამ, აკაკისა არ იყოს, ნუ ვიკმარებთ მას, რაც დღეს არის! ჩვენა გვჭირია ამათზედ ბევრად ძლიერნი, ბევრად ნიჭიერნი, ბევრად მოქმედნი." *("შინაური მიმოხილვა". 1882 წ. სექტემბერი).*

- "ასეც უანდერძნიათ ჩვენ მამა-პაპებს, რომელთაც ჩვენთვის თავი დაუდვიათ, რომელთა ძვლებით ჩვენს ქვეყანას ზღუდე შემოვლებია, რომელთა სისხლით ჩვენი ქვეყანა მორწყულა. თუ ის დევ-გმირნი, რომელთ საქმენი სწორედ რომ დაუჯერებელნი არიან, ამბობდნენ, რომ ის ურჩევნია მამულსაო, რომ ჩვენი შვილები ჩვენა გვჯობდნენო, ჩვენ რაღა გევთქმის, ჩვენ, რომელნიც იმათ წინაშე ქონდრის-კაცებად თუ ჩავითვლებით." *("შინაური მიმოხილვა". 1882 წ. სექტემბერი).*

- "ღმერთმა ადიდოს, ასახელოს, გაუმარჯოს იმ შვილს, რომელიც მამას დაემჯობინება ქვეყნის სამსახურში და რომელიც ეგრე ეჭირვება ჩვენს მშვენიერს მიწა-წყალს, ჩვენს საყვარელს საქართველოს." *("შინაური მიმოხილვა". 1882 წ. სექტემბერი).*

- "ბავშვი რომ გარბის, განა იმიტომ, რომ ბინამდე მისვლა ეჩქარება. ბავშვს რა საქმე ესწრაფება!... ბავშვს თვით სირბილი მოსწონს, იმიტომ რომ მოძრაობაა უდიდესი სიამოვნება ახლად ფეხადგმულის სიცოცხლისა. როგორც სიცოცხლეს ხორცისას ეს მოსდევს, ისეც სიცოცხლეს სულისას, როცა სულს დრო მოუვა ფეხის-ადგმისა, ნამეტნავად პირველ ხანში. "გაჰკვეთე ქარი, გააპე წყალი, გარდაიარე კლდენი და ღრენი!" იძახის სული, რომელსაც სიცოცხლის მომნიჭებელმა სხივმა დაჰკრა და ამოაყვავა. აი ეს ქარის გაჰკვეთა, გაპობა წყლისა გარდავლა კლდეთა და ღრეთა თავისთავად მომხიბლავია, თავისთავად გამტაცებელია სულღონიერი ჭაბუკისა ქალი იქნება თუ კაცი". *("ქართული თეატრი". 1886 წ.).*

"**კაცს** ორი სახელი უნდა ჰქონდესო, _ ამბობს ჩვენი ერი, _ ერთი აქ დასარჩენი, მეორე თან წასაყოლიო." *("დავით აღმაშენებელი". 1888 წ.).*

"**კაცს** შორმხედველობა უნდა ჰქონდეს." (*"გლეხთა განთავისუფლების პირველდროების სცენები". 1865 წ.).*

"**კაცს**, თუ გინდა რომ გულში ჯოჯოხეთი გაუჩინო, კაცისკვლის ფიქრი ჩაუსახე გულში. ეგ ეყოფა სატანჯველად." *("გლახის ნაამბობი". 1859, 1862-1873 წწ.).*

"**კაცსა** მართალს, თუ მტყუანსა, კაცნივე შეატყობენო". *("ქვათა ღაღადი". 1899 წ.).*

"**კედელს** კაცი შუბლით ვერ გაამტვრებს, რომ ბევრიც ეწვალოს". *("წერილები ილია ჭავჭავაძისა ოლღა თადეოზის ასულ გურამიშვილისადმი". 1873 წ. 12 ნოემბერი).*

"**კვდომა** ხრწნაა და ხრწნას მარტო ჩირქი სდის" *("ოთარაანთ ქვრივი". 1886-1887 წ.).*

“**კიდევ** გნახამ შენ, ლიახვო, კოღოები გეხვეოდნენ.” (“*კოლა”. 1858 წ.).*

“**კითხვა** სცოდნია და წაკითხულის გაგება-კი სრულებით არა ჰქონია”. *(“ახალი უმეცრობანი ბ-ნ ნოე ჟორდანიასი”. 1900 წ.).*

“**კოკასა** შიგან რაცა სდგას, იგივე წარმოდინდების.” *(“გზა-და-გზა და სხვათა შორის”. 1889 წ.).*

“**კომბალი** – ეგ ერთგული და უმუხანათო თანამგზავრი ყოველის უბედურისა” *(“გლახის ნაამბობი”. 1859/1862 – 1873 წ.).*

“**კომედიავ**, კარგი რამა ხარ თავისს ადგილას”. *(“ქვათა ღაღადი”. 1899 წ.).*

კრიტიკა: - “**კრიტიკა**” - ამის თანასწორი მნიშვნელობის სიტყვა არ არის ქართულს ენაზედ და არც ძალიან საჭიროა რომ იყოს, თუმცა უკეთესი იქნებოდა – რომ ყოფილიყო, რადგანაც ეგ დაგვიმტკიცებდა, რომ ჩვენი მამა-პაპანი მაგ მხრით განვითარებულნი ყოფილან. სადაც სახელია, იქ უთუოდ საგანიც უნდა იყოს. ეგ სიტყვა ეხლა მთელს კაცობრიობას ეკუთვნის და ყოველი ხალხი ცოტაოდენად განათლებული, ხმარობს თავის ენაში; მაშასადამე, არც ჩვენთვის არის დასაძრახისი, რომ ეგ სიტყვა ჩვენში იხმარებოდეს” *(“პასუხი”. 1861 წ.).*

- “კაცნი მით არიან სახელოვანნი კაცნი, რომ თუმცა სისხლით და ხორცით ერთს რომელსამე გვარტომობას ეკუთვნიან, მაგრამ თვისის ღვაწლით ამასთანავე გვიჩვენებენ ხოლმე, რით არის მათი გვარტომი თანამოზიარე მთელის კაცობრიობისა და რაგვარი ნაკადული შეაქვს იმ დიდ ზღვაში, რომელსაც კაცობრიობას ეძახიან და განძსა და საუნჯესა სდებს იმ მეცნიერებისა და ხელოვნების ტაძარში, რომელიც ყველას ეკუთვნის და რომლის კარი მუდამ ღიაა ყველასათვის ერთნაირად და თანასწორად, მიუხედავად რჯულისა, გვარტომობისა და დიდ-პატარაობისა” *(“გოგოლის “რევიზორის” საიუბილეოდ”. 1886 წ.).*

- “კრიტიკის უქონლობა ჩვენის ლიტერატურის უშინაარსობას კი არ უნდა დაჰბრალდეს, არამედ ჩვენს ქონდრის-კაცობას, რომელიც იმოდენად უძლურია, იმოდენად უღონოა, რომ ვერც ჩვენის ლიტერატურის სიღრმისათვის გონების თვალი ჩაუწვდენია და ვერც ჩვენის პოეზიის სიმაღლისათვის თვალი გაუსწორებია.” *(“რა მიზეზია, რომ კრიტიკა არა გვაქვს”. 1887 წ.).*

- “კრიტიკის უქონლობა ჩვენში არ უნდა მიეწეროს უშინაარსობას ჩვენის ლიტერატურისას საერთოდ და პოეზიისას საკუთრად. უშინაარსობა ჩვენის ლიტერატურისა აშკარა ტყუილია. ვინც ამ ბრალს სდებს, იგი უმართლოდ ექცევა ჩვენს ნაწარმოებს და ნაღვაწლს გონებისას და გულისას, და ეს მოსდის ან უვიცობით, ან განგებ, რომ კრიტიკის უქონლობის სირცხვილი თავის-თავს მოაშოროს და სხვას გადააბრალოს.” *(“რა მიზეზია, რომ კრიტიკა არა გვაქვს”. 1887 წ.).*

- “რასაკვირველია, ვერ ვიტყვით, რომ ბევრი რამ ჯერ კიდევ სანატრელი არ იყოს ჩვენის ლიტერატურისათვის საზოგადოდ და პოეზიისათვის ცალკედ, მაგრამ ისიც, რაცა გვაქვს ჩვენს დღეს, ღირს-შესანიშნავი განძია და მრავალგვარად გამოსაყენი და სახმარი ჭეშმარიტის კრიტიკისათვის.” *(“რა მიზეზია, რომ კრიტიკა არა გვაქვს”. 1887 წ.).*

- “ჩვენი ლიტერატურა საერთოდ და პოეზია ცალკედ ჯერ ხელუხლებელი განძია. არც ერთს უცხო ქვეყნის მეცნიერს, რომელსაც ჩვენს თვალში სახელი და აბრუ აქვს, მისთვის ჯერ ხელიც არ მიუკარებია, არავის ამ მხრით თავისი აზრი არ გამოუთქვამს, თავისი ბეჭედი არ დაუსვამს.” *(“რა მიზეზია, რომ კრიტიკა არა გვაქვს”. 1887 წ.).*

- “ჩვენს ლიტერატურაზე მზა-მზარეულს აზრს ვერ ამოიკითხავთ ვერც წიგნებში და ვერც გაზეთებში. ამ საგანზედ ერთს სიტყვასაც ვერ იპოვით ვერსად.” *(“რა მიზეზია, რომ კრიტიკა არა გვაქვს”. 1887 წ.).*

- “ფეხს ვერ გასძრავთ, თუ საკუთარის ტვინის ძაფები არ ამოქმედეთ, თუ საკუთარი გრძნობა და ჭკუა არ წაიმძღვარეთ, თუ საკუთარი მსჯელობა არ იქონიეთ.” *(“რა მიზეზია, რომ კრიტიკა არა გვაქვს”. 1887 წ.).*

- “შექსპირი, გეტე, ბაირონი სხვა მეცნიერთაგან დიდი ხანია გარჩეულია მრავალგვარად. ამაზედ მრავალი უწერიათ, მრავალი უთქვამთ. მაშასადამე, ამათზედ ასეთისა თუ ისეთის აზრის შედგენა მეტის-მეტად ადვილია და აზრის საბუთის პოვნაც არ არის ძნელი. აქ ყველაფერი, აზრიც და საბუთიც, მზად არის, თქვენ ოღონდ იმოდენა ღონე იქონიეთ, რომ მოჰკრიბოთ, ერთი-ერთმანეთს შეუფარდოთ, შეუწონოთ და ყოველივე შეკრებილი, შეფარდებული და შეწონილი ერთს ძნად შეჰკრათ და ასე მიართვათ მკითხველს. რა თქმა უნდა, რომ ამასაც ჭკუა, ცოდნა უნდა და მცირეოდენი ხელოვნებაც, მაგრამ აქ თვითმოქმედება უფრო ხელისაა, თუ ესე ითქმის, ვიდრე იმ სულიერის ძალ-ღონისა, რომელიც თითონ ჰქმნის, თითონ სჯის, თითონ სწლავს, თითონ სჭრის და თითონ ჰკერავს.” *(“რა მიზეზია, რომ კრიტიკა არა გვაქვს”. 1887 წ.).*

- “თუ სურვილი დაგეძრათ ჩვენის მწერლობის თუ მწერლების საკრიტიკოდ, აქ ყველაფერი საკუთარის ჭკუით უნდა ჰზიდოთ და ყველაფერს საკუთარის გონების შუქი მიაყენოთ. თქვენს გარე აქ ვერას იპოვნით, ვერას იშოვით, აქ სხვა უნარია საჭირო, სხვა გამჭრიახობა, სხვა ძალღონე. შეიძლება კაცს აუარებელი ცოდნა და სწავლა ჰქონდეს და აქ ერთი ფეხიც ვერ წადგას, თუ ის “სხვა უნარიც” არა ჰშველის. ის “სხვა უნარი” იგია, რასაც თვითმსჯელობას, თავისით მოქმედებას, თავისით სვლას ეძახიან.” *(“რა მიზეზია, რომ კრიტიკა არა გვაქვს”. 1887 წ.).*

- “შეჭიდება ჰოსი და არასი, მათი ერთმანეთთან დაპირისპირება და ამ გზით კვლევა მართლისა, კრიტიკაა.” *(“უარმყოფლობა ჩვენში”. 1888 წ.).*

- “კრიტიკა ბუნებითად ისეთი რამ არის, რომ ერთსა და იმავე დროს, ერთისა და იმავე საგნის კვლევაში ჰოსაცა და არასაც ამოქმედებს მართლის გამოსარკვევად და გამოსაჩენად. იგი ნებას არ იძლევა, რომ ან ერთმა და ან მეორემ ცალკე გაიწიოს და ცალ-კერძ სჭიმოს ჭაპანი ძიებისა და კვლევისა.” *(“უარმყოფლობა ჩვენში”. 1888 წ.).*

- “როგორც ურემი სწორედ ვერ გაივლის, თუ ცალ-მხრივ გააწევინე ხარსა, ისეც ძიება და კვლევა ჭეშმარიტებისა, ცალ-კერძ ტარებული და განზიდული.” *(“უარმყოფლობა ჩვენში”. 1888 წ.).*

- “უარმყოფლობა, კრიტიკაზედ დამოკიდებულად ცალკედ დაბინავებული კაცის გონებაში, დიდი სულელობაა.” *(“უარმყოფლობა ჩვენში”. 1888 წ.).*

- “რა არის უარყოფა ცალკედ? ჰოს გაბათილებაა და მის სამაგიეროდ “არას” გაჰოება, თუ ესე ითქმის. თუ ამ უარყოფას თავის-თავად შეუძლიან რამ, ხომ ამ გაჰოებულს არასაც თავისი ქამანდი უნდა უგდოს და ტახტიდამ გადმოაბრძანოს, თუ ბოლომდე თავის საკუთარს წერას ჰსურს, რომ აჰყვეს და თავის-თავს არ უღალატოს, თავისთავივე უარი არა ჰყოს, არ გააბათილოს.” *(“უარმყოფლობა ჩვენში”. 1888 წ.).*

- “კრიტიკა ერთსა და იმავე დროს “ჰო”-საცა და “არა”-საც ერთნაირად და მიუდგომელად ამოქმედებს და როგორც ტალსა და კვესსა ერთმანეთს ახვედრებს ჭეშმარიტების დასაკვესებლად.” *(“უარმყოფლობა ჩვენში”. 1888 წ.).*

- “იმას არ ესმის, რომ ვინც შენიშნავს ნაკლულოვანებას კაცშია, შეიძლება რომ იმასვე უნდოდეს იმისი გასწორება და სიკეთე; იმას არ ესმის, რომ რაც უფრო მკაფიოდ და დაუნდობლად არის გამოთქმული ის ნაკლულოვანება, მით უფრო სჩანს გამომთქმელის გულის სიმხურვალე, მოუთმენელი ცხადი წადილი გასწორებისა.” *(““ცისკარი” 1857 წლიდან 1862 წლამდინა”. 1862 წ.).*

- “კრიტიკა ნურას დროს ნუ გგონიათ ლანძღვა, ნურცა გგონიათ დაცინება; ის არის დარიგება, შეცდომილების ცხადად ჩვენება, ბუნდიანი საქმისა გამორკვევით და ნათლად ჩვენება.” *(“სფირიდონის და თადეოზის ბაასი”. 1861 წ.).*

- “კარგისა და ავის გარჩევა არ არის ადვილი, მეტადრე იმ შემთხვევაში, როდესაც თხზულებისა, ან მოქმედების ცუდი ან კარგი მხარე ძალიან ცხადად არა სჩანს.” *(“სფირიდონის და თადეოზის ბაასი”. 1861 წ.).*

- “კრიტიკოსი არის გამრჩევი თხზულებისა, კრიტიკოსი არის ცხადად მაჩვენებელი ავისა და კარგისა თხზულებაში, ან ყოველივე მოქმედებაში, ის არის დამრიგებელი და მსაჯული.” *(“სფირიდონის და თადეოზის ბაასი”. 1861 წ.).*

- “რა გამოვა იმ ჟურნალიდგანა, რომელსაც არა ჰყავს კარგი დამრიგებელი, კარგი კრიტიკოსი?” *(“სფირიდონის და თადეოზის ბაასი”. 1861 წ.).*

- “ვერც ერთი ჟურნალი უკრიტიკოდ ვერ იცოცხლებს; კრიტიკა არის იმისი გზის მაჩვენებელი, იმისი წინამძღოლი, იმისი სინათლე და დამრიგებელი. იმან უნდა გამოარჩიოს ავი და კარგი ყოველის სიმართლით და დაანახოს ყველა ჟურნალის წამკითხველსა.” *(“სფირიდონის და თადეოზის ბაასი”. 1861 წ.).*

- “ყოველი წამკითხველისათვის, მგონია, სასიამოვნო უნდა იყოს ყოველთვის კრიტიკული სტატია, რადგანაც შეუძლიან თავისი აზრი შეამოწმოს იმ კრიტიკითა; ნახოს, სხვა როგორა ფიქრობს იმ საგანზედა.” *(“სფირიდონის და თადეოზის ბაასი”. 1861 წ.).*

- “კრიტიკოსი არის-მეთქი მსაჯული, მაშასადამე იმან არ უნდა დაფაროს არა-რამე სიმართლე მთხზველისა და შეცდომილება, და მაშასადამე, უსამართლოდ არ უნდა მიუდგეს მტყუანსა და მართალი დასჩაგროს.” *(“სფირიდონის და თადეოზის ბაასი”. 1861 წ.).*

- “რა კრიტიკოსი უნდა იყვეს ისა, რომელიცა სწავლით, განათლებით, განმსჯელობით კარგა დაბალი ღირსებისა არის იმაზედა, რომელსაც აძლევს დარიგებასა?” *(“სფირიდონის და თადეოზის ბაასი”. 1861 წ.).*

- “კრიტიკოსი ნიჭითა და სწავლით უნდა უთუოდ უმაღლესი იყვეს ავტორზე, თორემა რა დარიგება შეუძლიან?” *(“სფირიდონის და თადეოზის ბაასი”. 1861 წ.).*

- “ალალ ბედად ყური სადღაც მოუკრავს, რომ ეხლანდელს დროში ერთად-ერთი სახსარი, ერთად-ერთი გზა გამოძიებისა და მართლის კვლევისა კრიტიკაა, და ვერ დაუსწავლია, ვერ შეუთვისებია-კი, ეს კრიტიკა რა ხილია. ამ ბატონს ჰგონია, ვითომც კრიტიკა მარტო აშას კვრაა, ანუ სალდათური “ატკაზი”. ბალღური, ანუ უკეთ ვსთქვათ, ქუჩური კრიტიკა ხომ იმაში მდგომარეობს, რომ წუნი დასდო იმასაც-კი, რაც დასაწუნარი არ არის და საცა “ჰოა” სათქმელი, იქაც “არა” სთქვა, და ამისათვის თუნდ ლოღიკა გაიწიროს, თუნდ ჭეშმარიტება გაითელოს, თუნდ მართლმსჯელობა გაილახოს, ბევრს არაფერს დაგიდევს. ეს არის იგი ქუჩური კრიტიკა, რომელსაც დღეს ჩვენში დადძალი ტაშის მკვრელი ჰყავს ჩვენს ბულვარზედ. ხოლო არის სხვა კრიტიკა, რომელსაც მეცნიერული კრიტიკა ჰქვიან. იგი “ჰოს” სათქმელსაც და “არას” სათქმელსაც ერთნაირის სიფრთხილით, ერთნაირის აწონდაწონით ეპყრობა. იგი

იმითაა ღირსეული, რომ "ჰოს" საბუთსაც ისეთისავე გულმოდგინებით იძიებს, როგორც "არას" საბუთსა, რადგანაც სახეში მარტო მართალი აქვს და სხვა არარა. ამისთანა კრიტიკა მართლმოყვარე გამომძიებელია და მართლგამკითხავი სასწორი: თუნდ რომ "ჰოს" გზით შეუდგეს თავის საქმეს, თუნდ "არას" გზით, ორმავე გზამ მართალთან უნდა მიიყვანოს. ამიტომ კრიტიკა ერთსა გზასაცა ჰხმარობს და მაორესაც, იმისდა მიხედვით, თუ _ რა საქმეში რომელი უფრო უტყუარად და ადვილად აპოვნინებს მართალს." *("აი ისტორია". 1889 წ.).*

- "ყოველი აზრი მარტო ცარიელი ფრაზაა იმის ხელთ, ვისაც კრიტიკის ცეცხლში არ გამოუფოლადებია და ისე არ შეუთვისებია. ამნაირი კაცი კაჭკაჭია და არა ჭეშმარიტი წარმომადგენელი მის მიერ ქადებულის აზრისა, რომელიც თუ სხვისაგან დაუჩემებია, კრიტიკის ძალით უნდა უსათუოდ თავისად გარდაექცია. უამისოდ ზემოქმედება უძლიერესისა უღონოზედ უკეთესისა უარესეზედ მარტო ცარიელი მაიმუნობაა, სხვის ფეხის ხმაზედ ბრმად აყოლაა, ტყვეობაა და არა თავისუფლება და თვითმოქმედება გონებისა, რომელიც ერთად-ერთი ნიშანია ჭეშმარიტის განათლებულობისა და აღმატებულობისა. ამ სახით ყოველივე ზედმოქმედება _ ავია თუ კარგი _ არაფრის კეთილის მომასწავებელი არ არის. პირიქით იგი აძინებს, ჰკლავს მსჯელობის უნარსა, ყოველს მჭრელობასა და გამჭრიახობას გონებისას სჩაგრავს და აბათილებს". *("დედათა და ქალთა განათლება". 1889 წ. 15 მარტი).*

- "მიბრძანდით, მიბრძანდით, ჩვენი მწერალი ქალის მოძმენო მწერალნო! თუ ნიჭი არა გაქვსთ წერისა, ნუ გეშინიანთ, უნიჭოდაც გამოჰსჩნდებით, როგორც გამოჰსჩნდა თვითონ ჩვენი მწერალი ქალი. თუ ცოდნა არა გაქვსთ, ნურც მაგისი გეშინიანთ, უცოდინარობითაც სახელს დაიგდებთ: ხომ ხედავთ, სწავლასაც დაჰსცინიან, უნივერსიტეტსაც და შინიდგან გამოუსვლელობით და უსწავლელობით მოჰკვეხენ! თუ ხელოვნება არ იცით, მაგის წამალიც ხელთა აქვს ჩვენ მწერალ ქალს – ანბანთ თეორეტიკა. გზა მშვიდობისა, ჩვენ მწერალ ქალის მოძმენო მწერალნო! გზა მშვიდობისა! მოვა დღე კრიტიკის განკითხვისა და მართალთ მარჯვნივ დააყენებენ და ცოდვილთ მარცხნივ, მაშინ ბევრიც რომ იძახოთ, დაპატიჟებულები ვიყავითო და ანბანთ თეორეტიკაც ვიცითო, მაინც კიდევ დაუნდობელი სიმართლე კრიტიკისა გაგგზავნით თავის დაუნდობელ ჯოჯოხეთში. აბა, იქ იქნება „ღრჭენა კბილთა და ხორცის გლეჯა"! *("პასუხი". 1861 წ.).*

- "თ. ერისთავის პასუხის აზრი ის არის, რომ მე ვითომც, განხილვის მაგიერათ ლანძღვა დამეწეროს. ამას ჩემს აპრილის სტატიაზედ მარტო ისინი იტყვიან, ვისაც თავის დღეში კომპლიმენტების მეტი არა გაუგონია რა. მე ყიზილბაშობა არც მყვარებია და არც მიყვარს, მე როგორც მესმის, ისე ვლაპარაკობ და პირდაპირ ვეუბნები კაცს: ეს ცუდია და ეს კარგია-მეთქი. ჩემს განხილვას ლანძღვას ისინი დაარქმევენ, ვისაც ანბანის თეორეტიკის მეტი არა წიგნი არ უნახავს თვალით და ვისაც მართალი სიტყვა, პირდაპირ ნათქვამი, არ გაუგია თავის დღეში. აბა, წაიკითხეთ გრაფ პლატენის ლექსების გარჩევა სახელოვან ჰეინისა, აბა, განიხილეთ ბელინსკის სტატიები, სადაც უნიჭო მწერლებზედ ლაპარაკობს და სხვათა შორის ბულგარინზედ და ბარონ ბრამბეუსზედ."

- "ლანძღვა ის არის, რომ იტყვი და არას დაამტკიცებ: დაუმტკიცებელი და უსაფუძვლო ქებაც კი ლანძღვაზედ საწყენია პატიოსან კაცისათვის. მე რაც ვსთქვი, ის დავამტკიცე კიდეცა, როგორც შემეძლო; რომ დავამტკიცე, ამის მოწმად მომყავს ის

ფაქტი, რომ არც ერთი ჩემი კრიტიკოსები არ არღვევენ არც ერთს ჩემს აზრსა. რაც დამტკიცებულია, ის მართალია; რაც მართალია, ის ლანძღვა არ არის.”

- “თ. ერისთავი, მართალია, ცდილა ჩემი აზრების დარღვევასა, მაგრამ, ჩემის ფიქრით, ვერ დაურღვევია. მე არ მინდა სამასხარაოდ გავხადო ეს სტატია, თორემ ზოგიერთს უმანკო აზრს თ. ერისთავისას გამოვეკიდებოდი და თ. ერისთავის სტატიის მერვე სტრიქონიდგანვე დავიწყობდი განრჩევას. ეგ მარტო თეორეტიკოსებსა ჰშვენით; იმათ შეუძლიანთ ტფილისიდამ უბერონ პეტერბურღის უნივერსიტეტსა, რათა გადააქციონ, რომ ანბანთ თეორეტიკას გასავალი ჰქონდეს ხალხში; იმათ და მარტო იმათ შეუძლიანთ დაჰსძრახონ სტუდენტის სახელით მაგ სახელის მქონებელი. ეგ იმათ შეშვენისთ, რადგანაც იმათთვის ანბანის თეორეტიკას სხვა საგანი არ მიუცია სალაპარაკოდა. თუნდა ეგ არ იყოს, სულ შინ მჯდომელს სხვა რა საქმე უნდა ჰქონდეს, თუ არ მაგისთანა კეთილგონიერი მასხარაობა განათლებაზედ. მაღალ სასწავლებელს დაბალი გონება ვერ მისწვდება, ტყუილია! *(“პასუხი”. 1861 წ.).*

- “კრიტიკა” არის განხილვაც, განჩხრეკაც, გარკვევაც, გარჩევაც და დაფასებაც ერთად. როცა რომელსამე საგანს ფასს სდებს კაცი, ჯერ იმის ღირსებას იტყვის (თუ აქვს ღირსება) და დაამტკიცებს, მერე ამბობს, ამოდენად ღირსო, ესე იგი, შინჯავს შიგნიდამ და გარედამ საგანსა, ყოველ მის თვისებასა, არჩევს ცუდსა და კარგსა და მერე სწონავს მართალ სასწორზედ.” *(“პასუხი”. 1861 წ. 14 მაისი).*

- “კვამლი ფრიად სასიამოვნოა, - პირველი იმისათვის, რომ კვამლი თვალს ეფარება და მართლჭვრეტას უშლის, მეორე იმისათვის, რომ კვამლი ხშირად თვალიდამ ცრემლს გვაყრევინებს ხოლმე.” *(“მგზავრის წერილები”. 1861 წ.).*

“**კუდა** ხარი თავისთვის არ იყო, სხვას-კი ბუზს უგერიებდაო”. *(“ისევ და ისევ ბ-ნ ჟორდანიას უმეცრობანი _ და მისი წაჯეგ-უკუჯეგობანი”. 1900 წ.).*

“**კუმ** ფეხი გამოყო, მეც ნახირ-ნახირო.” (*“გლეხთა განთავისუფლების პირველდროების სცენები”. 1865 წ.).*

“**კუტრობაზედ** ნურას მომწერთ, თითონ მე კარგათ ვიცნობ, რა წითელი კოჭიცა ბძანდება. ჩემ ჯიბეში ნეტავი ჩამოგახედა, რა ამბავია, რუსეთულ თაგვებს ისეთი ჯირითი გააქვსთ, რო მეტი არ იქნება. ღმერთმანი, ჭრელ-ჭრელ მანეთებს წამოჰკრამენ ფეხს, შენ ნუ მოუკვდე ჩემს თავს! ისეთი მოწმენდილია იქაურობა, რომ ყაბახის მოედანზედ არ იქნება ისე. ნეტავი ეხლა მანდ ვიყო, რომ გავძღე ყბედობით, ასეთი ლაპარაკი ჰსცოდნია და ჰყვარებია ჯიბე ცარიელობას, რომ ვეღარ მომითმენია. ნეტავი ეხლა შენს ტახტზედ ვიყო წამოწოლილი და შენი განათლებული ბონჟურა პირის მთქნარებით და თავის ქექვით ნაცარქექიას ზღაპარს მეუბნებოდეს და შენი პატარა გიგლო დარბაისელ ბიძას მშვენიერ ლანძღვის სიტყვებით მამკობდეს”. *(“წერილები ნინო ჭავჭავაძე-აფხაზისადმი”. 1859 წ.).*

Lლ

“**ლახტი**, მართალია, შემოგვიქნია, მაგრამ ერთი რომ ჩვენ მოგვახვედრა, ათი თითონ იკრა”. *(“ქვათა ღაღადი”. 1899 წ.).*

ლიტერატურა: - "ლიტერატურა თავისის ფართო მნიშვნელობით, გონების ნაჭირნახულევი ხვავია, საცა წმინდა ხორბალიც არის და ბალახ-ბულახის თესლიცა. რაც ცხავია ხვავისათვის, ისიც კრიტიკა ლიტერატურისათვის." *("რა მიზეზია, რომ კრიტიკა არა გვაქვს". 1887 წ.).*

- "ზოგნი ჩვენი, რუსულ ლიტერატურის მეოხებით გაზრდილნი და გაწურთვნილნი, ასე ბრმად ტყვედ არ მისცემიან ამ ლიტერატურის აუცილებელს ზედმოქმედებას. ამათ ჯერ გამოუძიებიათ მისი გამონარკვევნი და მერე ისე ან შეუთვისებიათ, ან უარუყვიათ. ჩვენდა სანუგეშოდ, მარტო ამას არ დასჯერებიან: იმავ კრიტიკით და გამოძიებით მხარ-დამხარ ასდევნებიან ამ ლიტერატურის წინსვლასა, წარმატებას და არ გაჩერებულან მის რომელსამე ხანაზედ. ლიტერატურა, რომელსაც მადლი ცხოველმყოფელობისა სძრავს და ამოქმედებს, ერთი გაუწყვეტელი გრეხილია აზრთა ზედმიყოლებით განვითარებისა და წარმატებისა. ამისთანაა რუსული ლიტერატურაცა. ხშირად მოხდება ხოლმე, რომ რაც გუშინ სწამდა ლიტერატურას, რა მოძღვრებაც გუშინ ჰბატონობდა ლიტერატურაში, დღეს ყოველივე ის უარყოფილია და დევნული იმავ ლიტერატურისაგან. ხშირად ერთს რომელსამე ხანაში აღძრული აზრი, თუ საგანი მეორე ხანაში ისევ იმ საგნადა და აზრად რჩება, მხოლოდ სულ სხვა სახით, სხვა შუქით, სხვა სიგრძე სიგანით გამოდის. ამას ყოველსფერს თვალის დევნა უნდა და თუ არ კრიტიკითა და გამოძიებით გამორკვევა, შენიშვნა მაინც და ანგარიშის გაწევა. თორემ აქაოდა ამ ოცისა და ოცდა-ათ წლის წინათ ამა-და-ამ საგანზედ ეს და-ეს ითქვაო და დაიჟინონ, _ ეს არის უკანასკნელი სიტყვა მეცნიერებისა და ლიტერატურისაო, მაშინ როდესაც უკანასკნელი სიტყვა დღეს სულ სხვაა, უჯიათობა და ჭირვეულობა იქნება ერთხელ და ერთხელ შებორკილებულ და დატყვევებულ გონებისა". *("დედათა და ქალთა განათლება", 1889 წ. 15 მარტი)*

- "ეს ამისთანა აღვირმიშვებული ვარჯიშობა კალმისა, თუ სიტყვისა, იმოდენად ხშირია ჩვენში, რომ შეუძლებელია კაცმა ყურადღება არ მიაქციოს. არ ვიცი, რათა გვგონია ხოლმე ბრმანი და სულელნი ყოველნი ისინი, ვისზედაც ლაპარაკის ჟინი მოგვივა, ანუ ვისაც დრო და ჟამი საკამათოდ პირში მოგვცემს ხოლმე. აი, მოჰკიდეთ ხელი რასაც გინდათ ამგვარს, თუ ჩვენ არ გაგვამართლოთ. თითონ ჩვენს ლიტერატურაშიაც ხშირია ამისთანა ამბავი. ვის არ მოხვედრია, მაგალითებრ, ამისთანა შურდულის ქვა: ეს უბრალო, მარტივი საქმე არ ესმის ამასა და ამასაო. თუ საქმე მართლა უბრალო და მარტივია, რატომ არ უნდა გვწამდეს, რომ მის გაგების ნიშან-წყალი ჩვენსავით სხვასაც ექნება და თუ ჩვენ არ გვეთანხმება, სხვა მიზეზი უნდა იყოს. აქ უთანხმოების მიზეზი ერთის ჭკუა კი არ არის და მეორის სისულელე, ერთის თვალხილულობა და მეორის სიბრმავე, არამედ სხვა რამ, რომელსაც პატივის-ცემა უნდა, ესე იგი, ღრმად დაკვირვება, გამოჩხრეკა და სხვა არა რა. მოქმედებაა, თუ სიტყვა, ყოველისფერს ამ გზით უნდა განსჭვრეტა და განხილვა. სხვა ყოველივე უკადრისობაა, ლიტერატურული უწვრთნელობაა." *("შინაური მიმოხილვა". 1883 წ. ნოემბერი).*

- „ლიტერატურა, – ხალხის ჭკვა, ხალხის გონება, გრძნობა, ფიქრი, ჩვეულება და განათლების ხარისხია. ლიტერატურის წარმომადგენელი ჩვენში მარტო „ცისკარია" ამჟამად. ნუთუ მართლა, რაც „ცისკარში" იწერება, საქართველოს ხალხის ფიქრია, ჭკუაა, გონებაა, ჩვეულებაა? ნუთუ მართლა „ცისკარში" ჩვენი განვითარებაა, ჩვენი განათლების ხარისხია გამოთქმული? ნუთუ მართლა ეგრე დაეცა რუსთაველის

ხალხი, რომ ეგრე ფიქრობს, ეგრე ჰგრძნობს? მეც მაგასა ვჩივი და ვსტირი, რომ არა, ათასჯერ არა; მეც იმიტომ ესე პირდაპირ ვლაპარაკობ, რომ ვინც წინდაუხედავად ბღაჯნის, აღარა ბღაჯნოს; რადგანაც იგინი თავის ბღაჯნითა ამდაბლებენ ჩვენს ენას. მე იმისთვის ვლაპარაკობ ეგრე სასტიკად, პირმოუფერებლად, რომ უნიჭონი და ამასთან უსწავლელნიც თავის ოთახიდგან ფეხს ნუ გამოდგამენ გარეთ, ლიტერატურაში; ამას ვთხოვთ ხალხის სახელითა, ხალხისვე სახელის დაცვისათვის!..“ *(“პასუხი”. 1861 წ.).*

- “ყველამ ვიცით, რომ ლიტერატურას ასაზრდოებს საზოგადოება. ჩვენდა სამწუხაროდ, უნდა აღვიაროთ, რომ ჩვენს ლიტერატურას დღე-და-დღე საზოგადოება აკლდება. დღეს თუ ჩვენს ლიტერატურას მკითხველი და გულშემატკივარი ჰყავს, ერთი ეგრეთ-წოდებული ინტელიგენციაა, რომელსაც თითონაც არა აქვს საზრდო ცხოვრებისა, და მეორე — ძველნი ქართველნი, კაცნი თუ ქალნი. ყოველი კი ახლად მომავალი, ნამეტნავად ქალები, ჰთაკილობენ ქართულს ლიტერატურას და იკვებებიან იმ წვრილად ფშხვნილ ნამცეცებითა, რომელიც აქაურს წვრილმან გაზეთებს ყოველდღე ტომრებით მოაქვთ. თუმცა ეს ასეა დღეს, მაგრამ იმედია, რომ ქართული ლიტერატურა გავრცელდება ჩვენში და მაშინ ჩვენი ეგრეთ-წოდებული მაღალის წოდების ხალხი, თუნდა სრულიად დაეთხოვოს კიდეც ჩვენს ლიტერატურას, დიდი არაფრისაა. საქმე ის არის, ჩვენი ერი მომზადდეს, გონების გახსნის გზაზედ იმოდენად წარიმართოს, რომ როგორც პურის საჭიროებას ჰგრძნობს ხორცისათვის, ისეც ლიტერატურა მიიჩნიოს სულისა და გულისათვის. თუ, ღვთის მადლით, ჩვენი სასოფლო სკოლები და ერთობ ის სასწავლებელნი, რომელთაც კარი მუდამ და დაუბრკოლებლივ ღია აქვთ ყველასათვის, რიგიანად მოიმართნენ და თავის უწმინდაესს დანიშნულებას გვერდი არ აუქციეს, უეჭველია გამრავლდება როგორც მუშაკი ლიტერატურისა, ისეც მუშტარი და მაშინ ლიტერატურა და საზოგადოება უკეთ მოეწყობა, უკეთ მორიგდება და მოთავსდება ერთმანეთში.” (“ჩვენი ლიტერატურის დღევანდელი ყოფა”. 1886 წ.).

- “უნიჭო და ამასთან უცოდინარი მწერალი არა მარტო ენას ახდენს, ამასთან გონებას, გემოვნებას, გულს და სულს მკითხველისას.” *(“პასუხი”. 1861 წ. 14 მაისი).*

- “ლიტერატურული მოღვაწეობა ბუნებითად იმისთანა რამ არის, რომ დღე-მუდამ უკან დევნა უნდა, დღე-მუდამ მის სფერაში ტრიალი, დღე-მუდამ ფიქრსა და ტვინის მოძრაობაში უნდა იყოს მისი მიმდევარი კაცი.” *(“ჩვენი ლიტერატურის დღევანდელი ყოფა”. 1886 წ.).*

- “ქვეყნიერობაზედ არ არის, ჩვენის ფიქრით, სხვა იმისთანა საგანი და მოღვაწეობა, რომ ასეთი ხანგრძლივი და საფუძვლიანი მომზადება უნდოდეს წინათვე, როგორც ლიტერატურა და ლიტერატურობაა.” *(“ჩვენი ლიტერატურის დღევანდელი ყოფა”. 1886 წ.).*

- “ყველამ ვიცით, რომ ლიტერატურას ასაზრდოებს საზოგადოება.” *(“ჩვენი ლიტერატურის დღევანდელი ყოფა”. 1886 წ.).*

- “ლოცვა არც ფულზედ და არც ფულით არ იყიდება.” *(“გლახის ნაამბობი”. 1859, 1862-1873 წწ.).*

- “ლაპარაკი აზრის აღებ-მიცემობაა.” *(“ზოგიერთი რამ”. 1866-1876 წ.).*

- “ლამაზი სიტყვა ლამაზი გრძნობებისთვის ფერუმარილია”. *(“წერილები ილია ჭავჭავაძისა ოლღა თადეოზის ასულ გურამიშვილისადმი”. 1863 წ. 23 თებერვალი).*

- “ლოდინი ისე არავის სულს არ უხუთავს, როგორც იმას, ვისაც გული სხვისთვისაც ისე უცემს, როგორც თავისთვის, ვისაც სხვისი ბედი თავის ბედთან შეუერთებია, ვისაც “მე და ჩვენ” განუყოფლად მიაჩნია, ერთ-არსებად ურწმუნია, ერთის სიტყვით _ ვინც მამულის-შვილების სახელის ღირსი შექმნილა.” *(“შინაური მიმოხილვა”. 1881 წ. სექტემბერი).*

- “ლოღიკა კარგი საქონელია”. *(“უმეცრობის ფართი-ფურთი”. 1900 წ.).*

მ

“**მაგრამ** რას იქ? დრო შემემთხვა ამისთანა, რომ ეგ მოწყენილობა ჩემთან უნდა სუფევდეს, ვიდრე კისრად აღებულს საქმეს ცუდად თუ ავად ბოლო მოეღება”. *(“წერილები ილია ჭავჭავაძისა ოლღა თადეოზის ასულ გურამიშვილისადმი”. 1873 წ. 23 ოკტომბერი).*

“**მაგრამ** ერთს რომ ასი გცემდეს, / კლდეც რომ იყო გაგტეხს მტერი”. *(“მეფე დიმიტრი თავდადებული”. 1860/1877 – 1878).*

“**მადლობა**!. კარგია – მუქთაა, თორემ მაგასაც ხომ ვერ იშოვიდი, რომ გარჯით საშოვარი იყოს. მადლობა!.. ეგ შენი მადლობა გინდა გახიე, გინდა გაფხრიწე...” *(“ოთარაანთ ქვრივი”. 1886-1887 წ.).*

“**მათი** ბამბაცა ჩხრიალებს და სხვისა არც კაკალი”. *(“ქვათა ღაღადი”. 1899 წ.).*

“**მამა** ნახე, დედა ნახე, შვილი ისე გამონახე”. *(“ქვათა ღაღადი”. 1899 წ.).*

“**მამა-პაპის** თქმულებისამებრ დედაკაცს თმა გრძელი აქვს და ჭკვა მოკლე.” (*იგი წავა და სხვა მოვა ტურფასა საბაღნაროსა. 1861-1863 წ.).*

“**მამული**!.. იგი უფრო საყვარელია.” *(“მეფე დიმიტრი თავდადებული”. 1878 წ.).*

“**მარად** ჭეშმარიტია ქართული ანდაზა: “კარგს მთქმელსა კარგი გამგონე უნდაო”; კარგის გასაგონებლად კარგი მომზადებული უნდა იყვეს, გონება უნდა ჰქონდეს გახსნილი, განათლებული, თორემა ბნელის გონებით, ბნელაში კაცი რას დაინახავს. გონება – გახსნილი კაცი წაიკითხავს თხზულებასა და იტყვის: ეს ცუდია, ეს კარგია. ეს რაც ძლიერ ავია და არც ძლიერ კარგი; ცხადად იტყვის რის მიზეზით არის, ან კარგი, ან ავი, ან საშუალო; ცხადის საფუძვლით დაამტკიცებს თავის ნათქვამსა”. *(“სფირიდონის და თადეოზის ბაასი”. 1863 წ.).*

“**მართლა**-და, საშინელებაა, როცა შენს ნაწვავ-ნადაგსა, შენს ნაჯაფავსა, შენს ნაბრძნობსა უგუნური დაეპატრონება. გინდა თუ არა, სოლომონ ბრძენსავით ამოიკვნესებ და იტყვი: თუ ეგრეა (და რომ ეგრეა, აშკარად ვხედავთ) რისთვის დავშვერ და რისთვის ვბრძნობდი მზესა ქვეშეო?” *(“შინაური მიმოხილვა”. 1885 წ. თებერვალი).*

“**მართლის** თქმაა ერთგულება” *(“მეფე დიმიტრი თავდადებული”. 1878 წ.).*

“**მართალი** იყავ და სიმართლეს სდიე. გზა ყოველთვის კაცური გექნება” *(“გლახის ნაამბობი”, 1859 წ. 1862-1873 წ.).*

“**მართალია**, ტყუილს მოკლე ფეხები აქვს და სხვისა ღირსების ჩამორთმევით ან დაკლებით მათნი არც მოივლინებიან, არც გადიდდებიან, მაგრამ წადილის დაუჭირავსა ყური აქვს მოუსმენი და ენა გრძელი”. *(“ქვათა ღაღადი”. 1899 წ.).*

“**მართალია**, უმრავლესობით გამგეობა და განჩინება საქვეყნო საქმეა, ერთადერთი და უცდომელი წესი და რიგი დაიდვას კაცთა ურთიერთობისა, ხოლო იგი იმისთანა უცოდველი და უცდომელი კრებული არ არის, რომ ყველამ თავისი ავი და კარგი

განუკითხავად ხმაამოუღებლად და თვალუწვდენებლად მიანდოს. სწორედ ამ საზრისზედ არის დამყარებული ეხლანდელი მოძრაობა განათლებულ ქვეყნებში, რომ უმცირესობა ხმაამოუღებლად, განუკითხავად, უნებურად არ ეძლევოდეს ხელში უმრავლესობას და იმასაც გზა ჰქონდეს თავისის ლარისა და ხაზის გატანისა, თავისის ინტერესების მოვლისა და პატრონობისა, რაოდენად შესაძლო და შესაწყნარისია. ტყუილად კი არ ამბობენ დაწინაურებული კაცნი, ამ საზრისით შეპყრობილნი, რომ ხმა კი არ უნდა დაითვალოს, უნდა აიწონოს, და თუ შესაძლებელია, აწონვამ ამ შემთხვევაში ოდესმე ფეხი მოიკიდოს და თვლაზე გაიმარჯვოს, მაშინ, ვინ იცის, სიკეთე და მართალი ზოგჯერ რომელ მხარეზე გაიქცევა. მინამ კაცობრიობა მიაგნობს სახსარს ამ აწონვისას, ბევრი წყალი ჩაივლის კიდევ, და ეხლა-კი სასურველია, რომ უმცირესობა ხმაამოუღებლად, უმონაწილეოდ არ დარჩეს ის, საცა უმრავლესობა განაგებს და სწყვეტს სხვათა შორის უმცირესობის სვე-ბედის საქმეებსაც" *("საგაზეთო შენიშვნები". 16 იანვარი, 1892 წ.).*

"**მართალია**, კანონის სათავე ცხოვრებაა, მაგრამ არც უამისობაა, რომ კანონი არ მოქმედებდეს თვით ცხოვრების ავკარგიანობაზე. აქ ერთმანეთის ზეგავლენა უეჭველია და აუცილებელი: თუ ცხოვრება სწურთნის კანონს, კანონიც სწურთნის თვით ცხოვრებასა და, მაშასადამე, საზოგადოებასაცა, ერსაცა" *(უკანონოდ-შობილთა უფლება". 1898 წ.)*

"**მართალია**, მღვდლის ლიტონი სიტყვა უკვდავების წყარო ხომ არ იყო, რომ მკვდარი გაეცოცხლებინა, მაგრამ მაინც კიდევ დიდი საქმეა ისეთი ღვთისნიერი გულშემატკივრობა. "ღვთის ნუგეში დიდიაო", _ სთქვა მღვდელმა. მე რომ ვნახე, არც კაცისა ყოფილა ნაკლები. თქვენ რომ როდისმე გაგჭირებოდათ, მაშინ შეიტყობდით, _ ის ცარიელი სიტყვა რა ტკივილის დამყუჩავი რამ არის!.. ასე გგონია, იმ სიტყვებმა ნახევარი ნაღველი თან წაიღესო, ისეთი ლოდი აგეცლება გულიდამ. სიტყვა ხო არაფერია და კაცს არაფრად უღირს, მაგრამ რამდენი კაცია ქვეყანაზედ, მომმესათვის ისიც არ ემეტება. ესეც კია, ზოგმა თუნდა გამოიმეტოს კიდეც, გაჭირვებულ გულს არ მოხვდება, ვერ მიაღწევს გულამდინა. ამისთანა კაცები გულს ვერ მოჰფხანენ გაჭირვებულსა და ვერც ნუგეშსა სცემენ. მზე ზამთრისა ყვავილს ვერ ამოიყვანს." *("გლახის ნაამბობი". 1859, 1862-1873 წწ.).*

"**მართლად** თქმულა: კაცია და გუნებაო!.." (*"ოთარაანთ ქვრივი". [1886] – 6 ქრისტეშობისთთვეს 1887 წელსა).*

"**მართალს** თვალი თვალში უნდა გაუყარო უშიშრად. მადლი მაგასა აქვს." (*"ოთარაანთ ქვრივი". [1886] – 6 ქრისტეშობისთთვეს 1887 წელსა).*

"**მართალი** უთქვამთ: წუთისოფელი ზოგისათვის მამაა, ზოგისათვის _ მამინაცვალიო." (*"ოთარაანთ ქვრივი". [1886] – 6 ქრისტეშობისთთვეს 1887 წელსა).*

"**მართალი** მარტო ის არის, რომ "ჰო" არა სთქვა, როცა გული "არას" ამბობს". *("დიმიტრი ყიფიანი". 1887 წ. 30 ოქტომბერი).*

"**მართალი** და საბუთიანი სიტყვა თუ ხმა ისე სჭრის, როგორც ბასრი ხმალი, და თვით ღონეც, ციხე-სიმაგრეც საზოგადო საქმისა." *("ქუთაისის ბანკის შესახებ". 1893 წ. 3 დეკემბერი).*

"**მართალია**, არ ცოდნა არ ცოდვააო". *("ისევ და ისევ ბ-ნ ჟორდანიას უმეცრობანი _ და მისი წაჯეგ-უკუჯეგობანი". 1900 წ.).*

"**მართალია**, დიპლომატიაში და პოლიტიკაში ტყუილს ფახი-ფუხს და მუქარას ხშირად თავისი ადგილი აქვს ხოლმე სხვის გულის გასახეთქად." *("ოსმალეთის არეულობა და ევროპა". 1895 წ. 19 ნოემბერი).*

“**მარტო** იმ ერს გაუძლია, მარტო იმ ერს გამოუტანია თავი ათასგვარ განსაცდელისაგან, მარტო იმ ერს წარუმატნია და გაძლიერებულა, რომელსაც თავის დროზედ შეუტყვია და მიუგნია, რომ ერთის რომელისამე წოდების წინ წაწევა არაფრის მაქნისია, თუ დანარჩენი ერიც წინ არ წასულა, პირიქით, ერთის წოდების წინ წაწევას დანარჩენის უკან დაწევა მოჰყოლია.”

“**მარტო** იგი ჰხადის ღირსეულს უღირსად, ვინც თითონ უღირსია”. *(“ქვათა ღაღადი”. 1899 წ.).*

“**მარტო** შენი მტერი დაგიმალავს, შენს სახეზედ რომ ურიგობა ჰნახოს რამე, მოყვარე კი მაშინვე სარკეს მოგიტანს, რომ გაისწრო და ხალხში არ შერცხვე.” *(“კაცია ადამიანი?!” 1858-63 წ.).*

“**მარტო** ბრმანი და ყრუნი თუ იტყვიან, _ არა ვხედავთ, არ გვესმისო.” *(“ქუთაისის ბანკის საქმეთა გამო”. 1890 წ. 2 ნოემბერი).*

“**მარტო** პირუტყვი იყურება დაბლა, კაცმა კი უნდა ცას უყუროს.” *(“გლახის ნაამბობი”. 1859, 1862-1873 წწ.).*

“**მარხვას** არავინ გასტეხს დოსთვისა და ქურდობას არავინა იქმს ხბოსთვისა.” *(“გაბრიელ სუნდუკიანცის „პეპო“ და სომხის ლიტერატორები”. 1889 წ.).*

მარჯორი უორდროპისადმი გაგზავნილი წერილიდან (8/20/1844 წ.): - “ინგლისმა ცოტა რამ იცის ჩვენის უბედურის ქვეყნისა და დაობლებულის ერისა, რომელსაც ერთს დროს თავისი სახელოვანი ისტორია ჰქონია, თავისი გმირნი მეცნიერნი, მწერალნი და პოეტები ჰყოლია და მათის მეოხებით გულდაგულ დახვედრია განათლების მტრებს – ბარბაროზებს.

ყოველს ქართველს თავმოსაწონებლად ექნება, რომ თქვენ და თქვენს პატივცემულს ძმას ჩვენი ყველასაგან დავიწყებული ქვეყანა შეგყვარებიათ და მოგინებებიათ თქვენს ერს მისი ავი და კარგი აუწყოთ, იმ სიყვარულით, რომელიც ასე ამშვენებს ადამიანს, და გულის ტკივილით, რომელიც დაუფასებელი ნუგეშია ბედისაგან დაჩაგრულთათვის.

სასურველია ერმა ინგლისისამ იცოდეს, რომ ამ ჩვენ პატარა ქვეყანაშიაც საქმობს გონება და იძვრის გული, რომ აქაც აქვთ თავისი ნატვრა და თავისი იმედი; რომ აქაც არის თავისი წამება და წვალება უკეთესს დღეთათვის და არა რას კაცობრიულს არ ეუცხოებიან.

ყოველივე ეს ზედ-დაჩნეული აქვს ჩვენს პატარა მწერლობას, რამოდენადაც კი გარემოება ნებას აძლევდა. ამიტომაც გადაღება ინგლისურად ჩვენის მწერლობის გადაღებაა ჩვენის გულისცემისა, ჩვენის გულითადის ნატვრისა, ჩვენის ჭირისა და ლხინისა, ჩვენის გონების და გრძნობის ძალღონისა საყოველთაოდ საცნობელად”.

“**მას** აქეთ, რაც კაცთა ენამ „ჰო“ და „არა“ მოიგონა და სამეტყვოდ თვის სიტყვიერებაში შეიტანა მყოფობისა და არმყოფობის გასარჩევად, ეს უარმყოფელობა არის ქვეყნიერობაზედ და იქნება კიდეც, ვიდრე კაცის გონება არ დასცხრება ჭეშმარიტების ძიებისაგან. ხოლო ამ ძიებაში მარტო „არა“ კი არ მოქმედობს, „ჰო“-საც ისეთივე ღვაწლი მიუძღვის, როგორც „არასა“.

- მთელი ისტორია კაცობრიობისა ყოველ-გვარს სფეროში, საცა-კი ადამიანს წარმატების ძლევამოსილობა მიუძღვის და არ მიუძღვის, სხვა არა არის-რა, გარდა გაუთავებელის ჭიდილისა „ჰოსა და არას“ შორის. ყოველივე ჭეშმარიტება, ყოველივე საქმე, რაც კაცობრიობას აღმოუჩენია კაცთა ცხოვრების გულის, გონების განსაკარგებლად, გასაძლიერებლად, წარსამატებლად, ამ ჰოსა და არას ჭიდილით მოუპოვებია. ჭეშმარიტების აღმოჩენას, საქმეს ცხოვრების ასე თუ ისე გაწყობისასა და

გარიგებისას, სხვა გზა არა აქვს ამ ერთად-ერთის გზის მეტი. რა საგანსაც, რა მოვლენასაც-კი, კაცთა ხელიდამ თუ გონებიდამ გამოსულს, გულში ჩაჰხედავთ, დაინახავთ, რომ ჰო-არაობის ჭიდილსა და ქარცეცხლშია გამოტარებული. მართალია, გამარჯვება ერთისა თუ მეორისა, ჰოსი თუ არასი, ყოველთვის არა ჰნიშნავს ჭეშმარიტების გამარჯვებასა, მაგრამ მაინც ჰოსა და არას ჭიდილია ერთად-ერთი გზა ჭეშმარიტების აღმოჩენისა და პოვნისა." *("უარმყოფელობა ჩვენში". 1888 წ.).*

"**მაქვს** კი ძველი ისეთი ლექსები, რომელიც ჯერ არ დაბეჭდილა, მათგანს ყველას გამოვგზავნი. ამას კი გთხოვ: არც ერთ ლექს[ს] ჩემი სახელი არ მიაწერო: ნეტაი ლექსმა ივარგოს, თორემ სახელი რა საჭიროა, თუ ძალიან და ძალიან გინდა, რომ მაგ წიგნში ჩემი სახელიც იყოს, შეგიძლიან თავში საზოგადოდ მოიხსენიო, რომ სხვათა შორის ამ წიგნში ჭავჭავაძის ლექსებიც არის-თქო, და რომელი ლექსია ჭავჭავაძისა თვითეულად და სახელდობრ, ნუ მოიხსენიებ. ამისათვის მე პატივსადები საბუთი მაქვს." *(წერილები კირილე ლორთქიფანიძისადმი". 1864 წ. 24 აგვისტო).*

"**მაღალ** სასწავლებელს დაბალი გონება ვერ მისწვდება, ტყუილია." *("პასუხი". 1861 წ. 14 მაისი).*

"**მაღალ** ფარდის სიტყვები ტყუილი რახუნია მოშლილ წისქვილისა." *("ახლო და შორი აღმოსავლეთის პოლიტიკის საკითხები". 1898 წ. 31 იანვარი).*

"**მაშ** რად არის მეფე მეფედ, / თუ არ ქვეყნის ჭირთა მძლეა? / თუნდაც მოჰკვდეს ქვეყნისათვის, / ეს სიკვდილი სიცოცხლეა". *("მეფე დიმიტრი თავდადებული". 1878 წ.).*

"_ **მაშ** მორჩილება თქვენთვის უქმი სიტყვა ყოფილა?

_ არამც თუ უქმი, კაცის სულის დამამდაბლებელია, მე მარტო ერთნაირი მორჩილება ვიცი, საცა გონება უფალია..." ("*გუბე". 1861-1863 წ.).*

"**მაშინ** კი დავიჯერე, რომ გაჭირვებას ბევრი რამ შესძლებია" *("გლახის ნაამბობი". 1859/1862 – 1873 წ.).*

"**მაშინ** როდესაც თქვენა კმაყოფილი იყავით თქვენის შეძლებისა, ეხლა ჩვენთვის ის საკმაო აღარ არის; რითაც თქვენ უწინდელ დროში ნებიერობდით, ის ჩვენთვის ეხლა ნაკლებულობაა." *("სფირიდონისა და თადეოზის ბაასი". 1863 წ.).*

"**მაშინ** რა ვიცოდი სულელმა, რომ ბატონ-ყმობის შუა სიყვარულის ხიდი არ გაიდება? აგრე ყოფილა ქვეყანაზე და ცალს თურმე ცალმა უნდა უცალოს! *("გლახის ნაამბობი" 1859 წ. 1862-1873 წ.).*

"**მაძღარი** მშიერს წვრილად უფხვნიდაო." *("შინაური მიმოხილვა". 1885 წ. თებერვალი).*

"**მგლის** შიშით ცხვარი არავის გაუწყვეტია". *("ქვათა ღაღადი". 1899 წ.).*

"**მდიდარს** ართმევ, ღარიბს აძლევ, ღმერთი როდი წაგახდენსო", _ იტყვის ხოლმე ჩვენი ხალხი." *("გლახის ნაამბობი". 1859, 1862-1873 წწ.).*

"**მდიდრად**, თუ ღარიბულად, მაგრამ კი თავისუფლად ვიცხოვრებთ". *("წერილები ილია ჭავჭავაძისა ოლღა თადეოზის ასულ გურამიშვილისადმი". 1873 წ. 31 მარტი).*

"**მე** წავალ და ეს ქვეყანა / თქვენ უნდა გებარებოდეს, / ღარიბს ისე მოუაროთ, / რომ მდიდარს არ შენატროდეს. / გლეხს თუ თავადს, დიდს თუ მცირეს / მადლი თანასწორ მოჰფინოთ, / ობოლი, ქვრივი, უძლური, / ძლიერს არ დამიჩაგვრინოთ". *("მეფე დიმიტრი თავდადებული". 1878 წ.).*

"**მე** მივხვდი და ვიწამე, რომ ამ კეთილშობილობით აღსავსემ გულთა-ძვრამ აღმოგიშობათ სურვილი ქება-დიდებით და ლოცვა-კურთხევით მიჰმართოთ ჩაგრულთა, რომელთაც თავი დაუდვიათ ხსნისათვის. ძნელია პატიოსანი კაცი გაუმაგრდეს ამ მშვენიერს და ყოვლად თავმოსაწონებელს გულთა-ძვრას, და

გასამხნევებლად, თუ ხელი არა, გული მაინც მიაწოდოს შორიდამ დიდებულ საქმისათვის თავგამოდებულთა, რომელთაც ხელის ღონე არ შესწევს (და მინდობიან) ძლიერებას გულისას". *("წერილი პეტერბურგის ქართველ სტუდენტებისადმი", 1897 წ. აპრილი).*

"**მე** ვარ და ჩემი ნაბადიო." *("რა გითხრათ? რით გაგახაროთ?". 1897 წ. 31 დეკემბერი).*

"**მე** ვამბობ, უგუნურებას განკიცხვა უნდა-მეთქი." ("*იგი წავა და სხვა მოვა ტურფასა საბაღნაროსა". 1861-1863 წ.).*

"**მე** დედა ვარ და წამავალი. ის შვილია და მომავალი; მე მივდივარ, ის მოდის. იმისი დღენი გასავლელი მინდორია, მე კი ჩემი მანძილი გამივლია. მე ბოლოში ვარ, ის თავში. წინ ვერ ავეფარები." (*"ოთარაანთ ქვრივი". [1886] – 6 ქრისტეშობისთთვეს 1887 წელსა).*

"**მე** ჩემთვის არა ვლოცულობ, ღმერთი არ შევაწუხო-მეთქი და თქვენთვის სად ვილოცებდი." (*"ოთარაანთ ქვრივი". [1886] – 6 ქრისტეშობისთთვეს 1887 წელსა).*

"**მე** მიყივლია და გათენდება თუ არა, ეგ ღმერთმა იცის." *("კაცია ადამიანი?!" 1858-63 წ.).*

"**მე** ძალიან კარგად ვიცი, რომ ენა შენთა ნათესავთა ერთს ამბობს, ხოლო მათი გული სხვა რამეს უკარნახებს". *("წერილები ილია ჭავჭავაძისა ოლღა თადეოზის ასულ გურამიშვილისადმი". 1863 წ. 28 თებერვალი).*

"**მე** არსად არ დავდივარ, ისე მომძულდა ეს ღვთისაგან დალოცვილი უბედური დუშეთი და მისი უკაცურნი კაცნი". *("წერილები ილია ჭავჭავაძისა ოლღა თადეოზის ასულ გურამიშვილისადმი". 1873 წ. 8 თებერვალი).*

"**მე** იქ ვიყივლებ და თქვენ მანდ იყეფეთ და სოფელი აშენდებაო". *("უმეცრობის ფართი-ფურ. 1900 წ.).*

"**მე** რომ ჩემი მსგავსი ვაქო და ჩემმა მსგავსმა მე, განა იგივე ჩემის თავის ქება არ იქნება." *("ამბავი ყბად-ასაღები და წყალ-წასაღები". 1889 წ.).*

"**მე** ვფიქრობ, რომ საბა ორბელიანს ამის თქმა უნდოდა: მე ზღაპარს გეუბნები და სიბრძნეს-კი გამცნობო. ზღაპარი მოგონილი ამბავია, არა-მართალი, მაშასადამე, სიცრუეა. ამ მხრით წიგნი საბა ორბელიანისა სიცრუეა. ის სიცრუე-კი არა, რომელიც სწამლავს და ჰშხამავს ადამიანს და სიცრუის მთქმელს უფრო სთხრის და აუწმინდურებს, ვიდრე სხვას. ის სიცრუე-კი არა, რომელსაც აუღია ურცხვად თავი და ქურდულად იკბინება გესლიან მორიელსავით და რომელიც ასე საზიზღარია და სამართლიანად დევნული ყოველ პატიოსან კაცისაგან." *("ჩვენი ეხლანდელი სიბრძნე-სიცრუე". 1896 წ.).*

"**მეზადური** ბადეს არ ესვრის ხოლმე, თუ წყალი მღვრიე არ არის." *("საპოლიტიკო მიმოხილვა". 1882 წ. იანვარი).*

"**მეგობარმა** მეგობრისათვის დიაღ უნდა ამოიღოს ხმა." *("სფირიდონის და თადეოზის ბაასი". 1861 წ.).*

"**მერწმუნეთ**, მე მესმის ამ ხმაგაკმენდილს ქვეყანაში თერგის დაუჩუმარი ჩივილი. არიან ადამიანის ცხოვრებაში იმისთანა წუთნი მარტოობისა, როცა ბუნებას შენ თითქო შენსას აგებინებ ჰოი, ორფეხო ცხოველო, რომელსაც ადამიანს გეძახიან"." (*"მგზავრის წერილები". 1861 წ.).*

"— **მეტის-მეტია**, დედი, ამოდენა ბარგი!.. თითქო ქალი ვიყო და მათხოვებდე.

— ქალი რომ იყო, ეგრე ადვილად ვერ გამიფრინდებოდი ხელიდამ.

— ქალი ხომ უფრო საბოლოვო არ არის დედ-მამისათვის. ქალი მოდის იმისათვის, რომ წავიდეს და სხვაგან გაიკეთოს ბუდე.

— მართალია, მაგრამ ქალი, — მინამ გათხოვდება, — დასაფრენი ბღარტია და ფრთას ქვეშ უზის დედასა.

— როგორ? წნილად შემინახავდი თუ?

— მაგას არ გეუბნები. ქალი ბედს შინ მოელოდინება, კაცი კი გარეთ ეძებს...”… *(“ოთარაანთ ქვრივი”. 1887 წ.).*

“**მეტყველების** ნიჭს ისეთი ვარჯიშობა უნდა, როგორც ყველაფერს სხვას.” *(“ზოგიერთი რამ”, 1866-1876 წ.).*

“**მეც** იმისთანა ქართველი (ვარ), ვითარც სხვა, ამის გამო მომეტევება, ვითარცა ცათა შინა, ეგრეთცა ქვეყანასა ზედა, აწ და მარადის, უკუნითი უკუნისამდე, ამინ”. *(“წერილები ნინო ჭავჭავაძე-აფხაზისადმი”. 1859 წ.).*

“**მეც** ხომ ადამიანი ვარ და არა-რა ადამიანური არ უნდა მეუცხოებოდეს”. *(“გომართელის ფილოსოფია და არჩილ ჯორჯაძის ფსიხოლოგია”. 1902 წ.).*

“**მეცნიერებას** ხელოვნებისას, რომელსაც ესტეტიკას უძახიან, შენიშნული აქვს ზოგიერთი ზოგადი თვისებანი ხელოვნებისა, რომელნიც ყოველს გრძნობაგახსნილს კაცს უნდა ერთნაირად ესიამოვნებოდეს და ურომლისობა კი უნდა უსათუოდ სწყინდეს და უუგემურებდეს გუნებასა. აი ამ სახით წუნი ყველასათვის წუნი უნდა იყოს და მოსაწონი – მოსაწონი. აი, როცა რეცენზენტი თავის წუნსა სდებს რომელსამე ნამოქმედარს ხელოვნებისას, მისი სიტყვა და წუნის დება იმ მხრით უნდა აიწონ-დაიწონოს სიმართლის სასწორზედა. სწორედ მოგახსენოთ, ქების თქმაშიაც იმავე გზით უნდა დაფასდეს რეცენზენტის სიტყვა ჩვენის ფიქრით, წუნი თუ ქება რეცენზენტისა, ამ წრეს გადაცილებული, ორივე სათაკილოა და ტყუილად ქებულმა კაცმაც ისე უნდა იწყინოს, როგორც ტყუილად დაწუნებულმაცა. გარნა კაცი ყოველთვის კაცია და ქება, თუნდაც ტყუილის შეწყნარება და მცირეში მართლის განდევნა, ადამიანის სულმოკლეობის ბრალია: სულგრძელი კაცი არც ერთს იკადრებს და არც მეორესა. განა ამისთანა სულგრძელნი ბევრნი არიან!... ყველაზედ ნაკლებ მოიპოვებიან იქ, საცა უფრო მოსალოდნელი უნდა იყოს ავტორებსა და არტისტებს შორის, ესე იგი იმათ შორის, ვინც სულიერს ღონეს ადამიანისას ასე თუ ისე ხელსა სჭიდებენ და ამოქმედებენ”. *(“ქართული თეატრი”. 1886 წ.)*

მეცნიერება და სარწმუნოება: – “მე არ ვიცი იმისთანა სხვა კაცი, _ საერო, თუ სამღვდელო, _ რომლის გულშიაც მომეტებულის მშვიდობის-ყოფით, მომეტებულის და-ძმობით ერთად დაბინავებულიყოს სამოქმედოდ მეცნიერება და სარწმუნოება. განსვენებული ღრმად-მიწევნილი მეცნიერი იყო და იმოდენადვე ღრმად-მორწმუნეცა. აქ არის, ჩემის ფიქრით, მისი აღმატებულება, მისი მნიშვნელობა არამც თუ მარტო ჩვენთვის, სხვისთვისაც, რადგანაც ბევრსა ჰგონია, რომ მეცნიერება და სარწმუნოება ერთმანეთში მოურიგებელნი და მოუთავსებელნი არიანო. იგია მაგალითი ამ მორიგებისა და მოთავსებისა”. *(“სიტყვა თქმული გაენათის მონასტერში გაბრიელ ეპისკოპოსის დასაფლავების დღეს”. 1896 წ.).*

- “ქვეყანა, ბატონებო, სავსეა ხილულითა და არა-ხილულითა ადამიანის სულიერ და ხორციელ თვალისათვის. ერთის ბრძნისა არ იყოს, “ზოგი საგანია, რომ თუ არ დაინახე, ვერ ირწმუნებ, და ზოგი-კი იმისთანა, თუ არ ირწმუნე ვერ დაინახავ”. ბუნება ადამიანისა იმისთანაა, რომ სულთა-სწრაფვა ჩვენი ერთსაც ეტანება და მეორესაც საცნაურად ორისავ გზით, და მით უფრო, რაც ადამიანი თვალ-ახილულია და გონება-გაღვიძებული. ნება-უნებლიეთ ამ ორს სამფლობელოში დადის მოუსვენრად გონება და გული ადამიანისა, რომ იპოვოს ბინა და იქ დაღალული სული შეასვენოს ხოლმე გულთაძვრისაგან და მსოფლიო ღელვისაგან”. *(“სიტყვა თქმული გაენათის მონასტერში გაბრიელ ეპისკოპოსის დასაფლავების დღეს”. 1896 წ.).*

- “ამ ორს სამფლობელოთა შორის შემაერთებელ ხიდსა სწნავს მარტო სიბრძნე, რომელიც ასე იშვიათია ამ წუთისოფელში, რომლითაც ასე სავსე იყო განსვენებული მღვდელმთავარი და რომელიც, ჩემის ფიქრით, სხვა არა არის-რა, გარდა მეცნიერების და სარწმუნოების ერთმანეთში ბედნიერად მორიგებისა ერთმანეთის შეუბღალავად და დაუმონებლად. ამისთანა სიბრძნეს სწვდებოდნენ მარტო იმისთანა გენიოსები, როგორც ნიუტონი და სხვანი მისებრი, ერთსა და იმავე დროს ღვთისა და ბუნებისმეტყველნი”. *(“სიტყვა თქმული გაენათის მონასტერში გაბრიელ ეპისკოპოსის დასაფლავების დღეს”. 1896 წ.).*

მეცნიერება და ხელოვნება: - “ხელოვნება არის განხორციელება სახეში იდეისა, აზრისა: მუსიკა, მხატვრობა, პოეზია _ ესენი სულ სახეში გამოსთქვამენ იდეიას, მხოლოდ იმით განიყოფებიან, რომ თავის იდეის გამოსათქმელად სხვადასხვა მასალებსა ხმარობენ, როგორც მუსიკა _ ხმასა, მხატვრობა ხაზსა, პოეზია _ სიტყვასა. სიტყვიერებითი ხელოვნება პოეზიასა ჰქვიან, რადგანაც სიტყვის საშუალებით და შემწეობით აღასრულებს ხელოვნების მნიშვნელობასა.” *(“პასუხი”. 1861 წ. 14 მაისი).*

- “რა აახლებს, რა სცვლის და _ თუ ცხოვრება ჯანმრთელია _ რას მიჰყავს წინ? ცოდნასა, მეცნიერებასა, რომელნიც თვითვე ცხოვრების ნაყოფნი არიან.” *(“საქართველოს მოამბეზედ”. 1862 წ.).*

- “მეცნიერება და ხელოვნება, რომელნიც დღე-მუდამ ზედ დასტრიალებენ ცხოვრებასა, რომ ყოველი ცვლილება მისი ცნობიერად გადმოიღონ, რომ ყოველი ყვავილი მისი მოჰკრიფონ, შეიტყონ, რისთვის არიან იგინი და რანი არიან, _ მეცნიერება და ხელოვნება სხვა-და-სხვა გზით იკისრებენ ახალის ვითარების ახსნასა, ცნობაში მოყვანასა.”

- “ამათი უკეთესი მიმდევარი, ხალხის დაწინაურებული თავობა, მაშინვე მიხვდება, _ რომ დრო იცვლება, ჰგრძნობს, რომ ეცა სული ახალის გაზაფხულისა, განახლებისა, ჰგრძნობს, რომ ძველი ცხოვრება აივსო, დამწიფდა, რაც დათესილი იყო, იმის ნაყოფი მოიტანა და ეხლა ამ ნაყოფიდამ უნდა გამოიკრიფოს ახალი თესლი ახალის ცხოვრების გამოსაკვანძავად, რათა მადლობით გაისტუმროს ძველი და სიხარულით მიეგებოს და გზა დაულოცოს ახალსა.” *(“საქართველოს მოამბეზედ”. 1862 წ.).*

- “ხშირად თვით მეცნიერებაც და ხელოვნებაც უღონონი არიან ერთობ ცხოვრების მოსავლის ცნობაში მოყვანისათვის.” *(“საქართველოს მოამბეზედ”. 1862 წ.).*

- “მეცნიერება და ხელოვნება _ ეგ საკვირველნი სალარონი კაცის გონიერებისა _ არიან კანონიერნი მემკვიდრენი გენიოსისა. იგინი თავის უკეთეს წარმომადგენლების ხელით გენიოსისაგან ნაჩვენებ საძირკველზედ განაგრძელებენ ხოლმე მუშაობასა, გენიოსის ახალს აზრზედა, ახსნაზედა დაამყარებენ ხოლმე შემდგომსა გამოკვლევასა და ცნობიერების წინ წაწევასა. მაგ წარმომადგენელთაგან ცხოვრებისაგან დაბადებულნი ფაქტები, გენიოსის ჭკვისგან ახსნილნი და ცნობაში მოყვანილნი, მეცნიერებისაგან მიღებულნი, როგორც კანონნი და ხელთმძღვანებელი მომავლისათვის, გადადიან დანარჩენ ხალხშიაცა.” *(“საქართველოს მოამბეზედ”. 1862 წ.).*

- “რამოდენადაც ეგ ახალი ცნობაები, აზრები ადვილად გასაგებნი არიან ხალხისათვის, იმოდენად ადვილად გასდევნიან უწინდელებსა, რომ ცხოვრებაში იმათი ადგილი თითონ დაიჭირონ და იწარმოვონ შემდგომში.” *(“საქართველოს მოამბეზედ”. 1862 წ.).*

- “მეცნიერება და ხელოვნება ახსნის ცხოვრების მოთხოვნილებასა, ცნობაში მოიყვანს “ახალსა” და ამათ შემწეობით გადადის ეს “ახალი” ისევ ცხოვრებაში და სცვლის ცხოვრებასა.” *(“საქართველოს მოამბეზედ”. 1862 წ.).*

- “ცხოვრება ძირია. ხელოვნება და მეცნიერება მასზედ ამოსული შტოები არიან, როგორც მიწიდან ამოხეთქილი შტოები ისხამენ ნაყოფსა და როცა სათესლეს მოჰსწევენ, ისევ მიწას გადმოსცემენ, რომ ახალი ძირი გაიკეთონ და ამ ძირმა სხვა ახალი შტოები ამოხეთქოს, აგრეთვე ცხოვრებაზედ ამოსულნი შტოები _ მეცნიერება და ხელოვნება _ ისხამენ ზედ ცხოვრების ნაყოფსა და როცა მოასწევენ სათესლოდ, ისევ ცხოვრებასვე გადმოსცემენ ახალის ცხოვრების გამოსაკვანძავად.” *(“საქართველოს მოამბეზედ”. 1862 წ.).*

- “ცნობაში მოყვანილი და დამტკიცებული, როგორც ვსთქვით, მეცნიერებაა და ხელოვნება _ ეს ორნივ ერთ და იგივეს მსახურებენ: აზრის მოძრაობას; ერთ და იგივეს გამოსთქვამენ: ხალხის აზრსა, და თუ რაშიმე განირჩევიან, მხოლოდ იმაში, რომ სხვადასხვა გზით და სხვადასხვანაირად მოქმედობენ და გამოსთქვამენ.” *(“საქართველოს მოამბეზედ”. 1862 წ.).*

- “მეცნიერება და ხელოვნება, ეგ უდიდესნი სალარონი, სადაც კაცობრიობის გენია აწყობს ხოლმე გონიერების საუნჯესა _ არ არიან ყველასათვის მისაწვდომნი. მაგ სალაროში შედიან ხოლმე მხოლოდ აღმორჩეულნი პირნი, რომელნიც ყველგან ცოტანი არიან, მხოლოდ მაგათა აქვსთ იმათი კარის გასაღები, მხოლოდ იგინი სარგებლობენ, დაისაკუთრებენ იმათ საუნჯესა მაშინ, როდესაც იმათი განმანათლებელი სხივები ყველასათვის საჭირონი არიან, როგორც არსებითი პური.” *(“საქართველოს მოამბეზედ”. 1862 წ.).*

- “მართალია, ყოველ ცოტაოდენ განათლებულ ხალხში არის ღონისძიება, საშუალობა, რომ მეცნიერების ნაყოფი გადაიტანოს ხალხშია; მართალია, არიან სკოლები, სხვა-და-სხვა სასწავლებლები, რომელნიცა ავრცელებენ ხალხში, მის გამო ცხოვრებაშიაც, სასარგებლო და გამოსაყენ სწავლასა და ცოდნასა, და მით შველიან ხალხსა.” *(“საქართველოს მოამბეზედ”. 1862 წ.).*

- “მეცნიერებას და ხელოვნებას ჩვენ ვუყურებთ, როგორც ცხოვრების გასამჯობინებელ ღონისძიებათა.” *(“საქართველოს მოამბეზედ”. 1862 წ.).*

- “ჩვენ მეცნიერებას და ხელოვნებას მოვსთხოვთ არსებითსა პურსა ცხოვრებაში გამომცხვარსა და მშიერთათვის მოსახმარესა და გამოსადეგსა.” *(“საქართველოს მოამბეზედ”. 1862 წ.).*

- “მეცნიერებამ უნდა გვიშველოს თავის გამოცნობილ ჭეშმარიტებაებით ცხოვრების ახსნა და გაგება. მან უნდა მოგვცეს პირდაპირი პასუხი ყოველ საჭირო კითხვაზედა.” *(“საქართველოს მოამბეზედ”. 1862 წ.).*

- “ხელოვნებასაც იმას მოვსთხოვთ, რომ სარკესავით ცხოვრება გარდამოიცეს, რათა ჩვენი თავი მის მომხიბლავის კალმით ცხოვლად იყოს წარმომდგარი ჩვენ წინა, რათა სიცუდეც და სიკეთეც ჩვენი დავინახოთ.” *(“საქართველოს მოამბეზედ”. 1862 წ.).*

- “დროა ხელოვნებამ თავი დაანებოს უგემურ ღმეჭასა და თვალების სრესასა, ეგება ცრემლი მომივიდესო; დროა ჩავიდეს ცხოვრების მდინარის ძირშია, იქ მოინახოს შიგ-მდებარე აზრი თავის ცხოველ სურათებისათვის. იქ, ცხოვრების ძირში, ის იპოვის ბევრ მარგალიტსა და უფრო ბევრ ლექსა და ლაფსა; არც ერთის

გამოხატვა არ უნდა აშინებდეს ხელოვნებასა და არც მეორისა." *("საქართველოს მოამბეზედ". 1862 წ.).*

- "ოღონდ ხელოვნება არ გადასცდეს თავის საკუთარ კანონებს და მეცნიერება _ ჭეშმარიტებასა, და დაე, არც ერთი და არც მეორე ნუ მოერიდება იმის გამოაშკარავებას, განკიცხვას, რაც ჩვენში საკიცხავია და ცუდი." *("საქართველოს მოამბეზედ". 1862 წ.).*

- "ცხოვრება თვითრჯულია, იგი არ გამოიჭრება ხოლმე კაცისაგან მოგონილ რიკრიკაზედ; რომ თუმცა იგი ბერდება, მაგრამ იმ სიბერის გამოცდილებით ისე თავის-თავად ახლდება და ჰყვავის; რომ მეცნიერება და ხელოვნება არ არიან მოგონილნი კაცის ჭკვის და გამოხატულების არც ვარჯიშობისაგან და არც ვარჯიშობისათვის; რომ იგინი იბადებიან ცხოვრებისაგან და არსებობენ ცხოვრებისათვის; რომ იგინი წინ მიდიან ცხოვრების ვითარებისა გამო და მერე თავის რიგზედ თვითვე წინ მიჰყავთ ცხოვრება; რომ რაც მაგათგან არის მოყვანილი ცნობაში და დამტკიცებული, ის გადადის ხალხში და იგი სცვლის ხალხის მდგომარეობასა და ცხოვრებასა." *("საქართველოს მოამბეზედ". 1862 წ.).*

- "მეცნიერების ახალი ღვაწლი და ახალი აზრი ნდომულობს ფართო გზას, გაშლილ ადგილს, მრავალ მსმენელს." *("ფიქრი და შენიშვნა". 1878 წ.).*

"**მზე** რას უზამს იმოდენას დამზრალს ყვავილსა, რაც თბილი სიტყვა დაჩაგრულს გულსა!... ოო!.. სითბო?.. დიდი რამ არის. დედამიწის ზურგი იმითი აყვავდება ხოლმე, წუთის-სოფლის ცხოვრება იმითი მოისხამს ყვავილსა! *("გლახის ნაამბობი". 1859/1862 – 1873 წ.).*

"**მზე** იყო იმისი წმინდა სანთელი და კელაპტარი და დილის ნამის ორთქლი საკმეველად შეექმნა" *("გლახის ნაამბობი". 1859/1862 – 1873 წ.).*

"**მზე** ზამთრის ყვავილს ვერ ამოიყვანს". *("გლახის ნაამბობი". 1859, 1862-1873 წწ.).*

"**მზის-გულ** ფერდობს რა სჯობია ვენახისათვის!.." *("ოთარაანთ ქვრივი". 1887 წ.).*

"**მთარგმნელს** უნდა ჰქონდეს შემდგომი ღირსება: პირველად, იმან უნდა იცოდეს ზედმიწევნით ორი ენა: ერთი ისა, რომლიდანაც თარგმნის, და მეორე ისა, რომელზედაც თარგმნის. მეორედ, უნდა ჰქონდეს გაწმენდილი გემო და განათლებული გონება." *("სფირიდონის და თადეოზის ბაასი". 1861 წ.).*

"**მთელი** კაცობრიობის უწინდელი ცხოვრება სულ უსარგებლო იქნება, თუ იმათ ცხოვრებიდამ ჩვენ სასარგებლოს არას გამოვიტანთ." *("ორიოდე სიტყვა თავად რევაზ შალვას ძის ერისთავის კაზლოვის მიერ "შეშლილი"-ს თარგმანზედა". 1860 წ. 5 ნოემბერი).*

"**მიგიხვდი**, ჩემო მოხევევ, რა ნესტრითა ხან ნაჩხვლეტი. "ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნოდესო" _ სთქვი შენ და მე გავიგონე. მაგრამ გავიგონე თუ არა, რაღაც უეცარმა ტკივილმა ტვინიდან გულამდე ჩამირბინა, იქ, გულში გაითხარა სამარე და დაიმარხა. როდემდის დამრჩეს ეგ ტკივილი გულში, როდემდის? ოხ, როდემდის, როდემდის?.. ჩემო საყვარელო მიწა-წყალო, მომეც ამისი პასუხი!.." *("მგზავრის წერილები". 1861 წ.).*

"**მიეცეს** და მიემატოსო" *("ევროპა 1886 წელს").*

"**მივყვეთ** მტყუანს ტყუილის კარამდინ." *("აი ისტორია". 1889 წ.).*

"**მიზეზ-მიზეზ** დოს მარილი აკლიაო" *("თვითმოქმედებისათვის". 1887 წ.).*

"**მითამ**-და მეც ნახირ-ნახირო." *("შინაური მიმოხილვა". 1879 წ. ივლისი-აგვისტო).*

"**მითამ** ახალი ცოცხია და კარგად ჰგვისო! / დასძველდები და შენც მოატან ქვიშასაო." (*"ოთარაანთ ქვრივი". [1886] – 6 ქრისტეშობისთთვეს 1887 წელსა).*

“მილიტარობა (თოფშეიარაღება)” - სოციალურ-ეკონომიკური შედეგები: - “ერთი დღე არავის შეჰრჩენიაო, ნათქვამია, სწორედ ესე დაემართა რომის პაპსაც და ესეც დაემართება ყველას, ვინც ცდომაზედ დაამყარებს თავის დიდებასა.” *(“ევროპა 1886 წელს”. 1886 წ.).*

- “ევროპის ეხლანდელ წყობას რომ დააკვირდეს კაცი, ერთს მეტად საგულისხმო მოვლენას შეჰნიშნავს. იგი სახელმწიფო, რომელიც თავის ქერქშია და აქეთ-იქით არ იწევს თავისის საზღვრების განზედ გადგმისათვის, რაც უნდა პატარა იყოს, მაინც შედარებით ბედნიერად ჰცხოვრობს. ამგვარნი სახელმწიფონი არიან მეორე და მესამე ხარისხისანი.” *(“ევროპა 1886 წელს”. 1886 წ.).*

- “რაკი გარეთ უღონობის გამო ხელი არ მიუწვდებათ, რადგანაც მცირენი არიან, ამიტომაც მთელს თავის დროს და მზრუნველობას შინაურს საქმეებს, შინაურობის წარმატებას და კეთილდღეობის გაძლიერებას ახმარებენ.” *(“ევროპა 1886 წელს”. 1886 წ.).*

- “ზოგი ჭირი მარგებელიაო, ნათქვამია, სწორედ ასე მოსდით ამ სახელმწიფოებსაც, რომელთა ჭირი მარტო იმაში მდგომარეობს, რომ მცირენი და პატარები არიან და ამიტომაც, იქნება მადაც ჰქონდეთ, იქნება არც სიხარბე აკლდეთ, მაგრამ ბობოლების შიშით თავის ქერქში არიან და სხვისას არ ეტანებიან.” *(“ევროპა 1886 წელს”. 1886 წ.).*

- “ამ სახელმწიფოთა შორის ყველაზედ უფრო ბედნიერნი, ყველაზედ უფრო მშვიდობიანად და ტკბილად მცხოვრებნი შვეცია და ნორვეგიაა ჩრდილოეთს ევროპაში, სამხრეთ-დასავლეთზედ პორტუგალიაა და თითქმის სამხრეთზედ შვეიცარია.” *(“ევროპა 1886 წელს”. 1886 წ.).*

- “სანატრელია სწორედ იმათი მყუდრო, გულდინჯი, აუმღვრეველი დღეთა მდინარება. ერი მადლობელია თვისის მთავრობისა, მთავრობა მადლიერია თვისის ერისა; ამბოხი, შუღლი, არეულობა უცნობია ამ ბედნიერთა სახელმწიფოთათვის. თუ რამ აუტყდებათ შინ თვითოეულს მათგანს, შინვე მშვიდობიანად, ერთმანეთში მორიგებით, სამართლიანად ათავებენ საქმეს და სხვათა ქვეყნების ბედის წაღმა-უკუღმა ტრიალს შორიდამ შესცქერიან.” *(“ევროპა 1886 წელს”. 1886 წ.).*

- “ამ წვრილ სახელმწიფოების მკვიდრთა შინაურს ცხოვრებას რომ თვალი გადაავლოთ, ჰნახავთ, არც არავინ უშლის მის ხორციელ და სულიერს წარმატებას, და თუ მთავრობა სადმე ხელს გამოიწვდის და საქმეში ჩაერევა, მარტო იმისთვის, რომ ჩაგრულს წამოესარჩლოს, უღონო ფეხზედ წამოაყენოს, დარღვეული სიმართლე აღადგინოს მკვიდრთა შორის, ყველას თავისი ხელუხლებლად შეარჩინოს, დააკუთვნოს და მოახმაროს. ცხოვრება მათი ფაქიზია, წმინდა, ზნეობიანი, და თუმცა ახირებულის სიმდიდრით არ აოცებს კაცსა, მაგრამ უტკივარი ლუკმაპური ყველას საკმაოდა აქვს. თუ რამ აჩრდილებს მზიანს ცხოვრებას ამა სახელმწიფოებისას _ ეგ ის შიში, რომ ერთმა რომელმამე ბობოლა სახელმწიფომ თავისი ხარბი ყბა არ დააღოს და მათი გადაყლაპვა არ მოიწადინოს, როგორც სვავმა ბეღურა ჩიტისა.” *(“ევროპა 1886 წელს”. 1886 წ.).*

- “დღევანდელი ევროპა ჰგავს იმ კაცსა, რომელიც გარედამ მტერს უყენებს თვალსა და შიგნიდამ მოყვარესა. მართლა-და მთელი ევროპა რომ მოიაროთ, ერთ სახელმწიფოს ვერა ჰნახავთ, რომ გული გულის ადგილასა ჰქონდეს. ყველას მუშტი მოღერებული უჭირავს მტრის თვალის დასაყენებლად, და ამავე დროს გულში რომ

ჩაჰხედოთ, ბევრს იმისთანას ჰნახავთ, რომ მოყვარეს თვალი უდგება." *("მილიტარობა ევროპაში". 1889 წ. 16 იანვარი).*

- "გაუჭირდა ევროპის ხალხსა ცხოვრება. უკეთესი ნაწილი ერისა და მოზრდილი ლუკმა ერის ქონებისა იღუპება დღეყოველ და ამ ნაწილს ერისას და ერის დიდძალს ქონებას ჰყლაპავს იგი გაუმაძღარი ვეშაპი, რომელსაც შეთოფიარაღებულს მშვიდობიანობას ეძახიან." *("მილიტარობა ევროპაში". 1889 წ. 16 იანვარი).*

- "ამ გზით მშვიდობიანობის დაცვა ერთი დიდი უბედურებაა ევროპისა და ეს უბედურება მოუვლინა ამ ბრწყინვალედ განათლებულ ქვეყანას თ. ბისმარკმა და მისმა მეტისმეტად გაკადნიერებულმა და მოურიდებელმა პოლიტიკამ." *("მილიტარობა ევროპაში". 1889 წ. 16 იანვარი).*

- "საითაც-კი მიიხედავთ, რაზმი რაზმზედ ეწყობა, ჯარებს, რაც ძალი და ღონე აქვთ, უმატებენ, თოფსა და ზარბაზანს და ტყვია-წამალს ამზადებენ და მაინც გვეფიცებიან, რომ მშვიდობიანობის მეტი გულში არა გვაქვს-რაო." *("მილიტარობა ევროპაში". 1889 წ. 16 იანვარი).*

- "ვერ წარმოიდგენთ, რა აუარებელი ფული ამოდის ევროპის მკვიდრთა ჯიბისაგან და რა აუარებელი იხარჯება ამ შეთოფიარაღებული მშვიდობიანობისათვის." *("მილიტარობა ევროპაში". 1889 წ. 16 იანვარი).*

- "ვერაფერი მშვიდობიანობაა, თუკი კაცი იძულებულია ხელი ხმალზე ევლოს დღემუდამ და ისე ჰპატრონობდეს თავის-თავსა. ტყუილად-კი არა სთქვა მონტესკიემ, რომ "სჯობია უბედურის ომის განსაცდელს მიეცეს კაცი, ვიდრე ფული გაიღოს მშვიდობიანობის დასაცავადო." *("მილიტარობა ევროპაში". 1889 წ. 16 იანვარი).*

- "ამას გამგებელნი ევროპისა ისე ნათლად ვერა ჰხედვენ, როგორც თითონ მკვიდრნი თავის თავზე ჰგრძნობენ. ევროპის მკვიდრთა მუხლი ეკეცებათ დღევანდელის დღის სიმძიმის ქვეშ, სული შეეხუთათ, არაქთი აღარა აქვთ. აი ის შიგნითი მხარე დღევანდელის ევროპისა, რომელიც მოყვარეს თვალს უყენებს." *("მილიტარობა ევროპაში". 1889 წ. 16 იანვარი).*

- "ეს დასისა და დასის ერთმანეთთან ბრძოლა და ეს ამათი პარლამენტებსა და სხვა სარბიელზედ ერთმანეთის წეწვა და გლეჯა სულ ერთის სათავიდამ მოდის. ყველაფერი ეს რომ გაფხიკოთ, გასცხრილოთ, ძირს დარჩება ორი ერთმანეთის მოპირისპირე მოძღვრება, ორივ ერთნაირად უჯათი და ერთნაირად სამართლიანი-კი არა." *("მილიტარობა ევროპაში". 1889 წ. 16 იანვარი).*

- "გამგებელნი სახელმწიფო ბედისანი იძახიან, რომ ერი პოლიტიკისათვის არის ქვეყანაზედ გაჩენილი და ამიტომაც თქვენ სუო; სახელმწიფოს გულშემატკივარნი ერის მოყვარენი-კი პასუხად ეუბნებიან: უკაცრავად, პოლიტიკაა ერისათვის გაჩენილი და არა ერი პოლიტიკისათვისაო. სწორედ მოგახსენოთ, მთელი პოლიტიკური ისტორია ევროპისა ამ ორთა მოძღვრებათა ერთმანეთთან ბრძოლაა და სხვა არაფერი. ყოველივე სხვა მოძღვრება თითქმის აქ მიდის და აქედამ მოდის. დროთა მდინარეობაში ხან ერთი მოძღვრებაა ქვეშ და ხან მეორე, რადგანაც დღემუდამ ჭიდილში არიან, ხოლო დღეს-კი ევროპის ერი თ. ბისმარკის წყალობით იმ მოძღვრების ქვეშ არის, რომელიც ჰგადაგებს, ჯერ პოლიტიკა და მერე ერიო. აქ განწირული ერია, და რაღა საკვირველია, რომ იგი ზოგან ჰტოკავს, ზოგან შფოთავს, და ხანაც იმისთანა პამპულას მოეჭიდება ხოლმე კალთაზედ, როგორც ბულანჟეა და

სხვა ამისთანა ცრუპენტელა და ჩიტირეკია გენერალი." *("მილიტარობა ევროპაში". 1889 წ. 16 იანვარი).*

- "ამავე ყოფაშია იტალია. ეხლანდელი აშლილობა მუშებისა, რომელმაც მთელი ეს ქვეყანა ასე ძლიერ შეაფუცხუნა, იმავ სათავიდამ მოდის, იმავ მიზეზით არი მოვლინებული. ერი გააღატაკა ამ შეთოფიარაღებამ, დღედადღე მატულობს ხარჯი მხედრობის შესანახავად და გასაძლიერებლად, ლუკმა-პურის ილაჯი გაუწყდა ერსა." *("ისევ ევროპის მილიტარობის შესახებ". 1889 წ. 11 თებერვალი).*

- "ამისთანა დღე ადგია თითონ ძლევამოსილსა და გათამამებულს გერმანიასაც. ეს ეგრეთწოდებული "თავისუფლად მსჯელთა" დასი რომ ასე გაცხარებულად ზედმისევია თ. ბისმარკს და მოსვენებას არ აძლევს, _ რის ნიშანია? აბა შიგ გულში ჩაჰხედეთ ამ დასის ღაღადსა, თუ იმავ მიზეზთან არ მიხვიდეთ. ეს მიზეზი დღეს გერმანიაში ისეთი ძლიერია, რომ ლამის შეარყიოს აქამდე შეურყეველი ციხე-სიმაგრე თ. ბისმარკის ავტორიტეტობისა და სხვისთვის დაათმობინოს ბურთი და მოედანი. არ ვიცით, ხსენებული დასი ამით მოიგებს რასმე, ან წინ წასწევს თავის საქმეს თუ არა, მაგრამ ეს-კი აშკარაა, რომ ამ მხრით რაიმე ცვლილება ცოტად თუ ბევრად გულს მოჰფხანს." *("ისევ ევროპის მილიტარობის შესახებ". 1889 წ. 11 თებერვალი).*

- "ავსტრო-ვენგრიაში, მართალია, ჯერ ამ მიზეზს ისე აშკარად არ გამოუჩენია თავი, როგორც, მაგალითებრ, საფრანგეთსა და იტალიაში, მაგრამ დღევანდელმა მიმართულებამ პოლიტიკისამ აქაც მოუვლინა დიდძალი ნაღველი ამ ქვეყნის სვე-ბედის გამგებელთა. აქაური მთავრობა გერმანიის პოლიტიკამ იძულებული გაჰხადა ვენგერთა პალატაში შეეტანა ახალი სამხედრო კანონპროექტი. აპილპილდა ამაზედ მთელი ვენგრია და საქმე იქამდე გამწვავდა, რომ თუ მთავრობამ არა დაუთმო-რა, ლამის ერთი ნახევარი ავსტრო-ვენგრიის იმპერიისა მეორეს დაეჯახოს. ეს აშლილობა, მართალია, გამოწვეულია ეროვნების სახელითა, მაგრამ დღეს მაინც დიდი შინაგანი სატკივარია და დიდად სანაღვლელია, რომ წამალი რამ დაედოს." *("ისევ ევროპის მილიტარობის შესახებ". 1889 წ. 11 თებერვალი).*

- "ინგლისის ერიც ჯერ არ უჩივის თავის ცხოვრების სიმძიმეს, თუმცა ეს სახელმწიფოც დიდს სამხედრო მზადებაშია და მხედრობის გაძლიერების ფიქრში. ხოლო აქ თავისი დიდის ხნის მძიმე სატკივარია და ეგ სატკივარი ირლანდიის საქმეა. ეს საქმე ისეთია, რომ ინგლისს გაბედულად ევროპის პოლიტიკაში მონაწილეობას ვერ მიაღებინებს. გარდა, ამისა, დღეს ინგლისის თვალი შორს ქვეყანაზეა მიქცეული. ავღანსტანში რაღაც მოძრაობაა და მინამ აქ საქმე თავის კვალში ხელახლად არ ჩასდგება, ინგლისი სხვა საქმისათვის ბევრს ვერას მოიცლის." *("ისევ ევროპის მილიტარობის შესახებ". 1889 წ. 11 თებერვალი).*

- "ამ სახით ვხედავთ, რომ დღევანდელს დღეს თითოეულს დიდს სახელმწიფოს თავისი საკუთარი სატკივარი აქვს აჩენილი და იმოდენად დიდი სატკივარი და დაუხანებლად მოსარჩენი, რომ, თუ არ უკიდურესი რამ მიზეზი, საგარეო საქმეთათვის ხელს არავის გაანძრევინებს, ანუ, უკეთ ვსთქვათ, დიდის ომისათვის არავის არ გამოამეტებინებს თავსა." *("ისევ ევროპის მილიტარობის შესახებ". 1889 წ. 11 თებერვალი).*

- "არ ვიცით, იქნება ამ სატკივრების თესლი თითონ დიპლომატიისაგან არის აქა-იქ ოსტატურად გადაყრილი. ეხლანდელ დროში ყველაფერი დასაჯერებელია და შემძლებელს კაცს სად არ მიუწვდება ხელი. ხოლო საქმე ყველგან ასეა და აი ამას

უნდა მიეწეროს, ჩვენის ფიქრით, ის ამბავი, რომ დღეს ომის ატეხის ხმები სრულიად მიმწყდარია." *("ისევ ევროპის მილიტარობის შესახებ". 1889 წ. 11 თებერვალი).*

- "ისე გაუჩუმდნენ დღეს ომს, თითქო ყოველივე მიზეზი ომისა თავიდამ მოშორებოდეს ევროპას და იგი დღეს არა ჰგავდეს თივსა, რომელშიაც ცეცხლია დამალული. სხვა რომ არა იყოს-რა, ეს ხომ ვიცით, რომ გერმანია უომრად ვერ გადარჩება. ამაში ეჭვი არავის უნდა ჰქონდეს. საქმე იმისთანა დროისა და გარემოების ხელში ჩაგდებაა, რომ გერმანიისათვის გამარჯვება უეჭველი იყოს ცოტად თუ ბევრად. ამ დროისა და გარემოების მოლოდინშია დღეს გერმანია და იმის ცდაში, რომ ეს დრო და გარემოება მოიმზადოს." *("ისევ ევროპის მილიტარობის შესახებ". 1889 წ. 11 თებერვალი).*

- "ერთაშორისი დაუნდობლობა, ომი და სისხლის ღვრა რომ კაცობრიობის ბედნიერებისა და კეთილდღეობის სულის შემხუთავი და დამღუპავია, ეს დიდი ხანია შეგნებული აქვსთ მეცნიერებისა და მწერლობის წარმომადგენელთ." *("ევროპის მილიტარობა და ამერიკის მერმისი". 1889 წ. 25 თებერვალი).*

- "იმისდა მიუხედავად, რომ ეგ აზრი მეტად ადვილი გასაგებია, მთელი ევროპა მუდამ იმასა ცდილობს, რომ საომრად მოემზადოს; ამ განზრახვით ევროპის სახელმწიფონი არავითარს ხარჯსა და საშუალებას არა ჰზოგავენ მხოლოდ იმიტომ, რომ აუარებელი ჯარი იყოლიონ." *("ევროპის მილიტარობა და ამერიკის მერმისი". 1889 წ. 25 თებერვალი).*

- "ასორმოცდაათ წელიწადზე მეტია, რაც საფრანგეთის გამოჩენილი ფილოსოფოსი მონტესკიე სჩიოდა, რომ ევროპა თანდათან უმატებს ჯარებსა და თოფ-იარაღს, ამისათვის არა ჰზოგავს არავითარ ხარჯს და ამითი თავს იღარიბებს და იღატაკებსო." *("ევროპის მილიტარობა და ამერიკის მერმისი". 1889 წ. 25 თებერვალი).*

- "მონტესკიეს სიტყვას არავინ გაუფრთხილებია და დღეს ევროპის სახელმწიფონი თოფ-იარაღში სხედან და მზად არიან ერთმანეთი სისხლის მორევში დაარჩონ. ევროპის ამგვარს ყოფა-მდგომარეობას ერის გაღარიბება, გაღატაკება მოსდევს." *("ევროპის მილიტარობა და ამერიკის მერმისი". 1889 წ. 25 თებერვალი).*

- "ამჟამად ევროპას თექვსმეტ მილიონამდე ჯარისკაცი ჰყავს. ამ მოკლე ხანში ოც მილიონამდე შეისრულებს. ერთის სიტყვით, მთელს ევროპას თოფ-იარაღის ქვეშ ჰყავს ერთი მერვედი მთელის მუშა, მწარმოებელი ხალხისა." *("ევროპის მილიტარობა და ამერიკის მერმისი". 1889 წ. 25 თებერვალი).*

- "ეს ერთი მერვედი წლიდგან წლამდე არაფერს აკეთებს, მხოლოდ სამხედრო ხელობაში ვარჯიშობს და თავის თანამოძმეთა ნაშრომითა და ნაღვაწით იკვებება." *("ევროპის მილიტარობა და ამერიკის მერმისი". 1889 წ. 25 თებერვალი).*

- "საფრანგეთი, რომელსაც ოთხ მილიონამდე ჯარისკაცი ჰყავს, ჯარსა და ფლოტს ანდომებს წელიწადში 900 მილიონ ფრანკზე მეტს. ეს ფული ყველა მკვიდრზე რომ გავანაწილოთ, გამოვა, რომ თითო მკვიდრი ჯარისა და ფლოტის შესანახად იხდის წელიწადში 24 ფრანკსა და ნახევარს. ინგლისის თითო მკვიდრი იხდის წელიწადში 21 ფრანკს, და გერმანიისა 12$_{1/2}$-ს." *("ევროპის მილიტარობა და ამერიკის მერმისი". 1889 წ. 25 თებერვალი).*

- "ვნახოთ, რამდენი ჯარი ჰყავს ჩრდილო ამერიკის შტატებს და რამდენი ეხარჯება. ამ შტატებს ჰყავს მხოლოდ 27.000 ჯარისკაცი. ამ მცირე ჯარის შესანახად

თითო მკვიდრი წელიწადში იხდის 4 1/2 ფრანკს." *("ევროპის მილიტარობა და ამერიკის მერმისი". 1889 წ. 25 თებერვალი).*

- "როგორც ჰხედავთ, ამერიკის მხედრობა ბევრად ჩამორჩება ევროპისას. სამაგიეროდ ერის სიმდიდრე და კეთილდღეობა ამერიკის შტატებისა იმდენად სჯობნის ევროპისას, რომ ვაჭრობასა და მრეწველობაში შტატები ყოველისფრით წარმატებულნი არიან ევროპაზე და თანდათან იმორჩილებენ ევროპას." *("ევროპის მილიტარობა და ამერიკის მერმისი". 1889 წ. 25 თებერვალი).*

- "თუ საქმე ამგვარად წავიდა, იმედია, რომ შტატები ეკონომიურად სულ ერთიანად დაიმორჩილებენ ევროპას, რომელიც აუცილებლად გაკოტრდება. მაშინ, როდესაც შტატები თანდათან იხდიან სახელმწიფო ვალებს, ევროპის სახელმმწიფონი-კი თანდათან ვალებში სცვივიან." *("ევროპის მილიტარობა და ამერიკის მერმისი". 1889 წ. 25 თებერვალი).*

- "რაც დრო მიდის, ევროპაში უფრო და უფრო ძლიერდება ერთა შორის დაუნდობლობა და მძულვარება. ამ მხრით ამერიკა სრულიად სხვა სურათს წარმოგვიდგენს. ამერიკის სახელმწიფოთ აზრად აქვთ სახელმწიფოთა ძმური კავშირი დაადგინონ, რისათვისაც ქალაქ ნიუ-იორკში კონგრესი შეიკრიბება." *("ევროპის მილიტარობა და ამერიკის მერმისი". 1889 წ. 25 თებერვალი).*

- "ამ კონგრესზე ლაპარაკი ექნებათ იმის შესახებ, თუ რა პირობითა და რა საშუალებით უნდა შეერთდნენ ამერიკის სახელმწიფონი ისე, რომ არც ერთი სახელმწიფო ამერიკისა არ დაიჩაგროს." *("ევროპის მილიტარობა და ამერიკის მერმისი". 1889 წ. 25 თებერვალი).*

- "სხვათა შორის, კონგრესზე ისიც გადაწყდება, რომ სახელმწიფოებმა ყოველივე შფოთი, უსიამოვნება და ანგარი მორიგებითა და მშვიდობიანად გაათავონ ხოლმე." *("ევროპის მილიტარობა და ამერიკის მერმისი". 1889 წ. 25 თებერვალი).*

- "უეჭველია, რომ რაკი ამერიკის სახელმწიფონი ძმურად მორიგდებიან, მხედრობით გატაცებულს ევროპას კიდევ უფრო დასცემს ეკონომიურად და მსოფლიო მეთაურობასაც დაიმკვიდრებს ამერიკა." *("ევროპის მილიტარობა და ამერიკის მერმისი". 1889 წ. 25 თებერვალი).*

- "არ არის ევროპაში არც ერთი თვალსაჩინო სახელმწიფო _ ომის ფიქრში არ იყოს და იმის ცდაში, თუ მხედრობა როგორ ისე მოაწყოს _ კაცით, ტყვია-წამლით, თუ თოფ-იარაღით, რომ ყოველ შემთხვევისათვის მზად იყოს." *("საპოლიტიკო მიმოხილვა". 1882 წ. თებერვალი).*

- "ეს ომის ატეხის ხმა უფრო გაძლიერდა გახშირდა მას შემდეგ, რაც განთქმულმა რუსის გენერალმა სკობელევმა პარიზში სიტყვა წარმოსთქვა სერბიელ სტუდენტების წინაშე. სკობელევმა პირდაპირ უთხრა სტუდენტებს, რომ რუსეთმა სლავიანების კარგად განწყობისათვის ხელი, როგორც რიგია, ვერ გამოიღოო. ამის მიზეზი თითონ რუსეთი არ არისო. ჩვენ, რუსებს, ერთი დიდი გაიძვერა და მანქანა მტერი გვყავსო. მაგ მტერმა ისე გაგვაბა თავის მახეში, ისე ხელთ იგდო ბედი მთელის რუსეთისა, შინა, თუ გარეთა, რომ ყურმოჭრილ ყმებსავით ხან აქეთ გვაბრუნებს, ხან იქითაო, _ ის მტერი ნემეციაო. დღეს იქნება, თუ ხვალე, რუსეთი დაეჯახება მაგ მტერსაო, ასტყდება ძლიერი ბრძოლა და სისხლის ღვრა, და იმედი მაქვს გამარჯვებული ჩვენ ვიქნებითო. "გახსოვდეთო, _ უთხრა თურმე ბოლოს სკობელევმა, _ ჩვენი, სლავიანების, მტერი, ნემეციაო. მშვიდობითო იმ დრომდის, ვიდრე მე და თქვენ

საომარს ველზედ ერთმანეთს შევხვდებით და ერთმანეთს ძმურად მხარში ამოვუდგებითო." *("საპოლიტიკო მიმოხილვა". 1882 წ. თებერვალი).*

- "გაზეთებისაგან მოთხრობილი ამბები მარტო მაშინ არიან დასაჯერნი, როცა ოფიციალურად ამ ამბებს უარს ჰყოფენო."

- "ამ სახით, თუ უეცარი მიზეზი რამ არ ჩამოერია ევროპის საპოლიტიკო საქმეში, ევროპა ორ დიდ ბანაკად შესაძლოა გაიყოს. ერთის მხრით გერმანია, ავსტრო-ვენგრია და ოსმალო, მეორეს მხრით _ რუსეთი, საფრანგეთი და იტალია. საფრანგეთი და იტალია იმისთვის კი არ ჩაერევიან საქმეში, რომ რუსეთს უშველონ, არამედ იმისათვის, რომ პირველმა გერმანიას ჩამოართვას ელზას-ლოტარინგია, და მეორემ ავსტრიას იტალიის საკუთვნო ადგილები. ერთიც და მეორეც ჩამოეცლება რუსეთს, რომ ეს გულისწადილი როგორმე სხვა გზით აუსრულდეთ." *("საპოლიტიკო მიმოხილვა". 1882 წ. თებერვალი).*

- "იქნება სთქვათ, ეგ შიში მეტისმეტი წინასწარხედვაა განსაცდელისაო. ჩვენ გეთანხმებით, მაგრამ რადგანაც დღეს ქვეყნიერობას ის კანონი ამოქმედებს, რომელსაც ჩვენში "მიეცეს და მიემატოს"-ს ეძახიან, იგი შიში უსაბუთო არ არის, ნამეტნავად ჰოლანდიისა და ბელგიისათვის. ერთსაც და მეორესაც გვერდით დიდი დევები უწვანან, მერე ისე, რომ შუაში არც ზღვა უდევთ, არც უზარმაზარი მთები, ერთის ლაზათიანად პირის დაღების მეტი არ არის საჭირო: ერთიცა და მეორეც შარშანდელ თოვლსავით აშრებიან. ქვეყანას ახსოვს ჯერ კიდევ ბისმარკისა და საფრანგეთის შორის პირობა, როცა ავსტრიას დააჯახა პრუსიის ჯარი. "ოღონდ შენ სუო, _ უთხრა თურმე ბისმარკმა საფრანგეთსა, _ და ბელგია მანდ არ არისო, და მე კი, თუ ღმერთი შემეწევა, ჰოლანდიას კლანჭს გამოვკრავო, როცა სამაგისოდ მოვიცლიო". საცოდავს დანიას, ხომ ვიცით, რა საქმე დააწია გოლშტინის თაობაზედ." *("ევროპა 1886 წელს". 1886 წ.).*

- "სიმძიმე დღევანდელის დღისა ყველას ერთნაირად კისერზედ აწევს და ყველას ერთნაირად აკვნესებს. ეს სულ ბისმარკის ეგრეთწოდებულ "მილიტარობის" ბრალია, და დიდხანს აიტანს ამას ევროპა თუ არა, ღმერთმა უწყის.

- ბევრი კაცია დღეს ევროპაში, რომ მაგ მილიტარობას ებრძვის. სახელოვანი მამულისშვილი ისპანიისა და ამასთან გამოჩენილი მეცნიერი და ორატორი კასტელიარი, საცა კი შეხვდება, არც სიტყვას და არც თავის შესანიშნავს ნიჭს არა ჰზოგავს ამ გერმანიისაგან შემოტანილის მილიტარობის დასამხობად. თითონ გერმანიაშიც უკეთესნი გერმანიელნი ამ მილიტარობის ბოლოს მოღებას დაუცხრომლად ჰცდილობენ. მართლადაც, ევროპა გააღარიბა, გააღატაკა, ამგვარმა მდგომარეობამ. რასაც ევროპა ჰშრომობს, რაც მოჰყავს და რასაც აკეთებს, თითქმის სულ ეს მილიტრარობა სვავსავითა ჰყლაპავს, და სარჩო-საბადებელს მოკლებული უმრავლესობა ჰჩივის და ჰდრტვინავს. საკვირველია, რა ინახავს ამოდენა ჯარს, ვინ იხდის ამოდენა ხარჯს, როდემდის შეიძლება ეს ასე იყოს და რა უნდა მოჰყვეს ამისთანა მდგომარეობას?" *("ევროპა 1886 წელს". 1886 წ.).*

"**მისთვის** ცოტაა სხვისა მართალი ჰმალოს "სხვისი ტყუილი აყვიროს". *("ქვათა ღაღადი". 1899 წ.).*

მიცკევიჩი: - "სახელოვანი მიცკევიჩის „ყირიმის სონეტები", ეგ უკეთესნი ყვავილნი პოეზიისანი, - რარიგ უსულდგმულო, უსურნელო ყვავილებად შეიცვალნენ კაზლოვის თარგმანში! არამც თუ კაზლოვმა [არ] - შეარჩინა მიცკევიჩის სონეტებს

ფორმა სონეტისა, არამედ არ შეარჩინა თითქმის არც ის მშვენიერნი სურათნი, რომელშიაც ისე ნათლად გამოეხატვნენ წუთის გრძნობანი იმ სახელოვან პოლშელ პოეტს. დასარწმუნებლად შეადარეთ თარგმანი კაზლოვისა უფ. ლუგოვსკის იმავ სონეტების თარგმანთანა, რომელიც გამოიცა ოდესაში 1859 წელსა, როგორც გვახსოვს. თუმც არც უფ. ლუგოვსკის თარმანია ძალიან მოსაწონი და საქებელი, მაგრამ მაინც ეს უფრო განუზომელად უკეთესია კაზლოვის თარგმანზედა". *("ორიოდე სიტყვა თავად რევაზ შალვას ძის ერისთავის კაზლოვის მიერ "შეშლილი"-ს თარგმანზედა". 1860 წ.).*

"**მიწათმფლობელობის** სიმშვიდისა და ქონების მტერი გაყრა-გამოყრაა მემკვიდრეებისა, მამულების დანაწილებაა, დაქუცმაცებაა." *("ირლანდია და ინგლისი". 1886 წ.).*

"**მიწაში** ოფლის ღვრას, მიწის ხანგრძლივს მუშაობას ბინისა და მიწის სიყვარული აქეზებს". *("საზოგადოებრივი ცხოვრების ნაკლნი და მისი ეკონომიური მიზეზები". 1897 წ.).*

"**მიხვევ-მოხვეულს** სწორე სჯობია." (*"ოთარაანთ ქვრივი". [1886] – 6 ქრისტეშობისთთვეს 1887 წელსა).*

"**მკვდარი** ყველა თანაბარია." (*"ოთარაანთ ქვრივი". [1886] – 6 ქრისტეშობისთთვეს 1887 წელსა).*

"**მოგონებაში** ქართველ კაცს პირველი ევროპიელი მეჭორეც არა სჯობია." (*"კაცია ადამიანი?!" 1858-63 წ.).*

"**მოთმინება** ვიქონიოთ და ტყუილს ტყუილის კარამდე ვდიოთ". *("წუთუ". 1905 წ.).*

"**მოკლას** ხარი თივამა." ("*მაჭანკალი". 1881 წ., 31 მაისამდე).*

"**მომწონს** კაცი ყოველგან ყოველს შემთხვევაში პირმღიმარი, წარბგაშლილი, გულღია. მას ატყვია გულადობის და უშიშროების ნიშანი." *("ფიქრი და შენიშვნა". 1878 წ.).*

"**მოსამართლე** ხელმწიფის ყურია. უნდა ყველაფერი თავიდან ბოლომდინ გაგაგებინო. თუ წყალი სათავეშივე აიმღვრა, ბოლომდინ მღვრიედ ივლის. ამიტომაც მინდა ისევ თავიდამ დალაგებით მოგახსენო, იმიტომ რომ კარგად დალაგებით დაწყობილი თავიდამვე საქმე ბოლომდინ ანკარა წყაროსავით გავა." (*"გლეხთა განთავისუფლების პირველდროების სცენები". 1865 წ.).*

"**მოსპობა** რომელიმე ერის დამოუკიდებლობისა და თვითებისა და შერიცხვა მისი სხვა ერთა შინა, _ ეგ იმას ჰნიშნავს, რომ ძალად და განზრახ აიღოს მან თავის-თავზე ხელი, დაივიწყოს თავისი უწინდელი ცხოვრება, თავისი მოგონებები, თავისი დაცემული დიდება, თავისი ინტერესები, თავისი ზნე, ენა, და სუყველა ეს მტრის გასახარელად, მტრის სასარგებლოდ. ეს საქმე აღემატება კაცთა შემძლებლობას. თუ შეუძლებელია გაერთიანება ერთა, რაღა აზრი უნდა ჰქონდეს სახელმწიფოთა გაერთიანებას." *("შინაური მიმოხილვა". 1883 წ. აგვისტო).*

"**მოყვარეს** პირში უძრახე, მტერს _ პირს უკანაო". სადა ხარ ეხლა ამ გონიერის სიტყვის მთქმელო? ვიცი, სადაცა ხარ: ხალხში ხარ, უხილავო, და ხალხისა ხარ. ისიც ვიცი, რაცა გქვიან: შენ ხალხის გენიას გეძახიან. ისიც ვიცი, რა თვისებისა ხარ: შეუცდომელი და ყოველთვის მართალი ხარ. შენ და მხოლოდ შენ უკეთებ გულს იმას, ვისაც "სხვისთვის" გული სტკივა. მაშინაც კი უკეთებ, როცა თვით ის "სხვანივე" თავიანთ გულშემატკივარს ცოდვად უთვლიან გულისტკივილს. "ზოგი გულისტკივილს იმითი იჩენს, რომ მოყვარეს ცუდსაც უქებს, და ზოგი კი იმითი, რომ ცუდს უწუნებს"." (*"კაცია ადამიანი?!" 1858-63 წ.).*

"**მოწყალებაზედ** უარს ვინ იტყვის." ("*დიამბეგობა". 1858 წლამდე).*

"**მრავალთა** ტანჯვის მიზეზი თანმიუყოლებლობა და დაუდგრომლობა არის." ("*იგი წავა და სხვა მოვა ტურფასა საგაღნაროსა". 1861-1863 წ.).*

"**მრავალი** წელიწადია, ჩვენო დავრდომილო ქვეყანავ, რაც შენს შვილს ერთი ცოცხალი აზრი, ერთი პატიოსანი გრძნობა არ ჩავარდნია გულში. თუნდ რომ თავი გამოედოს

ვისმე და აზრი და გრძნობა აღედგინოს, შენივე შვილები მიწასთან გაასწორებდნენ. "გონიერსა მწვრთნელი უყვარს, უგუნურსა გულსა ჰგმირდესო": ჩვენ გულს გაგვიგმირავს ხოლმე ცხოველი სიტყვა, ჩვენის ძმისვე სიკეთე, ჩვენი ძმისვე ჩვენთვის თავგამოდება. პირველი ქვა, რომელიც თავგამოდებულს მოხვდება ხოლმე, ქართველისაგანვე არის გამოტყორცნილი. წადი აქა და ძლიერი მუხლი ნუ მოგეჭრება." *("კრიტიკა" 1857 წლიდამ 1862 წლამდინა". 1862 წ.).*

- "რათა ვართ ესე? იმიტომ, რომ ჩვენ აზრსაც, გრძნობასაც გადავჩვეულვართ. მერე ასე გადავჩვეულვართ, რომ ცოცხალი აზრი, პატიოსნური გრძნობა, უანგარო გულმხურვალება, თავგამოდებული ხალისი რომ ვნახოთ, ვერც კი ვიცნობთ. ეს კიდევ არაფერი, რომ ვერ ვიცნობთ: ავიღებთ და იმასაც ლაფში გავსვრით, – იმ მიზეზით, რა მიზეზითაც დიდხანს ბნელს საპყრობილეში დამწყვდეული კაცი, როცა მზეზედ გამოვა, თვალებზედ ხელს იფარებს, რადგანაც სინათლეს ისე გადაჩვეულა, რომ სინათლე თვალებსა ჰსტკენს, და ამის გამო რაც ნათელია, ბრწყინვალე, იმას თვალების აფარებით აბნელებს." *(ცისკარი" 1857 წლიდან – 1862 წლამდინა". 1862 წ.).*

"**მსწავლული** არავინ დაბადებულა, ყველანი ერთი-ერთმანეთისაგან სწავლობენ, ერთი ხალხი მეორე ხალხისაგანა სწავლობს." *("სფირიდონის და თადეოზის ბაასი". 1861 წ.).*

"**მტერისა** შინა ყოლასა ლომისა გზასა ზედა წოლა სჯობია". *("ქვათა ღაღადი". 1899 წ.).*

"**მტრობა**, ჯიბრი, ცილობა და ხარბობა, რომელიც დღეს ამოქმედებს პოლიტიკას სხვადასხვა სახელმწიფოსას, სვე-ბედს დაჩაგრულს კრიტისას ჰხუთავს, აბრკილებს და ხელიდამ არ აცლის ოსმალეთს, რომელიც _ რაკი ესეა _ ყურსაც არ იბერტყავს, რომ კარგის გამგეობით და პატრონობით კრიტელებსაც შეღავათი მიეცეს ადამიანურად სულის ბრუნებისა, ადამიანურად ცხოვრებისა, მათის ეროვნულ ღირსების დაუჩაგვრელად და შეუხუთველად." *("აშლილობა კრიტის კუნძულზე". 1889 წ. 1 ნოემბერი).*

"**მღვრიე** წყალში ჰლამობენ ზუთხი ხელთ იგდონ, საკუთარს წადილს, ჟინს და ჭირვეულობას ანაცვალონ საზოგადო, საქვეყნო საქმე, ჩვენდა სასახელოდ დადგენილი და არა სამარცხვინოდ." *("ქუთაისის ბანკის შესახებ". 1893 წ. 3 დეკემბერი).*

მყინვარი და თერგი: "მყინვარი!.. დიდებულია, მყუდრო და მშვიდობიანი, მაგრამ ცივია და თეთრი. დანახვა მისი მაკვირვებს და არ მაღელვებს, მაციებს და არ მათბობს, _ ერთის სიტყვით, მყინვარია. მყინვარი მთელის თავის დიდებულებით საკვირველია და არა შესაყვარებელი." *("მგზავრის წერილები". 1861 წ.).*

- "აბა რად მინდა მისი დიდება? ქვეყნის ყაყანი, ქვეყნის ქარიშხალი, ქროლვა, ქვეყნის ავ-კარგი მის მაღალს შუბლზედ ერთ ძარღვსაც არ აატოკებს. ძირი თუმცა დედამიწაზე უდგა, თავი კი ცას მიუბჯენია, განზედ გამდგარა, მიუკარებელია. არ მიყვარს არც მაგისთანა სიმაღლე, არც მაგისთანა განზედ გადგომა, არც მაგისთანა მიუკარებლობა. დალოცა ღმერთმა ისევ თავზედ ხელაღებული, გიჟი, გადარეული, შეუპოვარი და დაუმონავი, მღვრიე თერგი. შავის კლდის გულიდამ გადმომსკდარი მიდის და მიბღავის და აბღავლებს თავის გარეშემოსა. მიყვარს თერგის ზარიანი ხუილი, გამალებული ბრძოლა, დრტვინვა და ვაი-ვაგლახი." *("მგზავრის წერილები" 1861 წ.).*

- "თერგი სახეა ადამიანის გაღვიძებულის ცხოვრებისა, ამაღელვებელი და ღირსსაცნობი სახეც არის: იმის მღვრიე წყალში სჩანს მთელის ქვეყნის უბედურების ნაცარტუტა. მყინვარი კი უკვდავებისა და განცხრომის დიდებული სახეა: ცივია _

როგორც უკვდავება და ჩუმია _ როგორც განცხრომა. არა, მყინვარი არ მიყვარს, მით უფრო, რომ მიუკარებლად მაღალია. ქვეყნის ბედნიერების ქვაკუთხედი კი ყოველთვის ძირიდამ დადებულა, ყოველი შენობა ძირიდამ ამაღლებულა, მაღლიდამ კი შენობა არსად არ დაწყებულა. ამიტომაც მე, როგორც ქვეყნის შვილს, თერგის სახე უფრო მომწონს და უფრო მიყვარს. არა, მყინვარი არ მიყვარს: მისი სიცივე ჰსუსხავს და სითეთრე აბერებს! მაღალიაო! რად მინდა მისი სიმაღლე, თუ მე იმას ვერ ავწვდები და ის მე ვერ ჩამომწვდება. არა, არ მიყვარს მყინვარი. მყინვარი დიდ გეტეს მაგონებს და თერგი კი მრისხანე და შეუპოვარს ბაირონსა"." (*"მგზავრის წერილები". 1861 წ.).*

- "თერგი მაინც ჰბღავის და იბრძვის. სჩანს, ქვეყნის ტკივილი დაუყუჩვია." *("მგზავრის წერილები". 1861 წ.).*

"**მშვიდობით**, ჩემო გაბრიელ! მართალი იყავ და სიმართლეს სდიე, გზა ყოველთვის კაცური გექნება. ესეც იცოდე: ვინც კარგსა საქმეს არ მისდევს, იგი თავისა მტერია." *("გლახის ნაამბობი". 1859, 1862-1873 წწ.).*

"**მშობლებმა** შვილის ცუდიც და კარგიც უნდა იცოდნენ". *("წერილები ილია ჭავჭავაძისა ოლღა თადეოზის ასულ გურამიშვილისადმი". 1873 წ. 23 ოკტომბერი).*

"**მძლეთ** მობურთალნი ქვეყნიერობის მოედანზედ მარტო დიდ-ხასიათის კაცნი არიან. ქვეყნის ღერძს მარტო ის ატრიალებს, ვისაც მიჰმადლებია გულთა-სრულობა, დიდ-ხასიათობა, იმისდა მიუხედავად, _ ტრიალი ემარჯვათ, თუ ემარცხათ". *("დიმიტრი ყიფიანი". 1887 წ. 30 ოქტომბერი).*

"**მძოვრი** ყოველთვის ყარს, და მაშინ უფრო, როცა სადგისს წასჩხვლეტ". *("წერილები ნიკო ნიკოლაძისადმი". 1873 წ. 6 დეკემბერი).*

"**მწარე** ფიქრები წარმოგვიდგება ხოლმე თავში, როდესაც ჩვენს განათლებულს კაცებს ვუფიქრდებით. შეჰხედეთ სხვა ქვეყნებს… ერთობ ყოველ დაწინაურებულ, განათლებულ ქვეყანაში თითქმის ყოველ ათს წელში ცხოვრება ფერს იცვლის… ყოველ ამ-გვარ მოძრაობას…ახალი მოთხოვნილება მოსდევს და საქვეყნო სარბიელზე ახალის დასის ხალხი გამოდის. ძველ თაობას ახალი სცვლის, ან გვერდში უდგება. ახალი - ახალის ცოდნით, ახალის ცხოვრების გამოცდილებით, მეტის ჯანის და ღონით, ცხოველის ძალით არის შეჭურვილი და ამიტომ ცხოვრების მიმდინარეობას შესამჩნევ მოძრაობას აძლევს. ამ მოძრაობის ტალღები ვრცლად გადის და ცხოვრების ვარამსა და ვაგლახსა ჰრეცხს... სანუგეშოდ ის მაინცა რჩება, რომ ცხოვრება იქ დახავსებულ გუბედ არ გადაიქცევა." *("ახალი დასის მოლოდინში", 1886 წ.)*

მწერლობა: - „საზოგადოების მიღება ყოველთვის არ ნიშნავს, რომ მწერალი ტალანტიანია; აი, მაგალითად, ჩვენში, ქართველებში, დიდი მწერლის ხმა აქვს დაგდებული ჩახრუხაძესა, მაგრამ არამც თუ დიდი, პატარაც არა ბძანდება ის კურთხეული. მისი თამარის ქება მთელ მოთხრობის ოდენაა, ზედშესრულით დაიწყობა და თითქმის ზედშესრულით თავდება. რა ვაი-ვაგლახით და კისრის მტვრევით მოგოგამს დავარდნილ ცხენსავით მისი ოცმარცვლოვანი ტყვიასავით მძიმე ლექსები!.. არც აზრი, არც სურათი, არც მშვენიერება, არც ჭკუა, არც გული, არაფრისთანა არაფერი, გარდა ზედშესრულების რახარუხისა! აბა ეხლა ნახეთ, რა სახელი აქვს ჩვენში! სადაც რუსთაველს, მაგ თითქმის გენიასა, ახსენებენ, იქ, გინდათ თუ არა, წამოაკუნკულებენ ჩახრუხაძესაც, რომელსაც, გვგონია, ფიქრადაც არა ჰქონია ამისთანა დიდების იმედი."

- „ეგ რად გინდათ, აიღეთ რუსეთში ხერასკოვი, სუმაროკოვი და სხვა მათებრ გაბერილები თავიდან ფეხამდინ უნიჭობითა, რამდენ მკითხველსა და ტაშისმკვრელს შოულობდნენ გაუნათლებელ რუსეთშია!“

- „ეხლა რად უნდა გვიკვირდეს, რომ კაზლოვსაცა ერთ დროს ჰყვანდა მკითხველიც და მაქებარიც. ამას კაცური სიტყვა მაინც ჰქონდა, რო სხვა არაფერი იყოს. ჩვენ გვინდა ამით ვსთქვათ, რო მაშინ რუსეთის საზოგადოება არ იყო ისე ესტეტიკურად გახსნილი და განვითარებული, როგორც პუშკინის შემდეგ და ნამეტნავად ეხლა; იმათთვის ძალიან საკმაყოფილონი იყვნენ ის სენტიმენტალური, ყალბი გრძნობიანი, მტირალა და წირპლიანი მწერლები, რომლების თავი და თავი, პირველი ბაირახტარი იყო თვით სახელოვანი კარამზინი“. *(“ორიოდე სიტყვა თავად რევაზ შალვას ძის ერისთავის კაზლოვის მიერ “შეშლილი”-ს თარგმანზედა”. 1860 წ.).*

- “ის მწერლობა უქმი და მკვდრად შობილია, რომელსაც საძირკვლად საკუთარის ვითარების შესწავლა არ დაუდვია.”

- “ეხლანდელი მწერლობა შთამომავალია იმ ძველის მწერლობისა.”

- “ძველის თაობის მწერლობამ თავისი ფერი დასდო ახალსაც, შესამჩნევი გავლენა იქონია ახალზე და ამ გავლენას ვერას-გზით ვერ მივიჩნევთ მავნებელ გარემოებად. სამწუხარო მხოლოდ ის არის, რომ საკუთარის ვითარების საფუძვლიანად შესწავლა ჩვენში ნელის ნაბიჯით მიდის წინ. ამას ბ-ნი ნ. გ — ლიც ჰმოწმობს, როცა ამბობს, რომ რაკი ეხლანდელი თაობა უცხო ენაზე ლაპარაკში ყბას მოიღლის, მხოლოდ მაშინ წაავლებს ხელს ქართულს ენას, ვითარცა მდაბიო და სამასხარაო ენას, თუმცა „სიტყვით ყველგან ჰყვირის, რომ ქართულისთანა ტკბილი, ყურისათვის სასიამოვნო, მდიდარი და ყოვლად შემკობილი ენა მთელს ხმელეთზე არ დაბადებულა და არც დაიბადებაო“.

- “თუ ჩვენ ქართულს ენასაც-კი ამ-რიგად ვეპყრობით, რასაკვირველია, ყველა იმას უნდა ჩაგვჩიჩინებდეს: ისწავლეთ ქართული ენა და მწერლობა, გამოირკვიეთ საკუთარი ვითარება, თორემ უამისოდ მწერლობის წარმატება ყოვლად მოუხერხებელი და შეუძლებელიაო.”

- “მხოლოდ ის უნდა აღიაროთ, რომ ის ცოდნა ენისა და მწერლობისა, რამდენიც დღესა გვაქვს, უმთავრესად ისევ ძველის მწერლობის საქმეა. რაც გვაკლია, იმას ძველს მწერლობას დანაშაულებად ვერ ჩამოვართმევთ, რადგანაც ეს ნაკლი სხვა გარემოებათა საქმეა და არა ძველის მწერლობისა. ერთის სიტყვით, მწერლობა ყველგან ვერ მისწვდა და ვერ შეემკლავა ზოგიერთს საშინაო და საზოგადო გარემოებასა.”

- “სხვა ქვეყნებში უმეტესად ჯერ კიდევ ყმაწვილებს ვგზავნით, რომელთა ავი და კარგი უფრო სხვა ძალაზეა დამოკიდებული, ვიდრე მწერლობაზე.”

- “ბ-ნი ნ. გ — ლი ტყუილად უსაყვედურებს ჩვენს ახალს თაობას გადაჭარბებულს გატაცებას საკუთარის მწერლობით და უყურადღებობას უცხო მწერლობისადმი. ჩვენის აზრით, არც პირველში გადაგვიჭარბებია იმ ზომამდე, რომ ვინმემ გვისაყვედუროს და არც მეორეში შეუძლიან ვისმე შეგვწამოს, ვითომ საკუთარს ქერქში გამოვხვეულიყოთ და სინათლისა გვეშინოდეს. ჩვენ-კი იმ აზრისანი ვართ, რომ ერთისა და მეორის შესწავლა ჩვენთვის აუცილებლად საჭიროა, მხოლოდ იმ პირობით-კი, რომ რაც შეიძლება მეტი ძალღონე მოვახმაროთ ჩვენს მწერლობას და საკუთარის ვითარების შესწავლა გავიხადოთ ქვაკუთხედად

ყოველისავე ცოდნისა. ჩვენის ფიქრით, თუ ამ გზას დავადგებით, მაშინ, იმედია, შემდეგი თაობა ზოგში მაინც არ იქნება ისე დასეტყვილი და დანაცრული, როგორც დღევანდელია." *("თერგდალეულნი" და ახალი თაობა". 1888 წ.).*

- "წიგნი საბა ორბელიანისა სიცრუეა. ის სიცრუე-კი არა, რომელსაც ბუდე გაუკეთებია ჩვენს სასიქადულო „მესამე დასის" ჟურნალში, ბ-ნი გ. წერეთელის თავმოსაწონებელ „კვალში", და რომელშიაც იგივ ბ-ნი გ. წერეთელი კრუხადა ზის და სჩეკს ტყუილების წიწილებს და ყოველ-კვირა გამოჰყავს იარმუკაზე გასასყიდად." *("ჩვენი ეხლანდელი სიბრძნე-სიცრუე". 1896 წ.).*

- "ხუმრობა-გაშვებით, და ერთი შეხედეთ ამ მამლაყინწა ლიტერატორს, რა მალაყებს გადადის, რომ თავისი შავი გაათეთროს და სხვისი თეთრი გააშავოს." *("ამბავი ყბად-ასაღები და წყალ-წასაღები". 1889 წ.).*

- "სულ სხვაა ჩვენი ეხლანდელი სიბრძნე-სიცრუე. ეხლა სიცრუე, ვით გამოუქნელი ხარი, სიბრძნის უღლიდამ გამოეშვა და გაყალაღნებული დაიარება თავისად. თუ სადმე წააწყდება სიბრძნეს, მარტო იმისთვის, რომ თითონ ბატონად გამოეჭიმოს და სიბრძნე მსახურად გაიხადოს." *("ჩვენი ეხლანდელი სიბრძნე-სიცრუე". 1896 წ.).*

- "მწერლობას არ შეჰფერის საქმე განსაჯოს და განიკითხოს მარტო მით, რასაც ამბობს და ჰლაპარაკობს ას თუ ასენოვანი მითქმა-მოთქმა." *("ქუთაისის ბანკის საქმე". 1890 წ. 3 აგვისტო).*

"**მწურთვნელის** კარგად ხსენება მადლობელის გაწურთვნილისაგან მოსაწონია". *("ქვათა ღაღადი". 1899 წ.).*

"**მხნემან**, ვით ჩქარმან წყარომან, განხეთქოს მთა და გორიო". *("ილია ოქრომჭედლიშვილი". 1898 წ.).*

"**მხვნელ**-მთესველი ერი უფრო მშვიდობიანი, საკუთრების პატივისმცემელი, უფრო მორიდებულია და თავდაჭერილი". *("საზოგადოებრივი ცხოვრების ნაკლნი და მისი ეკონომიური მიზეზები". 1897 წ.).*

"**მჯობნს** მჯობნი არ დაელევა." *("გლახის ნაამბობი". 1859, 1862-1873 წწ.).*

ნ

"**ნაბძანებია** ღვთისაგან, რომ ჩვენის ოფლით პური უნდა ვჭამოთ." *("კაცია ადამიანი?!" 1858-63 წ.).*

"**ნათქვამია**, თევზი თავიდამ აყროლდებაო." *("შინაური მიმოხილვა". 1879 წ. თებერვალი).*

"**ნათქვამია**: ყოველი მსგავსი მსგავსსა ჰშობსო". *("პრეზიდენტისა და მთავრობის შეცვლა საფრანგეთში და მისი საზოგადოებრივი მიზეზები". 1895 წ. 17 იანვარი).*

"**ნაფიცთა** მსაჯულება მარტო იმითია სანატრელი, მარტო იმითია კარგი, რომ სჯის და მსაჯულობს სინდისი ერისა და არა ჩინოვნიკისა, თუ ამ მხრით არას შეიკვეცენ და

ისე შემოიღებენ ჩვენში ნაფიცთა მსაჯულებას, ჩვენ მაგ სანატრელს ცვლილებას დიდის სიხარულით მივეგებებით, თუ არა და, მარტო სახელი იქნება და სახრავი კი არა." *("შინაური მიმოხილვა". 1881 წ. დეკემბერი).*

ნიჭი: - "ნიჭი, სიკეთე ცალკე ადამიანისა, თუ მთელის ერისა, ისეთი რამ არის, რომ, რაც გინდ ნამეტანი იყოს ვისთვისმე, მეტი ბარგი არ არის, თუ საკუთარს სხვისაზედ წაემატება. ამიტომაც დიდი ცოდვაა ადამიანს, თუნდ ცალკე პატარა ერს, ნიჭი შეუკრა, შეუბოჭო, სიკეთის ღონე შეუხუთო. არა ნაკლები ცოდვაა ერთის ღვაწლი, თუ კია სადმე, მეორეს მიაკერო და მართლად ღვაწლდამდები ჩრდილში მიაყენო და სხვისით სხვა გამოამზეო საქებ-სადიდებლად. თუ თავმოსაწონებელია სადმე, ყველამ თავისით უნდა მოიწონოს თავი, ყველას თავისი უნდა ეკუთვნოს".

- "რა თქმა უნდა, ერს რომ გზა შეუკრან წარმატებისა, - რაც გინდ პატარა ერი იყოს – არავისთვის არც მოსაწონია, არც გამოსაყენებელი. არ არის ქვეყანაზე იმისთანა ერი, რომელიც, თუ ცოტაოდენად მაინც გონებად მოსულია, ცოტაოდენი ისტორია ჰქონია და კულტურაში ცოტაოდენად ფეხი მოუკიდებია, რითამე გამოსადეგი არ იყოს სახელმწიფოში, რაც გინდ დიდი სახელმწიფო იყოს და მორჭმული თვისის სულიერ და ხორციელ ძალ-ღონითა".

- "ნიჭი ხელოვნებას ეკითხება თავის საზღვარს და ხელოვნება ნიჭსა სთხოვს სითბოს და ბრწყინვალებასა. ერთი მეორესა ჰშველის იმოდენად, რამოდენადაც საჭიროა. არც ერთი ნამეტანობს და კლებულობს და არც მეორე. ორივე ერთმანეთს ემორჩილებიან ერთისა და იმავე ზედმოქმედების მოსახდენად". *("ქართული თეატრი". 1886 წ.)*

- ნიჭი და ხელოვნება განუყრელი და-ძმანი არიან და აუცილებელი საჭიროებაც არის კარგის არტისტისათვის. ნიჭი არ-დახელოვნებული, არ გაწურთვნილი, ხელოვნება ნიჭით შუქ-არშესხმული და არ გაბრწყინვალებული, გვერდჩამოშლილი სიკეთეა არტისტისა, ცალკერძია, და ერთის მქონებელი კაცი უმეოროდ ნახევარ არტისტია". *("ქართული თეატრი". 1886 წ.).*

- ბ-ნი ყიფიანი საკმაოდ ღონიერი ნიჭია და ნიჭს გარდა დახელოვნებული არტისტიც არის.

- "რაც უკვე დარგულია და ჰხარობს, ფეხით ნუღარა დასთრგუნავ. ეცადე გაიზარდოსო". *("ქვათა ღაღადი". 1899 წ.).*

- "ტვინის სადგურში ერთი მივარდნილი კუნჭულია, საცა ერთი ბრმა-ნიჭი ადამიანისა ბინადრობს. ის ნიჭი ტვირთთამზიდველ სახედარსავით ყოველთვის მორჩილია, ქვევრის თვისება აქვს: რაც ერთხელ ჩაგიძახნია, იმას ყოველთვის ამოიძახებს და სახელად ჰქვიან მეხსიერება". *("შინაური მიმოხილვა". 1879 წ. ივლისი-აგვისტო).*

- "ტვინი თუ ნაჩვევი არ არის თვითმსჯელობას, თუ თავით თვისით ნავარჯიშები არ არის, თუ მის პატრონს დაბადებითვე ნათხოვრებით გამოუზრდია, "ვერ მოგართვის" მეტს ვერას ეტყვის გაფითრებულს პატრონსა." *("შინაური მიმოხილვა". 1879 წ. ივლისი-აგვისტო).*

- "ბუნებითვე შთაგონებული ნიჭი, რომელიც თანასწორად ხან სწორე გზაზედ წავა და ხან ცუდს, ბოროტების გზაზედ, იმის ყურებით, როგორც მიმართულებას მისცემს გარემოება და საზოგადოება." ("*კაკო". 1859 წ.).*

- “ნიჭი, გარჯა და მხნეობა დღეს თუ ხვალ ფულსაც იშოვნის და შემწეობასაც მოიპოვებს; ყოველივე ეგ თითონ ფულია, თითონ ღონეა და სიმდიდრე, ოღონდ კი კაცი ნუ შეიკეტება ოთხ-კედელ-შუა, ოღონდ კი გულხელდაკრეფილი ცას ნუ შევაჩერდებით: აცა, მანანა ჩამოვა და პირში ჩაგვივარდებაო. ამ ნიჭსა, გარჯას და მხნეობას ითხოვს დღეს ჩვენი ცხოვრება განათლებულის კაცისაგან და ვის მოსთხოვოს სხვას, თუ არ განათლებულსა დ მცოდნე კაცსა”. *(“ჩვენი ხალხი და განათლება”, 1886 წ. 2 მაისი)*

- “ღონე ქვეყნისა მარტო ნიჭიერი და მხნე კაცია”. *(“მიხეილ ყიფიანი”, 1891 წ.)*

- “უფულობა და უქონლობა-კი არა, ნიჭიერ და მხნე კაცთა უყოლობა ჰქმნის ერსა უღონოდაო, _ ამბობს ვოლტერი”. *(“მიხეილ ყიფიანი”, 1891 წ.)*

- “ყველა კაცმა, რომ იგი სიკეთე ჰქმნას, რის შემძლებელიც არის, ქვეყნიერობაზედ უბედურნი აღარ იქმნებიან”. *(“მიხეილ ყიფიანი”, 1891 წ.)*

- “ნიჭი, სიკეთე ცალკე ადამიანისა, თუ მთელის ერისა ისეთი რამ არის, რომ, რაც გინდ ნამეტანი იყოს ვისთვისმე, მეტი ბარგი არ არის, თუ საკუთარს სხვისაც ზედ წაემატება.” *(“ქვათა ღაღადი”. 1899 წ.)*

- “დიდი ცოდვაა ადამიანს, თუნდ ცალკე პატარა ერს, ნიჭი შეუკრა, შეუბოჭო, სიკეთის ღონე შეუხუთო. არა ნაკლები ცოდვაა ერთის ღვაწლი, თუ კია სადმე, მეორეს მიაკერო და მართლად ღვაწლდამდები ჩრდილში მიაყენო და სხვისით სხვა გამოამზეო საქებ-სადიდებლად.” *(“ქვათა ღაღადი”. 1899 წ.)*

- “კესოსათვის არაერთხელ უთქვამს, რომ მე იმათგან ზოგჯერ ჭკუასა და ხშირად ენასა ვსწავლობო.” (*“ოთარაანთ ქვრივი”. [1886] – 6 ქრისტეშობისთთვეს 1887 წელსა)*

“**ნუ** მოგაქვს თავი იმით, რომ / ძალა აღმართის მხვნელია” *(“მეფე დიმიტრი თავდადებული”. 1878 წ.)*

“**ნუ** დააგდებ ძველსა გზასაო”.” (*“კაცია ადამიანი?!” 1858-63 წ.).*

“**ნუ** შეხვალ, ნუ იბანებო, ნუ გამოხვალ და ნუ თრთიო”. *(“წერილები ილია ჭავჭავაძისა ოლღა თადეოზის ასულ გურამიშვილისადმი”. 1863 წ. 15 თებერვალი).*

“**ნუ** გეშინიან, ისე არა სწვიმს, როგორც ჰქუხს”. *(“გლახის ნაამბობი”. 1859/1862 – 1873 წ.).*

“**ნუ** სტირი. ცრემლს ამ ქვეყანაში გასავალი არა ჰქონია, - ტყუილად ნუ ჰღვრით. ღმერთი გვიპატივებს, თუ კაცმა ვერ გვიპატივა” *(“გლახის ნაამბობი”. 1859/1862 – 1873 წ.).*

“**ნურავინ** ნუ იფიქრებს, რომ არ მესმოდეს დიდი მნიშვნელობა ანტონ კათალიკოზისა. ანტონი დიდს ალამს დაიჭერს ჩვენს ლიტერატურაში, როგორც წარმოუდგენელი იმ დროის საქართველოს განათლებისა, მაგრამ შევცდებით. მაშინ სხვა-რიგად ესმოდათ, ეხლა სხვა-რიგად.” *(“პასუხი”. 1861 წ.).*

ო

“**ო**, ო, იმედი გაბედულობის ნიშადურია.” (“*მაჭანკალი.” 1881 წ., 31 მაისამდე).*

“**ობლების** შემწე ღმერთიაო.” (“*დიამბეგობა”. 1858 წლამდე).*

“**ოდეს** ტურფა გაიაფდეს, აღარ ღირდეს არცა ჩირად.” (“*კაკო”. 1859 წ.).*

“**ოთარაანთ** ქვრივის შვილი, გიორგი ოცდაერთის წლის იყო. ერთი ჯმუხი და ძარღვიანი ყმაწვილი კაცი დადგა. კუპრსავით შავი და კარგად დაკოკრებული წვერ-ულვაში ლამაზად უხდებოდა მის შავგვრემანს და მოხდენილად მოყვანილს სახესა. თვალადობით მეტად სანდომიანი და მარილიანი იყო, და უფრო უკეთესი იქნებოდა,

რომ მისი დიდრონი ქორული თვალები ცოტა მრისხანედ არ გამომეტყველებდნენ. თვალთა მეტყველების ჭექას აძლიერებდა გადაბმული წარბები. ეს მარილიანობას სახისას ბევრს უშლიდა. ამის გამო კაცი უნებურად თვალს მოარიდებდა პირველ თვალის მოსწრებაზედ. ხოლო რამდენსაც უფრო დააკვირდებოდით მის პირისახეს და თვალებსა, უფრო მოგეწონებოდათ გიორგი. იშვიათად იცოდა ღიმილი, მაგრამ როცა კი გაიღიმებდა, თვალი ზედ დაგრჩებოდათ, ისე უხდებოდა ღიმილი. ტანადაც ერთი ბრგე კაცი იყო, მარჯვედ მოყვანილი და კარგად ჩასხმული. კოხტად და ფაქიზად ჩაცმა-დახურვა უყვარდა. იმისი ყაითნებით მორთული საცვეთები, ჭრელი წინდები და ლამაზად გაწყობილი ფეხზედ ქილაბანი რომ გენახათ, მაშინ დაიჯერებდით, რომ ჩვენებურ გლეხის ფეხსაცმელსაც თავისი სიტურფე და სილამაზე აქვს". *("ოთარაანთ ქვრივი". 1886-1887 წ.).*

"**ოო**!.. სითბო?.. დიდი რამ არი!.. დედამიწის ზურგი იმითი აყვავდება ხოლმე, წუთის-სოფლის ცხოვრება იმითი მოისხამს ყვავილსა!" *(გლახის ნაამბობი. 1859, 1862-1873 წწ.).*

"**ორი** კურდღლის მადევარი, ვერც ერთს ვერ დაიჭერსო." *("ვიცინოთ თუ ვიტიროთ". 1877 წ.).*

"**ორნაირი** "ბინა" აქვს ადამიანს თავისის ორნაირის მოთხოვნილებისა გამო. ბუნებითად ერთში საკუთრად თითონ ცხოვრობს საკუთრად თავისთვის მოქმედობს და ანგარიშს არავის არ აძლევს. მეორეში-კი იგი სხვასთან ერთად არის, სხვასთან ერთად იღწვის და მოქმედობს, სხვაზედ გადაბმულია, სხვაზედ დამოკიდებულია, თავისი "მე" სხვის "მე"-სთან შეწონილი და შეფერებული ჰყავს. აი ამ უკანასკნელს სფეროში აიგება ხოლმე იგი "ბინა" საცა მარტო მთავრობითი "ჩვენ" ჰღაღადებს და "მე"-ს როგორც ცალკესა და კერძოს, არავითარი ხმა და ადგილი არა აქვს. აი ამ სფერაში სჩნდება და იბადება, სხვათა შორის, იგი საქმეები, რომელსაც საზოგადოება თავის შინაურს საქმეებს ეძახის და რომელიც კაცს შეუძლიან საგნად აიღოს ჯეროვანის განსჯისა და განკითხვისათვის. აი მარტო ეგ სფერაა იგი სარბიელი, საცა ღირსეული, თავისის-თავის პატივმცემელი ლიტერატურა და ლიტერატურის მოღვაწე ხან თავის ფარს ხმალად უნდა აქცევდეს და ხან ხმალს ფარად" *("შინაურ საქმეთა" გამო". 21 იანვარი 1886 წ.).*

"**ოღონდ** დღეს-კი ნუო და ხვალემ თავისი იცოდესო." *("კრიტის ახალი აშლილობა და ოსმალეთის საკითხი". 1897 წ. 13 მარტი).*

"**ოცჯერ** ზომვა, ერთხელ ჭრაო – / წესია მეფეთქებული". *("მეფე დიმიტრი თავდადებული". 1878 წ.).*

ოჯახი: - "მას აქეთ, რაც ჩვენმა სასიქადულო გომართელმა — ამ დიდის ჭკუის პატარა კოლოფმა, — თავისი წერილი დაბეჭდა „კვალში", ოჯახის მოკითხვა და გახსენება რა პატიოსანის კაცის საკადრისია. რა სახსენებელია ეგ შენი ობმოკიდებული „მცნება", ეგ შენი ოჯახი ეხლანდელ დროში, როცა „კვალისა" და „ცნობის ფურცლის" წყალობით ახალი მეცნიერება, ახალი მიმართულება, ახალ-ახალი აზრები დუღან და გადმოდიან."

- "რას ამბობ, ადამიანო! ოჯახი მოსაკითხი კი არა ყოფილა, როგორც ხავსმოკიდებულ ძველებს ჰგონიათ, დასანგრევი და დასაქცევი თურმეა, როგორც ამას ჰღაღადებს ჩვენის მწერლობის ახალ-ახალი ყარამან ყათილ სააპყირანი ბ-ნი გომართელი. გესმის, — გომართელი-მეთქი!.. მერე იცი რა კაცია ეს გომართელი? ეს ის კაცია, რომელმაც ერთის ლახტის მოქნევით მთლად შეჰმუსრა ფეოდალობა და ერთის კალმის მოსმით გააქრო ქვეყნიერობაზე ხსენება თავად-აზნაურობისა ასე, რომ ამის მერმეთ თვით არჩილ ჯორჯაძესაც-კი შიშით ენა მუცელში ჩაუვარდა და ხელის-

გულზე გაუგორდა გამარჯვებულს გომართელსა, — ოღონდ ძველებში ნუ ჩამწერთ და თქვენებრ დავიწყებ გალობასაო. აკი დაიწყო კიდეც, ჯერ, რასაკვირველია, წვრილის ხმით და იმედია, რომ ღვთით თანდათან მოუსხვილებს.”

- “ჯერ ყოველთ უწინარეს გამოვარკვიოთ, — რა არის ოჯახი და რის მომავლინებელია? იგია თურმე მიზეზი ქვეყნის უბედურებისა, იგი რაღაც ეშმაკისა და ქაჯის თესლი თურმეა. მე რომ ყოველივე მისი ბოროტი გითხრა, არ დამიჯერებ. ისევ სჯობია ჩვენს ბრძენთა-ბრძენს გომართელს ვათქმევინოთ. სხვა არა იყოს რა, ჭკვასაც გვასწავლის და ყურსაც დაგვიტკბობს მშვენიერის ქართულითა. ეს ახალთ-ახალი ფილოსოფოსი ბრძანებს, რომ თანამედროვე ოჯახი ადამიანის იდეალურ მისწრაფებათა ბორკილიაო. „ეს აზრი სრულ (გესმის: სრულ!) ჭეშმარიტებად უნდა ჩაითვალოსო“… ყოველივე დაწესებულება, რომელიც წინ ეღობება ადამიანის ძალ-ღონეს და არ უშვებს მას საზოგადოებრივი (ვიშ, ვიშ ამ ქართულს) იდეალებისაკენ, დღეს დრო-გადასულ (გესმის: დრო-გადასულსო!..) და მავნე დაწესებულებად უნდა ჩაითვალოსო. ასეთს დაწესებულებათა რიცხვს ეკუთვნის დღევანდელი ოჯახიცაო“.

- “ხომ ჰხედავ: ოჯახი თურმე ადამიანის იდეალურ მისწრაფებათა ბორკილი ყოფილა, ესე იგი პროგრესის შემხუთავი, პროგრესის დამაბრკოლებელი, გესმის: პროგრესისა!.. იცი-კი, — რა არის პროგრესი? არც მე ვიცი, მაგრამ რადგანაც ჩვენს სასიქადულო „კვალს“ და მის არა-ნაკლებ სასიქადულო გომართელს სულ ეს პროგრესი აკერიათ ენაზე და თუ საქმით არა, სიტყვით მაინც ებღაუჭებიან, ეს პროგრესი სწორედ კარგი რამ უნდა იყოს, უსათუოდ ქვეყნის საბედნიეროდ გაჩენილი.”

- “მაშ გახსოვდეს, რომ ოჯახი ადამიანის პროგრესის ბორკილია. ეს ბორკილი ხომ ბორკილია, გარდა ამისა, ოჯახს სხვა ჭირიც სჭირებია: ადამიანის ძალღონეს თურმე წინ გადაღობებია და არ უშვებს საზოგადოებრივ იდეალებისაკენ, ერთის სიტყვით, კაცობრიობის საზოგადოებრივი წინსვლა შეუყენებია, და, მაშასადამე, ისევ ის კაცობრიობის პროგრესი შეუკრავს და შეუბოჭავს.”

- “არჩილ ჯორჯაძის ფილოსოფიით — ძველებმა ხომ მარტო ალღოს აღება იცოდნენ და საქმის კეთება-კი ახლების უნარია. საქმე ის არის, რომ ძველებს არა სცოდნიათ საიდამ მისდგომოდნენ ოჯახს, რომ სამუდამოდ დაექციათ, თუმც ალღო-კი აღებული ჰქონიათ.”

- “შენც ხომ იცი, ეხლა მაინც შეიტყე, რომ თუ რისამე დანგრევა-დაქცევა გინდა და ერთბაშად დაფუშვა, საძირკველი უნდა მოუნახო და მთლად გამოუთხარო.”

- “ოჯახი რომ გამოშიგნო, გულ-ღვიძლი რომ გაუჩხრიკო, ჰნახავ, რომ საძირკველი მისი ცოლ-ქმრობაა, ასე რომ საცა ცოლ-ქმრობა არა ყოფილა, იქ არც ოჯახი გაჩენილა. ცოლ-ქმრობაზე არის აშენებული ოჯახი. აქედამ განა აშკარა არ არის, რომ ოჯახის ძირიან-ფესვიანად ამოგდება არ შეიძლება, თუ აწ არსებული ცოლ-ქმრობა არ შეიმუსრა, არ დაირღვა, არ გაუქმდა.”

- “ხომ ჰხედავთ, — რა ჭირსა და ვაგლახში ჩავვარდი მე, შენი ჯვარდაწერილი ქმარი. რომელი უნდა ვირჩიო: გომართელის ფილოსოფია, რომელიც „ადამიანის იდეალურ მისწრაფებათა“ ბორკილს ამსხვრევს, თუ ცოლ-ქმრობა, რომელიც ამ ბორკილს სჭედავს თურმე? ამ სახით, ან ახალ მიმართულების კაცის სახელი უნდა ვგმო და დავკარგო და ოჯახი ვაშენო და ვინახო, ან სახელის ღირსი უნდა გავხდე და

მაგ წყეულ ოჯახის დასაქცევად ცოლიც გავწირო, შვილიც და ის ჩემი საკუთარი ბედნიერებაც, რომელიც მე ჩემსა და შენს ცოლ-ქმრობაში მოვიპოვე.”

- “ბევრი ცოლი და ქმარია, რომ ერთმანეთი, ჭირივით ეჯავრებათ, უნდათ და ვერ გაჰყრიან ერთმანეთს, რადგანაც, რაც გინდ იყოს, ცოლ-ქმრობის დარღვევა მძიმე და სათაკილო საქმეა და თუ არ დიდად პატივსადები მიზეზი, ძნელი გასაბედია; სირცხვილის შიშისა გამო, კაცი როგორღაც უფრთხის და ცოლ-ქმრობას შეჩვეულ ჭირსავით ითმენს.” *(“გომართელის ფილოსოფია და არჩილ ჯორჯაძის ფსიხოლოგია”. 1902 წ.).*

- “ოჯახის შვილობა, ეკონომიური წელმაგრობა, ბინის მკვიდრად ერთს ადგილას მოკიდება ქართველ გლეხკაცისათვის იდეალია ცხოვრებისა”. *(“საზოგადოებრივი ცხოვრების ნაკლნი და მისი ეკონომიური მიზეზები”. 1897 წ.).*

“**ოჰ**, მამულის კვამლო, მართლა-და ტკბილი და სასიამოვნო ხარ: ხანდისხან ისე აგვიბამ თვალებს ხოლმე, რომ ჩვენ ჩვენს საკუთარს უბედურებასაც ვერა ვხედავთ.” *(“მგ ზავრის წერილები”. 1861 წ.).*

პ

“**პატიოსანს**, ნამუსიანს კაცს ხელთა აქვს მარტო პატიოსანი და ნამუსიანი სახსარი მტრის მოგერიებისა და გაძღოლისათვის. თუ არ ამისთანა სახსარს, იგი ხელს არა ჰკიდებს, თუ არ ამისთანა იარაღს, იგი სხვას არას ჰკადრულობს, და ამის გამო უფრო ჰრჩეობს დამარცხებულ იქმნას უნამუსო მტრისაგან, ვიდრე უწმინდურის იარაღით ეჭიდოს და გაიმარჯვოს. ურცხვს და უნამუსო კაცს-კი ამისი დარდი არა აქვს: ოღონდ თავისი გაიტანოს და ყოველგვარს სამაგლობას ჰკადრულობს, ყოველგვარს უკადრის იარაღს ხელსა ჰკიდებს” *(“ისევ “კავკაზის” გამოლაშქრების გამო”. 1888 წ).*

“**პირში** მიხლა სიმართლისა, დაურიდებლობა, რომელსაც ქვეყანაში უზრდელობას ეძახიან, მე ყოველთვის ტალანტის და ნიჭიერების ნიშანი მგონია.” (*იგი წავა და სხვა მოვა ტურფასა საგაღნაროსა. 1861-1863 წ.).*

“**პირი** სავსე გვაქვს წყლით.” *(“შინაური მიმოხილვა”. 1879 წ. აპრილი).*

“**პირუტყვთ** მოშენებას ფართო ადგილები უნდა”. *(“ირლანდია და ინგლისი”. 1886 წ.).*

პოეზია: - “პოეზია რა არის, ამას ვერა კაცი ვერ აგიხსნით, მთქმელიც ტყუილად მოსცდება და გამგონიცა. პოეზია საგრძნობელია და არა საცნობელი. ჩვენ მხოლოდ მისი ზედმოქმედება ვიცით. ვიცით, რომ იგი გვატკბობს და გვასიამოვნებს ჭირსა და ლხინშიაც. ვიცით, რომ იგი ხატებაა ჩვენთა გრძნობათა, გულის-თქმათა, ფიქრთა, ნაღველთა, ლხინთა, ერთის სიტყვით, ხილულთა და არახილულთა. ვიცით, რომ მისგან მოხიბლულს კაცს “ავიწყდება საწუთროება”, მის მიერ გატაცებული “გულის-თქმა კაცის ცისა იქით ეძიებს სადგურს, ზენა არსთ სამყოფთ”, როგორც ამბობს ჩვენი გამოჩენილი პოეტი ნ. ბარათაშვილი, ყოველივე ეს ვიცით, და თითონ პოეზია რა არის – ეს კი არავინ იცის. პოეზია უცნაური მადლია და პოეტი ამ მადლით მოსილი კაცია. მადლი ხომ მადლია, მაგრამ ამასაც მოვლა უნდა, უნდა პატრონობა, ხელის შეწყობა, გაზრდა და დავაჟკაცება, თუ ესე ითქმის. ეგ ისეთი აზიზი, მზეთუნახავი ყვავილია, რომ მალე ჭკნება, თავის სურნელებას ჰკარგავს, თუ მეცნიერების შუქი არ ადგია, თუ მეცნიერება თავის უკვდავების წყაროს არ ასხურებს და სიბრძნის ხელი კიდევ დღე-მუდამ არა ჰფურჩქნის.

პოეზია (კიდევ ვიტყვით) ღვთაებური ღონეა, გულის სიღრმიდამ ადამიანის გრძნობათა მარგალიტების ამომცნელი, მხატვარია ცხოველმყოფელი და ხორცშემსხმელი უსხეულო აზრისა, ფიქრისა, გრძნობისა, ერთის სიტყვით ადამიანის და მსოფლიო სულის მოძრაობისა. ეს მსოფლიო სული – ზღვაა უძირო, არამც თუ თვალ, ფიქრმიუწვდომელიცა. ამ ზღვისათვის კაცი გემია, ნიჭი აფრა და მეცნიერება – საქმე. გემის მიმმართველი ადამიანი ამ ზღვაზედ სიარულს გამარჯვებით შესძლებს მხოლოდ მაშინ, როცა სწავლითა და ცოდნით განსწმენდია "თვალნი - ზეცისა და ქვეყნისა საიდუმლოთა მხედველად, ყურნი ზესკნელისა და ქვესკნელისა უცნაურთა ხმათა მსმენელად", ხელნი ცისა და ქვეყნის მაჯისცემის შემკობად და ენა ყოველ ამის აღმომთმელად და შთარგმნელად" *("პოეზიის ახალგაზრდა მოყვარულთ". 1886 წ.).*

- "გეტე ამბობს, მხოლოდ ბუნება ჰქმნის პოეტსაო" *("პასუხი" 14 მაისი, 1861 წ.).*

- "დადუმდა საუკუნოდ კიდევ ერთი მთქმელი"! მოსწყდა ჩვენს ცას ერთი ცოტად თუ ბევრად მანათობელი ვარსკვლავი! კიდევ ერთი "ჩვენგანი შეიწირა ყოველთა შემწირველმა წუთის-სოფელმა"... ერთი "ჩვენგანიო" რომ ვამბობთ, განგებ ვამბობთ. ბევრი კვდება ჩვენში ყოველ დღეს, ყოველს წამს, - "სოფელი ასე მქმნელია" - მაგრამ ამ ბევრში ყველაზედ არ ითქმის "ჩვენგანიო". იმიტომ – კი არა, რომ ჩვენის სისხლისა და ხორცისა არავინ ჰკვდებოდეს, არა. ერი თუ საზოგადოება მარტო იმას უნდა ეძახოდეს დღეს "ჩვენგანს", ვისაც რაიმე ღვაწლი მიუძღვის სიტყვით, თუ საქმით და თუ ეს ღვაწლი გაბრწყინვალებულია, შუქ-შესხმულია მადლითა. აქ სულ ერთია, თქმაა ეს ღვაწლი თუ ქმნაა იმიტომ, რომ ზოგჯერ თქმა ქმნა არის".

"რა თქმა უნდა, რომ ერთნაირის უხვებით არ არის ყველა ამ მადლით მომადლებული. ამაშიაც არის დიდი-პატარაობა. მაგრამ დიდი თუ პატარა, რაკი ცოტად თუ ბევრად ამ მადლის მექონია, იგი რჩეულია მრავალთა შორის და ეს რჩეულობა არის სამართლიანი მიზეზი და საბუთი, რომლის ძალითაც ერს შეუძლიან თავმოწონებით სთქვას: ეს კაცი ჩვენგანიაო". *("იოსებ დავითაშვილის გარდაცვალების გამო". 1887 წ.).*

- "ეს აზრები, ეს გრძნობა, ეს სიტყვა ქარით მობერილი არ არის. ეს მარგალიტები, იმ ზღვიდამ არის ამოღებული, რომელსაც ერის გულს ეძახიან. აქ არაფერია ნათხოვარი: არაფერია განგებ ჩაძახილი და მერე ამოძახილი. აქ თავის დიდებას, თავის დიდ-ბუნებოვნებას, სულგრძელობას, თვითონ ერი მეტყველობს, თითონ ერი ჰღაღადებს ერთის თავის ჭეშმარიტის შვილის ბაგითა". *("იოსებ დავითაშვილის გარდაცვალების გამო". 1887 წ.).*

- "როცა ცრუ-კლასიკური მიმართულება ეცემოდა ევროპიაში და იბადებოდა ნელ- ნელა რომანტიკული მიმართულება, რომლის წარმომადგენელი შეიქმნა ბოლოს დიდი შილლერი; როცა გამოჰსჩნდა გეტე თავის „ვერტერით", ბერნარდენ დე-სენ- პიერი თავის „პოლ და ვირგინიით", ჟან-ჟაკ რუსო თავის „ელოიზით", მაშინ ევროპას პირველად ეცა დამატკბობელი სხივი პოეზიისა; მაშინ ცრუკლასიკურ მიმართულებით დათრგუნვილნი მწერალნი მივარდნენ მშიერსავით ახალშობილს პოეზიის მიმართულებასა; მაგრამ პირველად ვერ იცნეს ვერც გეტეს „ვერტერი", ვერც „ელოიზა" ჟან-ჟაკ რუსოსი და ვერც „პოლ და ვირგინია" ბერნარდენ დე-სენ-პიერისა: ამათში სენტიმენტალური სული მოესმათ, ეგ სული მამულთა მისთა განავითარეს და დაჰბადეს სენტიმენტალური სხოლა, რომლის წარმომადგენელი რუსეთში შეიქმნა კარამზინი. როგორც პოეტიო კარამზინი უნიჭო იყოვო, ამბობენ რუსები, და

მიმართულებითაც სენტიმენტალურის სხოლისა იყო. ამ თვისებაების პატრონი არ იქნება თავის დღეში სახელოვანი მწერალი, ეგ დამტკიცებულია ეხლანდელ მიხედვით. რომ სენტიმენტალური მიმართულება არავისთვის არ არის საჭირო და, სხვათა შორის, ჩვენთვისაც, ამას თქმა აღარ უნდა. მაშასადამე, კარამზინი მაგ მხრით ჩვენთვისაც და რუსებისთვისაც უარგისია; მეც ეგა ვსთქვი ჩემს აპრილის სტატიაში."

"უმაგისოდაც სენტიმენტალურ მიმართულების მაგალითები გვაქვს ჩვენს ლიტერატურაში, მაგალითებრ, „ვარდ-ბულბულიანი" და „შამი-ფარვანიანი"; რომანტიკულის მიმართულებისაც გვქონია ჩვენ მაგალითი ჩვენს ლიტერატურაში, მაგალითებრ, „ვეფხვის-ტყაოსანი"; ცრუკლასიკურიც, მაგალითებრ, სულ იმ მწერლების მიმართულება, რომელთაც მიბაძეს მარტო გარეგან ფორმასა ჩვენ უკვდავის რუსთაველის „ვეფხვის-ტყაოსნისას" და ვერ გაიგეს კი, რომ „ვეფხვის-ტყაოსანი" თუ არის უკვდავი, არა მარტო თავის ფორმით, არამედ თავის შინაგან თვისებებით." *("პასუხი". 1861 წ.).*

- "ქართულად ლექსად მოწყობა სიტყვისა მეტად ადვილია. არა გვგონია, სხვა რომელიმე ენა წარმოადგენდეს ამისთანა სიადვილეს. ხოლო ლექსი იმით არა ლექსობს, რომ სიტყვების ბოლოები ერთმანეთისათვის შეუწყვიათ. ლექსი პოეზიის შვილია. რა არის პოეზია, ამას ვერა კაცი ვერ აგიხსნით, მთქმელიც ტყუილად მოსცდება და გამგონიცა".

"თუ ღმერთს პოეტობის ნიჭი მოუმადლებია თქვენთვის, ჩვენო პატარა მეგობრებო, ნუ ჩქარობთ მაგის გამოჩენასა. ნუ გეშინიანთ, იგი არ მიგემალებათ არსად. იგი თავის დროზედ გამოიხეთქებს, როგორც ანკარა წყარო კლდის გულიდამა. ოღონდ პირველ ხანშივე ნუ მოაკლებთ მაგ უსუსურს მადლს — მეცნიერების ნოყიერს ძუძუსა. ჯერ თქვენ სწავლობთ და ღმერთმაც მოგიმართოთ ხელი მაგ საკეთილო გზაზედ. ჯერ ისწავლეთ, ჯერ თქვენ შეიძინეთ, რომ მერე სხვასაც შესძინოთ რამე." *("პოეზიის ახალგაზრდა მოყვარულთ". 1886 წ.).*

- "პოეტსა ხალხი დაჰბადავს და ხალხის ცხოვრება ძუძუს აწოვებს; ამ საფუძველით ამბობენ, პოეზია ხალხის ცხოვრების გამომთქმელიაო. ჯერ უნდა ხალხმა დაამუშაოს თავისი სულიერი ბუნება, შეანძრიოს თავის უკვდავების ძარღვი, მოამზადოს მასალა თავის ცხოვრებითა და მერე თავისთავად, უთქვენ-ბრძანებლოდ ძლიერი სული გენიისა ძლიერად გამოსცემს პასუხს ხალხის განვითარებასა." *("პასუხი". 1861 წ. 14 მაისი).*

- "თუ არ მოცლილი კაცი, რომელი ადამიანი დაიწყებს გამარგვლას იმ კვლებისას, რომლიდგანაც არაფერს არ ელის იმავ ბალახის აღმოსვლის მეტს." *("პასუხი". 1861 წ. 14 მაისი).*

- "პოეზია საგრძნობელია და არა საცნობელი." *("პოეზიის ახალგაზრდა მოყვარულთ". 1886 წ.).*

- "პოეზია უცნაური მადლია და პოეტი ამ მადლით მოსილი კაცია." *("პოეზიის ახალგაზრდა მოყვარულთ". 1886 წ.).*

- "ადამიანი, ბუნება, ცა, ქვეყანა, მსოფლიო, _ ერთი დიდებული წიგნია, უცნაურს ენაზედ დაწერილი. მეცნიერება ამას სთარგმნის უხატებო, უსურათო სიტყვითა, პოეზია კი ხატებითა და სურათითა. მეცნიერების ნათარგმნი ჯერ უნდა, რაც შეიძლება ბლომად, მოგროვდეს გულის საგანძეში, რომ მერე პოეტის მხატვრობითმა სიტყვამ აღბეჭდოს, სული ჩაუდგას, ხორცით შემოსოს ადამიანის

გასატაცებლად, აღსაფრთოვანებლად და გასაოცებლად." *("პოეზიის ახალგაზრდა მოყვარულთ". 1886 წ.).*

- "ღმერთი რომ ერს, ქვეყანას, მოწყალების თვალით გადმოხედავს, მოუვლენს ხოლმე კაცს, პოეზიის მადლით ცხებულსა. როცა ადამიანს სურს შეიტყოს ღირსება და დიდება ერისა, ყოველთ უწინარეს ამას იკითხავს, _ რამდენი მთქმელი და მწერალი ჰყავსო. ღირსებას და სიდიადეს ერისას მარტო ამ საწყაოთი სწყავს ადამიანი." *("სიტყვა, წარმოთქმული ნიკოლოოზ ბარათაშვილის ნეშტის გადმოსვენებაზე". 1893 წ. 25 აპრილი).*

- "პოეზია მადლია, ნიჭია, რომელიც ეძლევა მხოლოდ კაცთა, ღვთივ რჩეულთა. მადლია, მაგრამ ამასთანავე ტვირთიც არის, _ რადგანაც იგი მოვლენილია, რომ ჭრილობიდამ სისხლის შეუწყვეტელი დენა კაცთა სიცოცხლეს შეუყენოს.

ამ მადლს, ამ ტვირთს, დიდი ძალ-ღონე უნდა სულისა და ხორცისა. და ამიტომაც, როცა ღმერთმა გამოგვიგზავნა ჩვენდა ნუგეშად და თავმოსაწონებლად ნიკოლოოზ ბარათაშვილი, უკურთხა ენა მეტყველებისათვის, თვალნი ხედვისათვის, ყურნი სმენისათვის, გულს ჩაუდვა გაუქრობელი ცეცხლი კაცთა გულის გასათბობლად, და უბრძანა, _ წადი და კაცთა ნათესავს ამცნე უზენაესი მცნება ჩემი და სიტყვით გული აუნთეო." *("სიტყვა, წარმოთქმული ნიკოლოოზ ბარათაშვილის ნეშტის გადმოსვენებაზე". 1893 წ. 25 აპრილი).*

- "პოეზია მადლია, ნიჭია, მაგრამ ხომ ჰხედავთ, იგი დიდი ტვირთიც არის." *("სიტყვა, წარმოთქმული ნიკოლოოზ ბარათაშვილის ნეშტის გადმოსვენებაზე". 1893 წ. 25 აპრილი).*

- "პოეზია არის გამოხატვა სიცოცხლისა, ანუ, უკეთ ვსთქვათ, პოეზია არის თითონ სიცოცხლე. ეს ცოტაა: პოეზიაში სიცოცხლე უფრო უკეთეს სიცოცხლედ აღმობრწყინდება, ვიდრე თვით სინამდვილეშია." *("სფირიდონის და თადეოზის ბაასი". 1861 წ.).*

- "დიდმა გიოტემ კი სთქვა: "ვისაც პოეტის ხმა არ აუძგერებს გულს, იგი ბარბაროსიაო". *("ქვათა ღაღადი". 1899 წ.).*

"**პოვოსკა** ჩემს ჩაჯდომაზედ შეტოკდა. „იამშჩიკმა" თვალები აახილა და ბღვერა დამიწყო. მერე აკრიბა სადავეები, „მწუო, მწუო", დაუწრუწუნა უჭმელობისაგან გადალეულს და ყურებჩამოყრილ ცხენებს და მოუღერა შოლტი. ცხენები მიდგნენ-მოდგნენ, მაგრამ ალაგიდან არ დაიძრნენ. Ну, чо-о-орт; трогай што-ли! დაიყვირა „იამშჩიკმა", აიქნივა სადავენი და ფეხებითაც ტყაპუნი დაიწყო. შენც არ მომიკვდე, ცხენებმა ყურიც არ გაიბღერტეს. ... „იამშჩიკმა" თავისი ძროხის თვალები ჩემკენ მწყრალად მოაბრუნა და ისე მრისხანედ შემომიბღვირა, თითქო მემუქრებოდა: შენც ეგრეო. მერე ისევ ცხენებს მიუბრუნდა და ყოველს მათგან თითო შოლტი გადაუჭირა. ცხენებმა ამის პასუხად ტყუპ-ტყუპი ტლინკი აყარეს, როგორც იყო ადგილიდამ დასძრეს ჩვენი პოვოსკა და ძუნძულით გასწიეს. დანჟღრეულმა ზარმა დაიწყო თავისი უგემური ჟღარაჟღური, პოვოსკამ ქვებზედ ხტომა და ლაყლაყი ხან აქეთ და ხან იქითა." *("მგზავრის წერილები". 1861 წ.).*

პორტუგალიის დაჩაგრული ბედი: - "დასავლეთს ევროპას, დიდ ატლანტიკის ოკეანეს პირად, ისპანიის გვერდით, არის ერთი პატარა სახელმწიფო _ პორტუგალია. ეს დღეს პატარა და უღონო სახელმწიფო ერთს დროს დიდ ამბავში ყოფილა. მისი გაბედულნი და გულსრულნი მკვიდრნი ერთს დროს განთქმულნი იყვნენ ზღვებზე სავაჭროდ სიარულითა და დიდძალი სიმდიდრე და ქონება შეჰქონდათ თავის ქვეყანაში." *("ევროპის დიდი და პატარა ონავრები". 1890 წ. 20 იანვარი).*

- “ამ ბედნიერს ხანაში პორტუგალიამ ბევრი ადგილი დაიჭირა თავის გათამამებულ მკვიდრთა გულმოდგინებით და მხნეობითა და ბევრი ახალშენი (კოლონია) აიჩინა შორეულ ქვეყნებში, საცა-კი მიაწვდინა თავისი ხომალდი, თავისი გემი.” *(“ევროპის დიდი და პატარა ონავრები”. 1890 წ. 20 იანვარი).*

- “ერთი დრო არავის შერჩენიაო, ნათქვამია. ბევრმა ისტორიულმა მიზეზმა უკან დააყენა ეს ერთს დროს ცოტად თუ ბევრად გაღონიერებული ქვეყანა და ჩვენს დროს იქამდე დააქვევითა, რომ როცა ევროპის საქმეთა აშლილობა ასე თუ ისე ააწიოკებს ევროპას, პორტუგალიის ხსენებაც-კი არსად არის ხოლმე: არც მისი მოყვრობაა ვისთვისმე სახარბიელო და არც მისი მტრობა საფიქრებელი. ერთი მუჭა ქვეყანაა და ერთი მუჭა ხალხი, და რა სათვალავსა და ანგარიშში მოსატანია ევროპისათვის, საცა მარტო დიდს მუშტსა და გრძელს მკლავსა აქვს ხმა და პატივი.” *(“ევროპის დიდი და პატარა ონავრები”. 1890 წ. 20 იანვარი).*

- “ერთი ამისთანა ძველადვე დაჭერილი ადგილი ჰქონდა პორტუგალიას აფრიკაშიაც. ეჭირა ეს ქვეყანა, თუმცა ბევრს არას ჰრჩებოდა და უქმად ეგდო ასე, რომ თითქმის თავმინებებული იყო პორტუგალიისაგან. როცა-კი გერმანიამ და ინგლისმა ამ ბოლოს ხანებში თავიანთი ხარბი თვალი აფრიკას მიჰმართეს, დაიჭირეს ადგილები და დაიწყეს აქეთ-იქით გაწევა, პატარა პორტუგალიაც შეფუცხუნდა, _ იმ ჩემ მიერ უპატრონოდ დაგდებულ მამულს ხელი არავინ ჩაავლოსო და შეუდგა იმ მამულის შერჩენის თადარიგსა.” *(“ევროპის დიდი და პატარა ონავრები”. 1890 წ. 20 იანვარი).*

- “თურმე ნუ იტყვით, იქაურ მკვიდრთა როგორღაც შესჩენიან ინგლისელები, მოუნადირნიათ იმათი გული ბევრგვარის ოსტატობით, დაჰპირდნენ მფარველობას, და მფარველობის ნიშნად თავისი ბაირაღებიც დაურიგებიათ. ერთი მაიორი პორტუგალიის მხედრობისა რომ მისულა იქ ეხლახან პორტუგალიის სახელით, ინგლისელთაგან გულმოცემულ მკვიდრთა შორს დაუჭერიათ პორტუგალიის ბატონობა.” *(“ევროპის დიდი და პატარა ონავრები”. 1890 წ. 20 იანვარი).*

- “საქმე საომრად გამხდარა. პორტუგალიის მაიორს დაუმარცხებია მკვიდრნი და ინგლისელთაგან ბოძებული ბაირაღები ორიოდე დაუყრევინებია.” *(“ევროპის დიდი და პატარა ონავრები”. 1890 წ. 20 იანვარი).*

- “იწყინა ეს ამბავი ინგლისმა. როგორ თუ შენ გააუპატიურე ჩემი ბაირაღებიო: როგორ თუ გაჰბედე და ჩემ კალთის ქვეშ მყოფი ქვეყანა გამილახეო, შეუთვალა პორტუგალიას ინგლისმა.” *(“ევროპის დიდი და პატარა ონავრები”. 1890 წ. 20 იანვარი).*

- “აბა ეს ღონიერი და ძლიერი ინგლისი ერთის მხრით და ეს უღონო პორტუგალია _ მეორეს მხრით!.. მოდი და ნუ მოიბუზები. რადა ჰნებულობ ეგრე ცხარედ ლაპარაკსაო, უპასუხა პორტუგალიამ კრძალვით: სამართალი ხომ აქ არის, ამოვარჩიოთ შუაკაცები და ვისაც აკუთვნებენ იმ ქვეყანას, აკუთვნონო.” *(“ევროპის დიდი და პატარა ონავრები”. 1890 წ. 20 იანვარი).*

- “ნეტა ღონიერი და ძლიერი ინგლისი რად იკადრებდა სამართალს, როცა მოპირისპირედ უღონო და პატარა პორტუგალია უდგა. საცა ერთის მხრით პირდაღებული ვეშაპია და მეორეს მხრით _ მობუზული კრავი, იქ, ეხლანდელს დროში, სამართალს დაეკითხებაღა ვინმე?.. განათლებულმა ინგლისმა ეს იუარა და შეუთვალა, ხელი აიღე, თორემ მიწასთან გაგასწორებო. “ძალა შესწევს ქადილისა” და საწყალმა პორტუგალიამ ხმა გაიკმინდა.” *(“ევროპის დიდი და პატარა ონავრები”. 1890 წ. 20 იანვარი).*

- "ერი პორტუგალიისა აიმღვრა, აირია, გულზე მოვიდა, რომ ინგლისმა თავისი ძლიერი მუშტი მოუღერა უღონოსა და სუსტს პორტუგალიასა და არ-დასათმობი დაათმობინა." *("ევროპის დიდი და პატარა ონავრები". 1890 წ. 20 იანვარი).*

- "პორტუგალიის ერმა ძალიან კარგად იცის, რომ ძალა აღმართსა ხნავს, რომ ინგლისთან გამკლავება ქვეყნის დაღუპვა და გათახსირება იქნება. ომი ვერ გაუბედა ხმალდახმალ, მაგრამ გულმოდგინე მამულიშვილობამ სხვარიგ ომისათვის გამოაღებინა ხელი პორტუგალიის ერსა." *("ევროპის დიდი და პატარა ონავრები". 1890 წ. 20 იანვარი).*

- "ეს უნდა ვიცოდეთ, რომ ინგლისს პორტუგალიაში დიდი ვაჭრობა აქვს. აი, სწორედ აქ იყარეს ჯავრი ინგლისელებისა. თუ ხმლით ვერას დავაკლებთ, ჯიბეს ხომ ცოტად თუ ბევრად მოვაჭრითო, _ სთქვეს და აიღეს და ყოველივე აღებ-მიცემობა ამოჰკვეთეს ინგლისთან. დააკეტვინეს რაც მაღაზიები და სავაჭროები ჰქონდათ ინგლისელებს დიდს ქალაქებში, მარტო ოთხს თუ ხუთს სოვდაგარს ლონდონში შეკვეთილი ჰქონიათ ათის მილიონის საქონელი და დეპეშით შეუთვლიათ _ შეკვეთილზე ხელი აგვიღიაო. ამისთანავე დეპეშას ჰგზავნიან ლონდონში სხვა სოვდაგრებიცა." *("ევროპის დიდი და პატარა ონავრები". 1890 წ. 20 იანვარი).*

- "ვისაც-კი სადმე ინგლისელი ჰყოლია საქმეზე, დაუთხოვნია; ვისაც შვილები ჰყოლია ლონდონში გასაზრდელად მიბარებული, ყველას უკანვე წაუყვანია. ერთის სიტყვით, რასაც და ვისაც-კი ინგლისისა რამ აცხია, ყველას შემოსწყრომიან, ყველას მოჰრიდებიან." *("ევროპის დიდი და პატარა ონავრები". 1890 წ. 20 იანვარი).*

- "გარდა ამისა, რომ კვლავაც უღონობის გამო არ დაიჩაგრონ ვისგანმე, მამულიშვილობით აფოთოვანებულს ერს მოუწადინებია სამერმისოდ მაინც ღონე მოიცენ და ამისათვის ნებაყოფლობით გაუწერიათ ერთმანეთში ფული, რომ მხედრობა გაიძლიერონ და მოაწყონ ყოველ შემთხვევისათვის." *("ევროპის დიდი და პატარა ონავრები". 1890 წ. 20 იანვარი).*

- "ერთს ძლიერ მდიდარს მამულიშვილს შეუწირავს ამისათვის სრული შემოსავალი მთელის ერთის წლისა, და ამბობენ, რომ აუარებელი შესაწევარი მოდის დიდისა და პატარისაგანაო." *("ევროპის დიდი და პატარა ონავრები". 1890 წ. 20 იანვარი).*

- "ძლიერია ერი, რაც უნდა პატარა იყოს, როცა მამულიშვილობა, თავის ქვეყნის სიყვარული ასე ამხნევებს, ასე ამოქმედებს, როცა უბედურება რამ, განსაცდელი რამ, გულზე ხელს კი არ აკრებინებს, როგორც იმედგადაწყვეტილს, სასოებადაკარგულს, არამედ იმოდენად ძლიერ აღვიძებს, ძლიერ მისძრავ-მოსძრავს, რამდენადაც ძლიერია თვის მის თავზე მოსული უბედურება და განსაცდელი." *("ევროპის დიდი და პატარა ონავრები". 1890 წ. 20 იანვარი).*

- "ერთი კაცმა ჰკითხოს ერთსაცა და მეორესაც, ნეტავ ვის ტაბლაზე ჰჩხუბობენ?" *("ევროპის დიდი და პატარა ონავრები". 1890 წ. 20 იანვარი).*

- "იმ ქვეყანას, რომელსაც ესენი ერთმანეთს ედავებიან, თავისი მკვიდრნი, თავისი შვილები ჰყავს, და ან ინგლისს რა ხელი აქვს, ან პორტუგალიას." *("ევროპის დიდი და პატარა ონავრები". 1890 წ. 20 იანვარი).*

- "იქაურებს თავისი ქვეყანა თავისთვის უნდათ, და რაო ჩემოო?" *("ევროპის დიდი და პატარა ონავრები". 1890 წ. 20 იანვარი).*

- "რა თქმა უნდა, ერთმაცა და მეორემაც რომ თავი დაანებონ, იქაურნი ორისავე ხელით ღმერთს მადლობას შესწირვენ, კარგად თუ ავად ამ წუთისსოფელს თვითონ

გაუძღვებიან, არც ერთისაგან, არც მეორისაგან ძალად ცხონებას არ ინდომებენ, მაგრამ რას იზამენ საწყლები? ორთა-შუა მომწყვდეულან და უილაჯობით ვაის გაურბიან, იმის არ მცოდნენი, რომ ვუის შეეყრებიან. ერთისა და მეორისაგან იმ გზითვე იჩაგრებიან, რა გზითაც დღეს იჩაგრება პორტუგალია ინგლისისაგან." *("ევროპის დიდი და პატარა ონავრები". 1890 წ. 20 იანვარი).*

- "ქვეყანაზე რომ სამართალი იყოს, ინგლისსაც პირში ჩალას გამოავლებდა და პორტუგალიასაც. საიდამაც მოსულხართ, იქავ წადითო, თქვენ კი ხელი არა გაქვთ, იქაური პატრონები _ იქაურივე მკვიდრნი არიან და თქვენ რაზე შესჩენიხართ ჭიასავით. მაგრამ სად არის ეს სამართალი? იგი თვალწინ ლამპარსავით უნთია ადამიანს მარტო იმ დრომდე, ვიდრე გახელებული ძალა არ მოვა და ერთის შებერვით არ ჩააქრობს ხოლმე." *("ევროპის დიდი და პატარა ონავრები". 1890 წ. 20 იანვარი).*

"**პრინციპი** იმიტომ არის პრინციპი, რომ ყოველს შემთხვევაში ერთ-და-იმავე საზომად უნდა იხმარებოდეს." *("შინაური მიმოხილვა". 1883 წ. მაისი).*

"**პროგრესიო**, _ ამბობს ფილოსოფოსი ბეკონი, _ არის გაუთავებელი შორს გადგმა არ-შესაძლებლის საზღვრებისაო. მართალიც არის; ვის ეგონა, რომ შესაძლებელია უშველებელ მანძილზედ კაცი კაცს გამოელაპარაკოს თვალის დახამხამების უმალ? ვის ეგონა, რომ შესაძლოა ორთქლმა სახლების ვაგონები გააქან-გამოაქანოს გაჭენებულ ცხენზედ უფრო სწრაფად? დღეს ყველა ეს არის და, ამ სახით, საზღვარი არ-შესაძლებელისა ამაების შესახებ, წინად ახლო მდგარი, დღეს შორს გადადგმული, ანუ, უკეთ ვსთქვათ, საზღვარმა შესაძლებელისამ ადგილი გადაინაცვლა და შორს გაიწია." *("აი ისტორია", 1889 წ.)*

"ესევე არ-შესაძლებელი შესძლო ადამიანის გონებამ, როცა შეუდგა იმის გამოძიებას და გაგებას, თუ რა მდგომარეობაში იყო კაცობრიობა საზოგადოდ, ან თვითეული ერი ცალკე _ იმ დროს, რომელიც ისტორიას არ დაუხსომებია, ან თვალი არ შეუსწვრია. აქ ის მდგომარეობა იგულისხმება, რასაც "ცივილიზაციას" ეძახიან." *("აი ისტორია". 1889 წ.).*

- "ისტორია და წარმატება იმისი კი არ არის, ვინც მარტო თავის-თავის ავკარგიანობას შეჰხარის, ვინც მარტო დღევანდელობას – ავია თუ კარგი – ჰკმარობს, ვითარცა ხელშეუვალს რასმე ანდერძს მამა-პაპეულს, არამედ იმისია, ვინც მას არა ჰკმარობს – რაც დღეს არის, და ვისაც დღევანდელობა მარტო ხიდად მიუჩნევია ხვალისათვის და არა ბინად, საცა კაცმა თავი უნდა შეიკეტოს, როგორც სამუდამო სადგურში, სამუდამოდ გულზე ხელ-დასაკრებად და მოსასვენებლად. ტყუილად კი არა სთქვა ტურგენიევმა, რომ ეს ქვეყანა ტაძარი – კი არ არის, საცა კაცი უნდა ჰლოცულობდეს, არამედ სახელოსნოა, საცა უნდა ირჯებოდეს და ჰმუშაობდესო". *("აზია წინათ და ეხლა". 1889 წ.).*

ჟ

ჟურნალ-გაზეთობა: - "როცა ცხოვრებას უმოქმედნია და იმ მოქმედებით მოუყვანია როგორიმე მოსავალი, რომლის გაგება და გარჩევა უძნელდება ხალხს და რჩება ის მოსავალი მოუხმარებლად; როცა ხალხში ისმის სურვილი, ძლიერი ნდომა იმ ნაჩირნახულევის გაგებისა, ცნობაში მოყვანისა; როცა ხალხს უნდა და ვერ

მისწვდომია მეცნიერების ნაყოფსა, მაშინ ხალხის საშველად სხვათა შორის გამოვა ჟურნალიცა." *("საქართველოს მოამბეზედ". 1862 წ.).*

- "ჟურნალების სიმრავლე არამც თუ უნდა იყოს საწყენი, არამედ სასიხარულო იმისათვის, ვისაც უანგაროდ უყვარს თავისი ხალხი და იმისი ბედნიერება." *("საქართველოს მოამბეზედ". 1862 წ.).*

- "ჟურნალ-გაზეთობას ორ-გვარი დანიშნულება აქვს. ერთის მხრით იგი არის შუამავალი ცხოვრებისა და მეცნიერების შორის, გამავრცელებელი კაცობრიობის ჭკუით მოპოებულის, გამოძიებულის და აღიარებულის სიმართლისა, ჭეშმარიტებისა; მეორეს მხრით, იგი არის სარკე საზოგადოების რთულის ცხოვრებისა, მისი გონებითის, ზნეობითის მოძრაობისა. მასში სჩანს და ისახება ყოველდღიურის აზრის მიდენ-მოდენა." *("ივერიის" წინასიტყვაობა" (I) 1877 წ. 3 მარტი).*

- "როგორც აზრისა და ცოდნის გამავრცელებელი, ჟურნალ-გაზეთობა წარმოგვიდგენს ერთს უდიდეს სასწავლებელს, რომლის მეოხებითაც უნდა აღორძინდეს, აღიზარდოს, დაფუძნდეს და გამშვენიერდეს საზოგადოების აზრი და რწმება, გრძნობა და გემოვნება. როგორც ცხოვრების სარკე, ჟურნალ-გაზეთობა წარმოგვიდგენს მას, რაშიაც უნდა იხატებოდეს თვით საზოგადოების აზრი, გრძნობა, სურვილი ცხოვრების სხვადასხვა საგანთა თაობაზედ. რამოდენადაც იგი ამის ამსრულებელია, იმოდენად იგი საწყაოა საზოგადოების გონებითის, ზნეობითის ძალისა და ნიჭისა, იმოდენად იგი საზომია ცხოვრების მოთხოვნილებისა და საჭიროებისა, იმოდენად იგი საშუალებაა, რომლის ძალითაც თვით საზოგადოება თვისის ცხოვრების სადავეს ხელთ იპყრობს და ცხოვრების თვითრჯულს დენას საკუთარს თაოსნობას უმორჩილებს." *("ივერიის" წინასიტყვაობა" (I). 1877 წ. 3 მარტი).*

- "იმ ქვეყანაში, საცა საზოგადოების თვითმოქმედობის ძალა მილეულია, საცა გონებითი და ზნეობითი ნიჭი დაძინებულია, იქ, რასაკვირველია, მწიგნობრობა ერთობ, და ჟურნალ-გაზეთობა საკუთრივ, ძნელად თუ იქნება საზოგადოების აზრისა და გუნების გამომთქმელი. აქ უპირველესი მოვალეობა ჟურნალ-გაზეთობისა სწავლისა და ცოდნის გავრცელება უნდა იყოს, მან უნდა ფეხი აუდგას თვითმოქმედობის ძალსა, მან უნდა აღადგინოს გონებითი და ზნეობითი ნიჭი. იმ ქვეყანაში-კი საცა თვითმოქმედობის ძალი საზოგადოებისა აღორძინებულია, საცა გონებითი და ზნეობითი ნიჭი აწარმოებს ცხოვრებასა და მის გამო ცხოვრება დუღს და სჩქეფს, _ იქ ჟურნალ-გაზეთობა აზრის აღებ-მიცემობაა, იქ იმის ამომძახელია, რასაც ჩასძახებს საზოგადო აზრთა დენა, შეტაკება და ბრძოლა." *("ივერიის" წინასიტყვაობა" (I). 1877 წ. 3 მარტი).*

- "ცხოვრება, რაც უნდა უძლური, მიმკვდარი და უღონო იყოს, იმოდენად ღირს-შესანიშნავი რამ არის, რომ ჟურნალ-გაზეთობას არ შეუძლიან თვის ერთგვარს დანიშნულებას აჰყვეს და ცხოვრებას თვალი და ყური არ ათხოვოს. როგორიც უნდა იყვეს ცხოვრება, ძლიერი თუ უძლური, მაღალი თუ მდაბალი, ჟურნალ-გაზეთმა უსათუოდ უნდა თვალი დააკვირვოს, უნდა შეისწავლოს, უნდა განმარტოს." *("ივერიის" წინასიტყვაობა" (I). 1877 წ. 3 მარტი).*

- "ადამიანები განა მარტო მაყურებელნი არიან ცხოვრებისა, არამედ მომქმედნი პირნიცა. ცხოვრება არის თითონ ამ პირთა ქმნილება, ამ პირთა ნამოქმედარი და ჭირნახული. რასაკვირველია, მოჭირნახულემ უნდა იცოდეს თავის ნამოქმედარის ავკარგიანობა, თვისება. ამისათვის ყოველ საგანს, ყოველს მოვლენას ცხოვრებისას,

ავს თუ კარგს, დიდს თუ მცირეს, ჟურნალ-გაზეთობამ უნდა მიაქციოს ჯეროვანი ყურადღება და შეძლებისამებრ მისცეს სასტიკს გარჩევას, განმარტებას თავისის რწმენისა, აზრისა და ცოდნის დაკვალად. ამ შემთხვევაში მძიმე საგანზედ ექნება ლაპარაკი, თუ უმცირეს საგანზედ _ ყოველგან და ყოველისფერში ჟურნალ-გაზეთმა უაღრესი და უპირველესი მნიშვნელობა უნდა მისცეს იმ იდეას, იმ დედა-აზრს, რომლითაც თითონ სულდგმულობს, იმ გონებითს მხედველობას, რომლითაც თვით უყურებს საგანსა." *("ივერიის" წინასიტყვაობა" (I) 1877 წ. 3 მარტი).*

- "სამეცნიერო ცნობათა გადმოტანა და გავრცელება საზოგადოებაში, ჩვენისა და უცხო ხალხთა ცხოვრების დაკვირვება და განმარტება, _ აი, რაში მდგომარეობს ჩვენის გაზეთის პროგრამა." *("ივერიის" წინასიტყვაობა" (I) 1877 წ. 3 მარტი).*

- "გაზეთს, თუ ჟურნალს, რომელსაც აქვს თვისის ღირსების ცნობა, თვისი პატივისცემა და თვისი კეთილშობილური თავმოწონება, იგი იმავე ღირსებით, იმავე პატივისცემით უნდა მოექცეს ყოველს კერძო პირს და ყოველს საზოგადოებას." *("ივერიის" წინასიტყვაობა" (I) 1877 წ. 3 მარტი).*

- "ძნელი საქმეა გაზეთის საქმე ყველგან და ნამეტნავად ჩვენში, ნამეტნავად მაშინ, როცა მარტოდ-მარტოა, ერთად-ერთია. სხვაგან, საცა ცხოვრება მრავალ-კეცია და საცა თვითოეული ნაკეცი იმოდენად გაძლიერებულია, რომ თავის ადგილს და თავის საკუთარს ხმასა თხოულობს ცხოვრების სარბიელზედ, იმდენი გაზეთია, რამდენიც წყობაა, მოწადინე ხმისა და ადგილისა ცხოვრების საომარზედ." *("ივერიის" წინასიტყვაობა" (II) 1885 წ. 31 დეკემბერი).*

- "ჟურნალი მაშინ არის სასიამოვნო წასაკითხავი, როდესაც აზრი არის დაწყობილი იმ სიტყვებითა, რომელსაც შეჩვევია ყური." *("სფირიდონის და თადეოზის ბასი". 1861 წ.).*

- "მაშინ მოემატება ჟურნალს მკითხველი, როდესაც ჟურნალი თითონ შეაყვარებს თავსა მკითხველსა." *("სფირიდონის და თადეოზის ბასი". 1861 წ.).*

- "ჟურნალი უნდა იყვეს ადამიანის შემქცევი, ე.ი. გონება უნდა უღვიძო მკითხველსა და არა თავის მაბეზრებელი; აცნობებდეს ყოველ შესანიშნავ ამბავსა კარგის ტკბილის ენითა." *("სფირიდონის და თადეოზის ბასი". 1861 წ.).*

- "უწინდელი მწიგნობრული ენით დაწერილი, ან იმ არეულ უწინდელი და ეხლანდელი ენით დაწერილი ჟურნალი, არას დროს არ შეიქმნება სახალხო, ან საზოგადოდ ყველასათვის წასაკითხავი." *("სფირიდონის და თადეოზის ბასი". 1861 წ.).*

- "სასიამოვნო იქნება ყოველ წამკითხველისათვის ჟურნალი, დაწერილი იმ ენაზედა, რომელითაც მუდამ ჟამს ლაპარაკობს." *("სფირიდონის და თადეოზის ბასი". 1861 წ.).*

- "მწერლობა იმისთანა საქმეა, საცა ტყუილსა და ჭორს ადგილი არ უნდა ჰქონდეს". *("ქვათა ღაღადი". 1899 წ.).*

- "იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია". *("ქვათა ღაღადი". 1899 წ.).*

- "ბევრი კაცი, და იქნება იმისთანა უხეირო რედაქციაც, სადმე იყოს, კაცთა საუბედუროდ, რომელიც ძალზე იჭაჭება და ბუკითა და ნაღარით გაიძახის ამ შეუხებლობას ადამიანისას, მაგრამ ყოველ წარამარად მოტანტალე კორესპონდენტს სიხარულით კარს უღებს და ხელს უწყობს გამვლელი და გამომვლელი საერთოდ, და

რედაქციის მიერ ნიშანში ამოღებული საკუთრივ, ლაფში ამოსვაროს თავიდამ და ფეხამდე წინასწარ მოუკითხავად, _ ვინ მტყუანია და ვინ მართალი.

ნუთუ ეს ამისთანა საქციელი ხელშეხება არ არის და ყველა ხელშეხებაზე უფრო საზიზღარი, უფრო შემაძრწუნებელი და უფრო საშიში კაცის ერთმანეთობით ადამიანურ ცხოვრებისათვის. ნუთუ ეს არის იგი მადლცხებული თავისუფლება ბეჭდვისა, პრესისა, რომელსაც ასე სამართლიანად შევხარით დღეს დიდი და პატარა და ასე გულმხურვალედ და თავდადებით ვეტანებით.

ეს ხომ, თავისუფლება-კი არა, ბოროტად ხმარებაა იმ გაპატიოსნებულ ძალ-ღონისა, იმ ძლევამოსილ შემძლებლობისა, რომელიც პრესას სამართლიანად ხელთ უპყრია და რომლის მეოხებით დღეს გვირგვინოსანნიც-კი ქედს იხრიან სასოებით და მოწიწებით". *("ნუთუ". 1905 წ.).*

- "ნუთუ ეს ამისთანა შემძლებლობა ბეჭდვის სხივმოსილ თავისუფლებისა რედაქციამ იმაზე უნდა ჩამოახდინოს, რომ კაცმა კაცი უთავბოლოდ გაჰპენტოს, კაცმა კაცს უთავბოლოდ სახელი შეულახოს, ნამუსის ქუდი მოჰხადოს და ლაფში გადაუგდოს, რედაქციის კალამი ნიჩაბი ხომ არ არის, რომ აიღოს და ვინც არ ესიამოვნება, ლაფი და ტალახი შეასხას ან თავისის, ან სხვისა ხელით". *("ნუთუ". 1905 წ.).*

- "მეც დიდი პატივისმცემელი ვარ პრესისა და ერთ დროს, ვიდრე ჯანმრთელობა არ შემერყა და ნებას მაძლევდა, მეც ერთი ჩანჩალა ვიყავი მისი, მაგრამ იმისთანა პატივისმცემელი კი არას დროს არ ვყოფილვარ და არცა ვარ, რომ ყოველ წარამარად ბღაჯვნას პრესის წმინდა სახელი ვუწოდო, ან პრესის ყოველი საქციელი ვაქო და ვადიდო ბრმად და განუსჯელად". *("ნუთუ". 1905 წ.).*

- "ბრმად თაყვანისცემა რისიმე, თუ ვისიმე, კერპთმსახურებაა და ყოველს მონობაზე უარესი და უკადრისი მონობაა".

- "პრესას, რომლის სამფლობელო მართალი და ჭეშმარიტებაა და რომელიც მარტო ამ ორთა წიაღში უნდა ატრიალებდეს და ამოქმედებდეს უკეთესთა ადამიანთა ჭკუაგონებას და უმაღლეს სულთა-სწრაფვას კაცობრიობისას გზას უკაფავდეს, განა ეპატიება უსამართლოდ გაბიაბრუება ადამიანისა მარტო იმ საზრისით, რომ, თუ აქ კაცი კაცს უსაფუძვლოდ ერჩის, იმედია, გაბიაბრუებული უსაბუთობას რჩოლისას დაგვიმტკიცებსო". *("ნუთუ". 1905 წ.)*

- "პრესისთვის ჭეშმარიტი თავისუფლება მიჯნების განზე გადგმა კი არ არის ბოროტისა, არამედ მისი შეზღუდვა და შეხუთვა. დიდი მოვალეობა პრესისა, მისი ღვაწლი, გლეხისა და თავად-აზნაურის, ან მდიდრისა და ღარიბის ერთმანეთზე მისევა კი არ არის, შუაკაცობაა, შუა ჩადგომაა მათ შორის, მშვიდობიანობის ჩამოგდებაა, მოსარიგელის მორიგებაა, შესარიგებელის შერიგებაა იმისდა მიხედვით, _ ვის რა ზნეობრივი და მოქალაქეობრივი, ან ეროობრივი სამართალი მიუძღვის ერთმანეთის წინაშე. ამას ითხოვს ადამიანობა, კაცური კაცობა და ერთობ იგი ჭეშმარიტი სიყვარული ადამიანისა, რომელიც, როგორც მზე, ყველას ერთად ანათებს, ყველას ერთად ათბობს და ყველას გამოუკლებლივ აწვდის ძალსა ცხოველმყოფლობისას, სიცოცხლის დაბადებისას, სიცოცხლის ზრდისას". *("ნუთუ". 1905 წ.).*

- "აფსუს, სამართლიანად თავმოწონებულო პრესავ, რომ შენი დიდებული სარბიელი მყრალ გუბედ გაუხდიათ და, საცა პატიოსანი ჭკუა და წმინდა გული

უნდა ხელმწიფებდეს, ჭიაღუა ბეზღობისა ჰჭყუმპალაობს და თვის ბუდეს იკეთებს". *("ნუთუ". 1905 წ.).*

- "მე სხვა გზას უნდა დავადგე, სხვა მიმართულება უნდა დავამყარო, სხვა საფუძველი უნდა დავუდვა ჩვენს ცხოვრებასა და სხვა აზრი უნდა ვიქადაგო. განცალკევებას ამ შემთხვევაში სხვა მიზეზი არ უნდა ჰქონდეს, ნამეტნავად ჩვენში, საცა ჟურნალი და გაზეთი, ხარჯისა და გარჯის მეტს, არაფერს გამორჩომას არა უქადის მწერალსა." *("შინაური მიმოხილვა". 1881 წ. სექტემბერი).*

- "ჟურნალ-გაზეთობა არის ერთგვარი ნაწილი მწიგნობრობისა. როგორც მთელს მწიგნობრობას, როგორც ყოველს გონებისა ძალას ადამიანისას და მის ნამოქმედარს, ისე ჟურნალ-გაზეთობას საგნად ადამიანის ცხოვრება აქვს. ცხოვრება დაუდგრომელს დუღილშია, ფეხ-შეუფერხებელს მოძრაობაშია. იგი თვის დუღილში, თვის მიმდინარეობაში ბევრს რთულს საქმეს და საგანს წამოგვიყენებს ხოლმე თვალწინ. ამ საქმესა და საგანს გარჩევა, ახსნა და თავისი ადგილის გაზომვა. ადამიანის გონებითი ძალა, რომელიც დღე მუდამ უნდა დასტრიალებდეს ცხოვრებას, ორ-გვარად შეეხება ამ ცხოვრებისაგან აღმოჩენილს საქმესა და საგანსა. პირველი, - როგორც მასალას, რომლიდამაც მეცნიერებითსა ძალას ადამიანისას გამოჰყავს დედა-აზრნი ისევ ცხოვრებაში უნდა გადმოვიდნენ. უამისოდ მეცნიერება უხმარი განძია, უქმი ჭკუის უქმი ვარჯიშობაა. მეორე, როგორც წილადებს, რომელთაგანაც შემდგარია დღევანდელი დღე, მის შინაგან-გარეგანი, ერთის სიტყვით – ის ჰაერი, რომლითაც დღეს ვსუნთქავთ, ვცხოვრობთ და ვაი-ვვაგლახობთ, ჩვენ და თქვენ, მკითხველო. რა ღონისძიებაა იმისთანა, რომ დღე-მუდამ ის ცხოვრებისაგან მოგროვილი მასალა მეცნიერებას უზიდოს და მეცნიერებიდამ დედა-აზრნი გადმოიტანოს ცხოვრებაში? მეორეს მხრით, რა საშუალებაა იმისთანა, რომ დღე-მუდამის ცხოვრების ავ-კარგიანობა, ვითარება გადიხატოს, გადისახოს? მწიგნობრობა ერთობ და ჟურნალ-გაზეთობა საკუთრივ". ("ივერიის წინასიტყვაობა" (1). 1877 წ.)

- "როგორც აზრისა და ცოდნის გამავრცელებელი, ჟურნალ-გაზეთობა წარმოადგენს ერთს უდიდეს სასწავლებელს, რომლის მეოხებითაც უნდა აღორძინდეს, აღიზარდოს დაფუძნდეს და გამშვენიერდეს საზოგადოების აზრი და რწმენა, გრძნობა და გემოვნება. როგორც ცხოვრების სარკე, ჟურნალ-გაზეთობა წარმოადგენს მას, რაშიაც უნდა იხატებოდეს თვით საზოგადოების აზრი, გრძნობა, სურვილი ცხოვრების სხვადასხვა საგანთა თაობაზედ. რამოდენადაც იგი საზომია ცხოვრების მოთხოვნილებისა და საჭიროებისა, იმოდენად იგი საშუალებაა, რომლის ძალითაც თვით საზოგადოება თვისის ცხოვრების სადავეს ხელთ იპყრობს და ცხოვრების თვითრჯულს დენას საკუთარს თაოსნობას უმორჩილებს".

"ამ ორ-გვარს დანიშნულებას ჟურნალ-გაზეთობისას ერთი და იგივე ფერი არ ადევს სხვადასხვა საზოგადოებაში, და ერთსა და იმავე საზოგადოებაში სხვადასხვა ისტორიულს დროს. არის დრო და საზოგადოება, საცა ჟურნალ-გაზეთობა, განსაკუთრებით თუ არა, უმთავრესად მაინც მარტო მას მისდევს, რომ აღზარდოს საზოგადოების ჭკუა და გონება, გაუწმინდოს აზრი და გრძნობა, ააღორძინოს საზოგადოების თვითმოქმედებითი ძალი და ხალისი თვითცნობისა. არის დრო და საზოგადოება, სადაც ჟურნალ-გაზეთობა და ცხოვრება და-ძმასავით ხელი-ხელს გაყრილნი მიდიან, ჟურნალ გაზეთობა წინ მიუძღვის ცხოვრებასა და გზას უნათებს, და ცხოვრება კიდევ მწიგნობრობის მოედანსა თავისის უკეთესის ყვავილითა ჰფენს.

არის კიდევ დრო და საზოგადოებაო, გეტყვი მკითხველო, საცა ჟურნალ-გაზეთობა ერთმანეთის ლანძღვა და თრევაა. ეგეც არის ჩვენდა საუბედუროდ, მაგრამ რა ვუყოთ, საცა წვრილია, იქ წყდება ხოლმე. ეს ვეება ტანი ადამიანის ცხოვრებისა ისე როგორ გადარჩება, რომ დროთა ბრუნვამ სადმე მუწუკი და იარა არ აუჩინოს." *("ევერიის წინასიტყვაობა". I. 1877 წ.)*

- "ჟინს ყველა კაცი ვერ დაიმორჩილებს ხოლმე. რედაქცია-კი, როგორც კრებული მოღვაწეთა, ამისთანაებში უნდა ჰფრთხილობდეს, რადგანაც ეს ერთი იმისთანა საგანია, რომლის გამოც ნათქვამი სიტყვა მიმართულების მანიშნებელია." *("გაბრიელ სუნდუკიანცის „ჰეპო" და სომხის ლიტერატორები". 1889 წ.).*

- "...სჩანს თითონ ჟურნალსა არა ჰქონია იმოდენა ღონე და მიხვედრა, რომ მიეგნო, რა უჭირს საზოგადოებასა, ცხოვრებასა, რომ იმას უშველოს; ან მიუგნია და ვეღარ შეჰსძლებია შველა; ან კიდევ ცხოვრებას არ მოუთხოვნია და ის კი ადრეულად გამოსულა ცხოვრების საშველად. ამას გარდა კიდევ არის სხვა მიზეზიც, რის გამოც ჟურნალი არ მოეწონება ხოლმე ხალხსა. ეგ იმისთანა ჟურნალია, რომელიც დაგვიანებულა და უკან დარჩომია ცხოვრებასა: ცხოვრება წინ წასულა და ის კი უკან მოჰსჩანჩალებს, როგორც ფეხმოტეხილი ცხვარი თავის ფარასა. თავის ჩანჩალაში ის კოჭლი ჟურნალი არამც თუ არჩევს და ხსნის, რაც თვალწინ უტრიალებს საზოგადოობასა, არამედ თავმოწონებით ჰკრეფს. რაც თვით საზოგადოობას თავის განვითარების გზაზედ გადუყრია, როგორც უვარგისი და გამოუსადეგი."

"მეტი არ იქნება ვსთქვათ რამე იმ ზოგიერთ პირზედ, რომელსაც თავის უმეცრებით არ ესმით, რომ განხილვა რისამე შეიძლება არ წარმოდგეს არც მტრობითა და არც შურითა. ჩვენ არ ვამტყუნებთ იმ პირთა, რომ ეგრე არ ესმის საქმე. ჩვენმა ცხოვრებამ დააჩვია ქართველი კაცი შურსა და მტრობას. მაგ ორ დასაღუპავ თვისებათაგან ყოველ ქართველის გული შეგინებულია ასე, რომ სიკეთე რო გინდოდეს კაცისა, მაშინაც არ გენდობა, თითქო შიშობსო, რომ ეგ სიკეთე ჩემი დასაღუპავი საფრთხე არ იყოსო. ქართველს თითქოს ყოველი კაცი გველი ჰგონია, რომელიც ჯერ გულში ჩაეკვრება, რომ ბოლოს დრო ოხელთოს და დაშხამოს. ჩვენ არ ვამტყუნებთ იმისთანა პირს, - ყველგან ჩვენ გარეშემო იგი ხედავს მხოლოდ მტრობას, შურსა, ღალატობასა, მოდი აქ და ნუ შეგიშინდება გული; ჩვენ მხოლოდ გვებრალება იგი, რომ ამაობაში ისე გაბეცებულა, რომ იქაც შიშობს, სადაც შიში არ არის; იქა ხედავს შურსა და მტრობას, სადაც გულწრფელი შენიშვნა არის სიკეთისაც და სიცუდისაც". *(ცისკარი" 1857 წლიდან – 1862 წლამდინ". 1862 წ.).*

- "ის სტატია არის კარგი, რომელშიაცა ძევს რომელიმე აზრი, აქვს რამე საგანი, თუ ესეც არ არის, სულ უკანასკნელი ერთი ის ღირსება მაინც უნდა ჰქონდეს, რომა კარგად იყოს მოწყობილი და სასიამოვნო ენა ჰქონდეს, ლაპარაკი იყოს კარგად მოხერხებული, შნოიანად."

"ყველა თავისებურათა სჯის, ჩემო სფირიდონ, როგორ უნდა დააკმაყოფილოს კაცმა ყველანი? ერთს მოსწონს, მეორეს არ მოსწონს: ზოგი უწინდელ დროებას ემდურება, ზოგი ახლანდელსა, ვინ იცის, რას ლაპარაკობენ და რას არა. შენ აგრე ამბობ მაგ სტატიაზედა და აბა ახლა სხვასა ჰკითხე, რა ქება გითხრას! ერთის სიტყვით, თქვენსას კაცი ვერაფერს გაიგებს.

– ეს უეჭველად ასე უნდა იყვეს, რომ ყველამ თავისებურად უნდა განსაჯოს საგანი, ე. ი. ისე, როგორც ესმის, უნდა წარმოჰსთქვას აზრი. ეს კია, რომ კაცს

ყოველთვის ეყოლება შემმოწმებელი: ისე უთქვამს ის აზრი, როგორც უნდა თქმულიყო, თუ არა; და ის აზრი უთქვამს, რაც შეჰფერის საგანს, თუ შემცდარა."

"ჩვენ ვიცით, რომ რაც კი რამ არის დაარსებული ქვეყანაზედ, ყოველისფერს აქვს თავისი კანონი და მიზეზი; უკანონოდ და უმიზეზოდ არაფერი არც გაჩენილა და არც გაჩნდება. ჩვენი აზრიც მაგ კანონების და მიზეზების ცნობიდამ შედგება. მაგ კანონების და მიზეზების ცნობაზედ ტრიალებს მეცნიერებაცა. სწავლა და განათლება. აი, ადამიდამ დღევანდლამდე კაცი სულ მაგათ გამოკვლევის ცდაში ატარებს დღესა და რაც დღევანდლამდე გამოუკვლევია, ის, ერთად შეგროვილი და რიგზედ დაწყობილი, კაცობრიობის ცოდნას შეადგენს. ჩვენი ცდა რაში უნდა მდგომარეობდეს? იმაში, რომ, რაც ჩვენ წინაპართ გამოუკვლევიათ, უცვნიათ, შეუტყვიათ, ის უნდა ვიცოდეთ, ის უნდა შევიტყოთ, ე. ი. უნდა ვისწავლოთ ის, რაც იმათ კანონები აღმოუჩენიათ, ის, რაც იმათ მიზეზები აუხსნიათ, რომ წმინდა, ნამდვილი საგნის მსჯელობა გვქონდეს. ჩვენი ჟურნალების მოვალეობა ის გახლავთ, რომ ის ახსნილი და გამოკვლეული კანონები და მიზეზნი გვაცნობონ ჩვენ, რომ ჩვენც გაგვეხსნას გონება, ჩვენც დავინახოთ რამე, თორემ ეს "მილორდიანიო", ეს "მხეცური შურისგება" ჩვენს გონებას არც ერთს ცოცხალს აზრს, არც ერთს ჭეშმარიტებას არ შემატებს. უნდა გვიშველონ შევიტყოთ ის, რაც ჩვენამდინა ყოფილა, ის, რაც აღმოუჩენიათ. რაკი გვეცოდინება, მაშინ ჩვენ თითონ უნდა შეუდგეთ იმის აღმოჩენას, იმის ახსნას, რის ახსნაც იმათ ვერ მოუსწვრიათ. ეს ჩვენი ვალდებულება გახლავსთ ჩვენი შთამომავლობის წინაშე." *("სფირიდონისა და თადეოზის ბაასი". 1863 წ.).*

რ

„**რა** ცარიელია ეს სავსე ქვეყანა უადამიანოდ!.. არა, წარიღეთ ეს ბნელი და მშვიდობიანი ღამე თავის ძილითა და სიზმრებითა და მომეცით მე ნათელი და მოუსვენარი დღე თავის ტანჯვითა, წვალიბითა, ბრძოლითა და ვაი-ვაგლახითა!" *("მგზავრის წერილები". 1861 წ.).*

„**რა** მშვენიერი რამა ხარ, დილის რიჟრაჟო! რა მშვენიერი რამა ხარ, დილის ცვრით პირდაბანილო ქვეყანავ! მე მგონია, რომ ამ დილას ყოველი ტკივილი ქვეყნისა უნდა დაყუჩებულიყოს, მაგრამ თერგი მაინც ჰბღავის და იბრძვის. სჩანს, ქვეყნის ტკივლი დაუყუჩავია." *("მგზავრის წერილები". 1861 წ.).*

"**რა** იმისთანა დანაშაულობაა, რომ კაცმა თავისი ძმა, ტყვედქმნილი, ძალით წართმეული, მოტაცებული, სულის ამოხდომამდე მიღწეული, _ იძიოს, რომ ისევ თავისთან იყოლიოს, შეივრდომოს, შეიერთოს, ძმას ძმურად მიეშველოს, შეეწიოს. გრძნობა ადამიანობისა, ქრისტიანობისა, მაღალზნეობისა _ სხვა რა არის, თუ არ გულისტკივილი ყველასათვის საერთოდ და ძმათათვის განსაკუთრებით. აი ეს, სწორედ ეს გრძნობაა ის ღონე უღონოსი, ის შემძლებელობა შეუძლებელისა, რომელიც სასწაულს აქმნევინებს ხოლმე ადამიანს და რომლის საოცარი მაგალითები

ძლევამოსილობისა არა ერთი და ორია ისტორიაში." *("კრიტის ახალი აშლილობა და ოსმალეთის საკითხი". 1897 წ. 10 თებერვალი).*

"**რაკი** საჯარო ვაჭრობაა რისამე, უსათუოდ ორი ერთმანეთის მოცილე მხარე უნდა დაესწროს. უამისოდ, ესე იგი, თუ მარტო ერთი მხარეა და სხვა მოცილე არ არის, საჯარო ვაჭრობა არ შეიძლება მოხდეს" *("ავლაბრელების საქმე". 1887 წ.).*

"**რაკი** კაცს ჭკუა და გონება გამოეცლება, ის მკვდარია საქმისათვის, მოქმედებისათვის." *("აკაკი წერეთელი და "ვეფხისტყაოსანი". 1887 წ.).*

"**რაკი** ნიაღვარი მოსკდება და მოვარდება, მართალი და მტყუანი თან მიაქვს". *("ნუთუ". 1905 წ.).*

"**რაკი** ბუნება, გუნება და ღირსება ერთი და იგივეა, აქ სახელი და გვარი ბევრს თაბაუთს ვერ შეადგენს, _ გინდ ზოილს ზოილი ვანუოვი დაარქვით, გინდ პარუნ ვანუას _ ვანუა ზოილოვი. საქმე ის არის, რომ არც გავანუებით ზოილს მოემატება და დააკლდება რამ, არც გაზოილებით პარუნ ვანუასა. ეგ ორნივ, როგორცა ვსთქვით, ორი ტყუპი, ნახევარია ერთის ყოფილის სულიერისა და ერთის სახელი მეორეზეა ზედ გამოჭრილი და მეორისა ერთისაზე. თუ დღეს ერთი-ერთმანეთს ჩაჰგრეხიან უსურვაზის წნელივითა და ერთმანეთს ზურგზედ აჰკიდებიან, რათ უნდა გვიკვირდეს? განა ახალი ამბავია, "მკვდარი მკვდარს აეკიდოს, საფლავამდე წამიღეო." *("ამბავი ყბად-ასაღები და წყალ-წასაღები". 1889 წ.).*

"**რამდენადაც** თვითოეული ადამიანი მონაწილეა საზოგადოების საქმეებისა, რამოდენადაც იგი, ავად თუ კარგად, მომქმედი და მოღვაწეა ამ გვარს ბინაობაში, იმოდენად იგი განსასჯელია და განსაკითხავი საყოველთაოდ და საქვეყნოდ. ამის გარე ადამიანი ხელშეუხებელია და მისი მოქმედება და საქმე საკუთარი, მისი განსაკითხავი საგანია და არა ლიტერატურისა, რომელიც მარტო საზოგადოების შესახებთა საქმეთა მეთვალყურეა და გამკითხავი" *("შინაურ საქმეთა გამო". 21 იანვარი, 1886 წ.).*

"**რას** იბუზები ახლად მოყვანილ პატარძალსავით. ფეხი გადმოდგი, ნუ გეშინიან, არ შეგჭამ." (*"ოთარაანთ ქვრივი". [1886] – 6 ქრისტეშობისთთვეს 1887 წელსა).*

"**რას** იტყვით ამაზე, ჩვენო ინტელიგენციავ? ვერც ეხლა მიხვდებით, რა კაცი ყოფილა ეს ყოვლად უმეცარი, ქარაფშუტა, ორთავა და ორპირა პროგრესისტი, ეს ვითომდა ახალ მოძღვრების მღაღადებელი!" *("ქარაფშუტობა, ორთავიანობა და ორპირობა უმეცარისა". 1900 წ.).*

"**რასაც** კაცი თავისს-თავს უზამს, იმას მტერიც არ უზამსო, ნათქვამია". *("ისევ და ისევ ბ-ნ ჟორდანიას უმეცრობანი _ და მისი წაჯეგ-უკუჯეგობანი". 1900 წ.).*

"**რასაც** არა ეშველება-რა, კაცი არ უნდა აეთრევინოსო! *("ოთარაანთ ქვრივი". [1886] – 6 ქრისტეშობისთთვეს 1887 წელსა).*

"**რასაცა** გასცემ შენია, რაც არა _ დაკარგულია." *("გლახის ნაამბობი". 1859, 1862-1873 წწ.).*

"**რაღა** კაცი ვიქნები, რომ შენისთანაებს ყურზედ ხელი არ მოვკიდო, წყალზედ არ ჩავიყვანო და წყალდაულეველი უკანვე არ წამოვიყვანო." ("*მაჭანკალი". 1881 წ., 31 მაისამდე).*

"**რაღა** საჭირონი იქნებიან ექიმები, თუ ავადმყოფებს არ უწამლებენ იმის შიშითა, რომ წამლებითY უფრო ცუდად არ შეიქმნენ ავადმყოფებიო?" *("სფირიდონის და თადეოზის ბაასი". 1861 წ.).*

"**რაც** შენთვის ადრეა, ის ჩვენთვის ადრე არ არის" *("გლახის ნაამბობი". 1859/1862 – 1873 წ.)*

"**რაც** კარგია, იქ დიდ-პატარაობა მოსატანი, სახსენებელი არ არის. რაც კარგია — თავისთავად დიდია. ჰხედავ, უსწავლელი კაცია. მაგისი ნამუსი ჭკუით კი არ არის

ახილებული, გულით გამოკვებილია, მარტო გულით. ეს დიდი საქმეა ჩემის ფიქრით, იმიტომ, რომ მაგისთანა ნამუსი მთელის გვამის, მთელის აგებულების წყურვილია, როგორც სითბო სიცივეში, როგორც სიგრილე სიცხე-პაპანაქებაში, როგორც პური შიმშილში. მინამ ჭკუა იტყვის, ჭკუა ურჩევს, გულმა იცის, რა ჰქმნას." *("ოთარაანთ ქვრივი". 1887 წ.).*

"**რაც** უკვე დარგულია და ჰხარობს, ფეხით ნუღარა დასთრგუნავ, ეცადე გაიზარდოსო". *("ქვათა ღაღადი". 1899 წ.).*

"**რაც** მელას აგონდება, ის ეზმანებაო". *("ნუთუ". 1905 წ.).*

"**რაც** მამა-პაპას უქნია, ის ჩვენ უნდა ვქნათო, _ ეგ ჩინეთის ფილოსოფია არის; თუ მაგას მივყევით, ჩვენც ჩინებსავით შევსდგებით ერთ ალაგზედ და წინ ფეხს ვეღარ წავსდგამთ." *("ორიოდე სიტყვა თავად რევაზ შალვას ძის ერისთავის კაზლოვის მიერ "შეშლილი"-ს თარგმანზედა". 1860 წ. 5 ნოემბერი).*

"**რაც** ძნელი საშოვარია, ის ძვირიც არისო." ("*კაკო". 1859 წ.).*

"**რაც** კაცს უფრო საკეთილოდ მიაჩნია, უფრო საუმჯობესოდ, უფრო სამართლიანად, მას უნდა მთელის თავისის მხნეობით და ღონით შეეწიოს იმისდა მიუხედავად, ეწყინება ვისმე, თუ არა. იქ წყენა რას მიქვიან, საცა ჩემი რწმენა, ჩემი ადამიანობა მიწევს სამოქმედოდ და ქვეყნის საკეთილდღეოდ. იქ მამულის-შვილობის ვალი ითხოვს, რომ არაფერს მოვერიდო და ცხარედ ჩავკიდო ხელი მას, რაც ჩემმა კაცობამ, ჩემმა რწმენამ, ჩემმა სინდისმა წინ დამისვა ნიშნად. ამას ითხოვს მოქალაქეობრივი გულადობა, ვაჟკაცობა და ქველობა." *("შინაური მიმოხილვა". 1882 წ. ივნისი).*

"**რაც** მუქთია, იმას კბილს ბევრი არავინ უსინჯავს". *("შინაურ საქმეთა გამო". 25 იანვარი, 1886 წ.).*

"**რაც** უნდა ზიზილ-პიპილებით მოირთოს როშვა მაინც როშვაა" *("გაზეთი "კავკაზი" და ქართველი ხალხი". 1887 წ.).*

"**რეგვენი** საქმეს წაახდენს, ფათერაკსს დააბრალებსო, ნათქვამია". *(ცისკარი" 1857 წლიდან – 1862 წლამდინა". 1862 წ.).*

რევოლუცია და ხალხი: - "სიტყვამ "რევოლუციამ" არ შეგაშინოს, მკითხველო! რევოლუცია იმისთვის არის გაჩენილი, რომ მშვიდობიანობა მოაქვს. ღვინო ჯერ უნდა ადუღდეს, აირიოს-დაირიოს და მერე დაწმნდება ხოლმე. ესეა ყველაფერი ამ ქვეყანაზედ." *("მგზავრის წერილები". 1861 წ.).*

- "სახელოვანი ინგლისის მეცნიერის _ დარვინის მიერ ეჭვგარეთ დაყენებული კანონი, რომელსაც "ბრძოლას არსებობისათვის" ეძახიან, სათავეა ყოველის მოძრაობისა, რასაც-კი დღეს ჩვენის თვალითა ვხედავთ სახელმწიფოთა შორის." *("ევროპა 1886 წელს". 1886 წ.).*

- "ინგლისმა მაინც იმოდენა დიდი ლუკმა მოიგდო ხელში, რომ ზღვათა მფლობელად დღესაც სამართლიანად იწოდება." *("ევროპა 1886 წელს". 1886 წ.).*

- "არა ნაკლები ტკივილი ინგლისისა _ მუშახელის აღრევა არის. ეს ასეთი წყლულია, რომ შეიძლება ადამიანი თან გადაიტანოს. თუ იქ, საცა იმოდენა კანონიერი გზა აქვს ყველას თავისი ტკივილი სხვას გააგებინოს, მკურნალთა თვალი და ყურადღება მოიზიდოს და წამალი რამ მოაძებნინოს, თუ იქ, საცა გრძნობა კანონიერობისა, წესიერებისა ყველას სულსა და გულში გამჯდარი აქვს, მუშახალხი აიშალა და ძარცვა-გლეჯა დაიწყო, ჰსჩანს, სატკივარი დიდია და ღრმად განძირული აგებულებაში. ინგლისში ამისთანა ამბავი წუთიერს აფეთქებას ვერ მიეწერება: იქაური ხალხი, დიდი თუ პატარა, არამცთუ პატივისმცემელია, არამედ თაყვანისმცემელია კანონისა და წესისა. იქ, თუ არ დიდი მიზეზი, ვერაფერი სხვა ვერ

გამოიწვევდა ამ დიდს უწესობას. ამითი არის საშიში და გასაფრთხილებელი ეს საქმე. ეს ასეთი საქმეა, რომ მარტო დასაცხრომელი და დამაამებელი მალამო ვერას არგებს, როგორც მაგალითებრ ის ოცი ათასი თუმანი, რომელიც უსაქმოდ დარჩომილთა მუშათათვის ლონდონის ლორდ-მერმა მოაგროვა. ამ საშინელს მიზეზს ძირიანად უნდა აგებულებიდამ ამოჭრა. ეს საშინელი სატკივარი თუმცა კარგახანია ინგლისის აგებულებაში ჰბუდობს, მაგრამ დღეს ისე გამწვავდა, რომ გლადსტონმა და მისმა სამინისტრომ მთელი თავისი დრო და მეცადინეობა ზედ უნდა შეალიოს. თუ მალე არ უპატრონეს და წამალი არ უპოვეს, ინგლისი სხვა საქმეთათვის ბევრს ვეღარ მოიცლის, ევროპის საქმეებს ისე გულდადებით ვეღარ მოჰკიდებს ხელსა, და გამსჭვალული ამ დიდი სენითა შინ, გარეთ საკმაოს ღონით ვეღარ გამოვა და ვეღარ იმოქმედებს. ეს ამბავი ყველაზედ მეტად ბისმარკს უნდა ჰფხანდეს გულს, რადგანაც ამბობენ, რომ ამ ბოლოს ხანებში ბისმარკს სულ ერთი საზარელი ლანდი ელანდებაო: ინგლისმა, საფრანგეთმა და რუსეთმა ერთმანეთს ხელი არ მიჰსცენო. ჩვენ ბოლოს, როცა ყოველს დიდს სახელმწიფოს ამრიგად ჩამოვუვლით, შევიტყობთ, _ თუ რამოდენად საბუთიანია და მოსალოდნელი ამისთანა თვალად დაუჯერებელი ზავი, რომელიც დღეს ბისმარკს ძილს უფრთხობს." *("ევროპა 1886 წელს". 1886 წ.).*

- "ავსტრიას ბედმა არგუნა და შინაურ საქმედ გაუხადა ერთი რთული, მძიმე და მეტად შესანიშნავი საქმე. ეგ საქმე სხვადასხვა გვარტომობის ერის მოთავსებაა ერთსა და იმავე სახელმწიფოში ისე, რომ არც გვარტომობას ევნოს რამე და არც სახელმწიფოს ერთიანობასა." *("ევროპა 1886 წელს". 1886 წ.).*

- "ეს უნუგეშოდ დარჩენილი მშრომელი და გამრჯელი ხალხი გულმოდგინე მომხრეა რესპუბლიკისა, მაგრამ ამასთან გულნატკენიცა, რომ ამ რესპუბლიკამ არ გაუმართლა იმედები. ამათის ფიქრით, პირველი და უაღრესი საგანი რესპუბლიკის მმართველობისა უნდა ყოფილიყო კეთილდღეობა ერისა, უნდა მშრომელისათვის საშრომი გაეჩინა და ამით მუშაკაცისათვის სახსარი მიეცა _ ჯეროვანი გასამრჯელო მიეღო, რომ ადამიანურად ეცხოვრა; თითონ რესპუბლიკას უნდა გაეჩინა ფაბრიკები და ქარხნები ან სხვა რაიმე საქმე, რომ მოჭარბებულ რიცხვს მუშაკაცისას სამუშაო ჰქონოდა, კარგად მოეწყო იქ მუშაკაცის ბედი, რომ სხვებისათვის მაგალითი ყოფილიყო; უნდა სამუშაო დღე შეემოკლებინა და გაეჩინა რაზედ ნაკლებ არ უნდა მისცემოდა ფასი მუშაობისა, მოხუცნი, დაშავებულნი, საპყარნი, ქვრივ-ობოლნი შეევრდომა, და მუშაკაცის მოზარდის თაობისათვის კარი გაეხსნა სწავლისა, გონების გახსნისა და რაიმე ხელობის ცოდნისა." *("პრეზიდენტისა და მთავრობის შეცვლა საფრანგეთში და მისი საზოგადოებრივი მიზეზები". 1895 წ. 13 იანვარი).*

- "ეს თითქმის დიდსა და პატარას ენაზე აკერია დღეს საფრანგეთში, მაგრამ ამას ეურჩება დიდი უმრავლესობა ბურჟუაზიისა, რომლის ხელიდამ დღეს-აქამომდე მმართველობა საფრანგეთისა ვერ გამოსულა, და რომელსაც მუშაკაცის ყელის საბელისა ხელიდამ გაშვება ზარალის მომასწავებლად მიაჩნია." *("პრეზიდენტისა და მთავრობის შეცვლა საფრანგეთში და მისი საზოგადოებრივი მიზეზები". 1895 წ. 13 იანვარი).*

- "ბურჟუაზია, როგორც შემძლებელი ნაწილი ერისა, დიდძალოვანია არჩევნებში. რესპუბლიკის დაარსების დღიდამ დღევანდლამდე არც ერთი არჩევანი პარლამენტის დეპუტატებისა ისე არ გათავებულა, რომ უფროს-ერთობა ბურჟუაზიას არ დარჩენოდა პარლამენტსა და სენატში." *("პრეზიდენტისა და მთავრობის შეცვლა საფრანგეთში და მისი საზოგადოებრივი მიზეზები". 1895 წ. 13 იანვარი).*

- “რადგანაც პარლამენტის უფროს-ერთობის დაგვარად შესდგება ხოლმე ჩვეულებისამებრ სამინისტრო, _ ადვილად მისახვედრია, რად მოხდება ხოლმე ისე, რომ მმართველობას საფრანგეთისას ყოველთვის ბურჟუაზიის მომხრეობა ეტყობა და ეკონომიური ცვლილება მუშაკაცთა სასარგებლოდ ბრკოლდება.” *(“პრეზიდენტისა და მთავრობის შეცვლა საფრანგეთში და მისი საზოგადოებრივი მიზეზები”. 1895 წ. 13 იანვარი).*

- “პარლამენტი, უფროს-ერთად ბურჟუაზიისაგან შემდგარი, ჰშველის ხოლმე თავისს მომხრე სამინისტროს, მაგრამ როცა ჰხედავს, რომ საჭიროება ერისა ხმამაღლა ჰღაღადებს, და ამ ღაღადებას შიში მოსდევს, _ მაშინ იძულებულ ჰხდის სამინისტრო გადასდგეს და სხვა კაცებს დაუთმოს მმართველობა ქვეყნისა. რასაკვირველია, ისევ უფრო ბურჟუაზიის მომხრენი არიან ხოლმე ამ შემთხვევაშიც, მაგრამ, რაც უნდა იყოს, ცვლა კაცებისა ცოტა ხნობით მაინც დააამებს ხოლმე ტკივილს ერისას იმ იმედით, რომ იქნება ახალ კაცთ ახალი რამ მოგვიტანონო. ამ ცდასა და ლოდინში ცოტა თუ ბევრი დრო გადის, და ისევ ხელახლად ჰღაღადებს, ამ ღაღადს მოჰყვება ხოლმე ისევ ის ცვლა მინისტრებისა, ისევ ის იმედების გამტყუნება, ისევ ის ღაღადი, ჩივილი და ტკივილი.” *(“პრეზიდენტისა და მთავრობის შეცვლა საფრანგეთში და მისი საზოგადოებრივი მიზეზები”. 1895 წ. 13 იანვარი).*

- “ცვლა მინისტრებისა არ მოასწავებს ხოლმე ცვლას სამმართველო სისტემისას, როგორც, მაგალითებრ, ინგლისში, და თითქმის წარმოადგენს ხოლმე საქმის გადადებას შემდეგისათვის.” *(“პრეზიდენტისა და მთავრობის შეცვლა საფრანგეთში და მისი საზოგადოებრივი მიზეზები”. 1895 წ. 13 იანვარი).*

- “თუ საფრანგეთის სამინისტრო და რესპუბლიკის პრეზიდენტი გულახდილად და მედგრად არ დაადგა ეკონომიურ ცვლილებათა გზას და ამ მხრით გამწვავებული ტკივილი საფრანგეთისა არ განჰკურნა, იგი დიდ ხანს თავს ვერ დაიჭერს და მისი ბედი და ხანგრძლივობა ყოველთვის ბეწვზე ეკიდება.” *(“პრეზიდენტისა და მთავრობის შეცვლა საფრანგეთში და მისი საზოგადოებრივი მიზეზები”. 1895 წ. 13 იანვარი).*

- “ესეც-კი საფიქრებელია, რომ ვაი თუ ძაფი მოთმინებისა გაუწყდეს თითონ ერსა და ერთი ასეთი ალიაქოთი ასტეხოს, რომ თავ-ბედისა ვეღარა გაიგონ-რა.” *(“პრეზიდენტისა და მთავრობის შეცვლა საფრანგეთში და მისი საზოგადოებრივი მიზეზები”. 1895 წ. 13 იანვარი).*

- “პარლამენტი და სენატი დღეს იმისთანა ელემენტებისაგან არის შემდგარი, რომ ვერსად წაუვა ორწყალ-შუა დგომას, გულით რომ ერთი უნდოდეს _ პირი მეორე მხრისაკენ უნდა ეჭიროს. დღევანდელს საბრძოლველს მოედანზე ცალმხრივ ბურჟუაზია სდგას, რომელსაც შესწევს დღევანდელი ეკონომიური წესწყობილება, _ და მეორეს მხრივ ამ წესწყობილების მომდურავნი და ეკონომიურ ცვლილებათა მომხრენი. პარლამენტი და სენატი ამათ შუა ჰტოკავს და ვერ გაუბედნია ან მთლად ერთისაკენ გაიწიოს, ან მეორისაკენ. პარლამენტის და სენატის სული და გული დღეს უფრო ბურჟუაზიისაკენ არის, მაგრამ ამასთან ისიც იციან, რომ ერის ცხოვრების ღაღადებასაც ანგარიში უნდა გაეწიოს. პირველნი გულით ვერ გაუმეტნიათ და მეორეს შიშით ყურს ვერ უყრუებენ.” *(“პრეზიდენტისა და მთავრობის შეცვლა საფრანგეთში და მისი საზოგადოებრივი მიზეზები”. 1895 წ. 17 იანვარი).*

- “თუ ვინიცობაა მანდ საგურამოში ჯარი მოვიდა, შენ თვითონ ჩადი და ვინც უფროსია ჩემმაგიერ სთხოვე, ხალხი არ დააწიოკონ, ჩვენ თვითონ მოვრიგდებითთქო. თუ მაინცა და მაინც თავისი არ დაიშალონ, მაშინ ფაეტონი

გამომიგზავნე, მე თვითონ ამოვალ და მე თვითონა ვთხოვ უფროსს, მანდ არა იმოქმედონ-რა და ხალხი ტყუილ უბრალოდ არ გააფუჭონ". *("წერილები მოსე მემარნიშვილისადმი". 1906 წ.).*

"**რეცენზია** თითქმის იგივე კრიტიკაა, ჩვენის ფიქრით. რეცენზიაში, როგორც კრიტიკაში გარჩევაა თხზულებისა, მისი დაფასება, მისი კარგი და ავი საბუთებით აღნიშნული უნდა იყოს. ცარიელი სიტყვები, მაგალითებრ კარგიც, ანუ ცუდია, ვერ მორევია ავტორი მასალას, თუ მორევია, მოძრაობა არ არის პრესაში, ანუ არის, და სხვანი ამისთანები ხომ უსაბუთო ფრაზებია და არა რეცენზია. რეცენზიას ბევრი რამ მოეთხოვება და იგი ბევრი რამ აკლია იმ მწერალს, რომელსაც "новое обозрение" რეცენზიას ეძახის" *("დასავლეთის ეტიკეტი". 1886 წ.).*

"**რითა** სწამლობთ კუტრობას მეც მასწავლეთ". *("წერილები ნინო ჭავჭავაძე-აფხაზისადმი", 1857 წ.).*

"**რიტორიკაში** სწერია: ყველაფერი შესავლით უნდა დაიწყოს კაცმაო"." (*"კაცია ადამიანი?!" 1858-63 წ.).*

"**რკინის** კაცის თვალში ცრემლი / დიდსულოვნობის შვილია." *("მეფე დიმიტრი თავდადებული". 1878 წ.).*

"**როგორ** შევეყრები მე ჩემს ქვეყანას და როგორ შემეყრება იგი მე, _ ვიფიქრე. რას ვეტყვი მე ჩემს ქვეყანას ახალს და რას მეტყვის იგი მე? ვინ იცის: იქნება მე ჩემმა ქვეყანამ ზურგი შემაქციოს, როგორც უცხო ნიადაგზედ გადარგულსა და აღზრდილსა? იქნება ზურგიც არ შემაქციოს, იქნება მიმითვისოს კიდეცა, რადგანაც ჩემში მაინცდამაინც ჩემის ქვეყნის დვრიტაა დადებული. მაგრამ მაშინ რა ვქმნა, რომ ჩემმა ქვეყანამ მამიყოლოს და მიამბოს თავის გულისტკივილი, თავისი გლოვის დაფარული მიზეზი, თავისი იმედი და უიმედობა, და მე კი, მის ენას გადაჩვეულმა, ვერ გავიგო მისი ენა, მისი სიტყვა? იქნება მიმიღოს კიდეც და, როგორც თავისი შვილი, გულზედ მიმიკრას და ხარბად დამიგდოს ყური, მაგრამ მე შევიძლებ კი, რომ მას ღვიძლი სიტყვა ვუთხრა და იმ სიტყვით გულისტკივილი მოვურჩინო, დავრდომილი აღვადგინო, უნუგეშოს ნუგეში მოვფინო, მტირალს ცრემლი მოვწმინდო, მუშაკს შრომა გავუადვილო; იმ სიტყვით ვასმინო, რომ არის მრავალი ქვეყნები, ჩვენზედ უფრო უბედურად გაჩენილნი, მაგრამ უფრო ბედნიერად მცხოვრებნი; და ის თვითოეული ნაპერწკალი, რომელიც არ შეიძლება რომ ყოველს კაცში არა ჟოლავდეს, ერთ დიდ ცეცხლად შევაგროვო ჩემის ქვეყნის გაციებულის გულის გასათბობლად." *("მგზავრის წერილები". 1861 წ.).*

"_ **როგორ** გგონია? წინდახედული მხილებაა, თუ წინდაუხედავი კადნიერება?

_ შენ მართალი ხარ, _ უპასუხა დამ რუსულადვე, _ ერთი ჭკუამ იცის და შესაწყნარებელია, მეორე ურცხვობამ და საწყენია. მე პირველი მგონია." (*"ოთარაანთ ქვრივი". [1886] – 6 ქრისტეშობისთთვეს 1887 წელსა).*

"**როგორც** გიჭირდეს, ისე გიღირდესო" _ ნათქვამია." *("კაცია ადამიანი?!" 1858-63 წ.).*

"**როგორც** ყმა ორ ბატონს, ისეც შვილი ორ მამას ვერ ემსახურება და არც გაგონილა." ("*დიამბეგობა". 1858 წლამდე).*

"**როგორც** მღვდელია, ისეთიც ერიაო, ამბობს ქართული ანდაზა." *("ორიოდე სიტყვა თავად რევაზ შალვას ძის ერისთავის კაზლოვის მიერ "შეშლილი"-ს თარგმანზედა". 1860 წ. 5 ნოემბერი).*

"**როგორც** გიჭირდეს, ისე გილხინდესო, ნათქვამია". *("კაცია – ადამიანი?! 1858-1863 წ.).*

"**როდემდის** უნდა ჩვენ არ ვსცნობდეთ სიცოცხლის ფასსა? როდემდის არ სცემთ ღვთიურს ნიჭსა ღირსსა თაყვანსა? მის ყოველ წუთსა სიფრთხილითა რატომ არ ვხარჯავთ და მის აქ ყოფნას ამოებად რისთვისა ვსახავთ" *("როდემდის". 1858 წ.).*

“**როცა** გიჭირს, ხერხიც მაშინ გეკარგება და ღონეცა.” *(“გლახის ნაამბობი”. 1859, 1862-1873 წწ.).*

“**როცა** ერთ-ერთს სახელმწიფოს მისი საკუთარი ტკივილი, დროთა ვითარებით, ძალიან მოაწვება გულზედ, მეტი რა გზაა, ხელი უნდა გაიქნიოს. ტკივილი, როგორც უკვე მოგახსენეთ, თვითოეულის მათგანს იმისთანა თვისებისა აქვს, რომ სამკურნალოდ კაცი ისე ვერ მიუდგება, თუ სხვასაც არა ატკინა-რა, და აბა ამ ყოფაში ერთიმეორეს ხელს რად გააქნევინებს, თუ კი მოცლილი იქნება. მაშინ, რა თქმა უნდა, სხვებს იმისთანა საქმე უნდა აუჩინოთ, რომ თავიდამ ფეხამდის შიგ გაებას და თქვენთვის აღარ მოიცალოს.” *(“საპოლიტიკო მიმოხილვა”. 1882 წ. იანვარი).*

“**როცა** უნდათ, მიზეზ-მიზეზ დოს მარილი აკლიაო.” *(“ახლო და შორი აღმოსავლეთის პოლიტიკის საკითხები”. 1898 წ. 31 იანვარი).*

“**როცა** ადამიანს ჰსურს შეიტყოს ღირსება და დიდება ერისა, ყოვლთ უწინარეს ამას იკითხავს, — რამდენი მთქმელი და მწერალი ჰყავსო. ღირსებას და სიდიადეს ერისას მარტო ამ საწყაოთი სწყავს ადამიანი.” *(“სიტყვა, წარმოთქმული ნიკოლოზ გარათაშვილის ნეშტის გადმოსვენებაზე”. 1893 წ.).*

რუსეთი: “დიდება რუსულის ლიტერატურისა სხვის დამცირებასა და ზიზღით ხსენებაზე არ არის დამყარებული. ჩვენც დიდი პატივისცემა გვაქვს რუსულის ლიტერატურისა, მით უფრო, რომ მისთა უკეთესთა წარმომადგენელთაგან გრძნობა ადამიანის ღირსებისა აღიარებულია საქვეყნოდ დიდსა და მცირეშიაც, მდიდარსა და გლახაკშიაც, ბატონსა და ყმაშიაც, თავადსა და გლეხშიაც; ყველგან იგი კაცსა ჰხედავს და კაცსა სცემს პატივსა” *(“დასავლეთის ეტიკეტი”. 17 აპრილი 1886 წ.).*

- “რუსეთმა ამ ბოლოს ხანებში არა ერთხელ დაუმტკიცა ქვეყნიერობას, რომ იმანაც იცის თვისთა უკეთესთა კაცთა დაფასება; რომ იმასაც ესმის, რა სახელია ერისათვის, როცა მის კალთაში დაბადებული, მისის ძუძუთი აღზრდილი კაცი, მისი სისხლი და ხორცი, შოულობს და იხვეჭს მას, რაც, ჩვენის რუსთაველის სიტყვით, „სჯობს ყოველსა მოსახვეჭელსა“.

- “ამ ბოლოს ხანობამდე რუსეთს თითქმის ჩვეულებად არა ჰქონია, რომ თვისთა დიდბუნებიანთა კაცთა მეთაურის ღვაწლი გაიხსენოს რაიმე საჯარო მოქმედებითა და პატივისცემითა. ეხლა კი განათლებული ნაწილი რუსეთისა არა შემთხვევას არა ჰკარგავს ხოლმე, რომ სახელოვანი კაცნი თავისის ქვეყნისანი რაიმე დიდებით და დღესასწაულობით არ მოიხსენიოს. ეს ცხადი საბუთია, რომ გონებითად, ზნეობითად რუსეთმა იმატა, და ცოტად თუ ბევრად დღეს ეგ აღმატება იმ სიმაღლეს მიუახლოვდა, რომელზედაც იწვევდნენ მას მისნი უკეთესნი შვილნი. პუშკინი, ლერმონტოვი, გოგოლი, ტურგენიევი, ტოლსტოი და სხვანი ამგვარნი მოღვაწენი რუსეთის დიდებად, სახელად ცნობილ არიან უკეთესთა რუსთაგან. მათის წყალობით და მეოხებით ევროპამ დღეს სხვა თვალით შემოხედა რუსეთის სულიერს ძალ-ღონეს, რომლის გამომეტყველნიც იყვნენ ხსენებულნი დიდბუნებიანნი კაცნი რუსეთისანი.”

- “ამისთანა კაცნი მით არიან სახელოვანნი, რომ თუმცა სისხლით და ხორცით ერთს რომელსამე გვარტომობას ეკუთვნიან, მაგრამ თვისის ღვაწლით ამასთანავე გვაჩვენებენ ხოლმე, რით არის მათი გვარტომი თანამოზიარე მთელის კაცობრიობისა და რაგვარი ნაკადული შეაქვს იმ დიდ ზღვაში, რომელსაც კაცობრიობას ეძახიან, რა განძსა და საუნჯესა სდებს იმ მეცნიერებისა და ხელოვნების ტაძარში, რომელიც

ყველას ეკუთვნის და რომლის კარი მუდამ ღიაა ყველასათვის ერთნაირად და თანასწორად, მიუხედავად რჯულისა, გვარტომობისა და დიდ-პატარაობისა."

- "ეს საყოველთაო მნიშვნელობა დიდბუნებიანთა კაცთა ჩვენს დრამატიულს საზოგადოებას ჩვენზედ უკეთ სცოდნია თვისდა სასახელოდ და ამიტომაც 6 მაისს გამართა დღეობა გოგოლის სახსოვრად. აწ განსვენებული გოგოლი, ყოველის რუსისათვის დიდად სასიქადულო და თავმოსაწონებელი კაცია. თითქმის მთელმა რუსეთმა ეს დღე საქვეყნოდ იდღესასწაულა (გამოჩენილის კომედიის "რევიზორის" მეორმოცდაათე წელიწადი იმ დღიდამ, როცა იგი პირველად წარმოდგენილ იყო პეტერბურგში) და თავის სახელოვანის კაცის სახელს თვისი გულითადი და სამართლიანი პატივისცემა გამოუცხადა." *("ჩვენი ლიტერატურის დღევანდელი ყოფა". 1886 წ.).*

- "ჩვენი ქვეყანა სათრეველაა ერთს დიდს ურემზედ გამობმული. საითაც გაიწევს ურემი, იქით მიდის სათრეველაც. ეს ყველასთვის ცხადი და უეჭვოა. მაგრამ აქ თავდება ერთგვარობა და იწყება მრავალი სხვადასხვაფერი თვისება, რომლითაც განირჩევა ჩვენი ქვეყანა და რუსეთი. ენა, ჩვეულება, წესიერება, ისტორია, ყველა ეს შეადგენს იმ განსაკუთრებულს ნიადაგს, რომლის მიუხედველად შეუძლებელია ხალხის ცხოვრებაზედ ზედმოქმედება, მისი წარმატება და მისის კეთილმდგომარეობისათვის სარგოიანი მოღვაწეობა. დღეს ამ ნიადაგს დასტრიალებს რუსეთის ცხოვრების ზედმოქმედება. მაშასადამე, საჭიროა შუამავალი ამ ნიადაგისა და ზედმომქმედის შორის. ამ შუამავლად უნდა იყოს ადგილობრივი რუსული მწერლობა. იგი იმდენად ღირსშესანიშნავია და ცნობისათვის საჭირო, რამდენადაც იგი გულწრფელად ასრულებს ამ თანამდებობას. თუ არა-და მისი შრომა ფუჭია და გამოუსადეგი; უამისოდ იგი არის იგივე რუსეთის გაზეთი ან ჟურნალი, მხოლოდ შინაობაში გამოცემული; კარგია თუ ავი, ჭკვიანია თუ სულელი, მისი არსებობა ტყუილ-უბრალოა, რადგანაც ამგვარ მწერლობას აქამდისინაც არ ვყოფილვართ მოკლებული." *("ფიქრი და შენიშვნა". 1878 წ.).*

- "რუსული მწერლობა ჩვენში ახალი სტუმარია. გაზეთს „კავკაზს" არ ვიხსენიებთ, რადგანაც იგი აუცილებელი კუთვნილებაა ჩვენის ქვეყნისა, იმის მსგავსად, როგორც მაგალითად ყოველ გუბერნიაში უნდა იყოს გუბერნატორი, ყოველ სოფელში მამასახლისი და სხვ. გაზეთი „კავკაზიც" უნდა არსებობდეს, ავია თუ კარგი, ემსახურება რასმეს თუ არაფერს. იქნება ეს გარემოება რომ არ ყოფილიყო, დიდი ხანია გაქარწყლებულიყო კიდეც. რასაკვირველია, ყოველის გაზეთის, აგრეთვე „კავკაზისაც", ხეირიანი თუ უხეირო მომართვა ცოტად თუ ბევრად მის მოღვაწეებზედ ჰკიდია." *("ფიქრი და შენიშვნა". 1878 წ.).*

- "ჩვენის აზრით-კი ცხადია, რომ უცხო მწერლობა და ვითარება ბევრად უფრო კარგად ვიცით, ვიდრე საკუთარი. განა თვითვეულმა განათლებულმა ქართველმა უცხო მწერლობა საკუთარზე უკეთ არ იცის, რადგანაც სწავლის დაწყებიდგანვე თვით დასრულებამდე უცხოსა სწავლობს და არა საკუთარს? ბევრს შეხვდებით, რომლებსაც გადაკითხული და გაცნობილი აქვსთ მთელი, მაგალითად, რუსული სიტყვაკაზმული ლიტერატურა, მაშინ როდესაც სრულად წაკითხული არა აქვსთ საუკეთესო ნაწერები ქართულის ლიტერატურისა. იგივე ითქმის უცხო და საკუთარს ისტორიასა და ცხოვრებაზედაც. ჩვენ აქ იმას-კი არ ვამბობთ, ვითომ ჩვენ იმდენად კარგად ვიცით უცხო მწერლობა, რომ მეტი საჭიროც არ იყოს; პირიქით, ჩვენ იმ

აზრისანი ვართ, რომ რუსულის მწელობის შესწავლა და ცოდნა ჩვენთვის აუცილებლად საჭიროა, რომ რუსეთის ცხოვრება იმდენად საინტერესო და განსაკუთრებულის ხასიათისაა, რომ ორისავე შესწავლა ჩვენთვის აუცილებელს საჭიროებას შეადგენს."

- "მართლაც, რუსეთი ყოველის მხრით იმდენად შესანიშნავია, რომ დაწინაურებული ევროპა, საიდგანაც რუსეთმა გადმონერგა საკუთარს ნიადაგზე სწავლა-მეცნიერება და საიდგანაც დღესაც ეზიდება წყალსა და ჯავარსა განათლებისას, ჰკვირობს რუსულის მწერლობის სიმდიდრეს და თავისებურობას."

- "ჩვენც, რასაკვირველია, ზედმიწევნით უნდა გავიცნოთ რუსული მწერლობა და აგრეთვე უნდა ვსცდილობდეთ, სხვა უცხო მწერლობაც შევისწავლოთ. ჩვენთვის ეს იმდენად აშკარა და ჭეშმარიტია, რომ მეტი ლაპარაკი საჭირო არ არის..." *("თერგდალეულნი" და ახალი თაობა". 1888 წ.).*

- "რუსის პირდაუბანელმა და თავდაუვარცხნელმა „იამშჩიკმა" ფოშტის პოვოსკა მოაყენა. ეს იყო ვლადიკავკასში. საკვირველია! რუსის მხატვრების სურათებზედ რა ლამაზად არის ხოლმე გამოყვანილი ამ სქელკისერა „იამშჩიკის" ბრიყვი სახე, იმისი ოყრაყული სანახაობა, იმისი მიდუნ-მოდუნებული ზლაზვნა, უადამიანო და პირუტყვული მიხვრა-მოხვრა. რამოდენადაც სურათია კარგი, ორ იმოდენად საძაგელია ნამდვილი." *("მგზავრის წერილები". 1861 წ.).*

რუსთაველი: - "ჩვენ, ქართველებს, სამართლიანად მოგვაქვს თავი მით, რომ ეგ დიდებული პოემა შექმნილი ჩვენის ერის დიდებულობის დროსა, ჩვენის კაცისაგან და ჩვენს ენაზედ დაწერილია. ყველამ იცის, რომ ამით ჩვენ თავს ვიწონებთ, ვსახელობთ, ვქადულობთ. ხოლო ყველამ, ნამეტნავად ჩვენის ენის უცოდინარმა, არ იცის _ რა გვაძლევს უტყუარს საბუთს ამ თავმოწონებისას, სახელისას, ქადილისას. ყველამ არ იცის, _ რითია ეგ სახელოვანი ნაშთი ჩვენის სულისა და გულის მოძრაობისა შემკული, რომ დიდი და პატარა, სრა-სასახლე და ქოხი, ასე ერთნაირად, ერთპირად შეჰხაროდა უწინ და შეჰხარის დღესაც, როგორც დიდს რასმე საუნჯესა, საშვილიშვილოდ საპატიოსა და ამ რვა საუკუნის განმავლობაში არ დაჭკნობილსა, არ გაბათილებულსა, არ დავიწყებულსა." *("აკაკი წერეთელი და "ვეფხისტყაოსანი". 1887 წ.).*

- "იმ საბუთებით, რომ ტარიელი ზარმაცია, ავთანდილი წინდახედულია, და მებრვე სხვა, ძნელია იმისთანა მართლა სახელოვანი პოეტი, როგორიც რუსთაველია, კაცმა უბრალო ეთნოგრაფის საჩხირ-კედელო საქმეზედ ჩამოახდინოს. ეს მეტისმეტი დაქვეითებაა პეგასზედ მჯდომ ცხენოსნისა. თუნდ ეგეც არ იყოს, _ ეს ამისთანა გზა კვლევისა სად არ მიიყვანს კაცსა?" *("აკაკი წერეთელი და "ვეფხისტყაოსანი" 1887 წ.).*

- "მსოფლიო გენიოსნი მწერალნი იმიტომ არიან მსოფლიონი, რომ მათს ნახატში, რომლის ერისაც გინდათ, იმ ერის კაცს იცნობთ, იმიტომ რომ იგინი ადამიანის საზოგადო ტიპს ჰქმნიან. ადამიანი ყველგან ყოველთ უწინარეს ადამიანია და ადამიანს ხომ არაფერი ადამიანური არ ეუცხოება." *("აკაკი წერეთელი და "ვეფხისტყაოსანი". 1887 წ.).*

- "ფალსტაფი ისეთივე შვილია მთელის კაცობრიობისა, როგორც ჰამლეტი, იტელო, ტარიელი, ავთანდილი და სხვანი ამისთანანი, დიდის შემოქმედობის ძალით შექმნილნი. რამოდენადაც მწერალის შემოქმედობის ძალი სწვდება ამ ზოგადკაცობრიობის ტიპსა, იმოდენად მწერალი დიდია, იმოდენად მსოფლიოა, თქმა არ უნდა, რომ ერი, რომელსაც ეკუთვნის ამისთანა მწერალი, თავისის

სამკაულით აკაზმინებს, თავის საფერავით აფერვინებს პოეტს ყველა ხატს, ყოველს ნამოქმედარს შემოქმედობისას, მაგრამ ეგ მარტო სამკაულია, ფერია და არა იგი შინაგანი ბუნება ხატისა, რომელიც ამ შემთხვევაში ზოგადია და არა კერძო, და რომელიც მარტო თავის საკუთარ კანონებს ექვემდებარება." *("აკაკი წერეთელი და "ვეფხისტყაოსანი". 1887 წ.).*

- "ამ საზომით, ამ საწყაოთი უნდა შესდგომოდა ბ-ნი ლექტორი თავის რთულს და მძიმე საქმეს იმისთანა თხზულების ვითარების გამოძიებისას, როგორიც "ვეფხისტყაოსანია". ამ საზომისა და საწყაოს უარყოფა, უარყოფაა იმისი, რომ ვეფხის-ტყაოსანის" გმირნი საერთო-კაცობრიულს რასმე წარმოადგენენ. ნუთუ მართლა ტარიელის ხასიათსა, თვისებასა და ბუნებაში, ანუ ავთანდილისაში, ანუ სხვისაში სხვა არა მოიპოვება-რა საერთო-კაცობრიული იმისთანა, რომლის მეტნაკლები გამოხატვა ერთად-ერთი საზომია, ერთად-ერთი საწყაოა მწერალის შემოქმედობის ძალის მეტ-ნაკლებობისა." *("აკაკი წერეთელი და "ვეფხისტყაოსანი". 1887 წ.).*

- "ნუთუ ამ გმირების ავ-კარგიანობა ისე ცხოველად, ისე მთლად და ისე მართლად განსურათებული მათისავე მოქმედებით, ქცევით, სიტყვა-პასუხით, გულისთქმის და საქციელის ერთმანეთზედ დამოკიდებულობით, ეპიზოდების ერთმანეთისაგან წარმომდინარებით, არასფერს ზოგადს საფსიხოლოგიო, საესტეტიკო, საეტიკო, საფილოსოფიო საგანს არ წარმოადგენს?" *("აკაკი წერეთელი და "ვეფხისტყაოსანი". 1887 წ.).*

- "ნუთუ ის ახოვანი, ღონიერი, ჯანმრთელი, სულითა და გულით ძლიერი, უშიშარი ვაჟკაცი ტარიელი რუსთაველმა თავის ნებაზედ ბოლოს მჩვრად აქცია და ყოველს ამას სხვა მიზეზი არა აქვს-რა, გარდა რუსთაველის თვითნებობისა და ზარმაცის ქართლელის გამოსახვის სურვილისა?!" *("აკაკი წერეთელი და "ვეფხისტყაოსანი". 1887 წ.).*

- "ტარიელი, ავთანდილი, ფრიდონი და სხვა მამაკაცნი და დედაკაცნი "ვეფხის-ტყაოსანისა", ყველაზედ უწინარეს ადამიანები არიან და, მაშასადამე, ზოგად ადამიანის ბუნების მიხედვით შექმნილნი და აგებულნი." *("აკაკი წერეთელი და "ვეფხისტყაოსანი". 1887 წ.).*

- "რუსთაველმა ბევრგან გვაჩვენა, რა ძლიერი კაცია ყოველისფრით ტარიელი სულითა თუ ხორცითა. ამ თვალად მცირე შემთხვევაშია მთელი ნასკვი, რომლისაგანაც გამოიხსნება მთელი რთული ხასიათი იმისთანა კაცისა, როგორიც ტარიელია. კარგს, გონებამახვილს და გამჭრიახს ფსიხოლოგს რომ ეს ძლიერება და ძალღონივრობა ტარიელისა აცოდინოთ და ამასთან ეს უეცარი შემოყრა გულისა დაწვრილებით უამბოთ, _ პირდაპირ მოგახსენებსთ, რომ ტარიელი დიდის გულისთქმის კაცია, იმისთანა გულისთქმისა, რომელსაც ვეღარც ხორცი უძლებს და ვეღარც სული, და რომელიც ჭკუას, გონებას მთლად იმორჩილებს, როგორც ზარი, ელდა, მეხი." *("აკაკი წერეთელი და "ვეფხისტყაოსანი". 1887 წ.).*

- "ტარიელისთანა ძალ-ღონიერი კაცი და მისთანავე გულისთქმისა ყოვლად შემძლებელია, თუ გარემოება ცხოვრებისა გულისთქმაში ხელს უწყობს, ესე იგი, თუ გულისთქმას კმაყოფილებას აძლევს და აჩუმებს, _ და თუ არა, ამისთანა კაცი სუსტია, უღონოა, უქმია, ერთის სიტყვით, სნეულია." *("აკაკი წერეთელი და "ვეფხისტყაოსანი". 1887 წ.).*

- “თვისება გულისთქმისა რუსთაველმა ძლიერ კარგად იცის და ამიტომ აქებს იმ კაცს, ვინც გულისთქმას იმორჩილებს და ეურჩება.” *(“აკაკი წერეთელი და “ვეფხისტყაოსანი”. 1887 წ.).*

- “ჭკვიანი და ბრძენი ავთანდილი, რომელსაც გულისთქმა დამორჩილებული ჰყავს, არსად არც ერთს მაგალითს არ წარმოგვიდგენს ან დაბნედისას, ან გულ-შემოყრისას და სხვა ამგვარის მარცხისას გულისთქმისაგან.” *(“აკაკი წერეთელი და “ვეფხისტყაოსანი”. 1887 წ.).*

- “ტარიელი წადილს, გულისთქმას წაუღია, და იმითია სნეული, რომ ვერც ერთი ვერ უძლევია.” *(“აკაკი წერეთელი და “ვეფხისტყაოსანი”. 1887 წ.).*

- “ტარიელი ბრძენია, მაგრამ ბრძენია მარტო მაშინ, როცა გულისთქმას არ შეუპყრია და გულისთქმით შეპყრობილი კი სნეულია, ცნობა-დაკარგულია.” *(“აკაკი წერეთელი და “ვეფხისტყაოსანი”. 1887 წ.).*

- “გულისთქმამ ცნობა წაართვა, ცნობის წართმევამ _ ღონე და უღონობამ მჩვრად აქცია ეს ახოვანი კაცი. აქ რა შუაშია ან ქართლელი, ან კახელი, ან იმერელი!.. აქ კაცად-კაცია, გულისთქმის ქარცეცხლში გატარებული თავიდამ ბოლომდე.” *(“აკაკი წერეთელი და “ვეფხისტყაოსანი”. 1887 წ.).*

- “ღრმად კაცად-კაცის მცოდნე რუსთაველმა იცოდა, რომ თინათინი სხვა ბუნებისაა და ნესტან-დარეჯანი სხვა და ეს ბუნების სხვადასხვაობა სხვადასხვა ზედმოქმედებასაც ექვემდებარება. ერთისა და იმავე მიზეზისაგან წარმომდგარსა, _ ამ შემთხვევაში _ სატრფოთა პირველად სალაპარაკოდ შეყრისაგან. ასე მართლად მკვლევარია რუსთაველი, ასე საოცრად მართალ-მხედველია მისი თუ, _ რა ბუნებამ როგორ უნდა აღიბეჭდოს თუნდ ერთისა და იმავე მიზეზის ზედმოქმედება.” *(“აკაკი წერეთელი და “ვეფხისტყაოსანი”. 1887 წ.).*

- “რუსთაველი, სასწაულთმოქმედსავით, ერთის კალმის მოსმით ჰქმნის ამ სასწაულსა და გვეუბნება, _ ტარიელი დაითხოვა, ისიც სხვისა პირით: “აწ წადიო, ვერას გითხრობს”. ესე იგი, ქალი დამუნჯდაო, _ და, აბა, იფიქრეთ, რა გრძნობაა მის მომქმედი გრძნობა! შეიძლება-ღა ამაზედ ცხოვლად, ამაზედ უკეთესად ოთხის სიტყვით კაცმა კაცს ანიშნოს ძლიერება და სიდიადე გრძნობისა, როგორც მით არის ნანიშნი, რომ ამ გრძნობამ ადამიანი დაამუნჯაო მაშინ, როცა თქმა და ლაპარაკი სამოთხესავით სანატრელია და ასე მოსალოდნელი ტრფიალის ქალისაგან, რაკი პირველად სალაპარაკოდ შეეყრება თავის სატრფოსა? აქ ერთის კალმის მოსმით გამოთქმულია ის, რასაც ეხლანდელი მწერალი მთელს ფურცლებს მოანდომებდა და მაინც ესოდენ ცხოვლად ვერ გამოგვიხატავდა სათქმელსა.” *(“აკაკი წერეთელი და “ვეფხისტყაოსანი”. 1887 წ.).*

- “ზოგადი სახე ადამიანისა, რამოდენადაც ამ შემთხვევაში უფრო წვრილზედ დახურდავებული იქნება, მაგალითებრ, ზოგადი-კაცი რომელისამე ერის კაცად, ერის კაცი რომელისამე თემის კაცად, თემის კაცი რომელისამე გვარეულობის კაცად, გვარეულობის კაცი ოჯახის კაცად, ოჯახის კაცი ივანედ, ფრიდონად და მებრვე სხვა, _ იმოდენად შემოქმედობა მწერალისა მაღლიდამ დაბლა ჩამოდის, იმოდენად მწერალი ნიჭ-ნაკლებია და დაქვეითებული.” *(“აკაკი წერეთელი და “ვეფხისტყაოსანი”. 1887 წ.).*

- “შემოქმედობის ძალის ღონიერობა ერთი და იგივე არ არის, როცა ერთი მთელს გადასწვდება ხოლმე და მეორე-კი _ მარტო ნაწილსა.” *(“აკაკი წერეთელი და “ვეფხისტყაოსანი”. 1887 წ.).*

- “მწერალმა, თუ სხვა ვინმე ხელოვანმა, რაც უნდა ზედმიწევნით და მშვენივრად გამოხატოს ერთი რომელიმე ცალკედ სახელ-წოდებული კაცი _ ივანე, თუ პეტრე, ყოველთვის უპირატესობა უნდა დაუთმოს იმას, ვინც ზოგადი გამოხატვის შემძლებელია. ამიტომაც პორტრეტების მხატვარი, დიდად სახელგანთქმულიც და გამოჩინებული, ყოველთვის უმდაბლესია, უმდარესია: მასზედ, ვინც ზოგადის კაცის, ტიპის შემომქმედია, თუნდაც ხელთსაქმობით, ტექნიკით ამისი თანასწორი იყოს, ამიტომაც თითონ პორტრეტების წერას, ესე იგი ცალკე კაცის ხატვას, მხატვრობაში უკანასკნელი ადგილი უჭირავს და თითქმის ხელოვნებადაც არ არის ცნობილი, რადგანაც ეგ უფრო ოსტატობაა, ვიდრე ხელოვნება.” *(“აკაკი წერეთელი და “ვეფხისტყაოსანი”. 1887 წ.).*

- “ვიწრო მოედანი მარტო პატარა ფალავნის სარბიელია და არა იმისთანა გოლიათისა, როგორიც შექსპირია და თუნდა ჩვენი რუსთაველიცა. რუსთაველის ტიპების იმ პაწია ჯუჯრუტანიდამ სინჯვა-კი არ უნდა, საიდანაც მარტო ქართლელი, კახელი, იმერელი და სხვა ცალკე სახელ-წოდებული კაცი დაინახება, არამედ იმ უშველებელ სარკმლიდან, რომ მთელს კაცადკაცობას თვალი გადაევლებოდეს, მის სრულს სიგრძე-სიგანესა და სიღრმე-სიმაღლეზედ.” *(“აკაკი წერეთელი და “ვეფხისტყაოსანი”. 1887 წ.).*

- “ტარიელი, ავთანდილი, ფრიდონი და სხვანი კაცად-კაცნი არიან, ზოგად ადამიანის ბუნების მიხედვით აგებულნი და სულდგმულნი. არც ერთი მათი მოქმედება, არც ერთი ეპიზოდი მათის ცხოვრებისა ძალად და განგებ ჩართული არ არის და ყოველივე იგი წარმომდგარია იმ კაცობრიულ ზოგად ბუნებისაგან, რომელიც მარტო თავის საკუთარს კანონებს ექვემდებარება და არა სხვასა. ამაშია მთელი სიდიადე რუსთაველის გენიოსობისა.” *(“აკაკი წერეთელი და “ვეფხისტყაოსანი”. 1887 წ.).*

- “ჩვენ რუსთაველის სახელი მეტის-მეტად დიდ სახელად მიგვაჩნია და მოგვიტევონ, რომ მის სახელს და დიდებას ადვილად ვერავის დავუთმობთ.” *(“აკაკი წერეთელი და “ვეფხისტყაოსანი”. 1887 წ.).*

- “მთელი ეგრეთ-წოდებული სიტყვაკაზმული ლიტერატურაც ამ საფუძველზეა აშენებული: მოგონილის ამბით ცხადყოს მართალი. იგიც ამ სათავიდამ მოდის. ამიტომაც ამგვარს ლიტერატურაში არ არის არც ერთი მოთხრობილი ამბავი, რომ მართლა მართალი იყოს, მართლა ნამდვილი იყოს: სულ ადამიანის ფანტაზიით შექმნილია და ისეთის შემოქმედებით ხორცთშესხმული, სულთჩასახული, რომ კაცს-კი არ ეჯავრება, დიდადაც მოსწონს და ესურვება. ტარიელი, ნესტან-დარეჯანი, ავთანდილ, ფრიდონ, თინათინ არც თავისსდღეში ყოფილან და არც არიან, არც ოდესმე უცხოვრიათ და არც ეხლა სცხოვრობენ, მაგრამ აბა ჰნახეთ ჩვენი საკვირველი რუსთაველი, როგორ სასწაულთ-მოქმედობს ადამიანზე, როცა იმათს ცხოვრებას გვიამბობს, მათის ცხოვრების მაჯისცემას გვატყობინებს!.. შოთამ მის მიერ მოგონილ ამბავს ისეთი სული ჩაატანა, რომ ამ ჭეშმარიტ სულისაგან თვით არაჭეშმარიტი ამბავი მართალი გვგონია. აი ეს საოცარი გარდაქმნა, ანუ უკეთ ვსთქვათ, ქმნა არ-

ყოფილისა ყოფილად, მარტო შემოქმედს შეუძლიან და ამიტომაც ამ ღვთიურს ძალღონეს ქმნისას შემოქმედობას ეძახიან." *("ჩვენი ეხლანდელი სიბრძნე-სიცრუე". 1896 წ.).*

- "ვა სოფელო! რაშიგან ხარ, რას გვაბრუნებ, რა ზნე გჭირსა! ვინ იცის? იქნება დრო მოვიდეს, ჩვენი ბედი ჩვენვე დავატრიალოთ. ჯერ ხანადაც კი ავყვეთ ამ ცხოვრების უგემურ ჟამთა დენასა. "საცა არა ჰსჯობს, გაცლა ჰსჯობს კარგისა მამაცისაგან". არ ეგონოს ჩემს და ნინოს, არ ვიცოდე რომ დაცლის მაგიერ რუსთაველი გაცლას ამბობს. მეც ვიცი ვეფხვის-ტყაოსანი, მაგრამ ჩვენს ეხლანდელს მდგომარეობაში დაცლა უფრო უხდება, ვიდრე გაცლა". *("წერილები ილია ჭავჭავაძისა ოლღა თადეოზის ასულ გურამიშვილისადმი". 1873 წ. 20 ნოემბერი).*

ს

"**სადავე** თუ მიუშვით, ვინ იცის, რა კლდე-ღრეზე გადაიჩეხოს". *("უმეცრობის ფართი-ფურთი". 1900 წ.).*

"**საზოგადო** საქმეში _ მიზეზ-მიზეზ დოს მარილი აკლიაო, მეტია და შეუწყნარებელი." *("შინაური მიმოხილვა". 1883 წ. მაისი).*

"**საზოგადოდ** ქურდობის და ავაზაკობის ძირეული და მუდამი ბუდე ეს გაჭირვებაა, რომელიც კაი კაცობას ხელს უცრის და ავკაცობას აბედვინებს". *("საზოგადოებრივი ცხოვრების ნაკლნი და მისი ეკონომიური მიზეზები". 1897 წ.).*

"**საზოგადოების** მიღება ყოველთვის არ ნიშნავს, რომ მწერალი ტალანტიანია." *("ორიოდე სიტყვა თავად რევაზ შალვას ძის ერისთავის კაზლოვის მიერ "შეშლილი"-ს თარგმანზედა". 1860 წ. 5 ნოემბერი).*

"**საიდამ** სადაო, წმინდა საბაო." *("გლახის ნაამბობი". 1859, 1862-1873 წწ.).*

"**საკვირველი** კაცია ქართველი!.. ძალიან თვალების აბმა იცის, – სხვის თვალებისა კი არა, მაგოდენა არ შეუძლიან, თავის საკუთარის თვალებისა. თუ მოინდომა, და თუნდაც არ მოინდომოს, ისე ხელობად დაჰსჩემებია, რომ რაც უნდა კეთილსვინიდისიანი საქმე იყოს, ასეთს კუდს გამოაბამს, ასეთნაირად წაშლის-წამოშლის, რომ შენი გაკეთებული საქმე შენვე ვერ იცნო, შენი ნათქვამი სიტყვა შენვე ვეღარ გაიგო. რათ უყვარს ქართველს ამისთანა სულის კლაკვნა? მრავალი რამ არის ამის მიზეზი, ჩემო მკითხველო, სხვათა შორის ისიცა, რომ სიკეთეს ყველანი გადავჩვეულვართ, კეთილი არა გვწამს, სული და გული ამოგვშრობია. კაცმა რომ პატიოსანს და კეთილს საქმეს თავი შეჰსწიროს, ერთი ჩვენგანი არ დაიჯერებს. რატომ? იმიტომ, რომ ყოველი ჩვენგანი იმ კაცის ალაგას ავის თავსა დააყენებდა და იტყოდა: მე უანგაროდ იმას ვიქმოდი? ამის პირდაპირი პასუხი "არა" იქნებოდა, რასაკვირველია…"მაშ არც ის იქმოდა", – დაასკვნის გონიერი ქართველი; და გამოვიდა, რომ პატიოსანი თავგაწირული კაცი გაუპატიურებული იქნებოდა ქართვლის თვალში. რისთვის? მარტო იმისთვის, რომ თითონ ქართველი იმის ადგილას პატიოსნებისთვის თავს არ გაიწირავდა, თუ რომ სხვა დაბალი განძრახვა გულში არა ჰქონდეს." *("ცისკარი" 1857 წლიდან – 1862 წლამდინა". 1862 წ.).*

"**საკვირველ** არიან, უფალო, საქმენი შენნი!" *("ქვათა ღაღადი". 1899 წ.).*

“**საკვირველია** კეთილი კაცი! სარკეში ჩახედვა ეჯავრება, თავის-თავის დანახვა ეთაკილება, ეზარება. რაც უნდა უყავ, თავის სიკეთეს კი ნუ დაანახვებ. მაგრამ რა? ღმერთი ხომ ჰხედავს და ხელის გულზედ სწერს... დედამიწის სარკე ზეცა არის. ის გადიცემს ხოლმე წუთის-სოფლის საქმესა...” *(“გლახის ნაამბობი”. 1859/1862 – 1873 წ.).*

“**საკუთარი** ნიშანწყალი არც ბუნებით დაჰყოლია, არც სწავლით და არც ცოდნით მოუპოვებია და შეუძენია”. *(“უმეცრობის ფართი-ფურთი”. 1900 წ.).*

“**სამი** ღვთაებრივი საუნჯე დაგვრჩა ჩვენ მამა-პაპათაგან: მამული, ენა და სარწმუნოება, თუ ამათაც არ უპატრონეთ, რა კაცები ვიქნებით, რა პასუხს გავცემთ შთამომავლობას? სხვისა არ ვიცით და ჩვენ კი მშობელ მამასაც არ დავუთმობდით ჩვენ მშობლიური ენის მიწასთან გასწორებას. ენა საღვთო რამ არის, საზოგადო საკუთრებაა, მაგას კაცი ცოდვილის ხელით არ უნდა შეეხოს.” *(“ორიოდე სიტყვა თავად რევაზ შალვას ძის ერისთავისთვის კაზლოვის –მიერ “შეშლილი”-ს თარგმნაზედა”. 1860 წ.).*

“**სანანებელი** ცოდვაა და არ-სანანებელი მადლიაო.” *(“შინაური მიმოხილვა”. 1885 წ. თებერვალი).*

“**სანატრელია** ის ქვეყანა, სადაც კაცის შექცევა ძაღლზედ არის დამყარებული. უხ, რა ყრუ რამ არის ეხლა ჩემთვის ეს დარბაისელი დუშეთი”. *(“წერილები ილია ჭავჭავაძისა ოლღა თადეოზის ასულ გურამიშვილისადმი”. 1873 წ. 16 მარტი).*

“**სანეკრე** დაინახა და სახტომი აღარ იკითხა და ისკუპა შენი მოწონებული”. *(“ქვათა ღაღადი”. 1899 წ.).*

“**სანთელ-საკმეველი** თავის გზას არ დაჰკარგავს” *(“გლახის ნაამბობი”. 1859/1862 – 1873 წ.).*

“**სართი** დასწრებისაა”. *(“ქვათა ღაღადი”. 1899 წ.).*

“**სატკენი** ისე არ აფიცხებს კაცს სამტროდ, როგორც საწყენი. საწყენი უფრო ძნელი ასატანია სატკენად და ამიტომაც უფრო აფთარია, რაკი გაცეცხლდება და გაფიცხდება” *(“საგაზეთო შენიშვნები”. 16 იანვარი, 1892 წ.)*

“**საქმეა** სიცოცხლე”. *(“ოთარაანთ ქვრივი”. 1886-1887 წ.).*

“**საქმე** ის არის, ჩვენი ერი მომზადდეს, გონების გახსნის გზაზედ იმოდენად წარიმართოს, რომ როგორც პურის საჭიროებას ჰგრძნობს, ხორცისათვის, ისეც, ლიტერატურა მიიჩნიოს სულის, და გულისათვის”. *(“ჩვენი ლიტერატურის დღევანდელი ყოფა”. 1886 წ.).*

“**საქმე** ის არის, რომ მკითხველმა გაითვალისწინოს – პრესას რა ცეცხლში შეუძლიან ტყუილად დასწოს და დაჰბუგოს, ზნეობრივად სტანჯოს და აწამოს ადამიანი, თუ თავისს წმინდა დანიშნულებას უღალატა და ადამიანის ღირსების პირქვე დასამხობლად, ადამიანის სახელის გასატეხად საბუთად მარტო ის იხმარა, დიაღ, მარტო ის, რომ კორრესპონდენტი სწერს, ასე მიამბესო. ნუთუ მბობა ვისიმე საერთოდ და გლეხისა ცალკე საბუთია, რომ შეუმოწმებლად კაცმა კაცი გასწიროს, ზნეობითად ჯვარს აცვას, ან შამფურზე ააგოს და სირცხვილის ნაღვერდალზე შესწვას” *(“ნუთუ”. 1905 წ.).*

“**საცა** არა სჯობს, გაცლა სჯობს კარგისა მამაცისაგანაო.” (*“ოთარაანთ ქვრივი”. [1886] – 6 ქრისტეშობისთთვეს 1887 წელსა).*

“**საცა** მოძრაობაა, იქ სიცოცხლეც არის. ჩვენში რაღასა ვხედავთ? ჩვენცა გვყავს თითო-ოროლა მაინც ჭეშმარიტად განათლებული და მცოდნე კაცები, იმისთანებიც, რომელთაც მეცნიერებაში სახელიც მოუპოვებიათ, მაგრამ ისინი, ჩვენდა სამწუხაროდ, ჩვენ გარეთ არიან. და ამ-სახით, ვისაც ზნეობრივი და გონებრივი ძალ-ღონე აქვს წინ-გაუძღვეს თავის საკუთარის ქვეყნის ცხოვრებას, განზედა სდგას. იქნება ამის მიზეზი ჩვენი ცხოვრებაც არის, მით რომ ბევრს სიამოვნებას და ხელის

შეწყობას არ უქადდეს, მაგრამ ქვეყნის სამსახური ყველგან მსხვერპლია და არა სეირი. ამ შემთხვევაში დგომა — ცდომაა." *("ახალი დასის მოლოდინში". 1886 წ.).*

"**საცა** ჭკუა და გული ადამიანისა დღეს-აქამომდე სხვისის ნასუფრალით იკვებება აუწონ-დაუწონველად. ჩვენში, გაიგებენ თუ არა ალია მომკვდარაო, იმას აღარ დაეძებენ, მართლა მომკვდარა თუ არა, და თუ მომკვდარა, რომელი ალიაა. საკმაოა მხოლოდ ყური მოჰკრან ჰოსა თუ არას, და გათავდა საქმე, ყოველს სასაცილობას წამოიყრანტალებენ, გამოუძიებლად, საბუთის უკითხველად, ნამეტნავად მაშინ, თუ ყურში წასჩურჩულეთ, რომ ეს უკანასკნელი სიტყვაა მეცნიერებისა, ახალი მოძღვრებაა, ახალი მიმართულება და უეჭველი ნიშანია ლიბერალობისა." *("უარმყოფლობა ჩვენში". 1888 წ.).*

"**საწამლავით** ოხუნჯობა საშიშარია." *("ნ. ნიკოლაძე და მისი შეხედულება ბანკზე". 1876 წ.).*

"**საწანახედოდ** გამხდარი საქმე ნახა, იქავ ხელთუძრავი მოსაქმე და გულმა არ მოუთმინა. რაც გინდა სთქვი და, ეს დიდი ნიშანწყალია კაცობისა... სწორედ დიდი ნიშანწყალია." *("ოთარაანთ ქვრივი". 1887 წ.).*

"**საწყალო** ქვეყანავ! შენს ღონიერს დედამიწაზედ იქნება ორიოდე კაცი იმისთანა დადიოდეს, რომელიც სადმე მარტო ჩუმათა სტირის შენს მაგ ყოფაზედ, ჩუმათა სტირის იმიტომ, რომ შენ შვილებს რომ თავისი ცრემლი დაანახოს, ის პატიოსანი, მდუღარე ცრემლი, შენი კეთილი შვილები თითონვე დაჰსცინებენ და პატიოსანს ცრემლს უპატიოდ გაუხდიან. რა გამოვა, რომ შენთვის მტირალთა ხმამ შენ შვილებამდინ მოახწიოს?.." *(ცისკარი" 1857 წლიდან – 1862 წლამდინა". 1862 წ.).*

"**საჭირბოროტოია** შეკაზმულ ცხენ, _ წამოიძახა ღიმით მოხევემ, _ დაილოც შიშვალ ცხენ: ფეხ გადაწვდიდი და გადაჯდებოდი." *("მგზავრის წერილები". 1861 წ.).*

"**სახარე** ხბოსაო სასკორავში შეეტყობაო, _ სადიამბეგო კაცსა ფეხებში შეეტყობა." ("*კაკო". 1859 წ.).*

"**სახელი** ჩემი ყოფილა და სახრავი კი იმისი." (*"გლეხთა განთავისუფლების პირველდროების სცენები". 1865 წ.).*

"**სახელადაც** მეყოფა და სახრავადაც". *("ახალი უმეცრობანი ბ-ნ ნოე ჟორდანიასი". 1900 წ.).*

"**სახელმწიფოებმა** ყოველივე შფოთი, უსიამოვნება და ანგარი მორიგებითა და მშვიდობიანად გაათავონ ხოლმე" *("ევროპის მილიტარობა და ამერიკის მერმისი". 1889 წ. 25 თებერვალი.).*

"**სახელმწიფოსათვის** ერთის მაზრის შენახვა, თუნდ მთელს წელიწადს, წვეთია ზღვისათვის". *("შინაური მიმოხილვა". 1879 წ. თებერვალი).*

"**სახელმწიფოებს** ეჯავრებათ, რომ ერთი მათგანი მეტისმეტად თავში გაიწევს ხოლმე და მბრძანებლობას იჩემებს, თუმცა თვითოეული ცალკე სულ ამ მბრძანებლობის ხელში ჩაგდებას ეპოტინება და ამის ნატვრაშია." *("ახლო და შორი აღმოსავლეთის პოლიტიკის საკითხები". 1898 წ. 17 ნოემბერი).*

"**სახლი** უსაძირკვლოდ ვერ დაიდგმის." *("შინაური მიმოხილვა". 1879 წ. აპრილი).*

"**სიბერე** ძნელი ყოფილა". *("სფირიდონისა და თადეოზის ბაასი". 1861 წ).*

სიბერე და სიჭაბუკე: - "სიბერეს წამალი არა აქვს. სიბერე დროთა-ბრუნვის "ისპოლნიტელნი ლისტია". დროთა-ბრუნვა კიდევ ჩვენს საადგილ-მამულო ბანკზედ უფრო ულმობელი, უფრო შეუბრალებელი მოვახშეა. რაც უნდა ძვირფასს ღერბიან ქაღალდზედ საჩივარი დასწეროთ, მაგ "ისპოლნიტელნი ლისტს" ვერავინ გაუქმებს." *("ღმერთმა ნუ დაგაბეროთ". 1888 წ. 31 დეკემბერი).*

- "სიბერე, ბატონებო, რაც გინდა სთქვით, სენია, და სენი ტკბილი იყოს, თუნდა მწარე, ორივ ღმერთმა დასწყევლოს." *("ღმერთმა ნუ დაგაბეროთ". 1888 წ. 31 დეკემბერი).*

- "სიჭაბუკე ბუნებითად წარმავალია, მოკლე ხნით მოსული სტუმარია, დილით მოვა და საღამოთი მიდის და, როგორ შეიძლება ადამიანს სამუდამოდ შეჰრჩესო, მეტყვიან? მართალი ბრძანებაა." *("ღმერთმა ნუ დაგაბეროთ". 1888 წ. 31 დეკემბერი).*

- "სიჭაბუკე მოკლე ხნის სტუმარია. ხოლო ვიკითხოთ: ვისთვის და რისთვის? მარტო ხორცისათვის. დროთა-ბრუნვა მარტო ხორცს ერჩის, ხორცსა სძლევს. ხორცს მაგისათვის არც ფარი აქვს, არც ხმალი. ადამიანი ხატებაა ღვთაებისა განა ხორცითა? ადამიანს ხორცის გარდა ერთი რამ სხვა მოჰმადლებია, რომლითაც იგი ადამიანობს ვით კერძო ღვთისა. ის ერთი _ სული და გულია, უჭკნობლობის ნიჭით და ღონით დალოცვილი. ეგ ღვთაებრივი ნიჭი, როგორც ყოველივე ღვთაებრივი, დროთა მბრძანებელია და არა ყმა. შესაძლოა, ხორცი დაბერდეს, დაუძლურდეს, სული და გული-კი ისევ ჰყვაოდეს, ზეგარდმო მადლით შუქმოფენილი და მრავალფერად გადაშლილი, თუკი ადამიანი საკადრისად უპატრონებს, ადამიანურად მოუვლის, ხორცის მბრძანებლად გახდის და ხორცს არ გაალახვინებს. მე ვსთქვი _ ეგ ნიჭია-მეთქი და ნიჭს ზრდა, წვრთნა, გახსნა და გაშლა უნდა. ყოველი ცოტად თუ ბევრად სხვაზედ აღმატებული კაცი არ შეიძლება ამ გზას ასცდენოდეს, და ამიტომაც მოხდება, რომ ხორცით დაბერებულს სული და გული ჭაბუკისა შერჩება ხოლმე საფლავის კარამდინა. უკეთესნი და უდიდესნი კაცნი ქვეყნიერობაზედ ამისთანანი ყოფილან. საქმე ის არის, ხორცთან ერთად არ დაგიბერდეს სული და გული, სულით და გულით ყოველთვის ჭაბუკი იყო, და მაშინ ფარიც ხელთ გექნება მოსაგერად და ხმალიც სატევრად." *("ღმერთმა ნუ დაგაბეროთ". 1888 წ. 31 დეკემბერი).*

- "დაბერებიდამ ერთი ფეხის გადადგმა-ღაა სიკვდილამდე, და რაკი ამაზე მიდგება საქმე, მაშინ ყოველისფერი მწარეა. ან თითონ სიბერე თავის-თავად მწარეზე უმწარესი არ არის განა?" *("საახალწლოდ". 1898 წ. 31 დეკემბერი).*

სიკეთე: - "**სიკეთისათვის** სიკეთე ვის უქნია? *("დიამბეგობა". 1858 წლამდე).*

- "მღვდელი, ის დალოცვილი, მადლით სავსე მღვდელი, იმისთანა არ იყო. დედაკაცი რომ ატირდა, მაშინ რომ შეგეხედნა, გული იმისი თვალებში გამოიხატა და ზედ ეწერა: "რა ვქნა, დედი? ჩემი სისხლი რომ მოარჩენდეს შენს ქმარსა, ძარღვს გავიხსნი და დავალევინებო!" ამისთანა კაცის სიტყვა მწუხარებას შუაზედ გაარღვევს და აბრეშუმის ხელსახოცსავით ლბილად მოსწმენდს თვალიდამ ცრემლსა." *("გლახის ნაამბობი". 1859, 1862-1873 წწ.).*

- "რაც გებოძებინათ, დიდის მადლობით და სიამოვნებით მივიღე, მაგრამ თქვენმა მხიარულმა წიგნმა და კარგს ქეიფზედ ყოფნამ, როგორც წიგნიდამა ჰსჩანს, ჩემი სიხარული და სიამოვნება ჩვეულებრივ წრეს გადააცილა. ღმერთმა ყოველთვის მშვიდობით, ბედნიერად და სიამოვნებით გაცხოვროთ, ჩვენდა სასიქადულოდ და სანუგეშოდ. მაგრამ, მამიდაჯან, არ ვიცი, უთქვენობა, რომ მე თქვენ არ გახლავარ, რად მაწუხებს ეგრე? ღმერთი მოწამეა, რუსეთში ვყოფილვარ უფრო პატარა, რამოდენა ხანია ესე გარეთ ვეთრევი, რომ თრევით დავიღალე და როგორც დაღალული მგზავრი ველი როდის მომცემს ბედი ნებას, რომ ჩემი თავი ჩემს ქოხს შევაფარო, _ ესე ამთვენი ხანია გარეთა ვარ უთქვენოდ, მაგრამ ისე, როგორც ეხლა თქვენი ნახვა მე მინდა, ჩემს დღეში არ მომდომია. არ ვიცი, ეს რისგან არის? იმისგან თუ, რომ ეხლა ბედმა ცოტად მაინც გამიღიმა, ცოლიც კარგი მყავს, ლუკმა პურსაც

ჩემი ცოდვილობით ვშოვობ და მაქვს, იქნება ამისაგან მინდა, რომ ამ ყოფაში თქვენა მნახოთ მხიარული, ბედნიერი და თქვენც ჩვენის ამ ყოფით ისიამოვნოთ. მე თქვენთან ყოფნა რომ მინდა, იმისთვის მამიდაჯან, რომ ბოლოს, ვინც თქვენ პატარაობაში დიდის მზრუნველობით გამოზარდეთ, ახლა იმან თქვენის ათასნაირი შრომისათვის ხელის გულზედ ერბო-კვერცხი იწვას და ისე გაცხოვროთ. სიკეთე, მამიდაჯან, დაუვიწყარია და რაც თქვენ ჩვენთვის სიკეთე გიქნიათ, ეგ უფრო განსაკუთრებით უკვდავი არის ჩემთვის. მე რომ მინდა მაინც გადმოსვლა, იმიტომ უფრო, მამიდაჯან, რომ თქვენ თან გახლდე და ჩემი დღენი თქვენს პატივისცემაში, სიამოვნებაში დავლიო, ღვთის წინაშე მოგახსენებ მართალსა. ეხლა რაკი ცოტაოდენი სამსახურისაგან ღონისძიება მომეცა, შინ რომ ვიქნები, ეგ სულ პენსიასავით გახდება, და ორასი თუმანი ჩემს სახლში რომ მქონდეს და თქვენც იქა ბრძანდებოდეთ, ღმერთს ვფიცავ, ცივს ნიავსაც არ მოგადენთ". *("წერილები მაკრინე ჭავჭავაძე-ერისთავისადმი).*

- "კეთილი იმისათვის არის კეთილი, რომ იმის მისაღებად არავითარი მომზადება არ უნდა: ყველას მოუხდება, ყველას არგებს. მაშასადამე დაწუნება და უარყოფა ახლად შემოღებულისა მარტო იმ მიზეზით, რომ ჩვენთვის ადრეა და ჩვენ მისდა მისაღებად მოუმზადებელნი ვართო, ჩვენის ფიქრით შეცდომაა." *("ტფილისის ქართული საადგილმამულო ბანკი". 1886 წ. 7 ივნისი).*

- "ყოველს სიკეთეს, ყოველს ღონეს და სახსარს გზა შეეღობება, თუ კაცმა ხელზედ დაიხვია და სთქვა: აცა, ჯერ მზად არა ვართო. ჩვენის ფიქრით, მარტო ეს არ უნდა ეკმაროს მაგისთანა საბუთს დაწუნებისას. ეგ საბუთი, გარდა იმისა, რომ უმართლოა, მავნებელიც არის: ბევრს სიკეთეზედ ხელს დაგვაბანინებს, რომ მაგათ ავყვეთ." *("ტფილისის ქართული საადგილმამულო ბანკი". 1886 წ. 7 ივნისი).*

"**სიკვდილის** მოლოდინი ლხენა თუ არა გგონია! *("ოთარაანთ ქვრივი". [1886] – 6 ქრისტეშობისთთვეს 1887 წელსა).*

სიმართლე: - "ყოველს საზოგადოებრივს საქმეში, რაც უნდა მწვავი იყოს, კაცმა ჯერ უნდა მართალი ეძებოს, მხოლოდ მართალი და სხვა არა-რა. ჯერ, ყველაზედ უწინარეს, უმრავლესობათა და უმცირესთა შორის სიმართლე უნდა იყოს გამკითხველი; ამან, სიმართლემ, უნდა მოაშველოს ერთმანეთში ეგ ორი მხარე. ჩვენის ფიქრით, საზოგადოებრივ საქმეში არც უმცირესი უნდა შესწიროს კაცმა უმრავლესობას და არც უმრავლესობა უმცირესობას, ორივე უნდა დაუმორჩილოს მარტო სიმართლეს, როცა კი შესაძლებელია. ადამიანთა საზოგადო ცხოვრება ისეთი რთულია, რომ ბევრში და ბევრგან ეგ სიმართლე ძნელად აღმოსაჩენია, მარტო ამ განსაკუთრებულს შემთხვევაში უღონო მართლმსაჯულება ადამიანისა სიმართლედ მას აღიარებს, რაც უმრავლესობისათვის სახეიროა. ამ განსაკუთრებულ შემთხვევაში მეტი გზა არ არის, სხვა განსამართლების საბუთი ადამიანს დღეს-აქამომდე ვერ აღმოუჩენია, გარდა "უმრავლესობის კანონისა". ხოლო ეს იმას კი არ ჰნიშნავს, რომ იქაც, საცა მართალი აშკარად უმცირესისაკენ არის, უსათუოდ უმრავლესობამ უმცირესობა სძლიოს და ითაყვანოს. ეგ ძალმომრეობა იქნება და არა იგი სამართალი, რომლითაც ადამიანი ადამიანობს ვით ზნეობრივ არსება და რომლის გამოც ჩვენი ანდაზა ამბობს: სამართლით ამოთხრილი თვალი არ მეტკინებაო".

- "ჩვენ ამას ამჟამად იმიტომ კი არ ვამბობთ, რომ ხიზნების საქმეში ან ერთს მხარეს მივკერძოთ, ან მეორეს. ჩვენ მარტო იმასა ვწუხვართ, რომ პატივცემული

გაზეთი “კავკაზი” ამ შემთხვევაში მარტო ეგრეთწოდებულს “უმრავლესობის კანონს” აჰყოლია და სრულებით ყურადღება არ მიუქცევია იმ სიმართლეს, ყოველთ უწინარეს, ხელთ უნდა ეჭიროს სასწორი საზოგადოებრივის საქმის განაჩენისათვის”. *(“კავკაზი”-ს წერილების გამო”. 1886 წ. 23 მაისი).*

- “ბატონ-ყმური დამოკიდებულება უსამართლო საქმე იყო. საცა ცხადი და აშკარა უსამართლობაა, იქ სამართლიანობის პოვნა ყველასათვის ადვილია. იქ ბევრი თავისტეხა არ უნდა, რომ კაცმა მართალი იპოვოს, და იმ მართლის კვალობაზედ ყველას თავისი მიუწყას. სულ სხვა ამბავია, როცა, საუბედუროდ, ერთს ხელში მიწაა და მეორეში შრომა, განცალკევებული, განთვითეულებული, და როცა ამ სამწუხარო ყოფას ერთი მეორისაკენ მიუზიდნია და ამ სახით შეუქმნია დამოუკიდებლობა. აქ, თუ გნებავთ, უსამართლობა თვით სათავეშივეა”. *(“კავკაზი”-ს წერილების გამო”. 1886 წ. 23 მაისი).*

- “რაკი საკუთრება მიწისა ხელშეუხებელ კუთვნილებად, და მუშაკის მარჯვენა თავისუფლად არის აღიარებული კანონის მიერ, აქ დამოკიდებულება მუშისა მიწაზედ და მიწისა მუშაზედ სხვა თვალით უნდა გაისინჯოს და გამოძიებულ იქმნას. ერთს წაართვი და მეორეს მიეცი, ეგ, ჩვენის ფიქრით, წყლულს ვერ გაამრთელებს. ხიზნების საქმე, _ ამ გარემოებიდამ წარმომდგარი, რომ ერთს მიწა ჰქონია უხელოდ და მეორეს ხელი უმიწოდ, _ ბატონ-ყმობის სახე ხომ არ არის, რომ ერთხელ გადაწყვეტილი და მორჩომილი მეორედ აღარ წარმოსდგეს და აღარ მობრუნდეს. ვიდრე კანონი იმ თვალით უყურებს მიწას, როგორც დღეს, და ვიდრე ქვეყანაზედ კაცი სცხოვრებს, ბევრი იქნება ერთის მხრით უმამულო კაცი, რომელსაც შრომა უნდა და საშრომი მიწა არ ექნება, და მეორეს მხრით უხელო კაცი, რომელსაც მამული აქვს და მშრომელი კი არ ეყოლება. დროთა განმავლობაში, თუ გარემოება ხელს უწყობს, ხალხი მატულობს, და ამას აუცილებლად ის მოსდევს, რომ, დღეს არა ხვალე, ისევ იმ ყოფაშივე ჩავცვივითYუმამულო კაცის გამო, რომლიდამაც დღეს გამოსვლა გვინდა”. *(“კავკაზი”-ს წერილების გამო”. 1886 წ. 23 მაისი).*

- “მიწა კი, რაც არის ღვთისაგან გაჩენილი, იმაზედ მეტს არც იმატებს და არც იკლებს. ეს გარემოება განა ყოველდღე არ მოქმედობს და ყოველდღე არა ჰბადავს უმამულო კაცსა, რომელსაც თავის ადგილას აღარ ედგომილება სივიწროვისაგან და სხვაგან უნდა მონახოს საცხოვრებელი მიწა, თუკი იშოვება”. *(“კავკაზი”-ს წერილების გამო”. 1886 წ. 23 მაისი).*

- “მხოლოდ დიდ-ბუნებიანთა კაცთა თვისებაა ერთხელ რწმენილი და აღიარებული გაიხადონ თავის სიცოცხლის საგნად და მას ქვეშ დაუგონ თავისი ცხოვრება და, თუ საჭიროება მოითხოვს, შესწირონ თავი თვისიცა ნიშნად იმისა, რომ ჭეშმარიტება მეტად უღირს, ვიდრე საკუთარი თავი და საკუთარი სიცოცხლე.” *(“ლუარსაბ წამებული”. 1886 წ.).*

- “საცა ერთის მხრით პირდაღებული ვეშაპია და მეორე მხრით – მობუზული კრავი, იქ, ეხლანდელს დროში სამართალს დაეკითხებაღა ვინმე? *(“ევროპის დიდი და პატარა ონავრები”. 1890 წ.).*

- “სად არის სამართალი? იგი თვალწინ ლამპარსავით უნთია ადამიანს მარტო იმ დრომდე, ვიდრე გახელებული ძალა არ მოვა და ერთის შებერვით არ ჩააქრობს ხოლმე”. *(“ევროპის დიდი და პატარა ონავრები”. 1890 წ.).*

- “სამართლით მოჭრილი ხელი არ მეტკინებაო, ამბობს ჩვენი ქართველი კაცი”. *(“ცხოვრება და კანონი”. 1877-1881 წ.).*

“**სიმდიდრე** მხნეობისა და გარჯის შვილია და არა დედა” *(“კვალად თვითმოქმედების შესახებ”. 1887 წ.).*

სიმღერა და გალობა: - “სიმღერა, გალობა, სხვა არა არის-რა, გარდა ბედნიერად შექსოვილის პოეზიისა და მუსიკისა. აქ, სიმღერაში, გალობაში, მწყობრი ხმა ჰშველის წყობილ-სიტყვაობას და წყობილ-სიტყვაობა მწყობრს ხმასა, რათა მთლად და სავსებით ადამიანმა გამოსთქვას თავისის სულის მოძრაობა და თავისის გულის ძარღვის ცემა. ხმა და სიტყვა ცალკ-ცალკე ბევრს შემთხვევაში უღონონი არიან ადამიანის გულის სიღრმიდან ამოზიდონ იგი სხვილი და წვრილი მარგალიტები, რომლითაც სავსეა ადამიანის გული და რომელნიც აიშლებიან ყოველთვის, როცა ან სევდა-მწუხარება, ან სიხარული შესძრავს ხოლმე ღვთაებურს სიმებს ადამიანის სულიერებისას. სიმღერა ამ მხრით იგივე ცრემლია, რომელიც მაშინაც მოდის, როცა გულს მწუხარება ჰკუმშავს, და მაშინაც, როცა დიდი სიხარული ეწვევა. ჩვენებური “ზარი”, ეგ გლოვის მუსიკა, პოეზიასთან და-ძმასავით შეთვისხორცებული, იგივე სიმღერაა სევდა-მწუხარებისა, როგორც მაგალითებრ “მაყრული” _ სიხარულისა და ბედნიერებისა, როგორც “ორ-პირი” _ ვაჟკაცობისა, მედგრობისა და მხნეობისა.” *(“ქართული ხალხური მუსიკა”. 1886 წ.).*

- “გალობა ისეთივე მოთხოვნილებაა, ისეთივე საჭიროებაა, ისეთივე განუყრელი თვისებაა ადამიანის ბუნებისა, როგორც ცრემლი _ როცა კაცი ან ჰხარობს, ან ჰგოდებს, როგორც კვნესა _ როცა გული შეხუთულია, როგორც ძახილი, თქმა _ როცა გული მხიარული და ბედნიერია.” *(“ქართული ხალხური მუსიკა”. 1886 წ.).*

- “რადგანაც ქვეყანაზედ გულსა ადამიანისას სძრავს ხოლმე არა მარტო სიხარული და მწუხარება, არამედ სხვა ათას-გვარი მიზეზიცა, ამიტომაც სამწუხარო და სასიხარულო სიმღერას შუა კიდე მრავალი გვარი სიმღერა და გალობაა.” *(“ქართული ხალხური მუსიკა”. 1886 წ.).*

- “ადამიანის გული იგივე ზღვაა, რომელიც კოვზით არ დაილევა თავის-დღეში. მინამ გული სძგერს, გულივე ათასნაირს სიმთ ააჟღერებს ხოლმე ათასნაირის მიზეზითა, და რადგანაც მიზეზი გულის-თქმისა ულეველი და დაუსრულებელია, თვით სიმღერას, რომელიც მარტო გულის-თქმაა და სხვა არარა, ბოლო და დასასრული არ ექნება თავის-დღეში, ვიდრე ეს დედამიწის ზურგი ატარებს და იშვნევს ადამიანსა.” *(“ქართული ხალხური მუსიკა”. 1886 წ.).*

- “კაცთ გარე, ქვეყნიერებაში სიმღერა არ არის (იგულისხმება სიმღერა, როგორც მწყობრი ხმა – მწყობრ სიტყვასთან შეერთებული). ეგ მხოლოდ კაცის კუთვნილებაა, ვითა ღვთის კერძოისა. ეგ ღვთაებური ნიჭი ბუნებამ მარტო ადამიანს მოჰმადლა და იგი ნიჭი იმოდენად ძვირფასად მიაჩნია კაცობრიობას, რომ არ არის ცას ქვეშეთში იმისთანა კაცი, იმისთანა ერი, რომ ეგ ნიჭი არ ემოქმედებინოს და ეგ მშვენიერი ნერგი, ადამიანის სულში ბუნებისაგან ჩარგული, არ ეხეირებინოს და ცოტა თუ ბევრი ყვავილები არ გამოესხმევინებინოს.” *(“ქართული ხალხური მუსიკა”. 1886 წ.).*

- “ჩვენა ვსთქვით, რომ სიმღერა გულის-თქმაა. როგორც ცალკე კაცის გული, ისე გული ერისა ბევრში სხვა ცალკე ერის გულს არ ჰგავს... ამის გამო გულის-თქმაც, გულის გამომეტყველებაც სულ სხვა არის ხოლმე და ყოველს ერს თავისი კილო, თავისი ჰანგი აქვს ამ სხვადასხვაობისათვის. იგი უტყვი პოეზია, რომელსაც ლესსინგი მუსიკას ეძახის, იგივე ენაა, მხოლოდ ხორც-შეუსხმელი, სიტყვით არ-განსაზღვრული, სიტყვით არ-გამორკვეული, _ იგი მარტო ხმაა, კვნესაა, ხარებაა, იგი

ძახილია აღფრთოვანებულის სულისა. ეს კვნესა, ეს ძახილი ქართველისა სულ სხვაა, სხვა ერისა სულ სხვა, როგორც სხვადასხვა ენა-მეტყველობა." *("ქართული ხალხური მუსიკა". 1886 წ.).*

- "ქართველი, როცა ჰკვნესის, სხვა-რიგად, სხვა ხმით, სხვა კილოთი ჰკვნესის, ვიდრე ფრანგი, ან გერმანელი: ქართველი, როცა ჰხარობს, სულ სხვა-რიგადა ჰხარობს და სიხარულის გამოთქმაც სულ სხვა-რიგია. რა არის, მაგალითებრ, ქართველის: "ვაი", "ვიშ-ვიშ", "ვაშა-ვაშა" თუ არ თქმა, თუ არ ძახილი, თუ არ ყეფა ასე თუ ისე ნაძგერის გულისა!.. ეგ ხომ ცარიელი ხმაა, ხომ იგი უტყვი ბგერაა ხმისა, რომელიც უტყვს პოეზიაზედ უფრო ახლოა, ვიდრე მეტყველ მუსიკაზედ, ესე იგი უფრო მუსიკაა, ვიდრე სიტყვიერება." *("ქართული ხალხური მუსიკა". 1886 წ.).*

- "როცა ქართველი იძახის: "ვაი-ვიშ", ჩვენ, ქართველებს, მთლად და სავსებით გვესმის ეს ბგერა ქართველის გულის ძარღვისა, ასე თუ ისე ძლიერად ნატკენისა და განწონილისა. სხვა ერის კაცი ვერ გაიგებს: ამას ამავე შემთხვევისათვის სხვა მწყობრი აქვს ხმებისა, რომელიც ჩვენ, ქართველებისათვის ისევე გაუგებარია, როგორც მისთვის ჩვენია გაუგებარი, თუ ან იმას ჩვენთვის ყური არ შეუჩვევია, ან ჩვენ მისთვის." *("ქართული ხალხური მუსიკა". 1886 წ.).*

- "ერთის ერის სიმღერა რომ მეორეს მოეწონოს, უნდა მისთვის გასაგები იყოს, და რომ გასაგები იყოს, ისე უნდა შეაჩვიოს ყური, როგორც ენა _ მეტყველობას." *("ქართული ხალხური მუსიკა". 1886 წ.).*

- "შეიყვანეთ ჩვენი გლეხკაცი, ანუ იმისთანა ვინმე, თუნდა თავადიც იყოს, რომელსაც ევროპიული მუსიკა თავის დღეში არ გაუგონია, შეიყვანეთ და თუნდა ბახისა, მოცარტისა და ბეტჰოვენის სიმფონიები მოასმენინეთ, იმას არ მოეწონება, თუმცა კი მთელი ევროპა აღტაცებაში მოდის ხოლმე. ეგ იმიტომ კი არ მოსდის, როგორც ზოგიერთნი ბრიყვნი ამბობენ, რომ იგი გლეხკაცი ანუ თავადი კაცობრიულ ნიჭს მუსიკის სიამოვნებისას მოკლებულია. ეგ იმას ეგვანებოდა, რომ კაცს კაცმა მეტყველების ნიჭის უქონლობა შესწამოს, როცა, ვსთქვათ, ბაირონის ლექსს ინგლისურად უკითხავდნენ ამ ენის არ-მცოდნე კაცს და ამის გამო არ-მცოდნე კაცი კითხვის დროს თვლემაში იყოს, როცა სხვანი აღტაცებულნი არიან. იგინივე, რომელნიც მოცარტისა და ბეტჰოვენის მუსიკით აღტაცებაში მოდიან, იგინივე ცხვირ-ზემოთ აიცილებენ ხოლმე ჩვენს სიმღერასა, ჩვენს მუსიკასა, მაშინ როდესაც ჩვენ აღტაცებაში მოვდივართ ხოლმე. აქ მიზეზი მარტო გაუგებრობაა, არ-ცოდნაა, და არა გრძნობა-მოკლებულობა, გრძნობა-დახშულობა." *("ქართული ხალხური მუსიკა". 1886 წ.).*

- "სიმღერის, პოეზიის სიამოვნების ნიჭი საყოველთაო კუთვნილებაა ადამიანისა. არ არის ქვეყანაზედ ადამიანი ამ ნიჭს მოკლებული, ყრუისა და მუნჯის მეტი, ისიც იმიტომ _ რომ აქ ხორცის ნაკლულევანებაა მიზეზი ამ ნიჭის უქონლობისა და არა სულისა." *("ქართული ხალხური მუსიკა". 1886 წ.).*

- "ყველა ერს ერთს ხარისხამდე არა აქვს აყვანილი თავისი მუსიკა, რო-გორც თვით ენა-მეტყველობაც. ამ მხრით ზოგი ერი ძალიან წინ წასულია, ზოგი ჯერ მიდის. ევროპამ ამ მხრით დიდად შორს დააგდო აზია და დღეს ევრო-პიული მუსიკა დიდად გაბრწყინებულია, განწმენდილია, დახელოვნებულია, და რა თქმა უნდა, ქვეყნიერობაზედ უპირატესობს." *("ქართული ხალხური მუსიკა". 1886 წ.).*

- "ვინც დააკვირდება აზიურს მუსიკასა და შეაფარდებს ევროპისას, იგი ადვილად ჰგრძნობს, რომ ამ ორთა მუსიკათა შორის ბუნებითი, არსებითი სხვადასხვაობა არის, სულ სხვა ძარღვი აქვს ერთს და სულ სხვა ძარღვი მეორეს, და თუმცა ერთი ისე განკარგებული, შეკეთებული და დახელოვნებული არ არის, როგორც მეორე, მაგრამ არა გვგონია _ ერთმა მეორეს ოდესმე სძლიოს და გზა დაათმობინოს; აზიური მუსიკაც იმ-რიგადვე თავის გზაზედ იდგება და ივლის, როგორც ევროპიული თავის გზაზედ მდგარა და უვლია." *("ქართული ხალხური მუსიკა". 1886 წ.).*

- "რომ ქართული სიმღერა და გალობა ევროპიულს არა ჰგავს, ეგ აშკარაა და ამას არავითარი დამტკიცება არ სჭირია, როგორც გვარწმუნებენ მცოდნე კაცები." *("ქართული ხალხური მუსიკა". 1886 წ.).*

- "მართალი ვიქნებით ვსთქვათ, რომ აზიის არა რომელისამე ერის სიმღერას არა ჰგავს აქაური (ქართული – ზ.თ.) ბანით სათქმელი სიმღერა. აქ საკუთარი, თვით-ნაჩენი, თვით-მყოფი სიმღერაა და ამ მხრით მუსიკის მცოდნე კაცთა თვალში ქართული სიმღერები სრულს ახალს ამბავს უნდა წარმოადგენდეს მუსიკის ისტორიისა და თეორიისათვის. არიან ჩვენში მუსიკის მცოდნე უცხო ქვეყნის ორიოდე კაცნი, რომელნიც ამ ხრით დაჰკვირვებიან ჩვენს სიმღერებს, სცდილან მისი ვითარება, თვისება, ხასიათი ზედმიწევნით და ღრმად ემცნოთ და იმათაც ფიქრად მოსდით იგივე, რაც ჩვენა ვსთქვით ქართულის თვით-ნაჩენობასა და თვითმყოფობაზედ. *("ქართული ხალხური მუსიკა". 1886 წ.).*

- "ის მუსიკის მცოდნე კაცნი, რომელნიც დღეს მიუზიდნია ქართულის სიმღერების სიკეთეს და სიტკბოებას, ბევრს ღირსებას ჰპოულობენ და ბევრსაც მეცადინეობენ გადაიღონ ნოტებზედ საყოველთაო საცნობელად." *("ქართული ხალხური მუსიკა". 1886 წ.).*

"**სიპ** ქვაზედაც რომ წვეთი მუდამ, დაუყოვნებლივ სწვეთდეს, იმასაც გაარღვევს." *("ცისკარი" 1857 წლიდან 1862 წლამდინა". 1862 წ.).*

სიტყვა: - "სიტყვა არის პირდაპირი გამომთქმელი სულის მდგომარეობისა" *("ორიოდე სიტყვა თავად რევაზ შალვას ძის ერისთავის კოზლოვის მიერ "შეშლილი"-ის თარგმანზედა". 1860 წ.).*

- "სიტყვა რომ არ იყოს ქვეყანაზედ, არც ასოები იქნებოდნენ: ბუნებას ხმის გარდა, სხვა ნიჭიც მიუცია კაცისათვის; ეს ნიჭი არის ნიჭი სიტყვიერებისა. მაგ ნიჭს შეუდგენია ენაცა, სიტყვაცა და მხოლოდ სიტყვას შეუდგენია ხმოვანიც და უხმო ასოცა... სიტყვა რომ არ იყოს ქვეყანაზედ, არც ასოები იქნებოდნენ.

- "სიტყვა არის პირდაპირი გამომთქმელი სულის მდგომარეობისა." *("ორიოდე სიტყვა თავად რევაზ შალვას ძის ერისთავის კაზლოვის მიერ "შეშლილი"-ს თარგმანზედა". 1860 წ. 5 ნოემბერი).*

- "სიტყვამან შენმან გამოგაჩინოს შენ". *("ქვათა ღაღადი". 1899 წ.).*

- "სიტყვა მრავალი გახლავსთ, ჩემო თადეოზ, ძლიერ ბევრი, მაგრამ რა ვქნათ, რომა იმ სიტყვებსა დაუმატებლად ბევრჯელ არ შეუძლიათ ზოგიერთი აზრის გამოთქმა? მე, რასაკვირველია იმაზრის გამოთქმაზედ არ მოგახსენებთ, რომელიცა ჩვენი ხალხის გონებაში დაბადებულა როდისმე; როცა დაიბადებოდა ის აზრი, უეჭველია, მაშინვე იმ აზრის გამომხატავი სიტყვაც აღმოჩნდებოდა, და იმგვარი სიტყვა და აზრი ჩვენ, ქართველებმა, უნდა უთუოდ ვიცოდეთ; მაგრამ როგორ მოვაგვაროთ საქმე მაშინა, როდესაც სხვა უცხო ენაზედ შევიტყეთ რომელიმე აზრი

და გვინდა ის აზრი ქართულის ენით ვსთქვათ, და სხვასაც შევატყობინოთ. და თუ ამ შემთხვევაში არ ვიხმარებთ იმ აზრების გამომხატველ სიტყვებსა, უნდა დავანებოთ თავი და დავრჩეთ გაუგებელი და უმეცარი. მსწავლული არავინ დაბადებულა, ყველანი ერთი-ერთმანეთისაგან სწავლობენ, ერთი ხალხი მეორე ხალხისაგანა სწავლობს. ესრეთ საბერძნეთი, როდესაც აიკლეს ოსმალებმა, ბერძნები მრავალი რიცხვი გაიფანტნენ და გავიდნენ დასავლეთ ევროპაში, და გაიტანეს სწავლა; როდესაც სწავლა გაძლიერდა იქა, იქიდგან შეიძინეს დანარჩენმა ევროპის ხალხმა. რასაკვირველია, საბერძნეთიდგან გატანილმა სიტყვამ შემოიარა ევროპა და თითო-თითოდ გადმოდის აზიაშიცა. და რა იქნებოდა მაშინა, რომ იმ ხალხს, დასავლეთის ევროპისას, ეფიქრნა: აი, ეს პოეზია არ არის ჩვენს ენაზედაო, ეს პროზაო, ეს ტრაგედიაო, კომედიაო – და სხვანი და გაჩერებულიყვნენ ამაზე გულ-ხელ-დაკრეფილები; ან შედგომოდნენ იმათ თარგმნასა, ან ახალი სიტყვების მოგონებას, უეჭველია, ამიერ უკუნისამდე იმას მოუნდებოდნენ და დარჩებოდნენ უსწავლელნი. ან კი რა წახდა რუსულ ლიტერატურაში იმითი, რომა ხმარობენ მრავლისაგან უმრავლესს ლათინურსა და სხვა დასავლეთი ევროპის ხალხის სიტყვებსა აზრის გამოსათქმელად? მაგრამ შორს რათ მივდივართ, თითონ ჩვენ კი ცოტასა ვხმარობთ აქამომდისინაცა თათრულს სიტყვებსა, და არა ვძრახავთ ერთმანეთსა და არც სასაცილოდ მიგვაჩნია იმათი ხმარება. რამდენჯერ იტყვით ყოველ ცისმარე დღე: უზბაში, ბოზბაში, სარდალი. ჩიხირთმა, ბოზართმა, ყაურმა, ტოლმა და სხვაც მრავლისაგან უმრავლესი, რა საჭიროა ჩამოთვლა. ამას-და გარდა რამდენ რუსულ სიტყვასა ვხმარობთ ეხლა, რომელნიცა სრულიად აღარ გვეჩოთირება, და ვხმარობთ ისრე, როგორც ჩვენს საკუთარს ქართულს სიტყვასა: სტოლი, სამოვარი, სალფეთქი, კანცელარია, სუდი, პალატა, კანტორა, სენატი, სინოდი, ჩინი, ჩინოვნიკი, აფიცერი, პოლკოვნიკი, გენერალი და სხვანი. ყოველ ქვეყანაში ასრე იქნებოდა, ჩემო თადეოზ, ვიდრე არ შეეჩვეოდნენ უცხო სიტყვასა, უეჭველია, იმათთვისაც საჩოთირო იქნებოდა. ამის დასამტკიცებლად წარმოგიდგენ ბელისნკის სიტყვასა; თუ რუსულ ენაზე არ წაგიკითხავთ, ორიოდე აზრს გადმოგითარგმნით ქართულადა და თითონ თქვენ გაშინჯეთ, რა წინააღმდეგები ყოფილან რუსეთის მწერლები უცხო ქვეყნის სიტყვების ხმარებისა: თუ ჭკუაში დაგიჯდესთ, დამეთანხმენით; და მე კი ჩემის მხრით სრულიად არა ვარ წინააღმდეგი.

“ ... ილაჯი იყო გაწყვეტილი რუსულში ახალი სიტყვებისა, - მომეტებულად უცხო ქვეყნის სიტყვებისა და ლაპარაკის კილოების შემოტანისაგანა, მაგრამ რომელი ახალი ცვლილება მამხდარა ილაჯ-გაუწყვეტელად, და სასაცილო არ არის, რომა არ დაიწყო კეთილი საქმე უბრალო ლაპარაკის შიშითა? რაღა საჭირონი იქნებიან ექიმები, თუ ავადმყოფებს არ უწამლებენ იმისი შიშითა, რომა წამლებით უფრო ცუდად არ შეიქმნენ ავადმყოფებიო? საქმეში რო შენიშნო რამე შეცდომილება, ეს ჯერეთ იმის დამტკიცებას არა ჰნიშნავს, რომა მთელი საქმე არის ტყუილი და არა მართალი. მოქმედებს ხალხი, მაგრამ დროება კი ასრულებს ყოველისფერსა. რასაკვირველია, ეხლა სასაცილონი არიან ეს სიტყვები: “ვიკტორია”, “სენსაცია”, “ონდიროვატ” (აღელვება), და სხვანიცა ამათი მსგავსნი. სასაცილო იქნება, რომ დაიწეროს: “სლოჟენიის” მაგივრად “ადდიცია”, “ვიჩიტანიის” მაგივრად “სუსტრაქცია”; “უმნოჟენიის” მაგივრად “მულტიპლიკაცია”; “დელენიის” მაგივრად “დივიზია”. ამ ზემოხსენებული სიტყვების ხმარება და შემგდგომი სიტყვების

ხმარება დაიწყეს ერთს დროში - "გენია, ენტუზიაზმი, ფანატიზმი, ფანტაზია, ოდა, ლირიკა, ეპოპეია, ფიგურა, ფრაზა, კაპიტელი, ფრონტონ, ლინია, პუნკტ, მონოტონი, მელანხოლია" და სხვანიც მრავლისაგან უმრავლესი უცხო ქვეყნის სიტყვები, მაგრამ აქამომდისინაც დიაღ ჩინებულად იხმარებიან რუსულ ენაში და ამისთვისაც აღარ არიან სასაცილონი, გასაოცარნი და შეუგნებელნი. ხალხი განურჩევლად ხმარობდა ახალ სიტყვებსა, მაგრამ დროებამ გარდაწყვიტა – რომელი სიტყვა უნდა დარჩენილიყო ენაში და ხმარებულიყო და რომელი უნდა გადავარდნილიყო ხმარებიდგანა: მაგრამ ამ ახალი სიტყვების შემომტანელებმა არ იცოდნენ და არც შეეძლოთ სცოდნოდათ ესა. შიშკოვს (ეს მწერალი საშინელი წინააღმდეგი და მტერი ყოფილა უცხო ქვეყნის სიტყვებისა, და არც უხმარია თავის დღეში ერთი სიტყვის მეტი "პოპუგაი", (თუთიყუში", რომელსაც დაარქვა თავისებურად "პერეკლიტკა") არ ესმოდა, რომა კილოსა და სამარადისო კანონებს გარდა, ენას აქვს კიდევა ზოგიერთი უხიაკობა (ხასიათი), რომლის წინააღმდეგობაცა სასაცილო არის; იმას არ ესმოდა, რომა სიტყვის ხმარებასა აქვს უფლება სრულიად გრამმატიკის თანასწორი, და ხანდახან გრამმატიკასაც აჯობებს ხოლმე, თუმცა საქმე აშკარად აჩვენებს, რომა გრამმატიკის წინააღმდეგი არის. ჩვენა გვაქვს სიტყვა ტორგოვლია (ვაჭრობა), რომელიცა სრულად ამბობს თავის აზრსა; მაგრამ იპოვნეთ ერთი ვაჭარი კაცი, რომელსაც არ ესმოდეს და რომელიც არა ხმარობდეს სიტყვასა კომერციასა, თუმცა ეს სიტყვა ყოველის სიმართლით სრულიად მეტი არის. ამის-და გვარად იპოვება მრავალი ნამდვილი რუსული სიტყვები, რომელნიც არიან სრულიად დავიწყებულნი და უხერხულნი სახმარებლად..."

" ... პირველი მიზეზი ახალი სიტყვების ლაპარაკში შემოტანისა, გამოკრებილისა თავისის ან სხვის ენიდგან, არის გაცნობა ახალი აზრისა (ან საგანისა); და უეჭველია, თუ საგანი არ არის, არც სიტყვა იქნება იმის გამოსახატავად; თუ აღმოჩნდა საგანი – საჭირო არის სიტყვაცა, რომლის შემწეობითაც ის უნდა გამოითქვას. ჩვენ გვეტყვიან, რომა აზრი, საგანი და სიტყვა ერთად უნდა დაიბადონო, ამისათვის რომა სიტყვა უაზროდ და აზრი უსიტყვოდ ვერ დაიბადებიან. ეს სრულიად მართალი არის: მაშ რა უნდა ჰქმნას, თუ მწერალმა აზრი ანუ საგანი იცნო სხვა უცხო ქვეყნის სიტყვითა – უნდა იპოვნოს სიტყვა თავის ენაზე, ან შეადგინოს ახალი სიტყვა, იმისი შესაფერი? – ამას ბევრნი სცდილობდნენ, მაგრამ ბევრნი მათგანნი ვერას გახდნენ... "

" ... რუსის გლეხიკაცებისათვისა "კუჩერი" ნამდვილი რუსული სიტყვა არის; და "ვაზნიცა" ისეთი უცხო ქვეყნის სიტყვად მიაჩნიათ, როგორათაც "ავტომედონი". ამ სიტყვების სათქმელად: "სალდათი", "კვარტირა" და "კვიტანცია", ასე გაშინჯე, გლეხიკაცებსა არა აქვსთ ამაზედ კარგად გასაგონარი და ამაზედ უკეთესი რუსული სიტყვა, როგორც სალდათი, კვარტირა და კვიტანცია. რა უნდა უყოთ ამასა? და შესაწუხრად კი ღირს ესა? როგორი სიტყვაც უნდა იყვეს, ჩვენი თუ სხვისა, ოღონდ კი შეეძლოს გამოთქმა იმ აზრისა, რომლისათვისაც არის გამოსახული, - და თუ სხვის სიტყვა უკეთესად იტყვის აღნიშნულს აზრსა, ვიდრე ჩვენი, გვიბოძეთ სხვის სიტყვა და ჩვენი წაიღეთ საკუჭნაოში სხვადასხვა ძველძულებთან შესანახავად... *("სფირიდონისა და თადეოზის ბაასი". 1861 წ).*

- "დამერწმუნეთ, ჩემო თადეოზ, ისინიც, რაც ახლა მოგვემატებიან, უარესად საჭირონი იქნებიან: რით არიან უშნონი არაბული სიტყვები "ვეფხის-ტყაოსანში"; თქვენ როგორცა ჰფიქრობთ, მაშ რუსთაველის თხზულება დამცირებული იქნება? მაშ

რუსთაველი ძლიერ დამნაშავე იქნება არაბულისა და თათრული სიტყვების ხმარებისათვის? და თუ მაინცდამაინც არ დამეთანხმებით, მაშინ ერთი ღონისძიება დაგვრჩება, ერთს ხუმრობას მოგახსენებთ: უნდა მოვიშოროთ თავიდგანა ყველა სხვა ქვეყნის სიტყვები, ავიღოთ ცოცხი, მივაგროვოთ, მოვაგროვოთ ჩალა-ბულასავით; პოეზია წინ გავიგდოთ, პროზა უკან მივაყოლოთ, ჟურნალიცა, ტრაგედია, კომედია, და ჩავიტანოთ ფოთში, ჩავყაროთ გემში და გავისტუმროთ: ზოგი საბერძნეთში, ზოგი იტალიაში, ზოგი რუსეთში, ერთი სიტყვით საიდანაც მოსულან და დავაყენოთ ყარაულები, რომა მეორედ აღარ შემოგვეპარონ; მაშინ მოვრჩებით და მოვისვენებთ, აღარც ბაასი მოგვინდება და აღარც კრიტიკა. მაგრამ უნდა გახსოვდეთ, რომა, ვინიცობაა, გავრეკოთ ჩვენი ქვეყნიდგან ყველა სიტყვები, რომელნიც აქ დაბინავებულან და რომელნიც კიდევაც აპირობენ დაბინავებასა, მაშინ ის უნდა წარმოვიდგინოთ თვალ-წინა, რომა ქართული ენა ეგვანება კალიისაგან მოჭმულ ყანასა.

- ეგ სასაცილო ხუმრობა არის, ჩემო სფირიდონ.

- მაშ როგორ იქნება, ან ერთზედ უნდა დათანხმდე, ან მეორეზედა. მე კი ამას მოგახსენებ, რომა ყოვლის სიმართლითა სჯობს, რაც ჩვენთვის მიუცილებლად საჭირო არის, უნდა ვიხმაროთ, კარგი ამბავი უცხო ქვეყნისა, კარგი აზრი ჭკვიანი ხალხის ნათქვამი, ყოველისფერი ამორჩევით გადმოვიტანოთ ჩვენს ენაზედა, დავაკვირდეთ, გავშინჯოთ, შევუფარდოთ ჩვენს ამბავსა და ჩვენს აზრსა და ამ შეფარდებით გავიგოთ, რა არის ჩვენში კარგი და რა არის ცუდი. – რასაკვირველია, მეც საშინელი წინააღმდეგი ვარ "ოსტროვებისა", "ლინიებისა", და "ოზეროების" ხმარებისა: ეს მეტის-მეტი ახირებაა, რადგანაცა ჩვენა ჩვენს სამშობლო ენაზედ კარგად ვიტყვით და გავიგონებთ კიდეცა კუნძულსა, ხაზსა და ტბასა. მაგრამ ეს სალაპარაკოდ არა ღირს, რადგანაც უმეცრებით მოსვლია ამის დამწერსა, ვეჭვობ, შემდგომ აღარ გაიმეორებს.

- არა, სფირიდონ, მე ხომ მაგას არ ვამბობ, მე სხვისაგანაც გამიგონია და ქართული ისტორიაც ამბობს, რომა ბევრს სხვადასხვა ხალხს გაუვლია საქართველოში და დაუტოვებიათ აზრებიცა და სიტყვებიცა, მაგრამა თითონ ჩვენსავე საკუთარ ქართულ სიტყვებსა სცვლიან და გრეხენ რაღაც-ნაირადა; ზოგი იძახის, ასოები აღარ გვინდა, ზოგი იძახის, ანბანი უნდა გამოიცვალოსო; ეს არ მოგვწონსო, ის მეტად გვიჩანსო, რაღაებსაც ამბობენ. ახა, ღმერთო ჩემო! მაგრამ სამართლიანად დაუწერეს კრიტიკა ილია ჭავჭავაძესა, ისე ურჩევნია.

- ეგ არაფერი, ყველა თავისებურადა სჯის. ყველას ნება აქვს კრიტიკისა, ყველამ უნდა სახალხოდა სთქვას თავისი აზრი, როგორა ფიქრობს ამა და ამ საგანზედა; მათგანსა ზოგს გაამტყუნებენ, ზოგზედ დაეთანხმებიან, და ამასობაში სტატია გაიწმინდება და დადგება ისე, როგორც უნდა ნამდვილად ყოფილიყო. და თუ ხმას არავინ ამოიღებს, მაშინ ყურის მგდებელმა რა ჰქმნას? *("სფირიდონისა და თადეოზის ბაასი". 1861 წ).*

- "უეჭველია, ძლიერ გონივრად იქცევა ისა, ვინც მუდამ ჟამს კითხულობს საღმრთო წერილსა. იმის წამკითხავი ორნაირად არის სარგებლობაში, პირველად: შეისწავებს ღვთის ვედრებასა და რამდენსაც მომატებულად კითხულობს, იმდენად მკვიდრად დაინერგება იმის გულში სარწმუნოება ქრისტესი; და მეორედ: იქ შეხვდება მრავალ ნამდვილ ქართულ სიტყვასა, რომელნიც ამ ჟამად ბევრნი მათგანნი

აღარ იხმარებიან საერო ლაპარაკში, და მაშინ, როდესაც საღმრთო წერილი გადმოუთარგმნიათ ქართულად ბერძნულიდგან, ხმარებაში ყოფილა. მხოლოდ იქიდგან გამოტანილი სიტყვა უნდა მოიხმაროს ისე, იმ კილოზე, როგორც ამ ჟამად ლაპარაკობს ხალხი; მეტადრე არ არის ძნელი სამუდამო ლაპარაკის კილოზე სიტყვის ხმარება მაშინა, როდესაც საგანი თხზულებისა არ შეეხება რასმე ფილოსოფიურსა, ანუ სხვა რომელსამე სწავლასა. ამგვარ თხზულებაში ვერ ასცდება მწერალი უმაღლეს აზრის გამოთქმასა, ვერ დასწერს სამუდამო საზოგადო სახალხო ენაზე, რადგანაც თითონ საგანი ფილოსოფიური თხზულებისა არის ისეთი, რომა ყველას, მოუმზადებლად, არ შეუძლიან მიხვედრა და ამასთანავე უთუოდ დასჭირდება ისეთი სიტყვების ხმარება, რომელნიც ხშირად არ ესმის ხალხსა *("სფირიდონისა და თადეოზის ბაასი". 1861 წ).*

- "სიტყვა გარეგანი სამოსელია აზრისა." *("პასუხი". 1861 წ. 14 მაისი).*

- "სიტყვა თქმაა და არა ქმნა. თქმისა და ქმნის შუა დიდი მზღვარია." *("შინაური მიმოხილვა". 1881 წ. დეკემბერი).*

- "სიტყვა სარკეა ადამიანის სულისა და გულისა და სარკეში კაცი თავის მახინჯობას ვერ დამალავს, მაშინვე გაამხელს." *("ამბავი ყბად-ასაღები და წყალ-წასაღები". 1889 წ.).*

- "სიტყვა ხომ არაფერია და კაცს არაფრად უღირს, მაგრამ რამდენი კაცია ქვეყანაზედ – მოძმესათვის ისიც არ ემეტება. ესეც კია, ზოგმა თუნდა გამოიმეტოს კიდეც, გაჭირვებულ გულს არ მოხვდება. ვერ მიაღწევს გულამდინა. ამისთანა კაცები გულს ვერ მოჰფხანენ გაჭირვებულსა და ვერც ნუგეშსა სცემენ. მზე ზამთრისა ყვავილს ვერ ამოიყვანს". *("გლახის ნაამბობი". 1859/1862 – 1873 წ.).*

"**სიფრთხილეს** თავი არ ასტკივდებაო, ნათქვამია." *("კაცია ადამიანი?!" 1858-63 წ.).*

სიყვარული: - "კაცი, რომელიც უგულოა, რომელსაც გული ტრფიელობისა და სიყვარულისათვის დახშული აქვს, ის კაცი-კი არ არის, ნახევარკაცია, მოკლებული იმ ღვთაებურს ნიჭსა და მადლსა, რასაც სიყვარულს ეძახიან." *("აკაკი წერეთელი და "ვეფხისტყაოსანი". 1887 წ.).*

- "ნ. ბარათაშვილმა განაწმიდავა სიყვარული და სიყვარულში სულიერობას უფრო თაყვანს სცემდა, ვიდრე ხორციელობას, იგი მით იყო უფრო ძლიერი ლირიკაში ალ. ჭავჭავაძესა და გრ. ორბელიანზედ, რომ მისნი გულისთქმანი, მისნი გრძნობანი, მისნი ჭირნი და მწუხარებანი უფრო საყოველთაო, საკაცობრიონი არიან, ვიდრე კერძონი, ვიდრე მარტო მის საკუთარ გულისანი. მისი კვნესა კაცობრიობის კვნესაა, მისი ჩივილი კაცობრიობის ჩივილია, მისი ვერ მიწვდენა სურვილისა კაცობრიობის უღონობაა. ჰხედავს ცას და შეჰკვნესის უღონობის სიმწვავითა." *("წერილები ქართულ ლიტერატურაზე". 1892 წ.).*

- "მე არ მიყვარს დაშაქრული თუ დაცრემლილი სიტყვები, მე არ მიყვარს საკუთარ გრძნობებზე ლაპარაკი, ჩემო მეგობარო, _ ეს მხოლოდ რომანებში იციან, ისიც ფრანგული ყაიდის მოსულელო რომანებში. დამიჯერე, რაც უფრო მეტია სიტყვა, მით უფრო ნაკლებია გრძნობა, ანდა პირიქით, რაც უფრო ნაკლებია სიტყვა, მით უფრო მეტია გრძნობა. ეს ისეთივე ჭეშმარიტებაა, როგორც ორჯერ ორი ოთხია". *("წერილები ილია ჭავჭავაძისა ოლღა თადეოზის ასულ გურამიშვილისადმი". 1863 წ. 28 იანვარი).*

- "მერწმუნე, როგორც ვხედავ, სიყვარული ცუდი რამ ყოფილა, თავის მსხვერპლთან ხუმრობა არა ჰყვარებია". *("წერილები ილია ჭავჭავაძისა ოლღა თადეოზის ასულ გურამიშვილისადმი". 1863 წ. 12 თებერვალი).*

- "ფიზიოლოგები, ჩემო ანგელოზო ამბობენ, ვინც გამუდმებით მხოლოდ ერთ საგანზე ფიქრობს, მას გიჟი ეწოდებაო. თუ ეს სიმართლეა, მაშინ მეც გავგიჟებულვარ და ეგ არის, რადგან ყოველ წუთს შენითა ვარ გართული და შენზე ვფიქრობ. წინ რა მომელის არ ვიცი, ვიცი მხოლოდ ერთი რამ, სულით მოვისწრაფი შენდამი, რომ მოგეხვიო და კოცნით დაგფარო". *("წერილები ილია ჭავჭავაძისა ოლღა თადეოზის ასულ გურამიშვილისადმი". 1863 წ. 28 თებერვალი).*

- "მომწყინდა აქ ყოფნა და დავიღალე მით, რომ ესე დიდხანს განვშორდი ჩემს საყვარელს ქვეყანას". *("წერილები ილია ჭავჭავაძისა ოლღა თადეოზის ასულ გურამიშვილისადმი". 1873 წ. 23 ოკტომბერი).*

- "მარტო გულწმინდად მიცემული ნუგეში, მარტო გულწმინდად გზად და ხიდად გადებული სიყვარულია იგი უზენაესი მადლი, რომელიც კაცს აღიყვანს "მაღალსა მას მთასა წმინდასა, სადა ჰგალობენ ანგელოზნი ღვთისა დიდებას". *("ქვათა ღაღადი". 1899 წ.).*

"**სიჩქარით**, შენი ჭირიმე, თქვენც კარგად მოგეხსენება, სოფელი არავის მოუჭამია." (*"გლეხთა განთავისუფლების პირველდროების სცენები". 1865 წ.).*

"**სიცილსა** და კასკასსა დარბაისლური ლაპარაკი სჯობია! მეტადრე უადგილო სიცილსა სრულიად არა აქვს ლაზათი." *("სფირიდონის და თადეოზის ბაასი". 1861 წ.).*

"**სიცილით** მოკვდა ტირილით ნაშობი". *("გლახის ნაამბობი". 1859/1862 – 1873 წ.).*

სიცოცხლე: - "სიცოცხლე ჩვენი, ჩემო ძმაო, არც დედისაა, არც მამისა, ქვეყნისა არის. ჯერ ქვეყანა, მერე დედა და მამა. მზე რომ ამოდის, ვარსკვლავები მაშინ არა სჩანან... ის როგორა სწერს, ავთანდილი, როსტევანსა?

"მე იგი ვარო... / ვის სიკვდილი მოყვრისათვის / თამაშად და მიჩანს მღერად".

კარგი სიტყვა არის, თუ მოყვარედ ქვეყანა მიაჩნია ადამიანსა. ისიც კარგია, ხომ გახსოვს:

"სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა / სიკვდილი სახელოვანი"." *("გლახის ნაამბობი". 1859, 1862-1873 წწ.).*

- "ნაძრახი სიცოცხლეო!...

მაშინ ნაძრახი იქნებოდა, თუ ჯერ არ არის, ჩემო ძმაო! კაცი ირჩობა, ღვთის კერძო, შენსავით შვილი ერთის მამა-ღმერთისა, შენ კი გულხელდაკრებილი დაჰყურებ, როცა იმის მორჩენა შეგიძლიან, _ სასახელოა? მერე ღმერთს რა პასუხს მისცემთ, ან შენ და ან დედაშენი, ღმერთს რას ეტყვით? არ გეტყვით: რად მოიკალით გული, რომელიც თქვენის მოძმის სიყვარულისათვის მომიცია თქვენთვის? რად დამალეთ და დაიშურეთ ღონე და შეძლება, რომელიც გაჭირვებულის მოძმის საშველად მომიმადლებია? როცა, ჩემო ძმაო, ადამიანს პირს არიდებ, მითამ ქრისტე-ღმერთისათვის მოგირიდებია პირი. იესომ ბძანა: განკითხვის დღეს გეტყვითო: მწყურვალი ვიყავ, არ მასვითო; მშიერი ვიყავ, არ მაჭამეთო; შიშველი ვიყავ, არ ჩამაცვითო; სნეული ვიყავ, არ მომიარეთო. როცა მეტყვიანო: უფალო! სადა გნახეთ, რომ არ გიშველეთო? მე ვეტყვიო: ყოველი გაჭირვებული კაცი, თქვენგან არგაკითხული, მე ვიყავი. ესეა, ძმაო!.. სხვა შენთვის და შენ სხვისთვის, აი გზა ცხოვრებისა, აი ხიდი ცხონებისა, აი გასაღები სამოთხისა!.." *("გლახის ნაამბობი". 1859, 1862-1873 წწ.).*

- "ცოცხლებშია არიან მკვდრები, ისრე, როგორათაც ცოცხლებიც არიან მკვდრებში."

“დიახ, სიცოცხლე ის არ არის, რომა ამდენი და ამდენი წელიწადი სვა და ჭამო, იცოდვილო ჩინებისა და ფულისათვის და თავისუფალ დროს ხოცო ბუზები, სთვლიმო და ითამაშო ქაღალდი: ამისთანა სიცოცხლე უსაძაგლესია ყოველს სიკვდილზე, და ამისთანა კაცი უმცირესია ყოველს პირუტყვზე, ამისათვის რომა პირუტყვი, თავის მიდრეკილების მორჩილი, სრულიად ხმარობს იმ ღონისძიებასა, რაც მიუნიჭებია მისთვის ბუნებასა საცხოვრებელად, და მოურიდებლად აღასრულებს თავის მნიშვნელობასა. სიცოცხლე არის _ მგრძნობელობა და განსჯა, ტანჯვა და ნეტარება; ყოველი სხვანაირი სიცოცხლე არის სიკვდილი. და რამდენსაც მომეტებულს საგანს მისწვდება ჩვენი გრძნობა და აზრი, რამდენადაც მომეტებულად და ღრმად შეუძლიან ჩვენს ნიჭსა ტანჯვის და ნეტარების გრძნობა, იმდენად მომეტებულად ვცოცხალვართ: ერთი წამი ამისთანა სიცოცხლისა უმჯობესია, ვიდრე ასი წლის სიცოცხლე, გატარებული საზიზღარ თვლემაში, უბრალო მოქმედებაში, უსაგნოდ დროების გატარებაში.” *(“სფირიდონის და თადეოზის ბაასი”. 1861 წ.).*

- “რაც უნდა უხვი და მდიდარი იყვეს შიგნეული სიცოცხლე კაცისა, რაც უნდა მჩქეფარე წყაროსებრ სცემდეს გარეთ და რაც უნდა ზვირთით გადმოდიოდეს ნაპირზე, _ ის არ არის სრული, თუ რომ არ მიითვისა იმან ის, რაც სასარგებლოა იმის გარეშე მყოფ ქვეყანისა, საზოგადოებისა და კაცობრიობისათვის. სრულსა და კარგად მყოფ ბუნების კაცსა მძიმედ აწევს გულსა სვე სამშობლო მამულისა; ყოველ კეთილშობილ ადამიანს ღრმად ესმის თავისიანობა, რომ ის არის სისხლითა და ხორცით ნათესავი მამულისა, სისხლითა და ხორცით მიკავშირებული სამშობლო მამულთან.” *(“სფირიდონის და თადეოზის ბაასი”. 1861 წ.).*

- “გაჭირვებული დრო დადგება ხოლმე ერისათვის ხანგრძლივის და დიდის-ხნის მღელვარე ცხოვრების შემდეგ. იშვიათად მიჩვენებთ ერს, რომ როდისმე მაინც ესევ იმ გვარადვე არ გასჭირებოდეს, როგორც ჩვენ ქვეყანას და ერს უჭირდა ორმოციან და ორმოც-და-ათიან წლების განმავლობის დროს. მეისტორიე მიშლესი არ იყოს, რომელიც საფრანგეთის დიდის რევოლუციის შემდეგ მდგომარეობაზე ლაპარაკობს, მაშინ რომ ქართველისთვის გეკითხათ, რას ფიქრობთ, რა გსურთო, სიცოცხლეზედ ვფიქრობთ, სიცოცხლე გვინდაო, გიპასუხებდნენ. _ მაგის გარდა კიდევაო? _ კიდევ სიცოცხლე გვინდაო, გეტყოდნენ. _ რას ეძახით სიცოცხლეს, როგორ თუ სიცოცხლეო? _ ისეო, გეტყოდნენ, რომ გავლა-გამოვლა შეგვეძლოს, სუნთქვაო, ცით და მთვარით დატკბობა, მზის ცქერაო და ჩვენის ჭიის გახარებაო. გვინდა ვგრძნობდეთ, რომ თავი ისევ მხრებზე გვაბიაო, რომ ჩვენის თავისთვის გვეთქვა, ფიქრი არა გაქვს, ისევ ცოცხალი ხარ, ჯერ არ მომკვდარხარო.” *(“შინაური მიმოხილვა”. 1883 წ. აგვისტო).*

- “ერთის სიტყვით, ხალხს და ერს მხოლოდ ხორციელის ცხოვრების ნატვრა ჰქონდა, მხოლოდ იმაზე ფიქრობდა, რომ უნდა გავფრთხილდე, თორემ, სულს ხომ აღარა ვჩივი, ხორცითაც არ დავიღუპოვო.” *(“შინაური მიმოხილვა”. 1883 წ. აგვისტო).*

- “ჩვენ ვიცით კანონი ადამიანის სხეულისა, ვიცით რომა სიცოცხლე კაცისა არის მისს აგებულებაში, ვიცით რომა სიცოცხლე განუშორებელად თან დასდევს სისხლის ბრუნვასა ძარღვებში, და განქრება იმწამსვე _ როდესაც გათავდება სისხლის ბრუნვა.” *(“სფირიდონის და თადეოზის ბაასი”. 1861 წ.).*

“**სიძუნწე** და ქართველი ორივ ერთად მოთავსდება? ყინული და ცეცხლი ერთიერთმანეთს არ დალევენ?” *(“კაცია ადამიანი?!” 1858-63 წ.).*

“**სიხარული** ჰგავს გზის პირას გაზრდილს, გავლით მოწყვეტილს სუნნელსა ყვავილს/რომელიც ხელში დიდხანს არ გრჩება / მცირე ხანს გატკბობს და მერე ჭკნება”. *(“სიხარული”. 1859 წ.).*

“**სვავს** ვინ ჰკითხავს, სისხლს რადა ჰსვამ, / სვავო, რადა ხარ სვავიო?...” *(“მეფე დიმიტრი თავდადებული”. 1878 წ.).*

“**სნეული**, როცა მორჩენაზედ მიდგება, პირს მოარიდებს ხოლმე მაძღარს სადილს და მსუქან ფლავსა და ყოველს ამაზედ უფრო მეტის სიამოვნებით რჩეობს ორიოდე კოვზს კარგს შორვასა.” *(“შინაური მიმოხილვა”. 1882 წ. ნოემბერი).*

“**სოფლის** ნადიმთა მჯდომელი სოფელსავითვე ჭრელია”. *(“ქვათა ღაღადი”. 1899 წ.).*

“**სტატიის** დამბეჭდავი ვალდებულია ხელის მომწერლებთა წინაშე, რომ დაუბეჭდოს სასარგებლო ამბავი და არა თავის უვარგი და გამოუსაყენი. სტატიის ამორჩევა გადმოსაღებად არის პირველი და უწარჩინებულესი საქმე.” *(“სფირიდონის და თადეოზის ბაასი”. 1861 წ.).*

“**სულ** სხვაა ჩვენი შინაური უარმყოფელობა. იგი რაღაც სიბრძნესა, ცოდნასა და ლიბერალობას ჩემულობს და თუ გამვლელ-გამომვლელი თავს არ უკრავს და მუხლს არ უყრის, ყველანი სულელები ჰგონია, უცოდინარი და რეტროგრადი. ამის მსმენელს ბალღებსაც სჯერათ ეს ყველაფერი და ვნებაც აქ არის.

ჩვენში იმისთანები არიან, რომ სახელად მიაჩნიათ გამოვიდნენ და იყვირონ – დღისით დღე არ არის და ღამით ღამეო. თითქოს მარტო იმისთვის, რომ ბალღებს მოაწონონ თავი და ტაშის ცემით ათქმევინონ: აი უარმყოფელი და, მაშასადამე, ბრძენი, მცოდნე და ლიბერალი. თორემ გონებაში ჩავარდნილი კაცი ამ უარმყოფელს საგიჟეთში ამოუყოფდა თავსა. ამ უარმყოფელს რომ უთხრა: კაცო, რას ჰროშავ! როგორ თუ დღისით დღე არ არის და ღამით ღამე, - გიპასუხებთ: შენ რა იცი, ხურმა რა ხილია! მე უარმყოფელის მიმართულებისა ვარ და ეს მიმართულება უკანასკნელი სიტყვაა მეცნიერებისა, ახალი მოძღვრებაა და განა არ ვიცი, - შენს გაცვეთილსა და დაობლებულს მიმართულებას ვერაფრად ეჭაშნიკებაო. ამასაც ხომ არ გაკმარებთ, რადგანაც ტაშს არ უკრავთ, წამების გვირგვინსაც დაიწნავს ამ სასაცილო მჩვრისაგან, დაიდგამს თავზედ, გამარჯვებულსავით დოინჯსაც შემოიყრის და თავმოწონებულად დაიწყებს სიარულს. ბალღები უცქერიან ამ ბერიკად მორთულს დონკიხოტსა და ქება-დადებას მისძახიან: აღა ბაღში მობრძანდება, მიხედ-მოხედვის ჭირიმეო”. დონკიხოტსაც სჯერა ეს “მიხედვ-მოხედვის ჭირიმე” ბალღებისა და შუბლზედ ბუზსაც არ იფრენს”. *(“უარმყოფელობა ჩვენში”. 1838 წ.).*

“**სულელობა** ხომ სულელს ექნება და საკვირველი ეს არის, - სულელს იმოდენა გონიერება ვინ მისცა, რომ ასე ეშურება თავისის განძის გასაღებას. რაკი ეშურება, სჩანს იცის, რომ სულელობის ბაზარს დიდი ხანი არა აქვს და რაკი ეს იცის, სჩანს სულელი მთლად სულელი არა ყოფილა. მაშ რა ხათაბალა ამოქმედებს ამისთანა კაცს? თუ მთლად სულელი არ არის, მთლად რათა ჰსულელობს? აქ მარტო ერთი პასუხია: ან სხვისი სულელობა აქეზებს, ან სხვის გასულელებას ჰლამის და ამით მუშტრის შოვნასა. რაც გინდა სთქვით და არც ეს არის მთლიანი სულელობა. აქაც ანგარიშია და ანგარიში შეუცდომელი, ამისთანა გამბედაობა დღეს თანხაა და თანხის ტრიალი უნდა, რომ სარგებელი აიღოს, იბღარტოს, იმატოს. კაი ხელობაა და ნუ გგონიათ-კი, რომ სუბუქი ხელობა იყოს.

აქ კაცმა სინიდისიც უნდა დაივიწყოს, ნამუსიც უნდა მჩვარში გამოჰკრას, პატიოსნებაცა ჰგმოს, ერთის სიტყვით, ყოველს ღვთაებურს ნიჭს ადამიანისას უნდა გადუდგეს და ამ ხელობას ისე მოჰკიდოს ხელი. ხუმრობა ნუ გგონიათ ასე სამარცხვინოდ თავის გაწირვა, ასე გაბიაბრუება, გაუპატიურება საკუთარის თავისა, საკუთარის კაცობისა. ამასაც ღონე უნდა, მართალია ღონე საზიზღარი, თავლაფდასხმული, შემაძრწუნებელი, მაგრამ მაინც ღონე. ვაი რომ იმისთანა ღონესაც ფარი აქვს და მუშტარი ჰყავს". ("გაზეთი "კავკაზი" და ქართველი ხალხი". 1887 წ.).

"**სულელობას**, ოღონდ მეცნიერების სახელით-კი გამოვიდეს მოედანზედ და ლიბერალობა მოეწეროს ქვეშ, არსად იმისთანა უვიცობის ხნული არ დახვდება ფესვის მოსაკიდებლად, როგორც ჩვენში." *("უარმყოფლობა ჩვენში". 1888 წ.).*

"**სულელობას**, ოღონდ მეცნიერების სახელით-კი გამოვიდეს მოედანზედ და ლიბერალობა მოეწეროს ქვეშ, არსად იმისთანა უვიცობის ხნული არ დახვდება ფესვის მოსაკიდებლად, როგორც ჩვენში, საცა ჭკუა და გული ადამიანისა დღეს-აქამომდე სხვისის ნასუფრალით იკვებება აუწონ-დაუწონველად. ჩვენში, გაიგებენ თუ არა ალია მომკვდარაო, იმას აღარ დაეძებენ, მართლა მომკვდარა თუ არა, და თუ მომკვდარა, რომელი ალიაა. საკმაოა მხოლოდ ყური მოჰკრას „ჰოსა" თუ „არას", და გათავდა საქმე, ყოველს სასაცილობას წამოიყრანტალებენ გამოუძიებლად, საბუთის უკითხველად, ნამეტნავად მაშინ, თუ ყურში წასჩურჩულეთ, რომ ეს უკანასკნელი სიტყვაა მეცნიერებისა, ახალი მოძღვრებაა, ახალი მიმართულება და უეჭველი ნიშანია ლიბერალობისა.

კაცი, მაგალითებრ, მოგითხრობთ, რომ საქართველოს სამი ათასი წელიწადი უცხოვრია და ამ სამი ათას წელიწადში არც ხელი გაუნძრევია, არც ჭკუა და გონება უმოქმედებია, არც გული და გრძნობა გამოუჩენიაო, არც წესი და რიგი ცხოვრებისა გამოურკვევია, არც არაფრის ცოდნა და გაგება ჰქონია, ერთის სიტყვით, ისტორია არა ჰქონიაო. ეუბნებით, თუ ყოველი ეს მართალია, მაშ როგორ-ღა გაუძლია საქართველოს დღემდე, რას შეუნახავს ამ სამი ათას წელიწადში და რატომ მტვრად არა ქცეულა ამოდენა მტრებ შორის მოქცეული? ეჰ, თქვენ რა იცითო? გიპასუხებთ: თქვენ ჰოს მთქმელები ხართ და მე უარმყოფელიო, თქვენ ძველს მოძღვრებას მისდევთ და მე ახალსაო. გამოდის მეორე და იძახის: შექსპირი რა კაცია, ერთხელ ერთს ვიღაცა სულელს წამოურახუნებია — დიდი მწერალიაო, და თქვენც, არა-ნაკლებ სულელებს, გჯერათო. აბა რა მწერალია, რომ იმდენი რაღაცები დაუწერია და აბა თუ ერთგან ნახსენები ჰქონდეს рабочий вопрос-იო. გამოდის მესამე და იძახის: ჩვენი მწერლები სულ მუხანათები და ქვეყნის მოღალატენი იყვნენო, რადგანაც ბატონყმობის სიმწარეზედ ხმა არ ამოუღიათო. ეუბნები: კაცო, ეგ რა ადლი დაგიჭერია ხელში? არისტოტელი არამც-თუ სწუნობდა დღეს სამართლიანად გაკიცხულსა და მოსპობილს ბატონ-ყმობას, არამედ იგი უფრო უარესის მონობის მომხრეც იყო, და აქედამ განა ის გამოდის, რომ არისტოტელი სულელი იყო და ქვეყნის მუხანათი? ეგრე ხელაღებით უარყოფა გაგონილა! მაშ ჰომეროსიც მჩვარში გასახვევია, რომ ბატონ-ყმობა არ უხსენებია თავის ილიადაში? მაშ დარვინიც ქვეყნის მოღალატეა და ჭკუის-გლახა, რომ თავის სახელოვან თხზულებაში ერთი სიტყვაც არ დაუხარჯავს ბატონ-ყმობის თაობაზედ?" *("უარმყოფელობა ჩვენში". 1888 წ.).*

“**სულელის** უბედურება ის კი არ არის, რომ სულელია, ის არის, რომ თავისთავს ვერ იცნობს და თავისი თავი დიდი რამა ჰგონია.” *(“პასუხი”. 1861 წ. 14 მაისი).*

“**სხვა** ქვეყანაში რომ გაზეთი ასე გაბრიყვდეს, ასე გაუკადნიერდეს მკითხველს, მეორე დღესვე გულნაწყენი მკითხველი შეუთვლის ბარათითა – შენმა მყრალმა სუნმა ლამის დამახჩოსო და ჩემს სახლში ნუღარ გაიჭაჭანებო” *(“ისევ გაზეთ “კავკაზის” გამოლაშქრების გამო” 1888 წ.).*

“**სხვა** შენთვის და შენ სხვისთვის, აი გზა ცხოვრებისა, აი ხიდი ცხოვრებისა, აი გასაღები სამოთხისა!...” (“გლახის ნაამბობი”. 1859 წ. (1862-1873 წ.)).

“**სხვა** შეგირდები ტაატით მიდიან, შენ კი მირბი.” *(“გლახის ნაამბობი”. 1859, 1862-1873 წწ.).*

“**სხვა** სხვის ომში ბრძენიაო.” (*“გლეხთა განთავისუფლების პირველდროების სცენები”. 1865 წ.).*

“**სხვა** წმინდა უანგარიშო, უსასყიდლო წყურვილი სიკეთისა კი არა სწამთ ქვეყანაზედ. ეგეც ერთი ბუნებაა, გვარია, და რათ უნდა გვეოცოს, რომ “არა შეჯდა მწყერი ხესა, არა იყო გვარი მისი.” *(“ამბავი ყბად-ასაღები და წყალ-წასაღები”. 1889 წ.).*

“**სხვა** აქაური ამბები რა მოგწერო: ყველაფერი ძველებურად არის, ჩვენებურად: იგივ მთა, იგივ ბარი და იგივე გულაცრუებული ერი. კაცი არ არის გარეშემოში, რომ ადამიანის ნიშანწყალი ჰქონდეს. ვყრივართ ისე _ როგორც ნახირი ბაკში”. *(“წერილები ილია ოქრომჭედლიშვილისადმი”. 1881 წ. 7 ნოემბერი).*

“**სხვამ** რაც უნდა სთქვას, მე კი იმ სიტყვების სიმართლით გავიმხნევებ ჩემს თავსა: “შენ და მხოლოდ შენ უკეთებ გულს იმას, ვისაც სხვისთვის გული სტკივა. მაშინაც კი უკეთებ, როცა თვით ის “სხვანივე” თავიანთ გულშემატკივარს ცოდვად უთვლიან გულის-ტკივილსა. რა ვუყოთ? ზოგი გულისტკივილს იმით იჩენს, რომ მოყვარეს ცუდსაც უქებს – ზოგი კი იმით, რომ ცუდს უწუნებს. ამ ორგვარს ხალხში რომელს უფრო მეტი და ჭეშმარიტიგულის ტკივილი აქვს თითონ მკითხველმა გამოიცნოს”. *(“კაცია – ადამიანი?! 1858-1863 წ.).*

“**სხვის** გულში მართალი ადვილი საპოვნელი არ არის.” (*“ოთარაანთ ქვრივი”. [1886] – 6 ქრისტეშობისთთვეს 1887 წელსა).*

“**სჯობია** იცოდე სამწუხარო ჭეშმარიტება, ვიდრე სასიხარულო სიცრუე”. *(“წერილები ილია ჭავჭავაძისა ოლღა თადეოზის ასულ გურამიშვილისადმი”. 1863 წ. 28 თებერვალი).*

ტ

“**ტიკს** მაშინ ჰბერავენ, როცა შიგ არა დგა-რა”. *(“ქვათა ღაღადი”. 1899 წ.).*

“**ტირილითა** და ვიშით მტერნი არ შეგვიბრალებენო, ამბობს ჩვენი გლეხური ანდაზა. სხვაზედ მინდობა – ქვიშაზედ აშენებული შენობა ყოფილა და იქნება კიდეც ამ ქვეყნიერობაში. წამოუვლის ნიაღვარი “შემთხვევისა” და იმ იმედს, იმ მინდობას აღგვის ხოლმე დედამიწის ზურგიდამ და იმედევნეულს, სხვაზედ დანდობილს, ერთს უდაბურს ტინზედ გარიყავს, შენს თავს შენვე მოუარეო. ეს კანონი – ისტორიული კანონია, იქნებ ზოგიერთისათვის ფრიად არ მოსაწონი, მაგრამ აუცილებელი კი. ბევრიც რომ ვივაგლახოთ, ბევრიც რომ ვატაროთ უბეში სხვაზედ დამყარებული იმედი, მაინც ბოლოს “ჟამთა სვლა” ამ კანონზედ დაგვაყენებს და დრო წარსული ჩვენთვის სამუდამოდ დაკარგული დრო იქნება. ჩვენ ვამბობთ, ხალხი თვითმოქმედებით არის მხოლოდ ძლიერი და ნაყოფიერი სულით, თუ ხორცით. რაც მალე დავიჯერებთ ამ ჭეშმარიტებას, რაც მალე შევითვისებთ, მით მალე

გამოვიხსნით თავს იმ გაჭირვებიდამ, რომელშიაც ასე სასოწარკვეთილებით დღეს ვიმყოფებით". *("საზოგადოება შეუძლებელ მოსწავლეთა შემწეობისათვის". 1877 წ.).*

"**ტირილითა** და ვიშითა მტერნი არ შეგვიბრალებენო, ამბობს ჩვენი გლეხური ანდაზა." *("საზოგადოება შეუძლებელ მოსწავლეთა შემწეობისათვის". 1877 წ. 10 ნოემბერი).*

"**ტკბილმა** იმედებმა ჩაილულის წყალი დალიეს. ღმერთო, გვიხსენ." *("შინაურ მიმოხილვის მაგიერი". 1881 წ. იანვარი).*

"**ტყუილი** ხომ, თუნდ საქებარად მოგონილი, მაინც საზიზღია და საწბილო. *("Новое обозрение"-ს წერილის გამო". 1889 წ.).*

"**ტყუილი** რა საკადრისია!.." *("ოთარაანთ ქვრივი". 1887 წ.).*

"**ტყუილია** ჩვენის დალოცვილის ქვეყნისთანა". *("წერილები ილია ჭავჭავაძისა ოლღა თადეოზის ასულ გურამიშვილისადმი". 1873 წ. 28 ივლისი).*

"**ტყუილად** კი არ გვარწმუნებს ჩვენი საღმრთო წერილი, რომ პირველი სისხლი უბოროტო ქვეყანაზედ კაცმა კაცისა დაინახაო. კაცი მოსისხლეა..." ("გლახის ნაამბობი". 1859 წ. (1862-1873 წ.)).

"**ტყუილად** ჰფიქრობენ, ვითომც კაცთა ურთიერთობაში შესაძლებელი იყოს რომელიმე წოდებამ ცალკე ბინა გაიკეთოს, ცალკე ინტერესები შემოიღობოს, შემოიფარგლოს და ამით რაიმე ხეირი და სიკეთე ჰნახოს საბოლოოდ. ამისთანა წყობა და აგებულობა საზოგადოებისა, თუ ერისა, დიდხანს თავს ვერ დაიჭერს და ვითარცა ქვიშაზედ აგებული სახლი, პირველი ქარის შემობერვაზედვე დაიშლება *("წოდებათა თანასწორობა". 1888 წ.).*

"**ტყუილსაც** და ცილისწამებასაც ჭკუა და გონება სდომებია". *("ნუთუ". 1905 წ.).*

უ

"**უარარაობას** ცალუღელი ხარი სჯობია". *("სატექნიკო და სახელოსნი სასწავლებელთა შესახებ". 1889 წ. 25 ნოემბერი).*

"**უბედურება** ის იყო, რომ შენ-ჩემობა თავის უკადრისს ფრთასა ჰშლიდა გარყვნად და წაწყმედად საქმისა, დასამხობლად ზნეობისა, წასახდენად ხასიათისა." *("ისევ ქუთაისის ბანკის შესახებ". 1894 წ. 16 იანვარი).*

"**უბედურს** კაცს ქვა აღმართში მიეწევაო." *("შინაური მიმოხილვა". 1885 წ. თებერვალი).*

"**უებარი** წამალიც დაუწუნეთ ექიმს, რადგანაც წამალი უსათუოდ იმისაგან არ იქნება მოგონებული, არამედ სხვისაგან ნასწავლი და მიღებული." *("ნ. ნიკოლაძე და მისი შეხედულება ბანკზე". 1876 წ.).*

„**უზმნოდ** არა ენა, ფრინველის ენის მეტი, არ იხმარება და უფრო ჩვენი დალოცვილი ენა; რუსეთში თუმცა ზოგიერთგან არსებითი ზმნა არ იხმარება, მაგრამ ქართული რუსული ხომ არ არი? ქართულში ყოველთვის ზმნა უნდა, - ეგ მეორე კლასის მოწაფემაც იცის". *("ორიოდე სიტყვა თავად რევაზ შალვას ძის ერისთავის კაზლოვის მიერ "შემლილი"-ს თარგმანზედა". 1860 წ.).*

"**უი**, შენ კი გენაცვალე! მამაც კარგი გყვანდა და არც შვილი იქნები უარესიო". *("ოთარაანთ ქვრივი". 1886-1887 წ.).*

"**უკადრისი** სიტყვები ქვეყანაზედ არ არიან, მხოლოდ აზრი იქნება უკადრისად გამოთქმული სიტყვებთაგან." *("პასუხი". 1861 წ. 14 მაისი).*

"**უმადურობას** კაცი არ მოუკლავს." ("*მაჭანკალი". 1881 წ., 31 მაისამდე).*

უმეცრობა და უვიცობა: - "უმეცრობა და უვიცობა დიდი ჭირია და თუ ამას თან დაყვა უჭკუობა და უნიჭობა, ხომ ჭირზე უფრო ჭირია. ჭკუიანი უცოდინარი ყოველთვის თავისს ქერქშია, _ რაც არ იცის, იმაზე სჯასა და ლაპარაკს ერიდება. რასაც გონება მისი უცოდინარობით ვერა სწვდება, იქ იგი მეტიჩარობას არა ჰკადრულობს, დუმილს უფრო ჰრჩეობს, სხვას უსმენს, სმენილს თავისის ჭკუის და გონების თვალწინ განკითხვით გაიტარებს, ასწონს-დასწონს და ამნაირად თავისს საკუთარს აზრს, ცოდნას გამოინასკვავს, შეითვისებს. ამ ყოფით, თუ სხვა გზით, იგი ჯერ საგანს ისწავლის, გაითვალიწინებს, და მერე, თუ საჭიროება მოითხოვს, დაიწყებს სჯასა და საუბარსა". *("უმეცრობის ფართი-ფურთი". 1900 წ.).*

- "ჭკუიანი უცოდინარი თავმდაბალია, თავისი-თავი სხვაზე მეტი არა ჰგონია, არა ჰბაქიობს, არ უკვეხნის, თითონ ზიზილ-პიპილებით არ ირთვება და სხვას მჩვარში არ ახვევს. მან თავისი ყადრი და ადგილი იცის და სხვისაც, ერთნაირად მორიდებული ყოყოჩობას, ზვიადობას და ნამეტნავად მეტიჩარობას, არამკითხე მოამბეობას. რაც იცის, იმას სჯერდება, მეტზე ხელს არ იწვდენს, მეტს სიბრძნეს და ფილოსოფოსობას არ იჩემებს, ტყუილუბრალოდ გაბერილ ფრაზებით ლარის გატანას და მსმენელის თვალის ახვევას ჰთაკილობს და როგორც სამარცხვინო ოინებს ახლოც არ ეკარება". *("უმეცრობის ფართი-ფურთი". 1900 წ.).*

- "სულ სხვაა უჭკუო უმეცარი, მერე თუ ყბედობის საღერღელიც აქვს აშლილი. უჭკუო უმეცარის კაცისთანა თამამი და კადნიერი ლაპარაკსა და სჯაში ძნელად მოიპოვება ქვეყნიერობაზე, და რამოდენადაც ამისთანა ვაჟბატონი ჭკუაზე თხლად არის, რამოდენადაც უფრო სქელი ლიბრი აქვს გონების თვალზე გადაკრული, მით უფრო თამამია, მით უფრო კადნიერი. მითამ რა დაუშლის! არ არის ქვეყანაზე საგანი, რომ უჭკუო უმეცარმა არ დაიჩემოს მისი ზედმიწევნით ცოდნა და თავისს უგემურ და უთავბოლო საღეჭავად არ გახადოს მსმენელთა სააბეზაროდ. რაც ენაზედ მოადგება, ჰროშავს გამარჯვებულსავით დოინჯშემოყრილი და თავმოწონებული, მაღალფარდებიან სიტყვებს ჰხმარობს უანგარიშოდ, განუკითხველად, მოგაყრით ტყუილუბრალოდ გაბერილ ფრაზებს, რომელიც არც თითონ ესმის და არც მსმენელს გაეგება და ჰყოყოჩობს, აი რაები მცოდნია და რა ბრძენი კაცი ვარო! ბალღებს, რასაკვირველია, გაბერილი, გაუგებარი ფრაზები სავსე ჰგონიათ, როგორც გაბერილი ტიკი, და უკვირთ როგორც ერთი რამ უტყუარი ნიშანი აუარებელის სიბრძნისა და მეცნიერობისა, ჭკუადამჯდარს კაცს-კი ეს სამასხარო ოინები სასაცილოდაც არა ჰყოფნის". *("უმეცრობის ფართი-ფურთი". 1900 წ.).*

"**უმიზეზო** ქვეყანაზე არა არის-რა". *("წუთუ". 1905 წ.).*

"**უპატრონო** საყდარსაო ეშმაკები დაეპატრონებიანო, გლეხები იტყვიან ხოლმე." *("კაცია ადამიანი?!" 1858-63 წ.).*

"**ურცხვი** კაცი უფრო ღონიერია, უფრო შემძლებელია პატიოსან და მორცხვ კაცზედ, რომელიც მარტო შეუგნებელ და პატიოსანს ფარ-ხმალს ჰკადრულობს სახმარებლად მტერთან და სხვა ყოველი სამართლიანად ეთაკილება, ეზიზღება. ურცხვი კაცი ღონიერიაო ვსთქვით, - ეგ იმას არა ჰნიშნავს, რომ გამარჯვებულიც იგია და თუნდ გამარჯვებულიც იყოს, სამარცხვინო გამარჯვებას ისევ პატიოსანი დამარცხება სჯობია, როგორც ნაძრახს სიცოცხლეს – სახელოვანი სიკვდილი " *("ისევ გაზეთ "კავკაზის" გამოლაშქრების გამო" 1888 წ.).*

უსამართლობა, უმადურობა იქნება ჩვენს მიერ, რომ არა ვთქვათ, რა სამსახური გაუწია ბ-მა დიმიტრი ყიფიანმა ჩვენს ქვეყანასა. პირველ მას მოუვიდა ფიქრად ბანკი დაეარსებინა და დიდი ღვაწლი, დიდი მხნეობა, დიდი მეცადინეობა იხმარა ამ სასახელო ფიქრისა და აზრის განხორციელებისათვის. მან დაიყოლია ტფილისისა და ქუთაისის თავად-აზნაურობა, რომ ფული შეეწირათ ბანკის დასაარსებლად. მან მარტომ იდვა ეგ კისრად და მარტომ შეასრულა თვისის სახელის სასიქადულოდ. იგი მაშინ გუბერნიის მარშალი, და უნდა ვაღიაროთ რომ, ჩვენის ფიქრით, არც ერთს მარშალს, არც მანამდე, არც მერმედ, ასეთი დიდი სამსახური, ასეთი დიდი ღვაწლი არ გაუწევიათ ჩვენის ქვეყნისათვის, რაც არ უნდა სთქვან იმათ, ვინც ბანკის დაარსებაში ბოროტსა ჰხედვენ. ჩვენ-კი, ამას ვიტყვით, რომ ბანკი დიდი საქმეა ჩვენის ქვეყნისათვის და ამ დიდის საქმის დამწყები მეთაური და შესაძლებლად მქმნელი ბ-ნი დიმიტრი ყიფიანია. სახელი და დიდება ბანკის დაარსებისა განუშორებელ იქნება მის სახელთანა" *("ტფილისის ქართული საადგილმამულო ბანკი". 16 ივლისი, 1886 წ.).*

"**უსაქმო** საქმიანები, რომელნიც უფრო ახდენენ საქმეს." *("პასუხი". 1861 წ. 14 მაისი).*

უფ. ნიკოლაძის გონიერებისა, მიხვედრილობისა და ყველასაგან ცნობილი ნიჭიერებისა დიდი პატივისმცემელი ვარ" *(ნ. ნიკოლაძე და მისი შეხედულება ბანკზე". 1876 წ.),*

"**უქონლობას** ის რადა ჰსწუხს, თუ კაცი გონიერია, / წავა და ყველგან დარჩება, სოფელი ღონიერია.

"**უწარსულოდ** აწმყო უფესვო ნერგია, თავ-გაუტანელი, ფეხ-მოუკიდებელი. მართალიც არის: აწმყოს, რომელსაც წარსული არა აქვს, არც მომავალი აქვს, იმიტომ რომ, ერთის მეცნიერის არ იყოს, _ "აწმყო, შობილი წარსულისაგან, არის მშობელი მომავალისა". უწარსულოდ იგი უფესვ-უშტოა, რადგანაც ერთის მხრით უდედ-მამოა და მეორეს მხრით უშვილო." *("წერილები ქართულ ლიტერატურაზე". 1892 წ.).*

"**უჭკუო** კაცის სიკეთე, ვაი რა ცარიელია." *("ამბავი ყბად-ასაღები და წყალ-წასაღები". 1889 წ.).*

"**უხვად** გასცემდი, ზღვათაცა შესდის და გაედინების". *("ქვათა ღაღადი". 1899 წ.).*

"**უხმარ** სატევარს ჟანგი დაედვის. უსრბოლო წყალჩი ბაყაყნი, ჭია-ჭუაი, ქვემძრომი გამრავლდის. უდეგარ, უსვენარ თერგჩი კი კალმახი იცის. *("მგზავრის წერილები". 1862 წ.).*

ფ

"**ფანატიკოსობა**, რასაკვირველია, სიბრიყვისა და გუნებადახშულობის ავზნეობაა" *("ქვათა ღაღადი". 1899 წ.).*

"**ფერი** ფერსაო, მადლი ღმერთსაო", _ ნათქვამია." *("კაცია ადამიანი?!" 1858-63 წ.).*

"**ფიქრი** და მოწყენა გაუყრელნი და-ძმანი არიან." *("კაცია ადამიანი?!" 1858-63 წ.).*

"**ფიქრი**, რაკი ერთხელ ასე თუ ისე გამოიკვანძა, თოვლის გუნდასა ჰგავს, მთის წვერიდამ დაქანებულს: რაც დიდ მანძილზედ მიჰგორავს, უფრო ძლიერდება, უფრო ჰმატულობს, უფრო ჰდიდდება. თუ კაცმა არ დააყენა, ზვავად იქცევა და სხვა ყველაფერს თან გაიტანს." (*"ოთარაანთ ქვრივი". [1886] – 6 ქრისტეშობისთთვეს 1887 წელსა).*

"**ფიქრი** ხვალინდელის დღისა ხვალეს ვანებოთ". *("წერილები ილია ჭავჭავაძისა ოლღა თადეოზის ასულ გურამიშვილისადმი". 1873 წ. 19 დეკემბერი).*

"**ფიცი** გვწამს და ბოლო გვაკვირვებს" *("ოსმალეთის არეულობა და ევროპა". 1845 წ, 19 ნოემბერი).*

“**ფიცი** ხომ გვწამს და ბოლო გვაკვირვებს თუ არა, ეგ ვისთვის რა ხელსაყრელია.” *(“შინაური მიმოხილვა”. 1883 წ. ოქტომბერი).*

“**ფრანგები** იტყვიან: ის იცინის კარგად, ვინც ბოლოს გაიცინებსო”. *(“ისევ და ისევ ბ-ნ ჟორდანიას უმეცრობანი _ და მისი წაჯეგ-უკუჯეგობანი”. 1900 წ.).*

“**ფუ**, იმ მწყემსსა, თავს უშველოს, / მგელს დაუგდოს თავის ცხვარი”. *(“მეფე დიმიტრი თავდადებული”. 1878 წ.)*

“**ფული** და ერთობ სიმდიდრე თავის-თავად არავის უვარდება ხელში და ვინც ჰფიქრობს, მე პირს დავაღებ, გულხელდავიკრებ და ფული თავის-თავად მოვა და გამაღონიერებსო, ის ფულითაც და უფულოდაც უძლურია და უღონო. ამიტომაც მართალზედ მართალია, ვისაც უთქვამს, რომ “ზოგი მდიდარია, თუნდ ერთის დღის მიწა ჰქონდეს, ზოგი ღარიბია, თუნდ თავიდამ ფეხებამდე ოქროში იჯდესო”. *(“კვალად თვითმოქმედების შესახებ”. 1887 წ.).*

“**ფუყე**, უსახო კაცისა მოკლედ აღწერა ძნელიაო”. *(“უმეცრობის ფართი-ფურთი”. 1900 წ.).*

ქ

“**ქათამი** წყალს დალევს და ღმერთს შეხედავსო”. *(“ქვათა ღაღადი”. 1899 წ.).*

“**ქალაქი** იქნება დედა იყოს, სოფლებიც იქნება მისი შვილები იყვნენ, მაგრამ საქმე იმაშია, რომ დედის ძუძუ გაშრა და ძუძუსშვილი აღარა სწოვს” *(“ზოგიერთი რამ”. 1886 წ.).*

“**ქარის** მობერილს ქარივე წაიღებდა”. *(“უმეცრობის ფართი-ფურთი”. 1900 წ.).*

“**ქართველი** არ არის დამწყვდეული თავის გვარტომობის ვიწრო წრეში, არამედ სხვა ერის პატივისცემაც იცის და გულგაშლით ეკიდება ყოველს სხვა გვარტომსა. ესეთი თვისება საქებურია და არა საწუნარი.” *(“გაბრიელ სუნდუკიანცის „პეპო“ და სომხის ლიტერატორები”. 1889 წ.).*

“**ქართველი** გამოსალმების დროსაც ერთს მშვენიერს სიტყვას ხმარობს: “გამარჯვებითო”. *(“წერილები ნიკო ნიკოლაძისადმი”. 1873 წ. 6 დეკემბერი).*

„**ქართველი**, როგორც თითონ არის, ისე თავის მოძმეც ჰგონია; ამიტომაც ყოველი პატიოსანი საქმე პატიოსნობის სიყვარულისაგან კი არა ჰგონია წარმომდგარი, არამედ რომელიმე დაბალი და სამარცხვინო გრძნობისა და წადილისაგან. ამით ჩვენში ყოველ ბრწყინვალე საქმეს სამარცხვინო ფერს მოაცხობენ ხოლმე, ყოველს კეთილშობილურს განზრახვას, ლაფით მოსვრიან, ყოველს თავგამოდებითს ხალისს ადრე და მალე ჭუჭყიანის ხელით ფრთას მოჰკვეთენ ხოლმე. დიდი სულის ღონე უნდა, რომ კეთილმა კაცმა თავი შეიმაგროს და საზოგადო განკიცხვის კიჟინამ არ შეაყენოს თავის დანიშნულ საგნის შუა-გზაზედა.“ *(ცისკარი” 1857 წლიდან – 1862 წლამდინა”. 1862 წ.).*

“**ქართველთა** მეფეთა განძი აქაიდ უფარვან მტრიანობას, მცხეთაიდ საუნჯეი საფარად აქ ზიდულა მრავალჯერ.”

_ საბჭო რაღა არის?

_ საბჭოი? აქაიდ ან სენაკ, სად სამართალი ბჭეთანგან იბჭოდის. რაიც მძიმა საქმე ხევჩი ავარდის, მუნ იბჭობდნეს.

_ ვერ მეტყვი, როგორ იყო ეგ ბჭობა და რაზედ უფრო მოხდებოდა ხოლმე?

_ რაიდ ვერ გეტყვი? რაიც ვუწყი შეგასმენ. როდეს ასტყდის ერობაჩი დიდ-დევა, დიდ-საქმე, დიდ-არჩევანი, ერობას იქაიდ გამართვინ, აირჩივინ ბჭედა ბრძენ-ბერკაცნი, პეიტრობით სახელდებულნი, დასხმიან მათ იმ სენაკჩი საბჭობად. რაიც მერედ სამების სახელით, ხთისგან მათხოვნილ მადლით იგნ ბჭენი სთქმიან, გადასჭრიან, არვინ შეშლიან, არვინ გადავლიან." *("მგზავრის წერილები". 1861 წ.).*

"**ქართველის** ტალავრის იერი სრულიად სხვაია. რუსულჩი ქართველ კაც მეუცხოების." *("მგზავრის წერილები". 1861 წ.).*

- "ქართველი გულით უნდა ქართველობდეს, თორემ ტანისამოსი რა არის?" *("მგზავრის წერილები". 1861 წ.).*

"**ქართველს** კაცს არც ქარის შემოტანილი უნდა და არც გატანილი"." (*"კაცია ადამიანი?!" 1858-63 წ.).*

"**ქაჩალმა** წამალი იცოდეს, თავის თავს უშველიდაო". *("წერილები ილია ჭავჭავაძისა ოლღა თადეოზის ასულ გურამიშვილისადმი". 1863 წ. 12 თებერვალი).*

"**ქვა** ააგდო და თავი შეუშვირაო". *("უმეცრობის ფართი-ფურთი". 1900 წ.).*

"**ქვეყანა** და მისნი მადლნი ყოველთვის და ყოველგან მარტო მშრომელისა ყოფილა და არის" *("თავად-აზნაურობის უქმობით ჩვენი მიწა-წყალის დაკარგვა". 1888 წ.).*

"**ქვეყანა** ღონიერია, ნუ გეშისო. ოღონდ ჭირს ნუ გაუხდები, ნუ გაელახვინებიო" *("ოთარაანთ ქვრივი". 1886-1887 წ.).*

"**ქვეყანაზედ** არ მოიპოვება იმისთანა ერი, რომ ავთან კარგიც არ იყოს მის შორის." *("გაბრიელ სუნდუკიანცის „ჰეპო" და სომხის ლიტერატორები". 1889 წ.).*

"**ქვეყანაზედ** თავის დარჩენა ძნელი არ არის. ღმერთი მოწყალეა, ჩვენ გავიკაფავთ გზას და გავიმინდვრებთ". *("წერილები ილია ჭავჭავაძისა ოლღა თადეოზის ასულ გურამიშვილისადმი". 1873 წ. 23 ოკტომბერი).*

„**ქვეყნის** ბედნიერების ქვაკუთხედი კი ყოველთვის ძირიდამ დადებულა, ყოველი შენობა ძირიდამ ამაღლებულა, მაღლიდამ კი შენობა არსად არ დაწყებულა." *("მგზავრის წერილები". 1861 წ.).*

"**ქვეყნის** წინაშე პირშავობას კიდევ ჩვენი საკუთარი უსიამოვნება უნდა ვირჩიოთ". *("წერილები ილია ჭავჭავაძისა ოლღა თადეოზის ასულ გურამიშვილისადმი". 1873 წ. 26 სეკტემბერი).*

"**ქვეყნის** ტკივილი დაუყუჩავია" *("მგზავრის წერილები". 1861 წ.).*

"**ქოფაკმა** ძაღლმა რომ კურდღელი დააბრუნოსო, დაჭერად ჩაეთვლებაო, ნათქვამია." ("*მაჭანკალი". 1881 წ., 31 მაისამდე).*

"**ქრთამი** ჯოჯოხეთს ანათებსო"." (*"კაცია ადამიანი?!" 1858-63 წ.).*

ღ

"**ღამე** კი არ უცდიდა, თავის გზას ეშურებოდა." (*"ოთარაანთ ქვრივი". [1886] – 6 ქრისტეშობისთთვეს 1887 წელსა).*

"**ღამე** გამოეთხოვა ქვეყანას. ერთი კალთა ცისა აიხადა. გარიჟრაჟდა, მტრედისფერმა გადაჰკრა ცის გუმბათსა. დილამ კარი გაუღო დღეს და გამოახედა." (*"ოთარაანთ ქვრივი". [1886] – 6 ქრისტეშობისთთვეს 1887 წელსა).*

"**ღმერთი** გულს უფრო სინჯავს, ვიდრე საქმეს; იქ სამართალი არ გაბრუნდდება" *("სარჩობელაზედ". 1879 წ.).*

"**ღმერთი**, ჩემო ძმაო, მარტო კარგის საქმით იდიდება და არა ფულითა." *("გლახის ნაამბობი". 1859, 1862-1873 წწ.).*

“**ღმერთო**! რაღას უცდი და არ წარღვნი ამ ცოდვით სავსე ქვეყანასა!..” (“*გლახის ნაამბობი*”. *1859, 1862-1873 წწ.).*

“**ღმერთო**, კიდევ შენ გეხვეწები, უცოდველად ამყოფე ჩემი ობოლი გოგო! ღმერთმა გაკურთხოს, ჩემო კარგო თამრო! ღმერთმა თავის კალთა გადაგაფაროს, ჩემო ბოლონდელო სულის სადგურო, ჩემო ბოლონდელო თვალის სინათლევ! შენც შეგეწიოს ჩემო გაბრიელ! ქვეყანაც დამილოცნია, თუ იმის ზურგზედ ჩემი თამრო უცოდველად დადის... თუ არა და წაწყმდეს ეს ადრე და მალე წასაწყმედი მურტალის ადამიანის მურტალი სამყოფელი” *(“გლახის ნაამბობი”. 1859/1862 – 1873 წ.).*

“**ღმერთო** ნუ მიწყენ, ნურც შენ გამკიცხავ / მე უმეცარსა მეტის თქმისთვისა... / როცა აქ ცხვარი მიძოვებია / და შემიხედავს მყინვარისთვისა, / მომგონებია მამის ნათქვამი, - / აქ, ყინულებში კაცი სცხოვრობსო, / სულისთვის ხორცი გაუწირნია, / უწუთისოფლოდ მარტოკა სძლებსო, - / გამკვირვებია მე ეს ამბავი, / მითქვამს: იქ ყოფნა რას არგებს სულსა? /განა სწყინს ღმერთს, რომ კაცი შეჰხარის / ქვეყანას, ღვთითვე დაბადებულსა? /ვფიქრობდი: ნეტა, მაშ, რისთვის მორთო / ესე ლამაზად წუთის-სოფელი? / განა მისთვის, რომ ადამიანმა / შეაჩვენოს და აიღოს ხელი”. *(“განდეგილი”. 1883 წ.).*

“**ღონიერი** ბუნება და ადამიანის გამრჯელი ხელი თითქო, ერთმანეთს შესჯიბრებოდნენ, - აცა ვინ ვის აჯობებს ამ ბაღის გალამაზებასა და შემკობაშიო. ერთსაც და მეორესაც თითქო თავი არ დაეზოგოთ, და რაც მადლი ჰქონდათ, სულ აქ დაეპნიათ, სულ აქ დაებერტყნათ” *(“ოთარაანთ ქვრივი”. 1873 წ.).*

ყ

“**ყაჩაღობაც** მომწყინდა: ჩემი ხელობა არ იყო, როცა უილაჯობით კაცს ვძარცვავდი, ერთს ვაი-ვაგლახს გამოვივლიდი ხოლმე ჩემ თავად და ჩემს თავს მევე ვძრახავდი. ვერ დაემორჩილა ჩემი გული ავკაცობასა, თუმცა ბევრი ავკაცობა ვქენი. ვერ შევიჩვიე ვერა. ბოლოს გადავწყვიტე, რომ გადავვარდები შორს საითმე, ჩემის ხელის ამაგით ლუკმა პურს როგორც იქნება, ვიშოვნი, და მინამ ჩემი აღსასრული მოვა, იმით დავირჩენ თავს მეთქი” *(“გლახის ნაამბობი”. 1859/1862 – 1873 წ.)*

“**ყვავი** რა ვარდსა იშოვნის, თავი ბულბული ჰგონია”. *(“უმეცრობის ფართი-ფურთი”. 1900 წ.).*

“**ყოველ** ნივთს თავისი ფასი აქვს. ასეც უნდა იყოს”. *(“წერილები ილია ჭავჭავაძისა ოლო თადეოზის ასულ გურამიშვილისადმი”, 1863 წ. 1 მარტი).*

“**ყოველგვარი** სიყვარული, _ დედა-შვილურია თუ სხვა, _ მაინც ფრთხილია და მშიშარა: ჭირი უფრო ელანდებოდა, ვიდრე ლხინი, როცა სიყვარულის ტკივილი გამოცანაა, დამალულია, მიუგნებელია.” (*“ოთარაანთ ქვრივი”. [1886] – 6 ქრისტეშობისთთვეს 1887 წელსა).*

“**ყოველი** კაცი, რომელსაც კი თვალებზედ ჩამოფარებული არა აქვს რა, ხედავს, რომ ხალხის ცხოვრება რაც გუშინ იყო, ის დღეს აღარ არის, რომ ის თანდათან იცვლება, მიდის წინ და მოაქვს განახლება ყოველფერისა. რაც ადრევ კაცს ჰგონებია დაურღვეველ ჭეშმარიტებად, ხშირად მოხდება, რომ ის დღეს გაუთლელ შეცდომად მიგვაჩნია, ასე რომ კიდევ გვიკვირს, ადრინდელ კაცს როგორა სწამდა ამისთანა ცხადი სისულელე ჭეშმარიტებად, როგორ არა ჰქონდა იმოდენა გონიერება და

მხედველობა, რომ თეთრი და შავი განერჩივა, თეთრისათვის თეთრი დაერქმია, შავისათვის _ შავი." *("ცისკარი" 1857 წლიდან 1862 წლამდინა". 1862 წ.).*

"**ყოველი** მსგავსი მსგავსა ჰშობს." *("გზა-და-გზა და სხვათა შორის". 1889 წ.).*

"**ყოველი** სიმართლითა სჯობს, რაც ჩვენთვის აუცილებლად საჭირო არის, უნდა მოიხმაროთ, კარგი ამბავი უცხო ქვეყნისა, კარგი აზრი ჭკვიანი ხალხის ნათქვამი, ყოველისფერი ამორჩევით გადმოვიტანოთ ჩვენს ენაზედა, დავაკვირდეთ, გავშინჯოთ, შევუფარდოთ ჩვენს ამბავსა და ჩვენს აზრსა და ამ შეფარდებით გავიგოთ, რა არის ჩვენში კარგი და რა არის ცუდი." *("სფირიდონის და თადეოზის ბაასი". 1863 წ.).*

"**ყოველს** ცუდს გამოაშკარავება უნდა, საქვეყნოდ გამოფენა." ("*იგი წავა და სხვა მოვა ტურფასა საბაღნაროსა". 1861-1863 წ.).*

"**ყოველს** ქართველს საქართველოს ნაწილისას – გურული იქნება, მეგრელი, იმერელი, კახელი, თუ ქართლელი, - ჩვენის ერთიანის ოჯახის კარი ღია აქვს, რომ ჩვენს საერთო ჭირსა და ლხინში ძმური მონაწილეობა მიიღოს. ეს არამცთუ უფლებაა თვითეულის ჩვენგანისა, უწმინდესი მოვალეობაა. ძმობა და ერთობა ამაშია. ეგ ძმობა და ერთობა არის იგი კლდე, რომელზედაც უნდა აშენდეს დიდი სასახლე ჩვენის ცხოვრებისა... აწ განსვენებულმა ჩვენმა მწერალმა ვახტანგ ორბელიანმა მთელის თავისის მხურვალე გულისძგერით აღთქმად დასდვა, ანდერძად დაგვიტოვა, რომ ძმობა და ერთობა კლდეა და ამაზედ ააშენეთ თქვენი ბედნიერებაო, ამაშია ჩვენი იმედი, ჩვენი სასოება". *("სიტყვა ილია ჭავჭავაძისა ტფილისის ქართული საადგილმამულო ბანკის წლიურ კრებაზე 20 მაისს. 1995 წ.).*

"**ყოველივე** ჩვენი კეთილი ჩვენს ქვეყანას უნდა მოვახმაროთ და ამისათვის ყველა სხვა წყურვილი უნდა მოვიკლათ". *("წერილი პეტერბურგის ქართველ სტუდენტებისადმი", 1897 წ. აპრილი).*

"**ყოველივე** უბედურობა ხომ უმართლობისაგან არის წარმომადგარი". *("დიმიტრი ყიფიანი". 1887 წ. 7 ნოემბერი).*

"**ყოველივე** დიდებული საქმე, რითაც _ კი კაცობრიობა ჰქადულობს და თავს იწონებს, ქმნილია ხასიათიან კაცთა მიერ და არა ვისმე სხვისაგან. ამიტომაც ხასიათიან კაცის წინაშე ყველა უნებლიეთ თავს იხრის მოწიწებით და სასოებითა". *("დიმიტრი ყიფიანი". 1887 წ. 30 ოქტომბერი).*

"**ყოველის** კანონის თავი და ბოლო მოქალაქეთა და მკვიდრთა მშვიდობით და მოსვენებით ყოფნაა. ამის გარე კანონს არავითარი მიზეზი არსებობისა არა აქვს და ყოველივე ღონე, ამ მშვიდობით და მოსვენებით ყოფნისათვის გამოსადეგი წმინდა მოვალეობაა თვითეულისა ცალკე და ყველასი ერთად" *("საგაზეთო შენიშვნები". 16 იანვარი, 1892 წ.).*

"**ყოველისფერი** თავის ადგილას არის კარგი." *("სფირიდონის და თადეოზის ბაასი". 1861 წ.).*

"**ყოველისფერს** თავისი შემოდგომა და გაზაფხული ჰქონდა, თავისი დრო და ჟამი და ყოველ დროებას თავისი შესაფერი სწავლა და ყოფაქცევა." *("სფირიდონის და თადეოზის ბაასი". 1861 წ.).*

"**ყვავს** ბახალა მოუკვდაო და ბუს მიუგდო, დიდი თავი შენა გაქვს და შენ იტირეო". *("ისევ განათლების საკითხებზე". 1889 წ. 27 ოქტომბერი).*

"**ყველა** ახალი, თუკი მით მოგვემატება რამ, კარგია და სანატრელი". *("ჩვენი მევენახეობა და მეღვინეობის საჭიროებანი". 1886 წ. 17 თებერვალი).*

“**ყველა** ბუზი კი ბზუის, ფუტკართან-კი ყველა ტყუის.” *(“რა გითხრათ? რით გაგახაროთ?” 1897 წ. 31 დეკემბერი).*

“**ყველას**, მცირეა, თუ დიდი, თავისუფალი გზა უნდა ჰქონდესო იმ ნიჭით, იმ უნარით, იმ მადლით ემსახუროს სახელმწიფოს, რაც ღმერთს უმოწყალებია როგორც დიდისა, ისე პატარისათვისაო”. *(“ქვათა ღაღადი”. 1899 წ.).*

“**ყველაფერი** შეჰსძლებია დროსა და დროთა ბრუნვასა”. *(“წერილები ილია ჭავჭავაძისა ოლღა თადეოზის ასულ გურამიშვილისადმი”, 1873 წ. 23 თებერვალი).*

“**ყველგან** შიგნით-ტიკებს უჩხრეკ საქმესა და გარეთ ზიზილ-პიპილები არად მიგაჩნია”. *(“წერილები ილია ოქრომჭედლიშვილისადმი”, 1881 წ. 22 ოქტომბერი).*

“**ყმაწვილის** გული, შენი ჭირიმე, ადრეულა ყვავილსა ჰგავს: მზე დაჰხედავს თუ არა, გაიშლება; ის კი აღარ იცის, რომ ზამთრის სუსხი კიდევ მოასწრებს ნამდვილ გაზაფხულამდე და დააჭკნობს.” *(“გლახის ნაამბობი”. 1859, 1862-1873 წწ.).*

“**ყმისათვის** ბატონთან შეზრდილობა დიდი ზურგია” *(“გლახის ნაამბობი”. 1859 წ. (1862-1873 წ.)).*

“**ყოფილა** დრო, როცა ფულის ხსენებაც არ არსებულა ქვეყანაზედ და კაცს-კი მაინც თავი გაუტანია და იმ სიმაღლეზედ დამდგარა, საცა დღეს ჩვენა ვხედავთ, ისიც უეჭველი უნდა იყოს რომ ღონისა და ძლიერების მიზეზი სხვა რამ არის და არამც ფული” *(“კვალად თვითმოქმედების შესახებ”. 1888 წ.).*

“**ყუისავით** თეთრი და ფაფუკი ღრუბელი ნაჭერ-ნაჭერ აქა-იქ მიდიოდ-მოდიოდა წყნარად და აუჩქარებლად გადაწმენდილ ცაზედ, თითქო ტოლ-ამხანაგებს ეძებენო ხელი-ხელს გადასაბმელად. ციაგმკრთალს ლაჟვარდს დილის ცისას საუცხოოდ გადაეშალა თავისი კალთები ამ სუბუქად მცურავ პაწია სტუმრებისათვის, თითქო დედა იწვევს ახლად გაღვიძებულს ბალღებს კალთაში გასაგორებლადაო.” (*“ოთარაანთ ქვრივი”. [1886] – 6 ქრისტეშობისთთვეს 1887 წელსა).*

“**ყური** კი რომ დავუგდოთ ამ ყბედად ცნობილს დიპლომატიას, აქედამ ჰოც გამოდის და არაცა.” *(“ახლო აღმოსავლეთი და ინგლისის დღევანდელი პოლიტიკა”. 1895 წ. 14 ნოემბერი).*

“**ყოველი** მსგავსი მსგავსსა ჰსშობსო, ნათქვამია. მამა რომ შვილსა გვანდეს, ან შვილი მამას _ აქ დაუჯერებელი არა არის-რა”. *(“ქვათა ღაღადი”. 1899 წ.).*

შ

“**შაბაშ** ქართველს!... გული თურმე / სამარემდე გულად ჰრჩება”. *(“მეფე დიმიტრი თავდადებული” 1860/1877-1878).*

“**შახტი**, გიტო, ბედაურები დაიხოცნენ და ვირებს არ დაუგდო მოედანი, აბა ჰაა!.. შენ იცი, როგორ დატრიალდები!..” (“*კაკო”. 1859 წ.).*

“**შეიძლება** ქვა აღმართზედ ბედნიერსაც მიეწიოს და ამას წინასწარვე გაფრთხილება ჰმართებს.” *(“შინაური მიმოხილვა”. 1885 წ. თებერვალი).*

“**შენ** თვითონ იცი, ვარდსა წინ მიუძღვის ეკალი, ვისაც სურს ვარდის მოწყვეტა, არ უნდა შიშობდეს ეკლისგან” *(“წერილები ნინო ჭავჭავაძე – აფხაზისადმი”. 1857 წ.).*

“**შენ** რა გაქვს, რომ მე მაძლევო”. *(“წერილები მაკრინე ჭავჭავაძე-ერისთავისადმი).*

“**შენ** ხერხიანი ყოფილხარ, მაგრამ არც კი მე ვარ უხერხო.” (“*კაკო”. 1859 წ.).*

“**შენ** სცხოვრობ - რომ სვა და სჭამო, და არა იმისთვის სჭამ და სვამ - რომ იცხოვრო, ესე იგი ეცადო - რომ ვითა მამა ზეცის, იყო შენც სრული.” *(“კაცია ადამიანი?!” 1858-63 წ.).*

“**შენი** შენთვის შეინახეო, საქმე ის არის, სხვა რას ჰფიქრობს მაგ საგანზეო.” *(“შინაური მიმოხილვა”. 1885 წ. თებერვალი).*

“**შენი** ვარ შენთვის მოვკვდები, შენთვის დავიცემ დანასაო”. *(“ოთარაანთ ქვრივი”. 1886-1887 წ.).*

“**შენი** ცალი ვიქნები, რომ შენ გეხუმრო.” *(“გლახის ნაამბობი”. 1859, 1862-1873 წწ.).*

“**შენთვის** და მრავალთათვის არის განტეხილი ხორცი ესე ქრისტესი და დანთხეული მისი წმიდა სისხლი მოსატევებლად ცოდვათა. მიიღე და სჭამე!.. _ სთქვა დიდებითა და ნუგეშინისცემით ბლაღოჩინმა.” (*“გლახის ნაამბობი”. 1859, 1862-1873 წწ.).*

“**შენც** სუ და მეც სუო” *(“ვრიტიკის ახალი აშლილობა და ოსმალეთის საკითხი”. 1892 წ.).*

“**შეჩვეული** ჭირი ხომ შეუჩვეველს ლხინსაც სჯობია.” *(“ჩვენი ეხლანდელი სიბრძნე-სიცრუე”. 1896 წ.).*

“**შეჩვეული** ჭირი ურჩევნია მაგისთანა თავხედს კაცს შეუჩვევარ ლხინსა.” *(“გლახის ნაამბობი”. 1859, 1862-1873 წწ.).*

“**შეჩვეული** ჭირი ზოგჯერ ქართველისათვის შეუჩვეველ ლხინსა სჯობია”. *(“საახალწლოდ”. 1898 წ.).*

“**შვილი** მამისა არის.” *(“გლახის ნაამბობი”. 1859, 1862-1873 წწ.).*

“**შიში** ვერ იხსნის სიკვდილსა, ცუდია დაღრეჯილობაო.” (*“ოთარაანთ ქვრივი”. [1886] – 6 ქრისტეშობისთვეს 1887 წელსა).*

“**შრომისა** ახსნა – ეგ არის ტვირთი, / ძლევამოსილი ამ საუკუნის” *(“აჩრდილი”. 1859 წ. ბოლო რედაქცია, 1872 წ.).*

“**შუა-ხანში** შესულმა შემოდგომამ ზამთრისაკენ პირი ჰქმნა და ნახევრად შექცეული ზურგი, მთლად შეაქცია ზაფხულსა. ის თბილ-გრილი, ის მშრალ-სველი, ის ციაგ-ლურჯი შემოდგომა, რომელიც ჩვენმა დალოცვილმა ქვეყანამ ასე ტკბილად, ასე ლბილად იცის, შეჰბერდა და ჭაღარა მოერია. მისი ჭაღარა ჭირხლია.

მთა-ბარს, ტყე-მინდორს დილ-დილაობით ჭირხლი ედებოდა და მხოლოდ შუადღის გულზედ მზე პირდაპირ დაჰხედავდა თუ არა, ჭირხლს, ზოგს წყლად ქცეულს, მწყურვალი მიწა სვამდა და ზოგი ორთქლად ცას აჰქონდა და ბამბის ქულასავით თეთრ, ფუნფულა ღრუბლად აქა-იქ ატარებდა თავის თვალ-გაუწვდენელს სიგრძე-სიგანეზედ, სიღრმე-სიმაღლეზე”.

- “მოვიდა ზამთარი და მოიტანა თოვლი. სწორედ შობის ღამეს ხელახლად მოვიდა დიდი თოვლი და სოფლის გზებსა და ორღობეებში თეთრ უმტვერო სუფრასავით დაედო და დაეფინა. გლეხკაცობის სახლებს, ჩალით და ზოგან კრამიტით დახურულებს, მძიმედ დაედო თოვლი და ჭუჭყიანი თავსახურავები მოჰრთო თეთრად, თითქო ძალზე გარეცხილი ჩადრები გადააფარაო. კაკლის ხეები ეზოებში და ხილისანი ბაღჩებსა და ბაღებში შეიკენწლა ახალის თოვლის ქულითა და შავად გაშიშვლებული ტოტები თეთრად გამოლამაზდა. ორღობის ღობეებში, ზოგან ჯარჯით, ზოგან წალმით დახურული, სქლად დადებულ თოვლქვეშ ისე სჩანდა, თითქო თეთრი საფარავი აქვთ გადაჭედილი ზემოდამაო” *(“ოთარაანთ ქვრივი”. 1887 წ.).*

- “თოვლი რომ გადიღო, ბევრს ხანს არ გაუვლია, ყინვამ მოუჭირა: აცივდა, აყინდა. ძველს თოვლში შეპარებული სითბო დღისა თოვლიდამ ჯერ კიდევ წყალს აწვეთებდა, მაგრამ ყინვა არ უშვებდა და ყინულად ქცეული ნაწური ჩურჩხელებსავით ეკიდა ხის ტოტებს, ღობეების ნაპირებს, ჩარდახების და ბანების გარეშემო”.

- "ღამე არ იყო ბნელი. ცაზე დროგამოშვებით კაშკაშა მთვარე ხან გამოჰყოფდა ხოლმე ღრუბლებიდამ თავს, ხან ისევ ღრუბლებში გაეხვეოდა, თითქო ღრუბლის ბნელი და მთვარის შუქი ერთმანეთს ეჭიდებიან და ხან ერთია ქვეშ, ხან მეორეო.

სოფელს დიდი ხანია ეძინა იმ გულიანის ძილითა, რომელიც მართლა სასვენია და არა სანებივრებელი. მისწყდა სოფლის ხმაურობა, დღის ჟღივილ-ყივილი, მისწყდა ადამიანის ფეხის ხმაც. ახალ მოსულს თოვლს, ყინვა-დაკრულს, არსად არ აჩნდა ნაფეხური ადამიანისა... სოფელს ხმა გაეკმინდა და თითო-ოროლა ადგილას მეტის-მეტად ფრთხილის ძაღლის ყეფა-ღა ისმოდა..." *("ოთარაანთ ქვრივი". 1887 წ.).*

- "ჯერ უწმინდური და მურტალი ფეხი ადამიანისა არ მოჰხვედრია და არ გაუცოდვიანებია ეს უცოდველი თოვლი" *("ოთარაანთ ქვრივი". 1887 წ.).*

"**შური**, ჩემო კარგო, სულ შური. მაგითი არა ვართ დაღუპული ჩვენ, ქართველები! *("მაჭანკალი". 1881 წ., 31 მაისამდე).*

"**შური** ბრმა არი, იქ აჩვენებს იგი მტერსა, სადაც მოყვარეა, და იქ აჩვენებს მოყვარესა, სადაც მართალი მტერია." ("*კაკო". 1859 წ.).*

"**შურს** ისა სწყინს და გულს უკლავს, _ სხვას ჩემზე მეტი რადა აქვსო, ნატვრა-კი პატიოსნური სურვილია, მეც ის შევიძინო, რაც სხვას შეუძენია, მისდა სიკეთემდე, ღირსებამდე მივაღწიოო. შური ვერ იტანს სხვისა ღირსებას, ნატვრა-კი შეჰხარის. შური ებრძვის ღირსებას, ნატვა-კი ეტრფის". *("ქვათა ღაღადი". 1899 წ.).*

ჩ

"**ჩარხი** მოშლილია ორთა შუა ნდობისა". *("წერილები ილია ჭავჭავაძისა ოლღა თადეოზის ასულ გურამიშვილისადმი". 1873 წ. 3 აგვისტო).*

"**ჩემბერლენმა** იმაზედ დააფუძნა თავისი სიტყვა და რჩევა, რომ მუშათა უსაქმობისა და მათთვის სამუშაოს აღმოჩენა სჯობია თვითმმართველობის თაოსნობას მიენდოსო, თვითმმართველობა უკეთ მოუპოებს მუშებს საქმესაო და უკეთ დასდებს წამალსა დღევანდელს სატკივარსაო." *("მუშათა ყოფა-ცხოვრების საქმე ევროპაში". 1886 წ. 10 მარტი).*

"**ჩემგან** მიდის, თითქო ძაფიც არ იჭერს; სხვაგან მიდის, თითქო თოკით ეწევიანო. ჩემგან მიდის და პატარა ნაღველიც უკან არ ახედებს... განა აქ არა დაჰრჩა-რა!.. სხვაგან მიდის და სიხარული მარტო წინ აყურებინებს... განა ყველაფერი იქ არის, სულ ყველაფერი." (*"ოთარაანთ ქვრივი". [1886] – 6 ქრისტეშობისთთვეს 1887 წელსა).*

"**ჩემი** გული პირველად ბატონის სახლში გათბა და იმ სითბოშივე ბოლო მომიღო" *("გლახის ნაამბობი". 1859 წ. (1862-1873 წ.)).*

"**ჩემი** რა გითხრა, გული რით დაგწვაო." *("გზა-და-გზა და სხვათა შორის". 1889 წ.).*

"**ჩემი** გამკითხველი არი / ნამუსი და ჩუმი ნება" *("მეფე დიმიტრი თავდადებული". 1878 წ.).*

„**ჩვენ** რომ ისე მოგვივიდეს — მკვდარი მკვდარს აეკიდა, საფლავამდე წამიღეო? ან მინამ პეტრე მოვიდოდა, პავლეს ტყავი გაამვრესო! მაშინ რაღა ვქნათ? თუნდა ეგეც არ იყოს, ეგ მკვდრები ჩვენ რათ უნდა შეგვანახვინონ! იმიტომ ხომ არა, რომ ყვავმა თავისი მკვდარი ბახალა ბუს მიუგდო, დიდი თავი გაქვს და შენ იტირეო." *("ჩვენი ეხლანდელი სიბრძნე-სიცრუე". 1896 წ.).*

"**ჩვენ** ამ მთისას ვლაპარაკობთ და ის-კი იმ მთისას გვეუბნება". *("შესავლის მაგიერ". 1886 წ. 23 მაისი).*

“**ჩვენებური** მკვიდრი ყოველგვარ უბედურებას გაუძლებს, ყოველგვარ უბედურებას აიტანს მარტო იმ ყოვლისშემძლებელის გრძნობის ძალითა, რომელსაც სამშობლოს ადგილის და ბინის სიყვარულს ეძახიან, იმიტომ რომ სხვა ყოველს უბედურებას სული ებრძვის და შიმშილს კი მარტო ხორცი, რომლის გაძლებასა და მოთმინებას ბუნებითვე აქვს დადებული სამძღვარი და ამიტომაც უღონოა ამგვარის ჭიდილისათვის. როცა სიცოტავე ადგილ-მამულისა ვეღარ უძღვება ხალხს, როცა ვეღარა ჰკვებავს, მაშინ სხვა რა გზაა, თუ არ აყრა და სხვაგან ძებნა ახალის ბედისა” *(“იმიგრაცია საქართველოდან”. 1886 წ.).*

“**ჩვენი** გულითადი რწმენა ყოველთვის ისა ყოფილა და არის, რომ ერის წარმატება ქონებრივი თუ გონებრივი შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როცა ერი წოდებათა დაუყოვნებლად, დიდ-პატარაობის გაურჩევლად და გამოუკლებლად ერთიანის მეცადინეობითა და გარჯით სცდილობს ცხოვრების გზა გაიკვალოს და ბურთი ბედისა გაიტანოს წუთისოფლის მოედნიდამ ყველამ ერთად საყოველთაოდ”. *(“წოდებათა თანასწორობა”. 1888 წ.).*

“**ჩვენი** თავადაზნაურობა, როგორც ცალკე წოდება ჩვენის ერისა, ხშირად ცალკე იწევს და ცალკე ითლის. ჩვენ – კი ვიტყვით, რომ მისი დღეგრძელობა, კეთილდღეობა, ბედნიერება, სახელი და დიდება სწორედ და მთლად იმაშია, რომ ეს მოძღვრება გულში ჩაიჭედოს და ერთს წუთსაც გონებიდამ არ მოიშოროს, რომ თუ სხვანი კარგად იქნებიან, მარტო მაშინ იგიც კარგად იქნება. ჭეშმარიტსა და საბოლოო წარმატებას სათავე აქა აქვს და თუ ჩვენი თავად-აზნაურობა ყოველს თავის მეცადინეობასა და მოქმედებას ამ მოძღვრებას შეუფერებს და ქვეშ დაუყენებს, სასახელო მიზეზს თავის არსებობისასაც აქ იპოვის. *(“წოდებათა თანასწორობა”. 1888 წ.).*

“**ჩვენი** მწერალი ბრძანებს, რომ ისინი სწერენ არა დიდებისათვის, არა ილია ჭავჭავაძის მოსაწონებლად, არამედ „ცისკარისათვის“ უანგაროდა. დიდების უსიყვარულობა ძალიან საქებელია, მაგრამ მე და თქვენისთანა თანამშრომელებმაც რომ ხელი და კალამი შეასვენონ, „ცისკარი“ უფრო უკეთესს დღეებსა ნახავს. ეს არის ჩვენი უბედურობა, ჩვენისთანა თანამშრომლები ჰყავს „ცისკარსა“, თანმაშრომლები კი არა, «бездельники деловые», პუშკინისა არ იყოს, ესე იგი, უსაქმო საქმიანები რომელნიც უფრო ახდენენ საქმეს, ვიდრე აკეთებენ. ძალიან გვიხარიან, რომ ჩვენი მწერალი ქალი აღარ აპირებს ჩემზედ პასუხის დაწერას და, თუ პოეტობაზედაც ხელს აიღებს, – ღმერთი, რჯული – დიდ ღვაწლს მხოლოდ მაშინ დასდებს ჩვენს „ცისკარსა“. *(“პასუხი”. 1861 წ.).*

„**ჩვენი** საზოგადოება სწორედ ჭრიანტელია, მერე რუსული ჭრიანტელი, რომელსაც აკროშკას ეძახიან, და რომელშიაც კიტრიც არის, ისვრიმიც და უფრო რუსული კვასი, ძმარიც, ხარდალიც, ყინულიც, ხორციც და თევზიც და ათასნაირი სხვა რაღაცაები, მაგრამ არც ერთი მათგანი იმოდენა არ არის, რომ სხვაზედ ნამეტნავად გამოჩნდეს; სუყველანი ხორცით თუ სულით, დაკეპილნი და დანამცეცებულნი არიან. როგორც ჭრიანტელს თავისი მასალა, ისე ჩვენს საზოგადოებას თავისი მწევრნი ცოტად თუ ბევრად თავის გემოს აძლევენ, და არ ითქმის, რომ ის გემო ერთობ გემრიელი იყოს. მწარეა, როგორც ხარდალი, ჩემო მკითხველო, ცივია, როგორც ყინული, მჟავეა, როგორც ძმარი, ფხიანია, როგორც თევზი და თევზსავით პირუტყვი, იმ ანდაზის ძალით, რომლითაც თევზი პირუტყვობაში თავს იმართლებს: პირი წყლით არა მქონდეს სავსეო, მეც ვილაპარაკებდიო. აი, ჩვენი საზოგადოება რამდენში ჰგავს ჭრიანტელსა. ერთი მგზავსება კიდევ აქვს: ჩვენი საზოგადოება ისე ადვილად

შეიხვრიტება, როგორც ჭრიანტელი, მაგრამ ჭრიანტელი რომ ბევრი შეხვრიტოს, კუჭს მოუშლის კაცსა და ჩვენს საზოგადოებას კი მაგოდენა შნოც არა აქვს.“ *(ცისკარი” 1857 წლიდან – 1862 წლამდინა”. 1862 წ.).*

“**ჩვენი** ხალხი თავისი ბინადრობის დიდი და მკვიდრი მოყვარეა. იგი სოფელი, საცა მის მამა-პაპას უცხოვრია, საცა მამა-პაპის ძვლები უმარხია, საცა მამა-პაპის სალოცავია, ჩვენის გლეხისათვის მეტად ძვირფასი რამ არის. დღესაც თუ ბედის ბრუნვას ერთის ადგილიდამ მეორეში გადმოუსახლებია ვინმე, იმის შვილიშვილნი და უფრო შორეული შთამომავლობა თითქმის ყოველ-წლივ უწინდელის ბინის დასახედად მიდის, მამა-პაპის ხატისა და სალოცავის თაყვანის-საცემლად დაიარება. ამისთვის არც ხარჯს, არც დროს და არც გზებზედ სიარულის შრომას არა ჰზოგავს. თუნდ ეგეც არ იყოს, ყველასაგან და ყველგან ცნობილია, რომ მუშაკაცი ყოველთვის იმის ნატვრაშია, სადმე ბინა მოიკიდოს, სადმე თავისი საკუთრება იქონიოს, და მიწისმომქმედი მუშა ისე არა ქონებას არ ეტანება, როგორც უძრავსა, ესე იგი მიწასა, ადგილ-მამულსა. ამ-გვარებში ნამეტნავად ჩვენი გლეხია ღირსშესანიშნავი. თუკი თავის ახლომახლო მამულს როგორმე შეიგულებს, თავს დაიგირავებს, ცოლ-შვილს დაატყვევებს ხოლმე, ვალში, ვახშში ჩავარდება და მამულის სყიდვის შემთხვევას კი არ დაჰკარგავს. ჩვენებური გლეხი წელს გაიმაგრებს თუ არა, მარტო იმის ნატვრაშია, რომ მამული იყიდოს”. *(“ცხოვრება და კანონი”. 1877-1881 წ.).*

“**ჩვენი** კაცი ერთი-ასსაც, / ვიცი, არ შეუშინდება, / მაგრამ ბოლოს სიმრავლე გვძლევს, / ხალხი ურგად გამიწყდება”. *(“მეფე დიმიტრი თავდადებული”. 1878 წ.).*

“**ჩვენი** სიყვარული წმინდა არის, როგორც ანკარა მთის წყარო. თუ მზის შუქი წყაროს აამღვრევს, მაშ ჩვენს სიყვარულსაც ჩვენი გული აუმღვრევია. ცამ რისხვით მკითხოს და დედამიწამ ასე მიმიღოს, თუ ცოდვა რამე ჩვენს გულში ჩასახულიყოს”. *(“გლახის ნაამბობი”. 1859/1862 – 1873 წ.).*

“**ჩვენს** ცხოვრებაში ამ ბოლოს ხანებში თავი იჩინა ერთმა მოვლენამ, რომელსაც ჯერ ფართო გზა არ გახსნია... ეს მოვლენა, თუმცა კანტიკუნტად, აქა-იქ იჩენს თავს, მაგრამ მუდამ მიზეზი, რომელიც მას იწვევს, ისეთია, რომ დღითი-დღე მეტს ადგილს დაიჭერს ჩვენს ქვეყანაში და დღითი-დღე უფრო გაძლიერდება. ჩვენ ვამბობთ მამა-პაპის ადგილიდამ აყრაზე და სხვაგან გახიზვნაზედ მამულების საშოვრად. უმთავრესი მიზეზი ამისთანა მოვლენისა ყველგან ერთი და იგივე ყოფილა: გამრავლება ხალხისა და ვიწროობა ადგილ-მამულისა. თქმა არ უნდა, რომ რაკი ამ მოვლენამ ერთხელ აიდგა იმისთანა ქვეყანაში, როგორიც ჩვენია, საცა მკვიდრი, ერთხელ ერთს ადგილას დაბინავებული კაცი ძნელად გამოიმეტებს ხოლმე თავის მამა-პაპის ბინას და მიწა-წყალსა, დიდის სიმძიმის და გულისტკივილით ჰშორდება იმ ადგილს, საცა დაბადებულა, საცა უმოქმედია, ოფლი და სისხლი უღვრია მამა-პაპასა, საცა ულოცნიათ, უჭირნახულიათ, ულხენიათ და დასასრულ საცა დამარხულან; საცა ყოველივე ეს იმისთანა ზნეობრივ კუთვნილებას შეადგენს ადამიანისას, რომლის დაკარგვა, რომელზედაც ხელის აღება ჩვენის გლეხკაცისა, თუ კეთილშობილისათვის ხორციელ სიკვდილზე ნაკლები აღარ არის, იქ მამა-პაპისაგან დაშენებულის დადებულის ბინის აშლა, აგვა, გათახსირება და სხვაგან ძებნა ბედისა, - იქ აყრა და სხვაგან გადასვლა იმისთანა მიზეზს უნდა მიეწეროს, რომელსაც ხალხის თვალში აღარა მოევლება-რა, აღარა ეშველება-რა.

ერთი ამისთანა მიზეზი, როგორც ზემოთა ვსთქვით, ადგილ-მამულის ნაკლებობაა. ჩვენ არა გვგონია ჩვენებურნი მკვიდრნი სხვა რაიმე მიზეზმა სძლიოს და მამულის ბინიდამ იძულებით აჰყაროს" *("იმიგრაცია საქართველოდან". 1886 წ.).*

"**ჩვენში** ხორციელი თვალი უფრო მოქმედებს, ვიდრე თვალი სულისა." *("ქართული თეატრი". 1886 წ.).*

"**ჩვენც** კაცნი ვართ და – ძველის ფილოსოფიისა არ იყოს – არა-რა კაცობრივი არ უნდა გვეუცხოვებოდეს" *("ირლანდია და ინგლისი". 1886 წ.).*

"**ჩვეულება** რჯულთ უმტკიცესიაო". *("ქვათა ღაღადი". 1899 წ.).*

"**ჩიტი** ბრდღვნად არა ღირს და უკან დევნა მეტია". *("უმეცრობის ფართი-ფურთი", 1900 წ.)*

ც

"**ცალ-ცალკე** წევა ცხოვრების უღელისა, ცალ-ცალკე ხვნა და მკა, ცალ-ცალკე თლა ლხინისა თავისაკენ და ჭირისა სხვისაკენ, მარტო თავის-თავის ხსოვნა და სხვისი დავიწყება მომაკვდინებელია კაცთა საურთიერთო ცხოვრებისა და საცა ეგ ურთიერთობა არ არის, არც იგი კრებულია, რომელსაც ერი ჰქვიან" *("წოდებათა თანასწორობა". 1888 წ.).*

"**ცარიელი** წასულა და ცარიელივე დაბრუნებულა". *("უმეცრობის ფართი-ფურთი". 1900 წ.).*

„**ცარიელი**, მოუმზადებელი, უწურთვნელი ნიჭი არ-გადახალისებული მადანია და ამიტომაც ბევრს ვერას შესძლებს ლიტერატურის სარბიელზედ." *("ჩვენი ლიტერატურის დღევანდელი ყოფა". 1886 წ.).*

"**ცას** ქუდად არ მიიჩნევს და დედამიწას ქალამნადა". *("ქვათა ღაღადი". 1899 წ.).*

"**ცემა** გმართებს გამზრდელისა, თუ ყრმა ჰნახო ავად ზრდილი (ვახტანგ VI)". *("ქვათა ღაღადი". 1899 წ.).*

"**ცეცხლია**, სწორედ ცეცხლი, ე დალოცვილისშვილი! *("ოთარაანთ ქვრივი". [1886] – 6 ქრისტეშობისთთვეს 1887 წელსა).*

"**ცეცხლი** ყოფილა შენი გული, _ მითხრა პატარა ხანს უკან მღვდელმა, _ ყური მომიგდე, დღეს შენ დაგჭირდი, ხვალ თუ ზეგ შენ მე დამჭირდები, "სოფელი ასე მქნელია", დრო მოგვივა, გავსწორდებით. ხომ გაგიგონია: მთა მთას არ მოხვდება, კაცი კი კაცსაო." *("გლახის ნაამბობი". 1859, 1862-1873 წწ.).*

"**ცეცხლისა** და ნავთის ერთად შეყრა ყველას უკვირს" *("ინგლის-ისლანდიის ურთიერთობათა გამო". 1886-1889 წ.).*

ცივილიზაცია: - "ცივილიზაცია, ანუ წარმატებულობა ადამიანის მიზეზი-კი არ არის, არამედ შედეგია ყოველ იმ ძალ-ღონისა, რომელნიც ერთად კრებულად მოქმედობენ კაცობრიობაში საზოგადოდ და თვითოეულ ერში ცალკე. ამგვარს ძალ-ღონეს სოციალურ ძალ-ღონეს ეძახიან." *("აი ისტორია". 1889 წ.).*

- "ცოდნა, გონებრივი მეტნაკლებობა, რწმუნება იმ საგნების მიმართ, რომელიც ადამიანისათვის უდიდესად მისაჩნევია, მმართველობა, წეს-წყობილება ოჯახებური, საზოგადოებრივი, სამოქალაქო, კანონები, ჩვეულებანი, ზნე-ხასიათი და სხვა ამისთანა სულ ერთად და ერთს დროს მოქმედნი, ჰქმნიან იმას, რასაც რომელსამე დროის მდგომარეობას ერისას, თუ კაცობრიობისას, ეძახიან, ანუ ცივილიზაციას თავისის მეტ-ნაკლებობით." *("აი ისტორია". 1889 წ.).*

- "ჩვენ ჯერ საბულვარო ცივილიზაციისაგან იმოდენად ხელუხლებელნი ვართ, _ ვიტყვით, ჩვენდა სასიხარულოდ, _ რომ გარყვნილება და ნამუსახდილობა ჯერ კიდევ საზიზღარია ჩვენთვის და არა გასართობი და სახუმარი." *("ქართული თეატრი". 1886 წ.).*

ცოდვა და მადლი: - "მინდოდა მეთქვა მადლობა, მაგრამ ეს სიტყვა ხშირი და უადგილო ხმარებისაგან ისე გათახსირდა და გამოიფიტა, რომ მხოლოდ უსაგნო სიტყვაღა დარჩა, უშინაარსო ფორმად იქცა". *("ილია ჭავჭავაძის წერილები ოლღა თადეოზის ასულ გურამიშვილ-ჭავჭავაძისადმი". 1864 წ. 25 მაისი).*

- "რა მადლია ქვეყანაზე, რომ ყველა სხვა მადლი იქიდამ გამოდიოდეს, როგორც სხივები მზისაგან? მწამს და ვაღიარებ, რომ ამისთანა მადლი _ მადლია სიბრალულისა. მადლსაც სიმართლისას, პატიოსნებისას, სიყვარულისას, ნუგეშისცემისას, ერთმანეთის განკითხვისას, შეწყნარებისას, შენდობისას, _ დასაბამად, სათავედ სიბრალულის მადლი აქვს. თუ გებრალება, უსამართლობას ვერ უზამ; თუ გებრალება, უნამუსოდ ვერ მოექცევი; თუ გებრალება, გეყვარება კიდეც; თუ გებრალება, ნუგეშსაცა სცემ; თუ გებრალება, გულით წმინდით განიკითხავ; თუ გებრალება, შეიწყნარებ; თუ გებრალება, შეუნდობ." ("*უცნაური ამბავი". 1893 წ.).*

- "მადლი სიბრალულისა დედაა ყველა სხვა მადლისა. ადამიანის გულს ამან უნდა აწოვოს თავისი ძუძუ." ("*უცნაური ამბავი". 1893 წ.).*

- "პატარა პატიკოს ამბავი _ დიდი ამბავია. ხნული მზად არის, თესლიც გაღივებული. უუწმინდესო მადლო სიბრალულისავ, გიცან შენ." (*უცნაური ამბავი. 1893 წ.).*

- "მადლი ხომ მადლია, მაგრამ ამასაც მოვლა უნდა, უნდა პატრონობა, ხელის შეწყობა, გაზრდა და დავაჟკაცება, თუ ესე ითქმის. ეგ ისეთი აზიზი, მზეთუნახავი ყვავილია, რომ მალე ჭკნება, თავის სუნნელებას ჰკარგავს, თუ მეცნიერების შუქი არ ადგია, თუ მეცნიერება თავის უკვდავების წყაროს არ ასხურებს და სიბრძნის ხელი კიდევ დღე-მუდამ არა ჰფურჩქნის." *("პოეზიის ახალგაზრდა მოყვარულთ". 1886 წ.).*

- "ბოროტის უქმნელობა კი არ იზიდავს, კი არ გამსჭვალავს ადამიანის გულს, არამედ ქმნა მადლისა. მარტო მადლის-მყოფელის წინაშე ადამიანი უნებლიეთ იხრის თავს, იყრის მუხლსა და განცვიფრებული მეტყველებს სიტყვით თუ უსიტყვოდ ქებასა და დიდებასა. ეგ იმიტომ, რომ ჭეშმარიტი კაცობა არ-ქონა ცოდვისა კი არ არის, არამედ ქონაა მადლისა, კაცურის კაცობის ნიშანი minimum-ი სათნოება კი არ არის, რომელიც არ-ცოდნის საზღვარია, არამედ maximum-ი, რომელიც მადლის სამფლობელოა და საუფლისწულო". *("დიმიტრი ყიფიანი". 1887 წ. 30 ოქტომბერი).*

- "მეც ქრისტიანი ვარ და არა-რა ქრისტიანობრივი არ მეუცხოების. მეც დავიყენე ჩემი თავი ჩემ წინა, ვითარცა მსაჯულმა და გამკითხველმა, და ვკითხე: აბა რას ინანი და რას არა? სანანებელი ცოდვაა და არ-სანანებელი მადლიაო, მიპასუხა. აბა მაშ ჩამოთვალე თვითოეული ცოდვა, რაც შენ ჩაგიდენია-მეთქი. ჯერ მიბრძანეთო, მიპასუხა, რა არის ცოდვა და რა არის მადლი და მერე იმისდაგვარად მეც მოგახსენებო. ამისთანა პასუხმა დავთრები სულ მთლად ამირია. ჩავიხედე ჩემის გულის დავთარში და თუმცა მაგისი პასუხი იქ ვიპოვე, მაგრამ დავთრის ბოლო ფურცელზე ეს ეწერა: შენი შენთვის შეინახეო, საქმე ის არის, სხვა რას ჰფიქრობს მაგ საგანზეო. მიმოვიხედე ჩემს გარეშემო, დავეკითხე ძველსა და ახალსა, აქეთ ვეცი,

იქით ვეცი, მრავალი ჭკვიანი კაცი ვნახე, მრავალი წიგნი წავიკითხე და ვცან, რომ ადამიანის უბედურება დღემდე იმაში ყოფილა და დღესაც იმაშია, რომ ვერ მიუგნია, რა არის ცოდვა და რა არის მადლი?"

- "კეთილი და ბოროტი, ცოდვა და მადლი მარტო ადამიანის გულისხმის საქმეა. უტყვის ბუნების წინაშე არ არსებობს ეგ განსხვავება. ადამიანის გარეთ ცოდვა და მადლი არ არის და რადგანაც ადამიანი ყველგან ადამიანია, მაშასადამე, რაც ერთგან და ერთისათვის ცოდვაა და ბოროტი, მეორისათვისაც ცოდვა და ბოროტი უნდა იყოს ყველგან, ყოველთვის და ყველა შემთხვევაში. ჩვენ ვხედავთ და დღე-მუდამ მაგალითებით ვრწმუნდებით, რომ ეს ასე არ არის. რატომ? "რატომაო"? საქმეც იმაშია, რომ მაგ "რატომს" ჯერ-აქამომდე ადამიანმა გულ-დაჯერებული პასუხი ვერ მოუპოვა." *("შინაური მიმოხილვა". 1885 წ. თებერვალი).*

- "ჯოჯოხეთი იქნებოდა ეს ასეთი ცხოვრება, რომელსაც სხვა მიზანი არსებობისა არა აქვს, თუ არა ის, რომ ადამიანი ბედნიერი იყოს, სიამოვნებას, ლხენას და სიხარულს არ იყოს მოკლებული, ვამბობთ, ჯოჯოხეთი იქნებოდა, რომ ამ წეწვა-გლეჯის ბაზარში სხივფენილ მადლსაც არ გაჰქონდეს თავისი პატიოსანი ნაამაგარი, თავისი ნაშრომ-ნაღვაწი კაცთა სანუგეშოდ და სასიქადულოდ. დიდ-ბუნებოვანობა ცალკე ადამიანისა, თუ მთელის ერისა, მის-მიერ გატანილ მადლის მეტ-ნაკლებობაშია. ეგ მეტ-ნაკლებობა მადლისა არის უტყუარი საწყაო ცალკე ადამიანის, თუ მთელის ერის, კაცურ-კაცობისა, მისი შინაგანი სიმაგრისა, ქვაკუთხედი მისის აღმატებულობისა. *("შინაური მიმოხილვა 1895 წლისა". 1896 წ. 4 იანვარი).*

- "მადლი არის კრებული იმა კეთილთა, რომელიც შეადგენს ზნეობურს განძს, როგორც თვითოულ ადამიანისას, ისეც მთელის ერისას, და ეგ განძია იგი კლდე, რომელზედაც შენდება ციხე-სიმაგრე ერის ცხოვრებისა, ერის აწმყოსი, ერის მერმისისა. *("შინაური მიმოხილვა 1895 წლისა". 1896 წ. 4 იანვარი).*

- "ადამიანი და ნამეტნავად ერი არა მარტო "პურითა ერთითა ცოცხალს არს". მართალია, მშიერი დიდს მანძილს ვერ გაივლის ამ მადლისა და ბოროტის ჭიდილის გზაზე, მაგრამ უმადლოდაც, როგორც ხორცი უსულოდ, არაფრის მაქნისია. ცხოვრება ერთიანი მდინარეა ორის დიდი ტოტისა: ერთს რომ ხორცისათვის მოაქვს საზრდო, მეორეს _ სულისათვის. თუ ან ერთი დაშრა, ან მეორე, _ გვამი ერისა მკვდარია, ვითარცა უსულოდ ხორცი და უხორცოდ სული, სააქაოსათვის მაინცა. ამიტომაც, ვინცა სჩივის და ჰღაღადებს სახორციელო პურისათვის, ის ამდენადვე, თუ არ მეტად, უნდა იღვწოდეს სასულიერო პურისათვისაც. *("შინაური მიმოხილვა 1895 წლისა". 1896 წ. 4 იანვარი).*

- "ჩემის ფიქრით, ცუდი და კარგი ქვეყანაზედ თავისთავად არ არსებობს. მგონი, თუ მეხსიერებამ არ მიღალატა, შექსპირი ერთ ადგილას ამასვე ამბობს და უმატებს, რომ კაცის აზრისაგან არისო _ ერთი საგანი ცუდი და მეორე კარგი." ("*იგი წავა და სხვა მოვა ტურფასა საბაღნაროსა". 1861-1863 წ.).*

"**ცოდვა** ის არის, ჩემო ძმაო, როცა შვილი დედის ჭირნახულს ყვავილებს არ გამოატანინებს, როცა დრო მოუვა." *("გლახის ნაამბობი". 1859, 1862-1873 წწ.).*

"**ცოდნა**, სწავლა-განათლება მარტო სამკაული – კი არ არის კაცისა, პირველ წყების საჭიროებაა, როგორც პური, როგორც წყალი, როგორც საჭმელი და სასმელი". *("ისევ განათლების საკითხებზე". 26 ოქტომბერი, 1889 წ.).*

"**ცოლქმრობის** საქმე ცაში ჰრიგდებაო." (*"ოთარაანთ ქვრივი". [1886] – 6 ქრისტეშობისთთვეს 1887 წელსა).*

“**ცოტა** ვართ, მაგრამ კარგნი ვართ, / ვინც კია, ყველა დევია... / ბევრჯერ უნახავს ქართვლის მტერს, / რომ ცოტაც ბევრის მძლევია”. *(“მეფე დიმიტრი თავდადებული” 1860/1877-1878).*

“**ცოცხალზე** არ გამახარა წუთისოფელმა და მკვდარზედ აღარ მატირებთო!... ცოდო ვარ, შვილო, ცოდო!... მართლა რომ ცოდოა!... მაგრამ სხვა ვინ არ არის ცოდო? ერთიც ეს არის საჭირბოროტო და წყევაკრულვითნი საკითხავი ამ უთავბოლო და უსწორმასწორო ქვეყანაში”. *(“ოთარაანთ ქვრივი”. 1886-1887 წ.).*

ცრემლი და სიცილი: - “ქართველიც იმისთანა კაცია, როგორც სხვა და ამიტომაც არა რა კაცებური არ უნდა ეუცხოებოდეს. ბუნება ცრემლისა და სიცილისა, ჩვენის ფიქრით, ერთსა და იმავე სათავიდამ მოდის. იგი შეკუმშვა ადამიანის ძარღვისა, რომელსაც სიცილი და ცრემლი მოსდევს, მწუხარებისაგანაც მოივლინება და მხიარულებისაგანაც. ამიტომაც ხშირად ცრემლსა ჰხედავს იქაც, საცა დიდი სიხარულია და სიცილს იქაც, საცა დიდი სატირალია. ხოლო პირველ შემთხვევაში ცრემლს სიტკბო აქვს სიცილისა და სიხარულისა, და მეორეში სიცილს _ სიმწარე ტირილისა და მწუხარებისა. როცა ადამიანის სული და გული ძლიერ არის აღძრული, მაშინ ერთი მეორის ადგილს იჭერს და მთელი დრამა სიცილისა და ცრემლისა სწორედ ამაშია. საშინელია, როცა გული სტირის და კაცი ტირილის მაგიერი სიცილით ქვითინებს; მეტის-მეტად მომხიბლავია და დამატკბობელი, როცა გული სიხარულით უმღერს კაცს და ცრემლით კი იცინის და მხიარულობს. უდიდესი გამოცხადება, უდიდესი ზემოქმედება ადამიანის გულზედ, თავით-ფეხებამდე ზარდამცემი ძლიერება ცრემლისა და სიცილისა სწორედ მაშინ არის, როცა ერთს მეორის ადგილას ჰხედავთ, თუმცა მიზეზი მოვლინებისა ერთისაა და არა მეორისა.” *(“ქართული თეატრი”. 1886 წ.).*

- “ცრემლი მწუხარების შვილია... თავისთავად მოდის როცა გული იწურება – მართალია მწუხარების შვილია, მწუხარებას ალბობს, მაგრამ გონების თვალს არ უნდა მოერიოს ცრემლი. სახმის დანახვა სჯობს ცრემლით თვალების აბმასა”. *(“გლახის ნაამბობი”. 1859/1862 – 1873 წ.).*

- “არა გვგონია, იმ ცრემლზედ უტკბესი რამ იყოს ქვეყანაზედ, როცა იგი ჰჟონავს ბედნიერებისა და სიხარულის ნამეტნობისაგან, და იმ სიცილზედ უმწარესი რამ, როცა კაცი ტირილით ჰხარხარებს უბედურობისა და მწუხარების სავსებისაგან. აი ეს ცრემლიანი სიცილი და სიცილიანი ტირილი არის იგი უზენაესი სიტკბოება, რომლის ფრთებითაც ჭეშმარიტი და უდიდესი ხელოვნება ადამიანისა თავის უმწვერვალეს სიმაღლეზედ აზიდავს ხოლმე კაცსა, და გონებამიუწვდენელის თილისმითა დიდს ბოროტსაც, დიდს მწუხარებასაც, როგორც დიდს კეთილსა და დიდს ბედნიერებას, ადამიანის გულში ჩააფენინებს ხოლმე მადლის მაცხოვარს შუქს სათნოების კვირტის გამოსაკვანძავად და მერე მშვენიერ ყვავილის გარდასაშლელად.” *(“ქართული თეატრი”. 1886 წ.).*

- “საქმე ის არის, რომ ჭეშმარიტი ხელოვნება სიცილისა, თუ ტირილისა, თავისის თილისმითა ჰქმნიდეს ხატს ესტეტიურის გრძნობის გამოსაწვევად. აქ სხვა არაფერია საჭირო და კაცი ყოველთვის ერთნაირად მოზიდულ იქმნება.” *(“ქართული თეატრი”. 1886 წ.).*

- “მარილიანს, ჯანიანს და მორგებულს სიცილს აზრი უნდა, მომავლინებელად საბუთი უნდა, ადამიანის გულის ძარღვთაგან მოქსოვილი იმ მრავალფეროვნებით,

რითაც ასე მდიდარია ცხოვრება და ადამიანის გული, ეს უტყუარი სარკე ცხოვრებისა." *("ქართული თეატრი". 1886 წ.).*

- "როგორც უმიზეზოდ, უაზროდ მტირალა კაცი საზიზღარია, ისეც უმიზეზოდ, უაზროდ მოცინარიცა." *("ქართული თეატრი". 1886 წ.).*

- "ბევრი რამ არის ქვეყანაზედ სასაცილო, მაგრამ ესტეტიური გრძნობა ყველა სიცილს ვერ შეიწყნარებს, თავის შვილად ვერ გაიხდის. სიცილი თავის დღეში არ უნდა გარდაიქმნას ლაზღანდარობად და ტირილი კიდევ უგემურ კნავილად." *("ქართული თეატრი". 1886 წ.).*

- "ძალად მოყვანილი ცრემლი სასაცილოა, საზიზღარი და არა სამწუხარო დასანახავად." *("ორიოდე სიტყვა თავად რევაზ შალვას ძის ერისთავის კაზლოვის მიერ "შეშლილი"-ს თარგმანზედა". 1860 წ. 5 ნოემბერი).*

- "ხშირად ავიწყდებათ ჩვენს საკუთარს ავტორებსაც, მთარგმნელებსაც და ზოგ-ზოგ ნიჭიერ არტისტებსაც, საცა ჭეშმარიტ სიცილს ან ჭეშმარიტს ცრემლს ვერ აჭრევინებენ, იმ სიცილ-ლაზღანდარობაზედ გადააქვთ და ცრემლი უმარილო კნავილზედ" *("ქართული თეატრი". 1886 წ.).*

- "დიდად საგრძნობელს, თუნდ ერთი და იგივე ძირი ჰქონდეს, ისეთი ბოლ-ოდა ზემოქმედება არა აქვს, როგორც პატარას. დიდი მწუხარება ცრემლს უშრობს კაცს, პატარა კი ცრემლს ადენს; დიდს სიხარულს ხშირად ცრემლი მოჰყავს და პატარას კი _ ღიმილი; დიდი გულისთქმა, ჭეშმარიტი გრძნობა მუნჯია, უტყვია, და პატარა კი _ ყბედი და ლაქლაქა." *("აკაკი წერეთელი და "ვეფხისტყაოსანი". 1887 წ.).*

"**ცუდად** ჯდომას ცუდად შრომა სჯობია". ამ დალოცვილს ანდაზას რამდენი უხეირო კაცი ხეირიანად გამოჰყავს და გამოუყვანია." *("კაცია ადამიანი?!" 1858-63 წ.).*

"**ცუდი** ქართველსაც გამოუვა ხელიდამ და სომეხსაც, თუკი თავზედ კაცი ხელს აიღებს." ("*დიამბეგობა." 1858 წლამდე).*

"**ცული** რომ დაგეკრა თავში და გაგეხეთქა, მოწამლული ისარი რომ გულში გაგეყარა, _ ის კი გამთელდებოდა, მაგ სიტყვით ნატკენი გული კი თავის დღეში არ გამთელდება." ("*დიამბეგობა". 1858 წლამდე).*

"**ცხოვრება** დაუდგრომელს დუღილშია, ფეხ-შეუფერხებელს მოძრაობაშია. იგი თვის დუღილში, თვის მიმდინარეობაში ბევრს რთულს საქმეს და საგანს წამოგვიყენებს ხოლმე თვალ-წინ. ამ საქმესა და საგანს გარჩევა უნდა, ახსნა და თავისი ადგილის მიზომვა. ადამიანის გონებითი ძალა, რომელიც დღე მუდამ უნდა დასტრიალებდეს ცხოვრებას, ორ-გვარად შეეხება ამ ცხოვრებისაგან აღმოჩენილს საქმესა და საგანსა. პირველი, — როგორც მასალას, რომლიდამაც მეცნიერებითსა ძალას ადამიანისას გამოჰყავს დედა-აზრი (პრინციპი) და ამ დედა-აზრზედ ამყარებს მეცნიერების შენობასა, საიდამაც ეს დედა-აზრნი ისევ ცხოვრებაში უნდა გადმოვიდნენ. უამისოდ მეცნიერება უხმარი განძია, უქმის ჭკუის უქმი ვარჯიშობაა. მეორე, როგორც წილადებს, რომელთაგანაც შემდგარია დღევანდელი დღე, მის შინაგან-გარეგანი, ერთის სიტყვით — ის ჰაერი, რომლითაც დღეს ვსუნთქავთ, ვცხოვრობთ და ვაი-ვვაგლახობთ, ჩვენ და თქვენ, მკითხველო. რა ღონისძიებაა იმისთანა, რომ დღე-მუდამის ცხოვრებისაგან მოგროვილი მასალა მეცნიერებას უზიდოს და მეცნიერებიდამ დედა-აზრნი გადმოიტანოს ცხოვრებაში? მეორეს მხრით, რა საშუალებაა იმისთანა, რომ დღე-მუდამის ცხოვრების ავ-კარგიანობა, ვითარება გადიხატოს, გადისახოს?" *("ივერიის წინასიტყვაობა (1)". 1877 წ.).*

ძ

“**ძალა** აღმართსა ხნავსო, ნათქვამია”. *(“წერილები ილია ჭავჭავაძისა ოლღა თადეოზის ასულ გურამიშვილისადმი”, 1873 წ. 26 აპრილი).*

“**ძალად** გამოყვანილს წყალსა წისქვილის დაბრუნება არ შეუძლიან: ის არის უღონო, რომელსაცა რაკი მოხვდება თიბათვის მზის შუქი, მაშინვე გაჰქრება.” *(“სფირიდონის და თადეოზის ბაასი”. 1861 წ.).*

“**ძალიან** გაქელილი სჩანდა დაუნდობელ ცხოვრებისაგან, მაგრამ იმასში რაღაცა იყო იმისთანა, რომელიც ამტკიცებდა, რომ ცხოვრების ქარიშხალსა ჯერ კიდევ არ გაუქრია მისის სულის სიცხოველე და სიძლიერე. მისი დაღლილი და არ-უღონო თვალები პირქუშად და შეწუხებულად მაყურებელნი, სავსენი იყვნენ სიმტკიცითა და ღონითა. ეტყობოდა, რომ ამათ პატრონს ბევრი ცეცხლი უნახავს, ბევრი ავდარი შესწრებია და გამოუვლია, მაგრამ არც ცეცხლს და არც ავდარსა ისე არ მოუკლავთ, როგორც შეეძლო” *(“გლახის ნაამბობი”. 1859 წ. (1862-1873 წ.)).*

“**ძაღლი** პატრონს სცნობს” *(“ოსმალეთის არეულობა და ევროპა”. 1895 19 ნოემბერი).*

“**ძაღლი** პატრონს ვეღარ იცნობს.” *(“საპოლიტიკო მიმოხილვა”. 1882 წ. იანვარი).*

“**ძაღლი** იყეფებს და ქარავანი კი თავის გზაზედ წავა”. *(“წერილები ილია ჭავჭავაძისა ოლღა თადეოზის ასულ გურამიშვილისადმი”. 1873 წ. 23 თებერვალი).*

“**ძველებს** უთქვამთ – / სახელიო, ან სიკვდილი”. *(“მეფე დიმიტრი თავდადებული”. 1878 წ.).*

“**ძვირფას** ნივთს ყველა დაჰკანკალებს, მეც ასე ვარ”. *(“წერილები ილია ჭავჭავაძისა ოლღა თადეოზის ასულ გურამიშვილისადმი”. 1863 წ. 5 მარტი).*

“**ძლიერ** ცუდად გადმოთარგმნას თავის დანებება სჯობია” *(“სფირიდონისა და თადეოზის ბაასი”. 1863 წ.).*

“**ძლიერია** ერი, რაც უნდა პატარა იყოს, როცა მამულიშვილობა, თავის ქვეყნის სიყვარული ასე ამხნევებს, ასე ამოქმედებს, როცა უბედურება რამ, განსაცდელი რამ, გულზე ხელს კი არ აკრებინებს, როგორც იმედგადაწყვეტილს, სასოება დაკარგულს, არამედ იმოდენად ძლიერ აღვიძებს, ძლიერ მისძრავ-მოსძრავს, რამოდენადაც ძლიერია თვით მის თავზე მოსული უბედურება და განსაცდელი:” *(“ევროპის დიდი და პატარა ონავრები”. 1890 წ.).*

“**ძმა** ძმისთვისა და შავ დღისთვისაო!” *(“შინაური მიმოხილვა”. 1879 წ. თებერვალი).*

“**ძმობა** ძმობაა, მაგრამ კაცი ისეა შექმნილი, რომ ჯერ თავო და თავოო, მერე ცოლო და შვილოო.” *(“ბალკანეთის საქმეები”. 1886 წ. 17 მარტი).*

“**ძნელი** გასამიჯნავია ადამიანის “მე” და “ჩვენ”. ბევრს შემთხვევაში ძნელი გამოსაცნობია, სად თავდება “მე” და სად იწყება “ჩვენ”. კარგად წარმატებული გონება უნდა და კარგად განწმენდილი გული, რომ კაცმა ამის გამიჯვნაში არ წაიბორძიკოს. ჩვენდა სამწუხაროდ, ეს ბორძიკი ჩვენში ხშირად ცოდვად უნდა ჩაეთვალოს ბევრს ჩვენს ლიტერატორს. რასაკვირველია, თითონ სიძნელე ცოტად თუ ბევრად ამისი შესაწყნარებელი საბუთია. მაგრამ იგი კადნიერება, რომლითაც ზოგიერთი ჩვენგანი შეჰმოსავენ ხოლმე თავის სიტყვა-პასუხს, იგი შეჰლახვენ ხოლმე ადამიანის პიროვნებას და სადგურს, გვარწმუნებს ჩვენ, რომ იგინი თავის-დღეში არ დაფიქრებულან მასზედ. თუ საჭიროა “მე”-სა და “ჩვენ”-ს შუა საზღვარი რამ დაიდოს, დავიწყებული აქვთ, რომ როგორც “ჩვენ”, ისეც ადამიანის “მე” თავის უკეთეს და

დაუღალავ მფარველად თვით იმ ლიტერატურას სთვლის და აღიარებს, რომლის წყალობითაც ეგრე დაუნდველად, ეგრე წინდაუხედავად ჩვენში გაუპატიურებულად, გაბიაბრუებულა ადამიანის "მე". *("შინაურ საქმეთა გამო". 22 იანვარი, 1886 წ.).*

"**ძნელი** ყოფილა, შენი ჭირიმე, კაცის-კვლის ფიქრის წინათვე გულში გატარება! მეტად ძნელი ყოფილა!.. მე იმ ერთმა დღემ თითქმის დამაბერა. კაცს, თუ გინდა რომ გულში ჯოჯოხეთი გაუჩინო, სიკვდილის ფიქრი ჩაუსახე გულში. ეგ ყოფილა სატანჯველად". *("გლახის ნაამბობი". 1859/1862 – 1873 წ.).*

"**ძნელია**, თუ კაცს გზა აერივა: უკან დაბრუნება უძნელდება და წინ წასვლაც ვერ მოუხერხებია." *("ახალი დასის მოლოდინში". 1886 წ.).*

"**ძნელია** უვიცობა, ანუ განგებ შეკეთებული, განგებ გაფიცხებული, განგებ ყალყზე შემდგარი ხელთუქმნელი და არა გულთქმნილი თავგამოდება" *("ქვათა ღაღადი". 1899 წ.).*

წ

"**წადი**, საცა შენი სთქვა, იქ ჩემიც ნუ დაგავიწყდებაო." (*"ოთარაანთ ქვრივი". [1886] – 6 ქრისტეშობისთთვეს 1887 წელსა).*

"**წარსულმა** საუკუნემ, რომელმაც დღეს გზა და ტახტი თავისი დაუთმო ახალსა საუკუნესა, ბევრი რამ შესძინა ქვეყნიერობას. რაც ამ საუკუნეში მეცნიერებამ სასწაული მოახდინა, რაც განათლებულ ქვეყნების ადამიანმა სახელი და დიდება მოიპოვა, მთელს დანარჩენს თვრამეტს საუკუნეს ერთად არ უნახავს. რა თქმა უნდა, რომ წინა საუკუნეთაც არ ემოქმედნათ, არც ეს მეცხმარეტე საუკუნე იქნებოდა ასე ნაყოფიერი, რადგანაც, რაც გინდა სთქვან, წინა საუკუნენი სთესდნენ და სახელი და დიდება მეცხრამეტე საუკუნისა ის არის, რომ უხვი მოსავალი მოგვცა ნათესისა, იმოდენად უხვი, რომ მოულოდნელი იყო ჩვენთა წინაპართათვის." *("მეცხრამეტე საუკუნე". 1899 წ.).*

"**წამოვიდა** მეხი და ვაი იმას ვისაც დაეცემაო". *("ოთარაანთ ქვრივი". 1886-1887 წ.).*

"**წვრილმანმა** წვრილმანს მოუკიდოს ცეცხლი". *("წერილები იონა მეუნარგიასადმი". 1885 წ. 20 დეკემბერი).*

"**წვრილფეხობის** სიტყვა რა დასაჯერია? იყბედებენ და დაჩუმდებიან." *("კაცია ადამიანი?!" 1858-63 წ.).*

წიგნი: - "წიგნი იმისთანა რამ არის, რომ თქვენის სოფლის ამბავს ქალაქში ჩამოიტანს, ქალაქისას _ სოფელში წაიღებს; საიდგან სად კაცს კაცთან გაალაპარაკებს." *("გლახის ნაამბობი". 1859, 1862-1873 წწ.).*

- "წიგნმა თავი შემაყვარა. ისე ჩემ სიცოცხლეში არა მინატრია-რა, როგორც იმ დღეს წიგნის კითხვა მე ვინატრე." *("გლახის ნაამბობი". 1859, 1862-1873 წწ.).*

- "წიგნი კარგია, ვინ არ იცის? ბევრიც სხვა რამეა კარგი ამ ქვეყანაზედ, ჩვენ იქამდინ ხელი არ მიგვიწვდება... გაგიბედავთ, შენი ჭირიმე, და გეტყვით, ჯერ კუჭი უნდა გავიძღოთ, კუჭი!.. ჩვენი თვადაპირველი გულისტკივილი ეს არის!.." *("გლახის ნაამბობი". 1859, 1862-1873 წწ.).*

- "წელში ვერ გავსწორებულვართ, პირუტყვსავით მაღლა ვერ აგვიხედნია, სულ დედამიწას დავყურებთ, თითქო ჩვენი ბედი იქ დაკარგულა და ვეძებთო, ვინ ჩვენ და ვინ წიგნი!.." *("გლახის ნაამბობი". 1859, 1862-1873 წწ.).*

- “ასე კი მოახერხე, არც შინ მოსცდე საქმეს და არც გარედ, რომ შენმა წიგნის სწავლებამა შინაურ საქმეს არ დაუშალოს.” *(“გლახის ნაამბობი”. 1859, 1862-1873 წწ.).*

- “ტაბიკი ხომ რა არის, უბრალოდ ჩხირია, იმ ვეება ურემში არც კი სჩანს, უმისოდ კი ურემს ვერ შეაბამ. ეგრეა ყველაფერი, ჩემო ძმაო, დიდი თუ პატარა ერთიერთმანეთისთვის საჭირონი ვართ, თუ დღეს არა, ხვალე მაინცა. არ შემიძლიან-რაო?.. კაი კაცობა არ შეგიძლიან?.. მაშ რაღა კაცი ჰყოფილხარ?.. ღვთის სული რად გიდგა?.. მე შენ დამიჯერე, წადილი იყოს, თორემ შეძლება ყოველთვის იქნება. აი, ვთქვათ, შენ რომ წიგნს ისწავლი, _ დაჯერებული ვარ, რომ მალე ისწავლი, _ შენც მონახე შენისთანა კაი ბიჭი და იმასაც ასწავლე, ვალს მაგით მოიშორებ; ვითომ იმისთვისაც მე მისწავლებია და მე მიქნია სიკეთე. მეტი რა მინდა, რომ ჩემი სახელი ლოცვით მოვახსენებიო შენისთანა კაი კაცსა. ბევრჯერ იქნება, ჩემო გაბრიელ, შეგირდი შენ რომ დაგლოცავს, მეც მომიგონებს: “ღმერთმა აცხონოს შენი მასწავლებელიო”. ის ლოცვა საიქიოს წინ გამიძღვება, ღმერთამდინ აქედამვე გზას გამინათებს. მე ეგ მეყოფა, შენც შენს ვალს მოიშორებ. მერე რარიგად? ისე ნეტავი ყველამ მოიშოროს! არა შემიძლიან რაო? ღმერთს შენთვის გონება, გული მოუცია, ავარჯიშე, მინამ სიცოცხლე შეგწევს. გონება გზას გაგინათლებს, გული _ გაგათბობს, ღმერთი ძლიერია... ყველას გულში, _ ბატონია თუ ყმა, მე ვარ თუ შენა, _ ღვთისაგან ანთებული ცეცხლი ანთია; ის ცეცხლი არ უნდა გავაქროთ, თუ რომ გვინდა პირნათლად შევეყაროთ ჩვენ გამჩენსა. ის ცეცხლი მეც, შენც და სხვასაცა ხანდისხან იმისთანა საქმეს გვაქმნევინებს, რომ ქვეყანას აკვირვებს... რა ვუყოთ, რომ მე და შენ დღეს პატარები ვართ? ვინ იცის, ძმაო, ხვალ ბედი რომ გადატრიალდება, ვინ წინ მოექცევა და ვინ უკან?.. რაც შეგვეძლოს, ჩვენ ისა ვქნათ, ღმერთიც ჩვენგან იმასა თხოულობს და კაციცა...” *(“გლახის ნაამბობი”. 1859, 1862-1873 წწ.).*

- “მოდი, მოვუჯდეთ წიგნსა, შენ მე წამახალისე, მე კიდევ შენ წაგახალისებ.” *(“გლახის ნაამბობი”. 1859, 1862-1873 წწ.).*

- “ამოვიკითხავთ წიგნებიდან რაღაცას და გვგონია, ეს-ეს არის ქვეყნის ღერძს ხელი ჩვენ ჩავკიდეთო. ქვეყანაზედ ბევრი რამ არის უწიგნოდაც ნასწავლი, ამაებსაც ცოდნა უნდა. ჩვენ კი აღარც იქით ვიხედებით, აღარც აქეთ. რაკი წიგნი ხელთ გვიპყრია, თითქო ჭკუა, თუ არ წიგნში, სხვაგან აღარსად იყოს.” (*“ოთარაანთ ქვრივი”. [1886] – 6 ქრისტეშობისთთვეს 1887 წელსა).*

- “არც უწიგნობა ვარგა და არც მარტო წიგნიდამ გამოხედვა. უწიგნოდ თვალთახედვის ისარი მოკლეა და მარტო წიგნითაც საკმაოდ გძელი არ არის. უკადრისობად მიგვაჩნია ჭკუა უწიგნო ტყაპუჭქვეშაც ვიგულვოთ. ჩვენ ვთაკილობთ და არა გვჯერა, რომ ყველა გონიერი კაცი იგივ წიგნია. ყველა გონიერი კაცი, თუნდა უწიგნოც, ზოგჯერ მწიგნობრისათვისაც კი ოსტატია. ეს ტყუილი თაკილი...

_ ტყუილმა ბრძნობამ იცის.

_ და უვიცობის ცუდიმედობამ! ” (*“ოთარაანთ ქვრივი”. [1886] – 6 ქრისტეშობისთთვეს 1887 წელსა).*

- “წიგნით ცოდნის გავრცელებას არა ჰკმარობს “კავშირი” და საბუთიანადაც. წიგნი ამ შემთხვევაში ისე მალე მისაწვდომი და შესათვისებელი არ არის, როგორც მაგალითი, როგორც ის, რასაც კაცი თვალით ჰხედავს, რასაც გამოცდა აჩვენებს, ნამეტნავად თუ სახეში ვიქონიებთ იმ უმეტესობას ერისას, რომლის ფეხზე დაყენება ასე სანატრელია ჩვენთვის და რომელიც მკვიდრი ბურჯია ქვეყნისა”. *(“კახეთის სოფლის მეურნეთა კავშირი”. 1895 წ. 17 ნოემბერი).*

“**წუთის-სოფლის** სუფრა ჩვეულების სუფრა არ არის: ამ სუფრაზედ ყველამ თავის საკუთარი კერძი თვითონ უნდა მოიტანოს და დაიდგას, თვითონ უნდა მოჰთესოს, მოჰხსნას, მოიმკოს, მოიზილოს და გამოაცხოს თავისი არსებითი პური, ამაების იქით ხსნა არ არის და ტყუილად ჰფიქრობენ, ვითომც ეხლანდელ დროში სხვისით რჩენა შეიძლებოდეს. წავიდა ის დრო სამუდამოდ და დღეს ვინც თვითონ არის გამრჯელი და მხნე, ბურთი და მოედანი ცხოვრებისა, კეთილისა და ბედნიერებისა იმისია და მარტო იმისი”. *(“თავად-აზნაურობის გულგრილობა სწავლა-განათლების საქმეში”. 30 დეკემბერი, 1887 წ.).*

“**წყლიან** ყველს უჭერს ხელს და ქვეყანას-კი ეფიცება, ქვას ვადენ წყალსაო”. *(“ქვათა ღაღადი”. 1899 წ.).*

“**წყალნი** მწყურიან, წყალს დავლევ, დავეწაფები გუბესა, / წავალ და ჩავეხუტები ჩემის კუკლუშკის უბესა”. *(“წერილები ილია ჭავჭავაძისა ოლღა თადეოზის ასულ გურამიშვილისადმი. 1873 წ. 12 ნოემბერი).*

“**წყალწაღებული** ხავსს ეჭიდებაო, მაგრამ საკითხავი ეს არის: წყალს რად წააღებინა თავი, და თუ წააღებინა რა სიმაგრეა ხავსი?” *(“თავად-აზნაურობის უმოქმედობით ჩვენი მიწა-წყალის დაკარგვა”. 1888 წ.).*

ჭ

“**ჭირადაც** გეყოფა და ლხინადაცაო”. *(“ახალი უმეცრობანი ბ-ნ ნოე ჟორდანიასი”. 1900 წ.).*

“**ჭირთა** თქმა _ ლხინიაო.” *(“გლახის ნაამბობი”. 1859, 1862-1873 წწ.).*

“**ჭირს** დამალვა არ უნდა” *(“საგაზეთო შენიშვნები”. 16 იანვარი, 1892 წ.).*

“**ჭკუიანი** ვაჟ-კაცობაი ეგე არნ: სად ღონეი ვერ ღონობს, იქაიდ ხერხს ემუდვნის” *(“მგზავრის წერილები”. 1861 წ.).*

“**ჭკუის** კოლოფს რომ იტყვიან, სწორედ ეს არის, თუ არ დაგიშლიათ”. *(“უმეცრობის ფართი-ფურთი”. 1900 წ.).*

ხ

“**ხალისი** კარგი საქონელია, ხოლო მაშინ კი, როცა იგი იმოდენად ფრთაშესხმულია, რომ სიმაღლეს საგნისას, რომელზედაც მიმართულია, შესწვდეს. ვიდრე ამისი ძალ-ღონე კაცს არ შეუძენია, ნუ ჰფიქრობს ცარიელის ხალისით გახდეს რასმე”. *(“პოეზიის ახალგაზრდა მოყვარულთ”. 1886 წ.).*

“**ხანგრძლივ** შფოთებს შემდეგ სვენება უპრიანია, როგორც ცალკე კაცისათვის, ისეც მთელი ერისათვის. ამას ბუნება ითხოვს” *(“წერილები ქართულ ლიტერატურაზე”. 1892 წ.).*

“**ხარი** ხართან დააბიო, _ ან ფერს იცვლის, ან ზნესაო”, ნათქვამია.” (*“კაცია ადამიანი?!” 1858-63 წ.).*

“**ხატი** ცხოვრებისა ადამიანის ხასიათშიაც გამოითქმის და ზნეობაშიაც.” *(“ქართული თეატრი”. 1886 წ.).*

“**ხომ** მოგეხსენებათ ძილში ჭკუა არ მოქმედობს” *(“აკაკი წერეთელი და ვეფხისტყაოსანი”. 1887 წ.).*

“**ხე** ხილისაგან, ხილი ხისგან, _ ნათქვამია, _ იცნობებაო”. *(“ქვათა ღაღადი”. 1899 წ.).*

“**ხელი** ჩაგიკიდია მკაცრი ანდაზისათვის: კარგი ცოტა-ცოტაო. ასეთი ზომიერება ჩემთვის უცხოა: ან ყველაფერი, ან არაფერი! ჩემთვის საშუალო არ არსებობს”. *(“წერილები ილია ჭავჭავაძისა ოლოა თადეოზის ასულ გურამიშვილისადმი”. 1863 წ. 5 მარტი).*

ხელოვნება: - “რა არის ხელოვნება? აი, ვჰსთქვათ, მიდიხართ და ხედავთ ლუსკუმას (статуя), მარმარილოდამ გამოკვეთილს ადამიანის სახეს და აგებულებას. თუ ის ლუსკუმა მართლა-და წმინდა ხელოვნებაა, თანდათან უფრო მიგიზიდავთ, იმიტომ რომ იმ მარმარილოდამ თანდათან გამოჰსჭვივის შიგ-მდებარე აზრი, რომელიც თან სულსავით ჩაუყოლებია გამომკვეთსა. როგორ გამოჰსჭვივის და რაში?”

- “დააცქერდებით სახის ყოველს ნაკვეთსა, იმიტომ რომ გამომკვეთსა, რაკი ეგ სახე შეუქმნია, ის ფიქრი ჰქონია, რომ მაგ სახით მიგახვედროსთ შიგ-მდებარე აზრსა.”

- “ვჰსთქვათ, ის აზრი ვაჟკაცობის, თავგამოდების, დიდებულების აზრია, რაკი აზრს მიხვდით, მაშინვე იმას ჰგრძნობთ, რომ ამ მარმარილოს სახემ უსიტყვოდ, უთქმელად შეგატყობინათ გამომკვეთელის აზრი. ის აზრი სახეზედ და სახის ნაკვეთებში იყო აღბეჭდილი, მერე ისე ცხადად, რომ თქვენ მაშინვე იცანით.”

- “საკვირველია, ქვამ, ქვიდამ გამოკვეთილმა, ისე ცნობიერად როგორ გითხრათ აზრი, რომელიც გამომკვეთსა ჰქონია და სახეზედ აუბეჭდია?”

- “საკვირველია, ისე როგორ გამოუყვანია სახე, რომ მარტო ვაჟკაცობას, თავგამოდებას, დიდებულებას ნიშნავს და სხვა არაფერს. საკვირველია და ამ საკვირველებაშია მთელი საიდუმლოება ხელოვნებისაცა.”

- “ვჰსთქვათ, თქვენს სიცოცხლეში გინახამთ ვაჟკაცი, დიდებული, თავგამოდებული ადამიანი. ვჰსთქვათ, ამ ლუსკუმის ყურებაზედ მოგაგონდათ იმ ადამიანის სახეც და შეხედულობაცა. ახლა გინდათ, რომ ეს ორი, ლუსკუმა და იმ ადამიანის სახე, ერთმანეთს შეადაროთ. შეადარეთ, მაგრამ ნახამთ, რომ ეს ლუსკუმა ვაჟკაცობაში, დიდებულებაში, თავგამოდებაში ჰგავს იმ თქვენს ნაცნობსა და სხვაში სრულიად არა, – ერთის სიტყვით ეს მარმარილოს სახე იმ კაცის სახე არ არის”.

- “ახლა სხვა ვაჟკაცის, დიდებულის, თავგამოდებულის კაცის სახე მოგაგონდათ, ახლა ისიც შეადარეთ, – ხედავთ ისევ იმას, რომ ეს ლუსკუმა ვაჟკაცობაში, დიდებულებაში, თავგამოდებაში ამასაც ჰგავს, მაგრამ რომ ჰსთქვათ, რომ ეს სახე იმის სახეა, რა არის იმის სახე; ახლა მესამე, ახლა მეოთხე, მთელი ქვეყნის ვაჟკაცების, დიდებულების და თავგამომდებლების სახეები ამ მარმარილო სახეს რომ შეადაროთ, არც ერთი არც ეგვანება და ეგვანება კიდეც. გიკვირთ თქვენ, მაგრამ საკვირველი აქ არ არის რა. ჰგავს იმიტომ, რომ რაც საზოგადო ნიშნები ჰქონიათ მთელ ქვეყნის ვაჟკაცებს, დიდებულებს, თავგამომდებლებს, ისინი სულ არიან გამოკვეთილნი ამ მარმარილოს სახეზედ და ამიტომ გვანან და ამიტომაც ადვილად მიუხვდით გამომკვეთელს აზრსა; და რაც კი კერძოობითი ნიშნები ჰქონიათ, რაც კი ერთსა ჰქონია და მეორეს კი არა, იმათთვის გული არ უთხოვებია გამომკვეთსა, ამიტომ არა ჰგავს. რაც საზოგადო ჰქონიათ, ის მოუკრეფია გამომკვეთსა, და რაც კერძოობითი, მისთვის თავი დაუნებებია, იმიტომაც ისინი ჰგვანან კიდეც და არცა ჰგვანან.” “ამ საზოგადო ნიშნების ერთად, წყობილად შეკრეფითა იზომება სიბრძნე და გონიერება ხელოვანისა.” *(“მეცნიერება და ხელოვნება”. 1862-3 წ.).*

“**ხელოვნებასა** და ერთობ გონების ნაწარმოებსა გვარტომობა არა აქვს. ერთიცა და მეორეც მთელის კაცობრიობისაა.” (“გაბრიელ სუნდუკიანცის „პეპო“ და სომხის ლიტერატორები”. 1889 წ.).

“**ხერხი** სჯობია ღონესა, თუ კაცი მოიგონებსა”.” (*“კაცია ადამიანი?!” 1858-63 წ.).*

“**ხვნაში** პირობის დადება სჯობს, თუ გინდა რომ მკაში არ წამოგედავონო.” *(“ჩვენი ეხლანდელი სიბრძნე-სიცრუე”. 1896 წ.).*

“**ხომ** უნდა მოვკვდე დღესა თუ ხვალე, ის არა სჯობია ღვთისა და... გეტყვი ეხლა კი, კაცის სამსახურში ამომივიდეს სული!.. აქ სახელი მაინც დაგრჩება და იქ სიკეთე წაგიძღვება. “სჯობს სახელისა მოხვეჭა ყოველსა მოსახვეჭელსა”, ჩემო კარგო! სახელის მოხვეჭა კიდევ, სხვამ რაც უნდა სთქვას, ცხონებაა სულისა. სამოთხესაც აქედამვე ეგ ანათებს და ჯოჯოხეთსაც აქედამვე ეგ აქრობს, როგორც შვილისათვის, ისე დედისათვის!” *(“გლახის ნაამბობი”. 1859, 1862-1873 წწ.).*

“**ხომ** ქვეყანაზედ ესრეა: ღმერთი რო კაცს დააკლებს ერთს რასმეს, მეორესგან მოუმატებს. ამბობენ, ბრმას ხელის თითები ძალიან შემტყობი აქვსო, ყრუს შორმხედავი თვალი აქვსო და ჭკვის გლახასაც მგრძნობელი გულიო.” (“*კაკო.” 1859 წ.).*

“**ხორცის** დაუძლურებას სულის დაუძლურებაც ზედ მოსდევს.” *(“ზოგიერთი რამ”. 1866-1876 წ.).*

“**ხორცის** მოძრაობა ისე როგორ დაჰღლის კაცსა, როგორც სულისა.” *(“ქართული თეატრი”. 1886 წ.).*

“**ხშირად** ადამიანი იმისი მაყარია, საცა ბოლი მაღალია.” *(“ახლო და შორი აღმოსავლეთის პოლიტიკის საკითხები”. 1898 წ. 17 ნოემბერი).*

“**ხშირია** ხოლმე, რომ, როცა სული ჭლექდება, ხორცის დღეობა მაშინ არის; როცა სული ჰყვავის, ხორცი დნება.” *(“კაცია ადამიანი?!” 1858-63 წ.).*

ჯ

“**ჯარო** და ჯაამათო, ღვთის გულისათვის მაინც იკითხეთ: ეს რა კაცს შევესწარით, ეს რა კაცი მოგვევლინა, ეს რა ღვთის წყრომის დრო დაგვიდგა! ქვეყანას ღერძი გასტეხია და სულ უკუღმა დატრიალებულა, თუ რა დაემართა ამ ისეც უბედურ საქართველოს, რომ ეს ამისთანა ქებული პროგრესისტი გამოსულა და ჭკუას გვასწავლის და გზას ცხოვრებისას გვინიშნავს. წარმოიდგინეთ, თურმე ყურისმგდებელიცა ჰყავს, ამყოლიც და მგალობელნიც! მართალი ნათქვამია, _ როგორიც ალხანა, ისეთიც ჩალხანაო, მაგრამ განა ეს ნუგეშია! მარტო ის ამბავი, რომ არის ქვეყანა, საცა ამისთანა კაცი ლიტერატორობს, მარტო ეს ამბავი საკმარისია, კაცმა ამ ქვეყანაზე ხელი აიღოს და ცხრა მთას იქით გადაიხვეწოს. განა ყოვლად შესაბრალისი და ამასთანავე ყოვლად აუტანელი არ არის ის ქვეყანა, ის ერი, საცა ჰფარფაშობს და ჰფახიფუხობს იმისთანა კაცი, რომელსაც ჭკუა არ უშლის სთქვას: “ხალხი და ინტელიგენცია, ინტელიგენცია და ხალხი, _ აი ორი მეტოქე და მებრძოლი ელემენტი. ამნაირად ინტელიგენტი გონებას აგდებს ხალხიდამ და ხალხს გონებიდამაო”. *(“ქარაფშუტობა, ორთავიანობა და ორპირობა უმეცარისა”. 1900 წ.).*

ჰ

“**ჰოი**, ყოველთვის ჯვარცმულო ღმერთო! ტანჯულთა და ცოდვილთა მეოხევ! მოიხსენიე ეს მოსავი შენი, ოდეს მოხვიდე სუფევითა შენითა” *(“გლახის ნაამბობი”. 1859/1862 – 1873 წ.).*